ნინელი ჭოხონელიძე

სახელურ ომონიმთა ისტორია ქართულ დიალექტურ ლექსიკაში

მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის

თბილისი
2024

წიგნში წარმოდგენილია დიალექტურ ლექსიკასთან დაკავშირებული 2327 ომონიმი (5586 ომონიმური ცალი სიტყვა-სტატია). ნაშრომი ემყარება ემპირიულ მასალას, ქართული ენის მრავალსაუკუნოვან წერილობით წყაროებს, დიალექტოლოგიურ და ქართველურ ენათა მონაცემებს. განხილულია ამა თუ იმ სიტყვასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები და, შეძლებისდაგვარად, მათი წარმოშობისა და ეტიმოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაციაც. დაწერილია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გათვალისწინებით. განკუთვნილია ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი მ. ჩუხუა

რეცენზენტები: მ. ბუკია
რ. რამიშვილი
ე. შენგელია

ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე
ოპერატორი თ. გაბროშვილი

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2024

ISBN 978-9941-36-035-0

წიგნი ეძღვნება მამიდის,

მარიამ ჭოხონელიძის ნათელ ხსოვნას

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ქართული ენის ლექსიკის ერთ-ერთ მრავალფეროვან და მდიდარ ნაწილს ქმნის ომონიმია [ომონიმი (ბერძ. homos ერთნაირი და onyma სახელი) ლინგვ. სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, მნიშვნელობითა და წარმოშობით კი განსხვავდება – ქეგლი].

ძველ ქართულში ომონიმს სეხნაჲ სიტყუაჲ, ანუ შემსგავსებული სიტყუაჲ ეწოდებოდა. მაგ. აკჳნდინოს ითარგმანების „უჭირველ“, გინა „დაუნთქმელ“... ხოლო ელპიდიფორე – „სასოებაშემოსილ“. და უფროჲსი დასდებელი მათ წმიდათა შემსგავსებულითა და სეხნაჲთა სიტყჳთა უგალობს, სიმჴნეთა მათთა. და შემინდვეთ, ქართულად რეცა რაჲმე არა შეჰგავს სახელთა დაფარულობისათჳს (სარჯველაძე 1984: 216).

ძველი ქართველი მწერლები და მეცნიერები უცხოენოვან სიტყვებს და დიალექტიზმებს განმარტავდნენ ტექსტშივე ან კიდევ არშიებზე. ისინი უკვე XI–XII სს. სვამენ საკითხს სალიტერატურო („წიგნური“) და არასალიტერატურო („სოფლური“) ფორმების ურთიერმიმართების შესახებ.

ლექსიკოგრაფიული შენიშვნები განსაკუთრებით ხშირია ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და სხვათა ნაწერებში. ასეთ ლექსიკოგრაფიულ ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსიკის ისტორიისათვის. მაგ.: დიდი ქართველი მწერლისა და მეცნიერის ეფრემ მცირის უაღრესად საინტერესო შენიშვნა ახლავს მის მიერვე თარგმნილ გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებას „ქრისტეს შობისათჳს“ (Jer. – 15 XI ს.). ერთ ადგილას ნაწარმოებში იკითხება: „მიითუალევდ ყურიმლის – ცემათა და ჯურთით ცემასა“. 21-ე ფურცლის არშიაზე ამ ადგილთან დაკავშირებით ეფრემ მცირის განმარტება გვაქვს: „ჯურთით ცემაჲ არს: მჴიღი მიმოქცევისა თითთაჲთა ძლიერად ტკივნებისა შემძლებელი, რომელსა სოფლიონი ქურჭ უწოდიან (21r) და სხვ.

არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი დოგმატიკონის ერთ-ერთ ხელნაწერში იკითხება „იკრეკ და იღრჭენ კბილთა და განიხერხები“ (A-205 XIII ს.) რომლის გადამწერია ზაქარია ალავერდელი, ამ ადგილთან დაკავშირებით არშიაზე გაკეთებული არის შენიშვნა: „კახური ლექსი კრეჭაჲ“, ხოლო S-401 ხელნაწერში (XVIII ს.) იკითხება: „ლექსი კახური თჳს-ეყვის კბილთა: იკრეკ წინათა, იღრჭენ შუათა, იკრჭენ უკუანათა“ (335) (სარჯველაძე 1984: 122-251).

რა თქმა უნდა, ასეთ ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსიკის ისტორიისათვის, მაგრამ ჩვენს ხელნაწერთა არშიებზე მიწერილი ლექსემების განმარტება მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მდიდარი ცოცხალი, ამოურწყავი ლექსიკისა, რომელიც სხვადასხვა დიალექტურ განშტოებაში იქმნებოდა, რაც შეიძლება თანამედროვე დიალექტებშიც იყოს შემონახული.

დიალექტურ ლექსიკაში დასტურდება, როგორც საერთოქართულიდან მომდინარე ძველი, საშუალი და ახალქართულისეული სიტყვები, ისე საკუთრივ მხოლოდ მისი ეთნოგრაფიისათვის დამახასიათებელი სემანტიკური და ლექსიკური დიალექტიზმები. აღსანიშნავია ქართველური (სვანური, ზანური (მეგრულ-ლაზური) და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან საზიარო ლექსიკური ფენა და სამწერლო ქართულისაგან განსხვავებული უცხო ნასესხობანი, რომელთა გამიჯვნა, საკუთარი ლექსიკისაგან ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებების გამო, ხშირად ძნელდება.

დიალექტური ლექსიკა, განსაკუთრებით ლექსიკური დიალექტიზმი, მწერლობის მეშვეობით გზას იკაფავს სამწერლო ქართულისაკენ, რიგ შემთხვევაში, მკვიდრდება კიდეც. აღსანიშნავია ისიც, რომ დიალექტისათვის დამახასიათებელმა ლექსიკურმა სიახლემ შეიძლება თავი იჩინოს მისგან განსხვავებულ დიალექტსა თუ დიალექტურ ჯგუფში გამოვლენილ ლექსემებთან ერთად და ახალ სემანტიკურ ველშიც გამოვლინდეს.

ომონიმთა შესწავლისას ისტორიული და დიალექტოლოგიური ცვლილებების გამიჯვნა, ხშირ შემთხვევაში, ძნელდება, რადგან ისინი ენის ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში იჩენს თავს, ჩვენ კი ისტორიული დიალექტოლოგია არ მოგვეპოება.

ქართულ ენაში ომონიმების გაჩენა სინქრონიულად ნაკლებად დამახასიათებელია. იგი, ძირითადად, განპირობებულია სხვადასხვა პერიოდის სამწერლო ქართულისა და სხვადასხვა დიალექტური მასალის ერთად თავმოყრით. ომონიმიის კვლევა ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების ნაწილია. ომონიმთა გამოყოფის სიძნელე იმ სიძნელეებს უკავშირდება, რომელიც ეტიმოლოგიური ძიების დროს გვხვდება; ცნობილია, რომ ფაქტობრივ შეუძლებელია გავიგოთ ყველა სიტყვის ეტიმოლოგია. ასევე, როდესაც ხელთა გვაქვს ერთგვარად მბგერი წყვილი, ყოველთვის ვერ დავადგენთ – ომონიმიასთან გვაქვს საქმე თუ არა. საამისოდ აუცილებელია ვიცოდეთ ამ წყვილში შემავალი თითოეული სიტყვის წარმომავლობა (ფოჩხუა 1974: 91).

სიტყვის სემანტიკური ისტორიის გადმოცემისას მთელ რიგ სიძნელეებს ვაწყდებით. ერთ სინქრონიულ ჭრილში დადასტურებული სიტყვის მთავარი მნიშვნელობა შეიძლება არ დაემთხვეს მის მომდევნო ეტაპზე ცნობილ ამავე სიტყვის მთავარ მნიშვნელობას. თავის მხრივ, დიაქრონია-

ში შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვადასხვა მთავარი მნიშვნელობები. სინქრონიაში ერთი მთავარი მნიშვნელობა ხანდახან შეესაბამება დიაქრონიაში სხვადასხვა მთავარ მნიშვნელობას და სხვ.

გასათვალისწინებელია, რომ სიტყვა, იქნება ეს ძირეული თუ ნასესხები, დროებით შეიძლება პასიურ მარაგში აღმოჩნდეს, შემდეგ კი ახალი შინაარსით გამოჩნდეს ენაში. საკმაო რაოდენობით ვხვდებით ნასესხებ მასალასაც, რომელიც სხვადასხვა გზით, იქნებოდა ეს ზეპირი, თუ ლიტერატურული, უშუალოდ ან მესამე წყაროდან შემოდიოდა ენაში.

დიალექტებში, მართალია, გვაქვს სამწერლო ქართულისათვის დამახასიათებელი ნასესხობანი, მაგრამ გამოიყოფა მისგან განსხვავებული უცხო, ძირითადად, ზეპირი გზით ნასესხები ლექსიკაც. ხანდახან ჭირს იმის გარკვევაც, სიტყვა წარმომავლობით საკუთრივ ქართული ლექსიკური მარაგის კუთვნილებაა თუ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით ქართულში დამკვიდრებული ნასესხები მასალა. კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გავარკვიოთ, ფუძის მნიშვნელობის განშტოებასთან გვაქვს საქმე თუ იმავე ფუძის სხვადასხვა ახალ წარმონაქმნთან. ამასთან ერთად, სიტყვის ლექსიკური, ფონეტიკური და გრამატიკული ცვლილებები ხშირად ერთმანეთითაა განპირობებული და ამიტომ მათი ცალ-ცალკე გააზრება ჭირს.

სამწერლო ძეგლებისა და დიალექტური მონაცემების მიხედვით, ომონიმური ცალები გამოყენების სიხშირით ერთმანეთისგან განსხვავდება, ერთი მათგანი უფრო აქტიურია და მეორე – პასიური. ქართულ ენაში გამოიყოფა ომონიმთა ორი ჯგუფი: 1. აბსოლუტური ომონიმები, რომელთა ცალებს ფონეტიკური ვარიანტები არა აქვთ; 2. რელატიური ომონიმები, რომელთა შემადგენელ ცალებს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი გააჩნია და, შესაბამისად, შესაძლებელია ისინი სხვადასხვა წყვილებშიც გაერთიანდნენ.

ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა ომონიმებში დადასტურებული დიალექტური, როგორც: 1. აბსოლუტური, ისე რელატიური; 2. სიტყვის დაბოლოებით განპირობებული; 3. სიტყვაწარმოებით წარმოქმნილი ცალების; 4. კომპოზიტებისა და მყარი სინტაგმების შემადგენელი ერთეულების, როგორც ლექსიკოგრაფიული ფაქტების, ფიქსაცია და ისტორიის ჩვენება სამწერლო ქართულისა და სხვადასხვა დიალექტური მონაცემების გათვალისწინებით.

ომონიმების სემანტიკური ჯგუფი მრავალფეროვანია. მის ომონიმურ ცალებად დასტურდება ადამიანის, ცხოველების, ფრინველების, მწერების, ქვეწარმავლებისა და მათი სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული ლექსიკა. გამოიყოფა საყოფაცხოვრებო და თავდაცვის იარაღების,

ბუნების მოვლენების ამსახველი, საჭმელ-სასმლის სახელები და ფონოსემანტიკური ლექსიკა. შედარებით მცირე ნაწილს ქმნის საბავშვო ლექსიკა და ანბანის სახელები, სხვადასხვა ქართული ხალხური სიმღერის მისამღერი სიტყვები და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა მნიშვნელობის დიალექტური ერთეულები ომონიმურ ცალად დასტურდება როგორც სამწერლო ქართულის ყველა პერიოდში დადასტურებულ, აგრეთვე, ცალკეულ თუ განსხვავებულ დიალექტურ ჯგუფებში გამოვლენილ ლექსიკურ ერთეულებთან.

ომონიმების კვლევისას გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით. ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ ამა თუ იმ ფუძის ფონეტიკური ვარიანტი, ანდა საძიებელი მნიშვნელობა უფრო ადრინდელ ძეგლში, ანდა რომელიმე დიალექტში გამოვლინდეს და გარკვეულწილად შეიცვალოს კიდევაც წარმოდგენილი მოსაზრება. ამიტომაც ომონიმური სიტყვების ამოსავალი ფორმისა და ძირითადი მნიშვნელობის დასადგენად ფუძის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის ცოდნა ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს.

ხშირად ომონიმური ცალების, როგორც ძირძველი ქართულის სიტყვების, ისე ნასესხები მასალის წარმომავლობის შესახებ მეცნიერთა ვარაუდი განსხვავებულია. განსაკუთრებით ეს ეხება ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს, რადგან ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვა შეიძლება სხვადასხვა აღმოსავლური ენიდან ან მისი რომელიმე დიალექტიდან მომდინარეობდეს და, შესაბამისად, მკვლევართა ვარაუდებიც სხვადასხვა იყოს.

მიუხედავად ჩვენი დამოკიდებულებისა, ამა თუ იმ თვალსაზრისთან დაკავშირებით, შეძლებისდაგვარად შევეცადეთ, ყველა მათგანი მიგვეთითებინა.

შეიძლება, წარმოდგენილი ომონიმები ან მათი წარმომავლობის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული ყველა თვალსაზრისი გაზიარებული არ იქნეს. შეიძლება მომავალში უფრო დამაჯერებელი მტკიცებულებებიც გამოჩნდეს, მაგრამ ეს მომავალი კვლევის საქმეა.

ნაშრომი შესრულდა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდების თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით.

ნაშრომს ერთვის გასაანალიზებლად გამოყენებულ ფუძეთა, სიტყვაფორმათა და მყარ გამოთქმათა საძიებელი, გამოყენებული წყაროებისა და დამოწმებული ლიტერატურის სია და შემოკლებათა განმარტებანი.

განსახილველი ომონიმები დალაგებულია ანბანთრიგზე.

ავტორი გულითად მადლობას მოახსენებს: ნანა მაჭავარიანს, მერაბ ჩუხუას, ლევან ვაშაკიძეს, ანზორ ორთოიძეს, ეთერ შენგელიას და თინათინ გაბროშვილს რომლებსაც სხვადასხვა წვლილი მიუძღვით ამ წიგნის შექმნაში.

აბ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. აბი** [თურქ.-არაბ.] ქაშთაჯი – ნ. ჩუბ.; || პატარა ბურთულებად გაკეთებული წამალი. *აბი* სუალიცა შეუქენ და ენასა ქუეშე დაიჭიროს (ფანასკ. 103, 3). *კარი აბისა*, რომელ არს მარცულები ნიშანი მარცულისა, რომელსა ჰქვიან *აბი* და ერგების ყოველსა ტკივილსა (ქანან. 65, 6-7). თუ თავის განწირვა დასჭირდა, შხამით შემზადებული *აბი* აქვს თან (ვ. ბარნ.). ექიმმა... გამომიწერა წამალი – თევზის ქონი, ორნაირი *აბი* და... ნემსები (კ. კობ.). [ვახტანგი] ჭრაჭუნა ქაღალდებს მოებნინდა ჯიბეში, ორ-სამ *აბს* გამოაცლიდა და პირში ჩაიყრიდა (ი. ბერიაშვ.) – ქეგლი. შდრ. **ჰაბი** (ZAaBCD, ჰაბ Cab.) წამალი არს მარცვლედად შეზელილი, რომელსა თურქთა მკურნალნი ჰაბად უწოდენ – საბა. *ჰაბემი* ჭამოს (იადიგ. 131, 12). || ჰაბი [არაბ.] ტაბლეტი, აბი. „ეჯზანედან *ჰაბები* მომიტანეს“ (ჩვენ. ფუტკ.).

სიტყვა დადასტურებულია ორგვარი ფორმით **ჰაბი || აბი**. შემოსულია არაბულიდან: [არაბ. აბბ „მარცვალი, „თესლი“] (წერეთელი 1951: 46) – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. აბე || აბი** [თურქ.] უფროსი ძმა (უმცროსისათვის). ეს არის აგრეთვე ზრდილობიანი მიმართვის ფორმა საკუთარ სახელთან ერთად, საზოგადოდ, ასაკით უფროსი მამაკაცის მიმართ. „დიდ ძმასა ჩაქველები, ჩურუქსუელები „*აბე*“-ს ვეტყვით, აჭარლებმა „ძიაი“ იციან“ (ხ. ფ.); „მურად-*აბეს* ბაბაი ხარ?“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.).

აბაკ-ი:

საშ. ქართ. **I. აბაკი** ვირი-პიტნა [Mentha viridiss L]. აიღე *აბაკი*, რომელ არს პიტნა, და პიტნა მთისა და მთის ნიახურისა თესლი (ფანასკ. 150, 25). შდრ. აბაკა (abaca) ტროპიკული მცენარე ერთგვარი – მ. ჭაბ.

ახ. ქართ. **II. აბაკი** [ბერძ. abakos დაფა] 1. ისტ. ერთგვარი ფიცარი არითმეტიკული გაანგარიშებისათვის (ძვ. საბერძნეთსა და რომში). 2. კოლონის კაპიტელის ზედა ფილა – ქეგლი.

აბაჟურ-ი:

ახ. ქართ. **I. აბაჟური** [ფრან. abat-iour] შუქფარი; ლამფაზე ჩამოსაცმელი ფარი ძლიერი შუქისაგან მხედველობის დასაცავად. აი, ლამფას დავხურე მოთალხო *აბაჟური* (ი. გრიშ.). ფანჯრის რაფაზე მაგიდის ლამფა იდგა სოკოს ფორმის, ჭრელი, ხალისიანი *აბაჟურით* (ჯ. ქარჩხ.). სათითაოდ ეთხოვებიან [მოხუცები]: მოწყენილ სახლებს, მზითვში მოყოლილ *აბაჟურებს*, ეზოს, სათონეს (ვ. ჩხიკვ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. აბაჟურ** სტაფილო [აზერ. დიალ.] აბაჟურ, აბაჯურ სტაფილო. „დილლიგში-ვე სთესავდნენ ცოტა რაოდენობით „*აბაჟურსაც*“ (სტაფილო) ორნაირს: „თეთრს და ყვითრლს“ (საინგ., მრეწ. IV, I, 23). აგრეთვე: ინგ. როსტ., ღამბ., მაყ.

აბეჩხარ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. აბეჩხარი** 1. ნავენახობი, გაოხრებული ვენახი – ნ. ჩუბ. მოსავალი თანდათან კლებულობს *აბეჩხარ* ვენახში, თუმცა მისი ღვინო უმჯობესდება (ა. ლეკ.). [გამყიდველები] იყვნენ ერთ ამბავში: აბა, შიოს მარნისა!.. დათვის სისხლი!.. ბაბუას *აბეჩხრისა* (რ. ინან.). ვისაც მეტი აქვს, უნდა ჩამოერთვას, მაგრამ შენ რაღა *აბეჩხარი* მოგაგდეს: ასხია კია? (ლ. მრელ.) – ქეგლი. 2. ხირხატი, უნაყოფო მიწა, მწირი ადგილი. „არბაჩხან იმითა ჰქვიან ჩვენ სოფელსა, რო *აბეჩხარ* მიწა ყოფილა აქა“ (ფშ. ხორნ.). აგრეთვე მთ. კაიშ.

აბეჩხარი < ნა-ბეჩხარ < *ნა-მე-ჩხარ; ნაბეჩხარი იგივეა, რაც აბეჩხარი. თვით ნაბეჩხარი *ნა-მეჩხარისაგან უნდა მომდინარეობდეს და ისეა ნაწარმოები როგორც კბილისაგან ნაკბილი, მორისაგან ნამორი... თვით მეჩხერიც წარმოქმნილია: მე-ჩხერ, შდრ. ჩხარი არამჭიდრო, არახშირი, მეჩხერი (ერთელიშვილი 1980: 130). აღდგენილია ს.-ქართვ. პირი *ჩხერ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. აბეჩხარი, აბეჯარი** მოსულელო (ქიზ. მენთ.).

აბზინტა:

დიალექტ. **I. აბზინტი/ა** მცენარეა, მზიან ადგილას მოდის. კარგი სუნი აქვს. მისი ფოთოლი კუჭის ტკივილის წამალია. ფოთოლს გაახმობენ, დაფშვნიან, ჩაყრიან ჭიქა არაყში და დალევენ (გ. თედორ. II, 58) – ალ. ჭინჭ. შდრ. **აბზინდა** [Artemisia absinthium] სამკურნალო ბალახი, მონაცრისფრო, ბუსუსიანი, ფოთლებდანაკვთული – ქეგლი. **აბზინდი || აბზინდე** (მც.) ზან. (მეგრ. ქობ.). **აბზინდაი, აბზინდაი, აფსინდ, აბზინდ** (სვან. თოფ., ქალდ.).

აბზინდა წარმოადგენს ნასესხობას ბერძნულიდან. [ბერძ. apsintion] (Deeters 1973: 263; ურუშაძე 1980: 213; გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. აბზინტი/ა** ვერცხლის სამკაულია ლობიოს ლეგნის ფორმისა; აბზინტების ასხმულა შეადგენს ყაწიმს. ვაჟის მჯრით მისცემდეს სამს *აბზინტს* (დიალექტ. 10, 7); ჴევსურეთ ალაქანან აკეთებდიან *აბზინტებს* (ხევს. ჭინჭ.). [უნაგირის] გვერდის ფიცრებს, გვერდებზე (ორსავე მხარს) აქვს ორ-ორი „საუზანგე“ ჴვრეტი, რომლებზედაც რკინის „*აბზინტით*“, ანუ ბალთით ჩამობმულია „მტყელი“ (ბრტყელი) თასმა ბოლოში რკინისავე „უზანგით“ (თუშ. ბოჭორ.). || **აბზინდა, აბზინტა** ბალთა, თასმის შესაკრავი (ფშ. ხორნ.). შდრ. აბზინდა (საბა, დ. და ნ. ჩუბ., ქეგლი).

აბლაბუდა:

საშ., ახ. ქართ. **I. აბლაბუდა** 1. ბაბაჭუას ბუდე – საბა, დ. ჩუბ. || ობობას ქსელი. მოვაგროვე *აბლაბუდა*, დავიდევი სქლად გაჭრილზე (აკაკი). ოთახი ლამაზად დაგავე, *აბლაბუდები* ჩამორწმინდე! (ილია). ტოტებზე ვერცხლისფერი *აბლაბუდა* გააბეს ობობებმა (ნ. შატ.). გოგონა... აბლაბუდებს აცლიდა ბველ იარაღს (მ. ელიოზ.). 2. თხლად ნაქსოვი, აბლაბუდის

მსგავსი. *ერთი აბლაბუდა* პერანგია, ცისარტყელასავით ტანხატულა, ისეთი ცბიერი და ვერაგია, შიგ ბევრის მზერა გახლართულა (შ. ნიშნ.) – ქეგლი. ჯავახეთის ტბებზე თევზაობდნენ *აბლაბუდა* ბადით (მ. ბერიძე 2005: 31). || აბლაბუდე (ქიზ. მენთ.). || *გობლაბუდაი* ობლაბუდა. „ჩამოგავე ბობლაბუდაი!" (ინ.); „ჩამოკიდულა, ბობოჩხიკაი *გობლაბუდაზე*" (ად., ჩვენ. ფუტკ.).

აბლაბუდა ← აბლა-ბუდა; ადრინდელი სახეობა, როგორც ჩანს, იყო (< აბლა-ბუდე, მისი მეორე ნაწილი იგივე ბუდე-ა); რაც შეეხება პირველ ნაწილს – აბლა-ს, შეიძლება დავუშვათ, რომ მწერის ერთ-ერთი სახეობის (კერძოდ, ობობა-ს) სახელად გვქონდა *ბაბალ-ი (შდრ. ბაბა[ლ]-ი, რომელიც შემონახული უნდა იყოს ბაბა-ჭუა-ში დედაზარდლი, საბა. ე.ი. *ბაბლა – ბუდე > აბლა-ბუდე „ნაქარგი, ნაქსოვის ბუდე" (ერთელიშვილი 1980: 136). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **აბლაბუდა** უგუნური, სულელი. „*აბლაბუდას* ნათქვამს ვინ დეიჯერებს" (ოკრიბ. ალავ.). შდრ. აბდაუბდა უთავბოლო ლაპარაკი, უაზრობა. შესაძლოა უკავშირდებოდეს არაბულ სიტყვას ābad („გაუთავებელი", „უსასრულო") (გიგინეიშვილი 2016).

აბლაყ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **აბლაყი** ჭარმაგი, ჭარმაგოსანი. ჭარმაგი აბლაყი არის, ანუ ჭრელი თეთრზედ შავით დაწინწკლული ცხენი, მაგრამ ცხენი მხნეთ რომ იყოს, კარგათ, იმასაც ნიშნავს, ... ესე იგი მხნედ, რომელ დაღლობა არ ეტყობოდა. ჭარმაგი კარგს მოსიარულეს ცხენსაცა ჰქვიან, თოხარიკს რომ უწოდენ (თ. ბაგრატ., ქეგლი). || **ამლაკი, ამლაყი «ჭრელი ცხენი»** (საბა, ქეგლი). || **აბლაყი, ამლაკი** – ჭრელი ცხენი (ჯავახ. მელიქ.). || **აბლაყ** უფერული ცხენი, ქათამი და სხვ. (ინგ. ჯან.). **ამლაკ, ამლაკ** ამლაყი (სვან. თოფ., ქალდ.).

სიტყვა შემოსულია არაბულიდან არაბ. ablaq „ჭრელი, შავ და თეთრლაქებიანი ცხენი" (გიგინეიშვილი 2016). იხ. აგრეთვე ბუკია 2006: 114.

დიალექტ. II. **აბლაყი** აყლაყუდა, უშნოდ მაღალი, მოუქნელი (ადამიანი). „ნეტა ვინ არი, ი *აბლაყი* ბიჭი, გოგოეფში რო ლაპარაკობს?!" (გ.-კახ. სახლთხ.). „*აბლაყის* ერთია, რაში'ნა გამოგადგეს" (ჯავახ. ბერ., ზედგ., კახ. მარტ., იმნ; ალგ. || აბლაკი, აბლატი, აბლაუცაი (ქეგლი, ქსნ. სომხ., ფშ., ჭინჭ., გურ. ჭყონ.). მიგვაჩნია, რომ ამ მნიშვნელობის **აბლაყი** ამლაკი || აბლაყი-ს გადატ. მნიშვნელობით უნდა იყოს მიღებული.

სამ. ქართ. III. **აბლაყი** Sciurus volans მფრინავი. || აბლა(ბ)ყუჩან სინჯაფის გუარია. ბეწვი ექმნების ზემოდგან დროს მიხედვითა ოდესმე წითლად მოყვითლო და ოდესმე ღია ყომრალი, ხ(ოლო) ქუჩმოდგან თეთრი, ფ(რიად) ხშირი და რბილი... ბუდობს კერძოდ ევროპასა, აზიასა და ამერიკასა შ(ინ)ა, იზრდების ფიჭვისა და ვერხვისა ზღმურდლებითა (ი. ბაგრატ.).

აბურ-ი:

დიალექტ. **I. აბური** შესახედაობა, გარეგნობა. „ეჰ, რა *აბურისა* ხარ, ბიჭო, ერთი დახედე შენ თავ“ (ჯავახ. ბერ.).

ზან. (მეგრ.) ერბი || ებრი „იერი, ეშხი“; სვან. ჰᲐბ || Აბ „ელფერი; იერი“. ამ ენათა მონაცემების მიხედვით, აღდგენილია ს.-ქართვ. *აბ- „იერი, ელფერი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. აბური** კორკოტისა და მაწვნისაგან გაკეთებული საჭმელი. სომხები აკეთებენ (ჯავახ. ბერ.). **აბური** საჭმელი შავი ფხალისაგან ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **III. აბურ** სირცხვილი. *აბურ* არ აქ. *აბურიან* ნამუსიანი (ინგ. როსტ.). შდრ. აბრუ სახელი, პატივი, ავტორიტეტი. «უფალი სუდია» თავის ღირსებისა და *აბრუს* განსადიდებლად, აი, კიდევ რას იტყვის ხოლმე (ვაჟა). ხალხში *აბრუს* გაძლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? (ილია). ◊ **აბრუს 'არ' 'გა'იტეხს** არ იმჩნევს გაჭირვებას, გულს არ იტეხს, არ ეპუება. დარეჯანი კიდევ მხნეობს, *აბრუს არ იტეხს* (ვ. ბარნ.) – ქეგლი. შდრ. **აბერუ, აბრუ** [სპარს. ābr(e)ru] ღირსება, ნამუსი. *აბერუ* დეგეღრებისყე, ნამაჲ არ არი, ხალღმა გაჲგოს; ჩემ მაზლეფსა და მაზლის ბიჭეფსა და დედაკაცეფს უნდათ ეგრე დევემზრახოთყე, ეს ჩონ *აბრუ* იყო, ჩონ ჰეჯაბი იყო. აბერუს დაღრა ღირსების დაკარგვა, შერცხვენა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აბრუ სიტყვა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ჯაბრა „თმა“ სიტყვისაგან, ჯა „თავს“ აღნიშნავს, აბრა „თმა“, „ბეწვია“. აფხაზურში ეს სიტყვა მხოლოდ ცხენის „ფაფარს“ აღნიშნავს. ზოგადად „ბეწვის“ „თმის“ აღმნიშვნელმა სიტყვამ, სავარაუდოდ, გაიფართოვა მოხმარების არეალი და კავკასიური მენტალობით „ულვაშის, ნამუსის“ მნიშვნელობაც იტვირთა (ნ. მაჭავარიანი 2019: 20).

ადა:

დიალექტ. **I. ადა** მამა (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ქართ. (ფერეიდ.) ადა და ზან. (მეგრ.) ოდო-, ოდო-ია „წარმართული ღვთაება ნაყოფიერებისა“ შეპირისპირებით მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. *ადა-ს (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ადა** 1. [თურქ.] კუნძული. „დენიზში ერთი *ადა* ყოფილა“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). „ტაბაწყურის ტბაში ადა არი ერთი, ამბობენ, რო იქ წინათ სოფელი ყოფილაო“. 2. მდინარის ან ტბის სანაპიროს სათიბი, ჭალა. „*ადებში* ხუთ ურემზე მეტი თივა გავთიბეთ“ (ჯავახ. ზედგ.). **ადის მოწყვეტა** [თურქ.] მდინარის ტოტის გადაგდება სხვა მიმართულებით თევზის დასაჭერად (ჯავახ. ბერ.). **ადა** კუნძული ზან. (ლაზ. თანდ.).

ავარა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ავარა** საუბ. უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა. ვინ მოსთვლის, რამდენი მოცლილი და *ავარაა* ქალაქში! (ს. კლდ.). დავტოვებ ამ ჩემს ღარიბულ ქოხს და გავყვები სადმე ლოთებს, *ავარებს* (მ. ფოცხ. თარგმ.) – ქეგლი. **ავარათ არონია** მოუვლელად, კარდაკარ ატარა. შენ რო კარები გამეიკეტო და *ავარათ არონიო* შვილები, მოვლა არ უნდათ? (ღორეშა, ზ.-იმერ. ძოწ.). || გაქსუებული (ი. გრიშ.). **ავარა** [სპარს.-თურქ. avare] უსაქმური, მოხეტიალე, უმუშევარი ზან. (ლაზ. თანდ.).

ნ. ბართაიას აზრით ავარა მსგავსი ფორმითა და შინაარსით არის სპარსულ ენაში – [avâr/a/e]. ი. გრიშაშვილი, თუმცა დაეჭვებით, გვთავაზობს თავის მოსაზრებას ავარა-ს ქალაქ ავარია-დან წარმომავლობის შესახებ, რაც ამ ორი ლექსიკური ერთეულის პარონიმიით, ბგერობრივი სიახლოვით ჩანს გამოწვეული (ბართაია 2010).

დიალექტ. **II. ავარაი** [აზერ. ავარა] დედალი ზაქი, ფურზაქი; დედალი კამეჩის შვილი მოგებამდე (ინგ. ღამბ., როსტ.).

ავარიულ-ი:

ახ. ქართ. **I. ავარიული** ავარიის შესაფერისი, ავარიის გამომწვევი; რასაც ავარია მოჰყვება, საავარიო. სახლი *ავარიულ* მდგომარეობაშია: კაპიტალური შეკეთება სჭირდება. – ვინ იცის, სად არ მისწერეს... სკოლის *ავარიული* მდგომარეობის შესახებ (გ. ციც.). ბორანი *ავარიულ* მდგომარეობაშიაო (რ. მიშვ.) – ქეგლი. შდრ. **ავარია** [იტალ.] რაიმე მანქანის, მექანიზმის (მაგ., თვითმფრინავის, ავტომანქანის) დაზიანება, რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის (მ. ჭაბ.). **ავარია** (რუს.) მარცხი ავარია ზან. (ლაზ. თანდ.). ავარია > ავარიული; -ულ სუფიქსი.

ახ. ქართ. **II. ავარიული** იგივეა, რაც ხუნძური (ხუნძური ენა). ავარიული < ავარი „ხუნძი“... ავარები (ხუნძები) ძირითადად ცხოვრობენ დაღესტნის მთიანეთში... დადგენილია, რომ ტერმინი „ავარი“ არაა დაკავშირებული VI-IX სს-ის მომთაბარე თურქულენოვან ხალხთან ავარებთან („ვიკიპ.“).

ავაჯ-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. ავაჯი** კილო, ხმა: „ძლევაჲ მოიღეს არა ჴმა-ჰამოდ გალობითა, არცა ძლის-პირთა და *ავაჯთა* ჟამობითა“ (მ. ცხ. 91r) – ილ. აბულ. „იტყოდეს *ავაჯითა* ხმითა“ (მეფ. კურთხ. 63, 14). **ავაჯმრავალი** მრავალ კილოზე მომღერალი (სამღერი). რომელნიმე მგალობელ და *ავაჯმრავალი*, და რომელნიმე სრულიად *უავაჯო* და უგალობელ (ექუს. დღ. 94, 30-31) – ზ. სარჯ.

ავაჯი [სომხ. < avaž (avač)] (ანდრონიკაშვილი 1988: 170). იხ. I. ავაჯა.

დიალექტ. II. **ავაჯი** ცუდ-უბრალო რამე სახლში, ხის ბუნაგი ან ხისა რამე სახლში, ჯოხი ან ტარი, რაც რამე წარა-მარა იქნების (ხევს. შან.). შდრ. ავეჯი, ვეჯი – დ. ჩუბ., ქეგლი. ავეჯულობა – სახლის ჭურჭელი, რაგინდრა გლეხურად – საბა.

ავეჯი ძველ ქართულში გამოვლენილი არაა. ა. შანიძის აზრით, შემოსულია არაბულიდან: [არაბ. მხ. ჰაჯათ, მრ. ჰავიჯ „საჭირო რამ“ (შანიძე 1980: 111).

ავაჯა:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **ავაჯა** ღიღინის ხმით გალობა. იგივე იმერ. ღიღინი – დ. ჩუბ. იხ. I. ავაჯი.

დიალექტ. II. **ავაჯაჲი** ყოველგვარი ძველმანი: ქსოვილი, ტყავეულობა, რკინეულობა და სხვ. „ბალკუმის კუთხეშიგ რამთუენ *ავაჯაყრ*“ (თუშ. ხუბ.). იხ. II. ავაჯი.

აზლაკ-ი:

დიალექტ. I. **აზლაკ** 1. ღობეზე ჩაჭყლეტილი ადგილი გადასასვლელ-გადმოსასვლელად. *აზლაკზე* ეკალ დაადევ, ზროხაი არ გოდმოვდეს (ინგ. როსტ.). **აზლაკ || აზლაგ** [აზერ.] იგივეა, რაც კაწ. ღობეი დოუღაჭიაყ, *აზლაკ* გოუქეთევიაყ; 2. ბრინჯის ნათესში კოპიდან კოპში წყლის გასასვლელად გაკეთებული პატარა ჭდე. კოპევს შუაღთი ყბაი (პირს) უსხნით, არხით წყალ უშომთ (ვუშვებთ), წყალ ეგევის (ეფინება) თახტევში (კვლებში), ეემას ეტყუან *აზლაკ* ჰე (ან) კაწ (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **აზლაკი** (ქიზ.) ერთგვარი ყველი, – იგივეა, რაც მოთალი – ქეგლი.

აზრ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ. I. **აზრი** 1. სრულებით შინაგანი ძალი პსიხისა, ფიქრი, გუმანი, გულის-ზრახვა, გულის პასუხი, გულის სიტყვა, გულის-ხმა – დ. ჩუბ. მსჯელობის, განსჯის პროდუქტი – ქეგლი. *აზრი* არა არ იქმნების (ვეფხ. 1183, 2). პოეტი... წაუკითხავს [დამსწრეებს] უმეტესად მიამიტურ *აზრებს* (რ. ინან.). || იგივეა, რაც აზროვნება. მეტყველების წყარო *აზრია* (ილია). რასაც ნახავ და გაიგონებ, კარგად დაუკვირდი, გულის-გულში შეუშვი და *აზრის* საცერში გაცერი (ჯ. ქარჩხ.). 2. ფიქრი. ასე იცის განგებ აკვიატებულმა *აზრმა*, უვიცობაზე შემჯდარმა (ილია). 3. იდეა, საზრისი. *აზრის* და სიმართლისათვის მხოლოდ ვაჟკაცი კვდებისა (ვაჟა). 4. შეხედულება, გაგება, თვალსაზრისი. ეგ ყველა კარგი, მეც მაგ *აზრისა* ვარ, მაგრამ რას აპირებთ? (ა. ყაზბ.). 5. მნიშვნელობა; ლოგიკური შინაარსი; ლოგიკური საფუძველი. საზეპირო მკითხა, – კარგად მივუგე, *აზრიც* გესმის? – მკითხა (აკაკი) – ქეგლი. **ჰაზირი** აზრი სევდა, ფიქრიანობა ზან.

(მეგრ. ქობ). **აზრი** (**არზი**) აზრი ზან. (მეგრ. ყიფშ., ელ.). **აზრ** აზრი, მოსაზრება (სვან. თოფ., ქალდ.). შდრ. ძვ. ქართ. ჰაზრი: „რომელი-იგი უკეთურებისაგან უცხო არნ, იჭჳსა მიმართ და *ჰაზრისა* არავე ადვილად მიმავალ არნ“ (A-92, 73) – ილ. აბულ. აგრეთვე: ჰაზრვა, ჰაზრ-ყოფა მიხვედრა, ჰაზრვაი მკითხაობა – ზ. სარჯ.

აზრი ძველ ქართულში იშვიათი ხმარებისაა, განეკუთვნება ძველი ქართულის ენის ბოლო პერიოდს. წარმოდგენილია ფორმით ჰაზრი („ფიქრი“). შემოსული უნდა იყოს არაბულიდან. შდრ. არაბ. ḥazr, „შეფასება, „ვარაუდი“, „მიხვედრა“ (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. აზრი** აზირ, ბარემ. ის არ სჯობს (სჯობდა), რომ... *„აზრი* ცხენზე შასჯდე და ისრი წახუიდე?“ (მოხ. ქავთ.). *აზრი* მე წავსულიყავ! (მთ.); აზრი მე მამცა! (მოხ. შან.). შდრ. **აზირ** საუბ. ზმნს. ბარემ; ჯობს, აჯობებდა. პირველშივე გეთქვა *აზირ*, თუ მაგისთანა ხასიათისა იყავ (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე აზირ || ჰაზირ (მესხ. ფეიქრ., თუშ. ცოც., ფშ. ხორნ.). ჰაზირ 1. [აზერ. ჰაზგრ] მზად, გამზადებული; 2. ბარემ (ინგ. ღამბ.). შდრ. I. აზრი.

აიარ-ი:

ახ. ქართ. **I. აიარი** ძვ. მეგობარი. ირონ. ზომას რომ არ გადააცილონ სიხარული «ცისკრის» დარბაისელმა რედაქტორმა და მისმა *აიარმა* ქარიანმა ბექამ... (ილია) – ქეგლი. **აიარი** კეთილშობილი, რაინდი, მეგობარი, მხარში მდგომი ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. აივარი [თათრ.] გმირი ქებული ჰაეროვანებით, ჭკუითა და მოხერხებით – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. აიარი** [არაბ.] მსგავსი, მინამსგავსი, ნაირი, იმგვარი. „ეს რანაირი ხალათები შამოვდა, ჭო, სულ ძველებური ზუბუნის *აიარია*“ (აჭარ. ნიჟ.).

აირ-ი:

ახ. ქართ. **I. აირი** [ბერძ. aêr ჰაერი] იგივეა, რაც გაზი. აირის ქარხანა – ქეგლი.

დიალექტ. **II. აირი || აირუმ** [თურქ. ayrı] ცალკე, განცალკევებული (თქლ). „მაქინაზე გამოხადონა ნაღები აირი, მე *აირ*“, ნაღები ცალკე გადმოდინდება, რძე – ცალკე (დევესქელი); „მე *აირი* გამოდინდება“; „გამოდინდება ნაღებ *აირი*“ (ნიგ. ბერ.).

აკარა:

საშ. ქართ. **I. აკარა, აკრა** [ბერძ.] კონცხი – დ. ჩუბ. **აკრა** ზღვის პირი კლდოვანი, ქედი ზღვიდან წარზიდული – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. აკარა** (Andinoacara rivulatus) – დიდი აკვარიუმის თევზია. მისი სიგრძე შეიძლება იყოს 18-20 სმ-მდე. *აკარას* აქვს არც თუ ისე ღია შეფერილობა („აკვარ.“).

აკო:

დიალექტ. **I. აკო** 1. მოჩუქურთმებული სკივრი, პატარა ხარო ხორბლის, ქერის ჩასაყრელად. 2. კედლის თარო, თახჩა. „*აკო* ხაროზე ბატარაია, მოჩუქურთმებულია, ზაითით იჭდება, ქერს ვინახავდითკე“ (კარკუჩა); „ლეწვის შემდეგ პურს გოდრებჩი, *აკოჩი* ინახავდიანკე“ (მოხ. ქავთ.). || ფიცრისაგან კიდობნისებურად შეკრული ყუთი, რომელშიც ინახავდნენ საოჯახო ნივთებს. კოდთან *აკო* ჰდგას საშინლად ძველი, ადამის ჟამისა, იმაში არის ჯამ-კოვზი, ქიტი, ქაფქირი ხისია (ფშ. ბ., 441, 1 – ივ. ქეშიკ.). ჴევსურეთში მას კიდობანსაც ეძახიან, მაგრამ *აკოც* იციან. თუშეთში არ იციან (ა. შან.).

დიალექტ. **II. აკო** საწოლი კარების უკან, „საცა ნეფე დედოფალს დააწვინიან“. მხოლოდ დიდ ოჯახებსა ჰქონდათო (მოჯ. შან.).

ვფიქრობთ, რომ აკო < აკუმი. აკუმი ტაბლა ან დასაჯდომი: „დაჯდა *აკუმსა* ჭამად პურისა“ (Ier. –140, 182v) – ილ. აბულ.

III. აკო ძველ საბერძნეთში ბავშვების დასაშინებელი საფრთხობელა (უნივერს. ელერდ.).

ალაბალა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ალაბალა** იგივეა, რაც ალაჯუნა, ალაჯუნე – ქეგლი. || უთავბოლოდ. რავა *ალაბალა* დადიენ (შროშა, ზ.-იმერ. ძოწ.). **ალაბალა[ს]** არეულად, აცაბაცა. როგო *ალაბალას* დააქ ფეხები (მონ.). ალა ბალას დადის უსაქმოდ დადის, დაეხეტება. აგიღია ფეხი და რა *ალაბალა* დადიხარ, რას დახეტიალოფ (სამთ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ვ. ბერ. შდრ. **ალა-მალა** აქეთ-იქით ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. ალაბალა** 1. აყალმაყალი, დავიდარაბა (თ. რაზიკ., ი. ჭყ.). 2. ცუდმოუბარი; ერთ სიტყვაზე დაუდგომელი. აქვე **ალაბლობა** არევ-დარევა, აშლა. გაფრინდაული ამბობდა: „ჴევსურებ ნუ მოდიანო: ჩადიან *ალაბლობასა*, ჯარს ეგენ გვირევდიანო“ (ხევს. პოეზ. 24, 5) – ალ. ჭინჭ. **ალაბაბული** არეული, აურზაური ზან. (ლაზ. თანდ.).

ვფიქრობთ, რომ ალაბალა < ალაფალა ყურთ გლეჯა „აკლება, ტაცება, ფორიაქი“ – საბა, დ. ჩუბ.

დიალექტ. **III. ალაბალა** ცუდი, უვარგისი. „ავი და ალაბალაი ცოლი დუშმანსაც შეჰხვდება!“ (ფშ., ბ. 510, ქეშიკ.). შდრ. **ალაბულული** უგულო, უხეირო. ზოგმა *ალაბულული* მუშაობა იცის, არაქელათ ეკიდება საქმეს, არ აკეთეფს გულიანათ (ღარიხევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **IV. ალაბალა** ბეწვის, მტვრის, ქატოს... ნარევი სითხე. „წონი დოგისხეს და მთელი *ალაბალაი* შიგ იყო მაქცეული“; „*ალაბალა* ჩალაო, ყველა მუცლის ღალაო“ (ხალხ. ა. კ., მოხ. ქავთ.). იხ. I. ალაბულა.

ალაბულა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ალაბულა 1.** «ნოტიოში ბეწვი ჩალანარევი» (საბა). || ჩალაბულა, ნოტიოთ სიმღვრივე ჩალითა და ბეწვით ნარევი – დ. ჩუბ. **2.** გადატ. ჭუჭყი, ნაგავი. *ალაბულათი* ნუ ავსებ წმინდად გარცხილსა მენასა (= ქვევრსა)! (დ. გურამ.) – ქეგლი. || თივის (ბალახის...) ნარჩენები (ხევს. ჭინჭ.). || ნაგავი (მთ. კაიშ.).

სავარაუდოა, რომ ალაბულა < ჩალა-ბულა ბალახ-ბულახის, ჩალის, თივისა და მისთ. ნარჩენი – ქეგლი.

დიალექტ. **II. ალაბულაი** ჭრელი (ინგ. როსტ.). ვვარაუდობთ, რომ ალაბულას ამოსავალი ფუძეა **ალა** ჭრელი (საბა) და იგი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტს წარმოადგენს.

ალაფა:

დიალექტ. **I. ალაფა** მავნე მცენარეა ერთგვარი, შალაფა, საქონელს ხოცავს (ქიზ. მენთ.). ქოხს... *ალაფას* დაჰხურავენ ან ნამჯას მიაყრიან, უფრო *ალაფას*, რადგან ვენახში უფრო საშოვარია. *ალაფის* ბოლოები მიწაზე ჩამოდის. წუწი შორს იღვრება (ქიზ. მრეწ. I, 61, 71). შდრ.შალაფა (ა. მაყ). შდრ. II. ალფა.

დიალექტ. **II. ალაფა, ალაფას** [არაბ. alaf] შერეული, სხვადასხვა ბალახი, გათიბული. ალაფას ვეძახით, ალაფას, რამდენღა ბალახი რო აირევის, ეს არის ალაფა. გახმების, გაალეწავ, მოიტან, ჩაყრი საბძელჩი, ზამთრის იმას აჭმევ, რაგდენ რანგი ბალახიცღა რო ამოდის, თიბავ; ალაფას ვეძახით, ალაფაო, არეულიაღა რო არი: ზოლა'რი, ყანღა'რი, შავი ონჯა არი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. **III. ალაფაი** თავსახური ქალისა, ძალიან გამჭვირვალე, სხვადასხვა ფერისა (ინგ. როსტ.).

ალაყაფ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ალაყაფი:** ალაყაფის კარი [თათრ.] დიდი შესავალი კარები (დ. ჩუბ.). **ალაყაფი** ჩვეულებისამებრ – გამოთქმაში: **ალაყაფის კარები ჭიშკარი**, ეზოს დიდი კარი. ამ დროს ვიღაცამ *ალაყაფის* კარებს დაუწყო რახუნი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა (რ. ერისთ.). ეზოს ბოლოში *ალაყაფის* კარზე რაღაც რაკარუკი ატყდა (რ. ინან.). თეთრხალათიანებს *ალაყაფში* დაჭრილები შეჰყავდათ საკაცეებით (ა. სულაკ.). || გალავნის კარი (ციხე-ქალაქში) – ქეგლი. || ჭიშკარი, ალაყაფი (გურ. ნიკოლ.).

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ XVIII საუკუნის ძეგლებში ეზოში შესავალი კარის აღსანიშნავად აღმოსავლეთ საქართველოში „ალაყაფის კარიც" გვხვდება. „ალაყაფი", ავტორის აზრით, არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც თურქულში მეფის ან სულთნის ბრძანებისა თუ ფირმანის, გინა წერილის შესავლის აღმნიშვნელ ტერმინადაა ქცეული. ამის

საფუძველზე ავტორი ვარაუდობს, რომ ქართული ტერმინი „ალაყაფის კარი“ თავდაპირველად „საპატიო შესავალი კარის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ შემდეგში მიეცა მას ზოგადად ეზოს დიდი შესავალი კარის მნიშვნელობა. ალაყაფი [არაბ.-თურქ. ალიკაფუ] ალაყაფის კარი. იგივეა, რაც ჭიშკარი (ჯავახიშვილი 1946). იხ. აგრეთვე ჩხუბიანიშვილი 2012: 69.

დიალექტ. II. **ალაყაფი** ორკაპა, ყბიანი ხე. ურმის თვალს რომ სოლი გაუტყდება და მის გამოცვლას დაუშლელად ვერ შესძლებენ, ყბიან ხეს შეუყუდებენ ხოლმე სოლის ადგილას; ყბა ფერსოში აქვს მიცემული და უჭირავს, მეორე მხარე მორგვზეა დაბჯენილი (ქიზ. მენთ.). შდრ. ალიკაპი «ხის აღვირი» (საბა).

ალაშა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ალაშა** «თამამი საქციელისა და ენადაუმაგრებელი ქალი» (ი. ჭყ.). მეტად ცუდად ლაპარაკობენ... შენს კატოზე, მეტად *ალაშაა*, მაღლა-მაღლა იწევსო! (ა. ერ.-ხოშტ.) – ქეგლი. აგრეთვე ი. გრიშ. შდრ. ლაშმოხეული, ლაშპირმოხეული, ყბედი (ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **ალაშა** ფაშატი, ჰაკი (ტანძ., ქართლ. ლექსიკ.). ალაშა მამაკაცის მეტსახელია (ქიზ. მენთ.). **ალაშა / ალაში** ცხენი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. III. **ალაშ, ალაშაი** [აზერ.] ჭრელი (საქონელი), ნიკორა. ჩონ *ალაშ* ჯარ გოქ; *ალაშ* ფურიც კეჰტევ (არის), ცხენიც, ჯარიც (ინგ. ღამბ.).

ალაჯა:

საშ., ქართ., დიალექტ. I. **ალაჯა** 1. ჭრელი – საბა. 2. მცენ. ჭროღა თუთა – დ. ჩუბ. არის აგრეთვე *ალაჯა* თუთა, ჩვენში (ქვემო იმერეთში), ჟღალა ბჟოლას ვეტყვით (თეთრი-მოშაოა) (ქვ.-იმერ., მრეწ. IV, III, 40). 3. [თურქ.] ჭრელი, მრავალფეროვანი) (ნოხის ან წინდის ჭრელი). „ესენი ხალის *ალაჯა* არი, კატიფეჯაი ქვია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ალაჯა** ჭრელი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ალაჯა** მარხილზე ტვირთის დასაკრავი ღვლერჭი (ვ. ბერ.). || ალაჯა, ლაჯა, ლაჭა (რაჭ. კობახ.).

ალერს-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ალერსი** (მეჰრუბან BC.) სიტყვით შექცევა Z. სიტყვით შეაქციოს ABCq. სიტყვით შეაქციო C – საბა. **ალერსება**: მეტად ამოდ *ყუალერსე* (ვეფხ. 431, 4). **ალერსი** სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, – მოფერება. ვაჰმე, რა ძნელი ყოფნაა ყოფნა, სიცოცხლე ობლისა! სრულ წყევლა-კრულვა ჩემს თავსა, არად *ალერსი* მშობლისა (ვაჟა). ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედიჩემის თვალებში ჩამახედოს, დამატკბოს მისი *ალერსით*! (ვაჟა). *ალერსით* უთხრა პეპელას: „თავს რითი ირჩენ შენაო?» (აკაკი). ფიგურ. და იმ მნათობთა სხივის *ალერსით* ველს მშვენიერსა

ჩასძინებოდა (ილია). სულ ჩვენს *ალერსში* არიან ხშირნი ვარსკვლავნი ცაზედა (ვაჟა). ◊ **ალერსის გადახდა** ეთნ. (ქიზ.) მიცვალებულის დაკრძალვის დღეს გამართული ქელეხი – ქეგლი.

სიტყვა შესაძლოა შემოსული იყოს სომხურიდან: შდრ. სომხ. alers „თხოვნა“, „თაყვანისცემა“, „მუდარა“ – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. ალერსი** 1. პერანგის ამხანაგი (კირიონი). აგრეთვე: ქართ. მატ. ლექს., ი. გრიშ., კვანტიძე 2014: 473. 2. *ალერსი* ტანისამოსის მოწყობილობა იყო (ზ.-ქართ. მრეწ. III, I, 167). || ქალის ტანისამოს ქალის *ალერს/ს/* ვეძახდით. ქალის მორთვასაც ვეძახდით (ზ.-ქართ. მრეწ. III, I, 165).

ალიან-ი:

ახ. ქართ. **I. ალიანი** რასაც ალი აქვს, – ალმოდებული. ალიანი მუგუზალი. – ალიანი ცეცხლი. – ისმის გმირის ხმა: «ჩამიშვით ჯაჭვით *ალიან* მთხრებლში!» (ვ. ბარნ.) – ქეგლი. ალი > ალიანი. ალი [არაბ.] ცეცხლის ღვივილი წითლად აღმავალი; სიყვარულის ცეცხლი (დ. ჩუბ.).

სიტყვის ძირი ალ- შესაძლოა უკავშირდებოდეს ინდოევროპულ ენათა al- ძირს, რომლის მნიშვნელობაა „წვა“. ქართულის უშუალო წყარო უცნობია, [თურქ.] ალევ მოდის alaw არაბული ფორმისაგან (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ალიან** სარეველა ბალახით დაფარული ადგილი. ერ რამ *ალიანი* ჩონ დილლიგ! (რა სარეველათია დაფარული ჩვენი ბოსტანი!). შდრ. **ალაი** [აზერ.] სარეველა ბალახი, ბალახბულახი (ინგ. ღამბ.). ორივე ომონიმურ ცალთან გამოიყოფა -იან სუფიქსი.

ალიყურ-ი:

ახ. ქართ. **I. ალიყური**: ◊ **ალიყურს აჭმევს** სილას გაარტყამს, გააწნავს. თავი დამანებე, ბალღო, თორემ... ისეთ *ალიყურს გაჭმევ* ამ გაჯავრებულ გუნებაზე, რომ... (შ. არაგვ.). ჩაკაკუნება ეგრე არ უნდაო, მოუქნია ხელი და კარგა გვარიანი *ალიყური აჭამა* (ნ. შამან.). [კოკას] არაერთხელ ჰქონდა ნაჭამი იანგულის *ალიყური* (ნ. დუმბ.) – ქეგლი. შდრ. **ალიყული** მაგარი და მადიანი ლაწანი. (სილა) ყურის ძირში. ალიყული სპარსულად ყოფილა აკვნის ჟღარუნას მასალა; ამ ჟღარუნას, რომ რომ თვალი არ ეცეთ ბავშვებს, ჰკიდავენ აკვანზე. ამბობენ: დაჩუმდი, თორემ ალიყულს გაგაწნავო, ე. ი. ისეთ მძლავრ სილას, რომ ყურებში აკვნის ჟღარუნასავით ჟღერა დაგეწყოსო (ი. გრიშ.).

დიალექტ. **II. ალიყური** ცრუმორწმ. ჭრელი ლოკოკინას ბუდე, რომელსაც შეულოცავენ და აკვანზე ჩამოჰკიდებენ, ან მელოგინე ქალს შეაბამენ ყელზე, რომ „ალი არ დაეცეს“. *ალიყურს* ქალი მხოლოდ მეორმოცე დღეს შეიხსნიდა (აჭარ. ნიე.). „სუფერგეს მივადებდი აკვანზე, *ალიყური* დუუდებდი“ (ქლასკური, კლარჯ. ლექსიკ.). შდრ. ალისკბილი, ალისყური ძვ. ზღვის დიდრონი ჭრელი ლოკოკინას ბუდე, – სადაფი; იყენებდნენ ავგაროზად – ქეგლი.

ალმულ-ი:

დიალექტ. **I. ალმული** სიცხის ბუღი. ისეთი *ალმული* ტრიალებს, თითქო თონე არისო (ფშ. ქეშიკ.). იხ. I. ალმური.

დიალექტ. **II. ალმული** აღელვების ან დაღლილობისაგან გამოწვეული სახის სიწითლე. ილალომ ჰკითხა: რად ჰყვირით, ან რატომ იდენთ *ალმულსა* (ფშ., ბ. 198, 4, ივ. ქეშიკ.). I. ალური.

ალმურ -ი:

ძვ., ახ. ქართ. **I. არმული, ალმური** 1. „ნისლი", ბურუსი, ბინდი; ალი, ბუღი; გრიგალი: „მოსცა ღრუბელი და *ალმური*" G, – „მოავლინა ღრუბელი და ნისლი" (M, ისუ ნ. 24, 7) – ილ. აბულ. 2. ბუღი, სიმხურვალე. სიცხეა, სიცხე სულშემხუთველი. ყანაში *ალმური* ასდის პურს (ნ. ლორთქ.). მზით გამთბარ მიწას *ალმური* ასდიოდა (ნ. შატ.) – ქეგლი.

შდრ. ძვ., სამ., ახ. ქართ. „*არმური* ნისლისაჲ დაეხუევის მათ ზედა" (მრთ. F, 230V); „ჰრქუა უფალმან იობს *არმურით* გამო და ღრუბლით" (O, იობ. 38,1); **არმურო(ვ)ანი** ნისლიანი: „მივიდა დავით,... მთასა მას *არმურო(ვ)ანსა*" (IO, I მფ. 23, 14) – ილ. აბულ. *არმურისკენ* ამწეველსა ალმასს აფთხა აქაქებდეს (ვახტ. VI, 63, 4). მაგრამ სამსა დღესა და ღამესა დიდი შიში და შეჭირვება გამოვიარეთ, რომელ მეტის *არმურითა* ერთმანერთსაცა ვეღარა ვხედევდით (რუსუდ. 558, 6). უთვალთვალებდნენ მთვარეს, რადგან ურჩხულის დარი *არმური* გარს ეხვეოდა მნათობს (კ. გამს.) – ქეგლი.

თითქოს ამოსავალი ფორმა ჩანს არმური, რომელშიაც დისიმილაციის შედეგად ერთ-ერთი რ გვაძლევს ლ-ს და ვიღებთ არმური / ალმური ფორმებს, მეორე მხრივ არაა გამორიცხული პირველობა ალმური ფორმისა (გვხვდება XII ს-დან), რომელიც შეიძლება კომპოზიტად იქნეს გააზრებული. ალი+მური. ამგვარ ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს „ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილი: მე კვლა მიმცა ალმან მურსა (ვეფხ. 395, 4) – ბ. გიგინ.

ახ. ქართ. **II. ალმური** ცეცხლის ალი. ვერ შევნიშნე ლამპარი აწეული, ვერ შევნიშნე ჩემ გარშემო *ალმური* (ი. გრიშ.). ისევ ქვეყნის შენებად დგახარ ცეცხლის *ალმურში* (ჯ. ჩარკვ.) – ქეგლი. იხ. I. ალიანი.

ალურ-ი:

ახ. ქართ. **I. ალური** ალისფერი. პოეტ. აი, დადგება არჩევნების დილა *ალური*, და გაზაფხული მზად იქნება თავის ამალით (ვ. გაფრ.). შენ შეისწავლე იქ მნათობთა კვალი *ალური* (კ. ჭიჭ.) – ქეგლი. ალი > ალური. ურსუფიქსი. შდრ. I. ალიანი.

ახ. ქართ. **II. ალური** [ფრან. allure სვლა, სიარული] ცხენის სვლის სხვადასხვა სახე (ნაბიჯი, იორღა ანუ თოხარიკი, ნავარდი, დაოთხება) – ქეგლი.

ალფა:

ახ. ქართ. I. **ალფა** [ბერძ. alpha] ბერძნული ანბანის პირველი ასოს სახელწოდება. [ბერძნულის მასწავლებელი] დაგვადგებოდა თავზე და «გვაზუბრინებდა» – *ალფა, ბეტა, ღამა, დელტა* (ვაჟა). ◊ **ალფა და ომეგა** [ბერძ. ალპჰა და ომეგა – «დიდი ო» – ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასო] თავი და ბოლო; არსებითი, ძირითადი; ანი და ჰოე – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **ალფა: ალფა ბალახი.** წარმოებულია არაბული „ალფადან" (არაფერი აქვს საერთო ბერძნული ანბანის პირველ ასოსთან) (ზ. მაყაშვილი 1996: 100).

ალქ-ი:

ახ. ქართ. I. **ალქი** იგივეა, რაც ალქაჯი. ეპატრონება იგი *ალქი* ადამიანსა და ტვინს ამოსწოვს (ვ. ბარნ.). უცებ გაიკისკისებს, შეფრთხიალდება, ... თითქოს *ალქიაო* (ო. ჩხ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ალქი** წისქვილის ბორბლის ღერძის თავზე არსებული რკინა, რომელზედაც წამოცმულია წისქვილის მბრუნავი (ზედა) ქვა (ლიხ., გურ. ჯაჯან.). **ალქი || ალქე || ალქა** (მრეწ. IV, III: გურ. 228, 227, აჭარ. 230, გურ. ჟღ.). შდრ. **არქი** «წისქვილის თოხი» (საბა), რკინის პატარა ნაჭერი, ჩასმული წისქვილის დოლაბში (ზედა ქვაში); მისი საშუალებით ბორბალი დოლაბს აბრუნებს – ქეგლი. **არქე | არქი** რკინის ღერძი, რომელზედაც ტრიალებს დოლაბი ზან. (მეგრ. ქობ.).

მეგრულად თოხს „ბერგი" ეწოდება. საფიქრებელია, რომ „ბარგის"-აგან უნდა იყოს წარმომდგარი თავკიდური ბგერის ჩამოცილებით, „წისქვილის თოხის" აღმნიშვნელი ტერმინი არქიც (ჯავახიშვილი 1930: 212). მ. მაჭავარიანის აზრით არქი ნამდვილად მიღებულია ბარგისაგან, მაგრამ არა „თავკიდური ბგერის ჩამოცილებით" (როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს) არამედ ასე: *ბარგი > *ჰარგი > არქი (მაჭავარიანი 1989: 252).

ალყ-ი:

დიალექტ. I. **ალყი** სიმი საკრავისა, ალყა (გურ. ჯაჯან.). ალყა–წრე და ალყა–სიმი წარმოადგენენ ე. წ. ჰეტეროგენულ ომონიმებს, ე. ი. მომდინარეობენ სხვადასხვა არაბული სიტყვებიდან, რომლებიც ქართულში დაემთხვა ერთმანეთს სიტყვის თავში ღ–სა და ჳ–ს დაკარგვის გამო (ანდრონიკაშვილი 1965: 311; იმედაძე 2014: 107).

დიალექტ. II. **ალყი** არყის ხე (ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.). „დალპება, *ალყი* ადგება, არ მოადგება მზე სადმე" (ი. გრიშ.). იხ. I. არყი.

ალხანა:

სამ. ქართ. I. **ალხანა** ლახანა [არაბ.] თავდახვეული კომბოსტო, ხვიტი – დ. ჩუბ. შდრ. ლახანა ბალ. თავდახვეული კომბოსტო, ვიეთნი უხმობენ ალხანად – ნ. ჩუბ. კალნაბი (ლახანა E, [ქლმ] E.) (ბალ.) კომბოსტო ყვავი-

ლიანი – საბა. || [ბერძ. lachanon-იდან ბოსტნეული, მწვანილი] [Brassica oleracea var. capitata] კომბოსტოს ყველაზე გავრცელებული სახესხვაობა, რომელსაც ახასიათებს თავდახვეული ფოთლები, – თავხვეული კომბოსტო. ლახანას სახელით კომბოსტოს კულტურა საბერძნეთიდან პირველად დასავლეთ საქართველოში იქნებოდა შემოსული (ივ. ჯავახ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ალხანა** 1. მლაშე წვენი, გუდის ნავლები, მწყემსები შიგ პურს ალბობენ და ჭამენ, ან რაიმე საჭმელს ამზადებენ მისგან (ინგ. როსტ.). 2. [თურქ.] მაწონია ან დო. ჩალხამა წყალშერეული მაწონი ან დო. სიცხეში მუშაობის დროს სასიამოვნო საჭმელად თუ სასმელად თვლიდნენ. „რაც *ალხანა*, ისიც ჩალხამა“ (ანდაზა) (ჯავახ. ზედგ.)

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ალხანა:** გამოთქმაში: ◊ როგორიც **ალხანა, ისეთი ჩალხანაო!** ერთი როგორიცაა, ისეთივეა მეორეც. *ალხანას* ჩალხანა არ დაელევაო (ანდაზა). გასწით და თქვენ მიულოცეთ, – რაც ის არის, ის თქვენ ბრძანდებით, – როგორიც *ალხანა*, ისეთი ჩალხანა! (ვაჟა) – ქეგლი. **ალხანა** (დიდი ქვაბი?): „ალხანას ჩალხანა მოსდევს“; „სადაც ალხანა, იქ ჩალხანა!“ (ქიზ. მენთ.). შდრ. ჩალხანა სხვათა ენაა, კარდალას ჰქვიან ZA. მცირე (მომცრო Cq) ქვაბი – საბა. || ყურიანი ქვაბი, ცეცხლზე ჩამოსაკიდი – ი. გრიშ. || პატარა ქვაბი (თიან., ქართ. დიალექტ., 600). ჩალხანა, ჩარხანა თუჯის ქვაბი (გურ. ღლ.).

ამავალ-ი:

ახ. ქართ. **I. ამავალი** ზევით, მაღლა მიმავალი. ჯერ დიდოელნი ეძგერნენ შელმართში *ამავალ* მხედრებს (კ. გამს.). გოჩამ ამასობაში გზა გადაჭრა და ბორცვზე *ამავალ* ბილიკს შეჰყვა (ლ. ქიაჩ.). მეთორმეტე სართულზე გამოვიდნენ და სახურავისკენ *ამავალი*, ჩაბნელებული კიბე აიარეს (ნ. გელ.) – ქეგლი. ძვ., ქართ. აღმავალი «აღმჴედრებული», ამავალი: „იხილნეთ... ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი“ (ი. 1, 51); „მამაცი, აღმავალი ცხენსა ზედა ხსედსა“ pb., – „კაცი, აღმჴედრებული ცხენსა ზედა ხსედსა“ (O, ზაქ. 1, 8). აქვე იხ. აღსლვა – ილ. აბულ.

დიალექტ. **II. ამავალი** ესა და ეს, მავანი. „მე *ამავალი* ვარ-მეთქი, ვაცნობიე ჩემი თავი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „ერთი ზისუნახავი ქალი ყოფილა *ამავალ* სახემწიფოში“ (აჭარ. ნიჟ.). **ამუალი** (კლარჯ.ლექსიკ.).

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „მავანი“ ჯავახურში იხმარება ამავალი || ამომავალი სახით. მაგალითად, „*ამავალ* კაც მიეციო“. „*ამომავალი* მოვაო“, „*ამომავალ* ხალხ ეცოდინებაო“. გრ. ბერიძე მიუთითებს, რომ პროფ. თ. უთურგაიძის აზრით, ამავალი || ამომავალი ფორმები მიღებულია ლიტერატურული „მავანის“ ფუძეგაორკეცებით და თავში ა ჩვენებითი ნაწილაკის დართვით ა მავან || მავანი > ამავალი || ამომავალი (ბერიძე 1988: 84, სქ. 1).

მავანი ფართოდ გავრცელებული სიტყვაა ქართულ სამწერლო ენასა და მის დიალექტებში. მავანი (ქართლ. კახ.) განსაზღვრ. ნაცვალსახ. ესა და ეს (ხმარობენ, როცა არ უნდათ ვისიმე ან რისამე დასახელება). ქეგლი. ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე: გუდ., მთ., თ., ფლანი ფშ. [არაბ.] ა. შან., ქიზ. მენთ., ქართლ. მესხ., ჯავახ. ბერ. შდრ. **ვაამანი** არანათესავი; უცხო. ჩვენ ჭირ-ლხინ ვაამანთ კაცთ ქვე რას აჯავრებს?! (ხევს. ჭინჭ.). **მუანი** მავანი. „რა ხარ, რა *მუანი* ხარ“ ერთ-ერთ გამოლოცვაშია (გურ. შ. და თ. მალაზონ.). **მავანი** ძველქართულისეული სიტყვაა. **ვაჰმანი** მავანი: „შენ, ვინმე ვაჰმანო დედაკაცო, მოგუალე ჩუენ თანა“ (მ. ცხ. 192r); „შენ, *ვაჰმანო* კაცო“ (მ. ცხ. 426r) – ილ. აბულ. არცა ამისი თქუმა მინდა, თუ *მავანი* ვინმე ვარო (ვისრ. 189, 8).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მავანი“ სპარსული „ბაჰმანის შესატყვისია არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც. მავან უნდა მომდინარეობდეს „ბაჰმანიდან“. ბაჰმან > ვაჰმან > ვამან: და, ბოლოს, მარცვლების გადასმით, ანუ მეტათეზისით „მავან“ (აბულაძე 1976: 49).

ამარტ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ამარტი** ეშმის ქვა – დ. ჩუბ. ძვირფასი ქვა, – ეშმი, იასპი. *ამარტის* ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან (ვეფხ. 266, 1). და შენი მხოლოდ ნაჩუქარი მიყვარს *ამარტი* (რ. გვეტ.). სადაც ეყარა მოწიწებით თვალსატყუარი: სათი, *ამარტი*, ამეთვისტო, ძოწი, გუარი (ი. გრიშ.) – ქეგლი. შდრ. || აღრალების ქვა – საბა. || ქარვა. და თუ *ამარტა* ღაწუთა და ბაგეთა მოსდვის ვინ (ვისრ. 68, 25). ირისე ცასა ჰფერობდა, ცით კრთოდეს *ამარტანია* (ბეს. 84, 17). გადატ. **ამარტის ველი** ლოყა. გესხნეს ხალები, მაკრძალები, *ამარტის* ველად (ბეს. 35, 8). უზის ლალი და ზურმუხტი ტახტსა, ვინ ჰკადრა *ამარტა* (ფეშ. 184, 2).

დიალექტ. **II. ამარტი** ცუდი ყავარი. ყავრის გახდისას პირველად ასკდება *ამარტი*; ყავრის გახდის შემდეგ დარჩენილ ცუდ ყავარს ჩოტი || ამარტა ეწოდება (აჭარ. ნოღ.). შდრ. ავარტი (ხევს. ჭინჭ.). ავარტანი მახარი, კოლტის პალო სარგილი – დ. ჩუბ.

ამლათ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. ამლათი (ისკუინ ZAa.) მცირე(ს) ხანს სწრაფი ZAB. სწრაფივით C. – საბა. || დროის უმცირესი მონაკვეთი, წამი. შვილთავ მარჯვენა აიჭრა ერთის *ამლათის* ხანზედა (ვაჟა). || სწრაფი, უცები. [შაჭანას] ღამბერდამ შამაუქნია, ღილღველ *ამლათიც* არიო (ხევს. პოეზ. 110, 9). ჴევსურთ შვილებ არ გინახავ, შუღლიან იციან *ამლათისა* (ხევს. პოეზ. 470 ბ, 11) – ალ. ჭინჭ. „დარჩია კარში გამოძვრა, *ამლათზედ* გაჰქრა იქითა“ (ფშ. ქეშიკ.). ალმათი, ამლათი სწრაფი, მოულოდნელი თავდამსხმელი, ამბობენ ხოლმე მგელზე. „*ალმათია* ეგ ოჯერი!“ (მოხ. ქავთ.). „მგელი

ალმათია თუ დრო დარჩა წამჩი მთელ ფარას გასჭრის ყელებსა“ (მოხ. ღუდ.). აგრეთვე: ფშ., მთ., ფშ., მოჯ., გუდ., მთ. (ა. შან.), მთ. კაიშ.

დიალექტ. **II. ამლათი** „ძალიან მჭრელი, გალესილი მახვილი“ (გ. ლიქოკ.) – ალ. ჭინჭ.

ამრეშილ-ი:

დიალექტ. **I. ამრეშილი** ამღვრეული (წყალი, ადამიანი) (ფშ. ხორნ.). „*ამრეშილია* ჩუენი წყალი და იმისთუი არ დაილევა“ (მოხ. ქავთ.). **I.** მრეში.

დიალექტ. **II. ამრეშილი** ამრეზილი, გაჯავრებული. „*ამრეშილი* დადის“ (მოხ. ქავთ.). იხ. **II.** მრეშა.

ამფიონ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ამფიონი** მიცვალებულის გასასვენებელი ჩარდახიანი ეტლი, ბალდახინი. ამფიონი შემკული იყო ძვირფასი სხვადასხვაგვარის გვირგვინებით, და კუბო ხელში ეჭირათ ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებს, და ისე მიასვენებდნენ (ნ. ბარათაშვილს) (ჯ. რეხვ. „ელექტრ.“). ორი *ამფიონი* მოდევდა ისრე: ერთში იმი რამეები ეწყო – ქუდი და რამეები, ერთშიც იმი მენდლები (კახ. მარტ., იმნ. 30, 9). შდრ. ბერძ. [ambōn] შემაღლება.

დიალექტ. **II. ამფიონი** ბანგი (სინონ. ნეიმ.). შდრ. **აფიონი** აფთიონი ოპიუმი – დ. ჩუბ., ქეგლი.

ანაჯ-ი:

დიალექტ. **I. ანაჯი** [თურქ.] დედაზე მიჯაჭვული, დედის მოსიყვარულე. „მეტი *ანაჯია* ჩუენი ფადიმეი, ანას არ ცილდება“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. ანაჯი** [თურქ.] (მომწიფებული, გამოცდილი, შვილების გამზრდელი ქალი (იტყვიან დედალ პირუტყვზეც). „ზოვლი *ანაჯი* ქალი უნახავს ბაღვების ანალულათ“ (ინ.); „*ანაჯი* ბროხა იყო და ძალუან შემებრალა სასიკვდილოთ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „*ანაჯი* ქალია, ყველგან თავ გაიტანს“ (ჯავახ. ბერ.). „მაყარბაშათ *ანაჯ* კაც გავგზავნიდით ხომე“. „ჩვენი ბარაშკა ხარი *ანაჯია*, ეგ გზას არ დაკარქამს“ (ჯავახ. ზედგ.). **ანაჯი** გამოცდილი ზან. (ლაზ. თანდ.).

ანდე:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ანდე** მცირედ რამ ხედვა – საბა, დ. ჩუბ. ანდეზედ მოულოდნელად – დ. ჩუბ. || ვარაუდი, გუმანი, სიბნელეში აზრით სიარული. აჰხადეო ბადეო, თვალთა მიეც *ანდეო* (დ. გურამ. 116, 373, 1). [ბიჭი] იცინის იქითა... აბა თუ მიხვდები, აბა თუ *ანდე* რას გიკარნახებსო (ო. ჩხ.). ბნელოდა ძალიან. *ანდეთი* ძლივსღა მიიკვლევდა გზას (გ. ბუთხ.). არ დანებდა პოლონელთა ფანდებს, მოენატრა თავის ფატერლანდი, იზი-

დავდა სიბრძის დიამანტი, აეჭვებდა საკუთარი *ანდე* (ვ. კოტეტ. თარგმ.). ◊ **თვალის ანდე** თვალის ხაზი, თვალის ზომა (თვალზომა). [მამას] კალატოზის თარაზო არ უხმარია, ისე ააშენა თვალის *ანდეთი* (ვ. ჩეკურ.) – ქეგლი. ვარაუდით გზის გაგნებაზე იტყვიან, *ანდით მიდიოდაო*, იტყვიან, როდესაც გზას ან სხვა რაიმეს გაიგნებენ ან მიაგნებენ (ფშ. ცოც.). „ისითა ბნელ ღამეა, არცრა არა ჩან, ეგრე *ანდეზე მოვაბიჯებდი* ფეჯებსა" (ფშ. ხორნ.). დახედვით, *ანდეზე* იცნობს მცნობ ბატკანს (თუშ. ცოც.). **ანდეს, ანდეზე მასვლა** 1. აზრზე მოსვლა, საქმის კურსში შესვლა. „იმათ რო ლაპარაკი დაიწყეს, მე მაშიღა მოვე *ანდესა*". 2. ძლივს, გაჭირვებით. „თქუენი გზა დამავიწყდა და *ანდე-ანდესღა* მივაგენ თქუენ სახლსა" (ა. კ., მოხ. ქავთ.). აგრეთვე: ქსნ. სომხ., მთ. კაიშ.

შდრ. **ანდე** შორისდ. აჰა, აი. *ანდე*, დაგიდგეს თვალი, ხომ შემოგყარე დარდებიო (ნ. ონაშ.). *ანდე*, იყავი და ელოდე (ს. დემურხ.). *ანდე*, ხომ გეუბნებოდით, – ნიშნის მოგებით გადახედა იქ მყოფთ (ლ. მრელ.). || აგერ, აი. მოიტა, ბიჭო, შე პირშავო, დამისხი წყალი, *ანდე*, სურაში დგას (ლ. მრელ.) – ქეგლი. შდრ. [თურქ. ანდა „იქ"].

დიალექტ. II. **ანდეი** იარაღის ბუდე, ე. ი. ხე, რომელშიაც ჯდება იარაღი. *ანდე* აქვს, მაგ., სალაშინს, საჭრელებელს, ხუშტარას და სხვ. (თუშ. მრეწ. I, 161).

ანკარა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ანკარა** წმინდა სუფთა წყალი (დ. ჩუბ.). წელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი *ანკარა* (ნ. ბარათ.). ალაგ თიხისფრად, ალაგ *ანკარა* – რბოდა აქა-იქ ღელე ხითხითით (მ. მაჭავ.). ბებიამ *ანკარა* ადესით სავსე ჭიქა მიაწოდა (ნ. დუმბ.). || გადატ. სუფთა, წკრიალა. *ანკარა* ხმა... აღვიძებდა მიძინებულ ფოთლებს (ნ. ლორთქ.). ჭერში იმსხვრევა მზე მოლივლივე და მოჟღურტულე ხმები *ანკარა* (შ. ნიშნ.). **ანკარაწყლიანი** რასაც ანკარა წყალი აქვს; სადაც ანკარა წყალია – ქეგლი. **თავანკარად** უნაკლოდ, მთლიანად; წმინდად, შეურევნელად პირველხარისხოვანად (კახ. მარტ., იმნ.). **ანკარა** სუფთა, გამჭვირვალე ზან. (მეგრ. ელ.).

ანკარა < *კანკარა < კარკარა (სანიკიძე 1976: 45, ერთელიშვილი 1980: 161).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ანკარა** (მძრომ.) მცირე გველს(ა) ჰგავს – საბა. || **ანკარა, ანკარა გველი** უშხამო გველი, გველხოკერა – ნ. და დ. ჩუბ. || [Anguis fragilis გველის მსგავსი უშხამო ქვეწარმავალი, – ძლოკვი. ფშის კამკამა წყალში დალივლივებს... გველი, ანდა ოქროსბიბილოებიანი *ანკარა* (რ. ინან.). ამ დროს გამოცოცებულა იქ მყოფი გველი *ანკარა* (ს. რეხვ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ., ფშ. ხორნ.

ანჩხლ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ანჩხლი** ჭირვეული, შფოთის მოყვარული, სასტიკი, დაუდეგარი ხასიათის მქონი. მასთან ელჩი როგორ მივა, *ანჩხლია* და უგემური!? (შ36. I, 1037, 4). ქალი... ქმარს არ სხვაზედ სცვლიდეს, არ იყოს *ანჩხლი* (დ. გურამ. 271, 388, 4). პირველ ტკბილი, საამოვნო, მერმე *ანჩხლი*, დაუთმობი (არჩ. 471, 216, 2). *ანჩხლი* და კაპასი იქ არ ყოფილხარ და, იმედია, არც აქ იქნები! (დ. კლდ.). ტასას უფროსი რძალი ყველაზე კაპასი და *ანჩხლი* იყო (ი. ეკალ.). ზოგი სოლომონს ამტყუნებდა, ნამეტანი *ანჩხლი* კაცია, შვილი... დაღუპაო (რ. ჯაფ.). ფიგურ. *ანჩხლი* ცოლივით ყვირილსა და მუქარას მოჰყვა წვიმა (რ. თვარ. თარგმ.) – ქეგლი. აგრეთვე: იმერ. გაჩ., გურ. ფოლკ. ღლ. **ანჩხი** ანჩხლი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. II. **ანჩხლი** ბუჩქნარ, ღელისპირების მხალი; ხმარობენ, როცა ნორჩია; აყვავებისას უხეში და მწარე ხდება, საჭმელად აღარ ვარგა. (იმერ. გაჩ.). || ფხალია, კეთთება მარტო გაზაფხულზე, თოვლს ეიღეფს თუ არა, იმ წუთშიდავე ამოვა ხუხურათ, როგორც ვარდის კუკური, ისეთნაირად ამოდის. გაშლის თუ არა ყვავილს, აღარ ვარგია. იცის უმფრო მთიან ადგილზე (ზედუბანი); *ანჩხლსა* ფართო ფოთოლი აქ, მოალისფერო ყვავილი იცის, ნიგვზით კეთდება (ჩიხა, ზ.-იმერ. ძოწ.). პური გამოცხობა უფრო კეცებში ვიცით, ყველი თავზეც ვიცოდით დიდი პურების გამოცხობა „*ანჩხლით*, ღადარში“, ღველფს რკინა *ატამით* (ასტამი, ზოგგან) დავაყრიდით (ზ.-რაჭ. მრეწ. III, II, 192). აგრეთვე მთ.-რაჭ. რეხვ. შდრ. ანჩხლა ლეჩხ., ინჩხლე გურ., ინჩხლა აჭარ., ინჩხლი ჭან., ანჩხოლი მეგრ., ანჩხილი (ალ. მაყ.). **ანჩხი, ანჩხილი, ანჩხლა** ზან. (მეგრ. ქობ). **ანჩხოლი** ტყიური მცენარეა პატარძალა ზან. (ლაზ. თანდ.).

ანძალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ანძალი** კუთხ. ანძა. ◊ **ანძალზე აცმული** იგივეა, რაც *ანძაზე აცმული*. მწუხარების *ანძალზე აცმული* დედა უღრუბლოდ იმდუღრებოდა (გ. ლეონ.) – ქეგლი. || (მოხ.) მოკაული რკინა რისამე ჩამოსაკიდებლად. ფიგურ. **ანძალი ამიბა** (გუდ.) „მამაძულა თავი“. ანძალი ამიგო (მთ.) ყელში ანძალი გამიყარაო – ა. შან. [**ყელს**] **ანძალს აუგდებს** შეაწუხებს (რისამე თხოვნით), თავს მოაბეზრებს (ხევს. ჭინჭ.). შდრ. ანძა ბელი ამართული – საბა.

მოჭრილ ხეს, რომელზეც ტილოს ჭიმავდნენ, ჩვენი წინაპრები ძელს უწოდებდნენ... ტილო ნავის ძელზე საგანგებოდ მიჭედილ ხის შვერილზე მაგრდება. ასეთ შვერილს ლათინურად „ansa“ – ანსა“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი ჩვენში „ანძის“ ფორმით შემოვიდა და ნავის ძელს ეწოდებოდა. „ანძა სანავე“ პირველად XII საუკუნის ერთ ხელნაწერში გვხვდება (თ. ბერაძე 1981).

დიალექტ. II. **ანძალი**, ანძალაი მთ., ენძალა ფშ., ენძალაი, ვენძალაი მოჯ., ვენძალა ჴ. ბალახია, თეთრი ყვავილი იცის. „გაზაფხულზე იმაზე წინ არა მუა რა“ (მთ.) – ა. შან. **ანძალა** ენძელა (?) ანწლი(?). ვარდის კონასა და-

ფუშავს, *ანძალას* დაიკონებსა (დ. გურამ. 71, 69, 3). ანძალა < ენძალა < ენძელა; „დალოცვილო, ენძალაო, სამჯერ მახვალ წელჩიაო, ერთხან მავალ, მავშავდები, ისიც იანვარჩიაო (ხევს. ჭინჭ.). ენძელა [Merendera trigyna] ბოტან. გაზაფხულის ერთი პირველ მცენარეთაგანი შროშანისებრთა ოჯახისა – ქეგლი.

ანჯახ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ანჯახი** უხასიათო ადამიანი, ავი, ანჩხლი, კაპასი. [ვამეყი] საშინელი *ანჯახი* იყო, ჭირვეული, მოსისხლე (ვ. ბარნ.) – ქეგლი. მაგრა ვისიც მიგვისივა, იგ არიან *ანჯახები* (ი. ტფილ. 670, 429, 3). *ანჯახია* ჩვენი კაცი (ქიზ. მენთ.). „*ანჯახი* ცოლი ყავდა ზაქარუნას, დაანჯახობდა, სირცხვილი იმან არ იცოდა და ხათრი“ (მთ.-რაჭ. რეხვ.). **გულანჯახი** გულკერპი, ბრაზიანი. ზოგი კაცი ავადმყოფობის გამო გულფიცხი, გულამაყი, ძალაინ გაჯავრება იცის, „ფიცხი კაცია, მოუთმინარი“ (მთ.); ავი, ანჩხლი (თუშ. შან.). **ანჯაჯზე დგას** ჯიუტობს, ჯანყდება. „*ანჯაჯზე* თუ ვინ დგას ჯვარის გამძღოთ წინააღმდეგ, მაშინ შაიძლების ლუდ არ დაუსხან“ (ეთნ. კალენდ. 3, 26) – ალ. ჭინჭ. **ანჯაღი** აუტანელი, ცუდი (აჭარ. ჯაჯან.). შდრ. აჯაყი აუგი, ცუდი სახელი, წუნი (ფშ. ქეშიკ.).

დიალექტ. II. **ანჯახ**ი კამპი. გრძელი ჯოხი, თავში ორტოტა, იხმარება საბჯენად (თუშ. ხუბ.).

დიალექტ. III. **ანჯახ** [თურქ. ancak] ძლივს, ძლივძლივობით. *ანჯახ* ჩააღწევს დღეი ქალაქ (ქიზ. მენთ.). აგრეთვე: იმერხ., ჯავახ., ინგ., ქართ. დიალექტ., 646, 653. ანჯახ [აზერ.] ხოლო, მაგრამ, ოღონდ (ინგ. ღამბ.).

აპელაცია:

ახ. ქართ. I. **აპელაცია** [ლათ. appellatio მიმართვა] 1. სასამართლოს დაბალი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება უფრო მაღალ ინსტანციაში. წევრს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციის გადაწყვეტილების *აპელაცია* («ქართი»). 2. მიმართვა მხარდაჭერისათვის, ვისიმე აზრის (პოზიციის) მოშველიება, დამოწმება. ფაშისტური მოძღვრებაც მასების მოსანუსხავად... კლასიკური «სიმართლის» ... იდეალებთან ახდენს დემაგოგიურ *აპელაციას* («ლიტ. საქ.»). || ირონ. გადატ. სასამართლო საქმის წარმოება. ბედნიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები, თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იცის *აპელაცია* (აკაკი) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **აპელაცია** ოპერაცია. კუჭის *აპელაცია* გოუკეთეს (რაჭ. კობახ.). შდრ. ოპერაცია [ლათ. operatio მოქმედება რუს. ენის მეშვ.] მედიც. ქირურგიული მოქმედება ქსოვილზე ან სხეულის რომელიმე ორგანოზე მკურნალობის მიზნით – ქეგლი.

აპწკა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. აპწკა** (ქართლ.) კვერცხის შიგნითა თხელი კანი – ქეგლი. მოხარშულ კვერცხ რო გადაკრული აქ თხლათა, იმას ვეტყვით ჩვენა *აპწკა* (ბროწლ., ქართლ. მესხ.). ◊ **აპწკა გასწყვეტია, აპწკა აქვს გაწყვეტილი** უსირცხვილოა, შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი. უსირცხვილო ადამიანზე ამბობენ: ვა, ყბები ერბოთი აქვს მოქონილი, რამდენს ლაპარაკობს ან რა *აპწკა გაწყვეტიაო* (ი. გრიშ.). **აპწკაგაწყვეტილი** „უნამუსო, უსირცხვილო“ (ი. გრიშ.). მე წავიდე, ის *აპწკაგაწყვეტილი* ნათელა ვნახო (გ. ხუნდ. თარგმ.) – ქეგლი.

ვფიქრობთ, რომ **აპწკა** < **აპკა**. შდრ. აპკა გარსი: „*აპკაჲ* ტჯნისაჲ არს შესაკრებელი საგრძნობელთაჲ“ (გრ. ნოს. -კაც. აგებ. 163, 32) – ილ. აბულ. განსქდა *აპკაჲ* გულისა ჩემისაჲ (იობ. 17, 11) – ლ. გელენ.

ი. გიპერტის აზრით, აპკა-ში წარმოდგენილია პკ- ძირი, რომელიც ქართულსავე პკურება-შიც ჩანს და ეს ძირი ირანული სავარაუდებელი **āpk* -ძირიდან მოდის (Gippert 1993: 14-15) – ბ. გიგინ. იხ. აგრეთვე: ანდრონიკაშვილი 1966: 193, ჭუმბურიძე 1987: 46.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. აპწკა** ხის ან ფიცრის თხელი, ვიწრო და მოგრძო აგლეჯილი ნაწილი – ქეგლი. ოკრობოკრო ფიცრებია, მაგრამ *აპწკა* არ აქ ავარდნილი (არად., ქართლ. მესხ.). შდრ. სვან. ბაწკ < ქართ. პაწკი („ხის წვრილი შტო“) (როგავა 1984: 13).

აჟურ-ი:

ახ. ქართ. **I. აჟური** [< ფრან. à jour დღემდე, დღევანდლამდე] სპეც. საბუღალტრო საქმიანობის ისე წარმოება, რომ ჩანაწერები უკანასკნელ დღემდე მოდიოდეს და სრულ წესრიგში იყოს. ◊ **აჟურში ი'ა'** (იყო, მოიყვანს, აქვს...) კალკ. მოწესრიგებული'ა'... საბუღალტრო წიგნები *აჟურში* მოიყვანა. – შესამოწმებელი რა გვჭირს, ყველაფერი *აჟურში* გვაქვს (ჯ. ქარჩხ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. აჟური** [ფრან. à jour სინათლის გამტარი] 1. გამჭვირვალე ნაქსოვი (ნაქარგი). მარიამ დედოფალს... სადად შეკერილი შავი კაშემირის კაბა ეცვა, საყელურზე მსხვილი ოქრო ბროკატის *აჟურებით* დამშვენებული (კ. გამს.). 2. საოქრომჭედლო საქმეში: ლითონის წვრილი ძაფებისაგან ოსტატურად გამოყვანილი წნული – ქეგლი.

არა:

დიალექტ. **I. არა** 1. [თურქ.] შუალედი, ორი საგნის ან მოვლენის გამოიჯნავი, შუა ნაწილი. „სარეფსა დუუსოფთ შუაზე, *არაეფში*“ (ჱ.); „ეგენი დიობნის *არაში*, ქუეშეთ, არი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || [აზერ.]: მაღზარზე მოვლევაში *არაში* (შუალედებში დუგმას (ღილს) ვაკერევდით; 2. შუალედი, ინტერვალი, მონაკვეთი (დროისა). ექაჲთი ერ *არაჲ* გადაჲვარა (აქედან გა-

რკვეულმა დრომ, ინტერვალმა გაიარა) (ინგ. ღამბ.). ღარჭის *არაში* და ბაქლის *არაში* ვინცხა შევა, იმათი ცოდვა შენ ყიაზე (ზენ., შავშ. ლექსიკ.). აგრეთვე ნიგ. ბერ.

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. არა**: 1. არ, არა: „იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰე, ჰე, და *არა, არა*“ (მთ. 5, 37); ფურცელი მისი *არა* დასცვივის“ (ფს. 1, 3); „ძმათა მისთაცა *არავე* ჰრწმენა“ (ი. 7, 5); „*არა-მე* უპყრასა და აღმოიქუას იგი“ (მთ. 12, 11). 2. არარა: „*არაჲ* აქუს, რაიმცა ჭამეს“ (მთ. 15, 32); „თჳნიერ იგავისა *არას* ეტყოდა მათ“ (მთ. 13, 34); „ჴორცნი *არად* საჭმარ არიან“ (ი. 6, 63) – ილ. აბულ. 3. არაფერი. – არას მომცემო და ყბასაც მომტეხო? (ანდაზა) – ქეგლი. „სხვა *არაში* ჩაიდებოდა ამოდენა ჯორცი“ (ფშ. ცოც.). 4. მაინც არ... „ნუ მოხვალ, მიწას ეფარე, მოსვლაში *არა* ყრიაო“ (ვაჟა). „მოვაო თქვეს, მაგრამ ის აქ *არა* მოვიდა“ (ფშ. ხორნ.).

არავ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. არავი** ჩრდილოთ-აღმოსავლეთის ქარი (დ. ჩუბ.). სამხრეთის თბილი ქარი (საბა). ქარი უქროდა *არავი* («შაჰნამე»). იშვებენ და იხარებენ, ქარი უქრის მათ *არავი* (ი. ტფილ. 592, 4, 2). შენით მქროლვენ სურნელების *არავნი* (ბეს. 174, 13). მძვინვარე *არავი* აქეთ დენილა ვეებერთელა ტალღებს («ცისკ.»). ფიგურ. ღამე წყნარია და ჩემს გულში შფოთავს *არავი* (კ. გამს.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. არავი** (იმერ.) მავნე, გამთვალავი. არამი(?) „ისემც ლღვება, დნება, ჭკნება... შენი ავი... თვალით შამამხედვარი, თვალთა მთვალავი, გულთან (?) *არავი*“ (იმერ. გაჩ.). შდრ. არვად აფორიაქებით – საბა. არება „ტანჯვა“ – ილ. აბულ.

არარა:

ძვ., ახ. ქართ. **I. არარა** არაფერი: „*არარაჲ* არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“ (ლ. 12, 2); „*არარაჲსაგან* არსად ყოველნი დაბადებულნი გამოაჩინენ“ (რიფს. 168, 40) – ილ. აბულ. მდინარისგან ნალოკი, იმავ მდინარის წყალში გახსნილი ქვამარილივით *არარად* იქცა (ნ. შატ.). მე ვიცი, რომ *არარა* ვარ, არარა (მემ. აბაშ.). *არარა* არღვევს მყუდროებას (ტ. ტაბ.). *არარაისგან* არ იქნება არარაიცა (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. არარა** [ამერიკ.] დიდი, უქოჩრო, გრძელბოლოიანი თუთიყუში; გავრცელებულია ამერიკაში – მ. ჭაბ.

არგო:

ახ. ქართ. **I. არგო** [ფრანგ. argot] ცალკეული სოციალური ჯგუფის, წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ ამ საზოგადოების წევრთათვის, – იგივეა, რაც ჟარგონი. თეატრალური არგო. – ქურდების არგო (ქეგლი).

ახ. ქართ. II. **არგო** [ბერძ. Argō] ლეგენდარული არგონავტების ხომალდის სახელი. იაზონმა შეყარა გმირი ამხანაგები, გააკეთებინა ნავი *«არგო»* და წავიდნენ კოლხიდისაკენ (აკაკი). ოქროს ვერძი მოჩანდა იალქნიან *«არგო»*-დან (ა. აბაშ.) – ქეგლი.

ეგეოსურ-ქართველური არგ-, აგრ-ფუძე მჭიდროდაა დაკავშირებული კოლხური ტომების სამკვიდრებელი ადგილის სახელთან (ე-გრ-ის-ი || *ა-გრ-ის-ი მეტათეზისით *არგ-იშ-ი „არგის ქვეყანა“). ამ ფუძის შემცველია ქართული სატომო სახელი მ-არგ-ალ-ი (*მ-აგრ-ალ) (ურუშაძე 1980: 210).

არემარე:

ახ. ქართ. I. **არემარე** მიდამო; მახლობელი ადგილები; გარემო ადგილები. მივდექ სარკმელს, გადვიხედე, *არემარე* მესხვაფერა (აკაკი). დათიკოს მოკვლის შემდეგ მე იმ *არემარეში* ყოფნა ძალიან გამიძნელდა (ილია). სიცოცხლით სავსე იყო ეს *არემარე* (ვაჟა). აწი სულ მალე საბანი თეთრი დაფარავს *არემარეს* (კ. ნადირ.) – ქეგლი.

არემარე ასე დაიშლება არე-მ-არე (თუ ა იწყებს სიტყვას-მარტივად დაერთვის წინ მ) (შანიძე 1980).

დიალექტ. II. **არემარე** გადატ. ჩხუბი, დავიდარაბა. ბევრი *არემარე* ყოფილა ამ მამულზე (ქიზ. მენთ.). შდრ. **არევა** 1. აშლა, აწეწა. || არევ-დარევა, ერთმანეთში არევა. 2. გადატ. აღელვება, შეშფოთება; შეშლა – ქეგლი.

არია:

საშ. ქართ. I. **არია** მარიხი. ცისა *არია* მისად ნადირად კანჯარსავით იყო (ქილ. 831, 11).

II. **არია** [იტალ. aria] ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ნაწარმოები, ჩვეულებრივ, ოპერაში, ორატორიაში ან კანტატაში – მ. ჭაბ.

არკ-ი:

ახ. ქართ. I. **არკი** მუსიკალური ტერმინი, რომელშიც გაერთიანებულია ყველა ხემიანი საკრავი („უსინათ.“).

ახ. ქართ. II. **არკი** ციხე-სიმაგრე, ციტადელი ფეოდალური ხანის შუა აზიის ქალაქებში (ბუხარა, ხივა) (უნივერს. ელერდ.).

საშ. ქართ. III. **არკი** არაკი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. **არკი** ნაწილ. კი არ. წლები კი ამ უცხოებას მხოლოდ აღრმავებდა, თორემ არკი ამცირებდა (თ. ბიბილ.) – ქეგლი. (მთ. გუდამაყრ.) კი არ, განა (ე. ვირსალ.) – ალ. ღლ. არკი აკი, ხომ. *„არკი* გითხარა იქ ნუ დაშჩებიო“ (ფშ. ხორნ.).

არმან-ი:

საშ. ქართ. I. **არმანი** [არმან] სომხეთი. ხოსრო... მადიანიდან *არმანის* ქალაქისაკენ წამოვიდა (ხოსრ. 61, 26). **ერმენი** სომეხი ზან. (ლაზ. კალანდ.).

დიალექტ. **II. არმანი** (საუბრ.) ერთგვარი კარადა. „ჩვენ გვქონდა *არმანი*, ძირს „შკაფი“ იყო, ზეიდან ვარცლი ედგა. *არმანს* ზოგს ქვე ქონდა გასადები კარებეები, ზოგს გამოჭრილი ქონდა შუაში და იქიდან ჩავაწყობდით იქით-აქეთ ჭურჭელს, რამეს“ (მთ.-რაჭ. რეხვ.). ქატოს – ნაცერს ჩავყრით კასრში და *არმანში* შევდგამთ (ზ.-რაჭ. მრეწ. III, 2, 190). || **არმანა** 1. ძვ. თახჩა, თარო. 2. იწდ. პატარა სარკმელი ოფიციალურ დაწესებულებაში მოქალაქეთა განცხადებების მისაღებად და პასუხის გასაცემად – ქეგლი. აგრეთვე: რაჭ. კობახ., ოკრიბ. ძოწ., ლეჩხ. ალავ.

კ. კაკიტაძეს შენიშნული აქვს, რომ ძველ ქართულში სარკმლის მნიშვნელობით გვხვდება არმარი და პატოჰანი. „მიგიღებიეს ობოლთა და ქურივთაჲ და აღგივსიეს პატოჰანი“ (არმარი-A 1399 166r). საბასთან ცალ-ცალკე ერთეულებადაა წარმოდგენელი ძველი არმარი და დიალექტებში დადასტურებული არმანა. არმანა სარკმელია შესადებელი. არმარი ესეცა სარკმელი არს – ნ. და დ. ჩუბ. შენიშნულია, რომ დიალექტებში მოხდა მათი მნიშვნელობის გადატანა და იგი აღნიშნავს, როგორც კედელში გამოჭრილ თაროს (განჯინას), ასევე ამ ფუნქციის ყუთსაც. ე. ი. შეიცვალა აღსანიშნი, მაგრამ შეინარჩუნა ფუნქცია და სახელიც (კაკიტაძე 2005: 146). ვფიქრობთ, რომ სიტყვა არმანი < არმარი უნდა მომდინარეობდეს ბერძნული „ღრეჩოს, ხვრელის, ნაპრალის“ აღმნიშვნელ ármós-იდან.

არმულ-ი:

ძვ. ქართ., დიალექტ. **I. არმური, არმული, ალმური** «ნისლი», ბურუსი, ბინდი; ალი, ბუღი; გრიგალი. „აღატყინა *არმული* იგი საჴუმილისაჲ ქრისტეანეთა ზედა“ (Sin. – 11, 25r); „ქჳშაჲ წულილი, *არმულისაგან* აღძრული, მოკრბა მუნ“ (H- 341, 4) – ილ. აბულ. *არმული* გაჩთებოდა თონეში (ბერეთისა, ზ.-იმერ. ძოწ.). „ყორანაი ვარ ტვირთათი, ლექსისა ამდის *არმული*“ (ფშ. ხორნ.). **არმული || იარმული** დიდი სიცხე, სიცხის ბუღი: „ოჰ, რა *იარმულია!* დავიწვით. *არმული* ადის დედამიწას“. „*არმულია, არმული*, სული ეხუთება ადამიანს“ (მთ.-რაჭ. რეხვ.). არმული < ალმული < ალმური.

დიალექტ. **II. არმული** უპატიოსნო გზით ნაშოვნი (ფშ. ხორნ.). არამი > არმული. -ულ სუფიქსი. არამი [არაბ.] არა რჯულიერი, აკრძალული, აშლილი, შეუნდობელი, მავნებელი – დ. ჩუბ.

არტ-ი:

დიალექტ. **I. არტი** ხის ოვალური რგოლი საბლის თავის გამოსაბმელად ტვირთის შეკვრის დროს. „საბელს რო შამოუჭერთ თივას, ერთი თავი *არტჩი* ემაგრება“; „ზვინი ამისხლტა, *არტზე* ჴელი რო არ მქონიყო, დაიშლებოდა“ (მოხ. ქავთ.). შდრ. ავარტი თოკის ერთ მხარეზე გამოსაბმელი ხის პატარა ნახევარრკალი (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. II. **არტი** [ინგლ. art] ხელოვნება. ბოდი-არტი მხატვრობის სფერო, სადაც მთავარია თავად მხატვრის სხეული (უნივერს. ელერდ). **არტი: არტ-თერაპია** ექსპრესიული თერაპიის ერთი-ერთი სახე, ხელოვნებით მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდი („არტ.“).

არფა:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **არფა** ქერის ჯიში (ქვ.-ქართლ., ეთნოგ. ლექსიკ.). ქერი [თურქ. არფა] – საბა.

ახ. ქართ. II. **არფა** [გერმ. Harfe < ლათ. ჰარპა] უძველესი სიმებიანი საკრავი (ხის სამკუთხედ ჩარჩოზე ვერტიკალურად დაჭიმული სიმებით). მარინა... უკრავს *არფას* და ზედ დამღერის (ეკ. გაბ.). ფლეიტის დაბალხმიანი ჰანგები, *არფის* შორეული ხმები, – ყოველივე ეს ელემენტებია... სიცოცხლით სავსე ნაწარმოებისა («ლიტ. საქ.») – ქეგლი.

არყ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **არყი ხე** – საბა. **არყი** [თათრ.] (დ. ჩუბ.). || [Betula] თეთრქერქიანი ხე საშუალო ტანისა (საქართველოში გავრცელებულია მაღალმთიან ადგილებში), – არყის ხე. ვინ იტყვის, თუ ის *არყია*! ისე მაღლა წასულა და წიფლების თანაბარი გამხდარა (თ. რაზიკ.) ნასოფლარის მახლობლად ნეკერჩხალი, *არყი* და იფანი დგას (ნ. კეცხ.). ნაძვნარ-სოჭნარ ტყეებში გვხვდება თელა, ნეკერჩხალი, *არყი*, ვერხვი (თ. ჯაფ.) – ქეგლი.

საშ. ქართ. II. **არყი** საისრე ხის ქერქი, რომელსაც მშვილდს აკრავენ. გადატ. მისი *არყი* მუშკი იყო და წამწმისა ისარსა მოყმეთა გულსა დაასობდა (მეტაფორულად ნიშნავს: წარბს მუშკი ჰქონდა წასმული) (ვისრ. 187, 36). ალვისა მშვილდი შემშვენდა ისრად *არყისა* მხმარესა (ბეს. 115, 4).

დიალექტ. III. **არყი** ახი. სამართლიანი, კუთვნილი, ჯეროვანი. *არყია* მაგაზე, რაც მოუვიდა (ქიზ. მენთ.). ახი ანუ აჰყი არაბულად სამართლიერად თვის საყოფელსა რაჲმესა კაციასსა განიმარტება (თ. ბაგრატ.); ქეგლი.

არყიან-ი:

ახ. ქართ. I. **არყიანი** რაშიც არაყი დგას, ასხია (ან იდგა, ესხა). შამფურის წვერი *არყიან* ჭიქაში ჩაყო, ცხელმა რკინამ შიშხინი დაიწყო (ლ. მრელ.). შდრ. არაყიანი რაშიც არაყი ასხია. [გიორგიმ] *არაყიანი* მათარაცა და ორი დღის საკმარი სანოვაგე მასპინძელს დაუტოვა (დ. ჯავახ.) – ქეგლი.

არყიანი < არაყი. იან- კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი. არაბ.-სპარს. > ‘araq არაყი. არა მარტო ოფლს, არამედ „არაყსაც“, მის მაგარ სახეობას ნიშნავდა (წერეთელი 1992: 92).

ახ. ქართ. II. **არყიანი** იგივეა, რაც არყნარი. მოგვისხდნენ... პირდაპირ არყიანში და მოგვაყარეს თოფები (ვაჟა). [კამეჩები] *არყიანებში* გაეჩვივნენ, შამბნარში... დაალაჯებდნენ (ვ. ჩეკურ.) || ტყე, რომელშიც არყიც ურევია. [ყორანმა] ხშირ, დაბურულს *არყიან* ტყეს შეაფარა თავი (ვაჟა) – ქეგლი. იხ. I. არყი.

არწივ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. არწივი** 1. (ფრინ.) ამისასა იტყვიან მეხუთასესა წელსა განჭაბუკებასა, სიმაღლით აერით ჩამოჭრასა და წყალთა შთავარდნით განახლებასა. წყლის პირს მებუდრობს... – საბა. || [სომხ.] ორბი, მფრინ. (დ. ჩუბ.). || «ორბი» aquila: „ვითარცა *არწივმან* დაიფარნის ბუდენი თჳსნი“ G – „ვითარცა ორბმან რაჲ დაიფარნა ბუდენი თჳსნი“ (M, II შჯ. 32, 22); „იყო.. მსგავსი *არწივსა* მფრინვალესა“ (აპკ. 4, 7) – ილ. აბულ. *არწივსა* მოსტყდეს ფრთენია (ვეფხ. 1610, 2). ხოლო ჯორცისმჭამელნი: ყაჯირი, სუავი, ორბი, *არწივი*... (ქ. ცხ. IV, 42, 13). *არწივი* ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა (ვაჟა). დაე, ჭახჭახებდეს კაკაბი, *არწივი* ცაში კიოდეს (ნ. კეცხ.). 2. შედარებისას იხმარება შეუპოვრობის, სიძლიერის აღსანიშნავად. ვაჟა-ფშაველა იმ დღეს მართლაც მთის *არწივი* იყო (ს. შანშ.). ივერთ *არწივი*, ერეკლე, მახვილს დაეყრდნო მდუმარე (კ. მაყ.) – ქეგლი. 3. **არწივის ხე**: ხეს გაშლილი ტოტები აქვს. არწივისათვის ადვილად მოსახერხებელია მასზე დაჯდომა. ლათინური აქვილარია შესაძლებელია იმას მეტყველებს, რომ ხეს არწივის ფრთებივით გაშლილი ტოტები აქვს (ზ. მაყ.).

ს.-ქართვ. *რაწ-იუ- „არწივი, რუხი“ > ქართ. არწივ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016, მელიქიშვილი 1954: 325

დიალექტ. **II. არწივი** ქართლური დარბაზის კოჭი. ძველებური ქართლური დარბაზის ბოძებზე ეწყო დიდრონი ხეები, რომლებსაც არწივები ერქვა, *არწივებზე* ერთიდან მეორემდე დაწყობილი იყო აყრები (კავთ.); აგრეთვე ბროწლ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. **არწივები** მრგვალი და კანგაცლილი გაუთლელი ხეები, რომლებზეც აწყვია კოჭები. „ეგ ხიები არ დასჭრა, ბიჭო, კაი *არწივები* გამოვა“ (ჯავახ. ბერ.). **არწივაკი** «სახლის მეორე ძელი» – საბა. შდრ. არწივის ხე.

დიალექტ. **III. არწივი** (ქიზ.) ავადმყოფობაა ერთგვარი – «ცხვარს უჩნდება ფილტვებში ბაფივით» (ს. მენთ.) – ქეგლი. „მაგაჲ *არწივი* უჭნება ფილტვეფში, სანამ მოკვდება, ბჯობია დაბკლა და გამაიყენო“ (გ.-კახ. სახლთ.).

არწივი (ფრინვ.) სხვადასხვა სემანტიკურ წყვილებში გვხვდება და ზემოდასახელებული მნიშვნელობაც მათგან უნდა მომდინარეობდეს. მაგ.: **წყლის არწივი**: წურბელას ჰგავს, ოღონდ ძალიან პატარაა, თუმცა ზოგჯერ ისე იცის ბაფივით გაგრძელება, თითის სიგრძეც ხდება. ადამიანმა ან ცხოველმა თუ ჩააყოლა, კუჭს გაუხეთქავს და მოკლავს. ეს სახელი გვხვდება გარეკახეთის ჰიდრონომიაშიც. მაგ.: სოფ. ნორიოში ერთ წყაროს ჰქვია „არწივის წყალი“, სადაც მართლაც უთვალავი *წყლის არწივი* ბუდობს (გ.-კახ. სახლთ.). „დეიწიწილვის მუცელში ხობო, *არწივი* შუუჭამს იმ დეყეყეზე“ (თ. ქ.); „*არწივიან* ზროხასა ხობო არ ეყოლება“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. შდრ. სინტაგმა **არწივიანი ყისირი** ფური, რომელიც ნაყოფს არ ირჩენს, არასოდეს შობს. „დაწიწილებულ ხობოს *არწივი* უჭამს და ამიტომ *არწივიანი* ყისირი ქვია ასეთ ძროხას“ (აჭარ. ნიჟ.). არწივი + ყისირი. **ყისირი** [თურქ.] უნაყოფო, გამრავლების უნარს მოკლებული

ცოცხალი არსება. „ეს ძრობა წრევლაც ყისირი დარჩა, დავკლათ თუელზე“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შემდგომ სინტაგმის **არწივიანი ყისირის** შემადგენელმა სიტყვა **არწივმა** დამოუკიდებლად იტვირთა მთლიანი სინტაგმის მნიშვნელობა და მიიღო „ავადმყოფობის“ მნიშვნელობა.

არწივა:

დიალექტ. I. **არწივა** საშუალო სიდიდის არწივი – გ. გვანც. **ბოლო არწივა, ჩიტთ არწივა** – ა. შან. გადატ. ძლიერი, შეუპოვარი. იმ პატარა თავაზიან, ზრდილ, *არწივა* ბიჭს აღარ შემოუხედია? („თბილისის ფორუმი“). იხ. I. არწივი.

საშ. ქართ. II. **არწივა** – ბალახი; **არწივა შვითა** – დ. ჩუბ.

არხა:

დიალექტ. I. **არხა** [თურქ.] ზურგი, საყრდენი, კედელი, ყორე. „*არხას* გავაკეთავთ ყანი ბოლოზე, რომე მიწამ არ დეიწიოს“ (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.). **არხობა** ურმისა ურმის თავის ამართვა და უკანა ნაწილზე დაბჯენა. ურემი ჩვეულებრივ *დარხობილია*, როცა წონასწორობა დაირღვევა და თავს აიშვერს და უკანა ნაწილზე დაებჯინება, მაშინ *აერხობა* ხოლმე (ქიზ. მენთ.). შდრ. არკა [ლათ. arcus] ბარბარ. თაღი. ალაგ-ალაგ არკები ჰქონდა გალავანს (კ. გამს.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **არხა** [თურქ.] საქონლის ღამის სათევი ადგილი. „ცხვარი იეხლა *არხაზე* მიდის“. || **არხაჯები** საქონლის სადგომი. **არხის აღება** საქონლის ღამის სათევ ადგილზე მიჩვევა, როდესაც დაღამებისას თვითონ მიდიან დასაყრელად. „ამ ცხვარმა უკვე *არხა* აიღო“ (ჯავახ. ბერ.).

ახ. ქართ. III. **არხა** ქომაგი, დამხმარე, მფარველი – ი. გრიშ. შდრ. არქი (archē) „დასაწყისი; უფროსობა, ხელმძღვანელობა“ – მ. ჭაბ.

ასაჰყალო:

დიალექტ. I. **ასაჰყალო** ჭურჭელია, მასში ხსნიან კირს და უსვამენ ფეხსაცმლის საპირის ტყავს დაბღები (ქიზ. მენთ).

დიალექტ. II. **ასაჰყალო** უსტაბაშის თანაშემწე. იყო დიდი ასაჰყალო და პატარა ასაჰყალო (აღსაჰკალო) (ქიზ. მენთ.). აგრეთვე ასაყალო თანაშემწე (ზ.-ქართ. მრეწ. III, I, 171). ასახკალუა || ასაჰყალო ანუ აღსაყალო [თათრ. თეთრწვერა], უფროსი, საპატიო პირი – აგენტივით კაცი იყო ძველად, როგორც ამქრის უსტაბაში. სანოვაგის ნიხრის დადება თურმე ამ ასახკალუს ნება ყოფილა. || **აღსახკალი** თეთრწვერა თათრულია, უსტაბაშის თანაშემწე. ანუ მისი გზირი, ანუ ჰასაჰყალო. „უსტაბაშს გაუმარჯოს, ვადღეგრძელოთ თასითა, ჰამქარს და *ჰასაჰყალოს* თავის იგითბაშითა“ („ცისკ.“, 1868 წ.) – ი. გრიშ. შდრ. ქეთხუდებისა და გარეთუბნის უფროს-უფროსისა ახსაყალუების სალაით მოვიდნენ პაპუჩოშვილები (სამ. IV, 233).

ასეულ-ი:

მვ., ახ. ქართ. **I. ასეული** 1. 100. ასი ცალისაგან შემდგარი ერთეული. „მოაქუნდა (ნაყოფი) ოცდაათეული, სამოცეული და *ასეული*“ (მრ. 4, 8) – ილ. აბულ. ხუთასში ხუთი *ასეულია*. ◊ **ასეული წლები** რამდენიმე საუკუნე, მრავალი ხანი. *ასეული* წლების მანძილზე ქართველობა ებრძოდა უცხოელ დამპყრობთ. 2. მესამე თანრიგის ციფრი რიცხვში. 3. სამხ. ჯარის ორგანიზაციულ-ტაქტიკური დანაყოფი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ბატალიონის შემადგენლობაში მოქმედებს და რომელიც ოცეულებად და ათეულებად იყოფა. გიორგის პირველი *ასეულის* მეკავშირე მიუახლოვდა (კ. მუმლ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირებია 1. *ას- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ას-ირ- „ასი“, ასე-ული (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ასეული** 1. გაჯავრებული, გაბოროტებული, ატეხილი. „უმიზეზოთ ჩხუბს რო დაიწყებს ადამიანი და გაუთავებლათ რო ჩხუბობს“; „ბავშვი რო გაბმით ტირის, იტყვიან *ასეულიაო*“. „ძალიან იყვნენ *ასეულები*“. „ეს კაცი ისეა *ასეული*, რო ან თავის თავს მოსწევს რამესა და ან სხვასა“. „რა *ასეულია* ეს ბავშვი!“ (დის., ქართლ. სალ.). 2. ასევა ატეხვა, გადაჭარბებული ხუმრობა. ასეული ატეხილი, ახირებული (ჯავახ. ბერ.). „შენ ისე ხარ *ასეული*, რაღაცას გედიეკიდები“; „ეს ასევა მაგაჰ არ ჩაუვლის, სადღაც შეხვდება თავინაირი“. **ასეული** ასევს, ასევა ფორმებიდან წარმოებულია ვნებითი გვარის მიმღეობა, „ნიშნავს ადამიანს, რომელიც ვისგანმე ან საკუთარი სურვილით უკმაყოფილოა რაიმესი ან ვინმესი, ე. ი. აბუნტებული, ატეხილი, თავგასული“ (გრ. ბერიძე 1988: 134).

ასმა:

დიალექტ. **I. ასმაი** [აზერ.] 1. ჩალით სახლის დახურვის ერთგვარი წესი: ჩალას აწყობენ სახურავზე ქვევიდან ზევით კონებად იმგვარად, რომ ჩალის მოჭრილი ღეროების ძირები ზევითაა მოქცეული და ფოჩებიანი ნაწილი კი ქვევით, ეს ისე რომ ეს ძირები არ ჩანს, რადგანაც მომდევნო წყების ფოჩებითაა დაფარული. ამას **ასმას** ანუ *ასმა დახურას* უწოდებენ. სახლის ამგვარი დახურვა ცოტა ჩალას მოითხოვს და მარტივიცაა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაკლებ გამძლეა (ინგ. ღამბ.). შდრ. ტკეპნი დახურაი. აგრეთვე იაფური დართვა (ქიზ. მენთ.). 2. ამგვარი წესით გადახურული სახლის სახურავი; **ასმა ბუხარაი** ბუხარია ერთგვარი, რომელსაც ყვერბი ანუ ცეცხლის დასანთები ადგილი ამოშენებული არა აქვს და მხოლოდ ზედა (საკვამლე) ნაწილისაგან შედგება. 3. **ასმა ხახ** ისეთი ხახვი, რომელიც მრგვალ თავს არ იკეთებს, გრძელთავიანია. ჩემ ხახმა ქელლაი (თავი) არ გაიიქეთა, ბუთუმ (მთლად ერთიანად) *ასმაი* იქნა (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. **II. ასმა** სახელი ასვამს ზმნის მოქმედებისა. ლელვზე პატარა ძმის *ასმა* არ დაიზარა – ქეგლი.

ახ. ქართ. **III. ასმა** სახელი აისვამს, აუსვამს ზმნათა მოქმედებისა. ლოყაზე ხელის *ასმა.* ◊ *ერთი'ს' ასმით* ერთი მოქნევით, ერთბაშად. [ჭაბუკი] *ერთი ასმით* მისწვდა ბატონის ამალას და ჩაუდგა სათავეში (ვ. ბარნ.). ეჰ, რა იცოდა... იასემ, რომ ქალის სულში კვესდებოდა თანაგრძნობა მისკენ მაშუქი, თორემ... მთას გადივლიდა *ერთის ასმით* ხშირ ჯანღდახვეულს (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

ასო:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ასო** 1. „კაცი ნასხმოიანი" (საბა). **ასო** სხეული, ტანი. „ვითარცა ისარი-ღა ცემულ არნ *ასოსა* კაცისასა" (O, ზირ. 19, 12); „არა დაშთეს ჴორცნი *ასოთა* ჩემთა ზედა" (მარკ. 249v); „ერთსა მას გუამსა მრავალ *ასოებ* აქუს" (ჰრომ. 12, 4); „რაჲთამცა *ასოჲ* იგი ჩუენი ხაშმი განვიკურნეთ" (მრთ. F, 264v) – ილ. აბულ. გარდვუკოცნე ყოვლი *ასო* (ვეფხ. 1138, 3). ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირ-კეკლუცი და შესახედავად შუენიერი, *ასო* კეკლუცი (ეტლ. 33, 22). მრავალი სისხლი დუღს მათთა *ასოთა* შიგან (ვისრ. 46, 25). შეშვენის მისა *ასოთა* სამსგავსო იყოს მკობითა (ვახტ. VI, 35, 5, 2). ნახა, კაცისა გული მოკვდება, ყოველი *ასო* სულ თანა გაჰყვება (დ. გურამ. 274, 412, 2). მაშინღა გულის უფალმან დაფარული სცნას *ასოთა* (ქილ. 226, 21). ვინცა საგალი ბალახი მოხარშოს და მტკივანსა ალაგზედა დაიდვას *ასოსა* და სახსრისა და ფეხის ტკივილი უშველოს ღვთითა (იადიგ. 488, 7). [ბატებმა] ყოველი *ასოთი* იგრძნეს წყლის სიახლოვე (ნ. ლომ.). დათვი უგრძნობლად ეგდო გულაღმა... ჩამოსდიოდა სისხლი წყალივით თითქმის ყველა *ასოდან* (ვაჟა) – ქეგლი. || სხეული, მთელი ტანი. „მთელი *ასო* ეფხანება ბიჭუნას, მთელ ტანზე წითლათაა დაყრილი" (მთ.-რაჭ. რეხვ.). 2. სხეულის ნაწილი. **ასო-ასო** ასოებად, ნაჭერ-ნაჭერ. აწ სად წამივა, ორთავ ცეცხლში დავწვავო ანუ *ასო-ასო* ავიქ (რუსუდ. 194, 29). ხარი რომ დაკლეს, *ასო-ასო* აიღეს. ასო-ტანი იგივეა, რაც ასო. „გამოგიმთელდა, შვილო, *ასო-ტანი,* მე შენ გული გამიმთელე მა კაი სიტყვით!" (მთ.-რაჭ. რეხვ.). ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ასო** სიტყვიანი რთული და ნაწარმოები სიტყვები, კომპოზიტები: ასოთა მოკლეება; ასო-მოკუეთილი; ასო-ტანი, ასო-იოგი და სხვ. ასო დასმიდამ არის წარმომდგარი, ესე იგი დაჯდომიდამ, ასო ნაწევარი (თ. ბაგრატ.).

ს.-ქართვ. ას-ო „სხეულის ნაწილი" > ქართ. ას-ო (ჩუხუა 2000-2003).

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II.** 1. **ასო,** ანბანი. აგრეთვე: ასომთავრული, ასოთამწყობი, ასოკირკიტა – ახ. ქეგლი. მაშინ აღდგეს სხუაჲ მეფე ქუეყანით ეთიოპით, რომელ არს ნუბეთი, და სახელი მისი არს პირველსა ზედა *ასოსა* ანბანისასა, რომელ არს ანი (H-1345). ოცდაორ არიან წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი რიცხჳსაებრ ებრაელთა ანბნისა ასოთაჲსა, რამეთუ ანბანიცა მათი ოცდაორი ასოჲ არს და ამათ ოცდაორთა ასოთაგანნი ხუთნი მრჩობლ იქმნებიან, რაჲთა ესრეთ ოცდაორნი იგი ოცდაშჳდ იქმნენ. ხოლო

მრჩობლ *ასოთა* მათგან ესე არიან: ქაფ, მემ, სჳნ, ფინ, სადა („გარდამოცემა“ 125v, b) (სარჯველაძე 1984: 240). **ასომთავარი** მთავრული ასო. „და ყოველი *ასომთავარი*, ოქრომელნით დაწერილი“ (A-484, 315) – ილ. აბულ. ქართულისა ენისა ირიცხებიან *ასონი* ვიდრე ორმოცადმდე (კალმ. 266, 11). იკითხა, პოვა ეს სიტყვა... გაყურჩდა, ჩხრეკა დაუწყო: „არ იყოს *ასო* კლებული“ (არჩ. 358, 1). 2. **ასო** სამეტყველო ბგერის გრაფიკული ნიშანი. «ეგ რა *ასოა*, კატო, ჰაა?» კატო შეაყენებდა კალამს და გულმოდგინედ აბლევდა პასუხს თავის საყვარელ ძმას (ნ. ლომ.). ის სტამბა მახსოვს, *ასოების* მახსოვს სალარო (რ. მარგ.). [ბუხარს] ირგვლივ ანბანის *ასოები* შემოსხდომოდნენ (რ. ინან. თარგმ.) – ქეგლი. აფსო ასო ზან. (მეგრ. ყიფშ.).

ა. შანიძის გამოკვლევით ძველ ქართულში ერთმანეთის გვერდით იხმარება ასო, წესი (სინურ მრავალთავში) და კავშირი..., ს. ორბელიანმა „ასოც“ იცის „კავშირიც“. იგი „ასოს“ კავშირად განმარტავს და „კავშირს“ ასოდ: „ასო ელინელთა ენითა ჰრქჳან კავშირთა. ამისათჳს ფილოსოფოსთა მიერ ასონი სახელ-ედებიან ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქუეყანასა“ (შანიძე 1959: 335-336). ასო სიტყვის მნიშვნელობის განვითარება ასე გვესახება: „სხეულის ნაწილი“. ნაწილი > || „წიგნის ნაწილი“ (ასო). ფოგტის აზრით, ასო < *ა-სუ̌-ე დაუკავშირდება სუ-მ-ა ზმნას (ფოგტი 1974: 108) – ბ. გიგინ.

ახ. ქართ. III. **ასო** (ფრანგ. assaut) ფარიკაობასა და კრივში: ორი სპორტმენის სავარჯიშო ბრძოლა (სხვანაირად: თავისუფალი ბრძოლა) – მ. ჭაბ.

IV. **ასო** მოქმედი ვულკანი იაპონიის კუნძულ კიუსიუზე – (ქსე).

ასხ-ი:

დიალექტ. I. **ასხი** მოუსვენარი, დაუდეგარი. „მოსაფირთან სირცხვილია, *ასხი* ბაღვები ქვყავს“ (ინ.); აქვე ახსი ამაყი, თავმომწონე, დამოუკიდებელი, თავნება. „ძალიან *ახსი* იყო ბიბიაი, ამითანათეფს არ გეიტანდა“ (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ასხი** [თურქ.] ლურსმანი, საკიდარი, კავი. „კედელზე ხის *ასხებია*, რაცხიებ დავკიდავთ“ (მ., ჩვენ. ფუტკ.).

ატამ-ი:

ბვ., ახ. ქართ. I. **ატამი** [Persica vulgaris] 1. საშუალო ტანის ხე: ყვავის ვარდისფრად; ისხამს მსხვილკურკიან წვნიან ნაყოფს. რამეთუ იყო ფინიკი, ბროწეული, თრუნჯი, *ატამი*, ვაზი და სხუაი ესევითარი (H-341, 46) – ილ. აბულ. სიზმრად დაიბღოტებიან კინოში ნანახ ატმებსა და მსხლებზე (რ. ინან.). ეს *ატმები*... ნაჭარმაგევის ბაღის ნერგია (კ. გამს.). 2. ამავე ხის მოკლეყუნწიანი, მსხვილკურკიანი ნაყოფი, გარედან შებუსვილი. შემოდგომურა *ატამს* წვენი ჩაუტკბება (კ. კობ.). *ატმის* ჩირიც გვაქვს (რ. ინან.) – ქეგლი. აგრეთვე **არტამი** (იმერ. ქართ. დიალექტ., 669). **ატამ, ატაშ, ატამ ატამი**

(სვან. თოფ., ქალდ.). ატამა ატამი ზან. (მეგრ. ელ.). **ატამბა, ანტამა** ატამი ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. ს.-სინდ. *ტამა „ატამი; გარგარი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ატამი** ასტამი, – სწორპირიანი, ოთხკუთხედის ფორმის ბარისებური იარაღი, ჩვეულებრივ, დაგრეხილი რკინის ტარით, რომელსაც ცხობის დროს კეცზე დასაყრელად იყენებდნენ“. **ატამ-საკეცური** ასტამი და საკეცური (კეცის ასაღები დიდი მაშა). *„ატამ-საკეცური* უნდა შვენოდეს ქალს. ვინც ლამაზათ ხმარობდა *ატამ-საკეცურს*, კაი ქალს უძახოდენ“. „ვინც კარგი ცხობა იცოდა და მარჯვეთ ხმარობდა *ატამ-საკეცურს*, რომ მოკვდებოდა, ჩავატირებდით, შე კაი *ატამ-საკეცურის* ქალო-თქვა“ (მთ.-რაჭ. რეხვ.). ანჩხლი პური გამოცხობა უფრო კეცებში ვიცით, ყვერბი თავზეც ვიცოდით დიდი პურების გამოცხობა „ანჩხლით, ღადარში“, ღველფ რკინა – *ატამით* (ზ.-რაჭ. მრეწ. III, II, 192). აგრეთვე: აშტამი (მოხ. შან.); აიტამი ასტამი (კახ.-ქიზ. დიალექტ.). მვ. ქართ. ასტამი ცეცხლის ასაღებ-დასაღები, აქადაზი: „და აღიღო *ასტამი* და ხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა“ (შუშ. VI, 15) – ილ. აბულ.

ასთამი პატარა ბარი, ცომის საფხეკი ზან. (ლაზ. თანდ.). **ჰასტაშ, ჰასტამ, ასტამ** ასტამი (სვან. თოფ., ქალდ.).

ატამი < ასტამი; ასტამი იშვიათი ხმარებისაა, შესაძლოა მომდინარეობდეს ბერძნული ფორმისაგან astomos „მაგარკავიანი, „უდრეკი“ (უკავშირდება სიტყვას stȍma „პირი, „ლაგამი, „კავი“, „ენა“, ხახა“. ასტომ-ი ამოსავალი ფორმისაგან რეგრესული ასიმილაციით მივიღებდით ასტამ-ს (გიგინეიშვილი 2016).

ატოლ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ატოლი** მც. – დ. ჩუბ. || ღიმის მიწისქვეშა წვრილი ნაყოფი, კარტოფილის მსგავსი; მოტკბოა, იჭმევა. ჯავახეთისა ხილია – *ატოლი* და ღიმია (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე: ჯავახ. ბერ., ზედგ.

ს.-ქართვ. *ა-ტოლ- „ღიმი; ქლიავი ერთგვარი“ → ქართ. ატოლ-ი (ჩუხუა 2000- 2003).

ახ. ქართ. **II. ატოლი** [ინგლ. atoll < მალაიურიდან] რგოლისებური მარჯნის კუნძული, რომლის შუაშიც მოქცეულია ლაგუნა – მ. ჭაბ.

აფალ-ი:

ახ. ქართ. **I. აფალი** (ქართლ. კახ.) ქონება. რა *აფალს* მიხედვენ ხელში, რომ გამომეკიდონ? (ა. ერ.-ხოშტ.). დრო მიდის, ფულის *აფალი* მისუსტდება (ილია). || ღონე, ჯანი, შეძლება. თავის *აფალი* არა უთქვამს რა? (ილია) – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. (ძიძ., კეცხ., ხუბ.). შდრ. **აფალა** ღონე, ჯანი, შეძლება. მაგი მეტი აფალა არა გაქვ? (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. II. აფალი ამბავი, თავგადასავალი. (ფშავლებმა) ერთმანეთთან თავთავის *აფალი* მოაყოლესა (ფშ. ბ. 432, 22, ქეშიკ.). „ყველამ ჩემი *აფალი* იცის!“ (გ. ხუნდ.) – ი. გრიშ.

აფთარ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. აფთარი 1. მხეცი – დ. ჩუბ.; ცხელი ქვეყნების მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი, სხეულზე განივ გადასდევს თეთრი და შავი ზოლები, მხარმაღალია და ბარკლებდაშვებული; იკვებება უმთავრესად მძორით, – ჰიენა (ქეგლი). „ჯურელი ნუ *აფთრისა* არს სამკუდრებელი ჩემი ჩემდა“ (I, იერემ. 12, 9); „იყო მუნ *აფთარი* მახლობელად და აწოებდა შვილთა თჳსთა“ (მ. ცხ. 303v) – ილ. აბულ. რუამს *აფთრისა* სახე აქვს, გოსტამის მთვარე არისა (შჳნ. II, 3353, 2). (ზამთარმან გაზაფხულს) ჯავრით, ვით *აფთარმან* მას შეუტივა (დ. გურამ. 211, 27, 4). დაბურულსა და გაუვალს ტყეებში ბევრგვარი ნადირი ბუდობს, სახელდობრ: ჯიხვი, შველი, თხა, კურდღელი, ვეფხვი, დათვი, მგელი, *აფთარი*... (ი. გოგებ.). «ეს რა ღმუის?» – იკითხა ერთმა. – «კაცო, *აფთარი* არ იყოს და არა სთხრიდეს ვისიმე საფლავს» (ილია). მე არ მეშინია მგლისა, არც *აფთრისა* და არც ავაზისა (კ. გამს.). 2. გადატ. ავი, ბრაზიანი. სოფელი კარგად ვიცოდი... ვიცოდი, ვის ჰყვანდა ძაღლი *აფთარი*, და ამისთვის ისე მიხვევ-მოხვევით მივბობღვადი დაოთხილი (შ. არაგვ.). მარტო ვდგავარ მთაში, ტყის პირას, სოფელზე კარგა მოშორებით და, თუ კაპასი, *აფთარი* ძაღლები არ ვიყოლიე, ნადირისა და ქურდის შიშით მე იქ არ მედგომება (ილია) – ქეგლი. აფთარი ზან. (ლაზ. თანდ.).

ს.-ქართვ. *აფთარ- „ნადირთა ღმერთი“ → ქართ. აფთარი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე: ქურქაძე 1974: 151, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. აფთარი ბასრი, მჭრელი იარაღის ეპითეტია. აწვალან აისეთაი, ვისაც წელზე ღბავ აფთარი (ალ. ოჩ. 107, 11). *აფთივით* [დანა, ხანჯალი, ცული...] ძალიან გალესილი, ფხაჭყობილი. აფთივითა, აფთივით, ეგ რას არ გაშჭრის? – ალ. ჭინჭ.

ა-ფთ-ი „იარაღი“ < ეტ. „საჭრელი“. ს.-ქართვ. *ფეთ- || *ფით- „ჭრა, კრეჭა“ (ჩუხუა 2000-2003).

აფშარა:

დიალექტ. I. აფშარა სულგუნის ყალიბი (ლეჩხ., ქართ. დიალექტ., 674). შდრ. აფშირჰა [აფხაზ.] ხის ჭურჭელი მაწვნის ჩასაყენებლად (ი. ყიფშ.).

დიალექტ. II. აფშარა ავშარა, ცხენის ლაგამის მაგვარია, მხოლოდ პირში ამოსადები რკინა არა აქვს (გურ. ჟღ.). || ავშარა ქორაკი; ავშრიკი, სილავშარა, ჭიმი – საბა. || სპარს. [აფსარ აღვირი] ულაგმო აღვირი (დ. ჩუბ.). აფშარა შეკაზმული ცხენის სატუჩე ღვედი ზან. (მეგრ. ელ.).

არაბულიდან ნასესხები სიტყვა ავშარა სხვადასხვა ფონეტიკური სახით, მაგ. ავშარა / ამშარა / აფშარა გვხვდება მთიულურ, ქიზიყურ, კახურ, ქართლურ, ჯავახურ, რაჭულ, ლეჩხუმურ, გურულ დიალექტებში... დაწვრილებით იხ. (ბუკია 2006: 151).

საშ. ქართ. III. აფშარა [სპარს. აბშურა] შარბათი, სიროფი (ქანან. 477).

აღ-ი:

საშ. ქართ. I. აღი (ZAa.) მარილოვანივით ZAB. მარილიანივით – საბა. აღჟი მარილი. შდრ. [სომხ. აღ] (ქანან. 477).

საშ. ქართ. II. აღი B, [ჰღი] ორსული პირუტყვი ZAB. (ოთხფ.) ორსული ცხო(ვ)ელი Cbq. (ოთხფ.) DE. – საბა.

დიალექტ. III. აღი (ხევს.) ბრინჯაოს ყალიბი, რომლის მეშვეობით ჩამოისხმებოდა და ფორმაში მოექცეოდა სხვადასხვა საოქრომჭედლო ნახელავი. ზოგჯერ აღის მეშვეობით ორნამენტი მზადდებოდა ცივი კვერვის მეთოდითაც (მატ. ეთნ.). იხ. I. აღე.

დიალექტ. IV. აღი „მუზიკა“, უკანა ნაოჭიანი ადგილი. შარვალს *აღი* აქ (აჭარ. მრეწ. III, I, 260).

დიალექტ. V. აღ [აზერ.] მიტკალი, ნარმა *აღი* ფერ დეედო (მიტკლის ფერი დაედო) (ინგ. ღამბ.). *აღს* (ნარმას) ღებავდნენ (საინგ. მრეწ. II, II, 65).

აღე:

დიალექტ. I. აღე სახე; ორეული; ასლი; თარგი. სხვას უყურებს, იმის *აღეზე* აკეთებს, თაოდ ვერ მიხვდება, ვერ იზამს (ნ. ბალ., ხევს. ჭინჭ.). აქვე: აღით, ერთის აღით, რაის აღისარ, სააღე, უსერდაღო.

დიალექტ. II. აღე სქემა, ნასახი, მაგ. ბავშვი რომ მოსწყდება უკვე გამოსახული. „გამჭდარი იყო ისე, *აღე-ღა* დამრჩალიყო“ (თუშ. შან.). აღე პატარა: შდრ. აღიუა || აღიკუა || აღინცუა || აღინცურუა (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე აღუა ჩვილი ბავშვი, ახია ჩემზე აღუასავით ვისულმოკლე (ეკ. გაბ.). აგრეთვე ქართლ. (ძიძ., კეცხ., ხუბ.). || აღუჩა პატარა ბავშვი, ადვილად მოსატყუებელი – ი. გრიშ. აღუ! ჩვილი ბავშვის პირველი წამოძახილის აღმნიშვნელი სიტყვა. ქორფა ძმა... სიამოვნების ნიშნად *აღუ-აღუს* ამბობდა (ი. გოგებ.).

აღება:

ახ. ქართ., დიალექტ. I. აღება სახელი აიღებს ზმნის მოქმედებისა. 1. რაიმე მდებარე საგნის ხელში დაჭერა (აწევით). მაგიდიდან წიგნის *აღება*. – ჯოხის ხელში *აღება*. 2. მიღება; გამორთმევა (ფულისა). ხელფასის აღება. – ჰონორარის აღება. – მოსე შეეჩვია ქრთამების *აღებას* (ე. ნინოშ.). [გოდერძი] ძველებურად აღარ უფრთხოდა ფულის აღებას (გ. ციც.). || მიღება (სესხად, იჯარით, სანახევროდ და სხვ.). სამუშაოების იჯარით

აღება. 3. მოწევა, შეგროვება, თავმოყრა (მოსავლისა). დიმიტრის აზრით, მეფის მოსპობით ისევე არ ისპობა მეფობა, როგორც ყანის *აღებით* პური (ო. ჭილ.). 4. მოშლა, მოხსნა, დანგრევა. სახლის შეკეთების დროს კიბის *აღება* დასჭირდათ. – ქუჩის გასაფართოებლად ძველი სახლების *აღება* ხდება აუცილებელი. 5. დაპყრობა, ხელში ჩაგდება (ციხე-სიმაგრისა, ქალაქისა... ძალაუფლებისა). ციხის *აღება* იერიშით არ შეიძლებოდა (ვ. ბარნ.). უკვე დრო იყო ფარცხისის *აღებისა* (კ. გამს.) – ქეგლი. ძვ. ქართ. აღება, შურის-აღება – ილ. აბულ.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II.** აღება აღებანი. ან აღების დღე ან ღამე მარხვის შემოსვლის წინა დღე – დ. ჩუბ. || რელიგ. ყველიერის მარხვის წინა დღე. *აღების* ღამე მარხვის დაწყების წინა ღამე. საწყალსა კაცსა ვინ მისცემს *აღების* ღამეს ღვინოსა? (ხალხ.). *აღების* ღამეს მე ვიყავი მშიერი და მწყურვალი (ლ. არდაზ.) – ქეგლი. აღება, აღებადღე (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე აღებღამე: ჯავახ. ზედგ., ქართლ. ლექსიკ., რაჭ. კობახ. და სხვ.

აყარ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I.** აყარი 1. «ძნეულის ან სხვენის ლატანი» (დ. ჩუბ.). 2. (ინგ.) სხვენი – ქეგლი. კედლევ დახწევნას უკან, ტალახს *აყარზე* (სხვენში) ვოყრიდით (საინგ. მრეწ. I, 129). 3. გრძელი ლარტყა სახლის რომელიმე ნაწილში კედლის გასწვრივ. „*აყარი* ხის სოლებით არის ჩასჭობილი. აყარზე გუოქცე ჴორცი ზამრის ბოლჩი გამასაყვანად, *აყარზე* შაიძლება იარაღები, ჭელსაწყოები დაალაგა“ (მოხ. ქავთ.). აყრებზე, სიგანეზე იყო გადებული საკიდლის ხე. რომელზედაც ჯაჭვის საკიდელი იყო ჩამოკიდებული (ქართლ. მტკვრ. მრეწ. I, 202). აგრეთვე ფშ. ხორნ. აყრები ყოველთვის დედაბოძების სოლებზე არ იყო გადებული (ქართლ. მტკვრ. მრეწ. I, 203). შდრ. ასაყარი, აყრული (მთ.-რაჭ. რეხვ.).

ს.-ქართვ. *ა-ყ-არ- „საყრდენი, საკიდელი ბელი; დირე“ → ქართ. ა-ყარ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II.** აყარ(ი კუბურად დაწყობილი შეშის გროვა. „ქალო, შენ კართან შეშა დგას, შენ ზურგით ნაღებ, საწყალო, შიგ სტანავ ფიჩხის კონაი, ცეცხლიმც მოგედებ, *აყარო*“. შდრ. დააყვრაი (დააყრავს) შეშის აყრად დადგმა. შეშა რო გამოვყარიდით, ნაპირზე დავაყრიდით (შეშას რომ გამოვყრიდით, ნაპირზე დავდგამდით აყრებად) (თუშ. ცოც.).

აყვირება:

ახ. ქართ., დიალექტ. **I.** აყვირება აქუხება (მცენარეულისა) – ქეგლი.

აყვირებაი (აყვირდებ) მცენარის თამამად გაზრდა. „კართობელ რო ბაან *აყვირდებ*, ბირს ვეღარ იკეთებს“ (თუშ. ცოც.). შდრ. ყვიორი (რაჭ.) «გადაჭრილი ხისგან ახალი ყლორტების ამოყრა» («დიალ.») – ქეგლი. აგრეთვე აყვერდება (ქართლ. ლექსიკ., ზ.-იმერ. ბოწ.).

ახ. ქართ. II. **აყვირება** სახელი ააყვირებს, აყვირდება ზმნათა მოქმედებისა. ყვირილის დაწყება – ქეგლი.

ამ სიტყვის ძირი ყვირ- ს.-ქართველურია. ჭან. ყურ- ყვირილი; მეგრ. ჳურ-ყმუილი; ქართ. ყვირ-. ქართული ყვირ-ფუძის ვი- უ-დაა ქცეული ჭანურსა და მეგრულში; ყ-ხოფურში და ჳ- – მეგრულში ნორმალურია. მნიშვნელობა ფუძისა ქართულში და ჭანურში არსებითად ერთი და იგივეა; მეგრულში კი – დავიწროებულია: იგი მხოლოდ გარკვეული სახის ყვირილს – „ყმუილს“ – აღნიშნავს (ჩიქობავა 1938).

აყვირებულ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **აყვირებული** კუთხ. ტანაყრილი, სწრაფად გაზრდილი (მცენარე), – აქუხებული. ნიკო და ლევანი გადავიდნენ ბიძის ეზოში და *აყვირებული* შამბნარი მოთიბეს (გ. ხორნ.). *აყვირებულ* ჭინჭარს ვეფერები (კ. კობ.). სახლი თითქმის არა ჩანდა გარშემო *აყვირებულ* შამბში (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე აყვერებული (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.). იხ. I. აყვირება.

ახ. ქართ. II. **აყვირებული** ვინც ან რაც ააყვირეს ან აყვირდა. ყვირილს უმატებს პირველი *აყვირებული* (ო. ჩხ.). ფიგურ. ან თუ ზღვა არის მშფოთარე, *აყვირებული* ზღვაზედა? (ვაჟა). როცა გულია *აყვირებული*, მე დიდ აჩრდილებს დავეწინდრები (გ. ლეონ.) – ქეგლი. აყვირებული: ა- ზმნისწინი; -ულ ნამყო დროს საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი. ძირი ყვირ- იხ. II. აყვირება.

აშარულ-ი:

საშ. ქართ. I. **აშარული** «ლერწმის კალათა» – საბა, ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. II. **აშარული** აშარის დამახასიათებელი. აშარული საქციელი – ქეგლი. აშარ-ულ-ი: ულ-სუფიქსი; აშარი [არაბ.] თავხედი – დ. ჩუბ., აშარი კაპასი, ანჩხლი (ქეგლი, ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. III. **აშარული** შარა [არაბ.-სპარს.] დიდი გზა საურმე – დ. და ნ. ჩუბ., თ. ბაგრატ. || გაჩეხილ ტყეში გაყვანილი გზა (იმერ. მასალ. II, 185) – ალ. ღლ. აშარული < შარა იგივეა, რაც გზატკეცილი – ქეგლი.

შარა < ძვ. ქართ. **შაჰრაჲ** შარა: „ნუცა ხუალ გზასა ვრცელსა შინა შაჰრასა სიტყჳთა“ [H=622 99v, 14-16] – ზ. სარჯ. შარა ფართოდ გავრცელებული სიტყვაა როგორც სამწერლო ქართულში, ისე მის დიალექტებში. აშარული: ა- ზმნისწინი; -ულ სუფიქსი.

აშიკ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **აშიკი, აშიყი, აშუღი** ტრფიალი; აშიკობა აშიყობა, აშუღობა, ტრფიალება; აშიყური სასიყვარულო – დ. ჩუბ. თუ მეთქვა *აშიკ-მაშიყთა* წადილისებრივ მკობანი (ვახტ. VI, 141, 648, 1). რა იხილა, უახლდა თვისნი

აშიკობანი (ბეს. 17, 88). || ბუ. იგივეა, რაც არშიყი. [ივანეს] დაესიზმრა, ვითომც მის ცოლს... ერთი მოხუცი *აშიკი* ეხვეოდა (ნ. ლორთქ.). მთოვარე, *აშიკთ* მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენდა (გ. ორბ.) – ქეგლი. იხ. I. აშუღი.

დიალექტ. II. აშიკი (ეშიკი) (რუს.) აქ სკა, ბუკი. ეხლა *აშიკებ* ვიცით. ერთ *აშიკში* ფუთ-ნახევარი თაფლი ამოა, თუ კარგ *აშიკს* (მთ., ქართ. დიალექტ., 57). შდრ. დეშიკ, ჰეშიკ [აზერ. დეშიქ] ყუთი.დეშიკ ქერი სავსრაის (ყუთი ქერით სავსეა) (ინგ. ღამბ.).

აშურა:

დიალექტ. I. აშურა რძისა და ფქვილის შეჭამანდი. შდრ. ჩეჩნ.: შურა („რძე"). მიცუს -ჭალას ყმაწვილები ხვრეტენ ჯალის *აშურასა* (ხევს. ჭინჭ.). აშურაცრ ქუმელნარევი დო. „პირშიგ ასხმოდენ *აშურაცს* ყელშიამც ექინძებისა" (თუშ. ხუბ.). || წვნიანი კერძია, რომელიც უნდა მომზადდეს ყველა იმ მარცვლოვანი მცენარის ნაყოფისაგან, რასაც თესავენ და საჭმელად ხმარობენ: სიმინდი, ხორბალი, ბრინჯი, ქერი, ფეტვი, ღომი, მხალი და ქინძი და ა. შ. აშურას უწინ საგანგებოდ ამზადებდნენ აშურას დღის აღსანიშნად (აჭარ. ნოღ.). || საჭმლის სახელი, წლის ერთ-ერთ თვეში აკეთებენ «აშურას». || თერმონი, საჭმლის სახელია, რომელშიაც ურევია ლობიო, ვაშლი, ბროწეული და ყურძნის წვენი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. აშურა [არაბ.] შიიტების სამგლოვიარო დღესასწაული – მ. ჭაბ.

აშუღ-ი:

საშ. ქართ. I. აშუღი იხ. I. აშიკი.

ახ. ქართ. II. აშუღი [არაბ. ašik «შეყვარებული», «მიჯნური»] მგოსანი (უპირატესად – მუსულმანურ ქვეყნებში), რომელიც საკრავზე ამღერებს საკუთარ ლექსებს. ჯამბული ყაზახების ცნობილი *აშუღი* იყო. – მარტო ბახუტოღა მღეროდა და რომელიღაც ბრუციან *აშუღს* ბაძავდა (ს. შანშ.). || გადატ. პოეტი, მგოსანი. შენ დომბრით მოხველ შოთას ზეიმზე და მიესალმე ქართველ *აშუღებს* (ი. გრიშ.). ან უსინათლო *აშუღი* თარზე ჩამოჰკრავს სიმებსა, და გამოიწვევს ბნელიდან განსვენებულთა ჩრდილებსა (ბაჩ.) – ქეგლი.

აჩმა:

დიალექტ. I. აჩმა [თურქ.] ფენოვანი ხაჭაპური. „*აჩმა* აქაც ვაკეთავთ ხამურიდან" (მ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. აჩმა [თურქ.] გამხმარი ქლიავი (შესანახად); მისგან აკეთებენ ზამთრობით ერთგვარ საჭმელს-ყაყასფას (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. III. აჩმა იარაღი. თავანის ლამფის ქენერებზე წუსვამ აჩმას და მუაჭრელეფ (აჭარ. მრეწ. I, 417). სახლის ასაშენებელი იარაღებია... *აჩმა*, პირის ამოსაღები ქოშტერე (აჭარ. მრეწ. I, 420).

აჩუა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **აჩუა** ცხენი (ბავშვის ენაზე). ვსთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა «*აჩუა*», საიდამ არის ეს სიტყვა? (ილია) – ქეგლი. ბაბუაჩემს გაუგზავნი ბებიაჩემს კარგუასა, დაულოცავს ბიძაშჩემი თავის ცხვირთეთრ *აჩუასა* (ხევს. ჭინჭ.). **აჩუა**-ი გადატ. საქმეზე მითითება, ჩიჩინი რომ სჭირდება, თვითონ რომ ვერ საზრობს და ეზარება საქმიანობა. „აჩუაი კაცია“ (მოხ. ქავთ.). || ჩუა ცხენი. ანდაზა: «თათარი სხვისა *ჩუად* თავი *ჩუად* ეძახოდაო (ქიზ. მენთ.). შდრ. აჩი, აჩუ შორისდ. ვირისა და ჯორის გასარეკი ხმა – დ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ა-ჩუ- „ცხენი; შეძახილი ცხენისადმი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: ჭუმბურიძე 1987: 48, ბუკია 2006: 113, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **აჩუა** მთავარი კოჭი შენობის სახურავისა, – თავხე, საყვავე. *აჩუაზე* ეწყობა მარწუხები (რაჭ. კობახ.).

აჭა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **აჭა** (გურ.) «ხნულში დატოვებული [დაუხნავი] ალაგი, – ხარვეზი, ხტული» (ვ. ბერ.) – ქეგლი. იხ. III. აჭე.

დიალექტ. II. **აჭა** „ჭიოტა“ (ალ. მაყ.). || მაჭაობელი „იფქლს გაერევის“. მრგვალია ნაცვერცალასავით და პატარა (ფშ., შატ., შან.). **აჭაიანი**: *აჭაიან* იფქლ იყვ, პურიც არ გამადგ, თავს ატკიებს (ხევს. ჭინჭ.). იხ. III. აჭე.

აჭე:

დიალექტ. I. **აჭე** მახის სასხლეტი (თუშ. შან., ხუბ., ცოც.). საჭე?

დიალექტ. II. **აჭე** 1. ჩირგვი, ბუჩქი (ლეჩხ. ალავ.). 2. ქვებმიყრილი ადგილი ყანაში (ლეჩხ. ჩიქ.). იხ. I. აჭა.

დიალექტ. III. **აჭე** ჭიოტა (თუშ. მაყ.). იხ. II. აჭა.

საშ. ქართ. IV. **აჭე** სომხ. (აჭე B.) აღორძ(ი)ნდების ZAB. See also: ორბილი – საბა.

ახტა:

საშ., ახ. ქართ. I. **ახტა** მამალი ცხენი (და ვირი) (საბა) – ქეგლი. || [სპარს. ახტა] გაწმენდილი ცხენი. სისხლით მინდორი გაწითლდა, იყო *ახტათი* ხვივილი (შჰნ. I, 481, 1).

დიალექტ. II. **ახტაი** [აზერ.] გასუფთავებული და გადარჩეული, კარგი ხარისხის ხორბლეული. ზოგის თქმით, ასეთივე ხარისხის ხილი, ნესვი საზამთრო და მისთ. (ინგ. ღამბ.).

ახულება:

დიალექტ. I. **ახულება** ბავშვის ხელში აყვანაა და მკერდზე მიხუტება (ფშ. ხორნ.). ხვევა, ხვევნა?

დიალექტ. II. **ახულება** ხულას, ხუხულას დადგმა (ფშ. ხორნ.). **ხულა** ბეღელი ზან. (მეგრ. ფიფ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ხარ- „მარცვლეულის (ჭირნახულის) შესანახი ნაგებობა“ < ქართ. ხარო: ზან. ხულო || ხულა < *ხარო (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე ანდრონიკაშვილი 1996.

აჯათ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **აჯათი** (ქიზ.) ოჯახში სახმარი სხვადასხვა იარაღი. სწავლულმა კაცებმა... მოიგონეს ათასნაირი სახლის *აჯათი* და იარაღები (დ. მაჩხ.) – ქეგლი. აქ *აჯათს* ვხმარობთ: დანას და მაკრატელს (ჯავახ. მრეწ. IV, I, 113). **აჯათი || ჰაჯათი** [არაბ.-თურქ.]: თოხი წაღებულია, ბარი წაღებულია: კაცო ჩემი ჰაჯათი მე არ ნა მამახმარონ? (მესხ. ფეიქრ.). || სამუშაო იარაღი. მაგ., გუთანი, ბარი, ურემი, წერაქვი და მისთ. (ქიზ. მენთ.). აჯათი [არაბ.-თურქ. hacet] საღონი – ა. შან.

დიალექტ. II. **აჯათი** მუყაითი მშრომელი. კაი *აჯათი* ბიჭები გამოუიდენ სტეფანესა (ტირძნ., ქართლ. მესხ.; ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ).

დიალექტ. III. **აჯათი** ჯანჯალი, გაუმეტებელი. ჯანჯალი კაცი რო არი, ყველაფრის გაცემა ეზარება, თავი დროზე არ იძლევა, იმას ვეტყვით, *აჯათი* (რუისი, ქართლ. მესხ.). შდრ. უჯათი ჟინიანი, ახირებული – დ. ჩუბ. უჯიათი 1. გაუგონარი, შეუსმენარი, თავნება; ჯიუტი, კერპი. 2. ასეთი ადამიანის შესაფერი (თვისება). უჯიათი ხასიათი გაქვს, არ დაგვიჯერე, – ეუბნებოდა ცქმუნა ფიცხელას (ვაჟა) – ქეგლი.

აჯლა:

დიალექტ. I. **აჯლა** ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის სადგომად გამართული ტახტი. როცა ნეფე-დედოფალი, ნათლია შედიან. *აჯლაზე, აჯლის* წინ ერბოთი სავსე ქოთანს დადგამენ (ჯავახ. მარტ., ზედგ.).

მიუხედავად ლექსიკოგრაფთა აჯი ლექსემის არაბულ წარმოშობისად მიჩნევისა, გასათვალისწინებელია ს.-ს. ორბელიანის სწორი მინიშნება ამ სიტყვის ფალაური ენიდან მომდინარეობის შესახებ, როგორც არაბიზებული ფორმა. სავარაუდოა, ამ ლექსემის ქართულში სპარსულის გზით დამკვიდრება დაახლოებით XV საუკუნიდან (იმედაძე 2014: 145). აჯი > აჯილა > აჯლა > აჯილაკი.

დიალექტ. II. **აჯლა** ბედისწერა. ი კაცი თავი *აჯლით* მოკვდა (ჯავახ. მარტ.).

არაბულსა და სპარსულ ენებში არის ლექსემა [aǧal]. მისი მნიშვნელობებია: 1. დროის მონაკვეთი; 2. საზღვარი, ვადა; 3. დასასრული (ბართაია 2010).

ბ

ბაბა:

საშ. ქართ. **I. ბაბა:** დათვის ბაბა ხე – საბა. ვაჭამოთ აყირო და თათმი, და *ბაბა* (ფანასკ. 398, 26)

საშ. ქართ. **II. ბაბა** სრვა (ფესტე B.; თაუ ZAa, ბაბა BCD, [ზერიმი] E.; მაჭ ZAaBC.) (სვრა D) (2, 20 ესაია) სენი მომსრველი ZAB. მომსრველი სენი (+ ესაია, 2, 20 Cb) CD. ავი ჟამი – საბა.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბაბა** ჩჩვილნი ესრეთ უხმობენ პურსა – დ. და ნ. ჩუბ. || პური ბავშვის ენაზე (ზოგჯერ ხუმრობით დიდებიც იტყვიან პურის სახელად). ჯარასავით ტრიალებდა, უტეხავდა შვილებს *ბაბას* (შ. მღვიმ.). შენ გინდა ჩიჩიაცა და *ბაბაც*! (ხალხ.). – მათიკო, კაკა! – მათიკო, *ბაბა!* და სულ მალე იმანაც (= კაჭკაჭმაც) დაიწყო გამეორება (რ. ინან.) – ქეგლი. || პასკასავით რაღაც საჭმელია; ბაბას აგრეთვე ბავშვები უწოდებენ პურს – ი. გრიშ. „აჰა, *ბაბა*, ჭამე შვილო“ (ჯავახ. ზედგ.). „ვინ მაგც, დედო, *ბაბა?*“ (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე: კირიონი, მთ.-რაჭ. რეხვ.

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ბაბა** (გურ. იმერ. მეგრ.) მამა (შვილი იტყვის თავის მამაზე ან თავისი მამისადმი მიმართვისას). კაციას უმცროსმა ბავშვებმა, გაიგონეს მამის ხმა თუ არა, «*ბაბაი* მოსულა ყანიდანო», დაიძახეს (ე. ნინოშ.). რავაც გინდა, *ბაბა*, თქვენი სანაცვალო ვიყო (ნ. ლორთქ.). «მე კი ვერ გამიგია, *ბაბა!*» – შენიშნა უფროსმა შვილმა [გიგომ] (უიარ.). არ ქენი, *ბაბა*, და შენ თავს დააბრალე (ო. იოს.) – ქეგლი. || (თ. baba) მამა. „მემრე *ბაბას* უთხრეს“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „*ბაბაი* იტყოდა...“ (წეთ., შავშ. ლექსიკ.). „აქვა ფქილი რომ გაციონ, ჰაიკიდი, ბაბა“ (არავეთის იაილა); „საქონელი მყავდენ წინ, *ბაბას* დროზე“ (არავეთი); „მის *ბაბასაც* უთქვიო“ (დევესქელი, ნიგ. ბერ.). || ბაბოი მამა: „[რძალი] ჩემი *ბაბოსი* ხალაშვილია“ (ბაზგ., შავშ. ლექსიკ.). **ბაბა** პაპა, ბაბუა (სვან. თოფ., ქალდ.). **ბაბა** მამა ზან. (მეგრ. ელ., კალანდ.).

თავისი აგებულებით ეს სიტყვა საბავშვო ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს და სავსებით შესაძლებელია მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ სხვადასხვა ენაში სესხების გარეშეც. თურქულიდან სესხების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ისიც, რომ აფხაზურშიც ა-აბ გვაქვს, ძირი ახლოს მდგომი ბაბა-სთან. გურულსა და ქვ.-იმერულში ხმარებული ბაბა || ბაბეი || ბაბე ზანურიდან შემენილი ჩანს (ჩიქობავა 1938). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. **V. ბაბა** ტახტის ზევით მიკრული ფიცრის პატარა თარო (მესხ.-ჯავახ. ლეონ.). შდრ. II. ბაბლი.

ბაბილო:

მვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაბილო** 1. რქა ვაზთა ან სხვათა ნერგთა, ნორჩი, შიმალი; კრიკინა, რძღვამლი, უსურვაზი, მორცხულა – დ. ჩუბ. „ყვნა წიდნენი და განართხნა ბაბილონი თჳსნი“ (ეზეკ. 17, 6); „დაფარნა მთანი გრილმან მისმან და *ბაბილოთა* მისთა – ნაძუნი ღმრთისანი“ (ფსალმ. 79, 11) – ილ. აბულ. ვიმცვრივე ჭალას *ბაბილო* ნაქაჯი, დანაჭაჭარი (დ. გურამ. 58, 2, 2). „შევედ სამოთხესა და ჰპოვო ნაძჳსა ქუეშე მცირე ბაბილო სურნელი“ (ქ. ცხ. IV, 80, 5). ზოგ ადგილს ტყის ვენახს (= ვაზს) *ბაბილოსაც* ეძახიან (შ. არაგვ.). 2. მაღლარი ვაზი. აღმოსავლეთ საქართველოში არც მაღლარი ვაზი – *ბაბილო* იყო სრულიად უცხო (ა. ლეკ.) – ქეგლი. 3. ვაზის ფოთოლი. *ბაბილოში* გახვეული ტოლმა ნამეტარი კაი საჭმელია (რაცხ. გურ.).

მაღალი ვაზის აღმნიშვნელ ბაბილო და დობილო ტერმინებში, გამოყოფილია საერთო ბილ-ძირი, ხოლო ბა-და დო- თავსართისეულ ელემენტებად არის მიჩნეული (ჩიქობავა 1954). იხ. აგრეთვე: ჯავახიშვილი 1986: 322, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. **II. ბაბილო** ადრეული გაზაფხულის ყვავილი, საწრიპინა. „თაზე ამოსულო *ბაბილო*, ყაიმაღზე იმფო ტკიბილო, მოქჭამე თეთრი ღაბაბი, ლამაზი ყურის *ბიბილო*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ბიბილა, ბილილა. ბიბილა ყვავილი (მინდვრისა). დახე, რა ეშხით, რა სიყვარულით მინდვრის ბიბილას ის (= ვარდი) ჩახვევია (ი. ევდ.) – ქეგლი.

დიალექტ. **III. ბაბილო** ვარყის მსგავსი სოკო. ბაბილო სოკო არყას გავს, მაგრამ მეტი იზდება (პერევი); *ბაბილო* გემრიელი სოკოა (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ბაბლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაბლი** (კახ. ქართლ.) 1. საბანზე შეკერილი სამკუთხა სახე. || საბნის თავსა და ბოლოში მოკერებული ნაჭრები (სხვა ქსოვილისა). || სამკუთხა ნაჭრები, რომლებისაგანაც იკერება საბანი (ე. წ. ნაჭრების საბანი). ბაბლის საბანი – ქეგლი. || საბნის ქვედა პირის გადმონაკეცი გულის გარშემო. *ბაბლები* აქონდა საბანსა; საბან რო შავკერამდით, ფეხი ჩითი დიდი უნდა ეგვეღო გულზედა, იმაი ზეიდან გულზე გადმოუფენდნენ და ვეტყოდით *ბაბლუფსა* (წილკ.). ეგ რამოტელა *ბაბლები* მოუიდა მაგ საბანსა, გული კი აღარ უჩამს კარქათა (იგ., კარალ., გარიყ., ზ. ხანდ., საგურ.). 2. მუთაქის პირის თავები (სხვა ქსოვილისა). თუ კარქი ნაჭერია მუთაქის პირი, ბაბლებსაც კარქს წააკერებენ, თუ უბრალოა, მაშინ *ბაბლებსაც* უბრალოს უკეთებენ (ხანდ.). 3. ტანისამოსის განაკერში ჩაყენებული პატარა ნაჭერი, ხიშტაკი. შარვლი უბეს რო აქ ჩაგდებული, ისიც *ბაბლებია* (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). || **ბაბლი, ბაბლები** ნაქარგის ერთ-ერთი სახეა: სამკუთხედად ნაქარგი (ქიზ. მენთ.). || **ბაბლები** მუთაქის ნაოჭასხმული სათავეები. მუთა-

ქის პირის ნაოჭიანი ბოლოები – ი. გრიშ. შდრ. **ბიბილოები** (ჩვეულებრივ მრავლ. იხმარება) გადატ. კაბის ბოლოს მოვლებული ნაოჭიანი არშია, წვრილნაკეცი (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II. ბაბლი** დიდი ტახტი, გამართული სახლის ორ კედელს შორის. *ბაბლ* ტახტ ეტყოდენ ხომე წინათ, დიდი ტახტი იყო, კიდეც იწვნენ ზედა, კიდეც სუფრასაც გაშლიდენ, სტოლი ხო არ იყო წინათი (სამწ., ქართლ. ლექს.). შესაძლებელია, ფონეტიკური ცვლილებების შედეგია ბაბლი < მებელი „სახლის მორთულობა, საფენი“ – დ. ჩუბ. შდრ. თურქ. [mobl] „ავეჯი“.

ბაბღან-ი:

საშ. ქართ. **I. ბაბღანი** (ფრინ.) ფრინველია მოწყენილი, წყლის უსმელი, რომელსა თურქნი ბუთიმარს უჴმობენ – (საბა, დ. ჩუბ., რ. ერისთ). || დიყაბი, „ყანჩა“: *ბაბღანი* აქ არ არისო, და არცა თქუენი ბრძანება მისვლიაო (ქილ. 887, 10).

ბაბღან [თურქ. ფაფაღან] თუთიყუში (მიქიაშვილი 2012).

საშ. ქართ. **II. ბაბღანი** დათვის ტყავი – დ. ჩუბ.

ბაგა:

მვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაგა** 1. ბოსელი ან გომი: „არა ა(ღ)ჰჴსნისა ჴარი ანუ ვირი *ბაგათაგან“?* (ლ. 13, 15). „ხლდებოდეს დიაკეულნი *ბაგათა* მათთა ზედა“ (იოვ. 1, 16); „დაბნები (ყვნა) *ბაგად* ყოვლისათჳს საცხოვარისა და ბაკები – სამწყსოთა“ (II ნშტ. 32, 28); „სადა არა არიან ჴარნი მუნ *ბაგანი* წმიდა არიან“ (იგ. სოლ. 14, 4) – ილ. აბულ. 2. პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი (საბა). ხარმა ხარს ამოუტია და *ბაგაზე* მიაგდოო (ანდაზა). გიგოლას საწოლის შორიახლოს, *ბაგაზე* აბია... ხარი ნიკორა (ვაჟა). იმ ხანში ელბერდმა დაიჭირა თავისი „ლურჯა“, გაუფშვნიტა ქორებრივი თვალები, გადაუსვა გავაზე ხელი და მიაბა *ბაგაზე* (ა. ყაზბ.) – ქეგლი. აგრეთვე: აჭარ. ნიჟ., ფშ. ხორნ., ქიზ. მენთ., იმერ. გაჩ., გურ. ჟღ., ზ.-იმერ. ძოწ., ხევს. ალ. ჭინჭ., მოხ. ქავთ., თუშ. მრეწ. I, 144, მრეწ. IV, III: ქიზ. 82; ზ.-ქართლ. 97; ქართლ. მტკვრ. სამხრ. 109., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. **ბაგა** ზან. (მეგრ. ქობ.). **ბაგ** პირუტყვის სადგომად გამოყოფილი ადგილი ბოსელში, თავლაში ან ძველ სვანურ სახლში; ბაგა მსხვილფეხა საქონლისათვის საკვების ჩასაყრელი (სვან. თოფ., ქალდ.). 3. წისქვილის ზედა ქვის გარშემო ხის ან რკინის რკალი, რომ ფქვილი არ გაიბნეს. გუნდის გაკეთებისათვის საჭირო ფქვილი თონესთან მიაქვთ საფქვილეთი, საფქვილე ხისაა, აქვს ტარი და ნიჩფის მსგავსი პირი. ნიჩაფს გავს, მაგრა აქათ-იქიდან ამას *ბაგა* აქ. ნიჩაფი სწორი არი, ამი ტარი მოკაუჭებულია ბოლოში ჩამოსაკიდებლათ (კახ., მარტ., იმნ.). 4. კიდობანი. ხის დიდი ჭურჭელი მარცვლეულისა და დაფქულის შესანახად (თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს. -ქართვ *ბაგ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). იხ. აგრეთვე ჯავახიშვილი 1986: 327.

საშ., ახ. ქართ. **II. ბაგა** მოკლე დასახელება სახელწოდების საბავშვო ბაგა – აღმზრდელობითი დაწესებულება, სადაც 3 წლამდე ასაკის ბავშვები იმყოფებიან დღისით – ქეგლი. ბაგა-ბაღი საბავშვო ბაგა და ბაღი ერთად. შვილივით მიყუარდი და გექცეოდი, ოქროისა *ბაგა* შეგიქმენ (ვისრ. 242, 23). აგრეთვე მზრდელი ყოველთა ვსცანთ გასაზრდელი *ბაგითა* (დ. გურამ. 73, 80, 4). „ბავშვთა *ბაგ.ვ* შენ იქნები ჩვენი ჩაის მშველელი“ (გურ. ფოლკ. ღლ., 40).

ბაგა საბავშვო დაწესებულება არ არის განვითარებული ქართულ ნიადაგზე, სხვა ენების გავლენით არის გაჩენილი (შდრ. რუს. ясли, ფრანგული crède, გერმანული Kpippe). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კალკთან, მნიშვნელობის სესხებასთან (ფოჩხუა 1974: 92).

საშ. ქართ., დიალექტ. **III. ბაგა** „ახალი ვენახი“ (საბა, დ. ჩუბ.). ძირი ვენახთა შრტოზედ რტოდ, ვით ახალ-მორჩი *ბაგითა* (დ. გურამ. 73, 80, 3). ერთი ვენახი და პატარა *ბაგა* არის ხუთიოდე დღის მიწა (სამ. VIII, 108, 4). ზაქარია მოურავის შვილი *ბაგას* მეცილებოდა (სამ. VII, ქვ. 7). ეს ალაგი ზაქარია დიაკვანს მიემატ[ებინ]ა თავის[ი] *ბაგისთვის* და ამნაირად სამკუნჭულიანი უშნო ვენახისათვის გამოება მეოთხე კუნჭულიც (ნ. ლომ.). ერთხელ რომ გაჩეხეს [ვენახი], გლეხებმა ახალი *ბაგა* ჩაყარეს (ე. მაღრ.) – ქეგლი. || ახალჩაყრილი ვენახი. გარდა ამისა, გარეკახეთის ზოგიერთ სოფელში (მარტყოფში, ნორიოში...) „ბაგას“ უფრო ფერდობზე მოვაკებული და შემოღობილი ადგილის მნიშვნელობით ხმარობენ. „ალიქედზე (ადგილის სახელია) ერთი პატრა *ბაგა* გავაკეთე და არ ვიცი, ხეხილი ჩავყარო თუ ვენახი“ (გ.-კახ. სახლთხ.). ჩავყრიდი ვაზსა მწვანეს, შარსა და შარსა გავაკეთებდით... და იმას *ბაგას* ეძახდენ (ზ.-ქართლ. IV, III, 99). ახლად რომ ჩავყრიდით ცარიელა მიწაში ვაზსა, იმას *ბაგას* ვეტყოდი (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 97). **გლეხური ბაგა** „ლერწს ჩავასობდით მიწაში და გარავკაკავდით მერე, ფეხს მოუცვლიდით ამ ვენახს და გაახალშენდებოდა, შეიბავდა, გაკეთდებოდა, *გლეხურ ბაგას* უძახოდით, შავები ქონდა“ (ცუცხვათი, ოკრიბ. ძოწ.).

საშ. ქართ. **IV. ბაგა** ბაქანი – დ. ჩუბ.

ბაგბაგ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაგბაგი** (ფშ.) ბაბანი. იძახოდა კბილების კაწკაწით და ყბების *ბაგბაგით* [როსტომელა] (ვაჟა). დასველდა, გაილუსკა, გაიყინა და დააწყებინა *ბაგბაგი* მამალსა (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე ფშ. ხორნ.

დიალექტ. **II. ბაგბაგი** არასასიამოვნო ხმით, უხეშად და უჭკუოდ ლაპარაკი. „უხეირო *ბაგბაგი* რა მოსასმენია“. „იმ ქალის *ბაგბაგმა* ყველა შეაწუხა“ (რაჭ. რეხვ.). შდრ. დაგდაგი ხმაბავდ. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყრუ ძლიერი ხმაური – ქეგლი.

ბაგვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაგვი** 1. მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ (იციან რაჭაში, იმერეთში). 2. ნაბდის თბილი, ყელიანი ფეხსაცმელი – ქეგლი.

ს.-ქართვ. *ბაგუ – „მატყლის თბილი ფეხსაცმელი (წინდა)" → ქართ. ბაგვ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ბაგვი** ბალახ. ძიგვა, ქისრიბა (ლეჩხ. ალ. მაყ.). ბაგვი < ბოგვი ჩაქვის ბალახი (იმერ. ალ. მაყ.).

ბავლი:

საშ., ახ. ქართ. **I. ბავლი** დასაგეშავი ქორ-შევარდნის მიერ პირველად დაჭერილი ფრინველი (საბა). || ქორის პირველი დაჭერილი მფრინველი – დ. ჩუბ. მახარა და ბაზიერთუხუცესი ჟღარუნა მიმინოების საგაზაფხულო *ბავლით* იყვნენ გართულნი (კ. გამს.) – ქეგლი.

ლ. რუხაძის აზრით, ეს სიტყვა შემოსულია ოსმალურიდან (შდრ. ზმნა bavlimak „ძაღლისა და სანადირო ფრინველისა გაწვრთნა" (რუხაძე, მაცნე (ელს) №4, 1990: 121) – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. ბავლი** [თურქ. ბავულ] ჩემოდანი. „სამი თანე *ბავლი* მეიტანა ეშჷაით ამსილი" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ბაზალა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაზალა** ერთგვარი თოფია. იარაღის სახელები: თოფი: ხირიმი (საუკეთესო თოფი), შაშხანა, სიათა, ქოფაჩი, ერეჯიბი, *ბაზალა*, ხარა... (ვაჟა). || ხანჯალი. (გოგას) ხმალი ჰქონდა ხოროსნისა, ხანჯალი – *ბაზალა*... (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე: ფშ. ქეშიკ., თუშ. უთურგ. *ბაზალაყ* თოფის სახეობა . ლეკიწ მყავს მოკლული. დეს *ბაზალაყ* იყმისეულ მაქვის (თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბაზალ-კაჟი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ბაზალაი || ბაზმალა** პატარა თიხის ლამპა, ფითილად შეგრეხილ კარკატანს ხმარობდნენ, საწვავად შავ ნავთ-ს ასხამდნენ. აანთებდნენ მხოლოდ პირსაღმოზე. ვახშამზე, მერე აქრობდნენ (ინგ. როსტ.).

ბაზმა სომხური բապմակ „ჭრაქი, შანდალი" თავის მხრივ უკავშირდება ამავე მნიშვნელობის [ირან.]ბაზმაკ სიტყვას (აჭარიანი 1971: 375). სიტყვები ბაზმა || ბაზმაკი განვითარების ასეთ სურათს უჩვენებს: სანთელი, სასანთლე, სასანთლე ჭურჭელი, გარკვეული რიტუალური ქცევა... სინათლის აღნიშვნის მნიშვნელობა ამ სიტყვამ კვლავ შეინარჩუნა, ოღონდ არა უშუალოდ განათების მიზნით (კაკიტაძე 2005: 103).

ბაზო:

დიალექტ. **I. ბაზო** ჩარჩოებით შეკრული კარის გული (იმერ. გაჩ., რაჭ., ვ. ბერ.). **ბაზო** ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ბაზო** სამწვანილე კვლებს შუა დარჩენილი ცარიელი ადგილი; ბოსტანში კვლებს შორის შემაღლებული ზურგი, ამაღლებული ნაპირი (ქართ. რაზიკ., ჭყ.). || ჩაწეული ადგილი კვლებს შორის. კვლები აბექებულია, კვლებს შუა *ბაზოებია*, ჩაბლობია, რო წყალმა კარქა გაიაროს (კავთ.). *ბაზოებში* ჩაურიგე კომბოჟტოი, რო წყალი მიუდგეჱ (კავთ., ქართლ. მესხ.). აგრეთვე: ქართლ. გაჩ., ალგ. სალ., მრეწ. IV, III: ზ.-ქართ. 28., ქვ.-იმერ. 50; ბაზუჱ (ინგ. როსტ.).

ს.-ქართვ. ძირია *ბაზო „შემაღლებული ადგილი“ (ჩუხუა 2017).

ბათალ-ი:

დიალექტ. **I. ბათალი** 1. [არაბ.] **ბათალი ადგილი:** აოხრებული, გატიალებული (ადგილი). „ამ *ბათალ* ადგილზე ვის გუშგონია დამოსახლება!“ (აჭარ. ნიჟ.). აქვე: **გაბათლება** გავერანება, აოხრება. **გაბათლებული** აოხრებული, გავერანებული. „ახლა რომ გამარნალებულია, ასე კი არ იყო უწინ, აგერ ახლა ეს ადგილები სულ *გაბათლებული* იყო“ (აჭარ. ნიჟ.). 2. [არაბ.] გამოუსადეგარი, გაუქმებული. „ერთი *ბათალი* დანა უნახავს ჰაცხა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

არაბულ-სპარსულად ბათილის bāṭil || bâtel] მნიშვნელობებია: 1. ცარიელი, უსარგებლო, ამაო; 2. ცრუ, არასწორი; 3. უმოქმედო, კანონიერად ძალადაკარგული (დოკუმენტი); გაუქმებული, ანულირებული (კანონი). ვინაიდან არაბული ტ სპარსულში გადადის თ თანხმოვნად, ეს სიტყვა სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული ქართულში (ბართაია 2010).

საშ. ქართ. **II. ბათალი, ბაითალი, ბეითალი** ცხენის ექიმი – დ. ჩუბ. იხ. I. ბაითალი.

ბაითალ-ი:

საშ. ქართ. **I. ბაითალი** ცხენის ექიმი – დ. ჩუბ. ბაითალი [თურქ. ბაითარ ვეტერინარი] ძვ. იგივეა, რაც ვეტერინარი (მიქიაშვილი 2012).

შდრ. **ბეითალი** მოძვ. საქონლის ექიმი, – ექიმი-ვეტერინარი. მე ხომ არც მჭედელი ვიყავ და არც ბეითალი? («მელის წიგნი»). ჟბანოვის პირადი ნაცნობი ბეითალი გამომდგარა (ნ. ლორთქ.). მამია ბეითალი იყო (გ. გეგეშ.). ექიმები, ექიმები... ნეტავი იცოდნენ რამე! ბეელ ბეითლებზე უარესნი არიან (გ. ციც.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ბაითალი** ოხერ-ტიალი (საწყევარი სიტყვაა), ვერანი (მოხ. ყაზბ. I, ძიძიგ., 497). შდრ. ბეითალმალი [არაბ.] ოხრად, უპატრონოდ დარჩენილი მამული, ნამკვდრევი (დ. ჩუბ.). პაატას ჯელი აღარ ექნება, ბეითალმალია და ბატონისა იქნება (სამ. IV, 513). ბაითალმანი ფშ., გუდ., მთ., მოხ. ოჯერ-ტიალი, უპატრონო (საწყევარი სიტყვაა). „ო, დედო, შე *ბაითალმანო*“ (ფურს ეტყვიან) (არაბ. ბაით ალ-მაl სახელმწიფო ხაზინა) – ა. შან. აგრეთვე ბალთამანი (ქიზ. მენთ.).

ბაინდურა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბაინდურა** (გურ.) უხეირო შესახედაობის; უხეიროდ მოსიარულე კაცი (გ. შარშ.) – ქეგლი. „საწყალი, დიდი *ბაინდურა* კაცი იყო“ (იმერ. გაჩ.). რა *ბაინდურა* რამ არი ე დედაკაცი, ათჯერ უთხარ, ცული გამამიტა-მეთქი და აბა! მაგი ყურეფში არ შადიდ (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ი. გრიშ. || **ბანდურიე** ადამიანი, რომელსაც ტანსაცმელი უშნოდ, უსწორმასწოროდ აცვია. – მაი ქალი მიზღემჩი *მობანდურებული* იარება (რაცხ. გურ.). || **ბადუნა** უშნოდ თავშეხვეული. ეს ნამდვილი *ბადუნა*, შაიბორბლამს თავსა და დადის მობლარდნილი (კავთ., ქართლ. მესხ.). შდრ. III. **ბანდურაყჲ**.

დიალექტ. II. **ბაინდურა** მთის ბრტყელფოთლებიანი ბალახია ერთგვარი (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.) – ალ. ღლ.

ბაირ-ი:

დიალექტ. I. **ბაირი** [თურქ.] ბორცვი, დამრეცი ადგილი. „ბახჩაყაიას *ბაირი* დერებია“ (ინ.); „აქევრობა *ბაირია*“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ბაირი** [არაბ.] ყამირი, აუთვისებელი. „იქით სულ *ბაირი* დერებია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III. **ბაირი** [თურქ.] მოხუცი, ძველი. „*ბაირი* სახლები ბევრია ბახჩაყაიას“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ბაკაკებ-ი:

დიალექტ. I. **ბაკაკები** ბავშვის ენაზე: ყელმაღალი ფეხსაცმელები. „ნახე, მამამ რა ლამაზი *ბაკაკები* გიყიდა!“ (მოხ. ქავთ.). შდრ. ბაკუკ'ებ'-ი ორკაპიანი ჯოხი, რომელზედაც შედგებიან ბავშვები და დადიან ლაფში ან თოვლში (სინ. ოჩოფეხები). [ბიჭებს] მოჰყავთ ტყვეები. მოათრევენ ნადავლს. ციგებს, *ბაკუკებს* (რ. ინან.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ბაკაკებ-ი**, **ბაკიკია-ი** ცხვარი (ცხვრები) ბავშვის ენაზე (მოხ. ქავთ.). შდრ. ბეკეკა – ქეგლი.

ბაკალ-ი:

დიალექტ. I. **ბაკალი** საპყარი, იტყვიან ზარმაც, უქნარა ადამიანზეც. „*ბაკალის* ერთია ზღურბლთან რო იჯდეს, ბუხართან ვერ მივა“. „ეგ ისეთი *ბაკალია*, რო ვერაფერს გააკეთამს“ (ჯავახ. ზედგ.).

საშ. ქართ. II. **ბაკალი** სირჩა ბროლისა, დოსტაქანი – დ. ჩუბ. ბაკალი < ბოკალი [ფრან. bocal] ღვინის სასმისი, ფეხიანი (ჩვეულებისამებრ – ბროლისა) – ქეგლი.

ბალა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბალა** [არაბ.] უბედურობა – დ. ჩუბ. || საუბ. უბედურება, ჭირი, ვაგლახი (შდრ. ხათაბალა). ამისთანა *ბალა* იქნება?! (გ. ერისთ.) – ქეგლი. „აი, ხათა, აი, *ბალა* (რ. ერისთ). „ვაჰ თუ კიდევ

ბალაში გავეხვიო"! (მელან.) – ი. გრიშ. აღარ ინდობთ ერთმანეთსა, ის კი უფრო *ბალაიო* (ეთნ. სწორფ. 242) – ალ. ჭინჭ. იხ. ბალაჰა. ათათაჰაე, *ბალაჰაე*, გადიდებულხარ ვაშკაცაიო (ხევს. თავისებ. 427, 4). გადაიფიქიროვს: ჰოგო თავ *ბალაში* ჩრიგდი (ინგ. ღამბ., როსტ.). შდრ. ბელა განსაცდელი გასაჭირი უბედური შემთხვევა. „გადააგდე აი ვოქროს ფთა, თვარა ბელას გადეყრებიო" (გურ. ჯაჯან.). ბალახათა შარი, დავა, დავიდარაბა (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. **II. ბალაი** შვილი, შვილიკო. აი *ბალა*, რაი გინდა? (ინგ. როსტ.).

დიალექტ. **III. ბალა, ბალია** კოჭლი. „*ბალაი* ან *ბალიაი იმაი* ვეძახით, ვისაც ერთი ფეხი ოდნავ მოკლე აქ მეორეზე. ეგეთი კი ორივე გვყვანდა სოფელში" (გ.-კახ. სახლთხ.).

ახ. ქართ. **IV. ბალა** მოხეტიალე აშუღი. ბალა სახელი იყო ტფილისელ ცნობილ თარის დამკვრელისა (1888-1935 წწ.); აქვე ბალაბალა სიმღერის დროს სახმარებელი სიტყვა (ი. გრიშ.).

ქართული ბალა და არაბულ-სპარსული [balâ'] ერთი და იგივე ლექსემებია. შეძენილი ახალი შინაარსით – „მოხეტიალე აშუღი" – ბალა-ს სემანტიკური ველი ქართულში გაფართოებულა (ბართაია 2010).

დიალექტ **V. ბალა** [სპარს. Bālā] მაღლა, ზევით. მე ამის ბალაზე ეს საქმე ჭქენ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ბალადურ-ი:

საშ. ქართ. **I. ბალადური** [სპარს.] მცენ. – დ. ჩუბ. **ბალადური** Anacardium, „შავი კურკა არის ქათმის გულის ოდენი, წაბლს ჰგავ", – აკაკუ. *ბალადური* მეტი არს სიმჭურვალესა შინა და სიჴმელესა, და ერგების დავიწყებასა (ფანასკ. 415, 23).

ახ. ქართ. **II. ბალადური** ბალადისთვის დამახასიათებელი, შესაფერი. გადანაცვლებულია *ბალადური* ხილვა სამყაროსი (ლ. ავალ.). [დადგა ერა] ბიბლიურის *ბალადურად* გაწყობილი ნოველებისა (გ. მაჭუტ. თარგმ.) – ქეგლი. ბალადური < ბალადა [ფრან. ballage საცეკვაო (სიმღერა) < ლათ. ballo ვცეკვავ] ზღაპრული, ლეგენდური ან ისტორიული შინაარსის მცირე ზომის სიუჟეტური ლექსი – ქეგლი. ურ- სუფიქსი.

ბალან-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბალანი** 1. ბეწვი, მატყლი: „დამიტევა ხალენი მისი და *ბალნის* ჩოჯაი... და მე შევიმოსე ესე ყოველი" (მ. ცხ. 336v) – ილ. აბულ. დათვსაც ასხია *ბალანი*, აბა ის რისა მქნელია! (ხალხ.). ირემმა გამოიძრო *ბალანი*, მისცა ყმაწვილსა (ზღაპ.). 2. გადატ. ადამიანის თმა საზოგადოდ. მგონი, თავზე იმოდენი *ბალანიც* არ მქონდეს (ილია). ზოგს ძლივ აშლოდა წვერ-ულვაში და ლოყები პირველ *ბალანს* შეემოსა (ა. ყაზბ.). ◊ **ბალანი აეშლება, ბალანს აუშლის** შიშის (ან გაბრაზების) გამო ბალანი ყალყზე დაუდგება – რა მნახეს, მათი შიშითა მეც *ამეშალა ბალანი* (დ. გურამ.) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ.

ს.-ქართვ. *ბალ-* „თმა, ბეწვი“ > ქართ. ბალ-ან-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ბალანი**: **ბალან- კურტანი**: ათი ვირი გავზარდე, ამა ჩემი *ბალან- კურტანი* არ მშორდება (მესხ. ფეიქრ.). შდრ. პალანი [სპარს. ფალან] ძვ. ვირის ან აქლემის კურტანი – ქეგლი.

ბალარჯ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბალარჯი** ძვ. «ცომის საფუარი» (საბა). || ცუდად გამომცხვარი პური (ქერისა). *ყურშას ვინ ჰკადრა ქერის ბალარჯი?!* (ხალხ.). სიცოცხლე გამწარდა და დატკბა... *ბალარჯი* პური და ცივი მჭადი (ა. გალდ.) – ქეგლი. || [სომხ.] ხმიადი ცუდად გამომცხვარი პური (ან ცომი იქნება, ან გაუფუარი და სხვ.). „ქისტებიც ბალარჯის იტყვიან“ (ფშ. შან.). „ყვეს... დღესასწაული იგი ჯალარჯობისაჲ შჳდ დღე“ (I ეზრა 1, 19); „განმზადეს ზატიკი იგი ბალარჯობისაჲ (უცომოებისაჲ O) (I ეზრა 1, 10) – იღ. აბულ.

ბალარჯობა ებრაელთა დღესასწაული, რომელიც ადრე იმართებოდა გაზაფხულზე (ნისანისთვის 15-21-ში) მოსავლიანობის და ყოველწლიური განახლების პატივსაცემად, ღვთისადმი უფუვარი პურის შეწირვით, შემდგომ ეს დღესასწაული დაუკავშირდა ეგვიპტელთა უღლისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად დაწესებულ პასექს, როგორც მოგონება იმ დროზე, როცა ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები სიჩქარის გამო იძულებული იყვნენ საგზლად უფუვარი პური წაეღოთ (დანელია 1987: 404).

დიალექტ. II. **ბალარჯი** 1. „მცონარა, ბევრისმჭამელი, უქნარა ადამიანი“ (გ. ლიქოკ.) – ალ. ჭინჭ; 2. უსუფთაო (ხევს. შან.).

დიალექტ. III. **ბალარჯ-**: **იბალარჯებს** იუცხოვებს, იუკადრისებს. „ნურას იბალარჯებ, შენაც ჩვენის, აი ემ ბატონის ყმაი ხარ, გიგოო!“ (ვაჟა, ალ. ჭინჭ.).

ბალბაწუა:

დიალექტ. I. **ბალბაწუაი** მცენარეა, ბალბას ჰგავს. „გამიგვიანდა კატოხაიას დაბარვა: *ბალბაწუაია* გამედგრებული“ (მოხ. ღუდ.).

დიალექტ. II. **ბალბაწუაი** – ბალიან თხელი, დაცრეცილი ქსოვილი. „ველარაით მოვასამსნე ერთმანერთსა, მეტისმეტად *ბალბაწუაი* ქსოვილია“ (მოხ. ღუდ.). *„ბალბაწუაი* კაბაა, ეგ რასღა დაგათბობს“ (მოხ. ქავთ.). || ბაბლაწო, ბალბაწო თხელი, სუსტი, გაცრეცილი (ქსოვილი...). თითო წვერი რუ იღო გორგლი ძაფისაი, ხელით გაწყდება, ეგეთი ბალბაწოა (წილკ.). ჩამოუკიდნია ფარდებათა ბაბლაწო მარლები და ყველაფერი ჩანს (მერ., ქართლ. ლექს.). აგრეთვე: ინგ. როსტ., საინგ. მრეწ. II, II, 65.

ბალდახ-ი:

დიალექტ. I. **ბალდახი** ჯორჯში იგივეა, რაც ვალდახი. ვალდახი (მთ. მოხ.) ალდახი, ვალდახი (გუდ.) ბალახის თოკი, რომლითაც თივასა ჰკვრენ (ა. შან.).

დიალექტ. II. **ბალდახი** 1. ზანტი „უფხო“, უფოლადო ადამიანი, ამავე დროს ზოგჯერ თავმომწონე და მკვეხარა; 2. უჭმელობისაგან მუცელჩავარდნილი, ძალიან დამშეული, ბეხრეკი (პირუტყვი). „დეიკარქოს მაი *ბალდახი!*“ (აჭარ. ნიჟ.).

ბალდუმ-ი:

დიალექტ. I. **ბალდუმი** კურტნის დასამაგრებელი ტყავი, ძუის ქვეშამოდებული (იმერ., ლეჩხ., გურ. ჭყ., ჟღ.). || უნაგირის ან საპალნე კეხის საძუე. აკეთებენ ფართო და გამძლე ტყავისაგან ან ქსოვილისაგან (ლ. ლეონ.; ს. ჟღ.) – ალ. ღლ. შდრ. პალტუმი საბელი, რომლითაც თივას კონტზე აკრავენ (მთ. კაიშ.). **ბალდუმ** 1. საძუე. მოკლე პალტო, ჯუბის მაგვარი ტანსაცმელი. 2. დაბებკილი (დაკერებული) ტანსაცმელი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. **ბალდუმბრ** მოუქნელი, დონდლო. „რად ასთაც ბალდუმ ბალდღრ, ვერწ გაჭენდებ“- რად არის ასეთი დონდლო ბავშვი, ვერ გაიქცევა (თუშ. ცოც.).

ბალთა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბალთა** 1. ფართო აბზინდა შესაკრავი ქამრისა, ხრმლისა და სხვ. – დ. ჩუბ. || უენო აბზინდა. საფლავებში იპოვნეს ბევრი ვერცხლისა და რკინის ღილები და *ბალთები* (ილია) – ქეგლი. || **ბალთა[ნი]** ლითონის (ვერცხლის, თითბრის... სამკაული. იბამენ ქამარზე, სამხარიღლიეზე და მისთ. შენ დაგცდეს ღვედის იარაღნიო, იმას *ბალთანი*, აშურმანიო (ეთნ. III, 5, 26) – ა. ჭინჭ. ტყავის ქამარზე ვერცხლის *ბალთები* და წოწოლა ღილები ესხა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. 2. სარტყლის მოყოლებაზე ჩამოკიდებული თასმები (ფშ. ხორნ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ბალთა** [თურქ.] 1. ცული; 2. ნოხის ჭრელის სახელი. „*ბალთა* ხალის, ქილიმის ჭრელის სოდადია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. დაბალთავს დაკოდვა, დაჭრა. მეკობრეთა დავებალთე გვამით სისხლთა შესაღებლად (საბა II, 51, 26). ბალთვა (ფშ., მთ., მოხ., ხევს.) დაჭრა, გაჭრა (საქონლისა, ტყისა) – ა. შან. აგრეთვე: იმერ. გაჩ., ბოწ.

ბალით-ი:

დიალექტ. I. **ბალითი** (მოჭ., თ.) დაყვავება, მიფერებით მოტყუება. (ფშ., ჭ.) მოტყუება, ღალატობა. დაიბალითა (მოჭ., ჭ., ფშ., შან.). **ბალითიანი** ალერსიანი, წყნარი, მშვიდი, მიმზიდველი, ტკბილი. ბალითიანი ლაპარაკი. „როგორი *ბალითიანი* რბალი გყავ!“ (მოხ. ქავთ.). **ბალითიანი:** ენა ვხკრათ *ბალითიანი*, მთის კაც ას, რას ჩახჭდებისა? (ეთნ. კალენდ. 12, 237). აგრეთვე: დააბალითებს, დაიბალითებს, გასაბალითებელი, საბალითები || საბალითარი (ხევს. ჭინჭ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბალითი || ბათილი**: [არაბ.] უქმი, გაუქმებული. შდრ. ბათილამი გაუქმებული ვექსილი – დ. ჩუბ. ბათილი საუბ. გაუქმებული, ძალადაკარგული. ბათილი გარიგება. ◊ ბათილსა ვართ! გავსწორდით, ერთმანეთისა არაფერი გვმართებს – ქეგლი. ბათილი [თურქ.] ცარიელი, უმოქმედო, უსარგებლო. „ბათილი სახლების ყურებამ მომკლა სოფელში“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). სიტყვა სხვადასხვა აღმოსავლური ენებიდან ჩანს შემოსული. **ბათილი** გაუქმებული, განადგურებული ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. I. ბათალი.

ბალინჯ-ი:

დიალექტ. **I. ბალინჯი** 1. ხიფათი, ფათერაკი. „გწყალობდასთ, ღამის მთეველო, მგზავრთ ანგელოზთ დავლათი, საწაღმართოო[დ] მაგიარასთ, ხალიზ მაგცასთ, *ბალინჯ* მაგაშორასთ“ (ეთნ. რელიგ. 51, 819). მე რომ დღესღამ სიზმარ ვნახე, რაჯე[ლ] *ბალინჯს* გადავშჩია. **მებალინჯე** ზიანის, ფათერაკის მომტანი. „მეწაღმართე ანგელოზ დაუყენრ, *მებალინჯე* ჩამახჯსენი“ (ეთნ. კალენდ. 1, 5) – ალ. ჭინჭ. 2. ჯ. მაცილი, „კაცს რომ გამეეკიდების ღამით“; (ფშ.) ეშმაკი (კაცზედაც ითქმისო). ბალინჯობა მოჩვენება (სიზმარში). მებალინჯე ჯ. ეშმაკი, ბალინჯი გუდ. მარცხი, უბედურება, მთ. ხაიბარი, ულაზათო. „*ბალინჯი* კაცი გამოიდაო“ (მთ.) – ა. შან.

დიალექტ. **II. ბალინჯი** ბაღლინჯო. გადატ. ჯუჯა და ფიზიკურად მახინჯი ადამიანი (მოხ. ქაჯ.). „შე *ბალინჯო!*“ (ხევს. ჭინჭ.). || ვულგ. უშნო, უმარიფათო ადამიანი; პატარა გაჯაჯღული. „რაი ადამიანია, ნამდუილი *ბალინჯი* არაა?!“ (მოხ. ქავთ.).

ბალინჯი < ბალინჯღი. ბალინჯღი (მძრომ.) AbBE. (მძრომ.) დიდი ტილი – საბა. ბაღლინჯი დამოწმებულია XI ს-დან. ბალღინჯი ბაღლინჯო: „აღუვსო ქუაბი იგი მისი სრულიად ქუეითგან ზედმდე ბალღინჯითა“ (მ. ცხ. 206r) – ილ. აბულ.

სიტყვა შემოსულია სომხურიდან (შდრ. სომხ. balinǯ „ბაღლინჯო“. აჭარიანი 1971: 389). მას შემდეგ, რაც სომხურში უკვე მომხდარი იყო ველარული ჩ-ს გადასვლა ღ-ში. ქართულ ხელნაწერში ფიქსირებულია (ახალი ქართულის მსგავსად) მეტათეზისის შედეგად მიღებული ფორმა. ბოლოკიდური ო ქართულში მოგვიანებით არის დართული (გიგინეიშვილი 2016).

ბალღ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ბალღი** (ოთხფ.) მჭლე საკლავი ZAB. (ოთხფ.) მჭლე ცხოვარი Cbq. მჭლე ცხოვარი CaDE. See also: ცხოვარი – საბა. || მჭლე, სუსტი. „*ბალღი* საქონელი არ ფასობს!“ (აჭარ. ფუტკ.). „გეიყუანა გამოსულზე *ბალღი* საქონელი“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბალღი** 1. იგივეა, რაც ბავშვი. სოფელში რომ შეხვიდე, იქაური ამბავი *ბალღსა* ჰკითხე, ის უფრო სწორედ გეტყვისო (ხალხ.). ბებერი, *ბალღი*, კაცი და დედაკაცი იქ მოგროვილიყო (ვაჟა).

დედას ეძებდა საწყალი, ზოგჯერ *ბალღივით* ღნაოდა (შ. მღვიმ.). 2. კუთხ. შვილი. შენ ვისი *ბალღი* ხარ? (ა. ყაზბ.). ფიგურ. დასხმოდნენ ცასა ვარსკვლავნი ოქროს და ვერცხლის გვარადა, პირმოცინარი *ბალღები*, უდარდელები მარადა (ვაჟა). 3. გადატ. ბალღის თვისებისა, ბალღის ქცევისა. რა *ბალღი* ვიყავ, რა ალალი, რა უდარდელი! (ი. აბაშ.) – ქეგლი.

ბალღის ძირითადი ნიშანი არის პატარა არსების (ბავშვის ან ცხვრის აღნიშვნა. ხოლო დიფერენციაცია ადამიანის შვილი-ცხვარი თანამედროვე ქართულში აღარ გვაქვს. ბალღი ლექსემა მხოლოდ ადამიანს მიემართება (კაკიტაძე 2005: 72).

ბალღუნჭ:

დიალექტ. I. **ბალღუნჭ** ველური ბალი, ბალღოჯი, ბალამწარა. ჭირ (გარეული) ბალს *ბალღუნჭ* ბალ ეზახიან; *ბალღუნჭი* ტყავ (ქერქი) მამიღი სარცხ გააქეთეველა (გასაკეთებლად) (ინგ. ღამბ.). შდრ. ბალღინჯი, ბალღოჯი ალუბალი, ქვიშნა – დ. ჩუბ., ქეგლი. ბალღოჯი [თურქ.] ალუბლის ხე – ზ. მაყ. აგრეთვე ბალღუნჭა (ბალ.) (ინგ. როსტ.).

დიალექტ. II. **ბალღუნჭ** ბაღლინჯო (ინგ. ღამბ.). || ბალღინჯო (ქიზ. მენთ.). იხ. II. ბალინჯი.

ბალყუმ-ი:

დიალექტ. I. **ბალყუმი** ბალღამი, ჩირქი, ბაყლი; (გადატ.) მწარე უსიამოვნო ადამიანი. ძალიან *ბალყუმი* ადამიანია, მაგაჲ რა გაუბლებს (ქიზ. მენთ.). აგრეთვე **ბალყამი** ბალღამი, ჩირქი (მოხ. ქავთ.).

ბალღამი > ქართლ. ბალღუმი > ბალყუმი; ბალღამი სხვათა ენაა, ფელღამი ჰქვიან – საბა. ბალღამი, ფელღამი [ბერძ.] – დ. ჩუბ. დასტურდება ძველ ქართულში. შდრ. [არაბ. balġam „ლორწო“] და [balġami „ლორწოიანი“] (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ბალყუმი** 1. შავი, ნაყოფიერი, ფხვიერი და უქვიშო მიწა; კარგი მოსავლიანი საყანე ადგილი; თიხნარი ნიადაგი ზომიერი მოსავლის მომცემი. „მიწა *ბალყუმია*, შუადღემდე გადავაბრუნებთო“; „*ბალყუმ* მიწას ხმარობდიანკე ბანის სატკეპნადაც, სახლჩი ძირს დასაყრელადაც“. 2. უწოდებენ მოუხნავად დატოვებულ, ნასვენ მიწასაც: „*ბალყუმად* დაგდებული მიწა“ (მოხ. ქავთ.). „ზეით (= მთისკენ) *ბალყუმი* მიწებია, მოსავალი კაი იცის“ (იმერ. გაჩ.). 3. ადგილი ნესტიანი, ჭაობიანი ადგილი. ჭაობიანი ადგილი როა, იქ არაფერი მოვა რა, ბალახიც კი არ მოვა კარქი, ეგეთ ადგილს *ბალყუმ* ადგილს ვეტყვით (ერთაწ., ზ. ხანდ. ქართლ. ლექსკ.). აგრეთვე: ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ., ფშ. რაზ.-ჭყ., მთ., მოჯ. ჯ., თ. (იშვ., ა. შან.).

ბანალ-ი:

დიალექტ. I. **ბანალი** 1. ბალანი. თელი გული *ბანალითა* აქ დაფარული (რაჭ. კობახ.). || ბალანი, ცხოველის ბეწვი. ძროხას *ბანალი* გაცვინდა. 2. თმა. ხუჭუჭი ბანალი. ირინეს კაი *ბანალი* ქონდა ორი დაწვნა კოჭებანდე

წვდებოდა (მთ.-რაჭ. რეხვ.). აგრეთვე ქართლ. გაჩ. ბანალი < ბალანი. იხ. I. ბალანი.

დიალექტ. II. **ბანალი** ბანანი (ვაშლის ერთი ჯიში). მოყვითალო ფერისა, ზაფხულში დაქაშდება (ქართლ. გაჩ.). ბანალი < ბანანი. ბანანი ვაშლის ერთი ჯიშთაგანი, ლოყაწითელი და ოდნავ წიბოებიანი. ესენი არიან ვაშლის შემდეგი ჯიშები: «ბანანი», «რენეტი», «ელერსკი», «კეხურა», ...«ბროცკი», «ანტონოვკა» და შაფრანის მთელი ოჯახი (გ. ფანჯ.). შდრ. **ბანანი** [ესპ. banano] 1. ტროპიკული ქვეყნების მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე (გარეგნულად ხის მსგავსი), მსხვილი მოგრძო ფოთლებით. მცენარე (გარეგნულად ხის მსგავსი) მსხვილი მოგრძო ფოთლებით. 2. ამავე მცენარის ნაყოფი ფქვილოვანი ტკბილი და ყუათიანი – ქეგლი.

ბანდურა:

ახ. ქართ. I. **ბანდურა** [უკრ.-რუს. бандура] უკრაინული მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ბანდურაი** სიმინდის ჯიში. *„ბანდურაი* ერთი სოი სიმინდია, ბორჩხაში იცის“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III. **ბანდურაყრ** იგივეა, რაც ბანდისძველა (თუშ. ცოც.). **ბანდურაყრ** გადატ. უსიცოცხლო, დუნე პიროვნებაზე იტყვიან. *ბანდურაყ* რაყიმ ქმარ ხყვანიყვ, იმას ცხორების ბაშარა არას ეტყობოდ – უნიათო რამ ქმარი ჰყოლოდა, იმას ცხოვრების შნო არ ემჩნეოდა (თუშ. ცოც.). იხ. I. ბაინდურა.

ბანდღ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბანდღი** (იმერ.) ობობას ქსელი. [ჰურჭელს] მტვრიანი ობობის *ბანდღით* ჰქონდათ ყელი ამოვსებული (ო. იოს.) – ქეგლი. *„ბანდღები* გოუბამს ობობას“ (იმერ. გაჩ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბანდღ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ბანდღი** უხბოო, ბერწი ძროხის ცური (იმერ. გაჩ.).

ბანტ-ი:

დიალექტ. I. **ბანტი** ბინტი, დოლბანდი: „... ჩემი დაწვილი გული / *ბანტებით* შეხვევლია“ (ბაზგ., შავშ. ლექსიკ.). შდრ. ბინტი [გერმ. Binge] ვიწრო გრძელი ნაჭერი რბილი თეთრი ქსოვილისა (ჩვეულებისამებრ – მარლისა) გამოიყენება ჭრილობის, ნაღრძობის... შესახვევად – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბანტი** [გერმ. Bang შესაკრავი] წყვილად გამოსკვნილ-გამოყულფული ლენტი. საკინძე თეთრი, ბრტყელი *ბანტებით* იკვრებოდა (ს. დემურხ.). ფიგურ. ყვავილებზე სხივები შეისკვნება *ბანტებად* (ა. აბაშ.) – ქეგლი. დედამ კაბა შემიკერა მომიყოლა *ბანტები* (გურ. ფოლკ. ღლ, 40). შდრ. ბანთი [თურქ.] ლენტი (მაგნიტოფონის, ფოტოაპარატის...) კასეტა (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **ბანტი** ზან. (მეგრ. ქაჯ.).

ბანძღ-ი:

დიალექტ. **I. ბანძღი** ობობას ქსელი (სინონ. ფანთხი) (ქვ. რაჭ. კობახ.). იხ. I. ბანდღი (იმერ. ბერ.).

დიალექტ. **II. ბანძღი** ხიფათი, უბედურება. „ღმერთი არ გაწყრეს და რამე *ბანძღი* არ მეგვედვეს" (იმერ. ბერ.). || მცირე ჩხუბი, აყალ-მაყალი, აურ-ზაური. „*ბანძღი* მოუვიდათ ცოტა და შემდურებული არიენ!" (იმერ. გაჩ.). **ბანძღი** შფოთი, შარი, აყალმაყალი, დავიდარაბა ზან. (მეგრ. ქობ.).

ბაო:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაო** (ქიზ.) ჩვილი ბავშვი (სანამ ტიტინს დაიწყებდეს) – ქეგლი.

საბას მიხედვით „ბაიას ჩჩვილნი ჩჩვილთა უწოდებენ". ხომ არა გვაქვს აქ საქმე მცირერწლოვანთა, პატარათა, უჭასაკოთა აღსანიშნავად ქართველურ ტერმინებში დადასტურებულ ბაა – ელემენტთან, რომელიც გვხვდება სიტყვებში: ბავშვი, ბალღი. ძნელია აქ ალბათ ვამტკიცოთ ი. ჯავახიშვილის კვალდაკვალ, რომ უთუოდ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი ბ-თავკიდური გვაქვს. სამაგიეროდ, არ არის გამორიცხული, რომ აქ რაღაც საკმაოდ არქაულ სიტყვათმაწარმოებელ ძირთან გვქონდეს საქმე, რომელიც „მცირეს, უმნიშვნელოს" გაგებას შეიცავდა (გორდეზიანი 1985: 63).

ბერძენ ფილოსოფოს არისტოტელის ერთ-ერთ შრომაზე დაყრდნობითა და სხვა ევროპულ ენათა მონაცემების გათვალისწინებით ლ. ბრეგაძემ ივარაუდა, რომ სიტყვებს ბაია „გუგა" და ბაია „ბავშვი" შორის კავშირი უნდა არსებობდეს. „არისტოტელეს მოტივაცია ასეთი იყო, თუ პირისპირ მდგომ ადამიანს თვალებში ჩავხედავთ, მისი თვალის გუგებში ჩვენი გამოსახულება გამოჩნდება, როგორც პაწია ბავშვი, გნებავთ – თოჯინა" (ბრეგაძე 2011 „ელექტრ.").

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბაო** ბვ. «მცირე ჩრდილი» (საბა). მიწაზე ბალახი გამავებულიყო, თითქოს მცენარე მოუთხრიათ და *ბაო*, ჩრდილი ბალახისა მაინც დარჩენილაო (კ. ხიმშ.). ამწვანებულ და *ბაო* ჩრდილებით ასე მოხატულს ალაგს ძნელადღა მონახავს კაცი (ლ. ავალ.) – ქეგლი. **ბაო** ჩრდილი (გურ. ჟღ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბაუ – „საჩრდილობელი თავშესაფარი", „ჩრდილი" (ჩუხუა 2000-2003; 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბაო** (იმერ. რაჭ.) მოლი (ახალი ბალახი) ეზოში (ვ. ბერ.). ეზოში მწვანე ყვაოდა *ბაო* (გ. ტაბ.). ბაოზე გაცურდა მიმინოს ჩრდილი (კ. ჭიჭ.) – ქეგლი.

ბაჟა:

ახ. ქართ. **I. ბაჟა: ბაჟა წვენი** ხორციანი კერძის შესაკმაზავი მომჟავო წვენი, ხაჟუჟი წვენი. ელიფს. ბევრჯერ მომენატრება შენი ნახელავი *ბაჟა*

(ბ. თათარ.) – ქეგლი. აგრეთვე **ბაჟე. ბაჟა** ნიგვზითა და სანელებლით შენელებული საწებელი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. ბაჟაი** დიდი ხვრელი. *ბაჟაი* გაამაგრ, ღორ არ გაზრჷს (ინგ. როსტ.).

ბარამბო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბარამბო** მცენ. ფუტკართ მოლი, ბარისპირა – დ. ჩუბ., საბა. || [Melissa officinalis L.] ტყის მრავალწლოვანი ბალახი (ტუჩოსანთა ოჯახისა); ყვავილი თეთრი აქვს, ლიმონის სუნიანი; თაფლოვანია და სამკურნალო. *ბარამბოსა* და იასა მეც კარგად ამოვსუტავო (ბაჩ.). საფლავზე ზოგან ია მოსულა, ზოგან ავშანი და *ბარამბო* (გ. ლეონ.) – ქეგლი. „*ბარამბო* ჭალეფში იცის" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე **ბარანბოი** (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **II. ბარამბო**: *ბარამბოში* იყო გაყრილი ტირისტარი (ქვ.-იმერ. მრეწ. II, II, 175). ფუტკარმა... მეორე წელს ბღარტი გამოუშო: *ბარამბო* დავიჭირეთ ხელში, ზედ დაეხვია (ქიზ. მრეწ. IV, II, 15). შდრ. **ბარამბა** 1. დარგ. ორკაპა ხის ჯოხი; იხმარება ღომის, ლობიოს... ამოსაზელად. ის თლიდა... ოჯახისა და მეზობლებისათვის ჩოგანს, სუთს, კოვზს, ბარამბას (ო. იოს.). 2. კარის საკეტი ხისა, ლურსმით მიჭედილი სარაზავი. მასლაზე ნასთს დავახვევთ ბარამბიით ან მარჯანიკეთი (ლეჩხ. მრეწ. II, II, 205). **ბარანბაი** (ქვ.-სვან. მრეწ, II, II, 213). **ბარამბა** ხის რაზა (სვან. ლიპარტ.).

ბარან-ი:

საშ. ქართ. **I. ბარანი** წვიმა. **თირა ბარანი**: ისრის წვიმა [სპარს. თირ- „ისარი", ბარან „წვიმა"]. უთხრეს საამ ფალავანსა: ადექ, წამოდი, რომ ძელზედ უნდა ჩამოგკიდოთო და იმაზედ *თირა ბარანი* უნდა გიყოთო! (შჰნ. III, 359, 11).

დიალექტ. **II. ბარანი** [სპარს. barani] მოსასხამი, საწვიმარი. ქაფანაკები გადვიფარეთ და ბარნები, თა იქამდი, რო წიმამ აიყარა (ფერეიდ., ქართ. დიალექტ., 256). || მუსლიმი სასულიერო პირებისა და დიდკაცების მოსასხამი. „ჩამოიდ [ჩამოვიდნენ] და მოიდენ კართან და იმეფს რო კაი ტანსაცმელი და კაი *ბარანი* დქონდა ჩამოცმული, აიდეს, ზეით დასხდეს; ემამ ძაან შეწუხდა და მეორე ღამეს სხოგან სტუმრად იყნეს, ემამ მეორე ღამესა კაი ტანსაცმელი ჩაიცო და კაი *ბარანიც* წაიკრა და წავიდა სტუმრადა; ბარან იცი რა არი? – მოლები წამაისხმენყე" (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ბარბაცა:

ახ. ქართ. **I. ბარბაცა** 1. ვინც ან რაც ბარბაცებს. 2. ტექ. ძრავას (მოტორის) ერთ-ერთი ნაწილი. [თვითმცლელს] *ბარბაცა* ლილვი ხშირად არ უფუჭდება ხოლმე (კ. კობ.) – ქეგლი. ბარბაცი < ბარბაცა.

ბარბაცი მიღებულია ფუძის გაორკეცებით *ბაც-ბაცი > ბარბაცი (იხ. აგრეთვე (ნაისერი 1953: 60). შდრ. კუთხ. ბაცუნი || ბლაცუნი, რომელშიაც იგივე ბაც || ბლაც ძირია (გიგინეიშვილი 2016).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპები: 1. *ბარც- „ბორძიკი, ბორძიკით სიარული (დაცემა)“ > ქართ. ბანც- || < ბარც-, ბაც-ბაცი, ბარბაცი (ჩუხუა 2000-2003); 2. *ბარბაც- (კელაურაძე 2017: 18).

სამ., ახ. ქართ. II. **ბარბაცა** [Pollinia imberbis Nees] ბალახია ერთგვარი. აქა-იქ ჩანან: ალპური ბარბაცა, კავკასიის კეწეწურა (ნ. კეცხ.) – ქეგლი, საბა, დ. ჩუბ.

ბარდღალა:

საშ. ქართ. I. **ბარდღალა** 1. «მრავალფეხა გრძელი ჭუა» (საბა). 2. ბანჯგვლიანი საქონელი – ქეგლი. ცხრაფეხა ჭია (რ. ერისთ.). შდრ. **ბარდგალა** ჭუა გრძელი და მრავალ ფეხი – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **ბარდღალა** დიდსახიანი ჭრელი (ქსოვილი). *ბარდღალა* ჩითი არ მამიტანო, ჭრელაჭრულაი, ისეთი მიყიდე, ჩემი შამფერო იყოს (კავთ.). იმითანა წითლიანი *ბარდღალა* კაბა ეცო ედიშერაანთ ქალსა, ნახირ დააფრთხობდა (გრაკ.). ახალგაზდაც ვიყაი, მე *ბარდღალა* კაბა არ მცმია, მეჯავრებოდა (ნაბახტ., ქართლ. მესხ.). || „ბარდღალა ჩითი“ – ჭრელი ჩითი (გურ. ჟღ.). შდრ. ბარდღანა ჩითი დიდი, ნათელი ყვავილებით მოხატული ჩითი. „მაგისანა ბარდღანა ჩითი მამიდას არ გამოადგება“ (იმერ. გაჩ.). აგრეთვე **ბარდღა** ლამაზი, პირბადრი (აჭარ. მეგრ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. III. **ბარდღალა** -ე/ი არეულად მოლაპარაკე (გურ. ჟღ.).

ბარ ძირს ქართულში არაერთი მნიშვნელობა აქვს. ბარ ძირის რედუპლიკაციით → *ბარ-ბარ, რ-ს დისიმილაციით→ *ბარ-ბალ, მეორე სეგმენტის ანლაუტის თანხმოვნის შეცვლით → ბარ-დალ, ღ-ს განვითარებით > ბარდღალ (ერთელიშვილი 1970: 198).

დიალექტ. IV. **ბარდღალა**, ხებარდა, აყაყია. ხე ან ბუჩქი. აკაცია ბერძულია – ი. ბაგრატ.

ბარელ-ი:

ახ. ქართ. I. **ბარელი** ბარის მცხოვრები (საპირისპ. მთიელი). [ფშავლები] ამბობდნენ *ბარელების* აუგს და თან იცინოდნენ (ვაჟა). ოჰ, თეიმურაზ! რა მტყუანი ხარ, რომ მოაშურე ამ მთის სიმაგრეს და *ბარელები* ოხრად დაყარე! (აკაკი). ბარ-ელ-ი < ბარ-ი: ბარი, დაბლობი, ვაკიანი ადგილი, – დასახლებული და სახნავმიწებიანი (საპირისპ. მთა) – ქეგლი. -ელ სუფიქსი.

ახ. ქართ. II. **ბარელი** [ინგ. barrel] სითხის ტევადობისა და მოცულობის საზომი ერთეული სხვადასხვა სიდიდისა (ნავთობის ბარელი=160 ლ.). ავზში რამდენიმე *ბარელი* ნავთობი ისევ დარჩენილიყო («ალია») – ქეგლი.

ბართ-ი:

ახ. ქართ. **I. ბართი** დარგ. ცხვრის ჩლიქით ნაზელი, გამხმარი და ფილა-ფილა აყრილი ძველი კურკლი (ცხვრისა). სინონ. გემრა (შდრ. დენგრა, ქურთი) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ბართი** ძონძი, დახეული რამ (მთ. კაიშ.).

ბარობა:

საშ., ახ. ქართ. **I. ბარობა** ნაცვალი, სამაგიერო – დ. ჩუბ. **ბარობა:** ◊ **მის (ჩემს) ბარობაზე** მისთვის (ჩემთვის), მის (ჩემს) წილად. უკანასკნელი წიწილაც კი არ დაუტოვეს მის *ბარობაზე* დედაჩემს (შ. დად.). მაგის მეტი არავინ დადის ჩემს *ბარობაზე*, არც მას ჰყავს ვინმე ჩემს მეტი, ობოლია (რ. გვეტ.). ნასახლარის კვალიც აღარ ჩანს მათ *ბარობაზე* (ს. კლდ.). მათ *ბარობაზე* ქვის კენჭიც არ იყო (ო. იოს.). ◊ **(ვისიმე) ბარობით** ზმნს. (ვისიმე) მიზეზით, (ვისიმე) გამო. ჩემი ელენე იმან მომიკლა, იმის *ბარობით* დამისნეულდაო (აკაკი). [იერემიას] *ბარობით* ექვსი თვე ვეგდე ფოთის სატუსაღოში (გ. წერეთ.) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

დიალექტ. **II. ბარობაი** ბარის მონატრება, ბარისაკენ წევა. „ერთხენ (რაკი) ფერისცვალობა ჩამიყვდებ (ჩამოთავდება), კახებ ცხვარს ახყრიან, ცხვარ *ბარობსავ*“ (თუშ. ცოც.). ბარ-ობა < ბარ-ი: ბარი დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებისამებრ – დასახლებული და სახნავმიწებიანი (საპირისპ. მთა) – ქეგლი. -ობა რთული სუფიქსი. იხ. I. ბარელი.

ბარულ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბარული** ბარის კუთვნილი, ბარის დამახასიათებელი, ბარისა. ვგალობდი მშობლიურ ხმებსა; გუშას, მთიურს და *ბარულსა* (ბაჩ.). [მთიელი ქალები] მოკლებული არიან *ბარულ* სისავსეს (რ. ინან.). *ბარული* ყოფა და... ქოთქოთი მოსწყინდა მოხუცს (ალ. ჭინჭ.) – ქეგლი. „მაგათ ოჯახი დაიქცეს, მაგათ *ბარული* მღერაო“ (ფშ. ხორნ.). **ბარულ[ი] ქერი** ბარის ყანებზე მოყვანილი ქერი. **ბარული ყანა** ბარში, სოფლის ახლომახლო მდებარე ყანა (ხევს. თავისებ. 195, 27). **ბარული დღიური** მამული, მიწა, რომელსაც ბარში ერთ დღეს ხნვენ (მთაში დღიური გაცილებით პატარაა). „მე ტრედისფერად მეჩვენა, სხივი მისდევდა მზიური; შორს გაანათა ელვასებრ ასი *ბარული* დღიური“ (ვაჟა) – ქეგლი. იხ. I. ბარელი.

საშ., ახ. ქართ. **II. ბარული** „ფეტვის მჭელეულთ ჩამოსაკიდარი“ (საბა); ფეტვის ძნების ჩამოსაკიდებელი – აჭინარი (ქეგლი).

დიალექტ. **III. ბარული** ბავშვის შესახვევი ჩვრები. „უწინ ბოვშებს *ბარულებში* ვახვევდით“ (იმერ. გაჩ.). იხ. II. ბარულა.

ბარულა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბარულა** 1. „სათხრელი (საბა). || ბოსტნეულის საოშავი ხის იარაღი (ალგეთის ხეობაში). მომეცი *ბარულა*, გადმოვყარო მიწა და შიგ შევიდეთ (ნ. კეცხ.) – ქეგლი. || ბოსტნის საჩიჩქნი, პატარა, წვეტიანი იარაღი არის ხისაც და რკინის წვერიანიც. 2. პატარა ბარი. ამ შემთხვევაში „ბარულა“ ბარის კნინობითია, ისე, როგორც „თუნგულა“ თუნგისა (გ. შატბ.). შემოსულ ხახვს და ნიორს *ბარულათი* (პატარა ბრტყელპირიანი ჯოხი) (ჩხ.) იღებენ მიწიდან (ალგ. სალ.). 3. იგივეა, რაც ძელ-ბარი. მთლიანი ხისაგან ტარიანად გამოთლილი პირგრძელი ბარი ჭურის მოსახდელად. აქ ძელ-ბარი არ იხმარება, აქ ხმარობენ *ბარულას*. დავგლისამთ აყალოს, სილას დავაყრით, *ბარულათი* ამოვიღეფთ, მოვჭრით, მერე მოვტკეპნით აყალოს ფეხით და დავაყრით სილას (ხევი). *ბარულა*, როგორც ხეი, ჭურისთვინ იხმარება, ბარი რკინისაა (ვახანი, ზ.-იმერ. ძოწ.). 4. წვერწამახული მოკლე ჯოხი, მიწიდან ძირნაყოფა მცენარეების: მატუკის, ატოლის და სხვათა ამოსაღებად (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე ქართლ. მენთ. ბარულა < ბარი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მეგრულად თოხს „ბერგი“ ეწოდება. შესაძლოა ბარი ნასესხები იყოს ზანური-დან (შდრ. ბარუა „ბარვა“), ხოლო ქართული შესატყვისი – *ბერი ან *ბელი – დაკარგული იყოს. იგი შემონახული ჩანს ფალაური ან ახ. სპარსული bēl („ბარი“) სიტყვის სახით, რომელსაც ინდოევროპული ეტიმოლოგია არ ეძებნება და ქართულიდან ჩანს ნასესხები (გიგინეიშვილი 2016). აღდგენილია ს.-ქართვ. *ბარ – „ბარი, ბარვა“. (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ბარულა** ბარულა ჩვილი ბავშვის შესახვევი, ჩვეულებრივ მიტკლისა. გაშლიან *ბარულასა*, ზედ კიდევ პატარა ნაჭრეფს დააფენამენ და მერე შეახვევენ ბავშვსა (კავთ.). *ბარულაში* ხელში დასაჭერი ბავშვი უნდა გაახვიო (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). „*ბარულები* რო შავხსენით, ბიჭმა პაპას ამააფსა და მაშინღა დაიჯერა, რო ბიჭი იყო“ (გ. შატბ.). აგრეთვე ქართლ. მენთ. ახლათ რო გაჩნდება ბალღი, ახვევენ *ბარულაში*. სამკუთხედია, მატერიისაგან შაკერილი (კახ. მარტ., იმნ.). შდრ. ბერულა ბავშვის გასახვევია, პირსახოცივით არი, ერთ წვერზე ორი ზორტი აქ. რო შიახვემ, იმ ზორტეფს მოუჭერ (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). **შებარვაი** ჩვილი ბავშვის შეხვევა, შეკვრა. „ცუტუნაც ბალღ შევბარიდითა-დ იცსთაც ჩავდვიდით აკავანში“ (თუშ. ცოც.). || ბალუნა (მესხ. ფეიქრ.). || ბალულა (მესხ. მაის.). ბალალა ლოგინი, აკვანი ბავშვის ენაზე; ძილი (ქიზ. მენთ.).

მ. ჩუხუას მიხედვით ს.-ქართვ. *ბალ- „ჰამაკივით საწოლი; გრძელი მორი“. ქართ. (მესხ.) ბალ-ულ-ა „ბავშვის საწოლი ჰამაკივით“, ქიზიყ. ბალალ-ა „ლოგინი“ (ჩუხუა 2017).

ბარქაზ-ი:

საშ. ქართ. **I. ბარქაზი** [არაბ.] დიდი გემი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ბარქაზი** სოკოა – დ. ჩუბ.

ბარხანა:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ბარხანა** [სპარს.] იგივეა, რაც ბარგი (დ. ჩუბ.). || მოძვ. იგივეა, რაც ბარგი-ბარხანა. „ახლა კი უნდა ავიკრიბო ჩემი *ბარხანა*“ (ი. ეკალ.). მატარებელმა თბილისის სადგურზე ჩაიყვანა იასე... უამრავი *ბარხანით* (გ. გეგეშ.). გადმოიტანე შენი *ბარხანა* (ვ. კანდელ.). გორამ ჯერ *ბარხანას* წამოავლო ხელი, მერე ცხენისაკენ გახოხდა (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი.

ბარხანა მომდინარეა სპარსული რთული სიტყვიდან – bârxâna/e/]... ამ სიტყვის პირველი ელემენტია bâr] – ტვირთი, ბარგი, მეორე xâna/e/] – სახლი, სიტყვასიტყვით – ბარგის სახლი. bârxâna/e/]-ს ქართულში პირველადი მნიშვნელობა (ტვირთის დასაცლელი ან შესანახი ადგილი) დაუკარგავს (ბართაია 2010).

დიალექტ. **II. ბარხანა** გორა, მთა, რაიმეს დიდი გროვა. გადატ. ფიგურ. „ამოდენა თოვლის *ბარხანები* იდგა“ (მოხ. ქავთ.). შდრ. ბარხანი [თურქ.] უდაბნოში წარმოქმნილი სილის გორაკი, უმთავრესად ნახევარმთვარის ან ნამგლის ფორმისა, – კონტინენტის დიუნი. ქარისაგან ახვეტილ და ერთიმეორეზე შეკოლიკებულ ქვიშის ბარხანებს აქ სად არ დაინახავ! (რ. ჯაფ.) – ქეგლი. ბარხანი [ყაზახ.] უდაბნოებში წარმოქმნილი სილის გორაკი – მ. ჭაბ.

ბას-ი:

ახ. ქართლ. **I. ბასი** [იტალ. basso დაბალი] 1. ყველაზე დაბალი, ბოხი ხმა მამაკაცისა, – დვრინი. ბოხის ხმით, ისეთის ბოხის ხმით [იძახდა], რომ პროტოდიაკვნებსაც კი დაენატრებოდათ იმისი *ბასი* (ვაჟა). 2. ასეთი ხმის მქონე მომღერალი. 3. დაბალხმიანი საკრავები ორკესტრში. რიტმის საფუძვლებია – ბასი და დასარტყამი ინსტრუმენტები («ქართ. ფორ.») – ქეგლი.

დიალექტ. **II. ბას** [აზერ. bâs = კამათი, კინკლაობა, ჩხუბი]: **ბას მოსლაჲ** იგივეა, რაც დაბასევაჲ. შენ იმასთან *ბას* როგორ მრბოლი? (შენ იმას როგორ გაეჯიბრე?). **ბას სწევს** ეკამათება, კინკლაობს. იმასთან *ბას* ჰაბე სწევა? (იმასთან რატომ კინკლაობ, რატომ ეკამათები?) (ინგ. ღამბ.).

საშ. ქართ. **ბასი** მამ, აბა! ბევრს მორივა უნებლიედ, ვის შეეძლო სიტყუით ბასი (ფეშ. 5, 4).

ბასკ-ი:

ახ. ქართ. **I. ბასკი** ძველისძველი ხალხის სახელი პირენეის მთებში და ატლანტის ოკეანის სანაპიროზე (ესპანეთსა და საფრანგეთში). *ბასკები* ხეთურ-იბერიული წრის ხალხთა (პირენეის იბერთა) გადმონაშთს წარმო-

ადგენენ. ერთ რამეზე მწყდება გული, *ბასკების* თამაშს ვეღარ ვნახავ (ა. სულაკ.) – ქეგლი.

საშ. ქართ. **II. ბასკი** [თურქ. baski] ესე არს დასაბეჭდავი წერილთა, რომელ არს თეგი ZAB. დაბეჭდული, გინა ცივად დადაღულივით – საბა.

დიალექტ. **III. ბასკი** ყავარზე დაჭედებული გათლილი ხე (ვ. ბერ.). კარებზე *ბასკი* მაქ გასაკეთებელი (შუქრუთი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ლომის (კეტის) სიმძიმის დაწევისას შეყენებული საყრდენი (ჯავახ. ზედგ.). **ბასკი || ბასკა** იგივეა, რაც ყერო. *ბასკა* ხის ნაჭერია, რომელსაც ფიცრის გატეხილ ნაწილზე აკრავენ. ურემი გატეხილი იყო და *ბასკა* დავაკარი (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: მთ.-რაჭ. რეხვ., რაჭ. კობახ., იმერ. გაჩ., ქართლ. ლექსიკ., გურ. ჟღ. **ბასკა** ყავრის დასამაგრებელი ლარტყა ზან. (მეგრ. ელ.).

ბასტ-ი:

დიალექტ. **I. ბასტი** ძველმანი ტანსაცმელი. „ფუხარაა, *ბასტებით* დავა სოფლებში“ (აჭარ. ფუტკ.). „მომინახა ძუელი *ბასტები* და მომაყარა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ., დიალეტ. **II. ბასტი** 1. მც. «ფეხის ცემით როკვა» (საბა), – ერთგვარი ცეკვა. «ვაიარირა»-ს მომღერალთა აფხაზთ შექმნეს ცეკვა- *ბასტი* (ბეს. 127, 17). **ბასტი** ძველად: ერთგვარი წესი, რომელსაც ასრულებდნენ მაყრები ქორწილის მეორე დღეს. *ბასტი* თამაშობაა: ქორწილის მეორე დღეს მაყრები დააბამენ ხომე ბასტს, მაყრები დამწკრივდებიან, აირჩევენ უფროსს, უფროსი მირბის, თან მისდევენ დანარჩენები: რასაც უფროსი გააკეთებს, მაყრებმა უნდა გაიმეორეს, უფროსი ჯოხს ან მათრახს რამდენჯერმე დაარტყავს (თონ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ქართლ. მენთ. ქვემო ქართლში დადასტურებული *„ბასტი ჩაბმა“*, თბილისური „იალის“ თამაშობა და ჯავახეთური „გულთამაშა“ ერთი და იგივე რიგის თამაშობათა ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს... ამ ცეკვაში მოცემულ შინაარსს (გაშიშვლება, ჯოხით-წკეპლით უკან დევნა, ჯერ გახდა და მერე ჩაცმა) შეიძლება ჩაითვალოს სიყვარულისა და შვილიანობის მფარველი ღმერთის სადიდებელი რიტუალის გადმონაშთად (მაჩაბელი 1978: 126). 2. გადატ. ფეხებით ცემა, რტყმა, დაყრა; **ბასტი** კალაი ფიგ. დააყარე, დასცხე კალა (თუთია) გად. მნ. დასცხე მაგას! დასცხეს. „მეიტანეს ტაფით ქალაჯო და კოვზებით *ბასტი* კალაი!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). *„ბასტი*, ბასარ მაგას ჯოხები, *ბასტი!“* (აჭარ. ფუტკ.). შდრ. I. ბახტი.

ბასტურმა:

საშ., ახ. ქართ. **I. ბასტურმა** (თათრ.) ხორცი ჰაერში ან კომლში გამოსული; ამგვარის ხორცის მწვადი ძმრიანი – დ. ჩუბ. || შაშხი ბასტურმა – საბა. || სამწვადე ხორცი, შეწვამდე ძმარში ჩადებული და პილპილით, მარილითა და ხახვით შეზავებული. *ბასტურმა* ირმისა, მშვლისა, გინა ძროხისა და

სხვისა (გ. ჯორჯ.). [მან] რბილ ზიმბილებში... ქინძმარში ჩადებული ლოქო, სამწვადედ გამზადებული *ბასტურმა*... ჩაალაგა (გ. ციც.) – ქეგლი. აგრეთვე: ალგ. სალ., ქიზ. მენთ., მრეწ. III, II: ქიზ. 24; გ.-კახ. 47; საინგ. 70.

სიტყვა შემოსულია თურქულიდან Bastur-mak/bastir-mak „დაბეგვა“, „დაწნეხა“. ბასტურმა = დაბეგვილი ხორცი? (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ბასტურმაი** [აზერ. ბასდგრმა] ღობეში (ან ხირხალში) შიგა და შიგ სამაგრად დასობილი ხის ძელები. ჴერჴალ გაკეთევაში *ბასტურმას* ჰყრიან (დგამენ, სვამენ) ორდენას (ორ ცალს), სკელს, შიგ უყრიან ჴერჴლევს, ჩაღჩაღ გაკეთევაშიც ამბოვენ: *ბასტურმევ* ჩაგიყრია (ჩადგი)? *ბასტურმაი* ჩაუდგი? (ინგ. ღამბ.).

ბატ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბატი** 1. [სპარს.] ღერღეტი – დ. ჩუბ. ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი *ბატისა* (ვეფხ. 1465, 2). კაკბისა და *ბატის* ჴორცი ჭამოს, კარგად მოუჴდების (ფანასკ. 10, 41). ავ მეზობელს მეზობლის წიწილა *ბატი* ეგონაო (ანდაზა). იქვე *ბატები* ისხდნენ და მაშინვე სისინით გამოექანენ კისერწაგრძელებულები მამლის დასასჯელად (ვაჟა). ახლა ტყის ქათმისა და *ბატების* გადაფრენაა (ნ. ლორთქ.). ◊ **ბატის ფრთა** იგ. ბატის ფრთის კალამი (საწერად ხმარობდნენ ლითონის კალმის შემოღებამდე). დოდოს ხელში *ბატის ფრთა* ეჭირა, გრაგნილი მუხლებზე გაეშალა, მაგრამ არა წერდა (შ. დად.). 2. გადატ. ჩერჩეტი, დაბნეული, უთაური. [მობილური] ერთ-ერთ ფორუმელს 300 ლარად მიყიდა, ... თვითონ კიდევ *იმ ბატმა* 500 ლარად იყიდა («თბილ. ფორ.») – ქეგლი. კვერცხიდან რომ გამოჩეკს, ვეტყვით ბეუტულებს, ხუთი თვის რომ შეიქნება, მერმედ კი ვეტყვით *ბატს* (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, I, 241). აგრეთვე მრეწვ. III, II: ზ.-ქართ. 134, მესხ. 154, ჯავახ. 165, ზ.-იმერ. 170, ქვ.-რაჭ. 186, ქვ.-სამეგრ. 214, გურ. 222. **ბატი** [არაბ.] ღორღონჯი ზან. (მეგრ. ყიფშ.).

ს. ორბელიანის ცნობით, ბატი სომხურის სიტყვაა, მაგრამ თვით სომხურში არ ჩანს. უფრო საფიქრებელია, რომ ნასესხები იყოს არაბულიდან. შდრ. არაბ. batt „იხვი“ (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ბატი** (თუშ.) საქსოვი ჯარის ნაწილია (ს. მაკალ). || ჯარატრის ნაწილი, მრგვალი პატარა ფირფიტა, რომელიც ჯარატარზეა წამოცმული. ჯარატარს ორი ასეთი *ბატი* აქვს. მემრ ჯარატარ ხო იცი, იმას ორ *ბატ*, აქვ, აი, ეესრ, გირგვლებ გადახვეულებ, შამაცმულებ კოკობზინაივით [= ბზრიალასავით] (ხევს. თავისებ. 255, 21). || ორ-კაპი ჯოხი ჯარაში, რომელშიც ჯარა-ტარი ტრიალებს. ჯარატარზე ჩამოცმული კვირისთავი (რგოლი), დვალი (თ. შან.).

დიალექტ. **III. ბატი** დახლილი სიმინდი. დაბატდა მთ., მოჯ., გუდ. დახალდა. ბოტი, დაბოტდა გუდ., იგივე. შდრ. ბიჭონი ჯ., თ. ფიჩვანი ფშ. – ა. შან. შდრ. ბატიბუტი მოხალული წვნიკი სიმინდი, კანდახეთქილი და თეთრად გულგადაშლილი – ქეგლი.

ბაქან-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაქანი** 1. ძვ. «კლდეში მცირე ვაკე რამ» (საბა); შეჭრილი ადგილი კედელში; ბაქან-ბაქნად – დ. ჩუბ. 2. მოსწორებულ-მოვაკებული ადგილი. ჩვენ გავიარეთ შიო მღვიმის ვრცელი *ბაქანი* (გ. ტაბ.). მარნის *ბაქანზე*... ყველ-ერბოს სავსე გუდები ელაგა! (გ. ლეონ.). 3. ამაღლებული მოედანი რკინიგზის სადგურის (მეტროპოლიტენის ხაზის) გასწვრივ მატარებელთან მისასვლელად (ჩასასხდომად, გადმოსასვლელად), – პერონი. კოტე მესხი... ყველაზე წინ სადგურის *ბაქანზე* ჭოტივით დარჭობილიყო (ა. ცაგარ.). უკანასკნელად შეჰკივლა მატარებელმა *ბაქანზე* და ლიანდაგს ქოთქოთით გაჰყვა (მიხ. მრევლ.). 4. მცირე ხნით მატარებლის გასაჩერებელი ადგილი (რკინიგზის სადგურებს შორის), – პლატფორმა. მატარებელი *ბაქანს* უახლოვდება და მხოლოდ ერთ წუთს ჩერდება, უნდა ავჩქარდეთ! – ჩაიხრიგინა რკინიგზის პატარა ბაქანზე სატვირთო მატარებელმა (კ. ბუაჩ.). 5. ღია, უკედლო და უსახურავო საბარგო ვაგონი. ბაქანზე ხე-ტყეს ტვირთავდნენ. 6. შესასვლელ-გამოსასვლელი ფართობი რკინიგზის ვაგონის (ტრამვაის) თავსა და ბოლოში. შენთან მოვალ, იქ ვილაპარაკოთ!.. გადმოსძახა [ვაგონის] უკანა *ბაქნიდან* გიორგიმ (ნ. ლორთქ.). 7. ბინებში შესასვლელი ფართობი ყოველი სართულის კიბეზე. პატარა *ბაქანზე* კიბის მოაჯირს მიეყრდნო (გ. ფანჯ.). კიბის *ბაქანზე* მცირედ შეყოვნდნენ (რ. ჯაფ.). 8. დარგ. საწნახლის უკან წაფერდებით დაკრული ფიცარი. საწნახელი ყურძნით *ბაქამდე* აივსო. 9. ბანი გემისა, – გემბანი. აგზესა და მე გემის *ბაქანზე* გამოვეთხოვეთ მას (ქ. ბაქრ. თარგმ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ.

დიალექტ. **II. ბაქანი** [თურქ.] მინისტრი. „თქუენიდან ერთი *ბაქანი* გადმოიდა ანკარას" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ბაღდავან-ი:

დიალექტ. **I. ბაღდავანი** კარგი, ბარაქიანი ადგილი. *ბაღდავან* ადგილზე ცხოვრობს, ნადირსაც კი დაეკარგება თვალი (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ბაღდადი ადგილი კარგი, საუკეთესო ადგილი. ადგილს ბაღდადსა არ გავსწირაო (გ. დოლ. 8, 11) – ალ. ჭინჭ. ბაღდადი [ძველი აღმოსავლური ქალაქის სახელიდან] კარგი, გამორჩეული საცხოვრებელი ადგილი – ქეგლი.

დიალექტ. **II. ბაღდავანი** პასუხისმგებლობა, პირიანობა (მოხ. ქაჯ.). ჭ., მოჭ. პასუხისგება, კისრება. „ჩემი *ბაღდავანი* იყოს, თუ"... მე ვზღავ, მე ვაგებ პასუხს. „მე *ვიბაღდავნებ*" (ჭ.)., ბოღდავანი (ფშ.) – ა. შან.

ბაყალ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბაყალი** [არაბ.] მეწვრილმანე. მედუქნე – დ. ჩუბ. უკანასკნელ მივიდნენ *ბაყლებთან*, მეთევზეებთან (ქალმას. 490, 14). არის ამისი შუა დამხდური, კაცთაგან ...ბაყალი ალექსა (სამ. IV, 233). || ძვ.

ხილით, ბოსტნეულით, სანელებლებითა და ტკბილეულით მოვაჭრე. || საერთოდ, მზა სანოვაგითა და წვრილმანით მოვაჭრე. [მიტრუამ] ყველები ჩააბარა თუ არა *ბაყალ* გეუას..., ხალხში გაერია (შ. არაგვ.). მოწმედ ორი *ბაყალი* დაისწრეს (მ. ჯავახ.). უბნის *ბაყალმა* დილის ძილი დაუფრთხო ბასრი ბეის (გ. ბათ.) – ქეგლი. ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინეთ, ახალციხეში *ბაყლები* ათიდან ორმოც საქონლამდე ჰკლამდენ გასაყიდათ (მესხ. მრეწ. III, II, 154).

ბაყალი სიტყვა შემოსულია არაბულიდან. [baqqāl „მემწვანილე", მედუქნე", „ბაყალი"] – (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ბაყალი** ვულგ. ბუში, ნაბიჭვარი. შდრ. ბაჯალი. ეგია გასაკვირები, დას რო ძმისა ხყავ ბაყალი (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. ბაყვი.

ბაყაყ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ბაყაყი** მცირე გომბეშო – დ. ჩუბ.

ბედაურსა ჭედავდნენ და *ბაყაყმა* ფეხი აიშვირა, – მეც დამჭედეთო (ანდაზა). აუზის შუაგულში *ბაყაყი* იჯდა (ა. სულაკ.). *ბაყაყები* მოწყენის... საშუალებას არ მოგცემდნენ (ო. იოს.) – ქეგლი.

ფ. ნაისერი ამ სიტყვას ბაყბაყს უკავშირებს (Neisser 1953: 65). შდრ. ახ. სპარს. bak „ბაყაყი". უფრო სწორია ნ. მარის შეხედულება, რომლის მიხედვით ქართ. ბაყაყი (< *ბაყაყი) ნასესხებია ზანურიდან, სადაც ის ნაწარმოებია ყაყ- („ყიყინი" ძირისაგან (Mapp 1910: 202). ჭან. მაყაყი (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ბაყაყი** ხორცმეტი ცხენის ფეხისგულზე (ქიზ. მენთ., ფშ. ხორნ.). (მუჟუჟისათვის) ფეხს *ბაყაყს* ამოსჭრიან, ჩლიქი წასძვრება (ქიზ. მრეწ. III, II, 20). შდრ. ბაყაო (ქართლ.) ბრტყელი სამკუთხა წვეტიანი ხორცი ცხენის ქაჩაჩის უკანა ნაწილზე, უნალო (დაუჭედავი) ცხენის ქაჩაჩის გული (სინონ. ფშ., მოხევ., გუდამაყ., ბაყაყი, ხევს. სამყვრე, თუშ. ყვატი) – ქეგლი.

ბაყვ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბაყვი** 1. „მუხლს ზეითი" (საბა), ბარძაყი. || ბაყვი ბარძაყის შიგნითა მხარე. ბრანგვსა შეგრტყოცე, *ბაყვს* ეცი, ვის ჩვევით სისხლი გწყუროდა (ბეს. 115, 9). გარნა არა უკუნ იქცა ვახტანგ და დაიჭრა თჳთცა დაიჭრა მცირედ ბაყუსა ზედა (ქ. ცხ. IV, 251, 25). ისე მოეჭირა *ბაყვები* ცხენის ტანზე, რომ ზედ დაზრდილივით გრძნობდა თავს (ლ. ქიაჩ.). «თუ გინდათ, მე წამიყვანეთ, მამალს კი ვერ დაგანებებთ!..» – გულუბრყვილოდ წამოროშა ლეღენდერამ და *ბაყვები* მოიქექა (რ. გვეტ.). [მეფე] უთვალთვალებდა, თუ როგორ ისხდნენ მოისარნი ცხენზე, როგორ მართავდნენ სადავეს, როგორ უჭერდნენ *ბაყვებს* (კ. გამს.) – ქეგლი. 2. საქონლის უკანა ფეხი, – ბარკალი. კამეჩის *ბაყვი* ჩამოვარდა; მათრახი დამარტყი, რო *ბაყვი* გასქდეს! (ჯავახ. მარტ.). „სუფრაზე ნახა ქათმი ბაყვი" (კირ-

ნათი, კლარჯ.ლექსიკ.). აგრეთვე: ხევს. ჭინჭ., საჩ. შარაშ., ჩვენ. ფუტკ.-აჭარ. ნიჟ., შავშ.ლექსიკ., გურ. ჟღ. 3. თეძოს ძვალი – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბაყუ -არქეტიპი (კლიმოვი 1998; ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუხუა 2000-2003; კელაურაძე 2013: 3).

დიალექტ. II. **ბაყვი** ბავშვი, ბალღი (გურ. ღლ.).

ქართ. (აჭარ.) ბაღვი, რაჭ. ბაღვინა; სვან. ბაღუ შეპირისპირებით მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. *ბაღუ- ბავშვს და შენიშნავს, გურული ბაყვ-ი „ბავშვი“ ამავე რიგისა შეიძლება იყოს, ხოლო ქართველური ბაღანა, ბალღი სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობსო (ჩუხუა 2017).

დიალექტ. III. **ბაყვი** ფრინველია ერთგვარი (თუშ. მაკალ.).

მითითებულია ს.-ქართვ. *ბაყუ- „გარეული იხვის სახეობა“ (ჩუხუა 2000-2003; 2017).

ბაშმაკ-ი:

სამ. ქართ. I. **ბაშმაკი** [თათრ.] თავზედ გარდაკვეთილი გამოსაღები (დ. ჩუბ.).

დიალექტ. II. **ბაშმაკი** იგივე წუღა ქუსლი სადგისით და ძაფით მიკერებული, მსხვილი სადგისით, „ტოლომოსით“, ორი ნემსით და ძაფით (გურ. მრეწ. III, I, 255). *ბაშმაკი* – შესაკრავი იყო, გადაბმული, ქუსლიანი (ქიზ. მრეწ. III, I, 31). საკაიდღეთ წუღები გვქონდა, მერე *„ბაშმაკები“* დაარქვეს (ზ.-რაჭ. მრეწ. III, I, 231). აგრეთვე: მრეწ. III, I: ბაშმაკი შ.-კახ. 52; ბაშმაყი საინგ. 73. ბაშმაყანი [თათრ.] ფეხსაცმელი (ქ. ცხ. II, 222, 16). ბაშმახ [თურქ.] ქოშია. ბაშმაყ [რუს.] ფეხსაცმელები, ბაშმაკები; ტურაი ბაშმაყ (ინგ. ღამბ.). ბაჩაკი „ბაშმაკი“ ბავშვის ენაზე (ქიზ. მენთ.).

ბაშტ-ი:

დიალექტ. I. **ბაშტი** ასკარიდი, მრგვალი ჭია (ხევს. ჭინჭ.). გადატ. **ბაშტი** მუცლის ბერვა, მუცლის სატკივარი (ფშ. ხორნ.). **ბაშტიანი** მუცელგაბერილი ღიპიანი (ფშ. ხორნ.). || გადატ. უხეირო, სუსტი (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. II. **ბაშტი** ჯუჯა (ალ. ნეიმ.). შდრ. ბაშტაკი დაბალი ტანის საქონელი (შდრ. ბაჩა, უზდელა) – ქეგლი. იხ. I. ბაჩაკი.

ბაჩა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბაჩა** 1. კუთხ. პატარა ტანის საქონელი საერთოდ, – ბაშტაკი. თედომ *ბაჩა* ცხენს აღვირი მიუშვა (მ. ელიოზ.). || გადატ. დაბალი ტანის ადამიანი, ჩია. საჩხერის რაიონის თავკაცი... ტანმორჩილი, *ბაჩა* კაცი იყო («ლიტ. საქ.»). 2. საზოგადოდ, ცხენის ეპითეტი. მთაში იყო თეთრი *ბაჩა*, როგორც იყო, მგლებს გადარჩა (აკაკი). თუ მითავაზებთ კარგსა *ბაჩასა*, ... ეს მეგობრული იქნება ძღვნობა! (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე: **ბაჩანა, ბაჩაჩა, ბაკუჩა** (ფშ. ხორნ., მთ., ხევს., თუშ., მოხ. ა. შან., იმერ. ქავთ., ქართლ. ლექსიკ.).

ბაჩა მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან [bača/e/] მნიშვნელობით – ბავშვი; ნაშიერი (საქონლისა) (ბართაია 2010). ამ სიტყვის შესახებ იხ. (ბუკია 2006: 94).

დიალექტ. II. **ბაჩა** თევზი ერთგვარი. ბაჩა თავკომბალასავით თევზია; სასირეთში, ყარაღაჯში ღოტას ეძახიან *ბაჩას* (კაპრ., ქართლ. ლექსიკ.).

ბაჩაკ-ი:

დიალექტ. I. **ბაჩაკი** პატარა ტანის ძროხა (ლეჩხ. ალავ.). იხ. I. ბაჩა.

დიალექტ. II. **ბაჩაკი** „ბაშმაკი" ბავშვის ენაზე (ქიზ. მენთ.). იხ. II. ბაშმაკი.

ბაცაცა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბაცაცა** კურდღლის შვილი, – ბაჭია. კურდღლის *ბაცაცა* გამოხდა, შიბ-შიბსა გაჰყვა კლდისასა (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე ფშ. შან., ხორნ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბაცაცა** წვრილფეხა ქურდი, – ქურდბაცაცა. ქურდი, ქურდი *ბაცაცა*, ნივრის გალა მომტაცა (ხალხ.). უქონელი და უღარიბესი ოჯახი კი მაინც ორჯერ მოუჩხრეკიათ *ბაცაცებს* (რ. ჭეიშვ.). უწინა ორთავენი *ბაცაცები* იყვნენ, ეხლა ორთავენი ავაზაკები არიან (ჭ. ამირეჯ.). უნიჭო კაცი *ბაცაცაა* და არა – ქურდი (შ. ნიშნ.) – ქეგლი. აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., გურ. ღლ. შდრ. ბაცაცა < ბაცაცი ხელიდან რომ კაცს არაფერი გამოსდის, თითქოს უჯანოაო. „შე ბაცაცბაღლოო" – ეტყვიან უხეირო ხელის პატრონს, უქნარას (ქიზ. მენთ.). || ბაცაცი ონავარი, მოუსვენარი კაცი. „მონავარი როა და ხელებს არ აყენებს, ბაცაცი ხარო" (თონ., დვალ., ღოლოვ., ქართლ. მენთ.). **ბაცაცა** ქურდი წვრილმანების ხელმყოფი ზან. (მეგრ. ელ.).

ბაცაცა მიღებულია გაორკეცებით ბაც ელემენტისა – ბაცბაცა, სადაც დაკარგულია მეორე ბ. თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა იყოს „უსაქმოდ მოხეტიალე" (შდრ. აცაბაცა სიარული) (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. III. **ბაცაცაი** 1. ცხოველის, ჩვეულებრივ, ძაღლის თათი ბავშვის ენაზე. გაზილ (ძაღლის სახელია), „მაჩუენე *ბაცაცაი*". 2. იგივეა, რაც ბაქაქაი. ბაქაქაი ბუნწი, უბარაქო. „მაგის პური არ იჭმევა, ბაქაქაია" (მოხ. ქავთ.).

ბაჭაჭყ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბაჭაჭყი** ჭიმი, მრგვალი ჯოხი სიგრძეზე ორად გაყოფილი. მეუნაგრენი ხმარობენ ტყავის გასაჭიმავად (იმერ. ბერ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ბაჭაჭყი** პატარა ბავშვი, ბაჩაჩუყი (ლეჩხ. ჩიქ.) || **ბაჭყია** გველისა (მთ. გუდამაყრ.) გველის წიწილი (ე. ვირსალ.) –ალ. ღლ. || ბაჭაჭყები, ბაჭყალა, ბაჭაჭყანა წვრილი ბავშვები, – ბასარსხლები (ქეგლი, იმერ., მთ.-რაჭ. რეხვ., ქიზ. მენთ.).

ბახ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბახი** უხეირო ცხენი (ბეს. 163, 19). || (იმერ.) «უვარგისი ცხენი» (ი. ჭყ.) [სინონ. გუდამაყ. ბუხი, ხევს. მოხევ. ფუხი, მთიულ. ფათლახი, თუშ. დოდა] (შდრ. ბეხრეკი). ბატონს... ბედაური გამოალალა მის გახრეკილ *ბახში* (აკაკი). სოფლის *ბახები*... მინდვრად დაეხეტებიან: ერთი მათგანი მუნიანი წაუხახუნებს სადმე ხეს (აკაკი) – ქეგლი. || (იმერ., ლეჩხ., გურ.) უვარგისი, ძლიერ გამხდარი ცხენი (ვ. ბერ; მ. ჩიქ.). ოსურათ ბახ ცხენია (ი. ჭყ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბახ-:** **ბახი** მოყივნება, საჯაროთ გალანძღვა, შეურაცხება, ზნეობითი თავის მოჭრა. *„გამოგბახა* ქვეყანაში (გურ., იმერ. ჭყ.).

გაბახება საუბ. სახელი გააბახებს, გაბახდება ზმნათა მოქმედებისა. – 1. ნამუსის ახდა, გაუპატიურება. იმ ქალს დაისვამდა ცოლად, რომლის *გაბახებაც* უკვე დაესწრო ძმას? (ო. ჭილ.). [იამზეს] *გაბახება* დაუპირეს... მე გამოვიხსენი (კ. ბუაჩ.). შეგარჩენდით ჩემი ქონების ჭამასა და ჩემი დიაცების *გაბახებას?* (ზ. კიკნ., თ. ჩხენკ. თარგმ.). 2. სახელის გატეხა, თავის მოჭრა, შერცხვენა. *გაბახება* სდომებია ჩემი ოჯახის! (ე. ნინოშ.) – ქეგლი. || გურ., ლეჩხ. – ალ. ღლ. ||აჭარ. გაბახული სახელგატეხილი, შერცხვენილი, შერყვნილი, გაფუჭებული. *„გაბახული* ქალი სახში რაფერ შემოიყვანება“. „მანქანა *გამიბახა* კაცმა. აჭარული „გაბახვა“, „გაბახული“, „გაბახებული“ სიტყვების ძირი ზანური „ბახ“ ფუძის ქართული გახმოვანებაა (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 95).

ბახტ-ი:

სამ. ქართ. **I. ბახტი** მკვრელი საკრავისა – დ. ჩუბ. გაყვნა ორად მგოსანნი და მოშაითნი და მებუკე-მედაბდაბენი და *ბახტნი* (ამირან. 464, 8).

დიალექტ. **II. ბახტ** [აზერ. bäxt] ბედი, იღბალი. ღმერთმა *ბახტ* მისცას! ზედს. **ბახტიან** ბედნიერი, იღბლიანი ღმერთმა ბახტიან გაგჯადასყ! აგრეთვე ბახტავარ; **ბახტ-ივღალ** ბედ-იღბალი. *ბახტ-ივღალ* მისცას, ყოშა (წყვილად) დააბერას! ზედს. ბახტივღალიან ბედ-იღბლიანი (ინგ. ღამბ.). ბახტიანი, ბახთიანი ბედნიერი (ინგ. ქართ. დიალექტ., 613).

ბაჯ-ი:

სამ. ქართ. **I. ბაჯი** ბარამბო, ფუტკართ მოლი – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ბაჯი** დაი – საბა. *„ბაჯი* მაზედა მქვიანო, მტერს რომ მეხივით ვუხვდები. მისთვის დას მეძახიანო“ („ანაბაჯ.“). ეჯედრებოდნენ, – *ბაჯი* (დაო), ნუ დაგვხოცავ, შეგვიბრალეო („კვირის პალიტრა“). „ბაჯი“ აზერბაიჯანული წარმომავლობის, ბაღჩეულითა და ბოსტნეულით საცალოდ მოვაჭრე ქალბატონს, ან საქალბატონეს აღნიშნავს. ბაჯები, გასული საუკუნის თბილისური ვაჭრობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ („მარწყვ.“). შდრ. ბაჯია [თურქ. bāji] იგივეა რაც აბაჯი. უფროსი და. დასა თუ დიდია ხო – ბაჯია და თუ ბაიტა არი, ხო – სახელიღა. ჩონყე დიდია, მასალან, ბაჯია; ეს ბაჯია ბაჯია არი, ჩემ მაზლის ყორია (ფერეიდ. ჯორჯ. ლექსიკ.).

ბაჯა:

დიალექტ. I. **ბაჯა** ბაჩა, კოჭმოკლე, დაბალი და გრძელბეწვიანი ძროხა. *ბაჯაი* ძროხაა, კარგი მეწუელი იქნება (ა. კ., მოხ. ქავთ.). შდრ. I. ბაჩა.

დიალექტ. II. **ბაჯა** [თურქ.] ქვისელი, ქვისლი – ა. შან. აგრეთვე ბაჯანაღი [თ. Bacanak] ქვისლი. „ჰიდან გაჩინდა აქ ჩემი *ბაჯანაღი*-მეთქინ, თვალები მევხრისე, გავკვირდი"; „მდინარეში *ბაჯანაღი* ჩავარდნილა და კაცს აღმა ბებნა დუუწყიაო" (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. III. **ბაჯა** [თურქ.] საკვამლე მილი. „სახლების *ბაჯები* სულ მეეფუნჩხა ქარსა, საბერავი ჩანდა" (იმ., ჩვენ. ფუტკ., კლარჯ. ლექსიკ.). **ბაჯა** საკვამლე მილი ზან. (ლაზ. თანდ.).

ნ. გურგენიძე შენიშნავს, რომ სალიტერატურო თურქულის ბაჯა [< თ. Baca] „საკვამლე მილის" მნიშვნელობა აჭარულში გაფართოებულია და ნიშნავს თავანს, „სხვენს". „*ბაჯაში* ფოსტები მაქ შენახული" (რიყეთი); „ქალიო, ფეხმძიმე, ავათ გახტაო და *ბაჯაში* აბრძანდაო" (ბ. ფ. IV, 122) (გურგენიძე 1973: 27).

ბდუ:

დიალექტ. I. **ბდუ** მოუხერხებელი, დაბდური. რო არაფრის თავი არა აქ, ვერაფერს გააკეთებს, ვერ მოახერხებს, *ბდუ* ის არი (ხაშ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ბნდუ გულმავიწყი, დაბნეული (ქართლ. მესხ.).

დიალექტ. II. **ბდუ** ძალიან ბევრი, მრავალი (ჩვეულებრივ, ფრინველი). ქეთინომ უთხრა მარო ბაბოსა, თქვენი ქათმები რო შეგროვდებიან, ცოტა ჩანს, რო გაიშლებიან, *ბდუ* ჩანსო (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ბდგუ ფრინველების ან მწერების გუნდი (იმერ. გაჩ.). ბდგო, ბდგუ ბევრი რამ, ბრბო, ჯგრო. „ჩიტები *ბდგუთ* აფრინდა". „ხალხი *ბდგოთ* მევიდა"; *ბდგო* ქათამი გვყავს" (იმერ. ქავთ.).

ბდღვერ-ი:

ახ. ქართ. I. **ბდღვერი** იგივეა, რაც მართებული ბდღვირი. გაიგებთ, მათ როგორც დავსჯი, სულ ზურგზე ვადენ *ბდღვერსაო*! (ვაჟა). ბდღვერს ადენს გატიტვლებულ... ეზოს (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. || ბდღვირი მტვერი, ბოლი (ჯავახ. ზედგ.). || ბდღვირი, ბღვირი, ბღუირი (იმერ. გაჩ.).

ბდღვერი ძველ ქართულში გამოვლენილი არაა. წარმოშობით უნდა იყოს ბგერწერითი, ფუძედრეკადი ზმნის რედუქციის საფეხურზე მყოფი ფორმის (*ბდღვერს- ბდღვირა) გასუბსტანტივებული სახე (გიგინეიშვილი 2016). ვფიქრობთ, რომ ბდღვირი < ბღვირი ნაგვის მტვერი – საბა. აგრეთვე მრეწ. IV, II: ბღვერი ზ.-რაჭ. 226; ლეჩხ. ბღვირი 230. **ბუღვირ** ბღვერი მტვერი (სვან. ლიპარტ.)

დიალექტ. II. **ბდღვერი** მღვდელი (ს. თოკი). „წინათ მაგ ეკლესიაში ერთი *ბდღვერი* იყო" (ჯავახ. ბერ.).

შდრ. ძვ. ქართ. მღდელი > მღვდელი; აღდგენილია *ღად- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ბე:

საშ. ახ. ქართ. **I. ბე** 1. არაონი – საბა. || თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ იხდიან გარიგების პირობათა შესრულების უზრუნველსაყოფად. გმელამესაც... ხუთი თუმანი *ბე* მიეცა და თხუთმეტსაც დაჰპირებოდა, როცა საქმეს გაარიგებს (ილია). და თქვეს, გზის ხარჯების ასანაზღაურებლად მხოლოდ *ბე* მიეცა (რ. ჯაფ.). ერთი პაწია კუთხე მომაქირავეთ, *ბეს* ამთავითვე მოგართმევთ (კ. ბუაჩ.) – ქეგლი. || [თურქ.] საწინდარი, ბე. ხრტლის ნადში მონაწილე ქალებისათვის წინდაწინ დასართველად მიცემული მატყლი. „*ბე, ბეჰია* დარიგებულიო, ვიტყოდით, ცოტა მატყლს რომ დავარიგებდით ნადისთვინ“ (აჭარ. ნოღ.). || **ბეი, ბეჰ** [აზერ.] ქალის დანიშვნამდე მიტანილი საწინდარი (ბეჭედი, ფული ან სხვა რამ) ვაჟის ოჯახიდან (ინგ. ღამბ., აჭარ. ნიჟ.). || ბეჰის წინდა (სოფ. ზოტი) წეფისათვის საჩუქრად განკუთვნილი წინდა. „ნეფის წინდას ბეჰის წინდა ერქვა“ (აჭარ. ნოღ.). || ბეო (მთ.-რაჭ. რეხვ.). **ბეო** საწინდარი (სვან. ლიპარტ.), **ბეჰ, ბეუო** (სვან. თოფ., ქალდ.).

საშ. ქართ. **II. ბე** || **ბიე** კომში; „სპარსულათ არის, კომშს ჰქვიან“ (ფანასკ. 127, 13).

დიალექტ. **ბე**! ჰო, როგორ არა, დიახ, რასაკვირველია. „ხალხი ბევრია ბახმაროზე? – კი. *ბე!*“ (გურ. შარაშ.).

ბე (შორისდ. be!) ჰა, ახ! და! „რა ეიღე დუქანში, *ბე?!*“ (ინ.); „მე, ბე, წავალ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). **ბე** [თურქ.] მოუთმენლობის, გაკვირვების გამომხატველი ნაწილაკი ზან. (ლაზ. თანდ.).

ბე-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ბეი** ბეგი (მ. ჭაბ.). ძველი თურქული ტიტული, ბატონი, უმაღლესი ოფიცრისა და მოხელის ტიტული (ისტ. ტერმ.). ჰეი, ჰეი, ბაქერ *ბეი!* მსახ. ვ. აბაშიძის საყვარელი გამოთქმა – ი. გრიშ.

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ბეი** [თურქ.] ესე არს მცირე საწინდარი, რომელსა თურქნი ბეის უწოდებენ – საბა. ვაჭრობაში წინდი, მორიგეობისას მყიდველისაგან გამყიდველისათვის შეუშლელობის პირობად საღირალის რაღაც ნაწილის გადაცემა. „ხარებ მოურიგდა, ორი თუმანი *ბეიც* დაუტოვა“ (ჯავახ. ზედგ.). || წინდი, დაწინდვის დროს ვაჟის მხრივ ქალიშვილისათვის მირთმეული საჩუქარი. „ჩვენებმა ანანიენთ მართას ერთ კვირის წინ მიუტანეს *ბეი*“. **ბეის გაცვლა** ქალის დაწინდვა, დანიშვნის ნიშნად ქალ-ვაჟს შორის საჩუქრების გაცვლა. „ეხლა *ბეი* გაცვალეს, ერთი თვი მერე იქნება ქორწილი“. ქალის დანიშვნა ბეის გაცვლით ქალზე დაქორწინება. „ეგნატემ თოკს ქალი დანიშნა. იემ კვირას მიუტანეს *ბეი*“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე ბეო (მთ.-რაჭ. რეხვ.).

ბებერა:

დიალექტ. **I. ბებერა** ბებერი, მოხუცი. [სიკვდილს] ორნივ გადასჩეს დედ-მამანიო, ტოტით მბღუნავნი, *ბებერანიო* (ეთნ. III, 48, 7) – ალ. ჭინჭ. „შენ ამ *ბებერას* რას იცნოფო, მკითხა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ბებერა** (კნინ.) მოხუცი. *ბებერამ* რამანმე მნახა ბოსლის კარზე მისულია („ჩანაწერები“, ვაჟა) – ალ. ჭინჭ. || ბებია, ბებერაჩემი იტყოდა ხოლმე (ჯავახ. მარტ., ზედგ.). „ბებერაჩემი იტყოდა მანდავრობაში ბევრი ტყე იყოვო“ (მესხ. მაის.). || ბებიაქალი: „ებე გურჯიჯე უწინ *ბებერაი* იტყოდენ“ (სირეთიე, კლარჯ.ლექსიკ.). „და მე, მასან, მითხრისყეო, შენ ერთ ბებერა კაცს შაჲრთავო“ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). || გადატ. **ბებერაი** მშიშარა. რა ბებერა რამ ხარაა! (ინგ. როსტ., ღამბ.). აგრეთვე ბებერუა იტყვიან ბავშვზე, რომელიც ბებერივით იქცევა (ქართლ. ლექსიკ.).

ბებერა < ბებერი. ბებერი წერილობით დამოწმებულია XI ს.-დან. მიღებული ჩანს ბერ ფუძის გაორკეცებით, რომლის დროსაც დაკარგულია პირველი კომპონენტის რ (შანიძე 1980: 150; გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბებერა** აბურცული წყალჩამდგარი კანი. ზურიას ხელები უხურდა, *ბებერები* დასკდომოდა (რ. ჯაფ.). უხეირო ყაისნაღისაგან საჩვენებელ თითზე *ბებერა* გასჩენოდა (ო. ჭილ.). გოგონას ცერზე სიმინდის მარცვლისოდენა *ბებერა* ჰქონდა (რ. ინან.) – ქეგლი. აგრეთვე: ხევს. ჭინჭ., ჯავახ. ზედგ.

ბებერა – აბურცული, წყალჩამდგარი კანი; გაორმაგებულია ბერ ძირი, რომელიც ბერ-ავ-ს ი-ბერ-ებ-ა ზმნაში გვაქვს (ერთელიშვილი 1980: 161; სანიკიძე 1976: 61). ბებერა ამობურცული წყალჩამდგარი კანი წარმოადგენს ბებრ-ის კნინობით ფორმას მნიშვნელობის გადაწევით: „ბებერი, დაბერებული კანი“ > ბებერა (გიგინეიშვილი 2016). აღდგენილია ს.-ქართვ. *ბებერ- „ბებერა, აბებრება“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბებერა** ობობა. *ბებერა* აქ ვისწავლე, საგურამოშია, მე მარტო კანის *ბებერა* ვიცოდი (საგურ., ქართლ. ლექსიკ.); **ბებერაი:** „*ბებერას* ბუზუნაი დეეჭირა“. ◊ „ბებერაის ტოლი ობობას ქსელი. „დაჭრილს, თუ სისხლს ვერ აჩერებდეს, *ბებერაის* ტოლს დაადებდეს“ (მოხ. ქავთ.). ◊ **ბებერას ბუდე** ობობას ქსელი – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. ლექსიკ. ◊ **ბებერაის ქსელა** ობობას ქსელი. ის *ბებერაის* [ობობა] ქსელასავით რაიმ იყვავ. იმ გალავანს ჴელს მივახლებდივ. – მაშინავ გაქრებოდავ (ეთნ. საიქიო, III; ხევს. ჭინჭ.); ◊ **ბებერა ჭია** შხამიანი ჭია ერთგვარი. *ბებერა ჭია* თუთაზე იცის ხომე: ყვითელია, დაბღუნძული, შხამიანია (ოძ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: ფშ. შან., თუშ. ცოც.

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ბებერა** სოკო ერთგვარი, – დედაბერა (იმერ. გაჩ.). || **ბებერა სოკო** ქუდიანი სოკო, მოწითალო-ნარინჯისფერი; ჯგუფ-ჯგუფად იზრდება ტყეში; იჭმევა. კურდღელი მოვკალი, ცოტა *ბებერა* სოკოც რომ მქონდეს, საწებელად გამომადგებოდა («მნათ.») – ქეგლი. || კახ.

(დათვის სოკო), სოკოს ქუდზე აქვს წინწკლები და ნაოჭები როგორც მოხუცებულ ადამიანს (ზ. მაყაშვილი 1996: 106). აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

დიალექტ. V. ბებერაი შეშის ღერი. „ახალი წლის ღამეს ოჯახჩი ცეცხლს ანთებენ, შამააქუთ *ბებერაი*. – *ბებერაი* მობზანდებაო, – რასა ბზანებსო? – თქუენს გაშენებასაო“ (მოხ. ქავთ.).

ბედენ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. I. ბედენი კათოლიკე ძარღვი – დ. ჩუბ. ბედენი [არაბ. beden] სხეული, ტანი, ადგილი. „ურუბა *ბედენზე* მოწყობილინა იყოს“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. ბედენი [არაბ.] ზედა ტანსაცმლის წინა ნაწილი- გულმკერდის მხარე. „ეგ ტანი, *ბედენი*, კოხტად გავსილი, მშვენიერ უბეში – ბუხუ გავსილი“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე: ქიზ. მენთ., ჯავახ. ბერ., ქიზ. მრეწ. III, I, 19. შდრ. ბადენი ტილოს პერანგი: „ჰრქუეს კაცსა მას, რომელსა ემოსა *ბადენი*“ (დან. 12, 6) – ილ. აბულ. ბადენი [სომხ.] ლევიტელთ შესამოსელი სპეტაკი ან სახოვანი – დ. ჩუბ.

ჰ. აჭარიანი მიიჩნევს, რომ ბადენ- ქართულში სომხურის გზით არის ებრაულიდან შემოსული (აჭარიანი 1971: 374). ივ. ჯავახიშვილი ბადენ-ი სიტყვის ამოსავლად ბადე-ს ვარაუდობს (ჯავახიშვილი 1962: 199). მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. ძირს *ბად-ენ- „პერანგი, მოსასხამი“ (ჩუხუა 2002-2003). ე. შენგელია იზიარებს მ. ჩუხუას ამ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ბად-ენ-ი შეიძლება უკავშირდებოდეს ბად-ე-ში გამოყოფილ ბად- ძირს და აღადგენს *ბოდ-ს ზანურისთვის, რადგანაც ქართული ბად-(ენ-ი) ძირის შესატყვისად სამეცნიერო ლიტერატურაში ზანურისთვის *ბოდ- ძირი ვლინდება, იგი სვამს საკითხს ქართ. ბადენ-: ზან. (მეგრ.) ბედან- შესატყვისობის შესახებ, რომლისთვისაც *ბოდ-ან-ი იქნებოდა ამოსავალი და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ გავიზიარებდით შეხედულებას ქართ. ბადენ- ფუძის უცხოური წარმომავლობის შესახებ (ე. შენგელია 2014: 69).

ბედვა:

ახ. ქართ. I. ბედვა სახელი ბედავს ზმნის – თამამად, გაბედულად მოქცევა, მოურიდებლობა, კადნიერება. ბევრმა *ბედვამ* გაუბედაობა იცისო (ანდაზა) – ქეგლი.

დიალექტ. II. ბედვა [არ.-სპარს. beddua] წყევლა, შეჩვენება. „ხოჯას ჯამეში *ბედვა* აქნევია!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „არ აწყენ დედას, მამას და ხოჯას, ბითთუმ მუერიდები იმათ *ბედვას*...“ (მან.); ბედუალი დაწყევლილი: „ეს უბე ბედუალი არი, აქ არ გაწვიმდება“ (უ., შავშ. ლექსიკ.).

ბეზ-ი:

დიალექტ. I. ბეზი [თურქ.] ტილო, უხეში ქსოვილი. „ფისს *ბეზზე* წოუსვამენ“ (იმ.); „სკივრზე *ბეზ* გუდუუფენდა დოდოფალსა, დააჟდუმლებდა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || [არაბ.] „დაასველე, ცავ, მაი ბეზი, ტვერს

კარქა, ეიღებს" (აჭარ. ნიჟ.). || ჭინჭი, რომელსაც თოფის გატენისას წამალს დატენიან (გურ.ჭყ.). **ბეზი** [თურქ.] იატაკის საწმენდი ნაჭერი ზან. (ლაზ. თანდ.).

ივარაუდება, რომ ბეზი [< თ. bez]არაბული წარმოშობის სიტყვაა. შდრ. ბაზაზი ძვ. ფართლეულის, ქსოვილების ვაჭარი და იმავე მნიშვნელობის არაბული სიტყვა ბაზაზი (გურგენიძე 1973: 49).

დიალექტ. II. **ბეზი** კოკა, ჩაფი. დოს მოადუღებ, *ბეზში* (ან ჩაფში) გადაასხამ, გეიწურვის (იმერხ., ქართ. დიალექტ., 379, 653).

ბეზირგან-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბეზირგანი** 1. დიდ-ვაჭარი – დ. ჩუბ. **ბეზირგანი** [სპარს. bazargan «ვაჭარი»] ძვ. დიდვაჭარი, სოვდაგარი. *ბეზირგანი* ხარ და სოვდაგარი, სულ შენ მოგივა სხვის მონაგარი (რ. ერისთ.). *ბეზირგნის* შვილი არა ვარ, არც არავისი ბატონი, ღამის მეხრე ვარ უბედო (რ. ერისთ.). 2. «ოჯახის ბურჯი, მხოლოდ არა გამრჯელი, – მბრძანებელი, ზედამხედველი» (ი. გრიშ.). ერთს *ბეზირგანსა* დიაცსა (ვაჟა) – ქეგლი. „ჩამეიარა *ბეზირგანმა* და მოქვყიდა" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „*ბეზირგანს* სამასი დევე დაჭვირთული საქონელი მიქონდა" (აჭარ. ნიჟ.).

ბეზირგანი არის სპარსული წარმოქმნილი სიტყვა – bâzârgân]. მისი მნიშვნელობაა – ვაჭარი, რომელიც შედგება ორი ელემენტისგან – [bâzâr] – ბაზარი და ხელობა-პროფესიის მაწარმოებელი სუფიქსი – [gân]. რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, გარკვეული სემანტიკური ცვლილება იჩენს თავს. ბეზირგანი არა, მაგრამ მისი ამოსავალი სიტყვა ბაზარი ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში" გვხდება: „მოაწყდნენ მოქალაქენი, დააგდეს მუნ ბაზარია" [1459/4] (ბართაია 2010).

დიალექტ. II. **ბეზირგანი** ცუდი ყოფაქცევის ქალი (ფშ. შან., ხორნ., გოგატ.). „ერთს *ბეზირგანსა* დიაცსა, – იმის სახელიმც კრულია, – არ გაჰყოლია ცოლადა, ვაჟკაცი დაუწუნია" (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. მოჯამაგირეთ დავდეგით, *ბეზირგან* დავეტანენით (პ. უმიკ. I, 17). თურქ. [bezirgân / bezirgani] უზნეო, თავხედი ქალი.

ბეკ-ი:

დიალექტ. I. **ბეკი** გორა, ბექი. „გადავდექი ჭელიის *ბეკზე* და დოუმახე, ამოდი-თქვა". „ახლა ჭელიის *ბეკს* ვიღა უმახის იმას, კოლექტივის საღორეა იქინა და საღორე ქვია" (იმერ. გაჩ.). ბეკი || ბრეკი ბეგი, გორაკი. მონადირე *ბეკზე* ჯდება (სვერი, ზ.-იმერ. ბოწ.; იმერ. ქავთ.). იხ. I. ბექი.

ახ. ქართ. II. **ბეკი** [ინგლ. back] (მოძვ. სპორტ.) მცველი (ფეხბურთში, ჰოკეიში) – მ. ჭაბ.

ბელ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ბელი** (ოთხფ.) დათვის ბოკვერი – საბა. დათვმა სიყვარულით თავისი *ბელი* მოკლაო (ანდაზა). პანტის ხის ქვეშ *ბელები* ძიძგნიდნენ პანტას (კ. გამს.). საჩუქრად... ასი ირმის რქა წაუღეს, ბუ დათვი მისი *ბელებით* (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *ბელ- „შვილი, ნაშიერი, ბავშვი“ > ქართ. ბელ-ი, უ-ბელ-ო: (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბელი** ხის კუნძი – ქეგლი ახ. რედ.

შდრ. ბელავს ტოტებს აჭრის (ხეს),– კაფავს. ბობრი ბელავდა კახამბალს, ბჟოლას, ბირკვილს ბატები ქარმა მორეკა (გ. ტაბ.). საბელავი რის ბელვაც შეიძლება, რაც უნდა ბელონ. (ლეჩხ.) „სამი-ოთხი წლის სახარდნე ხე“ (მ. ალავ.) – ქეგლი. **ბელუა** გადაბელვა. ბელუნს „ბელავს“, დობელუნს „დაბელავს“ ზან. (მეგრ. ელ.). **ფელარი** ნაბელი, ნასხლავი; ჩამონახეთქი ხისა; ერთი შტოსი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **III. ბელი**: ბელთუთუნი [თ. bel+tütün] თამბაქოს მცენარის შუა წელის ფოთლები; მისგან კარგი ხარისხის თამბაქო გამოდის (აჭარ. ნიჟ.). თუთუნი... პირველათ დიბაჲ, მეორეთ დიბუსტი, მესამეთ *ბელი* და მეოთხეთ ტორუღი იქნება (აჭარ. მრეწ. IV, III, 72).

ს.-ქართვ.*ბელ- „ფოთოლი, ყვავილი, ტოტი“ > ქართ. [ბელ-ი], ბელ-: ზან. ფალ- < *ბალ- < *ბალ-: სვან. ბალ-ე || < ბაწლ-ე < *ბელ-ე (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **IV. ბელი** 1. დათვის განავალი (ფშ. ხორნ., ხევს. ჭინჭ). ბელიანი ნეხვიანი, უფრო დათვზე იტყვიან (ფშ. ხორნ.). ბელ: აბელებს აბელაცებს აფაღარათებს (ხევს., თუშ. შან.). 2. ბელი: ბუზის ბელი (ხევს.) თაფლი – ა. შან.

დიალექტ. **V. ბელი** ორკბილა თოხი (ჩანგალივით), ოროკი, ადგილების სათოხნად; (ქვ.-აჭარ.) ყავრის სახდელი იარაღი (აჭარ. ნიჟ.). **ბელი** ორკბილიანი საბარავი იარაღი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **VI. ბელლი || ბელი** [თურქ. ბელლი] ნათელი, ცხადი, ცნობილი (შავშ. ლექსიკ.).

დიალექტ. **VII. ბელი**: ბელი-ბელი ბევრი-ბევრი (ქართლ. კირიონი).

VIII. ბელი ელექტრონიკაში, რადიოტექნიკაში, აკუსტიკაში ენერგიათა და სიმძლავრეთა მიმართებების გასაზომი ერთეული. ჩვეულებრივ იყენებენ ბელის მეათედებს (დეციბელებს) [ინგლისელი გამომგონებლის Bell-ის (1847-1922) სახელის მიხედვით] – მ. ჭაბ.

IX. ბელი [სემიტ. პატრონი] ომის ღვთაება. აქადურ მითოლოგიაში, – ენლილის ეპითეტი, გამოისახებოდა ხარის ან ხარისთავიანი კაცის სახით. განასახიერებდა დედამიწის ნაყოფიერების ძალას („ევპ.“).

ბელა:

ახ. ქართ. **I. ბელა** ერთსახეობა, ერთფეროვნება, ერთი და იგივეობა. ამბობენ: შენ კი *ბელა* აგიჩემია: სად იყავი, სად იყავი, სხვა სათქმელი აღარაფერი გაქვსო, ვითომ სულ ერთი და იგივეს რას მელაპარაკებიო? (ი. გრიშ.).

დიალექტ. II. **ბელა** 1. [არაბ.] უბედურება, მწუხარება. „არ დეგელევიან *ბელები*“ (ჰ., ჩვენ. ფუტკ.). „რა *ბელაში* ჩავარდი“ (გურ. ჟღ., შარაშ.). „ესეც ერთი *ბელაა* ჩემ თავზე“ (ჯავახ. ზედგ.). 2. [თურქ. – არაბ.] საფიქრალი, საზრუნავი, სადარდებელი. კაცი აღარ ჰყავან სახში და ეგ ოჯაღიც ჩვენი *ბელა* გახდა (მესხ. ფეიქრ.). **ბელა** [თურქ.] ხათაბალა უბედურება ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. I. ბალა.

ბელა [აზერ.] კიდეც, იქნებ, თუნდაც. რათაარაც უმ იქნეს, ლაფ მოჰკდრაც ბელა, მე ექ დანადგომ არ ვარ; მე *ბელა* არ მოუდივარ (ინგ. ღამბ.).

ბელეშ-ი:

დიალექტ. I. **ბელეში** 1. სანახის აღებისას ხეზე ამოჭრილი დიდი ნაფოტი (რაჭ. კობახ.). **ბელეში || ბელიში** ანახეთქი, ანაპობი ხისა. მთელ სიგრძეზეა ხე დაპობილი სოლებით, ის არი *ბელეშები*; პლახი და *ბელეშები* ერთია (ბორჯ.). ბელიში ხეზე აგდებული ნაჭერია, ბელიშიდან თლიან სარქველს (ჩუმათ.). 2. ხის ნაჭერი კოჭის დასაგრძელებლად. კოჭს დააწყობდნენ, *ბელიშს* დაუდებდენ, კოჭს რო დააკლდებოდა (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.). **ბელიში** «ხეზე ანახეთქი დიდი ნაფლეთი» (ი. ჭყ., სვერი, ზ.-იმერ., აჭარ. ნიჟ.). იხ. II. ბელი.

დიალექტ. II. **ბელეში** ბურთი. *ბელეშივით* ვეცემოდი (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ვფიქრობთ, ბალიში > ბელეში; ბალიში კი ირანული წარმომავლობისაა [ფალ. bāliš „მუთაქა“, „ბალიში“ – Mackenzie, 17]; შემოსულია ქართულში ახალი სპარსულიდან [სპარს. bālīš] (გიგინეიშვილი 2016).

ბელეშა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბელეშა** რქებდახრილი მსხვილფეხა საქონელი, – ლაბა. გულომ გამძღარი *ბელეშა* მოიყვანა და ეზოში დააბა (ნ. წულეისკ.). ქიტუამ *ბელეშა* ძროხა იყიდა (ნ. წულეისკ.) – ქეგლი. „ერთი *ბელეშა* ძროხა გვყანდა, ძალიან რძიანი იყო“ (ჯავახ. ბერ.). ბელეშაი: „ჩემი რეჰანაი *ბელეშაი* გახდა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბელეშა** უხეირო, უშნო, უსუფთაო (ადამიანი). მერე, რითი უპასუხა ამ *ბელეშა* ქალმა? (ო. დგებ.). *ბელეშად* ზმნს. უხეიროდ, უშნოდ; უსუფთაოდ. ბელეშად შეკერილი კაბა... შეადგენდა იმის მორთულობას (ეკ. გაბ.) – ქეგლი. რომელიც უხეირო არი, გინდა ქალი იყოფ, გინდა კაცი; უხეირო საქმე რო იცის, თითონაც ისე აცვია უხეიროთა, ჭუჭყიანი და უშნოთ დაჲთრევს, იმაზე იტყვიან, *ბელეშა* არიო (ატ.). ინდე სონაი, თავიდღეში თავშალ არ გაირეცხამს, დადის ისე, მიწადაყრილი, *ბელეშა* არი, მა რა არი?! (იგ., ქართლ. მესხ.). აგრეთვე რაჭ. კობახ. მობელეშდება (ქართლ. ლექსიკ.). **ბელეშა || ბერეშა** დაუდევარი, ზარმაცი, ცუღლუტი ადამიანი (ქართლ. მენთ.).

ბენდ-ი:

დიალექტ. **I. ბენდი** [სპარს.] იგივეა, რაც სათავანო. 1. საგუბარი, საიდანაც გამოჰყავთ წისქვილის წყალი, – სათავე. 2. ადგილი, რომელიც გამოდგება წყლის, არხის, გზის გასაყვანად (აჭარ. ნიჟ.). „წისქვილის *ბენდი* წუუსილავს ღუარსა, გუდუუგდია წყალი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე მესხ. მაის. 3. წისქვილის ან სარწყავი წყლის სათავეში გამართული ჯებირი, წყლის გამოსაყოფად მთვარი კალაპოტიდან. ადგილი, რომელიც გამოდგება წყლის არხის გასაყვანად. „ერამქწორ *ბენდი* შავჰკარე, წყალი ვერ გაჰღადრავს“ (ინგ. ასრათ.). *ბენდ* (დამბა) ჰცემენ წყლი ყბასთან ანუ [თურქ.] აღიზთან (საინგ. მრეწ. IV, III, 180). **ბენდ** წყალდიდობისას წყალი რომ ნაპირებზე არ გადმოვიდეს და არ წალეკოს, აკეთებენ ჯებირს – აწყობენ ჯაგებს და ზევიდან ლოდებს აგროვებენ: ბრიგადირმა *ბენდზე* დაიარა-ზირა. 4. ჩონგურის ხიდები (ინგ. როსტ., ღამბ.).

ბენდი < თ. bent ჯებირი (გურგენიძე 1973: 26).

დიალექტ. **II. ბენდი**: **ბენდი ბალახ** ერთგვარი ბალახი (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. **III. ბენდი** 1. საერთაშორისო სპორტულ ტერმინოლოგიაში მიღებული სახელი ბურთიანი ჰოკეისა ყინულზე. 2. ჯაზ-ანსამბლების სახელწოდება (უნივერს. ელერდ.).

ბენჩ-ი:

დიალექტ. **I. ბენჩი** ბექ-ბუქი, ჭიანჭველების გორი. **ბენჩიანი**: ჯიგრაულთაო, დამხვდი, მთაო, საჭირჭლიანო, *ბენჩიანო* (ხევს. ჭინჭ.). **ბენჩ-ბუნჩი** გორ-გური, ოღრო-ჩოღრო (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **II. ბენჩრ** კუნძი. „გიო, მოდიღ ჲეს *ბენჩ* დახეჩი“ (თუშ. ხუბ.). || ბელჩი ფეხზე მდგომი ხისათვის შეხეთქილი ნაფოტი (აჭრილი) ნაფოტი (თიან. მასალ. II, 59) – ალ. ღლ. შდრ. II. ბელი; I. ბელეში. გადატ. **ბენჩი** გადატ. მსუქანი და მძიმე რამე. უფრო იტყვიან მსუქან ქათამზე. *ბენჩივით* დედალი მამიკვდა, ქაა (ქიზ. მენთ.).

ბენძღ-ი:

საშ. ქართ. **I. ბენძღი** ძვ. «დაუმუშავებელი ლითონი» (საბა).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბენძღი** ძველი (ვ. ბერ.). || ძალიან ძველი, დაძველებული. || გადატ. ბებერი. მას ვიღაც უცნობი *ბენძღი* ბერიკაცი ახლდა («ლიტ. საქ.») – ქეგლი. „ძალიან მოხუცი თლა რო მოხუცდება, მეტისმეტათ ბებერი როა, ისაა *ბენძღი*“ (მესხ. ფეიქრ.). **დაბენძღებული**: დაბენძღებული კამეჩის ხორცივით არი უხარშელაი (ტყვ.). აგრეთვე კარალ. (ქართლ. ლექსიკ.). დაბენძღდება დაბერდება (იტყვიან აგდებით). ისე დაბენძღდა ჩვენი ფეფოი, რო შენი მოწონებული! (მერ.). დაუბენძღდება: „მაგ პრანჭაობაში ე ქალი შინ დაგიბენძღდება და მერე გაათხუე კარქ ბიჭზე“ (მერ., ქართლ. ლექსიკ.). ვფიქრობთ, რომ ბენძღი < ბღენძი < ბღენჯი.

შდრ. ბღენძი ბებერი, დაბერებული. „დარჩა ერთი ბღენძი ბაყაყი“ (ჯავახ. ბერ.). ბღნეძი || ბღნეჯა სახის მანჭვა, დაღრეჯა. „რაგო იბღნეჯამს სახეს, ნეტაი, რა სტკივა“ (ჯავახ. ბერ.). შდრ. ბღნეჯა ძვ. სახელი ბღნეჯს ზმნის მოქმედებისა, – «ავად პირის დაღრენა» (საბა), – 'და'ღრეჯა. ვირე (= ვიდრე) უჩნდა ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბღნეჯით (რუსთაველი). ძალიან მოხუცი, დაუშნოებული. ერთი ბღარჯი კაცი უგდიათ, იმასაც არ უვლიან წესივრათ (მესხ. ფეიქრ.). ბღარჯი მიხრილ-მოხრილი, ირიბად მავალი (მოხ. ქავთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. პირი *ბღნეჯ- || ბღნიჯ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. III. **ბენძღი** დონდლო სხეული, „ტანმძიმე რამე რო იქნება“; ბებერი, ბეხრეკი (იმერ. გაჩ.). || ზიზღ. უშნოდ ჩამრგვალებულ-ჩასუქებული, მოუქნელი, მძიმე (იმერ. ქავთ.). || **ბენცხი, ბენძღი** მეტისმეტად სუქდება, სქელდება. რაც დრო გადის სიმსუქნე აკლდება კი არა, უფრო ბენძღდება (მერ., ქართლ. ლექსიკ.). || დიდი ტანის, მსუქანი, არაპროპორციულად განვითარებული ადამიანის ან ცხოველის მეტსახელი. „დიდი ბენძღი! ადგომა, დაჟდომა ვეღარ მუუფერებია“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე საჩ. შარაშ. || უზომოდ გასუქებული, ლემადქცეული, დაბენძღებული. იგივე „ბღენძი“ (თვალად. შატბ.). შდრ. ბენძეხი უშნოდ მოყვანილი, ტლანქი ტანის ადამიანი (გურ. შარაშ.). გებენძღი ბონბროხი, გეგეჩო, ზონზროხი, ტლანქი, მოუქნელი და უხეში (ქალი). „სულ ჭამას გადაყვა მაი ქალი, ხედავ, რათ გედეიქცა, გებენძღი!“ (აჭარ. ნიჟ.).

ბერ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბერი** 1. მოხუცებული; მონაზონი კაცი: „ვითარ ჴელეწიფების შობად კაცსა *ბერსა?*“ (ი. 3, 4); „ჰკითხა ძმამან ვინმე *ბერსა*... ჰრქუა მას ბერმან“ (მ. ცხ. 26v) – ილ. აბულ. ვითარ *ბერნი*, ყრმანი და ჭაბუკნი უწყალოდ მოისრვოდეს (ქ. ცხ. II, 311, 3). *ბერზედან* ყმაწვილს ვინ გასცვლის, ანუ ცოცხალზე მკვდარებსა?! (თეიმ. I, 136, 74, 4). ყმა არ ახლავს, არცა *ბერი* (ვეფხ. 828, 3). იგი *ბერი* დედა შვილთა მიზეზითა ზოგჯერ ტიროდის (ვისრ. 127, 34). ვნახე *ბერი* ყრმათა უყრმე და ყმაწვილი *ბერით* უბერე (ვახტ. VI, 55, 5, 1). *ბერს* გამოცდილთ არა ვჰკადრებ (დ. გურამ. 70, 61, 2). გაგვიძეღ, *ბერო* მინდიავ, მუხლი მოიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო! (ხალხ.). *ბერი* ტიროდა დიაცი, ისმის ქვითინი ქალური (ვაჟა). || საერთოდ, დიდი ხნისა, ბებერი (რამ). საწყალი *ბერი* ქედანი ბოლოში მოიგდიანო (ხალხ.). 2. საეკლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული. როგორიც ერიო, ისეთი *ბერიო* (ანდაზა). ვიცოდი... მამიჩემისგან, რომ მონასტერში ვიღაც *ბერია* (ილია) – ქეგლი. *ბერო, ბეროძას* ნუ შჩივი, დაკლებას თვალებისას (ხევს. პოეზ. 690, 1, ხევს. ჭინჭ). აგრეთვე: ინგ. ღამბ., ფერეიდ.

ჩხუბ. გადატ. ქმარი. „ითხოვს ჩემი *ბერი*, ჟავე ჩადევითო“ (ჩაქ., შავშ. ლექსიკ.). 3. **ქალაქის ბერი**: X-XII სს. (შეიძლება უფრო ადრეც) საქართველოს ზოგიერთ ქალაქში ქალაქის მოსახლეობის შეძლებული ნაწილის წარმომადგენლები იყვნენ „ქალაქის უხუცესები“ ანდა „ქალაქის ბერები“. „ქალაქის ბერების“ ხელისუფლება თბლისში არსებობდა იმ დროსაც, როდესაც ქალაქი არაბთა ხელთ იყო... თბილისის ემირის შემდეგ „ბერები“ იყვნენ ყველაზე გავლენიანნი... თბილისის ისტორიაში იყო ისეთი პერიოდი (XI-XII სს. მოკნა) როდესაც იგი 40 წლის განმავლობაში ქალაქის ზედაფენის – „თბილისის ბერების ხელთ იყო“ (მესხია 1983: 176). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. ძირს *ბერ- „უხუცესი“, მოხუცებული* (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: მარი 1902: 106, ანდრონიკაშვილი 1966: 293.

ახ. ქართ. **II. ბერი** გამოსხივების ეკვივალენტური დოზა, ეკვივალენტური დოზის მაჩვენებელი (უნივერს. ელერდ.).

ახ. ქართ. **III. ბერი** (ჭან.) ცხვრის საწველელი (არნ. ჩიქ.). **ბერი** [თურქ. სპარს. ber] ცხვრის საწველელი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **ბერი** (თ. ბერი) იხმარება თანდებულის მნიშვნელობით დროის აღსანიშნავად, მას შემდეგ, რაც, მოყოლებული, ძველთაგანვე. „ესკიდან ბერი ჩაქველთაა“ (ჩაქ., შავშ. ლექსიკ.).

ბერა:

ძვ. ქართ., დიალექტ. **I. ბერა** 1. კნინ. ბერი, მოხუცი. 2. საკუთარი სახელია მამაკაცისა. ახალზალ მაუყვანავის, აქორწილებდეს *ბერასა* (ხევს. პოეზ. 545, 3). **ბერაცრ** მოხუცი ქალი – დედაბერი. „ცოცანიანთ *ბერაცსაო*, კვერცხი უძეს ცერაცსაო, – ბალღებთ გვაჯავრიან წინავ“ (თუშ. ცოც.). **ბერაი** – ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად *ბერაი* [პარხლ. ოთხთ 273r] – ზ. სარჯ. იხ. I. ბერი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბერა**: ◊ **ბერა თითი** ცერი. (გოგოთური) ფანდურსაც შააჟღარუნებს, თითს ააჩქამებს *ბერასა* (ვაჟა) – ქეგლი. *ბერა*-თითზე -ერთ საკლავ, ხუთ ძროხა და ერთ ქინთ არაყრ [ეკისრება დამჭრელს] (ხევს. დოლ. 64, 10). აგრეთვე მოხ. ღუდ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბერ- „დიდი; მრავალი“* (ჩუხუა 2017).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბერა** ბერა ბაკიდან ვიწრო გასასვლელი. ბევრთა და ცოტას მწველელნი სწორეთ გავლიან *ბერასა* (დ. გურამ. 63, 19, 1). აგრეთვე ქეგლი. **ბერა** პატარა შემოღობილი ცხვრის მოსაწველად: ერთი კარიდან ნაწილ-ნაწილ შერეკავენ, მეორე კართან კი მწველავები სხედან, წველავენ და უშვებენ (ფშ. ხორნ; თუშ. ხუბ.). ქოხთან მოახლოებულ ფარას დაურიალა მამუკამ და... ჩამოაყენა *ბერასთან* (გ. ხორნ.). **ბერქოხაი** ცხვრების საწველი ადგილი საზაფხულო იალღებზე. „ბერაქოხაში შევდენე ცხვრები“ (აჭარ. ფუტკ.). „საბერწიას თავზე *ბერაქოხაი* ახლაც არი“ (აჭარ. ნოღ. VII, 31). შდრ. ბარაი 1. [აზერ. bärä] ნადირობის დროს ნადირის მოსამწყვდევი ვიწრო გასავალი; 2. [აზერ. დიალ. bärä] ბერა, მო-

ზღუდული სპეციალურად დატოვებული ვიწრო ადგილი, სადაც ცხვარი თითო-თითოდ გამოჰყავთ და წველიან (ინგ. ღამბ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბერა ბაკი; მიდამო (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე კაკიტაძე 2005: 29.

დიალექტ. **IV. ბერა** 1. ზვინზე ზემოდან გარდიგარდმო დაწყობილი ძნები. ზვინის შესამაგრებლად ურემზე ძნას ჯერ სიგრძეზე აწყობდნენ, მერე სიგანეზე ერთ პირს ძნებს და გადაუჭერდნენ თოკს ბოლოდან თავამდე; იმ ძნებს ვეძახდით *ბერას, ბერა* იჭერდა მაგრა (ზ. ხანდ.). ძნას რო დგამდნენ, მაღლა გაუვლიდნენ ბერასა, უკანასკნელ ძნასა, ის არის ბერა (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.). **ბერა** – გრძელი სწორი ჯოხია, რომელიც თივას ზემოდან დაედება და შემდეგ თოკებით შეიკვრება. ბერა თივას იცავს გადაპნევისაგან (მთ. მრეწ. IV, II, 108). 2. **ბერა** ჭაჭის საწნეხი მოწყობილობის ნაწილი. *ბერა* ორბოძალა ხეა, რომელსაც ხმალაები აქ გაყრილი (სოჩხეთი, ოკრიბ. ძოწ.). შდრ. III. ბებერაი.

დიალექტ. **V. ბერა** ბავშვთა ზოგიერთ თამაშში – მონიშნული, ამორჩეული ადგილი (ქვა, ხე, შენობის კედელი...), რომელთანაც ბავშვები იხუჭებიან, რომელსაც ბურთს მოარტყამენ ხოლმე და ა. შ. ბავშვებს *ბერად* მუხის ხე აერჩიათ. – გახსოვს, აქ რომ ბურთობას თამაშობდი და მე მუდამ «ბერა ქვად» დამნიშნავდით ხოლმე (ნ. ლომ.) – ქეგლი.

ბერყენა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბერყენა** [Pyrus salicifolia] ველური მსხლის ჯიში; ისხამს პანტის მსგავს მწკლარტე ნაყოფს; იხმარება მსხლის საბირედ. სწორ და ვაკე ადგილებზე საკმლის ხე და *ბერყენა* ჩანდა (ნ. კეცხ.). მკვდარ ბახალას ნისკარტი ჩაავლო და *ბერყენას* ფუღუროში თვალებდაბრიალებულ ბუს მიუთრია (ა. ხახუტ.). ასეთი ჯიშებია: შავი ფიჩვი, ნუში, თეთრი აკაცია, *ბერყენა* («საქ. ბუნ.») – ქეგლი. აგრეთვე ბირყიმი პანტა. „იქნება ბევრი ბირყიმი“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.); პტყენა (გ.-კახ. სახლთხ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბარყუ-ენ- „ტყემალი, ქლიავი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. **II. ბერყენა** ყეყეჩი, შტერი. *ბერყენაა*, კაცო, *ბერყენაო*; ამი ტოლები კვერცხში გამოსწივიან და ამან ჭკუა ვერ ისწავლა, არ ეშველა (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ბეყე შტერი, ბრიყვი, ყეყეჩი – ქეგლი. ბეყე, ბეყეყა, ბეყეჩი უეშმაკო (ქართლ. ლექსიკ.). ბეყერაი უშნოდ გასუქებულ-გაბერილი კაცი (გურ. შარაშ.).

ბექ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბექი** 1. ამაღლებული ადგილი, – ბორცვი, გორაკი. მთა *ბექად* გადაიქცა, მუხა – ლერწმად, ზღვა – წყაროდ (ილია). იმ სერს იქით და აქეთ უდგია დიდი *ბექები* (ვაჟა). *ბექს* რასმე გადავადექით და წინ გაგვეშალა სოფელი (ვ. ბარნ.). შევცურდები და გაგიყვან, სადაც

ჩანს დიდი *ბექირო* (რ. ერისთ.) – ქეგლი. || ნამეწყრალის ანდა ძალიან დამრეცი ადგილის ზედათავი. გაუშვ და ბექში გაღრივა ი კაცი (გ. დოლ. 59, 16); *ბექის* ძირში ვეკრიდიდი, ტომრის-ძველა მეკრისაო (ხევს. პოეზ. 731, 3) – ალ. ჭინჭ. „*ბექი* რო მოჰსქდის ბევრჯელა, ისაც გადაჰყვის წყალშია" (ბ. 47, 26) – ივ. ქეშიკ. აგრეთვე: თუშ. ხუბ., ზ.-იმერ. ძოწ. || ბექობი– მთის ფერდობზე მკვეთრად დაქანებული უკლდეო ზოლი. 2. ტერასულ სახნავებს შორის უძრავი მიწის ზოლი. „ცხენო, გატყობაწ, გეშინის, *ბექებს* ვერ ხფრინავ მაღალსა (თუშ. ცოც.). || გადატ. წითელი ღვინის ქვევრები ცალკეა, შუაზე *ბექი* აქვს (ქიზ. მრეწ. IV, III, 80).

დიალექტ. II. **ბექი** ჯიუტი, კერპი, თავისნათქვამი. აი ეს გოგო გვყავ *ბექი*, იმითანა თავისნათქვამა არი, ერთ სიტყვას ვერ გააგონეფ შენსასა (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.). ბექი < ბაქი მუქარის სიტყვა, მედიდური პასუხი, სამუქარო. მერმე საამს მოახსენა, – თუნდის ეთქუა რაც *ბაქი* (შვნ. I, 1025, 2). აგრეთვე: ქეგლი, ხევს. ჭინჭ.

ბეღურა:

საშ., ახ. ქართ. I. **ბეღურა** მფრინ. ჭივჭავი – დ. ჩუბ. || [Passer] პატარა ნაცრისფერი ჩიტი ბეღურასნაირთა რიგისა; მკვიდრი (არაგადამფრენი) ფრინველი. სხვის სანეხვეზე ორი *ბეღურა* ერთმანეთს წეწავდაო (ანდაზა). *ბეღურა* ჩიტები საბძლებსა და დერეფნებში იმალებოდნენ (თ. რაზიკ.). გოგომ... *ბეღურის* ოდნავ დაბუშტულ ბარტყებს კოცნა დაუწყო (შ. არაგვ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბეღ-ო „ბეღელი" ქართ. ბეღო, ბეღელი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1938, კლიმოვი 1964, ფენრიხი, სარჯველაძე 1990, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **ბეღურა** წნელი, რითაც სახურავის კუთეში ისლს ამაგრებენ (ოკრიბ. ალავ.). შდრ. **საბეღურა** ტკეცის გოდორი (ოკრიბ. ალავ.). **ბეღური** ისლის სახურავის დასამაგრებელი ჯოხი. ისლს დავაწყობდით ზომაზე, მერეთ იმას *ბეღურებით* დავამაგრებდით და გავასწორებდით (გულუხეთი, იმერ. ქავთ.). შდრ. ბაღარა მცირე ტყე (ქართლ. კირიონი).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბაღარ- მცირე ტყე (ჩუხუა 2017).

ბზარ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ბზარი** 1. მკვრივ საგანზე მცირედ გახეთქისაგან დაჩნეული ხაზი, – ნაბზარი. და რამდენიც ჰქონდა *ბზარი* [მუხას], ცას იმდენჯერ დაეცუხა (გ. ლეონ.). კედელზე *ბზარები* ჩნდებოდა (გ. დოჩ.). ბოძის *ბზარში* ჩამალული ჭრიჭინა გულსაკლავად მოთქვამდა (ო. ჭილ.). || 2. გადატ. განხეთქილება, უთანხმოება. ოჯახურ სიმშვიდეს *ბზარი* გაუჩნდა (ო. ჭილ.). მოჩვენებითი მყუდროება, სიჩუმე..., ჩემსა და ანანოს შორის წარმოქმნილ პატარა *ბზარს* თანდათან აფართოებდა (ა. სულაკ.) – ქეგლი. ბზარვა დავხეთქ. ბძარვა – დ. ჩუბ.

ძველ ქართულში ამ მნიშვნელობით გვაქვს **ბზარ-, ბძარ-**ფუძიანი სიტყვები. დაბძარვა, დაბზარვა «ჩამოპება», გახეთქა, დახევა: „თხიერნი დაიბძარნეს“ (G, ისუნ. 9,13); „ჴორძნი მათნი დაიბზარნეს... გუემითა“ (Sin–11, 124r) – ილ. აბულ.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბზი-არ- გაბზარვა (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: გუდავა 1979: 84, 1994: 237, ფენრიხი, სარჯველაძე 1990, გიგინეიშვილი 2016.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბზარი** თოვლი გამაგრებული – საბა. || ძვ. «თუ შემბალი თოვლი შეყინა, ეწოდება ბზარი» (საბა) – ქეგლი. აგრეთვე მთ. კაიშ.

ს.-ქართვ. *ზარ- || *მ-ზარ- „ყინვა“ → ქართ. ბზარ-, ზარ- || ზრ-, მ-ზრალ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ბზე:

დიალექტ. **I. ბზე** მზე (რაჭ. კობახ.). ჩევიდა *ბზეი* (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). „არ ვჭამ ძეს, გუუწვები *ბზეს*“ (ინ.); „*ბზევ, ბზევ*, მოდი ვაკესა, ცხუარ დიგიკლავ მაკესა, შიგიწუავ, დიგიმარილებ, დიგიდეფ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). დღემანდელ *ბზეს* ძალა კარ აქ (რაცხ. გურ). ბწყინავდა ბზესავით (გურ. ნიკოლ. 243, 17). ბზეი მზე (გურ. ჟღ.). მზიანი ადგილი საბზეურია (გურ. ტუღ.).

*მზ ე არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბზე** ბზე: „*ბზი*გი დაწუას“ (მთ. 3, 12); „ლომი ვითარცა ჴარი *ბზესა* ჭამდეს“ (ეს. 11, 7) – ილ. აბულ. მოდგეს უფროსნი *ბზეთასა* (ვეფხ. 83, 2). **ბზე** პურეულის ნამჯის ნალეწი. ძველი *ბზე* ვერცხლიაო და თივა ცეცხლიაო (ანდაზა). *ბზეს* საბძელში ჩაყრიან ხოლმე (ი. გოგებ.). ბაკი *ბზით* გაუვსო, შემდეგ თივა დაუყარა [ბათომ] (ს. შანშ.) – ქეგლი. „ცალ თერეფ *ბზეა* და ცალ თერეფ – კაკალი პური“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). მოაბზევეფს || მოაბზევნეფს კალოს გაწმენდისა და მორწყვის შემდეგ *ბზეს* მოაყრის, რომ სველმა მიწამ არ დაიკრას პურის მარცვალი და მიწა არ აჰყვეს პურს. კალოს თოხით მოვფხეკთ. მოვრწყამთ, გადავიტანთ მოფხეკილ მიწას ნაპირებზე, მოვრწყამთ და მოვაბზევეფ, ე. ი *ბზეს* მოვაყრით ამ სველ მიწას, რო პური არ დეიკარქოს (ბაჯითი); მოვხოსრევდით კალოს თოხით, მერე გადავხვეტევდით, ცოცხით დავგვიდით, მოვრწყემდით, მერე მოვაბზევნებდით – *ბზეს* მოვაყრიდით, რო მიწა არ მოყვეს (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., ქვ.-რაჭ., ლეჩხ. მრეწ. IV, III, 59, 61.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბზე „ბზე“ (ჩუხუა 2017).

ბზუკ-ი:

დიალექტ. **I. ბზუკი** ბზიკი. *ბზუკი* გიფთხილოყე (ფერეიდ. ჩხუბ.). || ერთგვარი ბუზი (მთ. კაიშ., ფშ. ქეშიკ., ყიზლ.-მოზდ. ქართ. დიალექტ., 601). **ბზუკრ** ბუზანკალი. თუ ერთ *ბზუკ* არ დეჟკროდ, მემრ აქუჩიდ ეგ

ძროხებრ, აქვე **ბზუკდაკრულრ ბუზანკალ შემძვრალი** და ამის გამო მოუსვენრობა შეყრილი (თუშ. ცოც.). შდრ. **ბუზუკი** ბუზი (ფერეიდ. ჩხუბ.). **ბზუკი** ბზიკი ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *"ბზიკ- „ბზიკი"* (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ანდრონიკაშვილი 1966, ერთელიშვილი 1980: 112, გიგინეიშვილი 2016.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბზუკი, ბზუკა** (იმერ.) მუწუკი – ქეგლი. აგრეთვე **ბზუკა** მუწუკი. *„გეიკვეთა ბზუკა* და ეშველა ცოტათი" (იმერ. გაჩ.); ინდოურმა იცის ღვირძლის სიმსივნე; წელებზე დააყრის *ბზუკას* (ზ.-იმერ. მრეწ. IV, I, 240). || **ბზუკე** (საჩ. შარაშ.). შდრ. **მუწუკი** არს, რაიცა მსხმო გამოვალს კაცსა ზედა, არამედ სახელნი სხვადასხვაა მათი. რაოდენ რიგია – საბა.

ბიბილა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბიბილა** ყვავილი (მინდვრისა). დახე, რა ეშხით, რა სიყვარულით მინდვრის *ბიბილას*ის (= ვარდი) ჩახვევია (ი. ევდ.) – ქეგლი. || *ბიბილასავით* მაღწყდა – იტყვიან, ავადმყოფობა ერთბაშად რომ მოსწყვეტს ხოლმე კაცს. აქედან გვარი ბიბილაშვილი (ქიზ. მენთ.). || ბიბილაღ ლამაზი (ბავშვთა ენაზე) (ინგ. ღამბ.). შდრ. ბილილა მინდვრის ყვავილი ერთგვარი. || საერთოდ, ყვავილი – ქეგლი.

ს.-ქართვ. *"ბილ-ბილ- „ყვავილი, მარცვალი" → ქართ. ბი-ბილ-ა* (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ბიბილა** მამიდა [თურქ. ბიბი] – საბა. ბიბი / ბიბილა / ბიბია / ბიბო მამიდა. „ბაბაის დას *ბიბილას* ვებნევით" (ფათ., ჩვენ. ფუტკ.). ბიბი მამიდა ზან. (ლაზ. კალანდ).

ბიბო:

დიალექტ. **I. ბიბო** თეთრი, თეთრთმიანი ადამიანი. *ბიბოჯა*, წარბებიანად, წამწამებიანად სუ თეთრი რო არი (ჩუმათ.); აგრეთვე ხაიშ. (ქართლ. ლექსიკ.). *ბიბო* ქალი ყამ (ზედუბანი); სულ *ბიბო* თეთრი არი ესე (ღორეშა); ე ქალი *ბიბო* თეთრია (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ბიბა (ზ.-იმერ.) «ქოსა ბოზრი (ქერა)», «თეთრი ბალნის ბქონე» (ი. ჭყ.) – ქეგლი.

აღდგენილია არქეტიპი *"ბიბ-ო (კელაურაძე 2018: 30).

დიალექტ. **II. ბიბო** ბიბილო. ხრინწიან ქათამსა უქვავდება კუჭი. გაულურჯდება *ბიბო*, ჯიჯლიბო (ოძ., ქართლ. ლექსიკ.).

ს.-ქართვ. ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია: 1. (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *"ბიბილ- „ბიბილო"* (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ბიბო** გაუგებელი კაცი (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. **IV. ბიბო** ძალიან წმინდად დაფქვილი (პიპკი) (გურ. ჟღ.).

ბიგა:

დიალექტ. **I. ბიგა** || **ბიგვა** პატარა, წვეტცხვირა და ბეცი თაგვია ერთგვარი. *ბიგას* ღვივხარ ალატშია, აისრ გაგაქვ ცანცარია (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე: ფშ. ხორნ., მთ., ფშ. (შატ.) – ა. შან.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბიგა** რისამე გასამაგრებლად შეყენებული კეტი ან ძელი, – ბოძი (შდრ. ბოძკინტი) – ქეგლი. || ორკაპა ჯოხი (სინონ. ბარხი, ბოჯინჯგალი, ბოჯიჯგი) ხეხილს რო ბევრი ასხია, ტოტი რო არ მოტყეტეს ნაყოფის სიმძიმისაგან, გოუკეთეფთ *ბიგეფს* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || თივის, ძნის ასაღები, ორთითა ან სამთითა, ხისაგან გაკეთებული. „ბიგას ვეტყვით ამასა. ამით ავწევთ ქერსა, პურსა, თივასა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || ბიგა, ბიგაი (ფშ., იმერ., გურ., ლეჩხ.). || **ბიგი** რაიმეს საყრდენი ჯოხი, ბოძი ან მისთანა. „ე, ბიჭო ი ჯოხი, გოუკეთე ტოტს *ბიგათ*“ (იმერ. გაჩ.). ||ბიგალი ორ ან სამთითა თივის ასაღები ჯოხი (აჭარ. ნიჟ.). || ბიგალე (რაცხ. გურ). **ბიგა** მეგრულ-ლაზურად ჯოხს ეწოდება. ზანური „ბიგა“ აჭარულ დიალექტში შედარებით ვიწრო მნიშვნელობით იხმარება (აჭარ. თანდ., ნარაკ.).

ბიზ-ი:

საშ. ქართ. **I. ბიზი** მოკლე პალო მიწაში დასარჭობი სროლით სათამაშოდ ყრმათა – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ბიზი** დარგ. «ხარაზების ხელსაწყო, – სადგისი» (ი. გრიშ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ., აჭარ. ნიჟ. **ბიზი** [თურქ. biz] სადგისი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **III. ბიზი: თვალბიზი** ვინც საქმროს ან საცოლეს ხშირად იწუნებს-წუნია. თვალ *ბიზ* იყვ ქაქალა, იმით დარჩ შინ. აგრეთვე: გათვალბიზდების, გათვალბიზებული (ხევს. ჭინჭ.).

ბითუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბითუმი** [თურქ.] ერთიანი, მთლიანი. ეს საძირკველი ძირში *ბითუმი* იყო (ვ. ბარნ.). ის *ბითუმი* კედელი ფანჯრებს ვაგლახად აჰყუდებოდა წინ (ვ. ბარნ.). ◊ **ბითუმი კლდე** პიტალო კლდე. **ბითუმად** ზმნს. ერთიანად, ერთბაშად, მთლიანად. მწვანილის ფასები გამოიკითხეს, – რამდენიც გაქვს, *ბითუმად* ვყიდულობთ, ფასს დაუკელიო (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი. ◊ **ბითუმი ხორგო** თავმკვრივი ხორგო. ახლაც ხმარობენ „თხმორულ“ საწნახელს, რომელსაც წინა თავი *ბითუმი* აქვს, ხოლო ბოლო – ფალანგებითა და ხმალათი გაწყობილი (რაჭ. ფრ., 150). *ბითუმთავიან* ხორგოს ყოველთვის ძვირს აფასებენ (რაჭ. ფრ., 149). შდრ. ბითაოჲ კოდის ფსკერი. „კოდს რო ძირ გაღვარდებ, ბითაო გაღვარდავ, იციან“ – კოდს რომ ძირი გასძვრება, ბითაო გასძვრაო, იტყვიან (თუშ. ცოც.). ||

ბითუმი, ბითაო ერთიანი. „ბითუმი გულმკერდი აქვს“ (ა. შან., ფშ. ხორნ.). აგრეთვე: იმერ., მოხ. ქავთ., ინგ. ღამბ.

ახ. ქართ. II. **ბითუმი** მიუხვედრებელ და ცერცეტ კაცზე იტყვიან – ი. გრიშ. შდრ. ბითური საუბ. სულელი, ბრიყვი – ქეგლი.

ბილ-ი:

დიალექტ. I. **ბილი** საჩეჩელის ნაწილი, რითაც იჩეჩება მატყლი. „საჩეჩელსა აქ ფეჯი და *ბილები*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ვილი საქსოვი დაზგის ლვილი (თუშ. უთურგ.). ლვილი, რვილი მნიშვნ. საქსოვი დაზგის ნაწილი – მრგვალი ხის ნაჭერი, რომელზედაც იქსელება ძაფი. რვილები დამაგრებულია ყდებში სოლებით, რომლებითაც საჭიროებისდაგვარად ჭიმავენ ფარდაგს (ნაქსოვს) («შინამრეწვ.»). || იგივეა, რაც ლილვი. ზემო დანდალში გაკეთებულია მაქოს სასროლი ბაწრისთვის რვილი («შინამრეწვ.»). || ქსოვილის დასახვევი მრგვალი ხის ნაჭერი. რაზედაც მოქსოვილ ხამს ახვევდნენ, ის რვილი... იყო («შინამრეწვ.») – ქეგლი.

ს.-ქართვ. *ლუილ- „ბორბალი, ღერძი; ურემი“ → ქართ. ლილვ-ი || ლვილ-ი || რვილ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ბილი** 1. რბილი ხორცი. „ძვალი ცაკე მაქ და *ბილი* ცაკე“ (გურ. ე. ნინ.) – ალ. ღლ. „ზოლ გინდ თუ ბილ?“ (ინგ. როსტ.). „ძვალო, ნუ გეშინია, *ბილო*, ნუ გეშინია“ (იმერ. გაჩ.). 2. წმინდად დაფქული, დანაყილი, დაფხვნილი. ბილ ფქულს პუდრივა დანაფქოვს ეზახიან; ბილ პურ (ინგ. როსტ.); 3. კაი მატყლი- *ბილი* (რბილი) მატყლია (გუდამაყრ. IV, I, 144). აგრეთვე: რაჭ. კობახ., გურ. ჟღ. შდრ. ლბილი რბილი; მშვიდი: „დაწვების სარეცელსა ზედა ლბილსა განსასუენებლად ჰორცთა“ (მ. სწ. 239, 34); „ლბილ იყვნეს სიტყუანი... უფროჲს ზეთისა“ (ფს. 54, 22). იხ. დალბილება, კეც ლბილი – ილ. აბულ. იხ. II. ლბილი.

ახ. ქართ. III. **ბილი** [ინგ. ბილლ] პარლამენტისათვის წარდგენილი კანონპროექტი (ინგლისურენოვან ქვეყნებში); ზოგიერთი კონსტიტუციური აქტის სახელწოდება. გლადსტონმა 1870 წ. თავისი სახელოვანი *ბილი*, ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახები, შეიტანა პარლამენტში (ილია) – ქეგლი.

ბილა:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ბილა** 1. ჩილიკა, რიკი. რო გაჰკრავდა *ბილასა*, თვალს ვერ მიაწვდენდი, იმ სიშორეზე გაისროდა (მეგ.); აგრეთვე ხაშ. (ქართლ. ლექსიკ.). 2. სამღერალთ დაცდენა – საბა. „თელი დღეა *ბილას* თამაშობენ ბაღვები“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. || რიკ-ტაფელის თამაშისას ტაფელის დაცდენა ასროლილ რიკზე. თუ სამჯერ დააცდინა, დამწვარია მოთამაშე. „სამი *ბილა*!“, „დეიწვი!“. || გაკრული რიკის დაცემის ადგილიდან რიკისავე ფეხით უკან გადმოგდება საყესთან მისაახლოვებ-

ლაკ. ხდება ნაკერისას რიკზე ტაფელის დაცილების რაოდენობის შესაბამისად. „ორი ბილა მაქ გადმოსაგდები!“ (იმერ. გაჩ.). || გადატ. **ბილა გააკეთა დაკვა.** „ბილა ქე გააკეთე ამ დილაზე?“ – „დევეცი და *ბილაც* იყო და ყორაღლაც“ (ბოსლეული, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. IV. ფილა.

დიალექტ. II. **ბილა: ბილა-ბილა** [ახერ. ბილა-ბილა] იგივეა, რაც ზმნზ. ცოტა-ცოტა, – წინასწარი განზრახვით, შეგნებულად (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **ბილა** [თურქ.] ასრულებს „ც“ ნაწილაკის ფუნქციას, კიდეც... „საქონლითვინ *ბილა* მერხემეთინა ქქონდეს“ (ინ.); „მეზობელი ბილა მიხტება და შენ ოჯაღმა ველარნა მიხდეს!“ (ინ.); „ახრაბები *ბილა* შევაწუხევით“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). „ჟურჭელიც *ბილა* წაიღო, წყალი ხო გამიცალა“. „მარტო ჯორი კი არ წაიყვანა, საფენებიც *ბილა* გავატანე“ (ჯავახ. ბერ.). „ისიც *ბილა* აქ იყო“ (ჯავახ. ზედგ.).

ბილიკ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბილიკი** 1. ვიწრო გზა – დ. ჩუბ. ბილიკი ვიწრო გზა, სიარულით დაჩნეული ნაკვალევი. გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ვიწრო *ბილიკი* კლდეზედა? (ვაჟა). *ბილიკი* კლდის პირად მიიკლაკნებოდა (ს. კლდ.). ოცნებიანი ახალგაზრდა ქალი... ნელი ნაბიჯით მიდის *ბილიკზე* (გ. ტაბ.). ◊ **საცალფეხო ბილიკი** ძალიან ვიწრო ბილიკი. საცალფეხო *ბილიკებიც* მუხლს არასოდეს ღლის (რ. ართილ.). ხევის სიღრმეში საცალფეხო *ბილიკს* შესდგომოდა თორიანი ჭაბუკი (კ. გამს.). ცხენს აღვირი ამოქაჩა და უსიერი ტყის... *საცალფეხო ბილიკზე მიაგდო.* 2. სასეირნო გზა ბაღებში, პარკებში. ამ ბაღში ცხოვრობდა მებაღე: ... ბაღის პატარა *სასეირნო ბილიკებზე* წმინდა ქვიშასა ფენდა (ი. გოგებ.). სწავლულნი მებაღენი ზომავდნენ, აკეთებდნენ ბილიკებს (ეკ. გაბ.). 3. სპეც. ინფორმაციის (ხმის, გამოსახულების) მაგნიტური ან ციფრული ჩაწერის კვალი სათანადო დისკზე, – ხმის ბილიკი. ძველებური დისკეტები იტევდნენ მხოლოდ 360 კბ-ს და ქონდათ მხოლოდ 40 ბილიკი («თბილ. ფორ.») – ქეგლი. აგრეთვე ზ.-იმერ. ძოწ.

დიალექტ. II. **ბილიკი** აზურგებული ადგილია, გვერდოიანი, დაბლა ჩაღრმავებული. გორასავითაა *ბილიკი* (ხიდარი); ბილიკი, პატარა გორა რო არი, იმას ქვია (ზარანი); ბილიკია ამობურცული ადგილი, ბრეკი რო იქნება (უჩამეთი, საბე, ზ.-იმერ. ძოწ.). ვვარაუდობთ, რომ ამ მნიშვნელობის ბილიკი < ბრეკი (იმერ.) ბექი – ქეგლი.

დიალექტ. III. **ბილიკ-**: უბილიკებს ჩაარტყამს, ჩასცხებს, უთაქებს. „თვალის დახამხამებაში ერთი იმფრათ უბილიკა, რომ შენი მოწონებული“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ბლიკვი მუშტი, რომელშიც ცერი თითებქვეშაა მოკეცილი – ქეგლი. იხ. III. ბლიკი; II. ბინიკი.

ბიმბილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბიმბილი** (იმერ.). «თხმელისა და თხილის ყვავილი» (ვ. ბერ.). შდრ. ბიბილა ყვავილი (მინდვრისა) (შდრ. ბილილა). დახე, რა ეშხით, რა სიყვარულით მინდვრის ბიბილას ის (= ვარდი) ჩახვევია (ი. ევდ.) – ქეგლი. იხ. I. ბიბილა.

დიალექტ. **II. ბიმბილი** ყურძნის (ერთი) მარცვალი (რაჭ. კობახ.). *ბიმბილი* დასკდებოდა შვაშვაზე და ტევანი ისე ხმებოდა (ქვ.-რაჭ. მრეწ. IV, III, 138). ბიმბილა, ბიმბილო – ლ. ასათ.

არნ. ჩიქობავამ „ბაბილო ხეზე ასული მაღლარი ვაზის“ ფუძის ეტიმოლოგიის გარკვევისას მიუთითა, რომ სალიტერატურო ქართულის ბიბინი, ქიზ. ბიბილ-ა, იმერ. ბიმბილ-ი, მეგრ. ბიბილ-ი ერთობლივ მოწმობენ, რომ ბა-ბილ-ო-ს ბილ-ფუძე ეტიმოლოგიურად ყვავილს უკავშირდება (ჩიქობავა 1954: 44, 45). სახეზე გვაქვს შინაარსობრივი განვითარება სიტყვის მნიშვნელობისა: ბინ || ბილ → ბინ || ბილ (მაღლარი ვაზი → ყურძენი) (კაკიტაძე 2005: 138). იხ. I. ბიბილა.

დიალექტ. **III. ბიმბილი** ქათმის, ინდოურისა და მისთ. თავზე წაზრდილი ხორცი, – ბიბილო (იმერ. გაჩ.). კნინ. ბიმბილა (მთ.-რაჭ. რეხვ.). შდრ. ბიბილო თავთა და ყბათა ქვეშე მფრინველთასა ამოსული ხორცი წითლად სავარცხელივით – ნ. ჩუბ. ბიბილო || ბიბილვები (ჩვენ. ფუტკ.). ბინბილო || ბიბილო (ზ.-იმერ. ძოწ.).

ბინა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბინა** 1. (ბინა ZAaBCE.; ოთევან ZAaBCE.) (ბუნაგი, ბუნაკი C, ბუნაგი და ბუნაკი E) პირუტყვთ სადგომი (სადგური B) – საბა. ცხოველთა თუ ფრინველთა სამყოფელი, საბუდარი, – თავშესაფარი. ჩიტები დაფრთხიალებდნენ: ნელი, ჩუმის ჭიკჭიკით დაეძებდნენ *ბინას* ღამის გასათევად (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე: გურ. ნიკოლ., მთ. კიშ. **ბინის დასკნა** აბრეშუმის ჭიის მიერ პარკის დასახვევად ქსლის დამზადება (აჭარ. ნოღ.). 2. ცალკე საცხოვრებელი სადგომი (შენობაში, სახლში). მზიანი ბინა. – სამოთახიანი ბინა. – ამათ გარდა გვქონდა ერთი *ბინა*, სადაც... მამაკაცები იყრიდნენ თავს: საზოგადო საქმეების შესახებ მსჯელობაში იყვნენ (დ. კლდ.). ლაშას კი *ბინა* ხალვათი და მყუდრო ჰქონდა (რ. გვეტ.). 3. დროებითი სამყოფი, დასადგომი, თავშესაფარი, ღამისსათევი ადგილი, – სამყოფელი. მგზავრი კაცი ნაშუადღევს *ბინას* უნდა ეძებდესო (ანდაზა). [პორფირიმ] საღაციდან გამონახა ქამუშაძესთან ნათესაობა, რათა *ბინა* ჰქონოდა ამათსა (დ. კლდ.). 4. ადგილი, სადაც მწყემსები დგებიან და თავიანთ სამეურნეო საქმიანობას ეწევიან. დაბინდდა, მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარსა და შეაყოლა *ბინისკენ* (ვაჟა). 5. დარგ. მეცხვარის ბარგი, საძოვარზე ყოფნის დროს საჭირო. ქალმა დასწყევლა მეცხვარე თავის ცხვრითა და *ბინითა*: «მთა ზედა ველარ წახვიდე შენი ძლიერი *ბინითა*!» (ხალხ.) – ქეგლი. ცხორისათვის უნდა გავაკეთოთ *ბინა* (მთ. მრეწ. IV, II, 137). 6. ის ადგილი,

სადაც ზამთრობით ცხოვრობდნენ ძველად. იქ ასრულებდნენ სამუშაოს მეტ ნაწილს (ინგ. როსტ.). **ბინა** სადგომი (სვან. თოფ., ქალდ.); ზან. (მეგრ. ყიფშ., ლაზ. თანდ.).

ბინა არაბული [binā] „შენობა“, „ნაგებობის“ აღმნიშვნელ სიტყვაა (გ. წერეთელი 1951: 31) – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. ბინა** [არაბ. ბინა] საფუძველი, საძირკველი: „ძველი *ბინა* იყო და... ამდენერთი იყო, სავსე“ (უსტ.); „სახლის *ბინა* იყო უწინ“ (უსტ., შავშ.ლექსიკ.). „წენგოშიც ღებევდენ, *ბინა* ბოდა გამოვდოდა“ (იმერ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ბინაი** თავიდან, დასაბამიდან. *ბინაი* ავადმყოფ იყო (ინგ. როსტ.).

დიალექტ. **IV. ბინა** ბარგი ყოველგვარი (მთ. კაიშ.). შდრ. IV. **ბონა**.

დიალექტ. **V. ბინა** შიშველ ფეხზე უხეში ფეხსაცმლის ტარებისა და სიცივის შედეგად ფეხის ქუსლზე გაჩენილი კოჟიჟი, რომელმაც იცის თავის ტკივილი და ქავილი (მთ. – რაჭ. რეხვ.). შდრ. ბია სნეულება. ამა მონადირეთა ფრინველთა სნეულება ეს არის, და მეტადრე უფრო ქორისა: ხაფაყანი, მავლი, კვანჯალი, კორი, ბია, ტილი, ღრღილი... (კალმას. 246, 16). შდრ. ბია საქონლის ნალურსმევი ჩლიქის აყროლება დაჩირქების გამო (ქიზ. მენთ.).

ბინდ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბინდი** 1. ნაწილობრივი სიბნელე დაღამებისას ან გათენების წინ, დღისა და ღამის გასაყარი. *ბინდმა* გაჰყარა მებრძოლნი მტერნი, გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი (ნ. ბარათ.). მზე ჩადის და *ბინდი* ჩნდება და ნისლივით მოდის ღამე (გ. კაჭახ.). *ბინდი* კი ბინდზე ირთხმოდა, წყვდიადი ყორნის ჯიშისა (გ. ლეონ.). ილევა *ბინდი* ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან! (გ. ორბ.). გათენდა, შეეყარა *ბინდი* ნათელს (ვაჟა). ფიგურ. დაბერდა ჩვენი გოგია, ძველი ქართველი რაინდი: სიცოცხლის დილას მოშორდა, მოუახლოვდა მას *ბინდი* (აკაკი). მაგრამ რა ვქნა, უშენოსა დამეცემის გულსა *ბინდი* (რუსთაველი). 2. თვალების ერთგვარი დაავადება – ღამით ვერხედვა («ქათმის სიბრმავე»). ბინდი სჭირს. – ოპერაცია გაიკეთა [ბებიამ], გადაიცილა თვალთაგან ბინდი (ო. იოს.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. დამატ. || ბინდურა თვალის დაავადება, რომლის დროსაც კაცი შორსა და ღამე ვერ ხედავს (მთ. კაიშ.).

ს.-ქართვ. ბუნდ- „ნისლი, ბინდი“ > ბუნდი || ბინდ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ბინდი** წყნარი ქარი (გურ. ჟღ.). ბინდი სიო, ნიავი, ნელი ქარი. „ბინდი არ იძვრება, *ბინდი*, იმისანე სიცხეა“. „ბინდი არა, თვარა გარეიღებდა, გამეიდარებდა“ (საჩ. შარაშ). შდრ. **ბინდიშ ქაქალი** ბინდის სიო, ზეფირი ზან. (მეგრ. ქობ.). მთლიანი შესიტყვების „ბინდის ქარი“ მნიშვნელობა პირველმა სიტყვამ იტვირთა და დამოუკიდებლივ გადმოსცა წყნარი ქარის მნიშვნელობა.

ბინიკ-ი:

ძვ. ქართ. I. **ბინიკი** სადგური, ბანაკი. „ვითარცა მკალმან *ბინიკი* დაიდვის“ (ზირ. 43, 19) – ილ. აბულ. შდრ. ბანაკი ღია ცის ქვეშ გამართული დროებითი სადგომი ჯარისა, მოგზაურობაში მყოფ პირთა და სხვ. (ქეგლი).

დიალექტ. II. **ბინიკი** (იმერ. ლეჩხ.) რტყმევა; მუჯლუგუნი (ვ. ბერ.). ბინიკი, ბინიკება გაგდება. – რომ არ გააჩერა ენა, *ვუბინიკე* და გამოუტახე გარეთ (რაცხ. გურ.). იხ. I. ბლიკვი.

დიალექტ . III. **ბინიკი** ქარის ძლიერი ქროლა, ცემა (ლეჩხ. ჩიქ.).

დიალექტ. IV. **ბინიკი** ბილიკი. ამობურცული, ამაღლებული ადგილი. *ბინიკი*, ბრეკო თუ არი, იმას ქვია (ზოვრეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. I. ბილიკი.

დიალექტ. V. **ბინიკი** ბუნიკი. მაშინათვე *ბინიკებს* გავაკეთებთ და მორგვიდან მოწყებულ ჭურს ჩავსვამთ *ბინიკებში* (ლეჩხ. მრეწ. II, 1, 207). ბინიკს დატნეული აქ ქერქი- ყავრის პატარა ნაჭერი, რომ თითონ *ბინიკი* არ შევარდეს ჭურში (ლეჩხ. მრეწ. II, 1, 208). შდრ. ბუნიკი, ბურნუკი. რაიმე საგნის ბოლოზე წამოსაცმელი ამოღრუებული საგანი (ჩვეულებრივ – ლითონისა). სინონ. სათიხარი – ქეგლი. ბუნიკი < სომხ. ბუნიკი (ანდრონიკაშვილი 1966).

ბიძგ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ბიძგი** 1. ბიძგი, მიბიძგავ – საბა; ბიძგი წაკურა. გასაძებელსა ხელსა მიბიძგავ მკერდსა – დ. ჩუბ. || ხელის ან მხრის კვრა. ვინც ჩემშია და ვისაც ვერ ვხედავ, მისი *ბიძგები* მაკრთობს (მ. გიგინ. თარგმ.). 2. ერთბაში შეძვრა, შერყევა რისამე. მეტროს გვირაბი გაჰყავთ და მიწისქვეშა *ბიძგებმა* სახლი ავარიული გახადა («ალია»). 3. გადატ. რისამე იმპულსი. [ანი] მუდამ ფსიქიკის პირველყოფილ, შეურყვნელ *ბიძგებს* ემორჩილებოდა და უშუალო იმპულსურ შთაბეჭდილებებს გამოთქვამდა (ჯ. ქარჩხ.) – ქეგლი. **ბიძგი** რყევა, ხელის კვრა, შეძვრა ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბიძგ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **ბიძგი** თოვლის გამაგრებული, გაყინული ზედაპირი, რომელზედაც ადვილად შეიძლება სიარული ისე, რომ თოვლი არ გატყდება. თივები *ბიძგზე* დააცურეს (მთ.-რაჭ. რეხვ.). ||გაყინული (მაგ., მიწა). გაბიძგავს ზედაპირს გაუყინავს (მიწას, წყალს...) ყინულის ძაფები გაუჩნდება. წუხელი *გაუბიძგია* მიწა. აქვე: გაბიძგავს ზედაპირს გაუყინავს (მიწას, წყალს...) ყინულის ძაფები გაუჩნდება. წუხელი *გაუბიძგია* მიწა (რაჭ. კობახ.). || თოვლის გამაგრებული, გაყინული ზედაპირი, რომელზედაც ადვილად შეიძლება სიარული ისე, რომ თოვლი არ გატყდება. თივები *ბიძგზე* დააცურეს (მთ.-რაჭ. რეხვ.). აგრეთვე **ბიძგვაი** ძლიერი ყინვა.

აცალეღ, ბიჭო, (მოიცა ერთი, ბიჭო), ამ *ბიძგვაში* გარეთ რაც გამიყვანს (თუშ. ცოც.). **დაბიძგება** სიცივეზე დასკდომა (ცომისა) (თ. კაიშ.). შდრ. ძგიფი «მცირედ შეყინებული» (საბა). ფიგურ. ქეთევანს, ქალწულობის ასაკში რომ ჩადგა, ბალღური სიცილი და უდარდელობა დაეკარგა. შინაგან სითბოს გარედან ოდნავი ცივი ძგიფი გაეკრა (ლ. გოთ.) – ქეგლი.

საშ. ქართ., დიალექტ. III. **ბიძგი** ბრკე. ქვევრი რო უცეფ ობივით გაიკეთეფს, *ბიძგ* ეტყვიან, წაუბიძგაო (ატ., ქართლ. ლექსიკ.). **ნაბიძგი** შემკვრივებული, შემხმარი ზედაპირი (ცომისა...). პურს რო აცხობენ და გახმება ხომე ზეიდანა ცომი, თეთრათ აქ ლაქებივითა, იმაზე იტყვიან, *ნაბიძგი* გაიკეთაო (საგურ.). ნივი რო დაიკრამს ცომსა, *ნაბიძგ* მაიკრამს (წილკ.); აგრეთვე ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.).

ბლანდ-ი:

საშ. ქართ. I. **ბლანდი** ბნელი ზედ. – დ. ჩუბ. შდრ. I. ლანდი

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბლანდი** 1. სახელდახელოდ ნაკერი ნემსის შორიშორს ამოგებით, –ლამბი (საპირისპ. გვირისტი). კერე და კერე შეუსვენებლივ, მოღლილს ვიდრე თვალთ დაგიბნელდება, *ბლანდი*, გვირისტი, გვირისტი, *ბლანდი*... – ძილშიაც კი სულ ეს გელანდება (ი. ევდ.) – ქეგლი. 2. აბრეშუმის ჭიის მიერ პარკის გაკეთებამდე გაბმული მაფი, ქსელი. ჭია რაკი საპარკოთ დაიფინება, აღარ შაიძლება მისი დაძვრა, რადგან *ბლანდი* გაუწყდება და დაკუტდება (კახ. მარტ., იმნ.).

ბლანდი შესაძლოა უკავშირდებოდეს ბლონდს, რომელიც ნასესხები სიტყვაა (გიგინეიშვილი 2016). შდრ. ბლონდი [ფრან. blong] მოძვ. აბრეშუმის ერთგვარი თხელი ბადურა ქსოვილი, – მაქმანი (ქეგლი).

ბლიკ-ი:

დიალექტ. I. **ბლიკი** (იმერ.) «ქაჩალი» (ვ. ბერ.).

დიალექტ. II. **ბლიკი** ცივი და ხმელი რამ. ბლიკი (პურები) (იმერ. ქავთ.). აგრეთვე: **გაიბლიკება** გაცივდება, გაიყინება. ვიდექით და ველოდით, არა და არ გამოჩნდა ე ოხერა ავტობუსი, ლამის *გვეიბლიკენით* სიცივითა (ძლევიჯ.). **გაბლიკული**: მოდით დროზე, დასხედით, გაცივდა, *გაიბლიკა* კერძი, რაღა გემო აქ *გაბლიკულსა!* (რუისი, ქართლ. ლექსიკ.).

საშ. ქართ. III. **ბლიკი** „უკეთუ ცერი თითებს ქვეშ დაიპყრო, ეგრე სცე, ეწოდების ბლიკი (საბა). კისერსა *ბლიკი* შემოჰკრა, არ რჩმალი სისხლთა მღვრელია (შჰნ. III, 830, 3). შდრ. I. ბლიკვი.

ბლიკვ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ბლიკვი** კინწისკური. **ბლიკვნა** კინწში ვჰკრავ, ვქურჯნი – დ. ჩუბ. დაჰკრა *ბლიკვი* კისერსა და მასვე წამსა ჩამოაგდო (შჰნ. III, 224, 39). || მუშტი, რომელშიც ცერი თითებქვეშაა მოკეცილი. ბალზე

დაზელილ ჯიქანზე ქვევიდან ზევით *ბლიკვსა* სცემდა (ლ. ქიაჩ.). დათო პირქვედამხობილი იწვა ტახტზე, *ბლიკვს* ლოღნიდა და ცრემლს ატანდა (ა. გალდ.) – ქეგლი. **ბლიკვი** მჯიღი, მუშტი, მუჯი ზან. (მეგრ. ქაჯ.). იხ. III. ბლიკი.

დიალექტ. **II. ბლიკვი** ლაწირაკი, ბათხი. გაგონილა ესეთი *ბლიკვი* რო ამ ხნის კაცს მასხრად მიგდებდეს (მოხ. ღუდ.). შდრ. ბლუკი ხელგამოუვალი, დონდლო (იმერ. ქავთ.).

ბლისტ-ი:

საშ. ქართ. **I. ბლისტი** საკუთარი აგარაკი – საბა. || სათავის თავი ან სახასო აგარაკი, ხოდაბუნი და მისთანანი – დ. ჩუბ. ლომმან ყოველთა სძლია, და იგი სიხარულისა მომმატებელი ადგილი მან დაიპყრა და თავის *ბლისტად* შექნა (ქილ. 266, 3).

დიალექტ. **II. ბლისტი, ბლისტნი** ბლანტი. სქელი რამ რომ ეკვრის ხელს. „მაგათი წყლიანი ადგილებია, იმიტომაც მაგათთან *ბლისტი* კარტოფილი მოდის, ჩვენ კარტოფილივით კი არ არი ბურღულა“. **გაბლისტვნა** ბლანტი რამ (ცხიმი, ტალახი) ნაჭერს ან სხვა რაიმეს რომ გაეკვრის, გაელესება ზედ, იმაზე იტყვიან *გაიბლისტნაო* (ჯავახ. ზედგ.).

ბლუზ-ი:

ახ. ქართ. **I. ბლუზი** [ინგ. blues] 1. ზანგების სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა ლირიკული, სევდიანი ხასიათისა. [ევგენიმ] სევდიანი *ბლუზის* ხმაზე... შაქრის კვნიტა ამოიღო (რ. მიშვ.). 2. სპორტ. სავალდებულო ცეკვა ყინულზე – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. ბლუზა, ბლუზი** [ფრან. blouse] 1. თხელი ზედა სამოსი ქალისა. თალიკო მაგიდასთან მივიდა, *ბლუზა* გაისწორა და დაიწყო (ა. ბელ.). ვერიკოს წითელი *ბლუზა* ეცვა და ლურჯი ქვედატანი (ნ. ონაშ.). 2. მამაკაცის ზედა ხალვათი სამოსი, – ხალათი. გვერდით უყენია ხუთი წლის პატარა შავთვალა მალხაზი ბიჭი, ჩითის *ბლუზით* (დ. კლდ.) – ქეგლი. წაღები გამიცვდა, ქუდი და *ბლუზაც* აღარ მივარგა (ვაჟა). აგრეთვე მრეწ. III, I: შ.-კახ. 41, აჭარ. 260, ქვ.-იმერ. 212. **ბლუზა** ბლუზა ზან. (ლაზ. თანდ.).

ეგვიპტის ქალაქ პელუზიას სახელისაგან მიღებულია ერთ-ერთი სახის ხალათის სახელწოდება – ბლუზა. იგი ლათინურიდან შესულია გერმანულ და ფრანგულ ენებში, ერთ-ერთი მათგანიდან – რუსულში, ამ უკანასკნელიდან – ქართულში (ჭუმბურიძე 1987: 93).

ბოზ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოზი** (ქართლ. ქიზ.) ფეხის თითების სატკივარი ერთგვარი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბობი** (ქართლ. ქიზ.) «თუთის ხის ოდნავ გაშლილი კვირტი, რომლითაც აბრეშუმის ჭიას პირველ დღეებში კვებავენ» (ს. მენთ.) – ქეგლი. მურს ვაჭმევდით ფურცლის ღოღს; კოკორს მოვაცლიდით (ამას *ბომიცა* ჰქვიან) (შ.-კახ. მრეწ. IV, II, 44). **ბობი** ვაზის ლერწი ზან. (ლაზ. თანდ.).

III. ბობი [bobby] პოლიციელის მეტსახელი ინგლისში (უნივერს. ელერდ.).

ბობოლ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბობოლი 1.** «დიდრონი ჭიაჭუა» (საბა). || მიწაში მძრომელი მწერი. „*ბობლები* დახოვიან ყართოფ“ (გულ.); „თესლიდან გამუა *ბობოლაი*“ (ჰ., ჩვენ. ფუტკ.). 2. (გურ.) «აბრეშუმის ჭია; მატლი» (გ. შარაშ.). გადააჟინე აი *ბობოლი*, დროია აწი (რაცხ. გურ.). მზის სხივებს ახვევს დილა ბრიალა, ვით აბრეშუმის ძაფებს *ბობოლი* (ლ. სულაბ.) – ქეგლი. აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., საჩ., შარაშ., აჭარ. ნოღ., ქვ.-იმერ. მრეწ. IV, II, 60, გურ. ნიკოლ. 3. გველი. „ეს ჭრელი *ბობლი*ზუალაია (გუელიზუალაი)“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. ბობოლა.

დიალექტ. **II. ბობოლი** კაკლის (ნიგვზის) მთლიანი გული, ორი ლებანი ერთად. კაკლის... გული ორნივე რომ ერთათ იყოს, ჰქვია თექმილი ან *ბობოლს* ვეტყვით (აჭარ. მრეწ. IV, III, 70).

ბობოლა:

ახ. ქართ. **I. ბობოლა 1.** მოძვ. სხვისი შრომით გამდიდრებული გლეხი, – კულაკი. ესენი ახლომახლო სოფლებსა და დაბებში მიმალული *ბობოლები* იყვნენ (ჭ. ამირეჯ.). ირემაიძე თავის დროზე მსხვილი *ბობოლა* გახლდათ (ა. გალდ.). 2. ირონ. დიდი, ძლიერი ვინმე. მაშინ... დიანბეგი დიდი *ბობოლა* იყო (ილია). ერთის მხრით მეფის *ბობოლა* მოხელეები, ხოლო მეორე მხრით თურქების ემისრები ერთმანეთს ეცილებოდნენ (მემ. აბაშ.) – ქეგლი. **სახლის ბობოლა || ოჯახის ბობოლა** – ოჯახის უფროსი: „სახლის უმფროსსაცა იტყვიან, ოჯახის ბობოლააო“ (ჩხ., ალგ. სალ.). || **ბობოლაი ქალი** – მოუქნელი, ზანტი. „მერიკოი ცოტა ნელია, *ბობოლაი ქალია*“ (აჭარ. ნოღ.). **ბობობოლა** ობობა ზან. (ლაზ. კალანდ.).

ბობოლას ამოსავალი მნიშვნელობაა „ობობა“ ანუ „დიდი ჭია“. ამ მნიშვნელობის გადატანა ადამიანზე გვიანდელია (გიგინეიშვილი 2016). იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1938, ერთელიშვილი 1980: 199.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბობოლა** ეთნ. ხახვის თავი, რომელსაც შვიდი ღერი ფრთა ჰქონდა მწკრივად შერჩობილი (დიდმარხვაში კიდებდნენ ჭერზე და ყოველ კვირა დღეს თითო ფრთას აძრობდნენ). საკიდელს ზემოთ დედაბობისკენ კერის პირდაპირ ეკიდა *«ბობოლა»* (მელან.). გარდა იმისა, რომ *«ბობოლას»* საშუალებით დიდ მარხვის კვირეებსა თვლიან,

ბავშვებსაც აშინებენ, რომ მარხვა არა ჭამონ (მელან.). ფიგურ. ერთი მხოლოდ *ბობოლა* ტირის და ტირის იმიტომ, რომ შვიდის ფრთისა ერთიღა შერჩა (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ქეშიკ., ქიზ. მენთ., ქართლ. გაჩ., ალგ. სალ., მესხ. მაის.

დიალექტ. III. **ბობოლა** შესაშინებელი რაიმე ფიგურა. „*რა ბობოლასავით* დგახარ და ბავშვებ აშინებ“ (ჯავახ. ბერ.).

შდრ. ბობორი 1. საშინობელა, რომელსაც დიდმარხვის პირველი დღიდანვე ჭერზე ჩამოჰკიდებდნენ და აშინებდნენ იმით ბავშვებს, რომ სახსნილო (ცხიმიანი რამ) არ მოეთხოვათ და მათაც ემარხულათ. *ბობორს* ასე აკეთებდნენ: კარტოფილის ტუბერზე დაარჭობდნენ ირგვლივ შვიდ ნაფტკენს (ნაფტკენი – ქათმის ბოლო ან ფრთის გრძელი ბუმბული) და დიდმარხვის რამდენი კვირაც წავიდოდა, იმდენ ნაფტკენს მოაცლიდნენ. 2. გადატ. მფარველი. ვისაც *ბობორი* ჰყავს, იმას რა უჭირს (მთ.-რაჭ. რეხვ.).

ბობრ-ი:

ახ. ქართ. I. **ბობრი** «ქერა» (ვ. ბერ.). [ჭვატიას] *ბობრი* უფრო ეთქმოდა, ვიდრე წითური (ნ. წულეისკ.). გზისპირა სოფლებიდან გამოფენილი *ბობრი* ბავშვები ქართულად მოგვმახოდნენ – «საით მიხვალთ თქვენო?» (გ. გეგეშ.). ბაღს... *ბობრი* პირისახის... კაცი მოადგა (რ. მიშვ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ბობრი** დათვი მძლავრი დათვი. || ფაფრი იგივეა (თ., მოხ. შან.). შდრ. ბაბრი 1. ჯიქი [Leopardus pardus] დათვი და ბაბრიც აქ ცხოვრობს და სხვა ნადირი რაც არი (ბაჩ.). 2. «დიდი დათვი» (ვაჟა) – ქეგლი; ძალიან დიდი დათვი (მთ., ფშ., ჴ. შან.).

ბოგა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბოგა** მცირე ხიდი მიწა დაყრილი – დ. ჩუბ. || პატარა ხიდი. პაწაწინა აჭყვის წყალი ამ *ბოგის* ქვეშ ახმიანდა (ანა). უფალს, აქამდე რომ მაბოგინა, გადავეჩეხე ჯობდა *ბოგიდან* (ხ. გაგ.). იმ მდინარეზე მხოლოდ საცალფეხო *ბოგა* იყო გადებული (ბ. თათარ.). მალაქიამ რუზე გადაგდებულ *ბოგას* მიაშურა (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი. საბაგელი საქმე მიქნეს ამ უნაგერაის სადგომი *ბოგაზე* (გურ., იმერ. ღლ.). შდრ. ბოგირი ხის პატარა ხიდი (ჩვეულებისამებრ – მიწადაყრილი (ქეგლი). **ბოგა** ხის ან ლერწმის ხიდი ზან. (მეგრ. ელ.). **ბოგ** ხიდი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. **ბოგა** საქონლის დასაბინავებელი ნაგებობის იატაკი – ბაგა. ბაღანამ ძლივს დააბა *ბოგაზე* ბროხა (რაცხ. გურ.). || ზღავი (გურ. იმნ.). **ბოგა** თხის, ცხვრის სადგომი ზან. (ლაზ. კალანდ.). იხ. I. ბაგა.

დიალექტ. III. **ბოგა** 1. საზაფხულო სადგომებში მარტივად გაკეთებული თარო. „*ბოგაზე* შამააწყობდენ შეშის გობებსა, შიგან ზეს ჩაასხემდენ“ (იმ.); 2. მაღლარი ვაზის გასაყვანად გამზადებული ჭერი. „ეზოში ქვქონდა ყურძნის *ბოგა*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || სახელდახელოდ, უბრალოდ

გაკეთებული თარო (ზ.-აჭარ. ნიჟ.). 3. **ბოგა-ზვინი** ოთხ 1-2 მეტრიან ბოძზე ამართულია საყე, რომლის ირგვლივ იტკეპნება თივა (აჭარ. ნიჟ.). 4. **ბოგა-სკა** ტყეში მაღალ ხეზე შემოდებული გეჯა-სკა (აჭარ. ნიჟ.). იხ. II. ბიგა.

ბოგანა:

ახ. ქართ. I. **ბოგანა** ბოგანო, – ღარიბ-ღატაკი. დეე, იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ, და არა – ეული ვინმე, *ბოგანა!* (ილია). მაგისთანა *ბოგანა* კაცი ჩვენში არ არის (ილია). ამ *ბოგანა* გლეხს... ხეირი არ ეყრებოდა მუხანათი სოფლისაგან (ე. ნინოშ.) – ქეგლი. იხ. I. ბოგანო.

ახ. ქართ. II. **ბოგანა** ბოგანო, – ნათესისა და ნარგავების (მცენარეთა) პარაზიტი ჭია. *ბოგანა* ჭიამ და ვენახის კალიამ... ამ რამ'ო'დენიმე წლის წინათ კახეთში ვენახები სულ მოჭამა (ილია). *ბოგანა* ჭიამ და კალიამ ზოგიერთგან კვირტობაშივე არ მოსჭამოს ვენახი (ილია) – ქეგლი. *ბოგანაი* ყანის მავნე ჭუა – რ. ერისთ. იხ. II. ბოგანო.

ბოგანო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბოგანო** აგარაკ-მცირე გლეხი (+ ბოგანო არს აგარაკ-მცირე გლეხი – საბა. *ბოგანო* მგელია და ძამელა მათის მამულითა (სამ. IV, 116). კასპს კიტრიაშვილის ძველი *საბოგანო* ხარაბა (სამ. IV, 520). || ღარიბ-ღატაკი; «ყოველ ქონებას მოკლებული» (ი. ჭყ). იმისთვის არც მთა, არც ბარი, აღარც მიწაა, არც წყალი, სადაც შობილა, *ბოგანოდ* დარჩენილია საწყალი (აკაკი). სოფლის შეძლებული გლეხობა ცალ მხარეს იდგა, ხოლო მეორე მხარეს – ღარიბ-ღატაკები და *ბოგანოები* (ს. შანშ.) – ქეგლი. || საწყალი, მოუქნელი ადამიანი. – კაი კაცია, მარა *ბოგანოა* მაი გაჭირვებული (რაცხ. გურ.). აგრეთვე იმერ. ქავთ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბოგ- „ძლივს || მარტოდ ყოფნა“, *ბოგან- „მარტოსული, უქონელი“. ქართ. ბოგ-ინ-ი „დამკვიდრებასავით“ (საბა) (ჩუხუა 2018: 80).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბოგანო** «ყანის მავნე ჭუა» (საბა), – ნათესისა და ნარგავების (მცენარეთა) პარაზიტი ჭია – ქეგლი. – ჰა, როგორა ხარ, ჩემო ვაშლო? ამ ფოთლებში რა გყავს? *ბოგანო?!* ჰაი, გასატიალებელო *ბოგანოვ!* შემომეპარე?! მე გასწავლი ჭკუას! (რ. ინან. 1, 236, 7). ვაზის მავნე ბუზი (რ. ერისთ.). || მავნე მატლი, მატყლივით გააბამს და შიგ არის (მარაბ., ქართლ. მენთ.). || ვაშლის ხეზე იცის დიდი მატლი, რომელსაც *ბოგანოს* ეძახიან (მაწ., ალგ. სალ.).

ბოვრ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ბოვრი** დიდი ბუზი – საბა, დ. ჩუბ. „სიცხეში *ბოვრები* დეესევიან საქონელსა სოფელში, თაზე მიქვყავს ამითვინ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. შდრ. [სომხ. ბორ] ბოვრი – საბა.

დიალექტ. **II. ბოვრი** ბევრი. *„ბოვრი* მე არ მამიყრია ვაშლი“ (იმერ. გაჩ.). **ბოვრი** ბევრი (გვხვდება სოფელ ჰაირიეს მეტყველებაში). *„ბოვრი* დავჯდო?!“ (ჰ.); *„ბოვრი* ვილაპარიკეთ, გავაწორეთ დუნდა“ (ჰ., ჩვენ. ფუტკ.). ბრვრუ ბევრი (ინგ. ქართ. დიალექტ., 613).

ბოზანდარა:

დიალექტ. **I. ბოზანდარა**/ე, -ი საჭმლის შესანახი შკაფი (გურ. ჟღ.).

შდრ. **ბუზუნდარა** („შკაფი“-კარადა) (გურ. მრეწ. III, II, 227). ვოზანდარა, უზანდარა, ოზანდარა, ბოზანდარა. სანოვაგის შესანახავი კარადა სამზარეულო ოთახში (ზ.-გურ. კიწმ.). მუსანდარა [თურქ.] დარაბა, ზემოთა ტახტი, რომელიც სართულის მსგავსად (სახლის კიბეს მსგავსად) აქვს დადგმული. ამბობენ: ზედა მუსანდარა და ქვედა მუსანდარა (ჯავახ. ბერ.). გაუკეთებიათ ზოგიერთს მუსანდრები, ლოგინის შესაწყობი შკაფები (ჯავახ. მრეწ. I, 257).

მუსანდარა (თ. < musandeira) გამოიყენება ლაზურშიც და ნ. მარი მას უდარებს ბერძნულ μουσαντερα-ს, რაც „სხვენს“ ნიშნავს (გურგენიძე 1973:15). მიგვაჩნია, რომ ბოზანდარა < ბუზუნდარა < მუსანდარა.

ახ. ქართ. **II. ბოზანდარა**: როდესაც ადამიანი ნაბოზვარია, მაგრამ ასევე აქვს უნარი რომ იყოს ჩუმჩუმელა და ამ ორი უნარის შერწყმა შეუძლია („განმარტ.“). შდრ. **ბოზი** (ფუთანა B.; ყაბბა ZAaBCqD, ყაჰბბა Cab.; ბუოზ ZAa, ბოზ CqD.) Z. მეძავი A. ესე ბოზობა განიყოფებიან ორად: სიძვად და მრუშებად – საბა. || [სომხ.] როსკიპი (დ. ჩუბ.); || [სპარს.-თათრ.] როსკიპი (თ. ბაგრ.). || საუბ. ცუდი ყოფაქცევის ქალი, – მეძავი, როსკიპი, კაბპა. ორთაჭალის ტურფას – თვალებმოხატულ ბოზს – ვევაჭრები «პედროს», ვევაჭრები «ტურბოს» (ტ. ჭანტ.). *ბოზო*, როსკიპო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე (რუსთაველი) – ქეგლი. გამკიცხე, *ბოზო* დიაცო (ვეფხ. 1101, 1).

აღდგენილია *ბოზ- (კელაურაძე 2017: 21). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ბოინ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოინი** 1. (ინგ.) «ტყიდან ულელზე ბმით მოთრეული აკაფული ხე» (მ. ჯანაშ.), – ნალო (ქეგლი). ბოდნ [აზერ. ბოდუნწყვილი მუშა საქონელი] სათარი, ტყიდან ულელი ხარით მოთრეული დიდი ხე, ხის მორი, ან ასეთი ხეების შეკვრა. ულელზე ჟინჟირით (ჯაჭვით) ჰე (ან) ვაზით ამბენ დიდ ხეევს, გამაათრევინევენ ჯარევს, ეემა ეძახიან ბოდნ. 2. ურმის ბოლოზე ან ურმის ჭალზე გამობმული ხე, რომელიც მიწაზე ეთრევა, ამძიმებს ურემს, ანელებს მის სვლას და ამგვარად იცავს მას გადაბრუნებისაგან (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბოინი** (ფშ. ხევს.) 1. გროვა, გუნდი (ფრინველთა). კაკბის, შურთხის და როჭოსი *ბოინი* გვიდგა კარზედა (ვაჟა). პავლეს მიახლოვებაზე მიწაზე მჯდომი ბეღურების *ბოინი* (გუნდი) აიმალა

(თ. რაზიკ.) – ქეგლი. თავდამრჩვალთავ სრუ ჭკაის *ბოინრ* – ედების (ეთნ. საიქიო, IX, 104). არ მინდან წყალსიქითელნი ჭკაის *ბოინში* სთვლიანო (ხევს. პოეზ. 609, 22) – ალ. ჭინჭ. 2. გადატ. გროვა (ადამიანთა). «ავაზაკია, ეგ არი!» – აყვირდა ხალხის *ბოინი* (ქეგლი). ||ბოინო (ქართლ. ლექსიკ.). || ბუინა (ქიზ. მენთ.). **ბიუინლ** ფრინველის ან წვრილფეხათა გუნდი, ფარა (სვან. თოფ., ქალდ.). 3. გადატ. ჰაერში ფრინველის ნებიერი ფრენა, ლივლივი. [ჩუნთიამ] მზერა გააყოლა გულთეთრი ორბების *ბოინს* ლაჟვარდში (ს. ქეთ.) – ქეგლი. || გადატ. „აბეჩავ, ჴევსურიშვილნო! *ბოინით* ჩამოდიანო“ (ფშ. მიილექს. 51, 12) – ალ. ჭინჭ.

ახ. ქართ. III. **ბოინი** [რუს. бойня სასაკლაო] ბარბარ. ადგილი, საწარმო, სადაც სახორცედ გამიზნულ საქონელს კლავენ და პირველადად ამუშავებენ, – სასაკლაო (ქეგლი).

დიალექტ. IV. **ბოინი** მოხევეები ჩეჩნურად (ა. შან.).

ბოკვ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ბოკვი** (ხე) კორაფი – ნ. ჩუბ. **ბოკვი** [Acer velutinum] ხე ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა; იზრდება დიდი; ნაყოფი ფრთიანი აქვს; გავრცელებულია კახეთში, ფშავში. ერთი ღამე ჭალაში ვათიე ერთ უზარმაზარ *ბოკვზე* (ვაჟა) – ქეგლი. **ბოკვი** ნეკერჩხალი (თუშ. ხუბ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ბოკვი** «ბრჯგუ, მომორვილი, უწვეტო“ (საბა, ქეგლი). **ბოკვი** ნუჟრი, ნუჟრიანი კუნძი (ფშ. ხორნ.). **ბიკ, ბიკინჩ** კუნძი, ჯირკი (სვან. თოფ., ქალდ.). შდრ. I. ბოკო.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბოკუ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ბოკო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბოკო** წვერმომრგვალებული, პირმოცვეთილი; ბლაგვწვერიანი (საპირისპ. წვეტიანი). იხვს *ბოკო* ნისკარტი აქვს. – საცოდავი სვავი ხან მხრებს უფარებდა, ხან ზურგზე გადატრიალდებოდა და თავის *ბოკო* კლანჭებს მიაგებებდა მოტევებულ შავარდენს (თ. რაზიკ.) – ქეგლი.**ბოკო-ბოკო** მოკლე და თავმომრგვალებული (თითები, რქები...). ბოკო-ბოკო თითები. – ზოგ ბროხას *ბოკო-ბოკო* რქა აქვს – ქეგლი. შდრ. **ბოკოკაი** კოტიტაი. შახედე, შახედე იმ ქალს, როგორი *ბოკოკაი* თითები აქვ (მოხ. ღუდ.). აგრეთვე: ფშ. ხორნ., ქეშიკ. იხ. II. ბოკვი .

დიალექტ. II. **ბოკო** პარკა. ქლიავისა და ღოღნოშოს გადაგვარებული ნაყოფი უმწიფრობაში. გემრიელი საჭმელია, სიმჟავე არა აქვს (ფშ. ხორნ.). ჭანჭურმა ძაან იცის *ბოკოი* – მახინჯი ნაყოფია, კურკა არა აქს, მალე მწიფდება (ოძ.). ჭანჭური რო დამწიფდება, *ბოკო* დაიცვივა, უსარგებლოა (ოძ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ბოკოკინა (ქართლ. მესხ.). იხ. I. ბოყი.

ბოკოლა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოკოლა** (გუდამაყ., ფშ.) მოკლე და სქელრქიანი საქონელი (ლ. ლეონ., ქეგლი). || პატარა მოზვერი, რომელიც ჯერ უღელში არ ბმულა. || მოკლერქებიანი ან რქამოტეხილი ხარი (მთ.-რაჭ. რეხვ.). აგრეთვე ფშ. ხორნ. შდრ. ბოკორა მოკლერქებიანი ან ურქო ღონიერი ხარი. ბოკორა ხარი არი, რქები არა აქ, ხოლოთა დიდი თავი აქ და კარქი ღონიერი ხარია ისა, ემაგითანა ხარ ეტყვიან ბოკორასა, ისე კიდე, დოლასაც ეტყვიან (იგ.). რაც თავი მახსომს, გლახოს რო ბოკორა ხარები ჰყამდა, იმითანა კაი გამწევი ხარები არ მინახამ (იგ., ქართლ. მესხ.).

ვფიქრობთ, რომ სიტყვა წარმომავლობით იგივეა, რაც ძველქართულისეული **ბოკულიაჲ** [βουκόλιϛν, τό χοφο, საქონელი]. „დაღათუ თებაიდად ახჳდე, გინათუ, ვითარცა-ეგე გულსა მოგიჴდა, შთასლვად ბოკულიად, უფროჲსი და მრჩობლი შრომაჲ გაქუს დათმენად“ (მ. ცხ. 33, 32).

დიალექტ. **II. ბოკოლა** თივის ბულული, რომელსაც დროებით დგამენ თივის ძირის დადგმამდე (მთ.-რაჭ. რეხვ.).

ბოლ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოლი** დიდი კვამლი – საბა, დ. ჩუბ. ვეღარ მალავს იგ სურვილსა, მაჯნუნს ცეცხლი *მოებოლა* (თეიმ. I, 48 26, 1). მოხუცნი ჩიბუხებს სწევდნენ, *ბოლი* ეხვიათ ნისლადა (ვაჟა). შენც, თოფის ლულავ, გახვეულო სულ მუდამ *ბოლში*, განუწყვეტელად რახრახებენ შენი ტუჩები (გ. ტაბ.). უცებ იგრიალა თოფმა, *ბოლი* გაირთხა ნამიანს ბალახზე (ვაჟა). ზოგი ქარხნის *ბოლს* ვუშვებდით, ზოგი მადანს თხრიდა! (გ. ლეონ.) – ქეგლი. „ბუხრის *ბოლი* რო წავა პირდაპირ ჰაერში ზეით. ვიტყვით, კაი ამიდი იქნებაო“ (საჩ. შარაშ.). **ბოლის ლამფა** ჭრაქი. „ბოლის ლამფა უნთავ“ (ფშ. ცოც.).

ს.-ქართვ. ძირია "ბოლ- „ბოლი, ბოლება“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ბოლი** ხის ტოტი. „ე *ბოლები* თვარ გათალე, რაფერ გეიტან ისე ამ ჟალტამში მა ხეს“; „კაპჭონიეთ მეიწიე, გო, მა თხილის *ბოლი* და იოლათ მოკრიფავ“ (საჩ. შარაშ.). – ბაღანე ჩამუარდა ბოლიდან (რაცხ. გურ.). „ოფოურე ხის ვენახი იყო, ყოველწლიურად გავსხლავდით *ბოლებს*“ (ქვ.-იმერ. «შინამრეწვ.»). || „ბოლი – ვაზის რტო“ (გურ., მამათი, ლ. ასათ.). აგრეთვე: გურ. ნიკოლ., ჟღ., იმერ. გაჩ.

ქართული ენის გურულ და იმერულ დიალექტებში შემორჩენილი ბოლი „ტოტი, შტო, ყლორტი“ სახელი შეიძლება ინახავდეს ბალე || ბალე სიტყვის ზანურ შესატყვისს. აღდგენილია ს. ქართვ: "ბალ-ე „ფოთოლი“; „ტოტი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ბოლი** [თურქ.] 1. ბევრი. „*ბოლი, ბოლი* რო გინდა ყველაფერი, იმუშაო'ნა“ (ინგ. ქართ. დიალექტ., 613). || **ბოლ** [აზერ.] უხვი, ბევრი, მრავალი; უხვად. კაკ კაი ადგილი, ექ ბუთუმ რამ *ბოლი* (ინგ. ღამბ.).|| ბლომი, უხვი. „ყველაფერი *ბოლი* გვქონდა, არაფერი გვაკლდებოდა“

(ხალხური). 2. ლაღი, გაუჭედავი. „ეს ნახვრეტი რო *ბოლი* მოგივიდა, სოლი არ გაიჭედება“; „ღერძის თავი ცოტა ბოლათ'ნა იყვეს მორგვში, რო შიგ იტრიალოს“ (ჯავახ. ზედგ). 3. (ბოლ) ფართო, თავისუფალი, შემოსავლიანი, გულუხვი, მსუქანი. „ჩემი ანაი *ბოლი* ქალი იყო“ (ინ.); „ჩემ დედამთილსა ღმერთმა არ გუუჭირვოს მიწაში, არ შიაშინოს, *ბოლი* მიწა მიცეს!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ხელბოლი (ხელი+თურქ hol) მომგები, შემმენი, ხელბარაქიანი, დოვლათიანი, ხელხვავრიელი (ზ.-აჭარ. ნიყ.). **ბოლათ** ბლომად, ბევრი. თუ მე არა მომენდობი, *ბოლათ* შეიყარე ჯარი (პ. უმიკ. I, 142). ბოლათ, ბოლ-ბოლათ (ჯავახ. ბერ., ჩვენ. ფუტკ.). **ბოლი, მბოლი** მოშვებული, ფართო, განიერი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. IV. **ბოლი: ლასტ-ბოლი** [ინგლ. last ball უკანასკნელი ბურთი] ჩოგბურთის თამაშში: მდგომარეობა, როდესაც ერთ-ერთ მხარეს აკლია მხოლოდ ერთი ქულა პარტიის ან მატჩის მოსაგებად; აგრეთვე: მატჩ-ბოლი, სეტ-ბოლი – მ. ჭაბ.

დიალექტ. **ბოლი: ბოლი-ბოლი!** დოი-დოი! ბატების დაძახება. „დიდი კაცია, ბოლი-ბოლით ხომ არ მეწვეოდა“, ამბობენ ძნელად დასაპატიჟებელ კაცზე (ვ. ბერ.).

ბოლოლა:

ახ. ქართ. I. **ბოლოლა** 1. ბოლო, უკანასკნელი. [ლენტომ] დოლი აიხსნა, ვიღაცას მიუგდო, სასწრაფოდ შევიდა შიგნით, სულ *ბოლოლა* მერხზე ჩამოჯდა (ო. ჩხ.) – ქეგლი. 2. ბოლო, ნაბოლარა. უფროსეფსაც რა უშამთ, მაგრა *ბოლოლა* ბიჭი ძრიან კარქი ჰყავ ნადიასა, სუყველაფერი გამოუდის ხელიდანა (კავთ.). || ანარჩევი. თავს (თავანკარას) თითონა ხმარულობდენ და *ბოლოლას*, ნაკმაზს ჩვენ გვინაწილებდენ (ტირძ., ქართლ. მესხ.).

ს.-ქართვ. *ბოლ-(ო) > ქართ. ბოლ-, ბოლ-ო (ს) (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ბოლოლა** ქარბორბალა. *ბოლოლა ადგა* (მარტყ., ფერეიდ. ჩხუბ). შდრ. ბორია, ქარბორია, ქარბორბალა. ბორბალქარი.

ბონ-ი:

ახ. ქართ. I. **ბონი** [ფრან. bon ტალონი, ჩეკი] ძვ. დროებითი ქაღალდის ფული, სახელმწიფო ბანკის მიერ არაუზრუნველყოფილი. || გადატ. ფასდაკარგული, გაუფასურებული ქაღალდის ფული. ვიღაც ასისთავი თევზებს უყრიდა მილიონობით *ბონებს*, – თქვენც სჭამეთ ჩემი ფულიო (ნ. ლორთქ.). *ბონი* არ გინდოდა? ქათამს მოგცემდნენ, გინდა ლობიოს, ფქვილს («ლიტ. საქ.») – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **ბონი** I. [< ჰოლანდ. Boom მორი] – 1. ტივტივების, მორების, ბადეების, საძირავებისა და მისთანათაგან შემდგარი მცურავი ნაგებობა; იყენებენ როგორც ღობურას ნავსადგურში ან რეიდზე წყალზედა ან წყალქვეშა ხომალდების, აგრეთვე ტორპედოების შეღწევის საწინააღმდეგოდ; მორტივტივა. 2. ტივი პატარა გემების მისადგომად – მ. ჭაბ.

ბონა:

ახ. ქართ. **I. ბონა** მთავრობის ან კორპორაციის მიერ გავრცელებული სერტიფიკატი, რომელზეც აღნიშნულია სესხის რაოდენობა, გადასახდელი პროცენტები, გადახდის ვადა და ვალის გადახდის დამატებითი გარანტიები – ქეგლი. შდრ. **I.** ბონი.

ახ. ქართ. **II. ბონა** [ფრან. bonne] ძვ. ბავშვების აღმზრდელი ქალი შეძლებულ ოჯახებში (ჩვეულებისამებრ, უცხოელი). ბალღები... *«ბონების»* და «გუვერნანტკების» ანაბარა იზრდებოდნენ (ეკ. გაბ.). აქეთ – სწავლა, იქით – პიანინო! ადამიანობა ვიღამ ასწავლოს – *ბონამ*, დედ-მამამ? (ჭ. ამირეჯ.). თავის ლეკვებს გუვერნანტკები და *ბონები* დაუქირავეს (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი.

დიალექტ. **III. ბონა** (ჩიქ.) [არაბ.] ბინა (ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. **I.** ბინა.

დიალექტ. **IV. ბონა** სხილ ხალღებს აყე, ოთახის საჭირო რაცხა რო არი, თან მიაქყე (ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. **IV.** ბინა.

ბონდ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. ბონდი** გაბმული ჯიდი – საბა. || მდინარეზე გაბმული ბაგირის ხიდი. მდინარის წყალზე ირწევა *ბონდი* (კ. კალ.). *ბონდი* მაინც იყოს სადმე, არ მინდა ხიდზე გავიდე (რ. ჯაფ.). ეზოდან წისქვილში ვიწრო *ბონდით* გადაჰქონდათ ღონიერ მტვირთავებს ხუთფუთიანი ტომრები (ა. სულაკ.) – ქეგლი. **ბონდი** მდინარეზე გაბმული დაწნული (წკნელის) ხიდი ზან. (მეგრ. ელ., ყიფშ.).

ბ. გიგინეიშვილი ვარაუდობს, რომ ბონდი არის ლათინური pon-s/ ნათ. pont-is („ხიდი“) ფორმის ნაირსახეობა, მიღებული გამჟღერებით, რაც უნდა მიეწერებოდეს შუამავალი ენის გავლენას. თვით შუამავალი ენა გამოვლენილი ჯერჯერობით არაა (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ბონდვი, ბონდი** (ქობ.) ბანდი, ბომბლაცა. „ყაჩი გააბამს თეთრ-თეთრ *ბონდვებს*, სალბანდს“. „პარკს მოვკრეფთ, დახვეწო უნდა, *ბონდი* მოაცილო“ (აჭარ. ნოღ.).

ბონდო:

დიალექტ. **I. ბონდო** (ხელვ.) ბონდვი. „პარკს მოკრეფ, დაასუფთავებ – *ბონდოს* მოაცილებ“ (აჭარ. ნოღ.). იხ. **II.** ბონდვი.

დიალექტ. **II. ბონდო** ხმელი ბალახ-ბულახი, ჩალაბულა, ჩალის ნარჩენები ერთად მოგროვილი დასაწვავად (გურ. შარაშ.). **ბონდო** ეკალ-ბარდი ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბონდ-ო „ჩენჩო“ (ჩუხუა 2000–2003).

ბორბალა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბორბალა** ძვ. «ობობა» (დ. ჩუბ.). აი, *ბორბალა* აიღეთ, ნახეთ როგორ ეპყრობა იგი ბუზს, როცა თავის ქსელში გააბამს და შემდეგ გულსიამით წვენს გამოსწუწნის [ფიქრობდა იერემია] (გ. წერეთ.) – ქეგლი. ბორბალა/ე-ი ობობა (გურ. ჟღ.).

ბორ ძირის (ბორა ერთგვარი ფრთიანი მწერი) გაორმაგებით ჩანს მიღებული *ბორ-ბორ > *ბორ-ბოლ > ბო-ბოლ; *ბორ-ბოლ ფუძეს მოეპოვება ვარიანტი მეორე სეგმენტში ა გახმოვანებით: ბორ-ბალ (ბორბალა-ობობა გურ. ჟღ.) (ერთელიშვილი 1980: 199). აღდგენილია ს.-ქართვ. *ბორ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. ბორბალა** 1. სავსე, მიხვეული ტარი. 2. საძახი ჯარის ბორბალი (მთ. კაიშ.). *ბორბალას* აქვს გვერდებში ფირფალი (ფრთები) (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 211). აგრეთვე: მრეწ. IV, III: შ.-კახ. 176, გ.-კახ. 178, ქვ.-რაჭ. 213, მესხ. 203, ფშ. 186 და სხვ. ბრობალი (ქიზ. მრეწ. IV, III, 171). **ბარბრლდ, ბარბელდ, ბარბ(უ)ელდ, ბარბგლდ, ბარბუილ, ბარბოლდ, ბარბელ** ბორბალი, თვალი (სვან. თოფ., ქალდ.). **ბარბალი** (ბარბაი) ბორბალი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბრ- „ბრუნავს“ → ბორ-ბალ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე: ლომთათიძე 1984: 5, შანიძე 1953: 152, ფენრიხი, სარჯველაძე 1990.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბორბალა** მსხლის ჯიში ერთგვარი. საზამთრო შავ მსხალს, სეფნიაურს, საჩირე *ბორბალას*... ღონივრად დაეზნიქათ ტოტები (ნ. ლომ.). საძებნელი გახდა ნისკარტაცა და შავი მსხალიც, სირმაცა და *ბორბალაცა* (ნ. კეცხ.) – ქეგლი. *ბორბალა* სხალი ედგაყე ეზოში (მთ.-რაჭ. რეხვ.). შდრ. ბორბალო სხალი ქვ. საზაფხულო მსხლის ჯიშია (რაჭ. კობახ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ბორბალა** მხლის ერთ-ერთი სახეობა. მხალეულობა: ჭინჭარი, ფხალა... ეკალა, *ბორბალა*, თიორბა (აკაკი) – ქეგლი. აგრეთვე ქვ.-რაჭ. მრეწ. III, II, 187.

დიალექტ. **V. ბორბალა** „შვიტა“ (ა. მაყ.).

დიალექტ. **VI. ბორბალა** ქსოვილზე ნაქარგის სახეა ერთგვარი. ბორბალიანი: [თათი] არის დაკაულაიანი, ჩითაიანი, *ბორბალაიანი* («შინამრეწვ.» 25-ა; ხევს. ჭინჭ.).

III, IV, V, VI ომონიმური ცალების სახელდება გადატანითი მნიშვნელობით დაკავშირებული უნდა იყოს ბორბალთან შდრ. II. ბორბალა.

ბორბოხ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ბორბოხი** ძვ. «დიდი ბორა» (საბა). დიდრონი *ბორბოხები* დაეხვივნენ და საჩქაროდ ჩანთქეს მისი გვამი (ა. ჯამბ.-ორბ.) – ქეგლი. შდრ. **ბორა** დიდი ბუზი და მკბენარი, ცხენთ ძალიანა ჰკბენენ და აწუხებენ ესენი (თ. ბაგრატ.). ხოლო მწერნი: კოღო, ბუზი, *ბორა*, კრაზანა... და სხუანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი (ქ. ცხ. IV, 44, 2). **ბოვრი** (მწერ.) [სომხ. ბორ], დიდი ბუზი – საბა. ბორ-ბოხ < *ბორ-ბორ < რედუპლიცირებული ბორა (ერთელიშვილი 1980: 169).

დიალექტ. **II. ბორბოხი** ერთგვარი ბალახი (მარაბ., ქართლ. მენთ.).

ბორდო:

ახ. ქართ. I. **ბორდო** ერთგვარი წითელი ღვინო [საფრანგეთის ქალაქ ბორდოს სახელის მიხედვით] – ქეგლი. შდრ. **ბორდოსფერი** შვინდის ფერი, მუქი წითელი. [პინოს] ფოთლის ზედაპირი წვრილბურთულაკებიანია და შეფერილია *ბორდოსფერი*... წინწკლებით («სოფ. ცხ.») – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **ბორდო**: **ბორდოს ხსნარი** ქიმიური საშუალება: იყენებენ მცენარეთა დაავადების წინააღმდეგ; მზადდება კრისტალური შაბიამნისა და ჩაუმქრალი კირის წყალში გახსნით. მატნელმა მეზვრეებმა დასეტყვილ ვენახებში დროულად შეიტანეს აზოტოვანი სასუქი და შეწამლეს *ბორდოს* ხსნარით (თ. აბულ.) – ქეგლი.

ბორდობ-ი:

დიალექტ. I. **ბორდობი** უწესრიგოდ, ტრაბახით რიხიანი ლაპარაკი. „ახლა ქე ვიცი, სასამართლოზე რას *იბორდობებს* ნოვე, მარა როვა დუუჯერებენ“ (ერკ., გურ. ჯაჯან.). აგრეთვე: გურ. შარაშ; კიწმ. ბაბუ მოსესაც ძალიან უყვარდა რუსთაველის ხმამაღლა კითხვა, ზეპირად, რა თქმა უნდა, კითხულობდა, კითხულობდა და „ღმერთების *ბორდობიაო*“, – იტყოდა. მამასი არ იყოს, ისიც რუსთაველის შეფასებით ამთავრებდა კითხვას. მახსოვს, ვკითხე, „*ბორდობი*“ რა არის-მეთქი. არწივის ხმიანობას „**ბორდობი**“ ჰქვია, რუსები клекот-ს უწოდებენო (მ. გიგინ. „ელექტრ.“).

დიალექტ. II. **ბორდობი** გულდამძიმებულად რო დაიზლაზნება. „*ბორდობობს* საწყალი დევი დაჭრილი“ (რაჭ. ძიძიგ.). შდრ. ბურდობი სახე მოღუშული, პირქუში (თვალად. შატბ.).

დიალექტ. III. **ბორდობი** მსუქანი, ფერხორციანი (ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. IV. **ბორდობი**: „სახურავათ დაელაგებინათ ხის კოჭები, ზედ დაეყარათ *ბორდობი* და გადაეფარებინათ ბრეზენტითა“ (ა. ფრონ., „წარმოდგენა მცხეთაში“) – ი. გრიშ. შდრ. ბურდო ულეწავი ბზე (ფეტვისა) – საბა.

ბორიალ-ი:

საშ. ქართ. I. **ბორიალი** ფრიალი, ფარფარი – ნ. ჩუბ. ბორიალება ვაფრიალებ, ვაფარფარებ – დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბორიალი** უგზო-უკვლოდ სიარული, ხეტიალი, – ბოდიალი, ყიალი. მერე მომბეზრდა ეს უაზრო *ბორიალი* (ი. ბერიაშვ.). ფიგურ. [იობი] უკვე გაუცნობიერებლად მონაწილეობდა ამ აბოლებული ცის და მიწის ერთობლივ *ბორიალში* (გ. ბაქან.). მოსწყინდება დათიას ფიქრებში *ბორიალი*, პაპიროსიც გაუშრობს ნერწყვს (კ. კობ.) – ქეგლი. აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., გურ. შარაშ., თუშ. ცოც. შდრ. **ბოილი** ბორიალი, უსაქმოდ, უაზროდ ხეტიალი (გურ. შარაშ.).

ვფიქრობთ, რომ ბორიალის ბორ- ძირი სემანტიკურად დაკავშირებულია ბრუნავს ზმნასთან, რომლისათვისაც აღდგენილია საერთო-ქართველური *ბრ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. III. **ბორიალი** ბორიაყი – დიდი სიცხისაგან და მტვრისაგან დამდგარი ბურუსი. *ბორიაყი* იგივე მტვერია (თამ.). უნდა დაგვესვეღებინა ხომე ცოცხი და ისე გადმოგვეწმინდა, *ბორიალი* არ აისვლიყო (ოძ.). აგრეთვე ტყვ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ბორიაყი და ბორი ZAB. სადარო ნისლია – საბა. ბორი ჯმელი ნისლი მტვრის მსგავსი – საბა.

ბორო:

დიალექტ. I. **ბორო** ბუზი დიდი ზომის ბუზია ერთგვარი (რაჭ. კობახ.). შდრ. I. ბორბოხი.

დიალექტ. II. **ბორო** გიჟი, სულელი ადამიანი. „შენ ცარიალ ბორო ხარ“ (ინგ. ასრათ.). || ერთგვარი ზნე. *ბოროიანი* კაცი, რომელიც ერთ აზრს, ერთ საქმეს ვერ შერჩება, და ხშირად მოულოდნელად და უმიზეზოდ იცვლის ხოლმე გუნებას (გურ. შარაშ.). **ბორო** ზან. (მეგრ. ქობ., ფიფ.).

დიალექტ. III. **ბორო** „დიდი მთა; მიყრუებული ადგილი მთაში“ (რაჭ. ვ. ბერ.). შდრ. ძვ. ქართ. ბორობანი, ბურობანი ფოთლებხშირი, ხშირი ტყე, დაბურული. „რტონი ხისანი *ბორობანნი* G – „რტონი ხისანი *ბორობანნი*“ (pb., ლევიტ. 23, 40); „აჰმართნეს ძეგლნი... ყოველს ხესა ქუეშე *ბორობანსა*“ (IV მფ. 17, 10) – იღ. აბულ.

დიალექტ. IV. **ბორო** მსხლის ჯიში ერთგვარი (ჯავახიშვილი 1986: 696). შდრ. III. ბორბალა.

ბორხვენა:

საშ., ახ. ქართ. I. **ბორხვენა** მცენ. დაჭრილის წამალი – დ. ჩუბ. || ბუერა. შენა, *ბორხვენავ*? რა ძალიან გამხმარხარ და გატიტვლებულხარ? [უთხრა ფუტკარმა] (თ. რაზიკ.). ოთარი გამოშიგნულ კალმახებს... *ბორხვენას* ფოთოლზე აწყობს (მ. ელიოზ.). იქ არც ყვითელი წიწილები დაწივწივებენ *ბორხვენებში* (კ. კობ.). თვითონ ზედმეტად ჩაფხუტიც გაიკეთა *ბორხვენას* ფოთლებისაგან (დ. კასრ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *ბორხუენ- „ბალახი (სახეობა)“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. II. **ბორხვენა** (ინდ.) იგივეა, რაც ბოხვერა. კარგი *ბორხვენა* ბიჭი გამოემართა როიალისაკენ (მ. ელიოზ.) – ქეგლი. შდრ. ბოხვერი ბოკვერი მოზრდილი ლეკვი – დ. ჩუბ.

ბორჯღალი:

საშ., ახ. ქართ. I. **ბორჯღ'ა'ლი** «მსხვილი ტოტის განაყოფი» (საბა), – გაშლილი, გაბარჯღული ტოტები. || ტოტებად გაშლილი (ხე, რქები). ჯონქას ახლაც წინ დაუდგა თვალებისისხლიანი, *ბორჯღლი* და წვეტიანი რქებით წამოსული, ტკივილისაგან გაშმაგებული ვაცი (კ. ხიმშ.). ფიგურ. მზის *ბორჯღალს* სულაც არ ეტყობოდა შემოდგომობა («ლიტ. საქ.»). შდრ. ბორჯღი – ქეგლი.

ბორ-ჯღლ ← ჯორ-ჯღლ; ჯორჯ-ჯღლ → *ჯორ-ჯღ (იმერ.) იგივეა, რაც ბორჯღლი (სქ.) (ერთელიშვილი 1980: 141).

ახ. ქართ. **II. ბორჯღალი** 1. ძველი ქართული ორნამენტი – მზის სიმბოლო. *ბორჯღალი* ასეთი შინაარსით არის შესული დედაბოძის ორნამენტში (ი. სურგ.). მითოსში ტოლფერდა ჯვარი ან *ბორჯღალი* მზე-ღვთაების სიმბოლო იყო («ივერ.»). 2. ემბლემა, გამოყენებული პირადობის მოწმობებზე, ფულზე... ყველა ნომინალის [ქართული] მონეტის რევერსზე გამოსახულია *ბორჯღალი* («ვიკიპედია») – ქეგლი. შდრ. ბურჯღალი კონა ნაპერწკლებისა. ცეცხლს ტკაცატკუცი გაჰქონდა და ბურჯღლებს ბღუჯა-ბღუჯა ჰყრიდა (ა. გალდ.). ფიგურ. ეგ თვალები ცეცხლის ბურჯღლებს ისვრისო! (აკაკი) – ქეგლი. შდრ. **ბარჩხალი** მზის ბრწყინვა, სხივების ფრქვევა ზან. (მეგრ. ელ.).

ბოს-ი:

ახ. ქართ. **I. ბოსი** [ინგლ. boss] 1. პატრონი, მესვეური წარმოებისა, დაწესებულებისა. ერთ პოლუსზე დადგნენ ქიმიურ კონცერნთა ქისასავსე *ბოსები*, მეორეზე შეწუხებული, დაფიქრებული, ეჭვით აღსავსე ადამიანები («ლიტ. საქ.»). მოვიდნენ... ბირჟის მაკლერები, *ბოსები*..., რომელთა კაპიტალი უდრის ციფრს მსხვილი ნულით (ქ. კასრ.). || საუბ. ირონიით იტყვიან ხელმძღვანელზე საერთოდ. 2. აშშ-ში: პირი, რომელიც ხელმძღვანელობს რესპუბლიკური ან დემოკრატიული პარტიის, ასევე – პროფკავშირის აპარატს შტატებსა და ქალაქებში – ქეგლი.

დიალექტ. **II. ბოსი** დაწნული მოკლე თასმა ქამარზე დანის ჩამოსაკიდებლად. „*ბოსები*, რეველვერები, ხანჯლები – სუყველა ეკიდა ტანსამოსზე“ (მოხ. ქავთ.).

ბოტოტ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ბოტოტი** დიდი წვინტლი – საბა, დ. ჩუბ. წყვინტლის ტოტი, ბავშვის ან საქონელს რომ ჩამოეკიდება. „რამხელა *ბოტოტი* დაჰკიდებია ამ ბავშვ, ვეღარ მოხოცე?!“ (ჯავახ. ზედგ.). **ბოტოტა** ცინგლი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ბოტოტი** მახრა, მატლი. „კოს ფოთელი *ბოტოტ* შუუჭამია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ბუტული ბორას მატლი (კვერცხიდან საქონლის ტყავქვეშ განვითარებული) – ქეგლი.

ბოქს-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოქსი** [< ინგლ. boxcalf ხბოს ტყავი] სპეც. ქრომით გამოყვანილი ტყავი – ქეგლი. აზიური ფეხსაცმელებს უნდა შემდეგი ტყავები: მეში, შიგრიმი, კაზანი, *ბოქსი* და შევრო (ქვ.-იმერ. მრეწ. III, I, 216).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბოქსი** [ინგლ. box ცემა, დარტყმა] იგივეა, რაც კრივი. ტაილანდური *ბოქსი* ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საბრძოლო სპორტია («ბიბ.») – ქეგლი. ჩხუბის დროს ხმარობენ ღაჯიას და *ბოქსს* (ფშ. გოგატ.).

ახ. ქართ. **III. ბოქსი** [ინგლ. box ყუთი, კოლოფი] 1. ცალკე სადგომი ერთი ავტომანქანისათვის მრავალადგილიან გარაჟში. გაქირავებული ჰქონდათ ინსტიტუტის გარაჟის განაპირა *ბოქსი* (რ. მიშვ.). 2. საავადმყოფოში – ცალკე გამოყოფილი ადგილი ზოგი ავადმყოფისათვის, – იზოლატორი (ქეგლი).

ახ. ქართ. **IV. ბოქსი** [რუს.] მამაკაცის თმის გაკრეჭის მოდელი: თმას მთლიანად იღებენ საფეთქლებსა და კეფაზე. მძღოლს «ბოქსის» სტილით ჰქონდა კეფა ასუფთავებული (რ. ინან.) – ქეგლი.

ბოღოზ-ი:

დიალექტ. **I. ბოღოზი** [თურქ. ბოღაზ ნერწყვი, ბოღაზლი] ღორმუცელა]. მუცელი ჭამას რომ ეტანება. **ბოღოზიანი** – მჭამელი, ღორმუცელა. **აბოღოზება** – ჭამით გატაცება, ჭამის მოყვარულობა. „თავი *ბოღოზის* იტანა ის უბედური“. *„ბოღოზიანი* კაცია, რამთენიც მიუტანო, შესჭამს“. „მუცელი არ'ნა *აიბოღოზო* კაცმა“ (ჯავახ. ზედგ.). || გადატ. გაუმაძღარი ადამიანის მუცელი, კუჭი. რა *ბოღოზი* აქ ნეტაი ამ კაც, რო აქამდისინ ვერ გაიძღო (მესხ. ფეიქრ.). აგრეთვე ბოღოზქორი (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. **II. ბოღოზი** ვიწრო გასავლელი. ორი კედლის ურთიერთ გადამკვეთი კუთხე. „დახა კუთხეა – ბოღოზი“ (იმ.); „ოდას აქ ოთხი ბოღოზი“ (იმ.); „შუაში *ბოღაზებ* გააკეთებენ“ (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.). „ჩვენ წისქვილ ისრეთი *ბოღოზი* აქს, რო კაციც გაიმართება შიგ“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ბოღაზი ბინა, რომ ერთქვანებში ჩეჲშვება, იმას ბოღაზი ქვია (აჭარ. მრეწ. II, I, 254). ნედლი მასალით სახლის აგება არ შეიძლება – მასალა თანდათან გახმება, ბოღოზს დაცლის და დაიმშიერებს (აჭარ. ნოღ.).

დიალექტ. **III. ბოღოზი** მსუქანი, ნოყიერი მიწა. ძველათ უფრო *ბოღოზი* მიწები იყო სუფსაში (ვ. ბერ.). „ჩვენ კოლმეურნეობას *ბოღოზი* მიწები ბეური აქ“ (ჯუმ., გურ., ჯაჯან.).

დიალექტ. **IV. ბოღოზი**: ბევრნაირი შალი მოდიოდა: აყოშა, ქობაჩი, აქლემის ყელის შალი, *ბოღოზის* შალი (შ.-კახ. მრეწ. III, I, 32).

შდრ. ბოღაზი [თურქ. boğaz] 1. ნავსადგური. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზე კავკასიის *ბოღაზად* (გ. წერეთ.) – ქეგლი. || ნავის მისადგომი ადგილი. „ღამე იყო; ნავით მივდივართ. ვერ იქნა და და ბოღაზი ვერ ვნახეთ“ (გურ. ჯაჯან.). 2. გადატ. ვინმესთვის, რაიმესთვის უხვად მომწოდებელი (რისამე)... ღვინის ბოღაზია კახეთი... (რ. ერისთ.). ძველ დროს იგი (= კახეთი) ყოფილა ბოღაზი თითქმის მთელი საქართველოსი (ილია) – ქეგლი. || ნოყიერი, მოსავლიანი. იტყვიან მიწის შესახებ. „მალთაყვას უფრო ბოღაზი იყო მიწები. მართლა კაი მოსავალი მოდიოდა!“ (ს., გურ. ჯაჯან.).

თურქული [**ბოღაზ** „ყელი, ნერწყვი, ღორმუცელა, ნავსადგური, ხევი, ხეობა"] პოლისემიური სიტყვის ზემოაღნიშნული მნიშვნელობები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით უნდა დამკვიდრებულიყო ქართულში.

ბოყ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოყი** უგულო ნაყოფი. აყვა გიგა, – *ბოყი!* კიდევ რა... დათრთვილული კვრინჩხი (რ. ინან. კეთ. 101, 9). || გაფუჭებული ქლიავი ან ტყემალი. ახლად გამონასკვულ ნაყოფს თუ ხანგრძლივი წვიმები დაემთხვა, გაფუჭდება, ნაადრევად გაიზრდება, გათეთრდება, კურკას არ გაიკეთებს, მალე დალპება და გასცვივა. სანამ მაგარია, ჭამა შეიძლება, განსაკუთრებით ბავშვები ეტანებიან. „წლეულ ქლიავი აღარ გვექნება, ამ ოხერმა წვიმამ ერთიანათ სუ *ბოყათ* აქცია!" (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე თონ., დვალ., ღოლოვ. ქართლ. მენთ. იხ. **IV. ბოყვი.**

დიალექტ. **II. ბოყი** დიდ კიდობანს წინა მხარეს, ზევითა და ქვევითა ისრების შუაში, სიმაღლეზე, შედგმული აქვს „*ბოყი*" (ბობი) (თუშ. ბოჭ. 72).

დიალექტ. **III. ბოყჩ** კიდობანი (თუშ. ცოც.). იხ. **II. ბოყვი.**

ბოყვ-ი:

ახ. ქართ. **I. ბოყვი** ბოკვი. მხცოვანი ხეები – ცაცხვები, მუხები, თელები, *ბოყვები*, ვერხვები... – ვიშვიშებდნენ (ვაჟა). [ტყეში] გარდა იფნისა, თავს იწონებს მაღალმთის *ბოყვი*, თელადუმა, ჭადრისებრი *ბოყვი*, შოთხვი, ცირცელი (ნ. კეცხ.) – ქეგლი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბოყვი** ხოკი, ხოკერი, ხის ქერქის ჭურჭელი – ნ. ჩუბ. მარწყვით სავსე *ბოყვი*. – [დათუნას] შავი ქუდი *ბოყვივით* თავზე ჩამოცმოდა (გ. წერეთ.) – ქეგლი. || ხის (ცაცხვის ან ბლის) ქერქისაგან მოწნული ჭურჭელი, რომელსაც ტკეჩის ძირი აქვს. ხის კანს გადმოაბრუნებდენ, გამოაკერებდენ ტკეჩის ძირსა და ხმარობდენ კასრის მაგივრათ *ბოყვსა* (ვახანი); *ბოყვი* რგვალი და დაბალია, საცრის რკალივითაა, მარა უფრო მაღალი (უჩამეთი); *ბოყვია* ბლის კანისაგან მოწნული. ბოყვში თითისტრეფს ვინახავთ (ზედუბანი). || ცაცხვის კანისაგან გაკეთებული ჭურჭელია (მოხვა). მატყლი ედგათ *ბოყვით* (ბაჯითი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ხვიმირიდან *ბოყვში* ჩადის მარცვალი და იფქვის, სამზარეულოშივეა ბუჯერზე ან ცალკე „საჭურე ფიცარზე დადგმული „ნეოთხლიანი" და *ბოყვები*, ისევე როგორც ბოყუჩები და კორვები (ქვ.-რაჭ. მრეწ. III, II, 189; რაჭ. კობახ.).

ს.-ქართვ. "ბოყუ- „ხის ჭურჭელი" > ქართ. ბოყვ-ი: ზან. ბუყუნ-ი || ბუყუნ-ი < "ბუყუ-ინ-ი : სვან. ბეყუ || < ბოყუ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ბოყვი** (იმერ. გურ.) 1. «ჩარჩო, რომელშიაც [კედლის] ფიცრებია ჩასმული» (ვ. ბერ.). შეიძლება სახლს სხვა *ბოყვებმაც* უმუხთლოს (ო. იოს.) – ქეგლი. აგრეთვე გურ. ჟღ. ჯიხური... თუ არ გვინდა

რომ დავწნათ, ფიცრისათვის ამოვჭრით კოჭის *ბოყვებს* და იმ ცარიელ *ბოყვებში* გეეწყობა ფიცარი ამას (ზ.-ქართლ. მრეწ. I, 231). საძირკვლებზედ დავსხავთ *ბოყვებს* (ზ.-ქართლ. მრეწ. I, 222). ხის სახს აქ *ბოყვი*, სიგრძეზე რო ფიცარი უყენია ფანჯრებს შორის (ქემ.). *ბოყვეფში* ძელეფს ჩავაწყობდით, მერე ზეითაც გაუკეთებდით საგვერდეეფსა და გადავხურამდით ყავარს ან წალანს (ბებნ.). 2. კრიჭა. ხვიმირიდან ბოყვში ჩადის მარცვალი და იფქვის (ხც., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: მესხ. ფეიქრ., რაჭ. კობახ.; იმერ. ქავთ. 3. კრამიტის ყალიბი, კეთდება ხისაგან (ბ. წერეთ.). სინონ. ქობინო – ქეგლი. კალაპოტს ქვეშ აქვს ხე, რომელსაც ხის *ბოყვს* ვეძახით. კალაპოტიდან გადმოვიღებთ მიწას და მოვჭრით *ბოყვზე* (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 306). 4. ძელი. – ჩამოი ბიჭო ძირს, *ბოყვზე* არ ჩამეეცვა (რაცხ. გურ.). შდრ. გაბოყვა ნიშნავს ოჯახის შუაზე გაყოფას; ეს ზმნა ნაწარმოებია „ბოყვი"-საგან, რაც გურულში ნიშნავს იმ ხეს, რომელშიც ჩაშენებულია კედლის ფიცრები. აქედან „გაბოყვა"; გაგვიბოყავს ოჯახს შუაზე" (გურ. ნინოშვ., ჟღ.) – ალ. ღლ. **ბოყვი (ბოცვი)** სახლის კედლების სამაგრი, ორმხრივ ამოღარული ფიცრების დასამაგრებლად ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბოყუ- „ბოძი" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **IV. ბოყვი** ბოქლომი. „წისქვილსა დაადვა *ბოყვი* და არ უშვებს შიან არვის" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „ვინც რომე მაგარი ჰაფსი იქნებოდა, იმა დაადებდნენ ბოყვს" (აჭარ. ნიჟ.). კარის საკეტად აჭარაში ხმარობდნენ ბოყვს. მას დათვაბოყვასაც ეძახდნენ. *დათვაბოყვა* ხისაა და შესდგება ოთხი ნაწილისაგან: ფიცარი, ურდული, კბილები || ენები და გასაღები (აჭარ. ნოღ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **V. ბოყვი** 1. «მომცდარი ნაყოფი ტყემლისა ან ქლიავ-ღოღნოშოსი» (ი. ჭყ.), – ვერ ვითარდება და ცვივა. 2. (ლეჩხ.) ტყემლის ორლებნიანი ნაყოფი (მ. ალავ.) – ქეგლი. ქლიავმა, ტყემალმა, ჭანჭურმა და მისთ. იცის ავადმყოფი ნაყოფი, რომელსაც *ბოყვს* (გოლთ., ფარცხ.) || ბოყს (ჯორჯ.) ეძახიან (ალგ. სალ.). იხ. I. ბოყი.

დიალექტ. **VI. ბოყვი**: ერთი რიგის პარკს *ბოყვს* ეძახიან: დიდი არის და მრგვალი, იმაში შაიძლება ორი ჭიაც იყოს (შ.-კახ. მრეწ. IV, II, 44). ||ბოხვი პარკი (ქიზ. მენთ.). შდრ. I. ბოყო.

დიალექტ. **VII. ბოყვი** ცხიმეულის, რძის ნაწარმის ობი, პკე. სადღვებლიდან როცა დოს გამოსწურავენ, მერე თბილ წყალს ჩაასხმენ და კარგად გამორეცხავენ, რომ დო და კატაში არ დარჩეს და „სადღვებელს *ბოყვი* არ გაუჩნდესო" [„ბოყვი" სიმჟავის ობი] (მ. ბალ., ნ. მაკალ. 42) – ალ. ჭინჭ. **ბოყვმადგმული** ბოყვით დაფარული. მატლიან სატანს ჩასჩიქავთ, არ გამაარჩევთ სურნელსა, ზეთი *ბოყვმადგმულს* დაატანთ ხარშოში ჩაჩიქულებსა (ხევს. ჭინჭ.). **ბოყვი** რაიმე ამჟავებულის ობი (ფშ. ხორნ.).

ს.-ქართვ. *ბაკ-ე „ობი" > ქართ. ბრკე || პრკე || პკე || ბიკა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. VIII. **ბოყვი || ბაყვი** 1. ბარძაყის შიგნითა მხარე, – ბაყვი. მოკიდა ხელი საქონელს, გამოჰრა ყელი, ააჭრა *ბოყვები* (ბოსლევი); მახათი ბოყვში შეესო (ფუთი); ბოყვში შეესო სარი (განთიადი, ზ.-იმერ. ძოწ.). ამ სიტყვისათვის მ. ჩუხუამ მიუთითებს ს.-ქართვ. ძირს "ბოყუ- „ზურგის ძვალი, თეძო" (ჩუხუა 2017).

ბოყვა:

ახ. ქართ. I. **ბოყვა** უშნოდ დიდი. წამოვარდა ზეზე ნინო, ტახტზე ჩამომჯდარ ქმარს ვეებერთელა, *ბოყვა* ჩექმები და წინდები გააძრო (ბ. ჩხ.) – ქეგლი. იხ. I. ბოყო.

დიალექტ. II. **ბოყვა: ბოყვა ჭლაკვი** ჭლაკვი, რომელიც უთავოა და მწარე არ არის (ბოსლევი); ფოთლები *ბოყვა* ჭლაკვს აქ მსხვილი (განთიადი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. V. ბოყვი.

ბოყო:

დიალექტ. I. ბოყო ტანსრული, მსხვილი, ცოტა გაფუყულიც. „ისრეთი *ბოყო* ქალია, რო ამ კარებშიც არ შემოეტევა." აქედან: ბოყო კაკალი – მსხვილი, დიდრონი კაკალი (ჯავახ. ზედგ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი "ბოყ- „მსხვილი" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. ბოყო დამბაღებული ცხიმეული (მთ. კაიშ.). იხ. VII. ბოყვი.

ბოშ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბოში** 1. მოშვებული, ფომფლე, ფონე (საპირისპ. მჭიდრო, მაგარი). ფოლადი უნდა ვაქკაცი! არ უნდა იყოს *ბოშია* (ვაჟა). ამ ადგილზე ნიადაგი ძალიან ბოშია, ამხელა სახლს რა საძირკველი გაუძლებს («მნათ.»). ◊ **ბოში თამბაქო** რბილი, უძალო თამბაქო. ◊ **ბოში ჩლიქი** რბილი ჩლიქი. **ბოშად** ზმნს. მოშვებულად, ფომფლედ, ფონედ. თოფი *ბოშად* [არ უნდა] გეჭიროს, რომ ჩახმახის დასხლეტის დროს არ დაგეძრას (ვაჟა) – ქეგლი. || **ბოშრ** ფომფლედ მოსართავმოჭერილი ცხენი. „ეგენ ცხენ *ბოშ* გყავ, მუცჭირ, თვარ მოგიქცევს" – ეგ ცხენი ხომ მოსართავმოუჭერელი გყოლია, მოუჭირე, თორემ უნაგირს მოიგდებინებს (თუშ. ცოც.). აგრეთვე მთ., მოხ., ფშ. შან., ჯავახ. ზედგ., ქიზ. მრეწ. I, 36, ფერეიდ. ჩხუბ., მოხ. ქავთ., შ.-კახ. მრეწ. IV, II, 162, ქიზ. მასალ. I, 36. || *ბოშა* შაკარ; ბოშ არაყ; *ბოშ* ზგმარ; 2. გადატ. არამომჭირნე, მფლანგველი: *ბოშ* დეკაც (ინგ. როსტ., ღამბ). 3. [თურქ.] თავისუფალი, ცარიელი. „სახლი მის ანას მეჰელეში არ არი *ბოში*" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **ბოში** ცარიელი; ხე-ბოში „ხელცარიელი" ზან. (ლაზ. კალანდ.).

დიალექტ. II. **ბოში** 1. ქვემო რაჭის დაბლობში ბავშვი. 2. ქვემო რაჭის მთიანეთში და ზემო რაჭაში გოგო. 3. მიმართვის ფორმაა (ბოშო!) – არა მხოლოდ და არც იმდენად ბავშვისადმი. რას ამბობ, *ბოშო*, გამიგონია მაგ-

ნაირი ლაპარიკი (რაჭ. კობახ.). || იტყვიან აგრეთვე ახალგაზრდა ქმრიან ქალზეც. სულ *ბოშები* ჰყავს, რომ ერთი ბიჭი არ გაუჩნდა. ჩემი რძლები ძალიან კაი *ბოშები* არიან (მთ.-რაჭ. რეხვ.). **ბოშა, ბოში** გოგო „ხყავდეს ცხრა შვილი: ოთხი *ბოში* და ხუთი ვაჟაჲ“ (რაჭ. ძიძიგ.). აგრეთვე: ბოშუნა, ბოვში, ბოფში, ბოქში (რაჭ., ლეჩხ.). **ბოში** ბიჭი, ყრმა ზან. (მეგრ. ქობ.).

ვ-ს დაკარგვა: ბავშვი > ბაშვი, რაჭ.-იმერ. ბოვში || ბოში (ქავთარაძე 1964: 119).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბასრ- „ბასრი, მჭრელი, მამრი“ > ქართ. ბასრი : ზან. ბოშ-ი : სვან. ბᲐსრ < *ბᲐშრ- (ჩუხუა 2000-2003).

III. **ბოში** [ფრანგ. boche] საფრანგეთში: გერმანელის მეტსახელი (უპატივცემლობის გამომხატველი) – მ. ჭაბ.

ბოშა:

დიალექტ. I. **ბოშა, ბოში** გოგო. იხ. II. ბოში.

დიალექტ. II. **ბოშა** ზმნზ. ბოშა დუნედ, ფომფლედ; სრულად. *ბოშა* მაქ (სრულად, სრული მაქვს) ე ფეყ სომოზ (ინგ. ღამბ.). იხ. I. ბოში.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ბოშა** 1. ინდური წარმოშობის მოხეტიალე, უსახლკარო ხალხის წარმომადგენელი (სინონ. აწინკანი, ციგანი). ბოშა დედაკაცმა მკითხაობა გაათავა (რ. ერისთ.). მთხოვრების სახით ერთხელ ფშავის ხევს *ბოშები* ესტუმრნენ (ვაჟა). კიდევ მიმუხთლა იმ წყეულმა ეგვიპტის *ბოშამ* (ი. მაჩაბ. თარგმ.). სოლოლაკის ქუჩის ახლო ფეხშიშველი და გიზგიზათვალებიანი *ბოშა* ქალი აგვედევნა (რ. გვეტ.). მხიარული, ფეხშიშველი *ბოშა* ქალი სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე (ანა) – ქეგლი. 2. გადატ. მათხოვარი, ბოშობა – მათხოვრობა. „ძიენ მომრავლდნენ *ბოშები*, ყოველდღე დადიან ცოტა პური მამეციო“. „სოლოსაც ისრე გაუჭირდა, რო *ბოშობა* დაიწყო“. 3. მესაცრე. მეცხრილეებსაც „*ბოშებს*“ ეძახიან (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ფოშა 1. ბოშა, მოხეტიალე; 2. უსინდისო, უნამუსო. ფოშა გავხდი (შირინსულიე); არტანუჯი ფოშაა (ქლასკური, კლარჯ. ლექსიკ.).

ალბათ, ბოშა წარმომავლობით უკავშირდება თურქულ ბოშ- სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობას „თავისუფალი, უმუშევარი, უსაქმური ადამიანი“.

ბოშუნა:

დიალექტ. I. **ბოშუნა || ბოჩუნა** გოგონა, *ბოშუნა* ხყამს თუ ბიჭუნა? (ზმ.-რაჭ. კობახ.). იხ. II. ბოში.

დიალექტ. II. **ბოშუნა** [თურქ.] ტყუილად, ტყუილუბრალოდ, ამაოდ, ფუჭად. „*ბოშუნა* არ ვთქვი“ (მაჭ.); „*ბოშუნა* არ წაველით“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ბოჩ-ი:

ახ. ქართ. I. **ბოჩი** ქართველთა ძველი წარმართული ღვთაების სახელი, – «ქართველთა კერპი» (კირ.). ამგვარად, სპარსული ცეცხლის თაყვანისმცემლობის სარწმუნოებამ დაჩრდილა და ბოლოს სრულიად დასცა

თაყვანისცემა ქართველთ ძველი კერპის *ბოჩისა*, რომელსაც შვიდი ხელი ჰქონია ნიშნად ბატონობისა კავკასიონის შვიდ ქედზე (პ. მირიან.). რატომ *ბოჩი* თავის წყევლას აწ შენ ერთს არ დაგიბრუნებს? (ს. შანშ.) – ქეგლი. ქართლოსიანნი, თაყვანის სცემდეს კერპთა მრავალთა ღმერთობითისა სახითა, ჰყავთ მათ საკუთარნიცა ღმერთნი თჳსნი, რომელთა შორის იყო უპირველესი ღმერთი ბოჩი (ჯავახიშვილი 1950: 168).

მ. ჩუხუას მიხედვით, ს.-ქართვ. *ბაც- „საქონლის მფარველი ღვთაება, სვანურში ფიქსირებული ბაციკი || ბაციკუკუ (ანთელავა 2017: 141) იმაზე მიუთითებს, რომ ბაც- ქართული ღვთაება ქრისტიანობის წინა პერიოდში გავრცელების მეტ არეალს მოიცავდა. ამავდროულად ძველქართული ბოჩი ს.-ქართვ. *ბაც-არქეტიპის ზანურ შესატყვისს ინახავს და ვაცისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი ძირი ჩანს, რომელიც, სავარაუდოდ, ხარის აღმნიშვნელ არქაულ ფორმას წარმოადგენს (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ბოჩი** პატარა საქონელი (თონ., დვალ., ღოლოვ., ქართლ. მენთ.). **ბოჩი** ვერძი ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. ბოჩიკი საბა, ბოჩოლა – ქეგლი. ბოჩოლა (ტანა ZAaBC.; მოზი E.) (ოთხფ.) გამოზამთრული ზროხა – საბა.

დიალექტ. III. **ბოჩი** მწერი (იმერ. ბერ.).

ბოც-ი:

დიალექტ. I. **ბოცი** ბოძი (ს. ხიზაბავრა) (ჯავახ. ბერ.). იხ. II. ბოძი.

ახ. ქართ. II. **ბოცი** [ლათ.] აკვარიუმის თევზი. ძალიან პოპულარული მტკნარი თევზი („აკვარ.“).

ახ. ქართ. III. **ბოცი** ბოცა, – დიდი ბოთლი, წნულით გარშემოვლებული. ლუდის კასრი და მინის ბოცი („ჭურჭ.“). ბაბამ რამდენიმე ყლუპი ბენზინის გადაყლაპვის შემდეგ, მოახერხა და ოც ლიტრიანი პლასტმასის *ბოცი* ნახევრად გაავსო („ნაცრისფ.“).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბოც- „დიდი ბოთლი; წნული“ (ჩუხუა 2017).

ბოცორ-ი:

დიალექტ. I. **ბოცორი**, ბოცქვერი (ვ. ბერ.). **ბოცორი || ბოცვერი || ბოცქვერი** კურდღლის (გარეული კურდღლის) ნაშიერი. **ბოცორი** დევიჭირეთ (რაჭ. კობახ.). ბოცვერი > დიალ. ბოცორი – ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **ბოცორი** (ზოგან) ქუდის ცის შუაში ამობურცული ნასკვი (ზმ.-რაჭ. კობახ.). ქუდი წვერთან შევსკვნიდით გრეხილს და *ბოცორს* გაუკეთებდით, ბოცორზე – ჩიმჩიყს, ფესვებს (ქვ.-რაჭ. მრეწ. III, I,230). შდრ. ბორცვი [სპარს. ბურც] „სიმაღლე“, „მწვერვალი“, მაღლობი, გორაკი (ანდრონიკაშვილი 1966).

ბოძ-ი:

ძვ. ქართ. **I. ბოძი** საბოძვარი – საბა. **ბოძი** წილი; საჩუქარი: „მიიღებდეს *ბოძსა* კაცად-კაცადი მისგან“ (დაბ. 43, 34); „ნიჭითა და *ბოძითა* განგამდიდრნე“ (H – 341, 694). **ბოძება** ჩუქება: „მისცეს... ოქრობეჭედი განძისა ორას ორმეოცდა ოთხისა დრაჰკნისაჲ, ჩიმიშკისა *ბოძებული* იოვანესდა“ (ი. -ე. 22, 19) – ილ. აბულ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბოძ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). იხ. აგრეთვე ანდრონიკაშვილი 1966.

ახ., სშ. ქართ., დიალექტ. **II. ბოძი** 1. ერთი ბოლოთი მიწაში ჩასობილი ან რაიმე საყრდენზე მყარად დამაგრებული სწორი ძელი, შენობის საყრდენი. მართალი კაციც ვერ გაიმართებოდა *ბოძსა* და *ბოძს* შუა, არამცთუ დევი (რუსუდ. 294, 35). ვაი, რა *ბოძი* წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო (დ. გურამ.). ვისაც სახლი არ აუგია, ჰგონია, *ბოძები* თავისთავად ამოსულაო (ანდაზა). დიდი მსხლის ახლო სათივე იდგა ოთხ დიდს ბოძზე (ი. გოგებ.). 2. საერთოდ, სამაგრი ძელი. რამდენჯერ არ შეუდგეს *ბოძები*, არაფერი ეშველა – წყალი გასტეხდა ხეებს და ხიდზე გავლა საშიში ხდებოდა (ს. კლდ.). ღობეში *ბოძად* დატანებულ თუთის ხეს მიეყრდნო (რ. გვეტ.). 3. მცირე სვეტი – საბა. სვეტად ამართული ძელი. კაცი გაატიტვლეს, მიაკრეს *ბოძზე* (აკაკი) – ქეგლი. სვეტს ჩვენ *ბოძსაც* ვეძახით (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 277). პატარა *ბოძს* ჰქვიან ბოწკინტაჲი (თუშ. მრეწ. I, 148). შუა ბოძი – დედაბოძია (მთ.-გუდ. მრეწ. I, 199). 4. გადატ. ქალამნის წვერიდან გამომავალი დაგრეხილი კოპი, რომელზედაც თასმაა გამობმული. „ქამბლის შეკვრად *ბოძი* მთავარი“ – ქალამნის შესაკრავად ბოძია მთავარი. 5. ჩითის წვერიდან გამომავალი ნაჭრელების შუაგამყარი ხაზი. ჩითს შუაზე *ბოძ* აქვის (თუშ. ცოც.). || **ცხვირის ბოძა(ი)** ნესტოების გამყოფი ხრტილი (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე: მრეწ. I: ქიზ. 34, ზ.-იმერ. 268, პ. ხევს. 184, ლეჩხ. 257, მთ.-გუდ. 199, საინგ. 126, ზ.-ქართლ. 203; ბოძვი ბოძი (იმერ. გაჩ.).

ქართულში ს.-ქართვ. *ბოძ- „ტერფი, საყრდენი“ → ქართ. ბოძ-ი, ბოძ-ალ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ბოჭოლა:

სშ. ქართ., დიალექტ. **I. ბოჭოლა, ბუჭულა** პატარა წისქვილი (ხევს. შან., ჭინჭ.). გაღმა ბებურისა და დავითის კაცებს ორი ბუჭულა ბრუნებია (სამ. IV, 494).

დიალექტ. **II. ბოჭოლა** ხმიადად გამომცხვარი პატარა ზომის სამკუთხედის ფორმის სარიტუალო პური. დიასახლისს გამოცხობილი აქვს პატარა პურები, რომლებსაც გულად ხორცი ან ყველი აქვს, ეს იქნება ათამდინ და ხუთმეტი იქნება უბრალო, სულ პატარ-პატარა სამკუთხედი პურები. პირველებს ჰქვიან „მასანთოები“ და მეორეს *„ბოჭოლაები“* (ეთნ. კალენდ. 7, 83). დასტური ანთებს ან მუშს და ან სანთელს, დააკრავს *ბოჭო-*

ლეგზე და ბოჭოლებს აწყობს იქვე, საიმისოდ გამზადებულ სიპზე (ეთნ. რელიგ. დამატ. 7, 22) – ალ. ჭინჭ. შდრ. ბაჭული (რაჭ.) «ხაჭაპური, რომელსაც ჩართული აქვს ხაჭო და არა ყველი» (ვ. ბერ.). ძიძას მეფის საყვარელი რაჭული *ბაჭულები* გამოეცხო (რ. ჯაფ.). ბუჭონი, ბიჭონი – მოხალული ქერი (საბა).

ბოჭოლიკა:

დიალექტ. I. **ბოჭოლიკა** პატარა წისქვილი (ხევს. ჭინჭ.). იხ. I. ბოჭოლა.

დიალექტ. II. **ბოჭოლიკა** ლაქლაქა, ბევრის მოლაპარაკე. შინშო, *ბოჭოლიკაკ*-ხარ, არ მოგივას მარცხ ენაში (ბოჭოლიკაობს სწრაფად ლაპარაკობს, რატრატებს., ლაქლაქებს (უფრო ბავშვის საუბარზე იტყვიან) (ხევს. ჭინჭ.). შდრ. ბოჭიალი უსაგნო ლაპარაკი (იმერ. ჯაჯან.).

ბოხვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბოხვი** [ხმა] ბოხი (ხმა) (ხევს. ჭინჭ.). აღარ კადრულობს წივწივსა (წიწილა), *ბოხვად* ყიჭყიჭებს ყელშია (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. ბოხვი < ბოხი დაბალი მსხვილი ხმა (მამაკაცისა). ბრგე ვაჟკაცის ბოხი ხმა მდორე გრგვინვად ეფინებოდა ეზო-ყურესა (ვ. ბარნ.). [ვარდისახარს] ხმა ჰქონდა ბოხი, იგიც მამაკაცური ოდნავ (კ. გამს.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბოხვი** დარგ. მსხვილი პარკი აბრეშუმის – ქეგლი. *ბოხვი* პარკი ცუდი, არა მაგარი პარკი (ქიზ. მენთ.). *ბოხვი* პარკი არ ვარგა (ქიზ. მრეწ. IV, II, 38). **ბაბვა** მსხვილი, მძიმე. **ბოხო** მსხვილი ზან. (მეგრ. ელ.).

ბოხოხა:

დიალექტ. I. **ბოხოხა** 1. დიდი, მსხვილი რამ. ისეთი სხვილი თუთა სდგმიათ სოსიაანთა, რო, *ბოხოხაი!* (ტყვ.). *ბოხოხა* კაკლები გადმამიყარა სხვენიდანა (კარალ.). ერთი უნდა მოგდო მაგ ბოხოხა თავში (ალი); აგრეთვე ძეგ. 2. ეტყვიან ვისაც დიდი თავი აქვს. *ბოხოხა,* შე რაღა გაჭყვიტინეფს? (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). || ბოხოხაი (აჭარ. ნიჟ.). შდრ. II. ბოხვი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბოხოხა** ბოხოხის მსგავსი, ბეწვიანი. დიაკვანმა *ბოხოხა* ქუდი თავზე ჯირკვით დაიდო (ა. ხახუტ.). უცებ ჯუღურამ *ბოხოხა* ქუდი მოიძრო და მიწაზე დაახეთქა (თ. ბიბილ.) – ქეგლი. || ბოხოხი ცხვრის ტყავი მოქნილი და მისგან შეკერილი ქუდი – საბა, დ. ჩუბ., გურ. ფოლკ. ღლ. 224.

ბოჯგა:

დიალექტ. I. **ბოჯგა** ღომის ჯიშია ერთგვარი (გურ. შარაშ.). **ბოჯგა** დაბალი ღომის ჯიში, დაბალი იზრდება (იგივეა, რაც კუდა ღუმუ) ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ბოჯგა** სამფეხა დგამი (დაზგა) ხარის ფეხის გასაკვრელი (დაჭედვისას), – ხიბორკალი (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ბოჯგი გემბანზე ან ნავსაყუდელზე ბაგირის მისამაგრებელი დაბალი ბოძი – ქეგლი. **ბოჯგი** საყრდენი ბარჯი, დაბალი ბოძი ნაპირზე ან წყალში, რომელზედაც ბაგირით აბამენ ნავს ზან. (მეგრ. ქობ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბარჯ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ბჟანტ-ი:

დიალექტ. I. **ბჟანტი** მინდორში (ხშირად ჭაობიდან) გამომდინარე წყარო (ქიზ. მენთ.). || **ბჟანტი/ე** ნაჟური წყალი მომლაშო. „ჩვენი ვენახი თავში *ბჟანტე* წყალი გამოდიო, იმითა ვრწყამ ხოლმე!“ (გ.-კახ. სახლთხ.). ბჟანტე თბილი, უგემური, ნადგომი წყალი (ქართლ. ლექსიკ.). || ბჟანტობი (ქართლ. სალ.). || ბჟანტალი (კახ. ნ. ზუკაკ., ე. ხუც.) – ალ. ღლ.

ბჟანტი < ჟანტი მცირე რამ სისველე – საბა. ბ ბგერა განვითარებული ჩანს.

დიალექტ. II. **ბჟანტი** ქამარი. „ახალი *ბჟანტი* მოუჭერია“ (ქართლ. მესხ.).

ვფიქრობთ, რომ ავჟანდი → აბჟანტი → ბჟანტი. შდრ. ავჟანდა უნაგირის უზანგო, ან პაიჭთა და შალვართა ფეხ-ქვეშ გამოსაკრავი ზორტი – დ. ჩუბ. ავჟანტაჲ (თუშ. ხუბ.). როგორც საშ. ქართულში ისე თანამედროვე დიალექტებში ამავე შინაარსისაა აბჟანდა, აბჟანდი, აბჟენდი. **აბჟანდი** || **აბჟენდი** ავჟანდი, უზანგი, პაჭანიკი, შარვლის ან ქვედა საცვლის ტოტზე ამოკერებული ზონარი ფეხის ტერფზე ზან. (მეგრ. ქობ.). **აუჟანდა, აუჟენდ, აუჟანდ** 1. უზანგი. 2. შარვლის ან პაიჭის პაჭანაკი (სვან. თოფ., ქალდ.).

სიტყვა შემოსულია სპარსულიდან: [ახ. სპარს. **awžand**] „უზანგი“ (იუსტ. აბულაძე 1916: 791).

ბრაზიან-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ბრაზიანი** 1. ცოფიანი – დ. ჩუბ. *ბრაზიანმა* ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოსო (აკაკი). ბრაზ-იან-ი < ბრაზ-ი. ბრაზი „სიცოფე ძლიერი“ – საბა. 2. ბრაზით აღსავსე; ძალიან გაჯავრებული, ძალზე გულმოსული. ბაგრატამ ფული აიღო და *ბრაზიანი* თვალებით დაუწყო ცქერა ისმაილს (ა. ბელ.). ამ სიტყვებით გესლიანად ჩაიცინა და შემდეგ *ბრაზიანი* თვალები გადაჰკრა გიოს [გაიოზმა] (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ბრაზიანი** 1. მეტად მჭრელი, ბასრი (დანა). უი, *ბრაზიანი* დანაა, ხელს გაგიჭრის! (მეგ.); 2. ძალზე მსუსხავი (ჭინჭარი). ზოგი ისეთი *ბრაზიანი* ჭინჭარია, რო ხელს ვერ მიაკარებ (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. ბრასი.

ორივე ომონიმურ ცალი ნაწარმოებია იან- კუთვნილების აღმნიშვნელი ბოლოსართით.

ბრანძ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. ბრანძი** ძონძის ფარატინი. ანაზდად ჯელით წაგივა, შეგკვრენ სუდარის ბრანძითა (საბა 911, 4). ბრანძი დაფლეთილი, დაკონკილი ტანისამოსი, – ძონძები. მენახირე, მეხბორეც... *ბრანძით* შემოსილები, სანახირე-სახბორისაკენ მიეშურებიან (შ. არაგვ.). გავიხადე ჩემი *ბრანძი* ტანისამოსი (ლ. არდაზ.) – ქეგლი. *ბრანძი* არი, ძაან ძველი როა ჩასაცმელი, ნაკერი ნაკერზე რო აქს (მესხ. ფეიქრ.). „ეგ რა *ბრანძი* ჩაგიცვამს, მეტი აღარ გაქ რა?“ (ჯავახ. ზედგ.). „ერთი *ბრანძიძველა* მამიგდეი და მთელ ზამთარ იმაში გამატარებინეი“ (ქიზ. მენთ.). შდრ. ბანძური (რაჭ.) ქვევრიდან ნარეცხი წყლის ნარჩენის ამოსაწური ჩვარი, გრძელ ჯოხზე მიმაგრებული, მაწაწური (ქეგლი).

დიალექტ. **II. ბრანძი** როსკიპი, გარყვნილი (ლეჩხ. ალავ.).

შდრ. ბანძი ჟარგ. მდარე, უვარგისი, ჩამორჩენილი. ხო არ მოგატყუებ! რო მოგატყუო, ძაან ბანძი უნდა ვიყო (ლ. ბუღ.) – ქეგლი. შდრ. **ბენძელა** დანა რომელიც არ ჭრის. ბენძელა კოჩი გამოტვინებული კაცი ზან. (ლაზ. თანდ.).

ბრას-ი:

დიალექტ. **I. ბრასი** ალმასი (ქვ.-იმერ. კუბლ.). ბრასვა მეტისმეტად სუფთად ჭრა ძლიერ მოლესილი პირწმინდა საჭრელი იარაღით (იმერ. ცხად.) – ფ. ერთელ. ბრასი < ბასრი (ერთელიშვილი 1970: 152).

მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. *ბასრ-ფუძეს და აღნიშნავს, რომ მას შესატყვისები ეძებნება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე: წერეთელი 1951: 27, იმედაძე 2014: 117, კობიძე 1983: 323 ჯავახიშვილი 1962: 251-252.

ახ. ქართ. **II. ბრასი** [ფრან. brasse] ცურვის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა, – «ბაყაყური» (ხელებსა და ფეხებს უსვამენ სიმეტრიულად და ერთდროულად შიგნიდან განზე). [სერგომ] მცირედი სიამაყით, *ბრასის* სტილით გამოსცურა ნაპირისაკენ (გ. დოჩ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **III. ბრასი** [ჰოლანდ. bras] ზღვ. გემსართავი, რომელიც მაგრდება რეის ბოლოებზე და გამოყენებულია მის მოსაბრუნებლად ჰორიზონტალურ სიბრტყეში – მ. ჭაბ.

ბრბო:

სამ., ახ. ქართ. **I. ბრბო** სიმრავლე ჯართა – საბა. 1. ადამიანთა უწესრიგო გროვა. სარიდანმა გულმოსულად გაარღვია ახარხარებული *ბრბოს* წრე და თავის გზას გაუდგა (ა. ბელ.). ძალიან მიკვირს, რომ აქამდინაც არ შეუკრა გზა ამ *ბრბოს* ჩვენმა ლაშქარმა (ვ. ბარნ.). გირშელმა თვალი მოავლო გარს მოჯარულ ბრბოს (კ. გამს.). 2. არაორგანიზებული, ბნელი სულისკვეთების ხალხი. ეს *ბრბო* მდუმარე, მარად მორჩილი, ნუთუ კვლავ

ათრევს უღელს საზიზღარს?! (ი. ევდ.). *ბრმო* იყო ირგვლივ, უიმედო, როგორც მორევი (ვ. გაფრ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ბრბო** ბუღი, ალმური. პატარა სახლი აქთ, ესე ემოდენაი და სიცხის *ბრბო* ტრიალეფს სულა (საგურ.). ჩამაიღრუბლა და *ბრბო* დატრიალდა სიცხისა (საგურ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ქართლ. მესხ.

ბრეტ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ბრეტი** ფუტკრის მსგავსი ერთგვარი მწერი – საბა; ქეგლი. დ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბრეტ- (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ბრეტი** ბრმობა, სიჩერჩეტე (მთ. – რაჭ. რეხვ.). იხ. II. ბრუტი.

ბრუტ-ი:

სამ. ქართ. I. **ბრუტი** ძვ. «მეკეცე» (დულუზ ZAaBCE.; ბრუდ ZAaBCE), თიხის ჭურჭლის მკეთებელი – საბა.

დიალექტ. II. **ბრუტი** 1. ბრუტი, ბრუციანი. „შე ბრუტო, შენ! შენ გნახას კაცმ!“. 2. ბრაზი, ბოღმა, დარდი... მაგრამ ბევრი მაქვ *ბრუტადა* საგონი სხვა-და-სხვისაო (ხევს. პოეზ. 453, 9). **ბრუტს ადენს** აბრაზებს. ყმაწვილო, შენ აქით დაიკარგ, *ბრუტს* ნუ მადენ, თორე!... (ხევს. ჭინჭ.). 3. საქონლის დაავადება ერთგვარი. ბრუტით დაავადებულ საქონელს ახასიათებს საერთო სისუსტე, ბარბაცი, მოწყენილობა და სხვ. ზოოპათოლოგიაში შეესაბამება მზის დაავადებას (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ბრუტიანი, ბრუციანი, მარღი თვალით შორს ვერ გამრჩევი – დ. ჩუბ. კოჭლმა უპასუხა: «აბა რას ხედავ, შე *ბრუტიანო* და მართლა მზედაბნელებულო, დიდს ლუკმას ვიდებ, თუ პატარას?» (ზღაპ.). ყველა ყრუ და *ბრუტიანი* რატომ უნდა გამოერიოს ჩვენში (გ. დოჩ.). მაგას თუ ი *ბრუტიანი* ცხენის გაშვება არ მოვაშლევინე, არ იქნება (რ. ინან.) – ქეგლი.

ბრწკალ-ი:

ძვ. ქართ. I. **ბრწკალი** ჯვარედი დასადგამი ფეშხუმზე: „მისცეს... ორნი ბარძიმნი... ფეშხუემი კოვზითურთ და *ბრწკლითა*“ (ი. -ე. 22, 25) – ილ. აბულ.

სამ., ახ. ქართ. II. **ბრწკალი**, პრწკალი თხლად ანახლეჩი მეტალისა, ქვისა – დ. ჩუბ. ხის ან ძვლის ანახეთქი (საბა), – ხიწვი. კაცი ტალივით მაგარი უნდა იყოს, რომ ფოლადის ჩამოკვრითაც *ბრწკალი* არ აეხლიჩოს (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

პერწკ- || ბერწკ- ფუძე უნდა იყოს წარმოდგენილი სიტყვაში ბრწკალი „ხის ან ძვლის ანახეთქი“, რომელიც დასტურდება საბა ორბელიანის ლექსიკონში (შდრ. ჭან. პენწკა ამავე მნიშვნელობით): ბრწკალი < *ბერწკალი (*პერწკალი). ამავე რიგისა უნდა იყოს პწკარი, პწკარედი (ნადარეიშვილი 1974: 143-144).

ახ. ქართ. III. **ბრწკალი** ბრჭყალი (შდრ. ბრწკლიანი). ალმასამ ნაჩქარევად გაილოკა დათვის *ბრწკალებით* ჩამოფლეთილი იღლია (ს. ქეთ.). ბრწკლიანი კუთხ. ბრწკლის მქონე, – ბრჭყალებიანი. და ბოლოს გამოღვიძლული ძირს დაენარცხა *ბრწკლიანი* [ვეფხვი] (ბაჩ.) – ქეგლი. შდრ. ბრჭალი ქუსლი, ტერფი; თათი, მუჭი: „აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი“ (ი. 13, 18); „ველი მისი მოხუეულ იყო ბრჭალსა ესავისა“ (დაბ. 25, 26); „დატკებნეს იგინი ბრჭალმან ჩემმან“ (მსჯ. 5, 22) – ილ. აბულ. შდრ. ბრჭალი (|| ბრჭკალი || ბრჭყალი) (ქავთარაძე 1964: 188).

ბუბერა:

დიალექტ. I. **ბუბერა** იგივეა რაც ბებრი, – ობობა. *ბუბერას* ჭერზე გობამ (ფერეიდ. ჩხუბ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.) იხ. III. ბებერა.

დიალექტ. II. **ბუბერა** (ბალახ.). შდრ. ბებერა: ერთ ბალახია რო ბაღებჩი გამწონდების (ფერეიდ. ჩხუბ.).

ბუბკა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუბკა** წისქვილის ქვედა ქვის შუაგულში ჩადგმული მრგვალი, შუაში გამოჭრილი რიკი (უმთავრესად ცაცხვის ხისას აკეთებენ). *ბუბკა* გაჭედილია სოლებით, რომ რყევა არ დაიწყოს. მისი დანიშნულებაა, რომ მარცვალი არ დაიბნეს (ბ. წერეთ.) – ქეგლი. ქვედა ქვას აქ ხის *ბუბკა*; ის რო არ ქონდეს, მარცვალი ჩაცვინდებოდა წყალში, *ბუბკა* რგვალია და გამოთლილია შიდ (ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 206).

საშ. ქართ. II. **ბუბკა** დასაწებელი ფქვილისა – დ. ჩუბ. ბუბკო «ფქვილი წყალში გაქნილი» (საბა), – წყალში გაქნილი ფქვილის წებო (ქეგლი). **ბგბკაი** ძლიერ წვრილი დაფქული (სვან. ლიპარტ.).

ბუდარ-ი:

დიალექტ. I. **ბუდარი** ბუჯარი. ქექვა, ძებნა; წაღმა-უკუღმა ტრიალი. ნუ გიყვარს უჯრეფში *ბუდარი* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ბუდარაობა, ბუდარაობს თავისთვის გაუთავებლად და გაურკვევლად რაღაცას საქმიანობს – ქეგლი. **ბუდა, ბუჯა** ზანტი, აუჩქარებელი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ბუდარი** უნაგირის ბალიშზე გადასაფარებელი ტყავი (გურ. ჟღ.).

ბუდნა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუდნა** ლობიოს, სიმინდის, კარტოფილისა და მისთ. დასათესად გაკეთებული პატარა ორმო, ბუდე, რაშიც მარცვალს (თესლს) აგდებენ. ორ ბარისპირზე გადაბრუნებულ მიწაზე ნაკელშერეულ *ბუდნებში* მაინც ვთესავდით [საზამთროს...] (ო. იოს.) – ქეგლი. „კარგი *ბუდნები* ამოიღე, რო შიგ კარგა გაიშალოს კარტოფილი“. „სამი-ოთხი

ბუდნა კარტოფილი ამოვიღე და ერთი თასი ძლივ ავამსე" (ჯავახ. ზედგ.); (ი. ჭყ.). **ბუდნა** ბუდე, ჯგუფი; ყვავილედი ზან. (მეგრ. ქობ.).

ვფიქრობთ, ბუდნა ნაწარმოებია ბუდესაგან ნ- სუფიქსით, ხოლო ბუდესათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *ბუდ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ბუდნა** 1. წიწილებიანი კრუხის დასაჯდომი თივა საბუდარში: „ერთი *ბუდნა* თივა" (იმერ. ქავთ.). 2. აბრეშუმის ჭიის საფენი და მის ქვეშ დაგროვებული ნაგავი (იმერ. გაჩ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ბუდნა** სახელი ბუდნის ზმნის მოქმედებისა, – შეხვევა, ფუთნა (ქეგლი).

დიალექტ. IV. **ბუდნა**? აფსუს, რომ თარუას ადგილას არა ბრძანდებით, ჩვენო „ბარის" კაბოსანნო, რადგანაც მაშინ უფრო კარგა დააფასებდით თქვენს მიერ გაკაწრწებულს – თქვენსა *ბუდნას* ქმრებსა, თქვენს ყურმოჭრილ ყმებსა (ვაჟა) – ალ. ჭინჭ.

ბუდრუგანა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუდრუგანა** 1. ერთოთახიანი ნაგებობა; იყენებენ სხვადასხვა მიზნებისათვის, – ჯიხური. მეტყევეებს თავიანთი *ბუდრუგანა* დაეკეტათ (რ. ინან.). ამ ბუდრუგანაში *გაზეთებს* ჰყიდიან (ო. იოს.). [რუბენა] თავის ჯიბის საათებით მოვარაყებულ *ბუდრუგანაში* შეძვრა (ნ. დუმბ.). 2. მოძვ. აფიშების გასაკრავი კოშკურა. მოედნის ერთ კუთხეში დიდი ხნიდან იდგა აფიშების გასაკრავი ოთხკუთხიანი *ბუდრუგანა* (ს. კლდ.). 3. პატარა, უხეირო. ერთი *ბუდრუგანა* ვენახი ჰქონდა [ჩირიკს] (გ. ლეონ.) – ქეგლი. „საბილეთ კი ვბრუნდებოდი ჩემ *ბუდრუგანა* სახლში" (კახ. მარტ., იმნ. 25, 2); შდრ. ბუდრუგა, ბუდურა, პატარა. უშნოდ გაკეთებული საცხოვრებელი. წოვდა, ერ *ბუდრუგში* შაზრო (ინგ. როსტ.). ბუდრუკ, ბუდრუგ, ბუდრუგანაი პატარა სახლი, ჯიხური (ინგ. ღამბ.). შდრ. **ბუდგანი** ადგილი, სადაც საქონელი ერთად დაწვება, დაეყრება ხოლმე ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. II. **ბუდრუგანა** ფუსფუსა, მოუსვენარი; უთავბოლოდ მოძრავი – ქეგლი. **ბუდრუგანაობა** ფუსფუსი, მოუსვენრობა; უთავბოლო მოძრაობა. როცა თავს გავიდოდნენ და ბუდრუგანაობას აღარ იშლიდნენ, დასაოკებლად მსუბუქად დაასაქმებდნენ (ჯ. იოს.). **ბუდრუგანაობს** უთავბოლოდ მოძრაობს; ფუსფუსებს. ზემოთ ბუდეზე ბუდრუგანაობენ ამისი ამშენებლები (= ჭიანჭველები) (ი. გოგებ.). რა ამბავია... რას ბუდრუგანაობთ? (რ. ერისთ.) – ქეგლი.

ბუდრუგუნა:

ახ. ქართ. I. **ბუდრუგუნა** 1. იტყვიან ცხოველის ლამაზად ჩამრგვალებულ, ჩასუქებულ ნაშიერზე. შეფრფინვით შეჰხაროდა ეს გაუსწორებელი ბველი მონადირე ამ მშვენიერ *ბუდრუგუნას* მხეცებს (კ. გამს.). მუთაქა-

სავით აგორებდნენ ამ *ბუდრუგუნა* ბელს, იგი ხელიდან ხელში გადადიოდა (კ. გამს.) – ქეგლი. 2. სქელი, ჩამრგვალებული (ადამიანი). გუდურასეეფ რო არი, რგვალათა და თანაც დაბალი არი, ხოლოთ კოხტაა, იტყვიან, *ბუდრუგუნა* გოგო არიო, მოფერებით ეტყვიან *ბუდრუგუნასა* (იგ.). მაღალი რო არი და ტლანქი დედაკაცი, მოუხეშავი, იმას ეტყვიან *ბუდრუგუნასა* (კავთ.). *ბუდრუგუნა* პატარაზეც ითქმის, სუქან ბამბვზედა (კავთ., ქართლ. მესხ.).

ახ. ქართ. **II. ბუდრუგუნა** ფუსფუსა, მოუსვენარი. *ბუდრუგუნა* ჭიანჭველამ ყურიც არ ათხოვა [ყმაწვილებს] (ი. გოგებ.). ქათმებო, ქოჩორაებო, *ბუდრუგუნა* მანდილოსნებო, ჭროღებო, ნაცრისფრებო... ყველამ მოაშურეთ აქეთკენ (ი. გოგებ.) – ქეგლი. იხ. II. ბუდრუგანა.

საშ. ქართ. **III. ბუდრუგუნა** მწერი – დ. ჩუბ.

ბუერ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ბუერი** «მონათოვი ნისლი» (საბა), – ბინდი ძლიერი თოვის დროს. [მარტი] გაცეცხლდა: აბა, ზამთარო, შენი ლაშქარი გამომიგზავნე, ქარი და ჭყაპი, *ბუერი*, ჭირხლი და ბუქი (გ. ტოგონ.). ბარად ბნელოდა, *ბუერი* ბერავდა, ბნედდა ბორასა (ა. სალუქვ.) – ქეგლი. შდრ. ბური, ბურუსი [არაბ.] ბორი, ნისლი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ბუერი** [ჰოლანდ. boeier] ყინულზე სასრიალო იალქნიანი მსუბუქი ნავი, რომელსაც ძირზე ციგურები აქვს გაკეთებული – მ. ჭაბ.

ბუზან-ი:

დიალექტ. **I. ბუზანი** მუშტი. „ბუზანი დაჰკრა თავში“ (ინგ. ასრათ). ემ ქალზე დედამ რათა *ბუზან* დაჩულა (ამ ქალს დედამ რამდენიმე მუშტი დაჰკრა; გადატ. *ბუზნი* სწოჰწორ ვაშლ (მუშტისოდენი ვაშლი) (ინგ. ღამბ., როსტ.). || **ბუზვანი** მუშტი (თუშ. უთურგ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბუზ- „მუშტი“ (ჩუბუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბუზანი** (რაჭ.) დიდი ტვირთი – ქეგლი. გუზანი, ბუზანი (ლეჩხ. ალავ.).

ბუზურ-ი:

საშ. ქართ. **I. ბუზური, ბუზერი** მარცვალი. თუითო – მუტყალ ნახევარი *ბუზურითა* სიქანქუბინითა შეასუას (ფანასკ. 184, 17). ანსიქ[ა]ნ გუბინი *ბუზერი* შეასუან (ფანასკ. 243, 5).

დიალექტ. **II. ბუზური: ბუზურით გააგდო** სწრაფად გააბრუნა, გააქცია. „მობძანდა და უთხრა, ვერ ნავხეო, იცოცხლე, ის კი გააგდო *ბუზურით!*“ (იმერ. გაჩ.). || ბუზურა ნაკბენ საქონელივით სირბილი, ბუნბული, ბუნბული (იმერ. ბერ.). შდრ. ბუზურა კუთხ. იგივეა, რაც ბუზი – ქეგლი. **ბუზარაი** სწრაფი სირბილი, მოკურცხვლა (სვან. ლიპარტ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბუზ- „ბუზი; მწერი“ (ჩუბუა 2017).

ბუთუნ-ი:

დიალექტ. I. **ბუთუნი** ქურქზე, ტყავზე (ქისტურ ტყავზე, კაბურაზე) აზღოტსა და კალთას შორის აკერებული ტყავი; საზურგე, საკალთაე და *ბუთუნი* მხართან ერთდებიან, იქვე ეკერება სახელო (ხევს. ჭინჭ.). ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბუთუნი** 1. (ხევს. მოხ.) ბუს ხმიანობა. ზოგ სოფელში ხევსურთა ნასახლარებიდან ღამ-ღამე ბუს *ბუთუნი* ისმის (ალ. ჭინჭ.) – ქეგლი. 2. ქვითინი. რას ღბუთუნებ შენა? (მოხ. ქაჯ.). შდრ. ღმუთუნებს (ფშ.) დაბალი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით ღრინავს (ძაღლი, მგელი და მისთ.). ბიჭო, ჭკვიანად, ჭკვიანად! რას სჩადით, თქვე ბრიყვებო? ღმუთუნებდა ტოტია [მგელი] და უღრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს (ვაჟა) – ქეგლი.

ბუილ-ი:

ახ. ქართ. I. **ბუილი** 1. გაბუტულად ყოფნა, ბღვერა – ქეგლი. შდრ. ბუი-ს იბუტება; ბუსავით იცქირება, იბღვირება. პატარძალი *ბუოდაო*, ისევ თითონ ტყუოდაო (ანდაზა). 2. გაბერვა, აფხორვა (მამალი ინდაურისა), ინდაურები *ბუიან* (კახ. მარტ., იმნ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბუილი** ბოლვა, ხრჩოლვა ძელისა (კუნძისა) – ქეგლი. აგრეთვე რაჭ. კობახ.

დიალექტ. III. **ბუილ**ი ფანტელთა ტრიალი, ფარფატი. დედას მაცგონდების შვილ იმაშინასე, რო ჩამოდიოდეს თოვლი *ბუილითა* და შემოხქონდესა სარკმელთაკ ცუნცქარი (თუშ. ცოც.).

ბულბულ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ბულბული** [სპარს.] ვარდის ჩიტი, იადონი (დ. ჩუბ.). **ბულბული** [Luscinia] «ვარდის ჩიტი» (საბა), მონაცრისფრო პატარა ჩიტი, განთქმული თავისი გალობით (სინონ. იადონი, ყარანა, მაფშალია). აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა *ბულბულსა* ვარდისა (ვეფხ. 82, 3). ვით ვარდსა ზედან *ბულბული*, მნახველი მაზედ კრთებოდა (ნ. ციც. 414, 49, 4). *ბულბული* ვარდზე შემოჯდა, ენით ამბობს გალობასა (ხალხ.). ვარდი ფშვენს. და *ბულბული* სტვენს, დაჰკამკამებს მოწმედ მთვარე (აკაკი) – ქეგლი. **ბულბული** [თურქ.]: ბულბული ზან. (ლაზ. თანდ.).

სამ. ქართ. II. **ბულბული** [ბულბულო $B^{10}B^{11}B^{12}$] ბულბული ბალახსა ჰქვიან $B^{2}B^{4}B^{10}B^{11}B^{12}$ (წაქაძე 1976). შდრ. II. ბულულა.

ბულულა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბულული, ბულულა** 1. თივის პატარა ზვინი, დროებით სათიბშივე დადგმული. სად იყო, გენაცვა, გასაცელი? ორი დღისაში არ მოგროვდა ხუთი პატარა *ბულული* (ს. მგალობ.). 2. თივა, რასაც კაცი ერთ ჯერობაზე ფიწლით აიღებს [ფიწალი] ჯერ კი ხვავრიელად

აიყოლებს *ბულულს*, მერე ერთბაშად ჩამოიშლება (კ. ლორთქ.). [იოთამი] ალაგ-ალაგ *ბულულებად* უყრიდა [თავის ცხენებს] (ა. სულაკ.). 3. ძნებად შეუკრავი თავთავი, ზვინად დადგმული – ქეგლი ახ. რედ. აგრეთვე: ქიზ. მენთ., ხევს. ჭინჭ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბულულა** „ყვავილი" (ი. ჭყ.). მოყვითალო ფერისა (შდრ. ბილილა) ყველასაგან დავიწყებულო, *ბულულავ*, შენცა მნახია (= მნახე) (ვაჟა) – ქეგლი. || ფშ. ყვავილოვანი ბალახი, ბალახის ყვავილი. საზოგადოდ ბილილა მოჭ., ბუბუნაყი თ., ბუბულა ჯ. (ა. შან.).

ახ. ქართ. III. **ბულულა** იტყვიან ლამაზი, მოელვარე თმის შესახებ. დაუმატე ამას კუპრივით მოლაპლაპე შავი *ბულულა* თმა, დიდი გიზგიზა თვალები (რ. ინან. ცისფ. 196, ქვ. 1). იხ. I. ბურბურა.

ბუმბულ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუმბული** გერმა, მფრინველთ ნაკრტენი – დ. ჩუბ. ძალიან უყვარს პატარა წიწილები, ფუნჩულა *ბუმბულით* შემოსილები (ვაჟა). [მერცხალს] კვლავ თეთრი აქვს მკერდის *ბუმბული*, კვლავ აცვია შავი ფარჩა (გ. კაჭახ.) – ქეგლი. გადატ. **ბუმბული/ა** რბილი, ფაფუკი. შენაც შაგჭამ, შენთა შვილთაც, შენც ბუდეთაც *ბუმბულათა* (ხევს. ჭინჭ.). || ხშირად ბუმბულის ლეიბისა და ბალიშის მნიშვნელობით იხმარება. *„ბუმბული* დაუგე". „თავთით *ბუმბული* დაუდე" (ჯავახ. ზედგ.). **ბუმბ\უ\ილ, ბუმბულ** 1. ბუმბული. 2. ბუმბულის ლეიბი (სვან. თოფ., ქალდ.). **ბუმბუ-ლი** ზან. (ლაზ. თანდ., მეგრ. ყიფშ.).

ქართველურ ენებში ფუძე ბუმბულ- საერთოა. პირეულია ბუმბ-; ულ-დეტერმინანტი სუფიქსია. მნიშვნელობა არსებითად ერთია (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. II. **ბუმბული** ბულბული. ზოგებ *ბუმბულის* ჴმაზედა სიმღერეს ეუბნებიან (ხევს. პოეზ. 401, 53) – ალ. ჭინჭ. იხ. I. ბულბული.

სამ. ქართ. III. **ბუმბული** მცენარეა ერთი (ბალახი) (წაქაძე 1976). შდრ. II. ბულბული.

ბუმბულა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუმბულა** ბუმბულივით მსუბუქი. || ამჩატებული. არც როდის არ ვარგა *ბუმბულა*, გოგრა-ბზიანი (ვაჟა) – ქეგლი. იხ. I. ბუმბული.

ახ. ქართ. II. **ბუმბულა** მსხლის ჯიში აჭარაში (თ. სახ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. **ბუმბულა** ერთი წველა ყველი, ერთი ამოყენება, ერთი კვერი ყველი. ერთ ამოღებაზე რასაც ამოვაყენეფთ ყველსა, ის არი ერთი *ბუმბულა* (საღ.). ერთი *ბუმბულა* გავატანეი, იმ დატანებაზე მეტი არა მქონდა (ვაჟა, ქართლ. მესხ.). || ახლად ამოღებული (ჭიორელი იტყვის: ახალი ამოყვანილი) პატარა ყველი (ჭყინტლი ყველი), *ყველის ბუმბულა* (მთ.-რაჭ. რეხვ.). აგრეთვე სამთავ., ქართლ. ლომთ.

ბუმბულა < გუმბულაჲ ერთი წველა ყველი (ქართლ. გაჩ.). შდრ. გუნდა [სომხ.] დაგუნდავებული ან დასორსლებული რამ, ან პურის კუტი, თოვლის გუნდა – დ. ჩუბ.

ბუნგ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ბუნგი** 1. მაშა, საჭამადისგან, რომელ არს სინედლე, სძე ახლად მოწუელილი და თევზი ახალი წყლისა, ვითარად *ბუნგი* და კუერცხის გული... (ფანასკ. 164, 4). 2. არეული. ღვინოს *ბუნგი* მისცა ღვინო აირია (იმერ. ვ. ბერ.).

დიალექტ. II. **ბუნგი** ძილის მოყვარე, მძინარა. „ადრიანა არ გეიღვიძებს მაი *ბუნგი*" (აჭარ. ფუტკ.). შდრ. ბანგი გამაბრუებელი, ძილის მომგვრელი წამალი – ქეგლი.

ბუნდ-ი:

საშ. ქართ. I. **ბუნდი** გაბმულივით – საბა.

დიალექტ. II. **ბუნდი** 1. მუქი ფერის (მთ. კაიშ.). 2. ბუნდოვანი, გაურკვეველი. *ბუნდი* ჟრიამული მოდის ჩემამდის (ვაჟა). || დაბინდული. ფიქრს დაეწმინდა თვალები, წეღან *ბუნდი* და რთულია (ვაჟა). 3. ბინდი. სად სევდიანი ბუნდი მწუხრისა და სად საცისკრო შუქურ-ლამპარი?! (აკაკი) – ქეგლი.

ივ. ქავთარაძე მიუთითებს, რომ უ და ი ხმოვნების მონაცვლეობაა სიტყვებში ბინდი და ბუნდი. ტექსტებში ორივეა: ღამებრ დაბინდა მნათობნი (ნ. ციც. 948, 3). მათ დღენი დავუბინდია (ტფილ. 162, 2). ქართულში ბინდ-/ბუნდ- მიმართების რკვევისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბუნდოვან-ში სწორედ ბუნდ- ვარიანტის გამოყენება და არა ბინდ-ისა; „ბინდოვან-ი" ასეთი სიტყვაწარმოება ქართულს არ ახასიათებს(!) (ქავთარაძე 1964: 262). ს.-ქართვ. *ბუნდ- „ნისლი, ბინდი" → ბუნდ-ი || ბინდ-ი სვან. ბუნტ || ბინტუ ← *ბუნდ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. III. **ბუნდი** [გერმ. Bund „კავშირი"] ებრაელთა საყოველთაო სოციალ-დემოკრატიული კავშირი – მენშევიკური მიმართულების წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია (არსებობდა 1897-1921 წლებში) – მ. ჭაბ.

დიალექტ. IV. **ბუნდი** ქორი(?) (მთ.-რაჭ. ძიძიგ.).

ბუნტ-ი:

ახ. ქართ. I. **ბუნტი** [რუს. бунт < ჰოლან. Bunt] სტიქიური აჯანყება, ამბოხება; მღელვარება. შენც *«ბუნტის»* მომხრე ხარ და მამასახლისად არ ვარგიხარო! (ლ. ქიაჩ.). || საუბ. გადატ. ჩხუბი, აყალმაყალი. ხანუმი, ხანუმი! *ბუნტი* გათავებულა, შემოდი! (ა. ცაგარ.). ◊ **ბუნტი კაცი** საუბ. წამქეზებელი, ამამხედრებელი ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ, ჯანყის თავი. მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავასმევინებდი [მაგას], ერთი *ბუნტი* კაცია, ავი

პირის პატრონი! (ილია) – ქეგლი. || ჯანყი. *ბუნტი* გურიაში – 1841 წლის გურიის ცნობილი აჯანყება ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ (გურ. ღლ.). **ბუნტი** (რუს.) ჯანყი ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ. II. **ბუნტი** ბინდი. სიღნაღის *ბუნტ* ქუჩას თუშურქუდიანი პატარა კაცი ასდევს (რ. ინან. გოლ. 114, ქვ.9). მაინც მივდიოდი *ბუნტში* (რ. ინან. ალერს. 52, ქვ. 3). იხ. II. ბუნდი.

ბუჟ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ბუჟი**, ბრუჟი, დაბუჟება, დაბუშება – დ. ჩუბ. იხ. II. ბუში.

ახალ ქართულში ბუშ- ძირითადად ბუჟ-ის სახითაა წარმოდგენილი. **დაბუჟება** ესე არს რა მიჭირვებით ჴელი და ფერჴი სისხლით დაუმძიმდეს და მცირედ ხანს ვეღარ იჴმაროს – საბა. **დაბუჟება** გრძნობიერების დროებით დაკარგვა ან დასუსტება სხეულის რომელიმე ნაწილში უკანასკნელის ნერვების სისხლით ნაკლები მომარაგების გამო. [აბესალომმა] დერეფანში მარჯვენა ფეხი *დაბუჟების* გამო... ძლივს გამოათრია (შ. არაგვ.). ტკივილი რაღაც ცხელმავე *გაბუჟებამ* შეცვალა (რ. ინან.) – ქეგლი. **მიბუჟება** გადატ. ხარბად დაწაფება. „ნამგზავრი რომ მიაბუჟდი ცივ წყალს, არ გაცივდე, ჭო!“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ბრუჟი 1. მთვრალობა. 2. მათრობელა (შდრ. ბრუჟავს, იბრუჟება) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **ბუჟი** [ფრან. bougie სანთელი] სპეც. მეტ-ნაკლებად მოქნილი მილაკი, რომელსაც მედიცინაში ხმარობენ შარდსადენის (და მისთანათა) გასინჯვისას ან მკურნალობისას – ქეგლი.

ბუჟუჟ-ი:

სამ. ქართ. I. **ბუჟუჟი** მუჟუჟი ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ხორცი – დ. ჩუბ.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბუჟუჟი** 1. «ცხვრის ტყავი დაგრუზვილი» (საბა), – დახუჭუჭებული ცხვრის ტყავი – ქეგლი. შდრ. ბუჟუში, ხუჭუჭი, ბუჟუჟი – საბა. 2. გადატ. ბუჟუჟი ხვეული, ხუჭუჭი და ნაზი თმა. გოგოს *ბუჟუჟი* თმა აქვს (მთ. – რაჭ. რეხვ.). || უხვად გაშლილი ყვავილი. *გაბუჟუჟებული* ვარდი უხვად გაშლილი ვარდი (გურ. შარაშ.). **ბუჟუჟ** აბურძგვნილი (სვან. ლიპარტ.). **ბუჟუჟი** ტანისამოსის ხაოიანი პირი ზან. (მეგრ. ელ.). შდრ. I. მუჟუჟი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ბუჟუჟი** «ქაფი» (იმერ. ვ. ბერ.). იხ. I. ბუჟღი.

დიალექტ. IV. **ბუჟუჟი** ბავშვის მკბენარი (მთ.-რაჭ. რეხვ.). შდრ. ბურნაკი (სომხ. მუჟუკ Z, მჟღუკ Aa. ბიჟიეღ B, ბჟიეღს Cb, მჟიეღს Ca) ბურნა, მწერი – საბა.

ბუჟღ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუჟღ'ებ'ი** 1. პატარა, წვრილი ბუშტუკები, რომლებიც ჩნდება წყლის, ყურძნის წვენის დუღილისას. || გაზიანი სასმელებისთვის დამახასიათებელი ბუშტუკები – ქეგლი. || ქაფი. წყალი ქაფს

რო იკეთეფს, *ბუჟლი* იმასა ჰქვია; ღვინოსაც რო აქ ქაფი, იმაზეც იტყვიან *ბუჟლსა* (ატ.). **ბუჟღიანი**: ლიმონათს რო აქ ქაფი, რა ბუჟღიანიაო, აქა ეგრე იციან ხომე (ატ., ქართლ. ლექსიკ.). 2. ამობურცული, ხშირად ჩირქოვანი გამონაყარი კანზე. მუწუკივით არი და დაბუჟღდება, მიემატება და მიემატება, იმას ვეძახით *ბუჟლსა* (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **ბუჟღი** ზედმეტი ყლორტი. „ბუჟღი დედა-ვაზს გამოაქვს ზედმეტი“ (ქართლ. ატენი). „რომ მორთვილამდა. იქვე ქუსლში მოგლეჯავდა, მერმედ ქუსლში *ამოიბღუჟავდა*. ძალა რომ არ ქონდა იმას *ბუჟლს* ვეძახდით“ (ზ.-ქართლ. «შინამრეწვ.») – ლ. ასათ. შდრ. ბორჯღლი პატარა გამოტანილი ნამხარი (კახ., ყვარელი, ასათ.).

ბურა:

დიალექტ. I. **ბურა** ერთ-ერთი კაჟიანი თოფის ეპითეტია. არხოტივნები შინ იყვაეო? ტყვიის სკამები ედგაღავო? *ბურაი* გამადიოდაეო? (ხევს. პოეზ. 99, 7). ციხით დასჭეხნა *ბურამა*, ყაწიმნი ლამჩი ხყრიანო(ხევს. პოეზ. 176, 11). თოფიც ეგეთი უნდა, ახიელს რო *ბურაია* – ალ. ჭინჭ. აგრეთვე ფშ. ჭინჭ. შესაძლებელია, რომ ბურა < ბორა [სპარს. ბორა „მახვილი“].

ახ. ქართ. II. **ბურა** [არაბ.] ნატრიუმის ათმაგად წყლიანი ორთობორატი; ბორატების კლასის მინერალი („ვიკიპ.“). იყიდება ბურა, გამოდგება დასაპაიანებლად, ასევე საიუველირო საქმიანობისათვის („მარკეტ.“).

ახ. ქართ. III **ბურა** ნახშირი (brown coal) („ონლ. ლექსიკ.“). შდრ. **ბურა** რუხი ზან. (ლაზ. თანდ.)

ახ. ქართ. IV. **ბურა** ბანქოს თამაშის სახესხვაობა (უნივერს. ელერდ.). ბურა < ბორ [სპარს. კარტის აჭრა].

ბურახიან-ი:

ახ. ქართ. I. **ბურახიანი** ბურახით, ლიხით დაფარული ადგილი. ბევრი ვეძებეთ და ბოლოს წავადექით ერთ *ბურახიანს* (ი. მჭედლ.). ბურახიანი < ბურახი მსხვილღეროიანი მაღალი ბალახი, – ლიხი (ქეგლი).

ახ. ქართ. II. **ბურახიანი** ბურახით სავსე ჭურჭელი. გამოხედვა... მსწრაფლ *ბურახიანი* კათხით მომავალ ქალიშვილზე... გადაიტანა (ა. გამყრ. თარგმ.) – ქეგლი. ბურახიანი < ბურახი «ქერ-ფეტვთა და სხვათაგან სასმელი რამე» (საბა). ბურახი [თათრ.] ბოზა ფეტვისა – დ. ჩუბ. ორივე, სხვადასხვა მნიშვნელობის ფუძიანი ომონიმური ცალი ნაწარმოებია -იან აფიქსით.

ბურბულ-ი:

დიალექტ. I. **ბურბული** შავი მტვერი ან კვამლი. „ბუხრიდან კვამლი გამოსულა და ოთახში ბურბული დგას. ეზოში *ბურბული* აუყენებიათ“ (მთ.-რაჭ. რეხვ.). **ბურბულუა** ცეცხლის ბრიალი ღუმელში ან ბუხარში ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. I. ბურბური.

ახ. ქართ. II. **ბურბული** ძაღლის ჯიშია რომელსაც აქვს ძალიან მაგარი ინსტიქტი იმისა, რომ რაღაც რაღაცეები მოიტანოს სახლში პატრონთან („უცნ.“). ძაღლთა ამ სახეობის წარმოშობა სამხრეთ აფრიკას განეკუთვნება. იგი გამოიყვანეს სახლისა და ფერმის დასაცავად („პლანეტ.“).

ბურბურ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბურბური** 1. გუგუნი (ცეცხლისა). საკვამურისაკენ აფოფრილი ალის *ბურბური* ისმოდა კერაპირაში (გ. ბუთხ.). || საერთოდ, ხმაური (შდრ. ბუბუნი). თვით რეზიკოს ყურებმაც რაღაც *ბურბური* დაიწყო (თ. რაზიკ.) – ქეგლი. აგრეთვე ფშ. ხორნ. 2. ყურის ჟივილია. *ბურბური* გააქე ჩემ ყურებსა. აი, რო არ მიიდის და ჟივის (ს. ცაბაურთა, ფშ. გოგატ.).

„თავისუფალი“ ხმოვანთ მონაცვლეობა: ბარბალ – ბირბილ – ბურბურ (ბარბალი) ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაურობა, ბრიალი, პარპალი (გურ. შარ.); ბირბილი ცეცხლი რომ რაიმეს მოეკიდება იმაზე იტყვიან (გურ. ჟღ.); ცეცხლის პრიალი (ლეჩხ. ალავ.); ბურბური – ქეგლი (ერთელიშვილი 1970: 112). იხ. I. ბურბული.

დიალექტ. II. **ბურბური** ბულბული. *ბურბური* გეიძახოდა. ეგ ბაღი დამიცალეო (ბორითი); იადონმა და *ბურბურმა* დევს დოუწყეს ღვინძება (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ბულბული.

ბურბურა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბურბურა** 1. მოგიზგიზე, აგუგუნებული. *ბურბურა* ღუმელი. ფიგურ. გზა არის *ბურბურა* თონე, სიცხისგან მელევა ღონე (მ. კახ.). 2. იტყვიან ლამაზი, მოელვარე თმის შესახებ. [ქალიშვილს] რაღაც მამისა აქვს – შავი, *ბურბურა* თმა (რ. ინან.) – ქეგლი. || კუდიანობა ღამეს, დიდმარხვის ბოლო კვირაში, ოთხშაფათს იცოდენ, დაანთებდენ *ბურბურა* ცეცხლსა, ეშმაკები და კუდიანები გაგეშორდებიანო (ბროწლ., ქართლ. მესხ.). იხ. I. ბურბური.

საშ., ახ. ქართ. II. **ბურბურა** 1. „ნედლი ქარქვეტა“ (დ. ჩუბ.). 2. საერთო სახელწოდება რამდენიმე მცენარისა (ქარქვეტასი, წინწკარასი და სხვ.), რომელთაც ახასიათებს თესლის გავრცელების თავისებური ხერხი: თესლის მომწიფების შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილს ქარი ადვილად მოწყვეტს ხოლმე და ბურთივით მიაგორებს მინდვრებში. მოაგორებდა მინდვრებში ქარი ჩემს ეზო-კარზე გაზრდილ *ბურბურას* (გ. კვარ.) – ქეგლი.

ბურდანა:

დიალექტ. I. **ბურდანი, ბურდანაი** ქათმის ბუდეში ან ღორის ბუნაგში ჩასაგები თივა (გურ. ჟღ.). || ფუჩჩი, ბურბუშელა (ალ. ღლ.). შდრ. **ბურდა** (დაშქ.) ბუდე (მარტყ.) ჩიტის, ყორანის ბურდა; გელის ბუდეც ბუდეა.

ბურდა თურქულია, დაშქესანში თურქები ახლონია, ეს ბურდა თურქულია (ფერეიდ. ჩხუბ., 312).

დიალექტ. II. **ბურდანა** გამდგარი კვამლი (იმერ. ბერ.); ბუღი, კვამლიანი მტვერი. „იმისთანა ქარი ამოვარდნილა, რო *ბურდანაში* გაგვახვია“ (ლეჩხ. ალავ.). შდრ. **ბურდან** თოვლიანი ქარბუქი (სვან. თოფ., ქალდ.).

ბურდღა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბურდღა** ბურდღლი, ბუმბული. ◊ ჩემი (შენი, მისი) ბურდღა აღარ იქნება ერთიანად გაქრება. ახლა წუთიც და მისი *ბურდღა* აღარ იქნება (ლ. მრელ.). ახლავე გამოჰყევი ბავშვს, არ უთხრა, წადი და მოვალო, თორემ შენი *ბურდღა* აღარ იქნება (კ. კობ.) – ქეგლი. || ბარდღლი, ბურდღლი ბურტყლი (გ.-კახ. სახლთხ.). **ბუნდღა** ბურდღა ზან. (ლაზ. თანდ.).

ჭან. ბუნდღა; მეგრ. ბურდღა; ქართ. „ბუნდღა“ (იმერ.) ბურტყლი. მეგრ. ბურდღა ბუნდღა-საგანაა მიღებული. ეს უკანასკნელი იმერულს შეუთვისებია მეგრულისაგან და დაუცავს წინანდელი სახით. სხვაგან ქართულში არა ჩანს (ჩიქობავა 1938). აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ბრდღუ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ბურდღი, ბურდღა** მცენარის ფესვების ამონაყარი. *ბურდღები* რო ამოვა და ბუჩქივით ამაიყრის გარშამო, უნა ამაიძირკვოს (კავთ.). იმოტენა *ბურდღა* ამოყარა ბარვაში, რავი, რამტენი გუდურა გამოვიდოდა?! (კავთ.). ე რამოტოლა *ბურდღა* ამოსულა, გენაცვათ, შარშან არ ამოვყარეით?! (გრაკ., ქართლ. მესხ.). შდრ. ბარდღლი, ბარდღი. ზედმეტი ყლორტი ვაზმა შეიძლება ვაზზე გამოიტანოს – ლ. ასათ.

ბურდღუნ-ი:

ახ. ქართ. I. **ბურდღუნი** ბურტყუნი. შორს ტყიდან დათვის *ბურდღუნი* მოისმოდა (ა. ყაზბ.). ახლაც ყურში მესმის მიშოს უკმაყოფილო *ბურდღუნი* (ე. ყიფ.). უცებ შუშაბანდიდან *ბურდღუნი* მოისმა (ა. სულაკ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბრდღუნ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). შდრ. ბრდღვინვა, მეგრ. ბურდღინი. საფიქრებელია წარმოადგენდეს ზანიზმს (მეგრულიდან ან ჭანურიდან ნასესხებ სიტყვას) ქართულში (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ბურდღუნი** შუქის მსხვილი ბდღვრიალა წერტილი. „მოსულა დიდ მასკვლავისოდენა შუქიანი *ბურდღუნი* და ჩავარდნილა იქ წყალშია“ (ფშ. ცოც.). შდრ. ბრდღვიალი ძლიერი ნათება, კაშკაში, ბრწყინვა, ელვარება – ქეგლი.

ბურმა:

დიალექტ. I. **ბურმა** ბრმა. *ბურმის* ქვეყანაჩიავ ცინთვალსავ ორთვალად ხედავდიანავ (ხევს. ჭინჭ). შდრ. ბრიმა ბრმა. „ერთი ბრიგადელი გვყვანდა და ბრიმაი ეძახდნენ, ატყინდა, ბრუციანი ვარ და არა ბრმა,

ბრიმაი რათ მეძახიანო" (გ.-კახ. სახლთხ.). ბრიმა, ბრუმა ბრმა, უსინათლო (ჯავახ. ზედგ.).

მიგვაჩნია, რომ ბრიმ- < ბრინ-; ძვ. ქართ. ბრინვა «ძიება», ხელის ფათურით სიარული: „ვითარცა თუალითა ბრმანი, ეგრე ბრინვიდენ იგინი" (ეს. 59, 10) – ილ. აბულ.

დიალექტ. **II. ბურმა** მრუმე, მუქი. ჴევსურებმ *ბურმად* კეთება იციან ტალავრისა, არხოტიონთ ჭყეტად (ხევს.ჭინჭ.).

დიალექტ. **III. ბურმა** გრეხილი [თურქ.]. 1. ბაქლავის მსგავსი ნამცხვარი. *„ბურმა* ფურუნშინა გამააცხო" (იმ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნოღ.). 2. „წინდას რომ მოვქსოვდით, ყელს *ბურმას* გუუვლიდით" (ზოტი). „ორმაგ შალს ხაზები აჩნია, *ბურმებიანია*" (აჭარ. ნოღ.). 3. მატყლის დიდი ფთილა, რომელსაც რთვის დროს მარცხენა მკლავზე იხვევენ. მატყლის აბურმავება (206, 20) – *ბურმების* შემზადება (ფერეიდ. ჩხუბ.). 4. წინდის სახე, ჭრელი. *„ბურმა* ჭრელი ჩევწყე წინდაში" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || ბურმალი წინდა (აჭარ. ნოღ.).

დიალექტ. **IV ბურმაი** [აზერ. ბურმა] იგივეა, რაც წიფხ – წვრილი წკნელი. ჭრის ერ *ბურმაი,* უგდევს. ფიჩხი კონას, ითრევს; მე შენ თავ უგეემ (აი ამ) ბურმაითი გაათრევარ (გაგათრევ) (ინგ. ღამბ., ინგ. როსტ.).

ბურნა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბურნა** [Drosophila] «ღვინის ქინქლა» (საბა), – ერთგვარი წვრილი მწერი, რომელიც ღვინოსა და ძმარს ეხვევა ხოლმე. რა უნდა გელაპარაკო, *ბურნასავით* ძვრები ღვინოში! (ა. ადეიშვ.). ფიგურ. ვის ენდობი, ღვინის *ბურნავ?* (კ. კობ.) – ქეგლი. || შავი კოღოსებრი მწერი, უჩნდება ძველ სიმინდს (იმერ. ქავთ.). აგრეთვე: მთ.-რაჭ. რეხვ; ინგ. ჯან.

დიალექტ. **II. ბურნა** თხრილი, ორმო მინდორში ადგილ-ადგილ. „ყიზლარჩი საძოვრებზე მინდორჩი *ბურნებია"* (მოხ. ქავთ.).

ბურნაკ-ი:

საშ. ქართ. **I. ბურნაკი** კნინ. ბურნა, ღვინის ქინქლა (საბა, უნივერს. ელერდ.).

დიალექტ. **II. ბურნაკი** ლითონის ბრჭყვიალა ფირფიტა უნაგირის ტახტას სამკაულად (მოხ. ქავთ.). საშ., ახ. ქართ. ამავე მნიშვნელობისაა ბურნუკი ბუნიკი (დ. ჩუბ.). უხდებოდა ქავთარს მაღლა აწეულ ხელზე ბეჭედი, ძირს – ტყავის პალტოს კალთიდან გაშვერილი ბრჭყვიალა *ბურნუკი* (გ. ბუთხ.) – ქეგლი. შდრ. **ბუნი** ბუნიკი, დროშის შუბის ტარის დაბოლოება ზან. (მეგრ. ქობ.).

ბურნაკი < ბუნიკი. ბუნიკი < სომხ. ბუნიკი (ანდრონიკაშვილი 1966). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ბურნელ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბურნელი** (თუშ.) ბარნელა (ფშ.) სადღვები ხელსაწყო: თავჯვარედინი ჯოხი, ჭურჭელში ჩასხმული ნაღების კარაქად შესადღვებად – ქეგლი, ა. შან.

დიალექტ. **II. ბურნელი** დინჯი, აუჩქარებელი, თვინიერი. წინ თაგვი, უკენ ღულელი, ამადიოდა კუნელი, ვერ მეეწივა ღულელი, არც თაგვი დახვდა *ბურნელი* (ხევს. პოეზ. 663). უმცროსას *ბურნელს* ამბობენ, უფროსს ხკვირობენ ბძოლითა (სწორფრ. 101, 6) – ალ. ჭინჭ., ა. შან.

ბუსუნ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბუსუნი** საფარი, სანგარი – დ. ჩუბ. || ძვ. «სადა არა ჰგონებდეს, მტერმან მუნ უმზიროს» (საბა), – ჩასაფრება, თვალთვალი – ქეგლი. საწუთროს შარიარი მანუჩარ *ბუსუნით* გამოვიდა, უკანით მოექცა (შ3ნ. II, 423, 1). ჩვენ პირველვე შეუტყევით... და *ბუსუნსა* მოუდეგით (შ3ნ. II, 424, 2). გზაში *ბუსუნს* გაუფრთხილდით (შ3ნ. I, 917, 4). მათ ომი სწადიან, და *ბუსუნსა* დაგიდგებიან (ქილ. 609, 18). „იმან ბევრი *ბუსუნი* იცის, ჰად რა გაქ, ყუელამფერინა შეიტყვას" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „კაპამ საჭმელზე *ბუსუნი* იცის" (აჭარ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბუსუნი** (იმერ.) ჩამიჩუმი (შდრ. გაბუსუნება). არავინ გაიღო *ბუსუნი* (ა. ბელ.) – ქეგლი. შდრ. ბუსალა, ბუსარა მწყრალად გაჩუმებული, ხმაამოუღებელი კაცი (იმერ. ქავთ.).

დიალექტ. **III. ბუსუნი** „ავი, ცუდი სუნის მქონე სასმელი" (არაყი, ლუდი და სხვ.) (ხევს. გ. ლიქოკ.) – ალ. ჭინჭ. შდრ. II. ბუწი.

ბუტკ-ი:

დიალექტ. **I. ბუტკი** პატარა და მსუქანი. ჩვენმა მეზობელმა–კოსტანტილემ ითხოვა *ბუტკი* ქალი (შროშა); *ბუტკი* ქალი აკიდეს ზურგზე ამ ბიჭს (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. პუტკუნა (იმერ.) მსუქანი, ფუნთუშა, ბუთხუზა (იმერ. ვ. ბერ.). ბუტკუცუნა (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.). შდრ. ბუთხუზა ბუტყუზა მსუქანი ყრმა – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **II. ბუტკი** გამონასკული ხილი შემდგომად დაყვავილებისა (ნ. ჩუბ.). მაყვლის *ბუტკი* მზისა სხივთა არღა მიჩრდილებს (ნ. ბარათ.). **ბუტკი** ბუტკო ზან. (მეგრ. ქობ.). **ბუტკა** ფოთოლი, ფურცელი ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. II. ბუტკო.

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ბუტკ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე ქავთარაძე 1954: 148; არაბული 2001: 48; გიგინეიშვილი 2016.

ბუტკო:

დიალექტ. **I. ბუტკო** სხეულის დაბეჟილობით გაჩენილი ამობერილობა. „ხელებზე *ბუტკოები* დამასხდა" (ჯავახ. ზედგ.). შდრ. I. დუტკო.

საშ., ახ. ქართ. II. **ბუტკო** რა დაიყვავილოს და ხილი აღმოჩნდეს – საბა. || ყვავილის ცენტრალური ნაწილი, რომლის ქვედა გაფართოებული ნასკვიდან ნაყოფი ვითარდება. შავლეგომ სალბს ერთი ყვავილი შეაცალა, ხუთად გაყო და შუა გულიდან *ბუტკოებს* დაუწყო წიწკნა ნელ-ნელა (ლ. მრელ.). ვარდ-ყვავილებს გაშლილ *ბუტკოებზე* ფუტკარი დასეოდა (ა. გალდ.) – ქეგლი. იხ. II. ბუტკი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ბუტკო** ვაზის ჯიში ერთგვარი. ზოგ სახელს მტევან-მარცვლის სიმსხო და მოყვანილობა [აღუბეჭდავს]: მხარ გრძელი, *ბუტკო*, ბურძღალა... (ა. ლეკ.). აჭარის მკვიდრთ დღემდე ახსოვთ, რომ ოდესღაც ბროლასა და *ბუტკოსაგან* ღვინოს აყენებდნენ მათი წინაპრები (ა. ლეკ.) – ქეგლი. აგრეთვე აჭარ. ნიჟ. შდრ. II. ბუტკი.

ბუტუნ-ი:

დიალექტ. I. **ბუტუნი** უშნოდ, ულაზათოდ სიარული (ზ.-იმერ. წერეთ.). შდრ. ფრატუნი ვჰბღოტავ – დ. ჩუბ. ფრატუნი ფეხების მიწაზე თრევით სიარული – ქეგლი.

დიალექტ. II. **ბუტუნი** ბურტყუნი (რაჭ. ძიძიგ.). შდრ. პუტუნი (იმერ., გურ.). ჩურჩალი, ბუტბუტი – ქეგლი.

ბუტურა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუტურა** (იმერ.) მოსულელო – ქეგლი. შდრ. ბუტურა/ე-ი, ბენტერა, ბუტუა, ბუტუსურა – ალ. ღლ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბუტურა** (აჭარ.) მსხლის ერთგვარი ჯიში – ქეგლი.

ბუქ-ი:

დიალექტ. I. **ბუქი** მატყუარა (მთ. კაიშ.). || **ბუქვი** ბაქაია კაცია, რომ ბაქიაობს, იტყვიან, დააბუქვაო. „მეტს რომ ლაპარაკობს კაცი ან ვიღაცას წყევის, ბაქვას ვიტყვით“ (ს. უძილაურთა, ფშ. გოგიტ.). **გაბუქვაი** დაუმსახურებელი ქება ვისიმე. „ისრ გაბუქ თავის სიძე, რო რაციოდემ ხყავვ, ვიყავი“ – ისე აქო თავისი სიძე, რომ ნეტა ეგეთი ვინ არისო, ვიფიქრე (თუშ. ცოც.).

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ბუქი** 1. ქარი. უკუეთუ მგზავრსა ვის შეემთხჳოს ჭირი დიდი ზამთრისა და *ბუქისაი* (მც. სჯ. 70, 4-5). რომე ჰგვანდა სიუხვითა *ბუქსა*, ზეცით ნაბუქალსა (ვეფხ. 55, 3). წამწამთაგან *ბუქი* ბუქდა (ვეფხ. 986, 3). გარდაიარა შავშეთი *ბუქთა* შინა ძლიერთა (ქ. ცხ. IV, 147, 7). 2. ჰაერში ატანილი თოვლი ან მტვერი (ქარისაგან, მოძრაობისაგან...), – კორიანტელი. ხეხილი დაეზრა ყინვასა და ბუქს (კ. გამს.). ფიცხელა ფხაჭაფხუჭით გარბოდა, თოვლისას *ბუქს* აყენებდა (ვაჟა). მთელი გზა ცხენს ისე მოვაჭენებდით, სულ *ბუქი* ავადინეთო (მ. შავლ.) – ქეგლი. *ბუქი* თოვლი რო მაგრად აყრის, ბუქია. *ბუქი* მააქ, ჰმელ თოვლი მააქ (ფერეიდ.

ჩხუბ.). აგრეთვე მთ.-რაჭ. რეხვ. ბუქს ლექსემა თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში ისევე პროდუქტულია, როგორც თოვს, წვიმს. გარეთ ბუქს. ხვალ ბუქი უნდა იქნოსნა (დუზჯ. ჩელებ.). ქარის სინონიმია ბუქი, რომელიც ამჟამად ქარის აღმნიშვნელი ძირითადი სიტყვაა სვანურში (ჭუმბურიძე 1987: 72). **ბიქუ, ბუქ[უ], ბუქ[უ]** ქარი (სვან. თოფ., ქალდ.).

ს.-ქართვ. ძირია *ბუქ- „ბუქი, ქარი“ (ჩუხუა 2017).

ბუქნა:

ახ. ქართ. **I. ბუქნა** ჩაცუცქება-წამოხტომა ცეკვის დროს. ღმერთმა ნუ ქნა ბებრის *ბუქნა* (ანდაზა). ომახიანი სიმღერებიც ჩაახვიეს, დოლიც გაზეთის ცეცხლზე გაახურეს და ცეკვაში *ბუქნაც* ჩაურთეს (ო. იოს.) – ქეგლი. შდრ. **ბუქანაი** ბუქნა (ინგ. ღამბ.).

ბუქნა კავშირი უნდა იყოს ბუქთან (ყოველი მოწყვეტით ჩაჯდომისას მოცეკვავე მტვრის ბუქ-ს აყენებდა (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ბუქნა** ბეგქონდარა (მესხ. ა. მაყ.).

ბუღა:

საშ. ქართ. **I. ბუღა: ბუღა სალითა**, ბუსალაბი – ულბოს მაგიერი. რბილი ტლეები შემოსდევ როგორიცაა: ია და ხატმი და ულბოსა მაგიერი *ბუღა* სალითა (ქანან. 225, 30).

საშ., ახ. ქართ. **II. ბუღა** [თათრ.] კურო, დაუკოდავი მოზვერი მოსაშენებლად შენახული – დ. ჩუბ. ბუღაობა ვქსუობ, ქსუდ ვიქცევი – დ. ჩუბ. ბუღრაობა ხართ რქენით ჭიდილი ან მიწის გლეჯა – დ. ჩუბ. ხარი სად მოვა *ბუღასთან*, ისიც გუთანში ბმულია? (ვაჟა). უკვდავების წყაროს ორი *ბუღა* კამეჩი ჰყარაულობდა (ზღაპ.). *ბუღას* სიმსუქნისაგან კანი ასკდებოდა (რ. გვეტ.) – ქეგლი. „[გოლიდან] გამოვდოდა ბუღები, დეეჭედებოდენ, ვერ მიერევოდა, შევდოდენ მორევში“ (ზ); „ბაზგირეთ დუგუნია, *ბუღა'ნა* დაკლან, ბუღა“ (უ., შავშ. ლექსიკ.). **ბუღუა** ზოოლ. ბუღა, კურო (სვან. თოფ., ქალდ). **ბუღა** კურო ზან. (მეგრ. ელ.).

სიტყვა შემოსულია თურქულიდან. შდრ. [თურქ. buya „დაუკოდავი ხარი“] – ბ. გიგინ.

დიალექტ. **III. ბუღა: ბუღავაშლი** გირვანქა გამოვა ზოგიერთი (იმერ. მრეწ. IV, III, 54).

საშ. ქართ., დიალექტ. **IV. ბუღა:** ბუღა ძირად გამოიყოფა სიტყვაში ქართ. **ბუღა-ურ-ი** „სვეტის თავი; ბოძის თავი, სამერხული“ (დ. ჩუბ.). „ბუღაური ძირსქელი ბოძიაო, ბუღაური ბოძი მიწაში რომ ჩადის, ეს არის, ზევით კი გამოყვანილია, გათლილია შოშიასავითაო“ (ქიზ. მრეწ. I, 35).

ს.-ქართვ. *ბუღა – „ბოძი; სვეტის თავი; ქართული დედაბოძი. არაფერი აქვს საერთო თურქული წარმომავლობის ბუღა „კურო“ სიტყვასთან (ჩუხუა 2017).

ბუყ-ი:

ახ. ქართ. I. **ბუყი** 1. არყისა და ლუდის გამოხდის შემდეგ დარჩენილი სქელი ფაფა (შდრ. ხოტი). ბიჩინაგას იმდენი არაყი გამოუხდია, რომ გველეთს დაქცეული *ბუყი* (არყის გამოხდისას დარჩენილი ფაფისებრი მასა) გველეთის ძირს ჭალაში ჩამოსულა (ალ. ჭინჭ.). 2. სპეც. სპირტის წარმოების ნარჩენი, რომელიც მიიღება მარცვლეულის, კარტოფილისა და ბადაგის გადამუშავებისას – ქეგლი. || არყად გამოხდილი ჭაჭისა და ხილის ნარჩენი; ამ ნარჩენისაგან გამოხდილი დაბალგრადუსიანი სითხე, რომელსაც იყენებენ არყის გასაზავებლად ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ბუყი**: **ბუყი ქვა**. ქვას რომ გამოთლიან, ირგვლივ გონიო შემოუვლის სუფთად და გული კი აქვს გამოშვერილი. იმას ვეტყვით *ბუყ* ქვას (ზ.-ქართლ. მრეწ. I, 227).

ბუშ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბუში** ნაბიჭვარი. გაწყრა, ბრძანა: „ჰხედავთ *ბუში* სიტყვებს მკადრებს როგორ მქისებს“ (დ. გურამ. 105, 298, 1). ქართველების მეფეების *ბუში* რომ მეფის ძედ არა გვწამს, თათრის *ბუშს* ვინ იწამებდა (კალმას. 573, 11). დასტურ საქართველოში *ბუშს* საწილოდ მამულში ჴელი არა აქვს (სამ. IV, 223). ქრისტინეს ბავშვს სოფელში *ბუშს* ეძახოდნენ (ე. ნინო მ.). უკანონოო! ღლაპო! *ბუშო*! ნაბიჭვაროო! რაში შემფერის მე ამგვარი სახელწოდება?! (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. || გადატ. ვაზი იძლევა *ბუშებს* (ნაყარს) (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 32); შევკვირტავთ ბუშებს, – ღერო და ფოთლებ შუა იცის ამოსვლა. (ლეჩხ. მრეწ. IV, III, 151). შდრ. ბუშაი შემოდგომაზე ჩათესლებული და გაზაფხულზე თავისით ამოსული კარტოფილი, ნიორი, ხახვი და მისთ. „ბუშაი ნიორი მაქ ბოსტანში და იმა ვხმაროფ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.); ბურში, ბუში (რაჭ. კობახ.).

ს.-ქართვ. ძირია *"ბუშ- „ნაბიჭვარი“* (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. II. **ბუში** **ბუშად** დაბუჟებულად. თუ სნეული *ბუშად* იყოს და გრძლად იწვეს, ცოტასა რასმე შეიტყუებდეს და ცოტა უბნობდეს (ფანასკ. 47, 32). ოდეს ვისიმე უნებებ ცემაჲ, ჴელი მის *დაუბუშდის* (მ. ცხ. 307, 27). ვის არა ეშინოდის და შეძრწუნდეს და *შებუშნეს* ყოველი გუამი (მ. სწ. 180, 8). მე მივედ და ვიხილე წმინდაჲ შუშანიკ დამშრშალი და *დაბუშებული* ტირილითა (შუშ. 140, 4) – ივ. იმნ.

დაბუშება || შებუშება ფორმების ძირია ბუშ, რომელიც სახელური უნდა იყოს. დაუბუშა, ამდენად, ნასახელარი ზმნა იქნებოდა. ბ. გიგინეიშვილის აზრით ქართულ ბუშ-თან მიმართებით გარკვეული ინტერესი ახლავს ფალაურ büšāsp ფორმას, რომლის მნიშვნელობაა „ძილქუშობა“, „ძინარობა“, „თვლემა“ (Mackenzie, 20). ამ ფორმაში -āsp სუფიქსია, ხოლო büš ძირი. გამორიცხული არაა, ფალაური büš („ძილი, „თვლემა“) ნასესხები იყოს ძველ ქართულში და მისგან ეწარმოებინათ ზმნა დაბუშება „ძილის, ჰიპნოზის მდგომარეობაში ყოფნა“, „მგრძნობელობის დაკარგვა“, „გახევება“ (გიგინეიშვილი 2016). შდრ. I. ბუჟი.

ბუშიან-ი:

ძვ. ქართ. **I. ბუშიანი** დასივებული. ვითარ არა ბუშიან ექმნა ყოველი გუამი (A= 129 225r, 20-22b). აგრეთვე: დაბუშებული, დაბუშუბა – ზ. სარჯ. იხ. II. ბუში.

ახ. ქართ. **II. ბუშიანი** ვისაც ბუში ჰყავს, ბუშის დედა. თქვენ თუ სინდისი გქონდეს, *ბუშიანი* ქალი არ გეყოლებოდათ ოჯახში! (ე. ნინოშ.) – ქეგლი. იხ. I. ბუში.

ბუც-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. **I. ბუცი** 1. **B.** გაბუცება. გაშტერებასავით – საბა. || შტერი, სულელი, ჩერჩეტი. რო დაუძახეფ და ვერ გაიგონეფს, ან ყურაგდებას აარ მიაქცევს, იმას ეტყვიან *ბუცსა* (იგ.). რახანია ვუძახი მაგ *ბუცს*, მაგასა, და ვერ გავაგონე (იგ., ქართლ. ლექსიკ.). 2. ადამიანი, რომელიც კარგად ვერ ხედავს, ყველაფერი ფეხებში ებლანდება (აჭარ. ბერ.). აგრეთვე გაბუცება, გაბუცებული (ქეგლი, აჭარ. ნიჟ.). შდრ. ბეცი 1. ახლომხედველი; ცუდად მხედველი. 2. გადატ. შეზღუდული გონებისა, მიუხვედრელი – ქეგლი.

ალ. ჭინჭარაულის აზრით, გაბუცება ქეგლ-ში ქართლელ მწერალთა ნაწარმოებებიდან მოხვედრილა. მკვლევარი ვარაუდობს, რომ უცნება || ოცნება || გაოცება || ცბის || ცბილი || წბილი || განცვბრება || განცვფრება || განჩვბრება და ბუც (გაბუცება) ერთი ძირის ც-ან (ც-ენ- || ც-ინ) ზმნური ფუძის ძირია ც-: (ვიცი, იცი, იცის) (ჭინჭარაული 1985: 116-123). შდრ. II. ბრუტი.

ახ. ქართ. **II. ბუცი** [ინგ.] სპეციალური ფეხსაცმელი ფეხბურთის სათამაშოდ. *ბუცებს* ჩვენ ამოვიტანთ (კ. კობ.). – «შენ რაღა გინდა, ეფრემას ბიჭო?» – «შენი ნაცვამი *ბუცები*» (ლ. მრელ.) – ქეგლი.

დიალექტ. **III. ბუცი** თხის მოსახმობი ძახილი (საჩ. შარაშ.). *ბუცი* ეტყვიან ცხვარს ან თხას – დაეჯახეო (იმერ. გაჩ.). აგრეთვე: ბუცაობს, ბუცება (იმერ. გაჩ., მოხ. ქაჯ., საჩ. შარაშ.). შდრ. ბუჩაობა, ბუჩვა – რქენა (პატარა რქოსანი საქონლისა) (ვაჟა, იმერ. ვ. ბერ., ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ., ფშ. ქეშიკ.).

ბუწ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. **I. ბუწი** 1. თმა – თ. ბაგრატ. || თმის ბეწვი; საერთოდ, თმა. წადი ისე, არ ჩამიყარო *ბუწები* საჭმელშია! (მერ.); ნეტა ის ჩამაგდებინა ხელში, ერთი *ბუწები* გავაცალო! (ქემ.). 2. მეტისმეტად წვრილი, განუვითარებული (მცენარეული). ხახვი, ე ვერანა, ისეთი *ბუწები* დგა, რო აღარ ეღირსება დასხვილებაი (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: ინგ. ღამბ., ზ.-იმერ. ძოწ. 3. მცირე ნაწილი მატყლისა, იტყვიან სხვა რამეზეც, როცა ძალიან სიმცირეს გულისხმობენ. „ერთი *ბუწი* მატყლიც არ გვაქ"; „ერთი *ბუწიც* არ მოგვცა, სუ თითონ წაიღო" (მთ. კაიშ.).

ბუწ სიტყვას თ. სალარიძე შემდეგნაირად განმარტავს: (მატყლი, თივა, ჩალა, ფქვილი...). ძალიან ცოტა, ერთი ბეწვა იხმარება უარყოფის დროს. *„ბუწი* ჩალა არა მქონდა, რო საქონელი შემენახა" (პ. თონ.); *„ბუწი* ფქვილი არა მაქ" (პ. თონ.); უფრო ადრე ბუწი (< ბუწვი?) „ბღუჯა თმის" (ან „ერთი ღერი ბეწვის?) აღმნიშვნელი სახელი უნდა ყოფილიყო (შდრ. ბუწკი უხეირო თმა.) რომელიც მსაზღვრელად იქნა გამოყენებული მნიშვნელობის გაფართოებით (განზოგადებით). ბუწ (< ბუწვ?) ფუძის გაორკეცებით ჩანს მიღებული ბუწუწი (< ბუწ-ბუწი), რომელიც ჩვეულებრივ მრავლობითში იხმარება: ბუწუწები || ბოწოწები „თმები" (სალარიძე 1978: 94).

დიალექტ. II. **ბუწი** (მოხ.), ბუცუნი (მთ.) მყრალი სასმელი – ა. შან. შდრ. III. ბუსუნი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. III. **ბუწი** «წლის კრავი და მცირედ ნაკლები» (საბა), ცხვარი ნახევარი წლიდან წლამდე, – თოხლი. თიკნისა და ბუწისა ჯორცი ჭამოს (ფანასკ. 9, 12). აგერ ცელქად დანავარდობენ მსუქანი *ბუწი*... და შიშაქი (ს. ქვარ.) – ქეგლი. || თოხლი, ერთხელ განაპარსი ბატკანი (მოხ. შან.).

ს.-ქართვ. *ბუწ- თოხლი, ნეზვი" > ქართ. ბუწ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ბუწკ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ბუწკი** 1. «დაბალი ჩირგვი» (საბა). 2. [ჩვეულებისამებრ, მრავლობითში] უხეირო თმა (შდრ. ბუწუწი). ახალი თავსახურის მაგივრად ნამწვებიღა ჩამოსძენძოდა უშნოდ ჩაწნულ *ბუწკებზე* (ვ. ბარნ.) – ქეგლი. 3. გადატ. ნაპენტები (?). *„ბუწკებ* ნუ ყრი აქეთ-იქითაო. ყანას რო, მკიან, ცვივა აქეთ-იქით ჩალა ან მარცვლები" (ქართლ. მენთ.). შდრ. ბუწკა იტყვიან ქალზე, რომელსაც თმა, ჩვეულებრივ, გაწეწილი აქვს. მაგ. *ბუწკას* გამამცხვარი პური არც იჭმევა; მგონი, სუ თმებით იყოს სამსი (მერ.). სუ ეგრე გაწეწილი დადის ეგ *ბუწკა*, ეგა! (მერ., ქართლ. ლექსიკ.).

*ბუწვ > ბუწკ (ბუწ-ისათვის შდრ. ბუწ-უწ; ბუწუწი ცუდი და თხელი თმა, საერთოდ თმა – ქეგლი (ერთელიშვილი 1980: 174, სქ. 84). შდრ. I. ბუწი.

დიალექტ. II. **ბუწკი** უზვი ცხენი, კვიცი რომ არ უჩნდება. შდრ. „ბუწუკი იყო, ეტყობოდა, მუცელი წელზე აკრული ჰქონდა, კუიცს არ აჩენდა" (მოხ. ქავთ.). იხ. III. ბუწი.

ბუხ-ი:

დიალექტ. I. **ბუხი** უვარგისი ცხენი (გუდამაყრ. ლ. ლეონ.). შდრ. ბეხი (ფშ. ქეშიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბეხ- „დედალი ცხვარი"; „უვარგისი ცხენი (ჭაკი?)" (ჩუხუა 2000-2003). იხ. I. ბახი.

დიალექტ. II. **ბუხი** ხმა მოგუდული, ყრუ ხმა. მაგარ ქვას მაგარი ხმა აქ, რო დაარტყამ ხაშალსა *ბუხი* ხმა აქ (ნიჩბ., ქართლ. მესხ.). შდრ. **ბუხუნი** რაიმე ცხოველის (ლომის, ირმის, ღორის) ძლიერი ხმიანობა, ღრიალი – ქეგლი. ბოხი (მარ BC, მარი E.) სხვილი ჴმა(ი) – საბა. იხ. I. ბოხვი.

ბუხარა:

დიალექტ. I. **ბუხარაი** ბუხარი, სახლში კედელზე დაშენებული საცეცხლე, ორნაირია: ასმა *ბუხარაი* და *ბუხარაი* (ინგ. როსტ., ღამბ.).

ბუხარი თავისი ბგერადობითაც და მნიშვნელობითაც უფრო ახლოა არაბულ buxār ფორმასთან, რომლის მნიშვნელობაა „კვამლი“ „კვამლის მწევი“ (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ბუხარა:** **ბუხარა ფაფაყ** ბოხოხი ქუდი, შეკერილი ბუხარული კრავის ტყავისაგან (ინგ. როსტ., ღამბ). || ბუხრი ქუდი (ქიზ. მენთ.). || ბუხრის ქუდი უპირატესად – ცხვრის ტყავის (კრაველის) მაღალი ცაჩადგმული ქუდი (ქ. ბუხარა-ს სახელის მიხედვით) – ქეგლი.

ბუჯაღ-ი:

დიალექტ. I. **ბუჯაღი** [თურქ.] კუთხე, წყნარი ადგილი. „ბუდე გუუკეთებია იგირიმ *ბუჯაღში*“ (იმერ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ბუჯაღი** ხის ქვედა ტოტების განშტოების დასაწყისი. „ძვილაი ევდა *ბუჯაღში*“ (თ. ქ.); „*ბუჯაღში* შამოჯდა“ (თ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. I. ბორჯღალი.

ბღალა:

ახ. ქართ. I. **ბღალა** მცენარის ძირიდან ამოხეთქილი ყლორტი, – ბარტყი. მიწის პირად ვაზის ტანზე ხშირად „ბღალა“ ანუ „არამი“ ამოიყრის (ა. ლეკ.). [ბერიკაცმა] ვაზის დედას *ბღალა*, ნამხრევი და ბწკალი მოაშორა (ა. გალდ.) – ქეგლი. შდრ. I. ბღარი.

დიალექტ. II. **ბღალა** (მთიულ.) წყალში გახსნილი ნაკელი; ჭუჭყი (შდრ. ბღალავს) – ქეგლი. შდრ. ძვ. ქართ. შებღალვა, დაბღალვა „დასვრა“ – ილ. აბულ.

ბღალავს, ბღალვა: [წა] ბილწვა, გაუწმინდურება, შეურაცხყოფა. ამ სიტყვებში ფუძედ სახელური ბღალ- გამოიყოფა, რომლის მნიშვნელობა შესაძლოა ყოფილიყო „ლაქა“ (გიგინეიშვილი 2016). აღდგენილია ს.-ქართვ. *ბღალ- (ჩუხუა 2017).

ბღარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ბღარი** (იმერ. ქართლ.) ბალღი, ბავშვი. [ამ ცოლთან] *ბღარი* მყავს (გ. ერისთ.). ბუბუთა *ბღარმაც* კი იცის, რუსის წასვლა და ურჯულოს ხელახლა შემოსევა ერთი იქნება (რ. ჯაფ.) – ქეგლი.

„ამ *ბღარ* ამხელა ტომარა რო აჰკიდე, წაიღემს?“ (ჯავახ. ზედგ.). || ბღარტი ფშ., კახ., ქართლ., ქიზიყ., ლეჩხ., ზ.-აჭარ. (ალ. ღლ.). || ბღაშტი (აჭარ. ნიჟ.). || ბღაცი (ქიზ. მენთ.). || ბჟღარტი მცენარის ძირის ამონაყარი (კახ. მარტ., იმნ.). || ბღორი (ფშ. ქეშიკ.).

დიალექტ. II. *ბღარი* ჩამოხოკილი (ფშ. ხორნ.). შდრ. ბღარაი ჭუჭყიანი, მოუვლელი, ჩაუცმელი (მოხ. ქაჯ.). იხ. II. ბღალა.

ბღვრიალ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. *ბღვრიალი* «ბრიყვული ტირილი» (საბა), – ღრიალი (ქეგლი).

დიალექტ. II. *ბღვრიალი* ბრწყინვა, ბდღვრიალი (ქართლ. ღლ).

ბღვრიალი ძლიერი ნათებაც არის და ბრიყვული ტირილიც. პირველ შემთხვევაში ამოსავალი ჩანს ბდვინ- ფუძე (შდრ. მბდვინვარე) ბდღვრიალის საფეხურის გავლით (მსგავს გარემოცვაში ღ და რ ბგერების განვითარებაც ჩვეულებრივია ქართულში და უცხო არაა არც ბდღვრ- კომპლექსის გამარტივება დ-ს ამოღებით); მეორე სიტყვა ღრიალს უნდა უკავშირდებოდეს (ფოჩხუა 1974: 86).

ახ. ქართ. III. *ბღვრიალი* ბრდღვიალი. [კამეჩმა] ტოკვა და თვალების *ბღვრიალი* დაიწყო (შ. არაგვ.). შდრ. *ბღვრიალა* იგივეა, რაც მართებული – ბრიალა. ჭოტის ბღვრიალა და გადმოკარკლულ თვალებს აბრმავებს მზის შუქი (ი. გოგებ.) – ქეგლი. „ბღვრიალა ბარად რომ „დაჭყეტილს“ ეძახიან (ვაჟა, ფშ. ხორნ.). შდრ. ბღვერა «ავად შეხედვა» (საბა), წყრომით ყურება, მუქარით მზერა. არწივმა ბღვერით გადაუნათა თვალები (ვაჟა) – ქეგლი.

ბღორ-ი:

დიალექტ. I. *ბღორი* უკანონო შვილი, ბუში; ნაბიჭვარი; ტრიკი. „აის სულხანა, ნანებას ბღორი რო გააგდებინა, თვითონ კავკავში გაიქცა, ის-კი წყალს წააღებინა“ (ფშ. ქეშიკ.). შდრ. I. ბღარი.

ძვ., საშ. ქართ. II. *ბღუარი, ბღორი* 1. ჩრდილოეთი (დან. 11, 15; ზაქარ. 6, 8). სხვაგან სამხრეთად სწერია (ფსალ. 77, 26 და 125, 4), მაგრამ ჩრდილოეთი უფრო მართალია, რადგან *ბღორი* მიღებულ არს ბერძული ლექსისაგან ბორეასი და სამხრეთის სახელი არს სხვა (ე. ი. თემანი ნახე) – ნ. ჩუბ. 2. «სამხარი», სამხრეთი: „დედოფალი იგი ბღუარისაჲ“ (მთ. 12, 43); „ჩრდილოჲ და ბღუარი შენ შეჰქმენ“ (ფს. 88, 13); „ამან შემოკრიბნა წარმართნი აღმოსავალით და დასავალით, ჩრდილოჲთ და ბღუარით“ (მ. სწ. 211, 4); ბღუარით-კერძო სამხრეთით, სამხრეთის მხრით. „ქალაქნი ბღუარით-კერძონი დაიჴშნეს“ (იერემ. 13, 10). 3. სამხრეთის ქარი: „აღადგინა ბღუარი ცით“ (ფს. 77, 26); „ნებითა მისითა ქრინ ბღუარი“ (ზირ. 43, 16) – ილ. აბულ. ბღვარი ძვ. მზის მხარე, სამზეური, – სამხრეთი (ქეგლი).

ბწკარ-ი:

ახ. ქართ. I. **ბწკარი** 1. იგივეა, რაც პწკარი – სტრიქონი. დედას მივსწერ სულ ერთ *ბწკარს* (ს. შანშ.). დააჩერდები მდუმარე *ბწკარებს* და გულში იგრძნობ პატარა წყენას (ი. ნონეშ.). 2. (იმერ.) სვე, ზოლი, რიგი. თხა გადავაბით და ორ-ორ *ბწკარ* სიმინდს ჩავუდექით (ო. იოს.). იცოდეთ ორ-ორი *ბწკარი* გაქვთ გასათოხნი (ო. იოს.) – ქეგლი. || მწკრივი, რომელშიც ვენახია დარგული. *ბწკარებს* გაყევით (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. პწკარი.

დიალექტ. II. **ბწკარი** სკდომის შედეგად დატოვებული ადგილი, ნახეთქი. „გულმა *ბწკარი* ჰქმნის მაშინა“ (ფშ. ქეშიკ.). შდრ. ბწკალი ერთი თავიდან გაპობილი ნედლი ჯოხი, რომელშიც თავებით ჩაწყობილია შესაწვავი ახალი თევზი (იმერ. გაჩ.). იხ. II. ბრწკალი; IV. პწკალი.

წკ(ჭკ)კომპლექსიანი სიტყვების გარკვეული წყება ქართველურ ენებში ქმნის ერთ სემანტიკურ ჯგუფს- მათ აერთიანებს სკდომის, ხლეჩის შინაარსი. და მაინც წკ-ელემენტის ძირად გამოყოფა დაბრკოლებებს ხვდება. აქ საქმე უნდა გვქონდეს ხმაბაძვით სიტყვებთან, რომელთა დანაწევრებაც ჭირს (ნადარეიშვილი 1974: 143-147).

გ

გა:

ახ. ქართ. I. **გა** წარმართული ქართული ღვთაება, კერპი. «გა» ქალღვთაება ასტარტეს შესატყვისობა ყოფილა (ივ. ჯავახ.). *გა* პირველადი ფორმაა, თუ გაცის, ან გაცაის შეკვეცილობა? (ივ. ჯავახ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **გა** (სვან.) რიტუალური სამხმიანი სიმღერა სვანეთში. საყვირის ხმაზე ქუდმოხდილი მოხუცნი *გას* მღეროდნენ (ალ. დავით.) – ქეგლი.

გა: გა- წინსართიანი ზმნების შეკვეცილი სახე; იხმარება სათანადო ზმნასთან მნიშვნელობის გასაძლიერებლად. ონისეუ! შენა!.. გამოიარე! გა!.. რაისთვისღა დადექი? (ა. ყაზბ.). გაბრძანდი, გა! (აკაკი). განვედით გარეთ! გა! განერინეთ ჩემის დარბაზით! (ი. გრიშ.) – ქეგლი.

გაბა:

საშ., ახ. ქართ. I. **გაბა** 1. ქუნთა (ქუნთა ქაბა BCqD.), ბოჭკოიანი ქსოვილი – საბა. **გაბა** || ძვირფასი საფენი. ერთი სულ თეთრი ორხაო ეწყო ერთმანერთზე, ერთი წითელი, ერთი მწვანე, რაც ფერი იქნებოდა, ყოვლის ფერისაგან თითო დასტა ეწყო ისრე თაქ-ნაბადები, ისე *გაბა*, ისე სუზანი (რუსუდ. 211, 7). 2. ხელოსნების ერთგვარი საგარეო ტანისამოსი (ი. გრიშ.).

დიალექტ. II. **გაბა** ბაგა, ბოსელში პირუტყვისათვის საკვების მისაწოდებელი ადგილი. „საქონელ ჩუუყრით *გაბაში* საჭმელსა“ (მ.); „*გაბაზე* გამობმულია თოკვი“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). **ნაგაბი**: „საჭმოიაცის“ იატაკზე („ზღვაზე“) დადებულია „*ნაგაბი*“; ე. ი. „ბაგაში დამრჩალ ნარჩომაც თივისა, ბზისა, ჩალისა, რომ ჯმოი ბილადაც (რბილად) დაწვეს ან არ დაზრეს“ (დაძრეს) (თუშ. ბოჭ.). შდრ. გაბ, გაბ, გაბუ – ხის კასრი (ბქ. სვან. თოფ., ქალდ.). იხ. I. ბაგა.

გაგა:

ძვ., საშ., ახ., დიალექტ. I. **გაგა** «ყუავილი», კვირტი: „ლელუმან გამოუტევა *გაგაი* (ყუავილი O)“ (M, ქება, 2, 13) – ილ. აბულ. **გაგა** ძვ. „მკვახე ლეღვი“ (საბა). ძველი ნაბაღარების ნაშთები კიდევ ჩანდა: მაღალი, ჩვეულებრივი ნუში, ტაბაკა ლეღვი, რომელსაც რამდენიმე *გაგა* ება (ნ. კეცხ.) – ქეგლი. || უმწიფარი ლეღვი (მესხ. ი. გვარ.) – ალ. ღლ. შდრ. კაკრა ლეღვის კაკრა ახალგამონასკული ლეღვი, მწარეა, რძესავით თეთრი წვენი სდის, ტუჩებსა სწვავს (ქიზ. მენთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *გაგ-(ამ) „გამაგრება, მაგარი“ > ქართ. გაგ-ა, გაგ-ამ-ა, გაგ-ამ-ირ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **გაგაი** (ინგ.) „მიუხვედრი, გაუგებარი“ (მ. ჯან.) – რ. ღამბ. **გაგაი** : *გაგაი-გაგაი* რაიმევ ნუ შჩედ! (ინგ. როსტ.).

დიალექტ. III. *გაგაჲი* ბავშვის ენაზე პურია. „დეჲი *გაგაჲი* მინდ“ (თუშ. ხუბ.). შდრ. III. ბაბა.

დიალექტ. IV. *გაგაი* || კაკალი || კაკაი: ჩვენ *გაგაი* ვებნევით. კაკალი ლაზებმა იციან. კ || გ ბგერების მონაცვლეობა (დუზჯ. ჩელებ.).

გაგანია:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *გაგანია* 1. გახურებული, მეტისმეტად ცხელი. რა დროს ქურქი იყო ამ *გაგანია* ზაფხულზე? (ა. ბელ.). დილიდან საღამომდე *გაგანია* მზეში ნამგალივით წელში მოღუნული ჩაჰკირკიტებ პატარა ფოთლებს (მ. კახ.). 2. ძლიერი სიცხე. ზაფხულის შუადღის *გაგანირით* მოთენთილი მოქალაქენი... არსაიდან ხიფათსა და უბედურებას არ ელოდნენ (თ. ჩალ.). 3. გადატ. განსაკუთრებული სიმწვავე, სიმძაფრე. [ლექსოს] უარესად მოაწვა უცაბედი ელდის *გაგანია* (კ. კოზ.) – ქეგლი. შდრ. **გაგანია დღე** გადატ. გრძელი დღე. „ამ *გაგანია დღეი* თუ კიდე ვერ მოვრჩებოდით, არ მეგონა“ (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე: იმერ. ვ. ბერ., გურ. ჟღ. **გაგანია** ძლიერი სიცხე ზან. (მეგრ. ელ.).

თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ზედსართავ სახელად ხმარებული „გაგანია“ უნდა მომდინარეობდეს ებრაული სიტყვისაგან გეჰენია || გეენია „ჯოჯოხეთი, ცეცხლი“. ძველ ქართულში, ქართული ენის დიალექტებში, მეგრულსა და სვანურში ეს ლექსემა არსებითი სახელია (ნ. მაჭავარიანი 2015: 93).

ახ. ქართ. II. **გაგანია** გნიასი, შფოთიანი ხმაური. ადიდებული, აღვართქაფებული იორის ხმა ჩაესმოდა და ამ *გაგანიასი* ვერა გაეგო რა (გ. ლეონ.) – ქეგლი. გაგანია < გაგანი შფოთიანი ხმაური, გნიასი, დიდი ხმიანობა (ქეგლი, კირიონი, ქართლ. ლექსიკ., გ.-კახ. სახლთხ.).

გავა:

საშ., ახ. ქართ. I. **გავა** 1. «ცხოველთ წელს უკანანი» (საბა), – ცხოველის (უმთავრესად, მსხვილფეხა საქონლის) ზურგის უკანა ნაწილი კუდამდე. სადაც გავა *გავაო*, თეძოც *გავად* გავაო (ანდაზა). სერზე მიდის სამი მგელი, ... ერთმანეთს ეუბნებიან ჭალას არის ლურჯა ცხენი; ერთმა თავსა დაურბინოს, ორმა გავკრათ *გავას* ხელი (ხალხ.). თუ გამოგზავნით ირმის *გავასა*, მე ვინ დამიწყებს მასზე დავასა (რ. ერისთ.). ვირს *გავაზე* გამეტებით ურტყამს გაშლილ ხელს (ო. ჭილ.). 2. სპეც. ერთ-ერთი ტანვარჯიშული იარაღის («ტაიჭის») ნაწილი, უკანა ან მარჯვენა სახელურიდან ბოლომდე – ქეგლი. გავა [სომხ. გავავ] – ო. მიქ. 3. **გავა, გავას** სოლი. გათლილი ჯოხები არი, გინახავ, რო გაათლიან წერსა და სხო ჯოხშიგ ჩაიხეჩვენ და დაისცხებენ იმას, გაიყრის – გავა, გავა, გავას ვეძახით (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. II. **გავა** 1. აქედან იქით ან შიგნიდან გარეთ წავა. მზე ჩაათბობს აივანს და ბებია მარიამიც გაბედავს და *გავა* აივანზე (რ. ინან.). 2. აქედან იქით წასასვლელად დაიძვრის (მატარებელი, გემი...). მატარებელი

თვლემს როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში *გავა* (გ. ტაბ.). 3. იქით გაემართება, გადაადგილდება. ვიჯექი ჩემს ოთახში და ვფიქრობდი, აი, ახლა გავალ იმათთან (აკა მორჩ.). 4. გააღწევს, გადავა, გაივლის. აგერ, აიმ მთას მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა (ილია). 5. მიიწურება, გათავდება, გაივლის (დრო). გადარგვის შემდეგ ორი წელიწადი რომ *გავა*, ხე ნაყოფს აქა-იქ მოისხამს (ი. გოგებ.). 6. გაეტევა, გააღწევს. მაგიდა კარებში ვერ გავა. – კედლებში ხმა არ გავა. 7. გადატ. წავა, ჩაებმება რაიმე საქმიანობაში (ომში, ჩხუბში, ცეკვა-თამაშში...). ეჰ, მჯობნის მჯობნი არ დაილიაო, *გავალ* და თუ დამამარცხებს, უარის თქმას მაინც ეს სჯობია (ა. ბელ.). 8. თავს დაანებებს (სამსახურს, სკოლას...); გაეწერება (საიდანმე). დასიდან *გავა*. – საავადმყოფოდან *გავა*. 9. მოძვ. გადატ. გაიყიდება; გასაღდება. კარგ ფასად *გავა*. – სადაც გავა გავაო, თეძოც გავად *გავაო* (ანდაზა). დუქანი... კარგ ფასად *გავა* (ვ. ბარნ.). 10. შედეგი ექნება, მიზანს მიაღწევს; გაჭრის; იმოქმედებს. მაგასთან ხვეწნა არ *გავა*. – იქ ნება სჯობს, საცა ძალა აღარ *გავა* (აკაკი). 11. აირჩევენ; სადმე ადგილს მოიპოვებს. ჩვენი კანდიდატი *გავა*. || მიიღებენ, მოწონებული იქნება. მისი გეგმა *გავა*. – პროექტი *გავა*. 12. იგივეა, რაც ავა. დათვი ხეზე როგორ *გავა*, იავ-ნანინაო (ხალხ.) – ქეგლი.

შდრ. ძვ. ქართ. განვლა «განსვლა", «წარვლა», «თანა-წარვლა» „განქდომა», «წიაღ- სლვა»; «განწუართა» – ილ. აბულ. გა-ვა: გა- ფონეტიკური ნარისახეობა გან- ზმნისწინისა, ვალს > ვა. ჩამოკვეცილია არა მარტო პირის ნიშანი ს, არამედ ფუძისეული ლ-ც, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს, რომ ფორმა მესამე პირისად გვესმოდეს, რადგანაც ის მთლიანად გამორჩეულია სხვა პირთა ფორმებისაგან (მოვალ, მოხვალ, მოვა) (შანიძე 1980: 524). არნ. ჩიქობავას აზრით, თუ სვლა ზმნის აღმნიშვნელი ზმნური ძირების ცვლილებებს გავითვალისწინებთ, მაშინ, ჭან. და მეგრული ვულ- და ვიდ- ქართ. ვალ- და (ვედ) || ვიდ -ფუძეთა კანონზომიერი შესატყვისი აღმოჩნდება: ვულ- < ვოლ-; ვიდ-კი იმეორებს ქართული ფუძის იმ სახეობას, რომელიც აორისტის მესამე პირში (მხოლ. და მრავლ.) და მთელს ნამყო ხოლმეობითში გვაქვს (ჩიქობავა 1938).

გაზელ-ი:

ახ. ქართ. **I. გაზელი** [არაბ.] ლირიკული ლექსის სახეობა აღმოსავლურ პოეზიაში (გამოიყენება ევროპელი პოეტების მიერაც). „გაზელის მცოდნის" ადრესატი თვით გალაკტიონი იყო („გაზელ."). ალ. მირცხულავას ლირიკული ლექსები თავისი ჟანრული სიახლეებითა და ფორმებით შემოვიდა (ბალადა, *გაზელი*, სონეტი, ოკტავა, ტერცინები, ტრიოლეტები („მწერლ."). შდრ. I. ყაზალი.

ახ. ქართ. **II. გაზელი** [ლათ. Gazella] გაზელი არის წყვილჩლიქიანი ცხოველი, რომელიც წარმოადგენს ანტილოპების ქვესახეობას. ბინადრობს ის აფრიკის სავანებსა და აზიაში (უნივერს. ელერდ.).

დიალექტ. **III. გაზელი** მტაცებელი ფრინველი (ჯავახ. მარტ.). იხ. I. გეზელი.

გარა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გარა** 1. «გრძლად ორკაპი ჯოხი» (საბა). საბიას მზად ჰქონდა ორკაპიან ჯოხზე – *გარაზე* მორგებული მარყუჟი ძუისა (კ. გამს.). ქორები, მიმინოები და შავარდნები გაფუყულნი ისხდნენ თავთავიანთ *გარებზე* (კ. გამს.). 2. დარგ. ქსლის იარაღი – ძაფებს შუა გასაყრელი მრგვლად გათლილი გრძელი ჯოხი, რომლის მოძრაობაზეა დამოკიდებული ქსლის ძაფის გადახლართვა. 3. (ქიზ.) «ნაკაფი თუთის ხე» (ს. მენთ.). 4. (რაჭ. იმერ.) ურმის ზესადგრის ნაწილი. 5. (იმერ.) თევზის საჭერი ბადის კიდე, რომელშიც უყრიან მსხვილ ბაწარს და ზედ ასხამენ ტყვიებს – ქეგლი. აგრეთვე: თუშ. ცოც., ფშ. ცოც., ხორნ. მთ., ფშ., ჴ., თუშ. შან., რაჭ. კობახ.

დიალექტ. **II. გარაი** ჰანგის სახე (ინგ. როსტ.).

დიალექტ. **III. გარა** ქვევრის თავი სარქველს ზემოთ, მასში ყრიან და ტკეპნიან აყალო მიწას (იმერ. ქავთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *გარა „გეჯა"; კოფო, ქვაბის ყელ-პირი" (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ., დიალექტ. **IV. გარა** გარეთ. მზარეულნი აცემინა და გაჰყარა კართა *გარა* (შჰნ. I, 23, 2). უჯობს ახლავ უკუბრუნდენ და შეიქცენ შინ და *გარა*! (შჰნ. I, 221, 826, 3). რა გათენდა, სრულად დეუნი მოეხვინეს დროშას *გარა* (შჰნ. III, 16, 2). მერმე ქციისა დასაგვლა, ორაგულს ყრიდენ *გარაო* (ვახტ. VI, 27, ქვ. 6). შდრ. გარე «გარეშე»; გარეთ: „ამოვიდიან გარე ქალაქსა" C, – „განვიდოდა გარეშე ქალაქსა" (DE, მრ. 11, 19); „დგეს გარე" (მთ. 12, 46) – ილ. აბულ. **გალე** (გაე) გარეთ ზან. (მეგრ. ელ.).

გარე მიღებულია გან-გა- ზმნისწინ-თანდებულისა და რე ნაწილაკის შეერთებით (გიგინეიშვილი 2016).

გარგალ-ი:

დიალექტ. **I. გარგალი** გარგარი, ჭერმის საუკეთესო ჯიშია. „ეზოში ერთი *გარგალი* გვიდგა" (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. I. გარგარი.

დიალექტ. **II. გარგალი** (გურ.) „ცეცხლის გუზგუზი" (გ. შარაშ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *გარგალ- (ჩუხუა 2018: 80).

გარგარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. გარგარი** 1. აღჯანაბათი, ჭერამია ერთგვარი – დ. ჩუბ. [ჩიტები] დასხდნენ სახლის წინ ნორჩ *გარგარზე* (რ. ინან.). 2. ამავე ხეხილის ნაყოფი. აი, ჭერამჭურამი!.. *გარგარი* (რ. ერისთ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. გარგარი** თავს ვლება, თავზე ტრიალი, გაფრთხილება. „თელი დღე *უგარგარემდი*, ან არაფერი იტკინოს, ან არ გაცივდეს მეთქი". „კრუხივით გარშემო *უგარგარემდა*, რო ქორ არ გაეტაცნა წიწილები" (ჯავახ. ზედგ.). შდრ. გურგული ალერსი, ფერება (ქიზ. მენთ.). უგურგურებს ეფერება, ეალერსება, უყვავებს. «მე გცემ და შენ მიგურგურეო!» – ეს სადაური უნამუსობაა? (დ. მაჩხ.) – ქეგლი.

გარდა:

დიალექტ. **I. გარდა** ბაგაზე საქონლის მისაბმელი თოკი, რომელიც აერთებს კირკალის (კანდრიბის) ბოლოებს (სინონ. აპეური, ზედაგარდა, საბირი, საბირო). კანდრიბს აქ *გარდა* (შომახეთი); გარდა აერთეფს კანდრიბის ბოლოებს (ლეღვანი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. I. გარა.

დიალექტ. **II. გარდა** გაზრდა. „შენ *გარდამ*, წადი ერთი ჭიქა წყალი მამიტანე". აქვე **გარდილი** გაზრდილი. „კაი *გარდილი* შვილი ქყავ" (გ.-კახ. სახლთხ.). გა-ზმნისწინი; ზარდ- || ზრდ-ძირი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ზარდ- || ზრდ- არქეტიპი (ფენრიხი, სარკვევლაძე 1990).

ძვ., სამ., ახ. ქართ. **III. გარდა** «გარეშე»: „გარდა მრგულიად-დასაწუელისა მის" pb., – „გარეშე ყოვლად-დასაწუელისა" (G, რიცხ. 28, 23) – ილ. აბულ.

გარდა, გარდაისად, მდაბ. გადა, გადაისად – დ. ჩუბ.

გარდა თანდ. გარეშე, გამოკლებით, ჩაუთვლელად, თვინიერ. ჩემს გარდა ასეთ ყოფაში მრავალი სხვაცა ყოფილა (ვაჟა). ყველა იყო ბედნიერი ჩვენ გარშემო ჩვენ გარდა (ილია). ჩემი ავადმყოფობა ერთადერთი ნათესავის გარდა არავის ხვდებოდა გულზე (კ. კობ.) – ქეგლი.

გარეგნობა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. გარეგნობა** ძვ. საეკლესიო რიტუალი, რომელიც სრულდებოდა აღდგომის შვიდეულის ორშაბათს. დიხაშხოში კიდევ ვიყავი ერთი აღდგომის მეორე დღეს – ორშაბათს – *გარეგნობას* (ნ. აგიაშვ.). *გარეგნობა* აღდგომის მეორე დღეს არი, მესამე დღეს სამებობაა ალი; აგრეთვე ბრ. (ქართლ. ლექს.). აგრეთვე ქართლ. გაჩ. შდრ. გარგნობა ეთნ. ძვ. სტილით აპრილის პირველ ოთხშაბათს გარგნის, შეშის და მისთ. ტყეში მოჭრას, ტყიდან გამოტანას ერიდებიან, სწამთ, თითქოს, ვინც ამ წესს დაარღვევს, მის ეზოში (სახლში) გველი შემოვა (დაიბუდებს) (აჭარ. ნიჟ.).

ვფიქრობთ, რომ ამ მნიშვნელობის გარეგნობა სიტყვისათვის ამოსავალი უნდა იყოს გარგანი დიდი ჯოხი, – არგანი. „დოუკავია გარგანი და დადის გადაროულივით" (იმერ. გაჩ.). გარგანი (აჭარ. ნიჟ., გურ. იმნ.). შდრ. გორგონი დიდი ჯოხი (გურ. ღლ.). გარგანი < არგანი. არგანი ძველქართულისეული სიტყვაა. არგანი ჯოხი, კვერთხი: „ნუ მოიგებთ... ნუცა ჯამლნი, ნუცა *არგანი*" (მთ. 10, 10); „*არგანსა* ნიგოზისასა ვხედავ მე" I, – „*არგანსა* ნიგუზისასა ვხედავ მე" (O, იერემ. 1, 11) – ილ. აბულ.

ს.-ქართვ. ძირია *ა-რგ-ან- „ხის ჯოხი, ცული" → ქართ. არგან-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. გარეგნობა** რაც გარედან ჩანს, გარეგანი სახე; გარეგანი შესახედაობა. *გარეგნობა* არაფერს არ ნიშნავს (შ. დად.). გვარს ველარ იხსენებს, *გარეგნობა* კარგად დაუმახსოვრებია და შესანიშნავად აღწერს კიდეც (ა. სულაკ.). **გარეგნობით** ზმნს. გარეგანი სახით, შესახედაობით. და *გარეგ-*

ნობით მახინჯს, ნეტა კი სული მაინც ჰქონდეს სპეტაკი! (ს. შანშ.). || ინდ. გარეგნულად, მოჩვენებით. ზოგნი მაჰმადინობას მხოლოდ *გარეგნობით* აღიარებენ (ი. გოგებ.). – ახ. ქეგლი. შდრ. გარეგანი გარეშე. შეექნათ გარეგანთა ლაშქართა შიში (ამირანდ. 134, 11). შდრ. IV. გარა.

გარეულ-ი:

ძვ., ახ. ქართ. I. **გარეული** 1. «უცხო», გარეშე: „არა იყოს ცოლი მომკუდრისაჲ *გარეულისა* კაცისა“ O, – „ნუ განვალნ იგი ქმრისა უცხოჲსა“ (M, II შჯ. 25, 5) – ილ. აბულ. შინაური ხარ, თუ *გარეული*? (აკაკი). 2. ველური (საპირისპ. შინაური). *გარეულმა* ქათამმა შინაური ქათამი გააგდოო (ანდაზა). ჭალაში დადის *გარეული* ტახის მთელი ამალა (კ. კალ.). 3. რაც ადამიანის გამოყვანილი, მოვლილი არ არის, – ტყისა. ბევრია *გარეული* ხილი: პანტა, მაჟალო, შინდი... (ნ. ღამბარ.) – ქეგლი. იხ. IV. გარა.

ახ. ქართ. II. **გარეული** 1. შერეული. შავ წვერში ჭაღარა ჰქონდა *გარეული* (ი. მაჩაბ. თარგმ.). 2. ჩარეული; ჩაბმული. დავინახე, რა საზოგადოებაშიაც ვიყავი *გარეული* (ლ. არდაზ.) – ქეგლი. გა- რე- ულ-ი; ძირია რევ-; რევა [ა]მორევა, შერევა – ქეგლი.

გარნა:

დიალექტ. I. **გარნა**-ი ნავთის ჭრაქი ან საპოხში დასველებული სახვევიანი ჯოხი, რომელიც ანათებს და ღამით შეიძლება თევზის დაჭერა. „კალმახსა ბადითაც ვიჭერდითკე და ღამე *გარნაის* შუქით, სინათლე დიდი აქუ“ (კარკუჩა, მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ. II. **გარნა** [ლათ. Antilope cervicapra] – წყვილჩლიქოსანი ბუმბუმწოვარი ცხოველი ნამდვილი ანტილოპების ქვეოჯახისა („ვიკიპ.“).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **გარნა** მხოლოდ, მაგრამ, არამედ. „*გარნა* თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ... ...საზრდელი“ (ლ. 9, 13); „*გარნა* ვერ ძალმიც... ყოფაჲ“ (მ. ცხ. 68r) – ილ. აბულ. **გარნა** ძვ. კავშ. მაგრამ, ოღონდ. *გარნა* რაკი წარსულის მომხრენი დამარცხდნენ, მთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა (ილია) – ქეგლი. შენიშნულია, რომ და-ს ფონეტიკური ვარიანტია ნა, რომელიც „ქვე-ნა“-სა და „ზენა-ში“ გვაქვს, აგრეთვე „შინა“ -ში... „გარნა“ კავშირად იყო გამოყენებული ძველ ქართულში. ეს ნა შედის დიალექტურ „აქანა“-ში (იხმარება იმერულში, გურულში) (შანიძე 1980: 593).

გარჯა:

საშ., ახ. ქართ. I. **გარჯა** ჯაფა, მოუსვენებლობით შრომა, რჯა, შრომა – საბა. ლუარსაბ... *გარჯას* ანბობდა და თხოულობდა (სამ. IV, 240). რადგან უბრალოს ჩხუბის გამორევაში ხელდახელ *გარჯით* და ცოდვილობით გაესარჯა და სიკვდილი იმის მიზეზით მოხდომიყო (სამ. IV, 457). თქვას, თუ ვინმე: „რა არისო ცუდს სიტყვის *გარჯა?*“ (თეიმ. I, 118, 93). **გარჯა** სახელი გა-

რჯის, გაირჯება ზმნათა მოქმედებისა, – დაუზარებლობა, მუყაითობა; შრომა, ჯაფა. იცოდე, *გარჯას* არა აქვს, ვით ზღვასა, ახლო კიდენი (ხალხ.). შენ გასახელებთ..., რადგან ყველა ვართ შენი დიადი *გარჯის* მნახველი (გ. ლეონ.) – ქეგლი.

გარჯა სიტყვის ფუძეა საჯ, რომელიც აღდგება II სერიის მწკრივებში: *გა-ვი-საჯ-ე (შანიძე 1980: 542). ივარაუდება, რომ საჯ- [sač] სამ. სპარსულიდან მომდინარეობს. სპარსული sač- იღებს saz-ის სახეს მნიშვნელობით „შესაფერისი, ჯამსი, წესიერი, ღირსი, საჭირო“ (ანდრონიკაშვილი 1966).

დიალექტ. II. გარჯა ურმის დედნების შემაერთებელი ხე (ჯავახ. მარტ.). ურმის... დედნებს დასამაგრებლად გაყრილი აქვს გარჯები ორივ თავებით (ჯავახ. მრეწ. IV, II, 127). შდრ. გარჯი (ჯავახ. ბერ.); გრჯღა დიდთა ხეთა რა სხვილ(ნ)ი რტონი განეყოფიან, მას ეწოდებიან გრჯღა – საბა.

გაურჯელა:

დიალექტ. I. გაურჯელა ჩიხტიკოპი (ზ.-იმერ. წერეთ.). || გაურჯილა/ე-ი, გორჯელა „ჩიხტიკოპის სამკაული“ || გეგელ-გორჯელა, ჩიხტიკოპი (რაჭ. ვ. ბერ.). შდრ. *გარგუნჯელა* გვირგვინი, გრეხილი ზან. (მეგრ. ქობ.). გარგუნჯუა დახვევა, გვირგვინად შეკვრა ზან. (მეგრ. ქობ.). სწორედ ამ ზმნიდან უნდა იყოს ნაწარმოები გარგუნჯელა (შენგელია 2014: 56) და შესაბამისად ზემოთ დასახელებული სიტყვები.

დიალექტ. II. გაურჯელა: 1. გაურჯელას სახელდახელოდ „თათარიახნად“ ჩაყაურმებულ თუ ჩახრაკულ საქონლის შიგნეულს ეძახიან. „დიდი ჯაფა არც გაკეთებას უნდა, არც ჭამას“, ეს სახელი იმიტომ ჰქვიაო. 2. ქიწურა ვაზს შეწამვლა და ლოლიაობა არ სჭირდება, ამის გამო მასაც „გაურჯელა“ შერქმევია. 3. „გაურჯელა“ კოჭობანას ტერმინადაც ქცეულა: მარჯვე მოთამაშე ერთი მორტყმით რომ მოიგებს და წამოხვეტავს (თვალად. შატბ.). შდრ. გაურჯელი ზარმაცი, უმრომელი. გაურჯელ კაცს წყალი წაიღებს (ილია). იყო ისევ ისეთი ხელთუპყარი და გაურჯელი (ნ. შატ.) – ქეგლი. გაურჯელს კი თავისი ენინობითი აქვს: გაურჯელა (გ. შატბ.). შდრ. I. გარჯა.

გეზელ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. გეზელი მოძვ. «ქორი და მისთანა მამალი» (საბა), – მამალი მონადირე ფრინველი (ქორი, მიმინო...). || ერთი ჯიშის ქორს ეძახიან. „გეზელი ქორია მაგ გამჩენძაღლი“ (იმერ. გაჩ.). აგრეთვე რაჭ. ძიძიგ. || ყვითელთვალებიან მიმინოზე იტყვიან (გურ. ჟღ.). || ერთი წლის მამალი მიმინო (გურ. რობაქ.). შდრ. გეზელქორი მამალი ქორი. დალექილა სულში თიხა, უწეწია *გეზელქორებს* (მ. ჩიტ.). მთიდან მოსული ვაჟკაცი *გეზელქორივით* კიოდა: თავი ხმლით ჰქონდა ნაჩეხი, გულიდან სისხლი სდიოდა (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ. შდრ. თურქ. [gezere] მოხეტიალე, მოსიარულე.

დიალექტ. **II. გეზელ || გეზელაყრ** 1. სუსტი, წვრილი, განუვითარებელი (მცენარე). წვრილ, *გეზელაყ* ყივ ამუცშვა-დ ძირიმ რაყიღ ექნებ, მერავ-წვრილი, *გეზელი* ყივი ამოუშვა და ძირი რაღა ექნება, არ ვიცი (თუშ. ცოც.). || ზრდას რომ ვერ შეითავებს ყანა – ა. შან. 2. ზარმაცი. ვინა თქვა მთავრის ქორისა / ბაჯალი *გეზელიაო*? / ან შვილი კაის მამისა / მამცდარა, რეგვენიაო (ჴევს.) – ა. შან. შდრ. გეზელ მშიშარა, სუსტი, უღონო (წოვ., თუშ. უთურგ.).

გეზმა:

საშ. ქართ. **I. გეზმა** მიმართულების მქონე, მოხერხებული, საზრიანი. იმ ღამეს ფრანგ დევი, რომ *გეზმა* ქეშიკი იყო, შეხედა, ნახა, რომ მთის წვერზედ ერთი ყარალათი დაინახა, მაშინვე თავის ჯარისაკენ გამობრუნდა და უთხრა: ფრთხილად იყავითო (შჰნ. III, 352, 23).

დიალექტ. **II. გეზმა** საპირფარეშო. „*გეზმა*“ თქმა ჩუენებურებმა იციან, თუვალეთსა ქვია“ (ინ.); „აჯაბა *გეზმა* ჰად აქუან?“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

გეიშა:

ახ. ქართ. **I. გეიშა** [იაპონ. geisha ხელოვანი, მსახიობი ქალი] მოცეკვავე და მომღერალი ქალი იაპონიაში, რომლის მოვალეობა მდიდარი ადამიანების გართობაა. ალბათ, *გეიშებს* გულისხმობდა, რომელთა «განსაკუთრებულობა» აინშტაინმა ისევე კარგად შეისწავლა, როგორც მეძავების ზნე-ჩვეულება მშობლიურ გერმანიაში («რეიტ.») – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. გეიშა** (ქიზ.) ტყავის მოკლე ჩასაცმელი – ქეგლი. [გეიშა] ჩასაცმელი იყო, განიერი სახელები იყო და თავის კუნწულები ეკიდა, თავის პარკებითა გამოყვანილი ლენტითა ეკიდათ და აკოწიალებდნენ (ზ.-ქართლ. მრეწ. III, I, 165).

გელ-ი:

ახ. ქართ. **I. გელი** გელი [ლათ. gelo შევასქელებ] სპეც. 1. ქიმიური პროცესის (კოაგულაციის) შედეგად ლაბისებრი ნალექის სახით წარმოქმნილი მყარი ნივთიერება (სხვადასხვა სახისა). სპეციალური *გელი* პოლიმერისგან არის დამზადებული («კვ. ქრონ.»). 2. პარფიუმერული ნაწარმის სახეობა. სახის ეს გამაგრილებელი *გელი* მომენტალურად ხსნის დაღლილობას და შეშუპებას («სარკე») – ქეგლი ახ. რედ.

დიალექტ. **II. გელი** მგელი. „*გელი* გეება ხარათა, გველი აპოურათა, გაწყტა გველი, გახტა *გელი*...“ (იმერ. გაჩ.). „*გელმა* შეჭამოს და მომარჩინოს“. „გაღმა სერში *გელები*,/მიმოდევან ბერები“ (ხოხ., შავშ. ლექსიკ.). ციცოჲ დაჭენებულიყუ, სიცაც *გელ* იყუ, იქისაკი (თუშ. ხუბ.). ტყეში *გელი* იყო (დუშჯ. ჩელებ.). აგრეთვე: ზ.-იმერ. ბოწ., რაცხ. გურ., რაჭ. კობახ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

გელი < ძვ. ქართ. მგელი: „წარგავლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა“ (ლ. 10, 3); „ძოვდეს მგელი კრავთა თანა“ (I, ეს. 11, 6) – ილ. აბულ.

ჭან. მ-გ-ერ-ი || მ-გე-ი || გუ-ერ-ი || მ-ჯვ-ერ-ი; მეგრ. გ-ერ-ი; ქართ. მ-გელ-ი სიტყვათა შეპირისპირებით არნ. ჩიქობავა დაასკვნის, რომ თავკიდური მ- ჭანურშიც და ქართულშიც ფონეტიკური დანართია; ელ- || ერ- დეტერმინანტი-სუფიქსია, გ– ძირეულია (ჩიქობავა 1938).

გელურ-ი:

ახ. ქართ. I. გელური: გელური ენა კელტური ენების ერთერთი წარმომადგენელი. *გელურ* ენაში ძნელად გაერკვევი («არილი») – ქეგლი ახ. რედ.

დიალექტ. II. გელური [თურქ.] შემოსავლიანი. „ესენი *გელური* ადგილებია“ (თ. ქ.); „აქევრი *გელური* ტყე ეს არი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). გელურ [აზერ.] შემოსავალი, მოგება. მუხი ჭიას ცეცხლ არ ეჭირეოდა (სჭირდებოდა), არც სახლ, აჩუღში (ალაჩოყში) ინახდნენ, კაი დიდ *გელურიც* აქონდა (ჰქონდა) (ინგ. ღამბ.).

გემ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. გემი (ოსმ.) ნავი (დ. ჩუბ.). ამათ ჟამათ მოიწია დიდი *გემი* იერუსალიმად მიმყვანებელი და ჩავსხედით მუნ (ტ. გაბ.). გემი მცურავი სატრანსპორტო სამუალება ადამიანების გადასაყვანად და ტვირთის გადასატანად. – დილა იყო, როცა *გემი* მოადგა ნაპირს (დ. კლდ.). დოდოს მამა იმ *გემის* კაპიტანია, ვეშაპებს რომ იჭერს (თ. ჭილ.). ფიგურ. ამ ზღვისათვის კაცი *გემია*, ნიჭი – აფრა და მეცნიერება – საჭე, გემის მმართველი (ილია) – ქეგლი. გემ გემი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. გემი 1. (თურქ. გემ) ლაგამი. „ცხენსა *გემი* კარქა მოდე“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). 2. ერთი წყება ნალი და ლურსმანი ცხენის ან ხარისათვის. „ერთი *გემი* ნალ-მუხი ვიყიდე“ (მუხი – ლურსმანი) (აჭარ. ფუტკ.).

დიალექტ. III. გემიი დაგუბებული, დამდგარი წყალი: ჯოხში ერ *გემიი* დგას (ინგ. როსტ.).

გემა:

ახ. ქართ. I. გემა [ლათ. gemma] ძვირფასი ქვა ზედ ამოკვეთილამოკაწრული წარწერით ან რაიმე გამოსახულებით. [ნოტარმა] ზღვისფერი *გემმა* აიღო ხელში (კ. გამს.). მკერდზე მიბნევია ქართული *გემმა* (ნ. კილას.) – ქეგლი.

დიალექტ. II. გემა, გემ[ნ]ა წვრილფეხა საქონლის ტყავის საზელი, ორკაპი ხეა, რომლის ერთი ტოტი მოკლედაა წაჭრილი, მეორე კი- მეტრნახევარი სიგრძისაა (ხევს. შან., ჭინჭ.).

გემრა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. გემრა** კუთხ. ცხვრის გამხმარი კურკლი. *გემრა* არის ცხვრის ნაკელი («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ., ფშ., გუდამაყრ., მთ., ქართლ., მოხ.

დიალექტ. **II. გემრაი** [აზერ. დიალ.] ფარეხი. გემრაი ზამთარში ცხორ ჩანაყარ სახლი (ცხვრის ჩასამწყვდევი ქოხია). ეემას მიწაში აკეთევენ. ზეითი ხეევს აყრიან. ეეს ბინევზე, ფერმევში კეჰტევ (კეთდება, არის), სადაც ბეურ ცხორ არის. შინაუროვაში, თუ ორ-სამ ცხორ იქნა, არ აკეთევენ (ინგ. ღამბ.).

გენ-ი:

ახ. ქართ. **I. გენი** [ბერძ. genos გვარი, წარმოშობა] ორგანიზმის მემკვიდრეობითობის მატარებელი, გენეტიკური ინფორმაციის ერთეული: მაინც მინდა გავიაზრო თუ რა *გენები* გადმოგვეცა ჩვენი დედ-მამისა (თ. ბუაჩ.). სული თუ *გენი* ეძახდა მამას ქარში, ჯურღმულში (ჯ. ჩარკვ.). [მშობლების] *გენიცა* აქვს და სისხლიც (გ. სულაკ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. გენ-**: გენვა „ხბოს მიერ ძუძუს გამოწოვა“ – ქეგლი. სანამ ძროხას მოწველიდენ, ხბოს გამოაგენიებენ: ლოცნა, მოცნა. «გამოაგენიე ხბოს და დროზე მოწველე ძროხა!» შდრ. მეგრ. გინი, გენი ხბო (ვ. ბერ.).

გენი დაკავშირებულია ტერმინთან გენი. მეგრულსა და ლაზურში გენი || გინი, ძროხის ნაშიერი. გენ და მისი ფონეტიკური შესატყვისობის გინ-, გან-, გენ- ძირის ტერმინები დადასტურებულია აჭარაშიც, მესაქონლეობის ლექსიკაში: გენვა (და მისი ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმები: მოგანება, მოგერება, მოგანურება მოგერისება) აღნიშნავს მოწველამდე ხბოს მიშვებას დედასთან ძუძუს მსუბუქად გამოსაწოვად. გენვა ამავე სემანტიკით გვაქვს გურულსა და იმერულში (ნოღაიდელი 2017: 144). ზ. თანდილავა აღნიშნავს, რომ „საკუთრივ მეგრულ-ჭანურში გენ-ძირი ბერძნულიდან ნასესხები ჩანს (თანდილავა 1989: 74). აღდგენილია ს.-ქართვ. *გენ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). შდრ. II. გერი.

გერი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გერი** 1. თანმიყოლილი ყანისა თუ რაც (საბა). || ნაგერალი, თავისით მოსული. „და მეორესა წელსა სთესოთ და შჯამო *გერი* მისი“ (IV მფ. 19, 29); 2. მეუღლეთაგან ერთ-ერთის არაშვილი. „დარეჰ, ცოლის *გერი* ნოითოსი – : ი˘თ: წელ“ (იპ. რომ.-ქრონ. 241, 23) – ილ. აბულ. გზირის *გერი* იყო ეონა, მის მეორე ცოლს მოჰყვა თან (ვ. ბარნ.). ბოლოს ის იყო ლურისტანში შეებნენ *გერი* და დედინაცვალი ურთიერთს (კ. გამს.). დაბრუნდებოდა გვიან დაღლილი, დაქანცული კაცი და დედინაცვალი *გერს* აქებდა (ო. იოს.) – ქეგლი. || არაღვიძლი, არა სისხლით მონათესავე; *გერ* ბებრაი დედინაცვლის ან მამინაცვლის დედა; *გერ* დედაი

დედინაცვალი. *გერ* დედას უთქომ თავი კაციბე (ქმრისათვის); შენ თუ შენ შ̈ულ̈უ სისხლ არ მაიღევ (არ მოიტან), არ დამალევნევ, მე მააკდომევარ (მოვკვდები); || **გერ მამაი** მამინაცვალი. || **გერ ქალ** გერი ქალიშვილი (ინგ. ღამბ.). „რო ძვიროთ, აპა, ჩემი *გერი* ხო არა ხარ, რო ბედევათ მოქცე“ (ჯავახ. ზედგ.). || ქერის ძირზე მეორედ წამოზრდილი ყლორტი, ნაგერალი (ხევს., ფშ., თუშ. შან.).

ძველ ებრაულში არის ძირი gēr, რომელიც მოსულს, ებრაელთა შორის დასახლებულ უცხო ტომის შვილს აღნიშნავს, ამ ძირს აქვს აგრეთვე პროზელიტის (ანუ ახლად მოქცეულის) მნიშვნელობა... სიტყვა გერი ქართულში, ზეპირი გზით შემოვიდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ ნიადაგზე განვითარებული ნასესხები სიტყვის სემანტიკური გადაწევა და პოლისემია (გერი „მოსული, უცხო“ – გერი (მოყვანილი შვილი) და გერი (მცენარე) საკმაოდ სწრაფად იქნა დაძლეული დერივაციული გზით: „გერი“ მცენარის მნიშვნელობით ჩართული იყო ქართულისათვის ჩვეულებრივ სიტყვაწარმოებით მოდელში: გერი – ნაგერალი (ლერნერი, ბინიაშვილი 1991: 138-44).

დიალექტ. II. **გერი**: „მოზვერს *გერი* მანამდის ჰქვია, სანამ დაკოდავენ“ (თვალად. შატბ.).

გერი! მოზვრის გასარეკი შეძახილი (ხევს. თავისებ. 193, 19, 20, 28).

შდრ. **გერ**: მოგერისება ხბოსთვის მცირე ხნით ბუბუს მოწოვინება წველის დაწყების წინ – ქეგლი. წველის დაწყების წინ მწველავი მშიერ ხბოს მიუშვებს ძროხასთან, რომ ძროხამ „ხბოსთვის შენახული“ ანურული რძე ჩამოუშვას და ხბოს მოშორების შემდეგ მეტი მოიწველოს. ზოგჯერ ძროხა წველის დროსაც აიწურავს რძეს. მაშინ იქვე დაბმულ ხბოს ხელახლა მიუშვებენ დედასთან ამ პროცესს ქართლურად მოგერისება ჰქვიან; გენვა, მოგენვა იმერულსა და გურულში, დაგერება კახურში, გერება ხევსურულსა და ჯავახურში, გირება პანკისური (ფშაურ კილოში) – გ. შატბ. იხ. II. გენ-.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **გერი**: **გერისთ'ა'ობა** ეთნ. წმინდა გიორგის სახელობის დღეობა სოფ. არბოში; მოდის მარიამობის (28/VIII) შემდეგ პირველ სამ კვირა დღეს (თავგერისთობა, დიდი გერისთობა და ბოლოგერისთობა). გერისთობას თურმე რად მივა იმდენი ერი, რაც იმის სახლში მიდის! (ს. მგალობ.). გერისთობის დღესასწაული გეგონებოდათ პირველ წლებში (მ. ელიოზ.) – ქეგლი. გერი, თავგერი წარმართული ღვთაება უნდა იყოს, რომლის ადგილას შემდეგ ქრისტიანული გიორგობა დაფუძნებულა. ივ. ჯავახიშვილის ცნობით ამ დღესასწაულს თავი გერისთაობა ჰქვია. „გერი“ ნაყოფიერების ღვთაებად უნდა წარმოვიდგინოთ – გ. შატბ.

ახ. ქართ. IV. **გერი** სპეც. „ასე ეწოდება მიბაძვით გალობებს, სტიქაროსნებს, რომლებიც სრულდება „თვითთავაჯი მოდელის“ მიხედვით“ (მართლ. გენცი.) – ქეგლი ახ. რედ.

გეჯ-ი:

დიალექტ. **I. გეჯი** როფი, ხის მოგრძო ყუთი (არაყის გამოსახდელი ხელსაწყო) (მოხ. ქავთ.). იხ. I. გეჯა.

დიალექტ. **II. გეჯი** [თურქ.] ცხიმგამოხდილი ყველი (თქლ., ნიგ. ბერ.).

გეჯა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გეჯა** 1. დიდი გობა ხისა ნავის მსგავსად ამოჭრილი – დ. ჩუბ. || მთლიანი მორის ამოთხრით (ამოჭრით) დამზადებული ჭურჭელი ცხოველების სასმელი წყლის (ან საჭმლის) ჩასასხმელად, სარეცხის გასარეცხად და სხვ. ჩემი თამრო მოსჯდომოდა *გეჯას* და ბაღჩის წყლის პირას სარეცხსა რეცხდა (ილია). «მიტრო, შრატს რას უშვრები?» – «...ძაღლების *გეჯაში* ვცლი» (შ. არაგვ.). 2. შუაზე გაპობილი და გულამოღებული მორი, ერთმანეთზე დადებული ფუტკრის სკად, – ბუკი. ზაქარიამ ფუტკრის გეჯა მოათავა (კ. ლორთქ.). 3. არყის გამოსახდელი მოწყობილობის ნაწილი – ჭურჭელი, რომელშიც წყალს ასხამენ, რათა მასში გამავალი ორთქლის გამომყვანი მილი გაცივდეს. *გეჯაში* წყალი რომ გათბება, ჩავალ მდინარესთან და ვედროთი წყალს ამოვიტან (გ. გეგეჭკ.) – ქეგლი. || **გეჯაი** როფი (მოხ. ქავთ.). || გეჟგეჯა (ინგ. ღამბ.). **გეჯა გეჯა ზან.** (მეგრ. ქობ.). იხ**I. გეჯი.**

დიალექტ. **II. გეჯაი** უსუფთაო, ფეთხუმი ადამიანი. „ეგ რაიღა ქალაია, ნამდუილი *გეჯაია*“ (მოხ. ქავთ.). ვფიქრობთ, რომ ამ მნიშვნელობის გეჯაი წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს ჭუჭყიანის აღმნიშვნელ სიტყვებს: გოჯიჯიანი კუთხ. ჭუჭყიანი. მისი ლოყების ნაოჭებში გომბეშოები დაიმალებიან, გოჯიჯიან შავ ხელებზე ხახვი ამოუვა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. შდრ. გოჯიჯი ფეხებზე ამოსული ჭუჭყი დიდი ხნის დაუბანლობის გამო (რაჭ. ბერ., კობახ., იმერ. გაჩ). || გვიჯიჯი (ლეჩხ. ალავ.). || გეჯეჯი ჭუჭყი, უსუფთაობა, მწვირე (ლეჩხ. ჩიქ.). მუნი თუ გაუძნელდა, გეჯეჯათ გადიქცევა ტყავი დაუსკდება პირუტყვს, და ჩირქი დის (ი. ჭყ.). **გეჯეჯი** წყლული ზან. (მეგრ. ქაჯ., ქობ.).

გვაჯ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. გვაჯი** „აღბაძებითი შური, რათა სხვას დაასწრონ რაიმე“. მისნი ნათხაზნი ხატაეთის მუშკსა *გვაჯითა* გულსა სისხლითა აუვსებდა (საბა, 729, 7). გვაჯი ბაძვა, მიმბაძველობა (აჭარ. ნიჟ.). *დაეგვაჯე* თუ მაგარი ხარ! სწავლაში უნდა *დაეგვაჯოთ* ერთმანეთს; ნუ ებრძვი, ნუ *ეგვაჯები*. მთქმელის ახსნით, გვაჯი არის გაჯიბრება ან მიბაძვა. (დუზჯ. ჩელებ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. გვაჯი** დაბალი, დაგვაჯული. ის *გვაჯი* ბალერინა თუ არ მოგწონს, ნუ მოხვალ და ნუ უყურებ («რუსთავი 2»). ცხენივით ქალსა და მაღალ ქალს შორის განსხვავებაა ისევე, როგორც დაბალსა და *გვაჯს* შორის («თბილ. ფორ.») – ქეგლი. გვაჯა პატარა ტანის, დაბალი, ბანძღი, ჯუჯა (იმერ. ბერ.). გოჯი, გოჯა?

გვირილა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. გვირილა მცენ. – დ. ჩუბ. გვირილა [Pyrethrum] ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; აქვს ყვითელგულიანი თეთრი ყვავილები. კონიო და *გვირილა* [მინდვრის] მიჯნაზე აკანტურებდნენ თავს (ნ. კეცხ.). ყვითელი *გვირილების* დამათრობელი სურნელი მოჰქროდა (ფ. ხალვ.). გვირილას კრეფენ უყუნწოდ, ისეთ პერიოდში, როდესაც გვირგვინის ენისებრი ფურცლები ჰორიზონტალურად აქვს გაშლილი («ას.-დას.»). ფიგურ. მზეს ქუდის მოხდით ეთხოვება ჭასთან *გვირილა* (მ. მაჭავ.) – ქეგლი.

ბ. გიგინეიშვილის აზრით გვირილა-ში არის შენახული ორმაგი აფიქსი კნინობითისა: -ილ+ა. ძირი გვირ- უნდა წარმოადგენდეს ძველი ქართული გჳნ-ის („სიყვითლე") სახეცვლილ ფორმას დისიმილაციის ნიადაგზე: ორი დენტალური თანხმოვნიდან ერთი იცვლება რ-დ: გვინ-ილ-ა > გვირ-ილ-ა... ამრიგად, გვირ-ილა უნდა იყოს ეტიმოლოგიურად „ყვითელი", ყვავილის გულის ფერის მიხედვით (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. გვირილა საშუალო ზომის ჩიტია, ფუტკარს ემტერება (ოძისი, ქართლ. მესხ.). „*გვირილამ* გამოიარა შიკრიკმა შარაგზისამა" (ბ. „თეატრი", ქეშიკ.). || კვირიონი-შაშვის ხელა ლამაზი/ჭრელი/ ფრინველია, ფუტკარსა ჭამს (ფშ. შან., ჭყ.. გოგატ.).

დიალექტ. III. გვირილა თეთრი ქლიავის ჯიში (ლეჩხ. ალავ.). აგრეთვე: რაჭ. კობახ., იმერ. ქავთ.

გვრიტა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. გვრიტა [Gentiana] (ლეჩხ.) სამკურნალო ბალახი, – იგივეა, რაც ნაველა, ასისთავა. ფესვმაგარისა და მარმუჭის ფოთლებშორისაა ამოშვერილი *გვრიტას*... ძაბრა ყვავილები (ნ. კეცხ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. გვრიტა: ღელეებზე ხშირათ აკეთებენ *გვრიტა* წისქვილებს. მას პატარა ქვა აქვს, ბორბალიც პატარა (ქვ.-რაჭ. მრეწ. IV, III, 215).

გვრიტა შესაძლოა ხმაბაძვითი სიტყვა იყოს. შდრ. *გრუტუნი* მტრედის (ქედნის...) ხმიანობა, – ღუღუნი. [ქედნების] დაუცხრომელი *გრუტუნი* ისმოდა ნაშუადღევს მთელ სასახლეში (კ. გამს.). შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს, მტრედის *გრუტუნი* და მუხის ჩერო (შ. ნიშნ.). ფიგურ. ჩვენ გვესმის... შორეული ყრუ *გრუტუნი* წისქვილისა (ო. იოს.) – ქეგლი.

გზირ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. გზირი (ქიზირ ZAaBD, ქსირ Cb, ქიზირი Cq.; ხუოჩ ZAaB.) სხვათა ენაა, ქართულად შულტა ჰქვიან ZA. შულტა B (+ შულტა Cb; + [გამრყუნელი] Ca). გზირი არს ქალაქთა და დაბათა გამგეთა უდარესი – საბა. || ისტ. სოფლის მოხელე – მამასახლისის ხელქვეითი, მის განკარგულებათა შემსრულებელი – ქეგლი. დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა

ერთისა *გზირისა* (ვეფხ. 1196, 2). არვინ დავაგდე, საომრად მოდიან ჯოხით *გზირები* (ი. ტფ. 599, 39, 4). ყეენის კარს მეფე ვახტანგს ბევრნი მტერნი უდგნენ მზირსა; /რასაც ავსა უნახევდენ აძახებდენ მისთვის *გზირსა* (დ. გურამ. 93, 220, 2). ხუთას ათას კაცი ახლავს, წაიძღვანდენ წინათ *გზირსა* (შჰნ. III, 390, 4). ყველა მე გადამეკიდა: მამასახლისი, *გზირია* (რ. ერისთ.). *გზირი* სოფლისთვის ქორია (ვაჟა). მოურავები, *გზირები* და იასაულები... მუხუდოს, ღვინოს სავალდებულო გამოსაღების ზემოთ კრებდნენ (რ. ჯაფ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **გზირი** მზირი, ჩასაფრებული მტერი. [დარლას] ციხეჩი *გზირებ* ჩაუსხეს/, დააღალატეს საწყალი (ხევს. თავისებ. 410, 12) – ალ. ჭინჭ. გზირავი მზვერავი, მოთვალთვალე. გზირავები მყავდა გაგზავნილი, აპა (ფუთი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. მზირი ჩასაფრებული მტერი (თუშ . ცოც.). || ბზირი მაყურებელი, დარაჯი. „ვინაიდან მყავს ბრევლი ბზირი" (გურ. ფოკ. ღლ. 40).

გზობა:

საშ., ახ. ქართ. I. **გზობა** 1. გზად ყოფნა; გზის თვისებების ქონა. უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლიდეს *გზობასა* (ვეფხ. 420, 4). გზობას ეს ბილიკი გასწევს. – მაგრამ გზის *გზობის* არსი სხვა რამეშიცაა... (კ. კაც.). 2. ერთი და იმავე გზის გავლა განმეორებით (რამდენიმეგზის). სთქვი, რამდენ *გზობას* მაიტან კიდევ? (ვაჟა). აგე, მამაშენს მეორე *გზობა* ფიჩხი მოაქ! (თ. ბიბილ.). || გზის გავლისას. ეს უკან *გზობას* შევნიშნე, ისე ლამაზად იყო, რომ გადავუღე ფოტო («კარავი») – ქეგლი. **გზა** ზან. (ლაზ. კალანდ.). გზ-ობა: ფუძე გზ(ა) მიწის ზედაპირზე გაყვანილი (გასწორებული, გატკეპნილი...) ზოლი, განკუთვნილი მიმოსვლისათვის – ქეგლი. -ობა აბსტრაქტულობის მაწარმოებელი აფიქსი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ˀგეზ- „გაგზავნა, სვლა; გზა, გეზი" → ქართ. გეზ-ი, გზ-ა, გზ- (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **გზობა** ბზობა. *„გზობას* თებზის ჭამა შეიძლება" (იმერ. გაჩ.). გზობა < ბზობა; ბზობა საეკლესიო დღესასწაული – იერუსალიმში ქრისტეს დიდებით შესვლის აღსანიშნავად; უწევს აღდგომის წინა კვირას; ხდება ბზის ტოტების კურთხევა და დარიგება – ქეგლი.

ამოსავალი სიტყვაა ბზა. ბზა Luxus: „აღმოვაცენო ქუეყანასა ურწყულსა... *ბზაჲ*" (ეს. 41, 19) – ილ. აბულ. ბზა [ლათ. პალმა B. თურქ. შიმშად] – საბა. აღდგენილია ს.-ქართვ. *ბზალ- „ბზა" (ჩუხუა 2017). -ობა აბსტრაქტულობის გამომხატველი სუფიქსი.

გიდ-ი:

ახ. ქართ. I. **გიდი** [ფრანგ. guide] 1. პირი, რომელიც ტურისტებს, ექსკურსანტებს დაჰყვება და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს აცნობს. ექსკურსიამძღოლი. *გიდები* ჰყვებიან რევოლუციისა და სამოქალაქო ომის

მღელვარე ეპიზოდებს (ლ. სულაბ.) სად გაგონილა მშობლიური სახლი უცხო *გიდმა* გაგაცნოს-მეთქი (დ. ივარდ.). 2. მოძვ. ცნობარი, გზამკვლევი – ქეგლი.

ახ. ქართ. II. გიდი [თათრ.] ჰაი, გიდი-ჰაი, შენ (დ. ჩუბ.).

გიდი: ◊ აი (ჰაი) გიდი! აი, ჰაი. ჰაი *გიდი* დროებავ! ერთხელ ერთი განთქმული ფალავანი გავლახე! (ვაჟა). – ძველად არ იყვნენ, ბია ვანო, ესეთი გოგოები? – ძველად? ჰაი *გიდი*! (ა. სულაკ.); ჰაი *გიდი*, ჯეელობავ! დაგიდგეს სიბერევ თვალები! (კ. ბუაჩ.); აი, *გიდი*, ვაჟებო! გული გერჩით, განა! (ვ. ჩეკურ.) – ქეგლი. გიდი [თურქ.-სპარს.] ვაჰ; ზან. (ლაზ. თანდ.).

გიდელ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **გიდელი** „სკივრი დაწნული“ – საბა. || მოგრძო პირგანიერი და ძირწაწვეტილი, უყურო გოდორი (იყენებდნენ მაღლარზე მოკრეფილი ყურძნისა თუ ხიდან დაკრეფილი ხილის ჩამოსაშვებად, ძირს ჩამოსატანად) (შდრ. გიდელა). [ბეჟანამ] ჩამოუშვა ხიდან ჩხავერის ყურძნით სავსე... *გიდელი* (ე. ნინოშ.). კალატოზი... ბაყილოსთან გადაგდებულ *გიდელს* რომ წამოედო, მაშინღა გავახსენდი (კ. კობ.) – ქეგლი. || ტკეჩით დაწნული მოგრძო ხელიანი გოდორი, რომლითაც ეზიდებიან ყურძენს ვენახიდან გოდრებში ჩასაყრელად (სინონ. გვერსაკიდი, საკიდელი). *გიდლებია* სამსეი, ქალებო (ჩიხა); გიდელია თხილის წკნელით დაწნული გოდორი (წირქვალი სინონ. გოგროხა) (ზ.-იმერ. ძოწ.). || ტკეჩით მოწნული, ძირს კონუსისებურად წაწვეტილი პირგანიერი გოდორი, იხმარება საწურად, რომ ქვევრიდან ღვინო ამოღებულ იქნეს ჭაჭისა და ლექის გარეშე. ჭურში ტკბილს რო ჩავასხამთ, მივცემთ ჭაჭას, რო დადუღდეს. ჭაჭა დეილექავს ძირს, მერე *გიდელს* ჩავდეფთ ჭურში, *გიდელი* ჩეესობა თხლეში და ამოდის გაფიტრული ღვინო. *გიდლიდან* ამევიღეფთ სუფთა ღვინოს (სანახშირეზ.-იმერ. ძოწ.). || ჭილის (ჭილობის) ან პურეულის ღეროებისაგან დაწნული, მაღალყელიანი, მრგვალი კალათა. დაჩეჩილ მატყლს (ფთილებს) აწყობდნენ ხოლმე შიგ. „ერთი ეგ *გიდელი* მამიტანე, შვილო, ფთილები უნა ჩავაწყო“. არსებობს ასეთი ლექსიც: „პატრა ბიჭო გიდელა, ვინ გასწავლა სიმღერა, პაპამ ჯოხი წამოგისო, გათხრევინა ძირხვენა.“ ხშირად გვხვდება მეტსახელადაც (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე: გურ., იმერ. ჭყ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ˁგუდ – „გუდა, გიდელი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ყიფშიძე 1994: 216, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **გიდელი** ფეხის ბრუნება, ნაქორწილარი ქალის ქმრეულთით მამის სახლში დაბრუნება (ქორწილის გადაყრის მემრე, ერთიორი კვირის შემდეგ) (ფშ. შან., ხორნ.).

დიალექტ. III. **გიდელ-გიდელ** კიდელ-კიდელ (ხევს.) (ორივე ფორმა იხმარება). ცის ტატანთ (თუშ.) ჰორიზონტზე – (ა. შან.). **ცის გიდელ-გიდელ[თ]** ცის ტატნობზე, ცისკიდურზე, ჰორიზონტზე (ჯვართ ენაზე). ცის კიდელი. გიორგიმ ჯაკმატის ჯვარმ შახკაზმ თავის ნისლისფერი' ცის გი-

დელ-გიდელთ დააწყვიტ (თ. ოჩ. სარწმ. 70). დიდრ- ას თქვენი ბატონი, ცის *გიდელ-გიდელ* დადგება (ხევს. პოეზ. 552, ბ, 2). ამაგათ ფარის კიდური ცის *გიდელ-გიდელ* დახტაო (ალ. ოჩ. 28, 18) – ალ. ჭინჭ. **გიდელ-კიდელი** ჰორიზონტი, ცის ტატნობი, ცის კიდე ზან. (მეგრ. ქობ.).

გილდ-ი:

ახ. ქართ. **I. გილდი** იგივეა, რაც უფრო მართებული გილდია. გილდია [გერმ. Gilge ამხანაგობა] ისტ. შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ვაჭრებისა და ხელოსნების გაერთიანება, რომელიც თავისი წევრების ინტერესებს იცავდა – ქეგლი.

დიალექტ. **II. გილდი** [გერმ. Hilze] ვაზნა, გილზი. მჯარზე სხავ ბერდენკაები, ჯარ უწყოვ *გილდებისაო* (ხევს. პოეზ. 517, 8); ბრალია მამუკაისად წლზე შამოჭსნა ჭმლისაო, მჯართით ჩამოჭდა თოფისა, *გილდისა* არშავისაო! (ხევს. პოეზ. 225, 15); ჩიოდა თოფი ბერდენკაიო,... *გილდების* ჩაბგრიალებასაო (ეთნ. III, 91, 9). აქვე გიძი, გილძი – ალ. ჭინჭ. აგრეთვე გილდი ჯ. პატრონა, ტყვია, მთ. ტყვიის ბუდე. გილდი თ., || გილზი (ფშ.) ტყვიის ბუდე – ა. შან.

გინგლ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გინგლი** ჩჩვილთ ყრმათ ბეწვი – საბა. || ახლად ამოსული ბეწვი, ბუსუსი, – ქინქლი, ღინღლი. [პეპელას] მუცელი შემოსილი ჰქონდა წმინდა, ხშირი *გინგლით* (ი. გოგებ.). რბილი, ბამბასავით ფაფუკი *გინგლი* [წიწილს] პაწაწინა ბუმბულებად გადაექცა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. „საულვაშეზე ამოსლია *გინგლი*, კაცი გამხდარა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **გინგლი მატყლი** – (ქედა) რბილი მატყლი. „*გინგლი მატყლი*, ბილი რომაა, ადვილი დასაჩეჩავია“ (აჭარ. ნოღ.). შდრ. ღინღლი ფრინველის სხეულზე (მეტწილად ფრთებს ქვეშ, მუცლის არეში...) ამოსული ნაზი ბეწვი, ბუსუსი, – გინგლი (ქეგლი).

დიალექტ. **II. გინგლი** ძინძგლი, ჭუჭყი, მწვირე – ვ. ბერ. შდრ. განგლი მწვირე. (ქიზ. მენთ.). განგლავს სვრის, თხვრის (მტვერში...). საურმე ბეძვის ღობეს მტვერში განგლავს (კ. კობ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *განგლი არქეტიპი აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის (ფენრიხი, სარჯველაძე 2000-2003).

გირ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. გირი** 1. განსაზღვრული წონის, სიმძიმის საგანი; იხმარება როგორც საწონი მექანიკური სასწორისათვის. ბაწარი მომეცით-მეთქი, გითხარით, და ორფუთიანი *გირები* ან ქვები-მეთქი (ო. იოს.). სასწორების *გირების* აღმოჩენამ კი მეცნიერები დაარწმუნა, რომ აქ უძველესი ბერძნული ბაზარი, აგორა, იყო გაშენებული («მნათ.»). 2. ჩამოსაკი-

დებელი სიმძიმე რაიმე მექანიზმის მოძრაობაში მოსაყვანად – ქეგლი. **გირი ქნა**: ჩემ საათი *გირი ქნა*, დადგა (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე გირი ხარ და გირანა საბავშვო თამაში ერთგვარი (ქართლ. ლექსიკ.). გირა [სპარს.-რუს.] საწონი. შდრ. გიროვ, გიროვი სპარსული არის (თ., დ. ბაგრატ.).

დიალექტ. **II. გირი** წონის ერთეული – ოცდაათი კგ. შირ ბაჰას ეძახიან, შირ ბაჰა! – უნდა ის ექს–ექსი, რო გითხარი, რო ექსი კილო ჩაი და ექსი კილო ყანდი და ექსი კილო ერბო და ექსი კილო ბრინჯი და ექსი *გირი* ქფილი და ექსი ცხორი თაის ბატკანი და ესები; მინაძღა რო იქა ხორბალი დაფქუისყე და ოცი *გირი*, ათი გირი, ორმოცი *გირი* აჲღიან და მაჲტანიანყე (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. **III. გირი** [სპარს. gir] ჩახლართული საქმე, რომელსაც არ უჩანს გარკვევის პირი. *გირი* – ნასკი, საქმე ჩანასკულია, ინასკების; *გირი* არის, საქმე რო არ გაისხნება /დაშქესანა/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

საშ. ქართ., დიალექტ. **IV. გირი** (ვტ.) გირაოს ნიშნავს, ანუ დამზევლას, საუკუნო და გამოუხსნელად მზევლობას და გირაობას (თ., დ. ბაგრატ.). **გირი არის** საქმე რო არ გაიხსნება (დაშქ., ფერეიდ. ჩხუბ.). გირავ [აზერ. გირრვ] (ინგ. ღამბ.). აგრეთვე გირაო [სპარს.] საწინდი, საწინდარი (დ. ჩუბ.).

გირაო ქართულად წინდი არის: დაწინდება-დაგირავება, სომხურად (გრაუ) გირაო (გიგინეიშვილი 2016).

გირაგ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გირაგი** 1. გაზივით არის ხეთაგან, საქლიბავთა საპყრობელი – საბა. || სპეც. სამარჯვი, რომლითაც ამაგრებენ დეტალს მექანიკური დამუშავების ან საზეინკლო-სამონტაჟო სამუშაოთა ჩატარების პროცესში. აქ ნახავდით... სხვადასხვა ზომის *გირაგებს*, ჭანჭიკების და ქანჩების გროვებს (ა. ბელ.). ფიგურ. სპადოვსკი ორმხრივი უნდობლობისა და სიძულვილის *გირაგში* მოჰყვა (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი. 2. **გირა, გირაგი** ყმის დასასჯელი ერთგვარი ხელსაწყო ყოფილა ძველად. „ამხანაგს გირაი მუუჭირეს, მარა ვეფერი ათქმიეს. მაინტერესებს, რანეირი იყო აი *გირაგი*“ (გურ. ჯაჯან.).

ახ. ქართ. **II. გირაგი** იგივეა, რაც გირი. ძეწკვზე ჩამოკონწიალებული *გირაგით* იცოდა, რა დრო იყო (ო. იოს.) – ქეგლი. გირაკი პატარა გირი. აფთიაქში დაბრუნებულმა საწონის ციცქნა გირაკების შეგროვება დაიწყო (ლ. ბრეგვ.) – ქეგლი ახ. რედ. იხ. I. გირი.

გლარჯა:

საშ., ახ. ქართ. **I. გლარჯა** წეკო, წარე თუთუნი. **გლარჯი** ბურნუთი – დ. ჩუბ. **გლარჯა** ძვ. თამბაქო. ძაღლები ადვილად აგნებდნენ, გეშს იოლად იღებდნენ *გლარჯის* სუნზე (რ. ჭეიშვ.). ◊ **გლარჯის მილი ჩიბუხი**. როცა პირში უკავია სუნოვანი *გლარჯის მილი* (ი. გრიშ.). კიდევ სთქვეს, [როსტომი] თუთუნს შეეჩვია, *გლარჯის მილსაო* (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **გლარჯა** დიდი უბრალო რამე რაც იქნება (ხე, ქვა, საქონელი, კაცი) (მარაბ., ქართლ. მენთ.). შდრ. **გლარჯი** უშნო, შეუხედავი. ე რა *გლარჯი* ტუფლები გიყიდია; საწყალ კაც ფეხი მოგრეხილი ჰქონდა და მიტო შეარქვეს *გლარჯაი* (მესხ. ფეიქრ.). აგრეთვე ქართლ. ლექსიკ.

გლახა:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **გლახა** 1. მცირე, დაბალი; გლეხი: „წარჩინებულითგან ვიდრე *გლახადმდე*“(ქ. ცხ. 59, 6) –ილ. აბულ. ძველსავე ქართულში ამავე მნიშვნელობით დასტურდება **გლახაკი** «დავრდომილი», «გლეხი», ღატაკი; მათხოვარი; „*გლახაკითგან* (გლეხითგან O) ვიდრე მდიდრადმდე“ (M ესთ. 1, 20). იხ. დაგლახაკება, საგლახაკო, სიგლახაკე, გლახაკება, გლახაკობა, გლახაკ-ყოფა – ილ. აბულ. ერთისა მსახურიც აქ მე მყავს, ერთიც მწარეთ უმოწყალ, *გლახა* და ღარიბი გახლავს (სამ. VIII, 41). უყვარს, ვით იობ, უფალსა *გლახა* მომთმენი ჭირისა (დ. გურამ. 67, 43, 4). წინ *გლახა* შემოხვდა.., გაუშვირა ხელი მოწყალებისათვის (ზღაპ.). სთქვა ეს *გლახამ* და სწრაფად გაშორდა სანდროსა (ი. გოგებ.). 2. საუბ. ცუდი, დაბალი ხარისხისა; უხეირო, ნაკლები ღირსებისა. *გლახა* მუშას შემოდგომას მოუკვდება გულიო (ანდაზა). ქეთუშამ *გლახა* ქართულის მეტი არაფერი იცოდა (ჭ. ამირეჯ.). 3. საუბ. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი. ვაჟკაცია პირდაპირი, იმალება მხოლოდ *გლახა*! (აკაკი) – ქეგლი.

მ. ანდრონიკაშვილის აზრით, ქართულ სიტყვებს გლახაკი, გლახა, გლახ-(ვა-გლახ)-ს საფუძვლად უდევს საშ. სპარსული ფორმა gilak || gilah- ტირილი, ჩივილი, ვაება (ანდრონიკაშვილი 1966: 301). ბ. გიგინეიშვილის აზრით, არაა გამორიცხული ქართული გლახაკი მოდიოდეს ძველი სომხური ფორმისაგან glxǩor-ისაგან „თავჩაქინდრული, დამდაბლებული, უღონო“ (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **გლახა** „(არხოტ.) დაგრეხილი წნელისაგან გაკეთებული რგოლი, რომელიც ლუდის საწურავ კედებს წამოეცმის“ (ა. შან.). აქვე აქვთ „გლახა“, რომელიც ჩამოცმულია კეტებზე და ამაგრებს გაჭერილ კეტებს მოშვებისაგან (ალ. ოჩ. კალენდ. 28, 30) – ალ. ჭინჭ. შდრ. ალახი დარგ. მარხილის ფეხზე ამოსადები წნელი, რათა არ დაცურდეს – ქეგლი; ალაჯი – ა. შან.

გლიმ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **გლიმი** უგლიმი, ურიდი, შეუპოვარი – დ. ჩუბ. შდრ. **უგლიმი** მოურიდებელი, ურცხვი: „*უგლიმად* და უბრძნულად სახედ პირუტყუთაჲსა გამოვაჩინებ“ (მ. ცხ. 402v) – ილ. აბულ. **გლამ** გაწყრომა, უხეში (სვან. ლიპარტ.).

დიალექტ. II. **გლიმი** (კახ.) იგივეა, რაც კრინტი. ხმა! კრინტი! *გლიმი!* (ი. მჭედლ.). ხმა! *გლიმი!* თორემ მოვიდა მათრახი! (გ. ქუჩ.). კუშტად დამუწა პირი და არ დასცდენია *გლიმიც* (გ. ბუთხ.) – ქეგლი. || „ხმა, გლიმი არ

ამაუღია, ეგრე გარკინავებული იდგა“ (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.). || **გლიმბ**: „ქვაო ქვა ხარიავ, ხეო, ხე ხარიავ, სუც კი *გლიმ*აღარ დაძრავ“ (თუშ. ცოც.).

დიალექტ. **III. გლიმი** მჭრელობა, სიბასრე. ერთი ბეწო გლიმი არა აქვს იმ ოჯერ ცულ (ქიზ. მენთ.). შდრ. II. გლოვა.

გლოვა:

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. გლოვა, გლოვობა** შავით შემოსა ჟამ რავდენმე მიცვალებულთა – ნ. ჩუბ. **გლოვა** მწუხარება, გოდება: „მოაქცია *გლოვად* ჩემი სიხარულად“ (ფს. 29, 12); „ყოველნი *გლოვასა* დ ა მწუხარებასა შევარდებოდეს“ (ოქრ.-მარხ. და იონ. 108, 1). აქვე გლოვასა შევდომილი, მგლოველი, გლოვისა, „საგლოველი“ – ილ. აბულ. *გლოვა* გმართებს, არ სიცილი (ვეფხ. 169, 3). წარვიდეთ პირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ *გლოვანი* (გ. ფირალ. 329, ქვ. 4). შეიქმნა *გლოვა* და ტირილი (ქ. ცხ. II, 511, 19). ნეტა რას ტირი, დედილო? რა დროს *გლოვა*ა შვილისა? (რ. ერისთ.). ინტელიგენციის ცხოვრების ძირითადი ნიშანი ხომ *გლოვა* და შიში იყო (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *გლ- ძირი „მწუხარება, გლოვა, ტირილი“ → ქართ. გლ-, გლოვ- (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე: ჩიქობავა 1938, კლიმოვი 1964, ფენრიხი, სარჯველაძე,1990.

დიალექტ. **II. გლოვა** სეთიხი. სეთიხის მაგიერ ახლა „*გლოვა* დაერქვა“ (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 276). შდრ. II. გლიმი; II. გლუი.

გლუ-ი:

დიალექტ. **I. გლუ, გლუი** მიუვალი. თასა *გლუი* მიტო ქვია, დიდი რო არი და მიუდგომელი (წაქვა, ზ.-იმერ. ძოწ.). || მიუვალი, ბნელი, მაგ. ტყე (ზ.-იმერ. წერეთ.). იხ. I. გლუ, გლუვი.

დიალექტ. **II. გლუი** ან სეთიხი – მრუდი ხაზების ამოსაღებია სიგრძითა და სიღრმით (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 445). იხ. II. გლოვა.

გლუვ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გლუ, გლუვი** უმქისო, უროკო, უხორკლო – დ. ჩუბ. [ვაშლი] ძალიან მაღალი იყო და *გლუვი*, უტოტო (ზღაპ.) ხელს ასრიალებდა *გლუვ* მოაჯირზე (რ. ქორქ. თარგმ.). ლადო მაგრად მიეხუტა ჭადრის *გლუვ* ტანს (თ. მაღლაფ.) – ქეგლი. || ტლუ – უტო ტო, უშტო (ხე) (ფშ. ჭყ.). || უკოჟრო, უკაპო (ხე, ჯოხი). || სწორი (მინდორი, რომ არ იყოს ოღრო-ჩოღრო) (გუდ., მთ., ფშ., ჭ., თ.). || მგლუვი მთ., მოჭ. – ა. შან. **გლუვად** შეუნჯღრევლად. მჭედარს წაიღებ *გლუვად*ა, ცხენო, წყალივით იღვრები (ალ. ოჩ. 103, 1).

დიალექტ. **II. გლოვი, გლუვი** ერთგვარი სახის შალაშინი. *გლოვი* იარაღია, სალაშინი, რგვლათ უნდა აიღოს (ქემ.). მეცა მქონდა ლავგარდი და *გლოვათ* გადავაკეთე. *გლოვი* ერთკბილიანია (ზ. ხანდ.). *გლუვი* კუ-

თხეს იღეფს (ტყვ.); აგრეთვე დად. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. **გლოვი, გლოი** ფიცრის კუთხე დამრგვალებული (ქიზ. მენთ.). გააგლუებს გაასუფთავებს, ხორკლებს და მისთ. გააცლის. ეეხლა *გავაგლუებ* ეემას, გავაყრევ ნაცხერსა' ცულისტარ იქნების (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. გლოვა.

გოგო:

სამ., ახ. ქართ. **I. გოგო** 1. ქალი ბავშვობის ასაკში. ბეკინა... ყოველ წამში ღმერთს ამას ევედრებოდა: «ღმერთო, ელენეს *გოგო* აყოლეო!» (დ. კლდ.). ალი, ბიჭო, პატარა *გოგო* კი არ არის (ნ. ლომ.). პატარა ათითორმეტი წლის *გოგო* გობზე ცრიდა ფქვილს (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. 2. მდაბიო გლეხის ქალი – დ. ჩუბ; „ცუდქალა" – საბა. || ძვ. (ახალგაზრდა) ხელზე მოსამსახურე, შინაყმა ქალი, – მოახლე. ზაზაშვილის გოგო და ბიჭი მოსაქმემ იკითხოს (სამ. IV, 204). «ქალბატონო, ქალბატონო!» – წამოიძახა *გოგომა* (ილია). სამოახლოში ქალები იდგნენ და სამ ხარისხოვნად იყოფებოდნენ: გამდლებად, მოახლეებად და *გოგოებად* (აკაკი) – ქეგლი. შდრ. გუგო მიმართვის ფორმა ქალებისადმი: გუგო, ექ მოი! რძალი მულსაც ასე ეძახის: გუგოჲ შინ არა (ინგ. როსტ.). შდრ. გო! (<გოგო) ქალო საუბ. შორისდ. ქალების მიერ ერთმანეთისათვის მიმართვა. ჩვენ რას გვიმალავთ, გო? (გ. პაპუაშვ.) – ქეგლი, აჭარ. ნიჟ., ზ -იმერ. ძოწ.,ინგილ. ღამბ. და სხვ.

მარტივი გაორკეცება: გო-გო (შანიძე 1980: 149).

სამ. ქართ. **II. გოგო** „ჯოჯო"– საბა. ჯოჯო (ჯუდამალაქ ZAaB, ჯუდამულაქ Cab, ჯუდამულ CqD, (მძრომ.) გოგო, ხვლიკს უფროსია ZA. (მძრომ.) გოგო BCD. See also: მსევანი – საბა.

გოგორა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გოგორა** 1. „ერქვანთ თვალი საბრუნავი» (საბა), – ურმის (ეტლის...) თვალი, ბორბალი. ეტლს მალე გაუტყდა ღერძი და *გოგ[ო]რებიც* (ს. კლდ.). – ამ *გოგორებს* გამიკეთებ დღეს? – თეოფილემ თვლებზე ანიშნა (რ. ჯაფ.) – ქეგლი. || ბორბალი, ჭახრაკის ნაწილი. „ჭახრაკს აქ *გოგორაჲ. გოგორაზე* ლამბია გადებული" (აჭარ. ნოღ.). გოგორა (< გორგორა) ბორბალი (მესხ. მაის.). 2. მრგვალი. ოლღამ *გოგორა* პური გამოუცხო, ქალალდში ცოტა მარილი გაუხვია და ნიკა გაისტუმრა (ა. გეწ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *გორ-გორ- „ბორბალი", *გორ- „გორვა" → ქართ. გორგორ-ა, გორ-გოლ-ა, გორ- (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1980: 201.

დიალექტ. **II. გოგორა, გოგოროობა** ცვრევა (კირიონი). || გონგორა (კახ.) რთვლის შემდეგ ვენახში აქა-იქ შემთხვევით დარჩენილი ყურძენი. [ადამა პაპა ჩიფჩიფებს]: გონგორაზე არ მატარო, წმინდაო ელიავ! (კ. კობ.). ფიგურ. გონგორას სტრიქონს მეტაფორად ვკიდივართ ისე (შ. ნიშნ.) – ქეგლი. შდრ. **გოგორაფა** მოძიება, მოკვლევა ზან. (მეგრ. ქობ.).

გოგრა:

სამ., ახ. ქართ. **I. გოგრა** 1. (ბალ.) აყიროსთან ნახე ZAB. (ბალ.) გოგრანი არიან სამრიგ(ნ)ი: აყირო, გოგრა და ხაპი. აყირო არს მსგავსი საწდისა, ვიეთნი კვახად უწოდენ; გოგრა არს, რომელი იჭამების მხლად – საბა. || [Cucurbita] ერთწლოვანი კულტურული მცენარე; აქვს მცოცავი გრძელი ღერო და მრგვალი ფორმის დიდი ნაყოფი. *გოგრა* რომ გაჭრათ, გამოიღეთ თესლები... და მოხალეთ (ბ. ჯორჯ.). აქ სიმინდი იდგა გორად, იქ *გოგრები*, ხარიხებზე კიდევ ხახვის გალები (რ. ინან.). 2. საუბ. ირონ. თავი (ადამიანისა). მაგისი საბუთები სულ *გოგრაში* ჰქონდა (ილია). ერთს მაინც წავარტყამდი სულელ *გოგრაში* (ჭ. ამირეჯ.). თვითონ თუ *გოგრაში* ბზე უყრია და გზაკვალი აქვს აწეწილი, ეს ვითომც არაფერი (კ. კობ.) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

გოგრა სახელი შეარქვეს სიმრგვალის გამო. მისი პირველადი ფორმა უნდა იყოს გოგორა" (როგორც მრგვალი სხეული ადვილად „გორაობს") – (ზ.მაყაშვილი 1996). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. **II. გოგრა** ურმის თვალი, ბორბალი ურმისა, ეტლისა და მისთ. (ჯავახ. ბერ.). **გოგრები** ბორბლები: „გოგრები ჰალა არინ, ძველი, ძველი *გოგრები*" (ელმალი, კლარჯ., შავშ.ლექსიკ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ. იხ. I. გოგორა.

გოლიათ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. გოლიათი** 1. მხნე, გმირი, უძლეველი: „იგი იყო *გოლიათ*" (ქ. ცხ. 150, 10) – ილ. აბულ. || დევგმირი, ბუმბერაზი. *გოლიათი* გული ვითა ამაგარა (ვეფხ. 1597, 4). ღვთის ძეთ შვნეს შვილნი *გოლიათ*-გმირნი, შესახედავად გულთ გასაგმირნი (დ. გურამ. 289, 513, 1). || ბიბლიური გადმოცემით – გიგანტური აგებულების ფილისტიმელი, რომელიც დავით მეფემ შურდულით მოკლა. *გოლიათის* შებმას ჰგავდა მისი ბრძოლა, მისი ომი (აკაკი). წარმოვიდგენ... პატარა ჭაბუკს დავითს, როცა შურდულს ესროდა *გოლიათს* (ნ. ლორთქ.). 2. გადატ. ვაჟკაცი, დევგმირი; ვეებერთელა, ბუმბერაზი; უზარმაზარი (კაცი). აბა, რა დაუდგებოდა ამ *გოლიათ* კაცს! (ს. კლდ.). ზაანდამელ ცნობისმოყვარეთა განცვიფრებას ყველაზე მეტად შავგვრემანი *გოლიათი* იწვევდა (რ. ჯაფ.) – ქეგლი.

ბ. გიგინეიშვილი მიუთითებს, რომ ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება, ჩვეულებრივ, გოლიად ფორმა: მართალმან სარწმუნოებითა ერთითა ქვითა გმირი იგი გოლიად დასცა (სინ. მრ. 95, 6). გოლიათ ფორმა მაშუალებლად ბერძნულ წყაროს გულისხმობს (შდრ. ბერძ. Goliat), გოლიად კი – სომხურს (შდრ. სომხ. Goliad). ქართულში ეს სიტყვა დამკვიდრდა ბერძნულის ფორმით (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. გოლიათი** ყოყმანი, აუჩქარებლობა. აქვე აგოლიათებს, გოლიათობს, იგოლიათებს, გოლიათობა ყოყმანობს, აგვიანებს, ერთ ადგილზე ტკეპნის. რაად *ღგოლიათობავ*, ჩქარა მეედივ (ხევს. ჭინჭ.).

სავარაუდოა ამ სიტყვის გოლ- ძირი < გვალ; შდრ. გვალე, ჰგვალე, ჰგუალე. მდაბ. გოლე ზმნა ესე იხმარების მხოლოდ ბრძანებითად. იარე, წარვედ, წადი. გოლვიან მიდიან – დ. ჩუბ. || გვალე ძვ. ბრძან. წადი, იარე! ამირან, გვალე, გვალეო, მუხლად გაქებენ მალეო (ხალხ.). მხედარო, გვალე, გვალეო! ტყვეები გელოდებიან, წადი, უშველე მალეო! (ბაჩ.) – ქეგლი.

გომი:

დიალექტ. I. გომი მუცლის არე, გვამი, სტომაქი, მუცლის ღრუ. „ნეტარ რას *გომჩი* ეტიე ესეთი დაუფახარი, რო ვუცქერ შენ საქციალსა, ხარხარიღა ამივარდებაკე“ (მოხ. ღუდ.). „არაყმა *გომი* გამითბა“. *„გომჩი* შაკრული (|| გახსნილია) მოხუცი“. „გომის ქარები აწამებს“ (მოხ. ქავთ.). || გუდ., მთ., მოჯ. გულ-მუცელი სულერთიანად – ა. შან., ფშ. ხორნ. გომს ამოუყორავს (უპატივც.) ამოუვსებს (კუჭს), ძალიან გააძღებს. „ეხლა დავრწმუნდი, რომ შენ მარტოკა ისა გნდომია, რომ სხვამ გასვას და გაჭამოს, ამოგყოროს *გომია*“ (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. || საქონლის ფაშვი. გომს გამაიღებს – უზომოდ გაძღება (მთ. კაიშ.). გუჳმ, გუჳმ 1. მკერდი, გულ-მკერდში, გულ-მუცელი; 2. გვამი ცხედარი (სვან. თოფ., ქალდ.). გვამი > გომი.

შდრ. ძვ. ქართ. გუამი 1. რაიმე სხეული, ორგანიზმი. 2. ადამიანის ან ცხოველის სხეული, ორგანიზმი. ახ. ქართ. გვამი მხოლოდ მკვდარი ადამიანის სხეულზე ითქმის. ძვ. ქართულში კი გუამი საერთოდ ორგანიზმია. *გუამ- არქეტიპი საერთო- ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). ბ. გიგინეიშვილის აზრით, გუამი ეტიმოლოგიურად უკავშირდება გუემა-ს „სხეულის დათრგუნვა“, „ცემა“ (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. გომი მიწური, საქონლის საზამთრო სადგომი (ნ. ჩუბ.). გომი, გომური [სომხ.] ბოსელი, სადგური დიდროვანთა ხვასტანგთა (დ. ჩუბ.). დედამთილის მკვლელს სიმაგრედ მოგიგონია სად *გომი* (ბეს. 164, 27). საქონელი *გომებში* დამწყვდეულია (ილია). რა წამს მზე ჩავა, იგი მაშინვე საქონელს *გომში* შერეკავს (ი. გოგებ.). პატრონი რომ გარეთ გამოვიდოდა, გომი დახვეტილი უნდა დახვედროდა (ს. შანშ.) – ქეგლი. „წელში ორჯერ თუ დაებმის ჩემი საფერხე გომშია“ (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. ღორის ბინასაც *გომი* ჰქვიან. გომი დაბალია ცხვრის ბინასავით, აგრეთვე საღორესაც ემახიან (ქიზ. მრეწ. I, 71). აგრეთვე ფშ. ხორნ. || სახლის ბანი (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. შდრ. გვემ სახლის ნაწილი, სახლთან მიდგმული დამატებითი შენობის ქვედა სართული (სვან. ლიპარტ.).

ამ სიტყვის ძირად მ. ჩუბუა მიიჩნევს ს.-ქართვ. ძირს *გომ- „ბოსელი, გომური“ > ქართ. გომ-ი, გომ-ურ-ი(ჩუბუა 2000-2003). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

გომორ-ი:

ძვ. ქართ. I. **გომორი** კოკა, «ღომორი»: „ათი გუერდი არს გომორ“ O, – „ათნი კოტკლნი არიან ღომორ“ (pb., ეზეკ. 45, 14) – ილ. აბულ. შდრ. ღომორი ძვ. მარცვლეულის საწყაო – ქეგლი.

დიალექტ. II. **გომორი**: **სოდომ-გომორი**: ბიბლიური ქალაქი. მეტის-მეტი ცოდვებისათვის ღმერთმა ცეცხლით რომ გაანადგურა. დიდი რამ ცოდვის ჩადენა. *სოდომ-გომორის* ცოდვა დატრიალდაო უმთავრესად სისხლის შერევის ნიადაგზე იტყვიან. არეულობა, ძაღლი პატრონს რომ ვერ იცნობს. „ისრეთი *სოდომ-გომორი* იყო რო დედა შვილს არ აიყვანდა“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. მოსორონგორომება დანგრევა. ბეჟანიე გადელდა და მოასორონგორომა ყორიფელი (რაცხ. გურ.).

გომურ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **გომური** 1. სახლი გლეხური – საბა. მოვალე[ე]ბიც მაწუხებენ და იმ *გომურს* ვყიდი (სამ. VIII, 124). ოთარიკამ... ცხენნი *გომურსა* შინა დაუბა (კალმას. 477, ქვ. 13). || სახლი მიწური, გომი-ვით მიწაში გაჭრილი ბანიანი სახლი (ქიზ. მენთ.). 2. საქონლის სადგომი საზამთროდ (ი. გრიშ.). წავედი, ცხენი დუქნის *გომურში* დავაბი, მოვუარე და საჭმელი მივე (ილია). [პატრონმა] კამეჩებს გომურის სიღრმიდან წამოუარა და... კარისკენ გარეკა (რ. ინან.) – ქეგლი. იხ. II. გომი.

დიალექტ. II. **გომური** დიდი ბოლოკის ჯიში: დასავლეთ გურიის სოფ. გომში მოყავთ (გურ. შარაშ.).

დიალექტ. III. **გომური** თეთრ-წითელი ლობიოს ჯიში (თვალად. შატბ.). დასახელება მოდის სოფელ გომიდან (ზ. მაყ.).

გონგოლა:

ახ. ქართ. I. **გონგოლა** [Sshisymbrium] ჯვაროსანთა ოჯახის ერთწლოვანი სარეველა მცენარე; აქვს ყვითელი ყვავილები და გრძელი, წვრილი ნაყოფი; გვხვდება ეზოებში, გზისპირებსა და ნათესებში. ძეძვის ძირში ჯინჭარას უზარმაზარი ქარაბენძი იყო. ამას *გონგოლას* ეძახიან (ნ. კეცხ.). ამ პერიოდში ჰყვავის: ... *გონგოლა*, ცხრატყავა («საქ. ბუნ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. **გონგოლა**, გონგორა მოკრეფილ ვენახში აქა-იქ დარჩენილი მტევნები. *გონგოლაზე* (გონგორაზე) სიარული. რთველის დამთავრების შემდეგ ხელახლა დავლა ვენახში და დარჩენილი მტევნების შეგროვება. „მევენახე ისაა, ვინც დღედაღამ ვენახში ტრიალეფს და ყოველ ვაზ მშობელივით დაიგარგარეფს. ვინც მარტო *გონგოლაზე* მოქუჩებულ ყურძენ დაიწურამს, ი რა მევენახეა, იმი ღვინო არც კი დაილევა“ (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. II. გოგორა.

დიალექტ. III. **გონგოლაი** 1. იგივეა, რაც შაგონგლილ პარკ – იტყვიან აბრეშუმის პარკზე, როცა აბრეშუმის ჭია შეთელილ, სქელსა და უხარისხო პარკს აკეთებს. ე პარკ ფინთი, გონგოლაის (შეთელილია და უხარისხო). 2. გადატ. ცუდად, დაუდევრად, უშნოდ შეხვეული ან გამოხვეული რამ. ინსან (ადამიანი) თუ წევს ფართალში (ლოგინში), თავ-რამ (თავი ან რამ) არ უჩანს, გურგალი (მრგვალია), ფეყევიც მოუკუნტი, ჰემგე (ასეთ) დროზეც ამბოვენ – შაგონგლილ, *გონგოლაი* ქნილ (გამხდარა) (ინგ. ღამბ.).

გონდოლა:

ახ. ქართ. I. **გონდოლა** [იტალ. gondola] 1. ვენეციური ერთნიჩბიანი, ბრტყელძირა ნავი. არხებში ათასობით გლისერი და *გონდოლა* დაცურავს და ტვირთები გადააქვს (რ. ჯაფ.). და წყალში დგომით ფერწასულ სახლებს ხელში ეჭირათ *გონდოლის* ჩრდილი (ო. ჭილ.). 2. დირიჟაბლისა და მისთ. ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთათვის და ხელსაწყოებისათვის. ბურთს *გონდოლა* არ ჰქონდა, გარსზე მიაბეს თოკები და ზედ ხის ფიცარი საბავშვო საქანელას მსგავსად («ელექტრ. ბიბლ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. **გონდოლა** სრული ჩაფსკვნილი. „კაი *გონდოლა* ბიჭი იყო.“ „ისრეთი*გონდოლ-გონდოლა* ბიჭები ჰყამს, რო კაც შეგშურდება“. „კაი *გონდოლ-გონდოლა* მოზვრები მორეკა“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. გუნდა ბურთივით დამრგვალებული ცომი (თოვლი, მიწა...) – ქეგლი.

გონიო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **გონიო** ლითონის ან ხის სწორკუთხა სახაზავი, – მკუთხავი; იხმარება სადურგლო-საამშენებლო საქმეში სწორი კუთხეების გამოსაყვანად. ჟამთა სიავემ გამოხრა უღვთოდ ჩემი *გონიო* და საჭრეთელი (მ. აბულ.). სიკეთით დამუხტული ხელია, კალამი იქნება ეს, *გონიო* და სახაზავი, გარდასახვის მახვილი უნარი თუ კიდევ სხვა რამ ღირსება (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი. კალატოზის იარაღია: *გონიო* კუთხის დასაყენებლად (ქიზ. მრეწ. I, 49). **გონიოში გამოყვანა** გონიოთი გასწორება სწორკუთხოვნად გამოყვანა (ჯავახ. ბერ.). აგრეთვე გონია (აჭარ. მრეწ. IV, III, 232). || გვენია (მესხ. ფეიქრ.). || გონიაბური, გონიობური დურგლის იარაღი – მახვილკუთხიანი გონიო (ქართლ. ლექსიკ.); ამავე მნიშვნელობისაა გონებური (ქიზ. მენთ.). **გონიო** სადურგლო ხელსაწყო (სვან. ლიპარტ.).

შდრ. გონია არს თითბრისაგან ქმნილი იარაღი, ჟამსა სტანბის ასოებისათჳს სახმარი, რომელ პირველ ამაში ჩააწყობს ასოებს და დასწერს და მერე იმით პლაკში ჩასდებს დასაბეჭდავად“ – საბა, დ. ჩუბ.

აშკარაა, გონიო მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან gūnīâ (ბართაია 2010). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **გონიო** უპატრონო ადამიანი. ერთი *გონიო* ვინმეა! (ქართლ. სალ.).

გორ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გორი** 1. ბორცვი – საბა. და იყო ბრძოლა მახლობელად წყაროებისა, გუერდით კერძო გორსა (სინ. მრ. 273, 15). მოგრაგნეთ მთა და *გორია* (ვეფხ. 437, 4). პატარა კაცმა დიდი *გორი* გადაიარაო (ხალხ.). მერე სამთო ბილიკი *გორს* შეეკიდა (ვ. ჩეკურ.). ვიარეთ, ვიარეთ და.. ავედით წვრილიან *გორზე* (გ. ხორნ.). ◊ **გორის ცხვირი** წინწამოწეული გორი, წამოშვერილი კონცხი გორისა. მწყესებმა გატეხეს ხმა..., იქ, გადასახედში, *გორის ცხვირში* დაისვენესო (ვაჟა). *გორის ცხვირს* შემოუარეს და შუა ომში ისე შეცვივდნენ (ნ. შატ.). ◊ **გორის ფხა** „გორის ზურგი“ (ა. შან.) მზეც მიეფარა *გორის ფხას*, თან გაიყოლა სხივები (ვაჟა). *გორის ფხაზე* დაკიდულ მთვარეს დამშეული მგლები შეჰყმუიან (გ. ჩოხ.) – ქეგლი. 2. ყანის საზღვარი (გურ. ჟღ.). 3. მიცვალებულისთვის ამოჭრილი ადგილი. გორი - სამარეს რო მოდთხრიან, რომ კდარი ჩააწვინონი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). იხ. I. გორა.

დიალექტ. **II. გორი** (მოხ. გუდამაყრ.) გვარი. გახსოვდეს ვისი *გორისა* ხარ „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო“ (ა. ყაზბ.). აგრეთვე ქართ. დიალექტ., 560, 571. გორ გვარი. შენ გორ რაჲსა? (ინგ. ღამბ.).

გვარისგანაა მიღებული „გორი“ (ვისი გორისა ხარ) (ფუტკარაძე 2018). გვარ-სიტყვის შესახებ იხ. აგრეთვე: კლიმოვი 1964: 61, მგელაძე 2002: 117, ახუაშვილი 1994: 13, ჭყონია 1955: 83-84, ბითაძე 2019: 33.

სამ. ქართ., დიალექტ. **III. გორი** ზვინი, ბოლვა – დ. ჩუბ. ცხენ-კაცისა დავდგი *გორი* (ვეფხ. 467, 2). ნერსემი... ცხენ-კაცის გორი *დაყენა* (ნ. წულეისკ.).

შდრ. [სპარს. გორუჰ] გროვა, კრებული ჯგუფი, ერი (ხუბუა 1954: 180).

დიალექტ. **IV. გორი** (უმეტესად სალანძღვად იყენებენ) საფლავი. „მაგასაც ახლა *გორში* არ ჩაატანონ!“. „მაგი *გორზე* მაღლი ლეკვები მოვიდნენ“. **გორი-გორხანა** (სალანძღვად იყენებენ) სამარხი. „აუმაღლდეს გორი-გორხანა“ (ჯავახ. ზედგ., ბერ.). იხ. II. გორხანა.

გორა:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. გორა** 1. მთა; „მცირე ბორცვი“ (საბა); მრგვლად ამაღლებული ადგილი. „აღჴდა *გორასა* ერთსა“ (ქ. ცხ. 10, 11) – ილ. აბულ. მოვინადირეთ, მინდორი, ძირი მთისა და *გორისა* (ვეფხ. 477, 1). წყაროსთავის დასავლით წარსრული მცირე *გორანი* (ქ. ცხ. IV, 672, 1). დიდთა მთათა მცირე *გორა* არ შეესწორებაო (რუსუდ. 122, 18). ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა ირტოზის *გორითა* (დ. გურამ. 109, 326, 4). || მრგვლად ამღლებული ადგილი; მცირე მთა; დიდი ბორცვი. მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები *გორასა*, სიცივეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა (ხალხ.). გორის შუაგულში ამაღლებული იდგა ერთი განმარტოებული *გორა* (ი. გოგებ.). ზემოთ, *გორაზე*, სალოცავი დგას ხახმატის ჯვარი (გ. ჩოხ.) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. 2. სამზღვარი, სამანი (იმერ. ვ. ბერ.).

ქართულ-ზანური ხანისათვის აღდგება *გორი „მცირე მთა“ (გიგინეიშვილი 2016). იხ. აგრეთვე: კლიმოვი 1964: 64, მარი 1910: 136.

საშ. ქართ. II. გორა „სარწყავია, 16 დოქს შთაიტევს“ (საბა). შდრ. გორო ლეჩხ. საწყაო. ოთხი ბათმანი (ორი ფუთი) (ი. ჭყ.). ბატა გიორგობიანს წინასწარ, სესხის სახით ვაძლევ სამ ფუთ სიმინდს, ორ *გორო* ხორბალს, რვა კილო ლობიოს (ა. ყურ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *გორ- „ფილთაქვა“ → ქართ. გორ-ა || გორ-ო (ჩუხუა 2000-2003). გორო || გორა [შუმ. ღვინის და მარცვლის საწყაო ერთეული] მარცვლის საწყაო ლეჩხუმში, შეიცავდა დაახლოებით 32 კგ-ს (ჯ. შარაშ.) – ო. მიქ.

დიალექტ. III. გორა ზვინი, გროვა. ზოგან ყურძნის ხვავი მოჩანს, ზოგან დგება *გორად* ხილი (გ. აბაშ.). სხვენში – ... აქ სიმინდი იდგა *გორად*, იქ – გოგრები, ხარიხებზე კიდევ ხახვის გალები (რ. ინან.). მზევინარი ფურნეში გამოეგზავნათ, ორი დიდი *გორა* პური მოჰქონდა (ნ. წულეისკ.). ფიგურ. თითოეული ბიოგრაფია ხომ უმეტესად აუსრულებელი ოცნებების და სურვილების *გორაა* (თ. ფანჯ.) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ზედგ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. კვანძებს ყველა მპარსავი თავისთვის ცალკე *გორაში* აწყობს (ფშ. მრეწ. IV, I, 112). გორად ზმნს. გროვად. ვიყიდიდი უამრავ საზამთროს, ჩამოვიტანდი კახეთში... *გორად* დავაწყობდი (გ. დოჩ.). იხ. III. გორი.

გორალ-ი:

საშ. ქართ. I. გორალი თივის თოკი – საბა. *გორლითა* შეკვრა თავისა (ვეფხ. 257, 4). || გვარილი (დ. ჩუბ). || გვარალი «პურის შესაკონი, ულო» (ლეჩხ. ალავ.). || გვარლი (საბა). || კანაფის ან ფოლადის მავთულის ბაგირი – ქეგლი.

ახ. ქართ. II. გორალი: ამურის გორალი, ჩინური გორალი ან აღმოსავლური გორალი [ლათ. Naemorhedus caudatus] – წყვილჩლიქოსანი ძუძუმწოვარი. ბროხისებრთა ოჯახის *გორალი* არის ჯმუხი, თხის მსგავსი ცხოველი. მისი ბეწვი მონაცრისფროა, კისერსა და ხერხემალზე გასდევს შავი ზოლი. ორივე სქესის წარმომადგენელს აქვს მოკლე, უკან გადაღუნული რქები. გავრცელებულნი არიან სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის მთის ტყეებში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში (ხეილუნძიანი, გირინი), ასევე კორეის ნახევარკუნძულზე („ვიკიპ.“).

გორალა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. გორალა იგივეა, რაც გორაკი. წყაროს იქით ივლიანი *გორალა* (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე ფშ. ხორნ. იხ. I. გორა.

ახ. ქართ. II. გორალა გროვა. [რაჟდენა] ჭიანჭველის გორალას დააცქერდებოდა (გ. ლეონ.) – ქეგლი. იხ. III. გორი.

გორახა:

დიალექტ. **I. გორახა** (ჯორჯი, გუდ.) ნაცვერცალა (მთ., ფშ.) ცირცველი, ცერცვალა (სარეველა მცენარეა, პურს ერევა) – ა. შან. || (ხევს. გოროხა) – ალ. მაყ. შდრ. რუს. [горох] ბარდა.

დიალექტ. **II. გორახა** (მოხ.) შეკრული მიწა, (თუშ.) ნახნავში ამოვარდნილი მთლიანი მიწა – ა. შან. შდრ. გოროხი იგივეა, რაც უფრო მართებული გორახი. ერთერთ გოროხს დავწვდი და ვესროლე [ძაღლს], გოროხმა თავზე გადაუარა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. აგრეთვე მესხ. მაის. -ოხ- სუფიქსი, პოვნიერება ივარაუდება სიტყვაში გორ-ოხ-ი. შდრ. გორ-ი (მორფ. ლექსიკ. 1988).

გორგოლა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. გორგოლა** 1. პატარა ბორბალი. *გორგოლა* მოულოდნელად შეხტა ქვაზე... და... ღობის გასწვრივ გაგორდა (მ. ელიოზ.). 2. პატარა ბურთულა (ცვილისა, პურის გულისა...). სანთლის ორი თხილის გულის ტოლი *გორგოლა* გააკეთეს, აბრეშუმის წითელ ძაფზე აასხეს და ავადმყოფს გულზე ჩამოჰკიდეს (ნ. ლომ.). სულის კამარა აიტაცებს ხოლმე პაწაწა მიწის *გორგალს* (გ. წერეთ.) – ქეგლი. 3. ხის მრგვალი ნაჭერი, წელში ოდნავ გამოყვანილი. წისქვილის ქვის გადმოღებისას იყენებენ (რაჭ. კობახ.). || საგორავებელი, მრგვალი რკინის სალტე (ჯავახ. ბერ.). იხ. I. გოგორა.

აღდგენილია ს.-ქართვ. *გოგოლ- „ბორბალი, მრგვალი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1980: 202.

დიალექტ. **II. გორგოლა** ჯაჭვის ცალკეული რგოლი (მთ. კაიშ.).

მ. ჩუხუა გამოყოფს ს.-ქართვ. ძირს *გორგორ- „რგოლი; ბორბალი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ბუკია 2006: 152.

გორდა:

საშ., ახ. ქართ. **I. გორდა** ხმალია ერთგვარი – ნ. ჩუბ. – მოკლე (უვადო) ხმალი. დაჟანგებულხარ, *გორდაო*, დაგობებია ქარქაში, სადა გყავს შენი პატრონი, დაგაწყებინოს კაშკაში? (ვაჟა). აგერ მამაპაპეული *გორდა*, რამდენი ხანია ხელთ არ აუღია! (შ. დად.). კედლიდან სასოებით ჩამოღებულმა *გორდამ* ქარქაშიდან ამოანათა (ი. რურ.). ◊ **გორდა ხმალი** იგივეა, რაც გორდა. მე და შენ ხვალ გაგვასწოროს ხმალმა *გორდამ* (რ. ერისთ.) – ქეგლი. დაგვლივნა თურმანაულმა ჯურჯამა ვეფხვმა მწკლითაო, ჯირჩლამა ბაბურაულმა *გორდა* ფრანგული ჰმლითაო (ხევს. პოეზ. 182, 23) – ალ. ჭინჭ. გორდა ერთგვარი ხმალია/ა. შანიძე/ (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **II. გორდა** წელში მოხრილი კაცი (ლეჩხ. ალავ.). **გორდა** მოხრილი ზან. (მეგრ. ყიფშ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: გორდ-ა ფორმაში -ა მქონებლობის სუფიქსია. გორდა ამავე მნიშვნელობით გვაქვს ლეჩხუმურში, სადაც „ზურგჩაზნექილ კაცს" ნიშნავს (ალავიძე 1938: 244) და მეგრულიდანაა ნასესხები (ბუკია 2006: 97). ამ სიტყვის შესახებ იხ. აგრეთვე: ხუბუა 1945: 731; ფენრიხი, სარჯველაძე 1990.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. გორდა** 1. (ქართლ.) პატარა თაბახი, გობი. ცომს ვზელავთ გორდაზე («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. იმნ. 2. დიდი თაბახი. *გორდა* არი ხის დიდი თაბახი, პურსა ზელამენ (რუისი). *გორდა* არი ხისა, რგვალი, ღრმა თაბახი პურის გადასარკვევი, გული აქ ამოღებული (ნაბახტ., ქართლ. მესხ.). 3. ხეში ამოჭრილი მრგვალი გობი, გამოიყენება ცომის მოსაზელად (ჯავახ. ზედგ.). ცომსა ვზელამთ *გორდაზე* (ქართლ. მტკვრ. მრეწ. III, II, 146). შდრ. გვარდა კასრი (აჭარ. ნიჟ.). გვარდა, გვადრაკი, გვარდაკი ZAaBCa, გუარდაკი Ab, გვადრაკი CbqDE) (2 მეფე 13, 8) – საბა. გორდეული ყველის დიდ გუნდა, დიდი კვერეული. *გორდაზე* რო ყველს ამააყენებენ, ის არი გორდეული, დიდი კვერეული გამოდის (ერედ.). გორდეული ოსებმა იციან, დიდ ყველ ამააყენებენ ხომე (ქემ., ქართლ. ლექსიკ.).

გორილა:

ახ. ქართ. **I. გორილა** [ინგ. gorilla < აფრიკ.] ყველაზე დიდი მაიმუნი პრიმატების რიგისა; გავრცელებულია აფრიკაში. ფიგურ. მეთვალყურენი *გორილასავით* მიყურებენ («ლიტ. საქ.») – ქეგლი.

დიალექტ. **II. გორილა** 1. პატარა, მრგვალი სარიტუალო ნამცხვარი. [ენკენიაში] საწირი იყო თითო ქადა და „*გორილები*" – მრგვალი, პატარა პურები (ეთნ. რელიგ. 52, 832). გორილა იყო დაახლოებით ასი გრამის ცომისაგან გამომცხვარი მრგვალი პური (ეთნ. რელიგ. 7, 78) – ალ. ჭინჭ. 2. ბავშვების სათამაშო, მზეზე გამხმარი მიწის კვერი (მთ. კაიშ.).

დიალექტ. **III. გორილაი** 1. გორგოლაჭი, აკეთებენ ბავშვები ხის, კრამიტის ან ქვისაგან საგორავად და სათამაშოდ (მოხ. ქავთ.). ხის *გორილაცებ* ვაჯაბრიდით, ვისა უფრ შორის წავავ (თუშ. ცოც.). 2. კუჭურაც მანდილის ქვეშითა თავსახურავია. კუჭურა[ც]ს აქვს ნაწილები: გორილაცი, ბოძი ... (თუშ. მრეწ. III, I, 90). გორილაცი და ბოძები ამერიკისა არის, შიგნით მატყლითაა გაზეკილი (თუშ. მრეწ. III, I, 90). იხ. I. გორგოლა.

დიალექტ. **IV. გორილა** გორველა (ყანას რომ ერევა) – (თუშ. შან.). შდრ. გორველა [Vicia] სარველა მცენარის სახეობა. || ამ მცენარის მრგვალი და მუქი ფერის მარცვლები, რომლებიც ურევია ხოლმე ხორბლის, ქერისა და სხვათა მარცვლეულში – ქეგლი.

ს.-ქართვ. *როგუ- „ცერცვი" → ქართ. გორვ-ელ-ა (←*როგვ-ელ-ა) (ჩუხუა 2000-2003).

გორხანა:

დიალექტ. I. **გორხანა** გორხალა – მკვახე, მოუსვლელი ხილი. სუთლათ რო მოუსვლელია, სიმწიფისა რო არაფერი ეტყობა, *გორხანაი* ის არი (ატ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **გორხანა** სასაფლაო. სასაფლაოსაც ემახიან *გორხანასა* (მეჯვრ., ქართლ. ლექსიკ.).

სპარსული კომპოზიტი [gürxâna/e/], მცირე ფონეტიკური ცვლილებით (გურხანა → გორხანა), სპარსულიდან ჩანს შემოსული ქართულში (ბართაია 2010).

გოჯ-ი:

ძვ., სამ. ქართ., დიალექტ. I. **გოჯი** 1. „თითის ნახევარი“ – საბა. წუერი ხოლო თითისა მისისაჲ მოჰვარდა. ფრჩხილით აღმოუჭდა, რომელი უფროჲს ბუნებისა იყო მეორესა გოჯსა საშუალ ოდენ თითისა (კიმ. I, 318, 13). 2. მუხლი: „ვიდრემდე თქუენ ჰკელობდეთ ორთავე *გოჯითა* თქუენითა“ (III მფ. 18, 21). 3. მცენარის მუხლი: და ვითარცა იგი მარცუალსა იფქლისასა, გინა თუ სხუათა თესლთასა, არს ძალი გამოღებად თავისა, რომელი იხილვებინ სესტჯთურთ და გოჯებით ფურცლითურთ (კაც. აგებ. 217, 20). 4. მალა: აპკაჲ ესე ნივთი არს, რომელი აწოვებს ზჱთგან ვიდრე ქუჱდმდე, შემცველ მრავალთა მათ, რომელ არიან *გოჯნი* ზურგისანი (კაც. აგებ. 227, 4) – ლ. გელენ. 5. მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. [თაფლომ ქალს] ხან ყურები დაუსრისა, ხან *გოჯის* კოტოტი ნეკნებზე შემოჰკრა (ბ. ჩხ.). 6. იხმარებოდა სიგრძის საზომად (უდრის 3-4 სმ.). ყოველი *გოჯი*, ყოველი მტკაველი მიწის ზემოთ და მიწისქვეშ... იპოხება და იგლისება საგანგებო ცემენტით (გ. სანადირ.); ფეხდაუდგამი *გოჯი* აღარ დაგვრჩენია მიწისა (თ. ბექ.) – ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. II, II: ერწ.-თიან. 55; შ.-კახ., 37; ქვ.-იმერ. 179; ლეჩხ. 207, 208. **გოჯი** ზან. (მეგრ. ქობ.); **გრჯ, გოჯ, გრჯა** (სვან. თოფ., ქალდ.). მნიშვნელობის ევოლუცია ასეთია: ნაწევარი ანუ სეგმენტი რისამე (ხერხემლის, ხელის, ფეხის, მცენარის) > თითის ერთი ნაწილი > ცერის ნაწილი. სიგრძის საზომი ერთეული – ბ. გიგინ. შდრ. **გოჯეული** ესე არს ორთავე ცერთ გოჯები შეყრით სიგრძეზედ. გოჯი თითი ნაწევარი გოჯითა უკანა კერძი მუკლთა სადრეკისა, რომელთა ზედა მოდრკების და გაემართების ფერჯი – საბა. **გოჯული** გოჯი. ჴელსა შინა კაცისასა ლელწამი ზომით წყრთათა ექუსთაჲ წყრთითა და *გოჯულით* [ეზეკიელ. 40, 5 გელ.] – ზ. სარჯ.

სამ. ქართ. II. **გოჯი** ცუდი. || ნაწლევსა შინა თუ მღიერი იყოს, ან სხუა *გოჯი* სენი, მას უშუელოს (ფანასკ. 431, 36). შდრ. გონჯი, ცუდი, უშვერი, ავი. აშფოთდენ ქარნი. და თუ დაიფანჩოს სრულად ტანშიგან, მაშინ დაბუელდეს და გამოჩნდეს მისგან *გონჯი* (ფანასკ. 240, 5). გონჯი ([ფის] E.) ჯორც–დარღვეული ZABCD. გონჯობა მუწუკია, განრღვეულ თუ დაშლილი, ვერ გავარჩიე, თქვენ ეცადეთ – საბა.

ახ. ქართ. III. **გოჯი** არის მარადმწვანე ბუჩქი. ბუჩქის სამშობლო არის ტიბეტი. გოჯი-ბერი ძაღლყურძენასებრთა ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი მცირე ზომის ბუჩქოვანი მცენარეა („აგრო.").

გოჯა:

ახ. ქართ. I. **გოჯა** იგივეა, რაც გოჯი – მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე; გოჯის სიგრძისა. ღვეზელი – ეს დიდი ხაჭაპურია... სამი-ოთხი *გოჯა* სისქით (დ. კლდ.). ტოტი რომ შევაჭერი, ქვევით *გოჯა* ჯღა დავუტოვე (ო. იოს.) – ქეგლი. აგრეთვე ქვ.-იმერ. მრეწ. II, 11, 183. **გრჯ, გოჯ გრჯა**, გოჯი (სვან. თოფ., ქალდ.). იხ. I. გოჯი.

დიალექტ. II. **გოჯა ბალახი** ბალახოვანი მცენარე- წიწვოვანი ფოთლებით (აჭარ. ნიჟ.). იხ. III. გოჯი.

საშ. ქართ. III. **გოჯა** თევზია, ზუთხა ღორი (დ. ჩუბ.). შდრ. გოჭა, კობრი, თევზია (დ. ჩუბ.). გოჭი (გოჯი BCbqDE, გოჯ Ca.) (ოთხფ.) ღორის შვილი – საბა.

დიალექტ. IV. **გოჯა** გოზა. „მასწია შვინდსა, ისარსა, *გოჯა გოჯაზე* დგებოდა" (მოხ. ქავთ.). აქვე გოჯა < გოზა «მშვილდის მწვერვალი» (საბა). „შვინდს (მშვილდს) მასწევს, გოზა ჭიჭინებს, ვაჰ დედას მთრეხელისასა" (ხალხ.) – ქეგლი.

საშ. ქართ. V. **გოჯა** ქოთანი [თურქ.] ქოჯა ZAaBCab, გოჯა CqDE – საბა.

გოჯილა:

ახ. ქართ. I. **გოჯილა** ჯუჯა ადამიანი, გნომი. მაყვლის ტოტებზე ჩამოკიდებული *გოჯილები* დარწმუნდნენ, რომ წარღვნა არ იყო (რ. ინან.). ამ ტომის *გოჯილები*, აი, უკვე მესამე ათასწლეული მიდის, სხედან (ს. დემურხ.) – ქეგლი. შდრ. I. გოჯი.

დიალექტ. II. **გოჯილა** ბავშვების სათამაშო ხუხულა. აგებენ სიმინდის ნაქურჩალისაგან (რაჭ. კობახ.). „ნემეტანი დიდი თოული მევიდა წროულს, ვერ დავთოლე სახლი ქალმა და ქე ჩამეინგრა ოჯახი *გოჯილასავეთ*" (საჩ. შარაშ.). გოჯოლა სიმინდის ნაქუჩებისაგან გაკეთებული ბავშვების სათამაშო სახლი (იმერ. ჯაჯან.). აგრეთვე გოჯიალა, კოშიალა (ლეჩხ. ალავ.). საბასეული და იმერული გოჯილა, რაჭულ-ლეჩხუმური გოჯიალა და სვანური გოჯ ბავშვების სათამაშო სახლს (ხუხულას) ეწოდება (ალავიძე 1959: 180).

გრიფ-ი:

ახ. ქართ. I. **გრიფი** [ფრანგ. gryps < ლათ. gryphus] – 1. ანტიკურ მითოლოგიაში: ფანტასტიკური ცხოველი; აქვს ლომის ტანი, არწივის ფრთები და არწივის ან ლომის თავი; ლომარწივი. 2. სვავი. საქართველოში 6 სახეობის არწივი გვხვდება... მათში ყველაზე დიდები არიან კონდო-

რები, *გრიფები*, ბერკუტები, რომლებიც 50 წელს ცოცხლობენ ბუნებაში («ას.-დას.») – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **გრიფი** [გერმ. Griff] სიმებიანი საკრავის ყელზე სიგრძივ დაკრული (დანაყოფებიანი) ფირფიტა, რომელზედაც თითებით აჭერენ მის გაყოლებაზე გაჭიმულ სიმებს ხმის სიმაღლის შესაცვლელად შემოვიდა გიტარის *გრიფზე* გადაჭიმულ სიმებზე აკენკილი ბგერებით (გ. გეგეშ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. III. **გრიფი** [ფრანგ. Griffe] 1. ბეჭედი, შტემპელი თანამდებობის პირის ხელმოწერით; ასეთი ხელმოწერის ანაბეჭდი. 2. რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების, როგორც ამა თუ იმ გამოცემაზე პასუხისმგებლის, ოფიციალური დასახელება ამ გამოცემაზე. იგი გამოდის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის *გრიფით* («ლიტ. საქ.»). **გრიფის მინიჭება** ამა თუ იმ დაწესებულების მიერ რაიმე გამოცემისათვის საკუთარი სახელწოდების დაწერის უფლების მიცემა. ექსპერტების შეფასებები წარმოადგენენ... *გრიფის* მინიჭებისა და *გრიფის* მინიჭებაზე უარის თქმის დროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს («პარლ.»). **გრიფის მოხსნა** ამა თუ იმ დოკუმენტის საჯარო გავრცელების აკრძალვის გაუქმება. იგი წერილობით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს ამ ინფორმაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოების *გრიფის* მოხსნის მოთხოვნით («პარლ.») – ქეგლი.

ახ. ქართ. IV. **გრიფი** [ფრანგ. griffe] ჭიდაობაში – მოწინააღმდეგისათვის ხელის გაკავება – ქეგლი ახ. რედ.

გროტ-ი:

ახ. ქართ. I. **გროტი** [ფრანგ. Grotte] გამოქვაბული ზღვის ფლატოვან ნაპირზე, აგრეთვე გამოქვაბულის მსგავსი ხელოვნური ნაგებობა (ჩვეულებრივ, ბაღებში, პარკებში): ეხი – მ. ჭაბ. ეკლესიის ქვემ არის რამდენიმე *გროტი* (მცირე გამოქვაბული, მღვიმე) («მედია») – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **გროტი** [ჰოლანდ. Groot] ქვედა სწორი იალქანი *გროტ*-ანძაზე. გროტ-ანძა – იალქნიანი გემის ყველაზე მაღალი (ცხვირიდან მეორე) ანძა. მაგარ ღელვაში *გროტი* მოწყდა და გემის მთელი აღკაზმულობა მოწყვიტა (ვ. ჭელ. თარგმ.) – ქეგლი.

გუგა:

მვ., სამ., ახ. ქართ. I. **გუგა** «თვალის ბაია» (საბა): „დაიცვა იგი ვითარცა *გუგაჲ* თუალისაჲ“ (G, II, შჯ. 32, 10); „წარუგდო *გუგაჲ* ერთი თუალისა მისისაჲ“ (ფლკტ. 133, 18); „ნუმცა დაბრმდებიან *გუგანი* თუალთა ჩუენთანი“ (რიფს. 164, 24) – ილ. აბულ. მიმოავლნა *გუგანი* სახედველთანი (ქ. ცხ. II, 28, 24). თვალის *გუგა* მოწითანო, კილოთა და ქუთუთოთა მღიერი და ქავილი (ქანან. 8, 14). || თვალის ფერად გარსში მოქცეული მრგვალი ხვრე-

ლი, საიდანაც შედის სინათლე, – თვალისჩინი, ბაია. [ექიმმა] დიდხანს და დაკვირვებით ათვალიერა ქუთუთოები, საწამწამე კიდე, გარსი, *გუგა* (ჯ. მეხრ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *გუგ- „გული, გუგა“ > ქართ. გუგ-ა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. *გუგაყრ* თოკინა. ბალღობას ისთაყ *გუგაყების* კეთება ვიცოდიდი-დ ჲახლ კი აღარ მაჴსონს; გუგაყობაჲ (გუგაყობს) თოკინებით თამაში. სარაანთ კედლოს გუგაყობენ ჩვენ ქალაყებრ (თუშ. ცოც.). შდრ. გუგოჲ ჩვილი ბავშვი (ბავშვის ენაზე). მე უთხარ, ალბათავ, *გუგოს* გაჩენად თურ წავიდავ (თუშ. ცოც.). ლ. ბრეგაძე შენიშნავს, რომ თუშურ დიალექტში, ბაია სიტყვის მსგავსად „გუგასაც“ ორი მნიშვნელობა ჰქონია – თვალის სამზერ ხვრელთან ერთად თოკინასაც ნიშნავს (ბრეგაძე 2011 ელექტრ.). იხ. I. გოგო. შდრ. I. ბაო.

გუგულ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. *გუგული* 1. მფრ. – ნ. ჩუბ. გუგული ტყის ფრინველი; ბუდეს არ იშენებს, კვერცხებს სხვა ფრინველებს უწყობს ბუდეში; არსებობს მისი ორასზე მეტი სახეობა. სოფელშიც ვიცოდი, რომ *გუგული* ბუდეს არ იკეთებდა და სხვის ბუდეში დებდა კვერცხებს (აკაკი). იქ *გუგული* შემომჯდარა გამარტოებულ იფნის ტოტზე (ი. გოგებ.). საბძელიდანაც ერთბაშად წამომეშალნენ: ქედანი, მტრედი, გვრიტი, შაშვი, შოშია, ჩხიკვი, ყაჯარა, ბეღურა, ოფოფი, *გუგული*, ბულბული, ნიბლია (მ. ელიოზ.). ფიგურ. თქვენ ხართ ჩემი შვილები, ჩემი *გუგულები* ხართ თქვენ... ლამაზები, კარგები, თავისუფლები (ლ. ბუღ.) – ქეგლი. 2. წყნარი, მშვიდი (ბავშვი). 3. ვინც სხვას უკეთებს საქმეს, თავისთვის კი არ ცდილობს. 4. გუგულის ბარტყი – სხვა ჯგუფში შემძვრალი ადამიანი, ვინს იმ ჯგუფს კარგს არ უქადის – გ. გვანც.

ამ სიტყვაში, ქართველურ ენებთან შედარების გზით, არნ. ჩიქობავა გამოყოფს გუგ- ძირს; -ულ დეტერმინატი -სუფიქსია; ძირეული გუგ ხმის მიბაძვითი მასალა ჩანს (ჩიქობავა 1938).

დიალექტ II. გუგული გუგულისკაბა (ზ.-რაჭ. მაყ.). შდრ. გუგულისკაბა ტყეებში გავრცელებული ბალახოვანი მცენარე ჯადვარისებრთა ოჯახისა; აქვს წითელი წინწკლებიანი ფოთლები და ლამაზი მოწითალო ყვავილები – ქეგლი.

გუგუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. გუგუმი წვეთი, ცვარი. ნიავმა სუნთქვა დაიწყო, ფოთოლმა შექმნა ფრიალი და მზისა შუქზე ნამისა *გუგუმმა* იალციალი! (ბაჩ.). და თუმცა თვალზე ისევ ბრწყინავს ცრემლის *გუგუმი* (თ. ბაბაღ. თარგმ.). ხელთ ავსებული კონჩხა მაქვს, შიგ მიდგას ცრემლის *გუგუმი* (ალ. არაბ.) – ქეგლი. || „ბალახის ფოთლებზე დაკიდებული ცვარი“ /ა. შანიძე/. „ოფლის *გუგუმნი* სცვივიანო“ (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. II. **გუგუმი** (თურქ. gügüm) სურა, კოკა, კუმკუმა (ვერცხლის კუტალი). „ღელე-ღელე შევიარე, ვერ ავამსე *გუგუმი*; ჩემ ნიშანლის აცვია თეთრიანი ზუბუნი“ (იმ.); *„გუგუმით* თაფლი გამომიგზავნა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). ადრეებზე ყველა ოჯახში იყო *გუგუმი*, ახლა თითო-ოროლას თუ ეძებება შემორჩენილი (მესხ. ფეიქრ.). აგრეთვე: ჯავახ. მარტ., ჯავახ. ზედგ., გურ. ჯაჯან., აჭარ. ნიჟ., ნიგ. ბერ. **გუგუმი** სპილენძის დოქი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. III. **გუგუმი** მცენარეა, – ნემსიწვერა (ა. კ., მოხ. ქავთ.). გუგუმი, ღუღუნა (მოხ. ა. მაყ.).

გუგუმა:

ბუ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **გუგუმა** ბუ. და კუთხ. «დიდრონი ღილები» (საბა); ლითონის (ჩვეულებისამებრ, ვერცხლის) მსხვილი მძივი. გუგუმიანი კუთხ. რასაც *გუგუმა* აქვს. შეიტყო, გამომიგზავნე საყურე *გუგუმიანი* (ხალხ.) – ქეგლი. || გუგუმაჲი ღილი, ფოლაქი. „დეცი, ლამაზ *გუგუმაჲი* დავკარგი“ (თუშ. ხუბ.). *გუგუმაჲის* დაჯდომა არაყით სავსე ჭურჭლის ზედაპირზე ჯაჭვისებური წრე რომ გაკეთდება (თუშ. ხუბ., ცოც.). შდრ. II. გუგუმი.

დიალექტ. II. **გუგუმაჲ** ქართული ნემსიწვერა (აჭარ. ნიჟ.). იხ. III. გუგუმი.

გუგუნ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **გუგუნი** 1. ცეცხლის ჴმა(ა) – საბა. || ხმა ცეცხლის ნთებისა ან შორიდამ ბგერისა – ნ. ჩუბ. || იგივეა, რაც გიზგიზი, გუზგუზი. მაგდანამ გააჩაღა ცეცხლი, საახალწლო კუნძმა ტკბილად დაიწყო *გუგუნი* (შ. არაგვ.). ღუმელმა *გუგუნი* დაიწყო (რ. ინან.) – ქეგლი. 2. ყრუ, გაბმული გრიალი, გრგვინვა. დილიდან საღამომდის ისმოდა სოფელში ტრაქტორის *გუგუნი* (მიხ. მრევლ.). მოტორის *გუგუნი* გარკვევით ისმოდა სადღაც შორს (გ. გეგეშ.). თავქვე დაშვებას აპირებდა და თვითმფრინავების *გუგუნმა* შეაჩერა (ა. სულაკ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. გადატ. **გუგუნი: ზუზუნ-გუგუნი** ამყოლ-დამყოლი, ამფსონი. „განა ცოტა *ზუზუნ-გუგუნები* ჰყავს“ (თვალად. შატბ.).

დიალექტ. III. **გუგუმი** || **გუგუნი** [თურქ.] თუნგი წყლის ჭურჭელი სპილენძისა, ჩაისაც ადუღებენ (ჯავახ. ბერ.). იხ. II. გუგუმი.

გუდუნა:

ახ. ქართ. I. **გუდუნა** 1. (მობევ.) ნაცარში გამომცხვარი პატარა კვერი ქერისა. [ხაზუას] გაეშალა ხონჩა, რომელზედაც ეწყო ნაცარში გამომცხვარი ხმელი ქერის პური *(გუდუნა)* (ა. ყაზბ.) – ქეგლი. || ცივწყალში მოზელილი და უხაშოდ გამომცხვარი წვრილი ქერის კვერი [მსხვილი იქნება

ქარჯინაი) „ოსურია, არაა ჩვენიო“ (მოხ.) [ოს. გუდუნ, გუდგნ – დიდი პური] გუდუნა – ა. შან; 2. მჭადის ფქვილის ხმიადი (მთ. კაიშ.).

დიალექტ. II. **გუდუნა** ძალიან პატარა გუდა. გუდუნა სიტყვა „გუდა“-ს კნინობითი ფორმაა (რაჭ. ძიძიგ.). **გუდა ტიკი** ზან. (ლაზ. კალანდ.). **გუდრა, გუიდრა** გუდა (სვან. თოფ., ქალდ.). გუდა > გუდ-უნ-ა. -უნა- კნინობითობის სუფიქსი.

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *გუდა „გუდა, გიდელი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: ჩიქობავა 1938, კლიმოვი 1964: 66, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. III. **გუდუნა** მხრით ჩამოტანილი ტვირთი ფიჩხისა (მთ. შან.). გუდუნა ხმელი შეშის ერთი კონა (მთ. კაიშ.). შდრ. გუდურა ერთი იღლია შეშა – დ. ჩუბ. || ერთი შეკვრა (ერთი წამოკიდება) წვრილი შეშა, ფიჩხი – ქეგლი. **გუდური** ერთი მხარი შეშა. მხარზე შესადები შეშის კონა ზან. (მეგრ. ელ.).

გულა:

საშ., ახ. ქართ. I. **გულა** «თოფის ტყვია» – დ. ჩუბ. || (თათრ.) ტყვია, ყუმბარა. ამბობენ: წამო, წამო სახლში, აქ *გულასავით* გაცივდებიო. „მერე შენ რომ *გულას* გააგდებ, მე შემეშინდება (ჟურნ. „ზურნა“). და ელვარებს ყარაბინი და სრიალით მიდის *გულა* (ი. გრიშ.).

ახ. ქართ. II. **გულა** დარგ. (იმერ. გურ.) წისქვილის ქვის შუაგულში ამოჭრილი ადგილი, რომელშიც ხვიმირიდან მარცვლები იყრება – ქეგლი. შდრ. გულე [თურქ.] ღერძი. „ბორბალი ბრუნავს გულეზე“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: ზ.-იმერ. ბოწ., ოკრიბ. ალავ.

გული > გულა. -ა კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსი. შდრ. გაორკეცებული ფუძე გუგულა დარგ. (იმერ. ლეჩხ.) იგივეა, რაც გულა. მარცვალი... ქვის გუგულადან... ხოპეში გადაეშვებოდა ჩხრიალ-ჩხრიალით («ცისკ.») – ქეგლი .

გულბა:

დიალექტ. I. **გულბა**: სადაც რო გოლია, წყალს რო დააგუბებენ, იმას აქს ჩიჩინატელა, ერთ ჯრელა, იქით გომოოშობენ, იმასა ჰქიან *გულბა* (მარტყ.); აქვე გულბანა (დაშქ., ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. გოლბაში (თურქ.) ტბის სათავე, ტბის მკვებავი მდინარე. „ამ გრლსა გრლბაში არ აქ, წყალი ჰიდან მოდის, ჰა მიდის, არ ჩანს“ (მ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **გულბაი** ცერცველა, ფიგი (ინგ. მაყ.). შდრ. II. გულბანდი.

გულბანდ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **გულბანდი** სენია ცხოვართა – საბა. გულბანდი ცხვრისა, ღორ(ფეხის (ხბო, კრავი) დაავადება, იცის კუჭის ჭარბი აშლილობაც და შეკრულობაც (ჯავახ. ზედგ., ბერ.). „სიცხე აქუ ცხორს, გულ-

ზე დეეხვევა რამე და *გულბანდი* არის. *გულბანდი* ნაბარევზე მოსდევს" (გუდამაყ. მრეწ. IV, I, 146).

დიალექტ. II. **გულბანდი** (Valeriana) კატაბალახა (თუშ. ხუბ.). გულბანდის წამალი ბალახმცენარა (ფშ. ბორნ., ხევს. ჭინჭ.). ღორღოანაც *გულბანდითა* სამსვიაცი, სუ იქ ვსთხრით (თუშ. ცოც.). ავადმყოფ ბატკანს *გულბანდს* (ბალახია) აჭმევენ (თუშ. მრეწ. IV, I, 88).

გულბანდი (კატაბალახა), ვალერიანასთან არის დაკავშირებული და ამიტომაც „გულია" ნახსენები. ბანდი ნიშნავს უხმარ ტილოს (ნ. ჩუბ.) – ზ. მაყ.

დიალექტ. III. **გულბანდი** გულმკერდი. „ჩემ სიფასი *გულბანდი*, ფაციავ, შენი ყურბანდი" (იმ.); „*გულბანდში* მეჭედება თელი დღეა, შეცივნული ვარ" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: გურ. შარაშ., კიწმ.; ხევს. ჭინჭ. **გუბანდ** პირუტყვის გულ-ღვიძლის არე (სვან. თოფ., ქალდ.). **გუბანდ** დიაფრაგმა, გულ-მკერდის და მუცლის ღრუების გამყოფი ძგიდე (სვან. ლიპარტ.).

დიალექტ. IV. **გულბანდი** გუმბათი (იმერ. გაჩ.). სამრეკლო, ევიდა, *გულბანდში* დეიმალა ე დიდარე კაცი (პერევი). ზედა საქარაში არის ეკლესია, რომელსაც ეძახიან *გულბათიანის* ეკლესიას (შროშა, ზ.-იმერ. ძოწ.). *გულბანდი* ხის სახლის ამაღლებული ჭერი (იმერ.მრეწ. I, 277). ქურა იხურება *გულბანდით* (წრისებური თაღი) (ლეჩხ. მრეწ. II, I, 214). **გუბან̃დ, გუბანდ** სვანური სახლის ზედა ნაწილი ან ამავე სახლზე მიდგმული შენობა საზაფხულო საცხოვრებლად (სვან. თოფ., ქალდ.). **გუმბან̃დ გუმბან̃თ** გუმბათი (სვან. თოფ., ქალდ.).

გულბანდი < გულბათი < გუმბათი „კამარა მაღალი, თურქთ ენით: მზისდასავალი" – საბა. გუმბათი [სპარს.] კამარა მაღალი და მრგვალი შეკრული ეკკლესიაზედ – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. V. **გულბანდი** ვარდის წყლის სურა – დ. ჩუბ. შდრ. გულაბდანი მინის ჭურჭელი მინის სურა, შუშა. რაც სურნელი იქნება, ყოვლი სურნელი სხვადასხვა რიგის *გულაბდნებით*, ქუზებით, კოლოფებითა თავ-თავის რიგით ასე ჩამოვიდის და ავიდის, რომ ვერა შევიტყევით რა, რაგვარ მორთული იყო (რუსუდ. 218, 33).

გულგულა:

ახ. ქართ. I. **გულგულა** გული, თესლი (ხილისა). კომშს ასუფთავებენ, *გულგულას* აცლიან, ნაწილებად ჭრიან და ნახევარი საათით ცივ წყალში ათავსებენ («სოფ. ცხ.») – ქეგლი. შდრ. გულგული შუაგული – საბა.

გაორკეცებულია გულ- ფუძე. "გულ-არქეტიპი ქართველურ ენათა ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **გულგულაი** ნიუკა, მცენარეა (აჭარ. მაყ.).

გურგულა:

დიალექტ. **I. გურგულა** პურის გული (ფშ. რაზიკ., ჰყ.). შდრ. I. გულ-გულა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. გურგურა, გურგულა** საუბ. მოგურგურე. ხმა აღიმაღლა გუნდმა, ამღერდა ძალუმი ჰანგი რისხვის, მძლეთამძლე, *გურ-გულა* ზეცის (ე. ბერძ.) – ქეგლი. || გრგვინვა, ქუხილი (გურ. შარაშ.). შდრ. გურგული ქუხილი, გრგვინვა (გურ. ნიკოლ.). **გურგული** ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. I. გურგური.

გურგურ-ი:

დიალექტ. **I. გურგური** ალერსი, მოფერება, მოსიყვარულება. „შენი ვერაფერი გამიგია, ხან ეგრე *დამგურგურეფ* მაგ ბიჭ, ხან კი წყევლით იკლეფ“ (გ.-კახ. სახლთხ.). „ბროხას მოწველიხან *გურგური*, მიმღერება უნდა, რომ ბე ჩამეიყაროს“ (აჭარ. ფუტკ.). შდრ. გურგული ალერსი, ფერება (ქიზ. მენთ.).

ამოსავალი ფუძე გაორმაგებული ძირებისაგან შედგება: გურ-გულ || *გურ-გუნ → *გურ-კუნ → გრ-კვინ. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამოსავალი იყოს *გურ-გუნ ფუძის ყრუ მკვეთრი ვარიანტი *კურ-კუნ (შდრ. კურკური – ჩუმი ლაპარაკი, ჩურჩული; ტკბილად, ალერსით, ხმადაბლა ლაპარაკი მოარშიყეთა) (ერთელიშვილი 1970: 247).

ახ ქართ., დიალექტ. **II. გურგური** 1. ხმაური, გიზგიზი (ალისა, ცეცხლისა). სოფლის ნაპირი. სამჭედლო... უროს გუგუნი, *გურგური* და ნაკვერცხალი ფიცხი (მ. ჯგუბ.). ქარმან ქროლა, ალმან შექნა აწ *გურგური* (დ. გურამ.). *გურგურით* ზმნს. ნელი, ყრუ გუგუნით; გიზგიზით. დგას არსაქომი, სად ყუბანი *გურგურით* ჩარბის (მ. ფოცხ.). ფიგური. შემაყვარე, სანამ გულში ვნება იწვის *გურგურით* (ტ. მებურ.) – ქეგლი. 2. **გურგურ ქუხილი**. გურგურთან ერთა ომოდის სოკოტ. გურგურ დეგეცას წყევ. მეხი დაგეცეს (ინგ. როსტ.).

დიალექტ. **III. გურგური** მტვერსაწმენდი ჯაგრისი (მექანიკური). *„გურგური* ევლე დღესა“ (იმ.); „გურგურსა ჯერიანი არ უნდა, ხელით ვასაქმეფთ, ხალებ ვასუფთებთ ამითა“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

დ

დაბაღ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. დაბაღი** [თურქ.]დაბაღი ტყავის მოქმედი – მეპრატაკე (საბა). **დაბაღი** [ʼარაბ. გაბბაღʼ] ტყავის გამომყვანი, ტყავის დამმუშავებელი. *დაბაღები* თავისი საქმით იყვნენ გართული (კ. არს.). ქუჩის ორივ მხარეს დუქნები იყო ჩამწკრივებული, სადაც *დაბაღები* ტყავს თრიმლავდნენ (გ. გეგ.) – ქეგლი. **დაბაღჩიი** [აზერ.] მეტყავე. ტყავ დანამუშიევ კაც *დაბაღჩიის* (ტყავის დამმუშავებელი კაცი მეტყავეა) (ინგ. ღამბ.).

დაბაღი არაბული სიტყვაა (შდრ. არაბ. dabbāg, მეტყავე) ქართულში შემოსულია ახალი სომხურიდან (შდრ. სომხ. dabay „მეტყავე") (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. დაბაღ** [აზერ.] თურქული (რქოსანი საქონლის დაავადება). *დაბაღ* ზროხას ცივში ეყრევისყ (სიცივეში ემართება) (ინგ. ღამბ.). დაბაღი < დამაღი ცხენის ავადმყოფობაა ერთგვარი. (ცხენის) დასივებული მაგარი სასა – ქეგლი.

დადა:

საშ. ქართ. დიალექტ. **I. დადა** კნინ. ბაბუა, პაპა მესხურად – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. დადა** «ჭკვიანი, დალაგებული, დამჯდარი კაცი» (ი. გრიშ.) – ქეგლი.

დადა, გარკვეული ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებით, მომდინარეობს სპარსული რთული სიტყვიდან [დადდეჰ]. ფონეტიკური პროცესი ასეთი ჩანს: დადდეჰ → დადეჰ → დადე → დადა (ბართაია 2010).

დიალექტ. **III. დადა** დედა (კირიონი).

ქართველური არქეტიპი ამ სიტყვისა აღდგება *დედა ფორმის სახით (კლიმოვი 1964) – ბ. გიგინ.

ახ. ქართ. **IV. დადა** ხელოვნ. იგივეა, რაც დადაიზმი [ფრანგ. dadaïsme < დადა სათამაშო ცხენი. – გადატ. უაზრო, ბავშვური ტიტინი] დეკადენტური, ფორმალისტური მიმდინარეობა ლიტერატურაში, მხატვრობაში – ქეგლი. თვლიან რომ ის (= ტ. ტაბიძე) მხოლოდ სულიერმა კრიზისმა მიიყვანა *დადამდე* („ლიტერ."). მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „*დადა*" (ტ. ტაბ.). *დადა* სუბიექტური ცხოველია (გ. ცეცხლ.) – ქეგლი ახ. რედ.

დიალექტ. **დადაი** მწუხარების, დანანების გამომხატველი წამოძახილი – ვაჰ, დედასა, ვაი დედასა. „*დადაი, როგორი მოუსვენარი ბალღია!*" აქვე **ადაი-დადაი** მწუხარების გამომხატველი შორისდებული: მოტირალნი მიცვალებულს ირგვლივ უვლიან ხმამაღალი შეძახილით და გარკვეული მოქმედებით: ადაის იტყვიან და ხელებს თავზე შემოირტყამენ, *დადაის* დროს – მუხლის თავებზე ჩამოიწყობენ (მოხ. ქავთ.). *დადადაი!* შეშფოთების, შეშინების გამომხატველი შორისდებული (ხევს. ჭინჭ.). შდრ. დადანი 1. მითქმა-მოთქმა, გაკილვა. 2. მოჩხუბარი ადამიანის გაუთავებელი ლაპარაკი (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.).

დავა:

საშ., ახ. ქართ. **I. დავა** 1. [არაბ.– თურქ.] დავა, საჩივარი. დავა ბრძოლასაცა ჰქვიან, შფოთსაც და საჩივარსაც (თ., დ. ბაგრატ.). უზემდიან ზოგნი *დავსა* (ვახტ. VI, 112, 204). მათი *დავები* და ლაპარაკი ბევრი რამ იყო (სამ. IV, 155, 19). ყველამ იცოდეთ, რომ მამაცობის *დავასა* ვწევ (ყარამ. 305, 14). ნიანგთ დამთხოვი *დავისა* (ნ. ციც. 724, 2). || საჩივარი (ჩვეულებრივ სასამართლოში). „რაკი ერთხელვე დავმოყვრდებით, ყოველივე *დავა* და საჩივრები ჩვენ შორის უნდა მოისპოს“ (გ. წერეთ.). მარკოზა აშკარად წამებულ მდგომარეობაშიც კი *დავას* უცხადებდა პეტროვიჩს (გ. ციც.). || კამათი, პაექრობა (სიტყვიერი ან წერილობითი – თავისი აზრის, სიმართლის დასაცავად). „*დავა* ჰქონდათ იმაზე, თუ ვის მიეხედა კარ-მიდამოსათვის“ (ს. შანშ.) – ქეგლი. **დაავაი, დაჰვაი, დაჰავაი** [აზერ. დავა] (ინგ. ღამბ.). **დავა** [არაბ.-თურქ.] დავა საჩივარი ზან. (ლაზ. თანდ.).

გ. წერეთლის აზრი, სიტყვა შემოსულია არაბულიდან [შდრ. არაბ. da'vat] „სარჩელი“ (გ. წერეთელი 1951: 72). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **II. დავა** დუდუკის ჰანგი. სპარსეთიდან რომ ქარავანი მოდიოდა, აქლემი სიცხის გამო მწყურვალი დაწვებოდა. ჩალვადარი ამოიღებდა სალამურს, უკრავდა და ეხვეწებოდა ადგომას (ი. გრიშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. დავა** 1. დადის, მიდი-მოდის. „დედეი ჲაშლია, ეზოში ზლივ დავა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „...ძალი საქმეზე *დავა* და... საქმეზე *დავა*, ათი წელია საქმეზეა“ (ბაზგ.); „არაბები ქი *დავა*“ (ხოხ., შავშ.ლექსიკ). 2. უფრო დაბალ დონეს მიაღწევს, – დაიწევს; ჩავა, (ძირამდე) მივა. ტემპერატურა *დავა* სამ გრადუსამდე. – ღვინო რომ თხლეზე *დავა*, მაშინ გაგემრიელდებაო (ანდაზა). მესამე ჭიქა ნახევრამდე დავიდოდა თუ არა, ჩემი ბატონი საუბარს თავის თავთან განაგრძობდა (ჭ. ამირეჯ.). 3. დაეტევა, მოთავდება. ხეც ამასა ჰქვია, ... ოც მანქანაზე არ *დავა*! (კ. კობ.). «[ხეები] ბევრია?» – «ორ მანქანაზე *დავა*» (კ. კობ.) – ქეგლი. შდრ. II. გავა.

დავილ-ი:

დიალექტ. **I. დავილი** დავა, ჩხუბი. „მასე იცი *დავილი* შენ მიდღემჩი, ვერ ვისტავლე ჭკუა, რავა მეველი აქანე!“ (საჩ. შარაშ.). იხ. I. დავა.

დიალექტ. **II. დავილი || დავლი|| დაული** დოლი (გურ. ღლ.).

ისმოდის კუნესა სპილენძთა, *დავლისა* ანუ გურგისა (შჰნ. III, 147, 3). აგრეთვე ე. ნინოშ.; ჩვენ. ფუტკ.

დავულ დიდი ბარაბანი [თურქ.] – საბა.

დავლურ-ი:

ახ. ქართ. **I. დავლური** 1. ერთგვარი ქართული ცეკვა (ქალ-ვაჟისა),– ნელი დავლით, პლასტიკური მიხრა-მოხრით ცეკვა. იგი შესავალი ნაწილია ქართულისა (ლეკურისა), რომელსაც ახლა დამოუკიდებელ ცეკვად

ასრულებენ. *დავლური* ლეკურის (ქართული ცეკვის) განუყოფელი ნაწილია (ი. ზურაბ.). გასწყვიტეს *დავლური* და ყელი მოიღერეს სალეკუროდ (აკაკი). როგორ უხდება ჩვენი ცეკვა, ცეკვა *დავლური* (ი. გრიშ.). გამოვიდა სცენაზედ ერთი მშვენიერი ქალი და დაუარა *დავლური* (აკაკი). ფიგურ. იმ ძველ მინდვრებს დღესაც *დავლურს* უვლის ფეხშიშველა ჩემი სიყმაწვილე (ჯ. ჩარკ.). || ასეთი ცეკვის მუსიკა, ნელა, მძიმედ დაკვრა. ეშხში მოსული [პალია] სალამურზე *დავლურს* უკრავდა და ურბენდა (ა. ერ.-ხოშტ.) – ქეგლი. დავლური < დავლა (ლომთათიძე 1997: 128). შდრ. **დავლა** მოვლა, შემოვლა. მეფე ლუი მეთექვსმეტე მთელი სამეფოს *დავლას* აპირებდა (ი. მაჭავ. თარგმ.). აიჩემა მარტო ყოფნა, დღენიადაგ ტყეში *დავლა* (ი. გრიშ.). 2. ცეკვაში რამდენიმე წრის გაკეთება, წრის შემოვლა. 3. დარბენა, გავრცელება (მაგ., ტანში ჟრუანტელისა). ამის წარმოდგენა და ტანში ჟრუანტელის *დავლა* ერთი იქნებოდა ჩემთვის (გ. წერეთ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. დავლური**: 1. ძვ. ხმალში გაწვევა, ორთა ბრძოლა. დავლურში მინდა გამოვითხოვო, ან უნდა მოვკლა, ან შევაკვდები! (აკაკი). 2. ◊ **დავლური ომი** ომის ერთ-ერთი სახე, – თავდასხმითი, მიხდომითი, თარეშობითი ომი. შეიქმნა... *დავლური* მოპირდაპირეებს შორის, ისინი ნადირობდნენ ერთიმეორეზე, დაუზოგველად ჟლეტდნენ ერთმანეთს (ს. ქვარ.). მოედვა მთელ ჩერქეზეთს სხვადასხვა ავადმყოფობა, მაშინ ფატუმ-ხანუმმა არჩია *დავლური* ომი (აკაკი). ერთი გზა იყო: *დავლური* ომით, თარეშობით ეწუხებინა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. დავლური < დავლა. დავლა საშოვარი ნივთნი, ანუ სიმდიდრე; + დოვლა სპარსულად დიდებასა და სიმდიდრესა მრავალთა ოქროთა და ვეცხლის ქონებასა ნიშნავს+ესე იგი დოვლა, არაბულად დიდსა სიმდიდრესა ეწოდება. + ქართულს ენაში ნატყვენავსაც ეწოდება. ესე იგი ნატაცებსა, ეს სრულიად სხვის მნიშვნელობის ლექსი არის (თ. ბაგრატიონი).

დათვ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. დათვი** მხეცი ბრანგვი – დ. ჩუბ. || დიდი ზომის მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი დათვების [Ursidae] ოჯახისა. აქვს გრძელი ბანჯგვლიანი ბალანი. საქართველოში გვხვდება მურა *დათვი* [*Ursus arctos*]. იგი ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა განადგურებით. გამოიყენება დათვის ხორცი, ცხიმი, ტყავი. თამაშობას ხერხი უნდა, *დათვმაც* იცის ძუნძულიო (ხალხ.). ტყიდან *დათვის* ბურდღუნი მოისმა (ა. ყაზბ.). || გადატ. ტლანქი გარეგნობისა, ზანტი მოქმედებისა, უშნო ქცევისა, მიხრა-მოხრისა. «გაიყვანეთ ეგ *დათვი*!» – წამოიყვირა მოსამართლემ და... ზეზე წამოვარდა (შ. არაგვ.) – ქეგლი. იხ. II. დათუ.

ეს სიტყვა დღემდე უცვლელი მნიშვნელობით მოვიდა.. იგი ქართველური წარმომავლობისაა. ს.-ქართვ. ფუძე *და(ს,თუ) არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1964) – ბ. გიგინ.

სამ., ახ. ქართ. **II. დათვი** „ჯუა ბოსტნის მავნე» (დ. ჩუბ.) – მახრა (ქეგლი).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. დათვი** (მთ.) გადატ. სახლის ბოძის თავი, ბოძის თავზე დაყენებული «ბალიში» – ქეგლი. || ბუღაური (ხევს. ჭინჭ.). იხ. I. დათუ.

დიალექტ. **IV. დათვი** სასოფლო-სამეურნეო ტრანსპორტის ნაწილი. *დათვების* წინა თავებს უბავდნენ უღელზე წნელით ან ვაზით (საინგ. მრეწ. IV, II, 90). ხელნებსა და თვალის ღერძს შორის (აქეთ და იქით) არსებულ ხის ნაწილს ეწოდება *დათვი* ან ლეკვები (მთ. მრეწ. IV, II, 127). აგრეთვე ჯავახ. ბერ. შდრ. დოთა (ფშ. მრეწ. IV, II, 84).

დათვა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. დათვა** (ქიზ. იმერ. ლეჩხ.) ურმის ხელნას ის ნაწილი, სადაც ღერძია ჩამჯდარი და ბრუნავს. მას ძალა ადგას, ამიტომ ხელნას ეს ნაწილი სქლად დატოვებულია გათლაშივე, ან მერმე აქვს მას ამოდებული ხის ნაჭერი, – საბრუნი, საცური, საცვეთი. ხელნა დაეგება დათვაზე, დათვა კი ადგას ღერძზე. ხელნას ამოსაკრავს *დათვას* ვეძახით («შინამრეწვ.»). თლიდა... ურმის *ხელნას*, ბორბლის მორგვს და ფერსოს *დათვას* (ო. იოს.). იმერეთში ხრახნიან წნეხს ჭახრაკის საქაჩავი, ხოლო ოწინარიანს *დათვას* საქაჩავი ჰქვია (ა. ლეკ.) – ქეგლი. დედნებზე დაკრულია ოთხი ვერშოკი სიგრძის ხე – *დათვა*, რომელშიც გატარებულია ხელნები (ჯავახ. მრეწ. IV, II, 127). *დათვას* ქვევით უკეთებ ყვერას, რო ღერძი დაიჭიროს; ხელა დაეგება *დათვაზე, დათვა* კი ადგია ღერძაზე (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, II, 132). აგრეთვე: ქიზ. მენთ., რაჭ. ფრ., კობახ.

ვფიქრობთ, დათვასათვის ამოსავალი უნდა იყოს ხის სახელწოდება დათვის მსხალი (დ. ჩუბ.). დათვამსხალი დიალექტებში შემდეგი სახითაც გვხვდება. || დათუასხალა: „დათუა-სხალას დათვი ძალუან ჭამს“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || დათვიხალა (ლეჩხ. ალავ., ზ.-იმერ. ბოწ.). დათუხალა || დათუხალეი მცენარეა, ნეკერჩხალს ჰგავს (იმერ. გაჩ.). || დათვასხალაი (აჭარ. ნიჟ.). დასტურდება ასევე დათვთხილა (ფშ. ხორნ.).

შენიშნულია, რომ „გუთნის ნაწილის“ აღმნიშვნელი დათვა, დათვიხალისაგან, ან მსხლისაგან (ჭკუტა) კეთდება, არა უშავს ვაშლსაც (პანტა) (რაჭ. ფრ., 160). ჩვენი აზრითაც, დათვისმსხალი || დათვისხალა (რაჭ. იმერ.) > დათვა, დათვი. კომპოზიტის პირველი ნაწილმა იტვირთა ამ სიტყვის მთელი მნიშვნელობა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. დათვა** (გურ.) ერთგვარი ხის საკეტი – ქეგლი. **დათვა-ბოყვა**/-ი ერთგვარი ხის ბოქლომი, საკეტი; წინათ იცოდნენ გაკეთება წისქვილზე, ბეღელზე და მისთ. (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. დათვა-ი** ავთვისებიანი სიმსივნე. „ჩემ დას *დათუაი* დეემართა“ (თ. ქ.); „ბაბოს *დათუაი* დეემართა და მოკდა ადაფაზარ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დათუ:

ძვ. ქართ. **I. დათუ** ბოძის თავი (საბა): „მოიღო წიგნი იგი და *დათუსა* განდგა და აღმოიკითხა იგი“ (Sin – 11, 261r) – ილ. აბულ. იხ. *III.* დათვი.

ძვ., ახ. ქართ. **II. დათუ** დათვი: „ჴარი და *დათჳ* ზოგად ძოვდეს“ (I, ეს. 11, 7); „შევემთხჳო მათ ვითარცა *დათჳ* განკრთომილი“ (O, ოვსე, 13, 8); გარდამოჴდეს მისა ორნი *დათუნი* ჴურელთაგან თჳსთა“ (ფლკტ. 156, 10) – ილ. აბულ. იხ. I. დათვი.

დათუა:

დიალექტ. **I.** დათუა ხის ბოქლომი, სვეტი (გურ. ჯაჯან.). იხ. II. დათვა.

დიალექტ. **II.** დათუა ურმის საბრუნავები. ცალკე გავთლით *დათუებს. დათუებს* დაედგმება ზესადგრები. ზესადგრები *დათუებზე* კოჭებით დამაგრდება. დათუებს ამოღრუტნული (ამოჭრილი) აქვს რგვლათ. ამ ჭრილით *დათუები* ედგმის ურმის ღერძს ისე, რომ ღერძი ტრიალებს *დათუებში* (ქვ.-რაჭ. მრეწ. IV, II, 137). *დათუები* ურმის დათვები, საბრუნავები (მოხ. ქავთ.). იხ. I. დათვა.

დაია:

ახ. ქართ. **I. დაია** კნინ.-მოფერ. პატარა და, დაიკო. შაქროს... მოსწყინდა პატარა *დაიას* გამდლობა (ნ. ლორთქ.). იას ეტყვის ზამბახი: «მშვიდობით, ჩემო *დაია!*» (ა. მირცხ.). რა ვქნა, მიყვარს, *დაია*, მთვარე! (კ. ბუაჩ.) – ქეგლი.

ქართულ-ზანური პერიოდისათვის აღდგენილია არქეტიპი *და (კლიმოვი 1964) – ბ. გიგინ. აქვე იხ. ამ სიტყვის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისები.

დიალექტ. **II. დაია || ტაია** (< თურქ.) ბიძა (დედის ძმა). ჩემი *დაია* ჩამევიდა და მეიტანა ფოსტი (ლოდიძირი, გურგენიძე 1973: 36). შდრ. ტაია (აჭარ. ნიჟ.). **დაია** ზან. (ლაზ. თანდ.).

დალა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. დალა** (ქართ.) კვერნა – ქეგლი. დალა ყვითელ-გულიანი და ფეხის გულზე ბეწვიანი კვერნა (ფშ. შან., ხორნ.). || დელაი [აზერ. დəლə] კვერნა. *დელაი* თულქუსააღი რამი. კვერნა მელიის მსგავსი რამაა (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. დალა, დალაი** 1. (თუშ.) ეთნ. გლოვის, მოთქმის ერთ-ერთი სახე. «მკვდრის ხარჯზე (რიგზე) სადღოდ მომზადებული მხედრები დადგებიან, სადაც, ჩვეულებისამებრ, ცხედრის ტანისამოსია გაშლილი, და ერთი წამოიძახებს: «*დალაი* თქვით, დალაი, მხედრებო!» სხვა მხედრები ერთხმად ბანს მისცემენ: «*დალაი, დალაი!..*» [საამისო ლექსის] ყოველი სტრიქონის წამოძახების შემდეგ მხედრობა «*დალაი,*

დალაი-თ ბანს აძლევს. გაათავებენ ამ ლექსს თუ არა, გაიმართება დოღი» (ი. ბუქურ.) – ქეგლი. || მიცვალებულის შექება სიმღერით დოღის წინ (თუშ. შან.). ჩამოვლენ თუშის შვილები, *დალას* ეტყვიან მკვდარზედა (ხევს. პოეზ. 520, 51). 2. უხმარიათ სიმღერის მნიშვნელობით. [ხევსურები] ჯუთას ჩადიან ჯვართანა, *დალასაც* ეტყოდიანო (ხევს. პოეზ. 170, 9; ხევს. ჭინჭ.).

თუშური რეფრენი: „დალა თქვით, დალა, მჭედრებო, ჰინ დალაე". ჰინ დალაე უნდა მოდიოდეს ნახური ჰაონ დალე-დან, რაც ნიშნავს ამას: შენ ღმერთო". თუშური და ჩაჩნური რეფრენი მატერიალურად და მნიშვნელობითაც ემთხვევა ერთიმეორეს (უთურგაიძე 1966: 72). მიცვალებულზე დოღის გადახდის წესი ყველა მთის ხალხს ჰქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა გარდაცვლილის ტანსაცმელთან დალაის შესრულება. დალა ვეინახური სიტყვაა და ღმერთს ნიშნავს. „წოვურში XVIII ს. სახელად... დალე გვაქვს. ახლა ღმერთს წოვები დალ-ს უწოდებენ. დალე კი – ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. დალობა უკვე ღვთაებას ნიშნავს" – წერს ივ. ჯავახიშვილი (მარგოშვილი 1992: 73). მ. ჩუხუას აზრით, ს.-ქართვ. *დალ- „ნადირობის, ნაყოფიერების (ქალ-)ღმერთი" → ქართ. დალ-ი : ზან. [დო-], ო-დო-ია ←*ო-დოლ-ია : სვან. დალ || დალ. ს.-ქართვ. *დალ- და ს.-ნახ. *დალ-ე „ღმერთი" (ბაცბ. დალე ინგ. დალ ჩაჩნ. დიელ) საერთო წარმომავლობის სიტყვებია (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. III. **დალა** უქნარა, ზარმაცი; უმწეო, სუსტი – ქეგლი. **დალა** მოჩერჩეტო, უქნარა, უხეირო. ერთი ძმაი *დალა* ყოფილიყო და ე *დალა* ძმა შამოხვთათ (ბორითი,ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. დელი.

დიალექტ. IV. **დალა** რძის საწოვებელი ბავშვისათვის (გუდ., მთ. შან.). || დალი ფშ., მოჯ., დვალი ჯ. რძის საწოვებელი ბავშვისთვის (თვითვე აკეთებენ, რქაზე ჩამოაცმენ „თითს", ე. ი. ბუმბუს წვერს) – ა. შან. შდრ. სპარს. [დულ] ჩამჩა, ძაბრი.

დამბურა:

დიალექტ. I. **დამბურაი** დაბალი და ჩასუქებული ადამიანი. ერ *დამბურა* დეკაც აქ (ინგ. როსტ.). იხ II. დომბური.

საშ. ქართ. II. **დამბურა** დაფი, ბობღანი – დ. ჩუბ. || დუმბულა – ი. გრიშ. **დამბურა** [არაბ.-სპარს. თამბურა, ტანბურ] სიმებიანი საკრავი. ჩანგი, ჩაღანა, უდი და ორღანო, წინწილი, კაი საზანდრები, მომღერალი და მოთამაშენი, მრავალი კაის ხმით *დამბურას* რომ უკრევდენ... და თავის სმელობის ნუშა-ნუში იყო (ხოსრ. 65, 24). ჭიქა ღვინო და *დამბურა* წაიტანა, მივა შანბსა (შჯნ. II, 5420, 4). დაფი, ბობღანი *დამბურს* ვატირებდი (რუსუდ. 664, 12). დაჯდა და სამი ღვინო სვა, *დამბურისა* იწყო კვრანი (შაჯნ. II, 5421, 2). „კიდუენ მის *დამბურას* უკრავს, ვინმესი ნათქუამი არ ესმის, ინათიანია" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). თავისი *დამბური* ხელში უჭირამს (ჯავახ. მარტ.). შდრ. დომ-

ბრა ხალხური ორსიმიანი საკრავი (გავრცელებულია ყაზახთა და ყირგიზთა შორის). [ჯამბულ,] შენ *დომბრით* მოხველ შოთას ზეიმზე (ი. გრიშ.).

ახ. ქართ. III. **დამბურა** ზედიზედ იღებოდა *დამბურაში* გასასვლელი კარი (ს. დემურხ.). დავითი *დამბურაში* გავიდა (ს. დემურხ.) – ქეგლი. შდრ. რუს. [Тамбур] ტამბური.

დანდალუკ-ი:

საშ. ქართ. I. **დანდალუკი** გვინი ან სენი თვალთა სიყვითლისა (დ. ჩუბ.). დანდალუკია სიყვითლის სენი Icteritia. morbus regius: „გარდაიქცეს ყოველნი პირნი, და *დანდალუკია* იქმნენს“ (O, იერემ. 30, 6) – ილ. აბულ.

საშ. ქართ. II. **დანდალი, დანდალუკი** [სომხ.] კიბის საფეხური (დ. ჩუბ.). დანდალუკი < დანდალი კიბის სახელური (ჭერი). „არაბას აქ *დანდალი*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დარე:

ძვ. ქართ., დიალექტ. I. **დარე** მდარე, მცირე: „დამორჩილებად მთავართა და რომელნი მთავართა ქუეშე არიან: აზნაურთა და *დარბთა*“ (მრთ. D, კ. იერ.-აღდგ. 126); „იძრვინ (საგრძნობელი) უსუსურად საქმითა *დარბთა* (დარითა var)“ (გრ. ნოს.-კაც აგებ. 172, 3). აქვე **სიდარე** უვარგისობა: „ხედავს კეთილად თჳსთა მათ *სიდარეთა* და ნაკლულევანებათა“ (მ. ცხ. 76v). **უდარესი, უდარბსი** უმდაბლესი, ნაკლები, უმცირესი; უცუდესი, უსაძაგლესი: „წარავლინა მოწყუედად ყოველთა ჩჩჳლთა ყრმათა... ორით წლითგანნი და *უდარესი*“ (მთ. 2, 16); **უდარესობა**: „არა აქუს მუნ სიმდიდრესა მეტობაჲ ანუ სიგლახაკესა *უდარესობაჲ*“ (A – 92, 385) – ილ. აბულ. „ჭაჭიდან გამოდის ჯერ სპირტი, მერე უფრო *დარე*“ (ღარიხევი, ზ.-იმერ. ბოწ.). **დარე** მდარე ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. მდარე დაბალი ხარისხისა, ცუდი; უარესი – ქეგლი.

აღდგენილია 1. *დარ-(ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *დარ- „ცუდი“ (ჩუხუა 2017).

საშ ქართ., დიალექტ. II. **დარე** შესადარი. ვერასფერითა ვერ მჯობხარ, ყველათ ვარ შენი *დარეო* (თეიმ. I, 128, 41, 1). || მისი დარე ქვა იყოს იტყვიან, როცა მიცვალებულს მიამსგავსებენ ცოცხალს: სულ ცხონებულ ბაბუამისს გავს, მისი *დარე* ქვა იყოს (იმერ. ქავთ.).

დარე < დარი ტოლი, ბადალი; შესადარი; მსგავსი. ჰრ. აჭარიანის აზრით, შემოსულია ქართულში სომხურიდან (შდრ. სომხ. dar „ტოლი“, „მსგავსი“, თანაბარი, „წყვილი“), ხოლო სომხური ფორმა უკავშირდება სპარსულ tarōh-ს „კენტი“ (ჰრ. აჭარიანი). ბ. გიგინეიშვილის აზრით სომხურისათვის ამოსავალია არა tarōh, არამედ ფალაური „-ვით“, სუფიქსი შედარებითობისა (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. III. **დარე** ფერდი, ფერდობი. „*დარეს* ვებნევით იმა“ (უ., შავშ. ლექსიკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. შდრ. თურქ. [dere] „ხეობა“.

დასობა:

სამ., ახ. ქართ. **I. დასობა** დასდასად დგომა, ჩარიგება. ჟამნი თქვენნი *დასობდნენ* (ქილ.) – დ. ჩუბ. წიგნ. დასებად დაყოფა, დასების გაჩენა. ესენიც *დასობით* გავიდნენ საბრძოლათ (აკაკი) – ქეგლი.

დასობა < დასი მოძვ. გუნდი, კრებული; ჯგუფი. სიტყვა შემოსულა სომხურიდან. შდრ. [ძვ. სომხ. das „ხარისხი", წოდება, მწყობრი, დანაყოფი, კორპუსი, ჯგუფი] (აჭარიანი I, 626) – ბ. გიგინ.

სამ., ახ. ქართ. **II. დასობა** დავარჭობ ლახვარს, ისარს – დ. ჩუბ. **დასობა** სახელი დაასობს ზმნის მოქმედებისა, – იგივეა, რაც დარჭობა, ჩარჭობა. არ გინდა ამოდენა ნედლი სარის *დასობა?* (ო. იოს.). ფიგურ. მტერი ვერ ბედავს ფოლად მკერდზე ისრის *დასობას* (ი. გრიშ.) – ქეგლი. შდრ. სობა სახელი ასობს ზმნის მოქმედებისა, – დასობა, დარჭობა, || ბგერება, განგმირვა. «ხრმალ-გამოწვდილი მივუხე, მივეც ლახვართა *სობასა*» (რუსთაველი) – ქეგლი.

დაფნა:

ძვ., ახ. ქართ. **I. დაფნი || დაფნა** daphne, laurus: „ამაღლდეს ყოველნი ხენი სიგრძითა; ნაძჳ და კჳპაროზი... და ყოველნი მცენარენი იქმნნეს მრავალ, ვარდი და მურტი და *დაფნი*" (ბ. კეს. – ექუს. დღ. 69, 27) – ილ. აბულ. *დაფნის*, ნაძვისა და ვარდის შეზავებული სურნელება სცემს (ნ. ლორთქ.). სიჩუმეა... მხოლოდ წყნარად თუ ირხევა *დაფნის* ტოტი (გ. ტაბ.). ◊ **დაფნის ფოთოლი** ამავე ხის (ბუჩქის) ფოთოლი; ფართო გამოყენება აქვს კულინარიასა და საკონსერვო მრეწველობაში. ტყემალი მიეცით ნახევარი ფინჯანი... და შვიდი *ფოთოლი დაფნისა* (ბ. ჯორჯ.). კერძს უნდოდა ორი *ფოთოლი დაფნა* (ჭ. ამირეჯ.). ◊ **დაფნის გვირგვინი** ძვირფასი ლითონისაგან გაკეთებული, პატიოსანი (ძვირფასი) თვლებით შემკული თავსაბურავი (მეფეთა.) – ქეგლი. სიტყვა შემოსულია ბერძნულიდან (შდრ. ბერძ. dapne „დაფნის ხე", „დაფნა" – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. დაფნა**: წისქვილის... ღერძის თავბოლოში რკინაა გრძელი დაცმული, რასაც *დაფნა* ჰქვია (ჯავახ. მრეწ. IV, III, 204).

დაშლა:

დიალექტ. **I. დაშლა** დაშნა, მოკლე ხმალი: დაშლა-ფარი (რაჭ. ქართ. დიალექტ., 683). **დაშნა, დაშნ, დაშნაი** დაშნა (სვან. თოფ., ქალდ.). დაშნა [ირან.] დაშნა, მოკლე, ვიწრო და სწორი – ო. მიქ.

დიალექტ. **II. დაშლა** დარღვევასავით – საბა. **დაშლა** ჯოგის დაშლა მთიდან ჩამოყვანილი ჯოგიდან თავ-თავისი ხარების წამოყვანა მეპატრონეთა მიერ (რაჭ. ქართ. დიალექტ., 683).

და-შლ-ა: და ზმნისწინი, შალ-/შლ-ძირი; ა საწყისის მაწარმოებელი. აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. ძირი *შალ-/შლ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დგარ-ი:

ახ. ქართ. I. **დგარი** ტექ. რისამე საყრდნობი ძელი, – ჭალი, ანწალა; ბიგი. მეთოფემ სანიშნე დგარზე დადო (ჭ. ამირეჯ.). გორაკის ამწვანებული კალთები ნელინელ... ეშვებოდა ხის *დგარებთან* გაწონასწორებული მაღალი ლატანებით შემოსაზღვრულ ეზოთა თავებთან (უ. რიჟ.) – ქეგლი. დგარი < მდგარი ფეხზე მდგომი; ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი – ქეგლი.

საშ. ქართ. II. **დგარი** ნაღარის ხმა; გვხვდება დგერაც. ორგნითვე რაზმი და[ა]წყუეს, ნაღარას გახდა *დგარია* (შ3ნ. III, 34, 1).

დგარი < დგერა ხმიანობა – დ. ჩუბ. **დგარა-დგური** რკინის მძიმე საგნების ერთმანეთზე ცემის ხმა. ოლეებზე საჩრდილობელი ხის ნაცვლად გაუდის დგარა-დგური ქვის საპრიალებელ დაზგებს (მ. ელიოზ.) – ქეგლი. **დგარადგური** ბრაგაბრუგი, ბაგაბუგი. ჩქარა-ჩქარა რო დადიან და ფეხეფს აბრახუნებენ სიარულში, იტყვიან, როგორ დადიხარ, რა *დგარადგური* გაგიდოსო (ტირძ.). დამადე გულზე ხელი, სუ *დგარადგური* გააქ (კარალ., ქართლ. ლექსიკ.).

დედოფალა:

ახ. ქართ. I. **დედოფალა** ბავშვის (ან, საერთოდ, ადამიანის) მსგავსად გაკეთებული სათამაშო, ჩვეულებრივ, პატარა გოგონების შესაქცევარი (სინონ. თოჯინა, ტიკინა). ანიკო კუთხეში მიმჯდარიყო და დიდი დაკვირვებით *დედოფალას* რთავდა (ნ. ლორთქ.). პატარა ნუცამ სთქვა: ჩემს *დედოფლებს* უთუოდ კითხვა უნდა ვასწავლოო (ი. გოგებ.). ◊ **დედოფალა ჩიტი** (ფშ.) გულწითელა ჩიტი (ი. ჭყ.) – ქეგლი.

შდრ. ძველი ქართულის **დედოფალი** ქალბატონი; წინამძღვარი, დიასახლისი, გვხვდება შემდეგი სახითაც: **დედუფალი, დიოფალი, დეოფალი** „შეურაცხ იქმნა *დედოფალი* იგი მის წინაშე“ (O, დაბ. 16, 4); „სამეოცნი არიან *დედუფალნი* (O, ქება 6, 7); „ჰრქუა დედაკაცსა მას მეკარესა მოაკსენე ჩემთჳს *დიოფალსა*“ (მ. ცხ. 380r); „*დეოფალო*, სხუაჲ არს ვენაჯი ეგე“ (Sin. – 6, 154r) – ილ. აბულ. **დიოფალი** ისტ. დიდებულის, წარჩინებულის ან თავადის ცოლი – ქეგლი. ეს ცვლილებანი და ვარიანტები, ბ. გიგინეიშვილის მიხედვით ასეთ სახეს მიიღებს: *დედა-უფალი > დედ-უფალი > დეუფალი; დედა-უფალი > დეოფალი > დიუფალი (ორთ. ნიადაგზე). თანამედროვე ქართულში დამკვიდრდა ძველქართულში გაბატონებული, შეცდომის შედეგად წარმოქმნილი ფორმა დედოფალი. **დედოფალა** ახალი ფორმაციისაა. წარმოქმნილია დედოფალ-ფუძეზე კნინობითის -ა სუფიქსის დართვით, რაც განაპირობებს მნიშვნელობას „პატარა“ (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ. II. **დედოფალა** ოთხფეხი – დ. ჩუბ. **დედოფალა** მცირე ზომის მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნების ოჯახისა (სინონ. თრითინა, სინდიოფალა). ხან თრითინას მეძახიან და ხან კიდევ *დედოფა-*

ლას; ვერა ნახავთ ჩემისთანა ავაზაკს და მაწანწალას (შ. მღვიმ.). აქ ბინადრობდა მრავალნაირი ნადირი: ... *დედოფალა*, გარეული კატა... (ნ. კეცხ.) – ქეგლი. **დედუფალა დედოფალა**, თრითინა, ქრცვინი (ხევს. ჭინჭ.). დედუფალა მოხ., თ. – ა. შან. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. შდრ. დედალოსი, დედალუბი ქრცვინი – საბა. „ვრცინი“, „დედოფალა“, „ყარყუმი“ სამივე ეს ცხოველი კვერნისებრთა ოჯახის წარმომადგენელია (ქერქაძე 1974: 81).

დევ-ი:

მვ., საშ., ახ. ქართ. **I. დევი** 1. ეშმაკი, «ვეშაპი», ბოროტი, «გუელი»: „არა თქუენდა საშინელ არს, არამედ ბუნებასა *დევთასა*“ (ოქრ.-მარხ. და იონ. 100, 18); „ყონ ტყებაჲ ვითარცა *დევთაჲ*“ O – „ყოს ტყებაჲ ვითარცა ვეშაპთაჲ (pb., მიქ. 1, 8); „არცა *დევთა* გესლოვანთანი ერეოდეს კბილნი“ O, – არცა გუელთა გესლიანთა კბილთა სძლეს“ (pb., სიბრძ. სოლ. 16, 10); „დევნი იხარებდეს, ეშმაკნი როკვიდეს“ (Ath.-11, 174v). აქვე ვირდევი – ილ. აბულ. ესე ქვაბნი... *დევთა* შეეკაფნეს (ვეფხ. 654, 1). 2. ცრუ რწმენით – მავნე ზღაპრული არსება, კაცის მსგავსი, მაგრამ ახოვანი, რქიანი, ხშირად რამდენიმე თავიანი. ცხრათავიანი დევი. – ამირან გულში მღეროდა, *დევო*, ბანი მითხარიო (ანდაზა). სქელი ახმი იმხელა კვალს სტოვებდა, *დევის* ნატერფალი გეგონებოდათ (ნ. წულეისკ.). 3. გადატ. დიდი ტანისა, ახოვანი და ღონიერი, – გოლიათი, ბუმბერაზი, დევგმირი. ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ, ვინც კია, ყველა *დევია* (ილია) – ქეგლი. **დივი** დევი ზან. (ლაზ. კალანდ.). **დევი** ვეშაპი; **დევი, ნდელი (ნდეი, ნდიი)** დევი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. დევი** აქლემი. ძმებს უკნიდან მეგემ ერთი ეკემი მიდევს და, ეს ნალაპარიკევი რუმ გეგონა, დუხდა ძმებს და უთხრა, რუმ: – ის *დევი* ჩემია და მომეციოთო. ძმებმა უთხრეს, რუმ: *დევე* ჩვენ არ გვყავსო. თუ არ გყავან, რა იცით, ჩემი *დევის* ნიშნებიო? (აჭარ. ქართ. დიალექტ., 397). || დევე [თურქ.] აქლემი. „აკიდა ჭვირთი *დევეზე* და თავათაც შეჯდა“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). || დევაჲ [თურქ.] აქლემი (ინგ. ღამბ.). **დევე** ზან. (ლაზ. კალანდ.).

დევე || დევა (თ. deve) აქლემი (გურგენიძე 1973: 70). **დევი** [სპარს. გველეშაპი] სიტყვა შემოსულია ფალაურიდან. dēw „დემონი“, „ეშმაკი“ (გიგინეიშვილი 2016). ს.-ქართვ. *დეუ- „დევი; გოლიათი“ (ჩუხუა 2017).

დევობა:

ახ. ქართ. **I. დევობა** დევის თვისება; დევად ყოფნა. უხალხოდ ან დევს რად უნდა ძალა, *დევობა* წყეული (ვაჟა) – ქეგლი. იხ. I. დევი.

დიალექტ. **II. დევობა** დავა. ი კაცი მართალია და *დევობა* არ დოუწყოთ (ვახანი, ზ.-იმერ. ძოწ.). დეოფს დაობს (ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. დავა.

დელ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **დელი** გიჟი (მათო B.; დელი AaB.; ხიევ B.) – საბა. დელი [თურქ. deli] ბვ. გიჟი, ხელი, გადარეული. საცემრად მიდგა კეტითა, ან გიჟი იყო ან *დელი* (ბეს.) – ქეგლი. „თხოვნა მის მზისა, ვერ შოვნა, მისთვის დივანა-*დელობა*“ (თეიმ. I, 75, 452, 2). მაჰმადიანნი უჴმობენ *დელი* სჯმონს (ქ. ცხ. IV, 418, 2). „ჩვენს *დელ* შვილს ჩვენვე მოვუვლით“ (პ. ლორ., აჭარ. ნიჟ.). „*დელი* ხომ არ ხარ?!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: გურ., ჟღ; ნიგ. ბერ.

ახ. ქართ. II. **დელი** იხ. III. დელა.

დელა:

დიალექტ. I. **დელაი** კვერნა (ინგ. როსტ.).

სამ. ქართ. II. **დელა** მცენ. – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. III. **დელა, დელია** 1. სხვადასხვა ქართული ხალხური სიმღერის მისამღერი სიტყვა (შდრ. ოდელა, ოდელია). დაიწყეს ორთავ [სიმღერა]: წყალი მწყურია, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა! *დელას*, ორიოდელია, დილა-ოდილა! (მელან.). 2. ძველი ხალხური სიმღერა. დავსხედით, ლხინი გავმართეთ, დავაგუგუნეთ «*დელაო*» (თ. რაზიკ.). ჩვენ თვალწინ იგივე ველია, სადაც ჩვენ ოდესმე ვმღეროდით: *დელია, დელია, დელია* (გ. ტაბ.) – ქეგლი. აჭარულ მაყრულში... სოლისტების პარტიაში, ერთმანეთს ენაცვლება გლოსოლალიები „ჰორირო“, „დელი“, „ოდელა“, „*დელა*“ (გარაყანიძე 2007: 61). შდრ. ადილი სარითმო მისამღერი სიტყვა დელიას მნიშვნელობით. „ახლა ადილი, ადილი“ (ხალხ. პოეზ. 1983, 352, 1).

დენ-ი:

ახ. ქართ. I. **დენი** ელექტრული მუხტების მოძრაობა. დიდი ძაბვის დენი. – მუდმივი დენი. – უხვი დენის მისაღებად კარგია მთის მდინარეები (ვ. კანდელ.). ისინი. სკამში *დენს* უშვებენ (რ. თვარ. თარგმ.). თითქოს *დენი* უვლიდა მხარში (გ. გეგეშ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **დენი** მარცვალი. „სიმინდ რომე დავზორავთ ტოკუეცით, *დენი* დარჩება ცალკე“ (მ.); „ამასა *დენები* დიდრუანი აქ“ (იმ.); „ყურზენსა აქა წვრილი *დენი* აქ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). დენ [აზერ. დან] მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, ქერი და მისთ.). ცუცქულში *დენ* წააღეველ მაქ (წისქვილში მარცვლეული მაქვს წასაღები); ქათამიბე *დენ* მიგიცირა? (ქათამებს საკენკი, „მარცვლეული“ მიეცი?). *დენ აღცვაი* თავთავის. მარცვლის გაკეთება. ქუსლაგ ქნაში ჩალთუქ, თუნდ წააქცივას. დენს იღევს (მარცვალს იკეთებს), პურ – ვეერ (ინგ. ღამბ.).

დენა:

ბვ., ახ., სამ. ქართ. I. **დენა** 1. დინება, სვლა, «გარდამოდინება» ილ. აბულ; დენა სვლა, მდინარეობა – დ. ჩუბ. დენა – განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობა, მდინარება, დინება (სითხისა). გზა სიარულმა დალია,

სიპი ქვა – წყლისა *დენამა* (ხალხ.). მომსურდა ია მისი ხეობის, ქართა ქროლვა და ნისლების *დენა* (ანა). || საიდან არ დაიწყო *დენა* დახერხილი მასალის შესასყიდად დაძრულმა და ხე-ტყეს დახარბებულმა გლეხკაცობამ (გ. ციც.). || მსვლელობა, მიმდინარეობა, დინება (დროისა და სხვ.). || დღენი მოჰქროდნენ, შემთბარ ჰაერში ზამთარი უკვე არეს ტოვებდა, მაგრამ მას დღეთა *დენა* არ შეშლის, არც მოკლავს და არც აქცევს პოეტად (ო. ჭელ.). 2. სახელი ადენს, სდის ზმნათა მოქმედებისა. ოფლის დენა. – მელა დიდხანს ილოკავდა იარასა, ისვამდა ზედ ბალახსა და მიწას, რომ სისხლის დენა შეეწყვიტა (ი. გოგებ.) – ქეგლი.

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის შეიძლება აღვადგინოთ არა მარტო *დინ-ძირი, არამედ *დინ-ება (გიგინეიშვილი 2016). დაწვრილებით იხ. (მაჭავარიანი 2019: 68-94). იხ. აგრეთვე ანდრონიკაშვილი 1966.

დიალექტ. II. **დენა** ცალი, ერთადერთი (ინგ. იმნ., ინგ. ღამბ.). აგრეთვე დენაჲ [დᲐნᲐ]. იხ. II. დენი.

დენგ-ი:

დიალექტ. I. **დენგი** [თურქ.] ნაკრაულა (თამბაქოს ფოთლის, ბამბისა...) თოფი (ფართლისა (აჭარ. ნიჟ.). || ბარდანი, მძიმე ტვირთი. „თივის დიდროანი *დენგები* შედგა ქორში“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).გავაკეთეფთ *დენგს* (ტუკს უმახიან, მარა ჩვენებურათ *დენგ* ვეტყვით) (აჭარ. მრეწ. IV, III, 72). || „თითო დენგი 5 ფუთი იყოო“ – გვითხრეს ს. ჯუმათში (გურ. ჯაჯან.). || მეოთხედი დრემი (გურ. შარაშ.). **დენგი** [თურქ.] ფუთა საკიდარი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **დენგი** დიდი ქვასანაყი, რომელშიაც თოფის წამლის მასალას ნაყავდნენ (ხევს. ჭინჭ.). || დიდი ქვასანაყი, ქუმლის სანაყი ხელსაწყო. უწინ თურმე თოფის წამალსაც ნაყავდნენ. ერთ *დენგ* ილიცურთასაც მეს მელნაცთ კედლოს (თუშ. ცოც.). შდრ. დინგი საცეხველი, ცეხვა (საბა, ქეგლი., თუშ. ხუბ., ჯავახ. ბერ. ზედგ.). დინგ [აზერ. dinq] ბრინჯის საცეხვი მოწყობილობა, საცეხველი (ინგ. ღამბ.).

დენგრა:

საშ., ახ. ქართ. I. **დენგრა** «ცხვრის ნეხვი» (საბა). წყნარი პოვნით მიჰყვებოდა ფარა მინდორს და უკან სტოვებდა ჩლიქებითა და წვრილ ხურმასავით მბზინავი *დენგრით* ჩაშავებულ მიწას (კ. ხიმშ.) – ქეგლი. შდრ. I. გემრა.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **დენგრა** კუტა ბალახი – დ. ჩუბ. **დენგრა** მცენარე, ისე ხშირად ამოდის, რომ იმ ადგილას გავლა ჭირს. *დენგრიან* გაუვალი ადგილი, სადაც ბევრი *დენგრ-ია* ამოსული (ინგ. როსტ., ღამბ.). შდრ. დენგარი წვრილიანი ტყე, გაუვალი ჯაგი-მაგი (ფშ. რაზიკ., ჭყ., ქეშიკ.) – ალ. ღლ.

დენდ-ი:

ახ. ქართ. **I. დენდი** [ინგ. dandy] ბურჟუაზიულ – არისტოკრატიულ საზოგადოებაში (თავდაპირველად ინგლისში) – მამაკაცი, რომელიც კოპწიად იცვამდა და მაღალ საზოგადოებაში მიღებულ წესებს ზედმიწევნით იცავდა. როგორც *დენდი*, თვლემს სადმე წყნარად (გ. ტაბ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. დენდი, დენდა, დანდა** [სპარს. dande] ნეკნი. ექ მე დავეცი, სამ დენდა გამიტეხდა. ემ ჰაუზჩი ჩაუვარდი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ.

დენთ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. დენთი** არს თოფის წამალი ან მისთანა რამ ცხარი იყოს. ცხარი მჟავეს ჰქვიან Cხ – საბა. **დენთი** თოფის წამალი – დ. ჩუბ., ქეგლი. ქემეთს ხელში ეჭირა, *დენთით* სავსე ქისა და მრგვალი ტყვია (ა. ბელ.). ცეხის შიგნით *დენთის* საწყობი აფეთქდა (რ. ჯაფარ.). *დენთის* სუნმა ნესტოები აუწვა (გ. გეგეშ.). ფიგურ. იბადება ახალი ხელოვნება, რომელსაც უთუო ჭარბად ექნება *დენთის* და სისხლის სუნი (თ. ბექ.). ◊ *დენთივით* ზომნს. დენთის მსგავსი ◊ *დენთივით* არაყი ძალიან მაგარი არაყი – ქეგლი. შდრ. გენთი მნიშვნელობა განუმარტებელია. „გენთივით ღვინოა“. შეადარებას მთქმელი ასე ხსნის: „გენთივით ღვინოაო რო ვიტყვით, მაგარია ღვინო, ნატური, უწინ რო იცოდენ იმისანა“ (საჩ. შარაშ.).

დიალექტ. **II. დენთი** მსუყე, მოჭარბებით ცხიმიანი საჭმელი. **ადენთვა** ცხიმეულის ჭამისაგან მადის დაკარგვა. რამდენადმე უსიამოვნო გრძნობაზე დაყენება; ასუყება. „ცოტა ყორავო დუშატე, ქალო, თუარა სუქანმა ხორცმა *ადენთვა* იცის!“ (აჭარ. ნიჟ.). **დენთი** ტკბილეული ზან. (ლაზ. თანდ.).

დვალ-ი:

დიალექტ. **I. დვალი** დოლი. დვალი ჯარატარზე ჩამოსაცმელი რგოლი (ფშ. შან., ხორნ.). იხ. II. დავილი.

დიალექტ. **II. დვალი** ბავშვის საწოვარა (ხევს. ჭინჭ.). იხ. IV. დალი.

დიალექტ. **III. დვალი** დოლი, წვრილფეხის ნაშენობა. *დვალისთავი* დოლის დროს პირველად გაჩენილი ბატკანი... ყველას მიჰყავს თითო ბატკანი *„დვალისთავი“...*, რომელიც ბატკანი პირველად გაჩნდება, ის არხოტის ჯვარში უნდა დაიკლას ამაღლებას (ეთნ. კალენდ. 44, 517). აქვე: დვალება || დვალობა, დოლება, დოლის ჩატარება – ალ. ჭინჭ. შდრ. დოლი დარგ. წვრილფეხა პირუტყვის ნაშიერთა (ბატკანი, თიკანი) მოგების პროცესი – ქეგლი.

დოლი სომხურად ხვასტაგთ შობასა ჰქვიან, რომელსა ქართულად იზვებას უწოდენ – საბა. მეგრულ-ჭანურ დვალა-სა და „დების“ სვანურ ლი-თჯალ-ს „შობის“ შეპირისპირებით ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ დვალ ფუძე დებას და ნაყოფის გამოღებას, წარმოშობას ნიშნავს და რო-

გორც ფრინველთა და პირუტყვთაგან, ისევე ადამიანისა, დედაკაცისაგანაცა (ჯავახიშვილი 1992: 231). დოლი შესაძლოა მოდიოდეს თურქულიდან (თურქ. döl „შთამომავლობა“, „ჯიში“, „ჩანასახი“). დაკავშირება პრობლემატურია (გიგინეიშვილი 2016).

დვრინ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. დვრინი** 1. პენტელის ძალი – საბა. 2. საპენტის ლარის მიერ გამოცემული ხმა. 3. საერთოდ, დაბალი (მეორე) ბანი. ახალგაზრდა მხლებელმა დაიწყო, ჯაფარამ მაღალი ბანი მიაყოლა და როსტომ ერისთავმა ზედ *დვრინი* დააკრა (აკაკი). ძველად ქართული გალობა სამხმოვანი იყო, დაბალი ხმები – სამგვარი: ბანი, *დვრინი* და დემბი (მ. ქორ). ჩონგურს აჩხაკუნებდა და დაბალი *დვრინით* რაღაც სიმღერას ბუბუნებდა (გ. აბაშ.) – ქეგლი.

დვრინი უკავშირდება დვრინ-ავ-ს ზმნას. სიტყვა ბგერწერითი წარმოშობისაა, შესაძლოა ვილაპარაკოთ გარკვეულ ბგერათ სიმბოლიკაზე (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. დვრინი, დღვრინი** დაბალი სქელი ადამიანი (ახალშ., ქართლ. ლექსიკ.). დვრინი < დღვრინი: ამოსავალი ძირია დღრებ-. შდრ. მოდღრებული, მოუღონოებულივით მოშვებული საბა. შედღრებული: „ყოველნი ჴორცნი მისნი შედღრებულ იყვნეს“ (H – 341, 384) – ილ. აბულ. შდრ. დღრინი უშნოდ გასუქებული (მოხ. ქაჯ.). გადღრენილი (ხევს. ჭინჭ.). გაიდღვრინება (ქართლ. ლექსიკ.).

მ. ჩუხუას მიხედვით, საერთოქართველური დღრ-ებ ფუძისათვის ამოსავალი მნიშვნელობა გახრწნა უნდა ყოფილიყო. მის მიერ აღდგენილია ს.-ქართ. *დღრ-ებ ფუძე (ჩუხუა 2000-2003).

დია:

საშ., ახ. ქართ. **I. დია** დია ქალი; დია სახლისა – დ. ჩუბ. **დია** მიღებულია დედა სიტყვის შეცვლით და გვხვდება ზოგიერთი სიტყვის პირველ შემადგენელ ნაწილად (მაგ., დიასახლისი, დია). ქართულად დედაკაცს «*დია*» ერქვა (აკაკი) – ქეგლი. **დია** დედა; გვარის უფროსი ქალი; დიასახლისი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. დია** და (ფშ. ხორნ.).

ქართულ-ზანური პერიოდისათვის აღდგენილია არქეტიპი *და (კლიმოვი 1964) – ბ. გიგინ. აქვე იხ. ამ სიტყვის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისები.

საშ., ქართ. **III. დია**: ვარსკვ. მუშთარი. ესე დია არს მეექვსესა ცასა ზედა, რომელსა ეწოდების კიმკიმელი – საბა; || ზევსი, პლანეტა – დ. ჩუბ. || იუპიტერი, რომელსაც თექვსმეტი წვრილ-წვრილი თანამგზავრი ჰყავს, მფარველობს გეოგრაფიულ ზონას, რომელსაც სამეგრელო მიეკუთვნება ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. IV. **დია** ბევრი (მთ.-რაჭ. ძიძიგ.). დია < დი-ად-ი (< დიდ-ად-ი); ძვ. ქართ. დიადი „ბევრი". დ-ს ჩავარდნა ინლაუტში ხმოვანთა შორის ჩვეულებრივი მოვლენაა (ქავთარაძე 1964: 112).

დია ზმნს. 1. დიდად, ძალიან, მეტად. **დია** ძლიერ. *დია* მსუროდა შენთჳს (ანდრია სალოსი 105r, 16) – ზ. სარჯ. „მინდორ-მინდორ მოვდიოდით ჩვენ ღამესა *დია* ბნელსა" (რუსთაველი). || ბევრჯერ; ხშირად. მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა *დია* (რუსთაველი). 2. დიახ, დიახაც; კიდევაც; მართლაც, ნამდვილად. „ეგე სიტყვა მოიგონე *დია* რამე უკეთესი" (რუსთაველი). ჩვენც კლანჭები გვაქვს, კბილები, მტერს *დია* შევეწონვითა (ვაჟა) – ქეგლი. *დია* იცი კაცისა ღორება და ხლათვა (ვისრ. 245, 30). მემთვრალეთათვის მაცდურნი მახეთა დაარწყმენ *დია* (დ. გურამ. 129, 454, 3). *დია* ხამს სტუმრის თავაზა, დახდომა, გულის ჩვენება (ვახტ. VI, 87, 11). რა შობისა დღე მოიწია, ესენი სენი ეუფლა, ქალი იგი *დია* შეაურვა (ქილ. 478, 3). || ძალიან, გადაჭარბებით, ზომაზე მეტად: *დია* ლამაზ ქალ აქ (ინგ. როსტ.). აგრეთვე მოხ. ქავთ.

დიალექტ. **დია** შორისდ. (დედა სიტყვის ფონეტიკური ცვლილებებით] გამოხატავს გაკვირვებას, შეშფოთებას. „*დია*! რა... ადამიანია ეს, სად გაგონილა ცოცხალი ადამიანის ტირილი" (ა. ბელ.) – ქეგლი. **დია** შორისდ. გაკვირვებისა ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **დია**: ◊ **დია, დია** (იმერ.) ქათმის დაძახება (ბ. წერეთ.). *დია, დია*, გეძახოდით, არ გაგვაგონე კაკანი... (ხალხ.) – ქეგლი.

დიალექტ. **დია** ნაწილაკი: 1. ჩვენებითი ნაწილაკი, აი აგერ, დია: „*დია*, აი მთას ხომ უყურამ"! 2. დადასტურების ნაწილაკი: „აკი", „*დია* მოვიდა ის კაცი" (მესხ. მაის.). დია, დეჰა, დეჰან, დეია, დეიჰან (ჯავახ. ბერ., ზედგ., მელიქ.).

დიკა:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **დიკა** პურეული: „უფროჲსი სათესავი მთასა შინა იქმნებოდა თოჯითა: საწუნე და *დიკაჲ* და სელი" (ი. -ე. 42, 8) – ილ. აბულ. || [Triticum carthlicum] პურეულის სახეობა, საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი; თავთუხისა და ყვავილის კილები მუდამ ფხიანი აქვს. *დიკა*... წვრილი და დაბალი იზრდება, ნაკლები გამოსავალი იცის (ი. გოგებ.). *დიკის* გავრცელების არეს უმთავრესად საქართველო წარმოადგენს (ივ. ჯავახ.). *დიკა*, ანუ ქართული ხორბალი, ... სწორედ ჩვენს მთაშია წარმოშობილი (ნ. კეცხ.) – ქეგლი. „ჩუენსა ექსერი დაჰთესვენ *დიკა*" (ტაო, ჩვენ. ფუტკ.). **დიკა, ბდიკა, მდიკა** პურის კაკალი ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია ს.-ქართ. *დიკ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე: მარი 1910: 139, ჯავახიშვილი 1930: 406-412, ჩიქობავა 1938, კლიმოვი 1964, კახაძე 1987: 66.

დიალექტ. II. **დიკა** ჩუტყვავილა. *„დიკამ* გამუაყარა შუბლზე“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). *„დიკის* მარცვლებისოდენა გამონაყარი იცის და სახელიც აქედან დიერქვა ალბათ“ (დიკა– ხორბლის ჯიში). *„დიკის* გამონაყარი უშნოთ დიეტყო სახეზე“ (აჭარ. ფუტკ.). შდრ. დიყა (არაბ. დიყ) ჭლექი, 2. ავი ციება, ან ცხელება (ქანან. 1940: 486).

დილა:

ძვ., ახ. ქართ. I. **დილა, დილე** 1. ხვალე, მეორე დღე; განთიადი; ცისკარი. „შეეწიოს ღმერთი *დილითგან დილემდე* (დილითი-დილად Ქ)“ (Ⴑ ფს., 45, 6); „გამოჰზრდიან ნათლითა *დილადითგან* ვიდრე მწუხრადმდე“ (ბ. კეს. ექუს. დღ. 52, 8); აქვე დილეულ, დილეული, დილითი – ილ. აბულ. დილა დღის დასაწყისი, დღის პირველი ნაწილი, დღის ადრეული საათები, დრო მზის ამოსვლიდან შუადღემდის (დაახლოებით 12 საათამდე). ღრუბლიანი დღე პატარძალს *დილა* ეგონაო (ანდაზა). მაინც რა კარგია დღე. განსაკუთრებით *დილა*, მზიანი *დილა*! (რ. ინან.). 2. პოეტ. გადატ. რისამე (სიცოცხლის, ბედნიერების...) დასაწყისი, პირველი პერიოდი. ჰკარ მაგას! ნუ შეგეშინდა! ეგ პირუტყვი (ღორი) ჩვენ ნუ გვინდა! წასულია მაგისი დრო, მაგის *დილა* დაიბინდა! (აკაკი). 3. გადატ. დილით გამართული სანახაობა (წარმოდგენა, კონცერტი... ჩვეულებრივ ბავშვთათვის). პატივცემული კატო შეგვატყობინებდა, რომ განზრახულია ამა და ამ დროისთვის ბავშვთა *დილაო* და გვიწვევდა სამუშაოდ (დ. კლდ.) – ქეგლი.

ვენუსის ანუ აფროდიტეს მნათობის ნამდვილი საკუთარი სახელი ბაბილონურში ყოფილა **დილ**. ქართულად ამ მნათობს... ცისკრის ვარსკვლავი ეწოდება... ქართულადაც ამავე ვარსკვლავის გაჩენითგან მოყოლებული დღის ნაკვეთს დილა ჰქვიან (ჯავახიშვილი 1950: 150). იხ. აგრეთვე: Schmidt 1962: 105, გიგინეიშვილი 2016.

ახ. ქართ. II. **დილა**: დილა-ოდილა. დილა-ოდილა, დილა-ოდელა 1. ხალხური სიმღერა (გავრცელებული დასავლეთ საქართველოში). იქ ისმის *«დილა-ოდილა»*, *«კაბდური»*, *«თინათინაო!»*... (აკაკის.). 2. ხალხური სიმღერის მისამღერი. *«... დილა-ოდელა!* დამმახე, ბიჭო!» – უთხრა ამხანაგს (მელან.) – ქეგლი.

დილა ქართულში მარტო დღის დასაწყისი ნაწილის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო თავდაპირველად თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ არაერთი ქართული ხალხური სიმღერა მოგვეპოვება, რომელიც „რ დილა!-ს შემახილით იწყება... „რ დილა!-ც უეჭველია ო შორისდებულისა და ღვთაების დილის სახელს უნდა შეიცავდეს (ჯავახიშვილი 1950: 150).

დიშლა:

დიალექტ. I. **დიშლა** წმინდა წვრილღეროიანი ბალახია, თავსვილას ჰგავს (ხევს. ჭინჭ.).

ს.-ქართვ. *დიშ-ილ-ა „ღანძილი“ → ქართ. დიშლა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. დიშლა (დიშლო) კბილები დიდი, ფართო კბილები (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. III. დიშლა საკოდელი, დიშლა (იმერ.). – ბრტყელპირა და თხელტანიანი იარაღი, ქვის მოსასუფთავებელი (ბედუკაძე 1961). || დიშლი ქვის სათლელი რკინის იარაღი, აქვს მძიმე ტანი, კბილებით ასწორებს, თლის ქვის ზედაპირს და ზედ ხაზებს ტოვებს. ზოგიერთი დიშლი სწორპირიანია და გამოიყენებდნენ როგორც სამშენებლო ქვის, ასევე საოჯახო ჭურჭლის სათლელად (ქართ. მატ. ლექს.).

დიალექტ. IV. დიშლა ფურგონის წინა ხე, რომელზეც მიმაგრებულია ცხენის თავსაჭერი ჯაჭვები (ჯავახ. ბერ.). შდრ. რუს. [дышло] ხელნა.

დობილ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. დობილი ვინც დად მოიკიდეს, დად წოდებული, დად მიჩნეული, დის მაგიერი (სხვა ქალი). ქალნი ორნივე, *დობილნი* (ვეფხ. 1568, 1). გაბრო... თამამად ჩაუდებდა ხოლმე თავს კალთაში თავის დობილს (ეკ. გაბ.). მკერდში გიხვევენ ალერსით დედა, სატრფო და დობილი (გ. ლეონ.). ამ მძიმე, დროისაგან თავსმოხვეულ ომში მხოლოდ დობილია შენი გამგები (ო. ჭილ.) – ქეგლი.

დობილი ნაწარმოებია < დობა-საგან -ილ სუფიქსით. დობა დად ყოფნა; დის მაგივრობა, დის მაგივრობის გაწევა; დად მიჩნევა. ასულო, მიყავ შენ დობა (დ. გურამ.). აწ-კი მსურს «მამაშვილობა» და ვნატრობ მე შენს «დობასა»! (აკაკი). [ლილიმ] დობა შეჰფიცა ახალგაცნობილ თბილისელ გოგოს (ლ. ბეროშ.) – ქეგლი. იხ. I. დაია.

ახ. ქართ., დიალექტ. II. დობილი ვაზიანი ხეებით გაშენებული ადგილი (ე. ნინ., II, თ. კიკვ.) – ალ. ღლ. || დობილო – ქეგლი. || დობირო (გურ. ჟღ.; იმერ. ქავთ.). დობილო ვაზის ჯიში(მაღლარი, ხეზე ასაშვები) ზან (მეგრ.ქობ). შდრ. დობირა ტყე-ბუჩქნარი (გურ. ნიკოლ.). || დობირა, დობერა (გურ.) საუკეთესო ნიადაგი (ვაზის გასაშენებლად...). საფიქრებელია, რომ თავდაპირველად დობირა ანუ დობერა სავენახე მიწას ნიშნავდა..., გურიაში საუკეთესო ნიადაგადაც... დობირა ითვლება (ივ. ჯავახ.). დობირა ნოყიერი მიწა ზან. (ლაზ., მეგრ. თანდ., ქობ.). დობილი < დობილო.

დობილო < *ბობილო < ბაბილო (ერთელიშვილი 1980: 145). გურული დობირა მეგრულიდან ჩანს ნასესხები. *დაბ -არქეტიპი ს.-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დოგმა:

დიალექტ. I. დოგმა შესაკრავი ღილები ლითონისა. ქართული კაბა იჭრებოდა ასე: ზედა ნაწილს გაჭრილად დავტოვებდით, რომელიც იბნეოდა *დოგმებით* ან ღილ-კილოებით (ქვ.-იმერ. მრეწ. III, I, 211). || დორგმა (ლეჩხ. მრეწ. III, I, 234). შდრ. დუგმა [ოსმალ.] ხრიკი სპილენძის ან თით-

ბერის (დ. ჩუბ.). დუგმა ლითონის ერთგვარი შესაკრავი, – ლითონის ღილკილო, ხრიკა – ქეგლი. თურქ. [dügme] ქართულშია დოგმა || დუგმა (ქავთარაძე 1964: 84).

ახ. ქართ. II. **დოგმა** [ბერძ. dogma მოძღვრება] წიგნ. დებულება, რომელიც დასაბუთებული არ არის და რომელსაც ბრმა, უკრიტიკოდ იღებენ. მე ვერაფრით გამიგია, ეს ანტიკური *დოგმა* (ჯ. იოს.). რა რიტუალები აქვთ, ან რა *დოგმებს* იცავენ (ჯ. ქარჩხ.) – ქეგლი.

დოლმა:

დიალექტ. I. **დოლმა** სხვადასხვა ჯიშის შეჯვარების ნაყოფი (თვალად. შატბ.). სხვადასხვა რო შაერევა გინდა საქონელი, გინდა ხილი, რამეი, სხვადასხვა ჯიშის ნარევი რო არი, ჩვენ ვეტყვით *დოლმა* (კავთ., ქართლ. მესხ.). ამათი *დოლმა* ან რეულა, ბევრ ხორცს იძლეოდა (ერწოთიან. მრეწ. IV, I, 59). || ნარევი. ცხვარზე იტყვიან. ◊ **შერეული.** „ცხვარში მოსაშენებლად ჯილაგისათვის სხვის ყოჩს გაურევენ“ (ი. გრიშ.).

დიალექტ. II. **დოლმა** [თურქ.] ტოლმა. „ყიიმას დავაყრით ბრინჯ, მივცემთ სუნელებ, გავახვევთ ბიბრის დოლმაში“ (ბ.); „ჟალანჩი *დოლმაც* ვიცით, უხორცო იქნება ესა“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.). „ფხალიდან *დოლმას* შევახვევთ“ (ჰამიდიე, კლარჯ. ლექსიკ.). „*დოლმას* გავაკეთავთ“ (ბაგინის იაილა, ნიგ. ბერ). **დოლმა** ტოლმა ზან. (ლაზ. მეგრ.).

დომბურა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **დომბურა** (რაჭ.) «ციგა, სასრიალო» (ვ. ბერ.); (რაჭ. კობახ.).

დიალექტ. II. **დომბური, დომბურა** დიდი, სქელი (ადამიანი...). ჩემ ბიძაშვილსაცა ჰქვიან დომბური ზედმეტ სახელათა, სქელი რო იყო, მოსული; *დომბურას* ვეძახით ემ წუთშიაცა, ცოლშვილიანია უკვე (ატ.). რა *დომბურიაო*, ადამიანზეც იტყვიან, ხარზეცა; გასუქებულს ეტყვიან (დოესი); აგრეთვე კავთ., ბეგ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. **დომბაი** ოთხფეხი – დ. ჩუბ. || [თურქ.] კამეჩი (ჩვენ. ფუტკ.). **დომბაჲ, დომბაჴ, დომბაი** დომბა (სვან. თოფ., ქალდ.). ვფიქრობთ, რომ დომბა > დომბური; -ურ სუფიქსი.

დონ-ი:

ახ. ქართ. I. **დონი** ქართული ანბანის მეოთხე ასო– დ-ს სახელწოდება. აირჩიე, რიგზე დადე, გააკეთე რკინის ბადე, ან-თან ბანი, გან-თან *დონი* და ერთმანეთს შეუფარდე! (ი. ევდ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **დონი** დონე – ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელიც საზღვარს წარმოადგენს სიმაღლის გამოსარკვევად. ბოლოს, როგორც იყო, იმათი (მზაღოსა და ელგუჯას) გონება *დონს* დაადგა (თავის დონეზე დადგა, მოვიდა) (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

ძველ ქართულში გვაქვს ზმნიზედა ოდენ „ხოლო“ და სუბსტანტივი ოდენი „ტოლი“. მისგან სხვადასხვა გზით მივიღეთ დონე, ხოლო შემდგომ დონა, დუნი, დუნე (ო-უ ხმოვანთა შენაცვლებით) დონე სიტყვის სემანტიკის განვითარებით მიღებული სიტყვებია. მათ უკვე დამოუკიდებელი მნიშვნელობა მოიპოვეს, თუმცაღა მათგან სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა მხოლოდ დუნე (მოშვებული, დაუჭიმავი ფომფლე; ბოში) (ჭინჭარაული 1974: 103 -111).

დიალექტ. III. დონი: „ბროხა ნახე და *დონი* ისე სთხოვეო“. გ. შატბერაშვილი აღნიშნავს რომ მისთვის გაურკვეველია ამ სიტყვის მნიშვნელობა. „ანდაზა ახსოვთ, „დონი“ კი ვერავინ ამიხსნა. შესაძლოა „დო“-ს მრავლობითი იყოს. მაგრამ დო რბის პროდუქტია და, თუ თხოვნაა. ბროხას უფრო „რძენი“ მოეთხოვება. იქნებ ძველ ქართულში „დო“-ს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ან „დონი“ მრავლობითიც არ იყოს“ (თვალად. შატბ.).

ახ. ქართ. IV. დონი დაუს ტიპის ძველი ინდური (შემდეგ არაბული) იალქნიანი გემი (ვარძელაშვილი 2009).

დონდოლო:

დიალექტ. I. დონდოლო გულუბრიყვილო, მიამიტი ხასიათის მეტსახელია. „იმფერი *დონდოლოა* მაი საწყალი, ადვილაი დეიჯერეფს ყველამფერ“ (აჭარ. ფუტკ.). შდრ. დონდლო საუბ. დუნე, მოშვებული, ზანტი; უფხო, მოუხერხებელი, შეუძლო (ადამიანი) – ქეგლი.

ს.-ქართვ. ბირია *დოდლ- „ლაყე; დუნე; დონდლო (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1970: 226, სქ. 1.

დიალექტ. II. დონდოლო კენკეშა (ბალ.). „*დონდოლოს* ჩუენაც ვჭამთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: აჭარ. მაყ., ნიჟ.

დოჟ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. დოჟი || დუჟი ქაფი, ავადმყოფობისას წამოსული ქაფიანი ნერწყვი. „წყალჩაქანელა ალაგი იყო და *დუჟი* მოეგდო ზეიდან“. „ეს ძაღლი ნამდვილი ცოფიანია, რო *დუჟი* მოსდის“ (ჯავახ. ზედგ.).

დუჟი დასტურდება ძველსავე ქართულში: გამოდუჟიანი: გამოდუჟიანი ტეხილი «განტეხილი», დაკოდილი: „გამოდუჟიანი ტეხილი და შეჭყლემული და გამოკუეთილი და გამონატაცები არა მოჰგუარნეთ ესენი უფალსა“ G – „განტეხილი და შეჭყლემული და დაშთობილი და მოკუეთილი და აღმოტაცებული არა შეწირო იგი უფალსა“ (pb., ლევიტ. 22, 24) – ილ. აბულ.

სიტყვა შემოსული ჩანს ახალი სპარსულიდან (შდრ. ახ. სპარს. duž „უწმინდური“, „ბოროტი“, „ავი“. შდრ. აგრეთვე ფალაური duž „ავი“, „ბოროტი ზარახვა“, „ბიწიერი“, „ნაძირალა“. როგორც ჩანს, პირიდან ქაფად გადმონადენი დუჟი მიჩნეული იყო უწმინდურად, ბოროტად, რადგან ის

დაკავშირებული იყო ბნედით დაავადებულთან, რომელიც ეშმაკის მიერ შეპყრობილად ითვლებოდა (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. II. **დოჟი** [იტალ. doge] შუა საუკუნებში: ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მეთაურთა ტიტული. ვენეციის *დოჟი* ქრისტოფერო მაურო პირდაპირ მიუთითებდა მანოს [სავაჭრო არისტოკრატიის წარმომადგენელი], ხლებოდა საქართველოს მეფეს („ელექტრ. ბიბლ.“) – ქეგლი.

დოქ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **დოქი** 1. სხვადასხვა ზომის თიხის ცალყური ჭურჭელი სითხის (წყლის, ღვინის...) ჩასასხმელად. ბავშვობის დროს ბევრჯერ მისგან წამიღია *დოქით* წყალი (გ. კაჭახ.). გაიმართა ქარხანა, კეთდებოდა: ჭინჭილა, საღვინე *დოქი* (ვ. ბარნ.). მერიქიფეებს ეჭირათ ხელში ღვინით სავსე *დოქები* და, დაიცლებოდა თუ არა ვისიმე ჭიქა, მაშინვე აავსებდნენ (აკაკი). დედაბერს *დოქი* ხელიდან გაუვარდა და პირჯვარი გადაიწერა (ო. ჭილ.). 2. ოცდახუთი თუხტის წონა ღვინო ჩაიტიოს ZA. ოცდახუთი თუხტი წონა ღვინო ჩაეტევა B. თუხტიანი C. ორლიტრიანი საღვინე – საბა. სითხის საზომი ერთეული (სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა იყო). *დოქი*... 11/4 «ლიტრა» უნდა ყოფილიყო... იმერეთში დაახლოებით 4-5 ბოთლს უდრის (ივ. ჯავახ.). 3. ის რაოდენობა სითხისა რაც ასეთ ჭურჭელში ჩადის. კარგი, შე კაცო, ერთი *დოქი* ღვინო მაინც გამოვცალოთ! (შ. არაგვ.). პატარა ბიჭო, ... მამაშვილობას, წყაროდან ერთი *დოქი* წყალი ამოგვიტანე! (ნ. ლორთქ.). [კაკანომ] ერთი *დოქი* ღვინო მოიტანა (ნ. დუმბ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ.

დოქი [შუმერ. დუქ] თიხის სურები (ჯ. შარაშ.) – ო. მიქ. შესაძლოა დოქი შემოსული იყოს თურქულიდან. შდრ. [თურქ. dökme „თუჯისა“] მნიშვნელობის ცვლა: „თუჯის ჭურჭელი“ > ჭურჭელი. (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **დოქი ჭიკი**. „ცხორს რო კლვენ, კირისთავებჩი აქს კოჭი, ბატარა ბოლი, ერთ ჯარაზე იტყიან *დოქიო*, ერთ ჯარაზე იტყიან ჭიკი, ერთ ჯარაზე იტყიან ჯარი და ასპი. რომელ ერთიც რო დალურსნილია, ისი *დოქია* და ის ერ ჯარა ჩულურია – ჭიკია“ (ფერეიდ. ჩხუბ.).

დოყ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **დოყი** (იმერ.) «გულის ჯავრი» (ი. ჭყ.). შესაძლოა, მაქსიმესაც ფარული *დოყი* ალაპარაკებდა ეკლესიის საჭეთმპყრობლის წინააღმდეგ (რ. ჯაფ.). შენ ფიქრობ, რომ თეიმურაზმა მარტო იმერეთი იგდო ხელთ, ვინაიდან სოლომონის *დოყი* სჭირდა? (რ. ჯაფ.). ◊ **დოყს ჩამოაგდებს** მტრობას, შუღლს ჩამოაგდებს. [ერისთავს] არ უნდა, ურჯულო ტახტის მოციქულთან *დოყი ჩამოაგდოს* (რ. ჯაფ.). ◊ **დოყის ჩამომგდები** მტრობის, შუღლის მოსურნე. [შვილო] მამას რომ ვინმე ავის მოსურნემ და *დოყის ჩამომგდებმა* შენი საშინელი ეჭვი გააგებინოს! (რ. ჯაფ.) – ქეგლი. ||

უკმაყოფილება. „იმას და შენ დოყი *გაქთ* ერთმანეთში?“ (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). „მაგას ჩემზე *დოყი* აქ, ერთხელ გავლახე და მიტო“ (იმერ. გაჩ.). „მაგას გულში *დოყი* აქს, არ გამახარამს“ (ჯავახ. ზედგ.). **დოყები სჭირს** (იმისი...) ჯავრი სჭირს (იმისი...). იმისი *დოყები* მჭირდა და ერთი მაგრა მოუქნიე (ქორ., ქართლ. ლექსიკ.). **გასადოყი** სადიდებულო, სამედიდურო. რას *ედოყება*, რა აქვს იმასთან გასადოყი? (კარალ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. **II. დოყი, დოყე** ტყემლის, ქლიავისა და მისთ. მომცდარი ნაყოფი, ბოყვი. რო გამოისახება ნაყოფი, მაშინ გამუა ზოგი ავანტყოფი, დაბრეცილი, არც კურკაი გაიკეთფს, *დოყეი* ვეტყვით იმასა (წილკ.). იმოტველა *დოყი* დოყი ესხა ჩვენ ჭანჭურსა, რო მეც ხო ვჭამე და ჩვენ ბალღსაც დიდი მუჭა ამოუტანე (წილკ.); აგრეთვე კავთ. (ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. **III. დოყი** დუყი. ჩაის ან ვაზის ყლორტი (ოკრიბ. ალავ.).

დოყი, დუყი: „ვაზი, მაყვალი, რაც უნდა იყოს, რომელიც თამამი ამოდის მას *დოყი* ეწოდება“ (კახ. დიალ.) – ლ. ასათ. ჩინური ვაზი ღონიერ ადგილებში *დოყდება*, თამამდება, რქა სხვილი ერდება და ვეღარ ისხამს იმტენსა (ოძ., ქართლ. ლექსიკ.). || გამსხვილებული ღერო ქინძისა, წიწმატისა; ნორჩი ყლორტი (ინგ. როსტ.). შდრ. დოყო «მსუქნად გაზრდილი, ნახეირები» (ვ. ბერ.). დოყი < დოყო.

ს.-ქართვ. ძირია *დოყო – მსუქანი ყლორტი; ბოძი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **IV. დოყი** დიყი (მცენარე) ბალახია ერთნაირი, ზონტიკივითა აქ თავი, *დოყს* ეძახიან; დიდ ფოთლეფს იკეთეფს, მეტადრე მაღალი იზრდება, მთაზე იცის, ხალხიცა სჭამენ; *დოყისაგანა* სადღობლებს ვაკეთებდით ხომე ბავშვები, როცა გახმებოდა (ატ., ქართლ. ლექსიკ.). **დოყი** დიყი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **V. დოყი** თავმიდებით აყუდებული ჩალის კონები (გასახმობად) *დოყში* შეიძლება 10-12 კონა მოაქციონ (აჭარ. ნიჟ.). „წრევლაი ბევრი *დოყები* დავდგით, ბერექეთი გუაქ“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.).

დოყო:

დიალექტ. **I. დოყო** მსუბუქად გაზრდილი, ნახეირები – ქეგლი. იმისთანა *დოყო-დოყო* ეკალაი მოვკრიფე, იმის ჭამას არაფერი არ აკლებს (იმერ. ვ. ბერ.). იხ. III. დოყი.

დიალექტ. **II. დოყო** მაღალი და ზანტი; დოყლაპია; მოუხერხებელი, ლოყო (იმერ. ქავთ.). || დოყე უქნარა. ყეყეჩი, დოყლაპია; დოყლო დუნე, დონდლო (ჯავახ. მარტ.).

ს.-ქართვ. ძირია *დოყო „ახმახი, მსუქანი“ (ჩუხუა 2017).

დობოკონ-ი:

ახ. ქართ. **I. დობოკონი** სადაფისა და მისთ. ხელოსანი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. დობოკონი** ნაგვიანევი (მოსავალი). *დობოკონი* სიმინდია, მაგრამ ტარო მაინც კარგი აქვს (იმერ. ვ. ბერ.) – ქეგლი.

დუა:

დიალექტ. **I. დუა** სამძიმარი. პანაშვიდი. მოგროვდა ხალხი *დუაზე* (ირკ. აჭნ.).

დიალექტ. **II. დუა** ჯადო (მთ.-რაჭ. ძიძიგ.).

დიალექტ. **III. დუა** ყველაფერი ის, რის ხვრეპით ჭამა შეიძლება-ბავშვის ენაზე (ხევს. ჭინჭ.). || რძე (თხისა ან ძროხის) ბავშვის ენაზე. „აბა მოდი, *დუა* ვჭამოთ, ჩემო სილაღეო! მოდი ჩაგისო, კათულაშია!“ (ფშ. ხორნ.). შდრ. დო ნადღვები მაწონი უცხიმო – დ. ჩუბ.

დიალექტ. **IV. დუა** [არაბ.] მუსლიმანური ლოცვა. „*ყუელა დუას იკუება*“ (იმ.); „*მე დუას ვიქო*, შენ ამინი ქენიო“ (ი., ჩვენ. ფუტკ.). „ყადი... თავის ხოკუების საშუალებით იწოდებს (sic), – „*დუაზე* “გამოდით, ესე იგი ვეხვეწოთ წვიმის მოყვანისთვისო“ (აჭარ. ნიჟ.). || [თურქ.]: „გათავდა *დუა* კარგობით“ (ხევწ.). „დალოცვა გურჯიჯა არაა, თურქჩა არი ღმერთის *დუა* თავზე იყვეს“ (უ.). „მალმა იცის *დუა* ჰამა“ (უ.). „ამან *დუები* კაი იცის“ (სვირ.). „ღმერთის *დუა* თავზე იყვეს“ (უ.) (ჩოხარაძე 2013: 105). || ლოცვა, შელოცვა, ვედრება, თხოვნა: „ხოკუებმა *დუას* იქმოდა“ (სირეთიე, კლარკ. ლექსიკ.). **დუა** (არაბ.-თურქ.) ლოცვა ზან. (ლაზ. თანდ.).

დუბარა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. დუბარა** 1. [სპარს.dubara «ორჯერ», «მეორეჯერ»] 1. ნარდის თამაშში – წყვილი ორიანი (კამათელი). დაიძახებდა *დუბარას*, იყო *დუბარა* (ს. კლდ.). ორი და ორი – *დუბარა* (ზ. რცხილ.). 2. ორწვერად შეგრეხილი ბამბის ძაფი (პატრუქად იხმარება); ორპირად ნაკერი (მაგ., დაბამბული ახალუხი) – ქეგლი. უწინ *დუბარიანი* ახალოხიც სცოდნიათ: გულისპირზე, საპირესა და სარჩულს შუა წვრილ-წვრილ *დუბარებს* ატანდნენ თურმე და მემრე კელის გვირისტს ჩაუვლიდნენ, ან ნემსის წვრით შეჰკერავდნენ (ქიზ. მრეწ. IV, II, 11). || დუმბარა ნაკერი ბამბიანი საცმელი ისე, რომ სახე გამოდიოდეს (თ. რაზიკ., ივერია“, №130, 1900; ი. ჭყონ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. **II. დუბარა დუბარობა** [სპარს.] ეშმაკობა, ცბიერება, თვალთმაქცობა. „თავისი *დუბარობით* უნდოდა ეჰ გოგო მიეტყვილებინა“ (ჯავახ. ბერ.). „ვითამ *დუბარა* მომიწყო კაცმა, მარა ჩუუვარდა კოვზი ნაცარში“ (აჭარ. ფუტკ.). **დუბარა** [სპარს. დრბარე] სპარსულში და თურქულში აღნიშნავს, ერთი მხრივ „ორმაგად, ხელმეორედ“, მეორე მხრივ „ინტრიგა, მოტყუება, ფარისევლობა“. აჭარულში მეორე მნიშვნელობით იხმარება (აჭარ. ნიჟ.). **დუბარა** [სპარს.-თურქ.] მოტყუება ეშმაკობა ზან. (ლაზ. თანდ.).

დუგლუგ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. დუგლუგი** 1. დიბლიგი, დიგლიგი შუბისა ან თოფის ბოლო – დ. ჩუბ. || თოფის და მისთ. ბოლო ნაწილი, – კონდახი ქეგლი. *დუგლუგი* კამეჩის რქით იყო მოსალტული (ლ. გოთ.). [თოფს] შეაყე-

ნებდა ფეხზე, *დუგლუგს* მიიბჯენდა მხართან (გ. ბუთხ.). 2. გადატ. უხეირო თოფი. თქვენ ვერაფერსა ჰკლავთ ბერდანკებით შეიარაღებულები და მე რომ ჩემი *დუგლუგი* თოფით ვერაფერი მოვკლა, რა საკვირველია?! (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. II. **დუგლუგი** მსხვილი, მოუხეშავი ბაფი, თოკი (კლდეეთი, იმერ. ქავთ.).

დიალექტ. III. **დუგლუგი** უწესო, წინდაუხედავი (ქვ.-იმერ. კუბლ.) – ალ. ღლ.

დუგუნ-ი:

დიალექტ. I. **დუგუნი** [თურქ.] ქორწილი. „თველზე რომ დეიწყება სოფლებში *დუგუნი*, გამოსულამდე არ შეწყდება“ (აჭარ. ნიჟ.). „*დუგუნი* (ქორწილი) ვიცით ბუელებურა“ (მაჭ.); „დეგენახეს ჩუენი *დუგუნი* (ჩვენ. ფუტკ.). „თლათ დუგუინები ვქენ“ (არავეთი). „*ჩემი დუგუნის* ამბები დამავიწყდა“ (თეთრიწყლის იაილა). „ადგენ, წევდენ *დუგუნში*“ (დევესქელის იაილა, ნიგ. ბერ.). **დუგუნი** ქორწილი ზან. (ლაზ. კალანდ.).

ნ. მარის აზრით, სიტყვა თურქული წარმოშობისაა. ლაზურში **დუღუნ** || **დუგუნ** ყირიმულიდან არის დამკვიდრებული და ერთმანეთის პარალელური ფორმით იხმარება (ჩოხარაძე 2013: 20).

დიალექტ. II. **დუგუნი** რევმატიზმის მკურნალობის საშუალება. კოპიტის (იფნის) ნაცარს გააცხელებდნენ თაფლის სანთელში და მტკივან ადგილზე რამდენიმე დღით დაიდებდნენ ყურწუმელას (კურკანტელას) ფოთოლს და ნაჭრით შეიხვევდნენ (ალ. ღლ). დუგუნს აგრეთვე ეწოდება „დუგუმი“ (ზ. მაყ.).

დუდ-ი:

დიალექტ. I. **დუდი** [სპარს.] მჭვარტლი. ნაჭშირივით რო არი, მაიკიდებს ბუხარჩი, ჭორტლით გაშავდების (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. II. **დუდი** 1. (თავის დუდი) თავი, თხემი (თავისი). „ბაღანას რომ პირს მიცემ თავი[ს] *დუდზე* დაგაჟდება, არ იცი მაი“ (აჭარ. ნიჟ). || ბიბილო, თავი (ლანჩხ., მეგრულიდანაა) (გურ. ჯაჯან.). 2. კომბოსტოს თავი. „კახამბერზე გადავდექი, იქაც იყო *დუდები*, ერთ გოგოსთან დავწევი, ქონდა თეთრი ბუძვები“ (ად.); „ფხლის *დუდები* ჟავეთ ჩავდევით“ (ინ.); „წრევლაი კაი *დუდი* ქნა“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). **დუდიანი ფხალი** თავიანი, თავხვეული მხალი. აგრეთვე დუდხალი (აჭარ. ნიჟ.). **დუდი თხემი**; თავი ზან. (ლაზ., მეგრ. კალანდ., ელ.).

არნ. ჩიქობავას სამართლიანი თქმით, დასავლურ ქართულ დიალექტებში დუდ ძირი ზანურიდან შეთვისებული ჩანს (ჩიქობავა 1938) და, მაშასადამე იგი აჭარულშიც ზანიზმად უნდა მივიჩნიოთ (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 96). ამ სიტყვის შესახებ იხ. (ბუკია 2006: 44).

დუდკო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. დუდკო** (დუტკო Z) თითთ(ა) წყლულება – საბა. ფრჩხილის ქვეშ ინფექციის შეჭრით გამოწვეული თითის ანთება და დაჩირქება (სინონ. საწერელი) – ქეგლი. || სიმსივნე, საწერელი (ხევს. ჭინჭ.). შდრ. დუდკა ძირმაგარა. „დუდკა ჩიბანსავეთ იქნება“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. დუდკო** (ქიზ.) სქელი წებოვანი წვენი, რომელსაც გამოყოფს ტკბილი ხილეული, თამბაქოს ფოთოლი და სხვ. ხელში გაჭყლეტილი მარცვალი «*დუდკოს*, წებოს გაიკეთებს» (ა. ლეკ.). ყურძენი *დუდკოს* რომ გაიკეთებდა [მიყვება ლეილა] პაპაჩემი თამამ მტევანს ზედ ვაზზე შეაჭყლეტავდა-ხოლმე («ლიტ. საქ.») – ქეგლი. შდრ. დუდკოს გამოშვება (ქიზ. მენთ.).

დუელ-ი:

ახ. ქართ. **I. დუელი** [ფრან. duel] ძვ. ორთაბრძოლა, რაიმე იარაღით (გარკვეული წესების დაცვით). მე მოვედი გითხრათ, რომ *დუელი* არ არის საჭირო (ნ. ლორთქ.). ძველად ასეთი შეურაცხყოფისათვის *დუელში* გაიწვევდნენ (კ. ბუაჩ.). მამამისმა *დუელში* გამიწვია (ნ. დუმბ.). ფიგურ. დუელი რეაქციული გაზეთის რედაქტორთან (ს. კლდ.). თანამედროვე დრამატურგს თავისებურ *დუელში* იწვევს დრამატურგიის ზღვა (ა. გეწ.). || წიგნ. გადატ. ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის, – შებრძოლება, შეჯიდება, შებმა. მიწა იწვოდა და ირყეოდა საარტილერიო *დუელისაგან* (პ. შამათ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. დუელი** || **დველი** [თურქ.] სახელმწიფო, ქვეყანა. „რუსია დიდი *დუელია*“ (ინ.); „აურუპას *დუელები* თლათ კაი თუალით არ გვიყურებენ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **დუელი** || **დუველი** (იტალ.) სახელმწიფო ზან. (ლაზ. თანდ.).

დუკატ-ი:

ახ. ქართ. **I. დუკატი** [იტალ. ducato] ისტ. მე-13-19 სს. ჯერ ვერცხლის, შემდეგ ოქროს ფული დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ერთი ოქრო... ერთ *დუკატს* ნიშნავდა... დუკატი ღირებულებით 10 აბაზს ან მინალთუნ ვერცხლის ფულს უდრიდა (ივ. ჯავახ.). მაშხალის შუქზე აელვარდნენ ბიზანტიური ოქროს სოლიდები, *დუკატები*, ბოტინატები და კონსტანტინები (კ. გამს.). ფიგურ. მე არ მინდა დაკარგოთ დრო, თქვენთვის ეს ძვირფასი *დუკატი* (კ. ბუაჩ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. დუკატი** ვამლის ჯიშია. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვა დიუკიდან ჰერცოგი (ზ. მაყ.).

საშ., ქართ. **III. დუკატი** აქლემის გვარი, გარნა მომცრო – დ. ჩუბ.

დუნდულ-ი:

ახ. ქართ. I. **დუნდული** ადამიანის ტანის ქვედა, უკანა ნაწილი, – საჯდომი. ჩვენ პირდაღებულნი ორანგუტანგს მივჩერებოდით, რადგან ის თავის წითელ *დუნდულებს* გვიჩვენებდა (რ. ბეჟან.). კედელს ჰფარავდა ერთი შიშველი, არაჩვეულებრივი *დუნდულების* პატრონი ქალის სურათი (თ. სახ.). || საჯდომის მომრგვალებული ნაწილი. ბროლა გვერდში დაეტაკა გოგლიას, ციბრო *დუნდულებზე* შეახტა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. **დუნდული ბოლო** მომრგვალებული ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. I. დონდოლო.

დიალექტ. II. **დუნდული** [თურქ.] რელიგ. მუხამედ წინასწარმეტყველის თეთრი ჯორი. „*დუნდულმა* ვეღარ გუუძლო სიარულსა მეგემ და შიქაეთი უყო ალისა ფეიღამბერთან“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დუნდულა:

ახ. ქართ. I. **დუნდულა**: **დუნდულა კუნთი** დუნდულის, საჯდომის კუნთი. ამ დროს ძალოსანი ამაგრებს ფეხების კუნთებს, *დუნდულა* კუნთებსა და წელს («ლელო») – ქეგლი. იხ. I. დუნდული.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **დუნდულა** 1. უშნო, მოშვებული, რბილი ხასიათის კაცი, ვინც ადვილად მოტყუვდება. 2. დაბეჩავებული, ნელად მოსიარულე (დ. ჩუბ., ი. გრიშ., ქეგლი). „ახლანდელ დროში მაქფერი *დუნდულაი* კაცი რათ გამოდგება?“ (აჭარ. ფუტკ.). **დუნდულა ზოზინა** ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. I. დონდოლო.

დურ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **დური** დის დამახასიათებელი, დის შესაფერი. დურად ზმნს. დის დარად, მსგავსად, დის შესაფერად, დასავით. ვაჭრის ცოლთა მხიარულმან ვუმასპინძლე ამოდ, *დურად* (რუსთაველი) – ქეგლი.

დური < და; ამოსავალი სიტყვაა **და** „ერთი დედ-მამის (ან ერთ-ერთი მათგანის) ქალიშვილი სხვა შვილების მიმართ“. -ურ სუფიქსი. იხ. I. დაია.

ახ. ქართ. II. **დური** [იტალ. duro] (მუს.) მაჟორული კილო, წყობა – მ. ჭაბ.

დუტკო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **დუტკო** თითთ(ა) წყლულება – საბა. მე თითი *დუტკომ* წამიხდინა, ნემსს ვერ ვიხმარ (ზ. ანტონ.) – ქეგლი. || ერთგვარი სენია, ხელის თითებზე ემართება ადამიანს. ფრჩხილქვეშ ჩირქი დაუგროვდება და ძალიან მტკივნეულია. ამბობენ: ეს სენი იმას უჩნდება, ვინც საქონლის (ძროხის, ცხვრის...) წამძვრალ ჩლიქში თითს ჩაყოფსო. ამიტომ, როცა თავ-ფეხს სახაშედ ასუფთავებენ, ცდილობენ, თითი არ ჩა-

ყონ ჩლიქებში. „დროზე გადაყარეთ ეი ჩლიქები, ბავშვებმა არ ითამაშონ და *დუტკო* არ გაუჩნდეთ“ (გ.-კახ. სახლთხ.). ზედ მარჯვენა სალოკ თითზე გამომივიდა *დუტკოი*, მაღონებდა, მაღონებდა და ვეღარც ვერაფერს ვაკეთებდი (მეჯვრ., ქართლ. მესხ.). აგრეთვე ჯავახ. მარტ. || დუთკო აბურცებული, დასიებული თითი (ქართლ. კირიონი). || დოტკოჲ კანზე დაყრილი ღუდუდები. „ჯინჭარ რო დასწვავსა-დ კანზე გამაყყრის, დოტკო იცსი“ (თუშ. ცოც.). იხ. I. დუდკო.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **დუტკო** იხ. II. დუდკო. ჩითის *პერანგები* თამბაქოს *დუტკოსაგან* ისე ჰქონდათ დატეტკილები, რომ ვერ გაიგებდით, რომელს რა ფერი ეცვა (დ. ზურაბ.) – ქეგლი.

დუყ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **დუყი** ახლად გამოტანილი ყლორტი (ჩვეულებრივ ჩაის ბუჩქისა). ვიცი, რომ ეს ხელები თვალშეუვლები სიწრაფით იმოძრავებენ ჩაის *დუყებში* (ც. არდაშ.). [ჩხაიძე] წყვეტდა მოვერცხლისფერო-მწვანე *დუყებს* («მნათ.»). ყოჩივარდების გამოჩენა მხალეულის ამოსვლას ნიშნავდა, მხალეულობას ასკილის ნეკერი, მაყვლის *დუყი* მოსდევდა («ლიტ. საქ.») – ქეგლი. აგრეთვე: გურ. შარაშ., ჟღ. დუყუ || დურყი ყლორტი (ლაზ. თანდ.). შდრ. III. დოყი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *დუყ- „ყლორტი; ბოში“ (ჩუხუა 2018: 83).

დიალექტ. II. **დუყი** ჩუმი, ცოტას მოლაპარაკე. – ე ყუდიათ ბოსელიკაიც დუყი. – დუყი რაჴელი-ღ კაცი, აუჩქამდომია? – ჰო, რო ვერ ამბობს გასარ... (ხევს. თავისებ. 342, 23). აქვე: დუყა თ. უთურგ., დუყაყი ივ. ქავთ., დუყლუნცი ხევს. ჭინჭ.). შდრ. I. დოყი.

დუშაყ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **დუშაყი** პალვანდი – დ. ჩუბ. ცხენის ფეხის დასაბორკი თოკი ან ბორკილი, – პალვანდი (უყრიან წინა და უკანა ან წინა ფეხებში). [მგზავრებმა] მოხსნეს ცხენებს შეკაზმულობა, გაუყარეს *დუშაყები* (ვ. ბარნ.). ქურანა ლაფშას წინა ფეხებზე *დუშაყი* დაადო და მოლზე მიუშვა (გ. გეგეშ.) – ქეგლი. **დუშაყებ**ი ცხენის ფეხების მოხერხებულად შეკვრა, რომ მან იორღა სიარული ისწავლოს (თუშ. ხუბ.); დუშაყი (მოხ., ფშ. შან.). შდრ. დუშაგი [სპარს.-არაბ.] ბორკილი (მთ.-რაჭ. ძიძიგ.).

დიალექტ. II. **დუშაყი** || დუშაღი – მოაჯირი. „პარმაღს რო უვლის რეშოტკა“ (მამ.). „მოაჯირის ზედა ხვია, რომელზედაც რიკულებია მიჭედებული (მახ.). „დუშაღზე გეიარ-გამეიარს აი ვაჭარი“ (ლიხ., გურ. ჯაჯან.). **დუშაღი**, დუშახი აივანის მოაჯირი (გურ. ნიკოლ.).

დუხ-ი:

ახ. ქართ. **I. დუხი** [რუს. *духи*] საუბ. სუნამო. უცბათ ეს კაცი გადაიქცა, წყალი ვასხით, რა *დუხები* და ოდეკალონები! (ა. ცაგარ.). ძველი ოთხმოცი ათასი *დუხის* კოლოფში ჩაეტეოდა?! (კ. ბუაჩ.). რა კარგი «დუხი» გქონია, მაია, რა ჰქვია? (ე. ყიფ.). *დუხი* დამასხურა და, იმ სულელმა, ფეხსაცმელები თავისი ცხვირსახოცით გადაიწმინდა (რ. ინან.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. დუხი** [რუს. *дух* სული] მე. საუბ. გამოთქმებში; ◊ (ვისიმე) **დუხი არ იყოს** (**არ ვნახო**) საუბ. დაიკარგოს, არ დამენახვოს, დამეკარგოს. არ ვნახო მაგისი დუხი! (შ. დად.). ◊ (ვისიმე) **დუხს გააქრობს, გაწყვეტს** (ვისმე) მოსპობს, გააქრობს; განდევნის (საიდანმე). მოვა გიორგი და, თუ ვუთხარი, შენს დუხს გააქრობს (შ. არაგვ.) – ქეგლი.

ე

ევან-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ევანი** [სპარს. აივან] აივანი, წინკარი, ბალკონი. *ევანი* ოქროდ ნაჭედი, სვეტები ბროლის ქვისანი (შჯნ. I, 970, 2). || ეჲვანი აივანი. *„ეივნები* დუუკეთებიან სახლებისთინ“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

სიტყვაში ჯერ ასიმილაცია ხდება, მერე მიმსგავსებული იდენტური ხმოვანი იკარგება: აივანი >*ეივანი >*ეევანი > ევანი (ქავთარაძე 1964: 146).

ძვ.,საშ. ქართ. **II. ევანი** «ერქვანთ ღვედი, ჯამბარა (საბა, დ. ჩუბ.). || თოკი, ბაწარი: „ვითარცა უღლისა *ევნითა* დიაკეულისაჲთა“ (I, ეს. 5, 18); „უბრძანა მოღებად *ევანთაჲ* და გარდააცუა ყელსა აპოლონისსა და მოჰზიდა“ (ფლკტ. 135, 8) – ილ. აბულ.

ელა:

დიალექტ. **I. ელა** ელი, იელი, მცენარეა (გურ. შარაშ.). || **ელი** იელი. აიღე... ბუნდრი და *ელი,* და სუმბული და ასრიონი (ფანასკ. 172, 29). – ელებთან იყო წახანე ძროხა (გურ. იმნ., რაცხ. გურ.). გრიგალი არის ელის წნელი (ელი ხე არის დაბალი და წვრილი (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 302; იმერ., რჭ., ლჩხ., ა. მაყ). ელა < ელი < იელი. **ელი** იელი ზან. (მეგრ. ყიფშ.). საბა უთითებს, იელი – ხე, თაფლის განმრყვნელი. დ. და ნ. ჩუბინაშვილები კი აღნიშნავენ იელი – შავ-ფაფარა, თაფლის განმრყვნელი.

ს.-ქართვ. *ი-ალ- „იელი“ > ქართ. ი-ელ-ი || იალ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ელა** [თურქ.] მაშინვე, უმალ. „მე მივედი და ისიც *ელა-ზე* მოვიდა“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **ელა:** ზოგჯერ არ ითარგმნება, ნაწილაკია, ზოგჯერ აღნიშნავს მაშინვეს (ჯავახ. ბერ.).

ეროყია:

დიალექტ. **I. ეროყია** /ე გაუმაძღარი ადამიანი (სვან. ეროყიაჲ, ჲერყან) მგლის მადა, გაუმაძღრობა (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ერეყანი [არაბ. იარაკან] 1. ავადმყოფობა, რომელმაც სიყვითლე და ქავილი იცის, – სიყვითლე, ზაფრა. 2. (ლეჩხ.) გაუმაძღრობა – ქეგლი.

დიალექტ. **II. ეროყია** დაუკვირვებელი, უადგილო (ლაპარაკი). რანაირი *ეროყია* ლაპარიკი იცის ემან (რაჭ. კობაბ.). შდრ. როყიო. 1. უხეში, უშნო, დიდი (ხმა). 2. ცუდად, დაუკვირვებლად მოლაპარაკე (ადამიანი). 3. დაუკვირვებლად, არა თავის ადგილას თქმული (სიტყვა). როყიოდ ზმნს. დაუკვირვებლად, დაუფიქრებლად, უადგილოდ). ◊ როყიო ტყვია (გურ.) «შემთხვევით მოხვედრილი ტყვია» (გ. შარაშ.) – ქეგლი.

აღდგენილია *ს.-ქართვ. როყ- (კელაურაძე 2017: 26).

ერულ-ი:

დიალექტ. **I. ერულჶ** წისქვილის ზედა ქვა. „გუშ ალონით *ერულჶ* მოვიღი“ (თუშ. ხუბ.). *ერულჶ* ან დოლაბჶ კახეთიდან მიაქვთ მთაში (თუშ. მრეწ. IV, III, 186).

დიალექტ. **II. ერული** არული. *ერული*-კუდიანები იგივეა, რაც არული. „შევაგროვეთ ჩალიღეროები და დავამთეთ *ერული*-კუდიანები“ (იმერ. გაჩ.). შდრ. არული ძვ. ეთნ. 1. ხალხის წარმოდგენით: ავი სულების მიერ ანთებული ჭიაკოკონა და მის გარშემო ცეკვა-თამაში. 2. შეძახილი ჭიაკოკონასთან ავი სულების დასაფრთხობად – ქეგლი.

ერულაყ-ი:

დიალექტ. **I. ერულაყჶ** 1. ფერხული. „ჴელჩამბითა-დ მირგვლიაყ რო უვლიან, ისჶ, გასასვლელ კარ რო არ აქვ“ – ხელიხელხელჩაკიდებულნი წრეს რომ უვლიან, ისაა, გასავლელი რომ არა აქვს. 2. მოლხინართა წრე. „წადინაყ ვიყვიდ ბალღობითივჶ, სიდაც რა *ერულაყ* იღვის, მეაც იქ ვეყუდიდჶ“ – მოწადინე ვიყავი ბავშვობიდანვე, სადაც რამ ფერხული იყო, მეც იქ ვიდექი ხოლმე (თუშ. ცოც.).

ზემოაღნიშნული სიტყვის ფუძეა ერ-ი. **ერი** წერილის სიტყვით ჩვენებურად, სამხედროსა ჰქვიან. მგონია, ესე ებრაული უნდა იყოს, სწორეთ კი ვერ დაგიმტკიცებ და ირწმუნე, ერი არც (აჰლ) აქედამ არს წარმოებული, არც ერიდამა. იერე ბერძულიც არის. საკუთრად ჩვენებური – ნათესავი, თესლი, მოქალაქე, მცხოვრები (თ. ბაგრატ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ჰერ- > *ერ (ჩუხუა 2000-2003). განსხვავებული თვალსაზრისების შესახებ იხ. (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ერულაყჶ** კუდიანების სერობა. *ერულაყში* ნაბამჶ ალქაჯთა ნაამხანაგარი, მათთან *ერულაყში* ნამყოფი. „გან ფარსაკიავ, იციან, ეგევ, ერულაყში ნაბამიავ“ – განა ფარსაგიაო, იტყვიან, ეგ ერულაშია ნაბამიო (თუშ. ცოც.). იხ. II. ერული.

ეტ-ი:

საშ. ქართ. **I. ეტი** კალაქვის გვარი (დ. ჩუბ.).

ახ. ქართ. **II. ეტი** 1. ვაზების რამდენიმე მწკრივი ერთად (რასაც ერთ გავლაზე კრეფენ), – სვე რთველში. 2. (ქართლ.) ვენახის ან ბაღის თითოეული ის ნაწილი, რომელთა შორის ბილიკია ან საურმე გზა. || ძვ. კვალი, რომელიც მიჯნად იყო გამოყენებული მამულში – ქეგლი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით ეტი სომხური წარმომავლობის სიტყვაა. ვაზებს მარტში სხლავდენ სასხლავით, რომელსაც მდაბიო ხალხი ეტოცს უწოდებს. თვით გასხლვას კი ეტელს-ს, ანდა ეტანელ-ს ეძახიან... სხლვას **ეტ-ი** ეწოდება (ჯავახიშვილი 1986: 564).

ექინ-ი:

ძვ., საშ. ქართ. I. **ექინი, ეჰანი** || **ეჰიწე** ზღვის ზღარბი. ეჰანი თევზი რამე არს მცირე, ზღვასა შინა, ნავთა დააყენებს, რა ნავს მოეკიდოს (საბა). [ბერძ.] ზღვის ზღარბი – დ. ჩუბ. მერცხალნი და მწერონი და ჯინჭველნი მოსლვასა ზამთრისასა აგრძნობენ, ვითარ იგი *ექინნიცა* და ალკჯონნი ბუნებით მომგებელნი ამისნი (ხრონღრ. 114, 7) – ი. ქერქ.

დიალექტ. II. **ექინი** 1. [თურქ.] თესვა, ნათესი; 2. თესლი, პური. „ყანებ ქი მოვჴნავთ, იმა ქვია *ექინობა*“ (იმ.); „ახლა დოუთესავან *ექინი*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). ექინი – მარცვლეული: „იქ თესლს (სიმინდ, ხორბალს) ჩავყრიდით; ის ბეღელია, იქ *ექინ* (მისირ, ბუღდაი) ჩავყრიდით“ (ქირიმითი, კლარჯ. ლექსიკ.).

3

ვაება:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. ვაება 1. ვაჲ «ეჰა», ვაი; «ვაება». „ვაჲ, მის კაცისა“ (მთ. 18, 7); „დაწერილ იყო მას გოდებაჲ, უბადრუკებაჲ და *ვაებაჲ*“ (I, ეზეკ. 2, 9); „*ვაებაჲ ვაებასა* ზედა“ pb. – „*ვაჲ ვასა* ზედა იყოს“ (O, ეზეკ. 7, 26). 2. ვაება «აღკუმინვა», ვაის თქმა; ტირილი და გლოვა: „არავინ აღიკუმინა, არავინ ძეთა ისრაელისათამან ენითა თჳსითა“ M, – „არა *ივაა* არცა ერთმან ძეთა ისრაწლისათამან ენითა თჳსითა“ (O, ისუ ნ. 10, 21) – ილ. აბულ. ერთგულთა შექმნეს *ვაება* (ვეფხ. 339, 4). || მწუხარე(დ) გლოვა, ტირილი – საბა. ვვაგლახობ, ვმწუხარებ, სულთ-ვითქვამ – დ. ჩუბ. ავდგეთ, კმარა, გვეყო *ვაება!* (ი. ევდ.). || დიდი მწუხარება, ტანჯვა, უბედურება. წყალმა და ღვარმა წაიღო *ვაება* შავ წარსულისა (გ. ლეონ.). ნუ ვინ იტყვის ობლობისა *ვაებას!* (ნ. ბარათ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ტანჯვა-ვაება – ქეგლი. ვაია ვაება, უბედურება ზან. (მეგრ. ქობ.). ვაი > ვაება.

ვაი პოლისემიური შორისდებულის მნიშვნელობების შესახებ იხ. ქეგლი. აგრეთვე გაჩეჩილაძე 1979: 167. ვაი! შორისდ. მწუხარებისა ზან. (ლაზ. თანდ., ქობ.).

დიალექტ. II. ვაება ნაკელი. საქონლის *ვაებაში* არი გასვრილი, სამწყესო პარკი რო კიდია (ხრეითი, ზ.-იმერ. ძოწ.). ვეება სკორე, განავალი ზან. (მეგრ. ელ.).

ვაზ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. ვაზი «ნასხლევი», ვენახი: „განვარდა იგი გარე, ვითარცა *ვაზი*, განჴმა“ C, – „განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი და განჴმა“ (DE, ი, 15, 6); „ნაყოფიერი იგი *ვაზი* ჭეშმარიტისა მის ვენაჯისაჲ“ (H – 2251, 345V) – ილ. აბულ. || [Vitis vinifera] «ყურძნის ხე» (საბა). *ვაზის* მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო (დ. გურამ.). *ვაზს* ხეხილივით ზეზე დგომა არ შეუძლია (ი. გოგებ.). ლელვი დამწიფდა, ყურძენიც *ვაზებს* ჰკიდია ქარვებად (გ. კაჭახ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირია *ʾუაზ- „ვაზი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. ვაზი ლეწვის დროს გულთბოშზე გამობმული რკინის ჯაჭვი ხარების დასაბმელად (მთ. კაიშ.).

ვვარაუდობთ, რომ ვაზი < ვაზრი; ვაზრი საფხეკი, ქლიბი: კეტი, კომბალი: „მოწყჳდნა ტაპარაკითა და ვაზრითა რკინისაჲთა“ (O, II, მფ. 12, 32); „ვაგრძნობ ცემასა ამას ვაზრთასა“ (ვარ. 809) – ილ. აბულ. ვაზრი ძვ. იგივეა, რაც ვარიზი. ვარიზი ძვ. ცელის მსგავსი მახვილი, ტყავის საფხეკი (საბა). თავის მხრივ ივარაუდება, რომ ვაზრი < საშ. სპარს. ვაზრი [vazr გურზი] (ანდრონიკაშვილი 1966).

დიალექტ. III. **ვაზი** თოვლის სახვეტი. *ვაზი* თოვლის გახეტასია /ახჩა/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. IV. **ვაზი** [არაბ. Vaz] საფუძველი, ქონება. ოთაღიცა, მისაძღა რო ნამაი *ვაზი* ჰქონდა, ყონაღი ჰყვანდისყე, იმ ოთაღჩი შაიყვანოს; ამებჩი ნესირ აყას *ვაზი* სუსყე ნამა ყოფულა და სოფელჩი ერთ რაქთესხან ქადხოდა ყოფულა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ვაკასა:

დიალექტ. I. **ვაკასა** ბალახია, თუ პირუტყვს უდროვოთ კბილი ჩავარდა, იტყვიან – *ვაკასა* მოხვედრიაო (იმერ. ჭყ.).

დიალექტ. II. **ვაკასა** ერთნაირი მწვანე ბაყაყი, ხეზე ცხოვრობს. როდესაც ის ყიყინს დაიწყებს, წვიმა მოვაო, – ამბობენ (იმერ. ჭყ). *ვაკასა* დეიჭირეს ბოვშებმა (ლეღვანი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ვასაკა (ოთხფ.) მწვანე მცირე მყვარი – საბა, ქეგლი.

ნ. მაჭავარიანის აზრით, ეს სიტყვა ვაკასა < ვასაკა მეტათეზისით, ხოლო ვასაკა ქართულში შემოსული უნდა იყოს ბერძნულიდან – Basiliskos (მაჭავარიანი 2015: 66).

ვარანგ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ვარანგი** ზამთრის თბილი ღამე (ქართლ., კირიონი). **ვარანგიანი**: ◊ **ვარანგიანი დღე** (ქართლ.) უქარო და უმზეო, ბურუსიანი დღე – ქეგლი. ზამთარში დიდი თოვლიც რო იდოს, თუ ვარანგიანი ღამეა, არ გაჰყინამს ისა (ხც., ქართლ. მესხ.). დაავარანგებს მოიღრუბლება და მოთბება ზამთარში. რაღაც ღრუბლები წამოვიდა, იქნება *დაავარანგოს* ამაღამა და არ გაჰყინოს წყალი (ვაყა, ქართლ. მესხ.).

შდრ. მარაგი მზ. თხელი ღრუბლით შემოსილი ცა (საბა). არსებობდა ცასთან დაკავშირებული სიტყვა „მარაგიც“, რომელიც იმავე საბა ორბელიანის განმარტებით ქართულად თხელღრუბლიან ცას აღნიშნავდა (ივ. ჯავახ.). მკვლევართა თანახმად: მარაგი [სომხ.] ცა თხელის ღრუბლით შემოსილი იალკიალი – დ. ჩუბ. ივ. ჯავახიშვილმა თავის გამოკვლევაში „ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა“ სხვადასხვა კავკასიური ენების შეპირის-პირების საფუძველზე აღადგინა მზის აფხაზური უძველესი სახელი მარახ- (ჯავახიშვილი 1950: 144). გ. კლიმოვი, მარგ-ს საერთო-ქართველურ ძირად მიიჩნევს და აღადგენს ს.-ქართვ. *ვარგ *არქეტიპს (კლიმოვი 1964: 82). მ. ჩუხუას აზრით, მარაგ-ში გამოიყოფა ს.-ქართვ. *მარ- „ღრუბელი, ღრუბლიანი ამინდი“ და ამ უძველეს სიტყვას შესატყვისები ეძებნება სხვა კავკასიურ ენებშიც (ჩუხუა 2000-2003; 2017).

საშ. ქართ. II. **ვარანგი** მეომრები ბიზანტიის იმპერატორის კარზე. „და მოვიდეს *ვარანგნი* სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შჳდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ *ვარანგ-*

თა მესხნი ვერ-ღა-რა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამას-ვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანი-ცა დიდებულნი მის თანა, ვერ-ღა-რა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს" (მატ. ქართლ.). შდრ. ვარიაგები (ბერძ. Βάραγγοι, Βαριάγοι, Várangoi, უკრ., რუს. Варяги) – სკანდინავიის მცხოვრებთა ძველი რუსული სახელწოდება, წარმოდგება ძველი სკანდინავიური სახელისაგან vaeringiar – ნორმანი მეომრები, რომლებიც ბიზანტიის ჯარში მსახურობდნენ. აქედან გავრცელდა არაბულში და ქართულში („ვარანგ"), სომხურში („ვრანგ.") და ა. შ. („ვიკიპ.").

ვარყა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ვარყა** სოკოა ერთი – საბა. **ვარყა, ვარაყა** იგივეა, რაც არყა-სოკო – ქეგლი. *ვარყა* თეთრი, მწარე სოკოა, ხარშავენ, გაწურავენ, მერე ან შეწვავენ, ან შეუწვავად ჩადებენ ქინძმარში (ღორეშა). *ვარყა* ორნაირია ჩვეულებრივი და მჯღვანი, ანუ ყრუალა, რომელსაც ძირიდან წაყვითალო ფერი აქვს და უფრო დიდი იზრდება, ვიდრე ჩვეულებრივი *ვარყა* (სანახშირე); *ვარყას* გავახმობდით, მოვხარშემდით, შევწვემდით და უზემდით ძმარსა და ნიგოზს (სერი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ვარყა < არყა. არყა სოკო ფართოქუდიანი წვრილფეხა სოკო; იცის არყნარში; იჭმევა. ვ განვითარებულია. იხ. I. არყი.

დიალექტ. II. **ვარყა** დაუკოდავი ცხენი, ქვ. ვაყა (ზმ.-რაჭ. კობახ.). უარილ, უარყა თავნება ცხენი (სვან. თოფ., ქალდ.). **ვარყა** (ვაყა) ულაყი ზან. (მეგრ. ელ.). ვაყა || **ვარელი** დაკოდილი ზან. (ლაზ. თანდ.).

ვარყა < ვაყა ულაყი – ქეგლი. „საყურადღებოა აგრეთვე ვაყა, რომელიც იმერეთში „მამალი ცხენი"-ს ე. ი. ხვადი ცხენის, უფრო კი ახალგაზრდა ხვადი კვიცის სახელია (ვ. ბერ.). ეს სახელი მეგრულშიც არის, მხოლოდ იქ ვაყა-ს გარდა ვარყა-საც ხმარობენ... დასასრულ, ვაყა ჭანურშიც მოიპოვება და იქაც ხვადი ცხენის, მაგრამ უკვე დაკოდილის მნიშვნელობა მიჰნიჭებია" (ჯავახიშვილი 1992: 178). **ვარყა** || **ვაყა** სიტყვები სათანადო მასალისა და ლიტერატურის მიხედვით დაწვრილებით განხილული აქვს მ. ბუკიას (ბუკია 2006: 27).

ვარხვ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ. I. **ვარხვი** მფრინვ. – დ. ჩუბ. „ვემსგავსე მე *ვარხუსა* მას უდაბნოჲსასა და ვიყავ მე ვითარცა ბუვი ნატამნევსა" (ფს. 101, 7) – ილ. აბულ. ვარხჳ მფრინვ. „ფილაკვანი". ხოლო ველთა და ტყეთა: წერო... *ვარხვი*, ღალღა... (ქ. ცხ. IV, 42, 6). მე ბაზიკს ესდენ გავწვრთნი, რომ ჰაერიდან მფრინავი წერო და *ვარხვი* ჩამოიღოს (საბა). «[მეგობრებს] მზა ვარ ვაწოვო ჩემი სისხლი, მით გამოვკვებო, როგორც ერთგული *ვარხვი* თავის ბარტყებსა კვებავს» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ურარხუ „ვარხვი; წყლის ფრინველი (ჩუხუა 2017).

საშ., ქართ. II. **ვარხვი** მცენ. ვერხვი – დ. ჩუბ. შდრ. „აღმოვაცენო... ძელქვაი და საროი და თელა და *ვერხჳ*“ (I, ეს. 41, 19). „მუხასა და ვერხუსა ქუეშჱ და ხეთა სიგრილითა“ (O, ოვსე, 4, 13) – ილ. აბულ. ვითა *ვერხვი* ქარისაგან, ირხევის (ვეფხ. 140, 2). *ვერხვა* ვერხვი. ვინცა ნახა, მისის შიშით, ვითა ვერხვა წარწარებდა (შჰნ. III, 786, 2). აგრეთვე ვერხი (რაჭ. კობახ.). ვეხი (მცენ.) ვერხვი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *უერხ (უ) „ვერხვი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე კლიმოვი1964.

ვაც-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ვაცი** «წალი», მამალი თხა; თიკანი: hircus, haedus: „მოიბთ *ვაცი* ერთი თხათაგან“ (M, ლევიტ. 9, 3); „მძოვარ იქმნებოდეს ვითარცა ველურნი *ვაცნი*“ (მსკ. 25, 7); „შეწიროს... *ვაცი* თხათაგან ცოდვისათჳს“ O, – „მოჰგუაროს წალი თხათაგან ცოდვისათჳს“ (G, ლევიტ. 5, 6). აგრეთვე ვაც-ბოტი თხა – ილ. აბულ. ასრე უჩნს მოკლვა ლომისა, მართ ვითა ლომსა *ვაცისა* (ვეფხ. 227, 4). **ვაცი** მამალი თხა. || ბოტი. *ვაცი*, რომელსაც ხმლის სიგრძო რქები ჰქონდა, წვერის ცანცარით ცხვარს წინ მიუძღვებოდა დინჯად, ამაყად (ვაჟა) – ქეგლი; შდრ. ვაცაობა, ვაც-ვერძი, ვაცის ბოტობა, ვაც-ლაომი, ვაცუნი/ა, თხა-ვაცი, რქადახრილი ვაცი, რქამარწუხა ვაცი, სავაცე, საზომის ვაცი (ხევს. ჭინჭ., ფშ. ხორნ.). ვაცალა-ი დაკოდილი მამალი თხა ექვსი თვიდან წლამდე ხნოვანებისა. „სასთლოდ ყელშავი ვაცალაი მყავ დასაკლავად გამიზნული, გალაღებულია“ (მოხ. ღუდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირები: 1. *უაც- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *უაც- „ვაცი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ვაცი** ფანდურის სიმების დასაყენებელი, სამნაჭდევიანი ბგიდე. ფანდურს ვერ ააწყობ, თუ *ვაც* ან მაღალია, ან დაბალი, თავის ზომისა უნდა დაუყენო (ფშ. ხორნ.).

ვფიქრობთ, რომ ვაცი < ვაცა. ვაცა იგივეა, რაც ბაჩაყურა – სამბილიანი პატარა ხის ხელსაწყო, რომელშიაც ფანდურის სიმები სხდება (ხევს. ჭინჭ.). შდრ. ს.-ქართვ. *უაცა „გრძელი ხის ჯოხი, ბოძი“ → ქართ. ვაცა-: ზან. ოჩო- (ჩუხუა 2000-2003).

ვედა:

დიალექტ. I. **ვედა** [არაბ. veda] გამოთხოვება, გამომშვიდობება. „წასლიხან *ვედა* გვიყო, გვატირა ბევრი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. II. **ვედა** [სანსკრ. vēda]: ვედები – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება შუა საუკუნეების ინდოეთში. ვედიზმი ინდოეთის უძველესი რელიგია; ამ რელიგიის საფუძვლები მოცემულია *ვედებში* – მ. ჯაბ.

ველურ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ველური 1. გარეული: «გაუცხებული»: „ესე იყოს კაც *ველურ*“ (O, დაბ. 16, 12); „თაფლი *ველური*“ (მთ. 3, 4); „შეიღო ძელი ფართოდ *ველურისაგან* ფიჭჳსა“ (H – 341, 762). აქვე: ველურქმნული, ვირი ველური, ველურდება, განველურება – ილ. აბულ. ყუელანი კეკლუცნი, ვითა *ველურნი* თხანი სიქსუითა (ვისრ. 68, 36). || გარეული, მოუშინაურებელი, ტყიური (ცხოველი, ფრინველი) (საპირისპ. შინაური). ველისა, ტყისა (მცენარე) (საპირისპ. ნარგავი, ნაშენი) ილესავდა კბილებს შეუპოვარი *ველური* ტახი (ე. ნინოშ.). || გადატ. დაუმუშავებელი, პირველყოფილი საბისა. უეცრად ამ ტყის იდუმალებაში გაისმა სიმღერა, *ველური* რამ საცვიფრებელი (შ. დად.). 2. პირველყოფილი, პრიმიტიული; კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი, არაცივილიზებული. უკანასკნელი *ველური* კაცი ხმარობს ცეცხლსა და უგონიერეს მაიმუნს კი არ შეუძლია ესა (ი. გოგებ.). 3. გადატ. მხეცური, ბარბაროსული, არაადამიანური. აყვავებულ საქართველოს შემოესია *ველური* და შეუბრალებელი მტერი (ი. გოგებ.). 4. გადატ. მიუვალი, მივარდნილი, უდაბური. ეს იყო ვანდე – დაბურული, *ველური*, ადამიანისაგან ხელშეუხებელი ტყე და ბუჩქნარი (ი. მაჭავ. თარგმ.). 5. არს. სახ. პირველყოფილი ადამიანი; კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის წარმომადგემელი. *ველურთ* ურდონი თარეშობდნენ ჩვენში ყველგანა, რომ აღეგავათ ქართველების მოდგმა, სახელი (გ. ქუჩ.) – ქეგლი. || ვერული : ვერული ღორიც იყო ამ ტყიეფში (გურ. იმნ. 147, 31). ველური: ძირი ველ-; -ურ სუფიქსი.

გ. კლიმოვს, ქართ. ველ- და მეგრ. ვე(ლ)- საერთო ქართულ-ზანური ერთიანობის დროინდელად მიაჩნია (კლიმოვი 1964: 82). იხ. აგრეთვე: გიორგაძე 1979: 64, გამყრელიძე, ივანოვი 1984, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. ველური [ფრანგ.] სუფთა შალის დახაოიანებული ქსოვილი ან მოკლე, სქელი და რბილხაოიანი ფეტრი; ქრომის ზამში, ქრომიანი თრიმლვით მიღებული ტყავი. ველური [თურქ.] ბარხატი. „ეს ყუმაში *ველური* ყოფილა, ყედიფე“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ვეჟან-ი:

დიალექტ. I. ვეჟანი ეჟვანი. მიუდის ჩვენებ ქეჩები, *ვეჟნებს* გააქვის ჩქამიო (ხევს. პოეზ. 211, ბ, 7). შდრ. ფშ. ვეჟვანი (ხევს. ჭინჭ.).

ვეჟანი < ეჟვანი. ეჟვანი ძველ ქართულში წარმოდგენილია ორი ფონეტიკური ნაირსახეობით: ეჭუანი-თა და ეჟუანი-თ: „*ეჟუნები* ოქროისა ოთხასი ესხა ორთა მათ ბადეთა“ (II წშტ. 4, 13); „ვითარცა *ეჭუანი* ოხრინ და ჴმობნ“ (ფიზ. XX, 24). „სიყვარული აღგვამაღლებს“ – ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ (ვეფხ. 791, 3). ჭიაბერმა ეჟვნები გააჟღარუნა (შ. დად.) – ქეგლი.

როგორც ეჭუანი, ისე ეჟუანი ბგერწერითი წარმონაქმებია: ძირები ჭუ და ჟუ გარკვეულ ბგერადობას, ჟღერას უკავშირდება. საწარმოებელი მოდელია ე –ან (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II.** ვეჟანა, ვეჟანი 1. ძვ. «წითელშავი» (საბა, დ. ჩუბ.). 2. (მთ.) ვეფხვივით ჭრელი (საქონელი). სინონ. ჭრომახი, კანჯარა, ტილურა – ქეგლი. ვეჟანა ჭრელი, ზოლებიანი (წითელი და შავი ზოლებით). „ერთი *ვეჟანაი* დეკეული მაჩუქვეს“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე რაჭ. კობახ. შდრ. ბეჟანაი ვეფხვივით ჭრელი, ზოლებიანი ცხოველი. „– ოლავ, ვერ მიცან ვინა ვარ? – როგორ არ გიცან, ბეჟანაი არა ხარ?“ (მოხ. ღუდ.).

ვერაგულ-ი:

ახ. ქართ. **I.** ვერაგული ვერაგის დამახასიათებელი, – მზაკვრული, მუხანათური. [ლადო კეცხოველი] მეტეხის ციხეში *ვერაგულად* მოკლეს (შ. დად.) – ქეგლი.

ვერაგ- ული: ულ- სუფიქსი. ძირი ვერაგ-; ვერაგი ჴერჴი B. See also: ურვაგი – საბა. ვერაგი ვინც ფარულად სიავეს უმზადებს ვისმე, ვინც ცბიერებით განსაცდელში აგდებს ვისმე, – მზაკვარი, მუხანათი, მუხთალი. ქეგლი.ჰრ. აჭარიანს მიაჩნია, რომ ეს სიტყვა ნასესხებია სომხურიდან [შდრ. სომხ. virag] „მოწინააღმდეგე“, „მეტოქე“, „მტერი“). მ. ანდრონიკაშვილის ცნობით, ამ სიტყვას უკავშირებენ სანსკრიტულ uraga-ს („გველი“) (ანდრონიკაშვილი1966).

დიალექტ. **II.** ვერაგული ორაგული. „წავალ, წავალ!“ თევზი იძახს, „არ გაგიტევ!“ *ვერაგული* (ხევს. ჭინჭ.).

ვერაგული < ორაგული. ხოლო ჰყვა ჭასა შინა ორაგული ცოცხალი (ქ. ცხ. IV, 393, 27). ორაგული თევზი – საბა. ორაგული [Salmo] მოზრდილი თევზი ქაშაყისნაირთა რიგისა; ორაგული დასაჯეს და მორევში გადააგდესო (ანდაზა) – ქეგლი. ორაგული (< არაგვი) ჰქვია თევზის იმ ჯიშს, რომელიც მდინარე არაგვში გვხვდება (ჭუმბურიძე 1987: 60).

ვინტ-ი:

დიალექტ. **I.** ვინტი: „*ვინტი* შემოჰკრა აიმასა და კინაღამ თავი დაუმტვრია! მამაშენმა გასწავლა? რო სცემ, შენი გაზრდილი ხომ არ არის?“ ავტორის შენიშვნა: ეს „ვინტი“ ნამდვილი XX საუკუნის ლახტი აქვთ დისველ ბიჭებს. ჩემი ბავშვობის დროსაც იხმარებოდა და, თურმე, ახლაც (ქართ. გ. ლომთ.). შდრ. კვინტი, კვანტი.

ახ. ქართ. **II.** ვინტი [პოლონ. gwint ენის მეშვ.] ხრახნი. [ორთქლმავალს] სადაც *ვინტები* აკლდა, იქ ერთი რომ ზომავდა, მეორე ქარგას მოარბენინებდა, მესამე დაზგაზე ჭრიდა (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **III.** ვინტი ბანქოს ერთგვარი თამაშობა. [იერემია] ღამით... შეექცეოდა ბანქოს თამაშს – *ვინტს* და პრეფერანსს (გ. წერეთ.) – ქეგლი.

ვირა:

დიალექტ. **I.** ვირა მრგვალი, გემრიელი ქლიავი ერთგვარი – ქეგლი. *ვირაი, ვირა* ქლიავ ქლიავის ჯიშია ერთგვარი, ყველა ქლიავზე გვიან შემოდის (ინგ. ღამბ.).

ვირ-ი > ვირა. ა სუფიქსი. ვირი [asinus ცხენების ოჯახის ცხოველი, ცხენსა და ჯორზე პატარა, გრძელყურებიანი, მოკლე ფაფრიანი; ბუა არა აქვს. იყენებენ ტვირთის სატარებლად, შესაბმელად (ზოგგან სახედომადაც) – ქეგლი.

არნ. ჩიქობავას, ქართ. ვირის შესატყვისად მიაჩნია ჭან. გურუნი || გირინი და მეგრ. გირინი || გგრგნი (ჩიქობავა 1938).

ახ. ქართ. II. ვირა [რუს. Вира] ისტ. საზღაური (ჯარიმა), რომელსაც მკვლელობისათვის ახდევინებდნენ ძველად რუსეთში – ქეგლი.

ახ. ქართ. III. ვირა [იტალ. vira „მოაბრუნე“] პორტის მტვირთავებისა და მეზღვაურების მეტყველებაში: ასწიე! ზევით! (ამწით დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს) – მ. ჭაბ.

ვიშ-ი:

ახ. ქართ. I. ვიში 1. «ვიშ»-ის მახილი (მწუხარებით, სინანულით და მისთ.), – ოხვრა, მოთქმა, ხმამაღალი ჩივილი. გულსა კლავდა გლოვა, *ვიში* ობლისა და ქვრივ-ოხრისა (ილია). იგლოვოს, გული მომიკლას ტირილით, გინდა *ვიშითა*, ჯაბანი კაცის სიცოცხლე სიკვდილს ვერ იხსნის შიშითა (შ. მღვიმ.) – ქეგლი. 2. საწყენი, საყვედური. არაფერი ვიში არ შემხვთერია მისგან (ღარიხევი); ერთი *ვიში* არავისგან მახსომს (განთიადი, ზ.-იმერ. ბოწ.). შდრ. ვიშ, ვიშ შორისდ. ვიშმე, ვაიმე, ვიშვიშობა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. II. ვიში მინერალური წყალი ბორჯომის ტიპისა [საფრანგეთის კურორტ Vichu-ს სახელის მიხედვით, სადაც ეს წყალი ამოდის] – მ. ჭაბ.

ზ

ზად-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ზადი** კნინი რამ შერყვნილება – საბა. ცუდად მშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა *ზადია* (ვეფხ. 116, 4). რა კაცსა ღუინო *ზადსა* შეაყოლებს, თუ უკვდავებაცა არის, ადრე აღარ მოუნდების (ვისრ. 232, 12). სიმძიმითა მიწა უდრკის გულს არ ქონდა არა *ზადი* (შჰნ. III, 239, 3). || ნაკლი, წუნი, მანკი (შდრ. უზადო). «ჩვენს ჭურჭელს... *ზადი* არა აქვს, რაც არის, სპილენძივით საიმედოა» (ბ. ჩხ.). || გადატ. (სიტყვა გულ-თან ხმარებისას) უკმაყოფილების განცდა, გულნაკლულობა, წყენა. «ონისეუ, შვილო! ...შენს გულს *ზადი* შემპარვია... გაუხსენ შენ მშობელს გული, ჩაახედე შიგა!» (ა. ყაზბ.). აქვე: ზადიანი, ზადიერი, ზადიანობა – ქეგლი. „უზადო კაცი არ არი, ყველა კაც თითო *ზადი* აქ". „*ზადიც* არი და *ზადიც*, გამჩნია რაგორი *ზადი* აქს"; ზადიანი – ზადის, ნაკლოვანების მქონე, წუნიანი. „მაგრაინ *ზადიან* კაც ქალ ვერ გავატან" (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ტანზადიანი დიდტანიანი (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე ქიზ. მენთ. **ზანდი** ჩირქი ზან. (მეგრ. ელ.).

ზადი თათრულია (წაქაძე 1976). იუსტ. აბულაძის აზრით, შემოსულია არაბულიდან (იუსტ. აბულაძე 1938).

დიალექტ. II. **ზადი** (ჩიქ.) გაფი, ამბავი, საქმე (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. III. **ზადი** კარგი. „როგოი *ზადი* კაცია!" „როგორი კარგი კაცია!" ნივთებზეც იტყვიან: „კარგი *ზადებია!* როგოი ნამაი *ზადებია*" (ზ. ონიკაშვილი); „ვაჰ, ყეინის სუფრაო და ყეინის *ზადიო*, რამე ეკლობისო, რო გაიცინოო?" (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. IV. **ზადი** შვილი. საყეინო *ზადია* (ფერეიდ. ქართ. დიალექტ., 629).

ზავ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ. I. **ზავი** აღთქმა, პირობა, «ნაძლევი»: „არღარა ინება *ზავი*" (ქ. ცხ. 25, 10); „სიკუდილსა თანა *ზავნი* (ვყავთ)" pb., – „სიკუდილსა თანა ნაძლევი (ვყავთ)" (I, ეს. 28, 15). იხ. დაზავება, მოზავება, მომზავებელი, უზავი (ილ. აბულ.). || შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევდიან მტერნი *ზავსა* (ვეფხ. 317, 3). ვახტანგმა სპარსელებს ისე გაუჭირა საქმე, რომ ბოლოს მათაც *ზავი* სთხოვეს (ი. გოგებ.). გამანადგურებელი... და ძალზე მომქანცველი ომი 506 წელს *ზავით* დამთავრდა (ივ. ჯავახ.). || უომრად, მშვიდობიანად ცხოვრება, – მშვიდობიანობა. დაარღვია ბარმა ზავი, ცოდვამ აღარ მოასვენა (ი. გრიშ. თარგმ.) – ქეგლი. **ზეება** გაზავება, გაშველება ზან. (მეგრ. ელ.).

ს.-ქართვ. *ზაუ- „გაზავება, განელება" → ქართ. ზავ-, ზავ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ზავი** შიში. „ჩემი *ზავი* რომ არა ჰქონდეს, აქათით გოდოგოსახლებდა". ზავიანი ზავთიანი, ძლიერი; საშიში, მრისხანე. „მგელი ცხურისთუი სუყველას ნადირზე ზავიანია"; „ბიბო ზავიანი კაცი ყოფილა" (მოხ. ქავთ.).ზავი აქვ[ის] ზარი, შიში აქვის. შდრ. ზავთრიანი ზავთიანი, მრისხანე შესახედაობის მქონე (ხევს. ჭინჭ.). შდრ.ზავთი «ბაქი», «სიტყვით შეაშინოს» (საბა). || წყრომა, რისხვა, აღშფოთება – ქეგლი.

ვფიქრობთ, რომ ზავთი > ზავი. **ზავთი** ი. ყიფშიძის აზრით, შემოსულია არაბულიდან (შდრ. არაბ. Ṣavt-ყიფშიძე 1914: 236) – ბ. გიგინ.

ზაზუნ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ზაზუნი** ცხოვ. ვირთაგვა – დ. ჩუბ. *ზაზუნი* კნინ.-მოფერ. ზაზუნა. «საით მიდიხარ, ნათლი-ჯალაბო?» – *ზაზუნიმ* ჰკითხა მელასა (რ. ერისთ.) – ქეგლი. იხ. I. ზაზუნა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ზაზუნი** 1. ნელად და მძიმეთ სიარული, ზოზმანი – დ. ჩუბ. 2. (ქიზ.) «ზანტი, ზარმაცი მუშაობა, ნელა კეთება საქმისა» (ს. მენთ.) – ქეგლი. || ზანტი, ავადმყოფური სიარული. „ეგ მე არ მინდა სამუშაოთ, მაგი *ზაზუნი* თავი არა მაქ" (ჯავახ. ბერ., ზედგ.). შდრ. ზაზანი (ქიზ.) ზანტი, ზარმაცი (მუშაობა) (ს. მენთ.). ზოზინი ნელი, აუჩქარებელი, გვიანი, უსიცოცხლო საქმიანობა, მოძრაობა... ახლა წარმოიდგინეთ კოტე ყიფიანის თამაშობა ამ როლში, იმისი ჩმუჩვნა, ზოზინი და სიზანტე (ა. ცაგარ.) – ქეგლი.

ვფიქრობთ, ზემონახსენები სიტყვათა მნიშვნელობები გადატ. მნიშვნელობით იგივე უნდა იყოს, რაც ზოზი შიში. „გულჩი ზოზი აქ – და იმიტომ არ მოდის. დანაშაულისაგან აქუ ზოზი". ზოზნაჭამი შიშნაჭამი, შეშინებული (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. III. **ზაზუნი** ცემა, დარტყმა, გალახვა. „ურტყენ... რეიზა *უზაზუნეფ* წელზე-მეთქინ. ურტყენ ბროხას, დავარდა თლათ და მოკვეტა" (საჩ. შარაშ.). შდრ. ჟეჟვა, ბეჟვა; ზეზვა (იმერ.) მაგრად დარტყმა ქვისა. ბელტისა, ჯირკისა და სხვა რისამე, რომელიც არა ჭრის (ვ. ბერ.). *ჟაჟუა*, ჟეჟვა, ბეჟვა, ჟაჟუნი ზან. (მეგრ. ქობ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ბირი *ზ'ეზ'-*: შესაძლოა, ზეზ-ბირის კანონზომიერი მეგრული შესატყვისი იყოს ჟაჟ-. თუ ეს დაკავშირება სწორია, ქართ. ზეზ- <*ზ'ეზ'- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ზაზუნა:

საშ., ახ. ქართ. I. **ზაზუნა** || მადნის თაგვი || მძინარე – ი. ბაგრატ. || Mesocricetus auratus ზოოლ. მომცრო მღრღნელი ცხოველი, გავრცელებულია ევროპასა და აზიაში, ცხოვრობს მინდვრად ღრმა სოროებში. სამტრედეში მტაცებლების (ვირთაგვა, *ზაზუნა*, დედოფალა ...) შესვლის თავიდან ასაცილებლად ურჩევენ, თიხის ჩაყრის და დატკეპნის წინ... დამტვრეული

შუშის, ქვის, ღორღის ფენა მოეფინოს («მეფრინველ.») – ქეგლი. იხ. I. ზაზუნი.

საშ. ქართ. II. **ზაზუნა** მცენ. – დ. ჩუბ. ს.-ქართვ. ძირია ზაზ- „კუნელი“ (ჩუხუა 2017).

ზამ-ი:

საშ. ქართ. I. **ზამი და ზიემი** ერთია ზაჰმი, ზიემი – საბა. *ზამი* გაადიდეს (ვეფხ. 386, 4). || ზემი: მხიარულითა პირითა გაეგება, ზემითა და დიდებითა (ქ. ცხ. II, 109, 8). შდრ. ზეიმი რაიმე სასიხარულო ან ღირსშესანიშნავი ამბის, თარიღის და მისთ. აღსანიშნავი შეკრებილობა ხალხისა, – ხალხმრავალი დღესასწაული – ქეგლი.

იუსტ. აბულაძის აზრით, ზეიმი იგივეა, რაც სპარს. sahm „საშინელება“ (იუსტ. აბულაძე 1938: 362). იხ. აგრეთვე ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **ზამი** [არაბ.] წამატება, მომატება (ფასების, გადასახადის). „ყოლი დღე *ზამ იჯება*“ (იმ.); „ამ სირაი ჰუქუმეთმა ძალიან *ზამი* ქნა, ხალხი ფეხზე ააყენა, ყვირიან“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.)

ზანკალ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ზანკალი** 1. მამაკაცის ფეხის სამოსი ერთგვარი, – პაიჭი. ზანკალი || ზანკლები წვივზე ჩასაცმელი, ღაზლით მოქსოვილი. „კაცები ზათი *ზანკლებ* ჩეიცუემდენ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. || ზანგალი ტყავისაგან შეკერილი წვივის სამოსი, – გეტრი (ჯავახ. მარტ., იმერხ. მარი). 2. თხილამური (დ. ჩუბ.). **ზანკალი** წინდა მუხლამდე ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ზანკალი** სუსტი, მორყეული. „*ზანკალი* სახურავი აქუ, არამც ჩაიქცეს“. **ზანკლად აგებული** არასწორი წყობით ნაშენი, სუსტად აგებული. „კედელი *ზანკლად* იყო აგებული, ლამ-კირი აკლდა“ (მოხ. ქავთ.).

ზანტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ზანტი** პირუტყვი დაზარებული ZAB. პირუტყვი ზარმაცი C – საბა. ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს მოკლე და წუერ-გრძელი... მძიმე გონებაჲ და საქმედ *ზანტი* (ეტლ. 11, 23). || ზარმაცი; ნელი, მძიმე, აუჩქარებელი (შდრ. დონდლო). დარეჯანი კი არ იყო ეგრე *ზანტი*, როგორც ლუარსაბი (ილია). ყვავები... ფრთების *ზანტი* ფათქუნით მიწაზე ეშვებოდნენ (რ. გვეტ.) – ქეგლი „იმფერი *ზანტი* ბაღვია, რომე ერთი თქმით ადგილიდამ ვერ გააჩუჩუნეფ“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ზანტლი ზანტი, დონდლო“ (ლ. ლეონ.) – ქეგლი. „ზანტლ ეგი, წელღენ როა, აუჩქარდომი“ (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. II. **ზანტი: ზანტი შეშა** უალო, არამხურვალე შეშა (ქიზ. მენთ.). **ზანტი მიწა, მძიმე მიწა** სიცხესაც და სიცივესაც რომ გვიან შეიტყობს ისეთი მიწა (ქიზ. მენთ.). შდრ. ჟანტი სველი (საბა, დ., ნ. ჩუბ., ხევს.

ჭინჭ., თუშ. ცოც.). ჭენტი შეშა ნედლი შეშა. „ჭენტი შეშაა, არ ეკიდება ცეცხლი“ (საჩ. შარაშ.).

ვფიქრობთ, რომ ზანტი < ჟანტი. აღდგება ს.-ქართვ. ძირი *ჟანტლ- (კელაურაძე 2017: 25).

ზარდაგ-ი:

საშ. ქართ. **I. ზარდაგი** მოყვითალო. აქა არს ღჳნო *ზარდაგი*, ფერისათჳს ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა (ქ. ცხ. IV, 782, 15). შდრ. ზერდაგი ყვითელ-შავი – საბა. **ზარდი** ყვითელი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ზარდაგი** ერთობ დიდი ტანის ბედაური ცხენი, ზერდაგი (იმერ. ჯყ.). ზერდაგი [სპარს. ზარდაგი «მუქი ყვითელი»] ჩალის-ფერი, მოყვითალო ცხენი. შეჯდა *ზერდაგსა ზედა* (ქ. ცხ. IV, 182, 23). შატილს მინდიაც მოვიდა *ზერდაგით* რვალიანითა, წელზე ნარტყამის ფრანგულით, მკლავითა ფარიანითა (ვაჟა). *ზერდაგზე* იჯდა ბეჭბრტყელი, შიშშეუვალი სოსლანი (ლ. ასათ.) – ქეგლი.

სიტყვა შემოსულია ფალაურიდან (შდრ. სპარს. zarda, ფალ. zardag „ყვითელი“, „მოყვითალო“ – zard ყვითელი). მომხდარია მნიშვნელობის დავიწროება: zardag „ყვითელი ფერისა“ > „ყვითელი ფერის ცხენი“. ა > ე ცვლილება სპარსულსავე გამოთქმაში უნდა იყოს მომხდარი (გიგინეიშვილი 2016).

ზარიან-ი:

ახ. ქართ. **I. ზარიანი** ზარის რეკის მსგავსი, – ძლიერად და ლამაზად მჟღერი (ხმა). «იმისი *ზარიანი* ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით» (ილია). და მღეროდა ბერშოულა, მოფანტავდა ოქროს ზოდებს, ხმა ისეთი *ზარიანი* არ მსმენია არასოდეს... (გ. ლეონ.). «თვით ტოროლას *ზარიანი* ხმაც იმ სიმაღლიდან აქ ჩვენამდის ვერ ჩამოაწევს» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი.

ზარი > ზარიანი. -იან სუფიქსი.ფუძე ზარ-; ზარი [სპარს.] რვალის დიდი სარეკელი – საბა. ივარაუდება ს.-ქართვ. *ზარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ქურდიანი 2010; ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ზარიანი** ზარის მომგვრელი, – თავზარდამცემი. არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაბედა ამისთანა *ზარიან* დროს ხმა ამოეღო (ილია) – ქეგლი. ...ისენ ღმეტებიან სრუყველას, თავიანნ ხალხნ ყოფილან, *ზარიანნი* (ხევს. თავისებ. 391, 2). შდრ. ზაროიანი შიშის მომგვრელი (ეტლ. 1, 37).

იუსტ. აბულაძის აზრით, ზარი „ხმაურის“ მნიშვნელობით უკავშირდება ახალ სპარსულ zāri ფორმას, რაც ნიშნავს „დიდ ხმაურს“, „ყიჟინას“, „ოხვრა-კვნესას“ (იუსტ. აბულაძე 1916: 895; გიგინეიშვილი 2016). მ. ჩუხუა თვლის, რომ ს.-ქართვ. ძირია *ზარ „მოთქმა, ძახილი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. III. **ზარიანი** ოქროსი, ოქროთი შემკული. ვითა ჴელმწიფეთა წესია, ეგრე *ზარიანად*, მაჰრანით კუბო ოქროითა, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული... ეგზომნი საქონელი და ოქრო გაუგზავნა (ვისრ. 39, 33). შდრ.გადატ. ზარ ბრჭყვიალა ამობურცული წერტილები ანუ ბზინები ქსოვილზე. ისტიფას შიგ ზარ აქ (იწგ. ღამბ.).

ზარიანი < ზარი; -იან სუფიქსი. ფუძე ზარ-; საშ. სპარს. Zarrēn – „ოქროსი“, ზარრ – „ოქრო“. ძვ. ირან. ზარნუ(ანდრონიკაშვილი 1996). იხ. აგრეთვე ბართაია 2010.

ზარმაც-ი:

დიალექტ. I. **ზარმაცრ** დირის ან ჭერის ასაწევად შეყენებული ბიჯგი. ბალკუმის დირეს ზარმაც შუჲყენე-დ მთელ სახლმ ჯიჭინ დიჲწყვ (თუშ. ცოც., ხუბ). || კეტი რაიმე დიდი საგნის ასაწევად გამოყენებული დიდი კეტი, ხე (ფშ. შან., ხორნ.). შდრ. აზარმაცი, ოწინარი, ბერკეტი (მთ., თ., ფშ. შან.). აზარმაცი [სომხ.] დიდი კეტი ასაწევი სიმძიმეთა (დ. ჩუბ., ქეგლი).

ძვ., ახ. ქართ. II. **ზარმაცი** მედგარი: „*მ ზარმაცო*, ვიდრემდის მდებარე ხარ, ანუ ოდეს ასდგე ძილისაგან?“ (A-92, 167) – ილ. აბულ. || ვინც (რაც) მუშაობას, რისამე კეთებას გაურბის, ვისაც (რასაც) შრომა-გარჯა ეზარება, – ზანტი, უქნარა (საპირისპ. ბეჯითი). *ზარმაცისათვის* ყოველდღე უქმეაო (ანდაზა). *ზარმაცებს* კუნთები უძლური და სუსტი აქვთ და მალეც ეღლებათ (ი. გოგებ.). მეხრევ, გაუკარ შვინდასა, ცოტა *ზარმაცი* ხარია! (რ. ერისთ.) – ქეგლი.

ზარმაცი არის კომპოზიტი, მიღებული ზარ და მაც სიტყვათა შეერთებით. ამათგან ზარი ძველ ქართულში ნიშნავდა „შიშს“, მაც (< მაძს) კი- „მაძევს“, „მაქვს“. ამრიგად, ზარმაცის თავდაპირველი მნიშვნელობაა „შიში მაქვს“, მეშინია“ (ჭუმბურიძე 1987: 113). შდრ. ძვ. ქართ. დაზარება: არა დაიზარეთ... მოსლვად (მ. სწ. 232, 31). ჳ. ფენრიხის აზრით, ზარ- ძირი უკავშირდება სვან. ჟარ-ს: ლიჟარ „მოწყენა“ (Fähnrich 1982: 35). მის მიერვეა აღდგენილი *ზარი ქართველური არქეტიპი – ბ. გიგინ.

ზარნაშ-ი:

დიალექტ. I. **ზარნაში** ზარნაშო. «*ზარნაში*, არწივი. კვერნა და ათასი სხვა, ყველა ჩვენა (ციყვებს) გვმტრობს» (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

ზარნაში > ზარნაშო ძვ. დიდი ბუ (საბა). ეს ხმა ზარნაშოს კივილი არის (აკაკი). «თურმე ფარშავანგი იყო..., დააცქერდი, რა საძაგელი ფეხები აქვს და რა გულგასახეთქად ყვირის ზარნაშოსავითრა (ი. გოგებ.) – ქეგლი; ძვ. ქართ. ზარნასოვი «სოვი», სვავი; vultur: „არა შჯამნეთ... სოვი და ბერქორი“ G, – „არა შჯამოთ... ზარნასოვი, ბერქორი“ (O, ლევიტ. 11, 14) – ილ. აბულ.

დიალექტ. II. **ზარნაში** [სპარს.] ვარაყი. *ზარნაშით* მორთული ხმალი უკან მოიქცია (ფშ. ქეშიკ.).

ზარნაში < ზარნიში; ზარნიში [სპარს.] ლითონის ნივთებზე ამოჭრილი სხვადასხვა სახე ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული. ზარნიში მომცრო ხანჯალი მართლაც ლამაზი იყო, კოხტა ბუდეში ჩაჭედილი, სპილოს ძვლის ტარით. ოქროს ზარნიშის მოყვითალო ვიწრო ძარღვები ხვეულებში იკარგებოდა (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. || მოოქროვილი, მოვარაყებული. „მოზარნიშებული ჰმალი (ფშ. ხორნ.). დაზარნიშული მოსევადებული (ხევს. ჭინჭ.). ზარნიშანი || ზარნიშინი: შუაზე დიდი კარი იყო, ოქროს ზარნიშინით გაკეთებული ფოლადი (რუსუდ. 210, 3). შდრ. მოჯანიშული (გურ. შარაშ.). სიტყვა სპარსულიდან შემოსული ჩანს და კომპოზიტია: პირველი კომპონენტი – ზარ = სპ. zarr „ოქრო“, ხოლო მეორე – ნიშანი იგივეა, რაც სპარს. Nišān (იმავე მნიშვნელობისა). ნიში არის ნიშანი-ს ერთერთი ვარიანტი (გიგინეიშვილი 2016).

ზარფ-ი:

დიალექტ. I. **ზარფი** დიდი ძალა. ელექტრონის *ზარფით* კაცი ძირ დაეცა. აქედან ზარფიანი (მესხ. მაის.). ზარფათ [არაბ.] ზმნს. მძლავრად, მოსხლეტით, მოწყვეტით, ერთბაშად. „ისე ზარფათ დიეცა ი საწყალი, რომ სული არ დაყოლია ბირში“ (აჭარ. ნიჟ.). || ზარფაი ძლიერად, დარტყმით. „წყალი ზარფაი მიცეს“ (მაჭ.). || ზარფლი (არაბ. zarp დარტყმა, ცემა. zarpli ძალიან ძლიერი, უძლიერესი) ძლიერი, ძლიერ. „ზარფლი ლაპარაკი იცის“ (ინ.). „ზარფლი სიარული იცის, იმა რაფერ გაყუებ?!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ზარფი** [არაბ.] კონვერტი, ბუდე, ფუტლარი. „მექთუბი *ზარფში* ჩადე და გააგზავნე, ამერიკას ბილა მივა“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.). *ზარფებში* ფარას ჩუუდებენ (სირეთიე, კლარჯ. ლექსიკ).

დიალექტ. III. **ზარფი** [არაბ. zarf] ჭურჭელი. გაცივდების და ბად ჩავასხამთ ერთ თეთრი *ზარფჩიგა*, რო ქასიჩი არ იყოს, ფელეშტი; ზეს მოვწელავთ, დახატულად ჩავწურავთ ერთ *ზარფჩი* (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ზაფრა:

დიალექტ. I. **ზაფრა** ბალახოვანი მცენარე, მუქი მოყვითალო ყვავილით (ჯავახ. ზედგ.). შდრ. თჳთ ბერძენნიცა ამასვე ჰყოფენ, რომელ სხჳსა ქუეყანისა ნაყოფსა, რომელი საბერძნეთსა არა დგას, მისვე ენისა სახელითია დასწერენ: შაქარსა – სახარად, ყულყასა – კულკასად და *ზაფრანსა* – ზაფარად [A= 1115 223r] – ზ. სარჯ. ზაფრა < ზაფრანა. მც., საშ. ახ. ქართ. ზაფრანა [არაბ.] კრკო, ქურქუმა (დ. ჩუბ.). სხუაჲ არს ძალი მისი ზაფრანსა შინა, და სხუაჲ არს ბარსაბონსა შინა (შატბ. 125, 31-32). ზაფრანა || ზაფრანი: ქაცვი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან (ვეფხ. 689, 2). შდრ. ზაფარანი [არაბ. za'ferān] ზაფრანა. ვახშამზე რა გოქ? – ზერეშქ ფოლოვი ზაჭარანით (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). **ზაფრანა** პილპილი წიწაკა

ზან. (მეგრ. ელ.). ეს სიტყვა იგივეა, რაც სპარსული za'farān „ზაფრანა“ (იუსტ. აბულაძე 1916: 805).

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ზაფრა** 1. [სპარს.] ნუჭლა ნაღვლისა (დ. ჩუბ.). კაცისა ნივთთაგან *ზაფრაჲ* მისი არს (ეტლ. 5, 4). მოვიდიან კითხვად და მი-მო უსხდიან, ზოგმან *ზაფრა* და სევდა თქუის და ზოგმან გრძნეულთაგან მოჩხიბულობა (ვისრ. 200, 7). რა ვნახეთ მათი სიმრავლე, პირი შეგვექმნა *ზაფრისა* (შვნ. I, 1508, 3). ნავღელი, რომელ არს *ზაფრა*, და არს იგი მჯურვალი და ჴმელი და ბოროტი (ფანასკ. 3, 10-11). || [არაბ.] ნაღველი. || ღვიძლის (ნაღვლის პარკის) ავადმყოფობა, რომლის დროსაც ადამიანი მთლიანად ყვითლდება, – ყვითა. [მართა] *ზაფრამ* იმსხვერპლა (ნ. ლორთქ.). საწყალს ცოტა *ზაფრა* მოსდის და ხანდიხან იგუდება (ი. ევდ.) – ქეგლი. აგრეთვე ჩვენ. ფუტკ. 2. გადატ. ბოღმა, ჯავრი, ნაღველი, სიმწარე. [ასმათს] გზაზე რაღაც გამოურკვეველი *ზაფრა* დააწვა გულზე (გ. წერეთ.). როცა გვერდწითელა ეზოს მოაბღავლებს, მართას ყოველნაირი *ზაფრა* უქარდება (კ. ლორთქ.) – ქეგლი. 3. ბრაზი, გაბრაზება. „თუ მუუარა ერთი მისებური *ზაფრა*, ყვირილით აწევს აქავრობას!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 4. მეტისმეტად რომ ძილი მოერევა, მაშინაც იტყვიან „*ზაფრამ* მოუარაო“ და მაშინაც სიბრაზისაგან წონასწორობას რომ დაკარგავს ადამიანი (ჯავახ. ზედგ.).

იუსტ. აბულაძის აზრით, ზაფრა შემოსულია თურქულიდან [თურქ. Safrā] (იუსტ. აბულაძე 1916: 805). ბ. გიგინეიშვილი: უფრო სავარაუდებელია სესხება არაბულიდან (შდრ. არაბ. ṣafrā „ნაღველი“ (ლეკიაშვილი 1992: 14) – ბ. გიგინ.

ზაქ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ზაქი** (ოთხფ.) კამბეჩის მოზვერი – საბა, დ. ჩუბ. || კამეჩის ნაშიერი დაბადებიდან სამ წლამდე (უღელში შებმამდე ან პირველ მოგებამდე). კამეჩმა *ზაქი* მოგვიგო, ურქო, უკუდო, უყურო (ხალხ.). *ზაქი* კამეჩის შვილია, კოზაკი – აქლემისა (ი. გოგებ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ზაქი** ალჩუ (კოჭის თამაშისას) (ხევს. ჭინჭ.). შდრ. ზიქა ხევს. ა) კოჭის მაღლა შეჯდომა. „კოჭი ზიქას დაჯდა“; ბ) კაცის ჩაჩოქება (არც იჯდეს და არც მიწაზე გაგორდეს სულ). ზაქუნაობს აიწევს და დაჯდება (ხშირ-ხშირად) – ა. შან. ზანუქაობა აიწონ-დაიწონა, ბუქნაობა (ფშ. ხორნ.). აგრეთვე ხევს. ჭინჭ.

ზე:

დიალექტ. **I. ზე** მზე. წევედით, *ზე* კი არ იყო ამოსული (ბერეთისა, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე გურ. ნიკოლ. ზე < მზე. იხ. I. მზე.

დიალექტ. **II. ზე** სძე, რძე. **ზისცვარი** რძე (თუშ., ხევს. შან.). ზე || ძე რძე „*ძეს* ვწურავთ მაქინაში“ (ხება). „*ძე* ავადუღავთ“ (ზედა ქლასკური, ნიგ. ბერ.).

ზე < ძე < რძე < სძე. განსხვავებით ახალი ქართულისა, ძვ. და საშ. ქართ. ქართულის სამწერლო ძეგლებში ძირითადად *სძე* ლექსემა დასტურდება „სძჱ გასუ თქუენ“ (I კორ. 3, 2); „სპეტაკ კბილნი მისნი უფროჲს სძისა“ (O, დაბ. 49, 12) – ილ. აბულ. იგიმცა ძუძუ დაილოცების, რომელმან გაწოვა შენ სძე და გაგზარდა ეგეთი ჭაბუკი! (რუსუდ. 348, 31). მოხსენდა მის ძის ხელთ-ჭერა, ძუძუთ წოება სძისაო (დ. გურ 77, 109, 2). სულხან-საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში სხვადასხვა კლასიფიკაციითაა წარმოდგენილი *სძე* და *რძე*. სძე ლატტე B.; სუთ ZAaBCabE.; კათ ZaaBCabE.) (+ 1 კორინ. 9, 7 Z) ეწოდების ცხო(ვ)ელთა ძუძუთა ნადინებთა, ხოლო რძე – მისსა მსგავსსა ლეღვისა და რძიანასა და მისთანათასა ნაწვეთსა ZA. – საბა. *რძე* სძე მდედრთა ცხოველთა ძუძუთაგან ნადენი თეთრი ნოტიო, საზრდელად ახალ შობილთა ყრმათა. ნუშის რძე ნ. სძე: რძიანა, რძიაძია (იმერულ.), რძე ლეღვისა; რძიანა სოკო – დ. ჩუბ.

აღდგენილია: ს.-ქართვ. არქეტიპები: 1. *სძე (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990). 2. *ბზელ- „რძე“ (ჩუხუა 2017). 3.*სი-ძ-ე > *ზი-ძ-ე > *რი-ძ-ე > რ-ძ-ე (კანაროვსკი 2017: 15).

ახ. ქართ., დიალექტ. III. *ზე* ზმნს. 1. იგივეა, რაც ზედ. ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, *ზე* კალთა დამაფარეო (აკაკი). აქა-იქ... მიყრილ-მოყრილი მწვანილი, ახალი თევზი, მოთალი, *ზე* ტარხუნით თავწახურული (აკაკი). 2. იგივეა, რაც ზეცით. *ზე* აიხედა (ილია). [მეგობრებო!] დროშა წმინდა *ზე* ასწიეთ! (კ. მაყ.). «მაგრამ ახლავე [ანტონიოს] *ზე* ამოგიყვანთ. მომეხმარეთ, აბა, მხევალნო!» (ი. მაჩაბ. თარგმ.). 3. იგივეა რაც ზეზე. ეს ბრძანა და *ზე* წამოდგა (აკაკი). იკივლა დედამ, ზე წამოიჭრა, თვალებს აფეთებს... გავარდა კარში (ვაჟა) – ქეგლი. || ზედ. [სიკვდილო] ფეკებიმც მოგაზრობია, ტყავი *ზე* გახყვა ჯღანზედა (ხევს. პოეზ. 520, 10) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე ა. შან.

შესაძლებელია, საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღვადგინოთ *ზე არქეტიპი, რომლისგანაც საერთო-ქართველურშივე იწარმოებოდა *ზე-ნა და *ზე-და ფუძეები (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ზე- რთული ფუძის პირველი შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს: 1. ჩვეულებრივზე მეტს, შესაძლებლობით, ხარისხით, რაოდენობით... იმაზე მეტს, რასაც რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი აღნიშნავს. ზებუნებრივი. – ზეკაცი. – ზეადამიანური. – ზეგაკვეთილი. 2. მასდარსა და მიმღეობაში – მოქმედების მიმართულებას ქვევიდან ზევით. ზემისწრაფება. – ზეაღმართული – ზეაწვდილი (ქეგლი).

ზე-ი/ა:

დიალექტ. I. *ზეი* რძე. იმამ თუ ჟეირანი *ზეი* არ დალივა, კაი არ საქნელიავ; *ზეი* და წრლაი მოგცე, ბებრას მიჰც! (ინგ. ღამბ.). ფონაც ძიძაციან ბროხა იყვის, საღამოსხან სუ ფშრიალითაც *ზე* გაზდიოდის – ბოშ ბუბუე-

ბიანი ძროხა იყო, საღამოს სულ ფშრიალით რძე გასდიოდა ხოლმე (თუშ. ცოც.). ზისვარი || ზისცვარი (სძის-ცვარი) რძე (ხევს. ჭინჭ.). ნაზეობრ რძენადგომი ჭურჭელი. ნაზეობ ჩხუტში ალუდს არ ჩაცსხმენ (თუშ. ცოც.). იხ. II. ზე.

დიალექტ. II. **ზეი** მზე. მე ერ დაი მაქ, იმი სილამაზეი ამნასულ *ზეის*, ჩანასულ თორეი (ინგ. ღამბ.). ჩევიდა *ზეი* (ღოდორა, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ზე.

დიალექტ. III. **ზეი, ზეჰ** [აზერ.] ნარიმანდი, ამოღებული ნაწიბური (ფიცარზე); *ზეი* ომოყრაი (ამოყრაი) ნარიმანდის ამოღება (ფიცარზე). პოლ დაგევაში, ხი ლოგინ გაკეთევაში, ჯერ თახტევზე *ზეი* ჰყრიან, პირევს უთლიან, ერთმერთში დრვენ, ჟიფტა დადგესავ (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. IV. **ზეი**: ზეი არის ძაფები, სამფერი ძაფი არის: წითელი არის, ყვითელი და მწვანე; იმას ვეტყვით *ზეის* (ქართლ. მტკვ. სამხ. მრეწ. III, I, 199). ჩაფარიშებს ამოვუხვევდით ხელით სამი სხვადასხვა ფერის ძაფით, რასაც ჰქვიან *ზეი* (გ.-კახ. მრეწ. III, I, 55). ხონჯართან ჰქონდა ჩაფარიში ზეებით (გ.-კახ. მრეწ. III, I56). სილამაზისათვის ჩაფარეშებს გარეშამო შემოყოლებული ჰქონდა *ზეისი* (ზ.-ქართლ. მრეწ. III, I, 169). შდრ. ზეზი ბისონი; ერთად დართული ორფერი ძაფი ან ძაფი და სირმა" (საბა, ქეგლი). ძვ. ქართ. ზეჰეზი «ზეზი»: „ხჳრი ზეჰეზისაჲ დაადგან და შარავანდი შეაბან" I, – „ხჳრი ზეზისაჲ დაადგან და შარავანდი შეაბან" (O, I ეზრა 3, 6). ზეეზი «ბისონი», «ზეჰეზი»: „იმოსებოდა ძოწეულითა და ზეეზითა" C, – „იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა" (DE, ლ. 16, 19) – ილ. აბულ.

დიალექტ. V. **ზეი** ზევით. ეე ბურთ დაბლით *ზეი* ესროვნ (ინგ. ღამბ.). || ზევით ზმნს. ამა თუ იმ ადგილიდან (საგნიდან, სიბრტყიდან...) – რაიმე მანძილის აცილებით, – მაღლა, მაღალ ადგილას, ზედა ნაწილში (საპირისპ. ქვევით). რაც უნდა ქნას თვალმა, წარბს ზევით ვერ წავაო (ანდაზა). ჩემს ფანჯრის ზევით მერცხალი ბუდეს უკეთებს შვილებსა (ი. გოლბ.) – ქეგლი. იხ. III. ზე.

ზეზელა:

ახ. ქართ. I. **ზეზელა** 1. ზეზე მყოფი, ფეხზე მდგომი. ამ ადგილას ჭერის ფიცრის აყრა ადვილი იყო. რადგანაც *ზეზელა* კაცი ადვილად მიუდგებოდა და ადვილადვე აბრეზოდა (შ. არაგვ.). 2. ზმნს. ზეზე დგომით, – დგომელა. *ზეზელა* ჭამდა პურს || ზევიდან, გარედან. [წვს] რომელი ხის მოღრღნაც გაუძნელდებოდა, *ზეზელა* შემოაბრობდა ხოლმე ქერქსა (ი. გოგებ.) – ქეგლი. || ფეხზე მდგომელა – ი. გრიშ. იხ. III. ზე მნიშვნ. 3.

დიალექტ. II. **ზეზელაი** რძიანი ბალახი. „*ზეზელაი* კაი ბალახია, საქონელ ზეს ჩუუყენეფს" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). ზეზელა ფუძეგაორკეცებული სიტყვა ჩანს. შდრ. ზიაყრ რძე ბავშვის ენაზე. ზიანაყრ მთის ბალახია, რომ მოწყვეტ, რძისებრ სითხეს გამოყოფს (თუშ. ცოც.). შდრ. I. ზეი.

ზეთ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ზეთი** ცხიმოვანი თხევადი ნივთიერება, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მცენარეულ და მინერალურ ნივთიერებათა გადამუშავების გზით (მცენარეული ზეთები – ნიგვზისა, მზესუმზირასი, ბამბისა... – იხმარება უპირატესად საჭმლის მოსამზადებლად) – ქეგლი. ზეთი: „არა აიღეს მათ თანა *ზეთი*“ (მთ. 25, 3); „*ზეთი* თავსა ჩემსა არა მცხე“ (ლ. 7, 46); „იგულე სასანთლე შენი და აღაგე იგი *ზეთითა*“ (მ. სწ. 290, 29); ზეთთაგანი, ზეთის-ხე, ნაზეთავი, საზეთე – ილ. აბულ. არ იონათან, არიო ნათან, ვინ ქმნა მას ზედან *ზეთმცხებელობა* (აბდულ. 6, 1). «მე კი თითებიდან *ზეთი* და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარ ლუკმას ვჭამდიო», [უთქვამს ოთარაანთ ქვრივისათვის ქმარს] (ილია). *ზეთით* გალიპული ქაღალდი იყო ჩარჩოებში გაკრული (ნ. ლორთქ.). **ზეთის ფერები** (საღებავები) მცენარეულ ზეთში გაქნილი მინერალური საღებავები; იხმარება ფერწერისათვის. მხატვარი ერთნაირი ვირტუოზულობით ფლობს როგორც *ზეთის ფერებით* წერის ტექნიკას, ასევე აკვარელს, გუაშის, პასტელის ფერებს («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. **ზეთ ზეთი** (სვან. თოფ., ქალდ.).

ნ. მარის აზრით, ზეთი შემოსულია სომხურიდან (შდრ. ʒēt). ზ. ალექსიძეს ქართული ზეთი სირიულიდან ნასესხებად მიაჩნია (ალექსიძე 1971: 39) – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. ზეთი**[გ] ზევით, ზემოთ, მაღლა. ომია არლოს ჭალას[ა], ტყვია წვიმს, *ზეთი* დარია (ხევს. პოეზ. 167, ბ, 15); აი[მ] *ზეთი[გ]* კარნ ხქონდიან ქვიტკირსა' აიმაჩი წამამჯდარისად ბოციათ ბაბოს თოფ დაუკრავა' მაუკლავ (ხევს. თავისებ. 351, 15). იხ. V. ზეი.

ზენ-ი:

ახ. ქართ. **I. ზენი** 1. ქართული ანბანის მეშვიდე ასო ზ- ს სახელწოდება. ვით მაღლით ჩაგონებული, საქმეს რომ მისდგე, აღეგზენ, რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი... მაგრამ ისწავლე ჯერ ეს *ზ[ენ]!* (აჯაკი). 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა შვიდს (7). || მიუთითებს მუხლებად დაყოფილი ტექსტის მეშვიდე მუხლზე, თუ მუხლების რიგი ასოებითაა აღნიშნული. მე-5 პარაგრაფის ზ მუხლი (§ 5ზ) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ზენი** ნაჭრელები, – ქსოვილზე ფერადი აბრეშუმის ძაფით გამოყვანილი სახეები. ნაჭრელების სახეებია: ალვის-ხეი, პეპელაი, *ზენი* (ზენ-ასოს მოყვანილობის სახე), ჭირკვანაი და სხვ. (თუშ. «შინამრეწვ.») – ქეგლი. შდრ. I. ზენი.

საშ. ქართ. **III. ზენი** ზემოთ მყოფი; ზემოთ. ადგა რობინ და ჯელმწიფე დალოცა *ზენთა ზენითა* (შჯნ. III, 24, 1). იხ. II. ზენა.

საშ. ქართ. **IV. ზენი** ზენაარი, ზეციერი. ავთანდილ ...ხელმწიფე *ზენია* (ვეფხ. 1549, 1). ჩვენ მოგვცა მაღლით მაღალმან წყალობა მისი *ზენიო* (ვეფხ. 1620, 3). იხ. I. ზენა.

ზენა:

საშ. ქართ. I. **ზენა** ზენაარი, ზეციერი. გაახელმწიფა გვირგვინი ზეცით მოსრულმან *ზენამა* (ვეფხ. 1664, 4). თაყვანისმცემელ ექმნა *ზენასა* განგებასა (ქ. ცხ. II, 10 10). დაშვრების, ვით ჰხამს, ვერ აქებს მას ერთსა ღმერთსა *ზენასა* (დ. გურამ. 81, 137, 4). იხ. II. ზენარი.

ძვ., ახ. ქართ. II. **ზენა** 1. «ზე»: „განიპო... *ზენათგან* მიქუენამდე“ C, – „განიპო... *ზ*ზთგან, ვიდრე ქუედმდე“ (DE, მთ. 27, 51). ზენათ «ზენა», ზევიდან: „და დადგეს წყალნი, შთამომავალნი *ზენათ*“ (G, ისუ ნ. 3, 16) – ილ. აბულ. ||ძვ. მსაზღვრ. ზევითა, ზედა. იმ მხრის მთის ხალხის *ზენა* სახლი ბნელია (ა. ყაზბ.). ◊ **ზენა-ქარი** დასავლეთის ქარი (აღმოსავლეთ საქართველოში); აღმოსავლეთის ქარი (დასავლეთ საქართველოში). საპირისპ. ქვენა-ქარი. დიდი წილი გურიისა დაცულია *ზენაქარისაგან* ნიგოითის ქედით (ი. გოგებ.). *ზენა-ქარმა* ხეებს წამოუბერა (მიხ. მრევლ.). 2. ძვ. პოეტ. არს სახ. ზეციური ძალა; ღმერთი. სიცოცხლევ ფუჭო, უბრალოვ ნიჭო, რად მოუციხარ ჩემთვის *ზენასა?* (გ. ორბ.). 3. ძვ. პოეტ. მსაზღერ. ზეციური. ბულბულიც ამას უცდიდა, თავისებურად იწყო მან სტვენა, თითქოს უნდოდა მით მოეტანა ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა *ზენა* (აკაკი) – ქეგლი.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, 1. ზენა ქართველური წარმომავლობისაა, ქართველური არქეტიპი აღდგება *ზ'ენა (ზევითა) სახით (შდრ. კლიმოვი 1964: 90). 2. ზენა-ს ძირია ზე, ხოლო ნა არის ნაწილაკი, რომელიც სხვა სიტყვებშიც იჩენს თავს (ქვე-ნა, ში-ნა) (გიგინეიშვილი 2016).

ზენაარ-ი:

საშ. ქართ. I. **ზენაარი** ზეით მყოფი – საბა. იხ. II. ზენა.

საშ., ახ. ქართ. II. **ზენაარი** არს მტკიცე პირობა უცვალებელი – საბა. || [სპარს. ზენაარ «დაფარვა», «შველა»] ძვ. ფიცი. [ტარიელს] ყოვლთა მისცეს *ზენაარი,* მოუყარნეს მუხლნი წინა (რუსთაველი). «შენ არ გატეხა კარგი გჭირს *ზენაარისა,* ფიცისა» (რუსთაველი) – ქეგლი. შაჰროს *ზენაარი* გაეტეხა და არა შებრალებოდა ვიროის საქმე (ვისრ. 37, 7). ითხოვდიან *ზენაარსა,* მუქლმოყრილნი მოირეწნეს (შნ. II, 3770, 3).

საშ., ახ. ქართ. III. **ზენაარი** მფარველი (ღმერთი). ბაამან... გულით *ზენაარსა* შეეხვეწა (შნ. III, 511, 2).

იუსტ. აბულაძის აზრით, სიტყვა შემოსულია ახალი სპარსულიდან ზენაარი [სპარს. ზენჰარ] 1. საკ.: უშიშრობა, სიფრთხილე, დაცვა, მფარველობა. 2. საფარველი, თავშესაფარი; 3. აქ კი დაზოგვა, პატიება, შეწყალება, სიცოცხლის ჩუქება, ცოცხლად განტევება. 4. პირობა; აღთქმა; ფიცი, პირი, კავშირი, ხელშეკრულება (იუსტ. აბულაძე 1916: 805). აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ზენარ-ი:

საშ. ქართ. I. **ზენარი**: S ამგვარს სახეს *ზენარ(ს)* უწოდენ ქალნი ZA – საბა. იხ. II. ზენი.

საშ., ახ. ქართ. II. **ზენარი** ზენა არი ზეციერი, ღმერთი. დიდთა ჭირთაგან ვნებული ოდეს მცნა მამამ *ზენარმა* (დ. გურ. 127, 440, 3). || ზეცა ფიგურ. და ჩვენს მაღალ სიყვარულსა, – *ზენარით* როძ მოგვეცემა, – ვინ შესწვდება, თუ არ, ჩემო, შადრევანის ტალღათ ცემა? (ი. გრიშ.). || ზეციური, ზეციერი. შენ ხარ ზღაპრის დედოფალი..., ვის *ზენარი* თან სდევს ძალი (ს. შანშ.) – ქეგლი. იხ. III. ზენაარი.

საშ. ქართ. III. **ზენარი** მვ. ზენაარი, ფიცი. «მან გატეხა *ზენარისა* რად შემართა, ვით გაპირდა» (რუსთაველი). ვისის და ძიძისაგან *ზენარსა* ითხოვდეს (ვისრ. 194, 26). ზენარობა ფიცის დადება. „მაგრამ არც დათმობა არის, არც ზენარობა, მუდარა“ (ბ. 199, 28; ფშ. ქეშიკ.). იხ. II. ზენაარი.

დიალექტ. IV. **ზენარი, ზერანი** პურის ცომისაგან გამოძერწილი ფიგურები (ადამიანის, ცხოველის, ფრინველის...), რომლითაც გამოულოცავდნენ ხოლმე შეშინებულს და შემდეგ, სადაც შეეშინდა, იქ დაალაგებდნენ ან, თუ არ იცოდნენ, სად შეეშინდა ადამიანს, გაატანდნენ მდინარეს (იმერ., ბერ., გაჩ.). შდრ. II. ზერანი.

ზერან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ზერანი** (იმერ.) ცრუმორწ. შელოცვილი სიმინდის, ღომის და ლობიოს მარცვლები, აგრეთვე გამომცხვარი პურის ქერქი (ან პურის ნატეხები); დააყრიან დაშავებულ ადგილას ადამიანს, რომელმაც რამე იტკინა («დიალ.») – ქეგლი. იხ. IV. ზენარი.

დიალექტ. II. **ზერანი** ფრინველია რომელიღაც. „რას აკეთებთ, თელი დღე სახლში რო *ყრიხართ ზერნებივით*“ (იმერ. ქავთ.). აღდგენილია ს.-ქართვ. *ზერ-ან- „შურთხი“ (ჩუხუა 2000-2003).

ზეტ-ი:

ახ. ქართ. I. **ზეტი** ლათინური ანბანის უკანასკნელი ასოს, z-ის, სახელწოდება. || მათემ. უცნობი სიდების სიდიდე, რომელიც აღინიშნება ამ ასოთი იქსსა (x) და იგრეკთან (y) ერთად. სამუცნობიან განტოლებაში მესამე უცნობს ზეტით აღვნიშნავთ – ქეგლი.

დიალექტ. II. **ზეტი** ზოგიერთი ხის (რცხილის, თხილის...) წვრილი ტოტი, ან გადანაჭერი ხის ამონაყარი, რომელსაც იყენებენ სატკეცედ (პწკალისათვის). „ადვილათ რომ მეიწირეხოს, მეიღუნოს, კაი გინდა, *ზეტი* ღველფში უნდა გამურიო“ (აჭარ. ნიჟ.). || ნედლი ტოტი, ჯოხი. „დუუკავია დიდი *ზეტი* და უბანგუნებს ბაღვებსა“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. II. ზანტი.

ზეფირ-ი:

ახ. ქართ. I. **ზეფირი** [ბერძ. zephyros] წიგნ. 1. ძველ ბერძნებთან – დასავლეთის ნელი, თბილი ქარი. || ბერძნულ მითოლოგიაში – ამ ქარის ღვთაება. || პოეტ. მწვანე მანტიით შემოსულდრულ მთებს, სად დუმილს აფრთხობს *ზეფირის* ფრენა, მივაშურებდი მე ბრძოლის შემდეგ (გ. ტაბ.). || ნელი, სასიამოვნო ნიავი. [ნინო] იყო ნაზი, როგორც *ზეფირი*, მორცხვი, როგორც გაზაფხულის ყვავილი (ეკ. გაბ.). ვინ უწყს, როდის დავაბარე მე მოკითხვა მთის ზეფირსა (ი. გრიშ.). 2. ბამბის ერთგვარი წმინდა ქსოვილი. 3. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი, დამზადებული ხილეულის წვნისა და ათქვეფილი ნაღებისაგან – ქეგლი. შდრ. ზეფიროსი ნიავი – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **ზეფირი** შხამიანი ნივთიერება, რომელსაც თამბაქო გამოჰყოფს, – ნიკოტინი. „ამ მყრალი თუთუნის *ზეფირში* ხომ არ ამოვახრჩობთ ბაღნებს?“ (ა. ზეპ., აჭარ. ნიჟ.).

ზეფირი < ზიფირი. ზიფირი [თურქ.] თამბაქოს ჭვარტლი, ჩიბუხში (ყალიონი) თუ მუნდშტუკში ჩარჩენილი მწვავე ნივთიერების, – ნიკოტინის ნარჩენი. „ზიფირს უხსენებელი გურბის და შენ არ გეშინია, ამდენ ბიგარას რომ უბულებ, ჭო!“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე ჩვენ. ფუტკ.

ზეწარ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. ზეწარი ქალთა თერისტროჲ; მოსასხამი, ფილონი. „დაფარის თხიერი იგი *ზეწარსა* თჳსსა ქუეშე“ (საკ. წიგნ. 82, 2); „განჰმარტე *ზეწარი* შენი“ (მარკ. 253v); „აღვიღე *ზეწარი* მცირე და დავჰბურე ზედა მჴართა მისთა“ (მ. ცხ. 214r) – ილ. აბულ. || ჩალმა, თავზე წასაკრავი; გრძელი ნაჭერი, რომელსაც ქამრად შემოიხვევენ წელზე. *ზეწარითა* მოუბურავს პირი, ბრძენთა საქებარი (ვეფხ. 370, 3). მაღალი ზღუდე იყო წალკოტისა, რამინ ვითა ვეფხი ზე შეხლტა და *ზეწარი* ჩამოუშვა: ორნივე *ზეწრითა* ზე გაიყვანნა და იმიერით ჩაასხნა, თუით უჯირველად ჩახლტა და სამნივე *ზეწრითა* ვითა დედანი პირდაბურვილნი წავიდეს (ვისრ. 122, 4). კაჩასა მისი *ზეწარი* გამოუნასკუნა სამე ხესაზედა და მას მოეკიდა და მუნით თავი ჩამოიქცია (ვისრ. 166, 32). ღამისა ღმერთი წარმოიდგინებოდის დიდით არე და გრძელითა *ზეწარითა* მოსილად (ანუ ჩადრითა) (კალმ. I, 11, 5, 8). || ყოველთა გარდასაფარებელთა საგებელთა და აკვანთასა და მისთანათასა ეწოდების – საბა. ლეიბზე გადასაფარებელი დიდი თეთრი ქსოვილი (ტილოსი ან ბამბეულისა). სუფთა ტილოს *ზეწარი*... გადმოფენილი იყო საწოლიდან (დ. არდაზ.). || ტანის გასამშრალებელი ფართო თეთრი ქსოვილი. «ექიმი გაგსინჯავთ და თქვენთვის საჭირო აბაზანას დაგინიშნავთ. აი *ზეწარიც*, თან წასაღებად!» (დ. სულ.). || პოეტ. გადატ. საბურველი. საშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის *ზეწარი* გადაეფარა (ილია). ბნელმა *ზეწარი* გადააფარა, ძაძით შემოსა ზეცის კამარა (ს. შანშ.) – ქეგლი. || ზეწრად ითქმის ოდესმე სუდარიცა – საბა. || ზეწარა: ზედ მეფინვის, როგორც ზეწარა (ირ. ევდ.). || ზაწაური: „ქსოვდა ქსელსა ზაწაურისასა“ (გურ. ჯაჯან.).

ზეწარი წარმოქმნილია ზე და წარ ელემენტების შეერთებით, რომელთაგან პირველს აქვს „ზევიდან“, „ზედ“ მნიშვნელობა, ხოლო მეორეს, რომელიც ზმნისწინადაც გვხვდება, უტვირთავს „წა“-ს, ანუ „წაფარების“ „წახურვის“ მნიშვნელობა. ერთიანად ზეწარი არის „ზევიდან წასაფარებელი“ – ბ. გიგინ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ზეწარი** 1. ურმის ჭალებზე ჰორიზონტალურად ჩამოცმული ლატანი. ქალმა მაგრად დაჰკრა გვერდი ურმის *ზეწარსა* (ვ. ბარნ.). მიტრუაც ურმის *ზეწარს* გადმოეყრდნო და იეთარის წუწუნს ყური დაუგდო (შ. არაბ.). 2. არქიტ. ნაგებობის საყრდენი კოჭი, რომელზედაც მაგრდება სხვა კოჭები და სახურავის ფუძე – ქეგლი. || აივნის ხის მოაჯირის ზედა ხე. კარგაც სწორ ხერ, *ზეწრად* იკამინებს (თუშ. ცოც.). გადატ. სხვადასხვანაირად მოხატული ფიცრებით გაკეთებული აივანი (თუშ. ხუბ.). || გარეწალი: ამ დარბაზის 20 ვერშოკიანი 25 არშინის გარეწალი, რომლის შუაწელი სამტონიან დედაბოძზე დადებული ყოფილა და თავზოლო ქვის ბოძებზე უნდა დაედოთ (ჯავახ. მრეწვ. I, 255). ბოძებზე გარეწალი, კვანტები და ტალახი ზევით მიწა, ერდო (ჯავახ. მრეწვ. I, 256). || გარეწანა მარხილის ნაწილი (რაჭ. ძიძიგ.).

ვფიქრობთ, რომ ამ მნიშვნელობის გარეწალი და ზეწარი კომპოზიტებია, რომელთა პირველი ნაწილი 1. გარე „გარეთ“. 2. ზე „ზედ“ ზმნისართებია, მეორე კი – წალი/წალა > წარი „მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მერქანი“. წალა გამოიყოფა სიტყვაში წალამი. შდრ. ს.-ქართვ. წალ-ამ- „წალამი, შხაპრი“ (ჩუხუა 2017).

ზვავ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ზვავი** მთათაგან ჩამოზღვლეული თოვლის გორა – დ. ჩუბ. რომ შევხედე, ერთი ასეთი რამ იდვა, რომ როგორაც შავი მთა, არა გაეწყობოდა რა, უცნაური *ზვავი* იდვა (რუსუდ. 540, 12). || ზევიდან დიდ გროვად წამოსული (ჩამოშლილი, ჩამორღვეული) თოვლი ან მიწა. *ზვავმაც* მაღლიდან დაიგრიალა (ილია). ჩამოვიდა *ზვავი*, და სამი კაცი დაახრჩო თოვლმა (ა. ყაზბ.). *ზვავის* ასხლეტა მინახავს, კლდეზე ელვარის ტეხილი (გ. ლეონ.) – ქეგლი ახ. რედ. აგრეთვე: ზვავი, გაზვაული, ზვავის დალეული, ზვავმცურიელა, ზვავ გაუტყდების, ზვავ დაღლევს, ზვავს გაუტეხს, ზვავს დაალევიებს, მბილის ზვავი, ნაზვავ[არ]ი, საზვაო, საზვაუა, ფიფქ ზვავი, ფუფქის ზვავი (ხევს. ჭინჭ.). || ზოვი (მარტყ.), ზუა (დაშქ.) ზვავი (ფერეიდ. ჩხუბ.).

საშ., ახ. ქართ. II. **ზვავი** 1. უზომო(დ) დიდი, გინა გვამი – საბა. || ზედ. უზომოდ ამპარტავანი – დ. ჩუბ. || ამპარტავანი, ზვიადი, ქედმაღალი – ქეგლი. განა ესეც დიდი წყალობა არი ღმთისაგან, რომე საშინელისა *ზვავისაგან* ეს გამოიხსნა და წყალობითა ღმთისათა მისიცა მოლოდინი გვაქო (რუსუდ. 574, 9). მას ახლდა ორმოცდაათი ათასი დეული *ზვავია* (შჱნ. III,

133, 4). ის (თეიმურაზი) არის... ბოროტი, უწყალო, *ზვავი* (ლ. არდაზ.). «მაგრამ ისეა იგი მავრი გატაცებული თავის მძლავრობით, თავის *ზვავის* მედიდურობით, რომ მოჰყოლიყო რაღაც უშნო, მკვახე ლაპარაკს» (ი. მაჩაბ. თარგმ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. გულ-ზვავი – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ზუა- „მედიდურობა; გახელება“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე კლიმოვი 1964: 9, გიგინეიშვილი 2016.

ზიან-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზიანი** [სპარს.] დასაკლისი, ზარალი (დ. ჩუბ.). არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს *ზიანსა* (ვეფხ. 798, 1). თუით შენ იცი, თუ შენითა სიყუარულითა რაზომ აუგი, უპატიობა და *ზიანი* წამკიდებია (ვისრ. 190, 12). ვინც იმას შეყრას ეღირსოს, ვეჭობ არ მიჰვდეს ზიანი (შჳნ. II, 252, 4). სოფელმან მოგვცა მუხთალმან სარგებლის ნაცვლად *ზიანი* (თეიმ. I, 91, 230, 3). ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი დაუსჯელად არ ჩაივლის; წანახედი, *ზიანი* უზღველად არ დარჩება (ილია) – ქეგლი. „ზროხას რამე *ზიანი* მუუდა ნეტაი?!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ). || ზიან ზიანი. *ზიან* ნუმ არ უქნი ღორს? (ინგ. როსტ.). || ზიან მავნე. ყურველა ჭიაჲ მიწაში კეჰტევ, *ზიან* მირასი, ხახს, ფაყლას (ლობიოს), ქალამს (კომბოსტოს), ბოსტანს (საზამთროსა და ნესვს) შჭრის მაგრა (ინგ. ღამბ). **ზიანი** (ziyan) ზიანი ზან. (ლაზ. თანდ.).

ზიანი ეკუთვნის ისეთ სიტყვათა რიგს, რომლებიც სამ. და ახ. სპარსულში ერთნაირი სახით არიან წარმოდგენილი და ძნელია გარკვევა, საიდან შეითვისა ქართულმა. [შდრ. სპარს. zijān „ვნება“, „ზარმაცი“] (იუსტ. აბულაძე 1916, ანდრონიკაშვილი 1966, გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ზიანი** ზიარი. ყანები მოქვცა ზიანი (ქართლ. იმნ.).

ზიანი < ზიარი: ზიარი მოწილე – საბა. ზიარი მოზიარე. მონაწილე, მეუღლე, «თანა-ზიარი»: „ნუმცა *ზიარ* ვარ მე განზრახვათა მათთა თანა“ (ფს. 140, 4). „ჩინებისა მის ზეცათაჲსა *ზიარნო*“ (ჰებრ. 3, 1) – ილ. აბულ. || საწილო, საზიარო. [ჩალხოს] აქვს სხვასთან ზიარი წისქვილი (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. **III. ზიანი** რძიანი. *ზიან* ფუშრუკ რძეში მოხარშული ფუშრუკი (ინგ. როსტ.). „ზეზელაი *ზიანი* ბალახია, კარისათ ბევრი მოდის“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **II. ზე.**

დიალექტ. **IV. ზიან** მზიანი: *ზიან* დღე თბილი. ზიანევ მზიანი ამინდები (ინგ. როსტ., ღამბ.). იხ. I. ზე. ზემოდასახელებული III. და IV. ნაწარმოები ზიან ომონიმური ცალების ფუძეები **რძე** და **მზე** ფონეტიკური ცვლილებითაა წარმოდგენილი და ნაწარმოებია -იან სუფიქსით.

ზიზილა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზიზილა** [Bellis perennis] დაბალი ტანის ლამაზი მრავალწლოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა. უფოთლო ღეროზე პატარა ზომის მრავალფურცლიანი თეთრი ან მოწითალო ყვავი-

ლები აქვს, ყვავის მთელი ზაფხული. ლურჯად მობიბინე ველ-მინდვრებში [იაკობი] *ზიზილებს* კრეფდა («სახალხო განათლ.»). „მინდვრათ დავკრიფე *ზიზილა*“ (ხალხური) – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. (ა. მაყ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ზიზილა** „ღმერთს ვთხოვ იმ პატარ-პატარა *ზიზილათი* მალე დაგიმშვენოს ეგ მამაცი გული“ (ი. გედევ). აქ ჩინზეა ლაპარაკი – ი. გრიშ. გადატ. **ზიზილა** ლამაზი მინის ნაჭერი. თამაშობენ ბავშვები (შდრ. ზიზილ-პიპილი) (ჯავახ. ბერ., ზედგ.).

ზი-ზილ ← ზინ-ზილ დაკარგულია პირველი სეგმენტის აუსლაუტის თანხმოვანი (ერთელიშვილი 1980: 162). I. ზინზილი.

დიალექტ. III. **ზიზილაი** რძე ბავშვის ენაზე, მოფერებით: „დედოვ, დედოვ, ჩამოყარე/*ზიზილაი* მოვწველოთ, დედო!“ (შავშ. ლექსიკ.). ეს ომონიმური ცალი რედუპლიცირებული სიტყვაა. იხ. II. ზე.

ზიზინ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ზიზინი** აბიბინება – დ. ჩუბ. || ბიბინი. ზიზინებს ბიბინებს. „ბალახი რო ამოვა გაზაფხულით, *ზიზინებსო*“ (თონ., დვალ., ღოლოე). „ყვავილები *ზიზინებს*“ (მარაბ., ქართლ. მენთ.). „ბალახი რო *აზიზინდება*, გაზაფხულზე ამწვანდება“ (ფარცხ.). „გაზაფხულით რო აზიზინდება ყველა ყვავილი“ (მარაბ., ქართლ. მენთ.). იხ. I. ზიმზიმი.

დიალექტ. II. **ზიზინი** შემზარავი მოთქმა-ტირილი ან უკმაყოფილო ხმა (გუგუნი) ხალხისა. ზიზინობს ხალხი შემზარავად მოთქვამს ან ყვირის (ლეჩხ. ალავ.) – ალ. ღლ. შდრ. ჟიჟინი მრავალ(თ) სირთ(ა) ჴმიანობა – საბა. || 1. ხმაურობა; ძახილი, ყვირილი. ხალხმა შეწყვიტა ჟიჟინი და ისე განაბული იდგა (ე. ნინოშ.). 2. ფრინველთა ხმიანობა, – ჟივჟივი. ატყდება ქოხში ტირილი, ბუდეს – ჟიჟინი ბარტყული (გ. ლეონ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ზიზინი ხმაბაძვითი სიტყვაა (კიკინი – წიწინი – სისინი- ზიზინი), რომლებშიც ბგერათმონაცვლეობა არაა პოზიციური, „ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იმთავითვე წამყვანია აზრი, რომლის „კარნახით“ უნდა მომხდარიყო დიფერენციაცია“ (არაბული 2001: 101).

ზიმზიმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ზიმზიმი** ბრწყინვა, ნათება, ელვარება (ა. ნეიმ.). მნათობთა თანადს მას უყვარდა *ზიმზიმი* მზეთა (ზ. გამსახურდია ელექტრ.). „სუ *ზიმზიმს* (მძიმედ მოძრაობას და ბზინვას) დაიწყებს ყანა, მოსავალი“ (ალგ. სალ.). შდრ. I. ზიზინი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ზიმზიმი** ერთად შეყრილი მრავალი ადამიანის ხმაურიანი მოძრაობა, რევა, ჩოჩქოლი, ჟრიამული. რა *ზიმზიმია*... რა ყვავილები? ...ეს ზეიმია, თუ გასვენება? (ი. გრიშ.). ◊ **ზიმზიმი გაუდის** იგივეა, რაც ზიმზიმებს. ეკლესიის ეზოში... ხალხს *ზიმზიმი გაუდის*

(ს. მგალობ.). ფიგურ. ძირიდან წვერამდე [ზეხმელი] მთლად შეხურხლულიყო [მწერებით], თრთოდა და *ზიმზიმი* გაჰქონდა, თითქო ცოცხალ არსებათაგან აშენებულაო (თ. რაზიკ.) – ქეგლი. ზიმზიმოვაჲ ზიმზიმი. სახლ დაწოვაში ხალყ *ზიმზიმოვდა*. გადატ. ერთად თავშეყრილი ძაღლების ყეფა. ზაღლევ *ზიმზიმოვენ*. *ზიმზიმი* გააქვს, ზიმზიმი გაუდის იტყვიან მრავალი ხალხის რევაზე (ინგ. ღამბ.).

სპარსულ ენაში არის ლექსემა [ზამზამა/ე/], რომლის მნიშვნელობებია: 1. ხმადაბალი სიმღერა; ჰანგი, 2. ბუტბუტი, 3. ჟღურტული; 4. შრიალი, 5. ხმაური, შფოთი [რუბინჩიკი 1983]. აშკარაა, რომ ქართული ზიმზიმი მოდის სპარსული ლექსიკური ერთეულიდან [ზამზამა/ე/] (ბართაია 2010). იხ. I. ზიმზიმა.

ზიმზიმა:

საშ. ქართ. I. **ზიმზიმა** ზეიმი. ზიმ სპარსულად ანუ ზიმზიმა არს სამღერელნი, ანუ საგალობელნი, შეწყობილნი სამხიარულოს ხმაზე. ზიმი არის რიგზედ სამხიარულო სიმღერა მაღალს ხმაზე, ხოლო ზიმზიმა ნელი ადრე ტკბილის ხმით მღერა – თ. ბაგრატ. იხ. II. ზიმზიმი.

დიალექტ. II. **ზიმზიმა** (ქიზ.) «ჟუჟუნა თვალებიანი ადამიანი» («დიალ.») – ქეგლი. შდრ. I. ზიმზიმი.

ზინზილ-ი:

დიალექტ. I. **ზინზილი** ქალის სამკაული, ზიზილ-პიპილო (ფშ. ხორნ.). *ზინზილრ* ცალკე იყო დაკერებული ფარაგა[ც]ზე. ზოგი ოც წყვილს აკერებდა, ზოგი- მეტს, ზოგი – ნაკლებს (თუშ. მრეწ. III, I, 82). ფანდურო გაჟეკაურო, *ზინზილ* აგასხი, ღილიო (ალ. ოჩ. 125, 18). იხ. II. ზიზილა.

დიალექტ. II. **ზინზილი** ბავშვის ნელი ხმით ტირილი (უბრალო მიზეზით). „რას ზინზილობს აი ბაღანაი, ხომ არ შია?“ (გურ. შარაშ.). შდრ. ზირზილი აურზაური, ხმაური, ალიაქოთი, აყალმაყალი, ჩოჩქოლი (აჭარ. ნიჟ.). ზინზილით (< სინსილით) სტვენის მსგავსი ხმიანობით. დათვის ჯვარ გადაიარეს არწივებმ *ზინზილითაო* (ხევს. პოეზ. 95, 7) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. III. **ზინზილ, დაზინზილევაჲ** ძილი, დაძინება, (ეს სიტყვა მხოლოდ ზღაპრებში იხმარება). დაჲზინზილ, შუ̈ლო, დაჲზინზილ! (ინგ. ღამბ.). ზილიან-ზილიან იგივეა, რაც ზილიან მძინარე (ინგ. ღამბ.).

ზინზილ ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია. ზილი < ძილი. ძილ-სიტყვისათვის აღადგენენ ს.-ქართვ. არქეტიპ *ძინ- ||ძილ-ს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ზინზილა:

დიალექტ. I. **ზინზილაჲ** აურზაური, ხმაური, ყაყანი, ჩოჩქოლი, შფოთი. *ზინზილაჲ* იდგა ჩონ ორღბეში; ზაღლევი *ზინზილაჲ* (ინგ. ღამბ.). იხ. II. ზიმზიმი.

დიალექტ. **II. ზიწზილაი** 1. დიდი ტალახი, ტალახიანი ადგილი. დიდი ტალახიანობა წვიმის დროს (ინგ. როსტ.). 2. წარღვნა, მეორედ მოსვლა (ინგ. ღამბ.).

სიტყვა წარმოქმნილია საკუთრივ ქართულ ნიადაგზე. იგი ბგერწერითი ხასიათისაა და მიღებულია რედუპლიკაციის გზით (გიგინეიშვილი 2016).

ზიპ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ზიპი** თევზის ქონი – დ. ჩუბ. || თხევადი ცხიმი, მიღებული ზღვის ცხოველებისა და ზოგი თევზის ქონისაგან – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ზიპ- გასუქება, ქონი (ჩუბუა 2017).

დიალექტ. **II. ზიპი, ზიპე** (ქვ.-იმერ.) გაუფუარი; ცომი. «შენ კი ამომიჩემე: – მაინცადამაინც *ზიპი* პური და უშაქრო ჩაი დამალევინეთო» (დ. შენგ.) – ქეგლი.

ზირ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ზირი** სურნელოვანი მცენარის თესლი – ი. გრიშ. აგრეთვე **ზირა, ზირაკი** [Cuminum cyminum] ქოლგოსანთა ოჯახის ერთწლოვანი მცენარე – ქეგლი; [სპარს.] ძირაკი, კვლიავი – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ზირ** ძირი. ერ *ზირ* ვაშლ; **ზირი-პურ**, ძირის პურ; *ზირი* ჩარგავ (ინგ. ღამბ.). **ზირა || ზირი**: ზირა მეჯრეა გუთანთან ახლოს მყოფი მეხრე. გუთანში სამი წყვილი უღელი ება, თითოეულ უღელთან ჩარგავზე იჯდა ერთი მეჯრე: *ზირი* ულაყს *ზირა* მეჯრეა მიჰლალავდა (ინგ. როსტ.). ზირი < ძირი. ძვ., საშ., ახ. ქართ. ძირი ფესვი; მოდგმა, ტომი; ცალი; ნაკვალევი. „ძირნი არა დაებნეს“ (მთ. 13,6); „ვარ ჰურიაი ძირითა“ (ი. მოც. 58, 35); „სამეოცდაათი ძირი ფინიკთაი (G, რიცხ. 33, 9). ძირი (სპარს.) ქვე და კერძო ნივთთა, ფსკერი; ფესვი ხეთა და ბალახთა (დ. ჩუბ.). ...აგრე სულ ძირად გრძნეული არ იყო (რუსუდ. 229, 5). სახით ვით ნორჩო, ნაყოფით ძირ-კეთილ, შრტოვ ვაზისაო (დ. გურამ. 77, 107, 2). აგრეთვე ქეგლი. სპარს. ზირ – „ძირი, ქვედა ნაწილი“ (ანდრონიკაშვილი 1966). აღდგენილია ს.-ქართვ. *ძირ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ზისხა:

დიალექტ. **I. ზისხა** უმი ხორცის ნაწყენის სისხლად გახეთქა (რაჭ., ვლ. ფ., ვ. ბერ.). შდრ. ზიზღა ღორების ავადმყოფობაა. კანი უსკდება. ზიზღა შეექნაყე ჩემ ღორეფს (სოჩხეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. სისხა.

შესაძლებელია, სიტყვა წარმომავლობით გადატ. უკავშირდებოდეს სისხლს, რომლისთვისაც აღდგენილია ს.-ქართვ. *ზისხლ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. ზისხა** 1. ამბობენ მწარე რამეზე. ბოლოკი, ნიორი, ხახვია *ზისხაი;* პანტა მსხალი რო იქნება, ან ვაშლი ძალიან მწარე, *ზისხა* არიო, ვიტყვით (ხაშ.). აგრეთვე ჩუმათ. (ქართლ. ლექსიკ.). ზისხა გამოიყენება შედარებისას მეტად მწარის გამოსახატავად. როგორც *ზისხა*, ისეა, ზისხასავეთ არი-მეთქი, ვიფიქრე (წყალსავი); ე კიტრი *ზისხა* არი (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || იხმარება შედარებისას -ვით თანდებულით მეტად მწარე და ცუდი გემოს აღსანიშნავად. *ზისხასავით* მაქ პირი; ზისხასავით გემო აქ (იმერ. ქავთ.). 2. ფიცხი, ავი. ადამიანზეც ვიტყვით, ძალიან ავი რო იქნება, *ზისხა* არიო (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.). || ზისხამი იგივეა, რაც ზისხა. კუჭიდან ამომაქცევია, როგორც ზისხამი, მისთანა (ლიჩი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ჟიშხასავით (მწარე). ძალიან მწარე. ფუ, რა მწარეა, ჟიშხასავით არი (რაჭ. კობახ.).

საერთოქართველური ზისხა არქეტიპის ამოსავალი მნიშვნელობა ნიგვზის კაკლის გარეკანის წვენისა უნდა ყოფილიყო, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოირჩევა სიმწარითა და უგემურობით. ს.-ქართვ. *ზისხ-ა „ნიგვზის კაკლის გარეკანის წვენი“ → ქართ. ზისხა ზან. ჟეშქ-ილ-ა ← *ჟიშხ-ილ-ა : სვან. ჟიშხა (ჩუხუა 2000-2003).

ზმა:

საშ., ქართ. **I. ზმა** ხმაურობა, ჩოჩქოლი – დ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ. **II. ზმა** გალექსილ თქმაში შერჩეული ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა, რომ მათი (ან მათი ნაწილების) შეერთებით შეიძლებოდეს ახალი სიტყვის მიღება. მაგ., აკაკის ლექსში: «მაღლით წვიმა მოდიოდა, ნაბადმა ვერ დამფარაო, დამასველა მან თავიდან ფეხებამდე მასხა რაო» – ქეგლი. ამაზედა პირშუენვარემან შაჰრომ მოცინარის პირითა *ზმა* უთხრა შაჰი მოაბადს (ვისრ. 36,18). შეიქნა ლაღობა და *ზმა* ეგეთი, რომე ყოველსა ლხინსა და ნადიმსა მათი ზმა და ლხინი სჯობდა (რუსუდ. 137, 1). ამაზედა შეიქნა *ზმა* დიდი და სიმხიარულე (რუსუდ. 122, 34). *ზმა* მგოსანთა და მუშაითთა (ქ. ცხ. II, 47, 14). მოყუარე ღჳნისა და *ზმისა* (ქ. ცხ. II, 425, 10). ზედ მოაბეს ლხინი და *ზმა* (არჩ. 222, 1). *იზმდიან,* იხმოვნობდიან, იმღერებდიან „იქოსა“ (ვახტ. VI, 64, 13). საყელონი გარდიხია, აღარ უნდა ტკბილად *ზმანი* (შჳნ. III, 211, 3). მოილხინეს, გაშაირდნენ და ერთმანეთს სტყორცნეს მათ *ზმა* (აკაკი). აქ ერთგვარი *ზმა* და ენამახვილობაა (ივ. ჯავახ.) – ქეგლი.

შესაძლოა, ზმა „ხუმრობით თქმა“ წარმომდგარი იყოს ზმა „თქმა“ მნიშვნელობის გაფართოებით (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ. **III. ზმა** ძვ. სახელი ზმის ზმნის მოქმედებისა, – ქმნა, კეთება, საქციელი. [ტარიელის] ჭვრეტა ახელებს მჭვრეტელთა, ყოფა-ქცევისა და *ზმისა* (რუსთაველი) – ქეგლი. დღესა ერთსა მეფე შვილსა ლხინთა- *ზმასა* შეეკადრა (ნ. ციც. 412, 38, 1).

ძვ. ქართ. *ზმა (პირიელი ფორმები დამოწმებულია V-ს-დან. ზამფუძეში ძირია ზ, ხოლო -ამ/-მ-ემ -თემატური აფიქსის ვარიანტები. ზ-ძირს სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანს. ახალ ქართულში ზმა-ს შეენაცვლა ზმნა, რომელიც „მოქმედების აღმნიშვნელის" ტერმინად იქცა – ბ. გიგინ.

დიალექტ. **IV. ზმაი** ძმა. ერ ზმაი მაქ (მყავს), ოორიც დაი; ესენ ჩემ დედაკაცი *ზმევნი* (ინგ. ღამბ.).

ზმა < ძმა; აღდგენილია ს.-ქართვ. *ძამ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ზმნა:

ძვ., საშ., ქართ. **I. ზმნა** აზმნა, იგრძნა, ამასაც ნიშნავს და სხვადასხვა რიგად განიმარტება; ზმნობა აზმნობას ნიშნავს – თ. ბაგრატ. აზმნობა რომ აზროვდეს საქმისა რაისათვისმე, გინა ჰგონებდეს, რომელ ესე საქმე ესე ვითარად არისო, ანუ ესე სახედ იქმნებისო – თ. ბაგრატ. **ზმნა** 1. ფიქრი, ზრახვა. იწყო *ზმნად* და აღთქუამად გულსა თჳსსა (დაბ. 24, 12). 2. მარჩიელობა; ჯადოქრობა: არა არს *ზმნაი* შორის ჲაკობსა, არცა მისნობაი შორის ისრაჱლსა, (რიცხ. 23, 23). (ბალაამ) არა მივიდა კითხვად უფლისა, ვითარცა-იგი ჩუეულ იყო *ზმნებითა* (რიცხ. 24, 1) – კ. დან.

შდრ. „ზმნა" და აქიდან წარმოებული „მზმ(ნ)ელი" პირველადი მნიშვნელობით „შეტყობა – შემტყობი." „ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მაგრამ მზმელი" (ვეფხ.), სადაც „მზმელი" აღნიშნავს „მოხიბლავს ანუ ჯადოქარს, მომჯადოებელს" (ი. აბულაძე 1976: 78).

საშ., ახ. ქართ. **II. ზმნა** 1. ქმნა, კეთება. მიწაც იხარებს უსულო, რა დღე მოუვა *ზმნისანი* (ვახტ. VI, 39, 46, 1). 2. გრამატ. მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ პირთან (პირებთან) ანდა გრამატიკულ კლასკატეგორიასთან დაკავშირებულ მოქმედებას, მდგომარეობას). გარდაუვალი ზმნა. – გარდამავალი ზმნა. – ზმნის უღვლილება. – ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას (ილია). ◊ ზმნის გარდაუვალობა, გარდაუვალობა – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ზამ- „ქმნა, კეთება, ხვნა (ჩუხუა 2017). აგრეთვე ქავთარაძე 1954:200.

ზნე:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზნე** 1. „ცუდი თვისების მქონე, ფეთიან კარაული". „ხოლო კლეობიოს ჰრქუა კარულსა მას: ყოვლითავე ზნითა სავსეო... ნუღარა წარხვდე შენ ამის ადგილისაგან" (ეპიფ. კჯპ. 94, 4); „წარიბ კარულიცა ესე შენ თანავე და უკუეთუ შეიცვალოს მაგან *ზნეჲ* თჳსი და სიბოროტჱ თჳსით ნებისით, უტეევე ეგე შენსა შინა სახლსა, უკუეთუ კუალად დაადგრეს ეგე *ზნესავე* თჳსს, გამოაძე ეგე სახლისაგან შენისა, ნუუკუე სადამე მო-ვინმე-კლას" (ეპიფ. კჯპ. 93, 25). „თუ კაცმან კაცსა პაემანითა საჴედარი რამე მიყიდოს, პაემანსა შიგნით *ზნე* რამე გამოაჩნდეს,

მოშლას ემართლების აუცილებლად“ (სამ. I, 460, 10). „უკეთუ *ზნე* იგი დაჰყუწს შემდგომად მოსყიდვისა, მაშინ ვერღარა შეუშლის, მით რომე არარაჲმე ნივთი ესევითარი, რომელიცა ვნებასა ქუჱშე არა შემვრდომ იყოს“ (სამ. ბატ. დავ. 54, 4). 2. ზნე ხასიათი, ბუნება, თვისება. „ხელმწიფისა შვილსა გითხრობ კარგსა ყმასა, გულოვანსა, უებროსა *ზნედ* და თვალად, შვენიერს პირსა, ტანსა“ (ვეფხ. 1186, 1). „არსთ შემოქმედსა გააფიცებ, მიამბე ვაჟის ზნენია“ (შჱნ. II. 5144, 4). უკეთესი *ზნე* და წესი იგი არს მრთელისა კაცისა, რომელ ერთსა დღესა და ერთსა რამეს შიგან ერთხელ ჭამოს საჭმელი ანუ ორჯერ (სააქ. 29, 4). ქცევა ზნე სრული, ზეიშთ კეისრული, უმეტესი ვთქვა ქება აბა რა? (არჩ. 51, 5). გიორგის ამბებიც არა ერთხელ მოსვლიათ დაძმათა და არა ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი *ზნე* და ხასიათი (ილია) – ქეგლი. ზნენ გამაუჩინდებინ თვისება, ჩვევა, უნარი აღმოუჩნდება. სალექსოდ, ჯურჯიაულო, *გამაგიჩინდეს ზნენია* (ხევს. პოეზ. 678, 1). **ზგნე** ჩვეულება სვან. (თოფ., ქალდ.).

ზნე დაუშლელი ჩანს. სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანს: მეგრ. ზნე და სვან. ზგნე ნასესხებია ქართულიდან – ბ. გიგინ.

სამ. ქართ., დიალექტ. **II. ზნე** ავადმყოფობა: „ჯორცთა შიგან ზნე რაჲმე ჰქონდის“ (ეტლ. 12, 48). || ბნედა. *ზნემ* მოუარა (გურ. შარაშ.). **თავიზნე** ქრონიკული ავადმყოფობა ცნობის დაკარგვით და კრუნჩხვებით, – ავი ზნე, ბნედა. **თავიზნიანი**: თუ ხმაურს გაიგონებს *თავიზნიანი*, ქვე გასუნელდება (რაჭ. კობახ.). შდრ. მზნობა „ვნება, რაიმეს ტკენა“. ხომ არ ემზნო რა (ქსნ. სომხ.). მზნევაჲ „ვნება“. „ცხვრის ჯორც ნუ შჯამიდივ, ექიმმ, გამზნევსავ, მაზნევარიავ“ (თუშ. ცოც.).

ს.-ქართვ. *ზნინ- „ავადმყოფობა, სნეულება“. ქართ. ზნ-ე „ავადმყოფობა“, მთ., ქიზ. ზნევა „ვნება, წყენა“, ზან. (მეგრ.) ჟინაფა „დასნეულება“ (ჩუხუა 2018: 83).

ზნიან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზნიანი** 1. გარკვეული ზნის, თვისების, ხასიათის მქონე. გალაღებულან ფრინველნი, ისედაც ლაღი *ზნიანი* (ვაჟა). მაცნე მოვიდა შატილსა, – ქისტებმა მოგვცეს *ზიანი*, დაგვიწიოკეს მწყემსები, ავნია, ავი *ზნიანნი* (ვაჟა). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ავზნიანი. – კეთილზნიანი – ქეგლი. იხ. I. ზნე მნიშვნ. 2.

დიალექტ. **II. ზნიანი** სნეული, ავადმყოფი (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. ზნე. *კვირტი ◊ იღლიის კვირტი* ვაზის ფოთოლთან გამოსული უნაყოფო კვირტი.

დიალექტ. **III. ზნიანი** ზიანი (რაჭ. ძიძიგ.). იხ. I. ზიანი.

ზოგ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. ზოგი** 1. «ნახევარი», «გაანახევრებული», «კერძო», ნაწილი, რომელიმე, ვინმე; წყვილი, უღელი: „მიგცე შენ ვიდრე *ზოგადმდე* სამეუფოჲსა ჩემისა“ (მრ. 6, 23); „იყვნეს *ზოგნი* მახლობელად მთასა“ M – „იყვნეს ნახევარნი მახლობელ მთისა“ (G, ისუ ნ. 8, 33); „შეკრიბნა... *ზოგისა*

ნათესავისა მანასესნი" M, – „მოუწოდა... კერძოსა ტომისასა მანასის" (G ისუ ნ. 22, 1); „იყო *ზოგი* იგი ნაწილი, რომელ განვიდეს ბრძოლად" pb., – „იქმნა განნახევრებული ნაწილი განსრულთაჲ ბრძოლად" (G, რიცხ. 31, 36). **ზოგს-მგბარი** ნახევრად მოხარშული: ვითარცა ჰაკუნტელი ზოგს-მგბარი (ეს. 51, 20). **განზოგება** განახევრება: „კაცთა მოსისხლეთა და მზაკუვართა ნუ *განეზოგნენ* დღენი მათნი" (ფს. 54, 24). აქვე: ზოგს რაჲ(მე), ზოგად, ზოვგად, ზოგადი, ზოგისაგანი, ზოგის-ზოგი – ილ. აბულ. *ზოგი* მწერალი და *ზოგი* მოშაჰირე (ეტლ. 3, 29). || განუსაზღვრ. ნაცვალსახ. ყველას შორის რომელიმე ერთი (ან რამდენიმე), რაღაც გარკვეული ნაწილი (მთელთან, ყველაფერთან, ყველასთან შეპირისპირებული). *ზოგიჰირი* მარგებელიაო (ანდაზა). ეფემიამ... თაფლი *ზოგი* ფიალაზე დაასხა ტკბილისათვის და *ზოგიც* შეინახა (თ. რაზიკ.). || ესა თუ ის ადამიანი,გარკვეული ვინმე, რომელიღაც პირი. *ზოგისა* ბამბა ჩხრიალებს, *ზოგის* – კაკალიც არაო (ანდაზა). 2. აბა ერთი, ერთიც. «*ზოგი* ჩემს გულშიაც ჩაიხედე!» (ილია). «*ზოგი* ახლა მე მკითხოს» – თქვა თეკლემ (ლ. არდაზ.) – ქეგლი.

ჰრ. აჭარიანი ვარაუდობდა ამ სიტყვის სომხურიდან ნასესხობას ქართულში. შდრ. [სომხ. zujg] (აჭარიანი 1973: 105). თვით სომხური zujg მიჩნეულია სირიულიდან zaujgā მომდინარედ. სირიულში კი შესული ჩანს ბერძნული ჳεῦgos „უღლეული" სიტყვიდან (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ზოგი** დაზოგვა, გამოზოგვა. წყალი რო წყალია, იმასაც უნდა *ზოგიო* (ტყვ.). *ზოგი* იცოდე, თავფქვილა ნუ ხარ! (კარალ., ქართლ. ლექსიკ.). *ზოგვა* არ ვიმეტებ, ვუფრთხილდები – დ. ჩუბ.; ქეგლი.

ზოდ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ზოდი** (ზოთ CaqDE.) (+ ესე A) არს ნადნობი ერთი გვამი ილეკროთაგანი – საბა. || ერთად შედნობილი ან დაყურსებული მეტალი (დ. ჩუბ.). || გამოდნობის შემდეგ მიღებული ლითონის მთლიანი ნაჭერი – ქეგლი. ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი, *ზოდი* ოქროსა მისგან თლილისა (შავთ. 322, 44, 3). [ქაჩალ-მენახირემ] გამოიხვია ერთი ოქროს *ზოდი* და წამოიღო (ზღაპ.). || საერთოდ, რომელიმე მკვრივი ნივთიერების ერთი მთლიანი ნაჭერი. – ფიგურ. ცა მწყრალი ყინულისასა მიწას ესროდა *ზოდებსა* (ვაჟა). ◊ **თაფლის ზოდი** თაფლით სავსე ფიჭა. ფუტკრები ერთი ყვავილიდან მეორეზე ფრინავენ და *თაფლის ზოდების* გასაკეთებლად მასალას აგროვებენ (ი. გოგებ.) – ქეგლი. || ლითონის ქვა – ი. გრიშ. შდრ. ზოდე დიდი, ტლანქი (ქართლ. სალ.). **ზოდი** ზან. (მეგრ. ელ.).

საშ. ქართ. **II. ზოდი** ზოდიაქო. რომელ არიან ეტლნი მზისა და მთვარისანი მათ ეტლთა თითოეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოცდაათ-დღე (არა თუ ცხოველნი არიან, არამედ *ზოდნი*) (ქ. ცხ. II, 159, 7). ზოდი < ზოდიაქო. **ზოდია, ზოდიაქო** [ბერძ.] სიმრგვლე მზის მოქცევისა წელიწდეულად, რომელიც განიწვალების 12 კერძოდ ან ბურჯად – დ. ჩუბ. შდრ. ზოდიაქო || ზოდიაკო [ბერძ. zodiakos ზოდიაკოს] ასტრ. ცის სფეროს

წარმოსახვითი სარტყელი, რომელიც შედგება 12 თანავარსკვლავედისაგან. ყოველ მათგანს აქვს სახელი და საგანგებო, ე. წ. ზოდიაქოს ნიშანი. ამ თანავარსკვლავედებზე გადის მზის წლიური მოძრაობის გზა – ეკლიპტიკა (ქეგლი).

ზოლ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზოლი** 1. ნაქსოვთა შინა გრძლად ჩატანებული სხვა ფერი – დ. ჩუბ. || გრძელი და ვიწრო სიბრტყე რისამე, რამეზე გავლებული, დაჩნეული. – შაქრის ლერწამი იზრდება ორი ადლის სიმაღლეზე, ზედ ასხია გრძელი ვიწრო ფოთლები, თეთრი *ზოლებით* აჭრელებული (ი. გოგებ.). გრძელი, წითელი *ზოლი* გაჭიმულიყო სისხლისა იმ ადგილამდე, საცა ჯიხვი დეკამ დაიჭირა (ვაჟა). ფიგურ. და თეთრი *ზოლი* შორის მთებისა ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა (ილია). || ზოლის მსგავსად ვიწროდ წაგრძელებული რამე. «პალიასტომსა» და გურიის სოფლებს შუა, რიგრიგად უშველებელი *ზოლებით* მდებარეობს... საყანე და საბალახო ადგილები (ე. ნინოშ.). 2. ვიწრო და გრძელი ფართობი სხვადასხვა დანიშნულებისა. || ამა თუ იმ ადგილის (მიდამოს...) ნაწილი (ფართობი...), რომელიც განსხვავდება გარემოსაგან გარკვეული ნიშნების მიხედვით ან რაიმე საგანგებო დანიშნულებისაა, – ზონა, სარტყელი – ქეგლი. შდრ. ზოლაღ ზოლი (ინგ. ღამბ.).

ზოლი < ასურ. zŭlă (<zol) (კ. წერეთელი 1980).

ახ. ქართ. **II. ზოლი** (გერმ. Sole მრ. < ლათ solutio) „ხსნარი“კოლოიდური ხსნარი (მაგ., სხვადასხვა ემულსია, ქაფი, ნისლი, კვამლი) – მ. ჭაბ.

დიალექტ. **III. ზოლ** ძვალი. *ზოლ* არ გ(ო)მოხარო, კბილევ დააჭეჩელ შენბე (კბილებს დაგამტვრევს); **ზურგი ზოლ** ზურგი (ინგ. ღამბ.). შდრ. ძოლი (მოხ. ქაჯ.). წელის ძოლი (მთ. კაიშ.). ზოლ < ძოლ < ძვალი < ძუალი.

ბუალი, ძვალი უმაგრესი ნაწილი ცხოველთა ხორცთა შინა – დ. ჩუბ., საბა. „ბუალთა ჩემთაგანი და ჴორცთა ჩემთაგანი ხარ შენ“ (O, დაბ. 29, 14); „აღვიხუენით პატიოსანნი ბუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა“ (შუშ. XIX 9) – ილ. აბულ., ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ბუალარქეტიპი (ჩუხუა 2017). აგრეთვე კლიმოვი 1964: 241.

ზორტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზორტი** ლარისაგან სამოსელთ შესაკინძავი – საბა. || გრძელი შესაკრავი სამოსელთა, გინა წიგნთა – დ. ჩუბ. **ზორტ-სარტყელი** ქამარი გვერდებზე ზორტებით შესაკრავი. ბოლოდ ჯავშნის სიმძიმემან მე დამწყვიტა *ზორტ-სარტყელი* (შჯნ. I, 2074, 1). „*ზორტებს* გაუხსნის კაბისასა“ (თეიმ. II) – ი. გრიშ. || ქსოვილის ვიწრო ზოლი, ზონარი, რომლითაც იკრავენ ტანისამოსის ამა თუ იმ ნაწილს. ახლა დილილმე, დილილმე, დამტოვე დაბნედილი მე; კაბისა *ზორტი* შემიხსენ და

პერანგისა ღილი მე! (ხალხ.) – ქეგლი. ნახე რაცხა *ზორტი* და შემოიჭირე წელზე (მესხ. ფეიქრ.). **ზორტი** ზორტი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ზორტი** ტყეში თავისით წაქცეული ხე. ტყეში ვიყაით და დიდი ზორტი ეგდო. მოტეხილი ხე რო არი, თავი ვეღარ დეიკავა და დეეცა და არი დარჩენილი ხომე ტყეში, ისაა *ზორტი* (ზვარე); ახლა რო ჩაია, მაგაში უწინ მუხა ყოფილიყო სულა. მუხის *ზორტები* ახლაც კიდე ჩანს მანდაეთი (ზ.-იმერ. ძოწ.). ერთი დიდი წაქცეული ხე იყო *ზორტი;* შედგა იმ *ზორტზე* და გადახტა კაცი (ყვიბ., ქართლ. იმნ.). || მოჭრილი ხის მთლიანი ტარი, მორი გადანაჭერი (ჯავახ. ზედგ.). || ნალექით გაჟენთილი, ნახევრად დამპალი ფიცარი, შეშა და მისთ. (აჭარ. ნიჟ.). || ზორტი სველი შეშა, ჯირკი. „გზი პირეფში *ზორტები* ეყარა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. II. ზანტი; II. ზეტი.

ზოღ-ი:

დიალექტ. I. **ზოღი** 1. [თურქ.] საქალამნედ დაჭრილი ტყავი. „ორი *ზოღი* ტყავი მუუცემია“ (იმ.); „ტყავიდამ *ზოღებ* მოვჭრიდით“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **დაზოღვა** საქონლის (ხარის, კამეჩის, ცხენის) ტყავის ზოღებად დაჭრა. „ორი ხარის ტყავი *დავზოღე*“ (ჯავახ. ზედგ.). „ისეთი მათრაღი ნა გადააჰკრა, რო ერთი *ზოღი* ტყავი ასძვრესო“ (მესხ. მაის.). 2. ზოლი. „ამ ყუმაშსა შავი *ზოღები* დაყუება“ (ინ.); 3. თიბვის დროს გატანილი ერთი ნაპირი. „ერთ ჩატანაი მოთიბული რომე არი, იმა ზოღი ქვია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ზოღი** || ბოღი. ერთი ზოღიდან გამოდიოდა 2,5 წყვილი ქალამანი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ზოღ** [აზერ.] ღივი, აღმონაცენი, ყლორტი. *ზოღევ* ომოშოვას უკან არვარგ *ზოღევს* ხლრპავთ, კაი *ზოღევს* ვინახავთ. [სინ. დოყ] (ინგ. ღამბ.). შდრ. სოღი ხახვის, ნივრისა და მისთანათა გამოშვებული ღივი (ქიზ. მენთ.). სოხვი ჭლაკვი, უთავო ხახვი (გურ. შარაშ.).

ზუავ-ი:

საშ. ქართ. I. **ზუავი** თოვლი – საბა. ზუავი „ჩამოწოლილი თოვლი“ (ქ. ცხ. IV, 640, 22). გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ... მაღალს კლდე- გორიანსა ზედა, ვინაჲთგან გამოუნახავთ უმჯობესად *ზუავისა* კუეთებისათჳს (ქ. ცხ. IV, 640, 19). იხ. I. ზვავი.

ძვ., საშ. ქართ. II. **ზუავი** (ზვავი CDE) (+ 24, 1 იობ ZAa) უზომო(დ) დიდი, გინა გვამი ZAB – საბა. || გოროზი, ამაყი: „*ზუავი* იგი ნაბუქოდონოსორ“ (მ. ცხ. 15v); აქვე ზუაობა გაამაყება, ამაყობა, ზვიადობა, ამპარტავნობა, დიდების-მოყვარება. სნეულ ხარ *ზუაობითა*“ (მ. ცხ. 49v). „სირცხვილ არს... რაჲთა უცხოსა ზედა ქველის-საქმესა *ვზუაობდე*“ (მ. ცხ. 170v). **საზუაობელი** «დიდად წარჩინებული»: „*საზუაობელისა* მის სულნელისა წილ O, – „დიდად წარჩინებულთა სუნელთა წილ“ (M, ესთ. 14, 2). **მზუაო-**

ბარი ამაყი, გოროზი, ამპარტავანი: „ნუმცა ვართ *მზუაობარ*“ (გალ. 5, 26). **მზუაობრობა** ამპარტავნობა: „უკუეთუ არა გაჭუს ლმობიერებაჲ, უწყოდე, რამეთუ *მზუაობრიობაჲ* გაჭუს“ (მ. ცხ. 105v). – ილ. აბულ. განრისხნა მძლავრი იგი *ზუავი* და ამპარტავანი (ქ. ცხ. II, 449, 31). იხ. II. ზვავი.

III. **ზუავი** [ფრანგ.] 1. ალჟირში: საფრანგეთის არმიის ჯარისკაცი. 2. ოსმალეთში: დაქირავებული ჯარის ნაწილების მსროლელი – მ. ჭაბ.

ზუზუნა:

ახ. ქართ. I. **ზუზუნა** რაც ზუზუნებს, რასაც ზუზუნი გააქვს. [ა. ყაზბეგი] ორიოდე ხაზის მოსმით იძლევა ბუნების გაღვიძების სურათს გაზაფხულზე, როდესაც მოუსვენარი *ზუზუნა* ქარების ადგილს წყნარად მრხეველი ნიავი იჭერს (გ. ქიქ.). ცაში ფუტკარივით ირეოდა *ზუზუნა* ტყვია (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. ზუზუნა < ზუზუნი [სპარს.] ბზუვილი ან წუწუნი (დ. ჩუბ.). ზუზუნი გასროლილი ან ძლიერად მოქნეული საგნის მიერ ჰაერის გაპობით გამოწვეული წვრილი, გაბმული ხმა, – წუილი, ზუილი – ქეგლი. **ზუზუნი** ზან. (მეგრ. ელ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ზუზუნა** მცენ. გაწყობილა – დ. ჩუბ. || ბალახი. „*ზუზუნა* ბალახი ამათიეფში ამუა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III.**ზუზუნა** დიდი ბუზი. ზუზუნას ვემახით ჩონ. *ზუზუნა* იფო დიდია, შავი და *ზუზუნა*, ავია; *ზუზუნა* – დიდი ბუზუკია, იკბენავს; *ზუზუნა* – ძალიან დიდი ბუზი, ლამაზ ფერთები [ასეა!] აქ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ზუთხ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ზუთხი** თევზი – საბა. განთიადადმდე ათნი თევზნი შეაწყუდინეს, რომელთა ჩუელებაჲ არს ჩუენ შორის *ზუთხად* წოდებაჲ (იოან. XXI, 36). გელათური ძღვენი: საჭარმაგო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, *ზუთხი*... ფიცხლავ მოაგებონ საქრისტიშობოდ მომავალს (გარიგ. 15, 337). რა გინდა სულო და გულო, სუფრაზე არ იყო... თევზეული – კალმახი, გელაქური, ორაგული, *ზუთხი* (ვაჟა) – ქეგლი. ერთი *ზუთხიდან* შემიძლიან დავჭრა ერთი ქართული ზურგიელი, დოში, სათალი (ჩამონათალი), მერმედ იქიდან გამოდის ჭიპი. რაც დარჩება, იმას ქართულად ვეტყვით ხრეშს ან მონაჭერს (ზ.-ქართ. მრეწ. III, II, 134).

ს.-ქართვ. **ზუთხ-** „**ზუთხი**“ → ქართ. ზუთხ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ზუთხი** 1. არტამანი (კეთდება დახეხილი სარეცხი საპნისა და კვერცხის ცილის ნარევით). „მაგ თითზე *ზუთხი* დეგეკრა, კაი მოვდოდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 2. თაფლნარევი გამდნარი კარაქი (მალამოსავით), რომელსაც დაადებენ ჭრილობაზე. „ჭრილობას მოსწევს და მოარჩენსო“. „სოფლის ჯერრაჰები *ზუთხს* სხვადასხვანაირათ ამზადებენ“ (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. ზუთხი** 1. ძალიან მლაშე, მეტისმეტად მარილიანი. ყველი ძაან მარილიანია, თლა *ზუთბია* (მესხ. ფეიქრ.). || თევზი დამარილებული. 2. გადატ. საჭმელი მეტად მლაშე, მარილიანი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. მწუთხე «მეტად მლაშე» (საბა).

ზუკ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ზუკი** კუზი – დ. ჩუბ. || სულ ძიხარ და წერამ. ადექი, გაიარ-გამოიარე, თვარა *ზუკები* ამოგივა (მესხ. ფეიქრ.). „წელზე ერთი დიდი *ზუკი* ჰქონდა“ (ჯავახ. ბერ.). „ჯერ რა ხნისაა, რო *ზუკი* გაუჩნდა?!“ (ჯავახ. ზედგ.).*ზუკიანი* კუზიანი. „მაგ *ზუკიანმა* შენ რა-გო'ნა დაგცინოს“ (ჯავახ. ბერ.). ბგერათა გადასმა: ზუკიანი, დაიზუკა, დაზუკული < კუზიანი, დაიკუზა, დაკუზული (ჯავახ. ბერიძე 1988: 72). || **კუზი** ღურკანი, მაღლა ამოსული ბეჭები მახინჯად – დ. ჩუბ.; ქეგლი. კუზი > ზუკი (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. ზუკი** || **ზუკია**: აიღე ... *ზუკი* და ზაფრანი (ფანასკ. 267, 32). აიღე ზაფრანი ექუსი დრამის წონი... და ზუკია (ფანასკ. 159, 4). ზუკი < ზუგი. შდრ. ზუგია ძელქვის გომიზი, საკმეველი – დ. ჩუბ. „(საკუმეველი)... სანდლითა და ფრჩხილითა... და ზუგიითა სწორად შეიზავების“ (H-622, 20r) – ილ. აბულ. || ზუგი შავა საკმელს ჰქვიან. ზუგისა ზეთი მჯურვალი არს და ლბილი (ფანასკ. 410, 19).

ზუმპა:

დიალექტ. **I. ზუმპა** ძალიან მძიმე. „კაი *ზუმპა* კალათებია, კაი *ზუმპა* ჭვირთია“ (საჩ. შარაშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ზუმპა, ზუმბა** [სპარს. სუმბა] 1. ლითონის წვრილი ჯოხი, რომლითაც წმენდენ თოფის და მისთ. ლულის ღარს (იხმარებოდა გასატენადაც, როცა თოფს ლულიდან ტენიდნენ). 2. ხელოსნ. მრგვალი, გრძელი რკინის ხელსაწყო, რომლითაც მჭედლები ხვრეტენ რკინას (ს. მენთ.) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ბერ. **ზუმპა ზუმბი** თოფის დასატენი მავთული, ჩხირი ზან. (მეგრ. ქობ.). || **ზუმპი** რკინის ჯოხი. რკინისა *ზუმპი* მჭარს ედვა, დიდის ჭანდართა მხიანსა (შჱნ. III, 203, 1). || **ზუმბა** [სპარს.] დგუში თოფისა (დ. ჩუბ.). დასწუნა თუალნი *ზუმბითა* (ქ. ცხ. IV, 834, 5). **ზუმბა კოჭაკი** ზან. (ლაზ. თანდ.).

ზუფ-ი:

საშ. ქართ. **I. ზუფი** ბვ.1. «ლარია (ფარჩა) უჩრელო, ღელვაიანი» (საბა). 2. სამხედრო თავსახურავი, შლემი (დ. ყიფ.).

საშ. ქართ. **II. ზუფი** || **ზუფა** [Hissopus Officinalis] [სპარს. ზაჶა] ურცი. ერთგვარი სამკურნალო ბალახი–უსუფის ყვავილი. „მინდორულსა *ურცსა* ჰქვიან“. „დაიჭირე... ია, ლისონი, ზუფა თვითოსაგან ოთხოთხი დრამი“ (ქანან. 64, 1).

სამ., ახ. ქართ. **III. ზუფი** იგივეა, რაც ზუფანი – ქეგლი. || ზუფანი, ზუფინი [სპარს. ზუბინ] ძვ. სასროლი მოკლე შუბი (საბა). მას (ზაალს) აბჯარი ტანთ ჩააცვეს, ხელთა მისცეს ზუფინია («შაჰ-ნამე») – ქეგლი.

ზღვა:

ძვ. ქართ. **I. ზღვა** საზღაური, ჯარიმა, გადასახდელი: „თუ... თანამდებ იყვნეს... *ზღვაჲ* მოჴდად“ (O, I ეზრა 8, 27); „მომცა-ეცემიან... გინა თუ *ზღვად*, გინა თუ პყრობილებად“ (II ეზრა, 7, 26) – ილ. აბულ.

მ. ჩუხუამ ზემოდასახელებული სიტყვისათვის აღადგინა ს.-ქართვ. *ზღაუ- „უზრუნველყოფა, დაზღვევა“ (ჩუხუა 2000-2003).

ძვ., სამ., ახ. ქართ. **II. ზღვა, ზღუა** 1. შესაკრებელი წყალთა; აქვე: ზღვის პირი, -კიდე, ზღვის-კამბეჩი, ზღვის ძაღლი, ზღვის-კურდგელი, ზღვის-ცხენი, ზღვის-ბალახი, ზღვის-ყურძენა, ზღვის-ვარდი, ზღვის-ხახვი, ზღვის-სოკო, ზღვიერი – დ. ჩუბ. || ოკეანის ნაწილი, – მლაშე წყლის დიდი მასა, მეტ-ნაკლებად შემოსაზღვრული ხმელეთით (ოკეანეს ჩვეულებრივ სრუტით უკავშირდება) – ქეგლი. „პრვაჲ იყო დიდ *ზღუასა* შინა“ (მთ. 8, 24); „შთავარდი ზღუასა (ზღუად DE)“ (მრ. 11, 23) – ილ. აბულ. *ზღვა* გავიარეთ, გავედით (ვეფხ. 616, 1). სოფელი გავს *ზღვას*, ავთათჳს ავთ *ზღვას* (ქილ. 847, 16). ცეცხლი მოუდვა საჴმილსა, უმძლავრე გრგვინავს *ზღვისაგან* (შჳნ. II, 2997, 2). აწ, წავხე, აწ დავიკარგე, პირსა სად მოველ *ზღვისასა* (თეიმ. I, 29, 21, 1). სიუხვე ჰქონდა *ზღვებისა* (ი. ტფილ. 668, ქვ. 6). *ზღვა* არს დიდი დასატევნელი წყალთა მლაშეთა (კალმ. II, 7, 20). **ზღვის უფროსი** ზღვის მფარველი. – არა ვეჭვ *ზღვის უფროსმა* ესეთი საქმე მოაწიოს ჩუენზედა და გვიმტეროს რამე (ქილ. 384, 2). *ზღვას* ძირი არ უჩანდა და ამბობდნენ – უძიროაო (ანდაზა). ვინ დათვალოს *ზღვაში* ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? (აკაკი). || ფიგურ. დედის გული *ზღვა* არის სიყვარულისა (ილია). || გადატ. დიდი წყალსათავსი, ხელოვნურად შექმნილი და მდინარის წყლით ავსებული. *თბილისის ზღვა*. 2. გადატ. აუარება, აურაცხელი, უთვალავი. || უზარმაზარი, უსაზღვრო, თვალუწვდენელი, უზომო. ჯეჯილს სიო დაჰკრავს; *ზღვა* ყანა იწყებს წყნარ ტორტმანს (ნ. ლორთქ.). მშვიდია ჩვენი დილა, *ზღვა* სიხარულით სავსე (ან. კალანდ.) – ქეგლი. **ზოღა, მზოღა** ზღვა ზან. (ლაზ. კალანდ.). **ზღვა** ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია 1. *ზღუ-ა – არქეტიპი (კლიმოვი 1964). 2. *მუღ-ა ||*მუღ- „ზღვა“ (ჩუხუა 2000-2003). 3. *მ-ღუ̂ა <*მ-ღ̂ა <*მ-ხ̂ა (კანაროვსკი 2017: 10). იხ. აგრეთვე: ჩიქობავა 1938, ფენრიხი, სარჯველაძე 2000, გორდეზიანი 1985: 49.

დიალექტ. **III. ზღვა** საზღვარი, – ხაზი, რომელიც რისამე ფარგლებს აღნიშნავს, რომელიც ორ ტერიტორიას, ორ ადგილს ყოფს ურთიერთისაგან, – მიჯნა, ზღვარი. „გადასლა-გადმოსლაზე *ზღვა* დუუდვიან“ (მან., შავშ. ლექსიკ.).

დიალექტ. **IV. ზღვა** მიწაზე დაგებული ხეები (ან ქვა) ბაგასთან, რაზედაც საქონელი წვება. || (ჴ.(შატ.), თ. || ზღავი (მთ., გუდ., ფშ. – შან. || ზღვაი ბოსლის ან კალოს იატაკად დაგებული სიპი ქვა, ხის ფილაქანი. „კარგაც *ზღვიან* კალო გვქონდის, გაწყობილი“ – კარგი ფილაქანმოგებული კალო გვქონდა (თუშ. ცოც., ბოჭ.). **ზღვა || ზღვე** ბოსლის იატაკი. „ახორის ქუეშაი ფინი *ზღუა*“ (იმ.); „*ზღუე* ჩავყარო უნდა დღესა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). დაფენილია *ზღვა* ნაძვის, სოჭის ხის ნაძვისა (აჭარ. მრეწ. I, 426). || ზღავი, ზღვა, ზღვე (ხევს. ჭინჭ.).

ტ. ფუტკარაძის მიხედვით ს.-ქართვ. *ზღავ- (ზღავი) > *ზღავ-ა > ზღვა || ზღვე (ფუტკარაძე 1991: 78).

ზღვარ-ი:

ძვ. ქართ. **I. ზღვარი** საზღაური, სამაგიერო. აღუთქუეს... არღარა ძიება სისხლისა და *ზღვარისა* (ქ. ცხ. სიმფ. I, 48, 15). რას გვაძლევენ საჭურჭლესა, გამოვართვათ ჩვენი *ზღვარი* (შჰნ. II, 3017, 3). იხ. I. ზღვა.

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. **II. ზღვარი:** «**საზღვარი**»: „იუდა დგეს *ზღვრად* მათად სამხრით კერძო“ G, – „იუდა დადგეს საზღვრად მათა ბღუარით კერძო“ (M, ისუ ნ. 18, 5); „*ზღვარს* გარდაჰჴდა ბოროტად“ (A– 92, 320) – ილ. აბულ. თავისა ყოვლითა შემოწერილებითა და *ზღვრითა* (პეტრ. ტიპ. 2, 4). გავიარეთ *ზღვარი* დედოფლისა (ამირანდ. 325, 4). || მწვანე ვიწრო კორდი ორ ნათეს ფართობს შორის (ჯავახ. ბერ.). აგრეთვე მზღვარი: „თუ გინდოდეს, თქუენი იყოს ერანი და მისი მზღვარი“ (შჰნ. I, 332, 4). იხ. III. ზღვა.

დიალექტ. **III. ზღვარი ზღვა.** „იქიდამ შავი *ზღუარი* გომოჩინდება“ (ტ.); „*ზღუარი* დიდია, დენიზი“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. ზღვა.

ზღვე:

დიალექტ. **I. ზღვე ზღვა.** ქვა შრებოდა, *ზღვე* შრებოდა (მაამურიე, კლარჯ. ლექსიკ). იხ. II. ზღვა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ზღვე** ზღავი. გენაცვა, შავო კამეჩო, რა დავაშავე შენს წინა, ზაფხულს გითიბე ბალახი, ზამთრივ დაგაბი *ზღვეზედა* (ხალხ.) – ქეგლი. *ზღვე* ფიქლით მოგებული იატაკი, უმთავრესად ბოსლისავ (მესხ. მაის.). **ზღვე** ქვით ან ძელით ფენილი იატაკი (მეგრ. ქობ.). იხ. IV. ზღვა.

ზღმურდლ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ზღმურდლი 1.** ნასიცხი, მსხმო, ბუგრი – დ. ჩუბ. || სახეზე გამოყრილი მსხვილი მუწუკი, – ღუდუდი (ქეგლი). შდრ. ზმურდლიანი ეგზემიანი. „ყოველი ბიწი არა იყოს მის თანა, ბრმაჲ ანუ შემუსრვილი, ანუ ენაკუეთილი, ანუ ზმურდლიანი, ანუ მღიერიანი, ანუ მე-

ფხანიანი“ (G, ლევიტ. 22, 22) – ილ. აბულ. 2. ბორას ჭუპრი, საქონლის ხორცსა და კანს შუა გაჩენილი (ბორას კვერცხებისაგან). გასაპარსი ცხვარი აგრეთვე იმ მხრივ უნდა გავსინჯოთ, რომ შევამოწმოთ ბორას ჭუპრით (ზღმურდლით) დაავადება (ა. კიზ.). 3. (ქიზ.) ჭუპრი (საერთოდ) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ზღმურდლი** ზღარბი (სინონ. ბუმგვი). *ზღმურდლის* ბუმგვი შელოცვის დროს იხმარება (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ზღმურტლ-ი:

ახ. ქართ. I. **ზღმურტლი** გაუქნელი ან მოუზელავი პატარა გუნდა ფელამუშში, ფაფასა თუ ცომში, – მურკლი. „თანდათან ურიე კოვზი, თუნარა *ზღმურტლები* გაჩინდება“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე ჩვენ. ფუტკ. შდრ. მურკლი ნოტიოში შეკუმშ(ვ)ილი; ავად ამოზელილი – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ზღმურტლი** 1. მსხვილი მუწუკი (სახეზე) – ღუდღუდი, ზღმურდლი (აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ., ქეგლი). 2. საქონლის კანქვეშ განვითარებული ბორას ჭუპრი, – ბუტული, ზღმურდლი. *ზღმურტლი* ძაან აწუხებს საქონელს (ქვ.- რაჭ. კობახ.). || საქონლის ავადმყოფობა, კანქვეშ ამოიბურცება პატარა მრგვალი ადგილი, მასში მატლია, ორ-სამ თვეში მატლი მწერად იქცევა, გამოჭრის კანს და გაფრინდება. – რავა ვიყიდი მაგ *ზღმურტყლიან* ხარს (რაცხ. გურ.). 3. (იმერ. გურ.) ჭუჭყი, სიბინძურე (გ. შარაშ.) – ქეგლი. || პირმოთხუპნული (რაცხ. გურ.). იხ. I. ზღმურდლი.

საშ. ქართ. III. **ზღმურტლი** მცენ. – დ. ჩუბ.

ზღუა:

ძვ., საშ. ქართ. I. **ზღუა** ზღვა: „ძრვაჲ იყო დიდ *ზღუასა* შინა“ (მთ. 8, 24); „შთავარდი *ზღუასა* (ზღუად)“ (მრ. 11, 23); „არს მჴეცი *ზღუასა* შინა“ (ფიზ. V, 1) – ილ. აბულ. ქარი იგი, რომელ *ზღუასა* აღსძრავს (ეტლ. 31, 5). „სიყუარულისა არაკი *ზღუისა* მსგავსია“ (ვისრ. 56, 36). იხ. II. ზღვა.

დიალექტ. II. **ზღუა** (ბოსელში) მიწა დაზღვეულია *ზღუებით* (ფიცრებით) (ზ.-აჭარ. კობ., 111). იხ. IV. ზღვა.

საშ. ქართ. III. **ზღუა** ზღვევა – საბა. ს.-ქართვ. *ზღაუ̈ – „უზრუნველყოფა, დაზღვევა“ > ქართ. ზღავ-|| ზღვ-ევ-|| ზღვ-ივ- (ჩუხუა 2000-2003).

თ

თა-ი:

დიალექტ. **I. თაი** მთა (ინგ. როსტ.). თა და ბარ; *თი* ზირში ერ დიდ წყლი გუბ არის; წაი, შიშაი მაღ თაითი (მთიდან) (ინგ. ღამბ.). აგრეთვე: მესხ. ფეიქრ., რაჭ. კობახ., აჭარ. ნიჟ., ზ.-იმერ. ძოწ.

თა < მთა. ძვ., სამ., ახ. ქართ. მთა არს ადგილი მაღალი და ცივი – საბა. || ქვეყნის სივრცეზედ ამაღლებული ადგილი, ან გაბმულნი სიმაღლენი – დ. ჩუბ. მთა «მთეური», «მთეულეთი», «მთოანი»: „აღიყვანა... მთასა მაღალსა ფრიად“ (მთ. 4, 8); „მთათა საფირისათა“ M – „მთეურსა შინა საფირისასა“ (G, ისუ ნ. 15, 48); „მთეულეთად მიმართ“ G, – „მთად კერძო“ (M, ისუ ნ. 18, 13) – ილ. აბულ. ბულბულმან სცნა, ბაღს შემოსწყრა, მთად ჭნა ნავარდი (დ. გურ. 186, 2, 1). აგრეთვე ქეგლი.

დიალექტ. **II. თაი** [აზერ.] 1. ტოლი, მოასაკე. დააგრუვეს ერ *თაი* ქალევ; ერ ჩემ *თაი* ქალთან წრველ; 2. სარგო. ემ დეკაცის *თაი* ბაშმაყს ინახავს დევაკუნ (ინგ. ღამბ., როსტ.).

დიალექტ. **III. თაი** ცალი. თუთუნი *თაი* იგივეა, რაც ცალ (ინგ. ღამბ.). აგრეთვე თანე [სპარს. tane] (ჩვენ. ფუტკ.).

თაბალა:

საშ. ქართ. **I. თაბალა, თამბალა** პატიმართ ფეხთ დასაკრძალავი ზალვანი ან ხუნდი – დ. ჩუბ. იოანემ იხილა, კატა ერთი, *თამბალა* შეყრილი ფეხებში და უწყალოცემული, რომელიცა საწყლად ჩხაოდა (კალმას. 424, 2).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თაბალა** 1. (ქართლ.) «ნაგვის საზიდავი ტყავ-გადაკრული ცხავი ან ხოკერი» (ი. ჭყ.) – ქეგლი. 2. ტაშტი (ქსნის სომხ.). შდრ. თაბლა [არაბ.] დიდი, ბრტყელი თეფში – ვიწრო კიდეებიანი, – ლანკანი (აჭარ. ნიჟ.). თაბლა დიდი თეფში, ლანგარი ზან. (მეგრ. ქობ.).

თავა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. თავა** 1. თუნუქის ოთხუთხედი ფართო ტაფა ნამცხვრისათვის (მესხ. მაის.). 2. ფურნის თავა. 3. ფურნეში შემწვარი ცხვრის ხორცი – ი. გრიშ. თავა < ტაფა; ტაფა (თავა) საგბოლველი ZABC. სახარშავსავით რამ არი – საბა. „იქმნა პირი მისი შავ ყოვლითურთ, ვითარცა ფსკერი ტაფისაჲ“ (მ. ცხ. 413v). აქვე: ტაპაკი, ტაბაკი, ტაფაკი – ილ. აბულ. აგრეთვე: ტაფა, ტაფაკი – ქეგლი. საშ. სპარს. tapak ტაფა (ანდრონიკაშვილი 1966).

ახ. ქართ. **II. თავა:** რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. დიდთავა. მსხვილთავა. გრძელთავა – ქეგლი.

თავი > თავა. თავ- ძირი; ა სუფიქსი. 3. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *თაუ- (ფენრიხი, სარჯველაძე

1990). აგრეთვე: თოფურია 1926: 21, გელენიძე 1974: 32, 35. კლიმოვი 1964, გიგინეიშვილი 2016. იხ. I. თაური.

დიალექტ. III. **თავაჲ** დანისობილას ერთ-ერთი ილეთთაგანი (აჭარ. ნიჟ.). შდრ. II. თავა.

თავდებ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **თავდები** 1. სამართ. ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც სხვის მაგიერ პასუხისმგებლობას კისრულობს. «ამას-კი ხელს ნუ ახლებ და *თავდები* ვინც გინდა დააყენე» (შ. არაგვ.). კაცი არავინ მყავდა, რომ *თავდებად* დამდგომოდა (ი. მაჭავ. თარგმ.). ფიგურ. ჩვენში ზნეობის კანონებს თვითონ საზოგადოება უდგება *თავდებად*, მფარველად და მცველად (ილია). || პასუხისმგებელი ვისიმე მოქმედებისა, საქციელისა. «ქარხნის ადმინისტრაცია... შესაძლებელს გააკეთებს,... ამის *თავდები* მე ვარ» (შ. დად.). 2. გადატ. წინაპირობა, წანამძღვარი, საწინდარი. ამ ზღაპრის კარგი ლიტერატურული ენა და გამოკვეთილი ხასიათები *თავდებია* მისი მომავალი წარმატებისა («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. შდრ. თავსმდები, ვინც სხვის მაგიერად პასუხს გაჰცემს – დ. ჩუბ. თავს-მდები თავდები: „ნუ დაუდგები *თავს-[მ]დებად* უმტკიცწსსა შენსა“ (O, ზირ. 8, 15); „კეთილის-ყოფაჲ იგი თავს-მდებისაჲ დაამჴვს ცოდვილმან“ (O, ზირ. 29, 22). აქვე: თავს-მდებება, თავს-მდებობა – ილ. აბულ.

თავდები < თავსმდები. თავსმდები სიტყვის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა. იგი შედგება ორი კომპონენტისაგან: თავს + მდები. თავს აქ ლოკატივის მნიშვნელობითგამოდის (= თავზე). თავს-მდები არის ის, ვინც თავის თავზე „იდებს“,კისრულობს რასმე – ბ. გიგინ.

ახ. ქართ. II. **თავდები** ჩურჩხლის თავში ყულფად გაკეთებული ძაფი, ჯოხის ან თითის გასაყრელად, – სათაური (ქეგლი). შდრ. თავს დება – დ. ჩუბ.

თავსართ-ი:

ახ. ქართ. I. **თავსართი** საპირისპ. ბოლოსართი: 1. გრამატ. ფორმანტი (მაწარმოებელი), რომელიც ფუძეს წინ ერთვის, – პრეფიქსი. მაგ.; სა-კვები, სა-სინჯი, სა-ტეხი... მ-კეთებელი, მა-ნუგეშებელი... ვ-არ, ხ-არ. – თავსართი «ლა» ჩვეულებრივია სვანურში და უდრის ქართულ *თავსართს* «სა» (ივ. ჯავახ.). 2. პოლიგრ. წიგნის ან მისი რომელიმე ნაწილის თავში დართული ორნამენტი, ნახატი, – თავსამკაული. გამომცემლობები ილუსტრაციების ნაცვლად ხშირად წიგნებში ათავსებენ შტრიხულ სურათოვან *თავსართებსა* და ბოლოსართებს («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი.

თავსართი კომპოზიტია: თავი + სართი. თავი ქართველური წარმომავლობის სიტყვაა. ქართველური არქეტიპი *(ს)თა – აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1964: 175). მიგვაჩნია, რომ სართი მიმღეობაა სა-რთ-ი; რთ- ფუ-

ძისთვის აღდგენილია ს.-ქართვ. *რთუ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. თავსართი** 1. ფიცხი, დაუოკებელი, არა თვინიერი (ცხენი, ადამიანი). „ცოტა *თავსართი* ცხენია, ვაი თუ ვერ დაიკაო და ჩამოგაგდოს.“ „ეგ ისრეთი *თავსართი* ქალია, მაგას კაცი ვერ მოუვლის თავს“ (ჯავახ. ზედგ.). 2. გადატ. „თავსართია – ამბობენ ბორძიკა ცხენზე, რომელიც ჭენების დროს წაიბორძიკებს ხოლმე. „ეგ ცხენი თავსართია, არ გადმოგაგდოს“ (ჯავახ. ბერ.).

თავსართი: თავი + სართი; სართი [თურქ.] გადატ. ადვილად მსხვრევადი, მყიფე. „თუჯია, შვილო, სართია, მალე გატყდება, არ დაარტყა“ (ჯავახ. ბერ.).

თაია:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. თაია** ზჯნი (თაია E.; დეზ E.) (ზვინი ZAaCDE) განმრავლებული, გინა ბრჯა მდგარი, ანუ ძნა და თივა. სელი, ცერცვი და მისთანანი – საბა. || (ქიზ.) ერთად დადგმული რამდენიმე ურემი ძნა, – ბრჯა, ძირი, ფეხი. დიდი *თაიის* პატრონს მოაქვს ბოთლით არაყი (ს. შანშ.). მოზიდულ ძნას კალოს პირში დგამენ *თაიებად* და ფრთამოქცეულებად («შინამრეწვ.») – ქეგლი. || სიგრძივ დადგმული თივის დიდი ზვინი. „ფაშაანი ძიენ მდიდრები იყვნენ, ბევრი ჰყამდათ ცხვარ-ძროხა, ზამთრითვინ რამდენიმე *თაია* თივას დგამდნენ ხომე“ (ჯავახ. ზედგ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თაია** ამოხვეული ბაწარი (ხევს. «დიალ.») – ქეგლი.

თალარ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. თალარი** 1. ფანჩატური. მტკუარს ადგა ტურფა *თალარი* (ფეშ. 185, 1). თალარი ხეებისაგან აშენებული და ვაზით (ან ვაზისებრი ხვიარა მცენარით) გადახურული საჩრდილობელი, ფანჩატური, ტალავერი. *თალარი* ბოძებზეა დაყენებული, ზედ ხეებია გადებული («დიალ.»). სახლის აივანი და *თალარი* გაბრწყინებული დაუხვდათ... ქალებს (ბ. ჩხ.). ზედ წყლის პირს ყოფილიყო *თალარი* და იქ შემოვუსხედით მაგიდას (ვ. ბარნ.). 2. ხეივნად გაშენებული ვაზები, ვაზების ხეივანი – ქეგლი. *თალარი* ტალავარი, ბოძებზე გადებულ ლატნებზე გაშვებული ვაზი (ქიზ. მენთ.).

თალარი შემოსულია ახალი სპარსულიდან. შდრ. სპარს. tālār „დარბაზი“, მისაღები დარბაზი, სალონი, ხის სახლი, დაფუძნებული სვეტებზე (ანდრონიკაშვილი 1966). აგრეთვე ბართაია 2010.

დიალექტ. **II. თალარი** გამოღრმავებული ადგილი მდინარეში ქვის ან ხის ძირების ქვეშ, შიგ თევზი იცის (ზ.-იმერ. ბოწ.). იხ. I. თარალი.

თალაშ-ი:

დიალექტ. I. **თალაში** 1. [თურქ.] გარჯა, შრომა, შფოთი, მოუსვენრობა. „ახლანდა მოგიტანო, /ნუ გაქ *თალაში*; / ღამე ქარი ქრის, /დილას – კალაში“ (ნოღ. II.). „ამ დღიებში ყანის *თალაშში* ვარ შესული და შენთვინ ვეღარ მევცლი“; „ალი-აღამ შეუთვალა: ნუ ჩადგები ჩემ *თალაშში*“ (აჭ. ზ. პოეზ., აჭარ. ნიჟ.). „თელი დღეა *თალაში* მაქ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 2. ცდა, მცდელობა, მონდომება [სპარს. tälaş]. წაიდეთ თალაშე რუზიო (ფერეიდ. ჩხუბ.). „... დადგებით მაშინ მეშერის კარში, / მაშინ გექნება ბევრი *თალაში*...“ (მან., შავშ. ლექსიკ.). თალაშობს [არ. telaş] მოუსვენრობა, მღელვარება, აჩქარება). „ჩემო გამზდელო ლობიავ, რაფერ თალაშობ ქოთანში?!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.). **თალაში შეწუხება** ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **თალაში: თალაში ქვა** მომსხო გრძელი ქვა, კედლის კუთხეებსა და საჩენ მხარეს იხმარება, რომ კედელი მაღლა აიყვანოს (ქიზ. მენთ.). *თალაში* ქვით (თხელი ქვაარ) შეავსწორებთ კედელს (ქიზ. მრეწ. I, 41).

დიალექტ. III. **თალაში** [თურქ.] ნახერხი, ბურბუშელა, ნარანდი. „თალაში ფიცრის გათემიზებიდან გამუა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

თალაში [არაბ. თალაშ] არაბულის მიხედვით ზრუნვას ნიშნავს, თურქულში კი ნახეხს, ნაფხეკს; აჭარულში „გარჯას, შრომას, ჯაფას“ (ნიჟარაძე 1971: 66). როგორც ჩანს, თალაშ- ძირიანი ომონიმის ცალები სხვადასხვა აღმოსავლური ენებიდანაა ნასესხები.

თალიშ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **თალიში** თავისუფალი, ადვილად დასაძლევი (ჯავახ. ზედგ.). **თალიშათ ყოფნა** თავისუფლად, მოცლით, ლაღად ყოფნა (იმერ. ქავთ.). მუსაბეგ იყო *თალიში*, კარგი, პატიოსანი კაცი (სამ. VIII, 350). შდრ. I. თარეში

ახ. ქართ., დიალექტ. II. **თალიში: თალიში ხახვი** – დ. ჩუბ. ახალი, ჯერ ბოლქვგანუვითარებელი, ფოჩიანი ხახვი. *«თალიშ ხახვს* ჩვენებურად... ეტყვიან ჭრაქ ხახვს» («შინამრეწვ.») – ქეგლი. *თალიშ ხახვსა* და ადრეულა ქლიავსაც ვყრი (რ. ინან. ჯაფ. 46, 22). *თალიში* არის საჭმელი ხახვი, უთავო-თალიში, ფოჩიანი (ქიზ. მენთ., მრეწ. IV, III, 9). **თალიშ ხვარხვი** უბოლქვო ხახვი ზან. (მეგრ. ქობ.).

თანგა:

სამ., ახ. ქართ. I. **თანგა** დანგი, ვერცხლის ფული, თეთრი; ერთი შაურიანი ვერცხლის ფული – დ. ჩუბ. || ფულის ერთეულის აღმნიშვნელი თათრული ტერმინი; მონღოლთა ბატონობისას დამკვიდრდა როგორც საქართველოში, ისე სხვაგან, თანგა საქართველოში მიმოიქცეოდა XV-XVI სს-ში („ნუმიზ.“). შდრ. ბვ., სამ., ახ. ქართ. დანგი წვრილი ფული: „ვიდრე არა მისცე შენ შეურაცხი იგი დანგიცა“ (მთ. 5, 26); „სიკლა... ოცი დანგი არს“ (G, რიცხ. 18, 15) – ილ. აბულ. დანგი (არაბ.) შაურიანი, შავი ფული – დ. ჩუბ. აგრეთვე ქეგლი.

საშ. ქართ. **II. თანგა** თუნგი. აკიდეს... ტაბაკი და თულრი, *თანგა* თეთრი (შვნ. III, 243, 24). შდრ. თუნგი [სპარს. თუნგ] სპილენძის (ან თიხის) ვიწროყელიანი ჭურჭელი – ქეგლი.

თანდურ-ი:

დიალექტ. **I. თანდური** ჰოჰინა, ჰოჰიალა. ბავშვთა სატარებელი ფეხის ასადგმელად (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. **II. თანდური** [არაბ.] მიწაში გაკეთებული ბუხარი (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || თორნე, პურის საცხობი (ჯავახ. ბერ.). შდრ. თანდრუკა (ჯავახ. ბერ.). **თანდური** (თურქ. tandır) თონე ზან. (ლაზ. თანდ.).

თარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. თარი** ჩონგურის მსგავსი საკრავი – დ. ჩუბ. || [სპარს.] აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, რომელსაც მიზრაფით უკრავენ. საზანდრის შემადგენლობა: ჭიანური, საზი, *თარი*, ნაღარა (დიპლიპიტო) და დაირა (ი. გრიშ.). მიყვარს *თარი*, გულსაკლავად მკვნესარი (აკაკი). უკრავდა *თარს* განთქმული მეთარე (დ. კლდ.). დაჰკარ, ქალო, დაჰკარ *თარსა*, გამაგონე სიმთა ჟღერა! (რ. ერისთ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. თარი** ურმის ნაწილი, წინა და უკანა ჭალს აერთებს. რადგან ურემს ორი თარი აქვს, ამიტომ იხმარება *თარებიც* (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: ჯავახ. ბერ., მარტ.

III. თარი || **თარაი**: თარი ურარტულად ნიშნავს „დიდს, არალე -მოსავლის ღვთაებაა ე. ი. თარი არალე დიდი არალე!“ „(ჰ)არი არალე-მომეც არალე“ (მელიქიშვილი 1971: 436).

IV. თარი სიცივის აღმნიშვნელია ხალდურ წარწერებში. ნ. მარს ხალდურ წარწერებში დაცული წელიწადის არეების აღმნიშვნელი ტერმინებიც აქვს განმარტებული. მისი აზრით წელიწადის იდიოგრამის მომდევნო ტარანი ნიშნავს ზამთარს. რადგან ტარ უდრის თარ-ს და გამოხატავს სიცივეს, ან-ი ინ-ისაგან, რომელიც ნათ. ბრ. ბოლოსართიაო (ჯავახიშვილი 1950: 153).

თარა:

დიალექტ. **I. თარა** გამოქვაბული კლდეში. || თარანი შეღრმავებული ადგილი ქვის ქვეშ, მდინარეში, სადაც თევზი იბუდებს (ზ.-იმერ. წერ.). ქვის ძირას არი პატარა *თარანი*... იქ არი თემზი (ღოდორა, ზ.-იმერ. ძოწ.). || თარანი,თარალი დარანი (ლეჩხ. ალავ.). იხ. I. თარალი.

საშ. ქართ. **II. თარა** [სპარს. თარა] მდოგვი, მწვანე ხახვი, პრასა ქორფა მწვანილი საზოგადოდ. აიღე: *თარა* და აყიროსა ნაფხეკი ქერქი (ქანან. 25, 37). || თარრა [სპარს. tare/ tarre] ერთგვარი ბალახი, მწვანილი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

თარალ-ი:

დიალექტ. I. **თარალი** 1. სადაც თევზი ბუდობს (სინონ. ჯილე, ოკრ. ღჯილო). *თარალში* შოუყავი ხელი და თებზი გამევიყვანე უჩამეთი. ქვა რო დემს წყალში და მის ქვეშ სიღრუეა და თებზია, *თარალია* (მანდაეთი). 2. ღრიჭო. დინდგელა მცენარეული ფისია, რომელსაც იღებენ ნაძვიდან, ფიჭვიდან და ხმარობენ ყუთში *თარალების* ამოსაგლესათ (სანახშირე). ბოსელში ჭერი არ არი კარქათ მიდებული ერთამანეთზე, *თარალი* დარჩენილა (იქვე). **თარალიანი ქვა** მდინარეში მყოფი ქვა, რომლის ქვეშ წყლისაგან გაკეთებულია ღრმული, ე. ი. თარალი. *თარალიანი ქვა* ნახე იქა? (მანდაეთი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ. II. **თარალი, თარალალი, თარალალო** ხალხური სიმღერის მისამღერი – ქეგლი. შდრ. III. თარი.

თარგ-ი:

ახ. ქართ. I. **თარგი** 1. ქაღალდზე ან მუყაოზე გამოყვანილი ნიმუში (ზომა) ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვათა გამოსაჭრელად. თარგის გადმოღება. – თარგის აჭრა. – კაბის თარგი. – ხარაზმა ისევ შეასწორა ტყავზე მომარჯვებული *თარგი* (ნ. ლორთქ.). || ტექ. ნიმუში, რის მიხედვითაც ამზადებენ რისამე დეტალებს, – შაბლონი. 2. ბაღებში – დიდი კვალი. პრაქტიკას გამომუშავებული აქვს მინდვრების, *თარგებისა* და კვლების ფართობების ისეთი ზომები, რომლებიც ჩვენ აქ მოგვყავს (ნ. კვარაცხ.). 3. ურმის ხელოსნის ხელსაწყო – ნიმუში ფერსოს გამოსათლელად; «მოხრილი ხეა, მის მიხედვით თლიან ფერსოებს» («დიალ.») – ქეგლი. 4. დიდ მინდვრებში მიწები ერთიმეორეს მისდევს. მიწის ყოველ დიდ უბანს, მონაკვეთს ტანი ეწოდება. ...ტანს *თარგსაც* ეტყვიან (კლდ., ალგ. სალ.). **თარგი თარგი ზან.** (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *თარგ- „ჭრა; თარგი“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **თარგი** (ჩიქ.) [სპარს.] უნაგირის ნაწილი, კეხის უკანა ზეაშვერილი ნაწილი (ფერეიდ. ჩხუბ.). თარგი < თარქი. თარქი ცხენისა [თურქ.] უნაგირის უკანა მხარე. „თითონ ცხენზე შეჯდა, ბიჭი კი თარქზე შემოიჯვდინა“ (ჯავახ. ბერ.). „შემოიგდო თარქზე მზითუნახავი“ (მესხ. მაის.).

საშ. ქართ., დიალექტ. III. **თარგი** ქუდის ნაოთხალი და მისთანანი (მისთანა) – საბა. შდრ. II. თერეგი.

თარეშ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თარეში** 1. „სხუათა ენაა, მარბიელი ჰქვიან“ (საბა). ჩაუშვეს იმათ *თარეში* სწორედ ვახშმობის ხანსაო, ცხენი და ძროხა მორეკეს, დიდ ბათიროელთ ცხვარიო (ხალხ.). *თარეში* დაერია მაშინ გაღმა მხარეს (ნ. ლორთქ.). სამზე მავიდა *თარეში*, ჯარ იქავ ისხდა სმისაო (ალ. ოჩ. 37, 4). ზაფხულისა ვლიდა *თარეში* (დ. გურ. 210, 20, 1). და რა

ცნეს ყიზილბაშთა წასვლა ბატონის თეიმურაზისა, გამოუყენეს უკანა *თარეში* (ქ. ცხ. II, 417, 16). 2. თარეში [სპარს.] ლაშქართაგან დარბევა (დ. ჩუბ.). **თარეში** დარბევა, აკლება, აოხრება; შესევა (რომელიმე ქვეყანაში, რაიმე ტერიტორიაზე). იხმო რაზმი და ბრძანა *თარეში*, აშალა ურდო უზარმაზარი (გ. აბაშ.). 3. გადატ. თავისუფლად სიარული, თავის ნებაზე ნავარდი. «არ ვუშლიდი, როდესაც მოიჩიტა, ტყე-ღრეში მარტო *თარეშს*» (შ. დად.). ფიგურ. ხან ნათელი მზის სხივები თამაშობს, ხან ქარიშხალს გააქვს მძაფრი *თარეში* (ი. ნონეშ.) – ქეგლი. აგრეთვე: თუშ. შან., ცოც.; თარეშა, თარეშთ ჩაუშობს, თარეშს გაუშობს, თარეშს უტევს, თარეშს ჩამ[ა]უშობს (ხევს. ჭინჭ.) || თარაში (გურ. შარაშ.). || თარაშ [აზერ.] თარაშ ქნაი. იგივე დათარეშევაი დათარეშება, დატაცება, დარბევა (ინგ. ღამბ.). **თარაში** [სპარს.] თარეში ზან. (მეგრ. ყიფშ.).

დიალექტ. II. **თარეში** თიხის ჭურჭლის ჩამონაჭერი (ჩარხვის დროს). ჯამის ნაფხეკს ეწოდება თარეში (მეჯვრ.). **თარეშის დანა** ხის დანა; ხმარობენ ჭურჭლის გამოჩარხვის დროს. თუშფალანგი როდესაც შეხმება და *თარეშის* დანით გვერდებს გაუთხელებთ, დავჩხვლეტავთ სირგვლივ (მეჯვრ., ქართლ. ლექსიკ.). თრაში > თარეში. თრაში [სპარს.] წახნაგი, დაკუთხვილი გვერდი ძვირფასი ქვისა (დ. ჩუბ.); თრაშვა – ხეხვით წახნაგების გაკეთება ძვირფასი ქვებისთვის (ქეგლი).

თარო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თარო** 1. (თარექ ZAa.) ჭურჭლის დასაწყობელი თარო – საბა. კედელზე მიმაგრებული ან კარადაში გადებული ჰორიზონტალური ფიცარი ჭურჭლის, წიგნებისა და სხვ. დასაწყობად. თაროებზე ჩამწკრივებული წიგნები. – სტუმარს სახლში არ უშვებდნენ და ფარ-ხმალს *თაროზე* ინახავდაო (ანდაზა). განიერი ოთახის კედლებზე *თაროები* სავსე იყო წიგნებით (დ. კლდ.). 2. (იმერ.) კუთხეში ჩამოკიდებული, დამაგრებული პატარა (ჩვეულებრივ ერთ- ან ორთაროიანი) კარადა. ზოგჯერ *თაროში* თაგვები დაიწყებდნენ ხრაგუნს (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. **თარო** ზან. (მეგრ. ყიფშ.).

თარო შემოსული ჩანს სომხურიდან, როგორც ჰრ. აჭარიანი ვარაუდობს [შდრ. სომხ. taṙ] „ქანდარა" (აჭარიანი 1973: 155). -ო ბოლოსართი საკუთრივ ქართული წარმოშობისაა ნასესხებ სიტყვებში [შდრ. ერდო < სომხ. erd] – ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **თარო** მდინარეში ან ღელეში თევზის შესაძრომი ადგილი, ჯილე (მამ., გურ. ჯაჯან.). იხ. I. თარალი.

თარს-ი:

საშ. ქართ. I. **თარსი**: მისი საჭმელი – ქერის წყალი შაქრითა, ბაკილთა,... ყუირფის ფურცლითა და *თარსითა* (ფანასკ. 104, 15). || თარსა: თარსა ღერი ან ძმრითა ან ისრიმითა მოადუღონ ფანასკ. 314, 12). || თარასა: მოჭალული ქერი დაფქვას, თარასა, და შაქარშიგან გაურიოს (ფანასკ. 16, 43).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თარსი** საუბ. 1. იგივეა, რაც ნავსი. «გამიკვირდა კი: ვინ არის ეს *თარსი* კაცი-მეთქი» (ლ. ქიაჩ.). *თარსო,* ნავსო, შხამიანო, შარიანო, ე რა გიქნია?! (დ. მაჩხ.) – ქეგლი. 2. გადატ. ეშმაკი, მოუსვენარი ადამიანი (ქიზ. მენთ., მესხ. ფეიქრ., ჯავახ. ზედგ.). || თარსინა (ჯავახ. ბერ.). || თერს, თერსა [აზერ.] (ინგ. ღამბ.). || თერსი, თერსიანი [თურქ.] ბრაზიანი, ანჩხლი, ჭირვეული, ჭინჭყლიანი (აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ.).

თასა:

დიალექტ. **I. თასა** 1. კნინ. პატარა თასი. 2. ზოგიერთი მცენარის თესლის ბუდე (ხევს. ჭინჭ.). თასა < თასი [არაბ.] ოქროს, ვერცხლის ან სხვა ლითონის სასმისი, ჯამის – ქეგლი.

შდრ. სპარს. t'ās „ღვინის სასმისი", „კათხა", „ფიალა", „ჯამი" (იუსტ. აბულაძე 1916: 807).

ახ. ქართ. **II. თასა** სპეც. შაშხანის საკეტის წინა ნაწილი – ქეგლი.

საშ. ქართ. **III. თასა** სხეულის მავნე წვენი თუ ლორწო. „ნავღელსა და *თასასა* ბევრსა იქმოდეს" (იადიგ. 377, 30).

დიალექტ. **IV. თასა:** თასა-ფასა, ტასა-პასა: თათარიანხად, სახელდახელოდ, ნაჩქარევად (ინგ. ღამბ.).

თაურ-ი:

ახ. ქართ. **I. თაური || თავური:** ◊ **თავური დარტყმა** (გარტყმა) თავით დარტყმა, თავის გარტყმა (მაგალითად, ბურთისათვის). [ერთერთმა მოთამაშემ] ბურთი *თავური* გარტყმით გაიტანა («ლელო») – ქეგლი.

თავ + ურ-ი: ურ სუფიქსია. იხ. II. თავა.

დიალექტ. **II. თაური** [თურქ.] როგორი, რა ნაირი. „შენი ვერაფერი გავიგე, რა *თაური* კაცი ხარ, ყველაფერი გწყინს" (ჯავახ. ბერ.).

თაფლა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. თაფლა** 1. რასაც თაფლის ფერი აქვს, – მოყვითალო, ჩალის-ფერი. მადიანად იცოხნებოდნენ *თაფლა* ფურები (მიხ. მრევლ.). 2. თაფლა მსხალი (ქართლ.) ადგილობრივი ჯიშის მსხალი, ტკბილი და საკმაოდ არომატიანი («დიალ.») – ქეგლი.

თაფლი > თაფლა. ა სუფიქსი. თაფლი სქლად შეზავებული სიტკბო ფუტკრისა – დ. ჩუბ. თაფლი: „საზრდელად მისა იყო... თაფლი ველური" (მთ. 3, 4). „ვჭამე პური ჩემი თაფლსა ჩემსა თანა" (კ. იერ. -აღდგ. 160, 3) – ილ. აბულ. აგრეთვე ქეგლი.საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე *თაფლ- არქეტიპი აღადგინეს (გ. კლიმოვმა, თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა) – ფენრიხი,სარჯველაძე 1990.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **თაფლა თაფა:** ◊ თაფა ლავაში (ან თაფლა ლავაში) (ქართლ.), – პატარა ზომის ლავაში. **თაფლავაშა** (რაჭ.) «კეცებში გამომცხვარი თხელი პური» («დიალ.») – ქეგლი. შდრ. საშ., ახ. ქართ., დიალექტ. თაფი პურის თორნეში ჩავარდნა – საბა. ითაფებს (ქართლ. კახ.) აიტკრიცება და ჩავარდება (თონეში ჩაკრული პური), – თაფს იზამს (ქეგლი). თაფი ქნა, თაფად ჩაცივივდა (პური): „ამ პურ რა მოუვიდა, თაფი ქნა, სუ ითაფა“ (ჯავახ. ბერ.).

თაღ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **თაღი** [სპარს.] კამარა, კონქი ცადაქნილი შენობაში – დ. ჩუბ. || არქიტ. კარ-სარკმლისა ან სვეტების თავზე გადავლებული მრუდხაზოვანი შემკვრელი ნაგებობა. ფარგლის თაღი (ნახევარწრიული თაღი). – მიყუდებული თაღი (ისრული თაღი). – ნაცარწყარილ სვეტებს ხედავ და სუროთი ბურვილ *თაღებს?* (გ. ლეონ.). || იხმარებოდა კამარის მნიშვნელობით. არა ერთხელ მოანგრიეს მათ გუმბათი სიონისა და დასცეს ძირს სამრეკლო, მაგრამ თვითონ კედლებსა და *თაღს*-კი ვერა დააკლეს-რა (ი. გოგებ.). ორი დიდი დარბაზი, *თაღებით* ერთმანეთზე გადაბმული, ხალხით იყო გამოტენილი (ეკ. გაბ.). ფიზურ. დღევანდლამდე ყოფილ ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაენძრა და თვით *თაღიც* მთელი შენობისა გაირღვა (ილია). || ხიდის ბურჯების შემაკავშირებელი აღუნული *თაღით* შეკრულ ცაზე იყო მოხატული მნათობი მარიხი (გ. წერეთ.) – ქეგლი. აგრეთვე თუშ. მრეწ. III, II, 89. || თარღი თაღი (მთ. კაიშ.).

შესაძლოა, ეს სიტყვა ნასესხები იყოს თურქულიდან [თურქ. tak] თაღი (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **თაღ** [აზერ.] გართხმული გრძელი ღერო (კიტრისა, საზამთროსი, ნესვისა, გოგრისა, ლობიოსი და მისთანათა). ბოსტნი *თაღ;* გუგრი *თაღ;* კიტრი *თაღ;* წკალ სხოის (სხვაა), *თაღ* სხოის; წკალ *თაღს* ამბავს ჟაგზე (ინგ. ღამბ.).

თაღარა:

ახ. ქართ. I. **თაღარა** თაღარი – ქეგლი. || თაღარი სამკოდიანი საწყაო [თათრ.] ტაგანი (დ. ჩუბ.). || [თურქ. taqār] იგივეა რაც ქეშმალა. თაღარი თიხის ჭურჭელი, რაშიც ცომს ზელენ. ცომსა ჲზელდი *თაღარითა,* წყალს გისხმდი ბოლღარითა; *თაღარი,* რო ცომი მაჲზილოს შიგა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **თაღარა** ნაღარა. ფიზიკურად სუსტი, უღონო; ნაკლები. ლუპუსი თაღარაა, მუშაობა არ შეუძლია (მანდიკორი, ოკრიბ. მოწ.). იხ. I. დაღალი.

დიალექტ. III. **თაღარა** მოსავლის აღების შემდეგ / ნათესს ადგილს, ყანასაც ეძახიან. საყოლი *თაღარაში* ჩევიდაო – იტყვიან, როცა საქონელი ყანაში შევა (გურ. ჯაჯან.). || გაშლილი ველი. „გევიდა ხუცესი ერ დიდი *გათაღარებულ* მინდორზე“ (გურ. ღლ.). || **თაღარი** ყანის საზღვარი (გურ. შარაშ). „*თაღარზე* მისლამდი მიდენე ხარები“ (ფათ., ჩვენ. ფუტკ.).

თახახ-ი:

ახ. ქართ. I. **თახახი** ქსოვილის გასახამებელი ნივთიერება. ჩითს თახახი აქვს. ფიგურ. ქალო ნარინჯიანო, ჩითის კაბა გაცვია, ეს სიმორცხვის *თახახი* სინატიფეს განიჭებს (ი. გრიშ.). **თახახიანი** რასაც თახახი აქვს. თახახიანი ჩითი. – «გეუბნები კარგი მიტკალია, ჯერ ერთი, შეხედე, რა სხვილი მიტკალია და მეორე – *თახახიანია*, ისეთ წამალშია გავლებული, რომ მკბენარი არ მოგეკარება» («ივერია») – ქეგლი. ამბობენ ეს ჩითი თახახიანიაო, ე. ი. ჩახამებულია, თახახში, წამალში გავლებულიაო. თახახიან ჩითს ყოველთვის ხმაური გააქვს ხოლმე, შარიშურობს – ი. გრიშ.

დიალექტ. II. **თახახი** თხელი ლავაში, ადვილი მოსანელებელი, სადიეტო საჭმელი. ბავშვებსა და ავადმყოფებს აჭმევენ. გადატ. ხმარობენ თხელად ნათესი ყანის მიმართ. *„თახახია* და ცელს არ მოაქ, რჩება თავთავი“. „სიმინდი კარქი რო იყო, *თახახი'წა* დათესო“ (თხლად უნდა დათესო) (ჯავახ. ბერ.). შდრ. II. თახთახა.

თახთახ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თახთახი** თრთოლა სიცივისაგან, ძრწოლა – დ. ჩუბ. || თრთოლა, კანკალი, ცახცახი (სიცივისა ან შიშისაგან). ასეთია ეს ხელმწიფე, შიშით სულ *თახთახი* გააქვს (ზღაპ.). [მიტრუა] ტანის *თახთახით* მოელოდა ფარეხიდან ფაჩუნსაც-კი (შ. არაგვ.). იუდას ხელები ძალზე აუკანკალდა, მუხლებმა *თახთახი* უწყეს (ს. მგალობ.). მგლის ხსენებაზე ბეკეკას *თახთახი* დააწყებინა შიშით (თ. რაზიკ.). «ნეტა რამდენად საშიშოა... [გიორგის] ავადმყოფობა?» გულის *თახთახით* ეკითხებოდა ნატო თავის თავს (ეკ. გაბ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ., ჯავახ. ზედგ.

დიალექტ. II. **თახთახი** ბუნბული. „უნაგირი ზურგს ამკიდე, მე ქვეითად *ვითახთახებ“* (ზ.-იმერ. წერეთ.).

დიალექტ. III. **თახთახი, თიხთიხი** სქელი ფელამუშის ან ღომის დუღილის ხმა (გურ. ღლ). შდრ. თუხთუხი ხმაბაძვ. მოსქო სითხის დუღილის დროს ყრუ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმაური, – ფუხფუხი (ქეგლი).

დიალექტ. IV. **თახთახი** ფარჩეულის შარიშური (ქიზ. მენთ.). შდრ. I. თახახი.

თახთახა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **თახთახა** (ქიზ.) «ქაღალდივით თხელი და ხმელი რამე, ხმას რომ გამოსცემს ხელის ცემის დროს» (ს. მენთ.). «ქაღალდი სწორედ *თახთახაა*» (ს. მენთ.). შდრ. I. თახთახი.

დიალექტ. II. **თახთახა** ავადმყოფისათვის უხას, ანუ თახახას, ანუ *თახთახას* აცხობენ (ქიზ. მრეწ. III, II, 11). || თახახა (ქიზ.) თხელი და ხმელი ლავაში. «ბავშვს ძალიან უხდება რძისა და თახახის ფუა» (ს. მენთ.). – ქეგლი.

თახტა:

დიალექტ. I. **თახტაი** [აზერ.] ფიცარი. პოლი *თახტევ* კაიგორა ჟიფტა დგას (იატაკის ფიცრები მჭიდროდაა ერთმანეთთან). **გული თახტაი** გულის ფიცარი. **თახტი ფარცხ** იგივეა, რაც ფარცხი. **ფეყი თახტაი** ფეხის გული. **შეითან თახტაი** თირებზე დალაგებული მოკლედ და ტლანქად გათლილი ფიცარი, რომელზედაც ქვევიდან ლამფაა მიმაგრებული. *შეითან თახტას* ლამფაი ზეითიან პოლს ვეზახით (ინგ. ღამბ.). აგრეთვე თახთა [სპარს. tahta] ხე, ძელი, ფიცარი. „თახთას მივაწყოფთ“ (იმ.); „*თახთით* არი ეს სახლი გაკეთებული“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. იხ. I. ტახტა.

დიალექტ. II. **თახტაი** 1. ბუნებრივი ტერასული რელიეფი მთის ფერდობზე. „მანდ ქისტეთისაკ რო გადახვალ, თახტები-დ თახტებ, უცბად გადასაჩენაყებ, მაღლით გადასახედაყებ – მანდ ქისტეთისკენ რომ გადახვალ, *თახტები* და თახტებია, უცბად გადასაჩენები, მაღლიდან გადასახედები (თუშ. ცოც.). 2. [აზერ. დიალ. თახთა] კვალი ბოსტანში, ბაღში... (რაიმეს დასათესად) დილლიგი თახტაი (ბოსტნის კვალი). ქინზი *თახტაი* (ინგ. ღამბ.). „ორი *თახტა* ხახვი მეთესა და სუ გამიკრიფეს“ (ჯავახ. ბერ.). იხ. III. ტახტი. 3. *თახტა ჟიჟიმ*, *თახტა* სახეი ჟიჟიმ ჯეჯიმის სახეობა. 4. *თახტა* წინდაი ერთგვარი წინდაა (ინგ. ღამბ.).

თბე:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **თბე** 1. (ხევს. თუშ.) იგივეა, რაც ფრთა. თქვენთან მეწადა, არწივნო, სმა-ჭამა, ლხინი გრძელია, რა დადგეს უდარობაი, დამაფარნიდით *თბენია* (ხალხ.) – ქეგლი. თბე (< თფე < ფთე < ფრთე) ფრთა (ფრინველისა). „თქვენთან მეწადა, არწივნო, სმა-ჭამა, ლხინი გძელია, რა დადგას უდარობაი, დამაფარნიდით *თბენია*“ (ხევს. პოეზ. 487, 2) – ალ. ჭინჭ. 2. ისრისთვის სწორი მიმართულების მისაცემად დაკრული ფრთა. როსტომის არყის ისართა არ უნდან ქადაგ-მისანნი, თუ როსტომისა არ იყვა, *თბენ* რად ხქონ ფასქუნჯისანი? (ხევს. თავის. 398, 4). თბეწვრილს ისრევდეს ისრებსა, ფშვინდის გოზაყებ ჭყიოდა (თუშ. ცოც.). 3. წისქვილის ბორბლის ფრთა. წყალს ზედ უნდა ასხემდას ბოლოზე თბეებრ-აქვ ასხმული («შინამრეწვ.» 197) – ქეგლი. ბორბალს *თბეებ* აქვ, წყალ იცმას ხვდება-დ აბრუნებს (თუშ. ცოც.). 4. ფურცელი (ქაღალდისა) კნინ. თბია. გამაგიგზავნე წერილი, ორან ქაღალდის *თბიანი;* 5. კლდის თბე კლდის ზურგი გრძლად გაზიდული (თხელი) (ხევს. შან.). მე წინწინაზე მეგონა: თბე დაშალა კლდისაო (ხევს. პოეზ. 478, 32) – ალ. ჭინჭ.

ძვ., საშ., ახ. ქართ. II. **თბე** 1. ესე არს ახალი ფქვილი რა შეზილო, ხოლო ცომი რა დამყავდეს და საფუარ იქმნას – საბა. თბე ხაში, პურის ცომი, ანუ ახლად მოზელილი ცომი – ნ. ჩუბ. თბე «ცომი»: „ეკრძალენით... *თბისა* მისგან ჰერონდიანთაისა“ C, – „ეკრძალენით ცომისაგან... ჰეროდიანელ-

თაჲსა“ (DE, მრ. 8, 15); „განწმიდეთ ძუელი იგი ცომი, რაჲთა იყვნეთ ახალი *თჱ̃ც“* (I კორ. 5, 7) – ილ. აბულ. || ძვ. პურის-ცომი, ხაში – ქეგლი. 2. ზოგგან ჰნიშნავს ხორციელსა კაცსა მოკუდავსა (შავთ.) – ნ. ჩუბ. გადატ. სხეული. სხვას არ იწვრთიდე, ეს იწვრთენ: გასამტკიცებლად *თჱ̃ცისა* (ვახტ. VI, 92, 154, 4). კაცთა სიკეთის მიმცემი, *თჱ̃ცისა* მის მოუფოელთა (საბა II, 141, 23).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირები: 1. *თებ-; ქართ. თბ- (<*თებ-) ძირის კანონზომიერი შესატყვისია სვან. შდებ-. მასალა შეაპირისპირა მ. სუხიშვილმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *სთებ- „ხარშვა, აფუება“ (ჩუხუა 2017).

თეზა:

დიალექტ. **I. თეზა** ნაკელი. „საქონლის *თეზას* დააქლიებენ, იმასა გააჴმობენ და სწუავენ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || თეზეგი [თურქ.] საწვავ მასალად გახმობილი მსხვილფეხა პირუტყვის ნეხვი, – წივა; „შავშეთში ტყიები ცოტაა, შიშის მაგიერ იქ თეზეგს წვავენ“ (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II. თეზაჲ** [აზერ.] ნედლი, ახალი, ჭყინტი. ფაყლაში მარცლრ̃ვ ნუმ არ დადიდრ̃უანევულ ი, *თეზაჲ* ებნევიან, *თეზა* ფაყლას (ლობიოში მარცვლები ჯერ რომ არ დამსხვილებულა, აი ამას ეძახიან ჭყინტს, ჭყინტ ლობიოს); **თეზა სმიწდ**; **თეზა გუგრაჲ**; **თეზა ყრ̃ლ** (ჭყინტი ყველი) (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. **III. თეზა** [ფრანგ. thèse; < ბერძ.] სინონიმი თეზისი (მ. ჭაბ.).

თელ-ი:

დიალექტ. **I. თელი** მთელი. „იჩხუბა და რაფერ! *თელი* ქვეყანა მაგაზე ლაპარაკობდა“ (გურ. ჯაჯან.). *თელი* ქვეყნიერობა მოვიარეო. თელი ღამე არ მიძინიაო (რაჭ. კობახ.). || ყველა, ყველაფერი: *„თელმა* არ იციან“; „იქამდე *თელი* ოსმანლისა იყო“ (უსტ., შავშ. ლექსიკ.). „იქ ბევრი ხალხი მყავს. ჩემი და იყო, იმან *თელი* იცის“ (არავეთი); *„თელი* აირი არიან“ (დაბა ბორჩხა); *„თელი* იაღი გავადნობთ“ (ზედა ქლასკური); *„თელი* აქავრი ძლები მყავს“ (არავეთის იაილა); „რავაი ფიქრი მქონდა, ჰამა დავკარგე *თელი“* (დეევსქელის იაილა, ნიგ. ბერ.). *თელი* გურჯი ვარ. ნენე-ბაბაი ბათომიდან გამოსულან (დუზჯ. ჩელებ.). აგრეთვე: გურ. ფოლკ. ღლ. 158., ფერეიდ. ჩხუბ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. **თელი** მთელი ზან. (ლაზ. თანდ.). **თელი** ცოცხალი, მთელი ზან. (მეგრ. კილ.).

თელი < მთელი < მრთელი. მრთელი «ცოცხალი», ჯანსაღი; «მრგუალი»: „მიიქცა ყოველი ერი იისუას მიმართ მაკიდად მრთელი“ G, – „მოიქცა ყოველი ერი ბანაკსა შინა ისუს მაკედად ცოცხალნი“ (pb., ისუ ნ. 10, 21); „ქვათა მრთელთაგან უშენო შენ საკურთხეველი უფალსა“ G, – „მრგუალთაგან ქვათა უშენო შენ საკურთხეველი უფალსა“ (M, II შჯ. 27, 6). აქვე: განმრთელება, სიმრთელე – ილ. აბულ. აგრეთვე: მრთელი, მრთელება,

მრთელობა, მთელი, მთელობა, მთელება სრულიადი, ყოვლადი, უკლებელი, უავადო, სახსალამათი – დ. ჩუბ. აგრეთვე ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *მრთ-ელ- ჯანმრთელი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). იხ. აგრეთვე ჩუხუა 2017.

საშ. ქართ. II. თელი გოჭი ღორისა – ნ. და დ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი.*თალ- „გოჭი, ბურვაკი“ (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე: ჩიქობავა 1938, კლიმოვი 1964, ფენრიხი, სარჯველაძე 1990.

თელი გოჭი, რომელიც ქართველურ არქეტიპადაა გამოყოფილი ბერძნულში ჰქვია ღორის ნაშიერს (ნოღაიდელი 2017: 143).

დიალექტ. III. თელი 1. [თურქ.] მავთული, სიმი, ძაფი (აჭარ. ნიჟ.). „ჩუენი დედეი მეგემ *თელზე* იარებოდა“ (ჭ.); 2. სატელეფონო ხაზი, ტელეგრამა. *„ქემალსა* თელი უქნია, მოსაფირები მოდიანო“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). თელ [თურქ.] მავთული, ტელეგრამა ზან. (ლაზ. თანდ.).

თელა:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. თელა [Ulmus foliacea] დიდი ტანის ხე; აქვს ასიმეტრიული ფოთლები, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი, ადრეულა, ორსქესიანი ყვავილები და ფრთით შემოვლებული ნაყოფი – ქეგლი. „ძელი იგი საროჲ, გინა თუ ცაცხჳ, მუხაჲ ანუ *თელაჲ*“ (I, ეს. 44, 14) – ილ. აბულ. აიღე *თელის* ძირის ქერქი (ფანასკ. 333, 13). [საქართველოს] ტყეებში თითქმის ყოველგვარი ხე იპოვება. წიფელა, *თელა*, მუხა... (ი. გოგებ.). მზე იცინის, ვარდ-ფურცლობის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელების (ანა) – ქეგლი. თელა (თეჲა) მცენ. თელა ზან. (მეგრ. ელ.).

ს.-ქართვ. *თელა „თელა“ [Ulmus foliacea] (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. თელა ოქრო (არაბ.-სპარს. tela „ოქრო“) (ფერეიდ. ჩხუბ.). || [არაბ. talā ოქრო]. ერთ რამეს წოოღებენ ჰარ თითო, *თელა*, ფათუ, სუ რამეს წოოღებენ; მაიტანენ და ერთ აშრაბი მისცენ ემ დავრიშს, აშრაბი *თელა*, ფუ-ლია, ოქრო ბე ჰასაბ, მისცენ ემეს და ემამ არ აიღო (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ძვ., საშ., ახ. ქართ. III. თელა თელვა. მტრებმა იბრიყვეს [ქვეყანა], *თელა* დაუწყეს (ი. გოგებ.) – ქეგლი. || თელვა შეთელვა: „იქმნის ჰაერი მტკიცე შეთელვითა ქართაჲთა“ (ბ. კეს.-ექუს. დღ. 49, 28) – ილ. აბულ. თელვა „მატყლის შენაბდვა“ (საბა).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ამ სიტყვის არქეტიპები: 1. *თელ- (გ. კლიმოვი; ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *თ(უ)ელ- „ქსელვა; თელვა“ (ჩუხუა 2000-2003; 2017).

თელამუშ-ი:

ახ. ქართ. I. თელამუში ფელამუში – ნადუღი ყურძნის ტკბილისა და სიმინდის (ხორბლის) ფქვილისაგან გაკეთებული (მოდუღებული) ფაფისებური საჭმელი (სინონ. თათარა) – ქეგლი.

ფ და თ ყრუ ფშვინვიერთა მონაცვლეობა რეგრესულ-დისიმილაციური პროცესის შედეგი უნდა იყოს ფელამუში > || თელამუში> || ქელამუში (საბა) (ქავთარაძე 1964: 341).

დიალექტ. **II. თელამუში** [Ulmus scebra და U. elliptica] ბოტან. თელის მსგავსი, დიდი ტანის ხე, გავრცელებულია მთის ტყეებში – ქეგლი. აგრეთვე ფშ. ხორნ. || თელადუმა ბოტან. იგივეა, რაც თელამუში – ქეგლი. **თელამუში** თელა ზან. (ლაზ. თანდ.).

თემელ- ი:

ახ. ქართ. **I. თემელი** თემის მცხოვრები – ქეგლი. თემი > თემელი. თემი ქვეყანის(ა) ერთი ნაწილი ZA. მოთემე – საბა. აგრეთვე: ქეგლი, გურ. ჯაჯან., აჭარ. ნიჟ., იმერ. გაჩ. **თემ** თემი (სვან. თოფ., ქალდ.).

შესაძლოა, სიტყვა შემოსული იყოს ბერძნულიდან (შდრ. **téma** „მდებარეობა, „პროვინცია"). ჰრ. აჭარიანის აზრით, თემი ნასესხებია სომხურიდან [შდრ. სომხ. tem] „ეპარქიქ", „ეპისკოპატი" (აჭარიანი 1973: 172), რაც საეჭვოა (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. თემელი** [თურქ.] საფუძველი, საძირკველი, ბაზისი, დასაყრდენი. „სახლის ძირსა *თემელი* ქვია" (ინ.); „*თემელინა* გამოთხარო მიწა" (მაჭ.); „*თემელი* მე ვილაპარიკო?!" (ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ფუტკ.). || [ბერძ. Θεμελιον] სახლის ფუნდამენტი, საძირკველი, საფუძველი, ფუძე (აჭარ. ნიჟ.). *თემელ* – ქირიშებს [გუუყუდებდით] (თეშვიქიე). ტრაქტორმა ქი ამუშავებს, *თემელებს* ამოყრის (ბუჯური, კლარჯ. ლექსიკ). || თამალი [თურქ.] (ჯავახ. ზედგ.). **თემელი** [თურქ.] მუდმივი, საძირკველი ზან. (ლაზ. თანდ.).

თერგ- ი:

დიალექტ. **I. თერგი** რკინის სახვრეტი იარაღი (მთ. კაიშ.). მერე კიდევ თხელპირი კვერია, მერე *თერგები* გვაქვს, ისეც პირიანი (ქართ. მტკ. ჩრ. მრეწ. I, 216). ||თენგი ფიცრის გვერდის ამოსაჭრელი (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 295). || სატეხეს მსგავსი იარაღი, რომლითაც ამოსჭრიან ძელების საყელოებს (ზ.-იმერ. მრეწ. I, 264). || თეგი სატეხი – ქეგლი.

დიალექტ. **II. თერგი** 1. მეცხვარის ამოთხრილი საწოლი მინდორში. მინდორში რო მოსაფარაც არასი იყოს, *თერგს* გავაკეთებთ – მინდორში რომ მოსაფარი ადგილი არსად იყოს, თერგს გავაკეთებთ. 2. ნადირის საწოლი. დათვს თერგ ხქონიყვ, იცს იყვ გამოტაფუნაცული – დათვს საწოლი ჰქონოდა, ის იყო გამოვაკებული (თუშ. ცოც., უთურგ.). მივიდნენ ვეფხვების *თერგში* (ფშ. ქეშიკ.). || გარეული ღორის ბინა. „*თერგში* მივასწარიო" (მთ. შან.). „ღორმა რო უნდა დაყაროს, იტყვიან: „*თერგი* გაიკეთაო" (მარაბ., ქართლ. გაჩ.). || თეგრი ცხოველისაგან ამორჩეული ან ამოჩემული ადგილი. აქვე: ათეგრება, აითეგრებს (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. III. **თერგი** ქუდის თერგი. ისე მიხსნიან, რომ უნდა იყოს თარგი (ა. შან.). იხ. I. თარგი.

დიალექტ. IV. **თერგ** [აზერ.] *თერგ* ქნაი გაფუჭება, განადგურება, მოსპობა. ჩონ სმინდ წრხრლი (წუხელ) ღორს *თერგ* უქნი (ინგ. ღამბ.).

თერეგ-ი:

დიალექტ. I. **თერეგი** თარო. „დახაჩიჩული ჯამ-ჭურჭელი გამწკრივებული მქონდა *თერეგზე*“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. თარო (თარექ ZAa.) ჭურჭლის დასაწყობელი – საბა.

დიალექტ. II. **თერეგი** კოზიროკი; **თერეგიანი შაფხა** კოზიროკიანი ქუდი (აჭარ. ნიჟ.). იხ. III. თერგი.

თერძ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თერძი** მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი. *თერძნი* და დალაქნი თვითეული წილშიდ იხთიან ხუთსა მანეთსა ვერცხლისასა, ამოდენსავე იხთის ხარაზიცა (სამ. ძეგ. VIII, 99). ულვაშებ-დაკრაკნილმა *თერძმა* ნემსში ძაფი გაუყარა (ა. ბელ.). ◊ **თერძის კუნთი** – თეძოსა და წვივის შემაერთებელი კუნთი. თერძის კუნთი შეკუმშვის დროს იწვევს ბარძაყისა და წვივის მოხრას (პლასტიკ. ანატ.) – ქეგლი. ვფიქრობთ, აღნიშნული ტერმინი წარმოქმნილი უნდა იყოს სხვა სამედიცინო ტერმინის, კერძოდ, „თერბული ნაკერის“, ანალოგიით. პაიჭს *თერძები* კერამდენ (ქვ.-იმერ. მრეწ. III, I, 217). ყაბალახებს ამზადებდნენ და ჰქარგავდნენ სირმით *თერძები* (გურ. მრეწ. III, I, 257). || თარძი: დილას მოვიდა *თარძთან* (ჯავახ. მარტ.). **თერზი** ზან. (მეგრ. ქაჯ.). ამავე მნიშვნელობით დასტურდება დერზიი [აზერ.] (ინგ. ღამბ.). ერ დეკაც ყოფილ დერზიი, ტანსომოზ კერავს ყოფილ (ერთი ქალი ყოფილ თერძი, ტანისამოსს კერავს თურმე (ინგ., ღამბ.). სანეფო ჩოხები კი (მატყლის, ყაჭის, ხაღთნარევი) მოსული დერზიევიზე (თერძებისთვის) უკერინებიათ (ინგ. მრეწ. III, I, 68). შდრ. დერციკი იგივეა, რაც თერძი – ქეგლი.

მაშასადამე, ქართულში მამაკაცის ტანსაცმლის მკერავის შინაარსით დასტურდება თერძი და დერციკი. მკერავის აღმნიშვნელი თერძი თურქული ენიდან უნდა იყოს შემოსული. თურქულშიც აღნიშნული სიტყვა ამავე ფორმით იხმარება. ცნობილი, რომ თურქიზმები ქართულში ზეპირი გზითაა დამკვიდრებული. არც ამ შემთხვევაში უნდა გვქონდეს გამონაკლისი. ოღონდ თურქულისაგან განსხვავებით ქართულში თერძის მნიშვნელობა დავიწროებულია. აღნიშნავს არა ზოგადად მკერავს, არამედ მხოლოდ მამკაცის ტანსაცმლის მკერავს. თავის მხრივ, თურქული თერზი სპარსული Därz-ის ნასესხობა უნდა იყოს. ამავე შინაარსისა და წარმომავლობის ჩანს დერციკიც, რომელიც ქართულში [სომხური დერძაკ]-ის ნასესხები ფორმაა.

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **თერმ-**: თერმვა ხვნა, «ანეულება»: „ითერმეთ *თერმულები* და ნუ სთესავთ ეკალთა ზედა“ O – „იანეულენით თავთა თჳსთად ანეულნი და ნუ სთესავთ ეკალთა ზედა (pb., იერემ. 4, 3); „თერმული კეთილი *ვთერმოთ* და თესლი სიმართლისაჲ ვსთესოთ“ (A – 92, 689); „მუშაკი კეთილი მოსთერმავნ ყანასა თჳსსა“ (H – 341, 345). **მთერმველი** «მთესველი». „ვითარცა... მჴნველი და *მთერმველი* ეგრეთ მოუჴედ მას“ O, – „ვითარცა... მჴნველი და მთესველი მიეახლე მისა მიმართ“ (pb., ზირ. 6, 19) – ილ. აბულ. **თერმული** – „ნათესი ჴნული“ – აღნიშნავს – საბა, „ორნატი, ხნული დათესილი“ – ნ. და დ. ჩუბ. ეს უნდა კაცმან მოიმკოს, იმათგან *დათერძილია* (არჩ. 367, ქვ. 3). **თერმვა** მზრალად ხვნა. თერმული ხნული. *თერმულების* იქიდან ვინ მოჩანს? (ჯავახ. მარტ.). **გათერმვა** ყამირი მიწის პირველად შეთოხნა ან სახვნელით მოხვნა. „კორდის, ხამი მიწის *გათერძისთვინ* ჩაფა თოხას ვიყენებთ“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე: იმერ. გაჩ., ზ.-იმერ. ბოწ. **ნათერძი** – კვლებს შორის დარჩენილი მოუხნავი მიწა (მთ. კაიშ.).

მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. ძირს *თერმ- პირველხვნა; საზღვრის მიჩენა კვალის გავლებით“ > ქართ. თერმ, ნა-თერმ-ი, თერმ-ულ-ი. ქართულ თერმს კანონიერი შესატყვისები ეძებნება იბერიულ-კავკასიურ ენებში (ჩუხუა 2000-2003). შდრ. ჯავახიშვილი 1930: 256.

თექა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თექა** 1. უმჯობესი თაქნაბადი – საბა. 2. ნაბდისაგან შეკერილი ზედა ჩასაცმელი. *თექას* კერავენ შინაური ნაბდისას; ის სახლიანია (სახელოიანია). უბეები ერთმანეთზე არ გადადის; ზედ ან ქამარს შემოირტყამენ, ან ღია აქვთ; მხრებზე და ზურგზე ადევს საწვიმარი, ე. ი. მეორე პირი ნაბადი, რომელიც მაღლა დაკერებულია. ძირს-კი არა, ...რომ წვიმამ არ გაატანოს...: ჯიბეები არა აქვს...; ჩოხაზე მოკლეა...» («შინამრეწვ.»). «ეგ ქულაჯა გაიხადე, ეს *თექა* ჩაიცვი შენა!» (ხალხ.). «მივვარდი თოფსა გამწარებული, მხრიდან გადვიგდე მაშინვე *თექა*» (ილია). მწყემსიც იქვე ძარქვეშა წევს, *თექა* ხურავს საბნად ზედა (ი. დავით.). 3. იგივეა, რაც ნაბადი, ქეჩა. ეცვათ სამთავეს უცხო რამ ჯუბა, თექის ჩექმა და თბილი თათმანი (კ. კალ.) – ქეგლი. || თექაჲ ქეჩის პალტო. ემაგის მომლექსობელი სამერცხლის თავსა ზისაო, *თექაში* გამოხვეული ჩობანი არის ცხვრისაო (თუშ. ცოც.). „წამოდგა თექიანაი, / ცხვარს შამაავლო თვალია“ (ფშ. ცოც.).

დიალექტ. II. **თექაჲ** [აზერ.] ჯიხვი. თაში *თექაჲ* მოჭკალ (ინგ. ღამბ.).

თია:

საშ., ახ. ქართ. I. **თია** 1. «გაუქარვებელი კორძი» (საბა). *თია* იმას ქუიან, რომე ტყავსა და ჴორცს შუა იყოს მრგუალი და გორვიდეს. იქნების, რომე მაგარი იყოს და ჴმელი; და იქნების, რომე რბილი იყოს. თუ ტყავსა

და ჯორცსა შუა იყოს, მისი უკეთესი დასტაქრობა არის, რომე გამოიღოს (ფანასკ. 321, 25). || ცხიმოვანი სიმსივნე. გელსა მოვსწყვიტე მუწუკი, მება ზედ ავნი თიანი (დ. გურამ.). 2. ავადმყოფური როკი, ნუჟრი, დამსხვილება ხეზე. 3. სპეც. კორძისებური გამაგრება რაიმე შენადნობზე, კერამიკულ ნაკეთობაზე და სხვ. რელსის *თიჲ* (ქეგლი).

დიალექტ. **II. თიაჲ** [აზერ.] იარაღის (დანის, ცულის, ბარის, თოხის, ცელისა და მისთანათა) რკინის ნაწილი უტაროდ. დანი *თიაჲ;* ხანჟლი *თიაჲ* (ინგ. ღამბ.).

თიბა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. თიბა** თივა. *„თიბაში* ჩიებიანა ბაღნეფს“ (გურ. ჟღ., ჯაჯან., ქეგლი). შდრ. თივა ბალახი, მწვანილი: „უბრძანა მათ დასხდომაჲ, მწუანვილისა ზედა თივისასა [თივასა C)“ (მრ. 6, 39); „ეკალი და თივაჲ აღმოსცენდეს“ (I, ეს. 32, 13) – ილ. აბულ. **თივა** მოთიბული ჴმელი ბალახი – საბა. თიბა < თივა.

აღდგენილია ს.-ქართვ. *თიუ-ა „თივა“ (ჩუხუა 2017). შდრ. ჩიქობავა 1938.

მვ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. თიბა** თიბვა. და ჭირისა მაგიერ უფროჲსი სათესავი მთასა შინა იქმნებოდა თოჯითა საწუნე და დიკაჲ, და სელი და თივისა *თიბაჲ* (აგ. ბ. II, 81, 23) – ბ. გიგინ. || (ფშ. მოხევ.) თიბვა – სახელი თიბავს ზმნის მოქმედებისა, – ბალახისა და სხვ. მოჭრა (ცელით და მისთ.), ცელვა. ქვეყანა ჩვეულებრივ საქმეს დასდგომოდა და... *თიბა* გაეხურებინათ (ა. ყაზბ.). *თიბაში* თუ მკაში, ვისაც უნდა ვაჟკაცს გაეკიბრებოდა [სალია] (ვაჟა) – ქეგლი. ჩვენ მისულამდე დაეწყოთ ბიჭებ *თიბა* (ჯავახ. ზედგ.). წნეულს *თიბა-მკაზე* გაკინებული წვიმები იყო (რაჭ. კობახ.). **თიბის თავი:** თიბვის დაწყების წინ გამართული პუროობა სალოცავად. *„თიბის თავს* გააკეთებდეს, ორს-სამს კარგ ყოჩს დაჰკლავდეს, ხატს შასთხოვდეს – კარგა გოთიბინეო“ (მოხ. ქავთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *თიფ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). შდრ. მაჭავარიანი 1965: 16.

თიკ-ი:

დიალექტ. **I. თიკი** 1. ხის ტოტი, წატეხილი, მოკლე და გაშვერილი, ან მის მსგავსად გაშვერილი ნაწილი საგნისა (გურ. შარაშ.). ამ ბოძს ზევით, წინ ნახევარი მტკაველი გამოშვერილი აქვს ტოტი, პატარა პატარა *თიკი.* ამ *თიკს* რასმის ჩამოსაკიდათ ხმარობენ (ჯავახ. მრეწ. I, 254). 2. თიკი სახელური (გურ. ჟღ.). შდრ. თიქაჲ, თიკაჲ [აზერ.] ნაჭერი, ნატეხი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **II. თიკი** თვერი ქათმის ბიბილო (ვ. ბერ.). **თიკი** ბიბილო ზან. (მეგრ. კილ.).

თიკან-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. თიკანი** 1. თხის ნაშიერი (ერთ წლამდე), – ციკანი: *„თიკანი* ერთი არასადა მომეც მე“ (C, ლ. 15, 29); „დამწყსენ *თიკანნი* შენნი საყოფელსა მწყემსთასა“ (O, ქება 1, 7); „ვეფხი განისუენებდეს *თიკანთა* თანა“ (I, ეს. 11, 6) – ილ. აბულ. [მგელმა თქვა:] «*თიკანს* რომ პირი დავავლე, თხამ დაიძახა ვაიო» (ხალხ.). აგერ კრავები კუნტრუშობენ, *თიკნები* დახტიან (აკაკი). *თიკანი* სულ როკვითა და ხტუნვით უკან გარბოდა კურდღელივით (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი. თიკანი || ტიკანი თხის ნაშიერი ერთ წლამდე, ციკანი (ჯავახ. ზედგ.). || თიკანის გვერდით გვაქვს ციკანი (ფშ. შან.). 2. პატარა ჯიქვი (გინდ მამალი, გინდ დედალი) (ჭევს. შან.). შდრ. აგრეთვე **თიკანი** კრავი ზან. (ლაზ. კალანდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *თიკ-ან- „ბატკანი, თიკანი“ (ჩუხუა 2000-2003). აგრეთვე ჩიქობავა 1938.

საშ., ქართ., დიალექტ. **II. თიკანი**: წვივის თიკანი ჭ., ფშ., გუდ. წვივის უკანა (რბილი) ნაწილი, კუთი, ნაკუთალი – ა. შან. აგრეთვე: ფშ. ხორნ., ხევს. ჭინჭ. შდრ. თიკნები ვენები საფეთქლებზე. უკანას კეფაზედა კოტოში მოჰკიდონ და ორნივე თიკნები გაუხსნან (იადიგ. 283, 33).

თიკვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. თიკვი** 1. ჩვარი, ძონძი, ჭინჭი (ფშ. შან.). ძმები ჩხრეკავენ საბრალოს, სურთ რამ უპოვონ ჯიბეში და, მართლაც, ნახეს ბარათი საწირავითურთ *თიკვებში* (ვაჟა). *თიკვებში* გახვეულ ლამაზ ბიჭუნას ეძინა (ბაჩ.) – ქეგლი. ქვალილას ჩავდებდით თიკვში (ფშ. ცოც., ხორნ.). შდრ. თიკვმაკი ძონძები (ფშ. ხორნ.). || თიკვი ჩითის ტერფზე ამოკერებული ნაჭერი, რომელზედაც ხდება დაკვირტვა. *თიკვად* ხან აგრიაც ძველ ხუნჯირის ნაჭრებიც ამოაკერიდით (თუშ. ცოც.). სათიკვაც ჩითების, ანუ ფეჯების გამოსაკერებელი კვირტის ქსოვილია. მისგან ფეხებისათვის გამოჭრილ ნაჭერს *თიკვი* ეწოდება (თუშ. ცოც. მრეწ. II, II, 86). 2. *თიკვს* ვეძახით ფარჩეულს (ერწო-თიან. მრეწ. III, I, 60).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თიკვი** წყლის თაგვი (კახ. «დიალ.») – ქეგლი.

ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *თიკ- „გამოშვერილი, კბილი, დაკბილული“ > ქართ. თიკ-ერ-ა, თიკ-ი || თიკ-ვ-ი (ჩუხუა 2000-2003).

თინთქელა:

დიალექტ. **I. თინთქელა** დამწვრობით ან მოწამლვით, ხანაც ხამად სამუშაო იარაღის ხმარებით /ხელებზე/ ამობურცული კანი, წყლიანი, თუ გასკდა, წვა იცის (ფშ. ხორნ.). შდრ. თურთქელი, თურთქლი, თუთქი – ქეგლი. თუთქი ცხელი ნაცარი – საბა.

დიალექტ. **II. თინთქელა** საშარდე ბუშტი / ადამიანისაც და ცხოველისაც (ფშ. ხორნ.). || თინქელა (ფშ.) შარდის ბუშტი – ქეგლი.

თირინა:

ახ. ქართ. I. **თირინა** (იმერ.) ერთგვარი პატარა ჩიტი. «თუ გტაცე ერთი ხელი, გაწრიპინებ *თირინასავით*» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **თირინა** თრითინა (გურ. შარაშ.). შდრ. I. თრითინა.

თიქა:

დიალექტ. I. **თიქაი, თიკაი** [აზერ.] ნაჭერი, ნატეხი. სამ *თიქა* ჯორც შჭომ (ვჭამე); ერ *თიქა* პურ მემეცო! (ერთი ნატეხი პური მომეცი რა!) (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **თიქაი**: *თიქაი* კეჰტევ იბერება (საჭმლით, წყლით, ღვინით...) – ბეურ წყალ ლევს, *თიქაი* კეჰტევ (ინგ. ღამბ.).

თოვლა:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **თოვლა** (თავლ Cq, ახურ ZAaBCDE.) ცხენთ საბამი ადგილი – საბა. || თოვლაი [აზერ.] თავლა. საჯინიბო (ინგ. ღამბ.) თოვლა < თავლა [არაბ.] ცხენის (ჯორის და მისთ.) სადგომი შენობა, – საჯინიბო – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **თოვლა** თოვლიანი. მთათა *თოვლა* ქიმებზე / მდუმარეგა თვლემს (თარგმ. კ. ჭუმბ., ელექტრ.). ძირი თოვლ-; – ა მქონებლობის აღმნიშვნელი სუფიქსი.

ახ. ქართ. III. **თოვლა**: **თოვლა თხა** (Oreamnos americanus), წყვილჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა („ვიკიპ."). -ა სუფიქსით არსებითი თოვლ-სიტყვისაგან გადატ. იწარმოვა ზედსართავი თოვლა. იხ. I. თოლი.

თოთო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თოთო** 1. კვერცხი თოხლო – საბა. || თოთლო, თონთლო, ოთლოთოთლო – დ. ჩუბ. 2. ახალი, ნედლი, ნორჩი. თოთო ფოთლები. 3. (რაჭ.) „სქელი რამე, სითხემერეული» («დიალ.») – ქეგლი. ◊ **თოთო ხარშო ხაჭოიანი ხარშო** (ხევს. თავის., 271, 18 – ალ. ჭინჭ. ◊ **თოთო ბავშვი** ქორფა, ტუტუთა ბავშვი. [შიომ] *თოთო* ბავშს რომ დახედა, ხელები თავში შემოიკრა. მხოლოდ ახლა გაახსენდა... რომ არც შვილიშვილისათვის და არც რძლისათვის საჩუქარი არ წამოეღო (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || თონთო; თონთოა ხფო (საბე, ზ.-იმერ. ბოწ.). **თოთო** ა) თოხლო; ბ) **თოთო** (ბავშვი) ზან. (ლაზ. კალანდ.). **თოთ, თოთობაი** თოთო, ჩვილი, ჭყინტი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. **თოთოი** ხელი ბავშვის ენით (ჯავახ. ბერ.). შდრ. თოთი თათი. რაშმა დაკრა თოთი (ღარიხევი, ზ.-იმერ. ბოწ.). თათი → თოთი → თოთო. თათი დასტურდება საშ., ახ. ქართულში. შემოსული ჩანს სომხურიდან (შდრ. t'at') – ბ. გიგინ.

თოიჯ-ი:

საშ. ქართ. I. **თოიჯი** იგივეა რაც თოჯა – გრძნეული, გრძნების მოქმედი. ღალატსა რასმე ეცადა მისითა *თოიჯობითა* და ავის მოქმედობითა (შჯნ. III, 473, 4). იხ. I. თოჯა.

დიალექტ. II. **თოიჯი** ნამდვილი ბეჯითი (რაჭ. ბერ.).

თოკ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თოკი** მსხვილი საბელი – დ. ჩუბ. **თოკი** მსხვილად ნაგრები (რამდენმე წვერი) კანაფი, სელი და მისთ. (აგრეთვე ნართი). წავალ *თოკთა* მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე (ვეფხ. 256, 2). – დავგრეხ *თოკსა*, ბაწარსა, ჩავუგდებ და ამოვიყვან ჩემს ძმობილ ჭიანჭველასაო (ხალხ.). ცოტნე... გატიტვლდა, თვითონვე შეიკრა *თოკებით* მკლავები (ი. გოგებ.). ფიგურ. სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი ყელში *თოკს* უჭირებს (ილია) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ზედგ. || მეთამბაქოეობის ტერმინი. ორ მეტრ კანაფზე ასხმული თამბაქო (ქიზ. მენთ.). **თოკი** ბაწარი ზან. (ლაზ. კალანდ.). **თოკი** ზან. (მეგრ. ყიფშ.). **თჷკუ, თეკუ** თოკი (სვან. თოფ., ქალდ.).

თოკ-ფუძე საერთოა ჭანურისა, მეგრულისა და ქართულისათვის. თოჭ-ი კ-ს გააფრიკატებითაა მიღებული (ათინურში) (ჩიქობავა 1938). ამ სიტყვის არსებობა ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის შეიძლება ვივარაუდოთ. არქეტიპი უნდა ყოფილიყო *თოკი „მსხვილი ბაწარი“. თოკი ქართულიდან ჩანს შესული სომხურში (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **თოკ** თოხი. თქრნ *თოკ* მამო, სმინდ დოჭთოკო (ინგ. ღამბ.). იხ. I. თოხი.

დიალექტ. III. **თოკი** თამაშის სახეობა: გურჯები და თურქები *თოკი* ითამაშეს (ნუსრეთიე, კლარჯ. ლექსიკ).

თოლ-ი:

დიალექტ. I. **თოლი** თოვლი. – რამხელა *თოლი* მევიდა წროულს! (რაცხ. გურ.). მთას *თოლი* მოხკიდებია, წყემსო, ახყარე ცხვარიო (თუშ. ცოც.). *თოლს* დასთოვს ზენ-ბაცალიგოს, ქვენ ბაცალიგოს შრებისა (ხევს. პოეზ. 516, 1). აგრეთვე **თოლის-გულა** შეყინული, და დამრგვალებული წვრილი ფანტელი; **თოლ-შატყი** სველი, წყლიანი თოვლი. **თოლ ჩამაიქცევის; თოლ-ჭროლი** თოვლის ნარჩენებით აჭრელებული მიწის ზედაპირი (ხევს. ჭინჭ.). შდრ. ბვ., საშ. ქართ. „დაიდვის *თოვლი*“ (O, ზირ, 43, 19); „სამოსელი მისი სპეტაკ იყო, ვითარცა თოვლი“ (მთ. 28, 3) – ილ. აბულ. ზოგან *თოვლი* გაეწითლის ვარდსა (ვეფხ. 843, 3). თოლი < თოვლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *სთოლ- თოვა (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე კლიმოვი 1964, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **თოლი** 1. თვალი (კირიონი). აგრეთვე: მოხ., მთ. შან., ფერეიდ. ბერ., ბაკურ. 292, მთ. კაიშ., ინგ. ღამბ.|| გადატ. სასწაულთმოქმედი თვალი. „გუგუას ისრი კარგა მიუდის საქმე, იმის სენაჩი *თოლი* თუ

არის შანახული“ აქვე: თოლახედული, თოლების ამაყრა, თოლინჯლიანი და მრავალი სხვა თოლ-ფუძიანი რთული სახელები (მოხ. ქავთ.). ◊ **თოლის წყალს აყრევინებს** შეულოცავს. ◊ **თოლის კარგი ხაზი აქვს**. კარგად ხედავს, კარგად ამჩნევს (მთ. კაიშ.); 2. ოთახი. 3. ხურჯინის ერთი ნაწილი (მთ. კაიშ.). **თოლი** თვალი ზან. (ლაზ. კალანდ.). შდრ. თოლიგე! საალერსო სიტყვა – თვალის ჩინო! ჩემო თვალის სინათლევ! (ასე მიმართავდა ცოლი ქმარს ან ქმარი ცოლს – სამეგრელოში). «რა იყო, თოლიგე, რა დროს მაგია?» (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი. მეგრულში დადასტურებული თოლის შესახებ იხ. (ბუკია 2006: 48).

ს.-ქართვ. არქეტიპებია: 1. *ʼსთუალ- (კლიმოვი 1964; შმიდტი 1962; ფენრიხი, სარჯველაძე). 2. ს.-ქართვ. *ʼთუალ- „თვალი“ (ჩუხუა 2018: 85).

თოლია:

ახ. ქართ. **I. თოლია** [Larus] ზოოლ. წყალში მოცურავე ფრინველი (თოლიასებრთა ოჯახისა); აქვს მოკლე ფეხები და ხშირი ბუმბული (სინონ. მეთოვლია). შორს *თოლია* მოფრინავდა (გ. ლეონ.). თითქოს ფრთა გაჰკრა ტალღას *თოლიამ* (გ. ლეონ.). ფიგურ. ჩემი აფრაა *თოლიას* ფრთები, ცის თეთრ ვარდებში რომ უქროლია (გ. ლეონ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუას მოსაზრებით, ს.-ქართვ. ძირია *ʼთალ- „თოლია“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. თოლია** თოლია. თეთრი ძაღლის გავრცელებული სახელი. *თოლიამ* მიირბინა [ბეჟანთან] (ე. ნინოშ.). ხმობდა ქათამი გურიის სოფელს, ყეფდა *თოლია* (ანა). შდრ. II. თოვლა.

თორიან-ი:

ახ. ქართ. **I. თორიანი** ძვ. ვისაც თორი (თორნი) აცვია, თორში ჩამჯდარი, – თორნოსანი. იჯდა *თორიანი* გოლიათი ჩალისფერ იაბოზე (კ. გამს.). თორ-იან-ი < თორ-ი. || ძვ. ტანთ საცვამი რკინისა, ჯაჭვივით – საბა. || სხეულის დასაფარავი ჯავშანი. ლომს დაეხურა თავს მუზარადი, ტანთ საომარი ჩაეცვა თორი (გ. აბაშ.). თავადაც თორი ეცვა რაჟდენს (კ. გამს.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. თორიან** მთვარიანი. ლამაზ, *თორიან* ღამეი ყოფილ (ინგ. ღამბ.). || მთვარიანი მთვარით განათებული. ღამე იყო ჩინებული, მშვიდი, მთვარიანი (ა. ყაზბ.) – ქეგლი. თორ-იანი < მთვარ-იანი < მთო(ვ)არ-იანი. -იან სუფიქსი .

მთო(ვ)არე, მთვარე: „მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი“ (მთ. 24, 29); „მზე და მთვარე დაბნელდენ“ (მ. სწ. 14, 3) – ილ. აბულ.

მთოვარე ამკარად ნაწარმოები ფორმაა **მ-არე** ცირკუმფიქსით, მაგრამ ძირი თოვ- არ უნდა უკავშირდებოდეს თოვა ზმნას. უფრო სარწმუნოა მოსაზრება, რომლის მიხედვით **მ-თოვ-არე** მიღებულია მ-თევ-არე-საგან (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, 146) ასიმილაციით – ბ. გიგინ.

თორნა:

დიალექტ. I. **თორნა** (torna) სახარატო ჩარხი. „აკვანი გვქონდა *თორნაზე* მოხუეწილი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **თორნა** ნაწნავი (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

თოქმა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თოქმა** [თურქ.] ჩამოსხმული C. თოქმა – საბა. || [თურქ. თოქმა «სხმული»] საუბ. მკვრივი, მსხვილი, ტლანქი. *თოქმა,* ორმაგი, ძვალ-მსხვილი, თვალებ-წამოკაკლული, მარადჟამს აზეზილ-ატკრეცილი მარინე შიშისა და მორჩილებისათვის არ იყო გაჩენილი (ვ. ბარნ.). **თოქმად** ზმნს. მტკიცედ, მკვრივად; ტლანქად. [კაცი] გოდოლსა ჰგვანდა, *თოქმად* ნაშენსა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || მკვრივი, გასუქებულსავით. **თოქმა ბავშვი** ფუნთუშა ბავშვი (ქიზ. მენთ., ფშ. შან.).

დიალექტ. II. **თოქმა** კალა და ტყვია ერთმანეთში არეული (ხევს. შან.). **თოქმა** ორმაგი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. III. **თოქმა** (თურქ. dokme) მოზვერი (ხევს. ჭინჭ.).

თოშ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თოში** 1. [სომხ. თოშ] წყალთ მონატანი ყინული – საბა. || ყინულის ნამტვრევი მდინარისაგან მონაქონები; ცივი, გაყინული – დ. ჩუბ. || ყინული, რომელიც მდინარეს მოაქვს გაზაფხულზე. მტკვარს *თოში* მოაქვს (ეკ. გაბ.). დაბრუნდი, ჩემო წისქვილო, წყალს ხომ არ მოაქვს *თოშია* (თ. რაზიკ.). || ყინული, ყინვა – ქეგლი. ხვარდი ფშაურში კი წყალში არეულ ყინულის ნაჭრებს, ე. ი. *თოშ* ეწოდება (ფშ. გოგატ.). 2. თრთვილი. „იმისანა *თოში* დოუდვია წუხელი, რო სულ დაფარულია ყოლიფერი“ (იმერ. გაჩ.). 3. „ქარი“, „ხოშკაკალი“ (კლარჯ. ლექსიკ). **თოში** ნამი ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *თოშ- „ყინული, თოვლჭყაპი“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **თოში** დეკის ფოთოლი (საღებავად იხმარება) («დიალ.») – ქეგლი. დეკის *თოშს* ადუღებენ, დუღილიდგე დეკის *თოშს* ამაილებენ... («შინამრეწვ.» 11). ყველას ერბოთა' კალტით შაანელებენ: ცხენის სახვრემას..., წერთხალაის *თოშს* («შინამრეწვ.» 10, ხევს. ჭინჭ.). ყვითლად ღებავს დეკის *თოშიც* (თოში-ფოთოლი) (თუშ. მრეწ. II, II, 99). თოში ჴ., ა) დეკის ნეშო, დეკის ფოთოლი. ბ) ჴ. (შატ.). ყანეულის ნეშო (ქერისა, სიმინდისა, ნივრის, და არა ტყისა, არც დეკისა) – ა. შან.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **თოში** თოქში სახედრის დასაყენებელი. „მენახშირე ვირზე ზის და *თოშეს* ჰყვირის (ალ. ცაგ., ი. გრიშ.). შდრ. თოქშ! თოქში! შორისდ. შეძახილი სახედრის გასაჩერებლად. «თოქში! თოქში! რა მოგივიდა?» (ნ. აზ.) – ქეგლი. აგრეთვე თოკში (თუშ. ცოც.).

თოხ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. თოხი** 1. ფართო რკინის საჭრელი გრძელ-ტარიანი გასამარგლად მტილთა და ბოსტანთა – დ. ჩუბ. || ხის ტარზე წამოცმული ბრტყელპირიანი რკინის იარაღი, რომლითაც მიწას აფხვიერებენ, სარეველა ბალახებს აცლიან (სიმინდს, ვენახს...). ზაფხულში დათესილი ღომი *თოხის* ყუას ამოაჰყვებაო (ანდაზა). *თოხის* ტარზე დაბჯენილი იდგა ბეჭია და თამროს ელაპარაკებოდა (ილია). 2. გადატ. იგივეა, რაც თოხნა. [აიტუზას] წინდადება შემოჰქონდა, ცალკე ნაკვეთებზე ოთხი *თოხი* ჩაეტარებინათ რგოლებს (მიხ. მრევლ.). 3. წისქვილის ღერძის თავზე დამაგრებული რკინა (ან ხე), რომელიც ატრიალებს წისქვილის ქვას, – «წისქვილის არქი» (საბა) – ქეგლი. აგრეთვე თოჯი (მთ., მოხ., ფშ., ხევს., თ. ა. შან., ხევს. ჭინჭ., თუშ. ცოც., ჩვენ. ფუტკ.). თოხი ჩაფა წერაქვი ზან. (ლაზ. თანდ.).

ძველ ქართულში ეს სიტყვა შენახულია ნასახელარ ზმნაში თოჯ-ნ-ა || მო-თოჯ-ნ-ა. „ვიდრემდე მოუთოჯნო მაგას და სკორე დაუდვა“ (ლ. 13, 8). ბ. გიგინეიშვილის აზრით, იმის თქმა, რომ ჭანურში ქართულიდან არის ნასესხები, გაჭირდებოდა. უფრო ბუნებრივია, ის მივიჩნიოთ ძირეული ქართულ-ზანური წარმომავლობისად და ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღვადგინოთ არქეტიპი *თოჯი (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. თოხი** აბზინდა, ქამრის შესაკრავი ბალთა (ჯავახ. ზედგ.). || თოხა [თურქ.] აბზინდა, ლითონის ენიანი შესაკრავი ქამარზე (ჯავახ. ბერ.).

თოჯა:

საშ. ქართ. **I. თოჯა** გრძნეული, გრძნების მოქმედი. და იმა *თოჯამან* და გრძნეულმან ზაალ შეიგნა და გაფრთხილდა (შჰნ. III, 477, 9). იხ. I. თოიჯი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. თოჯა** კუკი. თოჯა დედაკაცი – დ. ჩუბ. || მგ. თოჯინა. ჩიტმა პატარა ქალსაც მოსტაცა *თოჯის* რამდენიმე ნაჭერი და გაარბენინა თავის ბუდეში (ი. გოგებ.). ფიგურ. «თქვენ თვითონ ითამაშეთ ტიკინაობა და მიმათხოვეთ *თოჯასა*» (ლ. არდაზ.). «როგორ გაბედე, რომ *თოჯას* მიჰკერძე და იმის გვირგვინოსან მამას-კი გადაუდექი?» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. პატარა ქალმა ნენემა თან ჩაიწვინა თოჯები (ვაჟა) – ალ. ჭინჭ.

ვფიქრობთ, რომ თოჯას ორივე ომონიმური ცალი გრძნეულის აღმნიშვნელი „თოიჯიდან“ უნდა მომდინარეობდეს გადატანითი გზით.

თრაშ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. თრაში** [სპარს.] წახნაგი, დაკუთხვილი გვერდი ძვირფასის ქვისა. || თრაში მძივი – დ. ჩუბ., ქეგლი. ყინულნი ათას *თრაშნი*, წყალნი ფანტულ წინწკლებად (ალ. ჭავჭ. 62,3). თრაშავს სპეც. გრდმ. ხეხვით თრაშებს (წახნაგებს) უკეთებს, – აწახნაგებს (ძვირფას ქვებს და მისთ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **თრაში** [სპარს. თრაშ-პარსვა] წვერი. *„თრაში* ამოსლია ისე მალე“ (ინ.). **თრაშიანი** წვერგაუპარსავი. „იმფერი *თრაშიანი* სიდედრსა რაფერ დეენახვე, ჯო!“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). „შემდეგ თოფანმა *თრაშიანი* ღაწვები მოიპარსა“ (ფ. ხალ., აჭარ. ნიჟ.).

თრიაქ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თრიაქი** [სპარს. თერიაკ] იგივეა, რაც ოპიუმი. შთანთქა *თრიაქი* (რამეთუ დაჩუეულ იყო პატიმრობასა შინა (ქ. ცხ. IV, 417, 15). „დამაცა შენა, ლამაზო, *თრიაქ* ხომ არ ხარ ნაჭამი“ (ხალხ.). „გათრობს ღვინო, *თრიაქი*, ვნება“ (ვ. ბარნ.). [ფანასკერტელის ასული] უდროოდ დადიოდა ქალაქში, *თრიაქსა* სწვდა იდუმალ (კ. გამს.). || ფიგურ. იქ არა ჩქეფს სიყვარულის თრიაქი და მაშარაფი (ი. გრიშ.) – ქეგლი. გადატ. *თრიაქი* ცხარე (მმარი, არაყი...) მმარი ძაან დამცხარდება, ვეტყვით *თრიაქსა*; არაყ რო გამოვხდით და ძაან მცხარე გამოვა, იმაზეც იტყვიან, *თრიაქი* არაყიაო (წილკ.). ეგეთი *თრიაქი* არაყი გამოხადა დედაკაცმა, რო ორ ტაქან ზედიზედ ვერ დაიძლევ (წილკ.); აგრეთვე ატ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. თერიაყი, თერიახი, თრიახი [სპარს.] თრიახფარუხი, მკურნებელი სამსალისა (დ. ჩუბ.). || თერიაყი, ან თრიაყი [ბერძ. თერიაკი; არაბ.-სპარს. თერიაყ] ოპიუმი შხამიანი ცხოველისაგან ნაკბენის გამკურნებელი საშუალება. მეომარი ასრე ხედავს, რომ *თერიაყ* გულსა ების (შჯნ. I, 1600, 3).

დიალექტ. II. **თრიაქი** თიაქარი. *თრიაქი* ქონდა და ოპერაცია გაუკეთეს (სხვიტორი). *თრიაქიანი* თიაქრით დაავადებული. ამდენი *თრიაქიანი* ქალი მე არ გამიგონია (სხვიტორი, ზ.-იმერ. ძოწ.).

თრიაქი < თიაქარი მედიც. ავადმყოფობა, რომლის დროსაც შინაგანი ორგანო (მაგ., წვრილი ნაწლავები), მუცლის კედლის აპკითურთ, მუცლის ღრუდან კანქვეშ გამოდის – ქეგლი.

თრითინა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **თრითინა** 1. სინჯაფი, დედოფალა – დ. ჩუბ. || [Musbela nivalis] იგივეა, რაც დედოფალა. თეთრი *თრითინა* თეთრ თოვლზედა თეთრადა თრთის (ხალხ.). მხოლოდ *თრითინების* «ჭიიტ-ჭიიტ» აღვიძებს მიდამოს (ვაჟა). «ხან *თრითინას* მეძახიან და ხან კიდევ – დედოფალას» (შ. მღვიმ.). ირემი, შველი, ჯიხვი, *თრითინები*, მელიები დარბოდნენ სასახლის ირგვლივ (ნ. ლორთქ.). 2. (კახ. ფშ. იმერ.) იგივეა, რაც ციყვი. *თრითინები* დახტიან, ტუჩებს აცმაცუნებენ, კაკლებსა ღრღნიან, აკნატუნებენ (რ. ერისთ.). ძილში ნახა მან *თრითინა* ხეზე ასული (კ. ჭიჭ.) – ქეგლი. იხ. II. თირინა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **თრითინა: ◊ თრითინა მიწა** (იმერ.), «საცა არაფერი მოდის, შეიძლება ჩალა მოვიდეს მარტო» («შინამრეწვ.»). – ხრიოკი, უნაყოფო, გამოფიტული მიწა. შავი ნარი, ბირკა და ფშუტყვავილა და-

პატრონებოდა ამ *თრითინა* მიწას (კ. ლორთქ.) – ქეგლი. აგრეთვე მრეწ. IV, II, 207.

თრითინა: *თირ-თირ > თირ-თინ > თრი-თინ (თირი- ნაცრისფერი რბილი ქვა (ერთელიშვილი 1980: 196, სქ. 1).

თუთა:

სამ., ახ. ქართ. I. **თუთა** 1. [სპარს.] ბაღის ჟოლო – დ. ჩუბ. || [არაბ. თუთ] [Morus alba] ბოტან. ერთსახლიანი ან ორსახლიანი ხე: აქვს მთლიანი ან ამოკვეთილი, დაკბილული ფოთლები, პატარა ყვავილები, მოკლე მტევნებად შეკრებილი; ნაყოფი ტკბილია და წვნიანი; ფოთლებით აბრეშუმის ჭიას კვებავენ (სინონ. იმერ. ბჟოლა. გურ. ბჟოლი). ექვს კვირას ქორფა ჭიას *თუთის* ფოთოლს აჭმევენ (ი. გოგებ.). მიყვარს ვენახში *თუთის* დარხევა (გ. ლეონ.). 2. ამ ხის ნაყოფი (ჩვეულებრივ თეთრი ან შავი ფერისა). «ეს რა მოსულა?! თეთრი *თუთა*, ალაჯა *თუთა*, ცივ-ცივი თუთა!..“ (რ. ერისთ.). ცერის ტოლა თეთრი *თუთა* დათაფლული შტოზე დნება (გ. ლეონ.) – ქეგლი. შდრ. ტუტა (არაბ. თუთა) ხართუთა საბა. „მწყემსი ვიყავ და ვწუალილევდ ტუტასა“ (ამოს. 7, 14) – კ. დან. „აქუნდა მონასტერსა მისსა ტუტაჲ ფრიადი კეთილი“ (ნოველები, II, 93. 13-14) – ზ. სარჯ.

დიალექტ. II. **თუთა** ბალახ მცენარეა. ხიფხოლასა ჰგავს. ნაკელიან ადგილებში მოდის, ღეროს ფცქვნიან და ისე ჭამენ (ფშ. ხორნ.). იხ. I. მათუთა.

თუთხუნ-ი:

დიალექტ. I. **თუთხუნი** თითხინი – ჟინიანი, ნერვიული ლაპარაკი; ჩიჩხინი, მიზეზიანობა. „უთითხინებს“ (მესხ. მაის.). შდრ. თათხვა ძალიან გალანძღვა – ქეგლი.

დიალექტ. II. **თუთხუნი** თუხთუხი, – მოსქო სითხის დუღილის დროს ყრუ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმაური, – ფუხფუხი (გურ. შარაშ.). შდრ. III. თახთახი, თიხთიხი.

თუმან-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **თუმანი** [სპარს.] ათი მინალთუნი (დ. ჩუბ.). ისი ყველაი კიდებული საჭურჭლე იანგარიშეს: სამასათასი *თუმნის* იყო (შჱნ. II, 418, 18). მოსცა შჳდასი *თუმანი* – ყოველს წელს (ქ. ცხ. IV, 579, 24). სახლი ოცი *თუმნის* გირაო იყო, იქ ვინ შეგვიშვებდა (ი. ბარათ. 252, ქვ. 7). ას *თუმნამდინ* თავისი ჯამაგირი გამოუვიდა (ნ. ბარათ.) – გ. გოგატ. || [სპარს. თუმან] ათი მანეთი. გზაზე, რაც ტანისამოსი მქონდა, ამ რუსის ფარაჯაზე გავცვალე და ერთი *თუმანიც* სართი ავიღე (ილია). [დემეტრემ] როგორც იყო, იშოვნა ვალად... ხუთი *თუმანი* ფული (ს. მგალობ.). «[ამხანაგებმა] ხუთი *თუმანი* იძვირეს, ვერ შევძლებთო» (ს. შანშ.) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

დიალექტ. II. თუმანი ქალის ქვედა კაბა. ქალთა ჩასაცმელებისაგან აღსანიშნავია: *თუმანი*, მაიზარი, პერანგი, დეშტუღი, რუბაშკა, ჩიქილა და სხვ. ჭუჭყიან *თუმანი* გარეცხა (ინგ. ასრათ.). შდრ. ნიფხავი (თუმბან ZAaBCbqDE, თუმან Ca.; ფოხან ZBCDE.) – საბა.

თურაჟ:

დიალექტ. I. **თურაჟ** [აზერ.] დურაჯი. *თურაჟ* სუქან ფრინველ, ემი ჯორც ნაჭამ რაჲმი (ინგ. ღამბ., როსტ.). || **დურაჯი, თურაჯი** მცირე ზომის ფრინველი ქათმების ოჯახისა, ლამაზია, სანადირო ობიექტია, ხორცი იჭმება – ქეგლი. თურაჟ < დურაჯი. დურაჯი საშ. ქართულში გამოვლენილი სიტყვაა. შდრ. [არაბ. durrağ, ახ. სპარს. durrāğ, თურქ. durač]. საფიქრებელია სიტყვა არაბულიდან იყოს ნასესხები – ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **თურაჟ** ნესვის ერთ-ერთი ჯიში, მომწვანო ფერისა. „*თურაჟ* დიაღ ტკბილ ნოსი (ნესვია), სიტკბოჲთი ჭმაში ყბაში ენაზე თურთუს აყრის ინსანს (ადამიანს)" («შინამრეწვ.», ინგ. როსტ., ღამბ.). იხ. I. თურაჯი.

თურაჯ-ი:

ახ. ქართ. I. **თურაჯი** ერთგვარი ჯიშის ნესვი – ი. გრიშ.

თურაჯი მუხა-ნესვზე იშვიათი ჯიშის სახელი უნდა იყოს. მისი სახელი ფრინველის თურქულ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ალბათ ნესვის ამ ჯიშს ამ ფრინველის ფერი გადაჰკრავს (ჯავახიშვილი 1986: 277).

საშ., ქართ., დიალექტ. II. **თურაჯი, თურეჯი, დურაჯი** – დ. ჩუბ. || დურაჯი (თურაჯ ZAaBCaqE, დურაჯ CbD.) (ფრინ.) – საბა. || თურაჯი (ქიზ. მენთ.). იხ. I. თურაჟ.

თურთქელ-ი:

საშ. ქართ. I. **თურთქელი** ენის ტკივილი, ბროხათა, ცხენთა – დ. ჩუბ. შდრ. II. თურქული.

ახ. ქართ. II. **თურთქელი** ცხელი ნაცარი (ქიზ. მენთ.). || თურთქლი || თუთქი – ქეგლი. თურთქელი < თურთქლი < თუთქი „ცხელი ნაცარი".

თურო:

საშ. ქართ. I. **თურო** ქორის საჯდომი – დ. ჩუბ. || თური (ნიშინა; [თივი] E.) ქორის საჯდომი (ა) ZABC. ქორის საჯდომელი D. განუმარტავია E – საბა.

საშ. ქართ. II. **თურო, თერო**, – კაკლის ოდენი ნაყოფი მიწავაშლის გემო აქვს (დ. ჩუბ.). || თერო ბალ. – საბა. || [Lathyrus tuberosus] მრავალწლოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა; აქვს წყვილფოთოლაკებიანი ფოთლები, ლამაზი წითელი ყვავილები და ფესვებზე ქლიავის ოდენა გამსხვილება,

რომელიც იჭმება. გავრცელებულია ბუჩქნარებსა და ნათესებში. «გამიგონი, მელიავ, აქ დარჩი, ბალახბულახი ბევრია, მაჩიტას და თეროს ძირს არ მოგაკლებ!» (თ. რაზიკ.). თეროს ფერი გახდა ქალის სახე (ო. ჩხ.) – ქეგლი. || მცენარეა ერთგვარი(ფშ. ქეშიკ., ქსნ. სომხ.).

თურქულ-ი:

ახ. ქართ. I. თურქული თურქების დამახასიათებელი, თურქებისგან მომდინარე სინონ. მე. ოსმალური). თურქული თამბაქო. – თურქული ტანისამოსი. || თურქული ენა. [ფარსმანმა] ზედმიწევნით იცოდა ქართული, არაბული, *თურქული*, ბერძნული (კ. გამს.). თურქულად ზმნს. თურქული წესების, ადათ-ჩვევების მიხედვით. [როსტოვი] თვალებს ხან ხუჭავდა, ...ხან კიდევ *თურქულად* მორთხმულ ტუშინის სუსტ მხრებმოხრილ ფიგურაზე აჩერებდა (ი. აგლ. თარგმ.). || თურქულ ენაზე. თურქულად ლაპარაკობს. – თურქულად დაწერილი წიგნი – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. თურქული ენის ტკივილი ძროხათა და ცხენთა (დ. ჩუბ.). || რქოსანი საქონლის (აგრეთვე ღორის) ჩლიქებისა და პირის გადამდები ავადმყოფობა. უღელი ხარი გვება, და წუხელი გუთნიდან მოგვირეკეს *თურქულით* დაკოჭლებულები (ს. მგალობ.). თურქული – ცხვრის სატკივარია. ცხვარს ფეხები უწყლულდება და ვერ დადის. სწამლობენ შაბიამნით («შინამრეწვ.») – ქეგლი. პირი ტკივა და ფეხებიცა, დაკრუნჩხულია სულა (გუდ. მრეწ. IV, II, 22).

ივარაუდება, რომ თურქულში გამოიყოფა თურქ. ეთნონიმზე დართული -ულ სუფიქსი (თურქ-ულ-ი). ამავე მნიშვნელობისაა ზანურში დადასტურებული თურქული || თურქულა || თურქულე. ზანურის მეორე ფორმა მომდინარეობს -ა ბოლოსართის დართვით (თურქ-ულ-ა), თურქ-ულ-ე კი თურქ-ულ-ას ფონეტიკური სახეცვალია:*თურქ-ულა-ა-ი > თურქულე (ბუკია 2006: 104).

თურშ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. თურში 1. ქვის საზიდი მარხილი (საბა). 2. ტექ. კბილანებიანი თვლების სისტემა, რომელიც გამოყენებულია სიმძიმეების ასაწევად – ქეგლი. ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს ხის სახელწოდება თურსა (თუშ.) უზანი, მცენარეა (ალ. მაყ.). თურსი < თურსა (ხე) > თურშა > თურში || თუში. თურსაყი || თუსა (Viburnum Iantana) უზანი, ისხამს შავ ნაყოფს, მტევნებად მარცვალი კურკიანი აქვს, იყენებენ ტაბიკების, მათრახის ტარებისა და საბრჯენი ჯოხებისათვის. „თურსაყის ჯობიღ მიყიღიდი, კახეთ წავიღოთ, გამოგვადგება“ (თუშ. ხუბ.).

დიალექტ. II. თურში „თათრულია, წნილია“ (მარაბ., ქართლ. მენთ.).

თუღ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. თუღი** [თურქ. თუღ] 1. ისტ. «ოსმალთა ფაშათ წინ სატარებელი ბაირაღი ცხენის ტუისა» (დ. ჩუბ.). პატივ-სცეს ორითა *თუღითა* (ქ. ცხ. IV, 725, 26). ისაყ -ფაშას არღარა აქუნდა ვეზირობა სამის *თუღითა*, გარნა იყო ორთუღიანი პირველისაებრ (ქ. ცხ. IV, 739, 13). 2. ერთგვარი სამკაული. თავზე [ახურავს] გვირგვინის მსგავსი ქუდი *თუღითა*, და მარგალიტებით შემკობილი («დიალ.») – ქეგლი. „შენ თუ იმას ეჯირითო, *თუღემ* დაგადგამ თავზედა“ (აჭ. ხ. პოეზ., აჭარ. ნიე.). || (გურ.) გვირგვინი. 3. თაღი (გურ. ნიკოლ.). **თუღი გვირგვინი** ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. თუღ** ლელი, მცენარეა (ინგ. მაყ.). || [აზერ.] ლელი, პატარა კონებად კრავენ და ოთახის დასაგველად ანდა სუფრის გადასაწმენდად ხმარობენ (ინგ. ღამბ.).

თუშ:

დიალექტ. **I. თუშ** (ინგ. ღამბ.). იხ. I. თუში.

დიალექტ. **II. თუშ** [აზერ.] პირდაპირ. ნატაღ კლუბი *თუში* (კლუბის პირდაპირ) ცხოვროვს (ინგ. ღამბ.).

თუშ-ი:

ახ. ქართ. **I. თუში** თუშები ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ტომი; მოსახლეობენ ახმეტის რაიონში; ქვემო ალვანისა (ბარში) და ომალოსა და დართლოს (მთაში) სასოფლო საბჭოებში (შდრ. წოვათუშები) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თუში** 1. (იმერ.) „ჭურის გადასატანი ძალიან დაბალი ურემი (ჭალები არა აქვს. ბორბლების მაგიერ მსხვილი მრგვალი მორები აქვს)» (ბ. წერეთ.) – ქეგლი. || ქვის საზიდი მარხილი (მთ. კაიშ.). თუში ხის ან ქვის საზიდარი. *„თუშით* ჩამოვზიდეთ ბინი ქვები მაღლიდან“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.). 2. (მთიულ.) ორტოტი კეტი, რომლითაც [გა]მოაცურებენ თივას მარხილზე დასადებად («დიალ.») – ქეგლი. თივის საზიდი კაპებიანი ხე (მთ. კაიშ.). 3. (კახ.) სამკაპიანი ჯოხი, რომელზედაც (მწყემსები) ქვაბს ჩამოჰკიდებენ საჭმლის მოსახარშავად («დიალ.») – ქეგლი. || **თუშრ** საკიდელი მართკუთხად მოხრილი ჯოხია, ერთი ბოლო წაწვეტილი აქვს, მეორე ბოლოზე ნაჭდევებია. წაწვეტილი ბოლოთი მიწაში ჩაარჭობენ, ნაჭდევებიანზე ქვაბს ჩამოჰკიდებენ და ცეცხლს შეუნთებენ (თუშ. ცოც.). 4. ნაძვის ან სოჭის ხშირი და სიბრტყივ გართხმული ტოტები, რაზედაც ჯარჯუბად დააწყობენ მოჭრილ ხეებს (შეშა, სარი და მისთ.) და თავქვე დააცურებენ ხოლმე მოყინულ თოვლზე ან ტყიანი მთის თხრილზე (აჭარ. ნიე.). || ფიჩხის (შეშის) კონა. ფიჩხი კონას რო შაჰკრამ, აითრევ და წამოიღებ, ის არი *თუში* (ხოვ., კავთ., ნოს., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. თურში.

თუხტ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. თუხტი** (ისტილ ZAaBCab, ისტილი CqDE.; სტილ B.) 33 მიტყ(ა)ლი და ნახევარი ZABCqD. 33 მისხალი და ნახევარია Cab. – საბა; დ. ჩუბ. თუხტი ერთი სტილი წონის ძველებური ერთეული, გირვანქის ერთი მერვედი (მესხ. მაის.).

დიალექტ. **II. თუხტი** მცენარეა (ჯავახ. მაყ., ბერ.). შდრ. ტუხტი [Althaea] ბოტან. ბალბისებრთა ოჯახის ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; აქვს მაღალი ღერო და მსხვილი ფერადი ყვავილები. [ხოშია ქმარს] ტანზე სიცხის გამოსანელებლად ტუხტის გამონახარშ წვენს უსვამდა (ვაჟა) – ქეგლი.

თხლაფა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. თხლაფა** თხელმტევნიანი ტკბილი ყურძენი (ინგ. «შინამრეწვ.») – ქეგლი. || **თხლაფაი, თხლაპაი** ყურძნის ჯიშია ერთგვარი. თხელი კანი აქვს და ძალზე ტკბილია (ინგ. ღამბ.). შდრ. **თქვლაფა თეთრა** ყურძნის ჯიშია, ძალიან სუსტი კანი აქვს, დაწურვის დროს ითქვიფება (ზ.-იმერ. წერეთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. თხლაფა** 1. «საქონლის თხელი ნაკელი» (მთ. «დიალ.») – ქეგლი. 2. ტალახი, ჭყაპი. აბა ეხლა რა გაკეთდების, ტალახი, თხლაფარ (ხევს. ჭინჭ.). შდრ. თქლაფი 1. ადვილად გასათქვლეფი რამ (კვერცხი, მწიფე ხილი); 2. რბილი „რა თქლაფი ბუბუ აქ ამ ბროხას!" (გურ. შარაშ.). თხლაფი ძალიან თხელი რბილი (ცომი) (ხევს. ჭინჭ.).

თხლაფა < თხლაფი < თქლაფი. მიჩნეულია, რომ ს.-ქართვ. ბირია *თქეფ-/თქიფ- ხოლო ქართულ–ზანური ერთიანობის ხანისათვის თქ(უ)ლეფ-არქეტიპი (გ. კლიმოვი) (ფენრიხი, სარჯველაძე 1990) იხ. აგრეთვე ჭურდაძე 2005: 144.

ი

იაგან-ი:

ახ. ქართ. I. **იაგანი** [სპარს. იაგანე «ერთი», «ერთად-ერთი»] ნარდის თამაშში – წყვილი იაქე. «*იაგნებია*, აი ეს კარგია, ხომ ხედავ, რა კარები ავიღე!» (ჭ. ლომთ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **იაგანი** || **იეგანი** ძმისწული, დისწული. ჩემი *იაგანი* ბათუმ მივა (ლუთბიე, კლარჯ. ლექსიკ).

იავარ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ. I. **იავარი** «ნატყუენავი», ნატაცები: „შეშჯამო ყოველი *იავარი* მტერთა შენთაჲ“ G, – „შჯამდე შენ ნატყუენავსა მას მტერთა შენთასა“ (M, II, შჯ. 20, 14); „მომეცინ მე კაცმან საყური *იავარისაგან* თჳსისა“ G, – „მომეცინ მე კაცად-კაცადმან თქუენმან საყურე ერთი ნატყუენავისაგან“ (M, მსჯ. 8, 24). **იავარ(ის) ყოფა** «მიმოდატაცება», «გამოტყუენვა», მიტაცება; დავლად ჩაგდება: „*იავარ-ყვეს* იგი ყოველთა თანა-წარმავალთა გზისათა“ Č – „მიმოდაიტაცებდეს მას ყოველნი თანა-წარმავალნი გზისანი“ (Ქ ფს. 88, 42); „ჯურჭერი მისი *იავარ-ყის*“ C – „ჯურჭერი მისი გამოტყუენვად“ (DE, მრ. 3, 27); „კედელი დაარღჳა და საფასე ვერ *იავარყო*“ (მ. სწ. 84, 25) – ილ. აბულ. || „ალაფი, ნაშოვარი“ (დ. ჩუბ.). აღიღეს დიდძალი ნატყუენავი და *იავარი* (ქ. ცხ. II, 39, 21). განამრავლა მან მოსრვითა *იავარი* მაჰმადიანთა (ქ. ცხ. IV, 277, 7). ჯიმშიტ ჯემწიფე გაუბედურდა და *იავარ იქმნა* (შვ. III, 311, 18). ყველას უნდოდა შენი გალეწა, თვით დაილეწნენ, იქნენ *იავარ*! (გ. ლეონ.) – ქეგლი.

იავარი [ფალ. āvār] „ნადავლი“, [სომხ. avar] ნადავლი, ალაფი. შესაძლოა, ია თავკიდური კომპლექსი რაღაცნაირად არეკლავდეს ფალაურ გრძელ ā-ს (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **იავარი** (ჩიქ.) ჩინი სამხედრო პირისა (ფერეიდ. ჩხუბ.).

იაზმა:

დიალექტ. I. **იაზმა** გათხოვილი ქალის თავსაბურავი, ძირითადად შეძლებულები ატარებდნენ. მესხეთ-ჯავახეთში ქმრიანი ქალები მუქწითელსა და მწვანეს აძლევდნენ უპირატესობას, მოხუცებიც კი თალხი ფერის სქელ თავშლებს ხმარობდნენ. ხმარებაში იყო ნაზი მატყლის ნაქსოვი თავშლებიც, რომელთაც ზამთარში იყენებდნენ. საზაფხულოდ ფერადი მარმაშის თავსაფრები მოსწონდათ, განსაკუთრებით მაჰმადიან გოგონებს. (ქართ. მატ. ლექს.). თავზე ქალები იბურავენ ლაჩაქს, *ჲაზმას* (აჭარ. მრეწ. III, I, 260). ლაზ. ჲაზმა || აჲაზმა [თურქ.] „თავსაფარი“. ერთ-ერთი მთქმელის განმარტებით, ეს ერთგვარი პირბადეც იყო. *ჲაზმა* მოთვალეი ნულუნ თავსაფრით დადის (ე. შენგელია 2014: 63).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. *იაზმა, აიზმა* [ბერძ.] იაზმის წყალი – დ. ჩუბ. || ეკლ. *აიაზმა* [ბერძ. agiasmos კურთხევა] წმინდა, ნაკურთხი (წყალი). *იაზმას* ნიკიფორე ასხურებდა თბილელი (ვ. ბარნ.) – ქეგლი. თუნდა *იაზმა* ასხურე, თუნდა დაარტყი (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. *იაზმის წყალი აიაზმა*, წმინდა წყალი, ნაკურთხი სწყალი. *იაზმის აკრეფა* სახლ-კარში ძალიან დიდი სისუფთავის დაცვის გამო იტყვიან ხოლმე: „იგეთი სუფთა პატარძალია, იგრე უვლის სახლ-კარსა, რო *იაზმა* აიკრიფება იმათ სახლში“ (ქიზ. მენთ.). აგრეთვე იაზმა (ა. შან.).

იალ-ი:

დიალექტ. I. *იალი* მცენ. იელი (კახ. მაყ.). იხ. I. *იალა*.

ახ. ქართ. II. *იალი* (jol) შედარებით მოკლე და განიერი ნიჩბიანი ან იალქნიან ნიჩბიანი სახომალდო შლუპი, აქვს 2–8 ნიჩაბი (დ. ვარძ.).

იალა:

დიალექტ. I. *იალა* იელი (მთ. კაიშ). *იალა, იალაი*: „*იალაი* ცხორს ჩხამავს“ (მოხ. ქავთ.). საბა უთითებს, იელი – ხე, თაფლის განმრყვნელი. დ. და ნ. ჩუბინაშვილები კი აღნიშნავენ იელი – შავ-ფაფარა, თაფლის განმრყვნელი. შდრ. ელი (გურ. იმნ., რაცხ. გურ., რჭ., ლჩხ., ა. მაყ).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ი-ალ- „იელი“ > ქართ. ი-ელ-ი || იალ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. *იალა* 1. საცხოვრებელი ადგილი, ბინა. „დავბრუნდით, მოველით ჩვენ საცხოვრებელ იალაზე“. 2. საძოვარი. „წინ-წინ ჩვენ თიებზე ძიენ კარქი საბალახო ადგილები, *იალები* გვქონდა“ (ჯავახ. ბერ.). || *იაილა* [თურქ.] საზაფხულო საძოვარი, იალაღი (თქლ). „გორგითის *იაილა* მათი *იაილაა*“ (არავეთი); „ჩვენ *იაილაში* გადმოვლენ“ (დევესქელი, ნიგ. ბერ.). || *ეილა* (მესხ. ფეიქრ., გურ. ჯაჯან.). *აილა სახლი* კათხა სახლი (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. III. *იალა: იალის თამაშობა*: ქვემო ქართლში დადასტურებული „ბასტი ჩაბმა“, თბილისური „იალის“ თამაშობა და ჯავახეთური „გულთამაშა“ ერთი და იგივე რიგის თამაშობათა ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს... ამ ცეკვაში მოცემულ შინაარსს (გაშიშვლება, ჯობით-წკეპლით უკან დევნა, ჯერ გახდა და მერე ჩაცმა) შეიძლება ჩაითვალოს სიყვარულისა და შვილიანობის მფარველი ღმერთის სადიდებელი რიტუალის გადმონაშთად (მაჩაბელი 1978: 126).

ახ. ქართ. *იალა!* შორისდ. გამოხატავს აღტაცებას. «*იალა!*» – დასძახებდა ის და თავის დიდ ბოხოხს ჯერ მაღლა შეაგდებდა და მერე ძირს დააბერტყებდა (დ. კლდ.) – ქეგლი.

იამან-ი:

საშ., ახ. ქართ. I. *იამანი* აკატი (საბა.). || ძვირფასი ქვა, – აქატი, აყიყი – ქეგლი. იპოვების მგზავსი *იამანის* ქვისა, დიდი და მცირე, მრავალფერნი (ქ. ცხ. IV, 328, 14). || არის აგრეთვე რომელიღაც ლითონის სახელი, რომე-

ლსაც აყიყს უწოდებენ. ამბობენ: ესა და ეს ნაჭერი *იამანზედ* მოჭრილიაო – ი. გრიშ.

დიალექტ. **II. იამანი** მახვილი, იარაღი (ჯვართ ენაზე); *იამან-მახვილი* (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. იამანი** საქონლის ავადმყოფობა. სიმსივნე იცის ჯიქანთან და უმთავრესად ყელთან (ღაბაბში). || ცხენის, ჯორისა და ვირის მძიმე სენი; იცის მუცლის სიმსივნე და იარები – ქეგლი. *იამანი* თუ აქ საქონელს, გაიჩინდლება და ავიზნესავით გააქავრეფს, დეირწმაწნება, წელში იგრიხება (ზ.-იმერ. ბოწ.). *იამანი* სისხლის მოწამლვაა (ფშ. მრეწ. IV, II, 13). **დამან** [აზერ. დიალ.] ციმბირის წყლული (ინგ. ღამბ.). || (ოს.) ცხენის სენია (მთ.-რაჭ. ბიძიგ.).

იან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. იანი** თართისა და ტარაღანის თხელფერდი (მუცლის ზედა ნაწილი) (ს. მენთ.) – ქეგლი. აგრეთვე ი. გრიშ.

ახ. ქართ. **II. იანი: იანის ნაალი** სუზანის ნაალი. „ტახტი, მუთაქა, სუზანი, *იანის* ნაალი და ხალი“ („თემი“) – ი. გრიშ.

დიალექტ. **III. იანი** (წასვლა იანი) (კირიონი). *იან-იან* დადიან თივისთვის (რ. ინან. ჯაფ. 259, 11). || *იანა-იანა* სიარული აქა-იქ, უგზო-უკვლოდ სიარული (ქიზ. მენთ.). || **დანა-დანა** (თურქ. დან-დან „გვერდ-გვერდ“) (აქეთ-იქით, კარდაკარ). *დანა-დანა* დადის (ჩხ., ალგ. სალ.). შდრ. თურქ. [yan] გვერდი, მხარე.

ახ. ქართ. **IV იანი**: ინი და იანი მთელი ჩინური აზროვნების განმსაზღვრელი ცნებებია. ისინი განიხილება საპირისპირო მნიშვნელობის პირველსაწყის სუბსტანციებად (ქრისტ. ლექს.). ინი და იანის მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს: სინათლე და სიბნელე, სიკეთე და სიბოროტე, ქალი და მამაკაცი („დრონ.“).

იაღ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. იაღი** (ფშ). სამოთხე – ქეგლი. || ხევს., ფშ. (დალოცვაში იციან); „თქვენსამც სულს უნათობს, თქვენსამც სულს *აიაღებს* (ალაღებს)“ (ვაჟა, ივერია, 1886, № 35). *იაღად* ამყოფოსო (გუდ.) გაანათლოს, ნათელი აღირსოს, აცხოვნოსო, *იაღშიამც* ხარო (მკვდარს ეტყვიან). || ცხონებულების სამყოფო ადგილი (?) ერთი მოკლული გმირისადმი მიძღვნილ ლექსში იკითხება: *იაღიმც* შახვალ *იაღში*, ზიხარ *იაღთამც* სკამსაო! ამის მიხედვით *„იაღი“* ხევსურეთში უნდა ნიშნავდეს სამოთხეს, ცხონებულთა სამყოფოს და თვით ცხონებულსაც – ა. შან. მოკვდეს, წავიდეს *იაღი*, ერგნეს სამოთხის გზანიო (პ. უმიკ. I,70). || წმინდა, უცოდველი (სული). „ღმერთმა შაიწყალნეს შენნი ბებო-პაპანი, ბმაო მამუკავ, – *იაღად* ქნას იმათი სული“ (ვაჟა). აგრეთვე: იაღი, აიაღებს, იაღამქნელი, იაღობა, იაღში, საიაღო || საიაღები, უიაღებს (ხევს. ჭინჭ.).

სამ. ქართ., დიალექტ. **II. იაღი** [თურქ.] ცხიმი, კარაქი, ერბო (თქლ). „*იაღ* მაასხავ“ (დევესქელი); „თელი *იაღი* გავადნობთ“ (ზედა ქლასკური); „ზეიდან *იაღი* მუა“ (ხება); „*იაღი* რავაი გამაასხავ, დიდი ყაბში ჩაასხავ“ (არავეთი); „სინორ, *იაღ* დავწვავ“ (არავეთი); „პატინა *იაღ* დავასხავ იმ სინორზე“ (არავეთი); „მოვყრით, *იაღი* მოვრეკავთ“ (არავეთის იაილა, ნიგ. ბერ.). აგრეთვე **ჲაღი** (აჭარ. ნიჟ.). **იაღლი** [თურქ.] ცხიმიანი. „და მოვდენ, სარმა გავახვიე, იაღლი“ (არავეთი, ნიგ. ბერ.). **იაღ ლავაში** დასადები წმალი. [თურქ. yağ კარაქი, ქონი] და ქართ. ლავაში-ქონისაგან დამზადებული შემოსადები წმალი. თუ ძარღვი დაჯეჭკილი ჰქონდეს, *იაღ ლავაში* დასდვა და შეუხვიონ (იადიგ. 543, 25).

იახა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. იახა** ყელის სამოსი – საბა. იახა საყელო. თუ დაიკარგა რამე, ამბობენ: შენ წადი, მეეზოვის *იახა* ჩაიჭიო. ჩხუბის დროსაც ამბობენ: ჩემ *იახაზე* ნუ იჭერო და სხვ. – ი. გრიშ. || ჲახა [თურქ.] საყელო. „მოკლეთ, *ჲახა* დევრეკე, ამ კაცზე თლათ გამიტყდა გული“ (აჭარ. ნიჟ.).

იახა მომდინარეა შემდეგი თურქული სიტყვიდან yaka – მისი მნიშვნელობებია: 1. საყელო; 2. საღილე; 3. ნაპირი; 4. მხარე... ეს თურქული სიტყვა სპარსულში ორი ფორმით არის დამკვიდრებული [yaqa/e/] და [yaxa/e/]. მისი მნიშვნელობაა საყელო (ბართაია 2010).

დიალექტ. **II. იახა** კარნიზი, არშია. კარნიზი *იახა* არის (ქართ. მტკვრ. სამხრ. მრეწ. I, 243). || **იარხა, იახა** ფანჯრის მინის ჩასასმელი ამონაკვეთი ჩარჩოში (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. **III. იახა** იარაღი იარაღები: რანდა, შალაშინი... *იახა* (გ.-კახ. მრეწ. I, 116).

იდარე:

დიალექტ. **I. იდარე** [არაბ.] მმართველობა, ხელმძღვანელობა, საარსებო საშუალება, მეოჯახეობა, ცხოვრების წარმართვა. „გაზაფხულზე *იდარე* გამეელევა და რანა ქნას?“ (სტ.); „იქიდან მოგვიდიოდა *იდარე*“ (თ. ქ.); „კაცი უქალოთ *იდარეს* ვერ იქ“ (იმ.); „ახლა *იდარეს* ვეღარ იქმენ“ (იმ.); „ფეიღამბერის ბერზე გევდა და დევლეთი *იდარე* ქნა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. იდარე** ლამპა, ჭრაქი, სანათი. *იდარე* ლამპა იყო სახლებში (აჭარ. ჯაჯან.). || იდარე ლამბაი (idare lambasi) ნავთის პატარა ლამპა (კუტი ლამბაი). „*იდარე* ლამბაი ბუხარში გვედგა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

იერ-ი:

დიალექტ. **I. იერი** ადგილი. სახლი იქნება სამბაღიანიც, *იერს* გააჩნია (აჭარ. მრეწ. I, 417). || ჲერი [yer „ადგილი“]. „ის *ჲერი* აღარ გუუძლიან, დღესაც გზა დაკლაკნილია იმ *ჲერებზე*“ (იმ.); „ბურსას ზათინ ბევრ *ჲერზე* არიან“ (იმერხევი, ჩოხარაძე 2013: 115).

დიალექტ. **II. იერი** ჰაერი, ატმოსფერო. ჯევსურეთისკე წამახვალ, ცა გაგიწითდებ, *იერი* (ხევს. ჭინჭ.) || ეირი ჰაერი. *ეირში* ყანა მოგიჯნაავ, აღარსად დაგიგვალავსო (ხევს. პოეზ. 388, 2) – ალ. ჭინჭ.).

დიალექტ. **III. იერი** სახის გამომეტყველება, შესახედაობა, გარეგნობა (ადამიანისა). პირველი იმისთანა *იერის* ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზე წავიდოდა (ილია). ქეთოს *იერი* შესცვლოდა, გაზრდილიყო ბევრად დიდი თავის ხანზე (ი. გოგებ.). || გადატ. ელფერი. მთქმელის კილოს ისეთი *იერი* სდევდა, თითქოს არც თუ ხუმრობდა და ცალყბად კიდევაც სწამდა (ი. ელეფთ.). *იერი* შეხედულობა (კირ.) – ქეგლი.

იერი შესაძლოა ნასესხები იყოს თურქულიდან (შდრ. თურქ. yer, რომლის ერთერთი მნიშვნელობაა „კვალი“, „ნაკვალევი“, „ნიშანი“) (გიგინეიშვილი 2016).

იერიშ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. იერიში** ზედ-მისვლა, ატაკა – დ. ჩუბ. || სამხ. სწრაფი თავდასხმა, შეტევა მოწინააღმდეგეზე; საერთოდ, შეტევა. [ხერხეულიძეებმა] არა ერთი *იერიში* სპარსელებისა უკუაქციეს (ი. გოგებ.). ციხის აღება *იერიშით* არ შეიძლებოდა (ვ. ბარნ.). || სპორ. მატჩი დაიწყო უნივერსიტეტის კალათბურთელთა სწრაფი *იერიშებით* («ლელო») – ქეგლი.

დიალექტ. **II. იერიში** უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი. პატარძალი მიართმევდა ხოლმე ნეფეს და ამით ამტკიცებდა თავის ხელსაქმის ცოდნას (ქიზ. მენთ.).

ილაჯ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ილაჯი** ღონე (თურქ. ილაჯ ZAaBCab, ილაჯი Cq, [ბაჯალა] E. (+ ღონე არს B) ნაწილი სიმჭნისა და ძლიერებისა – საბა. || [არაბ.]ღონე, ძალა, არაქათი – ქეგლი. სხვა *ილაჯი* არა მაქვს. მეორეთ ნუ დამატყვევებთ (სამ. IV, 564). «თქმა უნდა და *ილაჯი* აღარა აქვს» (ილია). ცოლ-ქმარს თავთავიანთი მარჯვენის გარდა სხვა ილაჯი არა ჰქონდათ (ა. ერ.-ხოშტ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ილაჯი** [არაბ.-თურქ. ilaç] წამალი, მედიკამენტი, სამკურნალო საშუალება (თქლ). *„ილაჯი* გამომიწერა, მაწყინა მეტი, ვერ ვსვამ“ (დევესქელის იაილა). *ილაჯი* უწოდებენ ასევე ყველის კვეთს, რძის ყველად გადაქცევის წამალს. „ყველის *ილაჯი* მაქვა“ (არავეთის იაილა, ნიგ. ბერ.).

იმლიკ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. იმლიკი** 1. ახირებული, უცნაური – დ. ჩუბ. || აზიზი; უკარება, უკადრისა. გობრონი და ციაგა! ...ციაგას *იმლიკი* ხასიათი და გობრონი შინაურ სამოსში!?. მაგრამ, ჰო, ქალი – ხელმოკლეობაში ჩავარდნილი, კაცი – შებღალული; (ვ. ბარნ.). **იმლიკად** ზმნს.

უკადრისად. კოხტა მოძღვარი, ყოველსავე სოფლურს რომ *იმლიკად* დაჰყურებდა და ალმაცრივ, მთლად ჩაეხვივნა სოფლურ ყოფას (ვ. ბარნ.). 2. ეშმაკი, გაიძვერა კაცი (ქართლ. «დიალ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. **იმლიკი** (ქართლ.) ქორფა, მსუქანი (ბატკანი). ბატკანს ვეტყვით, ქორფას, მსუქანს, «რა *იმლიკაო!*» («დიალ.») – ქეგლი. || **ამლიკი** გვიან, დოლის დამთავრების შემდეგ მოგებული ბატკანი, – იმლიკი (ქართლ. მენთ.). || გათამამებული ბატკანი (ფშ. ლეონ). შდრ. თურქ. [emilik] – ალ. ღლ.

ინ-ი:

ახ. ქართ. I. **ინი** მეცხრე ასო ქართულ ანბანში (მეათე – ძველ ქართულ ანბანში) – ქეგლი.

ძვ., საშ. ქართ. II. **ინი** საწყავი არს შთამტევნელი ორთა ხოისთა ატტიკურთა – საბა. || ზომა-წონის ერთეული სითხისა, τό εἴν: ქმნას... ზეთი მესამედი *ინისა* (ეზეკ. 46, 14). ორთა *ინთა* ზეთისა ზეთისხილისათაჲ ბრძანა (ფლავ. 3: 8, 3)

ახ. ქართ. III. **ინი** ჩინურ მითოლოგიაში ბნელი საწყისი, რომელიც ქალური ბუნების სიმბოლოდაა წარმოდგენილი („დრონ.“). იხ. III. იანი.

ინა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ინა** 1. [თურქ. ხინა], [სომხ. ჰინა,] ინა (ბალ.) წითლად შემღებავი – საბა. || (არაბ. ჰენა) [Lawsonia inermis] ბოტან. ტროპიკულ აზიასა და აფრიკაში გავრცელებული ბუჩქი ცოცხმაგარასებრთა ოჯახისა. 2. ამ მცენარის ფოთლებისგან დამზადებული საღებავი, რომელსაც აღმოსავლეთში ხმარობენ თმის, ფრჩხილებისა და სხვ. შესაღებად. ულვაშებიც შეუღებავს *ინითა* (რ. ერისთ.). [მეფეს] რამდენიმე კურცხალი გადმოჰგორდა *ინით* შეღებილ წვერებზე და დაეცა ძირს (აკაკი). ◊ **ბაღის ინა** [Balsamina hortensis] ბოტან. ლამაზ ყვავილებიანი ერთწლოვანი დეკორაციული მცენარე. ფართოდ გავრცელებულია ჩვენს ბაღებსა და პარკებში. მისი ვეგეტაციური ნაწილებიდანაც ამზადებენ იმავე დანიშნულების მოწითალო საღებავს. *ინა* წითელტანიანი ბოსტნის მცენარეა, ხმარობენ თმის შესაღებავად, მისი ღერო და ფოთლები დანაყილი და თმაზე დადებული თმას ღებავს ოქროს-ფრად («დიალ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. **ინა** (იხმარება შელოცვის დროს) ტოტი (?). ავალ ზეცას, ვკითხამ დედას, ჩამოვყვები ბჟოლის *ინას*, დავკრამ წყლისას და გეიპარება დილას (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.).

ინდო:

საშ., ახ. ქართ. I. **ინდო** ძვ. იგივეა, რაც ინდოელი. მერმე *ინდომან* თქვა: «არა, ეგ არ მინდა, სრულად მარჩილი მინდაო» (საბა). მუნ ავთანდილს *ინდო* ეტყვის: «გაქნევ კარგთა სიშმაგეთა» (რუსთაველი) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ინდო** ნდომა, სიყვარული. ერცხვის შურ აქვ, ერცხვის *ინდო* რაადამ არ აქვ. ინდოიანი: სანდომიანი, კარგი, ლამაზი. შენებს თვალებსამც ვენაცვლები, მამიდაიშვილო! ინდოიანებს, ლამაზებსა, მამიდაიშვილო! (ეთნ. კალენდ. 7, 132 – ალ. ჭინჭ.).

ალ. ჭინჭარაულმა მიუთითა, რომ ხევსურულში მინდოდის ნაცვლად გვხვდება მინდი: ...იმით მინდი, კვირიკაო, კარგი იყავ იმითაო (ხევს. პოეზ. 326,1) (ჭინჭარაული 1960:151). შესაძლებელია, **ინდო** ნდომა ზმნის მე-3 პირის ფორმა იყოს. შდრ. მ-ი-ნ-ებ-ს „მსურს“, მ-ი-ნ-დ-ა „მინდოდა“. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სიტყვებისათვის აღადგენენ ს.-ქართვ. *ნ-არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. ინდო! ინდო! (ქიზ.) ინდაურების დამახებება – ქეგლი.

ინდოურ-ი:

სამ. ქართ. I. **ინდოური: ინდოური ენა** ინდური ენა. იმაში ეს ეწერა *ინდოურის* ენითა (რუსუდ. 457, 23).

ახ. ქართ. II. **ინდოური** ინდაური – [Meleagris gellopawo] მოზრდილი ფრინველი ქათმების ოჯახისა; თავი აქვს შეუბუმბლავი; ნისკარტს ზემოდან – ბიბილოსავით წანაზარდი – ქეგლი. || ინდოური ქათამი; ინდოური მამალი – ნ. ჩუბ. გვარად *ინდოური* ვარ, შენთვის აქ მოვიწიეო (თეიმ. I, 53, 2). ულვაშებიანი ვაჟბატონი წამოვარდა ზეზე, აიფხორა *ინდოურივით* (აკაკი). ვაჭრებს გამოეტანათ სანოვაგე, ...ნამცხვარი, დაკლული *ინდოური*, გოჭი (შ. არაგვ.) – ქეგლი. აგრეთვე მრეწ. III, II: ზ.-იმერ. 170, გურ. 225, ქვ. სამეგრ. 214. || **ინდოილი, იმდოილი, ინდოვილი** ინდაური (ქართლ. ძიმ., კეცხ., ხუბ.). **ინდოური** ინდაური ზან. (ლაზ. თანდ.). **ინდური** ინდაური ზან. (მეგრ. ელ.).

ინდაური, რომლის უფრო ძველი ფორმა ინდოური დასავლურ კილოებშია დაცული, ნაწარმოებია ინდო-საგან ურ-სუფიქსით და ნიშნავს „ინდოეთის ფრინველს“ (ჭუმბურიძე 1987: 54).

ინდურ-ი:

ახ. ქართ. I. **ინდური** ინდოელების დამახასიათებელი; ინდოეთიდან მომდინარე; ინდოეთში წარმოშობილი. ძველი ინდური ენა. – აქვეა ინდური და სპარსული ხელსაქმისა და ნაქსოვების ნიმუშები (კ. გამს.) – ქეგლი. ავტოებიდან დღემუდამ გრიალებს რეპი გინდა, ესპანური მელოდიები, *ინდური* და ჩინური ფოლკლორი, *არაბული* ბაიათები (ჯ. ქირია) – ქეგლი. || ძვ. ქართ. ჰინდური (ინდური) – ზ. სარჯ.

ინდური < ინდოური. ინდოური სამ. ქართულში ნიშნავს „ინდურს“ (ლაპარაკს, საქონელს). ძველ ქართულში იხმარება ფორმა ჰინდო, რომელიც ნიშნავს „ეთიოპელს, ხოლო ჰინდოეთი-როგორც „ეთიოპიას, ისე „ინდოეთს“. ტერმინი ჰინდო შემოსული უნდა იყოს ახალი სპარსულიდან

(შდრ. სპარს. hindū „ინდოელი“, hindūg ინდოელი). ირანული გრძელი ū ქართულში გადმოტანილია ო ხმოვნით. არაა გამორიცხული არც ბერძნულიდან სესხება (შდრ. ბერძ. Indos „ინდოელი“ ან „სინდი) (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ინდურა** საწნახლის წინ გამოშვერილი, შუაში ღარისებურად ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც გადმოდის ტკბილი. საწნახლის ინდურს შეუერთებენ ღარს და ღარით ჩადის ღვინო ჭურეფში; სატკბილე აქ არ არის (ჩიხა); საწნახელს წინ აქ *ინდურა, ინდურს* შუაში აქ ღარი, ნახვრეტები აქ, რო მარხილები გოუკეთდეს, თიდან რო ჩამეიტანოს და დოუბას ხარები (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). საწნახელს... სადაც დაწეული აქვს თავი, იმას კი *ინდურს* უძახით (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 124). || **ინდული**: ინდულს შოუყენეთ ჭურჭელი (ბორითი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: რაჭ. კობახ., ფრ.

ინთილა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ინთილა** სტომაქის მოშლა ბევრის ჭამით, ან საწყენი საჭმლისაგან და ვერ მონელება – დ. ჩუბ. ჰკურნებს ქარსა, სევდასა და *ინთილასს* სუნებითა (ქ. ცხ. IV, 372, 8). ◊ ინთილას იკრავს (ქართლ. კახ.) კუჭი აეშლება, მუცელი ასტკივდება (უზომოდ ჭამით ან მაწყინარი საჭმლით). «ღორაძეს ორაგულით *ინთილა უკრავს* და თქვენი ჭირი წაუღია» (დ. მაჩხ.). || საუბ. გადატ. ძალიან გაბღენა – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. || ავადმყოფობა. „რას გადავეყარე ამას, *ინთილა* გამიჩინა“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. ინთილა || იმთილა** 1. გვარი, ჯიში, სინსილა. „შენი ინთილა გაწყდა, ბარეღამ, აჰანდე“ 2. ბოროტი, მზაკვარი. „დიდი *ინთილა* ვინმეა, გულზე გაგაპომს კაც“ (ჯავახ. ზედგ.).

ინჩ-ი:

ახ. ქართ. **I. ინჩი** [სომხ. ინჩ] ძვ. საუბ. რამე. მუცელა მდუმარებდა, არ ეწადა თავის სახელის გამომჟღავნება, და აღარც იმდენი *ინჩი* ჰქონდა თავში, მოეგონა რამ სხვა სახელი (ვაჟა). ◊ **ინჩი[ც] არ იცის** იგივეა, რაც ინჩი-ბინჩი[ც] არ იცის. ეს აზრი ჩვენს მამა-პაპებზე მხოლოდ იმათ ექნებათო, რომელთაც ჩვენი მამა-პაპების ცხოვრების *ინჩიც არ იციანო* (ილია). გიგომ «ინჩი» არ იცოდა რუსულად და მთელ მის როტაში მხოლოდ იგი იყო ქართველი: (ი. გედევ.). ინჩი-ბინჩი : ◊ *ინჩი-ბინჩი[ც]* არ იცის ძვ. საუბ. ხუმრ. არაფერი არ იცის. (შდრ. ინჩი). «[მდივანი] რუსია, კაცო! ქართული *ინჩი-ბინჩი* არ იცის» (დ. კლდ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ინჩი || ენჩი** გაგების უნარი, შეგნება. „ვისაც რომ *ინჩიც* არა აქვს ერთურთის სამსახურისა“ (ბ. 219, 30) – ივ. ქეშიკ. „მაგის *ინჩი* აღარა მაქვ“ (ს. გოგოლაურთა); „აღარ შამიძლავ, *ენჩი* არა მაქვ“ (ს. აჯადი); „ეგეებ

აღარ მაჴსონ, ჩემ დროთას *ენჩი* აღარა აქვ" (ს. ელიაგზა); „გოძია გადაუგონთებულიღაა, *ენჩ* აღარ აქვის" (ს. ლიშო); *ენჩი* ფშაურში საერთოდ გაუგებარ ადამიანს ეწოდება, ხოლო *უინჩო* მოუქნელ- მოუხერხებელი და გაუგებარი კაცია. **უენჩო || უინჩო || ენჩი** (< ლენჩი) აზროვნების უნარდაკარგული, გაუგებარი, მოუქნელ-მოუხერხებელი კაცია (ფშ. გოგატ.).

იოტა:

ბვ., საშ., ქართ., დიალექტ. **I. იოტა** იოტი, მცირეოდენი: „*იოტა* ოდენი ერთი რქაჲ არა წარჴდეს" (მთ. 5, 18); „უმჯობეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ, ვიდრეცა *იოტა* ერთი, გამოხატული სიტყუათაგან" (მ. სწ. 234, 1) – ილ. აბულ. „ამათ სიტყუათაგან *იოტა* ერთი ანუ ბეწჯ ერთი არა წარჴდეს" (ბ. კეს. 121, 16). იკმაე ცოტა, მართ ვით *იოტა*, სიმდიდრე კაცთა ეს არს ჭკვიანად (ქილ. 256, 8). და ლაშქარშიგან, ვით *იოტა*, მოიტაცა, დასცა ჴელი (შვნ. I, 2276, 4). ვერა განარჩევს რვასა ზედა მარტივისა თუალითა წერტილსა ანუ მარცუალსა შლამისას, გინა *იოტასა* (კალმ. II, 393, 17). **იოტის წამი** სრულიად უმცირესი ნაწილი არის ჟამისა ანუ დროჲსა მომდინარეობისა – თ. ბაგრატ. ერთის *იოტის წამისად* (ვეფხ. 836, 3). აგრეთვე იოტი (ქეგლი).

თ. ბაგრატიონი აღნიშნავს: იოტა ნ. ოტა. იოტა აქედამ არის. იოტა – უწვლილესი მტვერი არის, რომელსაც მზე სარკმლიდამ, ესე იგი ფანჯრიდამ შემომდგარი აიღებს წვლილსა მტვერსა. ოტა მტვერი არის: „ოტასა ისხემდეს" ამას ნიშნავს: თავზე მტვერს გარდაიყრიდეს; ოტა ქართულად ოტებადაც, ესე იგი ლტოლვადაც, ანუ გაქცევათაც გამოითარგმანება, მაგრამ იოტა ბერძული ლექსი არის და აქ ვეფხისტყაოსანში ოტა მტვერს ნიშნავს როგორათაც განიმარტა (თ. ბაგრატიონი 1960).

ჩვენც მიგვაჩნია, რომ ოტა ფონეტიკური ცვლილებებით დაკავშირებული უნდა იყოს მტვრის, მიწის მნიშვნელობის სვანურ ტუი სიტყვასთან და ქართულში რომელიმე ქართველური დიალექტიდან უნდა იყოს დამკვიდრებული. ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე აღნიშნავენ, რომ გ. კლიმოვის აზრით, ქართ. მტუერ-, მეგრ. ტვერ-, ლაზ. მტვერ- ფორმებს უკავშირდება სვან. ტუი „მიწა" და მის მიერვე საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის აღდგენილია *მტუელ- არქეტიპი". აქვე მათ მიერ მითითებულია *მტუერ- არქეტიპზე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ქართ. **II. იოტა** „წვრილი ჭიქის მბივი (საბა).

დიალექტ. **III. იოტა** ჩალამბივი – მცენარეა (გურ. ა. მაყ.).

საშ., ახ. ქართ. **IV. იოტა** ლათინური ასოს სახელი. იოტა, ხაზი, მცირედ წარზიდული (მატ. 5, 18), ἰῶτα (ნ. ჩუბ.). იოტა მართლ ჩამოზიდულსა მას ასოსა წერილთასა იოტა ეწოდების – საბა. ბერძნულ ალფაბეტში ι (სახელად -იოტა) იყო ყველაზე მცირე ზომის ასო, რომელთან შედარებაც «ძალიან პატარას» გადმოსაცემად ამის გამო დამკვიდრდა (გიგინეიშვილი 2016).

იშხვარ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. იშხვარი** ზოოლ. „შავი ლაკლაკი“ (საბა), ყარყატი (დ. ჩუბ.). || მდინარის ფრინველია, მაღალი კისერი აქ, ფეხებიც მაღალი და წვრილი, მონაცრისფეროა არც თეთრია, არც შავი. ჩვენ მდინარეზეც იყო, იკვებება თებზით. ყანჩა სხვაა. ყანჩას კისერი ძაან გძელი აქ და რაღაცნაირათ მოხრილი *იშხვარზე* უფრო დიდიცაა (უჩამეთი); ამა და ამ ადგილზე წყლის პირას *იშხვარია* და მისი ნაღველი მამიტანეო (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.).

მ. ჩუხუამ ან სიტყვისათვის აღადგინა ს.-ქართვ. *ʿიშხუარ- არქეტიპი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. იშხვარი** სწორად გაზრდილი ტოტი ხეზე. გადატ. *იშხვარივით* ტანი აქ ამ გოგოს (იმერ. ჯაჯან.). *იშხვარივით* იზდება. გეიზარდა, როგორც *იშხვარი* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || იხშვარი: ტანი მქონდა *იხშვარივით, იხშვარს* ვიტყვით, რო გეიზდება ხეი ან ადამიანი უზადოი (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ).

ვფიქრობთ, რომ იშხვარი < ლიშხვარი. ლიშხვარი იგივეა,რაც ლიშხი გადაჭრილი, ან გადაუჭრელი მცენარის ძირში ნორჩი, სწორად ტანაზრდილი, უტოტო, წვრილი ამონაყარი (ზ.-იმერ. ძოწ.). || ლეშხი (აჭარ. ნიჟ.). შდრ. იშხინ-ი [თ. işgin] ახლადამოყრილი ნორჩი ყლორტები (მცენარისა) – დედაღერზე ამონაზარდი, – ლორთქო, ბარტყი. „იმნაირი იშხინი მუცია ჩქოლისთვინ, რომ ორ წელიწადში ხე გახდება“. სინ. ანაშხალი (აჭარ. ნიჟ). „ამ ბალსა რაფერი იშხინი უქნია, ხედავ?!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

კ

კადა:

ახ. ქართ. I. **კადა** (თუშ.) უბატკნოდ მეწველი ცხვარი – ქეგლი. || კადაც: მომპარე ქორფა ბატკანი, *კადაც* მიწირავ ცხვარსაო (თუშ. ცოც.). იხ. II. კიდო.

დიალექტ. II. **კადა** საცეხვლის კედელი, ნაწილი. მერეტაფას გაუკეთებთ ორ სალოგინეს და *კადას*, რომ გატეხილი ჭაჭიდან გადევიდეს ღვინო საღვინეში (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 315).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კედ- „ნაპირი, კიდე, მხარე“ → ქართ. კედ-, კედ-არ-ი, კიდ-ე (ჩუხუა 2000-2003). შდრ. II. კადონი.

დიალექტ. III. **კადა** (ბოინი) ძმა (ფერეიდ. ჩხუბ.).

კადონ-ი:

დიალექტ. I. **კადონი** კოცონი (გურ. ჭყ.). || კადინა მძიმე, დიდი ცეცხლი (გურ. შარაშ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კად-ან- „გახმობა“ > ქართ. კადონი || კადინა (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კადონი** გასადები ძელი ან ლატანი – დ. ჩუბ. || განივ გადებული ლატანი, ძელი. დაქანებული კიბე, ძელი წონასწორობისათვის და *კადონი* მაგრდება ბოძებზე («ლელო») – ქეგლი. || კადო ქვაბის ჩამოსაკიდებელ ჯოხს ერდოზე ლორწამი ქვია ან კადო (ზ.-იმერ. მრეწ. I, 267). აგრეთვე: ქეგლი, ოკრიბ. ძოწ., მთ., გუდამაყრ. ლეონ.

კავკავ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **კავკავი** სიცივისაგან კანკალი – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. II. **კავკავი** 1. ღავღავი, მცირის ძაღლის ყეფა – ნ. ჩუბ. ძაღლის ლეკვის უღონო ხმიანობა, – წკავწკავი. [ლეკვების] *კავკავი*, ყეფა... ხმაურობას არ აკლებდა სახლსა (ეკ. გაბ.). 2. წეროს ძახილი. «[ბაზიკს] ლერწმაში ჩავსვამ... რა წეროს *კავკავი* მოვა, ამოვუტევებ...» (საბა) – ქეგლი.

საშ., დიალექტ. III. **კავკავი, კავკავის მთა** – დ. ჩუბ. **კავკავი ნაბად** კარგი ხარისხის, მხრებზე მოსასხამი, შავი ფერის ნაბადი (კავკავში დამზადებული (ინგ. როსტ.).

კავშირ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კავშირი** 1. ელემენტი, პირველსაწყისი, შემადგენელი ნაწილი. ყოველი ზიარებაჲ რეცა თუ სწორთა შორის იხილვების, ვითარ ოთხთა *კავშირთა* შორის (პეტრიწი, II, 12, 23). დამშლიან ჩემნი *კავშირნი*, შევრთივარ სულთა სირასა (ვეფხ. 884, 4).

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, რომ მოგვიანებით სიტყვა კავშირი იძენს სხვა მნიშვნელობას: „ელემენტის“ მნიშვნელობიდან გადადის მათს „შეერთებაზე“, „შედუღაბებაზე“ – ი. გიგინ.

კავშირი 2. ის, რაც აერთებს, აახლოვებს, ერთი-მეორეზე დამოკიდებულს ხდის; ის, რაც გარკვეულ მიმართებას ქმნის ორ (ან მეტ) რასმე ან ვისმე შორის, – დამოკიდებულება, ურთიერთ-დამოკიდებულება, მიმართება. საგანთა და მოვლენათა კავშირი. – სიტყვების სინტაქსური კავშირი წინადადებაში. – მსჯელობის დროს [მჟაუნაშვილს] უცებ ავიწყდებოდა საჭირო სიტყვა, ეკარგებოდა აზრთა *კავშირი* (ნ. ლომთ). 3. ახლო, მჭიდრო ურთიერთობა, დაახლოება, სიახლოვე, ერთიანობა. აღამაჰმადმა ერეკლეს დასჯა განიზრახა რუსეთთან *კავშირის* დადებისათვის და კიდევაც დასჯა (მ. ჯავახ.). 4. საერთო მიზნების, ინტერესების, საქმიანობის... საფუძველზე წარმოშობილი გაერთიანება, ორგანიზაცია. 5. ორ (ან მეტ) სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ვარაუდობს ამ სახელმწიფოთა საერთო მოქმედებას შეთანხმებით განსაზღვრულ შემთხვევებში. დარბაზმა... გადაწყვიტა, რომ [საქართველოს] გაეწყვიტა *კავშირი* სპარსეთთან და მიჰკედლებოდა ჩრდილოეთს (აკაკი). 6. იგივეა, რაც პროფესიული კავშირი. კავშირის საწევრო ანარიცხი. 7. მანძილზე ურთიერთობის დამყარების, რისამე შეტყობინებისა და გაგების საშუალება; სხვადასხვა ადგილას მყოფთა შორის, დიდი მანძილით დაშორებულ პირთა შორის ურთიერთობის დამყარება. რისამე შეტყობინება ან გაგება. საჰაერო კავშირი. – სარკინისგზო კავშირი. – სატელეფონო კავშირი რაიონის სოფლებს 8. გრამატ. დამხმარე უფორმო სიტყვა, რომელიც ამყარებს აზრითს ურთიერთობას წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას შორის. «რომ», «თუ», «და»... კავშირებია. – «და» მაერთებელი კავშირია, «თუ» – პირობითი. 9. საუბ. სქესობრივი ურთიერთობა (კაცსა და ქალს შორის). ზალიკომ დაიწერა ჯვარი ერთ მეზობელ გლეხის ქალზე, რომელთანაც, ამბობდნენ, ჯვრისწერამდეც ჰქონდა *კავშირი* (ე. ნინოშ.). 10. დასაკავშირებელი ილეკრომთა – საბა (ქეგლი). || „ტყვია და კალა ერთურთში გადადუღებული“ (ა. შან.). || კაფშირი კავშირი. მითხრეს კაფშირი ქქონია შენე იქაო (ზ.-იმერ. ბოწ.).

დიალექტ. **II. კავშირი: ფეხკავშირი** ჩლიქთეთრი (გურ. შარაშ.). || კავში (ოთხფ.) ფერჭის საოლავ–თეთრი (საბა). „ჩუენი ცხენი ფეხკავშაი იყო“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || კავშა (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე ქართლ. ლექსიკ. მეგრული ფორმა **კაფშირი** „თეთრფეხებიანი ცხენი“ (სენაკი) გურულისაგან მომდინარეობს შ თანხმოვნის მეზობლად ვ > ფ ცვლის შედეგად (ბუკია 2006: 80).

კაკა:

საშ. ქართ. **I. კაკა** უშანა და კაკა რაღაცა წამალია – საბა. შდრ. V. კაკია.

საშ. ქართ. **II. კაკა** კაკლის მარცვალი – დ. ჩუბ. || კაკალი ბავშთა ენაზე. ერთი *კაკა* მამეცი (რაჭ. კობახ.). **კაკა** ნაყოფი ზან. (ლაზ. თანდ). იხ. I. კაკალი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კაკა** ხილი, ტკბილეული (ბავშვის ენაზე). ჩიჩიც მინდა, ბაბაც მინდა, *კაკა* ყველას მირჩევნიაო (ხალხ.). «აქა მამილო! – თქვა კიდევ დედამ, – თან მოიტანე ბევრი *კაკები*!» (რ. ერისთ.) – ქეგლი. „თუ გაჩუმდები *კაკას* მოგცემ“ (ჯავახ. ზედგ.) აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., ქიზ. მენთ.). || კაკაყრ კარგი ბავშვის ენაზე. ვუი, რა კაკაყრ ჩემ ქალ, რა კაკაყრ (თუშ. ცოც.). || სანატრელი, საყვარელი. „ეს ხე შავ *კაკებსა* მეიბამს“ (იმ.); „მეგ *კაკები* მოქპარო?!“ (ი.); „მეგ ლამაზი ბუზმა-კაბა ვინ მოგიტანა? – შენმა ძიამ, ჩემმა *კაკამ*, მან მომიტანა“ (ჰ., ჩვენ. ფუტკ.). **კაკა ტკბილეული** ზან. (ლაზ. თანდ.).

კაკა-ი:

დიალექტ. **I. კაკაი** სათვალე. **სათვალე კაკაი** ეთნ. აკვანზე ჩანოჰკიდებენ სათვალე კაკას – მძივებს და საბავშვო ბრჭყვიალა სათამაშოებს – თითქოს ბავშვი ამის შემდეგ აღარ გაითვლება (აჭარ. ნიჟ.). შდრ. კაკალაი გუგა (ინგ. როსტ.). [სპარს. კაკა] თვალის გუგა (აბაევი 1958: 505).

დიალექტ. **II. კაკაი ყარაყაჰყაი**, – ყურძნის ავადმყოფობაა მარცვლების პატარობის დროს (ინგ. როსტ.). შდრ. **კაკა: ერთკაკა** «ცალკაკა», ცალყვერა: „არა მოუჯდეს კაცი... *ცალკაკაი* G, – „ნუ მოვალს კაცი... ერთ *კაკაი*“ (pb., ლევიტ 21, 20) – ილ. აბულ. იხ. IV. კაკალი.

კაკალ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაკალი** 1. [Juglans regia] მაღალი, ფართოფოთლებიანი ხე; ისხამს მაგარნაჭუჭიან, წენგოიან ნაყოფს; აქვს მაგარი და მძიმე მერქანი, რომლისაგანაც აკეთებენ ავეჯეულობას, – კაკლის ხე. – დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზე, უშველებელი *კაკალი* დგას, შტოებირდაშვებული (ილია). 2. ამ ხის მაგარნაჭუჭიანი, წენგოიანი ნაყოფი, რომლის გულიიჭმება, – ნიგოზი. – ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის *კაკალიც* არაო (ანდაზა) – ქეგლი. **გაკ, კაკ** ნიგოზი, კაკალი (სვან. თოფ., ქალდ.). **კაკალი** ნიგოზი ზან. (ლაზ. თანდ.).

არნ. ჩიქობავა გამოყოფს ს. ქართვ. კაკ-ძირს,-ალ დეტერმინატი სუფიქსია (ჩიქობავა 1938). აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *კაკალ- „კაკალი (ჩუხუა 2017).

სამ. ქართ., დიალექტ. **II. კაკ(ა)ლად** 1. უწოდენ მგრგვალთა (მგრგვალსა A) რას(ა)მე; კაკლად იტყვიან იმერელნი მარცვალთა. კაკლად ითქმის თვალის(ა) სიმგრგვლე, გინა ყვერის(ა) კაკალნი (კაკანი A) – საბა. || პატარა და მრგვალი რამ, რისამე მარცვალი, ბურთულა. სეტყვის *კაკლები* ერთმანეთში იყო ალუფხული და აქა-იქ მოგროვილი (შ. არაგვ.). || (გურ. იმერ.) მარცვალი (მარცვლოვანი მცენარეებისა). [ხონჩაზე] ვწყო გოზინაყი, შაქრის ყინული და ღომის *კაკალი* (ნ. ლორთქ.). 2. (იმერ. გურ.) ცალი. «ორი *კაკალი* მუშტარი უშოვნია... და, გგონია, ხვალაც ეყოლებათ?» (გ. წერეთ.) –

ქეგლი. || რისამე (სიმინდის, ხილის, ნიგვზის) მარცვალი; ცალი; გადატ. საწყალი, საცოდავი. „დეიღუპა *კაკალი* კაცი“ (გურ. ჯაჯან.). || ყურძნის მარცვალი. კუნძა თეთრი ყურძენია, შეკრული ტევანი აქ, რგვალი საშუალო ზომის *კაკალი* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). **კაკალი** მარცვალი ზან. (ლაზ. თანდ.). || **კაკოლი** მარცვალი, ცალი (ხევს. ჭინჭ.). || **კეკალი** მარცვალი (რაცხ. გურ.). **კაკ̌ალ კაკალ** კაკალი, მარცვალი. ცალი, ერთეული (სვან. თოფ., ქალდ.).

ს.-ქართვ. ძირია *ʼკაკ- „მარცვალი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. კაკალი** ღორის ავადმყოფობაა, ფეტვისოდენა მარცვლებს აყრის ხორცში (სინონ. ფეტველა). კაკლიანი ღორის ხორცი მავნებელია. თუ *კაკალი* აქ ღორს, იმიანი ხორცი ადამიანს აზნევეფს, ჩთება მისგან ტყელი ჭია (პირველი სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. II. კაკალი.

სამ. ქართ. **IV. კაკალი, კაკა** „ყვერის კაკალი“ (საბა). აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ʼკაკ- „testicle“ (ჩუხუა 2018: 85).

დიალექტ. **V. კაკალი** საქონლის საბმელი მოხრილი ხე – რკალი (აჭარ. მგელ.). სიტყვა ფუძეგაორკეცებულია. იხ. I. კალი.

კაკალა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაკალა** პური მრგვლად გამომცხვარი პატარა თეთრი პური – დ. ჩუბ. || პატარა მრგვალი პური გამტკიცული ფქვილისა. ხონჩაზე [ეწყო] ნაზუქები, ფუნთუშები, შოთი, *კაკალა* (ვ. ბარნ.). ◊ **კაკალა პური** იგივეა, რაც *კაკალა*. ოდეს ვენახი აყვავდა, ორკოეთს – ბუდეშურები, საგძალი გამომიცხვია თეთრი *კაკალა* პურები (ხალხ.) – ქეგლი. *კაკალა* პური პატარა, მრგვალ ან გრძელყუიან პურსაც ეწოდება (ტბ., ალგ. სალ.). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., ქართლ. მტკვრ. მრეწ. III, II, 144. იხ. II. კაკალი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაკალა** (გურ. იმერ.) ღორის ავადმყოფობაა; ხორცში ფეტვის მარცვალივით დააყრის (ხორცი არ იჭმება) – ქეგლი. *კაკალა* ჭადი კაკლის მარცვლებივითა აქ დაყრილი ხორცს (რაჭ. კობახ.). *კაკალა* და ფეტველა ორივ ერთია. ფეტვის მარცვლებივით ექნება ღორის ხორცზე დაყრილი (ზ.-იმერ. ძოწ., ვ. ბერ.). იხ. III. კაკალი.

დიალექტ. **III. კაკალა** კენჭაობის დროს საწყისი ფიგურის სახელწოდება (ქვ.-რაჭ. კობახ.). იხ. II. კაკალი.

დიალექტ. **IV. კაკალა** წითელი აბრეშუმის ნაჭერი, ქორწილში პატარძალს ჩამოაფარებენ სახეზე (ფერეიდ. ჩხუბ.). || ნაქსოვი ერთ წვერზე, ცალფა ნაქსოვი (იმერ. ქავთ.).

დიალექტ. **V. კაკალაი** გუგა (ინგ. როსტ.). || [სპარსული კაკა] „თვალის გუგა“ (აბაევი 1958: 505).

დიალექტ. **VI. კაკალა** კალატოზი /დაშქესანა/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

კაკანა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაკანა** რამაც კაკანი იცის, რაც კაკანებს. || ვინც კაკანებს – ქეგლი. შდრ. კაკანი გადატ. ქალის კისკისი (ინგ. როსტ.).

მითითებულია, რომ კაკან < *კარკან (შდრ. კარკალი ქათმის კაკანი კვერცხის დადებისა დროს (გურ. ჟღ.) (ერთელიშვილი 1970: 203). კაკანი ქათმისა და კაკბის ჴმიანობა – საბა. სიტყვა ხმაბაძვითი წარმოშობისაა – ბ. გიგინ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაკანა** (ქართლ.) აკვანი (ბავშვის ენაზე). [დედამ] გიგლა ჩააკრა *«კაკანაშია»* (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე კირიონი. „ჩემს შვილს სძინავს *კაკანაში*, ნანავ-ნანა!“ (ვაჟა). *კაკანას* მარტო ბავშვის ენით ეძახიან, ისე აკვანია (კავთ.). ჰოო, ჰოო, გენა! ჩაგაწვენ *კაკანაშია* (საგურ.). აგრეთვე იკ., ლამ. (ქართლ. ლექსიკ.). **კაკანაი** აკვანი (სვან. ლიპარტ.).

დიალექტ. **III. კაკანაი, კაკნიაი** ცხვარი, ბატკანი, კრავი. „ჰაცხან წევდოდა, ეს *კაკნიაც* თან დაჰყვებოდა“ (აჭარ. ნიჟ.). **კაკანას მატყლი** ბატკნის მატყლი. „პირვანდელ გაკნაჭულს, გაპარსულს *კაკანას მატყლს* ვეტყოდით, ბილი იქნებოდა“ (აჭარ. ნოღ.); **საკაკნე** ახორქვეშას ერთ მხარეს გამოყოფილი სათავსო, სადაც კაკნებს (ბატკნებს) ამწყვდევენ; საკაკნე ახორის დანარჩენი სათავსოებისაგან ჩვეულებრივ წნული კედლითაა გამოყოფილი (აჭარ. ნიჟ.).

ს.-ქართვ. *კაკ- (ან-) „ნაშიერი (ვირის, ცხვრის...)“ → ქართ. კაკ-ანა- : ზან. კოკ-ორ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **IV. კაკანა: ცის კაკანა** ბროლის მსგავსი ქვა (ციდან ჩამოვარდნილს ამბობენ) (ხევს. შან.). იხ. III. კაკალა.

კაკანება:

საშ., ახ. ქართ. **I. კაკანება** 1. მტვ. «მოტირალის ქვითინია» (საბა). 2. კაკანება ითქმის ქათმის ხმიანობაზედ. კაკანი ქათმის ხმიანობა – დ. ჩუბ. შდრ. I. კაკანი.

დიალექტ. **II. კაკანება** დიდი, აუტანელი სიცხე, პაპანაქება. ამ *კაკანებაა* დღესა რა დროს ბაზარში წასვლაა?! (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. პაპანება უზომო სიცხე – საბა. პაპანება, პაპანი, პაპანაქი ხვარშაკი, უზომო სიცხე – დ. ჩუბ. || იგივეა, რაც პაპანაქება. ცხელა და ცხელა, პაპანებაა (რ. ერისთ.). || წიწილები ბუჩქებსა ან ფარდულებში შეძლებენ შეფარებას მზის პაპანება სხივებისაგან («მეფრინველ.») – ქეგლი.

კაკაჩა:

მტვ., საშ. ქართ. **I. კაკაჩა** ზოოლ. ერთგვარი მტაცებელი ფრინველი (შევარდნების ოჯახისა) – ქეგლი. || ფრინ. (გაბიან B.; ყურუთყუშ BCbE, ყურუთყუში CaqD.) – საბა. || ჭინო – დ. ჩუბ. კაკაჩა, ყაყაჩა „ბუ“. შდრ. კაკაჩება ხმიანობა: „გინა შემოსილითა ფრთითა *კაკაჩებაჲ* მფრინველთაჲ“ (O, სიბრძ. სოლ. 17, 17); „არა კეთილ არს *კაკაჩებაჲ* ჴმითა“ (Ath– 12, 289r) – ილ. აბულ.

დიალექტ. **II. კაკაჩა: კაკაჩა ვაშლი** ერთგვარი ჯიშის ვაშლია (აჭარ. ნიჟ.). შდრ. კაკაჩი კაშკაში. „მთვარეს კაკაჩი გაუდიოდა“ (მესხ. მაის.). აგრეთვე ქართლ. ლექსიკ.

კაკია:

დიალექტ. **I. კაკია** 1. ბოტ. ხავერდა, იმერული ზაფრანა. უნდა დაბარო მიწა ღრმათა, პრასი უნდა დარგო, *კაკია*, ჭლაკვი, შაშვლავი (წაქვა); ბოსტანში გადადი, მომიტანე კაკია (ზვარე). მოკრიფე *კაკია*, ლობიოს უხთება (ჩიხა); || კროკო ყვავილი. ზაფრანას *კაკია* მაქ შენახული (ზარანი); 2. იმერული ირაგა. *კაკია* ყვითელყვავილიანი ბალახია (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). 3. გვირილა. *კაკია* ბალახს ყვითელგულა, თეთრი ყვაილი აქ, წამლად ხმარობენ, იგივე გვირილაა (ხც., ქართლ. ლექსიკ.). || **კაკია** ბალახი უჯანგარი, – ყრალა ბალახი. ყრალა ბალახზე *კაკია* ბალახიც ითქმება, თეთრი *კაკია* აქ (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. ძირი *კაკ-ა „ყვავილოვანი მცენარე; კოკორი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. კაკია** მჭამელი ცოტას მჭამელი, ცუდი, აზიზი მჭამელი (უმთავრესად ბავშვზე იტყვიან) (რაჭ. კობახ.). შდრ. I. კიკნა.

დიალექტ. **III. კაკია** მძივები და მისთ. სათამაშო-სამშვენისი, კაკილი, კაკილები (გოგონებისათვის) (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. კაკილი, კაკილა.

კაკილა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაკილი, კაკილა** (რაჭ., იმერ.) მძივების აცმულა, – მძივები. ყელზე და გულზე აყრია *კაკილები* რამდენიმე წყებად სხვადასხვა ფერისა და ღირსებისა («ივერია») – ქეგლი. || ღინჭილა, მძივების ასხმა. ფერად-ფერადი *კაკილები* ეკიდათ ხომე აკვანზედა, აყოლებდა ბავშვი თვალსა, ერთობოდა (კავთ., ქართლ. მესხ.). || კრიალოსანი, ხელით სათამაშო ქარვის ან სხვა – მვირფასი ქვის ასხმულა (გურ. ღლ.). იხ. III. კაკია.

დიალექტ. **II. კაკილა** თეთრყვავილებიანი დაბალი ბალახი (იმერ. ქავთ.). აგრეთვე ა. მაყ. კაკილებიანი ყვავილებიანი. ირაგას ვეტყვით, *კაკილებიანია* (პირველი სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე კლარჯ. ლექსიკ

კაკლიან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაკლიანი, კაკლებიანი** რაშიც კაკალია. «გიჟი ვარ *კაკლიანს*, თხილიანს კოდში ან გოდორში ჩავძვრე?» [ამბობს თაგვი] (ვაჟა) – ქეგლი. იხ. I. კაკალი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაკლიანი** (იმერ.) მარცვლებიანი. მწვანე *კაკლებიანი* სურო... ამკობდა მხიარულ ჩიჩილაკს (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. იხ. II. კაკალი.

დიალექტ. **III. კაკლიანი: კაკლიანი ხორცი** მავნებელია. თუ კაკალი აქ ღორს, იმიანი ხორცი ადამიანს აზნევეფს, ჩთება მისგან ტყელი ჭია (პირველი სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. III. კაკალი.

კაკულა:

ახ. ქართ. I. **კაკულა** ილი. გარს უტეხი ტყე არტყია, სათიბი, საძოვარია, ნაირ-ნაირი ბალახი, *კაკულაც* საშოვარია (ხალხ.) – ქეგლი. იხ. II. კაკილა. ძველ სამედიცინო წიგნებში: მაგ.: ქანანელთან კაკელა ზოგჯერ კეკელა || ყაყულა (არაბ. ყაყულა, ან ძველი გამოთქმით, კაკულა) (ქანან. 523) დასტურდება. შდრ. კაკული გვირილა (რაჭ. კობახ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კაკულა** (გურ.) «წელში მოხრილ (მორცხვ ადამიანსაც უწოდებენ)» (გ. შარაშ.) – ქეგლი.

შდრ. კაკვა სახელი კაკვავს ზმნის მოქმედებისა, – [მო]ხრა, [მო]ღუნვა. კაკულა: ულა რთული სუფიქსი. ძირი კაკ-; აღდგენილია ს.-ქართვ. *კაკ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

კაკუნა:

ახ. ქართ. I. **კაკუნა** 1. ვინც ან რაც აკაკუნებს. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ხეკაკუნა – ქეგლი. შდრ. კაკა-კუკი კაკუნის ხმა. კაკუნი რეკა, რახუნი – დ. ჩუბ.

კაკუნი > კაკუნა; კ. ჰ. შმიდტის აზრით, კაკუნი არის კეკა-ს ინტენსიური საფეხური, როგორც ე > ა გადაბგერებისა და -უნ სუფიქსის დართვისაგან ჩანს (Schmidt 1962, 11) – ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **კაკუნაი** ბატკანი, კრავი. *„კაკუნას* ეტყვიან ჩვილ მცხუარსა“ (ანკ., ჩვენ. ფუტკ.). **კაკუნას მატყლი** კაკანას მატყლი. *კაკუნას მატყლი* ბილია, კაია (აჭარ. ნოღ.). იხ. III. კაკანა.

კაკუტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კაკუტი** 1. (იმერ.) სიმინდის საფშვენი ხელკავი. || ღომის საცეხვი – მსხვილი, მოხრილთავიანი. [ღომს] ცეხვავენ დიდი ჯოხით, რომელსაც *კაკუტს* ეძახიან იმერნი (ი. გოგებ.). 2. (ლეჩხ.) მარწუხი («დიალ.») – ქეგლი. || ბოლოში მოხრილი, მოკაკული ჯოხი, ხის კავი, დამაგრებული კედელზე რისამე დასაკიდად, – კაუჭი (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე კაკუჭი, კაკუჭელა (იმერ., ლეჩხ.), კაკუჩა (ქართლ., კახ.) – ალ. ღლ. აღდგენილია ს.-ქართვ. *კაკ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). შდრ. II. კაკულა.

დიალექტ. II. **კაკუტი** წითელი გვირილა (რაჭ., ზ.-იმერ., ალ. მაყ.). იხ. I. კაკულა.

კალ-ი:

დიალექტ. I. **კალი** საქონლის საბმელი ხის რგოლი (აჭარ. ჯაჯან.). *„ძველათ კალით* დავაბემდით, შეშის *კალი* გაკეთდებოდა, ხიდან გაკეთდებოდა ასე...“ (ნიოლ., შავშ. ლექსიკ.). *კალით* დავაბმიდით ფურს (ჰაჯიოსმანიე, კლარჯ. ლექსიკ). **კალი** საკრეფლის ტარი ზან. (ლაზ. თანდ.).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *კალ- ძირი „ფთილა, კონა; საბმელი რგოლი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. *კალი* რბილი, წყალზე მსუბუქი და ჰერში ადვილად ასაპრიალებელი ლითონი; ჰაერისა და სინოტივისგან დასაცავად ნავთში ინახება (ი. იმედ.) – ალ. ღლ. || [არაბ. al-qalī „პოტაშში“] მწვავე კ. – კალიუმის წყალჟანგი, ძლიერი ტუტე; იყენებენ ქიმიურ მრეწველობაში, ტუტე აკუმულატორებში და სხვ. – მ. ჭაბ.

დიალექტ. III. *კალი კალია*. კალია დააჟდა ერთ ძმას შუბლზე. *კალიც* მოკლა და ძმაც (კლარჯ. ლექსიკ). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. იხ. II. კალია.

IV. *კალი* ბრაჰმანიზმსა და ინდუიზმში შივას ქალური განსახიერება – მ. ჭაბ.

კალა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *კალა* [სპარს.] პრპენი (მეტალი) (დ. ჩუბ.). დაეზავნეს მათ... მიღებად მათგან დაუნჯებული მათ თანა *კალაჲ* და ბრპენი [A=162 130r, 9-12a]. აღიგეს ნავითა *კალითა* და ბრპენითა [იქვე 130r, 13-14a]. *კალაობა*: *კალაობისაგან* და ბრპენობისაგან საკჳრველებით შეცვალებულ იყო გამოცდილებად ვეცხლისა [A=162 132r, 8-11ბb] – ზ. სარჯ. || რბილი, ჭედადი, მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონი. მოიღე... *კალა*, დაამტვრიე და ახალ მოკალულ ტაფაში გაადნე! (ბ. ჯორჯ.). [პავლიას] მამამ ქალაქიდან... მოუტანა თუნუქის თოფი და *კალის* პატარა ხმალი (თ. რაზიკ.) – ქეგლი. || *კალაჲ* [თურქ.] კალა. „ფახირის ყაბებსა *კალაჲ* უნდა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ქართულში კალა, წარმომდგარია მალაკის ერთ-ერთი ქალაქის სახელისაგან (კალაჰ), საიდანაც გაჰქონდათ ეს ლითონი შუა საუკუნეებში. ბველ ქართულში მის მაგივრად იხმარებოდა ბრპენი (ჭუმბურიძე 1987: 104).

დიალექტ. II. *კალა*: *კალა* (ვაშლი). გეგონება მოკალეს რაიმეო, *კალისფერია* (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 40). *კალა* თეთრი ფერი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. III. *კალა* რკალი. თონის ზედაპირი, გარეკანი, რომელზეც პურს აკრავენ (ე. მახარობლ.) – ალ. ღლ. იხ. I. კალი.

საშ. ქართ. IV. *კალა* თბილისის ციხე. არმაზი შემცირდებოდა და *კალა* გამდიდრდებოდა (ქ. ცხ. IV, 119, 9). დაიპყრა *კალა*-ტფილისი (ქ. ცხ. IV, 146, 24).

კალე [არაბ.-სპარს.-თურქ.] ციხე, სიმაგრე. *კალა* < *კალე* > ქართ. ყალა („ციხე-სიმაგრე“) (წერეთელი 1992: 92). შდრ. II. ნარიყალა.

დიალექტ. V. *კალა კალია*. „*კალაჲ* ქი უხტება, ის არი“ (უსტ., შავშ. ლექსიკ.). იხ. II. კალია.

კალია:

საშ. ქართ. I. *კალია* „ბალახით ნადნობი ქვა(ა) – საბა. აქა არს ბალახი *კალია*, რომლის ძირს დასწვენ, და ნაცრითა მისით ადუღებენ საპონს უმჯობესსა (ქ. ცხ. IV. 328, 15).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. კალია 1. [Acridium] მოზრდილი მავნებელი მწერი (სწორფრთიანთა რიგისა); ანადგურებს ნათესებს, ჭამს ხის ფოთლებს. თუ არ ღვთით, ვერას დააკლებს *კალიას* ტარბის გუნდები (დ. გურამ.). როგორც *კალია* მოზღვავებული, ერთის მხრით იდგა ურიცხვი მტერი (აკაკი). [ყანა] ჯერ *კალიამ* გამინადგურა; რაც იმას გადაურჩა..., ამ გვალვამ სულ ამოთხარა! (ნ. ლომ.) – ქეგლი. 2. გადატ. სუსტი, გამხდარი (ადამიანი). *კალიაა*, კაცო, მაგას რა ღონე მოეთხოვება? (ტყვ.). ზაალია *კალიაი*, რაღა შორ მიდიხარ? (კარალ. ქართლ. ლექსიკ.). ჯოლი კალია ზან. (ლაზ. კალანდ.).

აღდგენილია საერთოქართველური არქეტიპები *კალ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990) და *მკალ- „კალია" (ჩუხუა 2017). იხ. ჩიქობავა 1938.

კალმას-ი:

საშ., ახ. ქართ. I. კალმასი (კალამას ZCab, კალმას AaCqE.) სომხურია, კალოზე პურის მოშოება, ქართულად მუჩირობა ჰქვიან ZA. – საბა. მაშასადამე ჰგავს საკალმასოდ რონინებ! (კალმას. 358, ქვ. 1). კალმასობა ისტ. პურის (სურსათ-სანოვაგის) – ჩამოთხოვით – მოგროვება კალოებზე (ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ). *კალმასობით* მოგროვილი ღვინო, ხორბალი და ყოველგვარი ნუზლი ხუთი ურმით ჩაუტანა გარეჯის უდაბნოში (მ. ჯავახ.). დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა დროიდან ან რამდენად იყო გავრცელებული *კალმასობა* სიტყვა, წყაროები გვიჩვენებს, რომ თვით მოვლენა, კალმასობის სახელით ცნობილი, სახელდობრ, ჩამოთხოვით «კალოზე პურის მოშოება» – ... ჩვეულებრივი და ძველადვე დაწესებული მოვლენა ყოფილა სამონასტროსა და, საერთოდ, საეკლესიო ყოფა-ცხოვრებაში (ვ. დონდ.). *კალმასობა* სიტყვა პრაქტიკაში ზოგგან «მოსწყდა», დაშორდა «კალოს» და გამოყენებული აღმოჩნდა, პურის გარდა, სხვა პროდუქტების შეკრების აღმნიშვნელ სახელადაც (ვ. დონდ.) – ქეგლი.

შდრ. ბაზმაკალმასი ძველი წეს-ჩვეულება ერთგვარი. ბატონები რო ჰყავთ შინა, შეუთქვამენ ბაზმა შემოვლასა, შემოივლიან, მოაგროვებენ კაკალსა და ფულსა ან კვერცხსა, წაიღებენ ბარბარეში, ან რომელ ხატსაც შეუთქვამენ, და ღამეს უთევენ ხატსა, ეგ არი ბაზმაკალმასი (რუისი), (ქართლ. მესხ.), სპარსული „ბაზმ" – „ლხინი, ქეიფი" (გვახარია 1983, 132). კალმასი „პროდუქტის მოგროვება".

დიალექტ. II. კალმასი ალმასი. ხელში ეჭირნეს ცელები პირებისა *კალმასისა* (კლარჯ. ლექსიკ). შდრ. ალმასი [არაბ. al-მას] 1. მვირფასი ქვა, – უფერო და გამჭვირვალე, ძალიან მაგარი; იხმარება სამკაულად. 2. მინის საჭრელი იარაღი, რომელშიც ჩასმულია ალმასის პატარა ნატები. 3. გადატ. ბასრი, მჭრელი – ქეგლი.

კალო:

მგ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. კალო 1. [სომხ. კალ BCDE.] (3, 12 მათე) სალეწავი ადგილი ZA. – საბა. „განწმიდის *კალოჲ* თჳსი“ (მთ. 3, 12); „შეიყუარენ მოსაცემელნი ყოველსა ზედა *კალოსა* იფქლისასა (O, ოვსე 9, 1) – ილ. აბულ. „ქართლი გალეწე ვით *კალო*“ (არჩ. 268, 423, 2). || საგანგებოდ მოსუფთავებული და დატკეპნილი სწორი მომრგვალო ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ლეწავენ. ხან პურსა მკის მასთან ერთად და ხან ლეწავს *კალოზედა* (აკაკი). დამწიფებულ ყანას მკიან ან ცელავენ, ზიდავენ კალოზე ურმებით (ი. გოგებ.). 2. ადგილი, სადაც პურეულის ძნას მანქანით ლეწავენ – ქეგლი. || პურის სალეწი ადგილი, რისთვისაც სახლის ეზო გამოიყენებოდა (აჭარ. მგელ.); „*კალო* აგზე იყო, აქ გავლეწევდითო“ (მაჩხ., შავშ. ლექსიკ.). კალოს მოპირკეთება (რაჭ. კობახ.). 3. ხვნა-თესვისათვის ვარგისი ორიდან სამ წლამდე ხბო (აჭარ. მგელ.). ◊ კალოს ხარი კევრში შებმული ხარი. კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა (ილია) – ქეგლი. 4. უფასადო, გადახურული ნაგებობა ხევსურული სახლის მეორე სართულის ბანის უკან, სადაც ძნას ლეწავენ ზამთარში. აქვე: გაიკალოებს, იკალოებს, კალოდ გააქვ, კალოდ გაღლეწავს, კალოობა, კალოობს, კალო მაჩალდების, კალოსად გვერდის აქცევა და სხვ. (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე კალოჲ (ინგ. ღამბ.). 5. ერთ ჯერზე გასალეწად ჩაშლილი ძნა. 6. ჭერის ზედა სართულის იატაკი, აწყობენ ჭურჭელს გამოსაწვავად. ჭურჭელი იწყობა კალოზე; ერთს რო დავდგამთ, ახლა მეორეს, ეგრე მიდის სიმაღლეზედა (მეჯვრ., ქართლ. ლექსიკ.). 7. გადატ. საზომი ერთეულია: მოსაზელად მომზადებული კირი ან მიწა. ერთი კალო კირი, ორი კალო და ა. შ. (ქიზ. მენთ.). კალო-კალო ალაგ-ალაგ, შიგადაშიგ. ალაგ-ალაგ რო მოირწყვება ვენახი, ზოგან მოსარწყავი დარჩება, იტყვიან, კალო-კალო მოირწყაო. აქვე: კალოკრეფა, კალოს გასტუმრება, კალო ულეწავი (კავთ., ქართლ. ლექსიკ.).

მ. ჩუხუას მიაჩნია, რომ კალო სიტყვის არქეტიპია ს.-ქართვ. *ˀკალ- „ლეწვა, ფარცხვა“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. კალო 1. კვი, კაკუჭალა. კალოს ვხმაროფთ ბეღელში რამეს ჩამოსაკიდებლად (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.). 2. კალო რკინის ხაფანგის ნაწილია, მისი საფუძველი. წარმოადგენს ბრტყელ რკალს, რაზეც დამაგრებულია ორი გადასახსნელი გამირი, რომლებიც ხაფანგის დაგებულ მდგომარეობაში კალოს ემთხვევა (რაჭ. კობახ.). იხ. I. კალი.

კამა:

მგ., სამ., ახ. ქართ. I. კამა anethum, feniculum, marathrum: „გუელთა განიკურნიან სიბრყჳლე თუალთა თჳსთაჲ, რაჟამს მოვიან *კამაჲ*“ (ბ. კეს.-ეჩუს. დღ. 126, 28) – ილ. აბულ. ქონდარი და *კამა* (იად. 117, 7). || მწვანილი, საჭმელში სახმარი (თ. ბაგრატ.). || რაზიანა ხეკამა – საბა. || [Anethum graveolens] ერთწლოვანი სურნელ-სანელებელი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა. ძიძა

კამასა თესავს (ი. გოგებ.). ხელის თამაშით გადააყარე მწვანე ლობიოს ქინძი და *კამა* (კ. ჭიჭ.) – ქეგლი. კამა კამა ზან. (მეგრ. ელ.).

ცერეცოს ებრაული სახელია კამონ (შდრ. ქართ. კამა) (ივანიშვილი 2014). აგრეთვე ჯავახიშვილი 1986:246.

დიალექტ. II. კამა ახალგამოსული ჭიის გადასაყვანი ცახი. *კამას* უდობდით კაკლიდან გადასაყვანათ. შეღოღდება *კამაზე. კამიდან* გადავსვამთ კერძოთ (გურ. იმნ. 230, 23). შდრ. კამანია/ე-ი ქამენია, ქამანია (ა. მაყ., გურ. იმნ.). || ქამენია [Anthemis cotula] ბოტან. ერთწლოვანი სარეველა მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; ყვავილი უგავს გვირილას, ფოთოლი – კამას, კამანია – ქეგლი.

III. კამა [სანსკრ.] ინდუიზმის პანთეონში: სიყვარულის ღმერთი, ვიშნუს და ლაქშმას შვილი; წარმოდგენილი ჰყავთ ყმაწვილის სახით, რომელიც ადამიანებს გულში ესვრის ყვავილის ისრებს – მ. ჭაბ.

კამათ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **კამათი** რაიმე საკითხის შესახებ განსხვავებული აზრების გამოთქმა-შეპირისპირება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა; დავა, ცილობა. გოჩას ამბავმა მართლაც გამწვავებული *კამათი* გამოიწვია (ლ. ქიაჩ.). მას სურდა *კამათი* მოესპო და ხმამაღლა მიმართა ყველას... (მ. ჯავახ.). მოკამათე მეტოქე, მოცილე. მას ლომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა (რუსთაველი) – ქეგლი.

კამათელისაგან [არაბ.] მოდის კამათობა (იგივე კამათლობა). მოკამათე „კამათლის მოთამაშე". ქვეყნის მნათენი, მოკამათენი ბაზიყად გექმნეს სურვილით რეცა (აბდულმ. 58, 3) – ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **კამათი** ნაირი, მსგავსი. „ჩემ *კამათ* კაც ას" (ა. შან.) ეს სიტყვა ერთვის ნათესაობითს ბრუნვაში დასმულ სახელს და ასრულებს – ვით თანდებულის ფუნქციას. მთიბლური ტირილის *კამათ* იყვ, ეგრე იძახდეს მთიბლურსაც, როგორც ჴმით ნატირალ იყვ (თსუფა № 27757). აგრეთვე იმკამათი იმნაირი, იმგვარი, ისეთი. წინ-წინ რო ფართალ გაგვაშინჯვიეს შიგათრ, ესიც იმკამათრ, მაგრამ ის ჯობდ (ხევს. ჭინჭ.).

კამერა:

დიალექტ. I. **კამერა**: 1. **ბუხრის კამარა || ბუხრის კამერა**. – ბუხრის ფეხების თავზე გადავლებული რკალისებური ნაგებობა, რომელიც იკავებს ბუხრის თავს. 2. იგივეა, რაც კამარა. კამერათ, ნაკადად. ჩემ ნათელას *კამერათ* ქონდა სისხლის დენაი (ქორეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). კამერა < კამარა. შდრ. კამარა შენობის კედლების, სვეტების და მისთ. ზევითა ნაწილების შემაერთებელი, გადამხურავი ნაგებობა, ჩვეულებრივ რკალისებური (შდრ. თაღი) – ქეგლი. კამარა ძველქართულისეული სიტყვაა და სხვადასხვა მნიშვნელობით ფართოდაა გავრცელებული როგორც ახალი ქართუ-

ლის სამწერლო ენაში, ისე დიალექტებში. **კამრა კამრა, კამრაი, კამარა** კამარა (სვან. თოფ., ქალდ.).

კამარა ნასესხებია ბერძნულიდან (შდრ. ბერძ. **kamára** „თაღი", „თაღოვანი" (გიგინეიშვილი 2016). კამარის შესახებ იხ. (დანელია, სარკველაძე 1997: 292; მესხია 1982: 143).

ახ. ქართ. II. კამერა [ლათ. camera] 1. სადგომი ან ოთახი სხვადასხვა სპეციალური დანიშნულებისა. ბარგის შესანახავი კამერა. 2. საპატიმროში – ოთახი, სადაც დამწყვდეულია პატიმარი, – საკანი. დაიარეს კამერები, დაათვალიერეს და გასინჯეს ტუსაღები (ი. გედევ.). 3. საგანგებო დანიშნულების დახურული ცარიელი სივრცე რაიმე ხელსაწყოს (მანქანის, ნაგებობის...) შიგნით. მტვერსაწმენდის კამერა. – რაბის კამერა. – სადეზინფექციო კამერა. – ფოტოგრაფიული კამერა. 4. რეზინის გასაბერი პარკი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულებისა (ავტომანქანის საბურავში, სათამაშო ბურთში და სხვ.). ველოსიპედის კამერა. – ავტომანქანის კამერა. – ავტოსაბურავების ქარხანა – ქეგლი.

კამპ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კამპი** კბენა, საკბენად მომართვა ყბებისა (შდრ. კაპუნი). [კვიცმა] ხელის მიახლოვება იუკადრისა და *კამპი* გამკრა მხარზედა (ვაჟა). და მეც ჩემს ცხენზე ვუთხარი: პირველობს ყარაბაღშია, *კამკემი* იცის, წიხლი-თქო, ცხენი ვერ დაჰკრავს ყალხშია (ვაჟა) – ქეგლი. „ცხენმა *კამპი* გაიკრა" (ქიზ. მენთ.). || ცხენი (ვირის, ჯორის..) ტუჩი (გ. ლიქოკ.). აგრეთვე: დაკამპავს, დაკამპვა (ხევს. ჭინჭ.). კამპვა ცხენის კბენა. „სულ ვინ გაუძლებს ცხენისას მუდამ წიხლსა და კამპვასა" (ფშ. ქეშიკ.). || კამპვა გადატ. ყლაპვა. იტყვიან ძაღლსა და ღორზე, ზოგჯერ ადამიანზეც. დამშეული ტახი საჭმელს კამპავს (ლეჩხ. ალავ.).

დიალექტ. **II. კამპი** გრძელი ჯოხი, თავში ორტოტა, იხმარება საბრჯენად (თუშ. ხუბ.). || კამპრ კაპი, მეცხვარის ჯოხის პატარა ტოტი. ჯოხის კამპზე ცხვარსაც ჩამოატყავებთ, თუ მინდორში ვართა-დ ჩხა არ გვაქვის (თუშ. ცოც.). იხ. I. კაპი.

კან-ი:

ძვ., ახ. ქართ. **I. კანი** 1. მეათე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია კან-ი. წინ სწორედ წადი, რომ კვალი მრუდად არ დარჩეს შენს უკან! ... მაშ, გახდი ჯერ სწორმხედველი.., მაგრამ ისწავლე ჯერ ეს *კ[ან]!* (აკაკი). 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოცს (20) – ქეგლი.

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კანი** 1. თხელი ტყავი – საბა. კანი გარსი, რომელიც შემოკრული აქვს ადამიანის, ცხოველის ორგანიზმს, – ტყავი. გველმა *კანი* გაიძრო, მაგრამ გული გველისა შერჩაო (ანდაზა). ვირი გასუქდა ძალიან, აღარ ეტევა *კანშია* (რ. ერისთ.). || გარსი საერთოდ.

ბუშტს... დავზელდი ნაცარში, გადავაძრობდი ზედა *კანს* და გავბერავდი (აკაკი). ამ კვერცხებს ნაჭუჭის მაგივრად სიფრიფანა *კანი* ჰქონდა და ამ *კანში* ყველაფერი ჩანდა (ი. გოგებ.). 2. ქერქი (უმართებულოა). ჭაბუკმა იწყო მუხის *კანზე* ასოების ამოჭრა (ი. გედევ.)... ეყარა დუქნების წინ... გატეხილი კვერცხები, საზამთროების *კანი* (ს. კლდ.) – ქეგლი. 3. კანი მაზოლი. კან იცსი, მუშაცობას ჭელისგულებზე რო ქინთელაცებს ამაცბამს -*კანი* ისაა, მუშაობისას რომ ბებერებს ამოაბამს ხელის გულზე (თუშ. ცოც.). კანი კოჟიჟი, კოჟრი, კორძი. ქერქ ხის ქერქ ხქვიან, რო გამჭმარ ხეს აზძვრების. *კანე* ჭელზე ამაუვ, დაჟეჟილს ხქვიან (ხევს. ჭინჭ.).

ლ. გელენიძე აღნიშნავს, რომ კან -ფუძიანი სიტყვა მიმღეობის ფორმით დაკანებული შემონახული გვაქვს სინურ მრავალთავში. ლოცვითა მისითა იქმნა ტყავი მუჯლთა მისთაჲ *დაკანულ* ვითარცა მუჯლნი აქლემისანი (სინ. 55, 15). ამ კონტექსტში კან-ფუძეს, საბასეული გაგების საპირისპიროდ, უხეში, გამაგრებულ ტყავის მნიშვნელობა უჩანს. აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ˀკან- „კანი" (ჩუხუა 2017).

კანკალა:

დიალექტ. I. **კანკალაცჷ** ანკარა (გველი), უშხამოა. *„კანკალაც* გონივ მეტაც ემტერებ მონა გველებს"- ანკარა თურმე ძლიერ ემტერება ცუდ გველებს (თუშ. ცოც.). შდრ. II. ანკარა.

დიალექტ. II. **კანკალაც ღობეი** თხელი ღობე. განამ გონთ შეღობ, ერთ რაციმ კანკალაც შემაცვლვ – განა წესიერად შეღობა, ერთი რაღაც *კანკალა* შემოავლო (თუშ. ცოც.). აგრეთვე **კანკალა ღობეი** (ინგ. როსტ., ღამბ.).

კანკალა < კანკალი. კანკალი ცახცახი, თრთოლა. სიტყვა ბგერწერითი წარმოშობისაა. ფუძე კანკალ- მიღებულია კან-ძირის რედუპლიკაციით: კან-კან > კან-კალ (Neisser, 59) – ბ. გიგინ.

კანკარა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კანკარა** გარეული ხილი. რა ახედა, გავიდა მას ხესა და ნახა რამე *კანკარა* წვრილი და შვენიერი, რომე არცა ხე ენახა მის მსგავსი და არცა ხის ნაყოფი (რუსუდ. 30, 25). || კანკრა კენკრა – დ. ჩუბ. || კაკრა რომელთა ხილი არა იჭ(ა)მების კაცთაგან და ფრინველნი ჭამენ, ვითარცა სუროთა – საბა. || კენკრა საერთო სახელია წვრილ მცენარეულ ნაყოფთა (როგორიცაა: მარწყვი, ჟოლო, მაყვალი და მისთ.) – ქეგლი.

კანკარა < კანკრა < კენკრა < კაკრა. ბ. გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ კენკრა, საფიქრებელია, წარმოშობით სვანური ფორმა იყოს და იქიდან შემოსული ქართულში, თუმცა სვანურში ფიქსირებული არაა. აგებულება სიტყვისა, კერძოდ, მისი ბოლოკიდური რა მიმდევრობა, რომელიც ჩვეულებრივია ხეთა და მცენარეთა სახელწოდებებში: სვანური გაკ-რა „კაკალი", იცხ-რა „მსხალი", უსკურა „ვაშლის ხე", მაღ-რა „ფიჩვი, ნაძვი", ზესხ-რა

»ცაცხვი და სხვ. (მარი II, 836-837), გვაფიქრებინებს ამას, ძირი კენკ- შესაძლოა მარცვლის ოდინდელ სახელთან იყოს კავშირში (შდრ. ქართ. კენკ-ვ-ა) (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **კანკარა, კარკარა** 1. წმინდა, ანკარა, არაღრმა, მარჩხი წყალი. „კალატაის წყალი სულ მთლად *კანკარა* და ცივია“ (მოხ. ქავთ.). 2. კეკლუცი, გოგმანით მოსიარულე ქალი. ჩვენი *კანკარა* პატარძალი“ (ქიზ. მენთ.). იხ. I. ანკარა.

კანჭ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კანჭი** წვივი – საბა. ფეხის შუა ნაწილს, მუხლის თავიდან კოჭამდის, წვივს ანუ *კანჭს* ეძახიან (ი. გოგებ.). როცა ძილს დააპირებდა ბატონი, [ლამაზისეული] ფეხის გულებზე და *კანჭებზე* ხელს უსვამდა და ისე აძინებდა (ილია) – ქეგლი. „*კანჭებში* უუტანია ეთეგი მაგ ციცასა, საცემია ახლა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || კანჭალა (ფშ.) კანჭი. დათვი ვირის კანჭალასა ხრავდა (ვაჟა). **კანჯი** კანჭი ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. II. კაჩა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კანჭი** 1. ფრჩხილი (რაჭ., ლეჩხ. «დიალ.») – ქეგლი. || ჭანგი, ბრჭყალი. ბაბუა მგელაისშვილი ვეფხვი *კანჭებზე* დგებისა (ხევს. პოეზ. 253, 12). აქვე: დაუკანჭავს, ნაკანჭარი, შაკანჭული, წაკანჭული, წახკანჭავს – ალ. ჭინჭ. || კანჭი სამტოტიანი ჩანგალი ტაბარუხის (ე. ი. ჯორცის დიდი სქელი, ანუ სქელი ნაჭრის ამოსაღებად (თუშ. მრეწ. II, I, 8). შდრ. კლანჭი ბაზთა ფრჩხილი ZAB. See also: ფრჩხილი, ჭანგი – საბა. 2. კანჭი (ქიზ.) სარეველა ბალახი ერთგვარი – ქეგლი.

შეიძლება აღდგეს ქართულ-ზანური არქეტიპი ამ სიტყვისა *კანჭი-ს სახით (წვივი, „კოჭი“ > კლერტა || გლერტა) (გიგინეიშვილი 2016). აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *კანჭ- (კელაურაძე 2019: 45).

სამ. ქართ., დიალექტ. III. **კანჭი** ჭანგი ღვინო – საბა. || მოძმარება. ე ღვინუკა კაი ქვე იყო, მარა ახლა *კანჭი* შეპარვია (რაჭ, კობახ.). *მოკანჭული* ღვინის მკურნალობა შეუძლებელია. ის სწრაფად უნდა დაილიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთლიანად ძმრად გადაიქცევა. „კანჭნაკრავი“ ღვინო შედარებით ადვილი დასალევი რომ იყოს, „შაქარ წყალში“ აზავებენ და „სახარჯოდ“ იყენებენ (რაჭ. ფრ.). **ღვინის მოკანჭვა** ღვინის დაძმარება (ლეჩხ. ჩიქ.).

ახ. ქართ., დიალექტ. IV. **კანჭი** 1. კიდე, ნაპირი. [სანება] ბოლოს გოგოთურათ ბინის *კანჭზე* დაჯდა-დ' აქაც ილოცვენა-დ' აწმიდებენ ამ ბანს (ეთნ. კალენდ. 10, 109). *კანჭს* თავ არ აგალ! 2. იგივეა, რაც გოზა. გაუტყდა მშვილდი მისრიასაო, ისარნი სწორებს დაურიგნაო, მშვილდისა *კანჭნი* -ყმაწვილებსაო (ეთნ. III, 109, 5). აქვე: მანდელს კანჭით დაიხურავ, მანდელს კანჭით იხურავს, მანდელის კანჭი, ფარაგის კანჭი – ალ. ჭინჭ. || კუთხე, ნაპირი. სახლის ბანის *კანჭზე* ხატები დეებზანათ [დაებრძანებინათ]; „კანჭჩი რაისთუი დაჯექ, ქალავ, შუიდს წელიწადს გაუთხოვარი დარჩები“.

კანჭის ქვა კუთხის ქვა. *„კანჭიანი ჰაჭი* სნოჩია“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე: ფშ. შან., ხორნ.

დიალექტ. V. **კანჭი** „სიმძიმე ნივთისა“ (გ. ლიქოკ., ხევს. ჭინჭ.).

კანჯარ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კანჯარი** გარეული ვირი, onager, asinus agrestis vel silvestris: „განძლენ *კანჯარნი* წყურილსა მათსა“ (ფს. 103, 11); „ნადირი ლომთაჲ არს *კანჯარი* უდაბნოს“ (O, ზირ. 13, 23); *„კანჯარნი* დადგეს ველთა ზედა და წოვდეს ქარსა ვითარცა ვეშაპნი“ (I, იერემ. 14, 6) – ილ. აბულ. მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ მიუწვთომელი, ირემი, თხა და *კანჯარი,* ქურციკი მაღლა მხტომელი (ვეფხ. 75, 2). შენ ლომთა თანა რად ჰლამი ლომობასა, *კანჯარი* სად მოერევი ანუ სად გაექცევი ლომსა? (ვისრ. 103, 6). სიმარდითა მართ დროს კაცამდი მიაწევდა, ვითა *კანჯარი* მოხლტოდა (რუსუდ. 256, 32). ფრენდა და ჰჭოცდა ლაშქარსა, – *კანჯარსა* ლომი ხვადია (შჰნ. I, 1971, 4). კვლავ მოიჩრდილებს შენს ქვეშა ლაღი ირემი ჩხიანი, ქურციკი, ჯიხვი, *კანჯარი* და შველი სანდომიანი (შ. მღვიმ.). და შედრკა ურდოს წინა ნაწილი, როგორც ლომის წინ შედრკეს *კანჯარი* (გ. აბაშ.) – ქეგლი. იხმარება კარგი ვაჟკაცის ეპითეტად. ელუმო თოღუმაშვილო, ვეფხვი ხარ, ველის *კანჯარი!* (ხევს. პოეზ. 20, ბ, 14) – ალ. ჭინჭ.

კანჯარი იგივე უნდა იყოს, რაც [სპარს. kanǯar] „მამალი სპილო“ (იუსტ. აბულაძე 1916: 809); შეიძლება არაბულიდან იყოს შემოსული [არაბ. Kanǧarū „კენგურუ“] (იუსტ. აბულაძე 1938: 364) – ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **კანჯარი: კანჯარი ხე** ნუჟრიანი, როკიანი ხე. „იმფერი *კანჯარი* ხე იყო, რომ რენდემ სულ არ იმუშავა“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. კოჟო ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, – კოჟრი, კორძი, ნუჟრი (აჭარ. ნიჟ.).

კანჯო:

საშ., ახ. ქართ. I. **კანჯო** (თათრ.) მომცრო ნავი – დ. ჩუბ. სანდლებსა და *კანჯოებს,* ვაჰ, თუ გზა გაუცუდდესა! (რ. ერისთ.) – ქეგლი.

თ. ბერაძის აზრით, კანჯო ჩვენში თურქულიდან უნდა იყოს შემოსული. მკვლევრების აზრით, ამ სიტყვის ფუძე კელტურ ენაში უნდა ვეძიოთ, საიდანაც, ესპანურის საშუალებით, მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში გავრცელდა. იტალიური „განზო“ – ganzo და აქედან წარმოქმნილი თურქული „კანჩა“ თუ „კანჩო“ ყოველგვარ კაუჭს აღნიშნავს (თ. ბერაძე 1981: 98).

კანჯო სიტყვის ამოსავლად მ. ჩუხუა მიიჩნევს ს.-ქართვ. *კენმ-ა „ღუზა-ს“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **კანჯო** 1. ბოსლის კედელზე ან ბაგაზე ორივე ბოლოთი მიჭედებული ლითონის პატარა რკალი, რომელზედაც გამოაბამენ საქონელს საბლით (სამბულით). *კანჯო* ნალივით რკინაა, მოხრილი, ბაგაზე

მიკრული და გამოაბევენ ბაწარს (ხვაშითი). ნალის ფორმის რკინის რგოლს ქვია *კანჯო*, დასობილია ბოსლის ჭერზე და მიაბამენ მასზე საქონელს (მანდაეთი). ფარეხში ხარები *კანჯოთია* მიბმული (ღოდორა, ზ.-იმერ. ძოწ.). მოკაუჭებულ კოტას კანჭო ან *კანჯო* ჰქვია (ზ.-იმერ. მრეწ. I, 266, სქ. 8). 2. ოთხკუთხად მოხრილი რკინა ხეზე დასარჭობად. *კანჯო* მოკაუჭებული რკინაა, დაასობენ ხესა, მოუბამენ ჯაჭვსა და გაათრევენ (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.). **კანჯა** (**kanca**) კაკვი ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. I. კანჯო.

კაპ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. კაპი 1. [სომხ.] გრჯღა, ხეზედ ან ჯოხზედ მოკვეთილი რტოს ძირი გრძლად (დ. ჩუბ.). || მოჭრილი ხის ერთგვარი განტოტება, რომელსაც ქმნის მასზე ამოზრდილი რტოს შერჩენილი ნაწილი. || ჩამოსაკიდი (კავი). [ქალმა იარაღი] ჩამოჰკიდა ბოძის *კაპებზე* (ა. ყაზბ.). || გამონაშვერი ბარის ტარზე. [კაცმა] ბარი მოიმარჯვა, [ფეხი] *კაპს* დააჭირა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || ტოტი. ვაშლებს *კაპებს* ამტვრევს (გ. დოლ. 12, 20) – ალ. ჭინჭ. 2. ასხმულა. „ჩირსა ავასხამთ ძაფზე, გავაკეთებთ *კაპებსა*, გადავკიდავთ ქანდარაზე და გავახმობთ კარქა“ (თ. ქ.); „ერთი *კაპი* ღილი მქონდა ყიაში შებმული და ისიც არ შემატია, ამართვა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ. აგრეთვე: ფშ. ქეშიკ., აჭარ. ნიჟ.

აღდგენილია: ს.-ქართველური *კაპ-ძირი (ფენრიხი, სარკველაძე 1990, ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **კაპი** ქალამნის წინ ჩასაკერებელი ტყავი (ლეჩხ. ჩიქ.). იხ. I. კოპი.

კაპან-ი:

ძვ., სამ., ახ ქართ., დიალექტ. I. **კაპანი** ვიწრო ადგილი ან გზა. „ვალნ იგი უვალთა ადგილთა და უკაცურთა და ძნელთა, ღადოთა და *კაპან-კაპანთა*“ (მ. ცხ. 175v); „მირბიოდა *კაპნად* და უჩინო იქმნა“ (Ath – 11, 243r) – ილ. აბულ. || ქვა ღოჯი საბა; ქვა-ღოჯი, ქვიანი ადგილი, ან მთა (დ. ჩუბ.). ზოგჯერ უნდა წასასვლელად, ვით *კაპანმან* კაცი აბას (არჩ. 180, 17, 1). «წამიღეთ, აი, იქ დამმარხეთ, სხვილისის კლდის *კაპნის* გზასა» (ხალხ.). ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, *კაპანია* (რუსთაველი) – ქეგლი. ზოგჯერ უნდა წასასვლელად, ვით *კაპანმა* კაცი აბას (არჩ. 180, 17, 1). „გამხმარ, მჭლე *კაპნებში* ბალახს ამოეხეთქა“ (ფ. ხალვ.). „იმ *კაპან* რომ შეყლავ, მემრენ დამინდრება იწყება“ (აჭარ. ნიჟ.). „აქეერობაში *კაპნებია* ბევრი“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.). || ძალიან დაქანებული და მოკლე აღმართი, ტყესაც უმახიან; *კაპნებში* წავიდეთო, იქ ავაგროვოთო, იქ მოვჩრათო“. „ორი *კაპანი* იყო, ორი ამოსათრევი“. *კაპნებში* ვერ გამოვედი, გამიძნელდა (მეჯვრ., ქართლ. სალ., ქართლ. მენთ.). || კოტაკებზე (წამოზიდული კლდის თხემი). რო გადის *კაპნები*, თხები იქ ასულიყვნენ (ჯავახ. მელიქ.). || სალი

კლდე, მასიური ზომის მაგარი ქვა ანდა ლოდი: „თის ბოლოში *კაპანია* აყუდებული“ (აჭარ. მგელ.). სიტყვა კაპანი ქართლურში შემონახული უნდა იყოს ტოპონიმში კაპანკლდეები ქვიანი ჩასავალია ტყიანიდან ვიწრო ბილიკი (კლდ., ალგ. სალ.). **კაპანი** ქვიანი ადგილი ზან. (ლაზ. თანდ.).

კაპანი [თურქ.] კლდე (გურგენიძე 1973: 138). ითვლება ნასესხებად სომხურიდან (აბულაძე 1916; აჭარიანი 1973, გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაპან-: დაკაპანება** ძალზე დატვირთვა. „ურემი ისე *დეკაპანებიათ*, ღერძას სულ ღრიჭინ-ღრიჭინი გაქონდა“ (იმერ. ვ. ბერ.). დაკაპანებული ძალიან დატვირთული. ურემი *დაკაპანებულია*. ძალიან მოსხმული, – დახუნძლული. „ძალიან *დაკაპანებულია* წლეულს ვაშლი, თუ ქარმა შეარჩინა“ (იმერ. ვ. ბერ.). **დოკაპანელი** დახუნძლული, დატვირთული. **დოკაპანუა** დახუნძვლა, დატვირთული ზან. (მეგრ. ქობ.).

კაპელა:

დიალექტ. **I. კაპელა**: იმერეთის სოფ. ჭალვანში დადასტურებულია სიტყვა კაპელა. მას ლექსიკური მასალის შემკრები (ლ. ბიწაძე) ასე განმარტავს: „კაუჭი, მოკაუჭებული ჯოხი“-ო და დასძენს: „ზემო- იმერეთის სხვა სოფლებში მას შეესაბამება კაკუჭა, კაკუტი, კაკუჭელა“-ო. აშკარაა იმერ. კაპელა-ს ამოსავალი იყო კავკი მისი კნინობითობის -ელა სუფიქსიანი ვარიანტით – *კაკველა (შდრ. იქვე კაკუჭელა (ქ. ლომთათიძე 1984: 43). || კაპალა: ბიჯგებს ვუძახით სარებივით რომ ჩავასობთ კაპალა ჯოხებს (ზ.-იმერ. მრეწ. I, 271).

ახ. ქართ. **II. კაპელა** [იტალ. capella სამლოცველო] 1. ძვ. კათოლიკური სამლოცველო. 2. ძვ. საეკლესიო საგალობელთა შემსრულებელი გუნდი. 3. საერთოდ, მომღერალთა გუნდი – მ. ჭაბ.

კაპილონ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. კაპილონი** ესე არს სახლი მგზავრთ სადგური, არა თუ ფუნდუკი, არამედ სხვა რიგი ZA. ესე არს გზათა ზედა სახლი აგებული მგზავრთა განსასვენებლად და საზრდოს საშოვრად. ესე არა ფუნდუკი არს (საბა). || კაპილიონი ბერძ. პანდუქსიონი, ქარვასლა, გზათა ზედა აგებული მგზავრთა განსასვენებლად და სანოვაგეთა საშოვნელად – დ. ჩუბ. „იხილა ვინმე ჭაბუკი მონაზონი, შემავალი *კაპილონსა*“ (მ. ცხ. 45v). || კაპილაჲ || კაპილიონი || კაპლიონი დუქანი. შეიპყრეს და შეიყვანეს კაპილასა (A= 199 84r, 22-23a). უკუეთუ ვინმე მოყუასი კაპილიონთა შინა მჭამელად იპოოს (დიდი სჯ. 22,17). რომელ პირველ მათ დღეთა წმიდასა მას თანა კაპლიონსა სხდეს (A=199 83r,9-10a) – ზ. სარჯ.

კაპილონი აჭარული სოფლისათვის დამახასიათებელი მცირე ფორმის არქიტექტურული ნაგებობაა, რომელსაც ილია ადამიას მიხედვით აჭარაში „შადრევანს“ ანდა „წყაროს“ უწოდებდნენ. სიტყვა „კაპილონს“ მო-

სახლეობა იშვიათად იყენებდა. ილია ადამია თვლიდა, რომ კაპილონი შეიძლება დამახინჯებული ფორმაც იყოს და „პავილიონს“ ნიშნავდეს, რადგანაც XX საუკუნის შუა წლებისათვის კაპილონი მცირე ფორმის ხუროთმოძღვრულ ნაგებობას წარმოადგენდა. სულხან-საბა ორბელიანი მიუთითებდა „ყოველთა სადგური, ფუნდუკი, გინა კაპილონი“ (აჭარ. მგელ.).

დიალექტ. **II. კაპილონი** წყლის დასალევი ხის ჭურჭელი იყო. იგი სოფლის წყაროებზე ანდა იაილებისაკენ მიმავალი გზების დასასვენებელ ადგილებში გამართულ წყაროებზე გვხვდებოდა (აჭარ. მგელ.). || კაპილა წყლის ამოსაღები ჭურჭელი. „კაპილაი ტარიანია, შეშით გაკეთებული, ყუელა ავაზნი თავზე დვია, იმით წყალ სმენ“ (იმ.); „კაპილაი სამსეა ზეით“ (იმ.); „კაპილაით სმენ წყალსა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || კაპირონა სოფლისა და სხვა საზოგადო წყაროებთან წყლის დასალევი ჭურჭელი– ხისაგან გამოთლილი ტარიანი ჯამი, კათხა (აჭარ. ნიჟ.). შდრ. კალპინი სარწყული – საბა.

კაპიწ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაპიწი** 1. ტყლაპის გასაკვრელი ფიცარი – ქეგლი. || კაპიწი კოდში გვერდის ჩასაყენებელი ფიცარი (ოკრიბ. ძოწ.). 2. ჭაჭის ჩასაყრელი (ჯავახიშვილი 1986: 647). კაპიწში ჩვეულებრივ რძის პროდუქტებს ინახავენ (აჭარ. ნიჟ.). *კაპიწებია* შეკრული და ჩაცყრით კოდში „ჭაჭას,“ ზევიდან თავზე მოკლე ფიცარს დავაფარებთ. *კაპიწეფს* გვერდში უდგამთ (სოჩხეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). **კაპიწი** || **კაბიწი** კასრი ოვალური ფორმის კასრი (ზ.-აჭარ. კობ.). ყავრის ჭურჭლეულისაგან აღსანიშნავია კაპიწი, იგი ოვალური ფორმისაა, „გძელაყა“. ზემო აჭარაში მას გვარდას ეძახიან (აჭარ. სურმ.). **კაპიწი** ზომის ერთეულია; ხისგან გამოთლილი ჭიქა (ლაზ. თანდ.).

კაპიწი < კაბიწი. კაბიწი „სამი კოდი, გინა სამი გრივი, სადამე ათს კოდს იტყვიან“ – საბა. || „საწყაო მარცვალთა სამი გრივი, ზოგგან ათ კოდად იანგარიშების“ – დ. ჩუბ. „ვიდრემდე იპოვებოდა... ოთხი კაბიწი ნაჯდომი ტრედისაჲ ხუთის სასწორის ვეცხლის“ (O, IV მეფ. 6, 25); გადატ. „სასწორი მართალი და საწყაული სამართლისაჲ და კაბიწი სიმართლისაჲ იყავნ თქუენდა“ (O, ეზეკ. 45, 10) – ილ. აბულ. ამის მეტსა დათმობასა ნუ მენუკევ, ცუდად კაბიწითა ქარსა ნუ სწყავ (ვისრ. 198, 4).

შდრ. ძვ. სპარს. καπιθη, ოსური cabič – „მარცვლის საწყაო“, და „საკუჭნაო“ (ანდრონიკაშვილი 1996).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაპიწი**: ◊ **კაპიწი შეეკრა** (ქიზ.) «პირი შეეკრა, ვერ ჭამს, ვერ ლაპარაკობს» (ს. მენთ., ქეგლი).

დიალექტ. **III. კაპიწი** ყვითელი ტირიფის მაგვარი მცენარე, მის წკეპლებს იყენებენ ვაზის ასაკრავად (იმერ. გაჩ.). ვფიქრობთ, რომ კაპიწი < კაპიჭი; კაპიჭი წვრილი წნელი ტირიფისა: ხმარობენ ვაზის შესაყელად, მწვანილის შესაკონად. ძალიან წვრილი წნელი რომელიც არი, ის არი

კაპიჭი (საგურ.). მანეულივით არი კაპიჭი, მწვანილებს ჰკრამენ (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე რაჭ. კობახ. კაპიჭი [სომხ. კაპიჭი – შესაკრავი] – ი. გრიშ.

ახ. ქართ. IV. **კაპიწ-: დაკაპიწება** სახელი დაიკაპიწებს ზმნის მოქმედებისა. 1. სახელოების აკეცვა, აწევა, – დამკლავება. აპა, კაცო! – ჩაურთო პეპეჩამ, რომელსაც ხელების *დაკაპიწება* მოესწრო (რ. ჯაფ.). მოერგო ლავსანის კოსტიუმი ჩოჩეს, – დაკარწახება ეგ არაფერიო, *დაკაპიწებაც* – არაფერიო (ო. ჩხ.). 2. ტანსაცმლის (კაბის, ჩოხის...) კალთების მაღლა აკრეფა, შარვლის ტოტების აკეცვა, – აკვალთვა, დაკარწახება – ქეგლი.

კარაკინ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კარაკინი** 1. [ბერძ.] კრკალი, გინა ფარგალი – დ. ჩუბ.; «მოსამრგვალებელი» (საბა). 2. (რაჭ.) «ქვევრის პირი, რომელზედაც დებენ სარქველს» («დიალ.») – ქეგლი.

ძვ. ქართ. II. **კარაკინი** კირჩხიბი. კუალად მრავალნი არიან უსისხლო უკუ9 სულიერ, ვითარ სელაქნი და მალაკნი და სიპეანი... და ყოველნი კეცტყავოანნი და ჩჩკლქეცნი, ვითარ *კარაკინნი* და ასთაკვნი (ნ. ემეს. 27, 23). ...რომელნიმე არიან უფერჯო, ვითარ თევზნი, და გუელნი, ხოლო რომელნიმე უთავო, ვითარ კარ[აკ]ინნი და კარაბნი (ნ. ემეს. 60,12). შდრ. კარკინონ, კარკინო კიბო, cancer. „დედაკაცსა ვისმე შჯირდა სენი ძუძუსა, რომელსა კარკინონ ეწოდების და კირჩხიბიცა“ (მ. ცხ. 425r); „იყო შეჭმულ ვნებისა მისგან, რომელსა ჰრქჳან კარკინოჲ“ (Ath. – 12, 122v) – ილ. აბულ. კარაკინი, კარკინო (ხიჩაფარ B.) (კარკინნი E) ესე არს დიდი ცხრაფეჯა, რომელსა ბერძენნი პაღურს უწოდენ, ხოლო სომეხნი ხიჩაფარს (+ 2 ნემეს. ZAa3) ZAB. კარკინო პაღურსა ეწოდების – საბა.

ეს ფუძე იგივეა, რაც ბერძნული ὁ χαρχίνος „კიბორჩხალა“ (ქერქაძე 1974: 217).

კართ-ი:

ძვ., საშ., ახ., ქართ., დიალექტ. I. **კართი** 1. თემო. „*მასჯლსა* მარჯუენესა *კართსა* ქუეშე შემკრველი, შევიდა მისა მიმართ“ (ფლავ. 5: 4, 2). 2. შეშა ძარღვი სადრეკისა ZAa. შეშა ძარღვი AbBD. შეშა ძარღვი, გინა ნემსკავი (სამჭედური Cq) C. შეშა ძარღვია (კაჩის ძარღვად სწერია მეორეს სჯულის საკითხავში; ზოგან კართი „ნემსკავსაც ჰქვია (საბა). || ფეხის ძარღვი: „უბრძანა განჴურეტაჲ *კართთა* მისთა“ (ფილიმ. 295r). „*კართნი* დაჰკუეთნეს კუროსა“ (Ath. – 11, 237r); **კართის-დაკუეთა** «ძარღუშეჭრილ-ყოფა»: „*კართნი დაჰკუეთნენ* დიაკეულსა მას ჴევსა მას შიდა“ M, – „ძარღუშეჭრილ ყოს დიაკეული ღელესა შინა“ (G, II, შჯ, 21, 4) – ილ. აბულ. «ხრმლითა დაგჭრი *კართის* ძარღვთა, ვერ დამასწროზ სიტყვის თქმასა» («შაჰნამე») – ქეგლი. შაჰრო.. ვითა *მოკართული* ვირი ტალახსა შიგან, აგრე სირცხუი-

ლისა და შეჭირვებისაგან თავისა გზა-გაუღებელი დარჩა (ვისრ. 42, 14). || მუხლის სადრეკი (უკანა მხრიდან). უთის თოფი არ გავარდა, დათვი მისჯდა *კართთაზედა* (ეთნ. ნადირობა, III, 142) – ალ. ჭინჭ. 3. გადატ. ხის მსხვილი ფესვი. „ხის *კართივ* რაცადამ მოშჩვენბიყოვ, იციან“ – ხის კართიც რაღაცად სჩვენებოდაო, იტყვიან (თუშ. ცოც.).

დიალექტ. II. **კართი** მოჭუჭყნული, ერთი-მეორეზე მიკრული, დაგრეხილი მატყლი მუცლისა და უბეებისა (ინგ. «შინამრეწვ.») – ქეგლი. **კართი** მაგარი, ხმელი, ძველი [თურქ. kart] ზან. (ლაზ. თანდ.).

კარკალ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **კარკალი** 1. კლდე. აქა არს *კარკალი*, სადაცა ზამთარ დნების თოვლი (ქ. ცხ. IV, 370, 21). ესრეთი კლდე შამბიანსა ზედაცა არს მრავალი. უწოდებენ *კარკნალსა* (ქ. ცხ. IV, 321, 8). || წვრილი ქვა-ღორღი, ზოგჯერ იტყვიან ქვებიან ადგილზეც. „იეგ რა საყანე ადგილია, სუ *კარკალია*“; „აიქით გადარეკა ცხვარი, დაზღვეული *კარკალი* როა“. კარკნალი ქვების გროვა, ქვაყრილი (მესხ. მაის., ჯავახ. ზედგ.).

ძვ. ქართ. კარკარი „წყლტუ კლდე“ საბა. რ – რ > რ – ლ (სანიკიძე 1976: 55, ერთელიშვილი 1980: 112).

დიალექტ. II. **კარკალი** კაკუნი, რტყმევა. „ძაან ტკიოდა მორიელის ნაკპენი – ფუხარზე თავს *აკარკალებდა*“ (ქვაბ., გურ. ჯაჯან.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **კარკალი** 1. დედლის თავისებური კაკანი. „მოფსებულმა დედალმა იცის *კარკალი*, ვიტყვით, ე აწი კვერცხს მეიწყებსო“ (გურ. ფოლკ. ღლ. 132, საჩ. შარაშ., ქეგლი). რაცხამ ქოჩორაჲ წამართვა, არ გამაგონა *კარკალი* (ვ. უმიკ. I. 255). 2. მტრედის ხმა. კრეტმა წაიდა, თაის ბარტყები აიყუანა, ხარზენ დაიგდო და ვირსაყენ და ნემსაყენ და მამალსაყენ *კარკალი* თქო და წაიდა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). **კარკალი** კაკანი ზან. (მეგრ. კილ.).

კარკალი: კ(ა)რ – (კრიახი, მიშვნელობა იგივეა), აქედანვეა კაკანი, იმავე მნიშვნელობით (სანიკიძე 1976: 55).

დიალექტ. IV. **კარკალი** კანკალი, ბარბგალი (ვ. ბერ.). **კარკალება** კანკალი, ცახცახი. ზაურის ეშინია, *კარკალება* აქ (მეორე სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. კანკალი. სიტყვა ბგერწერითი წარმოშობისაა. ფუძე კანკალ – მიღებულია კან-ძირის რედუპლიკაციით: კან-კან > კან-კალ (Neisser 59) – ბ. გიგინ.

კარკარ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **კარკარი** წყლტუ კლდე საბა. იხ. I. კარკალი.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **კარკარი** „კულის სმის ხმა (საბა). || კარკარი რაკრაკი ხმაბაბვ. ვიწროყელიანი ჭურჭლიდან სითხის გადმოდინების ხმა – ქეგლი.

დიალექტ. **III. კარკარი** ბზინვა, სისუფთავისაგნ პრიალი. „ისე დაასუფთავა კარ-მიდამო სულ *კარკარი* გაუდის, ძიენ კაი გოგუა“ (ჯავახ. ბერ.). „რო მიხვიდე გესიამოვნება, სუ *კარკარი* გაუდის იქავრობას“ (ჯავახ. ზედგ.). კვერცხს *კარკარი* გაჰქონდა, რა ჭირი გაალაყებდა?! (ტყვ. ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. კრიალი.

კარკარა:

დიალექტ. **I. კარკარა** 1. სარეკელა (წისქვილში); 2. გადატ. ადამიანი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს ან ბევრს იცინის. ბევრ ნალაპარიკ, განაცინევ ინსნიბე (ადამიანზე) ამბოვენ- *კარკარა* (|| ქარქარა) ინსანიავ, ბეურ კარკაროსავ (ინგ. ღამბ., როსტ.). აგრეთვე საინგ. მრეწ. IV, III, 182. იხ. II. კარკარი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კარკარა** (ქიზ.) წმინდა, ანკარა, გამჭვირვალე (ჩვეულებრივ, წყალი), – კამკამა (ქეგლი). თეთრი *კარკარა* ღვინო წაიღო და ეხლა დაიწყო ლაპარაკი?! (ქვეში, ქართლ. ლექსიკ.). იხ. III. კარკარი.

კარტალ-ი:

ძვ. ქართ. **I. კარტალი** «კოლოფი», «კალათი»: „შთასდვა (ნაყოფი) *კარტალსა*“ G, – „შთასხ იგი კოლოფსა“ M, – „შთასდვას იგი კოლოფსა“ (pb., II, შჯ. 26, 2) – ილ. აბულ.

დიალექტ. **II. კარტალიი** „ცუდი, მდარე“ (ინგ. ჯან.) – რ. ღამბ.

კარწახ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კარწახი** (იმერ.) წვივი. აკარწახებული აკეცილი, აწეული (შარვლის ტოტები...) (შდრ. აკაპიწებული). აკარწახებული კაბა ჩამოიშალა (ს. მგალობ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კარწახი** (გურ.) «დიდი აღმართი» (გ. შარაშ.). || „ძალიან აღმართი“. შეღმართი (თვალად. შატბ.).

დიალექტ. **III. კარწახ** წენგო, კოწმახი (მ. ჯან.). || კარწახ [აზერ. დიალ.] წენგო. კაკლი *კარწახში* ბაწარს ღრბავთ (ინგ. ღამბ.). იხ. II. კაწახი.

კასკას-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. კასკასი** კისკისი, გულიანად სიცილი – დ. ჩუბ. || სიცილი, ხმამაღალი და თან წვრილხმიანი, – კისკისი. მოისმა მხიარული *კასკასი* ყმაწვილებისა (ეკ. გაბ.). ვაჟების ყიჟინი, ქალების გულიანი სიცილი და *კასკასი*... ერთმანეთში ირეოდა (შ. არაგვ.) – ქეგლი.

სიტყვა ახალი ფორმაციისაა. მიღებულია კის- ელემენტის რედუპლიკაციით და ბგერწერით ხასიათს ატარებს – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. კასკასი** კრიალი, კამკამი. „მეიწმინდა და ცამ *კასკასი* დეიწყო“ (იმერ. გაჩ.). შდრ. I. კაშკაში.

კაფა:

დიალექტ. **I. კაფა** 1. თამაშობა, კენწლაობა, მისი ერთ-ერთი ხერხი (ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.). 2. კენჭების ხელის ზურგზე შეყრა, ზევით აყრით და ხელის გადმოკვრით ხელში ჩაჭერა (ქართლ. გაჩ.).

მვ., საშ. ქართ. **II. კაფა** || **მოკაფა** „ჭრა“, „ჩეხვა“, გაცვეთა“, „დაუძლურება“. || ხოლო ურვასიოსი ჯრმლითა *კაფად* ურიდად ბრძანა (ევსტოქ. 158, 21). აგრეთვე ილ. აბულ. სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირნი არ ნახნეს *კაფისა* (ვეფხ. 1416, 3).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *კაფ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე: ჩუხუა 2000-2003, გიგინეიშვილი 2016.

ახ. ქართ. **III. კაფა** ძველებური ყაბარდოული ხალხური მასობრივი ცეკვა ზომიერ ტემპში. პოპულარული ყაბარდოული ხალხური ცეკვები – *კაფა*, უდახი, ისლამი („ყაბარდ.“).

კაფე:

დიალექტ. **I. კაფე** კენჭაობის ერთ-ერთი მომენტი (ზ.-იმერ. წერ.). || კაფო კენჭაობისას ერთ-ერთი ილეთია (რაჭ. კობახ.). იხ. I. კაფა.

დიალექტ. **II. კაფე** გუგული. აგე *კაფემ* გადმოგვძახა (ი. ჭყ.). შდრ. კაფე! გუგულის ძახილი. იქ ერთ ხეს რომ გვერდით ჩავუარე, გუგულმა გადმომძახა: „კაფე!“-ო – „მიჯობნია-მეთქი!“ – მივაყვირე (აკაკი). კაფე-თესე გუგულის ძახილს უწოდებენ (გურ. ჟღ., შარაშ., მალაზ.).

ახ. ქართ. **III. კაფე** [ფრან. café] პატარა რესტორანი, სადაც მომხმარებელს შეუძლია ისაუზმოს, მიირთვას ჩაი, ყავა... სიცივისაგან გათოშილმა [ვარლამმა] ისევ *კაფეში* შესვლა გადაწყვიტა, რომ ერთი ჭიქა ყავით გამთბარიყო (ა. ბელ.). **კაფე ზან.** (ლაზ. თანდ.).

კაფია:

დიალექტ. **I. კაფია** სამეურნეო იარაღია, საშუალო თოხსა და ხელეჩოს შორის. ხმაროზენ კარტოფილის, ლობიოს და მისთ. დასარგავად (ზმ.-რაჭ. კობახ.). შდრ. II. კაფა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაფია** მოუმზადებლად, სახელდახელოდ თქმული ლექსი (სიტყვა...), – ექსპრომტი. შეზარხოშებული ჯარისკაცთ დაავიწყდათ თავისი თავიცა და მასპინძელიც, დაიწყეს ფშაურად მღერა, მოაყოლეს *კაფიების* თქმა (ვაჟა). [ყარაჩოღელების] სადღეგრძელოები ყოველთვის *კაფიად* იყო თქმული: უცებ, მოსწრებული და დროის შესაფერი (ი. გრიშ.) – ქეგლი. || აზრი, მნიშვნელობა. „ერთი ამისი *კაფია* გამაგებინე“ (ქიზ. მენთ.). აგრეთვე: გუდ., მთ., ფშ., რაზ.-ჭყ., ა. შან., ხევს. ჭინჭ., ფშ. ხორნ. შდრ. ყაფიაე [აზერ.] ჰანგი ერთგვარი (ინგ. ღამბ.).

კაფია (არაბ.) – ა. შან. კაფია ფორმა ნაწარმოები ჩანს მასდარისაგან კაფა, რომლის ერთერთი მნიშვნელობაა უნდა იყოს „ჯობნა“, „ჭრა“, „ძლევა“. უნდა დავუკავშიროთ მკაფიოს (ეტ. = „მკაფიოდ ნათქვამს“?) (გიგინეიშვილი 2016).

კაშკაშ-ი:

ახ. ქართ. I. **კაშკაში** 1. წმინდა, დაუჩრდილავი სხივების გამოცემა (ჩვეულებრივ, მოწმენდილ ცაზე), – ძლიერი ბრწყინვა, ელვარება. [ფრინველები] იქ წავლენ, სადაც მზეს უფრო *კაშკაში* გააქვს, თბილა და საჭმელიც ბევრია (ი. გოგებ.). მზე ბედნიერი თავზე დაჰყურებს, დაღესტნის ველზე გააქვს *კაშკაში* (ტ. ტაბ.). ფიგურ. დაჟანგებულხარ, გორდაო, დაგობებია ქარქაში! სადა გყავს შენი პატრონი, დაგაწყებინოს *კაშკაში*?! (ვაჟა). 2. იგივეა, რაც კაშკაშა. ცაზე დროგამოშვებით *კაშკაში* მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა (ილია) – ქეგლი.

აშკარაა, რომ სიტყვა კაშ- ელემენტის რედუპლიკაციით არის მიღებული და ექსპრესიული ხასიათისაა. ...არაა ნათელი, რას წარმოადგენს ეტიმოლოგიურად საყრდენი ელემენტი კაშ- (შდრ. სვან. ლი-კჳრ-ე „კაშკაში“) (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **კაშკაში** ამო სიცილი საბა. **კაშკაში** ხმამაღლა გულიანად სიცილი: მოდი ერთი *ვიკაშკაშოთ* (ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. I. კასკასი.

კაჩა:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **კაჩა** ხის კაპი, როკი, კაჩხა. ამისგან კიდე ვერა ღონე აიგო, რომელ *კაჩასა* მისი ზეწარი გამოუნასკუნა სამე ხესა ზედა და მას მოეკიდა და მუნით თავი ჩამოიქცია (ვისრ. 166, 32). მასზე *(კაჩაზე)* ჩხოლში – კვამლში ახმობდნენ დამარილებული ღორის ხორცს (ლეჩხ. ალავ.). კაჩხა, ოჯინჯალა, რომელზედაც ნაჭა (საქვაბე) ჰკიდია (რაჭ. ვ. ბერ., აჭარ. ნიჟ.). **კაჩა** კაკვი (მოკაკული ჯოხი) ზან. (ლაზ. თანდ.). **კაჩო, კაჩალო** ჯორცის საკიდარი, კაპიანი ზან. (მეგ. ქაჯ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კაჩა** 1. «მუხლის ძირის სადრეკი» (საბა). ფეიქარამ სტუმრის დანახვაზე წამოიწია, აიმართა და თავის გრძელ *კაჩებზე* შედგა (თ. რაზიკ.). «ისე გრძელი ტანისამოსი ვიცოდით, რომ *კაჩა* თუ გამოგიჩნდებოდა, დაგბრახავდნენ» («შინამრეწვ.») – ქეგლი. *კაჩაში* რო შამოჰკრამ ადამიანსა, იმწამს ჩაიკეცება (კავთ., ქართლ. მესხ.). რა მოკლე კაბა გაცვია, *კაჩა* ბილამ გიჩამს (მესხ. ფეიქრ.). „*კაჩაში* ქვა მოხვდა და დააკოჭლა“ (ჯავახ. ზედგ.). 2. კაცის ფეხი მთლად/ ბროხის უკანა ფეხი/მთლად (ა. შანიძე). კაჩი, კაჩაი წვივი, კანჭი. ბარკალი (ადამიანისაც და პირუტყვისაც). „ჩუენს დროს ბალღებიც გამაგვაქციან, ვინც წინ გავიდოდ *კაჩას* მისცემდეს, მახარშულ წურილ ფეკს“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე: ფშ. ხორნ., ქართლ. სალარ. 3. ფერდი (ფერეიდ. ჩხუბ). შდრ. კაჩანი ჩლიქისა და წვივის შემაერთებელი ძარღვები (უკანა მხრიდან) (ხევს. ჭინჭ.). შდრ. **კაჩა** დეზი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **III. კაჩა** [თურქ.] საქონლის თავის უკანა ნაწილი კისრამდე. „ჩიჩვირიდან *კაჩამდი* რომ ტყავს გახდიან, მემრენ ხაპერი შეგვრჩება ხელში“ (აჭარ. ნიჟ.). || კეფა. „ჩუუტანებია ხელი მეგომ *კაჩაში* და აღარ გუუშვია, აწყალმი მუუკლია კაცი“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. კაჩა: კაჩა-ვაშლი** ვაშლის ჯიშია ერთგვარი. „[სახელები აჭარული ვაშლისა:] *კაჩა-ვაშლი*, ყირმიზ-ვაშლი“ (თ. სახ., აჭარ. ნიჟ).

ახ. ქართ., დიალექტ. **V. კაჩა: კაჩამაღალა** (ლეჩხ.) «შხამიანი სოკოა ერთგვარი» («დიალ.») – ქეგლი.

კაწა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაწაი** (მოხევ. მთიულ.) მაჩიტა – ქეგლი. || ბალახია. მისი ძირი იჭმევა. თვითონ ძირსა ჰქვიან *კაწაი* (მოხ. შან.).

დიალექტ. **II. კაწაი1.** ჭიდან წყლის ამოსაღები ჭურჭელი: *კაწას* სცემდნენ ქვერიზში, წყალ ამააქონდნენ; 2. სამარილე ხისა ან ფაიფურისა. 3. ხის ფილი, რომელსაც ზედვე გამოთლილი სახელური ჰქონდა (ინგ. როსტ.). სამარილეს, ანუ მარილი *კაწასაც* სატეხით აკეთებდნენ (საინგ. მრეწ. II, I, 65). აგრეთვე: ინგ. ჯან.; ღამბ. შდრ. **კაწი** (ვიწ.) ხის ან თიხის სინი ზან. (ლაზ. თანდ.). **კაწ ჭდე** (ინგ. ღამბ.).

ვფიქრობთ, კაწაი მნიშვნელობით უნდა უკავშირდებოდეს კაწვრას სიტყვას. ძირი კაწრ-; თემატური სუფიქსი ვ გადასმულია. ქართველური არქეტიპი ამ ზმნის ძირისა აღდგება კაწრ- სახით (გიგინეიშვილი 2016).

კაწან-ი:

დიალექტ. **I. კაწანი** თოვლის გროვა, წარმოქმნილი ქარ-ბუქისაგან, სახურავებზე ან ხევებში. „დიდი *კაწანია*, გადმოშვერილი სახურავიდამ, თუ დაცურდა, ზირთ დაანგრევს ყუელამფერ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || (ზ.-აჭარ.) თოვლის გროვა – სახლის სახურავზე ერთად დაგროვებული, ქარისაგან აქა-იქ შეყრილი თოვლი: ლოლუებად ქცეული ჭირხლი, – კარჩხი (აჭარ. ნიჟ.). შდრ. **კაწუმელი** ნისლი მთაში ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კაწანი** 1. ეკლის ღობე – დ. ჩუბ. || მგ. პატარა ეკლოვანი ღობე (საბა). 2. პატარა ღობე, დაბალი ღობე (ქიზ. ქეგლი). || ჯაგების ღობე ცხვრის ბინის გარშემო (დაბალი, უსარო) (თ., ფშ. შან.). კაწანაჲრ წნელის სახელდახელო ბაკი. შემოდგომას, სანამდინას საზამთროებში ჩავალთ, *კაწანაჲებში* გვიდგ ცხვარრ (თუშ. ცოც.).

დიალექტ. **III. კაწანი:** რა *კაწანი* მეგედოო -გეწყინაო (მარაბ., ქართლ. მენთ.). შდრ. კონწარი «მიზეზიანი კაცი» (ი. ჭყ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *კაწ- „გაბრაზება, კაპასობა“ (ჩუხუა 2000-2003).

კაწარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაწარი** 1. (ფშ.) ბრჭყალი. «ამანდ რა თაგვებ ყოფილა, სრუ გადაკრიფეს მარცვალი, ცოტახან დამბინებიყო, გულზე დამისვეს *კაწარნი*» (ხალხ.) – ქეგლი. თვალ-პირზე გაალამაზეთ, ლოკ *კაწრით* ჩამახფხიკეთა (ხევს. პოეზ. 577, 25) – ალ. ჭინჭ. 2. ნაკაწრი, ნაფხაჭნი (თამ.). 3. ბოსტანში, ბაღში ვიწრო ზოლად დასერილი მიწა რისამე დასათესად, წყლის სადენად და სხვ. თავიდან დაყვები და ბოლომდისინ ჩაატარეფ თოხითა *კაწარსა*, კვალივით გაავლეფ, შიგ ჩაყრი სასუქსა (ქორ.). კბილებივით აქ კაბდოსა, მიდის და *კაწრეფს* უკეთეფს, მივდემთ თითო *კაწარსა* თითო ქალი და ვთესამთ (დის. აგრეთვე ზერ.). 4. მწკრივი (ვაზისა, ლობიოსი...) შარი. ორი *კაწარიღა* დამრჩა და მალე გამოვთოხნი იმასაცა (ტყვ.); აგრეთვე ვარ., კარალ. (ქართლ. ლექსიკ.).

ს.-ქართვ. *კაწ- „წვივი, კოჭი" > ქართ. კაწ-არ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. კაწარი** ცეცხლისაგან გამავებული ან შეწითლებული ადგილი კანზე. კაწრები ნამცხვარს შავად აჩნდება, ცეცხლთან ხშირად მჯდომ გოგონას წვივებს კი – წითლად (ლეჩხ. ალავ.). შდრ. კოწოლი (ლეჩხ.) ცეცხლის ალი; შეშავება (მ. ალავ.); ალნაკრავი. «კეცი რო შვა ცეცხლში ჩაგიდგამს, ჭადს სულ კოწოლი გასჩენია» (მ. ალავ.) – ქეგლი. აღდგენილია ს.– ქართვ. *კოწ-ძირი (ჩუხუა 2000-2003).

კაწახ-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაწახი** ისრიმი: „კაწახი ყუავინ ყუავილსა შინა" (O, ეს. 18, 5); „არღარა თქუან მერმე: მამათა ჭამეს *კაწახი* და შვილთა კბილნი მოჰლბეს" (O, იერემ. 31, 29); „კაცი, რომელი ივლტოდის კაცთაგან, მსგავს არს იგი ყურძენსა მწიფესა, ხოლო რომელი კაცთა თანა აღრეულ იყოს, მსგავს არს იგი *კაწახსა* უნდილსა" (მ. ცხ. 73v). აქვე გამოკაწახება – ილ. აბულ. || უმწიფარი, მკვახე (ხილი). გადავძახე: «სამურაბედ რად იმეტებ მაგასაო? საიმისოდ ჟოლს არჩევენ, ან შვინდს, კაკლის *კაწახსაო!*» (ბაჩ.) – ქეგლი.

კაწახი < *კოწახი (ასიმილაციით). კოწახური ნაწარმოები ჩანს -ურ სუფიქსით *კოწახ-ისაგან. შდრ. მეგრ. კორწოხური, სვან. გოწხირ (< *კოწხირ < *კოწახირი < *კოწახური). სვანური და მეგრული ფორმები ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები. ქართულიდანვეა შესული სომხურში (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. კაწახი** კაკლის წენგო /ა. შანიძე/. მას საღებავად იყენებენ, ღებავს მუქყავისფრად, ღვიძლისფრად (ფშ. ხორნ., ხევს. ჭინჭ.). იხ. III. კარწახი.

კაჭა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კაჭა** 1. კანჭი. „აი, სად არის ჩვენი ბოთვერა, რომ ყველას კაჭა არ უნახოს!" (შ. არაგვ.). 2. ფეხებმრუდე (საქონელი) (ქვ.-იმერ., ქეგლი). || მრუდეფეხებიანი (წვივებში გახრილი რომ აქვს (მესხ. ფეიქრ.). თუ ამ ფუძეს ქართულ კანჭს დავუკავშირებთ, -ა მქონებლობის სუფიქსად უნდა იქნეს განხილული (ბუკია 2006: 98).

დიალექტ. II. *კაჭა*: დაჭრილი საზამთროს, ნესვის, ვაშლის, მსხლისა და მისთანათა ცალკეული ნაჭერი, წილაკი. სხლი *კაჭათ*; ნრსი *კაჭად* (ინგ. ღამბ.). ზმნზ. *კაჭა-კაჭა* დანით ნაჭერ-ნაჭერ დაჭრილი სიგრძეზე (ხილი, ნესვი და საზამთრო (ინგ. როსტ.). შდრ. კეჭნა კოდვა, ბალთვა, ჭდევა – ქეგლი.

კაჭარ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. *კაჭარი* «უწყლო ალაგას რიყის მსგავსი ქვა» (საბა), – მთის ქანის მონატეხი დიდი ქვა, რომელიც ჟამთა ვითარებაში მყინვარეების მიერ ცოტაოდენად მორგვალებული და გახეხილია – ქეგლი. *კაჭარი კაჭარი* ხვინჭკიანი ნიადაგი. ზღვის გასწვრივი კენჭოვანი ზოლი ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. *კაჭარი კაჭალი* (იმერ.) წენგოშემოცლილი, დაკროლილი კაკალი. სამხედრო სამსახურმა და ომმა წარუშლელი დაღი დააჩინა კორნელის. კორნელი პირისპირ შეხვდა მასებს, პიროვნულ-ვიწრო ნაჭუჭიდან ნიგვზის *კაჭარივით* გამოვარდა (ა. ქუთათ.) – ქეგლი. || კაჭალი (გურ. იმერ. რაჭ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. *კაჭარი* ერთგვარი ბალახია, ყანაში ურევია, მკაში უშლის (ფარცხ., ქართლ. მენთ.).

კაჭარა:

სამ. ქართ. I. *კაჭარა* იხ. I. კაჭარი. ვით *კაჭარა* დაამსხვრია, წაუვიდა იგი ვით წა (შჰნ. III, 655, 4). *კაჭარა კაჭარი* ნიადაგი. კაჭარდიხა ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. *კაჭარა* კოლრაბი, ბოსტნ. მცენარეა (ზ.-იმერ. მაყ.). || კაჭარაფხალი იგივეა, რაც კალაფხალი, –კანამხალი, ლახანა (ზ.-იმერ. ბოწ.).

კაჭკაჭ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. *კაჭკაჭი* (ფრინ.) – საბა. || [Pica pica ფრინველი, ყვავისებრთა ოჯახისა. ფრთებზე და გულმკერდზე თეთრი ბუმბული აქვს; ადვილად შინაურდება და ეჩვევა ცალკეული სიტყვების წამოძახებას. ზურგწამხდარი ცხენი ცაში *კაჭკაჭს* დაინახავსო (ანდაზა). [მაროს] ძალიან ენატრება შეგირდებისა... თავს აკლავდა გაკვეთილებს და *კაჭკაჭივით* იზეპირებდა (ი. ეკალ.). შორი-ახლოს ბოლობზეკით ხტუნავდა... ენაგატლეკილი *კაჭკაჭი* (ა. ტაბ.). || გადატ. უაზროდ, ავტომატურად რისამე გამმეორებელი. «მე იმ *კაჭკაჭთაგანი* არა ვარ, სხვის სიტყვებს რომ იმეორებენ!» (აკაკი) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

მარტივი გაორკეცება: კაჭ-კაჭ-ი კაჭკაჭი (სანიკიძე 1976: 11). კაჭკაჭი მიღებულია კაჭ- ელემენტის რედუპლიკაციით და ხმაბაძვითი წარმოშობისაა: მიუთითებს იმ ფრინველზე, რომელიც მსგავს ბგერებს გამოსცემს (შდრ. ჭიკჭიკი) (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კაჭკაჭი** (ლეჩხ.) «გარჩეული ლობიოს ჩენჩი» («დიალ.») – ქეგლი. შდრ. კაჭაჭი „ხმელი შამბის ღერო“ – საბა, ქეგლი.

დიალექტ. III. **კაჭკაჭი || კაჭკაჭა || კაჭკაჭის ჩაგდება** – საღვარის ნიადაგზე გამაგრებული ჰორიზონტულად გადებული მუხის ბრტყელი ღერძი (ძელი), რომელზეც ბორბალი ტრიალებს და ეყრდნობა მას. ფარცხის ხეს რკინის ან ქვის *კაჭკაჭი || კაჭკაჭა* აქვს, რაზედაც ეყრდნობა ბორბალი თავისი კოჭით. *კაჭკაჭის* ჩაგდება იციან ფარცხის ხეში ამოჭრილ ბუდეში. *კაჭკაჭს* შუაფხოში თვალს ეძახიან. ხევსურეთში – სადბის ხეს (ფშ. გოგატ.). აგრეთვე ფშ. მრეწ. IV, III, 186. || ფშ., ლითონი მოჭ., კაპორჩხა (ა. შან.).

კაჭკაჭა:

ახ. ქართ. I. **კაჭკაჭა** კაჭკაჭივით ყბედი, უაზროდ მოლაპარაკე. «შენ რაღას იტყვი, ქალო, *კაჭკაჭავ*, ნარგისახარ?» (რ. ერისთ.) – ქეგლი. იხ. I. კაჭკაჭი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კაჭკაჭა** 1. თეთრითა და შავით ჭრელი, «თეთრი და შავი ერთმანეთში ნაწყვეტებად შერეული (ხევს. თუშ. «შინამრეწვ.») – ქეგლი. ◊ **კაჭკაჭა ლობიო** (ქიზ.) ერთგვარი თეთრი ლობიო, შავად დაწინწკლული– ქეგლი. კაჭკაჭაყრ 2. ჩითის ნაჭრელი ზიგზაგისებური ზოლებით. ჩითს *კაჭკაჭაც* ნაჭრელს წვერში უცრიან. 3. ტოლის სახეობა. *კაჭკაჭაც* ტოლებ კაცის შალვრებად ქსოიან წინავრ (თუშ. ცოც.). შდრ. კიჭკიჭაი კერვის ან ქსოვის სახე. სხვადასხვა ფერი ძაფით გაკეთებული გვირისტი ქსოვილზე (ინგ. ღამბ.).

კევ-ი:

დიალექტ. I. **კევი || კევრი** – პურეული სალეწი იარაღი ძველად: აქ უკან *კევი* მაქვა (სირეთიე); ორი კევრი გვქონდა (შირინსულიე, კლარჯ. ლექსიკ).

კევრი > კევი. კევრი პურეულის სალეწი ძველის ძველი იარაღი (ზოგგან ახლაც ხმარებული) – ქეგლი. „კევრსა შიგანა თერეფზე კაჟის ქვები აქ დასხმული“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

კევრი წერილობით დამოწმებულა XI საუკუნიდან. დაითრგუნოს მოაბელი იგი, ვითარცა-იგი დაითრგუნის კალოჲ *კევრითა* (I ეს. 25, 10). ივ. ჯავახიშვილის აზრით, კევრი უძველესი დროიდან ჰქონიათ ქართველებს. ამის დამადასტურებელია ფრანგი არქეოლოგის მორგანის მიერ კევრის აღმოჩენა ერთ-ერთ საფლავში, რომელიც ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის (ჯავახიშვილი 1934: 93). სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანს – ბ. გიგინ.

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კევი: მკურის-კევი** «რიტინე»: „აღიღე *მკურის-კევი* ქალწულისათჳს, ასულისა ეგჳპტისა“ (I, იერემ, 46, 11); „აქლემნი მათნი სავსე იყვნეს საკუმეველითა და შთახსითა და *მკურის-კევი-*

თა“ (O, დაბ. 37, 25) – ილ. აბულ. || მცენარის ერთგვარი ფისი; საღეჭად ხმარობენ. ას ლიტრა რკინას დავღეჭავ *კევივითა* და ყლაპს ვუზამ (ხალხ.). სხვა ყველაფერი *კევსავით* დაუღეჭია [მაჩაბელს] (ილია). «ერთი ბეწვა *კევი* რომ მოეწიწკნა [არტემას] ბალღებისათვის, დავთარში წერდა (მელან.). ◊ კევის ხე იგივეა, რაც საქსაღაჯი– ქეგლი. აგრეთვე: კევკოხაი მდარე ხარისხის კევი კევიფერაი ღია ვარდისფერი. „კაკრაზ სადოდოფლო კაბა ამ ფერისა უნდა იყოს კევიფერაი“ (აჭარ. ნიჟ.).

მ. ჩუხუამ, ამ სიტყვისათვის ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით, აღადგინა ს.-ქართვ. *კ-(ეუ-) (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. III. კევი ახალდაბადებული ხბოს ნაკელი. აქვე: იკევნების, კევნა (ხევს. ჭინჭ.).

კეკელა:

ძვ., სამ., ახ. ქართ. I. კეკელა 1. სუფთად და შვენიერად მოხდენილი ლამაზი (თ. ბაგრატ.). „მე ვნახე ეგე, რომელ *კეკელასა* ღჳნოსა სუმიდა“ (მ. ცხ. 177r) – ილ. აბულ. *კეკელა* შავარდენთა სისხლისა მღვრელის კლანჭითა ფრინველთ ძარღვნი ყელიდამ ამოეხეთქათ (ქილ. 206, 9). იგი ქალაქი დიდი და *კეკელა* დაიჭირეს მამისა მისის გაზრდილთა (ამირანდ. 398, 10). ამისთუის რომე იგი *კეკელა* ქუეყანა მას მჴეცსა აეოჯრა (ამირანდ. 526, 6). კეკელა (კელ+კელა) კოხტა, ლამაზი, კეკლუცი. ვინ დაგიკერნ კეკელან ტყავნი? (ხევს. ჭინჭ.). || თვალთა სურიან ხილვა შენი, *კეკელა* მარდო! (ბეს. 36, 2). „ასრეთი *კეკელა* ქალი იმ ჯუდამ როგორ წაჰყვა?!“; ქალის სახელი (ჯავახ. ზედგ.). || კეკელი ლამაზი: აზიზი. მინდორს იყო და მოვიდა ქალი ლამაზი, *კეკელი* (ფშ. ხორნ.). || კეკელეული კეკლუცი; თმაგრუზი. „ქალო, შე, კეკელეულო, თმაგრუზო, კოწელწითელო“ (თუშ. ხუბ.). || „კეკელა“ – ქალის სახელია. გაკეთებული „კეკლუციდან“ – მერე გადასული აუგად „კეკელუა“. კაცზე იტყვიან, რომელსც ქალის მანერები აქვს (ი. გრიშ.).

კეკელა კეკლუცი შდრ. კელ- [სომხ. գեղ]. „ლამაზი“ (სანიკიძე 1976: 61). სიტყვა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე ჩანს შექმნილი. როგორც ფ. ნაისერი ფიქრობს, იგი მიღებულია რედუპლიკაციით და შესაძლოა კენარ-ს უკავშირდებოდეს (Neiser, 71). კენართან კავშირი საეჭვოა, რედუპლიკაცია დასაშვებია კელ-ელემენტისა. სიტყვა ექსპრესიული წარმოშობისა უნდა იყოს (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. კეკელა მოლაპარაკე (ქალი) (ღოლოვ., ქართლ. მენთ.).

ახ. ქართ. III. კეკელა ეთნ. ბერიკაობის ერთ-ერთი მოქმედი პირი – ქალის ტანისამოსში გამოწყობილი „ღორის სატრფო“. კეკელა-კი, ქალის ტანისამოსით მორთული, ღორს წინ უხტოდა და ჭრელ ხელსახოცს ალერსიანად მალი-მალ მხარზედ გადაუქნევდა ხოლმე (შ. არაგვ.) – ქეგლი.

დიალექტ. IV. კეკელა/ე-ი კბილების ავადმყოფობა, ნინუებს (ღრძილებს) სჭამს (ვ. ბერ.). შდრ. II. კენკელა.

კეკელაობა:

ახ. ქართ. I. **კეკელაობა** კეკელას ქცევა. კეკელაობს კეკელასავით იქცევა. «როგორც თქვენ *კეკელაობთ*, მეც ისე *გამაკეკელავეთ!*» (ლ. არდაზ.). იხ. I. კეკელა.

ახ. ქართ. II. **კეკელაობა** (ქიზ.) ძილის გაფრთხობა, ფხიზლობა – ქეგლი.

კელ-ი:

ძვ., სამ. ქართ., დიალექტ. I. **კელი** 1. კოჭლი – საბა. „იგი კელობდა ბარკლითა მით“ (O, დაბ. 32, 31) – ილ. აბულ. || მკელობელი კოჭლი. სნეულთა და *მკელობელთა* მოიკლებდი სიმდაბლითა (შჰნ. II, 5002, 3). ძნელს აღმართს არა შემართო *კელობით* გარდასავალად (ქილ. 722, 30). კელამს ცოტათი კოჭლობს (თონ., დვალ., ღოლოვ. ქართლ. მენთ.). **კელობა** უმნიშვნელოდ კოჭლობა. „– რაისთვი ჰკელობ? – ფეჯი გადამიბრუნდა და მტკივა“ (მოხ. ღუდ., ქავთ.). „ის ვეჟენაი ცხვარი ბარსახანია კელოფს (აჭარ. ნოღ.); (ალ. ჭინჭ.). 2. მოკლე ფიცარი, რომლითაც ამოჰყავთ სახლის კედელი ფანჯარასა და კარს შორის. კელს უწოდებენ ფიცრის გადასაგრძელებლ (გადასაკერებელ ნაწილსაც) ფანჯარასა და კარს შუა კედელიც კელით აჰყავთ. სავარაუდოა, რომ მშენებლობაში გამოყენებულ მოკლე ფიცარს, რომელსაც სხვა ფიცრის დასაგრძელებლად ხმარობენ, სემანტიკური მსგავსებით დაერქვა კელი (აჭარ. ნოღ.).

კელის სახელური ფუძე უნდა უკავშირდებოდეს კელ- (კლება) ზმნურ ძირს (ქავთარაძე 1954: 115). აღდგენილია ს.-ქართვ. *კელ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). აღსანიშნავია, რომ ბერძნულში არის სიტყვა kellon, რაც მოგრეხილს, მოღრეცილს, ნაკლულს აღნიშნავს (გორდეზიანი 1985: 64). იხ. აგრეთვე: ფენრიხი 1978: 94; ანდრონიკაშვილი 1990: 91; არაბული 2001: 57.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კელი** ნეხვი ZACD. ნეხვი – საბა. შდრ. ნაკელი, კელა; კელი > ნაკელი ახალი შემოტანილი სიტყვაა (საღრ.). ადგილობრივი მთიულები ნაკელს ნაგავს ეძახიან (ალგ. სალ.).

დიალექტ. III. **კელი** სალეწი იარაღი, კევრი (იმერ. ბერ.). იხ. I. კევი.

კელა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კელა** ბუზია – დ. ჩუბ. || ბზიკი, კრაზანა. მომკალს მოესმა *კელის* ბზუილი (რ. ერისთ.). „საკვირველი კაცია სწორედ ეს პაპა! ას ძირზე მეტი ფუტკარი ეყოლება და... ამბობს: «ბზუიანო», თითქოს სადმე ორი-სამი კოღო ან *კელა* შემძვრალიყოს ფუტურო ხეში“ (ვაჟა). **კელა-ნაჭამი** რამაც კელა ჭამა. || გადატ. გაცეცხლებული. *კელა-ნაჭამ* დათვივით გაბოროტებული ბარნაბა ჭალიდან იოლად არ წავიდოდა (კ. ლორთქ.) – ქეგლი. აგრეთვე ფშ. ხორნ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კელა** ნაკელი (ლეჩხ.) ნეხვი (შდრ. ნაკელი) – ქეგლი. *კელა* გევიტანეთ ბოსტანში (ზედა საქარა, ზ.-იმერ. ძოწ.). ვაზს ...მერმედ პეტერა *კელას* (ნაკელს) ჩაუყრიდით, წავაყრიდით მიწას და მოვტენიდით (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III. 134). იხ. II. კელი.

კემუხტ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კემუხტი** ტარსიკონი, სამოგზე ფერად შეღებული – დ. ჩუბ. || ცხენის, ვირის ან ჯორის გავის ტყავი, შეღებილი მწვანედ ან შავად, ქოშების საპირედ. ფეხზედ წითელი ჩახჩური, მწვანე *კემუხტის* მაშია (დ. გურამ. 197, 16, 4). || ხორკლიანი მაგარი ტყავი, რომლითაც ქარქაშს მოსავენ. ქარქაშს ალაგ-ალაგ *კემუხტი* შემოსძარცვოდა (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი. „(ნიკამ) ზედ კუპრიელი მოაკრა იმას *კემუხტის* ნაცვლადა“ (გ. 283, 14) – ივ. ქემიკ. აგრეთვე გურ. შარაშ. **კემუხტი** ზან. (ლაზ. ქობ.).

სამ., ახ. ქართ. **II. კემუხტი** ზედ. დაჟინებული, ახირებული; გაწეწილი თმა – დ. ჩუბ. შდრ. კემუტი (ქართლ.) «ჯიუტი, გაუგონარი, შეუპოვარი» (ი. ჭყ., ქართლ. ლექსიკ.) – ქეგლი. **კემუტი** მაგარი რამ ზან. (ლაზ. ქობ.).

კენკელა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კენკელა** პირის ღრუსა და ღრძილების ავადმყოფობა (ქეგლი, ქიზ. მენთ.).

ვფიქრობთ, კენკელა კენკვა ზმნის მიმღეობაა. რომლის ძირის არქეტიპი ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღდგება *კენკ-სახით (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). შესაძლოა, კენკ-ძირი მარცვლის ოდინდელ სახელს უკავშირდებოდეს (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. კენკელა** გადასავარდნი ნაპირი. „არ გადავარდე, *კენკელაზე* რომ დანჯდარხარ“ (ლეჩხ. ალავ.). შდრ. I. კარკალი.

კენჭ-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კენჭი**: „საკიცხელ არს გონიერთა კაცთა *კენჭებითა* მღერაჲ“ (A-92,727) – ილ. აბულ. 1. წვრილი, თხილისოდენა ქვა. [ბონდო] დასწვდა ქვიშაზე ერთ *კენჭს* და აიღო, ჰაერში შეისროლა (ლ. ქიაჩ.). ფიგურ. ახალი ქვეყნის ასაშენებლად პატარა *კენჭი* მეც მივიტანე (ი. გრიშ.). || ხვინჭა. [მამა] დაჯდა და ქალამანს ისწორებდა, *კენჭები* ჩასცივნოდა და სიარულს უშლიდა (ს. შანშ.). 2. მედიც. კენჭის მსგავსი დანალექები ღვიძლში, თირკმლებში. კენჭების გავლა თირკმლებში. 3. გადატ. საარჩევნო ხმა. ყოველ... ამომრჩეველს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – ძვირფასი იყო ერთი *კენჭიც* (დ. კლდ.) – ქეგლი. 4. გადატ. კვნიტი, ნატეხი. კენჭი მარილი დაუნაყავი მარილი: კენჭი შაქარი ერთი ნატეხი შაქარი (გურ. შარაშ.). 5. ნაჭერი, ნაწილი (ხორცის ნაჭერი). „ხუთი *კენჭი*

ხორცი ვჭამე ახლა". „ერთი *კენჭი* ხორცი გარმომიღე, მეტი არ მინდა" (საჩ. შარაშ.). აგრეთვე ხევს. ჭინჭ. **კენჭი** კენჭი ზან. (მეგრ. ყიფშ.).

დიალექტ. II. **კენჭი** სიმსუქნე, ხორციანობა. „უკენჭო ცხორია, *კენჭის* მანავალი არა აქუ" (მოხ. ქავთ.). კენჭიანი ცხვარი, სუქებაზე დამდგარი, პატარა დუმიანი ცხვარი. „ცხორმა მატობა დაიწყა და *კენჭიც* გაიკეთა" (მოხ. ღუდ.). შდრ. ჭენჭი ცხიმი – საბა.

კეპ-ი:

დიალექტ. I. **კეპი** ჭ.(არხ.) გამოცხვირული, გამოკუზული კლდე. აქვე კემპი მწვეტი კლდე, ცხვირ-წამოწვდილი კლდე – ა. შან. || **კე[მ]პი** კლდის შვერილი, წაზიდული კლდე. [ჯიხვებში] გამადის მეთამაშეი, *კემპიდან კემპზე* ხტისაო (ხევს. ჭინჭ.). შდრ. კამპანი შიშველი კლდე ძალიან დამრეცი. დრო-დრო მაიტანს ყველასა, კლდეი კამპანი ველდება (ხევს. პოეზ. 137, 17) – ალ. ჭინჭ. იხ. I. კაპანი.

ახ. ქართ. II. **კეპი** [ფრან. képi] ერთგვარი ქუდია (კაცებისა), უარშიო და საჩიხიანი (წინაფრიანი). [აბო] ხანდახან... *კეპს* ღიმილით უხდიდა ნაცნობებს (რ. გვეტ.) – ქეგლი.

კეჟერა:

ახ., საშ. ქართ., დიალექტ. I. **კეჟერა** (ბალ.) კომბოსტო რომ თავს არ დაიხვევს ZA. (ბალ.), უთაო კომბოსტო E. See also: კომბოსტო – საბა; დ. ჩუბ. || [Brassica oleracea varacephala] ბოტან. ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე (კომბოსტოს ოჯახისა), თავს არ იხვევს, ხმარობენ მხლად და წნილად (სინონ. კეჟერა მხალი) – ქეგლი. აგრეთვე (გურ. კიწმ.). **კეჭერი** თავუხვევი კომბოსტო; კეჟერა, მაგარკანიანი ფხალი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **კეჟერა** «გამხმარი მაგარი პური» (ქართლ. «დიალ.») – ქეგლი.

დიალექტ. III. **კეჟერა-ი** ყოველგვარი გასაჭირის უდრტვინველად გადამტანი. გაკეჟრდი, ჭირი და ლხინი ორივე ტყუპი ძმებია (მოხ. ღუდ.). **ქვაკეჟერა-ი** მეტისმეტი ბუნწი. ადამიანი, რომელიც ქვასაც კი რაღაცას გამორჩება. *„ქვაკეჟერაია,* ცივს ქვაზეც რო დააგდა, მაინც იცხოვრებს" (მოხ. ღუდ.). შესაძლებელია, II. და III. ომონიმური ცალების, გადატ. მნიშვნელობით და ფონეტიკური ცვლილებით, ამოსავალი იყოს „კაჟი".

სვან. **კაჯ** კაჟი. თავის მხრივ, საინტერესოა სვანური (კაჯი) მიმართება სვანურსავე კოჯ-თან („კლდე"). „კაჟი" „კლდის ნატეხი". ქართული კაჟი შეიძლება სვანურიდან იყოს შემოსული (?) – ბ. გიგინ.

კერეს-ი:

დიალექტ. I. **კერესი** ქალის ზედა ტანსაცმელი. კერესი: გამოკანკლულ-გამოწყობილი ზედატანი – კოხტა (ი. გრიშ.). ხაბარდა კაბის მაღლატანი კურტკა იყო (ანუ *კერესი*) (შ.-კახ. III, I, 39). *კერესი* ზედატანი იყო

შეკერილი ვიწრო, ძვლებითა თეძოებამდე, გამოყვანილი იყო, სახლებიც ვიწრო ქონდა, გამოყვანილი (ოძ.); აგრეთვე საგურ., წილკ. (ქართლ. ლექსიკ.). **კერესიანი კაბა:** ქვედატანი ჰქონდა. მოკლე იყო, მაგრამ მაინც ფეხებს ფარავდა. ზედატანი მოკლე იყო, დაკეცილ-დაკეცილები იყო, როგორც ნაოჭიანი ახალოხები, და იმ ნაოჭებს კუტკებსაც ეძახდით და *კერესებსაც* (ზ.-ქართ. მრეწ. III, I, 165).

დიალექტ. **II. კერესი** ქელეხი. რო დავასაფლავებდით მიცვალებულსა, მოვბრუნდებოდით შინაურები შინა, პურსა ვჭამდით. შესანდობარს დავლევდით, შილაფლავი უნა გვქონიყო უეჭველათა, ჭირისუფალსაც პურ აჭმევდენ, ეგ იყო *კერესი* (იგ., ქართლ. მესხ.). შდრ. კერასი (ლათ.) წვრილი წმინდა სანთელი – დ. ჩუბ. || წვრილი სანთელი, მიცვალებულის დამარხვის დროს იხმარება. გამდნარ ცვილში პატრუქს გაავლებენ და რაც აჰყვება, ის არის (გუდ. შან.).

კერვა:

ძვ., საშ. ქართ. **I. კერვა** „თესლთა ადგილსა ეწოდების ცხოველისასა“ (საბა): არს თესლი დედაკაცისა და საზრდელ ექმნების თესლსა მამაკაცისასა; რამეთუ თესლისა მისგან დედაკაცისასა, რომელსამე ადგილსა, რომელსა *კერვად* უწოდენ, თანშეცხვების და წოდებული იგი ზღვსსახედ ადგილ ექმნების ნაყრსა და ნამეტავსა შთათესულისასა (ნ. ემეს. 116, 15) – ლ. გელენ. შდრ. კერატი. დაუკოდავი ღორი – ქეგლი.

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. კერვა** კერვა თხზვა. „რაჲთა ისწაოს მისგან *კერვაჲ* სირაჲსაჲ“ (მ. ცხ. 72); „ვითარ ჯერ-არს *კერვაჲ* მისი (სირაჲსი)“ (მ. ცხ. 433v). აქვე: გაკერვა, დაკერული, კერული, მკერავი, მკერვალი, საკერავი, უკერველი, შეკერვა – ილ. აბულ. ნემსის საშუალებით ძაფით შეერთება ქსოვილის, ტყავის... ნაჭრებისა (და ამგვარად დამზადება ტანსაცმლისა, ფეხსაცმლისა და მისთ.). [ქეთევანი] ასწავლის... ჭრას და *კერვას* (ნ. ლომ.). ესმა... მიეჩვია ლამაზად *კერვას* (გ. წერეთ.) – ქეგლი.

ბ. გიგინეიშვილის აზრით ქართულ კერ- ძირს ამჯერად სხვა ქართველურ ენებში შესატყვისები არ ეძებნება, მაგრამ რომ უნდა ჰქონოდა, ამას მოწმობს სომხური ḳar ძირი ḳar-el ზმნისა, რომელიც მეგრულიდან შეთვისებული უნდა იყოს სომხურში, როგორც ამას ჰ. ფოგტი ვარაუდობს (ფოგტი 1938: 333) – ბ. გიგინ.

კერია:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კერია** (იმერ. გურ.) იგივეა, რაც კერა. [გვადიმ] *კერიაზე* ცეცხლი გააჩაღა (ლ. ქიაჩ.). დედაკაცმა *კერიასთან* დაგვიდგა დაბალი სოფლური ტაბლა (ს. კლდ.) – ქეგლი. **კერიას ნახშირი** (იტყვიან სასურველი სტუმარი რო იშვიათად ეწვევათ) (რაჭ. კობახ.). **კირა კე[რ]ა** ზან. (ლაზ. კალანდ.). შდრ. ძვ. ქართ. კერაკი კერია, ცეცხლის ადგილი. „კე-

რაკნი საცეცხლენი დგეს წინაშე მისსა“ (I, იერემ. 36, 22). „ცეცხლსა, რომელი იყო კერაკსა ზედა“ (O, იერემ. 36 23) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *კერ-ა „კერია; კერის ქვა“ → ქართ. კერ-ა || კერ-ია (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. კერია**: იაპონური კერია. მცენარეა ერთგვარი (ა. მაყ.).

კეროვან-ი:

ახ. ქართ. **I. კეროვანი** რასაც კერა აქვს, გარკვეული კერის მქონე. შდრ. კერა გადატ. ადგილი, სადაც რაიმე მოვლენა, მოძრაობა, მიმდინარეობა... ღვივის, თავს იყრის, განსაკუთრებით განვითარებულია; ადგილი, საიდანაც რაიმე შეიძლება გავრცელდეს. ელექტროენცეფალოდიაგნოსტიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო თავის ტვინის *კეროვან* დაავადებათა და აგრეთვე გულყრით... დაავადებათა შესწავლაში (ა. ზურაბ.) – ქეგლი. -ოვან ნიშან-თვისების მქონებლობის მაწარმოებელი სუფიქსი. კერ-ძირი. იხ. I. კერია.

ძვ., სამ., ახ. ქართ. **II. კერეონი, კეროვანი** დიდი სანთელი ცვილისა: *„კეროვნითა“* აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი“ (შუშ. XIX, 9) – ილ. აბულ. || კერეონი ძვ. «კელაპტარი, დიდი სანთელი» (დ. ჩუბინ.). შავი დროშები, *კერეონები*, მიდამო სევდით გარემოცული... ოქროს ცხედარზე, ხალხს რომ მოჰქონდა, წყნარად ესვენა გმირი მოწყლული (გ. ლეონ.) – ქეგლი.

კერტ-ი:

ძვ. ქართ. **I. კერტი**: „დაუტევის *კერტი* იგი ტევნისაჲ მის ცუდი“ (ფიზ. XVII, 16) – ილ. აბულ. **კერტჩჩგლი** ჩვილყლორტიანი. ლეღჳ ფურცელტყრპელ და *კერტჩჩგლ* არს (უდაბნ. მრავალთ. 81r) – ზ. სარჯ. **კერტი** მტევანი, ხუთი თითი ერთად ზან. (მეგრ. ქობ).

გვიჩნდება ეჭვი, რომ ამ მნიშვნელობის კერტი შესაძლოა გადატანითი მნიშვნელობით უკავშირდებოდეს მეგრულში დადასტურებული სიტყვას კირტე (კჷრტე) ენის სამაგრი ყელში. ყბების ჩაჭდობის ადგილი ყვრიმალთან; ფიცრის სამაგრი ენა, შვერილი, სამსჭვალი ზან. (მეგრ. ქობ.). მით უმეტეს რომ მსგავსი სემანტიკური გადასვლები უცხო არაა ქართულში. შდრ. ვაზის კულტურასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები: მხარი, ტანი, ფეხი, ქუსლი, ყელი, ნეკი, წელი, თავი და სხვ. (ასათიანი 1978).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კერტი** «ძუძუს თავი» (საბა). გული ღია ჰქონდა თითქმის *კერტამდე* (ი. მაჭავ. თარგმ.). თუ ძუძუს *კერტს* ორი თითით გამოვწურავთ, მისგან წამოვა სითხე... – ხსენი (ბ. ღოღობ.) – ქეგლი. „ძუძუს *კერტები* დუუსკდა, კუ მუუდა ქალსა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „ძროხა თვეში რომ ჩადგება, ძუძუები *მოეკერტება*, მოეცქვიტება, მოდღენდება (დღედღეზე მოსაგები)“ (ზ.-აჭარ. კობ.).

კერტი მიღებული უნდა იყოს კერატ-ისაგან, რომელიც ბერძნული სიტყვაა (kéras – kératos) და ერთ-ერთი მნიშვნელობა მისი ბერძნულში არის „მწვერვალი“, „წვერი“, „ამოზნექილი რამ“ (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. III. **კერტი** შედედებული სისხლი. „ბაღვი წეიქცა, ცხვირი ქვაზე დაარტყა და დიდუანი *კერტები* დააყრევია სისხლისა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. კოლტი შედედებული, დაკვეთილი (სისხლი).

კეფა:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **კეფა**: „შენ გეწოდოს (გერქუას Ç) კეფა, რომელ ითარგმანების კლდე“ (ი. 1, 42) – ი. იმნ. **კეფა** «კლდე, გინა ფიქალი» (საბა) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **კეფა** ადამიანის თავის უკანა ნაწილი. ზემო ნაწილს თავისას საქოჩრე ჰქვია, უკანა ნაწილს – *კეფა*, წინას – პირისახე (ი. გოგებ.). რუსუდანმა ხელები წყალში ჩაყო, დაისველა, გახურებული შუბლი და *კეფა* გაიგრილა (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

კეფა უნდა უკავშირდებოდეს ბერძნულ kepalé-ს („თავი“). სესხების დროის განსაზღვრა ძნელია: ძველ ქართულში და საშუალი ქართულის ძირითად ძეგლებში ეს სიტყვა არ ჩანს. ამასთანავე ძნელი ასახსნელია ბოლოკიდური მარცვლის მოკვეცა ქართულში: კეფალე || კეფალი > კეფა – ბ. გიგინ. აღდგენილია ს.-ქართვ. *კეფა „თავის უკანა ნაწილი“ (ჩუხუა 2018: 86).

საშ. ქართ. III. **კეფა** «ხმელი ხის ქერქი» (საბა).

კეშ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **კეში** 1. რბილი რამ გამაგრებული უკმ(ა)რად ZAB. კეშად ითქმის ყოველი (ყველი Cq) გამაგრებული CD – საბა. || გამხმარი, გამაგრებული ტყავი გადატ.: უხეში, მაგარი (მესხ. მაის.). || „ხარსა *კეში* ტყავი აქ, ჰასილინა გახადო, რომე ქალაბანი შეკერო“ (თ. ქ.); „ხორცი *კეში* იყო“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *კეც – ტყავი (გამხმარი) (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **კეში** არს ყრმა ჴეტი – საბა. || გადატ. არათვინიერი, უხეში ადამიანი. „იმფერი კეში ინსანია, რომე არ მოქყვება საქმეში“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). კეში ცუდი. შდრ. [სომხ. գէշ] (იმერხ. მარი).

დიალექტ. III. **კეში** ტახი დაუკოდავი ღორი (გურ. შარაშ., კიწმ.). კეშვა (ქიზ.) იგივეა, რაც კერშვა – ქეგლი. შდრ. იკეშებს დამაკდება (ღორი). იტყვიან, ჩემა ღორმა იკეშაო (დ. თონ., ქართლ. ლექსიკ.). კერშვა, კერშილობა: ღორის დაგრილება, ღორთა მაკინტლობა (დ. ჩუბ. ქეგლი, მესხ. ფეიქრ.). **კეში** ზან. (მეგრ. ყიფშ., ქობ.).

აღდგენილია 1. ს.-ქართვ. *კერ- ტახ (ჩუხუა 2000-2003). 2. ს.-ქართვ. *კეშ- (კელაურაძე 2017: 23).

ახ. ქართ. IV. კეში [ინგლ.] ზეოპერატიული მეხსიერება (საშუალედო შედეგების შესანახად, ზესწრაფი გამოთვლებისათვის და სხვ. (რ. ბერულ. ელექტრ.).

კეც-ი:

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. I. **კეცი** გამოწვარი თიხისა და მეკეცეთა ყოველგვარი ნაწარმის ზოგად სახელს წარმოადგენდა (მესხია 1982: 70). || 1. თიხა შემუსრა ყოველი ხატი და ყოველი კერპოვნება ოქროსა და ვეცხლისა, რკინისა, რვალისა და *კეცისა* (ქ. ცხ. II, 21, 16). || კრამიტი, სახურავი. „საშოვალ დიდისა ამის ქალაქისა აღაშენა ოთხსუეტოვანი და ცალფრთაჲ სიმაღლე და დაჰრთო იგი *კეცითა* რვალისაჲთა“ [A=162 162r 11-14b] – ზ. სარჯ. „სახლი... ზედა *კეცითა* დართული“ (მ. ცხ. 71, 42). თუალისა პატიოსანისა ნაცულად ეტლთა და ფალაქთა მოქცევისაგან *კეცისა* ნალეწს დაჯერებულ ვიყავ (ვისრ. 244, 3). 2. მიწა საჭურჭლე – საბა. || ჭურჭელი კეცისაჲ (მ. ცხ. 313, 24). || ქადის გამოსაცხობი ჭურჭელი არის ქართულად, რადგანაც კეცსა იმ მიწისაგან აკეთებენ, რომელსაც ქართულად კეცი ეწოდება (თ. ბაგრატ.). აიღე. . . ნიშადური *და კეცი* თორნისა (ფანასკ. 38, 2). || ანდეზიტის ან ბაზალტის ქვის ბრტყელი და თხელი ფილა, იყენებდნენ პურის საცხობად. კეცის აძრობა ქვის ფიქალის სწორად, თანაბრად მოკვეთა. *„კეცის აძრობა* ისრი უნდა მამჭდარიყო, რომ ოთხკუთხა, თხელი და ბტყელი სიპი გაკეთებულიყო“ (მოხ. ქავთ.). || **კეცრ** სიპი ქვა ქადის, პურის... გამოსაცხობი. *„კეციც* არ გვაქვა-დ' კოტრებ რაჲით ცუნდ ვაცხოთ“ (თუშ. ხუბ., ცოც.). აგრეთვე ჩვენ. ფუტკ. 3. ღუმლის ძირი, რომელზედაც ცეცხლი ანთია (მთ. კაიშ.). || თიხის (ან თირის ქვის) ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს.. მოზილა პური, ჩააკრა *კეცში* და მოუფიცხა ცეცხლს (აკაკი). [ბახვას დედა] გახურებულ *კეცებზე* მჭადებს აკრავდა (გ. წერეთ.). ◊ **კეცის პური** (მჭადი) კეცზე გამომცხვარი პური (მჭადი). კიდობანში ჯერ კიდევ თბილად აწყვია ამ საღამოზე გამომცხვარი, დაბრაწული *კეცის მჭადები* (ნ. ლომ.). [ხოშიამ] მოიტანა... მთელი *კეცის პური,* შუაზე გახლეჩილი (ვაჟა) – ქეგლი. 4. ქვის დასამუშავებელი იარაღი (მთ. კაიშ.).

კჳც, კეც ქვის კეცი (სვან. თოფ., ქალდ.). **კიცი** (კჳცი) კეცი ზან. (მეგრ. ელ.).

ფ. ერთელიშვილის აზრით კეც < კერ (კერა > კეცი || კესი) (ერთელიშვილი 1980: 109). "კეც-არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ძვ., ახ. ქართ. II. **კეცი** კეცტყავი 1. ძვ. «კუთა, ...სადაფთა, პინასთა და მისთანათა ქერქი» (საბა). კეც-ტყავი: სხჳსა ნათესავისაჲ არს *კეც-ტყავად* წოდებული იგი, ვითარ კოხლიოჲ და ლოფოთქინი ზღჳსაჲ (ექუს. დღ. 82, 11). კუალად მრავალნი არიან უსისხლო უკუწ-სულიერ, ვითარ: სელაქნი და მალაკნი და სიპეანი, ტევთიდნი და ზმულნი და ყოველნი *კეცტყავოანნი*

და ჩჩჯლკეცნი... (ბუნ. კაც. 27, 23) – ი. ქერქ. 2. «მაგარი, უხმარი ტყავი» («დიალ.») – ქეგლი. კეცტყავა რასაც კეცტყავი აქვს. მოლენსკინის ფარჩა ჯავშანივით ჩაუცვამს დალეულ ლამუზს და *კეცტყავა* მწერის ზურგს დამსგავსებია (თ. სახოკ. თარგმ.). კეცტყაოანი ძვ. რომელნი კეცტყავითა შემოსილნი არიან (საბა) – ქეგლი. ი. ქერქაძის აზრით სახელი კეცოვანი იგივე, რაც კეცტყავიანი, კეცივით მაგარ ტყავს გულისხმობს. საკუთრივ კეცტყავი მაგარი, უხმარი ტყავია. კეცტყავიანის სინონიმი ჩანს ძველ ქართულში ტუალ-ტყავი, ე. ი. კეცის სიმაგრე გაიგივებულია ძვლის სიმაგრესთან (ქერქაძე 1974: 191). აგრეთვე **კეცლბილი** რბილნიჟარიანი: „სხჳსა თესლისაგან (არს) კუალად, რომელსა – იგი ჰრქჳან *კეცლბილ*, ვითარცა სახედ კირჩხიბნი და კარაბიდაჲ“ (ბ. კეს. – ექუს. დღ. 97, 20) – ილ. აბულ.

მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. *კეც- „ტყავი (გამხმარი)“ → ქართ. კეც-ი (ჩუხუა 2000-2003).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. კეცი** 1. ყათი ფენა, პირი. დანაკეცის ფურცელი. „ჯერ ერთი კეცი აიღე, მერე მეორე“ „ამ ნაჭრის ორი *კეცი* მე მამეცი, ორ *კეცში* კაბა გამამივა, მევერე შენ გქონდეს.“ 2. დაერთვის რიცხვით სახელსაც, მიუთითებს; ფენა, ჯერ (ჯავახ. ზედგ.). **-კეც-** მაგი: „ორკეცი აქუს შესაბინელი“ (მ. ცხ. 89r). აქვე: სამკეცი, სამნაკეცი, კეცად – ილ. აბულ. ორსა *კეცსა* მისცემდენ გაჩენილისასა (ქ. ცხ. II, 132, 20). შექმნეს რაზმი *მრავალკეცი* (ვეფხ. 444, 4). დაიწყო *ასკეცად* ცრემლთა დინება (ვეფხ. 248, 2). „ჩოხას მხრებზე *ორკეც* ნაჭერ დაუდემდნენ“. „ეგ *ათკეცად* უარესია იმაზე“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ.კეცა, კეცვა დასტა დაკეცილი რისამე. ჯიბისაკენ ხელი წავიღე, პაპიროსის ამოღება მინდოდა, ...პაპიროსის მაგიერ ხელში მთელი *კეცა* ქაღალდი მომყვა (ჭ. ლომთ.). 3. ნაკეცი. კეცის ადგილზე მოკეცე (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ა. არაბულის აზრით კეცი „ჯერი“, **კეცლბილი**, „რბილნიჟარიანი“, **ტყავკეცი** „ნიჟარიანი“, **კეცი** გამომწვარი თიხის ფირფიტა, კრამიტი, ჭურჭელი, **კეცი** სახურავი. შესაძლებელია მოყვანილი მნიშვნელობები, ერთი ამოსავალი სემანტიკის **კეც-** ზმნური ძირის დიფერენცირებად მივიჩნიოთ (არაბული 2001: 59).

მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ ს.-ქართვ. *ჯაც- „კეცვა“ > ქართ. კეც- (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე: გორდეზიანი 1985, ფენრიხი, სარჯველაძე 1990.

დიალექტ. **IV. კეცი** სახვნელი იარაღის, გუთნის ერთ-ერთი ნაწილის სახელი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

კეცოვან-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. კეცოვანი** ძვ. იგივეა, რაც კეცტყავი (საბა) – ქეგლი. იხ. II. კეცი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კეცოვანი** ორ კეცს შუა გამომცხვარი მჭადი («დიალ.») – ქეგლი. იხ. I. კეცი.

კვამლ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კვამლი, კუამლი, კომლი** მნთებარეთა ნივთაგან ზეაღმავალი შავი ორთქლი, თვინიერ ალისა, სახლი, სახლკარობა, ოჯახი – დ. ჩუბ. || რისამე წვის დროს გამოყოფილი აირადი ნივთიერება, რომელშიც შერეულია უმცირესი ნაწილაკები დაუწვავი, მყარი ნივთიერებისა, – ბოლი. [დავითი] ჩიბუხსა სწევდა, *კვამლს კვამლში* რევდა (ვაჟა) – ქეგლი. *კვამლსა* შეიქმენ ლაშქარნი (ვეფხ. 435, 3). || „სისხლი და ცეცხლი და არმური კუამლისაჲ“ (O, იოვ. 2, 30); „კუამლი იოტებს ფუტკართა“ (მ. ცხ. 115r). იხ. დაკუმევა, კუმევა, კუმოლვა, მკუმოლვარე, საკუმეველი – ილ. აბულ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუამ-/კუმ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1938, 1942.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კვამლი** კომლი. საქართველოს *კუამლსა* ზედა ორმეოცი თეთრი მალად განაჩინა (ქ. ცხ. II, 474, 23). [ფშავში] ას კვამლიან სოფელში ერთად ორ-სამ *კვამლზე* მეტს ვერ იპოვნით, ყველა ცალკე, განმარტოებით ცხოვრობს (ვაჟა) – ქეგლი. **კვამლა**[დ] კომლზე, ყოველ ოჯახზე. [მუცალმა] თუშთა დაადვა ბეგარი *კვამლა* ლამაზი ქალიო (ფშ.-ხევს. პოეზ. 93, 7) – ალ ჭინჭ. „[სოფელში] სამი-ოთხი-ხუთი *კვამლი* რჩება...“ (დ., შავშ. ლექსიკ.). ვახანში 325 *კვამლია* (ვახანი). 700 *კვამლი* ყმა ყავდა მის ბატონს (ფარცხნალი, ზ.-იმერ. ბოწ.). მას [ხენწიფეს] ჩოვილობა ქონდა: ...მის საბძანებელში თითო *კვამლიდან* ოროლი მანათი უნდა იეღო (გურ. ღლ.). „ჩვენ სოფელში სულ ოთხმოცი *კვამლია*“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

იმერეთის მახლობელი ქართლური სოფლების მეტყველებაში (ბორჯომის ხეობის ქართლურის ჩათვლით) და ზემოიმერულში ლიტერატურული სიტყვა კომლი გაბატონებულია თავისი არქაული ფორმით „კვამლი“. იგი აღნიშნავს ბოლსაც და მოსახლესაც. მაგ.: ასი კვამლი გაანთავისუფლა (ხცისი), ათი კვამლი ვართ (ცხრამ.), ერთი კვამლი იყო (ცხეთიჯვ.), შვიდი კვამლი გახდა (გომი), კვამლის ასასვლელი ქონდა (ბრილი), პარაოზის კვამლი (ქვიშხ.). შდრ. ზემოიმერული: ხუთი კვამლი (წიფა), სამოზდაცხრა კვამლი (გოლათუბ.), ორი კვამლი (ფონა), მეკვამური იყო (გრიგალათი), აქ ქონდა ალაგი ორი საკვამლე (ქვები)... კვამლის ასასვლელი (გოლ). (იმნაიშვილი 1974: 66).

კვანტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კვანტი**, კვანტუღელი 1. ღვედის მაგიერ ლატანი გადასაბამი უღელთა – ნ. ჩუბ. || «უღლეულთ გარდასაბმელი ლატანი – ღვედისა წილ» (საბა), გუთნეულის წინა ხარების მოსაბმელი ლატანი, ჭაპნის მაგიერი; შუაში იხსნება და მტკავლისოდენა ჭაპნით არის გადაბმული... (ქიზ. მენთ.). || ერთგვარი ლატანი; იყენებენ გუთნეულში

(ან ურემში) უღლების გადასაბმელად, კევრის, ნალოს და მისთ უღელზე გამოსაბმელად. *კვანტი* არი გაკეთებული ხისგანა, საყევრითვინ ხმარობენ. აქ ორკაპი, რო ტაბიკი ჩაეყაროს და უღელი გაუკეთდეს. ბოლოში აქ გახვრეტილი, რო მოუბან რამეი, კევრები, ნალოი (ქემ.). 2. ნასკვი, კვანძი. ბოლოს რო გაუნასკვავთ ან თოკსა, ან მაფსა, კვანტი ის არი; კვანძი, *კვანტი* – ერთია (ოძ., ქართლ. ლექსიკ.). 3. ცხენის ფეხზე შესაბმელი კეტი. თავნება ცხენსა ფეხზე შეაბამენ კვანტსა, რო ნელა იაროს (რუისი, ქართლ. მესხ.). 4. სახურავის ქვეშ დასაწყობი ჭერი, მსხვილი ბოძი. „დოშამა, *კვანტები* აქვა სახლსა ზეიდამ დაყრილი" (მ., ჩვენ. ფუტკ.). 5. წისქვილის კოჭი. ოთხ ბოძზე ორი *კვანტი* წინ და უკან გვერდებზე ორი კლავი *კვანტი* (მრეწ. IV, III: მესხ. 203; ჯავახ. 204; ჯავახ. ბერ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კვანტი** 1. ჭიდაობის დროს ფეხში ფეხის გამოდება, – სარმა (იმერ., გურ. ქეგლი). „ერთი რომ კვანტი გამომეკრა, სულმუთქმელაი დავაკვერცხებდი" (აჭარ. ნიყ.). „ერთმანეს *კვანტები* არნა დაადვან გურჯებმა" (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.). „როდესაც ჭიდაობენ ხოლმე *კვანტი* ამოზდეო, იმაზე იტყვიან" (ფარცხ., ქართლ. მენთ.). **კვანტი** სარმა ზან. (მეგრ. ელ). 2. წიხლი. – ძაღლს იმისანე *კვანტი* კრა ბოჩოლამ, ცხვირი გოუტეხა (რაცხ. გურ.).

არნ. ჩიქობავა საერთო ქართველურ კუ (კუალ) ფუძეს უკავშირებს ძვ. ქართ. კუართ (მეგრ. კურთა) და მეგრ. კუარტ „წიხლი" ფუძის კვ-ს (ჩიქობავა 1942: 24). მეგრ. კვარტი იგივეა, რაც კვანტი (როგავა 1962: 90).

ახ. ქართ. **III. კვანტი** [ლათ. quantum რამდენი] ფიზ. უმცირესი ოდენობა ზოგიერთი ფიზიკური სიდიდისა. ◊ სინათლის კვანტი უმცირესი ოდენობა სხივოსნური ენერგიისა, რომელსაც გამოყოფს ატომი ერთ ჯერზე – ქეგლი.

კვანტილა:

დიალექტ. **I. კვანტილა**/ე-ი ფეხმოქცეული. ფეხების გადაკვანტალება ფეხების ერთი მეორეზე გადადება (იმერ. ბერ.). იხ. II. კვანტი.

დიალექტ. **II. კვანტილა** სკვანტილა, სკვანტილო, ბუსკანტურა – მცენარეა (ქვ.-იმერ., რაჭ. ა. მაყ.; იმერ. ქავთ., რაჭ. კობახ.).

კვანჩხ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. **I. კვანჩხი** მცირე სასმისი იყისა – საბა. || უძირო სირჩა – ნ. ჩუბ. კვანჩხი როგორც საღვინე ჭურჭელი 1250-1260 წწ. შიო მღვიმის სიგელში იხსენიება [ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წ. I, 1892., ტფ. II, 1897] – ლ. ფრ.

ივარაუდება, რომ [სპარს. ყადაჰ], ქართ. კადაჰა > კადჰა > კათჰა > კათხა; დიალექტებში კი კოთხო, კოჩხო, კონჩხო, კონჩხა || კვანჩხა სახით დასტურდება (უთურგაიძე 1988: 95). ვფიქრობთ, **კვანჩხი** სიტყვა უნდა მომდინარეობდეს „მუჭის" აღმნიშვნელი კვანჩხიდან. იხ. II. კვანჩხა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კვანჩხი** (იმერ.) მუჭი. || რაც კვანჩხში ჩაეტევა, რაც ცალ ხელში ჩაეტევა, – ნახევარპეშვი. «[ლობიო] ერთი-ორი *კვანჩხიც* რომ შევჭამო, ვინ შემატყობს?» (აკაკი). [სარიდანმა] დაიჭირა... მამალი და წავიდა ბაზარში, რომ იქნება რამდენიმე კვნიტ შაქარზე და ერთ *კვანჩხ* ჩაიზე გადაეცვალა (ა. ბელ.) – ქეგლი. || თითებმოხრილი ხელი. მოვკიდე ხელი სახელურს, ამევიდა ე გოგო და *კვანჩხზე* დამკრა (ლიჩი, ზ.-იმერ. ძოწ.). კვანჩხიანი პური ხმიადი. კვანჩხიან პურს საფუნებლის გარეშე ვაცხოფთ და *კვანჩხს* დავაჩენთ ზედ (წყალშავი, ზ.-იმერ. ძოწ.).

კვანჩხის ქარი ხელფების კრუნჩხვა (ავადმყოფობაა ერთგვარი) (გურ. შარაშ.). კვანჩხ- || კუნჩხ-: დაიკუნჩხების, იკუნჩხავს, მაიკუნჩხების, მახკუნჩხავს, მაიკუნჩხავს, შამაიკუნჩხავს (ხევს. ჭინჭ.). შდრ. **დაკვრანჩხული** დაბრეცილი, დაგრეხილი – ქეგლი.

კვანჩხა:

დიალექტ. I. **კვანჩხი** || **კვანჩხა** (ქვ.-იმერ.) ცალხელი, პეშვის ნახევარი (ვ. ბერ.). იხ. II. კვანჩხი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კვანჩხა** ძვ. პატარა სასმისი არყისა (საბა). ყოველთა დღეთა თვითოს *კვანჩხას* შასვემდი მულჯუმლითა (ქანან. 375, 26). || (ქვ.-იმერ.) ძვ. ღვინის ან წყლის დასალევი ხის ჭურჭელი ჭიქის ფორმისა. «ძველად შუშის ჭიქა არ გვქონდა, ამიტომ ხის გულს შუაში ამოტეხდნენ, გაასუფთავებდნენ და ხმარობდნენ წყლისა და ღვინის დასალევად, ასეთ ხის დასალევს-კი ვეძახდით *კვანჩხას*» («შინამრეწვ.») – ქეგლი. რაჭაში „კვანჩხა" ადრე მეტად გავრცელებული სასმისი იყო. პატარა ზომის *კვანჩხათი* არაყს სვამდნენ, ხოლო მოზრდილით – ღვინოსა და წყალს (რაჭ. ფრ. 201). || **კვანჩხურა** || **კვანჩხულა** || **კვანჩხუა** ღვინის სასმისია, სახელურიანი ხის კათხა (რაჭ. კობახ.). კვარანჩხი იგივეა, რაც კვანჩხი. კვარანჩხებითაც კი ვერ გევიყვანე პური (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). ამავე წარმომავლობისაა ჩანს **კუჭანჩხუ** – ხის სასმისი, კონჩხა; კნინ. **კუჭანჩხულდ** || **კუჭანჩხულ** (სვან. თოფ., ქალდ.). **კვანჩხა** ხის პატარა ქვიშის საათისებრ წელში გაწვრილებული სასმისი ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. I. კვანჩხი.

კვანწია:

საშ. ქართ. **I. კვანწია**: (კვაწია AB) მცირე კოჭობი ZAB. See also: კვაწია, კოჭობი, კვანწია – საბა. || კვაწია ლობიოს მოსახარშავი თიხის პატარა ქოთანი (იხმარება მთელს ზემო იმერეთში) (ზ.-იმერ. ძოწ.). || კვიწიანა (ზ.-იმერ. წერეთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუჭწ- „ერთგვარი მცირე ქოთანი" → ქართ. კვაწ-ია : ზან. კოჭ-ობ-ი (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კვანწია** 1. (ქართლ. იმერ.) კოხტად ჩაცმა-დახურვის, კოხტაობის მოყვარული, ცოტა პრანჭია ქალო, ქალო *კვან-*

წია, თეთრი კაბა გაცვია! (ხალხ.) – ქეგლი. თავი რო მოსწონს და იპრანჭება, ის არი კვანწია (კავთ. ქართლ. მესხ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ. 2. (გურ.) მოხდენილი, ტანადი და ცქვიტი (ახალგაზრდა ქალი). «წინ შემოხვდათ ერთი ციცა, *კვანწია* და შავ-თვალწარბა» (ი. ჭყ.) – ქეგლი. შდრ. კვანწი ძვ. თამაშობა, ცეკვა; კვანწვა ქალების ცეკვაში (ხელების, ტანის) მოხდენილი მოძრაობა (საბა). || (ქართლ. იმერ.) ხელების ლამაზი შეთამაშება ცეკვის დროს; კეკლუცობა, კოხტაობა – ქეგლი.

კვანჭილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კვანჭილა** კოჭლი, ფეხმოკლე (ქართლ. კირ.) – ქეგლი. || კვანჭალა (რაჭ. კობახ.). || კვაჭუტა კოჭლი, დაფეხვილი, კვაჩა, კვაჩალი (ვ. ბერ.).

დიალექტ. II. **კვანჭილა** კვიმატი სიტყვის პატრონი – ქეგლი.

კვარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კვარი** 1. ფიჭვის ან ნაძვის ხის ანახეთქის ფისიანი ნაჭერი, რომელიც სანთელივით იწვის (სოფლებში გასაშუქებლად ხმარობდნენ ჭრაქის, სანთლის ნაცვლად). ქოხის კარები გააღო ხნიერმა დიასახლისმა და ანთებული *კვარით* ხელში გარეთ გამოვიდა (ი. გოგებ.). საქმე თოვლივით დნებოდა... [გიორგის] ხელში და თვითონაც, საქმით გართული, *კვარივით* იწოდა (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. „ცეცხლი მოსანთებათ არც *კვარი* მაქ, არც ნამთი. ამ ქაღალდებ ვხმარომ“ (ჯავახ. ზედგ.). **მოკვარამს** მოშუშავს. ჯერ ხორცს *მოკვარამ* ხახვში (მოხვა, ზ.-იმერ ძოწ.). 2. ვენახის ტანზე რომ ლერწი ამოვა, იმას ვეძახით *კვარს* (ქვ.-იმერ. IV, III, 135). შდრ. მკუარი (მკვარი ფიჭვის სანთელი) – საბა: „განჯურიტიან ძირი მათი და შეასვიან შორის ძირთა მისთა სოლი მკურისაჲ და კეთილი ნაყოფი გამოიღიან (ბ. კეს. -ექუს. დღ. 72, 21). მკურის-კევი «რიტინე»: „აღიღე მკურის-კევი ქალწულისათჳს, ასულისა ეგჳპტისა“ (I, იერემ. 46, 11); „დასდევით მკურის-კევი წყლულებასა მას მისსა“ O, – დასდევით რიტინე“ (pb., იერემ. 51, 8) – ილ. აბულ. 3. კვარი: მეცხვარის კვარი ცხრატყავა მცენ. (მესხ. მაყ.). კვარი < მკუარი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ. ქართ. მკუარ- ფუძე რთული შემადგენლობისაა და იშლება კუ-ძირად და მ-არ ცირკუმფიქსად... ძირი კუ- შესაძლოა უკავშირდებოდეს კუამ-ს, რომელიც ქართველური ფუძე-ენისთვის ივარაუდება... ამგვარ ვარაუდს აბრკოლებს მხოლოდ კუ- ძირის ზმნურ ფორმაში დაუდასტურებლობა (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **II. კვარი** კვერი. მივირთვათ *კვარი* ცხარე არაჟნის სოუსთან. მეგრული „კვარი“ – უგემრიელესია! („გემრ.“). **კვარი** კვერი ზან. (ლაზ. თანდ., კალანდ.). იხ. II. კვერი.

კვარკვალ-ი:

დიალექტ. **I. კვარკვალი** ბზინვა, კრიალი (მარცვლეულისა). ისე გასუფთავდა, *კვარკვალი* გააქ პურსა (ატ., ნოს., ქართლ. ლექსიკ.). **III.** კარკარი.

დიალექტ. **II. კვარკვალი** ცახცახი. || კანკალი, ცახცახი (გურ. ნიკოლ.). აკვარკვალებს აცახცახებს შეცივებისაგან, აკანკალებს (გურ. შარაშ.). დუუკვარკვალა თვალები დაუხამხამა თვალები (გურ. შარაშ.). აკვარკვალება სიცივისაგან აკანკალება; „ისთე *აკვარკვალიფს*, რომ კპილები ქლათ დაანტრია“ (შდრ. მეგრ. კვარკვალი) (ჟღენტი 1965: 299). იხ. **IV.** კარკალი.

დიალექტ. **III. კვარკვალი** ნივთიერებისათვის მრგვალი ფორმის მიცემა (იმერ. ცხად.) – ფ. ერთელ. ქართულში გვხვდება ფორმები, რომლებშიც ორივე სეგმენტის ანლაუტის მჟღერი გ შესაბამისი ყრუმკვეთრი კ თანხმოვნის სახით წარმოგვიდგება *გვარ-გვალ – კვარ-კვალ (*გვარ-გვალისათვის შდრ. გურ-გვალ, რომლის ამოსავალი ფორმაა *გუარ-გუალ > გვარ-გვალ; შდრ. კვარ-კვალ-იტ-ე ცერცველა, გორველა (ერთელიშვილი 1980: 205).

კვერ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კვერი** 1. ოქრომჭედლის იარაღი. გახეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა *კვერითა* (ვეფხ. 1342, 3). *კვერი,...* გაზი (კალმ. 350, ქვ. 11). XII ს. საქართველოშივე ცნობილი ყოფილა ანდამატის („ალმასის“) გამოყენება ლალის და ალბათ აგრეთვე სხვა თვალთა გასათლელად. „ანდამატის კვერი“ ძვირფასი ქვების მთლელის ერთ-ერთი ძირითადი იარაღი იქნებოდა (მესხია 1982: 124). || ტექ. პატარა ჩაქუჩი. ჩაქუჩს არ უძახით, აქა ჩაქუჩს *კვერი* ქვია (ხიდარი) (ზ.-იმერ. ძოწ.). ◊ **კვერს დაუკრავს, კვერს დაჰკრავს** გადატ. დასტურს მისცემს, დაუდასტურებს. «ზაქარიას ცოლი ხომ ანჩხლია?» – «მერე რა-რიგი! საშინელი!» – *დაჰკრა კვერი* დარეჯანმა (ილია) – ქეგლი. 2. ურო. შენი მტერიო, ვისაც მოხვდება მჭედლის *კვერიო* (ანდაზა). მჭედელი გრდემლზე *კვერს* დაჰკრავს და ჯაჭვი ისევ გამთელდება (ვაჟა) – ქეგლი. **კვერის თავი,** თავი მჭედლის ჩაქუჩის მრგვალი მხარე რკინის საკვერავად (ქიზ. მენთ.). || ჩაქუჩი, რკინა-ფოლადისა (თუმ. მრეწ. I, 160). 3. ცელის გასაკვერი დაზგის ის რკინის ნაწილი, რომელზეც იკვერება ცელი (ჯავახ. ბერ.). მჭედელი რეიცას ახურებდა და *კვერს* ურტყამდა (ხიდარი, იმერ. ძოწ.). იხ. I. კუერი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კვერი** 1. «პური მრგვალი» (საბა). პატარა ბრტყელი მრგვალი პური (მჭადი...). ობლის *კვერი* გვიან ცხვებაო (ანდაზა). დედა-ჩემის გამომცხვარი *კვერი* ახალციხეს თბილი ჩამყვაო (ანდაზა). ქალმა... გამოუცხო ყველიანი პურის *კვერი* და მოართვა (ე. ნინოშ.). 2. გადატ. რაიმე მასა, დამრგვალებული და გაბრტყელებული. უკანა კედელზე მიკრული წივის *კვერები* მზეზე ხმება (ბ. ჩხ.)... და ყოველი თაფლითა შეზილოს... და ნდომისა ჟამსა ერთი *კვერი*... იხმაროს («წიგნი სააქიმოჲ») –

ქეგლი. 3. ხინკალია. გულად უშვრებიან ხორცს, ერბოს [და] კალტს (ხაჭოს), ჯინჭარს, შებუს (ღანძილს), კარტოფილს. ის უფუვარი არის (თუშ. მრეწ. III, II, 84). **საქონელიშ კვერი** საქონლის კვერი, რიტუალური კვერი, რომელსაც ბოსლობის დღეს აცხობდნენ შინაური საქონლისათვის ზან. (მეგრ. ქობ.). კვერი/ა (ფშ. ცოც., ხევს. ჭინჭ., ფშ. ქეშიკ., ჯავახ ზედგ., აჭარ. ნიჟ. და სხვ.). იხ. II. კუერი.

ახ. ქართ. III. **კვერი**: მუხლის-კვერი მუხლის-თავი. არჩილი... მუხლის-*კვერებზე* დაეცა გიორგის წინ (ილია). ◊ **მუხლის** კვერი მუხლის თავი. პაპუა და სოსია მუხლის *კვერებზე* მიფოფხდნენ ლეშის ახლო (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუა ამ სიტყვის შესახებ შემდეგს აღნიშნავს, ს.-ქართვ. *ჴუ „თავი (მუხლის). ქართ. კვერი სიტყვაში მუხლის-კვერი ზან. (მეგრ.) კვარბირგული „მუხლისთავი“. როგორც ეტყობა, საერთო ქართველურ ფუძეენაში არსებობდა ორი ომონიმური *ჴუერ-სახელი: 1. „კვერი“ 2. „თავი (მუხლი)“ (ჩუხუა 2018: 87).

კვერნა:

ძვ. სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კუერნა** ნადირი კაის ბეწვეულისა – ნ. ჩუბ. ||**კუერნი**: უკუეთუ ვის უხილავს ძუელი იგი ეგჳპტჱ ღმრთისმბრძოლი და განლიგებული მონებითა კერპთაჲთა, თაყუანისმცემელი *კუერნებისა*, ხახჳსა და ნიორისაჲ (ler= 12 99v, 19-23) – ზ. სარჯ. ხჳთქთა და გუელთა დ *კუერნათა* და თევზთა პატივის-მცემელნი პატივის მიერ პირუტყუთაჲსა უპატიოებასა მოუგებდეს თავთა (ხრონოღრ. 25, 23). ნუ უკუეუ და ლომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არცა ციდამტკავლულად იხედავს, არცა *კუერნაულად* კრთების (ქ. ცხ. I, 359, 12) – ი. ქერქ. ამ ცოლშვილ დახოცილთ რამდენი მელი, მგელი, დათვი, *კვერნა*, ტურა უნადირნიათ (კალმას. 492, 7). *კვერნა* სანადიროდ წავიდა და თავისი ტყავიც იქ დატოვაო (ანდაზ). ზამთარში ბევრ *კვერნას* იჭერენ ტყეებში (ი. გოგებ.). || ამ ცხოველის ბეწვი. სანადირო ტყავკაბა ეცვა ერისთავის ქალს, *კვერნისა* (კ. გამსახ.) – ქეგლი. აგრეთვე: **მელ-კვერნანი** წვრილი მტაცებლები (მელა, ტურა...). ტერელოს მამჩეს ორნი ძმანიო, *მელ-კვერნან* თრიან დოდოჩათაო (ეთნ. III, 56, 4). **მელ-კვერნათ ნათრევს ღგავ** ჩამოწეწილ-ჩამოგლეჯილია (ხევს. ჭინჭ.). **რკვენა** კვერნა (ზ.-იმერ. ძოწ.). **კვენ** კვერნა (სვან. ლიპარტ.).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, ჭან. კვენ-ურ-ი || კვენ-უ-ი, მეგრ. კვინორ-ი ქართ. კვერნ-ა, სვან. კვენ-; ძირი კვენ მეორდება სვანურსა და ჭანურში; მეგრული კვინ-კვენ-ისაგანაა მიღებული. ამგვარად, ჭანურში, მეგრულში, სვანურში კვენ-საერთოა; ქართული კვერნა საფიქრებელია კვენ-რ-ა-სგან მიგვეღო რ- || ნ-ს მეტათეზისით (ჩიქობავა 1938). აღდგენილია არქეტიპი კუენრ- კვერნა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე: გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965: 84, კლიმოვი 1964, ბ. გიგინეიშვილი.

დიალექტ. **II. კვერნა** ურმის ნაწილი: ერთი ოთხ რიკთაგანი, რომელიც ხელნის ქვედა (ორი – ერთსა დ ორიც მეორე) მხარეს არის ჩარჭობილი ღერძის მოსადებად. || ზესადგრების მონაკვეთი, რომელშიც უძრავად მაგრდება ღერძი – ქეგლი. *კვერნა* ურემს ოთხი აქვს, 2 ერთ ხელნაზე, 2 – მეორეზე, ზესადგარი იმ ადგილას, სადაც ის ედება ღერძას, ამოთეგილია თეგით და შიგ ჩადგმულია *კვერნა*, ერთი ღერძის წინ და ერთი ღერძის შემდექ, სულ ოთხი, რომ ღერძამ არ დეიწყოს მოძრაობა და აქეთ-იქით არ წევიდეს (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). || კვერნა, ყვერნა ურმისა. ურმის ნაწილია: უბეს (ხელნას) ქვემოდან ღერძის საბრუნ ადგილას ჩაყრილი აქვს ჭინჭილაქი, წყვილია, ღერძი უჭირავს, რომ ღერძი ან წინ არ წაგორდეს, ან უკან (ქიზ. მენთ.). აგრეთვე: ჯავახ. ბერ., ჯავახ. მრეწ. IV, II, 128, ზ.-ქართლ. მრეწ. II, II, 130. || ყვერა (იმერ. წერ., ბერ.).

კვეცო:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კვეცო** (რაჭ.) თოხის ერთი კუთხე – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირი *კუ̆ეცო „კუთხე, ნაწილი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. კვეცო** კვერცხი (ბავშვის ენაზე) – ქეგლი. კვეცო < კვერცხი.

კვიკვირ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. კვიკვირი** ძვ. „ყელთან, სადა ხმიანობაში ჩაიდრიკება“ (საბა) – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. **II. კვიკვირი** ძვ. იგივეა, რაც კუკური (საბა) – ქეგლი.

კვიკვირი (რკვ) > ძვ. ქართ. კუკური, კოკორი. შდრ. კვირ (კვირტი) კვიკვირი (რკვ) > ძვ. ქართ. კუკური (შანიძე, ნაისერი) > „კოკორი“. შდრ. კვირ- (კვირ-ტ-ი) (სანიკიძე 1976: 62).

კვინტალ-ი:

დიალექტ. **I. კვინტალი** 1. დაყრილი და გამაგრებული ადგილი სხეულზე, ხორცსა და კანს შუა. 2. ბროხის დიდი ცური, ჯიქანი, გამოწველის შემდეგ რომ ცოტას იკლებს (იმერ. ქავთ.). შდრ. II. კომეტა.

დიალექტ. **II. კვინტალი** ნაჭერი, ნატეხი. ქათმის ორი პაწია *კვინტალი* გადეიღო (ბოსლევი); სანთლის *კვინტალი* ჩადევი, რო მალე მეიხარჩოს (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.).

კვნიტი > კვინტალი. კვნიტი-ს ფუძე კვნიტ- მიღებულია ფუძემონაცვლე კვნეტა ზმნის რედუქციის საფეხურზე მყოფი კვნიტ-ა ფორმის ფუძისაგან, მისი ბრუნების პარადიგმაში ჩართვით – ბ. გიგინ. აღდგენილია ს.-ქართვ. *კუ̆ინტ- „მცირე ნამსხვრევი; ნამცეცა“ (ჩუხუა 2017).

კვინტილა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კვინტილა** გრძნეულთ ზეთი – დ. და ნ. ჩუბ., საბა. შდრ.კვინწილა ნადნობი – საბა. კვინტილაამოცხებული ვინც კვინტილა ამოიცხო; კუდიანი. [კუდიანობის ღამეს] თითქოს კვინტილაამოცხებული

ჯდებოდეს როდინის ქვაზე და მიფრინავდეს ტარტაროზთან (ა. ფურც.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **კვინტილა** 1. მაღალი წრის ადამიანი. იქაური *კვინტილაი* ეყოლებოდა იმ აბაშიძეს ცოლათ, გლეხის ქალს არ ითხოვდა. *კვინტილაია* კარგი, გვარიშვილი ნათესავები რო ეყოლება, იმითანა კარგი რო იქნებოდა (წიფა, ზ.-იმერ. ძოწ.). 2. მოუსვენარი, დაუდეგარი კაცის ზედმეტი სახელი. კვინტილა ზედმეტი სახელია, იტყვიან მოუსვენარ ადამიანზე (მერ.). *კვინტილაი* ცოლშვილიანია, მაგრამა ამ სახელსა მაინც ვეძახით (მერ., ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. III. **კვინტილა**: „რაღაცნაირ *კვინტილა* მოკლე კაბაში იყო“ („კრებ.“ 1971 წ., № III, 25) – ი. გრიშ.

კვინჩხ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **კვინჩხი** კვინჩხი (ხე) – საბა. || **კვინჩხი, კვინჩხა** კვრინჩხი. ათი დღის მშიერს მომერთვა სადილი საკვებურია, ...მოუწევარი *კვინჩხი* და მკვახე... კოწახურია (დ. გურამ.). გოლიათი მუხის ძირას თავს იწონებს *კვინჩხა* (ა. ქუთათ.). რამდენი ყურძენი უნდა დაკრიფოს და დასწუროს იონამ *კვინჩხისა* და კუნელის მსგავსად დაგრეხილი... ვაზისაგან?! (ა. ქუთათ.) – ქეგლი. || კვრინჩხი, კვრინჩხა [Prunus spinosa] დაბალი ტანის, გაფარჩხულ-განშტოებულ ეკლიანი ბუჩქი (ვარდისებრთა ოჯახისა). ნაყოფი მრგვალი აქვს, კურკიანი, შავი მოლურჯო ნაფიფქით, იჭმება. || ამ მცენარის ნაყოფი – ქეგლი.

დიალექტ. II. **კვინჩხი** თავის ქალა, კენჩხა (მარაბ., ქართლ. მენთ.). || კენჩხა (ქიზ. ფშ.) «თავის ქალა, თმით დაფარული ნაწილი თავისა» (ს. მენთ.). «მაღლა დაგიცდა [ტყვია], ბეჩავო, კენჩხას არა სჭირს (უჭირს) ძვლისასა» (ვაჟა). || კრენჩხა (კახ. მარტ., იმნ.). შდრ. I. კინჩხი.

დიალექტ. III. **კვინჩხი** სელის ან კანაფის გახდილი ღერო (აჭარ. ნოღ.). შდრ. კურჩხი ცერცვთ ჩელხი – საბა. შდრ. კრუნჩხი «გაცხავების შემდეგ ერთად დახვავებული თავთავები» (კირ.) – ქეგლი.

კვირია:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კჳრიაჲ** კვირის მეშვიდე დღე. დღეთაგან კჳრიაჲ (ეტლ. 5, 19). || **კვირაე** კვირადღე. წავიდა მთიბელ-მამკალი, ზედ-ა კვირაე, დარია (ხევს. პოეზ. 608, 1). სამ კვირაე გათავდების აეხლა შამშაბათს. აქვე: გააკვირაებს, გაკვირავება, გაკვირაული, საკვირაო (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

კჳრი(ა)ობა, კვირაობა: „*კჳრიაობათა* დაიუბნნის ძმანი“ (ი.-ე. 38, 22) – ილ. აბულ. აგრეთვე კვირია: ◊ ამ (იმ...) კვირია საუბ. ზმნს. ამ (იმ...) კვირის განმავლობაში, ამ (იმ...) კვირაში. «ამ *კვირაჲ*, მაშ, ვერაფერი ინადირე?» (ვაჟა). შდრ. კჳრიაკე კვირა (დღე) (ილ. აბულ., ქეგლი). კვირა < კვირია < კვირიაკე.

კვირიაკე შემოსულია ქრისტიანობის შემდეგ ბერძნულიდან (kyriakós „უფლისა") და ეწოდება აღდგომის დღეს, რომელიც მიჩნეულია უფლის დღედ (შდრ. ბერძ. kyros hemera). კჯრა ფორმა ქართულში გვხვდება დაახლოებით XVII საუკუნიდან (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. II. კვირია ეთნ. (ფშ. ხევს.) ხალხური ღვთაება, რომელიც ხმელეთის მზრუნველად (მოურავად) მიაჩნდათ – ქეგლი. || იწოდება „სიმართლის პასუხის გამცემელად ღმერთთანა და წყალობის გამომტანელად ადამიანებისათვის ფშაურს სადიდებელში და საერთოდაც კვირია ითვლებოდა სწორედ იმ ღვთაებად, რომელსაც სამართალი ეკითხებოდა და ებარა. მაგ. შატილის ღვთისმშობლის ხატის ხუცის დაწყალობებაში აღვლენილს ვედრებაში მოიპოვება „დიდება ძალ ხთისასა, სამართალ კვირიაისასა" (მას. საქ. ეთნ. I, 15) (ჯავახიშვილი 1950: 202). || კვირაე ღვთაება კვირა და მისი სალოცავი. მისთვის (კვირასათვის) საკლავის შესაწირავი პატარა კოშკი ცალკე არის აგებული და კვირაეს ეძახიან (ალ. ოჩ. კალენდ. 22, 24) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. III. კვირია, კვირილა ჩიტი ერთგვარი. *კვირია* ყვითელგულა ჩიტია, შოშიის ხელა, გრძელი ნისკარტი აქ, ფუტკარს ჭამს. ერთ ვერა ნახამ, თუ უნდა ნახო, ოც მაინც-ერთათა (ატ.). კვირილა ლამაზი ჩიტია, გრძელი ნისკარტი აქ, ნაცრისფერია და წითელი და მწვანე ურევია; ყანეფში არიან და „კრ", „კრ"-ს იძახიან (დის.); აგრეთვე ქვ. ჭ. (ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. კვირკვილი.

კვირკვილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. კვირკვილი თხილის ყვავილი (იმერ. ვ. ბერ.) – ქეგლი. კვირკვილი, კვიკვილი პატარა სიმრგვალე, თესლი, პატარა ბეწვი მცენარის ფესვისა, ფესვაკი, კვირტი, კოკორი, კუკური, ყვავილედი თხილისა ზან. (მეგრ. ქობ.).

გვირ-გვინ || *გვირ-გვილ– კვირ-კვილ (გვირგვინ || კვირკვილი) (ერთელიშვილი 1980: 204).

ახ. ქართ., დიალექტ. II. კვირკვილი ფრინველია ერთგვარი. იგივეა, რაც მესკია – ქეგლი. აგრეთვე გურ. კიწმ. შდრ. კვირიონი. კჯრიონი ზღვის ფრინველთაგანია, alcedo hispida: „კჯრიონი არს მფრინველი ზღჳსაჲ" (ბ. კეს.- ექუს. დღ. 116, 2). სულიერთაგან ტუტაქი და იადონი, შაშვ და ჩიტი და კჯრიონი... მისია (ეტლ. 6, 21). შდრ. კვირიონი (ქეგლი, თუშ. ხუბ., ქიზ. მენთ.).

დიალექტ. III. კვირკვილი საქონლის ავადმყოფობა. კვირკვილი თავისი თვისებებით ძალზე წააგავს პეპელს. „კვირკვილი ადგილობრივ მესაქონლეთა მიერ აღწერილი ნიშნების მიხედვით, ცხოველთა ჰელმინთოზურ დაავადებას ფასციოლოზს წააგავს" (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. IV. კვირკვილი წყეველაა საზოგადოდ. „ბოშებმა ბებერი ქალი გაამჯავრეს და *კვირკვილი* დაწყებიეს" (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ქვირქვილი ქვითქვითი – ქეგლი.

კვირტ-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კვირტი** 1. კოკორი ხისა – დ. ჩუბ. „რომელ არს წყაროჲ ცხოვრებისაჲ და მშჳდობისა ჩუენისა სიხარული, ახლისა ვენაჯისა *კურტი*, რომელმან ტევანი გამოიღო კურთხევისაჲ“ (სინ. მრ. 47, 25). გამოკურტვა კვირტის გამოღება: „იქმნა ქუეყანაჲ სავსე ყუავილთაგან შუენიერთა, რომელნი *გამოკურტჳედ* პირველ ნაყოფისა“ (მ. სწ. 145, 29) – ილ. აბულ. || გაუშლელი ყლორტი, ჩანასახი ყლორტისა ან ყვავილისა. ასე მგონია, ტანზე მასხია აფეთქებული ყველა *კვირტები* (გ. ტაბ.). ურიცხვი *კვირტი* ბებერ მსხლის ტოტებს ზედ მიხვევია, როგორც ფუტკარი (გ. აბაშ.). თბილა და მზით მოხიბლული იფურჩქნება ვარდის *კვირტი* (გ. კაჭახ). ფიგურ. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოკვანძავს ხოლმე ცხოვრების *კვირტსა*. ეს *კვირტი* კიდევ ის *კვირტია*, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა (ილია). ◊ **კვირტით მყნობა** ერთი მცენარის კვირტის გადანერგვა მეორე მცენარეზე, საძირეზე. ◊ **სამამულე კვირტი** კვირტი, რომლიდანაც ვითარდება სამამულე რქა. ◊ **სანაყოფე კვირტი** კვირტი, რომლიდანაც იზრდება, ვითარდება ნაყოფი. ◊ **იღლიის კვირტი ვაზის** ფოთოლთან გამოსული უნაყოფო კვირტი. აქ უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ *იღლიის კვირტი* ნამხარის წარმოშობისაა (ვ. ქანთ.). 2. ბიოლ. ზოგიერთი უმდაბლესი ორგანიზმის სხეულზე ერთგვარი გამონაზარდი, რომელიც თანდათან იზრდება, გარკვეულ დროს სწყდება სხეულს და იწყებს დამოუკიდებელი ორგანიზმის სახით არსებობას. 3. (ქართლ.) გადატ. შვილი, შთამომავლობა. «ე, რომ დიდ ოჯახში ჩავარდეს, თავს ვერ გაიტანს...; რძლები, მაზლის-ცოლები *კვირტს* არ გაუზდიან!» (ს. მგალობ.) – ქეგლი. ძველ ქართულ ლექსიკონებში ამავე მნიშვნელობით დასტურდება **გურტი** კვირტი და გვირტი E) გურტი, გინა კვირტი B. გვირტი, ვაზის კუკური E. See also: კუკური, კვირტი, კვირტი და გვირტი, კუვირტი – საბა. **გურტი** კვირტი, ვაზის კოკორი – დ. ჩუბ.

კვირტი, შესაძლოა, ნასესხები იყოს ბერძნულიდან (შდრ. ბერძნ. κυτίς „გამოზნექილი“, „მრუდი“, „კუზი“) – ბ. გიგინ.

ამ სიტყვისათვის, მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *კუ̈ირტ- ძირი და მიუთითა, რომ სვანური კორტ / კუ̈ერტ / კვირტ „კვირტი“ და მეგრული კვირტი, კვირტუა „აკვირტება“ სალიტერატურო ქართულიდან არის ნასესხები (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **კვირტი** მეჩეჩი. „*კვირტების* წამალი კლდის დუმაა. მზის თოლით ამაწვაც შველს, მაგრამ თუ ერთი ფესვი მაინც დაგრჩა ამოუწოვი, ისრივ ამოვა *კვირტი*“ (მოხ. ღუდ.). || ჴ., თ., მთ., მოჴ., კვირტა გუდ., მთ., მოჴ., მაჭაჭა, მაჭეჭა ფშ. მეჩეჩი – ა. შან. || კუირტი სენი. და მერმე სცხე იგი, რამეთუ არს კარგი საჰფასათუის, სრსუილისათუის და *კუირტისათუის* (ფანასკ. 38, 13). || კუ̈ირტი მეჩეჩი. „ჴელებზე კუ̈ირტები აქუ̈“ (მოხ. ქავთ.). შდრ. || იხ. II. კურტი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. კვირტი** ჩენჩი მატყლისა მრგვლად მოთელილი – დ. ჩუბ. მატყლის გაჩეჩის შემდეგ დარჩენილი მოკლებეწვიანი მატყლი («დიალ.»). მატყლში გამორეული დახვეული და შემკვრივებული ნაწილები – ქეგლი. || ა) ჯ. ბოლონდელ ჩეჩვაში დამრჩალი მატყლი, – ნაგულა. ბ) თ. „ფეჯების“ ძირების გამოსაქსოვი მსხვილი ძაფი – ა. შან. || კუირტი კვანძები მატყლში, ნაგულა. „მოკლე მატყლია, სასთავად არ ვარგა, გამოვარჩევთ და ლეიბჩი ვჰმარობთკე“ (მოხ. ქავთ.). იხ. II. კურტაკი.

საშ. ქართ. **IV. კვირტი** კრუტი, მწერია – დ. ჩუბ.

კვიცა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კვიცა** (იმერ.) მცირე ქოთანი – დ. ჩუბ., ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუეც-ა „დოქი, სურა, ქოთანი“ → ქართ. კვიცა (←*კვეც-ა) : ზან. კვანცა (←*კვაჩ-ა) (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. კვიცა: კვიცა პური** გვიცა. ე. ი. გვიძს და არა გვიძს, გინა გვაქვს და არა გვაქვს. საახალწლოდ გლეხთა დიაცნი გამოაცხობენ ორს კვერსა სხვა და სხვა ნიშნებით. ერთ დაარქმევენ გვიცა და მეორეს არა გვიცა. სახლის ბედს იმაზედ დასცდიან. თუ პირველი ჩავარდა კუტად ის იქნება საბედნიერო, ამის გამო იმერნი პატარა ლავაშს უხმობენ კვიცად (დ. და ნ. ჩუბ.).

დიალექტ. **III. კვიცა**: ვაკეთებდით მაქუდურს. ოთხ ბოძს დავასომდით, იმაზე გავდებდით გარეებს. მერე შუაში მაგარ დირეს გავდებდით და იმაზე *კვიცას* დავასობდით (ლეჩხ. მრეწ. I, 364).

კვრინჩხ-ი:

ახ. ქართ. **I. კვრინჩხი, კვრინჩხა** [Prunus spinosa] დაბალი ტანის, გაფარჩხულ-განშტოებულ ეკლიანი ბუჩქი (ვარდისებრთა ოჯახისა). ნაყოფი მრგვალი აქვს, კურკიანი, შავი მოლურჯო ნაფიფქით, იჭმება. *კვრინჩხს* რომ ეკალი არ ესხას, მას ფეხსაც დაადგამენო (ანდაზა). || ამ მცენარის ნაყოფი – ქეგლი. || მცენ. კვინჩხი – დ. ჩუბ. იხ. I. კვინჩხი

დიალექტ. **II. კვრინჩხი** ხორბალი (სიმინდი) წვრილი, ჯელღიანი ხორბალი, სიმინდი...). კვრინჩხი პური ანარჩევი ხორბალია, ნაგვიანი და დაბალი ხარისხისა (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). || ცხავში დარჩენილი ხორბალი, ჯელღის ხელახლა გალეწვის შემდეგ მიღებული (ქართლ. გაჩ.). შდრ. III. კვინჩხი.

კიანთ-ი:

დიალექტ. **I. კიანთი** საქანელი, რწიანა (რაჭ. ვ. ბერ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კიანთი** (იმერ. გურ.) ძლიერი ნათება, – ელვარება – ქეგლი. || კიაფი, ფოსფორული ნათება. **კანთი** წითელი ბაკმი, სინათლე, ჭვირი. **კანთიელი** სანთლიანი წითელბაკმიანი, მჭვირვალი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **III. კიანთი** კაკანი, სიმღერა (ლეჩხ. ჩიქ.).

კიაპ-ი:

დიალექტ. I. **კიაპი** არწივის, ორბისა და შევარდნის ყვირილი (გურ. ჭყ.).

დიალექტ. II. **კიაპი** 1. გაღვივებული მარცვლის ღივი, ღოჭი. „დიდო დედა-მარიემო, შენ ნუ გახკვლევ საკაოდ, გაუწყვიტრ საქონის *კიაპი*, ნუ მისცემ მაგის საქონთ სითეთრეს, წველა-დღვებასო“ (მ. ბალ.). აქვე: დაკიაპდების, კიაპ არდარჩების, კიაპს დაულევს, კიაპს არ დაულევს (ხევს. ჭინჭ.). 2. თესლის ნატამალი. „*კიაპიც* არ გახეთქავც, ერთიც არ ამოვიდავ თქმარ, თესლისად იციან“- კიაპიც არ გახეთქაო, ნიშნავს ერთიც არ ამოვიდაო (მარცვალი არ გახეთქა), თესლზე იტყვიან. გადატ. აბრამმაც პურიც არ მაჭმი, *კიაპადამც* გაუწყდება- აქ ქათმებზეა ლაპარაკი, აგრემც თესლადაც კი გასწყვეტია (თუშ. ცოც.). **კიაპით** (**კიაფში**, **კიაპიანად**) **ამოიღებს** ძირიანად, თესლიანად ამოიღებს, ამოაგდებს (ბოსტნეულს). *კიაპით* ამოიღოო, ფრინველზე ითქმის ეგა, ნისკარტ რო ჩასწვდება, ყველაფრიანად ამოიღეფს: ფესვიანათ, თესლიანათ (ატ.). ისე ამოწიწკნეს წიწილებმა ბოსტანი, რო სუ *კიაპიანათ* ამოიღეს (ქვ. ჭ.). ცხრა ვარია მყაამს და სუ *კიაფში* იღებენ ბახსა (ტყვ.). || წყევლასა: „*კიაპიმც* ამაუწყდება, ყიაპიმც ამასწყვეტია“ ძირფესვიანად ამოწყდეს, გაქრეს, მოესპოს სინსილა (მოხ. ქავთ.). ისე ამოსწყევლა, ისე, რო სუ *კიაპში* ამოიღო (ქვ. ჭ.). აგრეთვე ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). 3. უმცირესი რამ, ბეწვის ოდენა, ციცქნა. ერთი *კიაპი* არ დამრჩენია (გურ. ღლ.).

კიდო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კიდო** 1. (ქართლ.) «უციკნო თხა, რომელსაც ციკანი ჰყავდა და მოუკვდა» («დიალ.») – ქეგლი. 2. უბატკნო დედაცხვარი, რომელსაც ბატკანი მოუკვდა ან დაეკარგა. ასეთ ცხვარს მწყემსები მაინც წველიან. „*კიდოებს* ვუწუელიდი და ძაღლებს ვაჭმევდი, ჯერი რომ აღარ მქონდა“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე ფშ. ხორნ. || კიდუა-ი უბატკნო, მეწველი ცხვარი. „ემ დილით კიდუები გამოვარჩიე და დავწველე“ (მოხ. ღუდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *გიდ-ო „ცხვარი, ბატკანი; ბურვაკი“ → ქართ. კიდ-ო (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **კიდო** (იმერ.) კიდევ – ზმნს. ხელახლა, ისევ, კვლავ – ქეგლი. კიდო < კიდევ.

კიდევ (მიღებულია კიდე სიტყვაზე -ვე ნაწილაკდართული კიდევე ფორმის გამარტივებით (ბოლოკიდიური ე-ს მოკვეცის შედეგად. კიდე-ს ძველ ქართულშივე ჰქონდა მნიშვნელობა „გარდა, მეტი, გარეშე“ – ბ. გიგინ. კიდევ > კიდოვ > კიდო (ქავთარაძე 1984: 276).

კივ-ი:

დიალექტ. I. **კივი** ჯოგი. „თეთრი ირმის *კივია*“(ხალხ. პოეზ. X, 889, 2).

ახ. ქართ. II. **კივი** ჩინური ხურტკმელი. კივის – აქტინიდიას სამშობლოა ჩინეთი. მას სხვაგვარად „ჩინურ ხურტკმელსაც“ უწოდებენ. სახელწოდება კივი მან ახალზელანდიელი სელექციონერის, ალექსანდრ ელი-

სონის დამსახურებით მიიღო – კივი იმიტომ შეარქვეს რომ ამ ქვეყნის სიამაყეს, უცნაურ, უფრთო და უკუდო ჩიტს მიამსგავსეს (ეს ფრინველი მათ ემბლემაზეა განთავსებული) („ვიკიპ.“).

ახ. ქართ. III. **კივი** [ავსტრალ.] ქათმისოდენა უფრთო ფრინველი (არ ფრინავს); აქვს გრძელი და მოქნილი ნისკარტი; ბინადრობს ახალ ზელანდიაში – მ. ჭაბ.

კივკივ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **კივკივი** ინდაურის ხმიანობა. ფიგურ. მე ამად ვყივი, ვყვირი და ვკივი, ვერ გავარკვივე შენი *კივკივი* (დ. გურამ.) – ქეგლი. აღტაცების კივკივით გვეგებებოდნენ მეთოვლიები (რ. ინან. ჯაფ. 199, ქვ. 8).

ახ. ქართ. II. **კივკივი** კოხტაობით სიარული. მოკლე-მოკლე ნაბიჯებით – ი. გრიშ.

კივკივა:

ახ. ქართ. I. **კივკივა** რაც კივკივებს, რასაც კივკივი სჩვევია. სახლში მამლის საუბედუროდ ინდაურები გაიჩინეს, – გაიჩინეს ეს აბლატი, ჩერჩეტი, *კივკივა* ფრინველები (ვაჟა). «ურჩი მიუშვი ნებასა, იქ შეეყრება ვნებასაო!» – იძახდნენ ქათმები და *კივკივა* ინდაურები (თ. რაზიკ.) – ქეგლი. იხ. I. კივკივი.

დიალექტ. II. **კივკივა** თხელი, წყალწყალა (საჭმელი). გააკეთეფს *კივკივა* ლობიოსა და ეგ არი მაგათი საჭმელი (ძეგ.). მა *კივკივა* თათარაში ნეტა რა ჩურჩხელები უნდა დაივლოს?! (მერ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ტივტივი რაიმე საგნის, სხეულის მოგდება სითხის ზედაპირზე და ცურვა – ქეგლი.

კიკინ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **კიკინი** თხათა ხმიანობა – ნ. ჩუბ. || თხის ხმიანობა. თხა *კიკინით* ამოვიდა, ცხვარს სული ამოუვიდაო (ანდაზა). ციკანი მყავდა..., ამის ხმა *კიკინით* მახალისებდა (ვაჟა) – ქეგლი. გადატ. **კიკინ-კიკინი** კიკინით სიმღერა. წეიღებდი ღვინოს, დაცხებდი და სულ *კიკინ-კიკინი* გაქქონდა (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კიკინი** ყურებთან ჩამოშვებული გრძელი თმა (ზოგჯერ დახუჭუჭებულიც). «რა დროს ხუმრობაა, ყმაწვილო?» – მიუგო კოპწია კეკამ და *კიკინები* შეიხუჭუჭა (ვ. ბარნ.). [სტუდენტს] წვერი მოპარსული ჰქონდა, მხოლოდ ყბებზე *კიკინებივით* ჩამოეშვა ბალანი (ი. ეკალ.). «მოკვდი!» – ეუბნებოდა ნინო და აგლეჯდა *კიკინებს* (ეკ. გაბ.) – ქეგლი. **კიკინი** ყურებთან ჩამოშვებული თმა (კირიონი). თმას *კიკინებად* დაწვნის დროს შავი ძაფებით ჩაიქსოვდენ (მესხ. მრეწ. III, 1, 204); კიკინოყი (თუშ. ხუბ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

რ. გორდეზიანი ვარაუდობს, რომ ქართული კიკინ მიღებულია რედუპლიკაციის შედეგად (← *კინკინ), მასში გამოიყოფა კინ-ფუძე. ხომ არა აქვს მას კავშირი საერთოქართველურ დონემდე ამავალ ქართ. კიდ-ფუძესთან (მეგრ. კი (ნ)-დ; ჭან კიდ-; სვან. კიდ-/კდ-)? (გორდეზიანი 1985).

კიკნა:

სამ., ახ. ქართ. **I. კიკნა** მვალსა ვჰღრღნი – დ. ჩუბ. || სახელი კიკნის ზმნის მოქმედებისა, – ციცქნა. ძალის-ძალად დავუწყე *კიკნა* პურსა და საჭმელსა (ლ. არდაზ.) – ქეგლი.

ქართულ-ზანური არქეტიპი აღდგება *კიკ- („ციცქნა, კენკვა, წიწკნა“) სახით (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. **II. კიკნა** ძალიან პატარა, – ერთი ბეწვა, ერთი ციცქნა. ერთ *კიკნას* გავუფხაჭნით მკლავს, არც-კი იგრძნობენ (ი. მაჭავ. თარგმ.). «ელთი *კიკნა* ლქებიც ალა ჰქონია ამ საწყალსა!» (თ. რაზიკ.). ჯერ ნორჩია, ერთი კიკნა, ერთი ბეწვა (ი. გრიშ.) – ქეგლი.

კიკნა სიტყვისათვის ივარაუდება ს.-ქართვ. არქეტიპი *კიკ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

კიკო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კიკო** ტუზი სათამაშო ქაღალდში – დ. ჩუბ. კიკო კენტსა ნიშნავს, და რომელს კიკოს მკითხავთ? სწორედ კენტს *კიკოს* გკითხავ. ბანქოს კიკოს თუ სხვა *კიკოს?* (კალმას. 411, ქვ. 13). || ბანქოს სათამაშო ქაღალდი, რომელზედაც მხოლოდ ერთი გამოსახულებაა (ერთი ჯვარი, ერთი ყვავი და მისთ.), – ტუზი. «აგერ ჯვრის *კიკო* ამომივიდა, და ეს ფულს ნიშნავს» (ს. მგალობ.). «[ადვოკატი], მეტადრე როდესაც ფრაკი აცვია, ნამდვილი ყვავის *კიკოა!*» (ა. ცაგარ.). || გადატ. კენტი, ცალი, მარტოხელა – ქეგლი.

დიალექტ. **II. კიკო** (გურ.) კურდღლის ბაჭია. – ქეგლი. **კიკო ბაჭია** ზან. (მეგრ. კილ.). იხ. II. კიკნა.

დიალექტ. **III. კიკოი** ტიკინა, დედოფალა (ინგ. ჯან.). || (მრ. კუკუევ) დედოფალა თოჯინა, რომელსაც კოტიოვის დროს ატარებენ. ერ კიკოიბე *კიკოი* ამბოვენ, ბევრიბე -კუკუევს (ინგ. ღამბ., როსტ.). შდრ. კუკნა ძალიან პატარა, მცირე, ციცქნა რამე, – კიკნა (ქეგლი).

დიალექტ. **IV. კიკო** კიკვი ოთხგვერდად გათლილი პატარა ჯოხი – (კახ. ა. გვენც., თ. ბერიაშვ.) – ალ. ღლ.

კილოიან-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. კილოიანი, კილოებიანი** რასაც კილო (კილოები) აქვს ამოჭრილი – კოჭის, ძელის ან ფიცრის სიგრძივ ამოღრუებული ჭრილი, ჭდე, რომელშიც შედის (ერთიმეორესთან დასაკავშირებლად) მეორე კო-

ჭის, ძელის ან ფიცრის საგანგებოდ მორგებული ვიწრო შვერილი. კილოებით ჭდობა კილოიანი (კილოებიანი) კოჭი – ქეგლი. შდრ. IV. კილოიანი.

ახ. ქართ. **II. კილოიანი** იგივეა, რაც კილოგრამიანი. კილოიანი ქილა.

შდრ. კილო [ფრანგ. kilo ბერძ. chilioi-დან ათასი] კილოგრამი (შემოკლებით) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კილოიანი** 1. გადატ. მრავალფეროვანი, ნიუანსებიანი. ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი... ასე რომ ერთ და იმავე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა (ილია). || მოსასმენად სასიამოვნო. ზოგიერთის ლაპარაკი, გაუწყვეტელი და *კილოიანი*, გიამება (ილია) – ქეგლი. **კილოიანი** 2. გუნებიანი, ხასიათიანი. „კილოიანი ქალია გაგაის დედა“; 3. ცხოვრების ალღოს მქონე, აზრიანი. „კილოიანი კაცია და იმიტომ კარგა მიუდის საქმე“ აქვე: კილო გუნება, ხასიათი, ფანდი, მოხერხება; ალღო, აზრი. „არა ხარ ომის კილოსა, ყმაწვილი ცოტას ხნისაო“ (მოხ. ქავთ.). *„კილოიანი* ქალი იქნება თუ კაცი, სადაც გინდა გადიწია მაინც იცხოვრებს. უკილო კი წარაუგონთ გადივლის, ქონს ვერ მაიკრავს“ (მოხ. ღუდ. აგრეთვე ხევს. ჭინჭ.

კილო-იანი < კილო: იან- კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი; კილო ლინგვ. საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ კუთხეში, – კუთხური მეტყველება, დიალექტი || ინდივიდისათვის დამახასიათებელი გამოთქმა, ლაპარაკის მანერა || საუბრის ესა თუ ის ემოციური ელფერი, იერი; ინტონაცია – ქეგლი. შესაძლოა, ქართული კილო („ხმის მიმოხრა“, „ინტონაცია“) მოდიოდეს ბერძნულიდან (შდრ. kyllós „მრუდი, „დასახიჩრებული“) ე. ი. ეტიმოლოგიურად როგორც „მიღებული ნორმის გამრუდება, დამახინჯება“ იქნეს გაგებული (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **IV. კილოიანი:** ◊ **კილოიანი თვალები** კუთხეებში გაზიდული თვალები. მოგრძო მოყვანილობის თვალები. ქალის *კილოიანი* თვალები თითქო დამრგვალებულიყო (ვ. ბარნ. ელექტრ.).

კილო-იანი < კილო; იან- კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი; კილო ქუთუთოს კიდე – ქეგლი. საინტერესოა ქართული კილოს მიმართება ბერძნულ kýlon („ქვემო ქუთუთო“) ფორმასთან (გიგინეიშვილი 2016).

კინთ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კინთი** 1. კანაფის დასახვეწი თავ-ბოლო გაჯვრეტილი ჩხირი – საბა. || საპენტლის ლარის საცემი ჯოხი ბახვას მამას ერგო... ერთი კარდალი..., ერთი *კინთი* (გ. წერეთ.). || (ქიზ.) «ჯარის სახელურის ტარი» (ს. მენთ.). || ბამბის პენტვა («შინამრეწვ.»). ძალს ზევიდან *კინთსა* სცემენ ბამბის პენტვის დროს («შინამრეწვ.») – ქეგლი. || *კინთი* მაქმანის საქსოვი კაუჭა ჩხირი (რკინისა). „ამ ბაზმას *კინთის* ოდა აქ გაკეთებული“ (ინ., ჩვენ ფუტკ.). 2. (ქვ.-იმერ.) ფეხის დასაბჯენი ჯოხი ბარის ტარ-

ში – ქეგლი. || „ტაფას კინთი აქ" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). 3. (ქვ.-იმერ.) თითი ბროხის ცურისა – ქეგლი.

მიიჩნევენ, რომ კინთის არქეტიპია ს.-ქართვ. *კინთ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **კინთი** მოთაკილე (ფშ. შან.) – ჯიუტი. *კინთ* კაც ყოფილა ესი, ხატის სამსახურზე უარ უთქომ (უძილაურთა, ფშ. ხორნ.).

კინთა:

დიალექტ. I. **კინთა** კატის კნუტი. კინთა მთელღამეს წკაოდ (მთ. შან.). || კანთურა || კინთურა || კინთურუა (ფშ. შან., ხორნ.). შდრ. კნოტი, კნუტი კატის შვილი – საბა, დ. ჩუბ.; ფშ. კნოტი, თუშ. კოტნაყრ. კნუტი იგივეა, რაც კუტ-ავ-ი (ჭან.) – ლეკვი. ეგევე ძირია ქართული კნუტ- || კნოტ-: „ციცას შვილი" (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. II. **კინთა** 1. ბამბის საპენტი ჩხირი; 2. კალათის ხელის თავში გაყრილი ჩხირი (ლეჩხ. ალავ.). იხ. I. კინთი.

კინკილ-ი:

საშ. ქართ. I. **კინკილი** ჭინჭილი, წყლის ჭურჭელია (გურ. ღლ.). შდრ. ჭინჭილა, ჭიჭლა ცირე საღვინე ZACD. მცირე საღვინე კეცისა – საბა.

საშ., ახ. ქართ. II. **კინკილი** 1. ცალის ფერჩით ხლტომა ZAB. ცალ–ფერჭ სლვა – საბა. || ცალ ფეხზე ხტომა, ცალ ფეხზე ხტომით სიარული, – ასკინკილა. 2. გადატ. მარტოხელად, ცალად ხეტიალი. გეწადა, კიდეც მოგერგო სოფლებში ცხენით *კინკილი* (ვაჟა). ამ დღიდან ვიწყე სირბილი, და ჩემმა ქმარმა – ჩემს უკან – ქუდმოგლეჯილმა – *კინკილი* (ბაჩ.). *კინკილით* ზმნს. ცალ ფეხზე ხტომით. [გოშიამ] მიუგო: «... მე მხოლოდ... დავდივარ უკანა ფეხით, *კინკილით!*» (რ. ერისთ.) – ქეგლი. || მსუბუქად და კოხტად სირბილი. ჯირჩლამ საფერჭე შახკაზმა, ზე ორბი შაჯდა მჭრითაო, ბლო-ღელე გადაავლია, სამელე *კინკილითაო* (ხევს. პოეზ. 182, 10). *კინკილით* ამავიარე შატილის ჭალა კლდიანი (ალ. ოჩ. 168, 4 – ალ. ჭინჭ.). შდრ. კინკილა (იმერ.) ცალი, მარტოხელა. || ერთად-ერთი. «თუ ეგ შენი კინკილა ხმა სხვას გინდა მისცე და იმის გულისთვის გინდა თავი აგვარიდო?» (ა. ბელ.) – ქეგლი.

კინკლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კინკლი** (ქიზ.) «ცხვირში გამხმარი ჟღვინტი» (ს. მენთ.) – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კინკლი, ყინყლი** კინკლიანი კაცი ჭინჭყლი, მიზეზიანი, ჩხუბის გამომწვევი (გურ. შარაშ.). შდრ. კინკლაობა მცირე ომი(ა) ZACDE. მცირე ომობა B. – საბა. აკინკილება, აკინჭილება – დ. ჩუბ. კინკლაობა სახელი კინკლაობს ზმნის მოქმედებისა, – ჩხუბი, დავა უმნიშვნელო მიზეზის გამო. პლატონი შიშმა აიტანა, – ვაი თუ რამე კინ-

კლობა მოხდეს ამათ შორისო (დ. კლდ.). «ახლა რა დროს კინკლაობაა?!» (ს. შანშ.). «იცოდე, აწი არ გავიგონო თქვენი კინკლაობა!» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

ივარაუდება, რომ *კინკილ > კინჭილ || კინჯილ (*კინკილის ხმოვანრედუცირებული ვარიანტი დაცულია ფუძეში კინკლი (ერთელიშვილი 1970: 190).

კინჩხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კინჩხი** (გურ., ზ. -აჭარ.) კისერი. ◊ *კინჩხი უტეხია* (იმერ.) კისერი უტეხია. *«კინჩხი უტეხია* და კისერიც იმ ჩემ ქალიშვილს!» (ს. კლდ.) – ქეგლი. || (ვანი) კისრის უკანა ნაწილი (იმერ. ჯაჯან.). გლახათ ვიწექი და *კინჩხი* მტკივა (შომახეთი, ზ.-იმერ. ბოწ.). || კეფა (მესხ. ფეიქრ.). **კინჩხი** მხარი კისრისა და ხერხემლის შეერთების ადგილას ზან. (მეგრ. ელ.).

კინჩხი კისერი გვხვდება დასავლურ ქართულ დიალექტებში, აგრეთვე მეგრულსა და სვანურში. სიტყვა ნასესხებია მეგრულიდან და თვით მეგრულში მიღებულია *ყინჩჭი ფორმისაგან ჯერ ყ-სა და ჭ-ს საურთიერთო მეტათეზისით (*ქინჩყი), ხოლო შემდეგ უჩვეულო ჩყ კომპლექსის ჰარმონიულ ჩხ ჯგუფად გარდაქმნითა და ქ-ს დისიმილაციური გლოტალიზაციით. *ქინჩხი > კინჩხი (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **კინჩხი** (ლეჩხ.) თავცეცხლის, თაგვისარის, ან ღომის ჩალის კონა, რითაც დიდ ქვევრს რეცხავენ (ოკრიბ. ალავ.). **კინჩხი** კანაფის ღერო ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. III. **კინჩხი/ა** პატარა ყველის კვერი (ხევს. თავისებ. 268, 30). || კონჩხულარ (უთურგ., ხუბ.); ამახკინჩხავს პატარა ყველს ამოიღებს (ხევს. თავისებ. 268, 319). || კინჩხა (იმერ. ჯაჯან.). შდრ. II. კვანჩხი.

კინწ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კინწი** 1. კისერი – საბა. და მძიმის ლახტით *კინწსა* მოგტეხ, დაგანარცხებ მიწასაო (შჱნ. I, 3894, 4). თუმც ვარგიყოს ელჩის მოკულა, მოგწყუედ *კინწსა*, მალე! (შჱნ. III, 636, 2). ცხენსა არბევდა და საწადლის მშვილდის საბელსა *კინწთა* გარდააცმიდა (ქილ. 711, 20). || საუბ. კისერი, ქედი. ჩვენ ხან თავი ავუღეთ [ბატკანს], ხან ავაყენეთ, მაგრამ *კინწიც* მოსწყვეტოდა და ველარც ფეხზე დგებოდა (თ. რაზიკ.). || კირწი კისერი. ორთავ კირწები დალეწა, პილოც მოკუდა და კაცია (შჱნ., III, 829, 1). 2. (იმერ. რაჭ.) იგივეა, რაც ყუნწი. როინმა მტევანი გამოართვა და *კინწით* დაიკავა (რ. გვეტ.). *კინწს* ჩვენ ვეტყვით, მტევანსა და ვაზს შუა რომ არის მოთავსებული («შინამრეწვ.»). ღომს *კინწში* მოვსჭრით თაველს, გავახმობთ მერე და შევინახავთ ბეღელში («შინამრეწვ.»). *კინწით* მყნობა («შინამრეწვ.») – ქეგლი.

კინწი იგივეა, რაც ყინწი კინწი > ყინწი. (ყ > კ გადასვლა სიტყვის თავში დასტურდება სხვა სიტყვებშიც: ყიჟინა > კიჟინა, ყურდგელი > კურდღელი, ყმედა > კმედა). შდრ. კუნწი || ყუნწი (გოგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **კინწი** კლდის პატარა შვერილი. *„კინწმა* მამტაცის თოლი, ძლივ კი ჩანდა კლდის სიშორეჩი გამოშ'ერილი“ (მოხ. ქავთ.). შდრ. კინწირა, კინწირო, კინწიხი (ქართლ.) წვერი, კენწერო. დავინახე, რომ უფსკრულის ზედ კინწირაზე ვიდექი (ლ. არდაზ.) – ქეგლი.

კიპ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **კიპი** ძვ. «ისრის კილოს დაზიდვით ჭერა» (საბა). შდრ. კიპირი (ლეჩხ.) ეთნ. ერთგვარი რიკი, რომლითაც კიპირობას თამაშობენ. ამ თამაშობაში (კიპირობაში) გამოყენებულია რიკი, რომელსაც ამ შემთხვევაში კიპირი ეწოდება («ლელო») – ქეგლი.

დიალექტ. II. **კიპი** თივის დიდი ზვინი (მოხ. ქავთ.). შდრ. კელფი (ერწ.) «დატკეპნილი თივა» («დიალ.») – ქეგლი.

III. **კიპი** ლაოსის ფულის ერთეული – მ. ჭაბ.

კიპკიპ-ი:

სამ. ქართ. I. **კიპკიპი** ძვ. ქორის ხმიანობა საბა. || ყიპყიპი შავარდნისა (შავარდენთა B) და გავაზთ ჴმიანობა – საბა.

დიალექტ. II. **კიპკიპი, კიპკიპები** თვალისა. ქუთუთო, ქუთუთოები თვალისა (ი. ჭყ.).

კირზა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კირზა** (ხევს.) იგივეა, რაც კენკეშა. მაგით მიყვარს ვერხვიანა, *კირზას* ისხამს ერთიანა, ცოლ-შვილ მაგით გამოვკვებე, სხვა-კი არა მეტიალა (ხალხ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **კირზა** [გერმ. Kirsel < ინგლ.] ერთგვარი მკვრივი ქსოვილი, ტყავის შემცვლელი. მაგ. კირზის ჩექმა – მ. ჭაბ.

კირკალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კირკალი** 1. რკალი. ბორბალი შედგება თხილის ორი თანაბარი *კირკალისაგან;* ეს ორი თანასწორი *კირკალი* უღლებით არის ერთმანეთზე დაკავშირებული («შინამრეწვ.»). ჯღუნა, ...შეჩვეული თავის სახლს, გაჰედილს, ბაგებით... პალოებითა და *კირკლებით,* მიუძღვებოდა წინ [ვეფხიას] (ა. ყაზბ.) – ქეგლი. || რკალივით მოხრილი ჯოხია, რომლის ორი ბოლო ერთმანეთთან წნელითაა დაკავშირებული (ქართ. მტკვრ. ჩრდ. მრეწ. IV, II, 111). || მორკალული ხეუკა უღელივით რომ იქნება, ჰე ამას ქვია (ზ.-რაჭ. მრეწ. I, 351; ქართლ. მტკვ. მრეწ. IV, II, 111). || კირ-

კალ (ინგ. ღამბ.). 2. რკალი, რომლითაც საქონელს ბაგაზე აბამენ (ზამთარში). ჯიმითელებს ეთქვათ: «მოვიდა ნიბლა, *კირკალი აუყარეო!*» (ხალხ.) – ქეგლი. „ცხავი და თორაც არი, რო კირკალი ნახო, რა'რი"/თორელი/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. საძირ-გირკალი ძროხის დასაბმელი მოწყობილობა. შედგება ორი ნაწილისაგან. 1. გირკალი, ხის მოხრილი რკალი, რომელიც ძროხას უშუალოდ ყელზე ედება და 2. საძირი, დაგრეხილი წნელი, რითაც დაბმულია ძროხა. „სამი-ოთხი ხყვანო ძროხანიო *საძირ-გირკლითა* ჲზიანო" (ფშ. ცოც.). საქონელი დაბმულია ბაგაზე გირკალით და საბელით (თუშ. მრეწ. I, 144).

გრკალი || რკალის არქეტიპი აღდგება *კრკ-სახით (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. II. **კირკალი** კარკალი. აქ ლოდი, სიპი, პიტალო. სატანას მოუთრევია, კაჟი, ქვა, ქარწბი, *კირკალი* შეუბრავს, შეურყევია (რ. ერისთ.). იხ. I. კარკალი.

კირკილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კირკილი** (იმერ.) 1. წყაროს წყლის რაკრაკი. 2. გადატ. სიცილი, კისკისი. «აიტეხა *კირკილი* და ვერაფერით ვეღარ გავაჩერეთ» (ბ. წერეთ.) – ქეგლი. || ნელი, ჩუმი, სიცილი, – ქირქილი, ხითხითი (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. II. **კირკილ**ი ხმელი პროდუქტის ფქვილისებური მღილოვანი ჩანაყარი. აჩნდება ხმელ კალტს, ყაღს ძველ პურეულს. „ვერცრას დაგითხრით ჴაროთა, ძველ-ძველთა, *კირკილიანთა*" (თუშ. ცოც.). || მწერია ერთგვარი, რომელიც ტყავს უჩნდება. *კირკილი* მაჰჩდომია მრზორი ტყავ (ინგ. ასრათ.). ჴორცს *კირკილ* ჩაჰსევნი; „ჴმელ ყახაჟს მარტო *კირკილ* (ჩრჩილი) ესევ, მაგრამ თუ ფეტვის მუზრუში (გროვაში) ან ფქვილში დამარხეს, მაშინ *კირკილიც* ვეღარ აჴდენავს (ახდენს, აფუჭებს)" («შინამრეწვ.», ინგ. ღამბ.). *კირკილი* ჭიასა ჲგავ და მატყლსა ჲჭამს, ძრიალ წრილი ჭიაა: *კირკილმა* შაჭამა ჩონ ყალიჩებიო (ფერეიდ. ჩხუბ.). „ჴორცს დააფარე რაიმე თორო სიცხეა ბუზუნები *ჩაჰკირკილავენ*" (მოხ. ღუდ.). აგრეთვე (ხევს. ჭინჭ.).

შდრ. **გრკილი** დაგრკილული „დამღილული", ჭიანაჭამი. „პური მათი საგზალი, ჴმელი და დაგრკილული და დაჭმული" G – „პური საგზლისა მათისაჲ განჴმელ იყო და დამღილულ" (M, ისუ ნ. 9, 5) – ილ. აბულ. გადატ. გრკილი ჭია. უბადრუკო, ყვენ ძმანი შენნი, თანამონაწილე გრკილთა, ხვალე დალპობადი იგი მიეც დღეს გლახაკსა (ბას. კეს. 94, 1) – ზ. სარჯ. ივარაუდება, რომ გრკილის არქეტიპია ს.-ქართვ. *კრკილ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

კირკილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კირკილა** 1. „ბუზის ხრილი ხორცზე“ (მთ. «დიალ.») – ქეგლი. || ხის მერქნის ჭია (ფშ. გოგატ.). აგრეთვე **კირკილათ ფქვილი** ხის ჭიის ნაფქვავი (ფშ. ხორნ.). 2. პატარა ტანის ავი კაცის ზედმეტი სახელი, თიკუნი (ფშ. გოგატ.). იხ. II. კირკილი.

დიალექტ. II. **კირკილა რკალი.** ჯარას გარდა ძაფი იძახება სამახ ტარზე. ასეთი ტარი ჩამოკიდებულია *კირკილაზე* (მთ. მრეწ. II, II, 112). იხ. I. კირკალი.

კირკიმალ-ი:

დიალექტ. I. **კირკიმალი** თავგატეხილი ჯოხი, რომელსაც ბავშვები ღობეში უყრიან ყურძნის მოსაპარავად (რაჭ. ბერ.). || კირტიმალი (იმერ.) იგივეა, რაც კირკიმალი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კირკიმალი** (იმერ., გურ.) სამიზეზოს ძებნა, წვრილმანებში ჩაყოლა, ჩაცივება. აითვალისწუნა შევარდნაძემ ირაკლი... და ახირებული *კირკიმალი* დაუწყო (პ. ჩხიკვ.). ◊ **კირკიმალში ჩადგომა** იგივეა, რაც კრიჭაში ჩადგომა (ბ. წერეთ.) – ქეგლი. **კირკიმელი კუდის რიკი.** კირკიმელმა ინოთხოზინი კუდის რიკამდე მიდევნა, ჩაძიება ზან. (მეგრ. ქობ.).

კირკიტ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **კირკიტი** მაგარნაჭუჭიანი, ძნელად გასატეხი ან ძნელად დასარჩევი (კაკალი), – კერკეტი. || მაგარი, ჩაკირული (კვერცხი). [ვანე] არჩევს *კირკიტ* კვერცხებს, ისინჯავს კბილზე (თ რაზიკ.). || გადატ. მაგარი, უტეხი. ჩასხმული ბიჭია. ცქვიტი, *კირკიტი*, კენარი, უდრეკია და გულადი, სხარტი და მოუსვენარი (გ. ლეონ.). «საცოლე ახლავ იშოვნე თავის საფერი ფარსაგი, ...სავსე ჯანით და ღონითა, *კირკიტი*, როგორც ალმასი» (ბაჩ.) – ქეგლი.

კირკიტი სომხურია, ქართულად კირკაჟი ჰქვიან (საბა).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კარკ-ატ. ქართ. დიალექტური კირკიტი || კირკიტა „მაგარი, უტეხი“ (ჩუხუა 2019: 102). იხ. აგრეთვე ღაფანციანი 1975: 371 – მ. რობაქ., ერთელიშვილი 1980: 159.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კირკიტი** 1. ჩხიკინი; რამესთვის თავის არდანებება, ვინმესთვის სამიზეზოს ძებნა, ჩაცივება – ქეგლი. „კაპიტანმა“ კი თავის ჯიხურში რაღაც ხელსაწყოს დაუწყო *კირკიტი* (რ. ინან. ჯაფ. 201, 1). || საგულდაგულოდ ცქერა, თვალიერება; ლოდინი (იმერ. ქავთ.). 2. გადატ. კირკიტ ბუნწი ადამიანი (ინგ. ღამბ., ქართ. დიალექტ., 619).

კირკიტი: შდრ. კირტ- (კირტ-ნ-ა < ჩიჩქნა რისამე, ჩხიკინი (რამეში), მეგრ. წკიტონუა მნიშვნელობა იგივეა (სანიკიძე 1976: 60).

დიალექტ. III. **კირკიტი** || **ქირქიტი** ხალიჩის საქსოვი ხის ჩხირი (ჯავახ. ბერ.).

კირკიტა:

ახ. ქართ. **I. კირკიტა** ვისაც კირკიტი სჩვევია, ვინც რასმე (ან ვისმე) უკირკიტებს, ვინც რასმე ჩაჰკირკიტებს – ქეგლი. იხ. II. კირკიტი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კირკიტა** მფრ. – ნ. ჩუბ. || ბეღურა. ბუისგან ნუ გამოელი ბოლოკარკაზის ბედებსა, ნურც *კირკიტასგან* ქორისას შეძლებას (გასაბედებსა) (ქილ. 493, 7). ხოლო ჯორცისმჭამელნი: *ყაჯირი,... კირკიტა,* ბერა (ქ. ცხ. IV, 42, 12). || [Falco tinninculus] ზოოლ. ფრინველი ერთგვარი (საბა), მტაცებელი ფრინველი (შევარდნების ოჯახისა). მე ვით ორბსა, მდევს *კირკიტა,* დამტრიალებს, დამკისკისებს (დ. გურამ.). ჩვენთან ზამთარში რჩებიან... ყვავი, კაჭკაჭი, *კირკიტა* და სხვები (ი. გოგებ.) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ქემიკ., მოხ. შან. შდრ. [ზ. ბერძ. κίρκος „ქორი, ბერა ან შევარდენი"] – ქართ. კირკიტა (გორდეზიანი 1985).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კირკიტა** მაგარი, გამძლე (ჯავახ. ბერ., მესხ. მაის.). *კირკიტა კაკალი* კაკლის ჯიშია, ორმაგი ნაჭუჭი აქვს და ძნელად ტყდება (მესხ. მაის.). || „კირკიტა კვერცხი", „კირკიტა ბიჭი" (ი. გრიშ.). იხ. I. კირკიტი.

კირკლ-ი:

დიალექტ. **I. კირკლი** აკვნის ნაწილი (მთ. მაკალ.) – ალ. ღლ. იხ. I. კირკალი.

დიალექტ. **II. კირკლი** ხორცის მატლი (მთ. კაიშ.). იხ. II. კირკილი.

დიალექტ. **III. კირკლი** ცურცლი, კატის განავალი. შდრ. კურკლი. ციცა რო *კირკლს* ღმალავს, აისრ ღმალავ შვილს (ეთნ. სწორფ. 57) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **IV. კირკლი** წვრილი ბავშვების გროვა. „სა მოგყავს, ცავ, აგი *კირკლი* ბაღნები!". „აკირკლულან და მომადგნენ კარზე" (გურ. შარაშ.). || კირკლები (მხოლოდ მრავლობითში) ალერს. წვრილი ბავშვები, ბევრი პატარა ბავშვი, ბალღები (ოჯახში), – აჭალ-ბუჭალა. „ყველა შენია, ბიძავ, ეს *კირკლები?*" (აჭარ. ნიჟ.).

კირწლ-ი:

დიალექტ. **I. კირწლი** ანაგული ბამბის ძაფის წერტილოვანი ნაყარი თეთრ ქსოვილზე.წინათი *კირწლი* რო ეყარა, იმითანასა მთლათ თუ შევკერამდით, ეხლა კაბებს იკერამენ იმისასა (ერედ.). ე რა გიყიდია, ვერა ხედამ რო *კირწლი* აყრია ამასა, ჩარსავებისთვინ რას ვარგა ესა?! (კავთ.). კირწლიანი რასაც კირწლი აყრია. ე *კირწლიანი* ჩითი მაქნისია? – რის მაქნისია და, კაბებ იკერამენ მაგითი (კავთ., ქართლ. მესხ.). || **კირწლი, კირწკლანი** ჩეჩვის დროს საჩეჩელზე დარჩენილი მატყლი, რომელიც აღარ ჩამოირთვის (მთ. კაიშ.). აგრეთვე ფშ. გოგატ. || კვირწლი (ქიზ.) «მატყლს გაყოლილი ტყავის ქერტლი, მატყლის კოშტი, წვნიკი ნაკრეჩი და მისთ.» (ს. მენთ.). || კიწლი (მთიულ.) დაგრეხილი ბაწარი – ქეგლი. || კიწლა (ფშ. გუდ.) ჯარა-

ზე გამოძახული ძაფი, სანამ ამოიხვეოდეს (გადაიხვევა.). || კირწლა (მთ.) რაც გაძახვის დროს ბეწვი გასცივა – ა. შან.

დიალექტ. II. **კირწლი** წირპლი თვალისა (იმერ. ქავთ.). || კლირწი წირპლი (ლეჩხ. ალავ.).

კისკას-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **კისკასი** სწრაფად მქცევი (საბა). მოეკიდა რამინ და ზე გავიდა ვეფხისაგანცა *უკისკასედ* (ვისრ. 142, 2). შიგან ჩავხლტები, *კისკასად*, ვეცემი მსგავსად ქარისა (ვეფს. 1396, 2). ძლიერი მეომარია, *კისკასი*, ვითა ლომია (შჰნ. III, 59, 1). შეჰჴდიან *კისკასად* შუასა შინა რაზმთა მათთასა (ქ. ცხ. II, 462, 6). || მარდი, სწრაფი, ცქვიტი. დედაკაცი... ფიცხი იყო ..., მარად მოძრავი, ელვასავით *კისკასი*, სწრაფი (ვ. ბარნ.). მხიარული ტასია, გიჟმაჟი, *კისკასია* (რ. ერისთ.). ხე ჩურჩულებდა თავის ენაზე, სიო ფოთლებში ქროდა *კისკასი* (ი. აბაშ.) – ქეგლი. სიტყვა ბგერწერითი წარმოშობისაა – ბ. გიგინ.

ახ. ქართ. II. **კისკასი** კისკისი (უმართებულოდ უხმარიათ). ეთერის გულიანი *კისკასი* მოესმა გადიას (შ. არაგვ.). || **კისკისი, კასკასი** მაღალი, წვრილი ხმით გულიანი სიცილი – ქეგლი. ისმოდა... ხმამაღალი ლაპარაკი, სიცილი, კისკისი (ა. ბელ.) – ქეგლი.

სიტყვა ახალი ფორმაციისაა. მიღებულია კის- ელემენტის რედუპლიკაციით და ბგერწერით ხასიათს ატარებს (გიგინეიშვილი 2016).

კიწვ-ი:

დიალექტ. I. **კიწვი** წვივი. [ბათირას] სხვის რჯულისებ იმით მასწონს, კიწვებ უგავ სამჩხირავსა. – ჩვენჩი მავიდა სტუმარი, გოგოთურაის შვილიო, წინდის ჩხირივით *კიწვები*, კოკოშასავით ცხვირიო! (ალ. ოჩ. 105, 23). აქვე: ირმის კიწვის ტვინი || კიწვის თიკანი || იგივეა, რაც წვივის თიკანი (ხევს. ჭინჭ.). || წიკვი გუდ., წლიკვი ფშ. ფეხების ნაწილი კოჭებს ზემოთ და წვივს ქვემოთ. „წვრილი *წიკვები* ჰქონდა“ (გუდ.). || წეკვაცის ძვალი (თუშ. შან.). || კიწოწი წვრილ ხელ-ფეხიანი (ხევს. შან.). || წლიკვი წვრილი. გაწვრილებული, გამხდარი (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. II. **კიწვი** წვრილი შეშა ხმელი წნელისა (იმერ. ქავთ.). || კეწეწ-ი წვრილი ფიჩხი (ფიჩხის ნამტვრევები), – კიწაწი (ქეგლი).

კლას-ი:

ახ. ქართ. I. **კლასი** [ლათ. classis] 1. საერთო ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს საწარმოო საშუალებებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება; 2. სასკოლო კურსის წლიური საფეხური დაწყებითსა და საშუალო სკოლაში. ეგ მეორე *კლასის* მოწაფემაც იცის (ილია). 3. საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა ჯგუფი, რომელსაც წლის

განმავლობაში საერთო სასწავლო პროგრამა აქვს. «მე მეორე ოთახში შევვარდი, სადაც «მესამე *კლასი* იყო» (აკაკი). მასწავლებელმა... რაღაც დასაწერი წინადადება მისცა მთელ კლასს (ეკ. გაბ.). || სკოლის ოთახი, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობს (შდრ. საკლასო ოთახი). ზარის დარეკვის შემდეგ მოსწავლეები *კლასში* შედიან. –*კლასში* საშინელი ჟრიამული იდგა (ეკ. გაბ.). 4. ძვ. საუბ. იგივეა, რაც სასწავლებელი, სკოლა. ერთ კვირას აღარ წავსულვარ *კლასში* (აკაკი). 5. ძვ. საუბ. იგივეა, რაც გაკვეთილი. *კლასის* გათავებამდე ოთხჯერ კიდევ დამკრა [მასწავლებელმა «ლინეიკა»] (აკაკი). 6. მოსწავლეთა ჯგუფი (კონსერვატორიაში, სამხატვრო სასწავლებელში...), რომლის მეცადინეობასაც ხელმძღვანელობს მიმაგრებული პედაგოგი და რომელიც ამა თუ იმ დარგში სპეციალდება. ფორტეპიანოს კლასი. – კომპოზიციის კლასი. – ფერწერის კლასი. – ბერწვის კლასი. 7. საგანთა ან მოვლენათა ჯგუფი, რომელსაც საერთო ნიშნები ახასიათებს. კლასებად დაყოფა. 8. ბიოლ. მცენარეთა და ცხოველთა დაჯგუფების (კლასიფიკაციის) მსხვილი ერთეული. ძუძუმწოვართა კლასი. – დარვინის ევოლუციური თეორიის მიხედვით, ზოოლოგიურ სისტემატიკაში ფრინველს როგორც *კლასს*... ქვეწარმავალთა და ძუძუმწოვართ შორის უჭირავს ადგილი («მეფრინველ.»). 9. თანრიგი. || რევოლუციამდე. მოხელის ხარისხის ესა თუ ის თანრიგი. 10. ხარისხი, დონე (სპორტში). რესპუბლიკის მთელმა რიგმა გუნდებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს თამაშის საერთო კლასი («ლელო»). 11. ძვ. მატარებლის ვაგონის (ან გემის კაიუტის) ტიპი, განსხვავებული მოწყობილობის ხარისხითა და ფასის მიხედვითაც. პირველი *კლასის* კაიუტა. – ჩვენი ნაცნობი დაფაცურდა და გაქანდა პირველი *კლასის* ვაგონისაკენ (ს. მგალობ.) – ქეგლი. **კლასი ზან.** (მეგრ. ყიფშ.).

დიალექტ. **II. კლას, გლას** ძველებური აბრეშუმის ქსოვილი, რომლისაგან ქალებს ახალუხის ქვეშ ჩასაცმელ პერანგებს უკერავდნენ. ლამაზლამაზ *კლასევ* იყო წაღან (წინათ (ინგ.ღამბ., როსტ.). ატლასი -*კლასი* შემდეგ შემოსულა (საინგ. მრეწ. II, II, 64). შდრ. ახ. ქართ. გლასე [ფრან. glacé] მოძვ. აბრეშუმის ბრჭყვიალა ქსოვილი. [ლიფსიმეს] ღია იასამნის ფერი გლასის(!) კაბა აცვია (ლ. არდაზ.) – ქეგლი.

კნუტ:

დიალექტ. **I. კნუტ** კვნიტი (შაქრისა). ქალ ააქს (იღებს) ერ *კნუტ* შაქარს; შაქრი *კნუტ* (ინგ. ღამბ). იხ. II. კვინტალი.

დიალექტ. **II. კნუტ** კნუტი (კატისა). კატი ბაჭალაჲ და კატი *კნუტ* – ოორნიმ ერთი (ორივე ერთია) (ინგ. ღამბ.). იხ. I. კინთა.

კობალ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. კობალი** კომბალი. ენით ჩემით დაქადილი, ვით *კობალი* თავსა მისკუა (ქილ. 975, 15). *კობალი* აიღო ერთი (ამირანდ. 296, 7). სცა *კობალი* კუნკულსა (კალმას. 405, ქვ. 3). ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა,

მტერთ *კობალი* თავში დასცხეს! (დ. გურამ.). ზურგზედა გუდა ეკიდია, თავით *კობალი* უძევსო [მწყემს ქალს] (ვაჟა) – ქეგლი. || საპენტლის ნაწილი, – ისარი. *კობალი* საპენტელას ნაწილია (ღორეშა ზ.-იმერ. ძოწ.). || **კობულა**: ყურძენს... წნეხენ ფეხით ან *კობულით* (გურ. მრეწ. IV, III, 161). შდრ. კოპლი იარაღის მრგვალი თავი. კოპშოლა კომბალი: კოპშოლაღა უჭირავ (ფერეიდ. ჩხუბ.). || ერთგვარი სანადირო თოფის სახელია. უწინ ადგილზე აკეთებდნენ (აჭარ. ნიჟ.).

მ. ჩუხუას მიაჩნია, რომ ს.-ქართვ. *ჯობალ- „კომბალი, მრგვლად გათლილი ხის ხელსაწყო“ (ჩუხუა 2018: 88). იხ. აგრეთვე დეეტერსი1963: 25, როგავა 1984: 9, გორდეზიანი 1985: 57.

დიალექტ. **II. კობალი**, კომბალი, კოდალი ქათმის ფრთის გადანახსენი (ზ.-იმერ. წერეთ.). *„კობალი* მე დამიტოვეთ, სხვა თქვენ შეჭამეთ“ (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. კოდალა.

დიალექტ. **III. კობალი** 1. დარტყმისაგან თავზე ამობურცული ადგილი, კოპი, კოპიჭი (ჯავახ. მარტ., ზედგ.). 2. ვაზის... რქას, ჩასაგდებათ რო გვინდა, ძველიანი უნდა ჰქონდეს, წინათ დიდი ჰქონდა, ეხლა ცოტა აქ, *კობალი*, იმასაც შუაზე სჭრიან (ქიზ. მრეწ. IV, III, 77).

კობალა:

საშ., ახ. ქართ. **I. კობალა** 1. მსხვილი ტილო, ქათანი – ნ. ჩუბ. || ტილოს მსგავსად ნაქსოვი უხეში ქსოვილი სელისა. სატომრე კობალა. – ნათეთრი კობალა. 2. «ხეშის სარტყელი» (საბა) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კობალა** გრძელი ჯოხი პაწაწინა კავით, რომელიც ნისკარტსა ჰგავს და რომელზედაც გამოყვანილია ნისკარტი, თვალები, წარბები; ხმარობენ ხაჩაობის თამაშის დროს და ალილოზე სიარულისას (ქიზ. მენთ.) – ქეგლი. იხ. I. კობალი.

კოდალ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოდალი** 1. ძვ. სამფრთიანი წვერმრგვალი ისარი, – ყოდალი (საბა). 2. (იმერ. გურ.) პატარა, საბავშვო, წვერწაუმახავი ისარი. ბახვა გადიგდებდა მხართეძოზე ბზეკალს (შვილდს), *კოდალი* (ისარი) ხელში ეჭირა (გ. წერეთ.) – ქეგლი. გოლიაქას მეტყველებაში გვაქვს ისრის სახეობის აღმნიშვნელი ლექსემა კოდალი. *კოდალი* ესროლეს. || იგივე ყოდალი (დუზჯ. ჩელებ.).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *ყოდ-ალ- „შვილდ-ისარი“ → ქართ. ყოდ-ალ-ი → || კოდ-ალ-ი (ჩუხუა 2000 –2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოდალი** (იმერ.) ქათმის ფრთის (მხრის) ძირი – ქეგლი. || კომბალი, კოდალი ქათმის ფრთის გადანახსენი (ზ.-იმერ. წერეთ.) – ქეგლი. **კოდალი || კოდალა**: ფთას რო აბია, ძირი რო არი, ისაა *კოდალი* (სვერი); სადილზე ყოველთვის მე მხვთებოდა *კოდალი* (ხევი). გუშინ ხო მივეციყე ბოვშეფს *კოდლები* (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.).

კოდალა:

სამ., ახ. ქართ. **I. კოდალა** ხეკოდა – საბა. || [Dendrocopus picus] ზოოლ. ტყის გრძელწისკარტა ფრინველი, – იკვებება ხის ჭია-მატლებით, რომელთაც ეძებს ხის ქერქში (სინონ. ხეკაკუნა, ხეკოდა). – *კოდალამ*... ნისკარტით დაუწყო ფუტურო ხეს ჩიჩქნა (ვაჟა). *კოდალა* ღონივრად სცემს თავის მაგარ ნისკარტს ხის ფუღუროს (ი. გოგებ.) – ქეგლი.

კოდალა ემყარება ზმნურ ძირს კოდ- (ჩიქობავა 1938). იხ. აგრეთვე ფენრიხი, სარჯველაძე 1990.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოდალა** (იმერ.) ქათმის ფრთის (მხრის) ძირი – ქეგლი. იხ. II. კოდალი.

დიალექტ. **III. კოდალა** ერთგვარი თამაში. *კოდალა* არის დაჭირობანა. მშვილდს ვესვრით, ვინცხას მოხდება, ის დაიჭირება (იგივე დაიჭრება). კოდ-ძირიანი კოდალი > კოდალ-ა > დაკოდილი ფორმები აქტიურად გამოიყენება (დუშ. ჩელებ.). || კოდილაჲ (აჭარ. ნიჟ.). || კოდილა/ე-ჲ, კოტილა/ე-ჲ ბავშვთა თამაშობა ერთგვარი (იმერ. ბერ.).

კოდარა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოდარა** (იმერ.) იგივეა, რაც კოდალა. «გამხმარი ხარ *კოდარასავით*. რძე შენ არ გივარგა და მოვლა შენ არ იცი! მოგიკვდებოდა, აბა რა დაგემართებოდა, შე თვალდაფსებულო?!» (ნ. ლორთქ.). «მთლიანად ენად რომ წახველ, *კოდარას* ენა ხომ არ გიჭამია?» (დ. შენგ.) – ქეგლი. *კოდარას* ბუდე ქონია ხის ფოღოში (პერევი); *კოდარას* ბახლეფს დევიჭერ (შომახეთი); ამ ბიჭმა თქვა: *კოდარას* ცული უნდა დავკრაო (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.). *„კოდარასავეთ* უკაკუნეფს და არი, თამაშოფს“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. კოდალა.

დიალექტ. **II. კოდარა** ცული დიდი ცული. ვტაცე *კოდარა* ცულს ხელი (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. I. კოდალა.

კოთხუჯ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. კოთხუჯი, კოთხოჯი** [Acorus calamus] მრავალწლოვანი ფესურებიანი მცენარე; აქვს ხმლისებური ფოთლები და თავთავად შეკრული პატარა ყვავილები; იზრდება ჭაობებში; ხმარობენ სამკურნალოდ – ქეგლი. ეგირი კოთხუჯი (ბალ.) თათრულია, ქართულად კოთხუჯი ჰქვიან – საბა.

დიალექტ. **II. კოთხუჯი** უვარგისი კაცი თუ საქონელი (მარაბ., ქართლ. მენთ.). || უსახური, მახინჯი ადამიანი (თვალად. შატბ.). || კოთხუნჯი უშნო, მახინჯი (ა. ცაგ., ი. გრიშ.). || პატარა, სქელი და მსუქანი ბავშვი (ან თავდიდა, ან ფეხდიდა) (ღოლოვ. ქართლ. მენთ.). აგრეთვე ქართლ. მესხ. იხ. II. კოხუნჯი.

კოიტ-ი:

მვ. ქართ. I. **კოიტი** «ბუკიოტი», charadrius: „არა შჭამნეთ... *კოიტი* და მსგავსნი მისნი“ G, – „არა შჭამოთ... ბუკიოტი და მსგავსი მათი“ (O, ლევიტ. 11, 19) – ილ. აბულ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კოიტი** კოტი ზაქი. ღოტია (იმერ. ვ. ბერ., გაჩ.). იხ. II. კოტი.

დიალექტ. III. **კოიტი** (იმერ.) ქუდის ტყავის სარჩული (ქართ. მატ. ლექს.).

კოკვა:

დიალექტ. I. **კოკვაი, კოკოი** მჭადის ან პურის გამოსაყვანი ცომი – ვარცლიდან ამოღებული და დაგუნდავებული (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. კოკო.

დიალექტ. II. **კოკვაი** ნელა სიარული, ტაატით სიარული (თუშ. უთურგ.). კოკვაი || კოკავს: გაჭირვებით სიარული, ფეხმტკივანივით რომ დადის. განაანთ ჭრელოს უთქვამავ, ბატსავით რაცსამ *კოკვავსავ* (თუშ. ცოც.). შდრ. გოგვა „ფრინველის კეთილი სვლა» (საბა). ფიგურ. მოხუცნი... ნელ-ნელა გოგვით ვივლით (ი. მაჩაბ. თარგმ.). ცხენი... განზე წავიდა გოგვით (კ. გამს.) – ქეგლი.

კოკო:

დიალექტ. I. **კოკო, კოკოი** პატარა კვერი, კოკორი (გურ. ღლ., ინგ. ჯან.). || (იგივე კოკვაი) კვერი. „ცომით გააკეთონა *კოკოი*“ (იმ.); „დააგორგვალე, *კოკოი* გახდეს“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). II. კოკორი.

დიალექტ. II. **კოკო** ბავშვის ენაზე – ყველი (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე **კოკო-ბაბა** ბავშვის ენაზე: ყველი და პური (ჯავახ. ზედგ.). **კოკო** ტკბილეული, კვერცხი ბავშვის ენაზე ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. II. კაკა.

დიალექტ. III. **კოკო: თვალკოკო** თვალლამაზი, ჭრელთვალებიანი, „თვალმაჩხი“ (ავთ. არაბ.). მინდორში ჩამაგირეკავ, ქალო *თვალკოკო*, ძროხები (ხევს. პოეზ. 423, 1) – ალ. ჭინჭ. შდრ. კოკობი კოხტად მოყვანილი (გურ., იმერ., ქეგლი).

კოკობზიკა:

საშ., ახ. ქართ. I. **კოკობზიკა** დუხჭირი (+ და უგვანი Z) ვინმე რა სილამაზესა და უსულიანობასა ცდილობდეს – საბა. საუბ. უშნო და ულამაზო (ადამიანი), რომელიც ცდილობს ლამაზი და მოხდენილი გამოჩნდეს (საბა) – უშნო მოკეკლუცე (ქეგლი). **კოკობზიკობა** საუბ. კოკობზიკას თვისება, – უშნოდ კეკლუცობა, «თურმე ის დალოცვილი ვაჭრის ცოლები, გაძღებიან ჯონჯოლით... და... ძლივსღა ქშინავენ ლოტოს თამაშობაში... მაგრამ. როგორც შემიტყვია, არც ისინი არიან უცხონი *კოკობზიკობისა*» (რ. ერისთ.) – ქეგლი. || კოკობზიკაჲ კოხტა და მეტიჩარა, კოხტაპრუწა

(ქალი). ერთ კოხტაი, ერთ *კოკომზიკაყრ*, იპრანჭებ, მეტიჩარაყობს (თუშ. ცოც.). შდრ. კუდაბზიკა ისეთი (ადამიანი), რომელიც არაფერს წარმოადგენს და თავი ერთ რამედ მოაქვს, – უსაფუძვლოდ პრეტენზიული და მით სასაცილო (ადამიანი).

სიტყვა **კოკობზიკა** კომპოზიტს წარმოადგენს, რომლის მეორე ნაწილი -ბზიკა აშკარად ბზეკა ზმნას უკავშირდება. დასადგენია პირველი ნაწილის – კოკო-ს მნიშვნელობა, რომელიც ცალკე არ გვხვდება. ვარაუდით „კურტუმოს“ უნდა ნიშნავდეს (გიგინეიშვილი 2016). შდრ. კუკუზნაკი, კუკუზნაქი (ქართლ. კახ.) კუდუსუნის ბოლო. || „კუდის ბოლო“ (ი. ჭყ.) – ქეგლი. იხ. I. კუკუ.

დიალექტ. **II. კოკობზიკა** პატარა უბრალო ბზრიალა – (თუშ., შან.). || კოკობზიკაყრ ბზრიალა. *კოკომზიკაყისად* ზოგთ შუკოივ იციან (თუშ. ცოც.). || კოკობზინა (ხევს. შან., ჭინჭ.). ვფიქრობთ, კოკო + ბზრიალა; კოკო „კვერი“; ბზრიალა ბავშვების სათამაშო ძაბრის მოყვანილობისა, რომელიც ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი ბზრიალებს, – ჩიკორი (ქეგლი).

კოკოლა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოკოლა** კონუსის მსგავსი თავწვეტიანი გროვა (ქვიშისა, ფქვილისა), – ზვინი (შდრ. აკოკოლავება) – ქეგლი. ჩემი მეგობარი, ბიჭი, წამოხტა, ქვიშის *კოკოლას* ქუსლი ჩაჰკრა (რ. ინან. ჯაფ. 195, ქვ. 8). **კოკოლა** || **კოკოლია** ახლად დარგული ვაზის ძირში თავწვეტიანად მიყრილი მიწა, დაახლოებით 20 სმ. -ის სიმაღლეზე. რო ამოვსხლამთ ლერწს, *კოკოლეეფს* შამოვაყრით, უნდა დავმალოთ ამოსხლული ლერწი, რო ყინვამ არ დააზიანოს (ხიდარი); ჩოუშვებენ ვენახს, მიაყრიან ფხვიერ მიწას, მერე – ნაკელს, მერე – მიწას; შემდეგ გოუკეთებენ *კოკოლეფს*. რო ამოიჭრება ვენახი, შამოაცლიან *კოკოლეფს* (ქორეთი); შეზურგული მიწა რო არი ვაზის ძირში, *კოკოლაეფს* უძახით (საბე, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., მესხ. მაის., ქიზ. მენთ. შდრ. I. კოკოცა.

დიალექტ. **II. კოკოლა** ხუხულა. სახურავზე მიწით ამოყვანილი, სახელდახელოდ აგებული. *კოკოლა* გომზე იყვისყე, ხუხულაცა – ენდეგზე, მიწაზე (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. **III. კოკოლა** 1. მუხის (კოს) ნაყოფი, რკო. 2. წიწვოვანთა გირჩა. „კო *კოკოლას* ისხამს, *კოკოლას* გარეული ღორები ჭამენ!“ (იმ.); „სოჭის *კოკოლა* დააბნიო აქევრობაში, ჩეითესლეფს და სოჭი ამუა ყუელგან“ (ი., ჩვენ. ფუტკ.). „ე ნაზვია, კატარი, ესა კატრი *კოკოლაი*“ (უ., შავშ. ლექსიკ.). || კო მუხა. ჩვენ „კო“ ვეტყვით, აჭარლები „მუხა“ ეტყვიან“ (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.).

სიტყვა რედუპლიცირებული ჩანს რკო > კო; კო+კო.

დიალექტ. **IV. კოკოლა** გოგოლაი: ჭატი (ჰური) გოგოლაი *(კოკოლაი)* – გოგუი (ინგ. ღამბ.). იხ. I. კოკორა.

კოკონა:

დიალექტ. I. **კოკონა** კოკოლა. სადაც ვაზი ირგვება, ამევიღეფთ ორმოს (განი 30 სმ, სიგრძე 40 სმ), ჩეიყრება ნაკელი, ჩეირგვება ვაზი და გოუკეთდება *კოკონა* (ქვედა საქარა, ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. კოკოლა.

დიალექტ. II. **კოკონა** ნიყვის კოკორი. *კოკონა* ნიყვები ვიცით აქ, ბუდეში რომაა და ცოტათი ჩანს წითელი (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. კოკორი.

დიალექტ. III. **კოკონა** მოჭრილი სიმინდის (მცენარის) კონების გროვა. ერთად შეკრული და ვერტიკალურად დაყენებული. „*კოკონას* დავაყუდავთ ყანაში, რომე სიმინდი კარქა გამოშუშდეს“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). ვფიქრობთ, რედუპლიცირებული სიტყვაა კონა+კონა → კოკონა.

ახ. ქართ., დიალექტ. IV. **კოკონა**: **კოკონა-ჭია** ვენახის ჭია ერთგვარი – ქეგლი. ვაზის ავადმყოფობა ჩვენ არ ვიცოდით, მხოლოდ ერთი პატარა ჭია იცოდა-*კოკონა*. იმას დიდი ნისკარტი ქონდა და ფოთოლს დაახვევდა და ყურძენსაც აფუჭებდა (ქართლ. ჩრდ. მრეწ. IV, III, 93). შდრ. ჭიაკოკონა || ჭიაკოკოლა, კოკონა, კოკონა ჭია იგივეა, რაც „კვირტაჭია (ქართლ.) „ვაზის კვირტის, კოკორის მჭამელი ჭია“. კოკონა იგივე „კოკორი“, „კუკური უნდა იყოს.

დიალექტ. V. **კოკონა ჭიაკოკონა**. კოკონა პატარა(?) *კოკონა* ცეცხლი– პატარა ცეცხლი (ღოლოვ., ქართლ. მენთ.).

ჩვენი აზრით, ჭიაკოკონობა უნდა უკავშირდებოდეს ვაზის ჭიის, ჭიაკოკონას განადგურების რიტუალს, რაც წალმის დაწვით ხორციელდებოდა, ხოლო შემდგომ აღნიშნული რიტუალი ქრისტიანობას თავისი საჭიროებისამებრ უნდა გამოეყენებინა (ჭოხონელიძე 1998: 68-69; თ. კოშორიძე 2014: 76-78).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. VI. **კოკონა** [Padiceps] ზოოლ. «პატარა იხვი» (საბა). || კოკორინა/ე-ჲ იხვის მაგვარი გარეული ფრინველი – ვ. ბერ.

ს.-ქართვ. *კოკონ-ა „გარეული იხვის სახეობა“ → ქართ. კოკონ-ა (ჩუხუა 2000-2003).

კოკორ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოკორი**, კოკური კვირტი, კოკობი. ხეთა რტოზედ გამოსული გაუშლელი ფურცელი – დ. ჩუბ. || საყვავილე კვირტი. გაუშლელი ყვავილი. ვარდს გაეფურჩქნა *კოკორი*, გადახვეოდა იასა (სოსელო). ნუშო, *კოკორი* გახსენი, ყაყაჩოვ, – შავი ხალები! (გ. ლეონ.) – ქეგლი. იხ. I. კუკური.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კოკორი** პატარა კვერი (მჭადისა, პურისა). შევირბინე შინ, ვიგდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის *კოკორი* და მივაშურე ისე კლასს (აკაკი). || კვერი, გუნდა (კარაქისა) ქალი დაიხარა, სანოვაგის ჩანთიდან ყველის ვეებერთელა ნაჭერი, მუშტისოდენა კარაქის *კოკო-*

რი და ქერის პურები ამოალაგა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. **კოკორჭ, კოკორ** კვერი, კოკორი (სვან. თოფ., ქალდ.). კვერიკოკო ნამცხვრიკვერი; მჭადის ან პურის კვერი (აჭარ. ნიჟ.).

კვეკვერი (რკვ.) > კოკორი „პატარა კვერი“ (მჭადისა, პურისა) შდრ. კვერი (სანიკიძე 1976: 62). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. **III. კოკორი** წყვედის (ღვიის) ნაყოფი (თუშ. ხუბ.). შდრ. I. კოკოლა.

დიალექტ. **IV. კოკორი** შარდი (თუშ. ხუბ.). კოკორდაჭერაი შარდის შეხუთვა. *კოკორს* რომ დუჭერს ციც მაშ ჩასვამენ ანწლის აბანოში (თუშ. ცოც.).

დიალექტ. **V. კოკორი** ჩოჩორი, მუტრუკი; მამალ ვირს ორ წლამდე *კოკორი* ეწოდება (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, I, 188). || (გადატ.) ბრიყვი, უჭკუო (ლეჩხ. ალავ.). შდრ. კოკინი, კოკინება ძვ. ვირის ყროყინი (საბა).

ს.-ქართვ. *ჯაკ- (ან-) „ნაშიერი (ვირის, ცხვრის...) > ქართ. კაკ-ან-ა-ი: ზან. კოკ-ორ-ი (ჩუხუა 2000-2003).

კოკორა:

დიალექტ. **I. კოკორა** პატარა რგოლი პურისა; უცხობენ ბავშვებს. პურ რო აცხოფ, ამაიღეფ პატარა გუნდასა, გაათხელეფ, გახვრეტამ შუაშია და ისრე დააკრამ, გამოცხვება და გამუა *კოკორა* (წილკ.). ნახე, რა კარქი *კოკორები* გამოგიცხე! (წილკ.); აგრეთვე ახალშ., თონ., ნოს., ქვ. ჯ. (ქართლ. ლექსიკ.). კორუა იგივეა, რაც კოკორა (ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. კოკორი.

დიალექტ. **II. კოკორაი** ფიჭვის თესლი, გირჩი. „ადრე ფიჭვსაც *კოკორაის* ხეს ეძახდნენ“ (ა. კ., მოხ. ქავთ.). || ზოგიერთი ბალახის თესლი (მრგვალი ფორმისა). ჯოჯნოტაის საჭამადს ზაფხულშიაც ხარშავენ. ეს მაშინ, როცა ჯოჯნოტას ღერა (ღერო) *კოკორას* (თესლს) გამოისხამს (ეთნ. მედიც. 2, 23). ჯოჯნოტაის *კოკორას* მოკრეფენ და მოხარშავენ (ეთნ. მედიც. 2, 24) – ალ. ჭინჭ. შდრ. II. კოკოლა.

კოკოშ-ი:

დიალექტ. **I. კოკოში** ხარის ან კამეჩის სქელი, მსუქანი კისერი; იტყვიან; სქელი კისრის ეპითეტად (აჭარ. ნიჟ.). **კოკოშის მობმა** (დადება) ხარს რომ სიმსუქნით კისერი გაუსქელდება, იტყვიან: „რაფერ გუსქელდა კისერი, *კოკოში* მუბამს (დუდებია)“; იშვიათად ადამიანზეც იტყვიან. სინ. ყოყოტის დადება (მობმა) (აჭარ. ნიჟ.). „ხარის *კოკოში* გუდუუღლეტია უღელსა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. კოკოში** კოტოში, გულამოღებული გოგრა, აკვანზე მიკრული საშარდედ – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ. იხ. II. კოში.

კოკოშა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოკოშა** 1. გულამოღებული გოგრა, სასმისად ხმარებული (დ. ჩუბ.). || ხის სირჩა. „ჯერთ კი არ დავლევ ღვინოსა, თუ დავლევ კოკოშაითა“ (მოხ. ღუდ.). || კოკოშა (< კოშ-კოშა) გრძელტარი-

ანი სასმისი ვერცხლისა. ჩვენჩი მავიდა სტუმარი, გოგოთურაის შვილიო, წინდის ჩხირივით კიწვები, *კოკოშასავით* ცხვირიო (ალ. ოჩ. 105, 23). ჩამამისხით *კოკოშასა*, შაირს გეტყვით კოკოსასა (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე: ფშ. ქეშიკ., თუშ. შან., უთურგ., ხუბ., იმერ. ჯაჯან., ქართლ. მესხ. 2. წისქვილის ზედა ქვის ის ნაწილი, რაშიც საფქვავი ჩადის (ქართლ. მესხ., ზ.-ქართ. მრეწ. IV, III, 198). იხ. II. კოკოში.

ახ. ქართ. II. **კოკოშა** სახვნელი იარაღის – ოქოქას ნაწილი. მხოლოდ «მას («ოქოქას») ზედმეტი ნაწილიც ჰქონია, რომელსაც «კოკოშა» რქმევია (ივ. ჯავახ.).

დიალექტ. III. **კოკოშა** ქალების თავსადგამი ჩიხტასავით, უფრო მაღალი და თავწვერო (ჯავახ. ზედგ.). || თავზე დასამაგრებელი კოკის დასადებად. ეს მაყარი ერთი ჩიქილაზეგა *კოკოშას* გაიკეთეფს და ეს დეეტყობის, რო ესე მაყარია (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. IV. **კოკოშა** ბალახი ჭიოტა (ხევს., თუშ. მაყ.). აგრეთვე ალ. ჭინჭ.

კოკოჩანა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოკოჩანა** წიწვი. ფიჭვმა... [მუხასა და ვაშლის ხეს] ასე უპასუხა: «ძმობილნო, თქვენ ორნივე ზამთარში საცოდავად ტიტვლდებით, მე-კი მაშინაც ლამაზი და მწვანე *კოკოჩანებითა* ვარ შემოსილიო» (ი. გოგებ.). შდრ. II. კოკოლა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კოკოჩანა** კოკოზა – ქეგლი. შდრ. კოკოზა სათევზე Z) კუდმოზვერი ZABC. See also: საპალურო – საბა. || **კოკოჩინა** პირშექცეული და ბოლოვიწრო გოდორი, დაგებული წყლის სათავეში თევზის დასაჭერად (ქართლ. ძიძ., კეცხ. ხუბ.).

კოკოცა:

დიალექტ. I. **კოკოცა**: **კოკოცა მთა** წვერი, მწვერვალი, თხემი, (მთის, კლდის...) – წოწოლა მთა (აჭარ. ნიჟ.).

მაჭახლის ხეობაში იხმარება კოკოსა || კოკოტი. ფუძე კოკოცა || კუკუცა ქართველურ ენათა სხვა დიალექტებში არ გვხვდება. აჭარული „კოკოცა“, ლაზური „კუკუც“-ის ფონეტიკური სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 98).

დიალექტ. II. **კოწიწაი || კოკოცაი** ყივანახველა (აჭარ. ნიჟ.).

„კოკოცა“ აჭარულ დიალექტში ყივანახველას მნიშვნელობითაც იხმარება და შეესატყვისება მეგრულ „კორკოცა“-ს (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 99, სქ. 13).

კოლ-ი:

დიალექტ. I. **კოლი** 1. კვალი. *კოლგრძელი* გრძელი საყანე მიწა. *კოლის-ჯარი* ხვნის დროს კვალში მყოფი ერთი წინა და ერთი უკანა ხარი. *კოლისთავის-ჯარი* – ხარი, რომელიც ხვნის დროს კვალის თავში დგას

(მთ. კაიშ.). აგრეთვე ფერეიდ. ბერ., ბაკურ. 292. 2. ძვ. ცრურწმ. ბედი, ფეხი. „კარგ *კოლზე* ვიარე". „მაგას გონჯი *კოლი* ჰქონია, რამდენჯერაც გზაჩი შამხუდა, იმდუენჯერ საქმე არ გამიკეთდა" (მოხ. ქავთ.). || **კოლ** კვალი. გუთნი *კოლ;* თოულში დაიწახა ინსნი (ადამიანების) *კოლევ* (კვლები) (ინგ. ღამბ.). || მეხრეებისა და გუთნის დედის შეძახილი ხვნის დროს. ეს იმის ნიშანია, რომ სწორედ წავიდეს საქონელი და კვალს არ გადაუხვიოს: *„კოლი, კოლი, კოლსუკან,* ჩიტმა მოჭნო *კოლსუკან"* (ინგ. როსტ.).

კოლი < კვალი. კუალი ძველქართულისეული სიტყვაა. აღადგენენ *კუალ არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. კოლი:** წინაწარ მთელ მანძილზე-წისქვილამდე *კოლებს* დაარჭობდენ და შემდეგ დაიწყებდნენ გათხრას (მთ. მრეწ. IV, III, 189). შდრ. რკოლი კოლი, პალო (გურ. ჯაჯან.). კულა ქვის სვეტი (მთ. კაიშ.).

ახ. ქართ. **III. კოლი** (ინგლ.) სასამსახურო ჯიშის ძაღლი. გამოიყვანეს მე-18 ს. დასაწყისში შოტლანდიაში – მ. ჭაბ.

კოლონია:

ახ. ქართ. **I. კოლონია** [ლათ. colonia დასახლებული ადგილი] 1. ქვეყანა ან მხარე, რომელსაც ყვლეფს დამპყრობელი იმპერიალისტური სახელმწიფო (მეტროპოლია), – ახალშენი. 2. ისტ. ძველად – დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობელი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ დასახლებული ადგილი. ბერძენთა კოლონიები მცირე აზიაში. 3. ერთი ეროვნების ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთად მოსახლეობს უცხო ქვეყანაში ან ქალაქში. || თანამემამულეთა გაერთიანება უცხო ქვეყანაში ან უცხო ქალაქში. იაპონელთა კოლონია სან-ფრანცისკოში. || ადგილი მათი დასახლებისა. 4. სპეციალური დანიშნულების დაწესებულება ან დასახლება. შრომაგასწორებითი კოლონიები – ქეგლი.

საშ. ქართ. **II. კოლონი || კოლონია:** სახელი ჰქუიან მას ნაწლევსა კოლონი. და არის იგი ნაწლევი კოლინჯისა, და მისთუის ჰქუიან *კოლონია.* და არის იგი ნაწლევი მოგრეხილი და შედგმულად მოკიდებული ყოველსა ნაწლევსა. || *კოლონია* (ფანასკ. 122, 30).

დიალექტ. **III. კოლონია** სუნამო? მეიარ ასე ხალხში, *კოლონიას* აარუნიავ (კლარჯ. ლექსიკ).

კოლოტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოლოტი** (კოლოტ BC, კოღოტ E.) სატყბილე ტიკი ზროხისა ZAB. სატყბილე ტიკივით – საბა. || ძროხის ტყავის ტიკი, რუმბზე მომცრო, ღვინისა ან ტკბილისათვის. «პატარა *კოლოტიდან* ღვინო ჩამოასხან და მოიტანე!» [ეუბნება ოსეფა აბრამს] (ა. ცაგარ.). დაიფუკა *კოლოტები* და ტიკჭორა, ჩანაკლულდა ბოთლები, დაცალიერდა უჯრები (ვ. ბარნ.). [მუცელა] *კოლოტსა* ჰგავდა: სწორედ გაბერილი რუმბი ეგონებოდა კაცს (ვაჟა). [დემეტრემ] ყაზარა *კოლოტივით* გააგორა დუქნის

კარებთან (ს. მგალობ.). || გადატ. უშნოდ ჩამრგვალებული, გაბერილი (ადამიანი). აღელვებულ ხალხში დაბალი, *კოლოტი* ადამიანი დაძვრებოდა (ს. შანშ.) – ქეგლი. **კოლოტივით გაჯდების** კოლოტივით გაჯდების გასივდება, გაიბერება (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე: რაჭ. ფრ., კობახ. შდრ. კოლოტური ქალაბანი || ღებური ქალაბანი. ქალამნის ერთ-ერთი სახეა. *კოლოტურ* ქალაბანს ერთი ნაკერი აქ მარტვა (რაჭ. კობახ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. || კოლოტა პატარა ხარი (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. **II. კოლოტი** კარგად მოსხმული მტევანი (ყურძნისა) (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. კოლოტი** ნაცარში გამომცხვარი კვერი: ჩემი დედეს *კოლოტი* ეამებოდა, ნაცარში გამომცხვარი ჭადი და კოლოტოღლი დაარქვეს (ნურუოსმანიე, კლარჯ.ლექსიკ.).

კომ-ი:

დიალექტ. **I. კომი** კვამლი, ბოლი (მოხ. ქავთ.). **კომა** კვამლი, ბოლი ზან. (ლაზ. თანდ.). **კუმა** კვამლი ზან. (მეგრ. ელ.). ქართ. კუამ- || კუმ- კუამლი; კუმოდა; კუმევა; კუმოლა; საკუმეველი; სარკუმელი; კომლი. ს.-ქართვ. არქეტიპია *კუამ- || კუმ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. კომი** მოსახლე. კომი და კომლი არაგვისა და ქსნის ქართლურ მოსახლეობაშიც ისევე იხმარება, როგორც მთიულეთ-გუდამაყარში, ფშაველში, ხევსურეთში და ხევში: კომი აღნიშნავს მოსახლეს, ოჯახს, ხოლო კომლი -კვამლს. „კომლი ბოლია და კომი კიდე მოსახლეობა“ (იმნაიშვილი 1974: 127). || მეკომური სოფელ ადგილას მოსახლე, კომლის პატრონი. რამოდენა მიწაა სამყოფი, რომ ერთმა *მეკომურმა* თავის სახლობით თავი ირჩინოს (ილია). ღარიბი *მეკომური* იყო ივანე (ვ. ბარნ.) – ქეგლი. „დაშჭრეს ეს დუმა *კომეურად* გორისციხელებმა და ფხელშელებმა“ (მოხ. ქავთ.).

ახ. ქართ. **III. კომი, კომები** (წარსულში ზირიანები), კომი-პერმიაკები – კომის რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა („ვიკიპ.“).

კომბოსტო:

დიალექტ. **I. კომბოსტო** კომპოტი, ხმელი ჩირის ნახარში. „ხოშაპს *კომბოსტოსაც* ვუმახავთ!“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. კომპოტი [ფრან. compote] შაქრიან წყალში მოხარშული ხილი (ახალი თუ ხმელი); იხმარება დესერტად. || ხილის კონსერვი – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კომბოსტო** (ქაული B.; ქალამ ZAaBCE.; ქალამ BCE.) (ბალ.) ყოველთა კომბოსტოთა სახელი არს და უფროსად თავ–დახვეულთა (საბა). || [Brassica] ბოტან. ერთწლოვანი ბოსტნეული მცენარე, რომელიც თავს იხვევს (ხმარობენ შეჭამანდში და წნილად). [კურდღელი] მიუცუცქდა *კომბოსტოსა* და ჭამა დაუწყო (ი. გოგებ.). *კომბოსტოს* წნილა-

დაც დებენ და ზამთარში შეექცევიან (ი. გოგებ.) – ქეგლი; კომუშტო (ხევსურ.) კომბოსტო (ა. მაყ.).

ბ. გიგინეიშვილის აზრით ქართულისათვის უშუალო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ სლავური **комбост** „სამარხო საჭმელი კომბოსტოსაგან“. ბოლოკიდური -ო ქართული ფორმისა სახელური სუფიქსია, რომელიც ხშირად გვხვდება ნასესხებ სიტყვებშიც (გიგინეიშვილი 2016).

კომეტა:

საშ., ახ. ქართ. **I. კომეტა** [ბერძ. **komētēs** კუდიანი] ვარსკვლავის მსგავსი ცის სხეული, აქვს ნათელი ზოლებისაგან შემდგარი გრძელი კუდი; დრო-და-დრო გამოჩნდება ცის ტატნობზე (სინონ. კუდიანი ვარსკვლავი). გალეის კომეტა – ქეგლი. ბუფფონ ჰგონებს, რომ მიწა ჩვენი წარმოსდგა მზისა ნაწილისაგან, *კომეტის* მიერ მოგლეჯილისა (გრ. ორბ. 300, 23). გალაქტიკაში გასკდა ვარსკვლავი, დედამიწისაკენ მოჰქრის *კომეტა* (ირ. აბაშ. 91, 6).

დიალექტ. **II. კომეტაი** 1. კოჟრი, კოჟიჟი (ფეხის თითებს შორის). „ნუ ჩეიცვამ მიწრო ფეხსაცმელს და აღარ გიგიჩინდება *კომეტაი*“. 2. კიმიტაი ჩირქოვანი ანთება, – კოჟრი, რომელიც უჩნდება ადამიანს ფეხის თითებს შორის (აჭარ. ნიჟ.). შდრ. კვიმატი, კვიმატაი, კუმატეი ფეხის თითების ავადმყოფობა, ფეხშიშველთ ემართება (გურ. ბერ., იმერ. ქავთ.). იხ. I. კვინტალი.

კომიჭ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კომიჭი** (იმერ.) დუგმა – ქეგლი. || კოპჭი [თურქ.] ლითონის შესაკრავი, ლითონის ღილ-კილო, ხრიკა, – დუგმა. „არ დაგაბიწყდეს, სამი რწყვილი დედალ-მამალი კოპჭიც იყიდე!“. მამალი კოპჭი მამალი დუგმა (ენიანი), რომელიც მეორეს გამოედება და შეკრავს. „ორბი, ორბის დონეთი, ცაი კოპჭის დონეთი, გადმევიარ, გადმოვმახებ, მე ვარ ქვეყნის დონეთი“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე კომჭი (გურ. შარაშ.).

დიალექტ. **II. კომიჭი/ა** დასორსლებული, დამრგვალებული რბილი მასა, (თოვლი, ტალახი...) პურის ნატეხი (ფშ. ხორნ., რაზიკ., გოგატ.). კომიჭა – თო[ვ]ლის *კომიჭა* თოვლის გუნდაა (ა. კალანდ. II, 183, 1). ნეხვის *კომიჭ* რო შამააგორან: „ეესივ შენ ცოლიავ!“ -აიმასა[ც] მივეგებებრ (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. კოპიჭი.

კომლ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კომლი** ცალკე ოჯახი, – მოსახლე. ექვსი *კომლი* კაცი მყავს (ი. ბარათ. 220, ქვ. 11). თავეთს დედას თავეთის წილის გლეხიდამ თითო *კომლი* კაცი დაუდვან (სამ. IV, 26). დასდვა... *კომლზედ* ექუსი შაური (ქ. ცხ. II, 340, 12). მეფემან ალექსანდრე... ინება აღშენება ყოველთა საქართველოს ციხეთა და საყდართა... მას ჟამსა შემოსავალი არსა-

ით იყო სახლისა მისისათჳს. და ამით საქართველოს *კუამლსა* ზედა ორმეოცი თეთრი მალად განაჩინა (ქ. ცხ. 474, 23). *კომლი* ჩვენ სოფელში წარმოადგენდა არამცთუ საზოგადოებრივ სხეულს, არამედ ეკონომიურსაცა (ილია). გზირები დადიოდნენ კარდაკარ და *კომლზე* კაცს ეძახოდნენ სასოფლოზე (მელან.). ◊ **კომლის კაცი** კომლიდან თითო კაცი, კომლზე კაცი. საყდრის გალავანში *კომლის კაცს* მოეყარა თავი (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე: კომლეურად, კომლისა აშალი (ხევს. ჭინჭ.).

კომლი, მიუხედავად არც თუ ძველი წერილობითი ფიქსაციისა, თავისი წარმოშობით საკმაოდ ადრინდელია, უკავშირდება ოჯახების ისეთ პრიმიტიულ აღრიცხვას, რომელიც ოჯახს, კვამლს („საერთოდ კვამლს") უკავშირდებოდა. გამოხატულების მხრივ, კომლი არის ხმოვანშეცვლილი კვამლი (ა > ო ვ-ს მომდევნოდ აღმოსავლურ კილოთა ერთ ნაწილში). ეს რომ მართლაც ასეა, ადასტურებს ფაქტები „ოჯახის" მნიშვნელობით უწინარესი ფორმის კუამლ-ის ხმარებისა: ვა > ო გადასვლა ლოკალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში (ძირითადად მთიანში) და ფეხს იკიდებს დაახლოებით XV ს-დან (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კომლი** კვამლი. გამხმარმა ლერწამმა პრიალი დაიწყო და იქაურობა აივსო *კომლითა* და ალით (ი. გოგებ.). ოთახის კარები რომ გამოვაღე, მისთანა *კომლი* იდგა თუთუნისა, რომ დიდხანს ვეღარა გავარჩიე-რა (აკაკი). [ნინიამ] მოუკიდა ჩიბუხს, გამოუშვა რამდენჯერმე *კომლი* (ა. ყაზბ.) – ქეგლი. აგრეთვე კომლ (ინგ. როსტ., ღამბ.). კომლი (< || კუამლი). უა კომპლექსი > ო (ქავთარაძე 1964: 300). იხ. I. კომი.

კომშ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. კომში** ბია ბაღისა – დ. ჩუბ. || I. [Cydonia oblonga] საშუალო ტანის ხე ან ბუჩქი; აქვს მთლიანი ქვემოდან ბუსუსებიანი ფოთლები და მკრთალი ვარდისფერი ყვავილები; ნაყოფი ყვითელია, ვაშლის მოყვანილობისა, სურნელოვანი და მოტკბო-მომწკლარტო გემოსი (შდრ. ბია). ვენახის ნაპირას ჩამწკრივებულია ხეხილი: ...*კომში*, ფშატი, ნუში, ბალი, ალუბალი და სხვ. (ი. გოგებ.). 2. ამ ხის ნაყოფი. კომშის მურაბა. – დამკრახული ყურძნის მტევნები, თეთრ-წითლად დამწიფებული ატმები, *კომშები* და საზამთრო ვაშლები სწორედ სამოთხეს ამსგავსებენ ვენახს (ი. გოგებ.) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. კომში დაკავშირებულია სიტყვებთან: „კუმში", შეკუმშული – ზ. მაყ.

დიალექტ. **II. კომში** [თურქ.] მეზობელი. *კომშებმა* საჭმელ მუუტანებენ მოზობლებმა (სირეთიე, კლარჯ. ლექსიკ.).

კონკ-ა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კონკა** [რუს. **конка** < **конь** ცხენი) (მე.) ტრამვაის წინამორბედი საქალაქო რკინიგზა, რომლის ვაგონშიც ცხენები იყო შებმული; ასეთი რკინიგზის ვაგონი – მ. ჭაბ. დედამთილო, კონკა მოდის არ

გაგიტანოსო (გურ. ფოლკ. ღლ). სესხების დრო: მე-19 ს-ის მეორე ნახევარი (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **კონკა** კოკა (მთ.-რაჭ. ძიძიგ.). კოკა → კონკა. კოკა დასტურდება ძვ., საშ., ახ. ქართულ სამწერლო ძეგლებსა და მის დიალექტებში. გვხვდება კოკა სიტყვისაგან ნაწარმოები სიტყვებიც: კოკურა კოკაზე პატარა ჭურჭელი წყლისა, კოკის მსგავსია (ქიზ. მენთ.). || კოკუნა პატარა კოკა (განთიადი. იმერ. ქავთ.). || კოკინე (სურ., გურ. ჯავახ.).

სირ. qūqā „თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი ღვინისათვის > ქართ. კოკა (წერეთელი 1992: 95).

კონკილა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კონკილა** ურმის თავს შესადგმელი ბომკინტი – დ. ჩუბ. || ურმის თავქვეშ შესაყენებელი კეტი (ურემს მასზე აყენებენ, როცა ხარები გამოშვებულია ანდა მაშინ, როცა უნდათ ურემში ბმული ხარები შეასვენონ), – ქვესადგამი, საყენი. საცოდავი მეურმეები... გულდაღმა გაშოტილიყვნენ *კონკილაზე* აყენებულ ურმებ-ქვეშ (ილია). მე თვალებგაჭყეტილი ვიწექი ლოგინში და გავსცქეროდი *კონკილებზე* შეყენებულ ურმებს (ნ. ლომ.) – ქეგლი. აგრეთვე: გურ. კიწმ., ჯავახ. ზედგ. **კოკინია** კონკილა ურმის ქვესადგამი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **კონკილა** ბალახი. „ძალიან წვრილფოთლებიანი, მიწაზე გაპარტყნილი სარეველა ბალახია" (სოჩხეთი, ოკრიბ. ბოწ.).

კონტ-ი:

დიალექტ. I. **კონტი** უღელში გაყრილი მსხვილი ჯოხი ხარის შესაბმელად; უღელზე გამობმული წნელი, რითაც ხარი თივას ან შეშას ეზიდება (მთ. კაიშ.). || კაუჭი, წნელზე ან თოკზეა გამობმული ჯინის გასათრევად, სამარჯვოა მოსახსნელად (ფშ. ხორნ.). იხ. I. კვანტი.

დიალექტ. II. **კონტი** მოფიქრებული საპირისპირო ხერხი, ქცევა (ფშ. ქეშიკ.). ახ. ქართ. კონტით (ფშ.) ზმნს. ხერხის გამოყენებით, მოხერხებულად, ეშმაკურად, მარჯვედ (შდრ. კვანტით). და თავგულგამორეული, ყელამდე სავსე ბოღმითა, ჩემს უბედო ბედს მტირალი, მენაც დავუხვდი *კონტითა* (ბაჩ.) – ქეგლი. იხ. II. კვანტი.

დიალექტ. III. **კონტი**: **კონტ-კონტათ** მოკუნტული: აქლემზეც რო შაიჯე, *კონტ-კონტათ* წუ დახოლო (ფერეიდ. ჩხუბ.). კონტი < კუნტი; აღდგენილია ს.-ქართვ. *ყუნტ- „მოკუნტვა, დახრა" → ქართ. კუნტ- ← ყუნტ- : სვან. ყუნტ- (ჩუხუა 2000-2003).

კონჩხო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კონჩხო** ხის ჭურჭელია (ქიზ. მენთ.). || **კონჩხა, კონჩხო** მეცხვარის წყლის სასმისი, ყურიანი, ხისა/მეცხვარეს იგი წელზე ჰკიდია/. მათარა ტყავისა არის (/ა. შანიძე/ ფშ. ხორნ.). «შენფერა, ბაბუ-

რაულო არავინა გვყავ მთაშია. იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე!» დასტურმაც *კონჩხას* ასწია (ვაჟა). [ხევისბერმა] ამოიღო გობიდან რამდენიმე თასი ღვინო ყანწებით თუ *კონჩხებით* და... გადასცა საპატიო პირთ (ვაჟა) – ქეგლი. იხ. I. კვანჩხი.

ახ. ქართ. II. **კონჩხო** უშნო სახის ადამიანი (ქიზ. მენთ.) – ქეგლი. შდრ. დაკვრანჩხული დაბრეცილი, დაგრეხილი. ივან გრიგოროვიჩი ხან ეზოში დააფრატუნებს თავის დაკვრანჩხულ ფეხებს, ხან ოთახებში («მნათ.») – ქეგლი. იხ. III. კვანჩხი.

დიალექტ. III. **კონჩხო** ოდნავ შემაღლებული ადგილი, ბორცვაკი. „პეტერე წათხარე ეი *კონჩხო* აქანე“ (საჩ. შარაშ.). კონჩხო < ძვ. ქართ. **კონცხი** «ჭორტი», «ღუერფი», ყორე, ქვაყრილი, ღირღოვანი – ილ. აბულ.

კონწოლ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კონწოლი** 1. მტევანი – დ. ჩუბ. || «წენგოთა და ხულთა ტევანი» (საბა), – იგივეა, რაც კუნწულა. ფიგურ. ააპყრეს ხელები ქალებმა და ოჯინჯალეს მიაშტერდნენ, სადაც *კონწლებად* ეკიდა დიდი ხნის ჩამოუწმენდავი ჭვარტლი (პ. ჩხიკვ.) – ქეგლი. კონწოლი || კონწოლო (ჩვენ. ფუტკ.). კონწოლ-კონწოლ ზმნს. კუნწულებად, კუნწულების სახით. „ტყეში წაველ, პანტა ვკრიფე, *კონწოლ-კონწოლ* კიდიაო; მე ლექსებში ვერ მაჯობებ, ტავარჯუღით მკიდიაო“. 2. ყინულის ლოლუა (აჭარ. ნიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კონწოლი** (იმერ.) წაწვეტებული თავი რისამე, – წვეტი. ქუდის კონწოლი. – გუმბათის კონწოლი – ქეგლი. || კლდის წინწაზიდული წვერი. მთის თხემის მნიშვნელობითაც ხმარობენ. „ე იქ *კონწოლზე* გავიდა“ (ჯავახ. ზედგ.).

ფ. ერთელიშვილი ვარაუდობს, რომ კონ-წოლ < წო[ნ]-წოლ. შდრ. წო-წოლ: წოწოლა – მაღალი და წაწვრილებული ქეგლ; შდრ. კონ-წოლ- > კო-წოლ: კოწოლა (ქიზიყ.) – წოწოლა, კენწეროსავით აწეული, ამართული. შესაძლოა, კოწოლა უშუალოდ წოწოლა-საგან იყოს მიღებული (ერთელიშვილი 1980: 149).

დიალექტ. III. **კონწოლი** მდუღარე სითხის შხეფი. *კონწოლ* ამოდის ხინკლისა (ფშ. ჭინჭ.). || კოწოლი (ლეჩხ.) ცეცხლის ალი; შეშავება; ალნაკრავი. «კეცი რო შვა ცეცხლში ჩაგიდგამს, ჭადს სულ კოწოლი გასჩენია» (მ. ალავ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუამ მიუთითა, რომ კონწოლის არქეტიპად შეიძლება აღდგეს ს.-ქართვ. ფუძე *კოწ- (ჩუხუა 2000-2003).

კოპ:

დიალექტ. I. **კოპ** ბრინჯის დასათეს ადგილში მიწის ცალკეული დანაყოფი, პატარა, კვადრატისებრი მონაკვეთი, რომლის ირგვლივ ნაპირები ან ტალახითაა ამაღლებული, ანდა ბელტებითაა აბექებული. ბარით

ადგილს *კოპენ,* მევღან (მერმე) ჰაჩიჩაადთი შიგ *კოპში* ჯნრნ (ხნავენ), კოპევს შუაადთი ყბაა (პირს) უსხნიან, არხით წყალ უშმენყ შიგ, წყალ ეგევის (ეფინება, მოედება)... *კოპევს* აიმაზე აკეთევენ, წყალ კაიგორა დეეგასავ [სინ. ჩალთუქი გუბ] (ინგ. ღამბ.). იხ. II. კოპე.

დიალექტ. **II. კოპ**: **კოპ ქალმი** (კოპ ქალმნი): *კოპ* ქალამნის ირგვლივ მოვლებული დაწნული ტყავის წვრილი ღვედი, რომელშიაც ქალამნის შესაკრავი ზონარია ამოყრილი (ინგ. როსტ., ღამბ.). იხ. I. კოპი.

კოპ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოპი** 1. «მოუქნელი თასმა» (საბა), – ტყავის წვრილი ნაჭერი, თასმა, ქალამნების ამოსასხმელი. ფეხთა აცვია ქალმანი, ნაქსოვი *კოპებისაო* (ი. დავით.). წინ იშლებოდა შარა სოფლისა, იყო სოფელი რის ამსარკველი? წნული ქოხები... ქალამნის *კოპი,* ...ფრატი... ბონძები... და ნაცარკვერი (გ. ლეონ.). 2. (რაჭ.) «კვახუჭის ნოჭი» («დიალ.») – ქეგლი. კრიჭის ასაკრავი ჰქვიან იმ გადაჭიმულ თოკსა თუ *კოპს* (გ.-კახ. მრეწ. IV, III, 178). || ქალამნის ამოსასხმელი ტყავის წვრილი ზოლი. ძველ ქამბლებს *კოპად* დავხევთ (თუშ. ცოც.). „ამამსხმელიმც მაგიკვდება კოხუჯო და *კოპო*“ (მოხ. ღუდ.). || ქალამნის ყური (თასმის) ჩაცმისას თოკის ამოსაყრელად (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: ფშ. შან., ხორნ., მთ. კაიშ., ხევს. ჭინჭ., კახ.- ქიზ. «დიალ.». იხ. II. კოპ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოპი** 1. ქალის ქართული თავდახურვის შემადგენელი ნაწილი: ატლასში (ან სატინში) შეკერილი ბამბის ნახევარრკალი, რომელსაც დებდნენ ჩიხტის შიგნით – მასზე ქინძისთავებით ლეჩაქის დასამაგრებლად. [თამარს] თავსაკრავი შემოეკრა და ალისფერი *კოპი* ჩაედო (ლ. არდაზ.). მაკრინემ ამოალაგა ქართული ტანსაცმელი ჩიხტითა და *კოპით* (ბ. ჩხ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ჩიხტა-კოპი – ქეგლი.

დიალექტ. **III. კოპი** ქალის თმა კისერთან აკრებილი-შეკრული. „ქალი თავს რო დაიბანდა, დაიწნამდა და კისერზე შეიკრამდა, ამას *კოპს* უძახდით; მგლოვიარე ქალი თმას აროთ აღარ ჩამოუშვებდა, კისერთან აიკრეფამდა, იმაზე იტყოდნენ *თავშეკოპილი* დადისო“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. II. კოპი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **IV. კოპი** 1. დაკრულის მცირე ასივება – საბა. კოპი ძლიერი დარტყმისგან ამობურცული ადგილი (ადამიანის თავზე, შუბლზე). – გადაბრუნდის ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა! უკან – *კოპი,* შუბლზე – *კოპი,* კოტრიელა, კოტრიელა! (რ. ერისთ.). ბოქაული წაბარბაცდა, შუბლით კარებს მიეჯახა და უშველებელი *კოპი* დააჯდა (ს. შანშ.). ◊ **კოპებს შეიკრავს** წარბებს ერთმანეთთან მიიტანს, შუბლს შეიჭმუხნის (გაჯავრების, წყენის... ნიშნად). «ვერაფერს მოგახსენებთ!..» უკმეხად უთხრა ბესიამ და თვითონაც *კოპები შეიკრა* (ი. ეკალ.). როცა ვინმე დაუ-

წყებდა ლაპარაკს, *კოპებს შეიკრავდა* და ხმას არ გასცემდა (თ. რაზიკ.). «პატრონი?» – იკითხა და კოპები შეიკრა აგრონომმა (კ. ლორთქ.) – ქეგლი. 2. გადატ. ხასიათი, ქცევის ნორმა. სხვანაირ რაკელიმ-ა, *კოპ* არც საუბარ-ჩია-დ' არც საქციელჩი (ხევს. ჭინჭ.). შდრ. **იკოპება** იკოხება კოპებს კრავს, იღუშება, იბღვირება. ჩვენ ნათელას ვეტყვი ხომე, რას *იკოპები*-მეთქი, გაშალე შუბლი (ატ.). რა მოგივიდა, რას *იკოპები*, შენი ხო არა მართეფს რა! (მერ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. V. **კოპი** (ლეჩხ.) «ურმის მორგვი» («დიალ.») – ქეგლი.

კოპა:

დიალექტ. I. **კოპა** ვისაც კოპი აქვს (თავზე, შუბლზე) კოპიანი. დახე იმ *კოპასა!* (ატ., ხოვ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. **კოპიანი** უჟმური, უხასიათო. სუ დაკოპილი რო დადის, ცხვირჩამოშვებული არი, იმაზე იტყვიან, *კოპიანი* კაციაო (მეჯვრ.); აგრეთვე საგურ. (ქართლ. ლექსიკ.). იხ. IV. კოპი.

დიალექტ. II. **კოპაი** ბალახი რიყეზე ამოდის, წამალს აკეთებენ მისგან, გაჭრილზე აყრიან (ინგ. როსტ.).

კოპალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოპალი** (იმერ.) კოპი. [სალომეს] შუბლზე უშველებელი *კოპალი* უჯდა (გ. წერეთ.). ქინჩზე *კოპალი* გქონია (ს. კლდ.) – ქეგლი. იხ. III. კოპი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კოპალი** ქამრის, უნაგირის, ლაგამის მოსართავი ღილები ლითონისა (ვერცხლისა...) (ვ. ბერ.). || ლეკურის მოსართავი ლითონის ან ვერცხლის ღილები. ე ლეკური მქონდა აქანას და *კოპლები* შოუძვრიაყე (ხრეითი, ზ.-იმერ. ძოწ.).

საშ., ქართ. III. **კოპალი** ფშავთა კერპი – დ. ჩუბ. იხ. I. კოპალა.

ახ. ქართ. IV. **კოპალი** [ესპ. copal, აცტეკ. kopalli-დან] ერთგვარი გამჭვირვალე ფისი, რომლისგანაც მზადდება ნაირ-ნაირი ლაქები. ◊ კოპალის ხე [Hymenaea courbaril] ტროპიკული ხე, რომელიც იძლევა ამ ფისს – ქეგლი.

კოპალა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოპალა** ძვ. რელიგ. ხევსურთა და ფშავთა წარმართული ღვთაება. *კოპალას* მიუყვია ხელი, გაუყლეტია დევები (ვაჟა). ცხოველი ხატები, რომელთაც გაჟლიტეს დევები, არიან *კოპალა* და იახსარი (ვაჟა). [ვაჟა ფშაველა] ბუნებას ადამიანისადმი მტრულად განწყობილი გენიებით – დევებით და მათთან კეთილი სულებით – *კოპალა*-იახსრებით ასახლებს (გ. ქიქ.) – ქეგლი. აგრეთვე ხევს. ჭინჭ.

ხახმატის ჯვარში დაწყალობების დროს ხუცი ამბობდა: „დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზს. შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ, ძალო ღვთისაო, ძალა წმინდა გიორგი *კოპალუსაო*! შენ გეძახიან, გეხვეწები-

ან, შენ ნუ მოუწყენ, ნუ მაიძულებ... ხალხსა შენსა მლოცავსა, დიდება შენსა, გმირო *კოპალავ!* შენ გეძახიან და გეხვეწებიან... ქუდოსან-მანდილოსანი"-ო (მას. საქ. ეთნ. I, 19) (ჯავახიშვილი 1950: 208).

ა. არაბული უთითებს, რომ კოპალა ისეთსავე მიმართებაშია კოპალი იარაღის სახელთან, როგორც კობლე/კომბლე–კობალი/კომბალი სახელთან, რომელიც რთული აგებულებისა ჩანს, ვინაიდან, თავის მხრივ, უკავშირდება კობ-/კოპ- ძირის ლექსემებს (არაბული 1998: 54-61). მ. ჩუხუას აზრით, ს.-ქართვ. *კოპალ- „ისარი". ქართ. კოპალ-ი „ტოტი", კოპალ-ა „წინარე ქრისტიანული ღვთაება" ზან. (მეგრ.) კოპულ-ი || კომპულ-ი „ისარი" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. კოპალა** კოპი, შუბლზე ან თავზე ამობურცული: „კენჭი მომხვდა და *კოპალა* დამაჯდა შუბლზე". აქვე *თავკოპალა* ბაყაყის კვერცხიდან გამოჩეკილი ტანწვრილი და მსხვილთავა არსება- თავკომბალა; გადატ. კომბალი: თავკოპალა ჯოხი (იმერ. ქავთ.). იხ. III. კოპი.

კოპე:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოპე** «საღვინე არს ათის თუხტის დამტევნელი» (საბა). ქვევრიდან ღვინის ამოსაღები (ჯოხის გრძელტარიანი) ჭურჭელი – აყიროსი (მწარე კვახისა). სინონ. ორშიმო. «ამოიღე გვერდის ჭურიდან ღვინო! ერთი *კოპითაც* მომიტანე, არ დაგავიწყდეს! მიყვარს *კოპით* დალევა!» (ნ. ნაკაშ.). აკაციის ტევრი ...წნელის სუსტი ღობე... ქუდმოხდილი ქვევრი... ღვინიანი *კოპე* (ანა) – ქეგლი. || „კოპე საწყლეზე დვია კოვასთან" (იმ., ჩვენ. ფუტკ., გურ. ჟღ.). || კოპინა წყლის სასმელია ხისა (მესხ. მასალ. II, ი. გვარამ. II, 52) – ალ. ღლ. კოფე || კოპე „კოფე წყლის ამოსაღებელსა ქვია" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

კოპე სიტყვისთვის უთითებენ ს.-ქართვ. *კოპ არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2017). ბ. გიგინეიშვილის აზრით, აღსადგენია ქართულ–ზანურ არქეტიპად *კოპე (გინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. კოპე** გუბე წყლისა (ინგ. შან.) – ალ. ღლ.

დიალექტ. **III. კოპე** კოპი, ურმის ნაწილი (ლეჩხ. ჩიქ.). იხ. V. კოპი.

დიალექტ. **IV. კოპე, კოპენაი** ძლიერი დარტყმის შედეგად ამობურცული კანი (შუბლზე, თავზე...), – კოპი (აჭარ. ნიჟ.). იხ. III. კოპი.

კოპიტ-ი:

საშ., ქართ., დიალექტ. **I. კოპიტი** 1. შავად გათლილი ხე – დ. ჩუბ. 2. კუთხოვანი ნაჭერი (ხისა, ყველისა, დუმისა...) დუმას ადუღებენ, *კოპიტებად* დაჭრილს ნადუღარს ან ჭალს შაატანენ, ან პურს («შინამრეწვ.» 67). აქვე: აკოპიტებს, გააკოპიტებს, გაკოპიტდების (ხევს. ჭინჭ.). || დასამუშავებელი მასალის ზედმეტი (ასათლელი) ნაწილი. პირველათ რო დავჭრით ქვას სოლებითა, იმას ვაკოპიტეფთ ზომაზე, ჩამოვაცლით ზედმეტ *კოპიტს*

(მეგ. ქართლ. ლექსიკ). **კოპიტი** || **კობიდი** ყავრისათვის დამზადებული კუნძი ზან. (ლაზ. თანდ.). **კოპიტად** ისე, რომ ხელახალი დამუშავება (გათლა, გაშალაშინება...) სჭირდებოდეს: შავად, *კოპიტათ* გაშალაშინებული (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.). გადატ. კოპიტად უთხრა", ე. ი. „მკვახედ უთხრა – ი. გრიშ. || კოპტნად მაგრად, უხეშად. „ლოგინზე კოპტნად დაბამბული უჯრა-უჯრა შალის საბანი ეშალა (ნ. ავალ. თარგ.) – ი. გრიშ. 3. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც იფანი. *კოპიტის* შეშას ტკაცატკუცი გაჰქონდა (აკაკი). ბახვა ფულავას ეზო დიდია, ...გარშემო ბროწეულის, ტირიფისა და *კოპიტის* ხეებია შემოვლებული (გ. წერეთ.) – ქეგლი.

ჰრ. აჭარიანი ქართველურ ფორმას აკავშირებს [სომხურ ḳopiṭ]-თან, რაც ნიშნავს „მაგარს", კოჟრიანს", „მსხვილს", მტკიცეს" (აჭარიანი 1973: 636-637). შდრ. [ბერძ. kōpeýs] „სანავე ნიჩბისათვის გამოსადეგი ხე" – ბ. გიგინ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოპიტი**: ძველად კოპიტს ეძახდნენ შავ ფულს. სპილენძის ფული სამკაპიკიანი. „გამოფრიალდა რიღასიც კალთები, თითო ნახევარ *კოპიტის* ტოლა თითბრის ღილებითა" („კრებ.") – ი. გრიშ. **კოპიტიანი** (მოხევ.) სპილენძის შაურიანი. ყაზახმა ამოიღო ჯიბიდან *კოპიტიანი*, რომლისათვისაც ვერცხლის... წყალი წაესვა და ვერცხლისფრად დაეფარა... «აიღე! უყურე, როგორი ვერცხლის მანათია»... (ა. ყაზბ.) – ქეგლი. **კოპიტი** შავი ფული (ხის სახელიც არის) (კირიონი).

დიალექტ. **III. კოპიტი** ერთგვარი ღილია. ს. ხიზაბავრაში ეძახიან ღილს (ჯავახ. ბერ.). შდრ. II. კოპი.

კოპიჭ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოპაჭი, კოპიჭი** შუბლზე ან თავზე გამოსული კოპი (ქიზ. მენთ.). აგრეთვე ი. გრიშ. კოპ-იჭ-ი (შდრ. კოპ-ი) (მორფ. 1988: 252). იხ. III. კოპი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოპიჭი** «მიწა შეყინებული» (საბა). მოყინული ან შემხმარი მიწა, – გალღობილ ნიადაგზე ადამიანის, ცხოველის, ურმის და სხვ. ნავალი რომ შეხმება ან გაიყინება *კოპიჭი* გამხმარი ტალახი (ქართლ. მენთ.). || კობიჭაჲ გოროხი (თუშ. ხუბ.). || კობიჭა თუშ. კომიჭა, ფშ. კობიჭი, თ. გუნდა (თოვლისა, მიწისა), ფშ. (რაზ. – ჭყ.). || კომიჭა, კორკომიჭა ჴ. შეკრული ფქვილი ცომში – ა. შან. შდრ. II. კომიჭი.

კორ-ი:

დიალექტ. **I. კორი** უღრანი ტყე. აქ *კორი* იყო მაშინ (ჩუბუქლუბალა, კლარჯ. ლექსიკ). იხ. II. კორომი.

დიალექტ. **II. კორი** ბურთივით მრგვალი ქვა ან აგური, ჩიკორი. „*კორით* ვკორაობთ. *კორი* შაიძლება აგურისაც გავაკეთათ" (მოხ ქავთ.). || ხის ან ქვის ბურთი, სათამაშოა (მოხ. ქაჯ.).

მ. ჩუხუას მოსაზრებით ს.-ქართვ. *კორ- „ბურთი“, ქართ. (მოხ.) კორ-ი „ხის ან ქვის ბურთი“, კახ. კორ-ა „მრგვალი პატარ ქვა“, შდრ. ქართლ.-კახ. კორ-ა-ობ-ა მხოლოდ ქართულში დასტურდება, მაგრამ გარე-ენობრივი პარალელები იმაზე მეტყველებენ, რომ კორ- ძირი ენდემურია (ჩუხუა 2017).

კორა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კორა** 1. პატარა ამონაკვეთი თოფის ლულაზე; მის საშუალებით იღებენ მიზანში (სროლის დროს). მყისვე ჩახმახი დავღრიჯე, გულზე დავადევ ლიშანი... *კორაში* ვნახე, დაემხო, წვერნ გადიქნივნა რქისანი (ვაჟა). 2. «ბარის სატერფული» (საბა). 3. «ხის კოჭი, რითაც მიმაგრებულია ფრთა გუთანზე» (ს. მენთ.). 4. კარის საკეტი ხის კოჭი, მიმაგრებული კარის ჩარჩოზე, სვეტზე ან სიგანის ხეზე. 5. უღლის ამოწეული ადგილი ტაბიკებს შუა, – საქედური. 6. (რაჭ.) ჭაჭის დასაწურავ მოწყობილობაში – მრგვალი, მსხვილი ხე დაახლოვებით 20 სმ სიგრძისა. *კორა* აწვება ჭაჭას და გამოიწურება ღვინო («დიალ.») – ქეგლი. 7. საქონლის დასაბმელი რკალის მსხვილი ბოლო. მოზვრი დასაბმელსა, რკალ რო ვეძახით, თავები ცოტა მსხვილათა აქ გათლილი, კომბლებივითა; იმას რკალის *კორას* ეტყვიან (ლამ.). 8. კრამიტის ამოწეული ადგილი კრამიტს აქ კოჟოჟივითა, რითაც რეიკას უნდა მოედოს, *კორას* ვეძახით იმასა (ატ., ქართლ. ლექსიკ.). 9. ორმუებ ამოჲათხრიან, მემრე ნაპირაჲ დაჲსომენ *კორას*. წავლენ რამთენიმე მეტრზე და ესვრიან *კორას*. (კახ. -მარტ. იმწ.). 10. ჭინჭილაქი... წწელზე ვდებთ რგვალი ხის საგორავსა, დავხვრეტამთ ორგან, მერმე ექნება შიგა შუაგულში *კორა* ჩასმული (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 109). აგრეთვე: თუშ. ხუბ., ხევს. ჭინჭ., ინგ. როსტ., ფშ. გოგატ., მესხ. ფეიქრ., ზ.-იმერ. ძოწ., ჯავახ. მარტ.

მ. ჩუხუა მიუთითებს ს.-ქართვ. *კორ-ა „ხის კოჭი“ > ქართ. კორ-ა: ზან. კურ-ა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **კორა: კორა ბუზი** საქონლის მკბენარი ფრთიანი მწერი. აგრეთვე კორაბუზი დიდი ბუზია, საქონლის მკბენარი (ბაჯითი, შომახეთი, პერევი). || კორტა ბუზი: იგივეა, რაც კორა ბუზი. კორტა ბუზმა დაკბინა ბროხა (შომახეთი). || კორტიზი ბუზი: კორტიზი ბუზი ფუტკრისხელაა, საქონელს კბენს (პერევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

კორამ-ი:

დიალექტ. I. **კორამი** კორა – „თოფის გასახედი სანიშნებელი“ (ხევს. შან.). იხ. I. კორა.

დიალექტ. II. **კორამი** ნიადაგიდან „ამოზრდილი“ კლდე – ალ. ჭინჭ. კორ-ამ-ი < კორ-ომ-ი. იხ. II. კოროში.

კორთ-ი:

დიალექტ. **I. კორთი** ქვევრის სადგამი ქურაში (ქიზ. მენთ.). || კორთეი ჭურჭლის (ჯამების, ქვაბების, ლანგრებისა და მისთანათა) დასაწყობი თარო თახჩაში) (ინგ. ღამბ.). შდრ. იკორთა ძვ. «ფიცრის თარო» (საბა, ქეგლი).

დიალექტ. **II. კორთი** ციცაბო აღმართი, ძნელად მისადგომი მაღლობი; მთა-ბორცვიანი ადგილი (იმერ. ქართ. დიალექტ., 671). იხ. I. კორტი.

კორიფე:

ახ. ქართ. **I. კორიფე** [ბერძ. koryphaios ბელადი, წინამძღოლი] 1. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე. საქართველოში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობენ რუსული მუსიკის *კორიფეთა* ნაწარმოებნი («ლიტ. ხელოვნ.»). 2. ისტ. ძველ ბერძნულ ტრაგედიაში – გუნდის ხელმძღვანელი – ქეგლი.

დიალექტ. **II. კორიფე** პატარა ფიცარი. – ნამეტანი *კორიფეა* მაი ფიცარი და არ გვეყოფა (რაცხ. გურ.).

კორკოტ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კორკოტი** «დანაყილი ხვარბალი». შვილო გაბრიელ, საოსტიგნით ცხელი საჭმელი *კორკოტისაჲ* მომართუ (აგ. ძ. I, 318, 32) – ბ. გიგინ. აიღე ქერი და მოჰალე, მერმე დანაყე, რომე *კორკოტი* შეიქნას! (ფანასკ. 188, 16). ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია *კორკოტს* თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე [ქვრივ დედაკაცს] (ილია). რძის *კორკოტს* შემოუსხდნენ [ღამის მეხრეები] (შ. არაგვ.). [ცოლმა] შექმნა *კორკოტი*, წინ დამიდგა, პურიც ხელთ მომცა: «აჰა, პური პურით ჭამეო!» (საბა). || (იმერ.) ნიგვზით შეზავებული მოხარშული ხორბალი – ქეგლი. აგრეთვე: ზ.-იმერ. ძოწ., ჯავახ. ზედგ., მარტ., ქიზ. მენთ., ფერეიდ. ჩხუბ., მესხ. ფეიქრ., აჭარ. ნოღაიდ., ინგ. როსტ., ღამბ., დუზჯ. ჩელებ. **კორკოტი** სიმინდის თავთავი ზან. (მეგრ. ელ.).

1. კორკნ ←*კორკონ (კორკნაჲ–დაკორტნა (ნ. კირკნა), შდრ.: კორკოტი *კორკონ-სა და კორკოტს აერთებს ზოგადი მნიშვნელობა „ჭამა – საჭმელისა“) (ერთელიშვილი 1970: 231). 2. სიტყვა შემოსულია სომხურიდან [შდრ. სომხ. ḳorḳoł] (აჭარიანი 1973: 671) – ბ. გიგინ.

დიალექტ. **II. კორკოტი** (ქვა) სანაყავი ქვა კორკოტისა, ასე ეძახიან სოფ. საროში (ჯავახ. ბერ.). საუსტიო მაქ: ცული, სატეხი,... *კორკოტი* (აჭარ. მრეწ. I, 416). აქვე: კორკოტი, კორკოტანი, ურატა (გურ. სქ. 17). სამთავაჲს ქოფიტზე დასასობათ *კორკოტის* ვხმაროთ (აჭარ. მრეწ. II, I, 254). შდრ. კვერკვეშო (რაჭ.) ხის ჩაქუჩი, ხის კვერი – ქეგლი. იხ. II. კორკოტინა.

დიალექტ. **III. კორკოტი** სჯა-ბაასი, მსჯელობა (ბევრისა); *კორკოტობენ* ბაასობენ, მსჯელობენ. *ვკორკოტობთავ:* „რა ვქნათავ, რაჯლა მავიქცნათავ?“ (ხევს. ჭინჭ.). შდრ. II. კირკიტი.

კორკოტინა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კორკოტინა** 1. (მესხ. ჯავახ.) იგივეა, რაც ბალბა – ქეგლი. || კორკოტის ფორმის ნაყოფიანი მცენარე, ფხალი, ბალბა. იციან ასეთი თქმა, როცა თვალში რაიმე ჩაუვარდებათ: „წამ, წამ ჩაყლაპე, *კორკოტინას* გაჭმევ“. ეს ფხალი მოდის ან ზამთრის, ან გაზაფხულის პირზე (ჯავახ. ბერ.). || ბალბის ნაყოფი. ბალბას ასხია *კორკოტინეები*, წვრილებია, მაგრა ისეთია, ლამაზი, როგორც ქადა გამოგიცხვია, იჭმება (გრაკ.). გავიდოდით მინდორშია, საცა ბევრი ბალბა იყო, დავკრეფამდით *კორკოტინას*, გავარჩევდით და გიყვარდეს, ძაან გემრიელი იყო! (კავთ., ქართლ. მესხ.). 2. გადატ. გაყინული თოვლის ფიფქი, განსხვავებული ჩვეულებრივი ფიფქისაგან, შეკუმშული და მოგვაგონებს კორკოტის წვრილ მარცვლებს. კორკოტინა მოდის ზამთრის დასაწყისში ან ადრე გაზაფხულზე ხანდახან ზამთარშიც იცის (მესხ. მაის.). შდრ. კარკოტა (კახ.) «წვრილი სეტყვა» («დიალ.») – ქეგლი. იხ. I. კორკოტი.

დიალექტ. II. **კორკოტინაი** ხის პატარა კვერი. „შეგარცხვინა ღმერთმა, სატეხმა და ხერხმა, ურატამ და *კორკოტინამ* თავი გაგიტეხა“ (ვ. ბერ.). || კორკოტანა ბოლომსხვილი და თავწვრილი გამოთლილი ხე, რომლითაც საწნახელში ყურძენს ტენიან (გურ. ჯაჯან.).

კვერი ურო. ფ. ერთელიშვილი ვარაუდობს, რომ კორკოტანა ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია. *კვერ-კვერ კორკოტანა (ერთელიშვილი 1980: 109). იხ. I. კვერი.

კორომ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კორომი** „ხენი, ჯგუფად მდგარი“ (საბა). ხშირად იყო მოდებული ტყის პატარ-პატარა *კორომები* მაყვლის და კრიკინის ბარდებით (მელან.). შორიდან პატარა *კორომად* გეჩვენებოდათ ეს ამაღლებული ბუდე [ჭიანჭველებისა] (ი. გოგებ.) || ნარგავი ტყე. – ტყენარგი. || კურუმი (ფშ.) ჯგუფად მდგარი ხეები, – ახალი (ტყე). ერთს ადგილ პატარა კურუმი ტყე იყო (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. II. **კორომი** ოდნავ შემაღლებული ადგილი, ბორცვი. შემაღლებული ადგილი მინდორში, ან საერთოდ, სწორ ადგილშია, გინდა ხე იყოს ზედა, გინდა არაფერი იყოს, მაინც *კორომია* ისა (ხც.). აგრეთვე ახალშ., ქემ., ქირ. (ქართლ. ლექსიკ.). || ყამირის გატეხას აბნელებს ხოლმე ბურთივით ამობორცვილი გამკვრივებული მიწა, ჩვეულებრივ გაბალახებული, ასეთი მიწა ჭაობშიც იცის და მას *კორომს* ან კორუმს ეძახიან. რამდენიმე კორომზე იტყვიან: *კორომ-კორომიაო* ან *კორომი* და *კორომიაო* (თონ., ალგ. ქართლ. სალ.). „ვერ გავთიბე, კაცო, *კორომი* იყოო“ (თონ., დვალ., ღოლოვ. ქართლ. მენთ.). || ტყე-მინდვრის ან ნათესის ცალკეული ნაწილი. ნათესშია ერთ *კორომზე* კარქა არი ამოსული, სხვაგან კიდენა სუ ერთნაირათა (კავთ., ქართლ. მესხ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვაში „კორომი“ -ომ სუფიქსია, (შდრ.: კორ-დ-ი) ...ფუნქცია დაბნელებულია (მორფ. ლექსიკ. 1988). იხ. I. კორუმი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **კორომი** (ზ.-იმერ.) ძალიან პატარა სახლი (უხეირო). || (შ.-იმერ.) საბძელი – ქეგლი. || ფაცხასავით მოწნული პატარა ქოხი. მინდა პატარა *კორომი* გავაკეთო და შევიდო შიდა (ფარცხნალი). || წნელით მრგვალად მოწნული კარავი, რომელიც გადახურულია ჩალის ზვინით და იხმარება ჩალისა და ფუჩეჩის შესანახავად. *კორომი* მოწნულია, ზევიდან ჩალა ახურავს, *კორომში* ვყრით თივას, ფუჩეჩს (ვაშლს ინახამენ იმ ფუჩეჩში). საბძელი სხვაა, საბძელი ფიცრისაა და თავზე ან კრამიტი ახურავს, ან ფიცარი (ხალიფაური). || საბძელი. *კორომი* წკნელისაგან არი მორაგული, გადახურულია ზვინით. *კორომში* ვყრით სიმიდის ფუჩეჩს (დილიკაური). ფუჩეჩს ევიღეფთ, შევინახამთ *კორომში*, ჩალას მოვმკით, ჩავაწყოფთ შიდა (ზოვრეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. კარამი წნელისაგან მოწნული უხეირო ქოხი, ფაცხა. უფროს ძმას ტყეში კარამი გოუკეთებია (გორისა, ზ.-იმერ. ძოწ.). || კარავი (მესხ. ფეიქრ.).

კორტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კორტი** || **კორტოხი** ქვ. მაღლობი, გორა, გორაკი (რაჭ. კობახ.). **კორტოხი** სერი ზან. (მეგრ. ელ.).

სავარაუდოა, რომ კორდ ფუძე კორტ-ის სახით იყოს წარმოდგენილი კორტოხ-ი ფორმაში (მორფ. ლექს. 1988: 95).

დიალექტ. II. **კორტი** მაგარი, გაუტეხავი ადამიანი, ზვიადი, ამაყი. *კორტი* სიტყვა, რომ გაიგონა, შიშისაგან თავისი დაემართა! (მესხ. მაის.). || ჯიუტი, კერპი (მესხ. ფეიქრ.).

ახ. ქართ. III. **კორტი** [ინგ. court] სპორ. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი. ჩვენში დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა სპორტული ნაგებობანი, შენდება ახალი სტადიონები, მოედნები, დარბაზები, წყალჯომარდობის აუზები, ჩოგბურთის *კორტები* და სხვ. («ლელო») – ქეგლი.

კორუმ-ი:

დიალექტ. I. **კორუმი, ხორუმი** ერთად დაწყობილი ერთად დაყრილი (ქვიშა და მისთ.). „**ღორღის კორუმი**“, „**ქვიშის კორუმი**“ (ქიზ. მენთ.). შდრ. ხორა «შეშის ზვინი» (საბა), – ერთად დაწყობილი შეშა, საშენი მასალა და მისთ. – ქეგლი.

დიალექტ. II. **კორუმი** პატარა ტყე, განცალკევებით მდგომი ერთად შეყრილი რამ (თ., ფშ. შან.). თელიან *კორუმს* ვუვლიდით ირმების გუმანზედაო (ფშ. ბაჩ.) – ქეგლი. იხ. I. კორომი.

კოსალა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოსალა** (ქიზ.) იგივეა, რაც მელეღვია (ჩიტი) – ქეგლი. || კოსოლაი, კოსალაი კოდალა [სინ. კოდოლაი] (ინგ. ღამბ., შან.). *კოსალაი* „იწუმ-იწუმ“ ამბობს (ინგ. როსტ.).

ს.-ქართვ. *ჯოს- „პატარა ჩიტი, მესკია“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. კოსალაი** პატარა და მრგვალი, ფსკერ-ვიწრო და პირ-ფართო თასი დასადგმელით ძველად თიხისა ყოფილა, ახლა ფაიფურისა და სპილენძისაა. მას ხშირად სხვა ჯამებისაგან განსასხვავებლად **კოსალა ჯამ**-საც უწოდებენ (ინგ. როსტ.). შდრ. კოსოლაი (ქ.-აჭ.) წოწოლა, წოწლო-კინა (აჭარ. ნიჟ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჯოს- „შეეულად აღმართული; წოწოლა“ (ჩუხუა 2018: 88).

კოტ-ი:

დიალექტ. **I. კოტი, კოტაი** ფერდობი, დამრეცი ადგილი, ციცაბო, დაქანება. ახალციხის მთებჩი იფრო მეტია კოტები. მაკლული ჯიჯური შეეკ-რა და *კოტზე* გემეეგორა (მოხ. ქავთ., ქაჯ.). აქისას *კოტ* გორი გვაქვ ჩასაჯე-დი (ს. გოგოლაურთა, ფშ. გოგატ.). აგრეთვე ხევს. ჭინჭ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოტი** (იმერ.) იგივეა, რაც კოიტი – ზაქი, ხბო ქეგლი. || კოტია || კოტი ზაქი. „ესა ჩუენი მარალას *კოტიაი* ყოფილა“ (გულ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. კოტ-კოტ... კამეჩის მოსახმობი სიტყვა, კამეჩის შეძახება დასაყვავებლად (ნ. კოტია) (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. კოტი** თაგვი. **გულაბას კოტი** – წყლის თაგვი; ციცა დიდია და *კოტი* თაის შვილია (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. **IV. კოტი** ბოძი. კდეები რო არი გამოხვრელილი. იქ *კო-ტებია* დასობილი (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. კოტა.

დიალექტ. **V. კოტიი** კიკოი, დედოფალა, თოჯინა, რომელსაც კოტი-ოვის დროს ატარებენ. შდრ. კოტიოვან ტარევაი კოტიობაზე სიარული. **კო-ტიობა** იგივე ქართლური ლაზარობა, *კოტიობა* მხოლოდ ავდარში იციან, რომ გამოიდაროს (ინგ. ღამბ., კირ.).

კოტა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოტა** 1. ხის რიკი (კედელზე ან სვეტზე) რისამე ჩამოსაკიდებლად. || იატაკისა და კედლის ფიცრებში ჩაყენებული რიკი ფიცრების ერთმანეთთან მჭიდროდ დასაკავშირებლად. გამჭოლი კოტა – ქეგლი. 2. უღლის რიკი – საბა. || ურმის ღერძის წინ და უკან ჩაყრი-ლი ორი ჭინჭილაქი, სვლის დროს ღერძი რომ არ წაგორდეს – ქეგლი. 3. ჯრმლის ხეტარი – საბა. ეხვეოდიან, ჰკოცნიდეს ხრმალსა და სალტე, – *კოტასა* (ვეფხ. 61, 4). დავაგნეთ ხრმალთა *კოტანი* (ვეფხ. 1387, 3). 4. სახე-ლური. *„კოტაზე* მოდვა ცალი ხელი, მიერეც – თირფნის ტარზე და დეი-

წყო თიბვა“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 1989, 14, გურ. ჯაჯან., ჯავახ. ბერ., იმერ., ძოწ., გაჩ., გურ. ჟღ., ქიზ. მენთ. **კოტა** ხის როკი კედელზე ან სვეტზე რისამე ჩამოსაკიდებლად; ხელტარი, ვადა, კოტა (ხმლისა), ხელის საბღუჯი (სტეკისა); ფიცარზე ფიცრის დასაკრავი ხის სამსჭვალი ზან. (მეგრ. ქობ.). **კოტაი** (სვან. ლიპარტ.).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოტა, კოტე** გურულად ღერი – დ. ჩუბ. || (გურ.) სიმინდის ტარო – ქეგლი. შდრ. ნაკოტალა, ნაკოტარა (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ნაქუჩი. სამზარეულოში ორი გოდორი ნაკოტალა შემოიტანა (კ. ლორთქ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კოტა** (გურ. იმერ.) იგივეა, რაც ტახტა. მხედარმა... საჩქაროდ გამოხსნა უნაგირის *კოტას* უწყვეტები (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. || კოტე უნაგირის ტახტა (ლეჩხ. ჩიქ.).

ზან. (მეგრ.) კოტა „უნაგირის ტახტა“, იმერული კოტა ზანიზმი ჩანს, რაზეც ბოლოკიდური ა მეტყველებს, შდრ. ქართ. ე: ზან. ა, ს.-ქართვ. *ე. აქვე საცნაურია ასიმილაციური დ > ტ გამკვეთრების ისტორიული პროცესიც. შდრ. *კოდე > კოტე/კოტა (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **IV. კოტაი** ბავშვის უკანა ტანი, საჯდომი. *კოტაი* ყმაწვილთა გოდნაის (საჯდომია); *კოტაი* გიჩანს, სურცხულუ (სირცხვილია) (ინგ. ჯან., ღამბ.).

დიალექტ. **V. კოტა**. იხ. I. კოტი.

კოტაკ-ი:

სამ. ქართ. **I. კოტაკი** 1. ძვ. ჩვილ ბავშვთა საჭმელი ფაფა (საბა) – ქეგლი.

დიალექტ. **II. კოტაკი** სერზე, გორაკზე ჩაღრმავებული, ფოსო ადგილი. თათრები მაღლა *კოტაკში* ჩასაფრდნენ (ჯავახ. მარტ.). 2. პატარა გორაკი (ცირიონი). იხ. I. კოტი.

კოტიტა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოტიტა** რომელსაც ხელფეხის მოძრაობა არა აქვს – დ. ჩუბ. მოკლე და მსხვილი (ფეხი, ხელი, თითი). პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, *კოტიტა* და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები – ესე ყოველი ერთად... გახლდათ თავად ლუარსაბის «ცით მონაბერი სულის» ღირსეული სამკაული (ილია). ტიტველი *კოტიტა* ფეხის თითები დილის ფოსტლებში ჩაეყო სამსონსა (გ. წერეთ.). *კოტიტა* ფეხები ცეცხლისთვის მიუშვერია ჩვენს გოგრას (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ზედგ. შდრ. I. კოტოტი.

დიალექტ. **II. კოტიტა** ტიტა იგივეა, რაც კოტიტა. ხატოტი. მის ნორჩ ფოთლებს, როგორც მხალეულ მცენარეს, იყენებენ შეჭამანდში (შდრ. მესხ. ხატუტა, კოტიტა, ტიტა). სინ. ტიტა (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. კოტიტა** პატარა ხბო (ზმ.-რაჭ. კობახ.). კოტინა (რაჭ. კობახ.). იხ. II. კოტი.

კოტო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოტო** (იმერ.) მრგვალი და მომცრო ქილა (შდრ. კოტოში). ქილას მრგვალსა და მომცროს იმერეთში კოტოს ეძახიან (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. **კოტო** ქოთანი ზან. (მეგრ. კილ.). **კოტო** თევზის ბუნაგი, ქოთანი ზან. (მეგრ. ფიფ.).

ახ. ქართ. II. **კოტო** სიმებიანი იაპონური მუსიკალური ინსტრუმენტების საერთო სახელი (უნივერს. ელერდ.).

კოტორა:

ახ. ქართ. I. **კოტორა** საუბ. ვისაც თმა ძირში აქვს მოკრეჭილი, – თავგახოტრილი. კოტორა ბიჭი. ხოტორა – ქეგლი. შდრ. ჭან. ხუტორ || ხოტორ || ხოჭორ მეგრ. ხუჭორ თმის გაკრეჭა (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. II. **კოტორა** 1. მცირე ზომის მამული, პატარა მიწის ნაკვეთი. აქვე იყო თათართ ჯვარათ მამულები, პატარ-პატარა *კოტორაები*, და ისინი ხნავდენ ამ *კოტორაებსაც* (ეთნ. გვარები, 5, 60) – ალ. ჭინჭ. || კოტორა, კოტორი ნაჭერი, ნაწილი. მაგ.: პატარა ველი ტყეში, პატარა ღრუბელი მოწმენდილ ცაზე. პატარა ნისლი მთაზე, ქადის ნაჭერი და მისთანები (ფშ. ხორნ.). სახნავი მიწის პატარა ნაკვეთი. „ჩდილს ვკნიდით ერთ *კოტორაცრ*, ჲეგ იყვ ჩვენ ყანაჲ“ (თუშ. ცოც.). აგრეთვე მთ. კაიშ. 2. ნაქარგის სახეა ერთგვარი. [საბეჭურის] შუაში სამკუთხ სკლატს დააკრავსა-დ' სამთ *კოტორათ* გაუკეთებს ნაკერის ბოლოში («შინამრეწვ.» 16) – ალ. ჭინჭ.

კოტოტ-ი:

დიალექტ. I. **კოტოტი** (იმერ.) დანაზარდი ძვალზე (ჩვეულებრივ სახსრებში) – ქეგლი. || სახსრის გამოწეული, მომრგვალებული ნაწილი. *კოტოტია* მუხლისთავი (ბორითი); *კოტოტია* მაჯასთან ამოზნექილი ძვალი (მორძგვეთი); *კოტოტი* აქ გატეხილი, იდაყვი (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ). აგრეთვე იმერ. გაჩ. იხ. I. კოტიტა.

დიალექტ. II. **კოტოტი** მოგრძო, მრგვალთავიანი პური; კოტოტიანი პური საძღვნო პური, რომელსაც მელოგინე ქალს მაირთმევდნენ (ლეჩხ. ჩიქ.). || კოტეტი საგანგებოდ გამომცხვარი პურის მრგვალი თავი (ლეჩხ., ალავ.).

კოტოშ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოტოში** 1. მოზიდვით სისხლის გამომღებელი ჭურჭელი (საბა), – ერთგვარი ჭურჭელი, რომლის საშუალებითაც სისხლი გამოიწოვება (სამკურნალო მიზნით): გაჭრილ კანზე ადგამენ პირით ამ ჭურჭელს, რომელშიც ჰაერი გაუხშოებულია. ასრე უნდა მკლავი გაუხსნან და ან *კოტოში* მოჰკიდონ (იადიგ. 101, 32). თუ სისხლი მეტი იყოს, უწინ ყიფალი გაუხსენ, მერმე კისერზე ორგნით *კოტოში* მოჰკიდე

(ქანან. 376, 4). კოტოში || კოტუში : თავზედა კოტუში მოიკიდოს (ფანასკ. 14, 22). ძველად ყოველი ყარაჩოღელი... ზედმეტი სისხლის გამოსაშვებად აბანოში მიდიოდა და კოხტად მოპარსულ კისერზე *კოტომს* იკიდებდა (ი. გრიშ.). || ქოთანი (ან აყირო) ამავე დანიშნულებისა. || მედიც. მუცელგანიერი პატარა ჭიქა, ადგამენ სამკურნალო მიზნით (სისხლის მოსაზიდად). [ექიმმა ნინოს] ზურგზე ქილები და *კოტომები* ჰკიდა, რამდენჯერმე ცხელ წყალში აბანა, მაგრამ უკეთობა ვერა დაატყო-რა (რ. ერისთ.); „ხუცეს უნდა *კოტოში* დამაყაროს! (დ. შენგ.). 2. ქილა. ღომის მოხარშვა იციან კარდალში (თუჯის ქვაბი) და ზოგთ – *კოტოშში* (ქილაში) (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. კოტოში ღვინის ჭურჭელია, ხაპი ზან. (ლაზ. თანდ.).

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, რომ საყურადღებოა ი. ყიფშიძის მიერ (ყიფშიძე 1914: 261) ქართული კოტოშის დაკავშირება მეგრულ კოტო ფორმასთან (ქოთანი). და თუ ეს დაკავშირება სწორია, კოტოში უნდა იყოს მეგრული ფორმა ნათესაობითი ბრუნვისა სახელისაგან კოტო „ქოთანი", ე. ი. მისი მნიშვნელობა იქნებოდა „ქოთნისა" „ქილისა" (დავუშვათ, – „ყელი ქილისა" ან სხვა რამ). მეგრულიდან სესხება სარწმუნო ჩანს, მაგრამ თვით მეგრული ფორმის წარმომავლობა არის სარკვევი (გიგინეიშვილი 2016). იხ. აგრეთვე აჭარიანი 1973: 641.

დიალექტ. II. კოტოში ნაფოტი. გამოცანაა: „მოალისა – ბაბოიო-დ' მოხკრეფსა – *კოტომსა* (ზამთარი) (თუშ. ხუბ.). შდრ. I. კოტა.

დიალექტ. III. კოტოში 1. სიმინდი ტარო. „*კოტოში* გალ გავაკეთავთ" (ბ.); „გეიკეთავს სიმინდი *კოტომსა*" (მ., ჩვენ. ფუტკ.). სიმინდის *კოტოში*, კლავსაც ვეტყვით (ისკები, კლარჯ. ლექსიკ.). 2. მარცვლებისაგან დაცლილი სიმინდის ტარო (მესხ. მაის.). იხ. III. კოტა.

კოფ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. კოფი (იმერ.) იგივეა, რაც ობი. შდრ. კოფსი (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ობი – ქეგლი.

საშ. ქართ. II. კოფი წამალია. შექმნა *კოფისა*, სარგო ბრძანებითა ღ¯თისთა მკერდისა ტკივილისათუის, ღუიძლისა და ჴუელისთუის (ფანასკ. 208, 38). კოფი მეფისა: წამალი იგი, რომელსა სახელ-სდებენ კოფი მეფისა ანუ ფანდიკონ (ფანასკ. 203, 18).

III. კოფი, კუფი (kuff) ჰოლანდიური მცირე აფროსანი სანაპირო ცურვისთვის XVI-XIX სს-ში – დ. ვარძ.

კოფა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. კოფა კოფო. კნეინა დარეჯანმა შეაქცია ზურგი *კოფასა* (ილია). მარხილის ნაწილი: ბობოჩიკებზე ჩამოცმულია ორი *კოფა*-წინა და უკანა, ბრტყელი ხეები (თუშ. ცოც.); უკანა *კოფა* – სულ უკანა ფიცარი, გაყრილი ხელნებში ამაგრებს ხელნებს. წინა *კოფა*. ურმის წინა

ნაწილში ჰავლებზე ჩამოცმული მოკლე ფიცარი (მთ. მრეწ. IV, II, 108). აგრეთვე ქიზ. მენთ. იხ. I. კოფო.

დიალექტ. II. **კოფა** მაზარის გადასაბმელი უკან (ქიზ. მენთ.). || კოფაჲ მაზარზე, უკან, პატარა ნაჭერის ორღილიანი შესაბნევი (თუშ. ხუბ.). || ტანსაცმლის უკან, საქამრესთან დაკერებული პატარა ბრტყელი ნაჭერი. „ჩემ ბაბოს წელის *კოფა* სუ ჩამოგლეჯილ ხჭონდის ჩემ ზედ ბღატებისგნივრ“ (თუშ. ცოც.). || უკან შუაწელთან რომ მიკერებული აქვს, ჩვენ იმას სალტას ვეძახოდით, ისინი კი *კოფას* (ზ.-ქართლ. მრეწ. III, I, 171).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **კოფა** (იმერ.) მარცვლეულის საწყაო, ბათმანის მეოთხედი (დაახლოებით სამი კილო). || სარწყული ჭურჭელი. ფიჩვის ხისგან ამზადებდნენ. *კოფა* ფიჩვის თუნგივით იყო (რაჭ. კობახ.). || კოფაი მოჩუქურთმებული ხის სამარილე (ა. კ., მოხ. ქავთ.). || კინჭლე. „საოჯახო ნივთების შესანახი ხის (მოწნული) ჭურჭელი“ (ავთ. არაბ.) – ალ. ჭინჭ. || კოფიო (ზ.-იმერ. რაჭ.) საწყაო (დაახლოებით ოთხი კილო) – ქეგლი.

საშ. ქართ. IV. **კოფა** (მატუკ BCD.) (ბალ.) – საბა. კოფა თხის ბუმბუ – ა. მაყ.

კოფო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოფო** ურმის, მარხილის და მისთანათა ჭალებზე გარდიგარდმო ჩამოცმული ფიცარი. [ურმის] წინა *კოფოზე* ზის პატარა ბიჭი... და მიელალება ხარებს (ს. მგალობ.). ნინიკას... თელის ურემში ორი ლომა კამეჩი ება და თვითონ... *კოფოზე*... არხეინად იჯდა (ეკ. გაბ.). ტკბილად გაისმა ჭალებში *კოფოზე* ჩამომჯდარი მეურმეების სიმღერა (მიხ. მრევლ.). || ეტლში – მეეტლის შემაღლებული დასაჯდომი. მეეტლეს *კოფოზედა* სთვლემდა (ვ. ბარნ.). ორთვალას *კოფო* გახეთქილი ჰქონდა (რ. ინან.) – ქეგლი. „ქარის არაბას აქ კოფო“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **კოფო** ურმის ჭალებზე გარდიგარდმო დაჭედილი ფიცარი ზან. (მეგრ. ელ.). იხ. I. კოფა.

დიალექტ. II. **კოფო** ხის ფარცხის დახვრეტილი ხე. წინეთ ხის ფარცხები იხმარებოდა. ავიღემდით დახვრეტილ ხეს – *კოფოს*, შეუყრდით *კოფოში* თითებ- მოკაუჭებულ ჯოხებს, მერე ზეიდან მოვქსოვდით წკენით (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. III. **კოფო/ა** პალტოს, ფარაჯის უკან შესაკრავი, რომელიც იმავე ნაჭრისაგან არის შეკერილი და ორ ღილზე იკვრება (გ.-კახ. სახლთხ.). ფარაჯაი რო უკან ქამრისეფ აქ ხომე ღილებზე შესაკრავი, იმასაც *კოფოდ* ვეტყვით (წილკ.). *კოფო* შინლის ქამარია, წელზე უკან ღილებით შეკრული გვერდებისაკენ (საგურ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე რაჭ. კობახ. იხ. II. კოფა.

დიალექტ. IV. **კოფო** ბალახი. თხის ბუმბუ (მესხ.-ჯავახ. ა. მაყ.). იხ. IV. კოფა.

კოშ-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოში** 1. კოში «ხისა და გოგრის თასი» (საბა), – ხისა ან გოგრის ჭურჭელი თასივით. „პოვეს (სენაკსა) სტამნითა წყალი და ერთი ქოთანი და *კოში*“ (ლიმ. 88, 20) – ილ. აბულ. დასტურები ლუდს ასმევდნენ ხალხს *კოშითა* და თასებით (ვაჟა). და მოათავსა [მწირმა] ყვავილნი *კოშის* მსგავს რასმე მინაში (ვაჟა). || (ხევს.) სალუდე ჯამი (რვლისა) – ქეგლი. || კოშრ მრგვალი ქიტი ან კონჩხო. *კოშ* დარკოს შეხვრეტადა კარგაცრ, ჩქარა გრილდების (თუშ. ცოც.). ხუცესი... ჩააწებს პურს ლუდიან *კოშში* და დაურიგებს ყველა მეკვლეს (ბ. გაბ. 144, 1). წინითი ჩხუტსა ჩამუდგამ, *კოშს* ჩამურიგებ რვლისასა (ხევს. პოეზ. 524, 20). 2. იგივეა, რაც საკარგმყო. ყველაის მართლის მათქვამსა *კოში* მეკუთვნის ჯარზედა (ხევს. პოეზ. 136, 41) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე: ა. შან., ალ. ოჩ. || საწყაო მინდის ასაღებად – ქეგლი. || კოში დასარწყობი ჭურჭელი, საწყაო (მესხ. ფეიქრ.). 3. კოში გოგრის სახეობა, იყენებენ ჭურჭლად. „*კოში* ვეტყოდით წყალ ამევღებდით“ (ჯივანი, კლარჯ. ლექსიკ). || სქელქერქიანი მკვახის თასი. „ნენეი *კოშ* მუაბემდა ავატყოფებსა“ (თ. ქ.); „ამოძრებოდენ წურბლები *კოშიდან*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). გადატ. კოში თავი, შუბლი „[ნაოჭი] *კოშზე* მე რამდენი მაქ, ანი“ (მაჩხ.). „*კოში* ეს არი, შუბლია“ (ჩაქ., შავშ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კოშ- „ხის (ან სპილენძის) ჭურჭელი (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ახ. ქართ. **II. კოში** თევზის საჭერი დაწნული კალათი (კონუსის მოყვანილობისა) – ქეგლი.

კოშია:

დიალექტ. **I. კოშია** უკანო პატარა გოგრა (გურ. ჟღ.). იხ. I. კოში.

დიალექტ. **II. კოშია** ინდაური (ლეჩხ. ვ. ბერ., ლ. ლეონ.). || კოშიე (ლეჩხ. ჩიქ.).

კოწიწა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოწიწა** 1. დასაკოწიწებლად გამოსადეგი (ნივთიერება) – ქეგლი. შდრ. კოწიწი გატეხილი ჭურჭლის შესაწებავი (სხვადასხვა შედგენილობასა; რძეში გახსნილი კირი ან კვერცხის ცილა – ქიზიყში, კანაფის ბენძი, კირწყალში დანაყილი ლამიანად – ქართლში...). 2. (ფშ.) წვალება, ცოდვილობა (შდრ. კოწიწობს). 3. (იმერ.) მობღაუჭება – ქეგლი. კოწიწი საგლესი, გატეხილი ჭურჭლის შემაკავშირებელი წებო.: კვერცხისა და კირის ნაზავი (ფშ. ხორნ.). კოწიწით ხელმოჭერით, ბუნწად. ვერგამეტებით. „ყველა *კოწიწით* თქვენ იცით ქორწილიცა და რიგიცა“ (ფშ. ხორნ.). კოწიწობს ჯახირობს, ცოდვილობს (ფშ. ხორნ.). კოწიწი > კოწიწა; ა- კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსი.

დიალექტ. **II. კოწიწაი** ყივანა ხველა. „ამ სოფელში *კოწიწაი* იარება, ბაღვები იხდიან“ (ჰილ., ჩვენ. ფუტკ.). *„კოწიწაი* ბაღნეფ ემართება, ბაღნების ავადმყოფობაა“. ქობულეთის რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში გვხვდება აგრეთვე კოკოცაი (აჭარ. ნოღ.).

ყივანახველას ლაზურად კოკიწა ეწოდება, ხოლო მეგრულად- კორკოცა, კოკოცება, – გოდებით ტირილი, ქვითინი)... კოკიწა || კოწიწა || კოკოცა || კორკოცა || კოკოცება, როგორც ჩანს, საერთოქართველური ძირიდან მომდინარე ფუძის ფონეტიკური სახესხვაობებია. ეჭვს არ იწვევს, რომ აჭარულში „კოწიწა“ (< ლაზ. „კოწკიწა“) და „კოკოცა“ (< მეგ. „კორკოცა“ ზანურიდანაა შეთვისებული. ამაზე მეტყველებს „კოწიწა“ || „კოკოცა“ როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. რაც შეეხება ძველ ქართულში გოდებით ტირილის, ქვითინის მნიშვნელობით ხმარებულ „კოკოცებას“-ს, იგი მეგრულ-ლაზური და აჭარულისაგან განსხვავებული სემანტიკური გადახრით ხასიათდება (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 100).

კოწოლა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოწოლა** 1. (ფშ.) ოშხივარი. «კარგი, კაცო! ბევრგან ამეედინება ხვალ ხინკლის *კოწოლაი...!*» (ვაჟა) – ქეგლი. 2. გადატ. **კოწოლა, კოწლი** ფერის მსგავსი, ალისფერ-მოწითალო (საქონლის ფერის აღსანიშნავად ან ასეთი ფერის საქონლის სახელადაც ხმარობენ) (რაჭ. კობახ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კოწ- „ცეცხლი, მდუღარე, ცხელი“ → ქართ. კოწ-ოლ-ი, კოწ-ლ- (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოწოლა** «წოწოლა, კენწეროსავით აწეული, ამართული» (ქიზ. მენთ.) – ქეგლი.

კოწოლა: ა სუფიქსი. აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *კოწოლ- კენწერო (ჩუხუა 2018: 89).

კოხ-ი:

დიალექტ. **I. კოხი** 1. მკვახე. თქმულა: „დაჟამულს აყრიდეს, დაბლა ცვიოდა *კოხია“*. – ჯერ კოხრ, არ ვარგ. 2. ძალიან მჟავე (ხევს. თავისებ. 275, 30, 32). 3. უხასიათო, მკვახე-სიტყვა-პასუხის მქონე. ქალ-ვაჟის დასახასიათებელი ტერმინებია „ყიში“, „კოხი“, „უკოპო“ (სწორფრ. 156, 4). აქვე კოხმახი ბევრი მკვახე ერთად; უვარგისი, მკვახე ხილი. „[მათხოვარს] დაუგლიჯეთ რაივ კოხმახიო-დ; მიეციოთავ, მაიშორეთავ“ (ხევს. თავისებ. 329, 20) – ალ. ჭინჭ. ავი, *კოხი* დედამთილი ყამ ემ ქალ და დაწუხებულია (წირქვალი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. კუხი ისრიმი – საბა. აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *კუხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. კოხი** 1. «ქვა, რომელიც ცეცხლში არ დასქდება» (საბა). კანჭნი კერპულად კლაკნილნი, კიდია კუზი, *კოხია* (ბეს. 96, 13). ეგრე არა ესმის, და ჯინჭველი ანუ *კოხსა* ქუასა შეაჯდეს და არა

სცნასო (ქილ. 639, 27). სამარეში გაფანტული კევრის *კოხებია* იმის მაუწყებელი, რომ... კევრი მთლიანად ყოფილა ჩატანებული (ივ. ჯავახ.). ◊ **კოხი აგური** ცეცხლგამძლე აგური – ქეგლი. **კოხი მიწა (ადგილი)** სინოყივრეს მოკლებული, გამოფიტული მიწა. საკოხია ადგილის სახელია მაჭახლის ხეობაში. „მართალია *კოხი* ადგილები იყო, მაგრამ, ორმოებში ტყიდან მოზიდული ხამი მიწა ჩააყარეს...“ (ფ. ხალ., აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე: ქიზ. მენთ., ხევს. ჭინჭ., ოკრიბ. ალავ., მოხ. ქავთ. 2. გადატ. სეტყვა. შუბი, მალი დანალეწი, სეტყუასა და *კოხსა* გავსა (შჰნ. III, 771, 2). უკაცო სახლზე გრიალებს *კოხი...*, ლამის სულ თავზე დაგვენგრეს ქოხი (გ. ტაბ.). დასავლეთიდან დაჰბერა, წამოგვაყარა *კოხია*, ბალღები დამიწიოკა, მოაძებნინა ქოხია (რ. ერისთ.) – ქეგლი. გაზაფხულზე *კოხი* იცის. კოხი, კაი კაკალი რო იქნება, იმ სისხოა, ყივნათ მიდის ისი (ფარცხნალი, ზ.-იმერ. ძოწ.). იმდენი *კოხი* მოვიდა, ვეღარ დევიარებოდით (რაცხ. გურ.). შდრ. კოხინჯრობა (იმერ.) ეთნ. ისტ. «დღეობა იყო ნაამაღლობევის ორშაბათს, დაკლავდნენ საღვთოს და ევედრებოდნენ ღმერთს: კოხი (სეტყვა) არ გამოგზავნო და მოსავალი არ წაგვიხდესო»: (ბ. წერეთ.). «იმ ოჯახმა მომინელა...; კოხინჯრობას ძმარი ღვინო შემომაპარა – სამი მანეთი მიანგარიშა ჩაფი!» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. ლექსიკ.

კოხი (ხევს.) მკვახე. ეს სემანტიკა უდევს საფუძვლად კოხ-ის იმ მნიშვნელობას, რომლითაც იგი ქვას უკავშირდება და დასტურდება საბასთან, ჩუბინაშვილებთან და არსებითად ყველა დიალექტში (საბა, ჩუბ., ქეგლი) (არაბული 2001: 55).

კოხტა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კოხტა** შორით (შორიდამ CD) ამპარტავანს(ა) (ჰ)გვანდეს ZABCD. სიკოხტავე – საბა. || კოხტა, კოხტა-პრუწი, თავის-მომწონი, კოკობზიკა – დ., ნ. ჩუბ. || სასიამოვნო გარეგნობისა, – მოხდენილი, ლამაზი. *კოხტა* ბიჭი თვითონ ამშვენებდა ტანისამოსს (ვ. ბარნ.). სიკოს ეცვა გურული *კოხტა* ტანსაცმელი (ე. ნინოშ.). მთა და მინდორი ირთვება, ვით *კოხტა* პატარძალიო (ი. დავით.). ტოკავდა... ტოკავდა პატარა ნარგიზი, პატარა ნარგიზი. *კოხტა* და ფაქიზი (ი. გრიშ.). **კოხტად** ზმნს. ლამაზად, მოხდენილად. *კოხტად* და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა [გიორგის] (ილია). «პირი დავიბანე, თმა *კოხტად* გადავივარცხნე» (ვაჟა) – ქეგლი. გადატ. **კოხტა შაიქნა** -ძირი დაეწვა საჭმელს (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

საშ. ახ. ქართ. **II. კოხტა** მოკლე გადასაცმელი კაბის ზევით წელამდის გურიაში (დ. ჩუბ.). შდრ. კოფთა [რუს. кофта] ქალის ტანსაცმელი, წელზევით ჩასაცმელი – ქეგლი. რუსული კოფთა სიტყვის ქართულში კოხტად გადმოსვლის ფონეტიკურ შესაძლებლობაზე მიგვითითა მ. ჩუხუამ.

კოხუნჯ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კოხუნჯი, კოხუჯი** (რაჭ. იმერ.): «იმერული ქალამანი» (საბა). – ქალამანი. ◊ **ქალამნის კოხუნჯი** (ქიზ.) ძველი, გამხმარი ქალამნის ნაგლეჯი – ქეგლი. **კოხუნჯიანი**: რამეთუ ემცნო მამასა თჳსსა არა დატევება ჩექმიანისა და *კოხუნჯიანთა* დაიპყრობს (ქ. ცხ. IV, 846, 2). მიუთხრეს „კოხუნჯი" და „წალდი" (ქ. ცხ. IV, 825, 5). || კოხუჯი (გუდ., მთ., მოხ.) ქალამანი. კოხუნჯჩაცმული, ქალამნიანი. || კავხუჯები ქალამნისებური ფეხსაცმელი (რაჭ. ძიძიგ.). || კოხმინჯი (ზ. ფშ.) სიტყვა გამოსულია ხმარებიდან – ა. შან. **კოთხუნჯი** გლეხური ფეხსაცმელი ერთგვარი. ხის ქერქის ან ჭილის ქალამანი ზან. (მეგრ. ქობ.).

ა. არაბულის აზრით, *კუახ-ძირი კვახი || კოხი, მკვახე სიტყვების მსგავსად უთუოდ საფუძვლად უდევს აგრეთვე ქალამანის აღმნიშვნელ კოხუჯ, კონხუჯ, კვახუჯ სიტყვას (არაბული 2001: 35, სქ. 4).

დიალექტ. II. **კოხუნჯი** უშნო, ულამაზო. „უშნო რო იქნება, იტყვიან: რა *კოხუნჯია*, მაგას ქალ ვინ მისცემსო" (ღოლოვ. ქართლ. მენთ.). შეუხედავი ადამიანი რო იქნება, დაბალი, უფრო ქალზე ითქმის, ბავშვზეცა, *კოხუნჯი* ხარ, *კოხუნჯიო* (ერთაწმ.). აგრეთვე კავთ. (ქართლ. ლექსიკ.). || კოხინჯი, კოხუჯი მახინჯი, უშნო. მახინჯი რო არი ადამიანი, კოხინჯ ვეტყვით, ან კოჭლი როა, ან თეძოებიდან დანტვრეული (ატ., ქართლ. ლექსიკ.). || კოთხუნჯი (ქართლ. მესხ.). იხ. II. კოთხუჯი.

კრაზანა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კრაზანა** მწერი – დ. ჩუბ. || [Vespa vulgaris] ზოოლ. ფუტკრის მსგავსი მოყვითალო მწერი (სიფრიფანა-ფრთიანების რიგისა). სინონ. ბზიკი (კახ. კელა). *კრაზანას* და ბუზებს ბზუილი გაჰქონდათ ჰაერში (თ. რაზიკ.). გოდრებს ეხვევა ფუტკარი და *კრაზანა*, რადგან ყველაფერს სიტკბო სდის (ს. შანშ.). *კრაზანები* სკაში თაფლისათვის შედიან. ძლიერი ოჯახები ცოტად თუ ბევრად *კრაზანებს* ებრძვიან (ვ. ერისთ.) – ქეგლი. შდრ. კაზარა 1. კრაზანა (მწერი); 2. ფუტკარი. „იმ წელს კარგი ზაფხული იყო, რუსებმა იაშიკებით მარეკეს კაზარები და თაფლი აკეთებინეს" (მოხ. ქავთ.); კარაზანა (ინგ. როსტ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *კრაზან- (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კრაზანა** (ბალ.) – საბა. || [Hypericum] ბოტან. მრავალწლოვანი კაჭაჭიანი ბალახი; ყვითელი ყვავილი იცის; მცენარეს ჭრიან, კონავენ მკლავის სიმსხოდ, დაახვევენ სვიას ან ხრალს და ქვევრის სარეცხად ხმარობენ (ს. მენთ.). *კრაზანა* ძირიანი ბალახია..., ამოდის პირველ გაზაფხულზე, ძლებს შემოდგომამდე («შინამრეწვ.»). ჭურს... რეცხავენ... ხოლმე... *კრაზანითა. კრაზანაც* და თაგვისარაც ეკლიანი მცენარეებია («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე: ზ.-იმერ. ბოწ.; მრეწ. IV, III: ქიზ. 81, შ.-კახ. 85, გ.-კახ. 87, ზ.-იმერ. 117, ქვ.-იმერ. 124, ზ.-რაჭ. 149.

კრანტ-ი:

დიალექტ. I. **კრანტი** ონკანი. წყალი შორიდან აღარა მაქ საზიდი, ეზოში *კრანტი* დავაყენე (გ.-კახ. სახლთხ.). || კრანი, კრანტი ონკანი [რუს. кран] (გურ. ნიკოლ.).

დიალექტ. II. **კრანტი** კრინტი. „კრანტი არ დაიძრა“ (ქიზ. მენთ.). || კრანტ კრინტი, ხმის დაძვრა. კრანტ გაწყუტაი გაკმენდა, ვერაფრის თქმა: *კრანტ გოუწყდა*, ერ რამ ვერ თქო (ინგ. როსტ., ღამბ.). შდრ. კრინც კრინტს; კრინც ვერ დაზრავ კრინტს ვერ დასძრავ, ხმას ვერ ამოიღებ (გურ. ნიკოლ.). იხ. I. კრინტი.

კრიალ-ი:

ახ. ქართ. I. **კრიალი** ბზინვა, ბრწყინვა, ბრჭყვიალი, პრიალი; ლაპლაპი. [ოთარაანთ ქვრივი] მინამ თოფ-იარაღს *კრიალს* არ დააწყებინებდა. არ მოეშვებოდა... წმენდას (ილია). შორით შემესმას ლაშქრის დგრიალი,... აბჯარს გაჰქონდეს ელვა, *კრიალი* (ბაჩ.). || ელვარება. სახეც შეეცვალა. გაფითრდა..., მხოლოდ თვალებმა მოუმატეს *კრიალს* (მ. ჯავახ.) – ქეგლი. || კრიალი ბზინვარება, ელვარება – დ. ჩუბ.

შუმ. **kár-kár** „ანთება, გაბრწყინება“ –ქართ. კრ- (← *კრ-). საერთო ქართველურ დონემდე ამავალ ამ ფუძეს შუმერულთან აკავშირებს წერეთელი. ამ კავშირს უფრო რეალურს ხდის ის გარემოება, რომ ქართველური ფუძე მრავალ შემთხვევაში დასტურდება კარ-ფორმითაც. დიალექტ. კარკარი || კარკარა „წმინდა, გამჭვირვალე“, მოკარკარება „მოკრიალება“ (გორდეზიანი 1985). აღდგენილია *კრ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კრიალი** 1. ხის სასმისის, «კულის ხმა» (საბა), – რაკრაკი. ისმოდა განუწყვეტელი – კოდალას ნისკარტის – *კრიალი* ამ... მიყუჩებულ... უდაბნოში (თ. რაზიკ.). || წკრიალი. [პლატონს] ცოლის სიტყვები ყურებში ედგა და ზარივით *კრიალი* გაჰქონდა (დ. კლდ.). 2. (კახ.) «კრუხის ხმიანობა»: («შინამრეწვ.»). – კრიახი. 3. (ფშ.) იგივეა, რაც ყიყინი. «გაზაფხულის პირზე პირველად ბაყაყის *კრიალი* თუ პირდაპირ გაიგონა, საღად გაატარებს წელიწადს და, თუ გვერდიდან – იავადებსო» (ზღაპ.) – ქეგლი. **კრიალ-** (**კრიალაფს**) კრიახი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. III. **კრიალი**: **კრიალი მინდორი** ტრიალი მინდორი (ქართლ. ქართ. დიალექტ., 638).

კრიალა:

ახ. ქართ. I. **კრიალა** რაც კრიალებს, – მბზინავი, მბრწყინავი, ბრჭყვიალა, პრიალა; ლაპლაპა. [ორაგულები] დიდსა და *კრიალა* თვალებს ერთ წამსაც არ ხუჭავდნენ (ი. გოგებ.). განუწყვეტლივ მიმოქროდნენ მარტის მზეზე *კრიალა*... ავტომობილები (რ. გვეტ.). ამ ზღვის ცქერას რა სჯობს ახ-

ლა! მის *კრიალა* ლურჯ სივრცეში კაცი რას არ დაინახავს! (გ. კაჭახ.). || გადატ. მეტად სუფთა; ისე გაწმენდილი, ისეთი წმინდა, რომ კრიალებს, – გაკრიალებული, მოკრიალებული. კრიალა იატაკი. – ყურადღებას იპყრობს ქარხნის სამმართველოს *კრიალა* დარბაზები («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. შდრ. *კრკიალა* საჩინოდ სანახავი, ბზინვარე – დ. ჩუბ. იხ. I. კრიალი.

ახ. ქართ. II. **კრიალა** რაც კრიალებს, – რაკრაკა, წკრიალა. [ადელის] სიმღერა..., ტკბილი, ნაზი და *კრიალა*, ვით მთიური ანკარა წყარო (ეკ. გაბ.). ვის ყურამდისაც... [ვალიდას] *კრიალა* სიცილი მისწვდებოდა, მისი გული მაშინვე კარს გააღებდა სატრფიალოდ (გ. წერეთ.) – ქეგლი. აგრეთვე ივ. ქეშიკ.

კრიალა<კრიალი.ფ. ერთელიშვილმა ივარაუდა, რომ კარ-კალ- → *კირ-კალ → *კირ-ალ → კრ-ი-ალ → კრიალი (ერთელიშვილი 1970: 214).

კრიანტელ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კრიანტელი** (რაჭ.) სოკო ერთგვარი – «მუქი ფერისაა, ცოტა მოყვითალო ზედა და ქვედა პირი აქვს, მსხვილი ფეხი, ურძეოა; იჭმება» (ი. ჭყ.) – ქეგლი. აგრეთვე რაჭ. (კობახ., მაყ.).

საშ. ქართ. II. **კრიანტელი** ჭურჭელი. აგრევე მოასხეს ათი ათასი ჯორები და აკიდეს საღვინე და და საჯულაბე ოქროსა კოკები... *კრიანტლები* და ბროლის ჭურჭლები (შჯნ. III, 243, 23).

შესაძლებელია, რომ „კრიანტელი“ მომდინარეობდეს ბერძნულ kreion სიტყვიდან, რაც ქოთანს ნიშნავს.

კრიახ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კრიახი** 1. ხრიატი, მიწა ხშირად კლდიან ქვიანი – ნ. ჩუბ. || ქვიანი, კლდოვანი (ადგილი, მაწა...). «ამ ჩვენ *კრიახ* გზებზე გოგორას თუ ააჭრიალებ, თორემ ურემი სად ივლის?» (ნ. ლორთქ.). რაც ოცი ადლის სიმაღლეზე *კრიახ* კლდეს მიწა ძვროდა და ხეები და მცენარეები მდგარიყო, სულ ჩამოხვავებულიყო (თ. რაზიკ.) – ქეგლი. || იგივეა, რაც ჭაუხი. მჭრითა ჴირიმსა ნუ ამყრი, – *კრიახში* შუნ-ჯიჯვთ მტერია (ხევს. პოეზ. 30, დ. 8) || [ნადირი] შაიძლებ აიქ იყვას, აი მაღლა, *კრიახებში* (ხევს. ჭინჭ.). || კრიახები ხრიოკი, უტყეო, გახრეკილი მთები. წინავ სულ *კრიახები* იყო ყაზბეგჩიგა, ნელადღა გააშენეს ტყეები (მოხ. ქავთ.). 2. ძალიან გაყინული, ზედაპირმოყინული (მიწა, კლდე...) წყალსა გავიდეს წმინდასა, დაკრნეს კრიახის გზანიო (ხევს. პოეზ. 199, 7) – ალ. ჭინჭ. გაკრიახული: ყინვისაგან გამაგრებული. „შაანთე, შაანთე ე ცეცხლი, სიცივისაგან გაკრიახული ვარ“ (ფშ. ხორნ.). აგრეთვე თუშ. მრეწ. IV, II, 178. შდრ. კრია 1. ქვიანი ადგილი, 2. კლდეში პატარა მინდორი, რომელსაც საქონელი არ უდგება (ქართლ. მენთ.). გოხს ენათესავება მნიშვნელობით კრია (გამხმარი, კლდოვანი ადგილი (საბა) („კრიას გადაივლი და მერე ტყე გამოჩნდება“, პ. თონ.), ანუ კრიახი (ჩხ., მაწ., ალგ. სალ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კრიახი** დამფრთხალი ქათმის (და ზოგიერთი სხვა ფრინველის) ხმიანობა, – ჭრიახი. დედლებმაც კი ქანდარაზე ვიშვიში და *კრიახი* დაიწყეს (ვაჟა). სოფელი ამოძრავებულ-ახმაურებულიყო, ...მოისმოდა... მამლის რუკრუკი, დედლის *კრიახი*, ...ღორების... ღრუტუნ-ჭყვიტინი (შ. არაგვ.). ხევში... ლოდებს შეეხიზნენ [კაკბები] და ატეხეს კრიახი (კ. გამს.) – ქეგლი. || ქათმის გაბმული კაკანი, კვერცხის დადების შემდეგ (ფშ. გოგატ.). -ნეტა რა დეემართა ამ ქათმებს, ასე რომ *კრიახობენ*? (რაცხ. გურ.).

კრინტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კრინტი** ხმის ამოღება; კრინტი არ ამოიღო – დ. ჩუბ. || მცირე ხმა, – ჩქამი. (ჩვეულებრივ უარყოფით წინადადებაში). [ოთარაანთ ქვრივი] პირქვე დაემხო შვილის გულზე, აღარც – ხმა, აღარც – *კრინტი!* (ილია). უკუნეთია, არ ისმის *კრინტი* არსითგან არრისა (ვაჟა) – ქეგლი. || ხმა. – გაჩერდი, *კრინტი* არ ამეიღო! (რაცხ. გურ.). შდრ. **კრინტ-**: აიკრინტების „მოიღუშება, აიმრიზება“ (ავთ. არაბ.) – ალ. ჭინჭ. აკრინტვა ამრეზვა, აბუზვა, მოღუშვა. ბიძეებ ფანდურს დაუკვრენაო, დიშვილ ხყავ მებუზიკანტეიო, რაჭელ ხყუდავა *აკრინტულიო* (ხევს. თავისებ. 423, 32). **გულკრინტი** გულკერპი, გულავი, წყენას რომ ადვილად არ დაივიწყებს, გულჩახვეული, უჟმური – ალ. ჭინჭ. **ხმას (სულს) გაკრენს** ხმას (სულს) გაკმედს, გაჩუმდება, დადუმდება.

ი ხმოვნიანი დერივატია კრინი, ასევე კრინტი, რაც ტ ბგერის ჩართვით უნდა მიგვეღო, ასევე ა ხმოვნიანი დერივატიც, კერძოდ, ინგილოურში: კრანტ – კრინტი, ხმის დაძვრა (ჭურდაძე 2005: 147). აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. **II. კრინტი, კრინტაი** ნატეხი, კვნიტი, ნამტვრევი, ნაჭერი. „კრინტაი შაქრით მიყორს ჩაის დალევა, ძაუგჩი ბაზარზე ვიყიდთკე სანთლის *კრინტები* და ჩამავქნითკე“ (მოხ. ქავთ.). შდრ. კვნიტი პატარა ნატეხი (შაქრისა, მარილისა...), კვნეტით მონატეხის მსგავსი, – კვნიწი (ქეგლი).

კრინტი < კვნიტი. კვნიტის ფუძე კვნიტ- მიღებულია ფუძემონაცვლე კვნეტა ზმნის რედუქციის საფეხურზე მყოფი კვნიტა ფორმის ფუძისაგან, მისი ბრუნების პარადიგმაში ჩართვით თავის მხრივ ივარაუდება *კბენ-ეტ- *კბნ-ეტ > კვნეტ – ბ. გიგინ.

კრინტა:

დიალექტ. **I. კრინტა** კვნიტი, შაქრის ნატეხი“ (ავთ. არაბ.). || კრინწი კვნიწი, კვნიტი (მარილისა, შაქრისა...) – ალ. ჭინჭ. იხ. II. კრინტი.

დიალექტ. **II. კრინტა** ცალთვალა (ფშ. ხორნ.). კრინტა-ი თვალების ხშირი ხამხამის მოყვარული (მოხ. ქავთ.). შდრ. **კრინტვა** თვალის ჩაპაჭუნება, მოკილვა, მოხუჭვა; || კრანტვა თვალის ჭუტვა (ფშ. ხორნ.). || **კრენტა**

თოლისა ჩაკვრა თვალისა. „ა დაგიდგა ეგ თოლნი, დაგიდგა, დებერდა დედაკაცი და არმაშალა თოლების *კრენტა*“ (მოხ. ღუდ., ქავთ.). კრინტა-ი – კრინტვა „თვალის ჩაკვრა“ ზმნის ი ხმოვნიანი დერივატია -ა სუფიქსით (ქურდაძე 2005: 147).

კროლ-ი:

ახ. ქართ. I. **კროლი** წენგო, ჩენჩო, ბუმბვი რომ ადვილად ეცლება (ისეთი მწიფე კაკალი, თხილი, წაბლი); წენგოგაცლილი (კაკალი), ჩენჩოგაცლილი (თხილი), ბუმბვგაცლილი (წაბლი)..., დაკროლილი, კროლა (სინონ. კროცი) – ქეგლი.

კროლი: აღდგენილია *კორ-კოლ > *კორ-ოლ > კრ-ოლ (*კორ -კო-ისათვის შდრ. *კარ-კალ> კა-კალ, იგივე, მაგრამ, უფრო გავრცელებული ფუძე ა გახმოვანებით) (ერთელიშვილი 1980: 193).

ახ. ქართ. II. **კროლი** [ინგ. cravl] სპორ. ცურვის ერთ-ერთი სახე, ყველაზე სწრაფი (რიგრიგობით ორივე ხელი მოძრაობს) – ქეგლი.

კრუხვა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კრუხვა** სიცივე. „ამ *კრუხვაში* ძაღსაც არ გააგდებს კაცი გარეთ“ (ლეჩხ. ალავ.). შდრ. **კოხუა** ძლიერ სეტყვა, ხოშკაკალა ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. I. კოხი.

საშ., ახ. ქართ. II. **კრუხვა** სახელი კრუხავს ზმნის მოქმედებისა, – კრუხად ყოფნა, კრუხად დაჯდომა. **კრუხი** (ფრინ.) კრუტი, ბარტყის დედა – საბა. კრუხობა, კრუხვა, კრუხად-ვარ, კრუხუნი, კრუხის ხმიანობა (დ. ჩუბ.).

ქართული კრუხ-ძირის შესატყვისად მიჩნეულია ჭან. კროხ- || კოხ- „კრუხუნი“, „კრიახი“ და მეგრული კუხ ზმნაში კუხანს „კრუხუნებს“ (ჩიქობავა 1938). აღდგენილია არქეტიპი *კროხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე კლიმოვი: 116, გიგინეიშვილი 2016.

კუბატ-ი:

დიალექტ. I. **კუბატი** სხვადასხვა ფორმის (ჩვეულებრივ რომბის ფორმისა) ნამცხვარი. გამოაცხობენ ერთ ხავიწიან ქადას და ხავიწიან *კუბატებს* (ალ. ოჩ. კალენდ. 111, 33). ყმაწვილებს გადმაუყარესავ გულიანის ქადისკვრის ნაწვრეთები-დ' *კუბატებივ* (ეთნ. საიქიო, V, 55) – ალ. ჭინჭ. || კუტაბი, კუტაპი პატარა მრგვალი პური; ერბოში მომწვარი პატარა ქადის კოკორი, სამარხვოდ აკეთებდნენ ნივრისა და ფორის კუტაბებსაც: სახსნილოდ მოგრძო გულიანი (გულად აქვს მხალი, კარტოფილი, ყველი, ხორცი) და ნამცხვარი, კვერი. „ახალ წელს მიცუალებულებისთუი აკეთებდეს *კუტბებს* და ხილიანს“ (მოხ. ქავთ.). || სამარხვო ხინკალი (შიგ კარტოფილი იქნება ან სხვ.) (მოხ. შან.). **კუბდარ, კუპტარ** კუბდარი, ხორცის გულიანი პური (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. **კუბატი** ვერცხლის სამკაულია რომბის ფორმისა. [საფაფრეს] მძივს დააკვრენ, სამკაულსაც: ცვარს, *კუბატებს*, ყაწიმს და მყვრის-თვალას (ნ. ბალ.) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. III. **კუბატი** კვიმატი, მარცხიანი დღეა (თუშ. შან.). || საგანგებო უქმე (თუშ. ხუბ.). || კვიმატი დღეები: მარხვის დღეები ოთხშაბათი და პარასკევი მოკლე დღედ ითვლებოდა (ჩვეულებრივზე ადრე წყვეტდნენ მუშაობას). მარხვის დღეებს – ოთხშაბათსა და პარასკევსა კვიმატ დღეებს ეტყოდნენ; დანარჩენი დღეები მთლიანი იყო (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). ვფიქრობთ, კუბატი < კვიმატი < კომეტა. კომეტა „კუდიანი ვარსკვლავის“ აღმნიშვნელი ბერძნული წარმოშობის სიტყვა კომეტა (χομήτης „გრძელთმიანი“, „კუდიანი“), კომიტი, კჳმატი სახით იხმარება იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ სხვადასხვა რედაქციაში (ჭოხონელიძე 2018).

მ. ჩუხუამ ქართ. კვიმატი შეუდარა ზან. (მეგრ) კიუტი „კირკიტა, პედანტი“, კიუტი (ანთროპ.) სიტყვას და აღნიშნა, რომ ქართ. კვიმატ-: ზან. კიუტ- მიმართება ასახავს ზანურში განხორციელებულ ტრანსფორმაციას, როცა ფაკულტატურად ინტერვოკალურ პოზიციაში მ სონორი იკარგება, ამის ნათელი ნიმუშია ქართ. ცემინ-და მეგრ. ჩიონ- „დაცემინება“, მეგრ. ო-ჭუმ-არე „დილა“ და მეგრ. ამ-ჭუ-ან-ი „ამ დილით“. ცხადია, მ მეგრულის ნიადაგზე იკარგება და ამიტომაც ძველ კოლხურ ვარიანტად კვიმუტ-ი უნდა ვივარაუდოთ. ამ დაკავშირებით გამოირიცხება ნებისმიერი კავშირი ქართულ კვიმატისა ბერძნული წარმომავლობისა კომეტას-თან (ჩუხუა 2018: 88).

კუბატა:

დიალექტ. I. **კუბატა** კნინ. იგივეა, რაც კუბატი. იხ. I. კუბატი.

დიალექტ. II. **კუბატა** კუბატი. ნაფთულს... ბოლოზე მაასხმენ თუ აქვ, *კუბატასა'* თუ არ მძივის ქუჩუმას («შინამრეწვ.» 57). სამწყვეტლოს ბოლოზე დააკერებენ სამკაულს: ... ჩაფურასტს, ცვარს, *კუბატს*-დ' საჟღრიალს («შინამრეწვ.» 34-ა). საყელთურზე სამკაულსაც კვრენ: ცვარს, *კუბატას* და შიბსაც მოაყოლებენ (ნ. ბალ.) – ალ. ჭინჭ. იხ. II. კუბატი.

კუდა:

ახ. ქართ. I. **კუდა** 1. უკუდო ან მოკლეკუდიანი (ცხოველი). *კუდა* ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერიებდაო (ანდაზა). «თუნდა იყოს მეძებარი, ...თუნდ *კუდა*, თუნდ კუდიანი, თომა... მაგ ძაღლებს სულ გაფანტავს!» (ი. მაჩაბ. თარგმ.). ეს ვაჟბატონი... შიშისაგან შეკრთა და *კუდა* ძაღლსავით ღობეზე გადახტა (ეკ. გაბ.). 2. მოკლე. [მენახირეს] თან ერთი *კუდა* ხმალი აქვს და ერთი სტვირი (ზღაპ.). ◊ **კუდა აზნაური** ხელმოკლე, წვრილფეხა აზნაური, კუდაბზიკა აზნაური. თავში დაესვათ ბოქაული – «*კუდა აზნაური*», რომელმაც გიმნაზიის მესამე კლასს ძლივს მიაღწია (ს. შანშ.). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. გრძელკუდა – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კუდა** (იმერ.) ლურჯი მუწუკები ახლად დაბადებული ბავშვის საჯდომზე – ქეგლი.

I. და II. ომონიმური ცალების სახელებისთვის გამოყენებულია სიტყვა კუდი. ძირეული კუდ- საერთოა ქართულში, ჭანურსა და მეგრულში (სვანურშიც); დეტერმინანტი -სუფიქსი ქართულს არა აქვს, ჭანურსა და მეგრულში კი -ელ არის (ჩიქობავა 1938).

ახ. ქართ. III. **კუდა** ბოტან. ერთგვარი სარეველა ბალახი – ქეგლი. შდრ. კუდო, ჯორის ძუა – დ. ბაგრატ.

კუერ-ი:

ძვ., საშ., ქართ. I. **კუერი** (კუწრი ძA, კვერი ჩქDE) (+41, 7 ესაია ძAა) რკინის დასაკვერებელი – საბა. || ჩაქუჩი. „ჴმაჲ *კუერისაჲ* დაუყოფენ ყურთა მისთა“ (O, ზირ. 38, 30); „*კუერითა* და სამშჳლებითა დაამტკიცნეს იგინი, რაჲთა არა შეიძრნენ“ (I, იერემ. 10, 4); „მუსმარნი *კუერით* ძლით განაწონნა და დაჰმჭუალა მაგრიად“ (Sin. 11, 29v) – ილ. აბულ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუერ „რკინის ჩაქუჩი“, კვერი“ > ქართ. კვერი (ჩუხუა 2000-2003). იხ აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ძვ. საშ., ქართ. II. **კუერი** (კუწრი ZA, კვერი CqDE (3 მეფ. 14, 3) – საბა. პური მგრგვალი. || კვერი, კოკორი: „სცემდა *კუერს* ერთსა პურსა და დრონსა ერთსა ჴორცსა... ტაბაკისაგან“ (O, II, მფ. 6, 19); „მოიღე შენ *კუერი* ლეღჳსაჲ“ (I, ეს. 38, 21); „უბრწყინვალეს იყვნეს უფროჲს *კუერსა* მზის-თუალისასა“ (ბალ. 167, 1); პასანიკმან *კუერითა* დაჰკრა სამსჭუალთა (ქართ. ცხ. სიმფ. I, 99, 9). ბველსავე ქართულში დასტურდება კუერ-ფუძის შემცველი რთული სიტყვები: **ლეღჳს-კუერი** ლეღვის ჩირი: „აჴმობდა *ლეღჳის-კუერსა*“ (I, II, მფ. 17, 19); „აღავსო... *ლეღჳის-კუერითა* [მახალი]“ (O, ივდ. 10, 5); „მოართმიდეს... ფქვილსა და *ლეღჳს-კუერსა* და სკიჳსა, ღჳნოსა, ზეთსა“ (M, I ნშტ. 12, 40); **სეფის-კუერი**: „წარავლინეს იგი იერიქოდ მოღებად *სეფის-კუერისა*“ (ლიმ. 122, 5); „შეჭამის *სეფის-კუერი* ერთი“ (ლიმ. 138, 19) – ილ. აბულ.

კუერის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „მრგვალი“, რაც თავს იჩენს შემდეგ მაგალითში: უბრწყინვალეს იყვნეს უფროჲს *კუერსა* მზის-თუალისასა (ბასილ. 167, 1). ქართული კუერ-ის შესატყვისებია მეგრული და ჭანური კვარი. ქართულ-ზანური აღდგება *კუერ-ი ფორმის სახით (კლიმოვი 1964). კ. ჰ. შმიდტის აზრით, ქართულ და ზანურ ფუძეებთან კავშირშია აგრეთვე სვანური კუჳში „მჭადი“, რომელიც ნასესხები შეიძლება იყოს მეგრულიდან და მომდინარეობდეს *კვაჯი ფორმისაგან ჯ > ჟ > შ პროცესის შედეგად (შმიდტი 1962: 119).

კუკ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **კუკი** ჭუპრა, მცირე სახე კაცისა ტანისამოსით – ნ. ჩუბ. || დედოფალა, თოჯინა. ლანძღვა ის არის, რომ დარბაისელ კაცს *კუკის* ჩუქება გაუბედო (ილია). || გადატ. ბავშვის ხნისა, ბავშვური. კაცს სამი ზნე უნდა სჭირდესო ყმაწვილთან *კუკი* უნდა იყოს, ხალხთან – ხალხის ჭკუისა და კალამთან – ბრძენიო (დ. მაჩხ.) – ქეგლი. იხ. II. კუკნა.

სამ., ახ. ქართ. **II. კუკი** მვ. უკანალი, საჯდომი (ცხოველისა) – ქეგლი. კუკზე ჯდომა (ძაღლისა და მისთ. ცხოველისა) – ქეგლი. იხ. I. კუკნა.

კუკნა:

ახ. ქართ. **I. კუკნა** კუკზე ჯდომა, – ჩაცუცქება (ქეგლი). **კუკილ-ი** «ცუცქილი» (საბა), კუკზე ჯდომა (ძაღლისა და მისთ. ცხოველისა) – ქეგლი. იხ. II. კუკი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კუკნა** ძალიან პატარა, მცირე, ციცქნა რამე, – კიკნა. აქ სარეკელიც ტაშს უკრავს... ერთი შეხედეთ *კუკნასა!* ...წისქვილიც, მათი ამყოლი, ცეკვავს და უვლის ბუჭნასა (რ. ერისთ.). «ჩვენ სუდიასა, აი იმ *კუკნასა*, სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუჭნასა!» (გ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. იხ. II. კიკნა

დიალექტ. **III. კუკნა** დედოფალა (ფშ. გოგატ.). შდრ. კუკუნა თოჯინა (დაშქ., ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. I. კუკი.

დიალექტ. **IV. კუკნა** მადიანად ჭამა ნამცხვრისა ბავშვის მიერ. „ბოში პურს კუკნის" (ლეჩხ. ალავ.). შდრ. I. კიკნა.

კუკუ:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კუკუ** საუბ. პანღური. მატყუარას *კუკუს* ვჰკრავდი კარგა მაგრად! (კ. მაყ.). „ამოჰკრეს *კუკუ* და გააგდეს საწყალი ბუ!" (ფშ. ქეშიკ.). **კუკუამოკრული** საუბ. ვისაც კუკუ ამოჰკრეს, – პანღურამოკრული. «არა, მე რომ *კუკუ* უნდა ამომკრა, შენ უფრო *კუკუამოკრული* არ დადიხარ?! სახლი შენ არა გაქვს და კარი!» (თ. რაზიკ.) – ქეგლი. კუკუს უჭერს გააგდებს, მოიშორებს (ქართლ. მესხ.). შდრ. II. კუკი.

დიალექტ. **II. კუკუ** ჯიბლიბო. თვალზე *კუკუ* ამომივიდა (რაცხ.-გურ.). თვალის კუკუ იგივეა, რაც კინწლიბა (აჭარ. ნიჟ.). ჭუჭუ || კუკუ (გურ. ჟღ.).

სამ., ახ. ქართ. **III. კუკუ** «გუგულის ხმიანობა» (საბა), – გუგუ. [გუგულო!]... მეზობელს გარეთ აგდებდი პანღურითა და *კუკუთი!* (შ. მღვიმ.) – ქეგლი. კუკუ გუგულის ძახილი. „კუკუ! კუკუ! დილამოღმა მიძახის, რას მებნევა, არ ვიცი" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **კუკუ** მიბაძვითი გუგულის ხმიანობა კუკუმალობის თამაშის დროს ზან. (ლაზ. თანდ.).

კუკუა:

დიალექტ. **I. კუკუა** 1. კოკორი. პური რო დააკრიანყე ჩონყე, ერთ პური იყო ბალიში, სქელ პური დააკრიანყე – ყუიან პური. ბოლოსდაბოლოს დააკრიანყე ეგსიდე... (ბატარა) *კუკუა* (მარტყ.). ბაღტა პური. 2. ერთ წონილი'რი, *ჩიტის კუკუას* ეძახიან *პურის კუკუას* ჰგავს. 3. ყუავილი რო გაიხსნების და მერე დანი რო მეიწევის, მოწიფდების და მერე *კუკუა* შაიქნების, თესლია, რომელ დანებიც იჭმების, *კუკუა* არის, თუ არ შაიჭამოს – *კუკუა* არ არი (დაშქ., ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. I. კოკორი.

დიალექტ. **II. კუკუა** გუგული (ჯავახ. მარტ.). იხ. III. კუკუ.

კუკულ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კუკული** 1. კუკური გაუშლელი ფოთოლი – საბა. კუკული კოკორი, კვირტი (მესხ. ფეიქრ.). ერთ ბაღში ვიყავი ვარდის *კუკული* (ბორჩხა, კლარჯ. ლექსიკ). როგორც ხეხილის, ისე ბოსტნეულის კვირტს *კუკულს* ეძახიან. ლობიო *კუკულში* შევა და აყვავილდება (აჭარ. სურმ.). 2. გირჩა, ნაძვის კუკული ნაძვის გირჩა. თხმელის (მურყანის) ნაყოფი (აჭარ. ნიჟ.). „კატრის *კუკული* მოქონდა“ (ინ.); „ხეს კუკული გამუუღია“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუკ-ულ- „კვირტი“: ქართ. კუკული (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე თანდილავა, ნარაკიძე 1986: 100.

დიალექტ. **II. კუკული** გუგული. „*კუკულიც* ყვირის?“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. III. კუკუ.

დიალექტ. **III. კუკული** ოფლის წვეთი (მესხ. ფეიქრ.). კუკულ- კუკული (ოფლი). ოფლის მსხვილი წვეთები, ერთად დაყრილი, სიმწარისაგან საწყალ კაც სახეზე სულ კუკულ-კუკული ოფლი დააყარა (მესხ. ფეიქრ.).

კუკული < კუკური. ს.-ქართვ. ძირი *კურ-კურ- „წვეთი“ : ქართ. კუკურ-ი : სვან. კუ-კუმ < *კუ-კურ (ჩუხუა 2000-2003).

იხ. ქართ. **IV. კუკული, კუნკული** ბერის ქუდი. „მოჰკადეს *კუკული* თავსა მისსა“ (იზტ. 120, 27); „დაბურის *კუკულითა* პირი თჳსი“ (მ. ცხ. 90v). „ემოსა *კუკული* ახალი“ (მ. ცხ., 166 r) – ილ. აბულ. იხ. I. კუნკულა.

კუკუნახ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კუკუნახი** (იმერ.) ბნელი, ლუსკუმი (შდრ. კუკუნეთი, კუკუნათობა), შავი. ლამფის შუქზე უპეებგანიერი მისი *კუკუნახი* თვალები ამ საღამოს უცნაურად კვესავდნენ (რ. გვეტ.) – ქეგლი. *კუკუნახი ღამე* ძალიან ბნელი ღამე (იმერ. გაჩ.).

კუკუნახ || კუკუნეთ ფუძეთა შეპირისპირებით მათში -ახ და -ეთ ელემენტები სუფიქსებად გამოიყოფა. თვით კუკუნი გაორმაგებული ძირებისაგან შედგენილი ფუძეა: კუ-კუნ, რომელშიც პირველი სეგმენტის აუსლაუტის რ სონანტი დაკარგულია: კუ-კუნ <*კურ-კუმ (კურკუმელა ღამე (რაჭ.) – მეტისმეტად ბნელი ღამე, კუკუნახი (ბერ.) (ერთელიშვილი 1980: 210).

დიალექტ. **II. კუკუნახი** მეტად ძუნწი, გაუმეტებელი. „*კუკუნახია*, მაგისგან ადამიანი ვერაფელს იშონის“ || ავი, გულღრძო (იმერ. გაჩ.). შდრ. კუნიახი (კ. ფ.) კაპასი, ავი (ვ. ბერ.). || გულღრძო, უჟმური (იმერ. გაჩ.). კუნიახია კოწიას ცოლი, მეისპო მისი გამამცემელი! (სვერი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. კუნკრუხი.

კუკურ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კუკური** 1. «გაუშლელი ფოთოლი» (საბა). *კუკურმა* ზრდა დაიწყო (საბა, II, 93, 27). ფერკეთილ ლექსნი, ათასჯერ ექვსნი, ვარდის *კუკურთ* გამაპობელად (ქილ. 194, 5). გადატ. სასოებისა *კუკური* იმედის კორდზედ გაიფურჩნაო (ქილ. 431, 4). || ახლად გაშლილი

ფოთოლი. ახალ გამნასულ გაარი ფოთლიბე ჰე სხო ხი ფოთლიბე *კუკურ* ითქმევის; *კუკურს* მააქრ (მოაქვთ) ჭიაჲბე (აბრეშუმის ჭიისათვის) (ინგ. ღამბ.). 2. იგივეა, რაც კოკორი. [ვარდსა] მიაგლიჯავს *კუკურსა* უწყალოდ შმაგი ქარიო (შ. მღვიმ.) – ქეგლი. || კვირტი. ხეს *კუკურ* გომოუღიავ; ვაზი გასხლაში ვაზი ქაზე (რქაზე) ორ *კუკურს* (კვირტს) ინახენ, იმას ნეკ ვეზახით (ინგ. ღამბ.). 3. კუკური სახეი წინდის ჭრელის სახე. ქსოვაში ახალგაშლილ ხის ფოთლის მსგავსი ნაყშებია გამოყვანილი. ამ გვარსახეებიან წინდას *კუკური* სახე წინდაჲ ეწოდება (ინგ. ღამბ.). აგრეთვე საინგ. მრეწ. IV, III, 22. **კუკურ** ხის კვირტი (სვან. თოფ., ქალდ.).

ს.-ქართვ. *კუკ-ულ- „კვირტი“ > ქართ. კუკული ზან. კვიკვილი || კუკულ-ი : სვან. კუკურ. გასარკვევია ქართულ კოკორ-, კოკობ- ფუძეებთან მიმართება (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე გორდეზიანი 1985.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კუკური** მსხვილი წვეთი (ოფლისა). [კარგუას] შუბლზე შავი ოფლის *კუკური* ეყარა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. იხ. III. კუკული.

კულა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კულა** ძვ. „თევზთ საპყრობელი“ (საბა). შდრ. **კუელი** «გოდორი»: „რავდენი... *კუელი* აღიღეთ?“ C, – „რაოდენი გოდორი... აღიღეთ“ (DE მრ. 8, 9); „აღავსეს ნამუსრევითა მით ათორმეტი *კუელი*“ C, – „აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა“ (DE, ი. 6, 13) – ილ. აბულ. შდრ. კულანა თავგადაწნული მოგრძო, ბრტყელძირა გოდორი კაკლის შესანახად. კულანა არი ბრტყელძირიანი მოგრძო გოდორი, ზემოდან მრგვლად გადაწვენილი, ყოველი მხრიდან დახურული, ერთი მხრიდან აქვს ხელის ჩასაყოფი, შიგ ინახავენ კაკალს (ქორ., ქართლ. ლექსიკ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **კულა** 1. „ხის სასმისი ხმიანი“ (საბა), – ვიწროყელიანი, მუცლიანი სასმისი ღვინისა (სმის დროს ღვინო რაკრაკით გადმოდის). სინონ. ჭინჭილა. მათ ღვინოსა ყინულიანს ასმევ, *კულით* აკარკარებ (არჩ. 458, 155, 4). იახტანს თანა სარონი, გვერც თასი, ღვინო, *კულები* (თეიმ. I, 163, 2, 2). || ვიწროყელიანი სასმისი ხისა. მე – თიხის კოკა, ზნოანი ჭური, – რასაც ვადენდე. შენ უგდე ყური; დალივე გულითა, არ წვრილად კულითა თას-ყანწ- კათხ-სირჩით (დ. გურამ. 284, 479, 2). მასპინძელმა... მოიყუდა *კულა* და წითელ ღვინოს საამური რაკრაკი დააწყებინა (ი. გოგებ.). [შკაფში] იყო დაწყობილი: ყანწები... აზარფეშები, თასები,... *კულები*, მათარები... და ყოველი ამგვარი ღვინის სასმელი ჭურჭელი (რ. ერისთ.). შენს სადღეგრძელოს, ახალო წელო. ვსვამ მამი-ჩემის შევერცხლილ *კულით!* (ი. გრიშ.). 2. ქიმ. იგივეა, რაც კოლბი – ქეგლი. *კულა* აყროსაგან (ორშიმო კვახისაგან) გაკეთებული ღვინის სასმისი. ორშიმო კვახს აქ თავი მოჭრილი, სასმისათ იხმარება, *კულას* უმახით (უჩამეთი). ჩვენთან *კულაი* აღარ არი, ჭინჭილა იხმარება (წიფა). || ვიწროყელიანი, მუცლიანი, ყურიანი ხის სასმისი (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.). შეუჭედავ კულებს ღარიბი ხალხი ხმარობდა, ხოლო პრივილეგიურ წოდებათა სუფრას

ძვირფასი თვლებითა და ილეკროთი შეჭედილი კულები ამშვენებდა (რაჭ. ფრ.). აგრეთვე: იმერ. გაჩ.; მრეწ. IV, III: გურ. 166; რკულა ზ.-რაჭ. მრეწ. II, I, 205. ხის **კულა** ზან. (მეგრ. ყიფშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **კულა** 1. (ხევს. მოხევ. მთიულ.) ოთხკუთხედად აშენებული ქვის სვეტი, რომელზედაც დამყარებულია სახლის თავხე. [სიკვდილმა თქვა:] „... ჩავხოცდი არხოტივნებსა, ნარჩევს ვაჟებს მთისასა: ბადათ მაუკლავ ბადასა, *კულასა* ბასრის ქვისასა (ხალხ.)“ – ქეგლი. || სახლის შუა ალაგში აუგებენ *კულას* (ქვის ოთხკუთხი ბოძი) (პ. ხევს. მრეწ. I, 184). || ხშირად კალოს გადმოხურვის დროს ნაპირა ბოძის მაგიერ ბრტყელი ქვების ოთხკუთხიან სვეტს აიყვანდნენ – ამას *კულა* ეწოდება (მთ. მრეწ. I, 199). აგრეთვე ხევი, მრეწ. I. 193. || კარსა და ფანჯარას შუა კედლის ნაწილი. ქვის სვეტი (მთ. კაიშ.). || კულო (შატ. ჭ) ოთხკუთხი ბურჯი (ა. შან.).

დიალექტ. IV. **კულა** მატყლი აქვს ბატკანს (ზ.-ქართ. მრეწ. IV, 1. 155). შდრ. I. კულული.

დიალექტ. V. **კულა** ადრე, წინათ. „*კულა* მარიობა ზალიან უყუარდენ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ძველად: „*კულა* დოხტურთან მისლა-მოსლა არ იყო“ (შავშ. ლექსიკ.).

დიალექტ. **კულა** კვალად, ისევ: „და უკუეთუ *კულა* ქმნის-ღა“ (ი.-ე. 34, 32). || კულა (კავშ.) კი, კიდევ, ხოლო: „მოსენაეთა კულა მოწაფენი ყოველსავე საეროსა სამსახურებელსა გავიდოდიან“ (ი.-ე. 43, 24). || **კულა, კულიასი** (< კულავ) მოალერსებით დატუქსვა (დაახლოებით იმავე მნიშვნელობის ჩართული სიტყვაა, როგორც გეთაყვა). „გეყოფა, კულა, სანდრო, ეგეთი ჯიუტობს!“ „კარგი კულაისი, ეგ რაი სათქმელია!“ (მოხ. ქავთ.; ა. შან.).

კულამ-ი:

დიალექტ. I. **კულამი** გუთნეულის ღვედის ასაკრავი უღელზე (თონ., ღოლოვ. ქართლ. მენთ.). || კულანი მვ. «ერქვნის უღელზე ასაკრავი» (საბა, ქეგლი).

დიალექტ. II. **კულამი** კვამლი (იმერ. ბერ.).

კულულ-ი:

დიალექტ. I. **კულული** კვირტი, კოკორი. „ყვავილებ *კულული* გამოუღიათ“ (მესხ. მაის.). იხ. I. კუკული.

საშ., ახ. ქართ. II. **კულულები** თმის ნაწნავები, კავები – დ. ჩუბ. **კულული** დახვეული გრძელი თმა. თმის *კულული* ყელზე სცემდა, მორცხვად მზერდა ლურჯი თვალი (ს. შანშ.). ხშირი თმის *კულულები* სხივებივით მოსჯროდნენ [თინანოს] სპეტაკ სახეს (ვ. ბარნ.). «წადი, მოვალ!» – მკვახედ მიახალა ქალმა და ჩამოცვენილი *კულულები* გაისწორა (რ. გვეტ.) – ქეგლი.

რ. გორდეზიანის აზრით, [ბერძ. κύλλαιος „კულული“] – ქართ. კულულ- ქართულ ფორმაში, რედუპლიკაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული (← კულკულ), გამოიყოფა კულ-ფუძე. მისი ვარაუდით, ეს იმ ფუძის ვარიანტია, რომლისგანაც ნაწარმოებია ქართულ-ზანური *კუკულ- (ქართ. კუკურ-; ჭან. კუკულ-) ალბათ ის თავის მხრივ ადის კუნ/ლ-ძირამდე (გორდეზიანი 1985).

კუმეტ-ი:

დიალექტ. I. **კუმეტი** გულღრძო. „ისეთი *კუმეტია* კოკოტი რო გამარჯვების თქმაც კი არ იცის“ (მოხ. ღუდ.). || კემუტი (ქართლ.) «ჯიუტი, გაუგონარი, შეუპოვარი» (ი. ჭყ.). || კევატი ჟინიანი (გურ. ჭყ.). შდრ. II. კემუტი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კუმეტი** (ხევს., ფშ.). ახალი წლის მეორე დღე, 2 იანვარი (ვაჟა). შდრ. III. კუბატი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **კუმეტი** ძალიან ბნელი (შდრ. კუნაპეტი). || ძალიან შავი. მანდილოსანი... კატოს *კუმეტ* თვალებს გაშტერებით უცქეროდა (შ. არაგვ.). ◊ *კუმეტივით* შავი ძალიან შავი. მშვენიერი რამ იყო ჩემი შავარდენი!... ამაყი, ...გამბედავი,... ამას ცხოვლად ხატავდა მისი შავი *კუმეტივით* თვალები (ვაჟა). || სიბნელე. უკვე გაფითრებულიყო ცა, სინათლეს *კუმეტი* გაეპო და არემარე გამოექანდაკებინა (შ. არაგვ.). ვაგონში *კუმეტი* სიბნელე იყო (ჭ. ამირეჯ.) – ქეგლი. || კუმეტრ უკუნი, ძლიერი სიბნელე. *კუმეტ* ღამეებ დიჭჭირ, მთვარე აღარ ამოდიოდის (თუშ. ცოც.). || კუპეტი ძალიან შავი, ბნელი, – კუნაპეტი (აჭარ. ნიკ.). || კუნაპეტი (ჯავახ. მარტ.).

კუმპა:

სამ., ახ. ქართ. I. **კუმპა** (საპონე B.; საპუნ ZAaB.; საპუნ B.) საპო(ვ)ნი ZAB. მგრგვალი საპო(ვ)ნი; საპონი (საბუნ Cab, საპუნ CqDE.; ოჭარ CD, საპუნ E.) (საპოვნი CD) ფრანგულია, ქართულად წერილით შენაზავები და განსაწმედელი ეწოდების (ეწოდება B), ხოლო სოფლურად კუმპა ZAB. – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კუმპა** «ფუნა, ძროხის ნეხვი ახალი» – ქეგლი. *კუმპა* დააგდო, მოსკორა, სკორე. დაკუპა (მოხ., ხევს., თუშ. შან.). || სკუმპაი იგივეა, რაც კუმპა, ფუნა, ძროხის ნეხვი ახალი (ა. შან.). სკუმპა-ი ძროხის ნეხვი. „ან საღორიას კარებჩი ურდულად შენ არ გაგჩარა, ან ლაჩქინად არ გიჴმარა, სკუმპასთან ერთად მაგთარა“ (ხალხ. №186, კარკუჩა) (მოხ. ქავთ.). „ზაფხულის სკუმპებს ვაგროზებდითკე ღობეებზე და ზამთარჩი კი რო ჴმებოდა, ვანთებდით“ (მოხ. ღუდ.).

კუნელ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კუნელი** სკუნელი: ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი... *კუნელი*, ჯახველი (ქ. ცხ. IV, 41, 5). || [Crataegus] მორჩილი ტანის ხე ან ბუჩქი (ვარდისებრთა ოჯახისა); ეკლიანი ტოტები და

მეტწილად შავი ნაყოფი აქვს. თეთრი *კუნელი.* მომეტებულად თხილი, ნაკაფი რცხილა, მუხა და *კუნელი* იდგა (თ. რაზიკ.). || ამ ხის ნაყოფი. ხეზე ჩიტები *კუნელს,* ასკილს, ზღმარტლს აღარ უშვებენ (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. IV, III: ზ.-ქართლ. 37; ზ.-რაჭ. 60. || კნრლ კუნელი (ინგ. ღამბ.). || კუნელა || კურნელა (ზ.-იმერ. ძოწ.). დიალექტებში გვხვდება: ქართლური – სკუნელი; ქიზიყური – კვინელი; მთიულური, თუშური, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური – კუნელა; იმერული – კუმელა; გურული – კურკანტელა – ა. მაყ. || კურმელა, ყურუმელა (ლეჩხ. ჩიქ., ალავ.).

დიალექტ. **II. კუნელი** 1. (< კუმ-ელ-ი) კორიანტელი, ბუქი, კვამლი. წინ – თაგვი, უკან – ღულელი, ამადიოდა *კუნელი* (ხევს. პოეზ. 663, 1). [ცხენი] არშის-ძირ წყალსა გაგიხტა, *კუნელი* გახყვა, მტვერიო (ალ. ოჩ. 12, 14). საიქიოსავ არც ნიავრ-იცისავ, არც *კუნელრ* რას აედინებისავ (ეთნ. საიქიო VII, 73). აყრილაჯეე გამაჩინდა ბარახოტის *კუნელიო* (ხევს. ჭინჭ.). გაღმა გავიდა არმაში, *კუნელმა* აიარაო (თუშ. ცოც.). 2. კუნელრ ოხშივარი. ბევრ ქვაბებ ხქონდ შემოდგმულრ, *კუნელიაც* ამოდიოდ (თუშ. ცოც., ხუბ.); გადატ. კუნელი: **კუნელი ოფლისა** უცბად დაღვრილი ოფლი. „ქაქას ვერ ვსცნობდი, ქაქასა, ითამ ვშჩაგრავდი აქამდე, ბოლია ეგეთი შამამკრა, *ოფლის კუნელჩი* გავქანდი“ (მოხ. ღუდ.).

კუნკრუბ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. კუნკრუბი** ცხენის უხეირო ტარება (ი. ჭყ.) – ქეგლი. || ჩაკჩაკი, კუნკრუბოს ქნევით სიარული (ფშ. ხორნ.). || ჩაქჩაქი. ვუცქერი, კაცი გამოჩნდა ცხენის *კუნკრუბით* გზაზედა (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. შდრ. კუნკრუბა «ის ადგილი ცხენის ტანისა, სადაც ფაფრის ბოლოა და ზურგის დასაწყისი» (ი. ჭყ.), – ჯიდაო (ქეგლი). აგრეთვე **კუნკრუბო, კუკუნბო, კუკუბო** კუდუსუნის ადგილი; ადამიანის გავა (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **II. კუნკრუბი** ავი და ძუნწი მოხუცი (იმერ. ქავთ.). იხ. II. კუკუნახი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კუნკრუბი** კურკური, არშიყობა. (ქვ.-იმერ., გ. წერეთ.) – ქეგლი.

კუნკულ-ი:

ძვ., საშ., ქართ., დიალექტ. **I. კუნკულა** 1. [ბერძ.] მონაზონთ ქუდი. მდაბ. ნათლიისაგან დასანათლებელი გასახვევი ნაქსოვი ჩჩვილთა მონათვლის დროს (დ. ჩუბ.). || **კუკული, კუნკული** ბერის ქუდი: „აღიძარცუა... *კუნკული“* (მ. ცხ. 340r) – ილ. აბულ. სცა კობალი *კუნკულსა, კუნკული* გააგდებინა (ჯალმას. 56, 23). || კუნკული, კუნკულა ეკლ. ძვ. ბერების თავსახურავი – მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით. ცხადად „წარმოიდგა [ფიდო] ბერის *კუნკულაში“* (ვ. ბარნ.). ფილადელფოსის გვერდით მეორე ბერი იჯდა შავი ანაფორით და *კუნკულით* გამოწყობილი (მ. ჯავახ.). 2. ქსოვილის ნაჭერი, რომელშიც ხვევდნენ ემბაზიდან ამოყვანილ ახალ-

მონათლულ ბავშვს. || ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც უძღვნიდა ნათლია ბავშვის დედას ან თვით ბავშვს. „[თავადების] მამები არ არიან, რომ მეხვეწებიან ხოლმე შვილის მონათვლას იმიტომ, რომ ელიან კარგ *კუნკულას?*“ (დ. ჭონქ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კუნკული** ჩქარი სიარული ბავშვთა და მოხუცთა (ი. ჭყ.) – ქეგლი. || წანწალი, ხეტიალი. „ვერ მოვაშლევინე იქა-აქა *კუნკული*“! (მოხ. ქავთ.). || წელში მოხრილი ადამიანის აქეთ-იქით მალფარვით სწრაფი სვლა. „რას *დაჰკუნკულებ* აქა-იქ, მიგთრევ და მაგთრევ ენები, შენს ფეჯებს აღარ უყურებ, დატყრომაზე გაქუ ვენები“ (მოხ. ღუდ.). || მოკლე-მოკლე ნაბიჯებით სიარული (უფრო მოხუცებზე იტყვიან) (რაჭ. კობახ.). || ცანცარი, მცირე ბუქნაობით სიარული, აქედან: კუნკულაი *კუნკულით* მოსიარულე (მესხ. მაის.). შდრ. კუნკური მოკლე და სწრაფი ნაბიჯით სიარული. „ნეტა სად მიკუნკურეფს ამ დილაუთენია ეი კაცი?“ (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კუნკული** (გურ.) «ნელი კენესა და წუხილი ძილში» (გ. შარაშ.) – ქეგლი. || გადატ. კუნკული – წუწუნი: მულმა მულმუღობს, რბალმა *კუნკულობს* (ჯივანი, კლარჯ. ლექსიკ).

დიალექტ. **IV. კუნკული**: ლერწ რომ თავს გადაუტეხთ და გადავაგდებთ, იმას *კუნკულს* ან თავის გადაგდებას ვეტყვით (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 133).

დიალექტ. **V. კუნკული** მურყანის (თხმელის) ხის ქორფა ნაყოფი, ნორჩი (ლორთქო) კვირტი (წებოვანია, სისხლის დენას აჩერებს, იგივე ხუხური, თხმელის ხვირკლი (იმერ. ქართ. დიალექტ. 671). შდრ. I. კუკური.

კუნტ-ი:

ახ., საშ. ქართ. **I. კუნტი** ძვ. «შესრულებული თვე თუ წელიწადი» (საბა, ქეგლი).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კუნტი** (იმერ.) იგივეა, რაც კუტი. მთელი იმედი [მათხოვრის] და მისის... *კუნტის* დედისა ამ ბაღლში იყო (ნ. ლორთქ.). «მართალი გითხრა, არ მომწონს, რომ *კუნტივით* ნიადაგ შინ ზიხარ და ეზოს გადაღმა ფეხის გადადგმა გეზარება!» (რ. გვეტ.) – ქეგლი.

მეგრ. „კუნტა“ = „დაბალი, უფეხო“, „დაკუნტვა“ შედარებულია სომხ. կունդ [კონდ] – თან = „ფეხსუსტი“ აღდგენილია ს.-ქართვ. *ყუნტ- „მოკუნტვა, დახრა“ > ქართ. კუნტ- < ყუნტ-სვან. ყუნტ- (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე (ღაფანციანი 1975: 365) – მ. რობაქ.

კუნწულო:

დიალექტ. **I. კუნწულო** კუნწულა; კიმპალი, აქა ყურძნის *კუნწულო* ვიცით, ვახანში- კიმპალი (ზვარე, ზ.-იმერ. ძოწ.). || კუნწული, მაგ. მარგალიტისა – დ. ჩუბ. || ნაყოფით დახუნძლული შტო, რამდენიმე ნაყოფი ერთ ღეროზე ამოსული – ქეგლი. **კუნწული** კენწერო, წვერი (ხის, ქვის) ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კონწ- „მწვერვალი, კენწერო, თხემი, თეძო“ > ქართ. კონწ-უ-ხ-ი || კუნწ-უ-ხ-ი, კუნწ-ი, კუნწ-ულ-ი/ა, კენწ-ერ-ო (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **კუნწულო** ბადე იგივეა, რაც კუნჭულო ბადე, კუნჭულოიანი ბადე. თებზს *კუნწულო* ბადით დევიჭერდით (ვახანი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. კუნჭულო, კუჭულო (იმერ.) მოვიწროებული ძირი ჩაფისა, ჭურისა და მისთ. (ბ. წერეთ.) – ქეგლი. კუნწულო < კუნჭულო.

კუნჭული „ბადის კუთხე, შენობის კუთხე, მცირე ადგილი“ სიტყვის შესახებ ბ. გიგინეიშვილი შემდეგს აღნიშნავს: არის მიმღეობა კუნჭ-ვ-ა (შეკუნჭვა) ზმნისა, რომელიც ნიშნავს „შეკუჟვას“, „მოკუნტული სახით შემალვას“. ნ განვითარებულია ჭ-ს წინ კუნჭ-ძირში (შდრ. გურ. შეიკუჭა „შეიკუნჭა“, მიიკუჭა „მიიკუნჭა“). პირველადი კუჭ-ძირი შესაძლოა უკავშირდებოდეს სახელს კუჭი („საჭმლის მომნელებელი ორგანო“), რომელსაც შეკუმშვა- გაფართოების უნარი აქვს. გურული კუჭვა || დაკუჭვა „ჭმუჭნას“, „დაჭმუჭნას“ ნიშნავს და სემანტიკურად ერთგვარად ახლოა „შეკუმშვასთან“ – ბ. გიგინ. იხ. I. კუჭი.

კუნჭულა:

ახ. ქართ. I. **კუნჭულა** იგივეა, რაც კუნჭული კუთხე შენობაში, სადგომში – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **კუნჭულა** იგივეა, რაც კუჭულა – მთის წვერი (ქეგლი). **კუნჭული, კუჭული** მომრგვალებული თავი მაღლობისა, მთისა, მონაოჭებული წვერი (რისიმე), წვეროკინა, წვეტანა ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. I. კუნწულო.

დიალექტ. III. **კუნჭულაი, კუნჭულ** კუნწულა, – ხშირი ნაყოფით დახუნძლული შტო. ერ კუნჭულა ბალ მამიჭერო!.. წაიდთ, დაამტრუვით ქლიავი *კუნჭულ;* ბურჟულაი სხოის. კუნჭულაი სხოის, ერთა შაკრულ, შაჭუჩეულ *კუნჭულაშე* არის ბურჟულაი; ზმნზ. *კუნჭულ-კუნჭულ* კუნწულებად. ჩონ ბალს *კუნჭულ-კუნჭულ* ბალ ასხი (ინგ. ღამბ.). იხ. I. კუნწულო.

კუპეტ-ი:

დიალექტ. I. **კუპეტი** კუპატი (მესხ. დონდ.).

კუპეტი < კუპატი გატენილი პური ზეთში მოხრაკული – საბა; ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. III, II: ქიზ. 11, ზ.-იმერ. 171, ქვ.-იმერ. 177, ქვ.-რაჭ. 186, გურ. 22.

დიალექტ. II. **კუპეტი** ძალიან შავი, ძალიან ბნელი, – კუნაპეტი (აჭარ. ნიჟ.). || კუნაპეტი (ჯავახ. მარტ.). იხ. III. კუმეტი.

კუპონ-ი:

ახ. ქართ. I. **კუპონი** [ფრან. coupon] 1. ფასიანი ქაღალდის (აქციის) ტალონი, რომელსაც მოაჭრიან დივიდენდის ან პროცენტების მიღებისას. 2. ერთი ადგილის ბილეთი თეატრის ლოჟაში. 3. ფულის შემცვლელი ფასიანი ქაღალდი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. კუპონი** ქსოვილის ნაჭერი (ჩვეულებრივ საკაბე), რომელსაც აქვს გარკვეული არშია, ნაქარგი ან ნახატი (უნივერს. ელერდ.). ქვეშსაქსუალის შემდეგ დავიწყებ მისაქსუალი არშიის ქსოვას, მერმედ *-კუპონებს. კუპონების* შემდეგ პატარა სახეს, პატარა ვარდებს ჩავაჯენთ, მერმედ ისევ *კუპონებს* ჩავაჯენთ (ქვ.-იმერ. მრეწ. II, II, 178).

კურია:

ახ. ქართ. **I. კურია** [ლათ. curia] 1. სამართ. ზოგიერთ ბურჟუაზიულ საარჩევნო სისტემაში: თანრიგები, რომლების მიხედვითაც ჯგუფდებიან ამომრჩევლები წოდების, ქონებრივი ცენზისა და სხვ. გარჩევით. 2. ისტ. რამდენიმე პატრიციული გვარის ერთობლიობა ძველ რომში. 3. ისტ. შენობა, რომელშიაც იკრიბებოდა სენატი ძველ რომში. || პროვინციული სენატი რომის იმპერიაში. 4. შუა საუკუნეებში – ვასალებისა და დიდებულთაგან შემდგარი საბჭო და სასამართლო სენიორთან. 5. რომის პაპის ხელისუფლების ცენტრალური დაწესებულებები ერთობლივ. ვის არ ახსოვს ის ბნელი როლი, რომელსაც ასრულებდა რომის პაპი და მისი *კურია* («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი.

დიალექტ. **II. კურია** კვიცი, ტაიჭი, ქვირა, ურა (ინგ. ჯან.). || კურიჲ, კურიჰკაჲ, იგივეა, რაც კუც. ცხენი ბაჭალას კუცს ან *კურიჲს* ებნევიან (ინგ. ღამბ.).

ს.-ქართვ. ძირად მიჩნეულია *კურ- ტაიჭი, სწრაფი ცხენი (ჩუხუა 2017).

კურო:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კურო** 1. ხარი, taurus: „ურქინოს *კუროსან* მამაკაცსა“ (O, გამოსლ. 21, 2 8); „ირქენდით ვითარცა *კურონი*“ (I, იერემ. 50, 11) – ილ. აბულ. «ეჰ, ნეტავი შენ: გადიდებ ამ თოფს ზურგზე და გადიქაჩები კურო მოზვერივით!» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. || ბუღა (ჯავახ. ზედგ.). 2. გადატ. გარყვნილი მამაკაცი, ვაჟი, საყვარელი ქალისა. მათ *გოზ-კუროთა* ასეთი რა მისცეს (ვეფხ. 574, 3). ეს ქალი იქმნა სიცოფით ზროხის ტრფიალი *კუროსა* (არჩ. 220, 195, 3). მრავლად გივის *კუროები* ჭაბუკები და ბერები (ბეს. 151, 9). უსიბ ეგრე უთხრა მას კაცსა: „კულავ მოხუელ, ჩუენო *კუროვ* და მკველელოო“? (ამირან. 91, 3). ქმარს ახსენებს არად, *კუროს* კაის გვარად მიაპყრობს პატივს (დ. გურამ. 268, 371, 3). გაბატონდება ოჯახში [ქალი], განზედ გაიჩენს *კუროსო*, და ქმარი ვერას გააწყობს, ბევრიც რომ იფხაკუროსო (აკაკი) – ქეგლი. „მაგ ქალ ვინ იცის, რამთენი *კურო* ჰყამდა, ვინ დათვლის!“ „ჰოდა იმ ქალმაც *კურო* გაიჩინა“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე გურ. ჟღ. შდრ. კურაკი (ოთხფ.) მცირე კურო ZAB. (ოთხფ.) კურატი CD. See also: ზროხა, კურატი (საბა.).

კურო ვარაუდით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ბერძნულ kúros ფორმას, რომელიც ნიშნავს „ახალგაზრდას“-ს, „მოზარდ-ს“. ეტიმ. „ახალგაზრდა ხარი“ (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. II. **კურო** ზოდიაქო: ამაში სხვის მჭარედამ ერთი მშიერი არწივი გამოჩნდა, რომლისა კლანჭისა შიშითა ვარსკვლავნიც (სქ. ყოველნი ფრინველნი) ცის სიმგრგვლეთა შინა განუსვენებელ იყუნეს, საგონებელ იყო, *კუროს* ზოდიაქოთა ცათაგან მოიტაცებსო (ქილ. 244, 19). აგრეთვე ქეგლი.

დიალექტ. III. **კურო** ბორცვი. [ღილღვლები] შამოჭდეს ბისნის კუროზე, მასკვლავ გამრავლდა ცაზედა (ხევს. ჰოეზ. 139, 4). *კუროიან სათიბე* ბორცვიანი სათიბე (ხევს. თავისებ. 224, 2). იხ. II. კორამი

დიალექტ. IV. **კურო** (მთ. გუდმაყრ.) მოვარდნილი ნიაღვარი. *„კუროთ* დაგლიჯა მარები, გამოგვირიყა ჭალები“ (ე. ვირსალ) – ალ. ღლ.

კურტ-ი:

საშ. ქართ. I. **კურტი** „დაპება ფრჩხილისა“. და არს ესე ერთი ფერი სურსილი, და *კურტი* – დაპება ფრჩხილისა (ფანასკ. 308, 11). || კირტი (მარტყ), კურტი (დაშქ.) მეჰეჭი (ფერეიდ. ჩხუბ.).

საშ. ქართ. II. **კურტი** კურტიმლები ZAB. „გარდაქცევა გვამისა. გარდაქცევა კურტისა და ნიშნისა“ CaqDE – საბა. შდრ. კურტიმლები (კურტიმლები და კურტამები ჩქ) კარის კამარები, გინა კარის ქუდები, რკინა ფრიად სამსჭვალად კარებისა და ბჭეთა – საბა. || **კურტიმალი** „ზღურბლი“. „კურტიმლები მოამზადა დავით“ M, – „ზღურბლთა ზედა შემზადა დავით“ (pb., I, ნშტ. 22, 3) – ილ. აბულ. || კურტამი (რაჭ.) ხის (ან) ქვის) ნაგებობა მდინარის ნაპირზე – ხიდის დირეების დასაყრდნობი – ქეგლი. || **კურტამ** – ხიდის საყრდენი ხის ჯარგვალი; ქვით ამოვსებული. „კურტანი“ – ქვის კედელი მდინარის კლდოვან ნაპირზე (ლეჩხ., სვან. ლიპარტ.). **კურტამი** ფიცრის შემკრავი (ლაზ. თანდ.). || კურტანი გარეთა კუთხის თავი ქვით ნაშენებ კედელში; აქვე კურტუმები ხიდის დასაყრდენი თავები მოპირდაპირე ბოლოზე (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. III. **კურტ** კრუხი. ჭუჭულევიან *კურტ*. ჩონმა *კურტმა* ორმოც ჭუჭულ გამაჲყონა (ინგ. ღამბ.). „ათ ქათამი მაქო, აქაითი ხუთი *კურტა* დამიჟდენია (ინგ. ასრათ.). კურტა დაჟდომაჲ 1. დაკრუხება, კრუხად დაჯდომა. 2. გადატ. სახლიდან გარეთ არ გამოსვლა: *კურტა* ჟიხარა შინ, რაბე არ გომოოდი ორღებში (ინგ. როსტ.). || კრუტი „ბარტყის დედა“ (საბა). აგრეთვე გუდამაყ., მთ., მოხ. შან., მოხ. ღუდ.

მ. ჩუხუას აზრით, ს.-ქართვ. *კრუტ- „კრუხი“ (ჩუხუა 2017).

კურტაკ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კურტაკი** მეომრის სამოსელი, ჯაჭვის ზევიდან ჩასაცმელი (საბა). შუბი გაშჩარა *კურტაკსა*, გააგდებინა ფარია (შვნ. I, 479, 2). დავეკაზმენით *ჯაჭვ-კურტაკითა*, ვითამც ნაომარი ვიყავით (რუსუდ. 296, 28). ცხენსა შევჯე, წამო-ცა-ვე, ჯაჭვი მეცვა *საკურტაკე* (ვეფხ. 558, 4). გოგორისშვილს დაუთბეგსა მისი *კურტაკი* ჩააცო (არჩ. 327, 620, 1).

მაცნობე ხვალისა *კურტაკი* და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან (ქ. ცხ. IV, 833, 17). || მამაკაცის მოკლე ზედა ტანსაცმელი. აშკარად გამოირჩეოდა აჭრელებული ტყავისაგან შეკერილი მისი ქუდი, ჟღალი ხბოს ბანჯგვლიანი *კურტაკი* და მხარზე გადაკიდებული ჩანთა (ს. კლდ.). [ყმაწვილს] ტილოს *კურტაკი* აცვია («სახალხო განათლ.») – ქეგლი.

მ. ანდრონიკაშვილს მიაჩნია, რომ ქართული კურტაკი უკავშირდება ფალაურში აღდგენილ *kurtak ფორმას; [ახ. სპარს. k'urtak'] და ყველა მისგან მომდინარე სიტყვები შეიცავს იმავე ძირს, რასაც ქართული კუართი (ანდრონიკაშვილი 1966).

დიალექტ. **II.** კურტაკი 1. კვირტლი. მატყლს დაპწკნი ხელით. დარჩება *კურტაკი* (აჭარ. ნოღ.).

2. მოკლებეწვიანი ცხვარი. „ამ ბოლოხანებაი *კურტაკი* ცხვრები გაშენდნენ რაცხა“ (აჭარ. ნოღ.). იხ. III. კვირტი.

კურუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I.** კურუმი (ფშ.) ჯგუფად მდგარი ხეები, – ახალი (ტყე). ერთს ადგილ პატარა *კურუმი* ტყე იყო (ვაჟა). *კურუმად* ზმნს. ჯგუფად, გროვად; || გადატ. ბოლქვ-ბოლქვად. კურუმ-კურუმი (ფშ.) კურუმებიანი. ადგილო *კურუმ-კურუმო*, ველიან- ჭალიანაო, სამოთხესავით ლამაზო, მიყვარხარ ძალიანაო (ვაჟა) – ქეგლი. იხ. I. კორომი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II.** კურუმი შავი ღრუბელი, მკვრივად შეკრული (ფშ. ხორნ.). კურუმად შავად. ...მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ *კურუმად*, შავის ფერითა, დაეფარება სანახავს წერა-მწერელის წერითა (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. კურუმ-კურუმი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი შავი ღრუბლები: ჯგუფ-ჯგუფი შავი ტყეები (ფშ. ხორნ.). || ყურუმი || ყურყუმი (იმერ. გურ.) – ქეგლი. კურუმი უნიშნოდ შავი, მაგარი ლოდი ზან. (მეგრ. ქობ.).

კუს-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I.** კუსი მონოზანი, ენკრატისი, მოწესე დედაკაცი – დ. ჩუბ. || გადატ. გაუთხოვრად დარჩენილი ქალი, შინაბერა (მესხ. მაის.)

საშ. ქართ., დიალექტ. **II.** კუსი ძვ. აღრევა (საბა) – ქეგლი. შდრ. სომეხნი კუს ქალწულს ეტყვიან B. კუსკუსი, – აღრევა (საბა). აგრეთვე გ.-კახ. სახლთხ.

მ. ჩუხუა თვლის, რომ ს.-ქართვ. *კუს-(ინ)- „კვნესა, ტრფიალი“ (ჩუხუა 2018: 89).

დიალექტ. **III.** კუსი (ხევს.) ყველი (ი. ჭყ.) – ქეგლი. კუსი ჭ. ყველის კვერი. კუს-ერბო ჭ. ერბო-ყველი. თ. ახლად ამოღებული ყველი უმარილო. || კუშკანა მოჭ. (<კუსკანა?) პატარა ყველის კვერი – ა. შან. || ყველი დამარილებამდე. || ერთი თავი ყველი (ხევს. ჭინჭ.). მოთხოვნილება ჩემ მეზობელს არა აქვს: ოღონდ ქერის პური და *„კუსი“* – ფურის ყველი ნუ დააკლდება (ვაჟა) – ალ. ჭინჭ.

კუს- ფუძე წარმომავლობით დაკავშირებულია სიტყვასთან კვესი „ფოლადის ნაჭერი, რომლის ტალზე (კაჟზე) ჩამოკვრით ცეცხლს აჩენენ («ცეცხლს აკვესებენ»). აღდგენილია არქეტიპი *კუეს-(ფენრიხი, სარჯველაძე 1990). აგრეთვე: არაბული 2001: 29-32, კლიმოვი 1964. ჭინჭარაული 1974: 56.

კუსკუს-ი:

დიალექტ. I. **კუსკუსი** 1. ჭუკჭუკი. კუსკუსობა იგივეა, რაც კუსკუსი. ქალი და ნეფე იმ ღამეს ერთუცს მიუცუცქდებიან, იცნობენ ერთუცს, *კუსკუსობას* დაიწყებენ (ბ. გაბ. 133, 8) – ალ. ჭინჭ. || კუსკუს: სწრაფად და სანდომიანად მოსიტყვაობა (ინგ. ჯან., ღამბ.). || გულიანი სიცილი, ხითხითი გიორგი ბიზაი *კუსკუსოვდა* (ინგ. როსტ.). 2. კუსკუსი კრუხის ხმიანობა, საბუდარში კვერცხებს რომ უტრიალებს, ან წიწილებს რომ უხმობს. 3. ბებერი ქალის კრუსუნი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. II. კუსი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კუსკუსი** || **ტუსტუსი** კუნკული, ბებრის ფეხაჩქარებული სიარული. „თელი დღე არ ჩერდება მაგი ფეხი, სუ *კუსკუსომს*, აგერ ეხლაც *კუსკუსით* არ მოდის". *„მოკუსკუსდა* ბებერი!" (ჯავახ. ზედგ.). || ცუხცუხი. „წეღან დავინახე, ჩვენი ნინო სკოლაში *მიკუსკუსებდა*" (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. კუსკუსებს მოუსვენრად არის, წრიალებს. რას კუსკუსებ მოუსვენრად, რად იბრუნებ, დაო, გულსა? (შ. მღვიმ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. **კუსკუსი** (kuskus) ვერმიშელი, ატრია. *„კუსკუსი,* შეჰერიე, პურიდან კეთდება" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. IV. **კუსკუსი** (ინგლ. cuskus <ავსტრალ.) ხეზე მცოცავი ჩანთოსანი ცხოველი ერთგვარი; გავრცელებულია ავსტრალიაში და ახალ გვინეაზე – მ. ჭაბ.

კუსკუსა:

დიალექტ. I. **კუსკუსა** მოუსვენარი (მთ. კაიშ.). იხ. II. კუსკუსი.

დიალექტ. II. **კუსკუსა-ი, კუსკუსელა-ი** პატარა უქუდო სოკო; ფშუტურა სოკო, ნამის სოკო (სინ. მგლის ბურნუთი). გამხმარ კუსკუსელას, რომლის გული ფქვილადაა ქცეული, ხმარობენ მოყინული წყლულის მოსამშრალებლად (ა. კ., მოხ. ქავთ.). || კუსკუსელა, კუსუსა; ყვავთ კუსა, ჭ. მყვართ კუსაი; ჭ. მყორთ კუსაი (ჰო, ასეა); ყვავთ ყველი თუშ. – ა. შან. || ყვავთკუსა მრგვალი სოკოა, რომელიც შემდეგ საბრმობელად იქცევა (ხევს. ჭინჭ.). კუსკუსა ფუძეგაორკეცებული სიტყვა უნდა იყოს. შდრ. ყვავთ კუსა და ყვავთ ყველი. კუსი (ხევს.) ყველი (ი. ჭყ.). ყველის კვერი – ქეგლი. იხ. III. კუსი.

კუშტ- ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კუშტი** ხუშტი, ხვესტი, გაბუტვილი, უბარი, უმძრახი, ან ქუში – ნ. ჩუბ. მწყრალად მყოფი და არ(ა) მრისხანე – საბა. *კუშტი* მიჰხვდეს, თუნდა ქუში (ვეფხ. 25, 3). ქალი დაუჯდა *კუშტ-*

გვარად (ვეფხ. 244, 1). მივა *კუშტ* გუარად შექურუშუით, მოწყენით, მიზეზიანად (ფეშ. 963, 2). კვლავცა ეტყვის დედამთილი: „რამან შეგქმნა აგრე *კუშტი?*“ (ბეს. 149, 9). [მეუდაბნოეს] სახე გამხდარი, *კუშტი* და მწყრალი სიწმინდის მადლით დაშვენებოდა (ილია). შენზე ამბობენ: *კუშტია*, ამპარტავანი (ი. გრიშ.). *კუშტი* და მიუკარებელი იყო ნინია (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. კუშტი პირქუში. მოიღუშა, *კუშტი* სახე მიიღო (ჯავახ. ზედგ.). შდრ. I. ჭუშტი.

დიალექტ. II. **კუშტი** მკვრივი, შეკრული, შენივთებული. ღვინის პკე ისე სუფთად მოვხადე, რომ მარტო ერთ-ორი *კუშტი* გამექცა ძირისკენ (თვალად. შატბ.). || კოშტი [სომხ.] მაგარი, მკვრივი რამე, ვითარ კოშტი სანთელი, კვერეულის ნატეხი და მისთანანი – დ. ჩუბ. || გაყინულ-გამაგრებული ქონი, ცვილი და მისთ. მაგ. კოშტი სანთელი და ჩამოქნილი სანთელი (ქიზ. მენთ.). აგრეთვე ჯავახ. ბერ.

ჰრ. აჭარიანის აზრით, ქართ. კუშტი ნასესხებია სომხურიდან და წარმოადგენს ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილ ḳošṭ-ს („მაგარი“, „გამაგრებული მიწის ბელტი“, „სიმაგრე, სიმტკიცე“ (აჭარიანი 1973: 635) – ბ. გიგინ.

კუწუწ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **კუწუწი** 1. ძვ. «ოდოშის ნატუსის ღეროა» (საბა), – უმწიფარი, შემოუსვლელი თავთავის (ოდოშის) ღერო. 2. მარცვალშემოცლილი ტარო სიმინდისა, – ნაქუჩი (ქეგლი). „მარცვალი ცალკე მოიკალთავე, კუწუწები კი ვედროში ჩაყარე“ (მესხ. ფეიქრ.). 3. ყანის, ჭალის გათიბვის შემდეგ დარჩენილი ღერები. „ნათიბში, ფეხშველა რო დადიხარ, *კუწუწები* შეგერჭობა“. || ცოცხის განაცვეთი, (ფაჩხატი) „ე *კუწუწი* ცოცხი რო მოსდო და მოსდო...“ 4. *კუწუწს* უწოდებენ. აგრეთვე, მცენარეული ბირკებს, ტანსაცმელზე რომ აედება ხოლმე. „ე რამდენი *კუწუწი* შეგდებია, თელი ტანთი *კუწუწით* გაქ დაფარილი“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე (ხოვლ., ქართლ. ლექსიკ.). 5. წვრილი ფიჩხი, კიწაწი, კუწუწი ცეცხლის დასანთები ფიჩხის ნარჩენებია (ცხ., ქართლ. ლექსიკ.). || კუწკუწა (ქიზ.) წვრილი ფიჩხი თონის გასახურებლად (ს. მენთ.), – კიწაწი (ქეგლი).

დიალექტ. II. **კუწუწი** (ჩვ. მრ. კუწუწები) ურმის ხელნების შემაერთებელი ბოლო ნაწილი, იქ გადაანასკვავენ ტვირთის გადასაკრავი საბლის ბოლოებს, დადებენ მცირე ხელბარგს. „ურემს აქუ ჴელები, ხარიხები, დათუები, ჭალები, *კუწუწები*“ (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. III. **კუწუწი** ხუჭუჭი თმა (ღოლოვ., ქართლ. მენთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუწ- „ქოჩორი“ > ქართ. კუწ-უბ-ი, კუწ-უწ-ი, კოწ-ოლ-ი (ჩუბუა 2000-2003).

დიალექტ. IV. **კუწუწი** კუწუბი. ქვას რო გავასუფთავეფთ, უნა გამოვიყვანოთ *კუწუწები* (მეჯვრ., ქართლ. მესხ.). კუწუბი || კუწუბო თითოეული ნაკვთი, წვერი რაიმე დაკბილული ნივთისა, ქსოვილისა და სხვ.– ქეგლი.

კუჭ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კუჭი** 1. „ფრინვლის ფაშვ“ – საბა.

კუჭი საჭმლის მოსანელებელი ორგანო (ადამიანისა, ცხოველისა, ფრინვლისა). მშიერი *კუჭი* მხდალია და მაძღარ კი არაფრისა ეშინიაო (ანდაზა). *კუჭში* იწვის და იხარშება საჭმელი (ი. გოგებ.). აუარებელი რკო და წიფელი უნდებოდა [დათვის] გაუმაძღარს *კუჭსა* ვაჟა). «თავადების სადილი იგვიანებს, გლეხის *კუჭი*-კი, დიდი ხანია, კივის» (მ. ჯავახ.) – ქეგლი. აგრეთვე გურ. ფოლკ. ღლ. 39. 2. მომყოლი. ჯუფტი დეესხნას და ყმაწილს *კუჭი* მეეჭრას; *კუჭი* მაჭრას რო ყმაწილი მაჭიდოს (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *კუჭ- „კუჭი (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე როგავა 1962: 98.

დიალექტ. **II. კუჭი** ვაშლის, მსხლისა და ხილეულის შუა ნაწილი, სადაც მარცვლებია, *კუჭი* გამოაცალე ვაშლს (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). კომბოსტოს რომ *კუჭი* ჩაესახება, იტყვიან, კომბოსტო უკვე *კუჭს* იბრუნებს, *კუჭი* ჩაბრუნებული აქვსო (თონ., ალგ. სალ.). აგრეთვე: შ.-კახ. მრეწ. II, II, 41, ზ.-ქართ. მრეწ. II, II, 141, ქართ. მტკვრ. სამხრ. მრეწ. III, II, 147, ზ.-იმერ. მრეწ. IV, II, 212. შდრ. ქუჩი თავშეხვეული კომბოსტოს ფოთლებს შორის დარჩენილი ღია ადგილი (ლოკოკინა) შიგ ქუჩში უძვრებოდა თავშეხვეულ სალათას და კომბოსტოს თავებს (ივ. ქეშიკ.). შდრ. თურქ. [ქოჩან გული].

დიალექტ. **III. კუჭი** გარკვეული ფორმით გვერდზე გამოწეული, გამობურცული ადგილი, კაცის ჩოხაზე, ტყავის ტანსაცმელზე. ცხვრის ტყავის პალტოებს მარჯვნივ და მარცხნივ *კუჭები* ჰქონდა გაკეთებული, ე. ი. ორ გვერდზე გამოწეული იყო ტყავი («შინამრეწვ.», მოხ. ქავთ.). || მრ. კუჭები გუდ., მთ., მოჯ. ჩოხის ნაოჭის თავები – ა. შან. **კუჭილი** დაკუჭული, დაჭმუჭნული ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **IV. კუჭ**ი 1. მთის თავი, მწვერვალი. ბორბალოს *კუჭში*, სანგარში, ფხიზლობს დარაჯი მთებისა, გამოხვეული ნაბადში, გულს უხევს ჯავრი მტრებისა (თუშ. ცოც.). აგრეთვე (ხევს. ჭინჭ.) შდრ. კუჭეტაყრ ბორცვი, გორაკი, შემაღლებული რელიეფი. „აციქაოდრ, აციმ კუჭეტაცის ძირში (აი იქ, იმ კუჭობის ძირში) ერთ წყარო გამოდის, იქ ბევრჯელ გამიზდელავ ჯალრ“ (თუშ. ცოც.). || ქუდის ცა. მემრ [ქუდის] *კუჭს*, ცასაც ოთხ თანასწორ ნაწილად გახყოფენ (ხევს. ჭინჭ.). შდრ. II. კუჭულა.

დიალექტ. **V. კუჭი** გუდ., თავ-ქუდი მთ. ქუჩალა (< ქუდ-ჩალა?) ფშ., ჯ. მოწვერილ თივაზე დასაფარები (ისევ თივისა), რომ წვიმა არ ჩაუვიდეს – ა. შან.

დიალექტ. **VI. კუჭი** ჯავრი, გუმანი, გული. „ძალიან *კუჭი* მაქ ჟორდანიას“ (ს.). „გაბელიკა გააბდალებულია მმაის *კუჭზე*, ამბობენ ხალხი“ (ნიაბ., გურ. ჯაჯან.). || ბრაზი, წყრომა. „*კუჭი* ჰერსსა ქვია, მურღულში – ყიყვი“; **კუჭის გამოსვლა** გაბრაზება, გაწყრომა. „*კუჭი* გამუუდა, *გაკუჭდა* ერთ დედეკაცმაო“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. კუჭეჭი ძვირის ჭსენების შესაკრებელი – საბა. იხ. II. კუჭიანი.

ახ. ქართ., დიალექტ. VII. **კუჭი** (ქიზ. კახ.) საალერსო მიმართვა (პატარისადმი) (შდრ. გულო). «ყარგია, *კუჭი*, მეყოფა, შუაღამეა მოტანებული!» (დ. თურდ.). *კუჭავ*, კუჭი საალერსო სიტყვაა პატარის მიმართვისას, როგორც მაგ., გულო და სხვ. „*კუჭი*, გაიქე ერთი, ცივი წყალი მაარბენინე!" (ქიზ. მენთ.). **კუჭია ბიჭუნა**; **კვიჭალი**, პატარა, ქოჩორა ბიჭუნა ზან. (მეგრ. ქობ.).

კუჭიან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **კუჭიანი**: ◊ **კუჭიანი გრძელი წინდა** (ქიზ.) წინდის ჭრელის სახე – მომრგვალო, გულში ბრტყელწერტილიანი. ◊ **კუჭიანი ხანჯალი** (ქიზ.) მოხრილი ხანჯალი (ხმარობენ სახურავის ჩალის სართავის მოსასწორებლად) – ქეგლი.

ვფიქრობთ, კუჭიანი გადატ. მომდინარეობს კუჭ-სიტყვიდან. კუჭი ფრინველის ფაშვი" – საბა. შესაძლოა უკავშირდებოდეს კუჭ-ვ-ა || კუნჭვა ზმნას (ბ. გიგინ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **კუჭიანი** (გურ.) კაცი, რომელსაც გული სწრაფად მოსდის, – ანჩხლი, ფიცხი, ფხუკიანი. ორივე – ღულაძე და აფხაზავაც – გურული იყო, მაგრამ გურულია და გურულიც: ერთი რომ მუდამ წუმწუმასავით ენთება, ფიცხია და *«კუჭიანი»*, მეორე ეგზომ მშვიდი... და აუღელვებელია (ა. ქუთათ.) – ქეგლი. გაკუჭება გულისმოსვლა, გაბრაზება: „ნამეტარი გაკუჭტა აი კაცი" (გურ. ჟღ.). იხ. V. კუჭი.

ორივე ომონიმური ცალი ნაწარმოებია -იან სუფიქსით.

კუჭკუჭ-ი:

დიალექტ. I. **კუჭკუჭი** ხუჭუჭი (თმა, ბალანი, მატყლი). „კრავსა *კუჭკუჭი* ბილი მატყლი ეზდება" (თ. ქ., ჩვენ ფუტკ). || ბუნებრივად ხვეული თმა, – ხუჭუჭი. „მაგას ბაღნობიდან *კუჭკუჭი* თმა აქ" (აჭარ. ნიჟ.). || კუჭკუჭაი (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. II. **კუჭკუჭი** დაბალხმიანი, გულიანი სიცილი (ქალისა, ბავშვისა). [ბაბუცას] მაღალი კისკისი თითქო ვერ ეხერხებოდა; სამაგიეროდ, დაბალი, გულიანი *კუჭკუჭი* ისეთნაირად იცოდა, თითქო მტრედი ღუღუნებსო (ნ. ლომ.). [გიგლამ და კატომ] «ბუუს» ძახილით თავები მიუახლოვეს ერთმანეთს... ყოველ შუბლების დაჯახებას გულიანი, ბავშვური *კუჭკუჭი* მოსდევდა (შ. არაგვ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. **კუჭკუჭი** ერთმანეთის ალერსი, ფერაობა. „თავითვინ *კუჭკუჭებენ* ბავშვები, რას ერჩი!" (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ჭუკჭუკი. 1. მწყრის ხმიანობა. გოგმანა მწყერმა გააბა *ჭუკჭუკი* მაღალ ყანაში (ი. გოგებ.). || მწყრის ჭუკჭუკის მსგავსი წყნარი ხმიანობა. წიწილებს ჩასთბათ, წივილს უკლეს და გატვრინდნენ. მხოლოდ ხანდახანღა ისმოდა იმათი ჭუკჭუკი (თ. რაზიკ.). 2. ტკბილი საუბარი დაბალი ხმით. მეგობრულმა პურის ჭამამ და ტკბილმა *ჭუკჭუკმა* თბილი შთაბეჭდილება მოახდინეს დიმიტრიზე და წაახალისეს (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

კუხ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. კუხი** ისრიმი (საბა). || **კუხე, კუხი** ისრიმი, ანუ სხვა ხილი მკვახე – ნ. ჩუბ. ისრიმს იმერეთს *კუხს* ეძახიან (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. || ხილი დაუმწიფებელი, მჟავე. ◊ უკმეხი ადამიანი. „მკუხე კაცია, არ მიგიკარამს". ◊ სიტყვა უკმეხი. „კაც კუხე სიტყვა არ'ნა უთხრა!" ◊ მეტსახელი (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: იმერ. გაჩ., ჩვენ. ფუტკ. კვახე || მკვახე – ქეგლი. **კუხ[უ], კუიხ[უ]** მკვახე (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუპახ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. კუხი** 1. რისამე ამოზნექილი ნაწილი. რო გათლიან, ერთ სამ-ოთხ ალაგაჲ შიგვე ხეში გამაიყვანენ *კუხეფსა* კუზივითა; *კუხეფ* გახვრეტენ სიგძეზე (წილკ.) 2. ბეჭის ძვლის თავი (ჩვეულებრივ იხმარება მრავლობითში). *კუხები* ჲქვიან მხრი თავი ძვლეფსა (წილკ.). რამ შეჭამა, ქაა, ი მთასეეფ ქალი, იტყვი, კუზიანიაო, ეგე ამოიწვერია *კუხები!* (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. კუკუხო თეძოს ძვალნი – საბა.

ლ

ლაბადა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლაბადა 1.** რომელსა სპარსთ ქალნი შეიმოსენ მოკლესა გარეგნივ – საბა. || [სპარს. ლაბადა] (კახ.-ქიზ. ინგილ.) მოკლე, წელში გამოყვანილი, ახალუხის მსგავსი, სამოსელი ქალისა (ს. მენთ.). ტანთ გავიძვრე დიაცთა *ლაბადა* (ს. ქვარ.). || «ზუბუნი, ახალუხი» (დ. ჩუბ.). ლაბადის სარჩული («შინამრეწვ.»). *ლაბადას* გულის-პირზე თითო ღილსავ აკერებდნენ («შინამრეწვ.»). 2. (გურ.) ქალის დაბამბული წელქვედა სამოსელი (გ. შარაშ.). 3. წვიმის დროს წამოსასხამი, – საწვიმარი. რა დაინახეს წითელ-ყვითელი, შემოეცარცვათ ტანთა ნათელი; მოუნდათ *ლაბადა*, ჩაიცვეს კაბადა ლეღვის ფურცელი (დ. გურამ.) – ქეგლი. || ლაბადაჲ უწინ ყოფილ, ზრ̃ლ დროზე არხოლოღი კოლა (ნაცვლად) იცმიდნენ ქალევ. ევს ქალევის ჩანაცომ (ჩასაცმელი) რაჲმი (რამაა). ამიზგნი წინ (ამაზე ადრე) ლექლარ ყოფილ, ამმა (მაგრამ) ლექლარ ზგელ კეჰტეოდა (იყო), *ლაბადაჲ* კი- მოკლე (ინგ. ღამბ.). || ლაბარდა ქალის დაბამბული ტანისამოსი (რაჭ. კობახ.). || ლიბადა [სპარს.] ახალუხის მსგავსი ქალის სამოსი (ჩვეულებრივ, ხავერდისა), დაბამბულია, მუხლებს ქვემოთ სცილდება (აჭარ. ნიჟ., კობ.). **ლაბადა** ზედა თბილი ჩასაცმელი ზან. (ლაზ. თანდ.). **ლიბადი** „ზედ ჩასაცმელი ბამბის“ ზან.(მეგრ. ქობ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ნი-ბოდ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ლაბადა: ლაბადაი ვაშლი** ვაშლის ჯიში. „*ლაბადაი* ვაშლი ქუეშეთ ქონდენ“ (იმ.); „*ლაბადაი* ვაშლი ჩუენსა არი“ (მ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ლაბადა** ტილოგადაკრული პატარა ფიცარი. თორნეში ლავაშების ამოსაკრავად ხმარობენ (რაჭ. კობახ.). შდრ. ლაფათა თონეში ლავაშის ჩასაკრავი ბალიში, ნამჯით, ჩალით და მისთ. გავსებული (ქეგლი, ჯავახ. ზედგ.).

ლაგ-ი:

დიალექტ. **I. ლაგი** ლაგლაგი, ყარყატი. „*ლაგი* ყიზლარჩი იცის, დედალ-მამალი ერთად დაფრინავს, ორს კუერცხსა სდებს, წიწილებისთუი ორივ ირჯება“ (მოხ. ქავთ.). შდრ. სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **ლაგლაგი, ლაკლაკი**, ყარყატი. – დ. ჩუბ. ლაკლაკი იგივეა, რაც ყარყატი. უთხრა ლაკლაკმან, «ღვთის გულისთვის ნუ მომკლავო» («მელის წიგნი») – ქეგლი. აგრეთვე: მესხ. ფეიქრ., ფარცხ., მარაბ., ქართლ. მენთ., ინგ. ღამბ.

ლაგლაგი [თურქ. < არაბ. leylek] „ყარყატი“ (გურგენიძე 1973: 74).

დიალექტ. **II. ლაგი** დიყის უფრო მომცრო ნაირსახეობაა. მის ფოთლებს ახმობენ და ზამთარში შრატში ჩამბალს აჭმევენ ხბოებს – ცხიმიანიაო (ფშ. ხორნ.). || (ფშ., ხევს.) თეთრი დიყი, მცენარეა – ალ. მაყ. ლაგიანი: მჩნევიარე ფურებს დილა კას თივას დაუდებენ, ნარიანს, დიყიან-შუპყიანს, ლაგიანს («შინამრეწვ.» 70-1) – ალ. ჭინჭ.

ახ. ქართ. III. **ლაგი** [ჰოლან. ლოგ-იდან რუს. ენის მეშვ.] ზღვ. 1. ხომალდის სვლის სიჩქარისა და გავლილი მანძილის გამოსარკვევი ხელსაწყო. 2. ხომალდის ბორტი – ქეგლი.

ლაგვარდან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლაგვარდანი** (იმერ.) ღრმად ამომღები შალაშინი – ქეგლი, ვ. ბერ. || ლავგარდი ოთხკბილიანი რანდა; იღებს ოთხ ღარს. ლავგარდი ოთხკბილა იყო, სეთიღი – სამკბილიანი; მეც მქონდა ლავგარდი და გლოვათ გადავაკეთე (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლაგვარდანი** ლავგარდანი – ქეგლი. || ლავგარდანი 1. გრეხილი შენობისა ან კედლის ძირი, რომელზედაც შეიკვრის კამარა – დ. ჩუბ. || ლავგარდანი არქიტ. შენობის ჭერზე ან კედელზე შემოვლებული არშია, – კარნიზი. [არსაკიძე] ათვალიერებდა ლავგარდნის ჩუქურთმებს (კ. გამს.). 2. ალპინ. კლდის კიდეზე გადმოშვერილი თოვლი (ქეგლი., ქიზ. მენთ.).

ლავა:

ახ. ქართ. I. **ლავა** [იტალ. ლავა] დედამიწის წიაღიდან ზედაპირზე ამონთხეული გამდნარი მასა (მაგმა), სხვადასხვა ვულკანური ქანებისაგან შემდგარი. ლავის ამონთხევა – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **ლავა** [რუს. лава] მთ.-მად. მაღაროებში – მთლიანი სანგრევი ზოლი დიდი სიგრძისა (22-30-იდან 200 მ-მდე). ქვანახშირის ლავა – ქეგლი.

დიალექტ. III. **ლავა** ბალახია (ფერეიდ. ჩხუბ.).

ლავანდ-ი:

დიალექტ. I. **ლავანდი** სეირნობა < ნავარდი, სეირნობა; ლავანდობს სეირნობს (ლეჩხ. ალავ.).

ახ. ქართ. II. **ლავანდი** [lavanda Lavandula] ფრანგული ნარდი (ალ. მაყ.).

ლავაშ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლავაში** 1. (ლოშ ZAaBCDE) ბრტყელი და გრძელი პური – საბა. სანამ თონე ცხელია, *ლავაში* ჩააკარიო (ანდაზა). გამოაცხო კვერები, *ლავაშები* (ვაჟა). «გემრიელია თქვენი მურასა *ლავაშგი*» (აკაკი). [ხონჩაზე] ელაგა სამიოდ-ოთხი *ლავაში* და პურები (ნ. ლომ.). «შე ოჯახქორო,... დედაკაცი მარტო იმიტომ გინდა, რომ *ლავაშები* დაათხელოს?!» (ეკ. გაბ.) – ქეგლი. აგრეთვე: აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ. || ლაფოში, ლაოში მოჭ. ლავაში. „ბებრის ქელეხში ქერის *ლავაშიც* კარგიაო“ (ანდაზა) – ა. შან. || ლაოში/ა რომბის ფორმის ნამცხვარი (ხევს. თავისე. 212, 10). || ვაცლაოში ვაცები და ლაოშები. ისეები ისრებს ესროდეს ვაც-ლაოშებს (ეთნ. საიქიო, V, 55) (ხევს. ჭინჭ.). 2. საუბ. გადატ. სილა. სტკიცე მას ყბაში კაი-

ლავაში! (კ. მაყ.). || ბავშვთა სხვადასხვა თამაშობაში (წილის საყრელად) – გაშლილი ხელი, სილა (მუშტთან ერთად); ერთი მონაწილე მოშორებით-დადგება ზურგით და ასწევს მუშტსა დაგაშლილ ხელს (*«ლავაშს»*), სხვები აირჩევენ: ერთნი – მუშტს, მეორენი – *«ლავაშს»* და დაუძახებენ, რომ (ერთ-ერთი ხელი) ჩამოსწიოს; იმის მიხედვით, თუ რომელს ჩამოსწევს, თამაშის დაწყების უფლებას მოიპოვებს, ან აირჩევს რომელიმე მოთამაშეს ერთ-ერთი მხარე. «თუ მუშტი ჩამოიღოს, ილა იგრეც მე დამრჩეს, თუ *ლავაში* – შენ!» (მელან.) ◊ ლავაშივით გაგაბრტყელებ საუბ. ძალიან გცემ – ქეგლი. „გაანთო ყურიძირში *ლავაში*, წააქცია კაცი“ (ჳ., ჩვენ. ფუტკ.). 3. ლავაში ყველი. „გუარდაში ყველის *ლავაშები* აწყვია“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). ლავაში (ლავაში) ლავაში ზან. (მეგრ. ელ., ქობ.). ლავაში (თურქ.) თხელი, ლავაში პური ზან.(ლაზ. თანდ.).

ლავაში შემოსულია ჩანს ახალი სომხურიდან (შდრ. [სომხ. lavaš] იმავე მნიშვნელობით). თვით სომხურში ნასესხები ჩანს, ოღონდ წყარო დადგენილი არაა. ვ. აბაევი ოსური lawyz სიტყვის წყაროდ მიიჩნევს თურქულ lawaš (ქართულის იდენტური მნიშვნელობით) ფორმას (აბაევი 1973: 15).

დიალექტ. II. ლავაში (ქიზ.) თასმის ყულფებიანი თხის რქა, რომელსაც ცხენს დაჭედვის დროს ყურებზე ჩამოაცვამენ, რომ არ გაინძრეს – ქეგლი. ლავაში ცხენის ყურებში მოსაჭერი ყულფებიანი რქები თხისა. ლავაშუა ლავაშივით გაბრტყელება; ლავაშების მიდგმა; ლავაშერი გაბრტყელებული. ლავაშებმოდებული ზან. (მეგრ. ქობ). შდრ. I. ლავაშა.

ლავაშა:

დიალექტ. I. ლავაშა სპეციალური ხის ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ მსხვილფეხა საქონლის დაჟეჟვით დაკოდვისას. „დაჟეჟვით დაკოდვის დროს 2-3 კაცი ხარს ზურგზე აწვენდა და ბორკავდა, შემდეგ კი კვერცხებს სპეციალურ ხის ხელსაწყოში – ლავაშაში აქცევდა, ჭიმავდა, სათესლე ჯირკვლების ძარღვებს აჩენდა და ზემოდან კვერკვეტოთი ნაყავდა“ (აჭარ. ნიჟ.). || გიჟი ცხენის დაჭედვის დროს დასაწყნარებლად ყურზე ან ჩიჩვირზე თოკ-გამობმული ირმის რქა ან ხე (ფშ., მთ. შან.). II. ლავაში.

დიალექტ. II. ლავაშა ტყლაპა, ბოყოჭა (ფშ. შან.). შდრ. I. ლავაში.

დიალექტ. III. ლავაშა ბალახია (გუდ. შან.).

ლაილაღ-ი:

დიალექტ. I. ლაილაღი 1. ცხვრის საძოვარი ადგილი. 2. იალაღი სააგარაკო ადგილი, გაშლილი. თავისუფალი. ხალვათად – ი. გრიშ. შდრ. იალაღი საზაფხულო საძოვარი, მთის საძოვარი – ქეგლი.

დიალექტ. II. ლაილაღი ერთგვარი ფრინველია, გრძელნისკარტა, ინდოეთიდან მოსული პირველი ფრინველი. ბერძნები, სადაც მთაში ცხოვრობენ, ვიდრე ამ ფრინველს არ ნახავენ, იმათ ზაფხული არ ჰგონიათ. „ლაილაგი“ – ი. გრიშ. შდრ. I. ლაგი.

ლაიჯ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლაიჯი** (ქიზ.) ცივად გამოკვერილი სპილენძის რაიმე ჭურჭელი («დიალ.») – ქეგლი. შდრ. „ქალაქურ ლექსიკონში“ დადასტურებული რთული სიტყვები: **ლაიჯი ქვაბი**: ლაიჯი სპარსელების ერთი ტომია, რომელნიც სცხოვრობენ შემახიის ახლოს. ძველად სპილენძი ლაიჯებს მოჰქონდათ და ძალიან კარგი სპილენძიც იყო. ეხლაც ქვაბი თუ მთლიანია და არა ძირმოკერებული – ლაიჯი ქვაბს უწოდებენ. **ლაიჯის ნესვი**: ერთგვარი ნესვია, მეტისმეტი ტკბილი, ჩოფურა და ზოლებიაი. გრიშ. აგრეთვე **ლაიჯინის ღილი** – ლაიჯინი სოფელი იყო შირაზის ოლქში, საიდანაც ძვირფასი ოქრომკედიანი ღილები მოდიოდა – ი. გრიშ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლაიჯი** (ქიზ.) დიდი ნაფოტა («დიალ.») – ქეგლი. შდრ. I. ლაჟი.

ლალე:

ახ. ქართ. I. ლალე ერთ-ერთი ქართული ხალხური სიმღერა; სიტყვა, რომელიც ამ სიმღერაში მეორდება. *ლალე, ლალე,* დივლი-დალალალე, შავო ბიჭო, გენაცვალე, თეთრო, გამეცალე! (ხალხ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. ლალე [თურქ.] გამზრდელი (ჩვეულებრივ მამაკაცი), აღმზრდელი, – ლალა. „*ლალე* წევდა სახში“ (ა. ზეპ.). „ხემწიფე თავის *ლალეს* ერთად ადგა და იარება ღამეში“ (აჭარ. ნიე.). || **ლალა** გამზრდელი. ჩვენი სიმღერის თაფშურმა *ლალე,* აქედან ხომ არ არის? (ი. გრიშ.).

ლამბ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლამბი** 1. ნემსის შორიშორ ამოგებით ნაკერი (წინასწარ, დაგვირისტებამდე), – ბლანდი – ქეგლი. **ლამბი || ლანდი შორიშორ** ნაკერი (ჯავახ. ბერ.). გალამბვა გასაკერავ ადგილზე ლამბის გავლება, სახელდახელო ბაფის შორშორ ამოყრით კერვა. „გავლამბავ და გეიშინჯე, კაი თუ იქნა, გავამაშინეფ მერე“ (ჩოხატ.). **გალამბული** რაც გალამბეს, რასაც ლამბი აქვს გავლებული. „გაკერამდი გალამბულს – როვა გაარღოვდა, მაი რაფერ იფიქრე“ (ბეჟ., გურ. ჯაჯან.); **მოღლაბავს** ცუდად შეკერავს, მოქსოვს. „იმფრა *მოღლაბა* წინდა, რომე არ ჩეიცმის“ (ინ.); „*მოღლაბევდენ* ქალაბნებ და ჩეიცუემდენ, მიწის სული უდიოდენ სიკვდილამდი“ (სტ.); „მაქფერი *მოღლაბული* არსად გამეიჩინება“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). 2. (გურ.) რბილი; სუსტი. ლამბი რკინა (გ. შარაშ.). || გადატ. სუსტი, უნებისყოფო (ადამიანი). «იგი არ იფიქრო კიდევ, ზოგიერთები რომაა *ლამბი,* ჯერან იგი იყოს!» (ე. ნინოშ.) – ქეგლი. || კაცი, რომელიც არც წყალია და არც ღვინო (ბახ., გურ. ჯაჯან.).

ლამბი, შესაძლოა, ნასესხები იყოს ახალი სომხურიდან (შდრ. lambak „მარყუჟი“) – ak ელემენტი სომხურში აფიქსია. სიტყვა შემოსულია lamb ფორმით (გიგინეიშვილი 2016).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. ლამბი სეფქისა და ჩოგნის თასმა და მისთანანი – საბა. || ბაწარი, თასმა; მშვილდის მოსაჭიმი თოკი. დასწყდეს ჯაჭვების *ლამბები*, სარტყლები შემოსწყდებოდეს (შჰნ. II, 5183ბ). „მშვილდ *ლამბი* თუ არ ექნება, ისე ჯობია და მეტი არაფერი“ (ანდაზა). || ლამბი იხმარება ლარის მნიშვნელობითაც. „*ლამბ* გავანბემდით, რო კედელი სწორათ აგვეყვანა, არ გაგვბრუდებოდა“ (ჯავახ. ზედგ.). || ბაწრის ღვედი, რომლითაც ჯარა აბრუნებს ჯარის ტარს. „ამ ალაგას უბია ი *ლამბი* და აქ საწინდიაია დახვეული“ (ფშ. ცოც.). „ჭახრაკ აქ *ლამბი*, ის ამბრუნეფს“ (იმ.); „მინდარზე *ლამბი* გავაბი“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „ჯარავ, ჯარავ ბზრიო, *ლამბო* გამიწყდიო, დედამთილის საფეშტამლევ, ოხრათ დამირჩიო“ (ხალხური, ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: ფშ. ხორნ., მთ. კაიშ., ჯავახ. ბერ. || ფიცარში ან სხვა ხის მასალაში ამოღებული ვიწრო ლარი, მეორე ნაწილის შიგ ჩასამელად (ჯავახ. ზედგ.). ლამბი თასმა, ბაწარი; სალამბავი მასალა; მშვილდზე გასაბმელი ბაწარი ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. ამავე მნიშვნელობის თურქ. [lamba].

საშ., დიალექტ. III. ლამბი ძვ. ქვაბის სახელური, – კარბა. შემოიჭრა ერთი ძაღლი, ქვაბში ჭამა დაიწყო და შევსძახე გაგდებად, ქვაბისა *ლამბი* თავს გადაეცვა. ძაღლმა ქვაბი აიტაცა და წაიღო (საბა) – ქეგლი.

ლამბა:

ახ. ქართ. I. ლამბა იხ. II. ლამბი. მშვილდ-ისრის *ლამბა* დასველებულიყო და ისარი იქვე ვარდებოდა (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. ლამბა ლამპა. ძველი *ლამბები*, ჯეირანები არ იყო (სითეთიე, კლარჯ. ლექსიკ). შდრ. ლამპა [ფრანგ. lampe] გასანათებელი მოწყობილობა, რომელიც ძირითადად შედგება ნავთის ჩასასხმელი სათავსისა, პატრუქისა და შუშისაგან – ქეგლი.

ლამფარა:

დიალექტ. I. ლამფარა გასაყარა, დანდალი. ზესადგრეფშია ლამფარა გაკეთებული, მერე ლაშკინი აქ (ვერტყვიჭალა). აჩაჩა ურემს აქ სამი უწყვეტი, იგივე *ლამფარა*, მარა ამისგან განსხვავებით გარეთ გამოდის (ღარიხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ლამფა არწივაკი სახლის მეორე ძელი – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. ლამფარა ფქვილის ამოსაღები ჩოგანი. ერთი *ლამფარა* ფქვილი მამეცი ხევი (ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ლაფერი (ლაფერა E) ბრტყელი კოვზი, საჭმლის გასაყოფი – საბა. ლაფერა – ქეგლი;

ლაფი(რ)ი ლაფერა, ჩოგანი ზან. (ლაზ. თანდ.).

ლანდ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. ლანდი მოლანდების ჩენა – საბა. || ცალი მხრიდან განათებული საგნის მუქი გამოსახულება მეორე მხარეს, – ჩრდილი, აჩრდილი. «ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდევ! ჩემი *ლანდია*!» (აკაკი).

მთვარემ პირდაპირ სახეში მიანათა [ილიას] და აქამდე მხარდამხარ მადევარი *ლანდი* ერთბაშად უკან მოექცა (რ. გვეტ.) – ქეგლი. „ეგ ისეთია, რო თავი *ლანდისაც* ეშინია“. „მე რო მივდიოდი, უკან *ლანდი* მამდევდა“ (ჯავახ. ზედგ.) || გადატ. ბუნდოვნად გამოჩენილი ადამიანი, ცხოველი, საგანი (სიბნელეში). [ტელეგრაფისტმა] დუქანთან თვალი მოჰკრა ადამიანის *ლანდს* (ს. კლდ.). უცებ მიწადან ორი *ლანდი* ამოძვრა და ერთმა დაიძახა: «არსენ, შენი ხმა ვიცანი!» (მ. ჯავახ.) – ქეგლი. ბუნდოვნად რომ იხედება. „კარქა ვერ ვხედამ, ჯამა, *ლანდი* რაღაც არი“. „ისრე *ლანდივით* ვხედამ“ (ჯავახ. ზედგ.). || აჩრდილი, მოჩვენება. [ელიზბარი] თვალგაფაციცებით სინჯავდა სროლის დროს, *ლანდი* ნადირთა მეფისა ხომ არსად გამოჩნდაო; იგი ხომ უფრო ხშირად პატარა ტანის ქალის სახით ეჩვენება მონადირეებს (ვაჟა) – ქეგლი. || მოჩვენება, მოჩვენებით რამ. „თითქო დავინახე, ალბათ *ლანდი* იყო, მამელანდა“ (ჯავახ. ზედგ.); შდრ. ლანდვა, გა-, და-, კვერცხის გაჭვრეტა ჰაერზე ავკარგიანობის გამოსაცნობად (ვ. ბერ.). || პატარა, მცირედი, შეუმჩნეველი. „ერთი *ლანდია*...“ (საჩ. შარაშ.). **ლანდე** || **ლანდი** აჩრდილი ზან. (ლაზ. თანდ.). **ლანდი** (ლანდი) ლანდი, ჩრდილი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. ლანდი** ლამბი, ბლანდი. გალანდვა გაბლანდვა (ჯავახ. ზედგ., ბერ.). იხ. II. ბლანდი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ლანდი** (იმერ. აჭარ. ლეჩხ. გურ.) ერთი ამოღება აბრეშუმის ძაფი, – შულო. ლანდის ამოხვევა («შინამრეწვ.»). ლანდის დახვევა («შინამრეწვ.»). ლანდის ორად გაყოფა («შინამრეწვ.»). «მეც მქონდა რამდენიმე *ლანდი* აბრეშუმი გასაგზავნი ქალბატონთან» («მოამბე»). აბრეშუმის ყოველ ახალ მოსავალზე ყოველი კომლი იხდის 1-4 *ლანდს* («ბატონყმ. სამეგრ.») – ქეგლი. „აბრეშუმის *ლანდებიო*, რა ლამაზი ბმანდებიო“ (ჭ., ჩვენ. ფუტკ.). „ოგვადოზე მუახვევთ აბრეშუმს. გაკეთდება *ლანდები*“ (აჭარ. ნოღ.). ათ-ოთხ ძაფს ერთათ წავსკვნიდით, ამას *ლანდი* ერქვა. *ლანდი* ორათ გაიყოფა თავსაპირი ჯოხით (ლეჩხ. მრეწ. II, II, 205). *ლანდ* გავაკეთეფთ და მეე იმა ვიქთ – დავაბოვთ (აჭარ. მრეწ. II, II, 238). ვიწყებდით ოგვადოთ ამოხვევას და *ლანდებად* (შულოებად) ჯოხზე ვაცმევდით (გურ. მრეწ. IV, II, 67). დუდიშ ძაფის შემდეგ ამოდის უფრო წმინდა ძაფი. ამ ძაფსაც ვახვევთ ელართაშეზე, სანამ არ გაივსება. ამას ვემახით ერთ *ლანდ* ძაფს (ზ. სამეგრ. მრეწ. II, II, 218). მოლანდვა სანასრელაზე, იდაყვზე ან მუხლებზე ძაფის ამოხვევა და ლანდის, შულოს გაკეთება (ქობ., აჭარ. ნოღ.). **ლანდი** ზან. (ლაზ. თანდ.).

ლანდურ-ი:

ახ. ქართ. **I. ლანდური** ლანდის მსგავსი. ცის უფსკრულში აილეწა კაფე *ლანდური* (ვ. გაფრ.). მხოლოდ *ლანდური* შერჩენოდათ კაცთაგან სახე (კ. გამს. თარგმ.) – ქეგლი. ლანდ-ურ-ი: ფუძე ლანდ-; -ურ სუფიქსი. იხ. I. ლანდი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლანდური** 1. (იმერ. ლეჩხ. რაჭ.) გრძელი კოჭი, რომელზედაც დაწყობილია იატაკის კოჭების თავები («დიალ.»). ეგვიტომ ბლის დაპობილი *ლანდურები* შუაცეცხლზე დააყარა (პ. ჩხიკვ.) – ქუგლი. აგრეთვე ვ. ბერ., გურ. ჯაჯან. 2. ფიცრის თარო. „*ლანდურებია* გაკეთებული – ლამფებია დაწყობილი და იმაზე დავსვამთ ყაჭს" (აჭარ. ნოღ.). 3. მდინარეზე ან ღელეზე გადებული ხიდი (მამ., გურ ჯაჯან.; იმერ. გაჩ., გურ. ღლ.). შდრ. **ლანდა** სწორი ხაზი, მორი; სახლის დირე. ჭერისა და იატაკის მოსაგები ძელები. ლამდური საქსოვი დაზგის ღერძებზე გადებული ხის ძელაკი ზან. (ლაზ. თანდ.). ლანდა (დანდა) ჭერისა და იატაკის დასაჭედი ძელები ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ., საშ. ქართ. **III. ლანდური** ძვ. ცალ-ცალი ხარი (ქუგლი, საბა).

ლანჩა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლანჩა** 1. ფერჩსაცმლის ფსკერი ZAB. მაში (ი)სა და მოგვის ფსკერი – საბა. ფერჩთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს *ლანჩა* გამობანდული დახეულის ტყავისაგანვე (ქ. ცხ. IV, 637, 25). || სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა. 2. (ქიზ.) იატაკის ფიცრის ქვეშ დატანებული სოლი ან ნაფოტი სიმაგრისათვის (ს. მენთ.) – ქუგლი. 3. პატარა, თხელი ქვა, მშენებლობისას კედლის გასასწორებელი. როცა აშენების დროს ქვას დაადებენ კედელზე და ქვა კორიკოფს, მაშინ იმას პატარა ქვას შეუდებენ, რო ქვა გასწორდეს; ამ პატარა ქვას *ლანჩას* ეძახიან (კავთ.). მაღლა-დაბლა რო არის კედელი, *ლანჩა* ასწორებს, თხელ ქვას დააყოლებენ (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.). *ლანჩა-ლანჩა* შრეებად, ფენა-ფენა. ფურჩიანი საფლავის ქვა არ გამოდის კარქი; ფუჩი ლანჩა-ლანჩა დაიდევ ხომე და მერე იფხვნება (მეკვრ.). **ლანჩა ქვა** : ერთი *ლანჩა ქვა* მამიძებნეთ, ჩქარა, ნუ მაგვიანეფთ! (ქართლ. ლექსიკ.).

სიტყვა შემოსულია თურქულიდან ოდნავ სახეცვლილად (მეტათეზისის შედეგად). შდრ. თურქ. [nalča „ფეხსაცმლის ნალი"]. ქართული ფორმა მიღებულია გადასმით: nalča > ლანჩა. საინტერესოა, რომ ჭანურში, სადაც ეს სიტყვა ასევე თურქულიდან არის შესული, მეტათეზისი არ მომხდარა და წარმოდგენილია ნალჩი ფორმა (მარი, 1910, 172) – ი. გიგინ.

დიალექტ. **II. ლანჩა** კალათის (და მისთ.) ფართო და სქელი ტკეჩები, რომლებსაც გამოწნავენ თხელი და ვიწრო ტკეჩით (რაჭ. კობახ.). „წაბლის ლანჩა და თხილის ტკეჩი – ამითინ იღობება გოდორი და გიდელე" (საჩ. შარაშ.). || ლაჩი (იმერ.) «გიდლის, კალათისა და სხვ. საწნავი მასალა» («დიალ.») – ქუგლი; ზ.-იმერ. ძოწ. || ლაჩვი (რაცხ. გურ.).

დიალექტ. **III. ლანჩა** ჩლა – ძენძი. *ლანჩა* მოუსვი ქვაბსა! (ძეგ.). ტაროს ფუჩეჩს ისე ვხმაროობთ, *ლანჩათა* (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

ვფიქრობთ, ლანჩა < ჩლა ნაძენძი – დ. ჩუბ., მეტათეზისით და ნ-ს განვითარების შედეგად უნდა იყოს მიღებული.

დიალექტ. **IV. ლანჩა** იარაღის სახეობა (ჯავახ. ბერ.).

ლანძვ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. ლანძვი** || ლანძჯ 1.„ფანჯარა; ბადის სახე რკინა“ (საბა). ვიწრო და მაღალი ფანჯარა, სარკმელი, სანათური. ანდუყაფარ. დაეცა *ლანძვს*, განხეთქა იგი (ქ. ცხ. IV, 434, 19). თითოეულ სართულს გოდლისას თითო გვერდზე თითო *ლანძვი* (სანათური) ჰქონდა დატანებული (გ. წერეთ.). 2. ლითონის ან ხის ზოლები (რამდენიმე რიგი), ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, – გისოსი. დამწყვდეულები... მოსდგომოდნენ *ლანძვებს*, ანჯღრევდნენ და კიოდნენ; «გვიშველეთ!» (მ. ჯავახ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ლანძ- „საკეტი, ფანჯარა, ურდული“ > ქართ. ლანძჯ || ლანძვ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ძვ., სამ., ქართ. II. ლანძვი «მანკანი, კერა, საცეცხლური, ცეცხლა-პირი» (დ. ჩუბ.). „ქმნა... ქირამ... *ლანძჯ* იგი საკურთხეველისა“ (M, II, ნშტ. 4, 11); „*ლანძჯ* ნაკუერცხალსა და შეშაჲ ცეცხლსა“ (O, იგ. სოლ. 26, 21) – ილ. აბულ. მოვიგონნეთ ვიეთნიმე სჯულისა და ქრისტეს კუალთა შედგომილებისათჳს თავის-მსხმელნი *ლანძუთა* და ტაფათა (ქ. ცხ. II, 70, 3).

შესაძლებელია, რომ ლანძვ-ში იგივე ვ დართული ლანძ- ძირი იყოს, რაც გამოიყოფა სიტყვაში ლანძვა. შდრ. ქართ. ლანძ- „ლანძვა“, ლანძავს, გალანძული. ლანძვა „ცხარე ზედაპირისაგან ზედაპირის წვა. შდრ. ს.-ქართვ. *ლაძ-მოხალვა, ლანძვა“ > ქართ. ლანძ-: ზან. რუჯ- < ლოჯ- (ჩუხუა 2000-2003; 2017).

ლაპ-ი:

დიალექტ. **I. ლაპი** ცეცხლის ალი. „ცეცხლი მოეკიდა თუ არა, მაშინათვე *ლაპი* ავარდა“ (ჯავახ. ზედგ.). სანთელს რო უკიდია, *ლაპი* ქვია იმ ალსა (ბერეთისა, ზ.-იმერ. ძოწ.). *ლაპი* ცეცხლის ალია (ტბა). რო ავარდება კაი დიდი ალი, იმას უძახიან *ლაჰსა* (ჩუმათ.); აგრეთვე ხიშ. (ქართლ. ლექსიკ.).

სამ., ახ. ქართ. **II. ლაპი** 1. არს ჴოჴობთა, კაკაბთა, როჭოთა, შურთხთა, ჩახრუხთა, გნოლთა, ასკატათა და მისთანათა მართვი – საბა. || ლაპი, ღლაპი მფრ. უნაკრტენო მართვე მფრინველთა. დურაჯი და ამათივ *ლაპები* ტყემლის მჟავითა შეჭამადად შექნან (იად. 108, 6). გაქცეულთა განართხმიდეს, ვით ქორის ქვეშ მცირე *ლაპნი* (ბეს. 131, 7). **ლაპობა** ბარტყობა. ხოხბის და კაკბის *ლაპობით*, ვეჭვ, თავი შეგაზაროსა (ვახტ. VI, 27, 35, 4). || ზოგი ფრინველის (მაგ., ხოხბის, კაკბის, გნოლის...) ბარტყი. საწყალობლად წიოდნენ ხოხბის *ლაპები* ღიჭიანებში. (კ. გამს.) – ქეგლი. შდრ. ლაპარი (ქიზ. მენთ., გ.-კახ. სახლთხ.). 2. წრუწუნა თაგუთა და მისთანათა – ნ. ჩუბ. **რღაპი, ღლაპი, ლაპი, ლაპრი,** ხოხბის მართვე ზან. (მეგრ. ქობ.).

მზ. ანდრონიკაშვილის აზრით სიტყვა ნასესხებია ოსურიდან. ლაპი [ოს. Læppy „ბიჭი, ყმაწვილი“]; ღ-ლაპი (დამაცირებელი) „პატარა ბავშვი“ (ანდრონიკაშვილი 1966).

ლაპლაპა:

დიალექტ. **I. ლაპლაპა** გრძელი ტანსაცმელი, მიწაზე რომ ეთრევა. „ნამეტანი *ლაპლაპაა* ე ჩოხა“ (ლეჩხ. ალავ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლაპლაპა** მბზინავი, ელვარე. [ორაგულებმა] მოიკაკვეს თავიანთი *ლაპლაპა* ტანი (ი. გოგებ.). „მომეც, გავსინჯო *ლაპლაპა* ცელი“ (ს. ჩიქოვ.). || *ლაპლაპმა* ალმა მარდად შემოურბინა შეშებს გარეშემო (ნ. ლომ.) – ქეგლი. სიტყვა რედუპლიცირებულია. ლაპლაპა <ლაპლაპი.

შდრ. ლაპლაპი, უკომლოდ ნთება, წითლად ჩენა ალისა და ნაკვერცხალთა (ნ. ჩუბ.). ლაპლაპი 1. ცეცხლის ალიანობა, ლაპი რომ ასდის. „ცეცხლმა ლაპლაპი დაიწყო“. „ე ცეცხლი კარქა ლაპლაპემს!“ 2. რაიმე საგნის ბრწყინვა, პრიალი, გასუფთავებული, კრიალა. „მა დააჟანგოს! რო ნახო მაგი ხანჯალი სუ ლაპლაპი გაუდის.“ „ოქრო ისე ლაპლაპემს, რო თვალ მოგჭრის“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ლაპი.

ლაპრ-ი:

დიალექტ. **I. ლაპრი** 1. საჭმელ ხორცზე გადაკრული ძარღვიანი თხელი ფენა, ლაპრიანი ხორცი (ქართლ. ღლ.). 2. **ლაპრი, ლაპრა** ზეზეულად ქერქგაცლილი ხე. ხეს რო გააცლი კანსა და დარჩება თავისუფალი, პრიალებს, ლაპრა ჰქვია იმასა (ატ.). გაქერქილ ხესა ჰქვიან ლაპრი (ატ., ქართლ. ლექსიკ.).

მ. ჩუხუამ ლაპრი სიტყვისათვის აღადგინა ს.-ქართვ. *ლაპრ- „თხელი ფენა, კანი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლაპრი** მუხა (კირ.).

ლაჟ-ი:

საშ. ქართ. **I. ლაჟი** თევზი – საბა. || ვეცხლ თევზა – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ლაჟ, ლაჟ** მიწაჲ წყლიანი ნიადაგი ერთგვარი. **ლაჟ დაგებაჲ** ბოსელში დაგებულ ფიცრებზე ხვრელების გაკეთება, რათა საქონლის შარდმა თავისუფლად იდინოს და სისველემ ფიცარი არ გააფუჭოს. „დანაგებ თახტას ჯრრლ-ჯრრლ ჰჯრრტავდით, ზროხაჲ წყლი გასულაში (მოშარდვისას) სისველეჲ ჩოვდესავ. ეემაგრ განაკეთევებე (ასეთ გაკეთებულზე) ამბოვდნენყ *ლაჟ დაგიგიავ*“ («შინამრეწვ.», ინგ. ღამბ.). შდრ. ლეჟერი 1. ნედლი, ცუდი შეშა (საბა). 2. (გურ.) ზაფხულს ტყეში დამდგარი წყალი წვიმიანობის ან წყალდიდობის გამო (ი. ჭყ.) – ქეგლი. **ლეჟერი** ნესტიანი ადგილი ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **III. ლაჟი** [იტალ. l'aggio] 1. ფინ. ფულის ნიშნების და სხვა ფასიანი ქალლდების კურსის აწევა. 2. კომერც. ფასეულობის ბირჟაზე გაყიდვის დროს თანხის დანამატი – ქეგლი.

ლართხ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლართხი** 1. ურემთ ძირს გასაკრავი ფიცარი – დ. და ნ. ჩუბ. ურემზე დაგებული ფიცარი. [პავლე] მიეგდებოდა... ურმის ხმელ *ლართხებზე* (ეკ. გაბ.). უბე [ურმისა] გავაწყე *ლართხებით* (რ. ერისთ.).

2. (ფშ.) გრძელი ჯოხი – ქეგლი; ქართლ. ლექსიკ. 3. გადატ. უსუსური, უღონო, გამხდარი ცხენი (ქართლ. ღლ.). **გამოლართხული** შიმშილით ფერდებჩაცვივნული, ძალიან გამხდარი (საქონელი). *გამოლართხულები* მოვიდნენ ნახირიდანა, ფერდი ფერდს აკრავთ ბროხებსა (კარალ.). *გამოლართხული* ხარები რო შეგიბამს, ცოდით როგორა სცემ სახრესა?! (ტყვ., ძეგ. ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **ლართხი** ძლიერ სველი. ლართხი შეშა (რაჭ. კობახ.). „გავხადე კაბა *ლართხი*, გასაწურველი" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ლართხალურთხ-ი:

დიალექტ. I. **ლართხალურთხი: ლართხალურთხი გაუდის, გააქვს** ძლიერ დასველებულია, გალუმპულია. სველი რო მოდის ადამიანი, ტანისამოსი აქვს დასველებული, იმაზე იტყვიან. *ლართხალურთხი* გაუდის სულაო (ოძ. ქართლ. ლექსიკ). *ლართხალურთხი* გააქს კაცსა, სად უნდა წამოვიდეს, დააცადე, გამოიცვალოს (კარ.); აგრეთვე კარალ., ქვ. ჭ., ოძ., ქემ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). ფუძეგაორკეცებული სიტყვაა. შეცვლილია ხმოვნები სეგმენტებში. იხ. II. ლართხი.

დიალექტ. II. **ლართხალურთხი**: ფერდებჩაცვივნულია (შიმშილით) მშიერ საქონელზე ამბობენ *ლართხალურთხი გააქვთო* (ტყვ.); აგრეთვე კარალ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. ლართხი.

ლარტყ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ლარტყი** ლარტყა, – ბრტყელი ლატანი – საბა, ქეგლი. || ოთხკუთხა და ბრტყელი ძელი სხვადასხვა დანიშნულებისა – ქეგლი. აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., ზ.-იმერ. ბოწ. **ლარტყა (ლარტყა)** ლარტყა ზან. (მეგრ. ელ.).

ბ. გიგინეიშვილის მიხედვით, ლარტყა უკავშირდება რტყ- ძირს, რომელსაც „რტყმის", „შემორტყმის" მნიშვნელობა აქვს. თუ ეს ვარაუდი სწორია, ამ სიტყვაში უნდა გამოიყოს ლა, როგორც პრეფიქსული ელემენტი. ლა- თავსართი ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურისათვის არის დამახასიათებელი (ქართულში მას სა- შეესატყვისება, ზანურში კი – ო.). ამიტომ ლარტყა სვანურიდან ნასესხებად ჩავთვალოთ (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ლარტყი** წყლის მწვანე ხავსი. „... ამაში *ლარტყი* გაჩენილა და გამორეცხე ერთი ..." (საჩ. შარაშ.). შდრ. ყლარტი ქეგლი; იმერული, რაჭული და სხვ.

ლასტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლასტი** 1. დაწნული ილეკრო, თუ წკეპლი – საბა. || წკეპლებისაგან დაწნული ჭილობი; კაბდო-ლასტი; ლასტიჯვანი წკეპლებისაგან დაწნული დიდი გოდორსავით რამ – დ. ჩუბ. || წნელის ბრტყელი

წნული (სინონ. იმერ. გურ. ჩელტი). || კერის თავზე ეკიდა *ლასტი*, ხაჭოს კვერების საშრობი (ვაჟა). მარო და ბაბუცა... პაწია წვრილი წკეპლებით პატარა *ლასტსა* წნავდნენ (ნ. ლომ.). გაიჩინე *ლასტზე* ჭია, აბზრიალე თითისტარი (გ. ლეონ.). ფარეხის წინ ძებვით შემობაკილი იყო კარგა დიდი ადგილი, რომელსაც *ლასტის* კარები ჰქონდა შებმული (შ. არაგვ.) – ქეგლი. || წნელისაგანმოწნული ჩელტი, რომელზედაც თაველ ღომს ყრიდნენ (გურნა, ოკრიბ. ზ.-იმერ. ძოწ.). 2. თხელი წნელი, ხის ფირფიტა. „*ლასტები* დუუსია და გოდორ ქსოვს“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ. || **ლასტი, ლაჲტი** ამოჯარულად დაწნული ჩელტი, ბრტყელ ფიცარსავითაა. ზედ ჩირს გაფენენ გასაშრობად. „*ლასტს* ვუგებდით ბელურაებს, ვერ გვხედავდნენ მუხანათსა“ (რ. ერისთ.) – ქეგლი. || შალის სათელი (მთ. მაკალ.) – ალ. ღლ. 3. ნესვ-საზამთროს ბაღში ნათესი ზოლ-ზოლად გადასდევს. ერთი მწკრივის ნათესი რომ გაიზრდება და მეორე მწკრივის ნათესს შეერევა და გადაებმება, ამასაც *ლასტი* ეწოდება (ქიზ. მენთ.). *ლასტი-ლასტზე* რო გადავიდეს -ორი საჟენი, ზოგი სამ საჟენზეც გადავა, თუ ამპარტავანი მამულია, *ლასტი* ზოგ ხუთ საჟენზეც გააქვს (ქიზ. მრეწ. IV, III, 10). 4. მეტად გამხმარი (ცხოველი ადამიანი). „ე რა ვნახე, მარტო *ლასტი* დარჩენილა, ასრე რამ მილასტა!“ იხ. გალასტილი, მილასტილი. 5. აქეს ერთმანეთზე შეტყუპების მნიშვნელობა. რამეს რომ დააკრავენ ან გააკრავენ და კარგად შეეთავსება, მოწონების ნიშნად იტყვიან „იფ, რა კარგა *გაელასტაო*“ (ჯავახ. ზედგ.). 6. ლასტ ლობიოს ვეძახით ჩვენე, მარცვალი რო არ აქ (სვერი). ლობიოში *ლასტი პარკი* ურევია (მოხვა); წადი, შვილო, *ლასტი ლობიო* მოკრიფე (ღოდორა, ზ.-იმერ. ძოწ.). 7. ლასტის ძირი: (ნესვსა და ყარფუზს) ყუნწსა და *ლასტი* ძირში ერთი პწკალი აქვს (ქიზ. მრეწ. IV, III, 10).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლასტი** 1. კარგი, სწორი, დავარგებული. *ლასტი ტარო* მჭიდრომარცვლებიანი, დიდი, გრძელი, კარგი ტარო. სულ *ლასტი* ტაროები აქ წრეულს სიმითს (ტაბაკინი, ხიდარი, უჩამეთი); ზინობიამ ყველას დოურიგა *ლასტი* ტაროები (საღვინე); დედა, რა *დალასტულია* სიმიდი, რა კაი *ლასტებია*! (სანახშირე, ზედა საქარა, ფუთი, I, II სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.). წრეულ კაი მოსავალი იყო, მეტი წილი *ლასტი ტარო* გადავარჩიეთ. დიდვრანები (მესხ. ფეიქრ.). 2. ჭყინტი, მოუსვლელი, დაუვარგებელი. რო გამეერევა ჭყლინტი, იმას ქვია *ლასტი ტარო*, კაი მოსულ სიმიდში *ლასტი ტარო* დარჩა ბევრი (ჩიხა, სავანე, ჯალაურთა, ზვარე, მოხვა. ზ.-იმერ. ძოწ.).

კოლხურად სიმინდს ლაზუტი ან ლაიტი (ლასტი) ჰქვია. რაც ლაზთას, ლაზების მცენარეს ნიშნავს. ეს სახელწოდება შესულია თურქულშიც. მაშასადამე, სიმინდის კულტურა ლაზებში ძალიან ადრე გავრცელებულა და აქ გასცნობიან მას პირველად თურქებიც (ჭუმბურიძე 1987: 67). ლაზუტი > ლაუტი > || ლაიტი (ჯიქია 1944: 234).

ახ. ქართ. III. **ლასტი** [გერმ.] ზღვ. 1. რუსეთში – სავაჭრო გემების ტევადობის ძველებური საზომი ერთეული; უდრის 5, 66 კუბ. მეტრს. 2. ხომალდის ტვირთის წონის ერთეული (განსხვავებული ზომისა როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, ისე ტვირთის სახეობის მიხედვით; დაახლოებით 1.000-იდან 5.000-მდე კგ.) – ქეგლი.

ლატ-ი:

ახ. ქართ. I. **ლატი** ხის ან პლასტმასის თხელი ბრტყელი მოქნილი ლარტყა, რომელიც ჩაისმება იალქანზე ჩაკერებულ ჯიბეში. მოკლე ლატების დანიშნულებაა იალქნის უკანა ნამგლისებური ქობის დაჭერა საჭირო მდებარეობაში, ხოლო იალქნის მთელ სიგანეზე გადაჭიმული გრძელი ლატებისა – მისთვის სიხისტისა და სწორი აეროდინამიკური პროფილის მიცემა (დ. ვარძ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლატი** (რაჭ.) ერთგვარი ბალახი, ღრუღეროიანი, მთაში იზრდება («დიალ.») – ქეგლი. || თეთრი დიყა, მცენარეა (მთ., რაჭ. ა. მაყ.). **ლატაკა** || **ლატა** ლატი?ერთგვარი ბალახი ღრუღეროიანი იზრდება მთაში ზან. (ლაზ. თანდ.).

ლატა:

დიალექტ. I. **ლატა** ხის წვრილი მორი. „ხარებ რამთენიმე *ლატა* დაუმბი და წამოვიღე". „*ლატას* კოჭებათ უდემდით" (ჯავახ. ზედგ.). || ლარტყა (გურ. ღლ.).

ახ. ქართ. II. **ლატა** (latah; лата) მწვავე ტრანზიტორული ფსიქოზი. ზოგიერთი კულტურისათვის (მაგ., მალაიზიელებისათვის) დამახასიათებელი ქცევის ტიპი. (ექოპრაქსია) (გ. გოგიჩ.).

ლაფა:

დიალექტ. I. **ლაფა** თიხის გუნდა, რომელსაც მეჭურჭლეები ჭურჭლის კეთებისას ხმარობენ (ქიზ. მენთ.). || საჭურჭლედ დაზელილი და გათხელებული თიხის ნაჭერი. თიხის დაზელის შემდეგ ავჭრით *ლაფებადა*; ლაფებს დავაწყობთ ფიცარზე და ზემოდან დავაფარებთ ნაჭერს რამეს, რო არ გახმეს (მეჯვრ.). რო დავზელამთ, დავჭრით *ლაფებათ*, ოცი- ოცდახუთი *ლაფა* უნდა გამოვიდეს (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.). || ლაფა-მშრალა (ს. ჯუთა) ჟანტი-მშრალა (ხევს. ჭინჭ.). **ლაფა** < **ლაფი**. **ლაფი** ცუდმადი ასვრილი თხლად – საბა. **ლაფი** (**ლაფი**) ლაფი ზან. (მეგრ. ელ.).

საშ. ქართ. II. **ლაფა** სალაფავი – დ. ჩუბ. ჰრ. აჭარიანის აზრით, შემოსულია სომხურიდან [შდრ. სომხ. lap'] „ძაღლის საჭმელი", „სალაფავი" (აჭარიანი 1973: 269) – ბ. გიგინ.

დიალექტ. III. **ლაფა ლაპა**, თოხლო. „უმუუხარშავი კუერცხი *ლაფაა*" (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. IV. **ლაფა** მუხუდოსავით (მუხუდო), ფლავის პირისთვის. მარცვალია, ერთგვარი სისირის მსგავსი, მხოლოდ წვრილი და დაყოფილი. ლაფას ხმარობენ ფლავის ზედაპირისათვის. *ლაფას* სიმაგრის გამო ძალზედ ხარშავენ, შემდეგ ადუღებენ ქიშმიშთან ერთად და აყრიან ფლავს ზევიდან. ამგვარ ფლავს უწოდებენ ყაბლუ ფლავს. – ი. გრიშ. შდრ. **ლაპა-ბრინჯის** ხარშო (საბა). ლაპა [თურქ.] ფაფა. „იდუღოს უნდა კარქა, ლაპანა გახდეს ძე და აყირო“ (მ., ჩვენ. ფუტკ.).

ლაფან-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ლაფანი** 1. ხე – საბა. || [Pterocarya fraxinifolia] საშუალო სიმაღლის ხე კაკლისებრთა ოჯახისა; გავრცელებულია მდინარეების ნაპირებზე. წისქვილზე დაშორებით, მდინარის პირად, *ლაფნის* ტყე მდებარეობდა (ლ. ქიაჩ.). რა არ გამოუტანია ტყიდან...: საფიცრე მორები: წიფლისა, წნორისა, *ლაფნისა* (ს. შანშ.) – ქეგლი. 2. ხრალი, ხის ქერქი გრძლად დახეული – დ. ჩუბ.; ქსოვილი, რომლითაც ხდება ორგანული ნივთიერების მოძრაობა მცენარეში (მერქნიან მცენარეებში იგი ქერქის შიგნითა ნაწილს შეადგენს). *ლაფნის* საბმურით შეიბა, მაგრა შეიკრა წელია (ვაჟა). **ლაფანივით** როგორც ლაფანი (მნიშვ. 2) (იტყვიან, მოქნილზე, მოშვებულზე). ეონა, *ლაფანივით* მოშვებული, გაშხლართულიყო მიწაზე (ვ. ბარნ.). [თიკო] *ლაფანივით* მოიქნა, მოეშვა და ისე მისუსტდა, დათიას გულზე მისვენებული, რომ განძრევის თავი აღარ ჰქონდა (შ. არაგვ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ლაფანი** იგივეა, რაც დანდალი, ლამფა. *ლაფნები* გაყრილია ზესადგარში და უწყვეტებიც, მაგრამ უწყვეტები ზესადგარის გარეთ გამოდის და ზევიდან დამაგრებულია რიკით (განთიადი); *ლაფანი* აერთეფს ზესადგრეფს (შრომა); ჩვენში საფენელსაც უძახიან და *ლაფანსაც* ზესადგრეფში გაყრილ ფიცრეფს, რომელიც 9-10 ცალია (ხიდარი, ზ.-იმერ. ბოწ.). || **ლაფანა:** აქა ლაფანაც იხმარება და დანდალიც (ქვები, ზ.-იმერ. ბოწ.). **ლამფირი, ლოფინი** ფიცრით, ლოფინით, ფირფიცრით მოპირკეთებული, მოჭედილი ზან. (მეგრ. ყიფშ.).

ლაფარა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლაფარა** 1. (იმერ.) ფქვილის ამოსაღები კოვზი (ბ. წერეთ.) – ქეგლი. || საფქვილიდან ფქვილის ამოსაღები ხის ან ლითონის კოვზი თუ ჩოგანი. მადერ არი *ლაფარა*, ამეიღე და ერთი *ლაფარა* ფქვილი ჩამიყარე (ქორეთი, ღოდორა) 2. ძლიერ პატარა ხის ბარი, რომელიც იხმარება ჭურის ფარფლზე აყალოს შემოსაცლელად (მანდაეთი, შუქრუთი) და ბარსა და თოხზე ტალახის ჩამოსაცლელად (ჩიხა). *ლაფარა* პატარა ბარია, იმით ჭურის თავს ირგვლივ მოვფხიკამთ (შუქრუთი). 3. მხლის დასაკეპი და ღომის ქაფის მოსახდელი ან ღომის ამოსაღები ხის პატარა ნიჩაბი (სინონ. ჩოგანი). ფხალის საკეპია ესე, *ლაფარას* უძახით (ბერეთისა). ღომს ურევთ

ლაფარათი, ჩოგანი და სუთი აქ არ იციან (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.). || ლაფერა იგივეა, რაც ლაფარა. ალადან ფქვილს ვიღებთ ლაფერათი (ზვარე) (ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიე., ჯავახ. ზედგ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლაფარე, ლაფარო, ლაფარა** (იმერ. გურ.) შენობის ირგვლივ ადგილი, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს. ჯარგვლის *ლაფარეს* კაცის ლანდი მოსწყდა (ლ. ქიაჩ.). ჭიშკრის ჭრიალზე *ლაფაროდან* ძაღლი ყეფით გაექანა (ნ. ლორთქ.). ოდის *ლაფარაში* ორად გაყოფილი კაკლის ხეა (რ. ქორქ.) – ქეგლი. **ლაფრი, ლაფჯრი** სახურავი, ხუფი (სვან. თოფ., ქალდ.).

ლაფარო < ლა-ფარ-ო (ლაფარ-ო... აშკარაა, წარმოქმნილია ფარვა-საგან ლა-ო აფიქსებით (ერთელიშვილი 1980: 131). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ლაფას-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლაფასი** (კახ.) ქოშინი – ქეგლი. || დამბლასავით. აქედან: ლაფასიანი დამბლადაცემულივით, დონდლე, საქმის კეთება რომ უჭირს; მალე რომ იღლება; აღმართს ვერ აივლის, ქშენა აუვარდება (ქიზ. მენთ.). || (კახ.) ვისაც ან რასაც ლაფასი სჭირს. [ლოთი] ლაფასიანი ინდაურივითა ბარბაცებს (დ. მაჩხ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლაფასი** (რაჭ.) ◊ **ლაფასი მოიკლა** ოდნავ დანაყრდა – ქეგლი.

მიგვაჩნია, რომ ორივე ომონიმი მომდინარეობს სიტყვიდან ნაფაზი [არაბ. ნაფას «სუნთქვა»; «გადაყლაპვა»] 1. თამბაქოს ბოლის ფილტვებში ჩაშვება, ჩაყლაპვა. 2. ძვ. «გულზე ხიხინი», სუნთქვის შეკვრა (დ. ჩუბ.). ნაფაზი ცხენისა (დ. ჩუბ.) – ქეგლი.

ლაფჩინ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლაფჩინი** 1. [თურქ. ლაფჩინ] (იმერ.) ერთგვარი წაღა. კუთხეში ტალახიანი *ლაფჩინები* ყრია (დ. ზედგ.). «ბოშო, წამო შენც, *ლაფჩინს* გამხდი!» (დ. კლდ.). «რატომ არ გაუწმინდე *ლაფჩინები* ბატონს?» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. || ლაფჩინ [აზერ. ლაფჩჳნ] კაცის ძველებური ფეხსაცმელი, წაღის მსგავსი. რბილი ტყავისაგან იკერებოდა. *ლაფჩინევ* უწინდელ დროზე ბაშმაყევ ყოფილ. ყელიან პატინკევივი (წაღასავით) კაცევიბე კეჰტეოდა (კაცებისათვის იყო), ემას თუმაჟით აკეთევდნენ. 2. ამავე მასალისაგან შეკერილი ქალის უქუსლო ფეხსაცმელი, ჩუსტისა თუ ქოშის მსგავსი. *ლაფჩინევს* დედაკაცევიც იცომდნენ სახში, თუმაჟით იკერეოდა, უკან იმას ქუსლევ არ ჰქონი, ერჟე (მხოლოდ) თითევ ჩააცმელი (ჩასაცმელი, გასაყრელი) ადგილ ჰქონი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **ლაფჩინ, ლაფჩინ ბალახ, ლაფჩინაი** ერთგვარი ბალახი. *ლაფჩინ* ბალახ ნაჭყანტში კეჰტევ (არის), ჰათაარაც ყაზი ფეყევ (ბატის ფეხებივითაა). ბალახ არ ქნოვაში ზრობაი ჭამს (ინგ. ღამბ.).

ლაღანდარ-ი:

სამ. ქართ. **I. ლაღანდარი** [ლაღანდრა] Cb) ამოწერილის ფერი – საბა. „ამოწერილის (წერაში ანუ მელანში ამოვლებულის“) ფერი. ზურგი ჰქონ-ბური *ლაღანდრად*, მნახავთა გამაკვეტისა, / სხუადასხუა ფერი მრავლო-ბით, აღრიცხულთ დანამეტისა! (ქილ. 863, 6).

დიალექტ. **II. ლაღანდარი** უსაქმოდ დროს ტარება და ხეტიალი (გურ. შარაშ.). „შვილი ერთი ხავს, იგიც *ლაღანდარია*, არც შობლებს არგია და არც ქვეყანას“ (გურ. ჯაჯან.). || ლაღანდარაი ყურადღებაგაფანტული, არაგულისხმიერი. „ამქფერი ლაღანდარაი კაცი ჩემ მტერს!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || ლაღონდარა (ქართლ.) უსაქმო, ლაზღანდარა – ქეგლი. ვფიქ-რობთ, რომ ლაღანდარა < ლაზღანდარა.

შდრ. სპარს. l ლაზღანდარა, ლიზღი, უშვერად მოხუმარი – დ. ჩუბ., ქეგლი. ლაზღანდარა ულაზათო, უხამსი ოხუნჯი, ხუმარა – ქეგლი.

ფრ. ნაისერის აზრით, ეს სიტყვა კომპოზიტია და შედგება ლაღ- (> ლაზღ) და ანდარა ნაწილებისაგან. მეორე კომპონენტი ავტორს მიაჩნია იმავედ, რაც არის კაფანდარა სიტყვაში და წარმოადგენს ატარა-ს (-ატა+რა) ვარიანტს (ნაისერი 1953). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ლაღე:

დიალექტ. **I.** ლაღე სწორი ჯოხი (ან სხვა რაიმე) რომლითაც მარ-ცვლეულით სავსე ჭურჭელს (პირზე გადასმით) ზედმეტ მარცვალს გადა-აცლიან ხოლმე (იმერ. გაჩ.). *ლაღემოსმული* ჭურჭელი პირამდე სწორად სავსე || გადატ. თანასწორი, ტოლი. „ე ბოვშვები პირდაპირ *ლაღემოსმული* არიენ“ (იმერ. გაჩ.). || ლაღა (ქეგლი, ზ.-იმერ. ძოწ., ქართლ. მესხ., ლეჩხ. ალავ.). *ლაღა* ლაღაგადასმული, გასწორებული ზან. (მეგრ. ელ.).

წონის ერთეულის აღმნიშნელია მეგრულში ლაღარიკონი, რომე-ლიც სასწორსაც აღნიშნავდა ამ ენაში. დოკუმენტებში ეს სიტყვა გვხვდება ლოღარიკონის, ლოღარიკის, ლაღარიკის სახით... ლაღარიკონი || ლოღა-რიკონი მეგრული სიტყვა ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ლაღა || ლაღე უცილობლად საერთო ქართველური სიტყვაა. სვანურისა და ზანურისაგან განსხვავებით ის ქართულიდან ადრე გამქრალი ჩანს, რად-გან აღმოსავლურ ქართულ კილოთა ლექსიკაში ამ სიტყვას ვერ ვხვდებით. მის ნაცვლად აქ სილა იხმარება (ბებია 2003).

ლ. კელაურაძემ ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით აღად-გინა ს.-ქართვ. *ლაღ- ძირი კელაურაძე 2018: 32.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლაღე: 1. *ლაღე ღვინო** (ძმარი) სუსტი, ძალა-გამოლეული ღვინო (ძმარი). „*ლაღე* ღვინოს ხომ არ დაალევიებდა სტუ-მარს“ (იმერ. გაჩ.); მოლაღვა ლაღედ, რბილად, სუსტად გახდომა, დარბი-ლება, ძალის დაკარგვა. „კაი იყო აი ღვინო, მარა ახლა სიცხები რუა, მო-ლაღდა“ (შემ., გურ. ჯაჯან.). *ლაღე* ღვინო სუსტია, მაგარი არ არი (მანდაე-

თი, ზ.-იმერ. ბოწ.). გალაღება ღვინის ან ძმრის გაწყალება. ღვინომ იცის გალაღება, მერე წყალივით არი. გალაღებული ღვინო ან ძმარი გაწყალებული. „*გალაღებული* ღვინო რაღათ ვარგა!“ (იმერ. გაჩ.). 2. სუსტი, რბილი. რკო *ლაღე* ყურძენია (რგანი, ზ.-იმერ. ბოწ.). იხ. II. ლაყე.

ახ. ქართ. III. ლაღე, ლაღედ ზმნს. თავისუფლად, ხალვათად. ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო: ჭალას ჩიტი მომკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში *ლაღე* იყო (ხალხ). ფიგურ. სწორედ ამ ჩიტის ამბავი დაემართა ადამიანის ჭკუასა და ლოღიკასა ჩვენს დროში: აღარც დიდ თავში ეტევა და პატარაშიაც ლაყეა თუ *ლაღეა* (ილია) – ქეგლი. || ლაღი სუსტი, მოშვებული, თავისუფლად მოძრავი რაიმეში. „ძიენ არ მოუჭირო, საბელი, ჩააჭრის საკიდ, *ლაღად* იყვეს“ (ჯავახ. ბერ.). მოლაღება გულისა ისე გაძლომა, რომ აღარ იზიდავს. „ისე მოლაღებული მაქ გული, რომ როისმე თუ ვჭამ, აღარ მგონია“ (გურ. შარაშ.).

ლაღლაღ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ლაღლაღი 1. წყალში ქანება – საბა. „ეს ქოთანი წყალში *გაალაღლაღე*, რაღაცეები აქს, მოსცილდეს“ (ჯავახ. ზედგ.). ლაღლაღ, გალაღლაღევა, გ(ა)დალაღლაღევაი წყალში გაქნევ-გამოქნევით გავლება (სარეცხისა, ხილისა მწვანილისა და მისთ). ქინწ, ტორახუტ (კამა), რეჰანდ... ჰკრეფენ, წყალში კაიგორა (კარგად) ალაღლაღევენ, მევღნი (მერმე) გომოჰკუნწენ, შიჰმელში აგდევენ (ინგ. ღამბ.). 2. (ქართლ.) პირში წყლის ჩაგუბება და ჭანჭყარი («დიალ.») – ქეგლი. „ეჰ წამალი არ' ნა ჩაყლაპო, პირში *გამოილაღლაღე* და გადააქციე“ (ჯავახ. ზედგ.). 3. ჭყუმპალი; წყლის გადავლება, გადაბანა. კაც ლაღლაღოვდა წყალშიავ; გადავლაღლაღდ, ემეველ ჯევიშიგაიათი (მდინარიდან) (ინგ. ღამბ.). აგრეთვე ჩვენ. ფუტკ. || რყევა, ლახლახი „ე კბილი ისრე *ლაღლაღებს* რო ბაფითაც ამოაძრომ“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. II. ლაღლაღი ზედმეტი ლაპარაკი, ლაყბობა. „ბევრი *ლაღლაღი* იცის მაგან“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). ლაღლაღ, ლაღლაღოვაი ლაქლაქი, ლაყბობა. რაი *ლაღლაღოვა* (რას ლაქლაქებ), შენც არ იციხარ; აგბაინი, ლაღლაღოვს (უსაქმოა და ლაქლაქებს (ინგ. ღამბ.); შდრ. ლაღლაღაი [აზერ.] ლაქლაქა, მოლაყბე (ინგ. ღამბ.).

ლაყაბ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. ლაყაბი ბვ. ლაყაფი. მეც მომეწყინა *ლაყაბი* ბევრი (თეიმ. I) – ქეგლი. ლაყბობა სახელი ლაყბობს ზმნის მოქმედებისა, – ბევრი და უსაგნო ლაპარაკი. ყბედობა. სხვასთან ლაყბობის თავი სრულებით არა მაქვს (რ. გვეტ.). «ზოგის ლაყბობას რას უყურებ, რა ბედენაა ჭორი» (მიხ. მრევლ.). «ლაყბობის დრო აღარ არის» (მ. ჯავახ.) – ქეგლი.

მ. ბერიძე და ლ. ბაკურაძე მიუთითებენ, რომ ფერეიდნულ დიალექტში ლაყაბი || ზედმეტსახელი ეპონიმის მნიშვნელობით გვევლინება და შტო-გვარის ჩამოყალიბებას უდებს სათავეს. მეტსახელის მნიშვნელობით არაბული წარმომავლობის ტერმინი ლაყაბი დასტურდება აჭარულ დიალექტშიც ფონეტიკურად სახეცვლილ ვარიანტით ლაღაბი (ბერიძე, ბაკურაძე 2020: 750).

ლაყაბი < ლაყაფი [სპარს. ლაყაბ „გრძელი წერილი", «გრძელი სიტყვა»] მზ. 1. უსაქმური ლაპარაკი, – ლაყბობა, ყბედობა; ჭორი. ვინ ჩაგიგდებს ამას მწერლობად? უბრალო «ლაყაფიაო», ჩაიხუმრებენ (შ. დად.). სარუშას კაცი აახლეს შეჯდა მობრძანდა გმირია. რას ვაგრძელებდე, ლაყაფი გრძელი – ცუდი და მწარია («შაჰნამე»). 2. ყბედი, ჭორიკანა. «ერთმა ლაყაფმა აზნაურმა ეს როგორ უნდა მოახდინოს?» (ზ. ანტონ.) – ქეგლი. **ლაყაბ** ხუმრობა, მასხრობა (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. **II. ლაყაბუჩი || ლაყაბი** 1. პირში ამოსადები, აღვირი, რომელსაც უკეთებენ ხბოს, თიკანს და მისთანათა, რათა დედასთან ერთად ძოვების დროს ვერ შეძლოს ბუძუს გამოწოვა, ბუძუზე პირის მოდება. 2. დაკაბალება, დამორჩილება. „ხბოს ლაყაბუჩი მოვდე და საბუარზე ზროხასთან ერთათ გუუშვი" (თ. ქ.); „თავრობას ინსანზე ლაყაბუჩი აქ მოდებული და მის ჭკუაზე გვარბენიებს" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || „ამწიეს და ცხენზე შემსვეს, /*ლაყაბ* ვუჭირე კიდეო" (აჭ. ხ. პოეზ. აჭარ. ნიჟ.).

ლაყე:

ახ. ქართ. **I. ლაყე** 1. გაფუჭებული, აყროლებული (კვერცხი). უცებ სცენაზე დავარდა ერთი *ლაყე* კვერცხი (თაგ.). || საუბ. გადატ. საერთოდ, გაფუჭებული, ცუდი, არა მყარი (რამე). «გამიშვით! ერთი დავაკერო (დავცხო) და, თუ *ლაყე* საზამთროსავით არ გასკდეს, ჩემი სიყმე მოკვდეს!» (ა. ცაგაბ.). 2. საუბ. გადატ. მოუხერხებელი, დონდლო, უშნო, უფხო, უნიათო (ადამიანი). ◊ ლაყე თავი საუბ. გადატ. უტვინო, უჭკუო თავი (ადამიანისა). ლაყეთავიანი საუბ. ლაყე თავის პატრონი, – უტვინო, უჭკუო. «იმიტომ წავიდა [მეფე სოლომონის] საქმე კარგად (ცუდად; ირონ.), რომ თქვენისთანა *ლაყეთავიანები* გააახზაურა!» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. შდრ. ლაყი [სომხ. ლაკ] BCDE. კვერცხი წამჭდარი – საბა.

სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს ლაყლაყ-ს („ხმა, რომელსაც გამოსცემს შენჯღრევისაგან. ლაყე კვერცხი ან სითხე ნაკლულ ჭურჭელში"). ლაყლაყი, თავის მხრივ, შესაძლოა მოდიოდეს არაბული სიტყვისაგან laqlaqa „კაკუნი", გაბზარვის ხმა" (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. ლაყე** იგივეა, რაც ლაღე. ვენახსა რასაც მალე მორწყამ *ლაყე* წამლითა, ის ჯობია; მეტ შაბიაბანს რო მიცემენ, წვამს ისი. *ლაყე* წამალი ცოტა ბილია და ვენახისთვინ ის ჯობია (ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ლაღე.

ლაშლაშ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ლაშლაში** «ცუდი საუბარი» (საბა), – ლაქლაქი; ყაყანი. გზატკეცილზე... გლეხების *ლაშლაში* იდგა (კ. ლორთქ.) – ქეგლი. || ლაშუნი ლაყბობა, ყბედობა (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ლაში „პირის ქვედა ბაგე» (საბა). ივარაუდება ლაშ-ფუძის გაორკეცება.

დიალექტ. II. **ლაშლაში** ლასლასი – ი. გრიშ. შდრ. ლასლასი უღონოდ, ძლივძლივობით სიარული (სისუსტისაგან...) – ქეგლი.

შდრ. ლასლასი ავი ფრენა – საბა. ლაშლაში < ლასლასი. ს-სა და შ-ს მონაცვლეობა. სიტყვა ფუძის გაორკეცებით უნდა იყოს მიღებული. აღდგენილია ს.-ქართვ. *ლას- „ფრენის სახეობა“ (ჩუხუა 2017).

ლაშქ-ი:

დიალექტ. I. **ლაშქი** გრძელი ჯოხი; აკრავენ თივას, ძნას; რომ გადაზიდვისას არ დაიფანტოს. *ლაშქს* ზეიდან დააკრავენ თივას, რო არ დაიპნეს, ჩალას რო დაუდებენ, ან ყანასა – მაშინაცა (ხამ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ლაშკინი ფრჩხილაები, რომელთა სართოულაზე აკრავენ ხეს სათრევად (იმერ. გაჩ.). || ზემოიმერულსა და შუაიმერულში ჩოჩიალა (აჩაჩა) ურმის ფრჩხილას (ხელნას) ეწოდება. დღემდე შენიშნული იყო მხოლოდ ზემოიმერული ფორმა ლაშქინი. ლეჩხუმურში ლოშკინი გამოხატავს მსხვილი და გრძელი ხის დაკვრას ჩოჩიალა ურემზე ისე, რომ ტაფა-ფრჩხილა დაშორებულია ურემს... ლეჩხუმურში ლოშკინი აგრეთვე გაბანდული მარხილის ჭოკსაც აღნიშნავს... სვანურში ცნობილია ფორმა ლოშგინ (ალავიძე 1959: 181).

დიალექტ. II. **ლაშქ** [აზერ. დიალ.] ცუდი, უვარგისი, მჭლე ხორცი (ინგ. ღამბ.). შდრ. ლეშკი ცუდი ჯორცი – საბა.

ლახა-ი

დიალექტ. I. **ლახაი** ლოქო. წყალზე მაიგდევს. ერ *ლახას* (ინგ. ღამბ.). იხ. IV. ლოხი.

დიალექტ. II. **ლახაი** [აზერ.] თავდაუხვეველი კეჟერა კომბოსტო (ინგ. ღამბ.). თავ არ მანახევ ქალამს *ლახა*-ს ეძახიან (საინგ. მრეწ. IV, III, 255). შდრ. ლახანა [ბერძ. lachanon-იდან ბოსტნეული, მწვანილი] [Brassica oleracea var. capitata] კომბოსტოს ყველაზე გავრცელებული სახესხვაობა, რომელსაც ახასიათებს თავდახვეული ფოთლები, – თავხვეული კომბოსტო – ქეგლი. აგრეთვე მესხ. ფეიქრ. ლახან-ი || ლახანა [ბერძ.-თურქ. ლაჰანა] კომბოსტო (თქლ) „ლახანს გავაკეთავთ“ (დაბა ბორჩხა). „ლახანას გავაკეთავთ“ (ბაგინის იაილა, ნიგ. ბერ.). **ლახანა** კომბოსტო (სვან. თოფ., ქალდ.). **ლახანა (ლახანა)** კომბოსტო ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. III. **ლახა** სახლის ღუმელი. (ქუნთს), ილისუელები, ლეკები *ლახაზე* (სახლის ღუმელი) გადასახურათ ხმარობდნენ ხოლმე მეტწილათ (საინგ. მრეწ. II, II, 65).

ლახვარ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლახვარი** პირფართო საჭურველი რკინისა ბუნგრძელი – ნ. ჩუბ. **ლახუარი** შუბი, «მაზრაკი»: „არა ესუენ *ლახურებსა* მათსა“ (O, ივდ. 7, 9); „მოუღო *ლახუარი* და მოკლა იგი *ლახურითავე* მისითა“ (M, I ნშტ. 11, 23); „(დაჭრენით) მანგლები თქუენი *ლახურებად*“ O, – „დაჭრენით... მანგალნი თქუენნი მაზრაკებად“ (pb., იოვ. 3, 10) – ილ. აბულ. გამორკვეულია, რომ სტრაბონის დროს საღმრთოს შესაწირავად ჯაჭვსა და *ლახვარსა* ხმარობდნენ (ივ. ჯავახ.). [მხედარი] მიეჭრა გათამამებულ გველეშაპს და უგმირა *ლახვარი* (აკაკი) – ქეგლი || „დანასავით არი, სეფისკვერის პურს ჭრიდენ ხომე ღვდლები“. „*ლახვარი* და ღრუბელი შოუწირავსყე თათრებს მაშინ“ (იმერ. გაჩ.). გადატ. ვინცა ისმინოს, დაესვას *ლახვარი* გულსა ხეული (ვეფხ. 4, 4). თუმცა ეშოვნა *ლახვარი*, დაეხეოდა შუბოსა (თეიმ. I, 93, 237, 3). გულმან ხელმან, სევდიანმან, აწ *ლახვარი* მიდგა ისო (ი. ტფ. 655, 341, 3). გადატ. მეწყალვი, ვნახე, გლახ, შენი ჩემთვის *ლახვარზე* მიგება (თეიმ. I, 63, 2). მკრა ეშხის *ლახვარი* დანასობითა (ბეს. 53, 9). || წყევლა: „მაგი მთქმელ *ლახვარი* ეცეს“ (ჯავახ. ზედგ.). **დაილახვრების, მაილახვრებიან** დაიწყევლება, მოისპობა. „დაილახვრენითავ, ეშმაკებო, თავისა შასვითაო-დ' შაჭამეთავ...“ (ეთნ. კალენდ. 29, 499). „კუდიანნო, მაილახვრენით, თავისა შასვითა' შაჭამაეთ, ჩემსამც ნურას წაიღებთ!“ (ეთნ. კალენდ. 8, 159). **დასალახვრავი** მოსასპობი, სასიკვდილე (ხევს. თავისებ. 233, 8-9) – ალ. ჭინჭ. || გადატ. **ლახვარივით შამოვარდა სიცივე** იტყვიან ერთბაშად შემოვარდნილ მკაცრ სიცივეზე (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. II. **ლახვარი** ლაბარი – ჭვავის ჩალის (ყარტის) თვრამეტი ძნა ერთ კონად შეკრული (ხევს. თავისებ. 207, 4). შდრ. ნახორი «ნაცეხვის ანაბერტყი» (საბა), «ნალეწი ბზე ან კილი ნაცეხვი ღომისა» (დ. ჩუბ.). გადატ. აილახვრების ერთმანეთში აირევა და სწრაფად დაგორდება; მიილახვრების „მძიმედ და არეულად მიგროვდება და დაიდება (შეშა და მისთ.) (ავთ. არაბ.) – ალ. ჭინჭ.

ლახლახ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლახლახი** 1. ფრინველის უშნო სიარული (საბა). 2. ლახლახი, ანუ ლასლასი – ნ. ჩუბ., ქეგლი. **ლახლახით ზმნს.** უშნო სიარულით, ბაჯბაჯით. [გოგოები] ჩადგნენ ბატების მწკრივში და *ლახლახითა* და ბაჯბაჯით გაჰყვნენ მათ უკან (ნ. ლომ.) – ქეგლი. || უშნოდ, დუნედ მოძრაობა (ფშ. ხორნ.). **ლახლახი** || ლაღლაღი რყევა. „ეს ხე როგო *ლახლახემს*, მალე წაიქცევა“. „ხო ხედამ გოგორამ რო *ლახლახი* დაიწყო, თუ არ გაამაგრე, დაიშლება“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. I. ლაღლაღი.

დიალექტ. II. **ლახლახი** ხმამაღალი, მოურიდებელი ლაპარაკი. „მაგისი *ლახლახი* ყასაბაში ესმიან“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || ლაილაი, – [თურქ.] გაუთავებელი, უაზრო, უშედეგო ლაპარაკი (მესხ. ფეიქრ.). შდრ. **ლაგლაგი**

(თურქ. < არაბ.) leylek „ყარყატი“, „ყარყატისათვის დამახასიათებელი ბგერები“, „შეუჩერებელი ლაყბობა, ტყუილ-უბრალო სიტყვები“ (გურგენიძე 1973: 74).

ლახტ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ლახტი** 1. გრძელი უტარო მათრახი, რომელსაც ძველად ბრძოლაში იყენებდნენ საცემად. ადგა და *ლახტი* აიღო (ვეფხ. 1109, 2). სახელოვანი მისი (ჩალხოს) მათრახი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, *ლახტი*, მაღლა კარებზე ჰკიდია (ვაჟა). ახლაც გარკვევით მოესმა იმ დღის ზარდამცემი კიჟინა და *ლახტის* ლაწანი (ს. კლდ.). || რკინის კეტი იმავე დანიშნულებისა; «უმკვეთელო საცემი საომარი» (საბა). შებრუნებულმა გიორგიმ *ლახტი* დაჰკრა [გველს] წელში (ვ. ბარნ.). [მეფეს] მარჯვნივ ჰქონდა დაწყობილი: ხმალი, შუბი, აფთი და *ლახტი* (თავში სარტყმელი რკინის კომბალი) (გ. წერეთ.). ვითა როსტომ *ლახტის* მქნევი, კეტსა ხმარობს ეგრე ჩქარა (ბეს.). 2. ტყავის სარტყელი, რომლითაც ბავშვები ლახტაობას თამაშობენ, – ჩალიჩი. 3. იგივეა, რაც ლახტაობა. *ლახტში*, ქამრის წვერით ბევრი ბიჭი აკანკალა (გ. ლეონ.) – ქეგლი. *ლახტი* ხთიშვილ კოპალას საბრძოლო იარაღი; დალახტავს, ნალახტარი (ხევს. ჭინჭ.). || ლახტაობის დროს სათამაშოდ გამოყენებული სარტყელი, ქამარი; **ლახტი უკან დაგდება, თოფი მაღლა შაგდება** – საბავშვო თამაშობაა (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. **II. ლახტი** ველური მსხალი: *ლახტი* შორვას ვაკეთავ (ბაგინი, კლარჯ. ლექსიკ).

ლბილ-ი:

ძვ. ქართ. **I. ლბილი: თუალითა ლბილი:** არქუ აჰრონს: ნუ მოვალნ შეწირვად მსხუერპლისა ღმრთისა მისისა ყოველი კაცი, რომლისა თანა იყოს ბიწი... გინა კაცი, რომელსა განტეხილ ედგს ჴელი ანუ ფერჴი, ანუ ზურგ-ტეხილი, ანუ თუ ნახევარ-ჴმელი, ანუ *თუალითა ლბილი* (ლევიტ. 21, 17-20) – ელ. დოჩ. ვისა ვაჲ, ვისა შფოთი, ვისა საჯელი, ვის ურვანი და ლალვა, ვისა შემურვა ამავოს შინა, ვისნი *ლ[ე]ბილ არიან თუალნი* (იგ. სოლ. 23, 29) – ილ. აბულ. მცხეთურ ხელნაწერსა და ბაქარის ბიბლიაში ვისნი ლბილ არიან თუალნი წაკითხვას შეესატყვისება: ვისა ლიბრი თვალნი. ლიბრი: თეთრი ლაქა თვალის გუგაზე. ბისტი, კატარაქტა, „ლურჯმოიისფრო“ (საბა); ჩალურჯებული (ნ. ჩუბ.).

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, არაა გამორიცხული ლიბრ- ფუძის კავშირი სიტყვასთან ლები „ლურჯი, დალებება „დალურჯება“, თუმცა ლიბრის დანაწევრება გარკვეულ სიძნელეებს აწყდება (გიგინეიშვილი 2016).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. ლბილი** რბილი; მშვიდი. „დაწვების სარეცელსა ზედა *ლბილსა* განსასუენებელად ჴორცთა“ (მ. სწ. 249, 34); „*ლბილ* იყვნეს სიტყუანი... უფროჲს ზეთისა“ (ფს. 54, 22). გატეხს ქვასაცა მაგარსა

გრდემლი ტყვიისა *ლმილისა* (რუსთაველი). აქ. *ლმილს* მდელოზე სანუგეშოდ ვინამე ცრემლით, აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით (ნ. ბარათ.). ჰორიზონტიდან ზენიტამდე ღრუბელთა გუნდი ძირს დაეშვება, *ლმილ* საწოლად რომ გაგეშალოს! (გ. ტაბ.) – ქეგლი.

ქართულში *ლაბ ძირი დაუშვა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938). იხ. აგრეთვე ფენრიხი, სარჯველაძე 1990. იხ. I. ბილი.

ლეგა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ლეგა ყომრალი – საბა. ლეგა მუქი ნაცრისფერი, – რუხი, ყომრალი. ლეგა ჩოხა. – ერთ წეროს დასჯდომოდა რაღაც დიდი, *ლეგა* ფრინველი (ვაჟა). ცა... *ლეგა* ღრუბლით დაბურულა (რ. ერისთ.). მზე ხანდახან *ლეგა* ღრუბლებს ეფარება (რ. გვეტ.). თავქვეშ ლეგა ფაფახი ამოედო (ვ. ბარნ.) – ქეგლი. ||ლეგლუგას ჩოჯას ჩავიცომ *ლეგაის* მითხოვლისასა (ხევს. პოეზ. 384, 3). აქვე: ლეგონა, ლეგოსანი/ა, ლეგუა და სხვ., ლეგ- ფუძიანი ზმნური სიტყვები (ხევს. ჭინჭ.). || შავ-ყვითელი. ლეგა ბიჭი. *ლეგა* კაცი შავ-ყვითელი ფერი ბიჭი, კაცი; გადატ. ყოჩაღი ბიჭი, კაცი (ქიზ. მენთ.). || რუხი. საით რას გადმოხფრინდები, *ლეგა* მიმინოვ მთისაო. ვაჟკაცის ეპითეტია. ვაჟი, მგელსავით *ლეგაი*, ჰმალდაჰმალ ეტანებოდა, ლამაზი, ქალის ფერაჲრ გორთუკვენ იმალებოდა. ლეგა სოლურაჲი შინ ნაქსოვი შალის– ტოლის სახეობა. საქათიბედ იცოდიან *ლეგა* სოლურაჲიავ (თუშ. ცოც.). || ლეგნაი ლეგა, ნაცრისფერი. გადატ. მგლის ეპითეტია (მოხ. ქავთ.).

ს.-ქართვ. *ლეგ- „შავი, ლეგა, ცუდი“ → ქართ. ლეგ- → || ლენგ- : ზან. ლაგ-ე : სვან. ლეგ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. ლეგაი ტყუილი. განზრახ. ხუმრობით ნათქვამი ტყუილი. *ლეგა* თქვა ტყუილი თქვა (თუშ. უთურგ.). მაგამაც კაი *ლეგეგ* იცის (თუშ. ცოც.). ს.-ქართვ. *ლეგ- ცუდი, უსიცოცხლო (ჩუხუა 2017).

ლეგლეგ-ი:

დიალექტ. I. ლეგლეგი [თურქ.] 1. ყარყატი, ლაკლაკი. 2. გად. უჭკუო და არას მაქნისი, – დოყლაპია, ბოთე (აჭარ. ნიჟ.). || (leylek) თეთრი ყარყატი. *„ლეგლეგსა* ერთი გუელი დუუკავია“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. ლეგლეგი (ქ.-აჭ.) ქვის ჩარხი. იყენებდნენ მაჭახლის ხეობაში მაჭახელას (ნ.) კეთების პროცესში ლულების დასამზადებლად (აჭარ. ნიჟ.).

ლეკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ლეკი 1. (ხე) ლეკი „ლეკა, ლეკის ხე“ (ა. მაყ.). ლეკი ლეკის ხე, მერქანი აქვს თეთრი, კარგად ითლება (რაჭ. დიალექტ., 685). „*ლეკი* მაღალი იზდება“ (იმ. ჩვენ. ფუტკ.); „*ლეკის* ნეკერი ჩავდგი

ერთი ზირი გაღმა ტყეში" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). სელს *ლეკი* ხიდან ვაკეთებთ, თელიდანაც (აჭარ. მრეწ. IV, II, 50). (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.). || ლეკის-ხე [Acer platanoides] ჩვენს ტყეებში ფართოდ გავრცელებული ხე ნეკერ-ჩხლისებრთა ოჯახისა – ქეგლი. „შემოდგომას ყველაზე წინ *ლეკისხე* იცვლის ფერს (თუშ. ცოც.). **ლეკი** ერთგვარი მცენარე ზან. (ლაზ. თანდ.). 2. კაუჭი. „თილფანს ტარზე აქ *ლეკი*" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლეკი** (იმერ.) იგივეა, რაც ლეკმარხილა – ქეგლი. || **ლეკმარხილი, ლეკმარხილა** „პატარა მარხილი, ჩვეულებრივ, შე-შის მოსატანი" (საბა); „ლეკმარხილს ვაკეთებთ ნაძვის ხისაგან" («შინამ-რეწვ.») – ქეგლი. || ლეკმარჯილები წყვილი ციგურა. „*ლეკმარჯილი* ეგეთია, რო მასაც აქუ ფესუები წინა და უკანა ამაჭრილი; ლეკმარჯილებით არ-ხილზე ბალღები სრიალებენკე" (მოხ. ქავთ.). || **ლეკმარხილა-ი** მარხილი, თოვლზე დასაცურებელი, ლეკი ხისა [Acer platanoides]-გან გამოთლილი (ზ.-აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე მოხ. ღუდ. ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვისათვის ამო-სავალი უნდა იყოს ხე ლეკი. იხ. I. ლეკი.

საშ., ქართ., დიალექტ. III. **ლეკი** თხლე (საბა). || თხლე ნოტიოთა, ძირს დალეკილი სისქე. ძირსა *ლეკი* დარჩების (ქანან. 207, 28). || წყლის ლექი. „მილეკილია მიწები" (გურ. ჟღ.). აგრეთვე: აჭარ. ნიჟ., ალგ. სალ. **ლეკი** შლამი ზან. (მეგრ. ფიფ.). შდრ. ლეკი=ლექი ქ-ს გამკვეთრება (ქავთა-რაძე 1964: 35).

დიალექტ. IV. **ლეკი** ნეკი. „მეზელოღზე ხელი არნა წუუთითიო; რო-მე ემედენი წუუთითიო, მემრე *ლეკი* თითიზენა იკბინო" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). ლეკი[ს] თითი ნეკი. „აი თითი, მაი თითი, *ლეკი* თითი რომელია?" (აჭარ. ნიჟ.). ლეკი < ნეკი; აღდგენილია *ნეკ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯვე-ლაძე 1990).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. V. **ლეკი** მხ. იხ. ლეკები. || ძვ. საუბ. კრებ. იგივეა, რაც ლეკები. ღამე გვაცნობეს სოფელსა, რომ ცხინვალის მხრიდან *ლეკი* დაგვეცემაო (ს. მგალობ.). || ლეკების ქვეყანა, – დაღესტანი (ქეგლი). ლეკში გადვიდა. მოვისვენებ სანამდის ვერ, სანამ *ლეკზე* ჯავრს არ ვიყრი (დ. გურამ. 95, 232, 1). ზედა დასხმასა უყოფდის *ლეკთა* ხუდია... სხვანი ელნი ჩვენნი (თ. ბაგრატ. 54, 34). რამდენჯერ *ლეკთა* შევები, არ მახსოვს მე სათვალავი (არჩ. 341, 753, 1, 2). იმ ჟამათ პაპაჩემი... აქ დაკარგულა. *ლეკში* ყოფილა (სამ. VIII, 466, 12). კურთხეული ბატონიც მრავალჯერ თავადიშ-ვილებს *ლეკების* საქმეში სამსახურს უბრძანებდა ხოლმე (სამ. VIII, 567, 18). და ანუ *ლეკთა* და მტრისა ჯართა შეუზვეროს და წარატყვენინოს სოფელი (სამ. დავ. 157, 2).

დიალექტ. VI. **ლეკი** || **ლეკვი**. შდრ. ძვ. ქართ. **ლეკუ** (ფერეიდ. ბერ., ბაკურ., 293).

VII. **ლეკი** ფულის ერთეული ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში – მ. ჭაბ.

ლეკა:

დიალექტ. **I. ლეკა** ლერწი, ყლორტი. „ჩემო გამზდელო ლობიავ, რაფრათ თამაშობ ქოთანში, ადრე ხაშარი დიგისე, *ლეკა* მიე ზეცაში, ბოლოთ რათვინ მიღალატე, ღამით გამაშპუნე კარში“ (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **ნეკარი** ნეკერი კვირტებიანი შტო (ქართლ. ძიძ., კეცხ. ხუბ.).

ვფიქრობთ, რომ ლეკა < ნეკერი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ნა-ყარ- „შტო, ნეკერი, რტო“ → ქართ. ნე-კერ-ი || ნაკერ-ი || ნე-კარ-ი ←*ნა-კარ-ი ზან. ნო-ყველ-ი || ნო-ყელ-ა ←*ნო-ყოლ- (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ლეკა** იგივეა, რაც ლეკის-ხე – ქეგლი. || მცენარის სახეობა (იგივეა, რაც ლეკმაკერჩხი, ლეკმაკუნჩხა) ქორაფი: აქ ბევრია *ლეკა* (კლარჯ. ლექსიკ). იხ. I. ლეკი.

დიალექტ. **III. ლეკაი** კარების ზემოთ დატანებული გასწვრივი ხე (თუშ. ხუბ.). შდრ. II. ლეკვი, ლეკვა.

ლეკვ-ი:

ძვ., საშ., ახ ქართ. **I. ლეკვი** შვილი ძაღლთა, მგელთა, ტურათა და მისთანათა || ზოგგან ეწოდების ლომის ბოკვერსაცა (ფსალ. 16, 11 და 103, 21) – ნ. ჩუბ. „ვითარცა *ლეკვ* ლომისაჲ, რაჲ ზინ მზირად“ (ფს. 16, 12); „ვითარცა *ლეკუნი* ლომთანი შორის სამწყსოთა ცხოვართასა“ (O, მიქ, 5, 8); „შეჰამნენ იგინი *ლეკუთა* მაღნარისათა“ (O, ოვსე, 13, 8) – ილ. აბულ. *ლეკვი* ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია (ვეფხ. 39, 4). უგუპაროისა შვილი და მგლისა ლეკუი წურთითა არ გაკეთდების (ვისრ. 259, 4). ზავარ თქვა: „საქმე ძნელია, – ლომისა *ლეკვსა* გაზრდი და“ (შჯნ. II, 5636, 4). ძაღლი თავის ძუძუთა *ლეკვს* ზედ დააკვდება და არავის კი ანებებს (ს. მგალობ.). „წყალში კატებსა და ბრმა *ლეკვებს* აღრჩობენ“ (ი. მაჩაბ.). *ლეკვი*... მაშინვე ეზოში გავარდა ყეფით (ლ. ქიაჩ.). || ზოგიერთი გარეული ცხოველის (მგლის, მელის, ტურის...) ნაშიერი. **ძაღლის ლეკვი** იტყვიან ბავშვზე ზიზღით. „რაო? შე ძაღლის ლეკვო!“ (ნ. ლორთქ.). [ეკატერინეს] მამიდები... წამდაუწუმ უტუტუნებდნენ: „შე ძაღლის *ლეკვო*, შე წუწკის ნაშობო, შენაო!“ (ეკ. გაბ.) – ქეგლი. **ლეკვების ყრა** გადატ. მოფერება. ლეკვები მიუყარე მოვეფერე, მოეფერე (ქიზ. მენთ.). **ლაკვი (ბაკვი)** ლეკვი ზან. (მეგრ. ელ.).

არნ. ჩიქობავა, ლეკვის ძირეულად -კ -ს მიიჩნევს (ჩიქობავა 1938). *ლეკუ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); ს.-ქართვ. *ლეკუ- (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლეკვი, ლეკვა** (ქართლ.) ჩვეულებრივ მრავლობითში – ურმის ხელნებს ქვემ ღერძთან სიმტკიცისათვის მიჭედებული მაგარი ხის ნაჭრები («დიალ.») – ქეგლი. თუ დუმები არ დაჰყვა ხელნას. მათ მაგივრად მიაკრავენ ხის მაგარ ნაჭრებს, რომელთაც ჰქვიან *ლეკვები* (ზ.-ქართლ. IV, II, 116). *ლეკვები* ღერძსა და ხელნებს შორის მოთავსებული ხის ორი სქელი ფიცარი (მთ. მრეწ. IV, II, 108). *ლეკვები* არის დაფარე-

შებული ხელნაზე. რომ არ დასცვივდეს (ქართ. ჩრდ. მრეწ. IV, II, 121). შდრ. ლიკვი, მრ. ლიკბები თავხისა და ჯიდების დასამაგრებელი ბოძები (თუშ. ხუბ.). || ლიკვი მორის გადანაჭერი. რომელსაც უდგამენ სახურავის ხიდებს წელის გასამაგრებლდ (თუშ. ცოც.). იხ. II. ლეკი.

ვფიქრობთ, რომ ლეკი > ლეკვი → ლიკვი. შდრ. ლეკვ ლეკის ხე, ლეკა (წ.-თუშ. ქადაგ.).

ლეკვა:

დიალექტ. I. **ლეკვა** იხ. II. ლეკვი.

ახ. ქართ. II. **ლეკვა** – წალეკვა. მოვარდნილი (ადიდებული) მდინარის (ნიაღვრის...) მიერ წარეცხვა, გადარეცხვა და წაღება – ქეგლი. შდრ. III. ლეკი.

ლეკურა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლეკურა** (იმერ., გურ) ლაქაში. ეს მცენარე იზრდება დალეკილ ადგილებში – ზ. მაყ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლეკურა** (რაჭ.) ლეკურის (ხმლის) ფორმის ჯოხი, რომელიც ლეკვერთხის ქსოვისას იხმარება. *ლეკურას* ჩაკვრა ქსელში («შინამრეწვ.»); „გავუყრით მასრას... ჩავბეჭავთ და *ლეკურას* ჩავკრავთ“ («შინამრეწვ.») – ქეგლი. შდრ. ლეკური «უვადო ხმალი» (საბა). ლეკური ლეკების დამახასიათებელი; ლეკებში (დაღესტანში) გაკეთებული, ლეკებიდან შემოსული – ქეგლი. აღარც ლეკური ნალესი, აღარც სიათა მალია (ი. ევდ.). ზოგმა ხანჯალი ამოიღო, ზოგმა ლეკური (ხმალი) (გ. წერეთ.). «ას ხანჯალს გამოვგზავნი, ოც ლეკურს» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. იხ. V. ლეკი.

დიალექტ. III. **ლეკურა** წყალში მოხარშული პატარა პურის კვერი (ფშ. შან., ხორნ.).

ლელეჩ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლელეჩი** (ქართლ. კახ.) ნელ-თბილი, განელებული (წყალი, საჭმელი...), – გალელეჩებული – ქეგლი. *ლელეჩი* ჩაი რო დამისხი, არ იცი, რო ქაფქაფა მიყვარს?! (ოძ.). ამ *ლელეჩი* წყლითა როგორ უნა დავიბანო? (კავთ., ქართლ. მესხ.). || საკმაოდ გაციებული საჭმელი, კერძი (ჯავახ. ბერ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლელეჩი** (იმერ.) გამოყრუებული, გამოშტერებული – ქეგლი. შდრ. ლელეზი ლენჩი მოსულელო. „მაგამ რა'ნა გითხრას, ლელეზის ერთია“ (ჯავახ. ზედგ.).

ვფიქრობთ, რომ ლელეჩი < ლელე. ლელე (იმერ.) «ლენჩი, შტერი» (ბ. წერეთ.). ამ სიტყვისათვის აღადგენენ: 1. *ლელე- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ლელე ლენჩი; უსულგულო, სუსტი (ჩუხუა 2017).

ლენგერა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლენგერა** (გურ.) «მაგარი, მსხვილი ჯოხი» (ს. ჟღ.) – ქეგლი. მოლენგვრა ხეხილის დაუზოგველად გაცლა ხილისაგან *ლენგერაის* ტყორცნით. გადატ. მოგილენგერეფ ზრუგს (გურ. შარაშ.). || დაუზოგავად ცემა *ლენგრითა* (დიდი ჯოხი). „მამამ არ მოგლენგრა მაგრა?" (გომი, გურ. ჯაჯან.). იხ. I. ლინგი.

დიალექტ. **II. ლენგერა** /ე, -ი 1. ლენჩერეი, ლენდერეი. სულელი (იმერ. ბერ.). 2. აყაყული. 3. ბადაღინა. **ლენგერას ერთი**: რა ეშმაკათ მინდა მაგის სიმაღლე, *ლენგერას ერთია*, განძრევა ეზარება (მესხ. ფეიქრ.). 3. პირფართო სახის ადამიანის მეტსახელი (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ლენგირი უფხო, უნარმოკლებული, უვარგისი (ლეჩხ. ჩიქ.).

მ. ჩუხუამ ლენგერე სიტყვისათვის მიუთითა ს.-ქართვ. *ლაგ- ძირი „სულელი" (ჩუხუა 2017).

ლერწ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლერწი** 1. ვენაჯის რქა – საბა. ვაზის ერთწლიანი რქა. ლერწების აკვრა ხარდანზე («შინამრეწვ.»). მარკვენა მხრით იყო ვენახი..., *ლერწი* გამხმარა, დარჩენილა ხარდანი (ნ. ლორთქ.). 2. (იმერ.) კვახის, კიტრის და მისთ. ბარდი. *ლერწნი* გაუსხამთ ბურულზე კვახებს (გ. კაჭახ.). სამზარეულო სახლზე გასული [იყო] კვახის *ლერწები* და უზარმაზარი კვახები... დაკიდებული (დ. შენგ.) – ქეგლი. ვენახის ტანზე რომ *ლერწი* ამოვა, იმას ვეძახით კვარს (ქვ.-იმერ. მრეწ IV, III, 135; აქვე: ზ.-ქართ. 101; ზ.-რაჭ. 147; ლეჩხ. 150; გურ. 62 და სხვ., ჩვენ. ფუტ., კლარჯ. ლექსიკ). **ლერწ** – ლერწი, ვაზი. ლერწლ ვენახი. (სვან. თოფ., ქალდ.).

საშ. ქართ. **II. ლერწი** ჟანგი – დ. ჩუბ.

შესაძლებელია „ჟანგის" მნიშვნელობის **ლერწი** ლორწო სიტყვის ფონეტიკური ცვლილების შედეგად იყოს მიღებული. და პირსა, რა ლერწო მოექცეოდეს, წანერწყვიდეს ჟამითი-ჟამად (ფანასკ. 93, 26). იხ. I. ლორწი.

ლექე:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლექე** (ქიზ.) ღვინის ლექი (ქვევრში) – ქეგლი. || ლექე, როქი ღვინის ნაბირი, ღვინის დანალექი ქვევრში (ქიზ. მენთ.). ერთი თვის შემდეგ ქვეშ როქს ან *ლექს*, დურდოს ჩაინაბირებს (ქიზ. მრეწვ. IV, III, 78). || ლექი ლეკი – დ. ჩუბ. || წყლის (ტბის, გუბის...) ფსკერზე ჩაბირული სილა, ლამი. || სითხიდან გამოყოფილი და ჭურჭლის ფსკერზე დაგროვებული უმცირესი ნაწილაკები, – ნალექი (ქეგლი).

დიალექტ. **II. ლექე** [სპარს. leke] ლაქა. „ჩოხაზე *ლექე* გაქ, მოი, გიგისილო" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ლექე** გადატ. მშიშარა, საწყალი (აჭარ. ქართ. დიალექტ., 658). ლექე კაცი: ლაჩარი, მშიშარა, მხდალი. „ჩვენ ხუთი წლის სამსახური/ ფადიშახზე გვაქვს ვერგიო? / კაი გულით ვემსახუროთ / ვერ დაგვიკავებს *ლექეო*" (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ლეხი მეტად ზარმაცი, უქნარა და ზანტი (ქართლ. ღლ.). იხ. I. ლოხი.

ლეღვ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ლეღუ ლეღვი (ნაყოფი): ლეღვი (მცენარე). „მო-ნუ-ისთულიან... კუროჲსთავთაგან ლეღჳ“ (მთ. 7, 16); „არა არს *ლეღჳ* ლეღუებსა“ (I, იერემ. 8, 13). აქვე ლეღვს-კუერი, ლეღუოვანი/ლეღოვანი/ ლეღოანი – ილ. აბულ. || [Ficus carica] 1. საშუალო ტანის ხე ან ბუჩქი თუთისებრთა ოჯახისა; აქვს ნაცრისფერი გლუვი ქერქი, ხაოიანი 3-5 ნაკვთიანი ან მთლიანი ფოთლები და ერთ- ან ორსახლიანი ყვავილედები. ნაყოფი მომრგვალო მსხლისებრია, უფრო ხშირად თავბრტყელი, მეტად ტკბილი და ყუათიანი. კაცს.. ერთის კალათით *ლეღვი* მიჰქონდა (კალმას. 467, ქვ. 9). ნუ გგონია, ვაშლით მოჰკვდი, ნუთუ ყურძნით, ან *ლეღვითა* (არჩ. 436, 56, 1). *ლეღვსა* და ატამს მწიფე ნაყოფი ესხა (ს. კლდ.). შორით მოჩანდა ბროწეულის, კაკლისა და *ლეღვის* ტოტებით დაჩრდილული ორღობეები (დ. სულ.). 2. ამ ხის ნაყოფი სკდება მზისაგან მწიფე *ლეღვი* და ბროწეული (ა. აბაშ.). შეექცევიან ხმელ ხილსა, ხურმას და *ლეღვის* ჩირსაო (ი. დავით.). მეორემ თქვა: «გავუგზავნოთ მოსაკითხად ლეღვის ჩირი» (რ. ერისთ.) – ქეგლი. **ლეღვის ცოდვა** გამონაყარი, რომელიც კანზე ლეღვის მკვახე ნაყოფის რძისაგან ჩნდება. „გოუპურწკნავ ლეღვს რავარც ჭამ, პეტერე ბაჟე თუა, ლეღვის ცოდვას გაგიჩენს ტუჩებზე“ (საჩ. შარაშ.). გადატ. **ლეღვი** ძალიან მწიფე (ხილი). *ლეღვი* ყოფილა ეს შვინდი (ქორ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: მრეწ. III, II: ქიზ. 12; საინგ. 66; ზ. სამეგრ. 213; გურ. 221და სხვ. ლეღი || ლეღვი *ლეღუ (ფერეიდ. ბერ., ბაკურ., 293). **ლუღი** ლეღვი ზან. (მეგრ. ქობ.,ლაზ., კალანდ.).

ქართულში ძირეულია ლეღ-ვ- (ძვ. ქართ.- უ) კი დეტერმინატი -სუფიქსია (ჩიქობავა 1938). აღდგენილია 1. *ლაღუ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ლაღუ- (ჩუხუა 2000-2003; 2017).

დიალექტ. II. ლეღვი დაჟეჟილის ზოლი (ხორცზე). ქოო *ლეღვ* გაზდევდ აი ბეჭთ, დალილაულნ ხქონდეს ზურგნიც. *ლეღვ-ლეღვად* ზოლ-ზოლად (ხორცზე დაჟეჟილი და მისთ.) დევის ნათითარნივ *ლეღვ-ლეღვად* აჩნიყვნესავ სიგირგალსავ. ლეღვიანი ხორცი, სხეული, რომელსაც დაჟეჟილობა ზოლ-ზოლად ატყვია (ჯვართ ენაზე). „მაბრუნდივ, მაიბრუნენივ გვერდნივ *ლეღვიანნივ*“ (თ. ოჩ. სარწმ. 42) – ალ. ჭინჭ.; **დალეღვილი** დაბეჟილი (ცემისაგან) (გურ. შარაშ.). || ლიღუი დარტყმის შედეგად დაბეჟილი და დაშავებული კანი., დალილავებული. „ლურჯი ლიღუი იჯდა დანაკრავზეო“ (მოხ. ქაჯ.).

ს.-ქართვ. *ლეღუ- „ხორცი“. არ გამოირიცხება სვანური ლეღუ ძირის ეტიმოლოგიური კავშირი ქართ. (მოხ.) ლიღუ-ი, „დარტყმის შედეგად დაბეჟილი და დაშავებული კანი“ სიტყვასთან, რომელიც, თავის მხრივ, მეგრულ ლიღ-ონ-უ-ა „ხორცის გადატყავება“ ზმნაში უნდა ინახავდეს ზანურ შესატყვისს. ი > ე სვანურში მ. ქალდანის წესის (უ-ს ზეგავლენის) შედეგი ჩანს (ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. III. ლეღუსულელი (სიკომორო B.; თუთ ZAaB.; თუთე B.) (ლეღვსულელი ZABCbq) (2 ნეშტ. 9, 27) ესე არს, რომელსა თ უ თ ა ს უჴმობენ, ვითარმედ (ჱ)რომაულად ს ი კ ო მ ო რ ო ს ჟოლასა ჰქვიან – საბა. ლეღვსულელი, ლეღვახური – დ. ჩუბ. ლეღუსულელი (ხე) გარეული ლეღვი ||ლეღვის ხე- ნ. ჩუბ. ლეღუსულელი sucomorus, «ლეღუ»: „არქუთმცა *ლეღუსულელსა* ამას" DE, – „ჰრქუათ *ლეღუსა* ამას" C (ლ. 17, 6); „წარბიოდა წინა და აღჴდა ლეღუსულელსა" (ლ. 19,4) – ილ. აბულ.

ირ. ქერქაძის გამოკვლევის თანახმად, საბასეული განმარტება სწორია. ლეღვსულელი იგივე თუთაა. ქართული ლეღუსულელის შესატყვისად ბერძნულ ბიბლიაში გვაქვს συχάμινον τό „თუთა" (ნაყოფი), συχάμινος ἡ „თუთის ხე". ოთხთავში კი ერთ შემთხვევაში ეგევე ფუძეა, ხოლო მეორე შემთხვევაში – συχομόρος და იგი წარმოადგენს συχεμόρέα სიტყვის არასწორი გაგების შედეგად შექმნილ კალკს (ქერქაძე 1987:61-64).

ლეშკ-ი:

სამ. ქართ. I. ლეშკი ტუჩი, ბაგე. ყრმანი მკუდართა დედათა ბუბუთა *ლეშკთა* სწოვდიან (ქ. ცხ. II, 310, 8).

ბაგე, ტუჩის აღმნიშვნელი ჭან. ლეშქ-ი, მეგრ. ლეჩქვ-ი, ქართ. ლაშის შეპირისპირებით არნ. ჩიქობავა დაასკვნის, რომ ლაში ძირითად სიტყვად უნდა დავსახოთ გარკვეული ცნებისათვის ქართულში (ჩიქობავა 1938).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. ლეშკი ძვ. «ცუდი ხორცი» (საბა). შდრ. ლეში. (ქიზ.) ყურძნის (და ზოგი სხვა ხილის) ხორცი (ს. მენთ.) – ქეგლი. || ძალიან მჭლე ხორცი (თითქმის მარტო ტყავი რომაა). „ე რა *ლეშკი* ხორცი გიყიდია. მარტო ტყავი და ძარღვებია, რბილი არ აბადია" (მესხ. ფეიქრ.). || ძვ. უხეირო ხორცი, რომელიც ტყავზეა გაყოლილი (ჯავახ. ბერ.). „ე რა ხორცია, *ლეშკია* ერთიან!" „ლეშკი ჩამოსჭერი და ძაღლებ გადაუყარე!" (ჯავახ. ზედგ.). „*ლეშკი* ხორცია, ძიენ წითელი, ავანტყოფი საქონლისა" (ჯავახ. მელიქ.). ტყემლისას საწობელასა და წოწოქას აკეთებენ. მდუღარეში მოჰხარშავენ, საცერში გაჰხეხავენ, რომ ქერქი ან *ლეშკი* არ ჩაჰყვეს (ქიზ. მრეწ. III, II, 14); ლეშკვა, გალეშკვა (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. ლეშკი (რაჭ. ლეჩხ.) ერთფუთიანი საწყაო (მ. ალავ.); ორი ბათმანი («დიალ.») – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. IV. ლეშკი (რაჭ.) შქერი. გარს ნაბევები, ნაბევები..., მწვანე *ლეშკის* ქაცვები (კ. ჭიჭ.) – ქეგლი. *ლეშკის* ღობე მაგარი და გამძლეა; დალეშკვა თევზაობის ერთ-ერთი ხერხია, მდინარე წყლის მოწამვლა დანაყილი *ლეშკის* ფოთლებით (რაჭ. კობახ.). || ლეშკერი (ქვ.-რაჭ. ა. მაყ.)

აღდგენილია ს.-ქართვ. *შქორ-; გურ. და იმერ. შქერი || შკერი ნასესხებია მეგრულიდან (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ლეშტერ-ი:

საშ.. ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლეშტერი** «სეტყვის ღვარი» (საბა). || კოკისპირული წვიმა, თავსხმა, მერეხი; ღვარი. „ერთიც გევხედე, რომ წამოვდა სირთიებზე *ლეშტერი*“ (აჭარ. ნიჟ.). *ლეშტერი* წვიმა მევიდა (ხიდარი, წირქვალი, განთიადი...) (ზ.-იმერ. ბოწ.); დალაშტვრა, წვიმაში დასველება, დაწუნწყვა, ამოწუმპვა (იმერ. ვ. ბერ.); დალეშტრავს/ამს დალეშტრილი (ზ.-იმერ. ბოწ.), დალაშტვა (აჭარ. ნიჟ.). **ლეშტერი** ლესტერი, დიდი წვიმა, თავსხმა ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ლეშტერი** ნეშტერი, დალაქის დანა (ლეჩხ. ჩიქ.). შდრ. ნეშტარი [არაბ.] შაშარი, სისხლის გამოსაშვები იარაღი – დ. ჩუბ. || ნესტარი სადოსტაქრო დანა, – ლანცეტი (ქეგლი).

ლეშქ-ი:

საშ. ქართ. I. **ლეშქი** იგივეა, რაც ლეში – დ. ჩუბ. შდრ. ლაშქ [აზერ. დიალ. ლესკი, ლეშკი] ცუდი, უვარგისი, მჭლე ხორცი (ინგ. ღამბ.). იხ. II. ლეშკი.

დიალექტ. II. **ლეშქი**: საქონლის საჭმელად გამზადებული სხვადასხვა მცენარის ფოთოლი ან ფოთლიანი ტოტები (იმერ. ჯავან.). იხ. IV. ლეშკი.

ლეშხ-ი:

დიალექტ. I. **ლეშხი** ბუჩქოვანი თუ ბალახეული მცენარის ახლად ამონაყარი, – ჯაგნარი; ხშირი წვიმების გამო სწრაფად ნაზარდი ბალახეული მცენარე, – ახალალაღებული (აჭარ. ნიჟ.). ლეშხი || ლიშხი ნორჩი ამონაყარი გადაკაფული მცენარისა, წვიმებისაგან სწრაფად ნაზარდი, უტოტოა (ჯავახ. ბერ.). || მაღალი (მუხლებამდე) ბალახი; ნაკლებადყუათიანი ბალახი. „ყანაში მაღალი გეიზდება ლეშხივით“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || მცენარე დეკა (ჯავახ. ზედგ.). იხ. II. ლიშხი.

ახ. ქართ. II. **ლეშხი** მცენ. ბუერა (ალ. მაყ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. III. **ლეშხი** ჟვავი. რა ხეთ ფურცელი წვიმათა ცვარს იტვირთავს და მერმე მის მიერ იწვეთებს, ლეშხი ეწოდება – საბა, ნ. ჩუბ. || ლეშხერი, ლეშხი; ლეშხება ვღვრი, ვსწვეთ მაგალ. ვალეშხებ ნაღვლის წვიმას თვალთაგან – დ. ჩუბ. **ლეშხი** ხის ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთები. ჟვავი, მძლავრი წვიმისაგან ჩამორეგვილი ფოთლები ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. I. ლიშხი.

ლიგიდა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლიგიდა** (გურ.) ურმის კამპოში გაყრილი რკინა ან ხე, რომელიც ამაგრებს უღელს («დიალ.») – ქეგლი. || **ლიგინა, ლიგიდა** თავტაბიკი. ქართული მაღალი ურმის ხელნების და უღლის შემაერთებელი რკინის ღერო ან ხის კოტა (მახ.-მამ., გურ. ჯაჯან.). აგრეთვე გურ. კიწმ.

დიალექტ. **II. ლიგიდა** ცეცხლზე რძის ასადუღებელი ჭურჭელი (გურ. ჯაჯან.). შდრ. ლიგიანა (გურ.) რძის საწველი ხის ჭურჭელი («დიალ.») – ქეგლი. || ლაგინა 3-4 ლიტრიანი დოქი (გურ. ჯაჯან.). || ლაგანი [სპარს.] გარდაშლილი ტასტი უფრორე თიხისა (დ. ჩუბ.).

ლივერ-ი:

დიალექტ. **I. ლივერი** რევოლვერი. „ფორმას არ იცვამდა და არც *ლივერს* არ იკიდებდა გარედან“ (ფ. ხალ., აჭარ. ნიჟ.). **ლივერი || რიველი** რევოლვერი. შუაში რო კაცი დგია და *ლივერი* რო ჰკიდია წენზე, ისა ყოფილა ჩვენი ბაბუა (რაჭ. კობახ.). „თვითან *ლივერით* ცევდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „*ლივერს* ესრიან, შელდიგ იქმენ“ (დევესქელი). „ერთი ლაგანი *ლივერი*, ფიშტოი ამეიტანა“ (ხება, ნიგ. ბერ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

ახ. ქართ. **II. ლივერი** [ინგ. liver ღვიძლი] კულინ. დაკლული საქონლის შიგნეულობა (გული, ღვიძლი, ფილტვები...), სათანადო წესით მომზადებული საჭმელად – ქეგლი.

ახ. ქართ. **III. ლივერი** [ინგ. livoer] სპეც. მარტივი მოწყობილობის წყლის ხელტუმბო – ქეგლი.

ლივლივა:

ახ. ქართ. **I. ლივლივა** იგივეა, რაც ტივტივა კორპის ან ხის ნაჭერი, რომელიც მიბმულია ანკესის ძაფზე ან სათევზაო ბადეზე და წყალში არ იძირება – ქეგლი.

დიალექტ. **II. ლივლივაჲ** ერთგვარი მგალობელი ჩიტი. *ლივლივაჲ* ჩეღლახში იცის, ხშირად გვხვდება (ინგ. ღამბ.).

ლივლივა: ქართ. ლივ-, ლივლივი; ლივლივებს... სვან. ლიუ-ლიუ̈ა „ბეღურა“ მასალის შეპირისპირების საფუძველზე აღდგენილია არქეტიპი *ლიუ̈ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ლიკლიკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლიკლიკი** 1. ხმაბაძვ. პატარა და სწრაფი მდინარის ან ნაკადულის მიერ გამოცემული ხმა, – რაკრაკი. ცვარ-ანკარა ნაკადული... ყურს უგდებდა თხემის ჩურჩულს..., მთა *ლიკლიკით* მოიარა, ბარს ეფრქვია პირმოქუშულს (ა. აბაშ.). წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას, ზღვათა ქუხილით, წყალთა *ლიკლიკით* (გ. ტაბ.) – ქეგლი. „კუტალს გრძელი წურწუმა რო აქ, წყალ რო გადმოასხამ სუ *ლიკლიკით* მოდის“. „რუზე წყალი *ლიკლიკემს*“ (ჯავახ. ზედგ.). 2. ტივტივი, ლივლივი. „ნაფოტებმა წყალზე ზეზეურ *ლიკლიკი* იცის“ (ი. კ.) „ბურთი წყალჩი არ იძირება, ზეზეურ *ლიკლიკემს*“ (მოხ. ქავთ.). 3. „წყლისაგან ატალახებული გზა, მოჭარბებული წყალი“ (გ. ლიქოკ.) – ალ. ჭინჭ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლიკლიკი** ბავშვის ლაპარაკი. – ტიტინი. [ელიკოს] *ლიკლიკით* და სიცილ-ხარხარით ხარობდა (ეკ. გაბ.) – ქეგლი. გადატ. გაბმული ლაპარაკი, ლაქლაქი. „შენ კი არ გიყურამს, უსმენ თუ არა, თავისებურად ლიკლიკემს!“ „ჯარქი ეხლა, *ლიკლიკი* ნუ გამიმბი.“ (ჯავახ. ზედგ.). || უთავბოლო, გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა. კაცის *ლიკლიკი* და ქალის ერთი არი? (ხიდარი); არ ქწყინდება *ლიკლიკი?* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ლიგლიგი, ლიკლიკი ხმამაღლა უაზრო ლაპარაკი (იმერ. ბერ.; ფშ. ხორნ.). შდრ. I. ლიკლიკი.

დიალექტ. **III. ლიკლიკი** „ჩიტია ერთგვარი“ (ჴ. არხ.) ფრინველია (ა. შან.). შდრ. საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ლაგლაგი, ლაკლაკი, ყარყატი. – დ. ჩუბ. ლაგლაგი (თურქ. < არაბ. Leylek) „ყარყატი“. იხ. II. ლახლახი.

ლიკლიკა:

ახ. ქართ. **I. ლიკლიკა** (ვინც (რაც) ლიკლიკებს, – მოლიკლიკე, ლიკლიკა ბავშვი. იხ. II. ლიკლიკი.

საშ. ქართ. **II. ლიკლიკა** «პატარა ქურციკი» (საბა, ნ. ჩუბ.). *ლიკლიკასა* მონარბენსა ზოგმან მოჰკრას ვერცა თვალი (ვახტ. VI, 29, 54, 4).

ლინგ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლინგი** 1. «ფიცრის კიდე» (საბა). «ლინგი აქვს გამოშვერილი ერთ ფიცარს» («დიალ.»). || რისამე კუთხე ან ნაპირი. – [მელქისედეკმა] აცახცახებული ხელით ფხა გამოიღო პირიდან, თეფშის *ლინგზე* დადო (კ. გამს.). [ფარსმანმა] ფეხები გამართა, ბუხრის *ლინგს* მიაყრდნო მტკიცედ (კ. გამს.). 2. (ინგ.). «კეტი ტივთა მისაწევ-მოსაწევად (მ. ჯანაშვ.) – ქეგლი. || კეტი. თხილ *ლინგით* ბეგავთ (ინგ. ასრათ.). 3. რკინის ლომი სხვადასხვა დანიშნულებისათვის (ინგ. ღამბ., როსტ.). 4. სამკუთხედად გამოჭრილი მატერიის ან ხის ნაჭერი. თუ არ გეყოს სახელოს სიგანე, ჩააყენე *ლინგი* კაბის სახელოში (ტაბაკინი). ფიცარი არ ეყო და ლინგი *ჩააყენა* (იქვე). 5. თოხის პირი, წვერი. თოხის *ლინგი* გაცვთა (ტაბაკინი); *ლინგი* თოხის პირის წვერია... თოხს *ლინგები* აღარ უვარგა, უნდა გამეიპიროს (შრომა, ზ.-იმერ. ძოწ.). 6.*ლინგს* ვეძახით როდესაც ხოწით ამოვთლით გვერდს (ქვ.-იმერ. მრეწ. II, I, 173).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლინგი** (გურ.) ძალზე წმინდად დაფქული სიმინდის ფქვილი (ს. ჟღ.) – ქეგლი. „ფქვილი *ლინგიც* იქნება და ხოშორიც“ (იმ., ჩვენ. ფუტკ. აგრეთვე აჭარ. ნიჟ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ლინგ- „ფქვა; დაფქული“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ლინგი** (ბეწვი, მატყლი...) – (ქედა) რბილი, ნაზი, კარგი ხარისხის ბეწვი, მატყლი (აჭარ. ნოღ.).

დიალექტ. **IV. ლინგი** ტალახის თხელი ფენა, სახვნელი იარაღის (გუთანი, კავი) კბილზე გაკრული. „ჯარქა გაფხიკე გუთან *ლინგი* აქ მოდებული“. „ჯილღი კბილ *ლინგი* თუ არ გააცალე, კარქა არ იმუშავებს“. შდრ. ტავარნა (ჯავახ. ზედგ.).

საშ., ახ. ქართ. V. ლინგი ძვ. ფანდი ჭიდაობაში (დ. ჩუბ.). ელეფთერმაც კარგად იცის *ლინგის* გდება, თუკი ხელში ჩაგიგდო, ბევრი შენისთანა დაუყენებია ყირაზედა (კალმას. 429, ქვ. 1).

ლინგა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ლინგა (გურ.) «პატარა ლულიანი თუჯის მაღალი ჭურჭელი» («დიალ.») – ქეგლი. || ლინგე თუჯის წყლის ჭურჭელი. *ლინგაში* ადუღებული წყალი უფრო გემრიელია (რაცხ. გურ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ლინგა 1. (რაჭ.) სამნად დასობილი სარი («დიალექტ.»). «ბავშვებს ეტყვიან *ლინგას* არ წამოედვაო» («დიალ.») – ქეგლი. 2. რკინის ლომი სხვადასხვა დანიშნულებისათვის (ბოძების ჩასმის დროს ირგვლივ მიწის შემოსაბეკნად, წისქვილში – წისქვილის ქვის გადმოსაღებად (ინგ. ღამბ.). ლინგა თოხი გაშლილი, სამკუთხედის მსგავსი თოხი, მაღლა აზიდული წვეროებით, – *ლინგებით*. თოხი ორგვარია: ქართული და *ლინგა თოხი* (ვახანი); ჩვენ *ლინგა თოხს* ვხმაროფთ ვენახშიც, ბოსტანშიც, ყანის გამარგვლის დროსაც (შროშა); *ლინგა თოხით* ვენახის მარგვლა და მოროდი უფრო კაია, ვენახის ძირეფში მარჯვეთ ჭრის ბალახს (ზედა საქარა, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ლინგი.

ლიჟღ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ლიჟღი 1. (გურ.) წვრილი წვიმა (გ. შარაშ.). 2. (იმერ.) წყლით გაჟღენთილი. გაჟღენთილი ზენა წვიმით მოაქვს *ლიჟღი* შეშა (გ. ტაბ.) – ქეგლი. ლი- პრეფიქსი, რომლის პოვნიერება ივარაუდება ლი-ჟღ-ი „წყლით გაჟღენთილი“ (შდრ.: ჟღ-ენთ-ს) სიტყვაში (მორფ. ლექსიკ. 1988: 271).

დიალექტ. II. ლიჟღი მსხვილად დაფქული მარილი (მთ. კაიშ.). || ნამტვრევი, ნაფშხვენი (მარილისა). ხელსაფქვავში რო დავფქვამთ მარილსა, რაც საცერში დარჩება, მარილის *ლიჟღია* (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. ლიშხი.

ლირა:

ახ. ქართ. I. ლირა [ბერძ. lyra] ისტ. 1. ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი. || პოეტ. პოეტური შემოქმედების, პოეზიის სიმბოლო, – ქნარი. 2. ხალხური სიმებიანი საკრავი უკრაინასა და ბელორუსიაში. ტკბილი მიხასი ჭაბუკებს... ასწავლიდა *ლირაზე* დაკვრას (რ. გვეტ.). მოხუცი მშვიდად იყო, მხოლოდ მაშინ გაიბრძოლა, როცა მოურავმა *ლირის* წართმევა დაუპირა (რ. გვეტ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ლირა [იტალ. lira] ფულის ერთეული იტალიასა და თურქეთში. ლირა: „ბევრ *ლირას* მეიგეფ“ (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.).

ლირს-ი:

დიალექტ. **I. ლირსი || ლირსა** ზმ. ფხვიერი მიწა (ზმ.- რაჭ. კობახ.). **ლირსა რაც დაილექა, -დანალექი** (იმერ. გაჩ.). იხ. III. ლისი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლირსი** 1. სპეც. ჩარჩოში ჩასმული თხელი ფიცარი. კარის ლირსი – კარადის ლირსი. 2. (იმერ.) სახლის სახურავს ქვეშ და სარტყელს ზემოთ სამკუთხად ამოშენებული ფიცრები (ბ. წერეთ.). ფიცარი, ირიბად პირწაჭრილი (საბა) – ქეგლი. აგრეთვე რაჭ. კობახ., იმერ. გაჩ. შდრ. ლურსი- ფიცარი ირიბად პირწაჭრილი (საბა). იხ. II. ლისი.

ლის-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ლისი** მცენ. – დ. ჩუბ. || [Heleocharis] მდინარის ნაპირებზე, ჭაობებსა და ტენიან ადგილებში გავრცელებული მრავალწლოვანი მცენარე (ერთლებნიანთა კლასის ისლისებრთა ოჯახისა); აქვს უფოთლო ღერო და თავთავად შეკრებილი ყვავილები – ქეგლი.

დიალექტ. **II. ლისი** სხვენის კედელი საქარე მხრიდან. „ბარემ *ლისიდ* კედელსაც ამოვაყვანინეფ კალატოზ და ამით დავამთავრეფ“ (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. II. ლირსი.

დიალექტ. **III. ლისი** ლირსი ფხვიერი მიწა (რაჭ. ბერ., კობახ.). იხ. I. ლირსი.

დიალექტ. **IV. ლისი** გამდნარი ფიჭა, ფაჭა, სანთელი: „ფაჭას გაადნობ, გახდება *ლისი*... სანთელი იშტე“ (ბაზგ.); „ჩითებზე *ლისი* დასხმული გვაქ“ (ბაზგ., შავშ. ლექსიკ.).

ლიფლიფ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ლიფლიფი**1. ფანარი (ფანუს CDE.) ფრანგულია, ქართულად **ლიფლიფი** ჰქვიან – საბა. 2. **ლიფლიფი** მკრთალი ნათება, – ციმციმი. **ლიფლიფებს** ანატ. ლიფლიფით, მკრთალად ანათებს, – ციმციმებს. ლამპარიც *ლიფლიფებდა* და მკრთალად არხევდა ბათოს მიმქრალ სახეს (შ. არაგვ.). პატარა ლამფა ნაზად *ლიფლიფებს* (დ. კასრ. თარგმ.) – ქეგლი.

ლიფ-ლიფ „ალის ხმა“. ქართ. ლიფ-ლიფ- რედუპლიკატის ზუსტი შესატყვისია სვან. ლიფ-ლიფ. აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ლიფ-ლიფ- (კელაურაძე 2017: 25).

დიალექტ. **II. ლიფლიფი** 1. ლუღლუღი, ჩიფჩიფი. რეზოს *ლიფლიფს* ხო ნახევარს ვერ გაიგებს კაცი! (კარ.). კბილები ჩამოვიღე და ძლივსღა ვლაპარაკობ *ლიფლიფითა* (ტყვ.). ლიფლიფებს ლუღლუღებს, ჩიფჩიფებს. მოხუცს რო კბილები არა აქვს და გაურკვევლად ლაპარაკობს, ლიფლიფებს (დ. თონ.). უკბილო ბებერივით რო *ლიფლიფებ!* (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). „ამ კაციდ *ლიფლიფი* არ მესმიდ და რა ვქნა“ (გ.-კახ. სახლხ.). || უკბილოს

ლაპარაკი (მარაბ., ქართლ. მესხ.). 2. გადატ. პირმოთნეობა, პირფერობით ლაპარაკი. „იმიტვინ დამიწყო *ლიფლიფი*, რო უნდა ის ყანა გამამტყუოს“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. III. **ლიფლიფი**: „რო ტოკავს და ვერ წაქცეულა“ (მარაბ., ქართლ. მესხ.). შდრ. ლაფლაფი (ქართლ.) ფამფალი, რყევა, ლაყლაყი – ქეგლი.

ლიფლიფა:

ახ. ქართ. I. **ლიფლიფა** რაც ლიფლიფებს. || იგივეა, რაც ფარანი. დაიქირავეს ბიჭი, დადგეს სასწორი, დაჰკიდეს დერეფანში *ლიფლიფა* (ვ. ბარნ.). *ლიფლიფები* [მდინარის] სიღრმიდან მოანათებდნენ (ვ. ბარნ.). ჯარისკაცებმა ჯიბის *ლიფლიფები* იშიშვლეს და გაამუქეს გარემო (კ. გამს. თარგმ.) – ქეგლი. || ღამის სანათი. გამოიყენებოდა როგორც შენობების, ასევე ქუჩების გასანათებლად. ესაა მრგვლად გაკერილი და გასანთლული ნაჭერი, რომლის თავი ჩამაგრებულია სპილენძის თავსახურში, ხოლო ძირი წარმოადგენს სანთლის დასამაგრებელს. ლიფლიფა ჩვეულებრივ გარმონივითაა დაკეცილი, ანთებისას კი გაშლიან და ჩამოჰკიდებენ საკიდზე. *ქუჩის ლიფლიფები* იკიდებოდა ბოძებზე და მათ შეღამებულზე აანთებდნენ (ქართ. მატერ. ლექს.). იხ. I. ლიფლიფი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლიფლიფა** 1. «უკბილო ადამიანი» («დიალ.») – ქეგლი. ჩვენი *ლიფლიფა* ვახტანგა იყო და იმას დავაჭრევინე (კარ.). *ლიფლიფაა* დედასავითა, ნახევარი არ მეყურება მაგის ნათქვამი (ტყვ.); აგრეთვე: ზ. ხანდ., კარ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). 2. ბლუ. „ერთი *ლიფლიფა* კაცი გვაიწავლიდა გერმანულ და მისი ქართულიც უცხო ენა გვეგონა“; ლიფლიფებს ლუღლუღებს. ლიფუა იგივეა, რაც ლიფლიფა (გ.-კახ. სახლთხ.). 3. *ლიფლიფა* ადამიანი პირფერი, ლუკლუკი (ჯავახ. ზედგ.). იხ. II. ლიფლიფი.

ლიფსიტა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლიფსიტა** 1. თევზია, ჭიჭყინა – დ. ჩუბ. || ლიფსიტი, პატარა, ახლად გაჩენილი თევზი. ორაგულის ლიფსიტები. – ცხელ დღეში იქ ქვირითს რომ დაკვირვებოდი, შიგ ერთი ბეწვა *ლიფსიტებს* დაინახავდი (ი. გოგებ.). 2. ძალიან პატარა, გალეული. პატარასა, გინდა ქათამი იყოს, გინდა ქალი *ლიფსიტას* ეძახიან (ძეგ.). გალეულ ვისმე დაუძახებთ *ლიფსიტასა* (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.). || თხელი, სიფრიფანა, პატარა. „*ლიფსიტაი* პურები მეიტანა, გახმუკვილი“ (ინ.); „ბაღვები ყავს პაწაწუანი, *ლიფსიტაი-ლიფსიტაი*“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ლიფსიტა** იგივეა, რაც ფსიტი. *ლიფსიტა* თმები აქ, თითონაც ლიფსიტაა (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.). იხ. III. ფსიტი.

ლიშხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ლიშხი (იმერ.) «ნაკაფი ტყის ამონაყარი (1-5 წლის ასაკისა)» (ა. ჭუმბ.), – ჯაგნარი. აქა-იქ *ლიშხად* ატეხილ მცენარეთა და ყვავილთა შორის... გამოჩანდნენ... მარმარილოს ძეგლები (ა. ჭუმბ.) – ქეგლი. || გადაჭრილი ან გადაუჭრელი მცენარის ძირში ნორჩი, სწორად ტანაზრდილი, უტოტო, წვრილი ამონაყარი; ან ცალკე სწორად ამოზრდილი სულ ნორჩი, უტოტო, წვრილი მცენარე. ზოგიერთი მცენარის ლიშხს გოდრებისა და კალათების საწნავ მასალად იყენებენ. *ლიშხია* მცენარე რო ამეიყრის ძირეფში ლორთქათ და იზდება უროკოთ, შტოეფს რო არ გამეიღეფს. მუხა რო ამეიყრის ლორთქათ, იმას ეძახიან ლაჩს (შროშა); *ლიშხს* უძახით მცენარის ძირში ამონაყარ ახალ შტოეფს (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ხშირი, გაუვალი ბუჩქნარი ან ტყე (იმერ. გაჩ). || ლიშხვარი იგივეა, რაც ლიშხი. წყლის პირსაო ჩვენ ხელმწიფეს ლიშხვარი ვაშლი აქ და, სანემდი არ დავარგდება ისი, ყარეულები დოუყენეთო (გეზრული, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. II. ლიშხი მსხვილად დანაყილი მარილი საქონლის საჭმელად, მწნილისა თუ ხორცის ჩასამარილებლად (ფშ. ხორნ.). იხ. II. ლიჟღი.

დიალექტ. III. ლიშხი ნესტი; ნამი, ცვარი. *ლიშხი* ბოსელმა იცის (ზ. ხანდ.). საღვინე ყინვიდან შემოიტანა სითბოზე და *ლიშხი* შემოისხა (ზ. ხანდ.). ლიშხავს აოდავს. ეგრე *ლიშხამს* ხოლმე, სველი რო იქნება და დააცხუნებს (ერთაწმ.). სველს რო დააცხუნებს, ჩახარშამს, ჩალიშხამს შიგა, ე მაგას ეტყვიან ლიშხვასა (ერთაწმ.). დაილიშხება დაიორთქლება; დანესტიანდება. აი, როგორ *დაილიშხება* შენი ჭიქა, უცბათ დაიორთქლა, რო გამოჯარეცხინე ძალიან ცივი წყლითა (ზ. ხანდ.). *დალიშხული* არის ბოსელი, ნესტი რო აქ (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.). || წვიმანარევი ქარი. „გამოვიდა თუ არა დავრიში, *ლიშხმა* ჩამობერა“ (ქართლ. ღლ.). || ნოტიო (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ლიჟღი.

ლიხ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ლიხი «ფრიად მაღალი შამბი» (საბა). ◊ **ლიხის მთა** მთა, რომელიც საქართველოს ყოფს ორ ნაწილად (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ), – სურამის ქედი. *ლიხის* ანუ სურამის მთის იქით ძევს დასავლეთ საქართველო (ი. გოგებ.) – ქეგლი. || (ბალახი), შამბი. „*ლიხი* თივა თიბის დროს ცელს ვერ გამოაქ, უჭირს“ (ჯავახ. ზედგ.). ცარიელა *ლიხებიღა* დარჩენილა, ფოთოლი გასცვენია (ძეგ.). თამბაქოს ლიხი (ძეგ.); აგრეთვე კავთ. (ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: ფშ. ხორნ., რაჭ. კობახ., მოხ. ქავთ. **ლიხი** მაღალი შამბნარი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. ლიხი ბალახზე დადებული ნამი ადამიანს რომ ასვეღებს (ფშ. ხორნ.). აგრეთვე: თუშ. ცოც., მთ. კაიშ. შდრ. III. ლიშხი.

დიალექტ. III. ლიხი შინაური ცხოველები – საქონელი, ცხვარი, ღორი... ქათმები. „შოუშვია *ლიხი* ყანაში და ოუვოხრებია თელათ“. „სუ რო მეკავოს ცოცხი, ამ *ლიხის* გამოი მაინ არ არის სისუფთავე (ეზოში)“.

იტყვიან: „ქვეყნის *ლიხი* მიაკვდა სულში“-ო – გულისხმობენ ძაღლსა და ღორს (იმერ. გაჩ.). || მრავალი შინაური ცხოველი და ფრინველი, – წვრილ-ფეხობა. როცა *ლიხი* ქყავს, პილწავს ეზოს (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ლიხერტი მრავალი სხვადასხვა პირუტყვი ერთად: ზედმეტი ბარგი საერთოდ (იმერ. ქავთ.).

დიალექტ. **IV. ლიხი** გადატ. ლოხი. „*ლიხი* ცხენი“ (მოხ. ქავთ.). შდრ. ლოხი გამხდარი, გაძვალტყავებული, დამჭლეებული პირუტყვი. „ლოხი ძროხა“ (მოხ. ქავთ.).

ლოგორა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლოგორა** (ქართლ.) ‹ჯირკვი, წყლის წამოღებული› (თ. რაზიკ.). წაგიყვან და წამოგიყვან, როგორც ლიახვი *ლოგორას*... (ხალხ.) – ქეგლი. შდრ. ლოგორო დიდი კონა ფოთლებისა – ნ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლოგორა** (გურ.) 1. ჯერ გაუმსკდარი, მთელი წენგო (გ. შარაშ.). 2. უმწიფარი, ქვასავით მაგარი, ხილი (მსხალი, ვაშლი, ატამი...) (ანა) – ქეგლი. **ლოგორო უმწიფარი, უფხო** ზან. (მეგრ. ქობ.). **ლოგო უმწიფარი** (კაკალი, თხილი) ზან. (მეგრ. ქობ.).

ლოდ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლოდი** «კლდე», «ქვა». „*ლოდნი* განსთქდეს“ C, – „კლდენი განსთქდეს“ (DE, მთ. 27, 51); „აღჰმართენით *ლოდნი* ესე“ G, – „აღმართნე შენ ქვანი იგი“ (M, II, შჯ. 27, 4). **ლოდი მსტუარი** «ლოდი სალოცარი», ძეგლი: „არცა *ლოდი მსტუარი* აღსდგათ“ G, – „არცა ლოდი სალოცრად აღსდგათ“ (pb., ლევიტ. 26, 1). **ლოდოანი** «კლდე». „რომელმან გარდააქცინა *ლოდოანნი* ტბად წყალთა“ C, – „რომელმან გარდააქცია კლდე ტბად წყალთა“ (Ქ, ფს, 113, 8) – ილ. აბულ. მაგრა კლდე, ვითა *ლოდია* (ვეფხ. 1221, 1). ზოგთა ეპყრათ ხელთა *ლოდნი* (ბეს. 130, 1). ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი *ლოდისა* (დ. გურამ. 84, 156, 4). ბოლოჟამს ისევ სიკვდილი, გულზე მიწა და *ლოდები* (თეიმ. I, 142, 103, 4). ებრძოდეს ძელებითა და *ლოდებითა* (ალექსანდრ. 118, ქვ. 11). ვიდრე-მდის იქმნა მთა დიდ, *ლოდ* საკიდურ და არა *ლოდ* შებრკოლებისა (ქ. ცხ. II, 21, 14). ||ძალიან დიდი ქვა. ვინ დალევს რიყეზე ქვებს და *ლოდებსა!* (ვაჟა). მოსახვევში... კლდიდან უეცრად მოსწყდა *ლოდები* (ს. კლდ.). ეს ხეობა... მაღლობიდან ჩამონადენს ქვას და ღორღსა უშველებელის *ლოდებით* გაუვსია (ა. ყაზბ.) – ქეგლი. დარბაზი... უტალახოთ, *ქვა-ლოდით* არი გაკეთებული (ჯავახ. მრეწ. I, 254). ლოდი || გადატ.დიდი, მძიმე. *ლოდი მიწა* ხნულად უნდამოირწყას, გაშრეს და დაიფარცხოს (ზ.-ქართ. მრეწ. IV, III, 193). **ლოდსატყორცნი** ძვ. მოწყობილობა, რომლითაც *ლოდებს* უშენდნენ ციხეს. ვეღარც *ლოდსატყორცნებისა* და ტარანტების აგებას შევძლებთ ამ წლებში (კ. გამსხ.). **ლოდი-ტყვია** მძიმე ტყვია ზან. (მეგრ. ყიფშ.).

დიალექტ. II. *ლოდი* მეტად ზარმაცი, უქნარა, განძრევაც რომ ეზარება. „მაგრაინ *ლოდირ* კაც ვერაფერ გააკეთებინამ, თელი დღე წევს და ძინამს.“ „ეგ *ლოდორი* წამოგყვება რო წაიყვანო?!“ (ჯავახ. ზედგ.). || ლოდრე მოუხერხებელი. „ეგ ისრეთი ლოდრეა, რო ვერაფერ მოახერხამს“ (ჯავახ. ზედგ., ბერ.). || ლერდამი უსიცოცხლო, უვარგისი ადამიანი. „არა სტკივა რა, არა ერთი, არა მეორე და ესრე დალერდამება ადამიანისა განა შაიძლება?!“ (მოხ. ღუდ.). ლოდე ბოთე, არაფრის მაქნისი ზან.(მეგრ. ქაჯ.). ლოდო მოსულელო (ჰ. ჭარ.); გაუგებელი ზან.(მეგრ. ქაჯ.). *ლოდორია* გლუვი ტვინის ადამიანი ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. II. როდი.

III. *ლოდი*: ავღანელ გამგებელთა დინასტია დელის სასულთნოში (1451-1526) (უნივერს. ენციკლ.).

ლოდა:

სამ., ახ. ქართ. I. *ლოდა* დიდი ბადია (საბა). შდრ. ლოუდა, ლოვდი, ლოვდები [სპარს. loude] დაწნული კალათა, გოდორი, რომელსაც ოთხი კუთხე აქვს, ყურძენს დებენ შიგნით. ლოუდები ეკიდა ბაღსაყე ყურწენი მაჰქონდა; ვირებით მოვლენ და ლოვდებითა და ემით და გაფყიდით, ისები წაიღებენ, სხო სოფლებჩი გაიჰყიდიან (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). იხ. I. *ლოდაკი*.

დიალექტ. II. *ლოდა* ბოგაზვინი (ხეზე შედგმული ზვინი). რამდენიმე ბოგაზვინი ერთად დადგმული *ლოდაა*. ის ადგილი, სადაც ზვინები იდგა, ნალოდარია (ზ.-აჭარ. კობ.). *ლოდა* (ზ.-აჭ.) რამდენიმე ზვინი თივისა (5-6) – ერთად დადგმული, სათიბში ან ეზოში. „*ლოდას* გარედამ შამუაკრავთ ჯიხურს, საქონელი ვეღარ გაქელავს“ (აჭარ. ნიჟ.).

ლოდაკ-ი:

ძვ., სამ. ქართ., დიალექტ. I. *ლოდაკი* მომცრო ბადია – საბა. || ესევითარი ჭურჭელი არა გუაქუს, წმიდაო მამაო, გარნა ვეცხლისა იგი *ლოდაკი* (A=1103 6r; 14-18b). მიეც კაცსა ამას *ლოდაკი* (იქვე 6r, 23-24b) – ზ. სარჯ. მიიღო-გლახაკმან მან... ვეცხლისა იგი *ლოდაკი* (იქვე 6r, 26-29b) – ზ. სარჯ. ლხინისაგან *ლოდაკითა* ლია ლამავს ლულა-ლულად (ვახტ. VI, 64, 21). აგრეთვე ქართლ. (კირ.). იხ. I. *ლოდა*.

ძვ. ქართ. II. *ლოდაკი* პატარა ნატეხი. წარმოსცნა სამნი *ლოდაკნი* ვეცხლისანი [პარხლ. მრავალთ. 339r, 17-19b) – ზ. სარჯ. იხ. I. *ლოდი*.

ლოთურ-ი:

ახ. ქართ. I. *ლოთური* ლოთის დამახასიათებელი, ლოთის შესაფერი. აბა, ნახეთ ის ქართველი... ნაბად-წამოსხმული, *ლოთურად* ჩითმერდინით ყელზე (ილია). «ჩემო სარდალო, ეგვიპტურ ცეკვას არ ინებებ? *ლოთურად* გავკრათ» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი.

ლოთ-ურ-ი: ურ-სუფიქსია; ფუძე ლოთ-: ლოთი შესაძლოა უკავშირდებოდეს ბიბლიური ლოთის სახელს ე. ი. მოხდა საკუთარი სახელის განზოგადება – ბ. გიგინ.

საშ., ახ. ქართ. **II. ლოთური** საღებავი ხის ქერქი – დ. ჩუბ. || ხის ქერქისაგან დამზადებული საღებავი. რომ წამოიდულოს, [წვენში] ერთი შაური*ს ლოთური* ჩააყარეთ (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი.

ლოლო:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლოლო** 1. ლოლუა. მყუდრო, ნისლიანი დილაა, ნესტიანი; წანწკარით ცვივა ყინულის *ლოლო* (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. შდრ. ლულა ყინულისა – დ. ჩუბ. 2. შენობის სახურავზე, ტოტებზე და სხვა წარმოქმნილი გრძელი, წვეტიანი ყინული. „ჩვენი წისქვილი ღარ იმხელა *ლოლოები* დაჰკიდებია, რო ჩამოვარდეს, თაგვივით გაგწყვიტამს“ 3. მრგვალად დახვეული რამ (ლავაში, გაბრტყელებული ცომი, ქაღალდი). „ქაღალდი *ლოლოებს* ვაკეთემდით და წყალში ვყრიდეთ“, ლავაშში ან უხაში ყველ ჩავდემდით *ლოლოთ* შევახვემდით და ისრე ვჭამდით“ (ჯავახ. ზედგ.). 4. პურის კვერი, ლოლუა გრძელი პური – დ. ჩუბ. || უფუარი ცომისაგან გამომცხვარი გრძელი პური, რომელსაც ბავშვს აძლევენ, კბილების ამოსვლის წინ, ღრძილები რომ დაუწყებს ქავილს. ექვს-შვიდ თვისას ბალღს ლოლოს მივსციდითა-დ ღერღის, თან ექცეოდ, არ იტირებდ (თუშ. ცოც., ხუბ.). აგრეთვე ლოლოჲ (ინგ. როსტ.). || ლულუტა მრგვალი ფორმის გამომცხვარი პური (სოფ. ხიზაბავრა, ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. **II. ლოლო: ლოლო ხაპი** უმწიფარი, უვარგისი და უგემური გოგრა (აჭარ. ნიჟ.). || შემოუსვლელი, უმწიფარი კვახი (გოგრა). გად. მნიშვნ. ადამიანი (ფიზიკურად ზრდასრული, მაგრამ უძლური, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად). „ხაპი ჯერ არ მეიწყვიტება, *ლოლოა*“ (თ. ქ.); „მაგი რას მუაფერეფს საქმეს, მაი *ლოლო*, მაგი!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ლულუ ჩვილი, თოთო, ახალშობილი ზან. (მეგრ. ქობ.).

ლომპრ-ი:

დიალექტ. **I. ლომპრი** სქელი, ძონძროხა. „ვინ გეიგონა, ცავ, მაგის დოდოფლობა, რას გავს მაი *ლომპრი!*“ (აჭარ. ნიჟ.). || კარგი, მსუქანი ხორცი *ლომპრია* (ზ.-აჭარ. კობ.). იხ. I. ლოპრი.

დიალექტ. **II. ლომპრი** ხის წვენი გაზაფხულზე (ლეჩხ. ჩიქ.). ხეს იმ დროს მოვჭრიდით, როცა რომ *ლომპრიანი* იყო (ლეჩხ. მრეწ. I, 357). იხ. I. ლოპი.

ლოპ-ი:

ახ. ქართ. **I. ლოპი** (იმერ.) ლოპრი. დახეთქილ ტუჩებს თეთრი ქაფი, დუჟი და *ლოპი* მოეკიდა (ა. ქუთათ.) – ქეგლი. „ხეს ეხლა *ლოპი* ექნევა გამოღებული!“ (ჯავახ. ზედგ.). **ლეპი (დეპი)** ნერწყვი, დორბლი ზან. (მეგრ. ელ.). იხ. II. ლომპრი.

დიალექტ. II. **ლოპი** შუბლი. „ესროლა ქუა და *ლოპი* გაუხეთქა.“ „მაგრაინ კაც შიგ *ლოპში* უნდა ტყვია!“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. I. ლოპრი მნიშვნ. 3.

ლოპერა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლოპერი, ლოპერა** (გურ.) ხორცის, ღომის და მისთ. ხარშვის დროს სითხეზე მომდგარი ქაფი (რომელსაც ხდიან) – ქეგლი. || ლოპერა ქაფი. ხორცს მოლოპრავენ ხარშვისას ქაფს მოაცლიან (გურ. შ. და თ. მალაზონ.; ე. ნიკოლ.). ტყემალი... ახლა იგი ერთს წამოდუღდება და ლოპერას მეიყენეფს (გურ. იმნ.). იხ. I. ლოპრი.

დიალექტ. II. **ლოპერაა** ბოსტნის ია [Veronica persica] (გურ. დედალოპერა) (აჭარ. ნიჟ., გურ. შარაშ.). აგრეთვე ლაპერა ბალახი. მალახიუმი. გამოიყენება სამკურნალო საშუალებად ყელის ტკივილის დროს (აჭარ. ნიჟ.).

ლოპრ-ი:

ძვ., საშ., ქართ., დიალექტ. I. **ლოპრი** 1. ქაფი, დუჟი. „აღშფოთებულ ხარ... *ლოპრნი* გარდაგცემიან?“ (მ. ცხ. v) – ილ. აბულ. რომე *ლოპრი* მოეკიდოს, და ორი მუტყალი ვარდის ზეთი ზედა დაასხი (ფანასკ. 255, 24). 2. ლორწო. «ახლად ამოსულ სოკოს აქვს ხოლმე კანზე ლორწო, რომელსაც *ლოპრს* ვეძახით» («დიალ.») – ქეგლი. || ახლად დაბადებული ცხოველის ნამუცლარი სისველე, ტანზე მოდებული ლორწო (ფშ. ხორნ.). ჭლე ჯორც ლოპრიან კეჭტევაყ (ინგ. როსტ.). **ლოპრიანი** ლორწოიანი; გადატ. ახალდაბადებული ბავშვი (ქიზ. მენთ.). **ლეპი** დორბლი ზან. (მეგრ. ფიფ.).

პეროვა, პერი, პერული, ლოპერი, ლოპრი ერთი ძირის სიტყვებია, რომელთაგან ლოპერი || ლოპრი სხვა დიალექტებთან ერთად დაუცავს აჭარულსაც (ცინცაძე, ფაღავა 1998: 166). შდრ. ლოპო, გალოპრილი [ბერძ. λοπός ὁ] თხელი კანი, გარსი ჩენჩო (მ. მაჭავარიანი 1989: 199).

დიალექტ. II. **ლოპრი** მოტიტვლებული თავი (ჯავახ. ბერ.).|| ლოპრა: „აგერ იქ *ლოპრა* კაცი რო ზის იმისაა ეგ ცელი“. „ეხლა იმას ი *ლოპრა* თავი არ'ნა გაუხეთქო?!“ (ჯავახ. ზედგ.). || ლოპრე მელოტი (ქართლ. ლექს.). || გადატ. **ლოპრი, ლოპრო** მეტად ღარიბი, არაფრის მქონე. „ლოპრი კაცია, თითზე გადასახვევი არ ეშოვება“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. II. ლოპი.

დიალექტ. III. **ლოპრი** ნახვრეტის გასაფართოებელი ბურღი. ურმის მორგვს ჯერ ჩვეულებრივი ბურღით გახვრეტენ, მერმე *ლოპრს* მოატარებენ და გააფართოებენ (ქიზ. მენთ.). შდრ. ლომპო დგუში (ქიზ. მენთ.).

ლორ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლორი** მსუქანი გამხმარი – საბა. შაშხი, გამხმარი ხორცი – ნ. ჩუბ. სჯობიყოს *ლორი* სიტყვასა, ვისგან რა მოსახარკია? (ვახტ. VI, 114, 231, 2). ზოგმა სახლსა მოუარეთ, ზოგმა გარეკეთ ღორები, დაასუქევით კარგადა, მაღლა შეჰკიდეთ *ლორები* (ხალხ.). ახლა კიდევ უფრო აივსო [ბაქარ-ბეგის სუფრა]: რა ხიზილალა, რა *ლორი*, რა წნი-

ლეულობა სხვადასხვაგვარი! (ვ. ბარნ.). [მოძღვარს] არაყი, პური, ყველი და მოხარშული *ლორი* მიჰქონდა სტუმრებისაკენ (ა. ყაზბ.). [ქვაბში] იხარშება მთელი ბარკალი ღორისა, საგანგებოდ გამოყვანილი *ლორადა* (ნ. ლომ.). «ნუ გამომილიოს... სახლში ქათმის შაშხები და ღორის *ლორები*» (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. III, II: ქიზ. 15, საინგილ. 69, ზ.-ქართ. 134, ზ.-იმერ. 170.

დიალექტ. II. **ლორი** [სპარს.-თურქ. ლორ] 1. ახალი უმარილო ყველი (თქლ). „მაარყევ და დარჩებ აჭრავ, მინჯი იჯებნება, *ლორი* იქნება“ (არავეთი). „ყველ ჩვენ *ლორ* ვეტყვით“ (არავეთის იაილა, ნიგ. ბერ.). || ნადუღი, დო. „შრატიდამ გამუა ლორი“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). 2. შრატის ნადუღი, ანძლატი, მარილიანი საზამთროდ შენახული (ქოთანში ან გუდაში ჩადებული). „იმთენი *ლორი* მაქ ჩადებული რო! გაზაფხულითვინ ვინახამ!“ (ჯავახ. ზედგ.).

ახ. ქართ. III. **ლორი** [ინგლ. lory < მალაიურიდან] ნახევრად მაიმუნი ერთგვარი; გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში – მ. ჭაბ.

ახ. ქართ. IV. **ლორი** თუთიყუში ერთგვარი; გავრცელებულია ფილიპინის კუნძულებზე, სამხრეთ ავსტრალიაში და სხვ. – მ. ჭაბ.

ლორდ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლორდი** (იმერ.) მორჩი, ყლორტი. ლორდვა (იმერ.) ვაზისათვის ზედმეტი ლორდის გამოცლა, – გამოლორდვა (ბ. წერეთ.) – ქეგლი. „*ლორდი* იგივე ლერწია, მხოლოდ *ლორდი* ჰქვია, სანამ დამწიფდებოდეს და გეისხლებოდეს“ (ზ.-იმერ. «შინამრეწვ.») – ლ. ასათ. პირველათ ვენახს ყლორტი აქ, მერე *ლორდი* და, რო დასხვილდება, – ლერწი (ხიდარი). ლორთქი რო იქნება, *ლორდი* ქვია, დიდს – ლერწი (ზვარე); ვენახს *ლორდი* რო გეეზდება, კონიან (ღორეშა, ზ.-იმერ. ბოწ.). აგრეთვე: იმერ. გაჩ., ქავთ. მრეწ. IV, III: ზ.-იმერ. 116, 118, ქვ.-იმერ. 125. || ლორდი, ნორდი მორჩი, ყლორტი; ლორდვა, და-, და-ნორდვა მცენარის ფოთლებით შემოსვა, დაფარვა; მეტაფ. დამალვა, მიჩქმალვა; „პრესამ გადახადა ფარდა ჯურღმულში მიმალულ საბუთებს და ბევრი დალორდვილი საქმე გამოამზეურა“ (ვ. ბერ.). **ლორდი** ზან. (მეგრ. ქობ.). **ლარდე** ახალი ნედლი, ქორფა. **ლარდობა** სიახლე, ახლობა, სინედლე ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. II. **ლორდი** [ინგ. ლორდ] ინგლისის პარლამენტის ზედა პალატის წევრის მემკვიდრეობითი ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი. *ლორდთა პალატა*. – ინგლისის *ლორდებმა*... გამოაცალეს ხელიდან მთელ ერს ინგლისისას მამულები (ილია) – ქეგლი.

ლორთხ-ი:

დიალექტ. I. **ლორთხი** 1. ბალიან სველი; სისველე. *ლორთხები* იყვნენ, რო მოვიდნენ, წყალში ჩავარდნილან ორივენი (ქვეში). ადამაც და საქონელიც *ლორთხში* წევს (ტყვ.); აგრეთვე ატ., კავთ., კარ., ძეგ. (ქართლ.

ლექსიკ.). ლორთხავს (მოხევ.) ასველებს. უცნობი ჩაჰკვროდა საფლავის ქვას, ...ცახცახით ლოშნიდა და მდუღარე ნაკადულით *ლორთხავდა* (ა. ყაზბ.) – ქეგლი. იხ. II. ლართხი. 2. ლორთხი/ლურთხი იგივე მნიშვნელობისაა, რაც ლორდღი – რაიმე წებოვანი, შესაზიზღები ხსნარი. „ზოგზოგი ისრი იტენება მკვდრის სუფრაზედაცა რო მამრე ღვრისკე და ლორდღით სთხუფნისკე იქაურობასა“ (მოხ. ღუდ.).

დიალექტ. II. **ლორთხი** მოშვებული, დუნე, დონდლო. მსუქანი ღორი რო დაგვიკლავს, რა *ლორთხი* ხორცი აქვს, გვითქვია; რაც მოშვებული არი, დუნე, ყველაფერზე ითქმის (საღ.). *ლორთხი* ბავშვია და რო გადაიქნიოს წელი უცეფა, ხო გადაწყდა? (ერედ.); აგრეთვე ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ლურთი ძალიან მსუქანი ხორცი; ქონი (ქეგლი).

ლორწ-ი:

ახ. ქართ. I. **ლორწი** ლორწო – წებოვანი და ლიპი სითხე, რომელსაც გამოყოფს ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმების ზოგი უჯრედი – ქეგლი. შდრ. ლორწკი (იმერ.) დუჟი, ნერწყვი – ქეგლი. **ლორწი** ლორწო ზან. (მეგრ. ქობ.). ლორწი < ლორწო. **ლორწო** წვენი მძაფავი – საბა. ნემესიოს ემესელის თხზულების „ბუნებისათჳს კაცისა“ ქართულ თარგმანში, წარმოდგენილია ლორწო სიტყვის დერივატები: ლორწოებრივი, ლერწობრი, ლერწობრივი: განმტკიცებულ არს... სულის-კუეთისა მიერ *ლორწოებრივთა* გარემოთხევად გულისაგან (ნ. ემეს. 121, 20); დაივსოს ვინაჲ-მე იგიცა მშთვარი ლიღნიოსაგან, რომელ არს *ლერწობრი* პოხიერი (ნ. ემეს. 121, 3). რომელი (სისხლი-ბ. გ.) აღორთქლდეს რაჲ, საზრდელ ექმნების სულსა ცხოელობითსა, ხოლო შეიჯშას რაჲ მის შორისსა მას ორთქლებრივსა წარმოუცალიერებს ყოველთა სხეულთა და უცნაურთა სხეულთა, ვითარ-იგი პირისა და ცხჳრთა მიერ გული *ლერწობრივსა* სულის-კუეთათა მიერ აღმოჰყრის (ნ. ემეს. 114, 18) – ბ. გიგინ.

ჰრ. აჭარიანის აზრით, ლორწო ნასესხებია სომხურიდან: შდრ. სომხ. lorzn] „ნერწყვი“ „დორბლი“. „პირუტყვის პირიდან გადმომავალი ქაფი“ (აჭარიანი 1973: 298). ბ. გიგინეიშვილის ვარაუდით, ლორწო, რომელშიაც -ო გვიანდელი სუფიქსია, თავისი ლერწო ვარიანტით შესაძლოა უკავშირდებოდეს სიტყვას ლერწი („ვენახის რქა“), რომლის წვენი აგრეთვე წებოვანია (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლორწი**, ლორწომი (იმერ.) საქვაბე ჯაჭვის დასაკიდებელი დირე, – ლორწამი (ბ. წერეთ.).

ლოს-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლოსი** 1. მძორმძიმე ცხოველი (საბა). ლოსი (ოთხფ.) ჩრდილოეთის ნადირია, ირემს ჰგავს (ნ. ჩუბ., ქეგლი). *ლოსი* რთულ რელიეფურ ადგილებს ირჩევს, რათა ადამიანებმა მასთან მიახლო-

ება ვერ შეძლონ. *ლოსებმა* მონადირეების მოტყუება და იარაღების ერთმანეთისგან გარჩევა ისწავლეს („საინტ“). 2. ქართლ. მძიმე, ზანტი, უღონო ცხოველი (მაგ. კამეჩი) მალე რომ მოეშვება, განსაკუთრებით სიცხეში (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.). || გადატ. ლოსი ზანტი; უფოლადო, მშიშარა (იტყვიან უფრო მაღალ კაცზე (ლეჩხ. ალავ.).

ახ. ქართ. II. **ლოსი** გეოლ. ლიოსი [გერმ. löss] გეოლ. დანალექი მთის ქანი მოყვითალო ფერისა – ქეგლი.

ლოტო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლოტო** (იმერ.) სწორტანიანი, კარგად ტანაყრილი (მცენარე, ხე) (ბ. წერეთ.). «საუკეთესო სამასალო *ლოტო* ხეებია ჩვენში» (ბ. წერეთ.). «კაი *ლოტო* სიმინდი ასულა წრეულს» (ბ. წერეთ.). რიონის ჭალებშიც იშვიათად მინახავს ასეთი ძარღვიანი, *ლოტო* სიმინდი ...; ზედა ტაროს კაცი ძლივს შესწვდებოდა (კ. ლორთქ.). შდრ. ლიტაო სწორად აზრდილი ხე – ქეგლი. **ლიტე** ლიტაო, უტოტო და უკაპო ხე, გლუვი, სრიალა ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. II. **ლოტო** [ფრან. loto] I. აზარტული სათამაშო, რომელიც შედგება ციფრებიანი მუყაოს ფურცლებისა და კოჭებისაგან. ვაჭრის ცოლები... დასხდებიან გასიებულები და ძლივსღა ქშინავენ *ლოტოს* თამაშობაში (რ. ერისთ.). || თამაში ამ სათამაშოთი. [ქალებმა] *ლოტო* გააჩაღეს (რ. ერისთ.). 2. იმავე პრინციპზე აგებული აღმზრდელობითი ხასიათის საბავშვო გასართობი, სადაც ციფრები შეცვლილია ნახატებით. ბაღი მომარაგებულია საბავშვო *ლოტოებით* («სახალხო განათლ.») – ქეგლი.

ლოტოს-ი:

ახ. ქართ. I. **ლოტოსი** [ბერძ. lōtos] [Nelumbium] წყლის მცენარე დუმფარასებრთა ოჯახისა. ინდოეთის ლოტოსი. – ეგვიპტური ლოტოსი. – ცისფერი ლოტოსი. – ჰა, შეხედეთ თუნდ ამ *ლოტოსს*, სველს, ლამიანს: რა ნაზია! რა სალუქი! (ი. გრიშ.) – ქეგლი. ზოგიერთი ავტორის აზრით, „ლოტოსი“ თავდაპირველად ნიშნავდა სამყურას, ხოლო XVI საუკუნიდან მან მიიღო დღევანდელი მნიშვნელობა – ზ. მაყ.

დიალექტ. II. **ლოტოსი**: საქართველოს შავიზღვისპირეთში თურქეთიდან მობერილ ქარს ზოგჯერ „ლოდოს“ || „ლოტოსს“ უწოდებენ. ეს სიტყვაც თურქულიდან უნდა იყოს შემოსული. მის ძირს ძველბერძნული „ნოტოს“ წარმოადგენს, რაც ამ ენაში სამხრეთის ქარს ნიშნავდა, ძველი ბერძნულიდან ეს სიტყვა ბიზანტიურში გადავიდა და აქედან დაისესხეს თურქებმა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთის ქარის ეს სახელწოდება ქართული მწერლობის ძეგლებში უშუალოდ ბერძნული ფორმით, „ნოტიოსით“ არის მოხსენიებული, ხოლო ჩრდილოეთის ქარი „ვორიოს“, „ბორიოს“ ფორმით (თ. ბერიძე 1981: 42).

ლოფლოფ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლოფლოფი** 1. ჩვილი, თოთო (მაგ., ბავშვი). «[კნეინას]» ლოგინში სხვისი ახლად დაბადებული *ლოფლოფი* ბავშვი შეუგორე» (ა. ცაგარ.). ფიგურ. ჩვენი ნორჩი, *ლოფლოფი* თეატრი, დავაჟკაცებულ უცხო თეატრებს დაემსგავსა (ა. ცაგარ.). 2. უნაჭუჭო კვერცხი, რომელსაც ზოგჯერ დებს ქათამი (კირ.) – ქეგლი. 3. მეტი სიმწიფისაგან ჩარბილებული (ხილი). ძაან მწიფე ატამი თუა ან კიდენ მსხალი, ისეთი, რო მეტი სიმწიფისაგან ხელი მოვლებითაც კი იჭყლიტება, იმაჲ ვეტყვით ჩვენ *ლოფლოფსა* (წილკ.). ე *ლოფლოფი* ატმები რო დაგიკრეფია, ქაა, ხო სუ აიზილა ერთიანათა, სინამ ქალაქში ჩავიტან! (წილკ.) 4. სველი, გაუმშრალი. *ლოფლოფი* ჩააწვინა ბავშვი, რო აბანავა, არც კი გაამშრალა სწორე! (კარალ.). *ლოფლოფი* ჩურჩხელები (ძეგ.). 5. ცომი, დაუშუშებელი (პური). *ლოფლოფს* ცომ პურზე იტყვიან ხომე (კავთ.). ზოგი არც კი დააცლის კარგა პური გამოცხობასა და *ლოფლოფს* ამოჰყრის (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). „მაშვიე მოიტანა *ლოფლოფი* პურები“ (ჯავახ. ბერ.). შდრ. III. ლაფა.

დიალექტ. II. **ლოფლოფი** 1. თხიერი რაიმეს ძლიერი დუღილი. 2. კაცი, ქალი საქმეში აჩქარებული, გულს რომ არ უდებს (ჯავახ. ზედგ.). || ლოფლოფა მდუღარე, ცხელი. „სუ ლოფლოფა საჭმელი მოჰქონდათ სუფრაზე“. „სუ ლოფლოფა ჩაი მამიტანეს, ჩაინიკში ისევ ლოფლოფომდა“ (ჯავახ. ზედგ.).

ლოღათ-ი:

დიალექტ. I. **ლოღათი** კარის ჩარჩოს შუა განივი ფიცარი (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ლოღათ** ლექსიკონი [თურქ. ლოღათ ZAaBCab]. ენათა თარგმანი, გინა სიტყვათა გამოთარგმანება (+ [ქართულად სიტყვის კონა ჰქვიან] Aa) ZA. – საბა. || [აზერ. ლუღათ ლექსიკონი] კილო, ლაპარაკი, მეტყველება. ჰენგილაურ *ლოღათ* შენ კაიგორა იციხარ (კარგად იცი) (ინგ. ღამბ.). || ლოღეთი [არაბ.] ლექსიკონი. „სკენდერ-ეფენდი დიდი ნასტავლი ხოჯა იყო – ავროფის ენები იცოდა, *ლოღეთი* – სხვადასხვა ენაზე“ (აჭარ. ნიჟ.).

ლოხ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ლოხი** ზანტი, ზარმაცი, მძიმე ცხოველი – ნ. ჩუბ. ზანტი, ზარმაცი. ლოხი კამეჩი. – «გასწი ჩქარა, რაღას ელი, ზარმაცი და ბერი *ლოხი!...*» (რ. ერისთ. თარგმ.). მეზობელ მამულებში რამდენიმე გულისამრევი *ლოხი* მემამულე ცხოვრობს (თ. სახოკ. თარგმ.). || უღონო და უჯანო ადამიანი («დიალ.»), დონდლო, უგერგილო – ქეგლი. მეტად ზარმაცი, უქნარა, ლოდური. „ნამდვილად *ლოხია*, განძრევაც ეზარება“ (ჯავახ. ზედგ.). *ლოხი* „კაცი რო იქნება და ბოშად მუშაობს, დუნე ადამიანი (ფარცხ). „მოწყვეტილი მალე რო იღლება, ისეთი“ (მატაბ., ქართლ. მენთ.).

მ. ჩუხუამ აღადგინა არქეტიპი ს.-ქართვ. *ლოჯ- „დიდი, მბიმე“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. ლოხი გამხდარი, გაძვალტყავებული, დამშლევებული პირუტყვი. „ლოხი ძროხა“ (მოხ. ქავთ.). || მაღალი აღნაგობის გაძვალტყავებული ცხოველი. ადამიანზეც ითქმის. „შახედე, შახედე, როგორ თავისავით *ლოხი* ცხენი მოუყვანია ატიასა“ (მოხ. ღუდ.). იხ. IV. ლიხი.

დიალექტ. III. ლოხი ჭუჭყი. ლოხიანი რასაც ან ვისაც ლოხი აქვს, – ჭუჭყიანი. [ევას] ტყავი ჩააცვეს *ლოხიანი*, რომ აშკარად აღარ ებრწყინა მის სანდომ სიმშვენიერეს (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || ლოჯი, ლოჯიანი ჭუჭყი, ჭუჭყიანი. „ლოჯიანი პერანგის საყელონი მოუჩანდა ახალოხს შიგათა“ (მოხ. ქავთ.). || ლოჯი სქლად მიგოზებული ჭუჭყი. „ჩემი შვილი ისით გალოჯილი მოვიდა რო იმის შემდეგ ვალბობ და ჭუჭყი ვერ გავაყრევინე“ (მოხ. ღუდ.). აგრეთვე: ლაჯი თ. ა. დაღლილ კაცს წყურვილის გამო პირზე რომ ჭუჭყი მოუვა. ბ) ლაჯი თ., ნერჯი ფშ. დამდგარი წყალი რომ თავზე ჭუჭყს მოიგდებს – (ა. შან.).

საშ. ქართ. IV. ლოხი ორაგულის მსგავსი დიდი თევზი, მჭლე და უგემური (საბა).

ლოჯ-ი:

დიალექტ. I. ლოჯი მბიმე კაცი (თუშ. შან.). იხ. I. ლოხი.

დიალექტ. II. ლოჯი ფშ., მოჯ. ჭუჭყი. ლოჯი, გოხი. ჴ. ჭუჭყი. ჯორ., გუდ., მთ., მოჯ., ფშ. ჭუჭყი. ლოჯიანი, გოხიანი ჭუჭყიანი – ა. შან. იხ. III. ლოხი.

დიალექტ. III. ლოჯი გამხდარი საქონელი (მოჯ. შან.). იხ. IV. ლიხი.

ლუკლუკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ლუკლუკი 1. ლიკლიკი, მოისმოდა... მოჩუხჩუხე მდინარის *ლუკლუკი* (ეკ. გაბ.). იხ. I. ლიკლიკი. 2. ტკბილი და მლიქვნელური ლაპარაკი. [მელამ თქვა:] ჩემებურად თუ დავიწყე მოფერება და *ლუკლუკი*, სულ ადვილად მივარდება ვარია და ბატის ჭუკი (შ. მღვიმ.) – ქეგლი. || ლუკლუკი მოფერებით, დაყვავებით გამიზნული საუბარი, ჩუმი ალერსი (ჯავახ. ბერ.). მოლუკლუკება მოფერება. ენით მოალერსება, გულის მოლბობა ანგარებით. „წავიდა, მოულუკლუკა, ენა მოუყარა(ნ) და ისე წაართვა, წაგლიჯა“ (ჯავახ. ბერ.). 3. ლუკლუკი, ჩუკჩუკი ჩაჩურჩულება, ამბის მიტანა და ყურში ჩალაპარაკება (ქიზ. მენთ.). იხ. II. ლიკლიკი.

დიალექტ. II. ლუკლუკი არყის სახდელი ხელსაწყო (ჯავახ. ბერ.). შდრ. ლულუკი ხის მოკლე მილი (0, 5 მეტრამდე სიგრძის), გამოიყენებოდა არაყის გამოხდის დროს არაყის მილისა და ზარფუშის დასაკავშირებლად (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ლულუკა.

დიალექტ. III. ლუკლუკი რაღაც ზღაპრული ცხოველია... „*ლუკლუკი* და გველეშაპი“ (ჯავახ. ბერ.).

ლულ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლული** ძილის ლური – საბა. || ჯდომასა შინა მცირედ მიძინება, ანუ მჯდომარისაგან მცირე ჩაძინება, მცირედი რაოდმე ძილი (თ. ბაგრატ.). რა შეიგნას მეფე მოვა, არ მოუვა თუალთა *ლული* (ფეშ. 380, 4). ჯავრით მაქვს თვალთა *ლული* (ვახტ. VI, 34, 103, 2). მას მისჭირდა უძილობა, მოუვიდა წამ ერთ *ლული* (ნ. ციც. 473, 374, 1). მოყვარეთა მოყვარულთა არა მოვჰგვრი თვალთა *ლულთა* (დ. ორბ. 36, 112). დაღლილ-დაქანცულ საბრალოს თვალებზემოსდის *ლულია* (ვაჟა). [ონისეს] თვალს *ლული* მოერია და თავისავე უნებურად მოეხუჭა (ა. ყაზბ.). ყველამ დაიძინა..., მხოლოდ ნათელას დაასმათს *ლული* არ მოჰკიდებიათ (გ. წერეთ.) – ქეგლი. „ლული დამაწვა თუალებზე“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **შელულვილი:** „საქმისა მისგან გონებისა მღჳძარისა *შელულვილ* საშუმინველისა მისგან პირუტყუებრისა“ (გრ. ნოს.-კაც. აგებ. 170, 23). **ლური** ძილი ზან. (მეგრ. ელ.).

ს.-ქართვ. *ლულ-არქეტიპი აღდგენილია ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. I. რული.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლული** ([ფინაქ] E.) (ლული და ლური E) ტვიფი – საბა. იმა ალაგსა კუამლი და *ლული* არ იყოს (იადიგ. 105, 27). ◊ **სიცხის ლული** მიწიდან ადენილი სიცხით გავარვარებული ჰაერი, – დიდი სიცხე, ბუღი. ზაფხულში, როცა მთელ იმ სოფელში სიცხის *ლული* იდგა, ამ ხის ქვეშ საამურად გრილოდა (ი. გოგებ.). [ქვენა ქარის მეოხებით] ჰაერში ისეთი სიცხის *ლული* ტრიალებდა, რომ კაცს ეგონებოდა გახურებული თონის პირად ვიმყოფებიო (ნ. ლომ.). ◊ **ცრემლის ლული** მწარე ცრემლი. სხვები ლხინობდნენ და მე-კი *ლული* ცრემლისა თვალზე არა მშრებოდა (ილია). თვალებზე... ცრემლის *ლული* სდიოდათ (ა. ახნაზ.). ◊ **ოფლის ლული** მწარე ოფლი. გონება-კი მეუბნება, გაგწურავენ ოფლის *ლულში* (შ. მღვიმ.). ◊ **ცოდვის (საცოდაობის) ლული** 1. დიდი ცოდვა, საცოდაობა, დიდი უბედურება. რა ცოდვის *ლული* ტრიალებდა მთელ იმ თვალგადაუწვდენელ მინდორზე?! (ნ. ლომ.). 2. საცოდავი; ძალიან ცოტა. «ერთი ჩქარა გათენდეს, რომ ბოლო მოუღოს, რაღაც ცოდვის *ლული* სამუშაო დარჩა» (ს. მგალობ.) – ქეგლი. აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., ქართლ. ლექსიკ.

საშ. ქართ. **III. ლული** სადაოზედ წარტაცებული რამ(ე) – საბა.

ლულუა:

დიალექტ. **I. ლულუა** ცხვირის ნესტო [სპარს. ლულე „ლულა“, „სასულე“] (ფერეიდ. ჩხუბ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ლულუა** (ფშ.) ზიზია (ი. ჭყ., ა. შან.). შდრ. **ლულუანი** ახალი, მორთულ-მოკაზმული ტანსაცმელი (ბავშვის ენაზე). ციხით დასჭეხნა ბურამა, ყაწიმნი ლამჩი ხყრიანო, ამადე თამარისბეო, *ლულულან* გელევიანო (ხევს. პოეზ. 176, 2) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **III. ლულუა** ბუა – ბავშვის ენაზე. ბავშს შეშინებისთვის ვეტყით: *ლულუა* მუა შაკჭამსა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ლულუკა:

დიალექტ. I. *ლულუკაი* 1. ავაზნის ნაწილი, საიდანაც წყალი გამოდის. „ამასა *ლულუკაი* ქვია, წყალი გამოდის აქედამა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). 2. თოფის ლულა. ფისტონ თოფში ტყურს *ლულუკათ* ჰყრიან (ინგ. ღამბ.). || ლულუკი ხის მილი, რომელშიც გამოხდილი არაყი მიედინება (ჯავახ. მარტ.). || ლულუკ [აზერ. ლულა] ჰაფთუფისა, ლულეძისა და მისთანათა ჭურჭლის ტუჩი (ინგ. ღამბ.). იხ. II. ლუკლუკი.

დიალექტ. II. *ლულუკაი* ვიწრო ტანსაცმელი, ტანზე მოჭერილი. „ჩუუცუამს *ლულუკაი* ქოთის შალი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. ლულუტი მნიშვნ. 2.

ლულუტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ლულუტი* (ფშ.) «უკაპო და უნუჟრო ხე» («შინამრეწვ.»); «უტოტო და მაღალი ხე» («დიალ.»); წავლენ ტყეში სახოკრეების ასაყრელად, მონახავენ შესაფერ *ლულუტს*, უკაპო და უნუჟრო ხეს («შინამრეწვ.») – ქეგლი. შდრ. ლუტანი (ქართლ.) სწორი, უტოტო ხე («დიალ.»), – ლიტაო (ქეგლი). იხ. I. ლოტო.

დიალექტ. II. *ლულუტი* 1. ოვალური ფორმისა. ქუსლს ლულუტს აკეთებენ, წინისკე მწვეტი-დ' წვრილ', ბოლო-განიერ' («შინამრეწვ.» 171). ოო, დედო, რაჯლა ლულუტდებ ე ცომ, ნეტა ქოო(დ) ვინ ჩაკვდება? (ხევს. თავის 211, 15) – ალ. ჭინჭ. 2. გადატ. *ლულუტ* ვიწრო ზედტანზე შემოჭერილი ვიწრო კაბა (ინგ. როსტ.). შდრ. ლულუტაყ' წოწოლა, წვრილთავა რამე ნადგამი. მაგ. ზვინი. გადატ. ადამიანზეც იტყვიან (თუშ. ხუბ.). || ლოლოტინა ძალიან გამხდარი ადამიანი (ქსნ. სომხ.).

ლუნგ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ლუნგი* 1. ჩლუნგი, ბლაგვი, ბოკო – დ. ჩუბ. «*ლუნგი* ქვა წისქვილისა არ ვარგა, არა ჭრის» (ე. ი. ვერა ფქვავს) (ქიზ. მენთ.) – ქეგლი. *ლუნგი* ქვა არ ვარგა, არა ჰჭრის (ქიზ. მრეწ. IV, III, 174). || ლუგი ძვ. უმახვილო, ბლაგვი (საბა). 2. ლუნგი (დღე, ამინდი) „უქარო. წყნარი, მზიანი დღე“. „როცა *ლუნგი* დღე არი, ვაზისთვინ არ ვარგა, სიცხე რო დაიჭერს, ვაზი იხარშება, ქარიანი ამინდი ჯობია, ვაზს სიმშრალე უყვარს“ (მჯვრ., ქართლ. სალ.).

დიალექტ. II. *ლუგუმი*, *ლუნგი* უგემური, ლუყურტი (საჭმელი). *ლუნგია* წნილი, ბაქმაზი, თუ გინდა, ღვინოცა, მხე რო არ არი, მჟავეა (კარალ.). თუ *ლუგუმ* საჭმელს არ შაატანა რა კაცმა, ან მწნილი, ანა, ისე ვერ შაჭამს (იგ.); აგრეთვე საგურ., ოძ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ლუგუმი (ფშ.). 1. ხორცი, რომელიც დიდხანს იხარშება («დიალ.»). 2. უმარილო, უგემური (საჭმელი). ფიგურ. არ რადმე მეჭაშნიკება სიტყვა კოჭლი და ლუგუმი (ვაჟა) – ქეგლი. *ლუგე* უგემური ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. III. **ლუნგი** ქვედაბოლო. მიანმელი კაცების უმეტესობას დღემდე ტრადიციული სამოსი, *ლუნგი* (გადასადები ქვედაბოლო), მოსავთ („განმარტ.“).

ლურთ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლურთი** ძალიან მსუქანი ხორცი; ქონი (სინონ. კახ. თურთუმელა). ხორცი მოუტანეს, ხორცი *ლურთი* იყო, მქისე სუნი მოსდიოდა (ვაჟა). «ერთი შაურის ღორის *ლურთს* ვიყიდი» (ს. მგალობ.) – ქეგლი. || ცხიმიანი ნაჭერი ხორცისა. მჭლე ხორცი ძნელი საჭმელია, კბილეფში მეჩხირება ხომე, *ლურთი* კარქია, ვყლაპამ ხომე მარწყვივითა (გრაკ., ქართლ. მესხ.). აგრეთვე: ლეჩხ., ფშ., ქართლ., კახ. შდრ. ლურთუნგი მსუქანი ხორცი (ქიზ. მენთ.). ლუთუნი ძლიერ ქონიანი ხორცი. მოვთლიდით *ლუთუნს* და ვჭამდით (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ლურთი [სპარს. ლუტ] ლურ-თ <*თურ-თ < თურ-თუმ (სინონ. კახ. თურთუმელა) (ერთელიშვილი 1980: 154).

დიალექტ. II. **ლურთი** ბავშვთა თამაშობა. ლურთრ ითქმის მხოლოდ თხილებით თამაშში. *ლურთ* თუ კენტივ, ერთ ეტყვის, მეორემ უნდ უთხრას კენტი მეავ ან წყვილი მეავ, თუ გამიცნობს იმისარ (თუშ. ცოც.). შდრ. ლუთუკენტი ბავშვთა თამაშობაა: ლუწი თუ კენტი (რაჭ. კობახ.). შდრ. ლურტუ კენტი (< ლუწი თუ კენტი) თამაშია (ქიზ. მენთ.). ლუწთუ კენტი, ლუსტუკეტი (< ლუწი თუ კენტი) თამაშია (ვ. ბერ.).

ლურსა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლურსა**, ლურსა-დანა (ფშ.) დანა, რომელიც არ იკეცება, – ხანჯლის შვილი. იმ დღეს ნიკალას მამამა ამზადა მისი აბჯარი. ათეთრა, ხოხითა ლესა *ლურსა*, სათულად სახმარი (ბაჩ.). იმან ხანჯრის ქარქაშიდან ამოიღო *ლურსა-დანა* (ვაჟა) – ქეგლი. || ფშ., ურსა ჯ., უსა გუდ. ხანჯლის ქარქაშში ჩასაგები დანა. ხანჯლის ბარტყი მთ., ხანჯლის შვილი მოჯ. – ა. შან.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლურსა** 1. წმინდა და თხელი ცხვირი – ი. გრიშ. 2. გადატ. ლურსა უხასიათო, უჟმური (ადამიანი). *ლურსა* რძალი რო შემხვდეს, რა გაუძლებს, გენაცვათ! (კარ.). შე *ლურსა*, შენა, მიწაში კი *დაილურსე*, რას იბღვირები? (ტყვ.); აგრეთვე ატ., ძეგ., წილკ. (ქართლ. ლექსიკ.). დაილურსება გაბრაზდება, გაიბუტება (მთ. კაიშ.); ლურსვა სატირლად მზადება. „რას ილურსები? შენს მეტს ბებიაი არვის მაჰკვდომია? სულ ერთავად დალურსილი დაზდიხარ“ (მოხ. ღუდ.); **ლურსავს** ძირს ხრის (თვალებს), [ჩამო]ყრის (ყურებს) – ქეგლი.

ლუსკუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლუსკუმი**: ◊ **ლუსკუმი ღამე** «ბნელი ღამე» (ი. ჭყ.) – ქეგლი. || ძალიან ბნელი, დაბურული, გაუვალი. „გუუდგენ გზას *ლუსკუმ* ტყეში“ (ლიხ.). „ვერ წავალ ამ *ლუსკუმ* ღამეში“ (ასკ., გურ. ჯაჯან.).

კლუბიდან რო გამოვედით, სანამ შევეჩვეოდით, ისეთი *ლუსკუმი* ღამე იყო, თით ვერ მიიტანდი თვალთანა (იგ.). ემ *ლუსკუმ* ღამეში სად უნა წავიდე, აღარ გაგითენდება?! (კავთ., ქართლ. მესხ.). შდრ. ლუსკომი სიბნელე. ძველ-სახში ლუსკომი იყო (რაჭ. კობახ.). || ლუკუმი ძალიან ბნელი (გურ. ჯაჯ.). || ლისკომო უკუნეთი ღამე, სიბნელე. – რაფელი ლისკომო ღამეა, თვალში თითს ვერ მიიტან (რაცხ. გურ.). || ლუსკუმე || ლუსკომი: ძველ-სახში ლუსკომი იყო (რაჭ. კობახ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ლუსკუმი** (მოხევ.) გამაგრებული ყინული («დიალ.») – ქეგლი. **ლუსკუმი || ლუკუმი**: „წყალს *ლუსკუმი* გედეეკრა, ნებანება შაიძლება გაიარა“ (მოხ. ქავთ.). || ყინვისაგან მოლიპული გზა (მოხ. შან.).

ლუსკუმა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლუსკუმა** 1. კიდობანი სამარხი; მიცვალებულის ნაწილების დასაცავი კუბო || მაღალი საფლავი (საბა): „ნაწილნი მათნი შეკრიბნა *ლუსკუმასა* შინა ერთსა“ (მსკ. 6, 2); „შექმნა ლუსკუმაჲ ცეცხლისაჲ“ (ჯუარ. გამოჩ. 243, 1); „ნაწილნი მისნი. . . დაიხსნეს სამარხოსა *ლუსკუმასა*“ (ი.-ე. 49, 13) – ილ. აბულ. საროსა მგზავსნი *ლუსკუმსა* ჩასხნა თავისა ჴელითა (შჰნ. I, 2914, 2). აქვს ზარდაჯშანი, მას ბადაჯშანი *ლუსკუმებრ* მათთვის დასაკრძალითა (შავთ. 43, 4). და ეზოსა ტაძრისასა სამარხო *ლუსკუმა* ღირსთა მამათა (ტ. გაბ. 135, ქვ. 1). ეს *ლუსკუმები* მკვდრების სახლები (თ. სახოკ. თარგმ.) – ქეგლი. 2. ლუსკუმა, ლუსკმა ლარნაკი, მაღალი ტაგრუცი (დ. ჩუბ.). || ზანდუკი, კიდობანი. ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი, ზურმუხტისა, ბუდებითა იყვნეს ვითა *ლუსკუმანი* (რუსთაველი). [კათალიკოსმა მეფეს] კლარჯეთიდან ჩამოტანილი ძელიცხოველის ჯვარი მიართვა, ჰატიოსანი თვლებით მოოჭვილ *ლუსკუმაში* ჩადებული და ძვირფასი ხატი ამინაშატისა (კ. გამს.) – ქეგლი. || ხატის ჩარჩო (რაცხ. გურ.).

სიტყვა ნასესხებად მიაჩნია იუსტ. აბულაძეს. ლუსკუმა [სირ. გლუსკმა, ბერძ. გლოსსოკომონ] (იუსტ. აბულაძე 1916: 812).

დიალექტ. II. **ლუსკუმა || ლუსკუმი** ძალიან ბნელი, დაბურული, გაუვალი (გურ. ჯაჯან.). || ლუსკუმეტი წყვდიადი (ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. ლუსკუმი.

ლუსმანა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლუსმანა** ლურსმანა – ცუდი უღლისაგან მუშა საქონლის ქედზე ამოსული მუწუკი. იწვევს ქედის სიმსივნეს («დიალ.») – ქეგლი. *ლუსმანა* წვიმაში ხედნამ იცის. *ლუსმანა* რო არ გოუჩდეს, უღლიდან გამოუშობ თუ არა სოველი კისერი მარილიანი წყლით უნა მოჰბანო (რაჭ. კობახ.). აგრეთვე: ჯავახ. ბერ.; ქიზ. მენთ. **ლუსუემ, ლუსმარ ლუსმან** ლურსმანი (სვან. თოფ., ქალდ.).

ლურსმანი > ლურსმანა > ლუსმანა. ამოსავალი გადატ. მნიშვნელობით უნდა მომდინარეობდეს ლურსმანისაგან. ლურსმანი ლითონის (რკინის, ფოლადის...) თავბრტყელი და ბოლოწვეტიანი ღერო; იხმარება რისამე დასაჭედებლად, დასამაგრებლად (სინონ. მვ. სამსჭვალი) – ქეგლი. ლურსმანი კი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დამოწმებულია X საუკუნიდან. ჯერ მუსმარი, ხოლო შემდეგ ლუსმარი ფორმით. მუსმარი ნასესხები ჩანს არაბულიდან (აჭარიანი 1977: 367), ან ახალი სპარსულიდან. წარმოშობით სიტყვა არაბულია. [არაბ. მისმარ] ქართულში ჯერ მუსმარად გარდაქმნილა, შემდეგ ცვლილებათა ასეთი ჯაჭვი მივიღეთ მუსმარი > ლურმარი > *ლუსმარნი (მ. რ.) > ლურსმანი (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **ლუსმანა** ბალახია ერთგვარი (ჯავახ. ბერ.). შდრ. ლუსუმა [Primula macrocaiyx] (ფშ.) ბოტან. ფურისულას ერთ-ერთი სახეობა, ყვითელყვავილიანი. ენძელა და ლუსუმა რახანია ამოძვრა დედამიწიდან (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

ლუტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ლუტი** 1. «კაცი უსახლკარო და უქონელი» (საბა). ზაალმა და მაიორებმა... *ლუტი* ძმები საბოლოოდ გააბოროტეს (მ. ჯავახ.) – ქეგლი. 2. გადატ. ბოთე; უგერგილო, უფხო კაცი (აჭარ. ნიჟ.). არაფრის მაქნისი, მოუხერხებელი კაცი. „ძალიან *ლუტი* კაცია, ურგებელი, აყუდებული შეშა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ლუთ [აზერ.] ღარიბი, ღატაკი. ერ ლუთ კაც ყოფილ, ღარიბ, ქესიბ; მე ერ ლუთ კაც ვარ, მე მამცემსა ქალს? (ინგ. ღამბ., იმნ.).

დიალექტ. II. **ლუტი** სიცხარეს მოკლებული, ნაკლებად ცხარე საჭმელი, უგემური, უმარილო და შეუნელებელი. „შენ ჰელბეთ, პირი მწარე გაქ და იმიტომ გეჩვენება *ლუტი!*“ (აჭარ. ნიჟ.). „საჭმელი *ლუტი* გამოსულა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ლუტლუტი დამჟავებული და შედედებული რძე, რომელიც წებოვანივით ხდება (ხევს. თავისებ. 268, 7, 8) – ალ. ჭინჭ. შდრ. [სპარს. ლუტ „საჭმელი“].

ლუხუმ-ი:

დიალექტ. I. **ლუხუმი** [თურქ.-არაბ.] ხორბლის თეთრი ფქვილის ნამცხვარი (აჭარ. ნიჟ., ნოღ.). „*ლუხუმი* ქონშიც გამოცხუება“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., მესხ. ფეიქრ.

დიალექტ. II. **ლუხუმი** პატარა მდინარე, რომელიც წვიმის დროს ძალზე მატულობს (რაჭ. ბერ.). შდრ. ლუხუმი (ლუხუმი) ველური, გაუგებარი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. III. **ლუხუმი** ცხენის საკუთარი სახელია. სამი იორღა გავზარდე: შეთე, მინინო, *ლუხუმი* (ალ. ოჩ. 198, 27) – ალ. ჭინჭ.

მ

მადა:

საშ., ახ. ქართ. **I. მადა** 1. იშტა, საზრდელის ნდომა – დ. ჩუბ. || საჭმლის ნდომა, ჭამის სურვილი. *მადა* ჭამაში მოდისო (ანდაზა). მწვადის სუნი ძლიერ *მადას* უღვიძებდა მგზავრებს (შ. არაგვ.). მე ამაღამ როგორღაც *მადა*ზედა ვარ! (ილია). 2. გადატ. რისამე სურვილი, წადილი; აქვე მადა სიტყვიანი კომპოზიტები: მადააღძრული, მადააშლილი, მადაგაღვიძებული, მადა გახსნილი, მადადაკარგული – ქეგლი. **მანდ, მანდა** ნდომა, წადილი, სურვილი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. **II. მადა** ურთხელი (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. მადა** ფითრი (მახ.-ყვ., გურ. ჯაჯან.; აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **IV. მადა** ლობიოს ჯიში. მოვთვლით აქ (აჭარაში) გავრცელებულ ლობიოთა ჯიშებს ყურშუმა, *მადა* (თ. სახ., აჭარ. ნიჟ.). შდრ. **მადი** მუქი ფერის ყვავილი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. **V. მად, მადა** 1. მიმართ. ბრ. იგი ნაცვალსახელისა. 2. ზმნს. იმიტომ, მიტომ. რად უნებებია. . . ავტორს ამისთანა ტყუილის გამოცხობა? მად, რომ კაცია და გუნებაო (ილია). კიდევ რად მოსწონს მათე სოფელს? რადა და *მადა*, რომ მხნე კაცია (ვაჟა) – ქეგლი. **მად** || **მადა** (ასე იხმარება ხარაგოულის რაიონის ქართლის მოსაზღვრე სოფლებში) იგივეა, რაც მადანა. მად იყო, ხარაგოულში (წიფა); ორივე მად არიან (ზვარე); ეგრე წერია *მადა?* (ხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). „რადა და *მადა*, რო ეგრეა საჭირო“ (ფშ. ხორნ.). შდრ. მანდ, – იმ ადგილას (ქეგლი).

მადიან-ი:

ახ. ქართ. **I. მადიანი** 1. მადის მქონე. მადიანი მჭამელი. – მადიანი სტუმარი. 2. რაც მადასა ჰგვრის, – მადის მომგვრელი, მადის აღმძვრელი, გემრიელი. მადიანი ლუკმა. – [ღვთისომ] შიმშილი იგრძნო ამ *მადიან* მწვადის სუნზე (შ. არაგვ.). ◊ **მადიანი ჭამა** სიამოვნებით, გემრიელად ჭამა. ძაღლის *მადიანი* ჭამა... [კატასაც] უშლიდა საღრღნელს (ი. ელეფთ.) – ქეგლი. იხ. I. მადა.

დიალექტ. **II. მადიან: მადიან** ცხენ [აზერ. мадиан] დედალი ცხენი, ფაშატი (ინგ. ღამბ., როსტ.).

მავალ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მავალი** «რომელი ვალს», მოსიარულე: „გულის-თქუმისაებრ თჳსისა *მავალნი*“ (II პეტრე 3, 3); „*მავალი*“ G, – „რომელი ვალს“ (O, ლევიტ. 11, 41); „ჰხედავნ იგი კაცთა, ნავითა *მავალთა* ზღუასა შინა“ (მ. სწ. 117, 13). აქვე: თანამავალი, მამათმავალი, მიმომავალი, ქმრის ცოლის მავალი, წინამავალი – ილ. აბულ. გამოემართა ავთან-

დილ, მოყმე მხნე, ლაღად *მავალი* (რუსთაველი). 2. რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი. შუამავალი, ორთქლმავალი. თბომავალი – ქეგლი. || ჩქარი მოსიარულე, სწრაფი. „ეგ ისითა *მავალ* იყვის, მენ სანამ სასვენაში ავიდოდი, ეგ წვერზე იყვის“ (ფშ. ხორნ.). **ხეზე მავალი** – ვინც მოხერხებულად ადის ხეზე, ხეზე ასვლა ეხერხება, არ ეშინია (წიაბ.). „**მავალი ბარი**“ – რომელიც მიწაში კარგად მიდის (მახ., გურ ჯავან.).

დიალექტ. **II. მავალრ** სურავანდი. უმთავრესად კბილებისა და ღრძილების ავადმყოფობა (თუშ. შან., ცოც.). || მოარული სენი, ჩამავრები (რაჭ. კობახ.). || მავალაი (ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.). შდრ. I. მავალი.

დიალექტ. **III. მავალი** მავანი. *მავალ* დროს, *მავალ* ღამეს ერთი მასკვლავი ამოვა (ჯავახ. მარტ.). იხ. II. ამავალი.

მათუთა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მათუთა, მათუთელა** – დ. ჩუბ. || [chenopodium foliosum] მიწაზე გართხმული ერთწლოვანი ბალახი ნაცარქათამას გვარისა; აქვს თუთის მსგავსი წითელი ნაყოფი; იზრდება ნაგვიანსა და ნანეხვარ ადგილებზე – ქეგლი. || მათუთი (ჯავახ. ბერ.). || თუთა. ბალახ მცენარეა. ხიფხოლასა ჰგავს. ნაკელიან ადგილებში მოდის, ღეროს ფცქვნიან და ისე ჭამენ (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **II. მათუთა** იტყვიან უშნოდ თავშემობლარდნილზე. თავზე რო შამაიბორბლამს ადამიანი რაც იქნება, შალი იქნება თუ დიდი თავშალი, ეტყვიან, *მათუთა, მათუთაო*, რაჲ შამოგიბორბლია თავი ბებერივითაო (ერთაწმ., ქართლ. მესხ.).

მაინდ-ი:

დიალექტ. **I. მაინდი** მოხმარება სამუშაოზე სამაგიეროს გადახდით (გურ. ჟღ.). შდრ. **მანიდი** დამანიდება, ბარვის ან თოხნის დროს მეზობლების ურთიერთდახმარება რიგ-რიგობით (ზ.-აჭარ. ნიჟ.). მანიდობა ერთობა, შრომითი საქმიანობის ერთად შესრულება, ნადი. „საჭმელი მიქონდა მანიდობაზე“ (სტ.); „ზაათი მანიდობა, ერთობა გვქონდა“ (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. მაინდი** მარაგი დღეობისათვის. *მაინდათ* ინახავენ ზანდურის პურს (ოკრიბ. ალავ.). შდრ. დამაიდნება მომარაგება, მომზადება წინასწარ (ლეჩხ. ალავ.).

მაკარია:

დიალექტ. **I. მაკარია** პატარა ხის ყუთი (ზოგჯერ მოვერცხლილი), რომელშიაც ინახავენ ხოლმე წვრილმან საოჯახო ნივთებს (აჭარ. ნიჟ.). შდრ. მაკარაჲ [თურქ.] ბაფის დასახვევი ხის პატარა ცილინდრი, – კოჭი (აჭარ. ნიჟ.). იხ. II. მაღარა.

დიალექტ. **II. მაკარია**: 1. **მაკარიის ძაფი**. ნიჟნი-ნოვგოროდიდან („მაკარიის იარმუკიდან") მოტანილი, იქაური წარმომავლობის ძაფი. *„მაკარიის ძაფი* უნდა დაგრიხო ჩემი ბაყვის სისხო და დამახვიო ტანზე არშინის სისქეზე და ის დამაკავებს მეო" (იმერ. გაჩ.). გადატ. *მაკარიის ძაფივით* წვრილი და წმინდა. პეპლამს გველი ქათამს, კვერცხი მისი სულ პატარა არი, ქათმის კვერცხში იყო ის წყეული, მაკარიის ძაფივით იყო (ფარცხნალი, ზ.-იმერ. ძოწ.). 2. **მაკარია**: **მაკარია ყართოფი** (ზ.-აჭ.) კარტოფილის ერთ-ერთი სახეობათაგანი. *„მაკარიაჲ ყართოფი* ჩვენს ძველებს უდიდან გამოუთესლებიათ" (აჭარ. ნიჟ.). შდრ. თურქ. [მაკარე, მაკარიაჲ] იარმუკა, ბაზრობა.

მაკნა:

საშ. ქართ. **I. მაკნა** „შარი" – კეთილი (კარგი) ნარმა (საბა). აიღე თაგუის- ჴმლისა ყუავილი, დანაყე, და წყალი მისი შარითა დაწურე, ანუ *მაკნათა* (ფანასკ. 25, 8). შდრ. მაკნანი ლეჩაქი – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. მაკნა, მაკნავა** ცვალებადი ცერცველა (რაჭ. მაყ., დიალექტ., 686).

მალაქ-ი:

დიალექტ. **I. მალაქი** ანგელოზი (ფერეიდ. ჩიქობავა.). შდრ. მელაიქი [არაბ.] ანგელოზი (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. მალაქი** [თურქ.] კამეჩის შვილი, კოზაკი) „ჩუენა ჯამუშის შვილსა *მალაქ* ვეტყვით" (ჳ., ჩვენ. ფუტკ.).

მალხაზ-ი:

საშ. ქართ. **I. მალხაზი** ლურჯ-მოიისფრო – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. მალხაზი** სიცოცხლით სავსე, ცქვიტი და კოხტა, ლამაზი. ბიჭო, ვისი ხარ *მალხაზი?* დაურჩი დედა-შენსაო! (ხალხ.). ვანომ ჩიტებს შესძახა: «ჰე, ჩიტებო, ჩიორებო, *მალხაზო* და ნაცარებო!» (ი. გოგებ.) – ქეგლი.

მან-ი:

ახ. ქართ. **I. მანი** 1. ქართული ანბანის მეთორმეტე ასოს მ-ს სახელწოდება (მეცამეტე – ძველ ქართულ ანბანში); რომ ვეღარ შეძლოს მტარვლობა სუსტის მჩაგვრელმა ძალამან, შეძარი სვეტი ბომონის..., მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: *მ[ანი]* (აკაკი). 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ორმოცს (40) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. მანი** აბრეშუმის ქსოვილზე გამოყვანილი მან-ასოს მსგავსი სახე – ქეგლი.

დიალექტ. **III. მანი** სიტყვის მნიშვნელობა უცნობია. „ანი იძრა, *მანი* იძრა" (ქვაბ., შელოცვიდან) (გურ. ჯაჯან.).

საშ. ქართ. **IV. მანი** მარი მაჰმადიანი ცოლის მიზდი, ქებინი – დ. ჩუბ.

მანავ-ი:

საშ. ქართ. **I. მანავი** „გვარი, ნაირი“ (იუსტ. აბულაძე). ვისი... წამსა და წამსა თუითოფერსა ითხოვს და ათასსა *მანავსა* ხარასა (ვისრ. 39, 16).

მანავის წარმომავლობის შესახებ ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს. იქნებ ის აბრეშუმის შულოს ნიშნავდეს [სომხ. manel-რთვა, გრეხა]. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ქართულ ლექსიკონებში „მანავი“ არ ჩანს (გვახარია, თოდუა 1962: 761).

დიალექტ. **II. მანავი** მოვაჭრე, მემწვანილე. *„მანავები* ყოფილან აქა იმფოსერთი“ (სტ.); *„მანავები* ყოფილან ადრე ინეგოლში“ (თ. ტ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. მანავი** ვაზის ერთ-ერთი ჯიშია, შავი წვრილი მარცვლები აქვს. *მანავი* რკოს გავს, წვრილი მარცვალი აქ, არც მტევანია შეკრული, თხელია, ძალიან ღებავს (ბაჯითი, ზ.-იმერ. ძოწ.).

მანანა:

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. **I. მანანა** 1. ზეცით შთამოვრდომილად (ჩამოვრდომილად B) ითქმის, ხოლო ენითა ასურულითა მანანა რაჲაო, ვინათ(გან) არა იცოდეს (იცოდენ B) რა იყო – საბა. || [ებრ. მან ჰუ „რა არის ეს“] რელიგ. ბიბლიის მიხედვით – ტკბილი და ნოყიერი საჭმელი, რომელიც ცვიოდა ზეციდან ისრაელთათვის მათ უდაბნოში მოგზაურობისას. „მამათა მათ ჩუენთა ჭამეს *მანანაჲ* იგი უდაბნოსა მას“ (ი. 6, 31); „ტაკუკი ოქროჲსაჲ, სავსჱ *მანანაჲთა*“ (ჰებრ. 9, 4); „უწყმა *მანანაჲ* საჭმლად“ (ფს. 77, 24). || შესაწირავი, ძღვენი, manna: „უძღუნებნ მას *მანანასა*“ (O, IV მფ. 17, 3); „მოაქუნდეს შესაწირავი და საკუმეველი, *მანანაჲ* და გუნდრუკი“ (I, იერემ. 17, 26) – ილ. აბულ. გულამოსკვნილმან ნარგისთათ ვარდსა დასწვიმა *მანანა* (ნ. ციც. 533, 705, 3). უწვიმა ღმერთმა მწყერი და *მანანა* (თეიმ. I, 324, 20, 2). ღვთისმშობელმან ჰრქვა: იწამეთ, ვინ ცით გვიწვიმა *მანანა* / ქვეყნად უმამოდ ქალწულსა მე მარწებინა, მანანა, / პაპად, ბებიად ითნია იოკიმე და მან ანა, /შესანდობელად ყოველთა მით ცოდვა თქვენი მანანა (დ. გურამ. 83, 149, 1). გეწვიმ-ნამცვარწანწკარნეს ცის პურ-*მანან*-მურასნი (ბეს. 103). აგრეთვე: მრეწ. IV, II: ქიზ., 14, ქვ. იმერ. 27, გ.-კახ.,14, აჭარ. სურმ., 46, იმერ. გაჩ. || გადატ. მოულოდნელად მისწრებული დახმარება; სასიხარულო, სასიამოვნო რამ. ვაჟი მოგვცა [დედა ღვთისამ], მით გვიწვიმა ციდან *მანანაო* (რ. ერისთ.). „ასი მანათი ახლა ციდან ჩამოვარდნილი მანანა იქნება“ (ნ. ნაკაშ.) – ქეგლი. 2. იგივეა, რაც ბურღული. მანანის ფაფა. 3. გადატ. ჟინჟღლივით დანაწვიმი ზოგიერთი მცენარის (კაკლის, ცაცხვის, ჭინჭრის) ფოთლებზე (ჩვეულებრივ ივნის-ივლისში); მზეზე ბზინავს. ტყე საუბრობდა ტურფადა, თავით ძირამდე თრთოლავდა, *მანანას* ხშირად იბერტყდა, როდესაც შემოჰქროლავდა (ბაჩ.); ციური ნიჭის მისაღებელად ვარდმა კოკობმა თავი ახარა, ცრემლად დაეცა გულზე *მანანა*, აალფერა და გაახარა (აკაკი) – ქეგლი. || შავი ლაქები. ზაფხულში ჩნდება თხილის, ცაცხვის, წაბლის ან ვაზის ფოთლებზე (ლეჩხ. ალავ.).

ებრ. mān, ასურ. mannā, ბერძ. mánna, სომხ. mananay. ჰრ. აჭარიანისა და ნ. მარის აზრით, ქართული ფორმა ნასესხებია სომხურიდან (ТРАГФ, IV, 157, ჰრ. აჭარიანი 1977: 251). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. მანანა** 1. (ქართლ. გურ.) მცირე, პატარა. ერთი მანანა მარილი მასესხეო. – ერთი პატარა *მანანა* ხან გაიცინებს, ხან – არა (გამოცანა: ციცინათელა). 2. (გურ.) „ზრდაში ჩამორჩენილი, ცახზე დაგვიანებით ასული აბრეშუმის – ჭია“ (გ. შარაშ.). || (ქიზ.) „პარკის აკრეფის შემდეგ დარჩენილი თითო-ოროლა წვნიკი აბრეშუმის-ჭია (ს. მენთ.) – ქეგლი. ცოტა დარჩება ის *მანანაი*, ამოვკრეფამთ, იმასაც ცალკე დავსხამთ (ზ. ხანდ.). ერთი ლაღტი მანანაღა დარჩა, დღეს იმასაც გამოვკრეფამთ (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). 3. (გურ.) სიმღერაა ერთგვარი, = ძველი ჩარირამა (ქეგლი). შდრ. მუნუნა /ე,-ი „ერი მუნუნე“-ძალიან პატარა (გურ. ჟღ.).

დიალექტ. **III. მანანა** (იმერ.) წითელი საღებავი (კვერცხის შესაღებად). მანანით დაწითლებული თითები – ქეგლი.

დიალექტ. **IV. მანანა: მანანა ვაშლი**: ზაფხულისაა შაფრანი (ბგვ., საღრ.) და *მანანა* ვაშლი (ლახ., ალგ. სალ.).

დიალექტ. **V. მანანა** ლურჯთვალა ყვავილი. ფუტკარი ესევა. „*მანანა* რო ამოკუჭუჭდება, ლურჯი გული აქვს და თითონ ყვითელია“ (თვალად. შატბ.). აგრეთვე: მრეწ. IV, II: ქიზ. 14, ქვ.-იმერ. 27, გ.-კახ. 14, აჭარ. სურმ. 46, იმერ. გაჩ.

დიალექტ. **VI. მანანა**: 1. **მანანა წვიმა** ჟუჟუნა წვიმა. *მანანა* წვიმა მოვიდა (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ). *მანანა-ნ-ი* ნამი. || ცრემლები (ჯვართ ენაზე). ბუქრამ შეიტყვა, რო ცეცხლი ჰჩინდებოდა, ცხრა სახედავით *მანანან* დაყარნ [ცრემლი] (ქხპ. I, 300, 30); 2. **სისხლის მანანა** სისხლი, სიკვდილიანობა (ჯვართ ენაზე). გაუმთხილდითავ მანგიასავ, *სისხლის მანანა* არ ჩამავარდასავ სოფელჩიავ (ეთნ. საიქიო, XI, 127) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე იმერ. გაჩ.

დიალექტ. **VII. მანანა** ოჯახის ბურჯი, მოამაგე, მშრომელი. || **„ოჯახის მანანა“** (მოხ. ქავთ.).

მანგალ-ი:

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. **I. მანგალი** ნამგალი, «მღული»: „მოავლინის *მანგალი*“ DE, – „მოავლინის მღული“ (C, მრ. 4, 29); „შეჩრიდენ... ლახურებსა მათსა *მანგლად*“ (O, მიქია. 4, 3) – ილ. აბულ. **მანგალი** ყანის მოსაჭრელი – საბა. გევედრები შემიბრალო, თავს მომჭრიან *მანგალითო*,/ოდეს სული ამომგლიჯონ, შენკე მისწი მანგანითო! (დ. გურამ. 110, 334, 3). „ესა *მანგალია*“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.). „ვთიბავ *მანგალით*, ახლანდელი *მანგლები* მაგრებია“ (უსტ., შავშ. ლექსიკ.). „*მანგალით* გვერდ ეერებში ვჭრით“ (ქირიმითი, კლარჯ. ლექსიკ). აგრეთვე მესხ. ფეიქრ. **მანგალი** ნამგალი ზან. (ლაზ. თანდ.). ოდესმე მ შეიცულების ნ, მაგალითად: მანგალი – ნამგალი,

მებოძირი – ნებოძირი, მორჩი – ნორჩი, მუგუზალი – ნაგუზალი, მუხუდო – ნუხუდო, ... (ნ. ჩუბ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **მანგალი** მაყალი – ალ. ნეიმ. შდრ. მანკანა [თურქ. მანყალ] ZAaCb, მანღალ B, მაყალი CqD. მასმორი, საცეცხლურია ილეკროთაგან, ზამთარ წინ სადგმელი ZA – საბა. ათეშგაშა (ქართლ.) საცეცხლე, მანგალი (კირიონი).

დიალექტ. III. **მანგალი**: „ანგალ-მანგალი ბიჭები" (შილა მახვილაძის პატარა ფელეტონის სათაური) – ი. გრიშ. შდრ. ანგალი საუბ. ლაზღანდარა, მასხარა; ოხუნჯი, ანცი – ქეგლი.

მანდალინა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **მანდალინა** მანდოლინა. ზოგი გიტარას უკრავდა, ზოგი *მანდალინას* (დ. ქოჩლ.). || მანდოლინა [იტალ. mandolino] დასაკრავი სიმებიანი ინსტრუმენტი – ქეგლი. შდრ. მანდოლინი: „მანდოლინი ქონდა ამას" (შავშ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **მანდალინაი** [თურქ.] მანდარინი. „ჩუენსა *მანდალინაი*, ფორთოქალი არი" (ფატ., ჩვენ. ფუტკ.). კოლექტივში გავაშენეთ ლიმონი და *მანდალინა; მანდალინები* მოვიდა ხვარბეთის და კანჭკათისო (გურ. ფოლკ. ღლ.13, 15).

მანიკა:

დიალექტ. I. **მანიკაი** საბრალო, საწყალი (გურ. ღლ).

დიალექტ. II. **მანიკა** საწყაო. მოვწველამთ კასრში, ხი *მანიკაში*, ან სხვა რამეში (ზ.-რაჭ. მრეწ. IV, I, 199). ღვინის საწყაოთ ვიცოდით: *მანიკა* ხის, ორი ბოთლის ჩამავალი იყო (ლეჩხ. მრეწ. IV, III, 153). || პატარა დოქი, სამი ბოთლის ზომისა (გურ. მრეწ. IV, III, 162). **მანიკიანი** ღვინის საწყაო ჭურჭელი თიხისა, დოქი (ოკრიბ. ალავ.). შდრ. მანერკა 2, ½ ბოთლი – დ. ჩუბ.

მანკან-ი:

საშ. ქართ. I. **მანკანი, მანღალი** ლანძვი, საცეცხლე, მდაბ. მაყალი – დ. ჩუბ. იხ. I. მანგალი.

საშ. ქართ. II. **მანკანი** მცენ. ილი, მახმორი – დ. ჩუბ.

მანო:

დიალექტ. I. **მანო** ტყის მიხაკი, მცენარეა (მესხ. ა. მაყ.).

დიალექტ. II. **მანო** დროებით გაქირავებული ბინის მეპატრონისათვის გაღებული საზღაური აზარტული თამაშისათვის (აჭარ. ნიჟ.). შდრ. IV. მანი.

საშ. ქართ. III. **მანო**: თხელი (მანო B.; სეირაქ BCDE.; ნოსტრ BCDE.) ესე არს, ქარტის მსგავსი რაიცა იყოს – საბა.

საშ. ქართ. IV. **მანო** ჯელი. მაჯას წინათი – საბა.

მანძილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **მანძილა** (ხევს.) ჯიხვის ეპითეტია. «ბევრა გიხოცავ ჯიხვები, *მანძილა* რქაჯანგიანი» (ბ. გაბ.) – ქეგლი. ჯიქვნია სიმაგრეჩია, *მანძილანია*, იმითა (ალ. ოჩ. 10, 23). წაოლავ ნადირობადავ, *მანძილას* დავსცემ რქაზედა! (ალ. ოჩ. 44, 22). აგრეთვე: თეთრი მანძილა, მანძილიანი ცხენი, მანძილის ცხენი, უმანძილო ცხენი – ალ. ჭინჭ. || დიდი, ზრდადასრულებული და ხვნაში გაწვრთნილი ხარი. „ჩემ ქორიაყისთანა *მანძილაც* ჯარ არ იქნებ გომეწარ“ (თუშ. ცოც.). აგრეთვე ფშ. ხორნ. გადატ. კარგი ვაჟკაცი. «მაუვას (მოუვა) ჩხორაგოელი *მანძილა* რქაჯანგიანი» (ბ. გაბ.) – ქეგლი. გარბის-გამორბის გარაი, *მანძილა* ქორბუდიანი (ხევს. პოეზ. 148, 6) – ალ. ჭინჭ. „საფლავსა, გმირო ვაჟკაცო, ცოცხალსავ გაგითხრიანო, ჩახჳედი-დ ამოიგმინე ჯარო *მანძილავ*, რქიანო“ (თუშ. ცოც.). მისრიაშვილო ჯმლიანო, შამასწევ ამაიკვნესე, ჯარო *მანძილავ* რქიანო (ფშ. ხორნ.). მანძილა < მანძილი. ა სუფიქსი. შდრ. მანძილიანი ცხენი შორ მანძილზე მორბენალი, მუხლადი ცხენი (ხევს. ჭინჭ.).

მანძილი ორ პუნქტს შორის მოქცეული სივრცე. გ. წერეთლის, ა. შანიძის აზრით, მანძილი შესაძლოა არაბული წარმოშობისა იყოს (შდრ. არაბული manāzilu „ჩამოსვლის, გაჩერების ადგილი“ „სადგური“, „სადგომი“, „ბინა სახლი“ (გ. წერეთელი 1951: 256; ა. შანიძე 1953: 258). ბ. გიგინეიშვილის ვარაუდით, მანძილი ქართულში ნასესხებია თურქულიდან: შდრ. თურქ. menzil „გაჩერება“ „გაფრენის სიგრძე“, „სასროლი მანძილი“ (გიგინეიშვილი 2016). **მენძილი** მანძილი ზან. (ლაზ. კალანდ.).

დიალექტ. II. **მანძილა** || **მანძილო** სოკოა ერთგვარი (იმერ. გაჩ.). || მანძილო სოკოა, ხეზე არი გამოსული. ხანში შესული ხე რომელიც არი, ბევრია იმაზე, ქამა სოკო როა, იმის წანამგვანია, ფერათა, უკურწოთ არი ხეზე, ჯგუფათა (ჩუმათ.). *მანძილო* სოკოსა გააჭკნოფ, თუ მაშინათვე გააკეთეფ, კარგია, თუ არა ზამთარში (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.). || *მანძილო* ხის სოკოა, მოლურჯო-მონაცრისფერო (ჩიხა); ხის სოკოა *მანძილო*, მოშავოსავითაა, აპრილში მოდის (პერევი, ჯალაურთა, ზ-იმერ. ძოწ.; ოკრიბ. ალავ., იმერ. ჯაჯან.).

მიგვაჩნია, რომ მანძილა < გადატ. მანძილო; **მანძილო** „ბერწმსუქანი, გინა ძმარში ნადები სამწვადე; მანძილო სოკოსაც უწოდენ ერთსა კეთილ გემოვნებისათვის“ – საბა. || სამწვადე ხორცი, შეზავებული ძმრით, ხახვით, მარილით და მისთ. – ბასტურმა – ქეგლი. || გაპუტკუნებული, გასუქებული (ვარიკა, ან სხვა წვრილფეხი ან უშობელი). და აწამცა შემიჭამიხარ ვითამც *მანძილო* ვარია (შჱნ. I, 841, 4).

ზემო დასახელებული მანძილოსა და მისი სვანური (ჩოლურული) ეკვივალენტის **მანჯიირლა** „საქონლის ხორცის“ საფუძველზე აღვადგენთ *მანძილ-არქეტიპს (ჭოხონელიძე 2000: 56).

მარაზ-ი:

დიალექტ. I. **მარაზი** (maraz) ავადმყოფობა. „რაცხა *მარაზი* გამოჩენილა, ოროსპებ ემართებიან მეგემ, რა ქვია, არ მომგონდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „რა *მარაზი* გაუჩნდა ასეთი, რო ვერაფრით უწამლეს!“ (ჯავახ. ზედგ., ბერ.). „მარაზი მაქ, მითხარი“ (დევესქელის იაილა, ნიგ. ბერ.). **მარიზობა** [სპარს. mariz] – ავადმყოფობა. ჩემ მამასაც იმაში ერთი მარიზობა ჰქონდა, სარათანი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. 758). შდრ. მარზი ოიმარ [არაბ. მარაზ] ავადმყოფობა და [არაბ.] ჰომრა სიწითლე. აქედან მარზი ოიმარ -წითელი ქარი. აქიმები ამა სენსა მარზი იომარსა უძახიან (იადგ. 476, 25).

ბერძნულში – ιαράζι – გულისტკივილს, დეპრესიას, მძიმე ავადმყოფობას ნიშნავს. ბერძნული მარაზი და ჯავახური დიალექტის მარაზი ფორმითა და შინაარსით ანალოგიურია, შემოსულია ადრეულ საუკუნეებში კონტაქტების გზით და დამკვიდრებული. რაც შეეხება მისგან ნაწარმოებ მარაზმს, მოგვიანებით გაჩნდა და დამკვიდრდა სრულიად განსხვავებული სემანტიკით, თუმცა ფორმა ბერძნული სახელზმნის (მარაზმ-ოს) შეინარჩუნა (ქუქჩიშვილი 2017: 196-199).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **მარაზი** სხვათა ენაა, თოკს(ა) ჰქვიან ZA. (უჯმ.) სხვათა ენაა, ქართულად თოკი ჰქვიან B. (უჯმ.) წვლილი თოკი Cb. (უჯმ.) თოკი – საბა. არ-მოკლე სასაბრძნებელი, უგრძეა ბევრ *მარაზისა* (არჩ. 189, 56, 3). || სარეცხის, ტანსაცმლის, ფარდის ჩამოსაფენი თოკი, რომელსაც გასათხოვარი ქალი მზითევში იმზადებდა. მას ფერადი ძაფებით წნავდა. მის ბოლოებში ფოჩებს გაუკეთებდნენ სილამაზისათვის. მავთულსაც, რომელზედაც სარეცხს ფენენ, „მარაზი“ ჰქვია: *მარაზ* გაამბ, ტამსომოზ დაჰფინ (ინგ. როსტ., ჯან., ღამბ.). [ტანსომოზ] ტანისამოსს... ჰფენავდნენ გასაშრობათ საბელზე, *მარაზზე* ან გაბმულ ვაზზე (საინგ. მრეწ. III, II, 82).

ახ. ქართ. III. **მარაზი** კატაბარდა, მცენარეა (ა. მაყ.).

მარგ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ. I. **მარგი** მარგებელი – თ. ბაგრატ. **მარგი** მარგებელი, დამხმარე. ვინ აღდგომილ არს ესოდენ *მარგი* და ნუგეშინის-მცემელი... ქართველობისაჲ (A = 1103 1v, 1-5b) – ზ. სარჯ. მსმენელთათვის დიდი *მარგი* (ვეფხ. 12, 2). ჯერ კიდევ ქვეყნისათვის საჭირო ხარ..., დიდი *მარგი* (აკაკი) – ქეგლი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მარგი ასე იშლება მ-ა-რგ-ი (მორფ. ლექსიკ. 1988). მიგვაჩნია, რომ მარგი სასუბიექტო მიმღეობაა. მა- პრეფიქსია, რგ- (რგება)კი საერთო ქართველური ძირია (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ. ქართ. II. **მარგი** ბოსტნის რიგის კვალნი – საბა, ქეგლი.

დიალექტ. III. **მარგ**ი: თხის ავადმყოფობაა – ელენთა უსივდება და კვდება, გადამდებია, ზოგჯერ ცხვარსაც უჩნდება (თუშ. ხუბ.). *„მარგით* მომკვდარ თხაიც იჭმება-დ ცხვარიც“ (თუშ. ცოც., მოხ. ქავთ.). შდრ. სპარს. [მარგ სიკვდილი] (ხუბუა 1954: 181). იხ. I. მარგული.

მარგულ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. **I. მარგული** წყლული უმ[რ]თელებელი (საბა). **მარგული კუი,** – განუკურნებელი იარა სახსრის ძვლისა (ქიზ. მენთ.). მარგული რაღაც ავადმყოფობაა სახსრებისა. მარგულიანი: „აა‍ქ იყვავა ეგივ, ე მარგულიანივ" (ხევს. ჭინჭ.). იხ. III. მარგი.

დიალექტ. **II. მარგული** ვაზის ჯიშია, ისხამს შავყურძენს, სხვა ჯიშის ყურძნის ღვინის შესაფერადებლად იყენებენ (ლეჩხ. ალავ.).

მარდად:

სამ. ქართ. **I. მარდა(დ)** „ესე არს არადღითი-დღედი ფასი, არამედ გარდაკვეთით მუშაკთა", მარდათ დაჭერა (საბა). მარდად, ნარდად სამუშაოს ფასზედ შერიგება მრთლად გარდაკვეთით და არა დღიურად – ნ., დ. ჩუბ. || ნარდად ზმნს. ნარდი სამუშაოს წესით. ნარდად მომუშავე. – ნარდად გარიგება. – აბა, ბიჭო, დატრიალდი, გააცურე ხელი *მარდად*, გავათავოთ ეს გაზეთი, აგვიღია საქმე ნარდად! (ი. ევდ.). || ერთიანად, ერთბაშად, მთლიანად. ნათლად მოაგონდა [გოგიელას], რომ ეზოში ჩამოიყვანა ნახშირის ნარდად მყიდველი (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *მ-ა-(რ)დ-ა „საუფროსო, სამუშაო ფასი" → ქართ. მარდა ზან. მოდ-ი/ა ←*მოდა სვან. მადა → || ლადა (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. მარდად** ზმნს. სწრაფად, ცქვიტად, მკვირცხლად. მხედარი მყისვე გადმოხტა *მარდად* და წამოჰყარა აღვირი ცხენსა (ილია). [პატარა გოგო] თითისტარზე ძაფს *მარდად* ახვევს (ი. გოგებ.) – ქეგლი. შდრ. მარდი [სპარს.] ცქვიტი, მარჯვე მკვირცხლი – დ. ჩუბ. || კაცი სწრაფი, გინა სხვა რამ ცხოველი. დედაზარდლი მარდი – საბა.

მართულ-ი:

დიალექტ. **I. მართული** მავთული. სარეცხი *მართულზე* ჩამოკიდა (რაჭ. კობახ.). მიწის გულში *მართულს* ვატანთ ფანქრის სიწლოს (ქიზ. მრეწ. I, 86). ზოგან *მართულით* ჭრიან (ქიზ. მრეწ. II, I, 19). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., ფშ. ხორნ., ზ.-იმერ. ძოწ. შდრ. აშკი „ილეკროს ძაფი, რომელსა თურქნი მავთულს უწოდენ" – საბა.

თურქულად მავთული არის თელ. შესაძლოა, ორი სიტყვის შეერთებით მიღებული mavi+tel („ლურჯი მავთული") გვაძლევდეს თხზულ სიტყვას *mavtel, რომლის ადაპტაციით წარმოიქმნა ქართული მავთული (გიგინეიშვილი 2016). მავთული – [არაბ. maftūl] „თხელი თასმა, ძაფი; სხვილი სიმი" (იმედაძე 2014).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. მართული** 1. რაც მართეს. თბილისის სათავადაზნაურო ბანკი [იყო] დაარსებული და *მართული* ილიას მიერ (ი. გოგებ.). 2. გრამატ. სიტყვა, რომლის ფორმაც დამოკიდებულია მეორე სიტყვაზე

მართვით (იხ. მართვა. (მნიშვ. 7) – ქეგლი. 3. აწყობილი. დამიძველდა ბუზიკანტი, არ მიმიდის ქართულიო. ბევრა მაშინ დაობარე, როსაც იყო *მართულიო* (ხევს. პოეზ. 358, 2). კარგად *მართულსა* ფანდურსა მაუშალიდი ლარია (სწორფრ. 175, 21). 4. მართული: გამართული, გაწყობილი. ბერდედიათ ხაფანგ-აქვ, მითხრეს: „კარგად *მართულ* ასა!" (სტმასპ. 226, 21) – ალ. ჭინჭ.

მარსლ-ი:

დიალექტ. I. **მარსლი** ბაგაში ჩარჩენილი, წვრილად ჩაფშვნილი, დანამცეცებული თივა, თივის ფხვნილი. „მამრე *მარსლსა* საქონელს ძირს საშრობად დაუფენთკე ბოსელჩი"; „*მარსლად* ქცეულიყო გაფიცხებული თივა" (მოხ. ქავთ.). || თივის ნაფშვენი. „ფიცხჩი ნუ ააგებ თივებსა, თორო სულ *მარსლად* წავა" (მოხ. ღუდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *მარს-ლ- „ნალეწი ბალახეულის ხვავი" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **მარსლი** კომპრესისებური ტილოს საფენი მუცელზე (ა. კ., მოხ. ქავთ.).

მარულ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **მარული** სალათა. და საჭმელებისაგან ისპანახის შეჭამადი, *მარული* ვითამცა და სალათა (იადიგ. 472, 20). || (marul) სალათი. „არსაში *მარული* მოიდა" (მ.); „გუაქვან *მარული*" (მ., ჩვენ. ფუტკ.). 2. მხალეული. ბოტ. ღორის ქადა (შავშ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **მარული** || **არული** აზრდაკარგული გამოთქმაა, „ბარული-ს" ერითმება. მკის გათავებისას იტყვიან: „არული, *მარული*, ყანაი მთური, ბარული, ზენაური, ქვენაური, მიღმური, მოღმური, დაიჭირე ულოშია, გაუტიე კალოშია, პატრონს მშვიდობაში მოახმარე" (ს. მაკალ. 59, 19) – ალ. ჭინჭ.

მარჩხ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **მარჩხი** თვალჭრელი. ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს... თვალკეკლუცი და პირჭორფლიანი, ანუ პირსა ნიშანი იყოს ყუავილისაჲ და თმაგრუზი და ბელატი და ყურდიდი და თუალჟივჟივი ანუ *თუალმარჩხი* (ეტლ. 16, 23). || ჭროღა, ჭრელი (თვალები). [ტაგუს] მარჩხ თვალებს ვერასოდეს შეისწრებთ რაიმე განზრახვაზე ან ფიქრზე (კ. გამს.). || მაჩხი თვალჭრელი (საბა) – ქეგლი; *მანჩხი* სხვადასხვა ფერის თვალების მქონე (ადამიანი, ცხოველი) (იმერ. გაჩ.). აგრეთვე მოხ. ქავთ. ბ. გიგინეიშვილის აზრით მარჩხი ჭროღა თვალები მეჩხერი ანუ იშვიათი > ნაკლებ გაჯერებული (ფერი) > ღია ფერი (გიგინეიშვილი 2016). მიგვაჩნია, რომ მარჩხ-ი < მა-ჩხ-ი: მა პრეფიქსი; ჩხ- ძირი კი იგივე უნდა იყოს რაც ჩხია. ჩხია (იმერ. ლეჩხ. რაჭ.) ღია ჭრელი, ჭროღა (თვალები). [ნანულის] ჩხია თვალების გულუბრყვილო გამოხედვა... და... კუზმა იბნიდება (შ. დად.) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **მარჩხი**: ◊ **მარჩხი წყალი** თხელი წყალი (საპირისპ. ღრმა წყალი) – ქეგლი.

ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე მეჩხერ სიტყვაში გამოყოფენ მე-თავსართსა და ჩხერ-ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). მ. ჩუხუამ ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით აღადგინა ს.-ქართვ. *ცხ-ერ- „დაკლება, გახდომა“ → ქართ. ცხ-ერ- || ცხ-რ-, მ-ცხ-რ-ალ-ი (ჩუხუა 2000-2003).

მარხილ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **მარჯილი, მარხილი** [არაბ.] უთვალო ურემი ხელნებით სათრეველი თოვლზედ; მომცრო მარხილსა ჰქვიან ციგა ან მანჯიკი (დ. ჩუბ.). ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად – დადვა მარტომან *მარჯილსა* ზედა (A= 85 344v, 1-2) – ზ. სარჯ. || თუ ჯერ თოვლი არ არის დადებული, გლეხკაცი ურმით მიდის შემაზე, თუ თოვლი ძევს, მაშინ შეშა *მარხილით* მოაქვს (ი. გოგებ.). [გიორგის] თავდაღმართზე *მარხილი* დაუქანდა, ქვეშ მოჰყვა და დაიტანაო (ს. მგალობ.). მე და ორი ჩემი ამხანაგი... ჩავსხედით *მარხილში* (დ. კლდ.) – ქეგლი. || უთვლო საზიდარი. *მარხილს* აქ ფჩხილეები, მარხილის ფეხები, კოჭეები, სართაულეები და ალაჯეები (რაჭ. კობახ.). || მარხილაი (გურ. ნიკოლ.). აგრეთვე: **მარხილე** ხის გოგორა (გურ. ნიკოლ.). **მარჯილის ალეთები** მარხილის ნაწილები: მარჯილ აქ კოფო, დანდალი, ფეჯი, საცურავი, ჯელი... (ჩვენ. ფუტკ.). **მარჯილის უბე** 35 ცალი ძნა ერთად აგებული. „მუშანი მყვანდა სამკალჩი და ერთ დღეს ნამკალით 5 *მარჯილის უბე* ავაგეთ“ (მოხ. ქავთ., ღუდ.). **მარჯილ** მარხილის ფრჩხილი (ჭაპანთან მისაბმელი კაუჭიანი ძელი (სვან. თოფ., ქალდ.).

საშ. ქართ. II. **მარხილი**: **მწყერ-მარჯილი** ზრდის ფრინველსა ამას არაბიას სანახები ზღვათა ზედა; მწყერმერჯი სხვაში მწყერმარჯილის ნაცვლად ეწერა – საბა. **მწყერ-მარხილი** მფრინ. – დ. ჩუბ. **მწყერ-მარჯილ-ი** მწყერი, coturnix, coturnicum mater: „ითხოვეს და მოსცა მათ *მწყერ-მარჯილი*“ (ფს. 104, 40); „ზღუასა გამოეცა *მწყერ-მარჯილი*“ (O, სიბრძ. სოლ, 19, 12) – ილ. აბულ.

მარჯილ ფუძეს ნ. მარი უკავშირებდა სომხურ ლორამარგ || ლორამარგი „მწყერ-მარჯილი“ რთული სიტყვის მარგი ფუძეს, რომელიც მას სპარსული მურღისა და ოსური მარღ ფუძის „ფრინველი“, „ჩიტი“ შესატყვისად მიაჩნდა,-ილ სუფიქსი სომხური ი <*ინ სუფიქსის შესატყვისად [სომხ. მარგ-ი *მარგ-ინ] (მარი 1918) – ე. ოს. მუხრან მაჭავარიანმა ძველი ქართული წერილობითი ძეგლებსა და ლექსიკონებში დადასტურებული მწყერმარჯილის, ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, ებრაულ, სირიულ მასალასთან შეჯერების საფუძველზე დაადგინა რომ მწყერმარჯილი ნიშნავს ღალღას და მისთვის ამოსავალია სომხური მრ. *լրւ+ա- +մարՔ > მხ. *მწყერ + მარქ-ი > მწყერ + მარჯ-ი და არ გამორიცხა ისიც, რომ მწყერმარჯილი – լրամարգ-ისაგან ზეპირი გზით მიღებული ნახევრად ქართული კომპო-

ზიტია (მ. მაჭავარიანი 1989: 200-207). ეკ. ოსიძე ვარაუდობს, რომ ქართული მარჯილ ფუძის შესატყვისი უნდა იყოს სვანური მერყლი „მწყერის ნაირსახეობა“. „სვანური მერყლი დამოუკიდებლად იხმარება, რაც ალბათ იმას მოწმობს, რომ ქართულშიც მერჯი || მარჯილ ასევე დამოუკიდებლად იხმარებოდა. მერყლი სვანურში ქართულიდან შეთვისებული ირანული წარმოშობის მარჯილ || მერჯ ფუძე უნდა იყოს“ (ოსიძე 1990: 70-74).

მასა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. მასა [ლათ. massa ზოდი; ლოდი] 1. უპირატესად მრავლობითში მრავალრიცხოვანი მთლიანი ჯგუფი ხალხისა; ფართო მოსახლეობა. მუშათა მასა. – მშრომელთა მასები. – 2. რაიმე ნივთიერება ცომისებური სახით, რომლისგანაც წარმოიქმნება ან კეთდება რაიმე საგანი ან ნივთი. ქაღალდის მასა. – ფაიფურის მასა. – 3. ფიზ. სხეულისა და ენერგიის ინერციულობის საზომი – ქეგლი.

დიალექტ. II. მასა (არ. masa) სუფრა, მაგიდა. „*მასაზე* დვია კრისტალის ვაზო“ (ინ.). „*მასას* სანდალიები მუუწყე და მოსაფირებ დუუძახე სადილზე“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

მასალა:

საშ., ახ. ქართ. I. მასალა ნივთი ესე არს ყო(ვ)ელივე საჴმარი, რომელსა სპარსნი მასალას უჴმობენ (საბა). – ტყის *მასალისაგან*... კეთდება მრავალი ავეჯი და ჭურჭელი (ი. გოგებ.). ბუდის *მასალა* ორსავე არწივს მოაქვს (ი. გოგებ.). ◊ საწვავი მასალა ის, რითაც ცეცხლს ანთებენ. || ნივთიერება, რომელიც საჭიროა ძრავის ასამუშავებლად. || საჭმლის მოსამზადებლად საჭირო სანოვაგე და საკმაზ-სანელებელი. სადილის მასალა. || მასალა საბუთები, ცნობები, ფაქტები, რომლებსაც იყენებს მწერალი, მკვლევარი, მომხსენებელი, გამომძიებელი, გამომკვლევი. საკვლევო მასალა, ძიების მასალები – საგაზეთო მასალა. ◊ სალაპარაკო მასალა ლაპარაკის საგანი. სალაპარაკო მასალა გამოელია და გაჩუმდა – ქეგლი.

ვ. ლეკიაშვილის აზრით, სიტყვა შემოსულია არაბულიდან: შდრ. mašala – ბ. გიგინ. შდრ. II. მესელე.

დიალექტ. II. მასალა (სიტყვის). 1. საანდაზო თქმა საუბარში, რომ გამოიყენება. „ეგ ხო სუ *მასალებით* ლაპარაკობს.“ „საიდან იცის, ნეტა, ამთენი *მასალები!*“. 2. გადატ. ლამაზად ნათქვამი, საქმეს დაცილებული. „ეგ *მასალათ* ამობს, შენ რაში გამოგადგება!“ „მაგრაინ *მასალებით* ვის რა გაკეთებია“ (ჯავახ. ზედგ.). 3. ამბავი. წუხელის დედაჩემს და მამაჩემს ჩხუბი რო ჰქონდათ, სწორეთ ეს *მასალა* არის ჩვენ თავზეო; ერთ *მასალას* გეტყვი და მერე წადიო (ჯავახ. მარტ.). || მასაალები [არ. masal] ზღაპარი, მითი, იგავი (ხალხური ზეპირსიტყვიერება). „გურჯის მასაალები მინდა“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.).

მატუკ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. მატუკი** მცენ. – საბა, დ. ჩუბ. **მატუკი** თხის ბუმბუ; ძირტკბილა. აიღე წუნწუბი, გიოს ფურცელი, ჯავაშირი, *მატუკი*, სპანდი (ფანასკ. 54, 25). || თხის ბუმბუ (ჯავახ. ბერ., ზედგ., ა. მაყ.).

დიალექტ. **II. მატუკი** მსუქანი მატლი. *მატუკივით* დასუქებულანო (მარაბ., ქართლ. მენთ.). შდრ. მატლი ჭია, ქვეწარმავალი – დ. ჩუბ. მატლ-სიტყვის წარმომავლობის შესახებ იხ. (გიგინეიშვილი 2016; ჩუხუა 2017).

მაქო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მაქო** 1. (მაქუქ BCaqDE.; მაქუქ CaqD, მაქუქ E.) საქსოვრის მაზედაოს გასავლები – საბა. || სპეც. საქსოვი დაზგის ნაწილი – მასრის ჩასადები, მოგრძო და ოვალური; მობრაობს ქსელს შუა. [მარიამი] წაკარწახებულ მკლავებს საქსოვარში შესრიალებული *მაქოს* სისწრაფით იქნევდა და მწვანე ფოთლებსა და შეყვითლებულ მანდარინებს შორის დაატარებდა (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი. „საფიოქროს ქონდა ლაფერაი, ყდა, *მაქო*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || საკერავი მანქანის ასეთივე ნაწილი. *მაქოს* ჩადება. 2. ბზრიალას ფეხში ჩასარჭობი დიდთავა ლურსმანი, რომელიც მას იფარავს გაცვეთისაგან – ქეგლი. 3. საკერავი მანქანის ნაწილი, რომელზედაც ძაფია დახვეული. „*მაქოზე* კევიფერი ზაფია დახვეული“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **მარქუ მაქო** (სვან. თოფ., ქალდ.). **მარქვი** (მარქვალი) მაქო ზან. (მეგრ. ელ.). შდრ. მექიქი [თურქ.] მქსოველის მაქო, საქსოვი კინთი, საკერავის მანქანის მაქო. „მაქინასი მექიქი ევღე“ (ინ.); „ესა მექიქით ქსოვს“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). მაქოქი (შდრ. თურქ.) მასრის ჩასადები საქსოვი დაზგის ნაწილი (შდრ. მარი, ჭან. გრამ. მაკოკი) (აჭარ. ნიჟ.).

შესაძლებელია, მაქო შემოსული იყოს სამ. ბერძნულიდან. ბერძნულში სიტყვა māxo-s/mĕxo-s იხმარებოდა „მანქანის“, „იარაღის“ სინონიმებად. გურული მაქვა < მაქო (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. მაქო: მაქოს პური** ახალი წლის მისალოცად გამომცხვარი ნიგვზიანი პური, აბრამიანთან ერთად მისართმეველი (შდრ. არამაქოს პური). რომელიც *მაქოს* პური იყო, აბრამიანისთვინ რო აცხობდნენ, იმაში ბევრი ნიგოზი უნდა ჩაიდოს (ხც., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. **არამაქოს პური** ძველად: ახალი წლის მისალოცად გამომცხვარი პური (შდრ. მაქოს პური). აბრამიანითვინ აცხობდნენ *არამაქოს* პურსა; *არამაქოს პურში* ნიგოზს არ ჩავაყოლებდით შიგა (ხც., ქართლ. ლექსიკ.). საკვლევრისას დავაწყობდით ბასილსა, ქათმის კლანჭსა, ხარის კვერსა, ... *მაქოს, არამაქოსა* (შ.-კახ. მრეწ. III, II, 29). *მაქო და არამაქო* ნაზუქების ტოლი იყო. ორთავე ერთნაირები იყო, ხოლოთ *არამაქო* გადიკუჭებოდა ხოლმე; იცის, რომ აქვს და ტყუის და ამბობს, რომ არა მაქვსო და და თან ეცინება. *მაქო* კი ჭუმათ არის. როცა დავაკრავ, მაშინ ვამბობ ეს *მაქო* და ეს *არამაქო* მეთქი (შ.-კახ. მრეწ. III, II, 30). შდრ. მაქო ითქმის ქონება... საბა.

მაღარა:

დიალექტ. **I. მაღარა** 1. [არაბ.] გამოქვაბული. „შესულან მაღარაში და დუუძინიან“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.); „იქით მიდგა, აქეთ მოდგა, მიყვა და მიადგა ბოლოს ერთ *მაღარას*“ (აჭარ. ნიჟ.); „ამ მაღარუებში რამდენი კაცი ყოფილა და აღარ არი“ (ჯავახ. ბერ.); „ღრუტუნები არი, მაღარა ქვია“ (ისკები კლარჯ. ლექსიკ); „კოთხოში რომ მჭადია,/ იმის შეშა მწადია, დავიარე *მაღარა*,/ მაგრამ თევზი აღარა“ (აჭარ. ნიჟ.). 2. მაღარო – სასარგებლო წიაღისეულის (მთამადნეულის) მოსაპოვებელი მიწისქვეშა საწარმო (აჭარ. ნიჟ.). **მაღარა** ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. მაღარაი** [აზერ. მაქარა] კოჭა ძაფისა. *მაღარაი* ირღვის [სინ. კოჭ] (ინგ. ღამბ.). შდრ. მაკარაი (თურქ. makara) ძაფის დასახვეევი ხის პატარა ცილინდრი, –კოჭი (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. მაკარია.

მაღლარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. მაღლარი** 1. ხეზე გაშვებული, ხეზე ასული ვაზი (საპირისპ. დაბლარი). ბაღი იყო სულ *მაღლარი* და დაბლარი არ დაუხვდა (აკაკი, თარგმ.). [გურიაში] ვენახები... სულ *მაღლარია*, ესე იგი ვაზები მაღალ ხეებზეა გაბმულ-გამობმული (ი. გოგებ.). ირკვევა, რომ... დაბლარი მევენახეობის ინტენსიური კულტურაა, *მაღლარი* კი – ექსტენსიური (ივ. ჯავახ.). სადარბაზო კარების თავზე გაკეთებულია *მაღლარი* ვაზების კამარა (რ. გვეტ.) – ქეგლი. 2. შავყურძნიანი ვაზის ჯიში, რომელიც მაღლარად ხარობს. მაღლარი შავი ყურძენია, სასიამოვნო საჭმელია და ღვინოც ბაან გემოვნებისაა, დაბლა არ ხეიროფს, ხეებზე იყო გასული, ახლა გადაშენდა (შროშა); *მაღლარს* მარცვალი ცოლიკოურზე მსხვილი აქვს, მჟავე ღვინო იცის, სიცხეში მუშაობის დროს კარგი დასალევია (ვახანი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. მაღლნარი ტყე, ადგილი, მაღალი, მაღლობი. „იქ სულ *მაღლნარი* ტყეა“. „იმ *მაღლნარზე* ძლივ ავედით“ (ჯავახ. ზედგ.).

მაღლარი ახალი ფორმაციისა უნდა იყოს ნაწარმოები მაღალ- || მაღლ- ფუძისაგან -ნარ სუფიქსით, რომლის ნ დაკარგულია ლ-ს მომდევნოდ ლნ კომპლექსის უჩვეულობის გამო. ...ამრიგად მაღლარი (< *დაბლ-ნარ-ი?) (გიგინეიშვილი 2016). თავის მხრივ **მაღალი** ნაწარმოებია მ-ალ ცირკუმფიქსით აღ-ზმნისწინიდან, რომელიც მიუთითებს ქვემოდან ზემოთ აღმართებაზე (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. **II. მაღლარი** ოთხი ქცევა მიწისა იმერეთში – დ. ჩუბ. შდრ. II. მაღნარი.

მაღნარ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. მაღნარი** ტყე, ხშირი ტყე, ტევრი, ფოთოლ და რტომრავალი ხე, ჭალა, «სერტყი»: „აღვედ *მაღნარად*“ (G, ისუნ. 17, 15); „ვითარცა ვაშლი შორის ხეთა *მაღნარისათა*“ (ქება, 2, 3); „მოიჯსენონ.. ხეთა

ზედა *მაღნართასა*“ O – „მოიჯსენნენ... სერტყთა მათთა ხესა შორის ვარჯოანსა“ (pb., იერემ. 17, 2). **მაღნაროვანი** მაღნარით დაფარული: „მთანი დიდ-დიდნი და *მაღნაროვანნი* იხილნი მრგულად და წყლტუდ“ (ბ. კეს.-ექუს. დღ. 91, 23) – ილ. აბულ. ჰაერკეთილი, არ ტყე კუეთილი, *მაღნარი* დიდი, გრძელი, დებული (ქილ. 693, 2). || «ხშირი და შამბიანი ტყე მთაში» (დ. ჩუბ.). ეს არის საშვლე, საფსიტე, საღორ-საირმე *მაღნარი* (ბაჩ.). მითხარით, რისთვის... ვეძებ... უხმო *მაღნარსა*? (ილია) – ქეგლი.

მაღნარი < მ-აღ-ნ-არ-ი; აღ-პრევერბი. შდრ. მ-აღ-ალ-ი, უ-აღ-რწს-ი (ჩიქობავა 1942: 26). თ. ცქიტიშვილი ვარაუდობს მაღ-ნარ-ი სიტყვის ფუძის კავშირს სვანურ მაღ-თან, რომელიც ზემოსვანურ დიალექტებში ხმელ წიწვიან ხეს ნიშნავს. ამრიგად, მაღნარი არის წიწვიანი ხეების ტყე (ნაძვნარი, სოჭნარი, ან, ზოგადად, ნაძვნარი (ცქიტიშვილი 1976: 308-309). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. **II. მაღნარი** (გურ.) დასასვენებლად დატოვებული ნაყანევი ადგილი მაღლობზე (გურ. ჯაჯან.). || „მოსაყენებელი“. დროებით აყანებდნენ, რვა წელიწადს ასვენებდნენ და მერმე ისევ დაამუშავებდნენ. „დაბლობზე ასეთ ადგილს ეწოდებოდა დობირო, მაღლობზე *მაღნარი*“ (გურ. შარაშ); შდრ. II. მაღლარი.

საშ. ქართ. **III. მაღნარი** ყარაყარღა. ფრინველი ესე არის ყორანზედ უმცირესი. ფერით ლაჟვარდისა ანუ შავად სოსნისა (ი. ბაგრატიონი). მაღნარი < მაღრანი. მაღრანი მფრინვ. თათრულად – დ. ჩუბ. || პატარა გარეული ფრინველი. საფრთხის დროს თავს იმკვდარუნებს (გ. გვანცელაძე 2009). ივარაუდება, რომ მაღრანი იგივეა, რაც სპარს. მაყრან (დუნდუა, ივანიშვილი 2014: 45). მაღრან- სიტყვის შესახებ დაწვრილებით იხ. (მ. მაჭავარიანი 1989: 46-53).

მაყე:

საშ. ქართ. **I. მაყე** (ჱ)ელას სანიშნო სვეტი – საბა. **მაყე** [მაღეB^{4}] მოედნის საბურთალნი, ქვებიანიA^{8} (ვეფხ. ხელნ. წაქაძე 1976). მაყე დასასვენებელი ადგილის ნიშანი (?). მათ ანადირებს, აბურთებს, დიდებს უკიდებს *მაყებსა* (არჩ. 315, 4).

დიალექტ. **II. მაყე** შემრგე (მთ. ნ. ჯ.) – ი. ჭყ. შდრ. **მაყიერი** ნოყიერი (ლეჩხ. ალავ.). **ნოყიერი, ნუყიერი** საყოფი, გინა პოხიერი – საბა.

მაშია:

საშ. ქართ. **I. მაშია** მცენ.: აიღე – *მაშია* და სუმბული (ფანასკ. 158, 32). შდრ. მაშა [სპარს.] მცენ. ცეცქა, ოსპის მსგავსი სამარხო (დ. ჩუბ.). და იყოს საჭმელი მისა მაში შემგბარი (ფანასკ. 395, 21). მაში || მეშაკი ცერცველი [სპარს. mašak] ცერცველი (ფერეიდ. ჩხუბ.).

„მაშ“ ამ მცენარეს თურქულად ეწოდება, სპარსულად კი მაშაჰ, ე. ი. ისევე როგორც ქართულშია. აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანი ამ მარცვლეულს «მაშა-ცერცვს უწოდებს და არა „მაშა-ლობიო“ ე. ი. ლობიოდ კი არა, არამედ ცერცვად მიაჩნდა (ჯავახიშვილი 1986: 66). ქართული მაშა-ს შესატყვისი ზანური ფაჩქა შემორჩენილა საბას ლექსიკონში. აღდგენილია ს.-ქართვ. *ბაჩა „ფეტვი, ცერცვი“. ს.-ქართვ. *ბაჩა სიტყვის შესატყვისები სხვა კავკასიურ ენებშიც დასტურდება (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. II. **მაშია** 1. [არაბ.] წუღა, ქოში – დ. ჩუბ. რა მისი უფერი სამსახური უბრძანო, მას ემსგავსების ქუდი ფერჴს ჩააცუას და *მაშია* თავს დაახუროს (ქილ. 307, 26). ფეხზედ წითელი ჩახჩური, მწვანე კემუხტის *მაშია* (დ. გურ. 197, 16, 4). «მაღალქუსლიანი *მაშიები* მინდა მეცვას» (ვ. ბარნ.). ტახტის წინ აწყვია მოურავის *მაშიები* (ზ. ანტონ.). 2. ახ. ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი, უცხვირო და უსაქუსრო (იხმარება ე. წ. «ბოსონოჟკის» მნიშვნელობით) – ქეგლი. || მაშაია ქოში. „ტანს ტოლომას წამოისხამ, *მაშაიას* ფეხს ჩაადგამ“ (იმერ. გაჩ.). **მაშაია მაშია წუღა ზან.** (მეგრ. ქობ.).

ქართ. (დიალ.) მეს-ი „წუღა“ და ზან. (მეგრ.) მაშ-აია „წუღა“ სიტყვების შეპირისპირებით მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. *მეს-„წუღა ძირს (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე (შენგელია 2014: 43).

მაშინა:

ახ. ქართ. I. **მაშინა** [ლათ. machino] ძვ. მანქანა. ჩვენ თვალით ვნახეთ ეს სამკალი *მაშინა* მუშაობაში (ილია). «პაწია ბიჭო, მოგვეხმარე ქვის ზიდვაში და *მაშინაზე* დაგსვამ!» (გ. წერეთ.). ქალებმა მაშინები გააჩერეს. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა (ი. ეკალ.).

დიალექტ. II. **მაშინა, მაშინია, აშინა:** შიშის შელოცვა იწყება ამ სიტყვებით: „აშინა, მაშინა, გულო, რამ შეგაშინა“... ან „აშინია, მაშინია, გულო...“ (იმერ. გაჩ.).

ზემოდასახელებულ სიტყვებში გამოიყოფა შინ-ფუძე. არნ. ჩიქობავამ ერთმანეთს შეუპირისპირა ჭან. შქ-ურ- || შკ-ურ-; მეგრ. შქ-ურ-, ქართ. შ-ინ- და აღნიშნა, რომ ჭანურსა და მეგრულში ძირეულია შქ-; იგი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. შ-ს; -ურ- სუფიქსი მეგრულისა და ჭანურისა მხოლოდ ფუნქციონალურად შეეფარდება ქართ. -ინ-ს, რამდენადაც ორივე ეს სუფიქსი ფუძის საწარმოებელია (?) (ჩიქობავა 1938).

ძვ., საშ., ახ. ქართ. III. **მაშინა:** 1. მას შინა (მაშინა ZA) არს (არიან ZAB) ხოვ(ა)დაგი მსგავს(ი) ამ(ა)ოებისა“ (კვიპრიანეს ნეტაფრ.) – საბა. მაშინ იმ ჟამს: „მაშინ ეტყოდის მათ“ (ფს. 2, 5); „უმჯობჱს იყო ჩემდა მაშინ, ვიდრე აწ“ (O, ოვსე 2, 7) – ილ. აბულ. მაშინ მომკალ მეცა განა (ვეფხ. 472, 3). **მაშინ, მაშინა** ზმნს. იმ დროს; წარსულის ან მომავლის განსაზღვრულ მომენტში. იმას, რასაც ჩვენ ახლა სოფელს ვეძახით, მაშინ «დაბა» ერქვა (ივ. ჯავახ.). 2. გრამატ. იხმარება მთავარ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების

როცა, რომ, თუ კავშირების შესაბამისად და ნიშნავს: იმ დროს ან უშუალოდ მას შემდეგ, როცა რამე მოხდა ან მოხდება; იმ შემთხვევაში, იმ პირობებში – ქეგლი. ა. შანიძის აზრით, მაშინ მიღებულია გამოთქმის – მას ჟამსა შინა – შემოკლებით (შანიძე 1980: 595).

მაწაკ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. მაწაკი** ძვ. «თმა ყურსაფარი» (საბა). ამბრის სულნელებისა ვაჭარი მის მუშკის *მაწაკისა* ნასკუთა ვერ გაკსნიდა (ქილ. 477, 25). [რუსუდანმა] ხელი წაავლო [შალვას] *მაწაკზე* (რ. ერისთ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. მაწაკი** ანჩხლი; უშნო, გლახა. **მაწაკი** გოგო, გლახა, უხეირო, ავი (წირქვალი) (ზ.-იმერ. ძოწ.). || მწარე, გესლიანი ენის პატრონი (ქალი). კაი ვინმე შემოუყვანიათ სახში. ისეთი *მაწაკი* ყოფილა, რომ ცხენიდან კაც ძირ ჩამოიღამსო თურმელ (მესხ. ფეიქრ.). აგრეთვე მაწანკალი ავი, მოჩხუბარი, აგრესიულად განწყობილი. „იმ ქალსა ხელები ბილა *მაწანკალი* ქონია“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. წანკი (ქეგლი).

დიალექტ. **III. მაწაკი, მაწუკი** უსუფთაო, ბინძური. ოჯახში არ არი გაზდილი ეგ ოჯახდასაქცევი, რა არი, ეგეთი *მაწაკი* რო არი! (ახალშ.). ეგე, ჩვენებიანთ პატარძალია მაწუკი, ჯერ ხალხში არც კი გასულა ხეირიანათა და ეგეთი დადიდ წყალზედა, რო ყველაფერი ზედ უსვია კაბაზედა (წილკ.); აგრეთვე კავთ., სამთ., ქემ. (ქართლ. ლექსიკ.). || მაწაკი, მაწუკი წუწიანი, ჭუჭყიანი, ბინძური (ჩვენ. ფუტკ.). || მაწაუკი (ქიზ. მენთ.). || დამაწაკებული დაჭუჭყიანებული, დასვრილი. მოგვარეს დედამთილი, თლა დამაწაკებულია. დაგვრიტა ე დედამთილი, დააწვინა სუფთა ოთახში (გეზრული, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. წუკი (ფშ. კახ.) ცუდი, უხეირო. || წუკია (კახ.-ქიზ.) ლანძღ. «უჯიშო, უმსგავსო ადამიანი» (ს. მენთ.). – წუნკალი. [დედამთილი] ეუბნებოდა. წუკიავ! როგორღა იღებ ხმასაო? (რ. ერისთ.). ეგ წუკიები ისევ ჩვენი სინაბარა გახდებიან (ს. შანშ.) – ქეგლი.

II. მაწაკი და III. მაწაკი შესაძლებელია წარმომავლობით დაკავშირებული იყოს სიტყვასთან წანკი 1. (თუშ.) უხეირო, უვარგისი. 2. (ლეჩხ.) ცუდი ენის პატრონი. მოენე (მ. ჩიქოვ.) – ქეგლი.

დიალექტ. **IV. მაწაკი** მუწუკი. „ბაღვსა გამოსულში ტანზე *მაწაკები* დააყარა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. II. მაწაქი.

მაწაქ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მაწაქი** 1. (ბალ.) ფურცელბრტყელი – საბა. **მაწაქი** ბოტან. [Goebelia alopecuroides] ველური, მრავალწლოვანი პარკოსანი მცენარე; შხამიანია; აქვს რთული ფოთლები და ხშირ მტევნებად შეკრული მკრთალი ყვითელი ყვავილები; იცის კრიალოსნისებრი ნაყოფი; გავრცელებულია მინდვრებსა და ნათესებში. 2. [Imperata culindrica] მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახი; აქვს ხეშეში ფოთლები და ღეროს წვერ-

ზე ბეწვიანი საგველა; აბეზარი სარეველა მცენარეა; მდინარის პირებსა და სილნარ ნიადაგზეა გავრცებული – ქეგლი.

დიალექტ. II. **მაწაქი** საქონლის სნეულებაა, ყბასა და კისერზე მუწუკებს ჰყრის (რაჭ. ბერ.). იხ. IV. მაწაკი.

მაწაწურა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **მაწაწურა** ტყავკორა, ღვინის ჭურჭელთ გასარეცხი ხრალი – დ. ჩუბ. || მაწაწური ჭურის ამოსაკოცელი – საბა. მაწაწური ქვევრის რეცხვის დროს შიგ ჩარჩენილი წყლის ამოსამშრალებელი ჩვარი. მარჯვნივ კედელზედ იყო გაწყობილი სარცხები, *მაწაწურები* (მელან.) – ქეგლი. აგრეთვე მაწაწური (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. II. **მაწაწურა** ბინძური, ჭუჭყიანი. ჭუჭყიანი დედაკაცია, თავი არ უყვარს, მაწაწურაა (ძეგ.). დიდი *მაწაწურა* ქალია, ქორწილში სუფრა ვათხოვე, ისეთი მომიტანა, როგორც მაწაწური (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.). || მაწაწური დახეულ და ჭუჭყიანტანისამოსიანი ადამიანი (ქიზ. მენთ.). იხ. III. მაწაკი.

მაწლაკ-ი:

დიალექტ. I. **მაწლაკი** კოწმახი. ძალიან მჟავე გადამჟავებული (მესხ. ფეიქრ.). შდრ. მწკალტე, მწალტე – დ. ჩუბ. მწკლარტე მომჟავო-მომწარო გემოსი. მწკლარტე – მწკლარტე ყველი. – შემოუსვლელი ტყემალი, ზღმარტლი, პანტა მწკლარტეა – ქეგლი.

დიალექტ. II. **მაწლაკი** იხ. II. მაწაკი.

მაჭ-ი:

დიალექტ. I. **მაჭი** (ძველადო) წვერი (თუშ. შან.). მაჭი იხმარება მხოლოდ მთათუშეთის პირიქითის მცხოვრებთა მეტყველებაში. ბალახის წვერიდან თუ ბაფისებრი გამონაზარდი დაეკიდება. ამას მაჭი ჰქვია. მაჭს უწოდებენ თხის წვერსაც. მაჭ ბაცბურად ნიშნავს წვერს (უთურგაიძე 1966: 67).

სამ., ქართ., დიალექტ. II. **მაჭი** ძვ. ერქვნის სახელური (საბა); მაჭა ჯილღის ნაწილი (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III. **მაჭი** ცაცხვი. „გაუკონეს ჭელ-ფეჯი *მაჭის* ქერქის საბლითა“ (მოხ. ქავთ.).

მახარა:

სამ., ახ. ქართ. I. **მახარა** ერთგვარი ფრინველი, – ყურჭი (დ. ჩუბ.), ქეგლი.

სამ., ახ. ქართ. II. **მახარა** ბოსტანა (დ. ჩუბ.). **მახარა ჭია || მახრაჭა** ბოსტანა, მახრა. *მახარა* ჭიამ გამიფუჭა ბოსტანი (ხვაშითი). ბოსტანში მახრაჭას შოუჭამია სუყველიფერი (ზოვრეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. მახორა ბოსტანა – დ. ჩუბ.

მახარა < მახრა. სიტყვა მახრა წერილობით დამოწმებულია XVII საუკუნიდან, წარმოადგენს მიმღეობას ხვრა ზმნისას: ძირიდან ხრ-. ნაწარმოებია მა-ა ცირკუმფიქსით (გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. III. **მახარა** ურმის პატარა ჩხირი (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. IV. **მახარაი** [აზერ. დიალ. მახარა] ბლინი, *მახარაი* თხელი, ქონში გამნაცხოვ (თხელია, ქონში გამომცხვარი). ემას თათრევ ბევრ (ხშირად) აკეთევენ, საჟი ზურგზე აცხოვენ (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. V. **მახარა**: ჩვენში ხაროობს და მოდის სხვადასხვა ხილი: ვაშლი, მამულა... *მახარა*, ფაშა... (ჯავახ. მრეწ. IV, III, 48).

მახობ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **მახობი** [სომხ.] მახუხ CE. სომეხთ შეჭამადი ქატოსი – საბა. || ქატოს შეჭამადი მჟავე – დ. ჩუბ. || ქატოსაგან შემზადებული მჟავე შეჭამანდი. სახლის [პატრონმა]... ზაფხულობით ჭრიანტლით (ტყემლის წვენი) დაგვჭრა კბილები და ზამთარში – *მახობით* (ვაჟა) – ქეგლი. || უმეტეს წილად სამარხვო საჭმელი, წვნიანი, დამჟავებული ცომისა და კორკოტის ნახარში, რომელსაც მოესხმოდა ზეთი (ჯავახ. ზედგ.). || მახუხი – ქეგლი, მოხ. ღუდ.

დიალექტ. II. **მახობი** გველი და მისთ. რაც მიწაზე ცურავს, ხოხავს (იმერ. გაჩ.). მა-ხოხი მიმღეობა, მა-მიმღეობის მაწარმოებელი, ხოხ-ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ჴოჴ– ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მაჯაგან-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **მაჯაგანი** 1. ძვ. «ტყავის მოსაქნელი რკინა» (საბა, ქეგლი, ჯავახ. ბერ.). მაჯაგანი|| მაჯეგანი ტყავის (უპირატესად– საქუდე) მოსაქნელ-დასამუშავებელი ხელსაწყო. 2. გასალესად მიგდებული ძველი ცული, დანა (მოხ. ქავთ.). || *„მაჯაგანაი* კავის ფორმისაა. კავის მხარეს მიმაგრებულია ცელის პირის გალესილი ნატეხი. მეორე მჴარეს ფეჴის გასაყრელი თოკი აქვ შამბული. მაღლა დაკიდებ ტყავსა, გაუყრი *მაჯაგანს* თოკჩი ფეჴსა და ფეჴის დაჴმარებით იზილება ტყავი“ (მოხ. ღუდ.). გადატ. მაჯაგანში მოყვანა ჭკუის სწავლება. ერთი ი მამა მოიდეს, *მაჯაგანში* მოიყვანოს (ქსნ. სომხ.). **მაჯაგა** ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო, **მაჯაგანი** ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **მაჯაგანი**: **მაჯაგანი კაცი** დიდი შრომის ამტანი კაცი (გურ. ჭყ.). || მაჯაგი ძლიერი, ღონიერი, ჯანმრთელი, გამძლე, ამტანი. „ბულთვის თამაში იცოდენ – ცოლიანი და უცოლო. უცოლოები უფრო *მაჯაგი* ბიჭები იყვენ!“ „კაი მაჯაგი ბაღანა“ (საჩ. შარაშ.). „დიდი *მაჯაგი* კაცი იყო, ამდენი გაჭივრება რომ გადეიტანა“ (იმერ. გაჩ.). აგრეთვე იმერ. ქავთ., ვ. ბერ. შდრ. გამოჯეგილი გამოჯეკილი – გაწვრთნილი, გაწაფული, გამობრძმედილი – ქეგლი. შდრ. **მაჯაგა**, **მაჯაგალი** საჯოგავი გამწევი (ხარი); ძალოვანი, ამტანი; სატალახო ცხენი; მშრომელი (გადატ.) ზან. (მეგრ. ქობ.).

მდოვრ-ი:

ძვ. ქართ. **I. მდოვრი** „მხეცთა ჩვილი“: „მოიცვეს ყოველთა მათ ვითარცა საცხოვართა *მდოვრთა*“ (Sin. – 11, 138v). „დაშთეს მის თანა ველურთაგანნი ნეზუნი *მდოვრითურთ*“ (H- 341, 393) – ილ. აბულ.

აღნიშნული ლექსემის ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილების შედეგი უნდა იყოს დიალექტებში დადასტურებული დორია || დოლია „ურქო ცხოველი“ (ხევსურული, ფშაური, გურული) მდოვრ-ძირის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ჩანს მეგრული დულუ-ც „ურქო თხა“.

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. მდოვრი** წყნარი: „ყოველმან, რომელმან განდევნა შფოთისა სიყუარული, არს იგი ყოლადვე დაწყნარებული და *მდოვრ* სულითა“ (მ. სწ. 239, 1) – ილ. აბულ. || მდოვრე, მდოვრი, მდორე ძალიან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მდინარი (წყალი, მდინარე). [ჩვენო არაგვო,] იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა შეურევ მღვრიეს და *მდოვრსა* მტკვარსა, იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე დუღდა (ილია) – ქეგლი. შდრ. დორე მდოვრე (მარაბდ., ქართლ. მენთ.). **დუერი** მდორე. დუერი პსღრი ლიც (ლნტ.) – მდორედ მიდის წყალი (თოფ., ქალდ., ლიპარტ.). **დორე** მდორე ზან. (მეგრ. ქობ.).

ალ. ჭინჭარაულის აზრით, დუმს ზმნიდან ჯერ მივიღეთ დამდუმრევება || დამდურება („გაჩუმება“, „დაუმძრახება“, „დაუბრება“ || სამდურავის, საყვედურის თქმა, გაწყრომა), ხოლო შემდეგ – დამდურვება ანდა, მეტათეზისით და ო – უ-ს შენაცვლებით დამდუვრება → დამდოვრება, რაც დაწყნარებას, დაცხრომას (ვნებათაღელვისა, შფოთისა, აყალმაყლისა და მისთანათა) ნიშნავდა, ბოლოს კი მნიშვნელობა ისე დაივიწროვა ამ სიტყვამ, რომ ახლა მდოვრე მხოლოდ წყალზე და მდინარეზე ითქმის. ფონეტიკური ცვლაც და მნიშვნელობის გადახრაც სრულიად ბუნებრივია (ჭინჭარაული 1980: 152-155). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016.

მედგარ-ი:

ძვ., ახ. ქართ. **I. მედგარი** 1. ცუდი, ავი, ბოროტი, გამოუსადეგარი. || საძაგელი, მშიშარა, ზარმაცი. „ხუ იზახებედ *მედგარნი* და უკეთურნი მჴნესა ამას ზედა“ (თომა მოც. 19, 19); „არცაღა ელისე იყო მეგობართა მათ მისთა წინაშე *მედგარი*“ (ბ. კეს.-ექუს. დღ. 123, 6); „უკეთურო მონაო და *მედგარო*“ (მთ. 25, 26); „ვაჲ გულთა *მედგართა* და ჴელთა დაჴსნილთა“ (O, ზირ. 2, 14) – ილ. აბულ.

XII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის (A-689, ასკეტონი, XII ს.) მინაწერიდან ვიგებთ, რომ ეს სიტყვა ცოცხალ მეტყველებაში მზაკუარის მნიშვნელობითაც იხმარებოდა: შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას მედგარსა ორი სახე აქუს: წიგნურად მცონარესა უჴმობს მედგარსა, ხოლო სოფლურად მზაკუარსა ჰქჳან თჳთ ქართულსა ენასა ზედა (43r) 226). ამავე ხელნაწერის 73r-ს არშიაზე ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: შეისწავე, რამეთუ

ამას ადგილსა სახარებისასა, ვითარმედ „მონაო ბოროტო და მედგარო“, „მცონარებისა“ წილ თქმულ არს „მედგრობაჲ“, დაღათუ რომელთამე ადგილთა „მედგარი“, „მზაკუვარად“ გულისჴმა-იყოფების, უფროჲსღა ლიტონსა საუბარსა შინა“ (სარჯველაძე 1984: 226). 2. ძვ. მცონარი, ზარმაცი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **მედგარი** 1. ძლიერი, მტკიცე, მაგარი, შეუპოვარი. ლომი *მედგრად* გაეკიდა (ვეფხ. 909, 4). ბუკ-ტაბლაკობით საარაკობით *მედგრად* იბრძოდის გამწყაზრებითა (აბდულ. 340, 75, 2). **მედგრად** ზმნს. ძლიერად, მაგრად, შეუპოვრად. ქართველებმა დიდი ვაჟკაცობა უჩვენეს მტერს, *მედგრად* ებრძოდნენ მონგოლთა (ი. გოგებ.). უნდა *მედგრად* მივიტანოთ იმ ჩვენს მტრებზე იერიში! (აკაკი). 2. (ქვ.-იმერ.) უღელში ერთმანეთის მოქიშპე ხარი – ქეგლი. 3. მეხი. ცა იცრემლებოდა, *მედგარი* მთას დასცემია წვეროზე (ი. ევდოშ.). რატომ მალედე არ მოვკვდი, თავს არ დამეცა *მედგარი?!* (ვაჟა) – ქეგლი. მედგარ გაშლით წამოსული მეხი. მეხი პირდაპირ მოდის და მიწას აპობსო, *მედგარი* კი გაიშლებაო. მეხს შალის ნაწვავის სუნი აქვსო, მედგარს კი- თოფის წამლისაო (შან., თუშ. ცოც., ხევს. ჭინჭ.). მეხი-მედგარი იხმარება, ჩვეულებრივ, მეხთან ერთად, იმავე მნიშვნელობით. რაც სწადიან, ისა ქნას, მესროლოს *მეხი-მედგარი* (ვაჟა). ომშიით გამოქცეულს მეხი დაეცეს *მედგარი!* (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. მედგარდაცემული *მედგარდაცემული* მეხდაცემული (ფშ. ხორნ.). 4. თავსხმა წვიმა (ხევს. ჭინჭ.). || **მედგარ თივა** „ძალიან გამომშრალი, გაფიცხებული თივა“ (ავთ. არაბ.; ხევს. ჭინჭ.).

კ. დანელიას აზრით, მედგარი ეტიმოლოგიურად (დგ/დეგ ძირისაგან ნაწარმოები მიმღეობაა: მე-დგ-არ-ი) ორივე (ძველ და ახალ) მნიშვნელობას იგუებს: 1) მედგარი ისაა, ვინც დგას უსაქმოდ, ზარმაცია; 2) მედგარი ისაა, ვინც მტკიცედ დგას, უკან არ იხევს ბრძოლაში, ვინც მამაცია. ძველ ქართულში უფრო პირველი მნიშვნელობაა რეალიზებული, საშუალოსა და ახალ ქართულში მეორე მნიშვნელობა განმტკიცდა (ეს მნიშვნელობა ძველ ქართულშიც არ გამოირიცხება) (დანელია 1998: 436). ნ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ „მედგარი“ არის უძველესი საერთო ქართველური „დეგ“ ძირის შემცველი სიტყვა, რომელშიც კლას-კატეგორიის ნიშანი დღემდეა შენარჩუნებული. მისი უპირველესი მნიშვნელობა უძრაობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. დეგ/ადგილი თავდაპირველად მიწას აღნიშნავდა. აფხაზურშიც ამ მნიშვნელობითაა იგი შესული. მედგარის თავდაპირველი, ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „მიწაზე მდგარი“. აქედან იღებს სათავეს მისი ორი, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობაც (ნ. მაჭავარიანი 2015: 201).

დიალექტ. III. **მედგარი** ბოტ. ბალახი – შავბალახა, ეძახიან ბაბაწვერასაც, რევმატიზმისას წამლად იყენებენ, მტკივან ადგილას ადებენ, ზოგის ცნობით, გამხმარი და დანაყილი სახით ჭრილობებზე მოსაყრელადაც იხ-

მარება (მოხ. ქავთ.). || სამკურნალო მცენარე, შიშველ ადგილებში იზრდება, ლურჯი ფერის ხაოიანი ყვავილი აქვს. „ჩვენს ბალღს ექიმებმა ვერა გაუგეს რა და ბოლოს ისრივ ექიმბაშმა უშველა: დაჩვეჩქილი მედგარი შამააყარა წუვებზე (სულ 6-7 წუთი უნდა თურმე) და დაქინთელებული წუვები ჭელად წყლით გეეტენა. წყლით დაბერილ ქინთელებჩი როცა საოტი აღარ ჰქონდა წყალსა, ბირის მჯარეს ნემსის ჩხვერით გამოუშო ცოტცოტაი და მაშივნე წამადგა სუმთლად დაკუტებული ბალღი“ (მოხ. ღუდ.). || მედგარი, მედგარა: „ბალახი, დანაყილი რომ ხორცზე დაიდო, სულ ამოტყრობს“ (ჯ., ფშ. შან.). ქარებისთვის წამალია *„მედგარი“* (ეთნ. მედიც. 4, 53) – ალ. ჭინჭ.

საშ. ქართ. **IV. მედგარი** მოწმობა. ჩვენ, აფხაზეთისა და ქართლისა მეფეთა-მეფემან გიორგი, წიგნი ესე ამისად *მედგრად* და ნიშნად მოგვიხსენებია თქვენ, რკონის ღმრთისმშობელსა... (კ. თორ. 60, ქვ. 12). შდრ. იადგარი [სპარ. იადგარ «სახსოვარია»] ძვ. ბერძნული სახსოვარი (ნივთი), ნაანდერძევი ან ნაჩუქარი – ქეგლი.

მევალე:

ახ. ქართ. **I. მევალე** 1. ვალის გამცემი, გამსესხებელი. გაისმა ზანზალაკის წკრიალი, შევკრთი: *მევალე* მეგონა (ვ. ბარნ.). «ჩვენი გასაჭირი ენით გამოუთქმელია. *მევალეებმა* სული ამოგვართვეს» (ნ. ნაკაშ.) – ქეგლი. 2. მოვალე, ვალდებული. მე *მევალე* ვარ იმიზე შიჭმევნეველა (ინგ. ღამბ.). **მევალე** (მევაღე) მევალე ზან. (მეგრ. ელ.).

მე-ვალ-ე: მე-/მო-ე ერთმანეთის მონაცვლე აფიქსები. ვალ-ფუძე-. ძვ., საშ. ახ. ქართ., დიალექტ. ვალი «თანანადები»: „მიუტეო ყოველი *ვალი* თჳსი, რომელი თანა ედვას შენი მოყუასსა“ G, – „მიუტეო შენ ყოველი თანანდები შენი, რაიცა თანა-ედვას მოყუასს შენსა“ (M, II, შჯ. 15, 2); „მიეც ღმერთსა *ვალი* ლოცვისა შენისაჲ“ (მ. ცხ. 306r). აქვე: მოვალე, ვალიანობა – ილ. აბულ. დიდი მაცო თქვენი *ვალი* (ვეფხ. 432, 3).|| მოვალეობა, ვალდებულება. „ჩვენ ეხლა აქ *ვალ* აღარ გვაქვ“ (ბ. გაბ. 123, 2) – ალ. ჭინჭ. **ვალი** ზან. (მეგრ. ყიფშ.).

დიალექტ. **II. მევალე, მეველე** მინდვრის ან ხრამის ყარაული. „მაშინ მე მინდვრის *მევალეთ* ვიყავი, კაი ცხენი მყანდა“ (ჯავახ. ბერ.). შდრ. ველი დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ ბალახიანი, – დიდი მინდორი. მე-ე ხელობის მაწარმოებელი აფიქსები. იხ. I. ველური.

მეზარე:

საშ., ახ. ქართ. **I. მეზარე** ძვ. ზარების ჩამომსხმელი (საბა). მე-ზარ-ე: მე-ე აფიქსები. ზარ-ფუძე. ზარი ლითონისაგან (ჩვეულებრივ, სპილენძის შენადნობისაგან) ჩამოსხმული ღრუ სარეკელი (დაახლოებით კონუსის მოყვანილობისა) – ქეგლი. **ზარი** [სპარს.] რვალის დიდი სარეკელი – საბა, დ. ჩუბ.

აღდგენილია *ზარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ქურდიანი 2010; ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. II. **მეზარე** ზარის მრეკავი – ქეგლი.

ახ. ქართ. III. **მეზარე** ძვ. ზარის მთქმელი. ძვ. სამგლოვიარო უსიტყვო გალობა მიცვალებულის გასვენებისას. *მეზარეები* ჭიშკართან *ზარით* ეგებებოდნენ ჭირსუფლებს (დ. შენგ.) – ქეგლი.

მე-ზარ-ე; მე- ე აფიქსები, ზარ-ფუძე. შდრ. II. ზარიანი.

მეზვერე:

ძვ., საშ. ქართ. I. **მეზვერე** ძვ. «მებაჟე, ზვერის ამღები» (დ. ჩუბ., ქეგლი). ზვერი ძვ. «ბაჟი» (საბა, ქეგლი). მეზუერე მებაჟე, ხარკის ამკრეფი: „ვითარცა ხარკის მომჴდელი და *მეზუერჱ*“ (მთ. 18, 17); „მათე *მეზუერე* იყო“ (მ. სწ. 86, 28) – ილ. აბულ.

სა-ზუერ-ე „ზუერის ასაკრეფი ადგილი“, საბაჟო. მეზუერეცა და და საზუერეც ნაწარმოებია ზუერ-ფუძიდან. აღდგენილია ს.-ქართვ. *ზუერ- ზუერი „ბაჟი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; გიგინეიშვილი 2016).

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. II. **მეზვერე** ვენახის, ბაღის მცველი – დ. ჩუბ., ქეგლი. გინდა ბარს უყარაულოს, გინდა ვენახეფსა, ზვრეფსა, სუ ერთია, *მეზვერეა* მაინცა (ბროწლ.) ჩემი ქმარი მაშინ *მეზვერეთ* იყო (ბრ., ქართლ. ლექსიკ.). **მეზუარე** ყურძნის დამკრეფი; ვენაჯის მცველი (საბა). „რომელნიმე დაადგინნეს... მჴნველად და მომკალად, ვენაჯის-მოქმედად და *მეზუარედ*“ (O, I მფ. 8, 12) – ილ. აბულ.

მე-ზვერ-ე : მე-ე აფიქსები, ფუძე ზვერ- < ზვარ-; ზვარი დიდი ვენახი. მსხმოიარე *ზვარი* მეტად სასიამოვნო სანახავია (ი. გოგებ.) – ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ზუ- არქეტიპი ზუარი< *მზუარი < მზუარე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მელ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **მელი** vulpes: „*მელთა* ჯურელი უჩნს“ (ლ. 9, 58). ნაწილად *მელთა* იყვნენ იგინი“ (ფს. 62, 11); „ვითარცა *მელნი* უდაბნოსა ზედა, წინაწარმეტყუელნი შენნი, ისრაელ“ (O, ეზეკ. 13, 4) – ილ. აბულ. აქამდინ *მელი* იყო და აწ ლომად შექმნილა (ვისრ. 272, 17). „წავიდა *მელი*, ერთ მეშეშეს თოკი მოჰპარა, მოიტანა“ (საბა). || ძვ. მელა – ზოოლ. ძაღლისებრთა ოჯახის მტაცებელი ბუმბუმწოვარი ცხოველი (ხალხის რწმენით, გარეულ ცხოველთა შორის ყველაზე ეშმაკი და მოხერხებული) – ქეგლი.

ძველ ძეგლებში მხოლოდ მელი გვხვდება. ახალ ქართულში ჩვეულებრივია მელა და მელია. „მელი – მელა – მელი ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც კაცი – კაცა – კაცია, ოღონდ ეს არის, რომ კნინობითობის გაგება დღეს აღარც მელს ახლავს და აღარც მელიას“ (შანიძე 1980: 162). სიტყვის ძირია მელ-; იგი საერთო ქართველური ფუძე-ენის

კუთვნილებაა. ამას მოწმობს მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენებთან (ჩიქობავა 1938: 89). ქართულისა და სვანურის შედარება აღგვადგენინებს არქეტიპს *მელ-ა. მეგრული მელა ნასესხებია ქართულიდან (გიგინეიშვილი 2016).

საშ. ქართ. II. მელი: მელის კუდი მცენ. ... მარიამხოტი და ბრძვენიკი, რომელ არს *მელის* კუდი (ფანასკ. 25, 27). მელი-ხე მცენ. მათგანი – წყალი ხიარი-შამბრისა და წყალი *მელის-ხისა* (ფანასკ. 302, 1).

საშ. ქართ. III. მელი: სნება მელისა თმის დაცვენა, გამელოტება. მაშინ იქცეს ბუნება მისი და დაჰკდეს თმა, და მაშინ შეიქნას *სნება მელისა* და სნება გუელისა (ფანასკ. 31, 43).

დიალექტ. IV. მელი [არაბ. Meyl] სურვილი, ნდომა. უთხრა: რა გითხრა, ბატონოო, თუ *მელი* გაქ, წავიდეთო და ნახეო, რაფერია ადამიზადიო; *მელი* არა მაქ /არ მინდა/ (მარტყოფი (ფერეიდუნშაჰრი), ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

მელო:

დიალექტ. I. მელოი მელა. ციცო ზის სუროშიგ დაჭყეტილაცი, ეამ დროს მოედ, თურჩ, *მელოჩ* (თუშ. ხუბ.). იხ. I. მელა.

დიალექტ. II. მელო შიშველი, ტიტველი (რაჭ. ვ. ბერ.). იხ. III. მელი. შდრ. მელოტი მთლიანად ან ნაწილობრივ თავზე თმაგაცვენილი (კაცი), – თავმოტვლეპილი. «როგორ არ გახსოვს [ანტონ ზურაბიჩი] პირხმელი, ყბედი, მელოტი?..» (შ. არაგვ.). || ფიგურ. მელოტი მთები. – სუსხიან ზამთარში... ჭაღარამოსილი მელოტი ტყეები დაღონებულნი ძირს უშვებენ ტოტებს (ი. გედევ.) – ქედლი.

მერდ-ი:

დიალექტ. I. მერდი ყუმბარა (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. II. მერდი გულუხვი. *მერდს* ერ ბატი ჰყონდა (ინგ. იმნ. 207, 14).

მერცხალ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. მერცხალი hirundo: „ვითარცა *მერცხალი*, ეგრე ვჰრტინევდ (ვჰმობდი O)“ (ეს. 38, 14); „გურიტმან და *მერცხალმან* და მჭურინავმან და ველისა სირთა დაისწავლნეს ჟამნი მოსლვისა მათისანი“ (I, იერემ. 8, 7); „გურიტმან და *მერცხალმან* და მჭურინავმან, – მფრინველთა ცისათა ცნეს ჟამი წარსლვისა მათისაჲ“ (ოქრ.-გურიტ. 226, 20). აქვე: მერცხლის გამსხმელი, მერცხლის -მდევარი merops aplaster – ილ. აბულ. იყვნეს კლდეთა ზედან მიკრული ვითა *მერცხალნი* და შავარდენნი ბუდეთა აღიგებენ (ბ. ეგნატ. 148, 6). – მოფრინდა მერცხალი. ვანომ იმასაც შესძახა: «მერცხალო, კუდმაკრატელა, მოჭიკჭიკე, მონავარდე!» (ი. გოგებ.). მწყერი,

გუგული, *მერცხალი* გაფრინდნენ თბილსა მხარესა (ი. დავით.). ◊ პირველი მერცხალი გადატ. რისამე წამომწყები, თაოსანი, ინიციატორი – ქეგლი. აგრეთვე ჩვენ. ფუტკ.

აღდგენილია მერცხალი < *მერწხალი. ს.-ქართვ. *რწიხ-ჭიკჭიკი, მერცხალი (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: კლიმოვი 1964: 132, გუდავა 1964: 144, ჭუმბურიძე 1987: 53, ფენრიხი, სარჯველაძე 1990, გიგინეიშვილი 2016, მ. მაჭავარიანი 2009: 445, ნ. მაჭავარიანი 2015:90.

დიალექტ. II. **მერცხალი** მთის მოცხარი, ლამა, მცენარეა (აჭარ. მაყ.). მერცხალი მოცხარი. „ტყეში ბევრია *მერცხალი,* იმა მოვკრეფავთ და რეჩელ მუადუღებთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. მოცხარი. 1. ბოტან. დაბალი ტანის ბუჩქი; ფოთლები ვაზისას უგავს, პატარა ყვავილები თავდაკიდებულ მტევნებად აქვს შეკრებილი; ისხამს წვრილ, მრგვალ, წვნიან ნაყოფს; იჭმება; მოჰყავთ ბაღებში, ზოგიერთი სახეობა ტყეშიაც იზრდება. რა დამავიწყებს ბუერას, მოცხარს და თუნდ ჩემს მოქიშპე ჩადუნას? (ვაჟა). 2. ამ ბუჩქის ნაყოფი; ხმარობენ საკონდიტრო და ლიქიორების წარმოებაში – ქეგლი.

მერჯ-ი:

საშ. ქართ. I. **მერჯი** მწყერი. მერჯი სხვაში მწყერმარჯილის ნაცვლად ეწერა – საბა. იხ. II. მწყერმარხილი.

იხ., ახ. ქართ. II. **მერჯი, მერხი** 1. „გრძელი სკამი“ (საბა). დადვეს იგი *მერჯსა* ზედა (A-95, 633 r) –ზ. სარჯ. დანო ჩამოჯდა *მერხზე* (ა. ბელ.). 2. დახრილზედაპირიანი მოგრძო სასკოლო მაგიდა, რომელსაც აქვს უჯრები და დასაჯდომი. ვეღირსე, რასაც შევნატროდი სკოლის *მერხიდან* (ი. გრიშ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. *მერჯ- „ხის სკამი“; იხ. ქართ. მერჯი > მეჯი (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 2016

მესელე:

ახ. ქართ. I. **მესელე** 1. მესელეობაში დახელოვნებული პირი, სელის მთესველ-მომყვანი. 2. მესელეობის სპეციალისტი – ქეგლი.

მე-ე აფიქსები; ფუძე სელ-; **სელი** [linum usitaissimum] ერთწლიანი, ცისფერყვავილებიანი და კოლოფა ნაყოფიანი მცენარე; აქვს პრიალა, ბრტყელი, ზეთით მდიდარი თესლი, რომლისგანაც ზეთს ხდიან, ხოლო ბოჭკოსაგან ამზადებენ ქსოვილს. საქართველო, მეტადრე დასავლეთი, კოლხეთი, განთქმული იყო თავისი *სელის* ქსოვილებით (ივ. ჯავახ.) – ქეგლი. სელი მეტ-ნაკლები სემანტიკური გადაწევით დასტურდება როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ სამწერლო ენაში და მის დიალექტებში.

*სელ არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

დიალექტ. II. მესელე [არაბ.] ამბავი, პრობლემა, ამოცანა, საქმე. „მე ახლა ერთი მესელენა გითხრა“ (ჰილ.); „ამფერია ხათრიანი მოსაფირის *მესელე*“ (სტ.); „კუერცხის *მესელე* ჲოქ, არ იწუელება ჩუენი ქათამი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „ესკი *მესელეები* მოგიყვე?“ (არავეთი, ნიგ. ბერ.). || [თურქ.-არაბ.] ამბავი, არაკი, იგავი. „ორნავე კედრით დუშახა მომჩივნები და ასეთი *მესელე* მუყვა ყადიმ...“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. მისალაჲ [აზერ.] ანდაზა, თქმა. ათაბაბაჲ მისალაჲს: კუც ცხენს უკან წავავ (ინგ. ღამბ.). მესელი თქმულება ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. II. მასალა.

მეჩეჩ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. მეჩეჩი ვრაქია, კბოდოვანი, ზღუაში თხელი ადგილი, სადაც ნავი შთაიფლვის – ნ. ჩუბ. || თხელი ან ნარიყი ადგილი ზღვებსა, მდინარეებსა და ტბებში; აბრკოლებს გემების მიმოსვლას, – თავთხელი. გემი *მეჩეჩზე* დადგა (ქ. ბაქრ. თარგმ.). დნეპრის ნაპირებში წყალი ბევრგან თავთხელია და... შეიძლება გემი *მეჩეჩზე* დაჯდეს (გ. შატბ.). || ფიგურ. მე... მგონია, სერ, რომ მეცნიერებაში მისთვის არ არსებობს არც *მეჩეჩი* და არც ქვები (ქ. ბაქრ. თარგმ.) – ქეგლი. || ნანგრევი, ნაშენის ყორე (გურ. ჯაჯან.). შდრ. ჩეჩი ზღვათა შინა კლდოვანი ან თხელი ადგილი, ვრაქია – დ. ჩუბ., ქეგლი.

დიალექტ. II. მეჩეჩი საზამთროდ შენახული ჩურჩიანად გამხმარი ჭყინტი ლობიო. *მეჩეჩი* დავალბე და ნიგვზით გავაკეთე (ბობოთი, ზ.-იმერ. ოკრიბ. ბოწ.). აგრეთვე იმერ. ქავთ. შდრ. ჩენჩი, ჩენჩო მარცვლეულის ბუდე, კანი, – ნაჩენჩი, ხეჭები – ქეგლი.

დიალექტ. III. მეჩეჩი მკბენარი. რაც წინათი *მეჩეჩი* ეხვიათ ხომე ბებრეფსა, ეხლა სუყველა გასუფთავდა, ჯეელიცა და ბებერიცა (სარ., ქართლ. მესხ.). „*მეჩეჩი* ახვევია“ (საღოლაშენი, ქართლ. მესხ.). || მაჩიჩი (რაჭ. კობახ.).

|| მეჩეჩ-ი < მეჩიჩ-ი; მე-პრეფიქსი. ჩიჩი „რჩილი“. აგრეთვე ჩიჩი (გურ. ზ.-იმერ. აჭარ.) – ალ. ღლ.

მეჯ-ი:

ძვ. ქართ. I. მეჯი || მეყი, მეყსა შინა საჩქაროდ, უმალ: „განვახლდეთ მეყსა შინა წამსა თუალისასა“ (I კორ. 15, 22); „მოიწიოს შენ ზედა მ*ეჯსა* შინა“ (H–2251, 60r); მეყსეულად || მეჯსეულად მაშინვე, უეცრად, საჩქაროდ – ილ. აბულ.

მეჯი < მეყი. ერთ მეყში სამოცი წენი შედის. მეყი სუბსტანტივია, ხოლო მისი აბსორბირებული ალომორფი მყის -ზმნიზედა. მყის (|| მეყის) ძველ ქართულში მეყსეულის (|| მეყსეულად) ფარდად იხმარებოდა და მათ შორის სხვაობის ნიშანს არ სვამდნენ. მეყ დროის ერთ-ერთი უმცირესი ერთეულის აღმნიშვნელი ლექსემაა, რომლის სრული სახე დაცულია მეყსეულში (ღლონტი 1980: 9-12).

დიალექტ. **II. მეჯი** კედლის გასწვრივი ხის ტახტი. **მეჯის ნაბადი** გასწვრივ ტახტზე გადასაფარებელი მოთელილი მატყლის ნაბადი. **მეჯის საგორავი** გასწვრივ ტახტზე გადასაფარებელი, ჭრელი ნაქსოვი მატყლისა (თუშ. ხუბ.). მეჯი (თ.) კედელთან გაკეთებული ტახტი (კედლიდან კედლამდე). შდრ. მერჯი (ხელნაწ. №95, გვ. 1266) – ა. შან.

თ. უთურგაიძის ვარაუდით, თუშური მეჯი წარმომავლობით უკავშირდება ნახურ მეჯას „ფარცხი“. ისინი ძალიან ახლოს არიან მასალითა და ფორმით, თუმცა დანიშნულება სრულიად განსხვავებულია (უთურგაიძე 1966: 69). იხ. II. მერჯი.

მეჯ-ი:

დიალექტ. **I. მეჯი** [არაბ.] ძალა, ძლიერება, სიმძლავრე. „ერთი *მეჯი* უნდა გავხდეთ, ნადი უნდა ვქნათ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. მეჯი** მენჯი, გავის ჩონჩხი (ქიზ. მენთ.). || მენჯი კაცის თეძო – საბა. ჯავაშირი... ერგების ნასხმანთა ტკივილსა და მენჯთა ტკივილისა და მუკლთასა (ფანასკ. 407, 21). აგრეთვე ქეგლი.

მეჯორე:

სამ., ახ. ქართ. **I. მეჯორე** ჯორების პატრონი – დ. ჩუბ., ქეგლი. პატრონი. || ჯორების მწყემსი. «ნაყარ-ნუყარი ხალხი არის შენს ხომალდებზე, ძალით საზღვაო საქმისათვის მოგროვებული, ხელად ნაშოვნი გუთნისდედა, ზოგი *მეჯორე*» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. მეჯორეთ-ხუცესი ისტ. მეჯორეთა უფროსი (დ. ჩუბ.).

მე-ჯორ-ე: მე-ე აფიქსები, ჯორ -ფუძე საერთოა ქართულსა და მეგრულში, მნიშვნელობაც ყველგან ერთი და იგივე აქვს (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. **II. მეჯორე** მეჯვარე (მთ. კაიშ.). მეჯორე < მეჯვარე. მეჯვარე ქორწილში ვინც დედ-მამის მაგიერად იქმნებიან და შემოჰყავთ ახალ ნაქორწილევი სახლში და უჩვენებენ საჯდომს ადგილს (დ. ჩუბ.). მეჯვარე – ძვ. ეთნ. ქორწინებაში მეფის ან დედოფლის მხლებელი პირი, რომელიც მათ გვირგვინს ადგამდა ჯვრისწერის ცერემონიის შესრულების დროს, – ეკიბი (ქეგლი). მე-ე აფიქსები, ფუძე ჯვარ-. ჯვარი ხატი, სალოცავი (ხევს. ჭინჭ.).

მზე:

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. მზე** 1. მნათობი: „რაჟამს დაჰჴდა *მზე*“ (მრ. 1, 32); „შენ დაამტკიცე ნათელი და *მზჱ*“ (ფს. 73, 16). „ზრდიან დათესულსა წჳმითა და *მზითა*“ (მ. სწ. 145, 11); მზევნება, მზუარე – ილ. აბულ. ეტლის ცვალება *მზისაგან* შეჯდომა სარატანისა (ვეფხ. 1328, 3). თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა ანუ ანაზდად *მზე* ამოვიდა – გამოჩნდა ვისის პირი (ვისრ. 39, 5). *მზეო*, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა! (ხალხ.). ბრწყინვალე *მზემ* ამო-

აშუქა (ი. გოგებ.). 2. ამ მნათობის სხივი, სინათლე, სითბო, მხურვალება. – თოვლი *მზეზე* სპეტაკად ბრწყინავდა (თ. რაზიკ.). [ფუტკარმა] გაიშრო *მზეზე* სველი ფრთები, აფრინდა და მხიარული ბზუილით გასწია თავისი სკისაკენ (ი. გოგებ.). 3. გადატ. სიცოცხლის, ბედნიერების წყარო. «მზაღვე, ჩემო *მზეო!*» – მღელვარებით წარმოთქვა ელგუჯამ (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

აღდგენილია: ქართველური არქეტიპი 1. *მზ'ე-ჲ ფორმით, ძირისა კი – *მზ'ე სახით (კლიმოვი 1964 133; ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *მზე „მზე" (ჩუხუა 2017). შდრ. [შუმ. maš „ნათელი"] – ქართ. მზე (←*მზ'ე) (გორდეზიანი 1985).

დიალექტ. II. **მზე** ბზე. კარგი შემნახავი კაცი, მაშინ დაბლა *მზეს* [ბზე] დაუყრის, რომ არ გაღვივდეს პური ქვეშიდან (ქართ. მტკვრ. ჩრდ. მრეწ. I, 230).

მზე < ბზე; ბ > მ; აღდგენილია ს.-ქართვ. *ბზე „ბზე" (ჩუხუა 2017).

მთავარ-ი:

დიალექტ. **I. მთავარი** (← მ-თევ-არ-ი) თეთრფეროვანი, ქერა. ვინა თქვა *მთავრის* ქორისა-დ: „ბაჯალი, გეზელიაო?" (ხევს. პოეზ. 296, 1); ზოგიერთს მასწონს თვალშია *მთავარი*, თმაყვითელია (გ. დოლ. 75, 24). *მთავარი* ჯბოა და თვალგულს იხვევსო(მ. ბალ., ნ. მაკალ., ხევს. ჭინჭ.).

ძვ. ქართ. **II. მთავარი** 1. «სატრაპესი», «ბჭე», «მსაჯული», «წინამძღუარი», «გუნდი», «აზნაური», «თავი», მეთაური, უმთავრესი; «მდიდარი»: „ყურად იღეთ *მთავართა* (სატრაპესთა G)" (O, მსჯ. 5, 3); „მისცეს იგი პილატეს მთავარსა (ბჭესა C)" (მთ. 27, 2); „წინაშე *მთავართა* (მსაჯულთა C) წარგადგინნენ" (მთ. 13, 9); „დადვეს ერმან იგი თავად მათ ზედა და *მთავრად"* G, – „დაადგინეს იგი ერმან მან კრებულთა ზედა *მთავრად* მათდა და წინამძღურად" (pb., მსჯ. 11, 11); „განყვნა სამასნი მამაკაცნი სამ *მთავრებად"* G – „განყო სამასი იგი კაცი სამას გუნდად" (M მსჯ. 7, 16); „ტაძრობას ჰყოფდა *მთავართა* თანა გალილეაისათა" C, – „მზა-უყო პური... აზნაურთა გალილეაისათა" (DE, მრ. 6, 21); „მზა-უყო პური *მთავართა* მისთა" DE, – „ტაძრობას ჰყოფდა მდიდართა თანა" (C, მრ. 6, 21) – ილ. აბულ. 2. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, თვალსაჩინო; არსებითი, ძირითადი. *მთავარ* მოწმეებად დაიბარეს დაფინო და თავადის ქალი მაიაც (ლ. ქიაჩ.). || თანამდებობით, მდგომარეობით პირველი, უფროსი. მთავარი ინჟინერი. ◊ მთავარი წინადადება გრამატ. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში – სინტაქსურად დამოუკიდებული წინადადება. 3. არს. სახ. ისტ. უმაღლესი საერო ხელისუფლების პირი; მმართველი.ოქრო და ვერცხლში ჩამჯდარი, მარტო შემოდის *მთავარი* (აკაკი). ოდიშის მთავარს იმედი აქვს, დამხმარე ჯარი კიდევ მომივაო (ნ. ლორთქ.). 4. ეკლ. საუბ. იგივეა, რაც მთავარდიაკონი – ქეგლი.

მთავარი ნაწარმოებია თავ-ძირისაგან (თავი ძველ ქართულში „მეთაურს", „უფროსსაც" ნიშნავს). ნაწარმოებია მ-არ ცირკუმფიქსით – ბ. გიგინ.

მით-ი:

ახ. ქართ. **I. მითი** [ბერძ. mythos გადმოცემა, თქმულება] ისტ. ლიტ. ძველი ხალხური თქმულება ქვეყნის წარმოშობაზე, ღმერთებზე და ლეგენდარულ გმირებზე. ბერძნული მითები. – ათასგზის განაგონ ბიბლიურ *მითებს* უტრიალებდა მელქისედეკი (კ. გამს.). || გადატ. ფანტასტიკური, ლეგენდარული, ზღაპრული რამ – ქეგლი.

სიტყვა წარმოშობით ბერძნულია [შდრ. mȳtos „სიტყვა", „მოთხრობა, „ცნობა, „თქმულება, „გადმოცემა"] მაგრამ ქართულში შემოსული ჩანს რუსულიდან (შდრ. რუს. миф) ლიტერატურული გზით, რასაც მიეწერება რუსული ф თანხმოვნის ნაცვლად ბერძნული ϕ-ს შესატყვისი ქართული თ-ს ჩასმა. ე. ი. ნასესხობის კორექტირება თავდაპირველი წყაროს მიხედვით (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. მითი** მით, მითა. თავი *მითი* ვიმართლე, რომ ფეხები მტკივა-თქო (აკაკი) – ქეგლი. შდრ. მითი (ჯავახ. ქართ. დიალექტ., 648).

მით, მითა მოქმედებითი ბრუნვა მესამე პირის ნაცვალსახელისა [სახელობითში იყენებს მესამე პირის მითითებით ნაცვალსახელს ის (იგი)] – ქეგლი.

მითილ-ი:

დიალექტ. **I.** მითილი უგულო; უმოქმედო, ინერტული (ადამიანი). „– შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა? *მითილი* ხარ, თორემ არა მკითხავდი, მოდი, ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე! ჩემი დარდი, თვალის ჩინი აქ არის" (გრ. ორბელიანი, „ონიკაშვილის დარდები") (აჭარ. ნიჟ.). || შეუგნებელი, უქნარა. || ოხერი (?) „ალბათ ფული უფრო ძვირი ყოფილა ბრილიანტზედ, რა *მითილი* დრო შეიქმნა და!" (რ. ერისთ.) – ი. გრიშ.

დიალექტ. **II. მითილი** [თურქ.] საპირეშემოუკრავი ქვეშაგები (ლეიბი, საბანი). „იმფრა დაფუხრებულან, რომე *მითილებში* წევან" (ად., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: ჯავახ. ბერ.; აჭარ. ნიჟ. || მითელი ლეიბის, საბნის, ბალიშისა და მისთ. შიგნითა პირი, რომელშიც ბუმბული, მატყლი ან ბამბაა მოთავსებული. საწყალმა ჩემმა სიდედრმა მე ქალი მომცა ყვითელი, მზითევი კარგი მოუყვა, ბალიშს დაუკლდა მითელი (ხალხ.). || ქსოვილი, რომელიც ამ მიზნით გამოიყენება. [ლეილამ] კალთაში წითელი მითელი გადიშალა (შ. არაგვ.) – ქეგლი. || მითელაი (გურ. ღლ.). სათარს... თავში აქვს დაწდეული მითლით (ერწ. თიან. მრეწ. IV, II, 85). უკავშირდება მითელვას? (გიგინეიშვილი 2016).

მინდ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მინდი** სამინდალი, სამინდო – საბა. მინდი მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით. კოვზის პირით საფქვავი დააყარეო და ტარით *მინდი* აიღეო (ანდაზა). «*მინდის* აღებით გინდა გამამდიდრო?» (ვაჟა). || (მოხევ.) საფქვავი. საღა-

მოსთვის *მინდი* მზად იყო; ბეჟიას შემწეობით ქალმა მძიმე ტვირთი ზურგზე წამოიკიდა და გასწია პატარა წისქვილისაკენ (ა. ყაზბ.). ◊ **წისქვილს მინდს აუგებს** (მოხევ.) იგივეა, რაც დააყრის (მნიშვ. 3). «მეც ამაღამ *წისქვილს მინდს ავუგებ* და ხვალ კი პურს გამოვაცხობ» (ა. ყაზბ.) – ქეგლი. **მინდი** მინდი ზან. (მეგრ. ელ.).

ვვარაუდობთ, ზემოთ აღნიშნული მინდი ლექსემა მიზდისა [სპარს. „საზღაური“] და ბერძნული წარმოშობის სიმინდის (სემიდალის σεμιδάλις „გამტკიცული ფქვილი“) კონტამინაციურ ფორმას წარმოადგენს. აღნიშნული გარემოებისათვის ხელი უნდა შეეწყო ჩვენში მე-17 საუკუნეში სიმინდის კულტურის სწრაფ გავრცელებას. ამას გარდა, მიზდის („საზღაურის“) მნიშვნელობის დავიწროებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მე-17 საუკუნეში არაბული წარმოშობის სიტყვა „ქირის თურქულის გზით შემოსვლას“.

II. მინდი: ინდი მინდი. სემატიკისაგან დაცლილი მისამღერი სიტყვაა. „ვის გაქვთ ბაგე ფერად შვინდი, თვალი შავი, *ინდი მინდი,*/ გამომყევი, გამობრწყინდი, სანახავად ნუმცა გინდი“ (ხალხ. პოეზ. VI, 1978, 310).

ნ. მაჭავარიანის აზრით, ინდი-მინდი, დამოუკიდებლად ნახმარი შეიძლება იყოს ერთისა და იმავე ზმნის პირიან ფორმათაგან შემდგარი ორკომპონენტიანი, თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით, შეკუმშული ლექსემა, რომლის პირველი ნაწილის ანლაუტში უნდა ვივარაუდოთ I ობიექტური პირის მ-, ან II ობიექტური პირის გ- პრეფიქსი, ხოლო მეორე კომპონენტის თავკიდური მ- I ობიექტური პირის ნიშანი უნდა იყოს: *მ-ინდი (ხარ) -მინდი (ხარ) ან *გ-ინდი-ვარ-მ-ინდი (ხარ). დროთა ვითარებაში ლექსემის პირველ ნაწილს (ზმნას) პირის ნიშანი „მოეცვითა“, მეორე კი შერჩა და ახლაც სახეზეა. ამასთან, ორივე კომპონენტმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა (ნ. მაჭავარიანი 2015: 94).

მირას-ი:

დიალექტ. **I. მირასი** [არაბ.miras] მემკვიდრეობა, ნაანდერძევი. „ჩემ ღარჭსა სიმამრის *მირასის* მიწნეთი არ აქ, თავისიც ბევრი აქ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). მირასის ქაღიდი მემკვიდრეობის დოკუმენტი, ანდერძი (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II.** მირას [აზერ.] ტიალი, ოხერი, უპატრონო. ვესროვნ თოფ, არ მოხტო *მირასს* (ტიალს); *მირასი*, გუშინ რაბე (რატომ) მამატყუვი? (ინგ. ღამბ.). „ეს *მირასი* ჯორი შინ არ შემოდის, სუ გარეთ დარბის“ (ჯავახ. ბერ.).

მის-ი:

დიალექტ. **I.** მისი [სპარს. mes] სპილენძი (ფერეიდ. ჩხუბ.). ახლანდელ კაბას მაჯასთან ყოშის ნაცვლად წკვერტი აქვს და ზედატანს წინ, მუცელზე *მისები* აქვს (ქიზ. მრეწ. III, I, 15). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ახ. ქართ. **II.** მისი კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ის ჩვენებ. ნაცვალსახელის შესაბამისი – ქეგლი.

მისირ-ი:

სამ. ქართ. I. მისირი [არაბ.] ეგვიპტე. „ის ფაშა *მისირზე* ვაალი იყო“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). *მისირში* (ეგვიპტეს) მთლად ბეგებად ქართველნი არიან (კალმას. 370, 14). შდრ. მისრეთის ხელმწიფესა ერთი შვილი ყოლია (რუსუდ. 31, 36). ჩინელთა, მისრელთა, ინდოელთა და ზღვათა სამეფოთა ტანსა შეგვმოსნა (რუსუდ. 134, 14). მას ეგონა მოანბე ვინმე მისრული (რუსუდ. 45, 6). მისრული ძვ. იგივეა, რაც ეგვიპტური – ქეგლი. მისირი [თურქ. Mısır] ეგვიპტე ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. მისირი [არაბ.] სიმინდი. „წრეულაი *მისირი* მქონდა დათესილი“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.). მისირი სიმინდი ზან. (ლაზ. თანდ.).

მიტკალ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. მიტკალი ბამბის ნაქსოვი – დ. ჩუბ. || [არაბ. მიტკალ] ბამბის თეთრი ქსოვილი. მიტკლის ზეწარი. – სიკოს ეცვა... თეთრი *მიტკლის* პერანგი (ე. ნინოშ.). [ბამბის] ძაფიდან ქსოვენ...: ჩითსა, *მიტკალსა*... და სხვ. (ი. გოგებ.). || მინტკალი (გურ. ნიკოლ.).

სამ. ქართ. II. მიტკალი || მითკალი წონაა 1, 414 გრ. აიღო ზაფრანი მითკალი და სუმბული – *მიტკალი*, სპილენძი დამწუარი – თორმეტი მიტყალი, და სადაჯი ჰინდი – *მიტკლისა* ნახევარი ...ანძრუთი – ორი *მიტკალი* (ფანასკ. 77, 10). შდრ. მუტკალი, მუტყალი (ფანასკ. 14, 24, 85, 11).

მკალ-ი:

ძვ., სამ., ახ ქართ., დიალექტ. I. მკალი კალია: „მოიწეოდეს ვითარცა *მკალი* სიმრავლითა“ (G მსჯ. 6, 5); „მოჴდა *მკალი* და ბუზი“ (ფს. 104, 34) – ილ. აბულ. ფასკუნჯსავით პატიოსნად *მკალი* ყოლე არ ცნობილა (ქილ. 849, 18). მინდორი *მკალმა* მოძოვა, ბღავის ცხვარი და ფურია (რ. ერისთ.). *(მ)კალი* მოსულა, დააჟდა კაცსა, შუბლზე დააჟდა... (ისკები, კლარჯ. ლექსიკ). || მკალნი ანუ კალიის გუნდი სიმრავლის ეპითეტი იყო ძველ ქართულში: „ხოლო მათ (თურქთა) მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, ვითარცა *მკალნი*“(ქ. ცხ. I. 319, 16).

ალ. ჭინჭარაულის აზრით, „მკალი“ მიმღეობაა და „მკა“-ს უკავშირდება. „მკალია“ „მკალი“-სა და „კალია“-ს კონტამინაციაა. მეგრულ კოლ-ი-ში მ დაკარგულია. „კალია“ მ-ს დაკარგვის შემდეგ ახლებურად გაფორმებული სიტყვაა (ჭინჭარაული 1985: 129-133). იხ. II. კალია.

ძვ. ქართ. II. მკალი მცენარე. ყრმა იოვანე ნათლისმცემელისა იყო „*მკალი* და თაფლი ველური“ (მთ. 3, 4). *მკალი* იგი, რომელ არს დანაკისკუდი (იგივე ფინიკი), რამეთუ ზედა ნახეთქსა კლდისასა აღმოსცენდა დანაკისკუდი, სავსჱ ნაყოფითა, და ჟამსა ჭამისასა იოვანჱსსა დადრკის ხჱ იგი. თაფლ ველურ არს წყაროჲ იგი მცენარისა მისგან წყლისა, რამეთუ უნაყოფოსა ადგილსა ესევითარი სიტკბოებაჲ აღმოსცენდა – მისთჳს ეწოდა თაფლ ველურ“ (კლარჯ. მრავალთ. 423-425).

გამოკვლეულია, რომ ნათლისმცემელი ბალახის თავებით და მცენარეებით იკვებებოდა და სახარებაში ხსენებული „მკალი“ და „თაფლი ველური“ მცენარეებია (ბარნაველი 1991, ელექტრ.).

მკრთალ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. მკრთალი** 1. მქრქალი ფერნაკლები ZABE. ფერნაკლული – საბა. || ღია, ბაცი ფერისა. *მკრთალი* ნათელი სავსე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა (ილია). დამავალი მზის *მკრთალი*, უსიცოცხლო სხივები ოდნავ, უხალისოდ ანათებდნენ (ნ. ლომ.). || გაფითრებული, ფერმიხდილი. «ვენაცვალე შენ *მკრთალ* სახეს, დედა-ჩემო!» (ვაჟა). კმაყოფილების ღიმილი გამოჩნდა მის *მკრთალ* სახეზე (ს. კლდ.). || გადატ. სუსტი; ძნელად გასარჩევი, ბუნდოვანი. პირველი აკორდი ისე *მკრთალი* და უხმოვანი იყო, რომ შალვა შეკრთა (ეკ. გაბ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ფერმკრთალი. მკრთალად ზმნს. ოდნავ, სუსტად. სახლში... *მკრთალად* ანათებდა პატარა თუნუქის ლამპა (ე. ნინოშ.). || გადატ. მცირედ, ნაკლებად. თვითმმართველობაში მეტად *მკრთალად* იყვნენ წარმოდგენილი ადგილობრივი მცხოვრებნი (დ. კლდ.) – ქეგლი.

ზოგჯერ ჭირს პირველადი და მეორეული ფაქტების გამიჯვნა (მაგ., მკრთალია ამოსავალი *მქრქალისათვის*, თუ მქრქალ სიტყვის არტიკულაციის წინ გადმოწევამ მოგვცა მკრთალი და მისთ.) (ქავთარაძე 1964: 205).

საშ., ახ. ქართ. **II. მკრთალი** მვ. «აკანკალებული, აცახცახებული, მთრთოლი» (იუსტ. აბულ.), – შემკრთალი. არ შეექმნა დარბაზობა მას დღეს როსტანს გულ-გამწყრალსა; რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს თუ ადენს პირით ალსა, ხმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით *მკრთალსა* (რუსთაველი) – ქეგლი.

მკრთალი მიმღეობა; მ-ალ აფიქსები.ძირია კრთ-, აღდგენილია *კერთ-/კრთ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მოაჯირ-ი:

ახ. ქართ. **I. მოაჯირი** კიბის, აივნის, ხიდის და მისთ. კიდეზე მოვლებული დაბალი ზღუდე. ახლა კი შეკრთა [მამამზე], მუხლები მოეჭრა, ქვითკირის *მოაჯირს* მოეჭიდა (კ. გამს.). აივნის *მოაჯირთან* დამდგარიყო სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა (ლ. ქიაჩ.). [გიორგიმ] რა ჩუქურთმები არ გაუკეთა *მოაჯირს*, რა ფერად არ ააჭრელა კარი და ფანჯარა! (ეკ. გაბ.) – ქეგლი. შდრ. მოაჯარი კანკელი, ლანძვი – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. მოაჯირი** [თ. Muhajir] მუჰაჯირი: „ზოგი წასული არიან, *მოაჯირად* წევდენ“ (ბაზგ., შავშ. ლექსიკ.). შდრ. მუჰაჯირი || მუხაჯირი ისტ. აჭარიდან ან აფხაზეთიდან ოსმალეთში გახიზნული, ემიგრირებული. [ხალხს] დაუგდია ოხრად თავისი სახლ-კარი და ემზადება მუჰაჯირად წასვლას თურქეთში (თ. სახოკ.) – ქეგლი.

მოდულ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. მოდული** (გურ.) „დიდი ხნის ყანობით გამოფიტული მიწა“ (ს. ჟღ.) – ქეგლი. მოდული გამოფიტული საყანე მიწა, რომელსაც „დასასვენებლად“ ტოვებენ ხოლმე; ქვემოჭარაში გვხვდება ადგილის სახელად თავმოდული (აჭარ. ნიჟ.). **მოდუდელი, მოდუდელური** მომკილი აღებული თავთავიანთა ყანა (ტაროშეტეხილ სიმინდის ყანობილზე იტყვიან) ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ. **II. მოდული** 1. ფიზ. ზუსტ მეცნიერებებში – ზოგი კოეფიციენტის სახელწოდება. მოდული წინააღმდეგობისა. – მოდული დრეკადობისა. 2. მათემ. რიცხვი, რომელზედაც უნდა გამრავლდეს ერთი სისტემის ლოგარითმი მეორე სისტემის ლოგარითმის მისაღებად. 3. არქიტ. სვეტის რადიუსი ან დიამეტრი, რომელიც წარმოადგენს საზომს შენობის ცალკე ნაწილების თანაზომიერების დასაცავად – ქეგლი.

მოვ-ი:

საშ. ქართ. **I. მოვი** არს სადა ოქრო, ვეცხლი, ბრპენი, სპილენძი და მისთანანი ითხრების და გამოიდნობის – საბა. შდრ. ბოვი (მადანი CD.) ილეკროს პირველად გამოსადნობელი – საბა.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. მოვი** აბრეშუმის ნაქსოვი უფრო საპერანგე. აგრეთვე ნიშნავს ფერსა – დ. ჩუბ. პერანგს... გვიან შუა საუკუნეებში კერავდნენ აბრეშუმის, ბამბის, მერდინის, *მოვის*, ტილოსა და ყანაოზისაგან (კვანტიძე 2014: 126). იხ. აგრეთვე (დათუნაშვილი 2018: 106). წარგვიტანებია... პერანგი სამი ცხრა-ცხრა, ბურსეულისა ცხრა, მერდინისა ცხრა, ფერანდის *მოვისა* ცხრა (საქ. სიძ. III, 485, 33). წითელო *მოვის* პერანგო, მაღლა შეკრულო ღილითა! (ხალხ.). ღილებჩახსნილი ახალუხიდან [ჯაცს] წითელი *მოვის* პერანგი უჩანდა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ., ქართლ., მოხ., ინგ. – ალ. ღლ. შდრ. მავი სხვათა ენაა, ქართულად ლურჯი – საბა. მავი სხვათა ენა, ქართულად მავი მხიარული ფერი, ლურჯი, ანუ მოწვანო ბერძ. μαβης ცისფერი – ნ. ჩუბ.

მოზარე:

ახ. ქართ. **I. მოზარე** ძვ. ეთნ. ზარის მთქმელი; მოთქმით მოტირალი. ეს საკაცე შუაში იდგა და გარშემო *მოზარენი* – «მოტირლები» ერტყნენ (ვაჟა). ჭიშკარში *მოზარეები* არ დაგვხვედრია, – იმედი ჰქონდათ, მიცვალებულის ცოლოური თავის ზარით მოვიდოდა (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. მგზარი, მგზარ, **მოზარა** მოზარე, ზარის მთქმელი (სვან. თოფ., ქალდ.). მოზარე: მო-ე აფიქსები; ზარ-ბირი. იხ. III. მეზარე.

ძვ. ქართ. **II. მოზარე** გაუბედავი, ზარმაცი; დაზარებული: „რომელნი-იგი პირველ უდებ იყვენით და *მოზარე*“ (ი. ოქრ. -მარხ. და იონ. 100, 10). „მარხვასა მოლალე და ჴელთ- საქმარსა *მოზარე*“ (მ. სწ. 238, 25). იხ. II. ზარმაცი.

მოთხე:

ძვ., საშ. ქართ. **I. მოთხე** «შთასადებელი», კოლოფი, ზანდუკი: „იგლოვდენ *მოთხენი* სამკაულთა თქუენთანი“ O, – „გოდებდენ შთასადებელნი სამკაულისა თქუენისანი“ (pb., ეს. 3, 26); „ვითარცა *მოთხესა* შინა სამოსელი, უკუეთუ მყოარ უტეო, ჟამითი-ჟამად განირყუნეს“ (Ath-12, 178v) – ილ. აბულ. || ძვ. «სკივრის კოლოფი» (საბა). [კაცსა] უბეთა ერთი *მოთხე* ედვა, ამოიღო (საბა). მას სკივრში მთუარულად მგრგუალი *მოთხე* იყო (ქილ. 228, 19). მოიხუნა *მოთხენი* თუალითა და მარგალიტითა შეკაზმულნი (ამირანდარეჯ. 199, 7). შდრ. მოთხვითი „ოთკუთხი“ (საბა).

მოთხვითი ოთხ ფუძიდან უნდა მოდიოდეს: მ-ოთხ-ვ-ით-ი (ცქიტიშვილი 1976: 315). აღდგენილია *ოთხო -არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). ვვარაუდობთ, რომ მოთხე მოთხვითის მსგავსად ოთხ-სიტყვიდან მომდინარეობს.

საშ., ახ. ქართ. **II. მოთხე** მცირედ თხელი – ნ. ჩუბ. || ძვ. იგივეა, რაც მოთხელო. ღოლოს შეჭამანდი *მოთხედ* უნდა გააკეთოთ (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. მო- პრეფიქსი. ძირი თხ-; მოთხევა «დათხევა», «მოპკურება» – ილ. აბულ. აღდგენილია *დთხ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მონაობა:

ძვ. ქართ. **I. მონაობა** „კეთრი“ – საბა. შდრ. II. მუნი.

საშ., ახ. ქართ. **II. მონაობა** 1. ყმობა – დ. ჩუბ. **მონაობა** წიგნ. მონობა. მყველაზე უდიდესი საქმე დონ პედროსი *მონაობის:* მოსპობა იყო ბრაზილიაში (ილია) – ქეგლი. 2. მონაობა ფიზიკური და გონებრივი დეფექტიანობა. ეს მარტვილი გაიზდების უსათუოდ *მონაობა* შეექნების (იად. 113, 6). შდრ. **მონა** ნასყიდი ვაჟი გინა ნამზითვი – საბა. **მონა** მონა, გლახაკი ზან. (მეგრ. ელ.).

მორგ-ი:

დიალექტ. **I. მორგი** მორგვი – მოკლე და მსხვილი მორი; კუნძი – ქეგლი. შინაობაში დასაჯდომათ *მორგები* იყო ხმარებაში. მორგი სხვილი ხეების წანახერხი თავები და სამფეხა პატარა სკამები იყო დაბლათ, ცეცხლთან დასაჯდომათ (ჯავახ. მრეწ. I, 443). აღდგენილია ს.-ქართვ. *მორგუ-კუნძი (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1980: 152.

ახ. ქართ. **II. მორგი** [ფრან. მორგუე] შენობა, სადაც დაასვენებენ ხოლმე უცნობ მიცვალებულთა გვამებს, რათა პატრონებმა მოიკითხონ და გამოიცნონ, – საცხედრე. *მორგის* კარებთან მდგარნი შეჩოჩქოლდნენ (დ. სულ.) – ქეგლი.

მოცად-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. მოცადი** (ფშ. ქიზ.) «ვინც ცდილობს» (ა. შან.), – მეცადინე, მუყაითი, ბეჯითი. «არ გაგიგონია, ღმერთს რა უთქვამს? *მოცადმა* ნახევარი ძალი ხელიდან წამგლიჯაო, გამომტაცაო» (ვაჟა) – ქეგლი.

მო-ცად-ი: მო- ზმნისწინი, ცად- ძირი, რომელიც საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჭანურისათვის. მნიშვნელობაც არსებითად ერთი (ჩიქობავა 1938).

ახ. ქართ., დიალექტ. II. მოცადი არასამუშაო საქონელი, მოზარდი ან ზრდადასრულებული (როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა). მთიელ ოსს *მოცადი* პირუტყვიცა ჰყავს: ცხვარი, ბროხა, მხოლოდ იმოდენა არა, რომ სათქმელი იყოს და დიდს ანგარიშში ჩასაგდები (ილია). ბოსელში ერთი უღელი კამეჩისა და ერთი უღელი ხარის გარდა, ...*მოცადიც* ება (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || საქონელი. მოცად საქონელს ჩვენ ვეძახით ფურობას, წვრილტანა საქონელს. *მოცადი* საქონელი მიგვიდიოდა ტყეში, იქ მიდიოდა იოლათ (კახ. მარტ. იმნ., 10, 14). შდრ. მოცედი საფურე წლამდის – საბა.

მოცადი < მოცედი: ს.-ქართვ. *-ცედ- „ფაშატი, ჭაკი; ცხენი“ → ქართ. ცედ-, მო-ცედ-ი (ჩუხუა 2000-2003).

მოცვეთ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. მოცვეთი (გურ.) «ოჯახის უმცროსი წევრი, რომელსაც სხვების დავალებით უხდება წასვლა-წამოსვლა; მორბედი» (გ. შარაშ.) – ქეგლი. იხ. I. მოცადი.

დიალექტ. II. მოცვეთი ერთი-ორი წლის ხბო. *„მოცვეთები* თუელზე დავკალით და ჩავაყავრუმეთ“ (თ. ქ); „შარშან ჩუენსას ერთი *მოცვეთი* მოკლენიან“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. მოცადი.

მოწამე:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. I. მოწამე 1. მოწმე: „პირითა *მოწამეთა* ორთაჲთა ანუ სამთაჲთა დამტკიცნეს ყოველი სიტყუაჲ“ (მთ. 18, 16); „რომლისა ვართ ჩუნ ყოველნი *მოწამე*“ (საქ. მოც. 2, 32) – ილ. აბულ. ჩვენ ამისი *მოწამეც* ვყოფილვართ, რომ გლეხს გარეო დალპობოდეს ნამუშევარი ბატონის კაცის ლოდინშია (ილია). «*მოწამეც* არა მყავს, თავი ვიმართლო!..» (ა. ცაგარ.). ფიგურ. არწივის ცრემლების *მოწამე* მხოლოდ სალი კლდე იყო და სხვა არავინ (ვაჟა) – ქეგლი. 2. მოწ[ა]მე რაიმე დამატებითი ნიშანი (მომცრო ჭდე, ქვა...) სხვა ძირითადი ნიშნის გვერდით. ტივის ხეს რო ჭრიდნენ, ყველა თავის ნიშანს უკეთებდა ხესა, ჩემი მამა-ბიძის ნიშანი იყო ერთი ჯვარი და ორი მოწამე (ტეზ.). სამანი რო ჩასვი, მაგას მოწმეც უნდა (კავთ.). აგრეთვე საღ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.).

მო-წამ-ე: ძირი წამ-: წამება «წამ-ყოფა», თვალით ნიშნება, ჩვენება (ილ. აბულ.). მო–ე სასუბიექტო მიმღეობის აფიქსები. აღდგენილია ს.-ქართვ. *წამ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2000-2003).

ძვ., ახ. ქართ. II. მოწამე ძვ. რელიგ. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული, ტანჯული, – მარტვილი. „ჰრქუა ნეტარსა მას მოწამესა“ (თევდ. 6, 33) – ილ. აბულ. დედოფალმა ქეთევანმა... მიიღო *მოწამის* გვირ-

გვინი (ი. გოგებ.). ქართველთ *მოწამეთ* სისხლისა დადგა ტბა იგი წითელი (ვაჟა) – ქეგლი.

მო-წამ-ე: მო-ე სასუბიექტო მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსები. ძირი წამ-: წამება მწვავე ფიზიკური ტკივილის მიყენებით დატანჯვა. განწამება [წამება] დაწვრილება: „რამეთუ აპოლონი განსწამე“ (ფლკტ. 137, 29) – ილ. აბულ.

მოხევე:

ახ. ქართ. **I. მოხევე** საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – ხევის – მკვიდრი ქართველი. მთელი *მოხევეები* სათიბად იყვნენ გასულნი (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. მოხევე** (ქვ.-იმერ.) სატირალში მოსული თანასოფლელი, რომელიც ჭირისუფლის არც ნათესავია და არც მოყვარე, – მეხევე. მესამე დღეს დასაფლავების შემდეგ სახლში მიმავალი *მოხევეები* ამბობდნენ (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

მოხევე < მეხევე; მე-ხევე სატირალში მოსულნი ჭირისუფლის ნათესავთა და მოყვარეთ გარდა, სხვა მცხოვრებნი იმავე სოფლისა; მეხევენი «გადასახურავს» იხდიან მხოლოდ ათ შაურს – ვ. ბერ. აღნიშნული ლექსემები იმავე წარმომავლობისა ჩანს, რაც ძველ ქართულში დადასტურებული **ხიობა, ხეობა** კურთხევა, გალობა, მღერა: „*ახიობდეს* ქებასა“ (M, II, ნშტ. 23, 13). **მახიობელი, მახეობელი** მგალობელი, «მომღერი»: „*მახიობელისა* მიმართ ნუ აღიმსთობ“ O, – „მომღერისა მიმართ ნუ აღერევი“ (pb., ზირ. 9, 4); „ვითარ-იგი ვხედავთ მძნობართა და *მახეობელთა*, და შემზადის თითოვეულმან მათმან ჭურჭერი მსგავსად ძნობისა მის თჳსისა, და ვერ ჴელეწიფების სტჯნვაჲ ებნითა და ვერცა ებნაჲ იგი სტჯრითა განწვალებისათჳს ჭურჭერთა მათთაჲსა“ (ბ. კეს.-კაც.-აგებ. 157, 15); **მახიობელებრ** მსგავსად მახიობელისა: „როკვიდა სეფექალი იგი *მახიობელებრ*“ (Ath. –11, 162v); **სახიობა** «ჴმანელობა», გალობა: „ფრიად *სახიობდ*“ O, – „მრავლად ჴმანელობდ“ (pb., ეს. 23, 16); || «სიხარული», «აღმობგერება», მუსიკა, გალობა: „ესმა ჴმაჲ *სახიობისაჲ* და პარით მემღერთაჲ“ C, – „ესმოდა ჴმაჲ სიხარულისაჲ და განცხრომისაჲ“ (DE, ლ. 15, 25); „*სახიობაჲ* გლოვასა, ვითარცა სიტყჳს – თხრობაჲ უჟამოჲსაჲ“ O, ზირ. 22, 6). **სახიობელი** საგალობელი ან მგალობელი, მუსიკოსი: „ერთბამად აღეღო სახიობელი“ (რიფს. 171, 34) – ილ. აბულ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველქართულისეულ სიტყვებში: ხიობა, ხეობა, მახეობელი, სახიობა ძირად გამოიყოფა ხე || ხი ფორმა. მ. კობაიძის მიხედვით, ეს ხე || ხი მიღებულია ხევ- > ხივ- ფუძისაგან -ობ თემის ნიშნისეული -ო-ს წინ -ვ-ს დაკარგვის შედეგად. თვითონ ხევ- || ხივ-ფუძეში -ევ სუფიქსი ჩანს: *სა-ხ-ივ-ობ-ა > სახიობა; *მა-ხ-ევ-ობ-ელ-ი || *მა-ხ-ივ-ობ-ელ-ი > მახეობელი || მახიობელი. ...ხოლო ამოსავალი ზმნა უნდა იყოს *ი-ხევ-ს, რომლის მასდარიც ხევა ვეფხისტყაოსანში სწორედ

სიმღერას, გალობას უნდა ნიშნავდეს. ვეფხისტყაოსანშივე დადასტურებული ახიოს „ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახ ოს ეყოს, ახი ოს!“ II კავშირებითის ფორმა ჩანს და აქ იგი უნდა ნიშნავდეს ხმით ტირილს. „ხიობა“ ამ შემთხვევაში გლოვისა იქნებოდა და არა სიხარულისა (კობაიძე 1997: 118-122). იხ. აგრეთვე (ქავთარაძე 1954: 108; აბულაძე 1976: 31-40). ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ გლოვის აღმნიშვნელ ხიობა ზმნიდან უნდა მომდინარეობდეს მოხევე, მეხევე.

მრევლ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. მრევლი (მრევლი თუ მრემლი E)2 (+ 25, 20 იერემ. ZAa) მოურნე სულიერი ZA. მოურნე B. მრემლი, ესე არს მასწავლებელი, გინა მოურნე C. განუმარტავია E. = 2 ამოღებულია იოვანე დამასკელის კათიღორიიდან თავი 16 (სამრემლო C) (+ 3, 3 დიოლოღ. ZAa) სამწყსო ZABC. See also: მრევლი, მრემლი – საბა. || ძვ. ეკლ. მოსახლეობა, რომელსაც საეკლესიო მომსახურებას უწევს ერთი განსაზღვრული ეკლესია, – სამწყსო. მღვდელი მოვიდა *მრევლითურთ* (ვაჟა). ამ ეკლესიის *მრევლს* ბევრი გადმოცემა შეენახა (ე. ნინოშ.) – ქეგლი.

ნ. მარს სამართლიანად აქვს ნაჩვენები, რომ მრევლი < მრემლი (ვ < მ). მასვე აქვს მითითება, რომ მ-რემ-ლ-ი ნაწარმოებია მ-პრეფიქსითა და -ლ სუფიქსით რემა-საგან „ჯოგი“ [სპარს. Тек.и. разыск. VII, შესავალი, LXVIII]. ეს რემა საბასთან ახსნილია, როგორც „უმწყსი ცხენი“... სიტყვა ჩანს, ძველთაგანვე შეთვისებული... -ლ ქართულისთვის ჩვეულებრივი დეტერმინანტია ფუძისა, მ- კიდევ ადამიანთა კატეგორიის მაჩვენებელი პრეფიქსია: მ-რემ-ლ-ი- „რემის მომვლელი ადამიანი“, „რემის მწყემსი“, შემდეგ, საერთოდ „მწყემსი“ (ჩიქობავა 1942: 156-157). ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, რება ზმნიდან მ-ლ (< მ-რ) აფიქსებით ნაწარმოებია *მ-რებ-ლ > მ-რემ-ლ || მ-რევ-ლ (შდრ. მ-კვირცხლ, მ-თხრებ-ლ...). (ჭუმბურიძე 2002: 105-106). იხ. აგრეთვე კაკიტაძე 2005: 113.

დიალექტ. II. მრევლი უწმინდური, წამბილწველი, მურდალი (ფშ. ხორნ.). || გაუწმინდურებული (ან დედათწესით, ან იმით, რომ მიცვალებულს შეეხო (ხევს. ჭინჭ.). ამ ალაგს ძალიან სიწმინდე ზდომბნივ. აქ არ უნდა გაევლ დიაცსა-დ' ნამეტნაოდ *მრევლს*... სამრეკლოს ნამყოფს (ეთნ. კალენდ. 10, 200) – ალ. ჭინჭ. || მირეული გაუწმინდურებული. დაბინძურებული ხატი, სახლი, სადაც ღორები ჰყავთ, ქალები არ ერიდებიან ორსულობისა და მისთანათა დროს, არა ბოსლობენ. ასეთ ხატს განათვლა უნდა, ასევე სახლსაც, სხვაგვარად იქ ხევისბერი არ შევა, მოწმინდარი ადამიანი (ფშ. ხორნ.). აგრეთვე ნარევი ა) ქალი ან დედაკაცი, რომელსაც თვიური სჭირს. ბ) „ნარევები ისინი არიან, რომელთაც მკვდარი უნდა მოამზადონ დასამარხად“ -ა. შან. ვფიქრობთ, რომ მრევლი რევა ზმნის მიმღეობური ფორმა. შდრ. *რევა, მორევა* ფშ., გუდ.,მთ. „სახლსა ვრევ, არ ვაწმიდავებ,“

ამბობს ქალი, თუ მას დედათა წესი სჭირს და ბოსელში არ მიდის. მომირია სახლი, – მომილაჯა სახლი, – მომიბილწა (დედათა წესი სჭირდა და შემოვიდა) – ა. შან.

მრეშ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. მრეში ძვ. წაბლისფერი (საბა). მუდამ ფრთხილობ, არ დატოვო საქათმეში *მრეში* ტყავი (რ. ერისთ.). *მრეში* ყელსახვევი იმრიგად გაუკეთებია, თითქოს გველის პერანგი ეკიდოს კისერზე (რ. გვეტ.) – ქეგლი. მრეშობა ფერნაირობა. ფერში სხვა ფერის გამორევა. მაგ., პამიდორი მწიფობას რომ იწყებს, მწვანეში წითელი გამოერევა, შეიმრეშება. გ. ხორგუაშვილის ცნობით მრეშობა გემოს შეცვლაზეც ითქმის) (თვალად. შატბ.). || თეთრში რომ წაბლისფერი ან ჟოლოსფერი წინწკლებია შერეული. აქედან: მრეში თუთა (ქიზ. მენთ.). ქართულ ტყავს კისერთან საკისურს უკეთებენ, გარეშემო მოსავლებს ერთად – შავი ან *მრეში*-ბეწვიან ტყავს (ქიზ. მრეწ. III, I, 22). || მოწითალო, მოწითლოდ შეჭრელებული. „პამიდორზე იტყვიან, *მრეში,* შამრეშილიაო, -არც მწიფე, არც მკვახე, მწიფობა რო აკლია (ჩხ.). ხომ არაა მიღებული *მრეში* მურეშას თუ მურეშის შეკუმშვით (ალგ. სალ.). || თეთრისა და შავის საშუალი, რუხი. „აზრაზი დამწიფებაამდი მრეშათ არი“ (იმ.); „*მრეში* ჯარებით მეიტანა“ (იმ.); „მეშველაი ხვლივის პატარაი და *მრეშია*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). მრეში || მრეშა შეთვალული, შეფერილი (პომიდორი, ყურძენი...) უკვე *მრეშები* ასხია, საცაა სუ დამწიფდება ჩვენი პამინდორი (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). აქვე: დამრეშებული, შემრეშილი. დამრეშებული პამინდვრები აწყვია აბგაში, ამოიღე და გარეცხე, ვეღარ ეღირსა ხეირიანათ დამწიფებაი (კარალ.). ახლად რო შემოდის პამიდორი, მაშინ იციან, დამრეშებულიაო (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. მრეში: **მრეში წვიმა** დამრეშავი, თქეში წვიმა (მოხ. ქავთ.). შდრ. რეში (იმერ.) დიდი წვიმა, თავსხმა – ქეგლი.

ც. ძაძამია მიუთითებს, რომ იმერულშიც იხმარება ლექსემა მრეში, მაგრამ მას ფერთან არანაირი კავშირი არა აქვს, ომონიმური ფორმით გამოხატავს «თქეშ წვიმას» და მომდინარეობს ძველი ქართული რეც – ძირისაგან (და-რეც-ა «დაფენა», და-რეც-ილ-ი «დაფენილი, გაშლილი, განრთხმული»), შდრ.: სვანური რეშ- (ლი-რშ-ი «დაგება, გაშლა ლოგინისა», ლე-რშ-ი «საგებელი, ლეიბი», მგ-რშ-ი «დამგები, გამშლელი ლოგინისა»). აღნიშნული ეტიმოლოგია ეკუთვნის ნიკო მარს (1914 წ.), ხოლო საერთო-ქართველური ფუძე ენის დონეზე რც- ან რეც- || რც- ძირები აღდგენილია გ. კლიმოვის მიერ (ძაძამია 2006: 41).

მრეშა:

დიალექტ. I. **მრეშა** იხ. I. მრეში. *მრეშა* პამინდორის მწნილი კარქი გამოდის, გემრიელია, მაჭარისეფი არი (კავთ.); აგრეთვე წილკ., ქართლ. ლექსიკ. იხ. I. მრეში.

დიალექტ. **II. მრეშა** მთ., ბრეშა ჯ., ფშ., იმრიშება მთ., იბრიშების ჯ. უბღვერს, ცუდი თვალით უყურებს. იბრიშება ფშ. იგივე (ა. შან.). შდრ. მრეზა, აიმრიზა ბრეშა, მრეშა (მთ. შან.).

ვფიქრობთ, რომ მრეშა < ბრეშა < მრეზა. ძველ ქართულში მრეზ- || მრიზ- ფუძის შემცველი ამრიზებული გვხვდება სპილო სიტყვასთან ერთად და ნიშნავს „გაბრაზებულ, განძვინებულ სპილოს“, მრეზ- || მრიზ- ფუძიანი ლექსემები ახალ ქართულში გავრცელებულია „ადამიანის ბღვერის, აღრენის“ შინაარსით. ამავე ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს დიალექტებში „ბუღრაობის“ შინაარსით გამოყენებული მრეზ- || ბრეზ- > || ბრეშ- ფუძიანი სიტყვებიც. შდრ. აგრეთვე ქართ. ამრეზი „მოაშიყე ფრინველი“ (საბა). აღდგენილია ს.-ქართვ. *მრეზ- || *მრიზ- (ჩუხუა 2017).

მტარვალ-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მტარვალი** 1.«მსახური», «ასისთავი», ჯარისკაცი, ჯალათი, მხედარი, სარწმუნო:. „მოუწოდა *მტარვალსა* მას“ C, – „მოუწოდა ასისთავსა მას“ (DE, მრ. 15, 44); „*მტარვალთა* მას ჰრქუეს“ B, – „მსახურნი იგი ეტყოდეს“ (A, სბსტ. 133, 4); „მოჰყვანდა რიფსიმე *მტარვალთა* მათ მძლავრ თრევითა“ (რიფს. 171, 3) – ილ. აბულ. 2. მრისხანე, შეუბრალებელი მმართველი, უფროსი, – მჩაგვრელი, დესპოტი, ტირანი. «სიკვდილი *მტარვალს!* ... ძირს სისხლისმსმელი!» (ი. გრიშ.). «*მტარვალს* რად ემორჩილებით?» (გ. ლეონ.) – ქეგლი. *მტარვალების* ტლანქმა ძალამ გამომაგდო მინდორ-ველად (გურ. ფოლკ. ღლ. 86).

ძვ. ქართ. **II. მტარვალი: ნავის მტარვალი:** ქართული ლექციონარის პარიზულ ხელნაწერში იკითხება: ხოლო ასისთავი იგი *ნავის მტარვალსა* მას და ნავის უფალსა ერჩდა (საქ. 27, 1). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნავის მტარვალსა მცდარი იკითხვისია და მის მაგიერ უნდა გვქონდეს „ნავის მხერვალი (დანელია 1997: 478).

თ. ცქიტიშვილი: მტარვალი „სვლის“აღმნიშვნელი ტრვა ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა უნდა იყოს მნიშვნელობით „მმართველი“, „წამყვანი“. წასვლის, აყრის მნიშვნელობით ძველ ქართულში დასტურდება ამ სიტყვიდან ნაწარმოები როგორც შეკუმშული ისე შეუკუმშავი ფორმები წარიტარა || წარიტრა. საბას მიხედვით კი „ზოგად კაცთა სიარულსა ტრვა, გინა ტარება ჰქვია“. ქართულის დიალექტებიდან ტარება ზმნას აღნიშნული სემანტიკა შენარჩუნებული აქვს ინგილოურში: გატარევაი – გატარდეს, გავიდეს. ერ კურიაი გატარდეს (ერთი კვირა გავიდეს); დაიტარებს შემოივლის, ეტარების – დადის („დიალექტ.“) (ცქიტიშვილი 1976: 323). იხ. აგრეთვე : კლიმოვი 1964, ანდრონიკაშვილი 1966.

ზემოთქმულიდან გამომდინარე **ნავის მტარვალი** პარიზულ ლექციონარში მის არქაულ ფენას უნდა ეკუთვნოდეს და ნიშნავდეს „ნავის მხერვალს“, „ნავის წამყვანს“, „ნავის მმართებელს“. არ გამოვრიცხავთ, რომ მტარვალი ჯალათი გადატ. მნიშვნელობით ამავე სიტყვასთან იყოს დაკავშირებული.

მუზამფარ-ი:

საშ. ქართ. **I. მუზამფარი** ძვ. მუზაფარი ძვ. «ხორცის მწნილი» (საბა).

დიალექტ. **II. მუზამფარი** ძვირფასი. „იშვიათი რამ არი. რა *მუზამფარივით* მიდემს წინა, აიღეთ, გადააგდეთ!" (რუისი, ქართლ. მესხ.).

მუმლ-ი:

ძვ., საშ. ახ. ქართ., დიალექტ. **I. მუმლი** 1. ქინქლა, culex, musca parva: „მყუარნი და *მუმლნი* მათგან გამოვიდოდეს" (ბ. კეს.-ექუს. დღ. 96, 5); „თქუა და მოჴდა ბაღლის-მწერი და *მუმლი*" (ფს. 104, 31). **სამუმლე** მუმლისა, კოღოსი: „ვიქმოდე ბადესა სამუმლესა" (ლიმ. 130, 16) – ილ. აბულ. ნიშანი საოლავისა... ვის აუჩნდებოდის თუალთა წინა მსგავსი თმისა და *მუმლისა* (ფანასკ. 75, 17). *მუმლი* მუხასაო გარს ეხვეოდაო, მუმლი წყდებოდაო, ხე არ ხმებოდაო (ხალხ.). «სულ შამბში ვწვები, ვიმალები, მუმლისა და კოღოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს» (ვაჟა) – ქეგლი. ბარშიგ მეტაც *მუმლ* იცის (თუშ. ხუბ.). || წვრილი მატლი; უჩნდება ფქვილს, ბურღულეულს და სხვ. ფქვილსა და პესოკს ეხვევა ხომე *მუმლი* (ქვეში). ფქვილსა, მზეზე თუ დგა ამბარი, *მუმლი* უჩნდება. ცოტა თუ დახანდება ფქვილი, *მუმლი* უჩნდება მაშინაცა (ზ. ხანდ.). || ქათმის მკბენარი. წვრილი, შეუმჩნეველია ქათმის *მუმლი* (ზ. ხანდ., ხოვ.). 2. ახალი გამოჩეკილი აბრეშუმის ჭია, მური. პატარა ახალგამოჩეკილ ჭიასა *მუმლსაც* ვეძახით, მურსაცა (ზ. ხანდ.). რო გამოიჩეკება მუმლი, თვალით არა ჩანს, შავია (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. [სპარს. მურ] „ჭიანჭველა".

დიალექტ. **II. მუმლი** ფერფლი. ბავშვს რო მუცელი სტკივა, *მუმლს* გალესამ რძეში და დაალევინეფ (ტყვ.). ხან *მუმლი* გაულესეთ, ხან თოფის წამალი, მაგრამა მაინც ვერ მოურჩინა (კარ., ქართლ. ლექსიკ.).

შდრ. მური [ბერძ. myrrha-დან] ზმირინი, სუნნელთ ხეთ ნაწვეთი. სურნელოვანი ფისი. „მისცემდეს მას მურითა აღზავებულსა ღჳნოსა" (მრ. 15, 23) – კ. დან. *მური* მჴურვალი არს (ფანასკ. 409, 11).

მუნ-ი:

ძვ. ქართ. **I. მუნი** იქაური: „ვის ესავ. . უკუეთუ *მუნი* სასოებაჲ არა გაქუს?" (ბალ. 149, 39). „იყო ხუცესი იგი *მუნი* მეგობარი ჩემი" (ლიმ. 103, 5). შდრ. ძვ., საშ ქართ. მუნ იქ. „მივიდენ მუნ" (ფს. 221, 21) – ილ. აბულ. ფალავანი მისდეუს მუნ (შჰნ. III, 154, 4). უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი (ილია) – ქეგლი. გადატ. მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე: სამუნო, სამუნაო საიქიო. ადრე აცდინა, დაჰკარგა სამუნოდ მისი სულია (შჰნ. III, 380, 4). მუნებური ძვ. იქაური. მუნვე ძვ. ვენაწილაკდართული მუნ-იქვე – ქეგლი. **მუნი** იქ ზან. (მეგრ. ყიფშ.). მუნ-ი: ი ძველ ქართულში დაერთოდა თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნისართს და აწარმოებდა ზედსართავ სახელს: მუნ იქ > მუნი იქაური (მორფ. ლექსიკ. 1988: 205).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. მუნი 1. მღერი. კაცსა რომე თუალსა *მუნი* შეექნას, ესე წამალი ქენ (ფანასკ. 71, 24.). «ნეტავი რა აჩენს *მუნს?*» (აკაკი). «ამდენ თრევაში ათასგვარ ქეცსა და *მუნსა* წააწყდება კაცი» (ე. ნინოშ.) – ქეგლი. 2. სუნი (მძორისა და მისთ.). მინდორმ დაიწყა ცხროობა, პირს აგვხვევია *მუნია* (ხევს. პოეზ. 469, 37). აქვე ძვალ-მუნი (ხევს. ჭინჭ.). მუნი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. III. მუნი ქვირითი. როდესაც „თევზი ქვირითს ყრის, „მუნზეა" (მ. ბერიძე, 2005, 41). ტოპით (ტოპვის) დროს თევზი ჰყვება მაშინ, როცა „მუნზეა" ე. ი. ქვირითსა ჰყრის (მ. ბერიძე 2005: 22).

დიალექტ. IV. მუნი: მუნი მიწა – ქვაცხელა მიწა, ურწყავი (ქართ. ჩრდ. მრეწ. IV, II, 196).

საშ. ქართ. V. მუნი: მუნის ბალახი ყოთუროთი. იჭმარების გარეგან კერძოდ მუნისათჳს (ი. ბაგრატ.).

მუჟუჟ-ი:

დიალექტ. I. მუჟუჟი ოდნავ გაშლილი კვირტი თუთის ფოთლისა. გაზაფხულზე, როცა გათბება, ფურცელი უფრო ადრე გამაიტანს კვირტეფსა; ცოტა რო პირს დააღეფს ეს კვირტები, გაიშლება, იმას ვეძახით *მუჟუჟს*. იმას დაუჭრიან ძაან წვრილათა და ისე აჭმევენ ახალ ჭიასა (კავთ.). კუკური, ახლათ რო გამოდის, არის *მუჟუჟი*, არ მოგიფშვნეტია და არ დაგიყრია ჭიისთვისა? (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ბუჟუჟი «ცხვრის ტყავი დაგრუზვილი» (საბა).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. მუჟუჟი ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ხორცი – დ. ჩუბ., ქეგლი. *მუჟუჟი* საჭმელია (ქიზ. მენთ.). ღორის თავ-ფეხისა კეთდება *მუჟუჟი* (ქიზ. მრეწ. III, II, 21). შდრ. ლაჟუჟ-ი «ცოტათი მომჟავო» (კირ.).

მურაკ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. მურაკი (ბაქმაზ ZAaCab, ბაქმაზი BCqD.; რუბი E.) დუღილით მჟავეს შეასქელებენ შესანახავად, მის დროს საჭმელად მურაკი – საბა. დუღილით შესქელებული ხილეულის ან ბოსტნეულის წვენი (მეტწილად მჟავე; ინახავენ საზამთროდ) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. მურაკი კვრინჩხი, ტყის ხეხილია ერთგვარი. „გზაში შამხთო *მურაკი* ზირი" (ინგ. ასრათ.). || მურაკ: ზაღლი ტყიმალ (ინგ. ღამბ.). მურაკა ქლიავი ქლიავის ჯიშია. – მრგვალია კურკა არ ერიდება (ქიზ. მენთ., მრეწ. IV, III, 12). მურაკის შაჭამანდი (ქიზ. მენთ.).

მურდალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. მურდალი, მურტალი 1. უწმინდური, ბინძური, უსუფთაო . და მერიქიფე ლოთი, *მურდალი*, ტუჩზე დამადებს გაქონილ ტუჩებს (ი. გრიშ.). || გადატ. ბილწი, საზიზღარი. „*მურდალო* ძაღლო, ჯალათო!" (ს. შანშ.). მურდლად ზმნს. ბილწად, უწმინდურად. ნუმც მო-

მკლავს ასე *მურდლადა მურდლის* დევების ხელია! (ვაჟა). „[გაგის] ღმერთმა ტყვიაც აღარ აღირსა, ისე *მურდლად* მოკლა“ (ა. ყაზბ.) – ქეგლი. „მაგ *მურდალი* სახლში არ დამანახვო!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „*მურდალ* სარქალ ხყვანი, რაც ნაგვიან ყველ აქვ“ (თუშ. ცოც.). || მურტალი უწმინდური, წარეული – დ. ჩუბ. 2. [სპარს. მურდარ] გუდ., მთ., მოჯ., ჯ., თ. უდანოდ მკვდარი, დაუკლავად. ფშ. (რაზ.-ჭყ.). „ღრმუ კაცი“. „მკვდარი უზიარებლად ან იმგვარი შემთხვევით მკვდარი, რომელსაც იარაღით ჭრილობა არა აქვს „ღრმუ კაცი“ – ა. შან. „*მურდლის* ჯორც ხო არ იჭმებ, ტყავიც რაღაცა უსულგულორ“ – უსულოს ხორცი ხომ არ იჭმება, ტყავიც რაღაც უსულგულოა (თუშ. ცოც.). „*მურდალი* ცხორის ჯორცს არ გაიხმარენკე“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე: მთ. კაიშ., ფშ. ხორნ. **მურდლად** ზმნს. ტყუილუბრალოდ, ფუჭად. „ჩემმა შრომამ *მურდლად* გაიარა“ (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **II. მურდალ** წისქვილის საღვარეში ჰორიზონტალურად დადებული ხის გრძელი და დიდი ბელი, რომელსაც ეყრდნობა წისქვილის ბორბალი ღერძიანად. ამაზევე არის დამაგრებული წისქვილის ყური (ინგ. ღამბ.).

მურკ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. მურკი** კომბოსტოს ძირთ ხვიტი, თალგამი – საბა, დ. ჩუბ. || კომბოსტოს ღეროს გამსხვილებული ნაწილი ძირიდან ფოთლამდე (კანგაცლილი იჭმება), – ხვიტი (ქეგლი). მურკიმხალი; კანაფა მხლის ამონაყარი (ოკრიბ. ალავ.). || მურკაფხალი (რაჭ. კობახ.).

დიალექტ. **II. მურკი** || **მურკლი** ცომს ნეკის სიმსხოდ დაამრგვალებენ, წვრილად დაჭრიან, ერბოში შეწვამენ და თუთმაჯს დააყრიან სუხარიწს მსგავსად. მურკ-მურკი || მურკისებური რამ მრავალი (ჯავახ. ზედგ.). იხ. II. მურკლი.

მურკლ-ი:

დიალექტ. **I. მურკლი** მურკი (მთ. კაიშ.). იხ. I. მურკი.

სამ., ახ. ქართ. **II. მურკლი** ანაცერი რიოში – დ. ჩუბ. || ნოტიოში შეკუმშ(ვ)ილი ZAB. ავად ამოზელილი C. ავად ამოზელილი რაც რამ – საბა. || ფქვილის პატარა კოშტი ცომში, თათარაში, ფაფაში და მისთ. [ფქვილი] კარგად გაშალეთ, *მურკლი* აღარა ჰქონდეს (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. შდრ. II. მურკი.

მუს-ი:

დიალექტ. **I. მუსი** [არაბ. muz] ბანანი. „ჩარში *მუსი* უუღიან ბაღვებსა“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. მუსი** (mousse) ტკბილი საჭმელი, დამზადებული ხილის სიროფისაგან, რომელსაც დამატებული აქვს მანანის ბურღული ან ჟელატინი – მ. ჭაბ.

მუფთა:

ახ. ქართ. **I. მუფთა** [გერმ. Muffe] 1. ორივე ხელის შესაყოფი ბეწვის ან დაბამბული ქსოვილის სათბური (ხმარობენ ქალები სიცივეში). ქალვაჟი... ხელ-მკლავგაყრილნი იყვნენ: მეორე ხელები კი ერთ *მუფთაში* ჰქონდათ (ნ. ლორთქ.). 2. ტექ. ლითონის დასაცმელი მოკლე მილი; იხმარება ორი მილის შესაერთებლად, – ქურო. მოსაჭერი მუფთა. – ორფა მუფთა (ქეგლი).

დიალექტ. **II. მუფტა, მუფთა** [აზერ. მუფთა] მუქთად. სამ წელს ნრჩქროვაი მუფტა მიქნი; მუფტა ჟიხარ, სჭამ პურს (ინგ. ღამბ.).

მუშ-ი:

საშ. ქართ. **I. მუში** მწერალთუხუცესი (საბა). კომენტარი [თურქ. მუშრიბ ZAaCb, მუშრიბი Caq,] [მუში, მუშრუბი] E – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. მუში** ცაცხვის ქერქი, მისგან თოკს გრეხენ [ადამიანები] დიდ... [ცაცხვებს] ხომ სადღვებელ-კასრებისათვის ჭრიან, ქორფა ბაყილოებს კიდევ ტყავს აბრობენ, უნდა *მუში* გავაკეთოთო (თ. რაზიკ.) – ქეგლი. || ცაცხვის ქერქის შიდაპირი, რომლისგანაც თოკებს წნავენ. წვრილად გაპვრეტილში გაუყრიან წვრილს *მუშის* საბელისა-დ' მიამბენ («შინამრეწვ.» 199). წინწინ სიკვდილ მივარგინე ბაბუაის ბაბუასა, მაგის სიცოცხლე აღარ ღირს, *მუშში* გვართომს აბუასა. აქვე: მუშისფეჯი, მუშის ჯელი, მუშობა, მუშს აბრუნებს, მუშს ახყრის, ნამუში, სამუშე (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე ფშ. ხორნ. || დამპალი ხარალი (თუშ. ხუბ.).

დიალექტ. **III. მუში: ტაშიმუში:** ტაში და მუშტი: თამაშობაა ერთგვარი. ცალი ხელი გაშლილია და მეორე მომუჭულ. დედები, ე. ი. ვინც წილსა ჰყრის, ერთმანეთს ეტყვიან: ტაში გინდა თუ *მუშიო*, არჩევანზე შეთანხმდებიან და ერთმანეთს გულზე ხელს დაადებენ: ერთი ტაშად და მეორე მუშტად. შემდეგ ეტყვიან *ტაშიმუშად* გასულ ბიჭს: ჩამოდიო (ქიზ. მენთ.). ვფიქრობთ, რომ მუში < მუშტი. შდრ. I. მუშტა.

მუშა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მუშა, მუშაკი** [არაბ.] მრეწავი, მოსაქმე, მიწისმოქმედი (დ. ჩუბ.). || მიწის მოქმედი; «მორეწე», მუშა, დაქირავებული; «მოქმედი»: „ეპისტატისათჳს, რომელ არს *მუშათა* უხუცესი" (ი.-ე. 43, 20); „მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი" DE, – „შემრაცხე მე ვითარცა ერთი მორეწეთა შენთაგანი" (ლ. 15, 19); „მუშაკმან კეთილმან განმარგლის ყანაი თჳსი ღუარძლისაგან" (მ. სწ. 273, 14); „მუშაკნი ზაკულნი" pb., – „მოქმედნი მზაკუვარნი" (Q, II, კორ. 11, 13) – ილ. აბულ. *მუშა* მიწყივ მუშაკობდეს (ვეფხ. 11, 2). ბედი ჩემი ჰაბაშსა *მუშასა* ჰგავს მზისაგან შემწუარსა (ვისრ. 180, 26). კვლავ შენ მე რასაც შემიკვეთ, ვიქნები შენი *მუშაო* (დ. გურამ. 150, 1, 4). *მუშათა* იწყეს თესანი (ფეშ. 50, 3). || ძვ. იგივეა, რაც

გლეხი. მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც *მუშები* მღეროდნენ (აკაკი). ტაბახმელის დასწვრივ *მუშა* ნამგალს ატრიალებდა (ვ. ბარნ.). || ისტ. კრებ. სხვის ყანაში მომუშავენი. დარეჯანს მამითადში *«მუშაში»*, ოჯახის შვილებიც დაიპატიჟებდ[ნ]ენ ხოლმე (ვაჟა). || საუბ. მუყაითი მომუშავე, მშრომელი, გამრჯე. [სიმონა] ერთ დროს სამაგალითო მუშა გლეხი იყო (ე. ნინოშ.) – ქეგლი. || **მუშაყრ** ყანის მომკელი. „ხვალ მუშაყთ ოჩხარა მაქვისა“ – ხვალ ყანის მომკელთა მამითადი მაქვსო (თუშ. ცოც.). ◊ **მუშა კირი** ნაკლებკირიანი ნარევი მშენებლობაში სახმარად. კედლის ერთ პირს ზევიდან გადაჰლესამენ *მუშა* კირითა და გულში დუღაბი ესხმება. დუღაბს კირს ცოტა ნორმაზე მეტს უშვრებიან სიმაგრი გულისათვი (ბაზ., ქართლ. ლექსიკ.). ◊ **მუშა ტაბიკი** მეძნეულის სახმარი ტაბიკი, მკის დროს ულოს შესაკრავად (ქართლ. მესხ.). იხ. მუშა სხვადასხვა სინტაგმებში (მრეწ. I: ზ.-ქართ. 223, 234, 235; შ.-კახ. 94, ქიზ. 90, 65, 41, ხევი, 194; ქიზ. მენთ; ალგ. სალ.). **მგშაი, მგშა, მგშაი** მუშა (სვან. თოფ., ქალდ.). **მუშა** ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **მუშა** ძნის შესაკრავი ჩხირი – დ. ჩუბ. (ქიზ. მენთ.). იხ. II. მუში.

მუშტა:

ახ. ქართ. I. **მუშტა** 1. ხარაზების იარაღით ხელში (მუშტში) დასაჭერი თითბრის უტარო კვერი, საძირე ტყავის (ლანჩის) დასატკეპნი (ი. გრიშ.). სარტყელში გამაგრებული ჰქონდათ... ხარაზებს *მუშტა* (ი. გრიშ.). || [სპარს. mošte] რკინა, რითაც არბილებენ ტყავს ფეხსაცმლის კერვის დროს. *მუშტა*, ქალანჩას, ფეხსაცმელს რო კერავს, გინახავს? ფეხსაცმელს რო კერავს, ერთმაგარ რკინას არი რო აიღეფს და დაიცხეფს და დაარბილეფს, ეს არი *მუშტა*; მუშტა, ამ მკერველის, ფეხსაცმელის მკერველის *მუშტა* (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე ვ. ბერ. 2. სპეც. სხვადასხვა (მუშტის მსგავსი) შვეული, რომელიც ბიბგებით ამოძრავებს მანქანის მექანიზმს – ქეგლი.

ნ. ბართაია აღნიშნავს, ასეთივე სემანტიკური დატვირთვითა და მცირე ფონეტიკური სხვაობით სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული [mošta/e/]. აღვნიშნავთ, რომ [mošta/e/] მიღებულია ასევე სპარსული ლექსემიდან [mošt], რომლის მნიშვნელობებია: 1. მუშტი; 2. დარტყმა მუჭით; 3. პეშვი; მუჭა. აშკარაა, რომ ქალაქური ლექსიკონისეული მუშტა და სპარსული [mušta/e/ || mošta/e/] ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულებია (ბართაია 2010).

დიალექტ. II. **მუშტა**: გადატ. **მუშტა ქვა** მუშტისოდენა ქვა (ხმარობენ სანაყად ან მშენებლობაში) დიდ ბრტყელ ქვაზე დადებდნენ ქვამარილს და ნაყავდნენ *მუშტა* ქვით, მომრგვალო ბრტყელი ქვით (კავთ.). *მუშტა ქვას* შიგ ჩააყოლებენ კედელში (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. მუშტი [სპარს.] ხუთივე თითი მოკუმშვილი – დ. ჩუბ.

მუჯა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მუჯა** 1. მლაშობი ადგილი – საბა. || მლაშე მიწა, სადაც ნადირნი მივლენ სალოკავად – ნ. ჩუბ. 2. (ფშ.) მლაშე წყარო, მინერალური წყალი, რომელსაც ნადირი ეტანება. გაჟონავს თავზე წინწკლებსა კლდეები წყაროიანი, იქვე დუღს გვერდზე *მუჯები* შუშხუნა, გემოიანი (ბაჩ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. მუჯა: მუჯა ჯოხი** ხელის პატარა ჯოხი (კახ. მარტ., იმნ.). || მუჯერო კომბალი (ლეჩხ. ჩიქ.). || **მუჯირა** რკინაწამოცმული ხის ჯოხი მთაში სასიარულოდ (რაჭ. ვ. ბერ., ძიძიგ.). შდრ. ოს. [Муҗгга შუბი, ხიშტი] რკინისწვერიანი ჯოხი (ანდრონიკაშვილი 1966).

მქისე:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. მქისე** 1. დამშხალული, დაბზარული, გინა ხორკლიანი, ვითა მუხის ქერქი. || ველური, უგლიმი, უზდელური, გაქსუვებული, ანუ აურზაური – ნ. ჩუბ. || **მქისი, მქისე** ხორკლიანი, ტლანქი. „რომელნიმე (ხენი) მგლინვარე არიან ქერქითა და რომელნიმე *მქისე*“ (ბ. კეს. ექუს. დღ. 72, 9) – ილ. აბულ. || მსხვილი და მოკლე ბეწვი მატყლისა (თუშ. შან.). 2. ხეშეში, უხეში, ტლანქი. მქისე მატყლი. – მქისე ქსოვილი. || გადატ. მკაცრი, უსიამოვნო. რა *მქისე* ხმაურობაა, რა საზარელი გრიალი! (ვაჟა). || მძიმე, მყრალი (სუნი). ხორცი მოუტანეს, ხორცი ლურთი იყო, *მქისე* სუნი მოსდიოდა (ვაჟა). 3. უკმეხი, უზრდელი; მკვახე (სიტყვა და მისთ.). *„მქისე* ხარ, ϑ, ქმარო!“ (ბ. კეს. -ექუს. დღ. 104, 11). აქვე: აღმქისება, სიმქისე – ილ. აბულ. || **მქისი** ხორკლიანი, ვერანა, უდაბური, ავი, მოწყენილი, მკაცრი. ორთა მონათა უბრძანა საამ პირითა *მქისითა* (შჰნ. I, 785, 1). ერთხელ არ უთქვამთ მათ ჩემთვის *მქისე* სიტყვა (ვაჟა). მქისედ ზმნს. უკმეხად, მკვახედ. «მატყუებ!» – გაბედულად და *მქისედ* უთხრა [ქრისტინემ] იასონს (ე. ნინოშ.) – ქეგლი. შდრ. II. მყისი.

დიალექტ. **II. მქისე** სწრაფი, მარდი, ყოჩაღი. თათრაივ *მქისე* [მარდი] იყვისაო-დ' გაქცეულივ ზურგზე შაახტაო-დ' დასცავ ზურგშივე ხანჯარივ (ალ. ოჩ. კალენდ, 121, 1). „აის ფხიტ კაც იყვავ, კარგივ, *მქისეივ!*“ (ხევს. ჭინჭ.) აქვე: გაამქისებს, გამქისდების, სიმქისე. ოჩიაურთ თათარა ტანად დაბალ კაც ყოფილ, მაგრამ ისით *მქისე* ყოფილ, რო ერთბაშადავ გაქცეულ ცხენ ვერ გაასწრობდავ (ალ. ოჩ., 2019, 295). აგრეთვე ხევს. შან. || მკისე გაბედული, ვაჟკაცი, ამაყი (გურ. ღლ.). იხ. I. მყისი.

მღუნავ-ი:

ძვ. ქართ. **I. მღუნავი** მოღუღუნე. და განერნენ განრინებულნი მათგან და იყვნენ მთათა ზედა, ვითარცა ტრედნი *მღუნავნი* (ეზეკ. 7, 16ჳ).

თ. ცქიტიშვილის მოსაზრებით, შესაბამისი უცხო წყაროებისა და ქართული კონტექსტის საფუძველზე დამოწმებული ადგილის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: „გადარჩენილნი იქნებიან მთებში, ვითარცა მტრედნი მოღუნენი (მკვნესარენი), ანუ იქნებიან ჩუმი ოხვრა-კვნესით“. ამ მწუხარე

ხმიანობის აღმნიშვნელია ქართ. მღუნავი, [სომხ.] (ღუღუნი, კვნესა). [სომხ. մնշել] (ღუღუნი, კვნესა). მღუნავი (მოღუღუნე, მკვნესარე) მოქმედებითი გვარის მიმღეობაა, ნაწარმოები ღუნ მარტივი ფუძიდან, რომელიც რედუპლიცირებული სახით უნდა გვქონდეს ღუ(ნ) ღუნ სიტყვაში. ღუღუნ ფუძე გასაგებს ხდის მ-ღუნ-ავ-ის იმ სემანტიკას, რომელიც მას ეზეკიელის ტექსტში აქვს (ცქიტიშვილი 1976: 316).

ახ. ქართ. II. მღუნავი ვინც ან რაც ღუნავს – ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ღუნ- ზმნური ღუნვა", ღულ- „სახელური მოხრილი, მოღუნული" → ქართ. ღუნ-, ღულ- (ჩუხუა 2000-2003).

მყვარ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. მყუარი ბაყაყი, rana: „ვგუემნე ყოველნი საზღვარნი შენნი *მყურითა*" (O, გამოსლ. 8, 2); „*მყურითა* განრყუნა იგინი" (ფს. 77, 45). „ესე სიტყუაჲ მსგავს არს ჟღავილსა *მყუართასა* და ჩხიკუთასა" (გრ. ნოს.-ჯაც. აგებ. 215, 8) – ილ. აბულ. სულიერთაგან კირჩხიბი, კუი, წურბელი, *მყუარი* და მიწისა ჭიაჲ – ყოველი მისი არს (ეტლ. 4, 20). მყვარი ძვ. იგივეა, რაც ბაყაყი. ერთი *მყვარი* დაეძმობილა იხვსა (საბა). აღვაშფოთნე სასწაულით, მოუვლინე მკალი, *მყვარი* (ვახტ. VI, 19, 2). [შენი ძმობილი] კარჩი გამასულ მენახა, ღვანდა ჭანჭახის *მყვარსაო* (ხევს. პოეზ. 398, 8). სასმელად დოი მაგვართვეს, – გველი და *მყვარი* დიოდა (ხევს. თავისებ. 344, 15). აქვე: მემყვრია, მყვარანი, მყვრისთვალა, გველ-მყვართ გამყრელი (ხევს. ჭინჭ.). „ნაცვლად მხსნელის სათნოებისა შიგ ბინის *მყვარი* დაბუდებულა" (ფშ., ბ., ქეშიკ.).

*მყივარ > მყვარ > მყუარ. მ-ყივ-არ ყივ- ზმნური ფუძიდან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობაა (შდრ. მყივან-). მაგ.: აღმართნეს ეკლესიანი და მყივანთა წილ ჰკრეს ძელსა (ქ. ცხ. I, 72, 11) (ქერქაძე 1974: 220). იხ. აგრეთვე ჭუმბურიძე 1987: 17.

საშ., ახ. ქართ. II. მყვარი ძვ. საყვარელი, სატრფო, მიჯნური. [ქალმა] ასე მითხრა: არ მინდიხარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი *მყვარი* (დ. გურამ.). ამასა გთხოვ, ჩემო *მყვარო*, დამიცო და დამიფარო (დ. გურამ.) – ქეგლი.

მ-ყვარ-ი: ძირი ყვარ-: შდრ. სიყვარული, ყვარება. ქართ. -ყვარ-: ჭან. ყორ- || ღორ- || ორ-, მეგრ. ღორ-. ერთი და იგივე ძირია (თუ: ფუძე?) (ჩიქობავა 1938). მ- მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი.

მყის-ი:

ძვ., საშ. ქართ. I. მყისი ძვ. წამიერი, სწრაფი, მეყსეული– ქეგლი. „და უწოდა ჟამსა მას *მყისი* და წამი თუალისაჲ" (გრ. ნოს. -ჯაც. აგებ. 196, 28). „*მყისს* შინა განკეთრებულ იქმნა ყოველი გუამი მისი" (ლიმ. 7, 2) – ილ. აბულ. მყისი: ანაზდა მოულოდნელი, უეცარი, უსწრაფესი. მოგონებით ვიდრე თქმამდის წამოდგომა იქმნა *მყისი* (შჱნ. II, 3192, 1). არსებითი სახელი მეყი > ზმნიზედა მყის > ზედსართავი სახელი მყისი. იხ. I. მეჯი.

დიალექტ. II. მყისი: მყისი დარი ცივი, ყინვიანი ამინდი (გურ. ტუღ.).

მშველ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. მშველი მშველელი. ავაზაკ, მზირ-მძრცველი, არ გყვანდეს *მშველი!* (დ. გურამ. 255, 289, 4). «ჩვენს ძმებს ჩვენით *მშველი* აკლდება» (ილია). გარს ახვევია ამქრები, სუყველა მისი *მშველია* (აკაკი) – ქეგლი.

მშველი მოქმ. გვარის მიმღეობა. ბირი შვ-; მ-ელ აფიქსები; დახმარება, შველა, წყლულის, მორჩენა ბირის მნიშვნელობის სიტყვებში მეგრულ-ჭანურსა და ქართულში გამოიყოფა საერთო ქართველური შვ- ბირი (ჩიქობავა 1938).

ახ. ქართ., დიალექტ. II. მშველი შველი. [ვაჟმა] გაიარა ტყე და ერთგან *მშველი* წამოხტა (ზღაპ.) – ქეგლი. აგრეთვე რაჭ. კობახ.

მშველი < შველი. მ გავითარებულია. აღდგენილია *შუელ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მძევალ-ი:

ბვ., ახ. ქართ. I. მძევალი გირაო, დაწინდული კაცი: „მის თანა წარიყვანნა *მძევალნი* და ნეტარი ნერსე“ (ნრს. 72, 26). „ეფთჳმე სხუათა თანა უფლის-წულთა *მძევლად* მიჰგუარეს მეფესა“ (ი.-ე. 16, 24); აქვე მომძევლება (იღ. აბულ.). [ასპაგურის] შვილი სპარსეთის მეფეს *მძევლად* ჰყავდა წაყვანილი (ივ. ჯავახ.). «ჩემს შვილებს გამოგიგზავნი *მძევლად!*» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

აღდგენილია: 1. *მძევალ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *ძეუალ- „მძევალი; ძირი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. II. მძევალი საბუდარში ჩადებული (ან ჩატოვებული) კვერცხი კვერცხის-მდებელი დედლის მოსაბირებლად – ქეგლი. ჯალ, ჯალ, ჯვლ მძევალი (სვან. თოფ., ქალდ.). ჯალიშ კვერცხი საძეო კვერცხი ზან. (მეგრ. ქობ.). აღდგენილია ს.-ქართვ. *ძეუალ- „საძეო კვერცხი; ჯილაგი“ (ჩუხუა 2017).

მძიმე:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. მძიმე 1. ქვედამზიდველი, წონით უმეტესი სხვათა || ძნელი, სამძიმო, ჩინებული – ნ. ჩუბ. || ძნელი, დიდი, არამსუბუქი. „ყურითა *მძიმედ* ისმინეს“ (მთ. 13, 15); „რკინასა თანა *მძიმესა* დაინთქის ძელი სუბუქი“ (მ. სწ. 150, 23); „ყოველი სიტყუაჲ მძიმჱ მიგართოდიან შენ“ (O, გამოსლ. 18, 22). აქვე: მძიმე ჩენა, მძიმედ მოქონება, მძიმედ შერაცხა და სხვ. – ილ. აბულ. თვალდახუჭულსა და ყურებდაცობილს შეუძლია გაიგოს, ...ნივთი *მძიმეა* თუ მსუბუქი (ი. გოგებ.). 2. გადატ. სქელი, ხშირი; დახშული. ბურუსი დასწოლია შენს გულს შენივთებული, ჯანღი რამ მძიმე (ვ. ბარნ.). ჰაერი, თიხა ტალახის მძიმე *სუნით* გაიჟღინთა (თ. რაზიკ.). || გადატ. დიდად შემაწუხებელი, ძნელად გასაძლისი. უნდა ვთქვა, რომ ჩვენშიაც ძალიან *მძიმე* სასჯელი იცოდნენ ძველად (ე. ნინოშ.).

|| გადატ. დინჯი, ნელი, აუჩქარებელი. მთიულის *მძიმე* ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა [ომანს] კუნთების ღონეზე დანდობილი ოთარი (ს. კლდ.). 3. რასაც დიდძალი ენერგია სჭირდება, ასატანად, დასაძლევად ძნელი (საპირისპ. ადვილი, იოლი). [ეონა] *მძიმე* საქმეს ვერ ებრძოდა, მაგრამ წვრილმანი საქმე ძალიანაც ეხალისებოდა (ვ. ბარნ.). || გაჭირვებით შესასრულებელი. ხალხი თუ იხდის ამ *მძიმე* ხარკს, მხოლოდ იმ იმედით, რომ მისი ამაგი მუქთად არ ჩაივლის (ილია) || გადატ. ძნელი, გაჭირვებული, შემაშფოთებელი. ის გარემოება, რომ თვით გელასი კესარიელის თხზულებას ჩვენამდის არ მოუღწევია, ...მკვლევარს... *მძიმე* მდგომარეობაში აგდებს (ივ. ჯავახ.). || გადატ. ძნელი; სერიოზული, დიდად საყურადღებო; მნიშვნელოვანი, საფუძვლიანი [უაზრო ლექსების წერაზე] სცდებიან თითქმის უსუსური ყმაწვილები, რომელთაც მძიმე მოვალეობა სწავლისა ჯერ კიდევ წინ მიუძღვით (ილია). 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ფეხმძიმე. ტვირთმძიმე. მძიმე 1. ბევრი, აუარებელი. აგერ ღულის თავ გახენე, *მძიმე* გადმოდგა ჯარიო (ხევს. პოეზ. 2, 22) – ალ. ჭინჭ. საფერშით ამაემართა ჭარ-ცხენი, *მძიმე* ცხვარია (ხევს. თავისებ. 394, 29). 2. ზრდილი, სინდის-ნამუსიანი, თავდაჭერილი, პატივცემული. *მძიმენ* ხართ, მძიმედ დასხდებით, შუქ დაგიდგებისთ მზისაო (ხევს. პოეზ. 495, 1). მკვდრის შარცხვენას ისივ სჯობ, რო ეეხლადა-ვ წახვიდ *მძიმედ*, სვინდის-ნამუსიანად (ეთნ. ქორწ. III, 125) – ალ. ჭინჭ. მძიმე მძიმე ზან. (მეგრ. ელ.).

მ. ჩუხუა აზრით, ს.-ქართვ. *მ-, მ-ამ- „წაღება, მძიმება“ → ქართ. [ძიმ-], მ-ძიმ-ე (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. II. მძიმე სტიგმა, ნიშანი მართლწერისა, რომელსა (,) – ნ. ჩუბ. ვარია „...ქარაგმას ეწოდების, რომელ არს მძიმე“ – საბა. მძიმე გრამატ. სასვენი ნიშანი (,), რომლითაც გამოიყოფა გარკვეული სინტაქსური ერთეული. მძიმის დასმა – ქეგლი.

მძოვრ-ი:

მვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. მძოვრი || მძორი ლეში – დ. ჩუბ. *მძოვრზე* რამდენიმე კაჭკაჭი იჯდა (ვაჟა). *მძოვრის* სუნმა მოიზიდა... მთელი ხროვა დამშეული მგლებისა (ი. გოგებ.) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ზედგ. აგრეთვე მძორი «მომკუდარი», გვამი, ლეში: „*მძორსა* მათსა არა შეეხნეთ“ (M ლევიტ. 11, 8) – ილ. აბულ. სადაც იყოს (დაეცეს C) მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები (მ. 24, 28) – ი. იმნ. მსგავს არს იგი მძორსა მკუდარისასა, სავსესა სიმყრალითა (მ. სწ. 122, 18).

მძორი > მძოვრი. მ განვითარებულია. აღდგენილია ს.-ქართვ. *მორრბილობი, უბვლო ხორცი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. მძოვრი ეზოს ძაღლი. კარგი *მძოვრი* დადგება ეგ ლეკვი (თვალად. შატბ.). || იტყვიან ზოგჯერ ძაღლზე. კარგი *მძოვრი* ჰყავს (ძეგ.). საქონელი იქნება, თუ *მძოვრი*, გავეშდება (ძეგ.). აგრეთვე წინარ. (ქართლ. ლექსიკ.).

შდრ. მძოვართა ძაღლი მენახირეთა ძაღლი. რომელნი არა შემერაცხნეს სწორად *ძაღლთა მძოვართა* ჩემთაჲსა (იობ. 30, 1) – კ. დან. მძო(ვ)არ-ი მძოვნელი, მდელოს ანუ ბალახის მჭამელი; მეუდაბნოე. მძოვარი მიმღეობაა. მ–არ აფიქსები. ძირი ძოვ-, აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *Ძოუ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მწევარ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. მწევარი მწევარი. ძაღლი მომწევი საბა. სანადირო ძაღლი. კურდღელთა *მწევარნი* არ იყვნენ მდევარნი (დ. გურამ. 293, 545, 3). ადგილის კურდღელს ადგილის *მწევარი* დაიჭერსო (ანდაზა). მელა ისარივით მიელავდა, ხოლო *მწევარი* ერთიორად უფრო დიდ ნახტომს აკეთებდა (ი. გოგებ.) – ქეგლი. წუჭარ, წაჭარ, წეჭარ, მეწეჭარ მწევარი (სვან. თოფ., ქალდ.). წიარი მწევარი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. II. მწევარი მწეველი, მომწევი. პაპიროსის *მწევარი* ვარ (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. თამბაქოს მწეველი. ეწევა: თამბაქოს ეწევა – ქეგლი.

დიალექტ. III. მწევარ-ნ-ი || მწევრ-ებ-ი ღვთაებათა დამხმარენი. ამასთანავე თვითეულ ღვთაებას ჰყავს ხელქვეითი და დამხმარე *მწევრები* და იასაულები, რომლებიც მათ ნებას და ბრძანებას ასრულებენ (ს. მაკალ. 230, 4) – ალ. ჭინჭ. შდრ. შეწევნა, შეწევა «წევნა», «ჭელის-აპყრობა», დახმარება, დაცვა, ხელის შეწყობა, გამართვა, ზრუნვა. აქვე შესაწევნელი, შეუწევნელი; თანა-შეწევნა – ილ. აბულ. შეწევნა სახელი შეაწევს2, შეეწევა2 ზმნათა მოქმედებისა, – დახმარების გაწევა, მიშველება, მიხმარება; წყალობა – ქეგლი.

ვფიქრობთ, რომ სამივე ომონიმური ცალი მომდინარეობს წევფუძიანი ზმნური ფორმებისაგან, რომლისათვისაც აღდგენილია ს.-ქართვ. *წ – არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მწერ-ი:

ბვ., სამ. ქართ., დიალექტ. I. მწერი ბუზი, musca: „*მწერთა* მომწყდართა განრყუნიან ქმნულებაჲ ზეთისა სულნელისაჲ“ (O, ეკლ. 10, 1); „*მწერნი* და ფუტკარნი, წყალსა შინა მომშთვარნი“ (მრთ. D, კ. იერ.-აღდგ. 116); „მუმლნი ანუ *მწერნი*, გინა თუ სხუაჲ რაიმე ესევითართა უძლურთა ცხოველთაგანი“ (ბ. კეს.- ექუს. დღ. 86, 14) – ილ. აბულ. || ბუზსაც ჰქვიან, რომელიც ძაღლებს ახვევიათ ცხელს ალაგებში (თ. ბაგრატ.). || ფეხებდანაწევრებული უხერხემლო ცხოველი (ფუტკარი, ბუზი, პეპელა, ბაღლინჯო, რწყილი, ჭიანჭველა და მისთ.). სასარგებლო *მწერებში* შესანიშნავია ფუტკარი (ი. გოგებ.) – ქეგლი. || მსხმილი, მატლი. აქვე: დაანამწერავებს, დახმწერავს, მემწერე ბუზვი, მწერს ჩააყრის, ნამწერავი (ხევს. ჭინჭ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *მწერ-მწერი, ბუზი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. მწერი** 1. ნიგვზის ფესვის ქერქის საღებავი (იმერ. გაჩ.). წერი შავი საღებავი. [ღამე] სიბნელითა *წერისა* ფერად შავი იყო (ვისრ. 59, 21). წერი (ლეჩხ., რაჭ., იმერ., გურ.) კაკლის ხის ქერქის გამონახარში საღებავი, რომელიც მოყავისფრო შავად ღებავს. 2. (ხევს. ფშ.) ნავთობი; კუპრი – ქეგლი.

მწერი < წერი. მ სიტყვის თავში განვითარებულია. წერ-ძირი მ. ჩუხუა ზემოდასახელებულ წერს აკავშირებს ამავე შინაარსის ზან. (მეგრ.) ჭg ლ-ა || ჭილა სიტყვებთან და აღადგენს ს.-ქართვ. *წარ-ფუძეს. (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **III. მწერი** თევზია ერთგვარი – დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **IV. მწერი** დამწერი, ვინც წერს – დ. ჩუბ. ასე ამბობს *მწერი:* „მას შეუსხდეს მწერი, ოდეს ზედ შეჯდეს“ (დ. გურამ. 262, 331, 3). მ-წერ-ი: მ მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი. წერ- ფუძე. აღდგენილია არქეტიპი *წერ -(ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

მწივანა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. მწივანა** ქუჩი (ქეგლი, ქიზ. მენთ., ჯავახ. ზედგ.). შდრ. წივანა [Festuca] ბოტან. მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა; იზრდება სათიბებსა და საძოვრებზე; ცხოველების კარგი საკვებია. წითელი წივანა. – ცხვრის წივანა (ქეგლი). იხ. I. წივილა.

ახ. ქართ. **II. მწივანა** ძალიან წვრილი (ხმა). მწივანა ხმა – ქეგლი.

შდრ. მწივანა < მწივანი ვინც, რაც წივის. ◊ კვერცხში მწივანი გადატ. პატარა ბავშვი. «კვერცხში *მწივანმაც* კი იცის» (ა. ერ.-ხოშტ.) – ქეგლი. მ-წივ-ან-ა: ფუძე წივ-: მ-, ან-ა აფიქსები.

ახ. ქართ. **III. მწივანა** ნამგალა (ფრინველი) – (ფშ. შან.). იხ. II. წივილა.

მწიკვ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. მწიკვი** ძვ. «თითებით აღებული მარილი» (საბა), – წება – ქეგლი. შდრ. წიკუი სულ მცირე ნამცეცი (თუშ. ხუბ.).

ამ სიტყვისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *წიკ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. მწიკვი** ცუდი ყოფაქცევის ქალი. კახპა ქალის სამკაულს ჯვარ არ შაიწირავს, არ! ჯვარ კი არ, ცეცხლიც არ დასწვავს *მწიკვის* ტანზე ნასხამს (ეთნ. სწორფრ. 87) – ალ. ჭინჭ. შდრ. მწი(ნ)კული ჭუჭყი: „გამოჰრცხეს უფალმან მწინკული იგი ძეთა და ასულთა სიონისთაჲ“ (I, ეს. 4, 4); „რომელსა უყუარს მწინკული იგი, გონებაჲცა მისი მწინკულევან არს“ (მ. სწ. 279. 8). აქვე დამწიკება: „ნუსადა არაწმიდად დაშჯდები, ნუუკუე დაამწიკო“ (Ath. 11, 257v). მწინკულევანება, უმწინკულევანესი, შემწინკულება – ილ. აბულ.

ვფიქრობთ, რომ მწიკვი < მწიკვლი. მწიკვლი 1. ტანის ჭუჭყი. || ჭუჭყი, უსუფთაობა (საერთოდ). აირია წუმპე, ტალახი, ლექი და მწიკვლი (ი. ევდ.). 2. გადატ. ზნეობრივი სიბინძურე, უპატიოსნება, შეცოდება, უწმინდურება. უფალმა... ჩვენ დაგვავალა მაგისი გაწრთვნა და გასუფთავება ყოვლის მწიკვლისაგან (ვაჟა) – ქეგლი.

მწირ-ი:

ბვ., ახ. ქართ. I. მწირი 1. «ვედრი», «მოქცეული», «დამონებული», უცხო, მოსული, გერი, ყარიბი, შორიელი ქვეყნისა, «შემყოფი», «მდგური», «მსხემი»: „უფალმან დაიცვნის *მწირნი* (ვედრნი C)“ (ფს. 145, 9); „*მწირ* იყავ ქუეყანასა მისსა pb.,“ – „მსხემ იყავ ქუეყანისა მათსა“ (ლევიტ. 23, 7); „მწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანას უცხოსა“ (საქ. მოც. 7, 6) – ილ. აბულ. მარტოხელა *მწირი* ამ სატახტო ქალაქში, მე გულწრფელად შევეთვისე ამ ოჯახს (ქ. ბაქრ. თარგმ.). || უცხო მგზავრი. [ქალს] თავზე დაადგა ვიღაცა *მწირი* (ვაჟა). || გადატ. ღარიბი, უქონელი. მთელი ქალაქი მომსქდარა... მდიდარი, გლახა, *მწირია* (ვაჟა). შრომობს მწირი, რაც კი ძალუძს (ი. დავით.). 2. უხარისხო მონაზონი, – მორჩილი. *მწირმა* უარყო სოფელი, ირჩია სულით ცხონება (ვაჟა) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *მწირ- „მწირი; მსხემი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე კაკიტაძე 2005: 115.

ახ. ქართ. II. **მწირი** უნაყოფო, მოუსავლიანი. მწირი ნიადაგი. – მწირი მინდორი. – შევკრთი, რომ ვნახე ქვეყანა უდაბური და *მწირია* (რ. ერისთ.). ფიგურ. დე, მონანი ქედს იხრიდნენ *მწირი* სულით, *მწირი* გულით! (ი. ევდ.) – ქეგლი. || წირე (ქვ. რაჭ. კობახ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *მწირ-ცოტა; მცირე; ვიწრო (ჩუხუა 2017).

მწკერ-ი:

დიალექტ. I. **მწკერი** მზის შუქისაგან აბრჭყვიალებული ზედაპირი რისამე (ხევს. შან.). || ანარეკლი, ბზინვა. აგრეთვე: **მწკერს იგდებს** ბზინავს, ელავს, შუქს ირეკლავს. აქვე: თვალთ ამწკერებს, მწკერი-აქვ წაგდებული, მწკერს იგდებს, მწკერს წაიგდებს (ხევს. ჭინჭ.). შდრ. **მწკინავი** მბრწყინავი, მოციმციმე. მწკინავს ბრწყინავს, ბრჭყვიალებს (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. II. **მწკერი** ბზარი, ოდნავ გაპობილი (ხევს. თავისებ. 295, 25). || ნაპრალი, ბზარი. „მიწამ *მწკერი* მაიღო“; „გამაიხედა ჩხერთავე, ქვიშამ დაიდგა *მწკერია*“ (ხალხ., გარბანი) (მოხ. ქავთ.). შდრ. II. ბწკარი.

მჭახე:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **მჭახე** მკვახე უმწიფარი, ისრიმი, მჟავე. შენვე მოიმკო მარტომან *მჭახე*, არ-დამწიფებული (შნ. II, 3104 ბ). || მჟავე (ღვინო...). მჭახე ყურძენი. – მჭახე ღვინო (ქეგლი). || მკვახე, შემოუსვლელი,

მჟავე. *„მჭახეს* არ შევსჭამ“ (მ.); „სიცხეში მჭახე დოს შევსუამთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || მჭახე, მჭაკე ძალიან მჟავე (ხევს. ჭინჭ.). შდრ. **მჭახი**: „რქაჲ მისი (ვენაჯისაჲ) და მასკნე და *მჭახი* და ტევანი“ (ბ. კეს.-ეჭუს. დღ. 70, 22) – ილ. აბულ.

აღდგენილია არქეტიპები: 1. *მჭახ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *მ-ჭახე „მჟავე ქართ. მჭახე „ღვინო მოძმარებულივით“ (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ. **II. მჭახე** მაღალი, ომახიანი, მბრძანებელი ხმა. ამოიღე ხმა *მჭახეო* (დ. გურამ. 110, 337). || მკვეთრი, მჭექარე (ხმა, ფერი...). [დედის] *მჭახე* ხმამ ზანზარი დააწყებინა ოთახსა (ლ. არდაზ.). [ქალის] ხმას სილბო დაჰკარგოდა, *მჭახე* ბგერა ისმოდა იმაში (ვ. ბარნ.). სერგეი... იყო მაღალი, წარმოსადეგი, ქერა ვაჟკაცი, *მჭახე* ხმა ჰქონდა და ძალზე სწრაფი იყო (დ. ბაქრ.). || მკაცრი, ომახიანი. გულჩვილი დედა უცბად ისევ *მჭახე* ოთარაანთ ქვრივად გადაიქცა (ილია). *მჭახედ* ზმნს. მკაცრად, რიხიანად. [ზაზამ] ბატონებს რომ ვერ აამა, შეუმახა *მჭახედ* მაშინ (გ. ლეონ.) – ქეგლი. შდრ. ჭახანი, ჭახი-ჭუხი ჭახაჭუხი. გატეხის, დაჯახების, თოფის გავარდნისა და მისთ. მკვეთრი ხმა – ქეგლი.

მჭვარტალა:

საშ. ქართვ. **I. მჭვარტალა, ჭარტალა**. – ენამჭვარტალა, ცუდისა და ღნიოშის მოლაპარაკე – დ. ჩუბ. || ჭარტალა იგივეა, რაც ენაჭარტალა – ქეგლი. შდრ. ჭარტალი (ჭარდალი Ab) სომხურია, მრავალმეტყველს კაცს(ა) ჰქვიან – საბა.

დიალექტ. **II. მჭვარტალა, მჭვარტლა** (გ.-კახ., ქართლ.) ყურძნის ჯიშია; ჭორფლივით ხალები აქვს, თითქოს ჭვარტლი აყრიაო – ქეგლი.

მჭვარტალა გადატ. მნიშვნელობით < მჭვარტლი < ჭვარტლი – ნ. ჩუბ. ა სუფიქსი. შდრ. ძვ. ქართ. ჭუარდლი მჭვარტლი «ჭუარტლი»: „დუხჭირი ხილვითა, ვითარცა ნგორებული ჭუარდლსა (ჭუარტლისა S) და მწჯრესა შინა“ (ლიმ. 52, 10) – ილ. აბულ. მოხ. ჭორტკლი, სვან. ჭყვარტ „მჭვარტლი“ (ქავთარაძე 1964: 189).

მხალ-ი

ძვ., ახ. ქართ. **I. მხალი**: მხალი ფხალი, მწვანილი: „უფროჲს ყოველთა *მხალთასა* არნ“ (მთ., 13, 32); „უძლური იგი *მხალსა* ჭამნ“ (ჰრომ. 14, 2); „თავი თჳსი მისცა.. *მხლისა* ჭამათა“ (არსტ. 62, 14). აქვე სამხლე – ილ. აბულ. || ბოსტნეული ან მინდვრის მწვანილი, რომლის ფოთლებს ხარშავენ საჭმელად. || ასეთი ბოსტნეულის ან მინდვრის მწვანილისაგან დამზადებული საჭმელი. «ეს ორი დღეა, თურმე, ჩემი ცოლ-შვილი სულ მოხარშულ *მხალზე* გამოდის» (ს. მგალობ.). დედაკაცებს ამოელაგებინათ კალათებიდან სულუგუნი, მჟავე *მხალი*, ხახვი, კვერცხი, პილპილი და ათასი ამგვარი რამე (ა. ბელ.) – ქეგლი. აგრეთვე: თეთრი მხალი, მემხლე, მხლოვანი, სამხლე, წითელმხალა (ხევს. ჭინჭ.).

აღდგენილია: 1. *(მ-)ხალ- „ფხალი, მიწაფხალი“ > ქართ. მ-ხალ-ი > || ფ-ხალი (ჩუხუა 2000-2003). 2. *მხალ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

დიალექტ. II. მხალი ხალი ნიშანი სხეულზე (ქართლ. გაჩ.).

მხალი < ხალი [არაბ. hal] წერტილივით ლაქა კანზე, ჩვეულებრივ, ოდნავ ამობურცული. ძლიერებისა წინ [...] დიდად მოღვაწეთ *ხალნი* გამოჩნდებიან (ქილ. 197, 7).

მხე:

საშ. ქართ. I. მხე ძვ. „ნაცრისფერი, მხიე“ – დ. ჩუბ. იხ. I. მხიე.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. მხე არს მჟავე და ტკბილი გემო აქვნდეს, არა რომელი სჭარბობდეს (საბა). ამავ რიგი *მხე* შარბათები უნდა სვან (იად. 107, 34). გამხევება მხედ გახდომა – თუცა მჟავე თაფლსა შერთო, დატკბების და *გამხევდება* (ქილ. 817, 13). ღჯნო მსუბუქი, *მხე*-გემოიანი (ქ. ცხ. IV, 775, 8). || მოტკბო-მჟავე; მომჟავო. მხე ღვინო. – მხე ვაშლი (ქეგლი). || მომჟაო. დედას სულ *მხე* საჭმელები უყვარდა (მესხ. ფეიქრ.). ზომიერად მჟავეს მხეს ეძახიან (კლდ., ალგ. სალ.). აგრეთვე სიმხე სიმჟავე. მაწვნი შეჭამანდს ცოტა *სიმხე* უნდა ჰქონდეს (ძეგ.). ქონსა *სიმხე* მისცემია (ძეგ.); თელ., მეჯვრ. (ქართლ. ლექსიკ.); სამხევი საჭმელი მადის აღმძვრელი საჭმელი (რაჭ. კობახ., იმერ. გაჩ., ქავთ., ქართლ. იმნ., ჯავახ. ბერ.). მჷხიმ 1. მწარე; 2. მჟავე (სვან. თოფ., ქალდ.).

მხევ || მხივ – ფუძე უნდა მომდინარეობდეს ხმევ || ხმივ < ჴუმევ || ჴუმივ-ისაგან. ხოლო ათნი პურნი განჴმელნი... მოწაფემან მისმან აგაპი იჴუმინნა (კიმ. II, 156, 29). და ვიჴმინნე გემონი მისნი ჟამსა სიჭაბუკისასა ჩემისასა (სწავლ. 115, 14). როგორც ჩანს, ჴუმევ || ჴუმივ-ფუძე ძველ ქართულში უფრო ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა და ნიშნავდა: განიცადა, იგემა, ჭამა, სვა (ერთელიშვილი 1970: 168). ს.-ქართვ. *მახე „მჟავე“ → ქართ. მხე : ზან. მოხა : სვან. მჳ ხ-იმ (ჩუხუა 2000-2003).

მხიე:

ძვ., საშ.,ახ. ქართ. I. მხიე მრეში, ნაცრისფერი – დ. ჩუბ., ქეგლი.

მჴიე ნაცრისფერი (საბა; თუშ. ხუბ.). || ლურჯის მუქი ელფერი. ჩითებისად *მჴიედ*, წაღვინსფერო ლურჯ, ღვიძლისფერსავითრ (თუშ. ცოც.). || რუხი: და ჯუარი ერთი სხუაი, შეშისაი, ოქროჲთა მოჭედილი და ზედა ხუთი თუალი, *მჴიე* იაგუნდი (პეტრ.ტიპ. 34ა, 7). „ესე არს სახჱ მიწისაჲ მის ქუეყანისაჲ: მწუანე და *მჴიე*“ (მსკ. 58, 18) – ილ. აბულ. || ჩალურჯებული, ჩამუქებული. რამეთუ ჴორცნი, სიცივესა ფიცხელსა შთავრდომილნი, პირველად გარდაიქციან *მჴიედ*, რაჟამს სისხლი შესქელდებინ ყინულისა მისგან (ბ. კეს. 174, 24). *მჴიე* იყვნიან ჴორცნი, სიყჳთლითა და სიმავითა საწყალობელად შეზავებული (ბ. კეს. 118, 2). თუალნი მათნი (მომთრვალეთანი) იყვნიან *მჴიე* (H– 2251, 282v) – ილ. აბულ.

ჩვენი აზრით მჯიე ← მჯივე; ამოსავალი უნდა იყოს ჯივ-. საბასთან დასტურდება ჯივ-ფუძიანი შემდეგი ზმნური ფორმები. დაჯივდებოდა ნაცრისფერ იქ(მ)ნებოდა. ორმეოცთ შესხმა: შვენიერება პირთა დაჯივდებოდა და დაშავდებოდა და ყვავილისა სიკეთე მოიწილვოდა. დაჯივება ნაცრისფერ ქმნა, ჯივდი ნაცრისფერივით – საბა.

დიალექტ. II. მხიე საჭმელი იგივე სამხევი საჭმელი – უკმარი, მსუბუქი, უნოყივრო საჭმელი (იმერ. ქავთ.). საფური პური შემრგეა და *მხიე* საჭმელი (ზ.-რაჭ. მრეწ. III, II, 190). შდრ. სამხიო ისეთ საჭმელზე იტყვიან, რომელსაც გამძღარიც კი ჭამს (გურ. ჟღ.). იხ. II. მხე.

ნ

ნაბაგევ-ი:

ახ. ქართ. I. **ნაბაგარი, ნაბაგევი** ადგილი, სადაც წინათ ბაგა იყო – ქეგლი. შდრ. ნაბაგი, ნაბაგური პირუტყვის საკვების ნარჩენები (მოხ. ქავთ.; ჩვენ. ფუტკ.). ნა-ბაგ-ევ-ი: ნა- ევ აფიქსები, ძირი ბაგ- იხ. I. ბაგა.

საშ. ქართ. II. **ნაბაგევი** ნატუჩევი – საბა. ბაგე > ნა-ბაგ-ევ-ი. ნა-ევ აფიქსები; ძირი ბაგ- ბაგე პირის ნაპობის ზედა და ქვედა კიდე (სინონ. ტუჩი) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი ბაგუ -ბაგე, შუბლი (ჩუხუა 2017).

ნაბარ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ნაბარი** ბარით მოთხრილი – დ. ჩუბ. || რაც დაბარეს, რასაც ბარი დაჰკრეს, დაბარული. ნაწვენი შემოდგომისა, *ნაბარი* გაზფხულისაო (ხალხ.). [დათუას] სახიდან ოფლი ჩამოწკრიალებდა და *ნაბარში* ჩადიოდა (შ. არაგვ.) – ქეგლი.

ნა-ბარ-ი: ნა – არ მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსები; ბარ-ძირი. იხ. I. ბარულა.

დიალექტ. II. **ნაბარი** 1. (საქონელი) სადაც საჭმელი ცოტაა, მაგალითად, მესხეთის სოფლებში, ბარის სოფლებიდან საქონელს გააბარებენ მთის სოფლებში (უფრო ხშირად ჯავახეთის სოფლებში). ასეთ საქონელს ქირით ინახავენ და ჰქვია *ნაბარი* საქონელი. 2. გადატ. ეძახიან ადამიანს, ქალს რომ მიჰყვება გათხოვების შემდეგ შვილი (გერი) (ჯავახ. ბერ.). || ნაშვილები. „თავი შვილი ხო არ არი რო, *ნაბარია*, ისე ხო არ დაენანება, როგორც თავისი სისხლი და ხორცი“ (ჯავახ. ზედგ.). ნა-ბარ-ი მიმღეობა: ნა- ვნებითი გვარის ნამყო დროის მაწარმოებელი; ბარ-ძირი. შდრ. II. ნაბარები.

დიალექტ. III. **ნაბარი** ავადმყოფობა. ბარიდან მთაში გადაყვანილ პირუტყვს დასცდიდა, ხშირად ავადმყოფობა დასჩემდებოდა, ასეთ შემთხვევაში ამბობდნენ: *„ნაბარი ამოჰყვაო“* (ჯავახ. ზედგ.). ნა-არ აფიქსები. ძირი ბარ-. ბარი დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებისამებრ – დასახლებული და სახნავმიწებიანი – ქეგლი.

დიალექტ. IV. **ნაბარი**: 1. სვილის, ჩალის რამდენიმე კონა ერთად შეკრული (თუშ. ხუბ.). || ნაბარჲ ყარტის ძნების კონა. 12-12 ძნაა თითო ნაბარში. „დაბერტყილ (გალეწილი) ძნებ *ნაბრებად* შევკრიდითა-დ ზვინად ავაგიდით“ (თუშ. ცოც.). 2. ნაბარჲ ოგივეა, რაც ყუნდი – ვერტიკალურად ნაწყობი შეშის გროვა (პირიქეთი, თუშ. ცოც.). || შეშის ტვირთი, რასაც კაცი წამოიკიდებს (თუშ. უთურგ.).

ნაბარებ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ნაბარები** „ბარში ნამყოფი“ (საბა). შდრ. იხ. III. ნაბარი.

ახ. ქართ. II. **ნაბარები** დანაბარები – დაბარებული, შემონათვალი. ალუდს მოუდის ამბავი, მამიდას *ნაბარებია* (ვაჟა).

ნა-ბარ-ებ-ი, დანაბარები მიმღ. ვნებ. ნამ. დაბარებული, შემონათვალი – ქეგლი. ნა-პრეფიქსი. ძირი ბარ-; ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, ბარ-ძირს ქართველური ეტიმოლოგია არ უჩანს. შესაძლოა ნასესხები იყოს ახალი სპარსულიდან, სადაც დასტურდება bahr-ისაგან ნაწარმოები ზმნა bahrawar „დაბარება“, „ანდერძის დატოვება“. bahr ქართულში გამარტივდებოდა ბარ-ად, რადგან სიტყვის შიგნით ჰ დაუშვებელია, ხოლო ბარ-ისგან ქართული აფიქსებით იწარმოა ზმნა მიბარება, დაბარება და სხვა – ბ. გიგინ.

ნაბარევ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაბარევი** 1. ბარში ნამყოფი – ქეგლი. 2. ცხვრის მწვავე ინფექციური ავადმყოფობა, – ნაბარალი (ქეგლი). || *ნაბარევი* იცის საქონელმა, ცხვარმა, ხორცი უყვითლდება, კრუნჩხვები მოსდის, თუ დროთი არ უშველეს, კვდება პირუტყვი. ტკიპა არი ერთნაირი, ბარში არი ეგა, მთაში არ არი, ბარიდან რო მთაში წავა საქონელი და იქ გამააჩნდება სატკივარი, ეტყვიან, *ნაბარევი* სჭირსო (კავთ., ქართლ. მესხ.). აგრეთვე: ფშ., შან., ხორნ., ქიზ. მრეწ. IV, I30. იხ. III. ნაბარი.

დიალექტ. **II. ნაბარევი** ვინც დაიბარეს, გამოიძახეს. „მევიდა შავი ხემწიფის *ნაბარევი* კაცი“ (ასკ., გურ. ჯაჯან.). იხ. II. ნაბარები.

ნაბულ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნაბული** 1. შიშით გაცქნაფული ZABC. ნაბვა – საბა. || ძვ. ვინც ან რაც გაინაბა, მიინაბა, – განაბული, ხმაგაკმენდილი. [ლაშქარნი] სამანქნის ქალაქს მივიდეს (მივიდნენ), იმალვოდიან *ნაბულონი* («შაჰნამე»). მას უკან დილის რიჟრაჟი ცას განმინათლებს და გულსა, ტოროლაც შეინავარდებს, ძირს ვიღარ ვნახავ *ნაბულსა* (რ. ერისთ.). 2. ნადირობაში – ძაღლის შედგომა, განაბვა მსხვერპლზე თავდასასხმელად. მეძებარი დროდადრო *ნაბულზე* დგებოდა (კ. ლორთქ.). იუსტინემ შორიდან აუარ-ჩაუარა და მეძებარივით რამდენჯერმე *ნაბული* გააკეთა (ა. ბელ.) – ქეგლი. **ნაბი** ნაბული ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. ნაბული** ღრუბლიანი, საწვიმრად მომზადებული ამინდი. *„ნაბული* ამიდია, შეიღება ასე იქნეს ეგი თელი დღეი, არც ქე გაწუმდეს იქნება“ (საჩ. შარაშ.). შდრ. ნამბული (იმერ.) ნამიანი, ნესტიანი, ნოტიო. ◊ თოვლი ნამბულს იკრავს თოვლს წყალი [გა]უჯდება, თოვლი ლღობას იწყებს. «წამობრძანდითო, სანამ თოვლი ნამბულს იკრავდეს, ისედაც ნოტიოა და მერე გაგვიჭირდება» (ბ. ჩხ.) – ქეგლი. ნამბული (ზ.-იმერ. წერეთ., ძოწ.; ზ.-აჭარ. ნიჟ.). ნამული დანამული, ნამცურეული – დ. ჩუბ. ნამი > ნამული > ნამბული > ნაბული.

ნაგაბარ-ი:

დიალექტ. **I. ნაგაბარი** 1. (< ნა-ბაგ-არ-ი, ე. ი. ჩალის ან თივის ნარჩენები ბაგაში) პირუტყვის საკვების, მატყლის და მისთ ნარჩენები. ჯორსა, ვირს საქონივი[თ] ხკვებენ: *ნაგაბარს* აჭმევენ, ბზეს, ჩალას) («შინამრეწვ.» 71) –

ალ. ჭინჭ. აგრეთვე ნაგაბრ პირუტყვის საჭმლის ნარჩენი ბაგაში. „ნაგაბ *გა-გვქონდისა*-დ სასკორიაჯზე ვწვიდით“ – *ნაგაბს* გავიტანდით და სასკორეზე ვწვავდით (თუშ. ცოც.). იხ. I. ბაგა.

დიალექტ. II. **ნაგაბარი** 1. [მატყლი] რაიც კაია, ცალკე გადეერჩევის საქსლოდ, რაც *ნაგაბარ* დარჩების მოკლე, ნეხვიან, იმაას ბაყონი ხქვიან («შინამრეწვ.» 1-ა). 2. ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი ტანსაცმელი, ასეთ ტანსაცმლიანი კაცი. სიზმარშიავ მავავ დიაც რაიმავ, *ნაგაბარნივ* ჩოჭვის ძველნი-ხქონავ (ეთნ. კალენდ. 18, 364). ეხა სხვებ აურჩევავის, ტყეში დაზდილებ დათვები, ყელ-ყურზე მასახვევადა ნაგაბრის ქალბნის ტყლაპები (ეთნ. სწორფრ. 209). *ნაგაბარ*-ას კაცი, დაგლეჯილ-მაგლეჯილი, კა ჩასაცმელ რო არ აქვ. 3. რისამე ნამსხვრევი, ნამუსრევი. ცა გასქდა, მეხი გაისრივაო, აქუხდა მეხი როშკის-თავსაო, ჭიუხთ კალთები ჩამოშალაო, როშკას უწვდინა *ნაგაბარმაო* (ეთნ. III, 84, 4). ცუდ ალღონ-აქვ, არწივო, ფრინველთ რო გამასთელაო, ზოგებ გიჭოცავ ორბები, თბის *ნაგაბარსა* ვჭელაო (სწორფრ. 162, 7) – ალ. ჭინჭ. || ნაგლეჯი, ნაფლეთი / ბალახისა, ტანისამოსისა და სხვ./ გაანაგაბრებს ნაფლეთებად აქცევს (/ა. შანიძე, ფშ. ხორნ.).

ნა-გაბ-არ-ი: ნა-არ აფიქსები. ძირი – გაბ-; გაბა (კუპერთადილანა B.; გაბა ZCab, ქაბა BCqD.) ბოჭკოიანი ქსოილი. საგებელი ZA. ბოჭკოიანი ქსოვილი B. მატყლისაგ(ან) ბოჭკოიანად ქსოვილი Cab. ბოჭკოიანი მატყლისაგან ქსოვილი – საბა. გაბა ხელოსნების ერთგვარი საგარეო ტანისამოსი – ი. გრიშ.

ნაგერა:

დიალექტ. I. **ნაგერა** 1. ბიჭა-ბიჭა, ვაზის საკვირტე მუხლში ამონაყარი ზედმეტი ყლორტი; სიმინდის უვარგისი ღეროები – დედა ღეროს ძირთან ამოსული (ოკრიბ. ალავ.). 2. ანაგერაი, აღებულ ყანაში (სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ) დარჩენილი ჭირნახული, რომელსაც საგანგებოდ ემებენ და აგროვებენ (გურ. შარაშ.). 3. ნარჩენი, უმცირესი ნაწილი (ლეჩხ. ჩიქ.). შდრ. ნაგერალი მოსავლის აღებისას მიწაში ჩაბნეული და ჩარჩენილი თესლიდან აღმოცენებული კულტურული მცენარე, «დაუთესლად მოსული» (საბა). აგრეთვე ქართლ. მესხ. იხ. I. გერი.

დიალექტ. II. **ნაგერა** ნაგელი კარისა, საძირკვლის ნაწილი კართან, ზღურბლი. შდრ. კარნაგელა (ლეჩხ. ალავ.). კარინაგერა კარის ზღურბლი, გადასაბიჯი (ლეჩხ. ჩიქ.).

ნავარ-ი:

დიალექტ. I. **ნავარი** (<ნა+სმ. ɯɩɯɾ?) ნაოხრალი, ტიალი, გაფუჭებული, წამხდარი. „შე, ოხერო, და შე, *ნავარო*, სად აგდიხარ, დილიდან საღამომდი კაცი ვერ მოგიგდებს ხელში“? – ვ. ბერ.

დიალექტ. II. **ნავარი** ერთი ფიწალი თივა (ზმ.-რაჭ. კობახ.). თივას ის ფეხებით ტენის და მეორე აძლევს ფიწლით თივი – *ნავარს* (ზ.-რაჭ. მრეწ. IV, II, 227). || ლუკმა თივააო (რაჭ. ძიძიგ.).

ნავღელ-ი:

ბვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ნავღელი** 1. ნაღველი, ზაფრა, სიმწარე, «უსუპი»: „აღავსეს ღრუბელი ერთი ძმრითა და *ნავღლითა*“ C, – „ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუპსა თანა“ (DE, ი.19, 29); „მისცეს მას სუმად ძმარი, *ნავღლითა* შეზავებული“ (მთ. 27, 34); „სიმწარესა ნავღლისასა თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ შენ“ (საქ. მოც. 8, 23) – ილ. აბულ. დედლისა მფრინველისა, ნამგალასა *ნავღელი*, თუა რა- შავისა ცხენისა ნავღელი თუალშიგა გამოავლე, ეშუელოს (ფანასკ. 68, 31). „ციციმას მეტაც აწუხებდ *ნავღლრ* (თუშ. ხუბ.). || **ნავღელ, ნამღრლ, ნამღელ, ნაუღელ** ნაღველი. ჩონთან ბევრ განაცხელევს (ვისაც ხშირად აცხელებს) დათი (დათვის) *ნავღელს* ვალევნევთ (ვასმევთ) (ინგ. ღამბ.). || ნამღელა (მთ. კაიშ.). || ნავღლის შემწყნარებელი ბუშტი „ნაღვლის ბუშტი“. სისხლი დაწმდების ტყირბისა მიერ და *ნავღლის*-შემწყნარებლისა ბუშტისა და თირკუმელთაგან (ნ. ემეს. 112, 12) – ლ. გელენ. 2. გადატ. დარდი, ჯავრი, მწუხარება. ვისცა ესე სატკივარი სჭირდეს, ცივსა წყალსა ნუ სუამს და ნუცა დედაკაცთანა დაწვების, ორივე იფარეზოს და გულშიგა *ნავღელსა* ნურას ჩაუშუებს (ფანასკ. 10, 30). (სისხლი) თუ თეთრი იყოს და წმინდა შავისა *ნავღელისა* ნიშანი(ა) რომელ არს სევდა გრილი და ხმელი (ფანასკ. 12, 14). შდრ. ნაღველი (ქეგლი).

ლ. გელენიძე აღნიშნავს: ი. ყიფშიძეს მეგრულში დადასტურებული აქვს ნაღმელი „ნაღველი“. ნაღველი „დარდის“ მნიშვნელობით კი გვაქვს ნარღი. სვანურში ნაღველი წარმოდგენილია ფორმებით ნაუღუელ || ნანღუელ || ლანღუელ, ეს ტერმინი ორივეგან ქართულიდან ნასესხები ჩანს. ნაღუელ ნა- – -ელ აფიქსებით ნაწარმოებ ფუძეებსა ჰგავს. -ღუ- ძირი შეიძლებოდა ღუიძ-ლ ფუძესთან დაგვეკავშირებინა ძ თანხმოვნის საკითხი რომ არ უშლიდეს ხელს (გელენიძე 1974: 114).

დიალექტ. II. **ნავღელ** ჩრჩილი. კაიგორა (კარგად) შაინახ ტამსომოზ (ტანსაცმელი), *ნავღელმა* არ ჭამას! (ინგ. ღამბ.).

მიგვაჩნია, რომ ნავღელ < მღილი. ნა-პრეფიქსი, ფონეტიკური ცვლილებით ვღელ < მღილ; მღილი იგივეა, რაც „ჩრჩილი“. მღილო, ნუ დაჭრი ჩვენს ნართებს, ჩოხა-ახალუხს, ფარდაგსა (ხალხ.) – ქეგლი. მ. ჩუხუას აზრით, ს.-ქართვ. *მVღ-ულ- „მღილი, მწერი“ → ქართ. მღილ-ი ←*მღულ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ნაზარ-ი:

დიალექტ. I. **ნაზარი** ნაბზარი, გაბზარული (გურ. შარაშ.). ნა- პრეფიქსი; ფუძე ზარ < ბზარ-. იხ. I. ბზარი.

დიალექტ. II. **ნაზარი** [არაბ.] ავი თვალით შეხედვა, გათვალვა. „ეს ტკივილი გონჯი თუალის *ნაზარია*, მოი, ერთი გილოცო თუალნაცემისა!“ (ად.). „ეს ყუელაი იმათი *ნაზარია*, იმათ გამეეს მჭირს ეს საქმე“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

სამ. ქართ. III. **ნაზარი** ზარდაცემული. ბრალია შენებრ მწყაზარი გალიას იჯდეს *ნაზარი* (ქილ. 730, 13). იხ. II. ზარიანი.

ნაზირ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ნაზირი** 1. სხვათა (თათართა B) ენაა, ქართულად სალაროს ნაზირს აბრამადი და ქარხ(ა)ნის ნაზირს ეზოს–მოძღვარი ჰქვიან – საბა. ხოლო როსტომ ჯელისუფალთა უწოდა: ეზოსმოძღურსა – *ნაზირი* (ქ. ცხ. IV, 32, 21). მე აწ *ნაზირი* არღა ვარ და გლახადაც ვარ დაშთომილი (კალმას. 301, 16). || [არაბ. ნაზირ «მმართველი», «გამგე», «მინისტრი»] ძვ. სამეფო კარის ერთ-ერთი დიდი მოხელე აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში, – მინისტრი. უფროსმა ვეზირი ირჩია [ქმრად]..., შუათანამ – *ნაზირი* (ზღაპ.). ბრძანა [მეფემ], და მსწრაფლ შეიყარნენ... ვეზირნი და *ნაზირები* (ილია). 2. ზედამხედველი; ეკონომი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ნაზირი** [არაბ.nazir] სადარი, სამაგალითო. აი, ხო როგორ ნაზირ კაცი, რაც გაქ, მიე დაწეროს! რაც არ დაიწერე, გაქრების, წასულა! (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. III. **ნაზირი**: *ნაზირი* სხალი (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 40).

ნათალ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ნათალი** 1. მონათალი, გინა თლაქმნილი – საბა. **ნათალი** რაც თალეს ან გაითალა, – გათლილი. [თამარმა] ააგო ციხე-საყდრები, *ნათალი* სალი კლდისაო (ი. დავით.). გაოგნებულმა [ირმამ] ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ მიაყენა ბიბამ *ნათალი* ქვით ნაგები ორსართულიანი სახლის სადარბაზო კარებს (რ. გვეტ.). || გადატ. ლამაზი, მოხდენილი, კოხტა, – თლილი (თითები, ხელები...). თითნი, ნარნარად ბროლის *ნათალნი!* (გ. ორბ.). «თქვენი ხელები – ნათალი, გრძელი – მიპყრობს... მიზიდავს!» (ნ. ლორთქ.). 2. რისამე თხელი შრე, თლის შედეგად დარჩენილი, – ბურბუშელა. სახარატო ჩარხი გაწყობილი იარაღით და ირგვლივ მიმობნეული *ნათალით*... ცხადჰყოფდა... საკმაო საქმიანობას (ი. აგლ. თარგმ.). «შენ გგონია სამეგრელოში ჩიჩილაკი არ ვიცით! ჰაი გიდი! ბაბუას წვერებივით თეთრ ხუჭუჭა *ნათალს* რომ დავაყრით მაღალ თხილის შტოს...» (შ. დად.). || ნაფცქვენი. ზოგი მჭადს მოათრევდა, ზოგი პურს, ზოგი ნიგოზს, ზოგი მსხლის *ნათალსა* (თ. რაზიკ.). 3. ნაჭერი (პურისა). [ქეთევანამ] წინ... მარილი და ერთი *ნათალი* პური დაიდო (ეკ. გაბ.). [ყვავი] ნატრობს, ნეტა მაპოვნინა ერთი პურის *ნათალია* (თ. რაზიკ.). 4. (ერწ.) იგივეა, რაც ნაფოტი – ქეგლი. || მონათალი. „სხლის *ნათლები* ნარცხში ჩაყარე, საქონელი შეჭამს“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

ნა-თალ-ი: ნა- ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსი. ძირი თალ-, აღდგენილია *თალ- || თლ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. II. **ნაათალი || ნათალი** 1. მეათედი. „სიხარულისა ვარ თანაზიარი, სიტყვით *ნათალის* გამოთქმა ახლა კი შემიძლია (ბ. ჯორჯ.). 2. სახსენებელი. „ბრძოლის უკანასკნელი წუთები *ნაათალი* არ იყო ამ მდგომარეობასთან“ (გ. ხეჩუაშ.) – ი. გრიშ.

ნა–ალ აფიქსები; ძირი ათი; აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *ათ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ნათელ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ნათელი** სინათლე, სანთელი, ანკარა, ბრწყინვალე, სხივი, «მთიები»: „იხილა *ნათელი* დიდი“ (მთ. 4, 16); „*ნათელი* სანთლისა მის მისისაჲ ბრწყინვალედ მოველოდე უფლისა მას მოქცევასა ქორწილით“ (თომა მოც. 18, 34); ბრწყინვალე არიან ვითარცა *ნათელნი* სოფლისანი“ B – „ბრწყინვენ სოფელსა შინა ვითარცა მთიებნი“ (A, სბსტ. 143, 20). აქვე: განმანათლებელი, განათლება, განუნათლებელი, უნათლოსი, ნათება || ნათობა, სანათლო, სინათლე უნათლო, მნათობი და სხვ. – ილ. აბულ. ნათელი ა) (არსებითი) ამად *ნათელი* დავსია (ვეფხ. 1590, 4). ბ) (ზედსართავი) დავჰკრთი ელვასა ღაწვთა მზეებრ ნათელთასა (ვეფხ. 479, 4). „შენ ის სასწაული გასინჯე, რომ *ნათელი* კარს მოგადგათ“ (ხოსრ. 34, 4). გამარჯვებაში ლაშქრისა ჰსუფევდა თამარ *ნათელი* (არჩ. 358, 829, 1). ნათელი სინათლით მოცული, – სინათლიანი, შუქიანი, განათებული (საპირისპ. ბნელი). – *ნათელმა* მთვარემა ბრძანა, ბევრით მე ვჯობივარ მზესა (ხალხ.). გათენდა დილა *ნათელი*, მშვიდი (ა. აბაშ.). უმთვარო, მაგრამ *ნათელი* ღამე იყო (ნ. ლორთქ.). || სინათლიანი, მზიანი (ბინა...). ნათელი ბინა. || გადატ. სასიხარულო, ბედნიერი, უღრუბლო. ნათელი მომავალი. – ბევრჯერ *ნათელი* დღეები ბნელმა დაფარა შავადა (ვაჟა). || ძვ. მეტისმეტად წმინდა, უცოდველი, უმწიკვლო. «მესამე დღეს... მივაბარეთ მიწასა... [დედა-შენის] *ნათელი* გვამი» (ილია). 2. სინათლე, შუქი. მკრთალი *ნათელი* სავსე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა (ილია). 3. გადატ. ღია (ფერი); მხიარული (ფერი). საპირისპ. მუქი. პირველად... დაბადებულები *ნათელი* ფერისანი და უფრთონი იყვნენ (ი. გოგებ.). 4. გადატ. გასაგები, გარკვეული, აშკარა (საპირისპ. ბუნდოვანი). გუგულზე ახლა... *ნათელი* წარმოდგენა მქონდა (ვაჟა). 5. გადატ. საღი, ლოგიკური, მაღალი (გონება, აზროვნება...); მოწინავე, პროგრესული (აზრები). ნათელი გონების პატრონი. 6. დადებითი, სიხარულისა და სიამოვნების გამომწვევი (სახე, ფიგურა...) – ქეგლი. 7. ფრჩხილისებური საფარი, რომლითაც თითქოს ადამ და ევა იყვნენ შემოსილი პირველად და შეცოდების შემდეგ გასცვივდათ. „ჩამოცვინდა თურმე მერე იმათ *ნათელი*“ (იმერ. გაჩ.). შდრ.

ნათიერი ნათლით შემოსილი. „(ადამი და ევა) *ნათიერად* იყვნენ, ტანსაცმელი არ უნდოდათ“ (იმერ. გაჩ.). ნათ-ელ-ი: ძირი ნათ-, -ელ სუფიქსი. აღდგენილია არქეტიპები: 1. *ნათ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990) და 2. *თ- (ჩუხუა 2000-2003).

ძვ. ქართ. **II. ნათელი** სამშ. ტერმინი, შენობის ფასადი: *ნათელსა* მას დასაბამსა მის სამოთხველისასა... დასაჯდომელნი განსაყოფელისანი (ეზეკ. 42, 10) – თ. ცქიტ. იხ. I.ნათელი. შდრ. აეროვანი არქიტ. ტერმინი წინკარი, ტალანი, ტაძრის კარიბჭის გადაუხურავი ნაწილი: უსართულოდ და აეროვანი იგი ელამისაც (ეზეკ. 40, 14 Ch). სახელიც ამ ნიშნის მიხედვით აქვს შერჩეული: აეროვანი (ალბათ, ჰაერიანი, დაუხშავი). აეროვანი ბერძნულის კვალობაზე შექმნილი ტერმინია (ცქიტიშვილი 1976: 291-293).

ახ. ქართ. **III. ნათელი** გათელილი. ადგება ნელი ზმორებით ბალახი, დღისით ნათელი (კ. ჭიჭ.) – ქეგლი.

ნა – ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსი. თელ-ფუძე. აღადგენენ ს.-ქართვ. არქეტიპებს: 1. *თელ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *თ(უ)-ელ- (ჩუხუა, 2000-2003).

ნაიბ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაიბი** მარზაპანი – საბა. || [არაბ. ნაიბ «შემცვლელი, მოადგილე, ნაცვალი»] საერო ან სასულიერო ხელისუფალთა მოადგილე ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში; მხარის (უბნის) უფროსი ამიერკავკასიის სახანოებში, კერძოდ, აზერბაიჯანში (რუსეთთან შეერთებამდე და ერთ ხანს შეერთების შემდეგაც); ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი შამილის საიმამოში. ზურაბი და *ნაიბი* დამეგობრდნენ, მაგდანამაც გულით შეიყვარა *ნაიბის* ცოლი (ი. გოგებ.). *ნაიბი* ანზორა იყო ჭკვიანი და მოაზრებული (ა. ყაზბ.) – ქეგლი. || ნაიბრ დაღესტანში მაღალი თანამდებობის პირი იყო, თუშები მაზრის უფროსს უძახიან. „ხისოს რო ჯარი მოიდ, *ნაიბის* შეყრილ ჯარ იყუ“ (თუშ. ხუბ.).

დიალექტ. **II. ნაიბი** წყება, გზობა. ჭინკების ყანას რო ეტყოდენ, უყია, ამოყობა იქა სამი *ნაიბი* ჩვენი ყანა, ერთი წყება ამოვა სულ თავამდინა, მორე *ნაიბი* დაბრუნდება კიდე და ამოყობა. სვაია არი იქამდი, მერე კიდე მესამე *ნაიბი* ამოყობა (ჯალაურთა); კაი *ნაიბი* დაგითოხნია (ტაბაკინი); კაი *ნაიბზე* ქე გამოგვატანეს კაცები, მარა გზა ვერ გამევიგენით (იქვე); გეიარა კაი *ნაიბი* გზა (პირველი სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ნაკ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ნაკი** მოკლებული 1. სადა წითელი ზის, ყოველსა *ნაკი* აქუს, და შავსა არა აქუს *ნაკი* [Sin. = 38, 180v] – ზ. სარჯ. **ნაკიდ და ნაკი** მოკლებულად ითქმის – საბა. || (იმერ.) ნაკლი; ზადი. «მართალი მითხარი... ნაკი ხომ არაფერი აქვს ქალს?» (დ. კლდ.). ნაკად ზმნს. ნაკლად;

ზადად. ერთი რამ ჰქონდა მხოლოდ ქვრივს გულში *ნაკად* (ზ. ჩხ.). 2. დღე, რომელიც ემატება წელიწადს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ დანაკლისის ასანაზღაურებლად (ეს დღეა 29 თებერვალი) – ქეგლი. *ნაკად* აქვს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა (ვეფხ. 806, 2).

არნ. ჩიქობავამ, ჯორჯ-, წამ-, წარბ- და სხვა ფუძეებთან ერთად განიხილა ნაკ-ფუძე და აღნიშნა, რომ შეიძლება ისინი ნასესხები იყოს, ანდა, თუ ნასესხები არაა, ქართულში გვქონია დეტერმინანტ-სუფიქსების არა მქონე ფუძეები (ჩიქობავა 1942: 124).

დიალექტ. **II. ნაკი || ნარეკაი** – წყალში გახსნილი მაწონი.

ქართული საკვების სახელწოდებანი: ყურუთი, *ნაკი*, ფხალობიო, მალახთო, ჭადი, ფაფაია, ფაფობია (ტერმინი ფაფობია || ფაფაობა, რომელიც ერთგვარ რიტუალთანაცაა დაკავშირებული). ამოსავალი რეკ- ძირი სემანტიკურად დაკავშირებულია რეკვა (იგივე ნჯღრევა) სახელზმნასთან. ნაწინსართი ნამყო დროის მიმღეობის მაწარმოებელია. ნარეკი არის ის მასა, რომელიც წყლისა და მაწვნის დღვების შედეგად მიიღება. შდრ.: ნა-დუღი (სალია 2014: 313). აღნიშნულ ფორმათა მიღების გზა ასეთია: რეკ- → ნარეკ-ი → ნარეკაი → ნაკი (ჩელები 2018: 69).

ნაკერ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაკერი** 1. გაკერილი ადგილი (ქსოვილზე, კანზე...). დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯვარითა და წირვის იარაღითა, *ნაკერითა* მარგალიტითა და თვალითა (ზ. ეგნატ. 818, 19). «არსად ეტყობა *ნაკერი*, ძაფები დაკარგულია» (აკაკი). || ხალასად ნაკერი – საბა. ხალასად ნაკერი ძვ. ოქრომკედით ნაკერი. მოაკრნეს ხალასად ნაკერნი ფარდანი კედელ-ყურეთა (ტ. გაბ.). 2. შეკერილი (რამ). თავზე დაგხურავ მანდილსა, უნდა შეგმოსო კაბითა იაფით... ფასს თუმც ვერ დებენ *ნაკერსა* დიდის ჯაფითა (ვაჟა). 3. ნაქარგი. ოქრომკედით *ნაკერი* ლენტის გულის-პირი და სარტყელი... უფრო დაამშვენებდნენ ჩემს თამარს (ლ. არდაზ.). 4. სპეც. რისამე ნაწილების ერთმანეთთან შეერთების ადგილი. შუბლის ორ ძვალსა და თხემის ძვლებს შორის მოთავსებულია გვირგვინოვანი *ნაკერი* (ზ. ღოღობ.) – ქეგლი. აღნიშნული მნიშვნელობით ნაკერი უმეტეს დიალექტებში დაფიქსირებულია. იხ. მრეწ. III, I: კახ., თუშ., ხევს., გურ. და სხვ.

ნა-კერ-ი: ნა- ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი. ძირი კერ: კერ-ავ-ს. იგი თავისი ამოსავალი შინაარსით უნდა აღნიშნავდეს, „აერთებს ერთმანეთთან“ და ამდენადვე იგი უნდა უკავშირდებოდეს -ებ-/-იბ სუფიქსით გართულებულ კრებ/ კრიბ ფუძის სემანტიკას, რომელშიაც ჩავარდნილა ძირეული მასალის ე ხმოვანი (კრებ < კერ-ებ) (ლომთათიძე 1986: 125-128).

დიალექტ. **II. ნაკერი** ტირიფის ან წიფლის კვირტიანი ტოტები, რომელსაც საქონლის საჭმელად ხმარობენ, ნეკერი (მთ. კაიშ.). || ნეკარი (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.).

აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *ნა-ყარ- „შტო, ნეკერი, რტო“ > ქართ. ნე-კერ-ი || ნა-კერ-ი || ნე-კარ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ნაკრნჭალ:

დიალექტ. I. **ნაკრნჭალ** ნეკერჩხალი. || ნაკრნჩხალ, ნაკრრჩხალ, ნრკრრჩხალ, ნაკრნჭალ, ნაკენჭალ (ინგილ. ღამბ.). იხ. II. ნაკრრჩხალ.

დიალექტ. II. **ნაკრნჭალ** ვაშლის, მსხლისა და მისთანათა ჯამის შემდეგ დარჩენილი გული, გადასაგდები ნაწილი (ინგ. ღამბ., როსტ.).

ნაკრრჩხალ:

დიალექტ. I. **ნაკრრჩხალ** იგივეა, რაც ნაღრრდალ (ინგ. ღამბ.). იხ. I. ნაკურცხალი.

დიალექტ. II. **ნაკრრჩხალ** ნეკერჩხალი. ივარაუდება არქეტიპი *ნეკერჩხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ნაკურცხალ-ი:

დიალექტ. I. **ნაკურცხალი** ნაკვერჩხალი (ჯავახ. ბერ.). ნაკუარცხალი > ნაკურცხალი. ძვ. ქართ. ნაკუარცხალი ნაკვერცხალი; ცეცხლი. მსგავს არს ესე მცირѽდ ოდენ ნაკუარცხალს მას (შატბ. კრებ. 64v, 1-2a). იხილეს ნაკუარცხალი მდებარѽ (Sin=15 292, 23a). ნაკუარცხალი აღეგზნა (Sin=38 88v, 17-18a) – ზ. სარჯ. აგრეთვე ნაკორჩხალი (გურ. ნიკოლ.).

არნ. ჩიქობავა შენიშნავს: ჭან. ნო-კა-ნჩხ-ულ-ე, მეგრ. ნა-კვა-ჩხ-ირ-ი, ქართ. ნა-კვერ-ცხ-ალ-ი. შეუძლებელი არაა კვე-ცხ- || კვა-ჩხ- რთული ფუძე იყოს:-ცხ- || -ჩხ- ბუნებრივად უკავშირდება ცე-ცხ-ლ- || და-ჩხ-ურ-ს, კვე- || კვა- კვეთს (?). იხ. საბას განმარტება: ნაკუერცხალი- ცეცხლის ნაკუეთი (ჩიქობავა 1938).

საშ. დიალექტ. II. **ნაკურცხალი** ნაწველარი [კურცხ, კრცხალი] – საბა. შდრ. კრცხალი, კურცხალი (დ. ჩუბ.). || გაკაფული ტყე, ნატყევარი (თონ., დვალ., ღოლოვ., ქართლ. გაჩ.). || ორი-სამი წლის ნაწვერალი. სოფ. ხიზაბავრას ეძახიან (ჯავახ. ბერ.). შდრ. კურცხალი, კურცხალა ორი წლის უხნავი მიწა. ჩიტი ეკალს შეეხიზნა და ტოროლა – *კურცხალსაო* (ანდაზა) – ქეგლი. აგრეთვე: ჯავახ. მარტ., ზედგ. რცხალი ნახნავი მიწა ერთ-ორ წელს უხნავად დაგდებული (თონ., დვალ., ღოლოვ., ქართლ. მენთ.).

ნაკურცხალი: ნა–ალ- აფიქსები. კურცხალ- ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. ფუძე *კურცხ- „ბელვა, თიბვა“ (ჩუხუა 2000-2003).

ნალფანა:

დიალექტ. I. **ნალფანა** ძველი ნახშირი (კირიონი).

დიალექტ. II. **ნალფანა** ცხენის ძველი ნალისაგან გაკეთებული ნალები ხარ-კამეჩისათვის (კირიონი). იხ. II. ნალფარა.

ნალფარა:

დიალექტ. I. **ნალფარა** მაჭახელას ტიპის კაჟიანი თოფის ერთ-ერთი სახეობა. „*ნალფარა* თოფხანაზე უმფო ნაკლებ კაჭკაჭლი იყო და ფასიც ნაკლები ქონდა, ოც მანათში იყიდებოდა“ (ქ. აჭ., აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. II. **ნალფარა** ცხენის ქართული (მთლიანი) ნალი (ი. ჭყ.) – ქეგლი. || [თურქ. ნალფარა] პიპიზი–საჭედ(რ)ის ნატეხი – საბა. იხ. II. ნალფანა.

ნამგალა:

საშ. ქართ. I. **ნამგალა** ნამგალის მოყვანილობისა. ნამგალა მთვარე. – *ნამგალა* მთვარეს შეაქებ, ამოსულს ნიშნად დარისა (ა. აბაშ.) – ქეგლი. შდრ. ნამგალი (ორღან ZAaB, ორაღ Cb.; მაგაღ Z, მანგაღ AaBCb.) მანგალი ZABD. მანგალი ყანის მოსაჭარი – საბა.

საშ., ახ. ქართ. II. **ნამგალა** (მფრინ.) – დ. ჩუბ. || „მერცხალსა ჰგავს ვერ დაჯდება“. დედლისა მფრინველისა, *ნამგალასა* ნავღელი, თუა რა – შავისა ცხენისა *ნავღელი* თუალშიგა გამოავლე, ეშუელოს (ფანასკ. 68, 31). || მერცხლის მსგავსი შავი ჩიტი; აქვს ნამგლის მოყვანილობის გრძელი ფრთები და მოკლე ფეხები; დაბლა ვერ ჯდება. *ნამგალები* დაფეთებული გარს უვლიან შხუილით ციხეს (კ. ჭიჭ.). «ეს ზაფხულის თანამდევნი *ნამგალა* ჩიტი... მასვე ამტკიცებს» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. || შავი ფრინველია (ქიზ. მენთ.). შდრ. I. ნამგალა.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ნამგალა** ძვ. ეთნ. საძოვარზე ერთი მწყემსის ახლოს დაბინავებული მეორე მწყემსი, «მეზობელი მწყემსი» (ი. ჭყ.), – მონამგლე. მოვიდა შემოდგომა, მაგრამ მე *ნამგალა* ვერ ავიჩინე და ვერ ავიჩინე! (ა. ყაზბ.). «ეგრე, გელაისი!.. დაიჭირე ადგილი და, თუ გინდა, *ნამგლად* წამოვალთ, თუ გინდა-და, ცხვარს დაგირევთ» (ა. ყაზბ.). || ამხანაგი (რაიმე საქმიანობაში). «ქორწილში ვინმე მონადირე იქნებოდა, «*ნამგალად*» გავიხდიდი და სანადიროდ ერთად წავიდოდით» (ა. ყაზბ.) – ქეგლი. შდრ. **ამგალი** სამწყსო მეზობლად მდგარი (საბა); ამგალი || ანგალი || მოანგლე (ქართლ. მენთ.).

ნამგალობა:

ახ. ქართ. I. **ნამგალობა** ძვ. ეთნ. ნამგალად ყოფნა, – საძოვარზე ერთმანეთის მეზობლობა; ამხანაგობა. «ამხანაგობამ გამომგზავნა – ადგილი ერთგან დავიჭიროთო.» – «კარგი და კეთილი, – გაეხარდა მასპინძელს, რადგანაც ონისესთანა გაბედული და გამოცდილი მწყემსის მეზობლობა ძვირად დაფასებული იყო, – რაისთვის არა? ...თქვენთან *ნამგალობა* (ამხანაგობა) ღვთის წყალობაა!..» (ა. ყაზბ.); **ნამგალაობა** ძვ. ეთნ. იგივეა, რაც ნამგალობა. სამართლიანი... სვიმონა ყველასგან საყვარელი იყო, ყველას სურდა იმისი «ნამგალაობა» (ა. ყაზბ.) – ქეგლი. შდრ. III. ნამგალა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნამგალობა.** (ქართლ.) ყანის მკის დრო. *ნამგალობა* მოვიდა, ნამგალობა, ნამჯობა, წრევანდელ მამითადშია მკაში ვერავინ მაჯობა (ხალხ.) – ქეგლი. შდრ. I. მანგალი.

ნამშრალ-ი:

ახ. ქართ. **I. ნამშრალი** საერთო სახელი სახლთან არსებული ყველა დამხმარე ნაგებობისა. გარეთ გამუდმებით თოვდა. ნაშუადღევს გლეხები თოვლავდნენ სახლებსა და *ნამშრალებს* (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

ვფიქრობთ, ნამშრალი < მშრალი. მშრალი სისველეს, სინოტივეს მოკლებული (საპირისპ. სველი, ნესტიანი) – ქეგლი. ვნებითი გვარის მიმღეობის, მშრალის შრ- ძირისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *შურ- || შურ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. ნამშრალი, ნამშხალი** ხის ფესვებიდან, ხის ძირიდან ან გადანაჭერი ტოტებიდან ახლადამოყრილი ყლორტები, ლორთქო, ბარტყი (აჭარ. ნიჟ.). || ნამშალი: „ჩუენ ბალსა ნამშლები ამოუყრია ბეური, გადავნერგავ მიერეზე" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. იშხვარი.

ნამცვრევ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნამცვრევი** მომცვრეული. მე ყრმათა მსგავსად მოვიხდა *ნამცვრევთ* წალკოტთა მცვრევანი (დ. გურამ.) – ქეგლი.

ნამცვრევი: ნა-ევ აფიქსები ცვრ-ძირი. იხ. I. მცვრევა. ს.-ქართვ. *მ-ცუერ- „ძნებად შეკვრა, გროვება" → ქართ. მცვრ- || ← მცრ-ევ- (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. **II. ნამცვრევი** «ნაცვრევი, ცვრად ჩამოსული» (ა. შან.). ყვავილთ პირს ეკონებიან ცივნი *ნამცვრევნი* ცისანი (ვაჟა). მთის დაბლა, ვიწრო ღელეში ია მოთქვამდა, ჩიოდა... სად იყო მისთვის ცვარ-ნამი, ციდან *ნამცვრევი* დილისა (შ. მღვიმ.). ნაცისკრევზე ჩუმი ჟინჟღლით შავი ნისლი *ნამცვრევს* სცრიდა (გ. ლეონ.) – ქეგლი.

ნამცვრევი: ნა - ევ აფიქსები. ძირი ცვრ-. *ცუარ- ს.-ქართვ. არქეტიპია (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **III. ნამცვრევი** ნასულელარი ნალაპარაკები (ფშ. ხორნ.). შდრ. ცრუ ცრუვი მატყუარა; ცვრივბ (თუშ. უთურგ., ცოც.).

ნა-ევ აფიქსები. [საშ. სპარს. zūr „ტყუილი, სიცრუე"] > ქართ. ცრუ (< ძრუ < ძურ-უ) (ანდრონიკაშვილი 1966).

ნარგ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნარგი** დარგული – დ. ჩუბ. || ნარგავი. – ნარგავი ჩვეულებრივ იხმარება მრავლობითში: ნარგავები – ყველაფერი, რაც დარგეს. ის დღე, როგორც ახალგაზრდა მუხა, საუცხოო, ფრიალოზე *ნარგი*, ის დღე ჩემთვის ყველაფერი იყო, ყოველ დღეზე უჩვეულოდ კარგი (გ. ტაბ.). || ფიგურ. მოღალატევ, რაც ცუდია, ყველა შენი *ნარგია!* (აკაკი) – ქეგლი.

ნა-რგ-ი: ნა- ვნებითი მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი, ძირი რგ-; აღდგენილია ს.-ქართვ. *რგ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ნარგი** (< ოს. რონგ) ხანგრძლივი დუღილით შესქელებული ტკბილი. ტკბილს ადუღებენ ცალკე ქვაბში დიდხანს, ბევრს აორთქლებენ. ბოლოს თაფლივით გასქელდება და ტკბილი საჭმელია. ამ საჭმელს ჰქვიან „*ნარგი*“ (ალ. ოჩ. კალენდ. 70, 19) – ალ. ჭინჭ.

ნართ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ნართი, ნასთი** ცალ-წვერად დართული ბამბა, ღაზლი, და მისთანანი – დ. ჩუბ. || დართული ძაფი. ბამბის ნართი. – ნართის დაძახვა. – დაგრეხილი ნართი. – თითქოს ჰაერი უხილავ არსებათ *ნართად* დაურთავთო (ვაჟა) – ქეგლი. „ბევრი *ნართი* წეიღო ამ წინდებმა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ნასთი: მცირითა მიზეზითა სიყუარულისა ნასთი შეიკრას (ქილ. 517, 20). იხ. I. ნართავი. შდრ. ნასთი. ნასთის გატან-გამოტანა ქსელში («შინამრეწვ.») – ქეგლი.

ნართი < ნასთი. აღდგენილია ს.-ქართვ. *სთ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ნართი: ნართის ნართი** ვიღაც შორებელი (გურ. შარაშ.).

სავარაუდოა, რომ -რთ- იგივეა, რაც ზმნურ ე-რთ-ვის, და-რთ-ულ-ი „დამატებული“ ზმნურ ფორმებში გამოყოფილი ძირი. შდრ. ძვ. ქართული ზედადართვა „შემატება“; თანაშერთვა „შეერთება“; თანაშერთული „შეერთებული“; და სხვ. ნა-პრეფიქსი; რთ- ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *რთუ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ნართავ-ი:

დიალექტ. I. **ნართავი** 1. ნართი. «აი, შვილო, ... – დაატრიალა თითის-ტარი [ბებიამ]..., – ადამიანობა ბამბის ქულაა და მისი ცხოვრება ეს *ნართავი* ძაფი» (აკაკი). 2. ნართისგან, ნართავისგან მოქსოვილი რამ. სხვა იცვამდა ჩემს *ნართავებს*, მე კი მეცვა – კონკიბელა (გ. ლეონ.) – ქეგლი. იხ. I. ნართი.

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ნართავი** 1. შერეული: „მრავალი *ნართავი* ერი თანა-გამოერთო მათ“ (O, ივდ. 2, 11) – ილ. აბულ. 2. (თუშ.) ჩვეულებრივ მრავლობითში: ნართავები – ორი ან მეტი ოჯახი, რომელიც ზამთარში დროებით ერთად ცხოვრობს – ქეგლი. ნართაობა ქვრივი ან უპატრონო დიაცი ზამთარში შეეკედლება ვისმე თავის მონათესავეს. ისინი ერთად ცხოვრობენ, სასმელ-საჭმელი ერთად აქვთ. – აწყავენ და აწონავენ და ისე ერთად ჭამენ. ასე არიან ხუთი-ექვსი თვე. ეს დროებით შეერთებული დიაცები ნართავები არიან. ერთი იტყვის: *ნართავი* ვარო, ხოლო თვით საქმე *ნართაობა* არის (თუშ. მრეწ. IV, II, 183). იხ. II. ნართი.

ნარიყალა:

ახ. ქართ. **I. ნარიყალა** 1. ნარიყალი – ადგილი, სადაც წინათ რიყე იყო. ხედავ, ლიახვის ჭალაზე, კოშკი დგას *ნარიყალაზე* (რ. მარგ.). 2. ნარიყი რაც მდინარემ გამორიყა, – გამორიყული. || რაც ადიდებულ მდინარეს მოაქვს (და უნდა გამორიყოს). მოაქვს ცხენისწყალს გლეხკაცის სახლთან *ნარიყალა* და მორები ფიჩვის (ლ. ასათ.) – ქეგლი.

ნა-რიყ-ალ-ა: ნა-ალ-ა აფიქსები. ძირი რიყ-. აღდგენილია ს.-ქართვ. *რიყ-ე „რიყე“ → ქართ. რიყ-ე (ჩუხუა 2000-2003).

II. ნარიყალა (ნარინ კალა) – უძველესი დროის ციხესიმაგრე, რომელიც თბილისსა და მდინარე მტკვარს გადაჰყურებს („ვიკიპ.“). სიტყვა „ნარიყალა“ მონღოლური წარმოშობისაა („ნარინ“ -მცირე, „კალა“ ციხე), აშენდა მე-4 საუკუნეში. „ნარიყალა–ციხე“ არა მარტო თბილისის ციხესიმაგრეს, არამედ გორის, სურამის, ანანურის, ბორჯომის, გრემისა და სხვა ციხეებსაც ჰქონდა. „ნარიყალა–ციხე“ განსხვავდებოდა ციხე–სიმაგრის „დედა–ციხისაგან“, ანუ თავადი (მთავარი) ციხისაგან (კვირკველია 1985).

ნაფთულ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაფთული** თოვლის გროვა (ჩვეულებრივ, ბანიდან გადმოხვეტილი – ქეგლი. ჩამოვჯედი ეზოშია ჯმელაგორით მასულიო, ვეღარ ვნახე გამართული, დამეფარა *ნაფთულიო* (ხევს. პოეზ. 358, 4). *„ნაფთული* ბანებიდან გადმოხვეტილ თოვლსა ჰქვია“ (ა. კალანდ. II, 182, 14). სანაფთულე ადგილი, სადაც ბანიდან გადმოხვეტილი თოვლი, ნაფთული იყრება. არნაგით ხვეტენ თოლს ბანზეით, კარებშიც, სადაც გლუვ კარპ, თუ არადა ნიჩფით გადახყრიან სანაფთულეში (თოვლის გროვას კარ-მიდამოში *ნაფთულს* ეძახიან («შინამრეწვ.» 170-170-ა) – ალ. ჭინჭ. შდრ. II. ნაფთული.

დიალექტ. **II. ნაფთული** კედელს გადაცილებული სახურავის ქვეშ წვიმისა და თოვლისაგან დაფარული პატარა მშრალი ადგილი. (ქათმები) შეფრთხნენ და საბძლის *ნაფთულის* ქვეშ შეიმალნენ (ფშ., ბ. „ჯეჯ.“ ქეშიკ.). || ნაფთულაყი მცირე ფარდული ზაფხულში ცეცხლის დასანთებად. ზოგთ *ნაფთულაყივ* იციან, ჩვენ კი საცეცხლურივ ვიცით- ზოგნი *ნაფთულას* ეძახიან, ჩვენ საცეცხლურს ვეძახით (თუშ. ცოც.). შდრ. ნაფარდულაყი ფარდულისებური გადახურული. „ცისიც მოიდ ყიმ ბეღლის ნაფარდულაყის ქვეშ || ქუეშ“ (მოხ. ხუბ.); ფარდული გადახურული (ზოგჯერ უკედლებო) ნაგებობა შეშის, თივის, მოსავლის... შესანახავად, თამბაქოს საშრობად და სხვ. – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ნაფთული** (ხევს.) ქსოვილის ვიწრო ზოლი, რომელსაც ტანსაცმელზე აკერებენ მოსართავად, სამკაულად – ქეგლი. წვრილ *ნაფთულებზე* დასაკრავ ნაჭრელაის სახელები: აკუშურანი, პეპელანი («შინამრეწვ.» 13). თათის ყელებსაც ნაჭრელაიანი *ნაფთულებით* გახატავს (ნ. ბალ.) – ალ. ჭინჭ. შდრ. აშკი (მამთულ ZAa, მამთული B.) ილეკროს ძაფი, რომელსა თურქნი მავთულსა უწოდენ – საბა.

ნაღებ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნაღები** სძის მონაგდები – საბა. || სძეთა და მაწონთაგან მოხდილი სიმსუქნე – ნ. ჩუბ. || სიმსუქნე, რომელსაც რძე მოიგდებს ხოლმე ადუღებისას. რძე, სუკები, *ნაღები*, შაქარი და სხვა ხროვა ხროვა ელაგა... [მზარეულის] წინ (ეკ. გაბ.). [რძე] დადგით ცივ ალაგს, რომ გაცივდეს და *ნაღები* კარგად შეიკრას (ბ. ჯორჯ.). დედამ აიღო ფინჯანი და დაასხა *ნაღები* (ლ. არდაზ.) – ქეგლი. „ძესა ხის გობებზე დავასხემდით, თავ მეიგდებდა, იმა ვეტყვით *ნაღებსა*“. „ახლა სუთმაქინაი გამოვდა და იმაში ვხდით ძესა, ვიღებთ *ნაღებსა*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ნაღბი დო** ნაღების შედღვების შედეგად წარმოქმნილი სითხე. „ნაღბი დოდამ ჩოქალუქი გაკეთდება“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ნა-ღებ-ი : ნა- პრეფიქსი, ღებ-ფუძე. აღდგენილია ს.-ქართვ. *ღ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნაღები, ნაღებვი** (ნაღები Aa) შეღებული. ღებვა – საბა. ხოირი მრავალფერ ნაღები – საბა. || შეღებილი. წყლულად მაჩნდა არ- *ნაღებად* (ვეფხ. 453, 2). ადის და დადის ორგნითვე სისხლში *ნაღები* ხანჯლები (ვაჟა). [მუსტაფამ] ხელი ჩამოისვა ჰინით *ნაღებ* წვერზე (ვ. ბარნ.) – ქეგლი. **ნაღები წინდა**. სხვადასხვა ფერად შეღებილი ძაფებით ნაქსოვი ჰრელი წინდა (აჭარ. ნოღ.).

ნა-ღებ-ი: ნა- პრეფიქსი, ღებ-ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ღებ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ნაშა:

დიალექტ. **I. ნაშა, ნაშე** ფხვიერი, ნაშალი ნიადაგი. *ნაშაზე* საბირკველი არ დაიდგმება, უნდა დაჰყვე, სანამდისინ თიხნარს იპოვი (კავთ.). *ნაშე* ადგილია, ბოში ადგილი, შეიძლება მალე მოშვავდეს (ძეგ.). აგრეთვე არად., ტანმ. (ქართლ. ლექსიკ.).

ჩვენი აზრით, ნაშა < ნა-შალ- ი. ნაშალი რაც დაიშალა, დაირღვა; რაც რისამე დაშლის, დარღვევის შემდეგ დარჩა; ნანგრევი (კლდისა) – ქეგლი. ნა პრეფიქსი. ძირი შ- < შალ-. ლ დაკარგული ჩანს. აღდგენილია *შალ || შლ -არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. **II. ნაშა** შავი, ყარაჩი, შავტუხა – ი. გრიშ.

ახ. ქართ. **III. ნაშა** ჟარგ. გოგო; შეყვარებული (მომდინარეობს ებრაულიდან, სადაც ცოლს ნიშნავს); ერთი *ნაშის* დილიხორი ვარ, – თქვა გიგილომ (ნ. დუმბაძე). წადი რაღა, გაინავარდე რაღა, ნახე რა *ნაშებია*, აირჩიე, რომელიც გინდა (ო. ჩხეიძე). ვისაც ეს ამბავი აწუხებს, *ნაშა* გაიჩინოს, სხვა ვარიანტი არ არსებობს (დ. ფანჯიკიძე, თარგმ.) – ლ.ბრეგ.

ნაშურ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაშური** ლიმი, ლეინი – დ. ჩუბ. || ძვ. «ლურჯად შეღებილი ნარმა» (ი. გრიშ.). || უბრალო ქსოვილი. ჰკვიანი კაცი... *ნაშურის* ახალუხზე ღილებგახსნილ სერთუკს არ ჩაიცვამს (ილია).

[კინტოს] აცვია შავი *ნაშურის* ახალუხი (ი. გრიშ.) – ქეგლი. || უბრალო, იაფფასიანი ქსოვილი. *ნაშურის* ახალუხები გვეცვა, კარქ ვინ გვაღირსებდა ჩვენა? (რუისი, ქართლ. მესხ.). || ნაშურა-ი ძვირფასი ძაფებით ნაქარგი ქსოვილი. „ხორწილჩი ნაშურაის გურგურინები იცოდია, ტოლის მანდილი"... (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. **II. ნაშური** ფიცარი, რომელსაც ცალი გვერდის გასწვრივი კიდე ოდნავ მომრგვალებული აქვს – ქეგლი. || ხის ოთხკუთხად გათლისას (გახერხვისას) წიბოს ადგილზე დაყოლებული სიმრგვალე. „*ნაშური* ბრუნდ ხეს დოუყვება ხომე" (იმერ. გაჩ.).

ნაჩხატ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაჩხატი** ერთი ან ორი წლის უხნავი მიწა. ნაჩხატის თივა. – ზოგის *ნაჩხატი* სჯობია ჩვენს ნაფუზარს (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ., ფშ. ხორნ. || ერთი წლის დასვენებულ მიწას ნაჩხატი (თონ., პ. თონ., ჩხ.) || ნაჩხარტი (თონ., პ. თონ.) ეწოდება. *ნაჩხატში* კარგი ბალახი იცის, რომელსაც თივად იყენებენ. *ნაჩხატს* ეძახიან, აგრეთვე, ხნულში უხნავად დარჩენილ გაბალახებულ ხარვეზს და ხნულებს შორის უხნავ ზღვარს (კლდ.). ზოგი გლეხი ნათიბსაც ნაჩხარტს ეძახის (თ. წყ., ალგ. სალ.). || იგივეა, რაც ნაბეჩხარი. „ყანა გამაიფიტებოდა, ნაჩხატი შაიქნებოდა, ნაბეჩხარი" (მოხ. ქავთ.). **ნაჩხატი, ნაჩხენტი** კაჭაჭი, ნაწვერალი – დ. ჩუბ. **ნაჩხატის კურდღელი** (მელა...) იტყვიან გამხდარ ადამიანზე. გამხდარი ბავშვი რო იქნება, *ნაჩხატი მელასა* გეხარო, ეტყვიან (დის.). *ნაჩხატის კურდღელს* გავხარ, – ეტყვიან (სამთ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. აბეჩხარი. მნიშვ. 2.

ნაჩხატი მცირე ხნით ნასვენი მიწა, რომელსაც მსუბუქად გაკაფვა სჭირდება, რადგან მცენარეული საფარი ვერ ასწრებს მომძლავრებას, ფესვების გადგმა ზან.(მეგრ. ქობ.). **ლეჩხტერ, ლეჩხგტ** ქვიანი, ღორღიანი ადგილი (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნაჩხატი** 1. (მოხევ. ფშ.) იგივეა, რაც ჩანჩქერი. ირევა შავი ღრუბელი, დრო არის თიბათვისაო, ცხრა დღე და ღამე იწვიმა, სულ *ნაჩხატები* დისაო (ხალხ.) – ქეგლი. || ჩამონადენი წყალი – კლდეზე მდინარი ან სახლის სახურავიდან. „ავდარს გემეეცალა და *ნაჩხატს* მიუჭირა თავიო". || წყლის ნაშხეფი (სიონი, მოხ. ქავთ.). 2. წყალ- ღვარისაგან ჩამორეცხილი ნიადაგი. „წყალი რო ჩამადის და ხრამავს, *ნაჩხატია*". || ხევი, რომელზეც წინათ წყალი დიოდა, ახლა კი ბალახითაა დაფარული; ნაჩხატარ-ი ადგილი, სადაც წინათ წყალი დიოდა. „ნაჩხატარჩი ცხორი უდგას" (მოხ. ქავთ.).

ნა-ჩხატ-ი: ნა-პრეფიქსი. ჩხატ- ძირი. ჩხატი (მოხევ. ხევს.) იგივეა, რაც ჩანჩქერი. ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო, ...როდესაც [კობამ] მიაღწია ხდის ჩხატს (ჩანჩქარს) (ა. ყაზბ.) – ქეგლი. იხ. I. ჩხატი.

ნაწილაკ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნაწილაკი** 1. მცირე ნაწილი – დ. ჩუბ. || კნინ. (უმთავრესად მრავლობითში) პატარა, სულ მცირე ნაწილი. უხილავი *ნაწილაკები.* – ლითონის *ნაწილაკები.* 2. გრამატ. დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ბგერა, ბგერათა კომპლექსი ან სიტყვა, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრივ (ა. შან.). კითხვითი ნაწილაკი. – მიმართებითი ნაწილაკები – ქეგლი.

ნა-წილ-აკ-ი: ნა -პრეფიქსი. წილაკ- ფუძე. წილ-ძირი; -აკ სუფიქსი. ვფიქრობთ, რომ აქ იგივე წილ- ძირი გამოიყოფა, რაც დასტურდება „მოწილვა ნაყოფის მოკრეფა“ (საბა) ზმნურ ფორმაში. არნ. ჩიქობავას მიხედვით, წილ-საერთო ქართველური ფუძეა და ამ ფუძიანი ზმნები ქართულის გარდა „ნაყოფის მოკრეფის“ მნიშვნელობით დასტურდება ჭანურსა და მეგრულში (ჩიქობავა 1938). იხ. აგრეთვე (არაბული 2001: 53).

დიალექტ. **II. ნაწილაკი** უზრდელი, უხეირო, უსუსური, – ლაწირაკი. „უყურე მაგ *ნაწილაკს!*“ (აჭარ. ნიჟ.).

შესაძლებელია, ამ სიტყვის ფუძეში გამოიყოს -აკ კნინობითის სუფიქსი. დარჩენილი ლაწირ-შეიძლება მიღებული იყოს *ნაწირ-ისაგან, რაც დასავლურ ქართულ დიალექტებში ნიშნავს (გამო-წირ-ული, გა-მო-ნაწირ-ი) „პატარა“-ს. ნ > ლ გადასვლა დისტანციურ დისიმილაციას უნდა მიეწეროს (გიგინეიშვილი 2016).

ნაჭა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაჭა** (ქვ.-იმერ.) «შუა ცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, – საკიდელი» (ი. ჭყ.). მაღლიდან ჩამოშვებულ *ნაჭაზე* ქვაბი ეკიდა დამზადებული ღომით სავსე (ლ. ქიაჩ.). [ქალებმა] ღომი პატარა ქვაბში ჩაყარეს, გარეცხეს და *ნაჭაზე* ჩამოკიდეს (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. *ნაჭაზე* ვკიდებთ ქვაბს (ქვ.-იმერ. მრეწ. III, II, 179). **ნაჭა** (**ნაჭე**), **ლანჭა, ლარჭა** ნაჭა ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ნაჭა „ჯაჭვი, საკიდელი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნაჭა** (გურ.) **ნაჭი**, – წენგო კაკლისა. ნიგვზის *ნაჭა* ღებავს შავად («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. ლექსიკ. || ნაჭი ეწოდების წენგოსაცა და რაც თევზს საგალი მო(ჰ)კლავს – საბა. **ნაჭილა** დაკროლილი, წენგოგაცლილი, დარჩეული (კაკალი) ზან. (მეგრ. ქობ.).

ნაჭა (< ნაჭი), რომ ჰქვია ლაფანს (რომლის ჭანური სახელი „ტყის კაკალია“, ინგილოურში, – „ცრუ კაკალი“, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ნაჭი [<*ნაჯ-ი შდრ. ლეჯა] ერთ დროს ერქვა თვით კაკალსაც და იგი [<*ნაჯი > ნაჟი/ნაჟვი], ჩანს ზანური შესატყვისია ფუძეენისეული ნეძი/ნეძვისა, რაც თავდაპირველად ნიშნავდა ყველა გულსაჭმელ ხილს (მ. მაჭავარიანი 1989: 198).

ახ. ქართ. **III. ნაჭა** დასაგები – ი. გრიშ. || ნეჭა 1. «სუფთა ჭილობი» – საბა. 2. (ქიზ. კახ.) სქელი მატერიის ნაჭრებისაგან დაწნული საფენი, ფარდაგი – ქეგლი.

ნაჭა < ნეჭა. ს.-ქართვ. *ნე-ჭ-ა „გადასაფარებელი, საფენი“ → ქართ. ნეჭა (ჩუხუა 2000-2003).

ნახუნაკ-ი:

ახ. ქართ. **I. ნახუნაკი** 1. ხელით შეხებითი ლაციცობა ლოყაზე. 2. ითქმის ხილის ჭამაზედაც ბაყლის დუქანში (მოვაჭრესთან) მუშტრისაგან, რომელიც ნახუნაკს იღებს (სინჯავს გემოთი ხილს) და არ ყიდულობს: „ჰა *ნახუნაკი* არ იყოს!“ 3. თუ ბაყალთან ვაჭრობის დროს გემოდ გასინჯე და არ იყიდე, ამბობენ: ჰა, *ნახუნაკი* ჩაარტყიო. სხვანაირადაც იხმარება, თუ ქალს ლოყაზე ალერსით ან მოფერებით ხელის ზურგი აუცაცუნე – იტყვიან; „ჰა, *ნახუნაკს* ნუ იღებო!“... (ი. გრიშ.).

სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული || [nâxonak || nâxūnak] შემდეგი მნიშვნელობით – პატარა ფრჩხილი. [nâxon || nâxūn] არის – ფრჩხილი, ხოლო [ak] – კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსი. სპარსულში ამ სიტყვასთან ზმნური კომპონენტის – [zadan] – დარტყმა შერწყმით მიღებულია ზმნა – [nâxonak zadan] – ხელით შეხება, გასინჯვა, მოციცქნვა. აშკარაა, რომ ქართული ნახუნაკი და სპარსული [nâxonak] ერთი და იგივე ლექსემებია. როგორც „ქალაქური ლექსიკონიდან“ ჩანს, ქართულში ამ სიტყვას ინტიმური განცდის შინაარსობრივი დატვირთვა („ხელით შეხებით ლაციცობა ლოყაზე“) შეუძენია (ბართაია 2010).

დიალექტ. **II. ნახუნაკი** ღვინის ძირში დალექილი ჭუჭყი, ლექი, რომელიც ამჟავებს ღვინოს. „ღვინოი *ნახუნაკი* შაიყოლია და დამჟავებულა“ (ქიზ. მენთ.).

ნახშობა:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ნახშობა** სიტყვა შეთხზნა – საბა. || (ოს.) ლაპარაკი, საუბარი. „რასღა *ენახშებოდი*“. „მეზობლებსაც *ჩაუნახშე*“. სანახშო – სასაუბრო ადგილი სოფელში, სადაც უმთავრესად მოხუცები იკრიბებიან უქმე-დღეებში სამასლაათოდ (რაჭ. ძიძიგ.). ნახშობს ლაპარაკობს, საუბრობს; მონახშე, მოსაუბრე (რაჭ. კობახ.).

ოსური ნი-ხას დერივატში იკითხება ჩერქეზული ხას- ძირის კვალი. თავის მხრივ, ოსური ნიხას-მოგვიანებით თავად ხდება გამსესხებელი წყარო ქართული (რაჭული) ნახშ-ობ-ა „ლაპარაკი, ბაასი“ ზმნისათვის. მ. ჩუხუას მიაჩნია, რომ სიტყვას *ხას- „თამამი საუბარი“ საერთო ქართველური ეტიმოლოგია აქვს (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ნახშობა** გაჭირვება, სიმწარე. „ბევრი *ნახშობა* მინახავს, იმან გამაბეჩა“ (აჭარ. ჯაჯან). შდრ. ნახსი [არაბ. nahs] ცუდის მომასწავებელი (ჩვენ. ფუტკ.).

ნებიერ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ. **I. ნებიერი** 1. «ნებებითი», საწადელი: „იყვნეთ თქუენ ქუეყანა *ნებიერ*“ O, – „იყვნეთ თქუენ ქუეყანა ნებებითი“ (pb., მალ. 3, 12) – ილ. აბულ. || თავის ნებაზედ მიშვებული, თავისნება, თვითნება; გაქეზებული, ნაზი, ნარნარი, აზიზი; უზრუნველი, მოსვენებული – დ. ჩუბ. || თავის ნებაზე მიშვებული, – ზედმეტი ზრუნვა-მოვლით გააზიზებული; ლაღი, უზრუნველი. *ნებიერმა* ლუარსაბმა... განაზება იცოდა (ილია). «[ვაჟი] დედის *ნებიერია*» (შ. დად.). ასე გადაშენდა [რიჩუგიანთ] გვარი, ოდესღაც ძლიერი და *ნებიერი* (ს. კლდ.). || ფიგურ. მთათ *ნებიერი* ნიავი მოსისინებდა ჩუმადა (ვაჟა). 2. ასეთი ადამიანის შესაფერი (ცხოვრება, პირობები და სხვ.). *ნებიერ* ცხოვრებას დაჩვეული... [კნეინა რუსუდანი] დღეს სიამოვნებით ეწეოდა მომვლელი დედაკაცის მძიმე უღელსა (ნ. ლომ.) – ქეგლი. შდრ. **II. ნებიერი.**

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნებიერი** 1. (იმერ.) «უშობელი» (ვ. ბერ.). ერთხელ დადიანმა იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, *ნებიერი* უძღვნა (აკაკი). 2. (ლეჩხ.) «დიდი ტანის ხარი ან ძროხა» (მ. ალავ.). 3. (ზ.-რაჭ.) საახალწლოდ დასაკლავი ძლიერ გასუქებული ხარი. 4. (გურ.) უღლის, დაკოდილი ხარი (ს. ჟღ.) – ქეგლი.

ვფიქრობთ, ნებიერი ნაწარმოები სიტყვაა. ნებ-იერი: -იერ < იარ რთული სუფიქსი; ძირი ნებ-; ნები «ხელის სიბრტყე შინაგანი» (საბა), ხელის მტევანი შიგნიდან, ხელის გული (თითებითურთ) – ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ნებ- → ქართ. ნებ-ი, ნებ-ოვ-ან-ი (ჩუხუა 2000-2003).

ნენა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნენა** (გურ.) 1. დედა (შვილი იტყვის თავისი დედაზე ან თავის დედისადმი მიმართვისას). „საცოდავო *ნენავ*, თლათ დაბერდი!“ [უთხრა სოფონამ ბაბალეს!] (ე. ნინომ.). 2. დედის (საალერსო) მიმართვა შვილისადმი. [დედამ] გადმისვა თავზე ხელი: „ვინ მოგიაროს (=მოგივლის), *ნენა*, შენ ჩემსავით, ვინ მოგეფერება!“ (ჭ. ლომთ.) – ქეგლი. „*ნენა*, გიორგი ქვია იმ კაცს“ (გურ. ჯაჯან.). || ნენე გურულად დედა – დ. ჩუბ. || **ნენეი** (აჭარ. ნიჟ.). || **ნენეი** (nene) დიდედა, დედა (ჩვენ. ფუტკ.). || ნანაი [აზერ.] დედა (ინგ. ღამბ.).

მ. ჩუხუას ვარაუდით, ს.-ქართვ. ძირია *ნენა „დედა/ბებია“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ნენა** ნელა (ქიზ. მენთ.). აღდგენილია ს.-ქართვ. *ნ-ელ- „ნელი, ნელება“ > ქართ. ნელ-ი, ნელ- (ჩუხუა 2000-2003).

III. ნენა ენა, სიტყვა ზან. (ჭან. ჩიქ.). 1. გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა *ნენა არქეტიპი; 2. *ნენ-ძირი სიმბოლური ხასიათისა ჩანს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 3. აღდგენილია არქეტიპი *ნენ-ალ (ჩუხუა 2000-2003).

ნერჩ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნერჩი** 1. ქვედა კერძო ZA. ქვეშე კერძი BCD. ფსკერს ქვეშეთი E. See also: ფსკერი – საბა. || (ქვ.-იმერ. აჭარ.) რაიმე ჭურჭლის ძირი, ფსკერი (გარედან). ნავის *ნერჩი* («შინამრეწვ.»). გიდლის *ნერჩი* («შინამრეწვ.»). *ნერჩის* დაქსელვა კალათისათვის («შინამრეწვ.»). 2. (შ.-იმერ.) ჭერი. 3. (ლეჩხ.) «ხის ნედლი შტოებით მოფენილი საბძლის ჭერი, რომ მის ქვეშ საკვები არ წახდეს» (მ. ალავ.) – ქეგლი. „მერაბი გლეხებმა ჭურის *ნერჩამდე* ჩაღწეულ თხრილში ჩასვეს" (ფ. ხალ.); „გამშენელე ცოტა ცეცხლი, ხრაკის სული მცემს, მე მგონია, *ნერჩზე* დეიკრო!" (აჭარ. ნიჟ.). „გუგუმში ბეთმეზი *ნერჩში* ჩესულა" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. მერჩი (ზ.-იმერ. ძოწ.; იმერ. გაჩ.). **ნერჩი** საძირკველი, ფუძე ზან. (მეგრ. ფიფ.).

ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ ნერჩი თავისი რჩ- ძირით ქართ. სა-რჩ-ული და მეგრ. რჩ-აფა „რეცა, გება, შლა" სიტყვებს მოგვაგონებს და მათი შეპირისპირებით ნერჩში შეიძლება გამოიყოს ნე-პრეფიქსი (თოფურია 1979: 67). მ. ჩუხუა: ს.-ქართვ. *მე-ჩ- ჭერი, სახურავი, სხვენი" > ქართ. მენჩი || მერჩი < *მეჩ-ი: სვან. ლეშგ || ლეშქ < ლეჩქ < *მეჩქ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ნერჩი** სანერჩე სათესლეთ მიჩნეული მხალი, ხელმეორეთ გადანერგილი შემდეგ წლისათვის თესლის გამოსაღებად – ვ. ბერ. შდრ. მვ. ქართ. მორჩი || ნორჩი „რტო, ყლორტი". „მოიღოს მორჩი (ნორჩი I) და გამოსცეს ნაყოფი" (O, ეზეკ. 17, 8) – ილ. აბულ.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ნერჩი** „ახალდაბადებული ბავშვის დასაღოცავად ლხინის გამართვა" (გურ. ჭყ.). **ნერჩი პატენი** ფუძის ანგელოზი; **ნერჩიშ გითოხვამა** ფუძის გამოლოცვა; **ნერჩიშ მარდი** ფუძის ღვთაების მადლი; **ნერჩიშ ოხვამერი** ფუძის სალოცავი ზან. (მეგრ. ქობ.).

ივ. ჯავახიშვილმა ვერძის მნიშვნელობით ქართულში ივარაუდა ნერძი, მეგრულ-ჭანურში კი ნერჯი, ნერინჯი... თუ ნერინჯი ან ნერჯი არ ჩანს, სამაგიეროდ დედამიწისა და ადგილის დედის ღვთაების სახელი ნერჩია დაცული, რომელიც შესაძლებელია ჯ-ს ქართულში ჩ-დ ხშირი შენაცვლების წყალობით სწორედ ნერჯისაგან იყოს წარმომდგარი (ჯავახიშვილი 1992: 205). იხ. აგრეთვე: სურგულაძე 1986: 115; აბაკელია 1997: 8-9.

ნეშტ-ი:

მვ., საშ., ახ. ქართ. **I. ნეშტი** 1. «დაშთომილი», «ნამეტნავი», ნაშთი, დანარჩომი: „ჰრქუა... ძეთა მათ *ნეშტთა* მისთა" O, – „თქუა... ძეთა მისთა დაშთომილთაჲსა" (G, ლევიტ, 10, 12); „*ნეშტისაგან* მათისა შემოწირეს" C, – „ნამეტნავისაგან მათისა შემოწირეს" (DE, მრ. 12, 44); „აიღეს *ნეშტი* ნამუსრევისაჲ" (მთ. 14, 20) – ილ. აბულ. მის ხუვილის *ნეშტსა* ვიპყრობ ვითა კალამსა (ბეს. 188, 12). უთვალავი ფარნებისაგან ისე განათებულია ქალაქი, რომ ქუჩაზე *ნეშტი* დაინახება (აკაკი). 2. ჭ. (შატ.) ნ. ნიში. ნეშტი (ჭ. შატ.) „ხატის" ნაწილი სადმე" (ა. შან.). *ნეშტნი* თურქნი შეივლტოდნენ (ქ. ცხ. IV, 250, 28). 3. წიგნ. გვამი, ცხედარი – ქეგლი.

არნ. ჩიქობავა: ნე-შტ-ი შდრ. ახ. ქართ. ნა-შთ-ი = ნარჩენი (ჩიქობავა 1942: 216). ნე-შტი როგორც გამოირკვა, შედგება ნე-პრეფიქსისა და შედისაგან: *ნე-შედი > *ნეშდი > ნეშტი (თოფურია 1979: 165). სიტყვის სემანტიკის ცვლილება ვლინდება იმაში, რომ თანამედროვე ქართულში იგი საერთოდ ნაშთის (ნარჩენის) აღმნიშვნელი სიტყვა კი აღარაა, არამედ კონკრეტულად ადამიანის ნარჩენს, ნაშთს აღნიშნავს (ანუ იმას რაც რჩება სულისა და სხეულის გაყრის შემდეგ) (კაკიტაძე 2005: 132).

დიალექტ. II. **ნეშტი** ნესტი, ცოტად სველი (თუშ. შან.). || ნესტი. ფარან არა გვაქვის, დაინეშტა თამაქო (ს. წიფრანი) (ფშ. გოგატ.).

სისველის აღმნიშვნელი სიტყვა ნესტი ბერძნული მითოლოგიიდან უნდა იღებდეს სათავეს, სადაც ნესტის წყლის ღმერთის სახელია (ჭუმბურიძე 1987: 72).

ნიკორა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნიკორა** 1. ძროხათათვის: შუბლზედ თეთრი ნიშანი – დ. ჩუბ. || პატარა თეთრი ნიშანი მსხვილფეხა საქონლის (ან, საერთოდ, ცხოველის) შუბლზე. [დათვი] კარგა ახლოს რომ მოვიდა, ნიშანი შიგ *ნიკორა* შუბლში მივეც და მოვუსვი ფეხს ხელი (ვაჟა). 2. მსხვილფეხა საქონელი, რომელსაც შუბლზე ასეთი ნიშანი აქვს (ხშირად იხმარება საქონლის – კამეჩის, ხარის... საკუთარ სახელად). ნიშა და ნიკორა. – შავი კამეჩი დამდგარა, *ნიკორა* იქნევს ყურებსა (ხალხ.). კამეჩი მყვანდა *ნიკორა*, ვაქებდი, არა იყო-რა (ხალხ.). ბღაოდა ხარი *ნიკორა* (გ. ლეონ.). *ნიკორა* ფური («შინამრეწვ.»). || საერთოდ, საქონელი ან ცხოველი. «გავიხედე, ზეზვა მოვალის თავის *ნიკორა* ცხენითა» („დიალ.“) – ქეგლი. აგრეთვე ნიკორი, ნიკორა (ხევს. ჭინჭ.). ნიკვერა, ნიკვრია (მთ. კაიშ.). შდრ. გადატ. **ნიკორის დადება** სახელის გატეხა, შერცხვენა (ნიკორი, ჩვეულებრივ, საქონლის შუბლზე გამოსახული თანდაყოლილი ნიშანია. ასევე, შეჯიბრებითი ხასიათის თამაშის დროს მოწინააღმდეგები წაგების შემთხვევაში ერთმანეთს მურით გათხუპნიან – ნიკორს დაადებენ (აჭარ. ნოღ.). 3. **ნიკორა ლობიო** ლობიოს ჯიში ერთგვარი. *ნიკორა* ლობიოს ნიშანი აქვს, სარის ლობიოა (ქორ.). *ნიკორა* ლობიო დასამტვრევათ, ნედლად მოსახარშათ კარგია, ამოზელილი არ ვარგა (ტყვ.). აგრეთვე კარ., თამ., ბეგ. (ქართლ. ლექსიკ.).

შენიშნულია, რომ "კუერან უნდა ნიშნავდეს „კვერიანს“ (შდრ. ნიკორა მსხვილფეხა საქონელი, რომელსაც შუბლზე თეთრი ხალი აქვს) (ქერქაძე 1974: 83). იხ. აგრეთვე (ერთელიშვილი 1980: 153).

დიალექტ. II. **ნიკორა** (< **ნეკ-ურა**) ნეკი. თუ *ნიკორა* თითს [დააკლა ნაჭრევმა], ერთ ბროხარ-ას (ბ. გაბ. 142, 19). აარჩევენ წვრილს წკეპლას, *ნიკორა* თითის სისქოებს («შინამრეწვ.» 169). *ნიკორა* თითზე – ერთ საკლავ, ერთ ბროხა, ესრევ ერთ ქინთ არაყ (გ. დოლ. 64, 8). **ნიკორაის-გვერდა** თითი არათითი. *ნიკორაის* -გვერდა თით რო გაჭმების, – ერთ საკლავ და სამ ბროხა, ისრივ ერთ ქინთ არაყ (გ. დოლ. 64, 6) – ალ. ჭინჭ.

ნიკრის-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ნიკრისი** ავი ქარი – საბა. || podagra: *„ნიკრისისა* სენსა შთავარდა“ (ი.-ე. 24, 25) – ილ. აბულ. თუალის ტკივილსსა და *ნიკრისს* ვერ გაჰყოფდა (ქილ. 476, 12). მისი წამალი გრილისა *ნიკრისის* სწორი არის (ქანან. 382, 9). ◊ **ნიკრისის ქარები** სახსრებისა და ქსოვილების ქრონიკული დაავადება, „ავი ქარი“ (საბა). [ბერებს] არც კი ერცხვინებთ, სხვამ რომ გაუგოთ, რომ *ნიკრისის ქარებით* არიან დაავადებულნი (თ. სახოკ. თარგმ.). || **ნეკრესი** ◊ **ნეკრესის ქარები** – ქეგლი. || მიკრისი მუხლების ტკივილსა და *მიკრისსა* ორსავე შიაქს (იად. 114, 20).

სიტყვა ნასესხებია. არაბ.-სპარს. niqris > ქართ. „ნეკრესის ქარი, პადაგრა“ (წერეთელი 1992: 91).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნიკრისი** (იმერ. რაჭ.) „პატარა, გამხდარი ნიკაპი“ (ვ. ბერ.) – ქეგლი. შდრ. ნიყბერი «წუერი»; ნიკაპი: „იქმნეს მის შორის ნიში კეთროვნებისაჲ თავსა შინა ანუ ნიყბერსა“ G, – „იყოს შედებაჲ კეთროვნებისაჲ თავსა გინა წუერსა“ (M, ლევიტ 13, 29); „ღაწუნი და ენაჲ და ქმნულებაჲ იგი, რომლითა იძრვის ნიყბერი მოფოლხუებითა და მოჭირეებითა“ (გრ. ნოს.-კაც. აგებ. 159, 8) – ილ. აბულ.

ნიჟ-ი:

დიალექტ. **I. ნიჟრ** ჟინი. სანამდე თავის *ნიჟს* არ მიცკლავს არ დიცსვენებს! „ვერ მიცკალი *ნიჟ*“ (თუშ. ხუბ.). **ამოინიჟებს** აიხირებს, ამოიჩემებს. *ამაინიჟებს* ერთ რასმე გიჟივითა და სუ ის უნდა, რო ჭამოჲ (წილკ.). **ამონიჟება**: ზოგმა საჭმლიჲ *ამონიჟება* იციჲ (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). **მიუნიჟებს** დაჟინებით, რამდენჯერმე გაუმეორებს (სათქმელს...). ერთხელ ეტყვის, ორჯელ, აღარ ამოასუნთქვეფს, აღარ დააცლის, გულს გაუწყალებს; *მიუნიჟაო*, იტყვიან (კავთ.). *მიუნიჟა*, ქა, ი გოგომა; რა აყვირებს?(კავთ.). **მინიჟება**: რო ერთს დაუმახეფს ადამიანსა ვინმე, მერე მიაყრის და მიაყრის, ზედიზედ დაუმახეფს, *მინიჟება* იქნება (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). **დანიჟება** დაჟინება. რო *დაინიჟებ*, არ იტყვი, გაკეთდება თუ არა? ამ ოჯერმა წვიმამ *დაინიჟა* და აღარ გადაიღო (ქიზ. მენთ.). აგრეთვე: თუშ. ცოც.. ხევს. ჭინჭ. შდრ. ჟინი (ინად E.; [ჯინ] E.) მოუშლელი წადილის ქნა; დაჟინება ერთის რასმე დაკვირება (საბა). თუშ. ნიჟი ← ჟინი; განიჟება ← გაჟინება (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნიჟი** ცვარის უმცირესი ნაწილი – საბა. გაინიჟებს განუწყვეტლივ იწვიმებს. თუ *გაინიჟებდა*, გაიჟლენთავდა ძნა წვიმასა, გაღივდებოდა, იმას ცალკე დავდებდით, ცალკე გავლეწამდით (საგურ. ქართლ. ლექსიკ.). **ნიჟი** || **ნიჟოლი** ძალიან წვრილი წვიმის წვეთი, ცვარი. ააქ ნიჟავდისა კი, *ნიჟს* კი ისრევდის, სხვად ავდარ არ ყოფილ (ხევს. ჭინჭ.).

ნირ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნირი** 1. წესი, რიგი, გეზი, მსვლელობა. თქვა [სოსიკამ]: ჩემ ვაჟს განათლება უნდა მივცეო და შეასრულა, არაფერი დააკლო, ყოველი *ნირი* შეუსრულა, ფეხდაფეხ მისდევდა (ვ. ბარნ.). «ქეიფის *ნირი* გააფუჭეს თაგვებმა» (ვაჟა). 2. ზნე, ჩვევა, ხასიათი. მეც ხომ მას ვგევარ გაფითრებული! მოკვდა, წავიდა ჯანი და *ნირი* (ი. ევდ). რუსუდანი სხვა ქალია, სხვა ზრდილობისა და *ნირისა* (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || თვისება, ხასიათი. რაც *ნირის* საქონელ, როცა ვერ იცის კაცმ, ძნელ, ვერ გადასწყვეტს". **ნირზე დაბადება** დეკეულის დროული ხბოიანობა. ე. ი. მესამე წელს რომ მოიგებს. ნირზე რო დაღბადოს, ორ წლისა უნდ ეჯაროსა-დ მესამეს გაჭრინოს. აქვენირს გადასვლაი, ნირობა ღამეი, ნირის კოტორი. || ოთხი იანვრის საღამო. ამ საღამოსათვის ლუდიან კოდს დალოცავენ, მიცვალებულთა მოსახსენებელ სუფრას გაშლიან. აქვე: *ნირს* გადასვლაი (თუშ. ცოც.).

საშ., ახ. ქართ. **II. ნირი** ძვ. «სავაჭრო ფასთ გარდაკვეთა» (საბა). იხ. I. ნიხრი.

ნიხ-ი:

დიალექტ. **I. ნიხრ** შვრიის ფქვილისაგან გაკეთებული გამაგრილებელი სასმელია. ფაფასავით მოხარშავდეს შვრივაცს, მემრ იმას გაცყენებდეს (გაქნიდნენ) წყლით, რო შეხვრეტად (შესახვრეპად) კარგაც ყოფილიყვ, ასაყუოს (საფუებელს) უზმოდეს, ერთ-ორ პეშვ ფორს დაცყრიდესა-დ გადაცკრევდეს თბილად, რო აფუებულიყვ. ქეიფ ხქონდ, *ნიხს* ემახოდეს (თუშ. ცოც., მაკალ.).

დიალექტ. **II. ნიხი** სახურავის კუთხე. *ნიხის* მარწუხები გაიწყობა 4 ცალი. ნიხის ყავარი. სახურავის კუთხეებში რომ ყავარია იმას ვემახით *ნიხის* ყავარს (რაჭ. კობახ.). || ნიხა (რაჭ., ლეჩხ., ბერ.).

ნიხრ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნიხრი, ნირი, ნიხრის წუსხა** გარდაკვეთილი ფასი სავაჭროზედ – დ. ჩუბ. **ნიხრი** ჩვეულებრივ ხელისუფლების ორგანოების მიერ საქონელზე დაწესებული ფასები, გადასახადისა, თუ სხვა საზღაურის ნორმები, – ტარიფი, განაკვეთი. «თავადი მზადაა გადაგიხადოს დღესვე, თავნი ულაპარაკოდ, სარგებელი კი ბანკის *ნიხრით*» (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ნიხრ- „დაწესებული ფასი" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ნიხრი** ძალიან ბებერი საქონელი. „მაგის ფურს ვინაღ იყიდის, *ნიხრი*, კბილის კაკოლ არ ებადების" (ხევს. თავისებ. 234, 3, 4). დანიხრდების ძალიან დაბერდება (საქონელი) (ხევს. ჭინჭ.).

ხომ არ უკავშირდება ნიხრი ნახირს? შდრ. ნახირი, მროწეული, (+ ზროხის ჯოგი Z) – საბა. ნახირი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი,

გროვა – ქეგლი. „ზუაობენ... ნახირებსა ზედა ოთხფერჯთასა“ (A-92, 324) – ილ. აბულ. ნახირი წარმოშობით თურქული სიტყვაა და ნიშნავს „საქონლის ჯოგს, ცხვრის ფარას (ქერქაძე 1974: 146).

ნოზ-ი:

საშ., ქართ. **I. ნობი** || **ნობა** დაფი.მეფე მინდორს ეკაზმოდა, მოემზადა დაბდაბ-*ნობი* (ვეფხ. 720, 4). იკრეს *ნობსა* და დაბდაბსა (ვეფხ. 1414, 4). წავიდენ მისაგებავად, იკრეს ბუკსა და *ნობასა* (შჱნ. III, 196, 1). ჰკადრა: მიბოძე ლაშკარი, ვიკრა ბუკსა და *ნობასა* (შჱნ. III, 860, 3). **ნობი** დაფი, დაფდაფი, დასარტყმელი საკრავი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ნობი** პირუტყვისათვის დასალევი კოდი წყაროზე (ლეჩხ. ალავ.). სამეგრელოში წბერის ძირს „ნობი“ ეწოდება. ის ამოღრმავებული მსხვილი ცაცხვის ხეა, ორგანყოფილებიანი (ნ. თოფურია) – ლ. ფრ. **ნობი** ამოგულულული და ჩაღრმავებული ხის დაფა. ცომის ჩასაზელი, ან ღვინის ჩასაწური ჭურჭელი ზან. (მეგრ. ქობ.).

ნოლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნოლი** 1. (გურ.) წყლისპირი საყანე მიწა, წყლისგან ახალმიტოვებული; მიწა ახალამწვანებული ბალახით შემკული (ი. ჭყ.). || ნორჩი ბალახი – ქეგლი. „ცხვარ *ნოლს* ირჩევს, მით იწევს მაღლმაღლ“ (თუშ. ცოც.). || გათიბვისას დარჩენილი ბალახი. || დიდი ხნის ყანაზე ამოსული ბალახი: ყანას *ნოლმა* გადაუარა (მთ. კაიშ.). || ნოლი ბალახი მოლი, ახლად წამოზრდილი ქორფა ბალახი (მოხ. ქავთ.). 2. ნოლი მომრგვალო ფორმის სავარგული. „ამ *ნოლში* კაი სავარგული იცის“ (გურ. მალაზ.). აგრეთვე: ფშ. ხორნ., ქიზ. მენთ., მოხ. ქავთ., გ.-კახ. სახლთხ.

ნოლი < მოლი; მ-სა და ნ-ს მონაცვლეობა. *მოლ-არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). იხ. აგრეთვე: ლოლაშვილი 1984: 33, გორდეზიანი 1985: 93- 94.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნოლი** იგივეა, რაც ნული. ნოლი გრადუსი – ქეგლი. **ნოლზე აღება** თმისა თმის ძირში გაკრეჭვა, გადაპარსვა – ქეგლი. „ყოველ ზაფხულ სულ ესე *ნოლზე* იღეფს თმაჲ და იმიტომაა, რო არა ჲცვივა“ (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. ნული და ნოლი[ლათ.nullus არავითარი]– მ. ჭაბ.

ნორდ-ი:

დიალექტ. **I. ნორდი** ხის გადანაჭერზე სწორად ამოსული ლორთქო ღერი (გურ. ჭყ.). || ლორდი, ნორდი მორჩი, ყლორტი (ვ. ბერ). იხ. I. ლორდი.

ახ. ქართ. **II. ნორდი** [nord, noord] 1. ჩრდილოეთი. 2. ჩრდილოეთის ქარი – მ. ჭაბ.

ნოღა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნოღა** საუბ. პატარა და ზევით აწეული (ცხვირი); ასეთ-ცხვირიანი (სახე, ადამიანი), – პაჭო, პაჭუა. დენისოვის *ნოღა* და შავი, ბალნიანი სახე... დღესაც სწორედ ისეთი იყო, როგორც ყოველთვის არის ხოლმე (ი. აგლ. თარგმ.) – ქეგლი; ი. გრიშ. || ნოღო უცხვირო (მესხ. ფეიქრ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ნოღა** (იმერ.) მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი, – სალეკი მდელო. (ქვ.-იმერ.) შავი მიწა (ქეგლი, იმერ. გაჩ., ვ. ბერ., რაჭ. ფრ.). შდრ. ნოღო (რაცხ. გურ.). **ნოღო ტოტი**, მდინარის ტოტი ზან. (მეგრ. ყიფშ.).

აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *ნოღ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ნოღა** (გურ.) 1. ნორჩი, ახალგაზრდა ხე. 2. ტოტებდაჭრილი გრძელი ხე (იხმარება რისამე შესაყენებლად, გასამაგრებლად) – ქეგლი. 3. ჭოკის თუ მორის ხიდი წყალზე (მამ.-ჯუმ. გურ. ჯაჯან.). კავზე მოეწყობა ჭოკები (ახალგაზრდა წაბლის *ნოღები)* (გურ. მრეწ. I, 404). შდრ. ნოყლა ნორჩი, ახალნერგი მცენარე (ფშ. ვაჟა).

დიალექტ. **IV. ნოღა** მსხალი მსხლის ჯიში ერთგვარი. *ნოღა* მსხალი მსხლის ჯიშია, წითელია, მრგვალი (ქემ., ქართლ. ლექსიკ.).

ნუგლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნუგლი** (მთიულ. ერწ.) თივის აღების შემდეგ დარჩენილი ნაფშვენები («დიალ.»). თივის ბურდო («დიალ.») – ქეგლი; (ფშ. ხორნ.). || ბრელო. ლობიო უნდა გავანიაოთ, რომა მარცვალი გამოვარჩიოთ. მარცვალი სუფთათ დაიყრება დედამიწაზედა და დანარჩენსა ნიავი გაიტანს განზედა, ის არი *ნუგლი. ნუგლსა* მოვგვით, შევაგროვებთ და შევინახამთ საზამთროთა, საქონელ შევაჭმევთ ზამთარშია (ლამ., ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. **II. ნუგლი** მურკი, მურკლი – ცომს ნეკის სიმსხოდ დაამრგვალებენ, წვრილად დაჭრიან, ერბოში შეწვამენ და თუთმაჯს დააყრიან სუხარიწს მსგავსად (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ნუღლი (ნუყლი ZAaBCqD, ნუყლ) – საბა. || ძვ. «ნუშის გული დაშაქრული» (დ. ჩუბ., ქეგლი).

ნუნა:

საშ., ახ. ქართ. **I. ნუნა** 1. „ფრჩხილთ გარემო ტყავი (საბა). || ხელისა და ფეხის ფრჩხილები. წინდის ჩხირითა *ნუნასთანა* დასდაღონ (იად. 488, 15). ფჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები *აგატკიესო* (დ. გურამ. 78, 120, 3). ლომი... ძლიერს ჭანგსა უსუსურობის *ნუნათა* შინა დამალვიდა (ქილ. 289, 29). «რაღაც... ორი დღის ქერი... სულ ერთიან ხელით მოვგლიჯეთ; თითის წვერზე ცეცხლი მეკიდება, სულ *ნუნებში* გამომტეხს» (ს. მგალობ.). 2. ღრძილის

გარეთა ნაწილი კბილის ირგვლივ – ქეგლი. || თითს რომ ფრჩხილი და ჩლიქს რქა წასძვრება, *ნუნა*ზე დადგება (ქართლ., კახ. ლეონ.) – ალ. ღლ. || ნონოები საქონლის ჩლიქებშუა ბილი ადგილები (მესხ. ფეიქრ.). || 3. ფუტკრის ნესტარი. ვირ ფუტკარ (დიდრონი, მამალი ფუტკარი) ვერ იკმინევის, *ნუნა* (ნესტარი) არ აქ. წრულ ფუტკრევს, ყოშინს (მუშა ფუტკრებს) აქ ნუნაი, ისენ კმენენ ვირ ფუტკრევს, ჰოცენ; ფუტკარს დაკმენაში *ნუნაი* თუ დაჰჩა, მააკდომელი (მოკვდება) (ინგ. ღამბ.).

კ. ჰ. შმიდტი აღადგენს *ნონი ფორმას, იგი ქართულში ფუძისეულ -უ ხმოვანს ო-საგან მომდინარედ მიიჩნევს, მეგრულს კი ნ-საგან (შმიდტი 1962: 128). აგრეთვე გელენიძე 1974: 14.

დიალექტ. II. ნუნა[ი] სპილენძის მილია (თუშ. მრეწ. III, II, 96). *ნუნაი* არაყის გეჯაში გაყრილი სპილენძის მილი, რომელშიაც ორთქლი არაყად გადაიქცევა. მაგათ არაყ ხო არ შიყსმებ, *ნუნისაყ* გემო აქვ, ცხვა არაყისრ (თუშ. ცოც.). შდრ. ლულა [სპარს.] ცეცხლსასროლი იარაღის მილი, რომელშიც გაივლის განასროლი ტყვია (ყუმბარა...) – ქეგლი.

ო

ობ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ობი** (ბორფოს BCab, ბოფორს CqDE.) ტენიანმა(ნ) ადგილმან, ანუ საჭმელმან ხანიერმა(ნ) თეთრი ბიძგი მოიკიდოს, მას ობს უჭმობენ – საბა. || სოკოს ქსელი (მიცელიუმი), რომელიც მთეთრო, მოყვითალო ან მომწვანო ლაქების სახით უჩნდება კვების პროდუქტებს (ან სხვა საგნებს). ჰაერის ზედმეტი ტენიანობა... ხელს უწყობს *ობის* განვითარებას («მეფრინველ.»). «ნედლი და სველი თივის შეგროვება არ შეიძლება, რადგან ჩახურდება, *ობი* ანუ ოდი ეცემა და გაფუჭდება» («დიალ.») – ქეგლი. ღვინო თუ თავის დროზე არ გადაიღეს, „ქუდს“ ობი მოეკიდება და ღვინოს აფუჭებს (თვალად. შატბ.). აგრეთვე ზ.-გურ. კიწმ. **ობი** ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ. **II. ობი** [იაპ.]სარტყელი, რომელიც კიმონოზე აქვთ ხოლმე შემოჭერილი – მ. ჭაბ.

ობოლა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ობოლა** (ქვ.-იმერ.) „კათხა, დიდი ჭიქა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. აგრეთვე ვ. ბერ. სახელწოდება „ობოლა“ წარმოშობილი უნდა იყოს ღვინის სმის ძველი, თავისებური წესისაგან. სუფრაზე ყოველი სამი კაცის წინ იდგა ვეებერთელა „ობოლა“ კათხა, რომლის გვერდით გრძელტარიანი ერთი „ქვიშინა“ და სამი „კვანჩხურა“ იდო. ამ სასმისთა შორის ეს დიდი ჭურჭელი ისე ჩანდა, როგორც ჭალის ბუჩქნარში „ობლად ამოსული“ მაღალი ხე. მთხრობელთა მტკიცებით, ამიტომ დაერქვაო დიდ კათხას ობოლა. მერიქიფეებს ღვინო დოქებით მოჰქონდათ და „ობოლებს“ ავსებდნენ (რაჭ. ფრ. 200). შდრ. III. ობოლა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ობოლა** კნინ. ფშ. ობოლი (ვაჟა, შან.) „ერთი *ობოლა ბატკანი* მყავ და იმაი შავყურეფ“ (გ.-კახ. სახლთხ.). ობოლი > ობოლა. აფიქსი ა, ძირი ობოლ-.

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღდგენილია 1. *ობოლ-: ქართ. ობოლ; მეგრ. ომბოლ (კლიმოვი 1964). ს.-ქართვ. 2. *ობალ- „ობოლი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **III. ობოლა** წონა (მისხლის მეექვსედი); ფულის ერთეული (ი. იმედ.) – ა. სიხარ. ასეთი ობოლა [ბერძ.] შეადგენდა „დრაქმას, რაც ნიშნავს მუჭას“ („მონეტ.“). შდრ. ობოლი [ბერძ. obolos] ძველი ბერძნული ვერცხლის ფული, დრაქმის ერთი მეექვსედი. ნავის ფსკერიდან ცივ ვარსკვლავებს შესჩერებია ქუდი, გავსილი თეთრი *ობოლებით* (კ. ჭიჭ.) – ქეგლი. **ომბოლა** ფულის ერთეული, სამი თუმანი. ომბოლი ობოლი; ზან. (მეგრ. ქობ.).

ოგ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. ოგი „ესე არს სასანთლეთა, ტაშტთა და სურა(თა), თასთა ქვეშ გასაფენი“ (საბა, ქეგლი).

დიალექტ. II. ოგი დიდი ცეცხლი (თიხის ჭურჭლის, კრამიტის გამოსაწვავი). ქურა რო იწვის და თავდება, ბოლოს *ოგი* უნდა მივცეთ; წვრილად დახეთქილი შეშა უნდა ერთი ოთხი შაკეთება, რო ალმა აწმინდოს (ზ. ხანდ.). ერთი შეუკეთებთ *ოგსა*, იმ კრამიტ გამოიღებთ (მეკვრ., ქართლ.).

დიალექტ. ოგე, ოგი აგერ, აი ის (ინგ. როსტ.)

ოდელა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ოდელა ბალ. – ნ. ჩუბ. || ბოტ. მინდვრის მხალი, დაკბილული ფოთლები აქვს, – წიწმატურა (ზ.- იმერ. ძოწ.). აგრეთვე ქეგლი. იხ. I. ოდელია.

სამ., ახ. ქართ. II. ოდელა. იხ. II. ოდელია.

ოდელია:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ძვ. ოდელია (იმერ., ლეჩხ., გურ.) იგივეა, რაც წიწმატურა. *ოდელია* ბალახი გახლავთ, რომელსაც ქალები მხალად კრეფენ (აკაკი) – ქეგლი. იხ. I. ოდელა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ოდელია: ოდელია, ოდელა-დელა-დელა ზოგი ქართული ხალხური სიმღერის მისამღერი (დასავლეთ საქართველოში). ჩონგურს სიმები გავუბი, მოვმართე ნელა-ნელაო; შევუხმატკბილე ერთმანეთს: *«ოდელა-დელა-დელაო!»* (აკაკი). || გადატ. სიმღერა, რომელსაც ასეთი მისამღერი აქვს. ეს გახლავთ იმერული *«ოდელია»* (აკაკი) – ქეგლი. ოდელია მისამღერი: *ოდელია*. ვოდელია ზან. (მეგრ. ელ.).

საინტერესოა, ოდელია სიტყვის მიმართება ოდოია „ყანის სიმღერა“-სთან. ფიქრობენ, რომ ოდოიაში ისევე, როგორც სამეგრელოს ძველ სახელში ოდიში, შემონახულია კოლხთა ნაყოფიერების ღვთაების ოდის სახელი (ბებია 2003. „ელექტრ.“).

ოინ-ი:

სამ. ქართ. I. ოინი (ოინი და ნოინი CDE) გალობის კილოა ZAB. გალობის კილონი არიან CD. ორივ გალობის კილოა, – „საგალობელი იგი ოინი და ქნარი“ – საბა. || ყოველთა ჭრელთა გვარნი უკვე არიან ოცდაოთხნი კილონი, რომელთაცა სახეები არიან შემდგომნი ესე: 1). ხელმწიფე კილო, 2) ბოხუმი, 3) საჭექენი... 10) ოინი, 11), მცირე *ოინი*... (კალმას. 551, ქვ. 9).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. ოინი (ოსმ.) 1. თვალთმაქცობა. ხელოვნება – დ. ჩუბ. || [თურქ. ოჲუნ] ეშმაკობა, ხრიკი, ფანდი, თვალთმაქცობა. გლეხმა შეიტყო მელას *ოინი* და თქვა: თუ მე იმას კისერი არ მოვტეხე, საქათმეს ამიოხრებსო (ი. გოგებ.). «იცით, რა *ოინები* გამიწევია, სად

გავმძვრალვარ, სად გამოვმძვრალვარ, სად გადამხტარვარ?!» [თქვა კუდამ] (ვაჟა). || ცელქობა, ცუღლუტობა. [ციკანი] ისე გაეშმაკდა, რომ ვინ იცის, რა *ოინებსა* შვრებოდა; სიცილითა გვხოცავდა (ვაჟა). || გადატ. სეირი. რა *ოინი* იქნება, რომ მოახერხოს მალხაზმა და შეარყიოს ეს კაცი (ვ. ბარნ.). 2. ნარდის თამაშის ისეთი დამთავრება, რომლის დროსაც მოგებული ყველა კოჭს გამოსულია, წაგებულს კი მხოლდ დაწყებული აქვს კოჭების გამოყრა – ქეგლი. ოჲნი „მოგვიწყო კაცმა *ოჲნი!*" (თ. ქ.); „დედეი *ოჲნებ* იჯებოდა" (მ., ჩვენ. ფუტკ.).

ოლოლ-ი:

დიალექტ. I. **ოლოლი** თხის ძუძუ (კლარჯ. ლექსიკ).

საშ., ახ. ქართ. II. **ოლოლი** ფრინვ. – საბა. || ალალი (ნ. ჩუბ.). || ზარნაშო. ვენახში ჭოტი იძახის, *ოლოლი* ბანს ეუბნება (ვაჟა). პირის მაგივრად... [ყმაწვილს] *ოლოლის* ნისკარტი ჰქონია (მელან.). ამ დროს... წყეულმა *ოლოლმა* შემომძახა (რ. ერისთ.) – ქეგლი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ს.-ქართვ. *ალალ- „ზარნაშო" > ქართ. ალალი: ზან. ოლოლი (ჩუხუა 2000-2003).

ოლოლო:

ახ. ქართ. I. **ალალი, ოლოლო** ფრინველი (რ. ერისთ.). || (ყურებიანი ბუ), ბუკიოტი. თითო *ოლოლოს* ულუფა 3 თაგვია („ვიკიპ."). იხ. II. ოლოლი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ოლოლო** აგდებისა და ქირდობის ხმა მრავალთაგან. [ბერძ. ἀλαλγή] – ნ. ჩუბ. **ოლოლო!** შორისდ. გამოხატავს ნიშნის მოგებას. ბარაქალამ მაზარალა, *ოლოლომ* ვერა მიყო-რაო (ანდაზა). «*ოლოლო* შენ, ვერ გამოიცან!» (ილია). «*ოლოლო* ჩემო ბრძენო, ერთი ბეწვა ყაირათი რომ არ იცი!» (ი. ეკალ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. **ოლოლოია** ოლოლო, დამცინველთა, გამკილავთა სამსჯავრო ზან. (მეგრ. ქობ.).

ომაინ-ი:

დიალექტ. I. **ომაინი** (მთ.), კაჭკაჭი (ფშ.) კაპორჩხალა, ე. ი. რკინა, რომელიც ჩამჯდარია ფარცხში (ფარცხი ხეა და სულ ძირს, წყალში, ის არის). კაპორჩხალაში წისქვილის ფეხი ტრიალებს (ა. შან.).

საშ., ახ. ქართ. II. **ომაინი** ძვ. ბოლოკარკაზი – ქეგლი. ომაინი სპარსულია, ბოლოკარკაზი – ნ. ჩუბ.

ორ-ი:

საშ. ქართ. I. **ორი** სტომაქის სატკივარი. რა ესე ტკივილი დაემართოს, რომე *ორი* ჰქუიან, შექენ ესე წამალი და მიეც (ფანასკ. 286, 40).

ძვ., საშ., ახ. ქართ. II. **ორი** 1. «სწორი», < «უღლეული»: „იხილნა *ორნი* ძმანი" (მთ. 4, 18); „მიცემად... ორნი გურიტნი ანუ *ორნი* მართუენი ტრე-

დისანი" DE, – „მიცემად... სწორნი გურიტთანი ანუ მართუენი ტრედთანი" (ლ. 2, 24); „მიქცევად... უღლეული კაჰრაულთაჲ (*ორი* კარაული M)" (G, მსჯ. 19, 13) – ილ. აბულ. *ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო* (ანდაზა). პირი ერთი გვაქვს, ხელი-კი – *ორი* (ი. გოგებ.). 2. მცირეოდენი, ცოტა, რამდენიმე, – ორიოდე (ხშირად იხმარება რაღაც განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან ერთად). «*ორი* სიტყვა მაქვს სათქმელი...» – არ იშლიდა მაინც თავისას გაიოზი (ლ. ქიაჩ.). 3. სკოლ. ორიანი. სკოლ. არადამაკმაყოფილებელი ცოდნის აღმნიშვნელი ნიშანი. სულ არ ვიღებ ერთს და *ორებს* (შ. მღვიმ.). 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ერთი-ორი. ორ-ორი. ორად-ორი – ქეგლი.

ორ-ი სიტყვისათვის ს.-ქართვ. არქეტიპი *ᲛᲝᲠ-აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ორანა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ორანა სასოფლოდ დატოვებული საძოვარი (ქიზ. მენთ.). ცხვარი დღისით ორანაში (სასოფლო საძოვარი) დაუდიოდათ, საღამოთი – კი ხამ საძოვარში (კახ. «შინამრეწვ.») – ქეგლი. შდრ. ორანი «სამყოფლო, ჭაჭანება». მხედრებმა შენიშნეს ადამიანის *ორანი* რომ იგრძნო ნადირმა, მხარმარჯვნისაკენ გადაუხვია (კ. გამს.). || ჭაჭანება; მოდგმა (ზ.-გურ. კინმ.). გაქრა შენი *ორანი* (გურ., თ. თავაძე) – ალ. ღლ. ორანი ჭაჭანება, სამყოფელი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II ორანაი ვაზის ჯიშია ერთგვარი (გურ. კ. გვარ., 949) – ალ. ღლ.

ორბ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. ორბი (არწივ E.) (11, 15 ლევიტ. ZAa) რომელი ფრინველი ასაკითა დიდ არიან; ადვილ აღმავალი ჰაერთა სიმაღლესა, ყოველთავე მძორთა მჭამელთა ეწოდების, ხოლო ფსალმუნისა თარგმანი არა ორბისა განახლებასა იტყვის – საბა. ორბი «არწივი», aquila: „მუნცა შეკრბეს ორბები" (მთ. 24, 28); „ვითარცა *ორბმან* რაჲ დაიფარნა ბუდენი თჳსნი" M, – „ვითარცა არწივმან დაიფარნის ბუდენი თჳსნი" G, II, შჯ. 32, 11); „*ორბი* ბოროტად ზრდიან შვილთა თჳსთა" (ბ. კეს. -ექუს. დღ. 116, 24) – ილ. აბულ. || [Gyps] მაღალ მთებზე მცხოვრები დიდი ზომის მტაცებელი ფრინველი ქორისნაირთა ოჯახისა. შეჰკედლებიან მთათ საზღვრებს *ორბნი*, არწივნი ფრთიანნი (ვაჟა). მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი, *ორბი* რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს ბროლი-წყლიანი (რ. ერისთ.) – ქეგლი. ობრი ორბი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ორბ- (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. ორბი მთლიანი ხისგან გამოჭრილი ურმის თვალის შუაში ამობურცული ადგილი (რაჭ. კობახ.). შდრ. I. ორბა.

ორბა:

დიალექტ. **I. ორბა** პატარა ურმის თვალზე დატანებული კუნძი (რაჭ. ვ. ბერ.). იხ. II. ორბი.

დიალექტ. **II. ორბა** ლოგინის კიდე (ლეჩხ. ჩიქ.). ურიბი, ირიბი?

ორემ-ი:

დიალექტ. **I. ორემი** კარტოფილის შესანახი ორმო (იმერ. გაჩ.). შდრ. ორმო მიწაში ამოთხრილი, ამოღრმავებული ადგილი, – ხარო, ღრმული (ქეგლი). **ორმო** ზან. (მეგრ. ელ.).

სიტყვა ნასესხებია, ძვ. ირ. *varman, ძვ. ინდ. varman თავშესაფარი, დაფარული ადგილი. ქართ. ორმო (va > o) ჩვეულებრივია ქართულისათვის (ანდრონიკაშვილი 1966).

დიალექტ. **II. ორემი** მორევი (იმერ. გაჩ.). || მორემი: დიდ მორემში ჩევიდოდი და რაშს გამევიყვანდი (ხიდარი ზ.-იმერ. ძოწ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ორ-ემ – „დამდგარი წყალი, მორევი“ (ჩუხუა 2017).

ორხელ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ორხელი** 1. ორკეცი, ორზომა – დ. ჩუბ. || რასაც ორი ხელი, ორი ტარი აქვს; ორი ხელის მოსაკიდის მქონე მოკლემხრიანი სახვნელი იარაღი. მოდი, ხარს შემოუტივე, *ორხელი* უკეთ მოხნავსა (ხალხ.). 2. მოხრილი დანა, რომელსაც ორივე ბოლოზე ხის ტარი აქვს; ხმარობენ ხის გასასუფთავებლად. «გობის იმ ადგილზე, სადაც შუბი იყო დამაგრებული, რჩება მსხვილი ადგილი. ამ ნაწილს წკეპარით ამოვაგდებთ და *ორხელით* ამოვთლით» («დიალ.»). 3. (იმერ.) აყიროსაგან დამზადებული ჭურჭელი, რომელსაც ორი გრძელი ტარი აქვს; ხმარობენ ქვევრიდან წყლის, თხლის, ღვინის ამოსაღებად – ქეგლი. *ორხელით* ვიღებთ ჭაჭას და ღვინოს (ქვ.-იმერ. IV, III, 173). || ორხელი (ზ.-აჭარ.) ორტარიანი რკინის იარაღი – სახვეწივით, რომლითაც აშალაშინებენ ხის ჭურჭლეულს (გვარდა, კოდი, კოლოფი...). იყენებენ აგრეთვე ხის ქერქის გასაცლელად. „უწინ ხიებს *ორხელით* შეყვერავდენ“ (აჭარ. ნიჟ.).

ორხელი კომპოზიტი < ორი+ხელი. იხ. II. ორი; ხელ-სიტყვისათვის მითითებულია *ჴელ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

დიალექტ. **II. ორხელი** თივის გადასაზიდი (ხევს. მაკალათ) – ა. ღლ. შდრ. ორ-ხალა ორი ერთად გადაბმული ჯოხი მთიდან თივის სათრევად გაკეთებული („გინდ ძნისად“ შატ.) (ხევს. შან., ჭინჭ.).

ორხელი კომპოზიტია: ორი + ხელი: იხ. II. ორი; **ხალა** გრძელი ჯოხი განმარტავს საბა. ს.-ქართვ. *ხალ- (ა) „ჭოკი“; წნელი (გრძელი) (ჩუხუა 2000-2003).

ოფ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ოფი** [Populus nigra] საშუალო ტანის ან მაღალი ხე; ვარჯი გაშლილი აქვს, ქერქი – ნაცრისფერი, ფოთლები – თავწაწვეტილი; იზრდება წყლის პირებზე. ბულბულიც მღეროდა, და მაღალს *ოფზე* ქედანი დაფრინავდა (ბაჩ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ.

სამ. ქართ. II. **ოფი** ძვ. წყლის მრავალძარღვა (საბა) – ქეგლი.

დიალექტ. III. **ოფი, ოფე** (თ. დიალ. oprak?) კარტოფილის, ლობიოს, კიტრისა და მისთ. ჩასათესად გაკეთებული ორმო, – ბუდნა. „საყარტოფე ადგილებში *ოფიებს* დავაკეთებთ და ისე ჩავთესავთ ყართოფას“. ოფე სოფლის უბანიცაა ქვემო აჭარაში, სოფ. კიბეში (აჭარ. ნიჟ.).

ოფა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ოფა** «ცხენის ქაჩაჩის სენი» (საბა). ზადი რომ არსად მქონია, ოთხფეხქვეშ მჭირდა *ოფაო* (ხალხ.). *«ოფა* ცხენის ფეხის ტკივილია» («დიალ.») – ქეგლი. აგრეთვე იმერ. გაჩ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ოფა** (რაჭ. იმერ.) ვირისტერფა – ქეგლი. (იმერ. გაჩ., რაჭ. კობახ.). შდრ. ცხენისოფა || ცხენიოფლა ბალახოვანი მცენარეა, ყვითელი ყვავილები და წვენი აქვს. მეჭეჭების მოსაცილებლად ხმარობენ, – ქრისტესისხლა (რაჭ. კობახ.). იხ. II. ოფი.

ოფო:

სამ. ქართ. I. **ოფო** ცხენთ ქაჩაჩის სენი – დ. ჩუბ. იხ. I. ოფა.

სამ. ქართ., დიალექტ. II. **ოფო** მცირე საგუბარი წყალთა – საბა. || **ოფე** მიწაში ამოთხრილი ბუდობი; „ოფე ძალიან ღმა არნა იყოს“ (ბახ); „ოფუებ ამოვჰთხრით“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. III. ოფი, ოფე.

ოფოფა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ოფოფა** [Scandix] ერთწლოვანი ბალახი ქოლგოსანთა ოჯახისა; აქვს თეთრი ყვავილები და ზევით ამართული, გრძელნისკარტა ნაყოფი; გავრცელებულია ყანებში – ქეგლი.

დიალექტ. II. **ოფოფა** წიფლის ნაყოფი, – წიწიბო (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. III. **ოფოფა** ოფოფი. წეროთაც გადაიარეს, მერცხალიც მოფრენილაო; *ოფოფა* სავარცხლიანი იმათ მოუძღვა წინაო (ვაჟა) – ქეგლი. || ოფოფი: [Upupa] ფრთენი მათნი ვითარცა ოფოფისანი (ზაქ. 5, 9) – კ. დან. || [Upupa epops] ფრინველი, რომელსაც აქვს ჭრელი ბუმბული, მარაოს მსგავსი ქოჩორი და მოხრილი ნისკარტი. ოფოფი ცხოვრობს გარეთ მინდორსა და ტყეში (ი. გოგებ.). მოფრინდა გვრიტი, შოშია, ოფოფი სავარცხლიანი (შ. მღვიმ.) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ოფოფი (მეგრ. ოფოფი, ჭან. ოფამფე, სვან. ოფოფა) ლექსემაზე მიუთითებენ, რომ იგი შესაძლოა, ქართველურ

ენებში შეთვისებული იყოს (ჩიქობავა 1938) და უკავშირდებოდეს [სომხ.] ჰოპოპ, ლათ. უპუპა სიტყვებს, რომლებიც ინდო-ევროპულ *ეპოპ || უპოპ- სიტყვებიდან მომდინარეობენ (კლიმოვი 1964: 151). მიუხედავად ასეთი დამთხვევისა, შესაძლოა, არც ეს ფუძე იყოს შესული ქართველურ ენებში, შდრ. მაგ. ხუნძური ეფეფ „ოფოფი" (აგრეთვე ჰუდჰუდ). ასე რომ, არაა გამორიცხული „ოფოფის" აღმნიშვნელი ფუძეები დამოუკიდებელი იყოს და არა ნასესხები (მითაგვარია 2013: 152).

ოქოქა:

დიალექტ. I. ოქოქა-ი პატარა ქოხი, კარავი, სადგომი (გურ. ღლ.).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. ოქოქა (ჩუთ ZAaB, ჩუთი E.) აჩაჩა, უღლის ჯარის საკნველი – საბა. „*ოქოქა* [არის] ხის გუთანი ცალგოგორიანი და ცალსახელურიანი" («დიალ.») – ქეგლი. || მთის გუთანი ერთგვარი. ფერდობ ადგილსა ხნამენ *ოქოქათი*, ერთი ხრიდან იხვნის ორთავ ხარეზედა, სახნისი აქ და ფთა არა აქ, მთაში ჰქონდათ ესეთი გუთნები (ერთაწმ., ქართლ. მესხ.). ოქოქა ერთგვარი გუთანი, გუთნის საკვეთელი, ხელნა ზან. (მეგრ. ქობ.).

ლ. კელაურაძე აღადგენს *ქაქ- ძირს და ვარაუდობს, რომ ოქოქა უძველესი ზანიზმია და თავდაპირველად, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, „საქექს" აღნიშნავდა. ზანური ქოქ- ძირის ზუსტი შესატყვისი ქაქ- დაცულია ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში (კელაურაძე 2107: 28). შდრ. აქაქვა აშლა, ცოტაოდნად ათხრა (ქიზ. მენთ.). რასა მქაქავ ემანდ, ბიჭო? (ქიზ. მენთ.).

ოყარო:

დიალექტ. I. ოყარო ყანჩა (რაჭ. კობახ.). || ოყარი (ოხარ ZAaBCDE.) (ფრინ.) ყანჩი – საბა. აგრეთვე: იმერ., გაჩ., ლეჩხ. ალავ., ქეგლი.

დიალექტ. II. ოყარო გაუმაძღარი. დიდი *ოყარო* იყო (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ამოყორვა სახელი ამოყორავს, ამოიყორება ზმნათა მოქმედებისა. ◊ მუცლის (კუჭის) ამოყორვა უპატივც. საჭმლით მუცლის ამოვსება. სასმელ-საჭმელი არავის შერგებია, ამისთანა დაძაბულობაში, აბა, რა დროს კუჭის ამოყორვაზე ფიქრია (რ. ჯაფ.). არ იქნა მისი მუცლის ამოყორვა (გ. ვარდ.) – ქეგლი. შდრ. ამოროყვა დიდი ქვებით ორმოს ამოვსება (ლეჩხ. ჩიქ.). აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *როყ- „ამოვსება" (ჩუხუა 2017).

ოშოშა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ოშოშა [Glechoma hederacea] ბალახი ტუჩოსანთა ოჯახისა; აქვს გრძელი მხოხავი ღერო, მოპირისპირედ განლაგებული თირკმლისებრი ფოთლები და მოწითალო ყვავილები; ყვავილობს ადრე გაზაფხულზე; ხალხში ხმარობენ სამკურნალოდ. «*ოშოშა* ბალახია, რო-

მელიც იხმარება მოსუნთქულის წინააღმდეგ» («დიალ.»). «ოშოშა სუროს მაგვარი მცენარეა, მოხარშულ ამ ბალახს ხმარობენ წელის ტკივილის დროს წამლად» («დიალ.») – ქეგლი. *ოშოშა* ბალახია, ქარების წამლათ ხმარობენ (პერევი). *ოშოშას* იის მსგავსი პატარა ფოთლები აქ, იხმარება სიმსივნის წინააღმდეგ (უჩამეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ოშოში კხ. ოშოშო; იმერ. ოშოშუა; ლეჩხ. ვოშოშე; გურ. ოშმეშა (ალ. მაყ.). **ოშოშია** ასფურცელა. ტუჩოსანთა ოჯახის ბალახი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ოშოშა** მკბენარი მწერი (რაჭ. ძიძიგ.). შდრ. ოშოშია (ზ.-რაჭ.) ფუტკარზე უფრო დიდი მწერი, რომელიც ბალახის ძირებში ან უშუალოდ მიწაში აკეთებს თაფლს; არ იკბინება («დიალ.») – ქეგლი.

ოჩხ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ოჩხი** თევზთ საბუნაგო ადგილი ნაშენები – საბა, ნ. ჩუბ. საფიჩხულე და საოჩხე როგორც ჰქონოდეს, ისიც მიაბარე (სამ. III, 755, 1). მეწისქვილე ნიორთავასთან მივდიოდით *ოჩხის* ამოსაღებად (კ. გამს.) – ქეგლი. *ოჩხი* რა არის?! აი, რა: ნოემბერში, სანამ სიცივეები დაიწყებოდეს, მდინარის პირას ამოსთხრიან დაახლოებით მუხლამდე ორმოს, თანაც ისე, წყალი შედიოდეს ცოტა. ჩააწყობენ ორმოში ქვებს, დაანაწილებენ ერთმანეთში გამავალი ოთახებივით. გადაახურავენ ზემოდან ბრტყელ ქვებს, იმ ბრტყელ ქვებს წააყრიან ხრეშს, გაასწორებენ რიყესთან, ადვილი შესამჩნევი რომ არ იყოს, დაუტოვებენ მდინარის მხრიდან პატარა შესასვლელს და სულ ესაა, *ოჩხი* მზად არის. ყინვების დაწყებისას თევზი მომყუდროებულ და თბილ ადგილებს ეძებს. ოჩხზე მომყუდროებულ და თბილ ადგილს რაღას ნახავს! (რ. ინან. ასულ.132, 17). იქვე უნდა გაუკეთოთ სიპი ქვის *ოჩხი,* წყალი რომ შეგუბდეს (ზ.-ქართ. მრეწ. IV, III, 195; ქიზ. მენთ.).

ქ. მირიანაშვილი ოჩხ-ს უკავშირებს მეგრულ-ჭანურ ჩხომს. მის აზრით ოჩხი „სათევზე“ (მირიანაშვილი 1981: 50). პ. ცხადაიას აზრით „ოჩხე-ოჩხი უნდა დაუკავშირდეს ქართულსა და ზანურში დაცულ ჩიხ-, ჩეხ- ფუძეს, რომელიც ზოგადად შემორაგულ დასამწყვდევ ადგილს გამოხატავს“ (ცხადაია 1995: 107). იხ. აგრეთვე: თანდილავა 1976: 71, მ. ბერიძე 2005: 21.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ოჩხი** ოჩხარი. თუ მეცხვარე დაზარალდებოდა ან მტრით ან ჭირით, *ოჩხს* დაშვრებოდა, დაჰპატიჟებდა, რომელიც ბინისთავი ხალხი იყო. ისინი აჩუქებდნენ თითო-ოროლა ცხვარს. ამით ღვინოს იყიდდა. ერთი კაცი აჰყვებოდა, ბინა-ბინა ივლიდა და თითო-ოროლა ცხვარს აჩუქებდნენ. ისევ შეაყენებდა [ცხვარს] («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ., ოჩხრ თუშ. ცოც. აგრეთვე **ოჩხარი** ხელმოკლე (ჩვეულებრივ, რაიმე უბედური შემთხვევის გამო დაზარალებული) კაცის მიერ

გამართული წვეულება, რომლის დროსაც სტუმრები მასპინძელს შეძლებისდაგვარად აძლევდნენ შესაწირავს. შენ ოჩხარში ფულად იყო კამეჩების თავრიელი (ხალხ.) – ქეგლი. **ოჩხარი** ნადის სახეობა, რომელიც საკუთრივ ნადისაგან განსხვავებით, სანაცვლო დახმარების ან გამასპინძლებისაგან ათავისუფლებს მიშველებულს (იგივეა, რაც სამარდო) ზან. (მეგრ. ქობ.).

ოჩხარ-ი / ო-ჩხ-ი „შესაწევარი“ სემანტემა ეტიმოლოგიით სასიცოცხლოს ნიშნავს. აღდგენილია ს.-ქართვ. *ს-ო-ცხ-ალ- „ცოცხალი“ → ქართ. ცოცხ-ალ-ი : ზან. [ოჩხ-არ-ი] ←შოჩხ-არ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ოჭ-ი:

დიალექტ. **I. ოჭი** კევი, ფიჭვის წებო (თუშ. უთურგ.). წინავ დულუკაცებში *ოჭ* ჩავატანიდით, წვერ *ოჭზე* დუცდვიდით, მემრ ძახას (დაძახვისას) რო გამოატანიდით (გამოჩნდებოდა), მეტაც გაგვიხარდის (თუშ. ცოც.). ოჭი თ., შოჭი მთ (?) (< სოჭი) კევი; *„ოჭს* ყღვლემს“ თ. კევს ღეჭავს (თუშ. შან.).

დიალექტ. **II. ოჭი** იგივეა, რაც ბობოჩიკი, – მარხილის ნაწილი ორ მტკავლამდე სიგრძის სამი თითის სიბრტყისა და ორი თითის სიგრძის ხეები (თუშ. ცოც.).

პ

პალამ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. პალამი** მბ. «მძლავრი და დიდი ასპიტი» (საბა, ქეგლი). *პალამნი* პავასაკითა პარპანჯობდიან პარითა (ვახტ. VI, 64, 38).

დიალექტ. **II. პალამი**: **პალამი თოული** დიდი თოვლი. „ოზდაოთხში *პალამი* თოული მევიდა იმხელა, რომ მეზობლებს ერთმანეთში მისვლა-მოსვლიზა ხვრელები გაქვყავდა თოულში“ (საჩ. შარამ.).

პანა:

დიალექტ. **I. პანა** ქონი. პანები ფრინველის გვერდების ქონი, ნაფერდალი. ისეთი მსუქანი დედალი იყო, ხელის სისქე *პანემი* ჰქონადა (მეგ.). აგრეთვე ბრ., რუისი, ხაშ. (ქართლ. ლექსიკ.).

საშ. ქართ. **II. პანა** ელ(ლ)ენთ (ელინთ D) ღ´თი – საბა.

ახ. ქართ. **III. პანა** [პოლ. panna] პოლონელი ქალიშვილი – მ. ჭაბ.

პარია:

ახ. ქართ. **I. პარია** 1. ვინც ხშირად იპარავს რასმე, – პარვას, ქურდობას მიჩვეული. *პარიამ* მოიპარა, ვეღარ დამალაო (ანდაზა). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ცხენიპარია. ყველი პარია თხაპარია – ქეგლი.

პარია: -ია სასუბიექტო მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი; პარ- ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *პარ- „(გა)პარვა, მალვა“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. პარია** [თამილ. paraiyan-იდან] 1. ინდოეთში – ერთ-ერთი უდაბლესი კასტის ადამიანი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ უფლებას. მეფეებს და *პარიებს*, ბრამანებს და ხელოსნებს [მიმართავდა ბუდა] (გ. ქიქ.). 2. გადატ. უუფლებო, დაჩაგრული ადამიანი – ქეგლი.

დიალექტ. **III. პარია**: **ცრუპარია** იგივეა, რაც ცრუფარიანა. მავნებელი მწერი. *ცრუპარია* ვენახის ავადმყოფობაა, ტკოფა-ტკოფაა შავი ფოთოლი, შავებია მიყრილი, დატკოფილია *ცრუპარიათი*. || ცრუფარიანა, ცუფარიანი, სუფარიანი, სულფარიანა (ზოვრეთი, ზ.-იმერ. ძოწ).

ვვარაუდობთ, რომ ცრუპარია < ცრუფარიანი < ცრუ + ფარიანი. შდრ. ფარიანა, ფაროსანა ხის ბაღლინჯო – ქეგლი. ფარიანი > პარია.

პარმაღ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. პარმაღი** აივანი, დერეფანი. დაიჭექა თოფმა და გულგანგმირული სიკო უსულოდ დაეცა *პარმაღის* იატაკზე (ე. ნინოშ.). აი, *პარმაღზე* ვწევარ გულაღმა (ი. გრიშ.) – ქეგლი. უკან მოვაშენებდით ახორს და წინ- *პარმაღს* თავის ბირკულებით (გურ. მრეწ. I, 404). ახლა ვიწყეფ *პარმაღებს*. ვსწმენდ *პარმაღის* თავებს... (აჭარ. მრეწ. I, 419). || პარმახი (რაცხ. გურ.). შდრ. პარმახლული [თურქ.] რიკულებიანი მოაჯირი, მესერი. „*პარმახლული* მაავლე მაგასა, პატარები არ გადმოცვინდენ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **პარმაღი** ნალია ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. პარმაღი (თუშ.) ზომის ერთეული: ერთი ხელის დადება. „ჯილღი[ს] ბუდის სიგანე *პარმაღ*-ნახვარი მაგც-და იყოს“ (აჭარ. ნიჟ.). || [თურქ.] თითი. ძვ. თურქ. სიგრძის ერთეული. 3 სმ. „სამი პარმაღი კიდო ყოფილიყო სიგრძეში, თამ ეყოფოდა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „პარმაღ თურქჩაა, „თითი“ გურჯიჯა (მაჩხ., შავშ. ლექსიკ.).

პარპალ-ი:

ახ. ქართ. I. **პარპალი** 1. თვალების ხშირი ხამხამი. [კიკოლიკის] გაიძვერა, თვალების *პარპალით* ლაპარაკი არაფრად მეჭაშნიკა (გ. წერეთ). 2. ალის ნელი რხევა, თრთოლა. მკრთალი ნათელი... *პარპალით* ეცემოდა... [ბიძინას] ვაჟკაცურ სახეს (აკაკი) – ქეგლი.

შდრ. *ფარფალ- „შუქის ციმციმი; ლიცლიცი“ ლაზ. ო-ფარფალ-უ „შუქის ციმციმი“ – მეგრ. ფარფალ-ი „ალის ლიცლიცი“ (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015).

დიალექტ. II. პარპალი პარპაში, ჩქარი სიარული, უსაქმდ ხეტიალი (გურ. ღლ.). შდრ. პარპაში თავის ნებაზე მოქმედება, თვითნებურად, შეუზღუდველად ქცევა, – ფარფაში, თარეში. ესტატემ... მოინდომა ისევ ისე პარპაში, როგორც ბატონყმობის დროს (ს. მგალობ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. პარპალი ტივტივი (გურ. ნიკოლ.).

პარპალა:

დიალექტ. I. პარპალა მცენ. ბირკალუა (გურ. ა. მაყ.).

დიალექტ. II. პარპალაი თხის ეპითეტი. „სულ სამი სული ბოხრიკი და ორი *პარპალაი* თხა ხყოლია მეგემ“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. II. პარპალი.

პასტა:

ახ. ქართ. I. **პასტა** [იტალ. pasta სიტყვა-სიტყვით; ცომი] ცომისებური მასა (იყენებენ მედიცინაში, კოსმეტიკაში, ფერწერაში, კულინარიაში და სხვ.). კბილის საწმენდი პასტა. – ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იპოვეს... ფერადი *პასტისაგან* გაკეთებული წვრილი ნივთები («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. პასტა: პასტა-პასტა დასტა-დასტა; ბევრი; ნაირ-ნაირი. მიხვალ, თორემ *პასტა-პასტით* დაგიწყობს ფულსა! (თამ.). ზიის ჩემი დედამთილი მაგრა და მთხობს, ეს მამიტანე, ის არ მაცვია, ამას არა ვჭამ, გეგონება *პასტა-პასტა* მიწყვია (ტყვ.). პასტა-პასტა ლაპარაკობს, პასტა-პასტებს ისვრის ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობს. *პასტა-პასტა* ლაპარაკობს, ვითომ ბევრი რამე ჭკუა ჩამაიტანა ქალაქიდანა! (მეკვრ.). *პასტა-პასტებს* რო ისვრი, ახლა ჩემ გულში ჩამოიხედე! რო არაფერს არ გეუბნევი, შენ გგონია, არა მწყინს? (კარ.). აგრეთვე არად., ერედ., ქემ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). პასტაკვერა გესლიანი, მწარე (სიტყვა). დაჯდებოდა ჩემი დედამთილი ტახტზე, მოიკეცავდა და იქიდან ისროდა პასტაკვერეფსა (მერ.). ისეთ *პასტაკვერას* გესვრის, რო სუ ჩაგითუთქამს გულმუცელსა! (მერ.); ზ. ხანდ. (ქართლ. ლექსიკ.).

პენტელა:

ახ. ქართ. I. **პენტელა:** **ცრუპენტელა** საუბ. ცრუ, მატყუარა. [ტყვეებს] სცხვენოდათ, რომ ნამდვილმა არსენამ კი არ დაძარცვა ისინი, არამედ აგერ იმ *ცრუპენტელამ* (მ. ჯავახ.) – ქეგლი.

ცრუპენტელა კომპოზიტია ცრუ + პენტელა. პენტელა სიტყვისათვის მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. ძირი *პენტ- „უაზრო მოქმედება" (ჩუხუა 2018: 93).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **პენტელა** 1. მედვრინე; პენტა ბამბათ გადვრინვა (გადრვინვა A) ZAB. ბამბათა და მატყლთ გადვრინვა – საბა. || ხელოსანი მპენტავი ბამბისა, მატყლისა (დ. ჩუბ.). 2. პენტელა დაჩეჩილი მატყლის ერთი შეკვრა (გურ. ღლ.). პენტ-ელა : -ელა რთული სუფიქსი. ძირი პენტ-. შდრ. პენტვა ბამბის, მატყლის... გაფაფუკება. «კმარა ამდენი ჩეჩვა, ახლა *გავპენტოთ* და ქარს გავატანოთ ბაბუას წვერებიო» [თქვა ძიძიშვილმა], ჩამოიღო ლარი, მოიტანა ბამბა და დაუწყო *პენტვა* (აკაკი) – ქეგლი. პენტელა სიტყვისათვის ივარაუდება ს.-ქართვ. *პენტ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

პერ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **პერი** „ადამიანის დუჟი, ქაფი": „რომელნი *პერად* აღმოაფქურევენ თავისა თჯისა სირცხჳლსა" (იუდა 1, 3). აქვე პეროვა დუჟის, ქაფის მოსვლა: „პერო(ვ)ინ და იღრჯენნ კბილთა" (მრ. 9, 18) – ილ. აბულ. ვითარცა ღუარნი *პერად* აღძრულნი (ქ. ცხ. II, 470, 6). პირით *პერსა* ჰყრის, ვითა შმაგი და ჴელია (შაჰნამე III, 255, 1). || თურსიელ წყაროვ, მდინარო, გრილო, მაღალის მთისაო, ჩამთქმელო თეთრი ცხენისა, ზედ კაი ჭაბუკისაო, ზედ *პერად* წამომღებელო ქუდისა, მათრახისაო (ხალხ.). წყალსავ *პერ* მახჯადეო' ვალ იქნებავ (ხევს. თავის. 440, 14). [ღუ-ლელთ] კოდნ უდგან ლუდით სავსენი, სისხლ *პერად* მაუდიოდა (ხევს. პოეზ. 189, 16) – ალ. ჭინჭ. || ნადღვები რძის ქაფი. „კარაქის დღობაჩი *პერი* რო ამოდის, დაწდება, ჭუვით წავა" (მოხ. ქავთ.). || პერული ქაფი. პერული სდიოდა პირსა (მ. ცხ. 195r) – ილ. აბულ. პერულსა ყრიდა პირიდგან (შჰნ. III, 183, 3). || მთვრალსა სპილოსავით პირით პერეული მოსდიოდა და ოფლი ღვარულად ჩამორცხიდა (რუსუდ. 293, 28). || შეზილე თაფლითა პერულ-მოჭდილითა (ფანასკ. 245, 17).

პერ სიტყვისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *პერ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე ქურდიანი 2010: 579.

ახ. ქართ. II. **პერი:** **წყლის პერი** [Lemna sp. div.] ბოტან. წყლის ზედაპირზე თავისუფლად მოტივტივე პატარა მცენარე; სწრაფად მრავლდება და ხშირად მთლიანად ფარავს წყალსატევის ზედაპირს, – ლემნა (ქეგლი).

ახ. ქართ. III. **პერი** [ფრან. pair, ინგ. peer, ლათ. par-იდან ტოლი] ფეოდალების ზედა ფენის წარმომადგენელთა წოდება საფრანგეთსა და ინგლისში; მათგან იქნა შედგენილი პარლამენტის ზედა პალატა (საფრანგეთში ეს წოდება გაუქმდა 1848 წ. რევოლუციის შემდეგ). ირლანდიას... ზედა პალატაში

28 *პერიის* [ადგილი აქვს] (ილია). «პრინცნო, სახემოღრუბლულებო, გულსევდიანნო დიდნო *პერნო*, ... გამხნევდით» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი.

IV. პერი [peri] „ირგვლივ“, „ახლოს“ რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს: ირგვლივ, ახლოს. მაგ., პერიგეა; პერიკარდი. – მ. ჭაბ.

პეწ-ი:

დიალექტ. **I. პეწი** ბუსუსი, ღინღლი. „წიწილას *პეწი* სცუიოდა“ (მოხ. ქავთ.).

პეწი < ბეწვი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ფეწ*უ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. პეწი**, პეწიანი, გამოკანკლული – დ. ჩუბ. || გარეგნული ბრწყინვალება, საამური, კარგი შესახედაობა, ლაზათი. განა დაჰფარავს ჩემს სიმახინჯეს ფარჩის სილბო და *პეწი?* (ვ. ბარნ.). დაიწმინდება საქონელი, გასუქდება, *პეწი* დაედება – ფიქრობდა აკმია (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. აგრეთვე: შ.-კახ. მრეწ. II, II, 34, ქიზ. მენთ. **პეწიანი** პეწის მქონე, – კოხტა, ბრწყინვალე, სასიამოვნო შესახედავი. პეწიანი ქალია ნატო (მიხ. მრევლ.). [ჩიტის] ყვითელი, *პეწიანი* ბუმბულით შემოსილი სხეული ერთ ლუკმადაც არ გაუხდება... ქორსაც-კი (ს. მგალობ.) – ქეგლი. || პეწენიკი, პერწენიკი კოხტა, კეკელა, კოპწია (ქიზ. მენთ.). || პოწკოლიკი (რაჭ. კობახ.). || პიწკინა 1. ადამიანის მეტსახელი. 2. კოხტა, ლამაზად ჩაცმული. „გოგოვ, გოგოვ, *პიწკინაო*, ჩემმა ხელმა გიფწკინაო“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

მითითებულია ს.-ქართვ. ძირი *პეწ-, „ბრწყინვალება, სუფთა, ლამაზი“ (ჩუხუა 2017).

პიანო:

დიალექტ. **I. პიანო** [თურქ.] პიანინო, ფორტეპიანო. „*პიანო* ჩუენსა თექ-თუქ აქუან, ზენგინებსა“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. პიანინო [იტალ. pianino] ფორტეპიანოს ერთ-ერთი სახე, – მუსიკალური კლავიშებიანი ინსტრუმენტი მაღალი ყუთის ფორმისა; აქვს ვერტიკალურად გაბმული ლითონის სიმები – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. პიანო** [იტალ. piano] მუს. ზმნს. ხმადაბლა, წყნარად, ნაზად; სანოტო სისტემაში შემოკლებით აღინიშნება P ასოთი – ქეგლი.

პიკ-ი:

ახ. ქართ. **I. პიკი** 1. მთის მწვერვალი. 2. უმაღლესი წერტილი, მძაფრი აღმავლობა მუშაობაში, ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობაში და სხვ. ჩაის დუყის მოზღვავების, ე. წ. «პიკების», პერიოდში ჩაის კულტურის მოწინავე რაიონები... საბრძოლო ბანაკს მოაგონებს კაცს («ლიტ. გაზეთი») – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. პიკი** სათამაშო ქაღალდში (ბანქოში) – იგივეა, რაც ყვავი. პიკის ქალი. – *«პიკს* უნდა ჩამოსულიყავით» (ლ. არდაზ.) – ქეგლი.

პიკე:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **პიკე** [ფრანგ. piqué] – ბამბის ან ხელოვნური აბრეშუმის ერთგვარი მკვრივი ქსოვილი, რომელსაც კარგ პირზე ამობურცული სახეები აქვს. **პიკა ჩით** ერთგვარი ჩითი (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ. II. **პიკე** [ფრანგ. piquer] (ავიაც.). იგივეა, რაც პიკირება – ქეგლი.

პილპილა:

საშ. ქართ. I. **პილპილა** სოკოა – დ. ჩუბ. || პირპილა (ზ.-აჭარ. ნიჟ.). || პიმპილო სოკო (ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. II. პიპილა.

დიალექტ. II. **პილპილა** პირამდე გავსებული, ლიპლიპი. „ე *პილპილა*, ჭაღანი როგრ'ნა წავიღო, სუ გადმამექცევა!" (ჯავახ. ზედგ.). შდრ. პირპირი სავსე – დ. ჩუბ. || ზედაპირი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). იხ. II. პიპინი.

პინო:

დიალექტ. I. **პინო** პინა დიდი ჯამი. ყველის ფაფა... ამოვჭრიდით ხოლმე და დავაწყობდით ხის *პინოებზე* (ზ.-ქართ. მრეწ. III, 2, 137). შდრ. **პინაკი**, ისე **პინაგი** და **პინა**. „დიდი ჯამი" – საბა. **პინა**, **პინაკი** [ბერძ. „დიდი თეფში ხისა"] – ნ., დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **პინო** [ფრ. pineau] ფრანგული წარმოშობის ყურძნის შავი, თეთრი და სხვ. ფერის ჯიშები: გამოიყენება სუფრის, სადესერტო, შამპანური ღვინოების დასამზადებლად. შამპანური ღვინის ჯიშების გამოცდა იმერეთში შეიძლება ჩატარდეს შემდეგ ჯიშებზე: ციცქაზე, *პინოზე*, ალიგოტეზე, შარდონზე (ვ. ქანთ.) – ქეგლი. || *პინო* ციცქას გავს, თეთრი ყურძენია, პატარა ტევანი აქ (ბაჯითი, დილიკაური). *პინო* ადრეული ჯიშია, თეთრიც არის და შავიც. მისგან შამპანურს ამზადებენ (უჩამეთი). *პინოს* შეკრული ტევანი აქ, საშუალო ზომის კაკალი, ადრე მწიფეთება, სექტემბრის 10 რიცხვამდე მეიკრიფება, მისგან შამპანურს აკეთებენ (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

პიპილა:

ახ. ქართ. I. **პიპილა**: **ზიზილ-პიპილა** ჭრელი იაფფასიანი მორთულობა-სამკაული. პატარძლებმა და გასათხოვარმა ქალებმა სწორედ ათ-ათ ჯერ დაიბანეს პირი და, ვისაც კი რამ *ზიზილ-პიპილა* მოეპოვებოდა, ტანზე მოიკოსეს (ვაჟა). «ბეჭდის ძეწკვი მაგას ვერ მაქნევინებდა, ვერც... თავზე მოსახვევი, ან სხვა *ზიზილ-პიპილები*» (ი. მაჩაბ. თარგმ.). ფიგურ. ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ბაქიობს, არ იკვეხნის, თვითონ *ზიზილ-პიპილებით* არ ირთვება და სხვას მჩვარში არ ახვევს (ილია) – ქეგლი.

პეპელი > პიპილა. **პეპელი** «პეტალი», «ნაქურთენი»: „დასდვა ვარშამაგსა მას ზედა წინაშე პირისპირ *პეპელი* იგი ოქროჲსაჲ", O – „დასდვა მიტრასა ზედა პირით კერძო მისსა პეტალი ოქროჲსაჲ" (G, ლევიტ. 8, 9); „შეჰქმენ იგინი *პეპლად* ჭედილად, გარემოსადებელად საკურთხეველი-

სა“ pb.. – „ყვენ იგინი მაქურთენად ჰედილებად, გარემოსადებელად საკურთხეველისა“ (G, რიცხ. 16, 38) – ილ. აბულ. ცხენის რახტზე ჩამოკიდებული ლითონის ჯღარუნა სამკაული. ცხენზე გაწოლა, გადახრა, რახტის *პეპლების* ჟღრიალი (რ. ერისთ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. პიმპილა || პიპილა წიწაკა; პილპილი (რაჭ. კობახ.). || პილპილი (პეპე B.; ფილფილ ZAaBCDE.) (ხე) – საბა. || პიმპილი, პიმპილა. პინპილა (იმერ. გაჩ.).

შდრ. პილპილი [სპარს. „ფილფილ“ ან „დარაფილფილ“] (ზ. მაყაშვილი 1996).

პიპინ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. პიპინი ზურნის, დუდუკისა და მისთ. ხმა – ქეგლი. ჩვენი ეზოდან ამოვიდა მანქანის შეშფოთებული *პიპინი* (რ. ინან. გოლ. 181, 25). || ერთგვარი სტვენა რითიმე (იმერ. გაჩ.). შდრ. პიტინი სტვენის ხმა (გურ. შარაშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. პიპინი (გურ.) ძალიან გავსება რისამე. გაპიპინება სახელი გააპიპინებს, გაპიპინდება ზმნათა მოქმედებისა. ქალო, რატომ გიყვარს ჭიქის ასე გაპიპინება? (ა. გეწ.) – ქეგლი. || გაპიპინება: „დალოცა ღმერთმა, წრეულს კაი მოსავალი იყო ღვინის: ორმოცი ჭური საძველო გავაპიპინე: ერთი კაიხელა თავამდი *გაპიპინებული* ჩვენს ხუცს ვაჩუქე“ (იმერ. ბერ., გაჩ.); გააპილპილებს, გააპიპინებს პირამდე გაავსებს, გაალიცლიცებს. სუ პირამდე რო გაამსებენ, რო ლამის გადმოვიდეს, იტყვიან, *გააპიპინაო* (იგ.) ეგრე რო *გააპილპილე* ქვევრი, დუღილი აღარ უნდა? (ტყვ.). როგორ *გაგიპილპილებია* ჯამი, როგორღა ჩავიყარო პური? (კარ.). გაპილპილებული, გაპიპინებული: *გაპილპილებულ* ბოჭკას რო ტომარას დაახურებდი, არ იცოდა, რო *დასველდებოდა?* (ტყვ.). მე სუ გაუვსე და *გაპიპინებული* გავატანე (იგ.); აგრეთვე წვ. (ქართლ. ლექსიკ.). პიპინი, ა-პიპინება, გა-, ძალზე გავსება. „დალოცა ღმერთმა, წრეულს კაი მოსავალი იყო ღვინის: ორმოცი ჭური საძველო გავაპიპინე: ერთი კაიხელა თავამდი *გაპიპინებული* ჩვენს ხუცს ვაჩუქე“ (იმერ. ბერ.). აგრეთვე გაჩ. პიმპლავს (< პინპლავს < პირპლავს < პირპრავს < პირპირავს პირთამდე ავსებს, აპიპინებს, ალიცლიცებს (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. პილპილა.

პიწკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. პიწკი ვინც საჭმელს გამორჩევით ჭამს, აზიზი (მჭამელი). პიწკი მჭამელი. პიწკად ზმნს. მომეტებული სიფრთხილით, ისე, რომ რამეს ერიდება, უფრთხილდება. გზაზე ტალახი იყო. მიქამე *პიწკად* მიაბიჯებდა (კ. ლორთქ.) – ქეგლი. შდრ. პუწკი სამი თითით აღებული ლუკმა. „ერი პუწკი არ ჩუუდვია პირში“ (გურ. შარაშ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. პიწკი (გურ.) წვრილი ფიჩხი, – კიწაწი. თონეში კეცის ნატეხზე დავაწყობთ ცოტა *პიწკს* (შეშის ფარჩხის პატარა ნატეხები) და მოვუკიდებთ (ქვ.-რაჭ. მრეწ. III, II, 181). „გადააყარა... ხმელი

ფოთლები და წვრილი *პიწკები*" (ფ. ხალ., აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე: გურ. შარაშ., ნიკოლ. შდრ. წიწკი (ხევს. მოხევ.) წვრილი ჩხირი, – წკირი; ფიჩხი, კეწენი. მოისმა ხმელი ფოთლების ფაჩი-ფუჩი და ხმელი წიწკების მტვრევა (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

ივარაუდება, რომ პიწკ-ი < წი-წკ (ერთელიშვილი 1980: 142).

პლაკე:

ახ. ქართ. I. **პლაკე** [ფრანგ. plaquè] უბრალო ლითონის ან ხის ნაკეთობა, რომელიც დაფარულია ძვირფასი ლითონის სიფრიფანა ფურცლებით ან ძვირფასი ჯიშის ხის ფირფიტებით – მ. ჭაბ. პლაკე < პლაკი. პლაკი ლორფინი, ფიცარი: „კეცსა მას ქუეშე იპოა *პლაკი* მარმარილოჲსაჲ" (Ath. – 11-189r) – ილ. აბულ. პლაკა [ბერძ.] ფიქალი ქვისა, გინა მეტალლისა – დ. ჩუბ. აქვე – პლიკა.

დიალექტ. II. **პლაკე** 1. სალი, ფრიალო კლდე, პიტალო. გადატ. მაგარი, მკვრივი, ძლიერი. **პლაკიანი** ადგილის სახელია მაჭახლის ხეობაში. „სოფლის ბოლოში ბევრი *პლაკე* კლდეები და ხავსმოკიდებული ქვაა" (ფ. ხალ.); „ერთ *პლაკეზე* ორი გველი წევს" (გამოცანა- წარბები) (აჭარ. ნიჟ.). 2. ბრტყელი ქვა. „გამიესხრიკა და დააყარა დიდუანი პლაკიები" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). 3. ქვიანი ადგილი. „პლაკე მიწა არი, არ გეიხარებს" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). *პლაკი* კლდე ზან. (ლაზ. თანდ.).

პოლის-ი:

ახ. ქართ. I. **პოლისი** [ფრან. police ქვითარი] ოფიც. მოწმობა, რომელსაც დამზღვევი საზოგადოება აძლევს დაზღვეულ პირს ან ორგანიზაციას. ბანკში, ვისაც სესხის გამოტანა უნდა ქალაქის მამულზე, ცეცხლისაგან დაზღვევის *პოლისი* უნდა წარადგინოს (ილია) – ქეგლი.

დიალექტ. II. **პოლისი** [თურქ.] პოლიცია, პოლიციელი. „ჩუენი ხასანაი პოლისი გახდა" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). **პოლისი** || **პოლიცი** – პოლიციელი: მე ემექლი ვარ, *პოლისი* ვიყავი (ჰამიდე); მე პოლიცი ვიყავი (მეჯიდე); სამი ბიჭი მყავს, ერთი ბიჭი *პოლისეა* (დევსქელი, კლარჯ. ლექსიკ). *პოლის(ც)ი* პოლიციელი „ჩემი ერთი შვილი პოლის(ც)ია" (დევესქელი, ნიგ. ბერ.).

III. **პოლისი** [ბერძ. polis] ძველ საბერძნეთში:ქალაქ-სახელმწიფო – მ. ჭაბ.

პოლოტიკ-ი:

ძვ., საშ. ქართ. I. **პოლოტიკი** „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი" (საბა). || საომარი აბჯარი (ნ. ჩუბ.) – ქეგლი. „იყო შორის ერსა მას ჰურიათასა ჴრმალი იგი *პოლოტიკი* – სავლე" (ს.-გაბ. მოც. საჴს. 93, 3) – ილ. აბულ. ხოლო საომარნი საჭურველნი აქუნდათ: ჯავშანი, ხვაფთანი, *პოლოტიკნი* (ქ. ცხ. IV, 18, 20).

დიალექტ. II. **პოლოტიკი** (ლეჩხ. ჩიქ.). იხ. I. პოტიკი.

პოლტ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. პოლტი** ძვ. ბროხის ან ღორის კოჭი, ვეგი – ქეგლი; დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. პოლტი** პატარა მომრგვალო ბრტყელი ქვა სალაობის თამაშში: იყენებენ სამიზნედ ან სასროლად,- სალა. რო სალაობდნენ, დასვამდნენ ქვასა – *პოლტსა,* გაჰკრამდნენ სალასა და *პოლტი* გავარდებოდა (ძეგ.). დასვამენ ხომე ქვას, ან ჩხირს ჩაარჭობენ, *პოლტს* ესვრიან და, ვისიც ახლოს იქნება, უნდა აიკიდოს ის, ვისიც შორს იქნება ყველაზე (ატ.); აგრეთვე ზ. ხანდ., კავთ. (ქართლ. ლექსიკ.). || პოლტიკი ძვ. «მცირე სალა» (საბა). – პატარა ბრტყელი ქვა – ქეგლი. || კირქვაა ერგვარი. ბუბაზე არი ეკლესია, სულ *პოლტიკით* არი ნაშენები (რაჭ. კობახ.). || პონტიკი განშტოებული. ახლაც მადა ქვა ტყტება, პონტიკის ქვა არი, ბილი ქვაა, სულ შტოიანი ქვაი, სათლელი (ზარანი, ზ.-იმერ. ბოწ., ჭყ.). || პონტიო წყლის ქვა, სპონდიო (ზ.-იმერ. წერეთ.). სპონდიო ქვასთან ნახე ZA. ქვა(ა) წყალთაგან ქმნილი – საბა; დ. ჩუბ. || სპონდიო, სპონტიკი (იმერ.) – წყალში ნამყოფი სიპი ქვა, რომელსაც მშენებლობისას ლიტონი კედლების ამოსაყვნად ხმარობდნენ. ოშკის ტაძრის აგებისას 30 ხარ-უღელი ყოფილა გამოყოფილი „სპონდიოს“ საზიდად (ქართ. მატ. ლექსიკ.).

მიგვაჩნია, რომ სპონდიო > სპონტიკი > პონტიკი || პონტიო > პოლტიკი > პოლტი.

დიალექტ. **III. პოლტი** ბოლტი. რუს თავის ხევის ფესვებით ჩახერგვა. პოლტი – ხევის ბალახის ფესვები ხო ამაჭრიან და რუვის თავზე დაისმენ, ხო წყალმა არ გაღრანტოს (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ., ფერეიდ. ჩხუბ.). პოლტი < ბოლტი < ბორტი „ბელტი“ (მოხ. ქავთ.). იხ. (ჭოხონელიძე 2018: 124).

პომპა:

ახ. ქართ. **I. პომპა** [ბერძ. pompe-დან საზეიმო მსვლელობა) საზეიმო გარეგნულობა, მდიდრულობა, რაც გარეგანი ეფექტის მოხდენას ისახავს მიზნად – ქეგლი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. პომპა** ტუმბო – დ. ჩუბ. „მომეცი *პომპა!* ბანდოში წყალი აღარ მივა და დავაწვე ერთი დელუგსა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **პომპა** [ფრანგ. pompe] მობვ. ტუმბო – მ. ჭაბ.

პომპორ-ი:

დიალექტ. **I. პომპორი** კატარი, სიმინდის ყვავილები, საიდანაც დამტვერიანება ხდება. სიმინდი *პომპორს* ამიიღებდა, ქუჩრი გამოშტებოდა და ფოჩვ სუ ამიიღებდა (იმერ. ქართ. დიალექტ., 480). **პომპორი** თავთავი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. პომპორი** დიდკაცი. დიდი *პომპრები* რო არიან, ისინი ირგებენ კაის (ღორეშა, ზ.-იმერ. ბოწ.).

პოტიკ-ი:

ახ. ქართ. I. **პოტიკი** (იმერ., გურ.) კაპი – ქეგლი. შდრ. ორპოტიკა ორტოტიანი: „გევიდა აი კაცი ორპოტიკა ხეზე“ (გურ. ჟღ.).

ივარაუდება, პოტიკი < *ტოტიკი (ტოტ-იკ ფუძე) (ერთელიშვილი 1980: 142).

დიალექტ. II. **პოტიკი** მიდებ-მოდება (ლეჩხ. ჩიქ.). უშნოდ, ულაზათოდ შლა (ხელების, ფეხების), გან-გან დგმა ფეხებისა), – ფარჩხვა. „ვის აშინეფ, ბიჭო, შენი ხელების *პოტიკით*“ (აჭარ. ნიჟ.). პოტიკობს ცოდვილობს, წვალობს საქმის გასაკეთებლად. „რა შობი კაცო, სულ რო პოტიკოფ რა ამბავია, არ დაადგა საშველი შენი საქმის მოლევას“ (საჩ. შარაშ.). შდრ. პოტინ || ფოტინ ← ტოტინ (ეპოტინება) (ერთელიშვილი 1980: 142).

პოწოლიკ-ი:

დიალექტ. I. **პოწოლიკი** კოხტა, კოპწია, წკენტია. „ჩავიხედე სარკეში, *პოწოლიკი* ვიყავი“ (ზ.-აჭარ. ნიჟ.). || თავმომწონე, კეკლუცი. „ფენა პოწოლიკი ქალია, აქეთაც არ გვიყურეფს“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || კოხტად, მოხდენილად ჩაცმის მოყვარული. ვინც კოხტად იცვამს (რაჭ. კობახ.). *პოწკოლიკობა* კოხტად მოხდენილად ჩაცმა-დახურვა. პოწკოლიკობა ზაფხულში უნა. ა ყივნაში რა დროს პოწკოლიკობა არი (რაჭ. კობახ.). || პეწენიკი, პეწენიკა ვინც მოხდენილად, კოხტად იცვამს. იგეთი გამოკანკლული იყო [სოსია], რომ იტყვი, პეწენიკა თავადიშვილიაო! (მელან.). [ჩიმონე] ისეთი პეწენიკი გახდა და ისეთი ღირსებით შეიმოსა, რომ მისი მსგავსი კვიპროსის კუნძულზე, ვეჰვ[ობ], თუ ვინმე ყოფილიყო მეორე(თ. სახოკ. თარგმ.). || კოპწია, შნოიანი, პეწიანი. ჩვენი ხელმწიფე კეისარია, იმისი ცოლი – პეწენიკი დედოფალია (თ. რაზიკ.) – ქეგლი. შდრ. II. პეწი.

დიალექტ. II. **პოწოლიკი, გაპოწოლიკება** საუბრის გაგრძელება, გაჭიანურება (გურ. ვ. ბერ.). შდრ. II. პოტიკი.

პოჭიკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **პოჭიკი, პოჭოკი** (იმერ. გურ.) ჩლიქიანი ცხოველის (ცხვრის, გოჭის და მისთ.) ფეხი. «ამდენ კაცს რომ ერთი კურდღელი გაუნაწილოთ, თითოს პოჭოკი არ ერგება» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. შდრ. **პოჭოჭიკი** თეძოს თავის საბრუნავი ძვალი – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **პოჭიკი** ჭოპიტი (გურ. ღლ.), – (გურ.) ხეზე ასვლაში მიშველება ქვემოდან შედგომით – ქეგლი. შდრ. პორჭიკი ცოდვილობა, უბადრუკი მცდელობა, ბღაუჭი. პორჭიკობს ცდილობს, მაგრამ არ გამოუდის, ცოდვილობს, ეწიწება (იმერ. ქავთ.). იხ. II. პოტიკი.

პურჭყ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **პურჭყი** ვულგ. ფურთხი – ქეგლი. აგრეთვე (იმერ., გურ., ქართლ., კახ.) ფურთხი. აპურჭყებს, აფურთხებს; იპურჭყება იფურთხება (ი. ჭყ.).

დიალექტ. **II. პურჭყი** თხილის ნაყოფის ბუჩქი. ტოტს ასეთი რამდენიმე ბუჩქი ასხია. თითოეულ მათგანში რამდენიმე მარცვალია (იმერ. ჯაჯან.). პურჭყი თხილის ნაყოფის კრებული, ერთი შეკვრა, ერთი თავი. „სამი წლის იბამს თხილი, ნიშანს გამეიბამს, ორი-სამი *პურჭყს* გამეიბამს თითო ძირი“ (საჩ. შარაშ.). პუჭკი ბევრი ბლომა (აჭარ. ნიჟ.). შდრ. I. ბორჯღალი.

პუჭკურ-ი:

დიალექტ. **I. პუჭკური** დაბალი ხმით, ტკბილად ლაპარაკი (გურ. ღლ.). **პუჭკინი** ტიტინი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. პუჭკური, პუჭუჭკურაი** მაჭრის მწერი, მეტად წვრილი (გურ. შარაშ.). შდრ. პუჭურიკი დიდი ქინქლა – დ. ჩუბ.

პყარ-ი:

დიალექტ. **I. პყარი** 1. (< მყარი < მ-ყარ-ი) ნიადაგი, დაუმუშავებელი მიწა, მიწა ზოგადად. ხახაბოს რა ამბავია? იხევა მიწა პყარია (ხევს. თავის. 373, 4). „პყარზე დგას სახლიო“, იტყვიან სახლზე, იატაკი რომ არ ექნება (თუშ. შან.). „გადადის ნაყაიჩოზედ, მიწა ეხევა *პყარია*“. 2. მიწის იატაკი. „დაბლით თვალ *პყარზეაჲ*, მაღლითა ან ბანიანრ, ან პოლიანრ“. || *პყარი* ჭაობიანი ადგილი (თუშ. ხუბ.).

ს.-ქართვ. *მყარ- „ტალახი“ ქართ. (თუშ.) პყარი „ჭაობიანი ადგილი“. (ჩუხუა 2019: 106).

დიალექტ. **II. პყარბ** ურმეო ცხვარი. „ცხვარს რო ბუმბუ გუყფუჭდებ, *პყარ* გაჭდებ, რმე აღარ ექნებ“ (თუშ. ცოც.). || ბუმბუგაფუჭებული ცხვარი (თუშ. ხუბ.). შდრ. საპყარი. უფეხო, კუტი; ან დატუსაღებული – დ. ჩუბ.

პწკა:

დიალექტ. **I. პწკა** თხელი გარსი, აპკი (კვერცხისა, ხახვისა, ხორცისა...). *პწკა* საქონელსაცა აქ ფაშვზედა, გამჭვირვალე თხელი კანი რო არი (ქემ.). წნილს რო ჩავდებთ, *პწკას* გაიკეთეფს ჯერა, მერე პკეთ გადაიქცევა (არად., ქართლ. ლექსიკ.). იხ. I. აპწკა.

დიალექტ. **II. პწკა** თხელი ანატეხი (მვლისა, ჭურჭლისა...). *პწკა* აქს, *პწკაიო*, და ამასობაში ხელი გაუფუჭდა (ტყვ.). პწკას აიღებს მცირე ანახეთქი გაუჭნდება. გინდა ჯოხი იყვეს, გინდა ხე, ფიცარი, რამე, ყველაზე გვითქვია, *პწკა* აიღოო, რო გაიბზარება და აიწევს ნაწილი ხისა, იმაზე იტყვიან (ბროწლ.). აგრეთვე ქორ. (ქართლ. ლექსიკ.). იხ. IV. პწკალი.

პწკალ-ი:

დიალექტ. **I. პწკალი** მწკრივი, რიგი. ვენახს გააყოლებენ პწკალზე. *პწკალეფს* შორის მანძილი 2 მეტრია (დილიკაური, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. წკრე, მწკრე რიგი, მწკრივი (ქიზ. მენთ.). წკერი (ქიზ. დიალექტ., 611). იხ. I. პწკარი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **პწკალი** იგივეა, რაც ბრჭყალი. განა ვეფხვს სძინავს თვის *პწკალზედ*, გულს ხმალზედ შეჭრილს ეძინა? (გ. ლეონ.) – ქეგლი. || მწკალი. ერისთვის აზნაურებსა ყორნებ *პწკლით* ეზიდებისა (ხევს. პოეზ. 7, 12). აგრეთვე: ხევს., თუშ. შან., ხუბ. || მწკილი ფრჩხილი (მოხ. ქაჯ., მთ. კაიშ.). იხ. II. პწკარი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **პწკალი** (ქიზ.) წნელის ტკეჩი, რომლისგანაც კალათას წნავენ (ს. მენთ.) – ქეგლი. *პწკალი* ხიდან იხთება, უროკო თხილი მოიჭრება, კანს გააძრობენ, სამპირათ ეიხთება. *პწკალს* ვხთით კალათის-თვინ. *პწკალით* იქსოვება კალათი, რგვალი წკნელით გოდრეფს ვქსოვთ (ვახანი, ზ-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. IV. **პწკალი** ფიცრის წვრილი ანახეთქი, ტკეჩი, წკირი. ხეს რო ბზარი გაუჩდება და ნაპირი ავარდება, *პწკალი* ავარდაო, გვითქვია (კავთ.). ვხმაროფ, მაგრა ისე ვუფთხილდები, ჩემ ნამზითვ სკივრსა, *პწკალი* არა აქ ავარდნილი (გრაკ., ქართლ. მესხ.). შდრ. მწკერი გახეთქილი კასრის ან სხვა ჭურჭლის ბზარი (ხევს ჭინჭ.).

ახ. ქართ., დიალექტ. V. **პწკალი** 1. წვრილი, მხოხავი, ფესვმომკიდე ღერო, რომლითაც ხდება მცენარის ვეგეტაციური გამრავლება. მარწყვის პწკალი. 2. იგივეა, რაც ულვაში. ღიჭი ანუ ეკალა დაარჩიეთ, *პწკალი* და მა-გარი ყლორტები მოამტვრიეთ (ბ. ჯორჯ.). ვაზსაც სათუთად უფრთხილ-დბოდნენ, არსად ტოტი ან *პწკალი* არ მოეტეხათ (ა. ერ.-ხოშტ.). 3. ფხა, ბეწვი (ლობიოს, ცერცვის და მისთ. პარკისა). [ლობიოს] *პწკალი* გააშორეთ (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. ვაზს... გამაგრებული *პწკალი* რო მოსტეხო, რქა ზიან-დება (ქიზ. მრეწ. IV, III, 84). პწკალი || ბწკალი || პწყალი – ი. ასათ.

დიალექტ. VI. **პწკალი** ძარღვი. „*პწკალი* დამეჭიმა“ (გ.-კახ. სახლთხ.).

პწკარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **პწკარი** 1. სტრიქონი. [მასწავლებელი] საზეპი-როს ცოტას გვაძლევდა, სულ რამდენიმე *პწკარს* (აკაკი) – ქეგლი, ვ. ბერ. შდრ. ბწკარი (იმერ.) სვე, ზოლი, რიგი. თხა გადავაბით და ორ-ორ ბწკარ სიმინდს ჩავუდექით (ო. იოს.) – ქეგლი. 2. პწკალი, მწკრივი, რიგი. სა-ხლის გადაღმა ერთი *პწკარი* ვენახი დამიტოვე-მეთქი (ღორეშა, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. მწკრივი სიგრძივ ერთი მეორის მიყოლებით განლაგებული საგნები, რიგი – ქეგლი.ა. შანიძე შენიშნავს, მწკრ-ივ-ი ივ სუფიქსი (ფუძეა *მწკარ-ი, რომელიც იგივეა, რაც ბწკარი, პწკარი) (შანიძე 1980: 146). იხ. I. პწკალი.

დიალექტ. II. **პწკარი** (გუდამაყრ. მთიულ.) ჭანგი – ლ. ლეონ. იხ. II. პწკალი.

ჟ

ჟაანათ:

დიალექტ. I. **ჟაანათ, ჟანნათ, ჟაჰნათ** [აზერ. ჯაჰნნათ] სამოთხე. ღმერთს მოჰკითხ – მოკდომაში ჟაანამში (ჯოჯოხეთში) წაასლრხარ (წახვალ) თუ ჟაანათშიავ -ჟანნათი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **ჟაანათ, ჟანნათიი** ერთგვარი ძველებური ქსოვილი, რომლისგანაც ქალები მუქასარს იკერავდნენ. ჟაანათი მუქასარ (|| ჟანნათი მუქასარ) (ინგ. ღამბ.).

ჟაარა:

დიალექტ. I. **ჟაარაი, ჟაჰრაი** ერთგვარი მწერია, რომელიც სხვა მწერებს იჭერს (კოღოებს, ბუზებსა და მისთ.) ზოგის თქმით, ეს იგივე ნემსიყლაპიაო. *ჟაარაი* გრგაინსაც იჭერს, ჭამს (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **ჟაარაი, ჟაჰრაი, ჟაჰარაი** [აზერ. ჯაჰრა] ჯარა (ძაფის სართავი მანქანა). *ჟაარაი (ჟაარი)* ზროი საბრუნი ღერძი ჯარაში. **ჟაარაი** კლავ სართავი ჯარას ნაწილი. **ჟაარი (ჟაჰრი) ტარ** (ჯარას ნაწილი) ჯარატარი. *ჟაარი ტარ* კინი შამფურივი კეჰტევ (არის) (ინგ. ღამბ.). შდრ. ახ. ქართ. ჯარა [სპარს.] პრიმიტიული მანქანა, რომლითაც მატყლს (ბამბას...) ართავენ, ძაფს ძახავენ (ზოგან მხოლოდ ახვევენ მასრაზე). დიალექტ. ბამბას ართავდნენ ჯარაზე (ქიზ. მრეწ. II, II, 20, 5). || ჯარაბ (ჩ. თუშ.) დართული ბაწრის საგრეხი ხელსაწყო (თუშ. ცოც.).

ჟალტამ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჟალტამი** (იმერ.) «სქლად ამოსული უვარგისი ბალახი» (ვ. ბერ.). – შალდამი. დაფენილი, თითქო ომში ფშანია თუ *ჟალტამი*? ველად ყრია ლურჯი კომში და ცისფერი ატამი (გ. ტაბ.). სულგამწარებული ყმაწვილი სადღაც *ჟალტამში* იპოვნა დახუნდარამ (კ. ლორთქ.) – ქეგლი. || **ჟლარტამი, ჟალტამი** მნელად გასავლელი სველი ბუჩქნარი. – ამ *ჟალტამში* რაფერ გევიარო, დავსოლდები (რაცხ. გურ.).

დიალექტ. II. **ჟალტამი** თოვლჭყაპი, ცუდი ამინდი, იტყვიან ადამიანზეც. რაფერი *ჟალტამია*, სულ დამისველა აი ჩხაპურტები (რაცხ. გურ.).

ჟანტ-ი:

დიალექტ. I. **ჟანტი** კრიჟანგი (მთ. კაიშ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ჟანტი** მცირე რამ სისველე, ანუ ტენი – საბა, ნ. ჩუბ. ეს წყალი ჟანტია (ბჟანტი) („ლაფის გემო აქვს“) და სასმელათ არ ვარგა (ალგ. სალ.). ესემ სიდაღ წაცმაცუნებს თავის *ჟანტ* ნიფხვით? -ნეტა ეს სადღა მიცუცუნებს თავისი სველი ნიფხვით (თუშ. ხუბ., ცოც.). აგრეთვე **ჟენტი შეშა** ნედლი შეშა. „ჟენტი შეშაა, არ ეკიდება ცეცხლი“ (საჩ. შარაშ.).

ჟანტი-მშრალა || ჟანტა-მშრალა როცა კენჭის ყრა უნდათ, ქვის პატარა ფირფიტას ერთ მხარეზე დაასველებენ და ჰაერში ააგდებენ. მანამდე კენჭის მყრელები აირჩევენ ან სველ ან მშრალ გვერდს. რომელი მხარეც ზევით მოექცევა, ის არის გამარჯვებული (ა. შან.: ჟანტ-მშრალა) – ალ. ჭინჭ. შდრ. ჟანტლი ნედლი შეშა, რომელსაც ცეცხლი არ ეკიდება (ვ. ბერ.). ამ სიტყვისათვის აღდგენილია არქეტიპი *ჟანტლ- (კელაურიძე 2017: 25).

დიალექტ. **III. ჟანტი** მძიმედ მოარული, მათრახით საცემი ცხენი (ფშ. ხორნ.). ჟანტი მძიმე (კაცი, ხარი, ცხენი). ზანტი (?) (გუდ. შან.).

ჟესტ-ი:

ახ. ქართ. **I. ჟესტი** [ფრან. geste, ლათ. gestus-დან სხეულის მოძრაობა] სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით ხელის, გამომხატველობითი მოძრაობა; ჩვეულებრივ, თან ახლავს ბგერით ენას. შდრ. ჟესტიკულაცია ჟესტების გამოყენება. ჟესტიკულირება) [ფრან. gesticuler-დან] ჟესტიკულაციის წარმოება – ქეგლი.

დიალექტ. **II. ჟესტი** (რუს.) თუნუქის სანავთე. *ჟესტი* რო მევიტანო სამსეი, გვეყოფა? (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). იმას *ჟესტს* დავაფარეფთ, მორენაირათ უძახით სახელს თანაქას (იმერ. ქართ. დიალექტ., 480). ჟეშტი თუნუქი (რუს. жешт) (გურ. ნიკოლ.).

ჟივჟავ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჟივჟავი** 1. მფრინველია ჭივჭავი. ჟივჟავი ჟუჟუნა ჟივჟივი მფრინველთ ხმიანობა – დ. ჩუბ. *ჟივჟავის* ჟლეტა კაცს მოსწყინდება და არა თუ მარტო მტრისაო (ანდაზა). აქ ყურადღებას იპყრობს ისეთი ფრინველები, როგორიცაა იადონი, *ჟივჟავი*, მტრედი, გულწითელა («სახ. გან.»). 2. იგივეა, რაც *ჟივჟივი*. გაისმის მერცხალთ ჭიკჭიკი,... სირთა ჟივჟავი, ჟრიალი! (რ. ერისთ.) – ქეგლი. 3. გადატ. ჟივჟავ წვრილფეხობა (პატარა ბავშვები). რაქთონ (რამდენი) *ჟივჟავ* მოუყონიაყა ექ? (ინგ. ღამბ.).

ჟივჟავი < ჟივჟივი ხმოვნის მონაცვლეობით არის მიღებული (არაბული 2001: 83).

საშ. ქართ. **II. ჟივჟავი** „თვალ-მომაჩხოდ მოხდომილი" – საბა. || ჟუჟუნა, ჟივჟავი, მომაჩხოდ მოხდომილი, ანუ მხიარული თუალები (ნ. ჩუბ.). თუალთა *ჟივჟავთა* წყლიანთა გვანდა ნარგიზი მონასა (ქილ. 802, 20).

ჟივჟივ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჟივჟივი** მფრინველთ ჟივილი, მრავალთ ჩჩვილთ ხმიანობა (ნ., დ. ჩუბ.). ჟივჟივი გააქვთ ჩიტებსა ალუბლის კენწეროზედა (შ. მღვიმ.). *ჟივჟივი* აქვთ ფრთოსანთ, ვარდი უხმობს მგოსანთ (ანა) – ქეგლი. იხ. I. ჟივჟავი.

დიალექტ. II. *ჟივჟივი* მორწყვის შემდეგ ნიადაგი რომ გაბღება, *ჟივ-ჟივი* გააქვს მიწასაო, -იტყვიან (ქართლ. კეცხ., ძიძიგ., ხუბ.).

გაორმაგებულია ძირი ჟივ: აჟიებს, დაჟიება, დაჟივება (ერთელიშვილი 1980: 184).

ჟივჟივა:

დიალექტ. I. *ჟივჟივი, ჟივჟივაი* ახ. ჯიბის ელექტრომაშუქი და მისი ხმიანობა. „მაუჭერ ჯელსა, დაიწყებს ჟივჟივს ეს საკუთრველი *ჟივჟივაი* და წამავა სინათლე ნება-ნება“ (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. II. *ჟივჟივა* მიზმიზელა, მცენარეა (კახ. მაყ.).

ჟიკჟიკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ჟიკჟიკი* ჭიკჭიკი (მოხ. ქავთ.). „ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა“ -დაიწყებს *ჟიკჟიკს* (რ. ინან. გოლ. 354,10). იჟიკჟიკებს: იჟიკჟიკე! იჟიკჟიკე! – მერცხალმა თავი დაყურადებით გადასწია გვერდზე (რ. ინან. გოლ. 370, 16).

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ჟიკჟიკი* ბრწყინვალება, პრიალი. მზე ჟიკჟიკებს (ი. ჭყ.). || (ფშ.) ბრწყინვა, ციმციმი, პრიალი. დროა ვარსკვლავთა *ჟიკ-ჟიკის,* მცვრევა ბალახზე ნამისა (ვაჟა) – ქეგლი. ჟიკჟიკი ციმციმი, ბრწყინვა, ელვარება. აქვე ჟიკჟიკებს (ხევს. ჭინჭ.).

ჟიკჟიკა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ჟიკჟიკა* იხ. I. ჟიკჟიკი. შემდეგ *ჟიკჟიკა* მერცხლები და წივილა ნამგალები გამოჩნდნენ (რ. ინან.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ჟიკჟიკა* (ფშ.) რაც ჟიკჟიკებს, – ციმციმა, მბრწყინავი. *ჟიკჟიკა* ვარსკვლავთ კოცნიდნენ, მკერდით ცას დატოლე-ბულნი (ბაჩ.) – ქეგლი. იხ. II. ჟიკჟიკი.

ჟინჟღალ-ი:

დიალექტ. I. *ჟინჟღალი* ნამი, ცვარი. „ჟინჟღლები გადმოყარა, ჰერალდა გაწვიმდება“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). „*ჟინჟღლი* უხთება ნათესეფს“ (ზარან. ზ.-იმერ. ბოწ.). „ღამ-ღამე პაწ-პაწას ჟინჟღლავს, სულ ათქმევიეფს თოფრაღსა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ფშ. ხორნ. ჟინჟღლი, ჟინჟლი წვრილი წვიმა, თქორი – დ. ჩუბ.; საბა, ქეგლი.

ჟინჟღალი: ჟინჟღლ ← ჟინჟლ ← *ჟინჟილ (ჟინჟღლავს, ჟინჟლავს (ერთელიშვილი 1970: 214).

დიალექტ. II. *ჟინჟღალი* ნაპერწკალი, წინწკალი, ბურჯღული. „წაბ-ლის შიშამ *ჟინჟღალი* იცის“ ჟინჟღლავს ჟინჟღალს (ბურჯღულს) ისვრის (წვით-შეშა); ტკაცანი გააქვს (აჭარ. ნიჟ.). „ნაგუზალი *ჟინჟღლებ* ყრის“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჟინჟილი ნელი წვა (ჩვენ. ფუტკ.).

ჟინჟღილ-ი:

დიალექტ. I. *ჟინჟღილი* გულ-მკერდის შესამკობია (რაჭ. ძიძიგ.). შდრ. ჟინჟირი ჯაჭვი. „სახში ქოთუქებს კამეჩებით შაათრევდნენ, ჟინჟირს მიუბამდნენ“ (ინგ. იმნ.). || ჟინჟირ [აზერ. ზანჯირ] ჯაჭვი; ძეწკვი. სკელ ჟინჟირით ასმარცოლას მუხაზე ახევენ (ინგ. ღამბ.). || ჟინჟილოჲ ვერცხლის დატოტვილი ყელსაბამი. ხშირად ნალოცია და ავ თვალს იცილებს. როცა აგრიაჲ კაბა გვეცვის, უბრალოდაჲ ჩავიდვიდით ჟინჟილოჲ (თუშ. ცოც., მაკალათ., ხუბ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. *ჟინჟღილი* 1. სხვილი წნელი – საბა. || დაგრეხილი წვრილი წნელები, გამხმარი ფიჩხად – დ. ჩუბ. || ჯოხი, რომელზედაც ნავთში ამოვლებული ჩვარი ახვევია; ხმარობენ გასანათებლად, – ჩირაღდანი. „შენ მხოლოდ *ჟინჟილი* მომინათე ხოლმე“ (გ. წერეთ.). შეგაქვს *ჟინჟილი* დახშულ ღამეში, რომ გაანათო ბნელი უბნები (ა. აბაშ.) – ქეგლი. || დაგრეხილი, გამხმარი მსხვილი წნელი. მაჯის სისხო თხილის წკნელს დაგრეხდენ, გაახმობდენ და, როცა ღამე სადმე მიდიოდენ, მოუკიდებდენ ცეცხს, სიგრძე ქონდა 1-2 მეტრამდე, *ჟინჟილს* ეძახოდენ (ვახანი); *ჟინჟილები* დაჩეჩქვილი მსხვილი ჯოხია, ცეცხლმოკიდებული (ხიდარი); არ შეჭვშინებია, *ჟინჟილები* გვეჭირა და მივდიოდით (საბე, ზ.-იმერ. ბოწ., გაჩ.). აგრეთვე მრეწ. IV, III: შ.-კახ. 85, ქართ. მტკვრ. მრეწ. IV, III, ჩრდ. 95. *„ჟინჟილით* მევიდოდა“ (საჩ. შარაშ.). || ლაქაში (იმერ. ა. მაყ.). 2. წითური ფერი, ჟინჟლიანი შეწითლებული, ნაქიფარი. *„ჟინჟილივით* ბიჭი ვიყავ“ (ვ. ბარნ. ი. გრიშ.). *„ჟინჟილივითა* სახეზე“ – ე. ი. კარგად, ჯანმრთელად გამოიყურება (საჩ. შარაშ.). *ჟიჟი ჟინჟლი, ჟინჟილი*; *ჟიჟიბი ჟინჟილა*; *ჟიჟიბჯგუა* ჟინჟილასავით წითელი, მწითური ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. III. *ჟინჟილი* ხმაური. ისე როგორც ნეფის დროს ჟინჟილაზილებით შეჭურვილი ეტლში შებმული ცხენები სიარულის დროს ეჟვნებისა და ზილის ხმიანი *ჟინჟილით* აცოცხლებდენ ყუდროებას (ჯავახ. მრეწ. III, 1, 207). შდრ. *ჟიჟინი* ხმაურობა; ძახილი, ყვირილი. ხალხმა შეწყვიტა ჟიჟინი და ისე განაბული იდგა (ე. ნინოშ.).

ჟინჟღილა:

დიალექტ. I. *ჟინჟღილაი* ახ. ხელით სატარებელი ფანარი (მოხ. ქავთ.). იხ. II. ჟინჟღილი.

ახ. ქართ. II. *ჟინჟღალა, ჟინჟღილა* მწითური, სისხლსავსე, ღაჟღაჟა. გამახარეს პირველად ეხლა შეეხო სამართებელი და... მოპარსულ *ჟინჟღალა* პირსახეზე ხელი ჩამოისვა (ვაჟა). ეშხს აეტანა *ჟინჟღილა* ქალი, ალერსი მოსურვებოდა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. შდრ. II. ჟინჟღილი.

ჟოლა:

მვ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ჟოლა* 1. «თჳთმავალი ლელოვანი»: „ვითარცა *ჟოლა*, რომელი მინდორთა ზედა სიმრავლითა არს“ pb., – „(მისცა)... ვითარცა თჳთმავალი ლელოვანი ველსა სიმრავლითა“ (O, III მფ. 10,27) – ილ. აბულ.

2. ჟოლო, ტანმორჩილი კენკროვანი ბუჩქი ვარდისებრთა ოჯახისა. «ოჰ, *ჟოლას* კარგად მოუსხამს, მაგრამ არ დამწიფებულაო» (ვაჟა). ასკილი თუ კუნელი გადახლართვიყო მაყვალს ან *ჟოლას* (ვ. ბარნ.) – ქეგლი. აგრეთვე რაჭ. კობახ.

სამ., ახ. ქართ. II. **ჟოლა** ხართუთა – დ. ჩუბ. || ძვ. ბჟოლა – ქეგლი.

ჟოლა: ჭან. ბ-ჟოლ-ი || მ-ჟოლ-ი || ჯოლ-ი ქართ. ჟოლ-ა || ბ-ჟოლ-ა სვან. ბ-ჟოლ-ა. ფუძეა ჟოლ ქართულში, ჭანურში და სვანურში; არა გვაქვს მეგრულში. ეს ფუძე ჭანურში დაირთავს თავკიდურ ბ- || მ-ს (ჩიქობავა 1938).

ჟონჟოლ:

დიალექტ. I. **ჟონჟოლ** ჯონჯოლი (ინგ. ღამბ.); ჟონჟოლი (ქიზ. მენთ.). შდრ. ჯონჯოლი (ხე) ZAB. (ხე) კამპარი CD – საბა. || [Staphylea] ბოტან. საშუალო ზომის ხე; აქვს რთული ფოთლები და თეთრი, ლამაზი, საგველეზად თავმოყრილი ყვავილები – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჟონჟოლ** (მრ. *ჟონჟლევ*) იგივეა რაც ჟანჟალ [აზერ.] აბრეშუმის პარკის მოხარშვის შემდეგ ძაფის ამოხვევის დაწყებისას პირველად ამოღებული, დაბურდული და შეთელილი ძაფი. მოხარშაში პარკ *ჟონჟლევს* იშომს (ინგ. ღამბ.). || *ჟანჟალ* ყამჩიზე ეხვევის (ეხვევა). (ინგ. ღამბ.).

ჟუან:

დიალექტ. I. **ჟუან, ჟუვან** გაუთხოვარი ქალი ან ჯერ ცოლმოუყვანელი ვაჟი, „ცოლ-ქმრობის გემოგაუღებელი (ქალი ან ვაჟი)" (მ. ჯან.). არ გათხოვდა, ემაგ *ჟუან* დაჟდა; *ჟუანს* ჰეჩბეთ არგანათხუევ, ჰე დეკაც არმანაყოწზე ამბოვენ (ინგ. ღამბ.). || ჟუან [სპარს. civan– ახალგაზრდა, ლამაზი]. ჯივანაი მამაკაცის საკუთარი სახელი (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ჟუან, ჟუვან** სურო, ფათალო (ალ. მაყ., ღამბ.).

ჟუჟუნა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჟუჟუნა** 1. თვალმიბნედილი მოჯდომით – საბა. [ქერა ქალის] *ჟუჟუნა* თვალებში შორეული, ხორციელად მიუწვდომელი, ციური სადგური იხატებოდა (აკაკი). *ჟუჟუნა* თვალნი, გულთა მომკვლელნი მოცინაროზენ (ნ. ბარათ). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თვალჟუჟუნა – ქეგლი. შდრ. **ჟუჟა** ჟუჟუნა. თვალჟუჟა [ცხენს] გიყურებს მეჯინებეი, თვალჟუჟა, ჯელფეჯიანი (ალ. ოჩ. 43, 8) – ალ. ჭინჭ.

ახ. ქართ. II. **ჟუჟუნა** ნელი და ხანგრძლივი (წვიმა). *ჟუჟუნა* წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა (ხალხ.). გარეთ ნელი, *ჟუჟუნა* წვიმა მოდიოდა (ვაჟა). ყანების დროულად გამარგვლამ, გაზაფხულის *ჟუჟუნა* წვიმებმა კარგი პირი დაუდო მოსავალს (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. **ჟუჟინა** ჟუჟუნა, ცვრიანი, ციმციმა ზან. (მეგრ. ქობ.).

ფ. ერთელიშვილის ვარაუდით, *ჟურ-ჟუნ → ჟუ-ჟუნა (ერთელიშვილი 1970: 214). შდრ. I. ჟური.

დიალექტ. III. **ჟუჟუნა** ბოსტნის ია, შავთარა (ალ. მაყ.)

დიალექტ. IV. **ჟუჟუნა**-ი წვნიან კერძში ჩამბალი პური ან მჭადი. „მაწნის *ჟუჟუნაი* მომინდა რაცხა!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **ჟუჟუნი** დალბობა; ჩაჟუჟუნება – საბა. შდრ. ჩაბუჟბუჟება წვნიანში ჩაყრილის გაჟღენთა და გაბუება (პურისა, ორცხობილასი...) – ქეგლი.

ჟურ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჟური** 1. (ქიზ.) წვეთი – ქეგლი. 2. საარყე ქვაბში ჩაყრილ სახადში გარკვეული პროპორციით ჩამატებული წყალი. „თხლეს უნდა ნემეტანი ბევრი *ჟური*. რაც თვითონა, ერთი იმდონი უნდა დოუმატო კიდო, თვარა წაარწყევს ქვაბი“ (საჩ. შარაშ.). || საარყე მასალა, როცა წყალს დაამატებენ, იტყვიან: *ჟური* მივეციო (რაცხ. გურ.). „კოკაში *ჟური* წყალი არა დგა“ (ქიზ. მენთ.). ჟურ-: ნაჟური, სანაჟურე – საბა.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ჟური** ისრიმი – უმწიფარი ყურძენი (საბა). || შემოუსვლელი, მჟავე ყურძენი. „*ჟური* ჩააყარე ფხალში და მაიხოში გახდება“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ. || ჟურე მწვანე, მოუმწიფებელი ყურძენი (სოფ. ხიზაბავრა, მესხ. მაის.).

ჟურა:

დიალექტ. I. **ჟურაი** [აზერ. ჯჳრა] ტანმორჩილი, დაბალი ტანისა, ჯუჯა. *ჟურა* ყმაწვილი (*ჯუჯა ბავშვია*), არ გაიზარდავ (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **-ჟურაი** [აზერ. ჯჳრ(ა)] ჯური, -გვარ, -ნაირი, -ვით. ექ *ორჟურა* (ორგვარი) წყალ მოდის: ერთ დღჳი (მღვრიე), ერთ წმინდაი (ინგ. ღამბ.); **ჟურა-ჟურაი, ჟურბაჟურ, ჟურბაჟურაი** [აზერ. ჯჳრბაჯჳრ] სხვადასხვანაირი, ნაირნაირი, მრავალფეროვანი (ინგ. ღამბ.).

რ

რაგუ:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **რაგუ** 1. შარაგული, ჭურჭელი. ესე არს წკეპლითა, ბრწკლითა, ღვედკეცითა, ლერწმითა, ჩალითა, ბაიათაგან დაწნული: პირღო, გოდორი, აშარული (აშალური Z), კიშტე, სკნისი, ლანკანი და რაიც მათგან სუფთად დაიწვნიან რა(ი)მე – საბა. 2. სუფთად დაწნული ღობე – ქეგლი. შდრ. რაგვი 1. (იმერ.) დაწნული ღობე, შემოღობილი, შემორაგული [ღორი და ცხვარი]... ეცნენ ბოსტნის დაბალ რაგვს, ...შეამტვრიეს რაგვის ხმელი წკნელი... და შეუდგნენ შელმართს (დ. კლდ.) აგრეთვე ზ.-იმერ. ბოწ., ჩვენ. ფუტკ. 2. მვ. ირმისა და ღორის დასაჭერი მახე (საბა). || (გურ.) ჩიტის მახე – ქეგლი. **რაგვი** ხაფანგი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი **რეგუ-* (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე ღაფანციანი 1975: 359) – მ. რობაქ.

ახ. ქართ. II. **რაგუ** [ფრანგ. ragoût, ragoûter-დან მადის აღძვრა] კერძი, წვრილად დაჭრილი ხორცისაგან ბოსტნეულითა და სანელებლით შეზავებული – ქეგლი.

რაზ-ი:

დიალექტ. I. **რაზი** საკეტი. ჭიშკარს აქვს საკეტავი *რაზი* და დასაკიდებელი *რაზი* (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 300). „აი ზღაპარი იმაზეა ნათქვამი: რუ გადიდები, ქლათ კარ გეიწიო, იმაზე უნდა *რაზი*, რაც გექნება“ (მახ., გურ. ჯაჯან.). რაზი < რაზა. || რაზა [თურქ. ზირზა] კარის გარდასაცმელი რკინა – საბა. კუბოსა ჩასვეს, დაფარეს, მას დაუკლიტეს რაზები (თეიმ. I, 67, 113, 3). „შენთვის ურვილსა, გნუკავ სურვილსა, გულდაბურვილსა, გამხადო რაზად!“ (ბეს. 165, 15). || კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა, რომელიც გადაეცმევა კოჭაკს – ქეგლი; ჩვენ. ფუტკ.

დიალექტ. II. **რაზი** (არაბ. razi) თანახმა, კმაყოფილი. „ღმერთი *რაზი* გახადე“ (იმ.); „იმასაც *რაზი* ვიქნები“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.). „ჰა, კიდვენ გიმატებ თუმანს, *რაზი* ხარ?“; „შენ თავთან თუ არ დამაწვენ, საფერხესაც *რაზი* ვარ!“ (აჭარ. ნიჟ.). „*რაზი* ვიყავ თუ არ ვიყავ, არ დოგოკითხეს“ (ფერეიდ. ჩხუბ.); (ინგ. ღამბ., შავშ. ლექსიკ.).

რალ-ი:

დიალექტ. I. **რალი** ლარი. *რალს* ნართის წვრილი ბაწრისგან ვაკეთებთ. *რალივით* სწორია (რაჭ. კობახ.). თელებს გავთლით *რალით* და შემოვხაზავთ ფარგლით (ქვ. -რაჭ. მრეწ. IV, II, 137). მერე ამ ბაწარს ჯამში ამოვსრიდით და *რალათ* ვხმარობდით (ქვ.-რაჭ. მრეწ. I, 329). *დარალავს* რალით ხაზს გაავლებს, დალარავს. დასახერხად ჯერ დავრალამთ მორს და მერეღა დავხერხამთ (რაჭ. კობახ.).

რალი < ლარი. ლარ-ფუმე სომხურიდან ჩანს შემოსული ქართულში. სომხურშია լար „წვრილი თოკი". ვ. აჭარიანი მას უკავშირებს ბერძ. Λύρα „ქნარი", ლათ. lōrum „ღვედი, ქამარი" სიტყვებს (გელენიძე 1974: 27; გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. II. **რალი** (ინგლ. rally) ერთგვარი სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით (ავტორალი) ან მოტოციკლებით (მოტორალი) – მ. ჭაბ. პლანეტის ყველაზე ცნობილი და მასშტაბური *რალი*, წარსულში ცნობილი როგორც პარიზი-დაკარი, მომავალ წელს საუდის არაბეთში გაიმართება („რალ.").

რაჟ-ი:

დიალექტ. I. **რაჟი** ცხოველის კისერზე ჩამოკიდებული ზარი. -ე, ნენა, *რაჟის* ხმაა, მევიდა ჩვენი ძროხა (რაცხ. გურ.).

დიალექტ. II. **რაჟი** რაში, ზღაპრული მფრინავი ცხენი. ეთერი... შეაჟდა *რაჟზე* და წევიდა (გურ. ფოლკ. ღლ. 208). აგრეთვე გურ. ნიკოლ. რაჟი < რაში. ჟ < შ. რაში 1. ზღაპრული ცხენი, – მერანი. 2. გადატ. მეტად მალი ცხენი, – ბედაური (ქეგლი). გადატ. რაშ ქათამ, რაში ჭინსი ქათამ დიდი და კარგი ჯიშის ქათამი (ინგ. ღამბ.). **რაშ, რაშ, რაშურ** რაში (სვან. თოფ., ქალდ.). **რაში** რაში, ბედაური ზან. (მეგრ. ელ.). მ. ბუკია, რაშ- ლექსემას სპარსულიდან ნასესხობად შესაძლებლად მიიჩნევს (ბუკია 2006: 173).

რასა:

ახ. ქართ. I. **რასა** [ფრან. race] საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს სხეულის აგებულების ერთნაირი, მემკვიდრეობით გადაცემული ნიშნები (კანის, თვალის, თმის ფერი, თავის ფორმა, სიმაღლე და სხვ. – ქეგლი.

დიალექტ. II. **რასაი** ჩრდილოეთის ქარი (მთ., გუდ. ვირსალ.) – ალ. ღლ.

III. **რასა** [სანსკრ. გემოვნება] ძვ. ინდ. პოეტიკის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია. აღნიშნავს მხატვრული ნაწარმოების მიერ აღძრულ განწყობილებას ან ესთეტიკურ სიამოვნებას (ქსე).

საშ. ქართ. **რასა**+ 2, 11 გამოსლ. ZAa) კითხვ(ა), თუ, რათა – საბა.

რაფ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **რაფი** ZAaB. საფანვალი (საფანვლად D) მაღლა ვიწრო თარო, რომელსა სპარსნი რაფას უწოდენ – საბა. || [არაბ.] საფანვალი თარო (დ. ჩუბ.). მკრთალ შუქზე მაინც მკაფიოდ ისახება *რაფაზე* დადგმული ფართო ფოთლებიანი პალმა (ს. კლდ.) – ქეგლი. აგრეთვე რაფ (ინგ. როსტ.).

დიალექტ. II. **რაფი** დაპობილი, გაუთლელი ბელი. *რაფი* მიტო ეთქმის, რო დაპობილი ხეა (ფარცხნალი); რაფის ღობე წყვილ-წყვილად დასობილ სარებს შორის ირიბად ჩაწყობილი გაუთლელი ხის ღობე (სინონ. ხიმე). სარებს შორის ირიბათ ხეეფს აქ ქვია *რაფი* (ხევი); *რაფის* ღობე აქ ვე-

ნახსა, იგივე ხიმეა, მარა აქ „ხიმე“ არ იხმარება. ვახანში ზოგი ხიმეს უძახის, ზოგი-*რაფს* (ზვარე, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. რაფები (ბ. წერეთ.).

დიალექტ. **III. რაფი** ხის ან ქვის ნაგებობა, რომელიც გზას უღობავს წყლის მიმდინარეობას, ამაღლებს მდინარეში, ღელეში ან რუში წყლის დონეს და ამარაგებს წყალს წისქვილისათვის მისაწოდებლად (ტექნ. კაშხალი), – წისქვილის სათავე (სინონ. ჯებირი). არხის სათავეა *რაფი*, ხეებია ჩაწყობილი და გარაგულია იქა (ფუთი); ჯერ უნდა გოუჭრა არხი, მერე უნდა გაუკეთო *რაფი:* ხეები უნდა ჩააწყო წყალში უნდა შეაკავოს წყალი *რაფმა* (ზოვრეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). **როფი** დიდი შუაზე გაპობილი მორი ხისა ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **IV. რაფი** 1. გეჯა ღორის საჭმლის ჩასაყრელად (სინონ. ონჯარო, როფი). *რაფი* გბელი გობია, საჭმელ რო უყრით ღორს (შუქრუთი, ზ.-იმერ. ძოწ.). 2. **რაფჩ** აგებულ ქვაბი. სპილენძის ფურცლებისაგან შეკერვით გაკეთებული დიდი ქვაბი (თუშ. ცოც.). || სპილენძის ქვაბის ზედა, მოკერებული ნაწილი (ხევს. თავისებ. 296, 29). აგრეთვე ფშ. ხორნ.

დიალექტ. **V. რაფი** ფოსტლის შესაკერი მოწყობილობა: კალაპოტი და მისი ნაწილები (ქიზ. მენთ.).

რეის-ი:

ახ. ქართ. **I. რეისი** [გერმ. reise-დან მოგზაურობა] გზა, მანძილი, რომელსაც ტრანსპორტი (ავტობუსი, გემი, თვითმფრინავი...) გაივლის საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე – ქეგლი.

დიალექტ. **II. რეისი** (არაბ. reis) ხელმძღვანელი, თავმჯდომარე, მთავარი, ბელადი. „ჯემალაი ჩუენი *რეისი* გახდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ახ. ქართ. **III. რეისი** [პორტუგ. reis] წვრილი ლითონის ფული პორტუგალიასა (1911 წლამდე) და ბრაზილიაში (1942 წლამდე) – ქეგლი.

რეკა:

დიალექტ. **I. რეკაი** გამხმარი კუნძი (შ. გელ.). || რეხაი გამხმარი კუნძი (მოხ. ქავთ.). **რეკა** რეიკა ლარტყა ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ., ახ. ქართ. **II. რეკა** სარეკლის კრვა – საბა. || სარეკელთ კურა, რახუნება – ნ. ჩუბ. **რეკა, რეკვა** სახელი რეკ[ავ]ს ზმნის მოქმედებისა: რისამე ცემით ზარის და მისთ. ხმის გამოცემა. სიჩუმე იყო და მხოლოდ სალიტანიო ზარების *რეკა* ისმოდა (აკაკი). «კაცო, რა ზარის *რეკვა* ატეხე, პირდაპირ ვერ შემოხვიდოდი?» (ს. მგალობ.) – ქეგლი.

საშ. ქართ., დიალექტ. **III. რეკა** დავბერტყ ხილსა – დ. ჩუბ. || ჭოკის ცემით ან ხის დარხევით ნაყოფის ძირს ჩამოცვენა, – ბერტყვა. *კაკლის რეკა*, კაკლის ბერტყვა (აჭარ. ნიჟ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი **რეკ-* (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ. IV. *რეკა* მორეკა ნადირთა – საბა. მორეკ[ვ]ა ბევრის ერთად მოყვანა (პირუტყვისა; ვისიმე –როგორც პირუტყვისა); მოლალვა. საქონლის მორეკვა; გარეკვა – ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. *რეკ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

რესმ-ი:

დიალექტ. I. *რესმი* [არაბ.] სურათი, მონახაზი. „*რესმ* არ მაძლევს“ (ინ.); „*რესმი* რამდენ ჯანისა გამეიღეთ?“ (იმ.); „დავანახიებ ამ *რესმებს*“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.). რესმიშკალემი (თურქ.-ლაზ.) ფერადი ფანქარი (სახატავი ფანქარი). *რესიმი* || *რესმი* (თურქ. resim) ნახატი, სურათი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. *რესმი* [არაბ.] ოფიციალური, სახელმწიფოებრივი. „ჩუენი *რესმი* დილია თურქჩა“ (სტ.); „ჩემი შვილი *რესმი* მემური გახდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

რეულ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. რეული რევა – დ. ჩუბ. || არეული. საყორნის ყელში გამოჩნდა ჯგუფ- ჯგუფად ხალხი *რეული* (ვაჟა). თვალთახედვას თუ ნისლავდა რეული ფიქრი, ნანიკოს რომ გამოეწვია (ვ. ბარნ.) «აჰა, სიბრძნე და უქმი სიტყვა, ერთად *რეული*» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. || ყურძენი სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ნარევი. ეგე რეულია, *რეული* ყურძენი (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.). რეულიან ხალხი, ნარევი ხალხი (ხევს. ჭინჭ.). რევ-ძირი; -ულ მიმღეობის მაწარმოებელი.

დიალექტ. II. რეული რვეული. რეული გაგითავდა, სა ჩაწერ? (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.). || რვეული რამდონიმე თაბახი შეკეცილი და შეკერილი – დ. ჩუბ.

რეული < რვეული. -ეულ სუფიქსი. ძირი რვა. აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ურარუა „რვა“ (ჩუხუა 2017).

რეშ-ი:

დიალექტ. I. რეში (იმერ.) დიდი წვიმა, თავსხმა – ქეგლი. ახლა თუ გაავდარდა, წამოვა *რეში* და სულ გადალეკამს ყოლიფერს (წყალშავი). სა წახვიდოდი, *რეში* იყო (განთიადი); რეში მევიდა (ხიდარი, ხვაშითი, ბაჯითი, შომახეთი, წირქვალი) (ზ.-იმერ. ძოწ.). დიდი წვიმა რო არი, *რეში* მოვიდაო (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.). დარეშავს (იმერ.) დიდ წვიმას დაუშვებს. ისე დარეშა, რომ სულ წალეკა ყანები (ბ. წერეთ.) – ქეგლი. იხ. II. მრეში.

დიალექტ. II. რეში ფიცხი, გაფთრებული. წინ ტახი შემომეყარა, „რუხვი იყო და *რეშია*“ (ზ.-იმერ. წერეთ.). შდრ. რაში რაში; გადატ. რაში მძლავრი ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. II. რაჟი.

დიალექტ. III. რეში ხრეში. ნიაღვრის მიერ წამოღებული ნამსხვრევი კლდე, ქვა, ღორღი (მესხ. მაის.). *რეში* /რიაში /რიოში ზღვის ნარიყი ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. ხრეში მსხვილი ქვიშა. ხარ-ურმით უკლებლივ გაეშურნენ ლიახვის პირას ხრეშისა და მრგვალი ქვის გამოსატანად (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

რეხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **რეხი** უხეში. *რეხი* სიტყვები მიაყარა რძალს (ჩხირაული, ზ.-იმერ. ძოწ.). რეხი უკმეხი, ტლანქი – ი. გრიშ. რეხი < რიხი; შდრ. რიხი მოჯდომილი ტუქსვა – საბა. ძვ. რიხი ტუქსვა, შერისხვა; ზავთი – ქეგლი.

საშ. ქართ. II. **რეხი** მქისე, მჩატი, ადვილად გასატეხი – დ. ჩუბ.

დიალექტ. III. **რეხი** მბიმე, ქვიანი გზა, ურემს რომ გავლა უჭირს (გურ. ღლ.). || ქვიანი ადგილი, უფრო გზაზე იტყვიან (ი. მეგრ. 105) – ალ. ღლ.

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. ძირი *რეხ(უ) „ქვიანი გზა; ხეობა“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. IV. **რეხი, რეხები** (რაჭ.) მთის კლდოვანი კალთები (ვ. ბერ.).

ს.-ქართვ. *რეჴ- რეხი, მთიანი ადგილი (ჩუხუა 2017).

რიკრიკ-ი:

ახ. ქართ. I. **რიკრიკი** 1. მგალობელ ფრინველთა ჭიკჭიკი, – რაკრაკი. ტოროლა მაღლა ჰაერში ზარს აწკარუნებს *რიკრიკით* (აკაკი). 2. წყლის, ნაკადულის... ხმაური. დღეს რომ პატარა ჩანჩქერის *რიკრიკს* შევხაროდე, ხვალ თვალი დამიბრმავოს ზღვის სივრცემ (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **რიკრიკი** ქარქარიკა, რიკრიკა, რიყეზედ გამონაგდები წყლისაგან ხე ან სხვა რამ – დ. ჩუბ. იხ. II. რიკრიკა.

რიკრიკა:

ახ. ქართ. I. **რიკრიკა** რაც რიკრიკებს, რასაც რიკრიკი გააქვს, – რაკრაკა. რიკრიკა რუ. მე ვუყურებდი თეატრალურ დადგმას, გაფორმებულს შუქ-ჩრდილებით, მუსიკით, *რიკრიკა* გადამახილებით (რ. ინან.) – ქეგლი. *რიკრიკა* (სარაკუნა) ჯამზე მიმაგრებულია და საზედაო წისქვილს წვერით ეხაკუნება (გურ. მრეწ. IV, III, 228).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **რიკრიკა** ძვ. «მდინარის მონატანი ჩინჩხვარი» (საბა). || ნარიყი კარქარაკი, რიკრიკა – ნ. ჩუბ. || ხრეში, წვრილი ქვა. რიკრიკა (კახ.) ქვიან-ღორღიანი ადგილი («დიალ.») – ქეგლი. სიტყვა ფუძეგაორკეცებულია. შდრ.**რეკა** რიყე ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. III. **რიკრიკა** თარგი. ვინც კაი მკერავი იყო, ჯერ *რიკრიკას* გამოჭრიდა ზომებითა, მერე ი *რიკრიკით* შეკერამდა (ვაყა). წინათი რო ვკერამდით, რავი *რიკრიკა* რა იყო, ისე ვკერამდით შინა, თვალის ზომითა (ერედ., ქართლ. მესხ.). „რიკრიკა“ ნიშნავს თარგს დუშეთში და სხვაგან: „ცხოვრება თვითრჯულია, იგი კი არ გამოიჭრება ხოლმე ხალხისაგან მოგონილ *რიკრიკაზედ*“ (ი. ჭავჭ.) – ქეგლი. || რიკრიკი, რიკრიკა ფშ., ჰორ., გუდ. თარგი, ვიკრიკა მოჯ. (ამბობენ მორუსულე ქალები), **выкройка** (ა. შან). აგრეთვე ი. გრიშ.

რკალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. რკალი** 1. წრეხაზის მონაკვეთი ან მრუდი ხაზის ნაწილი, რომელიც ორ წერტილს შორის არის მოქცეული. [ავტობუსი] მიქროდა... *რკალივით* მოხვეულ შარაგზაზე (დ. სულ.). გორაზე ამართულა ციხე, რომელიც მთელ გორას *რკალივით* გარე შემორტყმია (ს. მგალობ.). 2. გადატ. გარემოცვა, ალყა. ქვეგანაყოფი მტრის რკალში მოექცა (დ. ბაქრ.). ◊ **ვოლტას რკალი** ფიზ. ნახშირის ან ლითონის ელექტროდებს შორის ელექტროდენის ხანგრძლივი გავლა გაზში, რის დროსაც ვითარდება მაღალი ტემპერატურა და წარმოიშვება კაშკაშა სინათლე [იტალიელი ფიზიკოსის ვოლტას გვარის მიხედვით] – ქეგლი. 3. საქონლის დასაბმელი კავი ხისა. 4. წისქვილის ქვის ირგვლივ შემოწყობილი გათლილი ხეები (ქართლ. გაჩ.).

რკალი < გრკალი; **გრკალი, რკალი** მოდრეკით გარდაბმული – საბა. გრკალი რგოლი, რკალი. „ვითარცა გრკალი ქედი შენი“ (ეს. 58, 5); „ამოაცუა გრკალი ნიჩურსა მისსა“ (იობ. 40, 21); „განგაცუ საყური და გრკალი ყურთა შენთა“ (ეზეკ. 16, 12) – ილ. აბულ.

აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *კრკ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. რკალი** კალია. „მიხა *რკალს* დეიჭირავდა, დეიკავებდა ხელში, დეინახავდა ხაჯვერა, მოფრინდებოდა და ხელიდან აცლიდა რკალს“ (იმერ. გაჩ., ქავთ.).

მითითებულია ს.-ქართვ. *კალ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

როდ-ი:

დიალექტ. **I. როდი** არნაბი, ტარიანი ძელი, ფიცარი ჩამოთხრილი მიწის გადასაყრელად, კალოზე ბზის ან მარცვლის მისახვეტებლად გამოსაყენებელი. „კალოზე მიაროდონა ბზე *როდითა*“ (ინ.); „ვიცით *როდი*, ფიცარია, აქ ტარი. იმით მივახვეტებთ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. როდი** უმოქმედო, უინიციატივო, მოუქნელი, მძიმე ხასიათისა. „ქალმა იჩივლა, *როდი* კაცი მყავდაო“ (ბ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. როდი: ვაშლი** – კრინცკი და როდი (ქართ. მტკვრ. ჩრდ. მრეწ. IV, III, 26).

საშ. ქართ. **IV. როდი (ხე)** ვარდი – საბა.

ვარდის სამშობლო ირანია, ხოლო მისი სახელწოდების ევოლუცია საბოლოოდ გამორკვეული არ არის. ერთი მოსაზრების მიხედვით, მას კუნძულ როდოსზე (ეგეოსი) დაერქვა „ვროდონ“. შემდგომში ეს სახელწოდება შევიდა ლათინურ ენაში როგორც „როდონ“, რისგანაც წარმოიშვა „როზა“. არ არის გამორიცხული, რომ ქართული სახელწოდება „ვარდი“ განვითარდა „ვროდონიდან“...არის აგრეთვე მოსაზრება, რომ სიტყვა „როდონ“ დაკავშირებული უნდა იყოს კელტურ „როდ“-თან, რაც ნიშნავს „წითელს“ – ზ. მაყ.

დიალექტ. **V. როდი** როდის? *„როდი* მიხუელ შენ?“ „როდი დავთესავთ ყანასა?- გამოსულში, სესხების მემრე“ (იმ., ჩვენ., ფუტკ.).

როკ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **როკი** 1. ხის ტოტის ძირი, ანუ კაპი ნუჟრიანი – ნ. ჩუბ. მებაღემ ვაშლს... შეანარჩუნა მხოლოდ ერთი მაღალი *როკი* (ი. გოგებ.). დედამთილმა *როკივით* გამხმარი ხელით... ძეწკვზე აჩურჩხლული გასაღებები გამოიღო და რძალს დაანახვა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || იგივეა, რაც ნუჟრი. „ზათი *როკებაი* ხაპი მოვდოდა“ (თ.) || ფიცრის კედელზე ჩაჭედილი ხის პატარა სოლი, რიკი, ტანსაცმლის დასაკიდავად გამოსაყენებელი. *როკები* ჩამომშპარიყო ღოჯიდან. 2. გადატ. სახე, ჭრელი, ნახიში, ნაქსოვის ზედაპირზე გამობურცული, ბურთულებად დასხმული. „როკები დაასხი, გო, როკები და წინდა ლამაზი მუა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 3. „*როკს* ვენახის ხეს ვუმახით, ვენახის ტანს“ (ქვ.-იმერ. «შინამრეწვ.»). „ვენახის *როკი* რომ ამოიყრის, ვაზსაც ვეტყვით და ლერწსაც ვეტყვით“ (იქვე) (ქვ.-იმერ. ასათ.). 4. ანატ. ძვლის წანაზარდი. კანის ქვეშ ბარძაყის ძვლის *როკები* მდებარეობენ («პლასტიკ. ანატ.») – ქეგლი. || კოჟიჟი, კოპი. კოჟიჟი, როკი – ერთია (ხოვ.). *როკი* დააჯდა ბავშვსა (ხოვ., ქართლ. ლექსიკ.). 5. გადატ. როკი გაუგებარი, მოუარშიებელი, ახლად მოსადრეკელი. „ისეთი *როკი* კაცია, რომ“ (ი. გრიშ.). აგრეთვე როკა: [მარომ] ჩამოსვლაში კაბაც ჩამოიხია, წვივიც ჩამოაქლიტა ხმელ როკას (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **როკი** (ინგლ. rock) – პოპულარული მუსიკის ჟანრი. როკ-მუსიკა – მუსიკის პოპულარული ჟანრი, რომელიც განვითარდა 1960-იანების შემდეგ, განსაკუთრებით ამერიკასა და ბრიტანეთში („ვიკიპ.“).

როლ-ი:

ახ. ქართ. I. **როლი** [ფრან. rôle] 1. დრამატურგიული ნაწარმოების პერსონაჟი, რომელსაც მსახიობი ასახიერებს სცენაზე. როლს ასრულებს. – მომღერალი... თამაშობდა უიმედო სიყვარულით გამსჭვალული ქალის *როლს* (ეკ. გაბ.). იასონი ძველი სცენისმოყვარე იყო, ხშირად საგმირო *როლებშიაც* უნახავთ (ს. კლდ.). 2. რომელიმე მოქმედი პირის მთელი სიტყვიერი მასალა (ტექსტი) პიესაში. აქტიორებმა *როლები* არ იცოდნენ რიგიანად (ილია). ყველამ ზეპირად ვიცოდით არამც თუ მარტო ჩვენი *როლები*, არამედ მთელი პიესაც (ა. ცაგარ.). 3. გადატ. მნიშვნელობა, ხვედრითი წონა, რაიმე საქმიანობაში მონაწილეობა. პიროვნების როლი ისტორიაში – ქეგლი.

დიალექტ. II. **როლი** ლორი. *როლი* ცეცხლის შორიახლოს უნდა ეკიდოს, რომ კვამლი მოხვდეს, ჭლე *როლი* გემზრიელია (რაჭ. კობახ.). ლორი > როლი. იხ. I. ლორი.

ახ. ქართ. III. **როლი** [გერმ. Rolle] ქაღალდის წარმოებაში მანქანა, რომელიც ფქვავს ბოჭკოვან ნივთიერებებს (ჩვრებს, ცელულოზას, ხის მასას) – მ. ჭაბ.

როფ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **როფი** რობა (თაბახ ZAaBCabE, თაბახი CqD.) ჭელგობი ZA. განუმარტავია BE. როფი, გორდა, ჭელგობი – საბა. || ამოთლილი ან ფიცრებისაგან შეკრული ხის დიდი, პირღია ჭურჭელი, –

გეჯა. [სონია] ზიდავდა ვენახიდან ყურძენს კალათებით საწნახლამდის, რომელიც უფრო *როფსა* ჰგავდა (დ. კლდ.). *როფებში* თვლებიდან ნაცვენ თბილ ფქვილს ბოჩი თითებით სრესდა (რ. გვეტ.). ფარნაოზმა... სიმინდი... ხარხინის *როფში* ჩაყარა (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. აგრეთვე: იმერ. ქავთ., ლეჩხ. ჩიქ., გურ. ჟღ. || **როფე** ხეში ამოგულული გეჯა, ვარცლი, სკა ფუტკრისა ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. III. რაფი.

დიალექტ. **II. როფი** მაგარი, სქელი ყინული. გაროფილი, გასიპული. ძლიერ გაყინული (გურ. შარაშ.).

როხ-ი:

საშ. ქართ. **I. როხი** „ზღაპრული ფრინველი", ფენიქსი. გლახ მე დამწვა ცეცხლმან ჩემმან, თქვენცა ჩემებრ მოგეგზება, / ვითა *როხი,* რომე დასწვავს ჩხნდესა, თვითცა დაიწვება (ნ. ციც. 382, 3).

ახ. ქართ. **II. როხი** 1. მსხვილად დაფქული მარცვლეული. 2. მსხვილი, უსწორმასწორო. «ეკლესიის გალავანი უბრალო *როხი* ქვის არის» («დიალ.»). ფიგურ. უცბად გაისმა ბუკის განგაში, იგი სეტყვის *როხს* მიემგვანება (გ. ლეონ.) – ქეგლი. როხვა, როშვა მსხვილად ვჰფქვავ, ვღერღავ – დ. ჩუბ. შდრ. **რუხუ** როხი; ლოხი; დიდი; ხორბლის, ღომის მსხვილმარცვლიანი ჯიში ზან. (მეგრ. ქობ.).

რუბა:

ძვ. ქართ. **I. რუბა** «მესამედი დრაჰკნისაჲ», მარჩილი: „გამოიღო სადრაჰკნე თჳსი და აღმოიღო ერთი *რუბაჲ,* – მესამედი დრაჰკნისაჲ" (მ. ცხ. 318v) – ილ. აბულ. შდრ. რუბი [არაბ.] მეოთხედი ნაწილი, ნაოთხალი, ჩასექი – დ. ჩუბ.

ქართულში რუბ სიტყვის დამკვიდრების ორი გზაა სავარაუდებელი: არაბული ან სპარსული. იდენტურია ფორმა და სემანტიკა. რადგან აღნიშნული ლექსემა ძვ. ლიტერატურულ ტექსტებში გვხვდება, შეიძლება ვიფიქროთ ამ სიტყვის უშუალოდ არაბულიდან შემოსვლა X-XI საუკუნეებში (იმედაძე 2014: 60-61).

დიალექტ. **II. რუბა** [იტალ. თურქ.] კაბა; ტანსაცმელი ახლა მისმა დედამა ერთი ყათი ტანისამოსი, *რუბა,* ქალისა შეაკერვინა (იმერხ., ქართ. დიალექტ., 381). || რობა [თურქ.] კოპწია კაბა (ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. ურუბა.

რუკა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. რუკა** 1. შეწყობილი, გინა მობმული – საბა. **რუკა მეჭანდრაკისა** ჭადრაკის დაფა. რუკად მეჭანდრაკისა, ე.ი. მიჯრით მობმული, კუბოკუბოდ, ვითარცა ჭადრაკის სახედ – დ. ჩუბ. || იგი სახლი ქაფურის იყო, არა ერთობით შექმნილი, განა *რუკად* შექმნილი მუღრაბარად თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული (ამირანდ. 333, 5). 2. გამოხატულება რისამე, მაგალ. ღეოღრაფიული ქარტა, ან წერილი – დ. ჩუბ. ჩვენებური არის, ბრძანების წერილი. რუყა არაბულად ეწოდების, ბრძანების

წერილიცა არის და მინაწერს რასმე წიგნათაც ითარგმანების – თ. ბაგრატ. «ჭმუნვა შეექმნა, თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერია. მოგნახეს, გბეზნეს ყოველგან, მათ *რუკა* დაუწერია» (რუსთაველი) – ქეგლი. 3. მიწის ზედაპირის შემცირებული პირობითი გამოსახულება სიბრტყეზე (ჩვეულებრივ, ქაღალდზე). ხოლო მსახლობელნი არიან სომხით-საბარათიანოს მთავარნი და აზნაურნი, ვითარცა ნიშანი გვიდვია *რუკასა* ამას (ქ. ცხ. IV, 332, 31). საქართველოს *რუკა* თავისი ბილიკებით და იმგვარივე მოხაზულობით, როგორც ეს თვითონ იცოდა, [ყარამანს] მაშინვე თვალწინ წარმოუდგებოდა (ა. ბელ.). ამ მთების ყველაზე უფრო მცირე მასშტაბიანი *რუკა* თან მქონდა (ს. მთავარ.). «ვიცი, ნაოსანნი სადაც დადიან; *რუკა* ხელთა მაქვს» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. 4. მანძილი? ნახე, პაიკი ექვსის *რუკის* წავლით გალაზიერდების და მაღალს კიბეზედ ავა (ქილ. 249, 12).

დიალექტ. II. *რუკა* ყველის დასაწური სამფეხა მაგიდა ან ფიცარი (ჯავახ. ბერ., ზედგ.). || ორომისებური, მაგრამ სწორკუთხა და ვიწროყელიანი ფიცარი, იყენებენ ახალი ყველის დასაწკრეტად (მესხ. ალ. ღლ.). რუკა < როკი; როკი ხის შტოს ძირი – საბა. || ხის ტოტის ძირი ან ნუჟრიანი კაპი – ქეგლი. იხ. I. როკი.

რულ-ი:

ძვ. საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *რულილი, ჰრული, რული* ძილი, თვლემა: „ანუ თუ ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და *ჰრული* წამთა ჩემთა“ Ქ, – „არა ვსცე ძილ თუალსა ჩემსა, არცა რულილ წამთა ჩემთა“ (Ჭ, ფს. 131, 4); „ჰრულის *რული* მათი“ (I, იერემ. 23, 31); აქვე: რულოვა, ჰრულოვა – ილ. აბულ. რული, ლული, თვლემა, მსუბუქი ძილი (დ. ჩუბ.) არ მიეცა თვალთა *რული* (ვეფხ. 391, 2). ბეფარის *რული* მოუვიდა (რუსუდ. 199, 30). აწ მას აქეთ შენსა მჭვრეტსა არ მომსვლია თვალთა *რული* ნ. ციც. 432, 2). ორმოც დღესა ლხინი ჰქონდათ, ვის მოუვა თვალთა *რული* (თეიმ. I, 44, 7, 2). „წუხელ მთელი ღამე მის თვალს *რული* არ მოჰკიდებია“ (აკაკი). წვეთის ჭყაპუნი ქალს ნანასავით ესმოდა და თითქმის *რული* მოჰგვარა (ვ. ბარნ.). დედიდასაც *რული* ეპარებოდა, მაგრამ თავს იმაგრებდა (ი. ეკალ.). || ფიგურ. დგება საღამო ჟამი., მთებს ეპარება *რული* (გ. ტაბ.). მოსდებია თითქოს *რული* და სიზმრებში სძინავს ბუხარს (ი. ნონეშ.) – ქეგლი. „*რული* დამაწუა თვალებზე, თავი რომ არ მივდვა, მინქინი არ მაქ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **რული** (რუიი) ძილი ზან. (მეგრ. ელ.).

მეგრულში ჰ-რულ-ის ზმნის მნიშვნელობაა „სძინავს“, ბ-ლურ-ს = „მძინავს“, ჭანურსა და ქართულში კი თვლემს. ეს უკანასკნელი გაგება უნდა იყოს თავდაპირველი. ქართული რულ ფუძე მიღებულია ლულ-ისაგან, რომელიც სხვათა შორის, შემორჩენილია ზემოიმერულში. თუშალს ლული არ მდებია (= არ მძინებია) (ქავთარაძე 1954: 79). ქართული ლულ-რულ ძირის შესატყვისებია: მეგრული რული / ლული, ჭანური ლირ (ჩიქობავა 1938). ძირის ქართულ-ზანური არქეტიპი *ლულ- აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1964).

საშ. ქართ. II. **რული** ნასიარულევი (დ. ჩუბ.). შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს *რულნი* (ვეფხ. 722, 1).

რ-ულ-ი; რ-ძირი; ულ მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი. შდრ. რებული მერმე მივიდე ცოცხალი, სადმეს სხვაგან მე რებული (ვეფხ. 183, 3). რება ძვ. – სიარული, სვლა. ისი სჯობს, მოსკოვს წავიდეთ წყნარად, ნებივრად რებითა (დ. გურამ.). «აღარ მწადიან შენთან რება, ერთად ქმედობა!» (ვ. ბარნ.) – ქეგლი. რება ზმნის შესახებ იხ. (არაბული 2001: 232).

ახ. ქართ. III. **რული** ბარბარ. საჭე („ბარბარ. ლექსიკ.").

რუხ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **რუხი, რუხა** „ყომრალ-ჭრელი" – საბა. || თეთრნარევი შავი ფერი, მუქი ნაცრისფერი, – ლეგა. კურდღელს... ჰქონდა გრძელი ტანი, *რუხი* ფერი, გრძელი ყურები (ი. გოგებ.). ნამდვილი *რუხი* მგელივით მოწანწალებს [მებატონე] (გ. წერეთ.). მოჩანდნენ *რუხი* ფარაჯების რიგები (ი. აგლ. თარგმ.). ფიგურ. ღრუბლიანი დილა იყო, *რუხი* და სევდიანი (ა. ჭუმბ.). რუხვი – ქეგლი. || რუხვი მელა, რუხვი ლობიო. რუხვი ფხალი (რაჭ. კობახ.).

მ. ჩუხუა: „ქართველურ ენებს შორის დამკვიდრებული რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობათა ჩვენების საფუძველზე ლოგიკურად გვეჩვენება ქართულში რუხი ზანიზმად ვაღიაროთ, რის საფუძველზეც ძვ. ქართულისათვის სავარაუდოა რაჯუ- (შდრ. ზან. თუ(ნ)თი ქართ. დათუ(ი...) არქე ფორმა, რომელიც დაიკარგა" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **რუხი** [არაბ.] სული, გონი. „იმათ *რუხისთვინ* მე გუუგზავნე" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III. **რუხი** გამოფუღრული კლდე, სადაც ათი-თორმეტი ადამიანი შეეფარება (თუშ. მრეწ. IV, II, 177). **რუხუა** ლოდებით შენება ზან. (მეგრ. ქობ.).

რუხა:

დიალექტ. I. **რუხა** (რუხი Cb) ყომრალ-ჭრელი – საბა, ნ. ჩუბ. იხ. I. რუხი.

დიალექტ. II. **რუხა** სადურგლო იარაღი ერთგვარი, კაწარა (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.); (ქიზ. მენთ.). **რუხა** კაწარა ზან. (მეგრ. ქობ.).

რცემლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **რცემლი** ღორის ფერდების ქონი. ქონი აქ ღორს შიგნი ხრიდან, გვერდის წკნელებზე, *რცემლს* ვეტყვით (ქვაციხე, ზ.-იმერ. ბოწ.). || რცმელა ქონის სქელი ფენა, მუცლის ღრუდან ჭაჭებამდე, რომელსაც აცლიან და გადაადუღებენ ცალკე ქონად. რცმელა მხოლოდ ღორს აერთმევა, სხვა საკლავს კი-არა. აქვე (ქვ.-რაჭ. მრეწ. III, II, 192 (სქ. 3). შდრ. **რცმელი** ფერდის ქონი, – ცმელი, ნაფერდალი – ქეგლი.

რცმელი < ცმელი; რ განვითარებულია (ერთელიშვილი 1970: 179). აღდგენილია ს.-ქართვ. *ცემ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **რცემლი** ცრემლი. *რცემლები* ყარა თვალებიდან (ზედა საქარა, ზ.-იმერ. ძოწ.). აღდგენილია ს.-ქართვ. *ცლემლ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

რცხმელა:

დიალექტ. I. **რცხმელა** (ლეჩხ.) რცხილა – ალ. მაყ. აღდგენილია ს.-ქართვ. *ცხემლ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **რცხმელა:** ღორი ჭაჭათან შიგნი ქონს *რცხმელა* ქვია იმას (ქვ.-რაჭ. მრეწ. III, II, 192). რცხმელა < რცმელა. ხ განვითარებულია. იხ. I. რცმელი.

რწმულ-ი:

დიალექტ. I. **რწმული** ყურის გამონაღვენთი სითხე. „ყურში ჩავარდნილი ბუზარე არა საშიში. ჩაკლავ ოტკიანი ბამბით და მერე იმას *რწმული* გამეიტანს“ (საჩ. შარაშ.). რწმული < რწბოლი < წბოლი მუწუკიდან გამონადენი სითხე, თხელი ჩირქი (ქეგლი, ლეჩხ. ჩიქ., იმერ. ქავთ.).

დიალექტ. II. **რწმული** რწმუნი ჭოტი, ბუ (გურ. ჟღ.). აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *რწამ- „ჭოტი“ (ჩუხუა 2000-2003).

რწყულ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **რწყული** ნარწყავი, მორწყული. ია და ვარდი, ნაზად მცქერალნი, ნამით *რწყულ* ქვიშას ამოსდებოდა (ვაჟა). «ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა *რწყულისა*, მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ-ნაკლულისა» (რუსთაველი). ფიგურ. გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს, სისხლითა და ოფლით *რწყულსა* (აკაკი) – ქეგლი.

რწყული რწყავს ზმნის მიმღეობური ფორმაა. რწყავ-ს წყალს ასხამს, წყალს მიუშვებს (მცენარეს, ნათესს, მიწას...). წყ-ალ- ...წყ-ურ-ს... წყ-ურ-ილ-... წყ-ურ-ი-ელ... რ-წყ-ულ-ი, უ-რ-წყ-ულ-ი („უწყლო“) მე-რ-წყ-ულ- („მეწყლე“) (ჩიქობავა 1942: 20). აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *წყალ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **რწყული** წყლული. იმას ქონდა *რწყული* კუჭზე (ღორეშა, ზ.-იმერ. ძოწ.).

რწყული < წყლული; წყლული ჭრილობა, იარა – ქეგლი. ძირი წყლ-; წყლავს ჭრის, კოდავს. წყლავს – წყლული. -ულ სუფიქსი (ჩიქობავა 1942: 30).

ს

საბამ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. საბამი** 1. საბმელი. «ასმათის ნახვა მიამა, ჩემგან დად საესავისა. წიგნი რა ვნახე, მომართვა ესე *საბამი* მკლავისა» (რუსთაველი). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ყელსაბამი – ქეგლი. || მშვილდის მოსაწევი თოკი, ლარი. *საბამს* ღგრეხენ კანაფისას, რო მაგარ გამავიდას (ეთნ. III, 74, 33). მშვილდს *საბამ* აღარ უძლებდა, ვადან ცვდებოდეს ჴმლისანი (ხევს. პოეზ. 540, 15) – ალ. ჭინჭ. შდრ. ძვ., ახ. ქართ. საბმელი (ილ. აბულ., ქეგლი).

საბამი ბმა ძირის ვნებითი გვარის მიმღეობაა. ბ-მ-ა სიტყვის ძირია ბ, ხოლო -ამ/-მ თემის ნიშანი. ქართველური ძირის არქეტიპი *ბ- აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1964; გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. **II. საბამი** საბანი (ხევს. ჭინჭ.). იხ. I. საბანი.

საბან-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. საბანი** 1. ზედ საბურავი – საბა. საბანი ზედ-დასახურავი ძილის დროს – დ. ჩუბ. დედაკაცსა მას აქუნდა ორი *საბანი* ტილოსაჲ (Sin. – 11, 159v); „დაებურა პირი მისი *საბნითა* მით“ (Sin. 11, 16v); „ბრძანა *საბანთაჲცა* მათ დაფენაჲ“ (Sin. –11, 160r) – ილ. აბულ. 2. ლოგინის ნაწილი, რომელსაც ზედ იხურავენ; წარმოადგენს ერთგვარ მკვრივ ქსოვილს ან მითელში გამოკერილსა და დალიანდაგებულ მატყლის (ბამბის, ბუმბულის) ფენას, რომელსაც გარეთა მხარეს გადაკრული აქვს ატლასი, აბრეშუმი ან შალი და მისთ. ოთარაანთ ქვრივმა... გადახადა *საბანი* და გულზე ხელი მოუსვა ხმაჩაკმენდილს და თვალებდახუჭულს შვილსა (ილია). არც ხალიჩა, არც ორხოვა, არც *საბანი* ატლასისა, გვაპატიეთ, ბატონებო, საწყლები ვართ ათას წლისა! (გ. ლეონ.). ფიგურ. ცოტა ხანს შემდეგ ბუნება ბამბის მსგავს თეთრ *საბანს* წაიხურავს და მთელს ზამთარს დაიძინებს (ი. გოგებ.) – ქეგლი. საბან-გობანი. საბანი და ლეიბი (მოხ. შან.). **საბან, საბან** (სვან. თოფ., ქალდ.). შდრ. საბანი [ბერძ. σάβανον] (ურუშაძე 1980: 224).

საშ., ახ. ქართ. **II. საბანი** მიმღ. ვნებ. მყ. 1. იგივეა, რაც დასაბანი. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. პირსაბანი. საბანად ზმნს. იგივეა, რაც დასაბანად. წყალზე პირის *საბანად* მე მიველ თავის ჭირადო (დ. გურამ.). ფიგურ. [მთვარეს] სხივნი არ დაუგზავნიან პირის *საბანად* წყალზედა (ვაჟა) – ქეგლი.

ბან-ძირიანი სიტყვები წერილობით ძეგლებში ფიქსირებულია V საუკუნიდან. სიტყვა ქართულ-ზანური ხანისაა. აღდგენილია ს.-ქართვ. *ბან არქეტიპი (კლიმოვი 1964, ფენრიხი, სარჯველაძე 1990) – ბ. გიგინ.

საბელ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **საბელი** «ბადის-პირი», «შტანგი», თოკი, ბაწარი: „*საბელნი* ცოდვილთანი მომეხჳნეს მე“ Ქ, – „ბადის-პირნი ცოდვისანი მომეხჳნეს მე“ (Ჭ, ფს. 118, 61); „დასდვა ნიშანი: *საბელი* ძოწეული ესე მოაბა სარკუმელსა“ G, – „დასდვა შენ სასწაულად: შტანგი ესე მეწამული გამოაბა სარკუმელსა“ (M, ისუ ნ. 2, 18); „იყო ჴელსა მისსა *საბელი* მაშჳნებელისაჲ და ლერწამი საზომელი“ (O, ეზეკ. 40, 3); „*საბელი* განჰმზადეს მახედ ფერჴთა ჩემთა“ F, – „*საბლითა* განართხეს მახე ფერჴთა ჩემთაჲს“ (U, ფს. 139, 6); მოაბეს ყელსა *საბელი* (ქ. ცხ. 212, 8); „ქმნა შოლტი *საბლისაჲ*“ (ი. 2, 15). აქვე: ზომთ-საბელი, მანქანის საბელი, ჯამლის-საბელი – ილ. აბულ. მოიღეს *საბელი* მშჳლდისა, მოაბეს ყელსა და მით მოაშთუეს (ქ. ცხ. II, 393, 23). ფეხი არ ახსნას *საბლითა* და ენა შებორკილოსა (დ. გურამ. 69, 56, 2); უსაბლო: ჯადოს მანქანებით *უსაბლოთ* იყო თავქვე ჩამოკიდებული ფერიდუხტ (შ36. III, 371, 17). ერთი *საბელი* მაქვს, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცეო (გამოცანა: გზა). [რაიბულს] ერთი ცხენი აღვირით ხელში ეჭირა და ამ ცხენზე ორი სხვა ჰყვანდა გამობმული *საბლით* ერთიმეორეზე (ვაჟა). ზოსიმემ ამ დროს *საბლები* შეხსნა კამეჩს (ლ. ქიაჩ.). || ფიგურ. ტრფობის *საბელით* მიაბა... [რამაზი]... დარიკომ და მერე რა მოკლედ! (ვ. ბარნ.). || ძვ. თოკი, რომლითაც მიწას ზომავდნენ. ეს მიეზომებოდა ხოლმე *საბლით* და ცალკე დაიმიჯნებოდა (ილია) – ქეგლი. || ბაწარი, თოკი. „...*საბელ* შამაავლებენ“ (წეთ., შავშ. ლექსიკ.). || ძაფი. „ძაფს *საბელს* უძახიან, იქ თოკვი“ (სირეთიე, კლარჯ. ლექსიკ). აგრეთვე: ფერეიდ. კორპ. ლექსიკ., ხევს. ჭინჭ., ინგ. ღამბ., ხევს. მრეწ. IV, III, 188.

საშ. ქართ. II. **საბელი** თვალის ავადმყოფობა (ფანასკ. 64, 27).

საგმირო:

სამ., ახ. ქართ. I. **საგმირო** გმირთ საფერი, გმირული – ნ. ჩუბ. || გმირის შესაფერი, გმირის დამახასიათებელი, – გმირული, გმირისა. ვინ მოგვითხრას მათი საქმე, უთვალავი, *საგმირონი*? (აკაკი). «გზას გილოცავს დედა-შენი: წა, *საგმირო* საქმე ქმენი!» (გ. ტაბ.). იასონი ძველი სცენისმოყვარე იყო, ხშირად *საგმირო* როლებშიაც უნახავთ (ს. კლდ.). || გმირის შესახები, გმირის მადიდებელი. *საგმირო* ზღაპრებმა... იმდენად გამიტაცეს თანდათან, რომ თავი გმირად დავისახე (აკაკი). [ჩალხო] მღეროდა *საგმირო* ლექსებს (ვაჟა) – ქეგლი.

საგმირო < გმირი. სა-ო აფიქსები; ფუძე გმირ-; გმირი «მამაკაცი». „მოსპოლავს ...გმირსა და ძლიერსა და კაცსა მბრძოლსა (ეს. 3, 2) – ილ. აბულ. გმირი კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა, და ბუმბერაზი – საბა.

ვვარაუდობთ, რომ გმირი წარმომავლობით უკავშირდება „დასრულებულის“, „სრულყოფილის“ აღმნიშვნელ სირიულ gmira სიტყვას. იხ.

აგრეთვე მარი 1918: 403, აბაევი 1958, ჯანაშია 1952: 4, ფოგტი 1968: 292, ერთელიშვილი 1970: 153, არაბული 2001: 147, გიგინეიშვილი 2016.

დიალექტ. II. **საგმირო** ლახვარი. „მტერს მოუქნიე *საგმირო*“ (თუშ. ხუბ.). *საგმირო* წამოუმაღლე, კდეს მოაფარა თავია, კდე ორად გავანაფოტე დევს წამოვსთხარე თვალია (თუშ. ცოც.).

სა-გმირ-ო; სა-ო დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსები. შდრ. გუმური || გმური ძვ. ერთგვარი შუბი, «ხელშუბა» (საბა). აქა-იქ გაფანტულა ხევისთავთა გვარეულობის განთქმული იარაღი: ჯავშნები, მუზარადები, ...ხიშტები, ზუფანები, ლიბადაკები, გმურები (მ. ჯავახ.). შორიდან ჯგროდ ნასროლი მაზრაკებით და გმურებით შეულეწეს გულისფიცარი (ლ. სანიკ.) – ქეგლი. ძველი ქართულის სამწერლო ძეგლებში „მახვილი იარაღით ჭრის, კვრის, დაწერტის“ მნიშვნელობით გვხვდება გუმერ- || გუმირ-, გურემ- || გურიმ-, გმერ- || გმირ-ფუძიანი ლექსემები. საბას განმარტებით „გურემა-ჩხუჱრა“. **გმირვა** -ლახურის კვრა, გმერა, გმირვა, გუმერა, გურემა მახვილის კურა, განწონება, განგმერა – ნ. ჩუბ. ამ ფუძეთა კავშირი ერთმანეთთან შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (ქავთარაძე 1964: 365, ერთელიშვილი 1970: 152, სარჯველაძე 1984: 325). შენიშნულია, რომ გუმერ- || გუმირ-ფუძე კავშირში უნდა იყოს „საომარი იარაღის, შუბის“ აღმნიშვნელ გუმური || გმური სახელებთან (ერთელიშვილი1970: 15).

სადაობა:

ახ. ქართ. I. **სადაობა** სისადავე უბრალოება, სიმარტივე. აქ [მუშაობას]... ურთიერთობაში შემოჰქონდა უფრო ახლობლობა, *სადაობა* (დ. კლდ.) – ქეგლი. შდრ. **სადა**, **სადაგი** ზედ. მარტივი, სამარადღეოდ. სადაგე, სადაგი, წრფელი – დ. ჩუბ. სადაობა < სადა. ობა აბსტრაქტულობის მაწარმოებელი სუფიქსი.

სამ., ახ. ქართ. II. **სადაობა** ძვ. იგივეა, რაც სადაურობა. წარმოშობა, წარმომავლობა. „მის მთავარისა *სადაობა* კვლა გიამბო, საქმე კვლაცა“ (რუსთაველი) – ქეგლი; შდრ. სადაველი სადაური (მოხ. ქართ. „დიალექტ“, 563, მთ. კაიშ.). ამოსავალია სიტყვა სადა. შდრ. ძვ. ქართ. სადაჲთ, სადაჲ «ვინაჲ», «ვინაიცა», საიდან: „სადაჲ ხარ შენ? ჰემეწელი ვარ“ (X 358r) – ილ. აბულ.

სა-და-ობა : ობა რთული სუფიქსი. სადა სიტყვაში გამოყოფენ ს.-ქართვ. *სა- ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

სადარო:

ახ. ქართ. I. **სადარო** დარის მომასწაველი ნიშანი (მაგ., ცის შეწითლება მზის ჩასვლისას) – ქეგლი. სა-დარ-ო. სა–ო აფიქსები. ფუძე დარ- < დარი. შდრ. დარი: არაბ. [დარ] სამოთხე; აქედან დარი ნეტარი დღე, სამოთხის დღე, ნეტარი დრო. შემდეგ: კარგი ამინდი, საამო დღე (ჯუმბურიძე 1978: 60).

ს.-ქართველურისათვის აღდგენილია *დარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე: ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. II. **სადარო** ძვ. სადარი, – მსგავსი, შესადარი. ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა... ჯერ უწვერული, *სადარო* ბროლ-მინა საცნობარისა (რუსთაველი) – ქეგლი. **სადარი** შესადარი ზან. (მეგრ. ელ.).

ჰრ. აჭარიანის აზრით, **დარი** შემოსულია ქართულში სომხურიდან [შდრ. სომხ. დარ] „ტოლი“, „მსგავსი“, „თანაბარი“, „წყვილი“, ხოლო სომხური ფორმა უკავშირდება სპარსულ tarōh-ს („კენტი“). ბ. გიგინეიშვილის აზრით, სომხურისათვის ამოსავალია არა tarōh, არამედ ფალაური tar „-ვით“, სუფიქსი შედარებითობისა (გიგინეიშვილი 2016).

სადოლე:

ახ. ქართ. I. **სადოლე** დოლისათვის განკუთვნილი, – დოლისა. სადოლე ტყავი. – სადოლე ჩარხი (ქეგლი).

სა-დოლ-ე; სა-ე დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსები. დოლ-ფუძე. შდრ. დოლი საკრავი. დავულ დიდი ბარაბანი [თურქ.] – საბა. შემოსული უნდა იყოს თურქულიდან (თურქ. დავულ „დიდი დოლი“) (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. II. **სადოლე** 1. დოლისათვის განკუთვნილი; 2. ცხვარი, რომელსაც დოლის დრო დაუდგა, რომელიც იგებს, – მეეზვე. მეცხვარე *სადოლისათვის* ინახავს ბინის უკან ყორუღს, როცა დოლი დაიძვრება, ცოტა-ცოტა მიუშვებს და მოაჭმევს («შინამრეწვ.») – ქეგლი.

სა-დოლ-ე; სა-ე აფიქსები. ფუძე დოლ-; დოლი დარგ. წვრილფეხა პირუტყვის ნაშიერთა (ბატკანი, თიკანი) მოგების პროცესი. დოლი სომხურად ხვასტაგთ შობასა ჰქვიან, რომელსა ქართულად იზვებას უწოდენ – საბა. მეგრულ-ჭანურ დვალა-სა და „დების“ სვანურ ლი-თჯალ-ს „შობის“ შეპირისპირებით ჯავახიშვილი დაასკვნის რომ დვალ ფუძე დებას და ნაყოფის გამოღებას, წარმოშობას ნიშნავს და როგორც ფრინველთა და პირუტყვთაგან, ისევე ადამიანისა, დედაკაცისაგანაც (ჯავახიშვილი X, 231). დოლი შესაძლოა მოდიოდეს თურქულიდან (თურქ. döl „შთამომავლობა“, „ჯიში“, „ჩანასახი“). დაკავშირება პრობლემატურია (გიგინეიშვილი 2016).

სავათ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სავათი** [სავათ, ან სავა] ჟივჟავი. || [Otis tarda] გარეული ფრინველი სავათისებრთა ოჯახისა. *სავათის* ხორცი სრულად მძიმე არის და მოუდნობელი (ქანან. 431, 28). ფრინველნი – წერო, ბატი, *სავათი*, ლაკლაკი (ქ. ცხ. IV, 745, 2). წაგიყვანო ტბაზე, ნახე, რამდენი იხვი, ბატი, წერო და *სავათია!* (ვაჟა). *სავათი* ანუ დუდაკი ეკუთვნის კანჭიანების რაზმს («მეფრინველ.») – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ., თუშ. შან. || საოთი – ივ. ქეშიკ. || საუოთი (ხევს., ფშ.) თეთრი ფრინველია (ა. შან.).

დიალექტ. **II. სავათი** საშველი (ი. ჭყ.). || სავატი ძალა, არაქათი (ქართლ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *საუ-ად „დამშვიდება, დაღლა, დასუსტება" > ქართ. სავად- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. სავათ** ცოდნა, განათლება (ინგ. როსტ.)

სავალ-ი:

საშ. ქართ. **I. სავალი** ვალი. სად რა გვეშოვნა მუდრეგად, სარგებლით გვთხოვა *სავალი* (დ. გურამ. 146, 568, 2).

სა-ვალ-ი; სა დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსი; ვალ-ძირი. იხ. I. მევალე.

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. სავალი** გზა: „სავალი იყო იგი სამისა დღისაჲ" (O, იონა 3, 3); „აღმართა სამისა დღისა სავალსა" (ქ. ცხ. 156, 7) – ილ. აბულ. || სასიარულო, სავლელი. მინდორი, *სავალი* დღისა შვიდისა (ვეფხ. 184, 2). (მუხთალმან) *სავალი* გზა დაგვიბნელა (დ. გურმ. 146, 568, 1). სამი დღის გოჭი სამი დღის *სავალზე* წავაო (ანდაზა). სანადიროდ წასულ მირიანს *ძნელსავალ* ტყეში გზა დაებნა (ივ. ჯავახ.). ლაშქრის *სავალი* გზა მოკლედ-ბოდა, მტერი იხევდა დაფეთებული (რ. მარგ.) – ქეგლი.

ვალ- ფუძის მონაცვლე ფუძეებია დი- და ვიდ- (უკანასკნელი წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში ვედ-ის სახითაა წარმოდგენილი. სახელზმნები ვალ ფუძეზეა დაყრდნობილი: სვლა, მავალი, სავალი (შანიძე 1980: 566).

სავარცხალ-ი:

ძვ., ახ. ქართ. **I. სავარცხალი**: „ბრძანა რკინისა *სავარცხალთა* შექმნაჲ... და სხუაჲ მრავალი სატანჯველად წმიდათა" (საკ. წიგ. II, 76, 5) – ილ. აბულ.

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. სავარცხალი**: 1. (სავარცხალი C) თმათ დასავარცხნელი – საბა. „მიიღე *სავარცხალი* ესე და დაივარცხნე წუერი შენი" (*283r) – ილ. აბულ. || საკირჩხნი სავარცხალი; ძვლის სავარცხალი (რაჭ. კობახ.). 2. გადატ.ფეჯის სავარცხალი ტერფის ზედა ნაწილი (მოხ. ქავთ.). || ჴელის სავარცხალი (ფშ.) ხელის ზურგი (მაჯიდან თითებამდე). || ჴელის საორცხალი (ხევს.) იგივე (ა. შან.). აგრეთვე ხევს. ჭინჭ. 3. **სავარცხალ[-ნ]ი** საჩეჩელი. [მატყლს] ჩეჩენ *სავარცხალთაზე* (ნ. ბალ.). ქარია და ქრისო, ქალსა ქმარი ცდისო. ჩამაიდგამს *სავარცხალთა*, ცრემლი ჩამოზდისო (ეთნ. ქორწ. II, 60, ხევს. ჭინჭ.).4. სავარცხალი,– საქსოვის დაზგის ნაწილი. „ჭაღაჭის წინ არის კიდავ *სავარცხალი*, რომენიც ღბეჭნის ტოლს" (მოხ. ქავთ.). აგრეთვე სავარცხელი – ქეგლი. || საბარცხელი (ჯავახ. მარტ.). || საბარცხალი (იმერ. გაჩ.).

აღდგენილია *უარცხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). აგრეთვე ჩიქობავა 1938.

ძვ., სამ. ქართ. **III. სავარცხალი**: „სხჳსა თესლისაჲ არს ქეცეანი იგი, ვითარცა ლოფოთქინი და *სავარცხალი* და კოვზი ზღჳსაჲ“ (ბ. კეს. -ეჭუს. დღ. 97, 18) – ილ. აბულ. „მოლუსკი არიან – აკალიფნიცა და *სავარცხლნი*“ (დ. სჯ. 482, 12) – ზ. სარჯ. სავარცხალი (თევზ.) (კანონი 120) თევზიო B. (თევზ.) ოხტაპოტა D. (თევზ.) E. ◊ (მძრომ.) ჯოჯოსა და მყვართან აჴსენა D. – საბა.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ურჩხ-, სა-ურჩხ-ალ- „ურჩხული“ → ქართ. სა-ვარცხალ-ი : ზან. ო-რჩხ-ოლ-ი → || უ-რჩხ-ულ-ი ←*ო-ურორჩხ-ოლ-ი (ჩუხუა 2000-2003).

საზამთრო:

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. საზამთრო 1.** ზამთრისა, სუსხიანი: „სოფელი იგი *საზამთროჲ*“ (მრთ. S. ბ. კეს.-40-თჳს 123, 5) – ილ. აბულ. **2.** ზამთრისათვის განკუთვნილი, ზამთარში გამოსაყენებელი, – ზამთრისა. მეცხვარეებმა ცხვარი *საზამთრო* ფარეხებში დააბინავეს (ი. გოგებ.). დახუნძლულ ხეჭეჭურებს, მაგარ, *საზამთრო* შავ მსხალს... და საზაფხულო... მსხლებს... ღონივრად დაეზნიქათ ტოტები (ნ. ლომ.). [ტასია] მატყლის *საზამთრო* წინდას ქსოვდა (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი. **3.** ზამთარში სასიარულო უსაფრთხო გზა (მთებში). – შინ რადარ წახვალ, სტუმარო, *საზამთრო* გორ ხო მშრალია, თოლს თუ თოვს, თოლისგულასა, თოლისგულა ხო წყალია?- აცა, მაიცა, ბებერო, დღეს თუ თოვს, ხვალ ხო დარია?- ეხლა *საზამთროზედაც* საორჩიგორ მთაზე სიარულიჲ (ხევს. ჭინჭ.). **4.** იგივე საბოსლო სადაც ზამთრობით კვებავენ საქონელს (ფშ. ხორნ.).

სა-ზამთრ-ო: სა– აფიქსები; ფუძე ზამთარ-; ძვ., სამ. ქართ. ზამთარი : ნუუკუე ზამთარ იყოს (ფიზ. XV, 33). აჰა ზამთარი წარჴდა (O, ქება, 2, 11) – ილ. აბულ. ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან (ვეფხ. 1347, 1). ქართულ-ზანური არქეტიპი ზა-მთარ-სახით აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1964: 86; თოფურია 1940: 47) – ბ. გიგინ.

სამ., ახ. ქართ. **II. საზამთრო 1.** (ყარფუზ CabE.; ძმერუქ CDE.) ესე არს, რაჲცა (რაიცა Ab) ზამთრისათვის შეინახება; ხოლო მას ხილსა, რომელი ნესვთან მოვა, მელსაპეპონი ეწოდება – საბა. კვლებზე მოჩანდა... პრასა, ქინძი, *საზამთრო*, ფხალი (დ. კლდ.) – ქეგლი. მე კი სულ მკლავდა ცნობის წადილი, / არა სახუმროდ ან სააზარტოდ/ თუ რატომ ჰქვია წანდილს წანდილი, ანდა *საზამთროს*, რატომ საზამთრო? (შ. ნიშნ.). **2.** ამ ბაღჩეულის ნაყოფი, რომელსაც აქვს მკვრივი ქერქი და ტკბილი, წვნიანი ხორცი წითელი, ვარდისფერი ან, იშვიათად, ყვითელი და თეთრი ფერისა – ქეგლი.

ნასესხები ფიტონიმები ხშირად დამახინჯებული სახით მკვიდრდება. ამის კლასიკური მაგალითია საზამთრო. ამ კულტურის სამშობლო აფრიკაა, რომელიღაც სხვა ქვეყნის გავლით იგი საქართველოშიც მოხვედრილა, სადაც მას დაარქვეს „საზამთრო“, ე. ი. ზამთრისათვის შესანახად გათვალისწინებული (ზ. მაყაშვილი 1996: 87).

საზარდულ-ი:

ძვ. ქართ. I. **საზარდული** საზრდო. დღისაცა ერთისა *საზარდული* არა აქუნდა (წოველები, II, 297, 10-11); აქვე საზდელი – ზ. სარჯ. აგრეთვე: საზრდელი, საზრდო – ილ. აბულ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **საზარდული** ანატ. მუცლის ქვედა ნაწილის მიდამო თეძოების შიგნით და ბოქვენის მარჯვნივ და მარცხნივ. მუცლის მიდამო მოსაზღვრულია ზევიდან ნეკნთა რკალებით, ქვევიდან კი – თეძოს ქედებით და *საზარდულის* ღარებით («პლასტიკ. ანატ.») – ქეგლი. „ეს შალი *საზარდულებში* მიჭირებს" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ზარდ- ფუძიანი სიტყვები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (აღნიშნავს როგორც (აღ)ზრდას, ისე გამოკვებას): „ვითარცა მზრდელი რაჲ ზრდინ თჳსთა შვილთა" (I თეს. 2, 7); „ზრდიდა მათ პურითა და წყლითა" (III მეფ. 18, 4) – ილ. აბულ. ზრდ-ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა „გამოკვება", „ჭმევა" უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს არა მარტო ძველი ქართული, არამედ სიტყვაც საზრდელი, რომელიც ნაწარმოებია ზრდ-ძირისაგან და ნიშნავს „საჭმელს". თავდაპირველი მნიშვნელობა შეცვლილია უკვე საშუალ ქართულში, ხოლო თანამედროვე ქართულში ზრდა-ს აღარაფერი აკავშირებს „ჭმევა-კვება"-სთან (გიგინეიშვილი 2016). აღადგენენ ს.-ქართვ. *ზარდ- || ზრდ-არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საზარე:

დიალექტ. I. **საზარე** ადგილი (კოშკი), სადაც ხატის ზარია დაკიდებული. ააშენებინა დროშის საბძანისი, დარბასი, საქვაბე, *საზარე* (თ. ოჩ. სარწმ. 102 – ალ. ჭინჭ. აგრეთვე თუშ. ხუბ.

სა-ზარ-ე: სა-ე აფიქსები. ფუძე ზარ- [სპარს.] რვალის დიდი სარეკელი – საბა, დ. ჩუბ. აღდგენილია ს.-ქართვ. *ზარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ქურდიანი 2010; ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **საზარე** სასიმინდე, ძარი. [ქარი] ჩალხაიშვილს სახლს დაუშლის, ნიათ ლეკოს – საზარესა. – საკიტრიაჩი ბოსელთა სამოცდასამი ბოძ ედგა, *საზარესავეთ* ბუხარი, სასუდოსავით კარ ება (ხევს. ჭინჭ.). || ოთხ ბოძზე შედგმული მოწნული სათავსო სახლის სიახლოვეს, სადაც სიმინდის ტაროს ან სხვა რამეჲ გამოსაშრობს ინახავენ (ფშ. გოგატ.). სა-ზარ-ე: სა-ე აფიქსები; ზარი ← ძარი გოდორი, შესანახავი სიმინდისა, ან ქორთა საჯდომი გალია (დ. ჩუბ.).

ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით, აღდგენილია ს.-ქართვ. *ძარ-/ძან- „ვარცლი, გოდორი" → ქართ. ძარ-ი || ძარ-ო, ძობან-ი (ჩუხუა 2000-2003).

სათირ-ი:

დიალექტ. **I. სათირი** ხორცის სანაყავი ფართო ცულისებრი პირის მქონე დანა. „*სათირით* ქუფთას ნაყებენ“ (მესხ. მაის.). || სათული, სათულე ხორცის საჭრელი დიდი დანა; პატარა ცული ან წალდი – ქეგლი. შდრ. არაბ. „სათურ“ იმავე მნიშვნელობით (კობიძე 1974: 642).

დიალექტ. **II. სათირი** დიდი მორი, რომელიც ურემზე ვერ დაიდება, ხარებს მოუბამენ და ისე მიათრევენ. კაცი ტყეში წავიდა, მოუბა ერთი *სათირი* (კახ.-ქიზ. მარტ., იმნ.).

ვფიქრობთ, სათირი < სათარი. სათარი «შეშა მოთრეული» (საბა). თარ: სათარი, თრევა – საბა. აღდგენილია ს.-ქართვ. *თარ- || თრ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **III. სათირი** (არ. satir) სტრიქონი, ხაზი. „ყურანის სათირები, ნაწერები იკითხე“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

საკეკ-ი:

დიალექტ. **I. საკეკი** შაკიკი (მთ. კაიშ.). || საკეკა (ხევს. ჭინჭ.). **საკეკის ქარი** შაკიკი (ს. მაკალ. 226, 26) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე ქიზ. მენთ. შდრ. შაკიკი [არაბ. შაყიყა] თავის ერთი მხრის დროგამოშვებით ტკივილი, გამოწვეული თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით – ქეგლი.

დიალექტ. **II. საკეკ** საკენკი შინაური ფრინველის საკვები მარცვალი, ჩვეულებრივ „ცხრილ ქრშაჲ განასულ“-ია (ინგ. როსტ.);

საკეკ < საკენკი ფრინველთ საკვები (მარცვლეული, ნამცეცები და მისთ – ქეგლი. სა- დანიშნულების პრეფიქსი; ძირი კეკ ← კენკ-; კენკვა ზმნისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *კენკ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საკმიელ-ი:

დიალექტ. **I. საკმიელი** საკმეველი. კაი სუნი აქ *საკმიელს* (სვერი, (ზ.-იმერ. ძოწ.). სანთელ-*საკმიელივ* გზას არ დახკარგასავ იციან (თუშ. ცოც.). აგრეთვე გურ. ნიკოლ. იხ. II. სარკმელი.

დიალექტ. **II. საკმიელი** სინათლის შემოსასვლელად და ნაკელის გადასაყრელად გაკეთებული პატარა, უმინო და უჩარჩოო სარკმელი ბოსელში. *საკმიელი* თ'ვარ ექნა ბოსელს, სინათლე სიდან შამოვა! (შომახეთი, მოხვა, ზ.-იმერ. ძოწ.). აქვე: სარკიმელი, სარკმელა, სარკმიელი, სარკმიელა. იხ. I. სარკმელი.

საკმიელა:

დიალექტ. **I. საკმიელა** იხ. II. საკმიელი. ბოსელში არი *საკმიელა*, სინათლე რო შევიდეს (მოხვა, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **II. საკმიელაი** „გურული ვაზის ჯიში: იცის საღვინე და საჭმელი ყურძენი“ (გურ. შარაშ.). || საკმელა თეთრი ყურძნის ჯიში (ამჟამად მხოლოდ გურიაშია შემორჩენილი). არსებული ცნობების მიხედვით აღმ. საქართველოს თემებში საკმელას ყურძნის ჯიში არა ჩანს (ივ. ჯავახ.). იხ. I. საკმიელი.

საკუხ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. საკუხი ტოლამა, გინა წამოსასხამი, გინა დურა ZAB. წამოსასხმელი ტყავი, გინა ტოლამა CD. წამოსასხამი – საბა, დ. ჩუბ. || ძვ. ტყავის წამოსასხამი, – ტოლამა, დურა – ქეგლი.

სა-კუხ-ი: ვფიქრობთ, რომ სა-პრეფიქსია, კუხ -წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს შემდეგ სიტყვებს: კუკუხო თეძოს ძვალნი – საბა. კუნკუხო ფშ. (რაზ.-ჭყ.) „იგივე კუკუხო, უკანანი“. კუნკუხონი, კუკუხონი ფშ. გავა. კუკუხო მოხ. საჯდომი ძვალი მეკუბის ქვემოთ – ა. შან. კუკუმფხო || კუკუფხო ფრინველის კურტუმოს ზედა ნაწილი (ზ.-იმერ. ძოწ.). **კუკულე** თეძოს თავი ზან. (მეგრ. ქობ.).

ძვ. ქართ. II. **საკუხი** თმის საკრავი, სათმეური: „მოუღოს... *საკუხები* და ვარღლები და საცხინველები“ (O, ეს. 3, 18) – ილ. აბულ.

სა-კუხ-ი: სა-პრეფიქსი; კუხი კი წარმომავლობით იგივე უნდა იყოს რაც კოხრო (მოხ., იმერ.) კეფა თავისა (ა. ყაზბ., შ. ძიძიგ.) – ალ. ღლ. კოხრო, კოხროლია, კოთხრო პირუტყვის თავი (ხევს. ჭინჭ.).

სალავათ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **სალავათი** [არაბ. სალავათ «ლოცვა»] 1. ლოცვა, კურთხევა. «ჰაი, თქვენი რჯული და *სალავათი*, თქვენი! შეხედეთ, ამ დროულ კაცსა ქუდი რა დღეში ჩამიგდეს!» (ბ. ჩხ.). პავლიამ ფიცსა და *სალავათს* მოხსნა თავი (ბ. ჩხ.). დალახვროს ღმერთმა მჩაგვრელთ რჯული და *სალავათი!* (ი. ეკალ.) – ქეგლი. || (salavat არ. salat) ლოცვა მუხამედ მოციქულისადმი. „*სალავათი* დღეში ბევრჯერნა თქუა, ღმერთინა ახსენო“. აქვე სელავათი (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 2. სალოცავი. ერთი *სალავათი* მამატავინეთ, ჩემ რჯულზე ვილოცამო (ჯავახ. მარტ.). || გადატ. სალაოთი ტკბილი ბაასი, საუბარი; ესალაოთების, მაესალაოთების (ხევს. ჭინჭ.).

საშ., ახ. ქართ. II. **სალავათი** მშვიდობა, მოსვენება, ჯანმრთელობა. დეუთ *სალავათი* მოიღე, – ნარიმანს უთხრა ენითა (შჰნ. III, 880, 1). || უხმარიათ სალამათის, საღ-სალამათის მნიშვნელობით. თინათინს იმდენი *სალავათი* აღარ ჰქონდა, მირზას წინანდელი აზიზობით მოპყრობოდა (რ. გვეტ.) – ქეგლი.

სალავათი < სალამათი [არაბ. სალამათ «ჯანმრთელობა»] რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. საღ-სალამათი. სალავათი მიღებულია სალამათ სიტყვისაგან: მშვიდობა, მოსვენება, ჯანმრთელობა. სალავათი კი სულ სხვაა და ნიშნავს ლოცვა-კურთხევას. ქართულში, ზოგჯერ, სალამათის მნიშვნელობით სალავათი უხმარიათ (კობიძე 1974: 642).

სალათა:

დიალექტ. I. **სალათა** პურის დასაწყობად წნელისაგან მოქსოვილი მრგვალი სპეციალური ჭურჭელი, ლასტი, ტაბაკის მსგავსია (ჯავახ. ბერ., ზედგ.). შდრ. II. სალთი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. სალათა** 1. (ბალ.) – ნ. ჩუბ. || [თურქ. სალათ] ქართულად ყრდელი – ზ. მაყ. || [იტალ. salato-დან დამარილებული] [Lactucasativa] ბოსტნეული მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; აქვს მკრთალი მწვანე, ფართო ფოთლები, რომლებიც იჭმება უმად, სათანადოდ შეკაზმული, მეტწილად ხორცთან ერთად. კვლებზე მოჩანდა ოხრახუში, პრასა..., *სალათა* (დ. კლდ.). მწვანილის კვლები სავსე ჩანდა ქორფა *სალათითა* და ჭარხლის ტკბილი ფოთლებით (თ. რაზიკ.). 2. ცივი კერძი, რომელსაც ამზადებენ წვრილად დაჭრილი ბოსტნეულისაგან (ზოგჯერ ხორცისა და თევზისაგანაც) ზეთით, ძმრითა და მისთ., – ტაბუცუნი – ქეგლი. „მოვხარშავდით კვერცხებს, გავაკეთებდით კიტრისა და პამიდორის *სალათას*“ (რ. ინან. წისქვ. 10,19). || (salata) სალათი. „ყუელა დღე *სალათა* გუაქ სუფრაზე, სირქეს ვასხამთ“ (ჩვენ. ფუტკ.).

სალთ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. სალთი, სალთა** 1. მარტოხელი, კენტი. დავყიალებ თბილისში კენტი, *სალთი*, ეული (ი. გრიშ.). **სალთად** ზმნს. ცალად, მარტოხელად. «აგერ ოცდაათი წლისა გახდები, ჯერ ისევ *სალთად* ატარებ დროს!» (ვ. ბარნ.). 2. უბარგოდ, უტვირთოდ, მსუბუქად. [ოსტატი] *სალთად* მოსული, დაბარგული ბრუნდებოდა შემოდგომაზე (ვ. ბარნ.). სულ საცალფეხო გზაზე მივდივართ, ცხენი-კი *სალთად* მიგვყავს (თ. სახოკ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ., მთ. კაიშ. შდრ. **სალთა** თურქ. [salt] „ერთი“, „მარტო“ (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **II. სალთი** სათლი (შდრ. არაბ.-სპარს. sätl „ვედრო“) (ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. სათლ-ი [არაბ.-სპარს. სადლ «ვედრო»] ძვ. «ტოლჩა, საკიდარი ქვაბი» (დ. ჩუბ.).

სალმობა:

ძვ., ახ. ქართ. **I. სალმობა** «ჭირი», ტკივილი: „*სალმობათა* (ჭირთა Ჭ) ჯოჯოხეთისათა მომიცვეს მე“ (ფს. 17, 6); „ესე ყოველი დასაბამი *სალმობათაჲ* არს“ (მთ. 24, 8); „რაჲთა არა გრძელად სიხაშმედ გარდაექცეს მას *სალმობაჲ* მისი“ (მ. სწ.192,8); „პური შენი *სალმობით* ჭამე“ (ო, ეზეკ. 12, 18). აქვე: სალმობიერი ტკივნეული, «ლმობიერი». სტომაქსალმობიერი კუჭმტკივანი – ილ. აბულ. ჩვენ დაგვიტევა ჭირსა.. და *სალმობასა* და გლოვასა მოუთმენელსა (რუსუდ. 154, 5). ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა წყალთაგან შენთა, დამინთქე მათში *სალმობანი* გულისა სენთა (ნ. ბარათ.). «ეშმაკეულნო *სალმობანო*, წარვედით ჩემგან!» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი.

სალმობა, ელმის „სტკივა“ ზმნის სა- პრეფიქსით წარმოებული მასდარია (ჩიქობავა 1942: 226; ქავთარაძე 1954: 276, 302).

სამ. ქართ. **II. სალმობა** სალმის მიცემა, მისალმება. რა მათი *სალმობა* გათავდა, აწ მოვიდა უანგარიშო ჯარი (რუსუდ. 399, 20).

სალმ-ობ-ა; ობა აბსტრაქტულობის მაწარმოებელი რთული სუფიქსი. ძირი სალმ- ← სალამ-ი. სალამი [არაბ. სალამ «მშვიდობა»] შეხვედრისას ერთმანეთისადმი მიმართვა საგანგებო სიტყვით (აგრეთვე თავის დაკვრითა და ზოგჯერ ხელის ჩამორთმევითაც) – ქეგლი.

სალმუნ-ი:

ძვ. ქართ. I. **სალმუნი** ფსალმუნი. „ესმა ჴმაი *სალმუნისაი* წარმავალთა ვიეთმე ქუაბსა მის თანა“ (ანდ.-ანატ. 192, 9); „იტყჳს *სალმუნი*“ (კ. იერ. აღდგ. 161, 12); „მიჰყვანდა იგი საფლავად *სალმუნითა* და კურთხევითა“ (დ. დ. 131, 14); **სალმუნება** ფსალმუნება – ილ. აბულ. შდრ. **ფსალმუნი** [ბერძ. psalmos სახოტბო საგალობელი] „წერილ არს წიგნსა *ფსალმუნთასა*“ (საქ. მოც. 1, 20) – ილ. აბულ. || (პსალმუნ B.; ზაბურ Z, ზბურ AaBCb.; საღმოს ZAaBCDE.) (+ ესე არს B) საგალობელი, გინა ლმობიერმყოფელი ZAB. ფსალმუნი ეწოდების ლმობიერმყოფელსა (+ გინა საგალობელს Cb) – საბა.

ახ. ქართ. II. **სალმუნი** ძვ. სალბუნი – სამკურნალო საცხი, – მალამო. ფიგურ. შენგნით მოელის ქვეყანა მწუხარებიდამ დახსნასა, თვალზე ცრემლების შეშრობას, გულზედ *სალმუნის* დასხმასა (ა. ფურც.) – ქეგლი.

სალმუნი ← სალბუნი. სალბუნი [ზაქრომ] ჭრილობას სალბუნი წაუსვა, შეუხვია (მ. ჯავახ.). შდრ. **ლბუნება** ცხება. და წინასწარმეტყველნი მათნი ალბუნებდეს მათა (ეზეკ. 22, 28) – ზ. სარჯ. ლბუნ- ორი თავსართით დასტურდება ძველ ქართულში (ა/ი) ალბუნებდეს, მილბუნოს. ალბუნებს ზმნაში იგივე ლბუნ გვაქვს რაც სალბუნში (მალამო) (ცქიტიშვილი 1976: 293).

სამან-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **სამანი** 1. [სპარს. სამან «ზომა», «საზღვარი»] საზღვარი, მიჯნა. თბილისი... აზიის *სამანზეა* (კ. გამს.) – ქეგლი. 2. მანა ან ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად. აწ დაქიშპდეს უსაზომოდ, შუა დასვეს მათ *სამანი* (არჩ. 323, 675, 3). «აქ უნდა ჩაიგდოს დიდი *სამანი*» (ს. მგალობ.). [გიგომ] დაინახა კარგა მაღალი ბრტყელი ქვა, რომელიც *სამანივით* იყო მიწაში ჩამძვრალი (ნ. ლომ.). 3. ეთნ. მანა, ქვა, რომელსაც ასობდნენ მიწაში ვისიმე დარისხების ნიშნად. ხატში მზად ჰქონდათ ორივე – სამრისხველო და სამანი – ქეგლი. აგრეთვე: ხევს. ჭინჭ., ფშ. ხორნ., ქეშიკ., თუშ. ცოც., მთ., კაიშ., ფერეიდ. ჩხუბ., იმერ. გაჩ., ქვ.-რაჭ. მრეწ. IV, III, 147. აგრეთვე სამანავი (ქართლ. იმნ).

მ. ჩუხუას მიერ აღდგენილია ს.-ქართვ. *სამ-ალ- „საზღვარი“ → ქართ. სამ-ან-ი || სა-მ-ან-ა || სამ-ან-ე (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **სამანი** [თურქ.] ბზე, ნამჯა. „ერთ თერფიდამ *სამანი* იქნება“ (იმ.); „*სამანი* (ბზე) დარჩება ცალკე“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). „*სამანს* შურევთ მორჩვს (ნ.), ცოტა მარილ მუაპუპკავთ, ქატოს მუაყრით და წამუადუღებთ, საქონელი ძალიან ეტანება მას“ (აჭარ. ნიჟ.). ჩვენ *სამანი* ვეტყვით... აგენი ბზე ეტყვიან (მურკვეთი, კლარჯ. ლექსიკ).

სამბო:

დიალექტ. I. **სამბო** მუწუკია ჩირქოვანი, რომელშიც ზარწყალი დგება. „ამოყაყვას იმას ვეძახით, რო ამუალის *სამბო. სამბოს* ეტყვიან, ამაიყაყვრაო./ დაუყაყვრდაო/, *სამბო* გამაუიდაო. *სამბო* ეს არი, კანუწა რო გამუა, მუწუკებივით, ავადობის სახელია“/უკანა ფშავი/ მოხეურში *სამბო* ძირმაგარაა (ფშ. გოგატ.). || ძირმაგარა. სამბო მუწუკი საზოგადოდ ძირდიდიც და ძირქვეითიც (მოხ., ფშ. შან., ხორნ.).

ვფიქრობთ, სამბო მომდინარეობს ბმა სიტყვიდან მეტათეზისით → მბა. ბმა სიტყვის ძირია ბ, ხოლო-ამ/-მ თემის ნიშანი. ს.-ქართველური *ბ- აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1964: 74). იხ. აგრეთვე: ჭარაია 1918: 192, ჩიქობავა 1938, ფენრიხი, სარჯველაძე 1990; 2000, გიგინეიშვილი 2016).

დიალექტ. II. **სამბო** ივრის ხეობის ფშავში *სამბოს* უწოდებენ კავიან ჯოხს, რომელზეც ქვაბებს ან სათლს ჰკიდებენ (ფშ. გოგატ.). შდრ. I. სამბო.

ახ. ქართ. III. **სამბო** [რუს. самбо, შემოკლ. самозащита без оружия] სპორ. თავისუფალი ჭიდაობის ერთ-ერთი სახე. სამბო... ეროვნულ ჭიდაობათა თითქმის ყველა სახეს შეიცავს («ლელო»). ესპანეთის ქალაქ ხიხონში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი *სამბოში*. ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა შესანიშნავად იასპარეზა („სამბო“).

ახ. ქართ. IV. **სამბო** [ინგლ. sambo, ესპ. zambo] ადამიანი, რომელიც წარმოშობილია ინდიელი მამაკაცისა და ზანგი ქალის შერეული ქორწინების შედეგად – მ. ჭაბ.

სამთ-ი:

დიალექტ. I. **სამთი** ხერხი, მიდგომა, მომარჯვება. „საქმის *სამთიწა* იცოდე, უსამთოთ საქმის გაკეთება გაგიჭირდება“. **სამთიანი** მოხერხებული, საქმეს მარჯვედ რომ ეკიდება. „ისრეთი *სამთიანი* კაცია, რო ეგ ყველაფერ გააკეთამს“ (ჯავახ. ზედგ.). ყველანაირი საქმის *სამთი*ნა იცოდე, თუ გინდა, რო კარქათ გააკეთო. თოხი ხელში ვერ მოვისამთე (მესხ. ფეიქრ.). იხ. I. სანთი.

დიალექტ. II. **სამთი** მხარე, კიდე. „ჩემ *სამთზე* (სამთით) წამოდი“ (ჯავახ. ზედგ.). || **სანთი** || **სამთი** [თურქ.] მხარე, კიდური (ჯავახ. ბერ.). აქეთა *სამთზე* დადექი, სისველე არაა (მესხ. ფეიქრ.). შდრ. სემთი (არაბ. მიმართულება, გზა, მხარე). „ზღვის სემთით იმფერი შავი ღრუბელი წამოვდა, რომ, ისეგავ, დარი უნდა მეიშალოს“ (აჭარ. ნიჟ.). || სენთი ადგილმდებარეობის გარკვევა, გამოცნობა – რა მხარეს არის აღმოსავლეთი-დასავლეთი (გურ. შარაშ.). იხ. II. სანთი.

სამსალა:

საშ., ახ. ქართ. I. **სამსალა** (სამ ZAaC.) წამალი მაკვდინებელი – საბა. აწ ნახე, ღმრთისა განგებამ რა ქმნა, შაქარსა ზედა *სამსალა* ვითა მოაყარა (ვისრ. 71, 4). [კაცს უნდა] ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და *სამსალა* ორივე

სდიოდეს (საბა). || [არაბ. სამმსალიყ «ძლიერი შხამი»] შხამი, საწამლავი. || ფიგურ. ალერსი და ტკბილი სიტყვა შეხი არის ჩემი ძალა! გაწყრომა და გულგრილობა – საწამლავი და *სამსალა!* (აკაკი). მწადის სიცოცხლეს ვმსახურო. თუმც ბევრი მასვა *სამსალა* (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. **II. სამსალა || სამსალიკა** წყლის მწერია. [მაგანბურმა] მშრალზე *სამსალასავითა* ცალი გვერდი გათარაო (ალ. ოჩ. 127, 17). კლდეზე რო წყალი გადმოდის, გადმახყრის *სამსალიკასა*, მე სრუ არაად ჩავხედავ შენფერას ჩანჩალიკასა (ხევს. პოეზ. 408, 1) – ალ. ჭინჭ. აქვე: სამსალასავით ფხიანი, სენ-სამსალათ გამაუშობს, სენ-სამსალანი. || ა) ხევს. (შატ.), ბუთულა; ხევს. სანსალა; მოხ. ჭია-კუდა (მშრალზე), კუდურა; ფშ. თავკომბალა. ბ) წყლის მწერია, იჭერენ, ანკესზე წამოაცმენ კალმახის დასაჭერად – ა. შან. || სანსალა (ფშ. მოხევ.) «წყალში მცხოვრები მწერია, მთის წყლებში იცის, კალმახი ჭამს» (ი. ჭყ.).

სამყარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. სამყარი** 1. ძვ. რისამე საყრდნობად შესადგმელი ბოძი (დ. ჩუბ.). 2. ტექ. ფოლადის ყალიბი თუჯის ან ფოლადის ზოდების ჩამოსასხმელად – ქეგლი.

სა-მყარ-ი სა- დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსი. მყარ- ძირი. შდრ. ძვ., ახ. ქართ. მყარი მტკიცე, მაგარი (ილ. აბულ., ქეგლი).

აღდგენილია ს.-ქართვ. *მყ-არ- არქეტიპი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. სამყარი** საპყარი, უძლური, დავრდომილი, მოხუცი. „კაი *სამყარი* მოხუცებული ვარ“ (შემ., გურ. ჯაჯან.). სამყარი < საპყარი; პ-სა და მ-ს მონაცვლეობა. ძვ., ახ. ქართ. საპყარი: „ნახევარი საფასისა თჳსისაჲ ეკლესიასა შეწირის და ნახევარი საპყარად მისცის“ (ი.-ე 41, 17) – ილ. აბულ. შდრ. პყრობილი «შებორკილებული» – ილ. აბულ. **საპყარი** ვისაც სიარულის უნარი დაკარგული აქვს, – კუტი. სნეულთა, უდონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო (ილია) – ქეგლი. **საპყარი** დავსილი (ფერეიდ. ჩხუბ.).

სამჭედურ-ი:

ძვ., ახ. ქართ. **I. სამჭედური** ესე არს ყო(ვ)ელივე კავი თევზთა შესაპყრობელი, ხოლო უპატარ(ა)ესსა ჰქვიან ანკასი რომელ არს ნემსკავი, ხოლო გრძლად ნასხამსა ანკასსა წილკავი ეწოდების – საბა. || **სამჭედური, სამჭადური** ანკესი: „მო-მე-ითრიოა ვეშაპი *სამჭედურითა* და განიღო ხრატუკი ნიღრსა მისსა“ (O, იობ. 40, 20); „აღმოგიყვანო შენ *სამჭედურითა* ჩემითა“ (ეზეკ. 32, 3) – ილ. აბულ.

სამჭედური ძველი ქართული ტერმინია და, ენათმეცნიერთა აზრით, ზმნა „ჭერადან“ მოდის (თ. ბერაძე 1981: 106). ს.-ქართვ. *მჭად-დარტყმა“. (ჩუხუა 2018: 91).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **სამჭედური** სამჭედლო – მჭედლის სახელოსნო, სადაც ლითონს ჭედავენ, კვერავენ. [ივანეს] ჰქონდა ჩაბარებული ერთი *სამჭედური*, მთავრობის ხარჯით გაკეთებული (გ. წერეთ.). რა ზეიმი აქვს *სამჭედურ* ქოხს! «ჩქარა ნახშირი! დავპირავ თოხს!» (ს. შანშ.). ფიგურ. იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი [ვიყავით] (ილია) – ქეგლი. || სამჭედლო (იხმარება ყველგან ზემო იმერეთში). *სამჭედურში* ჩავიდა და გააკეთა (ზვარე, ზ.-იმერ. ძოწ.).

სა-მჭედ-ურ-ი: სა-ურ- აფიქსები. ფუძე მჭედ-; შდრ. მჭედ-ელ-ი; *ჭედ-არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

სამხარ-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სამხარი** სადილის შემდგომი სერი, დაღამების წინ – ნ. ჩუბ. „თქუენ მიართჳთ *სამხარი* მომკალთა მათ“ (წწტყ. 96); „კელარნი სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდიან“ (ი.-ე. 43, 17); „მოიწია ჟამი *სამხრისაჲ*“ (საკ. წიგ. II. 102, 88) – ილ. აბულ. სამხარი პურის ჭამა სადილსა და ვახშამს შორის. «აბა უჭმელს ხომ ვერ გაგიშვებთ, გინდ ვახშამი დაარქვით და გინდ *სამხარი!*» (ნ. ლორთქ.). *სამხარი* გათავდა. სუფრა მიალაგეს, შესაღამოვდა (მიხ. მრევლ.). || ამ ჯერზე მისაღები საჭმელი. გოგოს ნაკეთი *სამხარი*, ბიჭის მომკილი ყანაო (ხალხ.). [მახარემ] მამასთან ერთად ისადილა..., მერე *სამხარიც* ერთად ჭამეს (შ. არაგვ.) – ქეგლი. აგრეთვე: სამხარი, სამხრობა, სამხართ უკანა მთ., სამხრის კუდი ფშ., შდრ. სერის კუდი (ა. შან.). შდრ. სამხარს „შუადღისას; «საშუალსა დღისასა», «სამხრის»: „ოდეს წარვიდის ყოველი იგი ერი შუა სამხარს“ O, – „კრებული იგი მომოდაიგის სამხრის ოდენ“ I – „ოდეს წარვიდის ერი საშუალსა დღისასა“ (pb., დან. 13, 7) – ილ. აბულ.

სა-მხარ-ი: სა- პრეფიქსი. აღდგენილია ს.-ქართვ. *მხარ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2016); აღდგენილია ძირი *მახარ- დილა; ხვალ (ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. II. **სამხარი** «ბღუარი», სამხრეთი: „ესე არიან მისნი საზღვარნი *სამხრით*“ G, – „ესე არს საზღვარი მათი ბღუარით“ (pb., ისუ ნ. 15, 4); „სამნი ხედვიდეს *სამხრად*“ (M, II, ნშტ. 4, 4). აქვე **სამხრით კერძო** «ბღუარით კერძო», სამხრეთისაკენ: იქმნნეს საზღვარნი... კადიდმდე სამხრით კერძო“ G – „იყვნეს საზღვარნი... კადედმდე ბღუარით კერძო“ (pb., ისუ ნ. 15, 1) – ილ. აბულ. **სამხარი, სამხრეთი** თემანი, კერძო ქუეყანისა, საიდამაც შუადღის ჟამს მოეფინების ნათელი მზისა, ხოლო პირისპირი კერძო არს ჩრდილო და ჩრდილოეთი – ნ. ჩუბ.

საშ. ქართ. III. **სამხარი** და სამხვეწლო კარის ზევითი ქუდი კედელში მიკრული – ნ. ჩუბ. იხ. II. სამჴრე || სამჴარი.

საშ. ქართ. IV. **სამხარი და სამხრე** მხრებზედ დაკერებული სხვაფერი ფარჩა სამღუდელოთა შესამოსელთა ზედა – ნ. ჩუბ. იხ. I. სამჴარი.

სამჯარ-ი:

ძვ. ქართ., დიალექტ. **I. სამჯარი, სამჯრე** 1. «საბეჭური», «ლევიტონი»: „ანთრაკები გამოსაქანდაკებელად *სამჯართათჳს* და საწჳვეთა“ (O, გამოსლ. 25, 7); „წუერითა, რომელ გარდამოვალნ *სამჯართა* ზედა სამოსლისა მისისათა“ (Ⴑ, ფს. 132, 2) – ილ. აბულ. 2. სამხრე, სამხრეული, ტვირთის ასაწევი საბელი, ბოლოში რგოლათ არის გამოყვანილი მხარზე გადასაცმელად (მოხ. ქავთ.).

სა-მჯარ-ი: სა- პრეფიქსი; ს.-ქართვ. *მჯარ- მჯარი; მხარი (ახ. ქართ.); სამჯარ-ი „სამხრე“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ. ქართ. **II. სამჯრე || სამჯარი** ჩარჩო, რომელშიც ჩამაგრებულია კარი. სამჯრეს ხმარობს Ⴑ რედაქცია, – Ⴇ სამჯარს: და *სამჯრენი (სამჯარნი* Ⴇ) კარისა მას ელამისნი ათ წყრთა იმიერ (41, 1) და განზომა სამჯრენი (სამჯარნი Ⴇ) იგი კართანი (41, 3) (ეზეკ. ცქიტ.). შდრ. I. სამჯარი.

დიალექტ. **III. სამჯარი** სამხარი, ნაშუადღევის ჯერი (გუდამაყრ. ქართ. «დიალექტ.» 574). იხ. I. სამხარი.

სანთ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. სანთი** (ქართლ. კახ.) 1. სიმარჯვე, ხერხი. 2. მარჯვე, მოხერხებული. სულერთია, რომელი დღეც უნდა იყოს იმათ სახელობაზე და ჩვენთვის კი შაბათი უფრო *სანთი* დღეა («ივერია»). სოფლები გაუშენებიათ ამ გზის ახლომახლო *სანთს* ადგილებში («ივერია»). ◊ **სანთში მოუვა** მოუხერხდება, მოახერხებს. ღმერთმა იცის, გაგლახავ თუ არა, როგორც *სანთში მომივაო* – იტყოდა ხოლმე [კულა გლდანელი] («ლელო») – ქეგლი. **სანთი || სამთოი** [თურქ. ხერხი, სიმარჯვე] (ჯავახ. ბერ.). იხ. I. სამთი.

დიალექტ. **II. სანთი || სამთი** [თურქ.] მხარე, კიდური (ჯავახ. ბერ.). იხ. II. სამთი.

სანსალა:

ახ. ქართ. **I. სანსალა** (ფშ. მოხევ.) «წყალში მცხოვრები მწერია, მთის წყლებში იცის, კალმახი ჭამს» (ი. ჭყ.) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ქეშიკ., თუშ. ხუბ. იხ. II. სამსალა.

დიალექტ. **II. სანსალა** მეტისმეტად გალესილი რამ (გურ. შარაშ.). შდრ. II. სასრევი.

საოლავ-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. საოლავი** ძვ. თვალის სურმა – საბა, დ. და ნ. ჩუბ. საოლავი წასასმელი. მოიგენ შენცა ...წამალნი შესასუმელნი და *საოლავნი* თუალთანი (ler.= 96 67v, 14) – ზ. სარჯ. || თვალში სურმის ამოსმა, თვალზე წამლის (სურმის) დადება. ნიშანი *საოლავისა*, ერგების თეთრსა, შექნილსა გუგათა შიგან ბუგრისა გზითა (ფანასკ. 109, 3). წამალნი სხუანი თუალთა

საოლავნი (ფანასკ. 73, 5). შდრ. ოლვა «წამწამის მოსურმვა» (საბა). და დანაყენ და გაცრენ შარითა, და დაგალო კარგად და ჩაურთო თანა მუშკი... და *იოლუიდე* თუალთა, და კიდეცა იწთო, კარგია და გამოცდილი (ფანასკ. 109, 9). თუ *იოლოს* შემდგომად ამათ სხუათასა *ოლვათა* ფიცხელთასა, დაყუდებს ტკივილსა მისსა (ფანასკ. 109, 34).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საოლავი ერქვა ზეთსაც და საგანსაც, რითაც ისვამდნენ ამ ზეთს. ეს მნიშვნელობა ჩანს „კლემაქსში“. უკუეთუ გნებავს აღმოღებაჲ წუელისაჲ თუალისაგან ძმისა, ეკრძალე, რაჲთა *საოლავისა* წილ უოლნე ისრითა (A –285, 94v). საოლავი აქ ისართან არის შედარებული (ცინცაძე, ფაღავა 1998: 155).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. საოლავი** ცხენის ქაჩაჩს ზეითი – საბა, დ. ჩუბ., ქეგლი. *„საოლავებში* ცეცხლი მეკიდება, ისე მტკივა“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). **საოლე** გოჯი, კოჭი – დ. ჩუბ. ოლვა ოლვაფა წასვლა ზან. (ლაზ. თანდ.).

საოხარ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. საოხარი** გასაოხრებელი – დ. ჩუბ. საოჯროდ მოსაოხრებლად. საოჯროდ იყო შენ (ეზეკ. 35, 15) – ზ. სარჯ. || ლანძღვა: საოხრე, საოხრო ოხრად დასარჩენი, – სატიალო. გაჯავრებულმა [გლეხმა] ვირს სახრე გადააწნა: აჩუ, შე საოხროო! (ზღაპ.). «ჰაი, შე საოხროვ, შენა! – თქვა და მიუშვირა თოფი» (ვაჟა) – ქეგლი. || „დაგჩა შვინდაი უმჭედროდაო, ცხენი დაგეძებს საოჯროიო, იკლებს სოფელსა ჭიხვინითაო“ (ეთნ. III, 82, 12). „ქალი გახედავს საკვამთა: „საოჯრო, თენდებისაო!“ (ალ. ოჩ. 63, 28) – (ხევს. ჭინჭ.). || საოხრებელი გასაჩანაგებელი, გასანადგურებელი. «ბაკულას ღორების საოხრებლად უნდა გახდეს ჩემი ნამუშევარი?!» (დ. კლდ.) – ქეგლი.

საოხარ-ი: სა- პრეფიქსი, ოხრ < ოხერ-/ოხარ-; ოჯერ- ძირიანი სიტყვები შემდეგი მნიშვნელობებით დასტურდება: **ოჯერი** 1. «უდაბნო», კორდი: „იყოს ქუეყანაჲ თქუენი ოჯერ (უდაბნო pb.)“ (G, ლევიტ. 26, 33); 2. მიტოვებული. „სახლი ჩემი ოჯერ არს“ (O, ანგ. 1, 9); ოჯრება, მოოჯრება, აღმაოჯრებელი – ილ. აბულ. 3. ხოლო გიორგი შვილთაგან *ოჯერ* და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიჩჩოებასავე შინა წარსრულ იყვნეს და შემდგომად მათსა დედაჲცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, მიიცვალა და სხჳსა მეუღლისა შეერთებაჲ არღაოდეს თავს-იდვა (ისტ. ქრესტ. 200, 3). საშ. და ახალ ქართულში ოხერი ფართო გამოყენების სიტყვაა. დასტურდება სხვადასხვა კონტექსტებში და საგნობრივი მნიშვნელობისაგან დაცლილი, ცუდი ემოციური იერის მქონე ოხერი სხვადასხვა უარყოფით მნიშვნელობებს იძენს. აღნიშნავს „ეშმაკს, მოხერხებულს, თაღლითს“.

ალ. ჭინჭარაულის ზეპირი ცნობით, ოხერი არის ქართული სიტყვა. მისი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ძნელად გასავლელი, უცხო, უდაბური, უჯედი ადგილი. ო-ე-სა და დ-რ-ს მონაცვლეობა ბუნებრივია. იხ. აგრეთვე: კლიმოვი 1964, ანდრონიკაშვილი 1996: 210.

საშ. ქართ. II. **საოხარი** სახვნეში, სავაებო, სავაგლახო – დ. ჩუბ. შდრ. საოხრავი: თუ კაცი რასმე საოხრავს ოხრავს, თავისი ტანის ძვალებს გამოხრავს (დ. გურამ. 272, 394). სა- პრეფიქსი, ძირი ოხრ-; ძვ., საშ. და ახალ ქართულში დასტურდება ოხრ- ძირიანი **ოხრა** «ქავილი», «აღძვრა», ხმა, «ბგერა, ყვირილი, ღაღადი, შფოთი: „შეძრწუნდეს უფსკრულნი დიდძალითა (ქავილითა Ჭ) წყლისაჲთა“ (ფს. 76, 18); „იყოს... შეკრებაჲ თესლებისაჲ განკჳრვებითა *ოხრისაჲთა*“ (ლ. 21, 25); „იყო მეყსეულად ზეცით *ოხრაჲ*“ (საქ. მოც. 2, 2) – ილ. აბულ. || კუნესა, სამწუხარო ხმა; ბნობის ხმა საკრავთა, ანუ ბგერათა უსულოთა (ნ. ჩუბ.). გზა ვერ პოვა ჩასასვლელად, გლახ თავს იცა, *ოხრა*, ახა (ნ. ციც. 189, 3). ხმა რამე ესმა *ოხრისა* (რუსუდ. 54, 11). შდრ. **ოხვრა** მწუხარების, ტანჯვის გამომხატველი ამოძახილი. [გიულის] გულის სიღრმიდან ისეთი ოხვრა ამოსკდა, რომ ყველას ყურადღება მიიქცია (შ. არაგვ.) – ქეგლი.

საპოვნ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **საპოვნი** საპოვარი, საპოვნელი ჯილდო დაკარგულის ნივთის მპოვნელისა – დ. ჩუბ. **საპოვნი, საპოვნელი** – მისაკვლევი, მისაგნები, მოსანახავი, საშოვნელი. თხზულებანი ორმოცდაათიანი წლების შემდევი მოღვაწეებისა... ძნელად საპოვნელია და საძიებელი (ილია). «აქ ძალიან ძნელი *საპოვნია* სამოჯამაგირო ადგილი» (ე. ნინოშ.) – ქეგლი.

საპოვნი: სა- აფიქსი. ძირი პოვნ-. ძველ ქართულში პოვ-/პოვნ ფუძე „პოვნა, მოპოვება, აღმოჩენა, ყოფნა“ მნიშვნელობებს გამოხატავს. შემდგომ ეს ფუძეები მთლიანად გაიმიჯნა, მეტიც, შე-პოვ- ფუძემ დამატებითი მორფონოლოგიური ნიშანიც შეიძინა (არაბული 2001: 260).

საშ. ქართ. II. **საპოვნი** საპონი [Sapo Medicatus]. ვინცა *საპოვნი* შაფად ქნას და ყოლინჯიანსა კაცსა უკანას კარიდაღმან ააღებინონ, ყოლინჯსა გახსნის და უშველის (იადიგ. 416, 14). ესე შაფი ან შირლიღინის ზეთითა ან *საპოვნითა* და ან ბროხის ნაღულთა შიაცხიმიანონ და ისრე ააღებინონ (იადიგ. 565, 38). || სამკურნალო საპონი. სიფრთხილით მიეცი... რამანა, საპონი, საყმუნია, საპონი (ქანან. 32, 18). შდრ. საპონი წყალში ადვილად ხსნადი მასა, რომელსაც ამზადებენ ცხიმეულისა და ტუტეებისაგან; ადვილად ქაფდება, იხმარება ჭუჭყის მოსაშორებლად (რეცხვისა და ბანის დროს). სარეცხი საპონი. – ხელის საპონი. – ერთი კალაპოტი საპონი. – ურემი რომ ჭრიალს დაიწყებს, საპნის წასმა უნდაო (ანდაზა) – ქეგლი. **საპ'ენ, საპონ** საპონი (სვან. თოფ., ქალდ.). **საპონი, საპონუა** საპონი ზან. (მეგრ. ელ.).

საპოვნელა:

საშ., ახ. ქართ. I. **საპოვნელა** გასამრჯელო დაკარგული ნივთის პოვნისათვის. «*საპოვნელა* რა იქნება, თუ ვიპოვეთ კვალი მისი?» (გ. ლეონ.). ვირი თუ შენია, *საპოვნელა* მაინც მომეციო (საბა) – ქეგლი. იხ. I. საპოვნი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **საპოვნელა**: ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს გაგივლია, შეამჩნევდი მიმობნეულს მინდორ-ველად. პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია, იმერეთში ეძახიან „საპოვნელას“ (მ. ბარათაშვილი). შდრ. საპონელა 1. [Anagallis] ბოტან. ერთწლოვანი პატარა მცენარე ფურისულასებრთა ოჯახისა; აქვს ცისფერი ან მარჯნისფერი ყვავილი; წყალში დასრესილი ქაფდება. (სინონ. ლეჩხ. ხელსაბანი). 2. იგივეა, რაც აბრეშუმა – ქეგლი.

საპონი სიტყვაში თავკიდური მარცვალი გააზრიანებულია დანიშნულების პრეფიქსად („სა-პონი“ დარჩენილი გაუგებარი „ფუძე“ პონ-დაახლოებულია ნაცნობ ზმნურ ფუძესთან პოვნ-თან; შედეგად მივიღეთ აგებულებით გამჭვირვალე (სა-პოვნ-ი), მაგრამ საგნობრივი მიმართების მიხედვით უაზრო „საპოვნი“. სათანადოდ, ყვავილის სახელი – საპონელა ქცეულია საპოვნელად და ამ ახალ შინაგან ფორმაზე დაყრდნობით გაუაზრებიათ ამ ყვავილის დანიშნულება (არა საპონივით ასაქაფელი რამ, არამედ საშუალება რისამე საპოვნელად (ფოჩხუა 1974: 120). იხ. II. საპოვნი.

სარგ-ი:

სამ. ქართ. I. **სარგი** სარგო: რგება – საბა. || 1. რაც რგებს, – სასარგებლო. სარგოა, როცა მორწყულ ველს მზის სხივი მოეფინება (ვაჟა). 2. ისეთი, როგორიც მოერგება, – რისამე ზომის შესაფერისი. ბავშვის სარგო ფეხსაცმელი. – მირზა, სხვა მწყემსი ბიჭებისაგან განცალკევებული და თავის სარგო კომბალზე დაყრდნობილი, ხშირად გალენჩდებოდა (რ. გვეტ.). 3. რაც ერგება, ეკუთვნის, – წილი. მყის პირისკენ გააქანებს ერთი თავის სარგოს [შაქარყინულს] (კ. ჭიჭ.) – ქეგლი.

სა-რგ-ი: სა- პრეფიქსი. აღდგენილია ს.-ქართვ. *რგ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **სარგი** [sargı – შესახვევი, ბანდი] ლოგინზე შემოსაკრავი. „*სარგი* ბალიშზე გადასაფენია“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

სარდაფ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **სარდაფი** ღილი მოთეთრო კრიალა ფერის მასის. მასა, რომლითაც ამგვარი ღილი მზადდება (ჯავახ. ზედგ., ბერ.). თუ თალხი კაბა იყო, თეთრი ღილი უხდებოდა *სარდაფის* (ზ.- ქართ. მრეწ. III, I, 165). სარდაფი || სადაფი (არაბ. ṣadaf): სარდაფის კოლოფი Sd – 1150. 1809 წ. მზითვის წიგნი (ქავთარაძე 1964: 183). სარდაფი < სადაფი. სადაფი „მარგალიტის კეცტყავი“ (საბა). თუცა სადაფი მისი მარგალიტისაგან ცარიელი იყო (ვისრ. 60, 30). **სადაფ, სადაფ** 1. სადაფი. 2. ღილი (სვან. თოფ., ქალდ.). **სედეჶი** ღილი, ფოლაქი ზან. (ლაზ. კალანდ.).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **სარდაფი** [სპარს.] სახლთ ფსკერში დატანებული შენობა – დ. ჩუბ. || [სპარს. სარდაბ] პირველი სართულის ქვემოთ, მიწის დონეზე დაბლა მდებარე ნაწილი შენობისა; იყენებენ რისამე შესანახად (ზოგჯერ საცხოვრებლადაც). ამ დერეფნის ქვეშ – *სარდაფი* (სამ. IV, 225). || შეშის შესანახი სარდაფი. – ბერიკაცმა ნესტიანი *სარდაფი* იქი-

რავა (ვ. ბარნ.). მე დავიბადე ერთ ბნელ *სარდაფში*, სადაც მზის სხივი ვერა სწვდებოდა (გ. ქუჩ.). || სპეციალური შენობა (ჩვეულებრივ, მიწის ქვემოთ) ღვინის შესანახად. || ძვ. სამიკიტნო, რომელიც მიწის დონეზე ქვემოთ მდებარე სართულში იყო მოწყობილი. პურის საჭმელად წასვლა გადავწყვიტეთ, ერთმა თქვა: «ისეთი *სარდაფი* ვიცი, რომ მსგავსი ვერსად იპოვოთო» (ს. კლდ.). მახლობელი *სარდაფიდან* ამოდიოდა დუდუკის ხმა (ა. ფურც.). || ბარბარ. გაზეთის გვერდის ქვემო ნაწილი, რომელიც ცალკე სტატიას უკავია, – ქვედურა (ქეგლი). შდრ. სერდაფი [სპარს. serdap] სარდაფი. „შარაბები *სერდაფში* აქუან, დიდუან ყანაოზებში ჩასხმული" (ვ., ჩვენ. ფუტკ.).

სართაულ-ი:

სამ., ქართ., დიალექტ. **I. სართაული** 1. დამატებითი – დ. ჩუბ. 2. **სართაული** მარხილის კოჭების შემაერთებელი ნაწილი (რაჭ. ძიძიგ.). || სართაული მარხილის ხელნების თავზე წაბმული ჭაპანი. *სართაული* ებმის თავებს (კაპრ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. სართი (ჩვ. მრ. სართები) ურმის ნაწილია: ღერძსა და ხელნას შუა დანამატი. „ურემს აქუ ჴელნები, ხარიხები, ჭალები, *სართები*, ღერძი..." (კარკუჩა, მოხ. ქავთ.). 3. სანაკადლო – რუდან წყლის გადასაგდები ადგილი. იქით *სართაულზე* გადაიყვანე წყალი! (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

მიგვაჩნია, რომ სა-რთ-ა(ვ)-ულ-ი > სართაული მიმღეობაა და მომდინარეობს „ერთვის უერთდება (მდინარე), ერწყმის" ზმნიდან. მაწარმოებელი სა-ულ აფიქსები. აღდგენილია ს.-ქართვ. *რთუ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. სართაული** სართუმალი. დაწოლისას თავქვეშ დასადები. ახალდაქორწინებულთ და ცოლქმარსაც დალოცვით ეტყოდნენ: „ერთ *სართაულზე* დაგაბეროთ ღმერთმაო" (ჯავახ. ზედგ.). შდრ. სასთაული ბუმბულის ბალიში – ნ. ჩუბ. სასთაული «თავი», ბალიში: „ხოლო იგი თავადი წვა თავით კერძო სასთაულსა ზედა" C, – „და თავადი იყო პირით კერძო მის ნავისასა თავსა ზედა" (DE, მრ. 4, 38); „წარუგდო მის ქუეშე ტყავი და მცირჱ სასთაული სასთუნლად მისა" (მ. ცხ. 335v) – ილ. აბულ. სართაული < სასთაული.

სასთაული თავ ფუძიდან ნაწარმოები სახელია სა-პრეფიქსითა და -ულ (*-ილ) სუფიქსით: *სა-სთავ-ულ < *სა-სთავ-ილ; თავ < *სთავ (ოსიძე 1987: 35).

სარკმელ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. სარკმელი** ფანჯარა, სანათური – დ. ჩუბ. მივდექ *სარკმელს*, გადვიხედე, არე-მარე მესხვაფერა (აკაკი). სიო, *სარკმლით* მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება (გ. ტაბ.). თითქოს ქალი *სარკმელიდან*, იყურება ვაშლი ხიდან (გ. ლეონ.) – ქეგლი. || სინათლის,

შუქის ხვრელი. სარკმელს დაუდგამს, გაუკეთებს. მგელათ უთურგას აუგით ეკალდამაი რვლისაო, ოქროს დაუდგით *სარკმელი*, შუქი ჩაადგას მზისაო (ხევს. პოეზ. 155, 20) – ალ. ჭინჭ. შდრ. ძვ. ქართ. **სარკუმელი** «პატოჰანი», ფანჯარა: „აღგივსიეს პატოჰანი ეგე, რამეთუ იხილა სარკუმელი, აღსავსე წიგნებითა“ (მ. ცხ. 168v); „ჯდა... სარკუმელთა ზედა“ (საქ. მოც. 20, 9); „სარკუმლებით შევიდენ ვითარცა მპარავნი“ (O, იოვ. 2, 9) – ილ. აბულ.

არსებითი სახელი სარკმელი წარმოშობით მიმღეობაა: რკუმ ფუძეში რ ძირისეული არ არის (რ-კუმ). ძვ. ქართ. საკუამი; ახ. ქართ. საკვამური; კვამლი < კუამლი. თითოეული ამათგანისათვის ამოსავალია ძირი კუამ: კუამ > კუამ-ლ > სა-კუამ-ლ-ელ-ი > *სა-კუმ-ლ-ელ, ლ-ს მეტათეზისით > *სა-ლ-კუმ-ელ, ლ-ს რ-სთან მონაცვლეობით > სა-რკუმ-ელ> სა-რკმ-ელ (ერთელიშვილი 1970: 178).

დიალექტ. **II. სარკმელი** საკმეველი. – ტროპიკული ხის გამონაჟონი სურნელოვანი ფისი, რომელსაც ეკლესიაში აკმევენ მღვდელმსახურების დროს, – საკმელი, გუნდრუკი (ქეგლი). მარჯვენაჩი გუჯარ მქონდას, მარცხენაჩი *სარკმელია* (ხევს. ჭინჭ.). „სუ თან დაჰქონდა სანთელი, *სარკმელი* თიკვში ხვეული“ (ფშ. ქეშიკ.). შდრ. ძვ. ქართ. საკუმეველი «სულნელი», საკმეველი; საკმევლის. „აჰრონ და ძენი მისნი აკუმევდეს საკუმეველსა“ (M, I წშტ. 6, 49); „მოიღეთ... ფურცელი მურტისაჲ საკუმეველთაჲ“ (M, ნეემ. 8, 15) – ილ. აბულ. სარკმელი < საკმეველი. რ განვითარებული, ვ კი დაკარგული ჩანს.

აღდგენილია ს.-ქართვ. *კუამ- || კუმ- არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

სარმა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. სარმა** ჭიდაობის ერთ-ერთი ფანდი, – ფეხის ფეხში გამოდება (სინონ იმერ., გურ. კვანტი). სარმა გამოჰკრა. – [გლდანელი] ზოგს *სარმით* აკოტრიალებს, ზოგი გადაჰყავს ყირასა (აკაკი). ერთმანეთს *სარმა* გამოსდეს (ს. შანშ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. შდრ. [თურქ.] სარმა (მიქიაშვილი 2015).

დიალექტ. **II. სარმა** სარმა [თურქ.] ტოლმა (კერძი). „*სარმას* გავახვევთ და ფხლი ჟუერში, და ყურძნი ჟუერში“ (ბ.). „სარმას ვაკეთებთ ყიმაით“ (ჳ., ჩვენ. ფუტკ.). „*სარმა* ბრინჯით ვიქთ“ (ნიმეთიე კლარჯ. ლექსიკ). „ლახანას გავაკეთავთ, *სარმას*, დოლმას გავაკეთავთ“ (ნიგ., ბერ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. **III. სარმაჲ** სამკაულია ძველებური ტანისამოსისა. მას ლაბადაზე გარშემო მოავლებდნენ (ინგ. როსტ.). საჭელი თითქმის ძირამდინ გახსნილი იყო ხოლმე..., ბაღს შიგნით, შავ კედზე დარიგებულ *სარმას* (ავლებდნენ) (სარმა ძალიან პატარა ვერცხლის მილაკს ჰგავს) (ინგ. მრეწ. III, I, 65). შდრ. სირმა (სირმა ZAaBC.) ესე არს ოქროს ძაფი რომელსა სპარსნი სირმას უწოდენ – საბა.

სარსალა:

დიალექტ. I. **სარსალა** (ფშ. მოხევ.). იხ. I. სანსალა.

დიალექტ. II. **სარსალა/ე, -ი** გაწყვეტა, დახოცვა, ჭირი. „გეგერიათ *სარსალე*!“ (ვ. ბერ.). შდრ. სრვა, მოსრვა, შემუსრვა, მუსრი – ილ. აბულ., ქეგლი.

სარსარაკ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სარსარაკი** [Otis tetrax] მოზრდილი ფრინველი სავათისებრთა ოჯახისა (საბა, ქეგლი, ქიზ., მენთ.).

დიალექტ. II. **სარსარაკი** გადატ. ამბობენ ისეთ ადამიანზე, რომელიც თავს აქნევს, *„ასარსარამს“* (ჯავახ. ზედგ.). სარსარიკობს ლაქლაქებს, ენას აჭარტალებს. ჭორიანია, როცა *სარსარიკაა*, მა რაა, ყველაფერს მიაგროებს, მააგროებს, დგა და სარსარიკობს (ქვ. ჭ.). ქალზეა ეგ სარსარიკა, ბევრს რო ლაპარაკობს (ქვ. ჭ., ქართლ. ლქსიკ.). შდრ. **ცარცარაკი, სარსარაკი** ცოტა ჭკუანაკლები, მოსულელო (ჯავახ. ზედგ.). სარსამი [თურქ.] 1. შტერი, ყეყეჩი. 2. თავს რომ საქონელი (ცხვარი) ამოძრავებს, სარსამს ეძახიან. „მაგათი კრავი სარსამია, საცოდავია“ (ჯავახ. ბერ., ზედგ.).

სარფ-ი:

დიალექტ. I. **სარფი** ყუთი. შეჰკრა ხუთკუნჭულამ *სარფი* (აი ისეთი, რო შედგე, ჩატყდება). მდევი მართლაც ჩაჯდა შიგ და ჩაუტყდა. მდევს უთხრა: ამოდი, ეხლა კარგს შევკრავო. მართლაც შეკრა კარგი ყუთი და უთხრა – შიგ ჩაჯექიო (ქართლ. ქართ. დიალექტ. 296, ქვ. 15). || ძვ. ქართ. სფარი || სარფათი „თასი“. „სფარნი (სარფათნი O) და ჭაშაკები... წარიღო ყოველი მატაკარანმან მან“ (I, იერემ. 52, 19) – ილ. აბულ. სფარი „ტაგარი, ტაგანი, თაღარი“ – საბა, დ. და ნ. ჩუბ.

დიალექტ. II. **სარფი** არაგამძლე, უხეირო, ზერელედ ნაკეთები. 1. ძაან *სარფები* გამოდგნენ ეი შამკერამოსაწყვეტი ფეხსაცმელები, სუ ერთი კვირა არ ეცო ბალღსა (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. [სპარს. სარფა:ი] სახლის ფეხსაცმელი (სპარს. ელერდ.). 2. ეს ჩარჩოები *სარფი* ნამუშევარი არი (ძეგ.); აგრეთვე ტყვ. (ქართლ. ლექსიკ.).

საშ. ქართ., ახ. ქართ. III. **სარფი** სარგებელი. ვაჭარი უნდა *სარფისა*, სამთვრალოს არას სვემდესა (დ. გურამ. 68, 1). „იმაგ საქმეში არაფერი *სარფი* არ არის, რათ გინდა, დაანებე თავი“ (ჯავახ. ბერ.). სარფიანი მომგებიანი, სარგებლიანი. „პატარა *სარფიანი* სქმე ვერ ნახე, უფულო და უპურო ალაგას რას მისჩერებიხარ, ერთი მითხარი!“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. სარფა სარვაგი, გასინჯვა, რათა თჳს ადგილს დახარჯოს, ცუდად არ წარაგოს და კუალადცა იქონიოს – ნ. ჩუბ. || [არაბ. სარჶათ „სარგებლობა“] სარგებლობა, გამორჩენა, ხეირი. ზოგმა ...გაქირი განგებ იცის, იმიტომ რომ სარფაა, გაქირს გამორჩომაც მოსდევს (ილია) – ქეგლი.

სარჩა:

სამ., ახ. ქართ. **I. სარჩა** ძვ. ერთგვარი ისარი საშუალო ზომისა, პირფართო და რამდენადმე ბრტყელი (საბა, დ. ჩუბ.). ამ რაზმის გვერდზე კიდევ მეორე გუნდი რომ მოჩანს, *სარჩა* და ქიბურჯი ჰკიდია წვრილ ნადირთათვის (შ. დად.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. სარჩა, სალჩა** [თურქ.] პამიდვრის პასტა. „ლობიოს უნდა *სარჩა* “(მ., ჩვენ. ფუტკ.).

სარჩიელ-ი:

ახ. ქართ. **I. სარჩიელი** წიგნ. იგივეა, რაც რჩევა. წინ წამოდგნენ აღბუღა-ათაბაგი, გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ მეექვსე; შევიდნენ *სარჩიელში,* მაგრამ იმათშიც უთანხმოება მოხდა (აკაკი). თუ ნაკლულოვანობა აქვს ჩვენებურ ბანკს. ამხილოს ვინმემ და გულისტკივილით თავიდან მოაცილოს, გულმტკივნეული დარიგება და *სარჩიელი* მისცეს (ილია) – ქეგლი.

სარჩიელი „ურჩევს რჩევას აძლევს, – არიგებს“ ზმნის მიმღეობაა. აღდგენილია ს.-ქართვ. *რჩ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. სარჩიელი** (ქიზ.), **სარჩილი** (მთიულ. რაჭ.) რკინის რგოლი წალდის, ცელისა და მისთ. ტარზე შემოსაცმელად სიმაგრისათვის – ქეგლი. იხ. I. სარჩილი.

დიალექტ. **III. სარჩიელი: დუმის სარჩიელი.** გუდად ამოსაღებ ცხვარს თავს მოაჭრიან, ფეხებს დააჭრიან, თავდაყირა დაჰკიდებენ და დუმის მხრიდან მარტო დუმის *სარჩიელს* (დუმაში სასკორავთან უბალნო ტყავია) მოუტყავებენ, მოაჭრიან (ქიზ. მრეწ. IV, I, 37). შდრ. სარჩული საპირის ქვე ნადები, მითელი – საბა. || ტანსაცმლის, საბნისა და მისთ. შიგნითა პირად გამოკერებული ქსოვილი (საპირისპ. საპირე) – ქეგლი. იხ. II. სარჩილი.

სარჩილ-ი:

დიალექტ. **I. სარჩილი** გუდ., მთ., მოხ., ფშ., ჴ. ცელის ან წალდის ტარზე ჩამოსაცმელი რგოლი გასამაგრებლად. შდრ. ჩარჩი იგივე (წოდგელსა, ხოწსა და წალდს აქვს) (თუშ. შან.). იხ. II. სარჩიელი.

დიალექტ. **II. სარჩილი:** გატყავების შემდეგ დუმის სარჩილს აატყავებენ (ერწ.-თიან. მრეწ. IV, I, 64). იხ. III. სარჩიელი.

სარწყავ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. სარწყავი** საწყაო. «გიორგის უბმანე... ათი ურემი... ძველი ვენახის სათაური ღვინო გამოგზავნოს... *სარწყავში* არ მოატყუებინოს თავი მიკირტუმს» (ნ. ლორთქ.). ბარნაბამ ურმიდან *სარწყავი* გოდორი გადმოიღო და სიმინდის განაწილებას შეუდგა (კ. ლორთქ.) – ქეგლი. „ფიშეკს ბაღები ბარუთის *სარწყავათ* იყენებენ“ (აჭარ. ნიჟ.). სარწყავი < საწყავი. საწყავი იგივეა, რაც საწყაო. [მტერს] მისის საწყავით მივუწყავ და ვაგრძნობინებ თავზედა, როგორი არი დაჩაგვრა (ვაჟა) – ქეგლი.

სარწყავი სა- პრეფიქსით წყავს ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობაა.

საშ., ახ. ქართ. II. **სარწყავი** 1. მოსარწყავი – დ. ჩუბ. || „რომელი სთესვიდეს ყოველთა სარწყავსა“ (I, ეს. 32, 20); „შემოუგდე წყალი სარწყავი ფინიკოანსა“ (მ. ცხ. 76r). აქვე სარწყაოანი: „ვენაჯოვანთათჳს და და სარწყაოანთა მისთა შფოთებენ“ (მ. ცხ. 79v) – ილ. აბულ. || რასაც უნდა რწყავდნენ, რაც ირწყვება; რის რწყვაც შესაძლებელია. – როცა წვიმა არ მოდის და გვალვა დგება, *სარწყავი* მიწების ჭირნახულიც-კი ჭკნება, ურწყავის ნათესი ხომ სრულიად იღუპება (ი. გოგებ). 2. რის საშუალებითაც რწყავენ, – რწყვისათვის განკუთვნილი. სარწყავი სისტემა. – იბურღებოდა მთები და ითხრებოდა მინდვრები *სარწყავი* არხების გასაყვანად (ს. შანშ.). 3. ჭურჭელი, რომელსაც აქვს ტუჩი ბაბრისმაგვარი დაჩვრეტილი ბოლოთი; ხმარობენ ბაღის, ბოსტნის, ქუჩის... მოსარწყავად. *სარწყავით* ეზოს მორწყვა – ქეგლი.

სა-რწყ-ავ-ი; სა-პრეფიქსი; რწყ-ძირი; -ავ თემის ნიშანი. გამოყენებულია რწყავს ზმნის I. სერიის ფუძე.

სარწყულ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სარწყული** სარქვანი, წყლის სასმისი – დ. ჩუბ. იხ. II. სარწყავი მნიშვ. 3.

საშ., ახ. ქართ. II. **სარწყული, სარწყულა** ღვინის ან მარცვლეულის საწყაო. *სარწყული* მამაპაპური, ამპარტავანი, ყურჭრელი. – აბა, როგორ არ მიყვარდეს სიცოცხლით სავსე ჭურჭელი! (ლ. ასათ.) – ქეგლი. || **სარწყული ჩაფი** საწყაო ჩაფი თექვსმეტლიტრიანი (ზ.-იმერ. ქავთ.). || **სარწყული კვახი** მწარე კვახი, ხრიკა, ხრიკა, რომლისგანაც აკეთებენ ორშიმოს (ქვემო იმერეთში სარწყული – ჭიდან წყლის ამოსაღები ჭურჭელია სპილენძისა) (ზ.-იმერ. წერ.). იხ. I. სარწყავი.

სასრევ-ი:

საშ., ქართ., დიალექტ. I. **სასრევი** საგდები, სასროლი (დ. ჩუბ., ხევს. ჭინჭ.). სა- აფიქსი, სრ- ძირი. შდრ. სრევა გასროლა ZABCDE. სროლა, მსრეველი, ნასრევი, სარ, სისრა სატყორცი – საბა.

სა-ევ აფიქსები. სრ- ძირი. შდრ. სა-სრ-ოლ-ი, -ოლ ზმნური სუფიქსი სრ-ძირი; სროლა «მშვლვა», დაშენა – ილ. აბულ. აღდგენილია 1. *სარ- || სრ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *სარ- „სრვა, ხოცვა“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **სასრევი** ძვ. ხმლის, ნამგლისა და ცელის სალესი ქვა (საბა). *სასრევი* სალესავი ქვა. „[წმინდა გიორგის] იქით მოუტანავ კიდევ ოქროს ფანდური ცხრამპალიანი, ოქროს საცერი, *სასრევი*“ (ხევს. პოეზ. 548, შნშნ.). **სასრევ-სამართებელნი**: სასრევი (სალესავი) და სამართებელი. *სასრევ- სამართებელნ* ღილღველეთ დაიპარნეს ქაჯავეთით მატანილნი (თ. ოჩ. სარწმ. 53) – ალ. ჭინჭ. „აგერ *სასრევი* და კარქა უუწყე ცულის პირი!“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. I. სასრევი.

საფარ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. საფარი** 1. რაც ზევიდან აფარია, ხურავს, გადასაფარებელი, სახურავი. მოიხსენიეს მხედარნი, ვინც ველზე დარჩა მკვდარია. არსადა მათთვის სამარე და მიწა ზედ *საფარია* (ვაჟა). მაგიდებს ფარავს ხელთნაკერი *საფარი* (ნ. ლორთქ.). შენობის *საფარი* კრამიტი მრავალ ალაგას ჩამტვრეულია (ი. გედევ.). ფიგურ. ბუნებას ეფინა თეთრი საფარი (გ. აბაშ.). 2. რაც ფარავს, იფარავს, მალავს, იცავს (ვისმე ან რასმე). ტყის საფარი ზონა. – *საფარი ღობე.* – თოვლსაწინააღმდეგო *საფარი.* – კიდევ იფეთქა, კიდევ დაჭუხა და დაიჭექა. გვადის *საფარი* ხეც შეინძრა (ლ. ქიაჩ.). 3. შესაფარებელი ადგილი; ან თხრილის სიმაგრე – დ. ჩუბ. სანგარი, პატნეზი ან შესაფარებელი მტერთგან დასამალავი ადგილი; თხრილი ან საგანგებო ადგილი (ბრძოლის, ნადირობის... დროს) შესაფარებლად. მონადირეებმა დაინახეს რა წაქცეული და დაგორებული დათვი, გამოვიდნენ *საფარებიდან* (ვაჟა). *საფრებიდან* სალდათები გამოცვივდნენ (მ. ჯავახ.). 4. **საფარი** რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავსაფარი. წინსაფარი – ქეგლი.

სა-ფარ-ი მიმღეობა; სა-პრეფიქსი; ფარ- ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ფარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. საფარი, საჭარი** ('მგზავრობა') აღებ-მიცემა, ვაჭრობა. „ვაჭარი აქ იყიდის, იქ გაყიდის; იქ იყიდის აქ ყიდის"; „მინდა წავიდე *საფარ* ზეგაო" (ფერეიდ. ქართ. დიალექტ., 631). || საჭარი, საფარი [არაბ. safar] მოგზაურობა. მინდა წავიდე საფარზეგაო; მინდა წავიდე საფარზეგაო და ეს შენ ქმარიო, თუ ქნდების, გამამაყოლიაეო (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. III. სარფი.

საქვე:

დიალექტ. **I. საქვე** 1. საწოლი, ძველებური დიდი ტახტი (მესხ. მაის.). **საქვე, საქვი** საწოლი ტახტი. 2. დარიჯი, ტერასა (ჯავახ. ზედგ.). მშიერ-მწყურვალი მიეგდო *საქვეზე; საქვეს* ქვეშ დაიმალა (ჯავახ. მარტ.). შდრ. სექვი (თ.) ძველებურ ძელურ სახლებში მთელი კედლის გასწვრივ მიშენებული ტახტი. შეიძლება *სექვი* ორივე მხარეს იყოს მიშენებული. „ზის გუნეში დასტყვილი, სექვზე მორთხმით" (ლ. გელ., აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე: მესხ. ფეიქრ., ჩვენ. ფუტკ., კლარჯ. ლექსიკ

დიალექტ. **II. საქვე** 1. ადგილი, სადაც კლდე ინგრევა და ქვა გორავს ხოლმე. ღერღეხ იყვნიდით მთხილად, *საქვერ* (ხევს. ჭინჭ.). საქუჲ (ინგ. ღამბ.). გადატ. 2. **საქვე** გასაქვავებელი. წყევლაა: „აი, შე *საქვევ,* შენა, მოდი აქ, მეზობელთან გამეგზავნე" (ქიზ. მენთ.).

სა-ქვ-ე: სა-ე აფიქსები. ქვ-ძირი. აღდგენილია *ჭუა -არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საღ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **საღი** 1. (ოსმ.) ზედ. მთელი, ხელ-უხლებელი – დ. ჩუბ. || გაუფუჭებელი, დაუზიანებელი; ვარგისი. დედამ [ვახოს]... დამპალ ვაშლებთან... ჩაადებინა... ერთი სისხლივით წითელი და სრულიად *საღი* ვაშლი (ი. გოგებ.). აღებ-მიცემობის დედა-აზრი არის, რაც შეიძლება იაფად იყიდო *საღი* საქონელი და პირნათლად გაყიდო (ვ. ბარნ.). || გადატ. მთელი, უზადო, არამანკიერი, ჯანსაღი. მაგრამ გულითა საღნი ვიყვენითო, გვეფასებოდა ერთურთი მაშინ (ვაჟა). ვისაც ისეთი კაცთმოყვარული გული აქვს და *საღი* ჭკუა, ის ადამიანთა საგინებელს თავის დღეში არას ჩაიდენს (ე. ნინოშ.). 2. ჯანმრთელი, დაუავადებელი. შხამი... რამდენსამე წამს *საღ* ადამიანს სიცოცხლეს გამოასალმებს (ი. გოგებ.). ესენი იყვნენ მრეცხავი *საღი*, ჯანმრთელი და ღონიერი... ქალები (ჭ. ლომთ.). || გადატ. ჯანმრთელობისათვის სასარგებლო, მოსახდენი; სასიამოვნო. გლეხს უნდა მიწურიდან ამოძვრეს, მზე დაინახოს, *საღი* ჰაერი ყლაპოს (ილია). 3. გადატ. სწორი, მართებული; გონივრული, კეთილგონიერი. რა თქმა უნდა, ამას გვეუბნება *საღი* ლოგიკა და ისტორიული საბუთები (ნ. ლორთქ.). || წრფელი, გულწრფელი. შენით დამემართა ეს, რაც ჩემს თავზე ბედნიერების დღეა მოწევნილი, ... *საღი* გულით ეუბნებოდა იერემია (გ. წერეთ.) – ქეგლი. აგრეთვე: ჯავახ. მარტ., შავშ. ლექსიკ.

ახ. ქართ. II. **საღი** მეწდე. მერიქიფე. „დავლიოთ ღვინო, არაყი ჩვენია, მეჯლის-საზანდარი, *საღი* ჩვენია“ (საიათნოვა) – ი. გრიშ. შდრ. მწდე [თურქ. საღი] – საბა.

საღორე:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **საღორე** 1. მსხვილი წნელით მრგვლად მოწნული ღობე (ლასტი) მდინარის პირას, შიგ ქვებს ყრიან მდინარის ნაპირის გასამაგრებლად, წყალმა რომ არ დააქციოს ნაპირი (იმერ. გაჩ.). ქვითკირის თუ ხესა თუ კლდეს თუ *საღორეს* რაც გაკეთება უნდოდეს, იმრიგათ უნდა ააუშენოს თავისის ხარჯით პაპუნამ და მიაბაროს გრიქორას, რომ გრიქორას ზარალი არ იყოს, ისე უნდა გაუკეთოს და წყლის *საღორიდამ* წაიყვანოს პაპუნამ (სამ. IV, 420). || მთ., მოჯ., თ. (ხევსურები დარანსაც ეტყვიან) – ა. შან. საცა რომ წყალი მიდის, იმას ქართულათ *საღორეს* ვეძახით (შ.-კახ. მრეწ. IV, III, 176). 2. საღვარე, წისქვილის ქვედა სართული. ზოგი *საღორეში* ძვრებოდა და ბორბალს სინჯავდა (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. [წისქვილში] გონთ ნამყოფ რო შიგ შავიდას, გაკვირვებულ დარჩებისა. გამასავალ ვერ გაიგებს, *საღორისას* გაძვრებისა (ხევს. პოეზ. 680, 3) – ალ. ჭინჭ. საღორეი წისქვილის ბორბლის მიდამო (თუშ. ხუბ.). || საღორე წყლის გასავალი. საღორეს დოუძახოდითყე, ექ წყალი ჩადიოდა, ჩაჸჩქრისყე (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე: მოხ. ქავთ., იმერ. გაჩ., ფშ. გოგატ., ქვ.-იმერ. მრეწ. I, 323. მრეწ. IV, III: მთ. 189, ზ.-ქართ. 194, ჯავახ. 204, თუშ. ცოც.

სა-ღვარ-ე > საღორე. სა-ე აფიქსები. ღვარ > ღორ-; აღდგენილია ს.-ქართვ. *ღუარ- „ღვარი; მდინარე (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. საღორე** 1. იშელი, ფარეხი ღორთა – დ. ჩუბ. || ღორების სადგომი. ღორი *საღორეში* არ შევა, სანამ ზურგზე თოვლი არ დაედინებაო (ანდაზა). მეღორეს ღორი *საღორეში* შეუმწყვდევია (ი. გოგებ.) – ქეგლი. სათონე გინდა, *საღორე* გინდა უბრალოთ აშენებ (ზ.-ქართ. მრეწ. I, 232). ღორები ცალკე გვყავდა *საღორეს* ვეძახდით (მრეწ. I: ქართ. მტკ. სამხ. 239, გ.-კახ.). აგრეთვე: ინგ. ღამბ., ჯავახ. ზედგ. 2. **საღორე კვახი** გოგრის ერთ-ერთი სახეობაა (რაჭ. კობახ.). 3. სათამაშო „ღორის“ ჩასაგდები პატარა ორმო (იმერ. გაჩ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ღორ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საყრლრ-ი:

დიალექტ. **I. საყრლრი** საყელო კაცის ძველებურ პერანგებზე (გულსაფარს წააგავდა და საგანგებოდ მოქარგული ქსოვილისგან კეთდებოდა). *საყრლრს* აღით (მიტკლისაგან), ფარჩითაც აკეთევდნენ, აჭრელევდნენ კბილ-კბილა, ეეს კაცევს აქონდაყ, ზოგდეფა (ზოგჯერ) ბერ დეკაცევსაც აქონდაყ (ინგ. ღამბ.). შდრ. სა-ყელ-ო, სა-ო აფიქსები; ყელ- ფუძე. აღდგენილია ს.-ქართ. *ყელ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. საყრლრი** ყველის შესანახი ჭურჭელი ანდა ადგილი. *საყრლრიდთი* ამაიღ ყრლ, მაიღ (საყველიდან ამოიღე ყველი და მოიტანე!) (ინგ. ღამბ.). ყრლ ყველი (ინგ. ღამბ.). ყველ- სიტყვის ყვ-ძირისთვის აღდგენილია ს.-ქართვ. *ყაუ- || ყუ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საჩეხ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. საჩეხი** 1. რაც უნდა ჩეხონ, – გასაჩეხი, დასაჩეხი – ქეგლი. || საშეშე პატარა ტყე (გურ. ჟღ.). 2. რითაც უნდა ჩეხონ – ქეგლი. || რკინის ჯოხი სამტვრევი მიწისა – დ. ჩუბ. *საჩეხად* ზმნს. გამოვიდა რ. კორძაია («ლელო»). 3. სადაც შეიძლება გადაიჩეხონ, – გადასაჩეხი. [განგება] ზოგს კლდედ ექცევა *საჩეხად* (ვაჟა) – ქეგლი.

სა-ჩეხ-ი; სა-პრეფიქსი, ჩეხ-ძირი; ჩეხა ვაპობ, ვჰსჭრი – დ. ჩუბ. შდრ. ხეჩა ვაპობ, ვჰხლეჩ – დ. ჩუბ. მითითებულია ს.-ქართვ. *ჴლეჩ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. საჩეხი** 1. დერეფანთა ზედა, ფანჯარათა და კართა ზედა ჩამოფარებული ფიცრული. || წიგნების შემკვრელთაგან ხმარებული მაშინა სახის გამოყვანისა თვის წიგნის ყდაზედ, რომელიც იქნება მრავალჯერ ოქროისა, თეგა. || დერფანთა ზედა, ფანჯარათა და შესავალთა კართა ზედან გავლებული ფიცრული – ნ. ჩუბ. || სახურავის წინგამოშვერილი ნაწილი, საჩრდილობლად ზემოდან ჩამოფარებული ფიცრული, გადმოხურული ღია დერეფანი და მისთ. [ხანძარს] სათორნის *საჩეხი* გადარჩენოდა, [ირემი] შიგ შემძვრალიყო და მოებუნაგა (ვაჟა). ოთხ და-

ბალ სვეტზე ებჯინა ფართო *საჩები*, რომელიც ზაფხულობით მშვენიერ საგრილობელს წარმოადგენდა (ვ. ბარნ.). სამჭედლოს *საჩებში* ჟანგიანი გრდემლი ეგდო (კ. ლორთქ.) – ქეგლი. || სახლისძირა ან მეორე თვლის წინ გამართული, „ბალკონისებური“ ნაწილი, ოღონდ უმოაჯირო. ძირა თვალთან მას იატაკად „ჰყარი“ აქვს, მეორე თვალთან კი ან ბანი, ან კიდევ ფიცარი (მრეწ. I: თუშ. 155; ქიზ. 44; გ.-კახ. 115). 2. საქონლის საზაფხულო სამყოფელი, წნელით შემოღობილი (იმერ.) იგივეა, რაც საჩეხე. გამდელი საჩეხში საქონელს უვლიდა (გ. წერეთ.) – ქეგლი. აგრეთვე: ზ.-იმერ. ძოწ., იმერ. გაჩ., რაჭ. კობახ. შდრ. საჩეხები „სამრელოების მიდამო“ (ჴევს. შან., ჭინჭ.). იხ. II. საჩიხი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. III. **საჩები** ქუდი. საჩეხიანი ბუჟუჟიანი – დ. ჩუბ. ქუდს ზამთარში – კვერნისას და ზაფხულს- მსუბუქსა და ხან *საჩებსა* და ხან თუშურსა და ხან სირმით ნაკერსა (ატარებდა) (ბ. ეგნატ. 230, 21). [ქალს] *საჩებს* ქუდი დავხუროთ, შიგ ჩავუკეცოთ თმანიო (ხალხ.) – ქეგლი. *საჩებიან* ქუდებს ჰქსოვდნენ ნამჯისას, მზეში იხურავდნენ (ერწ.-თიან. მრეწ. II, II, 32). შდრ. თურქ. [საჩახ], საჩეხი, ბუჟუჟი – საბა.

საჩიხ-ი:

ახ. ქართ. I. **საჩიხი** ქუდის წინა მხარეზე მიკერებული ტყავის, მუყაოს ან სხვ. ნაჭერი, რომელსაც ნახევარი წრის ფორმა აქვს, – წინაფრა. შდრ. III. საჩეხი.

ახ. ქართ. II. **საჩიხი** იხ. II. საჩეხი. ზოგი ხეზე ავიდა, ზოგი კანცელარიის *საჩიხზე* (ს. შანშ.). და გაზაფხულის ცელქი მერცხლები სახლის *საჩიხქვეშ* მიქრი-მოქრიან (ი. ევდ.) – ქეგლი. შდრ. **ჩიხი** საჩიხე; **ჩიხი აგვართა** საჩიხე და ბაკი ზან. (მეგრ. ქობ.).

საწერავ-ი:

დიალექტ. I. **საწერავი** 1.საწერი, დასაწერი. „გოგოვ, შენი თეთრი შუბლი, *საწერავ* ქაღალდ გიგავდა!“ (დ. კობ., აჭარ. ნიჟ.). „დავწერი *საწერავსა* და გუუგზავნი“ (ედ., ჩვენ. ფუტკ.). 2. საწერი საშუალება (კალამი, ქაღალდი). „მომიტაი გო, *საწერავი*, მექთები დავწერო!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. საწერელი.

დიალექტ. II. **საწერავი, საწირავი** 1. შალის წინასწარ, შეღებვამდე დასამუშავებელი, დასადედი სითხე. „თხმელის ქერეჭიდან ვაკეთებ *საწერავს* – ავადუღებთ ქერეჭს და დავაყრობთ“ (აჭარ. ნიჟ., ნოღ.). „*საწერავი* გონჯი გამოდგა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 2. (ბალ.) ფოთოლი, შალი-ბალახი. გამოიყენება შავი ფერის საღებავის მისაღებად (აჭარ. ნიჟ.). შდრ. წერი შავი საღებავი. [ღამე] სიბნელითა წერისა ფერად შავი იყო (ვისრ. 59, 21). || (ლეჩხ. რაჭ. იმერ. გურ.) კაკლის ხის ქერქის გამონახარში საღებავი, რომელიც მოყავისფრო შავად ღებავს – ქეგლი.

ს.-ქართვ. ს.-ქართვ. წარ- „კანი, გარეკანი“ > ქართ. წარი (ჩუბუა 2000-2003).

საწერელ-ი:

საშ., ძვ., ახ. ქართ. **I. საწერელი** მელნის ჭურჭელი; ზოგჯერ კალამი – დ. ჩუბ. || კალამი, საწერი იარაღი ან მასალა: „დაწერე მას ზედა *საწერელითა* კაცისაჲთა“ (I, ეს. 8, 1); „საჴმარ იყო მუნ ქარტაჲ და მწიგნობარნი და *საწერელნი*“ (მრთ. S, ოქრ. -გურიტ. 230, 8); „ნებაჲ კაცისაჲ ვითარცა არს *საწერელი*“ (მ. სწ. 310, 24); „ენაჲ ჩემი ვითარცა *საწერელი* მწიგნობრისა ჴელოვნისაჲ“ (ფს. 44, 2) – ილ. აბულ. ყმაწვილმა კაცმა... ამოავლო *საწერელში* კალამი და დაწერა (ლ. არდაზ.). გიორგიმ... გაშალა რამდენსამე ადგილს დასაწერი ქაღალდი და დადვა *საწერელი* კალმებით (რ. ერისთ.) – ქეგლი.

სა-წერ-ელ-ი: სა-ელ-ი აფიქსები; წერ-ძირი. *წერ- ს.-ქართვ. არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. საწერელი** (იმერ.) იგივეა, რაც დუდკო. *საწერელო, რაა შენი წამალი?* (ხალხ.) – ქეგლი. შდრ. I. დუდკო.

ქართულ ენაშიც წერა თავდაპირველად, როგორც ჩანს, ჭრას, კვეთას ნიშნავდა, აქედანაა წარმოქმნილი სიტყვაა წერაქვი, რომელიც ქვის საჭრელ-საკვეთი („საწერი“) იარაღის სახელია, მასვე უკავშირდება თითის ერთგვარი ავადმყოფობის სახელწოდება საწერელი (ე. ი. ფრჩხილის მკვნეტელი, მჭრელი) (ჭუმბურიძე 1987: 90).

საწირავ-ი:

დიალექტ. **I. საწირავი** თხმელის ქერქის გამონახარში საღებავი. „*საწირავში* – თხმელის ქერეჭში – ჩავყრიდი ბოდასა და ჩავდებდი შალსა“ (აჭარ. ნოღ.). იხ. II. საწერავი, საწირავი.

ახ. ქართ. **II. საწირავი** 1. ეკლ. წირვისათვის განკუთვნილი გასამრჯელო. «მიიღეთ, მამაო დეკანოზო, ეს *საწირავი* და უწირეთ ცხონებულ მამა-ჩემ თომას» (ვ. ბარნ.). მღვდელს *საწირავად* მიართვი: ზედაშე ყვეღაწმინდისა, სანთელ-საკმელი, წანდილი და ფასი წყვილი წინდისა (რ. ერისთ.). 2. იხ. შესაწირავი. აბსიდიანის დანით ხოცდნენ უწინ *საწირავს* (ილია). *საწირავს* მოუტანდნენ ხოლმე ღვთაებას (ივ. ჯავახ.). შდრ. წირავს ძვ. ეკლ. ქრისტიანული მღვდელმსახურების მთავარ წესს ასრულებს. [ტიმოთემ] ერთ დღესასწაულში წირა მასთან ერთად, სიტყვაც კი წარმოთქვა ამბიონიდან (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

სა-წირ-ავ-ი: სა-პრეფიქსი; -ავ-თემის ნიშანი. წირ- ძირი. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: ს.-ქართვ. *წირ- „მიმართვა; მიძღვნა“ → ქართ. წირ- : სვან. ჭრ- || ← ჭირ- (ჩუხუა 2000-2003).

საწყვეტ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. საწყუეტი:** ◊ **საწყვეტი** საღრტილი – საბა, დ. ჩუბ. საწყვეტი უნაგირის კეხზე ჩაბმული ორწვერა თასმა ნაბდის, ხურჯინის და სხვ. ჩასაკრავად, – საღრტილი (ქეგლი). შდრ. საწკვერტი სპეც. განიერი

თასმა ცხენის ცალუღიდან ეტლის ხელნის წინა ბოლომდე – ქეგლი. სა-წყვეტი ← საწკვერტი.

აღდგენილია *წყუერთ- || *წყუირთ- „გამართვა, აპრეხა“ → ქართ. წკვერტ- || წკვირტ-, წკვერტ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. საწყვეტი** (ქიზ.) შოლტის ბოლოს მობმული სატყლაშუნებელი თასმა (ს. მენთ.).

სა-წყვეტ-ი: სა- მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობის პრეფიქსი. წყვეტ-ფუძე; შდრ. წყვეტება [და]ხეთქება, [და]ხლა, ცემა (რამეზე). წყვეტი სპორტ. სხეულის ან ხელების სწრაფი მოძრაობა, – წყვეტება (ქეგლი). სა- ვნებითი გვარის მყოფადის მიმღეობის მაწარმოებელი თავსართი.

საჭე:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. საჭე** 1. ფრთა ნავისა: „მოიქცევიან მცირისაგან *საჭისა*“ (იაკ. 3, 4); „ბასაანით გიქმნეს შენ *საჭენი* შენნი“ (O, ეზეკ. 27, 6); „უკუეთუ დაუტეოს *საჭე* იგი და ანკჳრაჲ სიმართლისაჲ“ (მ. ცხ. 294v); **საჭეთ-მპყრობელი** მენავე: „კეთილად ჰმართებდეს *საჭეთ-მპყრობელი* იგი გონებაჲ ნავსა მას სულისასა“ (მ. ცხ. 79v) – ილ. აბულ. კეთილად ჰმართებდა *საჭესა* (ქ. ცხ. IV, 234, 2). 2. გემის, თვითმფრინავის, ავტომობილისა და მისთ. მოძრაობის სამართავი მოწყობილობა. გემის საჭე. – [ლილი] გამომეთხოვა, საჭესთან დაჯდა და მისი «ზისი» სწრაფად გასრიალდა ჩემს თვალწინ (ა. ბელ.). 3. გადატ. მმართველობა, ხელმძღვანელობა. დღეს-კი საჭე ცხოვრების ხელთ აქვს პროლეტარიატს (ს. შანშ.) – ქეგლი. 4. გრძელ ჯოხზე მობმული მარყუჟი ფრინველთა შესაპყრობად. ლხინის ბურთს – მოცდის ჩოგანი, აღებად უნდა *საჭე* რად?! (ქილ. 714, 23). 5. ორკაპა პალო, სიგრძით ერთი მეტრი. კაპების მხრიდან ასობენ მდინარის პირას, წვერზე აქვს თოკით მობმული ჩანგალი, რომელიც წყალშია ჩაშვებული თევზის დასაჭერად (ქიზ. მენთ.). || თევზის საჭე თევზის დასაჭერი, ანკესი და სხვ. (მოხ. ქავთ.). || მოხ., ჭ., ფშ. ნემსკავის ტარი, ანკესის ჯოხი. ჭ. 1) ანკესის ძუა, ბ) მწყრის დასაჭერი ძუა. ჭ. (არხ.) მწყრის დასაჭერი მახის ტარი. აჭე (ასეა!) თ.: მახის აჭე თ. მახე ჩიტისა, თაგვისა – ა. შან.

დიალექტ. **II. საჭე** ტაბაკისებრი თუჯის მოზრდილი თეფში პურის საცხობად (ჯავახ. მარტ.). || **საჯი** || **საჭი**: **საჯის დაქოლვა**: საჯს, გამოცხობის დროს პური რომ არ დაწვას, ქვედა მხარეზე წლით აზელილ ნაცარს გააკრამენ, ამას დაქოლვას უწოდებენ. საჯის პური || ბაზლამა საჯზე გამომცხვარი პური (ჯავახ. ზედგ.). შდრ. **საჯი** ტაფა [ირან. საჯ].

სახათ-ი:

დიალექტ. **I. სახათი** (არაბ. sakat) ხეიბარი, დაზიანებული, გატეხილი. „სახათი ქალი ყავს“ (თ. ქ.); „*სახათი*, ჩალღუნი ბლები ესხა წრევლაი“ (ინ.); „ახალი წინდა ევღე, *სახათი* გამოდგა“ (ინ.); „შვილები *სახათები*

ჰყავს" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „ერთი *სახათი* კაცია, მარა, ხედავ, რაფერ უძღვება ცოლ-შვილს" (აჭარ. ნიჟ.). „სუ სახათები რო შეიყარნენ, მაგათ რანა ქნან" (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. **II. სახათი** დახშულ არეში პატარა საჰაერო ნახვრეტი. როდესაც ჭურში ღვინო დუღილს იწყებს, პატარა *სახათი* ნა ექნეს, თვარე ჭური გასკდება (მესხ. ფეიქრ.). **სახათები**: გარა უსათუოდ მუხისაა. გარათა რაოდენობა ჭურჭლის სიდიდეზეა დამოკიდებული. მათ ერთმანეთზე ჭადრაკის დაფის მსგავსად გადააწნავენ, დარჩენილ ხანებში ე. წ. „სახათებში" სწორი კუთხეები წარმოიშობა, რაც ჭურჭლის პროპორციულობისათვის აუცილებელია. ასე გაკეთდება ფსკერი (რაჭ. ფრ., 76).

სახაშე:

საშ., ახ. ქართ. **I. სახაშე** დუქანი, სადაც ჰხარშავენ და ჰყიდიან *ხაშს* და მისთანათა – ნ. ჩუბ., ქეგლი.

სა-ე აფიქსები. ხაშ- < ხაში. ხაში [არაბ.] საკლავთ შიგანური მოხარშული – დ. ჩუბ. ხაში [სპარს. ხაშ «ჩამონაჭრები», «ნარჩენები»] წვნიანი კერძი ძროხის ან ცხვრის კარგად მოხარშული ფაშვისა (აგრეთვე ჩლიქებისა) – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. **II. სახაშე ჭურჭელი**, რაშიც ხაშს საფუარს აყენებენ. იპოვნა ბებერმა [ნაფოტი], შეიტანა და *სახაშეს* დააფარა (ზღაპ.). დედა-ბოძის ძირში იყო დარჭმული და ზედვე წნელით მიკრული შვინდის ხის ჩხა, რომელშიაც იდგა თიხის *სახაშე* (მელან.) – ქეგლი.

სა-ხაშ-ე: სა-ე დანიშნულების აღმნიშვნელი აფიქსები; ხაშ-ძირი. ხაში პურის ცომი საფოველი – დ. ჩუბ., საბა.

სახსარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. სახსარი** 1. ძვლების დაბოლოებათა მოძრავი შეერთება. ცერს ორი სახსარი აქვს და ორგან იკეცება. ყველა სხვა თითს სამი *სახსარი* აქვს და სამგან იკეცება (ი. გოგებ.). [ავადმყოფს] *სახსრებისა* და კუნთების მოქმედება შეუმოწმა [ექიმმა] (მიხ. მრევლ.). 2. გადატ. მანქანის ნაწილების მოძრავი შეერთების ადგილი. || საერთოდ, ლითონის ნაწილების შეერთების ადგილი. ოთახში მკაფიოდ ისმოდა მატარებლის ბორბლების დაგადუგი ლიანდაგის *სახსარზე* გადარბენის დროს (კ. ლორთქ.) – ქეგლი. ღერძსა და ქვას შუა *სახსარი* არ არის (ქიზ. მრეწ. IV, III, 173). **ორსხი** სახსარი. მერსხუალა „მიერთება" ზან. (მეგრ. ელ.).

სახსარი || საჴსარი სიტყვების ძირეული მასალა ჴს- || ხს-იგივეა, რაც ჴსნ-ა || ხსნ-აში გვაქვს (ჩიქობავა 1938). აღდგენილია *ჴას-/ჴს- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). ს.-ქართ. *სხ- „მიერთება. საერთოქართველური *სხ- ზმნური ძირის რეკონსტრუქცია მხოლოდ მეგრულის ჩვენებით ხერხდება, რასაც რეალურს ხდის ჩერქეზულ ენათა მონაცემები (ჩუხუა 2017).

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. სახსარი** 1. ფასი გამოსახსნელად რისამ – დ. ჩუბ. თვით თავსა მამისა *სახსრად* მიქადებდა (რუსუდ. 17, 9). მე შენ რაც გთხოვო *სახსრადა*, იმას მომცემდეო (დ. გურ. 163, 20, 2). საზრუნავი შეიქმნა *სახსრის* შოვნა შინ დასაბრუნებლად (დ. კლდ.). 2. გადატ. საშუალება, შესაძლებლობა, წყარო. «აქამდე მუშაობით წელს ვიწყვეტდი, მეგონა ერთადერთი ნამუსიანი *სახსარი* ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა» (ილია). არწივს შია, ძალიან შია..., ნუთუ არაფერი *სახსარი* აქვს მოიკლას შიმშილი? (ვაჟა). «ცხოვრების *სახსარი* არსაით არა მქონდა» (ა. ცაგარ.) – ქეგლი. „მაგდენის გარახთის *სახსარი* არ მაქ" (შემ., გურ. ჯაჯან.). II. საჴსარი.

საჴსარ-ი:

დიალექტ. I. **საჴსარ̌ი** 1. სახსარი. „დეცი, თითის *საჴსარ* მტკივ" (თუშ. ხუბ.). 2. ორ ერთნაირ საგანს შუა დარჩენილი ხარვეზი; მაგ.: იატაკის ფიცარსა და ფიცარს შუა, შკაფსა და შკაფს შუა დარჩენილი თავისუფალი ადგილი. „ფიცრებ საჴსარი დაუგდია"; „კაცო, იგრე დადგი ამბრები, რო პატა საჴსარი ა̆ქონდე̆ი, რო კაცმა გაიაროს"; „წისქვილში იმთენი საფქვავი იყო, რო ერთი ბეწო საჴსარი არ იყო, რო საცალოები დემეწყო". აქვე უსაჴსრობა უადგილობა. „წისქვილებში უსაჴსრობაა და საფქვავი ვერსად მივიტანე, ალაგი არ იყო, რო დემეწყო" (ქიზ. მენთ. „დამატ"). იხ. I. სახსარი.

ძვ. ქართ., დიალექტ. **II. საჴსარი** 1. «საჴმარი», «გამოსაჴსარი», «გამოსაჴსნელი», გამოსასყიდელი: „მომეც მე *საჴსარი* წყლისაჲ" G, – „მეც მე საჴმარი წყალთაჲ" (M, მსჯ. 1, 15); „*საჴსარ* მისა იყვნენ" pb., – „გამოსაჴსნელ იყვნენ მარადის იგინი" (G, ლევიტ. 25, 31); „რომელმან მისცა თავი თჳსი *საჴსრად* ყოველთა" (I, ტიმ. 2, 6). – ილ. აბულ. გიორგისაგან მოითხოვეს *საჴსარი* მეფისა (ქ. ცხ. IV, 418, 27). დადიან შუაკაცები, *საჴსარ* არ აქვის მკვდრისაო (გ. დოლ. 81, 31). თითო თოფ აქვ თითოსა, თითო *საჴსარი* ტყვისაო (ხევს. პოეზ. 82, 4). „გიცემ მე წავალიო-დ' *საჴსარ* მოვიტანაუ" (თუშ. ხუბ.); „იმი *საჴსარი* არა მქონდა, რო ერთი სუფრა გემეშალა ორი კაცითვინ" (ქიზ. მენთ.). 2. მახსოვრობა, უნარი, შნო. „არ გაქვთ არაის *საჴსარი*, უამბოეთ ხართ, უსაჴსროები!" (ხევს. ჭინჭ.). **საჴსა̆რ** (სვან. თოფ., ქალდ.). იხ. II. სახსარი.

საჯერო:

საშ., ახ. ქართ. I. **საჯერო** 1. საჯერებელი, დასაჯერებელი, სარწმუნო – დ. ჩუბ. *საჯეროა*, რომ ბევრი ნაწერი გვქონია, მაგრამ ჩვენამდის ფრიად მცირე რიცხვმა მოაღწია (ილია). 2. მოსაჯერებელი. ◊ **გულის საჯეროდ** გულის მოსაჯერებლად. [გიორგი] სამწყესურში ცხვრებსაც კარგად უვლიდა და *გულის საჯეროდაც* ბურთაობდა თავის ტოლ-ამხანაგებში (აკაკი). შდრ. ჯერება: სიტყვთა კეთილითა აჯერებედ კაცთა (მ. სწ. 4, 29); – ილ. აბულ.

სა-ჯერ-ო: სა–ო აფიქსები; ჯერ-ძირი. დაჯერება, შეჯერება. დაჯერების აღმნიშვნელი სიტყვების ჭან. დიჯერუ; მეგრ. დიჯერუ; ქართ. დაიჯერა ჯერ ძირი საერთოა; მნიშვნელობაც ერთია (ჩიქობავა 1938).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. საჯერო** 1. ჯერისათვის, კერძისათვის განკუთვნილი, – ჯერისა. საჯერო ქილა. – საჯერო ხურჯინი. || ყურიანი ქოთანი ჯერის, შეჭამანდის მოსათავსებლად. ეს იყო უკვე მოწიფული... ქალი; ამას ხელში ეჭირა *საჯერო* (ს. მგალობ.). 2. (ფშ.) იგივეა, რაც ფქვილი. დაიფქვის იმათ საფქვავი, *საჯერო* გინდა ხალია (ვაჟა) – ქეგლი. ერთი პურის ჭამისთვის / ჯერისთვის / საჭირო ფქვილი (ფშ. ხორნ., ქიზ. მენთ.). სა-ჯერ-ო: სა – ო დანიშნულების აღმნიშვნელი კონფიქსი. ჯერ- ძირი; ჯერი რიგი, რამე, საქმე: „მისცა ...სამი *ჯერი* ქვათაგან ძლიერთა და ჯერი ერთი ძელი“ (O, II, ეზრა 6, 4); „სამი ესე *ჯერი* არს, რომელ მოიძულა სულმან ჩემმან“ (O, ზირ. 25, 3) – ილ. აბულ.

სევდა:

საშ. ქართ. **I. სევდა** სიშავე, შავი ფერი. რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და *სევდისა* ფერად გასულსა მიწასა ყირმიზი ფარდაგი მოჰფინა (შჯნ. III, 259, 21).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. სევდა** სევადი, შავი ვარაყი. ბულეჯანმ ჯვარნ დახვეტნა, თასები ზიდნა ძალზედა, აკეთა ბეჭედაები, *სევდა* უყარა თავზედა (ხევს. პოეზ. 588, 14) – ალ. ჭინჭ. სევდა < სევადა [არაბ. სავად «სიშავე», «შავი ფერი»] შავი ფერის ნივთიერება (გოგირდში არეული დამწვარი ტყვია ან სპილენძი და ვერცხლი), რომლითაც ოქრომჭედლებს ვერცხლის (ან ოქროს) ნაკეთობებზე სახეები გამოჰყავთ. ლითონის მხატვრულად დამუშავება, ჭედურობა, სევადა, გრეხილური და სხვა სახეობანი ფრიად გავრცელებული იყო («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. სევდა** 1. სავდა (სევდა CaqD) სხვათა ენაა, ქართულად შავი ნავღელი ჰქვიან – საბა. || [სპარს. სავდა] შავი ნაღველი. მათბუხისა ზაფრასა, *სევდასა* და ბალღამს უშველის (ქანან. 3, 299). 2. გადატ. [არაბ. სავდა] დარდი, ნაღველი, კაეშანი, ვარამი. კაცისა ნივთთაგან *სევდაჲ* მისი არს (ეტლ. 6, 5, 2). *სევდა* რამე შემოჰყრია (ვეფხ. 352, 2). ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს *სევდასა*? (ხალხ.). «რა უნდა შენთან *სევდას?*სად შენ, სად მწუხარება?!» (ს. კლდ.). [ჭაბუკმა] *სევდით* სავსე თვალები გააყოლა მათ (მ. ჯავახ.) – ქეგლი. *სევდამც* გეცემის, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია! (ხევს. პოეზ. 19, ბ, 1) – ალ. ჭინჭ. 3. [არაბ. sevda] სიყვარული, ვნება., გატაცება. „ხასანას *სევდა* ქონდა მეგემ სემიეზე და არ ვიცოდით“ (ად.). „ხეზე აველ, ციცალაზე, *სევდა* დამჩა რიზალაზე“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. სევდალი (sevdali) შეყვარებული. „ომერაი სევდალი იყო მერიემაზე და იმითვინ ღმერობდა იმდენსა მეგობ“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

სევდა არაბული წარმომავლობის ლექსემაა, რომელიც ისესხა სპარსულმა და იქედან თურქულმა, ხოლო ქართულში, როგორც სამედიცინო ტერმინი, უშუალოდ დამკვიდრდა დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან (იმედაძე 2014: 99).

სევდიან-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. სევდიანი** 1. სევდის მქონე, სევდით მოცული, სევდის აღმძვრელი, – დარდიანი, ნაღვლიანი, კაეშნიანი. ყმა წავიდა *სევდიანი* (ვეფხ. 713, 1). და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი, რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და *სევდიანი* (ნ. ბარათ.). რა *სევდიან* ზღაპარს ამბობს ქარი, ამეშალა ჩვეულ ფიქრთა ჯარი (გ. ტაბ.). და ნაკადულის *სევდიან* დუდუნს მოჰქონდა ოხვრა დუხჭირი ყოფის (ანა) – ქეგლი. 2. ავადმყოფი, სნეული. *სევდიანი* შვილები ჰყავდა საწყალსა, ისეც ამოუწყდა ყველანი (ბრ.). ჩვენი ბიჭი *სევდიანია*, ერთი რო იბანაოს, ხელათში ავათა ხდება (ტყვ.). აგრეთვე კარალ., ქემ. (ქართლ. ლექსიკ.). იხ. III. სევდა.

დიალექტ. **II. სევდიანი** წელზე *სევდიან* ხანჯარი, მასრათ არ ემბის თვალია (ხევს. პოეზ. 588, 14). ჩემის გიჟაის ტალავაროო, ფეჯჩი ჩაყრილო, ჯრილიანოო, დანა-სარტყელო *სევდიანოო*, პატრონის ნდობა მოუკლავოო (ს. მაკალ. 196, 23) – ალ. ჭინჭ. შდრ. სევადიანი სევადის მქონე, სევადით შემკული. ფეხებთან ტახტზე ეგდო გატეხილი კეხი, აბჟანდები და... სევადიანი ვერცხლით გაწყობილი ავშარა («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. იხ. II. სევდა.

სენთ-ი:

დიალექტ. **I. სენთი** შრომა. „დიდი *სენთი* მაქ გაწეული ამ ეზოში“ (აკ.). „კაი *სენთი* გარამხთა ამ სახლის აშენებაზე“ (შემ., გურ. ჯაჯან.). იხ. I. სანთი.

დიალექტ. **II. სენთი** ნადირის გასასვლელთან ჩასასაფრებელი ადგილი (მამ.-ჯუმ., გურ. ჯაჯან.). შდრ. სემთი (არაბ. semt) მხარე, კუთხე. „უკანა სემთიდან მეიყუანა“ (ბ.); „ყანის ერთი სემთია“ (მ.); „დღეს კვირიქდი სემთინა მეირწყას!“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. სანთი.

სეფა:

დიალექტ. **I. სეფა** [არაბ.] განცხრომა, ნებივრობა, შვება, ქეიფი; დროსტარება. „არც ჭამა გვაკლიოდა და არც სმა, *სეფაში* ვიყავთ გამშპარი“ (ნ. მარი იმერხ.: „ისინი ორნავი *სეფაში* იყვნენ“) (აჭარ. ნიკ.). საფა || სეფა [თურქ.] ცხოვრებით დატკბობა: „ენა ვერ იტყვის ჯენნეთის საფას“ (მან., შავშ. ლექსიკ.). || (არაბ. safa) სიხარული, მხიარულება, მოსვენება. „ლამაზ ქალზე ყურებაში თუალებმა საფა ქნა“ (ტ.); „დუგუნი ქნეს და ახლა *საფას* იკეებიან, კაი ზალი გამუუდგენ“ (იმ.); „დადვა ტაფა, შექნა ფაფა, დავჯექით და ვქენით *საფა*“(მაჭ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. სეფა** 1. გრძელი კარავი (ჩვეულებრივ, ფოთლებით გადახურული); მართავენ სახელდახელოდ ცის ქვეშ ლხინის, ქორწილის ან ქელეხის დროს. [თავადის] შინაყმები მისეოდნენ და აკეთებდნენ საქორწინო კარავს, ანუ, როგორც ისინი ეძახდნენ, *„სეფას“* (ე. ნინოშ.).

სიგრძე გაუზომელ *სეფაში* გაშლილ სუფრაზე ძლივს ეტეოდნენ მოტირალნი (ნ. ლორთქ.). 2. სუფრა – ქეგლი. „*სეფა* დადგმულია, წეიყაფალთე ერთდრამი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ი. ჯყ. შეფა || სეფა ფარდული ლხინის მოსაწყობად ზან. (მეგრ. ელ., ქაჯ.).

სეფე:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **სეფე** „სახლი სამეუფო“, სასახლე: „მაიძულა წარყვანებაი ჩემი *სეფედ* (სახიდ სამეუფოდ-var.)“ (ქ. ცხ. 86, 9) – ილ. აბულ. მივლენ დარბაზსა *სეფესა* (ვეფხ. 684, 3). მოსპულდა ყოვლი სალხინო, დარბაზობა და *სეფობა* (ნ. ციც. 449, 241, 20). **სეფე-დარბაზი** სამეფო დარბაზი. და როს დაღლიდა ხალხის ჟღივილი, სეფე-დარბაზში სიტყვის ცილობა, ვერხვს მიმართავდა გულის სიალით (გ. ლეონ.). ცალი თვალი და ყური გაჰქცეოდათ სეფე-სასახლისკენ (გ. ხორგ.). **სეფე-კარავი** ძვ. მეფის კარავი. სეფე-კარავში იჯდა კავადი (გ. ლეონ.) – ქეგლი.

სე-ფ-ე: სე-პრეფიქსი. ბირი ფ-. შდრ. მეფე, უფალი (თოფურია 1979: 66, 139).

ძვ., ქართ. II. **სეფე** სეფისკვერი: „არა ღირს იქმნა მიღებად *სეფესა* მას და ბესინისა“ (Ath. – 11, 236r). აქვე სეფის-კუერი – ილ. აბულ. აგრეთვე სეფისკვერი – ქეგლი.

დიალექტ. III. **სეფე**: *სეფეს* ვეძახდით კიდევა: წავყვებოდით ბატონსა. მოიტანდნენ „ბოჭკით“ ღვინოს, თევზსა, ვუხნამდით მიწას; სახელი იყო იმისი, ესახელებოდა რო ამთელი მრევლი მყაავსო, ამთენი შემომეწიაო. საღამოზე წავიდოდნენ, დაითრობოდნენ... ვიძახდით: „*სეფეზე* გვეძახიანო“ და წავყვებოდით მთელი სოფელი. მამასახლისი დაივლიდა: „აბა, *სეფეზე* გვეძახიან ციციანიო, უნდა წახვიდეთ ხვალაო“. თავადიშვილი ქაღალდს გამოუგზავნიდა და მამასახლისი დაივლიდა ხალხში. იმ *სეფეს* გადავიხდიდით და ტყეში უფასოთ წავიდოდით. ის იყო ფასი რაღა, *სეფეთ* გადაუხდიდით. მეორე წლამდინ ისე იყო. კიდევ მეორე წელიწადს დააუზახებდნენ (ქართ. მტკ. IV, II, 210). იხ. II. სეფა.

სეფილ-ი:

საშ. ქართ. I. **სეფილი, სიფილა, სიფილი, სიფლი** [ფრანც. ხონჩა, მოგრძე ტაბაკი ან ლანკანი] – დ. ჩუბ. || სეფილა ძვ. მოგრძო ტაბაკი ან ლანკანი, – ხონჩა (დ. ჩუბ.). შდრ. **სეფი** კიდობანი ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **სეფილი** 1. [არაბ. sefil] უბედურება, საპყარი, საწყალი, დაჩაგრული, ჩუმი. „ერთი ბაღვი *სეფილი* ყავს, ცოტა ხაპერი მოშლილი აქ“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). 2. უწყინარი, წყნარი. მთხვარი რაფერ მოიკლება საწყალობელი, *სეფილი* (ჰ. უმიკ. I, 180). || (ადამიანი) დინჯი, მწყნარი, მშვიდ დამოკიდებულებას რომ იჩენს საუბარშიც და მოქმედებაშიც. – „ისრეთი *სეფილი* კაცია, რო მაგასთან ჩხუბი როგორ'ნა მოგივიდეს“

(ჯავახ. ზედგ.). *სეფილია*, იმან არ ილაპარაკავს (მარადიდი). ჩემი დიდნენი მეტი *სეფილათ* იყო (ჯივანი, კლარჯ. ლექსიკ).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. სეფილი** დუდუკზე დაკრული სამგლოვიარო ჰანგი, რომელსაც ახლად მიცვალებულის საფლავზე უკრავენ ყარაჩოღელები. „იქვიფეთ ზურნით, მაგრამ ცრემლი არავის ჩამოსცვივდეს და მიმღერეთ ეს *სეფილი:* ბარაშკაჯან, არ შეგცივდეს“ (ი. გრიშ.).

სველ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. სველი** სუელი დალტობილი – საბა. || სითხით გაჟღენთილი, სითხეგამჯდარი, – დამბალი, დასველებული (საპირისპ. მშრალი). ორაგული თუ გინდოდესო, ტანიც *სველი* გინდოდესო (ხალხ.). წვიმისაგან *სველი* იყო ბალახი. მე, ისეც *სველი*, უფრო დავსველდი (ვაჟა). გლახამ... მოიხსნა *სველი* ნაბადი და მიაყუდა კედელზე (აკაკი). [დედამ] *სველი* სამოსი გამხადა, მშრალები გამომიცვალა (ბაჩ.) – ქეგლი. **სუელი**: „დაადგრის იგი ადგილსა *სუელსა* და დიდად ნოტიასა“ (ბ. კეს.-ეჭუს დღ. 48, 7). || სელი, ასელებს || სველი (ფერეიდ. ბერ., ბაკურ. 293).

აღდგენილია არქეტიპი: ს.-ქართვ. *სოუ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); ს.-ქართვ. *სუელ „სველი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. სველი** ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, – შრატი. ყველი ყველად ამომიღე, *სველი* მაწვნად გამიკეთეო (ანდაზა) – ქეგლი. შრატი, დოს გამონაწური. „დოს გამონაწურს *სუელს* ვეტყვით“ (ფათ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე (გურ. ნიკოლ.). **შუელ** შრატი (სვან. თოფ., ქალდ.).

ს.-ქართვ. არქეტიპები: 1. *სუელ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *სუელ- „შრატი, სველი“ (ჩუხუა 2017).

სვირ-ი:

დიალექტ. **I. სვირი** [თურქ.] ფარა, ჯოგი. „მე ერთი *სვირი* ცხვარი და საქონელი შევიყვანე კოლექტივში, ეგ კი გატლეკილი შემოვიდა“ (ჯავახ. ზედგ.). სვირი < სური (< თ. sürü). „გაიხედა იუსუფმა, რომ ცხვრის *სვირი* გადენილა, ბალახობს“ (ბ. ფ. II₂. 93, გურგენიძე 1973: 72).

დიალექტ. **II. სვირი** შეშა ხმელი, ადვილად საწვავი შეშა. „ისე ადუღდა ეს ქვაბი, კარგი *სვირი* შეშაი რომ შაუკეთო“ (ქართლ. ღლ).

სია:

საშ., ახ. ქართ. **I. სია** ნუსხა, აღწერა ანგარიშისა – დ. ჩუბ. **სია** წერილობითი საბუთი, რომელშიაც ჩამოთვლილია პირები ან საგნები, – ნუსხა. ლიტერატურის სია. – დანიშნულმა მზითვის *სია* მომიტანა (ბაჩ.). «აჰა, ინებეთ ჩვენის მტრისა ლაშქრისა *სია*» (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. **სია** ზან. (ლაზ. თანდ.). ნუსხა [თურქ. სია] – საბა.

დიალექტ. **II. სია** არყის პირველი ნახადი. არყის გამოხდისას... *სია* პირველი ნადუღია (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 137).

დიალექტ. **III. სია || სიაჭ** [სპარს.] შავი. „გვაცვია სიაჭ *საია*, ამაზე ვართ მიჩვევლი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. სია** ბენტერა, ზარმაცი, გამოთაყვანებული (ადამიანი) (ქართლ. მესხ.). მთაწმინდელ სიასავით ღარიბი, უჭკუო, უხეირო, სულელი. „შენი ძველი სერთუკ-შარვალი შენახული მაქვს, გამოვიტან და ქვეყანას ვაჩვენებ, მთაწმინდელ *სიასავით* რომ დადიოდი ხოლმე“ (ა. ცაგ.) – თ. სახოკ.

სიმარღე:

ახ. ქართ. **I. სიმარღე** მარღის თვისება; მარღი თვალების ქონა – ქეგლი.

სი-მარღ-ე: სი-ე აფიქსები. ფუძე მარღ-. მარღი თვალ-თეთრი, აღიელი – საბა. მარღი ულამაზო თეთრი (ითქმის თვალის შესახებ). თვალნი... მინახავს *მარღი*, ლურჯი, ყარაჩი (ი. გრიშ.). || ასეთი თვალების მქონე, – თვალთეთრი. ჩვენი *მარღი* ბექა, ოღონდ კი «მოამბეს» უმტროს და, საქვეყნოდ ტყუილს არ ითაკილებს (ილია) – ქეგლი.

დიალექტ. **II. სიმარღე** სიმდიდრე. „სიმარღე, სილამაზე, სიჩიჩეგე, ცოცხლობა იქ არი, იმ დუნდას“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

სი-მარღ-ე: სი-ე აფიქსები; ვფიქრობთ, რომ ძირია მარღ < მარგ; **მარგი, მარგებელი, მარგე**, კი ისევე, როგორც სარგებელი || სარგო საერთო ქართველური წარმომავლობის რგ-ძირის მქონე რგება ზმნის მიმღეობებია.

სიმსილა:

დიალექტ. **I. სიმსილა** [არაბ. silsile] გენეალოგია, მოდგმა. „ჩვენი *სიმსილა* სავსეა“ (იმ.); „ერთი *სიმსილა* ვართ“ (იმ.); „ძალიან მიყვარან ჩემი *სიმსილა*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ამავე მნიშვნელობის სინსილა [არაბ. silsile].

დიალექტ. **II. სიფსილაი, სიმსილაი** მეტისმეტად ავსებული ჭურჭელი; **სიფსილაი უქნი** პირამდე აუვსია. რაქთონ (რამდენი) წყალ ჩაუსხამ, სიფსილაი უქნი [სინ. სილაი] (ინგ. ღამბ.). შდრ. სილაზე სამსე ნიტრა (ქიზ. მენთ.).

სიფსილაი, სილა სიტყვიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი უნდა იყოს. ს.-ქართვ. *სილ-ა „ჭურჭელი, სილა ჭურჭელი“ > ქართ. სილ-ა, ა-სილ-ა (ჩუხუა 2000-2003)

სიმსიმ-ი:

ახ. ქართ. **I. სიმსიმი** შირბახტი (ალ. მაყ.).

ამ მცენარის სინონიმებია სეზამი, ქუნჯუთი, სემსემი. (ამ ფიტონიმს რამდენიმე ათასი წლის ისტორია აქვს. მომდინარეობს შუმერული „სემ-სემისაგან“, შემდეგ გადასულია ბაბილონურში, ლათინურსა და არაბულში) ქართულ ენაშიც მოხვდა და შემორჩა „სიმსიმას“ სახით (ზ. მაყ.).

ახ. ქართ. II. **სიმსიმი**: ◊ **სიმსიმი არ არის.** – ხმა, ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმის. გავიარესაყარაულოები, *სიმსიმი* არ არის, სძინავთ და სძინავთ («მოამბე»). || **სიმსი**: ◊ **სიმსი არსაიდან (არსით) ისმის**: დაუგდეს ყური აქეთ-იქით, *სიმსი* არსაიდან ისმოდა («მოამბე»). იმავე ღამით, როცა *სიმსი* არსით ისმოდა..., სოფლის ეკლესიაზე გაჩნდა ზარების რეკა (დ. შენგ.) – ქეგლი. **სიმსამი** ბაიბური, ჩქამი, ჩამი-ჩუმი ზან. (მეგრ. ქობ.).

მ. ჩუხუამ ქართველურ მონაცემებზე დაყრდნობით აღადგინა ს.-ქართვ. *ს-ამ- „ხმიანობა, გამოხმაურება“ (ჩუხუა 2000-2003).

სინორ-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. სინორი** [ბერძ. synoros მოსაზღვრე, მომიჯნავე] ძვ. მიჯნა, საზღვარი (დ. ჩუბ.). თავიეთ ზღვრითა და *სინორითა* (პეტრ. ტიპ. 2, 1). || (თ. sinir ← ბერძ.) საზღვარი, მიჯნა. „კოლექტივობა რომ შამოვდა, *სინორებიც* წეიშალა ყანიებში“ (აჭარ. ნიჟ.). სინორი || სირონი [თურქ.-ბერძ.] საზღვაური, მიჯნა (ჯავახ. ბერ.). *„სინორი* რომ ჩეიკლიტა, იქით დარჩა“ (ად.); *„სინორი* არ გასხნილიყო, ერთ ათ წელიწადში თლათ დევკარქოდით“ (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.). ხე მუუგლეჯიან, ზეით უუტანიან, *სინორი* გუუკეთებიან (ყარაფურჩეკი, კლარჯ. ლექსიკ). **სინორი[ს] ქვა** სინორის (მიჯნის) ქვა, მეზობელთა ყანების სასაზღვრო ნიშანი. „სოფელში გამიერევოდა იმფერი მესამძღვრე მეზობელი, რომ *სინორი[ს] ქვას* გადაწევდა, გადააადგილებდა, ამაზე დეიწყებოდა ჩხუბი, დავა მეზობლებში“ (აჭარ. ნიჟ.). **სინორი** (ბერძ.). საზღვარი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. სირონი** (|| **სინორი**) [თურქ.] ზ.-აჭარ. ნამცხვარი: პურის ცომის თხელთხელ ფენებს შეაზავებენ შაქრითა და ნადუღით (ან კარაქით) და შეწვავენ კეცზე ან საოჯახო ფურნეში. სახელდახელოდ მისატანი საჭმელია სტუმართან (აჭარ. ნიჟ.). || პურის ფქვილის ცომს გაიღებენ (გააბრტყელებენ) მაკარონის ფენასავით, გამოაცხობენ, დაახვევენ და დაჭრიან პატარა ნაჭრებად, ჩააწყობენ ჭურჭელში, შემდეგ ურთავენ ბაღს, დოს, დანაყილ ნიორსა და მარილს, ან კიდევ პურის ცომის თხელ ფენებში შეახვევენ შაქრიან დოს ან ნადუღს და შეწვავენ (აჭარ. ნოღ.). **სინორი || სილორი** – ქართულ კერძს აღნიშნავსო ამბობს ინფორმატორი, „წინ-წინ იცოდნენ, ახლა ვერ მიხდი“ (დუზჯ. ჩელებ.). სინორი || სილორი (კლარჯ. ლექსიკ; ნიგ. ბერ.).

სინსილ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. სინსილი** ნერწყვი, დორბლი (დ. ჩუბ.). ჩანს, ღმერთი შემოგვწყრომია, სასჯელად მოგვცა სიყმილი, უჭმელსა კრიჭა შემკვრია, გამომელია *სინსილი* (რ. ერისთ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. სინსილი** 1. სივსივი, სისინის მსგავსი ხმიანობა. წინავ გუდანით მოვალის ძალი გუდანისჯვრისაო; იმას ღერენამ მასდივა არწივმა *სინსილითაო* (ხევს. პოეზ. 182, 7). შვილი მაუკლეს უთურსა, არწივი *სინსილიანი* (ხევს. პოეზ. 85, 8). 2. ნიავის ქროლვის ხმა (გურ. კიწმ.).

სირონ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. სირონი** იხ. I. სინორი. იმისის გუჯრით და განაჩენის ძალით, რომ *სირონი* და მიჯნა გარჩეული იყოს (სამ. IV, 421). || სინორი || სირუნი საზღვარი, მიჯნა. თურქეთის *სირონზე* გადავიდა. ვარგავის სირუნში გზა გადაუჭრეს; ხალხი ავიდა ვარგავის სირუნში (ჯავახ. მარტ.).

დიალექტ. **II. სირონი** ნამცხვარი (ზ.-აჭარ. ნიჟ). იხ. II. სინორი.

სირსვალ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. სირსვალი** 1. კირკაჟი. საჭმელები თეელი ვიცით... ლობიო, ფხალი... *სირსვალი* (მოხარშული სიმინდი, ლობიო) (მაამუდიე, კლარჯ. ლექსიკ). ლობიო ორჯერადა კეთდება: წვნიანად და მშრალად-კირკაჟად ანუ *სირსვალად* (ქიზ. მრეწ. III, II, 23). მუხუდო, ანუ სისირი ნედლობაში უმადაც იჭმება, ხმელისას კირკაჟს, ანუ *სირსვალს* აკეთებენ (ქიზ. მრეწ. IV, III, 10). აგრეთვე: ქიზ. მრეწ. III, II, 23; ზ.-იმერ. ძოწ. ქიზ. მენთ. სირსვალი || სირსუალი (ჩვენ. ფუტკ.). 2. ღერღილად დაფქვილი (ლეჩხ. ჩიქ.). შდრ. ჩალუმელი «მხლის სირსვალი» (საბა) – ქეგლი.

დიალექტ. **II. სირსვალი** კანის დაავადება, სირსვილი: *სირსვალი* ხნავს ყანასა (შელოცვიდან) (სირეთიე). აქვე სირსვილი – კანის დაავადება, იგივეა, რაც სირსვალი (კლარჯ. ლექსიკ.). იხ. I. სირსველი.

სირსველ-ი:

ახ. ქართ. **I. სირსველი, სირსვილი** კანის ავადმყოფობა ერთგვარი. [სიდულიას] ცალი ლოყა *სირსვილით* ასცრეცოდა (დ. შენგ.). || სირსველა მუწუკია ერთგვარი – ი. გრიშ., ქეგლი. || სირსვილი, სირსვალაი (ჩვენ. ფუტკ.). || სრსვილი ძვ. ხორცთ მძოარი (საბა). ძვ. ქართ. სრსჳლი სირსვილი, განგრენა. „სიტყუამან მათმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოვოს“ (II ტიმ. 2, 17) – ილ. აბულ. **სურსუ** სირსველი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *სრსუ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. სირსველი** კირკაჟს (წვენიდან ამოღებულ მარცვლეულს) სირსველიც ეწოდება (ჩხ., ალგ. სალ.). იხ. I. სირსვალი.

სირსოლა-ი:

დიალექტ. **I. სირსოლაი** მოხარშული სიმინდი სამარხვოდ საჭმელი (მოხ. ქავთ.). *„სირსოლაი* მკვდრის სიფროზე მიაქვკე, ხორბალია მახარშული თაფლით გამტკბარი“ (მოხ. ღუდ.). იხ. II. სირსველი.

დიალექტ. **II. სირსოლაი** სირსვილი, კანის დაავადება. *„სირსოლაი* ჴნავდა ყანასა, იაგუნდისა ჭალასა, მგელი შაამბა ჯარადა, გუელი მაამბა წნელადა“ (შელოცვიდან) (მოხ. ქავთ.). *„სირსოლას* თუ ადრევნე არ მიხედე, ჯელად მეედება კანსა და დიდი ხან გასტანსკე ეს ავადობა“ (მოხ. ღუდ.). იხ. I. სირსველი.

სისვ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. სისვი** 1. «თეთრ-შავ-არეული ბალანი» (საბა). 2. ლეგა, რუხი ფერი. იმათ ემოსათ ვაჟურად მუქი *სისვი* ფერის შალის მოკლე ჯუბა-შარვალი (ს. ქვარ.). 3. (იმერ. გურ.) ლურჯა (ცხენი) – ქეგლი. || მწვანე. მშაველას ჭინჭარაულსა ტანს *სისვი* სკლატი ჩეეცვა. (ხევს. პოეზ. 18, 24). ტუტაში ღებავენ ლურჯად, *სისვად* და ცისფრად (ნ. ოჩ.). აი *სისვ* სკლატ რო სცვავ, აისიავ (დიალექტ. 13, 25). აქვე: თვალსისვი, სასისვე, სისვ თივა, სისვნიფხავა, სისვონა, სისვ რკინა, სისონა (ხევს. ჭინჭ.). 4. (ქიზ.) ბალახ. დათვის კანაფა; სუს (ინგ.) დათვის კანაფა – ალ. მაყ. სისვი სისვი, ლეგა, რუხი ფერისა, ჭაღარა. დათვის კანაფი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. სისვი** ჴ. (რაზ.-ჭყ.) „ხმალი“ – ა. შან. *სისვ რკინა* კარგი იარაღის (მომწვანო ფერი რომ გადაჰკრავს) ეპითეტია. ხანდახან შუღლიც კარგია, ვაჟკაცს თუ უმეს გულიო, *სისვნი* ნათობდან რკინანი, ქმალთ ედგას ძგარა-ძგურიო (გ. დოლ. 79, 9) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **III.** სისვი მსხვილად დაფქული ან დანაყილი რაიმე. „სისვი ფქვილი“. „სისვი მარილი“ (იმერ. გაჩ.). შდრ. I. სირსვალი მწიშვ. 2.

სისხ-ი:

საშ. ქართ. **I. სისხი** ხუსტური, სიანჩხლე. სისხიანი ანჩხლი, ხუსტურიანი – ნ. ჩუბ. || სისხინი მშიერი გოჭების ხმაური; სიანჩხლე (ლეჩხ. ჩიქ.), სისხინობს ანჩხლობს (ლეჩხ. ალავ.).

დიალექტ. **II. სისხი** თხელი, ლორწოვანი განავალი. ჩვენი ბავშვი სუ *სისხზე* გადის და რა უშველო, არ ვიცი (მეგ.; დ. თონ.). სისხავს სვრის, აბინძურებს (ქათამი, ინდაური.. – სკინტლით). ბატები სისხამენ, აგერა, სკინტლამენ (ატ.). ესენი ისე სისხამენ აქაობასა, რო გინდა გავე, გინდა ხვეტე (მეგ.). აგრეთვე ტყვ. (ქართლ. ლექსიკ.). I. სისხა.

საშ. ქართ. **III. სისხი: სისხის ბალახი** მცენ. – დ. ჩუბ.

სისხა:

საშ. ქართ. **I. სისხა** სისხა არაბული, ქართულად წყლისა „მსმელი“ იგივე ზამასტა. ყუითელი წყალი მისგან შეიქნების მუცელსა და ტანსა შიგან და *სისხა* მას ჰქუიან (ფანასკ. 222, 39). ტანში რომ გონჯი რამე *სისხა* არის მასაც არგებს (ქანან. 63, 33). სისხა და თავქედისათვის, კარგია ფილენჯისათვის და გრილის ხველისათვის კარგია (ქანან. 75, 21). ამა *სისხუბისა* სენი და ქარი ყუელა ამისგან შეექნების და აუვარდების (იად. 392, 9). || წყლის თხოვასა ჰქვიან (არ. ისთისყა.) წყალი. . . ხორცსა ასივებს და *სისხად* შეიქნების (ქანან. 303, 18).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. სისხა** ფაღარათობა სისხლით. *სისხასა* და ხაფაყანასა აუძრავს (იად. 151, 20). || მუცელა, დიზენტერია (ქიზ. მენთ.). ავადმყოფობაა: იცის მუცლის ტკივილი და გახსნა, ფაღარათი (თუშ. ხუბ.).

|| *სისხა* კუჭაშლილის სისხლად გასვლა, კუჭის ავადმყოფობა. ნუმც გამაღრიდებს შინითა *სისხა* და მუცლის ჭირია (ხევს. პოეზ. 469, 21). ქალს მამისახლის შამრცხვენსა *სისხაიმც* შაეყრებისა (ეთნ. სწორფრ. 152) (ხევს. ჭინჭ.). წყევლაა: „შაგეყარა სისხა; გაჰქანდი *სისხაზე*" (მოხ. ქავთ.). აგრეთვე: თუშ. ცოც., ფშ. ხორნ., იმერ. გაჩ. იხ. I. ზისხა.

დიალექტ. III. სისხა ხახვი წვრილი სათესლე ხახვი (მესხ. ფეიქრ.). შდრ. სისა წვრილი, უსუსური ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. IV. სისხა, სისხამი შემწველი სიცივე – დ. ჩუბ. იხ. II. სისხამი.

სისხამ-ი:

საშ. ქართ. I. სისხამი ნაკრავთაგან თვალთ სიმწარე – საბა.

საშ., ახ. ქართ. II. სისხამი შემწველი სიცივე – დ. ჩუბ. ◊ სისხამი დილა ადრიანი დილა (ახალ გათენებულზე). ღამე იყო თუ დილა *სისხამი*, მტერს ეცემოდნენ ანაზდეულად (ი. ნონეშ.). *სისხამი* დილა იყო, თოშიანი, ყინულის ჯავშნიანი (ბ. ჩხ.). ◊ სისხამ დილით, სისხამ დილაზე ზმნს. დილაადრიანად, ძალიან ადრე დილით. ეტყობოდათ, *სისხამ დილაზე* არაყი გადაეკრათ და კარგადაც ესაუზმათ (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *სისხამ- „ადრე"; „წინადღით" → ქართ. სისხამ- (ჩუხუა 2000-2003). შდრ. III. სისხა.

სიტყვა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. სიტყვა სიტყუა – საბა. სიტყვა თქმული, მცნება, საუბარი, ანგარიში, ამბავი, ბრძანება: „ერთი ასოთაგანი, გინა თუ *სიტყუაჲ* ერთი უჴმარ არს წიგნი იგი" (Sin. – 97, 46r); „შეიწყარნა სიტყუანი ცხორებისანი მოცემად ჩუენდა" (საქ. მოც. 7, 38); „*სიტყუაცა* შენი გამოგაჩინებს შენ" (მთ. 26, 73) – ილ. აბულ.|| 1. ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს. ბავშვი უცხო ენას სწავლობს მხოლოდ მეხსიერებითა, იხსომებს ყოველს *სიტყვასა* და ფრაზას (ი. გოგებ.). ჯერ არ მსმენია მე *სიტყვა* «მამა» (ვაჟა). 2. მეტყველება, ენა. ბოდიშს ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ *სიტყვა* ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის (ილია). 3. ლაპარაკი, საუბარი. ჩვენ აღარ გამოვუდგებით სხვა ქვეყნების ამბავს, გვეშინია – მეტად არ გაგვიგრძელდეს *სიტყვა* (ილია). 4. ნათქვამი, თქმული. საიდამ მოუვიდა ფიქრად... ავტორს ასეთი გადათქმა *სიტყვისა*? (ილია). «ხომ ახდა ჩემი *სიტყვა*!» (დ. კლდ.). 5. რაც უნდა უთხრან, – სათქმელი. «ყმაწვილო, თქვენთან *სიტყვა* მაქვს, მომითმინეთ მანდ, თუ შეიძლება», – დაუმახა ტარიელმა სპირიდონს (ე. ნინოშ.). || დანაბარები, გადასაცემი ცნობა, ამბავი. «წუხელი რომ თქვენი გამოგზავნილი კაცი მომივიდა სახლში, თქვენი *სიტყვა* მომიტანა» (აკაკი). 6. საჯარო გამოსვლა, მოხსენება. [იასონი,] ვისაც არ დაეკითხა,

თითქმის ყველამ უთხრა, რომ *სიტყვა* მხოლოდ მიტინგზე უნდა ითქვას (ს. კლდ.). || საჯარო გამოსვლის, სიტყვის თქმის ნება. სიტყვის თავისუფლება. 7. იგივეა, რაც პირობა. იმ ქალს ის არ უყვარდა და მისიანებს-კი არ სურდათ *სიტყვის* გატეხა და მისთანა სასიძოს ხელიდან გაშვება (აკაკი). 8. ბრძანება, გადაწყვეტილება. მახარე უსათუოდ მოვა, მეფის *სიტყვას* ვერ გადაუვა! (შ. არაგვ.). 9. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ბოლოსიტყვა. წინასიტყვა. ავსიტყვა. სიტყვაზე ჩართული სიტყვა ვთქვათ, მაგალითად. ვთქვათ, სიტყვაზე, ვისმე მეხი დაეცა (დ. მაჩხ.) – ქეგლი. || ლაპარაკი: *სიტყვა* გუმიშია, უხმობა – ალთუნი (ქირიმითი, კლარჯ. ლექსიკ). სიტყვის აღოლება სიტყვის აყოლება. „დააცალოდე უფროსებს ლაპარაკი, ნუ იცი სიტყვის აღოლება“ (მოხ. ღუდ.). სიტყვით გალახვა – საყვედური, გალანძღვა: იჯავრებდენ, სიტყვით გალახავდენ (სირეთიე, კლარჯ. ლექსიკ). სიტყუა სიტყუა || სიტყო (ფერეიდ. ბერ., ბაკურ. 293). **სიტყვა** სიტყვა ზან. (მეგრ. ელ.).

სი-ტყუ-ა: სი-პრეფიქსი, ტყუ-/ტყვ-ძირი. აღდგენილია *ტყუ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. სიტყვა**: დაქსელულს რომ გადავჭრიდით, ოთხ-ოთხ ძაფს თვის-თვისათ გამოვარჩევდით, ამას *სიტყვა* ერქვა (სიტყვა ოთხი ძაფი საქსლესი ერთად) (ლეჩხ. მრეწ. II, II, 204).

შდრ. სტვა მატყლის, ბამბისა და მისთანათაგან გრეხვით ძაფის გამოყვანა, რთვა (გურ. კიწმ.). სთვა ძაფთ გრეხა ZAB. ძაფის შესთვა – საბა. სთვა, სთუვა, რთვა: „არცა სთავნ“ (ლ. 12, 27) – ილ. აბულ. ახალი ქართულის რთვა <სთვა რთ < სთ-დისიმილაციის გზით ჩანს მიღებული.

აღდგენილია ს.-ქართვ. *სეთ- || სთ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

სკა:

საშ., ახ. ქართ. **I. სკა** 1. წნული საბუდარი ფუტკართა – ნ. ჩუბ. || საგანგებოდ გამართული ყუთი ან გულამოთლილი მორი ფუტკრის დასაბინავებლად. – როგო, გეჯა. ფუტკრები ათასობით და ათიათასობით ცხოვრობენ პატარა და ვიწრო *სკაში* (ი. გოგებ.) 2. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ფუტკარი – ქეგლი. *სკა* ფუტკრის ოჯახი. *სკამ* იყარა (რაჭ. კობახ.). **სკა** ფუტკრის ოჯახი, ბუკი ზან. (მეგრ. ელ.). **სკაია** ფუტკარმრავალი ადგილი ზან. (მეგრ. ქობ.).

ს.-ქართვ. *სქ-ალ- „სკა, ფუტკარი“ > ქართ. სკა (<*სქალ) (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. სკა** (გუდ. მთ. მოხ.). ა) ლუდის თავზე მოყენებული ჰკე. „უფრო ხშირად ლუდმა იცის თეთრი *სკა*“ (მთ. შან.). ბ) ტვინის ქერქი; || სკაი ჴ. ა) ტვინის ქერქი; ბ) თავის ქალაზე გადაკრული ქერქი. გ) ფაშის წინ ქერქია ერთი, მუცელსა და ფაშს შუა. თუშ. მწკა ტვინის ქერქი (ა. შან.). ||

„მეტისმეტად თხელი რამ კანი, რომელიც აკრავს სხვადასხვა ორგანოს“ (ლ. ლეონ.), – აპკი (ხევს. ჭინჭ.). ძვალიც დაჭრილი იყო და ტვინის *სკაც* დაზიანებული (ხევს. ოჩ. 2019, 39). || „კუერცხის ნაჭუჭსა და ცილას შუა არის სკა“ (მოხ. ქავთ.). შდრ. აფსკი, აფსკა «თხელი რამ კანი» (საბა), – აპკი. ჰა, მირიან, მიფრთხილდი, როგორღაც არ მომწონს შენი თვალები, არც შუბლის *აფსკა* (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

სკიფ-ი:

საშ. ქართ. I. **სკიფი** ვეცხლის საჩხირე, გინა სატანტრაბეჩე – საბა.

ახ. ქართ. II. **სკიფი** (ინგლ. skiff) გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი – მ. ჭაბ .

სკლატ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სკლატი** – გინა შალი – საბა. სკლატის ჩოხა (ვ. ბარნ.) – ი. გრიშ. ტანისამოს იყვ *სკლატისად* (მაუდისა). იცმოდეს პერაგს ზედით (თუშ. მრეწ. III, I, 79). მემრ, ვინაიც შიბაით ან *სკლატითა*-დ' ნაჭრელაით აკეთებს, ჯერ ყელის ძირს გააკეთებს(ხევს. მრეწ. III, I, 114). წითელ სატინას უწოდებენ *სკლატს*, კრავი ტყავს მოვზელდით, მოვკერებდით, კეფაე *სკალატს* გაუკეთებდით, შიგნით დავასარჩულებდით (ზ.-რაჭ. მრეწ. III, I, 230). შდრ. სკალატი შალის ქსოვილი (ჩვენ. ფუტკ.). – ბარე აუკლიათ ქვეყანა, ამდენი *სკალატი* და ჩითი, ან ლეინი სად უშოვიათ (კალმას. 490, 10).

დიალექტ. II. **სკლატი** სკლადი საწყობი. ჯერ გავაკეთეფ თუღულაის (აგური) დასაწყობ *სკლატს* (აჭარ. მრეწ. I, 429). || **სკლადი** (რუს. Склад) (გურ. ნიკოლ).

სკორე:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სკორე** ნაკელი, ნაგავი, განავალი, სანახველა, «ფუშნიერი»: „*სკორე* მისი დაწუნა ესენი ცეცხლითა“ G, – „ფუშნიერი მისი დაწუეს ცეცხლითა“ (O, – ლევიტ. 8, 17); „მოუთოჯნო მაგას და *სკორე* დაუდვა“ (ლ. 13, 8) – ილ. აბულ. || ზოგადი სახელი არს (+ ყოელთა ZA) განავალთა ცხო(ვ)ელისათა (ცხოველთა განავალთა B) – საბა. მეფენი ვისცა შერისხვენ, სასირცხოდ გააწბილებენ, /სიმართლით ჩამოაგდებენ, *სკორეთა* ჩააცილებენ (ქილ. 944, 2). შეიქნების *სკორედ* მყრალად (ფანასკ. 121, 33). „მერცხალსა ბუდე მუუწყია ტანტრაფის თავანზე და იქავ-რობა თლა *სკორე* გუუხდია“. აქვე შკორი (ად., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე თუშ. შან. სკორე [ბერძ. skōr (skatos] სკორე, განავალი – მ. ჭაბ.

დიალექტ. II. **სკორე** || **სკორო** ყინულოვანი მთა; ნაპრალი ყინვარში (რაჭ. კობახ., ვ. ბერ.). || ყინულოვანი მთა, მყინვარი (მთ.-რაჭ. ძიძიგ.).

სლიპ-ი:

დიალექტ. **I. სლიპი** ლიპი (ჯავახ. ბერ.). **სლიპი** გლუვზედაპირიანი, სრიალა (ქვა...). რიყეზე არი *სლიპინა* ქვები (გრაკ.). კენჭაობისთვის ვეძებდით ხომე *სლიპ* კენჭებსა (კავთ., ქართლ. მესხ.). შდრ. სიპი, სიპი ქვა [სომხ.] რგვალი, და პატარა მაგარი ქვა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. სლიპი** (ინგლ. slip) 1. მოწყობილობა წყლიდან გემების ამოსაზიდად და წყალში ჩასაშვებად. 2. ვეშაპსაჭერი გემის დახრილი სიბრტყე, რომლის საშუალებითაც შეაცურებენ ხოლმე ვეშაპს გემბანზე – მ. ჭაბ.

სობა:

დიალექტ. **I. სობა** [თურქ.] ღუმელი. „ჯანდარმებმა თავი აკრევიეს მომპარავსა ცხელ *სობაში*“ (ინ.); „პურსა *სობაში* გამააცხობ“ (იმ.); „ახლა ამფერი თუჯის *სობები* შამოვდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || (არაბ. სობა) ღუმელი (თქლ). „ყოვა დავდგი *სობაზე*“ (ბაგინის იაილა); „ბუგუმი, ყოვა, ქვაბი, სობა... ვიცით“ (ხება); „შევდუბ, სობა ზათი არ მაქ“ (არავეთი); „*სობაზე* დადებ“ (არავეთი, ნიგ. ბერ.). სობას ვანთობდი (გურბინი, კლარჯ. ლექსიკ). **სობა** შეშის ღუმელი ზან. (ლაზ. კალანდ.).

ახ., საშ. ქართ. **II. სობა** სახელი ასობს ზმნის მოქმედებისა, – დასობა, დარჭობა, || ბგერება, განგმირვა. «ხრმალ-გამოწვდილი მივუხე, მივეც ლახვართა *სობასა*» (რუსთაველი) – ქეგლი.

სობა მიღებულია „სვ-ობა“-საგან. ო-ს წინ დაკარგულია ვ (უმარცვლო უნისაგან მიღებული). აღდგება: ასვია, დავასვე (შანიძე 1980: 548).

დიალექტ. **III. სობა**: ვაშლის ჯიში სობა (ჯავ. მრეწ. IV, III, 48). სობაი || სვებაი სობა ვაშლი (ჯავახ. ბერ.).

სოდომ-ი:

დიალექტ. **I. სოდომი** ნესტიანი (მთ. კაიშ.). || (ფშ. მთ.) სველი, ნესტიანი (ტანისამოსი, ადგილი) – ა. შან. შდრ. სოგო (მოხ); ნესტი (ხევს.) სოგო ცოტა სისველე რომ ემჩნევა (ტანისამოსი, მიწა და სხვ.; ჩასოგოებული (თუშ.) ლპობას რომ იწყებს სისველისაგან რაიმე (ტყავი და სხვ.) – ა. შან. || ნოტიო, ნესტიანი, ნამიანი, ოდნავ დასველებული (მატყლი, თივა). „ღამე გარეთ დარჩა მატყლი და იმიტომაა სოგო“ (მოხ. ქავთ.)

დიალექტ. **II. სოდომი** მძიმე ქცევის, ზანტი, მოუქნელი, უფრო დედაკაცზე ამბობენ (ჯავახ. ბერ.). **სოდომი || სოდუმი** დამბლა, ზარმაცი, განძრევა რომ ეზარება. – „ეგ ისეთი *სოდომია* რო ვერაფერ გააკეთებინამ“; „თელი დღე ეგრე *სოდომივით* ზის, არაფერზე ხელს არ ძრამს“ (ჯავახ. ზედგ.). ზარმაცი რომელიც არი, ადგილზე განძრევა ეზარება იმასა და საქმი გაკეთებაი, ის არი *სოდომი* (კავთ.). ანდე კატუა არი *სოდომი*, ზიის თელი დღე და მიერთმევა გამზადებული, თუკი მემერთმევა, განა მე კი მაწყენს დასვენებაი (იგ.). როგორიც თითონ არი *სოდომი*, ი შვილებიც თავისნაირი *სოდომები* ჰყავ (გრაკ., ქართლ. მესხ.).

სოია:

დიალექტ. I. **სოიაყი** სვავი. ანდაზაა: *„სოიაყმ* ძვალ გაზომა-დ' ღისრ ჩათქ" (თუშ. ხუბ.). || სოვი „ზარნასოვი", სვავი. Vultur: „გძაგდინ მფრინველთაგან და არა შჯამოთ: ...სოვი და ძერქორი, და მსგავსი მისი" G, – „...ზარნასოვი, ძერქორი და მსგავსი მისი" (O, ლევიტ. 11, 14) – ილ. აბულ.

დიალექტ. II. **სოია** ფიცრული კედლის ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, რომელსაც ორივე მხრიდან ნაღარში სიგრძივ დატანებული აქვს კედლის ფიცრების თავები, – ბოყვი (აჭარ. ნიჟ.). მერე მივცემთ *სოიებს,* გუკეთებ კარს (აჭარ. მრეწ. I, 427). || **სოვა** ბოღოზიდან ბოღოზამდი არ გუეკეთა ფიცარი, მაშინ ჩუყენებენ *სოვას* (აჭარ. მრეწ. I, 423). შდრ. **სვაია** (რუს. **свайка**) ბოძი, ხიმინჯი. დევიწყე რგვაი, სვაიები ჩავასვე (წირქვალი) (ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **სოია** [Gycine (Soia) hispida] ერთწლოვანი კულტურული მცენარე პარკოსანთა ოჯახისა; გარეგნულად ლობიოს წააგავს, მაგრამ მისგან განსხვავდება ღეროსა და ფოთლების ძარღვების მოწითურო შებუსვით; მისი მარცვლისაგან ამზადებენ ზეთს, ფქვილს, რძეს, ყავის სუროგატს და სხვ.; ღერო და ფოთლები იხმარება ცხოველების საკვებად, მწვანე სასუქად და სხვ. (სინონ. იმერ. ძაბა, უხარშავა, ცერცვალა, ქვალობიო; იმერ. გურ. მუხუდო). საბოვარს იძლევა... *სოია* (ს. ჭუმბ.) – ქეგლი.

სოია იაპონური დასახელებაა იმ მცენარის, რომლის მოხარშული ნაყოფი თან ახლავს გარკვეულ ხორციან კერძს, სახელად „სოია"-ს – ზ. მაყ.

სოინარ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სოინარი** მისხალი ZAaBCab.) სტვირნი შეწყობით შეწებულნი ZA. სტვირნი წყობილნი B. სტვირნი შეწყობილ(ნ)ი Cab. See also: სოლინარი – საბა. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ... ჭიბონის, *სოინარის...* დამკვრელები («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. || ტკბილი მომახილი „ზარის" თქმის დროსაც იციან. ამბობენ „ჩონგურო, მიმღერე *სოინარივით"* – ი. გრიშ.

დიალექტ. II. **სოინარი** მდარე არაყი (იმერ. ქავთ.).

სოლო:

დიალექტ. I. **სოლო** სოლი. „გუთნისდედა გუთანს ჩაჰღირღიტებდა გაცვივნულ *სოლოებს* უმაგრებდა ან ახლებს უთლიდა" (თ. მოთხ. 213, 19) – ივ. ქეშიკ. **სალი** სოლი ზან. (მეგრ. ელ.).

ფსალ- „სოლი;" ლაზ. სალ-ი, მეგრ. ფსალ-ი || სალ-ი „სოლი"; შდრ. ქართ. სალიტ. სოლ-ი, იმერ., ქიზიყ. ფსვალ-ი || სვალ-ი „სოლი" (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015).

ახ. ქართ. II. **სოლო** [იტალ. solo სიტყვა-სიტყვით; ერთი] 1. მუს. ერთი საკრავის ან ერთი ხმის შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები. სოლო ვიოლინოსათვის. – [მუსიკოსი] ეკუთვნის იმ იშვიათ ტალანტთა რიცხვს,

რომლებიც... ფლობენ როგორც *სოლო*, ისე საანსამბლო შესრულების მაღალ ოსტატობას («ლიტ. და ხელოვნ.»). 2. თეატ. მუს. მუსიკალური ნაწარმოების, სიმღერის, ცეკვის და სხვ. შესრულება ერთი პირის მიერ – ქეგლი.

სოსან-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. სოსანი** 1. [თურქ. სუსან AaBCqD, სუსანი] – საბა. || [Consolida orientalis] ლამაზ-ყვავილებიანი ერთწლოვანი მცენარე ბაიასებრთა ოჯახისა; აქვს დეზიანი ყვავილი და ღრმად დანაკვთული ფოთლები; გვხვდება მეტწილად ყანებში. აცივდა, დაჭკნა ნაზი *სოსანი* (კ. მაყ.). წითლად მოღაჟღაჟე ყაყაჩო, ... ნაზი ფოთლებით შემკული *სოსანი* და კიდევ მრავალი სხვა... თითქო... ყურს უგდებდნენ ამ ამბებს (ნ. ლომ.). *სოსანს*, იას, ვარდს და სუმბულს დავმღეროდე ჰანგებს ტკბილსა (ი. გრიშ.). 2. რაც ფერით სოსანის ყვავილს მოგვაგონებს. [ენძელა] ზოგი თეთრი იყო, ზოგი *სოსანი*, ზოგიც – ბაცი წითელი (თ. რაზიკ.). ქართლში მქვია შროშანი, თეთრი, ჭრელი, სოსანი (რ. ერისთ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. სოსანი** გასხეპილი ან ბუნებრივად სწორი, უტოტო ხე (ოკრიბ. ალავ.). შდრ. სასალი წვრილი და მაღალი, წერწეტი (ხევს. ჭინჭ.).

სოღო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. სოღო** 1. ფრინ. დიდი ქათამი – საბა, ქეგლი. || დიდი ქათამი ერთგვარი, სახორცე. *სოღო ვარია* ტიტველაა. უფრო დიდები ისინი იზრდებიან, *სოღოები*, კარგა სუქდებიან (ოძ.). *სოღო* ქათმისა არი ი ღიღველა წიწილები (საღ.). აგრეთვე ბრ., საკორ., ქვ. ჭ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). || დიდი, ჯიშიანი ქათამი (დედალი, მამალი). „დიდი ქათამი“ (აჭარ. ნიჟ.). 2. გადატ. სოღო მოსული, ჩასუქებული. „კაი სოღო ქალი ითხუა, მარა აი ყაბახიც არაა პაწა“ (გურ. შარაშ.). **სოღო (სოღორო)** დიდი, მოსული, ხორცსრული ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. სოღო** აბუზული წიწილა. წიწილები სუნთელი დაწყდა, ორი *სოღო* ძლივას დადის (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. **III. სოღო** ხახვი ერთგვარი, ღერო უმსხვილდება და თავს არ იხვევს. ძირ რო არ გაიკეთეფს, რო არ დამსხვილდება თავი და სხვილღეროიანია, *სოღო ხახვი* ემაგასა ჰქვიან (ატ.). *სოღო ხახვი* დიდხანს არა აძლებს, მალე ღოღოვდება (მერ.). აგრეთვე ბრ., კავთ., ოძ., ტყვ., ძეგ., ხოვ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. სოღანი [თურქ.] ხახვი. „მე *სოღანი* დავთესე“... (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „სოღან ჩავჭრით“ (ჯივანი, კლარჯ. ლექსიკ).

სრა:

სამ., ახ. ქართ. **I. სრა** [სპარს. სარა «სახლი», «სასახლე»] ძვ. სასახლე, მეფის სადგომი. [ძმებს] სახლებიც უკეთებიათ მეფეთ *სრაების* სადარად (ვაჟა). ასე მიჩანს *სრა* სამყოფლად, ვითა მფრინველსა გალია (დ. გურამ.). *სრა* ედგა მოფარდაგული ოქსინოთი და შარდითა (რუსთაველი) – ქეგლი.

დიალექტ. **II. სრა** სროლა; ხოცვა-ჟლეტა. „ერთი მეორეზე *სრა* დადგებოდა. დაიჯოცებოდა ჩუენიცა და მათიცა“ (მოხ. ქავთ.). || სროლა: ვესრი, ჰემ დავატან სამს მეტრზე, კარქა ვსრი მაუზერ; ლაზოღლი მივა და სრისო (ქლასკური, კლარჯ. ლექსიკ). სრ-ა მასდარი: -ა სუფიქსი; ძირი სრ-;

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია: 1. *სარ- || სრ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *სურ -სროლა, ტრიალი (ჩუხუა 2017).

სრიალ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. სრიალი** სრიალება – დ. ჩუბ. || 1. გლუვ ზედაპირზე დაუბრკოლებელი, ნარნარი მოძრაობა. «რა ძლიერ გაგკვირვებია ყინულზე *სრიალი*, ჩვენებურები-კი არ დასრიალებენ ხოლმე ციგებითა?» (ეკ. გაბ.). რას დამაკლებს ზამთრის სუსხი, თუ გინდ ქარის გრიალიო! არ უნახავთ ჯერ მათ ჩემი კოხტა ციგის *სრიალიო!* (შ. მღვიმ.). || გველის მოძრაობაზე იტყვიან. [ბაყაყს] სწრაფი *სრიალით* მოსდევდა გველი (ი. გოგებ.). 2. წყალში, ჰაერში მსუბუქად და ნარნარად მოძრაობა. [თევზები] ეჯიბრებოდნენ ერთიერთმანეთს სწრაფ *სრიალში* (ი. გოგებ.). იხვებმა ნიჩბებივით მოუსვეს თავისი ბრტყელი ფეხები, რომელზედაც სამივე თითი გაერთებული ჰქონდათ კანითა და დაიწყეს თავისუფლად *სრიალი* რუში (ი. გოგებ.). [ჩიტმა] დაიწყო *სრიალი...*, ჰანდარს მოევლო წვერებში (ვაჟა) – ქეგლი. 3. სრიალი თოვლის ზვავი. „*სრიალი* რო წამოუდა გირგოლიას, მაქანე არ იყო რო დოუნგრია სახლი?!“ (საჩ. შარაშ.).

სრ-იალ-ი : იალ სუფიქსი. აღდგენილია ს.-ქართვ. *სრ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. სრიალი**: სრელს მთიულები სრიალი-ს ეძახიან (მაწ., ალგ. სალ.). || სურიელი ნახნავი მიწის ერთი ნაკვეთი (ლეჩხ. ალავ). || სვრე (ქართლ.)|| სვრელი (იმერ.)|| სრე (ქსნის ხეობა)||სრელი (ხევსურ. გურ.) || სრელა (ფშ.) – ალ. ღლ. თუ სრელში -ელ დეტერმინანტი სუფიქსია, მაშინ ფუძედ გვრჩება სრ, რომელშიც შეიძლება რედუცირებული იყოს (ე ან ა ხმოვანდაკარგული), თუ ე'ს აღვადგენთ, მივიღებთ სერ ფუძეს, რომელიც გვაქვს „სერავს“ ზმნაში და შეიძლება სახელში „სერი“ („სერ უწოდენ მოგძედ წარზიდულს გორასა)“ – საბა. უფრო დაწვრილებით (ალგ. სალ. 1978: 95).

ივარაუდება *სერ-სერ > *სერ-სელ > *სერ-ელ > სრ-ელ; სერი; სერავს, სრელა (ერთელიშვილი 1980: 193).

სრულ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. სრული** 1. «სავსე», მრთელი, «ცოცხალი», მთლიანი: „იყვენით თქუენ *სრულ*, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ *სრულ* არს“ (მთ. 5, 48); „პირველად (გამოიღის) თივაჲ, მერმე თავი, მაშინ-ღა *სრული* იფქლი თავსა მას შინა“ C, – „პირველად (გამოიღებნ) წუელი, მერმე თავი და მაშინ-ღა სავსჱ იფქლი თავსა მას შინა“ DE, მრ. 4, 28); „საკურთხეველი

ქვათაგან ყოვლად *სრულთა*, რომელთა ზედა არა მიიყო რკინაჲ“ G, – „საკურთხეველი ქვათა ცოცხალთაჲ, რომელთა ზედა არა დაცემულ არს რკინაჲ“ (M, ისუ ნ. 8, 31); „ამათ *სრულ* ქმნეს სიკეთ& შენი“ (O, ეზეკ. 27, 11) – ქეგლი. ჰკადრა ქება სრულსა სრული (ვეფხ. 729, 3). ერთი ტაიჭი უებრო, მით უნაგრითა *სრულითა* (ვეფხ. 1019, 4). – «შენ უჩემოდ და მე უშენოდ, თითო *სრული* არ ვიქნებოდით, ნახევარ-ნახევარი დავრჩებოდით» (აკაკი). 2. მთელი სიძლიერით, მთლიანად, სავსებით გამოვლენილი, – უაღრესი, აბსოლუტური. მე ვიყავ ამ საათს *სრული* ბედნიერი (ლ. არდაზ.). 3. უნაკლო, უზადო, სრულქმნილი, სრულყოფილი. თოხნაში, მკაში, სხვლაში და ხვნაში ის მუშა იყო ყველაში *სრული* (აკაკი). სხვას უკეთესს ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა (დ. გურამ.). 4. რასაც არაფერი ეღობება, არაფერი ხელს არ უშლის, არ აბრკოლებს, – შეუზღუდავი. გაჩვეულ შოშიას შეგიძლიათ *სრული* თავისუფლება მიანიჭოთ (ი. გოგებ.). 5. საბოლოო, გადამწყვეტი; მტკიცე. სრული გამარჯვება. – «ვინც... ნედლ საფქვავს მოიტანს, იმას *სრული* უარი უთხარი, ნუ დაუფქვავ, რადგან წისქვილის ქვები ფუჭდება» (ვაჟა). 6. მსხვილი, დიდი ზომისა. [ნათესი] თუმცა გვალვისაგან ვერ არის რიგიანად აღმოცენებული, *სრული* მარცვალი მაინც გამოუტანია (ს. მგალობ.). || ფართო, განიერი, ხალვათი. *სრულ* ჩოხას ეტყობოდა, თუ რა დევ-გმირის ტანს ფარავდა (ნ. ლორთქ.). 7. არც მეტი და არც ნაკლები, – ზუსტი, მთელი. [მიხაკო] რუსულისა და ქართული ანბანის დასწავლას *სრული* ნახევარი წელიწადი მოუნდა (ნ. ლომ.). თავადი... *სრული* ექვსი საათი იჯდა თავმჯდომარის ალაგას (ი. მაჭავ. თარგმ.). 8. უეჭველი, უდავო, ნამდვილი. *სრული* იმედი გვაქვს, რომ ამიერიდან ხალხის განათლების საქმეს ექნება უფრო ნაყოფიერი მსვლელობა (ილია). ბუნების წიაღში წარმოდგენები იმართება-მეთქი, ვამბობ, და ეს *სრული* ჭეშმარიტებაა. მსახიობნი უმთავრესად ჩხიკვები არიან (ვაჟა). 9. (ფშ.) მრთელი, ჯანმრთელი, საღი. აგრემც ექმნები პაპა-შენს დღეგრძელიო და *სრულიო* (ვაჟა) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *სურ- (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990). იხ. აბაშია 2003: 11.

ძვ., საშ. ქართ. II. **სრული** წასული: „ქუეყანასა, რომელსა არა *სრულ* იყო მუნ კაცი“ (I, იერემ. 2, 6); „არ ვიდრე *სრულ* ვარ მონაჲ შენი“ (O, IV მფ. 5, 25); „უკუეთუ *სრულ* ვიყავ მე მლაღობელთა თანა“ (O, იობ. 31, 5).

სრული, სვლა საწყისისაგან ნაწარმოები ვნებითი გვარის წარსულ დროიანი მიმღეობაა. სლვ-ულ- > სლ-ულ-ი > სრ-ული შდრ. *მოსლვ-ულ-ი (შანიძე 1980: 542). აღდგენილია ს.-ქართვ. *ჳალ- „სვლა“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. III. **სრული** სრა-სახლებიანი. ტახტი გმართებს, სრაცა *სრული* (ვეფხ. 632, 4). ქუეყანა სრულად მოგეცეს სრულად (ქილ. 552, 3). შდრ. I. სრა.

სტარტ-ი:

ახ. ქართ. **I. სტარტი** [ინგ. start] სპორ. სირბილში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში... შეჯიბრების დაწყების მომენტი. || ადგილი, ხაზი, საიდანაც იწყება შეჯიბრება – ქეგლი.

დიალექტ. **II. სტარტი**: აღდგომის პურსა (მასა) აურევდნენ *სტარტში*, ცივი წყლით დავზილამდით ხმიადათ (ქართ. მტკვრ. სამხრ. მრეწ. III, II, 147). იხ. I. ტაშტი.

სუ:

დიალექტ. **I. სუ** [თურქ. სუ] წყალი (თქლ). „შექერი, *სუ* იმასაც აქვა...“ (დევესქელი, ნიგ. ბერ.).

ახ. ქართ. **II. სუ** [ფრან. sou] ძველი ფულის ერთეული საფრანგეთში; უდრიდა 5 სანტიმს, 1/20 ფრანკს – ქეგლი.

ახ. ქართ. **III. სუ** საუბ. სულ. «აი ესენი ყველაფერი, გენაცვა, *სუ* ხელიდან გამოუვა ჩემ სალომესა» (ს. მგალობ.). «ახლა-კი დავიღუპებით, ... *სუ* ბირიანად დაგვჭრის და შეათხელებს ამ ჩვენ... ოჯახსა» (თ. რაზიკ.) – ქეგლი. „ყველაფერი *სუ* თავითვინ უნდა“ (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. I. სრული.

დიალექტ. **IV.** სუ მთელი. თითონაც გმირ იყო და დაშქესანაში და *სუ* ფერეიდანში (დამქ., ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. I. სრული.

დიალექტ. სუ! შორისდ. გაჩუმდი! ხმა გაიკმინდე! ნუ ლაპარაკობ! «მაგრამ... სუ! აგერ ფეხის ხმა ისმის» (აკაკი). [ბავშვი] უფრო უმატებდა ჭყვირილს დედისა და მამის გაჯავრებით «სუ»-სა და «ჩუ»-ს მიძახებაზე (დ. კლდ.). სუ (სუდ || სუდად) შორისდ. გაჩუმდი (სვან. თოფ., ქალდ.). სუთჳ! სუთჳ! ზან. (მეგრ. ყიფშ.)

სუთ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. სუთი** (გურ. იმერ.) სუფთად გათლილი ჯოხი ღომის ამოსაზელად – ქეგლი. *სუთით* ზილე ღომი, მერე ჩოგანით ამეიღე (ღორეშა, ზ.-იმერ. ძოწ.). „ღომს ზელენ *სუთით*, მერე იღებენ (ჭრიენ) ჩოგნით და დებენ საინზე“ (იმერ. გაჩ.). *სუთი* – ფქვილს გავქნით, ამოვლესავთ, და ჩავზელთ მეორეჯელ. ჩოგნით კი ამოვიღებთ გაკეთებულ ღომს (ქვ.-იმერ. მრეწ. III, II, 179).

საშ., ახ. ქართ. **II. სუთი** ძვ. საქონლის გავიდან აძრობილი ქონი, – დუმა (საბა, დ. ჩუბ.) – ქეგლი.

დიალექტ. **III. სუთი** (süt) რძე. „*სუთ* თუქნიდან ზიდავთ?!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე შავშ. ლექსიკ.

სუკ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. სუკი** 1. [ლათ. სკიენა] ზურგის ძვლის ჯორცი – საბა. || ხერხემლის ორსავე მხარეს შიგნიდამ გრძლად რბილი ხორცი – დ. ჩუბ., ქეგლი. [ლუარსაბი] უეცრად წამოიძახებდა: «ღორის *სუკები?*

შენმა მზემ, რომ კარგია!» (ილია). ქონდარამ სუფრას ცხელ-ცხელი მცვრიანი *სუკი* მოართვა (ს. შანშ.) – ქეგლი. „სუკი – ხორცი, რომელიც საქონლის ზურგჩია“ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. ობოლ სუკევ (ინგ. ღამბ.). 2. გადატ. გულშესული მწვანე ლობიო (ალგ. სალ.). აბა, *სუკი* თუ არ ურევია, რათ ვარგა მარტო ლასტი ლობიო?! (დის., ქართლ. ლექსიკ.). სუიკუ, სიკუ, სუკ სუკი საქონლის ხერხემლის რბილი ნაწილი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. **სუკი** შეძლება, ძალ-ღონე. შენ მაგის *სუკი* გაქს, მაგას რო იკიდებ? (ტყვ.). მაგას მეტი *სუკი* არა აქვს, ცოტაც რო შესცივდეს, ავათ გახდება (კარ.). აგრეთვე ლამ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. III. **სუკი** გრძლად ამოზნექილი. [ისარი] *სუკსა* მკრა, გულსა მიწივა, მუკლი მომკვეთა მავალი (ხევს. პოეზ. 255, 11) – ალ. ჭინჭ. || ხის სვეტებზე, სვეტისა და თაროებისთავებზე. ან ხის ავეჯზე გამოხარატებული წიბოები (ზ.-იმერ. წერეთ.). || ოთხკუთხად გათლილი ხის წიბოები (იმერ. ჯაჯან.). შდრ. სუკიანი 1. ერთ მხარეს ბრტყელი და მეორე მხარეს მრგვალი. „სუკიანი ფიცრით აშენებული სახლი“. 2. ასეთი ფიცრით ნაგები სახლი, – ძელური (იმერ. გაჩ.). 3. სუკიანი ხანჯარი (ხევს. თავისებ. 278, 14). **სუკი** ამოზნექილობა ზან. (მეგრ. ყიფშ.).

მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. არქეტიპს *სუკ-წიბო, გორაკი (ჩუხუა 2017).

სულ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **სული** 1. ფილოს. ფსიქ. ადამიანის ფსიქიკურ უნართა ერთობლიობა, – აზროვნება, ცნობიერება. ჩვენი შეგრძნება და აზროვნება... წარმოადგენს ნივთიერი სხეულებრივი ორგანოს პროდუქტს, ტვინის პროდუქტს. რომელმან დააფუძნა ქუეყანა და მისცა *სული* ერსა თჳსსა (ეს. 42, 5) – კ. დან. *სული* დაიღო გაჩერდა, დადუმდა, დაწყნარდა. და ვითარ იხილა ესე კაცმან მან, შეეშინა და *სული* დაიღო (მ. ცხ. 307, 34). მას ჩემთვის *სული* არ ჰშურდეს (ვეფხ. 733, 3). ბედაური და ტურფა ვარ, მე მხედავს ყოვლი *სულები* (თეიმ. I, 35, 71, 2). მათი ერთგული გაძღების ყოველი *სული* მშიერი (ვეფხ. 387, 3). 2. იდეალისტურ ფილოსოფიაში – არამატერიალური საწყისი, დასაბამი, რომელიც წარმოადგენს ბუნების საგნებისა და მოვლენების მამოძრავებელ ძალას, – გონი (მნიშვ. 2). 3. ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნების დამახასიათებელი ფსიქიკური თვისებები (უნარი, ნიჭი, ხასიათი, გრძნობა, განცდა, მიდრეკილებანი...), რაც მის მოქმედებას, ქცევას, თვალსაზრისს განსაზღვრავს. *სული* მიშფოთავს და მღელვარებს (აკაკი). ჯორ-ზაქარა გაყმაწვილდა, ახალი ძალა შეემატა მის *სულსა* (ს. მგალობ.). 4. რელიგ. უსხეულო ზებუნებრივი არსება. ავი *სული* დაეცა თავზე [ნინიკას] და მასუკან გასულელდა (ნ. ლომ.). 5. რელიგ. ადამიანის არსების ღვთაებრივი მხარე, რომელიც უპირისპირდება სხეულს (ხორცს) და რომელიც თითქოსდა უკვდავია. დაუზარებელი მლოცველი

განუწყვეტლად მარხულობდა..., რათა ხორცის შეწუხებით *სული* ღირსეულს სიმაღლემდის აეყვანა (ა. ყაზბ.). 6. შესუნთქული ან ამოსუნთქული ჰაერი, – სუნთქვა. დიდ ფაფას დიდი *სულის* ბერვა უნდაო (ანდაზა). ზღვაში მუშა რჩება იქამდის, მანამ სულის შეგუბება შეუძლია (ი. გოგებ.). 7. გადატ. ადამიანის სიცოცხლე. «მაშ... გახსოვდეს, რომ შენი *სული* ჩემ ხელშია» (აკაკი). 8. ცალკეული ადამიანი, პიროვნება, კაცი (ჩვეულებრივ, რიცხვით სახელებთან ერთად). სულ ოთხი *სული* ცხოვრობდა ამ ქოხში (ვაჟა). || ცალკეული პირუტყვი, საქონელი (იხმარება რიცხვით სახელებთან ერთად). მეცხვარეს ერთი *სული* ცხვარი არ დაჰკლებია (ი. გოგებ.). 9. იგივეა, რაც «დაიხსენ, მეუფეო, ყოველი *სული* გაჰირვებისაგან» (ა. ყაზბ.). 10. გადატ. იგივეა, რაც სინდისი. «ამ სიბერის დროს *სულს* ვეღარ დავიმძიმებ» (ს. შანშ.). 11. გადატ. ძირითადი აზრი, არსი; დამახასიათებელი თვისება, თავისებურება. 12. გადატ. ყურადღების ცენტრში მყოფი, რისამე ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი (ადამიანი). ელისაბედი არის *სული* ყოველი საქმისა (ეკ. გაბ.) – ქეგლი. || აქ ისები იყნეს სუ გულით, *სულით* ქორწილი ჩაატარეს, კაი ქორწილი იყო; მის სისხლითა, მის *სულითა* ყაყაჩომა სიხეს თაჩი გამწონდა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ძვ., საშ. ქართ., დიალექტ. **II. სული** სუნი. გამოჰდის პირისა მისისაგან *სული*, ვითარცა მუშკისაჲ (მ. ცხ. 306, 39, 3). ეყნოსა *სული* ალვისა (ვეფხ. 227, 3). რამინს... ხანდახან ვისის კუბოსაგან სულნელი *სული* ეცემოდის (ვისრ. 63, 1). ვნახე წალკოტი ყვავილით სავსე და ფშოდეს *სულითა,/* ხეზედ მსხმო, ანუ ბალახზედ, გარ მოცულიყო *სულითა* (არჩ. 536, 37, 1). ისეთი *სული* აზდიოდავ, რომ კინაღამ დავირჩვენითავ (ეთნ. საიქიო, X, 111) – ალ. ჭინჭ. „ძიენ ცუდი *სული* უდის მაგ ხორც“ (ჯავახ. ბერ.). „ღორი ხორც ჭამენ? ის იჭმის? *სული* უდის“ (ზაქ., შავშ. ლექსიკ). ხალხი-კი იძახოდა: *სული* იცის სვავმა, მაშინვე გაიგებს, სადაც ლეში გაჩნდებაო (თ. რაზიკ.) – ქეგლი. „ჰაერზე დაიკიდე ეი ხორცი, თორე *სული* დაეცემა და აღარ ივარგეფს“ (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე **სულიანი** სუნიანი, აყროლებული (ხევს. ჭინჭ.). **სულიანი მსხალი** საზაფხულო მსხლის ჯიში ერთგვარი. სულიანი მსხალი ზაფხულის მსხალია, აგვისტოში მოდის, კარგად დამწიფებული ქარვასავით ყვითელია, რბილი და წყლიანი, ტკბილია და სურნელოვანი, მსხვილი მსხალია (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). **ძიმე სული** ცუდი, მქისე სუნი. ძალიან ძიმე *სული* უდიოდა; ძიმე *სული* გიდის (ჯავახ. მარტ.). || ემას სული აქ და ემას *სული* არა აქო. *სული* აქ ემ საკვეს, ემ საჭმელს, ემ ნიორს ჩონ *სულს* ვეძახით; ეხლანდელ ხორცებს ხო *სული* არააქ!; არ ვარგა ის ჰაერი, სუნი აქ, სხონაირი სუნი აქ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართველური არქეტიპი 1. *სულ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. ს.-ქართვ. *სუ- ძირი (ჩუხუა 2017). აგრეთვე არაბული 2001: 123-124.

დიალექტ. **III. სული** წული. „ძმისული“ ძმისწული (გურ. ჟღ., 242).

სულად-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სულადი** საზრდო – საბა. || ხორბლეული, პურეული, მარცვლეული (პური, ქერი, სიმინდი და სხვ.). *სულადით* გადასახადს თუ ფულად გადასახადს არავითარი ზემოქმედება არა აქვს (ილია). დიასახლისმა... ერთი ხელადა... *სულადის* არაყი ჩაუსხა [მგზავრებს] (ვაჟა). აკოს შაუდევს გოდრები *სულადის* ჩასაყრელადა (ბაჩ.) – ქეგლი. „**სულადი საჭმელები** ხორბლეული, სურსათი“ (ფშ., შან., ხორნ.). იხ. I. სული.

ახ. ქართ. II. **სულადი** სპეც. თითოეულ სულზე ნაანგარიშევი, გაწერილი. სულადი გადასახადი. სულადის არაყი პურეულის არაყი. „*სულადის* არაყ მძიმეა სასმელადა, გატანჯვაც იცის“ (ფშ. ხორნ.). იხ. I. სული.

სუნაგ-ი:

დიალექტ. I. **სუნაგი** (ზოგან) ქვეწარმავალი (რაჭ. კობახ.). შდრ. I. სუნგი.

დიალექტ. II. **სუნაგი** მსუნაგი (გურ. ღლ.). სუნაკ მსუნაგი (ინგ. ჯან.). იხ. II. სუნგალი.

მსუნაგ სიტყვაში აგ-დანიშნულების სუფიქსს გამოყოფს მ. ჩუხუა, (მ) სუნ-აგ-ი (ჩუხუა 2000-2003).

სუნგ-ი:

დიალექტ. I. **სუნგი** ყუჩი. **სუნგს დასუნგავს** სულს გაკმენდს. *სუნგი* დასუნგე! (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. სუნგალი.

დიალექტ. II. **სუნგი** [თურქ.] ხიშტი. „აქკრენ ეუნანის ასკრები *სუნგსა*“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). *სუნგით* ვერ მომკალით (ნუსრეთიე, კლარჯ. ლექსიკ). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. **სუნგი** [თურქ.] ხიშტი ზან. (ლაზ. თანდ.).

სუნგალ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **სუნგალი** ფშვინვა და არ(ა)–ძრვა ZABC – საბა. ესე არს ცხოველისა მიერ ფშვინვა და არა–ძრვა D. – დ. ჩუბ. ◊ **სუნგალს გაჰკრავს** (გაწყვეტს, განაბავს) სულს გაკმენდს, – გაინაბება, გაყუჩდება. [ლოკოკინა] დაბრმავდა და დაყრუვდა, *სუნგალი* გაწყვიტა (თ. რაზიკ.). დედამაც გაჰკრა *სუნგალი* (გ. წერეთ.). იმედამ... დიდხანს *სუნგალი* განაბა (ბაჩ.) – ქეგლი. „გაკრა სუნგალი“ (ზ.-იმერ. ბ. წერეთ.). „გაკრული ქონდენ *სუნგალი*“(იმ.); „დათვმა გაკრა *სუნგალი*“ (ედ., ჩვენ. ფუტკ.). „ზროხა წამეიყვანაო რომ თქვით, *სუნგალი გაჰკრა*, გაჩუმდა“ (მან., შავშ. ლექსიკ.). მამიდებმა გაკმინდეს *სუნგალი* (წირქვალი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე სუნგლავს იკმენდს (ხმას), ჩუმდება. სუნგლე ხმაი, ერთი! (ტყვ.). ხმა სუნგლე, თორე გაფეთებ ეხლა! (კარ.); აგრეთვე ქვ. ჭ. (ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **სუნგალი** წუწკი, მსუნაგი (ქართლ. მესხ.). || სუნგალი, სუნგალა, სუნგელა. სუნგალას ისეთ ადამიანს ეძახიან, ვინც ჭამის მეტზე არაფერზე ფიქრობს, თუ რამე ეგულება სახში შენახული, სანამ არ შეშჭამს,

არ მოისვენებს. ეგეთი ხასიათი თავიდანვე დაჰყვება, ზოგი კიდე სიბერეში ხდება სუნგალა (კავთ.). რომელიც წუწკია, სუნგალი არი (საღ.). სუნგელა, შენი შიშით ხო ვერას გადავინახავ! (კარ.); აგრეთვე ერედ. (ქართლ. ლექსიკ.). *„სუნგალ ძაღლივით დაადიხარ“* (ფარცხ. ქართლ. მენთ.). || სუნაკ მსუნაგი (ინგ. ჯან.). || სუნაგი, მსუნაგი ავმუცელა, ხარბი, გაუმაძღარი. მსუნაგობა სიხარბე, გაუმაძღრობა – დ. ჩუბ.

დიალექტ. III. **სუნგალი** ხარაზის იარაღია, ლანჩის გასაგლუვებელი მრგვალი ჯოხი (გურ. შარაშ.).

სუნელ-ი:

ძვ. ქართ. I. **სუნელი** სუნი: „სულნი ჩუენნი *სუნელად* კეთილადმსახურებისა სარწმუნოებითა შეანელნა“ (ეპ. კჯპრ. -227, 11). სუნება «სულის ცემა». „უსუნის რაჲ მას ცეცხლი“ G, – „რაჟამს ეცის სული ცეცხლისაჲ“ (M, მსჯ. 16, 9) – ილ. აბულ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **სუნელი** გამხმარი და დაფშვნილი მწვანილეულობა, რომელსაც ხმარობენ საჭმლის შესაკაზმად. [ლობიოს] მოაყარეთ დაჭრილი ქინძი ანუ *სუნელი* და მზად იქნება (ზ. ჯორჯ.). ძილბურანიდან უმალ მაფხიზლებს პილპილის, ნივრის, დაფნის ფოთლისა და ერთი რაღაც *სუნელის* სუნი (კ. ლორთქ.). || (გურ. იმერ.) ერთად დანაყილი სურნელოვანი მწვანილი და ნიგოზი, რომელსაც შესატანებლად, მისაჭმელად ხმარობენ. დაიტეხდნენ მამა და შვილი... მჭადს; თუ ხსნილი იყო, ხმელ ყველს მიაჭმევდნენ, ... თუ მარხვა – *«სუნელს»* (ე. ნინოშ.) – ქეგლი. ◊ უცხო სუნელი კუთხ. (გურ. იმერ.) იგივეა, რაც ულუმბო – ქეგლი. „ლობიას ყველა მოხარშავს, *სუნელი* და მისცე ნორმაზე თუ არა!..“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე: გურ. ღლ., ინგ. როსტ. **სუნელი** საწელებელი, საკმაზი ზან. (მეგრ. ელ.).

სულ-ძირისაგან იწარმოება კომპოზიტი სულნელი „სურნელოვანი“. სულნელიდან დისიმილაციით მიღებულია სურნელი (ლ... ლ > რ... ლ), ხოლო შემდგომ სუნელი (იმნაიშვილი 1971: 67-68). იხ. I. სული.

დიალექტ. III. **სუნელი** ულუმბო, მცენარეა (გურ. იმერ. ა. მაყ.). სუნელი (ულუმბო), „სურნელი“-დან (ზ. მაყ.). **სურნელ** სუნელი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. IV. **სუნელი** სულელი. შე *სუნელო*, ქვე ვეღარავისა ჰკითხე? (რაჭ. კობახ., მთ.-რაჭ. ძიძიგ.). **სუნელი** (სუნეი) სულელი ზან. (მეგრ. ელ.).

სუნელი < სულელი; ლ > ნ. სულელი უგუნური, შემცდარი ჭკუაზე, სალოსი, გიჟი: „ხუთნი იგი მათგანნი იყვნეს სულელნი“ (მთ. 25, 2); „კაცმან სულელმან ესე არა ცნას“ (ფს. 91, 7); „(მოიძულა სულმან ჩემმან) ბერი სულელ და ნაკლულევანი გონებითა“ (O, ზირ. 25, 4). აქვე: მოსულელება, სისულელე. სულვა თავხედობა: „შენ იცი სულვაჲ ერისაჲ ამის“ (O, გამოსლ. 32, 22) – ილ. აბულ.

სურავანდ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **სურავანდი** ნუზლა – საბა. || სენი, სატკივარი თავსპირისა – დ. ჩუბ. სურავანდი ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს ავიტამინოზი, კერძოდ ნაკლებობა C ვიტამინისა (ასკორბინმჟავასი) – ქეგლი. მჯდომი არის „რომე თათარნი აქიმნი ვარამსა უძახიან. ამისთვის ზამთრის ბალღმის სენები ბევრი იქნების, *სურავანდი,* ხარბუხა, ხუელა, წელისა და სახსრების ტკივილი" (იადიგ. 101, 9). სურავანდიანი ვინც *სურავანდითაა* დაავადებული. [ყაზახები] მოხდილ უნაგირებზე ჩამომსხდარიყვნენ და შავი პურის ლუკმას სურავანდიანივით უნიათოდ ღეჭავდნენ (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **სურავანდი** ჭარელა ბალახია (ჯავახ. ბერ.). || სუროვანდა გველის სურო (აჭარ. ნიჟ.). || სუროვანდა, სუროვარდი (ზ.-იმერ., აჭარ. ალ. მაყ.). სიტყვა კოპოზიტია, სურო + ვარდი. იხ. IV. როდი.

სურმა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **სურმა** 1. [ირან. სურმა] თუთია, საოლავი. მას უკან ეს მოდუღებული წამალი *სურმასავითა* თვალშიგა გამოივლონ (იად. 286, 34). 2. [სპარს. სურმე] მოვერცხლისფრო თეთრი მყიფე ლითონი, რომელსაც იყენებენ ტექნიკაში (სასტამბო შრიფტების ჩამოსასხმელად) და მედიცინაში; ძველად ხმარობდნენ კოსმეტიკაში (წარბების, წამწამების შესაღებავად) – ქეგლი. 3. [სპარს.] თვალ-წარბის საღებავი (ჩვენ. ფუტკ). აგრეთვე: ინგ. ღამბ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. სურმა [sorma/e/] სურმა (ბართაია 2010).

დიალექტ. II. **სურმა** 1. სარკმელი, რომელსაც აქვს მოძრავი დარაბა. „სახლის ფენჯერას *სურმა* ერქვა, ახლა დააკეთეს მოზდილი ფენჯრები და ჯამები გამუადგეს" (იმ.); 2. კარის სათავე. „ეს კარი სურმა არი" (იმ.. ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. III. **სურმა** გუდაფშუტა (მარაბ., ქართლ. მენთ.). || ყანის დაავადება ერთგვარი, მური. ყანას რო შავათ გაუჭდება, მურივითა, იმას ვეტყვით ჩვენა *სურმასა* (ხც.). გაზაფხულით რო სიცივეები დაიჭერს, პურის თაველი მოიტუსება სიცივითა და იმან იცის *სურმის* გაჩენაი (ნაბახტ., ქართლ. მესხ.). შდრ. I. სურმა.

სუსუნატ-ი:

დიალექტ. I. **სუსუნატი** „უბარაქო" (ავთ. არაბ.). სუსუნატად; სუსუნტუსუნად უბარაქოდ, ცოტა, მცირე. კარგან ლუდან მავადუღნათ, დაულოცნათ ტუნტულასა, სვეიც ბევრა დავაყარათ, არ მი[ნდ] *სუსუნ-ტუსუნად* (ხევს. ჭინჭ.). შდრ. სუსუმატი ბუნწი. „თუ ჯალაბთ სუსუმატად აჭმევ საჭმელსა, ვერც შენ გაიკეთებ ჩობალსა და ჯალაბთაც დაასნეულებ" (მოხ. ღუდ.).

საშ. ქართ. II. **სუსუნატი** ავმუცელი ZAB. მალმომშევი – საბა. || მსუნაგი. სასმელ-საჭმლის *სუსუნატი* ყველას უფრო საბრალოობს (ვახტ. VI, 135, 543). მან *სუსუნატმა* ციცამა მახე აღარა მოიაზრა და მოსუენებითა ჯორცსა მიმართა (ქილ. 717, 28).

საშ., ახ. ქართ. III. **სუსუნატი** მილიდამ ჩირქის დენა – დ. ჩუბ. || ერთ-ერთი ვენერული ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს მიკრობი გონოკოკი, – გონორეა, ტრიპერი – ქეგლი.

სუფთა:

საშ. ქართ. I. **სუფთა** ქაფჩა კედლის სალესავი – დ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ. II. **სუფთა** 1. წმიდა, სუფთა – საბა. [სპარს.] თეთრი; წმინდა სუფთავება ვჰსწმენდ – დ. ჩუბ. სუფთა ჭუჭყისაგან, უწმინდურობისაგან თავისუფალი, – წმინდა. – ვსუნთქავდით *სუფთა* ჰაერს, ვტკბებოდით (ჭ. ლომთ.). 2. ფაქიზი, ნატიფი, დახვეწილი. *სუფთა*, კარგა ჩაცმული ქალი მას ვერ დაჩაგრავდა (ლ. არდაზ.). 3. მოწმენდილი, ნათელი, კრიალა. ბინდი მოძლიერდა, *სუფთა* ცა გამუქდა (ს. კლდ.). 4. ისეთი (ქაღალდი...), რაზეც ჯერ არ დაუწერიათ, – უხმარი. 5. გადატ. უბიწო, უმწიკვლო, უმანკო, წრფელი. გწერ ამ წმინდა წერილს, მოთხრობას *სუფთა* გრძნობისას (ჭ. ლომთ.). 6. სწორი, დახვეწილი (ლაპარაკი). ზეინაბი... *სუფთა*, საამური ქართულით ლაპარაკობს პოეზიაზე (რ. გვეტ.). 7. წმინდა, ხალასი, შეურეველი, ნამდვილი. 8. მკაფიო, წკრიალა (ხმა). მომღერალი გასაოცარის *სუფთა* ხმით იძახის სიმღერას (ს. მგალობ.). || დაწმენდილი, აუმღვრეველი. სუფთა წყალი. – [იასონმა] თავისი მშვიდი, *სუფთა* თვალებით შეხედა გიორგის (ჭ. ლომთ.). 9. რაც გარკვეულ ცოდნას, კვალიფიკაციას საჭიროებს, – ოსტატური. *სუფთა* ხელობა არ იცოდა თედომ (ვ. ბარნ.). || ცოდნით, ოსტატობით შესრულებული, ერთ მხარეს კარგი მოზრდილი, *სუფთა* ნაშენი ხის სახლი დგას (ე. ნინოშ.) – ქეგლი. აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ., იმერ. გაჩ.

სწრაფა:

დიალექტ. I. **სწრაფა**: ვაკეთებდით- *სწრაფას* (დიდი ჭურჭელია) (ზ.-ქართლ. მრეწ. II, 1, 104). *სწრაფის* ან წიწაკის ქილის გაკეთება (ზ.-ქართლ. მრეწ. II, 1, 115). შდრ. წაფა თიხის დიდი ჯამი. ქუციკოსაგან მიჰქონდათ... ხაში მთელ ზამთარს. მივიდოდა შეგირდი, აავსებდა წაფას, მიჰქონდა ყოველ დილით (ბ. ჩხ.) – ქეგლი. აგრეთვე ი. გრიშ. შდრ. წაფია ჭურჭელია ერთგვარი (ქართლ. სალ.). წაფურა ხის ჯამი, ღვინის სასმისი (თვალად. შატბ.).

სწრაფა < წაფა. ს განვითარებული ჩანს. გამოიყოფა ს.-ქართვ. *წაფ- „ერთგვარი ჭურჭელი“ (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ. II. **სწრაფა** (15, 8 იერემ.) სიმალე ZAa – საბა. სწრაფა || სწრაფვა ვეშურები, ვჩქარობ სწრაფა მოსწრაფეობა, გულს მოდგინება – დ. ჩუბ. || სწრაფვა სახელი ისწრაფვის, ესწრაფვის ზმნათა მოქმედებისა, –

რისამე განხორციელების ცდა, ძლიერი სურვილი, მონდომება, მისწრაფება, ლტოლვა, მიდრეკილება – ქეგლი.

სწრაფ-ისათვის აღადგენენ ს.-ქართვ.: 1. *წარ- || წრ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *წარ- გასწრება; სწრაფი (ჩუხუა 2017).

სხაპ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. სხაპი** (გურ.) მახე. «*სხაპში* ვარ გაბმული და რაღა უნდა ვქნა!» (ე. ნინოშ.) – ქეგლი. || მახე, მსხვილი მკედის ძაფით გამართული (გურ. შარაშ., ჟღ.). შდრ. ფშ. სასხიპურა – ჩიტების მახეა ერთგვარი (ფშ. ჭინჭ.).

ა. არაბული აღნიშნავს, რომ ივარაუდება ამ ფუძის შემოსვლა მეგრულიდან, ვინაიდან ის ქართ. სხეპ-ფუძის შესატყვის ხმოვანს შეიცავს: მეგრ. სხაპ-, ჭან. ცხაპ- (კლიმოვი). მეგრულში სხაპი ლექსემის არსებობას ადასტურებს ი. ყიფშიძე, რომელსაც სხაპუა „ცეკვა, ხტომა“ სიტყვა-სტატიის ბოლოს განმარტების გარეშე აქვს მიწერილი სხაპი... არ გამორიცხავს, რომ ქართ. სხაპ- დამოუკიდებელი, ალტერნირებული ფუძეა. ე/ა ხმოვანმონაცვლეობა სხაპი – სხეპ (არაბული 2001: 71, 313).

დიალექტ. **II. სხაპი** დაკლული საქონლის კისრის ნაწილი (ლეჩხ., ჩიქ.). **სხაპ კუკუხო** (სვან. თოფ., ქალდ.).

მ. ჩუხუა აღნიშნავს, ფუძის გავრცელების არეალი არ სცილდება სვანეთ-ლეჩხუმის მიდამოებს, რაც ანგარიშგასაწევი ფაქტი შეიძლება იყოს სიტყვის ისტორიის თვალსაზრისით. ს.-ქართვ. *სხაპ- „კუკუხო“ → ქართ. სხაპ-ი : სვან. სხაპ ← *შხაპ (ჩუხუა 2000-2003).

სხარტ-ი:

ახ. ქართ. **I. სხარტი** 1. მოქნილი, მოხდენილი; მკვირცხლი, მარდი. ცეცხლს... უსხდა რამდენიმე ყმაწვილი, მოხდენილი, *სხარტი* ბიჭები (ს. მგალობ.). *სხარტი* ქალი, ტანწვრილი, მაღალ-მაღალი (ვ. ბარნ.). 2. მოკლე, მკაფიო და მოხდენილი, – მოსწრებული. სხარტი ფორმულა. – სივილას ძალიან მოეწონა ეს *სხარტი* შედარება (გ. წერეთ.).

საშ., ახ. ქართ. **II. სხარტი** სამწყერაო ჯოხი კაპედი – საბა. ამათ უკან მოსდევენ პაწაწა მწყემსები ცალ ხელში იფნის სახრით, მეორეში *სხარტით* – ჩიტების მტერი სასროლი ჯოხით (ს. მგალობ.). || სხალტა. ჩემი სხალტა გამოვიტანე (შ. არაგვ.) – ქეგლი.

ა. არაბული მიუთითებს ფუძის კავშირს, ერთი მხრივ, ზმნიდან მოდინარე სანადირო იარაღთა ჯგუფთან, მეორე მხრივ კი – კონკრეტულად **სხლეტ-** ფუძესთან. [**სხერტ-** ნ. **ისხერტი, სასხრტოი**. შდრ. **სხლეტა**] **სასხრტოი** – დასხლეტით ნასროლი. იგივე ფუძე ახლანდელი ატრიბუტული სემანტიკით „სწრაფი“ უკეთ ასახავს პირვანდელ ზმნურ შინაარსს (არაბული 2001: 137).

ტ

ტაბანჩა:

დიალექტ. I. **ტაბანჩა** [თურქ. tabanca] რევოლვერი, დამბაჩა „ფიშტო“ (აჭარ. ნიჟ.). *„ტაბანჩა* წელზე ქონდა გამოკიდული“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ტანბაჩა: ტანბაჩაები ისროლეს (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ჭელმეხაკი [დაბანჩა] – საბა. შდრ. დამბაჩა ხელის ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი, მოგრძო ლულიანი – ქეგლი. **ტაბაჩა** დამბაჩა, ცეცხლოვანი, ფიცხელი (გადატ.) ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ტაბანჩა** ტყლაპი, ტყავის ლანჩა (აჭარ. ნიჟ.). ტაბანჩა < ტაბანი; ტაბანი taban [თურქ.] ფერჭსაცმლის ფსკერი – საბა. **ტაბუ** ფეხის ძირი ზან. (ლაზ. თანდ.).

ტაბახ-ი:

დიალექტ. I. **ტაბახი** მსხვილფეხა საქონლის ავადმყოფობა, – თურქული (aphtae epizodicae); პირში და ჩლიქებში გამოაყრის ეკლებივით, განსაკუთრებით თბილ დღეებში (აჭარ. ნიჟ., ჯავახ. ზედგ., გურ. შარაშ.). || **ტაბახტა** ცხენის სასის ჩამოსლვა – საბა. || **ტაბაღი** (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ტაბახი** (< ტაბაკი?). აქვსებისა შაბათსაო მკვდარნი ჩავლენ *ტაბახსაო* (ხევს. პოეზ. დამატ. 558, ბ, 1) – ალ. ჭინჭ.

ტაბელა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტაბელა** (ბალახ.) ჩადუნასავით არი(ს) – საბა. || მცენ. ჩადკოკო, ლაგვიმორია – დ. ჩუბ. || [Pteris cretica] ბოტან. გვიმრის ერთ-ერთი სახეობა; ჩვენში გავრცელებულია უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ტყეებში; აქვს გრძელყუნწიანი, ტყავისებრი, სეგმენტებად დაყოფილი ფოთლები – ქეგლი. *„ტაბელა* ბალახსა მოვხარშევდი ქუაბითა და ჩავაწვენდი ავატყოფ ბაღვებსა“ (თ., ჩვენ. ფუტკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ტაბელ- ჩადუნასავით მცენარე; ვაზის ჯიში (ჩუხუა 2018: 94).

დიალექტ. II. **ტაბელა/-ი** 1. მოკლე და მსხვილი (ხელი, ფეხი, თითი), – კოტიტა. *ტაბელაი თითები* კოტიტა თითები; 2. *ტაბელაი ბაღანა* მსუქანი, ჯანიანი, ჯან-ღონით სავსე ბავშვი, – ბუთხუზა (აჭარ. ნიჟ.).

ტაბულა:

ახ. ქართ. I. **ტაბულა** [ლათ. tabula ფიცარი] იგივეა, რაც ცხრილი, გამრავლების ტაბულა. – კედლებზე ჩამოკიდებული იყო ქაღალდის *ტაბულები* (გ. ქიქ.). როგორც ზემომოყვანილი *ტაბულიდან* ჩანს, შაბათ დღის სახელი დავიწყებული აქვს მეგრულსაც და სვანურსაც (ივ. ჯავახ.) – ქეგლი.

საშ. ქართ. II. **ტაბულა** იხ. I. ტაბელა.

ტავრო:

ახ., სამ. ქართ., დიალექტ. I. **ტავრო** ძვ. «ცალი პეშვი» (საბა, ქეგლი). ტავარო ცალი პეშვი – დ. ჩუბ. „ერთ *ტა[ვ]რო* კენჭა დაგროვდავ ჯალაბაურთ ნაჯოცისაივ სათვალავივ, მშავლებისად გადამეტებულივ“ (ხევს. თავისებ. 389, 4); თოფი... *ტაროთ* იყრიდას წამალსა, დაისხნას ორნი ტყვიანი (ეთნ. კალენდ. 13, 261) – ალ. ჭინჭ. || პეშვი. ერთ-ორ *ტავრო* მარილს ჩავხყრით გუდაშია-დ მემრ ყველს ჩაზდებთ (თუშ. ცოც.). ტავრო || მტავრო (ფშ. რაზ.-ჭყ.) – ა. შან. შდრ. I. ტორი.

ახ. ქართ. II. **ტავრო** დაღი. გახურებული რკინის იარაღით (შანთით...) დასმული ნიშანი (ცხენის, კამეჩის სხეულზე) – ქეგლი.

ტაია:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **ტაია** ბიძია (ტაი ZAaB.; ქერი B.) დედის ძმა – საბა. || ტაია/ჲ [თურქ.]. „ჩემს უნცროს ძმას *ტაიას* ამგზავსებენ“ (აჭარ. ნიჟ.). „ჩუენა *ტაიაი* ვიცით“ (ბ.); „ნენეს ძმას *ტაიას* ვეტყვით“ (ხ. ფ., ჩვენ. ფუტკ.). ტაი || ტაჲ „ნენეჲს ძმა ტაია“ (ირშადიე, კლარჯ. ლექსიკ.). აგრეთვე ინგ. როსტ. || **ტაია ქალი** დედით ბიძაშვილი (ქალი). „ვესილეჲ ტაია ქალათ მხდება“ (აჭარ. ნიჟ.). **ტაიაშვილი** დედის ძმის შვილი. „*ტაიაშვილი* საყუარელია“ (ჳ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. II. **ტაია** პანღური (ლეჩხ. ალავ.).

ტალია:

დიალექტ. I. **ტალია** ცალი თვალი რო პატარა აქვს. ასეთი თვალების მქონე ძაღლი. „ერთი *ტალია* ძაღლი გვყვანდა, იმი შიშით მგელი ვერ გვეკარებოდა, ისეთი მაგარი იყო.“ ხშირად გვხვდება ძაღლის სახელად და კაცის მეტსახელადაც (გ.-კახ. სახლთხ.).

სამ. ქართ. II. **ტალია** მუდმივი, პირდაპირი გადასახადი XV-XVII საუკუნეების საფრანგეთში (უნივერს. ელერდ.).

ტანგო:

ახ. ქართ. I. **ტანგო** [ესპ. tango] 1. ერთგვარი სამეჯლისო ნელტემპიანი ცეკვა. 2. მუსიკა ასეთი ცეკვისათვის – ქეგლი.

დიალექტ. II. **ტანგო** სპილენძის ქოთანი. – „ახალ წელწად მოვა... იმ ღამეს გენჯები მეიყრებიან, ფოსტები მეიკრებენ ზრუგში. გამეიდრიკვის, გეიარს, ფულ მიცემენ, ფქვილ მეიმცრევენ, ბაღ მეიმცრევენ. წელებზე *ტანგოებ* მეიბმენ“ (ქართლა, კლარჯ. ლექსიკ., 996). იხ. II. ტანკი.

ტანკ-ი:

ახ. ქართ. I. **ტანკი** [ინგ. tank] სამხ. ჯავშნიანი თვითმავალი მუხლუხა მანქანა, შეიარაღებული ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით – ქეგლი.

დიალექტ. II. **ტანკიი** ღვედკეცით დაწნული კალათა, იხმარება წინდებისა და მისი საქსოვის მოსათავსებლად (ინგ. როსტ.). ამ *ტანკიში* რაი გა́ქა? *ტანკიი* შაკერაი. ტანკიის დაწვნა. – ტანკეტ, ტანკიჰ (ინგ. ჯან., ღამბ.). ფაროს... მუჯლებს აწყობდნენ ხოლმე ხოკერში, პატრა კასრში, *ტანკიში*, პირფართო გუგურაში (საინგ. მრეწ. II, II, 59). შდრ. **ტანგი** სპილენძის ქოთანი ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. II. ტანგო; III. ტანკეტი.

ტანკეტ-ი:

ახ. ქართ. I. **ტანკეტი** სამხ. (ინგლ. tankette) პატარა სწრაფმავალი ტანკი; შეიარაღებულია ერთი ან ორი ტყვიამფრქვევით – მ. ჭაბ., ქეგლი. არმიის განკარგულებაში იყო 349 ტანკი, 70 *ტანკეტი* და 70 ჯავშანმანქანა („თბილისის ფორუმი“). შდრ. I. ტანკი.

ახ. ქართ. II. **ტანკეტი** ქალის ფეხსაცმელი, რომლის ლანჩა ცხვირთან თხელია, ხოლო ქუსლისაკენ – თანდათან გასქელებული (მ. ჭაბ.). რაც შეეხება ზღვის ფეხსაცმელს, ძალიან არ მომწონს მაღალძირიანი რეზინის ფეხსაცმელი, ე. წ. *ტანკეტი* („კვირის პალიტრა“). ჯერ ერთმა აიღო ერთი *ტანკეტი*, (ფეხსაცმელი) ჩაიცვა, ფეხი ყუთზე შემოდგა და ისე ათვალიერებდა (რ. ინან. გოლ. 357, 14).

დიალექტ. III. **ტანკეტი** მცირე კალათა (ინგ. ჯან., ღამბ). || პატარა მოცულობის კალათა. „ბიზაი მანაცემ *ტანკეტი* მამპარეს“ (ინგ. ასრათ.). კაკელების წინდის ტანკის ალიაბათელები კალათს ეძახიან, ხოლო ხილის საკრეფ ტანკის – *ტანკეტს* (საინგ. მრეწ. II, 1, 68). იხ. II. ტანკი.

ტანტალ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტანტალი** ცუდი სიარული – საბა, ნ. ჩუბ. || უსაქმოდ, უმიზნოდ, უთავბოლოდ სიარული, – ხეტიალი, წანწალი. გლეხი დღიური მუშა-კაცია და იმისათვის საჩივრების გამო აქა-იქ თრევა და *ტანტალი* ლუკმა-პურის დაკარგვაა (ილია). «ჩვენ ისევ შრომა გვირჩევნავ, ... ტყე და მინდორში *ტანტალსა*» (ვაჟა). «კლდეებში *ტანტალი* რა ჩემი საქმე იყო?» (გ. წერეთ.) – ქეგლი. „აქ თქვენებს ჯარებს რა უნდა? თქვენი ტყუილად *ტანტალი*“ (ხევს. ოჩ. 2019, 355). აგრეთვე ჯავახ. ზედგ. **ტანტალი** (**ტანტაი**) ტანტალი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ტანტალ-. საფიქრებელია *ტანტალ- რედუპლიცირებული ფუძე იყოს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. I. ტუნტული.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ტანტალი** 1. ტარტარი. ენის ტანტალს დაჩვეული ოსები საიდუმლოს ვერ ფარავდა (ა. ყაზბ.) – ქეგლი. 2. ენის მიტანა-მოტანა. „ენის ტანტალი უყვარს, შენთან მოვა-იმამ ესე თქვაო გუბნება, იმასთან მივა-იმამ შემზე ასე მითხრაო“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ტარტარი მრავალ ცუდ საუბარი. სიტყუა, ტარა-ტურა – საბა. ტარტალი ბევრი ლაპარაკი, ყბედობა (ჯავახ. ზედგ.). იხ. VI. ტარა.

დიალექტ. **III. ტანტალი**, გა-ტანტალება ძლიერ გასუფთავება, გაპრიალება, გაკრიალება, გასანსალება (იმერ. ვ. ბერ.).

ს.-ქართვ. *ტანტ-ალ- სუფთა; გასუფთავება (ჩუხუა 2017).

IV. ტანტალი (Tantalum), Ta – ელემენტი („ვიკიპ."); ქიმიური ელემენტი, ნაცრისფერი ძნელდნობადი ლითონი – მ. ჭაბ.

V. ტანტალი ტანტალოსი. ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ფრიგიის ან ლიდიის მეფე, ზევსის ვაჟი, ნიობეს მამა, იგი იყო ერთადერთი მოკვდავთა შორის, რომელსაც ღმერთებმა ნება დართეს ღმერთთა ქეიფებს დასწრებოდა ოლიმპოს (უნივერს. ელერდ.).

ტანტალა:

ახ. ქართ. **I. ტანტალა** ტანტალის მოყვარული, – უსაქმოდ მოხეტიალე. იხ. I. ტანტალი.

ახ. ქართ. **II. ტანტალა** საუბ. ტიტველი, ჩაუცმელი. [ყმაწვილებს] ზოგს აცვია, ზოგი კიდევ *ტანტალა* და უქუდოა (შ. მღვიმ.) – ქეგლი. I. ტინტილა.

ტანტრა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ტანტრა** «დასადგმელი ოთხფეხიანი კიბე» (კირ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ტანტრა** მოზრდილი, მსხვილი, ტლანქი. „იმხელა *ტანტრა* ბიჭი ჰყავს, ის ვერ გააგზავნა რო?" (ჯავახ. ზედგ.). ტანტრა || ტანტრე დიდი, მოზრდილი. „იცი, მაგი ბიჭი რამოდელაა *ტანტრაა*" (ჯავახ. ბერ.). || სქელი, დაბალი (ადამიანი). რა *ტანტრა* ქალიაო, სქელიო (ტანძ. ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. **III. ტანტრა**: **ტანტრა-ჩილიკი** თამაშობაა, ჩილიკა ჯოხი, ჩილიკაობა (მესხ. მაის.). შდრ. I. ტანტრა.

IV. ტანტრა ინდური წარმოშობის მომღვრებაა. მისი სრული სახელია ვიგიანა ბხაირავა ტანტრა და ნიშნავს ცნობიერების ფარგლებს გარეთ („ტანტრ.").

ტარ-ი:

ახ. ქართ. **I. ტარი** 1. ქართული ანბანის მეცხრამეტე ასო ტ-ს სახელწოდება. ვისაც ეს წილად რგებია ბედისგან, ის არს ნეტარი, სახარბი, სამაგალითო... მაგრამ ისწავლე ჯერ: *ტ[არი]* (აკაკი). 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა სამასს (300) – ქეგლი.

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. ტარი** 1. ტარად უწოდენ დანისა (ტანისა ZAa), ხანჯლისა და ხიშტის კოტასა; (+ მსოფლიონი A) – საბა. || სახელური, ბუნი: „ვიდრე მოჰკუეთდა მოსელსა, რკინაჲ *ტარსა* წარჰვარდა" (O, IV მფ. 6, 5); „ჴელნი მისნი მიყვნა *ტარსა*" (O, იგ. სოლ, 31, 19); „შექმნა ნიჩაბი მენავეთათჳს... და ლახურისა *ტარი* – მჴედართათჳს" (ბ. კეს.-ექუს. დღ. 30, 36) –

ილ. აბულ. || ხელში სახმარი რაიმე იარაღის (თოხის, ხმლისა და მისთ. აგრეთვე დროშის...) სახელური, – ბუნი. მათრახის ტარი. – ხანჯლის ტარი. – ტყემ თქვა: ცულმა გვდვა მუსრია, *ტარი*-კი ჩვენგან უყრიაო (ანდაზა). თოხის *ტარზე* დაბჯენილი იდგა პეპია და თამროს ელაპარაკებოდა (ილია); 2. სიმებიანი საკრავის ყელი, რომლის გაყოლებაზე გაჭიმულია სიმები. ჩონგურის *ტარი*. 3. მილი (ჩიბუხისა). ოჰანეზამ... ჩიბუხის *ტარი* ტუჩებით გამოიტკაპუნა (შ. არაგვ.). 4. უხმარიათ ყურის (მნიშვ. 2) მნიშვნელობით. [ანდრომ] დოქი... ბოძს მიარტყა, დაიმსხვრა და ხელში მხოლოდ *ტარი* შერჩა (ს. კლდ.). 5. ქალთ თითისტარი – საბა. დედაკაცის სახელსაქმო იარაღები: *ტარემი*, ჯარა-ჯარატარი, კალათა, ... ყველა ამაებს უმზადებდა ნამობი ელიზბარი (ვაჟა). ანძრევს თითებს ბებია, *ტარიც*, რაც ძალი და ღონე აქვს, ტრიალებს (თ. რაზიკ.). || თითისტარი კვირისტავის გარეშე. *ტარს* ჩამოვაცმევდით კვირისტავს. დავატრიალებდით და დავძახავდით იმაზე («შინამრეწვ.»); 6. ტექ. ქანჩმჭრელის ხელით საბრუნებელი ხელსაწყო. 7. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. კალმისტარი – ქეგლი. აგრეთვე ინგ. ღამბ.

ტარა:

დიალექტ. **I. ტარა, ტარანი** ვარსკვლავნარი „სასწორი" – ა. შან. იხ. III. ტარანი.

ახ. ქართ. **II. ტარა** [იტალ. tara, არაბ. ტარჰა-დან «რაც გადაგდებულია»] 1. საქონლის მოსათავსებელი ჭურჭელი ან შესაფუთავი მასალა. 2. შესაფუთავი მასალის, ჭურჭლის წონა – ქეგლი.

დიალექტ. **III. ტარა: თოხიტარა** ღელის ჩიტი, ბოლოქანქარა (ლეჩხ. ჩიქ.); ბზეწვია (ალ. ნეიმ.). შდრ. II. ტარი.

დიალექტ. **IV. ტარა: თოხისტარა** ცხენისკუდა მცენარე (იმერ. ა. მაყ.). შდრ. II. ტარი.

საშ. ქართ. **V. ტარა: ტარატურა** ძვ. «ჩქარ მოუბარი ვერ კეთილად» (საბა), – ტარამანა. შდრ. ტარამანა საუბ. უთავბოლოდ მოლაპარაკე, – ლაქლაქა, მეტიჩარა – ქეგლი.

VI. ტარა ბუდიზმი (სანსკ. მაჰაიანურ და ვაჯრაიანულ ბუდიზმში – ქალი ბოდჰისატტვა. ცნობილია „გათავისუფლების დედად" („ვიკიპ.").

ტარან-ი:

ახ. ქართ. **I. ტარანი** 1. [Rutilus rutilus heckeli] ზოოლ. საშუალო ზომის თევზი კობრისებრთა ოჯახისა; სარეწაოა. იქვე ქანაობდა ფარგა და *ტარანი* (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. 2. გადატ. ძალიან გამხდარი, ჩამომხმარი ადამიანი. რას დამსგავსებია საცოდავი. *ტარანივითაა* გამხდარი – გ. გვანც.

ახ. ქართ. **II. ტარანი** [რუს.-ბერძ. tarantōr დამანგრეველი] 1. კედლის სანგრევი საბრძოლო იარაღი (იცოდნენ ძველად). 2. სამხ. მოწინააღმდეგის თვითმფრინავის, ხომალდის ან ტანკისათვის დარტყმა მანქანის კორპუ-

სით. 3. (ზღვ.) სამხედრო გემის წინ გამოშვერილი წყალქვეშა ნაწილი; ძველად იყენებდნენ მტრის გემზე დარტყმისათვის) – მ. ჭაბ., ქეგლი. კატარღის შეიარაღებას შეადგენდა **ტარანი** – „სახნისი“ და სხვადასხვა სახის ქვების სასროლი მანქანა (თ. ბერაძე 1981: 53).

დიალექტ. III. **ტარანი**: ვარსკვლავები: მრავალანი || მრავალა (ექვსი ვარსკვლავია) აღმოსავლეთით, განთიადისას ჩნდება), ცულ-თოხის ტარანი || სულ-თოხის ტარანი || სვილ-თოხის ტარანი (ფშ. გოგატ.). იხ. I. ტარა.

ტარაღანა:

საშ., ახ. ქართ. I. **ტარაღანა** [Acipenser stellatus] ზოოლ. მოზრდილი თევზი ზუთხისებრთა ოჯახისა – ქეგლი. ცქურინა (ტარაღან Z, ტარაღანა AaB.) (თევზ.) პატარა ზუთხი – საბა. || ზუთხის მსგავსი თევზის სახელია. გრძელცხვირა თევზი. გადატ. ადამიანს თუ გრძელი ცხვირი აქვს, მეტ სახელად „ტარას“ არქმევენ. ერთ მამაკაცს მეტსახელად *ტარა* ჰქვიან – ი. გრიშ.

დიალექტ. II. **ტარაღანა** ღატაკი, შიშველ-ტიტველი. თუ ქალი ზარმაცია..., მაშინ მასზე იტყვიან: *„ტარაღანაა“*, „უტოტოს“, „ტობზარს“ (ეთნ. სწორ. 22) – ალ. ჭინჭ. || ტარიღანა (ა. შან.). შდრ. **ტარ(რ)უღ** [აზერ.] ღარიბი, გაჭირვებული, უქონელი. ტარუღა მოხეტიალე ადამიანი (ქიზ. მენთ.). ტარ(რ)უღოვაი სიღარიბე, გაჭირვება, უქონლობა. ტარუღოვაი წაღან დროზე ბევრ მინახი (ინგ. ღამბ.).

ტატ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ტატი** ჩჩვილთ ჯელით ტარება ZABCD. ჩჩვილის ტარება E. See also: ტაატი, სლვა – საბა. || ნელი სიარული ბავშვისა (ჯავახ. ბერ.). ტატი || ტაატი, ბავშვის ნელი სიარული ვისმეს დახმარებით. ტატაობით ტაატით (მთ. კაიშ.). **ტაატა** ტაატი ზან. (ლაზ. თანდ.).

ტაატი ფორმა მიღებული ჩანს ფუძის გაორკეცებით. ტატ-ტატი > ტატატი > ტაატი. ეტიმოლოგიურად ტატ || ტატა „ხელი“, „მკლავი“ მნიშვნელობებთან უნდა იყოს დაკავშირებული. შდრ: ატატება „ხელზე აყვანა“; ინგ. ტატაი „ცაცი“, ტაატით სიარული, „ხელის მიშველებით სიარული“. გადატანითი მნიშვნელობა (ნელი სიარული) გვიანდელია (უთურგაიძე 1976: 38).

დიალექტ. II. **ტატი** საკომლო გადასახადი (ფშ. ქეშიკ.).

ტატა:

დიალექტ. I. **ტატაი** 1. ხელი ბავშვის ენაზე; იმ *ტატაში* დაიჭირე; 2. ჯოხი: ერ *ტატაი* დაადო (ინგ. როსტ.). 3. დიდი ტორი (ინგ. ჯან.). შდრ. თათი [სომხ. თათ] B. ჯელი ZA – საბა. **ტატი** ტორი, თათი ზან. (ლაზ. კალანდ.).

დიალექტ. II. **ტატაი** შეჭამანდი ბავშვის ენაზე (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. III. **ტატაი** უსაქმური, ზარმაცი. ახალ მანაყონ (მონაყვან) ზალზე (რძალზე) მითხრეს: ერ *ტატაი* მოუყონიაყ სახშიავ, აგრ (აქეთ) ეყუდევ, იგრ (იქით) ეყუდევ, ჰეჩრამს არ აკეთევსავ (ინგ. ღამბ.). შდრ. I. ტატი.

ტატან-ი:

საშ. ქართ. I. **ტატანი** ძვ. «ვარსკვლავმორბედი» (საბა), მეტეორი. ოდესცა ღმთის ბრძანებით ხელმწიფის სიცოცხლის მზე სიკვდილის *ტატანთა* ჩავა. მას ჟამთა ახლორე დიდებისა და ბედნიერობის ვარსკვლავის პატრონი მის მთისა თავსა ზედა აღმობრწყინდებისო (ქილ. 300, 22). ელვა-ქუხილ-მეხ-*ტატანი*, ხორშაკ-სეტყვა ხილთ მზერტყელი (დ. გურამ. 82, 140, 3).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ტატანი** ტატნობი. წამოვიწიე წყლიდან და ცის *ტატანზე* ჩემს ზემოთ ბექის თავზე ჯილავდარი დგას და ილანძღება (თ. რაზიკ.). ცეცხლის ალმა ცის *ტატანი* შეაწითლა (ლ. ქიაჩ.). სალამი ზეცის ლურჯო *ტატანო!* (ა. აბაშ.) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. შან., გოგატ. || **ტატნობი** იგივეა, რაც ცის ტატნობი. საკვამურიდან ამომავალი ბოლი სვეტივით მისდევდა ცას და, ჰაერში გაშლილი, *ტატნობის* სილურჯეში დნებოდა (მიხ. მრევლ.). ◊ **ცის ტატნობი** ცის კამარა, ცის თაღი, ცა. გარშემო ტყეა, ზევით ვრცელი ცის ტატნობია (გ. ტაბ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ტატანი** გაწყრომით, გაჯავრებით ლაპარაკი, – ცაცხანი, დატატანება. პასუხის მიცემა ვერც-კი მოვასწარი, რომ დედა-ჩემის *ტატანი* და სახრის ტყლაშუნი უეცრივ ერთად გაისმა (შ. არაგვ.). აგრეთვე ი. გრიშ. „რო მივედი ისეთი *ტატანი* დამიწყო, რო მევერეთ რა მიმიყვანს იმასთან!“ (ჯავახ. ზედგ.). დატატანება, მცირედ გაჯავრდნა. „ესეც იმას მიერია, უყურე ერთი რაგო წაუტატანა!“. წატატანება ◊ აყბედება, საუბარში მეტიჩრული ჩარევა. „სადაც არ მგონია, იქ წაატატანამს ენას“ (ჯავახ. ზედგ.).

ტატაშა:

დიალექტ. I. **ტატაშაი** ზომაზე მეტად მოზრდილი ფეხების ან ხელების მქონე. „იმფერი *ტატაშაი* ხელები აქ, რომე ბეჭედი არც მუუხტება“ (ინ.); „*ტატაშაი* ფეხები რომელ აჲაბყაბში გეიმართვის ნეტაი?“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **ტოტოჩი** დიდი, ვეება ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ., ახ. ქართ. II. **ტატაშა** ბოტან. იგივეა, რაც კუროსთავი – ქეგლი. || ტატაში ტატაშ Z, ტატქ Cb.) (ბალ.) სომხურია, ქართულად კუროსთავი ჰქვიან – საბა.

ტაფელა:

საშ., ახ. ქართ. I. **ტაფელა** ტაფელა 1. «სარიკაო ჯოხი» (საბა). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. რიკ-ტაფელა – ქეგლი. || **ტამფა** ტამფაობისას სამიზნედ დასადგმელი ხის პატარა ნაჭერი (ხევს. თავის. 294, 23). **ტაფაობა** ბავშვთა თამაშია, რიკ-ტაფელობა, ჩილიკაობა (რაჭ., ვ. ბერ., ქეგლი).

მ. ჩუხუას ვარაუდით, ქართ. ტაფელა „ჯოხი-სარიკაო. რიკ-ტაფელა, რაჭ. ტაფ-ა-ობ-ა „რიკ-ტაფელობა., ს.-ქართვ. *ტაბ-ელ- „ტაფელა; გათლილი ჯოხი“ > ქართ. ტაფ-ელ-ა: ზან. ტურფა (< *ტოფ-ალ-) (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. *ტაფელა* წვრილი, ბრტყელი თეევზი. *ტაფელა* პაწია თებზია, პტყელია (ზარანი); *ტაფელას* ჩხერიმელაში იჭერენ (უჩამეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე ვ. ბერ.

მეგრული ტოფი ქართული ტაფელას (პატარა წითელი თევზი) შესატყვისად მიიჩნევა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). ს.-ქართვ. *ტაფ- (ელ) „თევზის სახეობა; ქვირითის ყრა“ > ქართ. ტაფ-ელ-ა : ზან. ტოფ-გ || ტიფ-უ || < ტოფ-უ, ტოფ- (ჩუხუა 2000-2003).

ტაშ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ტაში* 1. *ტაშ* (წაფ BCDE.) ნების (ნებთ B) ნებზე ცემა ZAB. ტყველვა, ნებთა ცემა – საბა. || ხელისგულების ერთმანეთზე ცემა, ჩვეულებრივ, რისამე მოწონების გამოსახატავად, ვისიმე პატივსაცემად (ხშირად გამოთქმებში: ტაშს [და]უკრავს, *ტაშის* [და]კვრა და მისთ.). ცალი ხელით *ტაში* არ დაიკვრისო (ანდაზა). მე თქვენგან მოწონების *ტაშს* ველოდი (ილია). იხვებისა და ბატების ფრთების ბარტყუნი ისმოდა, როგორც ერთობლივი *ტაში* (კ. გამს.). 2. რიტმულად გამეორებული ასეთი მოქმედება ცეკვის ასაყოლებლად. || შეძახილი ტაშის დასაკრავად. *ტაში*, ნინო, ბანი, მართა! თამაშობა გაიმართა (ხალხ.). *«ტაში*, ქალებო, *ტაში!»* (ვაჟა). *ტაში! ტაში!* ლხინი არის, ვისაც უნდა ითამაშოს! (შ. მღვიმ.) – ქეგლი. *ტაშ-ტირილაყბ* ლხინი, ცეკვა-თამაში; *ტაშ-ფანდურა* ლხინი, ცეკვა-თამაში; *ტაშ-ხოშიანწ* მომლხენი, ქეიფის მოყვარული; *ტაშ-გარმუნაყბ* მომლხენი, ცეკვა-სიმღერის მოყვარული (თუშ. ცოც.). *უტაშუნებს* ტაშს უკრავს. „მოწონს თუ არა, ყველას *უტაშუნებს*“ (აჭარ. ნიჟ.). იხ. II. ტოში.

დიალექტ. II. *ტაში* 1. გაშლილი ხელი. ჩაუთქვამენ, მუშტი ვისია და *ტაში* ვისი (ერედ.). 2. ზომის ერთეული, ოთხი თითის დადება. ერთი *ტაში* წააჭერი, გრძელი გაქვს კაბა (ძეგ.). ამ ზამთარ ისეთი ღორი დავკალით, *ტაშზე* ადქონდა ქონი (კავთ.); აგრეთვე ზ. ხანდ. (ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

ჩვენი აზრით ტორ-ფუძისაგან (იხ. I. ტორი) კორელაციური ცვლილებებით უნდა მიგვეღო ახალი ფუძეები ტოშ- > ტაშ- > ტიშ-.

დიალექტ. III. *ტაშ* მათრახის წვერზე დაკერებული ბრტყელი თასმა. *ტაშ* სქელ ტყავისა უნდ იყოს, მაგარ; დოღში ყველაფერ ტაშიან მათრახებ უჭერავ (თუშ. ცოც.).

დიალექტ. IV. *ტაში* [თურქ.] ქვა: „*ტაშ* აგორებდა“ (ჩაქ., შავშ. ლექსიკ.). *ტაში* ქვა ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. ნატაში კედლების შენებისას დარჩენილი ქვის წვრილი ნამტვრევები. „კედლებს რო ვაგებთკე, არც ნატაშს ვაწყალებთ. შადაგაი სწორ ეწყობა, ნატაშით კი გულს უვსებთ“ (მოხ. ღუდ.).

ტაშტ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ. **I. ტასტი, ტაშტი** ჯელის საბანი – საბა. || გობი, ვარცლი. „წარმოდგეს მათ ტასტი (რაჲთა დაჰბანნეს ... ფერჯნი)“ (მ. ცხ. 269r) – ილ. აბულ. || **ტაშტი** ლითონის მოზრდილი, გაშლილი, მრგვალი (ან მოგრძო) ჭურჭელი (ხელ-პირის დასაბანად, რისამე გასარეცხად...). *ტაშტი* გატყდა, ხმა გავარდაო (ანდაზა). ერთმა ფარეშმა *ტაშტს* დაავლო ხელი, მეორემ თუნგს და მესამემ ხელსაწმენდს – ჩამოუარეს რიგით და ყველას ხელი დააბანინეს (აკაკი). «თებრო, *ტაშტი* და წყალი შემოიტანე, ხელი გადავიბანო!» (ა. ცაგარ.) – ქეგლი. || ტასტი (ზ.-იმერ. ძოწ.) || ტაშტუნა პატარა ტაშტი (ქართლ. ლექსიკ.). იხ. I. სტარტი.

დიალექტ. **II. ტაშტი**: **ტაშტი-მუშტრ** წილის ყრის ხერხი. *ტაშტი-მუშტზე* გასვლა ლახტაყობას ვიცოდიდითა -დ აზალკოზალაყობას (თუშ. ცოც.). შდრ. ტაში-მუშტზე გავა წილს უყრის (ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. ტაში მნიშვ. 2.

ტახტ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ტახტი** 1. ეწოდების მაღალსა საჯდომსა, ვიდრე ორ მტკაველამდე სიმაღლე ჰქონდეს; || აჯის ტახტი ისრევ ფალაურის ენით პილოს ძვლის ტახტი – საბა. || (სპარს.) დალიჩი; საჯდომი – დ. ჩუბ. || «საჯდომელი»: „ნუსადა *ტახტსა* ზედა ზის“ G – „ნუ უკუე საჯდომელთა ჯდეს“ (M, მსჯ. 3, 24); „მოაქუნდა *ტახტი* ოქროჲსაჲ... და დადგეს საყდარი მას ზედა“ (H– 341, 388) – ილ. აბულ. || ხის გრძელი ოთხფეხიანი დგამი, დასაწოლი (ან დასაჯდომი). თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი *ტახტი*, ერთმანეთის პირდაპირ (ილია) – ქეგლი. || ნაპირებიანი ხის ტახტი, რომელსაც უფრო ხმარობენ ზამთარში (თუშ. ხუბ.). || ლაჭანი. ყველგან ჭერხოს გადილივნეს, მადის *ტახტის* ჭრიჭინები (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე: ქიზ. მენთ., იმერ. გაჩ. 2. სამეფო ტახტი. დასხდეს *ტახტსა* ზედა ოქრო- ჭედილსა თჳთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი (ქ. ცხ. II, 65, 6). აღაშენა აფხაზთა მეფემან ლევან და ჰყო *ტახტი* (ქ. ცხ. IV, 761, 8). გააგებდეს *ტახტისა* და გვირგვინისა საქმესა (შჰნ. II, 409, 13). *ტახტზედ* დაგსვათ ტანით ალვით, ვითმცა მთვარე მონავანე (ნ. ციც. 569, 2). ჩემი *ტახტი* და გვირგვინი სხვათა აქვს (რუსუდ. 13, ქვ. 8). *ტახტზე* იჯდა თამარ მეფე, მომხიბლავი, ეშხიანი! (აკაკი). || იხმარება მეფის ხელისუფლების სიმბოლოდ. სიცოცხლითვე მამამ დაუთმო ქალს თვისი *ტახტი* (ვაჟა). რადამისტმა... სამეფო *ტახტი* დაიპყრო (ივ. ჯავახ.). || ფიგურ. სიმართლემ ჯაჭვი ჩაიცვა, აზრმა დაიდგა ტახტია (ვაჟა). || კვალად ტახტი ეწოდების სამეფოთა ქალაქთა, სადა მარადის მყოფობენ – საბა; სატახტო ქალაქი. განიგულეს ბრძოლა დიდისა *ტახტისა* და სამეუფოსა დედაქალაქისა კონსტანტინეპოლისა (ქ. ცხ. II, 475, 17). მოვიდა ანბავი – *ტახტი* და სახელმწიფო მტერთაგან დაძაბუნდაო (რუსუდ. 677, 14). 3. გადატ. მეფის რეზიდენცია.

როდესაც მეფე გარდაიცვლებოდა, ვინც განსვენებულის მომდევნო იყო წლოვანებით, ის ადიოდა სამეფო ტახტზე (ივ. ჯავახ.). ◊ ფიგურ. სათაგვეთის კეისარი *ტახტიდან* ჩამოუგდიათ, სულ ერთმანეთში არეულ-დარეულან (თ. რაზიკ.). ◊ **ტახტის აზნაური** ძვ. საუბ. უშუალოდ მეფის ქვეშევრდომი აზნაური. *ღეჩიაშვილი... ტახტის აზნაურია* (ს. მგალობ.). ტიტიკო მაინც აბრუს არ იტეხდა და..., როგორც *ტახტის აზნაური*, სუფთად, ფაქიზად ცხოვრობდა (ი. ეკალ.). 4. ეკლ. სავარძელი საკათედრო ტაძარში უმაღლესი სასულიერო პირისათვის (კათალიკოსისათვის, პატრიარქისათვის...). [მცხეთის ტაძარში] არსებობდა *ტახტი* მთელი საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსისა (ი. გოგებ.). || გადატ. უმაღლესი სასულიერო პირის ხელისუფლების სიმბოლო. როცა ბიჭვინტის კათალიკოსის *ტახტი* გაუქმდა, გელათში გადმოიტანეს ყველა იქაური საუნჯენი (ი. გოგებ.) – ქეგლი. **ტახტის ყმა** ამათუ იმ ხატის ყმა, ხატის მსახური. „სწყალობდან მიქიელის ლაშქარ-მწევარნი ახიელელთ, ტახტის ყმათა-დ' საყმოსა' საგლეხოსა-დ' საწაღმართოდ მაუარან (ალ. ოჩ. კალენდ. 116, 8) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. II. **ტახტი**: **ტახტის მიწა** მიწის ნაკვეთი მაღალ, სწორ ადგილზე. საცა ქედია და ქედზე ვაკე მიწაა, იმაი ეტყვიან *ტახტი* მიწასა (ერთაწმ.). *ტახტი* მიწა მზვარეა, და სუყველაფრითვინ კარქია (ერთაწმ. ქართლ. მესხ.).

თურქულში დადასტურებული ტახტა პოლისემიური სიტყვაა და ერთერთი მისი მნიშვნელობაა კვალი. სავარაუდოდ სპარს.-თურქული წარმომავლობის ტახტა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით უნდა შემოსულიყო ქართულში. შდრ. **ტუხტი** მიწის ნაკვეთი ფერდობზე ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ. ქართ., დიალექტ. III. **ტახტი** ტახტა, – უნაგირის კეხის წინ და უკან ამოშვერილი ნაწილები. [ფოცხვერა] უნაგირის *ტახტსა* თლიდა (თ. რაზიკ.). უცებ გადმოხტა ბახვა ცხენიდან, სადავე უნაგირის *ტახტზე* შეაგდო (გ. წერეთ.) – ქეგლი. || ტახტა: კაცი. . *ტახტასა* თჳსსა შემოიდვა (ქ. ცხ. II, 264, 12). აგრეთვე: ხევს. ჭინჭ; ფშ. ხორნ., გურ. ჟღ., თუშ. ხუბ., ქიზ. მენთ., და სხვ. || ტახტარი: „წინა-უკანას ტახტარსა ვარდნი რათ არ გიყვავანო?" (რაჭ. ძიძ.). შდრ. ტახტრევანი [სპარს. თახთე რავან «საკაცე»] ძვ. მდიდრულად მორთული, გადახურული სატარებელი დიდებულთა და მანდილოსანთათვის – ქეგლი.

ტერ-ი:

საშ. ქართ. I. **ტერი**: ესე ტერი არს (+ სამოსელნი B) ქვეშსაფენელ(ნ)ი და საგებელ(ნ)ი ოხრო(ვ)ა, ძოლო – საბა.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ტერი** მტერი – დ. ჩუბ. „ბევრი *ტერი* მყავდა, მარა ისე მოვაკვარახჩინე ჩემი საქმე, სწორეთ გაგიხარდება" (ვ. ბერ.). **ტერ-კეთილი** მტერ-მოყვარე. *ტერ-კეთილს* კიდე უძღვივარ (ფარცხნალი ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: რაჭ. კობახ., გურ. კიწმ. ტერი < მტერი; შდრ. ძვ.,

ახ. ქართ. მტერი ავის მდომი. დამტერება, ემტერა, ვმტერობ, იმტერა,... – საბა. მტერი «წინა-აღმდგომი», მოცილე" – ილ. აბულ. **ტერი** ზან. (მეგრ. ელ.). **მტერი** ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ. ქართ. III. **ტერი** [სომხ. ter] უფალი, მფლობელი, პატრონი, მომვლელი, მომხედავი, ჭირისუფალი. „ვინ მოგკლა, ვინ დაგიტირებს, ან შენი *ტერი* ვინ არი?" (შჯნ. II, 3809).

ტიალა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტიალა** (ქართლ. კახ.) იგივეა, რაც ტიალი. ბედო *ტიალავ*, აბა რად, რად შემომიჩნდი ჭირადა? (ი. ევდ.). «ე ვერანა, რა ჯურა ღამეა? რუხ-რუხი არ გაუდის, ამ *ტიალა* ცასა?!» (ს. მგალობ.) – ქეგლი. *ტიალა უპატრონო*, გლახა (თიან. ქართ. დიალექტ., 600). ტიალა < ტიალი.

ახალ ქართულში **ტიალი** ძირითადად უარყოფით ეპითეტად, საწყევარ სიტყვადაა გამოყენებული, ამ შინარსით იხმარება სიტყვის მასალადაც. ამ ტიალ ამინდში რაისთვის მოსულხარ (აკ. ბელ.). როცა დადგება ღამე ტიალი არი ჩეხვა და ტყვიის ქარბუქი (ი. ნონ.). სულიღა დაამწარეს ამ თაგვტიალებმა, განჯინაში ვეღარაფერი შემინახავს (ვაჟა, ყაზბ.). ეს ტიალი, დამავიწყდა, რომ დეკოლტეთი არ წავსულიყავი (შ. არაგვ.). || **ტიელი**: ე ტიელ, ერთი ბიჭი როგორ არ ჰყავდა გვერდში (ს. მგალობ.). მეც დედა ვარ, ეგ *ტიელი*, ეგ (დ. შენგ.). ასევე უარყოფითი შინაარსი აქვს ტიალ- ფუძიან ზმნურ ერთეულებსაც. ატიალია „აბადია, გააჩნია" (ამბობენ უპატივცემულოდ). არაფერი ატიალიათ ოჯახში (იკ.). ღმერთო კი მომკალი, ჯერ ისე არ მატიალია რა და სულ გამიოხრა ყველაფერი (ატ., ქართლ. ლექსიკ.).

ამ სიტყვის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებანი: 1. კახურ-ფშაური: ტიალი < ტიელი (*ტევალ, შდრ. დუ-ტევ-ა, გურ. დაუ-ტი-ა) (ქავთარაძე 1964: 295). 2. ტიალი ← ტივალი, ხოლო ამ უკანასკნელისათვის ამოსავალია გაუტევს, გაუტი(ვ)ა ლექსიკური ერთეულები (ჭინჭარაული 1982: 105).

დიალექტ. II. **ტიალაი** მტირალა. „მეტი *ტიალაი* ბაღანა ყავან მაგნებს" (მარადიდი, კლარჯ. ლექსიკ.). ტიალა < მტირალა ვინც ტყუილუბრალოდ და ხშირად ტირის, – ტირია (ქეგლი). **მტირალა** ა სუფიქსიანი მიმღეობაა. *მტირარი > მტირალი > მტირალა (ჯორბენაძე 1988).

ტივ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **ტივი** ერთიმეორეზე მიწყობით შეკრული დიდი ძელები მდინარეზე დასაცურებლად. „მოვიღოთ იგი *ტივებითა* ზღუად იოპესა" (M, II, ნშტ. 2, 16) – ილ. აბულ. გოსტამ მათთანავე აცურვიან სისხლსა ტივი (შჯნ. II, 315). თქვენის თავის მზემა ერთი *ტივი* მინდოდა (სამ. VII, 145). ახლაც ორი ტივი მოგართვით (სამ. VIII, 636, 12). იმას გარდა რაც დარჩა ან პური... ან *ტივი* ყველა თეთრზედ ჩავაგდევით (სამ. IV, 531, 14). სუთიასათვის ზაზას ერთი ტივი ხე წაურთმევია (სამ. IV, 144, 7). ხოლო

მეფე განვიდ საყინულესა ტანა წყალსა *ტივებით* (თ. ბაგრატ. 46, 26). სატივეზე *ტივი* შევკარ, *ტივი* არის ნაძვის ხისა, ორთაყვირები მოვასხი, მოსასმელი არის წყლისა (ხალხ.). გაუყარა ერთი *ტივის* ხე, გადიდო მხარზე და გასწია დევების ტყეში (ზღაპ.). ამისთანა წნელით დღეს მეტივეები *ტივებს* აბამენ ხოლმე მტკვარზე (ვაჟა). [მეზობლები] ხეებს ჭრიდნენ,... შეკრავდნენ *ტივად* და... გასაყიდად მიაცურებდნენ (ს. კლდ.) – ქეგლი.

სამ. ქართ. **II. ტივი** [სალ ZAaBCD; ტოფ ZABCbqE) (ფრინ.) – საბა. შდრ. ტივყუავი ciconia : „არა შჯამოთ... *ტივყუავი* და ბუკიოტი და მსგავსი მისი“ (O, ლევიტ. 11, 19) – ილ. აბულ. ტივტივა წყალ-ჭაობის პატარა გარეული ფრინველი (გ. გვანცელაძე 2009).

ტინ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ტინი** არს კლდე დიდი, მაგარი და დაუმშხალველი – საბა. || «ცის-ნატეხი», smyris, petra acuta, lapillus, durus: „იქმნენ თავისა შენისა დანაკნი კლდისანი კლდისაგან *ტინისა*“ G – „იქმნენ შენ დანაკნი ქვისანი, ქვისაჲ ცისნატეხისანი“ (M, ისუ ნ. 5, 2) – ილ. აბულ. გული მიც კლდისა *ტინისა* (ვეფხ. 419, 4). დევი... სიდიდით შავს მთასა გავს, სიმაგრით *ტინს* კლდესა (რუსუდ. 289, 16). რაგინდ მე ასრე გავგიჟდე, თავი ვახალო *ტინზედა* (დ. გურამ. 112, 352, 1). ირემს დიდრონი მშვენიერი რქები ჰქონდა დაბჯენილი ერთს *ტინზე* (ვაჟა). ჩვენი მღერაც ღვართქაფია, ნაშობია *ტინის* მთაში (ი. ევდ.). არწივმა... სისხლით შეღება *ტინები* (გ. ლეონ.) – ქეგლი. || კლდე. ჰა, ჩუღრუთსა ჩონ ვიყნეითღა და სოფელჩიგაცა ეს ბატონო, ესა ემის მამანი და ერთი თა *ტინი* ემ სოფელს შუაზედა, ჩუღრუთის შუაზედ იყო; აქვე **ტინი** ქვა მაგარი ქვა. გერიმ ჩაირბენავ, ჩახოლ ანქა, ანქ ერთ *ტინსავით* არი, რო გონია *ტინი* ქუა იყოს (ფერეიდ.კორპ. ლექსიკ.).

ტინი (არაბ. მიწა) (იუსტ. აბულაძე 1940: 515). ს.-ქართვ. *ტილ- „ლოდი“ > ქართ. ტინ-ი, ტილ-აჳ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ტინი** 1. (მარტყ.), ტვინი (დაშქ.). ჩონ იქ ადგილი გოქ ეშმაკტინი, ჩონ სახლის ახლოზე *ტინებიც* არი, *ტინები* ვეძახით (დაშქ.); მიწას უდაუღნია, ამოსულა შავი და რბილი ქუებია, სიპები (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. ბერ. ბაკურ. 294. 2. იგივეა, რაც ტვინი. პირიტყს თავჩი *ტინი* აყე; შირსაც წახოლ, ეტყიო, რო იმაში შენ თავი გაგიშეფსო, ეს თავის ტკივილიო, რო ერთ ადამიანიო, რო იმისყე ნაჭარმ ადამიანი თელ დუნიაჩი არ იყოსო, იმის ქალლას *ტინი* შაშჭამოო /მარტყოფი (ფერეიდუნშაჰრი)/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. ტვინი რბილი, ფშვნადი მასა (ქვის შუაგულში). როგორც გასჭრი დიდ ქვასა, ქვის ტვინს ეტყვიან, როგორც კვერცხი, ისე გამოვარდება (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). ტვინები ადვილად დასამუშავებელი ნიადაგი, რბილი ქანები მთისა. „კლეჩი კარგი ტვინებია“ (მოხ. ქავთ.). **ტვინი** ტვინი ზან. (მეგრ. ქობ.).

ს.-ქართვ. *ტუინ-არქეტიპი ქართულ-ზანური ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; კელაურიძე 2013: 17).

ტინტილა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ტინტილა** (გურ. ლეჩხ.) ხვლიკი (გ. შარაშ.) – ქეგლი. || **ტინტილა-ი:** „ეიგერ მირბის *ტინტილაი*, სემიაჰაია ტირტილაი“ (გულ., ჩვენ. ფუტკ.). || ტინტილე:– მეშინია ამ *ტინტილეს* (რაცხ. გურ.). **ტინტილა**, ხვლიკი, მოუსვენარი. ტინტილი ტანტალი, მოუსვენრობა ზან. (მეგრ. ქობალ.). შდრ. ტინტილ: გატინტილება, ჩქარა წასვლა, გარბენა, გასრიალება. „წატინტილდი ერთი, შენს გაზდას, და მომირბენინე ცივი წყალი“ (ვ. ბერ.). იხ. I. ტანტალი.

ახ. ქართ. **II. ტინტილა** (იმერ.) იგივეა, რაც ტიტლიკანა – შიშველი (ქეგლი). შდრ. **ტეტელი** შიშველი ზან. (ლაზ. თანდ.). ივარაუდება, რომ გაორმაგებული ძირებისაგან არის შედგენილი ფუძე ტინ-ტილ (ერთელიშვილი 1980: 211).

ტიფ-ი:

საშ. ქართ. **I. ტიფი** ფრინვ. – დ. ჩუბ. შდრ. [სომხ. ტოფ] – საბა.

ახ. ქართ. **II. ტიფი** [ბერძ.typhos] მედიც. საერთო სახელწოდება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებებისა, რომლებიც ძლიერი ციებ-ცხელების სახით ვლინდება. პარატიფიანი ტიფი. – მუცლის ტიფი. – შებრუნებითი ტიფი (ქეგლი).

ტიხრ-ი:

დიალექტ. **I. ტიხრი** ღორღი (ხევს. ჭინჭ.). || ტიხრ, ტიხრ მიწაი, ჭუატიხრ ქვასავით მაგარი მიწა, ძნელი მოსახნავია. *ტიხრ* მიწაზე ამბოვენ – *ჭუატიხრიაჳ*, დაბარაი არ კეჰტევავ (ინგ. ღამბ., ჯან., როსტ.).

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ტიხრი**, ტიხარი – თხელი გამყოფი კედელი (შენობაში, ოთახში...) – ქეგლი. ბუხრები რომ შიგნით ერთმანეთისაგან იყოფიან, იმას უძახით *ტიხრს*. ბუხარი იქნება სამად *ჩატიხრული* (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 297). ტიხრი < ტიხარი. მოტიხრული კედელი, ტიხარი: „ქმნა..., ორორი მოტიხრული“ (O, III, მფ. 7, 41). განტიხვრა გატიხრვა: „განწვალე საშუალ განტიხრვით ურთიერთას“ (ფლპ. მოც. 234) – ილ. აბულ.

ტკეც-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ტკეცი** ძვ. «ნაკვერცხლის ასაღებელი რკინა, გინა თოფის ფითილის საპყრობი» (საბა), – მაშა (ქეგლი).

დიალექტ. **II. ტკეცი** თხილის, მუხის... წნელზე ახდილი თხელი მერქანი კალათების დასაწნავად, – ტკეჩი (რაჭ. კობახ.). || ტკეჩი ზოგი ხის (თხილის, შინდის...) სწორი წვრილი ტოტის სიგრძივ ანახეთქი; იხმარება კალათის (გოდრის, გიდლის...) დასაწნავად, – პწკალი (ქეგლი). || ტკენჩი ხის ანახეთქი, ხის ფირფიტა. *„ტკენჩებით* მოვქსოვთ გოდორსა, ტკენჩი ახალმოზდე ხისანა იყოს“ (ჳ., ჩვენ. ფუტკ.). || *ტკოჩი* პატარა ანახეთქი ხეზე, ძვალზე (იმერ. ქავთ., გაჩ.). **ტკეც, კეც** ტკეჩი „წნელი, წნული“ (სვან. თოფ., ქალდ.). **ტკეჩი** ტკეცი ზან. (მეგრ. ელ.).

ტლიკინ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ტლიკინი** საუბ. ბევრი, ზედმეტი ლაპარაკი, – ლაქლაქი. როგორ არა ბეზრდებათ [ქალებს] ასე მოუღალავად წანწალი და *ტლიკინი!* (ა. ფურც.) – ქეგლი. აგრეთვე გურ. ღლ. გატლეკილი გაიძვერა, ცრუ, ლაქლაქა (გურ. ღლ.).

აღდგენილია არქეტიპი *ტლეკ- || ტლიკ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ტლიკინი** უსაქმოდ, უთავბოლოდ, უშედეგოდ სიარული – ქეგლი. || გადაბოტებით, დიდი ნაბიჯით სიარული. თვალებგადმოკარკლული საზარლად *მოტლიკინობდა* (ბ. 526, 17, ფშ. ქუშიკ.). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, არქეტიპია ს.-ქართვ. *ტლიკ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ტობ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ტობი** 1. [Chondrostoma] ზოოლ. მცირე ზომის თევზი კობრისნაირთა რიგისა. [მდინარეში] კალმახები... ხტოდნენ *ტობი* და წვერა ცბიერი (შ. დად.) – ქეგლი. 2. თევზი ქვირითის დაყრის პერიოდში (იმერ. გაჩ.). ტობობა იგივეა, რაც ტოფობა. ბევრჯელ, გაზაფხულის დამლევს, ტობობის დროს, სხვებთან ერთად მეც მთელი ღამე გამითევია (იმერ. გაჩ.). იხ. I. ტოფი.

დიალექტ. **II. ტობი** ნესტი. „კვირიკობისთვე უბედური ტობიანია, არაფლიზა არ გაშრება რამე. „ჭუჭყიანი თუ შემოქჩა რამე, *დატობავს* და არ გამოვა არაფლიზა“. „ქარი არ იცის კვირკობისთვეში, *ტობიანია* მიტო აპა, ქარი თუ იქნა და გააშრო, ტობიანი კარ იქნება“. „ახლა ტობავს ყორფელს“ (საჩ. შარაშ.).

ს.-ქართვ. არქეტიპია *ტაბ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ტოლმა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ტოლმა** [თურქ. დოლმა] დაკეპილი ხორცი, ბრინჯით და სხვადასხვა სანელებლით შეზავებული, კომბოსტოს ან ვაზის ფოთოლში გუნდა-გუნდად შეხვეული და წვენში მოხარშული – ქეგლი. || **ტოლმაი**: გადატ. **ტოლმა-ტოლმა დაკუწაი** მეტად წვრილ ნაწილებად, ნაკუწ-ნაკუწად (სინ. ქუფთა-ქუფთა დაკუწაი); დაჭრა, სატოლმე ხორცივით დაკეპვა. კაცი თავი დეკაცს (ქმარი თავის ცოლს) ტოლმა-ტოლმა ჰკუწავს; || **ტოლმი ქუაი** სპეციალური ქვა, რომელსაც ტოლმაზე მოთავსებულ მისადგომელ ტალერკზე ადებენ, რათა დუღილის დროს ამ თეფშმა მაღლა არ აიწიოს და ტოლმა არ დაიშალოს (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **II. ტოლმა**: **ტოლმა ჭიაი** ერთგვარი თეთრი, დიდი ჭია. ტოლმა ჭიაი მიწაში დაბარაში ომოდის, ხეევშიც არის, დამპალ ხი ფრუტოში (ხის ფუტუროში) (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **III. ტოლმა** ფოსტლის შესაკერი ხელსაწყო (ქიზ. მენთ.). დავკრამდით და მემრე *ტოლმას* ვკერამდით (ქიზ. მრეწ. III, I, 31). იხ. II. ტოლომა.

ტოლომა:

სამ., ახ., ქართ., დიალექტ. **I. ტოლომა** [თათრ.] ბეწვეული, ქურქი, тулуп (დ. ჩუბ.). || მვ. «ფართო სამოსელი ბეწვიანი» (საბა), – ქურქი, ტყავკაბა. [დედას] ჯერ *ტოლომა* არ მოეხსნა, რომ შვილი კითხვას კითხვაზე აყრიდა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || ტალმა მთ., მოხ. ქალის მოსახურავი დრაფისა (რუსულიდან) – ა. შან. ალ. ჭინჭარაული, ტოლომა სიტყვას ვაინახურ ტუაღლიგ „ძონძმაძები" ნასესხობად მიიჩნევს, რომელიც თავის მხრივ თურქულენოვანი სამყაროდან უნდა იყოს შემოსული. ტულუნ, ტულუკ, ტულუპ || ტულუბ || ტულბ აზერბაიჯანულსა, ჩაღათაურსა და სხვა ენებში ეწოდება ტყავის გუდას, ტიკს და მისთ. (ჭინჭარაული 1989: 114-115).

დიალექტ. **II. ტოლომა** მსხვილი სადგისი (გურ. მრეწ. III, I, 256). (ბაშმაკის იგივე წუღის) ქუსლი სადგისით და ძაფით მიკერებული, მსხვილი სადგისით, „ტოლომოსით", ორი ნემსით და ძაფით (გურ. მრეწ. III, I, 255). იხ. III. ტოლმა.

ტონ:

დიალექტ. **I. ტონ** [აზერ. დონ] ტანსაცმელი, ჩაცმულობა; ფორმა. მოდის წითელ ცხენ, ზედაც კაც წითელ *ტონით*, წითელ ყამჩიჲთი (მათრახით); ჩაჲცო, დაიხურა გინერალი (გენერლის) *ტონ*; ჩაჲცო თავი *ტონ;* ჩონობური *ტონ* (ჩვენებური ტანსაცმელი); ჩონობურ *ტონ;* ზედს. **შავტონიან** შავტანსაცმლიანი. **შავტონიან** კაც მოუდა (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **II. ტონ** ტონა. ორ *ტონ* პურ (ინგ. ღამბ.). || ტონა [ფრანგ. tonne] წონის ერთეული ზომათა მეტრულ სისტემაში; უდრის 1000 კილოგრამს – მ. ჭაბ.

ტონ-ი:

მვ., სამ., ახ. ქართ. **I. ტონი** 1. საზომი და მისთანა – საბა. **ტონი || ტონოჲ** გრამატ. [ὁ τόνος] ტონი, ზომა. „ღრამმატიკოსობაჲ. . . *ტონთა* და ხრონოთა თჳს შთამოვალს (ამონიოს. 10, 5). 2. [ბერძ. tonos ხმის ამაღლება] 2. ფიზ. ჰაერის გარკვეული სიხშირის პერიოდული რხევით წარმოქმნილი ბგერა. 3. მუს. განსაზღვრული სიდიდის შუალედი ორ მეზობელ ბგერას შორის, – ორი ნახევარტონი. || ზოგჯერ იხმარება ტონალობის მნიშვნელობით. 4. მხატვ. ფერის ესა თუ ის ოდნავ შესამჩნევი სხვაობა, – ელფერი. 5. გადატ. საუბრის ესა თუ ის იერი, ნიუანსი, – კილო. პეტერბურგის გაზეთებმა ერთობ მაღალი *ტონით* დაიწყეს ლაპარაკი (ს. მგალობ.). ექიმი თავს იმართლებდა ისეთი ტონით, თითქოს პატიებას ითხოვსო – (ი. გედევ.). ქმარი მიტოვებას მიპირებს, იმავე *ტონით* განაგრძო თავადის მეუღლემ (ი. აგლ. თარგმ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ტონი** ქვედა საცვალი, თეთრი. ყოველთვის მკვეთრი ფერის, ჩვეულებრივ წითელი. უწოდებენ შალვარსაც, მაგრამ ქალებს ერთი *ტონი* აქვთ, ის ზედაცაა და ქვედაც (იმერხ. მარი). იხ. I. ტონ.

ტორ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტორი** 1. ზოგი ცხოველის ფეხი, ტოტი, თათი. დათვმა თქვა: სანამ ჩემი *ტორი* არ მოვკარი, გემო ვერ ჩავატანეო (ანდაზა). ძაღლმა მუხლებზე დაუწყო **ტორები** (არსენას) და წითელი ენა შუბლზე გაჰკრა (მ. ჯავახ.). ტახმა ვერ უძლო, წაიქცა, ვეფხი *ტორითა* ღარავდა (ბაჩ.). 2. გადატ. დიდი, ტლანქი ხელი (ადამიანისა). საყდარს ეკედვლის ბეღელა, დავიწყებია სწორები, საყდრის კარს დაუჩოქია, გულზე უწყვია *ტორები* (ვაჟა). 3. სამეცხოვრო ჯოხი დიდი – საბა. ყურ – მძიმე, ლაფში დაფლული ზანტი, უღონო, ჯორია, თუ ჩაწვა, ძნელად ადგების, თავშიც რო სცემო *ტორია* (დ. გურამ.) – ქეგლი. || დიდი ჯოხი, კეტი. თან მიაქვთ „*ტორები* [კეტები], ხანჯლები და სხვა იარაღი (მ. ბალ., ნ. მაკალ. 136, ხევს. ჭინჭ., ა. შან.). || ერთნაირ ჯოხია, წინა ქეჩა რო გარეცხიან, ისი დატორიანყე (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. II. **ტორი** პეშვი (ორივე ხელისა), მუჭი (ორივე ხელისა). „ერ *ტორს* ან ორ *ტორს* ჩავყრიდით“ (იმერ. იმნ.). „ხელმწიფემ წამოსლიხან ერთი *ტორი* ოქრო მისცა“ (აჭარ. ნიკ.). დიდარს მიქონდა ფული და ღარიფს ერი *ტორი* ქფილი (გურ. ღლ. 228, 17; ზ.-გურ. კიწმარ.). || /რაზ.-ჭყ./ „საცემი რამე, მუშტი. მიტორვა მიტყეპა“– ა. შან. იხ. I. ტავრო.

დიალექტ. III. **ტორი** ცხვრის იჯარით გაცემა ოთხი წლით იმ პირობით, რომ ცხვრის შემოსავალი / მატყლი, ყველი, ბატკანი / მომვლელისა უნდა ყოფილიყო და თავნი პატრონს უკლებლივ ისევ იმავე ხნისა უკანვე ჩაბარდებოდა (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. IV. **ტორი** ცხენი გავა-წითელი, ტუჩ-მურა ცხენი (გურ. შარაშ.). შდრ. ტორათი (tor გაუწვრთნელი, ველური, at – ცხენი) მოწითალო ფერის ცხენი. „შარშან ერთი *ტორათი* მევყუაი“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. V. **ტორი** [ინგ. tory] 1. მსხვილ მიწათმოქმედთა და მაღალ სასულიერო პირთა პოლიტიკური პარტია ინგლისში მე-17 – მე-19 საუკუნეებში, ახლანდელი კონსერვატორების პარტიის წინამორბედი. 2. ამ პარტიის წევრი; საერთოდ, კონსერვატორი ინგლისში. [რობერტ პილმა] *ტორიები* შეაფუცხუნა (ილია) – ქეგლი.

ახ. ქართ. VI. **ტორი** [ლათ. torus ამობურცულობა] – მათემ. გეომეტრიული ფიგურა, რომელსაც აქვს წყალში საშველი რგოლის ფორმა – მ. ჭაბ.

ახ. ქართ. VII. **ტორი** წნევის სისტემის გარეშე ერთეული; 1 ტ. უდრის 1 მმ ვერცხლისწყლის სვეტის მიერ წარმოქმნილ წნევას; იყენებენ ვაკუუმურ განზომილებებში [ეწოდა ვ. ტორიჩელის პატივსაცემად – მ. ჭაბ.

ტორა:

სამ. ქართ. I. **ტორა** ტოროლა. მარჯანი ვარ, მამიტიო და მადევნო ჩიტსა *ტორას* (არჩ., 205, 124, 2). || ტორო, ტურულა (ხევს. ჭინჭ.). || ტორუა (ქართლ., ფშ., ქიზ.) – ალ. ღლ. იხ. I. ტოროლა.

სამ. ქართ. II. **ტორა** ტორი. სხვაგნით სითმე გარდგივარდე, ვეღარ დამკრავ თავსა *ტორას* (არჩ. 205, 124, 3). იხ. I. ტორი.

ტოროლა:

ახ. ქართ. I. **ტოროლა** [Alauda arvensis] ზოოლ. პატარა მგალობელი ფრინველი ბეღურების ოჯახისა. *ტოროლას* მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი, საწყალი ღამის მეხრისა ის არის კარგი მამალი (ხალხ.). *ტოროლა* მაღლა ღრუბლებში წკრიალ-წკრიალით გალობდა (სოსელო). *ტოროლამაც* მორთო თავისი დილის გალობა (მელან.) – ქეგლი.

ჭან. ტორ-ოჯ-ი || ტო-ოჯ-ი მეგრ. ტორ-ონჯ-ი, ქართ. მ-ტრ-ედ-ი. ფონეტიკურად ტოროჯ- უფრო ახლოსაა ქართ. ტოროლასთან: ტორ-ოლ-ა < ტორ-ორ-ა, მაგრამ სემასიოლოგიურად მტრედი ფარავს ტოროჯს და აგებულებითაც შესაძლოა მათი დაკავშირება (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. II. **ტოროლა** საკრამიტე მიწის საზელი კასრი, მიწაში ჩაფლული (ქართლ. ძიძ., კეცხ. ხუბ.).

ტოფ-ი:

დიალექტ. I. **ტოფი** ქვირითის დაყრა თევზის მიერ (იმერ. ბერ.). ტოფობა ქვირითის დაყრის პერიოდი (ლეჩხ. ალავ., ქეგლი). **ტოფი** თევზი ზან. (მეგრ. ელ., ქობ.) იხ. I. **ტობი.**

დიალექტ. II. **ტოფი** შტოფი (ალგ. სალ.). შდრ. შტოფი [გერმ. Stoff] მინის ჭურჭელი, ბოთლზე დიდი, რამდენიმე ლიტრის ტევადობისა – ქეგლი. ტოფი < შტოფი, შ იკარგება ტ'ს წინ (ჩხ., ალგ. სალ.).

ტოღ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ტოღი** მვ. «ვეგის ჯდომა» (საბა); სათამაშო კოჭის ერთ-ერთი გვერდი, – თოხანი (ქეგლი).

დიალექტ. II. **ტოღი:** 1. ღერო. „ხმელს აჭრიან (ვაზის) ტანებს და ახალ *ტოღებს* ამოიღებს" (აჭარ., მენთ) – ლ. ასათ. 2. სიმინდის ტარო. „ხამ მიწაზე სიმინდმა დიდუანი *ტოღები* ქნა" (თ. ქ., ჩვეწ. ფუტკ.). 3. **ხახვის ტოღი** ხახვის ალაღებული ღერო (აჭარ. ნიჟ.). || კოტორიც ქვია, „კოტორი", „ტოღი" ერთია (ჩაქ., შავშ. ლექსიკ.). || ტოღა ღერი (აჭარ., დ. ჩუბ.). იხ. II. ტოღო.

ტოღო:

დალექტ. I. **ტოღო, ტოღუაი** ბუმბულნაკლები წიწილა (გურ. შარაშ.). || **ტოღო ქათამი** კისერტიტველა ქათამი (სინონ. სოღო, ტლაპანა ქათამი, ყელტვლიპანა ქათამი). კისერტიტველა, კიტაიის ქათამი რო არი, ისაა *ტოღო* (ჯალაურთა) (ზ.-იმერ ძოწ.). || ტიღველა || ღიღველი || ღიღველა შეუბუმბლავი, ტიტველი (ბარტყი და მისთ.) – ქეგლი., ვ. ბერ. || ტიღინტო კისერტიტველა ქათამი (ცნობილი ჩინური, ყუბანური ჯიშის ქათამი ან მისი მსგავსი) (იმერ. ქავთ.).

ჩვენი აზრით ტოღ- < ტიღვ-; ტიღვი (იმერ.) ღიღველი – ქეგლი. ღიღველ > ტიღველ > ტიღვ (ერთელიშვილი 1980: 146). მ. ჩუხუამ, ამ სიტყვისათვის აღადგინა ს.-ქართვ. *ტიღუ- „მსუქანი; უბუმბლო“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ტოღო** მოსული, დიდი. ბოვში კ'არ არი, კაი *ტოღო* ვაშკაცია (ფარცხნალი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ტოვტოღა დიდ-დიდი, მოსული (ზ.-იმერ. ძოწ.). **ტოღო** მსხვილი ზან. (მეგრ. ელ.).

ტოშ-ი:

დიალექტ. I. **ტოში** პეშვი (ლეჩხ. ალავ.). ერთი „ტოში“ დაფქვილი „ერთი ჭადის გამომავალია“ (ქვ.-რაჭ. მრეწ. III, II, 189). იხ. II. ტაში.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ტოში** 1. ტაში. [დავითი] ციხის სათავეს შამჭდარა, *ტოშის* ჴმა გამადისაო (ხევს. პოეზ. 539, 33). [ნაობრანცები] შაყრილან კაზარმაშია, გამუდის *ტოშის* ჩქამია (ხევს. პოეზ. 448, 5). ფიგურ. სილა, ალიყური. რადარ დაზდგები, ქორიავ, ხომ არ გინდ მაგარ *ტოშია?* (სტმასპ. 85, 34). აგრეთვე: გასტოშავს, სატოშურა, ტოშთ გაბკრავს, ტოშფანდური – ალ. ჭინჭ. || ტოშ: შემოკრ *ტოშ*-დ, გაიხახან (თუშ. ცოც.). 2. დასარტყმელი საკრავის, საჩხარუნებლის პროტოტიპი, ტაშიდან დასარტყმელ საკრავზე გარდამავალი ტიპი – ხანჯლის, დანის ან ჯოხის რიტმული ცემა ხის ფიცარზე საცეკვაოების შესრულების დროს (ქართ. მატ. ლექს.). იხ. I. ტაში.

დიალექტ. III. **ტოში** || **ტოშოლი** მათრახის ბოლოში მობმული ბრტყელი ტყავი (ხევს. ჭინჭ.). || **ტოში** : მათრაჯის ტოში ჴ., ფშ. მათრახის ბოლო – ა. შან. შდრ. **ტორში** მათრახის ბოლო (ტყავის ნაჭერი) ზან. (მეგრ. ელ.).

ტრალ-ი:

საშ. ქართ. I. **ტრალი** ძვ. «საკვირველი მპარავი» (საბა), დახელოვნებული ქურდი. ტრალი პირფერი; უპირო. ერთსა ღამესა ერთი *ტრალი* მპარავი ქალაქად ვლიდა (ქილ. 667, 10). || **ტარალი**: არავინაა სიყუარულისაგან მპარავი, რომელ გულისაგან თმობასა წაუღებს და ღაწუთაგან ფერსა ასრე ადვილად, ვითა მთრვალისაგა ოქროსა ტარალი (ვისრ. 249, 2). იხ. I. ტრელი.

ახ. ქართ. II. **ტრალი** [ინგ. trawl ბადე] 1. ზღვაში (გემიდან) თევზის საჭერი ტომრისებური ბადე. 2. სამხ. წყალქვეშა ნაღმების ამოსაკრები ან გასაუვნებლებელი მოწყობილობა. 3. ზღვ. ზღვის ფსკერის გამოსარკვევი და იქიდან ცხოველებისა და მცენარეების ამოსატანი სპეციალური მოწყობილობა – ქეგლი.

ტრამა:

საშ. ახ. ქართ. დიალექტ. I. **ტრამა** ძვ. ტრამალი, – ვრცელი. უშენი მინდორი; უპატრონო, ოხერი ადგილი. ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა; არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა *ტრამასა!* (რუსთაველი) – ქეგლი. „სად აყვავებულ მთა-ბარსა სად *ტრამათ* ეგელე-

ბოდა“ (ბ. 13, 20, ქეშიკ.). არ გეგონოსთ, მითომ ეს მართლა *ტრამა* და უკაცური ქვეყანა იყოს (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. შდრ. ტრამალი ესე არს გრძელი და ვრცელი (+ და Ab) ნაყოფიერი მინდორი ვაკე – საბა, ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ტრამად** (იმერ.) ზმნს. ძალიან იაფად, თითქმის მუქთად. *ტრამად* დააფასეს ყველაფერი (ნ. ლორთქ.). გულნატკენი უცქეროდა, როგორ ტრამად ყიდდნენ, რაც-კი შეიძლებოდა (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. შდრ. დრამა 1. ისტ. ვერცხლის ფული 20-25 კაპიკის ღირებულებისა. ჩვეულებრივ ქართული დრამა ანუ თეთრი წონით მერმინდელს XVII-XVIII სს, ვერცხლის აბაზიანს უდრიდა (ივ. ჯავახ.). 2. ისტ. წონის ერთეული, დაახლოებით 3,5 გრამი. ქართული დრამა... ალბათ 3,411 გრამს უდრიდა (ივ. ჯავახ.). 3. გადატ. საერთოდ, მცირე წონის ან მცირე მნიშვნელობის რამე, – მცირე, ცოტა (ქეგლი).

ტრედ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტრედი**: „გარდამომავალი (ვითარცა) *ტრედი*“ (მთ. 3, 16); „ვითარცა *ტრედი*, ეგრე ვღუმინევდ“ (I, ეს. 38, 14); „იწყო გამოსხმად, რომელნი ჰყიდდეს *ტრედებსა*“ (ლ. 19, 45); „ღრმად მეცნიერ იყვენით, ვითარცა გუელნი და ერთგულ, ვითარცა *ტრედნი*“ (Ath. – 173r) – ილ. აბულ. **ტრედაკი** მტრედი (კნინ.). ტრედაკო ჩემო (იპოლ. ქებ. ქებ. 19, 4; 41, 17) – ზ. სარჯ. მართ ვითა კვერცხი *ტრედისა* (ვეფხ. 1558, 3). *ტრედ* უცხოთ ფრთე (ბესიკი 93, 3). ღმერთმან აღგავსოს გარდამეტებით, ცხვრით, ბროხით, ქათმით, იხვ-*ტრედ*-ბატებით (დ. გურამ. 265, 350, 2). *ტრედების* ახლოს მწყრის ჭუკჭუკი მოისმა (ვაჟა). იყავ, ვით, უმანკო, უფრთხილდი შენსა ხუნდებსა (დ. გურამ.) – ქეგლი. „*ტრედი*, ოლოლი, ყორანი, ქორი ვიცით“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.) „ბაღჩაშია გადვიხედე, თეთრი *ტრედი* მოგოგამდა“ (ხალხ., ჯავახ. ზედგ.). მთაშიით ჩამამიჩინდა, *ტრედ* მგალობელი-დ მართალი (ალ. ოჩ. 2019, 354). აგრეთვე გურ. ფოლკ.ღლ. 123. || ტრეტი, ტერეტი (დაშქ.). ყმაწილი როცა ენას ვერ ასწორეფს, იტყის ტრეტი (მარტყ., ფერეიდ. ჩხუბ.).

გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *ტრად-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1938.

საშ. ქართ. II. **ტრედი** ხრახნილი, ქანჩი (ნ. ჩუბ.).

ტრელ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტრელი** 1. მზაკვარი. კაცი მოგჳ და *ტრელი* (ქ. ცხ. II, 13, 8). || ერთს პირსა და ერთს საქმეზე(დ) დაუმდგარი (საბა). სოფლის ნადიმთა მჯდომელი სოფელსავითვე *ტრელია* (ქილ. 385, 11). არ სიტყვით და არა *ტრელით*, არ იქი-აქ მოდებითა (არჩ. 737, 4). აქუნდა *ტრელი*, სურვილი და სიყუარული თამარ ღმრთივ-განათლებულისა (ქ. ცხ. II, 62, 8). 2. ძვ. პირფერი, მლიქვნელი. 3. (ფშ. ხევს.) ლაჩარი, მშიშარა. „ვინ თქვა

დღედასაბნელებმა, ვითომ *ტრელია* შიშნია! (ვაჟა) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ხორნ., ხევს. ჭინჭ. || მტრელი ძვ. აზრებით მტრელს, ძმის დამჩაგვრელს მრუდე ჰქონდა გზა და კვალი (აკაკი) – ქეგლი. აგრეთვე იმერ. გაჩ.

ს.-ქართვ. *ტრ-ელ- „თამაში; ფერება“ > ქართ. ტრ-ელ-ი, ტრ-ელ: სვან. ტრ-ელ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. II. **ტრელი** [იტალ. trello] მუს. ძირითადი ბგერისა და ზევითა დამხმარე ბგერის სწრაფი და მრავლგზისი მონაცვლეობა. მელოდიური შელამაზების ერთ-ერთი სახე – ქეგლი.

ტრუს-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ტრუსი** «მატყლის წვის სუნი» (საბა), – ნატისუსალი. ატყდებოდა თუ არა სადმე ახალგაზრდებში ტრფობის ცეცხლი, ეს [თიმსალმაკო] მაშინვე, თითქოს *ტრუსის* სუნი ეცაო, იქ გაჩნდებოდა და დაატრიალებდა ჯარას (აკაკი) – ქეგლი. || ტუსვა «თმათ წვა» (საბა), – იგივეა, რაც ტრუსვა, რუჯვა. ტუსავს [თურქ. tüs კვამლი] ტრუსავს (ხევს. ჭინჭ.). ტრუს-ფუძიანი სიტყვები სხვადასხვა ფორმებით და სემატიკური გადაწევით დასტურდება ახ. ქართულში. ცეცხლით შეტრუსოდა ტანისამოსი, მუხლისთავები და ხალათი შემოფლეთოდა, სახე და თმაცშეეტრუსა ცეცხლს (გრ. ჩიქ.). მას შეიძლება ტანი შეტრუსულ ქათამს მიუგავდეს (კ. ხიმშ.). ახლაც მიკვირს, ეს გატრუსული კნაჭა, ეს ჩხინკი, ჭორფლიანი გოგო (არჩ. სულაკ.) – ქეგლი.

ფ. ნაისერი ტუსვა და ტრუსვა სიტყვებს დუბლეტებად მიიჩნევს და თვლის, რომ ტუსვა უფრო ძველი წარმოშობისა უნდა იყოს (ნაისერი 1953: 32). აღდგენილია ს.-ქართვ. *ტუს-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. II. **ტრუსი** [ინგლ. trousers შარვალი] მოკლე ქვედა საცვალი. აგრეთვე სპორტული ან საცურაო შარვალი. საბანაო *ტრუსი* სწრაფად ჩავიცვი და სველ სილაზე გავედი (რ. ინან. ჯაფ.185, 5).

ტუზ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ტუზი** 1. კიკო სათამაშო ქაღალდში – დ. ჩუბ. || [რუს. туз] იგივეა, რაც კიკო. ჯვრის ტუზი. – ყვავის ტუზი. – სამჯერ ვითამაშე და სამჯერვე ისეთი *ტუზები* მომივიდა, რომ მთლად გავანადგურე მოპირდაპირენი (ი. გედევ.). 2. ძვ. გადატ. დიდი თანამდებობის პირი, გავლენიანი ადამიანი. ადრე დასცინოდა *ტუზებს*, დღეს თვით დაუღია ხახა და უსაქმოდ ყლაპავს ბუზებს (აკაკი). [იასონმა] ერთ დღეს დედის შეგინებისთვის ლაზათიანად მიბეგვა კანცელარიის ერთი *ტუზი* (ე. ნინოშ.) – ქეგლი. **ტუზი** (რუს.) ტუზი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. II. **ტუზი** [თურქ.] მარილი. „ბიბერ წავაყრით *ტუზსა* და მუამწყრევთ ბასხში“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.).

ტუია:

დიალექტ. I. **ტუია** იგივეა, რაც ტუგია. „ჩვენი *ტუია* მგელსაც მეერევა“. ნაგაზის (ზოგჯერ ზოგადად ძაღლის) გავრცელებული სინონიმებია „ცუგა“, „ცუგო“ და (თუშური) „ტუგა“, „ტუგო“ („ვიკიპ“.). || **ტუგია** ძაღლი (ბავშვის ენაზე). „მამამ ერთი პატარა ტუგია მამიყვანა“ (გ.-კახ. სახლთხ.). ტუგნაი ძაღლის ლეკვი (ინგ., ჯან., ღამბ.). || ტუგრია ლეკვი. ტუგი! ლეკვის მოსახმობი შეძახილი (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. II. **ტუია** [ბერძ. thya] [Thuja] ბოტან. მარადმწვანე დეკორატიული ხე (ზოგჯერ ბუჩქად ზრდიან); აქვს წვრილი ქერქლისებური ფოთლები და მომრგვალო რბილი გირჩები. ყანჩა აფლატუნდა, თოვლი ააფორიაქა და *ტუიების* ღობეში შეიყუჟა, (რ. ინან.) – ქეგლი.

ტუკ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტუკი** 1. [სომხ.] წლის წიდნა – დ. ჩუბ. ერთი წლის გადაწიდნული ვაზის რქა, – ლერწი (ქეგლი). || ერთი წლის წიდნა. წრეულ რო წიდნას გავაკეთებთ, მამავალ შემოდგომაზე ვეტყვით მაგ ვაზსა *ტუკსა* (ლამ.). შარშანდელი წიდნა მეორე წელიწადს *ტუკია* (მჭად.). 2. ვაზის მოკლე რქა, ნეკი. ნეკსა *ტუკსაც* ეძახიან, ორ-სამ კვირტს რომელსაც უტოვებენ (ძეგ.); რქას ნუ მისცემ, მარტო *ტუკზე* დააყენე! (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.). || **ტუკი**, **ტუნკი** ვაზი. ტუნკი ვაზი დანეკილი ვაზი (ქიზ. მენთ., რაჭ. ფრ.).

ახ. ქართ. II. **ტუკი** მსხვილი კეტი (ხმარობენ სიმინდის, ლობიოს დასაცეხვად და სხვ.). «წამოვალთ თოხებით, ცელებით, *ტუკებით*» (დ. შენგ.). დავიდოვი... ერთ ქალს ხელში სწვდა, ტირიფის *ტუკი* წარტაცა, მუხლზე დაიკრა და გარდატეხა (ა. ჭუმბ. თარგმ.) – ქეგლი. აგრეთვე: ვ. ბერ., გურ. ფოლკ.ღლ. 136. **სატუკი** || **სატუკავი** || **სატუკელა** ლობიოს, კარტოფილის. . . დასასრესი, მოსატუკავი. (ფშ. ხორნ., რაჭ. ფრ., კობახ.). **ტუნკი** კომბალი; დიდი ჯოხი ზან. (მეგრ., ელ., ბოჯგ.).

ახ. ქართ. III. **ტუკი** [რუს.] სოფ.-მეურნ. მინერალური სასუქი – ქეგლი.

დიალექტ. IV. **ტუკი** ერთი შეკვრა თივა (იმერ. გაჩ.). **დატუკვილი** [რუს.] ტუკებად ფუთებად შეკრული, – შეფუთული. „დატუკვილ თუთუნს წერტში ვაბარებთ“ (აჭარ. ნიჟ.).

ტუმარ-ი

დიალექტ. I. **ტუმარი** სტუმარი. *ტუმარი* ხთისააო (ზმ.- რაჭ. კობახ.). სტუმარი > ტუმარი. თავკიდური ს დაკარგულია.

დიალექტ. II. **ტუმარი** ტომარა; საწყაოა, უდრის ოთხ ფუთს (ინგ., ქართ. დიალექტ., 524). || **ტუმარაი** (საინგ. მრეწ. IV, III, 183). მ-ს გავლენით ო-ს დავიწროება (ნაწილობრივი ასიმილაცია) ტუმარაი/ე (გურ. იმნ.). **ტომარე** || **ტომარა** დიდი საწყაო მარცვლეულისა და ფქვილისა (ასი კგ. ტევადობისა) ზან. (მეგრ. ქობ.). **ტომარაი**, **ტუმარაი**, **ტომარაი** (სვან. თოფ., ქალდ.).

ტუმბო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტუმბო** (ფშ. ხევს.) მორევი. როგორც ნაპირას დამფრთხალი კალმახი მოხვდეს *ტუმბოსა*, იქ ორაგული დაუხვდეს, ეცეს და გადაყლურწოსა (ბაჩ.). «თუ ხე მოჭრილი იქ გაუქანდა, ველარ ამოიტანენ, ისეთი დიდი *ტუმბო* ბრუნავს წყლისა» (ბ. გაბ.) – ქეგლი. აგრეთვე ხევს. ჭინჭ., შან. || **ტუმბორ** ღრმული წყლის ქვეშ. „ერთ *ტუმბოში* წავსც (ჩავკარი) ფეკრ, დამეშინ“ (თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ტუბ- „მორევი“; ღრმა ღელე (ჩუხუა 2008: 96).

სამ., ახ. ქართ. II. **ტუმბო** (ოსმ.) წყლის ამოსაწოვნელი სოლინარი. – დ. ჩუბ. || ტექნ. მანქანა, ხელსაწყო, რომლითაც რასმე (სითხეს, გაზს...) ამოიღებენ, ამოქაჩავენ საიდანმე ან ჩაუშვებენ, ჩაჭირხნიან რამეში. სახანძრო ტუმბო – ქეგლი. შდრ. **თულუმბა** [თურქ.] ტუმბო, პულვერიზატორი, საპკური. „*თულუმბაში* მაქინასი ჲაღია და დაჲაღე კარქა“ (თ. ქ., ჩვენ., ფუტკ.).

ტუნელ-ი:

დიალექტ. I. **ტუნელი** [ინგ. ტუნნელ] გვირაბი – ქეგლი. || (tünel) გვირაბი. „ბაზგირეთში *ტუნელი* გოუკეთებიან, მადენია იქა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ტუნელი** [რუს.] გვირაბი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. II. **ტუნელი** ტუმი, შავი მიწა, კარგი ნიადაგი, უხვმოსავლიანი (ფშ. ხორნ.). || **ტუმი** (ფშ. ხორნ., გოგატ.). || ტუმაჲ (ინგ. ღამბ.). || ტუმნა (ხევს. თავისებ. 196, 21). **ტუმ** ძვლის ტვინი (წოვა-თუშ. ქადაგ.). შდრ. II. ტინი.

არ გამოვრიცხავ, იმასაც, რომ სიტყვა ტუნელი წარმომავლობით დაკავშირებული იყოს მტვერთან. გ. კლიმოვის აზრით, ქართ. მტუერ-, მეგრ. ტვერ-, ლაზ. მტვერ ფორმებს უკავშირდება სვან. ტუი, მიწა“ (ЭСКЯ, 138, ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ტუნტულ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტუნტული** უმიზნოდ, უსაქმოდ აქა-იქ სიარული, ხეტიალი, – ტანტალი, წანწალი. თვითონ ზაალს-კი არ უყვარდა აქა-იქ «*ტუნტული*»... ყოველგვარ წვეულობაზე და ლხინზე (ეკ. გაბ.). ქარსა ჰკითხავდა დედა: «შენ *ტუნტულს* როგორ ბედავ? სად ეთრიე ამ სამ დღეს?» (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქართლ. იმერ., ქიზ., ქსნის ხ. იხ. I. ტანტალი. ტუნტული, ნატუნტულევი? (საბასთან განმარტების გარეშეა).

დიალექტ. II. **ტუნტული** რბილი სატანი ყველი (ხევს. ჭინჭ.). მიგვაჩნია, რომ ტუნტული < დონდოლი; შდრ. ხაჭაჲ დონდოლი რბილი (რძიანი) ყველი: ათი ესე ხაჭაჲ დონდოლი შეართუ ათასის-თავსა (I მეფ. 17, 18) – კ. დან. იხ. I. დონდოლო.

ტუნტურ-ი:

დიალექტ. **I. ტუნტური** ხეტიალი, წანწალი (ფშ. ქეშიკ.). იხ. I. ტანტალი.

დიალექტ. **II. ტუნტური** მუშტის ქნევა მუქარით (ქსნ. სომხ.). I. ტურტური.

ტურ-ი:

ახ. ქართ. **I. ტური** [ფრან. tour წრე] 1. წრის შემოვლა (ცეკვის დროს). «ნება მიბოძეთ, თქვენთან ერთი *ტური* ვალსი შემოვუაროო», – თქვა მან (ა. ეკ.-ხოშტ.). 2. რაიმე სპორტული შეჯიბრების (მაგ., ფეხბურთში, ჭადრაკში...) ნაწილი, რომლის განმავლობაშიც გათამაშების ყველა მონაწილეს თითოჯერ უწევს თამაში. 3. გადატ. არჩევნების ერთ-ერთი ეტაპი (მრავალსაფეხურიანი საარჩევნო სისტემის პირობებში) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ტურ** 1. კოპი, ამონაბურცი (დაცემის შედეგად); **ტურ შიბ** მკაფიოდ ამონაბურცი ამოქსოვილი ზოლი წინდაზე. მოქსოვნაში *ტურ* შიბი თოლევს დუდრუანა ომოჰტანენ, (მოქსოვისას *ტური* შიბის თვლებს დიდზე ამოუყრიან); 2. ფორეჯი ან მუწუკისებრი გამონაყარი კანზე. ააყრუვარ ტურ ჩემ ქელლაჲთი (ავიძრობ მუწუკს თავიდან). 3. იგივეა, რაც კოლტ. ჰმელ ხაშ რამ (ხაში და მისთანა) თუ გაოურევიაყ ცომში ან კაჲგორა (კარგად) ვერ მოუზელიაყ ცომ, *ტურ* დგას შიგ, *ტურევ* კეჰტევ (არის); 4. იგივეა რაც დუგუშ [დუჲუშ] ნუჟრი, კორძი ხისა (ინგ. ღამბ.); აგრეთვე **ტურ** (ინგ. როსტ.). კრამიტის გასაკეთებელ... ტალახის გუნდას სდებენ რკინის ყალიბში... ერთ მხარეზე უკეთებენ პატარა *ტურსაც* (ბორცვს) (საინგ. მრეწ. I, 132).

ტურა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I.ტურა** [Canis aureus] ზოოლ. მომცრო ტანის მტაცებელი ცხოველი (მაღლისებრთა ოჯახისა). და ვა თუ შეგჭამონ ფრინველთა, *ტურათა*, ანუ მგელთაო! (შჰნ. I, 786, 4). მგელს მგლობა ერქვა, *ტურამ* ქვეყანა ამოაგდოო (ანდაზა). სამწყსოს უმწყემსოდ მავალსა შეჭამს ტურა და მგელიო (ანდაზა). «ვისაც ჯარი არა ჰყავს, იმას ლომი რად უნდა, *ტურებიც*-კი შეჭამენ» (მ. ჯავახ.) – ქეგლი. *ტურაჲ* იზრ̌ვ(ის) ამბობენ, როცა მზიან დღეში წვიმს (ინგ. ღამბ). **ტურა ტურა** ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ტურა** ჯადოქარი. „როკაპი *ტურების* უმფროსია თლათ“. შდრ. **ტურაქვანქვალე / ტურაქვინქვილე** ავი თვალის მქონე, ეშმაკ ადამიანზე იტყვიან. „მართლა ტურა-ქვანქვალიეა მაი, სად დეინძუება ვერ გეიგებს კაცი“. „დიდი ტურა-ქვინქვილეა მაი, ორასწლიანია“ (საჩ. შარაშ.).

დიალექტ. **III. ტურაჲ: ტურაჲ ბაშმაყ** ქალის ძველებური ფეხსაცმელი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **IV. ტურაჲ: ტურაჲ დანაჯჩოვ სხალ** გარეული მსხლის ჯიშია უწყლოა და მახრჩობელა (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **V. ტურაჲ: ტურაჲ ცახ** მწვანე ფერის ცახია ერთგვარი. იყენებენ აბრეშუმის ჭიის შესაცახავად. – ლამური სატაცური (ა. მაყ., ინგ. ღამბ.).

ტურტურ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტურტური** რისამე (ჯოხის...) უშნოდ ქნევა; მოღერება – ქეგლი. „მუშტს ცხვირწინ *მიტურტურამდა*“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე ქიზ. მენთ. შდრ. ტუტური გაუფრთხილებლად ტრიალი ხელში ცეცხლმსროლელი იარაღისა: ნუ გიყვარს მაგ ლივერველის (რევოლვერის) ტუტური, შეინახე (იმერ. ქავთ.).

ტუნტვრ-ა < *ტუნტურ-ვ-ა (რტ) „ხელის რამიმე უცებ ჩაკვრა“. შდრ. ა-ტუტურ-ებ-ს (სანიკიძე 1976: 57). აღადგენენ ს.-ქართვ. *ტურ- არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ტურტური** ჩურჩული, ბუტბუტი. ამზადდენ მათზედ სალაშქროდ არ ცუდ- სომხურად, ტურტურად (არჩ. 378, 916, 3). || (ფშ.) «დავჯდებნი ვაინაჩრობით, ვიცი ლოცვების *ტურტური*» (ვაჟა). || ტუტუნი ჩუმი, გაურკვეველი ლაპარაკი, – ბუტბუტი, ჩურჩული (ჩვენ. ფუტკ.).

ტუსია:

დიალექტ. I. **ტუსია** სუსხიანი, ცივი (ამინდი...). **ტუსია დღე** ზამთარში იციდ (წილკ.). დღედ ძაან *ტუსია დღე* დაღამდა, ერთი ნიმუტი ვერა ვძლემდი გარეთა (წილკ.); აქვე *ტუსავს* ყინავს, სუსხია. რო ცივა მაგრათა, რო ყინამს, მაშინ ვიტყვით, *ატუსამსო* (ლამ.). მშრალი ყინვა არის, *ტუსამს* (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). ტუსია სასუბიექტო მიმღეობაა და გადატ. მნიშვნელობით მომდინარეობს სიტყვისაგან ტუსვა «თმათ წვა» (საბა), – იგივეა, რაც ტრუსვა – ქეგლი.

აღდგენილია არქეტიპი *ტუს- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ტუსია** მორიდებული, მოკრძალებული. თითქო უწყრება ვისმეო, ისე არი ტუსია ადამიანი, ცალკე დადის აბუზულივითა (სალ.); აგრეთვე კავთ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ტუზვა ფარვა – საბა. **ატუზული** რამესთან ან ვინმესთან მხრებში აწურვით, მორიდებით მდგომი – ქეგლი.

ტუტურ-ი:

დიალექტ. I. **ტუტური** ტუჩები, ჩარბები, ბაგეები. „თავის ქონით ყურდგლის *ტუტურს* სწვავდენო“ ანდაზა) (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ტიტვირი მვ. ტუჩი (საბა).

დიალექტ. II. **ტუტური** ტურტური, – ღერება, წინდაუხედავად ტრიალი იქით-აქეთ: „დანის *ტუტური*“; „ხელების *ტუტური*“; „ნუ ატუტურებ მაგ ლივერველს, საშიშია!“ (იმერ. ქავთ., გაჩ.). იხ. I. ტურტური.

ტუფ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ტუფი** ბოსტნის კვალედ(ნ)ი ყვერბი – საბა. || მვ. ბოსტნის კვალი – ქეგლი. || **ტუფე** ბოსტნის პატარ-პატარა კვლები. „ორი *ტუფე* ქინძი დავთესე“ (ად.); „ბოსტანში *ტუფიები* დავაკეთე“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. ტუფი** [ლათ. tofus ტოფუს-იდან] გეოლ. ვულკანური ან დანალექი ქანების მსუბუქი, ფოროვანი სახე; ხმარობენ საშენ მასალად. არტიკის ტუფი – ქეგლი.

ტუშ-ი:

ახ. ქართ. **I. ტუში** [გერმ. Tusche] სპეციალურად დამზადებული, შავი ან ფერადი, წყლის გამძლე საღებავი. ქაღალდს არ ჟღენთს და მალე შრება; იხმარება ხაზვასა და ხატვაში, ზოგჯერ – საწერადაც. წარმოდგენილია ჩინებული სურათები, შესრულებული ზეთითა და ტუშით («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. საღამოობით ის მთა შავი ტუშით დახატულს ჰგავდა, განსაკუთრებით მისი აწეულ-დაწეული და დაკბილული თხემი (რ. ინან.).

ახ. ქართ. **II. ტუში** [გერმ. Tusch] 1. მოკლე მუსიკალური მისალმება, რომელსაც ასრულებს ორკესტრი. ეს საერთო ხმაურობა მალე დაფარა სამხედრო მუსიკის გახურებულმა *ტუშმა* (ი. ეკალ.). ფიგურ. არაგვიც გვალხენს ლაღობით, გაჩაღებულის *ტუშითა* (ვაჟა). 2. ლხინში საზეიმო სადღეგრძელოს შემდეგ მუსიკის დაკვრა. „პირდაპირ მეზურნეები გრძნობის ამმვრელნი *ტუშით* (ვაჟა) – ი. გრიშ.

ახ. ქართ. **III. ტუში**: იხ. I. ტაში. ტაში-ტუში. ქალი... გვის და სულ ცეკვავს. საჩეჩელთან ზის და იქაც- ტაში-ტუში, ტაში-ტუში, აყოლებს ხელებს (რ. ინან. ჯაფ. 250, 10).

ტყირპ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ტყირპი** 1. [ტალაღ] E.; ფიწიელ – საბა. *ტყირპი* გასივდების და გაიზდების (იადიგ. 101, 3). || ელენთა. [გვადის] მალე ქოშინი აუვარდა და ხელი *ტყირპზე* წაივლო (ლ. ქიაჩ.). «ამ *ტყირპს* რომ მოვირჩენ, უფრო იოლად წავალთ» (ლ. ქიაჩ.). 2. არანორმალური კანქვეშა წითელი პიგმენტაცია სხეულის რომელიმე ნაწილზე. უარესად დაწითლებოდა თებრონიას... *ტყირპი* (კ. გამს.) – ქეგლი. || ტყირპ (ინგ. ღამბ.). || **ტყირპაი**(მოხ. ქავთ). || ტყრიპლი (აჭარ. ნიჟ.); || ტყიპა (ფშ. ხორნ.). || **ტყირბი**: „ირემი, რომელსა ცემულ არნ ისარი *ტყირბსა*“ (M,იგ. სოლ. 7, 23) – ქეგლი. **ტყრიპი** ელენთა, ტყლირპი ზან. (მეგრ. ელ.).

ს.-ქართვ. *ტყირბ- „ტყირბი, ელენთა“ → ქართ. ტყირბ-ი || ტყირპ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ტყირპი** იგივეა, რაც ტყლინჭი. არ იჭმევა, ისეთი *ტყირპი* პური გამოცხვა (მეგ., ქართლ. ლექს.). აგრეთვე ალგ. სალ. || ტყლიპნი, ტყლირჭი გამომცხვარი პური გულგამოუმშრალი, ცომოვანი. ტყლიპნა ცომის უშნოდ ზელვა (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ტყიპი უხეირო, გლახა, უვარგისი (ლეჩხ. ჩიქ.).

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ განხილული სიტყვა წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც მ. ჩუხუას მიერ აღდგენილი ს.-ქართვ. *ტყ-ებ- „მიწებება“ → ქართ. ტყეპ- (ჩუხუა 2000-2003).

უ

უბარ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **უბარი** 1. უზრახი (საბა), – ვინც არ ელაპარაკება ვისმე; მომდურავი, უმძრახი (ქეგლი). ამჟამად მას მეცნიერნი არ-სად არა ჰყავს *უბარი* (არჩ. 183, 33, 2). უბარ-: უბრება: არ ბაგენი *აუბარნა* (ვეფხ. 163, 3). || მომდურავი. (მთელ ზემო იმერეთში იხმარება). ჩვენე სამძღვარზე ლაპარაკი ქვქონდა, თითქმის *უბარი* ვიყავით (ხიდარი); ხუთი თვე არი, მათიკო და თინაი *უბრებია* (წაქვა, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: გურ. შარაშ., ფშ. გოგატ.

უბრად ზმნს. დალაპარაკების გარეშე; უმძრახად. ◊ **უბრად არიან** ერთმანეთზე ნაწყენი არიან, ერთმანეთს ემდურებიან, არ ელაპარაკებიან. ◊ **უბარი წყალი** ძვ. ეთნ. რაიმე რელიგიურ წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებით დილას სიტყვის უთქმელად აღებული წყალი – ქეგლი. 2. **უბარი** ცუდი, უვარგისი, მიუღებელი, დაუშვებელი. „უბარი *სიტყვები* ბევრი ვიცით, მარა არ გებნევით“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „*უბარი* საქმე დემემართა შენ გიგიმჟღავნებ, და, თევზე უნდა ვქნა“ (აჭარ. ნიჟ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბან- || *ბარ- „ფიცი, თქმა“ → ქართ. უ-ბან- → || უ-ბნ-, უ-ბარ- || უ-ბრ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **უბარი** 1. მიწა ჭურის თავზე დაგლესილი აყალოს შემდეგ დაყრილი ფხვიერი მიწა. ჭურს დააყარე *უბარი* მიწა (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.). 2. უვარგისი (ადგილი). „*უბარი* ადგილები ბითევი გავტეხეთ და ყავაღი დავარგეთ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „სათიბების ფართობი სოფლის ახლო-მახლო შესამჩნევად იზღუდებოდა და ფაქტიურად უვარგისი... *უბარი* ადგილები ეთმობოდა“ (ვ. შამ., აჭარ. ნიჟ.).

უ-ბარ-ი: უ-პრეფიქსი. ბარ-ბირი; იხ. I. ნაბარი.

საშ. ქართ. III. **უბარი** უტოლო, უცალო, უმაგალითო, უბარობა უტოლობა – დ. ჩუბ. შდრ. უებრო (რომელსაც მსგავსი არა ჰყავს, ვისაც ტოლი არა ჰყავს) – ქეგლი.

უბირ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **უბირი** 1. უმეცარი და უცნობი კაცი – საბა. || უვიცი, უმეცარი. უსწავლელ, *უბირ* კაცს არავითარი მზამზარეულად შედგენილი აზრი არა აქვს (ვაჟა). 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი (სიტყვა, ლაპარაკი...). «ნუ შემრისხავთ-კი, თქვენი ჭირიმეთ, თუ *უბირი* სიტყვა მომივიდეს» (ი. ეკალ.). 3. (ფშ.) უშნო, ულამაზო, შეუხედავი. ჯაღალა თვალად *უბირი* იყო (ვაჟა) – ქეგლი. ჩემი დის ქმარი, *უბირი, უბირობით* თვალებდაჭყეტილი, სხვა სოფლებში დაიარებოდა დღიურ სამუშაოზე ბარით (რ. ინან.კეთ. 104, 4).

უბირი მდუმარე, უბრად მყოფი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **უბირი**: **უბირი მიწა** 1. ფხვიერი მიწა, რომელსაც აყალო მიწით დაგოზილ ჭურს ზემოდან აყრიან. *უბირი* ხშირად უნდა დაასოვლო, რო არ გახმეს (რაჭ. კობახ.). შდრ. II. უბარი მნიშვ. 1. 2. *უბირი მიწა*, არ ირყევა (არ იმეწყრება) (ლეჩხ. მრეწ. II, I, 215). 2. მიუვალი, მიუდგომელი ადგილი. *უბირი* ადგილია, რასა ვხმაროობ, უვარგისია (ძეგ.). 3. ყამირი. ყამირია *უბირი* ადგილია, ჯერ რო არ მოუხნავთ არასოდეს (საგურ.); აგრეთვე ყანჩ. (ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. უბარი მნიშვნ. 2.

დიალექტ. III. **უბირი** კერძი, რომლის მომზადებაც დასრულებული არ არის. უბირი – შაჭმასია, რო გააკეთებენ, ბოლომდე არ მომზადებული შაჭამანდი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. უგბილი, უგბოლველი ძვ. უმი, მოუხარშავი (ქეგლი).

უვადო:

სამ., ახ. ქართ. I. **უვადო** უპაემნო – დ. ჩუბ. ვადის არმქონე, – დროის მხრივ განუსაზღვრელი. || სამუდამო. უვადო პასპორტი. – ზოგ მათგანს ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ *უვადო* კატორღით შეეცვალათ (ი. გედევ.) – ქეგლი. უ-ვად-ო: უ-ო აფიქსები; ძირი ვად-. ვადა [არაბ. ვა'და–დაპირება; დრო] დროის განსაზღვრული მონაკვეთი – ქეგლი. **ვადა** [არაბ.-თურქ. vaat] ვადა ზან. (ლაზ. თანდ.).

სამ. ქართ. II. **უვადო**: **უვადო ხმალი** ჩერქეზული ხმალი – დ. ჩუბ. უ-ვად-ო: ძირი ვად-; ვადა ხმლის ჯვარედი – საბა. უ-ო უქონლობის კონფიქსი.

უთხოვარ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **უთხოვარი** მცენ. საჯი, ურთხლი, ურთხმელი – დ. ჩუბ.; კახ., ფშ., ხევს. – ა. მაყ. || ნაძვის მსგავსი წიწვიანი მცენარე. „ფიჭვის, ნაძვის, *უთხოვრისა* და ღვიის ხეები სასიამოვნო მწვანე ხაოთი არიან შემკულნი ზამთარ-ზაფხულში“ (ბ. „ნაკ.“-ქეშიკ.). უთხოვარი (ურთხელი), თამარ მეფემ კარგად იცოდა, თუ რაოდენ ძვირფასია ეს ხე და ამიტომ ბრძანა, ეს ხე არ მოეჭრათ, მაშინაც კი, თუ ამას ვინმე ითხოვდა (ზ. მაყ.). შდრ. ურთხლი (ურთხელი ABCDE) (ხე) ძელი ულპოლველი – საბა.

დიალექტ. II. **უთხოვარი**,-ვნელი, ზედ. არ თხოვნილი – დ. ჩუბ. **უთხოვარი** თხოვა-გარიგების ამორჩეული საცოლე (მოხ., ქართ. დიალექტ., 564). უთხოვარი მიმდეობა: უ-არ აფიქსები; თხოვ- ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *თხოუ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ულაყ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ულაყი** 1. საკიდარი ცხენი, ჯორი და მისთანანი – საბა. || [თურქ. ულაკ «შიკრიკი»] მამალი (ცხენი, ვირი და მისთ.) (საბა, ქეგლი.). ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს *ულაყ* ცხენზე მჯდომი ნელ-ნელა აედევნენ უკან ფეხმძიმე ურემსა (ილია). [ყაზარამ] გაიჩინა ერთი *ულა-*

ყი ვირი (ს. მგალობ.). || მამალი ცხენი. [ზურიამ] სადავე მიუშვა *ულაყს* (მიხ. მრევლ.). პატარა მთიულური *ულაყი* აღმართს მარდად ამოდიოდა (ს. კლდ.) – ქეგლი. 2. ულაყ, ულაღ [აზერ.] უღელში შესაბმელი საქონელი (ხარი ან მამალი კამეჩი). შანამბავ (შესაბმელ) რამეზე ამბოვენ *ულაყ*, ფურს არ ამბენ, ჯარ, კამმეჩ იქნევ ულაყ (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **ულაყი** წუღის კალაპოტი (გურ. შარაშ.). || ულაიღი (იმერ.) «წუღის კალაპოტი» (ვ. ბერ.).

ულურს-ი:

დიალექტ. I. **ულურსი** (ოსმ.) ტომი ბევრი, უთვალავი (ვ. ბერ.). || მრავალი, უთვალავი (ლეჩხ. ალავ.). || თურქთ(ა) ენაა, ბანაკს ჰქვიან – საბა. შდრ. **ულუსი** [მონღ.-თურქ. ულუს] 1. ისტ. ტერიტორია, რომელიც ეკუთვნოდა რომელიმე მონღოლურ ან თურქულ გვარს. 2. ისტ. მომთაბარეთა (მონღოლთა ან თურქთა) ბანაკი. 3. ძვ. გადატ. მონღოლი. || საერთოდ, მაჰმადიანი. «ალაზნის პირზე, გაღმა-გამოღმა, თხუთმეტი ათასი *ულუსი* სახლობს, დიდი და პატარა მეომარია» (აკაკი). [შაჰმა კახეთში] *ულუსები* გადმოასახლა (აკაკი). 4. სოფელი, აული. 5. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იაკუტიასა და ყალმუხეთში – ქეგლი. ვფიქრობთ, ულურსი < ულუსი.

დიალექტ. II. **ულურსი** ციმციმა, მბრწყინავი. ჰბჟუტავს *ულურსი* ვარსკვლავი, ზეცა მოუჭრელებია (ფშ. ქეშიკ.).

უმარილო:

სამ., ახ. ქართ. I. **უმარილო** [თურქ.] **უმარილი**, – «კალის ნაცარი» (საბა), – ვერცხლის-წყალზე ძლიერი მჟავას მოქმედებით დამზადებული თეთრი ფხვნილი; წყალში გახსნილს ხმარობდნენ სახის კანის გასათეთრებლად – ქეგლი. აიღე: გუნდა, ჟანგარა, *უმარილო*, ამათგან სწორ სწორი დანაყე, გაცარ (ქანან. 381, 25). აიღე თეთრი *უმარილო* – ხუთი დრამი (ფანასკ. 335, 6). || უმარული სპეტი L. ჯერენალი B. უმარილი ZA. უმარული B. ტყვი(ვ)ის უმარილი CDE – საბა. აიღე: *უმარული* თუითოსაგან ოთხოთხი დანგი (ქანან. 210, 5). [მაროს] შავგვრემანს პირისახეს ბლომად წასმული *უმარული* უელვარებდა (ეკ. გაბ.). «დედიამ *უმარული* წაისვა» (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

პროგრესული ასიმილაციური ცვლილების შედეგი უნდა იყოს უმარილი „კალის ნაცარი“: ნახევარი სტილი უმარილი (ეკ. ისტ. III, 26, 1795 წ., მაგრამ საყოველთაოდ გავრცელებულია უმარული (ქავთარაძე 1964: 82).

ძვ., სამ., ახ. ქართ. II. **უმარილო** 1. მარილ-უქონებელი (საბა). ჯორცი *უმარილოდ* მალე დალპის [ფშ.-მაკ. 273, 1] – ზ. სარჯ. მშიერი პურსა აქებდა უმსა და *უმარილოსაო* (ანდაზა). «ტყუილი გაგიგონიათ, შვილებო, ... მე იმ სუფრაზე ლობიოს მეტი არა მეჭამოს-რაო და ისიც *უმარილოო*» (აკაკი). 2. გადატ. მიმზიდველობას მოკლებული, – უსანდომო, უეშხო. || ფიგურ.

თუ ზღაპარს, არაკს, იგავს აზრი არა აქვს, უგემურია, *უმარილოა* (ილია) – ქეგლი. უ-მარილ-ო: უ-ო აფიქსები ძირი მარილ-; სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მარილი ძველქართულისეული სიტყვაა. ფიქრობენ, რომ ქართ. მარილი უკავშირდება ლათინურ mare-ს („ზღვა“) და აღნიშნავს „ზღვისეულს“ (იუსტ. აბულაძე 1916: 813).

უმზნეო:

დიალექტ. I. **უმზნეო** „უხასიათო, უზნეო“. უხასიათო ადამიანი რო იქნება, იმაზე იტყვიან, ძიენ *უმზნეო* ადმიანი არიო, *უმზნეო* ადამიანია უხასიათოო (ქართლ. ლექსიკ.). უხასიათო ადამიანი რო იქნება არც არაფრი გამკეთებელი და ვერც ვერა ადამიანი ხასიათს ვერ მაუწყობს იმას, იმაზე იტყვიან, ძიენ *უმზნეო* ადამიანი არიო (ქართლ. მესხ.). შდრ. **ზნოანი** „ცუდი თვისებისა, ქცევისა“. „ესე კარაული, მამაო, ზნოანი არს და ხენეში“ (ეპიფ. კჯპრ. 93, 16). აგრეთვე: უზნეო, უზნეური, უზნაური, უზნოური (ქეგლი, გურ. შარაშ., აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. II. **უმზნეო** 1. უწყინარი, უვნებელი. ჭკვიანი კაცი რუ არი, უწყინარი, ამითანა კაცსა ეძვიან *უმზნეო*; ე შაქრაჲთანა *უმზნეო* კაცი არ იყო ამ სოფელშია და მაგაზე უბედურათ კი არავინ გადაიარა (ქართლ. ლექსიკ.). 2. შრომისმოყვარე, ჭკვიანი. კარგაჲ როა და არაფერი ტკივა რა, ის არის *უმზნეოი*. ჭკვიანი რო არის, მშრომელი კაცი, კაი კაც მიეთვლება ისა ზარმაცი არ არის (ქართლ. მესხ.). იხ. I. ზნე.

ურდუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ურდუმი** 1. (რაჭ.) «ბოსლის სარკმელი ნეხვის გადასაყრელად» (ი. ჭყ.). 2. საყვავე (კირ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ურდუმი** ღრმა, ბნელი ღელე. „უბედური *ურდუმი* ღელეა, მეზარება ნემეტანი მაქანე ჩასვლა, შენახვთომი იცის“ (საჩინ. შარაშ.).

ურნალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ურნალი** (იმერ., რაჭ., ლეჩხ.) ბოტან. ბალახია ერთგვარი. აქვს წვრილი ღერო, ზემოთ თავთავისებურად განტოტვილი. საქონელს ძალიან სწყენს (ქეგლი, ვ. ბერ., ა. მაყ., პ. გაჩ.).

ახ. ქართ. II. **ურნალი** ტექ. ბოძების მიწაში ჩასარჭობი მანქანა, რომელიც წარმოადგენს მაღალ ჩარჩოს მოძრავი უროთი – ქეგლი.

ურუბა:

დიალექტ. I. **ურუბა, ურბა** [თურქ., ფრანგ.-იტალ. la robe, ruba] ტანსაცმელი, ტანისამოსი. „ვისაც ჩვენი მეფე ეომება, რაფერი *ურუბა* აცვიანო“ (ა. ზეპ.). „*ურუბა* შეწყობილია მათ ლამაზ ტანზე“ (მან., შავშ. ლექსიკ.); აგრეთვე იმერხ. მარი. „*ურუბები* მეგვეც, ჩევცუათო“ (ედ.); „კდრის *ურბებ* მიბარები დღეს გარცხიან“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. II. **ურუბა** საჭმარი საზიდარი, ბარგი [თურქ. რობა] – საბა.

ურჩხ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ურჩხი** 1. ნაწლავი. ხოლო უკუეთუ მკურნალობისა რაიმე მოღუაწებაჲ იქმნას მათთჳს და თელგისმჭამელი რაიმე წამალი მიეცემის და შეკრებული იგი *ურჩხთა* შინა სტომაქისათა გაჲითხიოს და წარირღუნას [Ost.= 3 88r, 1-10b] – ზ. სარჯ. || უკანა ნაწლევი – საბა, ქეგლი.მრავალ-ურჩხი: მრავალ ნაწლევი – საბა....არა უქმად მდებარე არიან ცხოველთა შორის ქუსეტნი და იჴუანჩნი, და *მრავალ-ურჩხნი* და წელ-სხჳლნი... (ექუს. დღ. 110, 9). 2. ყველის დედა (ქსნ. სომხ.).

არქეტიპია ს.-ქართვ. *ურჩხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. ურჩხი** საქონლის ავადმყოფობაა. ურჩხი ორგვარია: *დედალი ურჩხი* და *მამალი ურჩხი. მამალი ურჩხი* არ რჩება (პერევი). *ურჩხი* საქონლის ავადმყოფობაა, შარდავს სისხლს (ხევი, ზ.-იმერ. ძოწ.).წყევლა: „ვაი, შენ და *ურჩხი!*" „გაგიჩთა *ურჩხი*, რა გაბღავლებს!" (იმერ. გაჩ.). იხ. II. უჩხი.

დიალექტ. **III. ურჩხი** ურიშა, – ბალახი ერთწლიანი სარეველა ბალახი, „სიმინდის ფოთლის მსგავსი ფოთოლი აქვს და ფეტვისებური თავეული, იხმარება საქონლის საკვებად" (ქართლ., ზ.-იმერ. ალ. მაყ.). || ურჩხა სარეველა ბალახი ერთგვარი, – ბურჩხა (რაჭ. კობახ., იმერ. ქავთ., გაჩ., ზ.-იმერ. ძოწ. || ღვირიშა ურიშა ბალახი, ბურჩხა (იმერ. ქავთ.).

საშ. ქართ. **IV. ურჩხი** ძვ. გაუწყობარი, უგემური – დ. ჩუბ. იხ. I. უჩხი.

ურწან-ი:

დიალექტ. **I. ურწანი** ბოტ. იგივეა, რაც ურძენი, უზანი. *„ურწანის* ქოხებს აკეთებენ მთაჩი" (მოხ. ქავთ.).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *უზან- „უზანი" და მიუთითა, რომ დენდრონიმი უზანი ფუძეენური ეტიმოლოგიის მქონეა და წონადი შესატყვისები ეძებნება სინდურ ენებში (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ურწანი, ურწანა** საქონელი (ძროხა, კამეჩი, ცხენი...), რომელიც არ მაკდება, – უზვი. *ურწანი* ზაქი ვისა გყავთ, გამიცვალეთ მაკეზე (ხალხ.). ქენქაძემ ერთი ძროხა და *ურწანი* დეკეული დაკლა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || უშვილო ქალი, რომელიც არ ორსულდება. უშვილოსა და *ურწანს* დედაკაცთან დაწვეს (იადიგ. 114, 11). *ურწანს* (დედაკაცზე, ქალზე) ამბოვენ, ზროხაზე არა. ზროხაზე, არდანაზოვ (უზვ) საქონელზე ერამუკ ამბოვენ, ყისირს კი წელანასტენს (წელგანაცდენს) ებნევიან, ყისირ ფურ, ყისირ კამბეჩ, ყისირ ცხორ (ინგ. ღამბ.). აგრეთვე: ინგ. როსტ., ფშ. შან., ხორნ., ჩვენ. ფუტკ., ჯავახ. ბერ., ზედგ., მესხ. ფეიქრ. შდრ. ბურწანი, მურწანი (ქიზ. მენთ., მთ. კაიშ., ჭინჭ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ურწან- „ბერწი, უშვილო" (ჩუხუა 2017).

უსახელო:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **უსახელო:** 1. ვისაც ან რასაც სახელი არა აქვს. – შენ ხარ... *უსახელოჲ* საღებავი [Ath.=79 54v, 13-14]; *უსახელოდ* აქებს ოდენ [Ier.= 9, 76, 28a] – ზ. სარჯ. ცრემლდაუყრელს მე ცრემლს გაყრი, *უსახელო* ქართლის დედა! (გ. ლეონ.). 2. გადატ. სახელგატეხილი, სახელშერცხვენილი. აჰა, უმსგავსო თქვენი საქმენი და *უსახელო* ნამოღვაწარი (ა. აბაშ.). 3. რაზედაც დამწერის სახელი არ არის აღნიშნული, – ანონიმური. აღარ ვაპირებდი აღარსად წასვლას, რომ *უსახელო* ბარათი მომივიდა (აკაკი). 4. ანატ. მენჯის ძვალი. *უსახელო* ანუ მენჯის ძვალი წარმოადგენს რთულ ძვალს («პლასტიკ. ანატ.»). 5. (იმერ.). იხმარება გველის აღსანიშნავად. ◊ უსახელო თითი იხ. არათითი. მარჯვენა ხელის *უსახელო თითზე* აქვს... ვერცხლის ბეჭედი (ნ. ლორთქ.). უსახელოდ ზმნს. სახელმოუხვეჭლად; ცუდუბრალოდ; სამარცხვინოდ. მწვიდობით... გამარჯვებულო გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე *უსახელოდ* მოგეკვლევინე!.. (ილია) – ქეგლი.

უ-სახელ-ო; უ-ო აფიქსები. ძირი სახელ-; სახელისათვის გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა *ძახ- და *ძახე-არქეტიპები (გ. კლიმოვი); *ძახ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). მ. კობაიძე შენიშნავს, სიტყვა სახელ-ი ნაწარმოები უნდა იყოს არა ძახ- ძირზე -ელ სუფიქსის დართვით, არამედ სა- და -ელ აფიქსებით, მისი ამოსავალი ძირი კი უნდა იყოს არა ძახ-, არამედ ხმიანობის გამომხატველი ხ- ძირი, რომელიც დასტურდება ხ-ევ-ა, მახი-ობელ-, მე-ხ-ურ და მე-ხ-ელ ფორმებში (კობაიძე 2014: 46).

ახ. ქართ. **II. უსახელო** რასაც სახელოები არა აქვს. უსახელო კაბა. – წიწმატა უსიამოვნოდ იჩმუჩნება მხრებში და ხმელ *უსახელო* ტყავის კალთებს აფხაკუნებს (ვაჟა). [მაკარს] *უსახელო* ბადე-პერანგი აცვია, გული მოღეღილი აქვს (ს. კლდ.) – ქეგლი.

უსახელო < სახელო; უ-, სა, –ო აფიქსები; ძირი ხელ-. ძვ., საშ., ახ. ქართულში აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება საკელი. აღდგენილია არქეტიპი *ჴელ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

უსტა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **უსტა** [თურქ. უსთა] ძვ. ხელოსანი, ოსტატი (საბა, დ. ჩუბ., ქეგლი). შდრ. უსტაბაში [თურქ. უსთაბაში] ძვ. ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი – დ. ჩუბ. არის ამისი შუა დამხდური და მოწამე... *უსტა* ვარძელა, *უსტა* აბაზა, კალატოზი *უსტა* ათაბეგა (სამ. IV, 233). აგრეთვე: ი. გრიშ., ინგ. ღამბ. || დურგალი. დაამთავრა *უსტამ* მუშაობა და ახლა წავა (გურ. ჟღ., რაცხ. გურ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. **უსტა** || **უსთა** (ზან. ლაზ. თანდ.).

უსტა სპარს. წარმოშობის სიტყვაა [ოსთან] რომელმაც საერთო ქართულში შუალობითი სესხების გზით ოსტატის სახე მიიღო, ხოლო აჭარულში თურქული გაფორმებით უსტა (usta)-ს ფორმით დამკვიდრდა (ნიჟარაძე 1971: 64).

დიალექტ. II. **უსტა** სმენადაკარგულ კაცს ეძახიან, ძნელად რომ გაა-გონებენ ისეთს. „ჰეი, *უსტა!*" (საჩ. შარაშ.). ვფიქრობთ, რომ გადატ. და ბო-ლოკიდური მარცვლის მოკვეცით უსტა < უსტარი. შდრ. ახ. ქართ., დია-ლექტ. უსტარი (ფშ.) ბრმა, უსინათლო (ა. შან.). უსტარი კი ალ. ჭინჭარაუ-ლის აზრით, ფონეტიკური ცვლილებების გზით, ძველქართულისეული „ხედვის, თვალიერების, ყურების" აღმნიშვნელი სტუანავა ზმნიდან უნდა მომდინარეობდეს (ჭინჭარაული 1982: 196-199).

უტარო:

ახ. ქართ. I. **უტარო** რასაც ტარი არა აქვს. უსწავლელი კაცი *უტარო* ცულია და *უტარო* ცულით არა გაკეთდება-რა (დ. მაჩხ.). [მარგალიტას] ხელში... *უტარო* ბარი ეჭირა (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. **უტარე** უტარო ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. II. ტარი.

ახ. ქართ. II. **უტარო** ტარას მოკლებული, – შეუფუთავი (საქონელი). უტაროდ ზმნს. ტარის გარეშე, – შეუფუთავად – ქეგლი. შდრ. ტარა [იტალ. tara, არაბ. ტარჰა-დან «რაც გადაგდებულია»] საქონლის მოსათავსებელი ჭურჭელი ან შესაფუთავი მასალა – ქეგლი.

უშუ:

დიალექტ. I. **უშუ** ბოტან. ხვარხვარა, შოროქნის კატკატო, სილქანი (ქიზ. ა. მაყ.).

ახ. ქართ. II. **უშუ** [ჩინ.] საბრძოლო ხელოვნება. ჩინეთის კულტურა, რომელიც ეფუძნება უძველეს სიწმინდეთა პატივისცემას, უშუს წარმოშო-ბის პერიოდად ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათას წელს მიიჩნევს, იმ პე-რიოდს, როდესაც პრიმიტიულ საზოგადოებაში ადამიანები იბრძოდნენ თვითგადარჩენისათვის („ჩინ. ხელ.").

უჩინო:

მვ., ახ. ქართ. I. **უჩინო** 1. «გამოუჩინებელი», უხილავი, უცნობი, შე-უმჩნეველი, დაკარგული, უჩინარი: „ხართ ვითარცა საფლავნი *უჩინონი*" (ლ. 11, 44); „ვითარცა პილენში განბნეული *უჩინო* იქმნეს" (ფლკტ. 135, 4); – ილ. აბულ. ჩაეხუეწა ქურციკი და *უჩინო* იქმნა (ამირან. 7, 3). 2. ვისაც თვა-ლის ჩინი არა აქვს, – უსინათლო, ბრმა. ერთხელ ერთსა მდიდარსა კარს მიადგა მშიერი, ორივ თვალით *უჩინო*, ჯანმიხდილი, ხნიერი (ი. დავით.) – ქეგლი.

უ-ჩინ-ო: უ- ო აფიქსები; ჩინი ხედვის უნარი, მხედველობა (ჩვეულებრივ, თვალ-სიტყვასთან ერთად. ჩინი ერთ-ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელთა საფუძველზე საერთო ქართველურისათვის აღდგენილია *ჩან-/ჩენ-/ჩინ-/ჩნ- არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. II. **უჩინო** ვისაც ჩინი არა აქვს. ჩვენ *უჩინონი*, ჩვენ *უჩინონი* თქვენ ჩინიანთა ბუზად გგონივართ (ილია) – ქეგლი.

უ-ჩინ-ო: ძირი ჩინ-; **ჩინი** [რუს. чин] რევოლუციამდე. სამხედრო პირთა და სამოქალაქო მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი – ქეგლი. უ-ო კონფიქსი.

უჩხ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **უჩხი** მოუხეშავი, ტლანქი. [მექიმ] ტანი ჰარბად აიყარა და მისი *უჩხი* შეხედულება უფრო შესამჩნევი გახდა (კ. ლორთქ.) – ქეგლი. შდრ. უჩხული ურჩხული „ვეშაპი, სირინოსი“ – ილ. აბულ. ურჩხული (ორჩხოლი თუ ურჩხული E) (მძრომ.) ურჩხული – საბა.

აღდგენილია ს.-ქართვ. *უარცხ → || სა-უარცხალ- „ურჩხული“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **უჩხი** საქონლის ავადმყოფობაა: სისხლის შარდვა იცის (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.). იხ. II. **ურჩხი**.

უცალო:

ახ. ქართ. I. **უცალო** ვისაც ცალი, ტოლი არა ჰყავს. უცალოდ ზმნს. ცალის გარეშე. როდესაც *უცალოდ* დავიარებოდი ქვეყნად, მიყვარდა... ამომავალი მზის ცქერა (ი. ეკალ.) – ქეგლი.

უთითებენ ს.-ქართვ. *ცალ- არქეტიპზე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ., საშ., ახ. ქართ. II. **უცალო** მოუცლელი ZAB. See also: [ცალ ცლ, ცლევინ) – საბა. || მოუცლელი, დაკავებული, გართული: „*უცალო* ვიყავ წყობათაგან“ (ოსკ. 11, 8); „წრაფამან მონაგებთამან *უცალო* ყო და წარწყმიდა“ (მ. სწ. 222, 34) – ილ. აბულ. *უცალო* იყო ხუარაზმელთაგან (ქ. ცხ. II. 180, 17). **უცალოება** შფოთიანი მდგომარეობა, არეულობა: *უცალოებისა* ძლით ვერ დახუდეს დალოცვისა მეფისა დავითისსა (ქ. ცხ. II, 180, 21). *უცალო* ვიყავ, უფრო ღამით დამიწერია, შეუნდოს ცოდვა, ვინც წერის დროს მიგზავნა ღვინო! (გ. ლეონ.) – ქეგლი.

უ-ცალ-ო, უ-ო აფიქსები; ცალ- ძირი, აღდგენილია არქეტიპი *ცალ- || ცლ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

უცუნ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **უცუნი** უცუნა, მცენარეა (ზ.-რაჭ. ა. მაყ.). უცუნი წამალია მრავალძარღვა (კლდეეთი, იმერ. ქავთ.). || უცუნა [Colchicum speciosum] ბოტან. ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა; აქვს მსხვილი ლამაზი ყვავილი, რომელიც შემოდგომის პირზე იშლე-

ბა; შხამიანია, იზრდება ტყეებში და მდელოებზე – ქეგლი. || უცანაყრ ბალახია, ძაღლს რომ აჭამო, მოჰკლავს (თუშ., შან., ცოც.). || უცან უცუნა, მთის შხამიანი მცენარე (ინგ. ჯან., ღამბ.).

დიალექტ. II. **უცუნი** დაუცადი, უდავო, უეჭველი. ფელამუში *უცუნია* ჩემთვის, უეჭველად მაწყენს (ლიჩი); სხმარტლმა იცის ყურის ტკივილი, *უცუნია* (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ნამდვილი, სწორუპოვარი (კლდეეთი, იმერ. ქავთ.).

უხა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **უხა** პურის გამხმარი ლავაშია. ჭამონ: *უხას* პურისა ერიშთა (იადიგ. 254, 32). || გაუღუარი ცომისგან მოზელილი, ცეცხლზე გამხმარი სიფრიფანა პური, – თახახა. უსუსურ ბავშვს რომ ბევრიც ჰქონდეს ... *უხა*, მაინც სიმშილით მოკვდება, თუ რბენი არ გაუხსნეს (ი. გოგებ.). || ძვ. და ეთნ. (ქართლ.) სიფრიფანა ხმელი ლავაში, გამომცხვარი დაშაქრულ რბენი ხმიადივით მოზელილი მაგარი ცომისაგან; შემოჰქონდათ ქორწილში და ურიგებდნენ სტუმრებს, რომლებიც სურვილისამებრ იხდიდნენ სასყიდელს; შეკრებილი ფული პურისმცხობლებს ეკუთვნოდა – ქეგლი. ბუძუთა ბავშვებისთვის აცხობენ *უხას* (ალგ. სალ.). აგრეთვე: მრეწ. III, II: ქიზ. მენთ., გ.-კახ. 43, მესხ. 149, ჯავახ. 162; უხი ზ.-ქართ. III, II, 127., ჯავახ. ზედგ. შდრ. ყურბეული არს ყვერბთა შინა გამომცხვარი უცომო C შაფართხელი D. უხა E, – საბა.

ახ. ქართ. II. **უხა** [რუს.] ახალი თევზისაგან მომზადებული წვნიანი კერძი – მ. ჭაბ. პირველად *უხა* მოგვართვეს, მერე შემწვარი ქათამი და კრემიანი ნამცხვარი (რ. ინან. ჯაფ.197, ქვ.2).

უჯარო:

დიალექტ. I. **უჯარო** ვისაც ხარი არა ჰყავს; გადატ. ღარიბი. დაცინვა იცოდნენ: „რა *უჯარო* კაცივით აიტყდები ხოლმე, დაჩუმდი!" (შდრ. ჯარიანი) (ქიზ. მენთ.).

უ-ჯარ-ო: ჯარი/ხარი მამალი შინაური რქიანი ცხოველი, რომელსაც აბამენ უღელში (შდრ. ბროხა) – ქეგლი. უ-ო კონფიქსი. იხ. I. ხარი.

დიალექტ. II. **უჯარო** დაცინვით უთოფო მონადირე, მრეკავი, სარეკიდან რომ ნადირს ერეკება სახუნდარისაკენ. სახუნდარში მსხდომარენი ესვრიან და ხოცავენ ნადირს (ქიზ. მენთ.). უ-ჯარ-ო; უ-ო კონფიქსი; ძირი ჯარ-; ჯარა || ხარა (ხევს. ფშ.) თოფია ერთგვარი. თოფი წაართვეს ხირიმი, ხარა გადუგდეს სხვისაო (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ხორნ., ხევს. შან.

ფ

ფა:

ახ. ქართ. I. ფა [იტალ. ფა] მუს. მუსიკალური გამის მეოთხე ნოტი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ფა [სპარს. ფაჰნ «განი»; «განიერი»] (იმერ. გურ.) იხმარება რიცხვით სახელებთან მეორე შემადგენელ ნაწილად (ორ-ფა, სამ-ფა...) და ნიშნავს: ფენს, კეცს, -მაგ-ს (ორ-მაგი, სამ-მაგი...) – ქეგლი. ფა 1. წვერი (ძაფისა), ცალი. 2. ბზ., ლშხ. მოდგმა, გვარი. 3. ბქ. წყება, ზოგი (სვან. თოფ., ქალდ.). ფა ერთი ფენა, ღერო, ერთმაგი ზან. (მეგრ. ელ.).

ფაგ-ი:

დიალექტ. I. ფაგი ნასახლარი, ნანგრევი კედლებით (ჯავახ. ზედგ., ბერ.).

ახ. ქართ. II. ფაგი (phagos შთამნთქმელი) რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს მჭამელს, შთამნთქმელს – მ. ჯაბ. ◊ **ბაქტერიოფაგი** [ბერძ. baktēria და ფაგოს მჭამელი, შთანმთქმელი] ნივთიერება, რომელსაც შეუძლია დაშალოს (მოსპოს) ბაქტერიები; ხმარობენ სხვადასხვა ინფექციური დაავადების წინააღმდეგ. რა წამალია? *ბაქტერიოფაგი?* ჰოდა, სადაც მაგ *ბაქტერიოფაგს* ამზადებენ, იქ რომ მიეწერა, არ აჯობებდა? (ზ. რცხილ.) – ქეგლი.

ფაეტონ-ი:

ახ. ქართ. I. ფაეტონი [ბერძ. phaethōon ბერძნულ მითოლოგიაში მზის ღმერთს, ჰელიოსის შვილის სახელიდან] ძვ. გადასახსნელსახურავიანი მსუბუქი ეტლი. ლიზა... ჩაჯდა *ფაეტონში* (ეკ. გაბ.). ბიჭო, ჩქარა *ფაეტონი* მოგვგვარე! (შ. არაგვ.). || საუბ. იგივეა, რაც ფაეტონი გინდა *ფაიტონით* წამოდი, გინდა შენც ტრამვაიში ჩაჯექი!.. (ნ. ლორთქ.). ერთი ხუთჯერ... *ფაიტონით* აიარ-ჩაიარე ქალაქში (ა. ცაგარ.) – ქეგლი. **ფაეტონ, ფაეტონ** ფაიტონი (სვან. თოფ., ქალდ.). **ფაიტონი** ფაიტონი ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ. II. ფაეტონი [Phaëtontidae] ერთგვარი ფრინველი ტროპიკული ზღვებისა – ქეგლი.

ფაზარ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ფაზარი [სპარს. ფანზაჰრ «შხამის საწინააღმდეგო»] 1. ცხოველის ღვიძლში გაჩენილი გაქვავებული ნივთიერება; იხმარება სამკურნალოდ. სხვას წამალსა არ ეძებდის არ ფაზარსა დანახუთსა (თეიმ. II). 2. ერთგვარი ძვირფასი ქვა. მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა; ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა (რუსთაველი). ◊ **ფაზარი ყაითანი** (კახ.) აბრეშუმის ყაითანი, ძვირფასი ყაითანი. «ჩოხას ყველა ნაპირზე ყაითანი ჰქონდა შემოვლებული. ნამდვილი

ყაითანი ფაზარი ყაითანი იყო. ფაზარი ყაითანი საკუთარი აბრეშუმია. სახლში ვქსოვდით» («შინამრეწვ.») – ქეგლი. || ფაზარა აბრეშუმის ქსოვილი, ფაზარი (გურ. ნიკოლ.).

ს.-ქართვ. *ფაზ- „ფილტვის, ღვიძლის ან ნაღველის მიერ გამოწვეული სისუსტე“ → ქართ. ფაზ-არ-ი : ზან. ფიჟვ-, ფიჟვ-ი (←*ფუჟ-ი) სვან. ფაჟ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ფაზარი** [თურქ.] 1. კვირა; 2. ბაზარი: *„ფაზარი იყო, ისტამბულ ფაზარი“* (ხოხ., შავშ. ლექსიკ.). *„ჩემი კაცი ფაზარში საქმოფს“* (თხილაზორი, კლარჯ. ლექსიკ.). *„ხვალ ფაზარია ღალიბა, ისიარა?!“* (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ფათა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფათა** 1. ◊ **ქაღალდი ფათაა** ქაღალდი შუაზე გაიყო, მოგება არავის ხვდა (ბანქოს თამაშის დროს ორივე მხარეს თანაბარი რაოდენობის ქაღალდი რომ დაურჩება). 2. ჰადრ. ისეთი მდგომარეობა, როდესაც მოთამაშეს არ შეუძლია გააკეთოს მორიგი სვლა ისე, რომ მის მეფეს მუქარა არ ელოდეს; ითვლება ყაიმად – ქეგლი. || [თურქ.] ყაიმი. *„აწყალმა ფათა ქნეს და მეითავეს თამაში“* (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **ფათ! გა-ფათება** გასწორება. *„ქაღალდი ფათაა!“* ამბობენ ბანქოს თამაშის დროს, თუ ორსავე მოთამაშეს რიცხვით თანასწორი ქაღალდი დაურჩა (ვ. ბერ.). || ◊ თუ შეუფერებელი ადამიანი შეუფერებელ ადამიანთან არის, იტყვიან: ვაჰ, რა ფათააო, ვითომ რა შესაფერნი და ტოლნი არიანო, – დაცინვით, რასაკვირველია. *„შიხი ოღლი ფათას* ამლევს ფირილით“ (საქ. მუზ. ხელნ. № 2130) – ი. გრიშ. **ფათა** [იტალ.] ფრე ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფათა, ფათანაკერი** (კახ.) მცენარეული ორნამენტით ნაქარგი – ქეგლი. || მოხატულობა, ნაქარგი. ჩვენ ვიცოდით შიგნიდან თბილი ბამბაზია, *ფათები* ჰქონდა თავისი-თავის ყვაილები (მჭად.). ლეჩაქი სადა იყო და ზედ *ფათები* ჰქონდა (საგურ., ქართლ. ლექსიკ.). სარტყელზე ყვავილი ნაკერია ფერადა, ბოლოზე *ფათანაკერი* (დიდი ხეა) და ბოლოს დიდი აბრეშუმის ფოჩი აქვს მიკერებული. დიდებს ერთი *ფათა* ჰქონიათ, ჯეილებს კი სამი და მეტიც (ქიზ. მრეწ. III, I, 15).

დიალექტ. **III. ფათაი** [აზერ. ფოთა] დათვის ბელი. *ფათაი* დათის ბაჭალაის (დათვის ბელია) (ინგ. ღამბ.).

ფათერ-ი:

დიალექტ. **I. ფათერი** [არაბ.] მკითხავი, მისანი. *„კაცი ყოფილა ფათერი“* (ბ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიქ).

დიალექტ. **II. ფათერი** [თურქ.] ფარფლებიანი ქუდი. *„ფათერი* აქ თავზე იმ კაცსა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ფათილ-ი:

დიალექტ. **I. ფათილი** 1. ფათილები პურის თხელი შოთები. „ცომის თხელ ფენას დააკრავენ კეცზე ან ბრტყელ ჭაჭის ქვაზე და აცხობენ *ფათილებს*“ (სნო, მოხ. ქავთ.). || ფათილე: ცხვარში მეცხვარეები ფათილეს აცხობენ ხოლმე საჯზე (მთ. კაიშ.). 2. მაჭკატი. ზუსტად ის არის, რაც ბლინი, ოღონდ უტკბილო: რძეში ათქვეფილი ფქვილი ცხიმში შემწვარი (ფშ. ხორნ.).

ფათილი < ფათირი [არაბ. ფათირ „უფუარი“] (ქიზ.) პატარა ლავაშივით პური უფუარი ცომისა, სახელდახელოდ გამომცხვარი საჯზე (თუჯის ფილზე) (ქეგლი). აგრეთვე: ქართლ. ლექსიკ., ქიზ. მენთ. || ფათირი, ფატირი ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ს.-ქართვ. *ფათ- „გამომცხვარი კვერი“ > ქართ. ფათილე || ფათირი (ჩუხუა 2000-2003).

საშ. ქართ. **II. ფათილი** „პატრუქი“. ოდეს გიჯმდეს, *ფათილისა* (რომელ არს პატრუკი) გარე შესდვა და ყურსა ჩაუპყრა, ერგოს (ფანასკ. 82, 3). მერმე აიღო ბოლოკი და დასთალო, მცირასა *ფათილისა* მგზავსი შეჰქმნა, რომელ ყურსა ჩაეტეოდეს, და ესე წამალი მას გარე შესდვა და ყურსა ჩაუპყრა (ფანასკ. 81, 38). შდრ. ფითილი [თ. fitie < არაბ.] ტამპონი (აჭარ. ნიჟ.).

ფათქ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფათქი, ფათქა** 1. (იმერ.) წყლის სასმელი ჭურჭელი უპირატესად ლითონისა, – ტოლჩა. ცოლმა ემალიანი *ფათქები* ჩამოარიგა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || ხის მომცრო სასმისი ღვინის დასალევად. ხის *ფათქები* იყო გაკეთებული, დაგისხემდენ ღვინოს, დაგალევიებდენ (წყალშავი); ღვინოს სვემდენ ხის *ფათქებით* (შომახეთი); *ფათქა* იყო რაბახა, იმით მიაწვადებდენ ღვინოს ერთმანეთსა (შუქრუთი). 2. ხელიანი, მომცრო, ჭიქის ხის ლითონის ჭურჭელი, რომელიც უპირატესად იხმარება წყლის ამოსაღებად დიდი ჭურჭლიდან. *ფათქით* მისხამდა წყალს. || ფათქია (ქვაციხე, ზ.-იმერ. ბოწ.).

დიალექტ. **II. ფათქი** ბადის საქსოვი მოკლე ჯოხი, თავებში ირგვლივ ამოღარული, ბაფის გადასახვევად (იმერ. გაჩ.). || ფათხი, ჩხართი, ბადეთ საქსოვი ჩხირი (საბა, დ. ჩუბ.). || წნელი, მცენარის ტოტი: მუხი თუ არ დააჭედებ, ფათხით ამუუხვევ (ხება, კლარჯ. ლექსიკ.).

დიალექტ. **III. ფათქი** ადვილად ტეხადი ხე, – მალალი. „ფათქი“, „ფოტკვერი“ ხე, ე. ი. ადვილად მსხვრევადი არ გამოდგება (რაჭ. ფრ. 162). || **ფოთქი** (ფოთქვი) ხე მალ გამტეხი (საბა). აგრეთვე: იმერ. გაჩ., წერეთ.

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. არქეტიპი ს.-ქართვ. ფოთქ- „კანი, ხავსი“ (ჩუხუა 2000-2003).

ფაი:

ახ. ქართ. **I. ფაი** [ფრან. faille] აბრეშუმის (იშვიათად შალის) მკვრივი ქსოვილი, გარდიგარდმო ამობურცულზოლიანი – ქეგლი.

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ფაი** [თურქ.] წილი – საბა. || [თურქ.] ხვედრი, კუთვნილი, წილი, ულუფა. „ჩემი კედრით თლიანათ ვუთმობ ჩემ *ფაის*“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე ინგ. როსტ. **ფაი** [თურქ.] წილი, ნაწილი ულუფა ზან. (ლაზ. თანდ.).

ფაია:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფაია** (ქიზ.) «საკაბე ფარჩა» (ს. მენთ.), – აბრეშუმის ერთგვარი ქსოვილი – ქეგლი. საკაბე მასალად აბრეშუმის ქსოვილია მიღებული, ...*ფაია*, ბუდუსო, ბურსაო (ქიზ. მრეწ. III, I, 15). იხ. I. ფაი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფაია** [სპარს.] (ქიზ. ლეჩხ.) თაღის საყრდენი კედელი (რომელიც კარ-სარკმელთა შორის არის) – ქეგლი. „სადა კედელი ბევრჯელ ამიშენებია, *ფაიები* პირველათ ამოვიყვანე და არ ვიცი, როგორი გამამივიდა“ (გ.-კახ. სახლთხ.). თაღი რაზედაც უნდა დეეზჯინოს, *ფაია* ძქვიან ან (თარის ბალიში, ან ფეჯი) (ქიზ. მრეწ. I, 43). კარსა და ფანჯარას ან ფანჯრებს შორის რო კედელი ადის, *ფაიას* ვეძახით (კაპრ.). *ფაიებითვინა* კარქი აგურები ნახეი (კარალ.); აგრეთვე ბაზ., ბრ., დის., ზ. ხანდ., იკ., ტყვ., ქემ. (ქართლ. ლექსიკ.).

ფალან-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფალანი** პალანი [სპარს. ფალან] ძვ. ვირის ან აქლემის კურტანი (შდრ. საპალნე). ცხენს თავისი *ფალანი*, სამოთხი ხურჯინი... ზედა აქვს გადაკიდებული (ლ. აღნ.). «მუშა» ეწოდებოდა კურტნით (ფალნით) ტვირთის მზიდველს (ი. გრიშ.) – ქეგლი. ტომრები... მიდებულია ფერდიდან *ფალანზე* და მერეა თოკები გადაბმული (ქიზ. II, 1, 18). ვირს... კურტანს, ანუ *ფალანს* ადგამენ (ქიზ. მრეწ. IV, I, 44). **ფალანი** [სპარს.-თურქ. palan] საპალნე ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ფალანი** ქურა. აკეთებენ ფერდაზე, რომ სანაცრესაც კარგა მიუდგეს კაცი, *ფალანი* გამოხვეტოს და ზევიდანაც მიწის პირად იყოს (ქიზ. მრეწ. II, 1, 24).

დიალექტ. **III. ფალან** [თურქ.] 1. მავანი, ვიღაცა, რამე. 2. მგონი, თითქოს, მართლაც, მგონი. „მეშინია, ქი მიკბენს, *ფალან*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || **ფლანი** [არაბ. ფულან] საუბ. ძვ. ვინმე, მავანი. აბა, ძალიან მოემზადენით, ამა და ამ *ფლანთან* საქმე გამითავებია და სასიძო მომყავს ვახშმად! (ა. ცაგარ.). ◊ ფლანი და ფსტანი მავანი და მავანი – ქეგლი.

ფალაყა:

დიალექტ. **I. ფალაყა** [არაბ.] ფიჭიანი, გამოუწურავი თაფლი, – გოლეული; ხილარი. „ამ ყავრანიდამ კაი *ფალაყა* გამუა“ (ბ.); „*ფალაყა* თაფლი ბევრი რამის ილაჯია“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფალაყა** მგ. დასჯის ერთ-ერთი სახე: დასასჯელ თალიბს (მოსწავლეს) ხოჯა კანს დაუსერავდა და მარილს მოაყრიდა. „იქნებ ღალატი არჩია ასეთ გვემას და *ფალაყას?!*“ (მ. ვარშ., აჭარ. ნიჟ.). **ფალაყაში მოწევა** ფალაყათი დასჯა. „იმა *ფალაყაში* მოწევა უნდა, ისეგავ“ (ედ.); „წინწინ ხოჯიებმა *ფალაყაში* მოწევა იცოდენ თალიბებისა“ (ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **ფალაქა** დიდი კეტი, რომელშიაც დამნაშავეს ფეხებს ჩააყოფინებენ, ჯოხს ღვედით შეჰკრავენ და დამნაშავეს ფეხის გულებზე წკეპლებს ურტყამენ – ი. გრიშ.

ფამფარა:

საშ., ახ. ქართ. I. **ფამფარა** მცენ. – დ. ჩუბ. || [Tragopogon] ბოტან. გრძელ- და ვიწროფოთლიანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; ყვავილი კალათად აქვს შეკრებილი, ღერო-ფოთლებში რბიანი წვენი უდგას; იცის მინდვრებში, საძოვრებში და სხვ.; იჭმება უმად. მე რომ მეცხვარედ დავჯექი, *ფამფარა* მაშინ გაწყდაო (ანდაზა). ჩვენი სოფლელნი – ქალები და ვაჟები, ხშირად დაიარებოდნენ მინდვრად *ფამფარის* მოსატანად (ი. გოგებ.) – ქეგლი. „მოკრიფა გელინამ თაზე ფამფარაი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე მესხ. მაის., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. ფამფარა – ყვავილის აგებულება თხის წვერს მოგვაგონებს – ზ. მაყ.

დიალექტ. II. **ფამფარა** გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავის ქუდი (მთ. კაიშ.). შდრ. ფამფარი მთ., მოჯ., ხევს. ფაფარო, თუშ. ფაფარი – ა. შან.

ფანდ-ი:

საშ. ქართ. I. **ფანდი** ქერის შაქარი. შაქარი ტაპარზადი და *ფანდი* – ლიტრისა ნახევარი (ფანასკ. 388, 15). აქვე ფანიდი: აიღე სამი ლიტრა, დაადნევ *ფანიდი* მცირედითა ბადაგითა (ფანასკ. 147, 38).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფანდი** [სპარს. ფანდ «წესი»] 1. რჩევა, სარჩეველი – დ. ჩუბ. აწ მოვისმინო ჰამო *ფანდი* შენი და შევიგონო კარგი წურთა შენი (ვისრ. 178, 16). || ხერხი, ხრიკი, ოინი. [მინდიამ] იცის მტრის დასამარცხები და შემმუსვრელი *ფანდია* (ვაჟა). [ღვთისავარი] გრძნობს, რომ ანდაზებიც ვეღარ უშველის, მაგრამ მაინც ამ *ფანდს* ეჭიდება (მ. ჯავახ.). 2. ლინგი, ხლინგი, მორკინალთა ხელოვნება – დ. ჩუბ. ჭიდაობის ხერხი, ჭიდაობისას გამოყენებული ილეთი. მე მომაგონდა ძველებური *ფანდი*, ჭიდაობაში რომ იციან (აკაკი). კანდელაკმა ოსტატური *ფანდით* ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე («ლელო») – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. ფენდ [აზერ. ფəნდ] *ფანდი* ხრიკი (ინგ. ღამბ.). **ფანდ** ფანდი (სვან. თოფ., ქალდ.). **ფანდი** ფანდი ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ფანდი** ფარდი, ტოლი, შესაფერისი. უღელს გაუწევს მას (გლეხს) მხოლოდ მსგავსი, მისივე *ფანდი* (ს. შანშ.) – ქეგლი. „ესენი *ფანდები* არიან“ (ქიზ. მენთ.). || ტოლი, ფარდი ადამიანი, საქონელი

ან სხვა რამე. „ერთხენ თურრ შაჰმ ერეკლეს შემუწყთვალ; ერთი მოჭიდავე მყავისაუ. თუ ამის ფანდს გამრცვანაუ, ვაჭიდოთაუ, თუ არადაუ – შემოგესევიუ“ (თუშ. ხუბ.).

დიალექტ. **IV. ფანდი** უხმარიათ ქამანდის მნიშვნელობით. წამოდგა თვითონ ვობია ზვარაკის შესაპყრობელად. *ფანდი* აიღო სასროლი სიცოცხლის ჩასაქრობელად (ს. შანშ.) – ქეგლი.

ფანდალ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფანდალი** „არც მძიმე, არც სუბუქი, საშუალო მძიმისა და სუბუქისა“ – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფანდალი** (იმერ.) ბანდალი. [ბააკა] ადგილიდან *ფანდალით* დაიძრა (რ. გვეტ.) – ქეგლი. || მვ. მოშვებული, დაუმაგრებელი, მოფანფალებული (ჯავახ. ბერ.). „მეისპო მაგის *ფანდალი* ამ ქვეყანაზე“. შდრ. **ფანდალა** ფანდალით მოსიარულე. „*ფანდალა* თუ იყო ბაგრატაი, ქე გადახტა ღობეზე სრავივით“ (იმერ. გაჩ.).

სამ. ქართ. **III. ფანდალი**, ფანდაკი, ფენდილი [სპარს.] მაღალი ქუსლი მაშიისა ან ჩექმისა – ნ. ჩუბ.

ფანთხ-ი:

დიალექტ. **I. ფანთხი** ბანდღი ქსელი. ობობას ფანთხი ობობას ქსელი (რაჭ., ვ. ბერ.). **ფანთხ, ფანთხ** ობობას ქსელი, აბლაბუდა (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. **II. ფანთხი** ბრობის ფერდი (გურ. შარაშ.). || **ფონთხ, ფენთხი** 1. გვერდის უნეკნებო ნაწილი საკლავისა, – პურტი. || უხმარიათ ადამიანის სხეულის ამავე ნაწილის სახელადაც. 2. (რაჭ.) ფენთხელა; ფერდელა – ქეგლი. **ფრნთხ** ფენთხი (ადამიანისა თუ საქონლისა) (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფენთხ- ბირი (ჩუხუა 2000-2003).

ფანფარა:

სამ., ახ. ქართ. **I. ფანფარა** ფამფარა. მათ ქნეს სარფა რა, აჭამა *ფანფარა* ედემთ ხილთ ნაცვლად (დ. გურამ.) – ქეგლი. იხ. I. ფამფარა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფანფარა** (კახ., ფშ.) ცხვრის მატყლის კულული (სინონ. გ.-კახ. ჯინჯილი) – ქეგლი. შდრ. ფარ- (ფარ-ტ-ენ-ა დაჩეჩილი მატყლის ფთილა) (სანიკიძე 1976, 57). იხ. II. ფამფარა.

ახ. ქართ. **III. ფანფარა** [იტალ. ფანფარა] მუს. 1. საზეიმო ან სამხედრო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები ლითონის ჩასაბერი საკრავისათვის. || საყვირით მიცემული მოკლე სამხედრო ნიშანი. 2. საყვირი, რომლითაც აძლევენ ამ ნიშანს – ქეგლი.

ფარ-ი:

მვ., ახ. ქართ. **I. ფარი** ქართული ანბანის ოცდაპირველი ასოს სახელწოდება (ფ) – ქეგლი.

ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულების „ახუსებისათჳს“ ტექსტში (A-1, XIს.) დასტურდება ქართულ ასოთა სახელწოდებანი ფარი, პარი, კანი, ქანი: ხოლო ვითარცა მრავალი სიტყუაჲ წერილისაჲ შეიცვალა დაფარულისაგან უცხადესისა მიმართ, ეგრეთვე ესე იქმნა, რამეთუ ვიეთმე სახელად ცხოველს-მყოფელისა ენებისა ჰგონეს ესე და ამისთჳს გამოსთარგმანებდეს რაჲ ბერძულისა ენისა მომართ, შეცვალეს *ფარი* იგი პარად და კანი ქანად და პასექი უწოდეს, რომელ გამოითარგმანების ვნებად (45, 19-46, 7) (სარჯველაძე 1984: 241).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. ფარი** 1. «თორნე», დარაკა; უწინდელი საომარი იარაღი ლითონისა (ხისა ან ტყავისა), მრგვალი ან მოგრძო, ბრტყელი ან გამობურცული, შიგნით სახელურიანი, მოწინააღმდეგის დარტყმისაგან თავის დასაცავად. „აღიღეთ *ფარი* იგი სარწმუნოებისაჲ“ (ეფეს. 6, 16); „*ფარები* დაწუა ცეცხლითა“ (ფს. 45, 10) – ილ. აბულ. თავის-თავ ჰქონდა *ფარები* (ვეფხ. 1412, 4). ხელთ იპყრა *ბრმალ-ფარი* (დ. გურამ. 211, 26, 4). როსტომ თავს ფარი იფარა, გაგულისებით სდივესა,/და ბარზუმ თავს ლახტი შემოჰკრა, *ფარს* მოახვედრა და ბეჭსა (შჱნ. II, 3900, 4). *ფარი* გაკვეთა (რუსუდ 460, ქვ. 3). ქვეითად შეუხდებიან, აგლეჯენ ხმალსა და *ფარსა* (არჩ. 331, 711). და სადამდის ზედა არ მომიხე და *ფარიცა* არ დამაჩეხე თავს... არც რა მიკრავს (სამ. IV, 48, ქვ. 10). შავი კლდის თავზე ჰკიდია ვაჟის ჯურღაის *ფარიო*, მოუვლის ბრძოლის წადილი, ხანდახან შესძრავს ქარიო! (ხალხ.). ხვალ გვინდა ცემა მტრისადა, ხმლის ქნევა, ფარის ფარება (ვაჟა). ზოგს მაჯაში დაჰკრეს ხმალი, ხმალს აჯახა ზოგმა *ფარი* (გ. ლეონ.). || ფიგურ. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერებისათვის (ილია). შრომა აიღე მახვილად და მოთმინება *ფარადა* (აკაკი). 2. ზოოლ. ცხოველთა და მწერთა დამცავი მაგარი საფარველი (ტყავი, ჯაგარი, ქერქი). 3. ტექ. საგუბრის გადამღობი მოძრავი ნაწილი წყლის შესაგუბებლად და დონის მოსაწესრიგებლად. ფოლადის მოძრავი *ფარების* აწევის შემდეგ იორი შხუილით შევარდება რკინაბეტონის ვეებერთელა მილებში («ლელო»). 4. სპეც. დაფა, რაზედაც ათავსებენ რასმე საჩვენებლად, წასაკითხავად. 5. სპეც. დაფა, რაზედაც მოთავსებულია სხვადასხვა ელექტრომზომები ან საკონტროლო მოწყობილობანი. 6. სპორტ. კალათბურთის მოედანზე გამართული სპეციალური დაფა, რაზედაც კალათი ჰკიდია. თბილისელები ზედიზედ გადიოდნენ მოწინააღმდეგის *ფართან* («ლელო») – ქეგლი. აგრეთვე ინგ. ღამბ. **ფარის საბღუჯი** ფარის ხელმოსაკიდი ტყავისა. „*ფარის საბღუჯს* თხის ტყავისას ვაკეთებდით“ (მოხ. ქავთ.). ◊ **ფარი შუა არ ედების** ახლო-ახლო არიან, შუა ფარიც კი არ ჩაუვა. ქვაბულოს ამოდიოდეს *ფარ* შუა არ ედებისა (ხევს. პოეზ. 7, ბ, 6) – ალ. ჭინჭ. **ფარ** ფარი (სვან. თოფ., ქალდ.).

მ. ჩუხუამ, ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით, აღადგინა ს.-ქართვ. *ფარ-ბირი „დაფარვა“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ფარი** 1. შიგნეულობის მასალა, ჯიგარზე დახვეული ან ფარიანი ჯიგარი – ი. გრიშ. 2. გარეული ღორის ტყავი ღერძის თავზე შემოცმული მორგვსა და ჭინჭილაქს შორის, რომ მორგვმა ჭინჭილაქი არ მოჭამოს (მარაბ., ქართლ. მენთ.). ამავე წარმომავლობისაა ინგილ. [აზერ. ფა̈რ] (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. IV. **ფარი**: **ფარი-ფარ** ნაკუწ-ნაკუწ ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი, ჩაყარეს *ფარი-ფარაო* (ხევს. პოეზ. 53, 9). **ფარა-ფარათ** ნაგლეჯ-ნაგლეჯ ზან. (მეგრ. ქობ.).

ფარატინა:

სამ., ახ. ქართ. I. **ფარატინი, ფარატინა** [სპარს.] 1. «ძველის ნაგლეჯი» (საბა), – ნაგლეჯი, ნაფლეთი (ძველი ქსოვილისა, ქაღალდისა...). გლახა გლახას აეკიდა – ღმერთო, *ფარატინი* გააგდებინეო (ანდაზა). ბავშვის დედა წევს ლოგინში, ფარატინა ახურავს (ს. შანშ.). 2. გადატ. ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული (ქაღალდი, დოკუმენტი). მალე იაკომ ეს ქაღალდი შენი ჭირის სანაცვლოდ გახადოს..., ამ *ფარატინს* ჩვენს სიყვარულს როგორ დავარღვევინებ! (ილია) – ქეგლი. || ფარიტინი ნაგლეჯი, ნაფლეთი, – ჩოხის ფარიტინი მუუტანა მამას (ზვარე, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. II. **ფარატინა** ფრინველია ერთგვარი. *ფარატინა* შავი დიდი ჩიტია, როგორც ქორი, იმხელა; ტყეში იცის (დის., ქართლ. ლექსიკ.).

ფარაშ-ი:

ძვ., საშ. ქართ. I. **ფარაში** [არაბ. ფარრაშ–შინამოსამსახურე]. აქედან: ფარაშობა შინამოსამსახურეობა. ამირა მომლმან გარდაადგინნა ქრისტეანნი... მწიგნობრობისაგან და *ფარაშობისა* და ყოვლისა მსახურებისა მისისაგან (მ. ცხ. 234, 17) – ზ. სარჯ. || ფარეში [სპარს.] შინა მოსამსახურე – საბა, ნ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფარეშ- მოსამსახურე" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ფარაშ** [აზერ.] 1. მეორედ განათხოვარ ქალს მოყოლილი ბავშვი პირველი ქმრიდან [სინ. უკანი მანაყონ] 2. დამაკებული საქონელი, მაკობის ორი სამი კვირით ადრე. მამბალ ძრობაზე (მაკე საქონელზე), რახანც ნახბორ თრი, ჰე(ან) სამ კურუა აკლი მააგეველა (მოსაგებად, დასაზველად) იტყუან – *ფარაშ* მამბალიავ (ინგ. ღამბ.).

ფარგალ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფარგალი** 1. [ოსმ.] კარაკინი, იარაღი ხმარებული საზომად წარზიდულთა განფენილებათა, მოსავლებად სიმრგვალეთა და სხვ. – დ. ჩუბ. იარაღი ოქრომჭედლისა... კვერი, ჩქიფი, ლურსმის საჭრელი, *ფარგალი* (კალმას. 524, ქვ. 5). || [სპარს.] სპეც. სამხაზველო იარაღი, რომელსაც აქვს ორი ფეხი ერთმანეთთან სახსრით შეერთებული; იხმარება წრის შემოსასაზავად, ხაზის გასაზომად და სხვ. [მაგიდაზე იდო]

ფარგალი და ადლი, რომლითაც ზომავდნენ (ნ. ლორთქ.). || ფიგურ. [ისტორიკოსი] იძულებული ყოფილა თავისი თხზულებისათვის უფრო ვიწრო *ფარგალი* შემოეველო (ივ. ჯავახ.). 2. ჩვეულებრივ მრ.-ში: ფარგლები – რაიმე ტერიტორიის საზღვრები. 3. რისამე გავრცელების, მოქმედების არე, ზღვარი. [დანია] ბისმარკის ხელმა თავისი პოლიტიკის ფარგალში მოამწყვდია (ილია). მწერალი... ისტორიული სინამდვილის *ფარგლებს* არა სცილდება («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. აგრეთვე: ქვ.-იმერ. მრეწ. I, 284, ინგ. ღამბ., ხევს. ჭინჭ.

დიალექტ. II. **ფარგალ** [აზერ.] მეოჯახეობაში მარჯვე, ყოჩაღი, თავშენახული (ქალი). აგე *ფარგალ* დეკაცი, ჩიტი წრლაიც თუ მოჰთხოვ, ექონევ; ფარგალ ოჟახ შებლებულო ოჯახი (ინგ. ღამბ.). ვინც *ფარგალ* კაცი იყო (მარჯვე, მოხერხებული) ცაცხით ან წნორით თლიდა ოთხ ფეყს და ჯიდებს (საინგ. მრეწ. I, 434).

ფარდახტ-ი:

ახ. ქართ. I. **ფარდახტი** განადგურება, –პარტახი. „ვარდები ფარდახტნაკრავი კიდევ ხომ გაიშლებაო"... (ა. ყაზბ.) – ი. გრიშ. ფარდახტიანი ჩემი და არდაღანში (არტაანში) გარდაიცვალა *ფარდახტიანი* საოფლით (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ.

ფარდახტი < პარტახტი. საშ. ირანული partaxt-ს ორი მნიშვნელობა აქვს ქართულში 1. სახადი, სენი. პარტახტი მჯურვალის სენის მსხო – საბა. 2. დასრულებული, დამთავრებული, უკანასკნელი, ოხერი, დაუმუშავებელი ადგილი (ანდრონიკაშვილი 1966).

ახ. ქართ. II. **ფარდახტი** 1. წვეთები (წყლისა), – ცვარი. [თერგის ჩანჩქერები] *ფარდახტად* ედებოდა ყნოსიერ, ხავერდის მსგავს... ველებს (ა. ყაზბ.) – ქეგლი. 2. წმინდა ლამით გალესვა კედლისა. ბათქაშიან კედელს წმინდა ლამით რო გალესამენ, *ფარდახტი* ეგ არი (ნიჩბ., ქართლ. მესხ.). 3. ტყავისათვის ბალნის მხარეს წყლის მისხურება. მეტყავე-ჭონებმა იციან: ბალანი დახუჭუჭდებაო: „ბიჭო, დღეი საქუდე ტყავებ *ფარდახტი* უყავ (ან ფარდახტი გაუკეთე?)" (ქიზ. მენთ.).

ფარდახტის ქალაქური ლექსიკონისეული მესამე სემანტიკური დატვირთვა (ჭონების მიერ ხუჭუჭა ტყავის დანამვა მატყლის მხრივ /წყალს პირში ჩაიგუბებენ) ქართულ ნიადაგზე ჩანს განვითარებული (ბართაია 2010).

ფარეზ-ი:

ძვ. ქართ. I. **ფარეზი** გათიშვა. *ფარეზ* გამოითარგმანების განყოფილებაჲ და განკუეთაჲ [ler.= 12 25v, 10-11] – ზ. სარჯ..

საშ., ახ. ქართ. II. **ფარეზი** [არაბ.] 1. გაფრთხილება, ხელის შეწყობა, საოუთი მოპყრობა, მოვლა. ყმაწვილ ქალსა... *ფარეზით* და წყნარად უნდა ვექცეოდეთ! (ილია). [ეკატერინემ] ყველა ის *ფარეზი* და ალერსი, რომე-

ლიც ბავშვის ხვედრია..., გაუორკეცა თავის ლიზას (ეკ. გაბ.). 2. «ხელის შეწყობა, გაფრთხილება საჭმელ-სასმელზე» (დ. ჩუბ.) – ქეგლი. || დიეტა. ახალი სადილნაჭამი ვიყავი, მხოლო ცარიელი ფარეზი სუფი მეჭამა (ალ. ორბელ.). 3. თავისთავის მოვლა, თავის პატივი – ი. გრიშ. შდრ. ფეჰრიზი [სპარს.] ფეჰრიზის დაკავება (კალკი, თ. perhiz ţutmak) კვების რეჟიმი, – დიეტა, დიეტის დაცვა. „ნერწყვი მომდის მაგ ბალზე, მარა, რა ვქნა, *ფეჰრიზი* მაქ დაკავებული“ (აჭარ. ნიჟ.).

ფარეზი უნდა მოდიოდეს სპარსული ლექსემიდან [parhīz], რომლის მნიშვნელობებია: [parhīxtan] ზმნის აწმყო დროის ფუძე; 1) თავშეკავება; 2) დიეტა; 3) მარხვა; 4) გონიერება [რუბინჩიკი 1983] (ბართაია 2010).

ფართხა:

საშ. ქართ. I. **ფართხა** მცენ. – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **ფართხა** იგივეა, რაც ფათქი, ტოლჩა (იმერ. გაჩ.). იხ. I. ფათქი.

ფარმანდ-ი:

საშ. ქართ. I. **ფარმანდი** წერილი, ფარმანი. დასტურის წიგნი, ფარმანდი, წიგნი – საბა. შდრ. ფარმანი [სპარს.] ბუ. იგივეა, რაც ფირმანი. [როსტევანმა] კვლა უბრძანა: თავსა ჩემსა, რას იცინი, რად დამგმეო? ყმამან ჰკადრა: მოგახსენებ და *ფარმანი* მიბოძეო, რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო (რუსთაველი). ხელმწიფეს სთხოვა ფარმანი, მოვიდა ფალავანია («შაჰნამე») – ქეგლი. ფარმანი || ფირმანი || ფირვანი. ფარმანი დ-ს განვითარებით → ფარმანდი.

დიალექტ. II. **ფარმანდი** [სპარს.] ცხენთ საბორკავი, პალვანდი. (იმერ. ბერ.). რა *ფარმანდივით* გამეედვა (არგვეთი, ზ.-იმერ. ძოწ).

ჩვენი აზრით, პალავანდი || ფარავანდი > ფარმანდი. შდრ. დუშაყი (ჩიდარ Cab, ჩიდარი CqDE.) სხვათა ენაა, ქართულად პალვანდი ჰქვიან ZAB. პალავანდი – საბა. „იხილე უფლისა მოძღურებაჲ: ნუ ჰფუცავ ყოვლადვე: რაისა ჰფუცავ? რაჲთა არა ფიცსა ზედა *შეჰპლავანდო* თავი თჳსი (სინ. მრ. 210, 12). მზ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს, შესაძლებელია პალავანდი სომხურის გზით ანდა რომელიმე აღმოსავლურ-ირანული წარმოშობის დიალექტური ფორმიდან მომდინარეობს (ანდრონიკაშვილი 1966).

ფარფალ-ი:

დიალექტ. I. **ფარფალი** ფრიალი, ფარფარი (გურ. ღლ., ზ.-გურ. კიწმ.). იხ. I. ფარფარი.

დიალექტ. II. **ფარფალი** ქვევრისთავი, რაზედაც სარქველს ათავსებენ (იმერ. ჯაჯან.).

ფარფალი < ფარფლი. საერთოდ, ბრტყელი წრიული ნაპირი რისამე (ქუდისა, ჭურჭლისა.) – ქეგლი. ფარფლი < ფარ-ფალ < ფარფარი; ამოსავალია პირველადი საწყისის ფუძე ფარ-ფარ (ერთელიშვილი 1980: 156).

ფარფარ-ი:

ახ. ქართ. I. **ფარფარი** 1. თხელი, მოქნილი რისმე ძლიერი რხევა, – ფრიალი. ჩოხაზე ჩამოკიდებულ ნაფლეთებს გაუდისთ *ფარფარი* (ს. მგალობ.). 2. იგივეა, რაც ფარფაში. მე ერთს ვიცნობ მწერალსა..., უყვარს კაი *ფარფარიც*... ქვაცა აქვს და კაკალიც! (ი. ევდ.) – ქეგლი. იხ. I. ფარფალი.

სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული [პარპარ parpar]. მისი მნიშვნელობაა – ფარფალი, ფრენა... ქართული და სპარსული ლექსემები შინაარსობრივ, გეროგრივად ერთმანეთის იდენტურია (ბართაია 2010).

საშ., ახ. ქართ. II. **ფარფარი** [სპარს.] ტრაბახი ან თავის მოწონება (დ., ნ. ჩუბ.). განპრახულობა არს მისი შამახიაზე *ფარფარი* (დ. გურამ.) – ქეგლი. შდრ. ფარფარას გააბამს, ლაქლაქს მოჰყვება. აქ რო ფარფარა გააბეს, სახში აღარ აპირებენ წასვლასა? (კარალ.). ეხლა ძალუაშენი ამოვა და ფარფარას გააბამს (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.).

ფარშ-ი:

ახ. ქართ. I. **ფარში** [ლათ. farcio-დან ვტენი] კულინ. წვრილად დაკეპილი ხორცი საჭმლის მოსამზადებლად. || ზოგიერთ საჭმელში (ტოლმასა და მისთ.) – წვრილად ნაკეპი ხორცეულის, თევზეულის, მცენარეულისა და სხვ. გული, სატენი, შიგთავსი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ფარში** „დასაგები ხალიჩა“ (ფერეიდ., ქართ. დიალექტ., 631). „იმის მოთაბეყზე ფარში და ესჰაბი –ყველაფერი სუ მოუმზადა ემ სახლს“ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ფარჩ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ფარჩი** ბვ. მომცრო საღვინე, სომხურია (საბა), – ღვინის სასმელი ჭურჭელი. რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი, კვლა შესვეს და კვლა აივსნეს სხვა *ფარჩნი* და სხვა ჭიქანი (რუსთაველი) – ქეგლი. || [სპარს. pārč] გრაფინი. შარბათსაღთ გავაკეთეფთ და დაულევთ. ერთ *ფარჩი* წყალი, ეს შირა ჩავასხამთ ერთ *ფარჩშიგ*, ერთი ქასაჩი და წყალსაც ჩავასხამთ, დოორევთ და ეს შარბათე სირა, ემ ჟავე შირა ვიტყთ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ფარჩი ვიწროპირიანი დოქი ზან. (ლაზ. თანდ.). ფარჩი [სპარს.] – ალ. ელერდ.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ფარჩი** ზღუე (ფარჩ BCD, ფარჩი E.) (ზღეჲ ZA. ზღვე BCDE). ქვითა, გინა ბელითა იატაკი დაფენილი – საბა. || ფარჯი ანუ *ფარჩი* ნამტვრევი კრამიტისა: ნატეხრები თიხის ჭურჭლისა (ქიზ. მენთ.). ზევიდან ფარჯს, ანუ *ფარჩს*, ან ფილაქანს დააწყობენ, კრამიტის

ნამტვრევს დააყრიან, რომ ცეცხლი შეინახოს (ქიზ. მრეწ. I, 81). შდრ. **ფარჩიმი** ნამტვრევი კრამიტი. ქურას ზემოდან ერთიმეორეზე მიწყობით ფარჩიმს მოვაფენთ. ფარჩიმს ეძახიან ნამტვრევ კრამიტს. ქურას რო გავაციებთ, ორი დღის შემდეგ გადავხდით *ფარჩიმს*, მესამე დღეს გამომწვარ კრამიტს ამოვალაგებთ (მეჯვრ., ქართლ. ლექსიკ.).

ფარცხ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ფარცხი** 1. კაბდოს ლასტი – საბა. || სასოფლო-სამეურნეო იარაღი ხნულის ბელტის დასაშლელად, მიწის გასაფხვიერებლად (და თესლისათვის მიწის მისაყრელად). გულმა თქვა: ჭკუავ, მართალ ხარ, და ზოგიც მე მათქმევინე: შენი ნახნავის გორახი *ფარცხით* მე მომაფშვნეტინე! (ილია). *ფარცხი* ამტვრევს და ფხვნის ბელტებს და ათანასწორებს ხნულსა (ი. გოგებ.). 2. იგივეა, რაც ფარცხვა. შეძლებული ყოველთვის შეუძლებელს დაასწრობს ხოლმე გუთანსაც და *ფარცხსაც* (ილია). ◊ **ფარცხის პირი** (ქიზ) ხნულის ზომის ერთეული; ერთი ფარცხის სიფართე ნახნავი, რასაც ფარცხი ერთ-ჯერობაზე გადაუვლის; უდრის ოთხ კვალს, დაახლოებით 1, 5 მეტრს – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. **ფარცხ, ფანცხ** ლასტი (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბარცხ- „ფარცხი, ფოცხი, ფარცხვა“ → ქართ. ფარცხ- || ფარცხ-ი (ჩუბუა 2000-2003). აგრეთვე ჩიქობავა 1938.

ახ. ქართ. II. **ფარცხი** წისქვილის ბორბლის ღერძის თავის დასადები ხე – ქეგლი. იხ. II. ფაცხა.

ფასტა:

სამ. ქართ. I. **ფასტა** [თურქ.] ბალახი – საბა.

სამ., ახ. ქართ. II. **ფასტა** (ბალ.) ძვ. «დაღერღილი ფეტვი, ღომივით მოხარშული» (საბა) – ქეგლი.

დიალექტ. III. **ფასტა** რიგი, ჯერი [სპარს. pastā „რიგი“]. „სარვაზი იყო, იმაში ანქ მოადა და ერთ *ფასტა* ვნახეღა და გაიცანით“ (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ახ. ქართ. IV. **ფაშტია, ფაშტა, ფასტა** [სპარს. ფუშთე «მიწის გროვა»] ხელოვნ. (კახ.) თიხის მოსაზელი ადგილი, – კალო. მტრედა თიხას მოვიტანდით, გავაკეთებდით ფაშტას, ზედ დავყრიდით, წყალს დავასხამდით და დავზელდით («შინამრეწვ.») – ქეგლი.

ფატ-ი:

სამ. ქართ. I. **ფატი** ფეტვი, მჭადი – ნ. ჩუბ. **ფატი** ფეტვი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფეტუ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუბუა 2017).

ახ. ქართ. II. **ფატი** [ფრან. fat, ლათ. Fatuus-იდან სულელი] ლანძღ. თვითკმაყოფილი, პრანჭია, ფუქსავატი, კოხტაპრუწა – ქეგლი.

ფატა:

სამ., ქართ. I. **ფაფა, ფატა, ფია** დუღილით შესქელებული ფქვლის საჭმელი – ნ. ჩუბ.

მ. ჩუხუა გამოყოფს ს.-ქართვ. *ფაფა- ძირს (ჩუხუა 2017). იხ. II. ფასტა.

დიალექტ. II. **ფატა** [სანსკრ.] ქალის საქორწილო მსუბუქი თავსაბურავი თავსაფარი, რომელსაც ახურავენ ჯვრისწერის დროს პატარძალს, ლეჩაქი (გურ. კიწმ.). **ფატა** თავსახური ქალისა ზან. (მეგრ. ელ.).

ფაფანაკ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფაფანაკი** ძვ. მომრგვალო, ბრტყელი თავსახურავი (მამაკაცისა); ჩვეულებრივ ნიკაპ-ქვეშ ზონრით ამაგრებდნენ. იმერელი უნდა გახლდესთ ვინმე! – გაჩეჩილ თმაზე *ფაფანაკი* ედება და არ ეტყობა (აკაკი). [დადიანს] ლიხთ-იმერთა თავსახური, *ფაფანაკი*, ბეჭებისაკენ სირმის ზონრებით ჰქონდა გადაგდებული (შ. დად.). ზაფხულში სვანი ხმარობს იმერულ *ფაფანაკს* (ი. გოგებ.) – ქეგლი. კაბალახი და *ფაფანაკი* იციან (ქიზ. მრეწ. III, I, 23). **ფაფანაკი** მსუბუქი სამოსი ან თავსარქმელი ზან. (მეგრ. ქობ.).

შესაძლოა, ს.-ქართვ. *ფარ-ფან ფუძისაგან პირველი სეგმენტის აუსლაუტის თანხმოვნის დაკარგვით იყოს მიღებული ფა-ფან, რომელიც ფაფანაკ-ში გვაქვს (ერთელიშვილი 1980: 213).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფაფანაკი** (ფშ.) ფაფანაგი, – (ფშ. ხევს.) ქალის ნაჭიანი ზედა ჩასაცმელი, – ჩოხა, ქულაჯა. ქულაჯაზე ნუ მასხამ ღვინოს, ე, ჩერჩეტო, განა შენს ხაჩანის *ფაფანაკსა* ჰგავს, რომ ეგრე ბრიყვად ექცევი?! – შეუტია [თაგუნამ] კოდალას (ვაჟა). [წიწმატას] ცალი ხელი დედის *ფაფანაკის* კალთაზე ჩაეჭიდნა (ვაჟა) – ქეგლი.

ფაფხ-ი:

დიალექტ. I. **ფაფხი** ბლინი. ტაგანაში თხლად მოაფუებენ ცომს და შემდეგ ერბოში ხრაკავენ (მოხ. ქავთ.). იხ. I. ფოფხი.

დიალექტ. II. **ფაფხრ || ფხაფხრ || ხაფხრ** მიწიდან ცოტათი ამოჩენილ ბასრკლდიანი ციცაბო ადგილი. „არც რო კდეი, არც რო ბორტვია-დ შიგადაშიგ ბალახიან რომე *„ფაფხიანიავ*, იცმისად იციან“ – არც კლდეა, არც მდელოა, შიგადაშიგ ბალახიანია, *ფაფხიანიაო*, იმაზე იტყვიან (თუშ. ცოც.).

ფაშა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფაშა** (გუდ. მოხევ.) მუცელ-ჩამოშვებული, დიდ-მუცელა საქონელი. მაჭიკი აქვს საქონელს *ფაშასთან* (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, I, 183). შდრ. ფაში ფაშვი (იმერ., ფშ., გუდამაყ., ქეგლი, თუშ. ხუბ.). ფაშა ← ფაში < ფაშვი. ფაშვი დიდი ნაწლევი – ნ. ჩუბ. || ფრინვლის ფაშვი – საბა. **ფაშაი, ფაშარნაი, ფაშა, ფაშარ** ფაშვიანი; ღიპიანი (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფაშუ- „ფაშვი, ფშვინვა“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. ფაშა მეპატრონე. ვითარცა ფაშა, ვიპატოსი – საბა. ფაშა [ოსმალ.] წინამძღვარი მხედრობისა (დ. ჩუბ.). || [თურქ. ფაშა] უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო წოდებულება ძველად ოსმალეთში, ეგვიპტესა და ზოგ სხვა მუსულმანურ ქვეყანაში (სახელთან ერთად როდესაც იხმარება, მოსდევს მას; მაგ.: ალიფაშა) – ქეგლი. მოდი, *ფაშასთან* უჩივლოთ (სამ. VII, 347. ქართლი სულ ურუმთ ეჭირა, გაუყრის მათ *ფაშაებს* (არჩ. 268, 425, 4). მოვიწიენით სამცხეს, სახლსა *ფაშა* ათაბაგისასა (ტ. გაბ. 125, 9). მეფე ირაკლი ჩვენთა მეზობელთა ფაშებთა დაებეზღებინათ ხონთქართან (კალმას. 452, 18). ფეიქარი *ფაშა* შეიქნა, მაგრამ ნიადაგ თავისას იგონებდა: ვაი, შენ ჩემი საფეიქრო, მასტიკო და მასრა-მაქოო (ხალხ.). ახალციხის *ფაშა* [პასკევიჩს] ელოდებოდა (მ. ჯავახ.) – ქეგლი. „გურჯი *ფაშა* გიორგი სააკაძე თურქიეს თაარიხებში მაგრავ ჰანია“ (სტ.); „გურჯი მეჰმედ *ფაშაც* დიდი კაცი ყოფილა თურქიეში“ (სტ.); „ფაშიებმა ვერ გეიტანეს მეგემ“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). „ერთი დედე ხოჯა იყო, მეორე დედე *ფაშა* იყო“ (აივაზფინარი, კლარჯ. ლექსიკ.).

დიალექტ. **III. ფაშაი** ბებია, დიდედა. „ჩვენი *ფაშაი* რავარ არი?“ (ფატ.); **ფაშა-ნენეი** ბებია, დიდედა. „ჩვენა ფაშა-ნენეი ვიცით“ (ხ. ფ.); **ფაშა-ბატონი** საპატიო მიმართვის ფორმა რძლისათვის დედამთილისადმი ან მულისადმი. „შენ კარქა ხარ, *ფაშა-ბატონ*?!“ (ხ. ფ.); „ჩვენა „მული“ არ ვიცით, „*ფაშა-ბატონიო*“ ვიტყვით“ (ხ. ფ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. ფაშა:** 1. **ფაშა თუთა** თუთის ჯიში, მსხვილი ნაყოფი აქვს. 2. **ფაშა ვაშლი** ვაშლის ჯიშია (ჯავახ. ზედგ.).

ახ. ქართ. **V. ფაშა** ანუ ფაშფაშა. მსუქან და სქელ ადამიანზე ითქმის.. „შახე, დედა, ფაშაა“ (რ. ერისთ.). ჩემი ცოლი ერთი *ფაშა* დედაკაცია (სვ. ყიფ.). ფაშა და დროშა – მოსული ადამიანი, ლამაზი გამოსაჩენი. ვაიმე, ჩემო ფაშა და დროშა მიხაკჯან (გ. ხუნდ) – ი. გრიშ. შდრ. ფაშფაშა მსუქანი და შნოიანი (ითქმის ქალზე). [ლიზას და მართას] სქელი, ფაშფაშა დედაკაცი მოეგება (ეკ. გაბ.) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

ფაჩია:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფაჩია** (ქიზ.) ფეხსაცმელი ბავშვის ენაზე (ს. მენთ.). || ფაჩი (ჯავახ. ბერ.). შდრ. საშ., ახ. ქართ. **ფაჩუჩი** ჩუსტი ფე(რ)ჯსაცმელი (ფაფუჩ ZAaBCbqD, ფაფუჯ Ca.) ფე(რ)ჯსაცმელი – საბა. **ფაჩი, ფაჩლელ** ფაჩუჩი (სვან. თოფ., ქალდ.). ფაჩუჩი pabuç „ჩუსტი (გურგენიძე 1973, 53).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფაჩია** [სპარს.] ხელოსნ. ფერხიელი. – (ქიზ.) საქონლის ფეხის ტყავი (შდრ. თავრიელი) – ქეგლი.

დიალექტ. **III. ფაჩია** (ქათამი) ფეხებზე გრძელი ბუმბულები რომელსაც აქვს, *ფაჩიას* ეძახიან. გადატ. იტყვიან ადამიანზე, რომელიც აჩაჩულად იცვამს. „*ფაჩია* ქათამივით დადის, მაგაჰ არაფერი უხდება.“ „ეგ *ფაჩიანი*, ეგა, ეგაც სხვაზე იცინის“ (ჯავახ. ბერ.). შდრ. ფაჩვი ტანზედ ბალანი – დ. ჩუბ.

ფაცხა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფაცხა** 1. «წნული სახლი» (საბა), უჭერო და უიატაკო ქოხი ისლით, ჩალით და მისთ. დახურული, მიყვარს *ფაცხა* მე მეგრული, მთაკორტოხზე წამოდგმული, უფიცრო და უყავარო, წვრილი წნელით ჩახლართული (გ. ჭალად.). *ფაცხების* მაგიერ ჩნდებოდა დიდი სახლები (დ. კლდ.). იზრდებოდა ბნელ *ფაცხაში* გლეხის ქალი... ფორთოხალა (გ. ლეონ.) – ქეგლი. „ერთი *ფაცხა* სახლი აქ“ (ბაზგ., შავშ. ლექსიკ.). *ფაცხას* ბველად იდგამდნენ, ვისაც საშუალება არ ქონდა რომ ფიცრის სახლი დაედგა ან ხის (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 292). აგრეთვე ზ.-გურ. მრეწ. I, 362. ეს სიტყვა სამსავე ქართველურ ენაში დასტურდება; ჭანურში ეს მნიშვნელობა უფრო ფართოა, აღნიშნავს „ქათმის საბუდარსაც“ (ჩიქობავა 1938). 2. **ფაცხა** (ზ.-იმერ.) «წისქვილის ქვაზე დადგმული პატარა კალათა, რომელშიაც ჩადის სიმინდი ხვიმირიდან» (ბ. წერეთ.) – ქეგლი; ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 206. **ფაცხ** ფაცხა (სვან. თოფ., ქალდ.). **ფაცხა** კარავი ქოხი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფაცხა** (ზ.-იმერ.) «ორკაპა რკინის საყრდნობი (წისქვილში), რომელზედაც დაცმულია წისქვილის ფეხი» (ბ. წერეთ.) – ქეგლი. წისქვილის ბორბალი დგას *ფაცხაზე*, ხე არი, *ფაცხაზე* დაჭედილი, რკინის კიბორჩხალი, რომელიც ღერძის თავს კაოფს (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ფაცხა** ბრტყელი ხე, რომელზედაც კიბორჩხია დამაგრებული და რომელიც წისქვილის ბორბლის საყრდენია (ქართლ. გაჩ.). წისქვილის ...ბორბალს ქვევით აქ ფეხი და ბირს უდევს *ფაცხა* (ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 206). იხ. II. ფარცხი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ფაცხა** ქათმის საწიწკარა (ი. ჭყ.) – ქეგლი. || რუსაბძელო. ფაცხა ფრინველის ზურგი და გვერდის ნეკები; კურტუმოს ზეიდანა ქათამს აქ *ფაცხაი* (წაქვა, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ფონცხო, ფუცუნცხო (იმერ. ქავთ; ჯაჯან.).

დიალექტ. **IV. ფაცხა** ხალხური სიმღერაა ერთგვარი (გურ. შარაშ.).

ფახ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფახი** 1. ტყუვილი მუქარა – დ. ჩუბ. || მოჩვენებითი გამბედაობა, – რიხი. ასეთი შახისა და *ფახის* პატრონი მისი მეგობარი ასე მხდალი და მფრთხალი გამოდგა (ვაჟა). გრიგოლის პასუხმა და ამრეზილმა დუმილმა ორივეს ნაძალადევი *ფახი* ჩამორეცხა (მ. ჯავახ.) – ქეგლი. 2. შიში. „– თუ გაგიგა სტეფანამა, დედაკაცმა მისცა *ფახი*, დღე თუ სტეფანაი არის, ღამე მე ვარ შახინშახი“ (მოხ. ღუდ.). „ჩემი *ფახი* აქუ, თორო აქამდე სათამაშოდ გარეთ გავარდებოდა; თუ ბალღს ფახი არა აქუ, გაირყუნება“ (მოხ. ქავთ.).

ს.-ქართვ. არქეტიპია *ფახ-შიში; შიშით სირბილი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ფახი** ფიცრის ირიბად ათლილი ნაპირი. როცა სახში პოლის დაგება უნდათ, ფიცრებს ჯერ ზეიდან კარქა გარანდამენ, ქვეითა მხარეს კიდე ნაპირეფს წაათლიან თხლათა თავიდან ბოლომდინა. ესე წათლილ ფიცრის ნაპირებს *ფახს* ეძახიან (კავთ.). *ფახს* იმიტომ უკეთებენ, რო ფიცარს რო დაარტყამენ, ერთმანეთანა კარქა მივიდეს და დარანი არ დარჩეს (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). „სვეტი... საქარე გვერდის კედლებზე აგვყავ, *ფახიანია*, ე. ი. დაფერდილი, მწვეტაა“ (ქიზ. მრეწ. I, 44). გადატ. **ფახად** ცერად, ირიბად. „ვერ არი კარგათ, *ფახათ* წაუვიდა საქმე“ (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. **ფახი** ორტოტა ხე; ხის ჭურჭლის სათლელი ინვენტარი ზან. (მეგრ. ქობ.). **ფაჴ** საქსოვი დაზგის საყრდენი ორკაპა ხე (ფეხი) (სვან. თოფ., ქალდ.).

ფახაფუხ-ი:

ახ. ქართ. I. **ფახაფუხი** ღრუ და ხმელ საგანზე რტყმით გამოცემული ხმა. კამეჩების გვერდებს ხოკერივით ფახაფუხი გააქვს (თ. რაზიკ.). ზოგი კვერცხი კი ისევ უძრავი იყო, მხოლოდ *ფახაფუხი* გაჰქონდა (თ. რაზიკ.). შდრ. ფახფახი ხმაბაძვ. თხელკედლიან ღრუ და ხმელ რამეზე ცემით გამოცემული ყრუ ხმა – ქეგლი.

სამ., ახ. ქართ. II. **ფახაფუხი** «ცუდი ბაქი» – საბა. ტყუილი რიხი, ტრაბახი. დიპლომატიაში და პოლიტიკაში ტყუილს *ფახაფუხს* და მუქარას ხშირად თავისი ადგილი აქვს ხოლმე სხვის გულის გასახეთქად (ილია) – ქეგლი. შდრ. ფაფხური სხვისთვის მოსაჩვენებელი თავის გამოდება, – ფახიფუხი, შდრ. **ფახფური** [არაბ. ფახურ] დიდებული, ამაყი, ისეთი, რომელსაც თავი მოაქვს სხვებთან შედარებით. ჴელ-მწიფეს ფახფურს ამისგან არას უკეთეს ვხედაო (შჱნ. I, 1298, 3). **ფჯხ** ბაქია, ფაფხურა, ყოყლოჩინა (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფარხ- „ბაქიაობა; ფახიფუხი“ (ჩუხუა 2017).

ფახაც-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფახაცი** (ქიზ. გურ.) ფაცახი, – მსხვილბეწვა, ხმელი (მატყლი). ფახაცი მატყლი უფრო ცხვრის ჯიშზეა: ზოგ ცხვარს *ფახაცი* მატყლი აქვს, ზოგსო თივთიკივით («შინამრეწვ.») – ქეგლი. || (ფახაწი) მატყლი უხეში, ხმელი, მსხვილბეწვა მატყლი, – ფაცახი (აჭარ. ნიჟ.). „შემოდგომი მატყლი *ფაჯაცია*“ (ქიზ. მენთ.). ჭედილასა და ყოჩს ჯაფაცი ანუ *ფაჯაცი* მატყლი აქვს (ქიზ. მრეწ. IV, I, 28). || **ფაცახი** მატყლი (მ)სხვილ–ბეწვი (საბა). აგრეთვე ჯავახ. ზედგ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფახაცი** (ფშ.) შიში. ბარემ ბევრი მეზობლის ბიჭი შესცქეროდა სიმსუნაგით დედოფლის საგბლიან ხურჯინს, მაგრამ თან *ფახაცი* ჰქონდათ, ვაი თუ წავიყვანოთ და ამისი სურდოც ჩვენ გაგვყვესო (თ. რაზიკ.). || ფახადი, ფახანი, ფახატი – ქეგლი. შდრ. I. ფახი.

ფახახ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფახახი** (ქიზ.) 1. თხელი რამე. 2. გადატ. გამხდარი – ქეგლი. „იეგ საჭმელი რა *ფახახია*, გულ ვერ დაგიჭერს“ (ჯავახ. ბერ., ზედგ.). „საწყალი გიორგი ტყვეობისაგან *ფახახივით* გამჭდარა“ (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფახახი** (ფშ.) ღაბაბი. **ფახახიანი** (ფშ.) ღაბაბიანი. გულს უმაგრებენ ჩალხიას გმირნი ტყავჩოხიანები, დაჭრეხილ *ფახახიანნი*, ხმა მჟღრინავ-ბოხიანები (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. III. **ფახახი** ფაფახი (ფშ. ხორნ.). || **ფაფახი** [თურქ. ფაფახ] ბეწვიანი ტყავის (უპირატესად კრავლის) მაღალი ქუდი, რომელსაც ცა შეიძლება ამოღებული და ქსოვილის (მაუდის) ნაჭერგამოკრული ჰქონდეს – ქეგლი.

ფახილ-ი:

დიალექტ. I. **ფახილ** [აზერ. ფახგრ სპილენძის ჟანგი] ჟანგიანი, დაჟანგული. *ფახილ* ჟამ კეჰტევაყ, ქობ კეჰტეყავ, წიჰტევ შიგაჲთი (ინგ. ღამბ). შდრ. ფახირი – სპილენძი: მღეა ზომო წყალი, ფახირი ურევს მაქინები (ბუჯური, კლარჯ. ლექსიკ.). აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. II. **ფახილი** [არაბ.] *ფახილი კაცი* მოშურნე, შურიანი; ხარბი, გაუმაძღარი (აჭარ. ნიჟ.). „*ფახილი* ინსანი ღმერთ არ უყვარს“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || **ფახილ** [აზერ.ფახგლ] შურიანი. *ფახილ* ინსანი, ჩემზე *ფახილოვს* (ინგ. ღამბ.). ფახილი – გულქვა, ხარბი, შურიანი: *ფახილი* იყვენ, ჰამა ჭკვიანი იყვენ (ქოშკი, კლარჯ. ლექსიკ.). **ფახილი** შურიანი ზან. (ლაზ. თანდ.).

ფახუნ-ი:

დიალექტ. I. **ფახუნი** კოჭლის სიარული. „ფახუნით მოდის ე კაცი“ (იმერ. გაჩ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფახუნი** ძვ. «ცუდი ბაქი» (საბა). იხ. II. ფახაფუხი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ფახუნი** (იმერ.) იგივეა, რაც ფახური – ქეგლი. „არ უნდა ახლა მაგას თვალების *ფახუნი!*“ (იმერ. გაჩ.). იხ. II. ფახური.

ფახურ-ი:

დიალექტ. I. **ფახური**: მე შემიძლიან ცოტა *ფახურად* ავაშენო (ზ.- ქართლ. მრეწ. I, 232). შდრ. II. ფახი. **ფახურა** ნალიის ბოძებზე თუნუქია, თაგვი რომ არ ავიდეს ზან.(ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფახური** ქუთუთოების ჩქარი მოძრაობა, – ხამხამი (ქეგლი). **ფახური**, და-ფახურება თვალის დახამხამება. „ძალიანს ტრაბახობდა, მარა თავრობას რო შეხედა, მისი სივაჟკაცე ერთ თვალის *დაფახურებაში* გაქრა“ (ვ. ბერ.). შდრ. ფახვა ვჰხუჭავ თვალთა – დ. ჩუბ. იხ. III. ფახუნი.

ფევს-ი:

დიალექტ. I. ფევს[ვ]ი ფოჩი. [სამანდლეს] მაქსოვიდგე... გააძვრენენ სათხორესად' მანდელს ერთკესაც *ფევსვნ* ექნებიანა-დ' მეორეკესაც (ხევს. «შინამრეწვ.» 49). მანდლის *ფევსვთ* გამახფევსვენ («შინამრეწვ.» 50). ცოლისდებს ღამით უსმევავ ბოთლები დაშაქრულები, გიკერვენ საწვიეებსა, *ფესვად* აგისხეს ფულები (ხევს. ჭინჭ.). იხ. III. ფესვი.

დიალექტ. II. ფევს[ვ]ი ფესვი, ძირი (ხევს. ჭინჭ.). იხ. I. ფესვი.

ფელა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ფელა აბრეშუმის ჭიის პარკის გარეთა ბუსუსი, რითაც იგი მიბმულია ცახზე. პარკი შეხვეულია *ფელამი*, ფელით არის მიბმული პარკი ცახის ფოთლებზე, ფელას ვართავთ ძაფად (კახ. «შინამრეწვ.»). [პარკს] *ფელა* უნდა გადაეცალოს («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ.

დიალექტ. II. ფელა საფეხური [სპარს. pelle საფეხური]. ნარაჰათობა ვეზიდეღა თა ემ *ფელამდი* (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ფელამუშ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ფელამუში სქელი თათარა – საბა. || ტკბილის კვერი, სქელი თათარა – ნ. ჩუბ. *ფელამუშს* ვაკეთებთ ასე: ერთ ფუთ ტკბილს ცხრა გირვანქა დაფქვილი უნდა; გავბრავთ, გავქნით ტკბილში მაგრად და მერე ავადუღებთ («შინამრეწვ.»). [სტუმრებს] სუფრა გავუშალე და წინ დავალაგეთ სხვადასხვა ხილი, ღვინო და *ფელამუში* (დ. კლდ.) – ქეგლი. ფელანუში || ფელენუში || ფელანდუში ფელამუში, თათარა. გოზინაყები ფელანუშში ამოავლო (რაჭ. კობახ.).

დიალექტ. II. ფელამუში მუხა. „მუხას ზოგი „ფელამუში" ებნევიან" (ჭ., ჩვენ. ფუტკ.). || ქელამუში მუხა. „ქელამუში ბევრი იყო ჩუენ ტყეში" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. თელამუში [Ulmus scebra და U. elliptica] ბოტან. თელის მსგავსი, დიდი ტანის ხე, გავრცელებულია მთის ტყეებში – ქეგლი.

ფელიკ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ფელიკი 1. შაშხის ნაკუწეთს უწოდენ გლეხნი – საბა. 2. ხერხემალზე სიგრძივ გაკვეთილი საკლავის (ფეშხვის) თხელფერდზე გადანაჭერის ერთ-ერთი ნაწილი, – საკლავის მეოთხედი. 3. რაჭ. „დაკლული ღორის ნახევარი, სიგრძისად გაჭრილი" (ი. ჭყ.) – ფეშხვა. „შე კაცო, მეირი რავაა! ამის (= ღორის) *ფელიკები* წელიწადს გეყოფა!" (ა. ბელ.) – ქეგლი. გაფცქვნილი ღორი რო გეიჩეხება შვაზე, ნახევარი არი *ფელიკი* (ქვაციხე). სულ შეჭამა ე ღორი, *ფელიკის* ბარკალი დარჩა მარტო (წირქვალი); *ფელიკს* შვაზე გაჭრილ ღორს უმახით (ტაბაკინი). || დაკლული ღორის ნაწილი ხერხემლიდან თეძომდე, – გვერდი. გვერდის

წკნელები რო აქ ღორს, გვერდის ნეკნები, ის არის *ფლიკი* (შომახეთი); ფლიკი ღორის გვერდია, ჩვენ *ფლიკეფს* დავლორავთ (მოხვა); *ფლიკია* გვერდის წკნელები, ნეკნები, რო დავკლამთ ღორს, ჩამოვკიდეფთ ფლიკეფს (მანდაეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). *„ფლიკზე* ჩამოჭერი ხორცი!“ (იმერ. გაჩ.). აგრეთვე: ქიზ. მენთ., რაჭ. კობახ. **ფელეკი** შუაზე გაჭრილი ღორის ნახევარი ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ. ქართ. II. **ფელიკი** ძვ. „კარვის ზღუდე“ (საბა). **ფელეკიშ კარი** ნახევარკარი ზან. (მეგრ. ქობ.).

ფენ-ი:

ახ. ქართ. I. **ფენი** კვალი. ქათმის *ფენი* მოიდაო, ქათმის კოლიო [თოვლზე იტყიან] (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. II. ფენა.

ახ. ქართ. II. **ფენი** [გერმ. Fehn] – მბაფრი ქარი, რომელიც უბერავს მთებიდან; წარმოიქმნება ატმოსფერული წნევის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვაობის პირობებში მთაგრეხილის აქეთ და იქით – მ. ჭაბ.

ახ. ქართ. III. **ფენი** [ინგლ. Fan] – თმის გასაშრობი ელექტროვენტილატორი – მ. ჭაბ.

ფენა:

საშ., ახ. ქართ. I. **ფენა** დაგება, გაშლა, დაფენა, მოფენა – ნ. ჩუბ. || გაშლა, 'და'გება. შენ ხარ სავსება ყოველთა, აგავსებ მზეებრ *ფენითა* (რუსთაველი). როგორც რომ ბნელსა ღამესა მთვარე გამოჩნდეს უეცრად და გაანათოს მიდამო სხივების *ფენით* ვერცხლისფრად, ისე ქართლისა ხსენებამ გამოაფხიზლა კრებული (აკაკი) – ქეგლი. აგრეთვე ფენა იხ. განფენა (-ილი); გარდაფენა, დაფენა, მარმარინოფენილი, მიმოდაფენა, მიმოფენა, მიფენა, მომფენელი, მოფენა (ილ. აბულ.).

ახ. ქართ. II. **ფენა** 1. ერთგვაროვანი ნივთიერების მასა ზოლად გაშლილი სხვა ნივთიერებათა შორის და მათგან განსხვავებული, – შრე. ქონი და ხორცი ურთიერთ შორის თანაბარ ფენებად უნდა იყოს განლაგებული (ს. ჭუმბ.). 2. გადატ. დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებული რამ. ეს ზემო-ქვემო სვანურისა და ქართლ-კახური ჩვეულების საერთო თვისება დღესასწაულის პირველადი *ფენისა* თუ არა, ძველი ფენის წესისა და რწმენის ნაშთი მაინც უნდა იყოს (ივ. ჯავახ.). 3. გადატ. საზოგადოებრივი კლასის ან ჯგუფის ნაწილი, რომლის წევრები ერთნაირ მდგომარეობაში არიან და განსხვავდებიან სხვათაგან – ქეგლი.

დიალექტ. III. **ფენა** [არაბ.] 1. ცუდი, საძაგელი, ავი. 2. ძლიერ, ძალიან. 3. შემძლე, მოხერხებული. „სიკვდილი *ფენა* გონჯია“ (იმ.); „ჩვენი ჰუქუმეთი *ფენა* ღორია“ (იმ.); „*ფენა* ვიყავ, რაძღიებ მუაფერებდი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. IV. **ფენა, ფენათ** [თურქ.] ძალიან, ბევრი: „მარტოდ დავჩი ფენა“ (უსტ.); „ო, *ფენათ* არიან [ღორები]“ (შავშ. ლექსიკ.).

ფენჯერ-ი:

დიალექტ. I. **ფენჯერი** [თურქ.] ფანჯარა (შავშ. ლექსიკ.). *ფენჯრები* ზემოთ ეძღებოდა (ქომკი, კლარჯ. ლექსიკ., ჩვენ. ფუტკ.). || ფანჯარა [სპარს. ფანჯარაჰ] შენობის (ნაგებობის) კედელში დაყოლებული ღია ადგილი (სინათლისა და ჰაერისათვის), რომელშიც მომინული ჩარჩოა ჩასმული, – სარკმელი (ქეგლი).

დიალექტ. II. **ფენჯერი** აივნის რიკული, მოაჯირი, რომელზედაც ნახვრეტებით გამოხატულია სხვადასხვა სახე. არჩილი მივიდა *ფენჯერთან* (იმერ., ალავ., დ. კლდ. ლექსიკ.) – ალ. ღლ.

ფერდ-ი:

ბუნ., სამ., ახ. ქართ. I. **ფერდი** 1. გვერდს ქვეშეთი (ქვეითი B) – საბა. || ადამიანის ან ცხოველის სხეულის ნაწილი – (მარჯვენა ან მარცხენა მხარე) ნეკნებიდან თეძომდე – ქეგლი. „აღივსნის *ფერდნი* თჳსნი წყლითა წყაროჲსაჲთა“ (ფიზ. XXXIV, 10) – ილ. აბულ. [ავთანდილმა] ნახტომსა შეელსა *ფერდსა* ჰკრა ისარი ორბისფრთიანი (ხალხ.). [ბახვამ იერემიას] დაჰკრა *ფერდში* ხანჯალი (გ. წერეთ.). 2. ტანისამოსის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის ფერდს ფარავს. ზედატანი შედგება ბეჭებისა და ფერდებისაგან («შინამრეწვ.»). 3. იგივეა, რაც ფერდობი. გამოვლეს ლიქოკის წყალი, ამოვლეს ცოტა *ფერდია* (ვაჟა). ხელოსანი ესახლა შუაგულს ტყეში, ერთს მთის *ფერდზე* (გ. წერეთ.) – ქეგლი. აგრეთვე გურ. ნიკოლ. 4. გადატ. **ფერდი** ყუათი, მაწიერობა. მაინც რაც გინდ კარქი საჭმელი გქონდეს, ამი *ფერდი* სხვა არი, ლობიოსთანა ყუათი არაფერსა აქ (ერედ., ქართლ. ლექსიკ.).

ს.-ქართვ. *ფერ- „ფერდი“ → ქართ. ფერ-, ფერ-დ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფერდი** (იმერ.) ჩონგურის მეოთხე სიმი, რომელსაც მოსართავი რიკი გვერდზე აქვს (და არა ზემოთ, როგორც სხვა სიმებს) (ბ. წერეთ.) – ქეგლი. იხ. II. ფერდა.

ფერდა:

ახ. ქართ. I. **ფერდა** ფერდობი. ტყე ტიროდა, ტიროდა დიდი *ფერდა*, კალთა მთისა (ვაჟა). დავეშვით *ფერდაზე* და გადაღმივ ტყეს მივაშურეთ (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. იხ. I. ფერდო.

საშ., ახ. ქართ. II. **ფერდა** «ალკაპია» (საბა, ქეგლი). იხ. II. ფერდა.

დიალექტ. III. **ფერდაჲ** [აზერ. ფჱრდჲ] აპკი, თხელი გარსი, თხელი ფენა რისამე ზედაპირზე გადაკრული. კრწცხი *ფერდაჲ;* მუცლი ქონი *ფერდაჲ*, ზროხი გული *ფერდაჲ* (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. IV. **ფერდა** ფერდების ავადმყოფობა, პლევრიტი. „*ფერდა* ჭირს საწყალს, სიცხეს აძლევს და სუნთქვა უჭირს“ (ზ.-იმერ. წერეთ.).

ფერდო:

ახ. ქართ. I. **ფერდო** ფერდობი, – დაფერდებული ადგილი, გვერდობი. ირმები დიდს *ფერდოს* შეუდგნენ (ვაჟა). ქოხს ქვევით *ფერდოზე* გამოჩნდა რამდენიმე კაცი (ა. ყაზბ.) – ქეგლი. იხ. I. ფერდი მნიშვნ 3. ფერდ-ობ-ი > ფერდო; ო სუფიქსი ივარაუდება -ობ სუფიქსის ცვეთით (მორფ. ლექსიკ. 1988).

დიალექტ. II. **ფერდოი** (მრ. ფერდოევ) [აზერ. ფჱრდჱ] ფარდა. ქორწილში პატარძალს *ფერდოს* უკან აღუნევენ, აღქ მალენყ; კარი *ფერდოევ*; აკუშკი (ფანჯრის) *ფერდოევ* (ინგ. ღამბ.). || ფარდა, ფარდაგი [ფარდაკ] ფარდა ფანჯარაზე ან კარზე ჩამოსაფარებელი ქსოვილი. ფანჯრებს ჩამოფარებული აქვს ლამაზი ფარდები (ი. გოგებ.) – ქეგლი.

ფერია:

ახ. ქართ. I. **ფერია** [ფრანგ. féerie-დან ჯადოქარი, გრძნეული] იგივეა, რაც ფეა. ერთი *ფერია* ყოფილა, *ფერია* არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპავს და გამოპარულა (ილია). [ჯეირანი] განხორციელებული *ფერია* იყო, ტყის მითიური ქალ-ღმერთი (ა. ჭუმბ.). გუშინ სიზმრად ტყის *ფერიამ* საიდუმლოდ ჩამომძახა... (ი. გრიშ.). || პოეტ. გადატ. ლამაზი, მომხიბვლელი, გულის მომჯადოებელი ქალი. ოფელია! ჩუმად! ახლა-კი. – მოიხსენიე შენს ლოცვაში, ჰოი, *ფერიავ*, ჩემი ცოდვები (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ფერია** პატარძლის ყვავილი. თავქვია ყვავილი, თავდაყირა (კახ. ა. მაყ.). შდრ. I. ფერულა.

ფერილ-ი:

ახ. ქართ. I. **ფერილი** დაფერილი. || ფიგურ. ბეგლი დგას... ბრინჯაო, მზის შუქში *ფერილი* (ანა). ოქროდ *ფერილი* ღრუბელთ გუნდი, მწყობრად მფრინავი... დედამიწას თავს დასტრიალებს (ა. აბაშ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ფერილი** ფერფლი (ლეჩხ. ალავ.). „*ფერილები* გაყრია თავზე“ (სოჩხეთი, ოკრიბ. ბოწ.). || ფარილი ბვ. «ბაზმის მური» (საბა). || ფერფლი. „გაჩუმდი თუ არა, ფარილათ დაქხვთება მა შენი კუბზურიე სახლი“ (საჩ. შარაშ.). შდრ. I. ფერფლი.

ფერულა:

ახ. ქართ. I. **ფერულა** [ლათ.] სუბტროპიკული მცენარე ქოლგისებრთა ოჯახისა. (ჯეირნები) ზაფხულში, ირჩევენ ტენით ყველაზე მდიდარ მცენარეებს – ბურჩხა, ხახვი, *ფერულა* („ჯეირ.“). შდრ. ფერუა ჭიაფერა, მცენარეა (რაჭ. ა. მაყ.).

ახ. ქართ. II. **ფერულა** [ლათ. ferula წკეპლა, როზგი] ბველად სახაზავი, რომლითაც დამნაშავე მოწაფეებს სცემდნენ ხელისგულებზე – მ. ჭაბ.

ფერფლ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფერფლი** 1. «ნაკუერცხლის ნაცარი, ავლია» (საბა), – ნამწვარზე მოდებული ფქვილივით ნაცარი, – ნავლი. ნაღვერდალს *ფერფლი* ეფარებოდა (ა. ყაზბ.). აქეთ-იქით ეყარა... ფურცლები..., ზედ ებნია... სიგარის *ფერფლი* (ს. მგალობ.). 2. გადატ. იგივეა, რაც ნეშტი. ჩვენივე მკლავით ცხოვრებას გავწევთ, მტერსაც ჩვენ თვითონ გავუმკლავდებით... – წინაპართ *ფერფლი* იყოს თავმდები! (გ. ლეონ.). 3. მტვერი (ყვავილისა). [ყვავილნი] ფუტკარს... ნებას აძლევდნენ სურნელიანი *ფერფლი* მოეკრიბა (ა. ყაზბ.). [სიმინდის] თავთავები, მარცვლების მაგივრად, სათესლე *ფერფლს* იკეთებენ (ი. გოგებ.). 4. ნამცეცი, ნატამალი. მესხეთი მარტო რუსეთმა დაიჩემა და ქართველ საზოგადოებას იმედის *ფერფლიც*-კი გაუფანტა (მ. ჯავახ.). 5. ნაფხვენი, ნაფქვავი. [ხავსი] ხმებოდა და ძირს *ფერფლად* ცვიოდა (თ. რაზიკ.). 6. მარცვლეულის თხელი კანი, – ჩენჩო, კილი, ბრელო. ფეტვი გარეცხეთ, რომ მტვერი გაუვიდეს, ნურას შეაყოლებთ, ისე ხელსაფქვავზედ დაღერღეთ და *ფერფლები* გადაბერტყეთ, რომ გულიღა დარჩეს (ბ. ჯორჯ.). 7. თხელი კანი, აფსკა. ქამა სოკოს ფერფლი გადააცილეთ და გაწმინდეთ, ძირები და აჭერით! (ბ. ჯორჯ.). 8. მე. «პრპენი, წიდა მეტალისა» (დ. ჩუბ.). || (თიან.) «გახურებული რკინის ნაყარი» («შინამრეწვ.»), – ნაგალი (ქეგლი). 9. თოვლის ფიფქი. თოვლის *ფერფლი* მოდის (შომახეთი, პერევი, ზ.-იმერ. ძოწ.). ფერფლავს ოდნავ თოვს, წვრილი ფიფქი ცვივა (ქართლ. ლექსიკ.). || **ფირფლი ფერფლი.** „ხის ნავლი რო დაცუივაკე, ფირფლი შეშისაა“ (მოხ. ქავთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფერ- || *ფერ-ფერ- „ფერფლი, დაფერფვლა, ფერფლისფერი“ > ქართ. ფერ-ფლ- < ფერ-ფელ-, ფრ-ავ-ელ-ი, ფერ-ო (ჩუბუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფერფლი** 1. (ქიზ.) ქერცლი, ქერტლი, ქეცედი. *ფერფლი* გოჭასი («შინამრეწვ.»). *ფერფლი* ჭანრისა («შინამრეწვ.») – ქეგლი. ახალი თევზია თუ სელოტკა, ზემოდან სუყველაი მრგვალი რაღაცები აქ ხომე გადაკრული წყობისათა, წვნიკები, და იმაი ვეტყვით *ფერფლებსა* (წილკ.). ცოტა სხვილები რო იყვეი, მოუნდებოდა *ფერფლი* გაცლა და ჭიჭყინეფ რო *ფერფლი* გააცალო, რაღა დარჩება (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). 2. გადატ. ქერტლი, თებო. „არ ვიცი, რაი ვუტიალა ამ თმასა, ვიბან და მაინც *ფერფლით* მევსება“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე ქიზ. მენთ. შდრ. ფერფლი < ფარფლი «თევზის ფრთა» (საბა).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფერფელ- „პეპელა; ფრთა“ (ჩუბუა 2017).

დიალექტ. **III. ფერფლი** ფარფლი. ჭურის *ფერფლები* გარეცხე (ხიდარი). ჭურის *ფერფლი* გატეხოდა (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ., გაჩ.). || **ფარფლი** საერთოდ, ბრტყელი წრიული ნაპირი რისამე (ქუდისა, ჭურჭლისა...). ქუდის ფარფლი. – ჭურსა და თორნეს აქვს ფარფლი («დიალ.»). ქოთანს, დერგს, ჭურს ექნება ფარფლი («დიალ.») – ქეგლი. ფარფ, ფარფ ფარფლი, კიდე (სვან. თოფ., ქალდ.).

ფერცხალ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფერცხალი** 1. «გუერდი», გვერდის წიბო – საბა. „სამნი *ფერცხალნი* (სამნი გუერდნი pb.) პირსა მისსა შორის კბილთა მისთა“ (O, დან. 7, 6); „შეცვულ არს იგი (გული) ...მოცვითა მით *ფერცხალთაჲთა* გარემოჲს მისა“ (გრ. ნოს. -კაც აგებ. 227, 30) – ილ. აბულ. კვლავ უთხრა ქმარსა: „ვარ შენი *ფერცხალით* ამონაღები“ (ბეს. 155, 9).

გამოქვაბულის ზემო-თავში ელაგა გამოხრული კენჭხოები, კარებისაკენ წვრილი ძვლები, – *ფერცხლები*, კანჭები (ვაჟა) – ქეგლი. || ნეკნი და ნეკნების ერთობლიობა მთლიანად, – გვერდი. ბორბალ აგებენ ციხესა ბროლ-მარილაის ქვისასა... ადეშად *ფერცხალს* აყრიან სამოცის ფხაჭეხლისასა (ხევს. პოეზ. 157, 3). სრუ ნაგაბრად გაიტანა ერთის გვერდის *ფერცხალია*. აგრეთვე **ფერცხლის** გალი ნეკნი. ორ-სამ ფერცხლის გალ ხქონივ ჩამტვრეულ, იმის სიცოცხლე საორჩიგორ (ხევს. ჭინჭ.). ავყასბავთ (ავჭრით) ნაწილებათ (შდრ. აკაფსვა), კედაროს (მხარს, გვერდს), *ფერცხალს*, ფერცხს, ფერდი [ს]ძვალს (ნეკნს) (ზ.-აჭარ. კობ.). „მოაწვადეს *ფერცხლის* ძვალი“ (ფშ. ცოც.). „ჩემ საკლავისა ერთ მჴარი და ერთ ფერცხალ ჩავკაფოთ“ (ფშ. ხორნ.). || **ფერცხი** ნეკნი (ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.). 2. გორის ფხა (ხევს. ჭინჭ.).

ფერცხალი („გვერდი“, „ნეკნი“) < *ფერსხალი (ალბათ, < ფერდ-სხეულისაგან) (ლომთაძე 1999: 39).

საშ. ქართ. II. **ფერცხალი** ძვ. «მოქლონის ენა და მისთანათა ნაწყობთაგანი» (საბა). || «კლიტის ენა» (დ. ჩუბ.). ოქრო და ვეცხლით, მამულის *ფერცხლით*, ამა სოფლისა მონიჭებულით (ქილ. 549, 30).

დიალექტ. III. **ფერცხალი** 1. ისარი (გურ. შარაშ.). 2. გადატ. (მალი, სწრაფი) ცხენი ალაზე შედგება (ყალყზე შედგება) (ზ.-აჭარ. კობ.). || ფირცხალი მალი, სწრაფი, ჩქარი; ფიცხი (პირუტყვზე იტყვიან ჩვეულებრივ) (აჭარ. ნიჟ.).

ფესვ-ი:

საშ. ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფესვი** 1. ძირი ნერგთა და მცენარეთა, მიწაში დაფარული – დ. ჩუბ. მცენარის ძირითადი ორგანო, რითაც იგი მიწაშია დამაგრებული და მიწიდან იღებს საზრდოს. ხე *ფესვითა* დგას, ადამიანი – მოყვრითაო (ანდაზა). *ფესვებით* ხე მიწიდან სწოვს ნოყიერ წვენსა და იზრდება (ი. გოგებ.). || ფიგურ. შენი ყვავილი ახლა იშლება, ჩემი, *ფესვებიც*-კი დამზრალია (აკაკი). დავლოცე ძმობის ფუძე და *ფესვი* (ი. ნონეშ.). 2. კბილის ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ყბის ძვალში. 3. გადატ. საფუძველი, საწყისი, სათავე. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი (ილია) – ქეგლი. 4. მთვარე, ჩალხი. მთვარე ჯ., ფშ., თ., მთორე გუდ., სალუდე ქვაბის ძირში ამოკერებული მრგვალი სპილენძის ფურცელი. მთორე, მის ზემოთ ფესვი (გვერდი მთ.) – ა. შან. ფესი || ფესვი (ფერეიდ. ბერ., ბაკურ., 293).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფასუ (ჩუხუა 2017).

ძვ., ახ. ქართ. **II. ფესვი** ძვ. ძირის ჩინჩლები, გინა სამოსლის ქვედა კერძი – საბა. გრძელი და ფართო კალთა სამოსლისა (დ. ჩუბ.). || ფესუ «კიდე»: „რაჲთა შე-ხოლო-ახოს ფესუსა სამოსლისა მისისასა“ (მთ. 14, 36); „უქმნენ თავთა თჳსთა ფესუნი ფრთეთა ზედა სამოსელთა მათთასა“ (G, რიცხ. 15, 38); „შეუპყრან ფესჳ კაცისა ჰურიისაჲ“ (O, ზაქ. 8, 23) – ილ. აბულ. მოსწყუედიან *ფესუსა* სამოსლისა მისისასა (ქ. ცხ. სიმფ. I, 126, 15).

დიალექტ. **III. ფესვი: ფესვი ჩიჭილა** მძივის ფესვით მორთული სამკუთხიანი ნაჭერია (მატყლისა), შავი (ერწ. თიან. მრეწ. III, I, 6). შდრ. **ფესვები** ფოჩები. „ტოლს ნემსით ნაპირებზე უკეთდება *ფესვები*“ («შინამრეწვ.») (მოხ. ქავთ.). ვფიქრობთ, რომ ფესვი < ფევსი < ფესი. **ფესი** ფუნჯიანი ქუდი ერთგვარი, გადაკვეთილი კონუსის მოყვანილობისა, ჩვეულებრივ წითელი ფერისა (იხურავენ ახლო აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში – მუსულმანები). [მაროკოს ქალაქ ფესის სახელიდან]. [ოსმალებს] ხალვათად აცვიათ, თავზე ფესი ახურავთ (მ. ჯავახ.) – ქეგლი. შდრ. I. ფევსი.

ახ. ქართ. **IV. ფესვი** ფერსო. თვლები დავკვერცხე, რა თვლები, გრგოლივით ჩამოსხმულია, ჯაგრცხილის *ფესვებს* მოვკიდე სოლებად იფნის გულია (რ. ერისთ.) – ქეგლი. იხ. II. ფესო.

ფესვიან-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ფესვიანი** 1. რასაც ფესვი აქვს. ფესვიანი ნერგი. ფესვებიანი ზედ დიდი ფესვების მქონებელი, ფესვგამდგარი – დ. ჩუბ. ფესვიანად ზმნს. ფესვებთან ერთად, – ძირიანად. მოვარდებოდა ნიაღვარი, აწვებოდა კლდეს... თან... *ფესვიანად* მოგლეჯილ ხეებს ახეთქებდა (თ. რაზიკ.). რაც წამხდარი ხეებია, – ... ამოაგდე ძირიანად, *ფესვიანად*, თესლიანად (შ. მღვიმ.). || ფიგურ. ვეცადე ქალაუ! რომ... შენი სიყვარული *ფესვიანად* ამომეგლიჯა (ა. ყაზბ.). 2. გადატ. ძირის ძირობამდე, მთლიანად. ჩემს ჯილაგს ემუქრებოდი ამოფხვრას *ფესვიანადა* (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ძირფესვიანად – ქეგლი. იხ. I. ფესვი.

საშ., ახ. ქართ. **II. ფესვიანი** ფესვის მქონე, – გრძელ- და ფართოკალთიანი. *ფესვიან* ბოლოს... ჩაშვებულს ვატარებთ («შინამრეწვ.») – ქეგლი. იხ. II. ფესვი.

დიალექტ. **III. ფესვი: ფესვიანი ქუდი** კრავის ტყავისაგან შეკერილი მოგრძო ქუდი (ქვემოიმერული ბუხრის ქუდი). „მალამდი *ფესვიანი* ქუდი იცოდენ. ახალი დაბადებული კრავის ტყავისგან კერვიდენ“ (ჩოჩხ., გურ. ჯაჯან.). იხ. III. ფესვი.

ფესო:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფესო** (ქართლ. ფშ. იმერ.) იხ. I. ფესვი. სიმინდის წვრილ *ფესოებს* დააწვეთე ოფლი ღვარად!... (აკაკი). შენგან ცრემლად იღვრება წვენი ვაზისა და თვით მათი *ფესოები* (ვაჟა). [ნიცა] კაკლის *ფესო-*

ზე ჩამოჯდა რაღაცა დაფიქრებული (შ. მღვიმ.) – ქეგლი. „ბაღვსა კოწიწაი ჭირდა და კაკლი *ფესომი* გავარუნიეთ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „*ფესო(ს)* ჩამყრელი მოგიკვდეს“ (ს. მალანთა, ჯავახ. ბერ.). „ფეხი წავკარ *ფესოზეო*, აღარ გავალ ეზოზეო“ (აჭარ. ნიჟ.). || ფესო: **დაფესოება** საბირეზე, საკვირტე მასალის დამყნის ადილას, მიწის ზევით გამოღებული ფესვების დაჭრა, რომ მიწაში მყოფმა საბირემ გაიღოს ფესვები (დილიკაური); სადანაც დამყნილია ვენახი, იქ *ფესოს* გამეიღეფს ტკპილი, მოვჭრით იმა და ესაა *დაფესოება* (ქვაციხე); წარე და გემრიელი ლერწის შეერთების ადგილას *ფესვმა* იცის გამოღება. იმ ფესვებს, რომელიც მაღლაა, შევაცლით მთლიანათ. ესაა დაფესოება. დაახლოებით 25 შემდეგ *დავაფესოვეფთ* ხელმეორეთ განთიადი. ჩაფესოება იგივეა, რაც დაფესოება. გემრიელის ლერწი როა დამყნილი წარეზე, ი გემრიელს მოვჭრით *ფესოეფს* და ესაა ჩაფესოება (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ფესო** ფესვი, ძირი, ბოლო (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფესო** (იმერ.) ფერსო. – ხის რკალი, ურმის თვლის (ბორბლის) სოლებზე ჩამოგებული (*ფერსოს* ირგვლივ რკინა ეკვრის). ფესოში სოლების ჩასხმა – ქეგლი. ფესო ურმის თვლის რიკებზე (სოლებზე) ირგვლივ ჩამოცმული ხე (რამდენიმეა), რომელზედაც ურმის რკინა ეცმევა გარედან, – ფერსო. „ურმის ფესოებით ბჟოლის ხეა კარქი“ (იმერ. გაჩ.). || ბუნებრივათ მოხრილი ხისგან კეთთება, სქელი ხის რკალია. იგი ურემს 3-4 აქ. მასში გაყრილი სოლები, რითაც *ფესო* მორგვს უერთდება. გარედან *ფესოს* შამოჭირებული აქ ურმის რკინა, რო არ გაცვთეს (ქვაციხე) ურემს აქ ფესოები (გორისა). **ფესოიანი** ფერსოს მქონე. ჩვენ ურემს *ოთხფესოიანი* გოგორა აქ (შომახეთი); ურემს აქ *ფესოები*. ურმის თვალი *ოთხფესოიანიც* არი და *სამფესოიანიც* (გორისა, ზ.-იმერ. ძოწ.). **ფესო** ძირი ზან. (ლაზ. თანდ.).

ფეშანგ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფეშანგი** [სპარს. ფეშანგ] «ჩალვადრის მთელი ქარავნის წინამძღვარი ცხენი...» (ვ. ბერ.). შდრ. ძვ. ქართ. ფესანგი «ჭრელფრანი», ჭრელი: „ვიხილე... ეტლსა მას მეოთხესა ცხენნი ფესანგნი“ O, – „ვიხილე ეტლსა მას მეოთხესა ჭრელფრანნი“ (I, ზაქ. 6, 3); „მოუვლინა მათ ღმერთმან ზილი და ბზიკი ფესანგი“ (S–1141, 512) – ილ. აბულ. უკვე საშ. ქართულში ფესანგის მნიშვნელობა დავიწროებულია. ფესანგი ჭრელი ცხოველი (საბა). ფესანგა თეთრხალიანი ხარი (ფშ. ლ. ლეონ.). ს > შ ქართულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებაა.

დიალექტ. **II. ფეშანგი ტყივა**, ტყვია. ფეშანგი [სპარს. Fešang]. *ფეშანგი* გოუთავდაყე, ტყივა; ქურთებ შემოუდგესყე და ყოლასა ამათ *ფეშანგი* გოოთავდაყე, თასლიმი შაიქნეს (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ). აგრეთვე ფერეიდ. ა. ჩიქ., შ. ძიძ., ქრესტ. – ალ. ღლ. შდრ. ფეშეკი გამზადებული ვაზნა. თურქ. fişek || fişenk (გურ. ღლ.).

ფეშო:

საშ., ახ. ქართ. I. **ფეშო** «ცალი ჩანასხეპი» (საბა), – ფეშხვა (ქეგლი). შდრ. ახ. ქართ. ფეშხვი, ფეშხვა, ფეშხო ხერხემალზე სიგრძივ გაკვეთილი საკლავის ნახევარი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ფეშო** კარტოფილის ღერო. ნორჩობაში (ქვედა მხრებს) მხლად იყენებენ (ფშ. ხორნ.). შდრ. I. ფესო.

ფთა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფთა** ფრთა. „ჩიტო, ჩვენ კარგი ამბავი, შენ ოქროს ნისკარტი, შენ ოქროს ნისკარტი, გაშალე *ფთა*, გადაიარე მთა!“ (ხალხ.) – ქეგლი. მოსტეხა *ფთა* (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ფთაი (გურ. იმნ., რაცხ. გურ.). **მოფთიანდება** ფრთებს დაისხამს (ფრინველი), წამოიზრდება. „*მოფთიანდნენ* ჩემი წიწილები, წყრისტელები არიან (ქართლ. გაჩ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. ||◊ ბეჭის ფთა ბეჭის ძვლის ბრტყელი ნაწილი. მარმარილოს მსგავს ბეჭის ფრთასთან ერთი პატარა წითელი ნიშანი ჰქონდა მათიკოს (აკაკი) – ქეგლი. „ესროლა, მოხვთა მარჯვენა ბეჭის *ფთაზე*“ (იმერ. გაჩ.). || ◊ **ჩიტის ფთაი** წინდის ვიწრო ზოლებიანი ნაჭრელი. „გომეწრელთ გადავლილაყივ იცოდიან, ეს პირიქითულადაი“ – გომეწრელები გადავლილას ეძახდნენ, ეს პირიქითულად არის (თუშ. ცოც.). || ჩიტის ფრთა-სახეა (ქართ. მტკვრ. სამხრ. მრეწ. II, II, 16). || **ფდე:** „წადიო, იყიდეო ერთი ვაშლიო, ერთი შავი ფდეო, ერთი კარგი მთავარი პური გამააცხვეო“ (სნო, მოხ. ქავთ.). ფრთა → ფთა.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ფთა** 1. ერქვანთ საგვერდული (ს) ფიცარი – საბა. რა წამს სახნის-საკვეთი გაივლის, ფთამ უნდა უშველოს და ბელტი მაშინვე უნდა გადააბრუნოს (შ.-კახ. მრეწ. IV, II, 79). რვილსა. დედანს და სავარცხელს მარჯვნივ, გვერდზე *ფთა*, ანუ ფთე, აქვს წაკრული ბელტოს გადასაბრუნებლად (ქიზ. მრეწ. IV, II, 73). 2. ჯარის მორგვზე ჯვარედინად აფარებული ფიცრები. ჯარატარს ბოლოდან შემოცმული აქვს კოპის ყური, ხოლო წვერისაკენ-*ფთის* ყური (ქიზ. მრეწ. II, II, 16). 3. ბორბლის ფირფიტა, რომელსაც წყალი სცემს და ბორბალს ატრიალებს (ქიზ. მენთ.). წისქვილის... ბორბალი... ორ-ნახევარი არშინი, დავასხამ ათიდან ცამეტამდი *ფთებს* (აჭარ. მრეწ. IV, III, 298). წისქვილის ბორბლის სოლები, რომელთაც ხვდება წყალი და ამოძრავებს ბორბალს. წისქვილის *ფთეფს* ხვთება წყალი და ბორბალი ტრიალოფს (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). „საცა ი *ფთეემ* უკეთდებ, იმას წყალ მაზდის“ (ფშ. ცოც.). 4. კეხის ბრტყელი ნაწილი, ცხენს რომ გვერდზე ედება. 5. ფთა ჭელის ფიცარი. ხელისგულისოდენა თხელი ფიცარი, რომელიც ჭურჭლის კეთებისას (მექვევრეს) ხელში უჭირავს და ჭურჭლის კედელს უსვამს და ასუფთავებს (ქიზ. მენთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფათა „გვერდის ფიცარი“ – ქართ. ფთ-ა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. III. **ფთა** მთა. „*ფთის* ზონებში ვცხოვრობდით ჩვენ“ (საჩ. შარაშ.). „ჩვენები *ფთაზე* თიბვენ თიბას“ (ნაბეღ., გურ. ჯაჯან.). „ეშმაკი) გადავარდა და ცხრა *ფთას* იქით გადევიდა“. „ზაფხულში საქონელი *ფთაზეა*“ (იმერ. გაჩ.). წევედი *ფთაში* (ტაბაკინი); *ფთა ფთას* შეხვთება, თვარა კაცი კაცს არ შეხვთება? (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). *ფთაზე* მივალო (გურ. იმნ.); **გადაფთია** იგივეა, რაც გადამთია; „საცხა, *გადაფთიას* სხვაიც ბევრია, მარა ჩვენთვიზა რაი“ (ერკ., გურ. ჯაჯან.). მთა > ფთა.

ფთხილ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფთხილი** ფრთხილი. ქეშიკი უფრო *ფთხილი* უნდაო (რუსუდ. 227, 25). *ფთხილი* მელა ორივ ფეხით გაებმებაო (ანდაზა). [ერეკლეს ცხენი] იყო... დაუღალავი, *ფთხილი* (ნ. ლომ.). *ფთხილად* ზმნს. ფრთხილად. [ექიმმა ავადმყოფს] ტილო... *ფთხილად* დააფარა თვალზე (ნ. ლომ.) – ქეგლი. *ფთხილი* კაცია. ჯიხვი *ფთხილი* ძალიან არი: სასროლად ვერ მიეპარები. ფთხილად იყავით, გელი არ მოგეპაროსყე (რაჭ. კობახ.).

არქეტიპებია: 1. *ფრთხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ფთხ- (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ფთხილი** თხილი. ფთხილის წკნელი. ფთხილის გოზინაყი (= თხილის ჩურჩხელა). || ფთხირი (ზმ.-რაჭ. კობახ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *თხილ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ფია:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფია** ჩჩვილთა ფაფა – დ. ჩუბ. || უბუებური ჩვილი ბავშვის შეჭამადი (საბა), – ბავშვის საჭმელი თხელი ფაფა. იატაკზე ნელა-ნელა იღვრებოდა ფია რძისა (შ. მღვიმ.) – ქეგლი. || ფია-ი რძე. „მოდი, ბაბოს გულო, მოდი, *ფიაი* უნდა გაჭმია, *ფიაი*“(მოხ. ღუდ.). იხ. I. ფიფინა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფია** (იმერ.) ბავშვის ენაზე – ნატკენი, ტკივილი (ქეგლი). შდრ. ფუფულა გართხმული მუწუკი – დ. ჩუბ. ფუფულა (გურ.) ფუფუა – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფულ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **ფია**: ფია, ფია! ძაღლის გასარეკი, შესაშინებელი. „გეიპარე, ძაღლო, ფია, ფია, ფია!“ (საჩ. შარაშ., ჯავახ. ზედგ.). იხ. III. ფიფია.

ფიდან-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ფიდანი** მვ. ბადია (დ. ჩუბ.). [სახლში] სულ ოქროსა და ვერცხლის ფისოსი და *ფიდანი* ეწყო («რუსულ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. **ფიდანი** [თურქ.] ნერგი (აჭარ. მრეწ. IV, III, 73). „მოვრწყე ბლის *ფიდნები* (ინ.); გადატ. „*ფიდანივით* ჩამოსხმული ბაღვია“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „თხამა შევდა და *ფიდანი* დაკნიტა“ (ხება, კლარჯ. ლექსიკ.; შავშ. ლექსიკ.).

ფიდე:

დიალექტ. I. ფიდე [ბერძ.] საჯზე სახელდახელოდ გამომცხვარი მჭადი (ლავაშივით). „კუჭი რომ მოგემხლევა, *ფიდესაც* კარქა შიექცევი!“ (აჭარ. ნიკ.). ფიდა || ფიდე (pide) პურის ცომის ბრტყელი კვერი. „ექვს *ფიდეს* ბირდენ აღებს“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „კაკალ *ფიდეს* მოვაყრით“ (შავშ. ლექსიკ.). ფიდე კვერი, თხელი კვერი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. II. ფიდე [ფრანგ. FIDE (შემოკლ.); Fédération Internationale des Échecs] – საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია; დაარსდა 1924 წელს პარიზში – მ. ჭაბ.

ფილა:

ახ. ქართ., I. ფილა ბრტყელი ნაჭერი ქვისა, თიხისა – ქეგლი. შდრ. ფილაქანი [სპარს.] ქვის ფენა, შრე, რომელიც ადვილად იღება ფილებად – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ფილა ჭურჭელი თიხისა ან ხისა. ხმარობდნენ რძის დასაფილავად. დაფილვა, საფილავი (ჯავახ. ზედგ.). ჯამ-ფილა ღრმა, მოზრდილი ჯამი, მოდის ჯამ-ფილიდან – ი. გრიშ. ფილა ქვაბი ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. III. ფილაკი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. ფილა (ქიზ.) ხის სადგამი, რაშიც ქვევრის ქუსლს ამაგრებენ ხელოსნები კეთებისას – ქეგლი. შდრ. II. ფილა.

საშ. ქართ. IV. ფილა ბილა,– სამღერალთ დაცდენა – საბა. || შეცდომა ბავშვთა თამაშის დროს – ვ. ბერ. იხ. I. ბილა. ფილა ხის ჯოხი ზან. (ლაზ. თანდ.).

ფილაკ-ი:

ახ. ქართ. I. ფილაკი კნინ. ფილი – ქეგლი. იხ. II. ფილა.

დიალექტ. II. ფილაკი [თურქ.] გრამაფონის ფირფიტა. „ჩუენი სიმღერები ფილაკებზე გედეიღეს და გავყიდევით“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ. ქართ. III. ფილაკი ფინაკი, ფინა. 10 ოყა ან 3 ქილა – დ. ჩუბ.

ფილე:

დიალექტ. I. ფილე [თურქ.] ბადე. „კაცსა ძე ჩუუსხამს *ფილეში*, ბადეში“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. II. ფილე: [ფრანგ.] ფრინველის ხორცის ან თევზის ნაჭერი, ძვლებგამოცლილი. დაჭერით ქათმის ფილე მოზრდილ კუბიკებად, უგემრიელესი კერძი – ქათმის *ფილე* და კარტოფილი („გემრ.“).

III. ფილე (tribus) ძვ. რომ. 1. ტომი; შეესაბამება ძველი საბერძნეთის ფილეს. 2. ტერიტორიული და საარჩევნო ოლქი – მ. ჭაბ.

ფილიზ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I.** ფილიზი, ფილისი [თურქ.] (ქიზ.) თამბაქოს წვერის ფოთოლი; დაბალი ხარისხისაა – ქეგლი.

დიალექტ. **II.** ფილიზი [თურქ.] ნერგი, ყლორტი, ხის ძირში ამონაყარი ნერგი, ვაზის რქა. „ესა იქსოვნება ზირიდამ ამოსულ *ფილიზებით* (იმ.); „*ფილიზებ* მიცემს და გაზაფხულზე, იმაზე ვამბობ“ (მაჭ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III.** ფილიზი დენის გადასაყვანი ზონარი. „ესენი ჯურღანის *ფილიზებია* (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ფინჯან-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I.** ფინჯანი [სპარს.] 1. სასმისი, ჩაისა, ყავისა – დ. ჩუბ. || ფაიფურის ან ფაიანსის ყურიანი ჭურჭელი, ჩვეულებრივ პირფართო, ყავის, ჩაის და მისთ. დასალევად. *ფინჯანი* ჩაის ჭურჭელია (ი. გოგებ.). დედამ აიღო ფინჯანი და დაასხა ნაღები (ლ. არდაზ.) – ქეგლი. || [არაბ. fincan]. „ყაჰვე *ფინჯნებია* ესენი, ესენიც *ფინჯნების* თაბღებია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „ვადუღეფთ, *ჶინჯანში* ვსუამთა“ (ტაო ჯანგ.). 2. იმდენი სითხე, რამდენიც ასეთ ჭურჭელში ჩავა. არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რამდენი *ფინჯანი* დავლიე (ქ. ბაქრ. თარგმ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II.** ფინჯანი ქვის სატეხი იარაღი. ცალი მხარე წვეტიანი აქვს, ცალიც ჩაღრმავებული – ი. გრიშ.

ფირმა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I.** ფირმა 1. [იტალ. firma ხელმოწერა] სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო (იურიდიული პირის უფლების მქონე). „მოსქოვას ჩეველი და *ფირმა* გავაწყევ, ოფისი მაქ იქა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ასეთი საწარმოს სახელწოდება. [პეტოს] რაღაც ყალბი ხელშეკრულება დაუდვია სხვადასხვა *ფირმებთან* (ა. ცაგარ.). || გადატ. სახელი, რეპუტაცია – ქეგლი. 2. ჟარგ. ფირმა იტალიური წარმოშობის სიტყვაა და სალიტერატურო ენაში საწარმოს ნიშნავს, ჟარგონში კი უცხოური (დასავლეთევროპული, ამერიკული) ნაწარმის მნიშვნელობით იხმარება. „რისი თბილისური, რა თბილისური, *ფირმა!*“ (ზურღან გემაზაშვილი). „ფირმა“ სიგარეტებით, მზის სათვალეებით და ბვირფასი სუნამოთი უხვად მომარაგებულნი“ („საქართველოს სამრეკლო“) (ბრეგაძე 2005).

დიალექტ. **II.** ფირმა ფერმა. წევედი ქათმების ფირმაში (შომახეთი); *ფირმის* ყველი არ გამიტეხნია (ლიჩი, ზ.-იმერ. ბოწ.). ფირმა < ფერმა [ფრან. ferme] სოფ.-მეურნ. სამეურნეო საწარმო, სადაც მისდევენ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სპეციალურ დარგს (ჩვეულებრივ მესაქონლეობას) – ქეგლი.

ფის-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I.** ფისი 1. [ბერძ.] დღვილი, ნადენი ფიჭვისა და სხვათა ხეთა უფრორე შაფი (საბა, დ. ჩუბ.). სპეციფიკური სუნის მქონე წებოვანი სითხე, რომელსაც გამოყოფენ ჩვეულებრივ წიწვოვანი

მცენარეები – ქეგლი.|| „რომელი შეეხოს *ფისსა*, შეიგოზნენ ჰელნი მისნი“ (O, ზირ. 13, 1); „მელი იკურნების *ფისითა* ფიჭჯსაჲთა“ (ბ. კეს.-ეჭუს. დღ. 126, 25) – ილ. აბულ. || ფისი, ფისა: ვინ მზესაცა უნათლეა, ასრე ვითა ბროლი *ფისსა* (ვეფხ. 1431, 4). შავნი მართ ვითა *ფისანი* (ვეფხ. 626, 1). რეზინის ხე... ხარობს... ცხელ ქვეყნებში და ჩვენებური ფიჭვივითა და ნაძვივით *ფისი* გამოსდის (ი. გოგებ.). 2. ნავთობისაგან ან ქვანახშირისაგან დამზადებული შავი კოშტი მასა; სითბოზე დნება. დასმენილის სახლ-კარს წაესმებოდა *ფისი*, ზედ დაესხმებოდა ნავთი და ავარდნილ ალში... იწვოდა მთელი ქონება (დ. კლდ.) – ქეგლი. ფისი წიწვოვანთა გამონადენი (უმთავრესად ნაძვისა). „*ფისი* ნაძვის ოფლიაო, იტყვიან“ (იმ.); „*ფისით* ცახ ვაკეთებთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). 3. გადატ. მოუშორებელი, თავიდან რომ ვერ მოიცილებ (არ მოსცილდება). „შედი სახში, მიხას არ დიენახო, თვარე ხო იცი, რა *ფისიცაა*, ველარ მოიცილამ“ (მესხ. ფეიქრ.).

ს.-ქართვ. *ფის-ე „ფისი“ > ქართ. ფისი < *ფის-ე (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ფისი** [თურქ.] ჭუჭყიანი, დასვრილი, საძაგელი. „დიდ ღმერთ არ უყუარს *ფისი* ინსანი“ (იმ.); „დეიბაი კარქა *ფისი* ხელები!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). **ფისი** [თურქ.] სიბინძურე ზან. (ლაზ. თანდ.).

ფიტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფიტი** 1. ხის ქერქი – დ. ჩუბ. || ფიტი, გინა ხის ქერქი ანაბრობი დიდი – საბა. 2. მშრალი, გამხდარი რამ (მაგ., ხე). „ფიტივითაა ე პურის კაკალი“ (ლეჩხ. ალავ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ფიტი** 1. თაფლის ნაჩენჩი – საბა. ფიტი ფიჭი, ფიჭა, ფაჭა. თაფლის ჩენჩო ან გადაუმდნარის სანთლის ნაძირალი – დ. ჩუბ. [ვეშაპს] ხმლითა ვეც, გავუპე თავი, როგორაც *ფიტია* (ვაჟა). და აჰა, ანდე, გაგლიჯა ნაღმმა მთა, ვითარც *ფიტია* (ა. გომიაშ.). 2. (ქართლ.) ბარაქა. რა გიწყვეტამთ ფიტსა და ბარაქასა. – ფიტი ვერ მოიკიდა. 3. ქიზ. ჭენჭი, ხორცცხიმიანობა – ქეგლი. || ფიტ(აჲ) (ინგ. ღამბ.). იხ. II. ფუჭი.

საბა ფიტ- სიტყვასთან ერთად უთითებს ფუტას და ზმნურ ფიტკრ-ფუძესაც. მოეფიტკრა: ფიტი შეემზადა ZAB. (+ ფიტი შეემზადაო Cb); „ქებათა“ შინა მოიღებენ ფუტკართა მოფიტკვრასა CD. „ქებათათვის“ მოიღებს ფუტკართა მოფიტკვრასა – საბა. შდრ. ფიჭა წინაენისმიერი მკვეთრი ხშულის ტ-ს გადასვლა შიშინა აფრიკატში. ფიტი || ფიჭი (თაფლის ნარჩენი“ საბა. შდრ. ფაჭა) (ქავთარაძე 1964: 242).

ფიტონ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფიტონი** 1. «ვარცლის ფიცარი» (ი. ჭყ.). 2. (იმერ. ქვ.-რაჭ.) თარო, რაფა. სწრაფად დაიჭირა... [კიბე] თამარმა, გააგრა სარკმლის ქვის *ფიტონზე* და ფრთხილად დაეშვა ძირს (ს. ქვარ.). გაკეთებული ყოფილა ორ-სამ სართულად თხელი ფიცრები. კედელში დამაგრებული ყოფილა მოკლე ჯოხები, ამ ჯოხებზე ყოფილა გადებული ეს

ფიცრები..., ამ ფიცრებს *ფიტონებს* ეძახიან («შინამრეწვ.»). 3. (ქართლ.) ბუხრის თავი – ქეგლი. ფიტონი || ფიტონა თარო; ფანჯრის რაფა; ბუხრის თავი. დოქი მეიტანე, *ფიტონზე* დევს (მანდაეთი); ბეღელში *ფიტვნებია* (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: ქეგლი, გურ. შარაშ., ზ.-რაჭ. მრეწ. I, 362. **ფითონი** თარო სამზად სახლში (კოჯობის ან სხვათა ჩამოსადებად) ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. II. **ფიტონი** ბიტონი, ბეტონი, ხრეშისა და ცემენტის დუღაბი. – „სახლებს ახლა *ფიტონებზე* დგამენ" (ჯუმ., გურ. ჯაჯან.).

ფიტონი < ბიტონი < ბეტონი; ბეტონი [ფრან. béton] სპეც. საშენი მასალა – ცემენტის დუღაბში არეული ღორღი, ხრეში და სხვა, რომელიც გაშრობისთანავე მეტად მყარი ხდება – ქეგლი.

ფიფია:

დიალექტ. I. **ფიფია** ნატკენი სხეულზე ბავშვთა ენაზე (იმერ. გაჩ.). იხ. II. ფია; II. ფუფუა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფიფია** ფია (ქართლ.) «ლობიო, წვნიანი საჭმელი» (კირ.) – ქეგლი. იხ. I. ფიფინა.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ფიფია, ფია** ჩიჩიე ცუდი, გლახა ფინთი (ვ. ბერ.). შდრ. ფუ სიტყვა სანერწყველი – საბა. ფი! შორისდ. გამოხატავს ზიზღს, ათვალისწუნებას, დაწუნებას (შდრ. ფიე! ფუ!) – ქეგლი.

ფიფინ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფიფინი** (ქართლ.) 1. ჟღურტული. [ფრინველები] ფრთების კრთოლვითა და *ფიფინით* გალობდნენ (ა. ფურც.). 2. შრიალი – ქეგლი. შდრ. II. ფიფინა || ფიფინი.

სამ., ახ. ქართ. II. **ფიფინა || ფიფინი** ანუ ფიმფილი. 1. დაირის სამკაულია შიგნიდან უზალთუნის ტოლა თუნუქის ნაჭერია დაკიდული და დაკვრის დროს ჟღარუნობს. 2. დაირის ფულები. ფიფინა ძველებურად ფულს ნიშნავდა (საბა). 3. დაირის რკალზე შიგნიდან დაკრული პატარა თუნუქის პატარა ნაჭრები, უზალთუნის მსგავსი. 4. ჟღარუნა დაირაზე – ი. გრიშ. იხ. II. ფიფინა.

დიალექტ. III. **ფიფინი** თხელი ფაფა (რაჭ. კობახ.). (საკოზეში) ჩავალაგებდით კოვზებს, ჩოგანს... ხის სამარილეს და ლაფერას, *ფიფინი* მოსარევს (ზ.-რაჭ. მრეწ. II, I, 204). იხ. I. ფიფინა.

ფიფინა:

სამ., ახ., დიალექტ. I. **ფიფინა** 1. ბრინჯის ფუშრუკი – საბა. ფიფინა ბრინჯის ფაფა (დ. და ნ. ჩუბ.). || (რაჭ.) თხელი ფაფა. || (იმერ.) პურის ფქვილი წყალში გაქნილი საწებავად – ქეგლი. || ფიფინაჲ – რძითა და მაკარონით მომზადებული ფაფა: „მოჭრილი მაკარინაჲ ქია, იგი და ბე' და

გუურიო, გახდება *ფიფინა*“ (მაამურიე, კლარჯ. ლექსიკ.). || თხელი ფაფა (რაჭ. კობახ., იმერ. ქავთ., გაჩ., რაჭ. ძიძიგ., ქვ.-იმერ. მრეწ. II, II, 187; ჩვენ. ფუტკ.). 2. ხორცს მოხარშავენ, ამოუკიდებენ ფქვილს და ურთავენ ნიგვზიან სუნელს (აჭარ. ნოღ.). იხ. III. ფიფინი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფიფინა** ჩვილი ბავშვის გასართობი სათამაშო, – ჩხარუნა, ჟღარუნა. || იგივეა, რაც ლიფლიფანა – ქეგლი. *ფიფინებით* მორთული დაირა იყო, რაღაც კაპიკიანები ეკიდა, გახვრეტილი რკინის ჟესტები (სხვიტორი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ფიფინური დაირის ჟღარუნა, ლიფლიფანა (ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. ფიფინი.

ფიფინაკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფიფინაკი** (ზ.-იმერ., ზ.-რაჭ.) ფაფანაკი – ქეგლი. *ფიფინაკებს* კერავდენ ყანაოზისა (ზ.-იმერ. მრეწ. III, I, 208). იხ. I. ფაფანაკი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფიფინაკი** (იმერ.) იგივეა, რაც ფიფინა – ქეგლი. || ფქვილის ფაფა ქაღალდის მისაწებებლად (იმერ. გაჩ.). იხ. III. ფიფინი.

ფიფქ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფიფქი** ახალი თოვლი – საბა. || თოვლის კრისტალი. რამდენი *ფიფქი* ზეცას მოსწყდება, იმდენი თეთრი ფიფქისა დღე მოგემატოთ! (ა. მირცხ.). [ზეინაბს] გრძელ წამწამებსა და მოშვილდულ წარბებზე თოვლის *ფიფქი* ეყარა (რ. გვეტ.). || ფიგურ. ათქვირებულან ნორჩი ხეები, – ვარდ-ყვავილების *ფიფქით* მოცულან (ა. მირცხ.). || ახალმოსული მშრალი, დაუმჯდარი თოვლი. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, *ფიფქზე* რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა (აკაკი) – ქეგლი. აგრეთვე ხევს. ჭინჭ.

ფიფქ-ი < *ფიფიქ-ი, შდრ. ფ/ე/ქ (ფქ-ვ-ილ-ი) (სანიკიძე, 1976: 63). ს.-ქართვ. *ფითქ- „ფიფქი, გაფიფქვა, ფქვილი, ნაფქვი“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფიფქი**: ◊ **ფიფქი ძაფი** (ზ.-იმერ.) ნაცარტუტაში ან საპნიან მდუღარეში გამოხარშული აბრეშუმის ძაფი – ქეგლი. შდრ. ფუფქი «ცხელი ნაცარი» (საბა).

ფიფქვა:

ახ. ქართ. I. **ფიფქვა** ფიფქად თოვა; ფიფქის ყრა – ქეგლი. იხ. I. ფიფქი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფიფქვა** (ზ.-იმერ.) «საპონში და ცხელ წყალში გამოხარშვა ნართისა» (ბ. წერეთ.). იხ. II. ფიფქი.

ფიშ-ი:

დიალექტ. I. **ფიში** მოშარდვა (ბავშვის ენაზე). „დედიკო, *ფიში* მინდა“; აქვე ფიში-ფიში (გ.-კახ. სახლთხ.).

დიალექტ. II. **ფიში** [თურქ.] კონტაქტი, შტეფსელი. „სხუა ფიშინა უნახონ“ (ინ.); „გრძელი *ფიში* იქნებოდეს, თელევიზიონ იგზე დავდეფ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

სამ. ქართ. III. **ფიში** შხამია. წამალი, საკლავი ისი არს, ერთად: ბალდური და ფარფიონი და *ფიში* (ფანასკ. 351, 2).

ფლასტ-ი:

ახ. ქართ. I. **ფლასტი** ძველი, უხეირო, ქუსლჩაჭყლეტილი ფეხსაცმელი. – ქეგლი. || ფრასტი (კახ.) || ფოსტალი, ფლოსტი – ფლოსტი უქუსლო ფეხსაცმელი; ჩვეულებრივ საშინაო; საპირე მხოლოდ თათზე აქვს. მელანა... დააჩლატუნებდა წითელ ფლოსტებს სახლში (ა. ერ.-ხოშტ.). [ავადმყოფებს] თეთრწინდიანი ფეხები ფლოსტებში ჰქონდათ გაყრილი (ნ. ლორთქ.). ზაფხულში ფლოსტი... სცმიათ («შინამრეწვ.») – ქეგლი. შდრ. ფლოშტო ფეხსაცმელი – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **ფლასტი** თხელი გაცრეცილი. „ერთი *ფლასტი* ლოგინი ქონდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ფრაჲტი, ბრაჲტი ძველი, გაცვეთილი სამოსელი. „ერთი ბეწო ფრაჲტი არ მაკრამ“ (ქიზ. მენთ.).

ფოთინ-ი:

ახ. ქართ. I. **ფოთინი** (იმერ.) ფათური (შდრ. პოტინი). წამოაბოდა გოგიას და კედელზე *ფოთინი* დაიწყო (განდეგ.) – ქეგლი .

დიალექტ. II. **ფოთინი** [თურქ.]1. ყელიანი ფეხსაცმელი. „*ფოთინები* იყო წინწინ ფეხზე ჩასაცმელი, ახლა გადავარდა, აღარ არი“ (თ. ქ.); „მეგ ლამაზი *ფოთინები* ვინ მეგიტანაო“? (იმ,. ჩვენ. ფუტკ.). 2. (თურქ. potin< ფრანგ. bottine) ქუსლიანი ფეხსაცმელი. „აბა, შენ იცი, თუ კარქა ისტავლი, წლი[ს] ბოლოს *ფოთინებსაც* გიყიდი“ (აჭარ. ნიჟ.). **ფოთინი** ფეხსაცმელი ზან. (ლაზ. კალანდ.).

ფოლიო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფოლიო** 1. მცენ. (საბა, ნ. ჩუბ.). || [scabiosa] ბოტან. ბალახოვანი მცნარეები გოქმოსებრთა ოჯახისა (ქეგლი). ◊ **ცის ფოლიო** [scabiosa caucasica] ცისფერყვავილიანი მცენარე, მეტად ლამაზი, გავრცელებულია მაღალი მთის მდელოებზე – ქეგლი. || მინდვრის მცენარე, 1-1,3 მეტრამდე სიმაღლის ღერო და ყვავილოვანი თავი აქვს. გადატ. „რა მოუვიდა ამ ქალ, რო *ფოლიოსავით* გაყვითლებულა.“ (ჯავახ. ზედგ.). || ფოლიო ბალახი: „*ფოლიო ბალახი* საქონელ გაასუქებს“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: მრეწ. II, II: ჯავახ. 158, მესხ. 156.

დიალექტ II. **ფოლიო: ფოლიო ვაშლი** ვაშლის ჯიში. „ჩუენსა *ფოლიო* ვაშლიც არი“ (მ.); „სოფლობაში იქნება *ფოლიო ვაშლი*, ლაბადაი ვაშლი...“ (მ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. III. **ფოლიო** [ლათ. in folio-დან ფურცელში] 1. ერთი და იმავე ნომრის მქონე ორი გვერდი; (მარცხენა და მარჯვენა) საანგარიშო წიგნისა. 2. სტამბ. შუაზე გაკეცილი ქაღალდის ფურცლის ფორმატის მქონე გამოცემა, – ინფოლიო (ქეგლი).

ფორა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფორა** [იტალ. fora – იგულისხმება «გამოდი»] ძვ. იგივეა, რაც ბის. ტაშის კვრითა და «ფორას» ძახილით ირყევის მთელი შენობა თეატრისა («ცისკარი»). || პოეტ. ნაპირს მოადგა გემები: ვაშა! – გრიალებს ქარი და მზეც ჩავიდა ღრუბლებში: *ფორა!* – გრიალებს ქარი (გ. ტაბ.) – ქეგლი. ფორა ბანქოს თამაშში ვინც მოიგებს, ამბობს: ფორა, ფორას ვარ, ე. ი. გავათავეო, გავედი ბოლოშიო (ვ. ბერ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფორა** [იტალ. Fora წინ] სპორტ. ძლიერი მოთამაშისაგან სუსტისათვის წინასწარ მიცემული ქულების ან სვლების გარკვეული რაოდენობა (მაგ. ჭადრაკში, ბილიარდში...) – ქეგლი .

დიალექტ. III. **ფორა: ფორა კაბა** რამდენიმენაირი ყოფილა უწინ გავრცელებული: ქართული კაბა, *ფორა კაბა*, წელიანი კაბა, ბლუზა კაბა და სხვ. (ქიზ. მრეწ. III, 113). || ფორკა კაბა. „ბოხჩა-ნიშანში ჩალაგებული იყო ხასი ფორკები და სხვადასხვა ხიჭიპუჭაი. „გოგოვ, *ფორკა* შიგიკერავს, მოუკელი სიგძესაო, დედაშენი ვერ იშონის ჩემისთანა სიძესაო" (აჭარ. ნიჟ.).

ე. შენგელია უთითებს, რომ აჭარულში ფორკა ლაზურიდან არის შესული. შდრ. ლაზ. ფორკა კაბა (თანდილავა 2013). || ფოკა კაბა. || ფოგა 1. კაბა, სამოსელი. 2. ქალის სამოსი. შდრ. ფოგინა პატარა კაბა (ე. შენგელია 2014: 17).

ფოსტა:

ახ. ქართ. I. **ფოსტა** [ფრან. poste] 1. სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს კორესპონდენციების, ამანათებისა და მისთანათა გაგზავნ-გამოგზავნას დანიშნულების ადგილას, ადრესატისათვის გზავნილებათა ჩაბარებას. [საფრანგეთმა] 42 მილიონი დახარჯა ჰაერში მატარებელთა და... *ფოსტის* გასამართავად და მოსაწყობად (ილია). 2. კანტორა, სადაც წარმოებს კორესპონდენციების, ამანათების გაგზავნ-გამოგზავნა, – საფოსტო განყოფილება. დღეს თამამად შეიძლება *ფოსტაში* წასვლა და წერილის მიღება (ჭ. ლომთ.). 3. ისტ. დაწესებულება, რომელიც კორესპონდენციების გაგზავნასთან ერთად აწესრიგებდა მგზავრების გადაყვან-გადმოყვანას. მარიკო... მოელოდა *ფოსტიდან* წიგნსა და ექიმებსა (ლ. არდაზ.). 4. ჩასაბარებელი და გასაგზავნი კორესპონდენციებისა და სხვა გზავნილებათა ერთობლიობა. *ფოსტა* მოვიდა და მთელი ქალაქი გაზეთებით და წერილებით გაივსო (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. 5. ფოსტა (ჟარგ.) ფსონი აზარტულ თამაშში. ცოტაა, *ფოსტა* გაზარდეო მიჩხიკინებდა და მეც გავბრიყვდი, ზედმეტი მომივიდა და საბოლოოდ ის ორი-სამი მანეთიც დავკარგეთ

(ზაურ კალანდია) – ლ. ბრეგ. **ფოსტა** ფოსტა ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ.ფოჩ-ტა [ნემენც.] განწესებულება გასაგზავნად წერილთა – დ. ჩუბ. იხ. I. ფოშტა.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფოსტა: ფოსტის ფიცარი** ძვ. საუბ. მორის ჩამონახერხი, გარეთა გვერდის ფიცარი (დაუმუშავებელი), ნაგვერდული ფიცარი. ქვითკირის კედელი ჩამონგრეულია და *«ფოსტის»* ფიცრით შეუკეთებიათ. (ი. გედევ.) – ქეგლი. ფოსტ-: გაფოსტავს ცულით გათლის, გამოჩორკნის. კოჭი გაუფოსტია ცულით, სანამ რანდას გაუსვამდენ (ძეგ., ქართლ. ლექს.). იხ. II. ფოშტა.

ფოტორო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფოტორო** ფლატე – საბა. || (ქართლ.) იგივეა, რაც ფლატე. ი ოხერი გიშერა-ხარი... შიგ ღურღუმ მორევში-კი გადაეჩია. წავდექ *ფოტოროს* პირას და სახრე მოვუქნიე, ეგებ გამოვიდეს-მეთქი (ს. მგალობ.) – ქეგლი. || ნიადაგგადაცლილი ხრიოკი ადგილი მდინარის ნაპირებსა და ხევ-ღელეებში. ფლატე, დახრამული ადგილი (მესხ. მაის.).

დიალექტ. **II. ფოტორო** ფუყე, უგულო. გადატ. სუსტი (არაჯანმრთელი) (იმერ. ქავთ.). || ზეზე დამპალი ხე (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ფუტურო ფუღურო – დ. ჩუბ. || ფუტური – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირია *ფოტ- (ორ-) „ფუტურო“ > ქართ. ფოტ-ორ-ო > || ფუტ-ურ-ო, ფუტ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ფოფხ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფოფხი** 1. ნამცხვარი. მიყიდე პლაკუნტი, რომელ არს ფოფხი [ნოველები, II. 25, 18) – ზ. სარჯ. || ძვ. „ერთგვარი ნამცხვარი“ (საბა), „ხვეული ქადა“ – დ. ჩუბ. 2. „ერბოში მომწვარი პურის ხაში“ (მოხევ. «დიალ.») – ქეგლი. შდრ. იაფუფხი, გურიაში, ღომის ფქვილისაგან გაკეთებული სამარხვო კერი, კეცზე გამომცხვარი – ა. შან. შდრ. I. ფაფხი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფოფხი:** ◊ **ფოფხი ადგილი** – (ქართლ.) ფოფხვით ასასვლელი ადგილი (ქეგლი). || კლდიანი ფერდობი; კლდიანი და ძნელად სავალი (ფშ. ხორნ.). იხ. II. ფაფხი.

ფოშტა:

დიალექტ. **I. ფოშტა** ფოსტა (ფშ. გოგატ., გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე ფოშტალიონი ფოსტალიონი. **ფოშტის ცხენივით** დაარბენინებს. მოსვენებას არ აძლევს, სულ ერთთავად ასაქმებს. „რა არი, შე კაი კაცო, ამ ბალღ ესე *ფოშტი ცხენივით* რო დაარბენინეფ, ცოდო-მადლი სუ აღარა გაქ?!“ (გ.-კახ. სახლთხ.); **ფოშტის ფული** (ვაჟა, ჯავახ. ზედგ.). **ფოშტი(ს) გზა** შოსე. *„ფოშტი(ს) გზაზე* უწვდენდა ქვას, ისე ისროდა“ (ჯავახ. ბერ.). **ფოშტა, ფოშდა,** ფოსტა (სვან. თოფ., ქალდ.). იხ. I. ფოსტა.

დიალექტ. **II. ფოშტა** ნაგვერდული (იმერ. გაჩ.). || მორის გვერდიდან პირველი ჩამონახერხი ფიცარი, იგივე ნაგვერდალი (ივრისხ., ფშ. გოგატ.). აგრეთვე: თუშ. ხუბ., ცოც. **ფოშტის ფიცარი** თხელი ფიცარი, მორის გვერდებიდან აჭრილი ფიცარი, რომელსაც მხოლოდ ერთი მხარე აქვს სწორი, მეორეს კი გლუვი, სამასალედ არ ვარგა. ხარჩოზე ან მესერად იყენებენ (გ.-კახ. სახლთხ.). **ფოშტი(ს) ხე** გარბილი. გვერდებ ჩამოხეთქილი ხის ნაწილი (ჯავახ. ბერ.; რაჭ. კობახ.). **ფოშდა** გვერდი ფიცარი (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფათ-ა „გვერდის ფიცარი“ > ქართ. ფთ-ა (ჩუხუა 2000-2003).

ფოცხვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფოცხვი** 1. (ფშ.) კაპებიანი სარევი ფაფეულის გასაქნელად. „თან *ფოცხვით* ვურევთ, რომ ფაფა ქვაბმა ძირზედ არ მიიწვას, ფქვილი თანაბრათ გაირთოს წყალმა და კოშრიანი არ გამოვიდეს“ («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ხორნ., ლ. ბოძ. 2. ფოცხ[ვ]ი „ისრის ზრო, ისრის წვერი“ (ა. შან.). შდრ. შდრ. ფოცხმაკრატელა (ფშ. ხევს.) იგივეა, რაც ბოძალი. წამომაყარეს ისარი ფოცხმაკრატელა, ფრთიანი (ხალხ.). ფოცხმაკრატელა ისრებს სტყორცნიდნენ გაშფოთებული მეშვილდისრენი (გ. ლეონ.) – ქეგლი. „თუშებმ მესროლეს ისარი, ფოცხ-მაკრატელა ფთიანი“ (ხევს. პოეზ. 543, 17) – ალ. ჭინჭ.

ივარაუდება, რომ ჭან. ბუცხი, მეგრ. ბუცხი, ქართ. ფოცხი „ფოცხი“. ერთი წარმომავლობის სიტყვებია. ბუცხ- და ფოცხ- ერთი და იგივე ფუძეა. ბო-თავსართი უნდა იყოს, -ცხ-ძირეული (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. **II. ფორცხვი** || **ფოცხვი** (რაჭ.) ყურძნისაგან გაცლილი მტევანი (ქეგლი, რაჭ. კობახ.). || ფონცხი ბუბუნძღო, კლერტი. ვენახში ცარიელი ფონცხები კიდია. ფონცხს ეტყვიან მარცვალგაცლილ ტევანსა (წიფა, ჭართალი ზ.-იმერ. ძოწ.). || „ამას ფურცხვი, ფურცხანია ქვია“ (ვანი, იმერ. ასათ.). || **ფუცხი** ფოცხი; ბღენძი, უმარცვლო მტევანი ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ., ახ. ქართ. **III. ფოცხვი** ძვ. იგივე, რაც ჭარო (საბა) – ქეგლი.

ფოხ-ი:

დიალექტ. **I. ფოხი** 1. გამძლეობა, უნარი, შესაძლებლობა. „დიდი ხნის *ფოხი* არ აქ ამ ამიდს, მალე გაავდდება ისევლე“ (საჩ. შარაშ.). ნიკო დიდ გულზე იყო, რო უფროსობდა, მარა დიდი ხნის *ფოხი* არ ქონია (სხვიტორი, ზ.-იმერ. ძოწ., იმერ. ქავთ.). 2. გადატ. **ფოხი**, მეიფოხა – მოიგონა, მოახერხა (ვ. ბერ.). იხ. II. ფახი.

დიალექტ. **II. ფოხი** „ნაკელი“ – იმის *ფოხით* ყანას ასუებდა (‘ყანას ანოყიერებდა’) (დუზჯ. ჩელებ.).

დიალექტ. **III. ფოხი: ფოხი ხელისა:** ორთითი (გურ. რობაქ. 157-183).

შდრ. საშ., ახ. ქართ., დიალექტ. საბუხარი || საფუხარი || საბუჯარი || საფუჯარი, რომლებიც განმარტებულია, როგორც ა) ტყავის ხელთათმანი; ბ) სამღვდელოთა შესამოსელთაგანი მაჯებზედ შესაცმელი (დ. ჩუბ.); გ) ცერა-თითიანი ხელთათმანი (ხევს., ფშ. შან.); დ) საჩვენებელ თითზე გაკეთებული მეშის საფარველი მიმინოს დასასმელად, ორთითი (გურ. რობაქ.). ჩვენი აზრით, საფუხარი ნაწარმოები სიტყვაა. მისთვის ამოსავალი უნდა იყოს ფოხი. ქართული ფოხ-ი „თითი და სვან. (ჩოლურ.) ფოხ „თითი“, ლაშხ ფოხ. „Id“. შეპირისპირებით აღდგენილია ს.-ქართვ. *ფოხ- „თითი“ (ჩუხუა 2017).

ფოხვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფოხვი** (თუშ.) მდგნალი – ქეგლი. || (Salix caprea): ჩვენ ტყეებში არყიცა, ვერხვიცა, *ფოხვიც* (თუშ. ხუბ., ცოც.).

დიალექტ. II. **ფოხვი** თბილი, დარიანი ამინდი. გუშინ რაჭე კა დღე იყვ: თბილი, *ფოხვი*. აქვე შდრ. გულ დაუფოხვდების, გულს დაიფოხვებს, გულს ჩაიფოხვებს, გულ ჩაუფოხვდების, დაფოხვდების (ხევს. ჭინჭ.).

ფრე:

საშ. ქართ. I. **ფრე** ძვ. «წყარო ჭისა» – საბა, ნ. ჩუბ., ქეგლი. || ჭა, ჭის-წყარო. ჯურღმულ ფიცისა და ფრე არა-აღმოქმნილ (წყობ. 103, 1).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფრე** რაიმე სპორტული შეხვედრის ისეთი შედეგი, როდესაც არც ერთი მხარე არ არის გამარჯვებული. ფრედ ზმნს. ისე, რომ შედეგი ფრე იყოს. თუ შეხვედრა *ფრედ* დამთავრდა, მატჩი გათამაშდება მეორე დღეს იმავე პირობებში («ლელო») – ქეგლი. **ფრე მოუვა** შემთხვევა მიეცემა. *ფრე მოუიდათ*, მოჯოგდნენ და მოიპარეს (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ქიზ. მენთ.

ფრენგ-ი:

დიალექტ. I. **ფრენგი** [სპარს.] ვენერიული დაავადება, – სუსუნატი, გონორეა, ტრიპერი (აჭარ. ნიჟ).

დიალექტ. II. **ფრენგი** საკეტი მოწყობილობა სკივრისა და მისთ. (აჭარ. ნიჟ.).

ფრიად-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **ფრიადი** 1. მრავალი, «დიდძალი»: „აღმოიყვანოს... წყალი იგი მდინარისაჲ, ბლიერი და *ფრიადი*“ (J, ეს. 8, 7); „აღაშენეს... *ფრიადითა* ოფლითა და ღუაწლითა“ (ი.-ე. 20, 11) – ილ. აბულ., დ. ჩუბ. || დიდი, ძლიერი. ქიჩირმაც იგრძნო კარგადა თვის სატანჯველი *ფრიადი* (ვაჟა). დიდებულთ ვერ მოუნახავთ გამოსავალი და არის სიმძიმილი *ფრიადი* (შ. დად.). 2. სკოლ. მოსწავლის ცოდნის შეფასების უმაღლესი ნიშანი, –

ხუთიანი; ხმარობდნენ ფრიად დამაკმაყოფილებელის ნაცვლად. გადახედე შენს მეგობრებს, ყველასა აქვს *ფრიადები* (ი. გრიშ.) – ქეგლი.

სიტყვაში ფრიად-ი გამოიყოფა ფრ- ფუძე, რომლისგანაც ნაწარმოებია ფრ-იადი და უფროსი (შანიძე 1980: 29).

დიალექტ. **II. ფრიადი** (**ფრიაკი**): ერთი *ფრიადი* ქნა და ვეღარ დავიყაბულე ქალი მამაი (ქვ. ჭ.). || ფრიაკი ქნა უარი თქვა, უარზე დადგა. ქნაა ფრიაკი და ჩვენ ჩვენი, იმან თავისი და ვერ დავიყოლიეთ (ქვეში, ქართლ. ლექსიკ.). იხ. I. ფრიაქი.

ფრიალო:

სამ., ახ. ქართ. **I. ფრიალო** 1. აღმართი, პირაღმართი – საბა. || შვეული რამ (კლდე და მისთ.), – ციცაბო (კლდე, მთა). *ფრიალო* კლდის თავს სახლი იდგა (ვაჟა). 2. შვეულად ამართული რამე (კლდე და მისთ.), ციცაბო. ხეობა თავდებოდა თვალშეუწვდენელის *ფრიალოთი* (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. ფრიალო** ფრიალა, – ბავშვის სათამაშო – ჯოხზე დამაგრებული ვარსკვლავივით გამოჭრილი და წვერებში მოღუნული ქაღალდები, რომლებიც ბრუნავენ ქარზე. სხვანი რომ თავისუფალნი იყვნენ და ეკლესიაში წავიდოდნენ, [ლევანი] კოჭებს შეექცეოდა და ქაღალდის *ფრიალოს* ათამაშებდა (რ. ერისთ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირია *ფარ- „ფრენა, ფრიალი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1970: 215.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ფრია, ფრიალო** (საინი) (იმერ. ვ. ბერ.). || ფრიალა თეფში (იმერ.) გადაშლილი თეფში – ქეგლი. **ფრიალია** თეფში, საინი. ფართო ლანგარი ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. II. ფარფალი.

ფრიაქ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფრიაქი** (ქართლ.) გაჯიუტება, გაკერპება, გაჯიქება. ◊ **ფრიაქი ქნა** გაჯიუტდა, გაჯიქდა, დაიჟინა რამ. არ შეხედა თავის ღმერთსა, ქნა *ფრიაქი*, შედგა ქვაზე (ა. ერ.-ხოშტ.) – ქეგლი. || ფრიაკი ქნა, გაჯიქდა, გაჯიუტდა (ალგ. სალ.). შდრ. ფორიაქი საქონლის აკლება, რბევა – საბა, დ. ჩუბ. ფორიაქი არევ-დარევა, ჩოჩქოლი, მოუსვენრობა (ქეგლი). იხ. II. ფრიადი.

დიალექტ. **II. ფრიაქი** მჩატე ნივთი (ლეჩხ. ალავ.) – ალ. ღლ.

ფრუტ-ი:

დიალექტ. **I. ფრუტ** ფუტურო, დამპალი ხე (ინგ. როსტ.). ბოყჩიაი *ფრუტ* ხეში ბევრ კეჰტევ. აქვე ფრუტოი (ინგ. ღამბ.). || **ფუტი, ფუტური, ფუტურო** დამპალ-დაყანდებული, სიმკვრივეს მოკლებული, გამოფიტული ხე – ქეგლი. იხ. II. ფოტორო.

სამ. ქართ., დიალექტ. **II. ფრუტი** ძვ. «ნისლიანი თქორი» (საბა).

აღდგენილია არქეტიპი *ფრუტ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ფრჩხილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფრჩხილა** (თუშ.) თვალის ავადმყოფობა. *ფრჩხილა* ლიბრად (თეთრად) თვალს გადაეკვრის. ადამიანს თვალი უსივდება და ცრემლი სდის (ს. მაკალ.) – ქეგლი. იხ. II. ფრცხილი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფრჩხილა** (იმერ.) აჩაჩა ურმის კავიანი ხე, რომლითაც ურემი უღელს უერთდება (ი. ჭყ.). ფრჩხილები შეკრულია ღვლეჭით («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე ლეჩხ. ალავ.

ორივე ომონიმური ცალი გადატ. მნიშვნელობით და ა-მქონებლობის გამომხატველი სუფიქსითაა მიღებული. ფრჩხილა < ფრჩხილი. შდრ. II. ფრცხილი.

ფრცხილ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ფრცხილი** ძვ. მსხლის მსგავსი ხე, რომელიც ფრჩხილის მსგავს სურნელოვან ნაყოფს ისხამს – საბა; ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. II. **ფრცხილი, ფრჩხილი** ძვ. «ფრჩხილი» (საბა). || «ჩლიქთ კიდური» (დ. ჩუბ.) – ქეგლი. „მწუერვალთა თითთა მათთსა, *ფრცხილთა* მათთა, განაცუმიდეს“ (საეკ. უწყ. 1219); *„ფრცხილნი* მისნი (იქმნნეს) ვითარცა მფრინველისანი“ (O, დან. 4, 30); „ცოდვაჲ იუდაჲსი დაწერილ არს წიგნსა შინა რკინისა *ფრცხილითა* ადამანტიისაჲთა“ (O იერემ. 17, 1) – ილ. აბულ. *„ფრცხილებით* გავხადე კურდღელს ტყავი“ (ლიხ., გურ. ჯაჯან.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ბრცხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1938.

ძვ. ქართ. III. **ფრცხილი** ძვ. მოწითალო ფერის ქვა – ქეგლი. **ფრჩხილი, ფრცქილი, ფრცხილი** პატიოსანი ქვა, აყიყი, ონიქისი (იერემ. 28-13).

ფსვენ-ი:

საშ. ქართ. I. **ფსვენი** ძვ. ბაბაჭუა, ობობა (დ. ჩუბ.). მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *ფსუენ- „ობობა“ (სახეობა) (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფსვენი** [Eremias] ზოოლ. ქვეწარმავალი; გვხვდება ზოგგან აღმოსავლეთ საქართველოშიც – ქეგლი. აგრეთვე: ხევს., მოხ., თუშ., იმერ. – ალ. ღლ. || **ფსვენა** პატარა, ხვლიკისებრი ქვეწარმავალი სხვადასხვა ფერისა, – ფსვენი. *ფსვენაი* წვრილიკუდაა, ნაცრისფერი, სვლიკის მსგავსია (ვახანი). *ფსვენა* ხვლიკს გამს, მარა პაწია არი, წაწითუროა (ლეღვანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ფსვენი < მსვენი: ძვ. ქართ. მსუენი lacerta: „არაწმიდა არს... მხულივი და *მსუენი* და მთხუნველი“ (M, ლევიტ. 11, 30). მსვენი ძვ. ხვლიკი – ქეგლი. მსვენი ხვლიკის მსგავსი – დ. ჩუბ.

ფსიტ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფსიტი** არჩვი ან ნიამორი – დ. ჩუბ. *ფსიტი* და არჩჯ იგივე არს (ქ. ცხ., IV, 307, 21). გამიხარდი განთქმული მონადირე იყო. ბევრი მოუკლავს ირემი, შველი, გარეული ღორი, დათვი, ჯიხვი, *ფსიტი* და სხვა (ვაჟა). [ვაჟი] უმღერდის გულის წაწალას, ქალას ცათვალებიანსა, *ფსიტივით* მფრთხალსა, თეთრწითურს, დიაცს კოჭამდის თმიანსა (რ. ერისთ.) – ქეგლი. სესელას ჩაკურათასა თოფი აქვ დიდის ხნისაო, *ფსიტისად* დაუქადლებავ მარიამ-წმიდის ძირსაო (ხევს. პოეზ. 94, 2). მთაში კი ველარ დადიან, დასდევენ ბარის *ფსიტებსა* (ხევს. პოეზ. 572, 3) – ალ. ჭინჭ. ჯიჯვის რქის ყანწებიც არის... აგრეთვე თხისა და *ფსიტისა* (ქიზ. მრეწ. II, I, 36).

დიალექტ. **II. ფსიტი** შარდი. „რა არი ერთი შვილი იყავ დ იმაჲ ვერ უნა მოუაროჲ, *ფსიტი* სუნათა ყარს ბვშვი“. **ფსიტიანი** ვინც შარდს ვერ იკავებს; ვისაც შარდი ეპარება. „ამ *ფსიტიანმა* ბიჭმა გამიოხრა თელი ლოგინი“. გადატ. უშნო, უგერგილო, სუსტი. „შენ მაგაჲ როგორ მოერევი, შე *ფსიტიანო*, შენა!“ (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ. || **ფსუტი** შარდი. აქედან ფსუტიანი შარდის ვერშემკავებელი შდრ. ქვეშაფსია (ქიზ. მენთ.). ფსუტიანი იგივეა, რაც ფსიტიანი (გ.-კახ. სახლთხ.). ფსუტი, ფსიტი ფსელი – ი. გრიშ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფსუტ- „შარდი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ფსიტი** დაბალი, წვრილფოთოლა ბალახი, ნაცრისფერი, პირუტყვის საკვებად უვარგისია. გვხვდება მინდვრის სათიბში. ცელი ვერ „იჭერს“, ე. ი. არ ითიბება (ჯავახ. ზედგ.). შესაძლებელია, III. ფსიტი გადატანითი გზით II. ფსიტი -საგან მომდინარეობდეს.

დიალექტ. **IV. ფსიტი** თხელი სწორი (თმა). ჩემ შვილებსა არც ერთს არ უვარგათ თმაი, სამივეს *ფსიტი* თმა ქავთ (ძეგ.); აგრეთვე ზ. ხანდ., ქემ. (ქართლ. ლექსიკ.). **გაფსიტული** იგივე, რაც ფსიტი. ნეტა რა კაი თმები მაგასა ჰქონდა, რაში უნდა დანანებოდა ი გაფსიტული თმები (ქვეში). შენ გოგოსა აქ გაფსიტული თმა (ძეგ.); ზ. ხანდ. (ქართლ. ლექსიკ.).

ფსკა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფსკა** (ქართლ.) დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოსებრი მასა (სინონ. კახ. ყაპი, იმერ. ყლარტი, გურ. ლეყეპო). იქნება იმისი სიმშვენიერე, თვალთმაქცი სიმშვენიერე წუმპის *ფსკაა* (შ. არაგვ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ფსკა** სკა, ფუტკარი (გურ. ღლ.). მესამენაირი [სკა] იყო როგორც დაწნული, ოთხკუთხიანი, მხოლოდ შემოწნული; ...პატივითა იყო შემოლესილი. ამას *ფსკას* ვეძახოდით (ზ.-ქართ. მრეწ. IV, II, 20). როფში თუ მიეჩვია ჯინჭველა, *ფსკას* დაამსებს (ქვ.- იმერ. მრეწ. IV, II, 26). იხ. I. სკა.

ფსლიკ-ი:

დიალექტ. I. **ფსლიკი** შარდი. იმდენი ფაიტონები და ცხენები იყო, *ფსლიკის* სუნი იდგა წინათ სადგურთან (საქარა, ცხრაწყარო, იმერ. ქავთ.). იხ. II. ფსიტი.

დიალექტ. II. **ფსლიკი** ხვლიკი (ქსნ. სომხ.). || ფსლიკვი, ფსლიქვი (ფშ. იმერ.) ხვლიკი. გველის ზმანებაში (მიზომებაში) ფსლიქვი გაწყვეტილაო (ანდაზა) – ქეგლი. შდრ. მხულივი ხვლიკი; talpa: „მხულივი ჴელითა ემტკიცებინ კლდესა, დაღათუ ადვილად შესაპყრობელ არს“ (O, იგ. სოლ. 30, 28); „არაწმიდა არს ქუეწარმავალთაგანი... მხულივი და მსუენი“ (M, ლევიტ. 11, 29) – ილ. აბულ.

ვფიქრობთ, რომ მსვენი || ფსვენი და ხვლიკი სიტყვების კონტამინაციით მივიღეთ ფსლიკი || ფსლიკვი || ფსლიქვი.

ფუა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუა** სენი (ქართლ. ჭყ.) – ქეგლი. || ბავშვის ენაზე წყლული, მტკივანი ადგილი. „აქ *ფუა* მაქ, შვილო, ნუ დამაწვები, მტკივა“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ზიაფუაობს / ძიაფუაობს ჭინჭყლობს, მიზეზობს, ტირის (ბავშვი) (ბავშვის ენაზე „ძია“ და „ფუ“ ტკივილს, სატკივარს ნიშნავს, უფრო სწორად: ბავშვის ენაზე „ძია“ სისხლია, „ფუა“ ცეცხლი (ხევს. ჭინჭ.). **ფუა** მოფერებით ეძახიან მტკივან ადგილს ზან. (მეგრ. ელ.). იხ. I. ფუფუა.

დიალექტ. II. **ფუა** ცეცხლი (ბავშვის ენაზე). მაგას ჴელ არ მიახლ, *ფუ*, დაგწვავს! (ხევს. თავისებ. 290, 10, ხევს. ჭინჭ.).

საშ. ქართ. III. **ფუა** ბაბუა (მცენ.) ანუ ბაბუსაგბალა (ქანან. 518). აიღე *ფუაი* აფსინთისა ბერძულისა თორმეტი დრამი (ფანასკ. 159, 29). || ხაშხაში (კირიონი). შდრ. **ფუ**, **ფუი** მც. ბაბუსაგზალა – დ. ჩუბ.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. IV. **ფუა** იგივეა რაც ფია – უბეუბური, ჩვილის შეჭამადი – საბა. || ფაფასაც უნდა ნიშნავდეს. გვაქვს ძიფუა, რძით დამზადებული ფაფა (ჯავახ. ზედგ.). || ბავშვის შეჭამანდი, ფიფია (ქიზ. მენთ.). || ფქვილიანი და კვერცხიანი რძე; „რძეს უზამენ ფქვილსა და კვერცხს“ (მთქმელი); შჭამენ რძესა და *ფუასა* (ქართლ. იმნ.). შდრ. III. ფიფინი.

საშ. ქართ. V. **ფუა** ფუ. კარგი რამ დაბადებულხარ, მაგ პირს:„ფუაო!» (ბეს. 99, 5). || **ფუ** ხმაბაძვ. 1. «სიტყვა სანერწყველი» (საბა), -გამოფურთხებისას გამოცემული ხმის აღმნიშვნელი სიტყვა. 2. შორისდ. გამოხატავს რაიმესადმი ზიზღს; რისამე დაწუნებას; საყვედურს, უკმაყოფილებას, წყენას, გაკიცხვას, შერცხვენას – ქეგლი. ეგრე თქუა: „ვის მისსა ამხანაგსა ეშინიან, *ფუ* მასო“ (ამირან. 55, 3). სოფელო, *ფუ* შენ და შენს მოყვარესა! (დ. გურამ. 139, 519, 4). [არსენამ ადლი] გატეხა და გადააგდო. – *ფუ!* გამჭედი გაგიქრესა! (ხალხ.). *ფუ*, მაგისთანა ვაჟკაცობასა! – შევკივლე უილაჯოდ მათიკოს (ილია). მოღალატევ! ფუ, ვერ გხედავ ძმასა ძმურად! (აკაკი) – ქეგლი.

ფუთ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფუთი** [რუს.] წონის რუსული საზომი ერთეული, უდრის 16, 38 კგ (ორმოც გირვანქას) [იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე]. [სირაქლემა] სიმძიმით რვა *ფუთია* (ი. გოგებ.). კეტი აიღო საბრალომ, იქნება ათი ფუთია (ვაჟა). ფუთიანი 1. ფუთის წონისა. 2. ფუთის დამტევი (ჭურჭელი). არ იფიქრო, ცოტა ღვინო მეყოს. ერთი *ფუთიანი* კოკით მარტო მეფე-დედოფლის სადღეგრძელო უნდა გადავკრა (ჭ. ლომთ.) – ქეგლი; აგრეთვე: მრეწ. II, II: ქიზ. 29, საინგ. 60. **ფუთი** წონის ერთეული ზან. (მეგრ. ელ.). **ფუთი** ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ფუთი** [თურქ.] კერპი. „აგერეს *ფუთები* თლათ ტყვილია“ (სტ.); „მიადგა და *ფუთები* დაამსხრია“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.).

ფუთა:

დიალექტ. **I. ფუთა** (მოლექსეობის, მოსიმღერეობის) ღვთისაგან შთაგონება. „შივღას *ფუთა* მიეცა“. „სიზმარში ენახა: ღმერთმა *ფუთა* მისცა, იმი მერე იმისთანა მოსიმღერე არ იყო ჩვენთან“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. ფუთა** [არაბ.] (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ბოხჩა. ქალიშვილებმა მიანებეს თავი *ფუთების* კვრას (დ. კლდ.). მელანიამ დაიკავა ხელში მოკრული *ფუთა* (ე. ნინოშ.) – ქეგლი.

ფუთქ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფუთქი** (იმერ.) 1. ვაზის ზედმეტი რქა, რომელსაც ფურჩქნის დროს აცლიან (სინონ. ამონახეთქი, ბარტყი, ბიჭაბიჭა, რქირქა). 2. წვრილი ფიჩხის შეშა – ქეგლი. || სუსტი, დონდლო; ნაზი, სათუთი (ნორჩი მცენარე, ახალამონაყარი ყლორტი, ფიფქი თოვლი და მისთ.). || ვაზის მუხლთა შორის გამოსული ზედმეტი რქა. ნამხრევეფში ფუთქი ნაკლებია და, თუ ის არ გამორჩე, გამოიგუდება შიდ (წაქვა), ვენახს ძირში გამოვაცლით ახალ ლორდებს – *ფუთქეფს*, ძირში რო ფუთქები ქონდეს, არ ივარგებს (ხევი); ვენახი ისხამს ბევრ ფუთქს – უნამყოფო ლორდია და უნდა გამეიღო (ბორითი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ფოთქი (ფოთქვი ZABCE) ხე მალ გამტეხი – საბა.

ს.-ქართვ. ძირად მიჩნეულია *ფოთქ- „კანი, ხავსი“ → ქართ. ფოთქ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფუთქი** ბებერა – აბურცული წყალჩამდგარი კანი. „ვთოხნიდი და ხელის გულზე *ფუთქები* დამაჯდა“ (იმერ. ქავთ.). **ფუთქვა** დამწვარ სხეულზე კანის აბერვა, აბუშტარება, ატკეცა (იმერ. ბერ.).

ივარაუდება, რომ ფუთქი ფუფქისა და თუთქის კონტამინაციის შედეგად მიღებული ფორმაა (ერთელიშვილი 1980: 144). ვფიქრობთ, რომ ფუთქ < ფუთკ < ფუტყ- გამოიყოფა შემდეგ ლექსემებში: **განფუტყვა** დაწვა. ნუუკუე მეხის ტეხამან განგკაფოს, ნუ ელვამან *განგფუტყოს* (A=92, 222r,

21-22) – ზ. სარჯ. **ფუტკ(რ)**-აფუტკვრა კანზე პატარა ბუშტუკის გამოჩენა, ამობერვა, ამობურცვა დაწვის გამო (შდრ. გადაფუტკვრა გადაწვა, გადაბუგვა): პატარას ეიფუტკრება და გეივლის, დუღრის წვეთმა აგრე იცის) (იმერ. ქავთ.). **ფუნტკლ-** გადაფუნტკლავს გადაბუგავს, გადაწვავს, ცეცხლს წაუკიდებს (რაჭ. კობახ). სვანური **ფუთკ-** (ფუთკუურრდ), **ფუტკ-** (ფუტკუურრდ, ფუტკუურდ), იხმარება გამოთქმაში ფუთკუურრდ, ფუტკუურრდ ლიჩედ გადაბუგვა, ფერფლად ქცევა (სვან. თოფ., ქალდ.). ფუთკვრავი მთლიანად წვავს, უალოდ წვავს (სვან. ლიპარტ.). ძვ. ქართ. ფუტყ-, დიალექტ. ფუტკ-, სვან. ფუტკ-/ფუთკ- ფუძიანი სიტყვების ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილების შედეგად უნდა მიგვეღო ფუთქ-ი.

ფულ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფული** 1. [სპარს.] თეთრი, საფასე; ან ბისტის ნახევარი – დ. ჩუბ. || სპარსული სახელი არის და ქართველები ამ სახელსა ადრიდგანვე ხმარობენ – თ. ბაგრატ. გლახისათვის ერთი *ფული* მიეცა (რუსუდ. 515, 12). ერთ *ფულათ* აღარ ეღირება (სამ. VIII, 48, 9). || მცირე ღირებულების მონეტა. ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს ყიდვა-გაყიდვისას. ფულის ხარჯვა. – გლახამ *ფული* იშოვა და გამოსახვევი ვერაო (ანდაზა). 2. რისამე გადასახადი. [ოთარაანთ ქვრივი] მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო *ფულსა* (ილია). ფოსტის *ფულს* მთხოვენ, ნიკორა გამოვაქციე ტყეშია! (ი. ევდ.). 3. ფულზე, ფულით. მით ვაქებ ვაჭკაცობასა, არ იყიდება *ფულადა* (ვაჟა). ყველა ალაგი გასასყიდი იყო და ვისაც სამსახური უნდოდა, მეფისაგან *ფულად* უნდა ეყიდნა (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. 4. ფული წონის ერთეულია. საღებავ ლილას ჩასდებენ სალილე პარკში წონით სამის *ფულისას* («შინამრეწვ.» 8); იმდვენ ლილას ჩასდებენ პარკში, რამდვენიც სჭირდება ამა თუ იმის შესაღებავად: ჩოჯას სამი *ფულისა*, შალვარს ორი *ფულისა*... [ფული ერთი აბაზის წონას ჰქვია] (ნ. ოჩ., ხევს. ჭინჭ.). 5. **ფული: დაფეჯილი ფული / დაფეჯული [ფული]** ყუნწმიკრული ვერცხლის ფული იყენებენ სამკაულად. ნაფთულს მირგვლივ მააყოლებენ სირმას ან გრეხილს ან დაწნულსა' დააკვრენ მძივს ან ფულებს დაფეჯილებსა' ან ცვრებს («შინამრეწვ.», ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **II. ფული** [არაბ.] წიწაკა. „ამას *ფულ* ბიბერი უნდა“ (მ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ფული** ნალბანდის იარაღი : გული ზოგან ჰქვია: ღული, ქული, ხული ან ფული. ნალის დახვრეტის დროს ნალის ქვეშ ამოსადები მრგვალი, გულგამოღებული რკინა, რომ ზუმბის წვერი ზინდას არ მოჰხვდეს (ქიზიყ. მენთ.).

ივარაუდება, რომ **ფული** მომდინარეობს პარალელურად არსებული მისი ქული სახეობისაგან (ლომთათიძე 1984: 34).

ფუმფულა:

ახ. ქართ. I. **ფუმფულა** რბილი, ფაფუკი. სანდრო უცებ წამოხტა *ფუმფულა* თოვლიდან და აყვირდა (ლ. მრელ.) – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. II. **ფუმფულა** მართვე ფუთკართა და სხვათა მწერთა – დ. ჩუბ. || უხმარიათ ფუმფულას მნიშვნელობით. ყოველს სულიერს, ...მცურავს თუ მფრინველს, მღილსა მიწიერს, *ფუმფულას* თუ მწერს, მძრომსა ბიწიერს, მის-მისდა გვარად ებომა სმენა (რ. ერისთ.) – ქეგლი. შდრ. **ფუფულა ჭია** ფუმფლა, ბურნა. ფუფულა ჭიაა წვრილი მწერი, რომელიც ყურძნის ჭაჭას უჩდება (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ფუმფულ < ფუმ-ფულ (ერთელიშვილი 1980: 168). ქ. ლომთათიძე მიუთითებს, რომ ფუმფუულა ფუძე გაორკეცებული სიტყვაა და მისი ამოსავალი სიტყვა უნდა ყოფილიყო ქულა. „ბაზთა მართვეთა ეწოდების ქულა“ (საბა). ფუმ-ფულა < *ფუნ-ფულა < *ფულ-ფულა (< *ქულა-ქულა) (ლომთათიძე 1984: 34).

ფუნთხ-ი:

დიალექტ. I. **ფუნთხი** იგივეა, რაც ფუთქი. მერე ლერწეფსა გამოუდის თავისი *ფუნთხი,* ფოთელთან რო არი, ნამხრევსაც უმახიან და ფუნთხსაც (ქვები, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: ფუნთლი, ფუნთხლი – ლ. ასათ. იხ. I. ფუთქი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფუნთხი** (გურ.) «წვრილი წვიმა» (ს. ჟღ.), – თქორი (ქეგლი). || (იმერ., გურ.) თქორი, წვრილი წვიმა. ფუნთხავს, ჭყუმპლავს, წვრილად წვიმს (ვ. ბერ.).

ფუნჯ-ი

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუნჯი** [სიმბ.] ფოჩი ან ბოჭკო – დ. ჩუბ. || ტარზე დაგებული ბალნისა თუ ჯაგრის კონა რისამე (საღებავის, წებოს, საპნის) წასასმელად. ნორჩმა მხატვრებმა *ფუნჯები* მოიმარჯვეს, ლამაზად გადახატეს... ტბის მიდამოები («სახალხო განათლ.»). || იგივეა, რაც ფოჩი. ფარდაგს ბოლოებში *ფუნჯი* აქვს («დიალ.»). მომე მუთაქა! მშვენიერია! დახე ამ *ფუნჯებს!* (ვ. ბარნ.). *ფუნჯი* უნაგირის სამკაულია, მოსართავის გამოსაბამი (ვ. ბერ.) – ქეგლი. || ფერადი ნართის (უმეტესად თეთრისა და წითლის) ქსელი, სააღდგომოდ კვერცხის ან საქორწინო ჯვარს რომ შემოავლებდნენ. **დაფუნჯვა** ◊ წითელი კვერცხის ან ქორწილის ჯვრის გალამაზება-შემკობის მიზნით ფერადი ნართით შემოქლესვა-შემოქსოვა. დაფუნჯული კვერცხი, დაფუნჯული ჯვარი – ფუნჯშემოვლებული (ჯავახ. ზედგ.). || კუთხეს ცოტას რო ვაწინაურებთ კედლების მხარეს, კიბე-კიბედ არის აგურები, შემდეგ კედელი მოვა იმის გადასაბმელათ. ამ დაკიბულს *ფუნჯი* ჰქვიანო (ქიზ. მრეწ. I, 43). მემრე სარკმლის თავზე სათარედ მოსწორდება, გაუკეთდება თარის ფეხები, ე. ი. *ფუნჯები* (გ.-კახ. მრეწ. I, 116, 119). აგრეთვე ფუნჯ ფოჩი (ინგ. ღამბ.).

საშ., ახ. ქართ. II. **ფუნჯი** [ფრანგ.] თბილი წყალი რომით – დ. ჩუბ. **ფუნჯი პუნში** – [ინგ. punch] მაგარი სასმელი; ადუღებენ რომისაგან, რომელსაც ურევენ წყალს, შაქარს, ჩაის და ლიმნის ან სხვა ხილის წვენს – ქეგლი.

ფურთხ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფურთხი** დიდი დუჟი, ხრასტი – საბა. უსვინდისოს უთხრეს: *ფურთხის ღირსი ხარო და* – შემაფურთხე რა! მეც ავიწევ კალთას და ჩამოვიწმენდო (ხალხ.). ვინც კაი ბიჭია, მანამ *ფურთხი* გაშრება, იმ თხა-ცხვრებს მოაბრუნებსო (ვაჟა) – ქეგლი. შდრ. **ფურტნა** ფურთხება: მიაფურტნა მიაფურთხა (გურ. ღლ.).

ს.-ქართვ. არქეტიპია *ფურთხ- „ფურთხი"; მუწუკი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ფურთხი** გამვლელი წვიმა, სოროტი (გურ. მეგრ. 186) – ალ. ღლ . შდრ. **ფურტინი** წვიმა ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. II. ფუნთხი.

ფურჩა:

დიალექტ. I. **ფურჩა** სიმინდის ფუჩეჩი (ქვ.-იმერ. ზ. ჭუმბ. 281) – ალ. ღლ. **ფურჩა** ნაქურჩალი სიმინდისა ზან. (მეგრ. ელ.). **ფურჩა̆ი, ფურჩა̆, ფორჩა** ფუჩეჩი (სიმინდისა) სვან. (თოფ. ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფურც-ელ- „ფურცელი" (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ლომთათიძე 1984: 35.

დიალექტ. II. **ფურჩა** [თურქ.] ჯაგრისი. „ყეელ ღამეს, დაწოლიხან, *ფურჩაით* ვისილავ კიბილებსა" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ფორჩა [თურქ., იტალ.] 1. ჯაგრისი; 2. ცხენის საწმენდელი (საბა), – გაბრა (აჭარ. ნიჟ.).

ფუსფუს-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუსფუსი** 1. მოუსვენარი, გაფაციცებული მოძრაობა, ტრიალი აქეთ-იქით. [ხორეშანმა] იწყო რაღაც... აჩქარებით *ფუსფუსი*: იქ ქვაბს შეუკეთა შეშა, ...აქ ზედადგარზე გაასწორა ტაფა (ნ. ლომ.). ყოველ სახლში *ფუსფუსი* ატყდა (მ. ჯავახ.). ◊ **ფუსფუსი გააქვს** იგივეა, რაც ფუსფუსებს. [ფრთიან მწერებს] *ფუსფუსი* გააქვთ სინათლეში (ი. გოგებ.). *ფუსფუსი* გააქვთ ფუტკრებსა, ბზუიან სკების კარზედა (შ. მღვიმ.). 2. უხმარიათ ხუსხუსის მნიშვნელობით. პეტრე წამოდგა... და *ფუსფუსით* გაექანა ავლაბრისაკენ (ილია). 3. (რაჭ.) «ფაფის დულილი» («დიალ.») – ქეგლი. შდრ. ფუცფუცი ფუსფუსი, ფაცაფუცი, მოუსვენრობა (დ. ჩუბ.). იხ. II. ფუცი.

საშ., ახ. ქართ. II. **ფუსფუსი** [თათრ.] ბვ. «ჩურჩული, კურკური» (დ. ჩუბ.). შდრ. ფუჩფუჩი (კახ.) იგივეა, რაც ჩიფჩიფი – ქეგლი. სიტყვა ფუძეგაორკეცებულია აღდგენილია ს.-ქართვ. *ფუს- არქეტიპი (ჩუხუა 2017).

ფუსფუსა:

ახ. ქართ. I. **ფუსფუსა** ვისაც ან რასაც ფუსფუსი სჩვევია, – მოფუსფუსე. ამ დროს გამოჩნდებოდა ფუსფუსა დიასახლისი (ე. ფურცხ.) – ქეგლი. იხ. I. ფუსფუსი.

დიალექტ. II. **ფუსფუსა** ქათმის მავნე მწერია, წვრილი, ფრთებიანი (გურ. შარაშ.). შდრ. **ფუცუცია** ქინქლი, მუმლი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. III. **ფუსფუსა** ბურბუშელა, მცენარეა (გურ. ა. მაყ.).

ფუტა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუტა** 1. ძვ. «წინ მოსახვევი აბანოში» (დ. ჩუბ.), – ასაფარებელი. ნინო [ბაადურს] *ფუტით* აუხვევს გულს... და დაუწყებს პარსვას (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. 2. [არაბ.-სპარს.] ნაკუწებისაგან შეკერილი რისამე გამოსაკრავი (მაგ. თეთრეულისა) (მოხ. შან., მთ. ქართ. დიალექტ., 659). შდრ. II. ფუთა.

დიალექტ. II. **ფუტა** ქერა. პირრგვალი, „ფუტა ქალია“ (ჯავახ. ზედგ.).

ფუფუა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუფუა** (ქართლ. კახ.) ბავშვის ენაზე ტკივილი, სატკივარი, ნატკენი. [პატარამ] ჰკითხა: დედავ, ლათა შენა *ფუფუა*? (რ. ერისთ.) – ქეგლი. || ფუფაი: „მეიტა ხელი, ფუფაი შიგიხვიო!“ (აჭარ. ნიჟ.). || ფუფულა (გურ.): ბავშვი შესჩიოდა ყველას: აა, ფუფულა მტივა, მოვტი..., მომეხმალეთ – მომეხმალეთო (ე. ნინოშ.) – ქეგლი. შდრ. ფუფულა გართხმული მუწუკი – დ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფულ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე (ერთელიშვილი 1980: 194).

დიალექტ. II. **ფუფუაი** თბილი ტანსაცმელი ბავშვის ენაზე. „მოდი, თოლო *ფუფუას* ჩაგაცომ“ (მოხ. ქავთ.). ფუფვნა ტანის ჩათბუნება, თბილად ჩაცმა (ზედმეტად) აქედან ჩაფუფნული (ჯავახ. ბერ.).

ვფიქრობთ, რომ ფუფ- < ფუთ-; ფუთნა თბილად ხვევა (ქეგლი).

დიალექტ. III. **ფუფუა** ნეხვი; სიბინძურე, სიმყრალე საერთოდ (ბავშვის ენით). არ მიეკარო მაგას, *ფუფუა* (ცხრაწყარო, იმერ. ქავთ.). შდრ. V. ფუა.

ფუფქ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუფქი** «ცხელი ნაცარი» (საბა), – თუთქი, თურთქლი; ფუფქარი (თუშ. ფშ.-ერწ.) იგივეა, რაც ფუფქი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ფუფქი** ჴ., ფიფქი (იმვ.) „მშრალად მოსული თოვლი. არ დადგება მთაში და წამოვა ზოვი“ (გუდ.). ფუფქი, ფუფქარი მთ., ფუფქარა, ცუმცქარა თ. იგივე. შდრ. ყაპყი – ა. შან.

ფიფქისა და ფუფქის დაკავშირება შესაძლებლად მიიჩნია ჰ. ფოგტმა, რომლის ვარაუდით, ამ სიტყვათა ფქ- ძირი უნდა უკავშირდებოდეს აფრქუევს || აფრქვევს და ფქვავს ზმნებსაც (ფოგტი 1968: 295-296).

ფუშ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუში** [სომხ.] ფერდის ქარი (დ. ჩუბ., ქეგლი). || თიაქარი (მესხ. ფეიქრ., ჯავახ. ბერ.). || **ფუშუი** თიაქარი. და გუემულ იყო იგი *ფუშჳთა* ფიცხლად (Sin.=46 183r, 17-18) –ზ. სარჯ. || გადატ. უკუღმართობს... ფანფალაკებს ფიცხად *ფუში* (ბეს. 97, 8).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ფუშ- „ბურცი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ფუში** ფაშვი, მუცელი. „ლოცვები იყო *ფუში* ტკივილისა“ (იმ.); „*ფუში* გეეზარდა ქალსა“ (ინ.); „მასობაში *ფუშიც* დამწუარი მაქ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). მონადირეები მასში ზოგჯერ წვნიან საჭმელს ხარშავენ. შეხვდომაზე თუ არ გვექნა ჭურჭელი, [ნანადირევს] *ფუშს* გამოვაცლით, გავრეცხამთ, ჩავადგამთ ხორცს და მოვხარშამთ არ დაიწვას (რაჭ. კობახ.). || „კუნძულელი რომ ჩაბძანდა, – თავზე *ფუში* გადაჰკრესა“ (აჭ. ხ. პოეზ.), *ფუშობერი* ღორმუცელა, გაუმაძღარი, მსუნაგი, ხარბი (აჭარ. ნიჟ.). „აქ ფუხროაბაა, აქავრ კაც *ფუში* არ გუუძღება“ (ხევწ., შავშ. ლექსიკ.) შდრ. ფუშნიერი ფაშვფულანგი – საბა. „ყოველი ჯორცი მისი და ფუშნიერი მისი დაწუეს ცეცხლითა“ (O, ლევიტ. 8, 17) – ილ. აბულ.

ფუშნიერი ფაშუ-ფუბიდან ნაწარმოები სიტყვაა. ფაშ- გვხვდება სვანურშიც (გელენიძე 1974: 118). იხ. I. ფაშა.

ფუჩფუჩ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუჩფუჩი** ყურში ლაპარაკი – საბა. || (კახ.) ჩიფჩიფი – უკბილო ადამიანის გაურკვეველი ლაპარაკი – ქეგლი. შდრ. II. ფუსფუსი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფუჩფუჩი** (ქართლ.) რბილი, ფაფუკი, ფუნჩულა – ქეგლი. ჩითში შეკერილი საბანი ფუჩფუჩი გამოდის (ძეგ.). *ფუჩფუჩი* პურები მოგვიტანა, ჭამეთო (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

ფუჩფუჩა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუჩფუჩა** (ქართლ.) იგივეა, რაც ფუჩფუჩი – ქეგლი. იხ. II. ფუჩფუჩი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფუჩფუჩა** [Lapsana sp. Div.] ბოტან. ერთწლოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; ყვითელი ენისებრი ყვავილი კალათებად აქვს შეკრებილი; ნაყოფი უქოჩროა; ფოთოლი იხმარება მხლად; გავრცელებულია ტყის რაიონში – ქეგლი. || ბალახოვანი მცენარე (ჯავახ. ზედგ.).

ფუცუნ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფუცუნი** (თუშ. ფშ.) ფუსფუსი; ფაცაფუცი – ქეგლი. შდრ. ფაცფაცი ფე(რ)ჯზე(დ) ვერ შემაგრება; ფაცური მცირე გაძრვა – საბა. || 1. აჩქარებული მოძრაობა რამე საქმიანობისას, – ფაცა-ფუცი. [გიორგი] მოტრიალდა და კუთხეში რაღაც ფაცური დაიწყო (ილია). დიდს ფაცურში იყო ხალხი (ვაჟა). 2. მოსინჯვით მოძრაობა, – ფათური. აზრის ცნობაში მოყვანა საჭირო... არის. უმაგისოდ... ყოველივე ბიჯი ბრმა კაცის ფეხების ფაცურს ეგვანება (ილია) – ქეგლი. **ფუცური** ფაციფუცი, ფუსფუსი, მოუსვენრობა ზან.(მეგრ. ქობ.). ფუცუნი < ფაცური.

ქართული ფაც-ურ- და მეგრული ფუც-ორ- ფუძეები შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის *ფაცურ-არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა. გამოყოფენ ს.-ქართვ. *ფაც-ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ. **II. ფუცუნი** ძვ. დაბზარული ქვა (საბა, ნ. ჩუბ.). შდრ. დაფუცუნდება ძალიან დაძველდება, დაშლის პირას მივა (ჭურჭელი, ნაგებობა. გაიცრიცება (ტანსაცმელი). ძაან დაფუცუნდა ე ჩვენი სათონეცა, თუ არ უპატრონეთ, სუ ერთია, დაინგრევა (წილკ.). რანაირ დაფუცუნებულია ეს კაბა! (ძეგ.); აგრეთვე საღ. (ქართლ. ლექსიკ.). შესაძლოა, რომ ზემოდასახელებული სიტყვის ფუძე იგივეა, რაც ფუც- სიტყვაში ფუცუნა (იმერ.) «ძალზე პატარა, ცოტა» («დიალ.») – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფუც-ნამცეცი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2017).

ფუჭ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ფუჭი** 1. (ფუჭ ZAaB, ფუჩ Cab.) უგულო ZABCD. ჭრუვი, ფუტი – საბა. || უგულო, ჭიანი (კაკალი და მისთ.). *ფუჭი* კაკალი არც ყვავს არგია, არც კაცსაო (ანდაზა). კაკალი *ფუჭი* გამოდგა; შიგ... ნაცრისფერი ფქვილის მეტი არაფერი იყო (ი. გოგებ.). ისიც ბედი, თუ ვპოვებთ ფუჭ კაკალში ლებანსა (რ. ერისთ.). 2. გადატ. ტყუილ-უბრალო, უნაყოფო, უშინაარსო, უქმი, ამაო. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა *ფუჭ* სიტყვად არ მიაჩნია (ილია). [სონიას] იმედი *ფუჭი* გამოდგა (დ. კლდ.). რაც-კი არ არგებს ქვეყანას, ის ყველა *ფუჭი* ბარგია (აკაკი) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ფუჭი** ფიჭა. „გამეიტანა თაფლის დიდი *ფუჭი* და დიგვიჭრა ყუელას“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). ფუჭი < ფუტი; ფიტი (ჩიეჩ ZAaBCDE.) თაფლის ნაჩენჩი ZAB. ფუტი (+ თაფლის ნაჩენჩი C) – საბა.

საბა, ფიტ- სიტყვასთან ერთად უთითებს ფუტას და ზმნურ ფიტკრ-ფუძესაც. მოეფიტკრა: ფიტი შეემზადა ZAB. (+ ფიტი შეემზადაო Cb); „ქებათა“ შინა მოიღებენ ფუტკართა მოფიტკვრასა CD. „ქებათათვის“ მოიღებს ფუტკართა მოფიტკვრასა – საბა. შდრ. ფიჭა წინაენისმიერი მკვეთრი ხშულის ტ-ს გადასვლა შიშინა აფრიკატში. ფიტი || ფიჭი (თაფლის ნარჩენი“ საბა. შდრ. ფაჭა (ქავთარაძე 1964: 242). იხ. II. ფიტი.

დიალექტ. **III. ფუჭი** (ficı) კასრი. „*ფუჭი* ხის არი, დიდი კასრივით“ (ინ.); „ამფერ დიდუანულსა *ფუჭი* ქვია“ (ინ.); „*ფუჭში* დაღ, ყველ ჩადებენ“ (ინ.); „თაზე რომ იქნები, ფუჭი, კოლოფი უხდურითნა აამსო“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ფშან-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ფშა, ფშანი** ღრუდო, მდინარეთ ახლოს ქვშაზედ გამომდინარე წყარო – ნ. ჩუბ. || «მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლო გამოდენილი» (საბა), – ტოტი. [ჩვენ] ყველანი ვხედავთ, რომ წყაროები

ქვემოთ მირბიან, ერთმანეთში ერევიან და აჩენენ *ფშნებსა*. ფშნებიც ერთმანეთს ერთვიან და ადგენენ მდინარეებსა (ი. გოგებ.) – ქეგლი. მდინარე ყველამ იცის, რაც არის. *ფშა, ანუ ფშანი,* როგორც ზოგ ადგილს უწოდებენ? ეს ზოგს ეცოდინება, ზოგს-არა (რ. ინან. შველ. 50,2). *ფშანი-* ტალახიანია ნაღელვარია (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, II, 213). || ფშანი მრავლობითი ფორმა ფშა სიტყვისა. ჯავახეთში კლდეებიდან გამოსული პატარა წყაროები, რომლებიც ბალახითაა დაფარული (ჯავახ. ბერ.). || წყარო|| ფშა (ფშ. ხორნ.). || ფშე (ხევს. ჭინჭ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ფშუე „მდინარის ტოტი, ღელე“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: ჯავახიშვილი 1950: 36, ღლონტი 1967: 276.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფშანი** 1.ხის ფესვებიდან ახლადამოყრილი მცენარე, – ფესვით ამოსული ნერგი. ცოტა ხანს ფშნებში გავივლი (კ. ლორთქ.) – ქეგლი. 2. წვრილ ტანიანი დაბალი ხეა. უტოტო, ხმარობენ კალათების, გოდრების დასაწნავად (მესხ.-ჯავახ. ლეონ.). შდრ.**ფშქველა** თხმელა ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **III. ფშანი** ბალახი ერთგვარი. წყლის პირებზე იცის, ცოცხივით არი, წვრილი ღერუები აქვს ნემსებივითა, ფოთოლიც ის არი, ღეროცა, ყვავილიცა, ფშანს ემახიან მაგასა (ხც.); აგრეთვე ზ. ხანდ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.).

ფშვიერ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ფშვიერი** ძვ. «მშრალი, წვრილი მიწა» (საბა, ქეგლი). შდრ. ფშვნა წვრილ-წვრილ ნაწილებად, ნამცეცებად ქცევა, – ფხვნა.

აღდგენილია არქეტიპები: 1. *ფშუ̈ენ-/ფშუ̈ნ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *ფშუ̈ენ-/*ფშუ̈ინ- „ფშვნა“ (ჩუხუა 2017).

ძვ., ახ. ქართ. **II. ფშვიერი** ძვ. რაც ფშვის, სურნელებას აფრქვევს – ქეგლი. ფშვა (5, 13 ქება) სუნ(ნ)ელების დენა ZAB. სუ(ლ)ნელების დენა CDE. See also: მფშუელი, (ფშუ, ფშოდა, ფშჯნვა) – საბა. ფშვის კეთილ სურნელებას აფრქვევს. თუ ქალსა თვისი ქმარი არ უყვარს, ვარდივით *ფშვიდეს,* იტყვის: ფუ, სულ ყარს! (დ. გურამ.). ჰაერიც ტკბილობს, სურნელობს, თითქოსა *ფშვიდეს* სუმბული! (რ. ერისთ.) – ქეგლი. შდრ. ფშუვა, ფშუა სუნის აშვება, ასვლა: „ფშჯან სულნელებისა ნელსაცხებელთ-მგბოლველთასა“ (M, ქება, 513); „ყუავიან, ვითარცა შრომანნი, და სულნელად ფშჯან“ (საკ. წიგ. II, 56, 40) – ილ. აბულ.

ფშუტ-ი:

დიალექტ. **I. ფსუტ, ფშუტ** შარდი. ნუ ფსამთ, *ფსუტი* სულ მოდის ექ; ემ ყმაწუ̈ლს ჰამმეშა *ფშუტი* სულ მოოდის; ჩაფალ ინსნი შინ შასუ̈ლაშიც შენც რუმ შაადიხარ, *ფშუტი* სულ მოოდის (ინგ. ღამბ.). ამ სიტყვებშიც ფს-ძირი უნდა გამოიყოფოდეს, რაც ფს-მ-ა; ფს-ელ-ი სიტყვებში, რომლებისათვი-

საც ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით აღდგენილია ს.-ქართვ. *ფს- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. **II. ფშუტი** რასაც გული არა აქვს, ფუჭი (კაკალი, მარცვალი, თავთავი და მისთ.). ფშუტი კაკალი. – ფშუტი მარცვალი. || ფიგურ. ერთი *ფშუტი* და გულუხვი, მეორე კი ღორთა ღორი (ს. შანშ.) – ქეგლი. || ფშუტა – ქეგლი. || ფშუტე (იმერ. ქავთ.). აგრეთვე ფშიტი ბჟირი, უგულო ფეტვი – დ. ჩუბ.

ფჩხილა:

დიალექტ. **I. ფჩხილა** მარხილის ან ურმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. გრძელი (2 მეტრამდე სიგრძის) მაგარი ხის ჭოგრი, რომელსაც მსხვილი თავის ბოლოდან 60-80 სმ დაშორებით 30-50 სმ სიგრძის თავისივე კაპი უნდა ჰქონდეს (რაჭ. კობახ.). || იგივეა, რაც ფჩხილის ტოტი. *ფჩხილაა* მარხილის ტოტები, რომელიც ამოყრილია ზესადგრის ნახვრეტებში (შროშა); ურემს უღელთან აურთეფს მარხილი. მარხილს ტოტებს, რომელიც არის ამოყრილი ზესადგრის ნახვრეტებში, უძახით *ფჩხილას* აქა (სანახშირე); აქვე **ფჩხილის ტოტი** იგივეა, რაც კაპი. აქა რკინის რიკი გვაქ *ფჩხილის* ტოტებათ (პირველი სვირი); **ფჩხილის კაპის ბურღი** ბურღი, რომლითაც ბურღავენ ფრჩხილას. თუ იგი კაპიანი არ არის, ხელოვნური კაპის გასაკეთებლად. ფჩხილის კაპის ბურღი ბურღი ფჩხილაზე კაპეფსა აკეთეფს (ჯალაურთა); **ფჩხილა ურემი** იგივეა, რაც აჩაჩა ურემი. *ფჩხილა ურემი* და აჩაჩა ერთია (საღვინე, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ფრჩხილა.

დიალექტ. **II. ფჩხილა** საქონლის ავადმყოფობაა (ქიზ. მენთ.). იხ. I. ფრჩხილა.

ფხაკა:

დიალექტ. **I. ფხაკა** ხრიოკი, კლდოვანი ფერდობი. ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ტოპონიმიაში. „კლდიანი ადგილია, თითქოდ ძალით დაუფხავებითო. მანდ ხეებიც კი ვერ იზდება კარგათ და *ფხაკა* ამიტომ ვეძახით“ (გ.-კახ. სახლთხ.). || ფხაკო გვერდობი კლდისა (დ. ჩუბ.). **ფხეკ** მწირი, კლდოვანი ადგილი (სვან. თოფ., ქალდ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ხმოვანმონაცვლე ფხეკ- || ფხიკ- ზმნას მოეპოვება დერივატები: 1. ე ხმოვნიანი ფუძით: ფხეკი, ფხეკო (იმერ., რაჭ., ლეჩხ.); 2. ა ხმოვნიანი დერივატი ფხაკი, ო და ე სუფიქსით ფხაკო, ფხაკე; 3. ი ხმოვნიანი ფუძით ფხიკი, ფხიკო (ქურდაძე 2005: 164). იხ. აგრეთვე: ჩიქობავა 1938; ჩუხუა 2000-2003.

ახ. ქართ. **II. ფხაკა**: ◊ **ფხაკას აიტანს** (გაადენს) იგივეა, რაც ფხაჭას გაადენს, მოიღებს. ჩვენი სათაგვეთის ახალგაზრდობა ფეხზე დადგა. ერთ წამში მაღლა *ფხაკა* ავიტანეთ (თ. რაზიკ.) – ქეგლი ახ. რედ. იხ. II. ფხაჭა.

ფხაჭ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფხაჭი** სპეც. დურგლის იარაღი: ფიცრის კიდის გასახაზავი ხელსაწყო, – საფხაჭი, კაწარა – ქეგლი. მასალის სილამაზისთვის – პირის გასარგვალებლათ [ხმარობენ] *ფხაჭს* (ზ.-იმერ. მრეწ. I, 266). ფიცარს... ზემოდან ფიცარს დაადებენ და *ფხაჭით* გამოჰხაზავენ (ქიზ. მრეწ. I, 57). შდრ. საფხაჭი სადურგლო იარაღი (იმერ. გაჩ., ზ.-იმერ. ძოწ., ვ. ბერ.).

ფხაჭნა, ფხაჭნის „ოდნავ ჭრის, კაწრავს“. ს.-ქართვ- *ფხაჭ- „ოდნავ ჭრა“ (ჩუხუა 2017, კელაურაძე 2017).

ახ. ქართ. II. **ფხაჭი: ფხაჭს ჰკრავს** მოკურცხლავს. აქ კი ჰკრა ფხაჭი გოგიამ (რ. ინან. ალერს. 283, 1). იხ. II. ფხაჭა.

ფხაჭა:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ფხაჭა** 1. ძვ. „თევზთ ლაყუჩთ ასო ხერხებრივი“ (საბა). 2. ფხაჭუნა, კბენია. ღვინო რავარი *ფხაჭა* არი! (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე ფიგურ. დიდებულებს თავბრუს დაახვევს... ფხაჭუნა ალადასტური (პ. ჩხიკვ.) – ქეგლი. შდრ. I. ფხაჭი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ფხაჭა:** ◊ **ფხაჭას გაადენს, მოიღებს**... ერთბაშად მოსწყდება ადგილს და სწრაფად გაექანება, – მოკურცხლავს. გავექანე და *ფხაჭა* მოვიღე, კვერცხი ბუდეში ჩავაგდე, ნისკარტი გავაღე და მხრებგაშლით შევუტიე ურცხვ შაშვსა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. **ფხაჭა მოადინა** სირბილით მივიდა. ეგრე არ უნდაო, დაიტიშა ვალიკოი მინდვრიდანა და ორ მინუტში *ფხაჭა* მაადინა კანტორაშია (კავთ.). შდრ. **ფხაჭაფხუჭით** სასწრაფოდ, უმალ, სწრაფად. *ფხაჭაფხუჭით* მოცოცხავ (რუისი). ფხაჭაფხუჭით გარბოდენ (ტირძ., ქართლ მესხ.). **ფხაჭიაჲ, ფხიჭა** სწრაფი, მარდი (სვან. თოფ., ქალდ.).

ფხეკა:

ძვ., ახ. ქართ. I. **ფხეკა** რისამე ზედა ფენის ცლა მაგარი, პირიანი იარაღის მრავალგზის სმით. ღვედკეცის ფხეკა («შინამრეწვ.»). ტყავის ფხეკა (გამოსაყვანად) («შინამრეწვ.») – ქეგლი. იხ. განფხეკა, მონაფხეკი, მოფხეკა – ილ. აბულ. იხ. I. ფხაკა.

დიალექტ. II. **ფხეკა:** ◊ **ფხეკას გაადენს, მოადენს** საუბ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ფხაჭას გაადენს, მოიღებს. „რო დავკარი ფეხი, დერ საათში *ფხეკა* მოვადინე ქუთეიში“- ვ. ბერ. იხ. II. ფხაჭა.

ფხეჭ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ფხეჭი** (გურ.) ნაჭუჭი – ქეგლი. ||კაკლის, თხილის, ნუშის, კვერცხის და მისთ. გარსი, ნაჭუჭი, ქერეჭო, „კაკლის ფხეჭები ძირ არ უნდა დაიყაროს“ (მესხ. მაის.). შდრ. ხეჭები ქერქთან ნახე ZAB. კაკლის გარეგანი CD – საბა. ხეჭები წაბლის, წიწიბოს და მისთ. კანი – ქეგლი.

დიალექტ. **II. ფხეჯი** მეტისმეტად გამხდარი, სუსტი, გაფხეკილი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. II. ფხიჯო.

ფხიჯო:

საშ. ქართ., დიალექტ. **I. ფხიჯო** «ზურგმწვანე ჭუა» (საბა) – ქეგლი. აგრეთვე: **ფხიჯა** ყველის მატლი (მთ. კაიშ.). **ფხიჯა** ნეხვის ჭია – ი. გრიშ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ფხიჯო** (იმერ.) «უხორცო, ხორცშეუსხმელი, ხიოჭი» («დიალ.»), – გამხდარი. შდრ. ფხაჭო, ხიოჭი, ძალზე გამხდარი – ვ. ბერ.

ფხოწ-ი:

დიალექტ. **I. ფხოწი** წყლისაგან ჩამორეცხილი ფერდობი. *ფხოწია*, სულ ჩამოხლეწილი რო იქნება ფერდოი (ხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ფხრეწები, ფხეწები კლდიან- მთა-გორიანი, მწირი ადგილი (ზ.-იმერ. წერ.). შდრ. I. ფხაკა.

დიალექტ. **II. ფხოწი** მარდი, დაუზარებელი. ის გოგო არის ყველაზე *ფხოწი* (ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ფხაჭა.

ქ

ქავ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქავი** ციხის გალავანი. როშკას ჩავხედენ ციხესა, შვიდ რიგად ევლო ქავია (ხალხ.). მეფის გურგენის სრა-სახლი იდგა დიდის ზღვის პირადა: *ქავი* და ციხე-ბურჯები გარს შემორტყმოდნენ ხშირადა (ვაჟა) – ქეგლი. || თავდაცვის მიზნით პატარა მონაკვეთზე აშენებული მაღალი კედელი. როშკას ჩავხედენ ციხესა, შვიდრიგად ევლა *ქავიო* (ხევს. პოეზ. 654, 4). ის ცხვარს სწოლივ *ქავჩია*' მიხპარებიანა' მაუჭრავ ყელრ (ხევს. თავისებ. 381, 12). აქვე: ქავაი, ქავის -კარ, ქავჩიგური, ქავ-ციხე – ალ. ჭინჭ. აგრეთვე: ფშ. ხორნ., ხევს., ფშ., თუშ. შან. || ქავრ პირუტყვის სადგომი სიმაგრე; ციხის გალავნიანი ეზო. გომურების წინ ქავებს ეძახოდეს ბაკებ გვქონდის ქვისა შემოღობილრ (თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქაუ - „გალავანი; ღობე"; ქართ. ქავ-ი „ციხის ზღუდე, გალავანი" (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. II. **ქავი** ხასი, რჩეული; სეფე. დიდთა დიდ გუართა თავადთა დროშა მიუძღუის, *ქავია* (ფეშ. 39, 20).

ქათქათ-ი:

ახ. ქართ. I. **ქათქათი** თეთრად ელვარება, ბრწყინვა, კრიალი. აღარ იქნება... ქარბუქი, არც *ქათქათი* ოქროს დილისა!.. (კ. ჭიჭ.). აქა-იქ დარჩენილმა ღრუბლებმა ბამბის გაპენტილი ზვინებივით იწყეს *ქათქათი* (რ. გვეტ.) – ქეგლი. **ქათქაათი** თეთრად ჩანს, ქათქათებს (სვან. ლიპარტ.).

რ. გორდეზიანის აზრით, ბერძნული καθαρός „სუფთა"- ქართ. ქათქათ-.: ბერძნული ტერმინი, რომლის ეტიმოლოგია დაუდგენელია, შეიცავს καθ-ძირს, რომელიც ეტრუსკულ caθ-ში „მზე" დასტურდება. ქართ. ქათქათ- წარმოადგენს რედუპლიცირებულ ფუძეს და, იგი საკმაოდ არქაული უნდა იყოს (გორდეზიანი 1985: 85). იხ. I. ქათქათა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქათქათი** (ქიზ.) ყბედობა, ჭარტალი (შდრ. ქოთქოთი) – ქეგლი. || ლაქლაქი. დილიდან საღამომდისინა ეგრე გააქვს *ქათქათი*, არ დააყენებს ენასა! ქალო, რით ვერ მაიღალე მაგოტელა *ქათქათითა?* (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). „ოჰო-ჰოო, რეერთი ქათქათი იცის!" აქედან: ქათქათა ყბედი (ქიზ. მენთ.). იხ. I. ქოთქოთი.

ქათქათა:

ახ. ქართ. I. **ქათქათა** რაც ქათქათებს, ძალიან თეთრი, თოვლივით თეთრი. *ქათქათა* პერანგი აცვია. – სისხლით მოირწყო თოვლი *ქათქათა* (გ. აბაშ.) – ქეგლი. || თეთრი, სპეტაკი. *ქათქათა* პერანგი ჩავაცვი (ქიზ. მენთ.). იხ. I. ქათქათი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქათქათა** (ქიზ.) ვისაც ქათქათი სჩვევია, – ყბედი, ჭარტალა. იხ. II. ქათქათი.

ქალამ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქალამი** 1. იხმარება სალამ სიტყვასთან ერთად და გამოხატავს ურთიერთ მისალმებას. ჰაერში გაისმა მხიარული მისალმება..., შემდეგ სალამი, *ქალამი* და ყველანი... გაემართნენ... სახლისაკენ (ა. ყაზბ). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი – ქეგლი. სალამ-ქალამი. ქალამი [არ.] შემდეგ მოკითხვა, სალამი, *ქალამი* და (ა. შან.). შდრ. ქალიმაი [აზერ.] სიტყვა (ინგ. ღამბ). შდრ. ქელამი [არაბ.] 1. სიტყვა, სიტყვა-პასუხი. 2. სელამ (სალამ) სიტყვასთან ხმარებული, გამოხატავს ურთიერთ მისალმებას, ქალამი. *„სელამ-ქელამ* მოგახსენეფ, აგერ მაღლა ზეგნიდანა“ (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. II. **ქალამი** თავხვეული კომბოსტო, ლახანა (ა. მაყ.). || **ქალამ** [აზერ.] კომბოსტო. ერ ქალამი ქელლაი იყიდ! (ერთი თავი კომბოსტო იყიდე!). *ქალამი* ტოლმაი; *ქალამი* შითილ (კომბოსტოს ჩითილი, ნერგი) (ინგ. ღამბ., როსტ.). ქალამი (სპარს. Kalam) კომბოსტო (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ქალაქ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **ქალაქი** 1. [სომხ. ქაღაქ] თანა–მავლობასა და თანა–სახლობასა ქალაქ სახელ-ედვა – საბა. || [სომხ.] ერ მრავალი შენობა შუკა ბაზრებითურთ და გალავნითა ან თხრილით მოზღუდული – დ. ჩუბ. ქალაქი დიდი დასახლებული პუნქტი, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი. „წარიყვანა იგი... წმიდასა მას *ქალაქსა*“ (მთ. 4, 5); *„ქალაქად-ქალაქად* რომელნი მოვიდოდეს (მოვიდეს C) მისა“ (ლ. 8, 4); „მიითრევდეს იასონს... *ქალაქის-მთავართა* წინაშე“ (საქ. მოც. 17, 6). აქვე: ახალქალაქი, დედაქალაქი, თანა-მოქალაქე, მზის ქალაქი, მოქალაქე, მოქალაქობა, ციხე-ქალაქი, ქალაქპეტი – ილ. აბულ. – იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავთსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა (გ. წერეთ.). აი, ქალაქი შემოჭანდრული, ვერხვის ფოთლებში გამოხვეული (გ. ლეონ.). || საუბ. საკუთრივ ქალაქი თბილისი. ქალაქით კრწანისს გავედით, ველოდებოდით მტერსაო (ვაჟა). ◊ სატახტო ქალაქი ძვ. იგივეა, რაც დედაქალაქი. იბერიის *სატახტო ქალაქს* პომპეუსის ჯარი... მიადგა აღმოსავლეთის მხრიდან (გ. ქიქ.). ◊ ქალაქი ღამე, დღე საუბ. დიდი, ღამე, დღე. ქალო, ამ *ქალაქ ღამესა* შენთვინა ვდგევარ ბანზედა (ხალხ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. დედაქალაქი. ციხე-ქალაქი. თავქალაქი – ქეგლი. ქალაქი (ქაიაქი) ზან. (მეგრ. ელ.). ქალაქი ქალაქი ზან. (ლაზ. თანდ.). ქალშქ, ქალაქ ქალაქი (სვან. თოფ., ქალდ.).

ივ. ჯავახიშვილი: ეს სიტყვა სომხურის გზით არის შემოსული სირიულიდან, სადაც იგი შემოზღუდვის, გარშემორტყმის მნიშვნელობისაა და ძველ სომხურში გამოითქმებოდა, როგორც kalak (ჯავახიშვილი 1998: 126). ქალაქი წარმოშობით სპარსულია. სპარსულიდან ის შემოსულია რო-

გორც ქართულში, ასევე სომხურში (ჭუმბურიძე 1987: 70). ივარაუდება ქართული ქალ-ტა „ირგვლივ შემოზღუდული უსახურავო ადგილი საქონლის დასამწყვდევად, ბაკი“ და ქალ-აქ-ი სიტყვების ეტიმოლოგიური კავშირი, რის საფუძველზეც ქალ- ძირად გამოიყოფა, ხოლო -ტა, -აქ კი სუფიქსებად არის საგულვებელი (ჩუხუა 2018: 76).

დიალექტ. II. *ქალაქი* ქვაბის სადგმელი ცეცხლზე, სამი მხრიდან აგურებით ამოაშენებენ, მეოთხე მხრიდან ცეცხლს უკეთებენ. ამ *ქალაქს* „ოჯახსაც დაადახოდიან“ (რ. ონიკაშვილი, ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

დიალექტ. III. *ქალაქი* ფეხსაცმელი/აფუსი/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.)

დიალექტ. IV. *ქალაქი* იგივეა რაც ჩადრი. კარავი. ეს სიბილო თავაზიშვილი და თავის ოლტაშით რო ჩამოვლენ, დაათორიელებენ, რო *ურუჯყურბეგი თავის ქალაქჩიგა, ქალაქი* რას დაადახით? ჩადრია? (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. ქალაღა, ქალაღაია [სპარ. ქალა*ღა] თხელი აბრეშუმის თავზე მოსახვევი – ქეგლი.

ქამ-ი:

საშ. ქართ. I. *ქამი* კარის ხმის ამოღება – საბა. შდრ. ჩქამი ხმაური, გახმაურება – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ქამი* (გურ.) ნამი, სისველე, სინესტე (გ. შარაშ.), – ტენი – ქეგლი. ქამიანი მოსველო (ი. ჭყ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქამ- ძირი „ნამი; უხვი სითხე“ (ჩუხუა 2017).

ქამალ-ი:

ახ. ქართ. I. *ქამალი* [არაბ.] ძვ. უნარი, სიყოჩაღე, ფხა. აქიმო, თუ გაქვს *ქამალი*, სცადე ეს ჩემი ნასწავლი, რაც სენი უკურნალ იყოს, ღვინოა იმის წამალი (ა. ჭავჭ.). იყიდე... ფარჩები, მარგალიტნი, ძვირფასნი ალმასნი... სცადე ჩემი *ქამალი* (ი. კერეს.) – ქეგლი.

დიალექტ. II. *ქამალი*, მრ. *ქამლები*, – ქამბალრ, მრ. ქამბლები, – ქალამანი. *ქამლის ზომა* საქალამნე ტყავის საზომია: მტკაველი, გოჯი, თითები... (თუშ. ხუბ.). || „ჩავიცვამ *ქამლებს*, ავიღებ თოფსა-დ' გუსცვლი ამხანაგებს“ (თუშ. ხუბ.). შდრ. ქალამანი (ჩარუხ ZAaBC.; ტრიეხ ZAaBC.) (ქალმანი Cab) მობაწრული ფე(რ)ჭსაცმელი (საბა).

ქამან-ი:

საშ., ახ. ქართ. I. *ქამანი* [სპარს.] 1. მჭედლისა და დურგლის იარაღი, – ბურღის დასატრიალებელი მშვილდი. 2. ზოგი სიმებიანი ინსტრუმენტის გასმით საკრავი, ბუის ლარიანი მშვილდი, – ხემი. 3. «სუსტი მშვილდი» (საბა, ქეგლი).

დიალექტ. II. *ქამალა, ქამანი ძალა.* დაფუტუროებული როა შეშა, იმაზე იტყვიან, დასაწველადაც არ ვარგა, *ქამანი* აღარა აქ მაგი ცეცხლისაო (ოძ.). როცა აღარ შაუძლიან კაცსა, ქამანი აღარა აქო, იტყვიან (ქვ. ჭ.). ამ ცეცხლსა სულ არა აქვს ქამალა (ქორ., ქართლ. ლექსიკ.). იხ. I. ქამალი.

ქამუდ-ი:

საშ., იხ. ქართ. I. *ქამუდი* ძვ. ხარჯი, რიოში ლითონისა (დ. ჩუბ., ქეგლი).

დიალექტ. II. *ქამუდი* სართი ყიდვა-გაყიდვის დროს. *„ქამუდი* მიევეცი და ის უკან მიბრუნებს“ (ქართლ. გაჩ.).

ქან-ი:

ახ. ქართ. I. *ქანი* ქართული ანბანის ოცდამეორე ასოს სახელწოდება (ქ) – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. *ქანი* [სპარს.] გეოლ. დედამიწის წიაღისეული შრე, ფენა; მადანი. ვულკანური ქანი. – კრისტალური ქანი – ქეგლი. თუ უნდა ალმასის *ქანი* იყოს, თუ უნდა დევ-ქაჯთ სადგური (რუსუდ. 259, 28). – ერთი მეფე იყო... და იმის ცდაში იყო, რომ თავის სამეფოში ოქროს *ქანი* ეპოვნა (საბა). ქვასა აქ *ქანი*, თუ იმ *ქანზე* გაიჭრა ადვილათ იპობა ძრიელა (მეჯვრ.). აქვე: ქანიანი, ქანი აქვს დაგდებული (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ქანის შკაფი / ქანიშკაფი. ქანის შკაფი ღარს უღებს ფიცარს (ზედა საქარა); ქანის შკაფია იარაღი, რომელიც იღებს კედლის ფიცრის ჩასაშვებ პირს აფრაზე და კარ-აკოშკის ჩარჩოებს (მანდაეთი, ზ.-იმერ. ბოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. *ქანი* (რაჭ.) «მარჯვე, მოხერხებული ადგილი; მაგ., სადუქნე ადგილი, რომელიც ადვილად მიიზიდავს მუშტრებს» (ვ. ბერ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. IV. *ქანი* (ქიზ.) საჩეხის (სახლის კარისპირა დერეფნის) სვეტების დასაყრდენი ან თავზე გადებული დირე – ქეგლი. ქანიხე სვეტების დასაყრდენი დირე (კახ. მარტ., იმნ.). || საქვის ძელებზე გადებული კოჭი, რომლებზეც ლაგდება და დაეკვრის ფიცრები (ჯავახ. ზედგ.).

ა. არაბულის აზრით, ზემოდასახელებული III. და IV. ომონიმური ცალები, „ძირეული სახელებია“, და მათი რეალიზება მოსალოდნელი იყო ზმნური ძირის იმ მონაცემების მიხედვით, რომლთა საფუძველზე საერთო-ქართველური *ქან- || ქნ- ძირი აღდგება (არაბული 2001: 54).

ქანთელა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ქანთელა* (იმერ.) პირუტყვის სნეულება ერთგვარი: საქონელს ენა უსივდება და კვდება (ი. ჟყ.), – პირისტკივილი (ქეგლი).

დიალექტ. II. *ქანთელა* ყბედი, ლაქლაქა. *ქანთელა* კაცი რა საყვარელია! (ხრეითი ზ.-იმერ. ბოწ.).

ქანქანა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქანქანა** [სპარს.] ძვ. 1. ხვრელი, გვირაბი. *ქანქანის* ნაპირას გაეჩაღებინა ცეცხლი რამდენიმე ყარაულს და გარს შემოსხდომოდნენ (ა. ყაზბ.). 2. «ხელოვნებით გამომთხრელი ღრუდოთა და გამომყვანი წყალთა» (დ. ჩუბ.) – ქეგლი. ციხის აღებას ამბობენ, შაგდებას *ქანქანისას* (ალ. ოჩ. 40, 30). ვინა თქო დიკლოს დალევა, გარისხებაი ხთისაო... ცოკისძეთ ციხის ჩამოშლა, შადება *ქანქანისაო?* (ხევს. ოჩ. 11, 2). || წყაროს გამომყვანი გვირაბი (ქიზ. მენთ.). ქართველური ფუძეები რედუპლიცირებულია.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქან-ქან- „უფსკრული, ხრამი; გვირაბი“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ქანქანაი** მფლანგველი, ვისაც ოჯახიდან მეტი გააქვს, ვიდრე შემოაქვს. „ოჯახის ქანქანაი“ (კ. ქუშ., მოხ. ქავთ.).

ქანქარა:

საშ., ახ. ქართ. **I. ქანქარა** 1. საქანებელი კედლის საათისა – დ. ჩუბ. || სპეც. 1. სამძიმიანი ღერო, რომელიც დაკიდებულია უძრავ წერტილზე და ქანაობს აქეთ-იქით. 2. ჯიბის ან მაჯის საათის ბორბალი, რომელიც თავის ღერძზე აქეთ-იქით თანაბარი მოძრაობით აწესრიგებს საათის სვლას – ქეგლი. შდრ. ქანქარი რხევა, რწევა, ქანაობა – დ. ჩუბ., ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქან-ქნ ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990), ნ/რ მონაცვლეობით (არაბული 2001: 83).

დიალექტ. **II. ქანქარა** ბოლოქანქარა, ბოლოქანქალა. *ქანქარას* ჩიტ ვეძახით, დადის და ბოლოს აქანაქარებს (ქემ.). *ქანქარა* ჩიტივით რო დახტიხარ, არ დაიღალე? (ტყვ.); აგრეთვე კარ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ბოლოქანქარა: ბოლო + ქანქარა კომპოზიტია. მისმა მეორე ნაწილმა ქანქარამ იტვირთა მთლიანი კომპოზიტის მნიშვნელობა და დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. ივარაუდება ს.-ქართვ. ფუძე *ბოლ-(ო) ქართ. > ბოლ-, ბოლ-ო(ს) (ჩუხუა 2000-2003). ქანქარა იხ. I. ქანქარა.

ქანჩახ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქანჩახი** (კახ. ფშ.) ბუჩქებით ან ტყით დაფარული კლდიანი, ძნელად სავალი ადგილი. ადგილს ვემწყვდიეთ მჭიდროსა, *ქანჩახებს* შორის, უგზოსა (ვაჟა). მიქრის მთებისკენ ბავშვის ოცნება, სადაც ლიახვის *ქანჩახებია* (გ. ლეონ.) – ქეგლი. || გაუვალი კლდიანი ადგილი (ქიზ. მენთ.). || ქვა-ღორღიანი ციცაბო (ხევს. ჭინჭ.). || მაღალი, ფრიალო კლდე. ქანჩახ მაღალაც კდებ, წამოტეხილი ნაფხვრიანბ (თუშ. ცოც.). შდრ. ქენჩახი (მთ. კაიშ.).

დიალექტ. **II. ქანჩახი** ყოჩაღი, მარჯვე. ლუიზასა რამდენი რამე შეხვდა და მაინც *ქანჩახია* და მაინცა (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ქანჩახურობს ხმაურით, რახარუხით აკეთებს, არ ისვენებს. ნუ ხქანჩახურობთ ყმაწვილებო, დახკანდით! (ხევს. ჭინჭ.). ქანჩახურაობა შარიანობა, უაზრო, საწყენი ლაპარაკი, ხტუნვა. „სუფრა არ გამიუგემურო, ბალღო, ნუ ჰქანჩახურაობ აქა, თორო მე ვიცი შენი“ (ფშ. ხორნ.).

ქარგალ-ი:

ახ. ქართ. I. *ქარგალი* [სპარს.] ძვ. ხელოსანი, რომელმაც შეგირდობა დაამთავრა, მაგრამ ჯერ ოსტატად არ იყო დალოცვილი და დაქირავებულ შრომას ეწეოდა. ჯერ არ დაელოცნათ გიორგი, ისევ *ქარგლად* ითვლებოდა (ვ. ბარნ.). ერთი შეგირდი და ერთი *ქარგალი* ჰყავდა ხარაზს (ბ. ჩხ.) – *ქეგლი.*

დიალექტ. II. *ქარგალი* დურგლის იარაღია, წრის შემოსავლებად ხმარობენ (ჯავახ. ბერ.). შდრ. I. *ფარგალი.*

ქართა:

სამ. ქართ. I. *ქართა* იგივეა რაც ქარფეხი-ფეხმალი, სწრაფი-ზღაპრული ცხენი, რაში. გარსევ კაცი გაუგზავნა: „მეფე შეჯდა რისხვის *ქართა*“ (შ3ნ. II, 3074, 4). „ვირ უნაგირი არ იცნა, ნურც ქართა დამორჩილდები“ (შ3ნ. II, 3083). შდრ. კატირი [თურქ. katır] ჯორი ზან. (ლაზ. თანდ). ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ იხ. (იმედაძე 2014: 100). ვფიქრობთ, რომ სიტყვის ფონეტიკური ცვლილება ქართულში უნდა განხორციელებულიყო.

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ქართა* (იმერ. გურ.) მოღობილი საქონლის სამწყვდევად, – ბაკი. საქონელი *ქართაში* ჩავყარეთ (ნ. ლორთქ.) – *ქეგლი.* *ქართა* || საჩეხი. (სინონ. ბაკი, საჩეხი, ფარეხი) ქართა წკნელით მოწნული საქონლის საზაფხულო სადგომია (მოხვა); || დიდი საჩეხი, მთაზე კოლექტივის საქონლის სამწყვდევი., საქონელს რო ვამწყვრევთ თაზე, შამოვრაგვამთ წკნელით და სარებით, სარეფშია გაყრილი წკნელი და საქონელს ამწყვრევენ, *ქართს* უძახით იმა, ოჯახში პატარას ვაკეთეფთ და საჩეხს უძახით (ხვაშითი, ზ.-იმერ. ბოწ.). შდრ. ქალტა ბაკი, ქართა (გურ., იმერ.) – ალ. ღლ. ქართა საქონლის სადგომი, ქალტა ზან. (მეგრ. ელ.).

ს.-ქართვ.ძირია *ქართ(ა) „ღობე, შემოღობვა; დასახლება (ჩუხუა 2017).

ქარსალა:

სამ., ახ. ქართ. I. *ქარსალა* (თევზ.) წვრილი (წვლილი B) ჭიჭყინა ზღვისა ZAB. (თევზ.) წვიტოვანი თევზი – საბა. *ქარსალა* || *ქარსალი* [Sprattus sprattus phalericus] ზოოლ. ზღვის წვრილი თევზი ქაშაყების ოჯახისა – *ქეგლი.*

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ქარსალა* თხლად ჩაცმული ადამიანია. ქარსალაობა (ფშ.) «ზამთარში მსუბუქად ჩაცმა ან სიცივეში გაუფრთხილებლად სიარული» (ი. ჭყ.) – *ქეგლი.*

ქარსლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ქარსლი* 1. (ქვ.-ქართლ.) «კვერცხის აპკი» («დიალ.») – *ქეგლი.* აგრეთვე: მოხ. ქაჯ., შან. 2. ბალანგაცლილი ცხვრის ან თხის თხელი ტყავი. „*ქარსლის* ყუნალაი არ იხევა. შინ საჭმარად ვიყენებთკე სთვაჩი, ძახვაჩი და ცხო“ (მოხ. ღუდ.).

ს.-ქართვ.ძირად მიჩნეულია *გარს-ალ- „ჭარი, კანი“; „თმა, ბალანი“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. ქარსლი წვრილი თოვლი და ქარი, ან მობერილი ქარისაგან მიწაზე დადებული წვრილი თოვლი (მთ. კაიშ.). || მთ., მოხ., ჴ. ყოჰყი, მსუბუქი თოვლი. „ცოტა რამ დაუქარსლავ“ – ა. შან. შდრ. ქირსლ̌ ცივი ნისლი (თუშ. ცოც.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქირს-, *ქირს-ლ- „თოვა, წვრილ-წვრილი ფიფქი“ (ჩუხუა 2000-2003).

ქარსლა:

დიალექტ. I. ქარსლა შილიფად ჩაცმული, პერანგი (ფშ. ხორნ). ახია მაგაზე, რატომ თბილად არ ჩაიცვა, *ქარსლა* რად მირბოდაო? (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. ახლო სოფელში *ქარსლად* წასულა, დასდომია ავი დარი (იქვე). იხ. II. ქარსალა.

დიალექტ. II. ქარსლა სპარსული ღვარძლა (კახ. ა. მაყ.). ს.-ქართვ.ძირია *ქარსლ- „ლენცოფა, ღვარძლა“ → ქართ. ქარსლ-ა (ჩუხუა 2000-2003).

ქარქარა:

დიალექტ. I. ქარქარა ძალიან თხელი (ტანსაცმელი). *ქარქარა* კაბით რომ წამოსულხარ, არ შეგცივა? (მეგ.). არა აცვია რა, *ქარქარა* კაბის მეტი (მეგ., ქართლ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქარ-ქალ- „მსუბუქი, თხელი“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. II. ქარქარა ძლიერ თეთრი, თოვლივით თეთრი, – ქათქათა. ვსვამ *ქარქარა* შროშანის რძეს (ი. გრიშ.) – ქეგლი. შდრ. I. ქათქათა.

დიალექტ. III. ქარქარა ყბედობა, მიქარვა. რა *ქარქაროვა* (ინგ. როსტ.). შდრ. მიქარავს სისულელეს ამბობს, როშავს; სულელურად, ტუტუცურად იქცევა. «მიუქარავს, ვისაც ეგ უთქვამს!» (ნ. ლომ.). «რაებს მიჰქარავ, გოგო!» (შ. არაგვ.). «ნუ მიჰქარავ!» – შეუტია კნეინამ [ზურას] (მ. ჯავახ.) – ქეგლი.

ქარქაშ-ი:

საშ. ქართ. I. ქარქაში რომაული გვირილა Pyrethrum Parthenium Sm. ხეჭები, რომელ არს ტბისა ლოფოთქინი, გინა *ქარქაში* ბუელი, დაწუი (ფანასკ. 72, 5).

საშ., ახ. ქართ. II. ქარქაში [სპარს.] შთასადებელი ბუდე ხმალთა, ხანჯალთა და მისთანათა – ნ., დ. ჩუბ. დაჟანგებულხარ, გორდაო, დაგბობებია *ქარქაში* (ვაჟა). ხმლის *ქარქაში* არაფრად ღირს, უნდა სჭრიდეს მხოლოდ პირი (აკაკი). ◊ ქარქაშში ხმალს (არ) [ჩა]აგებს გადატ. ბრძოლას (არ) [შე]წყვეტს. ქართლო, შენს შვილსა არ ჩაუგია *ქარქაშში* ხმალი (ილია). || უხმარიათ საერთოდ რაიმე მოგრძო საგნის ბუდის აღსანიშნავად. გრაფიტს...

პატარ-პატარა ჩხირებად ჭრიან..., მერე სმენ ხის *ქარქაშში* და კეთდება საწერი იარაღი (ი. გოგებ.). [კონდუქტორს] წელზე ტყავის *ქარქაშში* ჩაგებული წითელი და ლურჯი ბაირაღები ეკიდა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. **ქარქაშ, ქარქაშ** ქარქაში (სვან. თოფ., ქალდ.). **ქარქაში** ქარქაში. სატევარი ზან. (მეგრ. ელ.).

ქაქია:

დიალექტ. **I. ქაქია** ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილ სველს შეურევენ პურის ფქვილს, ურთავენ ცოტა მარილს და მოხარშავენ (აჭარ. ნოღ.). || ნაღებისა და ფქვილის შეჭამანდი, გარფა: რძის ნაღებში ფქვილს მოუკიდებენ, ცოტა წყალს დაასხამენ და ადუღებენ მანამ, სანამ ფაფასავით არ დადგება (აჭარ. ნიჟ.). გადატ. ლელვი... მწიფე არის? ...ასეთი მწიფეა, როგორაც *ქაქია* (კალმას. 467, ქვ. 3). აგრეთვე: გურ., იმერ.; ს. ჟღ., ა. ღლ., ვ. ბერ. **ქაქ, გაგ** ფაფა (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქაქ- „ფაფა“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ქაქია** ასკილი, მცენარეა (ინგ. ა. მაყ.). || იგივეა, რაც თეთრ ვარდ (ინგ. ღამბ.). ქაქია წარმოდგება სიტყვა „ქაქუნაჯისაგან“ (ძველი კარაბადინების მიხედვით) – ზ. მაყ.

ქაშა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქაშა** [რუს.] ფაფა – დ. ჩუბ. უი ჩემს თავს! და მაგ მაგალითით რომ არ დაგემტკიცებინა, ან *ქაშას* ვიტყოდი, ან მაწონს (კალმას. 467, ქვ. 2). || ქაში [სპარს.] ფეტვის ფაფა რძითა (საბა). || ბურღულეულის ფაფა, რძით (ან წყლით) მოხარშული – ქეგლი. აგრეთვე ჩვენ. ფუტკ.

ახ. ქართ. **II. ქაშა:** ◊ **ქაშა ვაშლი** ვაშლი, რომელიც მეტის-მეტი სიმწიფისას ფაშრდება; ზოგი ჯიშია ასეთი *ქაშა*, ფაფუკი, გულლბილი, ფხვიერი (ვაშლი) – ი. გრიშ.

ლ. კელაურაძე აღადგენს ს.-ქართვ. *ქაშ-ს (კელაურაძე 2014: 29).

ქაჩ-ი:

დიალექტ. **I. ქაჩი** 1. ცხენი და ვირის ფლოქვები (სიონი). 2. ჩლიქი. „მცორზე თუ გაუშეი, ბატკანს ქაჩის თავები უფიცხდება და უსქდება.“ გადატ. უშნო, დიდი ფეხები; დახეული, დაბრეცილი ფეხსაცმელები. „იმ ცოდვილსა, ქალაია და რამოდენა *ქაჩები* აქუ!“ „როგორი ქაჩნი დაგთრევს!“ (მოხ. ქავთ.). ცხვარი *ქაჩებით* [ქიჩებით] თოვლს ვეღარ გასთხრიდა (მოხ., ხევს. შან.). იხ. I. ქაჩაჩი.

დიალექტ. **II. ქაჩი** [სპარს. kaçi] შესაწირი ტკბილი კერძი, რომელიც ფქვილისა და რძისაგან კეთდება. ქაჩი შესაწირი ტკბილი კერძი (ფერეიდ. ჩხუბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ქაჩალ-ი:

დიალექტ. I. **ქაჩალი** ქვის სამტვრევი ან სათლელი ჩაქუჩი. რკინის იარაღი ქვის სასწორებელი, ნაპირების შემოსტეხდნენ, შემოუკუთხავდენ. თურმე სამოცი *ქაჩალი* რო გაცვეთილა, ალბათ, სამოცი კაცი აგებდა (ფშ. მრეწ. I, 182). ამ ციხის აგებაშია მაუნდა ოცი წელია, ორმოც მაუნდა *ქაჩალი,* სამოც- ქვის სამტვრევ კვერია (ხევს. პოეზ. 541, 12). || ქაჩელი ქვის სატეხი (მოხ. ქავთ.). || ქარჩი ცალპირა თოხი (ხევს. ჭინჭ., ფშ. ხორნ., თუშ. ცოც.). **ქარჩი** ქვის საკოდი რკინის იარაღი ზან. (მეგრ. ქობ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქაჩალი** 1. მტიერი, ფუთხიერი – დ. ჩუბ. მე იგი მრწამს მამად, არ *ქაჩალი* მამად (დ. გურამ. 169, 2, 2). სტაფილოს თესლი და ან სტაფილოს ფოჩი დანაყონ ან *ქაჩალსა* და ან სხვასა მსხმოზედა დაიდვას (იადიგ. 171, 7). 2. [სპარ. ქაჩალ] კაცი, რომელსაც თავზე თმა არ ამოსდის. *ქაჩალი* სავარცხლის გამვირებასა ჩიოდაო (ანდაზა). *ქაჩალმა* რომ წამალი იცოდეს, თავის თავს მოარჩენდაო (ანდაზა) – ქეგლი. 3. საუბ. იგივეა, რაც მელოტი – ქეგლი; აგრეთვე ი. გრიშ., ვ. ბერ., ინგ. როსტ., ღამბ. || ქაჩალი ცხენის ეპითეტად უხმარიათ პოეზიაში. ბევრაის ცხენი ჭიხვინებს, ტოტებზე დგების *ქაჩალი* (ხევს. პოეზ. 468, 10). უგონთა არას დაგიდევს, *ქაჩალ* თუ ჴელში ხყავისა (ხევს. პოეზ. 449, 4) – ალ. ჭინჭ. 3. საჭმელად უვარგისი ნიყვი, რომლის წითელი ფერის ქუდი ობმოკიდებულივით არის. ქაჩალმა ნიყვმა ობივით იცის მოკიდებაი, *ქაჩალი,* გლახა არი (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. III. **ქაჩალ** 1. ქეცი. ემ კაცს ქელლაზე (თავზე) *ქაჩალ* აქონდა; ხუალ დილლამდინ ე ქაჩალ მაჲშორ ქელლი (თავიდან). 2. ქეციანი. წაჲ, შენ *ქაჩალ* ქელლაჲ (ქეციან თავი) დაჲბაბ! (ინგ. ღამბ.). **ქარჩჱლ, ქარჩჱრ, ქარჩჱლ** 1. ქერტლიანი. 2. მუნიანი (სვან. თოფ., ქალდ.). შდრ. II. ქაჩალი მნიშვნ. 1. იხ. I. ქეცი.

ქაჩაჩ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქაჩაჩი** 1. „ცხენისა, ვირისა და მისთანათა გაუპობელი ჩლიქი» (საბა). პირსა *ქაჩაჩზედ* ავლებდეს, გლახ ეგრე ეუბნებოდეს (შჱნ. II, 5645, 2). ვირმა უთხრა [მგელს]: ...*ქაჩაჩში* ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამოიღეო! (საბა). ვაჟიამ... ცხენებს *ქაჩაჩზედ* ნაბდის ნაჭრები... ამოაკრა (ა. ყაზბ.). 2. (კახ. იმერ.) «ცხენის საოლავის გრძელი ბალანი» («დიალ.»), – ქუცუცის ბალანი. || (იმერ.) საოლავს ზემოთ პატარა გამობერილი კორძივით, უკან მოქცეული (სინონ. ხევს. ქუცუცი) – ქეგლი. აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. 3. ფეხის უკანა ნაწილი ქუსლს შემდეგ კოჭებს შუა. ფეხის *ქაჩაჩები* მტკივა (უჩამეთი). 4. მუხლის სახსარი უკანა მხრიდან. ისე მოკლე კაბა აცვიათ ქალეფს, *ქაჩაჩები* უჩანთ (ტაბაკინი); *ქაჩაჩს* უმახით მუხლის უკან მოსახრელეფს (განთიადი); გამეიგლიჯა უკან *ქაჩაჩი* და შეჭამა (უჩამეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ქაჩაჩი** ჩლიქი ზან. (ლაზ. კალანდ.).

ქაჩაჩი ფუძეგაორკეცებული სიტყვაა ქაჩ-აჩ (*ქაჩ-ქაჩ ქაჩქაჩი ცხენისა, ვირისა და მისთანათა გაუპობელი ჩლიქი). შდრ. ქაჩი (ერთელიშვილი 1980: 164).

დიალექტ. II. **ქაჩაჩი** გადაჭრილი სიმინდის ღერო ფესვითურთ. „ყანა რომე მეიხნება, სიმინდი *ქაჩაჩებიც* ამოცვინდება“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. I. **ქეჩეჩო**.

ქევხა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქევხა, ქევხუდა** 1. მამასახლისი – დ. ჩუბ. || მვ. იგივეა, რაც მამასახლისი, – არჩევითი მოხელე სოფლად, რომელიც ასრულებდა ადმინისტრაციულ-პოლიციურ მოვალეობებს – ქეგლი. ასისთავი და ზაალ *ქევხა* იასაული გახლდათ (სამ. VIII, 366). [ზაალის შვილს] ორმოციოდე აზნაური, იასაული *ქევხა*... ჰყავს მიჩენილი (მ. ჯავახ.). 2. (კახ.). ბატონის მოურავი («დიალ.»). 3. (ფშ.) მდიდარი, მამულის მქონე (კაცი). *ქევხაი* ღარიბს მამულით თავს სწორად მოაჩვენებდა (ბაჩ.) – ქეგლი. || მდიდარი, შეძლებული ადამიანია. ასეთ ადამიანს გამხვივნებულიც ეწოდება (ფშ. გოგატ.).

დიალექტ. II. **ქევხაყრ** || **ქემხაყრ** ძვირფასი მტკიცე ქსოვილი (?). ფარსმას ვერ გასტეხ, მურთაზო, *ქევხაყრ*, ნაქსოვიანი. *ქემხაყ* არ გადიყგდების, *ქემხაყ* სიძველითა, კაც არას დიყწუნების, კაცი სიბერითა (თუშ. ცოც.). შდრ. **ქამხა** [სპარს.] აბრეშუმის ფერადი ქსოვილი – ქეგლი.

ქენდირ-ი:

ახ. ქართ. I. **ქენდირი** [Apocynum sp. div.] ბოტან. მრავალწლოვანი, რძიან-წვნიანი მცენარე, ღერო 1-4 მეტრის სიმაღლისა ეზრდება, ფოთლები მოკლეყუნწიანი და ვიწრო აქვს; შეიცავს მაღალი ღირსების ბოჭკოს – ქეგლი.

დიალექტ. II. **ქენდირ** [აზერ.] თოკი, ბაწარი. ემ ცხენ ი კისერზე დაახივ (დაახვიე) ქენდირ; ორმოში ქენდირი (ბაწრით) ჩადის (ინგ. ღამბ., იმნ.).

ქერა:

საშ., ახ. ქართ. I. **ქერა** თეთრად მოყვითლო ან მოწითლო – დ. ჩუბ. **ქერა** ბაცი ყვითელი, თაფლისფერი, ჩალისფერი (თმა). || ასეთი თმის პატრონი. ლიზას სიახლოვეს იჯდა ორი ყმაწვილი ქალი, ერთი *ქერა* და მეორე რბე და ღვინისფერი (ე. ნინოშ.). გაბრო... დინჯად უხსნიდა ყველას, რომ მთელი იმათი ოჯახი შთამომავლობით *ქერანი* ყოფილან (ეკ. გაბ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ქერა** ჩიტია, მთაში ცხოვრობს (თუშ. შან.). *ქერაყრ* პატარა, ლეგა ფერის ჩიტია, თავზე ზოლი გადასდევს (თუშ. ცოც.). || **ქერა/ქერონა/ქეროზა** პატარა, ბეღურის ტოლა ლეგა ფრინველი. დასხედით, ჩიტ-

ნო *ქერანო*, ნუ ეთელებით ნართაო (ხევს. პოეზ., 686, 1) – ალ. ჭინჭ. || ქერუა ჭივჭავი (ხევს. შან.). ჩვენ *ქეროზას* ვჭამთ, დანარჩენ ჩიტს კატას უდებთ (გ. დოლ. 52, 2) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე: ქეგლი, ა. შან., ი. ქემიკ. || **ქერონა** ფშ. (რაზ.-ჭყ.) ბეღურას ჰგავს, ფრინველია. ხევსურები ქეროზას ეძახიან (ქერს ჭამს და იმად ვეძახითო, ხევსურებმა) – ა. შან. ქერ-ა < ქერ-ი. შდრ. ქერ-ონ-ა: -ონ-ა სუფიქსი; ქერ-ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ქარ- „ჯანაფი, სელი; ქერი“ → ქართ. ქერ-ი, ქერ-ელ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ქეშელ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. I. **ქეშელი** 1. მვ «მოუკუპრავი თხიერი» (საბა). 2. (ზ.-რაჭ.) «საღვინე ტიკი» («დიალ.») – ქეგლი. || ქეშელი/ა ბეწვგაცლილი თიკნის ტყავისაგან გაკეთებული გუდა. აგრეთვე: ქეშლო, ქეშლურა (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. II. **ქეშელი** ქოშინი, ქოქინი, ქლოშინი (ვ. ბერ.). **ქეშუა** ხვნეშა ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქეშ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ქეჩეჩო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქეჩეჩო** (რაჭ.) სიმინდის მამრობითი ყვავილები, რომელიც მოთავსებულია სიმინდის თავზე (სინონ. კახ. ქოჩორი, გურ. კატარი) – ქეგლი. იხ. I. ქუჩუჩი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქეჩეჩო** (გურ.) საოლავი – მვ. ქაჩაჩს ზევით სახსარი, სადაც ცხენს ბორკილს ადებენ – ქეგლი. იხ. I. ქაჩაჩი.

ქეც-ი:

მვ., სამ., ახ. ქართ. I. **ქეცი** მქავანი სენი ძნელად საკურნებელი – დ. ჩუბ. || კანის ერთგვარი ავადმყოფობა; ქავილი იცის, თმა-ბალანს აყრევინებს და კანს შაშრავს (შდრ. მუნი, მღიერი). ფხანა *ქეცმა* იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება (ილია). ამდენ თრევაში ათასგვარ *ქეცსა* და მუნს წააწყდება კაციო (ე. ნინოშ.) – ქეგლი.

მვ., ახ. ქართ. II. **ქეცი** 1. «თევზის ქიცვი»,– ქეცედი, ქერცლი (საბა, ქეგლი). || ქერქი, ქერცლი: „ვერ მოიღონ ერთი *ქეცი* ბოლოდსა მისისაჲ“ (M, იობ. 40, 26); „ვერ შემძლებელ იყო მოღებად ერთსა *ქეცსა* ბოლოდსა მისისა“ (კ. იერ. – ნათლისღ. 88, 20). ქეცეანი ქერცლიანი: „არიან უმრავლესნი თევზთაგანნი – ქეცეანი და უქეცონი“ (ბ. კეს.-ექუს.დღ. 96, 27) – ილ. აბულ.

ივარაუდება, ქერ-ცლ > ქე-ც (ერთელიშვილი 1980: 214).

ქვაბ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ქვაბი** გამონაკაფი კლდე; ქვაბოვანი კლდე ქვაბებიანი. გამოქვაბული კლდე – დ. ჩუბ. *ქვაბი* აქვსთ სახლად, მენად (ვეფხ. 700, 3). *ქვაბში* დავსახლდი მათთან ბედკრული, მშობლიურ ქოხსა მოშორებული

(ილია). მთლად გაივსო სახიზრები, ტყე, კლდე, *ქვაბი*, მღვიმე, ხვრელი (გ. ლეონ.) – ქეგლი. || გამოქვაბილი გამოქვაბული, ქვაბის მსგავსად გამოკვეთილი ადგილი. „წყალგაღმით გამოქვაბილში ცხოვრობდა ბერი“ (შემ. გურ. ჯაჯან.). **ქვიბი** ღრმული, ორმო, ქვაბული, უფსკრული ზან. (მეგრ. ელ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ქვაბი** ჭურჭელი. მართ ვითა ქვაბი ცხელდების (ვეფხ. 1574, 3). გრგვინვიდენ ვითა ცა და დუღდენ ვითა *ქვაბი* (რუს. 181, ქვ. 9). აქ ბარე საკვირველად დიდი *ქვაბები* სცოდნიათ (კალმ. 223, 6). და ქვაბნი საკურთხეველათ გამიხვნენ და მიტროპოლიტსა და ქადაგს ეტვირთნენ კეტნი *ქვაბთანი*. წინათი კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა-ქადაგი (კურთხ. მირონ. 66, 12). საარაყე *ქვაბი* შუა გაიყონ (სამ. IV, 605). || ლითონის (სპილენძის, ალუმინის...) ჭურჭელი ჩვეულებრივ ცილინდრული ფორმისა სითხის ასადუღებლად ანდა საჭმლის მოსახარშავად. ქოთანი *ქვაბს* აქებდა, მაგრამ მჭვარტლი არც ერთს აკლდაო (ანდაზა). დედა-ჩემი ცეცხლა-პირას იჯდა და *ქვაბში* რაღაცას ხარშავდა (ნ. ლომ.). || ის ოდენობა, რაც ასეთ ჭურჭელში ჩაეტევა. „ერთ მსუქან ბოზბაშში მოვლებული პურის ლუკმა მთელ *ქვაბ* ჩიხირთმას მირჩევნია“ (ილია) – ქეგლი. აგებულ *ქვაბში* ან საშავეში, ან საკედე ქვაბში ჩაასხამენ წყალს და ჩააყრიან მასალას იმისდა მიხედვით, რა ფერი უნდათ (თუშ. მრეწ. II, II, 89). ასე ამგვარათ ასველებდენ დიდ *ქვაბში* (ზ.-რაჭ. მრეწ. II, II, 202). || ფელიკიანი *ქვაბი* შუათანა ქვაბი, ცხვრის მეოთხედი რომ ეტევა (ქიზ. მენთ.). || საჭმლი *ქვაბი* სპილენძისა, სიდიდით ერეწუნასა || ერაწუნესა და საჯალაბო ქვაბს შუა დგას (თუშ. ხუბ.). აგრეთვე: ორთქლის ქვაბი, ჩალხა ქვაბი, თანგირა ქვაბი, ქვაბქოთანი, ქვაბქოთანა, თიხის ქვაბი – ქეგლი. იხ. I. ქვაბი.

მ. ჩუხუამ ზემოდასახელებული სიტყვისათვის გამოყო ს.-ქართვ. *ქჳაბ- ძირი (ჩუხუა 2017).

ქინა:

დიალექტ. **I. ქინა** [არაბ.] ინა. „*ქინა* ზოვლი შეღებავს თმასა, ჰემაც მადლია მეგემ“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. **II. ქინა** ქინაქინა. სხვაგნებურს *ქინას* ამერიკული *ქინის* ძალა არა აქვს (ი. გოგებ.). || ქინაქინა [პერუს ინდიელთა ენიდან: ქინა «ქერქი»] ფარმაკ. თეთრი ფხვნილი მწარე გემოსი; იხმარება მალარიის (ციებ-ცხელების) წამლად; ამზადებენ ქინაქინის ხის ქერქისაგან – ქეგლი.

ქინქლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქინქლი** (იმერ. გურ.) გინგლი, – ახლად ამოსული ბეწვი, ბუსუსი, – ქინქლი, ღინღლი – ქეგლი. ფიგურ. [მიწა] კოინდრის ქინქლით არის შემოსილი (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *ჭინ-ქილ- ←*ქილ-ქილ- „ბუსუსი, თმა“ → ქართ. ქინქლ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქინქლი** (იმერ.) ფიფქი. თოვე, თოვე, ჩამოთოვე, ჩამოყარე ქინქლები (ხალხ.) – ქეგლი. || **ქინქლები** ფიფქები, თოვლის ფანტელები. ქინქლავს ფიფქავს (ჩვენ. ფუტკ.). **ქინქი** ქინქლი ფიფქი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. III. **ქინქლი** (მთიულ.) ცხვრისა და თხის კურკლი; ქათმის სკინტლი («დიალ.») – ქეგლი; მთ. კაიშ. შდრ. გინგლი ძინძგლი, ჭუჭყი, მწვირე – ვ. ბერ. განგლი მწვირე (ქიზ. მენთ.).

ქინქლა:

საშ., ახ. ქართ. I. **ქინქლა** მწერი – საბა. || **ქინქლა პაწაწა** მწერი. არიან ერთგვარი მწერები, რომელნიც ადამიანს დიდ უსიამოვნებას აყენებენ..., ესენი არიან: ბუზები, კოღოები, *ქინქლები* (ი. გოგებ.). ხარ-კამეჩობა მოიზლაზნება და კუდით მოერეკება... ცელქ *ქინქლებსა* (ს. მგალობ.) – ქეგლი.

*ქინ-ქილ (ქიქილა პატარა ტილი) > ქინქლა (ერთელიშვილი1980: 162). შდრ. II. ქიქი.

დიალექტ. II. **ქინქლა** ნელი თოვა. „იმფრათ დეიწყო *ქინქლა*, რომ, ეტყობა, დითხან აღარ გედეიღებს"; „გეიხედე გარეთ, რაფერ *ქინქლავს!*" (აჭარ. ნიჟ.). იხ. II. ქინქლი.

ქინძ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქინძი** [Coriandrum]: „მანანაჲ იყო ვითარცა თესლი *ქინძისაჲ* და ხილვაჲ მისი ვითარცა ხილვაჲ მყინვრისაჲ" (G, რიცხ. 11, 7) – ილ. აბულ. „მან ესე ტრედის ხუნდი ისრიმის წყლითა და *ქინძითა* მოხარშოს" (იადიგ. 156, 29). არა აქვსთ იმტოლი ალაგი ან *ქინძი* და ან ხახვი მითესონ (სამ. VIII, 474). კვლებზე მოჩანდა... ოხრახუში, პრასა, ქინძი (დ. კლდ.) – ქეგლი. ტყემალი... ნახევარზე უნდა დეიყვანო, მერე მისცემ საკაზმავს: ომბალოს, ხორბალ *ქინძს*, ნიორს, ზაფრანას (ზ.-იმერ. მრეწ. III, II, 169). || ქინძი: „ქინძი მიყუარს შორვეფში" (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ თუ ცნობა, რომ ძველ ეგვიპტურში ქინძს „ვენზჰივუ", თუ ვენშივუ ეწოდებოდა, მცდარი არ არის, მაშინ შესაძლებელია, რომ ქართული ქინძი და სომხური გინძ ამ ეგვიპტურ სახელთან იყოს დაკავშირებული... თუ ზემოყვანილი მოსაზრება გამართლდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ქინძის კულტურა ქართულ სასოფლო მეურნეობაში ძველის-ძველი უნდა იყოს, ეგების იმ ხანისაც კი, როდესაც ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ კავკასიაში გადმოსახლებულნი არ იყვნენ (ჯავახიშვილი 1986: 251). **ქინზ, ქინძ** (სვან., თოფ. ქალდ.). **ქინძი** ქინძი ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქინძი: ქინძისთავი** თავ-მრგვალი ნემსი, უნახვრეტო – საბა, დ. ჩუბ. ვარდად ცეცხლი, *ქინძისთვებად* შამფურებით ირჯებია, || ჩქიფად გაზი, ბუნბულ-საბნად ლურსმის წვერი ჯაჯებია / ყოლ ბაღებად აბაბული თოკით ჰქონდა მაჯებია (თეიმ. I, 39, 69, 4). ჩაირჭმენ *ქინძისთავს* (ცალმ. 555, 11). || ლითონის პატარა წვრილი ღერი, თავმრგვალი და

წვერწვეტი, ხმარობენ რისამე დასამაგრებლად, მისამაგრებლად. სამოსლის შესაკრავად ჰქონიათ ღილები, დუგმები, ფიბულები და სხვადასხვანაირი *ქინძისთავები* (ივ. ჯავახ.). || ასეთივე ღერი, რომლის თავზედაც სამკაულია. (ესმამ) ზურმუხტის *ქინძისთავი...* გულზე დაიბნია (გ. წერეთ.) – ქეგლი. აქვე: გულის ქინძისთავი. შუბლის ქინძისთავი, ინგლისური ქინძისთავი. აგრეთვე: მრეწ. IV, 2: ზ.-ქართ. 203, შ.-კახ. მრეწ. 48, ქიზ. 17, გ.-კახ. 51, ქართ. მტკვრ. სამხ. 201, ზ.-იმერ. 208. ქინისთე ქინძისთავი ზან. (მეგრ. ქაჯ.).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქინძისთავი წარმოდგა საკინძის თავისაგან. საკინძი შესაკრავს ეწოდება, ხოლო საკინძის თავი – რაზედაც იკვრებოდა. ძველად საკინძისთავი იხმარებოდა, ეხლაც არის დარჩენილი ზმნა კინძვა, რომელიც „სა"-ს ჩამოცილებით არის საკინძისაგან ნაწარმოები. ძველად, ამგვარად, საკინძისთავით იბნევდნენ. შემდეგ ჩნდება ტერმინები ღილი და კილო, ე. ი. მარყუჟი, რომლითაც იბნევდნენ ღილს (ჯავახიშვილი 1952: 89). ქინძისთავის პირველი ნაწილი იგივე უნდა იყოს, რაც კინძი (ქართლ.) ლითონის ღილი – ქეგლი. შდრ. კინძვა ერთმანერთზედ მიბმა – საბა. შესაკინძველი „შესაკრავი". „და უქმნე მას კილოები იაკინთისაჲ და გბილსა ეზოჲსასა ერთისასა ერთკერძო შესაკინძველად" (O, გამოსლ. 26, 4) – ილ. აბულ.

ქირ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ქირი* 1. (ფშ.) სათივის ძირში ჩარჩენილი თივის ნაფშვენი («დიალ.»), – თივის ბურდო (ქეგლი). 2. ბირკი. ძირხვნისა ან სხვა ბალახის ყვავილი, რომელიც გახმება და ცხვარსა და კაცის ტანისამოსს მიეკვრება (ხევს. შან.). 3. ძაღლის ენა, ოსერო ღორნიკა (ხევს. ა. მაყ.).

დიალექტ. II. *ქირი* წვინტლი, ცხვირიდან რომ უნებურად ჩამოუვა კაცს სიცივეში (თუშ. შან.). || ქირი ცხვირიდან წამოსული სისველე სიცივეში, მცირე ცინგლი. დაზრება, თან *ქირ* მოზდის (თუშ., ცოც.).

ქიქ-ი:

სან., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ქიქი* ძვ. «წბილი» (საბა, ქეგლი). || ქალის სალანძღავი სიტყვაა. თუ [ქალს] რაიმე ჭორი დაუვარდა, მაშინ მასზე იტყვიან: „კახპას", „ბაზარგანს"..., „ზუბუქს", „*ქიქს*", „მათხრილ-მაბზარულს" (ეთნ. სწორფრ. 22) – ალ. ჭინჭ. შდრ. განქიქება – გაკიცხვა; შერცხვენა, მხილება; ლანძღვა – ილ. აბულ., ქეგლი.

დიალექტ. II. *ქიქი* „წვრილი მატლი." ბუზი დაჯდება ხორცზე, დააყრის *ქიქს* (ზედა საქარა, ზ.-იმერ. ბოწ.). შდრ. ქიქილა (ერწ.) წილი – ქეგლი. ქიქილა-ი ზრდადაუსრულებელი ტილი. „დუსტი ერთიანად სპობს როგორც ტილებსა, ეგრევე *ქიქილებსა*" (მოხ. ღუდ.).

ს.-ქართვ. *ქიქ- „ნამცეცი, ნამცეცა, მწერი" → ქართ. ქიქ- (ჩუბუა 2000-2003).

დიალექტ. III. *ქიქი* სათამაშო კოჭის უკანა, წაგრძელებული მხარე (ხევს. თავისებ. 240, 22) – ალ. ჭინჭ.

ქიშ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქიში** 1. ჭადრაკის თამაშობაში გაქცევა მოპირდაპირისა – დ. ჩუბ. || [სპარს.-თურქ.] ჭადრაკის თამაშში ისეთი მდგომარეობა, როცა მეფეს მოწინააღმდეგის ფიგურის თავდასხმა ელის. გამსინჯველსა და მცოდნესთან უცოდრად რათ *ვიქიშები?* (ვახტ. VI, 114, 224, 4). ქიშის გამოცხადება. – წუხელის ჭადრაკს მივუსხედით..., როცა *ქიშს* ეტყოდი მეფეს, არ ვფარავდი, ვიგვიანებდი, მიწყრებოდი – ჩქარაო! (ნ. ლორთქ.). 2. (ქიზ.) ერთ-ერთი სახის კოჭაობაში – მესამე (საბოლოო) მოგება – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჭიში** [თურქ.] პიროვნება, ინდივიდი, ერთეული. „რამითი *ქიში* იყავით არაბაში?“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III. **ქიში, ქიშა** ქვიშა. წყალსა ჲსცრის, ხევიც რო შაუგდო, არ დაიტყოფს, რო იქ წყალი შამოსულა, ჩაიშროფს – ის არი ქიში (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. ქვაიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ სილა არს ვითარცა გაცრილი; **ქვიშა** – ხვარბალთა ოდენი... საბა. || ქვის წვრილი ნამსხვრევი, წყლის მიერ ფხვიერ მასად ქცეული – ქეგლი.

ქიშმიშ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქიშმიში** (ქიშმიშ ZE.; ჩამიჩ ZE.) თურქთ(ა) ენაა, ქართულად სკიჟი ჰქვიან ZAB. (უკმ.) ქიშმიში თურქთაა, ჩამიჩი სომხურია, სკიჟი და სკიჭი ქართულია – საბა. || [სპარ. ქიშმიშ] 1. ყურძნის უწიპწო ჯიში. ქიშმიშის რამდენიმე სახესხვაობა არსებობდა კახეთსა და ქვემო ქართლში, მაგრამ მათ საერთო თვისებას უხუნწკალობა, უწიპწობა, უკურკობა წარმოადგენს (ივ. ჯავახ.). 2. ამ ჯიშის ყურძნის მარცვალი, შემჭკნარი და გამომშრალი; იყენებენ კულინარიასა და საკონდიტრო წარმოებაში. თაფლს *ლოკვით* ჭამენ, ქიშმიშს – მარცვლობითაო (ანდაზა). 3. იგივეა, რაც ჩამიჩი. სულ მარცვალ-მარცვალ დამირჩევინებია ყურძენი... შემჭკნარი არ შემირჩენია... – ჰო, და, რაც *ქიშმიში* ყოფილა გადაგიყრია (რ. ერისთ.) – ქეგლი. || ქიშმიშა ყურძენ (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **ქიშმიშ** ერთგვარი ჰანგია (ინგ. ღამბ.).

ქიჩ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქიჩი** (ხევს. ფშ. მთიულ. ერწ.-თიან.) საქსოვი დაზგის (ყდების) ნაწილი, რომლითაც ქსელს ჭიმავენ. საშევრის გარა, რომელიც ერთ დონეზე დგას, უჭირავს აქათ-იქით ყდებზე დასმულ ორ ქიჩს («შინამრეწვ.») – ქეგლი, ა. შან. || ქიჩ (ქიჩები) ყდებში ჩარჭობილი დაჭდეული ხეები. „იყო კიდე დაკვრეტილი ესენი *საქიჩედა*“ (ფშ. ცოც.).

დიალექტ. II. **ქიჩი** ჩლიქი (ფშ. ხორნ.). || ქიჩიჩი (ფშ. შან). იხ. I. ქაჩი.

ქობ-ი:

დიალექტ. I. **ქობი** ქვაბი. დიდს *ქობში* არ ჩამივიდა, ჩალხანაში ლაღად იყო (ფშ. ხორნ.). || ქობი: „წაადითყე მეჩედჩი, ქობი შამოუგდითყე და შაჭამანდი შაფქენითყე"; „ავადუღიტყე ზე და ჩავასხიტყე ქობჩი"; „წენიღა და ჲა ბრინჯიღა და ჲა ქაბაბი და ესები ერთმაღა, ერთ ადამიანმა ოდარალი შაიქნისყე და დიდ ქობები გააკეთიანყე" (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე: **ქობთ შაკვრა** ქვაბის გაუქმება მასში რაიმე ბინძურის ჩავარდნის ან სიბინძურეზე ხმარების შედეგად. ასეთ ქვაბს სასმელ-საჭმლისათვის აღარ იხმარენ, მაგრამ თუ მაინც იძულებულნი არიან იხმარონ, გაანათვლინებენ ან მოაკალვინებენ. „ერთხელ კი *ქობიც შეეკრა*, შიგ კუდყავარა /ძაღლი/ გაგრძელდა"; **ქობის შერევა** (იგივე ქობთ შეკვრა). **ქობჯიდება** მოახლოებული დღეობის წინა დღეები, წინა კვირის დღეები; სამზადისი ქორწილ-ნათლობებისა და სხვა ამბებისათვის. „გიორგობის *ქობჯიდებაჩი* სად მოხვიდოდი" (ფშ. ხორნ.). იხ. II. ქვაბი.

დიალექტ. II. **ქობი** გამოქვაბული, ეხი (ფშ. ხორნ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. იხ. I. ქვაბი.

ქობა:

დიალექტ. I. **ქობა** პატარა ქვაბი /ქობ-ქვაბი/. „აცა, თქვე მამაძაღლებო, *ქობა* ცეცხლზე ჰკიდიაო!" (ფშ. ხორნ.). იხ. II. ქვაბი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქობა** 1. სამოსლის კიდურის (კიდურთ B) სადები ZAB. – საბა. სამოსლის ბოლოზე შიგნიდან ხელის სიბრტყედ შემოვლებული სარჩული. მუხრანბატონის ყმობითა ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა, ვერც ლურჯი ჩოხა ჩავიცვი, ვერც ახალუხი *ქობითა* (ხალხ.). [მარგალიტას] კაბის *ქობა*... ისე ჰქონდა ტალახში გასვრილი და დაფხრეწილი, თითქო სამი თვის სავალი გაუვლიაო (ი. მაჭავ. თარგმ.). 2. გადატ. საერთოდ, ზოლი რისამე კიდეზე – ქეგლი. აგრეთვე საინგ. მრეწ., II, II, 63. 3. გადატ. ქობა ჭურჭლის ძირში ჩარჩენილი ცოტა რამ. ტომარა იქნება, თუ გოდორი იქნება, თუ რაც იქნება, რო დავცლით და ძირში რო დარჩება რამე ცოტა, იმას ვეტყვით *ქობასა* (ლამ.). თუ გინდა, რომ ღვინომ არ დაგბალოჲ, ყველ ტაქანზე *ქობა* უნდა გაუშო ძირშია (წილკ., ქართლ. ლექსიკ.).

ქობულ-ი:

დიალექტ. I. **ქობული** თხილის ან ლერწმის წნელით შემოწნული ორმო, რომელშიც ცხვარს ან ბატკანს ათავსებენ (მთ. კაიშ.). || ქობულა-ი ერთი კუბომეტრის ზომის მოწნული კუთხე ან ამოთხრილი ორმო ცხვრის ან თხის ჩასაგდებად. „ჩემმა თხამ თიკანი აიბულა და *ქობულაჩი* ჩავყარე რო ისრივ აიყვანას" (მოხ. ღუდ.). || საბატკნე ორმო (მოხ. ქაჯ., ქავთ.). || (კახ.) მიწური საღორე («დიალ.») – ქეგლი. შდრ. II. ქობი.

დიალექტ. II. **ქობული** გამბედავი, უშიშარი, ვაჟკაცი. „ქობული ხარ, ბიჭოო,-უთქუამს შერიფ ბეგსა ჩემ დიდ დედესთვინ" (მეზ., ჩვენ. ფუტკ.).

ქობუნ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქობუნი** (ერწ.-თიან.) ქობინი, – კრამიტის მოსაჭრელი ყალიბი. თიხის გაბრტყელებულ გუნდას ყალიბიდან გადმოვიტანთ *ქობუნზე,* რომელიც ზურგს გაუკეთებს ანუ დაზურგავს («შინამრეწვ.») – ქეგლი. **ქობუნა:** თიხის გუნდას... მემრე ყალიბიდან გადმოვიტანთ ქობუნაზე, რომელიც ზურგს გაუკეთებს, ანუ დაჰზურგავს (ფშ. მრეწ. I, 121). ყალიბში გასწორებულია და *ქობუნაზე* როცა გადავიღებთ, როგორც კრამიტი, იგრე მაიხრება (შ.-კახ. მრეწ. I, 103). აგრეთვე **ქობინი, ქობინო** (ქიზ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ქობუნი** ქვაბული, – ამოღრმავებული ადგილი შენობის ან სხვა რამ ნაგებობის საძირკვლისათვის (ლეჩხ. ალავ.). იხ. II. ქობი; I. ქობული.

ქოთ-ი:

დიალექტ. I. **ქოთი** კვერცხის ფართო ბოლო. კვერცხის წვერი უმფრო მაგარია *ქოთზე* (რაჭ. ვ. ბერ., კობახ.).

დიალექტ. II. **ქოთი** [თურქ.] ბამბის, ტილოს, სელის ქსოვილი. „იმ ბაღვსა *ქოთი* შალი აცვია“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ქეთენი [არაბ.] სელის ნაწარმი, ტილო (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III. **ქოთი** [ინგლ.kot] პიჯაკი, ქურთუკი. ზედა ტანსაცმელი. ყმაწილეფს ერთ *ქოთი* ჩავაცითყე, ერთ რამე შამოაცითყე; ფული ჩოუკერე *ქოთის* სარჩულში და გავგზავნე (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. IV. **ქოთი** 1. ღრიანცელი, შფოთი, ფორიაქი. მთანი ჩამოშრნენ, პირთავქვე *ქოთით* მოდიან ღვარები (ვაჟა). ერთხელ ხშირ ტყეში ჩიტებსა შეექმნათ *ქოთი,* ხმაური; ჭოტს მიუცვივდნენ და საწყალს დაუწყეს აურ-ზაური (ბაჩ.) – ქეგლი. || **ქოთი, ქოთობა:** „სუთა თქვე დასალევნო, რასა *ჰქოთობთ* რა არი, ნუ ამჯადეთ თავ-გონი!“ (ფშ. ხორნ.). „ეხლა ამოდენა *ქოთშია* ფულს იძლევით“ (ფშ. ცოც.). 2. ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანია. ქოთობა || ქათქათი || თაქთაქი უზომოდ ბევრი ლაპარაკი, ხმაურია. ქოთობს || თაქთაქებს || ქათქათებსო, იტყვიან ადამიანზე, ბევრს რომ ლაპარაკობს და ხმაურობს (ფშ. გოგატ.). || **ქოთია** *ქოთის* ამტეხი კაცი (მთ. კაიშ.). შდრ. ქოთება ხეთქება – საბა. ვალალებ, ვჰგოდებ – დ. ჩუბ. || შიში, შფოთი – ზ. სარჯ. 3. ჟარგონი. სალიტერატურო ქართულში იგივეა, რაც შფოთი, ღრიანცელი, ჟარგონში კი ცემას, გალახვას ნიშნავს. (ალბათ იმიტომ, რომ ცემა, გალახვა შფოთთან და ღრიანცელთან არის დაკავშირებული). „ბუხოი ქაჯები, *ქოთი,* ამბავი“? (ზურღან გემაზაშვილი); *ქოთი* კი, მგონი, კეფაში მუშტის ჩაკვრას უნდა ნიშნავდეს. სტუდენტებისაგან გამიგონია, მაგალითად: ისეთი *„ქოთი“* გამოვუწერო, რო!“ (გიზო ზარნაძე). აქვე:ქოთი გამოუწერა – ლ. ბრეგ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქოთ- „რქენა, ჩხუბი, ხეთქება“ (ჩუხუა 2000-2003). საფიქრებელია, ქოთი ნასესხები იყოს თურქულიდან (შდრ. kötü „ცუდი“, „წამხდარი“ – ბ. გიგინ.

ქოთქოთ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქოთქოთი** გაურკვეველი ხმაური და მოძრაობა, – ჩოჩქოლი, წრიალი, ალიაქოთი; ღრიანცელი, აურზაური. გამწარებული კრუხი... დაიბრუნებდა ხოლმე გატაცებულ წიწილას, ...ხელახლად იწყებდა *ქოთქოთს*, შეიკრებდა წიწილებს და გააბამდა წრეს (აკაკი). ამ *ქოთქოთში* ხეირიანად არც-კი მესმის აბოს ლაპარაკი (რ. გვეტ.). არეულად ლაპარაკობდნენ. ამბობდნენ: ქალაქში რაღაც ქოთქოთიაო! (ს. შანშ.) – ქეგლი. || მოუსვენრობა, აწრიალება, შფოთვა. „ისეთი *ქოთქოთი* ატყდა, რო ვინ რას აკეთემდა, არ იცოდა“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. III. ქოთი.

დიალექტ. II. **ქოთქოთი** ხელეჩო, მომრგვალებული პირით, ციცხვისა და სხვა ასეთთა გულის ამოსათლელად (ჯავახ. ზედგ.).

ქოლო:

დიალექტ. I. **ქოლო** ცხვარი, საქონელი: ურქო, ან მეტად მოკლე რქებით. „*ქოლოი* საქონელი იმფერია, რომე ქიები არ აქ“ (იმ.); „- დოდოფალი მოყავან; – საჩუქვარი რა ჰყავან? – ერთი *ქოლოი* თხა ჰყავან, სიზეც თოფალი ჰყავან“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ქოლიკი ურქო ცხვარი – დ. ჩუბ.

ს.-ქართვ. "ქოლ- „პატარა რქა“ ზან. (ლაზ.) ქორ-იტ-ი „ურქო (თხა...)“ (ჩუხუა 2018: 98).

დიალექტ. II. **ქოლო** იარაღის პირი: ძლიერ ბლაგვი ან წაუმახვავი, პირმოცვეთილი (ჯავახ. ზედგ.).

ქომა:

დიალექტ. I. **ქომა** ბალახი სურნელოვანი, იხმარება საჭმელებში საკმაზად (ჯავახ. ზედგ.). შდრ. II. ქონა.

დიალექტ. II. **ქომა** ჩურჩხელა (ჯავახ. ზედგ.). || ქუმაი ჩურჩხელა. „ქუმაი სხუა არი და ქუმელი სხუა *ქუმასთვინ* გარჩევლ კაკალ ავასხამთ მაგარ ზაფზე, ამუავლეფთ მეჲვის ფაფაში და გავაჭმობთ!“ (იმ.). (ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჯაღანა [თურქ. ქუმა) ნუშისა და მისთანათა გულსა და ჩირებთა ტყბილ(ი)ს–კვერში ამოავლებენ და გააჭმობენ სანუკვარად – საბა.

ქონა:

საშ., ახ. ქართ. I. **ქონა** კნინ. ქონი. სიმსუქნისათვის დავიკვლი, ბაღლინი შესჭამენ *ქონასა* (დ. გურამ.). **ქონი** ქონი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი "ქონ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ. II. **ქონა** სახელი აქვს ზმნის მოქმედებისა, – იგივეა, რაც ქონება (მნიშვ. 1). ვაი *ქონავ* და ვაი უქონლობაო! (ანდაზა). ახლა გავმდიდრდი, დამმრახეთ, თუ *ქონა* დასაბრახია! (ვაჟა) – ქეგლი. შდრ. **ქონება** უსულო საქონელი ანუ სიბრძნე, სწავლა და მისთანანი ქონებად ითქმის; ხოლო სულიერთა არა ქონებას ვიტყვით, არამედ ყოლასა – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ქონა** [Ranunculus chius] ბოტან. ერთწლოვანი ყვითელყვავილა მცენარე ბაიასებრთა ოჯახისა; გურიასა და ზემო-იმერეთში მხლად ხმარობენ – ქეგლი. || ქონა-ქონა (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ქონა – ქეგლი. ქონა-ქონა დანდური; ქონა-ლობიო მცენ. – დ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქონ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990; ჩუხუა 2017).

ქორა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქორა:** 1. ◊ **ქორა ხარი** (ფშ. ხევს.) რქათეთრი ხარი. მაცალეთ, ლაღნო ფშაველნო, მალოცეთ თქვენი ჯვარიო. სამხვეწროდ მამიყვანავის თეთრი *ქორაი* ხარიო (ხალხ.). [თუშებს] თან მოჰყავთ «სამხვეწროდ» «თეთრი *ქორა* ხარი» (რქათეთრი ხარი) (ვაჟა) – ქეგლი. || ხარის საკუთარი სახელია. – „სამჯერ მამიხვე, თორღვაო, სამი დაგიკალ ცხვარიო, მეოთხედ მოსულს დაგიკალ თეთრი, ქორაი ჯარიო“ (ხევს. პოეზ. 44, 21); მამა გყავ დავლათიანი, ქორას დაუკლავს ჯარსაო (ხევს. პოეზ. 353, 10); ნაომარ ჩამამდინართა ქორას მახკიდეს თვალიო (ალ. ოჩ. 36, 9). || იხმარება კარგი ვაჟკაცის ეპითეტად. წინ ბაზდელ შამეეყარა, თეთრი, ქორაი ჯარია. თოფ არ ესროლა იმედამ, – „მეიმედების ჯმალია“ (ხევს. პოეზ. 90, 5). შდრ. **თეთრი ქორი** შავარდენი. ვით თეთრმან *ქორმან* დურეჯი დანაბოს, იყო თნებასა (შჯნ. III, 783, 3). საინტერესოდ ხსნის ხევსურულში დადასტურებულ გამოთქმას „თეთრი მთის ქორ“-ს მ. ჩიქოვანი: „შამამეხვია ქაჯთ ლაშქარი თეთრსა მთის ქორს თერგვაულსა“ (ქართ. ხალხ. პოეზია, 1972). თეთრი დამოუკიდებელი ცალფა ეპითეტია, რომელიც აღნიშნავს ნათელს, წმინდას, სპეტაკს, პატიოსანს. „მთის ქორი“ გადმოსცემს სწრაფს, მარდს, უშიშარს, გამჭრიახს, შორს მხედავს. მაშასადამე „მთის ქორი“ წყვილეული ეპითეტის მეორე წევრია კაი ყმის თვისების აღსანიშნავად. თუ ყველა შესაძლებლობას გავითვალისწინებთ და იმასაც მივიღებთ მხედველობაში, როგორც ამჟამად ესმით საძიებელი ტაეპის მნიშვნელობა კისტნელ ხევსურებს, მაშინ „თეთრი მთის ქორი თერგვაული“ მიახლოებით იქნება: შორსმჭვრეტელი, შორსმხედველი, წმინდა თერგვაული (ჩიქოვანი 1972). თეთრი ქორი > თეთრი ქორა ხარი „წმინდა ხარი“ || გადატ. „კარგი ვაჟკაცი“.

ქორ-ა: ა-სუფიქსი; ქორ-ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ქორ არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

2. პოეზიაში უხმარიათ ტილის საკუთარ სახელად. მეორე დილას გამცოცდეს ქორა, გიშერა, მუქარა (ალ. ოჩ. 198, 1).

დიალექტ. **II. ქორა:** ქორა ზოკო კირცხილა და წიფელი ისხამს, საცა ზადია, ან დამპალია (რაზ. ჭყ.; ფშ. ხორნ.). თუ ილ. ჭყონიას განმარტებას დავემყარებით, რომ ქორა სოკოს ქორაფი ისხამს, მაშინ ნათელი იქნება, რომ ქორა სოკო, ქორის სოკო < ქორაფის სოკო (ი. ჭყ.). იხ. I. ქორაფი.

ქორაფ-ი:

დიალექტ. I. **ქორაფი** მთაზე გადმოკიდებული კლდე (პატარა თუა, ვეხია) (გუდ. შან.). შდრ. ქარაფი «დიდი კლდე» (საბა), – ფრიალო, ციცაბო. – ა. შან.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქორაფი** ბოკვი – დ. ჩუბ. || [Acer laetum] ბოტან. ფოთლოვანი ხე ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა; მაღალი ტანისაა; აქვს ლამაზი, 5-7 ნაკვთიანი ფოთოლი; იზრდება ტყეებში *ქორაფი ხეა* ერთგვარი (ბოკვი), რისგანაც ისრებს აკეთებენ. მათ შუა მოციქულად *ქორაფისა* ისრები არწივისა ფრთოსანი, პირ-ბასრნი, მოდიოდეს და მოდიოდეს (ვისრ. 49, 31. ეს დევეზივით *ქორაფები* როგორ აწვდილან ზეცად (ვაჟა). ხშირს, უდაბურს ტყეში, გორაზე დგას *ქორაფი* და ჩვენი ბუდე იმაზეა გაკეთებული (ვაჟა) – ქეგლი. „აქვევ ტყეში *ქორაფი* ბევრია" (იმ.); „ქორაფი მაღალი იზდება" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე მთ. შან. **ქოროფე** ზან. (მეგრ. ყიფშ.). შდრ. III. ქორაფი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. III. **ქორაფი** ბალახის სახეობა – დ. ჩუბ. || (რაჭ.) იგივეა, რაც თათაბო, – [Atriplex hortensis] ბოტან. ერთწლოვანი სარეველა მცენარე ნაცარქათამასებრთა ოჯახისა (სინონ. მოხევ. თათამაი, რაჭ. ლეჩხ. ქორაფი) – ქეგლი. || სარეველა ბალახი ერთგვარი. *ქორაფი* იკეთებს ფიჩვის მარცვლისნაირ თესლს, თუ ერთი გაჩნდა ბაღში, მერე თითონ ამოდის, თესლი რო ჩაიპნევა (ქვეში). გემოთი *ქორაფი* ისპანახსაცა სჯობიან (ქვეში, ქართლ. ლექსიკ.).

ს.-ქართვ. *ქორ-აფ- „ტარხუნა, ნაცარქათამა" → ქართ. ქორაფ-ი/ა ზან. ქოროფ-ე (ჩუხუა 2000-2003).

ქოფაჩ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქოფაჩი** (ფშ.) თოფი ერთგვარი. თევდორა [დაიმალა] წიფლის წვერებთან მაღალ ფეხზე შემოყენებული *ქოფაჩით* (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ქოფაჩი** მაღლის ტყავისაგან შეკერილი უბრალო ჩასაცმელი (მეჯვრ., ქართლ. მესხ.). შდრ. ქოფაკი (თურქ.) მაღლი.

ქოფე:

დიალექტ. I. **ქოფე** ლაფი. „შენ დაგესხა *ქოფე* თავზე, თუ გაჩუმდე, ბოვშო!" (იმერ. ჯაჯან.).

დიალექტ. II. **ქოფე** ხვიმირა; ალატი (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ქოფიაი ღრმა, თავმოწეული ჯამი მაწვნისათვის. ზოგჯერ თავსახურავითაც გვხვდება (აჭარ. ნიჟ.). **ქოფე** ბუკი, როფი აგრეთვე ქუფე ძარი ზან. (მეგრ.).

მ. ჩუხუას თანახმად, ს.-ქართვ. *ᲥᲣᲤᲔ „ხვიმირი" → ქართ. ჴვიმირი (ჩუხუა 2000-2003).

ქოჩაბანდ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ქოჩაბანდი** რა მებრძოლთა ციხე–ქალაქნი გარე–მოიცვან, არცა ვინ შეუშვან (საბა). || [სპარს.] ძვ. გარემოცვა ციხე-ქალაქთა და გზის შეკვრა, ალყის შემორტყმა – ქეგლი. შდრ. ქუჩაბანდ-ი «შეკრული ქუჩა, – ჩიხი» (ი. გრიშ.). მე ისნის ვიწრო ქუჩები მირჩევნია, ქუჩაბანდები (ვ. ბარნ.). ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ჰამქარი (ი. გრიშ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ქოჩაბანდი** შუაცეცხლთან სახლში საწოლ ტახტს ზევით ყავრით ჩამოხურული ალაგი (რაჭ. ვ. ბერ.). შდრ. **კოჩაბანდი** ძველ სახლში ხის საწოლი იყო. კედლის გასწვრივ, თაღებიანი სვეტები ჰქონდა ჩუქურთმებით. რამდენიმე კაცი იძინებდა (ქვ.-რაჭ. მრეწ. I, 339). აგრეთვე რაჭ. კობახ.

დიალექტ. III. **ქოჩაბანდი** გვირგვინი. ტყუილა მიდიხარ, კარპე, ჩახვალ თუ არა ქალაქში, არიქა, კარპე მოვიდაო და მაშინვე თავზე *ქოჩამანდი* არ დაგხურონ,- მიაძახა მეზობელს ბესიკამ (მთ.-რაჭ. ლობჯ.).

ქსელ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **ქსელი** 1. საქსოვარი ZA. საქსვალი – საბა. || ნაქსოვი, ქსოვა; შოლტი: „იყო ვითარცა *ქსელი* ნადთაჲ, მოახლებული მოკუეთად“ (I ეს. 38, 12); „თეკლა მოეხუევის მას, ვითარცა საქუსალი *ქსელსა*“ (თეკლა 96, 18); „წარიგრაგნოს, ვითარცა ქსელი ერთი ეტრატი“ (მ. სწ. 93, 2) – ილ. აბულ. 2. ფეიქ. საფეიქრო დაზგაზე სიგრძივ გაბმული საქსოვი ძაფები, რომლებშიც ზედა 3 გადის გარდიგარდმო და მატერია იქსოვება. სანდო საკუთარ საქმეს შეუდგა, «*ქსელი* დაქსო» საბძელში (ვაჟა). მზის მოსვლის უმალ ქალებმა *ქსლის* დაქსვა დააშურესა (ბაჩ.). 3. ძაფი, რომელსაც გამოჰყოფს აბრეშუმის ჭია, ობობა და მისთ. რაკი პეპელა პარკში ჭუჭრუტანას გააკეთებს და *ქსელს* გაწყვეტს, აბრეშუმი სრულიად აღარ ივარგებს (ი. გოგებ.). 4. ამა თუ იმ ტერიტორიაზე გაყვანილი რისამე ერთობლიობა. რკინისგზის ქსელი. – ტელეფონის ქსელი. 5. ერთ სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ერთობლიობა – ქეგლი. შდრ. ძვ. ქართ. **საქუსალი, საქსუსალი, საგუას(ა)ლი** საქსვალი ქსელი: „უკუეთუ იქმნას მას შინა კეთროვნებისაჲ სამოსელსასა მატყლისასა... ანუ საქუსალსა ანუ ფესუსა“ G (ლევიტ. 13, 47); „ნათხზენი თავისა ჩემისაჲ საგუასლსა თანა“ G, –„უკუეთუ დაქსოვო შჯდი ესე კოწოლი თავისა ჩემისაჲ საგუასალსა თანა“ M (მსჯ. 16, 13) – ილ. აბულ.

ამ სიტყვისათვის საერთო-ქართველურიფუძე-ენის დონეზე *გუს-/გს არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ. საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ქსელი**: 1. **ქსელის სკამი** სელის სკამი (გურ. ნიკოლ.). შდრ. სელი სკამი-შესაკრავ-გასახსნელი (საბა). მონამან სელნი დაუდგნა (ვეფხ. 124, 3). ძვირფასი სკამი, სავარძელი. დაბრძანდი მამაო! უბრძანა ერისთავმა და მიუთითა სელზე (აკაკი). 2. დიდი ჭურის საზიდი მარტივი და მაგარი ურემი (რაჭ. ფრ., 128; კობახ.). შდრ. **სელი** ბორბლებიანი მარხილი. „ამასა სელი ქვია, ჯარის არაბა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

|| იხმარება თივის საზიდათ, როგორც აღმართში, ისე დაღმართში (აჭარ. მრეწ. IV, II, 150). სელზე (ორთვლიან მარხილზე) დაჭვირთვენ (დატვირთავენ) (ზ.-აჭარ. კობ.).

ვვარაუდობთ, რომ ქსელი < სელი. ს.-ქართვ. *სელ- „ბორბლიანი მარხილი“ > ქართ. სელი: ზან. სალ-ი < *შალი: სვან. სᲐ̈ || სეჳ < *შელ (ჩუხუა 2000-2003).

ქუაბ-ი:

ძვ., საშ., ქართ. I. ქუაბი კლდე გამონაკაფი – საბა. ქუაბი გამოქვაბული, ბუნაგი: „გიყოფიეს იგი (სახლი) *ქუაბ* ავაზაკთა“ (მთ. 21, 13); „იყო *ქუაბი* ერთი და ლოდი ერთი და იდვა მას ზედა“ (C, ი. 11, 38); „*ქუაბებსა* შინა დაიძინიან სიზმართათჳს“ (I, ეს. 65, 4); არიან ვინმე *ქუაბსა* ერთსა დამალულ“ (ანდ.-ანატ. 192, 8); ქუაბოვანი გამოქვაბულები, ქვაბნარი: „გჯჩუენებენ ჩუენ ადგილნი თხელნი *ქუაბოვანნი*“ (ბ. კეს.-ექუს. დღ. 61, 13); „აღიღო სიმაგრენი და *ქუაბები*, ვითარ ცხრა, ლორისანი (ქ. ცხ. II, 529, 1)“ – ილ. აბულ. ქუაბოანი: რომელიმე ივლტოდს *ქუაბოანსა* (ქ. ცხ. II, 100, 19); ქუაბ-ქმნილი: იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნაშენები *ქუაბ-ქმნილი* (ქ. ცხ. II, 91, 7). და მის მთის კალთათა ერთი რამ *ქუაბი* მოჩანდა (ქილ. 225, 17). ბელაქანს *ქუაბსა* შეწყუდეულმან ნებითა ზე აღჴდა ღმრთისად (წყობ. 776, 4). ჭუᲐბ გამოქვაბული, ქვაბი (სვან. თოფ., ქალდ.). იხ. I. ქვაბი.

ძვ., საშ. ქართ. II. ქუაბი ქვაბი: „არა მოვიღო მგბარი *ქუაბთაგან*“ (O, I მფ. 2, 15); „შეადგ შენ *ქუაბი* ეგე დიდი (O, IV მფ. 4, 38); „მოეღო პყრობად: განრცხაჲ სასუმელებისაჲ და სტამნებისაჲ და *ქუაბებისაჲ* და ცხედრებისაჲ“ (მრ. 7, 4); „აღადუღის უფსკრული, ვითარცა *ქუაბი*“ (M, იობ. 41, 21) – ილ. აბულ. *ქუაბები* როგორც ჩაღათაშვილსა ჰქონია, ისრევე იმას ჰქონდეს (სამ. IV, 138). იხ. II. ქვაბი.

ქუბ-ი:

დიალექტ. I. ქუბი ახლად მოჭრილი ჩალის რამდენიმე კონა, თავმიდებით შეკრული და კონუსისებურად დადგმული გასახმობად. ჩალას შევკრამთ კონებათ და 5-10 კონას მივაწყოფთ ერთათ, ესაა *ქუბი* (ქვები). *ქუბი* დავდგით (ზედა საქარა). || ყანაში მოუჭრელად დარჩენილი ერთი ღერი ჩალის გარშემო გასახმობად თავმიდებით კონუსისებურად მიყუდებული, წვეროებში შეკრული შეუკონავი ჩალა. მოუჭრელი დარჩება ერთი ღერი ჩალაი, ირგვლივ შამოვაყუდეფთ ჩალას, მერე მოუკრავთ თავს და არი ერთი *ქუბი* (ღარიხევი). აქვე: გაქუბავს, გაქუბვა, დაქუბავს, დაქუბვა, მოქუბავს, მოქუბვა, ქუბული, ქუბულა (ზ.-იმერ. ძოწ.).

ს.-ქართვ. არქეტიპია *ქულბ- „ბუჩქი; ჩალის ზვინი/კონა (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. ქუბი 1. ძვ. «დედალი ღორი» (საბა), – ნეზვი. *ქუბივით* ჩასუქებული ბერები! ...სურსათით დატვირთულნი მონასტრისაკენ მიბრძანდებოდნენ (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. || გასუქებული

ღორი (კირიონი). || დედალი ბურვაკი (ახალშ., ქართლ. ლექსიკ.). 2. მსუქანი ხორცი (ღორისა). ბურვაკები რო დაგვიკლამ, კაი *ქუბი* ხორცი ჰქონდაო, გვითქვია (საღ., ქართლ. ლექსიკ.). „ეგენი, აი ეგ ქორფა გოგოები, როგორც კაი *ქუბის* ხორცი, ისეთები არიან ეხლა“ (თბილ., ქართ. ლომთ. 23). აგრეთვე ქართლ. იმნ.

სამ., ახ. ქართ. III. **ქუბი** სვილი ან ჭვავი – დ. ჩუბ., ქეგლი. იხ. I. ქუბა.

ახ. ქართ., დიალექტ. IV. **ქუბი** (მოხევ.) იგივეა, რაც ჟოლო. ხევის ქალი და რძალი სამების ქედს მოსდებოდა: შავხილსა, ხახამსა და *ქუბსა* კრეფდა (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

დიალექტ. V. **ქუბი** ქვაბი (თიან., ქართ. დიალექტ., 600). იხ. II. ქვაბი; II. ქუაბი.

ქუბა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ქუბა** 1. ხორბლი ჯიში ყოფილა. მაღალი იზრდებოდა, მსხვილი ღერო ჰქონია და მაღალი თაველი. თესდნენ შემოდგომაზე. გლოლასა და ჭიორაში ამბობენ ახლანდელი „ძველი პური“ გადაგვარებული „ქუბააო“ (ჯავახიშვილი 1930: 320). || ქუბე ხორბლის ჯიში (ლეჩხ. ჩიქ.). 2. იგივეა, რაც ქუბი –ჭვავი (ქეგლი).

სპეციალურ ლიტერატურაში ერთმანეთის გვერდით მოიხსენიება ქართ. ქუბი || ქუბე ვარიანტები (ფენრიხი 2007: 471). მ. ჩუხუას მოსაზრებით, აუცილებელი ჩანს მათი განცალკევება, ამ უკანასკნელს (ქუბე) კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ქუბა. მანვე აღადგინა ს.-ქართვ. *ქუბე „ჭვავი“ (ჩუხუა 2017). იხ. III. ქუბი.

დიალექტ. II. **ქუბა** 1. ქუბი. მოვტეხამთ ჯერ ტაროს, მერე მოვჭრით ჩალას, ავკონით, ვდგავთ *ქუბას;* კონა ჩალას მივაყუდეფთ, შოუკრავთ ქუჩუჩოს, რო წყალი არ ჩამევიდეს (ქვაციხე, ზ.-იმერ. ძოწ.). 2. მაღალღერიანი ბალახი, რომელსაც წინათ სახურავად იყენებდნენ (იმერ. გაჩ.). შდრ. ქუბიანი სახლი ქუბით გადახურული სახლი. „წინათ იცოდენ ქუბიანი სახლები, ქვეით (= სამეგრელოში) ახლაც შეხვთები კაცი“ (იმერ. გაჩ.); ქუბიღრიანი სახლი (= ქუბის ღერიანი სახლი) იგივეა, რაც ქუბიანი სახლი. „ლირსი ქუბიღრიან სახს აქ, ასევე ნალიას, ახორს“ (იმერ. გაჩ.). აგრეთვე რაჭ. კობახ.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ქულბ- „ბუჩქი; ჩალის ზვინი/კონა (ჩუხუა 2017).

დიალექტ. III. **ქუბა** 1. წუღის ტყავის ნაპირების გადაკეცვა და ძაფით დამაგრება, ან უფრო თხელი ტყავის მიკერება ნაპირების გასამაგრებლად (გურ. ღლ.). 2. სანდალი. გამოვჭრიდით ერთ მთლიან პირს, იმასაც სარჩული უნდა, შემოვაკერებდით გარშემო *ქუბას* (მრეწ. III, I: ქვ.-იმერ. 221; ლეჩხ. 234; გურ. 254). შდრ. II. ქობა.

ახ. ქართ. IV. **ქუბა** წვიმისაგან პურის მარცვლის დაავადება – ი. გრიშ.

ქუთ:

დიალექტ. I. ქუთ [აზერ.] დაღერღილი ქერისგან ან ქატოსაგან გუნდებად მოზელილი და გამომცხვარი საქონლის საჭმელი. ცომს ზელენყ, გროშა დაფქულ ქერით აცხოვენ ზროხაბე, ღორიბეაც, ეემას აცხოვენ ჟაროვნიკში (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. ქუთ კუტი (ადამიანი) (ინგ. ღამბ.).

კუტი (ქუთ E.) სხვათა ენაა, ქართულად საპყარი ჰქვიან – საბა. აღდგენილია ს.-ქართვ. *ქოთ- ტანმოკლე, დაბალი" (ჩუხუა 1917).

დიალექტ. III. ქუთ ქვითი. ქუთ ვართ (ქვითნი ვართ, ბარი ბარსა ვართ) (ინგ. ღამბ.). შდრ. ქვითი ვინც ვინმესთან ქვით არის, ვინც ერთმანეთში ბარი-ბარსაა. აქ ან ორნივ მართლები ვიქნებით, ან ორნივ მტყუვნები, და, მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში ქვითნი (ილია) – ქეგლი.

ქუნდა:

დიალექტ. I. ქუნდა [არაბ.] პირადი საქმე, დოსიე) თავისი აზრი, თავისი ფიქრი, თავისთავი, საკუთარი მე. „მის *ქუნდაში* ასე გონია" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. ქუნდა [არაბ.] სამაჯური. *„ქუნდე* ბილაზუგისავენ არი, კაცები იცმენ ხელზე, მათ სახელ აწერენ" (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ქუნცხ-ი:

დიალექტ. I. ქუნცხი ჯაგნარი, გაუვალი ეკალ-ბარდი (ზ.-გურ. კიწმარ., ჯაჯან.). || პატარა ბუჩქი. „გოდორი გედეიქნია იქით, *ქუნცხებში"* (სტ., ჩვენ. ფუტკ.). || ქურცხი ბუჩქი (აჭარ. ნიჟ.). || ეკალ-ბუჩქნარი (გურ. ჯაჯან.). აგრეთვე: ქვინცხი, გვიზღი, გვიზიბო, გვინცხი, გვინძღი (გურ. ჯაჯან.). ქუნცხი ბუჩქი ზან. (მეგრ. ქობ.).

„ქუნცხ" || ქურცხ ფუძე ქართულში არ ჩანს, აჭარულში იგი ზანიზმს წარმოადგენს (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 105). აღდგენილია ს.-ქართვ. ქართვ. *ქურცხ- „სარეველა" → ქართ. ქურცხ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. ქუნცხი ქურდი (ლეჩხ. ალავ.). შდრ. ქურცახი ქურდბაცაცა (იმერ. ქავთ.).

ქურქულ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ქურქული (გურ.) «ნაბალადევი კვნესა ავადმყოფისებურად» (გ. შარაშ.), – კრუსუნი (ქეგლი). || კრუსუნი, ქვითქვითი, ვიშვიში. ნაბალადევი კვნესა ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. ქურქული ქროლა. *ქურქულით* გამოდის სიცივე (უჩამეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ქირქილი || ქირქირი (იმერ. გურ.) ნელი ქროლა ნიავისა, სიოსი – ქეგლი.

ქუსლ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქუსლი** 1. calx. calcanceus, planta pedis: **ქუსლი** ადამიანის ფეხის (ტერფის) უკანა მრგვალი ნაწილი. „პოოს გუელმან შიშუელი *ქუსლი* მისი“ (ი. ოქრ. -უმღ. შვილ. 67) – ილ. აბულ. სევდავ ტახტით ჩამოაგდო, *ქუსლი* დასცა საცემელი (შჰნ. II, 3002, 2). ჰაატავ, ბანი თქვიო და, *ქუსლი* მტკივა, ბატონოო! (ანდაზა). ფეხის ზემო ნაწილს ფეხის ზურგი ჰქვია, ქვემოთა ნაწილს – ფეხის გული, უკანას – *ქუსლი* (ი. გოგებ.). 2. ფეხსამოსის (წინდის ან ფეხსაცმლის) ის ნაწილი, რაშიც ფეხის ქუსლი თავსდება. წინდის ქუსლი. – ფეხსაცმელი მოხუცს *ქუსლში* გაუცვდება, ახალგაზრდას – ჭვინტშიო (ხალხ.). მგონი ერთ ტერფს (თათს) *ქუსლიღა* აქვს გადასახევი (თ. რაზიკ.). || ფეხსაცმლის საქუსლეზე დაკერებული საძირე ტყავი (ხე ან სხვა რამ) სიმკვიდრისა და სიმაღლისათვის. მაღალი ქუსლი. – დაბალი ქუსლი. – [ილოს] ცალ ფეხზე ეცვა... მოღრეცილი წაღა, რომელსაც ხარაზული *ქუსლი*... ჰქონდა მოქცეული (ს. მგალობ.). წვეტიან ჩექმებზე შემდგარხარ, თითო მტკაველა რიკა მიგიცია *ქუსლებისათვის* (აკაკი). 3. ფეხიანი ჭურჭლის ის ნაწილი, რაზედაც დგას. ქვევრის ქუსლი. – ხელადის ქუსლი. 4. სპეც. საყრდენი, საბჯენი რისამე (თაღისა, კარისა...). თაღის ქუსლი. – კარის ქუსლი. || ტექ. ამა თუ იმ ტექნიკური მოწყობილობის საბჯენი ნაწილი, – კალაპოტი, ბუნიკი, თათი. 5. კავის (აჩაჩის) ნაწილი, რაზედაც სახნისია წამოცმული. *ქუსლი* [არის] კავის ნაწილი, რომელზედაც სახნისია წამოგებული («დიალ.») – ქეგლი. აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. **ქუსი** ქუსლი ზან. (ლაზ. კალანდ.). **ქურსი** წიხლი ზან. (მეგრ. კილ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ქურს- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. ქუსლი** ქვისლი. ელ ეხლა რაძღა შემეკითხო და რაც გინდა შეეკითხო, აი, იქ, ჩემ ქუსლი ექ არი და ბიჭებიც ექ არიან (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ. შდრ. **ქვისლი** ორთა დათა ქმარნი *ქვისლნი* არიან – საბა. || ქვისელი მთ., მოჯ., მქვისელი ხევს. – ა. შან.

აღდგენილია ძირები: 1. *ქუის/-ქვისლი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ქუისელ - „ქვისლი“ (ჩუხუა 2017).

ქუფე:

დიალექტ. **I. ქუფე** [თურქ.] საყურე: „ეს ალთუნ *ქუფეა*“ (ჩაქ.); ქუფელა [თურქ.] საყურე: მაგას „ქუფელას“ ვეტყვით... ზათი თურქჩაც „ქუფელა“ არის (უსტ., შავშ. ლექსიკ.). || **ქუფიაი**: ყური *ქუფია* საყურე (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II. ქუფე** ქვევრი: „ბაღებში იმდენი შარაბის *ქუფებია*, მოთხარე, თალლაი გამოდის“ (უსტ., შავშ.ლექსიკ.). შდრ. ქვევრი [თურქ. ქუფ] ZAaBCD, ქუფი E – საბა.

ქუქუ:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქუქუ** (იმერ.) ჯიბლიბო – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. **II. ქუქუ** ერთგვარი ფლავი, მწვანილიანი ერბოკვერცხით – ი. გრიშ. შდრ. სირვა [თურქ.] ქუქუ სქელი ერბო-კვერცხი (საბა).

ქუჩუჩ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ქუჩუჩი** 1. (იმერ. გურ.) ზოგი მცენარის ბუჩქად ამონაზარდი ყვავილები (წიწვი ან ფოთლები). [ალისარჩული] ყვავილი იყო... იმის *ქუჩურებს* ხარშავდენ, უზამდენ შაბს და ღებავდენ მუქყვითლათ («შინამრეწვ.») – ქეგლი. 2. ფოჩვი, სიმინდის ქოჩორი: „[სიმინდი] ... კოტრებ გეკეთებს, *ქუჩურ* მეიბამს...“ (ხევს., შავშ. ლექსიკ.). || ქუჩუჩო, ქოჩოჩი (რაჭ., იმერ., ლეჩხ., ფშ., ქართლ.) – ალ. ღლ. 3. ფოჩვი. *„ქუჩურსა* ზაფიდამ აკეთებენ, იმასა დეიკიდებენ თავზე“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **ქუჩუჩია** ქუჩუჩი ზან. (მეგრ ყიფშ.).

ქოჩორი > ქოჩოჩი > ქუჩუჩი. რ სონანტი შეცვლილი ხშული თანხმოვნით (ერთელიშვილი1980: 111).

დიალექტ. **II. ქუჩუჩი** ხუჭუჭი; თმა **ქუჩუჩა** თმა ხუჭუჭა (ლეჩხ. ალავ.). გოგოვ, შენი თმა *ქუჩური*, შენს სიყვარულს ვერ გად[ვ]ურჩი («დიალ.») – ქეგლი.

დიალექტ. **III. ქუჩუჩი** „ჩლიქი“ (ხევს., შან., ჭინჭ). იხ. **I.** ქაჩაჩი.

ქუჩქუჩ-ი:

საშ. ქართ. **I. ქუჩქუჩი** ერთს ბირზე(დ) მრავლად ა(ღ)ყვა(ვ)ებული – საბა. ქუჩქუჩად ჯგუფ-ჯგუფად, გროვა-გროვად. ლადიკავკავში წამავალ, მანდ მაჴევები ჰკვირდეს *ქუჩქუჩად* ჴევსურთ დენასა, ახალგაზდეებ ბიჭებსა (ხევს. პოეზ. 670, 26) – ალ. ჭინჭ. || ხუჩხუჩა ლაღად გაფურჩქვნილი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ქუჩქუჩი** (ზ.-იმერ.) ჭუკჭუკი. შდრ. ქუჩმაჩობა ჩურჩული (ზ.-იმერ. ძოწ.).

ღ

ღადუნ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ღადუნი, ღადული* (ფშ. ერწ.) გარეული კატა (შდრ. კატუნი). აშინებდნენ..., ეს *ღადუნიო* (გარეული კატა) ჩამოგაფხაჭნის მთელ სახეს (ვაჟა). ციცაა, *ღადული*, ისეა გაწვრილებული, როგორც სახორცე შამფური (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე ფშ. (რაზ.- ჭყ.) – ა. შან.

დიალექტ. II. *ღადუნი* უთავბოლო ლაპარაკი (მთვრალისა). რასა *ღადუნებს* (თუშ. შან.). შდრ. *ღადება ღაღადება*, ყვირილი: *ვღადებდე* და ვეტყებდე თავსა ჩემსა [პარხლ. მრავალთ 276r, 9-10b] – ზ. სარჯ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ღად არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. II. ღადღადი.

ღადღად-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ღადღადი* ძლიერ ნათება; ელვარება, კაშკაში, ბდღვრიალი (შდრ. ღუდღუდი). მე-კი ასე მგონია, თითქო უფრო მომატებიათ ნათელი [ვარსკვლავებს], *ღადღადი* გააქვთო (გ. ყიფშ. თარგმ.) – ქეგლი. „ცეცხლ ისრეთი *ღადღადი* გაუდიოდა, რო გინდა ზედ ირემ შეწვამდი" (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე ქიზ. მენთ. შდრ. ღად-, ღუდ- (ღად-არ-ი, ბვ. ქართ. ღუდ-ებ-ა „ნელი ნთება") (სანიკიძე 1976: 41).

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ღადღადი* (გურ. იმერ.) ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი, – ხმიანობა. ხალხში შეიქნა *ღადღადი* (ა. ფურც.) – ქეგლი. „ნუ იცი ბევრი *ღადღადი!*" (ინ., ჩვენ. ფუტკ., აჭარ. ნიჟ.). შდრ. ღაღადი ხმა. ღაღადი განვიდა ქალაქსა შინა, ვითარმედ წმიდაჲ დანიელ მოვიდა ეკლესიად [დან. 263, 43] – ზ. სარჯ., ილ. აბულ. *ღაღადი*, ქადაგი ზან. (მეგრ. ელ.).

ღადღად-ა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ღადღადა* რაც ღადღადებს, – კაშკაშა, ელვარე. *ღადღადა* და დანაკვერჩხლებული ცეცხლის გული («დიალ.») – ქეგლი. იხ. I. ღადღადი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ღადღადა* (გურ. იმერ.) ვინც ღადღადებს, – ხმამაღლა მოლაპარაკე ადამიანი – ქეგლი. იხ. II. ღადღადი.

ღაზღაზ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ღაზღაზი* (იმერ.) «ცეცხლის ვარვარი» («დიალ.») – ქეგლი. || ძლიერი ცეცხლის გუზგუზი. „ამას კაი *ღაზღაზი* ცეცხლი უნდა" (იმერ. გაჩ.). || ღაზღაზი მკაფიო ნათება (გურ. კიწმ.). შდრ. გიზგიზი, გუზგუზი. ძლიერი ცეცხლის ხმა, – ბრიალი (ქეგლი).

დიალექტ. II. *ღაზღაზი* ძლიერ მშიერის საჭმელისათვის წანწალი, შიმშილი. „მე რო ვაჭმედი მადლობელი არ იყო, იეხლა *იღაზღაზოს* ეგრე!". დაღაზღაზება ჭარბად მოშივება, შიმშილი. დაღაზღაზებული საჭმელს დახარბებული. „*დაღაზღაზომს* და დადის – სად რა შევჭამოო"; „მგელივით არი *დაღაზღაზებული*" (ჯავახ. ზედგ.).

ღალღა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ღალღა ფრინვ. – საბა. || [crex-crex] ჭაობის ფრინველი მომცრო, რუხ-მოყავისფრო, გრძელ და სწორნისკარტიანი – ქეგლი. ბალა-ჩალაში დავსძვრები, ვითა ღალღა, მეო (დ. გურამ. 128, 448, 5). ჩირგვის მწყერს და ღალღას ხოცდენ (ვახტ. VI, 27, 32, 2). კუალად ფრინველნი... ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა... ვარხვი, ღალღა, ლაინა (ქ. ცხ. IV, 42, 6). მდინარის პირზე ჩამწკრივებულის ჩალიდან ამოფრინდება მიმინოსაგან დამფრთხალი ღალღა ჭყივილით (ვაჟა). [ტროლას] გოგმანშიაც მარტო ღალღა თუ აჯობებს (ი. გოგებ.) – ქეგლი. შდრ. II. ღარღა.

დიალექტ. II. ღალღა: თეთრი თუთა, რომელსაც *ღალღას* ეძახიან (ქიზ. მრეწ. IV, III, 11).

ღანღალ-ი

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღანღალი 1. ძლივძლივობით სიარული, – ხანხალი, ლასლასი. 2. გადატ. ძლივძლივობით არსებობა, გაჭირვებით ყოფნა. 3. (გურ. იმერ.) იგივეა, რაც ლაღლაღი. (მნიშვ. 2). 4. (გურ.) სითხის პირში დაგუბებით ჭანჭყარი (შდრ. ლაღლაღი მნიშვ. 3) – ქეგლი. || ცოცხალმკვდარი სიარული, ძლივძლიობით სიარული; ძლივძლიობით ყოფნა სიღარიბისაგან. აქედან: დაღანღალებს. „დაბერდა და ძლივ დაღანღალებს"; „ვღანღალებ, ძლივძლიობით" (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. II. ღანღალი ცურვით მოძრაობა წყალში, – ცურვა. „ახლა კაია ერთი *ღანღალი*, გაგრილდება კაცი" (იმერ. გაჩ.). იხ. II. ღვანღვალი.

დიალექტ. III. ღანღალი ღაბღაბი. მოვიდა ქისტის ქალები, *ღანღალ* დგას ძაღლებისაო (ხევს. პოეზ. 223, ე, 33) – ალ. ჭინჭ.

ვფიქრობთ, ეს სიტყვა ხმაბაძვითია და წარმომავლობით უკავშირდება ღავღავ-ს „ერთგვარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა (ძაღლისა)" – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ღაუ-ღაუ- არქეტიპი (კელაურაძე 2018: 36).

ღარღა:

ძვ. ქართ. I. ღარღა «ღირღალი»: „გამაგრდა... *ღარღათ (ღირღალთაჲ)* შინა მასისისთა" (ქ. ცხ. 10, 9) – ილ. აბულ. იხ. III. ღარღალი.

დიალექტ. II. ღარღა/ე/-ი ღალღა (გურ. ჟღ.). || ფრინველი, მწყერთა წინამძღოლი (გურ. კიწმ.). იხ. I. ღალღა.

ღარღალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღარღალი 1. (იმერ.) ხმამაღლა ლაპარაკი – ქეგლი. 2. ყელისმიერი ბგერებით ლაპარაკი, ყელში ლაპარაკი (იმერ. გაჩ.). 3. დედლის სიმღერა. „ხანდახანდე იცის მოფსებულმა დედალმა *ღარღალი*" (საჩ. შარაშ.). 4. გაურკვეველი ხმაურობა, ღრიანცელი (ჯავახ. ზედგ.).

|| ტარღალი, ყბედობა (იმერ. ბერ.). ღარღალი ლაპარაკი ზან. (ლაზ. თანდ.); ღარღალი ზედმეტი, უშნო ლაპარაკი, ლაყბობა ზან. (მეგრ. ელ.). სიტყვა ფუძე გაორკეცებულია. შდრ. ღ/ა/რ. ღრ-იალი (სანიკიძე 1976: 56).

ს.-ქართვ. *ღერღ- „ლაპარაკი; ყბედობა“ > ქართ. ღერღ-, საღერღ-ელ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღარღალი (ზ.-რაჭ.) ჭურჭლიდან სითხის ბლომად და შეუჩერებლივ დინება. ტიკს ღვინო *ღარღალით* გასდის («დიალ.») – ქეგლი. || ღაპა-ღუპით ცრემლის დენა ღარღალი აჩქარებული, ხმაურიანი დინება (წყლისა...). რავი, დაინახე, *ღარღალი* გააქ წყალსა და! (ქემ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ღვარღვალი ◊ ცრემლ[ებ]ის ღვარღვალი (გურ. იმერ.) ღაპა-ღუპით ცრემლების ღვრა, დენა – ქეგლი.

დიალექტ. III. ღარღალი ქვებს გროვა, ქვაყრილი (მესხ. მაის.). შდრ. ღირღალი ძვ. «ღელე-ღუღე ადგილი» (საბა), უსწორ-მასწორო დახრამული ადგილი, ოღრო-ჩოღრო – ქეგლი. იხ. I. ღარღა.

ღარღილ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ღარღილი 1. «მცირე რამ ჰაზრი» (საბა). 2. (ხევს.) დარდი; ჯავრი (შდრ. ღარღლი) – ქეგლი. 3. სურვილის აღძვრა (ლეჩხ. ჩიქ.). აგრეთვე ღარღლი დარდი, ფიქრი, ეჭვი. „გულში თუ *ღარღლი* გაქ,ნუ წახვალ“ (ქიზ. მენთ.). შდრ. გულაღერღილი საშაროდ გულაღრენილი. „მაგას მეერიდე, გულაღერღილია და სამთხილოა“ (მოხ. ღუდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღარღილი (გურ.) ლაპარაკის ხმა. უჰ, თქვენი *ღარღილი* არ გაიგონა კაცმა! (ნ. ნაკაშ.) || ხმამაღალი ლაპარაკი; ძახილი, გადაძახება, შეძახება. ...*ღარღილიც*-კი ეზარება... აბა მაი *ღარღილია*, მაგერ ორი-სამი რომ იძახის! (ნ. ნაკაშ.) – ქეგლი. || პატარა დახმაურება, გადაძახება. „გეიხედე, ბოშო, გარეთ, რაცხა *ღარღილი* იყო, ქე არავინ იძახოდეს“; დაღარღილება იგივეა, რაც ღარღილი. „ერთი *დაღარღილება* და მაშინათვე წამოვალ მეც“ (იმერ. გაჩ.). „არ მქონდა იმისი *ღარღილი*“ (= იმისთავი) (გურ. გ. ლომთ.). || ტყეში ნადირის დასაფრთხობად გადაძახილი. „*გოუღარღილე* ერთი, ნადირი არ გეიარს“ (რაცხ. გურ.). იხ. I. ღარღალი.

ღაღადურ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღაღადური (გურ.) ხმამაღალი და ტკბილი გალობა. || გადატ. გალობის მსგავსი მოთქმა – ქეგლი. შდრ. ღაღადება «ჴმის - ყოფა», «ღაღად-ყოფა», ჴმობა», «ზახება», ღაღადისი, ყვირილი, «ვალალეობა», «მუღროობა», ავის მაუწყებელი, «აღ-ღება ჴმისა», «მჴჯობარი», ვედრება – ილ. აბულ. შდრ. II. ღადუნი.

დიალექტ. II. ღაღადური დიდი ცეცხლი; გააღაღადურა დიდი ცეცხლი გააჩინა (გურ. ღლ.). იხ. I. ღადღადი.

ღაღან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღაღანი** ფერადი ციმციმი, ფერის ელვარება, ბზინვა, ხასხასი (ნათესისა, ბალახისა...). ჯეჯილებს მწვანედ გაჰქონდა *ღაღანი* (ი. გოგებ.). ნეტავი ერთი ნამი გაჩნდეს... ი დალოცვილი, რა არი – და! სუ *ღაღანს* არ დააწყებინებს ხოლმე ბალახ-ბულახსა! (ს. მგალობ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. || ღაღანა (ქეგლი; ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. ღადღადი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ღაღანი** (ქართლ. გურ. იმერ.) დედლის თავისებური ხმიანობა კვერცხის მოწყების ან დადების წინ (გ. შარაშ.) – ქეგლი. ქათმის კაკანი სხვა არი, *ღაღანი* სხვა არი (წვ.); **ღაღანებს, ღაღანობს** წყნარად ხმიანობს კვერცხის მდებელი ქათამი (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. ღუღუნი.

ღაღვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღაღვი** (გურ. იმერ.) გიდლის (კალათის...) ჩამოსაკიდებელი კაუჭი, – კაკვი. ხეებზე *ღაღვით* გადმოკიდებულ გიდელ-კალათებში ცვივა ყურძენი (დ. შენგ.) – ქეგლი. იხ. I. ღვანღვალი.

დიალექტ. **II. ღაღვი** (ლეჩხ.). «პატარა ბავშვი» (მ. ალავ.). შდრ. ბაღვი, ბაღვინა ბავშვი, ბალღი (ზ.-აჭარ. ნიჟ., რაჭ., ბერ., მიძიგ). **ღაღუ** ბალღი, ნორჩი, ჩვილი ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ღაღვი** (გურ.) «გაუვალი ბალახი» (გ. შარაშ.).

ღაჭო:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღაჭო** (ქიზ. ინგილ.) აჭრილი რძის ხაჭო (ს. მენთ.) – ქეგლი. *ღაჭოჲ* ხსენის ხაჭო ახალ დანაზოვ ფური ჰე (ან) კამმეჩი ზეჲ (რძე) იჭრევის, ეემას *ღაჭოჲ* ებნევიან (ინგ. ღამბ.). ღაჭო < ხაჭო. უკანაენისმიერი სპირანტების მყღერი ღ-სა და ყრუ ხ-ს მონაცვლეობა. ხაჭო 1. დოს, ჩუმის 2. ან წაქის წამოდუღებით დალექილი მასა – ქეგლი.

მ. ჩუხუას აზრით, აღდგება ს.-ქართვ. *ხაჭო (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ღაჭო** ღინჭილა ერთგვარი ნიჟარა, რომელსაც აკვანზე ჰკიდებენ ან საქონელს აბამენ კისერზე ავი თვალისაგან დასაცავად (იმერ. გაჩ). შდრ. I. ღინჭილა.

ღაჯ-ი:

დიალექტ. **I. ღაჯი** ხელგასაყარი, კბილება, ხელდახელ საჩხუბარი ძველებური იარაღი (თუშ. ხუბ.). || ღაჯია (ხევს. მთიულ.) ცერზე წამოსაცმელი დაკბილული საკაწრავი იარაღი ლითონისა (ხმარობდნენ ჩხუბში). მოძებნა პაპის ფარიკა, მხარიღლივ გორდა ჰკიდია, ღაჯია ცერზე გაიგდო, მტერი ფეხებზე ჰკიდია! (ხალხ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ღაჯი** ფესვების ხშირი განშტოება. *ღაჯები* აქ აქეთ-იქით წასული ხესა (წვ.). ღაჯიანი: ფესვები რო აქ წასული, ღაჯიანი ხე არი (წვ., ქართლ. ლექსიკ.). || ღოჯი: (ჩვეულებრივ მრ.-ში) ღოჯები მიწის ზევით გამოტანილი ფესვები (სიმინდისა და მისთ.) – ქეგლი.

ღენჭეპო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღენჭეპო** (ქვ.-იმერ. გურ.), ღენჭებო (იმერ.), ღენჭოპა (გურ.) ნაჭუჭი – ქეგლი. || ხეპჭო (იმერ.) (შდრ. ხეჭბი) – ქეგლი. აგრეთვე **ხენჭოფო** კიბოს მაგარი ზურგი, ანუ კანი (კირიონი).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ღენჭეპო, ღენჭეფო** (ლეჩხ. გურ.) ღიჭა – ქეგლი. იხ. I. ღენჭო.

ღენჭო:

დიალექტ. I. **ღენჭა || ღენჭლა || ღენჭო** ბალახოვანი მცენარე (რაჭ. კობახ.). იხ. II. ღიჭი.

დიალექტ. II. **ღენჭო** კვერცხის, ნიგვზის ან სხვათა გარეკანი (ქვ.-იმერ. ჯაჯან.). აგრეთვე იმერ. გაჩ. შდრ. I. ღენჭეპო.

დიალექტ. III. **ღენჭო** კუთხე, წიბო: „მოცლილ კბილსაც შევნახავდით, *ღენჭოში* შევდებდით, დუზი კბილი ამუუვდესო“ (წეთ., შავშ. ლექსიკ.).

ღერ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღერი** 1. მცირე ნაპობი შეშისა; ზრო მცენარეთა (დ. ჩუბ.). „დამოიღის ქუეყანისაგან, რომელ-რაი არს მას შინა საზრდელი, და განუყვის იგი *ღერსა* მას და ქერქსა მისსა“ (ბ. კეს.-ექუს. დღ. 66, 25). აქვე აღერება – ილ. აბულ. || იგივეა, რაც ღერო (მნიშვ. 1). [კოდალა] მიეკვროდა ხოლმე ხის *ღერს* თავისი გრძელი კლანჭებით (თ. რაზიკ.). თითქოს პირველი ბალახის *ღერი* გაზაფხულის მზეს ესაუბრება (გ. ლეონ.). 2. იგივეა, რაც ძირი (მნიშვ. 3). შვიდ მაისს რომ შვიდი *ღერი* ყანა იდგეს, ნურც აქებ და ნურც აძაგებო! (ხალხ.). [«მარიამა» კამეჩი] ირგვლივ ავლებს თვალს, უნდა ერთი *ღერი* ბალახი მაინც დაინახოს, ერთი ძირი ხე (თ. რაზიკ.). 3. ბეწვი (თმისა, ბალნისა). აი, ჩემი ულვაშის ერთი *ღერი* (აკაკი). 4. ცალი (ითქმის უპირატესად ღეროს მსგავსი საგნების შესახებ). ერთი ღერი შეშა. || ფიგურ. ძველად... ვინც ორი *ღერი* რუსული იცოდა, ყველა პისარევს კითხულობდა (ჭ. ლომთ.). 5. ძვ. სასანთლის შტო (საბა) – ქეგლი. ღერი: „ვაზს აქვს ფესვი და ძირი მიწაში, მაღლა – *ღერი*, ნამყენი, ლერწი, იმაზე კვირტი“ (ზ.-რაჭ. «შინამრწვ.») – ლ. ასათ. **ღერი** ღერო ზან. (მეგრ. ელ.). **ღერი** ღეო ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ღერ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ღერი** მღერი. *ღერი* ქონდა და კლავდა ქექვაი (უჩამეთი). აქვე **ღერიანი** მღერიანი. იყო სამი ძმაი. ერთი იყო *ღერიანი*, კლავდა ქექვაი (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ღიერი კანის ავადმყოფობა, – ბღერი (იმერ. გაჩ.). შდრ. ქართ. მღერი „ძნელი მუნი“ – საბა.

აღდგენილია ს.-ქართვ. *მღ(ი) - „მუნი“ (ჩუხუა 2017).

ღერღილ-ი:

ბჳ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღერღილი** «გამოქუცნვილი»: „ახალი შეხუკვილი ნედლი *ღერღილი* (შესწირო)“ O, – „ახალი ეტერი წინამოდ გამოქუცნვილი (შეწირო)“ (G, ლევიტ, 2, 14) – ილ. აბულ. || არს მარცვალნი ცერცვთა და მისთანათანი, საფქველზედ ხოშრად დალეწილი – საბა. || ძლიერ მსხვილად დაფქული, დაღერღილი მარცვლეული (სიმინდი, ხორბალი და მისთ.). ღერღილის ღომი. ღორს ქერის *ღერღილით* ვკვებავთ (ს. ჭუმბ.) – ქეგლი. ღომი ჩვენ ვიცით ორნაირი: ერთია ქვილი ღომი და მორეა – ღერღილი (იმერ., ქართ. დიალექტ., 480). **ღარღილი (ღერღილი)** ღერღილი, მსხვილი ნაფქვავი ზან. (მეგრ. ელ.).

ს.-ქართველური არქეტიპებია: 1. *ღერღ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ღერღ-ილ- „ღერღილი“, *ღერღ- „ღერღვა“ (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ. **II. ღერღილი** ბჳ. «მხეცთა და ძაღლთა კბენილი» (საბა). შდრ. ღრღნა წვრილად ფხვნა კბილებით (რაიმე მაგრისა), – ხვრა (ქეგლი).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ღრღ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ. ქართ. **III. ღერღილი** მცირე კიტრი (საბა).

ღვანღვალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღვანღვალი** (იმერ. ლეჩხ.) გიდლის ჩამოსაკიდებელი კავი, – გიდლის ყური. გურულს გიდელი ჩამოუვარდა და ვაიმე *ღვანღვალო!* (ვ. ბერ.). || **ღაღვილი**: [გიდელს] გამოაბამენ... ბაწარს... და ზედ დაჰკიდებენ *ღაღვილს* (თავმოკაკულ ჯოხს) («დიალ.») – ქეგლი. შდრ. **ღანღვილი** ჰაპნის ერთ ბოლოში გამობმული ხის მოკლე და მაგარი კავი (რაჭ. კობახ.). **ღვარღვალი** (ღვარღვაი) გიდელის სახელურის ხის კაკვი ზან. (მეგრ. ელ.). იხ. I. ღაღვი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ღვანღვალი** (იმერ.) წყალში ნელი მოძრაობით ცურვა. || წყალში ნელი ცურვით ნებიერობა (ჩოხატ. გურ. ჯაჯან.). || ღვარღვალი, ქვანქვალი, გვანგვალი (გურ., ლეჩხ. ალ. ღლ.).

ღვაპ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღვაპი** (ლეჩხ.) ბურუსიანი ამინდი; დახუთული ჰაერი – ქეგლი. იხ. I. ღვაფი.

დიალექტ. **II. ღვაპი** ჭყინტი, უმწიფარი გოგრა. აქვე: || **ღვიპი** პატარა გოგრა, კიტრი და მისთ. „რავა *ღვიპები* მოგიკრეფია, დიდი კიტრები აღარ იყო?“ || **ღვლაპი** იგივეა, რაც ღვიპი (იმერ. გაჩ.).

ღვაფ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღვაფი** 1. «დიდი ცვარი» (საბა). || (იმერ.) წვიმის შემდეგ მცენარეებზე (ბალახზე, ხის ფოთოლზე...) დარჩენილი ცვარი. 2. (იმერ.) წვრილი, ნელი წვიმა, თქორი (ბ. წერეთ.). ეს წვიმა მოუხ-

დება ყანებსა? – ეს რა წვიმა არის?! *ღვაფია* ერთცახე («დიალ.») – ქეგლი. || მცირე წვიმა, – ჟინჟღლი, თქორი. „ამისანა *ღვაფში* ბოსტნის ამიდია, ნერგი უნდა გადარგა“ (იმერ. გაჩ.). || ნელი წვიმა, თქორი; ღვაფიანი წვიმიანი. ჩალამ პაწია ნამბული თ'ვარ მიიღო, თ'ვარ შენაბულდა ან დილაზე, ან ღვაფიანში, არ ივარგეფს (ტაბაკინი,ზ.-იმერ. ბოწ.). აგრეთვე ქართლ. ლექსიკ.

ღვარი > ღვაფი; რ სონანტი შეცვლილია ხშული თანხმოვნით (ერთელიშვილი 1980: 105).

დიალექტ. II. *ღვაფი*, *ხვაფი ჟოლო* (ხევს. ა. მაყ.). || ღვაფა, ხვაფა (თუშ. ა. მაყ.).

ღვია:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ღვია* ღვივა ხე ფოთელ–ქაცვიანი (საბა). || [Iuniperus] დაბალი ტანის მარადმწვანე ხე ან ბუჩქი, ზოგჯერ მიწაზე გართხმული; აქვს ქერქლოვანი ან წიწვის მსგავსი ფოთლები, მომრგვალო გირჩები; იზრდება მშრალ ფერდობებზე და კლდეებზე. მოგესალმებით, ქედბო, მომაქვს სალამი გვიანი, ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და *ღვიანი* (ვაჟა). როცა თოფების ატყდა ქუხილი და ზარბაზნების გრგვინვა და ჭექა, მე ერთადერთი მქონდა წუხილი თქვენი სოფლების *ღვია* და დეკა (გ. ტაბ.) – ქეგლი. „*ღვია* მოდის ჩუენ თებზე“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. *ღვია* მღვრიე (იმერ., ქართ. დიალექტ., 673). აღდგენილია ს.-ქართვ. *ღუე- ბირი „მღვრიე; წითლობა“ (ჩუხუა 2017).

ღვინჭა:

დიალექტ. I. *ღვინჭა* ერთგვარი ბალახი, ბრტყელი ფოთოლი აქვს (თონ., დვალ., ღოლოვ. ქართლ. მენთ.). იხ. I. ღენჭო.

ძვ. ქართ. II. *ღჳჭ*-ი || *ღჳნჭა*-ჲ კენჭი. ესე ღჳნი წინაშე მქონედ (ნოველები, II, 232, 20-21); ღჳნჭანი C); შთავაგდი *ღჳნჭაჲ* ესე ერთი მარჯუენით კერძოსა მას სფირიდსა (იქვე 232, 22-23); || ღინჭოჲ – ზ. სარჯ. || *ღვინჭა* წყლის კენჭი, – ხვინჭა (დ. ჩუბ., ქეგლი).

ღვინჯა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ღვინჯა* (იმერ.) ძალიან მწიფე ხილი (ვ. ბერ.). მოკრეფილს ხილს (განსაკ. ზღმარტლს და მსხალს) რომ სიდამპლე შეუვა, რომელიც უფრო გემრიელად იჭმევა, ამგვარ ხილს ეწოდება ღვინჯა ხილი – ი. გრიშ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ღუინძელ- „ღვიძლი; შავ-ყვითელი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ღვინჯა* (ალგეთ.) ერთგვარი ბრტყელ-ფოთლიანი მაღალი ბალახი («დიალ.») – ქეგლი.

ღვირღვილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღვირღვილი (ლეჩხ. რაჭ.) ცრემლის ღვრა, მდუღვრა (შდრ. ღვირღვალი) – ქეგლი. ღვარღვალი (ღვარღვაი) ღვრა ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ღუირ- ძირი „სითხის უხვი დენა“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღვირღვილი (გურ. რაჭ.) ცეცხლის გაჩაღება – ქეგლი. *დაღვირღვილდა* ცეხლი! – კარგად დაინთო ცეცხლი (გურ. ჟღ.). შდრ. ღვრიელო ნაღვერდალი (გურ. ჟღ.). ღვივი-ს ნაკვერჩხლებად ანთია, უალოდ იწვის. კერიაზე ღვიოდა ნაკვერჩხალი (ნ. ლორთქ.).

საერთოქართველურისათვის მითითებულია არქეტიპი *ღუიუ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ღია:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. ღია 1. გახსნილი, ახდილი, არ დახშული – დ. ჩუბ. || ღია-ი *ღია* რაც არაა დახურული, დაკეტილი, – გახსნილი, გაღებული: არა სამართალ არს შენი შიშულისაჲ და თავუბურავისაჲ დგომაჲ სუეტსა ზედა უსართულოსა და *ღიასა* [ler=151 134v, 9-12] – ზ. სარჯ. ერთ დღეს გომის პატრონს კარები *ღია* დარჩა (თ. რაზიკ.). || დაუკეტავი, მოშვებული. ონკანი *ღია* დამრჩა? (ნ. დოლ.). || გახელილი (თვალები); დაღებული (პირი). მძინარეც ფრთხილობს [კურდღელი] და თვალები *ღია* რჩება (ვაჟა). მაყვალას თვალები *ღია* დარჩენოდა (ა. ყაზბ.). 2. გვერდებგახსნილი ან თავახდილი (ნაგებობა). სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ *ღია* და ფარღალატა (ილია). ◊ ღიად დახურვა (ქართლ.) ორფერდად დახურვა, საბძლური დახურვა. 3. მიწის ზედაპირზე მყოფი, საფარ-სახურავის არმქონე, გადაუხურავი. 4. გადატ. თავისუფალი, შეუზღუდველი; დაუცველი. 5. გადატ. გაშიშვლებული, დაუფარავი (მკერდი, კისერი...). მკერდი *ღია*, ოფლით გასვრილ-მტვრიანი (გ. ორბ.) 6. გადატ. რაც დაკეტილი არ არის, რაც მუშაობს, ოპერაციებს აწარმოებს (მაღაზია და სხვ.). 7. ნათელი, არა მუქი, ბაცი (ფერი). [გობრონი] კარგად იყო ჩაცმულ-დახურული: ჩალისფერი ტალავარი, *ღია* ფერის ფეხსაცმელი (ვ. ბარნ.). 8. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავღია. კარღია. პირღია – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღია (იმერ.) დაბალ ადგილზე გადასული მდინარე (ვ. ბერ.) – ქეგლი. შდრ. ნაღიები მოსილული ადგილი, საყანედ კარგია (ვ. ბერ.). ღიალი (ლეჩხ.) სუსტი, უსუსური სვლა (მ. ალავ.). ვფიქრობთ, ღია < ღიალი < ღრიალი. ქართულში უნდა გვქონოდა ღარ- || ღერ ძირი „სიარულის“ მნიშვნელობით. შდრ.: ღერ-ღეტი; სვან. ღარ || ღერ; ღურ → ღგრ... გაორკეცებული ძირი მოგვცემდა: *ღარ-ღარ → *ღირ-ღარ ←*ღირ-არ, → *ღრ-ი-არ → ღრ-ი-ალ. ეს ღრიალ ცნობილი ფუძეა მაგრამ სხვა მნიშვნელობით. ღრიალ → ღიალ (ერთელიშვილი 1970: 218).

ღილ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღილი** 1. მრგვალი შესაკრავი – დ. ჩუბ. || ძვლის, ლითონის ან სხვა რაიმე მასალის ფირფიტა (სხვადასხვა ფორმისა, ჩვეულებრივ, მრგვალი) სამოსლის შესაკრავი (ან მოსართავი) – ქეგლი. და ზედ ესხა *ღილი* მურასა ოქროსა მოთვალულები (შჯნ. I, 266, 4). მალე ტანსჩაცმა დილაზედ ზორტით ჰქონდეს თუ *ღილითა* (არჩ. 515, 63, 2). საფლავებში იპოვეს ბევრი ვერცხლისა და რკინის *ღილები* თუ ბალთები (ილია). [ამირანს] ყველა *ღილი* შებნეული აქვს და ყელსახვევიც შეუკრავს (ს. კლდ.). 2. ღილაკი. [იუდამ] ზარის *ღილს* თითი მაგრა დააჭირა (ს. მგალობ.). 3. (გ.-კახ.) იგივეა, რაც კვირისტავი (მნიშვ. 2) – ქეგლი. || კვირისტავი (საქონლის მუხლისა). საქონელსა *ღილი* აქ მუხლშია, იმის მეტგან არა აქ (წვ., ქართლ. ლექსიკ.). 4. სამკაული, ვერცხლის ნივთები (ჯვართ ენაზე). გამირიევ *ღილივ ღილებშივ* [ყელსადებშიით ფულ უნდა შამეკსნ], თორე კი განა მჭირდებიანავ, მიაც შენ მაგცემავ შენ *ღილ*-ქამართავ (თ. ოჩ. სარწმ. 88). შდრ. **რღილი** სამკაული; ღილი (ჯვართ ენაზე). *რღილი* გიბოძათ ბატონმა, ყელზედ ჩაგიდვათ ჯერებად (ხევს. პოეზ. 771) – ალ. ჭინჭ. 5. ბეჭისთავი. „დილჩიით გადასჭერივ ბეჭივ“ – ვიცით. 6. სპილენძისაგან შეკერილი ქვაბის ლურსმნის-თავი (ხევს. ჭინჭ.). 7. საქაჩველის ტაფის ღარი, რომელშიც აწყობენ კაპიტის ფიცრებს (იმერ. ქავთ.).

აგრეთვე ღილ-კილო 1. ღილი და კილო. [ბარძიმმა] ახალუხის ღილკილო შეიხსნა (ბ. ჩხ.). 2. საუბ. აბრეშუმის გრეხილის ნაკვანძი პატარა ღილი – ქეგლი. || **ღილო-კილო**: წიგნის შესაკრავი; „კუალად მისცეს... ოთხთავი, სტავრაჲთა შემოსილი და ვეცხლისა ღილო-კილოჲთა და ჯუარითა“ (ი.-ე. 22, 31); „ვინცა ცუარი ანუ ღილო-კილოჲ დააკლოს“ (ოთხთ. ანდ.) – ი. აბულ. ღირკილოები ღილები და კილოები ტანსაცმელზე (იმერ. ქავთ.). **ღილიკ, ღირკილ** (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ღილი** (თიან.) ქუთქუთა – მცენარეა (ა. მაყ.). შდრ. II. ღიღილო.

დიალექტ. **III. ღილ-**: **დაღილავს** დაჩრჩილავს, ამოჭამს, გააფუჭებს. „ჩიჩი შალის ნაჭერს დაღილავს“. **დაღილული**: „დაღილული ტყავი აღარ გეიყიდვის“ (აჭარ. ფუტკ.). შდრ. ღილობა, მოღილვა კანის დახეთქა, გაქეციანება (ზ.-იმერ. წერეთ.). ღილი < მღილი. მღილი: „რად გინდა შენი ქონება დასალპობლად, მღილთ საჭმელად?“ (არჩ. 449, 115, 1).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *მVღ-ულ- „მღილი, მწერი“ > ქართ. მღილ- (ჩუხუა 2000-2003).

ღინჭა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღინჭა** (იმერ.) ღიჭა – ქეგლი. || [sonchus] ყვითელყვავილა ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; აქვს დანაკვეთული ფოთლები, კალათებად შეკრებილი ყვავილები; იზრდება ნათესებში, ვენახებში და სხვ. – ქეგლი.

ნ. ხოჭოლავა ფიტონიმებში გამოყოფს ღაჭ-ლექსიკურ ძირს, რომელსაც ზანიზმად მიიჩნევს და მისი აზრით დასტურდება როგორც მცენარეთა სახელებში, ისე ქართველურ ენა-კილოთა სხვადასხვა ქვესისტემებში. ამ სახელთა ლექსიკური ძირებია: ქართ. ღინჭ- (< -ღენჭ- < -ღეჭ-), მეგრ. ღაჭ-, სვან. ღაჭ-, „ნიჟარა“ და, უპ. ყოვლისა, უნდა გულისხმობდეს კაურის ნიჟარას, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ყოფაში (როგორც ფული, სამკაული, ავგაროზი...) (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2018: 143-146).

დიალექტ. II. **ღინჭა** ძლიერ გამხდარი, მჭლე. „ამ *ღინჭა* გოგოსაც არ უყურამ, რამთენი შეიძლო!“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. **ღინტლა** (ქართლ.) ნაბოლარა, დანაკული გოჭი, – ნაღიტა, ნაღინტალა. ღინტლა, მოდი, მოქვისფეხდი, დო მაინც დაჭყლურტე! («დიალ.») – ქეგლი.

ღინჭილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღინჭილა** ღვინჭილა, – პატარა ნიჟარა; იკეთებდნენ თმაში, იბამდნენ ყელზე, ასხმულს კიდებდნენ აკვანზე (ცრუმორწმუნეობით მას ავი თვალისაგან დასაცავ თვისებებს მიაწერდნენ). შეუბამთ ჩემთვის ყელზე *ღინჭილა*, მწარე ბალი და მივუყვანივარ სოფელში (აკაკი). ირწევა აკვანი... *ღინჭილები* ჩხარუნებენ (ქეგლი). || ღინჭილა, ღვინჭილა ღილივითა თუ მბივივით ნიჟარა, „გველის თავი“. „ღილს მოგიტან *ღვინჭილასა*, ნახა წავალ ქალაქჩია“ (ფშ. ხორნ.). || **ღინჭილა** (< ღილ+ კილო) ღინკილა, პატარა ნიჟარა. კმარამ დაიწყა ტირილი, მე ის უთხარ: „არაგია, მბივს მაგიტან, *ღინჭილასა*, როსაც წავალ ქალაქშია“ (ხევს, ჭინჭ.). || **ღვინჯილა** მბივი ავი თვალისათვის (მარაბ., ქართლ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ღინჭილა** (იმერ.) «ჭყინტლი სიმინდი», შესაწვავად უვარგისი (ბ. წერეთ.) – ქეგლი. || იგივეა, რაც ქაჩალა ტარო. მაგ. *ღინჭილები* გადაარჩიე და ღორს დოუყარე (ზ.-იმერ. ძოწ.). || **ღინკლა** (კახ.) პატარა, უნაყოფო ან თითო-ოროლა მარცვლიანი სიმინდის ტარო. || ნედლი, წყლიანი მარცვალი («დიალ.») – ქეგლი. შდრ. II. ღინჭა.

დიალექტ. III. **ღინჭილა** წისქვილის ბორბლის საყრდენი (სინონ. კიბორჩხალი) წისქვილმა რო სტორათ იბრუნოს, ვდგამთ ბორბლებს, ბორბალია დამდგარი *ღინჭილაზე* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ღირღიტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღირღიტი** 1. «ბაზთაგან დაცქერა და თავის ქანება» (საბა). || დაჟინებით ცქერა; თვალთვალი და ლოდინი. 2. (გურ.) მომაბეზრებელი, დამამცირებელი ხვეწნა (გ. შარაშ.) – ქეგლი. შდრ. I. ღურღუტი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ღირღიტი** «მცირე გოგორა» (საბა). შდრ. *ღირღიტა* გუთნის ნაწილი; რვილის თავის დასადები ფამფალაკის გოგორა. გადი, გამოდი, გუთანო, *ღირღიტავ*, ბანი უთხარო, სახნის-საკვეთო,

გაუსვი, რომ კაჭაჭს ძირი უთხარო (ხალხ.). მიდის ღვინია თბილისისაკენ, იქ უნდა დადგას სახლის კედელი. ქალამნით მიაქვს მიწა კერისა, ურმით *ღირღიტა* და საკვეთელი (გ. ლეონ.). ◊ **ველის ღირღიტა** გოგორა, რომელიც ველის (მოუხნავის) მხარეზეა, უფრო პატარაა. ◊ **კვ[ა]ლის ღირღიტა** გოგორა, რომელიც კვალის (მოხნულის) მხარეზეა, უფრო დიდია. გუთანს წინ მიუძღვის ღირღიტები – ორი გორგოლა: ერთი დიდი – კვალისა და მეორე პატარა – ველისა («შინამრეწვ.»). ◊ **ღირღიტის მეხრე** მეხრე, რომელიც გუთნის-თავის ხარებს უდგას ღირღიტაში, გუთნის-თავის მეხრე. ◊ **ღირ-ღიტის კუნძი** (ქიზ.) ფამფალაკზე ბალიშივით დადებული ხე ან რკინა, რომელზედაც რვილის თავი იდება (ს. მენთ.) – ქეგლი. ღირ-ღიტა – გაორკეცება თანხმოვნის დისიმილაციით (შანიძე 1980: 149).

ახ. ქართ. III. **ღირღიტი** ჭრიალი, ღრიჭინი. შორს გაისმის... ურმების ნაღვლიანი *ღირღიტი* (კ. ლორთქ.) – ქეგლი.

ღიღილო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღიღილო** [Centaurea depressa] ერთწლოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა; აქვს ლამაზი, კალათებად შეკრებილი ლურჯი ყვავილები; იზრდება ყანებში. [ქალმა] ციცქნაფოთლებიანი *ღიღილოების* ულო ხალათის საყელოსაც შემოავლო (რ. გვეტ.). ზენაქარი... არხევდა... რუს პირებზე ათასფრად გადაპენტილ ზიზილას და *ღიღილოს* (გ. შატბ.). და უცებ ხელში მომხვდა *ღიღილო* (ი. ნონეშ.) – ქეგლი.

ღიღილო < მესხ. ღილღილო, ღინღილო, ოქროღილო. ქართ. ღიღო „ღივი“, ღიღ-ილ-ო ზან. (მეგრ.) ღიღე „დიყი“ სიტყვებისათვის მ. ჩუხუა გამოყოფს ს.-ქართვ. *ღიღ-არქეტიპს (ჩუხუა 2017). შდრ. II. ღილი.

დიალექტ. II. **ღიღილო** ქათმის ბიბილო. „ე, გარაკეცილი *ღიღილო* რო აქ, იგია ჩემი“ (საჩ. შარაშ.). || ღირღილო ბიბილო – ქეგლი, ვ. ბერ.

ღიჭ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღიჭი** (ხე) ბრწამლი – ნ. ჩუბ. || (ქართლ. კახ. ფშ.) ეკალღიჭი. აქ *ღიჭი* არი, ჯაგჯუგი, უხვად ჩადუნის ძირია (ვაჟა). *ღიჭი* დაარჩიეთ, პწკალი და მაგარი ყლორტები მოამტვრიეთ (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. || ღიჭ ეკალღიჭი, ეკალი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **ღიჭი** წვრილი ქვა მრავალი. „რანაირი ყანაა აქ, *ღიჭით* არი სამსე“; ღიჭიანი ადგილი წვრილ ქვიანი. „*ღიჭიანში* ვიარე და ფეხიგუულები სუ მტკივა“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. II. ღვინჭა.

ღლავ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღლავი**, ღლაბუტა (თევზ.) ლოქო – ნ. ჩუბ. ლოქო სომხურია და ღლანი – ქართული, პატარას ლოქოს ღლავი ეწოდება – საბა. || (იმერ. გურ.) ლოქო. ღლავი დაიჭირეს. – [ლოქოს] იმერეთში

უწოდებენ *ღლავს* (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. „ქე რო ვასიკომ *ღლავის* კუდი მამარტყა ლოყაში, რუშავაში რო ვიყავით, ხო გახსოვს, ბიძია!“ (იმერ. გაჩ.). *ღლავის ლაპი* ლოქოს შვილი. „დიდი არა მარა, *ღლავის ლაპები* ქე დევიჭირეთ კაი ბალი“ (იმერ. გაჩ.). || ღლაპუტა პატარაა ლოქო (იმერ. გაჩ.). შდრ. ღლანი ბვ. და (გურ.) ღლავი – ქეგლი. ღლამი თევზი ღლავი ზან. (მეგრ. ელ.). ღლავი თევზია, ლოქო ზან. (ლაზ. თანდ.).

ღლავ- სიტყვისათვის მიუთითა ძირი ს.-ქართვ. *ღლაუ- „ლოქო; დიდი თევზი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღლავი (ქიზ.) პატარა ბავშვი (შდრ. ღლაპი, მნიშვ. 3) – ქეგლი.

მ. ჩუხუამ, ამ სიტყვისა და სვან. ყლაუ „ბავშვის, ბიჭის“ შეპირისპირებით აღადგინა ს.-ქართვ. *ღლაუ- „ბავშვი“ (ჩუხუა 2018: 100).

ღო:

დიალექტ. I. ღო (მთიულ.) მარხილის მიწაზე მოსრიალე ნაწილი, – ფეხი – ქეგლი. აგრეთვე მოჯ. (შან.). ვვარაუდობთ, რომ ღო წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს ბუჩქის, ხის აღმნიშვნელ ღუ, ღვია-ს (რაჭ. კობახ.).

დიალექტ. II. ღო, ღოლი. ...ფა, ...მაგი : ცალ-ღო ძაბი ცალფა ძაფი. იხ. II. ღოლი.

ღოლ-ი:

დიალექტ. I. ღოლი მარჯილის ორი ლატანი გვერდებზე (ფშ., გუდ. შან).

დიალექტ. II. ღოლი ცალ-ღოლი ცალფა, ორ-ღოლი ორფა, სამ-ღოლი სამფა. ძაბის ღოლი ძაფის წვერი (მოჯ., ჯ., თ., ფშ.) – ა. შან. „ბევრს ვაჟკაცს ჩამოეშალა / საყაწიმონი მჯარნია, / ბევრსა ქალასა ლამაზსა *შვიდ-ღოლ* ნაწნავნი თმანია“ (მოხ. შან.). იხ. II. ღო.

დიალექტ. III. ღოლი სვილის ულო (ულო დაგრეხილია, ღოლი კი არა) (მოჯ., ჯ., თ., ფშ. შან.).

ღომა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღომა (რაჭ.) მწვანე ბურწა; იგივე ბურწა ბალახი, ბურწა ბოტან. [Setaria-ს ველური სახეობანი] ერთწლიანი სარეველა ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა; ყვავილები თავ-თავის მსგავსად აქვს შეკრებილი – ქეგლი. აგრეთვე ღომფეტვა, ღომისთავა (ზ-იმერ., ლეჩხ. ა. მაყ.). ღომა < ღომი. ს.-ქართვ. ძირია *ღომ- „ღომი (მარცვალი)“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღომა 1. [Phoxinusphoxinus (გურ.) ერთგვარი პატარა თევზი, გამრავლების დროს თავზე უჩნდება ღომის მარცვლის ოდენა ხორკლები (სინონ. კვირჩხლა). 2. (იმერ.) იგივეა, რაც ციმორი – ქეგლი. ღომა პატარა და ძალიან მსუქანი თევზია (მანდაეთი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ღომა: ღომა-ჩიტი** (გურ.) მწყერჩიტა (რ. ერისთ.). || ღომ-ღომა ჩიტი მწყერჩიტა. ღომ-ღომა ჩიტი ბეღურას ხელაა, სუქანია ძიელ, წითელჯორაა (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ღონა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღონა** (თევზ.) სომხურია, ქართულად ღორჯო ჰქვიან – საბა, ქეგლი. **ღონა** || **ღვანა** ძვ. და კუთხ. (ქართლ.) ღორჯო – ქეგლი. ღვანაობს: ღვანა (ღონა) თევზებს იჭერს, – ღონაზე თევზაობს. ღვანაობდა, ღვანა თევზებს იჭერდა (ქართლ. «დიალ.») – ქეგლი.

ღვანა იშლება შემდეგნაირად: ღვ-ან-ა, სადაც ღვა არის ლოყა მეგრულად, ხოლო -ან სუფიქსის ა დაკარგულია. ღვანა გამორჩეულად „ლოყიანია“, ლაყუჩებგაბერილი და შემთხვევით არ არის მისი „პატარა ლოქოდ“ და -головач-ად განმარტება (მ. ბერიძე 2005: 42).

საშ. ქართ. **II. ღონა** ღონე, ხერხი. დაუთმოს და მოიჭირვოს, თუ რამ მიხვდეს მისთვის *ღონა* (ვახტ. VI, 47, 123, 4). ღონა < ღონე; ღონე ძვ. ქართ. ღონე ხერხი, საცთური, ხრიკი, საშუალება, გამოსავალი: „დაიცევ სული ჩემი *ღონეთაგან* ეშმაკისათა“ (გ˙ი 260v) – ილ. აბულ.

დიალექტ. **III. ღონა, ღონე**, ანუ გარა, გარე ბადისა სასროლი ბადის ნაპირი... გარაში (ღონაში) შესული თევზი გარშემო უვლის, მაგრამ გარეთ გამოსვლა აღარ შეუძლია (ზ.-იმერ. წერ.). შდრ. **საღონე** ბადის ანაკეცი – საბა. || ბადის მუჟურო – დ. ჩუბ. || საღონე, საღონავი ბადის ქვედა კიდეზე შემოკეცილი ნაწილი, რომელშიც თევზი ებმება. «საღონეში თევზის ჩაბრომა» («შინამრეწვ.»). ვისაც გასაშლელი ანუ სასროლი ბადე ჰქონდა, ორიოდე საათში გულს იჯერებდა ბადის საღონავში გაბმული კალმახების ფართხალით («ლიტ. გაზეთი») – ქეგლი. || საღვანავი ბადის ქვედა კიდე, რომელშიც თევზი მოყვება ხოლმე (გურ. შარაშ.). საფიქრებელია, რომ ამ მნიშვნელობის ღონა -ს ფუძე იგივე უნდა იყოს, რაც ძველ და ახალ ქართულისეული ღონ- /ღუნ- შდრ. დაღონება მოხრა, მღუნარედ, მღონარედ, მოხრილად; მოხრით – ილ. აბულ. ღუნვა სახელი ღუნავს, იღუნება ზმნათა მოქმედებისა, – ხრა, ზნექა, დრეკა (ქეგლი). აღდგენილია ს.-ქართვ. *ღუნ- || ღულ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ღორთელა:

დიალექტ. **I. ღორთელა** წყლის ობობა (ლეჩხ. ჩიქ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ღორთელა** ღორთამგორვალა კანის დაავადება ერთგვარი (ქართლ. მესხ.). || ღორთველა, ღორთამგორვალა ძვ. და კუთხ. (ზ.-იმერ.) კანის დაავადება (ჩვეულებრივ ბავშვებს ემართებათ): ავადმყოფს გამოაყრის წითლად; იცის ქავილი; ცრურწმენით ავადმყოფი თუ საღორეში არ გაგორდა, არ მორჩება («დიალ.») – ქეგლი.

ღორღალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღორღალი 1. (ქართლ.) გაურკვეველი ხმაურობა, – ღრიანცელი, ჩოჩქოლი. შეიქნა ჩოჩქოლი, მიწევ-მოწევა, *ღორღალი* (ს. მგალობ.) – ქეგლი. ღორღალი ხმაურობა (წარმ. „ღრიალიდან"). შუა სოფლიდამ ხმაურობა, ღორღალი შემოისმა (ს. მგალ.) – ი. გრიშ. ღერღელი რიოში, გაუთავებელი ლაპარაკი ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. I. ღარღალი.

დიალექტ. II. ღორღალი (ქართლ.) უმიზნოდ, გაუგებრად სიარული, ხეტიალი. რომ დაითრობა, ღორღალებს, ღორღალებს, ეს *ღორღალი* რაღა არის, დაწვეს და დაიძილქუშოს («დიალ.») – ქეგლი. აგრეთვე ღორღალი, ღორღალაობს, ღორღალებს (ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. ღორღალი (რაჭ.) თავის კეფა («დიალ.») – ქეგლი. || თავის ქალისა და კისრის ძვლების შესაყარზე ჩაღრმავებული ადგილი. *ღორღალს* ვეტყვით თავისა და კისრის ბოლოს ჩაღრმავებულ ნაწილს (შომახეთი, ზ.-იმერ. ბოწ.). შდრ. I. ხორხი.

ღორჯო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ღორჯო თევზია – დ. ჩუბ. || [Neogobius cephalarges constructor] პატარა მსხვილთავიანი მოშავო ფერის თევზი; გემრიელია. შეყოფ ჯილეში ხელს, იქ ბევრი *ღორჯო* გგონია ერთად თავმოყრილი (აკაკი). [სალომეს] ამხანაგ გოგო-ბიჭებთან პაწია *ღორჯოები*... უჭერია (გ. წერეთ.) – ქეგლი. || ერთგვარი მსხვილთავა თევზია (გურ. ნასაკ., ჯაჯან.). ღო!რ!ჰგო ღორჯო ზან. (ლაზ. კალანდ.). შდრ. ღოჯა «ღონა თევზი» (დ. ჩუბინ.) – ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ღორჯ- (ფენრიხი, სარჯველაძე1990). იხ აგრეთვე (მ. ბერიძე 2005: 42).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღორჯო (ლეჩხ.) კაკლის ნახევრად შემხმარი წენგო, რომლიდანაც დაბერტყვის შემდეგ გამოდის კაკალი («დიალ.»). შდრ. II. ღენჭო.

დიალექტ. III. ღორჯო ახალგაზრდა რომ თავის დროზე, კბილს არ ამოიღებს, მას ახალი კბილი ძველი კბილის გვერდზე ამოუვა და გაამაგრებს ძველ კბილს, ამას ეძახიან ღორჯოს (გურ. ჟღ.). || ღოროჯო (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. II. ღოჯა.

ღოღ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღოღი ღოჯაი (ქიზ.) ღერო, უფოთლო რქა მცენარისა (ქეგლი). იხ. III. ღოღო.

დიალექტ. II. ღოღი ზაქი (აჭარ. ნიკ.). იხ. I. ღოღო.

ღოღო:

სამ., ახ. ქართ. I. ღოღო ზაქი. კამბეშმა უპასუხა: . . . რომე მე ხანსა რასამე წელიწადთა შინა ერთსა *ღოღოსა* უშობდი (ქილ. 520, 39). || კამეჩის პატარა შვილს ეძახიან ერთწლამდის (გურ. ჟღ.). ღოღო ზაქი ზან. (მეგრ. ყიფშ).

დიალექტ. II. *ღოღოი* ბავშვის ენაზე: მგელი, საშინებელი არსება, ბავშვის შესაშინებელი სიტყვაა (მესხ. მაის.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. *ღოღო* (ქართლ.) ღივი – ქეგლი. || ახლად გაღიებული მცენარის თესლი. „გახმება ღოღო მარცვალი, მოსცდება, გამოლაყდება“ (თ. „ჯეჯ“-ქემიკ.). || მოცდენილი მარცვალი (თუშ.) აგრეთვე გაღოღოვდება (ქართლ. ლექსიკ.). || *ღოღოში* (შ.-კახ.) «მიწიდან ახლად ამოსული ბალახი, მცენარე ან ახლად გამოკვირტული ხე» («დიალ.») – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ღიღ- „ღივი“ (ჩუხუა 2017).

ღოჯა:

საშ., ახ. ქართ. I. *ღოჯა* «ღონა თევზი» (დ. ჩუბ.). იხ. I. *ღორჯო*.

დიალექტ. II. *ღოჯაი, ღოჯაყრ* გრძელკბილება (თუშ. უთურგ.). || ღიჯი გვერდულად ამოსული კბილი, ღრჯოლი (ჯავახ. ზედგ.; მესხ. ფეიქრ.).

ღოჯა < *ღოჯი*. აღდგენილია ს.-ქართვ. *ღოჯ- „ეშვი“ (ჩუხუა 2018: 101).

დიალექტ. III. *ღოჯა ხოჯა*. [ზეზვამ] ალვანს მინდორი აავსო *ღოჯაის* თათრის ლეშითა (ხევს. პოეზ. 24, დ, 18) – ალ. ჭინჭ. *ღოჯა* < *ხოჯა* [სპარს. *ხოჯა*] ძვ. საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე) – ქეგლი.

ღრამ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ღრამი* (აჭარ.) ნაჭდევი. ღარი, ღარაკი ფიცრის კიდეზე (აჭარ. ნიჟ.). *ღრამი* მონიშნული ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. ღრამმა, ღრამმი [ბერძ.] ხაზი – დ. ჩუბ. ეპიფანიაი... განიწიაღების *ღრამმისა* მიერ, რომელსა აჲტს ერთი განფენაი, სიგრძე მხოლოდ (ამონ. 9, 6).

ღრამი ბერძნულშიც გავლებულ ხაზს, რიგს, შემოწერილობას, მიმართულებას აღნიშნავს. ხოლო ღრამმა ასოს, დაწერილს, მეცნიერებას. სიტყვა ღრამი უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული ენათმეცნიერულ ტერმინთან გრამატიკა და სხვ. (ნოღაიდელი 2017: 41).

დიალექტ. II. *ღრამი* დურგლის იარაღია (წითელმთა, ი. შილაკაძე, გურ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. III. *ღრამი ხრამი*; ღრმა, ჩაღრმავებული ადგილი გზაში (მოხ. ქავთ.). || ღრაბი, რაბი ღრმადი, ჩაღრმავებული ადგილი (ლეჩხ. ალავ.). || ღრაბელი დაწეული, ჩავარდნილი ადგილი, – დაბლობი (ზ.-იმერ. ბოწ.).

ღრე:

საშ., ახ. ქართ. I. *ღრე* 1. დიდად და გრძლად ჩაღრმავებული ადგილი, «დაფლატული და სოროვანი» (საბა). გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და *ღრენი!* (ნ. ბარათ.). ვინ ხარ, ბიჭო, რა დროს საქმეა ამ ტყეში, ამ *ღრეში*, მერე ამ დროს! (ვაჟა). [მიტრუამ] ხევი, *ღრე* და კლდე ისე გაიარა, რომ დაღლილობა არ უგრძვნია (შ. არაგვ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. კლდე-ღრე. ტყე-ღრე – ქეგლი.

დიალექტ. II. *ღრე* მღვრიე, ამღვრეული, უსუფთაო, დაუწმენდავი (სითხე). „ნათქვამია, *ღრე* წყალში თევზი ადვილათ დეიჭირვისო“ (აჭარ. ნიჟ.). „პილლაი ქუნქში *ღრე* წყალი გამოვდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). ღრე < მღვრიე მინარევებით გამჭვირვალებას მოკლებული, – უსუფთაო, დაუწმენდავი (სითხე) – ქეგლი.

ს.-ქართვ. არქეტიპია *ღუე- „მღვრიე“; „წითლობა“ (ჩუხუა 2017).

ღრიანკელ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღრიანკელი (იმერ. გურ.) კლდოვანი ვიწრო და ღრმა ხეობა, ხრამი. აბდუშაჰილმა... ...გზის სიმოკლის გულისათვის ისეთ *ღრიანკელში* შეიყვანა ჯარი, რომ გაშლა არ შეიძლებოდა და საძრაობა აღარ ჰქონდათო (აკაკი). „კაცო, *ღრიანკელში* გვყრიან, კისერს გვტეხენ“ (ე. ნინოშ.) – ქეგლი. აგრეთვე გურ. ჟღ. || დაქანებული, დამრეცი, ჩახრამული, ოღროჩოღრო ადგილი, ღრანტე (აჭარ. ნიჟ.). || ხრიანკელი ციცაბო, კლდოვანი ადგილია – კიკაბო, ხრიანკელი, კარჩალი, დასპოტილი ადგილი, ღელე-ღურდაი, დარანი (გურ. ტუღ.). || ღრიანტელი „წყლისაგან ჩამორეცხილი, გაფხეკილი ადგილი“ (იმერ. «დიალ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. ღრიანკელი ნაბზარი — ნედლ ხეს რომ უჩნდება გაშრობა-გახმობით (აჭარ. ნიჟ.).

საშ., ახ. ქართ. III. ღრიანკელი მორიელი. ნუთუ ჭელმწიფეს კუსა და *ღრიანკალის* არაკი არ მოხსენებოდესო? (ქილ. 350, 13). ხოლო არიან მძრომნი მაწყინარნი: გუელნი მკბენელნი, *ღრიანკელნი* გესლიანნი (ქ. ცხ. IV, 43, 22). მზე ჩავიდა *ღრიანკალის* პირსა შინა (შჰნ. I, 524, 4). || ფიგურ. ეგდო კიბეზე ოქროს კანკელი, ჩამავალი მზე ლურჯი ხელებით და *ღრიანკელი*, ცად მიმავალი ცისარტყელებით (გ. ტაბ.) – ქეგლი. ძვ., საშ. და ახ. ქართულში დასტურდება აგრეთვე ღრიაკალი, ღრიანკალი – ილ. აბულ., საბა. ხრიანკელა ქვეწარმავალი (ს. ხიზაბავრა) (ჯავახ. ბერ.).

შდრ. *ღვარკალა* კლაკნია, დაღრეკილი; მოსხმარტალე, კრუნჩხვაშემდგარი; ღრიანკალი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. IV. ღრიანკელი, ღრიანტელი დაღონება, შეწუხება. ღრიანკელს არ მილევს – მაღონებს, მაწუხებს, საზნევს არ მილევს, მემიზეზება (ფშ. შან., ხორნ.). ღრია(ნ)კელი ჴ. ამრევი, ამშლელი, ხალხის შემაწუხებელი (კაცი) – ა. შან. შდრ. II. ღრიანცელი.

ღრიანცელ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღრიანცელი კლდოვანი ვიწრო და ღრმა ხეობა, ხრამი. [ბარში] აღარც კლდეები იყო, აღარც *ღრიანცელები*, მთიდან ჩამოგორებული ლოდები, არსად მყვირალი ხევები და მჩქეფარე ჩანჩქერნი (თ. რაზიკ.). იხ. I. ღრიანკელი.

ახ. ქართ. **II. ღრიანცელი** ერთად შეკრებილი მრავალი ადამიანის ერთდროული ლაპარაკი, ყაყანი, – დიდი ხმაურობა, აურზაური. „თქვენმა ყვირილმა და *ღრიანცელმა* ხომ წაიღო ყურთა სმენა“ (ვაჟა). ხალხი აიშალა, სკამების რახა-რუხი, მთვრალების *ღრიანცელი*, ფეხის ხმაურობა ერთმანეთში აირია (ეკ. გაბ.). ატყდა მთაში *ღრიანცელი...*, დარბის ხალხი თოფით, ცელით (ი. გრიშ.). || გაბმით ღრიალი. „დავიწყე ტირილი, ყვირილი: «უშველითო!» – და ჩემმა *ღრიანცელმა* გამომაღვიძა“ (ვაჟა) – ქეგლი. შდრ. ჭრიანწელი წიოკი, ტირილი, გლოვა (ფშ. ხორნ.).

ღრინ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ღრინი** 1. ღრენის ხმა; ხმის გაღება. პირი ღრინს არ მიშვრებაო (ხალხ.). 2. ღრენა. მაგრამ თუ ერთი გაუწყრა ღმერთი და აეშალა მას თავის ჟინი, გული აშფოთდა, ატეხა *ღრინი...*, გაიფრენს [ცოლს] გარეთ ღამეში ბნელში (ვაჟა) – ქეგლი. ღრინვა ვიღრინები, ვჰბრდღვინავ – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ღრინი** კრინტი. „ეს კაცი წინდაწინ გააფ[რ]თხილა, რომ *ღრინი* არ დაებრა“ (აჭარ. ნიჟ.).

ღრინი < კრინი: კრინი მიღებული ჩანს *კნინი-საგან („მცირე“, „პატარა“, „წვრილი“) დისიმილაციით: ნ... ნ > რ... ნ (გიგინეიშვილი 2016).

ღრინწ-ი:

ახ. ქართ. **I. ღრინწი** ღინწი,– მცირე და წვრილი დანა (საბა). ორშაბათ დილა გათენდა, ქვევით მიდის ქალის ჯარი, ხელჯალათა ხელთ აცვიათ, *ღრინწი* დანა მათი ხმალი (ხალხ.) – ქეგლი. მ. ჩუხუამ გამოყო ს.-ქართვ. ძირი *ღინწუ- „დანა; კავი/გუთანი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ღრინწი** ხრინწი, ხმის ჩახლეჩა (გურ. დვაბზუ, ალ. ღლ.). ღრინწი < ხრინწი ჴმის ჩავარდნის სენი – საბა.

ღრუტუნა:

ახ. ქართ. **I. ღრუტუნა** რაც ღრუტუნებს (იტყვიან ხოლმე ღორზე). რკოს მივუტან *ღრუტუნასა*, მითავაზებს ჯაგარსაო (შ. მღვიმ.). ჩვენმა *ღრუტუნამ* ბევრი გემრიელი საჭმელი გაგზავნა თავის გაუმაძღარს მუცელში (ი. გოგებ.) – ქეგლი.

„ღრუტუნი-სათვის“-სათვის გამოყოფენ ს.-ქართვ. არქეტიპ *ღრუტ-ს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. ღრუტუნაი** პატარა ხვრელი, ჭუჭრუტანა. „*ღრუტუნაი* გააკეთა ახორი კარზე“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). || ღრუტუნები – გამოქვაბულები: „მუუთხრიან, *ღრუტუნები* არი, მაღარა ქვია“ (მურღული, კლარჯ. ლექსიკ.). || გადატ. **ღრუტ, ღუღრუტ** ფუღურო, ღრუ (ხეში). დეკაცს უთქომ კაციბე :

შენ წაი, ერ კაკლი *ღრუტში* ჩაი (ინგ. ღამბ.). ღრუტუნა < ღრუტუნი მასდარი ღრუტნა სახელი ღრუტნის ზმნის მოქმედებისა, – ღრუს კეთება, ხვრეტა; [ამო]ღრმავება – ქეგლი.

ღუა:

ახ. ქართ. I. ღუა: ◊ ჭია და ღუა იგივეა, რაც ჭია-ღუა. დედამ... უთხრა [ბეღურას], მუსრი გავავლოთ ავყია მავნე ჭიას და *ღუასა*. მოსავალს მივცემთ დიდ შვებას და ჩვენც მოვიგებთ ჭკუასა (შ. მღვიმ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღუა (ფშ.-კახ.) სოკოა ერთგვარი («დიალ.») – ქეგლი; ფშ. ხორნ.

დიალექტ. III. ღუა ღუა (< ღოა) (მოჯ. შან.). იხ. I. ღო.

ღუილ-ი:

დიალექტ. I. ღუილი ტირილი. „მთელი დღე ზის და *ღუის*“ (ქიზ. მენთ.).

ამ სიტყვისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *ღუ-; *ღუ-ილ (კელაურაძე 2019: 51).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ღუილი სახელი ღუის ზმნის მოქმედებისა. წითლად *ღუილი* ფურნისა («დიალ.») – ქეგლი., ქიზ. მენთ. ყურძნის მწიფობის ხანას ქიზიყში „ყურძნის ღუილს“ უწოდებენ (რაჭ. ფრ. სქ. 27). || ღუვილ ღვივილი, სხვადასხვაფრად ელვარება (ინგ. ღამბ.). ღუის [გამო] ჩანს, გამოჭვივის, ღვივის (წითლად, ყვითლად...) – ქეგლი. ღუილი -ილ სუფიქსიანი მასდარი. აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი *ღუუ- (ჩუხუა 2017).

ღუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღუმი (ხევს.) ნელი, დუნე, უსიცოცხლო ადამიანი («დიალ.») – ქეგლი. || ღრუნი: გაღრუნებული თუ ქალი ზანტია ეძახიან „დღნაბს“, „მკვდარს“, მწერელთშვილს“, „*გაღრუნებულს*“ (ეთნ. სწორფრ. 22). ღრუნდების (გამო)ყრუვდება, ლენჩდება, დუნდება – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. II. ღუმი ღომი (გურ. ნიკოლ.).

აღდგენილია: 1. ს.-ქართვ. *ღომ – ფეტვის სახეობა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. ს.-ქართვ. *ღომ- „ღომი (მარცვალი)“ (ჩუხუა 2000-2003).

ღურღუტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ღურღუტი 1. (ქართლ. ლეჩხ.) ქვეშქვეშა, ეშმაკი ადამიანი. აბა *ღურღუტები* თქვენა ხართ, დედაკაცები, რომ, თუ მოინდომეთ, ეშმაკიც ვერ გაიგებს თქვენ ასავალ-დასავალს (ა. ერ.-ხოშტ.). „მაგას ვერაფერ გაუგემ, ძიენ *ღურღუტი* კაცია.“ 2. მოქმედება: ჩუმად, თავისთვის საქმობა. „რა ვიცი რას აკეთამს თავისთვისნ *ღურღუტემს*“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ღირღიტი.

დიალექტ. II. **ღურღუტი** დაბურული, გაუვალი (ტყე). საცა შორი დაბურული ტყე არი, რო კაცი ვერ გაივლის იქა, იმას ეტყვიან *ღურღუტ* ტყესა (იგ.). იმ *ღურღუტ* ტყეში რამ წაიყვანა, სხვაგან აღარ იყო ფიჩხი, რო რამე შახვედროდა, როგორ უნდოდა?! (იგ., ქართლ. მესხ.). || ◊ ღურღუთი ტყე უღრანი, დაბურული ტყე. თუ არ მიყვარდე და არ გენდობოდე, ამ ღურღუთ ტყეში რა მომიყვანდა! (ე. ნინოშ.). || ◊ **ღურღური ტყე** ხშირი, გაუვალი, უღრანი ტყე (ქეგლი).

ღურღური > ღურღუტი; რ სონანტი შეცვლილია ტ-თი (ერთელიშვილი 1980: 106, 216).

ღუღუნ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ღუღუნი** ღიღინი, ან ღრუტუნი მფრინველთა – დ. ჩუბ. || ზოგი ფრინველის (მტრედის, გვრიტის, ქედნის...) ხმა. კახეთი მომაგონდება, იქ გვრიტთა, ტრედთა *ღუღუნი* (ვაჟა). წინანდებურად დაიწყეს მტრედებმა *ღუღუნი* (ვ. ბარნ.). || გადატ. ტკბილი სიმღერა, ღიღინი; საამო ხმა. *ღუღუნი* იგი ჩამრჩენია გულს, მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი (ილია). [ნაბდოსანს] შემოესმა შოლტის ტლაშუნი და ურმულის ღუღუნი (ს. მგალობ.). [რაჭველი] ქებას შეგვასხამს ყველასა *ღუღუნით*, ენატკბილითა (ვაჟა). დაღესტნის ქარმა კახეთის ცაზე გადმოიტანა *ღუღუნი* თარის (ი. ნონეშ.) – ქეგლი. || „*ღუღუნი* ხო ყმაწილისა არი. ბაუში ღუღუნეფს, აი, დაიწყო ღუღუნიო“ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). **ღუღინი** ღიღინი ზან. (მეგრ. ელ.).

მ. ჩუხუა აღნიშნავს, რომ მვ. ქართ. ღჳნ-, მ-ღჳნ-ვიერი „მოღუღუნე“. ზმნური ღვინ- ძირი მხოლოდ მიმღეობურ მ-ღვინ-ვ-იერ ფორმაშია შემორჩენილი. „მუნ გვრიტნი უდაბნოსა შინა მყოფნი და მღჳნვიერნი და ზაფხულისა მაუწყებელნი“ (Ath – 11, 207r) – ილ. აბულ. ამ სიტყვისთვის მანვე აღადგინა ს.-ქართვ. *ღუინ- ძირი (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე: მარი 1915: 940-941, მ. მაჭავარიანი 1989:153, ფენრიხი, სარჯველაძე 1990.

ახ. ქართ. II. **ღუღუნი** ღუდღუდი, – ღუდღუდი წყნარად, უალოდ ნთება ცეცხლისა, ღუღუნი. || ღვიღვინი კაშკაში, ბრწყინვა (ფშ. ცოც.).

ღუჭა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ღუჭა** (მოხ.) მური. ახლანდელი ქალები, *ღუჭასავით* შავები (ხალხ.) – ქეგლი.

არქეტიპია ს.-ქართვ. *ღუ(რ)ჭ- (ა) „შავი“ → ქართ. ღუჭ-ა || ყუჭ-ი || ყურჭი/ო (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ღუჭაჲრ**, იგივეა რაც ჭიღვაჲრ, – წვერგაცვეთილი ცოცხი. ბროხათ სადგომაჲის დახვეტად ახალ ცოცხს *ჭიღვაჲ ჟჳობის* (თუშ. ცოც.). შდრ. **ჭიღვა** (იმერ.) ჭიგო. || ჭიგოზე ვაზის მისაბმელი წნელი (ვ. ბარ.) – ქეგლი.

ღჯილ-ი:

დიალექტ. **I.** **ღჯილი** ეშვი (ლეჩხ. ლ. ლეონ., ალავ). || ღრძილი. *„ღჯილი ძირები ატკენია და ყუელაი კიბილი მოშვებია ზავალსა“* (ად., ჩვენ. ფუტკ.). რაფერ აქ ჩაშავებული *ღჯილები* თამარიას (რაცხ. გურ.). აგრეთვე მესხ. ფეიქრ.

ღრძ-ილ-ი სიტყვისათვის აღდგენილია არქეტიპები: 1. *ღრჯ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ღიჯილ- „ღრძილი, ეშვი“ (ჩუხუა 2018).

დიალექტ. **II.** **ღჯილი** წყალში ქვის ქვეშ თავისუფალი ადგილი, სადაც ხშირად თევზი თავს იფარავს; წყალში მდგარი ხის ქვეშ დარჩენილი ადგილი, რომელშიაც აგრეთვე თავს აფარებს თევზი (იმერ. ჯაჯან.). || ღჯილე (იმერ. გაჩ.). || **ჯილე** წყალთაგან გამოფლატული – საბა, დ. ჩუბ. **ჯილი** დარანი (ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.) – ალ. ღლ.

ღჯილი < ჯილი. მითითებულია ს.-ქართვ. *ʻშილ-ყორვა, გავსებაʼ > ქართ. [ჯილ]-, ჯილე (ჩუხუა 2000-2003).

ყ

ყაბ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყაბი** 1. [თურქ. კაბ «ჭურჭელი»] მვ. ჭურჭელი (ჯამი, ქვაბი, კასრი, ტომარა...). || «სინი ფლავისა» (დ. ჩუბ.) – ქეგლი. „აღმართზე აღარ ვწიკავთ *ყაბებ*“ (კლარჯ. ლექსიკ.). ქათმის სკინტს ხუთ ვედროს ჩავყრით ათვედროიან *ყაბში* (აჭარ. მრეწ. IV, III, 74). აგრეთვე: ნიგ. ბერ., ინგ. ღამბ. 2. ცალკეული თავი საჭმელი, – კერძი (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **II. ყაბრ** არამკვრივი, მოცულობით დიდი, მაგრამ მცირე მასიანი რამ. დიდი თორე *ყაბრ*, გან წონა, არაფერ წონა არ აქვ (თუშ. ცოც.). იხ. III. ყაბა.

ყაბა:

დიალექტ. **I. ყაბა** დრო, ხანგრძლივობა. „ოც წელიწადს კაი *ყაბა* აქ“ (იმერ. ქავთ.).

დიალექტ. **II. ყაბა** [თურქ.] მსხვილი, უხეში, მდარე, ტლანქი, გაუთლელი, გაუშალაშინებელი, გაუჩორკნავი. || **ყაბა საქონელი** მსხვილფეხა საქონელი (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. **III. ყაბა** მსუბუქი ტვირთი (ბამბა, მატყლი, თამბაქო, თივა, სიმინდის ჩალა, ფუჩეჩი, ლობიოს ჩენჩო, ცარიელი ქვევრი, კოკა, კასრი, ყუთი...). რბილია, ფართო ადგილს იჭერს, ხარები არ არ დეიღლებიან, ხარებზე *ყაბა* ტვირთი აწყვია (ლეჩხ. ალავ.). || ყაბად წასვლა დიდი ადგილის დაჭერა მსუბუქი რამის მიერ. „თივა *ყაბად წავიდა* და ურემზე სხვა ვეღარაფერი დაუდეთ“ (ქიზ. მენთ.). || შიგნიდან ფუღურო, გარედან გაბერილი, გაფუებული (მაგ. ბამბა და სხვ.). ამბობენ: რა ყაბა საქონელი გაქვსო, ვითომ ალაგს დიდს იჭერს, შიგ კი არაფერი ყრიაო. საკუთ. დიდი, უშნო, უფასური, ვულგარული – ი. გრიშ. შდრ. ყაფა ფომფედ, არამკვრივად მოკრული ტვირთი. „ამ ცხენს ყაფა ჭვირთი აქ, თვარა იმდენი მძიმე კი არაა (გურ. შარაშ.).

ყადიმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყადიმი** 1. [არაბ. კადიმ «ძველი»] (კახ. ქართლ.) უძრავი მიწა, მაგარი მიწა, ყამირი (საპირისპ. ნამალი). მეფევ, *ყადიმი* თიხა გასტეხე, სწერე წერაქვით შენი სახელი! (გ. ლეონ.) – ქეგლი. „საბირკველი *ყადიმზე* უნდა დადგეს“ (ქიზ. მენთ.). აგრეთვე: კირიონი., ქართლ. ლექსიკ. 2. მჭიდრო ნაქსოვი რო იყო საჩოხე, ან სხვა შალი, იტყოდენ, კაი *ყადიმინა*ქსოვიაო (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.). 3. ცხენის ჩლიქის მაგარი ნაწილი, ფრჩხილი (ქიზ. მენთ.). ზაქი რო დაიბადება, ჩლიქები უნდა ხელით დააგლიჯო, რბილებ დააგლეჯამ და *ყადიმი* დარჩება (კარალ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

დიალექტ. **II. ყადიმი** წინაპარი (შდრ. არაბ. qädim „ძველი“) (ფერეიდ. ჩხუბ.).

ყავალ-ი:

დიალექტ. I. *ყავალი* [თურქ.] ჩასაბერი საკრავი, სალამურის მსგავსი, ოღონდ სალამურზე ცოტა უფრო გრძელი (აჭარ. ნიჟ.). || [აზერ. *gavəl*= დაირა] ზურნა. *ყავალ* უკრავს ქალ გამააყონელ მუყანს (ინგ. ღამბ.). აგრეთვე: ჯავახ. ბერ., ზედგ., გურ. შარაშ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ყავალი* [თურქ. *kavəl* «თოფის ლულა»] (გურ.) უმაშხანო, საჩიტე თოფი (გ. შარაშ.). *ყავალი, კავალი* კაჟის თოფი, საჩიტე (რუს.) ზან. (მეგრ. ქობ.).

ყავღა:

საშ. ქართ. I. *ყავღა* ქსოვილი, სახიანი ჩითი (ვ. დონდუა). დაღისტნით ქართლსა, კახეთსა წაართო ყუმაშ-*ყავღანი* (დ. გურამ. 89, 187, 4).

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ყავღა* 1. (კახ.) შეხედულება, ტანადობა, წარმოსადეგობა. [პატარძალს] თუ რამ *ყავღა* ჰქონდა, ისიც დაკარგა და დუხჭირი რამ წარსდგა ხალხის წინ (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || ახოვანი შეხედულება, კარგი აგებულება. დიდებული სახისა და *ყავღის* კაცი როგორ გასცვალე მეორე ქმარზედ (ანტ. ფურც.). ამბობენ: *ყავღა* ბიჭიაო. 2. შნო, მარიფათი. აქედან ყავღიანი, მარიფათიანი – ი. გრიშ. || *ყავაღა* ტანადობა, გარეგნობა. „ცოტა *ყავაღა*, არ უვარგა, თორე ისე კარგი ბიჭია“ (გ.-კახ. სახლთხ.).

დიალექტ. III. *ყავღა* [თურქ.-სპარს.] ომი, ომიანობა, ჩხუბი, აჯანყება, ჯანყი. „შევშპეთ მტრისა *ყავღაში*, ხელს დევჭიროთ ზირხლი“ (ა. ზეჰ., აჭარ. ნიჟ.). || ჩხუბი, დავა, ომი. „იმას უკან *ყავღა* აღარ ქნილა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). *კავუღა* || *კაბღა* ჩხუბი, ბრძოლა ზან. (ლაზ. თანდ.).

ყაზ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. *ყაზი* მოსამართლე – დ. ჩუბ. || [არაბ.-სპარს. *ქაზი*] ძვ. *ყადი* – [არაბ.] მუსულმანთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე. მოლა სასულიერო წოდების წარმომადგენელია. ჯარის წინ იდგნენ მოლები და *ყაზები* (ა. ფურც.) – ქეგლი.

დიალექტ. II. *ყაზი* [თურქ.] ბატი. „შემწუარი *ყაზი* მეიტანეს ლენგერზე დადებული“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). || [აზერ.] ბატი. საღთაც გინდ, ჰე (ან) ქათამ მიპოვნ, ჰე ქათმი ადგილზე *ყაზ* მემეც (ინგ. ღამბ.). || მამალი ინდაური (აჭარ. ჯაჯან.).

ყაზა:

დიალექტ. I. *ყაზა* [თურქ.] უბედური შემთხვევა, მარცხი. „გზაში *ყაზა* უქნია იმათ არაბასა“ (ინ.); „ესა არაბა *ყაზა* იქნება“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „მაგაჰ ისეთი *ყაზა* გადახდა-რო, ფეხი მოიტეხა.“ (ჯავახ. ზედგ.). „გუშინ ერთ *ყაზას* ძლივ გადაურჩი“. „აი, *ყაზა*, არ დამეხსნები, ბიჭო“ (ჯავახ. ბერ.).

ყაზა მოუხდა მოულოდნელად განიცადა მარცხი, ხიფათს გადაეყარა. მეცოდავება ვალიკოჲ, არ უმართლებს: მაღაზიაში დაიწყო მუშაობა, ამა იქაც *ყაზა მოუხდა* – ფული დაჰკლებია (მესხ. ფეიქრ.). შდრ. ყეზა [არაბ.] მარცხი ხიფათი (აჭარ. ნიჟ., ჩვენ. ფუტკ., კლარჯ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **ყაზა** კაზა ძველი ადმინისტრაციული ერთეული (ახლ. რაიონი). „ესა ჩუენი *ყაზა* არი, შავშეთი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || მაზრა, რაიონი: ჩვენი *ყაზა* ვილაიეთი ბათუმი ყოფილა (მურღული, კლარჯ. ლექსიკ.).

დიალექტ. III. **ყაზა** [არაბ. qazā] საჭმელი. ემ ყორი რო გამიგონავსყე, მასან, ვიტყი: წა, წყალი მაჲტა, ჲა, მასალან, რო ვიტყი: *ყაზა* გააკეთე, რო გააკეთავს, ვიტყი: ელაჰი გაიხაროს შენ გულმა; მეც ზოგჯერ გამამიჯავრდისყე ემ ქეთხუდამა, რო ნარაჰათი შაიქნიყე, ვერ გავაკეთი *ყაზა* (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ.

ყაზალ-ი:

ახ. ქართ. I. **ყაზალი** 1. [არაბ. ღაზალ] ლიტ. ერთგვარი ლექსი, რომლის ყოველი ლუწი სტროფის ან სტრიქონის დაბოლოება ისეთივეა, როგორიც პირველი სტროფის ან სტრიქონის დაბოლოება – ქეგლი. ამბობენ: აბა ერთი კარგი *ყაზალი* თქვიო – ი. გრიშ. 2. აღმ. რომელიღაც ხალხს ეწოდება – ი. გრიშ.

საშ., ახ. ქართ. II. **ყაზალი** ჯეირნის თიკანი (ასე ხსნის ფ. გორგიჯანიძე, გვ. 63) – ი. გრიშ.

არაბულსა და სპარსულ ენებში არის აგრეთვე [yazal]-თან ბგერობრივად მსგავსი – [yazāl] (განსხვავება მოკლე და გრძელ ა ხმოვანშია), რომლის მნიშვნელობებია: ღაზელი; ანტილოპა (ბართაია 2010).

ყაზმა:

დიალექტ. I. **ყაზმა** (თ. kazma) გრძელპირა თოხი. „წააშჳა *ყაზმას* და დაარტყა თავში“ (აჭარ. ნიჟ). „კაი *ყაზმაი* ევღე ჩარში“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). „მაგაჰ ეჰ *ყაზმა'ნა* უთხლიშოს კაცმა თავში“ (ჯავახ. ბერ.). ბოსტანში ქალები ხმარობენ თოხს, *ყაზმას, ყაზმათ* მოთხრიან ხამ მიწას (აჭარ. მრეწ. IV, II, 149). აგრეთვე ი. გრიშ. || წერაქვი (ჯავახ. მარტ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **ყაზმაი** [აზერ.] გომი, საქონლის ზამთრის მიწური სადგომი (ინგ. ღამბ.).

ყათ:

დიალექტ. I. **ყათ** [აზერ.] 1. ფენა, წყება, შრე. წყლი ყბასთან (სათავესთან) ბენდ (ჯებირის) გაქეთევაში ერ ყათ (ერ ფენა) ჟაგს ჰყრიან, ზედაძთი აყრიან ქუას, ჰეემაგრ (აი ასე) ერ *ყათ* ჟაგ, ერ *ყათ* ქუას აყრიან, აკეთევენ ბენდს. 2. ერთი ხელი, ერთი კომპლექტი, ერთი წყება (ტანსაცმელი) 3. ნაკეცი, პლისე, ნაოჭი. ჩემ კაბას *ყათევ* აქ; 4. (ნაწილაკოვანი სიტყვა,

გამოხატავს რაოდენობით რიცხვით სახელებთან ერთად მოქმედების მრავალგზისობას) -ჯერ, -გზის. მეორე *ყათ* მიაყოლა ქონით დასრმაც. 5. -ფა, -კეცი,-მაგი (როგორც რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილები. ერ ყათ ბაწარ (ინგ. ღამბ.). || **ყათი** კეცი, პირი, მაგი (ორმაგი) წვერი. „*ორყათი* ნართით მოვქვსიე წინდები.“ „ეს იამასთან *ათყათია*.“ კეცი, წვერი, *ცალყათი, სამყათი* (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. II. **ყათ** [აზერ.] ფიცარსა და ფიცარს შუა გაყოფის ადგილები; ამ ადგილებში გაჩენილი ღრეჩო, ნახვრეტი, ჭუჭრუტანა. ჩილაქან მაიგდა (გაეჩხირა) ღობი *ყათში* (ინგ. ღამბ.).

ყაიდა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ყაიდა** [არაბ. kaidə] 1. როგორიმე წესი, რიგი, ხასიათი. ახალგაზრდობას თავი ყაბალახით კოხტად წაეკრა გურულ *ყაიდაზე* (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი. საერთოდ: ნირი, ხასიათი, ხერხი. „საქმე *ყაიდაზე’ნა* მოგივიდეს, რომ შენც მოიხერხო“. მაგამ საქმის *ყაიდა* არ იცის და ისრე რაგო’ნა გააკეთოს.“ (ჯავახ. ზედგ.). ◊ **საქმე ყაიდაშია** საქმე კარგად გადაწყდა, საქმეს კარგი პირი უჩანს. როდის აქეთია ვჩიოდით გზიდ გაკეთებასა, რათა ხანია გვითხრა დილექტორმა, საქმე *ყაიდაშიაო* და შენც არ მამიკვდე! (კავთ., ქართლ. მესხ.). აგრეთვე ვ. ბერ. ამყაიდა ამგვარად, იმგვარად (მესხ. ფეიქრ.). შდრ. ყეიდი [არაბ.] (აჭარ. ნიჟ.). 2. მე. დაფა-ზურნის დაკვრის ესა თუ ის კილო, ჰანგი. ჩვენი ჭიანუა ოცდაათი წელიწადი მეზურნეა და ერთ *ყაიდას* ვერ დაუკრავს, როგორც რიგი და წესია! (ა. ცაგარ.) – ქეგლი. „რა *ყაიდასაც* უკრამს, მეც იმ ყაიდაზე ვთამაშობ“ (აჭარ. ნიჟ.); (ჯავახ. ზედგ.). || ყაიდი [არაბ. kaide] წესი, განაწესი, მოტივი, მელოდია. „იმერკვევის *ყაიდები* ამამავალია: ათაბარი, ათომი, აიოსმანი...“ (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ყაიდა** კარის ბაზო. კარის ზემოთა და ქვემოთა ფიცრები არი *ყაიდები*, რაშიც გული ზის (კავთ., ქართლ. მესხ.). ექვსი ცალი *ყაიდა* უნდა კარებს (ზ.-ქართლ. მრეწ. I, 222). შდრ. II. კადა; II. კადონი.

ყაინ-ი:

ახ. ქართ. I. **ყაინი** ყაენი. || **ყაენი** [თურქ. kaan] ისტ. მეფის ტიტული ზოგ აღმოსავლურ ქვეყანაში – ქეგლი.

დიალექტ. II. **ყაინი** [თურქ. kayın.] ცოლისძმა (მესხ. ფეიქრ.). „მემედაი ჩემი *ყაინია*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „*სიძე-ყაინი* რომ გადაკიდულხართ, ხალხიდან არ ქცხვენიან მაიც!“ „გოგოვ, შენი წელი წმინდა, მომიქსუე ჭრელი წინდა; ფეხზე ჩაცმა ძალიან მინდა, შენ ძიაც *ყაინათ* მინდა!“ (დ. კობ.). „მაშინ გულმა გემიწყალდა, თუ შეიყარა *სიძე-ყაინი*“ (ნ. მარი იმერხ: აჭარ. ნიჟ.).

ყალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ყალი** (ფშ.) მარხილის მსგავსად შეკრული ფიცრები თოვლში თივის სათრევად. *ყალებზე* შემჯდარი თივა უვნებლად და უკლებლად მოვიდოდა სახლში უხეტ-მახეტ გზებზე (ვაჟა) – ქეგლი. მოზიდავდენ ქვას ზურგით, თითო-ოროლაობით; ზოგან მარხილით, ზოგან *ყალით* (ფშ. მრეწ. I, 174). *ყალნი* ერთგვარი ციგა (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. II. **ყალი** [თურქ. kal] ოქრომჭედლის იარაღია: ლითონის ჭურჭელი ხარახურის სადნობლად (ქიზ. მენთ.).

ყალა

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ყალა** 1. კოშკი მაღალი – საბა. ოხრად უთქვენოდ ყოველნი ციხე-ქალაქი, ყალანი! (რუსთ. მიმბაძ. 41, 3). 2. [არაბ.] ციხე (ფერეიდ. ჩხუბ.). || **ყალაჲ** [აზერ.] ციხე, ციხე სიმაგრე ან მათი ნანგრევები; მათეჲ ყალაჲ, ურუსი ყალაჲ. 3. ქვით ნაშენი სახლი. ყალას ჰენი (ანუ) *ყალა* სხალს ქუაჲთ და კირით ანაშენევ სახლს ებნევიან (ინგ. ღამბ.). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. || **ყალე** – ციხე-სიმაგრე: „მე ვეძებ *ყალეს*, ვერ მინახია“ (ბუჯური, კლარჯ. ლექსიკ.).

კალე არაბ. [არაბ.-თურქ.] ციხე, სიმაგრე. კალე > ქართ. ყალა („ციხე-სიმაგრე) (წერეთელი 1992: 92). იხ. IV. კალა.

დიალექტ. II. **ყალა, ყალანი** გადასახადი, ბეგარა (გუდ., ქართ. დიალექტ., 574). I. ყალანი.

დიალექტ. III. **ყალა** მოსვლის დრო (?). *ყალა* რას ქვია? მოსასვლელ დროს (ნუსრეთიე, კლარჯ. ლექსიკ.).

ყალამ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ყალამი** [არაბ. კალამ] 1. მხატვრის ფუნჯი (შდრ. კალამი). სახატავად დამზადებული, ჩარჩოებში გაჭიმული ტილო გვერდში ედვა [მხატვარს], ფერადები, *ყალმები* იქვე ეწყო (ნ. ლორთქ.). ◊ **ყალმით ნახატი** იგივეა, რაც კალმით ნახატი. მიგიგავს... თვალ-წარბი *ყალმით ნახატსა* მელნის და გიშრის ტბასაო (ბაჩ.). ახალგაზრდააო ჩვენი მეფე, ყალმით ნახატი (ვ. ბარნ.) – ქეგლი. შდრ. კალამი (ყალამ ZAaBCE, ყალამი D.; გირიჩ B.) (ბალ.) დასაწერი ლერწამი ZA. დასაწერი ჩალა BC. განუმარტავ ია DE. ◊ (ბალ.) (30, 23 გამოსლ.) სუნნელი ლერწამი ZA. სუნელი ლერწამია – საბა. 2. რკინის იარაღი ქვაზე საწერად ან სახეების გამოსაყვანად. || [აზერ.] საჭრეთელი, სატეხი ხეზე სახეების გამოსაყვანად, ან საფლავის ქვაზე ასოების ამოსაკვეთად. დანაჭრევლევ უსტაჲ კორთეჲ დაჭრელევაში ყალამით ჰყრიდა (ინგ. ღამბ.). შდრ. კალამი ქვის მთლელის იარაღი (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. II. **ყალამ** სანამყენე კალამი (ხეხილისა), სანამყენე რქა (ვაზისა) სხო ვაშლით ერ პატრა *ყალამ* შჭრიან, ჭირ ვაშლზე აჟალღევენ (ამყნიან) ვაზი *ყალამ* (ინგ. ღამბ.). ვაზ(ის) ან *ყალამ(ის)* ჩანაყარ წელს

ხშირ-ხშირათ რწყავენ – ანედლებენ (საინგ. მრეწ. IV, III, 88). შდრ. კალამი სოფ.-მეურნ. საბირეზე დასამყნობი ახლად ამონაყარი შტო ხეხილისა. || ხის წვრილი ტოტი, რომელსაც რგავენ მიწაში და რომელიც იკეთებს ძირს – ქეგლი.

კალამოს ბერძნულად ლერწამს ნიშნავს. ეს სიტყვა ქართულში ბერძნულიდან ნასესხები კი არ უნდა იყოს, პირიქით, ადვილი შესაძლებელია თვითონ ბერძნულს ჰქონდეს ქართულიდან შეთვისებული. ასე ფიქრობდა აკადემიკოსი ნიკო მარი, რადგანაც კალამი ინდო-ევროპულ ენებში განკერძოებით დგას, ქართულში კი მას ბევრი მონათესავე სიტყვა მოეპოვება. ეს სიტყვა არაბულშიც არის შესული, იქიდან კი ყალამის ფორმით ქართულში ხელმეორედ არის შემოსული (ჯუმბურიძე 1987: 100).

ყალამა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ყალამა 1. ნაბდის ქუდის შემოკეცილი ნაწილი. და აი ამ შავ დღეში ქუდის *ყალამაში* მქონდა ანბანი დაწერილი სამადლოდ და ამ შავდღით ვისწავლე წერა-კითხვა («დიალ.»). 2. ძვ. ხუჭუჭი კრავის ტყავი (საბა) – ქეგლი. || ყალამო «ბოხოხის ქუდის ძრო» (იმერ. ჟყ.). || ყალამანი, ყალაბანდი ნაბდის ქუდის შემოკეცილი ნაწილი, ყალამა (კახ., ქიზ. მარტ., იმნ.).

დიალექტ. II. ყალამა, ყალამები [არაბ.qalam] წვივი, წვივის ძვალი. ესები *ყალამს* ვეძახით, ჰო, ქენ წივის დაიძახით; ჰა, ეს მეკია და ეჭნობამდი ეს მუკლია. მუკლი, *ყალამა* არი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ.

ყალან-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ყალანი 1. [სპარს.] ღალა, ბეგარა – დ. ჩუბ. || 1. [თურქ. ყალან] ბეგარა. მისი მებრძოლი გაბეგრა, თავს აძევს მათგან *ყალანი* (შჰნ. I, 10, 2). მოსთქმიდეს: „მზენო, სოფელმან ვითარ მოგხადნა *ყალანი*?“ (რუსთ. მიმბაძ. 41, 2). || ძვ. ბეგარა, გადასახადი. მაგაზედ ჩემი ხუთი თუმანი *ყალანია* და, აი, რამდენჯერ მითქვამს და არ მაძლევს (ილია). ასე ამბობენ, რომ სამოცჯერ *ყალნის* გადახდა ხომ არ შეგვიძლიანო (ა. ყაზბ.) – ქეგლი. „*ყალან* აშორე თავსაო“ (მთ., მოჯ., ფშ., ჯ. შან.). აგრეთვე (ჯავახ. ბერ. ინგ. ღამბ). ყალნის მოჯდა ბეგარა, ბეგრის გასტუმრება (ფშ. ხორნ.). 2. „ხიფართი რამე, უბედურება კაცზე“ (ბეს.). „ხვთის *ყალანი* მედო, ხვთის მოცემული იყო შვილი და ისევ ღმერთმა წამართოვო“ (მოჯ. შან.).

დიალექტ. II. ყალანი [თურქ.] ნარჩენი, დანარჩენი. „*ყალანი* ურბა ეიღე“ (მაჭ.); „*ყალანი* ამაში ჩაყარე“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ყალან [აზერ.] დანარჩენი, სხვა. ერთ ოთაღ ჩემი, *ყალან* ოთაღევ ჩემ ზმევისი [ძმებისაა] (ინგ. ღამბ., ქართ. დიალექტ., 624).

ყალაღ-ი:

დიალექტ. **I. ყალაღი** გასაშრობად დაწყობილი წივა კედელივით. ყალაღის თავის მოდგმა ბუნულის, ძირის თივის თავის მოკეთება, მომრგვალება, რომ წყალი შიგ არ ჩავიდეს (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. ყალაღ** 1. ჩალით დახურული სახლის სატკეპნი. 2. ტარი (ბარისა),-ბარი ყალაღ; 3. თოფ-ყალაღის თამაშის დროს ბურთის სარტყამი ჯოხი (ინგ. ჯან., ღამბ.).

ყალაღან-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ყალაღანი** 1. მვ. უშნოდ მაღალი და სუსტი (საბა). 2. (ქიზ.) თამამად აღზრდილი, – ლაღი (ქეგლი). || ძლიერ თამამი. მაან თამამი ბოვში, *ყალაღანი* ბოვში არი უმცროსი (ზედუბანი, ზ.-იმერ. ბოწ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ. || **ყალაღან** ზარმაცი, გაუგონარი (საქონელი) -*ყალაღან* საქონელიავ (ინგ. ღამბ.). შდრ. ყალთაღანი (ქიზ., ქართლ. მენთ.).

დიალექტ. **II. ყალაღან** [აზერ. დიალექტ.] ღიჭა (ინგ. ღამბ., ა. მაყ.).

ყალთაღ-ი:

დიალექტ. **I. ყალთაღი** ცარიელი, უხეივნო ადგილი (ქიზ. მენთ.). **ყალთაღი** თავისუფალი ადგილი, იალაღი. *ყალთაღიანი* – ბევრი მუხები დგას და ქვეშაც ყალთაღიანი ადგილი აქვთ დაფენილი" („მოამბე", 1899 წ., №11, გვ. 35) – ი. გრიშ. || **ყათლაღი** (ფშ.) წვიმამ ტყეში დატანებულს ველებს, *ყათლაღებს*, გორ-გურს ნაზამთრალი ჭუჭყი ჩამოჰბანა (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ყალთაღ** [აზერ. გალთაგ] უნაგირის კეხი (ინგ. ღამბ.).

ყალია:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყალია** 1. ბოღლამო – ჭმელი თევზი მჟავით ZAB. ჭმელის თევზის ყალია – საბა. 2. [არაბ. კალია «მსუქანი ხორცი სანელებლი»] «ღორის ხორცის წვნის ჩიხირთმა» (კირიონი). გაადიდე *ყალიაო*, ნიორი და წყალიაო (ანდაზა). ღორის ხორცის *ყალია* (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. || დოვღაი, ყალიაი საჭმელია ერთგვარი (ინგ. ღამბ.). აგრეთვე: ქიზიყური, მესხური, იმერული – ალ. ღლ. || *ყალია* ხორციანი შეჭამანდია ჭანჭურის ჩირით და ტყლაპით შეზავებული (მესხ. მაის.). ◊ **ყალიოდ მოხარშული** (გურ.) ხახვსა და მარილწყალში მოხარშული (ქათამი) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ყალია** პირობა, ჯერ, გზის. „ერთი *ყალია* მეც ვაპირემდი იქ წასულას" (ჯავახ. ზედგ.).

ყალო:

დიალექტ. **I. ყალო || კალო** 1. ხორბლის გასალეწი ადგილი. „კაცსა ორმოც დღეს *კალო* ვერ უქნია, ქარი ქრის, ორმოც დღეზე ანჯახ ერთი კალო ქნა" (კირქხარმანი). „კალო მაქვა, კეხი მაქვა." 2. ეზო: კარმიდამო იქნება, კალო „იქნება", „ეზოს მურღულმა ბელქი იხმარავს: ეს ბაღნები რომ არ მცილდებიან კალოზე!" (კირნათი, კლარჯ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჯალ- „ლეწვა, ფარცხვა“ → ქართ. კალ-, კალ-ო (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. *ყალო* აყალო. *„ყალო* მიწა ჭურის საგნესათ ქვეიდან მოგვაქ-ხომე!“ (იმერ. გაჩ.). || აყალო ესე არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკვლთა გამრეცხელი – საბა. ◊ აყალო მიწა თიხა, თიხამიწა – ქეგლი.

ყანყალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. *ყანყალი* 1. თრთოლა, ჟრჟოლა სიცივისაგან – დ. ჩუბ. 2. (იმერ. გურ.). 3. ტოკვა, ფამფალი, რყევა. სუფრამ *ყანყალი* დაიწყო (აკაკი). 4. ხეტიალი, ყიალი, წანწალი. ასე უთავბოლოდ *ყანყალი* არ შემიძლია (დ. კლდ.) – ქეგლი. აგრეთვე იმერ. ბერ. || უმიზნოდ, უსაქმოდ სიარული. „სტანციაზე *ყანყალი* არ მოყინჭტა, სულ იქ არი გაბლიხული“ (იმერ. გაჩ.). შდრ. ყანცალი (რაჭ.) სუსტად სიარული («დიალ.») – ქეგლი; ყანტალი (ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. II. *ყანყალი* უვარგისი ძაღლის ყეფა (გურ., იმერ. ღლ). შდრ. ყავყავი, ღავღავი.

ყაპ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ყაპი* იგივეა, რაც ყაპყი, – ახალი, თხლად დადებული თოვლი, – ფიფქი – ქეგლი. || ყაპი, ყაპყი CD მცირე თოვლი – საბა. || ყაპყა-ი ახალმოსული თხელი თოვლი. „ყინულზე მასული *ყაპყი* სამთხილოა, საქონელს ფეკები უსხლტებაკე“ (მოხ. ღუდ.). || ყოპყი ცოტა თოვლი (მთ., თ. შან.).

დიალექტ. II. *ყაპი* 1. წყლის ხავსი. წყალი რო დაგუბდება და ზედ მწვანეი მოადგება (ქართლ. ძიძ., კეცხ. ხუბ). 2. ყაპყი, ობი. ჭაჭა ქვევით დაიწევს... სარქველი *ყაპს* იკიდებს, ამას მოცლა უნდა (ქიზ. მრეწ. IV, III, 80). || ყაპ 1. ობი, ფორი. 2. მძაღე, გაფუჭებული, დაობებული. ყაპ კაკალ (მძაღე კაკალი) (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. III. *ყაპი* ქვა, ხელით აღებული რისამე დასარტყამად (ლეჩხ. ალავ.).

ყაპყაპ-ი:

დიალექტ. I. *ყაპყაპი*, *ყაპო* ღაბაბი. *ყაპყაპი* აქ ქათამს თავის ქვედა ნაწილში, ნისკარტის ქვემ ბიბილოს შორის, იგივე ღაღაბია (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ. შდრ. ყაპო (იმერ.) ღაბაბი. [ქალს] ყაპო ჩინჩახვივით ეკიდა (რ. გვეტ.) – ქეგლი. || ყაყაპო || ყიყაპო(ზ.-იმერ. წერეთ.).

სამ., ახ. ქართ. II. *ყაპყაპი* (ფრინ.) (ჰ)ურიის ყვავი – საბა. || [Coracias garrulus] ზოოლ. სამუალო ზომის ფრინველი ყაპყაპისებრთა ოჯახისა; შემოსილია მომწვანო-ცისფერი, მოყვითალო-მურა და სხვა ფერის ბუმბუ-

ლით; სპობს მავნე მწერებს – ქეგლი. ჯორცისმჭამელნი: *ყაჯირი, სუავი, ორბი... ყაჰყაჰი* (ქ. ცხ. IV, 42, 17).

დიალექტ. III. **ყაჰყაჰი** ჩახლეჩილი ხმით ყვირილი. „წუხელ ვერ გეიგონე? მელიეს ლეკვი თელი ღამე *ყაჰყაჰობდა* ეგერ ტყეში“ (საჩ. შარაშ.). აგრეთვე ლეჩხ. ჩიქ.

ყარ-ი:

ახ. ქართ. I. **ყარი** ქართული ანბანის ოცდამეოთხე ასოს სახელწოდება (ყ) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ყარი** [არაბ.qār] იგივეა რაც ქობი, გამოქვაბული. მართყოფჩი ერთ *ყარია*, ქალების ქობი ჰქიან (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ.

დიალექტ. III. **ყარი** [თურქ.] ცოლი, ქალი. „ჰერალდა *ყარია* მისი“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

ყარა:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ყარა** შავი – საბა. || [თურქ.] შავი. „ინსანი ღამაზი არნა იყო, გული *ყარა* არნა ქქონდეს“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **ყარა ფულ** იგივეა, რაც ვარშავი თეთრ-შავი ფული სპილენძის ფული (ინგ. ღამბ.).

საშ. ქართ. II. **ყარა: ყარა არუგ** [თურქ.] **კვინჩხი** ხე DE.; მამუხ DE.) – საბა.

დიალექტ. III. **ყარა: ყარა მალაი** „კვლებში გაშვებული წყლის შერევა გაფხვიერებულ მიწასთან და ატალახება“ (ინგ. ღამბ.). წყალში ხნავენ და ბორტოს, ანუ [თურქ.] *ყარას* ჰკუწენ, ჰშლიან (საინგ. მრეწ. IV, II, 172). აგრეთვე **ყარაი დაკუწაი** მიწის ბელტის გაფხვიერება [გიგ., თოფ., ქავთ.] (ინგილ.). **ყარაი დაყრაი** ა) ჰაჩიჩით კვლების გავლება; ბ) საფლავის ქვაზე წარწერის გასაკეთებლად ასოების წინასწარი მოხაზვა (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. IV. **ყარა** პირვანდელი მდგომარეობა. „ნაჯახი პეტერას ეირია, მარა მის *ყარაზე* დადგება მალე“ (საჩ. შარაშ.).

ყარაო:

დიალექტ. I. **ყარაო** 1. ცხვრის ავადმყოფობა ერთგვარი (ჯავახ. ზედგ.). || დიდი შიმშილი. ყარაო ეცაო – დაიმშაო (ა. შან.). || შიმშილისაგან ცხვარს უჩნდება ავადმყოფობა (ფშ. ხორნ.). || *ყარაო* მსუქან ცხვარს უფრ მარჯვედაც (ადვილად) შჩინდებ, ის უფრ ვერ იტანს შიმშილს; **ყარაოცემაი** (ყარაო ეცემ) დამშევა, შიმშილისაგან გამგელება. *ყარაო გეცათა*, ქა, პატას ვერ მიჯჭივრებთაი? *ყარაო ნაცემებსავით* მოხვდნენ თივას (თუშ. ცოც.). || ყარაოს ცემა გასუქებული ცხოველის უცებ შიმშილით დავარდნა. „წინდაუხედავად მაიქცა ლადაი. ნამთევი ცხორი გალოკილ მინდორჩი მაახვედრა და შიმშილით *ყარაონაცემი* ცხორი გაწყვიტა“ (მოხ. ღუდ.). 2. გადატ. ჯანი,

ძალ-ღონე. გალახული ადამიანი რო იქნება, დასუსტებული, იტყვიან, *ყარაო* აქ გამოცლილიო (წვ.); *ყარაოც* გამოცლილი მაქ და ჩინიცა (ძეგ., არად., ღვარ.). გადატ. **ყარაო აქვს ამოსული** (თვალებში) თვალები დაეღალა, თვალი დააკლდა. უძილობითაო *ყარაო მაქ ამოსული* თვალეფშიაო; აქვე ყარაოგაცლილი (ბრონწლ., ქართლ. ლექსიკ.). || გადატ. „შურისაგან თვალში *ყარაო* ამოუვიდა“ (ხალხ.) – ი. გრიშ.

დიალექტ. **II. ყარაო** კვაწარახი (მახ., გურ. ჯაჯან.). შდრ. ყორავა [თურქ.] მჟავე ტყემლის ან კოწახური წვენი, მოდუღებული (ჩვენ. ფუტკ.). „ვაშლიდან *ყორავას* მოვადუღებთ, გაათხელებ, სუამ“ (დაბაწ. შავშ. ლექსიკ.). აგრეთვე: გურ. მრეწ. IV, III, 65; ინგ. ღამბ.

ყარღო:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყარღო** (ფშ.) ხის ქერქის ჭურჭელი (მინდვრის ხილეულის საკრეფად), – ხოკერი (ქეგლი).

საშ., ქართ., დიალექტ. **II. ყარღო** ლერწამი, მცენარეა (კახ. ა. მაყ.). ყარღოჲ ლერწმის სქელი და მაგარი ღეროები. *ყარღოთ* მოსაქრებებს აკეთებენ, საბატკნეში აგებენ (თუშ. ცოც.). *ყარღან*-ავშანს უთიბამენ საზამთროდ (ქიზ. მრეწ. IV, I, 21). შდრ. ლერწამი [თურქ.] **ყარღუ ZAaBE, ყარღო C**, [კმიშ] – საბა.

ყასანჯ-ი:

დიალექტ. **I. ყასანჯი** ბარდებში გაკეთებული ბუნაგი ცხოველისა (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. **II. ყასანჯი** ბუნწი ადამიანი (ქიზ. მენთ.).

ყაფა:

დიალექტ. **I. ყაფა** [თურქ.] თავის ქალა. „ამას აპერაცია გაუკეთეს, *ყაფა* ახადეს თურმე“ (ჯავახ. ზედგ.). რას გადარჩებოდა საწყალი, *ყაფა* მოუხდიათ ერთიან (მესხ. ფეიქრ.). || [არაბ.] თავი. „*ყაფა* აღარ მახსოვს“ (ად.); „*ყაფა* აღარ საქმობს“ (იმ.); „ერთი ლუკმა ბაღვმა *გაარტყა* ყაფაზე“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. ყაფა** არამკვიდრად მიკრული ტვირთი... „ამ ცხენს *ყაფა* ჭვირთი აქ, თვარა იმდენი მძიმე კი არაა“ (გურ. შარაშ.). იხ. III. ყაბა.

ყაფან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყაფანი** [არაბ.] ძვ. ბაზრის დიდი სასწორი. || ადგილი, სადაც ასეთი სასწორი იყო გამართული (ბაზარში). თათრის მოედნის შუაგულში ამართული იყო *ყაფანი* (ი. გრიშ.). *ყაფანში* თავმოყრილი სოფლელები ჩაის ჭიქებით სვამდნენ ღვინოს (პ. ჩხიკვ.). იუსტინე... გაემართა *ყაფნისაკენ*, სადაც მას ტიტიკო ელოდებოდა (ა. ბელ.) – ქეგლი. ||

გადახურული ადგილი ბაზარში, აქ სასწორი დგას მყიდველ-გამყიდველნი საქონელს წონიან ქირის გადახდით. „მე *ყაფანთან* ვიქნები, სიმიდს რო ყიდიენ, იქ მოდი და ერთათ წევიდეთ სახში, რო აგრილდება“ (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. **II. ყაფანი** [თურქ.] მახე, ხაფანგი. „*ყაფანი* მუუწყეს დათვსა ყანაში“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ვ. ბერ. სალიტ. [თურქ. kapan] ხაფანგი (გურგენიძე 1973: 136).

ყაყაჩო:

სამ., ახ. ქართ. **I. ყაყაჩო** (პაპავერ B.; ლალა ZAaBCDE.; პუტ ZAaBCDE.) (ბალ.) – საბა. || გარეული ხაშხაში. აქვე ყაყაჩოვარა მცენ. შავი ხაშხაში, ყაყაჩოვარდა, ყაყაჩორა, ყაყაჩო ჭრელა, ყაყაჩო ტყისა რქიანი – დ. ჩუბ. || [Papaver] ბოტან. წითელყვავილა მცენარე; ყვავილი მსხვილი აქვს, თითო-თითოდ განლაგებული, ხშირად ფურცლებხალიანი; იზრდება ყანებში, მშრალ ადგილებსა და ბალახოვან ფერდობებზე. ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია, ყმაწვილსა კარგი სწავლითა სახლი გაუხარებია (ხალხ.). ნუშო, კოკორი გახსენი, ყაყაჩოვ – შავი ხალები (გ. ლეონ.) – ქეგლი.

ყა-ყაჩ-ო < *ყაჩ-ყაჩ-ო: შდრ. არაბ. [სპარს. ხაშ-ხაშ] ხაშხაში, ღაჟღაჟი (შანიძე 1980: 150).

დიალექტ. **II. ყაყაჩო**: **ყაყაჩო ღამეი** კაკაჩ ღამეი, კაკაჩ ნათელი, მთვარიანი ღამე. კაკაჩ ღამეის (|| *ყაყაჩო ღამეის)* – ამბოვენ, რახანც ლამაზ, თორიან ღამეის (კაკაჩი ღამეა || ყაყაჩო ღამეა – ამბობენ, როცა კარგი, მთვარიანი ღამეა) (ინგ. ღამბ.). გაყაყაჩვებული განათებული, ნათელი. „გაყაყაჩვებული ღამეა, დღესავენ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ლ. კელაურაძემ ამ სიტყვისათვის აღადგინა *ყაყაჩ- არქეტიპი. მისი მნიშვნელობა „მზის, მთვარის ნათება“ უნდა ყოფილიყო (კელაურაძე 2018: 37).

ყაშ-ი:

დიალექტ. **I. ყაში** ყაიში (მამ. ჯუმ.) ქამარი ტყავისა (გურ. ჯაჯან.) || დანის პირის ასაწყობი, ასალესი ტყავი (ვ. ბერ.). შდრ. ყაიიშ [აზერ.] მსხვილი თასმა გუთანში (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **II. ყაში** კურტნის ჩონჩხი (ჩარჩოსებრი), რომელშიც კურტნის რბილი ნაწილია დამაგრებული (იმერ. გაჩ.). || კეხის შესაერთებელი ხე, სადაც ტვირთი იკიდება. „ამ ოხერმა ჯორმა (ვირმა) სუ დაამტვრია *ყაშები*, კეხი გადმოუგდია“ (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. **III. ყაში** წარბი [თურქ.] ყაშ, ყაში – საბა. ყაშ [აზერ.] წარბი (ინგ. ღამბ.).

ყაჩაღ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყაჩაღი** 1. აბრაგი – დ. ჩუბ. || [თურქ. კაჩაკ «გაქცეული», «გავარდნილი»] შეიარაღებული თავდამსხელი, მძარცველი, ავაზაკი. გზაზე *ყაჩაღები* დახვდნენ, გაძარცეეს, დასჭრეს თავები

კაცებს და დაყარეს (ზღაპ.). ორპირის მახლობლად *ყაჩაღები* ერთ მოსახლეს დასცემოდნენ და ოჯახის პატრონი მოეკლათ (გ. წერეთ.). || გადატ. მომალადე, თავდამსხმელი, დამპყრობი. 2. ექსპლოატატორთა ხელისუფლების უკმაყოფილო და მის წინააღმდეგ ტყეში გაჭრილი, გავარდნილი პირი. [ზაქრო!] ნუ მარცხვენ *ყაჩაღს*, გამეცა, წადი (ილია). კაკო *ყაჩაღთან* ერთადა მოსთქვამენ გლეხის შვილები (ვაჟა). 3. მოფერ. გადატ. ანცი, დაუდეგარი. ნამდვილი *ყაჩაღია*, მთელ სახლს თავის ნებაზე ატრიალებს ეს ცინდალი, – თქვა მოხუცმა (ს. კლდ.) – ქეგლი. || გაქცეული, დეზერტირი, კანონგარეშე მყოფი. „მემრე ერთ წელიწად *ყაჩაღი* მივალთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ყაჩაღანი მამაცი ადამიანი – დ. ჩუბ. შდრ. საშ., ახ. ქართ. ყოჩაღი ვაჟკაცი შემმართებელი;ყოჩაღ შორისდ. იხმარება მოწონების, წახალისების გამოსახატავად, – ბარაქალა! – დ. ჩუბ., ქეგლი.

დიალექტ. **II. ყალჩაღი, ყაჩაღი** კოპით დაწნული და სახეებად ნაკერი გუდა მწყემსისა (ქიზ. მენთ.). || **ყალჩაღი** პატარა გუდა (საგზლისთვის) (თუშ. შან.).

ყელემ-ი:

დიალექტ. **I. ყელემი** [არაბ.] საწერ-კალამი, ფანქარი „ღმერთმა *ყელემით* წერვა დაგასტავლა“ (ინ.); „აჭარიდამ არი გადმოტანილი *ყელემები*“ (იმ.); აქვე ყალემი [არაბ.] ფანქარი, კალამი. „ყალემი არ გაქ კაი, აურუფალი ყალემი კაია“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „მუდამ ლექსების თქმაში ვარ, სულ *ყელემის* ქანებაში“ (აჭ. ხ. პოეზ., აჭარ. ნიჟ.). იხ. I. ყალამი.

დიალექტ. **II. ყელემი** სანამყენე კვირტი, ნორჩი ტოტი. „ამ სხლის *ყელემები* მემლექეთიდან მუუტანიან“ (ჩვენ. ფუტკ). „პანტა ვაშლი გადავჭარი, შდან ჩავასე *ყელემიო*; რა დედამაც შენ გაგზარდა, უუყვავდეს ხელებიო“ (აჭარ. ნიჟ.). იხ. II. ყალამი.

დიალექტ. **III. ყელემი** ნაგებობიდან (სახლიდან) კვამლის ამოსასვლელი, – საკამლე. „ბუხარში ცეცხლი ავანთე, – ფუტი გევდა *ყელემში*“ (აჭარ. ნიჟ.). || ბუხრის საკვამური, კვამლის ასასვლელი. „ყელემი გამოჭვარტლული იქნება, გათემიზება უნდა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

ყერო:

დიალექტ. **I. ყერო** ზმ. ყორე, ქვის კედელი. „არ გადავარდე *ყეროზე*“ (რაჭ. კობახ., რაჭ. ძიძიგ.). || **ყორე** (რაჭ.) «ქვის ღობე» («დიალ.») – ქეგლი.

ყერო < ყორე. ყორე ს.-ქართვ. *ყორ-(ე) „ყორვა, ყორე“ > ქართ. ყორ-, ყორ-ე : ზან. ყორ-: სვან. ჴუილ-ა (< *ქორ-ა) (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ყერო** 1. ძვ. «მსხვილი ძელი (ხე) აღმა დასობით მოვლებული» (საბა). 2. (ზ.-იმერ.) ლურსმნის მსგავსი რიკი ჭიშკრის საკეტად («დიალ.») – ქეგლი. || კარის ან ჭიშკრის დასაკეტი ხის პატარა სწორკუთხედი ნაჭერი, რომელიც შუაშია მხოლოდ ლურსმნით დამაგრებული. მისი გადაწევა-გადმოწევით იღება და იკეტება კარი თუ ჭიშკა-

რი. *ყუროია* დაკეტილი, გამოყავი ხელი და გააღე (ბერეთისა). || ურდული. საღორეს გოუყარე *ყუროი?* (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.). ზოგ *ყუროსა* სახელურიცა აქ, ისიც ხისაა (შინდ.); აგრეთვე სურ. (ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: ზ.-იმერ. წერთ., აჭარ. ჯაჯან. 3. ღერო, რტო, ტოტი (ჯავახ. ზედგ.). „ეს სხვილი *ყერო*, ეს წმინდა ყერო, ბითავაძხე“ (ნიოლ., შავშ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ყერ- „ყერო; კოშკი; წალო“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. III. **ყერო** 1. „კისერი მაღლა რო უჭირამ და იყურება, იმას ეტყვიან“ (თონ., დვალ., ღოლოვ. ქართლ. მენთ.). 2. გაშტერებული კაცი (ღოლოვ., ფარცხ.). 3. მოხეტიალე კაცი (მარაბ., ქართლ. გაჩ.). 4. ყერყეტი. *ყერო* არი ჩერჩეტი ადამიანი (დ. თონ., ქართლ. ლექსიკ). იხ. I. ყერყეტი.

ყერყეტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ყერყეტი** (იმერ.) ყეყეჩი, სულელი, ჩერჩეტი, შტერი – ქეგლი. || ყერყეტა (იმერ.) «უთავბოლოდ მოსიარულე ადამიანი» («დიალ.») – ქეგლი. შდრ. ყეყეჩი, ყეყეჩა სულელი, ჩერჩეტი, შტერი – ქეგლი.

ყერყეტის ადრინდელი სახეობა, ცხადია, *ყერ-ყერ > *ყე--ყერ > ბე-ყერ (გაორმაგებულია ძირი ყერ. შდრ. ყერი || ყეჩი (გურ.) – შტერი, ჭყ.; (ერთელიშვილი 1980: 194). იხ. III. ყერო მნიშვნ. 4.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ყერყეტი** (რაჭ.) კისერმოქცეული, კისერა – ქეგლი. შდრ. III. ყერო.

ყვანჩალა:

ახ. ქართ. I. **ყვანჩალა** საუბ. კნინ. ყვავი. ყვა, ყვა, *ყვანჩალა*, აქ რამ მოგაჩანჩალა (ხალხ.). რა გნებავ, ნეტა, *ყვანჩალავ*, რადა მკბენ ჩუმა-ჩუმადა? (ბაჩ.) – ქეგლი. შდრ. ყვავი [Corvus] ზოოლ. საშუალო სიდიდის ფრინველი ყორნისებრთა ოჯახისა – ქეგლი.

მ. ჩუხუამ ამ სიტყვისათვის მიუთითა არქეტიპი ს.-ქართვ. *ყუ̈ე̈უ̈- „ყვავი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ყვანჩალა** [Stachys silvatica] ბოტან. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა ოჯახისა; მუქი წითელი ყვავილი იცის; იზრდება ტყეებსა და ტყისპირებში – ქეგლი. || სარეველა ბალახია, – დაჯირა (რაჭ. კობახ.). შდრ. ყვანცალა ბალ. – საბა.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ყუ̈ანც-ალ- დაჯირა (ჩუხუა 2017).

ყვიც-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ყვიცი** სიყვითლე. ყვიცი სჭირს – ქეგლი. ყვიციანი «ყვითელფეროვანი» (საბა). ყვითელო ვარდო, *ყვიციანს* ხომ არ გეძახიან შენი დობილები? (ვ. ბარნ.). ემაგ *ყვიციან* სახადის ანგელოზზე გამცვალე რაღა, ვაჟბატონო? (ნ. ლომ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუა ქართულ ყვიც-ს უდარებს ზან. (მეგრ.) ცვანჩი-ს „ყანყრატო-გამობერილი“, სვან. ყუიჩ „ჩიჩახვისებური გადიდება“ და აღადგენს ს.-ქართვ. ძირს *ყუეც- „სიყვითლე ფარისებრი ჯირკვლის გადიდებისაგან“ (ჩუხუა 2018: 102).

დიალექტ. II. ყვიცი (ლეჩხ.) «ნატვრით გულის შეწუხება» (მ. ალავ.). უზიარე, მარტო რო იყლაპები, *ყვიცი* წოუვიდა ი ბოშს (მ. ალავ.) – ქეგლი.

ყიალ-ი:

ახ. ქართ. I. ყიალი ყრანტალი. მშიშარა შეუშინდება ყორანთ ჩხავილს და *ყიალსა!...* (ი. ევდ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ყიალი უსაქმოდ სიარული, – ხეტიალი. [ანდრიამ] ქუდი დაიხურა... და... ქალაქში დაიწყო *ყიალი* (ი. ეკალ.). [არსაკიძემ] მთელი სიცოცხლე სხვის ქვეყნებში *ყიალსა* და უსაზმნო შრომაში დალია (კ. გამს.) – ქეგლი. აგრეთვე იმერ. ვ. ბერ.

ყილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ყილა (მოხევ.) ურემზე თივის, ძნისა და მისთ. დასამაგრებელი გრძელი ხე – ქეგლი. შდრ. ყელა აჩაჩის, გუთნის, ჩარფანის მოხრილი ნაწილი რომელზედაც მიმაგრებულია ქუსლი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. ყილაი [თურქ.] მოკლე ბეწვიანი (მოკლეყურა) მატყლი, ჯაგარის მსგავსი მატყლი. „მატყლი *ყილაიც* იქნება“ (ჰ., ჩვენ. ფუტკ.). || ყილ [აზერ.] თხის სქელი ბალანი, გაპარსული (ინგ. ღამბ.).

ყინტორ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ყინტორი «წყაროს ყინული» – საბა, ქეგლი. || წვეთის ყინული (საბა). იხ. III. ყინტორა.

დიალექტ. II. ყინტორი უკადრისი, ამპარტავანი. „ეეგ ბაინდური მეტაცი *ყინტორი*, ისთაც გრცარ, არც კი მრცხედ“ (თუშ. ხუბ.). იხ. II. ყინტორა.

ყინტორა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ყინტორა მცენ. ღიმა – დ. ჩუბ. || [Chaerophyllum] ბოტან. ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა; ღერო ღრუ აქვს, ყვავილი თეთრი, ქოლგად შეკრებილი, ნაყოფი მოგრძო; იზრდება ტყისპირებში, ღობის ძირებში, ზოგჯერ ნათესებში; სოფლად მის უმ ღეროს ჭამენ. მაჩვი მადიანად შეექცეოდა მრავალძარღვასა და *ყინტორას* (თ. რაზიკ.). მიხაკო ბევრჯერ სამი-ოთხი დღე მშიერ-მწყურვალი იყო ხოლმე და ძირხვენით ან *ყინტორით* იკვებებოდა (მელან.) – ქეგლი. || **ყინტორაყ** თამამად ნაზარდი მცენარეული, უპირატესად ბოსტნეული და საჭმელი ველური ბალახი. „კაი ყინტორაც მამლებ ამოსრულ აფთარაულის ყანის ბეჭში (თუშ. ცოც.). აგრეთვე: ინგ., კახ. ალ. მაყ. **ყინტურა** ყელწვრილი, მცენარე ერთგვარი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ყინტორა** ამაყი, თამამი პიროვნება. ეგ ღაღალაყან ხო *ყინტორაყნი*, დიდსიტყვაყნი (თუშ. ცოც.). || „კაცი მაღლა-მაღლა რო იწევს, იბერება“ (თონ., დვალ., ღოლოვ.); გაიყინტრება საუბ. გაიბერება „გაიფხორება“ (ღოლოვ., ქართლ. მენთ.). იხ. II. ყინტორი.

სამ., ქართ., დიალექტ. III. **ყინტორაჲ** ძალიან ცივი წყაროს წყალი. „მზე რომ დააჭყერდა კარქა, ჩთილ ადგილს მოვებნიდით, ცოტაზე წავჭამდით და იქავენ *ყინტორას* დავაცხრებოდით“ (აჭარ. ნიჟ.). „ეგერ დოქში მაქ წყალი, ცივია *ყინტორასავით*. შეი და გამეიტანე!“ (საჩ. შარაშ.). || ყინტარო (გურ.) მეტად ცივი წყაროს წყალი (ქ. ლომთ.) – ქეგლი.

ყინტორია:

დიალექტ. I. **ყინტორია** კისეწაგრძელებულ. ყინტორია ქათამი – უბუმბლო კისრიანი ქათამი (მამ.-ჯუმ., გურ. ჯაჯან.). შდრ. ყელყინჭორა (მესხ. ფეიქრ.). ყინწორა (ლეჩხ.) კისერმაღალი (ადამიანი) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ყინტორია** ცივი. ყინტორია წყარო – ძალიან ცივი წყაროს წყალი (ბახ., გურ. ჯაჯან.). იხ. III. ყინტორა.

ყირათ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ყირათი** ლიტრა – საბა. || ყირათა წონა (დ. ჩუბ.). || [არაბ.-ბერძ.] წონის ერთეული ძველ საქართველოში, უდრიდა დაახლოებით 0,189 გრამს, – კერატი. «კერატი» ანუ «ყირათი» ძველი საზომის სახელია (ივ. ჯავახ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ყირათი** [თურქ.] ლეგა, ყომრალი ფერის მუქი-მოწითალო წინწკლებიანი ცხენი. „ავჰკიდებდით *ყირათ* ცხენს სასელა სხალს და გავჰსწევდით არდაჰან[ს] ბაღი – ყველის ჩამოსატანათ“ (აჭარ. ნიჟ.). || [თურქ.] მოთეთრო ფერის, ლეგა ფერის ცხენი. „ბაბამ *ყირათი* კვიცი მეიყუანა“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ყირხლუღ-ი:

დიალექტ. I. **ყირხლუღი** (თურქ. kırkılık) ცხვრის საკრეჭი მაკრატელი. „ცხუარსა *ყირხლულით* გავკნაჭავთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ყირხლუღი** (თურქ. kırklık) ორმოცი ნაწილისაგან შემდგარი) ქვიანი ადგილი. „ჩუენი ადგილი ფენა *ყირხლულია*“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ყიყვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ყიყვი** 1. ჩიყვი. ქარების გარდა [ივანეს] კისერში აგრეთვე სჭირდა... *ყიყვი*, ნიშანი გადაშენებისა (ჭ. ლომთ.). ცხვირგასიებული [გოგლია] დაშვერილი *ყიყვით* ღრიალით... გასწევდა ხოლმე დედისკენ (თ. რაზიკ.) – ქეგლი. „*ყიყვი* ბილა გამუუყუანა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: ქიზ. მენთ., ქართლ. ლექსიკ., თუშ. ცოც., ჯავახ. ზედგ., რაჭ. კობახ., ზ.-იმერ. ბოწ. 2. აბრეშუმის ჭიის სენი (ქიზ. მენთ.). 3. ფშ. ჩინ-

ჩახვი. (ჩხიკვებს) აუფხორიათ ქოჩორი, ჩამოუშვიათ ყიყვები (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. შდრ. || ყიყუ: ადგილ-ადგილს ჭათა შინა არს ჭია, რომლისა წყლის სმით გამობერ ავს ყელსა, და დაეკიდების კაცსა და ქალსა, ვითარცა პარკი დიდი. უწოდებენ *ყიყულს* (ქ. ცხ. IV, 774, 9). ყუყუ, ყუიყუ, ყუიჩ ჩიყვი (სვან. თოფ., ქალდ.).

ყიყვი რეგრესული ასიმილაციის შედეგს უნდა წარმოადგენდეს. ყიყვი < ჩიყვი (სანიკიძე 1976: 73). მითითებულია ს.-ქართვ. *ყიყუ- „ჩიყვი" → ქართ. ყიყვ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. ყიყვი (გურ.) ყუა, ბოლო. „საქმე *ყიყვზე მიგიყენებია*" (გურ. ფოლკ. ღლ. 181). ◊ ყიყვზე მიყვანა დამთავრებამდე საქმის მიტანა. „ბეური ინწვალა, მარა აი ძნელი საქმე *ყიყვზე მიაყენა* –ხურვას მალე დეიწყებს" (ნაგ.); ◊ ყიყვზე მიყენებული რაც მალე დამთავრდება, ცოტაღა უკლია დაწყებული საქმის დასრულებას (ჩოხატ., გურ. ჯაჯან.).

ყლანტ-ი:

საშ. ქართ. I. ყლანტი ძვ. «წყალში კენჭის ჩაგდების ხმაა» (საბა).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ყლანტი (იმერ. გურ.) წვეთი. მომაშორე, დამახრჩო, ხომ გაქვს სისხლის *ყლანტია* (ხალხ.). კაი ახლა, დაგვალევიე ერთი *ყლანტი*, – ჩაერია ლაპარაკში მინაია (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. || ყლამტი: „ერთი ყლამტი ღვინო არა მაქ" (გურ. ჯაჯან.). შდრ. ყლაპი ყელში საჭმლის, სასმლის ერთგზის ჩაშვება – ქეგლი.

დიალექტ. III. ყლანტი შიმშილით გვერდებჩავარდნილი პირუტყვი, დამშეული. „მეიყუანა *ყლანტი* საქონელი!" (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. ყრანტი.

ყმედ-ი:

დიალექტ. I. ყმედი ახალგაზრდა, ბავშვი. „*ყმედი* ვიყავი და მეტი არ მესმოდა თვარა კი ვისტავლიდი რაცხას" (გურ. ჯაჯან.). ყმედი იგივე უნდა იყოს, რაც ძველსავე ქართულში გამოვლენილი ყრმა || ყმა „წული", ჭაბუკი, მონა, ქალი, ვაჟი, „მართუე". აქვე ყრმედი „დედაკაცი, ქალი" (ილ. აბულ.). ყმ-ედ-ი: ძირი ყმა || ყრმა. არქეტიპი ს.-ქართვ. *ყამ-ა „ყმა, ბავშვი, ბიჭი" → ქართ. ყმა → || ყრმა (ჩუხუა 2000-2003). -ედ სუფიქსი.

დიალექტ. II. ყმედბ ყბედი, ხუმარა, ანგალი. *ყმედ* კაც იყვის, იმის უთქმელაცი-დ უჭნელაც კი არა იცვის (თუშ. ცოც.). || ყბედი, მოლაყბე. ყმედობ-ს ყბედობს, ლაყბობს. (რაჭ. კობახ.).

ნათელია, რომ ყმედი < ყბედი „უდარესისაგან უშვერი პასუხის მიცემა" (საბა). ყბედი ძველსავე ქართულში დასტურდება. მისი ამოსავალი ფუძე უნდა იყოს საერთო ქართველური სიტყვა ყბა „ღაწვი". -ედ როგორც I. ყმედთან აქაც მქონებლობის გამომხატველია სუფიქსია.

დიალექტ. III. ყმედბ ბლიერ დიდი აღმართი. ლეკთვაკის ძირით დაწყებულ მაღლ ვირების საფლობამდ, მთელ ის ყმედ გორი გომეწრელთ მელთკუდაყრ (თუშ. ცოც.). შდრ. კმედო (ქვ.-იმერ. ვ. ბერ.), კმეჯო (ლეჩხ. ჩიქ.), კოდმე (გურ. ჟღ.).

ჩვენი აზრით, აღნიშნული დიალექტიზმებისათვის სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებით ამოსავალი უნდა იყოს ძველ ქართულში დადასტურებული კბოდე, კმოდე „კლდით კერძო“ (საბა). შდრ. „მიიმართა... კბოდესა მას ზღუად (კლდით კერძო ზღუასა C)“ (მრ. 15, 13). „კმოდეთა და ჰევთა განითხინა და ისხნეს დამუსრვილნი“ (Sin-11, 356v) – ილ. აბულ. ვფიქრობთ, რომ ყმედი < კმედო კ და ყ-ს მონაცვლეობით, კმოდე კი < *მკოდე-საგან მეტათეზისით უნდა მიგვეღო (ეს სიტყვა გ. ცოცანიძეს „თუშური დიალექტის ლექსიკონში“ წარმოდგენილი აქვს „ხუმარის, ანგალის“ მნიშვნელობის სიტყვასთან ერთად და როგორც ჩანს წარმომავლობით „ყბას“ უკავშირებს).

ყოდალ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ყოდალი** სამფრთოსანი, უპირო, წვერმრგვალი ისარი (საბა), – კოდალი (ქეგლი).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ყოდ-ალ „შვილს-ისარი“ > ქართ. ყოდ-ალ-ი > || კოდ-ალ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ყოდალი** 1. კომბალი, დოლის ჯოხი; 2. დაბალი, მსუქანი, მაგრამ მოქნილი ტანის მქონე, მოძრავი პიროვნების ეპითეტი. „დავლი *ყოდალი* პაწაი, ერთი რამდენ ჰალშია, ხედავ?!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ყოდალაი (მთ. შან.).

ყოლ-ი:

დიალექტ. **I. ყოლი** 1. ნათესის, ხნულის კვალი. 2. ცხვრის გასარჩევად მოხმობა. *„ყოლე, ყოლე, ყოლე!“* წადით ცხვრებო თავთავის კვალზე (ჯავახ. ბერ.). || მხარე, მიმართულება. „აგერ ამ *ყოლზე* წადი და მიხვალ იქ“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. ყოლი** ყოველი. *„ყოლ* ქედის სახელი სხუა არი“ (ტ.); *„ყოლი* ინსანი სიბერისკენ მივა“ (თ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი (ვეფხ. 306, 1). ყოველი განსაზღ. ნაცვალსახ. «სრულიად უკლებელი» (საბა), მრავალში თითოეულად ყველა, ყველაში თითოთაგანი – ქეგლი. || ყოლა ყველა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). ყოლი < ყოვლი < ყოველი. არქეტიპი *ყოულ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **III. ყოლი** 1. [თურქ.] ხელი, სახელურო. „კიბეს *ყოლი* აქ გაკეთებული, რომე ბაღვებმა არ გადავარდენ“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). კარს ექნება *ყოლი* (კოლი) ნაჭრელებით და რაზი (აჭარ. მრეწ. I, 415). 2. [თურქ.] სასიმინდეს დირეების დასამაგრებელი გვერდის ხეები. *ყოლი* ერთი ბოლოთი ჩასმულია ქოსტეებში, მეორეთი-დირეში; ოთხ დირეზე სულ რვა *ყოლს* უკეთებენ (აჭარ. ნიჟ.). || (კოლი) – ბასკა. ყოლის გადადება ჯამბრის ან ჭაპნის გადაწევა უღლის ცენტრიდან ღონიერი ხარისაკენ,- ტოლის დადება (აჭარ. ნიჟ.).

ყოლა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყოლა** 1. ქონება სულიერის ნივთისა – დ. ჩუბ. კუთვნილება, ვისთანმე (რასთანმე) არსებობა (სულიერი, ცოცხალი არსებისა). მე და შენ სიხარული სხვა რა გვექნება, თუ არა შვილის *ყოლა*? (ილია). სჯობს *ყოლა* უწვრთის ძაღლისა, უწვრთელის შვილის *ყოლასა* (დ. გურამ.). აბრეშუმის ჭიის *ყოლაც* ჩვეულებად აქვთ იმერლებს (ი. გოგებ.). 2. შობა-მოგება. რა მოხდა? რატომ მას არ ახარებს შვილიშვილის *ყოლა*? (რ. გვეტ.) – ქეგლი. ყოლა შვილის გაჩენა, შეძენა (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. ყოლა**: **თან ყოლა** მიყოლ-მოყოლა თან. მიყოლა, მიდევა, გამოკიდება (ჯ. შან.). || მიყოლა სახელი მიჰყვება ზმნის მოქმედებისა: ვინმესთან (რამესთან) ერთად ან ვისიმე (რისამე) შემდეგ (კვალდაკვალ, უკან) სვლა; მიდევნება; გაყოლა. «ის რო[მ] ცხენს გააჭენებს, იმის გვერდით მიყოლას ვერავინ შეძლებს» (შ. არაგვ.) – ქეგლი. შდრ. თანა-ყოლა: „თანა -ჰყვანდა იოჰანეცა მსახურად“ (საქ. მოც.) – ილ. აბულ. ყავ-ძირი; ყ-ოლ-ა; -ოლ- მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი.

ბვ., სამ., ახ. ქართ. **III. ყოლა**: **ყოვლად, ყოლად, ყოვლადვე, ყოლადვე** ყოველთვის, სულ; სრულებით, სრულიად: „უკუეთუ სუბუქი ღჳნოჲ იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალსა“ (ი.-ე. 37, 8) – ილ. აბულ. || ზმნს. სრულიად, სრულებით. ჩემი *ყოლა* ნურა გინდა სიყვარული, ნუცა ნდომა (რუსთაველი). მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი, თავი *ყოლა* ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი (რუსთაველი) – ქეგლი. ღუინოსა *ყოლა* არა დაიახლებდა ამისათა შიშითა (ვისრ. 72, 15). იხ. II. ყოლი.

დიალექტ. **IV. ყოლაი** (თურქ. კოლაი) მსუბუქად, იოლად, ადვილად. „შეხე ერთი, რა *ყოლაი* წერავს?!“ (მაჭ.); „*ყოლაი* სული ვეღარ ამომიღია (თ. ქ.); „*ყოლაი* დააკეთეს სახლები“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „გურჯიჯა *ყოლაი* აფერებთ“ (ზენ., შავშ. ლექსიკ.). || ადვილი. ბათუმ საქონლის წაღება ისე ყოლაი არაა (კირნათი, კლარჯ. ლექსიკ.). || **ყოლაი**: [აზერ. გოლაი ადვილი] **ყოლაი არ აქ** არ ეხერხება. ყოლაი არ მამდის უხერხულად ვგრძნობ თავს, ვერ ვეგუები, მეხამუშება, მეუხერხულება, არ შემიძლია, არ მესიამოვნება (ინგ. ღამბ.).

ყოლან-ი:

დიალექტ. **I. ყოლანი** ყველა, ყველანი. „*ყოლანი* იყვნენ დუგუნში“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. ყოლი.

სამ. ქართ., დიალექტ. **II. ყოლანი** 1. მოსართავი ყოლან [ღოლნ] უნაგირის მოსაჭირებელი – საბა. || [თურქ.] მოსართავი: ფართო და სქელი ტყავის ქამარი, რომელსაც ცხენს (ან სახედარს) ამოუკრავენ მუცელზე, რომ კურტანი ზურგზე დამაგრდეს (აჭარ. ნიჟ.). „*ყოლანი* კარქა ამუუჭირე ცხენსა, რომე უნაგირმა არ დაგალოს“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე (ინგ. ღამბ.). 2. **ყოლან** ჯეჯიმის ნაპირებზე მოვლებული ნაქსოვი მოსართავი (ინგ. ღამბ.).

ყომარ-ი:

ახ. ქართ. I. **ყომარი** [არაბ.] ძვ. 1. «ოთხი კოჭით თამაში» (ი. გრიშ.); კოჭის ერთგვარი თამაში ფულზე. მე მინახავს ყომარის აზარტიანი მოთამაშე, რომელსაც ყველაფერი წაუგია *ყომარში* (ი. გრიშ.). [ზაალის] ბედოვლათმა... სწორედ ახლა მოუხშირა ქეიფსაც, არშიყობასაც და *ყომარის* თამაშობასაც (მ. ჯავახ.). 2. კამათლის თამაში ფულზე – ქეგლი. **ყომარი || ყუმარი** ოთხი კოჭით ბანქოს აზარტული თამაში (ცხვრის ფეხის კოჭი). „ერთხელ გორში ვითამაშე *ყომარი*, კაცი ვნახე აჯილღაზე მჯდომარი“ – ი. გრიშ. შდრ. ყომარბაზი [სპარს.] მემორინე – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **ყომარ** ერთად დაყრილი ქვის გროვა (ინგ. ღამბ.).

ყონაღ-ი:

დიალექტ. I. **ყონაღი** [თურქ.] სახლი, სასახლე, ბინა; სასტუმრო ოთახი, სასტუმრო: „თვითონ ადგა და წევდა... დევის *ყონაღშე*“ (ა. ზეჰ.); „მერე მე თვითონ შემიყვანა თავის *ყონაღში*“ (თ. სახ.). „ქოროღლი ყონაღიდან უყურებდა“ (აჭარ. ნიჟ.). „მაქვა გოლჯუკში *ყონაღი*“ (ნუსრეთიე, კლარჯ. ლექსიკ.).

სიტყვას **კონახი || ყონახი** (< თ. konak) აჭარულ, გურულ, იმერხეულ დიალექტებში, აგრეთვე ლაზურ მეტყველებაშიც აქვს სალიტერატურო თურქულში არსებული მნიშვნელობები (გურგენიძე 1973: 14).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ყონაღი** [თურქ. კუნაკ] საუბ. სტუმრობით დამეგობრებული პირი. ლალიაშვილმა კარავი დატოვა. მადლობა უთხრა კარში ატუზულ *ყონაღსა* და დანაპირი გაუმეორა (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. ჰასანი თავის ყონაღთან მიგიყვანთ. რა ყონაღი ჰყავს რომ იცოდეთ! (რ. ინან. მოთხრ. 236, 17). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., ინგ. ღამბ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

ყონაღი [თურქ. qonuq] „სტუმარი“ როგორც გამოკვლეულია, ჩრდილო კავკასიისა და დაღესტნის თურქული ენებიდან (ნოღაური, ყუმიხური) უნდა შეთვისებული (გურგენიძე 1973: 14).

ყონდაღ:

დიალექტ. I. **ყონდაღ** [აზერ.] ჩვილი ბავშვის შესახვევი ჩვრები. ყმაწვილ *ყონდაღში* შაუხვევი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. II. **ყონდაღ**: თოფ ყონდაღ (ინგ. ღამბ.). შდრ.კონდახი თოფის გარ(ე)შემო ხე გათლილი – საბა. || [ბერძ.] თოფის ლულის ჩასასმელი ამოჭრილი ხე – დ. ჩუბ. || განიერი ბოლო ნაწილი იმ გათლილი მოგრძო ფიცრის ნაჭრისა, რომელშიც ჩასმულია თოფის (დამბაჩის...) ლულა – ქეგლი.

ყორე:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ყორე** 1. უკიროდ და უტალახოდ ნაგები ქვის კედელი ან ქვის ზვინი, გროვა ქვათა, ე. ი. მიჯნისა – დ. ჩუბ. „მტილისა *ყორე* დაარღჳა და გამოღმართ გამოდგა“ (Ath. – 12, 222v); „არა

შევიდე... ვიდრემდის არა შესდგათ *ყორე* იგი პირველსავე მას ადგილსა“ (Ath. 12, 222v) – ილ. აბულ. კედლებს, *ყორით* აგებულ კედლებს, ვათვალიერებდით (ვაჟა). სამთავროს სასაფლაოში უძველესი სამარეები რიყის ქვით *ყორედ* არის ამოყვანილი (ივ. ჯავახ.) – ქეგლი. 2. ქვისა და მისთ. გროვა. მოჰკაწრავს ღვარი ტყე-კლდეებს, მოაქვს და მოსდგამს *ყორედა* (ვაჟა). აი, იქ, მუხის ქვეშ რომ *ყორეა*, იქ თურმე ერთი ბერი ჩაქოლეს (შ. არაგვ.). მე რო ჩემ პატარობაში იმათი მარილის *ყორე* მინახამ, მითქვამ ჩემ გულში, ნეტა რა ხარმა... მოზიდა... მეთქი! (მელან.). 3. რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი. ღობე-ყორე. კედელ-ყორე – ქეგლი. აგრეთვე რაჭაში სავენახესა და ვენახის მოზღუდვის მასიური საშუალებებია : ღობე, *ყორე*, მესერი, სყდე და საბელავები (რაჭ. ფრ. 56).

შუმ. kar „[მიწა] ყრილი, ჯებირი“ – ქართ. ყორე (←*ყორ-) ქართული ფუძე აღდგება საერთოქართველურ დონემდე სვან. ყორ- „კარი, ეზო“ (გორდეზიანი 1985: 47). ს.-ქართვ. *ყორ- (ე) „ყორვა, ყორე“ → ქართ. ყორ-, ყორ-ე (ჩუხუა 2000-2003).

ძვ., ახ. ქართ. **II. ყურე, ყორე** «კუთხე», თემი, ქუჩა: „უმჯობჱს არს *ყორესა* ყოფაჲ ჰაერსა ქუეშე, ვიდრე მოპეტალებულთა სიცრუვით სახლთა შინა ზოგადსა შეგინებულსა“ O, – „უმჯობჱს ცხოვრებაჲ კუთხესა შინა დაუბურველსა, ვიდრე-ღა განგოზილთა სიწროჲთა და სახლსა შინა საზოგადოსა“ (pb., იგ. სოლ. 21, 9); „უმჯობეს არს ყოფაჲ *ყორესა* ერდოჲსასა“ (O, იგ. სოლ. 25, 24) – ილ. აბულ.

შდრ. „*ყურესა* რომელსამე განიცდიდეს, რომლისა იყო კიდჱ მისი“ (საქ. მოც. 27, 89); „განვედ ადრე უბანთა და *ყურეთა* ქალაქისათა“ (ლ. 14, 21) – ილ. აბულ. ყორე < ყურე.

ახ. ქართულში, ყორე და ყურე სხვადასხვა ლექსემებია. შდრ. ზემოდასახელებული ახ. ქართ. **ყორე** და **ყურე**. ყურე 1. წყალში (ზღვაში, ტბაში...) შეჭრილი ხმელეთი (საბა). 2. იგივეა, რაც უბე (მნიშვ. 2). [ლიფსიტები] მყუდრო, პატარა თხელი ყურისაკენ მისრიალებდნენ (ი. გოგებ.). 3. კუნჭული, კუთხე. [ბავშვი] ამოეფარა სახლის ყურეს და იქიდან დაუწყო ცქერა მოსულებს (დ. კლდ.). 4. მოფარებული ადგილი ტყის, მთის, კლდის და მისთ. ძირში. ნისლნი, დაღლილნი ცურვითა, მთის ყურეთ მიმალულიყვნენ (ვაჟა). 5. კუთხე, მხარე, ადგილი. დასავლეთით ფოთი შეიქნა კავკასიის სავაჭრო *ყურე*... და აღმოსავლეთით – ბაქო (გ. წერეთ.). 6. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ეზოყურე. კედელ-ყურე – ქეგლი.

ს.-ქართვ. *ყურ- (ე) „კიდე, ყურე, მხარე“ → ქართ. ყურ-, ყურ-ე (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. ყორაჲ, ყორეჲ** [აზერ.] ისრიმი, მკვახე ყურძენი (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **IV. ყორე** ინდივიდ. „მაგრები რომლებიც იყო გორახი“. „მეორეთ უნდა დაგვეფარცხა ხომე, რო *ყორე*, რამე დაშლილიყო!“ (ზრტ., ქართლ. სალ.).

ყორყ-ი:

დიალექტ. **I. ყორყი** ხორხი ყელი (გურ. ჟღ.).

არქეტიპია ს.-ქართვ. **ყორყ-* (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე დ. მაჭავარიანი 2013: 147.

დიალექტ. **II. ყორყი** მსხვილი კენჭები (კირიონი). შდრ. ღორღი დამსხვრეული, დალეწილი ქვა (ერთად დაყრილი) – ქეგლი.

ყოტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ყოტი** (ფშ.) ბაყაყი. [დევებს] ცეცხლი დაენთოთ ძლიერი, გარს უსხდნენ *ყოტებივითა* (ვაჟა) – ქეგლი. ყოტიანი ადგილი, სადაც ბევრი ბაყაყია ჭაობის გარეშეც (ფშ. ხორნ.). აგრეთვე: ი. ჭყ., ფერეიდ. ჩხუბ.

მყუარ > **ყუარ* > **ყუატ* > ყოტ (ფშ.) ბაყაყი (ერთელიშვილი 1980: 107).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ყოტი** ბალახეულის ალაღებული ღერო; საერთოდ: ღერო მწვანილისა. „მწვანილ *ყოტი* ამაჲსვლია, რაღათ ვარგა“. აქედან: *ყოტიანი* ღეროიანი მცენარის ნორჩ ყლორტსაც *ყოტს* ეძახიან; მაგ. იტყვიან: მაყვლის *ყოტი* (გოლთ., ალგ. სალ.). „აპრილში შავყელამდით, *ყოტი* რომ გამოვიდოდა კარგათ, მემრე დავკეტამდით კარებს, რო შიგ აღარავინ შესულიყო თიბათვემდინ“ (ქიზ. «შინამრეწვ.») – ლ. ასათ.; ქიზ. მენთ. || ყეტო (ალგ. სალ.). შდრ. ყლორტი მცენარის წლევანდელი ნორჩი ტოტი – ქეგლი.

დიალექტ. **III. ყოტბ** || **ყოიტაყბ** ყოყოჩა. ბაან *ყოიტაყ* კია ეს ჩვენ დათოჲ, არ ხკარგავს დედულთ ჯიშს (თუშ. ცოც.).

დიალექტ. **IV. ყოტი** კოტა (ქიზ. მენთ). „კოტა, ანუ *ყოტი* მითხრეს ურიათუბანშიც“ (ქიზ. მრეწ. IV, II, 76). იხ. **I.** კოტა.

ყოშა:

დიალექტ. **I. ყოშა** ჩოხის სახელოს კიდეზე მოკერებული ხელზე გადასაფენი. არ მამწონს, არც საყელოზე სირმაი, სახლის წვერებზე *ყოშაი* (ფშ. ქეშიკ.). ყოშა < ყოში; ყოში მაჯის პირი – დ. ჩუბ. || მაჯის საჯლის გარდასაკერებელი – საბა.

დიალექტ. **II. ყოშა** [აზერ.] წყვილი; წყვილად. *ყოშა* შაგაბერასყ! (დალოცვაა; წყვილად შეგაბეროსთ!) (ინგ. ღამბ.).

ყოჯა:

დიალექტ. **I. ყოჯა** [თურქ.] დიდი, უზარმაზარი. „*ყოჯა* სახლმა წეიქცა“ (სტ.); „*ყოჯა* დიდი ოდა ქონდენ“ (ინ.); „შენ *ყოჯა* ემესა რაფერ გუუთავდები“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.). „ჩემ ბიჭ *ყოჯა* ფეხები აქს, მამამისისაზე დიდი“ (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. **II. ყოჯა** [თურქ.] ქმარი, მეუღლე. „*ყოჯა* რატომ არ გახლავს?“ (ჩვენ. ფუტკ.).

ყრანტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I.** *ყრანტი* (კახ.) ძალიან ბებერი, სიბერით გადაყრუებული ადამიანი («დიალ.») – ქეგლი. || ბებერი, მოხუცი (თუშ. შან., რაზ.-ჭყ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II.** *ყრანტი* (ფშ.) ყანყრატო (ი. ჭყ.) – ქეგლი. *ყრანტი* < *ყრონტი* „ყანყრატო". [მგელმა] წაიწოდა ბატკნისკენ ტოტი, მაგრამ უტაცა ლომმა მგელს ყრონტი (რ. ერისთ. თარგმ.). [აბესალო მისთვის] შავი და თეთრი ღვინო სულერთი იყო. ყრონტში ყველას ერთნაირად უშვებდა (ს. კლდ.) – ქეგლი.

დიალექტ. **III.** *ყრანტი ყრუნტი, ყრუპი.* ეს რაიღ ყანწი, ერთ *ყრუნტი* არ გამავ (ხევს. ჭინჭ.). *ყრანტი* || ჴ. ყლანტი, ერთი ჩაყლაპვა – ა. შან. იხ. **II.** *ყლანტი.*

ყრიალ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I.** *ყრიალი* 1. მწეროთ ჴმიანობა – საბა. || ყვავ-ყორანთა, წეროთა და მისთ. ხმიანობა. ყორანნი თავს დასჩხაოდნენ [ნუკრს], სვავთ, *ყრიალი* სძრავდა ჰაერს (ი. ევდ.). || ფიგურ. და აზნაურთა ისმის *ყრიალი,* თბილისში ჩვენი ბედი იწვება! (გ. ლეონ.) – ქეგლი. 2. თავმოყრილი ხალხის გაურკვეველი, ხმამაღალი ლაპარაკი, – ყაყანი. „რა არი ამდენი *ყრიალი,* არ გაგვაგონებთ რამეს!" (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. **II.** *ყრიალი* (ყვრიალი) ჩაყურყუმალება. სითხეში ერთბაშად რისამე ჩაბირვა. „ამ ქურდმა *ყრიალი* მუატანა და ქე ჩეიყლაპა კუპრში" (მახ., გურ. ჯაჯან.).

ყუთ-ი:

საშ. ქართ., დიალექტ. **I.** *ყუთი* პოპლინის გვარი მატერია. *ყუთანი* – ჩაქსულა ფარჩა, პოპლინის გვარი მატერია – თ. ბაგრატ. || *ყუთნ* ზოლებიანი ქსოვილი ერთგვარი ძველად ამისგან საბნისა და ლეიბის პირებს კერავდნენ. აქვე *ყუთი-ყუთი* უკრედებიანი, კუბოკრული. *ყუთი-ყუთი-კაბაი* (ინგ. ღამბ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II.** *ყუთი* 1. ოთხკუთხი სათავსი, ჩვეულებრივ ფიცრისა. გავაღოთ კიდობანი, სკივრი, *ყუთი,* ამოვალაგოთ მთელი იმისი ავლა-დიდება (ვაჟა). 2. ის რაოდენობა რისამე, რაც ასეთ სათავსშია მოქცეული. ერთი *ყუთი* ვაშლი. 3. კოლოფი. სკირგაილომ ჯუბის ჯიბიდან მომცრო *ყუთი* ამოიღო (რ. გვეტ.). აიჩონჩხლეს იმისი *ყუთებიც* (რ. ინან. ალერს. 176, 21). 4. ბვ. უკრა. ოქმი დიდი ხანია, თქვენმა მზემ, დაწერილი მაქვს და *ყუთშიაც* მიდევს (ილია) – ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. IV, III: შ.-კახ. 16, თუშ. 185, ზ.-ქართ. 38 და სხვ. || *ყუთიი* [აზერ.] ყუთი, კოლოფი; უკრა. *ყუთიი* გოუსხნა;*ყუთიში* (უკრაში) დევს; *ყუთიევ* მოოღი (ყუთები მოუტანია) (ინგ. ღამბ.). || *ყუთუ ყუთი.* ერთი *ყუთუ* ჩამეიტანა ქაღიდისა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ყულა:

საშ. ქართ., დიალექტ. I. ყულა ბაცი ყვითელი, ჩალისფერი. „იცოდეთ, რომ ცხენიც მიყვარს, ფერათ თუ არ იქნა *ყულა*“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ზერდაგი [თურქ. ყულა] ყვითელ-შავი (საბა).

დიალექტ. II. ყულა სასმისი ღვინისა, კულა. ჩვენ ხალხში ძალიან მიღებული იყო *ყულა*. გამიგონია, რომ ნეფეების დროს ღვინის სასმელათ *ყულა* უხმარნით (კახ. მასალ., II, 52). შდრ. კულა «ხის სასმისი ხმიანი» (საბა), – ვიწროყელიანი, მუცლიანი სასმისი ღვინისა (სმის დროს ღვინო რაკრაკით გადმოდის) – ქეგლი.

დიალექტ. III. ყულაჲ მაშინ (იმერხ., ქართ. დიალექტ., 655).

ყულაბა:

ახ. ქართ. I. ყულაბა ვიწრო ჭრილის მქონე პატარა დახურული ჭურჭელი სხვადასხვა სახისა ხურდა ფულის ჩასაყრელად და შესანახავად – ქეგლი.

დიალექტ. II. ყულაბა ჩუსტის სალესავია. ჩუსტის ლანჩა, ძირი რომ გახმება, მაშინ ამით გავლესავთ ჩუსტსა და უფრო ლაზათი ექნება (ზ.-ქართლ. მრეწ. III, I, 176). || ყულავა ბზის გათლილი ჯოხი ხარაზნი ხმარობენ წუღის გასალესავად, გასაპრიალებლად – ვ. ბერ. || წუღის საბირეს კიდეზე შეუსწორებდნენ ბზის პატარა ჯოხის დასმით, რომელსაც ქვია „კიდის სალესი კულაბა“ (გურ. მრეწ. III, I, 254).

დიალექტ. III. ყულაბა ანჯამი, რკინის ხელსაწყო, რომლითაც კარები ამყოლს აებმის (ჯავახ. ზედგ.). ზოგის თქმით, *ყულაბა* ალაყაფის კარის დახურულ ანჯამას ჰქვიან, ზოგის აზრით, საყუნწურიანი კარის დირეში ამოღებულს, ფილივით რომ არის საყუნწური, იმასაო (ქიზ. მრეწ. I, 54). || ყულაბი კარის ჩამოსაკიდებელი მოწყობილობა, რომელსაც კარის ანჯამა ჩამოეცმება (ტანბ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ვ. ბერ. || ყულაფი (ჯავახ. მარტ.).

ყუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ყუმი 1. (იმერ.) ჩუმი და ბაიყუში. ხასა... ერთი *ყუმი* რამ ხასიათისა იყო (ბ. ჩხ.) – ქეგლი. 2. უგერგილო, დაბდურა, გაუგებელი. „*ყუმი* კაცი იყო მოსეი“ (იმერ. გაჩ.). მეორეები კაი გამოჩრჩნილები ჰყავ, ეგ ერთი შვილი რათ გამოუვიდა ეგეთი *ყუმი?!* (გრაკ.). მეტიმეტი *ყუმი* ადამიანია, მაგისას ვერც კარქ გაიგეფ, ვერც ავსა (არად., ქართლ. მესხ.). შდრ. ყმუნება, გაყუმება უშნოდ, უსიცოცხლოდ გაჩუმება. „რას გაყუმებულხარ, ამოიღე ხმა“ (ზ.-იმერ. წერეთ.). 3. გადატ. „საწნახელი, რომელიც „თავკვრივის“ (თავმკვრივის) სახელწოდებითაა ცნობილი (ემახიან „ბითუმთავიანსა“ და ყუმსაც). „ყუმ“ საწნახელს მაინცდამაინც არ ეტანებიან (რაჭ. ფრ., 149). 4. დაბლაგვებული, ჩლუნგი მჭრელი იარაღი (იმერ. გაჩ.).

საშ. ქართ., დიალექტ. II. ყუმი [თურქ.] სილა. „წყალმა სიცხეზე დეიკლო და *ყუმი* გამოჩინდა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ღადო [თურქ. ყუმი], ტალღა ზღვის ღელვის ნჩქრევა – საბა.

დიალექტ. III. ყუმი ქვედა ბალიში, რომელზედაც ხის კეხი დაედგმის, მეშისაა (ლეჩხ. მრეწ. IV, I, 204).

ყუმბარა:

საშ., ახ. ქართ. I. ყუმბარა [თურქ. კუმბარა] 1. საარტილერიო ფეთქებადი ჭურვი მტრის ცოცხალი ძალის ან თავდაცვითი ნაგებობის გასანადგურებლად. დათხრილი ჩანდა მიწა *ყუმბარით* (გ. აბაშ.). სადღაც მახლობლად *ყუმბარა* დაეცა (ო. ჩხ.). 2. იგივეა, რაც ხელყუმბარა. ჯორჯიაშვილის ნასროლმა *ყუმბარამ*... სული გააცხებინა გრიაზნოვს (დ. კლდ.) – ქეგლი. სამოცი ფუთი *ყუმბარა* კლტესაც კი გახთის ქვიშათა (გურ. ფოლკ. ღლ., 129). შდრ. „ზარბაზანი და *ყვიბორა*“ (მთ.-რაჭ. ძიძიგ.). || ყუმბარი [ოსმალ.] ფილთამეხი – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. ყუმბარა ღომის თაველის შტო. თავთავი *ყუმბარებისაგან* შედგება (ოკრიბ. ალავ.). ლეჩხუმური *ყუმბარა* იგივეა, რაც საბასეული ყვიბარო: „ღომის კუფხალი“ (ალავიძე 1959: 180). შდრ.ყვიბარო «ღომის კუფხალი» (საბა) – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირია *ყუბ-არ- „უმწიფარი, უნდილი“ > ქართ. ყვიბარ-ო < ყუბარ-ო, ყუბარ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ყუნცულ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. ყუნცული «სამურმეული ძნა» (საბა), ერთად დადგმული ძნის ზვინი, – თაია, ფრთამოქცეული – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირი *ყუნც- „გროვა, ძნა“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე კანარკოვსკი 2019: 3.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ყუნცული (გურ.) დიდხანს და უნაყოფოდ ცდა (ი. ჭყ.). მე-კი გავშპები გზიდან და აქ-კი აღარ დავუწყებ ყარაულებს *ყუნცულს*! (აკაკი) – ქეგლი. || მოუსვენრად ჯდომა (ლეჩხ. ჩიქ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. ყუნცული (ქართლ. იმერ. გურ.) სკუპ-სკუპი, ცუნცული. [ტეტია] ერთ ადგილზე შეჩერდა და დათუნიასავით უშნოულაზათოდ იწყო *ყუნცული* (ნ. ლომ.). ჩემი [კაჭკაჭი] მაშინვე წამოიჭრა და სასაცილო *ყუნცულით* მიეგება [ქალწულს] (ა. ჭუმბ.) – ქეგლი.

აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *ყუც- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ყურბანა:

დიალექტ. I. ყურბანა ყურბელა. „ბავშვ გაუფთხილდი, ემანდ *ყურბანა* არ შაუძვრეი ყურში!“ (ფარცხ., მარაბ. ქართლ. მენთ.). საბა უთითებს ფსალიტი ბერძულად ყურბელა. სამწერლო ენასა და დიალექტებში დია-

ლექტებში დასტურდება აგრეთვე: ყურბელა, ყურველა, ყურმელა, მაყრუალა, ყრუალა, ყუარბელა, ყორველაჲ.

საშ. ქართ., დიალექტ. II. **ყურბანა** ურჯულო, გამოუსვლელი. „ერთი *ყურბანა* ვიღაცა მოგვიყვანეჲ უფროსათ და ვერაფერ ვაგებინეფთ“ (გ.-კახ. სახლთხ.). || ყურბანი [არაბ.] 1. მსხვერპლი (დ. ჩუბ.). 2. (გურ.) «შეუგნებელი, უვიცი» (ქ. ლომთ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. **ყურბანა** ბურბუშელა, მცენარეა (ქიზ. მაყ.). შდრ. ყურისავსებელა (გურ. ა. მაყ.).

ყურს-ი:

საშ. ქართ. I. **ყურსი** [არაბ.] ნამცხვარი, ფუნთუშა. ესოდენი შაქარლამა *ყურსი* და შარბათი მოიღეს, რომ თვალთაგან არ ნახულიყო (ყარამ. 423, 18).

საშ. ქართ. II. **ყურსი** ძვ. 1. მკვრივი, კოშტი რამ. 2. ზოდი (დ. ჩუბ.). 3. [არაბ. ყურს] კვერი, ტაბლეტი. ამა *ყურსი* მახლასი არბარის ხასიათი ეს არის, რომე ძველსა და ახალსა თავის ტკივილსა და თავის ბრუნვასა სამსავ უშველის (იადიგ. 586, 6). შდრ. ყორსა აბი [შდრ. არაბ.-სპარს. qors „აბი“, ტაბლეტი“]. ეხლა ხო ყველია ყორსას აკეთებენ და მოდის, *ყორსია* ჰა, ეგდიდე *ყორსი* (ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. (ხახიაშვილი 2015: 91-94).

დიალექტ. III. **ყურს** კურსი. ერ წელს ვილოციით (ვისწავლეთ). მესამე *ყურსზე* გდეველით (გადავედით) (ინგ. ღამბ.). შდრ. კურსი [ლათ. cursus სრბოლა, მიმდინარეობა] სვლის მიმართულება (გემისა, თვითმფრინავისა, რაზმისა და სხვ.) – ქეგლი.

ყურუმბულ-ი:

დიალექტ. I. **ყურუმბული** ყრუ (ლეჩხ. ალავ.).

დიალექტ. II. **ყურუმბული** გულწითელა ჩიტი, კულუმბური (ლეჩხ. ალავ.). || კურუმბული ფრინვ. – დ. ჩუბ. **კულუმბური** კვინჩას, ბეღურას მსგავსი ფრინველი ზან. (მეგრ. ქობ.).

ყურჭ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ყურჭი** 1. ძლიერ შავი. შავი *ყურჭივით*... თვალები აქვს (მელან.). 2. (რაჭ.) «ძალიან მწიფე ხილი» (ვ. ბერ.) – ქეგლი; რაჭ. კობახ. || ძალზე მწიფე ყურძენს „ყურჭი“ ეწოდება, ზედმეტად გადამწიფებულს „ჩაყურჭებული“ (რაჭ. ფრ. 92). შდრ. ყლურჭე ძალიან მწიფე (ხილი) (იმერ. გაჩ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ყუირწ- „ძლიერ მწიფე; გადამწიფებული (ჩუხუა 2018: 103).

საშ., ახ. ქართ. II. **ყურჭი** [სომხ. კორჭი] DE. (ფრინ.) ყურჭი არს, რომელსა ლათინნი კარდირიონად სახელ–სდებენ, (+ სენსა Cq) რომელსა მეფის სენად უწოდენ, ხილვითა მას ჰკურნებს – საბა.

ყუყა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ყუყა მეტად შავი – საბა. ყუყა ძვ. და კუთხ. (ქიზ.) მეტად შავი – ქეგლი. გადატ. ყუყა კუნაპეტი ღამე (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. ყუყაყჷ არეულ-დარეული, უწესრიგო გუნდი. სადილობის დროს ჩამოჩინდ *ყუყაყჷ* ლეკებისაო (თუშ. ცოც.).

დიალექტ. III. ყუყა სიცივისაგან ხელების დაბუჟება. „უპურმალო დიაცი, საბჭოთა ჯორზე შამჯდარი, მტრისამც სახლის კარს შააღებს, ისეთ დროს *ყუყაგამჯდარი*“. მაყუყება სიცივისაგან დამზრალი ხელების გასათბობად ცეცხლზე მიშვერა. „ძლივ დევესწვერ კერასთან მისვლასა. მოვათრიე ჩაშკამაი და ცეცხლზე მივაყუყე ჯელები“ (მოხ. ღუდ.). ყუყა წაუჯდება გაყინული ხელები სითბოში ასტკივდება (მთ. კაიშ.).

ყუყუჩ-ი:

დიალექტ. I. ყუყუჩი ყეყეჩი, ჩერჩეტი (ფშ. ვაჟა). შდრ. I. ყერყეტი.

დიალექტ. II. ყუყუჩი დაწყნარებული ჰაერი, სიწყნარე (მესხ. ი. გვარ., H, 52) – ალ. ღლ.

ვფიქრობთ, ყუყუჩი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია. შდრ. ყუჩი მშვიდი, ჩუმი, წყნარი (ქეგლი, მ., ჩვენ. ფუტკ., გურ. შარაშ.). აღდგენილია ს.-ქართვ. *ყუჩ- „გაყუჩება, განაბვა, გაჩუმება“ (ჩუხუა 2017).

შ

შაგირდ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. შაგირდი** [სპარს.] მოწაფე (დ. ჩუბ.). ბაბა ამირმა, როცა *შაგირდად* იყო, რაღაცაზედ განარისხა თავისი ოსტატი (ზღაპ.). მასწავლებელმა... დაითხოვა *შაგირდები* (თ. რაზიკ.). || შეგირდი [სპარს.] ძვ. იგივეა, რაც მოწაფე – ქეგლი.

დიალექტ. **II. შაგირდი** დაბღის იარაღი (ქიზ. მენთ.).

შაირ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. შაირი** [არაბ. ში'რ «ლექსი»] 1. «ლექსი ოთხმუხლედი» (საბა), თექვსმეტმარცვლოვანი (ზოგჯერ ათ- და ოცმარცვლოვანიც) ოთხტაეპიანი ლექსი. ლექსთწყობა გახლავთ მრავალნაირი, ქართველს ემარჯვის უფრო *შაირი* (კ. მაყ.). 2. ლექსი საზოგადოდ. დაჯექი და გვითხარ *შაირი* ან ზღაპარი (აკაკი). გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, *შაირია* ამად კარგი (რუსთაველი). 3. სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის, ჩვეულებრივ, ოთხტაეპიანი ლექსი. ტყეში მარხილი წავიღე, გავუკეთე ჭალი, კოფა, თუ *შაირები* არ იცი, ახლა ნახე შენი ყოფა (ხალხ.). სიმღერა ისე არ ითქმებოდა, რომ ვარდიკოს შესახებ *შაირი* არ გაერიათ (ე. ნინოშ.). წუთით შესვენება – ჩამორჩენას ნიშნავს. ჩამორჩენილს მესვეურის *შაირი* აუწვავს ლოყას (მიხ. მრევლ.) – ქეგლი. შდრ. შარი ლექსი. „თელი იცის, ერთი *შარი* ქი თქვი“ (წუსრეთიე, კლარჯ. ლექსიკ.); შეერი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). **შაირ შაირ** შაირი, ლექსი (სვან. თოფ., ქალდ.). **შაირი** ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. შაირი** შარი. რაზე ჩამაგდო *შაირში* (ქვაყუდე, ქვ.-იმერ. იმნ.). შდრ. II. შერი.

შაკ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. შაკი** ფრინ. ჭარო – საბა. || [Pondion haliaëtus] საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი; ბინადრობს წყალსატევების სანაპიროებზე; იკვებება თევზით – ქეგლი.

დიალექტ. **II. შაკი** იგივეა, რაც შარი. ვენახი ჩაყოლებულია *შაკში*, ერთ სწორ ხაზზეა განლაგებული (ღორეშა); ვინ ჩაყობა ამ *შაკს?* (შროშა); მაგ *შაკზეა* ვარინკა ბიცოლა, იმ ქვედა *შაკს* შენ ჩაყევი (უჩამეთი); ვენახი *შაკათ* გაკეთებული უნდა იყოს (ქვები). || ვაზის რიგთაშუა მანძილი. ვენახს პწკალებზე გააყოლებენ, მანძილი იქნება პწკალეფს შორის 2 მეტრი, ამას *შაკ* უძახიენ (დილიკაური, ზ.-იმერ. ძოწ). შდრ. შარი1. მწკრივი (ვაზისა, ხეხილისა...). 2. კვალი – ქეგლი.

შალ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. შალი** 1. მატყლის ნაქსოვი – საბა. || ზოგად ღაზლის ნაქსოვი. || საკუთრად სპარსული წმინდა ნაქსოვი, თავისა ან წელის სახვევი – ნ. ჩუბ. || მატყლის ქსოვილი. მაუდის, შალისა და აბრეშუმის ტანისამოსი თითქმის ყველა კაცსა და ქალსა აქვს (ი. გოგებ.). [ბეგლარს] შავი შარვალი და თეთრი *შალის* წინდები აცვია (ნ. ლორთქ.). 2. ქალის თბილი მოსასხამი (მოსახვევი) მატყლის სქელი ქსოვილისა. [ოთარაანთ ქვრივმა] მოიხვია თავს შავი *შალი* (ილია) – ქეგლი. „ორმაგი დგიმით ცალმაგი *შალი* იქსოვნება“ (აჭარ. ნოღ.). აგრეთვე: ინგ. ღამბ., აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. **II. შალი** შარვალი. „წინწინ კაცებსა *შალები* დაბუზმული ქონდენ საჟდომზე“ (იმ.); **შალ-კასტუმი** შარვალ-კოსტიუმი. „ეს *შალ-კასტუმი* ბათუმ ევღევი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „ბიჭო, *შალი* შეგიკერავს, – მოუკეღლი განსაო; დედაშენი ვერ იშონის, ჩემისთანა რბალსავო“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. შალვარი ბერბულია, ქართულად ორკეცს ნიფხავსა როპანაგი ჰქვიან და გარე ამოსაცმელსა შალვარსა – საწმართულო და პერიკამი – საბა. შალვარი სარავარი – შალვარი, წვივსაცმელი – დ. ჩუბ. || [სპარს. შალვარ] შარვალი (ქალის შარვალი). იმ მუჰაჯირებმა იციან *შალვარის* ჩაცმა, ჩუენები არ ჩეიცმენ (ად., ჩვენ. ფუტკ.). „*შალვარი* დემეხა ღობეზე ძრომით“ (ღორეშა, ზ.-იმერ. ძოწ.). **შაივარი** შარვალი ზან. (მეგრ. ელ.). **შავალი** შარვალი ზან. (ლაზ. თანდ.).

შარვან-ი:

სამ. ქართ. **I. შარვანის თეთრი || შირვანის თეთრი** – დ. ჩუბ. || შირვანი (შარვანი) – ისტორიული ოლქი ახლანდელ აზერბაიჯანში – უნივერს. ელერდ.

დიალექტ. **II. შარვანი** შარვალი. უმალ ხვანჯრიანი *შარვანი* ვიცოდით (რაჭ. კობახ.). იხ. II. შალი.

დიალექტ. **III. შარვან || შაროწ** [< შაროვან] წმინდა გიორგი შარვანის (ადგილია სოფ. ჯუთაში) ხატი. ახალგაზდას დეეძინა-დ' ძილში ნახ *შარვან* წმინდა გიორგი (ეთნ. კალენდ. 35, 570). შენ უთხრიდივ, რო: „შაროწ წმინდა გიორგი დაგისამებსავ“ (ეთნ. კალენდ. 35, 570, ხევს. ჭინჭ.).

შაშ-ი:

ახ. ქართ. **I. შაში** 1. თამაში ორ მოწინააღმდეგეს შორის ჭადრაკის დაფაზე თორმეტი თეთრი და თორმეტი შავი ერთგვაროვანი ქვით; აგებს ის, ვისაც დაფაზე აღარ რჩება მოქმედი ქვა. 2. ამ თამაშისათვის საჭირო ქვები და დაფა. ◊ **ასუჯრედიანი შაში** შაშის ერთი სახე – მოწინააღმდეგენი ოცოცი ქვით თამაშობენ დაფაზე, რომელზეც 100 (10X10) უჯრედია – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **შაში** [სპარს. «შეშ» ექვსი] 1. კამათლის ის გვერდი, რომელზედაც ექვსი წერტილია. რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე *შაში* თუ არ მოვა (ხალხ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. დუშაში – ქეგლი.

დიალექტ. III. **შაში** ელამი. „ეგ გოგო *შაშია*, რათ გინდა, თვალები სად მიურბის ვერ გაიგებ“ (ჯავახ. მელიქ.). **შაში ელამი** ზან. (ლაზ. თანდ).

შე:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **შე, შეი** ფეიქრ. (კახ. ხევს. თუშ.) იგივეა, რაც დგიმი – საფეიქრო მოწყობილობა: ორი ყდა, ქსლის გამყოფი და ამწევ-დამწევი, – ქეგლი. || ფშ. (რაზ.-ჭყ.) „ქსლის ჩასაბმელი ძაფი“. მოხ., ჭ., თ. იგივე . საშევარი ფშ., ჭ., თ. წვრილი ჯოხია ქსელში, რომელიც „თითებზეა“ მიმაგრებული. ფშ. გუდ., მთ., თ. საშევარი მრგვალი ჯოხია, რომლითაც ძაფი იშევნება ქსელში (ა. შან.).

დიალექტ. II. **შე** შრე ზოლი კლდეების ქანებს შორის (თუშ. შან.); შდრ. შრე კლდეთ (კლდის CD) წკეპლადი ნიშანი – საბა. || ზოლი კლდეების ქანებს შორის (ფშ. შან.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **შე** შეკვეცილი ნაცვალსახელი შენ (იხმარება მიმართვისას). აკი არ დამითვლიაო, *შე* ეშმაკო, შენა! (ილია). ოხ, ბუნებავ, ბუნებავ!.. რა კარგი რამა ხარ, *შე* დალოცვილო!! (ნ. ლომ.). აჩუ, *შე* მგლის არჩივო! (ნ. ლორთქ.). ◊ **შე კაცო!** იხ. კაცი. ◊ **შე ოჯახქორო!** იხ. ოჯახქორი. ◊ **შე მტერმკვდარო!** იხ. მტერმკვდარი – ქეგლი.

ქართული მეორე პირის შე-ნ / შე-ნა ნაცვალსახელის შესატყვისად ზანურსა და სვანურში გვაქვს სი || სი-ნ, სი. „შენ ქართულსავე ნიადაგზეა მიღებული სენ (სი-ნ)-ისაგან; სინ-ნ, სე-ნ-ში ნ (|| ნა) დეტერმინანტია. ამგვარად, სი, მეორე პირის ნაცვალსახელი გამოდის ქართულისა, მეგრულ-ჭანურისა და სვანურისათვის“ (ჩიქობავა1938). იხ. აგრეთვე (მარტიროსოვი 1964: 101).

დიალექტ. **შე-** წინსართი ზმნისა: 1. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას გარედან შიგნით (საპირისპ. გა-). ოთახში შევიდა. – კარადაში შედო. – ღუმელში შეყარა. 2. აღნიშნავს მაღლა, ზევით მიმართულებას. შეჯდა. შეხტა. შეფრინდა. 3. ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად. შეჭამა (შდრ. ჭამა). 4. აწმყოს ფორმას ანიჭებს მყოფადის მნიშვნელობას. შეაკეთებს (შდრ. აკეთებს). შეავსებს (შდრ. ავსებს). 5. გამოხატავს მოქმედების სიმცირეს, სიცოტავეს; ნაწილობრივ მომხდარ რასმე. შეწითლდა (შდრ. გაწითლდა), შეთბა (შდრ. გათბა), შეთვრა (შდრ. დათვრა), შეუგვიანდა (შდრ. დაუგვიანდა). 6. ზოგჯერ ზმნას უცვლის მნიშვნელობას: შეჰყავს (შდრ. ჰყავს), შეაქვს (შდრ. აქვს) – ქეგლი.

შებილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. შებილი** დამტვრეულ – დაკუწული ქვები, რომლებიც ჯგუფ – ჯგუფად ყრია სამხედრო გზატკეცილზე – ი. გრიშ.; (მოხ. ქაჯ.). შებილი (< щебень) (ალგ. სალ., 48).

დიალექტ. **II. შებილი** შერბილებული. „წიგნი დამისოლდა და ფურცლები *შებილია*“ (ს.). გადატ. შეშვებული. „გული *შებილი* აქვენ ყოლიფერზე“ – ყველაფერს უგულოდ ეკიდებიან, ყველაფერზე გულაყრილნი არიანო (გურ. ჯაჯან.). შდრ. ლბილი ძვ. რბილი – ქეგლი.

შებილი < შე-ლბ-ილ-ი; შე ზმნისწინი; ლ- დაკარგულია; ლბ-ძირი. აღდგენილია ს.-ქართვ. *ლაბ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

შენ-ი:

ძვ., საშ. ქართ. **I. შჱნი, შენი «მკჳდრი»**, დასახლებული, გაშენებული: *„შჱნ* იყო ქანანელი შორის ეფრემისსა“ M, – „მკჳდრ იყო ქანანელი... ეფრემისსა“ (G ისუ ნ. 16, 10); „არცაღა მიეახლნიან, სადა სოფელი *შჱნ* არნ“ (საკ. წიგ. II, 55, 39). აქვე: დაშჱნება, მოშენება, ნაშენები, უშჱნი, უშენი. შჱნებულება და სხვ. – ილ. აბულ. მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოჯერი და *შენი* (ვისრ. 124, 33). მიველ... ქალაქსა მდიდარსა და ხშირად *შენსა* (რუსუდ. 249, 8). ქალაქსა შენსა / ხელჰყვეს შენ მიერ შენსა (ბეს. 139, 12). შდრ. შენ სიდიდე, ზომა, მოცულობა, ფართობი (სვან. თოფ., ქალდ.).

ვ. აჭარიანი აღადგენს საშ. სპარსულ ფორმას *šēn, რომელსაც ეყრდნობა სომხური და ქართული ფორმები (ანდრონიკაშვილი 1966: 402). აღდგენილია ს.-ქართვ. *შენ- „შენება“, *შინ- „შენობა“ → ქართ. შენ-, შენ-ი, შინ-ა (ჩუხუა 2001-2003).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. შენი** 1. შენდა შესაფერი (დ. ჩუბ.). „სარწმუნოებამ *შენმა* გაცხოვნა შენ“ (მთ. 9, 22); „ვითარ აღგეხუნეს თუალნი *შენნი?*“ (ი. 9, 10); „მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი *შენნი*“ (ი. 7, 3) – ილ. აბულ. 2. მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მხოლოობითი რიცხვისა რაც მეორე პირისაა, მეორე პირის კუთვნილი, შენ რომ გაქვს, შენ რომ გეკუთვნის. მე ჩემი მომეც, შენ *შენი* გქონდეს (ილია). *შენი* ვარ, შენთვის მოვკვდები (აკაკი). რაკი ბრძანება შენ ჩემი არაფრად მიიჩნიეო, *შენი* ბედი და იღბალი ახლა ჩემთანაც სწვნიეო (შ. მღვიმ.). || შენგან, შენს მიერ. ზენა ქარო, არც *შენი* მოტანილი მინდა, ნურცა რას წაიღებო (ანდაზა) – ქეგლი. „ვაზირმა თქო, რო აგე დღე მოგიტანოო, რო ემ *შენი* სიტყოს ფასუხი იყოს“; „ესო *შენი* ადგილი ელა შუა დუნია იყოსო“ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). || შენ კი არა ე ფლავ (შენი კი არაა ეს ფლავი) (ინგ. ღამბ.).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამ სიტყვის ს.-ქართვ. არქეტიპია *შუენ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

შენობა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. შენობა** კაცრიალობა; სადა უშენ ქმნილ იყოს – საბა. || „აღმშენებლობა“. იყო ყოველი გიორგია *შენობასა* შინა (ქ. ცხ. IV, 262, 25). რა შენობის საზღვარი დააგდო, *უშენოთა* გამოვიდა (ქილ. 225, 12). **შენობა-დაბნები**: არიან *შენობა*-დაბნები ვენახ-ხილიანი (ქ. ცხ. IV, 529, 1). || რაიმე მასალის (აგურის, ქვის, ხის) საცხოვრებელი ან სხვა დანიშნულების ნაგებობა, – სახლი. გამოჩნდა... თეთრად გალესილი *შენობა* რკინისგზის სადგურისა (ნ. ლომ.). დიდი ნაწილი *შენობისა* თეთრად გალესილია შიგნიდან (ი. გოგებ.). || გადატ. სისტემა, სტრუქტურა, წყობა; აგებულება, შედგენილობა, შემადგენლობა. გაზეთმაო მეცნიერების *შენობისათვის* ცხოვრებისაგან მოგროვილი ქვა-კირი უნდა ზიდოსო (ილია). ქარის მიმართულება ყოველს ქვეყანაში დედამიწის *შენობაზე* არის დამოკიდებული (ი. გოგებ.) – ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. IV, III: თუშ. 184; გურ. 165; ქართ. მტკვრ სამხრ. 200 და სხვ. **შენობ, შენებ** შენობა (სვან. თოფ., ქალდ.). იხ. I. შენი.

მვ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. შენობა 1.** შენობაჲ შენეულობა. ყოველითურთ განუგდიეს სიტყუასა, ჩემობისა და *შენობისა* თქმაჲ მმათა შორის (A-689, 38v, 12-14a) – ზ. სარჯ. 2. შენი მაგივრობა, შენი ტოლობა. ვის შეუძლია *შენობა* გაგვიწიოს, დედა, ვისა! (ა. ხახუტ.). **შენობით ლაპარაკი** ვინმესთან ლაპარაკში შენ ნაცვალსახელისა და ზმნის მეორე პირის მხოლოობითი რიცხვის ფორმების ხმარება. შენობით რომ მოგმართავ, არც სიახლოვეს ვჩემობ, არც... იმედი მაქვს, რომ გაგათამამებ და შენც *შენობით* დამიწყებ ლაპარაკს (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. 3. შენიანები, შენი შინაურობა. „შენობა გაწყდეი, როგორც შენ ჩემობა ამააგდე“ (ქიზ. მენთ.). 4. შენი მოდგმა, შენი შთამომავლობა. *შენობასამც* იქს აი გურო- შატილის სალოცავები!... *შენობა* ამასწყვიტოს, გაათავას, თუ ტყუილა[დ] მაბრალებდ! (ხევს. ჭინჭ.). 5. შენობა (< ნაცვალსახ. შენ) განუსაზღვრელი ბატონობის, უფლების გამოსახატავად. «რა ამბავია ყმაწვილო, სულ *შენობა* ხომ არ არის: ეერთი ჩვენც გვაცალე! (ვ. ბერ.). ◊ **შენობა:** *შენობა* არი? როგორც შენ გსურს, შენ მოგეპრიანება მაინცდამაინც ისე უნდა იყოს?(რაჭ. კობახ.). იხ. II. შენი.

შერ-ი:

საშ., ქართ. **I. შერი** რჩეული. ჯბო რჩეული, გინა ხის ახალი ყლორტი – საბა.

დიალექტ. **II. შერი** (არაბ. ṣer) ბოროტება, მტრობა, შუღლი, ხიფათი. „ამ ქალმა *შერი* მომიტანა ოზოზე!“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. შარი ცილი, ცილის წამება – დ. ჩუბ. უფალმან სიტყვით ამხილოს, ვინც მცნება მისი შარია (არჩ. 469, 207, 2). ჩვენ ძმანი ვართ, ჩვენი ხეირი და შარი ერთი არის (სამ. IV, 176, 7). და ამას აქეთ ყველას ხეირი და შარი თავთავიანთია და ჩვენში არა დარჩა რა სალაპარაკო და სადავო, არცა ერთის იოტის ფასი

კარკაცობის მეტი (სამ. IV, 353). მაინც წინ მივალ, მაინცა, არ მეშინია შარისა (ვაჟა). || დავა, დავიდარაბა. „თუ კი მაგათ შარს მოგვაშორებ,... გემსახურებით“ (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. **შერ** მშიერი. სამ კუ̈რუ̈აას (კვირაა) შერ ვარ (ინგ. ჯან., ღამბ.). აღდგენილია ს.-ქართვ. *მშ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

შერიფ-ი:

ახ. ქართ. I. **შერიფი** [ინგ. sheriff] უმაღლესი (ადმინისტრაციული და სამოსამართლო) თანამდებობის პირი ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების საგრაფოებში – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **შერიფი** [ფრან. cherif არაბ.-დან] 1. მუსულმანურ ქვეყნებში – დიდგვაროვანთა (უპირატესად მაჰმადის) შთამომავლობის პირი. || შუა საუკუნეებში – მაროკოს მმართველი ფეოდალების ტიტული. 2. 1916 წლამდე –მექის მემკვიდრეობით მმართველი, თურქეთის სულთნის ქვეშევრდომი – ქეგლი. შდრ. **შერიფი** [არაბ.] მამაკაცის სახელი. „შერიფ-ხოჯამ იკითხა ყურანი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

შვავ-ი:

დიალექტ. I. **შვავი** ღორმუცელობა, გაუმაძღრობა. – „კაი, ბიჭო, გეყოფა ამდენი ჭამა, *შვავი* ხო არა გაქ მუცელში“ (რაცხ. გურ.). შდრ. **სვავი** გადატ. გაუმაძღარი, ხარბი. «კმარა, რაც ხანი ედგა უღელი... [ხალხს], სიცოცხლეს უმწარებდნენ, ხორცს აგლეჯდნენ ცხელი შანთებით და ცოცხლივ დღისით-მზისით ჭამდნენ... სვავები» (ს. მგალობ.) – ქეგლი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **შვავი** ზვავი, თოვლის ფლატე – დ. ჩუბ. ჩანჩქერნი მადლით მოქუხენ, იფრქვევა სპეკალთ ხვავია, კლდენი მოჰბანვენ უპუთი, თითქო მოსჭექდეს შვავია! (რ. ერისთ.). ფიგურ. გრიგალთა სადაურ შებერვას მისდევენ ფოთლების შვავები (გ. ტაბ.) – ქეგლი. „მიწა და ქვა-ღორღი *მოშვავდა* და წამოვიდა;“ „*შვავი* წამოვიდა“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე გურ. ჟღ. „*შუკი* კიდო იცის აჭარას?!“ (მეზ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. შვანვა, დაშვანვა თოვლის ფიფქის დამძიმება წყლით. გუშინდელმა დარმა თლათ დაშვანა თოვლი! (გურ. შარაშ.). შვალვა თოვლ-ჭყაპი (იმერ. ქავთ.).

შველა:

ბვ., სამ., ახ. ქართ. I. **შველა** დახმარება, შემწეობა. მას ზედა *შველა* რად მინდა (ვეფხ. 1474, 4). შენაც ეყოფი ბეჩავსა, ჩვენი რად გინდა *შველაო!* (ვაჟა). ზოგი წყალს ნატრობს სიკვდილის წინათ, ზოგი *შველას* და შემწეობასა (აკაკი.). მარინე კიოდა, წიოდა, ცას და ქვეყანას სთხოვდა *შველას*, მაგრამ მშველელი არავინ ჩანდა (ე. ნინოშ.). || ხსნა, შვება. ძლიერ შეწუხებული ვიყავი, ვიტანჯებოდი..., *შველა* არსაიდან იყო (ვაჟა). შუელა შველა,

შეწევნა: „ვერ შეუძლე *შუელად* მისა“ (გამოჩ. ჯუარ. 240, 14). „*შუელად* აღდგა ჯოჯიკ“ (შუშ. VI, 18). აქვე მეშუელი დამხმარე – ილ. აბულ.

არქეტიპია ს.-ქართვ. *შუელ- „შველა, შვება“ (ჩუხუა 2018: 103).

საშ. ქართ. **II. შველა** ბვ. გველხოკერა (დ. ჩუბ.). შდრ. სვენა მინდვრის მწვანე ფერის ხვლიკი (ჯავახ. ზედგ.). **შველა** (**შვეია**) ძლოკი ზან. (მეგრ. ელ.).

მ. ჩუხუას მიხედვით, ს.-ქართვ. *სუელ-ა „ხვლიკი, გველხოკერა“ (ჩუხუა 2017).

შვერ-ი:

ახ. ქართ. **I. შვერი** ტექ. 1. ნაგებობის რომელიმე მხარეზე წამოზიდული, გამოწეული ნაწილი. 2. განშტოება, ტოტი (გვირაბისა...) – ქეგლი. შდრ. შვერილი მიმღ. ვნებ. ნამ. 1. რაც გაშვერილია, – წანაშვერი. 2. შეჭრილი (რამეში), – წანაზიდი, წაწვდილი – ქეგლი. შდრ. შვერა ხელს, ფეხს მაღლა ავიღებ ან გავსჭიმავ, განვიპყროზ – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. შვერი**, „ლექსი“ (ფერეიდ. ჩხუბ.).

ფერეიდნულ დიალექტში შვერი სახელი განმარტოებით დგას. შესაძლებელია, ის ინახავდეს საერთოქართველურ *შუერ- ლექსი არქეტიპის საკუთრივ- ქართულ რეფლექსს. ს.-ქართვ. *შუერ- / *შურ- → ქართ. შვერ- / შვირ- : ზან. სკვირ- ←*შქვირ- : სვან. შგურ- / შგურ (ჩუხუა 2000-2003).

შვინდ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. შვინდი ან შინდი** 1. მცენ. – დ. ჩუბ. || [Cornus mas] ბოტან. დაბალი ან საშუალო ტანის ბუჩქი; ყვავილი ყვითელი აქვს, ქოლგად შეკრებილი, ფოთოლი მოპირდაპირედ განლაგებული, ნაყოფი – მეტწილად წითელი, იშვიათად ყვითელი, მოყვანილობით ოვალური ან მოგრძო; ყვავის ადრე გაზაფხულზე. ისე როგორ მოცდება *შვინდი,* რომ ყვითლად აღარ გამოიჭყიტოს გაღმა პირმზითიდან? მიდის, მიღელავს ცხვრის თეთრი ფარა, *შვინდის* კომბლები ცაში ტრიალებს (გ. ქუჩ.). 2. ამ ხის ნაყოფი, წვნიანი, მჟავე, კურკიანი; იჭმება; ინახება კერკად და ჩურჩად; იხმარება სამურაბედ და სასიროფედ. ახ, საჭამანდო *შვინდისავ,* ხის კოვზითა და ჯამითა, ნადუღო დედიჩემისა, გამამღო შენის ჭამითა! (ვაჟა). ხვალ ყველანი წავიდეთ, ტოტებს-კი ნუ მოვამტერევთ, *შვინდი* მოვკრიფოთ! (შ. არაგვ.) – ქეგლი.

აღდგენილია: ს.-ქართვ. *შინდ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); მ. ჩუხუა მიუთითებს ს. ქართვ. ძირზე *შუინ-დ „შინდი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. შვინდი** ხაფანგის ნაწილია, რკინის სალტე (სოჩხეთი, ოკრიბ. ძოწ.). შდრ. მშვილდი ძველებური იარაღი რკალისებურად მოღუნული ხე (რქა ან რკინა), – ქეგლი. || შვილდი (იმერ. გაჩ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *მშუილ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

შინშილა:

ახ. ქართ. **I. შინშილა** [ესპ. chinchilla] [chinchilla laniger] ზოოლ. მოვერცხლისფრო ძვირფასბეწვიანი მომცრო მღრღნელი; იცის სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. ნორჩმა მეკურდღლეებმა ცოცხალ კუთხეში *შინშილოსა* და ანგორული ჯიშის კურდღლების შეჯვარებით გრძელბეწვიანი კურდღლის ჯიში მიიღეს («სახ. გან.») – ქეგლი.

დიალექტ. **II. შინშილა:** ბატი ნანეხო -თეთრი მიწა, *შინშილა* (ულონოა და არა მოდის-რა). დააყრი პატივს და მოვა, თუ არა არა; თხირი მიწაა. ღადარა მიწაა (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, II, 197). || შიმშილა მწირი, მოუსავლიანი მიწა. ულონო მამული რო არი, შიმშილა მიწა ის არი (ტირძ.); შიმშილა – თიხნარი, მწირი ადგილია, კარქ მოსავალს არ იძლევა (კავთ., ქართლ. ლექსიკ.).

შინშილა < შიმშილა; აღდგენილია ს.-ქართვ. *მშ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

შიპ-ი:

დიალექტ. **I. შიპი** შიბი, – წნული გოდრისა, საბძლისა, ღობისა და მისთ. თავზე გადავლებული სიმტკიცისათვის : გოდრის... დაწვნის დროს პირველათ დაუწყობთ *შიპს* (შ.- კახ. მრეწ. II, I, 47).

მ. ჩუხუამ, ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით, აღადგინა ს.-ქართვ. ბირი *სიბ- წვნა; ღობე; სარტყელი (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. შიპი** ფიცარში ამოღებული წვრილი ღარი მეორე ფიცრის ჩასასმელად (ჯავახ. ზედგ.). || ნარიმანი. ორ ფიცარზე (ერთზე ზევით, მეორეზე ქვევით) სიგრძივ ამოღებული ნაწიბური, რომ ეს ფიცრები ღრეჩოს შეურთდეს ერთმანეთს. *შიპია* პოლის და კარების ფიცრებზე ამოღებული ღარი (ზედუბანი); *შიპია* პოლზე დასაგები ფიცრის ამოზნექილი და შეზნექილი ნაწილი (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || шип (რუს.) კოტა (ბარბ. ლექსიკ.).

საშ. ქართ. **III. შიპი** ნაწნავის მსგავსად ნაკერი -ნ., დ. ჩუბ.

საშ. ქართ. **IV. შიპი** ძარღვი კლდისა, მიწისა – დ. ჩუბ.

შიხ-ი:

საშ. ქართ. **I. შიხი** შეიხი, – [არაბ. შეიხ] არაბული ტომის, სოფლის უხუცესი, წინამძღოლი; მუსულმანური რელიგიური სექტის, თემის უფროსი. ქება... ბედ-სვიანობით ქუეყნის მოურნეს, დიდსა შიხ-აჰმადს (ქილ. 198, 20).

დიალექტ. **II. შიხი** სიმხურვალე, სიცხე. სიმინდს და ღომს... ქვეშ ცეცხლს შეუნთებდით და იმისი *შიხით* ვახმობდით (ლეჩხ. მრეწ. I, 162).

შლუ:

ბვ., ახ. ქართ. **I. შლუვი** მელოტი. „უკუეთუ მტიერი არს პირით კერძო, თმადასრულ არს თავი მისი, *შლუჳ* არს“ (G, ლევიტ. 13, 41). **II. შლუვე** ბელატობა, თმადასულობა: „კეთრი აღყუავებადი არს სიმტიერესა მისსა

შინა ანუ *სიმლუვესა* მისსა შინა“ (G, ლევიტ. 13, 42) – ილ. აბულ. || შლუ ეწოდების, რომელსა არა აქვნდეს შუბლთა და საფეთქელთა თმანი, ხოლო ქართულთა გარეშეთა ჰამბავთა (ამბვისა D) წიგნთა შინა შლუ ჭკუა-ნაკლებად დაუწერიათ – საბა. სიმლუვე (სიმუკე Z, სიმლუკე Aa) (13, 43 ლევიტ.) ბელატი ZA. See also: სიშუკე, შლუ – საბა.

დიალექტ. II. **შლუვი** 1. დონდლო, მოშვებული; ჩლუნგი. უფხოი-დ' უმადლოი ე ვაჟა, *შლუვი*. აგრეთვე გამშლუარი, გაშლუვდების მოეშვება, მოდუნდება. „რაის გამშლუარ ხარ ქალო, ხო არ გეძინების?“ (ხევს. ჭინჭ.). || შტერი, ჩლუნგი. „იმისანე *შლუა*, ვეფერს უჩივი“ (რაცხ. გურ.). 2. გაშლუებული ჩქარი, მარდი, გამშპარი, ფიცხი. „რასა ბრძანებთ ბატონო, აქაურს გაშლუებულს ღორს სათოფედაც არ მიუდგება კაცი, არა თუ დაიჭიროსა“ („ივ.“) – ი. გრიშ. || შუბსა მოიმღერდა და იგინებოდა: ვინ ხარ *შლუ* და რეგვენი, ვის მოგბულებია თავი (რუსულ. 433, 10). შეთნო, შემცდარნო, შეშლილნო, *შლუებნო*, შმაგო, შენაო (ვახტანგ VI, 65, 35). შდრ. *ⴝⴍⴜⴑⴑ* სულელი – ქართ. შალ- || შლ- (გორდეზიანი 1985). თურქ. შალუკ შლუ, სულელი.

შოვ-ი:

დიალექტ. I. **შოვი** ნაწილობრივი რამ, სწორ საგანზე ხაზივით რამ ნარჩენი, გინდა ბზარი. „ნახე ამ ქოთან *შოვი* რო დაუყვება“. „კარქა არ გაგირანდია ე ფიცარი, *შოვები* დაჰყოლია“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. II. **შოვი** ფშუტე, გულფუჭი მარცვალი, განიავების დროს გადარჩენილი, ნაბოლოვარი. „გულფუჭი მარცოლი ზაით მაიყარის, ემაგას შორტი ექუნა, ანდა *შოვი*“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე ჯავახ. ბერ. იხ. I. შორტი.

შოთ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **შოთი** მოგრძე სქელი პური – საბა. || გრძელი თონის პური. დააცხობინა ავთანდილმა შინ ჩინებული *შოთები*, ნაზუქები (გ. წერეთ.). მიცვალებულთა შესანდობრად *შოთებს* წითელი ღვინო აპკურეს (მ. ჯავახ.). საღვინით და *შოთის* პურით მზე დაადგა ბანებს (გ. ლეონ.) – ქეგლი. შოთი პურის სახე (ჩვენ. ფუტკ.). || ლავაში: „ყველანი მი *შოთ* გააკეთავს“ (ნუსრეთიე, კლარჯ. ლექსიკ.). აგრეთვე **შოთი ბორეგი** – კერძი: საჭმელები იმფერი ვიცით... სილორი, *შოთი ბორეგი* (რიშადიე, კლარჯ. ლექსიკ.). **შუეთ, შოთშოთი**, შოთი პური (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **შოთი** (ფშ.) იგივეა, რაც ფიჭა. ვინც გეჯუბით ინახავს ფშავში ფუტკარს, ისინი წველენ, ე. ი. ამოართმევენ რამდენსამე *შოთს* და, რაც ზამთრის საკვებად ეყოფა, იმას უტოვებენ (ვაჟა). ქალმა თაფლი შემთავაზა, თეთრი *შოთი*, გოლეული, მე თითები გავილოკე, გადავუდგი ტკბილეული (ბაჩ.) – ქეგლი. აგრეთვე: მთ., ჭ., ფშ., შან. შდრ. შართი «უცეცხლოდ გამოწურული თაფლი» («დიალ.») – ქეგლი.

შოლარ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **შოლარი** *ძვ.* «ხორგის ხორგზე შეყრა» (საბა). || «თოში, ხორგი აჩხორვილი ერთმანეთზედ» (დ. ჩუბ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **შოლარი** სწორი, სწორი და მაღალი (ხე...). გადატ. „სახით ცოტა შაქრიფერია, შავგრიმანი, ტანათ – *შოლარივით* სტორი და მაღალი“ (აჭარ. ნიჟ.). შდრ. შხოლარი (იმერ.) «ხის სწორი და გრძელი შტოები» (ვ. ბერ.). [გლეხები] ცეცხლის ალზე გრძელ შხოლარებს რუჯავდნენ, ჟენჟღავდნენ (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || შოლონქარაჲ (ითქმის მცენარეზე, ხეზე) სწრაფად ტანაყრილი, სწორტანიანი. „იმფერი შოლონქარაჲ სხლი[ს] ჩქოლა ჩავრგი, რომ ორ წელიწადში ხე გახდება“ (აჭარ. ნიჟ.).

შორტ-ი:

დიალექტ. I. **შორტი** ჭორღი, შოვი (მოხ.), ანასალი (თუშ.) უგულო, მარცვალ-დამჭკნარი ქერი, გაფუჭებული (გუდ., მთ. შან.). || მარცვლეულის განიავების შემდეგ დარჩენილი უვარგისი ბზე და მარცვლეული. „ღუდუდ ყანას რო მამკი და გალეწავ, განიავებისას *შორტი* მუდამ ბევრი რჩება“ (მოხ. ღუდ.). შდრ. ფშუტე || ფშუტი რასაც გული არა აქვს, ფუჭი (კაკალი, მარცვალი, თავთავი და მისთ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **შორტი** [ინგლ. shorts (მრ.)] – მოკლე შარვალი ერთგვარი – მ. ჭაბ.

შოშია:

ახ. ქართ. I. **შოშია** [Sturnus vulgaris] ზოოლ. მომცრო მგალობელი მოზამთრე ფრინველი შოშიასებრთა ოჯახისა; მოშავო-მოჟანგისფრო ბუმბულით შემოსილი და თეთრად დაწინწკლული. რად მოფრენილხარ, *შოშია*, შენ ასე ადრიანადა? (შ. მღვიმ.). *შოშია* ლამაზი ფრინველია (ი. გოგებ.). მერცხლებს ბუდე დაუცლიათ, *შოშიებიც* არსად ჩანან (გ. კაჭახ.) – ქეგლი.

შოშია შემოსული ჩანს ძველი ებრაულიდან (სუს- „მერცხალი“ > შოშ-ია) (ჭუმბურიძე 1987: 50).

დიალექტ. II. **შოშია** გზა, გზატკეცილი. ჩემ პატარაობას ძიენ უგზოთ ვიყაით ჩვენა, ეხლა რას ამოფ, კარქა დასამხრისათა ვართ *შოშია* გზასთანა (რუისი). კაი *შოშია* გზა გაიყვანეს ესე, ბეგვზე, ქალაქამდინა (კავთ., ქართლ. მესხ.). **შოშია გზა** საავტომბილო გზა. გზატკეცილი (ფშ. ხორნ.). **შოშა** || **შოში გზა** შარაგზა (ჩვენ. ფუტკ.). შდრ. შოსე [ფრანგ. შოსე] გზატკეცილი – ქეგლი.

შრატ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **შრატი** 1. ახ(ა)ლის ყველის წვენი – საბა. კმა იყოფენ თჳნიერ წყალსა და პურსა და *შრატსა* (ქ. ცხ. IV, 637, 10). || (ყველად...) შედედებული რძის ნაწური. აქაურს მოხრაკულებსა წაკა მირჩევ-

ნავ, *შრატია* (ვაჟა). როდესაც ახალს ყველს ჩაადედებთ და ამოიღებთ, ის *შრატი* აადუღეთ (ბ. ჯორჯ.). *შრატს* გასასუქებელი ღორებისათვის იყენებენ (ს. ჭუმბ.) – ქეგლი. „კალტს როცა ამიღებენ, დარშჩებ სველი. მემცხუარეცები *შრატს* უხმობენ“ (თუშ. ხუბ.). 2. სისხლისა და ლიმფის აჭრისას წარმომდგარი სითხე (იხმარება მედიცინაში წამლად და სადიაგნოზე საშუალებად) – ქეგლი.

ივარაუდება, რომ შრეტ || შრიტ || შრტ- ფუძიანი ზმნას მოეპოება დერივატი ფუძეში ა ხმოვნით: შრატი (ქურდაძე 2005: 170).

დიალექტ. II. **შრატი** შარდი. ის ქამარ-ხანჯალი... იმ დევის *შრატში* აწურთეო (მთ.-გუდამაყ. ვირსალ) – ა. ღლ. შდრ. შარდის შეხუთვა; შარდის მარილი – დ. ჩუბ. შარდი ორგანიზმიდან თირკმლებით გამოყოფილი სითხე, რომელიც შეიცავს ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებებს – ქეგლი. ვეჭვობთ, რომ შარდ-ის ფონეტიკური ცვლილებების შედეგია შრატი.

დიალექტ. III. **შრატი, შრატიანი** შარიანი. რა *შრატი* ადამიანი ხარ, სუ ჩხუბზე გიდემ თავი (ქემ.). რო მოუგებ რასმე და არ იძლევა, რა *შრატიანიო*, ვიტყვით (ქვ. ჭ.). არა, შენთან არ ვითამაშეფ, შენა *შრატიანი* ხარ, სუ შაროფ ხომე (ნიქ., ბრ., ქვ. ჭ., ქვეში). უშრატებს შარს მოუდებს. მაგასთან თამაშობა არა ღირს, წამდაუწუმ გიშრატეფს (ნიქ., ქართლ. ლექსიკ.).

შარდი რომელთამე ჰგონიესთ რომელ ბუნებითი საჭიროს მოშარდვასა ნიშვნიდეს. არა, ისე არ არის; ესრეთ არს ამისი განმარტება: შარდი არაბულად ნიშნავს მიზეზისა რაჲსათვის მეინახეთაგანი, ანუ თუ მასპინძელი რომ ადგეს და სტუმრობიდამ გარეთ გამოვიდეს, არაბულად ამას ნიშნავს. საზოგადო სახელი არის შარდი არაბულად და არა საკუთარი: ზოგად საქმისა რაჲსათვისმე საიდუმლოსა მეჯლიშით გარე გამოსვლას ნიშნავს (თ. ბაგრატ.).

დიალექტ. IV. **შრატ** (მიწაჲ) შრაკ (მიწაჲ), – გამომშრალი, გამომხმარი, გამოფიტული (მიწა, მარცვლეული და მისთ.) (ინგ. ღამბ.). იხ. I. შორტი.

შრეშ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **შრეში** 1. [ჩირიშ] (ბალ.) თიორში, თიოში – საბა. || [Eremurus spectabilis] ბოტან. ქვიანსა და ხრიოკ ადგილებში გავრცელებული მრავალწლოვანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა; აქვს მაღალ ღეროზე მტევნად თავმოყრილი მოყვითალო ყვავილები და ფესვის ყელთან შეკრებილი მოგრძო ფოთლები, იხმარება მხლად. 2. ამ მცენარის ფესვებისაგან დამზადებული ფხვნილი. || ამ ფხვნილისაგან გაკეთებული წებო, რომელიც იხმარება ტყავისა და მატერიის დასაწებებლად – ქეგლი.

დიალექტ. II. **შრეში** მიწა ფხვიერი, მშრალი მიწა. ეს ნიადაგი უნდა იყოს ფხვიერი, *შრეში* მიწა უნდა იყოს (განთიადი, ზ.-იმერ. ძოწ.). თუ საპირე თხელია, მეშ ვაძლევთ სარჩულათ, *შრეშით* ჩავაკრამთ (ქიზ. მრეწ. III, I, 20; მრეწ. III, I: გ.-კახ. 58, გურ. 254).

შუ:

დიალექტ. I. შუ შუაში. ჩაუსხდეს გზის თავ, გზის ძირა, *შუ* ნაროზ ჩაიგდიანო (ხევს. პოეზ. 177, 7). [სომეხა და მინდოდო] კალოთ-გორს ჩამოდიოდეს, *შუ* ვაჩე ჩაუდგებისა (ხევს. პოეზ. 7, 6). აქვე შუ სისხლის წყალი უდის, შუ ფარი არ ჩაუვა და სხვ. – ალ. ჭინჭ. შუ-და-შუ ჯ. კაცსა და კაცს შუა. „ჩაიყენეს ქისტები შუ-და-შუ“ (ჯ. მას. 169, 17) – ა. შან. აგრეთვე: თუშ. ხუბ., ცოც. იხ. I. შუა.

ახ. ქართ. II. შუ [ფრანგ. chou] ერთგვარი საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილღვეზელა – მ. ჭაბ.

შუა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. შუვა, შოვა, შუა «საშოვალ», შორის: „არცა ერთ(ი) კერძო მოზიდული“ (საბა). „იქმნა გული ჩემი ვითარცა ცუილი დადნობილი შუვა მუცელსა ჩემსა“ (ქ, – „...*შუა* მუცელსა ჩემსა“ (ქ, ფს. 21, 15) – ილ. აბულ. იხ. I. შუვა.

შუა 1. რისამე ნაპირებიდან თანაბარი მანძილით დაშორებული. შიგ *შუა* წყალში ცხენიდან გადმოვხტი (ილია). ორი მგელი ზედ *შუა* გზაზე გაიხიდა (თ. რაზიკ.). გიორგი *შუა* ეზოში იდგა (მ. ჯავახ.). || დასაწყისიდან და დასასრულიდან თანაბარი დროით დაშორებული. *შუა* ზაფხულში მდინარის ნაპირები აივსებოდა (ს. კლდ.). ◊ შუა ლხინი, ქეიფი გახურებული, გაჩაღებული ლხინი, ქეიფი. ქიტუას ბანზე *შუა* ლხინში შევიდნენ (შ. არაგვ.). შემდეგ არსენამაც დალია მძების სადღეგრძელო და *შუა* ლხინის დროს უცებ სიონის ზარივით დაჰკივლა (მ. ჯავახ.). 2. იგივეა, რაც შუაზე. ობოლს კვერი ეპატარავებოდა და ისიც *შუა* გაუტეხიანო (ანდაზა). კეთილმა სანდალამ... *შუა* გაყო თავისი ყველი და პური და მისთავაზა თავის ღარიბ ამხანაგს (ი. გოგებ.). წალდი დავიკარი კოჭში და შუა გავიპე (აკაკი) – ქეგლი. 3. საცხოვრებელი სახლის მეორე და მესამე სართული – საცხოვრებელი ოთახები ბაშტესა და ჭერხოს შორის. „*შუას* კარგაც კიდობნებ იდგისა-დ მეჯ-თაროებიც ხქონდის გამართულებრ“ (თუშ. ცოც.). 4. შუამდგომელი შუამავალი, შემრიგებელი. რადგან *შუა* ხართ, არ მოვჰკლავ, ცოდვა ზღოს მისმან თავმანო!“ (ბეს. 166, 14). უნდა აღინიშნოს, რომ შუა სიტყვიანი კომპოზიტები და მყარი გამოთქმები ერთ-ერთი გავრცელებული ლექსემაა როგორც სამწერლო ქართულში ისე მის დიალექტებში. სიმრავლის გამო დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს. **შუაკაცი, კაც(ს)შუა** კაცი მედიატორე, შუამავალი ჩხუბის შემთხვევაში. მე თუ არ მწადის, ჯალაფნო / ვერ გამათხოვებთ ძალადა, / ნუ ადენთ შუაკაცებსა /არვინ მაუშოთ კარადა ჯ. – ა. შან. **შუაღვინო** წყალშერეული ღვინო სახარჯოდ. *შუაღვინოა* ნახევარი წყალი, ნახევარი შუმი (ხიდარი, ზ.-იმერ. ბოწ., რაჭ. კობახ.). შვაღვინო (რაცხ. გურ.). შუაბარი იატაკისა და ჭერის კოჭების დასყრდნობი ხე (სინონ. საწელავი, საწელური). შუაბარი ქირიშების *შუაში* გადებული ხეა (ღარიხევი); **შუათქალი** შუახნის ქალი. ქეთუა ბებერი არ არი, შუათქალია

(ზედუბანი) (ზ.-იმერ. ძოწ.) და სხვ. **შუაყანა** მიწის იატაკი, სოხანე (ხევს. ქაზდარი), ოთახის შუა ადგილი. „ფეკნი ჩაუსხლტა და შუაყანაზე ბრახანი მაადინა: ზედ შუაყანაზე გაძაბულიყო მკუდარივითა“ (მოხ. ქავთ.). **შუატანი**: სამკალის შუაგულს შუატანი ეწოდება (მაწ., ალგ. სალ.). **შუაკერაყრ შუაცეცხლის** ასანთები ადგილი საცხოვრებელში. „შუაკერაყზე ერთ დიდ სიპ ხქონდის დადებულრ“ (თუშ. ცოც.) და სხვ.

ძვ. ქართ. II. **შუაი** ძვალი (ყბისა) (?). კბილნი მათნი და კბილნი ლომისანი და *შუანი* მათნი ლეკუთა მათთანი (იოვ. 1, 6) – კ. დან. შდრ. „**შუანი** – მხეცთა და ძაღლთა მაგარნი და დიდნი კბილნი“ (საბა). შეფქვენ, შელეწენ უკვე ანდამატისა კვერით შემჭამნი ჩვენნი ლომთა *შუანი* (ბესიკი 101, 24).

სპეციალურ ლიტერატურაში ამ სიტყვის ძირად მითითებულია, ს.-ქართვ. *ჩუალ- „ეშვი“ (ჩუხუა 2017).

ძვ. ქართ. III. **შუა** ღილი: „შექმნენ სამშჭუალნი ესე *შუად* აღჯრისა ჰუნისათჯს მეფისა“ (პოვნ. სამშჭ. 244, 7) – ილ. აბულ. ვფიქრობთ, რომ „მხეცის კბილის“ აღმნიშვნელ შუა-ს გადატ. შესაძლებელია ღილიც აღენიშნა.

შუვა:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **შუვა, შუა** «საშოვალ», შორის. „იყო კუალად ნავი იგი *შუვა* ოდენ ზღუასა მას“ DE, – „იყო ნავი საშოვალ ზღუასა“ (G, მრ. 6, 47); „დადგა *შუვა* აბანოსა მას“ (ფოკა 345r). || საშუალო: „*შუვანი* იგი არავის სთხოვდეს“ (მ. ცხ. 370r) – ილ. აბულ. || (თანდ.) „შორის“. „რომელნი იყვნენ *შუვა* მისა, განივლტოდედ“ G – „რომელნი იყვნენ შორის მისა, განივლტოდედ, (DE, ლ. 21, 21). || (ზზ.) „შორის“. „წარმოდეგ *შუვა*“ G, – „წარმოდეგ აქა შორის“ (DE, მრ. 3, 3) – ილ. აბულ. დახატა ცეცხლი გალავნად, *შუვა* ერთ გორად წალამი (დ. გურამ. 84, 156). იხ. I. შოვა.

აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *შუვა- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). იხ.აგრეთვე გამყრელიძე 2000: 55.

ძვ. ქართ. II. **შუვა, შუა** მხეცის კბილი: „*შუანი* ლომთანი შეფქვნა უფალმან“ (ფს. 57, 7); „განამრავლებდეს სავაჭროთა შენთა *შუვათაგან* პილოსათა“ I, – „განამრავლებდეს სავაჭროსა შენსა რქათა და კბილთა სპილოსათა“ (pb., ეზეკ. 27, 15). მ. ჩუხუა საერთოქართველურისათვის *ჩუალ- არქეტიპს ვარაუდობს (ჩუხუა 2002-2003). იხ. აგრეთვე:ქერქაძე 1974: 133, გელენიძე 1974: 60), კარტოზია 1984: 133, მეგრელიშვილი 1993: 107-112, არაბული 2010: 8.

შუმ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **შუმი, შუმა** 1. უწყლო ღვინო – საბა, დ. ჩუბ. || წმინდა, ხალასი, ნამდვილი; თავანკარი. შუმი ღვინო. – მახსოვს სოფელი ჩუმი, დედის ლოცვა ტკბილი, კალო, მაჭარი *შუმი* (ხ. ვარდ.) – ქეგლი. ღვინოს „*შუმად*“ ლეჩხუმშიც აყენებდნენ, რასაც „ფეთქი“ ეწოდებოდა

(რაჭ. ფრ.). ყურძენს დავწურავთ ფეხებით და გამოვა *შუმი*- ტკბილი (ზ.-ქართ. მრეწ. IV, III, 106, ზ.-იმერ. 119, ქვ.-იმერ. 125, ქვ. რაჭა 144, ლეჩხ. 150, გურ. 161, იმერ. გაჩ.). 2. წმინდა, შეურეველი კვიცი – *შუმი* არაბული იყო (დ. შენგ.). 3. გადატ. ნამდვილი. *„შუმი* სულელია!" (იმერ. გაჩ.). შუმი წმინდა, ხალასი, შეურეველი, შეურყვნელი, სუფთა წყალგაურეველი ღვინო; წმინდა ქსოვილი ოქრომკედით ნაქსოვი. წმინდა სისხლის არაბული კვიცი ზან. (მეგრ. ქობ.).

ი. ყიფშიძე ქართულის ამ სიტყვას უკავშირებს მეგრ. შუმ-ა „სმა" ზმნის ფუძეს (ყიფშიძე 1994: 562). კ. დანელიას დაკვირვებით, მართლაც, შუმა ფუძეს მეორეული მნიშვნელობაც აქვს : შუმილი ნიშნავს მთვრალს, ეტიმ. ნასვამს, დალეულს. მაგრამ ამ ზმნური ფუძის გასუბსტანტივება მიმღეობური ფუძისაგან უნდა ვივარაუდოთ: *მ-შუმ-ი > შუმ-ი... საბას (შეიძლება) ეს სიტყვა რომელიმე დასავლური (გურული) კილოდან ჰქონდეს აღებული (დანელია 1984: 600). ა. არაბულის აზრით შუმი ზმნურ ფუძეს უშუალოდ უკავშირდება, ოღონდ პასუხს მოითხოვს ზან. ზმნურ ძირად სუმ- აწმყოს ფუძის გამოყენება, ვინაიდან ეს ფუძე აორისტშიც ჩანს: დიივშუმი (არაბული 2001: 72).

ახ. ქართ. II. **შუმი** უსაბუთო, დაუსაბუთებლად ლაპარაკი ან უპასუხისმგებლო საქმე (ი. გრიშ.). შდრ. [თურქ. **şom** საეჭვო].

ახ. ქართ. III. **შუმი**: **შამ-შუმი** შეშმუშნვა. „ხმაურობამ ყველა გამოაფხიზლა, ყველა *შამიშუმში* მოვიდა" (ს. მგალ.) – ი. გრიშ.

შურთ-ი:

დიალექტ. I. **შურთი** დიდი ქვევრის პირი, შემოქნილი ნაპირით (გორი, ქართლ. მესხ).

დიალექტ. II. **შურთი** ბატკანი (მთ., გუდამაყრ.) (ე. ვირსალ.) – ალ. ღლ.

შუტ-ი:

დიალექტ. I. **შუტი** ნერწყვი. „მომანდომე მეც, *შუტი* გადამაყლაპიე" (ბაგინი, კლარჯ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. II. **შუტი** [ინგლ. **shoot** ბურთის გატყორცნა] – ფეხბურთში: ბურთის დარტყმა ზევით, ვერტიკალურად, ჰაერში – მ. ჭაბ.

შუშუკ-ი:

დიალექტ. I. **შუშუკი** ღურნის ვიწრო მილი, საიდანაც წისქვილის ბორბალს ეცემა წყალი (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. შუშუტი.

დიალექტ. II. **შუშუკი** გადატ. თავქარიანი, ქარაფშუტა (აჭარ. ნიჟ.). იხ. II. შუშუტი.

შუშუტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. შუშუტი, შუშუტა** 1. პატარა მილი (სითხის ან ჰაერის სადენად) – ქეგლი. || წისქვილის ღარის შევიწროებული მილი, წყლის შესამჭიდროებლად (ქიზ. მენთ., ჯავახ. ბერ.). || ვარიის სულის საქცევი, დუდგულისა (მთ. შან.). || შიბაქი (ინგ. ღამბ.). 2. ნესტო. ცხვირიც დასიებულნ ხქონდეს, აღარც *შუშუტნ* ეტყობოდეს (ხევს. ჭინჭ.).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ფუძის რედუპლიკაციასთან გვაქვს საქმე. შუტ- წარმომავლობით იგივე ძირი უნდა იყოს, რაც გამოიყოფა სიტყვებში ნესტუ „არტერია“, „ვენა“. ნესტუ-ფერდი „ფილტვი“. ამ სიტყვებისათვის *სტუ არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

დიალექტ. **II. შუშუტი** ქარაფშუტა, მსუბუქი ჭკუის კაცი. „იეგ შუშუტი კიდო რამეჰ გააფუჭამს, წაჰყე თორე“ (ჯავახ. ბერ.). || ჩერჩეტი, ქარაფშუტა. „*შუშუტის* ერთია, მაგას რას გააგებინამ რო!“ (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე: მესხ. ფეიქრ., ფშ. ხორნ.

მიგვაჩნია, რომ შუშუტი < შურშუტი < სურსუტი; **სურსუტი** „შეურაცხი“ – საბა. ძვ. ქართ. სურსუტი „უღირსი, უწესო, დასაცინი“. ნუ ეგრე გგონიეს მჴევალი შენი, ვითარცა დედაკაცი ერთი ასულთაგანი *სურსუტთაჲ* (III, მფ. 1, 16) – ზ. სარჯ.

უ. ცინდელიანი სურსუტის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „სურსუტი სიტყვა რთული შედგენილობისაა და შესაძლებელია გაორკეცებული სუტ (სუტ-სუტი „სურსუტი“) ძირის გამოყოფა. სუტ || სრუტ (სრუტავს პირით შეისუნთქავს, შეიწოვს (ჰაერს, სითხეს) ბგერითი კომპლექსის გრამატიკულად გაფორმებამ მოგვცა, ერთი მხრივ, სუტავს ზმნა, ხოლო მეორე მხრივ, გაორკეცების გზით სუტ-სუტი > სურ-სუტი სახელი . ოშკურ ხელნაწერში დამოწმებული სურსუტი დიალექტიზმს წარმოადგენს“ (ცინდელიანი 1985: 98).

შხაპ-ი:

დიალექტ. **I. შხაპი** მწვავე, მეტად მწარე ან მჟავე. „ძიენ *შხაპი* არაყია, რო დავლიე, სულ წინწკლები წამცივდა“. **შხაპი თუთუნი** მწარე გემოს თამბაქო (ჯავახ. ზედგ.). შდრ. შხმაკი მწარე, ან მჟავე, უგემური ხილი (ქართლ. მესხ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. შხაპი** 1. ჩქარი წვიმა – საბა, ქეგლი. „ისრეთი *შხაპი* წამოვიდა რო!“ (ჯავახ. ზედგ.). 2. შხეფი – სწრაფად გატყორცნილი სითხის ხშირი წვეთები, წინწკალი; ლიახვის *შხაპი*, ზვირთი მტკვარისა არწივის ბუდეს ეშხაპუნება (გ. ლეონ.). 3. მოწყობილობა, რაც სითხეს (წყალს...) ხშირ წვეთებად (შხეფებად) ასხამს. რეგულარულად და ხარისხოვნად არ მუშაობდა შხაპი («ლელო») – ქეგლი. 4. ავდარი (ფარცხ.

ქართლ. მენთ.). || შხეპი მოჯ.; დიდი წვიმა; || შხეპა გუდ., მთ. დიდი წვიმა, ჩქარი – ა. შან. შხაპება სხურება, შესხურება, მისხურება: „აშხაპებს ყართოფის ფურცლებზე“ (ჩაქ., შავშ. ლექსიკ.).

ჩვენი მოსაზრება, ამ სიტყვათა წარმომავლობის შესახებ შემდეგია: ძველ ქართულში, „მძაფრი“, „სასტიკი წვიმის“, თავსხმის სინონიმად დასტურდება შესიტყვება „მსხეპრი წვიმა“, ამ სიტყვების ერთად ხმარება განაპირობა გამოსახატავმა სიტუაციამ. „ოდეს წარჯდა *წჯმაჲ იგი მსხეპრი* და დაშთა მისგან ცუარი ხოლო“ (J, III, ეზრა, 4, 49) – ილ. აბულ. დროთა განმავლობაში, მსაზღვრელი, ენობრივი მეტაფორა მსხეპრი, რომელიც სხეპავს გადატ. „გაკვეთს, გაჩეხავს“ ზმნის მიმღეობაა, იღებს მთელი სინტაგმის მნიშვნელობას და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად გვევლინება, რასაც შემდგომი ფონეტიკური ცვლილებებიც მოჰყვა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებლი ეკონომიის პრინციპიც. მსხეპრი და მისი ფონეტიკური ვარიანტები სხვეპრი, მშხეპრი, მშხეპარი, სხეპი, შხეპი, შხეპა, შხაპი წვიმა, წვიმა-შხეპა, შხაპუნა წვიმა დასტურდება აღმ. საქართველოს მთის დიალექტებში. მსხეპრის ფონეტიკური ვარიანტების სიმრავლე განპირობებულია ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპსა და სხვადასხვა დიალექტში წარმოქმნილი ფონეტიკური სხვადასხვა ვარიანტების თანაარსებობით. სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია შხაპ და შხეპ- ფუძიანი ლექსემები. ამ სიტყვის შესახებ იხ. აგრეთვე (ქურდაძე 2005: 170).

შხუნა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **შხუნა** (გურ.) ბარდიანი ბუჩქნარი (ი. ჭყ.). ქედის-ყურაში რომ დიდი წიფელაა, ხომ იცი, დიდ *შხუნას* იქით, წყლის პირში (ე. ნინოშ.) – ქეგლი. „თხმელის *შხუნაში* ღორიც ვერ გაძრებოდა აქანაი, ახლა, ხო ხედავ, აფერია“ (შემ., გურ. ჯაჯან.). **გაშხუნავს** წკნელით, წკეპლით... სცემს (რაჭ. კობახ.). შდრ. II. შოლარი.

ახ. ქართ. II. **შხუნა** [ინგ. schooner] ორ- ან მეტანძიანი ირიბიალქნიანი პატარა ხომალდი. [რიონო,] გაჰფანტე ბარჟები და ჩქარი *შხუნები* (კ. ჭიჭ.).

ჩ

ჩათა:

დიალექტ. **I. ჩათა** [თურქ.] სხვენი. „სახლსა *ჩათა* გუუკეთეთ, მალე დავხურავთ“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჩათანი სასიმინდის მსგავსი (უფრო პატარა ზომის) სიმინდის ჩასაყრელი, წნელით მოწნული (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. **II. ჩათა** [თურქ.] მძარცველთა რაზმი შემდგარი თურქებისაგან. „ისინი რო გაქცეულან, ერთი ბავშვი დარჩომიათ და *ჩათას* წაუყვანია“ (ჯავახ. ბერ.). შდრ. ჩეთე (çete) 1. პარტიზანი, აჯანყებული, მეამბოხე; 2. ბანდა, რაზმი (ჩვენ. ფუტკ.).

ჩათმა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩათმა** [თურქ. ჩათმა] ძვ. ერთგვარი ნაქსოვი (საბა). „*ჩათმა* ნაქსუარი ამსირაი კაი იქნება“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჩათო 1. (კახ.) ბუისაგან ან თხის ბალნისაგან (ზოგჯერ ცაცხვის ხრალისაგან) დაწნული მოკლე (ყულფიანი) თოკი. [ჯორს] მოხადეს ფიჩხი და ჩათოთი გამოაბეს დუქნის საჩეხის წინ («ივერია»). 2. (იმერ. თუშ.) განიერი თასმა, რომელსაც ბოლოში რკინის რგოლი აქვს («დიალ.») – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირია *ჩათ- რკინის „რგოლიანი თასმა“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ჩათმა** [თურქ.] მრგვალი ბოძებით სახელდახელოდ ნაშენები. „ჩუენი *ჩათმა* ახორი დეიწუა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || ჩათმაი [აზერ.] სახელდახელოდ აშენებული ხის სახლი (ინგ. ღამბ.). იხ. I. ჩათა.

ჩალმა:

ახ. ქართ. **I. ჩალმა** [თურქ. ჩალმა] თავზე შემოსახვევი საბურველი მამაკაცისა მუსლიმანურ ქვეყნებში. მოურავი სპარსულ კაბას იცვამდა და თათრულ *ჩალმას* იხვევდა თავზე (აკაკი). ჩალმიანი ჩალმით თავდახურული. ჩალმიანი მოლები ლამაზ... თითებს წვერებზე ივლებდნენ (კ. გამს. თარგმ.) – ქეგლი. შდრ. ჩალამი (ლეჩხ. ალავ.).

დიალექტ. **II. ჩალმა** გოგირდის, ჯაგრის, თოფისწამლისა და სხვ. ნარევი შიშის, ავი ზნის წამლად. წამალს დავაწყობთ, ჯაგარ დავაყრით, ცეცხლს მივცემთ, მოუკიდებთ, *ჩალმას* ვეტყვით; დავიჭერთ ორ ნამგალს და შიგ ამოვატარებთ შეშინებულ ბავშვსა. ავქარდაცემულსა *ჩალმაზე* ზედ მოვატრიალებდით, *ჩალმის* ფერფლსაც დაალეინებს ზოგი (ძეგ.). აგრეთვე დ. თონ. (ქართლ. ლექსიკ.).

ჩამ-ი:

ახ. ქართ. **I. ჩამი** ჩქამი. დუმილი იყო გამეფებული. არსაიდან ჩამი (ლ. ქიაჩ.). შდრ. ჩამი-ჩუმი მცირე რამე ჴმა – საბა.

დიალექტ. **II. ჩამი** [სპარს.] წყალი რო მიდის, შომოუხევს, წონე ადგილია, *ჩამი* ჰქიან (მარტყ. ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. III. **ჩამი** [თურქ.] ფიჭვი. „ჩამი“ თურქულია, თურქულაი ვებნევით, გურჯიჯა აღარ ვიცით“ (ჰ., ჩვენ. ფუტკ.). **ჩამი** [თურქ.] ნაძვი ზან. (ლაზ. თანდ.).

ჩამურ-ი:

დიალექტ. I. **ჩამური** [თურქ.] ტალახი. „ბაღვი *ჩამურში* ჩავარდნილა, გაასუფთე!“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || [თურქ.] ტალახი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩამური** ერთგვარი საცეხველი – როდინისებურად ამოღრუტნული დიდი ქვა, რომელშიც ყრიან ბრინჯს, ღომს (ზოგჯერ ხორბალს) და ცეხვავენ. [სოფელში] გაკეთებულია წყლის *ჩამურები* ღომის საცეხვავად (თ. სახოკ.) – ქეგლი. || ღომის საცეხველი (გურ. ჭყ.). „*ჩამურში* პური კაკალ გაცეხვავს“ (ფათ., ჩვენ. ფუტკ.). **ჩამური** ღომის საცეხვი ინვენტარი ზან. (მეგრ. ელ). ჩამური ნასესხებია მეგრულიდან. შდრ.

ჭან. ო-ნ-ჩამ-ურ-ე || ო-ნ-ჩამ-უ-ე; მეგრ. ჩამ-ურ-ი || ო-ჩამ-ურ-ე; ქართ. [„სა-ცემ-არ-ი“]. დიალ. ჩამ-ურ-ი. ონჩამურე-ში ნ- განვითარებულია ჩ-ს წინ; ო-ჩამურ-ე კი კანონზომიერი შესატყვისია სა-ცემ-არ-ისა; ძირეულია ჩამ- ქართ. ცემ-; მეგრულში ამ ფუძეს ო-პრეფიქსი არა აქვს (ჩიქობავა 1938).

ჩან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩანი** (მოხევ.) ჭარი, – განაპრობი კანი (გველისა. აგრეთვე ფრინველის ფეხისა). ფიგურ. მეხი წამოვა მაღლიდან, მთამ გადაიძრო *ჩანია* (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე გურ. კიწმ. ჭარი || წარი გველის პერანგი ზან.(მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩანი** ჰქვიან იმ ცემენტით ამოლესილ ორმოს, რომელშიაც დაბღები ტყავს ინახავენ, ე. ი. ამ ჩანაში მზადდება ტყავი. ტყავი ჩანიდან გამოჰყავთ. ამბობენ: ორი ჩანი ჩადისო – ი. გრიშ. || [რუს.] დიდი კასრი, როფი. დიდი *ჩანები* აქვე მეურნეობას (პირველი სვირი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე იმერ. გაჩ.

ჩანგა:

სშ. ქართ. I. **ჩანგა** მოხრილი საკრავი – ნ. ჩუბ. || [სპარს. čang] ურეზონატორო, სწორკუთხოვნად მოხრილი, სიმებიანი სამუსიკო საკრავი, რომელსაც თითების გამოკვრით აჟღერებენ. ქნარი – ქეგლი, დ. ჩუბ. **ჩანგ, ჩანგ ჩანგი** (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. **ჩანგაი** [აზერ.] მუჭეული, ერთი ნამგლის მოსმით მომკილი ბალახის (პურის, ქერის, ჩალთუქისა და მისთანათა) ბღუჯა, რაც ერთ მუჭში დაიჭირება; **ჩანგაი დაყრაი** მოუმწიფებელი ქერის, ბრინჯის, ფეტვისა და მისთ. გათიბული და მიწაზე გასახმობად დაყრილი ერთი მუჭეული. ქერ კაიგორა (კარგად) არ მოწეულეყო, გაფთიბ *ჩანგაი*, დაფყარ; „პურსა და ქერს გათიბაში, თუ პატა ოდოშივი იყო (არასრულად დამწიფე-

ბული იყო), *ჩანგა(ს)* ჰყრიდნენ შესაჭკნობად, ხოლო თუ მოწეულ იყო, ბენდამს (ულოს) აკეთევდნენ და შიგ აწყოვდნენ *ჩანგევს* და ჰკრავდნენ ხელეულს" («შინამრეწვ.»). ზმნზ. **ჩანგა-ჩანგა** მუჭეულებად (ინგ. ღამბ.). || ხელეული. „ერაგე ჟავრიან ზამთარი საქნია, რომ ეს *ჩანგა* ბალახ ვერ საპოვნიხარ" (ინგ. ასრათ.).

დიალექტ. **III. ჩანგა** [სპარს.] 1. ყბა. როდცა შეიგინამს, მაშვიე *ჩანგეში* ნა გაარტყა 2. კბილის პროტეზი. თელ ქვეყანას აქს კბილების მაგივრათ *ჩანგა*, ამა შენ ვერ აითანე. 3. საქონლის ქვედა ყბა. აქვე **ჩანგაშეკრული** გადატ. მადა წართმეული, ჭამა რომ არ უნდა. თელი დღეა არაფელი უჭამია, *ჩანგა შეკრული* დადის (მესხ. ფეიქრ.).

დიალექტ. **IV. ჩანგა** ურმის ნაწილი; ჩანგა ურემს ქვევიდან აქვს ამოკრული. უღლის ზედა ნაწილსა და *ჩანგას* შუა არის უღელი. და სამივე დამაგრებულია თავტაბიკით (მესხ. ფეიქრ.). || ჩანგი (ქართლ.) გუთნის პირველ უღელზე დაკიდებული რკალი, რომელშიაც გატარებულია ღვედები – ქეგლი. შდრ. ჩანგალი – ქეგლი.

დიალექტ. **V. ჩანგა** წისქვილის ქვის შუაგულში ამოჭრილი ნაწილი, რომელშიც ზემოდან (ამბრიდან) ჩამოდის მარცვალი და მერე ნაწილდება ქვაზე (მესხ. ფეიქრ.).

ჩანგალა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩანგალა** 1. ჩანგალივით მოხრილი, მოკაუჭებული რაიმე. 2. (ქართლ.) რქამოკაუჭებული (კამეჩი). თავად ნოშრევანს უღელი ასეთი კამეჩი ჰყავდა, რომ მთელ დუნიაზე ბადალი არ იყო. ფერით ყორანი, რქებით *ჩანგალა* (ს. მგალობ.). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. რქაჩანგალა – ქეგლი. ჩანგალ [აზერ. ჩəნგəლ] || ნაჭა შუაცეცხლის თავზე ქვაბის დასაკიდებლად. ჩანგალ ჩრთაოჟაღზე კეჰტეოდა (შუა ცეცხლზე კეთდებოდა), ეემაზე ქობ ჰკიდევდნენ. || რკინის ან ხის კავიანი საკიდელი ტანსაცმლის, თოფისა და მისთანათა ჩამოსაკიდებლად (ინგ. ღამბ.). || მამალ ანჯამას ჩანგალსაც ეძახიან (ქიზ. მრეწ. I, 53). შდრ. ჩენგელი კაუჭი, კოჭაკი (ჩვეულებრივ რკინისა) (აჭარ. ნიჟ.). ჩანგალი ჩანგალი ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩანგალა** (გურ.) «გასახმობად ხეზე მიყუდებული ჩალა – ქეგლი. || შეუკონავი ჩალის პატარ-პატარა ჯგუფები – გასახმობად ან გასაშრობად რომაა აქა-იქ ყანაში (მახ., გურ. ჯაჯან.). || ჩენგელაი ერთად დაწყობილი სიმინდის ჩალა კონებად შეკვრამდის (გურ. ჟღ.). || ჩენგელეი, ჩერგილი, გასაშრობად აყენებული პურისა და მისთანათა კონა; და-ჩერგვნა პურის კონებად აწყობა, აჩენგელება (რაჭ. ბერ.). || ჩერგილი 1. ჩალის რამდენიმე კონა, წვეროებით ერთმანეთზე მიკრული და გასაშრობად დადგმული. 2. (ზ.-იმერ.) პატარა, სახელდახელო (დროებითი) ზვინი (ა. ბელ.) – ქეგლი. **ჩერგილი** ჩალის ქუბი. აკოკოლავებული ღერები ჩალისა, ჭიაკოკონა ზან. (მეგრ. ქობ.).

ჩან-გალ < *ჩან-ჩალ < *ჩალ-ჩალ (ჩანგალა (გურ.) – გასახმობად ხეზე მიყუდებული ჩალა. გაორმაგებულია ფუძე ჩალა – ქეგლი. (ერთელიშვილი 1980: 168).

ჩარფანა:

დიალექტ. **I. ჩარფანა, ჩარფან ჰაჩიჩაი** აჩაჩაა ერთგვარი, რომელიც ჩვეულებრივი აჩაჩისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი მოდრეკილი ნაწილი ერთი მთლიანი ხისგან კი არ არის გაკეთებული (ე. ი. ბუნებრივად მოხრილი ხისგან), არამედ ორი სხვადასხვა ნაწილისაგანაა აწყობილი. მასზე ენაც ცალკე არის მიმაგრებული. მოდრეკილი ხეი თუ ვერ იპოვნეს, იმაშინ ხეს ჯრრტენ (ხვრეტავენ), ჰარჰუევ ფორმაიათი (ჩარჩოებივით) ჯრრლევს (ხვრელებს) უკეთევენ, მოუგდევენ (უყრიან), იქნევ *ჩარფან ჰაჩაჩაი. „ჩარფანს* მეტწილად აღიეზლუზე რაიმზე სომხევ, თათრევ აჯმარევდნენყ ცოტა ბალახიან ბილ მიწაში“ (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **II. ჩარფანაი, ჩარფანა** ტყუჩი ოთხად გაჭრილი ტყვია, რომელიც საფანტივით იყრება თოფში, ოღონდ საფანტზე უფრო მსხვილია და ნაწიბურიანი (ინგ. ღამბ.).

ჩაუშ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩაუში** [სპარს.] ჯაუში – დ. ჩუბ. || [თურქ. ჩავუშ] ძვ. ჩაფარი, შიკრიკი. [სახლში] დგანან აჭარელი *ჩაუშები* ანუ ჩაფრები (თ. სახოკ.) – ქეგლი. || დაბალი ჩინის სამხედრო პირი, ჩაფარი. იმათ თათრის *ჩაუშები* სტუმრებიათ (ჯავახ. მარტ.). || ჩავში „ჩუენი დედეი მაშინდელ დროში *ჩავში* გამხდარა“ (ბახ., ჩვენ. ფუტკ.). || ჩაუშე (< ჩაუში) – სამხედრო პირი, გამრიგებელი: ერთი იქ მოკტა, მუსტაფა ჩაუშე (გულდიბი, კლარჯ. ლექსიკ.). **ჩაუში, ჩავუში** [თურქ.] სერჟანტი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩაუში** ვაზის ჯიშია ერთგვარი (იმერ. დიალექტ., 673).

ჩაფა:

დიალექტ. **I. ჩაფა: ჩაფა თოხი** [თურქ.] ბრტყელპირიანი თოხი, თოხნაში გამოსაყენებელი. „გვაქვა ჩაფა თოხი“ (მ., ჩვენ. ფუტკ.). || თოხის სახეობა: თხელპირა თოხი, რომლითაც სიმინდის ყანას თხრიდნენ: ჩაფაით თხრიდენ [ყანას] (მარადიდი, კლარჯ. ლექსიკ.). || წერაქვი; ჩაფა ბერგი თოხი რომელსაც პირი წერაქვივით აქვს ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ჩაფა** (ჭელი) მარცხენა ჭელი (ფერეიდ. ჩხუბ.).

ახ. ქართ. **III. ჩაფა** რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. **ხელჩაფა** – ქეგლი. შდრ. **ჩაფი** მოზრდილი ცალყურიანი ჭურჭელი თიხისა, დაბალყელიანი და ფართოპირიანი (ზოგჯერ პატარა ტუჩიც აქვს) – დ. ჩუბ., ქეგლი.

ჩაფურა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩაფურა** პატარა ჩაფი. ჩამოვედით, ღვინო გვასვეს ყანწებით და *ჩაფურებით* (ი. ნონეშ.). თამადამ აიღო ღვინით სავსე *ჩაფურა* (გ. ლეონ.) – ქეგლი. || მრგვალტუჩიანი პატარა ჩაფი (იმერ. ბერ., რაჭ. კობახ.). შდრ. ჩაფი მვ. ქართ. «სარწყული». გვხვდება აგრეთვე კნინ. **ჩაფურა, ჩაფრუკა, ჩაფუნა,** პატარა ჩაფი – გ. შატბ.

ჩაფი (< თურქ. çap) (გურგენიძე, რუხაძე 2017: 45).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩაფურა:** ◊ **ჩაფურა ღილი** (რაჭ.) ჩაფრასტი. დედამ კაბა შემიკერა, კაბა, კაბა შრიალაო, ზედ ღილები დამიკერა, *ჩაფურა* და წკრიალაო (ხალხ.). შდრ. ჩაფრასტი [სპარს. ჩაფრასთ] ლითონის (ჩვეულებრივ, ვერცხლის) ერთგვარი შესაკრავი, დუგმის მსგავსი – ქეგლი.

ჩაფჩაფ-ი:

ახ. ქართ. **I. ჩაფჩაფი** (მოხევ.) იგივეა, რაც ჩაქჩაქი. მეც *ჩაფჩაფით* უკან უნდა დაგედევნო? (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ჩაფჩაფი** სავსედ, ჩაფუნით, ჩქრიალით დენა. „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზე *ჩაფჩაფით* იწველიდესო“ (ანდაზა) (მესხ. მაის.). შდრ. **ჩქაფუნი, ჩქაფანი** ხმაბაძვ. წყალში (სითხეში) ჩავარდნის ან წყლის (სითხის) სწრაფი მოძრაობის ხმა – ქეგლი.

ჩაქურა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩაქურა** გურულების, აჭარლებისა და მესხების ძველებური ტანსაცმელი – მოკლე წელზევითა ჩოხა და ვიწროტოტებიანი, თავგანიერი, ხვანჯრიანი შარვალი, წელზე არტყიათ ბელყაიში (ერთგვარი ტყავის ქამარი) და თალაბულისი. გურულები იყვნენ გამოწყობილნი სხვადასხვა ფერის ჩაქურებში (ს. ქვარ.) – ქეგლი. || (იგივე კვერუა), ქვეშ ზუპუნა, სირმით გაწყობილი, მაღალსაყელოიანი (გურ. მრეწ. III, I, 252). || ◊ **ჩაქური ტანისამოსი.** [იასონს] ტანთ ჩაქური ტანისამოსი აცვია (პ. ირეთ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. ჩაქურა** ღომის ერთ-ერთი ჯიში დასავლეთ საქართველოში – ქეგლი.

დიალექტ. **III. ჩაქურაი** ჩაქველი, ჩაქვიდან მუჰაჯირად წასული ქართველების შთამომავალი. *„ჩაქურაი* ქალები შელლიგაი არიან“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ჩაჩ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩაჩი** 1. ქუდი მოგრძო და ცუდი – დ. ჩუბ. ჯაჭუი კაბისა ნაცულად ტანსა გამძიმობს და მუზარადი – *ჩაჩისა* ნაცულად (ვისრ. 144, 32). *ჩაჩი* ზარქაში თავსა ებურა (ამირან. 268, 3). || უხეირო, უშნო (ძველი, უბრალო) ქუდი. თინამ ძმისწულს თავზე ქუდი დახურა და

მისი ძველი *ჩაჩი* კი მიაგდო კუთხეში (ვაჟა). 2. ქსოვილის საშინაო საღამური ქუდი მამაკაცისა. 3. ქსოვილის რბილი ქუდი უპირატესად თეთრი ფერისა (იხურავენ მუშაობის დროს ჰიგიენური პირობების დაცვის მიზნით). 4. ძვ. წოწოლა ქუდი. || კლოუნის, ჯამბაზის ქუდი. თავზე მხურავს *ჩაჩი* სულელ მასხარის! (აკაკი). 5. საფარებელი ხალთა. რომ ფალიაში წვიმის წყალი არ ჩასულიყო, ირმის კანჭის ტყავი ჰქონდა [თოფს] *ჩაჩად*გადაფარებული (ვაჟა) – ქეგლი. 6. დაბალი ხარისხის ნაბდის ქუდი (მოჯ. შან.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩაჩი** (ლეჩხ.) ზუმბა, – ლითონის წვრილი ჯოხი, რომლითაც წმენდენ თოფის და მისთ. ლულის ღარს (იხმარებოდა გასატენადაც, როცა თოფს ლულიდან ტენიდნენ) – ქეგლი.

ჩაჩა:

ახ. ქართ. **I. ჩაჩა** ჩელტი იხ. II. ჩაჩია მნიშვნ. 2.

დიალექტ. **II. ჩაჩა** ყანის თავთავის ბუდე (ვიდრე თავთავი გამოვიდოდეს ფოთლებიდან). დაგვღუპნ გვალვამ, *ჩაჩაჩი* ჩააჭმ ყანები (შდრ. ა. შან.: ჩაჩაი, ხევს. თავისებ. 201, 25, 26) – ალ. ჭინჭ. **ჩაჩი** ფუჩეჩი ზან. (ლაზ. თანდ.). **ჩაჩი** ჩაჩია, გამხმარი სიმინდის ღერო, ჩალა ზან. (მეგრ. ქობ).

დიალექტ. **III. ჩაჩა** ჭაჭა. *„ჩაჩა* არის სხლის, ცადა თუთის გამონაწური“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. ჩაჩა:** ჩაჩა ურემი იგივეა, რაც აჩაჩა ურემი. *ჩაჩა* ურმით დადიოდენ, გოგორა ფიცარი იყო და, როგორც სარქველი. ისე იყო გამოჭრილი. სოლები არ ქონდა, ჯერ შამოუჭედავი იყო, მერე შამოაკრეს კინაი (ღარიხევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. **V. ჩაჩაი** თხილის ჩურჩო (არა ღენჭპო!). ჩუნჩა (ფშ.) – ა. შან. იხ. I. ჩეჩი.

ახ. ქართ. **VI. ჩაჩა: ჩაჩა-ჩუჩი** ხმაბაძვ. რბილი ან შრიალა საგნების მოძრაობისას გამოცემული ხმა, – ფაჩა-ფუჩი. [მტრედებს] ჩაჩა-ჩუჩი მოესმათ და დაბლა დაიხედეს (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. **VII. ჩაჩაი** ცეკვის სახეობა (კლარჯ. ლექსიკ.).

ჩაჩანაგ-ი:

დიალექტ. **I. ჩაჩანაგი** უმწეო, ძაბუნი (ფშ. გოგატ.). იხ. I. ჩაჩანაკი.

დიალექტ. **II. ჩაჩანაკი, ჩაჩანაგი** ავშარაზე, ნიკბის ქვეშ შებმული რკინის რგოლი საძოვარზე დასაბმელი თოკის შესაბმელად, ეს რგოლი მბრუნავია და თოკი არ დაიგრიხება და არ დაიცარება (ფშ. ხორნ.). იხ. II. ჩაჩანაკი.

ჩაჩანაკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩაჩანაკი** სიბერით დაუძლურებული, მიხრწნილი. მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით, *ჩაჩანაკი* (ილია) – ქეგლი. პაპასთან ძვირად თუ ნახავდით იმის ტოლ *ჩაჩანაკ* მოხუცებულს (ვაჟა). „ერთი *ჩაჩანა-*

კი კაცია, მაგას რაღა ცემა უნდა, თითონ ნაცემია!“ (ჯავახ. ზედგ.). „ახლა მე, შვილო, *ჩაჩანკი* ვარ“ (ჯავახ. ბერ.). || ჩაჯანკი აღარაფრის შემძლე მოხუცი. „ჩაჯანკი ვარ უკვე შვილო, არაფერი შემიძლია“ (ჯავახ. მელიქ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩაჩანკი, ჩაჩანაგი**1. ავშარას ნაწილი – საბლის გამოსაბმელი რკინის რგოლი, – ჩანჩიკი. ცხენმა გაწყვიტა საბელი, დავაბი *ჩაჩანკზედა* (ხალხ.). ცხენი მომგვარე, დამიბი *ჩაჩანკითა* (ბაჩ.). 2. სალტეში თავისუფლად მბრუნავი რკინა. ჯაჭვი ორივე მხრიდან რომ აბრუნოთ, არ დაიბვევა, რადგან შუაში *ჩაჩანკი* ტრიალებს («შინამრეწვ.») – ქეგლი. აგრეთვე: ქართ. მტკვ. სამხრ. მრეწ. II, II, 151; ზ.-იმერ. ძონ., ჯავახ. ზედგ.

ჩაჩია:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩაჩია** (ქიზ.) ჩანჩურა ულაზათო და უგერგილო. აბა, ახლა უბოძეთ იმ *ჩაჩიას* ანთებული ჩირაღი და ნახეთ, როგორ გაბედვითა და ყოყოჩად წავა (დ. მაჩხ.) – ქეგლი. აგრეთვე ჩაჩუა (ჯავახ. ბერ.). **ჩანჩულია ჩანჩურა** ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩაჩია** (იმერ.) 1. სიმინდის ხმელი ღერო, – ჩალა. გამხმარ *ჩაჩიებზე* შემჯდარი ყვავები ყაყანობდნენ (დ. შენგ.). 2. ჩალის ღეროებისაგან შეკრული ჩელტი (აბრეშუმის ჭიისათვის). მესამე კანში რომ გადავა აბრეშუმი..., გადავსვამთ... *ჩაჩიაზე* («შინამრეწვ.») – ქეგლი. || ჩაფარა, ჩელტი. „ვიცით კიდევ *ჩაჩია* – სიმინდის ღერის გადანაჭერებითაა გაკეთებული“ (აჭარ. ნოღ.). იხ. II. ჩაჩა.

საშ. ქართ. III. **ჩაჩია** ქუდი მოგრძე და ცუდი – ნ. ჩუბ. იხ. I. ჩაჩი.

ჩაჩქან-ი:

დიალექტ. I. **ჩაჩქანი** ტანის სახეხი (სპეციალურად იქსოვება რბილი მატყლის მაფით). „ესაც *ჩაჩქანია*, ტანი სათქვლეშაი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჩაჩქუნი თავში მიჩაჩქუნებს თავში ვჰკრავ, ვუკაკუნებ – დ. ჩუბ. ჩეჩქვა ნაყვა (არა ძლიერ), ცემით დარბილება, თუთქვა, ბეგვა – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. II. **ჩაჩქანი** 1. ჩაჩქანი ზუჩი – საბა. ძველებური საბრძოლო თავსაბურავი ლითონისა (შდრ. ზუჩი, მუზარადი, ჩაფხუტი). სად არ *ჩაჩქანი*/ახალშლილთ ამაჩქანი და ლახტი ტახტი/სიმტკიცით გარდანახტი? (ბეს. 144, 5). [ფშავლებმა] თავს დაიხურეს *ჩაჩქნები*, ტანზე ჩაიცვეს რვალია (ვაჟა). 2. მეხანძრეთა, სამხედრო პირთა და სხვ. ლითონის საგანგებო თავსაბურავი. მანქანის გამოჩენასთან ერთად ლაპლაპა *ჩაჩქნებმა*... გაიელვეს (დ. ბაქრ.) – ქეგლი. || თავისა და ყელ-ყურის დამცველი ჯაჭვის იარაღი, რომელსაც ზემოთ რკინის ქუდი „ჩაჩქნის ჯამ“ აქვს (საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ა. შან., ს. მაკალ.). აგრეთვე: დაიჩაჩქნების, დაჩაჩქნული, თეთრ ჩაჩქან გაქანდების, ჩაჩქნის ჯამი (ხევს. ჭინჭ.).

ჩაჭრილა:

ახ. ქართ. I. **ჩაჭრილა** (მოხევ.) რძეში მოხარშული კარტოფილი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჩაჭრილა** (ჩარჭილა) ცაცხვის ხის, რვა-ათი ფუთი ტევადობის ჭურჭელია (რაჭ. ფრ.). || ჩარჭილა (რაჭ.) პატარა საწნახელი ყურძნის დროებით მოსათავსებლად. *ჩარჭილაში* გადაცლიან გიდელებს და კოდებს და მოსტენიან, ჩარჭილაში 8-10 ფუთი ღვინო გამოდის («შინამრეწვ.») – ქეგლი. ჩარჭილაც (უნდა ყოფილიყო ჩაჭრილა) ამნაირად კეთდება, როგორც ხორგო, მხოლოდ გაცილებით უფრო პატარა, ვინემ ხორგო (ქვ.-რაჭ. მრეწ. IV, III, 146).

ჩახვ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩახვი** ტყავის ქისა, საფულე. *ჩახვი* გამოხსნა, სინჯეცდა (ვახტ. VI, 103, 87, 2). ნახევარ დრამი ზაფრანა *ჩახუშიგა* გამოკარ (ქანან. 281, 18). || ტომარა, რომელშიც ჩაასხამენ ადუღებულ თაფლის სანთელს და გაწურავენ ტომარაში. დარჩენილი მასა არის სანთელი, ცვილი. სანთელის გაწურვა *ჩახვში* ვიცით (რაცხ. გურ.). || ჩაჯვი „პარკი". ორძალებრ ჩაჯვი დაფუჭდა, დაცარიელდეს ქესები (ქილ. 538, 27). || ჩაჯუ ტოპრაკი: „აღიღეს კიდობანი იგი. . . და ტილოც იგი ჩაჯვ (O, I, მფ. 6, 15) – ილ. აბულ. || ჩაჯვი ტილოს პარკი (ჩვენ. ფუტკ.). || ჩახუა სამარილე ტომსიკა, ჩანთა (გურ. ჟღ.). || ჩახვა ჯამი (ლეჩხ.) ღრმა ჯამი (მ. ალავ.). || ჩახულა საშუალო ზომის ტომარა ტანსაცმლის სატარებლად. – ჩახულეთი მაინც წამოგეღო ტანსაცმელი, ცარიელი რო წამოი (რაცხ. გურ.).

გვიანდელი ჩახვ- მეგრულიდან არის შეთვისებული ქართულის დასავლურ დიალექტებში: აღდგენილია ს.-ქართვ. *ცახ- „საპარკე, მცირე პარკი, ტომარა" → ქართ. ცახ-ი, ცახ-ე (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. II. **ჩახვი** ჩიჩახვი, ჩინჩახვი, – ფრინველის საყლაპავი მილის გაფართოებული ნაწილი, სადაც საკვები ლპება (კუჭში ჩასვლამდე) – ქეგლი. ჩხართვსა ვკვრიდი, *ჩახვსა* ვსვრიდი (ბეს. 120, 6). || ჩინჩახვი (ვაჟა). || ინჩაჯუ, იჯუანჩი ჩინჩახვი: „არს იჯუანჩსა (ინჩაჯუსა B) შინა ჩემსა მარგალიტი" (ბალ. 58, 13); „რომელთა აქუს სტომაქებ და იჯუანჩებ" (ბ. კეს.-ექუს. დღ. 131, 18) – ილ. აბულ. || ჩინჩახუი, ჩინჩახვი [სპარს. ჩინა „ფრინველის საკვები" და ჩახუი „პარკი, ტომარი]. ხიარი შამბარი... იმა წამლებისა წვენშიგან ქათმის ჩინჩახუით დატყლიჟეთ მანამდის, სადამდის წვენი გამოვიდოდეს (ქანან. 58, 28). ჩინჩახვის მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება **ჩიყვაყვი**. სვანურში გვაქვს **ჯვინჩაბ** (ბზ.), **ჯვანჩ** (ლშხ.), შდრ. ჩიჩახვ-ნანადირევის გულ-ღვიძლი (მონადირის ენაზე (ქერქაძე 1974: 120).

ჩახჩახ-ი:

ახ. ქართ. I. **ჩახჩახი** კაშკაში, ბრწყინვა, ელვარება. ფიგურ. როგორ გასუქებულა ქა, გალამაზებულა? წითელი ვაშლივით *ჩახჩახი* არ გაუდის? (ნ. აზ.) – ქეგლი.

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია **ჩახჩახი** „კამკამი, ბრწყინვა, ელვარება“. ჩაღ- (გა-ჩაღ-ებ-ა) ფუძისაგან, ღ-ს ჩანაცვლებია ხ (სანიკიძე 1976: 42).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩახჩახი** 1. ვინჯღრევი, ვჰსჭიჭინებ, ჩქარა და უგვანოდ ვლაპარაკობ – დ. ჩუბ. 2. ჩხრიალი, ხმაური. მე მარტო წყლის ჩქრიალი და ჩახჩახიღა მესმოდა (თ. რაზიკ.). 3. ჭახჭახი. [ამბაკოს] აღარ ესმის... ჩიჩხი *ჩახჩახი* (ვ. ჩხიკ.) – ქეგლი. 4. ჩაქჩაქი. რა ხეირი დაეყრებოდა ქვებზე, რიყეზე *ჩახჩახით* (ვარ.) (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. 5. გადატ. წისქვილის კოდი. „ჩახჩახი კოდია წისქვილისა, ქვას ზედან არი“ (იმ.); „წისქვილის *ჩახჩახში* დოუბმან ჩუენი ბებერი და ისე ზორ გუუმუსლიმანებიან“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || სარეკელას *ჩახჩახიც* ჰქვია („ჩახჩახი – სარეკელა, ინძრევა და პური ჩამოდის“) (კლდ., ალგ. სალ.).

ჩახჩახი „ჩხრიალი, ხმაური“, შდრ. ჩ(ა)ხ- (ჩხრ-იალ-ი, ჩახრ-უნ-ი) (სანიკიძე 1976: 42).

ჩახჩახა:

ახ. ქართ. I. **ჩახჩახა** კამკამა, მოელვარე, მბრწყინავი. თქვენს სულში მარად ენთოს *ჩახჩახა* ალი (ი. გრიშ.). ცა – ატმებით მსხმოიარე, *ჩახჩახა*. და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა (გ. ლეონ.) – ქეგლი. ფიგურ. *ჩახჩახა* მხიარული, ცოცხალი, მუდამ ხალისიანი და მოლაპარაკე ადამიანი (მესხ. მაის.). აგრეთვე ჯავახ. ბერ. იხ. I. ჩახჩახი.

ახ. ქართ. II. **ჩახჩახა** 1. ჩხრიალა, ხმაური. [მთები] ბევრ საგულისხმოს უბნობდნენ... და *ჩახჩახა* ნაკადულებიც ემოწმებოდნენ (ვ. ბარნ.). ფიგურ. ი *ჩახჩახა* დედაკაცი რაღა იქნა?! (რ. ერისთ.) – ქეგლი. 2. ჩახჩახა – ბეღლის ქვით კოშიდან *ჩახჩახას* ნძრევით პური ჩადის ქვის ყელში (მესხ. მრეწ. IV, III, 203). 3. ჩხაკუნა. ბავშვის ერთგვარი სათამაშო/აფუსი/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). შდრ. **ჩახა** ხმაბაძვ. გალესილი იარაღის დარტყმის ხმა, ჩახანი. გათამამდა ნადი-ყული, თოფი მართა, ხმალი ჩალხა, მოუქნივა წინაღმდგომთა, განადინა თავში *ჩახა* (დ. გურამ.) – ქეგლი. იხ. II. ჩახჩახი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჩახჩახა** ჭიოტა, მცენარეა (ჯავახ. ა. მაყ.).

ჩევრე:

დიალექტ. I. **ჩევრე** [თურქ.] მხარე, მიწის ნაკვეთი. „ერთი ჩევრე მქონდა, სახლი ჩეიდგმებოდა, იმისისხო“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). **ჩევრე** გარემო, ნაპირი, წრე, გარემოცვა ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ჩევრე** [თურქ.] აშია, ქობა; ცხვირსახოცი. „*ჩევრე* ამეიღო ჯეფიდან“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). **ჩევრე** ცხვირსახოცი ზან. (ლაზ. თანდ.).

ჩეთ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩეთი** (ხევს.) დასამუშავებლად ადვილი, რბილი (ქვა) – ქეგლი. უკენისკეითაც ყორეი-ვ ას ამაგებული. ზე გასდებენ სიპს-ბასრს, ან ხოხს, ან *ჩეთს* (ხევს. შან., ჭინჭ.).

დიალექტ. **II. ჩეთი** ფულის ერთეული: კაპიკი ან მასზე ნაკლებიც. „ბიჭებმა თლა წამართვეს ფული, კაპეკი, *ჩეთიც* არ დამიტვიეს“ (მესხ. ფეიქრ.). || კაპიკის მეოთხედი. უმალ კაპეიკით და *ჩეთობით* იყო ვაჭრობა (ქორეთი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ჩეკ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩეკი** 1. ძვ. «ცეცხლის საჩხრეკელი» (საბა). 2. ტალახის საფხეკი რკინისა (ზოგჯერ ხისა), მომცრო ნიჩბის ფორმის მქონე. მოლაპარაკობენ ხელში *ჩეკებით* და მოეშურებიან სახლისკენ გუთნის დედებიც (ს. მგალობ.). ძლივს შებინდდა, ქიტუაც *ჩეკით* შემოვიდა სახლში (შ. არაგვ.). რკინის *ჩეკი* აიღო (რ. ინან.) – ქეგლი. აგრეთვე: ალგ. სალ., მესხ. მაის. *ჩეკს* ერთი თავი წვრილი აქ, წაწვეტებული, მორე – თოხის მზგავსი. მანამდინ ქვა ირჩეოდა *ჩეკით*, კირკით იტეხებოდა და *ჩეკით* ირჩეოდა (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.). აქვე: ჩეკო, ჩეკია თოხი || ჩეკელა. აგრეთვე გამასჩეკს, დაჩეკვა (ალ. ჭინჭ.). ჩიკ, ჩეკ ნაღარაზე (სარტყამი თავმოხრილი ჯოხი) (ინგ. ღამბ.).

ამ სიტყვისათვის სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, ს.-ქართვ. *ჩეკ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე: 1990).

ახ. ქართ. **II. ჩეკი** [ინგ. chekk] 1. ბანკ. გარკვეული ფორმის წერილობითი განკარგულება ბანკისადმი (მიმდინარე ანგარიშის მქონე პირისა) ამა თუ იმ თანხის გაცემის (ან გადარიცხვის) შესახებ. ჩეკის განაღდება. – ჰექსლეიმ გამოწვდილი *ჩეკი* პორტმონეში უკმაყოფილოდ ჩაიდვა (ნ. ლორთქ.). 2. წერილობითი მოთხოვნილება სამზარეულოსადმი. [ფარეშმა ქალმა] წინსაფრის ჯიბიდან *ჩეკის* წიგნაკი ამოიღო და ყავა გამოიწერა (ა. ბელ.). 3. ვაჭრ. ქვითარი გარკვეული თანხის (ამა თუ იმ საქონლის ფასის) გადახდის შესახებ – ქეგლი.

ჩეკა:

დიალექტ. **I. ჩეკა** სპეციალურად (გასასუქებლად გაკეთებული ღორის დასამწყვდევი. ჩეკა ვიწრო შემოღობილია, ღორი ძლივას ბრუნდება. „ზამთარში ღორის დაკლამდე ერთი თვით ადრე *ჩეკას* გავაკეთამთ და ღორს ჩავაგდამთ. ღორი ერთ ადგილზე როა და ბევრ ჭამს მალე სუქდება“ (მესხ. ფეიქრ.). **ჩეკაში ჩაგდებული** გადატ. ძალიან გასუქებული (იტყვიან ადამიანზეც). „იმათი სიძე რა ბიელ სუქანია, *ჩეკაში ჩაგდებულივითაა*“ (მესხ. ფეიქრ.). შდრ. ჩაკა ზურგზე მოსაკიდებელი მოგრძო, ბოლოში გაწვრილებული, კონუსური გოდორი ზან. (მეგრ. ქობ). **ცეკა** გოდორი ზან. (მეგრ. ქობ).

ამ სიტყვის ძირად მითითებულია ს.-ქართვ. *ცეგ- (ა) „ცეკა, კალათი, ყუთი“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. II. ჩეკა – კვერცხ[ებ]ზე ჯდომა (ფრინველისა) და თბობა, რომ ჩანასახი განვითარდეს და (წიწილა, ბარტყი...) ნაჭუჭიდან გამოვიდეს. [ჩიტმა] დადო კვერცხები, დააჯდა ზედ და დაუწყო *ჩეკა* ბარტყებსა (ი. გოგებ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჩეკ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. III. ჩეკა წვერის წათლა (სარისა...) – ქეგლი. იხ. I. ჩეკი.

ახ. ქართ. IV. ჩეკა [რუს. Чека ჩვეულებრივ იწერება ЧК შემოკლ. Чрезвычайная комиссия] ძვ. საგანგებო კომისია, შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1918 წ. საბოტაჟის, სპეკულაციისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ზოგი ფიქრობდა, რომ ამ საქმეს *«ჩეკა»* მოჰკიდებდა ხელს (დ. სულ.). ჩვენი ქუჩის კუთხეში *«ჩეკის»* ავტომობილმა დაიგრიალა (კ. გამს.) – ქეგლი.

ჩექა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ჩექა გოგირდი (საბა, ქეგლი). ცუდად შვრებიან მძებნელნი მეწამულისა *ჩექისა* (ქილ. 853, 22). || ჯ., გუდ., მოჯ. გოგირდი. „ჩექა-გოგილდი. აი, მუწუკებს რომ აყრიან, ლოცვაც რამ იცოდიან იმისა: მუნო, რა არი შენი წამალი? – *ჩექა*-გოგილდიო, აიმ ლოცვაშია" (გუდ.). ჩექა-გოგილდი მთიულეთშიც გაუგონიათ. ჯევში *ჩექას* მიწიდან ამოღებულს ეძახიან, გაწმენდილს კი გოგირდს. ჩექა-გოგირდი (ჩაჩ. 31) – ა. შან.

დიალექტ. II. ჩექა ჩოხის მასრების ჩასაწყობი, სამასრე. ყარაჩოღულ ჩოხას მარტო *ჩექები* აქონდა და მასრები არ ეწყო (საგურ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ჩაქი კალთის შენახევი – საბა.

ჩექმა:

ახ. ქართ. I. ჩექმა [ოსმ.] წაღა, მოგვი, ხამლი, ფეხსაცმელი – დ. ჩუბ. || [თურქ. ჩაქმა] მაღალყელიანი ფეხსაცმელი, – წაღა. სალდათები მძიმედ აბარტყუნებდნენ ლურსმნით ნაჭედ *ჩექმებს* (ა. ყაზბ.) – ქეგლი. ჩექმა მაღალყელიანი ფეხსაცმელი ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. II. ჩექმა ძალიან პატარა ქოცოს *ჩექმა*-საც ეძახიან (საინგ. II, 1, 62). *ჩექმაჲ* ძალზე პატარა ქვევრი (ინგ. ღამბ.). ბოზას... ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მას ასხამენ „პატრა ქოცოში ანუ *ჩექმაში*" (საინგ. მრეწ. IV, III, 91).

ჩეჩ-ი:

დიალექტ. I. ჩეჩი ფუტკრის ფიჭიდან სანთლის გამოდნობა-გამოწურვის შედეგად დარჩენილი მასა (ჯავახ. ზედგ.). || ჩენჩი || ჩენჩო, ჩერჩი, ჩურჩა – ქეგლი.

შესაძლებელია, ჩეჩი < ჩერჩი. ჩერჩისათვის კი აღადგენენ ს.-ქართვ. *ჩერჩ- ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ. II. ჩეჩი ზღვათა შინა კლდოვანი ან თხელი ადგილი, ვრაქია – დ. ჩუბ. ჩეჩი მეჩეჩის თხელი ან ნარიყი ადგილი ზღვებსა, მდინარეებსა და ტბებში; აბრკოლებს გემების მიმოსვლას, – თავთხელი (ქეგლი).

ჩიბა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ჩიბა ძვ. «ასაკმცირე ძაღლი» (საბა). || ციბა, პატარა ძაღლი (მთ., გუდამაყ. ე. ვირსალ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. II. ჩიბა წისქვილის ნაწილია, საფქვილე, ალა დაფქული იყრება *ჩიბაში* (ზ.-იმერ. ძოწ.). || ჩიბე (მრეწ. IV, III: ქვ.-იმერ. 210, ქვ.-რაჭ. 214, ლეჩხ. 218) და სხვ. || ჩიბერა წისქვილის საფქვილე, რომელშიც ფქვილი გროვდება (ქვ.-იმერ. ზ. ჭუმბ., 284) – ალ. ღლ. || ჩიბო წისქვილის ნაწილი (რაცხ. გურ.). საჩიბე წისქვილის ნაწილია, რაშიც ფქვილი ცვივა, – ალა (რაჭ. კობახ.).

დიალექტ. III. ჩიბა: „მღვდელთან მივიდაო, *ჩიბას* ჭამდაო, ესხურაო" (რაჭ. ძიძიგ.).

ჩიგორგალ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. ჩიგორგალი ძვ. ხამი აბრეშუმი (საბა, დ. ჩუბ.).

დიალექტ. II. ჩიგორგალი 1. კისრული, მალაყი (რაჭ. ვ. ბერ., გურ. კიწმ.). 2. ხელის წაკვრა. მუჯლუგუნი; ხეს ერთი *ჩიგორგალი* უნდა და წაიქცევა. გადატ. წახმარება. არითმეტიკაში დაჭირდა პატარა *ჩიგორგალი*, მარა ისეთ კარქა ისტავლა (კლდეეთი, იმერ. ქავთ.).

ჩილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ჩილი (იმერ.) ჩირი – ქეგლი. *ჩილათ* ვიცით ვაშლი და მსხალი ორივე (ლეჩხ. მრეწ. IV, III, 61). ვაშლის *ჩილის* გოზინაყი (რაჭ. კობახ). *„ჩილი* გავაკეთე" (მანდაეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). *ჩილი* ახრინცული (აცმული) იქნება ძაფებზე (ქვ.-იმერ. მრეწ. III, II, 173). საჩილე ჩირისათვის განკუთვნილი, – საჩირე. საჩილე ატამი; საჩილე ფიცარი (რაზეც ჩირს ახმობენ) (რაჭ. კობახ.). ჩილი (ჩიდა) ჩირი ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. ბირი *ჩირ- „გამხმარი ხილი" (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ჩილი (გურ.) იგივეა, რაც ჩლა – ქეგლი. იხ. I. ჩლა.

დიალექტ. III. ჩილი ჩრჩილი. ჩილის უქმე: ს. მაკალათიას მიერ ატენის ხეობაში მოპოვებული მასალებით, აქ აღდგომის წინა ხუთშაბათს სცოდნიათ *„ჩილის უქმე"*. „დილით ადრე ოჯახის უფროსი ქალი დასჭრიდა წვრილად მატყლს და ოთხივკუთხივ შეარჭობდა კედლებში ჩრჩილისათვის „ამაზე მეტი საჭმელი არაფერი გქონდეთო". ამ დღეს ხელსაქმეს არ აკეთებდნენ. არ ეკარებოდნენ სკივრს, განჯინას და იმ ადგილს, სადაც ტანსაცმელს ინახავდნენ"; მის მიერ ლიახვის ხეობაში დადასტურებული მასალის მიხედვით „ჩილის უქმე", სცოდნიათ საშობაო მარხვის ერთ-ერთ ორშაბათს. ამ დღეს არ მუშაობდნენ (ალბათ ბირითადად ქალები), რომ

ჩილომა (ჩრჩილმა) მატყლის ქსოვილი არ გააფუჭოსო (თ. კოშორიძე 2014: 82). ჩრჩილ < ჩირ-ჩილ; ჩრჩილ > რჩილ > ჩილ (ერთელიშვილი 1980: 156).

დიალექტ. **IV. ჩილი** 1. [თურქ.] ჭორფლი. „ამ გამოსულზე *ჩილი* გამეუჩინდა პირზე ციცასა“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). „*ჩილი* ქონებია და იმისთინ“ (ჰამიდიე, კლარჯ. ლექსიკ.). || ჩილ 2. [აზერ.] იგივეა, ხალებივით გამოსული ლაქები ნათესის (ძირითადად – კიტრის, ხახვის, ლობიოსა და მისთ.) ფოთოლზე (ინგ. ღამბ.). ვაზს... ფოთოლში და მარცოლში *ჩილ* ანუ ხალ (ხალი, ლაქა) ვარდევის, ფოთოლ იხრუშტევის (საინგ. მრეწ. IV, III, 92). იხ. VI. ჩილაი.

დიალექტ. **V. ჩილი** 1. მცირე ნახვრეტებიანი რამ (ქვა, ყველი). „*ჩილი* ქუა უფრო სუბუქიც არი და ადვილათაც ითლება“. 2. ადამიანი ნაყვავილარი (ჯავახ. ზედგ.). || ყვავილით დაკენკილი (ხიზაბავრა, ჯავახ. ბერ.). იხ. V. ჩილაი.

დიალექტ. **VI. ჩილი** ჩჩჯილი, ჩვილი. *ჩილიაო*, მასალან, ყმაწილიაო; *ჩილი* –სუ ბაიტა ყმაწილი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). აგრეთვე ფერეიდ. ბერ., ბაკურ., 294. შდრ. ჩჩჯლი, ჩჯლი თოთო, ლბილი, ჩვილი ბავშვი, «ნინველი», «ნუკეული» – ილ. აბულ; საბა, ქეგლი. იხ. I. ჩიჩქვი.

ჩილა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩილა** 1. (ფშ.) სანთლის გული; ბამბის ნართი პატრუქისათვის. აბა, ბალღებო, ...თქვა პაპა-ჩემმა, ...სანთლები მაქვის დასაკეთებელი..., არჯალამაც ამოიღო სანთლის ნაჭერი, ზედ *ჩილა* ჰქონდა დახვეული (ვაჟა). 2. (მთიულ.) «შალის ქსოვის დროს მორჩენილი ძაფი» («შინამრეწვ.») – ქეგლი. „*ჩილას* ვეძახით აი, თეთრ ძაფი როა, სანთლის გულად რო ვაკეთებთ, სანთელს რაზედაც ვასხამთ, იმას ვეძახით *ჩილასა*, ბამბისია“ (ფშ. გოგატ.). || ქსოვის დამთავრებისას მორჩენილი ქსელი, რომელიც ერთი მტკაველი სიგრძეა და ვეღარ იქსოვება (მთ. კაიშ.). || იგივეა, რაც ჩლა. ჩილიანი რასაც *ჩლა (ჩილა)* აქვს. დედაჩემს გადოუსხია ბელძინი კრუშკაში. ჩილიანი კრუშკა აანთეს, იფეთქა (ბოსლევი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ჭრაქის პატრუქი. „ჩილა ვიცოდით კრუშკაში (= ჭრაქში) ბამბის მსხვილი ძაფებისა“ (იმერ. გაჩ.).

ჭანური მჩირი < *მჩვირი, შდრ. ქართ. ცვილი, მვ. ქართ. ცკლ-ი, *მჩვირ-ში ვ-ს გაუჩინარებას ხელს უწყობდა თავკიდური მ (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. **II. ჩილა** ჩირი. „ვამლის ჩილა გავაკეთე ამ ზაფხულში ბევერი“ (საჩ. შარაშ.). || ჩილე (რაცხ. გურ., ჟღ.). **ჩილი** || **ჩილა**. მიყვარს ვაშლის ჩილა (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ჩილი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ჩილა**: ◊ **გულის ჩილა** (იმერ.) იგივეა, რაც წინჩანაღები. ◊ **ჩილა ხორცი** (იმერ. გურ.) რბილი, მჭლე ხორცი – ქეგლი.

დიალექტ. **IV. ჩილა ფლავს**, ანუ ჩლავს (შემოკლებით) ქელეხში აკეთებენ უეჭველად (ქიზ. მრეწ. III, II, 23). შდრ. შილა [სპარს.] ძვ. ბრინჯის (ან ფეტვის) საჭამადი ერბოთი და მწვანილით შეზავებული – ქეგლი.

დიალექტ. V. **ჩილაი** [თურქ.] 1. ნაყვავილარი, ჩოფურა; 2. მეტსახელი სახენაყვავილარი კაცისა (აჭარ. ნიჟ.). იხ. V. ჩილი.

დიალექტ. VI. **ჩილაი** (çilli ჩილლი) ჭორფლიანი, ლაქებიანი. „ერთი *ჩილაი* კაცი იყო ჩუენი დედეი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. IV. ჩილი.

ჩიმჩ-ი:

დიალექტ. I. **ჩიმჩი** ჩრჩილი (იმერ. ქავთ.). იხ. II. ჩინჩი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩიმჩი** (მოხევ.) «ჩალის ნამწვავი» («დიალ.») – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჩიმჩი** რბილი, ფაფუკი. საკვირლა მაჩნავ, ბეწინიკავ, მე იფქლის პური, *ჩიმჩი* (ხევს. ჭინჭ.).

ჩიმჩა:

დიალექტ. I. **ჩიმჩაი** ხის დიდი, გრძელტარა კოვზი -ციცხვი. *ჩიმჩა* ქვაბითა ფაფის ამოსათრელაც (ამოსაღები) დიდი კოზრ (თუშ. ცოც.). შდრ. ჩამჩა [თურქ. ჩამჩა «ხის პატარა ჯამი»] დიდი, ღრმა კოვზი ქვაბიდან წვნიანის ამოსაღებად – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჩინჩა** || **ჩიმჩა** ჩრჩილი, კრკილი. როლებს *ჩიმჩა* გასჩენია (რაჭ. კობახ.). იხ. I. ჩიმჩი.

ჩინჩ-ი:

ახ. ქართ. I. **ჩინჩი** საუბ. ჯანჯლობა (ვაჭრობაში), ღიჯინი. ორი თუმანი ეხლავ და რვაც, როცა საქმე საქმეზე მოვა, – სასიძომ *ჩინჩი* დაიწყო, მაგრამ მაჭანკალი გაკერპდა და თავის სიტყვაზე გაატარა ის (ვ. ბარნ.). **ჩინჩიანი** საუბ. ვინც ჩინჩი იცის, ვისაც ჩინჩობა უყვარს, – ჯანჯალი (ვაჭრობაში...), ღიჯინა. [ნანუა] ხელსაქმის აღებ-მიცემაში მეტისმეტი *ჩინჩიანი* რამ იყო და, რასაც კი იგი ფასს... დასდებდა, მორჩენილი იყო (ნ. ციციშ.) – ქეგლი. **დაჩინჩება** სავაჭროზე(დ) შესიტყვება – საბა.

ძირეული ფორმა **ჩინჩ-** მეგრული წარმოშობისაა. ჩინჩი – წვრილი; წვრილმანი. მისგან ნაწარმოებია ზმნური ფორმა ჩინჩოლუა крошить; შდრ. ფუჩხოლუა (ყიფშიძე 1994). აღდგენილია ს.-ქართვ. *ციც- „დანამცეცება“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩინჩი** (იმერ.) ჩრჩილი – ქეგლი. „გაჩენია *ჩინჩი*, ის დასაღუპავი, ნოხს და სულ არ გოუვოხრებია“ (იმერ. გაჩ.). || ჩიჩი ჩრჩილი. დათვის ტყავი ერთი შემრჩა კიდევა. ჩიჩმა გამოხრა, თორემ სხვარიგად არა უჭირს-რა (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუას მოსაზრებით, ამ სიტყვის ამოსავალი ძირია ს.-ქართვ. *ციც- „მწერი, ჩრჩილი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. III. **ჩინჩი** ქერცლი. „თმას ვიბანკე, *ჩინჩი* მაინც მიჩნდებაკე“ (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. IV. **ჩინჩი** ძველმანი (ზ.-გურ. კიწმ.).

ჩინჩა:

დიალექტ. **I. ჩინჩა** იხ. II. ჩინჩი. „კაი ყაბალახი მქონდა. *ჩინჩას* რო არ შეეჭამა“ (ვ. ბერ).

დიალექტ. **II. ჩინჩა** თხილის ჯიშია (გურ. ღლ.). || ჩიჩა (გურ.) თხილის ერთ-ერთი ჯიში; აქვს მობრტყო ნაჭუჭი და ზეთოვანი გული – ქეგლი.

ჩინჩე:

დიალექტ. **I. ჩინჩე** ჩრჩილი. „ჩემი შალის იოპკა *დუუჩინჩავს*“ (რაცხ. გურ.). იხ. II. ჩინჩი.

დიალექტ. **II. ჩინჩე** თხილის ჯიში; *ჩინჩე* თხილი დითხანს არ ინახება (რაცხ. გურ.). იხ. II. ჩინჩა.

ჩინჩილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩინჩილი** 1. ჩანჩალი – ფეხის ათრევით, უღონოდ სიარული [პამპულა] ყურა რაშზე გადამჯდარა, მოაგელვებს *ჩინჩილითა* (აკაკი). 2. (ლეჩხ.) ჩუმად, ფეხაკრეფით სიარული («დიალ.») – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩინჩილი** (ქართლ.) ქატო – ქერის ჩინჩილი («დიალ.»). შდრ. ჩენჩო მარცვლეულის ბუდე, კანი, – ნაჩენჩი, ხეჭბი – ქეგლი. შდრ. I. ჩეჩი.

ჩინჩხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩინჩხი** პატარა ზედა ჩლიქები საქონლისა (სინონ. ქართლ. ჩუნჩხა, ხევს. მახორიკა, მთიულ. ქუცუცა, იმერ. ნეკი). || საქონლის ფეხის ძვლები და ძარღვები («დიალ.») – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩინჩხი** (მთიულ.) – გრაკლა დაბალი ტანის დეკორატიული დაკბილულფოთლოვანი ბუჩქი – ქეგლი. || რბის საწურავი წვრილი ფიჩხისა, ხესაც *ჩინჩხს* ეძახიან (გუდ., მთ. შან.).

დიალექტ. **III. ჩინჩხი** ჭრელი. „*ჩინჩხი* თვალი მაქ“ (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. **თვალჩიჩხი** თვალჭრელი. შეგილოცავ თვალისასა... *თვალჩიჩხისას*, თვალშავისას (შომახეთი, იმერ. ჯაჯან.). || ჩიჩხი (იმერ.) ღია ჭრელი (თვალები) – ქეგლი. შდრ. ჩხია (იმერ., ლეჩხ., რაჭ.) ღია ჭრელი, ჭროღა (თვალები). [ნანულის] ჩხია თვალების გულუბრყვილო გამოხედვა... და... კუზმა იბნიდება (შ. დად.) – ქეგლი.

ჩინჩხილ -ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩინჩხილი** 1. (კახ.) ტოტებიანი ნარიყი ხე. 2. (თუშ.) დაბალი, გაუვალი ტყე, – ბუწკნარი («დიალ.») – ქეგლი. შდრ. II. ჩინჩხი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩინჩხილი, ჩხინჩხილი** ჩუჩხური, ცეცხლის გამოსაღვივებლად მუგუზლების შენძრევა ან საჩხრეკით ჩხრეკა.. „ბიჭო, რაი უჩინჩხილებ მა ცეცხლ?" (ქიზ. მენთ.). შდრ. ჩინჩხალი 1. ნაპერწკალი. 2. წინწკალი, შხეფი – ქეგლი.

ივარაუდება, რომ ჩინჩხალი ცინცხალი „ნაპერწკალი" სიტყვის შიშინა სახესხვაობაა (ერთელიშვილი 1980: 220).

ჩირ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩირი** ხმელი ხილი – დ. ჩუბ. || საგანგებოდ გამხმარი ხილი (ვაშლი, ატამი, ლეღვი...). აღარა ღირს არცა *ჩირად* (ვეფხ. 876, 4). ზანგუბარი და ინდონი არა მჩანს არცა *ჩირადო* (შ3ნ. I, 828, 3). დრო მოვა რომ გატკბილდების, ხილად სშჭამენ პანტის *ჩირსა* (დ. გურამ. 59, 7, 4). დამითმია ამ სოფლისა ლხინი, ვითა ერთი *ჩირი* (ნ. ციც., 469, 352, 1). თუ აგვიტირდა ბალღები, ვათირებთ (ვამშვიდებთ) პანტის *ჩირითა* (ვაჟა) – ქეგლი. „ზაფხულში, მეღვას გავახმობთ, *ჩირ* გავაკეთებთ" (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ს.-ქართველურისათვის მითითებულია *ჩირ- ძირი „გამხმარი ხილი"* (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩირი** მარილიან წყალში მოხარშავენ ხორცს, დაცინცქავენ (წვრილად დაანაწევრებენ), სუფრაზე გაშლიან და გაახმობენ (აჭარ. ნოღ.). აგრეთვე: მრეწ. IV, III: ზ.-ქართ. 36, ჯავახ. 114, გურ. 66 და სხვ. || (ფშ.) ხორცის მომცრო ნაჭერი (სამწვადედ). თუ ხორცი გვაქვს, მწვადის *ჩირებს* ავასხამთ რკინის ან ხის შამფურზე, შევწვავთ და მივართმევთ სტუმარსა («შინამრეწვ.») – ქეგლი.

დიალექტ. **III. ჩირი** ჩინჩი. *ჩირი* გოუჩთა ტანისამოსს (მანდაეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ჩიმჩი.

ჩირაღ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩირაღი, ჩირახი** ჭრაქი, სანთელი – დ. ჩუბ. || [სპარს. ჩირაღ] კვარი. მოხევე გონს მოვიდა, გაამაგრა *«ჩირაღი»* კედელში (ა. ყაზბ.) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ბერ. *ჩირაღს* ხმარობენ უმთავრესად ანთებულ კვარზე. ამასთან სხვა სანათ საშუალებებზეც: სანთელი, ჭრაქი... გადატ. ბჟირფასი ადამიანი, სულისდგმა, მომავალი. „ბევრი შვილი მყავს, ეგ არი ჩემი *ჩირაღი*". „ერთი *ჩირაღი* მყამდა და ისიც ომში მამიკლეს" (ჯავახ. ზედგ.). || ჩირახი: ამ ხეობაში აუარებელი ფიჭვის ხეებია. არხოტივნები ჯორის საპალნით ეზიდებიან აქედან შეშას და *ჩირახს* (ჩირახი: კვარი, ფიჭვის ძირი ან ღერო ფიჭვისა, რომელსაც აქვს საკმელის მსგავსი ლორწო და ცეცხლი ძალიან ეკიდება) (ხევს. ოჩ., 2019: 21).

დიალექტ. **II. ჩირაღი** 1. ილაჯი, ძალა, ჯანი, არაქათი (ჯავახ. ბერ.). „ჩირაღი გამამელია". 2. ძალა გამოლეული, ძლიერ ღარიბი. *„ჩირაღი* ხალხია ეგ, რა აქ, რო წაართვა." (ჯავახ. ზედგ.). 3. [თურქ.] ბედი, ხვედრი. „ეგ გოგოც მაგ ბიჭის *ჩირაღია*"(ჯავახ. ბერ.).

ჩირთ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩირთი** „ახალი ჩვილი ფურცელი“ (საბა). გაზაფხულზე დიდგორს *ჩირთი* არა ჰქონდეს განაშალი (ვახტანგ VI, 27, 31, 1). *ჩირთი* შემოვიდა, *ჩირთი!* გაზაფხული მოვიდა, გაზაფხული!.. – ისმოდა აღტაცებული ხმა სულდგმულთა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. *ჩირთ* გამაუღავ ტირიფებს, მალე აიფათვლებაც. აქვე: გამაიჩირთების, გამაჩირთვა, მაიჩირთების, მაჩირთვა (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე ფშ. ხორნ.

დიალექტ. II. **ჩირთი** (ვაინახ. ჩურთ „საფლავის კოშკი“). ჩირთად შამაყრილი კონუსისებრი სახურავი (ჩვეულებრივ ციხის შიდა სართულებში იყო ხოლმე ასეთი სახურავები) (ხევს. თავის. 299, 13). **ჩირთ** ქვების გროვა (სვან. თოფ., ქალდ.).

მ. ჩუბუას მოსაზრებით, ჩირთი-სათვის აღდგება ს.-ქართვ. ძირი **ცირთ-* ქვების გროვა (ყანის მიჯნაზე) (ჩუბუა 2017).

ჩირქ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩირქი** 1. თათართა ენაა, ქართულად მწიკული, ბაყლი და გემსი ჰქჯან (საბა). || [სპარს. ჩირქ] მყრალი სუნის მქონე მოსქო, მოყვითალო სითხე; გამოიყოფა ცხოველური ორგანიზმის სისხლისა და ქსოვილების ელემენტთა დაშლის შედეგად მიკრობების ზემოქმედებით, – ბალღამი, თხრამლი. ჩირქის დენა. – [თვარელმა] *ჩირქიც* ამოუფხიკა [ვეფხვს] წყლულიდან დანით მჭრელითა (ვაჟა). ყვავილიანი ძროხის *ჩირქს* წასცხებენ ბავშვს ოდნავ დასერილ ალაგას და მით გადაარჩენენ ავადმყოფობას (ი. მაჭავ. თარგმ.). 2. ძვ. ჭუჭყი, სიბინძურე. ფიგურ. ნუ მოდიხართ ამ ცუდ გზაზე, ვერა ხედავთ?.. *ჩირქი* გსვრით? (აკაკი) – ქეგლი. აგრეთვე: ინგ. ღამბ.; ჩვენ. ფუტკ. 3. ჩირქი ლოპო. ზამთარში წყალი ისე ცოტა მოდის, თითქო არაყიაო; ტყეს რო *ჩირქი* შეუვა, მაშინ წამოვა წყალი (დის., ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩირქი** ცარცია ერთგვარი, შაურიანის მსგავსად მოზელილი, რომელსაც ტფილისის განაპირა უბნებში ფერუმარილის მაგივრათ ხმაროებენ. ეს *ჩირქი* აბანოშიც მიაქვთ. ამბობენ ჭუჭყს აცლისო – ი. გრიშ. **საჩირქე** სახის საცხი ერთგვარი; იხმარებოდა წყალში ალესილი, ათეთრებდა. საჩირქე ძაან თეთრი იყო, შაურიანზე ცოტა დიდი, დაიდებდენ ხელის გულზე, წყალს დაასხამდნენ, ალესამდენ და სახეზე წაისვამდენ (კავთ.). *საჩირქეს* რო წაისვამდენ, ახლა მერე უმარილსა (ბროწლ.). აგრეთვე კავთ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. ჩექა.

ჩიტ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ჩიტი** [სომხ.] სირი, ჭივჭავი და სხვა წვრილი მფრინველი – დ. ჩუბ. || პატარა გარეული ფრინველი (ბეღურა, ბულბული, მერცხალი და მისთ.). ჩიტის ბუდე. – *ჩიტი* ბდღვნად არ ღირდა, უკან დევნა მეტი იყოო (ანდაზა). ჟივჟივი გააქვთ *ჩიტებსა* ალუბლის კენწეროზედა

(შ. მღვიმ.). ავადმყოფი გედევანი ამ ხმაზე *ჩიტივით* წამოფრინდა (ნ. ლომ.). || იგივეა, რაც ბეღურა. მწყერი არის *ჩიტ*ზე მოზრდილი ფრინველი, ჩიტისფერი და მუდამ ბალახებში ცხოვრობს (ი. გოგებ.).

ახ. ქართ. II. **ჩიტი** წიწკი (იხმარება ჩვეულებრივ მრავლობითში) საქსოვი ხელსაწყოს ნაწილი – ხის პატარა რიკი, რომელზედაც კიდია დგიმი – ქეგლი.

დიალექტ. III. **ჩიტი** ახლად გავლებულ ჩურჩხელას ღვენთი (წვეთი) რომ ჩამოუვარდება ხოლმე (კირიონი). იხ. II. წიტი.

ჩიქვ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ჩიქვი** [Acerina] ზოოლ. თევზია ერთგვარი; აქვს ფხიანი, ეკლიანი ფარფლები. ჩიქვი, თევზი ესე არს მტაცებელი და ფრიად გემიერი და მსუბუქიცა საჭმელად – ი. ბაგრატ., დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **ჩიქვი** ნაძვის ნერგი, ახალმოზარდე ნაძვის ხე. *„ჩიქვებსაც* შეყრია რაცხა მარაზი“ (ყეზ., ჩვენ. ფუტკ.). || პატარა ჩირგვი (აჭარ. ნიყ.). აღდგენილია ს.-ქართვ. *ციქუ- (ჩუბუა 2017).

ჩიჩია:

საშ., ახ. ქართ. I. **ჩიჩია** მდაბიურად ხორცი – დ. ჩუბ. || ხორცი (ბავშვის ენაზე). [ბავშვმა] რაკი ხორცი დაინახა, აუტყდა: დედავ, *ჩიჩია!* დედავ, *ჩიჩიაო!* (ზღაპ.). იჰ, იჰ; რა კარგია, რა მიამება ამ ცივ გულზე თბილი *ჩიჩია!* (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩიჩია** (იმერ.) უგერგილო, გლახაკი. მე ვაყურებინებ სეირს, აბა მაცალონ! – ვისი იმედი გაქვს, შე *ჩიჩია,* შენ? – მიაძახებდნენ უკმეხობით გულმოსული ამხანაგები (ნ. ლორთქ.). ბევრი გვინახავს კაი დედ-მამის შვილი – *ჩიჩია* და ძაბუნი (ბანოვ.) – ქეგლი. || გლახა, ჩია, ფია, ფიფია, ცუდი „შე *ჩიჩია* გლახა, დაგიღია ხახა!“ (იმერ. ვ. ბერ.). **ჩიჩია** გამხდარი, დაუშნოებული ზან. (ლაზ. თანდ.). ჩიჩია / ჩიჩიე „მათხოვარი, ღატაკი, ცუდი“ (ყიფშიძე 1914: 365; ჭარაია 1997: 157). დაწვრილებით იხ. (ბუკია 2006: 96).

ჩიჩილაგ-ი:

დიალექტ. I. **ჩიჩილაგი** ფრჩხილის ირგვლივ აქერცლილი ნუნა. მკაზე იცის *ჩიჩილაგების* გაჩენა (რაჭ. კობახ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩიჩილაგი** 1. ძვ. «ჭენჭის საცხები ჩხირი» (საბა). 2. (იმერ.) ქათმის მკერდის თეთრი ხორცი («დიალ.»). || მჭლე ხორცი – ქეგლი.

ჩიჩქ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩიჩქი** სულ მცირე რამ, ერთი ბეწვა, ერთი ციცქნა; პაწაწინა ნაჭერი (ხორცისა). ერთი ლუკმა პური და ერთი *ჩიჩქი* ხორცი მაგასაც ვუთავაზოთო (ვაჟა). რცხვენია ვანესა, რომ ასე იმსუნაგა

და [ზურგიელის] ერთი *ჩიჩქიც* არ მისცა დედას (თ. რაზიკ.) – ქეგლი. || ჩიჩქნ ხორცის ნამცეცი, ნატამალი. „საოსხეებ სამ ოთხიც გვყვანდ, მაგრ ძახლ *ჩიჩქიც* აღარ გვაქვის“ (თუშ. ცოც.). || რბილი ხორცის ერთი იმხელა ნაჭერი, რასაც შამფურზე წამოაგებენ ხოლმე. „აბა, გასწვადე შამფურსა, პირველი *ჩიჩქი* მამკლავისაარ“ (ფშ. ხორნ.). || ამ კირჩხეებს მიწაში დაასჭობენ, დაუცმენ და ზედ მოხვეტილ თივას აგებენ *ჩიჩქად*, ე. ი. დაკიდებით დაუტენავად, რომ ნივამა გაუარო (ფშ. მრეწ. IV, II, 189). შდრ. ციცქნა, ციცნა, კიკნა, ძალიან პატარა – დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩიჩქი** (ქართლ.) მაგრისა და ჩვილის საშუალო (ცომი). *ჩიჩქი* ცომი არც მაგარია და არც ისრე ჩვილია, რომ თონეში ჩაიწიოს («დიალ.») – ქეგლი. „*ჩიჩქი* ცომი მოზელა ვერ ვიცი, ეს ოხერა, რო ფაფუკი პური გამოიდეა“ (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ხევს. ჭინჭ. იხ. I. ჩიჩქვი.

საშ. ქართ., დიალექტ. III. **ჩიჩქი**: ჩრჩილი და **ჩიჩქი** არს ბეწვის გამრყვნელი ჭია – საბა, ქეგლი, ჯავახ. ზედგ. იხ. II. ჩიმჩი.

ჩიჩქვ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ჩუიჩქი*, **ჩიჩქვი** ქორფა, ჩვილი, ახლადაყრილი ბუჩქი. *ჩუიჩქო* მწუანეო, ყუავილო აყუავებულო (შჰნ. III, 257, 23). ჩიჩქვი (გურ.) ქორფა, ჩვილი – ქეგლი. || ნორჩი საქონლის ხორცი, რომელიც მალე იხარშება (კირიონი). „ხბოსავით *ჩიჩქვი* ხორცი აქვს“ (ჯავახ. ზედგ.). || ნორჩი, ქორფა; ჩვილი; ნედლი. *ჩიჩქვი* ხორცი გამოუვა ჩვენ ღორსა (ტყვ.). პურს მოვზელამთ *ჩიჩქვს* (ხოვ.). *ჩიჩქვი* ტარო უნდა დაამტვრიო (ნოს.); აგრეთვე გარ., კავთ. (ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: გურ. შარაშ., ჩვენ. ფუტკ. **ჩიჩქილი** ქორფა ზან. (ლაზ. თანდ.).

ქართულ სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდში ზანურ „ჩიჩქუ“-ს შეესატყვისება ჩჩკლ-ი (ჩიქობავა 1938). ეჭვს არ იწვევს, რომ ქართული ენის დასავლურ კილოებში, მათ შორის აჭარულში, ჩიჩქვი ზანური ჩიჩქუდან მომდინარეობს (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 106). ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით აღდგენილია ს.-ქართვ. *ჩჩუ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. II. ჩიჩქი.

დიალექტ. II. **ჩიჩქვი** 1. ჩრჩილი ქსოვილის გამფუჭებელი ჭია (ჯავახ. ბერ.). ბუხრი ქუდ *ჩიჩქვი* გაშჩენია, დაუჭრია (ნ. მაის.) 2. გადატ. იტყვიან მოუსვენარ, ჩუმალა, ეშმაკ ადამიანზე. პატარა ბიჭი ძაან ეშმაკია, *ჩიჩქვი-ვითაა* (მესხ. ფეიქრ.). იხ. III. ჩიჩქი.

ჩიხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩიხი** 1. გზა (ქუჩა), რომელიც ერთი მხრიდან ჩაკეტილია. მატარებელი ჩიხში დგას, – ქუჩას ავცდი, სადღაც ვიწრო *ჩიხში* მოვექეცი (დ. სულ.). პარასკეობით მოედანი, მისი მიმყოლი შესახვევები და *ჩიხები* ივსებოდა სოფლებიდან ჩამოსული გლეხებით, ურმებით

(ს. კლდ.). 2. (გურ.) შემოღობილი საბალახო პირუტყვისათვის – ქეგლი. ქალტა, ანუ *ჩიხი* არის ღია ცის ქვეშ შეღობილი ადგილი ეზოს გვერდით, სადაც ამწყვდევენ ზაფხულობით და შემოდგომით რამოდენიმე თვეს შინაურ პირუტყვს (გურ. მრეწ. I, 411). საბძელი... ზოგი *ჩიხით* არის ქვეშ დაფიჩხულივით (ქიზ. მრეწ. I, 71). შდრ. **ჩიხ**: **ჩეხ**: საჩიხე, საჩეხე ფარები (ვ. ბერ.). **ჩიხი**, საჩიხე ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩიხი** (ქიზ.) მასრა. მაქოში ჩიხია, რომელზედაც დახვეულია საზედაო ძაფი («შინამრეწვ.») – ქეგლი. „ბაწარ მუხლზე მოიდებს ორწვრივ, *ჩიხს* გადაახვევს და გაუსვამს და გამოუსვამს“ (ქიზ. მრეწ. II, II, 17).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჩიხი** (კახ.) ჩალა. ◊ **ჩიხი ყანა** მაღალი ყანა. კახ. ჩიხი, ჩიხი-ჩალა, საგველა ჩალა ლელი – ა. მაყ.

დიალექტ. IV. **ჩიხი** კომკი. „იარეს, იარეს და მერე ერთი *ჩიხი* დაუხვდათ“ (ჯავახ. ბერ.).

დიალექტ. V. **ჩიხ**ი უხეში მატყლი იგივე მქისე. „*ჩიხ* მატყლივ იციან მქისე მატყლისად“ – *ჩიხი* მატყლიაო იტყვიან უხეშ მატყლზე (თუშ. ცოც.). შდრ. ზიკი თურქ. ჩიხი (+ დახეული Ab) ლერწამი ქსო(ვ)ილი ZABC – საბა.

ჩიხტა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩიხტა** (ფშ., გუდამაყ. მთიულ.) უხეირო, უვარგისი ცხვარი (ლ. ლეონ.). აგრეთვე მთ. კაიშ., ფშ. ხორნ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩიხტი**, **ჩიხტა** ქართველი ქალის თავსაბურავის ნაწილი, თავზე დასადგმელი ბრტყელი რკალი, რომელზედაც თავსაკრავია გადაკრული. მაკრინემ ამოალაგა ქართული ტანსაცმელი *ჩიხტითა* და კოპით (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || ჯიხტა, ჩიხტა ქალის თავსახურავი – ვ. ბერ. || **ჩიხტი**: სქელ ქაღალდს ჩითს გადავაკრავდით და დავიხურავდით (ზ.-ქართლ. მრეწ. II, II, 142).

ჩლიქ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ჩლიქი** ფერჭგანპებულის ფრჩხილი – საბა. || სქელი რქოვანი წანაზარდი (სახეცვლილი ბრჭყალი) ზოგიერთი ძუძუმწოვარი ცხოველის (ძროხის, ღორის, ცხვრის...) ფეხზე. პაწაწა ვარ, ობოლი, ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, *ჩლიქებიც* არ გამმაგრებია [ამბობს შვლის ნუკრი] (ვაჟა). რქები შუბებივით სწორი და წვეტიანი ჰქონდა, კუდი *ჩლიქებამდე* სწვდებოდა (რ. გვეტ.). თუ დააკვირდებოდით დანამულ მიწას, ...შეამჩნევდით უნალო ცხენების ნაფეხურს და *ჩლიქების* იმგვარ ბეჭდებს, რომელსაც «ბაყაყს» ეძახიან (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჩლიქ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); (ბუკია 2006: 61).

დიალექტ. **II. ჩლიქ** ენაჩლუნგი (ინგ. ღამბ.). || ჩლიქჩ ენაბრგვილი, ლაპარაკისას რომ ენა ეჩლიქება, რ-ს მაგიერად რომ ლ-ს გამოთქვამს. გან ცუტუნაცილა მთელაც ერთაჩ, მაგრ მაინც *ჩლიქჩ* – განა პატარაღაა, ერთობ მოზრდილია, მაგრამ მაინც ენაბრგვილია (თუშ. ცოც., ხუბ., შან.). შდრ. ჩლექა, ენის მოჩლექა (იმერ. ვ. ბერ.).

ეს სიტყვა ქ/გ ცვლილებითაც (სუბსტიტუციით) გვხვდება: ჩლიგი „ენა ლასზე მოუბარი“ (საბა) – ენამოჩლექილი (ქეგლი) (ქურდაძე 2005: 171).

ჩოგ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩოგი** (თუშ.) გაზელილი ახალი ყველი მარილით შეზავებული (ქუმელს ატანენ) – ქეგლი. || **ჩოგჩ** მეცხვარეთა სატანია, ახალამოღებულ, უმარილო ყველს ორი-სამი დღე თბილად შეინახავენ. იგი გაფუჭდება და ოდნვ მომჟავო გემოს დაიკრავს, შემდეგ მარილში გაწელენ და გუდაში მაგრად ჩატენილს შეინახავენ. მთელი ზამთრის განმავლობაში ხმარობენ. „ღმერთმა დასწყეველოს წუაო, სომეხი მოატყუაო, ათ გუდა ყველი მიხყიდა, *ჩოგებიც* შეატყუაო“ (თუშ. ცოც., ხუბ., ფშ. ხორნ.).

სამ., ახ. ქართ. **II. ჩოგი** სპორტ. მოკლე ყვანჯი (ჩოგბურთის სათამაშოდ), – რაკეტა (ქეგლი). შდრ. ჩოგანი ქართული მხედართბურთის საგდებელი და საფორებელი – თ. ბაგრატიონი. || [სპარ. ჩოუგან] სპორ. ბურთის გასაკრავი ჯოხი, ბოლოში ოდნავ მოხრილი და დაკომბლებული (ან კოვზისებური), – ჩაჩი, ჭაკუნი – ქეგლი.

ჩოთქ-ი:

ახ. ქართ. **I. ჩოთქი** [რუს. щётка] ჯაგრისი. წაღები ტანისამოსის *ჩოთქით* გიწმენდია (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. ჩოთქი** [სპარს. ჩოთქე] საანგარიშო, – სპეციალური მოწყობილობა არითმეტიკულ მოქმედებათა საწარმოებლად. მთელი ღამე ყარყუმივით უნდა ვიჯდე და ვაჩხაკუნო *ჩოთქის* კოჭები (ი. ეკალ.) – ქეგლი.

ჩოლახ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩოლახი** [თურქ. ჩოლაკ «ცალხელა», «ხეიბარი»] საუბ. იგივეა, რაც კოჭლი – ქეგლი. || ვისაც ცალი ხელი დაზიანებული აქვს, ვერ ხმარობს (ან მოჭრილიც აქვს), ან ისეთი რომელსაც მარჯვენის ნაცვლად მარცხენა ხელის მოხმარება უფრო ემარჯვება, ცაცია (ჯავახ. ზედგ.). || ჩოლახბალია კოჭლი (ქიზ. მენთ.). || ჩოლაღი (აჭარ. ნიჟ.). ჩოლხ [თ.] მკელობელი – საბა.

დიალექტ. **II. ჩოლახი** იგივეა, რაც სახორხი (ქიზ. მენთ.). **სახორხი ჩოლახი** დიდი სატეხი მორგვის გულის გამოსაღებად, რომ მორგვში ღერძი გაუგდონ (ქიზ. მენთ.). || ჩულუხი დიდი სატეხი, რომელსაც ჩვეულებრივ მორგვის სახვრეტად ხმარობენ. არ დამიჩლუნგდეს ხერხი, ცული, ხუშტარა, *ჩულუხი* (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ.

ჩონჩა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩონჩა** (ქიზ.) ჩამჩა. ◊ ჩონჩით ზიარება «დიდი სიკეთის ქმნა» (თ. სახოკ.) – ქეგლი. კვინელს, ან წნორს, ან ვერხვს... დასჭრიან ზომაზე, რა ზომისაც უნდათ: ზოგი კოვზათ, ზოგი *ჩონჩათ* (ჩამჩა) (ქიზ. მრეწ. II, I, 32). *ჩონჩით* მაგრა დაზელავენ (ქიზ. მრეწ. III, II, 22). || კოვზს, *ჩომჩას* ჭირ-სხლით და ვაშლით (პანტა- მაჟალოს ხით) აკეთებდნენ (საინგ. მრეწ. II, I, 65). შდრ. ჩამჩა ციცხვი – საბა. || [თურქ. ჩამჩა «ხის პატარა ჯამი»] დიდი, ღრმა კოვზი ქვაბიდან წვნიანის ამოსაღებად – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩონჩა** გადატ. უწვრთნელი, ბრიყვი ქალი (ს. მენთ.) – ქეგლი. **ჩონჩომოშვებული**, დაუპიმავი (გურ. კიწმ.). **ჩონჩო** აჩაჩულ-დაჩაჩული, ჩანჩურა ზან. (მეგრ. ქობ.).

ჩოფ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩოფი** 1. [სპარს. ჩოფ «ჯოხი, ჩხირი»] წარბწამწამზე საღებავის წასაცხები ჩხირი. ქალის ტუალეტისათვის მოხსენებულია... თმის საყოფი, *ჩოფი* და სხვ. (ი. გრიშ.). 2. დაბეგვილი თრიმლის უფოთლო ტოტები – ქეგლი. 3. ძლიერ პატარა კოვზი, რომელსაც ზიარების დროს იყენებდნენ. ჩოფი კობზივით არი პატარაი, ზიარებისთვინ იცოდენ, ერთი ყლაპი დადის ზედ. ერთი *ჩოფი* რო დალიო ანწლის ვიშონკა, მორჩები (ღორეშა, ზ.-იმერ. ძოწ.). 4. [თურქ.] ნაფოტი, ხიჭვი. „ნაზლიჯან წეიქცა და ჩეესო *ჩოფი*“(ზაქ., შავშ. ლექსიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჩოფი** (კახ. თუშ.) სიცხიანი, ცხელი (ადგილი) («დიალ.») – ქეგლი.

დიალექტ. **III. ჩოფი** [თურქ.] ნაგავი, ნარჩენები. „*ჩოფის* ვედრაი გარეთ დამჩენია (ინ.)“; „*ჩოფი* არ იმიწევია“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **IV. ჩოფი: ჩოფის მოწევა** (თურქ.) არჩევანი კენჭის ყრით, კენჭის ამოღებით, – წილის ყრა. „მასე თუ ვარ მორიგდებით, მაშინ *ჩოფი* მოსწიეთ!“ (აჭარ. ნიჟ.). **ჩოფი** (თურქ.) წილისყრა ზან. (ლაზ. თანდ.).

ჩოჩია:

დიალექტ. **I. ჩოჩია** ვირი, ჩოჩორი, მუტრუკი (აჭარ. ნიჟ.). || ვირის შვილი, ვირი. „*ჩოჩიას* ეთამაშებოდნენ ბაღვები“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || ჩოჩი 1. «ვირის ხადილი» (საბა). 2. (ლეჩხ.) იგივეა, რაც ვირი – ქეგლი.

დიალექტ. **II. ჩოჩია**/ე-ი ერთგვარი თევზის სახელია (გურ. ჟღ.).

ჩოჩიკა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩოჩიკა** 1. (რაჭ.) ჩოჩორი. 2. (ლეჩხ.) ვირი – ქეგლი. || ჩოჩილა (გურ., ალ. ღლ.). იხ. I. ჩოჩია.

დიალექტ. **II. ჩოჩიკა** (გურ.) ლასტი ანუ ჩელტი, რომელსაც ჰკიდებენ შუაცეცხლს ზემოთ და ზედ ალაგებენ თევზს, ყველს, ლორს, თხილს, კაკალს, რათა ადრე გახმეს – ალ. ღლ. || ჩეჩო ჩამოსაკიდებელი, შიგ შესადგმელი სა-

ჭმელთა – საბა. || ჩოჩო 1. დაკიდებული კარადა, – ჩეჩო. 2. (იმერ. ლეჩხ.) ახლად ამოყვანილი ყველის შესანახი ჭურჭელი (წნული ან ხისა, ტკეჩით ძირგამოწნული) – ქეგლი. || ჩოჩობა (გურ.) კალათივით მოწნული ჭურჭელი, რომელზედაც აწყობენ სახელდახელო სანოვაგეს; კიდებენ სამზარეულო სახლის სხვენში – ქეგლი. **ჩეჩო, ოჩვეჩე** ყველის საშრობი, საწრეტი, დასამწიფებელი ჭურჭელი ან ლასტი ზან. (მეგრ. ქობ.).

ჩოჩო:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩოჩო** 1. დაკიდებული კარადა, – ჩეჩო. 2. (იმერ. ლეჩხ.) ახლად ამოყვანილი ყველის შესანახი ჭურჭელი (წნული ან ხისა, ტკეჩით ძირგამოწნული) – ქეგლი. შდრ. II. ჩოჩიკა.

დიალექტ. **II. ჩოჩო** -ი ვირი ბავშვის ენაზე (ჯავახ. ბერ.). შდრ. ჩო, ჩო ვირის გარეკვის შემახილი (ჯავახ. ბერ.). იხ. I. ჩოჩია.

ჩუთ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჩუთი** მიწის სახვნელი მარტივი იარაღი, – კავი. [ცხენი] გდია თავჩამოგდებით, *ჩუთის* წევით მოღლილი (ა. ჭავჭ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუამ ამ სიტყვისათვის ივარაუდა ს.-ქართვ. *ჩუთ- „კავი, სახვნელი; ამოსატები“ → ქართ. ჩუთ-, ჩუთ-ი || ჩოთ-ი : ზან. ჩქურთ-ი ←*ჩქუთ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე (ჯავახიშვილი 1930: 200).

დიალექტ. **II. ჩუთიი** ძველი ქართული აბაზიანები. მოსართავად ხმარობდნენ. „ილგაგი წარმოადგენს გულზე ჩამოსაკიდებელ, ერთმანეთზე გადაბმული ვერცხლის ფულებს, რომელთა რიცხვიც ზოგჯერ სამოცამდის ადის. ილგაგისათვის ხმარობენ ვერცხლის აბაზიანებს, რომელთა შორისაც არა იშვიათად შეხვდები ძველ ქართულ აბაზიანებს, რომელსაც აქ ჩუთის ეძახდნენ ძველად“ (ედილი, გვ. 94) (ინგ. ღამბ.).

ჩუთქ-ი:

დიალექტ. **I. ჩუთქი**, ჩქუთი, ხოწი, კოვზის ამოსახვეწი/ამოსათხრელი/ მოხრილი რკინა (მთ. შან.). იხ. I. ჩუთი.

დიალექტ. **II. ჩუთქი** თუ ქანა საღარა /რაზ/-ჭყ.? ლუწი თუ კენტი (ფშ. შან., ხორნ.).

ჩუმ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჩუმი** 1. ხმა. არცა ერთსა *ჩუმსა* ამოიღებდა (რუსუდ. 592, 11). 2. ძალზე დაბალი ხმიერებისა, – ხმადაბალი. ჩუმი ლაპარაკი – [პატარა მდინარე] *ჩუმი*, საიდუმლო დუდუნით გარბოდა... შავი ქვით მოფენილკალაპოტში (ე. ნინოშ.). პირქვე დამხობილი რაბინი და ფარისევლები...*ჩუმი* წყევლით შეხვდნენ გათენებას (ჭ. ლომთ.). || წყნარი, უხმაურო. მშვენიერი, მთვარიანი ღამე იყო, *ჩუმი*, წყნარი... ფოთოლიც კი არსადა შრიალებდა (ი. მაჭავ. თარგმ.). 3. ხმაამოუღებელი, უსიტყვო, მშვი-

დი (ადამიანი). [იოსებ დავითაშვილი] მეტად საყვარელი, ტკბილი, *ჩუმი კაცი* იყო (ილია). ასე გასინჯე, *ჩუმი კიკოლიკიც კი* აატიკტიკა ამ ღვინომ (გ. წერეთ.). || უხმაურო, უპრეტენზიო. *ჩუმი*, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა... მოღვაწეობა... უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდბუნებოვანობისა (ილია) – ქეგლი. – *„ჩუმი* არ გიმიღია; *ჩუმსაც* არ ვიღებდი“ (შავშ. ლექსიკ). „თავში რომ უსკვა, *ჩუმს* არ გეიღებს“ (აჭარ. ნიჟ.). **ჩუმმოპარული** [ჩუმ + მოპარული] განაბული, ხმაგაკმენდილი, გატრუნული, სულგანაბული, გარინდებული. „შიშიზგან კანკალობენ, *ჩუმმოპარული* არიან“ (აჭარ. ნიჟ.). **ჩქუიმ ჩუმი**, წყნარი (სვან. თოფ., ქალდ.).

აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *ჩუმ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ჩუმი**: **ჩუმი ყველი** მდარე ხარისხის ყველი: „ვარიაში (სადღვებელი) კარაქის მოხდის შემდეგ დარჩენილ რძეს – „ჩუმარის ანუ ჩუმ მეს“ წამოადუღებენ. წამოდუღების შემდეგ გორჯოლო „ამეიქურდულებს“ და ქვაბს ხინჯად დაადგება თავზე; ცხელ გორჯოლოს ციცხვით ამოიღებენ და სუზგში (თუშფალანგში) ნაწილობრივ გაწურავენ. შემდეგ ჩახვში (ნ.) გადაიტანენ, კასრში შედგმულ სუზგში ჩადებენ და ჩახვს ზემოთ სუფთა ქვის ბასხებს (წნეხს, პრესს) დააწყობენ. ერთი დღის განმავლობაში შრატისაგან დაიწურება. ასეთი წესით დამზადებულ *ჩუმ* ყველს ქილეკში ისე მჭიდროდ ჩატენიან, რომ დანით თუ შეიძლება მისი ამოჭრა“ (ზ.-აჭარ. შამ., ნიჟ.).). იხ. I. ჩუმა.

ჩუმა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩუმა** 1. უდედოდ (უკვეთოდ) ჩაწოლილი რძე (კარაქის შესადღვებად). ჩუმის კარაქი. || *«უმი ერბო»* (საბა). 2. (ქართლ. მთიულ.) კარაქის შედღვების შემდეგ დარჩენილი სითხე (შდრ. დო). ჩუმის შეჭამანდი – ქეგლი. || მაწვნისაგან გაკეთებული ნაღები ხაჭოს გავს (ჯავახ. ბერ.). || აუდუღარი რძის ნადღვების დარჩენილი სითხე. თუ აუდუღარი რძის ნადღვებია, *ჩუმას* ვეტყვით თუ ადუღებულისა, დოს ვეტყვით (ლამ.); *ჩუმაჲ* ვინ გაჲმეტეფს, ქაა, ღორებითვინა? მიჲცემდი ჩხუბიაანთა, მადლ მაისხამდი! (წილკ.). აგრეთვე ბაზ., ბიწმ., დ. თონ., სამთ., ტყვ. (ქართლ. ლექსიკ.). „ამ ზამთარ ორ თუეს *ჩუმაი* ჩავასხი, ნაწუელი ცოტაი მქონდა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: შ.-კახ. მრეწ. III, II, 34, მთ. მრეწ. IV, I, 143, მესხ. ფეიქრ., ქიზ. მენთ., მესხ. მაის. შდრ. II. ჩუმი.

დიალექტ. II. **ჩუმა** (ქიზ.) «ჩუმი, წყნარი ქცევის ადამიანი» (ს. მენთ.).
◊ **ჩუმი ქვაბი** იგ. «ჩუმად არყის გამოსახდელი ქვაბი» – ქეგლი. იხ. I. ჩუმი.

ჩურ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩური** «თოშსა და ყინულს რომ მიაყრის ერთად» (კირ.) – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **ჩური** კოჭის თამაშობის დროს, ვინც ყველაფერს წააგებს, იმას ასესხებენ ხოლმე ერთი-ორ კოჭს, რომ ითამაშოს და გული არ დასწყდეს – ამ სესხს ჰქვიან *ჩური* („კლდე“, ი. გრიშ.).

ჩურუქ-ი:

ახ. ქართ. **I. ჩურუქი, ჩურუქა** [თურქ. ჩურუქ] უხეირო, არასაიმედო. ჩემდა საუბედუროდ, კისრად ვიდე... მხილება ამ *ჩურუქა* მეცნიერისა (ილია). მე მაგ *ჩურუქს* ვაჭრებს, მაგ გამოქნილს პლუტობაში მგლებს, ვერ შევეთვისებიო (რ. ერისთ.) – ქეგლი. „რასა ბრძანებთ, კნიაზო, განა იმისთანა *ჩურუქი* ადვოკატთაგანი ვარ"? (რ. ერისთ., „ივ.", 1880 წ., №4, გვ. 63). || მცირე. „ის არ იცნობს წვრილსა და *ჩურუქა* ხალხსა, თორემ იმას ვინ არ იცნობს" (ი. კერეს., „ცისკ.", 1868 წ., №12, გვ. 44) (ი. გრიშ.).

დიალექტ. **II. ჩურუქ** „საზამთრო საძოვრის ბალახი აჟნაურში" («შინამრეწვ.» ინგ. ღამბ.).

ჩურჩულ-ი:

ძვ. ქართ. **I. ჩრჩუილი || ჩრჩული || ჩურჩული** ჩვილი. შენგან იშვა მჴსნელი სოფლისაჲ, ვითარცა ყრმაჲ *ჩრჩუილი* [იელ. იადგ. 7v, 10-11). გამომზრდელი ჩუენი ღმერთი, ვითარცა *ჩურჩული*, შენგან, სძალო, აღიზარდა (იქვე 7v, 22-23). ვითარცა *ჩრჩული*, გიხილეს შენ (იქვე 15r, 3) – ზ. სარჯ. შდრ. I. ჩიჩქვი.

სამ., ახ. ქართ. **II. ჩურჩული** 1. ყურში ვეუბნები – დ. ჩუბ. || უხმოდ, მეტისმეტად ხმადაბლა, ჩუმად ლაპარაკი. მოისმა *ჩურჩული* რაღაცა გაუგებარი სიტყვებისა..., მოხუცმა ყური ავადმყოფის ტუჩებს მიუახლოვა (ა. ყაზბ.). || გადალაპარაკება, ჩუმი მითქმა-მოთქმა. შეიქნა ერთი *ჩურჩული*, ატყდა ყაყანი, გაიმართა მითქმა-მოთქმა (აკაკი). ფიგურ. [ვარსკვლავმა] დასტური მომცა ციმციმით, სხივები გადმომაყარა და იმ დროს ყურში *ჩურჩულით* ნიავმაც ასე მახარა (აკაკი). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ფრუტუტ-ჩურჩული. კურკურ-ჩურჩული – ქეგლი. || ჩურჩური: ქალი იგი ჩურჩურებდა (ათონ. მრავალთ. 82r, 19-20b). **ჩურჩნაჲ** ჩურჩული. ჩურჩნაჲ მითქმა-მოთქმა. ჩურჩნაჲ ჩურჩული – ზ. სარჯ. შდრ. **ჩურჩურება «ჩურჩუნვა»**, შელოცვა – დ. ჩუბ.

ჩქერ-ი:

ახ. ქართ. **I. ჩქერ-ი** მდინარის სწრაფი დინება კალაპოტის დაქანებულ და ქვიან ადგილას. *«ჩქერი»* ჰქვია მდინარის იმ ადგილს, სადაც ქვები ყრია და გაქანებული წყალი, ქაფად გამსკდარი, თავზე ევლება ლოდებს (აკაკი). ცისფერ *ჩქერებში* ეხახუნება ქონიან მკერდით ქვას ორაგული (გ. ლეონ.). || ჩქერი სახელი ჩქერს ზმნის მოქმედებისა,– ჩქარი დინება, ჩქეფა. მკერდიდან სისხლი, ...ვით წყარო, გადმოუვიდა *ჩქერითა* (ვაჟა) – ქეგლი.

ზემოდასახელებული სიტყვისათვის მ.ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. ძირი *"ჩქერ- „სწრაფი"* (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ჩქერი** წყავი, მცენარეა (ქართლ. ა. მაყ.). || შქერი. *ჩქერი* არის წარე. ახალ ფოთელ რო მოკრიფამ. მუდამ წვანეა და სქელი ფოთელი აქ, *ჩქერს* დავნაყდით, ჩავყრიდით წყალშია, აბრუეფს თებზსა, გაქცევა აღარ შოუძლია (ღოდორა, ზ.-იმერ. ბოწ.). ჩქერნალი შქერნალი, შქერიანი

(რაჭ. კობახ.). || შკერი – იელი: მორგულ შკერის ჩიჩეგია (ისკები, კლარჯ. ლექსიკ.). || ფშკერი – შკერი: ფშკერი არი ბევრი; იმაზე უთქმიან ფშკერი (ბაშქოი, კლარჯ. ლექსიკ.). შქერი მარადმწვანე მცენარე ზან. (მეგრ. ქობ.).

ჩხაკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხაკი** 1. (იმერ.) «ხახალი, ცხრილი» (ბ. წერეთ.). 2. (გურ.) ვამლის საკრეფი კალათი, – საკრეფელა (ქეგლი). || საცრის მსგავსი ხელსაწყო, ძუის მაგივრად წმინდა ტკეჩით გამოქსოვილი; ხმარობენ მოხარშული ტყემლიდან კურკის გამოსაცლელად (იმერ. გაჩ.). || ჩხაკვი ცხავი; ჩხაკვავს აცხავებს (ქართლ. ლექსიკ.).

დიალექტ. II. **ჩხაკი** (გურ. იმერ.) კედელზე იარაღის დასაკიდი (ე. ნინ., თ. კიკვ.) – ა. ღლ. **ჩხაკი** ბადის საქსოვი ჩხირი ზან. (მეგრ. ქობ.). **ჩხაკალე** ლატანი. ჭოგრი თხილის ან ნიგვზის სარევად ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. III. **ჩხაკი**: **ჩხაკის** გემო მომჟავო-მომწარო გემო, – მწკლარტე (აჭარ. ნიჟ.). შდრ. I. ჩხმატი.

დიალექტ. IV. **ჩხაკი** თვალები თეთრი ჭრელი თვალები. *„ჩხაკი* თვალები ქონდა მამამის!“ (იმერ. გაჩ.). შდრ. ჩხატიანი (რაჭ.) ჩხია, ჭრელი თვალების მქონე – ქეგლი.

ჩხაკა:

დიალექტ. I. **ჩხაკა** ბუხრის თავზე დადებული პატარა ჩელტი; მასზე დაალაგებენ წვრილმან საოჯახო ნივთებს (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. ჩხაკი.

დიალექტ. II. **ჩხაკა** თავსაკრავის საქსოვი ხელსაწყო. „თავსაკოჭას ბადურასავით ვქსოვდით *ჩხაკაზე*“ (აჭარ. ნოღ.). იხ. II. ჩხაკი.

დიალექტ. III. **ჩხაკა** კენჭაობის ილეთი ერთგვარი. ქვა ქვას უნდა მოხვდეს აგდებული კენჭის დაჭერის დროსა, *ჩხაკას* ვეძახით (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ჩხაკანი იგივეა, რაც ჩხაკუნი. გასაღებს ჩხაკანი მოვაღებინე (შ. არაგვ.) – ქეგლი.

დიალექტ. IV. **ჩხაკაი** სუსტი აგებულების ადამიანი; მეტსახელი კაცისა. „მე *ჩხაკა* ოსმანას ბაჯალა ვარ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. ჩხანკი.

დიალექტ. V. **ჩხაკა** ლობიოს ჯიშია ერთგვარი (აჭარ. ი. მეგრ.) – ალ. ღლ.

ჩხამ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხამი** შხამი. საწამლავი ნივთიერება, – გესლი (მოჯ. შან.).

ს.-ქართვ. *სხ-ამ- „შხამი, გესლი, ღვარძლი“ → ქართ. სხამ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ჩხამი** ყოველგვარი წვრილი თევზი. დრო დავკარქე და *ჩხამიც* ვერ დევიჭირე (შროშა); *ჩხამია* ყოველნაირი ჯიშის თევზი, რომელიც წვრილია, ქართლში ჭიჭყინას უძახიან (ზ.-იმერ. ძოწ.). **ჩხომი** თევზი ზან. (ლაზ. კალანდ.).

ს.-ქართვ. არქეტიპია *ჩხამ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. II. ჩხამა.

ჩხამა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხამა** (მთიულ. მოხევ.) იგივეა, რაც შხამა ბალახია ერთგვარი – ქეგლი.

ჩხამა არის შხამა -სიტყვის ვარიანტიც და ერთგვარ თევზსაც აღნიშნავს; ამ მეორე შემთხვევაში ალბათ ოდინდელია. შდრ. მეგრ. ჩხომი ადგილის სახელი, ოჩხამური ბალახის სახელში კი ჩ მეორეული ჩანს (შ > ჩ: შხამა > ჩხამა) (ფოჩხუა 214: 86). იხ. I. ჩხამი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩხამა** წითელფორეჯებიანი (ჭრელი) თევზია ერთგვარი («დიალ.»). ერთმა ვინმემ აუზებში წვრილი თევზი გააჩინა: ღორჯო, *ჩხამა*, თევზნაფოტა, გველანა და კაპარჭინა (აკაკი) – ქეგლი. *ჩხამა* პატარა თევზია და დაკორჩხლილი თავი აქ (მანდაეთი, ზ.-იმერ. ბოწ.). **ჩხამა** წვრილი თევზია ერთგვარი, აქვს წითელი ფერი ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. II. ჩხამი.

ჩხანკ-ი:

დიალექტ I. **ჩხანკი** ძალიან გამხდარი, მაგრამ ყოჩაღი და მოძრავი, ჯანმრთელიც. პაატაჲ თლა *ჩხანკია*, ქარი წაიღამს, მარა რამდენ დარბის, არ იღლება (მესხ. ფეიქრ.). იხ. III. ჩხაკა.

დიალექტ. II. **ჩხანკი** ცუდი, დახეული ქალამანი, ჯღანკი, ჯღანი (მესხ. დონდ., 381) – ალ. ღლ.

ჩხარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხარი** 1. არამჭიდრო, არახშირი, მეჩხერი, ფარღალალა. [ზეინაბს] სიცილის დროს ოდნავ *ჩხარ*, კრიალა კბილებში ენის წვერი ცეცხლის პატარა ალივით გამოუჩნდებოდა ხოლმე (რ. გვეტ.) – ქეგლი. „კაი ლამაზი ქალია, *ჩხარი* კბილები რომ არ ჰქონდესო“ – ვ. ბერ. 2. აბრეშუმის უვარგისი პარკი (საყაჭედ ვარგა მხოლოდ). ჩხარი პარკი (ქობ., ხელვ.) ნაჭყარტულა. პარკი არის *ჩხარიც*- თხელი, დაჭყეპილი, რბილი პარკები (აჭარ. ნოღ.). **ჩხარი** ჩხარი ზან. (მეგრ. ქობ.).

აღდგენილია ს.–ქართვ. არქეტიპი *ჩხერ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ. II. **ჩხარი** ხმაბაძვ. ჩხრიალი, ჩხარაჩხური. და გამობრუნდა ნაომარი ადგილიდან..., *ჩხარი* გაჰქონდა მხლებელთ ჯაჭვ-ჯავშანს (ვ. ბარნ.). მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა *ჩხარია* (რუსთაველი) – ქეგლი. || ჩხარანი. აბჯარი ესე იგი იარაღი, ანუ საჭურველი რომ ერთმანერთს მოხვდება და ხმას გამოიღებს, დაჩხარუნდება. ჩხერება ანუ ჩხარება იარაღი რომ ერთმანერთსა მოხდეს იმის ჴმას ნიშნავს. გაჩხარუნდა – ჩხარაჩხური იწყო (თ. ბაგრატ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჩხარი** (თუშ.) იგივეა, რაც ჭირხლი – ქეგლი.

ჩხართ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. ჩხართი ფათხა, ბადის საქსოვი ჩხირი – ნ., დ. ჩუბ., ქეგლი.

ახ. ქართ. II. ჩხართი (ლეჩხ.) ჩლარტი/ჩლატი–ძველი და უხეირო საშინაო ფეხსაცმელი – ქეგლი.

დიალექტ. III. ჩხართი || ჩხართვი ჩხიკვივით ფრინველია, ქოჩერი აქ კაი (ხვაშითი); ნაცრისფერ შაშვს ეტყვიან *ჩხართვს* (უჩამეთი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ჩხართი < ჩხართვი. ჩხართვ (ფრინ.) – საბა. ჩხართვი [Turdus viscivorus viscivorus] ზოოლ. გარეული ფრინველი შაშვისებრთა ოჯახისა, მიწისფერი, გულჭრელი, [ფითრს] სულ ჩხართვი ელანდებოდა, ან ახლა ჩამცხებს ნისკარტს და ან ახლაო (თ. რაზიკ.). მსხალზე მოპარვით შემოფრინდა ჭრელგულა ჩხართვი (კ. ჭიჭ.) – ქეგლი.

ქართ. ჩხართუ- ჩხართვ; ჩხართვი და სვან. ჩხურუშტ || ჩხგრუშტ || ჩხგრგშტ || ჩხირუიშტ „ჩხართვი“ სიტყვათა შედარების საფუძველზე აღდგენილია ს.-ქართვ. *ჩხართუ-ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ჩხატ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ჩხატი (მოხევ. ხევს.) იგივეა, რაც ჩანჩქერი. ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო, ...როდესაც [კობამ] მიაღწია ხდის ჩხატს (ჩანჩქარს) (ა. ყაზბ.) – ქეგლი. || ჩხატ: „ორმეტრიან *ჩხატზე* კი ადის კალმახ, მაგრ უფრ მაღალაზე კი ვეღარ ავ“ (თუშ. ცოც.). აგრეთვე: ფშ. შან., ხორნ. შდრ. ჩხარი ჩხრიალი, ჩხარა-ჩხური – ქეგლი. ჩხარი > ჩხატი რ სონანტი შეცვლილია ნაპრალოვანი თანხმოვნით (ერთელიშვილი 1980: 107).

დიალექტ. II. ჩხატი წაზიდული კლდე ვიწროსა და დამრეც ხევში, საიდანაც წყალი ჩანჩქერად გადადის (ხევს. ჭინჭ.). || სალ კლდეებს შორის არსებული ვიწრო ქარაფი. „სასნოურო ქოხის თავ *ჩხატებია* და მეერიდე“ (მოხ. ღუდ.). იხ. III. ჩხერი.

ჩხერ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ჩხერი (ერწო.-თიან.) ბაძგი – მარადმწვანე ბუჩქი (თეთრყვავილიანი, მოშავო-წითელ ნაყოფიანი); ფოთოლი კიდე ეკლიანი აქვს, ნაყოფი – კურკიანი. გავრცელებულია ჩვენს ტყეებში – ქეგლი; აგრეთვე მოხ. ქავთ. იხ. II. ჩქერი.

დიალექტ. II. ჩხერი ჩხატი, ჩანჩქერი. „*ჩხერი* მაღლით, ქვებზედით გადმადის“ (მოხ. ქავთ.). „ამაზე იმერკევშიც „*ჩხერი*“ იტყვიან“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. I. ჩქერი.

დიალექტ. III. ჩხერი წვეტიანი, ოღროჩოღრო კლდეების ერთობლიობა. ქვიშათ აელვებს მთვარეი კლდის ჩხერზედ შამაჯდარია. – [ჯიხვები] თანაც შენ ჩაგიყოლებენ, *ჩხერს* ჩაგაჭრიან კლდისასა (ხევს. პოეზ. 516, ბ, 10); შორამდი მივხყევ შურთხებსა *ჩხერთასა*, სიმაგრისასა (ხევს. ჭინჭ.).

ჩხერა:

ახ. ქართ. I. **ჩხერა** ჩხარუნი, ჩხრიალი. პირდაპირ ზურაბ ჩამოვა, *ჩხერა* ჩამოაქვს ქვიშისა (ხალხ.). ისმოდა *ჩხერა* ჯავშნების შეხლის (გრ. აბაშ.) – ქეგლი. იხ. II. ჩხარი.

დიალექტ. II. **ჩხერა** ალმაცერად დათესილ კარტოფილის კვალს, *ჩხერას* ეძახიან (ს. ხიზაბავრა, ჯავახ. ბერ.). შდრ. I. ჩხირა.

ჩხირა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხირა**: ◊ **ჩხირი ვენახი** (იმერ.) «აქა-იქ გახარებული ვაზი, რომელსაც ჯერ სარები არა აქვს დასმული» (გ. წერეთ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჩხერ-/*ჩხირ- „ჩხირი“, „გაჩხერა“ *ჩხერ-ი/ჩხირ-ი; → ქართ. ჩხერ-/ჩხირ-, ჩხერ-ი/ჩხირ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე: უთურგაიძე 1997: 157, ქურდაძე 2005: 72.

დიალექტ. II. **ჩხირა, ჩხირანა** თევზია ერთგვარი. მღვრიე წყალში იცის *ჩხირა*, პატარაა, ჭროღა (ქორ.). ორი ჩხირანა დავიჭირეთ, იქ მე სხვა თევზი არ მინახია (ტყვ., ბრ., ტირძ. ქართლ. ლექსიკ.).

ამ მნიშვნელობით ჩხირა, როგორც რ. ქურდაძე შენიშნავს, I. ჩხირას სხვა მნიშვნელობიდან უნდა მიგვეღო (ქურდაძე 2005: 172).

ჩხმატ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხმატი** «მჟავე მაჭარი» (საბა, დ. ჩუბ.). შდრ. **ჭმახი, ჭმახე** მჭახე, მოძმარებული, ჭანგი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჩხმატი** 1. მტვრევის, მსხვრევის ხმა; 2. შებრძოლება, ჩხუბი. „შარაბი სუეს წუხელი მეგემ ლოქანთაში და მემრე *ჩხმატი* ქნეს, აწყალა შეჭამეს ერთმანები, ხაპერი მეეშალენ და, იმითვინ“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. I. ჩხატი.

ჩხოტიო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხოტიო** (გურ.) «უფოთლო მცენარე» (ს. ჟღ.) – ქეგლი.

არნ. ჩიქობავას მტკიცებით, მეგრულ-ლაზური ცხოტ || ცხონტ || ჩხოტ ფუძეთა კანონზომიერი ქართული შესატყვისია სხლეტ-. მათი კავშირი ასე წარმოგვიდგება: სხ > ცხ. ჭანურ-მეგრულში ლ დაკარგულია, ხოლო ნ- განვითარებული (ჩიქობავა 1938). აჭარულში (ასევე გურულში) ჩხოტვა ზანური წარმომავლობის ფორმად უნდა მივიჩნიოთ (აჭარ. თანდილავა, ნარაკიძე 1986: 106).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩხოტიო** (გურ.) ციცაბო სახურავი (შდრ. ჩხოკო) – ქეგლი. || ძალზე დაკიდული სახურავი (გურ. ჟღ.). „ხო *ჩხოტიოა* [სახურავი]? –თლა გადაბანი არა, მარა, რა ვიცი. თუ ჩამევიდა თოოული კაია“ (საჩ. შარაშ). ყავრისთვის სახურავს უნდა მოყვანა *ჩხოტიოთ* (გურ. მრეწ.

I, 409). || გადატ. გულგრილად, გულაცრუებულად ნაკეთები. „შენ ასე *ჩხოტიო* საქმე იცი ყველთვინ!“. ჩხოტიოთ ზმნს. რაიმეს გულგრილად, გულაცრუებულად, არააკურატულად გაკეთება (აჭარ. ნიჟ.).

ჩხუტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჩხუტი** 1. (თუშ.) ერთგვარი ვიწრო კასრი (სითხის ჩასასხმელად, ხორბლის თუ ფქვილის ჩასაყრელად და სხვ.). 2. (ფშ.) დასადგმელი სადღვებელი, რომელშიც ბარნელას ურევენ და ისე დღვებენ. 3. (ხევს.) ლუდის (და სალუდე მასალის) გადასასხმელ-გადმოსასხმელი ჭურჭელი. სამოცი *ჩხუტი* ლუდი დავლიეთ (მ. ჯავახ.) – ქეგლი. ყველას დღეობაში ერთ *ჩხუტ* აავსიან ლუდითა-დ დაამწყალობნის ჯერ ხუცესმ გაგაი-დ მემრ ყველამ ერთად (ხევს. ოჩ., 374). აგრეთვე: თუშ. ცოც., ხევს. ჭინჭ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჩხუტი** 1. (ინგ.) წაწვეტებული, წვეტიანი – ქეგლი., ინგ. ღამბ. || ხიწვი. ჩხუტზე ეეგა (წამოეგო); *ჩხუტზე* ფეყ წუმუაგ (წამოვაგე), კალოშ გაიხივა; ფეყში ერ *ჩხუტ* შემერჭო (ინგ. ღამბ.). 2. **ჩქუთი, ჩხუტი** ხის ჭურჭლის გულს გამოსაღები იარაღია, მოხრილპირიანი (ქიზ. მენთ.). || ჩქვითი (აჭარ. ნიჟ.). || ჩქუთი ძელთ ამოსათლელი – საბა.

ც

ცალ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ცალი** 1. ორ(ის) ტოლისაგან ერთი – საბა. *ცალთუალი* ერთთვალა: „უკუეთუ სამე დახუდეს *ცალთუალ*“ (მ. ცხ. 245v). *ცალჴელი*: „*ცალჴელსა* თაყუანის-ვსცე“ (H-341, 121). *ცალკაკა* «ერთკაკა»: „რომლისა თანა იყოს მისთანა მღიერი ძნელი, ანუ მეფხანი, ანუ *ცალკაკაჲ* G, – „რომლისა იყოს სიმღიერე ბოროტი, გინა მეფხანი, ანუ ერთკაკა“ (pb., ლევიტ. 21, 20) – ილ. აბულ. *ცალი* ხელით ტაში არ დაიკვრისო (ანდაზა). *ცალი* გვერდი ცეცხლზედ იწვის, *ცალი* ერბოს ალზედაო (ხალხ.). ახლად მოსულმა... ცალ მუხლზედ დაიჩოქა (ა. ყაზბ.). 2. საპალნის ერთი მხარის ტვირთი, საპალნის ნახევარი. აქეთ-იქით... აქლემს ჰკიდია საპალნის *ცალები* (ი. გოგებ.). || შეკრული საქონელი (ჩვეულებრივ, უყუთოდ შეფუთული). 3. ძვ. საპალნის ნახევარი საწყაოდ. *ცალი* ღვინო. – *ცალი* ნახშირი. 4. ტოლი, სწორი, ბადალი. შენი *ცალი* ვიქნები, რომ შენ გეხუმრო (ილია). მიწაზე *ცალი* არა გყავს, როგორც მზეს მაღლა ცაზედა. 5. (ქიზ.) დღე-ღამის ნახევარი (სათვალავი ერთეული რწყვის დროს). ორი *ცალი* მერგება წყალი (ს. მენთ.). 6. მსგავსთაგან ერთი (ჩვეულებრივ იხმარება რიცხვით სახელებთან). [გვადის] ხურჯინში ოციოდე *ცალი* მანდარინი ეწყო (ლ. ქიაჩ.). 7. ერთეული. თვითონ ჩვენი სოფელი, როგორც ეკონომიური *ცალი*, თვითმყოფი ცალკე სხეული, რა საფუძველზეა დამყარებული და აგებული! (ილია). 8. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თანაცალი – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ., რაჭ. კობახ., ხევს. ჭინჭ. შდრ. დაცალვა ცხენზე, ვირზე ორმაგად გადაკიდებული საპალნის გაწონასწორება. „ვირს რო საპალნე გადავჰკიდე ერთკე სძლევდა და დაცალვა მამინდა“ (მოხ. ღუდ.); ცალა კნინ. იგივეა, რაც ცალი (ხევს. ჭინჭ.).

ამ სიტყვისთვის მითითებულია არქეტიპები: 1. *ცალ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ცალ- „ცალი“ (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ანდრონიკაშვილი 1966.

დიალექტ. **II. ცალი** მოცლა, მოცლილობა, დრო. ცოტახან შამამიცადეთ, ჯერ დრო არა მაქვ, *ცალიო* (ალ. ოჩ. 142, 11). ლექსის თქმა მწადის ერთისა, ცალკე დრო არ მაქვ, *ცალია* (ხევს. პოეზ. 467, 1). შდრ. სცალია, დრო აქვს (ხევს. ჭინჭ.). მოცალე უქმი, ცარიელი, მოცლილი: „გცალს და მოცალე ხართ და მისთჳს იტყჳთ“ (O, გამოსლ. 5, 17). მოცალეობა მოცლილობა, უსაქმობა; «უდებება» „რომელი შეუდგეს მოცალეობასა, აღივსოს იგი სიგლახაკითა“ O, – „რომელი სდევნიდეს უდებებ[ა]სა, აღივსოს სიგლახაკითა“ (pb., იგ. სოლ. 28, 13) – ილ. აბულ.

ამ სიტყვის ძირად ივარაუდება ს.-ქართვ. არქეტიპი *ცალ- || ცლ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ცამცამ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ცამცამი** ციმციმი, განათება, გაციმციმება (გურ. ღლ.). || თვალების ცამცამი თვალების ციმციმი (რ.ბაჯელიძის ზეპირი ცნობით). შდრ. ციმციმი სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, – ლიფლიფი, ციალი, კიაფი – ქეგლი. ცამცამი < ციმციმი.

პ. გაჩეჩილაძის ვარაუდით ცივცივ > ციმცივ || ცივციმ > ციმციმ; ხოლო ცივცივ გაორკეცებული ცივ სიტყვაა, რომლის ამოსავალია ცა (გაჩეჩილაძე 1974: 191). აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ციმციმ- „ციმციმი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ცამცამი** გაცამცმული, – პირამდე გავსებული. სალექსოდ გამამიგზავნეთ ბოთლა არაყით *ცამცამი* (ხევს. პოეზ. 606, 13). წინითი გვიდგას ბოთლაი ცხარით არაყი *ცამცამი* (ეთნ. სწორფრ. 232). შენც შაგენახა ბოთლაი არაყიანი, *ცამცამი* (სტმასპ. 125, 28). **გაცამცმავს** პირამდე გაავსებს, გააპიპინებს. გაცამცვა, გაცამცმული: ამაგის მალექსებელი სანების მაგანტურია, ჭელში უჭირავ სურაი არაყით *გაცამცმული* (ხევს. პოეზ. 471, 30) – ალ. ჭინჭ. აგრეთვე გაციცინება პირამდე გავსება; გაპიპინება, გალიცლიცება (იმერ. ქავთ.).

ცამცამი, გაცამცამებული (პირამდე სავსე) და გაიცამცმების (პირამდე გაივსება) ფორმების ციმციმ (გაციმციმებული)-თან დაკავშირების ვარაუდად შეიძლება მივიჩნიოთ ცა+ივ > ხევს. ცაიმ > ცამ და აქედან გაორკეცებით ცამცამ (გაჩეჩილაძე 1974: 191, სქ. 11).

ცან-ი:

ახ. ქართ. I. **ცანი** ქართული ანბანის ოცდამეშვიდე ასოს სახელწოდება (ც). ძნელი გამოსაცნობია ქართული *ცანის* მოხაზულობის წარმოშობა (ივ. ჯავახ.).

დიალექტ. II. **ცანი** ჩაფარა – მრგვალი ლასტი ირგვლივ აწეული ნაპირებით (გარით) (იმერ. გაჩ.). შდრ. II. ჩანი.

ცეხ-ი:

ახ. ქართ. I. **ცეხი** [გერმ. Zeche] საამქრო. ჩვენს ქარხანაში ხე-ტყის *ცეხი* იწვის (შ. დად.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ცეხი** ცახი. „ცხემლის ბოლებს დუწყობთ ჩელტებზე. *ცეხებს* გუუკეთებთ“ (აჭარ. ნოღ.). შდრ. ჩახი, ცახი საჭიე კონა (ბოჟთათვის) – დ. ჩუბ. ცახი ბალახეულის კონა ან ფოთლებიანი ფიჩხი, რომელსაც უდებენ აბრეშუმის ჭიას პარკის გასაკეთებლად. გინახავს ცახზე ასული აბრეშუმის ჭია? არა?.. როცა დრო მოვა, ჩელტზე ჭიათა შორის ჩადგმენ გამხმარ ანაგვირილას ძირმოჭრილ ბუჩქებს. ჭია გადის ზედ და იწყებს ქსელვას ბაფისას (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *ცახ- „საპარკე, მცირე პარკი, ტომარა“ → ქართ. ცახ-ი, ცახ-ე : (ჩუხუა 2000-2003).

ცვარ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ცვარი** 1. ღამის ნოტიო მდგარი ZA. (5, 2 ქება) წვიმასთან ნახე ZAB. ღამის ნოტიო B. დილის ტენი ფურცელზე – საბა. || ნამი, დილისა ან საღამოს ნოტიო, ჩამოსული მცენარეთა ზედა; წვეთი-დ. ჩუბ. || ცუარი წვიმა: შენ ხარ ქუეყანაჲ უწჷმებელი და არცა *ცუარი* (წჷმაჲ Ქ) იქმნა შენ ზედა (ეზეკ. ცქიტ.). „ცამან მოსცეს *ცუარი* თჳსი“ (O, ზაქ. 8, 12); „ვითარცა ღრუბელი ცუარისაჲ დღეთა არისათა იყოს“ (I, ეს, 18,4) – ილ. აბულ. || საგანთა ზედაპირზე გაჩენილი წვრილი წვეთები ტენიანი ჰაერის გაცივების შედეგად, – ნამი. დილის ცვარი. – ცვარი აშრა. – მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა: მთაში – მთა, ბარად – ბარია..., მარგალიტივით მდელოზე ბრჭყვიალა დილის *ცვარია* (ვაჟა). ფიგურ. ძმობა, ერთობა და სიყვარული ქვეყნისთვის არის ციური *ცვარი!* (აკაკი). 2. იგივეა, რაც წვეთი. *ცვარი* ღვინო არ მოიპოვება ჩვენს მარანში (ვაჟა) – ქეგლი. ცვარი წვეთი (ხევს. ჭინჭ.). 3. ცვარი, ცვარე ძლიერ მცირე რამ. „*ცვარი* წყალი არ გვიდგია სახში“. „ცვარი ფქვილი არა გვაქ, რო საფანელათ უქნა კაცმა“. აქვე „*ერთი ცვარე* ფქვილი ყრია, მიდი და შენ წაიღე!“ (ჯავახ. ზედგ.). || ძალიან მცირე, ნამცეცი, ცოტა, ოდნავ. „წუხელ კბილი მტკიოდა, ერთი *ცვარიც* კი არ მიძინია“ (მესხ. ფეიქრ.). **ცვარი** ზან. (მეგრ. ელ.).

გ. კლიმოვმა *ცუარ- არქეტიპი აღადგინა საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ცუარი, ცვარი** [ჭედურობაში გამოყენებული ვერცხლის მომცრო ბურთულები] „ვინცა ცუარი ანუ ღილო-კილოჲ დააკლოს, შეუცვალოს რაჲ ამას ნაჭედსა, კრულმცა არს“ (წყაროსთავ. ოთხ. (ანდ.) – ილ. აბულ. || ვერცხლის მოგრძო ბუშტი, რომელსაც ნაფთულზე აკერებენ (სამკაულად) – ქეგლი. || გახლეჩილი სფეროს მსგავსი სამკაული ვერცხლისა. გაგმართავ, ჩემო ფანდურო, *ცვარებს* მაგაკრავ ჭრელადა (ალ. ოჩ. 189, 5). [პერანგს] დაეკვრის სამკაული-ფულები... *ცვარები-დ'* წვრილ შიბი («შინამრეწვ.» 17). [აპაურთ] დააკვრენ ერთ პირში *ცვარს* ან ღილს და მეორე პირზე შატს (ნ. ბალ.) – ალ. ჭინჭ. || ძვირფასი ქვა. ბეჭედს ჩამისვა ოქრომჭედელმა *ცვარიო* (რაჭ. ძიძიგ.).

მ. ჩუხუა, ამ სიტყვის არქეტიპად მიიჩნევს ს.-ქართვ. ძირს *ცუარ- „ძვირფასი ქვა“ (ჩუხუა 2017).

ცვარა:

ძვ., ახ. ქართ. I. **ცვარა** ცვარის ფორმის ორნამენტია ვერცხლისა (ორნ. ტაბ. XXXII). || ქართული ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ხერხია და ნიშნავს ნივთის შემკობას, ზედ დარჩილული ოქროს ან ვერცხლის წვრილი ბურთულებით (ქართ. მატ. ლექს.). იხ. II. ცვარი.

დიალექტ. II. **ცვარა** (ერცვარა = ერთი ცვარა) ძალიან მცირე, ძალიან პატარა. „ერთი *ცვარა*, აღარ გაზრდილა.“ „ერცვარა პური მამიტეხე, შვილო“. „ამ ერთი *ცვარასაც* ვერ უყურამ, რაჰ ჩადის?“ (ჯავახ. ბერ.). იხ. I. ცვარი.

ციან-ი:

დიალექტ. I. **ციანი** ქვ. მზიანი ამინდი. კვირეს იყო *ციანი*, თვარა მას აქეთ აღარ უჭიატებია (რაჭ. კობახ.). შდრ. ციალი 1. «მცირე რამ ელვარება» (საბა), – ციმციმი. მიყვარს და შემყვარებია ჩონგურის სიმთა ჟღრიალი, ცისკრისა გარიჟრაჟზედა აღმოსავლეთზე ციალი ◊ პოლარული ციალი, ჩრდილოეთის ციალი ჰაერის ზედა ფენების ნათება, რაც თავს იჩენს ხოლმე ჩრდილოეთში, პოლარული წრის იქით. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. იალ-ციალი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ციანი** [ბერძ. kyaneos ლაჟვარდი] ქიმ. ნახშირბადისა და აზოტის ნაერთი – უფერული, სპეციფიკური სუნის მქონე გაზი; ძალზე შხამიანია; მისი შენაერთები გამოიყენება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ციანის მჟავა – ქეგლი.

ციკორ-ი:

დიალექტ. I. **ციკორი** ჩიკორი, კორი (მოხ. ქავთ.).

ვფიქრობთ, ციკორი < ჩიკორი. ჩიკორი «ქვის დიდი გუნდა» (საბა). ჩიკორ || ჭიკორ < კი-კორ[?] (ჩიკორი ქვის ან ხის სათამაშო სამიზნე, რომელსაც სალას ესვრიან: იგივეა, რაც კორა (ერთელიშვილი 1980: 148).

ახ. ქართ. II. **ციკორი** [ლათ. cichorium ვარდკაჭაჭა] ვარდკაჭაჭას გამხმარი და დაფქული ფესვი; ურევენ ყავაში გემოსა და არომატისათვის – ქეგლი.

ცირა:

ახ. ქართ. I. **ცირა** საუბ. გასათხოვარი ქალი,– ქალიშვილი. *ცირებიც* ჯერ თავზე ხელის მოსმას ვერ ასწრებენ, რომ ხდებიან მსხვერპლნი გათხოვებისა (ი. ეკალ.). მე არ გიცნობდი, როს იყავ *ცირა* (ი. გრიშ.) – ქეგლი. **ცირა** გოგო ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპი: *მცირ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990) და *ცირ-ე (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ცირაი, წირაი, ცირცირაი, წირწირაი** პრიმიტიული სანათი მოწყობილობა, რომელსაც შუშა არა აქვს და შედგება მხოლოდ ნავთის ჩასასხმელი თუნუქის სათავსისაგან და პატრუქისაგან. ცირაი ლამფაჲსააღი (ლამპასავით) ანათევს (ინგ. ღამბ.). შდრ. თაბას. ცირცირ-აი „ჭრაქი" (ჩუხუა 2017).

ციცუნა:

ახ. ქართ. I. **ციცუნა** ციცუნია, – კატა. იატაკზე ნელა-ნელა იღვრებოდა ფია ძირსა. *ციცუნასაც* ეს უნდოდა (შ. მღვიმ.) – ქეგლი. იხ. I. ციცუნია.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ციცუნა** (ფშ.) მდგნალის ყვავილი (ი. ჭყ.). მდგნალს კატის კნუტებივით ფაფუკი *ციცუნა* ეკიდა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. ტყე იჩირთების, წნოლსა და დგნალსაც *ციცუნა* ასხავ (ხევს. ჭინჭ.). იხ. III. ციცუნია.

ციცუნია:

ახ. ქართ. **I. ციცუნია** კნინ. ალერს. კატა. წიწილები *ციცუნიას* ვერ შეეჩვივნენ (თ. რაზიკ.). *ციცუნიას* გაეგო, რომ თოლია სამხარს მიირთმევსო და სტუმრად სწვეოდა (ი. ელეფთ.) – ქეგლი. აგრეთვე: **ციცა, ციცო, ციცუა, ციცურა, ციცურიკა, ციცურუა, ციცირუკა** – ალ. ჭინჭ. **ციწცულა** კატის კნუტი, კინტულა (მთ. კაიშ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ციც-ა „კატა“ (სახეობა) (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ციცუნია** ფუნთუშა (იმერ. ა. მაყ.). **ციცუნილარ** მცენარე ბაგუინდის გაზაფხულის ყვავილები ბუსუსიანები (სვან. ლიპარტ.).

ახ. ქართ. **III. ციცუნია** ბუმბული, რომელსაც ტირიფი ისხამს (ლეჩხ. ალავ.) – ალ. ღლ. **ციცუნდრა** ბოტ. მდგნალი (სვან. თოფ., ქალდ.).

მ. ჩუხუა გამოყოფს ს.-ქართვ. ფუძეს *ციც- (ჩუხუა 2000-2003).

ციქციქ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ციქციქი** (გურ.) მოკლე ნაბიჯებით და ხტომით სვლა (მაგ., თიკნისა) – ქეგლი. შდრ. ჩიქჩიქი (იმერ.), ჩაქჩაქ-ი უხეირო რყევით სიარული (ცხენისა) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ციქციქი** გამომწვევი სიცილი, მსუბუქი ყოფაქცევა. „ქალ არ მუუხდება მაგდონი ციქციქი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ხმადაბალი (ზოგჯერ ირონია ჩაქსოვილი) სიცილი, – ხითხითი. „მაშისმაც ამფრათ იცოდა *ციქციქი!*“(აჭარ. ნიჟ.).

ციხე:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ციხე** 1. ნაგები სიმაგრე – ნ. ჩუბ. „განაშუენა ყოველი იგი *ციხე* სულიერითა მით ქნარითა“ (შუშ. X, 28); „განუმაგრდეს ზედა მრავალთა ჴევთა და *ციხეთა*“ (ვარდ. 89, 7). აქვე: ციხექალაქი, ციხისთავი, ციხის-ციხე, ციხოვანი – ილ. აბულ. *ციხე* მაგრად დავიჭირე (ვეფხ. 1430, 3). ჩემი *ციხე* და სიმაგრე ის იყო (სამ. IV, 58). ყიზილბაშთ ჰქონდა *ციხენი*, შიგ ჭანი ან საკანია (ი. ტფ. 633, 227, 2). ერთი *ციხე* მედგა, მტერთაგან შეუვალი (საბა). მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ: გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ და *ციხე* ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ (ნ. ბარათ.). ფიგურ. რა მიუვალი ქაჯეთის *ციხე* ყოფილა ეს ჩვენი ახალი თაობა! (ილია). 2. საგანგებო შენობა, სადაც ათავსებენ პატიმრებს, – საპატიმრო, საპყრობილე, სატუსაღო. მეგულება *ციხეში*, ცხრაკლიტულში მჯდომარე (აკაკი). || საუბ. პატიმრობა, ციხეში ჯდომა. სამართალში მიცემულ ბიჭს მიესაჯა ორი წლის *ციხე* (დ. კლდ.). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. კლდე-ციხე, ქავ-ციხე – ქეგლი. შდრ. სიხე ციხე (ფერეიდ. ჩხუბ.). ციხუნაცრ პატარა ციხე (თუშ. ხუბ.).

აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *ძიხე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ციხეი** ცხარე. ე ზმარ *ციხესა?* (ეს ძმარი ცხარეა?) – ჰოვ, ლაფ (ძალიან) *ციხე* ზმარ (ინგ. ღამბ.). შდრ. ◊ ციხის ძმარი საუბ. ძალიან ცხარე, და კარგი ძმარი – ქეგლი.

დიალექტ. III. Δ **ციხე** გასახმობად დადგმული ბეღელი (ყავრის). გახდილ ყავარს *დავციხამთ*, ციხეში ათასი ფთა ყავარია, დაციხავს (ყავარს) გასახმობად ციხედ, ბეღლად დააწყობს (რაჭ. კობახ.). შდრ. I. ციხე.

დიალექტ. IV. **ციხე** ცახი. პირსაცავს უკეთებ, არ გადმოცვინდენო; *ციხესაც* უკეთებ - ევლიან ზეთ (აჭარ. ნოღ.). იხ. II. ცეხი.

ცრემლ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ. I. **ცრემლი** 1. თვალის წყალი ZACab. თვალის წვეთი (9, 1 იერემ.) BCq. განუმარტავია D. See also: ცვრემლოი, ტირილი – საბა. „მკუდარსა ზედა დამოადინენ *ცრემლნი*“ (O, ზირ, 38, 6); *„ცრემლითა* მწარითა იტყოდა“ (შუშ. II. 16); *„ცრემლთა* მდინარენი დიოდიან“ (მ. სწ. 123, 6) აქვე: ცრემლო[ვ]ა, ცრემლევა, ცრემლსავსედ – ილ. აბულ. ოთარაანთ ქვრივს *ცრემლი* მოსდგომოდა თვალებში..., ოთარაანთ ქვრივი ტიროდა! (ილია). 2. (ქართლ.) იგივეა, რაც წვეთი. ერთხელ ჩვენ ქვევრში ჩავიხედე და *ცრემლი* აღარ იყო შიგა («დიალ.») – ქეგლი.

ჭან. ჩილამ-რ-ე || ჩალამ-ურ-ე || ჩელამ-რ-ე || ჩელამურ-ე || ჩილამბ-რ-ე || ჩილამ-ბრ-ი || ჩილამ-ბ-ი; მეგრ. ჩილამ-ურ-ი ქართ. ცრემლ-ი. რაც შეეხება ცრემ- და ჩილამ-ის ურთიერთობას, ან პირველშია -რ-დისიმილაციის გზით მიღებული ლ-საგან (ცლემ-ლ > ცრემ-ლ) ანდა მეორეში -ლ -რ საგანაა მიღებული (ჩირამულ > ჩილამურ) ქართ. ლ || ალ შეესატყვისება ჭან.-მეგრულ- ს (ჩიქობავა 1938). აღდგენილია ს.-ქართვ. *ცლემლ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. Δ **ცრემლი** ზოგან რცმელი ფერდის ქონი, – ცმელი, ნაფერდალი (ზმ.-რაჭ. კობახ.). ცრემლი < ცმელი ქონი გარდ(ა)უმდნარი – საბა. || «პოზანი», ქონი; მოსაზელი წყალრეული ფქვილი: „მოიღონ... ცმელი იგი გარდაბურვილი ქუსეტსა და ყოველი ცმელი მუცლისაჲ“ (O, ლევიტ. 3, 3); „ცმელსა თჳსსა შეიყინნეს“ (ფს. 16, 10) – ილ. აბულ. ს.-ქართვ. არქეტიპად გამოიყოფა *ცემ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ცუგა:

ახ. ქართ. I. **ცუგა** პატარა ტანის ძაღლი (ხშირად იხმარება ასეთი ძაღლის საკუთარ სახელადაც), – ფინია. ყვიროდა *ცუგა*. რომელიც პატრონს ვერ შეემჩნია და რომელსაც წინა ფეხი კარებში მოჰყოლოდა (ი. გოგებ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. ძირად მითითებულია *ცუგ-ა (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. II. **ცუგა** იაპონური დასახელებაა ხისა, რომელიც გავრცელდა სხვა ენებში – ზ. მაყ.

ცუნცულა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ცუნცულა** მოცუნცულე, მელასებრ მავალი. *ცუნცულამან*, ცაცუამან, ცუგრუმელა ცანცარამან (ბეს. 97, 13). || ვინც ცუნცულებს, – პატარა ნაბოკებით, სწრაფად და მსუბუქად მოსიარულე – ქეგლი.

დიალექტ. II. **ცუნცულა** კნუტი მთ. (მლეთე), მოჯ. (იშვ.) – ა. შან. || ცუცუნა ციცა, კატა (რაჭ. ქართ. დიალექტ., 690).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ცუნცულა** (გურ.) ახალი ყველის პატარა კვერი, რომელსაც აკეთებენ ბავშვისთვის (ლ. ლეონ.) – ქეგლი. || ცუნცულა/ე-ი, ცინცილა/ე-ი ახალამოყვანილი ყველის პატარა ნაწყვეტი (იმერ. ვ. ბერ.).

IV. **ცუნცულა** პატარა ცული. ცულს მოვიტან *ცუნცულასა*, ხელეჩოს და წალდუნასა, ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა (ხალხური). ცუნცულა: გაორკეცება თანხმოვის დისიმილაციით ცუნ-ცულა (*ცულ-ცულა). (შანიძე 1980: 149).

ცქაფ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ცქაფი** 1. სწრაფი, მარჯვე, ჩქარი – დ. ჩუბ. 2. უხმარიათ მარდის მნიშვნელობით. აღარა ვარ ძველებურად ცელქი, გიჟი, ხელი, *ცქაფი* (ი. გრიშ.). ცქაფად ზმნს. იგივეა, რაც მარდად. ჩუ! აგერ ვაჟი გადახტა *ცქაფად* (ვ. რუხ.) – ქეგლი. აგრეთვე: გურ., ლეჩხ., მთიულ. || ჩქარი, ცეტი. მე ვაჟობისა ჟამსა *ცქაფად* მქცეველი ვიყავ (რუსუდ. 143, 17). შენებრ *ცქაფი* და უშუერი მიწყი ავისა მქნელია (ფეშ. 386, 2). ცნობა ცხოვლისა ცხადობით ცნას *ცქაფმან*, ცრუმან, ცანითა (ვახტ. VI, 66, 3). 3. ძვ. მატყუარა. აწ ნახეთ მთრვალი ვაჭარი, *ცქაფი*, უწრფელი, მსწრომელი (რუსთაველი) – ქეგლი. || მიკიბ-მოკიბვა, უწრფელობა: „სადა იყავ, ძმაო? – ხოლო მან *გარდაუცქაფა:* აქა სამე ვიყავ და იქი“ (მ. ცხ. 161v) – ილ. აბულ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ცქაბ- „სიმკვირცხლე, სიცოცხლე, შნო, ლაზათი“ → ქართ. ცქაფ- → || ცქეფ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ცქაფი** წკიპი. „ჩიტი მხავდა შევარდენა, გუუშვი და *ცქაფი* ვკარი აი ტურა მე მოვკალი“ (ასკ.-შემ. გურ. ჯაჯან.).

საშ. ქართ. III. **ცქაფი** წუნწკლი, წვეთი წყლისა – დ. ჩუბ. შდრ. ჩქაფი, წკაპი, შხეფი – დ. ჩუბ.

ცქვიტ-ი:

დიალექტ. I. **ცქვიტი** ძალზე სუსხიანი, ცივი (დილა). რა *ცქვიტი* დილაა, ეს ოხერი, ვერ მიძლემს ხელი, რო შეშა დავჭრა (წილკ.). ღამი ხარში რო ვყოფილვართ და რო გათენებულა, გვითქვია -რა *ცქვიტი* დილა არიო (წვ., ქართლ. ლექსიკ.). || **ცქრიატბ** გრილ ნიავ რო დაბერავს ცქრიატიავ იტყვიან; რაღაცა ცქრიატ დღე გათენდ, ციოდ (თუშ. ცოც.). || ცრიატი მბჟუტავი, მკრთალი (სინათლე); ღია, ბაცი ფერისა, – ციატი. || უმზეო, ღრუბლიანი (დღე, ამინდი) – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. **II. ცქვიტი** 1. მარჯვე, მარდი, ცქაფი (დ. ჩუბ.). || მარდი, მკვირცხლი. პატარა ტანის ცქვიტი ადამიანები უფრო ივარგებენ [მეგზურებად] (ს. მთვარ.). || სხარტი, მოსწრებული. გურულები... *ცქვიტი* სიტყვა-პასუხით ეოხუნჯებოდნენ ერთმანეთს (ე. ნინოშ.). ცქვიტად ზმნს. მარდად, მკვირცხლად. [სოლომანმა] დაბალი კიბე ცქვიტად აირბინა და ავიდა აივანზე (დ. კლდ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ყურცქვიტი. ფრთაცქვიტი – ქეგლი. **ცხვანტი** ცქვიტი, მარჯვე ზან. (მეგრ. ელ.). **ცქვიტი**: ცქვიტი მელია ზან. (ლაზ. თანდ.).

ცხემლა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ცხემლა** 1. (ფშ. მთიულ. ხევს.) მისაქსელის მიმწოდებელი იარაღი (საქსოვ დაზგაში), – ჭაღაჭა. აიხსენ გველისპირული, დიაცთ გადუგდე *ცხემლადა* (ვაჟა). 2. (თუშ. აჭარ.) წინდის საქსოვი ჩხირები. წინდას ჩხირებით – «ცხემლით» – ქსოვენ (ს. მაკალ.) – ქეგლი. „წინდაყის მოქსოას ხუთ ცხემლ შჭირდებ“ (თუშ. ცოც.). აგრეთვე მოხ. ქავთ. აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ცხემ- ისარი, ჩხირი (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. ცხემლა** (გურ. იმერ.) იგივეა, რაც რცხილა – ქეგლი. || ცხმელა || სხმელა კავკასიური რცხილა (ჯავახ. ბერ.). „ცხმელი შეშა გვქონდა წროულს“ (რაცხ. გურ.). || ცხილა (საჩ. შარაშ). || ცხევლა (ზ.-იმერ. ძოწ.).

მ. ჩუხუა მიუთითებს ს.-ქართვ. *ცხემალ- ძირზე „რცხილა“ (ჩუხუა 2017).

ძ

ძანძალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ძანძალი** (ლეჩხ.) ბუნძული ზოგიერთი ცხოველის ნელი, მძიმე სირბილი. არ ეზარება აღმა-დაღმა *ძანძალი* (მ. ალავ.) – ქეგლი. **ძანძალი,** რყევა ზანზარი, ტორტმანი. იძანძება ირყევა ზან. (მეგრ. ქობ.). **ძანძალი:** ო-ძანძალ-უ ზანზარი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ძანძალი** (რაჭ.) დიდძალი (თოვლი...). თოვლი მოვიდა *ძანძალი,* შინ შეგაჭამა საგზალი (ხალხ.) – ქეგლი.

ამ სიტყვისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *ძანძ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძაღა:

საშ., ახ. ქართ. **I. ძაღა** არჯასპი – დ. ჩუბ. || რკინის გოგირდმჟავა მარილი; რკინის აჯასპი. ქალს ასე გამზადებულსა ეცვა სულ დაჯიგრულები, კაბა, ფესტამალ-საგულე, *ძაღაში* დავლებულები (ბაჩ.) – ქეგლი. **ძაღა** ზან. (მეგრ. ქობ.). იხ. II. ძაღარა.

ახ. ქართ. **II. ძაღა** ერთგვარი ბალახია, რომელსაც ხმარობენ სამღებროში. „შემდგომ გაურიე დანაყილი ძაღა“ – ი. გრიშ.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ძაღა** ქათიბის გარშემო მოკერებული ბეწვი. ბეწვის ქვეშ ბაფთა – ი. გრიშ. იხ. I. ძაღარა.

ძაღარა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ძაღარა** ბეწვის არშია – დ. ჩუბ. || ქათიბზე მოსავლები ბეწვეული, ბეწვის არშია. ყმარწვილის ქათიბის ბეწვი და *ძაღარა* («მას. საქ. ეკონ. ისტ.»). || საერთოდ არშია. მაიორს... «კარტუზის» *ძაღარაც* წითელი ჰქონდა (მ. ჯავახ.) – ქეგლი. შდრ. ძაგარი, ძაგარა, ძაგვარა ჯაგარი (ქეგლი, ხევს., გურ., ლეჩხ.). იხ. III. ძაღა.

დიალექტ. **II. ძაღარა** რკინის გოგირდმჟავა მარილი, ძაღა. ჯერ *ძაღარაში* წამოვადუღებთ შესაღებსა და მერე ახლა შავ სამღებროში შავღებამთ და ძაან კარქა ეკიდება ი საღებავი (იგ.).ფხვნილი არი მწვანეი, ფოთლისფერი, იმითი შევღებამთ ჯერა, *ძაღარითა,* მერე რაფერიც გვინდა, ყველა კარქათ ეკიდება (ბროწლ.).*ძაღარას* გავურევდით საღებავში და მუქი ფერის გამოვიდოდა (საღ.); აგრეთვე მეჯვრ. (ქართლ. ლექსიკ). იხ. I. ძაღა.

ძე:

დიალექტ. **I. ძე** რძე. *ძე* ასვით, *ძეი,* გაასუქეფს (ზვარე, ზ.-იმერ. ძოწ.). „ამ ზროხამ *ძეს* მუუკლო, გაშრობა დეიწყო“ (თ. ქ.); „თაზე ბევრი *ძე* გვექნებოდა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). „იცი *ძე? ძე* იცი, ძროხის ძე?“ (ხოხ., შავშ. ლექსიკ.); „მაქინას გამოვხდით *ძეს*“ (ბაგინის იაილა); *„ძეით,* კვერცხით, ცოტაი

ოღურთით, ასე გარეკავ იქში“ (ზედა ქლასკური, ნიგ., ბერ.). „*ძე* შედგება, შემჟავდება“ (არაველთის იაილა, ნიგ. ბერ.). „ერი ჭიქა *ძი* დავლიე ამ დილას“ (რაცხ. გურ.). აგრეთვე გურ. ნიკოლ.

რძე → ძე; აღდგენილია საერთოქართველური არქეტიპი *სʰძე – სძე; რძე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ., საშ., ახ. ქართ. II. ძე 1. «შვილი», ვაჟი: „რომელსა უყუარდეს *ძე*“ (მთ. 10, 37); „განვიდეთ *ძეებითურთ* და ასულებით“ (O, გამოსლ. 10, 9) – ილ. აბულ. შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა *ძე* ერთი (საბა). ვინც დამხედოთ, გადაეცით საქართველოს მთებს და ველებს, რომ მისი *ძე*, ბუხაიძე, აქა ვყლეტდი სისხლისმსმელებს (ი. აბაშ.). 2. ვაჟის მამის-სახელის მეორე ნაწილი. ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი – ქეგლი.

არქეტიპი ს.-ქართვ. *ძე „ვაჟიშვილი, მემკვიდრე“ (ჩუხუა 2017).

ძევალ-ი:

ახ. ქართ. I. ძევალი იხ. I. მძევალი. არ მოგკლავს..., *ძეულად* ეყოლება..., ვინ იცის, რა მოხდება?! (ნ. ლორთქ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. ძევალი ბუდეში დატოვებული კვერცხი, ქათამმა რომ კვერცხი დადვას (გურ. ჟღ.). II. მძევალი.

ძენძ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ძენძი 1. ნაძენძი, ნაწეწი, ნაჩეჩი – დ. ჩუბ. || სელისა და კანაფის დამუშავებისას მიღებული მსხვილბოჭკოიანი ნარჩენი, – იყენებენ მანქანების საწმენდად, საჩურთავად და სხვ. მემანქანე შეიშმუშნა, შუბლი *ძენძით* მოიწმინდა (რ. ქორქ. თარგმ.). 2. (იმერ.) ნახნავში (ან ნათოხნში) აკრეფილი ბალახბულახი. 3. (რაჭ.) იგივეა, რაც ძონძი – ქეგლი. || ქსოვილი დარღვეული, დაჩლეჩილი (ჯავახ. ზედგ.). ძანძა სელის და კანაფის ძაფით შინ ნაქსოვი ტომარა ზან. (მეგრ. ელ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპები: 1. *ძენძ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ძენძ- „ძენძი“, *ძენძო (ჩუხუა 2018: 105).

ახ. ქართ. II. ძენძი ძენწა, ტირიფი. მთის გაგიჟებულ რუებს ღვიით, *ძენძით* და ქვიშით, გრიგალი დააყრუებს (გ. ტაბ.) – ქეგლი. შდრ. ძენწი ტირიფი – ილ. აბულ. ძერწი ძენწა ზან. (მეგრ. ელ.).

ძეძგვ-ი:

დიალექტ. I. ძეძგვი 1. სიმინდის გარჩევის შემდეგ დარჩენილი ფუჩჩი. *ძეძგვს* რო მოვბოჭამ, ის მაქ აქ შენახული (სვერი, ზ.-იმერ. ძოწ.). 2. ნაგავი. „ჩამოხვეტე ეზო, თუ კაცი ხარ, და მიყარე *ძეძგვი* ღობისკენ, ხვალ დავწვათ, ქარი თუ ჩადგება“ (იმერ. გაჩ.). შდრ. ძეგვა ვჰსცეხვ, ვჰსძეკ, ცემით მარცვალს შემოვაცლი ჩენჩოს – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. ძეძგვი ძეწკვი. *ძეძგვი* მაჩუქვეს (ზმ.-რაჭ. კობახ.).

ძეძგვი < ძეწკვი. მეგრ.-ლაზ. [მეწკვ-] მეწკვი. ქართ. ჯაჭუ-ი ფორმის მეგრული ეკვივალენტია მეწკვი < *მოწკვი უმლაუტით < *ჯოწკუ-რეგრესული ასიმილაციით. მასალა შეაპირისპირა და *ჯაჭუ არქეტიპი აღადგინა ბ. გიგინეიშვილმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვინ-ი:

ძვ. ქართ. **I. ძჳნი** შანთი, გახურებული რკინის ნაჭერი. „მსგავს იყო შენ *ძჳნსა* რკინისასა, რომელსა სცემენ მჭედელი ფრიად“ (მ. ცხ. 51r) – ილ. აბულ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ძიუ- || ძიუ-ინ- „მძივი, ნიშანი, დამღა, შანთი“ → ქართ. მ-ძივ-ი, ძვ-ინ-ი (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ქართ. **II. ძვინი** რისხვა, გულ-პილწობა – დ. ჩუბ. ძჳნება მრისხანება: „ეძჳნებოდა სულსა მისსა მის თანა“ (საქ. მოც. 17, 16); მძჳნვარე სასტიკი, ბოროტქარი: „მძჳნვარე ლომი“ (O, სიბრძ. სოლ. 11, 18); „ნინეველნი იყუნეს... მძჳნვარე, ვითარცა მჴეცნი“ (მ. სწ. 42, 26); „ვითარცა მჴეცი მძჳნვარჱ ყიოდა“ (შუშ. VI, 17); მძჳნვარება სისატიკე, აბობოქრება: „მშჳდობით განერნეს იგინი ზღჳსა მძჳნვარებისა“ (საკ. წიგნ. II, 31, 8) – ილ. აბულ.

დიალექტ. **III. ძვინი** ზვინი. „დარჩენილი ლობიო *ძვინებათ* მოვათავსეთ“ (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ძვინი < ზვინი. ძვ. ქართ. ზჳნი, გროვა; «ხუავი», «ზჳნეული»: „აღამაღლოს ზჳნები თჳსი“ (O, ზირ. 20, 30); „ზჳნი კალოჲსაჲ“ O, – „ხუავი კალოსა ზედა“ (pხ., სოფ. 2, 9) აქვე: დაზჳნვა, ზჳნეული – ილ. აბულ. **ზვინ** ზვინი (სვან. ლიპარტ.).

ბ. გიგინეიშვილმა სვანურ ზუინ–თან კანონზომიერი შესატყვისობის საფუძველზე ივარაუდა, რომ ს.-ქართველური არქეტიპი უნდა აღდგეს *ზუინი სახით (გიგინეიშვილი 2016).

ძია:

საშ., ახ. ქართ. **I. ძია** 1. ბიძა. მამიდა–დედიდათაგან ძმისწულ(ი) – დისწული ძიად იწოდებიან – საბა. || დედის ან მამის ძმა, – ბიძია, ბიძა. ნეტა, *ძიავ*, მეც შენისთანა მონადირე ვიყო-მეთქი, – ვუთხარი ბიძა-ჩემს (ვაჟა). მამას მხარდამხარ მისდევენ თან დედისძმები – *ძიები* (გ. ლეონ.). 2. მიმართვა მამის ხნის უცხო კაცისადმი. *ძიავ*, მე ვიმუშავებ – ეხვეწებოდა ყმაწვილი ძნის პატრონს (ს. შანშ.) – ქეგლი; ი. გრიშ. ძია შემოკლ. ბიძა, ბიძია; ბიძია კნინ. ბიძა – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ძია** სისხლი (ბავშვის ენაზე). „დადევ ე ურსა, დადევ, თორე *ძიას* მაგადენს!“. ზიაფუაობს || ძიაფუაობს ჭინჭყლობს, მიზეზობს, ტირის (ბავშვი). ბავშვის ენაზე „ძია“ და „ფუა“ ტკივილს, სატკივარს ნიშნავს, უფრო სწორად: ბავშვის ენაზე „ძია“ „სისხლია“, „ფუა“ ცეცხლი (ხევს. ჭინჭ.).

ბიგვა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბიგვა** [Nardus stricta] ბოტან. ტანდაბალი მარცვლოვანი მცენარე; გავრცელებულია მთის მდელოებზე; წვრილი ხეშეში ფოთლები აქვს ქუჩად შეკრებილი (სინონ. აჭარ. ქისრიბა, რაჭ. ვაცისწვერა) – ქეგლი. || ბალახი, ამოდის ჭალის განაპირა ადგილებზე (ჯავახ. ზედგ.).

ს.-ქართვ. ბირი *ბეგუ- „ბალახი, ბუჩქი“ → ქართ. ბეგუ→ || ბიგვ-ა || ბეგვ-ე (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ბიგვა** ბიქვა, – შარვალი. [ბავშვებს] მოკლე კვარტუა ეცვათ ადგილობრივად მოქსოვილი შალისა, ტანზე შემოჭერილი, ამავე შალის *ბიგვა*, საჯდომთან დანაოჭებული და ფეხებთან კი მჭიდროდ შემოკრული (თ. სახოკ.) – ქეგლი. || ოჯახში მოქსოვილი უხეში შალის ქსოვილის შარვალი. „[სალიხს]... კაკლის ნენგოში შეღებილი *ბიგვას* შალი აცვია“ (ფ. ხალ., აჭარ. ნიე.). აგრეთვე აჭარ. ნოღ. „ჩუენ დიდუანებ *ბიგუაი* ეცუენ, მახსოვს“ (ინ., ჩვენ., ფუტკ.). || ბირქვა რაღაც ჩასაცმელია – ი. გრიშ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბიქუე „შარვალი“ (ჩუხუა 2017).

ბიგბიგ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბიგბიგი** ბაგბაგი, – ძლიერი კანკალი. [ირმამ] თვალი მიაპყრო საწვიმრად პირშეკრულ ცას და *ბიგბიგმა* აიტანა (რ. გვეტ.). გულყრა იწყება თვალის კაკლებისა... *ბიგბიგით* (ა. ზურაბ.) – ქეგლი. || სიცივისაგან კანკალი (გურ. კიწმ.). || რყევა მცირე ხმის გამოცემით (ჯავახ. ბერ.). „მიწა რო იძრა, სახლმა სუ *ბიგ-ბიგი* დაიწყო“ (ჯავახ. ზედგ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ბიგ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. ბიგბიგი** ციყვი. „*ბიგბიგს* გული ერევა, უჭამია ლებანი“ (კარ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ., ქართ. **III. ბიგბიგი** ყაყანი დედაკაცთა, ერთი ყოფა – დ. ჩუბ.

ბილისპირ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ბილისპირი, ბილპირი** შეღამება – დ. ჩუბ. || დაბინების წინა ხანი, – საღამო, ბილპირი. ღამით *ბილისპირს* ზედან დაგვესხნეს («შაჰნამე»). **ბილისპირს** ზმნს. ბილის წინ, დაბინებამდე. მომერია თვალზე რული და *ბილისპირს* გულში ჩამრჩა კევრზე ჩუმი სინანული (რ. მარგ.) – ქეგლი.

ბილისპირი = ბილი + პირი: ბილ- სიტყვისათვის აღდგენილია: 1. *ბინ-/ბილ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *„ბილი“ (ჩუხუა 2017); პირ- სიტყვაზე – კი არქეტიპი *პირ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. **II. ბილისპირი** ბლისპირი. ეგ ბველისბველი ტიბიკონი, ეგ ბველთაბველი *ბილისპირები* შენთვის შეინახე (ილია). [ტაძარში] გალობა და *ბილისპირი* მუდამ დღე ისმოდა (გ. წერეთ.). ფიგურ. მდინარეები... თავიანთ ჩვეულებრივ... *ბილისპირს* მოთქვამდნენ (შ. არაგვ.) – ქეგლი. ||

ძლისპირი 1. ირმოსი. „დაესწავლა საჟამობელიცა *ძლისპირი*“ (მ. ცხ. 31v) – ილ. აბულ. საცისკრო სძლისპირი არს რვა ხმა (კალმას. 550, 1). ჩვენს წინაშე *ძლისპირთა* კრებულის სახით იდვა ჭაშნიკი (პ. ინგორ.). 2. (იმერ.) სასულიერო სიმღერა, რომელიც ეკლესიაში არ სრულდებოდა. ვინღა გამაგონებს ჩვეულებრივ ლხინს და შეწყობილ *ძლისპირებს* (აკაკი) – ქეგლი.

ძილისპირად იქცა ძველი ძლისპირი „საგალობლის ჭაშნიკი“ და გარეგნულად დაემთხვა ძილის პირს. ამ გარეგნულმა დამთხვევამ ძლისპირის თავდაპირველი მნიშვნელობა გააბუნდოვანა და ამ ომონიმთა დიფუზიაც გამოიწვია: შეიქმნა სიტყვა ძილისპირული, რომელიც აღნიშნავს ისეთ სიმღერას, რომელსაც ძილის წინ გალობენ (ან უგალობენ ვისმეს (ფოჩხუა 1974: 86). ძლ-ის-პირ-ი: ძალი+პირი : ძალი „ლარი, სიმი; სამ-ძალი „სამსიმიანი საკრავი“ აღდგენილია არქეტიპი *ძალ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). პირი: არქეტიპი *პირ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძიძგ-ი:

დიალექტ. I. **ძიძგი** (სასმელი, საჭმელი) უგემური, უსიამოვნო. „კახური ღვინო პირველათ *ძიძგი* დასალევია, მარა მერე გაგიტკბება“ (ჯავახ. ზედგ.). || ზინზლი. მოუვლელმა ოჯახმა *ძიძგის* სუნი იცის; *ძიძგის* სუნია, დაკეტე კარები (ხაშ., ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ. II. **ძიძგი: ძიძგი, ძიძგი** 1. მამლების საჩხუბრად წასაქეზებელი შეძახილი. *ძიძგი, ძიძგი,* მამალა, შენ იცი და მაგანა (ხალხ.). 2. ბავშვების ჯგუფური თამაშია ერთგვარი. შდრ. ძიძგილი, ძიგილაობა – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპები: 1. *ძიძგ- „ძიძგილაობა“ (ჩუხუა 2018: 106); 2. *ძიძგ- ზან. (ლაზ.) (კელაურაძე 2017: 30).

ძიძგინ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ძიძგინი** «დიაცთ ყაყანი» (საბა). შდრ. ჯიჯგინი უშვერი ლაპარაკი ZAa. ძიძგინი AbB. ძიძგინივე(ა) C. See also: ღაღადება – საბა. შდრ. ჯიჯინი გაბმული, გულისგამაწყალებელი ლაპარაკი, – დუდღუნი (შდრ. ჟიჟინი, ჩიჩინი). ეხლა შენ აღარ მოეშვები, მოაბეზრებ ჯიჯინით ქალს თავსო (ი. გულის.) – ქეგლი. შდრ. III. ბიგძიგი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ძიძგინი** 1. ბაგბაგი, კანკალი – ქეგლი. ძიძგინობს ბაგბაგებს, კანკალებს. ე. ბიჭუნა შიშისაგან *ძიძგინობს* და ხმას არ იღებს (რაჭ. კობახ.). 2. (გურ. იმერ.) იგივეა, რაც ზანზარი – ქეგლი. ქუხილისებური მძლავრი ხმაურობა. რყევა, ნძრევა. „რაფელ *ძიძგინობს* აი სახლი“ (გურ. შარაშ.). იხ. I. ბიგძიგი.

ძლავრ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ძლავრი** ძელა – დიდი ხე კერაზე. (სინონ. ძლავრი, საძლე, სათაურა). კერაზე *ძლავრს* წამოუწიეთ, ...ჯირკი ზედ დაადეთ და ზღაპარი მაშინ-მკითხეთ (დ. ჩიან.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ძლავრი** მძლავრი (რაჭ. კობახ.). ძლავრი < მ-ძლ-ავ-რ-ი. მძლავრი 1. ძლიერი, დიდად ღონიერი, ბევრის შემძლებელი. მძლავრი ადამიანი. მძლავრი ცხოველი. მძლავრი ქარი. მძლავრი მრეწველობა. მძლავრი მეურნეობა. [არწივი] მძლავრი, გულადი და ამპარტავანი ფრინველია (ი. გოგებ.). ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას მძლავრი და მწყალობელი მფარველი გაუჩნდა (ივ. ჯავახ.). 2. ძვ. ტირანი, მტარვალი – ქეგლი.

მ-ძლავ-რ-ი: ფუძე ძალ-/ ძლ-; აღდგენილია ს.-ქართვ. *ძალ- „ძალა; ძლევა, გაძლება“ → ქართ. ძალ- || ძლ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. ძლავრი** მზრალი. ყანას რო მოვხნავთ ადრე და რო წასწვავს თოვლი პირსა, იმა ქვია *ძლავრი* (ვარ.). ანეულს რო მოხნავენ ზაფხულში, იმას რო დასტოვებენ, *ძლავრი* ქვიან (ქემ., ქართლ. ლექსიკ.). ვფიქრობთ, რომ ფონეტიკური ცვლილებების გზით ძლავრი < მზრალი. შდრ. დამზრალი, დაზრული, გაყინული. შესამოსიც გახდა *მზრალი* (ს. ჩიქოვ.) – ქეგლი. შდრ. ბზარი ძვ. «თუ შემბალი თოვლი შეყინა, ეწოდება ბზარი» (საბა, ქეგლი).

მ. ჩუხუამ ამ სიტყვისათვის აღადგინა ს.-ქართვ. ძირი *ზარ- || *მ-ზარ- „ყინვა“ → ქართ. ბზარ-, ზარ- || ზრ-, მ-ზრ-ალ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ბომან-ი:

დიალექტ. **I. ბომანი** ზარმაცი, ზანტი (იმერ., ვლ. ბზვან., ი. ჭყ.). შდრ. ბაბუნი [არაბ.] ჯაბანი, კაცი დაშინებული, დაჩაგრული (საბა, დ. ჩუბ., ქეგლი).

დიალექტ. **II. ბომანი** წნელისაგან დაწნული ლასტი (გუდამაყრ. ა. ბექ. 223) – ალ. ღლ. ბომანი < ბობანი (ფშ.) ხაჭოს კვერების, ყველის და სხვ. სახმობი ლასტა. ბობნის ყველი. – ისე შავად იყურება, როგორც ჭერში ბობანია (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ხორნ., ცოც.

ბოწ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ბოწი** 1. წითელი ფერის საცხებელი პირისა; წითელი ფერის ნივთი: „*ბოწითა* მეწამულ ქმნა ფერი მისი“ (O, სიბრძ. სოლ. 13, 14); ბოწეული წითელი ტანსაცმელი; «პორფირი»: „შეჰმოსეს მას ბოწეული“ C, – „სამოსელი ბოწეული შეჰმოსეს მას“ (DE, ი. 19, 2) – ილ. აბულ. 2. (მარჯანი) – საბა. „ზღუასა შინა შთაჴდიან მეყურჭემენი, რაჲთა აღმოიღონ მიერ *ბოწი* იგი მრავალსასყიდლისაჲ“ (მ. სწ. 101, 7) – ილ. აბულ. ...სადაც ეყარა მოწიწებით თვალსატყუარი: სათი, ამარტი, ამეთვისტო, *ბოწი*, გუარი (ი. გრიშ.). ჯამისტოლა, *ბოწივით* წითელი... ქაშა ვაშლები ხომიმდენი ეყარა ვაშლების ქვეშა, რომ ფეხი აუგორდებოდა კაცსა (თ. რაზიკ.). 3. ბოწისფერი წითელი. *ბოწნი* ბაგენი, ჩემნი მდაგენი (ბეს.) – ქეგლი. 4. წვრილი მძივების ყელსაბამი (თუშ. ხუბ.).

დიალექტ. **II. ბოწი** სწორი, კენარი, ჩამოსხმული (ტანი). „*ბოწივით* სტორი არი“. „ბოწივით ტანი აქ“ (იმერ. გაჩ.). **ბოწივით** (იმერ. რაჭ.) სწორი და მაღალი. სწორი ხე რომ იქნება, *ბოწივით* არისო, ვიტყვით («შინამრეწვ.»).

ამ გოგოს *ძოწივით* ტანი აქვს («დიალ.») – ქეგლი. შდრ. წოწოლა მაღალი და წაწვრილებული; ტანწვრილი და ძალიან მაღალი – ქეგლი. ივარაუდება, ძოწ- < წოწ- (ერთელიშვილი 1980: 146).

ძუგძუგ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ძუგძუგი** ტუნტული. ნუღარ გვიანობ, თორემ შენც და მეც თვალებს დაგვთხრიანო, – მეც *ძუგძუგით* გამოვეშურე (შ. არაგვ.) – ქეგლი. „რას იზმოდა რო არ მოსულიყო, სუ *ძუგძუგით* მოვიდა“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **II. ძუგძუგი** კანკალი, ძაგძაგი. „რაგო *აძუგძუგდი*, ბიჭო, გცივა?!“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ძიგძიგი.

ძუძგ-ი:

დიალექტ. **I. ძუძგი** ნაგავი. „დოუსვი ცოცხი, *მოძუძგულია* აქოურობა“ – ვ. ბერ. *ძუძგით* აქ სახლი სამსე, ადამიანი ვერ შევა (განთიადი); *ძუძგი* გეიტანე (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ., გაჩ.). იხ. I. მეძგვი.

დიალექტ. **II. ძუძგი** ძუნწი, სხვის ხელში შემყურე. თქვენე *ძუძგები* ხართ, არაფერს იმეტეფთ, თვარა მე ჩიტივით უნდა ვფრინავდეო (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ტუზია, საჭმლისათვის მოტუზული (იმერ. გაჩ.). მოძუძგული საუბ. მოკუნტული, მობუზული. საცოდავი იყო ჭინკა, გამხდარი, მოძუძგული (დ. შენგ.) – ქეგლი. შდრ. **ძუწკი** ძუნწი, ხელმოჭირებული; უგვანი, ცუდი, უმსგავსო – დ. ჩუბ.

ძღაბ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ძღაბი** (იმერ. გურ.) გოგო. გააჭყიტე, *ძღაბო*, თვალი, პირსაბანი წყალი შემომიტანე! (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. **ძღა-ბ-ი** „გოგონა“ მიმართვისას ძღა „გოგო“ ზან. (მეგრ. ქობ.).

მ. ჩუხუა უთითებს ს.-ქართვ. მირზე *ძღა-პატარა გოგონა (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ძღაბი** წელვადი, წებოვანი (ხევს. თავისებ. 268, 8). *გაძღაბდების* ძღაბი წელვადი, წებოვანი გახდება. რძე და ცხრაძარღვაის კოკორი ერთად მოხარშული „გაძღაბდება“ [შედედდება] და ავადმყოფს აჭმევენ (ეთნ. მედიც. 3 35) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **III. ძღაბი** ზღარბი (ქიზ. მენთ.); ძღარბი – ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.

დიალექტებში დასტურდება აგრეთვე: ძღარბი, ძღრაბლი, გრძღაბი, გძღაბი, ძღაბლი. მ. ჩუხუა ზღარბ სიტყვისათვის უთითებს ს.-ქართვ. არქეტიპს *ზღარბ- „ზღარბი“ და აღნიშნავს, რომ ზღარბი განმარტოებით დგას ქართულში; ცნობილია სულხან-საბას ლექსიკონიდან. სწორი ჩანს დ. ჩუბინაშვილის მიდგომა, როცა ზღარბი ითარგმნება როგორც ужъ, ხოლო -გძღარბი „еж“. აქ უფრო მნიშვნელოვანია ზღარბ-ისა და გძღარბი-ის სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად გამოყენება, ერთმანეთისაგან გარჩევა (ჩუხუა 2017).

წ

წაველა:

დიალექტ. I. **წაველა** პაწია კოღო, რომელიც მწვავედ იკბინება (გურ. გრიშ.). შდრ. წიალა მუმლი, ქინქლა – დ. ჩუბ., ქეგლი.

დიალექტ. II. **წაველა** წყლის ცხოველია, მელიას ჰგავს, მისი ბეწვი კარგ ფასებში იყიდება – ი. გრიშ. ვფიქრობთ, რომ წავი > წავ-ელა; წავი [Lutra lutra] ზოოლ. მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა; წყლის პირას ცხოვრობს და თევზით იკვებება; ძვირფასი ბეწვი აქვს. რამდენჯერმე წავმა დაუტია [ორაგულებს], მაგრამ უსხლტებოდნენ ხელიდან (ვაჟა). || ამ ცხოველის ბეწვი. წავის ქურქი. – [ნოქარს] წავის ქუდი ეხურა (გ. ქიქ. თარგმ.) – ქეგლი. -ელა რთული სუფიქსი. შდრ. მწავი/წავი – საბა. || ძაღლი canis aquatilis sive marinus: „მწავის მსგავს არს“ (ფიზ. XXVIII, 2) – ილ. აბულ. აგრეთვე მწავ-ძაღლი. მწავი 1. წავი. 2. ქალის ქურქის სამკაულად კალთის კიდეებზე შემოსაკერებლად გამოყენებული ჭრელი ხბოს ტყავი. (ხევს. ჭინჭ.).

ს.-ქართვ. *წაუ- (არ-) „წავი“ → ქართ. წავ-ი (ჩუხუა 2000-2003).

წალიკა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **წალიკა** 1. ბალ. – საბა. || [Polygonum hydropiper] ბოტან. ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა; აქვს მოგრძო ფოთლები და მტევნებად ან თავთავებად შეკრებილი წვრილი ყვავილები; იზრდება წყლის პირისა და ტყიან ადგილებში; სამკურნალოა. ანწლი და *წალიკა* რად გინდა ეზოში, რას იტყვის გამვლელი, ოჯახს გაგვილანძღავს! (ო. იოს.). მე ვარდი დავთესე და მისგან ნაყოფი მომივიდა, აწ მყრალსა *წალიკასა* აღარ ვეძებ. («ვისრამ.»). 2. (იმერ. რაჭ.) იგივეა, რაც ბაია – ქეგლი. || ძალიან ბევრი იზრდება ხევსურეთში. გემოთი ძალიან მწარეა და საჭმელად არ ვარგა (ეთნ. მედიც. 4, 44) – ალ. ჭინჭ. || წყლის მატიტელა (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე ჩვენ. ფუტკ.

დიალექტ. II. **წალიკაი** ანჩხლი, მოჩხუბარი. *„წალიკაი* პრატია, რა მეშველება, დედამთილ არ გეიტანს“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). ჩვენი ვარაუდით, ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებით წალიკა < მწარე გადატ. გესლიანი, ღვარძლიანი – ქეგლი. მწარისათვის კი აღდგენილია *წარარქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

წალო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **წალო** ქვეშაგებისა და ლოგინის შესანახავი ადგილი – ნ. ჩუბ. მამაშენის ძველი ნაბდის ქუდი მომიტანე, *წალოშია* (თ. რაზიკ.). მთელი სახლი რამდენჯერმე გადააბრუნეს. *წალოდან* ლოგინიც გადმოყარეს... მაგრამ დანა ვერ იპოვნეს (ს. შანშ.) – ქეგლი. || ქვეშაგებისათვის არის, მთლიანია თავიდან ბოლომდე (ქიზ. მრეწ. I, 77). ქვეშაგებელს *წალოშიაც* (კედლის დიდი შკაფი) ინახამდენ ხოლმე (ზ.-იმერ. მრეწ. I, 443).

აღდგენილია ს.-ქართვ. *წალ- „წალო, განჯინა“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **წალო** (თუშ.) *წალური* (ხევს.) მარცვლეულის მოსახალავი ფეხებიანი მოგრძო ტაფა.. *წალო*... ბიჭონისავე სატყრობელი (მოსახალავი) არის. გაკეთებულია თუნუქისაგან, აქვს სამი ფეხი: ის ახალი შემოღებულია ღუმელის მაგიერ («შინამრეწვ.») – ქეგლი. || მარცვლეულის დასაშუში ჭურჭელი. „*წალო* დახლაც გარევ გვაქვის მაგრ, ვისაღ რაღში შჭირდებ, დასტყრობაც (დასაშუში) ქერ აღარაა“ (თუშ. ცოც.). წალ-ო, წალ-ურ-ი. ძირი წალ- შდრ. წალავს (იმერ. გურ.) ცოტათი ხარშავს შეწვის წინ (მაგ., ინდაურს) – ქეგლი.

ვფიქრობთ, ამ სიტყვის ძირი წალ-იგივეა, რაც ს.-ქართვ. *წალ- „ჭვარტლი, წალვა“ → ქართ. წალ-, წალა (ჩუხუა 2000-2003).

წანწალა:

დიალექტ. I. **წანწალა** ტანწერწეტი (სინონ. წორწალა). რო შეხედემდი, *წანწალა* გოგო იყო და გაგეხარდებოდა (შროშა, ზ.-იმერ. ძოწ.; იმერ. ქავთ.). || წორწალა: „წორწოლა არ არი თამარა, წორწოლაი?“ (ბერეთისა, ზ.-იმერ. ძოწ.). || წოწოლიკა (იმერ. ჯაჯან.). || წენწი მაღალი, წვრილი, სწორი ტანისა და წელში გამოყვანილი კაცი. „ექვთიმე მაღალი, წენწი კაცი იყო, რო გამეეწყობოდა ჩოხა-ახალოხში, არაფელი ჯობდა მის შეხედვას“ (საჩ. შარაშ.). იხ. I. წოწოლა.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **წანწალა** 1. ერთი ძელი წყალზედ გადებული გასავალად – ნ. ჩუბ. გადვა რუქამ *წანწალა* (საბა). თითოეული სახლის წინ პატარა *წანწალაა* გადებული (მ. ჯავახ. თარგმ.). 2. სპეც. ფიცარფენილი ჭაობზე გადასასვლელად – ქეგლი. || მოქანავე: ხიდი ექანება, იმ ხიდ ვეტყვით, ჭოროხზე ათი ცალი *წანწალა* ხიდი იყო(ქლასკური). წანწალებს – ქანაობს, ირყევა: ერთიც [ხიდი] სოფელში მაქვა, მარა ისე არ ეწანწალება (ქლასკური, კლარჯ. ლექსიკ.). || წანწალაკი (მესხ. მაის.). აგრეთვე ქიზ. მენთ.

ივარაუდება წან- ფუძე მის ზანურ შესატყვისში ჭონ (ჭონა) (არაბული 2001: 82-83).

წანწკალ-ი:

დიალექტ. I. **წანწკალი** წყაროს წვეთვა, წვეთ-წვეთად დენა (ლეჩხ. ჩიქ.) – ალ. ღლ. შდრ. წანწკარი სასიამოვნოს ხმით ჩადის მდინარე – დ. ჩუბ. მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ *წანწკარი* (დ. გურ. 169, 11, 3). || წყლის პატარა ნაკადის ხმიანობა. ამ ხეობაზე ხტუნაობით და *წანწკარით* მხიარულად მორბოდნენ მაღლიდან ცივი ანკარა წყაროები (ნ. ლომ.) – ქეგლი. იხ. I. წანწკარა.

დიალექტ. II. **წანწკალი** იგივეა, რაც წანკელი – წუნკალი, წუნკელა || წუნკალა უპატიური, წუნკალი – საბა, დ. ჩუბ. *წანწკალს* მეუმბნება (ღარიხევი, ზ.-იმერ. ძოწ.).აგრეთვე: წანკი (თუშ., ლეჩხ.), წუნკი (ფშ.), წუკია (კახ. ქიზ.) – ქეგლი.

წანწკარა:

ახ. ქართ. I. **წანწკარა** წანწკარით მომდინარე – ქეგლი. იხ. I. წანწკალი.

ახ. ქართ. II. **წანწკარა** ბოლოქანქარა. || წანწყარა იგივეა, რც ბოლოქანქარა. გაღმა წყლის პირას ნაშეზედ *წანწყარა* ჩაგოგმანობდა (ბაჩ.) – ქეგლი.

ჩიტის სახელწოდება თავდაპირველად ჟღერდა როგორც წყალწყალა. აქა-იქ ამ სიტყვას ახლაც ვხვდებით ამ ფორმით. ჩიტი წყლის ნაპირას გვხვდება ხოლმე და აქედან შერქმევია ეს სახელიც (ფოჩხუა1974: 87).

წარწ-ი:

დიალექტ. I. **წარწი** ძალიან თხელი ჩითი ცუდი ხარისხისა (ქიზ. მენთ.). || წარწა ძალიან თხელი მატერია, ძალიან გრილი (ფშ. ხორნ.). || წლაწი ბლარწი, თხელი უბრალო ქსოვილი. ჩამოეწლაწება ჩამოეშვება, უსწორმასწოროს ჩამოეშვება. ისე ჩამოწლაწნია ი კაბი კალთები, გეგონება სხვისა აცვიაო (მეჯვრ., ქართლ. მესხ.). შდრ. **ბღლანძი** || **ბღლანწი** ძონძმანძი, დახეულ-დაფლეთილი. განცალკევებით ვეთრიო, განა ხურჯინის ბღლანძ ორი (ხევს. ჭიჭ.). ბლარწვი, პლარწვი თხელი, არამტკიცე (ქსოვილი); როცა ორწვერი ან ცალწვერი ნართითა ქსოვენ რამესა, თხელი გამოდის, იტყვიან. *ბლარწვი* არიო; ეგეთ *ბლარწვ* რამესა არც ხეირიანი სითბო აქ და არც ლაზათი (კავთ.) ერთი ბლარწვი ჩითის კაბა უყიდა და ეგ არი! (ტყვ.) რა მააქ, სხვა რა ოხრობა მააქ? ერთი *პლარწვი* კაბა მაქ (ატ.); აგრეთვე კარ. (ქართლ. ლექსიკ.). ძვ. ქართ. **ბღლაწი** სელის ქსოვილის სამოსელი. სელისა ქსოილსა სამოსელსა *ბღლაწად* სახელს-სდებს [გელ. ბიბლ. 57v, 11-14) (კომენტ.)]. ვითარმედ არა სამოსელი *ბღლაწი* იყო (იქვე 57v, 18-20) – ზ. სარჯ. ჩვენი ვარაუდით, ბღლაწი > ბღლანწი || ბღლანძი || ბლარწვი || ბლარწი || პლარწვი || წლაწი > წარწი.

დიალექტ. II. **წარწი** (თიან.) წერწა (ა. მაყ.). წარწი < წარწა; წარწა-ი ძახველის მსგავსი ხემცენარეა. „წარწაი მალე ენთება თუნდა ნედლი იყოს. ნავთის დასხმა არ უნდა“ (მოხ. ღუდ.). წარწა < წერწა; წერწა [Lonicera caucasica] ბოტან. საშუალო ტანის ბუჩქი ცხრატყავასებრთა ოჯახისა; მოპირისპირე ფოთლების უბეებში უვითარდება ორ-ორი მოწითალო ყვავილები, რომლებიც ზაფხულში შავი ტყუპი ნაყოფებით იცვლება; იზრდება ტყეებში. (სინონ. აჭარ. დათვამოცვა) – ქეგლი.

წბერ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წბერი** (რაჭ. ლეჩხ.) ჭაჭის გამოსაწური მოწყობილობა, – წნეხი, საქაჯავი, ხარხინი. მარნებში გამართულია ღვინის საწურავი ხორგოები და *წბერი* («შინამრეწვ.») – ქეგლი. || წბელი (ზ.-იმერ.) 1. იგივეა, რაც ნაქაჯი. 2. იგივეა, რაც წბერი – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *წბერ- „პრესა, გმანვა“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. წბერი** (|| წიბერი) ნამჯა. „ჩვენში უწინ ნალიას, საბბელს *წბერით* დახურავდენ“. || წიბერი პურის წვალო (აჭარ. ჯაჯან.). || მწბერი ყანის ნაწველარი – საბა. შდრ. წველი პურეულის ღერო თავთავამდე, წბილა – ქეგლი. ვფიქრობთ, რომ წბერი < წველი. ამ სიტყვისათვის კი აღდგენილია ს.-ქართვ. *წუელ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

წებერა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წებერა, წებერო** (გურ., იმერ.) წენგო – ქეგლი; (აჭარ. ნიჟ.). *„წებერამ* ხელები შიმიღება“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). || ნიგოზი (კაკალი) ღენჭოპოიან-წენგოიანად (ი. ჭყ., გურ. კიწმ.).

დიალექტ. **II. წებერა** მნელად დასაპობ ხეს კისერას, *წებერას* ეძახიან (აჭარ. ნოღ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. წებერა** თიხნარი ნიადაგი (გურ. ჟღ.). შდრ. წებარო რაც იწებება, – მწებვარე. ცხელსა და წებარო ოფლს კანის ფორებში შეეღწია (რ. თვარ. თარგმ.) – ქეგლი. ზემოდასახელებულ სიტყვებში გამოიყოფა წებ-ძირი, რომლისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. 1. *წებ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *წებ-, *წებ-ო არქეტიპები (ჩუხუა 2000-2003).

წეკვა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წეკვა** 1. (ხევს.) თამბაქოს ფოთლების კონა – ქეგლი. || /რაზ./-ჭყ./ ერთად შეკრული თამბაქო (ა. შანიძე). შინმოყვანილი თამბაქო, ანწლში ჩახურებული, გამოყვანილი და გამხმარი. ა) თამბაქოს ხმელი ფოთლები ერთურთზე დახვეული და ბაწრით შეკრული. ბ) თამბაქოს რაოდენობის ერთეული, მისი წონა, რაოდენობა განსაზღვრული იყო: ერთ წეკვა, ორ წეკვა. 2. საპაპიროსედ, წვრილად ჩაკაფული ფოთლები და ღეროები. თუ ბალიან მაგარი იქნებოდა და ჯოყარიც ვერ გაანეიტრალებდა, ცაცხვის ხეს ჩააკაფავდნენ, ან ცაცხვის ანათალში ახვევდნენ. ბასრი ხანჯლით აათლიდნენ, ბურბუშელასავით. *წეკვას* ღეჭავდნენ კიდეც. „ჭამდნენ“, ან ბურნუთს ისვრენტდნენ (ფშ. ხორნ.). *წეკვად, წეკოდ* თამბაქოს ასხმულ, ხუთფურცლიან კონასა ჰქვია (თუშ. მრეწ. IV, III, 71). შდრ. წეკო მწარე თუთუნი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. წეკვა** 1. (გურ.) წყვეტა (ყვავილისა, ნაყოფისა და მისთ.). 2. (ინგ.) დანაკუწება, დაქუცმაცება (ბრინჯისა და მისთ.) – ქეგლი.

წელა:

საშ., ახ. ქართ. **I. წელა** 1. «თევზთ გრძელი წელები, გახმობილი საჭმელად» (დ. ჩუბ.). გარეშემო სულ სხვადასხვა ხილი უწყვიათ: თევზი, ხიზილალა, *წელა*, ბრინჯი, ერბო და სხვა წვრილმალი (კალმას. 490, 17). *წელა*, ხიზილალა და მრავალნაირი სამარხვო საჭმელი ხორად ეყარა (გ. წერეთ.). 2. შლანგი, წელწელა – ქეგლი. წელა < წელი ნაწლავი.

აღდგენილია არქეტიპები: 1. *წელ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *წელ- „ნაწლავ-ი „ნაწლევი" (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. წელა: მარტყოფჩი მაწონს ამბობენ ყათუღი, ჩონ დაშქესანაში ვამბოფთ *წელა*, ზე და სურამე შედის იმაჩი (დაშქ., ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. ახ. ქართ. წველა მაწონი. ჩვენი წველა ტალივითა, მეზობლისა – წყალივითა (ხალხ.) – ქეგლი. აგრეთვე: თუშ. ცოც., ქიზ. მენთ.

აღდგენილია ს.-ქართ. *წუელ- „წველა, მეწველი" (ჩუხუა 2017).

წია:

ახ. ქართ., დიალექტ. I. წია (ქართლ.) წიწილი (კირ.) – ქეგლი. იხ. I. წიწია. შდრ. წიკა-წიკა დაძახილი წიწილების მოსახმობად (ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. წია (ქართლ.) თამაშის დროს – შეცდომა, შეცდენა (სინონ. იმერ. ფუწი). *წია* მე, *წია* მე: სამ-სამს ვიყავ და შეცდომით თოფა გავაკეთე; სამ-სამს გავაკეთებ ისევა («დიალ.») – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. ლექსიკ.

დიალექტ. III. წია, წიწია ცეცხლი ბავშვის ენაზე. წიწია ხელს დაგწვავს (მესხ. მაის.).

წიაპა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. წიაპა (ფშ.) წიწილა (ი. ჭყ.) – ქეგლი. შდრ. წიაპი შაშვის ბარტყი (ი. გრიშ.). შდრ. წიაფი წივწივი ზან. (მეგრ. კილ.).

ახ. ქართ. II. წიაპა [scleraTus] ბოტან. ტანდაბალი ერთწლიანი ბალახი მიხაკისებრთა ოჯახისა; გაფარჩხულ-დატოტვილია, მარტივ ყვავილსაფრიანი; იზრდება ხრიოკსა და ქვიან ადგილებში – ქეგლი.

დიალექტ. III. წიაპაი ძარღვიანი ყველი (ანდა ცომი). „ეს ყველი ცხელ დაღში რომე გადნება, *წიაპაი* ხდება" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). წიაპი გაწვრილებამდე გაწელილი, განზიდული ძაფი ზან. (მეგრ. ქობ.).

წია-წია:

ახ. ქართ. I. წია-წია 1. იგივეა, რაც წიავ-წიავ. თუ გადასცდა ნაბიჯს ძიბო და დაიწყო *წია-წია*, ვაი მის დღეს... (შ. მღვიმ.). 2. წიწილების მოხმობა – ქეგლი. შდრ. წივილი წვრილი ხმის გამოცემა, – «წვლილი რამ ხმა» (საბა). ამ სიტყვისათვის აღდგენილია *წიუ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. წია-წია ცოტ-ცოტა, პატარ-პატარა (ლეჩხ. ალავ.). შდრ. III. წივა.

წიბო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. წიბო 1. ერთი გვერდის ძვალი ZAB. ერთი გვერდისაგანი CD. See also: ნაწიბური – საბა. || ნეკნი, ფერცხალი. მტკიცე აქვთ გულის ფიცარი, *წიბო* და ძვალწყობილობა (გ. ლეონ.). ||

გადატ. ჩამომავალი. იმერლების *წიბო* ყოფილა ჩემი ქმარი («დიალ.»). 2. ორი სიბრტყის ურთიერთგადაკვეთის ადგილი გარედან. პირამიდის წიბო. 3. (თუშ.) საფეიქრო დაზგის ნაწილი – ქსლის ან შეს დასამაგრებელი წკეპლა – ქეგლი. 4. აკაზმები: ვილის სიგრძის თითის სისქის წკეპლაა (თუშ. ცოც.). 5. მატყლის ასაპენტი წკეპლა. კახებთ ცალ *წიბოთ* იციან მატყლის პენტვაი-დ თუშებთ-ორ-ორით (თუშ. ცოც.).

მ. ჩუხუამ ამ სიტყვისათვის აღადგინა ს.-ქართვ. *წიბ- „წიბო: კიდე; გვერდი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. წიბო დეკის მსგავსი მომცრო ბუჩქია ალპურ ზონაში. ბალახში არც კი ჩანს. თივაში თუ შეჰყვა, საქონელს კუჭს უშლის (ფშ. ხორნ.).

წივ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. წივი (იმერ.) წვივი, – ფეხის ნაწილი მუხლს ქვემოთ კოჭამდე (უპირატესად ადამიანისა). ჭინჭარი, ქალბატონო, ის მცენარეა, რომლის კრეფით ხონს *წივები* დათუთქული გქონდათ (ნ. ნიკ.) – ქეგლი. „*წივები* მტკივა ნასიარულები“ (გურ. შარაშ., ნიკოლ.). || წინდის ნაწილი ჭუსლიდან ყელამდე. „წინდას ვქსოვდით წინდის ჩხირებით. მეიქსოვებოდა თათვი, ჭუსლი, *წივი*...“ (აჭარ. ნოღ.). თურქულა – ფეხში და *წივში* ანთება და ფეხების დაგლეჯა იცის, პირში კი მუწუკები გაუჩდება (ქვ.-იმერ. მრეწ., IV, I, 181). || წვივი კანჭი, ძვალი ფეხის მუხლიდამ კოჭადმდე – დ. ჩუბ. || წკვი: წკვსა ზედა ნიშანი იყოს (ეტლ. 12, 45). რევაზს ლოყას.. ჰკრეს ისარი და თამაზასა წვივშიო (არჩ. 344, 768, 3).

ს.-ქართვ. *წუ-იუ- „წვივის ძვალი, კანჭი“ > ქართ. წკვ-ი || წივ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. წივი ნაპერწკალი. „წამოიდა ქალი და თან კოლი გაიდევნა ნაცრისა თავის სახლამდე. ქალს ერთი *წივი* მიხყვა შინა, ქალმა გააღუა და გაანთა ცეცხლი“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე მთ. კაიშ. გაწივდება გაქრება, ჩაიფერფლება (ცეცხლი). რაცა ხანია ცეცხლი გაწივდა (ერთაწმ.) მიხედე, არ გაწივდეი ცეცხლი, ჭურჭლითვინ წყალი უნდა დავდგა ქეთლითა (იგ.); აგრეთვე გარიყ., მეჯვრ. (ქართლ. ლექსიკ).

წივა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. წივა სკორე – საბა. || მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნეხვი, კვერებად ან ბრიკეტებად გამხმარი (უტყეო მხარეებში საწვავად იხმარება). [შირაქის ველზე] აქა-იქ... ფარეხები მოჩანან და *წივის* ცეცხლის ბოლი იძაბება (თ. რაზიკ.). კედელზე მიკრული *წივის* კვერები მზეზე ხმება (ბ. ჩხ.) – ქეგლი. || წივაჭი: შირაქში წივაჭს ძაან გასავალ აქვის, როგორ არ (თუშ. ცოც.). აგრეთვე: ჯავახ. ბერ., ფერეიდ. ჩხუბ., ჯავახ. ზედგ., ჩვენ. ფუტკ. წივის კეცი ნაცრისა და ნეხვისაგან გაკეთებული და მზეზე გამხმარი კეცი, იყენებენ მურის დასასხმელად (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. II. **წივაი** ქვის ჯიშია, სხვადასხვა ფერის ნაერთები აქვს, უმეტესად რუხი, შიგადაშიგ ოქროსნაირი წინწკლები გამოჩანს (მოხ. ქავთ.). შდრ. II. წივი.

დიალექტ. III. **წივა**: წივა-წივა რისამე წვრილ-წვრილ, დაქუცმაცებულ ნაწილებად, ნამსხვრევებად ქცევა, დაჭრა, გატეხა). კოჭოპ გატყრო, წივა-წივა წაუდა ქორს ქათამ დოუგლეჟი, *წივა-წივა* გოუჴდი (ინგ. ღამბ.). იხ. II. წიო-წიო.

წივანა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **წივანა** 1. მცენ. – დ. ჩუბ. || [Festuca] ბოტან. მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა; იზრდება სათიბებსა და საძოვრებზე; ცხოველების კარგი საკვებია. წითელი *წივანა*. – ცხვრის წივანა. 2. იგივეა, რაც მწივანა – ქეგლი. || (ქიზ.) ტუჩი. *წივანაჲ, წივანა* ბალახ გაზაფხულის ბალახია ერთგვარი, მაფივით წვრილი ღერო აქვს, საქონელი ჭამს [სინ. ზაღლი ბალახ] (ინგ. ღამბ.). || მწივანა ბალახი (ქიზ. მენთ., კახ. მარტ.-იმნ.) იხ. I. წივილა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **წივანა** ვისაც (რასაც) წივილი სჩვევია. წივანა ფრინველი ერთგვარი. *წივანა* რო დაფრინავს, წივის, ჩირგვის ძირში იკეთეფს ბუდესა (ქემ.). *წივანა* ჭიაღუასა ჭამს, ღობეებში დაფრინამს (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. II. წივილი.

წივილ-ი:

დიალექტ. I. **წივილი** საჭმლის სახელი. „ყაიმაღ აადუღამ, მუურევ ერბოში ყველ, *წივილი* გახდება“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.).

საშ., ახ. ქართ. II. **წივილი** 1. წვრილი ხმის გამოცემა, – «წვლილი რამ ხმა» (საბა). [ორთქლის გემის] *წივილმა* პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს (გ. წერეთ.). [კაპიტანი] გაჰყურებდა... თოლიებს, *წივილით* რომ სხდებოდნენ აშხეფებულ ტალღებზე (რ. ინან.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. კივილ-წივილი. სისინ-წივილი. ჟივილ-წივილი. ყვირილ-წივილი – ქეგლი. || ყურის წივილი ყურების შხუილი, შუილი, ბუბუნი. „მარცხენა *ყურის წივილი* არ მაქვ[ს] კარქა დაცდილი“ (აჭარ. ნიჟ.). || ჩიტის ნაღვლიანი ხმიანობა – ი. გრიშ. აღდგენილია *წიუ- „წივილი“ → ქართ. წივ- (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1938.

წივილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წივილა** (ქართლ. ფშ.) იგივეა, რაც შვრიუკა – ქეგლი. || ბალახია ერთგვარი, შვრიუკა. ყანა რო იადრეულეფს, მაშინ იციჲ ხომე მაან *წივილაჲ* მორევა (წილკ.). ი ფშვრია რო გამოვა და გაჲცვივა, ი დარჩენილი *წივილაა* მაინცა (ქვ. ჭ.). *წივილა* არი ყანასა მორეული, ყანაზე მეტია (ძეგ.); აგრეთვე საგურ., ხოვ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. წივანა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **წივილა** 1. რაც ან ვინც წივის. ჯერ მარტო მივდიოდი, შემდეგ ჟიკჟიკა მერცხლები და *წივილა* ნამგალები გამოჩნდნენ (რ. ინან.). 2. ფრინველია ერთგვარი. [ჭაობი] იზიდავს... *წივილას*, ღალღას, წეროს, ბატს, სავათს და სხვა მომთაბარე ფრინველს (თ. რაზიკ.) – ქეგლი. 3. ზურნის ნაწილი, სულის ჩასაბერი. „*წივილაი* ლერწამიდამ კეთდება“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). იხ. II. წივილი.

წივწივა:

სამ., ახ. ქართ. I. **წივწივა** მფრინვ. – დ. ჩუბ. || [Parus cyanus] ზოოლ. გულყვითელა ჩიტია, გრძელბოლოიანი; ნახირის ახლოს ყოფნა უყვარს – ქეგლი. შდრ. II. წივილა.

დიალექტ. II. „**წივწივა**“ კიბის საფეხურების საყრდენი კოჭი. წარმომდგარია [რუს. тетива -საგან] (შანიძე 1980: 149).

წიკო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წიკო** (ფშ.) წიაქი; წიოკობა, წივილ-კივილი. ქათმებმა ატეხეს წიკო, ტირილი და ჩივილი (ვაჟა) – ქეგლი. წიკოობა წიოკი, წივილ-კივილი (ფშ. ხორნ.). შდრ. **წიკვინი** წვრილი, უსიამოვნო ხმით ლაპარაკი. [კნეინა] როგორც გეზელქორი, ისე მოჰყვა წიკვინსა (ნ. ლომ.) – ქეგლი. **წიოკი** ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **წიკოი** თიკანი, ციკანი. **წიკოს დააჩხავლევს** (სიტყვა-სიტყვით თიკანს ჩხავილს დააწყებინებს) ამბობენ მჟავე საჭმელზე (ინგ. ღამბ.). || გადატ. *წიკო* სახეი წინდის ჭრელია ერთგვარი (ქსოვისას ციკნის მსგავსი სახეებია გამოყვანილი). ამგვარსახეებიან წინდას წიკოი სახე წინდაი ეწოდება (ინგ. ღამბ.).

წიკწიკა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წიკწიკა** «კეკელა, კეკლუცობის მოყვარული ქალი» (ს. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **წიკწიკა** ჭრელია ერთგვარი («შინამრეწვ.») – ქეგლი. იხ. II. ჭიკჭიკა.

დიალექტ. III. **წიკწიკა** გაწიწკილებული წვრილი და გრძელ-წვეტიანი (ვ. ბერ.).

წინწალ-ი:

დიალექტ. I. **წინწალი** ახალი წელი (თუშ. ხუბ.).

წინწალი კომპოზიტია. წინ + წელი: წინ პირველი – დ. ჩუბ. წელი წელთაღრიცხვის ერთეული – დრო, რომელსაც დედამიწა მზის ირგვლივ შემოვლას ანდომებს, თორმეტი თვე, წელიწადი – ქეგლი.

ს.-ქართვ. *წენ – „წელი; შარშან“* (ჩუხუა 2017). იხ. აგრეთვე ფენრიხი, სარჯველაძე 2000.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **წინწალი** წინწკალი. ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია, მისთა ნაკვესთა *წინწალი* დამეცეს ხანგრძლად მწველია (რუსთაველი) – ქეგლი. ცეცხლი *წინწალს* იქნევდა; წინწალივით თვალები (ჰ)ქონდა (გოლიაქა, დუზჯ. ჩელები 2018, 85). || **წინწალი, წინწელი, წინწკალი** ნაპერწკალი. „და მნათობთ თვალებიდანა სცვივოდა ეშხის *წინწალი*“ (ბ. 392, 30) – ივ. ქეშიკ. აგრეთვე მთ. შან. იხ. II. წინწკალი.

საშ. ქართ. III. **წინწალი** ძვ. «წერილთ მიჯნა» (საბა),– წერტილი. ულუკთა რამლთა წინწალთა ჩემი უსამართლობა დაუსახავთ (ქილ. 433, 17). შდრ. III. წინწკალი.

დიალექტ. IV. **წინწალი** იხმარება წყევლაში. ჩემი წვრილშვილის ცოდვამ კი ამოაგდოს იმისი ქოქი და *წინწალი* დედამიწის ზურგიდან! (ა. მირიან.) – ქეგლი. შდრ. წილი წილობა შვილიანობა, ჩამომავლობა: წილობა-გასაწყვეტო, წილობამც ამოგივარდება (წყევლაა). – ა. შან. **წილკერძი** მოდგმა, შთამომავალი. *წილკერძს* ვეტყვით შვილსა, შვილშვილსა, ჩამონავლსა, რავი (ლამ.). წყევლაში ვიცით, შენი *წილკერძი* გაწყვეს, შენიო, ვითომ შენი შვილები, მომავალი გაწყდესო (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.).

წინწიბურ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წინწიბური** 1. მწვერვალი, – მთის ყველაზე მაღალი ნაწილი, მისი ზემოთ აზიდული წვერი. 2. (იმერ.) იგივეა, რაც კიდე, რაიმე ბრტყელი საგნის ნაპირი – ქეგლი. || წვერი, მწვერვალი. „სად აღასულხარ მა წვერზეო, წინწიბურზეო“ (თონ., დვალ., ღოლოვ. ქართლ. მენთ.). ვფიქრობთ, სიტყვა კომპოზიტია. წინწიბური = წინ+წიბ-ურ-ი; -ურ სუფიქსია. ძირი წიბ- < წიბო.

საშ. ქართ. II. **წინწიბური** ძვ. «ბალახთ საგლეჯი მშვილდაკი» (საბა).

დიალექტ. III. **წინწიბური** სასაცილო, ადამიანი სამასხარაოდ აგდებული. **წინწიბურათ აგდება** გამასხარავება, დაცინვა. „საწყალი ყველამ *წინწიბურათ აიგდო* და აქ რაღას გაჩერდებოდა“ (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. IV. **წინწიბური**: *წინწიბურასებრ მოქცევა* აღარ მოეშვება, ჩამოეკიდება (კაცი კაცს) (მარაბ., ქართლ. მენთ.). შდრ. წინწიფური მხოლოდ შედარების დროს იხმარება. „გარბის წინწიფურივით“ (ლეჩხ. ალავ.).

წინწკალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წინწკალი** წვრილი წვეთი, – შხეფი. [მახარეს] ჩაბარუხის საამო წინწკლები სახეზე შეეპკურა (შ. არაგვ.). || ფიგურ. ჰაერი მოიცავა ცეცხლის წინწკლებმა (ჭ. ლომთ.) – ქეგლი. „გაყონავს თავზე *წინწკლებსა* კლდეები წყაროიანი“ (ბ. 67, 19, ქეშიკ.). || მრ. წინწკლები წყლის შხეფები (თუშ. ხუბ., ჯავახ. ზედგ.). შდრ. წინწკლი წვეთი – დ. ჩუბ.

წინ-წილ > წინ-წკილ > წინწკლ (წინწილი წყლის (სითხის) წვრილად, ცოტ-ცოტა დენა მილიდან (მესხ. მაის.). დაკარგულია მეორე სეგმენტის ხმოვანი, ამავე სეგმენტის ანლაუტის თანხმოვნის მომდევნოდ განვითარებულია უკანაენისმიერი თანხმოვანი (ერთელიშვილი 1980: 187).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. წინწკალი** 1. მცირე ნაპერწკალი (დ. ჩუბ.). ფიგურ. ჰაერი მოიცვა ცეცხლის *წინწკლებმა* (ჯ. ლომთ.) – ქეგლი. ნარიმანისა სიმძიმით ცხენთ ნალი *წინწკალს* ჰყრიანო (შჰნ. III, 758, 1). მით გასახმილდა *წინწკალი*, გირგლად გარდიქცა სიონი (დ. გურამ. 89, 188, 1). მერმე ლახტები გამოიღეს და ასე იცემებოდეს, რომე მათსა ლახტსა *წინწკალი* სცვიოდა (რუსუდ. 293, 23). || დაკვესისა თუ მუგუზლის რამეზე ჩამოკვრით გამოღებული ნაპერწკლები (თუშ. ხუბ.). „რანაირი შეშაა, რო შეუნთემ, სუ *წინწკლებ* ყრის.“ 2. გადატ. სიმწრის ცრემლი. „ისრეთი გაარტყა, რო სუ *წინწკლები* წამოაყრევინა.“ „სიმწრით *წინწკლები* წამამცივდა“ (ჯავახ. ზედგ.). || **წინწალი, წინწელი, წინწკალი** ნაპერწკალი. მგელი სულ ცეცხლის *წინწკლებს* ჰყრის (თ. მოთხ. 287, 14, ქეშიკ.). „გამეიწიე აქეთ *წინწკალი* არ მოქხდეს თვალში!“ (აჭარ. ნიჟ.). **წინწკალი გასდის ხელ-ფეხიდანა** (ხელ-ფეხი) მეტად მარჯვეა, სწრაფი. ეგეთი ყოჩაღი ქალია დარგუაანთ პატარძალი, რო სუ *წინწკალი გადის ხელ-ფეხიდანა* (წილკ.). მაგითანა მარჯვე ძნელათ იპოება, ისეთია საქმეში, სუ *წინწკალი* გასდის ხელ-ფეხშია (ბროწლ.). ისეთი მარდია, რო სუ *წინწკალი გასდის ხელ-ფეხში* (ძეგ., ქართლ. ლექსიკ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *წეწკ- (ალ-) „ციმციმი, კიაფი, ბჟუტვა“ > ქართ. წინწკლ-ი || წინწკ-ალ-ი || წინწკ-ალ-ი< *წეწკ-ალ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1980: 222.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. წინწკალი** 1. ფერადი წერტილი. ერთფერ მიწაზე (ფონზე). [ადელს] თეთრი ჩითის კაბა თეთრ-პირისფერ *წინწკლებით* კეკლუცად ადგა ტანზე (ეკ. გაბ.). 2. ფუტკრის ტილი. „ტკიპი შეუჩნდება, ფუტკარს *წინწკალი* ჩაუჯდება“ (მ. ჯავახ.) 3. წინწკლები (მხოლოდ მრავლობითად) იგივეა, რაც ბრჭყალები – ქეგლი. იხ. II. წინწკალი.

წინწკალა:

ახ. ქართ. **I. წინწკალა** [Gypsophila elegans] ბოტან. ბალახოვანი მცენარე მიხაკისებრთა ოჯახისა; აქვს თეთრი ან ვარდისფერი, წვრილი ყვავილი; იზრდება მშრალ ადგილებში. აგრეთვე პურეულის ნათესებში – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. წინწკალა** წანწკარა. – წანწკარით მომდინარე. შუაზე კი ხევი მოდის, რა *წინწკალა* ღელე არის! (გ. ლეონ.) – ქეგლი. იხ. I. წანწკარა.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. წინწკალა** (ლეჩხ.) ფიცხი, გულფიცხი – ქეგლი. შდრ. II. წინწკალი .

დიალექტ. **IV. წინწკალა** ფორაჯებიანი, უფრო ქათამზე ამბობენ, რომელსაც ტანზე წერტილებად აყრია სხვა ფერის ბუმბულები, დაწინწკლუ-

ლი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. წინწკალი ფერადი წერტილი. ერთფერ მიწაზე (ფონზე). [ადელს] თეთრი ჩითის კაბა თეთრ-პირისფერ წინწკლებით კეკლუცად ადგა ტანზე (ეკ. გაბ.) – ქეგლი. იხ. III. წინწკალი.

წიო-წიო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. წიო-წიო ხმაბაძვ. ზოგიერთი ფრინველის (ძერის, ინდაურის...) მიერ გამოცემული წივილისებური ხმა (შდრ. წია-წია). [ძერა] საბრალო ხმით *«წიო-წიოს»* გაიძახოდა (ვაჟა). შორიდან ჭოტის *«წიო-წიო»* ისმის (ო. იოს.) – ქეგლი. შდრ. I. წია.

ახ. ქართ., დიალექტ. II. წიო-წიო (ქართლ.კახ.) ზმნს. ნაწილ-ნაწილ; თანდათანობით; ცოტცოტაობით – ქეგლი. || აქა-იქ, ცალ-ცალკე. ისე *წიო-წიო* რო შლი კალოში, იმან იცის გაულეწაობაი (ვარ). წიწილები იქნება თუ ბატები და ცალ-ცალკე დადიან, იმას ეძახიან, *წიო-წიო* დადისო (კავთ.). რა იქნა, რა ვქნა, რა *წიო-წიოთ* დადიან ეს ხალხი?! (ნოს.); აგრეთვე ბროწლ., თვალ., ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. იო-წიო ზმნს.: ◊ იო-წიო წავიდა (ქიზ.) დაიხ-დაიფხრიწა; დაინგრა, გაცამტვერდა (ს. მენთ.). «ტანისამოსი სუ[ლ] იო-წიო წავიდა» (ს. მენთ.). შდრ. II. წია-წია.

ახ. ქართ. III. წიო-წიო წიოკობა, დაწიოკება – ი. გრიშ. შდრ. წიოკი, წიოკობა წვრილი ხმით ყვირილი, წივილ-კივილი. ცოლი წიოკობით მისდევს მიცვალებულს (ს. მგალობ.) – ქეგლი. წიოკი ზან. (მეგრ. ქობ.).

წიოკ-ი:

ახ. ქართ. I. წიოკი წიოკობა. ჯერაც თვალწინ მიდგას... ხალხის წიოკი ცეცხლში (ვაჟა) – ქეგლი. შდრ. III. წიო-წიო.

დიალექტ. II. წიოკი ხურმა: ხურმის ერთ-ერთი ჯიში (შუახევ., ნიგ. ბერ.). შდრ. წრიოკი ჩრდილში ამოსული მაღალი და უღონო მცენარე – ქეგლი. || წიოტა (გურ. ჟღ). || წიოყი (აჭარ. ნიჟ.).

წიპ-ი:

დიალექტ. I. წიპი წიფლის ნაყოფი, წიწიბო (მთ. მაკალ.) – ალ. ღლ.

შდრ. ს.-ქართვ. "წიპ-წა „ყურძნის კურკა (თესლი)" – ქართ. წიპწა (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. წიპი (მოხევ. ხევს.) ცერისა და საჩვენებელი თითის შეერთება – ქეგლი. „ისითი რაიღაც ჰკიდავ, ვერ მეევლება წიპიო" (მოხ. ღუდ.). || წიპით აღებული რამ. ერთ *წიპ* მარილ აღარ იბადების ჩვენს) – (ალ. ჭინჭ.). შდრ. წიპტარა (ხევს.) თითისტარი, რომელზედაც ნახევრამდეა დახვეული ნართი (და ამიტომ მსუბუქია და *წიპითაც* შეიძლება მისი დაბრუნება) – ქეგლი.

დიალექტ. III. წიპი ქოთნის ყელზე ბუბუს თავივით გამოწეული პატარა ნაწილი. ქოთანსა აქ ყელზე, პირზე კი არა, პირის დასწვრივ, წინა მხარეს ამობურცული ბუბუს თავივითა, ის არი *წიპი* (ბროწლ.). მეჭურჭლე

ქალი ქოთანს წინ უკეთეფს ყელზე პაწაწა ბუმბულს თავივით ნაწილს და მეუბნება, *წიპი* ჰქვიაო (ვან., ქართლ. ლექსიკ.). **წიპა** წიპწიპა, მცირე, კნინი ზან. (მეგრ. ქობ.).

წიპრანა:

ახ. ქართ. I. **წიპრანა** ჭივჭავი. მოფრინდა *წიპრანა* და წრიპ-წრიპ! შესძახა (ვაჟა) – ქეგლი. || **წიპრია** – ქეგლი. || **წიპრანიკა, წიპრია** – ალ. ჭინჭ. შდრ. წრაპაკანი, ფრინ. ყოველთა სირთა უმცირესია (საბა).

დიალექტ. II. **წიპრანა** ნალის ნახვრეტის გასადიდებელი ლითონის ღერო («დიალ.») – ქეგლი.

წიპწიპ-ი:

ახ. ქართ. I. **წიპწიპი** 1. წიწილის ხმიანობა – ქეგლი. 2. მცირე დუღილი, ოდნავ რომ გამოსცემს ხმას. ◊ ხმადაბალი მოთქმა-ჩივილი. „თავი-თვინ წიპწიპემს, იწიპწიპოს შენ რა გესაქმება?!“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. წიპანი (ხევს. მთ.) წრიპინი. ცასა ხვრეტს მაგათ სენი ხმა, *წიპანი* შესაზარია (ხალხ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **წიპწიპი** ცოტა, ცოტ-ცოტა, იგივეა რაც პიწი-პიწი. პიწიპიწი ცოტ-ცოტა, პაწაპაწა, ნამცეც-ნამცეც. „ის ერცახე ყველი სულ *პიწიპიწით* გაუნაწილა ყველას“ (მესხ. მაის.). იხ. II. წიპი.

სამ., ახ. ქართ. III. **წიპწიპი** ტყავის ზონარი – დ. ჩუბ. || წიპწიპი არშიისა (ი. გრიშ.). || წიპწიპა 1. კუთხ. (რაჭ.) ძალიან პატარა, – პაწაწინა. 2. კუთხ. (ლეჩხ.) «კანაფის ბოჭკოს ხვეული» (მ. ალავ.). 2. იგივეა, რაც კუწუბი – ქეგლი. [კაბას აქვს] პატარა ჯიბე, გარშემო წვრილი, წვრილი წიპწიპები (ვ. აბამ. თარგმ.). შდრ. III. წიპი.

წირ-ი:

დიალექტ. I. **წირი** ბუნწი. „მაგი იმისანაა, დამწვარ ცეცხს (ან ნახშირს) ვერ იშონი მაგისგან, უბედური *წირეა*“; „უბედური *წირეა*, ყორფელს ფულათ აქცევს, არ იმეტებს არაფელს“ (საჩ. შარაშ.). შდრ. II. მწირი.

სამ., ახ. ქართ. II. **წირი** 1. სპეც. იგივეა, რაც ხაზი. მრუდი წირი. 2. ძვ. მოჩვენება, მირაჟი. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. წრეწირი – ქეგლი. შდრ. საბა: „*წირი* არს ვაკოვანთა შინა არა რაჲ მყოფსავით რამე ჩენა მხედვარეობასა შინა“ – საბა.

წირა:

დიალექტ. I. **წირაჲ, ცირაჲ, ცირცირაჲ, წირწირაჲ** პრიმიტიული სანათი მოწყობილობა, რომელსაც შუშა არა აქვს და შედგება მხოლოდ ნავთის ჩასასხმელი თუნუქის სათავსისგან და პატრუქისგან (ინგ. ღამბ.). იხ. II. ცირაჲ.

დიალექტ. II. **წირაი**: **კარი წირაი** კარის საკეტის მარყუჟისებრი ნაწილი, რომელშიც ბოქლომი არის ამოყრილი; ასეთივე რკინის ჩამაგრებული რგოლი რაზის ჩამოსაცმელად (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. III. **წირა** გამხდარი, გალეული. ნეტა რა მუხლი უბლეფს, ქაა, ამ *წირა* დედაკაცსა, თელი დღე ჯარასეეფა ტრიალეფს, იმი მუხლი არ ჩაიკრიფება (წილკ., ქართლ. ლექსიკ.).

წიტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წიტი** (ქართლ.) ახლად ამოვლებული ჩურჩხელის ჩამონაღვენთი თათარა. *წიტებს* ვლოკდი! – ჰოდა, რადგან ვეღარაფრით დაგაოკა, მსუნაგსა და ავმუცელას ციცხვიც მიტომ გაგილოკა (შ. მღვიმ.) – ქეგლი. თათარას რო გავაკეთეფთ და ჩურჩხელეფს დავავლეფთ, იმას წიტა მოწყდება და დაეწვეთება (ბროწლ.). თათარაის *წიტები* მაინც მაჭამე, თუ თათარა აღარ არი!" (კავთ.); აგრეთვე ახალშ., კარ., საგურ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. II. ჩიტი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **წიტი** 1. სენი ზედი-ზედ გარეთ გამყვანი – დ. ჩუბ. რა არს ლამაზი დედალი ჭრელი,/ თუ კი არ უყვარს საკენკის მყრელი?/ რა ხელი ეყრების, მასამც შაეყრების ხრინწ-*წიტ*-წიწაკი! (დ. გურამ. 273, 403, 1). || ფრინველისა და ცხოველის) ფაღარათი. 2. (ფშ.) პატარა ბავშვის ან ხბოს განავალი. 3. მუწუკი – ქეგლი. || „ამ ბაღვსა *წიტები* გამუუჩინდა ბუსირა" (სტ., ჩვენ. ფუტკ.). || შინაური ფრინველის სენი ერთგვარი. წიწილეფსა *წიტი* შჭირთო, იტყვიან, ავათ რო დახდებიან (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ინგ. ღამბ. **წიტი** ცინგლი, ლორწო ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. III. **წიტი** იგივეა, რაც წვიტი – ძალიან პატარა (შემ., გურ. ჯაჯან.). || **წიტ** სულ ცოტა, ერთი ბეწო. ემ ფურმა მოწრლაში დღე (დღეს) ერ *წიტ* ზეი მაღცა (ინგ. ღამბ.). შდრ.წვიტი ძალიან პატარა. „წვიტი ბაღნები მხავს, ერთქამეთს ვერ აყენებენ" (გურ. ჯაჯან.). დააწვიტებს წვიტს-პატარას გახდის, – დააპატარავებს, შეამცირებს. საყავრე ტომრუღ დავაწვიტებთ ცულით და პასლით (აჭარ. ნიჟ.).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. ძირი *წ(უ)-იტ „წვრილი" – წვიტი (ჩუხუა 2000-2003).

წიტა:

დიალექტ. I. **წიტა** იხ. II. წიტი.

დიალექტ. II. **წიტა** დანაობის ილეთი ერთგვარი. ჯერ გულა, მერე ზურგა, მერე *წიტა*, მერე მუშტა, მერე ორთითა, მერე კალამა (ქიწნ., ქართლ. ლექსიკ.).

წიფხა:

დიალექტ. **I. წიფხა** პატარა თოკი, თასმა ან, უფრო მეტად, დაგრეხილი წნელი, – წირები, იხმარება ურემზე მოჭერილი ღვლერჭის თავის დასამაგრებლად (წყნორი, იმერ., ქავთ.). || წიფხი ძვ. და კუთხ. (ქიზ. ინგილ.) წვრილი წნელი – საბა, ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. *წიფხ- „წნელი (შოლტი?) > ქართ. წიფხ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. წიფხა** გადატ. (ლეჩხ.) ცაცხვის ხის ქერქის ჭურჭელი (კალათივით), – ბოყვი. [დაჩეჩილ მატყლს] დავაფთილებდით და ჩავალაგებდით კალათში ან *წიფხაში* («შინამრეწვ.»). აგერ დედაკაცს აუვსია *წიფხა* ხორბალით (ლ. ასათ.) – ქეგლი. აგრეთვე ლეჩხ. მრეწ. II, II, 206, 217. || ყურიანას ნახევარი, ბათმანის ნახევარი – ი. ჭყ.

წიწაკ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. წიწაკი** ფრინველის (ფრინველთ B) სენია ZAB. ქათმის სენია C. ნაკრტენის ძირი D – საბა. || ქათმის სენი რომლითაც ენა გაუძვალდება – დ. ჩუბ. || 1. ფრინველის ავადმყოფობა – ხრტილოვანი წვანაზარდი ენის წვერზე. ჩვენიმც ცოდვა გაქვს, მამალო, *წიწკიმც* აგაჩნდებაო (ვაჟა). 2. გაბდღვნილი ქათმის კანში ჩარჩენილი ბუმბულის ძირები – ქეგლი. || ქათმების ავადმყოფობაა (კორძი ენის წვერზე), რომელსაც იწვევს თბილი საჭმელი – ი. გრიშ. შდრ. II. წიწაკა.

დიალექტ. **II. წიწაკი** ფაღარათი. წიწკ ღბავ აფაღარათებს. *წიწკ* ღბავავ, იცოდიან ტანში გაჭრილისად (ხევს. ჭინჭ.).

წიწაკა:

საშ., ახ. ქართ. **I. წიწაკა** 1. (ბალ.) ბალახის პილპილა ZAB. (ბალ.) გლეხური პილპილი – საბა. || წითელი პარკებიანი პილპილი – დ. ჩუბ. || [Capsicum annuum] ბოტან. ბოსტნის კულტურული მცენარე ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა; აქვს სწორი დატოტვილი ღერო, თეთრი ყვავილი და მოგრძო, წითელი ნაყოფი. || ამ მცენარის ნაყოფი; მწარეა; ხმარობენ საჭმლის შესანელებლად. არაყში *წიწკა*, მიხაკი და დარიჩინი აურიე და დამალევინე (მ. ჯავახ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ტკიპა-წიწაკა – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *წიწ- „წიწაკა, მარილი“ (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. წიწაკაი** ქათმის ბუმბულის ძირები, კანში რომ რჩება და არ სძვრება (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ. **III. წიწაკა** [სომხ. ტაქდეღ] (ე. ი. თბილი წამალი) – ი. გრიშ.

წიწამურ-ი:

დიალექტ. **I. წიწამური** ბური, ნისლივით, რომ დადგება ჰაერი (ა. შანიძე). გვალვების, სიცხეების დროს ჰაერში გაჩენილი მუქმოლურჯო ბურუსი, შორი მთები რომ ველარ მოჩანს სუფთად, კარგად (ფშ. ხორნ.). ||

წირწამულ სიცხის ბუღი. არ ჩინდ კარგად, წირწამულ იდგ (ხევს. ჭინჭ.). ე. ი. წიწამური < წირწმული < წირწარმური (ფშ. გოგატ.).

ახ. ქართ. II. **წიწამური** (იმერ.) წრიაპი კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი; იხმარება ციცაბოზე და ყინულზე სიარულის დროს – ქეგლი.

წიწია:

დიალექტ. I. **წიწია** წიწილა (ბავშვის ენაზე). „ჩვენ ლამაზი *წიწიები* გვყავ" (გ.-კახ. სახლთხ.). იხ. I. წია.

დიალექტ. II. **წიწია** წინდა (ბავშვის ენაზე). „ბაბომ ჭრელი *წიწიები* დამიქსოვა" (გ.-კახ. სახლთხ.).

დიალექტ. III. **წიწია** იხ. IV. წია.

წიწიბო:

საშ., ახ. ქართ. I. **წიწიბო** წიფლის ხილი, კაკალი – დ. ჩუბ. || წიფლის ნაყოფი – სამწახნაგოვანია, ზეთოვანი; იჭმება, ხდიან ზეთს. წიფლის *წიწიბო* ღორებს ასუქებს (ი. გოგებ.) – ქეგლი. || წიპწიპო წიფლის ნაყოფი, წიწიბო (ლეჩხ., მ. ჩიქ.) – ალ. ღლ. შდრ. წიფი წიფლის ნაყოფი, წიწიბო. წიფხა კუთხეები აქვს და გემრიელი საჭმელია (ბროწლ.); აგრეთვე თამ., ქემ. (ქართლ. ლექსიკ.). წიწიბო< წიპწიპო;

წი(პ)-წიპო (წიფლის ნაყოფი გურიაში), წიფ-წიფოსაგან, (ფ > პ ნაწილ. ასიმილაციით წ-სთან) (შანიძე 1980:150). წიპწიპო, წიწიბო ნაწარმოებია წიფ- (წიფ-ელ-ი) ფუძისაგან(სანიკიძე 1976: 43). წიფელი-სათვის კი აღდგენილია *წიფ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **წიწიბო** საბავშვო თამაშობა ერთგვარი, დამალობანას მსგავსი (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.).

წიწინ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **წიწინი** 1. ალყის ჯმა – საბა. 2. ხმაბაძვ. ფრინველის (წიწილის, ჩიტის...) მიერ გამოცემული წვრილი ხმა. ფეხის ხმაზედ ბარტყებს გამოეღვიძათ და დაიწყეს *წიწინი* (თ. რაზიკ.). ფიგურ. ნიავი *წიწინით* შემოდიოდა საგვერდულებიდან (დ. მაჩხ.) – ქეგლი. || ჭივჭავის ხმა (ფშ. შან.). 3. ბევრი ლაპარაკი წვრილი ხმით (მოხ. ძიძიგ.). ქალის ხმამაღალი ბუზღუნი, წვრილი გამკივანი ლაპარაკი, ხმიანობა. „ეგ სუ ეგრე *წიწინემს*, რას უყურამ მაგი *წიწინს*, წადი, შენ საქმეს მიხედე." სუ ეგრე *წიწინემს* ეგ ქალი, მაგი წიწინმა ამიკლო, აღარ შემიძლია" (ჯავახ. ზედგ.). *წიწინი* რას გიშველით? (ლამ.). როგორ უძლებ იმი *წიწინს*?! (კარალ.). დაიწყო ეხლა *წიწინი* და აღარ გაათავეფს (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ხევს. ჭინჭ.

დიალექტ. II. **წიწინი** 1. კოხტად და მსუბუქად სიარული; მოწიწინობს კოხტად და მსუბუქად დადის (იმერ. ქავთ.). || სწრაფად, მსუბუქად გაქცევა. „მაგან? მაგან მისანა იცის *წიწინი*, რო ერთი მინუჩი მივა მაღაზია-

ში და მოვა!“ (იმერ. გაჩ.). 2. სწრაფად მოძრაობა, ტრიალი, ბრუნვა; 3. გად. მუშაობა, გარჯა, საქმიანობა, ფეხზე ტრიალი. „ამ ხნის კაცი და ამდენი *წიწინი*, გუჩერებელი მუშაობა, მე ჯერ არ მომსტრია“ (აჭარ. ნიჟ.).

წიწკ-ი:

დიალექტ. I. **წიწკი** წუნია, აზიზი, უკადრისა, საჭმლის გამორჩევით მჭამელი. „მაქფერი *წიწკი* რომე ხარ, ძლობაში შიერი დარჩები“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). || ვინც საჭმელს გამორჩევით ჭამს, მოზიზღარი, გულზიზღი – პიწკი, წუნია. „ჭამაში ძალუან *წიწკი* ვარ, ბეწვი რომ მომენალოს, მაშინათველაი პირში ლუკმა გამიჩერდება“ (აჭარ. ნიჟ.). **გულწიწკი** გულაზიზი (გურ. ღლ.). შდრ. პიწკი ვინც საჭმელს გამორჩევით ჭამს, აზიზი (მჭამელი) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **წიწკი** 1. (ხევს. მოხევ.) წვრილი ჩხირი, – წკირი; ფიჩხი, კეწერი. მოისმა ხმელი ფოთლების ფაჩი-ფუჩი და ხმელი წიწკების მტვრევა (ა. ყაზბ.) – ქეგლი. პურს *წიწკით* ქვე ჩასჩხვლეტენ ოთხკან («შინამრეწვ.» 61-ა). ერთ ზურგშექცევით დადგება და მან უნდა გამოიცნოს, თუ რომელ *წიწკს* დაადო ხელი *წიწკთან* მჯდომმა (ს. მაკალ. 190, 12). აქვე: წიწკაობა, წიწკს არ გადააბრუნებს (ხევს. ჭინჭ.). || პატარა ნამტვრევი ფიჩხის წვერისა. „ცეცხლს მუდამ ჴმელი *წიწკებით* გავანთებკე“ (მოხ. ღუდ.). 2. წიწკრ ნეკერი. წიწკ გაზაფხულობას ვიღიდით, თუ საჭმელ შეგვიცოტაჲდის (თუშ. ცოც.). შდრ. წიწკარი (ფშ. ცოც.).

სიტყვებისათვის წიწკ-ი (← წიწკვ-ი) „არყის, ფოხვის ნედლი ტოტები, რომლებსაც საქონელი ჭამს ზამთარში“, ლეჩხ. წიწკ-ა (← წიწკვ-ა) „ჯიჯლაყა“. ამ სიტყვის ძირად მითითებულია ს.-ქართვ. *წიწკუ- „კვირტი; ნედლი; ყვავილი“ → ქართ. წიწკვ-ი || წიწკ-ი || წიწკ-ა (ჩუხუა 2000-2003).

წიწკანა:

საშ., ახ. ქართ. I. **წიწკანა** ფრინვ. საბა. – მესკია. ჭიკჭიკებდნენ *წიწკანები*, ჩიტბატონები (რ. ინან. შორ. 277, 1).

ს.-ქართვ. *წიწკ-ა „ღობემძვრალა“ > ქართ. წიწკ-ან-ა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **წიწკანა** ხოჭოა ერთგვარი. შდრ. ყურწიწკანა (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **წიწკანა** (კახ.) ანჩხლი, კაპასი, ავი – ქეგლი.

დიალექტ. IV. **წიწკანა: ამ წიწკანას** ამ წუთს, ახლახან. ემ *წიწკანას* აქ იყო და ნეტა სად წავიდა? (ბიწმ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. წიწკელა.

წიწკელა:

ახ. ქართ. I. **წიწკელა:** ◊ **ერთი წიწკელა** იგივეა, რაც ერთი ციცქნა. ახლა, ამ ერთი ბეწვა... სამურზაყანოში წესდებოდა ერთი *წიწკელა* სამთავრო ნაბაკევისა და საბერიოსაგან (ა. ფურც.) – ქეგლი. || წიწკინა პაწაწა, პაწაწკინა – დ. ჩუბ.

დიალექტ. II. **წიწკელა** (წიწკანა?) ფრინველია (ქიზ. მენთ.). იხ. I. წიწკანა.

წიწკინ-ი:

ახ. ქართ. I. **წიწკინი** ხმაბაძვ. მოყინულზე გავლის ხმა, – წკაპა-წკუპი. მატვეევი... იგონებდა ცივ... ღამეს, ნაბიჯის *წიწკინს* მოყინულ ქუჩებში (კ. ჭიჭ. თარგმ.) – ქეგლი. შდრ. II. წიწინი.

დიალექტ. II. **წინწკინი** ქალის ბუზღუნი, წიწინი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. I. წიწინი.

წკანწკარა:

ახ. ქართ. I. **წკანწკარა** წანწკარა. [თბილისს] წყალსადენი კი არა, ბევრჯერ არ შერჩენია წყაროც *წკანწკარა* (გრ. აბაშ.) – ქეგლი. შდრ. წკანწკარი ჩხრიალი, ჩანჩქერი წყლისა – დ. ჩუბ. || წყლის პატარა ნაკადის ხმიანობა. ქარი სტვენდა..., წამოეწეოდა კიდეზედ გადმომდინარს ანკარა ხევს, იჭერდა იმის წკანწკარის ხმას (ვაჟა) – ქეგლი. ხმა ისმის მუნ *წკანწკარისა* (ვეფხ. 498, 4). იხ. I. წკარი.

ახ. ქართ. II. **წკანწკარა** იგივეა, რაც წყალწყალა. [მესტვირე] მოსდევს მღელვარე ცხოვრებას, ვით გუთანს ჩიტი *წკანწკარა* (გ. ლეონ.) – ქეგლი.

წკანწკარა არის როგორც ნაკადულის ეპითეტი, ისე ერთ-ერთ ჩიტის სახელწოდება. ნაკადულის ეპითეტად ნახმარი სიტყვისათვის ხმაბაძვა არის ამოსავალი შდრ. მონათესავე ფუძის სიტყვები წკრიალი, წკარუნი, წიკწიკი), ხოლო ჩიტის სახელწოდება თავდაპირველად ჟღერდა როგორც წყალწყალა (ფოჩხუა 1974: 87).

წკაპ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **წკაპი** 1. (იმერ. გურ.) მწკრივი, რიგი, წყება – ქეგლი. „რაც კი იყვნენ იქ კაცები, დაგვიყენეს ყველას *წკაპზე*". აქვე გაწკაპება გამწკრივება. **გაწკაპებული** გამწკრივებული, ჩამწკრივებული. „ოზდახუთი ბაღანა *გაწკაპებული* იდგა უმფოსის წინ"; **ჩამოიწკაპება** მწკრივად დალაგდება, – ჩამომწკრივდება; მწკრივად, გამწკრივებული ჩამოვა (აჭარ. ნიჟ.). „ქვეით ფართობში ათი *წკაპი* ვენახი მაქ გაპიროვნებული, ჯერ ახალშენია, თუ რამე მეიბა წელს და გაისათ, ჩემია" (იმერ. გაჩ.). „*წკაპათ* მიდიოდენ" (გურ. ჯაჯან.). ვენახს უმეტესად *წკაპათ* აკეთებენ (ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 115). ნამყენის დასარგავად ვენახს ყოფენ რიგებათ, რომელზედაც გააყოლებენ ნამყენს. თითოეულ რიქს *წკაპი* ეწოდება (ტაბაკინი); ჟენია, შენ *წკაპს* დაადექი, ამ წკაპს მიყევი შენე (შროშა); ვენახი ჩამწკრივებულია *წკაპში*, მე გოდუზომეყე 6-6 *წკაპი* (ფუთი, ზ.-იმერ. ძოწ.). ამ ერთ *წკაპს* ერთ ყრასაც ვეტყვით (ქვ.-იმერ. მრეწ. I, 296). „ერთი *წკაპი* თუთუნი ბაფი ჩუუბამს ისკელეში" (ად., ჩვენ. ფუტკ.). || (გურ.) წკაპათ სროლა შეწყობით სროლა, დაწკაპული, დარაზმული – ი. ჟყ. 2. (ლეჩხ.) «წყვილეული სმის დროს» (მ. ჩიქოვ.) – ქეგლი. **წკაპ, წკაპ** მწკრივი (სვან. თოფ., ქალდ.). წკაპი, მწკრივი, რიგი; სიმინდის მარცვლის წყება (ტაროზე) ზან. (მეგრ. ქობ.).

წკაპ < *წკარ (წკარ-ისათვის შდრ. ბწკარი – ქეგლი; პწკარი, მწკავრ : გამწკავრება) რ სონანტი შეცვლილია (ერთელიშვილი 1980: 106).

დიალექტ. **II. წკაპი** ნაგლეჯი, ანახლეჩი, ძვლის ან ხის ნაპირის შენატეხი. „ფიცარს *წკაპი* ასძრო"; „ფეკი გადამიბრუნდა და ძოლზე წკაპი ამძრო" (მოხ. ქავთ.).

საშ., ახ. ქართ. **III. წკაპი**: იგივეა, რაც წინწკალი („წვრილი წვეთი"). შდრ. წკიპების ყრა – იგივეა, რაც წკიპურტი (ქეგლი). წკაპიწკუპი წვლილად ცემის ჴმა – საბა. წკაპიკუპი || წკაპა-წკუპი. ხმაბაძვ. რიტმული წკაპანი. მოისმოდა... მცენარეებიდან ჩამონადენი წვეთების წკაპაწკუპი (შ. არაგვ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *წკაპ- „დაცემის ხმა" → ქართ. წკაპ- (ჩუხუა 2000-2003). ა. არაბული წკაპს უკავშირებს მეტაფორულად წკეპ ზმნურ ძირს, რომელიც შენახულია ძვ. ქართ. წკეპ-ლ ფუძეში: წკეპლი, წკეპლა. აგრეთვე წკეპელი (არაბული 2001: 138, 220). წკეპ-ლ-ი || წკეპლა სიტყვისათვის კი მითითებულია არქეტიპები: 1. *წკეპლ-; არ არის გამორიცხული, წკეპ-ლ-ი იყოს მიმღეობა (შდრ.: წკეპა „ჴელით ცემა" – საბა) (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *წკეპ-ლ-, *წკეპ- „გაწკეპლა" (ჩუხუა 2000-2003).

წკარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. წკარი** ძვ. იგივეა, რაც წანწკარი. ცრემლთა მისთა მონადენთა წყაროსებრნი, ისმნეს *წკარნი* (რუსთაველი). შდრ. II. წკანწკარა.

წკარი : ხმაბაძვითი ზმნური ძირი წკერ-, რომელიც მხოლოდ სპეციფიკური წარმოებითღა შემოგვრჩენია (წკრ-იალ-), ძველ ქართულში ცოცხალია: კბილთა სალმობიერად აწკერებდა (მ. ცხ. 42, 1). ალტერნაციით წკერ- გვაძლევს წკარ-ფუძეს, რომელიც დასტურდება „ვეფხისტყაოსანში". (არაბული 2001: 138).

დიალექტ. **II. წკარი** ერთმანეთზე მიყოლებით, მწკრივად ჩარგული ხეხილი. მეორე დღეი დაინახეს, რო არაჩვეულებრივი ხეხილის *წკარი* გაკეთდა ისე, რო სუ ერთმანეთს მიჰდევდა ხეხილი (კახ. მარტ. იმნ. 100, 39). || წკერი (ქიზ., ქართ. დიალექტ., 611). || წკრე, მწკრივი (ქიზ. «დიალ.») – ქეგლი. იხ. I.წკაპი.

წკენ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წკენი** ვაზის ერთ-ერთი ჯიში ქართლში – ქეგლი.

დიალექტ. **II. წკენი** სახრე, წნელი. ეზოს შემოვიყოლებდით მესეროთ ან შემოვაკავებდით *წკენი* ღობით (ლეჩხ. მრეწ. I, 355).

წნელი > წკნელი > წკენი. აღდგენილია ს.-ქართვ. *წან- || წნ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

წკრიალ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. წკრიალი** 1. რვალის (რვალთ D) ჴმა – საბა. || წკარანი – დ. ჩუბ. || მინაზე (ან ლითონზე) ცემის ხმა, – წკარუნი. ზარის წკრიალი მოისმა (ეკ. გაბ.). ისმოდა... საინების და კოჭზების *წკრიალი* (ა. ბელ.). 2. მაღალ, კრიალა ხმაზე ჟღერა, – რაკრაკი. ჩონგურის *წკრიალიც* ალაზნის ტალღის საამო ლიკლიკს ჰგავდა (მიხ. მრევლ.). 3. იგივეა რაც, წანწკარი. გიგის თოფ დაჰკრეს ქისტებმა, სისხლმა დაიწყო *წკრიალი* (ვაჟა). 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ჟღრიალ-წკრიალი – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. არქეტიპები: 1. *წკარ- || წკრ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *წკრ-იალ- (კელაურაძე 2019: 53).

ახ. ქართ. **II. წკრიალი** ბრწყინვა, ლაპლაპი, კრიალი. ჯამ-ჭურჭელს წკრიალი გააქვს – ქეგლი.

წკრიალი < კრიალი. კრიალისათვის აღდგენილია ს.-ქართვ. *კრ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). ფ. ნაისერის მიხედვით კრიალისათვის ამოსავალი უნდა იყოს ზმნური კარ-ფუძე. მას საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი წინადადება. „დიდი წვიმა იყო, მარა ახლ იკარა“ (ნაისერი 1953: 57-58). ამავე აზრს იზიარებენ ფ. ერთელიშვილი (ერთელიშვილი 1970: 214) და ლ. სანიკიძე (სანიკიძე 1975: 531).

წკრიალა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წკრიალა** 1. რაც წკრიალებს, – მოწკრიალე. ყელზე დამკიდე *წკრიალა* ზარი (ს. ჩიქოვ.). || მაღალი, სუფთა, სასიამოვნო (ხმა...). გოგო წკეპლით ბატებს მიდენიდა, თანაც *წკრიალა* ხმით მღეროდა (რ. გვეტ.). 2. (ქართლ.) ჩხარუნა, დამაგრებული ხვიმირის ქვემო ნაწილს მიბმულ თოკზე; ხვიმირის დაცარიელებას ატყობინებს მეწისქვილეს («დიალ.») – ქეგლი. წკრიალა წისქვილის ხვიმირზე მიმაგრებული ჩხარუნა. ხვიმირასა აქ წისქვილისასა, *წკრიალას* ეძახიან, რო ჩამოვა საფქვავი სულა, დაენდობა ქვასა და დაიწყებს წკრიალასა (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.). 3. წკრიალა ჩიტი ფრინველი ერთგვარი. პატარაა *წკრიალა ჩიტი*, ხნულეფში იცის, ბუდეს იკეთეფს ყანეფში (ქემ.). ჩიტი არის *წკრიალა*, პატარა ჩიტი, სუ პატარაა, მოსერო ფერია (ნიქ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. წკერება: „კბილთა სალმობიერად აწკერებდა“ (მ. ცხ. 421v) – ილ. აბულ. იხ. I. წკრიალი.

ახ. ქართ. **II. წკრიალა** რასაც წკრიალი გააქვს, – კრიალა, გაწკრიალებული. უხდებოდა ოდნავ გაპობილ ტუჩებს თეთრი და წკრიალა კბილები (დ. სულ.) – ქეგლი. იხ. II. წკრიალი.

წნურ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წნური** 1. დაწნული კედლების მქონე, – წნული. წინ იშლებოდა შარა სოფლისა, *წნური* ქოხები (გ. ლეონ.). 2. წნული. წნური სახლი – ქეგლი. წინათ სუ *წნური* ქოხები გვედგაო (ქიზ. მრეწ. I, 47).

წნური < წნული. წნული დაწნული – დ. ჩუბ. მიმღეობა. ძირი წან-/წნ-; აღდგენილია: 1. *წან- || წნ არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). 2. *წან- „კერვა, წვნა“ → ქართ. წან- || წნ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. წნური წნორი. *წნური* არი ერთი ხე, ფოთლები აქ და მაგის ქოლგაჩი, ჩირდილჩი ხალღი ისენებენ (მარტყ., ფერეიდ. ჩხუბ.). წნური < წნორი ტირიფი, ძეწნა. ვით ძნიად წნორი ბერფუყი დაიგრიხების წნელადა (დ. გურამ. 68, 51, 1). || [Salix abla] ბოტან. ტირიფის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა – დაბალი ან საშუალო სიმაღლის ხე – ქეგლი.

ძეწნის მსგავსი მცენარეა წნორი, რომლის სახელწოდებაც იმავე წან (და-ვ-წან) ძირისაგან შეიძლება იყოს მიღებული ორ სუფიქსის დართვით. (ჭუმბურიძე 1987: 62).

წო:

საშ. ქართ. I. წო || წოტი „პატარა ბუე“. ღამესა ვარ უნათლოსა, მივემსგავსე მე მას *წოსა* (ქილ. 192, 8). იხ. I. წოიო.

ახ. ქართ., დიალექტ. II. წო (იმერ.) წუა. დედაკაცები აადუღებდნენ ტყემლებს; *წოს* და ტყლაპს შეინახავდნენ (დ. შენგ.) – ქეგლი. „ლობიოს უხთება *წო*, ზამთარში მაინც, კაია“. „გაატანე ერთი ბოთლი წოიც“ (იმერ. გაჩ.). წო, წოია, წვენი (ტყემლისა); წვნიანი, საწებელი, ტყემლის გასქელებული ნახარში ზან. (მეგრ. ქობ.).

წოიო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. წოია, წოიო 1. (იმერ.) «პატარა ჩიტი, მუდამ ერთსა და იმავე ხმას გაიძახის» (ი. ჭყ.). მის (ზღვის) ძილს არ აკრთობდა არც კაცების ხმაურობა, არც *წოიოების* ჰაერში ნავარდობა (გ. წერეთ.). 2. (ლეჩხ.) ზარნაშო (მ. ჩიქოვ.) – ქეგლი. || პატარა ფრინველი, რომელიც ხალხის თქმით, ღამე თითქოს „ძმაო“ს იძახის (იმერ. გაჩ.). || ბუკიოტი, ბუკნაჭო (რაჭ. კობახ.).

ლეჩხ. წო-იო „ღამეძახია, ზარნაშო“. ს.-ქართვ. *წო- (ია) „მწივანა ჩიტი“ > წო-ია || წო-იო : ზან. ჭუ-ია (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. წოიო დადუღებული ტყემლის წვენი (გურ. ჟღ). იხ. I. წუა.

დიალექტ. III. წოიო წვრილი და მაღალი კაცი. „დიდი *წოიო* კაცია მისი ქმარი“ (საჩ. შარაშ.). შდრ. I. წოწოლა.

წორო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. წორო მცენარეა, ხე – დ. ჩუბ. || (ქართლ. მოხევ. მთიულ.) – ცირცელი [Sorbus caucasigena] ბოტან. საშუალო სიმაღლის ხე ვარდისებრთა ოჯახისა – ქეგლი. *წორო* ხე ქეცის წამალია (იკ.). წორო ხის ტოტ გავაცლით ქერქსა, გამოვხარშამთ, მემრე დავშაბამთ და შიგ ვაბანავეფთ ელქუნიან ბალღსა, მემრე გამოხარშულ ქერქ შამაადებენ

ყელზე და ხელათ გაუქრება ელქუნიცა (წილკ.). ღმერთმა გაახაროდ ისამეი, ჩემ ბალღ ელქუნი დქონდა, იმან გამამიტანა *წორო ბე* (წილკ.); აგრეთვე ზ. ხანდ. (ქართლ. ლექსიკ.).

ს.-ქართვ. *წორ-* (ო) „ცირცელი"; „ციცინო" → ქართ. წორ-ო || მ-წორ-ო (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **წორო**: **წორო-წორო** 1. (ქიზ.) ზმნს. ამბობენ თხელი ფაფეულის წვეთვაზე (ს. მენთ.). თათარა თუ თხელია, სულ *წორო-წორო* ჩამოვა, კარგი ჩურჩხელა არ გამოვა, ჩამიჩი გამოჩნდება («შინამრეწვ.») – ქეგლი. 2. ნაგლეჯ-ნაგლეჯად რომ მიდის პური თონეში, *წორო-წორო* მიდისო იტყვიან (ფარცხ., ტბ., გოლთ., ალგ. სალ.). || წორო-წორო, წურო-წურო წავა: გადაზელვა უნდა, თუ არ გადაზილე, თავს ვერ დაუჭერ, წურო-წურო წავა (კარალ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. წურწური უხვად დენა (ოფლისა, წყლისა...) – ქეგლი. ვფიქრობთ, წორო-წორო < წურო-წურო < წურ-წური.

ს.-ქართვ. *წურ-* „სითხე, თხევა" → ქართ. წურ-წურ (ჩუხუა 2000-2003).

წოწოლა:

საშ., ახ. ქართ. I. **წოწოლა** 1. მაღალი რამე პირამიდებრი ან შაქრის თავის მსგავსი. – დ. ჩუბ. || მაღალი და წაწვრილებული. [ყეენს] თავზე ეხურა შაქრის ქაღალდისაგან გაკეთებული *წოწოლა* ქუდი (ი. გრიშ.). 2. გადატ. ტანწვრილი და ძალიან მაღალი (ადამიანი). მნათე *წოწოლა* და აყუდებული კაცი იყო (ა. ახნაზ.) – ქეგლი. || მოგრძო ფორმის რაიმე ნაყოფი ან ნივთი. თმა მეიპარსა და გამოჩინდა *წოწოლაი* თავი (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 3. წოწოლაი ვაშლი ვაშლის ჯიში. „*წოწოლაი* ვაშლი გამოსულამდი ზლეფს, უთევს" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 4. ერთგვარი ჯიშის მსხალი (აჭარ. ნიჟ.).

საშ. ქართ. II. **წოწოლა** მოდიდო ბუ მართვე – დ. ჩუბ.

დიალექტ. III. **წოწოლაი ჭარხლის** ფოთლების მხლის კერძი, შეზავებული ტყემლის წვენით, ქინძითა'და ნივრით. „ჭარხლი ტანით *წოწოლას* გავაკეთავთ" (ჰილ., ჩვენ. ფუტკ.). „საჭმელები თეელი ვიცით: ქალაჯო, *წოწოლაი*" (ყარაფურჩუკი, კლარჯ. ლექსიკ.). აგრეთვე აჭარ. ნოღ. **წოწოლა** || **წოწოლაი** – „მწნილი"; ზოგი ინფორმატორის განმარტებით, ჭარხლის ფოთლებისგან დამზადებული კერძია. **წოწონაი** (ლ || ნ მონაცვლეობით) ზოგისთვის ტყემლის საწებელია (დუზჯ., ჩელები 2018: 71). შდრ. I. წუა.

წოწოქა:

საშ., ახ. ქართ. I. **წოწოქა** ხმელის ხილისაგან გამონაჭყლეტი საწებელი, გარნა ნედლის ხილისაგან გამონაწურსა ჰქვიან წუა – დ. ჩუბ. || მწვანილით შეზავებული ტყლაპის და მისთ. წვენი. ტყლაპიდან რომ გააკეთებენ საწებელს, ის არის *წოწოქა* («დიალ.») – ქეგლი. იხ. I. წუა.

დიალექტ. II. **წოწოქა** კრიჟანგი, ბუნწი კაცი (ქართლ. მენთ.). შდრ. წუწურაქი ბუნწი, ქვაწვია – ქეგლი.

წუკწუკი მდურვით წუწუნი, – მოთქმა-ჩივილი, – ბუზღუნი. „შენ არ შეგშვენდება ქალივით *წუკწუკი*“ (აჭარ. ნიჟ.). „აღარ მოლია *წუკწუკი*“ (ჩვენ. ფუტკ.). „რაგო წუკწუკემს ეს ქალი, რა დაემართა ასეთი რო“ (ჯავახ. ზედგ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. წუკწუკი** (იმერ.) უპატივც. წანწალი, ბუგბუგი – ქეგლი. || წუკწუკა, წუწკი რო დასუსუნატოფს, იმა ქვია წუკწუკაი, წუწკ ადამიანსა (ჩუმათ.). წუკწუკეები არიან ღორები (ჩუმათ., ქართლ. ლექსიკ.).

წუკწუკი „წანწალი, ბუგბუგი, წუ/ნ/კ-ი (ვაჟა ფშაველა) „ჭუჭყიანი“. ფშ. წუკ-ი „ცუდი“ (ილ. ჭყონია). აქედანვეა წ/ხ და კ/გ მონაცვლეობით ბუგბუგ-ი, მნიშვნელობა იგივეა (სანიკიძე 1976: 43).

წუმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წუმი** სუფსარქისი მარხვა-უჭმელობა. დიდმარხვის პირველ ორშაბათი *წუმის* შანახვა. მარხულობა დიდმარხვის პირველ ორშაბათს. ეს მარხულობა იმისთვის ხდებოდა, რომ წინდაწინ გაეგოთ, ვინ იქნებოდა მათი მომავალი საქმრო (საცოლო) (ქიზ. მენთ.). ◊ **წუმს ინახავს** ვეძიკვერას ჭამს. ჩემო ლამაზო, ინახავ *წუმსა*, რომ ლოცვებით შემოიკმაზო (ი. გრიშ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. წუმი** კრინტი. ისე გავჩუმდები, ისე გავკმენდავ ხმასა, რო სუ *წუმს* აღარ დავძრამ (მერ.). რო წამოუშალე და წამოუშალე, ისე გაჩუმდა, ისე გაკრინა ხმაი, რო *წუმი* აღარ დაძრა (მერ., ქართლ. ლექსიკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. წუმი** (გურ.) ყურძნის მტევანი (ი. ჭყ.).

ს.-ქართვ. *წუმ-* „მტევანი, სახელური“ > ქართ. წუმ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **IV. წუმი** წვეთი. „ადესამ თქვაა: გაისათ მაინც არ მოვალ. მანეთი რო მომცე *წუმში*“ (შემ.); „ახლა ჩვენში ერთი *წუმი* ღვინო არავის აქ“ (შემ., გურ. ჯაჯან.).

წურულა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. წურულა** (თუშ.) იგივეა, რაც წურვილი – ქეგლი. || წურვილი (ფშ. ხევს.) «კარგად ნადუღი ერბო, დაწმენდილი» (ა. შან.). კარგი ყოფილხარ, ქადაო, წვენ გადგა *წურვილივითა* (ხალხ.) – ქეგლი.

წურულა: წურ-ძირი; ულ-, ა- აფიქსები. აღდგენილია ს.-ქართვ. *წურ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. წურულა** ტყის თივაქასრა (თუშ. ა. მაყ.). შდრ. წვრილა (კახ. ა. მაყ., ქეგლი).

წუწკ-ი:

ახ. ქართ. **I. წუწკი** 1. სულწასული (ჭამაში...), მსუნაგი. *წუწკი* ძაღლები ენაგამოგდებულნი შესიციცქინებდნენ დაკლულის გამოშიგვნას (დ. შენგ.). 2. იგივეა, რაც წუნკალი. ერთმა წუწკმა ღორმა ასი ღორი გასვარაო (ანდაზა) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *წუწ-კ- „ბაგე, პირი“ → ქართ. [წუწკ-ი], წუწკ-ნ- (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. წუწკი ბუნწი, ხელ-მოჭირებული; უგვანი, ცუდი, უმსგავსო. წუწკობა ბუნწობა – დ. ჩუბ. || (ქართლ.) ცუდი, უვარგისი. წუწკი დღე. – წუწკი მაწონი – ქეგლი. წუწკი ძ || წ პოზიციური მონაცვლეობა ბუნწი > წუწკი (ქავთარაძე 1964: 214).

წყვილ-ი:

ძვ., ახ. ქართ. I. წყვილი 1. „უღლეული“, ლუწი: „უკუეთუ არ პოვოს ჴელმან მისმან *წყვილნი* გურიტნი“ O, – „უკუეთუ ვერ პოოს ჴელმან მისმან უღლეული გურიტთაჲ“ (G, ლევიტ 5, 11) – ილ. აბულ. [ეფემიამ] ცხრილზე დაალაგა: შვიდი პურის მარცვალი, ორი *წყვილი* სანთელი, კვერცხი (თ. რაზიკ.). 2. ორი (განსხვავებული) ეგზემპლარისაგან შედგენილი (კომპლექტი). 3. ქალ-ვაჟი. შემდეგ ორი-სამი *წყვილი* ითამაშებს [ლეკურს] (ა. ცაგარ.). ტრაგიკულად სრულდება მეორე შეყვარებული *წყვილის*... რომანი (გ. ქიქ.) – ქეგლი.

წყვილ-ფუძეში გამოიყოფა -ილ დეტერმინანტი სუფიქსი (არნ. ჩიქობავა). ვარაუდობენ, რომ „საწარმოებელი ფუძე უნდა ყოფილიყო *წყევ-: შდრ. დიალექტ. გურ. მო-წყვ-ა „მოეწყო“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). წყვ-ძირს უნდა შეიცავდეს სტატიკური ზმნა აწყვია. აგრეთვე აწყობს... დაწყობა, წყობა... წყობა ძველ ქართულშივე სამხედრო ტერმინიცაა. იგი აღნიშნავს მეომართა განლაგებას, შეტევას (დ. მაჭავარიანი 2013: 320).

ძვ. ქართ., დიალექტ. II. წყვილი მენჯი, წელი: „დამდევ ჴელი შენი *წყვილთა* ჩემთა“ (O, დაბ. 24, 2); „მენი, გამოსრულნი *წყვილთაგან* მისთა“ (G, მსჯ. 8, 30); „დამბადე *წყვილთა* შინა მისთა (მშობელისა)“ (ბალ. 156, 3) – ილ. აბულ. წყვილი ჯ., თ. მწყვილი ჯ., ფშ. საზარდული – ა. შან., გ. ხორნ. || ჰიდაობის ილეთი- გვერდის შექცევით მარჯვენა ფეხის მოწინააღმდეგის უკან გადგმა და გადაწევით წაქცევა (ბრეთი, ქართლ. მესხ.). ჰყუენ, ჰყვენ, ჰყენ, ჰყონ სარცხვენელსა და ბარძაყს შორის ადგილი (სვან. თოფ., ქალდ; ლიპარტ.).

მ. ჩუხუას მოსაზრებით, ს.-ქართვ. *წყუ-ილ- „წყვილი“ → ქართ. წყვ-ილ-ი : ზან. ჭყვ-ირ-ი ←*ჭყვ-ილ-ი (ჩუხუა 2000-2003). აგრეთვე დ. მაჭავარიანი 2013: 320.

წრიალ-ი:

ახ. ქართ. **I. წრიალი** მოუსვენრად მოძრაობა (სიარული, მიბრუნ-მობრუნება...), მოუსვენრად ყოფნა, – შფოთვა. დამწყვდეულიც იწყებს მოუსვენარ *წრიალს* ამ თავის სატუსაღოში (გ. წერეთ.). ძლიერ ვიბნევი, *ვწრიალებ*, ვკრთი ამ სტეპების პირისპირ (კ. გამს.) – ქეგლი. || აწრიალება (ი. ჭყ.).

წრიალის ერთი მნიშვნელობათაგანია „მოუსვენრად მოძრაობა, სიარული“– ქეგლი. საწყისი წრიალი ნაწარმოები ჩანს წარ-ძირისაგან მისი გაორკეცებით, (შდრ. მი || მო || გა- წრა - წევა: „დამეთხუე, იქით გეიწერი!“ (ბერ.); მიხრის ტანსა, მიაწარებს ვეფხ.); *წარ-წალ (შდრ. წან-წალ) > *წირწალ > *წირ-ალ > წრ-ი-ალ > წრიალი (ერთელიშვილი 1970: 216). აღდგენილია ს.-ქართვ. *წრ-იალ- არქეტიპი (კელაურაძე 2019: 53).

საშ., ახ. ქართ. **II. წრიალი** 1. ხმა წკეპისა და მისთანათა – ნ. ჩუბ. წრიალი მათრახმა შექმნა *წრიალი* (ვეფხ. 1414, 1). შეიქნა ცხენთა ხვივილი, მათრახთა *წრიალი* (რუსუდ. 121, 28). 2. ძვ. «მახვილის ხელზე წასმის ხმა» (საბა). 3. (ხევს.) ძალიან წვრილად ჩამომდინარე სითხის ხმა. შამავდგენ საარაყენი, *წრიალით* ჩამადისაო (ხალხ.) – ქეგლი.

წრიაპ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. წრიაპი** თხილამური – დ. ჩუბ. || 1. კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი; იხმარება ციცაბოზე და ყინულზე სიარულის დროს. *წრიაპებით* დადიოდნენ საცალფეხო გზებზე თურმე (აკაკი). [მონადირეს] თავზედაც ნადირის ჩამოფხატული ქუდი ეხურა, ფეხებზედ *წრიაპებით* გამართული ბანდულები (ვაჟა) – ქეგლი. „გაზაფხულით თოვლ რო გაყრჯამდა, მთაში რო მივდიოდით, *წრიაპებ* ვიკეთემდით“ (ჯავახ. ზედგ.). დაიკრეს ფეჯზე *წრიაპები*, აიღეს სანადირო შუბიან არგნები და გაემართნეს (ბ. გაბ. 193, 16). აქვე: ფეჯწრიაპიანი (ხევს. ჭინჭ.). ზამთარში ყინულზე *წრიაპებსაც* ვიკეთებთ ფეხზე. *წრიაპებს* კაცები იკეთებენ. *წრიაპი* რკინისაა და ორი მწვეტი აქვს აქათ-იქით. ფეხზე ამაიკრავენ და ისე ხმარობენ (ერწ.-თიან. მრეწ. III, I. 61). შდრ. წკლიაპი || წკრიაპი ზმ. წრიაპი მონადირეები წკლიაპებით დადიან სანადიროდ (რაჭ. კობახ.). **წრიაპ** წრიაპი (სვან. თოფ., ქალდ.). 2. ყდას (სახვეწელს) ჩასმული აქვს, დაახლოებით ფანქრის სისხო, თუ შეიძლება ითქვას, რკინის კბილი, რომელსაც *წრიაპი* აქვს. თითოეულ ყდას თითო წრიაპი აქვს, სულ ორი წრიაპია (ხევი, მრეწ. II, I, 93). ყდებს აქუ ორი *წრიაპი* (მთ. მრეწ. II, I, 90). 3. რკინა წისქვილის საკოჭურზე, რომელშიც ღერძის კოჭი ტრიალებს. საკოჭურზე *წრიაპისფერაც* რკინაი დაკრულ, რო ჩქარა არ ამოცვდეს (თუშ. ცოც.). 4. კანჯო (ზ.-იმერ. წერეთ.). ღვლერჭი, ჯაჭვი და მისთ., რომელიც გასათრევ რამეზე (ხეზე, შეშაზე...) არის გამობმული და უღელზე მიმაგრებული (იმერ. გაჩ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. წრიაპი** (ზ.-იმერ.) ციცაბო. „სერს ქვემოთ ფერდი *წრიაპად* დაეშვებოდა“ (ზ.-იმერ. წერეთ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. III. წრიაპი ძვ. «სადედლე ვარია» (საბა, დ. ჩუბ). || პატარა წიწილა (ჯავახ. ბერ., ზედგ.). იხ. I. წიაპა.

წრიაფ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. წრიაფი საგალავი; ხელნის სქელი ნაწილი საბრუნთან. ურმის საბრუნს... ხის ნაჭერს ჩააკრავენ ხოლმე, რომელსაც *წრიაფს*, კვერნას უწოდებენ (ქიზ. მრეწ. IV, II, 76). შდრ. I. წრიაპი მნიშვ. 3.

ახ. ქართ., დიალექტ. II. წრიაფი (ლეჩხ.) კრიახი (ქათმებისა) – ქეგლი. შდრ. III. წრიაპი.

წუა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. წუა 1. წუა ხილთ გამონაწური მჟავე წვენი საჭმელად (ნ. ჩუბ.). || (ფშ.) «ხილის გამოწურული წვენი» (ი. ჭყ.). გათუთქული ტყემლის, ღოღნოშოსა და მისთ. მოდუღებული წვენი (შდრ. კვაწარახი). შინდის წუა. – ხსნილში დოს მოგიტანენ, მარხვაში – ტყემლის *წუასა* (ხალხ.) – ქეგლი. 2. მოხარშული ტყემლის წვენი. მოვხარშავთ ტყემალს, ვასხავთ კალათში, გადის წვენი, ეს არი *წუა*. რო გავხეხოთ ცხრილზე და მოვხარშოთ და ბევრი ვადუღოთ, იქნება კვაწარახი (ბაჯითი). გინდა გაჭამო *წუაი?* (შომახეთი). 3. იგივეა, რაც კოთი. *წუას* უძახით, შეთქვირებული ტყემლის წვენი რო მოიხარშება, ცხრილში გეიხეხება, შეიკაზმება (ლიჩი, პერევი, ჯალაურთა). || მოხარშული მკვახე ტყემლის შეკაზმული სქელი წვენი. კუხე ლურჯ ტყემალს რო გავაკეთეფთ, ისაა *წუაი* (მოხვა, ზ.-იმერ. მოწ.). აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., რაჭ. კობახ.

ს.-ქართვ. წურ- „წვეთა“, წუ-ა „წვენი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. წუა «პატარა ჩიტია, წოია» (ს. იორდ.). ნიბლია, ღობემძვრალა. წყლისჩიტა, ღალღა, *წუა*, მწყერჩიტა და ათასი სხვა, სულ ყველა საომრად ემზადებოდა (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

ჩიტის სახელად წუა მეორეულია და მომდინარეობს წოიასაგან (ფოჩხუა 1974: 87). იხ. I. წოიო.

დიალექტ. III. წუაი ცხელი (ბავშვის ენაზე). „*წუაია* ხაბიზგინა არ მინდა!“ (მოხ. ქავთ.). შდრ. III. წია.

დიალექტ. IV. წუაყნ წოვათუში, წოვურ (ბაცბურ) ენაზე მოლაპარაკე თუში. წუაყნივ ვერ ეტეოდესავ, ანდაზასაავით თქმა იციან (თუშ. ცოც.).

დიალექტ. წუა-წუა! ინდაურების მოსახმობი. წუა-წუას ინდოურ ლეფს უძახიან, წია-წიას – ქათმეფს (შომახეთი, ზ.-იმერ. მოწ.).

წუკწუკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. წუკწუკი წუწუნი, – უკმაყოფილების გამოთქმა ჩივილით (ქეგლი). || წუწუნი, ჩივილი, ოდნავი ტირილით. „ჩვენებიაანთაჲ მიველი, ბებერი. გამოიდა და *წუკწუკი* დაიწყო: ქმარი დემეღუპა და მე ვინ რაჲ მამაშავქოლებსო“ (ქიზ. მენთ.). || საყვედურით ლაპარაკი.

ჰ

ჰადარ-ი:

ახ. ქართ. I. **ჰადარი** [Platanus] ბოტან. მაღალი, ვარჯდატოტვილი ხე; ქერქი ნაცრისფერი აქვს, ზაფხულობით ფირფიტებად სძვრება; ფოთლები თათისებრ დანაკვთულია, ყვავილები – ერთსახლიანი, ბურთივით მრგვალ თავაკებად თავმოყრილი და გრძელ ყუნწზე დაკიდებული. ძველი დიდების მოსაგონებლად ამ ბაღში სამიოდე *ჰადარი* დგას (თ. სახოკ.). უზარმაზარი *ჰადრის* ქვეშ სამპირი სუფრა იშლება (მ. ჯავახ.) – ქეგლი. || ჰანდარი მცენ. ჩინარი, ძელ-ქვა – დ. ჩუბ. || ჰანდარ 1. ჰადარი 2. გადატ. მაღალი ადამიანი ჰანდარ კაცრა (ინგ. ღამბ.). **ჰადარ, ჰადარ, ჰანდარ** ბოტ. ჰადარი (სვან. თოფ., ქალდ.). **ჰადარი** ჰადარი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ჰადარ** [აზერ.] ნაპრალი, ღრმა ნაბზარი, დამსკდარი ადგილი; ზმნზ. **ჰადარ-ჰადარ** მიწაჲ ჰადარ-ჰადარ დამტყროლ (ინგ. ღამბ.).

ჰავლ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **ჰავლი** 1. (მჰავლი და მჰევლი E) ჰევლი, წყლის ჩანადენთ ჩანაგრეხი – საბა. || სადაც რომ მდინარე წმინდა არის და ქვებზე მოდის ჩქარად, იქ წყალი ნაკეც ნაკეცად გამოჩნდება; ჰავლი ქალთა და დედათა დაგრეხილთა თავისა თმათაც ეწოდება (დ. ბაგრატ.). **ჰავლობა** ჩქეფა. აწ *ჰავლობს* აღსავსე ქმნილი ჯეჯილთა მათგან სულისა წმიდისაჲთა და შესწირავს ღმრთისა მჭელეულთ (A= 689 241v, 3-7a) – ზ. სარჯ. || წყლის ზედაპირის მცირე რიტმული რხევა, ზედაპირის თრთოლა. [ავთანდილმა] რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის *ჰავლსა* წყლისასა (ვეფხ. 840, 2). ცხელოდა, სიცხის ბუღი ტრიალებდა, მინდვრის პირი ტბის *ჰავლივით* ცახცახებდა (გ. შატბ.). 2. ანატ. ყურის ნიჟარის კიდე. შესაძლებელია ჰავლი სრულებით არ იყოს განვითარებული («პლასტიკ. ანატ.»). 3. იგივეა, რაც ჰავრილი. წყალმცენარეებს *ჰავლები* ატოკებენ (რ. ინან.) – ქეგლი. აგრეთვე მთ. კაიშ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჰაუ- „ციმციმი“ > ქართ. ჰავ-ლ-ი || ჰევ-ლ-ი, მ-ჰევ-ლ-ი (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. II. **ჰავლი** 1. სხვილი ნაწნავი თმისა (საბა). თმათაგან ერთი *ჰავლი* მოიკვეთა (შჱნ. III, 519, 1). თმათ სუმბული ჰქონდა *ჰავლად* (ნ. ციც. 1590, 4). შუშანის გიშრის თმათა *ჰავლებში* გაბმულს [რაინდს] მძლედ დახვეოდნენ გარს... ნაწნავნი (ვ. ბარნ.). 2. (მთიულ.) ფერად-ფერადი ძაფები, რომლითაც სახეები გამოჰყავთ ქსელზე. ჰავლის მოჭრა ხალიჩების ქსოვის დროს («შინამრეწვ.»). 3. (თუშ. ფშ.) ბანჯგვლი, ხაო, ბეწვი. ნაბდის ჰავლი. ფიგურ. ნაბად მოუსხამს ბორბალოს ასხმული ნისლის *ჰავლითა* (ანა) – ქეგლი. || ჰავლი ნაბდისა (იგივეა, რაც ბარჭო) მუქლსაფარაც იყო ხავერდისა ან ჰავლისა (ბოჰკოიანი ქსოვილისა) (თუშ. მრეწ. III, I, 87). ჯეჯიმი ხალურად ნაქსოვი *ჰავლიანი* (ბოჰკოიანი) საფენი (თუშ. მრეწ. II,

II, 84). [ტოლს] თელავენ მანამ, სანამ *„ჰავლი“* სულ არ გასცვივდება ქსოვილს (ეთნ. სწორფრ. 215) –ალ. ჭინჭ.

ვფიქრობთ, რომ ჰავლი წარმომავლობით დაკავშირებულია ს.-ქართვ. *წამ- ძირთან „ბეწვი, სხეულის თმიანი საფარი“ → ქართ. წამ-ი (ჩუბუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. ჰავლი** (გურ.) რტო – დ. ჩუბ. || (გურ. აჭარ. ზ.-იმერ.) იგივეა, რაც ლერწი – ქეგლი. გურიასა და აჭარაში ახალ ამოყრილ ტოტს *ჰავლს* უწოდებენ. ვენახი რომ *ჰავლებს* გამოიღებდა, ამით ვენახი განახლდებოდა (გურ., «შინამრეწვ.»). როცა (ვენახი) ახალ ჰავლებს გამოიღებდა მიურგავდნენ ხეებს (იქვე). ყურძნის *ჰავლს* ჩამოვიღებთ ძირში (ქვ.-აჭარ., ქართლ.) – ლ. ასათ. აგრეთვე: აჭარ. ნიჟ., გურ. მრეწ. IV, III.

ახ. ქართ., დიალექტ. **IV. ჰავლი** 1. სასოფლო-სამეურნეო ტრანსპორტის ნაწილი – ჭალი. [მიტრომ] ურმის *ჰავლს* მოჰკიდა ხელი (შ. არაგვ.) – ქეგლი. დანდლების ზემოთ ამოჭვრეტილი აქვს საჰავლეები. *ჰავლები* რომ დაესმება, *ჰავლებს* ზევიდან ჩამეეცმება ზეწარი (ერწ. თიან. მრეწ. IV, II, 84). დავხვრეტამთ კიდევ იმ ხელნებს, რომელსაც გაუკეთებთ მუხის *ჰავლებს* (მთ. მრეწ. IV, II, 107). აგრეთვე: მრეწ. IV, II: მთ. 107, ზ.-ქართ. 195, ქართ. მტკვრ. ჩრდ. 110. 2. ტყრუშულიანი სასიმინდე ძარი... ჯერ შევკრავთ და მოიჭედება ოთხი საძირკველი, მერე დავხვრიტავთ საძირკველს, ერთი ციდა დაშორებით დაისხმის *ჰავლები*. გვერდებს დავწნით ხუთი წნელით, გადაუშვებთ სამ *ჰავლზე* და მეექვსე წნელი კი არის მარქაფა (ზ.-ქართლ. მრეწ. I, 230). || ჯიხურის დაწვნა. შემდეგ ზევით გვერდს დავხვრეტავთ *ჰავლებისათვის* და დაუსობთ ჰავლებს. მერე უკეთებთ ზევიდან ზეწარს (ქართ. მტკ.-ჩრ. მრეწ. I, 231). იხ. I. ჭალი.

დიალექტ. **V. ჰავლი** კალ-ზალტე. ხანჯრის ქარქაშზე შემოვლებული სალტე (ფშ. შან., ხორნ.). იხ. II. ჭალი.

ჰაკუნ-ი:

ახ. ქართ. **I. ჰაკუნი** (გურ. იმერ.) ხის ბურთის გასაკრავი კაუჭა ჯოხი, – ჩოგანი. ქოხების წინ... გოგო-ბიჭების ფეხშიშველი ტანტალი და *ჰაკუნის* თამაშობა [იყო] (დ. შენგ.) – ქეგლი. **ჰაკვი** კავი, კაკვი, ჭანკვი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ჰაკუნი** ნაჯახის ცემის ხმა უხეიროდ თლის დროს, – ჩაკუნი (აჭარ. ნიჟ.).

ჭალ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჭალი** ურმის მანა – საბა. ჭალი, ჭრჭალი, რჭალი ურმის მანა (დ. ჩუბ.). || ჭალები – ურმის ხელნებზე თანაბარ მანძილზე ჩასმული სარები, რომლებზედაც ხელნის პარალელურად ჩამოცმულია ზეწრები. [პეტრე] ჩამოცურდა და ფეხი ძლივს მოაწვდინა საძნე ურმის *ჭალებამდე* ფეხის მოსაკიდებლად (ილია). || ◊ **ჭალი რკინა** გრძლად, ოთხკუთხად

(ჭალისებურად) გაჭედილი რკინა; იყენებენ ურმის თვლის შემოსაკრავად (სალტედ) – ქეგლი.

კ. კაკიტაძის აზრით ჭალი ჭუალის გამარტივებული სახეა. იგი აღნიშნავს, რომ ჭუალი, ისევე, როგორც მანა, გვხვდება ძველ ქართულში, ზოგჯერ გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი (კაკიტაძე 1997: 107).

დიალექტ. II. **ჭალი**: „გორგლის ერთ ნაწილ ეწოდება ჭალი", გორგლის ერთი ფენა, წრისებური (კახ.-ქიზ., ქართ. დიალექტ., 611). შდრ. II. ჭავლი.

ჭალა:

ძვ., საშ., ქართ. I. **ჭალა** ტყე. „სომეხთა მეფე კჳრიკე და ძმაი მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის *ჭალას*" (ქ. ცხ. 229, 13) – ილ. აბულ. დადგეს ჴელმწიფენი სუე-სრულნი და ღმრთივ-აღმობრწყინვებულნი *ჭალასა* აგარათასა (ქ. ცხ. II, 64, 9). ნუ გგონიათ ამათი ხმა გვიკვირდესო. როგორადაც *ჭალისა* ბუზთა ბზუილი –აგრე (რუსუდ. 482, 5). ვიმცვრივე *ჭალას* ბაბილო ნაქაჯი, დანაჭაჭარი (დ. გურამ. 58, 2). უკაცურსა *ჭალაშიგან* იპოეს და გაიხარნეს (შჰნ. I, 2579, 2). დაიწყო *ჭალასა* მას შინა სიარული (კალმას. 373, ქვ. 8).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭალა** 1. „წყლის პირი ნაყოფიერი" (საბა). ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას. მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანნი და შეუპოვრად მოუთამაშებს გარემო თვისსა ატეხილ *ჭალებს* (ნ. ბარათ.). სადგურ ნატანებიდან აქამდე (+მერიამდე) და ამას იქითაც მდ. ნატანების *ჭალებია* (თ. სახოკ.). 2. კოროში. 3. რთული სიტყვა მინდორ-ჭალა. წყალ-ჭალა – ქეგლი. **ჭალის ყანა** ვაკე ადგილის, წყლისპირის ყანა. „მე წილჩი *ჭალის* ყანა მერგა" (მოხ. ქავთ.). 4. სათიბი „ესა ჭალათ მაქ მოღობვილი" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || სათიბ-საძოვარი. საძოვარს *ჭალებს* ხნა დაუწყევით (სამ. IV, 491). „მარჲობითვე რუმ დადგება, ჭალას გევლენ გოგუები" (აჭარ. ნიჟ.); „მოლი ბევრი გვაქ აქა, თლათ *ჭალობა* გახდა" (უ.); „თლათ ჭალობაზე გაგდებულია" (უ., შავშ. ლექსიკ.) აგრეთვე: ჩვენ. ფუტკ., ქიზ. მენთ., ხევს. ჭინჭ. კლარჯ., შავშ. ლექსიკ. **ჭალე** (**ჭაღე**) ჭალა ზან. (მეგრ. ელ.). **ჭალაბი**, **ჭალა**, **ჭალაი** ჭალა, მდინარის პირი მინდორი (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჭალა**: მომცრო დგარი, ჩასმულია (სილამაზისათვის) ჭიშკრის კარებში – ქეგლი. || *ჭალა* ხელნებზე ჩასმული (დარჭობილი) გამოთლილი ხე: ურემს იქით-აქეთ 5-6 შეიძლება ჰქონდეს, *ჭალებზე* ზეწრებია დაგებული (იმერ. გაჩ.). || ხესადგარი მაღლიდან ამოჭრილია ოთხ-ოთხგან და შიდ მაჯის სიმსხოს 60 სმ სიმაღლის ჯოხებია ჩასობილი, რომელსაც *ჭალა* ქვია (ვახანი); ურემს აქ რვა ჭალა, 4 ერთ მხარეს, 4 – მეორე მხარეს (ხევი). ზესადგრეფში ჭალაები ასვია, რო ტვირთი არ გადაცვინდეს, ჭალეები ექვსი აქ ურემს (გეზრული, სვერი). || ჭალია: *ჭალიებზე* გაბმულია ბაწარი ან წკნელი, ტვირთმა რო არ გადიწიოს იქით და ურემი არ გაიშალოს (წყალშავი, მანდაეთი, ზოვრეთი). *ჭალია* ურემს აქ 6-8 (ზედა საქარა, ზ.-იმერ. ძოწ.). დავთლით *ჭალებს* და ჩაურჭობთ შიგ (ზ.-ქართლ. მრეწ. II, 1, 133). იხ. I. ჭალი.

ჯამბარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჯამბარი** «მწყემსთ კარავი» – საბა. || ჯამბარა: [ცარო] მიწვა ბულულზე იქვე დადგმულ *ჯამბარაში* და უცდიდა ძმას (ს. ქვარ.) – ქეგლი.

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ჯამბარი** (ოთხფ.) მცირე ჯოგი თხათა – საბა.

დიალექტ. **III. ჯამბარი** ბრბო, გროვა, უსაქმურ ხალთა სიმრავლე. „შენ არ გარგია არაფელზე, მეიყვანე *ჯამბარი* და აჯამე!". „ქე იცოდა ჩამოსვლა მარუსამ, მარა *ჯამბრები* ყავს ახლა სარჩენი" (საჩ. შარაშ.).

ჯანა:

დიალექტ. **I. ჯანაი** იგივეა, რაც ჰავაი – ამაოდ, ტყუილად. ჯანა (ტყუილად) ნუ მოოდიხარ ჩემთან! (ინგ. ღამბ.).

დიალექტ. **II. ჯანაი, ჯანაქიი** უვარგისი, სუსტი, ცუდი, უხეირო. ჰოგო *ჯანა* კაც ხარა! (ინგ. ღამბ.). შდრ. ჯანი ცუდად დაკოდილი (ცხოველი); ცვედანი – ქეგლი.

ს.-ქართვ. ***ჯან-** „ჯკნობა, გახდომა" → ქართ. ჯნ-, ჯნ-ავ-ი, ჯან-ი (ჩუბუა 2000-2003). შდრ. I. ჯნავი.

ჯანარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჯანარი** თევზი – საბა. || [Barbus capito] ზოოლ. საშუალო ზომის თევზი; გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებში – ქეგლი. ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჯა, *ჯანარი* (ქ. ცხ. IV, 43, 19). აცივდა. ფიჩხულს და *ჯანარს* მოსწყინდათ არაგვში ცხოვრება (ვაჟა). ლოპიანას მსუქანი *ჯანრები* მოეტანა (მ. ჯავახ.) – ქეგლი. აქა-იქ წელმსხვილი *ჯანრები* დაიზოზებიან, მოუსვენარი მურწები დაბორიალობენ (რ. ინან. მეგობ. 143, 9).

აგრეთვე ქიზ. მენთ. ჯანარი მესხეთის მდინარეების ყველაზე დიდი თევზია (მ. ბერიძე 2005: 44). **ჯანარი** ჯანი, წყლისპირელი; **ჯანარი** (თევზის ჯიში) ზან. (მეგრ. ქობ.).

ჯანარი შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს, ჯან -ფუძე ეთნონიმია, ხოლო -არ სუფიქსია, -ურ (-ულ) სუფიქსის ბადალია და მიუთითებს წარმომავლობით კუთვნილებას, ნიშნავს ჯან-ურ-ს, ისევე როგორც ხრამული ნიშნავს მდინარე ხრამის თევზს და სადაც -ულ (-ურ) არის ასევე წარმომავლობითი კუთვნილების ფუნქციით, ოღონდ ხრამი მხოლოდ ჰიდრონიმია ჯანისაგან განსხვავებით (მ. ბერიძე 2005: 64).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჯანარი** 1. სისველე. ჯურჯელს ჯანარი არ უნდა შეჰყვეს («დიალ.») – ქეგლი. გამოვაშრობინებთ, რომ ჯურჯელს *ჯანარი* არ შეჰყვეს (გ.-კაბ. II, 1, 55). 2. ნახევრად ნედლი. ჯანარი ყანა. – ჯანარი ლობიო. – ჯანარი შეშა. 3. ნესტიანი. *ჯანარი* ამინდი იყო, ჟინჟლავდა და გზას ატალახებდა (გ. შატბ.) – ქეგლი. გაიშალე *ჯანარი* ბალახი ბლომად, დაწექი აი ასე, გულალმა, და უცქირე ვარსკვლავებს (რ. ინან. მეგობ. 104, 22). აგრეთვე: ალგ. სალ., ქართლ. ნოზ., ქიზ. მენთ.

ჭანგ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭანგი** [სპარს. ჩანგ] 1. ბრჭყალი, კლანჭი. აგერ, ჭანგებიც გამოუჩნდა. ჩანს მტაცებელი ფრინველია, მაგრამ რომელი? (შ. ამისულ.). **ჭანგოსანი** ბრჭყალიანი. რანიცა *ჭანგოსანნი* არიან (ეტლ. 5, 17). აგრეთვე ჯავახ. ზედგ. **ჭანგი** [სპარს.-თურქ.] ფრინველის ბრჭყალი ზან. (ლაზ. თანდ.). 2. სპეც. ფეხზე დასამაგრებელი ნამგლისებური კბილებიანი ლითონის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბოძზე ადიან. [ელექტრომონტიორმა] რკინის *ჭანგები*... მოიხსნა (კ. გამს.). 3. რკინის კაუჭი, ზოგჯერ რამდენიმე კაუჭი, ერთად გაჭედილი (ღუზის მსგავსად) – ქეგლი. || სახერხ ხარაჩოზე ხის დასამაგრებელი ქიმებიანი რკინა (მახ., გურ. ჯაჯან.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭანგი** უმეცარნი ღვინოსა მომმარებულსა რომელნიმე ჭანგს(ა) უწოდენ, რომელ(ნ)იმე კანჭსა. არც(ა) ერთია მათი სახელი – საბა. || სიმჟავე, ჭმახი – ქეგლი. გამოუგზავნა პური, ნაცარრეული და *ჭანგი* ღვინო (ი. ბარათ. 268, 13). ჭანგი || ჭვანგი „სიმჟავე, ჭმახი". ღვინოს *ჭანგი* მიცემია (ქორეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). **მოჭანგებული** მომმარებული, მოჭანგული. *მოჭანგებულია* ღვინო (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). თუ ოდნავ *მოჭანგებულია*, ვერ დავლევ იმასა! (ნაბახტ., ქართლ. მესხ.). **ღვინის მოჭანგება** – ესეც ავადმყოფობაა. ღვინოს გემო ეცვლება-მჟავე გემოს იღებს, საცა სიგრილე არ არის და ცხელა მარანში (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 107). შდრ. ჭანკი, წმახი, ჭმახი – დ. ჩუბ. || ჭანკი, მოჭლამკებული (ქართლ. მესხ.); კანჭი, მოკანჭვა (საბა, ვ. ბერ. რაჭ. ფრ.); მოჭვანკული (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 105).

ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება ჭანგი / ჭვანგი, ჭანკ / ჭვანკ- / ჭლანკ ვარიანტები. მჟღერი გ-სა და მკვეთრი კ-ს მონაცვლეობის სხვა ფაქტებიც გვხვდება: ბუნაკი || ბუნაგი, ბრგუ || ბრკუ, ნაკრტენი || ნაგრტენი (ქავთარაძე 1964: 329).

ჭანგიან-ი:

დიალექტ. I. **ჭანგიანი, ჭვანგიანი** მომჟავებული, მჭახე. ღვინო *ჭანგიანია* (ქორეთი); *ჭვანგიანია* ღვინო (სვერი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ჭანგი.

ახ. ქართ. II. **ჭანგიანი** ადგილი, სადაც ჭანგაა მოდებული. *ჭანგიანი* ველები... გვხვდება ოდნავ ვეძიან, თიხნარ შავმიწა ნიადაგებზე (ნ. კეცხ.) – ქეგლი. ჭანგიანი < ჭანგა [Agropyrum] ბოტან. საშუალო სიმაღლის, თავთავიანი და ფესურიანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა; აბეზარი სარეველაა, გავრცელებულია მინდვრებში. **ჭანგა** ერთგვარი ბალახია ზან. (ლაზ. თანდ.). ორივე ომონიმურ ცალი ნაწარმოებია კუთვნილების აღმნიშვნელი -იან სუფიქსით.

ჰანჭურ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰანჭური** 1. გამხმარი შავი ქლიავი – დ. ჩუბ. 2. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში. რას ამბობ. მთიულო, – გაეხმაურა ამ ლაპარაკზე ზამთრის ძილიდან გამოფხიზლებული *ჭანჭური* ცირცელსა (თ. რაზიკ.). 3. ამ ხეხილის ნაყოფი; მსხლის მოყვანილობისაა, პატარა და წვნიანი; ტკბილ-მომჟავო გემო აქვს. ქლიავი და *ჭანჭური* უნდა გააკეთოთ მურაბად (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. || ჭიანჭური (ჩვენ. ფუტკ.). || ჰანჭურა: ახლა ჰანჭურას გემო კ'არ აქ (ზ.-იმერ. ძოწ.). || ჰანჭური ქლივარი საუკეთესო ქლიავი (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. II. **ჰანჭურ** იგივეა, რაც ჰანაჲ. ჰოგო ჰანჭურ ინსან ხარა! (რა უხეირო ადამიანი ხარ!). ჰანჭურ-მანჭურ ნაყარ-ნუყარი (ინგ. ღამბ.). შდრ. II. ჰანაჲ.

ჰანჭყალ-ი:

სამ. ქართ. I. **ჰანჭყალი** ნაკლული ჭურჭლის ჯმა – საბა. || ჰანჭყარი სითხის ნჯღრევა ნაკლულ ჭურჭელში – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჰანჭყალი** ყვირილი, ანჩხლობა. „ამდონი *ჭანჭყალი* რავარ არ მეეწყინა მაგ ქალსა?!" (სტ.). აქვე: ჰარჭყალი უმიზნო, ზერელე, ხმამაღალი ლაპარაკი, ლაყბობა. „აღარ მოლიეს მაგ ჰარჭყალი?!" (ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჰაჭყანი ხმამაღალი უსიამოვნო ლაპარაკი. [ქორს] სოფლის ხმაურობა და ჰაჭყანი... ეჯავრებოდა (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

ჰაპ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰაპი** ბანდულთა და წაღათ შესაკრავი თასმა – დ. ჩუბ. || (რაჭ.) ქალამნის ამოსაკრავი თასმა ან წვრილი თოკი. ჰაპს დავიგრეხდით ქალამნის შემოსაკონად («დიალ.») – ქეგლი. *ჰაპი* მბილი უნდა იყოს, თვარა ფეხს მოგხრამს (რაჭ. კობახ.). *ჰაპს* დავიგრეხდით ქალამნი შემოსაკონათ, თუ არა, ქვე გაგვეხდებოდა ისე (ზ.-რაჭ. მრეწ. II, II, 197; ქვ.-რაჭ. მრეწ. III, I, 231). „*ჰაპი* გამწყვეტოდა და შინ ძლივაჲ მოვათრიე ქალმანი". **ჰაპიანი**: ჰაპიანი ქალამანი ლამაზად ამოსხმული, ზემოდან ლამაზად მოწნული ქალამანი. „წინათ ჩუსტები სად იყო, ან ვის ეცვა, ჰაპიან ქალმეფს რო ჩავიცომდით და გარეთ გავიდოდით, თავი იმით მოგვწონდა" (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. ჰაპვნა წვნა, დაწვნა. „შენ საქალმე მამიტა, თორე ჰაპვნა მეც კი ვიცი"; ჰაპნავს, ჰაპნის ლამაზად წნავს. „ნახე ეი პატრა ბიჭი დიდი კაცივით როგორა ეჰაპნამს ამ ქალმეფს" (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი ჰაპჰაპი ნაწნავი (ფერეიდ. ჩხუბ.). || ჰაპანი საბელი: „და სუეტნი კრეტსაბმელისა ბჭისა ეზოსანი.. და მანანი და *ჰაპანნი* მათნი... აღიხილენით" (G, რიცხ. 4, 32); „შჳდკეცი იგი *ჰაპანი*, ვითარცა თმაჲ ერთი, განხეთქა და თავი თჳსი გამოათავისუფლა კრულებისაგან" (Sin–97, 48r) – ილ. აბულ. დიდი *ჰაპანი* იშოვეს და დაამბეს ეს

ძროხა ბოსელში (მოხვა, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე: ჯავახ. ზედგ., ხევს. ჭინჭ., მთ. კაიშ., რაჭ. კობახ., ქიზ. მენთ., აჭარ. მრეწ. II, II, 244.

კ. კაკიტაძე შენიშნავს, ი. ყიფშიძე ჭიპის „უპე, მუცლის შუა ჩუბუტო“ (საბა) მნიშვნელობით მეგრულში ადასტურებს ჭაპან ლექსემას. და ეს იმის დადასტურების საბუთია, რომ ჭიპ-/ჭაპან- ლექსემები იდენტური მნიშვნელობისაა, და ალომორფების სახით წარმოდგებოდა. ჭაპანი „საბელი“მნიშვნელობებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ჭიპ-/ჭაპ ხმოვანმონაცვლე ძირის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო „თასმის“ „ღვედის“ აღნიშვნა (კაკიტაძე 2005: 98-99).

დიალექტ. II. ჭაპი ტაში (მესხ. ფეიქრ.).

ჭაპა:

საშ. ქართ. I. ჭაპა «მოდუღებული ტკბილი» (საბა) – ქეგლი.

დიალექტ. II. ჭაპაი, ჭაფაი მოწნული პატარა კალათი. ემას ჩონ *ჭაპაი* არ ვეზახით, ალიბეგლოში ზოგიე ვეზახიან; ზინამ *ჭაპაში* წიგნ (ქაღალდი) ჩააგა, თუთაი ნუ გაიწურასავ, შირაი (ტკბილი) ნუ გმოუდესავ (ინგ. ღამბ.).

ჭარტალ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ჭარტალი 1. ჭარდალი Ab) სომხურია, მრავალმეტყველს კაცს(ა) ჰქვიან ZA. ცხადად მრავალმეტყველი B. (+ ჭარტალი Cb) არს რიტორი, გინა ცხად–მოუბარი, გინა საჩინოდ მოლაპარაკე, გინა სწორედ მთქმელი, გინა... ჭარტალი – საბა. || იგივეა, რაც ენის ჭარტალი. ◊ **ენის ჭარტალი** გაუთავებლად და უადგილოდ ლაპარაკი, – ტარტარი. ხშირად ენის ჭარტალი... ფარავს ხოლმე ადამიანის უშინაარსობას (ი. ეკალ.). 2. ზედმეტისა და უადგილოდ მოლაპარაკე (ენა). ვისი ენაც *ჭარტალია*, მისი ყველა მართალია (ანდაზა). ენას ნუღარ სძრავ, თორემ ამ წიგნით მე დაგიბამ მაგ *ჭარტალ* ენას! (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. „ეგ ისრეთი *ჭარტალი* არი, არაფერი დაადგება ენაზე, ხელაჩი მიუტანს ამბავს.“ აგრეთვე ენაჭარტალა (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. II. ჭარტალი მაგარი, ძნელად დასამუშავებელი ხე (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. III. ჭარტალი მადნის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი უვარგისი მასა, ზოგჯერ იგი რკინეულს დაჰყვება ხოლმე გაჭედვისას (იმერ. გაჩ.).

ჭაჭ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ჭაჭი 1. ჭურჭლის (ცოდის, ჩხუტის და მისთ.) ტუჩი. ზოგ დურკს *ჭაჭიც* აქვ, ის კარგაცხ, გადმოსხმას ზე (რძე) არ დაგეღვრებ (თუშ. ცოც.). აგრეთვე ხევს. შან., ჭინჭ. || ჭაჭუნა (ხევს.) ტუჩგაკეთებული ჭურჭელი – ქეგლი. || ჭაჭუკაცხ ჭაჭის მქონე საწდე (თუშ. ცოც.). 2. (თუშ.) ნიკაპი – ქეგლი. მემრინას იცმ ცოლს *ჭაჭ* გუცკვრიტ, ცხენს ძუაზე

გამაჯბა-დ გადახკრ მათრაჯრ (თუშ. ცოც., ხუბ.). წინავ პატარძლებ ერთ წლამდ მანდილის ერთ ყურს, *ჯაჭს* (ნიკაპზე) ამრჯხვევდეს, სუც (სულაც) პირს არ აჩენდეს (თუშ. მრეწ. III, I, 89).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯაჭი** (მოხევ.) ასპიდის ფიქალი. [ელგუჯა] დერეფანში გაიყვანეს, სკამად გადებულს გრძელ *ჯაჭზედ* ჩამოსვეს (ა. ყაზბ.) – ქეგლი. || „გალიპული, რომლისგანაც ასპიდის ფიცრებს ამზადებენ". სახლებს აშენებდნენ ბასრის და *ჯაჭის* ქვით (ხევ. მრეწ. I, 194). ზემოდან გააწყობენ ჭერს, ზევით დახურავენ თხელ სიპ *ჯაჭს* (ხევ. მრეწ. I, 194). *ჯაჭებით* დაფენილ ადგილს ზღვა ერქვა („მაზღვაული სახლი") (ხევ. მრეწ. I, 196).

დიალექტ. III. **ჯაჭი** შარვლის ის ნაწილი, რომელიც სასირცხვო ალაგს ფარავს (ხევს. თავისებ. 265. 19). ვირიმც ჩაადნებ ნარუსალსაო, ნარუსლის ქალსა ქუჩალასაო, – ნიფხვის საწელე არ გამიბაო, *ჯაჭ* მაზბვრა, აღარ მამიკერაო (თსუფა, №6279) – ალ. ჭინჭ. შდრ. II. ჯაჯა.

ჯაჯა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯაჯა** 1. დაწურვილის ყურძნის ჩენჩო – დ. ჩუბ. || ყურძნის ნარჩენი ღვინის დაწურვის შემდეგ (კანი,. აგრეთვე კლერტი და წიპწა). ერთი ბოთლი *ჯაჭის* არაყი და ერთი ხაჭაპური წავიღეთ (ნ. დუმბ.). 2. საუბ. ჯაჭის არაყი. [მეღორეთუხუცესმა] *ჯაჭით* ყანწი ისევ შეავსო და მახარეს გაუწოდა (შ. არაგვ.) – ქეგლი. || ღვინოს მოვაცლით *ჯაჭას* თავზე, და იმის შემდეგ გაიკეთებს თეთრად თავზე და იმას ვეძახით პკეს (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, III, 107). || ღვინის *ჯაჭა* გვაქვს ხოლმე შანახული ქილაში თუ ქოცოში. ამოვიღებთ იმას ვარაუდით და ჩავდებთ ქვაბში, იმდენს ამოვიღებთ, რომ არც ცხარე მოვიდეს, არც უნდილი (შ.-კახ. მრეწ. III, II, 36). აგრეთვე: გურ. ჟღ., ინგ. მრეწ. IV,III, 91. || ჭეჭა (ინგ. ღამბ.). 3. (ქიზ.) ფიჭის ნარჩენი – ქეგლი. თაფლს რო ფიჭისაგან გამოვწურამთ, რაც დარჩება, გაწურული ფიჭა, ის არი *ჯაჭა* (ბროწლ.). აგრეთვე რუისი (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ფაჭა «ცვილის ნაწური» (საბა), დამდნარი ფიჭის ნაძირალი (ქიზ. მენთ.).

ჯაჭა ფუძე ქართველურ ენებში საერთოა; მნიშვნელობაც ერთი და იგივეა (ჩიქობავა 1938: 134).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯაჯა** იმერულად, თირკმელი ან სუკი – დ. ჩუბ. || (გურ. იმერ.) იგივეა, რაც თირკმელი. ჯერ ციებ-ცხელება მაწვალებდა, მერმე რაღაც დამწიფდა *ჯაჭებთან* – ოპერაცია გამიკეთეს (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. ერთი ჯაჯა არა აქ (ზარანი); *ჯაჭების* ტკივილი აქ (ფარცხნალი, ზ.-იმერ. ბოწ.). ფელიკებ(ს) ავაცლით *ჯაჭათან* შიგნი ქონს, რცმელა ქცია იმას (ზ.-რაჭ. მრეწ. IV, I, 200). **ჯაჯა** თირკმელი ზან. (მეგრ. ელ.). იხ. (ბუკია 2006: 72).

დიალექტ. **III. ჭაჭა** ფოჩი. თვალუკეებ მოვავლებდით თეთრი *ჭაჭა* ბაფით (ჭაჭა ბაფი) მოქონდათ, ცო-ცოტა იყო, არაფერზე არ ეხვია, ისე იყო ალამბული *ჭაჭათ* ან წვანეთი, ერთია, რომელიც უნდა იყოს, ამას მაინც დავლებულს უმახოდით (ზ.-რაჭ. მრეწ. II, II, 198).

ახ. ქართ. **IV. ჭაჭა: ჭაჭაჭუჭი** იგივეა, რაც ჭრიალი. მხოლოდ ესმოდა [გიორგის] ქარის შტვენა, ...მუხის ფოთლების აღგზნებული შრიალი, ტოტების *ჭაჭა-ჭუჭი* (შ. არაგვ.). იგივეა ჭრაჭა-ჭრუჭი ხმაბაძვ. ჭრიალი, ჭრაჭუნი. მოგვესმა კაკლის ტოტების შრიალი და ჭრაჭა-ჭრუჭი (ნ. ლომ.) – ქეგლი.

ჭაჭან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭაჭანი** 1. ერთი ბეწო, ძალიან მცირე რამ; არაფერი. [ეშმა] ქმრეულთ საფარველს გადაზდებს, ქისტებ ვერ რნახვენ *ჭაჭანსა* (ხევს. პოეზ. 666, 11). არ მაქვის ყანწის *ჭაჭანი,* არაყს რო ჩავასხემდია (ხევს. პოეზ. 673, 12). სამ დღე ალაგზე დავლიე, ვერ ვნახე კაცის ჭაჭანი (ალ. ოჩ. 193, 28). აქვე: ჭაჭანდასალევი, ჭაჭანი დაელევის და სხვ. (ხევს. ჭინჭ.). 2. ჭაჭანი, ჭაჭანება. კაცისა არსად მინახავს *ჭაჭანი* (ვაჟა) – ქეგლი. || ჭაჭანება ჩამიჩუმი – დ. ჩუბ. ჭაჭანება სახელი ჭაჭანებს ზმნის მოქმედებისა, – რისამე არსებობის ნიშანი (იხმარება უარყოფითს წინადადებაში). რამდენიმე კვირის განმავლობაში ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი *ჭაჭანებაც* აღარსად იყო (აკაკი) – ქეგლი. || ჭეჭანი (ხევს. ჭინჭ).

დიალექტ. **II. ჭაჭანი** ბევრი განუწყვეტელი ლაპარაკი (ქართლ. ძიძიგ. კეცხ., ხუბ.). **ჭარჭალი (ჭარჭალ/რს)** ბევრის ხმიანობა ზან. (მეგრ. ქაჯ.). შდრ. I. ჭარტალი.

ჭაჭვ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭაჭვი** პეშვი, ორი ხელი მომუჭვილი, ბღუჯი – დ. ჩუბ. ჭაჭვი (გურ. იმერ.) ცალი ხელის პეშვი, – ნახევარპეშვი. ერთი *ჭაჭვი* მარილი ჩემ თავს ნუ გირჩევნია! (პ. ირეთ.). *ჭაჭვით* გამორწყული წამალი... სად გაგონილა?! (პ. ჩხიკვ.) – ქეგლი. „გამჩენელის გულისათვის ერთი *ჭაჭვი* წყალი მასვი“ (ზ.-აჭარ. ნიჟ.). „ერთი *ჭაჭვი* ფქვილი არ მაქ, რო საფანელათ ვიხმარო“ (ჯავახ. ზედგ.). ჭაჭვი ხელის მტევანი (დუზჯ. ჩელებ.). აგრეთვე: მესხ. ფეიქრ., გურ. ფოლკ. ღლ., 204.

დასტურდება ზმნური ფორმები: **მოჭაჭვა** ახლად გაკეთებული ყველის მაგრად მოწურვაზე ითქმის „ყველი ისე მოვჭაჭე, რო შრატი სულაც არ გაჰყოლია“ (პ. თონ.). გაჭაჭვა კი ნიშნავს: ა) ცხიმის სავსებით გაცლას (რძისათვის) „ჩემი მეზობელი ისე შჭაჭამს რძესა, რო იმისი მაწონი არც კი იჭმევა“ (პ. თონ.). ეს სეპარატორი ისე სჭაჭამს რძესა, რო ჟღინტლი ცხიმიც კი არ არ გასდევს (პ. თონ.). ბ) ფქვილის ძალიან გაცრას. „ისე გაუ-

ჰაჭია, რო მთელი ქატო გაუყოლებია“ (ჰ. თონ.). შესაძლოა, მოჰაჭვა თავდაპირველად მხოლოდ ყველის მოწურვაზე – ითქმოდა, როცა მას სახელდახელოდ მუჭით ანუ ჰაჭვით წურავდნენ; მოჰაჭვაც შეიძლება აქედან იყოს წარმომდგარი ვინის ჩავარდნით; მოჰაჭვავს > მოჰაჭავს (ალგ. სალ.).

დიალექტ. **II. ჰაჭვი** (ფერეიდ.) ჯაჭვი. ძვ. ქართ. ჯაჭუ > ჯაჭვი > ჰაჭვი (ფერეიდ. ბერ., ბაკურ., 294). ჯაჭუ «რკინა», ჯაჭვი, ბორკილი, ჯავშანი, «ჯაჭუჭური» – ილ. აბულ. აგრეთვე ქეგლი. ს.-ქართველური *ჯაჭუ არქეტიპი აღადგინა ბ. გიგინეიშვილმა (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990).

ჰაჭვა:

დიალექტ. **I. ჰაჭვა** ბალახი – როგორც დარგული ხე ისეთია; იცის ტოტების გაკეთება; ტოტების თავში პარკს იკეთებს. იმ პარკში არის მრავალი ქინძისთავისოდენა მარცვალი (ზ.-ქართლ. მრეწ. IV, II, 197).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჰაჭვა** სახელი იჭაჭება ზმნის მოქმედებისა, – ძაბვა, ჭიმვა. მოჰყვა ტუჩების ცმაცუნს და *ჭაჭვას* (ს. მგალობ.) – ქეგლი. || გადატ. ჭლაჭვა, ქაჩვა, ამპარტავნობა (იმერ. ბერ.). შდრ. I. ჰაჭუა.

ჰაჭუა:

საშ., ახ. ქართ. **I. ჰაჭუა** გველი (საბა) – ქეგლი. შდრ. II. ჰაჭვა.

დიალექტ. **II. ჰაჭუა**/ე.-ი ყველი; **ჰაჭუტა**/ე.-ი ჩვილი, ახლად ამოღებული ყველი (გურ. ჟღ.).

ჰახა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჰახი, ჰახა** (ხევს. ფშ.) იგივეა, რაც წილი – ქეგლი. იხ. I. ჭიხი.

დიალექტ. **II. ჰახა: ჰახის გადენა** გადატ. გარტყმა, სილის გაწვნა. „ერთი კაი *ჭახა* გაადინა ლოყაში“ (ქართლ. ღლ.). „ერთი ისეთი *ჭახა* გაადინა ყბაში, რო მიწაზე გააგორა“ (გ.-კახ. სახლთხ.). შდრ. ჭეხა კუთხ. (ფშ. ხევს.) იგივეა, რაც ჭექა. ხმა ალუდაის თოფისა ჭეხასა ჰგვანდა ცისასა (ვაჟა). შდრ. ჰახაჭუხი. იხ. I. ჭახანი.

ჰახან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჰახანი** გატეხის, დაჯახების, თოფის გავარდნისა და მისთ. მკვეთრი ხმა. ხირიმი ყელში დავნიშნე, თოფმა *ჭახანი* გაიღო (ბაჩ.). [გვადიმ] მოქნეული ყამა [ფორიას] თავში დასცა *ჭახანით* (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი. აგრეთვე მოხ. ყაზბ. I, ძიძიგ.

დიალექტ. **II. ჰახანი: ჰახანი ამინდები** ცუდი, უვარგისი ამინდები (აჭარ. ჯაჯან.).

ჯახია:

ახ. ქართ. I. ჯახია ენტომ. ერთგვარი ხოჭო ფოთლიჭამიათა ოჯახისა – ქეგლი.

დიალექტ. II. ჯახია მოფერ. ცხვარი (ბავშვის ენაზე). „ნახე, რა ლამაზი *ჯახიები* გვყავ!". აქვე: შდრ. ჯახი-ჯახი! ცხვრის მოსახმობი შეძახილი (გ.-კახ. სახლთხ.).

ჯახჯახ-ი:

ახ. ქართ. I. ჯახჯახი 1. ზოგი ფრინველის მაღალი და მკვეთრი ხმიანობა. შაშვები ჩხიკვს დასდევდნენ *ჯახჯახით* (ვაჟა). ფიგურ. თქვენი *ჯახჯახით* ლაპარაკი მიყვარს (ლ. არდაზ.). 2. იგივეა, რაც ჯახა-ჯუხი. გუგუმ გაავლო ხელი და ისეთ რიგად მოუჭირა, რომ ქალს ძვლებმა *ჯახჯახი* დაუწყეს (ა. ყაზბ.). *ჯახჯახი* გაჰქონდა კლდეს (რ. ინან.) – ქეგლი. იხ. II. ჩახჩახი.

ახ. ქართ. II. ჯახჯახი ჩახჩახი. ცა მოკრიალებული იყო, ვარსკვლავებს *ჯახჯახი* გაჰქონდათ (ა. ერ.-ხოშტ.). შდრ. I. ჩახჩახი.

ჯახჯახა:

ახ. ქართ. I. ჯახჯახა 1. ხმაურიანი, ტკაცუნა. *ჯახჯახი* ყინვის სუსხით იყო ჰაერი შეკრული (დ. ბაქრ.). || გადატ. ბევრი ლაპარაკის მოყვარული, – ყბედი. მე შემეძლო გამომეცადა ჩემი თავი... ერთ-ერთ *ჯახჯახა* ორატორზე (ქ. ბაქრ. თარგმ.). 2. ზოოლ. ერთგვარი წითელფრთიანი ხოჭო, რომელიც ხმას გამოსცემს მუცლის ბოლო ნაწილის ხახუნით ფრთის საფარზე – ქეგლი. შდრ. II. ჩახჩახა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ჯახჯახა კაშკაშა, მოელვარე, მბრწყინავი. ჟამიდან ჟამზე გული მიღონდებოდა. მერე ისევ ცნობაზე მოვდიოდი და ისევ იმ *ჯახჯახა* ვარსკვლავს ვხედავდი (კ. ლორთქ.) – ქეგლი. || მკვეთრი წითელი. წითლიანი რო არი, მხიარული ფერი, იმას ეტყვიან, *ჯახჯახა* ფერი ააქო (ოძ.); *ჯახჯახა* კაბა აცვია ხავილაანთ პატარძალსა (ქვ. ჭ.); აგრეთვე ქემ. (ქართლ. ლექსიკ.). იხ. I. ჩახჩახა.

ჯევლ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. ჯევლი „მდინარის ჩაციმციმება, მდინარის ციმციმი" (საბა). || ჯავლი. წყალს თელხი დაჰკრავდა, *ჯევლი*შეინძრეოდა, შეითამაშებდა (აკაკი) – ქეგლი. იხ. I. ჯავლი.

დიალექტ. II. ჯევლი 1. მკის დროს სვეში ფენა-ფენა დაწყობილი მომკილი პურის ან მოჭრილი ჩალის ხელეური. ის, რასაც მკის დროს ერთ ხელში დეიჭერ, ხელაურია, ძირს როცა დააწყოფ ხელაურეფს, *ჯევლია*. ძნაში 10-12 *ჯევლი* შევა (ხევი); პურს ვმკიდით ნამგლით, ჩალას მოვჩეხდით, რასაც დევიტევდით ხელში პურს ან ჩალას, იმას მიწაზე დავდებდით, ეს არი *ჯევლი*. მერე იმ ჯევლეფს შევაგროვებდით და შევკონძმდით. კონაში *ჯევლი* 20 მაინც იქნებოდა. ჯევლი პატარაა (ბერეთისა); პურს რო მოვმკი-

დით, ჭევლებათ დავალაგებდით, მერე მოვიტანდით წკნელს, *ჭევლეფს* მოუყრიდით თავს და შევკონიდით, იმა ქვია ძნა (ზვარე); მოვჩეხამთ სიმითს, დავაწყოფთ *ჭევლებათ* (ბორითი); რო ყრია პური შოუკონავი, რო მოვჩეხამთ ნამგლითა, ჭევლია (წიფა). 2. ერთ მწკრივში (ღვარეულში) ჩაცელილი პური. პურს რო ჩაცელამ, რასაც ერთი ცელი მოცელამს ყანის დასაწყისიდან ბოლომდე, სანამ შეკონიდე, *ჭევლია* (ჩხირაული); მოცელილი პური რო დაცვივა მიწზე, ის არი ჭევლი (შომახეთი); ღვარეულში რაც მოიჭრება, ის პური რო დეეწყობა მიწაზე, იმას ქვია *ჭევლი* (არგვეთი); ჭევლეფს რო მივდევთ და ვკონით, ის ძნა არი უკვე (ჯალაურთა, ზ.-იმერ. ძოწ.). || ჭელი: (ზ.-აჭ.) მჭელეული, ერთი ხელის დაჭერა ბალახი, ჩალა და მისთ. (აჭარ. ნიჟ.). || მჭელი (ჩვენ. ფუტკ.). ძვ. ქართული მჭელი-მუჭი, მუშტი, მჯიღი, ძნა (ილ. აბულ.). მჭელი < ჭელი>ჭევლი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მჭელი მუჭეულისაგან მომდინარედ ითვლება. ძველ ქართულ მჭელში რედუცირებულია უ ხმოვანი (ჭინჭარაული 1985: 120-129). აღდგენილია ს. ქართვ. *მჭელ- „მუჭი; პეშვი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **III. ჭევლი: ენის ჭევლი** კარგი, დაწყობილი ლაპარაკის უნარი. „ენის *ჭევლი* ქე აქ, ნუ გეშინია!“ (იმერ. გაჩ.). შდრ. მჭევრი ძვ. მჭევრმეტყველი, ენამეტყველი, ენაწყლიანი. 2. ლამაზი, მოხდენილი, შნოიანი, კოხტა – ქეგლი. სიტყვა ნატიფი მჭევრები (ვეფხ. 1336, 1). შდრ.ფერები *ჭევრი* ირევა ბევრი (გ. ტაბ.) – ქეგლი. ჭევრი ჭრელ-ჭრელი; მკვეთრი ჭევრი სხვადასხვა სიტყვის გვარია (წაქაძე 1976).

ჭეო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭეო** 1. «კლდის ნაწყობი» (საბა), – ფიქალი. 2. (იმერ.) ბოლქვის წილაკი, – კბილი (ქეგლი).|| ნივრის თავის ცალკე კბილი „ნივრის თავს აქ *ჭეოები*“ (ზ.-იმერ. წერეთ.). ნივრის თავი შედგება *ჭეოებისაგან* (ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 49). 3. იგივეა, რაც ბღუჯა – ქეგლი. შდრ. ოჭეოჭე ფენა-ფენა, ქვები ოჭეოჭე იყო მიწყობილი (რაჭ. კობახ.). ჭეობი ზოლი. ბორჯომელას რგვალი კაკალი აქ და *ჭეობები* (ზედა საქარა, ზ.-იმერ. ძოწ.). ჭევალი (ლეჩხ.) იგივეა, რაც ჭეო – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭეო** ფიჩის უჯრედში დაგროვილი ყვავილის მტვერი (ფუტკრის საკვებია). ფუტკრები ნექტარსა და ყვავილის მტვერს აგროვებენ და ამუშავებენ, ნექტარს – თაფლად და მტვერს – *ჭეოდ* (ვ. ერისთ.). ფუტკრები *ჭეოს* ურევენ თაფლსა და წყალსა და პატარა ბარტყეფს იმითი კვებამენ (კავთ., ქართლ., მესხ.).

ჭერა:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭერა** 1. სახელი იჭერს ზმნის მოქმედებისა: ხელში (პირში...) მოქცევა, ხელში ჩაგდება (ცოცხალი არსებისა). ლექსო უკვე ქათმების *ჭერას* შეუდგა (ვაჟა). მშობლებმა ასწავლეს...

[ბარტყებს] პატარა ბუზების *ჭერა* (ი. გოგებ.). [მიხოს] ეხალისებოდა თევზების *ჭერა* (თ. რაზიკ.). 2. (ხელში) პურობა, ხელში ქონა. განა არ ვიცი, რომ [დავითი] სხვებსავით ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის *ჭერითა!* (ილია). 3. დაპატიმრება. მატულობდა *ჭერა* და დატუსაღება მუშებსა და ჯარისკაცებს შორის (დ. კლდ.). 4. ქირით ქონა. ზოგგან *ჭერა* მიწისა ვადით არის (ილია). 2. **ჭერა** სახელი უჭერს (მნიშვ. 2, 1) ზმნის მოქმედებისა. ◊ (ვისიმე) მხრის ჭერა (ვისიმე) მხარეზე ყოფნა, გვერდში დგომა. ვერ შევბედე იმის მხრის *ჭერა*, ვერ მოვკვდი, – სული მეტკბილა (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თევზჭერა. ჩხრეკა-ჭერა – ქეგლი. შდრ. დაჭერა «წევა», მიწევნა (ილ. აბულ).

დიალექტ. **II. ჭერა** ცქერა. [ბაჯათ ბაჯამ] დვირბინით *ჭერა* დაიწყა, თვალი შააგდა მზირთაო (ხევს. პოეზ. 677, 4). შაჰდეს მენადირენი მთაზე და მასთხოეს კიდე ჯვარს მადლი და ამაიღეს დვირბინები, დაიწყეს ნადირის *ჭერა* (ბ. გაბ. 193, 26); წამავალ სანადიროდა, ჯიკვებს დაუწყებ *ჭერასა* (ხევს. პოეზ. 545, 1) – ალ. ჭინჭ.

დიალექტ. **III. ჭერა** თოფის ეპითეტია. *ჭერამა* შიშნიაისამ ტყვია დალალა ჩქარია (ხევს. პოეზ. 102, 9). შიშნიავ, ნუმც შაგეკსნება წელზედ ნაბამი ჰმალიო, ნუმც გაგიტყდება *ჭერაი*, არხოტის რკინის კარიო! (ხევს. პოეზ. 102, 13). იხ. I. ჭერემი.

ჭერემ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭერემი** (ხევს.) ერთგვარი თოფი – ქეგლი. თოფის *ჭერემის* ტყვიამა შორით დაგიძრა ტანია (ხევს. პოეზ. 30, ბ. 2) (ალ. ჭინჭ.).

დიალექტ. **II. ჭერემი ჭერამი.** „ჩვენ ჭერამი ვიცით, საგარეჯოდ რო გავცდებით, იქაურები ამობენ *ჭერემ!*" (გ.-კახ. სახლთხ.). აგრეთვე ქიზ. მენთ. || ჭერამი [სომხ.] მცენ. – დ. ჩუბ. || ჭერამა (არუჯ Ca.; წირან ZAaCD.) (ხე) – საბა.

ს.-ქართვ. *წი-რ-ან „წითელი; ჭერამი" → ქართ. წირან-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ.აგრეთვე ზ. მაყ.

ჭერეხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭერეხი** რიყის ქვა; რიყე. ფართხალებდა იგი *ჭერეხზე* ამოგდებული კალმახივით (ნ. დუმბ.). სულ *ჭერეხებივით* ეყარნენ დაჭრილ-დახოცილები (ი. მაჭავ თარგმ.) – ქეგლი. აგრეთვე: ქიზ. მენთ.; მესხ. ფეიქრ. || **ჭერეხი: ჭერეხივით აყრია** (ეყარა) ძალიან ბევრი რამე ყრია (ეყარა). „იტყვიენ: *ჭერეხივით* აყრიაო, როცა ბევრი ასხია ხილს" (იმერ. გაჩ.).

ახ. ქართ. **II. ჭერეხი** [Aspius aspius] თევზია ერთგვარი; წაგრძელებული სხეული აქვს 60-80 სმ სიგრძისაა; 2-4 კგ წონისაა; ჩვენში გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს წყლებში. წითელტუჩა ჭერეხი – ქეგლი.

ჰეჭყა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰეჭყა** (ფშ. თუშ.) მოზვერი – ქეგლი. შდრ. III. **ჰოჭყი.**

საშ., ახ. ქართ. II. **ჰეჭყა** ვჰსჭყლეტ, ვჰსჭღლი – დ. ჩუბ. შდრ. **ჰეჭყ**: ნა-ჰეჭყურა/ე-ი აბრეშუმის ცუდი პარკი; აბრეშუმის «ამოღების» შემდეგ დარჩენილი ჭიები (ვ. ბერ.). ნაჰეჭყურე ცუდი აბრეშუმის პარკი. „წროუნდელი პარკი არ ვარგა, თლათ *ნაჰეჭყურეა*“ (რაცხ. გურ.).

სვანური ჟეშყ- || ჟაშყ-, არის ქართული (აგრეთვე ქართველური) *ჯეჭყ- ფუების შესატყვისი, რომელიც დღევანდელ ქართულში ასიმილაციით შეცვლილია **ჰეჭყ**-ად (გიგინეიშვილი1997: 91).

ჰვანგი

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰვანგი** 1. ჰანგი, ბრჭყალი. [ლომი] საქონლის ჯელგას დაერია; ხან ერთს მივარდება და ხან მეორეს და ახრჩობს: ზოგს – *ჰვანგებით*, ზოგსაც – კბილებით (თ. სახოკ. თარგმ.) – ქეგლი. მელას ჩაუტყავებდით *ჰვანგებს* და გავაყოლებდით ტყავს (ზ.-ქართ. მრეწ. IV, 1, 161). *ჰვანგებით* დეეპოტნა სახე (ზარანი, ზ.-იმერ. ძოწ.). **დაჰვანგვა** ბრჭყალებით, ფრჩხილებით დაკაწვრა. თუ საფუხარი არ გევიკეთეთ ხელზე, ხელს გვატკენს, დაგვჰვანგავს (გურ. იმნ.). 2. ნესტარი. „ჩემი თვალით დევნახე, ქორმა რაფერ ჩაარჭო ჰუჰულს *ჰვანგი*“. „*ჰვანგიან* ფრინველს დღე მოკლე აქ“ (აჭარ. ნიჟ.). 3. კარები როდესაც გვინდა შევაერთოთ [შევკეროთ], კუთხით ვხვრეტავთ ბაზოს და იმას ვეძახით ქანს, ყდებს კი კბილს უკეთებთ გასამაგრებლად, რომელსაც ხის ლურსმანს ან *ჰვანგს* ვეძახით (ქართ. მრეწვ. I, 221). 4. ვაზის მუხლთან, მტევნის ადგილას, უნაყოფო წამონაზარდი, რომელიც ძაფივით ეხვევა სარს, – ვაზის ულვაში (ქეგლი). ხარდანზე დახოლია ჰვანგი (სანახშირე). შპალიანი ვენახი რო გვაქ. ჰვანგი სინებზე შამეეხოვა (განთიადი); „ჰვანგები ვაზისა – გრძელი, წვრილი, დაგრეხილი წამონაზარდი: ზოგჯერ მას ულვაშებს ეძახიან. *ჰვანგები* შემოეხვევა ხოლმე ხარდანს“ (ზ.-იმერ. წერეთ.). იხ. I. **ჰანგი.**

დიალექტ. II. **ჰვანგი** სიმჟავე, ჭმახი, – **ჰანგი**. ღვინოს *ჰვანგი* აქ (შროშა, ზ.-იმერ. ძოწ.). მოჰვანგა ღვინო, შეპარული აქ სიძმარეი (შროშა, ზ.-იმერ. ძოწ.). მოჰვანგული, მოჰვანკული, იგივეა, რაც მოჰანგული – ოდნავ მომძმარებული (იმერ. ქავთ.). იხ. II. **ჰვანკი, II. ჰანგი.**

ჰვანკ-ი:

დიალექტ. I. **ჰვანკი** ფრჩხილი, ბრჭყალი. „ერთსა *ჰვანკი* ჩამოკრა მეგემ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). || ფრინველის ფეხის თითი ბრჭყალით (იმერ. გაჩ.). || კლანჭი (გურ. შარაშ.). იხ. I. **ჰვანგი.**

დიალექტ. II. **ჰვანკი** ღვინის სიმჟავე, დაძმარება. . „*ჰვანკის* გემო აქ ღვინოს“. **ჰვანკმა გაკრა** მომჟავდა, ჰვანკიანი გახდა (ღვინო). „*ჰვანკს* გოუკრავს ამისთვინ, ამოუწვათ უნდა გოგილდი“. (იმერ. გაჩ.). **მოჰვანკება** ღვინის მცირედ მოძმარება. „უჰ, მოჰვანკება არ დოუწყია! *ჰვანკს* გოუკრავს ხელი“ (იმერ. გაჩ.). || **ჰანკი** წმახი, ჭმახი – დ. ჩუბ. იხ. II. **ჰვანგი.**

ჭვირ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. **I. ჭვირი, ჭჯრი** შეხედვა (საბა.). შდრ. ჭჯრობა ხედვა, ჭვრეტა: „ასული იგი საულისი *იჭჯრობდა* სარკულმლით გამო“ (O, II, მფ. 6, 16); „სარკულმლით სახლისაგან მისისა გზასა ზედა ჭჯრობს“ pb – „სარკულმლით სახლისა მისისაჲთა უბანთა გარდამოიჭჯრობნ“ (O, იგ. სოლ. 7, 6) – ილ. აბულ. ჭვირობა 1. გამჭვირვალობა. 2. ძვ. ჭვრეტა, მზერა, ცქერა – ქეგლი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია არქეტიპი ს.-ქართვ. *ჭურ- „ჭვრეტა, მჭვრეტი, საჭვრეტი“ (ჩუხუა 2000-2003).

საშ., ახ. ქართ. **II. ჭვირი** სხივი (რამეში გამოტანებული). || ძვ. შუქი. თეთრთა კბილთათ გამოკრთების თეთრი ელვა, ვითა *ჭვირი* (რუსთაველი) – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ.: *ჭუჩუ- (ფენრიხი სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **III. ჭვირჩ** კოჭის ამოთხრილი გვერდი (თუშ. შან., ცოც.). იხ. I. ჭური.

ჭვიტინ-ი:

ახ. ქართ. **I. ჭვიტინი** მალვით ცქერა, ჭვრეტა, ჭიტინი. ბახვას... არ დავიწყებოდა... [ესმას] მწვავი და გულის გასაგმირი თვალების *ჭვიტინი* (გ. წერეთ.) – ქეგლი. შდრ. I. ჭვირი.

ახ. ქართ. **II. ჭვიტინი** იგივეა, რაც ჭყვიტინი. [ძაღლის] ყეფას შეუერთდა რაღაც უცნაური *ჭვიტინი* თუ ღრუტუნი ზღვის ღორისა || (ნ. კურდღ. თარგმ.) – ქეგლი. შდრ. ჭყვირვა, ჭყვირება ღორსავით ვჰყვირი – დ. ჩუბ.

ჭიან-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჭიანი, ჭიიანი** ხილთათვის ჭიანაჭამი – დ. ჩუბ. 1. რასაც ჭია აქვს გაჩენილი, – დაჭიანებული, ჭიანაჭამი. განა... ჩემი ცხოვრება ფუჭი არ იყო, ფუჭი, როგორც *ჭიანი* კაკალი? (ეკ. გაბ.). 2. დაავადებული, გაფუჭებული (კბილი). *ჭიანი* კბილი კაკალს ვერ გატეხსო (ანდაზა). || საუბ. ავადმყოფი, სუსტი. იმასაც ვნახავთ, ვისაც მიათხოვებს თალალა თავის *ჭიან* ქალსაო (ა. ცაგარ.). 3. რაზედაც ჭია არის წამოცმული. თევზებს ვიჭერდი *ჭიან* ანკესით (ვ. გაფრ.) – ქეგლი. ჭიანი: იან სუფიქსი. ძირი ჭია (ბოჯუქ D.; ჭიჭუ D.) (მძრომ.) ესე არს აბრეშუმისა და ყაჭის მატლი; ხოლო ჭუა – სხვანი წვრილნი მძრომნი; და ბობოლი – მათი უდიდესი მძრომნი ZA. (მძრომ.) – საბა. || ჭიეანი: დავრდომილსა ქუეყანასა შინა მატლეანსა და ჭიეანსა აღმოეკრის მას [H=622 73r, 11-13] – ზ. სარჯ.

დიალექტ. **II. ჭიანი** 1. ჭენება. – ბაღნობას ძაან მიყვარდა ცხენით *ჭიანი* (რაცხ. გურ.). 2. ჭიანი, გამოჭიანება, ჭენება მეტაფ. გალანძღვა, გათრევა. «თავი დამანებე, თვარა საქვეყნოთ გამოგაჭიანეფ“ – ვ. ბერ. შდრ. ძვ. ქართ. **ჭენებაჲ** ლანძღვა. „გინებითა და *ჭენებითა* გამოასხნეს იგი ბრძანებითა სჳნკელოსთაჲთა“ (მ. ცხ. 122, 25); „ძლევისმოყუარებითა *ჭენებაჲ* ურთიერთას გამოუცდელობა არს“ (A=689 33r, 13-16a) – ილ. აბულ.

ჭივჭავ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჭივჭავი** [სპარს. ჩივჩავ] [Carduelis spinus] პატარა მოყვითალო-მომწვანო ჩიტი ბეღურასნაირთა რიგისა. 1. კუალად მოვიდა სირი *ჭივჭავი* (ქ. ცხ. IV, 512, 23). ერთი *ჭივჭავი* რომ ყაფაზიდამ გაფრინდეს, ტაშის დაკვრა რას უშველის (ხოსრ. 56, 32). მიმინომ ჩიტი შეიპყრო, ერთი საწყალი *ჭივჭავი* (ვაჟა). 2. უხმარიათ ბეღურას მნიშვნელობით. ერთმა კაცმა ბეღურა ჩიტი *(ჭივჭავი)* აიყვანა და დაუწყო საფეთქად ზრდა (აკაკი) – ქეგლი. || ჭავჭავი. ორთა ჭავჭავთა ერთსა ხისა შტოთა ზედა ბუდე ედგა (ქილ. 323, 3). ტრედის ხუნდი და ჭავჭავი შემწუარი, ესე ყუელა მარგე არის (ქანან. 235, 35). აგრეთვე ქეგლი. || ჭივჭივი: „არა თუ ჭივჭივნი ოდენ გამოვლენ წჳმისაგან... არამედ თაგჳცა და მყუარიცა“ (ბ. კეს-ექუს. დღ. 124, 26) – ილ. აბულ.

დიალექტ. **II. ჭივჭავი** არ ისმის სიჩუმეა, ჩამიჩუმი არ ისმის. არავინ იყო, *ჭივჭავი* არ ისმოდა (ქემ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. ჭაჭანი.

ჭიკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭიკი** (ქართლ.) იგივეა, რაც თითისტარი – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭიკი** სათამაშო კოჭის ერთ-ერთი, ჩაღრმავებული მხარე, – ზეჭური (ქეგლი). აგრეთვე ჯავახ. მარტ. || წიკი (ჯავახ. მელიქ.).

დიალექტ. **III. ჭიკი**: ცხორს რო კლვენ, კირისტავებჩი აქს კოჭი, ბატარა ძოლი, ერთ ჯარაზე იტყვიან დოქიო, ერთ ჯარაზე იტყიან *ჭიკი*, ერთ ჯარაზე იტყიან ჯარი და ასპი, რომელ ერთიც რო დალურსნილია, ისი დოქია და ის ერ ჯარა ჩულურია -*ჭიკია*“(ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. III. ჭუკი. შდრ. I. ჭიტი.

დიალექტ. **IV. ჭიკი** ვიწრო, მოჭერილი. წეკვაით გაკეთებულსა *ჭიკ* პაპიროზებს მავსწიე (ხევს. ჭინჭ.). **გაჭიკებული** შემოჭერილი. „ისრი გაჭიკებული სარტყელი ჰქონდა ბესიასა რო სულს ძიღა იქცევდა“ (მოხ. ღუდ.). შდრ. მჭიკე „მოჭერილი, მჭიდრო“ (ავთ. არაბ.) – ალ. ჭინჭ. ამ სიტყვის შესახებ იხ. აგრეთვე არაბული 2001: 149.

ჭიკა:

დიალექტ. **I. ჭიკა** სათამაშო კოჭის მუცელი, ჭუტი (იმერ. ვ. ბერ.). იხ. II. ჭიკი.

დიალექტ. **II. ჭიკა** 1. ყრუ. „ნამდვილი ყრუ-*ჭიკაა*“. 2. ყრუ ადამიანის მეტსახელი (ჯავახ. ზედგ.).

დიალექტ. **III. ჭიკა** ცრუმორწმ. ჭინკა. რივნიპირზე *ჭიკების* ნაფეხურები ვნახეო (რაჭ. კობახ.). შდრ. ჭინკანი ალი, ავი სული. ჭინკანს, ჭინკნებს უმახიან ციგნებსაც. ჭინკნი ქალი ალიქალი, ამასთანავე ციგანი ქალი (ჯავახ. ზედგ.). ვფიქრობთ, ჭლიკა > ჭინკა > ჭიკა.

ჭიკარტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭიკარტი** 1. [Veronica polita ბოტან. ერთწლიანი, ცისფერ- ან თეთრყვავილა პატარა მცენარე შავწამალასებრთა ოჯახისა; სარეველაა – ქეგლი. 2. ახლად ამოჩენილი, ოდნავ დაძრული ბალახი ადრე

გაზაფხულზე. ჭიკარტობა ადრე გაზაფხული (ფშ. ხორნ.). აგრეთვე ჭიკარტა (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭიკარტი** 1. იგივეა, რაც კნოპი. 2. (იმერ.) იგივეა, რაც ლურსმანი – ქეგლი. ლარტყის ლურსმანი (ჭიკარტი ლურსმანი) ვერშოკნახევარი უნდა იყოს (ზ.-იმერ. მრეწ. I, 266). შდრ. **წიკჳრტ, წიკარტ** ქამრის ლითონის ენა; ფეხსაცმლის ენა (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. III. **ჭიკარტი** ფრინველი. საწოლის კარს წაეკიდნენ ყვავი, ყორანი, *ჭიკარტი* (პ. უმიკ. II, 292). შდრ. II. ჭიკვა.

ჭიკვ-ი:

დიალექტ. I. **ჭიკვი** ჯირკი, კუნძი. **დაჭიკული**, დაჯირკული, ჯირკებიანი (გურ. ღლ). || ჭინკი. „ჭინკზე თავი დაახეთქა“ (გურ. ფოლკ. ღლ. 107).

დიალექტ. II. **ჭიკვი** სიმინდის პატარა ტარო. – წროულს არაა კაი სიმინდე, ყველე *ჭიკვია* (რაცხ. გურ.). || პატარა, უმწიფარი ტარო. „დამბიდარო, დიმბიდარო/ თავჟდომარეს დიდი ტარო? ჩვენი ხარი და ურემით/ სახში უნდა მიუტანოთ, სხვა მუშებს და გაჭირვებულს/ დამპალი და *ჭიკვი* ტარო“ (საჩ. შარაშ.). || ჭიჭკვი (რაჭ.). „პატარა და დაზარალებული ნედლი ტარო“ («შინამრეწვ.») – ქეგლი. **ჭიკუ ჭინკორა** გამხდარი, დაჭიანებული დაჩიავებული (ხილი) ზან. (მეგრ. ქობ.).

ჭიკვა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიკვა** (ხევს.) მოსართავების მოჭერა. აჩქარდეს ტერელოვლები, *ჭიკვა* დგას ცხენებისაო (ხალხ.) – ქეგლი; ა. შან. იხ. IV. ჭიკი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭიკვა** (ფშ.) პატარა ბორა – ქეგლი. || რუხი ფერის ყორნისოდენა გადამფრენი ფრინველია. *ჭიკვა* და ბორა გაზაფხულზე მოფრინდებიან და, როცა აგრილდება, ისევ მიდიან (მ. ბალ. ნ. მაკალ. 149) – ალ. ჭინჭ. შდრ. ჭიკვარა ერთგვარი გარეული იხვი მომცრო ტანისა – ქეგლი.

ჭიკო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიკო** (იმერ.) სათუთუნე – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭიკო** (ფშ. ხევს.) ჯაჭვის რგოლი – ქეგლი. || **ჭიკუ ჯაჭვის**, ძეწკვის რგოლი. ჭონთიოს ღბიან მგლის ლეკვნი, *ჭიკუს* ხვრენ საკიდლისასა (ხევს. თავისებ. 367, 5) – ალ. ჭინჭ. **ჭიკუ ჯაჭვის** შიბის პატარა რგოლი ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. III. **ჭიკო** პატარა ბიჭი (ქართლ. ძიძ., კეცხ. ხუბ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. IV. **ჭიკო** წვრილი ჭიგო. ვენახს *ჭიკოები* დაუსოთ (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ჭიღვა.

ჭიკჭიკ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ჭიკჭიკი** 1. ზოგი ფრინველის ხმიანობა, – ჟღურტული. გავხარ ბულბულსა, ვარდისას ჩირგვს ზიხარ, *ჭიკჭიკს* მცონარობს (არჩ. 521, 981, 2). დღეს მერცხალი შემოფრინდა, *ჭიკჭიკითა* გადმომმახა:

გაზაფხული, გაზაფხული! გულს იმედი დამესახა (აკაკი). || ტკბილად, საამოდ ლაპარაკი; ტიკტიკი. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ფრენა-ჭიკჭიკი – ქეგლი.

დიალექტ. II. *ჭიკჭიკი* ჭრელია ერთგვარი. ჯერ მუცელზედ გავაკეთებ ჭრელობას, შემდეგ *ავაჭიკჭიკებ* ისლის ღერს ხელით და დაჯდება სუროზედ კოპლები. ამის შემდეგ ყელის დასაწყისში გაუკეთებ *ჭიკჭიკს; ჭიკჭიკის* შემდეგ ყელზედ გაუკეთებ სხვილი კოპლებს (აჭარ. მრეწ. II, 1, 158). იხ. II. წიკწიკა.

ჭიკჭიკა:

ახ. ქართ. I. *ჭიკჭიკა* 1. რაც ჭიკჭიკებს, – მოჭიკჭიკე. [მწერების] მტერი არის ჩვენი *ჭიკჭიკა* ფრინველი, ჩვენი საყვარელი მერცხალი (ი. გოგებ.). || გადატ. ტკბილად, საამოდ მოლაპარაკე, – ენაჭიკჭიკა, მოტიკტიკე. ასე ტკბილად ატარებდნენ დროს კაი ხნის განმავლობაში პატარა გამდელი და მისი *ჭიკჭიკა* შვილობილი (ი. გოგებ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ენაჭიკჭიკა – ქეგლი. იხ. I. ჭიკჭიკი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. *ჭიკჭიკა* 1. ჩაწიკწიკებული, წიკწიკი. [საფლავს] დაჰქათქათებდეს ზედ მთვარე და ვარსკვლავები *ჭიკჭიკა* (აკაკი). 2. რამეზე გამოყვანილი სახე, ჭრელი. ◊ ჭიკჭიკა ჭრელი ჭადრაკული ჭრელი – ქეგლი. || ღია ფერის ჭრელი, ჭყარტალა. ჭრელი რო არი, ყვაილიანი, იმაზე იტყვიან, ჭიკჭიკა ნაჭერიაო (არად.). აბა, შვილო, ეგ *ჭიკჭიკა* კაბა რა ჩემი შემფერია, მე თალხი ფერის კაბა მინდა! (კავთ., ქართლ. ლექსიკ.). || ჭიკჭიკა – ერთ თვალს წითლით გამოიღებ, ერთ თვალს თეთრით, მერე შეშლი, გამოიღებ ერთ თვალ თეთრით, მეორე წითლით. *ჭიკჭიკა* ეს არი (ქართლ. მტკვრ. სამხრ. III, I, 202). || ჭრელი უჯრა-უჯრა ჭრელი (ქიზ. მენთ.). იხ. II. წიკწიკა.

ჭილ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. *ჭილი* 1. მაღალი მოლი ფართო ფურცლოვანი რომლისაგან მოიქსოვების ჭილობი, სფირიდი – დ. ჩუბ. ბოტან. ტენიან ადგილებში გავრცელებული მრავალწლოვანი (იშვიათად – ერთწლიანი) ბალახოვანი მცენარე; ხმარობენ ჭილობების, ქუდებისა და სხვ. მოსაქსოვად. „ქუეშე თითოფერთა ხეთა დაწჳს *ჭილსა* თანა, ლერწამსა და ლელსა“ M (იობ. 40, 16) – ილ. აბულ. მახსოვს, ბაღებში შებუდრული თეთრი სახლები, *ჭილის* სახურავებზე დაგორებული ფერად-ფერადი კვახები (კ. ლორთქ.) – ქეგლი. „ტბასა ზეიდამ მოლი, *ჭილი* მეედვა“ (მ.); „ჭილი ბალახი ქერზე მუა“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). ზოგი თავ-ნასკო ჩალაა, კარგია. ნასკო ფოჩივით, *ჭილივით* არის (ქიზ. მრეწ. I, 76); 2. ჭილობი:. „დაიფინეს საგებელი... თმისაგან აქლემისა და *ჭილი*“ (ler. –140, 183v). „დაჯდა *ჭილსა* ერთსა ზედა“ (მ. ცხ. 157r) – ილ. აბულ. || ჭილის (ან სხვა მცენარის) ღეროებისაგან მოქსოვილი საფენი. ნათელა მზის გულზე ჭილობს გაუშლიდა

მოხუცს (გ. შატბ.) – ქეგლი. 3. იგივე, რაც პაპირუსი. ოქრობეჭედი *ჭილსა* ზედა წერილი (პეტრ. ტიპ. 35ა, 10). *ჭილს* საწერ მასალად არაბებიც ხმარობდნენ (ივ. ჯავახ.) – ქეგლი. **ჭილიანი მიწა** ჭაობიანი ადგილია, სადაც *ჭილი* იზრდება (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.). **ჭილი ჭელი.** ჭელიში პაპირუსი; ჭილის ნაკეთობა; პაპირუსი, ჭილოფი ზან. (მეგრ. ქობ.).

ძველ საქართველოში ჭილის საწერი მასალა მიღებული არ ყოფილა (ჩანს, მისი შეძენა იოლი არ იყო). ჩვენამდე მხოლოდ ორიოდე ჭილზე შესრულებულმა ქართულმა ხელნაწერმა მოაღწია და ისიც პალესტინური წარმოშობისამ. ერთია ფსალმუნის შემცველი,... მეორეა ე. წ. „ჭილ-ეტრატის იადგარი", საბა-წმიდის ლავრისა (X-XI სს.) (დანელია, სარჯველაძე 1997: 262).

ახ. ქართ. **II. ჭილი** თესლისაგან მიღებული ხახვის პატარა ბოლქვი, რომელსაც მეორე წელიწადს რგავენ მსხვილი ბოლქვების მისაღებად – ქეგლი. იხ. I. ჭილო.

ახ. ქართ. **III. ჭილი** (ქართლ.) ღვარეული, – მოცელილი, მოთიბული ბალახი, ყანა, ნათიბშივე რომ ზოლ-ზოლად დევს (შდრ. ლესური, ნამხრევი) – ქეგლი.

საშ. ქართ. **IV. ჭილი**: ჭიჯი (ჭიხი Z) (მძრომ.) სხვათა ტილი რა სხვას შეაჯდეს ZA. (მძრომ.) ტილი (ჭილი Cb) – საბა.

ს.-ქართვ. *ჭილ- „წილი; ტილი" → ქართ. ჭილ-ი, ჭი-ჭილ-ა (ჩუხუა 2000-2003).

ჭილო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭილო** 1. ნიორთა და ხახვთა ძირთაგან შენაბრომი ფურცელი – დ. ჩუბ. || კბილი ზოგი მცენარის ბოლქვის ერთი ნაწილთაგანი. ნიორს დახსნიან *ჭილოებად* («შინამრეწვ.») – ქეგლი. || ხახვის ბოლქვი. „რო კითხო, ერთი ხახვის *ჭილო* არ მაქო, გეტყვის..." (საჩ. შარაშ.). || ნიორის ერთ კონაზე ითქმის. „ვნახე შენი ქისაო, თხისა ტიბიკისაო, ნადები საქონელი, *ჭილო* ნიორისაო" (ხალხ., ი. გრიშ). 2. თაველს სანემ გავცეხვამდეთ, *ჭილო* პური ქვია. ცეხვის დროს გავკაკლავთ – *ჭილო* ცალე მიდის, კაკალი – ცალკე (ლეჩხ. მრეწ. IV, II, 230). აგრეთვე იმერ. ჯაჯან. 3. მზესუმზირას და მისთ. ჩენჩო – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. ჭილო** ჭდე, თითისტარზე ძაფის მოსადებად – ქეგლი.

ჭიმბურ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჭიმბური** ჭიმური, ჭიმბუკი, – ჭინჭილაკი ჭილიბი, ურმის თვლის ჭანჭიკი, ხის ფარეში – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ჭიმბური** ცხიმში მოშუშული მჭადის (პურის) ნაფხვენი. უნა გაადნო ქონი, ჩაფხვნა ჭადი, თუ გინდა პური, უფრო ჭადი იციან, მოშუშო და ის არი *ჭიმბური* (ტირძნ.). დიდედაჩემი ჩამიყრიდა ხომე *ჭიმბურსა*, იმი ჭამას არაფერი ჯობდა (ბროწლ.). წინათი სად იყო ნაირ-ნაირე-

ბი, მოგვიშუშამდენ *ჭიმბურსა*, დაგვსხამდენ დიდ ტახტზედა და ვჭამდით (კავთ., ქართლ. მესხ.). შდრ. ჭიმური ბრინჯი ან სხვა მარცვალი მოხარშული და შემდგომ ერბოში მოხრაკული; ან დამტვრეული პური ერბოში მოხრაკული – დ. ჩუბ. || ერბოში ან ქონში მოხრაკული პურის ნაფხვენი (ჯავახ. ბერ.). **ჭიმბური** საჭმელია ზან. (ლაზ. თანდ.). ჭიმბური <ჭიმური.

ს.-ქართვ. *წიმ-ოლ- „მარცვლეული; ქერი“ → ქართ. წინ-ოლ-ი ← წიმ-ოლ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ჭიმჭა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიმჭა** (ლეჩხ.) იგივეა, რაც ასფურცელა, – მცოხნავი საქონლის კუჭის მესამე განყოფილება, რომლის ლორწოიანი გარსიც მრავალკეცია და ფურცლებივით არის ჩაწყობილი (ქეგლი). აგრეთვე მრავალჭინჭა მრავალწიგნა (გურ. შარაშ.).

მ. ჩუხუას მოსაზრებით, ს.-ქართვ. *წენ-წელ- „ნაწლავი“ → ქართ. წენწულ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ჭიმჭა** წიპწა, ყურძნის კურკა (იმერ. ალავ.).

ს.-ქართვ. *წიპ-წა „ყურძნის კურკა (თესლი)“ → ქართ. წიპწა → || წინწა || წაპწა (ჩუხუა 2000-2003).

ჭიმჭიმ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიმჭიმი** ჭუპჭუპი, – საუბ. სითხის მოძრაობის ხმა – ქეგლი. ||ცორკოტს... ერბო *ჭიმჭიმით* უნდა ადგეს ზედ (ჳ. თონ.) ანუ უნდა ჭიპჭიპებდეს (ჳ. თონ., გოლთ.); ჭიპჭიპი || ჭიმჭიმი არის „ბევრი ცხიმის ლივლივი“ (გოლთ., ალგ. სალ.). || ჭიმჭიმი გააქვს: ერბოს ბევრი ერბო რომ ექნება საჭამადს, იმაზე იტყვიან (ღოლოვ., ქართლ. მენთ.).

დიალექტ. II. **ჭიმჭიმი** თვალებით სიცილი, თვალების ციმციმი. „დუუწყო გოგუებსა *ჭიმჭიმი*“ (ჩვენ. ფუტკ.).

ამ ლექსემის ეტიმოლოგიისათვის იქნებ საინტერესო იყოს აჭარულში და მთლიანად სამხრულ მეტყველებაში გავრცელებული ჭიტინი – უჭიტინებს; ჭიჭინი-უჭიჭინებს (ცინცაძე, ფაღავა 1998: 225). ივ. ლოლაშვილი ჭიმ-ჭიმ სიტყვას უდარებს ანალოგიური შედგენილობის „კიმ-კიმ, ციმ-ციმ“ ფუძეებს და შესაძლებლად თვლის მის დაკავშირებას ზმნასთან ჭიმვა. თუმცა იმასაც აღნიშნავს „სიტყვის ეტიმოლოგია ჩემთვის აუხსნელი რჩებაო“ (ლოლაშვილი 1968: 96). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჭიმ-ჭიმის შედგენილობის შესახებ ეს შეხედულება სარწმუნოა, მაგრამ სათუოა, მისი დაკავშირება ჭიმვა ზმნასთან (ცინცაძე, ფაღავა 1998: 227).

საშ. ქართ. III. **ჭიმჭიმი** წვრილად ჭრელი – დ. ჩუბ. იხ. I. ჭიმჭიმა.

ჭიმჭიმა:

საშ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიმჭიმა** წვრილად (წვლილად C) ჭრელი – საბა. || მეტად ჭრელი, წვრილი და ხშირი ფერად-ფერადი ფიგურებით მოჩითული (ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ. II. **ჭიმჭიმა** იგივეა, რაც ჭიმჭიმელი. ◊ **ჭიმჭიმაზე დგას** ზენიტშია. დაღალულს დამძიმებია, სიზმარი ვნახეო, მზე *ჭიმჭიმაზე* მდგარიყო, მე ვერ გავიგეო (ხალხ.) – ქეგლი. || ესე არს არიას ცა მეხუთე – საბა. || ძვ. მარსის ორბიტა. || უხმარიათ ზენიტის მნიშვნელობით. მაღლა, სულ მაღლა, ცის კენწეროზე, ჭიმჭიმელში აზიდული ოქროს კლდეები (დ. შენგ.) – ქეგლი.

სპეციალურ ლიტერატურაში ჭიმჭიმ ფუძეს უკავშირებენ ჭიმჭიმელს. ითვლება, რომ ჭიმჭიმელი მომდინარეობს გეოგრაფიული სახელისაგან, იგი სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა. ჭიმჭიმი იგივეა, რაც ჭირჭიმი (ლოლაშვილი 1968: 96); ჭიმჭიმელი პატიოსანი თვლის სახელიც ყოფილა: ვითხოვ შენგან თვალსა პატიოსანსა, მეორედ ჭიმჭიმელსა, მესამედ კიმკიმელსა. საბა: მომეც თვალი ჭიმჭიმელი და კიმკიმელი (ლოლაშვილი 1968: 26; ცინცაძე, ფაღავა 1998: 226).

ჭინო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭინო** ანკესი. ეთნოგრაფების ცნობით, ზღვაზე თევზს ანკესით ნაპირიდანაც იჭერდნენ და ნავიდანაც. ერთ-ერთი ასეთი ანკესი იყო „ჭინო“, რომელსაც სატყუარად აბრეშუმის ძაფი ჰქონდა მობმული (თ. ბერაძე 1981: 106). **ჭინო** თევზის საჭერი ჯოხი ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ., ახ. ქართ. II. **ჭინო** პატარა კაკაჩა – დ. ჩუბ. მისი სიმხიარულე *ჭინოსაებრ* ბედითია («ვისრამ.») – ქეგლი. **ჭინო** თოლია ზან. (ლაზ. თანდ.).

ჭინჭ-ი:

დიალექტ. I. **ჭინჭი** ფეკის წვერები: ზოგ ადამიანი შუშპროფს, *ჭინჭებზე* დადის (ფერეიდ. ჩხუბ. 344). შდრ. **იჭინჭება**, იჭიმება, საჩხუბრად *იწევს* (იმერ. ქავთ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭინჭი** გურ. ძველძვული რამ – დ. ჩუბ. || ჩვარი. ცხვირში მოხვდა თოფის წამლის და დამწვარი *ჭინჭის* სუნი (ე. ნინოშ.). „რაღაც *ჭინჭებში* გვახვევდა გაყინულ ბავშვებს“ (ნ. ლორთქ.). || ირონ. ქსოვილი. „მოდი, ე *ჭინჭები* აკრიფე და შეინახე! გიყიდიათ და მოხმარების თავიც აღარ გაქვთ!“ (ა. ერ.-ხოშტ.) – ქეგლი. || ჩვარი, ფართლეული, იტყვიან ტანსაცმელზედაც: „*ჭინჭი* არ აცვიაო“, ე. ი. ტანზე არ აცვიაო (გურ. ჟღ.). ბეზი დახოული *ჭინჭია* (გურ. იმნ. 151, 2). || ა) ნაჭერი ბ) ტანსაცმელი. დღეს *ჭინჭები* მაქ გასარეცხი (რაცხ. გურ.). „სულ შამოუხევია ჭინჭები“ (იმერ. გაჩ.). კვირტს.. თითო ყლორტებზე შევკრავთ *ჭინჭებით* (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 53). შდრ. ქართული ჭიჭნაური „აბრეშუმი“ (საბა). ჭიჭნ- > ჭინჭი (ანდრონიკაშვილი 1966: 408).

ჭინჭილ-ი:

დიალექტ. I. **ჭინჭილი** საღვინე ჭურჭელი, დოქი (გურ. ღლ.). || დოქის მოყვანილობის პატარა საღვინე ჭურჭელი თიხისა (ან ხისა). [გაიანემ] ატამი და გარჩეული ახალი ნიგოზი მოატანინა, ჭინჭილათი ღვინო წინ დაიდგა

(ნ. ლორთქ.). პატარაა ეს ჭინჭილა, გაცურება იცის დიდის; რომ გგონია დავცალეო, დასაცლელი ძირში იცდის (გრ. აბაშ.) – ქეგლი. || დოქის მოყვანილობის ხელიანი (ან უხელო) თიხის ან ხის, პირზე მისაყუდებელი საღვინე ჭურჭელი 50-100 გრამამდე ტევადობისაა. *ჭინჭილა* ღვინის დასალევი პატარა თიხის დოქია, რომელსაც პირზე იყუდებენ (ზარანი); ეგებო *ჭინჭილას* სეზონი არ იყო, ალბათ არ იყო ზაფხული (საბე); *ჭინჭილა* 50-100 გრამამდე ტევადობისა (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე რაჭ. ფრ. || ჭიჭლა «მცირე საღვინე» (საბა). ბავშვებისათვის აკეთებენ პატარა ჭიჭლას («შინამრეწვ.») – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭინჭილი** (გურ.) 1. წუწუნი, თხოვნა, ხვეწნა (შდრ. ჭიჭინი). „*ჭინჭილით* გაატარებდა მთელ მესამედ წელს (ე. ნინოშ.) – ქეგლი. 2. დაბალი ხმით ტირილი, მოთქმა – ალ. ღლ.

ჭინჭყლ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭინჭყლი, ჭინჭყლობა, ჭინჭყლება: ვჰჭინჭყლობ** ვჰსჩხუბობ, გავჰქიშპდები თამაშობაში – დ. ჩუბ. || 1. აყალმაყალი. [როსაფი] გაჟინდა, აღარ დალია. ოთარმა შეურაცხყოფად მიიღო და *ჭინჭყლი* ატეხა (გ. წერეთ.). 2. იგივეა, რაც ჭინჭყლიანი. ნუ ჩამაცივდები, ჩემო რძალო, *ჭინჭყლი* მაყარივით (ნ. ლორთქ.). ახლოვდებოდა მარტი, ყველაზე ცუდი და *ჭინჭყლი* დრო ქუთაისში (ნ. აგიაშ.) – ქეგლი. || აყალმაყალის მოყვარული. ჭირვეული. „ღვინოში აყალმაყალის მოყვარულზე იტყვიან *ჭინჭყლიაო*“ (ხიდარი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ს.-ქართვ. *წენ- (ალ-) „დავა, კამათი, კინკლაობა“ → ქართ. წენ- || წუწ- (ჩუხუა 2000-2003). შდრ. II. კინკლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭინჭყლი** ტალახიანი ზედაპირი მიწისა (ჯავახ. ზედ.). შდრ. ჭენჭყი მინდორში დამდგარი წყალი, რომელიც არ ჩანს და ფეხს კი ასველებს. გზა მიდიოდა უდაბურ ტყეში, ჭენჭყ ადგილებში (დ. კლდ.) – ქეგლი.

ჭინჭყლ- ფუძე შეიძლება მიღებული იყოს ჭენ-ჭეხ-საგანაც (ჭენჭეხი – იგივეა, რაც ჭანჭახი: თხელი ტალახი) → *ჭენ-ჭხ → ჭენ-ჭყ, და *ჭენ-ჭერისაგანაც (შდრ. ჭენჭყერი – იგივეა, რაც ჭენჭყობიანი), ყ განვითარებული ჩანს (ერთელიშვილი 1970: 242, სქ. 1).

ჭინჭყლიან-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჭინჭყლიანი** მოჩხუბარი თამაშობაში – დ. ჩუბ. || ვისაც ჭინჭყლი) სჩვევია, – ჭირვეული. მე რომ... ჩაისა ვყიდდი, რატომ ერთმა *ჭინჭყლიანმა* ოხერმა მაინც არ ამიტეხა... აყალმაყალი?. (დ. მაჩხ.) – ქეგლი. იხ. I. ჭინჭყლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭინჭყლიანი** ავდრიანი. გუშინდელი *ჭინჭყლიანი* დღის სამაგიეროდ... მზემ გამოანათა (ეკ. გაბ.) – ქეგლი. || წვიმიანი. *ჭინჭყლიანი* ამიდი იყო და იმთონი არ მოვიდა, რასაც ველოდით (მოხვა, ზ.-იმერ-ძოწ.). იხ. II. ჭინჭყლი.

ჭიოტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭიოტი** მცენარეა: ბალახია პილპილზე ოდნავ ბატარა და გურგუნალი, ოსპში გარეულია (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. **II. ჭიოტი** პატარა მწერია, მატლია, ოსპს აფუჭებს (ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. ჭიჭორა (ჯავახ.) იგივეა, რაც ჭიოტა – ქეგლი.

ჭიორა > ჭიოტა, რ სონანტი შეცვლილია (ერთელიშვილი 1980: 108). იხ. I. ჭიოტა.

დიალექტ. **III. ჭიოტი** ოდნავ გამოხედვა მზისა ღრუბლებიდან ავდრის შემდეგ. „პეტერე *ჭიოტს* რავარც დევინახავ, იმწუჩი მგონია გამეიდარეფს“ (საჩ. შარაშ.). || ჭიატი ღრუბლებიდან, ნისლიდან გამოშუქება (მზისა). მზის ჭიატის დარი იყო უცნაური ის ღიმილი (აკაკი) – ქეგლი.

ჭიოტა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭიოტა** მცენ. – დ. ჩუბ. || [Agrostemma githago] ბოტან. პურეულის ნათესებში გავრცელებული ერთწლიანი მცენარე მიხაკისებრთა ოჯახისა; დიდი, ხასხასა წითელი ყვავილები თითო-თითოდ აქვს განლაგებული დატოტვილ ღეროზე; მშამიანია. ყანა გამარგლეთ ბეჯითად, არ მოერიოს *ჭიოტა* (რ. ერისთ.) – ქეგლი. აგრეთვე მთ. შან.

საშ. ახ. ქართ. **II. ჭიოტა მარგალიტი** ფრიად წვრილი მარგალიტი – დ. ჩუბ. || პატარა, წვრილი. [ხატს] გვირგვინს ზევით თავში 4 ალმასი უზის და იესოს გვირგვინში – 3 ალმასი, 178 *ჭიოტა* მარგალიტი («ივერია») – ქეგლი.

დიალექტ. **III. ჭიოტა** ჩიტია, ბეღურას ჰგავს ძალიან (თუშ. შან.). || ჭიოტაყი: იგივეა, რაც წყლის ჭიოტაყი ბოლოქანქარაზე ოდნავ დიდი მოთეთრო ფრინველია. წყლების შუაზე რიყეში მოვკელ ერთ წყლის *ჭიოტაყის* ბუდეი (თუშ. ცოც.).

ჭიპჭიპ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭიპჭიპი** ჭუპჭუპი, – საუბ. სითხის მოძრაობის ხმა – ქეგლი. || სითხეში ტივტივის მსგავსი, უფრო მეტად საჭმელს ბევრი ერბო რომ აქვს, მაშინ იტყვიან: ერბოში *ჭიპჭიპებსო*, ან ერბო *ჭიპჭიპებსო* (ჯავახ. ზედგ.). „ერბო *ჭიპჭიპით* გამაჲდის ნაზუქ“, – იტყვიან მსუქან ნაზუქზე; გად. „ჭიპჭიპებს მავანი კაცი!“ – ძალიან მდიდარია (ქიზ. მენთ.). შდრ. I. ჭიმჭიმი.

დიალექტ. **II. ჭიპჭიპი** ტარტარი, ლაქლაქი, ჭარტალი. „პირდაპირ ნევრებზე მომშალა მაგ ბღაშტის *ჭიპჭიპმა*“ (აჭარ. ნიჟ.). || ვულგ. გაუთავებელი ლაპარაკი, ლაქლაქი. „მაგას უყუარს ბრევლი *ჭიპჭიპი*“ (ფათ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ჭიპჭიპი** კვრა, მიკვრა; მიეჭიპჭიპა მიეკრო, იტყვიან ბავშვზე, რომელიც დედის ბუძუს ღონივრად წოვს და მიეკვრება დედის მკერდს (გურ. ღლ.). || მჭიდროს მიკვრა. მოჭიპჭიპებული მჭიდროდ მიკრული (გურ. შარაშ.).

ჭიტ-ი:

დიალექტ. **I. ჭიტი** || **ჭუტი** გამოსაცხობად დაკრული მჭადის თუ პურის შუაგულში ჰაერის ამოსავლელად გაკეთებული თითის ნაჩხვლეტი, – სასულე (სინონ. ჯუტი, ჯუტა) ჭადს *ჭიტი* გოუკეთე, დავჭუტე, აღარ იბერება (ფარცხნალი); *ჭუტია* თითის ნაჩხვლეტი ჭადის შუაგულზე (მანდაეთი, ლიჩი);დაჭიტამს || დაჭუტამს მჭადს დაცხობისას შუაში თითით ჩაჩხვლეტს, რომ ჰაერი ამოვიდეს. დავჭიტე ჭადი (ზარანი); დაჭუტა ჭადი, აღარ გეიბერება (ხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ჩაზნექილი მხარე (კოჭისა, ნამცხვრისა) (ხევს. თავისებ. 212, 25).

საშ., ახ. ქართ. **II. ჭიტი** ტარზედ ხვეული ნასთის ჩანჩუხი – დ. ჩუბ. || თითისტარზე ან ჯარატარზე ნახვევი ნართი. რაც ერთ ჯარატარზე ბაწარი დაეხვევა, *ჭიტი* ჰქვია («შინამრეწვ.»). რად გავიწყდებათ ხელსაქმე, ჯარ-თითისტარი, *ჭიტიო?* (ი. დავით.) – ქეგლი. „არა აქ *ჭიტი* დართულიო" (ქართლ. იმნ.). იხ. I. ჭიკი.

ჭიღვ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ჭიღვი** 1. მხარ-ბეჭის სახსარი. ნემს-მახათს ნუ სცემ მჯიღებსა, ...წაგიხდენს მკლავთა *ჭიღებსა* (დ. გურამ.). || ფრინველის წინა მხარი (საბა). მე უკვე გადავინახე ერთი შუაბარკალი და ორი *ჭიღვი* [ქათმისა] (ნ. ლორთქ.). 2. ჩლიქიანი ცხოველის ფეხის ქვედა ნაწილი. დაკლულ გოჭს *ჭიღვით* ჩამოკიდებენ (მ. ალავ.) – ქეგლი. || ფეხის უკანა, ძარღვებიანი ნაწილი. მალაღა გინდა ეირბინო, საქორიას, მარა აღარ გემორჩილება *ჭიღვები* (რაჭ. კობახ.). აგრეთვე ფშ. შან., ხორნ. || **ჭიღვ**ი მხრის თავი, ბეჭისა და მკლავის შესაყარი. ტვირთის აკიდება იციან *ჭიღვითაცა*-დ და მჭრითაც (თუშ. ცოც., ხუბ.).

ს.-ქართვ. *წუ-იუ- „წვივის ძვალი; კანჭი" → ქართ. წჯვ-ი || წვივ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ჭიღვი** ზრდადაუმთავრებელი ნაყოფი გოგრის, კიტრისა და ნესვისა, რომელიც აღარ მწიფდება (აჭარ. ნიჟ.). „სიცხემ მოხარშა ყუელამფერი, *ჭიღვი* დააყრევია ხაპებ, კიტრებ" (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ჭიღვი:** ნამყენს მანეულით მივაკრავთ ან *ჭიღვით* (ზ.- ქართ. მრეწ. IV, III, 38). იხ. I. ჭიღვა.

ჭიღვა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭიღვა** (იმერ.) იგივეა, რაც ჭიგო. || ჭიგოზე ვაზის მისაბმელი წნელი (ვ. ბარ.) – ქეგლი. || წვრილი ჭიგო, რომელიც ესობა ახლად ჩაყრილ ვაზს,–ახალშენს (სინონ. ჩხირი) *ჭიღვა* უნდა პაწია ვენახს, პიტონიკი რო არი ჭიღვა უნდა (ღოდორა). *ჭიღვა* ახალგაზდა ვენახს ესობა, კეთთება ახალგაზრდა მცენარიდან, ვარგოფს ერთი წელ (სანახშირე, ზ.-იმერ. ძოწ.). *ჭიღვა* პატარა ხარდანი ახალშენი ვენახისათვის (იმერ. გაჩ). ხარდანს სხვანაირად ჭიღვასაც უძახიან (ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 115). || სარი, ჭიგო. აქ სარსაც ვეტყვით და *ჭიღვასაცა* (ხც.). *ჭიღვა* სარი

არი, კაი სხვილი სარი, ვაზს შეუდგამენ (საღ., ქართლ. ლექსიკ.). ჭილვა/ეი ჭიგო ფშანი – ვ. ბერ. || ჭირღვა (ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 119).

დიალექტ. II. **ჭიღვაყრ** წვერგაცვეთილი ცოცხი. ძრობათ სადგომაყის დახვეტად ახალ ცოცხს *ჭილვაყ ჯობის* (თუშ. ცოც.).

დიალექტ. III. **ჭიღვა, ჭიღო** მხარ-ბეჭის ძვალი. ერდოზედით გადმავარდნილა. ჭიღო დაურტყმია და გასწერია (მოხ. ქავთ.). იხ. I. ჭიღვი.

ჭიჭ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიჭი** ლუდის ფუილის დროს მოხდილი ქაფი (ინახავენ საფუვრად) – ქეგლი. || ლუდის ქაფი ქატოს მინარევებით, რომელსაც აშრობენ, ახმობენ და შემდეგ საფუარად იყენებენ. მემრ ფქვილიან წყალჩი ერთ ქიტურამდი . . . *ჭიჭს'*თხლეს ჩაურევენ საფუვრად («შინამრეწვ.» 61). *ჭიჭს* წააცხებენ ჩალაზე, დადებენ მზიან ადგილას გასაშრობად და ინახავენ შემდეგი ლუდისთვის საფუვრად (ალ. ოჩ. კალენდ. 115, 5) – ალ. ჭინჭ. *ჭიჭითა* თხლით გაამთელებენ საფუარს (ხევს. მრეწ. III, II, 109). აგრეთვე ფშ. ხორნ.

დიალექტ. II. **ჭიჭი** (კახ.) ხაჩაობის სათამაშო კოჭური – ქეგლი. აგრეთვე: ჭიჭი, ჭიჭის ჩაგდება (ქიზ. მენთ.). იხ. I. ჭიტი.

ჭიჭვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიჭვი** გადაჭრილი მხლის ამონაყარი გაზაფხულზე – ქეგლი. || **ჭიჭვი ფხალი** გადანაჭერ მხალზე ახლად ამოყრილი წვრილი ფოთოლი მხლის ამონაყარი, – დუყი. „გამოსულზე იციან *ჭიჭვი* ფხალის შეჭამადის გაკეთება, იმის ჭამას რამე არ ჯობია"; მთას ხოხობი აფრენილა, დაბლა ჭალას ჩაფრენილა; „ჭიჭვობაზე *ჭიჭვს* შეჭამდა, მოლობაზე, – მოლასაო" (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. ჭიჭკვი.

დიალექტ. II. **ჭიჭვი** ჯიში, მოდგმა შთამომავლობა. „რამ მოგიყვანა ამ უკაცურ ადგილას, სადაც კაცის *ჭიჭვი* მოვსპეთო" (გურ. ღლ).

ჭიჭილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიჭილა, ჭიჭილი** იგივეა, რაც ჭიჭლა. გაიმართა ქარხანა, კეთდებოდა: *...ჭიჭილა*, საღვინე, დოქი (ვ. ბარნ.) – ქეგლი. იხ. I. ჭინჭილი. ჭი-ჭილ < ჭინ-ჭილ (ჭიჭილა || ჭიჭილი) – იგივეა, რაც ჭიჭლა: მცირე საღვინე (ერთელიშვილი 1980: 162).

დიალექტ. II. **ჭიჭილა** ტილი (ქსნ. სომხ.).

ჭიჭინ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიჭინი** 1. ჭრიჭი ან ხმიანობა – დ. ჩუბ. || ჭრიჭინი, ჭრიალი ისმოდა... ჭიჭინობლების გაბმული *ჭიჭინი* (რ. გვეტ.). 2. იგივეა, რაც ჭიჭყინი. [გიორგას] შემოესმა ზურნის ჭიჭინი (ს. შანშ.) – ქეგლი. 3. ჭიჭინ, ჭიჭინოვაი ჭრიჭინი. კარევ ჭიჭინოვს; ურემს საპოვნ თუ არ დოუს, ჭიჭინოვს (ინგ. ღამბ.). 4. (რაჭ.) მაჭრის ხმაური კოლოტში – ქეგლი.

5. ბავშვის ძლიერი ტირილი. ჩაბჟირება. ყმაწულ ჭიჭინოვს. აქვე გაჭიჭინევაი (ინგ. ღამბ.). 6. გაუთავებელი ლაპარაკი, ლაქლაქი. „წააყურებიე ამდონი ჭიჭინი“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. **ჭიჭინი** ჭუჭრუტანიდან ყურება ფარულად მზერა „კარსა *ჭიჭინი* ქონდა და ვუჭიჭინებდით შიან“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ .). *„ნუ უჭიჭინებ!* ნუ უკვირიტინებ (ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჭიტინი (გურ.) ჭვრეტა, ცქერა – ქეგლი. იხ. III. ჭიჭინა.

ჭიჭინა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭიჭინა ჭრიჭინა** – საბა. უჩინარი *ჭიჭინა* იჯდა სადღაც ტოტზე (ს. კლდ.) – ქეგლი. *ჭიჭინაი* ხეზე კეჭტევ, მაგარ ცხელში ჭიჭინოვს, მევღნი სიცხიზგნი ტყორვ, ვარდვ, ჰკდვ (ინგ. ღამბ.). || «მომაბეზრებელი მოლაპარაკე» (კირ.) – ქეგლი. შდრ. ჭრიჭინი – ჭრიჭინას ჭმიანობა – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭიჭინა** მსხვილი რქოსანი საქონლის გადამდები დაავადება; სხეულის კუნთოვან ნაწილზე ვითარდება ანთებითი შეშუპება, რომელიც ხელის დაჭერისას ჭყრიალებს; მომაკვდინებელია. ◊ **ჭიჭინაზე გასკდება** აგდებ. ძალიან გაბრაზდება. სულ ჭიჭინაზე რომ გასკდეთ, მაინც მაზრის უფროსს მოვუჯდები და ვეარშიყები (შ. დად.) – ქეგლი. *ჭიჭინა* საქონლის ავამტყოფობაა, ბეჭს გოუსივეფს და მოკლამს (ლეღვანი). *ჭიჭინა* უკანა თეძოს გოუსივეფს საქონელს თავის ფეხიანა და კლავს (ღარიხევი). *ჭიჭინა* საქონლის ავამტყოფობაა, როცა გვალული წელიწადია, მაშინ ხშირათ იცის (პერევი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ჭუჭუნა (ხევს. ჭინჭ.). || ჭიჭინე (რაცხ. გურ.). იხ. III. ჭრიჭინა.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჭიჭინა** (გურ. აჭარ.) «თვალი, ნახვრეტი საწნახლისა» (თ. სახოკ.) – ქეგლი. || ჭიჭინა-ი ჭუჭრუტანა, ვიწრო ხვრელი. „კარსა *ჭიჭინები* ქონდა და ვუჭიჭინებდით შიან“ (ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჭიტინა (გურ.) ჭუჭრუტანა, წვრილი ნახვრეტი. სხვა სხვის ჭიტინაში ჭიტინობს, თორემ თავის გამობლექვილში (დიდ გამონატეხში) არაო (ანდაზა) – ქეგლი. იხ. II. ჭიჭინი.

ჭიჭკვ-ი:

დიალექტ. I. **ჭიჭკვი** აყვავებული, აყვერებული ჭარხალი (იმერ. ვ. ბერ.). **ჭიჭკუ** კვირტი (სვან. თოფ., ქალდ.).

ს.-ქართვ. *წიწკუ- „კვირტი; ნედლი; ყვავილი“ → ქართ. წიწკვ-ი || წიწკ-ი || წიწკ-ა (ჩუხუა 2000-2003). შდრ. I. ჭიჭვი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭიჭკვი** «პატარა და დაზარალებული ნედლი ტარო» (რაჭ. «შინამრეწვ.») – ქეგლი. ჭიჭკვი || ჭიჭკვა პატარა, წვრილი ხილი ან სხვა ნაყოფი. ჭიჭკვი ტარო; ჭიჭკვა სხალი (ახალი თერჯოლა, იმერ. ქავთ.). ჭიჭკვა || ჭიჭკა || ჭიჭკიტა || ჭიჭკვიტა თესლიდან მიღებული წვრილი ხახვი, რომელსაც მეორე წლის გაზაფხულზე რგავენ მსხვილი ბოლქვების მისაღებად, – ჭილი (რაჭ. კობახ.). შდრ. II. ჭიკვი.

ჰიჰო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰიჰო** (მთიულ. გუდამ.) ორ ბოძს შუა გადებულ გათლილ ხეში გარჭობილი სოლი, ტანისამოსის (და სხვა საგნების) დასაკიდებლად – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჰიჰო** ქათმის ნისკარტი (მთ. კაიშ).

დიალექტ. III. **ჰიჰო**: **ჰიჰო**(თ) მომჭირნეობით, მომჭირნე, მომჭირნეობა; კარგად. „პეტერე *ჰიჰოთ* უნდა მიეყვე, თვარა გამეილია სიმიდე აწი"; „დიდი *ჰიჰო* ქალია, მაისანე მორთავს ოჯახს!" „მოჰიჰოება მაგან არ იცის და არაფელი, ფორიაქეა, მაი ვერ მორთავს ოჯახობას!" „ჰიჰოთ დავხურავ სახს, ჟიჟვი არ ჩამუა შითე" (საჩ. შარამ). „*ჰიჰო-ჰიჰო* იხმარე, თვარა ქე ჩაგელევა ხელში" (გურ. შარამ.). || თადარიგიანი ადამიანი. – მაგი ძაან *ჰიჰო* ქალია, აფერი არ დეელევა (რაცხ. გურ.). შდრ. ჰეჰო კაცი მომჭირნე, ხელმტვირი, ტუნწი ადამიანი (იმერ. გაჩ.). მოჰიჰავება ფულის ზომიერად ხარჯვა, თავშენახულობა; მოჰიჰავე მომჭირნე. მეგრ. ჰიჰე პატარა (ვ. ბერ.).

ჩვენი მოსაზრებით, ჰიჰო < ჰელჩი. შდრ. ჰელჭობაი: ნუმცა იქმნების პურისა, გინა ღვნისა და სხვათა მათ სანოვაგეთა შეცვალებაი უგულებელს-ყოფითა და ჰელჭობითა (პეტრ. ტიპ. 8, 5). „ჰელჭობითა" სიტყვის ბადლად ბერძნულ ტექსტში διά φειδωλίαν იკითხება, ნიშნავს: „დაზოგვით" (შანიძე 1986: 218).

ჰიჰყინა:

საშ., ახ. ქართ. I. **ჰიჰყინა** 1. ქარსალა, პლატი, წურილი თევზი – დ. ჩუბ., ქეგლი. 2. ზოგი თევზის (წვერას, ბურწას, კობრისა და სხვ.) ნაშიერი. მთელი დილა ვითევზავე, მაგრამ ათიოდე პაწია *ჰიჰყინას* მეტი ვერა მოვიგდე-რა ხელში (ი. გოგებ.). *ჰიჰყინები* თითო-თითოდ ამოგანგლეთ ფქვილში და ჩადეთ ტაფაში (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. ამოვიღე წყლიდან პარკი, რომელშიც ორიოდე *ჰიჰყინა* მეგდო (რ. ინან. მოთხრ.1, 209, ქვ.2). || წვრილ თევზს ჰქვია, რომელსაც ბადე არ იჭერს. ჰიჰყინა არ იზრდება. სახელი დარქმევია გადატანითი მნიშვნელობით. მოუსვენარი, სწრაფი თევზია, მოუხელთებელი. ამ ბოლო დროს მას მეორე სახელიც შეარქვეს – პანიკიორი. პანიკიორს ძირითადად ყინულის მოჭრისას შეხვედრილ *ჰიჰყინას* ეძახიან. სხვა თევზები გროვდებიან ერთად. არ ეცდებიან ბადის მხარეს გაქცევას. პანიკიორი კი „პანიკაშია და პირველი გარბის" (მ. ბერიძე 2005: 44).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჰიჰყინა** 1. რაც ან ვინც ხშირად ჰიჰყინებს. || ჭირვეული ადამიანი. 2. იგივეა, რაც ზურნა. ძველად ჩვენებური... საკრავები ყოფილა სტვირი, გუდა-სტვირი, *ჰიჰყინა* (პ. გვარამ.) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. **ჰიჰყინა** ჰიჰყინობელა ზან. (მეგრ. ელ.).

ჰიხ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰიხი** მოტანილი ტილი – დ. ჩუბ. || (ხევს.) იგივეა, რაც წილი – ქეგლი. || ჰიჯი მრ. ჰიჯები მკბენარის კვერცხები (თუშ. ხუბ.). || ჰაჯა, ჰაჯაი ფშ., გუდ., ჰაღა უკ. ფშ (რაზ.-ჭყ. ჰახა) წილი. ჰაჯი

მოჯ., ჯ. წილი ჰიჯი თ. ტილისა და კრწყილის თესლი, ჰიჯიანი თ. – ა. შან. იხ. I. ჰახა.

დიალექტ. II. **ჰიხი** (ჰიხნი) ნაქსოვი. || **ჰიხე** ნაქსოვი მოჭირებული მოქსოვნილია. „ნაქსვარი *ჰიხნი* რუმ არ ყოფილიყო, ფარა არ დადგებოდა შითა“ (აჭარ. ნოღ.).

დიალექტ. III. **ჰიხი: ჰიხ-ჰიხ ჰახ-ჰახი** ჭრიალი. გამაზდგომიან დევებ მდევრად ომას. შინ კი ვერ შასულანა' აი ბანსავ *ჰიხ-ჰიხ* ედგისავ – იქ სადამ მიდმოდიანავ (ეთნ. კალენდ. 34, 566) – ალ. ჰინჯ.

ჭნავ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ჭნავი** მჭნავი, ჭანი, კანტი, გამხდარი – ნ. ჩუბ. || გამხდარი, მჭლე. ვერ მომიგონებია ისეთი დილა, ეს *ჭნავი* და მიკნავებული კატა აქ არ დამხვედროდეს (ვ. ჭელ. თარგმ.) – ქეგლი. ს.-ქართვ. *ჭან- „ჭკნობა, გახდომა“ → ქართ. ჭნ-, ჭნ-ავ-ი, ჭან-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭნავი** ცირცელი [Sorbus caucasigena] ბოტან. საშუალო სიმაღლის ხე ვარდისებრთა ოჯახისა; აქვს კენტი ფრთისებრი რთული ფოთლები, ქოლგის მსგავსად შეკრებილი თეთრი ყვავილები, კამკამა წითელი, მწკლარტე ნაყოფი (ყინვანაკრავი – იჭმება) დეკასთან ერთად ხშირად იზრდება *ჭნავი* (ნ. კეცხ. თარგმ.) – ქეგლი. *ჭნავი* მცენარეა, თაში იზდება (ხიდარი); *ჭნავი* ხმელას გავს, მარა წითელ ნამყოფს იბამს ხომე მერე (ლეღვანი, ზ.-იმერ. ბოწ.). „*ჭნავი* კუკული ლამაზი რენგისა არი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე: ზ.-იმერ. ბოწ., ჯავახ. ზედგ., რაჭ. კობახ. || **ჭკნავი** (ჩვენ. ფუტკ.). || მჭნავი – დ., ნ. ჩუბ., მჭნავი (მთ.-რაჭ.) – ქეგლი.

ჭოდ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭოდი** გურია-აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიშია; აქვს შავი, სქელკანიანი მარცვალი. [სახელები აჭარული ყურძნისა]: ადესა, ბუდეშური, ბურძგალა.., *ჭოდი* (მრგვალმტევანა; რამდენიც ფოთოლი აქვს, იმდენი მტევანი ასხია, მხოლოდ მტევანი თხელია) (თ. სახოკ.) – ქეგლი. აგრეთვე აჭარ. ნიჟ. **ჭოდი** ვაზის წითელყურძნიანი ჯიში. მაღლარი ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭოდი** (თუშ.) გაყინული თოვლი (ზედ სიარულისას არ ტყდება) – ქეგლი; თუშ. ხუბ.

ჭოთ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭოთი** ძვ. თხელი ტილო. ზოგთ მტრობით ნარმა დაფარეს, *ჭოთი* აჩინეს ნუქარად (ნაწიბურად) (დ. გურამ.) – ქეგლი. || ბამბის თხელი ქსოვილი, შინ დამზადებული. სუ ცალწვერი იყო, იმაი დაიჭერდნენ, დაიფაფამდნენ თხლათა, როგორც საფანელი, ის ამაგრებდა, აღარ დაწყდებოდა (ბაზ.). ლეიბებს გადავაკრამდით შიგნიდან და გარედან, შიგნით მითლებსა, იმას *ჭოთ* ვემახდით, დაუჯრავებული იყო, სხვადასხვანაირი ძაფით იყო მოქსოვილი, სხვადასხვანაირი ძაფით იყო მოქსოვილი და ლამაზი იყო, დიდხანა გძლებდა (ბაზ., ქართლ. ლექსიკ.).

სამ. ქართ. **II. ჭოთი** ძვ. ნაჭერი, ნაკუწი. [წამალი] შეზილე წყლითა... და პურსავით თორნეზე მიაკარ, ...და, როდის გინდოდეს, მიეც [ავადმყოფს] ერთი *ჭოთი* («უსწორო კარაბადინი») – ქეგლი. ყუელა დანაყე და გაცარ,.. და ქათნის *ჭოთითა* გარეთით ზედა დასდევ და უშუელოს (ფანასკ. 220, 5). შდრ. ჭოთჭოთი ფთალ-ფთალა, სორსლა-სორსლა, ნაკუწ-ნაკუწა, წვეთ-წვეთი. თუ ასრე თქუას ვითა ჭოთჭოთი სისხლი და ჭოთჭოთი ბაყლი ნავალშიგა არისო იცოდი რომე გახსნილა (ქანან. 295, 31).

ჭოლო:

დიალექტ. **I. ჭოლო** ჭაობი, ჭაობიანი ადგილი (ზ.-აჭარ. ნიჟ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. **II. ჭოლო** დიდი, მსუქანი; *ჭოლო-ჭოლო* კამეჩები დიდი, ჯიშიანი კამეჩები; ჭოლოანი მეტსახელი (კახ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. **III. ჭოლო** ჭყინტი სიმინდი. „*ჭოლო* სიმინდი მოხარშეთ, მოსაფირ მიართვით!“ (იმ.); „ტანტრაბაზე დავყარეთ *ჭოლო* კოტოში“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). **ჭოლო** ჭყინტი სიმინდი ზან. (ლაზ. თანდ.).

ჭონ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭონი** (ქურქჩი ZAaBCD.; ჭუონ ZCa, ჭონ Aa.) ბეწვის მკერავი ZA. ბეწვისა და ქუდის მკერავი B. ტყავის მკერვალი – საბა; ნ. და დ. ჩუბ. ჭონი მელქოა (სამ. VIII, 853, 11). ჩვენს უბანში მეტწილად ესახლნენ ქვის მტეხელები, ...თერძები, *ჭონები* (რ. გვეტ.). შდრ. **ჭონვა** ჯღანვა, ცუდად კერვა (გურ. ღლ.). **ჭონჭვა** ცუდად კერვა ძალიან დახეულისა. აი პერანგი მოვჭონჭე (რაცხ. გურ.). ვფიქრობთ, რომ სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს გურული „ჯღანვის, ცუდად კერვის“ მნიშვნელობის ჭონვას, რომელიც მეგრული „კერვის“ შინაარსის ჭანა || ჭალა სიტყვის ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს. *ჭანვა > ჭონვა; გურულის ჭან-ფუძეში ვ განვითარდა და მასთან ერთად ა > ო (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭონი, ჭონია** არის ვენახის ასახვევი, თელის ხის კანისაგან გაკეთებული (რაჭ., დიალექტ.) – ლ. ასათ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *წან- „კერვა, წვნა“ → ქართ. წან- || წნ- : ზან. ჭონ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. ჭონი** ჩრაქვის ნაბშირი (ხევს. ჭინჭ.).

ჭონია:

დიალექტ. **I. ჭონია** იხ. II. ჭონი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭონია**: ჭონია-ჩოხა (გურ.) ერთგვარი მოკლე ჩოხა. თინათინმა... სამსონას... ჩააცვა... მიხაკისფერი მაუდის ჭონია-ჩოხა (ე. ნინოშ.) – ქეგლი.

ს.-ქართვ. *ჭონ- „მოკლე“ → ქართ. ჭონ- (ია) ზან. ჭკონ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ჭორ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. ჭორი** მოგონილი ამბავი – დ. ჩუბ. ვერა მეცნა ეგზომ გრძელად ვერ *ჭორი* და ვერ დასტური (ვეფხ. 592, 3). ეს... ამბავიც ჩვენი ავტორის მიერ შეხანხლული *ჭორია* (ილია). ტერელოელი დარლა ვარ, თუ სადმე გაგიგონია. – კარგი, მაშ იქ კაცი მოკლეს, მართალია, თუ *ჭორია?* (ვაჟა). || მითქმა-მოთქმა (ჩვეულებრივ, ვისიმე ყოფაქცევის შესახებ). მსახურმა ქალმა, რომელზედაც *ჭორად* ამბობდნენ –ზურაბის ხასა არისო, სუფრა გაშალა (ს. შანშ.) – ქეგლი. **ჭორი ჭორი ზან.** (მეგრ. ელ.). შდრ. III. ჭრელი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭორი** კესანე ციცინო, მცენარეა (იმერ. ალ. მაყ.). შდრ. ჭორანი (ქიზ.) იგივეა, რაც ჭორტანა [Tradescantia] ბოტან. დეკორაციული ბალახოვანი მცენარე; აქვს მოგრძო, უფრო ხშირად თავდაკიდებული ან მხოხავი ღეროები და მორიგეობით განლაგებული მოსქო ფოთლები; ადვილად მრავლდება კალმებით; დაკიდებულ ქოთნებში აქვთ ხოლმე (სინონ. ქიზ. ჭორანი, კახ. თავდაყირა, იმერ. პორწიალა) – ქეგლი.

დიალექტ. **III. ჭიორი || ჭორი** – ფუტკრის კვერცხი (აჭარ. ცქიტ.). შდრ. II. ჭიოტი.

ჭორიკანა:

ახ. ქართ. **I. ჭორიკანა** ჭორების მთქმელი და გამავრცელებელი. *ჭორიკანა* მოლაყბეები სახელოსნის წინ ლაპარაკობდნენ (ს. შანშ.) – ქეგლი. იხ. I. ჭორი.

ახ. ქართ. **II. ჭორიკანა** იგივეა, რაც ჭორტანა – ქეგლი. იხ. II. ჭორი.

ჭორპლ-ი:

დიალექტ. **I. ჭორპლი** ჭორფლი. ზოგს ხო უნებურათ აქ *ჭორპლიან* თავ-პირი (ფერეიდ. ჩხუბ., 344). ჭორპლი < ჭორფლი მოყავისფრო წვრილი წინწკლები სახეზე (ან ხელებზე), ჩვეულებრივ გაზაფხულზე უჩნდებათ. – ქეგლი, დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ჭორპლი:** თოლთაგან წყალი რო ერთ ცოტა გომოვა *ჭორპლია* (ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. წირპლი.

ჭორტ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭორტი:** 1. «კონცხი»: „აღდგეს მის ზედა *ჭორტი* ქვისაი დიდი“ M, – „აღადგეს მას კონცხი ქვათაი დიდი“ (G, ისუ ნ. 7, 26) – ილ. აბულ. || ძვ. «ქვაკაცი აგებული ნიშნად» (საბა), – ქანდაკება. შუა ქალაქში ერთი დიდი მოედანია..., ოთხივე მხარეს დგას ოთხი ფანტასტიკური *ჭორტი* (ლ. აღნ.). 2. (ჯავახ.) წმინდა და მაღალი ქვა, რომელსაც ხმარობენ ერდოზე მტრედების საჯდომად («შინამრენჭვ.») – ქეგლი. „მინდორი რო შეგვეკრა, სადაც სათიბი იყო, და საქონლი ძვიება არ შეიძლებოდა, იმი ნაპირზე *ჭორტებ* დავსვამდით“ (ჯავახ. ზედგ.). || გადატ. მე-

ტისმეტად მაღალი. მარუსას *ჭორტი* ბიჭი ჰყავს, ამ კარეფში არ შემოეტევა (მესხ. ფეიქრ.).

საშ., ქართ. II. **ჭორტი** ყმა, მსახური და ფრდილი – საბა.

ს.-ქართვ. "ჭორ- „დამონება, ყმა“ → ქართ. ჭორ-ტ-ი : ზან. ჭკორ-ი. ნ. (მეგრ.) ჭკორ-ი „მონა“, პატონ-ჭკორ-ალ-ა „ბატონყმობა (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე (ღლონტიანი 1975: 356-357) – მ. რობაქ.

დიალექტ. III. **ჭორტი** ხორცმეტი, მოზრდილი მეჭეჭი. მშვენიერი ბავშვი იყო, მაგრამა სახეზე *ჭორტი* ჰქონდა (კავთ.). *ჭორტსა* ზოგი მოუჭერს ხომე ძირში კანაფსა და მააგდებინეფს (კავთ., ქართლ. ლექსიკ.).

ჭოტა:

დიალექტ. I. **ჭოტა** ჩაჭუტულთვალებიანი (მთ. კაიშ.). || ჭრუტი იგივეა, რაც ჭრუტა. პატარა და წვრილი თვალი რო ექნება ადამიანს, იმაზე იტყვიან ჭრუტი თვალი აქვსო («დიალ.»). ჭრუტა თვალებით მიღიმის მოხუცი (კ. გამს.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭოტა** მაღლა ამართული წვრილი და გრძელი რქების მქონე (ხარი), – რქაჩანგალა, რქაფსიტა. ჩემი *ჭოტა* მოზვერი ხომ არსად დაგინახავთ? (ეკ. გაბ.) – ქეგლი. საქონელს თუ მაღლა აწვდილი კოხტა რქები აქვს, *ჭოტას* ეძახიან (ქიზ. მრეწ. IV, I, 18).

დიალექტ. III. **ჭოტა** იგივეა, რაც ნიკორა ლობიო. *ჭოტასა* ცოტა ჭრელი აქ, ადგილი თეთრი აქ, თეთრი ყავისფერით ჭრელი (მეგ., ქართლ. ლექსიკ.). || მვ. ჭოტი პარკოსან მცენარეთა (ლობიოს, ცერცვის და სხვ.) ნაყოფი, – პარკი. ◊ ჭოტი ლობიო პარკი ლობიო, მწვანე ლობიო – ქეგლი.

ჭოჭ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭოჭი** დაჭოჭებული, მრავლად დაღვრილი წყალი – დ. ჩუბ. || ძირს (მიწაზე, იატაკზე) დამდგარი წყალი. ბუფეტის ახლო იდგა ერთი თავმომტვრეული კოკა თიხისა და ერთიც დოქი. ამ ორი ჭურჭლის დასადგმელ ალაგას გაუშრობელი *ჭოჭი* დგას (თ. სახოკ.) – ქეგლი. || ადგილი: წყლიანი, ძლიერ დასველებული. „რა უქნია ეს, ქალოჯან, სუ *ჭოჭი* არ დაუყენებია?!“ (ჯავახ. ზედგ., მარტ., მესხ. მაის.). იხ. II. ჭოჭე.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჭოჭი** (თუშ.) გარას ასაწევ-დასაწევი ხის ჯოხი («შინამრეწვ.») – ქეგლი. იხ. I. ჭიჭო.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჭოჭი** 1. ბასრწვერიანი, მოკაუჭებული ფრჩხილი მტაცებელი ფრინველისა და ზოგი ცხოველისა, – კლანჭი, ჭანგი. „...მხეცთა ფეხის ფრჩხილი მოდრეკილი“ (საბა). 2. (მთიულ.) ნისკარტი – ქეგლი. „არ გააბღეზო მაი კატა, თუარა გამოკკრავს *ჭოჭს* და სისხლებს დაგადენინებს!“ (აჭარ. ნიჟ.). 3. ხინკლის კუჭი, სადაც ნაოჭები იკვრება. ნისკარტის მაგვარად / მსგავსად წაშვერილი რამ. „*ჭოჭიან* ვედრა კარგია რძის ჩასასხმელადა, ჩასაწურადა“ (ფშ. ხორნ.). 4. თათი (კატის, ძაღლის, და-

თვის...). *„ჰოჭი* ჩამომკრა კატამ და ჩამომფხოჭა“; (ინ.). გადატ. ადამიანის ხელის მტევანი. „მომე შენი პაწაი *ჰოჭი!*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ფეხის თითებიანი ნაწილი. „ჩხაპუტები ჩეიცვენ, *ჰოჭებზე* ქონდენ ჩამოცმული“ (ჯუმ., გურ. ჯაჯან.). იხ. II. ჭიჭო.

დიალექტ. **IV. ჭოჭი** ძალიან წვრილი ქვა (მთ. კაიშ.). იხ. I. ჭოჭყი.

დიალექტ. **V. ჭოჭი: ჭოჭის** მიცემა დაშინება, შეფუცხუნება. „ეტყობა, *ჭოჭი* მიიცეი, ნახე, თავი როგორ მაიკატუნა?!“ (გ.-კახ. სახლთხ.). || წინდაწინ შეშინება. „გერონტაი სასმელს წამლადაც კი არ ეკარება. ცოლი *ჭოჭს* აძლევს და იმიტომა“ (მოხ. ღუდ.).

საშ. ქართ. **VI. ჭოჭი, ჭოჭინი** ჩვილთ სატარებელი ფეხის ასადგმელად; ან საწოლი მათი დაკიდებული, ხოჭიჭი – დ. ჩუბ. || ჭოჭინა 1. «ჩვილთ სატარებელი ფეხის ასადგმელად» (დ. ჩუბინ.), – ოჭივარი. ლალა ჩვენზედ ხელს იღებს და ჭოჭინით აღარ გვატარებს (ილია). 2. ხეებს შორის გაბმული (ჩამოკიდებული) საწოლი ან დასაჯდომი, – ჰამაკი. უზარმაზარი ჭანდრის ორ ტოტზე თითქმის მუდამ ჭოჭინა იყო გაბმული (მ. ჯავახ.) – ქეგლი.

დიალექტ. **VII. ჭოჭი** 1. წვეტი, კუთხე – ქეგლი. 2. ჭურჭლის ტუჩი – ქეგლი. || მოჭ. ჭურჭლის პირი (მხოლოდ) – ა. შან. გოზაური საღვინეა, ჭოჭიანია (*ჭოჭი* ტუჩია, რომელიც გოზაურს აქვს) აკეთებენ ე. წ. ჭოჭიან საღვინეებსაც. ჭოჭს საღვინის ტუჩს უწოდებენ (ქართლ. მრეწ. II, I, 97,98). იხ. I. ჭაჭი.

დიალექტ.**VIII. ჭოჭი** ღოჭი, – (ჩვეულებრივ მრ.-ში) ღოჭები მიწის ზევით გამოტანილი ფესვები (სიმინდისა და მისთ.). [სიმინდის] ოქროს *ჭოჭი* ვაჟკაცის მტკაველს ჰგავდა (კ. ლორთქ.) – ქეგლი.

დიალექტ. **IX. ჭოჭი** ჭოჭიანი ქადისკვერის თითო ნაკეცი. ჭოჭიანი ოთხად ნაკეცი ქადა (მთ. კაიშ.).

ჭოჭე:

დიალექტ. **I. ჭოჭე** ძუნწი (იმერხ. ფაღავა, ცინცაძე). იხ. III. ჭიჭო.

დიალექტ. **II. ჭოჭე** 1. წყლიანი, დატბორილი ადგილი: *ჭოჭე* ყოფილა, ვერ გეარდენ, ინსანი ვერ ცხოვრობდა (ივ.); 2. ჭოჭნარები (ტოპ. ნიოლეთში): „წყლიანი ადგილია და ასე დუუურქმევნიან“ (ნიოლ., შავშ. ლექსიკ.). იხ. I. ჭოჭი.

ჭოჭყ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭოჭყი, ჭოჭყა** წვრილი ქვა, ღორღი – ქეგლი. ფაცერს რო დავაგეფთ, *ჭოჭყი* უნა შემოუყაროთ კარქა, რო თევზი არ გაიპაროს (ხც., ქართლ. მესხ.). ჭოჭყი არი ხურდა ქუა; ქიშას რო გააცხავეფთ, არა? რაც დავარდა სხილი და არ გაიდა ცხრილში გარეთ, ის არი *ჭოჭყი* (მარტყ., ფერეიდ. ჩხუბ.). „კედელი *ჭოჭყისა* და ნატაშის დატანებით სწორდება“ (მოხ. ქავთ.). || ჭოჭყა (ქიზ. მრეწ. I, 39).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭოჭყი** იხ. I. ჭოჭი. მინდორ-მინდორ მოვდიოდი, ალაგ-ალაგ *ჭოჭყი* იყო (ხალხ.) – ქეგლი. **ჭოჭყი** წებოვანი ტალახი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ჭოჭყი** (ხევს. გუდამაყ.) იგივეა რაც მოზვერი – ქეგლი. „წვრილი რქოსანი პირუტყვის ჯოგი“ (ავთ. არაბ.). უთქვამის სააქიმოდა *ჭოჭყის* თიკრუნის ჯღანიო (ალ. ოჩ. 123, 24). ხბო ორ წლის შემდეგ *ჭოჭყი* [მაზვერი] გახდება (ხევს. თავისებ. 231, 19) – ალ. ჭინჭ. || მოზარდეული რქოსანი საქონელი 1-2 წლისა (ზოგან სქესს არ არჩევენ, ზოგან-მარტო მოზვერს უწოდებენ) (მოხ. ქავთ.). || კვებულა, გამოზამთრებული ძროხა/გინდ მოზვერი, გინდ დეკეული /ა. შანიძე/ (ფშ. ხორნ.). || საფურე ხბო ექვსი თვიდან წლამდე ასაკისა. „და ჰა, ერთ ღამე ჩონიეთ *ჭოჭყებს* გაუჭრეს ყელები“ (მოხ. ღუდ.). იხ. I. ჭეჭყა.

ჭრაქ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭრაქი** [სპარს.] ბაზმაკი – დ. ჩუბ. || [ფალ. ჩირაგ] უშუშო გასანათებელი მოწყობილობა, რომელიც შედგება ნავთის (ქონის...) ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისაგან. ბუხრის თავზე *ჭრაქის* ალი ოდნავ შეირხა (მიხ. მრევლ.). თამარა... ყოველ წამში ჩხირით შეაკეთებდა *ჭრაქს*, რომლის სინათლე... ისე მიიბჟუტებოდა, რომ იფიქრებდით, ეს არის ქრებაო (ე. ნინოშ.) – ქეგლი. *ჭრაქი* ჯოხზე დახვეული, ღორის ქონით გაჟღენთილი ძონძი, ცეცხლს უკიდებდნენ და ღამით ინათებდნენ. || თუნუქის პრიმიტიული ლამპა (იმერ. გაჩ.). || ჭრაქი სანათი (ჯავახ. ზედგ.). || **ჭრანჭი ჭრაქი** (რაჭ. კობახ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭრაქი** ვაზის (და ზოგი სხვა კულტურული მცენარის) დაავადება, გამოწვეული პარაზიტული სოკოებით; ახმობს ფოთოლს და ხშირად მოსავალსაც ღუპავს. ხეს რომ *ჭრაქი* აჰკრავს, უმალ წვეროში შემოეპარება სიყვითლე (აკაკი). ვაზის ფოთოლი *ჭრაქს* დაეცხავებინა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. ტერმინი ჭრაქი იხმარება დას. საქართველოში. ქვიშხურმა *ჭრაქი* იცის სხვაზე უფრო (ზ.-იმერ. «შინამრეწვ.»). ვენახის ავადმყოფობაა, *ჭრაქი* რომ მიეყრება მარცვლებს და რო მოუხრაკავს ფოთოლს (ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 116). ვენახმა მოუვლელობის გამო *ჭრაქი* იცის, ფოთლები გაყვითლდება, კუმპალიც ჩამოცვივა, ამის საწინააღმდეგოთ არი ადრე აქიმობა და კარგი აქიმობა (ქვ.-იმერ. «შინამრეწვ.»). *ჭრაქი* ესეც ავადმყოფობა არის, უშავდება მარცვლები და ხმება ზედ (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 135). ობი ან *ჭრაქი* გაჩნდა 1870 წელს (ქვ.-იმერ. «შინამრეწვ.»). ჭრაქი ავადმყოფობაა (დერჩი, ქვ.-ლეჩხ.) – ლ. ასათ. *ჭრაქი*, ლერწის ნოშოს ბღიერია. დაფჩოლებულ ვენახებს თქორი რომ წამოეძალება, ან ჟღერს ერთბაშად დაარტყამს, მერე მზე დააჭირებს და სოველ მიწას შეახურებს, ჭრაქი მაშინ ჩდება“ (რაჭ. ფრ.). || ჭრექი: რო წამოწვიმს და მერე სიცხეს დააჭერს, ახთენს

ყურძნის ფოთელს, *ჶრექი* დაკრამს (მახათაური). თუ შოუწამლავ ვენახზე მოგვისწრო წვიმამ და უცეფ მზემ დახედა, დაწვამს *ჶრექი* ფოთლეფს, სადანაც სისოვლე ექნება ფოთლეფს, იქ გახვრიტამს (იქვე) (ზ.-იმერ. ძოწ.).

ჭლექი > ჭრექი > ჭრაქი? ჭნება > ჭკნება ზმნასთან სემანტიკურად და მასალობრივადაც ძალზე ახლოს დგას „ჭლექი“ – დაავადების სახელი. საბას განმარტებით ჭლექი „სიმჭლის სენია“, მაგრამ აქაც ასახსნელი რჩება ბოლოკიდური ქ ელემენტის რაობა (კელაურაძე 2013: 31).

ჭრელ-ი:

დიალექტ. **I. ჭრელი** ბასრი. „სადა *ჶრელი* მაკრატელი“; „ჩემი *ჶრელი* დანე მომიტანე“ (საჩ. შარაშ.). || **ჭერიე** მჭრელი. „ნემეტანი ჭერიე დანა კარ ვარგა კუხნაში, უნდა გეშინოდეს სულ, ხელი არ მომჭრას-თქვა“ (საჩ. შარაშ.). || ჭრე (ინგ.) მჭრელი, ბასრი – ქეგლი. აგრეთვე ინგ. ღამბ. მჭრე || ჭრე გალესილი, მჭრელი (ჯავახ. ზედგ.).

ჭრა, მჭრელი სიტყვებისთვის ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით, აღდგენილია *ჭარ-/ჭრ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. ჭრელი** 1. სხვადასხვა ფერისა, მოხატული აბრეშუმის ქსოვილი, ოქრომკედი: „აჩნდა კუერთხთა მათ თეთრი იგი, რომელი გამოეხუეწა *ჶრელი*“ (O, დაბ. 30, 37); „განმარცუეს იოსებს სამოსელი იგი *ჶრელი*“ (O, დაბ. 37, 23); „შეგმოსე შენ *ჶრელითა*“ (O, ეზეკ. 16, 10) – ილ. აბულ. კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ჭრელისა (ვეფხ. 121, 2). ჭრელი წინდები. – გველი გარედანაა ჭრელი და კაცი შიგნიდანაო (ანდაზა). კერას აქეთ-იქით თითო ტახტია, დაფენილი *ჶრელის* ფარდაგებითა (ილია). დიდი *ჶრელი* კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა (ვაჟა). || მარჩხი, ჭროღა (თვალი). რად დაგყოლიათ დედის მუცლიდან შავი და არა *ჶრელი* თვალები? (აკაკი). || შედგენილობით სხვადასხვაგვარი, – შერეული. *ჶრელი* ხალხი ხან ერთ ვაგონს მიაწყდებოდა, ხან მეორეს (ს. შანშ.). 2. სახეები, გამოყვანილი (ქსოვილზე) ან ამოჭრილი და ამომწვარი (ხეზე...), – ნაჭრელები, ჩუქურთმა. წინდის ჭრელი. – მხარზე ჰკიდია სიათა, თავით ბოლომდე *ჶრელია* (ხალხ.). კარგი ქსოვა იცის [გულთამხემ] და ჭრა-კერვა. ტანსაცმლის მორთვაც ეხერხება, *ჶრელების* ამოკერვა (ვ. ბარნ.). საეკლესიო გალობა (დ. ჩუბ.). «საძილისპიროს», «სადღესასწაულოს» და *«ჶრელს»* ყველას ერთიანად იმავ კილო-ხმით გალობენ (აკაკი). || (გურ.) ერთ-ერთი სიმღერის სახელი გურიაში; «გალობა, რომელშიც სიტყვები ცოტაა, ხოლო მელოდია გრძელი და ნაირ-ნაირი» (გ. შარაშ.). ◊ გალობის ჭრელი მელოდია. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თვალჭრელი. ენაჭრელი. ლილოჭრელი. ვარდის-ჭრელი. ხეჭრელი. შავჭრელი. ყელჭრელი – ქეგლი. || ჭრელ (ინგ. ღამბ.). || ჭრეილი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). 4. გადატ. სიცრუე, ფერად-ფერადი, ნახატი. 5. სიცრუე, ეშმაკობა. ჩემგან შენისა კაცობისა მო-

ლოდნა და წყალსა ზედა *ჭრელისა* წერა სწორია (ვისრ. 157, 30). ქართულში ორივე მნიშვნელობით იხმარება (გ. წერეთელი, „მნათობი", №2, 1962, 138) – (ვისრ. ლექსიკ. 755). **ჭრელი** ჴმაი საეჭვო ხმა; მითქმა-მოთქმა. „მაგ ბალღზე *ჭრელი* ჴმაი დადის – ითომ ნაბიჭვარიაო" (მოხ. ქავთ.).

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, ჭან. ჭერ-ელ-ი, მეგრ. ჭრ-ელ-ი, ქართ. ჭრელი. ეს სიტყვა ქართულიდან შეთვისებული უფროა, ვინემ საერთო კუთვნილება (ჩიქობავა 1938). აღდგენილია ს.-ქართვ. *ჭერ-ელ – „ჭრელი" ზან. (მეგრ.) ჭკარჷ „ჭრელი", ჭკარ-ჭკუნტია „ჭრელა-ჭრულა" ჭკარუ-ჭკარუ „ჭრელ-ჭრელი" (ჩუხუა 2018: 110).

ჭრელა:

ახ. ქართ. I. **ჭრელა** 1. ჭრელი შინაური ცხოველი (ზოგჯერ იხმარება ძაღლის და კატის საკუთარ სახელად). რა მისწერა თაგვთა მეფეს, გაუგზავნა კატა *ჭრელი...*, მსწრაფლ გასწია *ჭრელამა*, წიგნი პირში დაიჭირა (რ. ერისთ.). 2. იგივეა, რაც ტარაღანა. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თვალჭრელა. კაბაჭრელა. ხელჭრელა. ფეხჭრელა – ქეგლი. იხ. II. ჭრელი.

საშ. ქართ. II. **ჭრელა** ბალახი – ი. ბაგრატ. || ჭარელა Euphrasia Regelii Wettst. მოიტანე რევანდი,... ტუხტი, ბურმგლიანი ბალახი, *ჭრელა* (იადიგ. 613, 28).

ჭრია:

დიალექტ. I. **ჭრია** მჭრელი. „ჩემი *ჭრია* ნაჯახი მამიტანეთ" (წიფა, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ჭრელი.

ახ. ქართ. II. **ჭრია**: ◊ **ჭრია სიცხე** პაპანაქება. მინდვრად *ჭრია* სიცხით სივრცე ლაპლაპებდა (ბ. ჩხ.) – ქეგლი.

დიალექტ. III. **ჭრია** იგივეა რაც ჭეკარა – ღოლო. (?) საგულისპირევ ჭითელო, ლაღო, *ჭრიასი* ღებულო (ალ. ოჩ. 198, 25).

ჭრიახ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭრიახი** კრიახი. დამფრთხალი ქათამ-ბატები ერთმანეთს შეასკდნენ, *ჭრიახით* და ვაით მიირბინეს ეზოს მესრამდე (დ. ბაქრ.) – ქეგლი. შდრ. ჭრიხინი მფრინველთ შეშინების ხმა – დ. ჩუბ. ჭრიხინი კრუხის ხმიანობა (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. II. **ჭრიახი** თიხის პატარა ჭურჭელი რომელშიც ღორის ქონი იყო ჩასხმული, ქონში ჩადებული იყო ქსოვილის ნაჭერი, რომლის ერთი თავი ჭურჭლის წაწვეტებულ ნაპირზე იყო გადმოდებული; ამ გადმოდებულ თავს ცეცხლს უკიდებდნენ და ასე ანათებდნენ (იმერ. გაჩ.). შდრ. I. ჭრაქი.

ჭრიჭინა:

ახ. ქართ. I. **ჭრიჭინა** რაც ჭრიჭინებს, – ჭრიალა, ჭრაჭა-ჭრუჭის ხმის გამომცემი. [პელაგია] მივიდა *ჭრიჭინა* ტახტთან და კედლისკენ უფრო მისწია, – ჭრიჭინი ეგებ მოეშლევინებინა (დ. კლდ.). შდრ. ჭრიჭინი ხახუნით გამოცემული ხმა, – ჭრიალი, ჭრაჭა-ჭრუჭი. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულმა თივის ურმებმა (ილია) – ქეგლი.

ჭრჭინ ფუძე ძველ ქართულში დასტურდება: ვითარცა მერცხალი ეგრე ვჭრიჭინევდ (სახისტყ. 287, 9). ჭრჭინ- წყვილსეგმენტიანია – ჭრ–ჭინ, მეორე სეგმენტის მიხედვით პირველშიც შეიძლება აღვადგინოთ ი ხმოვანი: *ჭირ-ჭინ, რ-ს მეტათეზისით → ჭრ-ი-ჭინ. ცხადია, ფუძე ისტორიულად გაორმაგებული ძირებისაგან შედგება. შდრ. მეგრ. ჭკირჭკინი (ჭრიჭინი), რომლის ორსავე სეგმენტში კ განვითარებულია, ამოსავალია სწორედ ჭირ-ჭინი (ერთელიშვილი 1970: 248). ამ სიტყვისათვის აღდგენილია *ჭრარქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. II. **ჭრიჭინა** [Gryllus] ენტომ. მწერი სწორფრთიანთა რაზმისა; ფრთებით გამოსცემს ჭრიჭინის ხმას. ბაყაყებს ყიყინი გააქვთ და *ჭრიჭინათა* ჯარი ჭრიჭინებს (ნ. ნაკაშ.) – ქეგლი. ნახავ, როგორც გაჩუმდებიან *ჭრიჭინები,* როგორ აყიყინდებიან გაყვინიზებული ბაყაყები (რ. ინან. მოთხრ. 1, 209, 2). იხ. I. ჭიჭინა.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჭრიჭინა** ჭიჭინა – დ. ჩუბ. || (იმერ. ლეჩხ.) იგივეა, რაც ყაზახა – ქეგლი. || ბოტ. მხალია, ეძახიან აგრეთვე მჭივანას (მოხ. ქავთ.).

დიალექტ. IV. **ჭრიჭინა**-ი ცხოველთა ავადმყოფობაა (ა. კ. მოხ. ქავთ.). აგრეთვე ჭუჭუნა (ხევს. ჭინჭ.). იხ. II. ჭიჭინა.

ჭრტიალ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ჭრტიალი** არს რა მზემან კლდენი, გინა ბარნი ადგილ(ნ)ი განაჯურვოს და თვალნი ვერ შემძლებელ იყოს შედგმად, გინა ილეკრო გამდნარი ცეცხლისაგან ელვარობდეს საზარლად – საბა. ჭრტიალი კაშკაში, ელვარება, ბრწყინვა, კრიალი – ქეგლი. სიცხისა ძნელი *ჭრტიალი* სულსა შესწვიდა გუამითა (ქილ. 633, 29).

დიალექტ. II. **ჭრტიალი** ფრინველების ხმიანობა. „ქარი ამავარდა, ფრინველთ *ჭრტიალი* დაიწყეს“ (მოხ. ქავთ.). აგრეთვე **ჭრტინვა** «ჴმობა», ჭყივილი, ჭიკჭიკი: „ვითარცა მერცხალი ეგრე *ვჭრტინევდ* (ვჭრიჭინევდ)“ (ფიზ. XXXIII, 3) – ილ. აბულ. შდრ. **ჭრტინვა** წუწუნი – დ. ჩუბ.

ჭუა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჭუა** 1. ჭია. *ჭუათა* გამოიღებდის, და მას ჭამდის და მით იზრდებოდის (საბა, II, 183, 210). 2. წვრილი მწერი, ჭიაღუა. შავი ჭირი გაერია დიდსა და მცირეს და ცხოველებსაც, უმცირესსა

თავად *ჭუასაც* (კ. გამს. თარგმ.). 3. საუბ. იგივეა, რაც ტილი. 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ბაბაჭუა. ჭია-ჭუა. ქალაჭუა. ჭუაი მკბენარი (ბავშვის ენაზე) – ქეგლი. აგრეთვე ქიზ. მენთ. ჭუაჲ, მრ. ჭუები მკბენარი. „დეცი, რად ცარ თავს დამბან, *ჭუები* ჩამისხდებიან“ (თუშ. ხუბ.). || მკბენარი ბავშვის ენაზე. *ჭუებიღ* არ ხყვანდეს ჩემ ბიჭს, რადამ თაბო ეფხანების-ტილები კი არა ჰყავდეს, ჩემ ბიჭს, რატომ იფხანს თავს? (თუშ. ცოც.). აგრეთვე ხევს. ჭინჭ. შდრ. დედაჭუა, დედაჭუობს (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. II. ჭუაჲ 1. ნაფოტისოდენა ნაჭერი (გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებისათვის, უმთავრესად, განაბზარი ან გატეხილი ადგილი დასაკერებლად). ჩემ ნავ (საწნახელი) გაჭრტულ, ერ ჭელისწორ (ხელისოდენა) ადგილში ჭუაჲ დამიკრავ; 2. პატარა ნაკუწი ქსოვილისა (კერვის დროს რამეში ჩასაყენებელი). აზღუტ ერჟე პერანგევზე (მხოლოდ პერაგებზეა), ჭუაჲ კი –რაშიც გინდ (ინგ. ღამბ.). ჭუა-ჭუა (ინგილ.) ზმნს. ნამცეც-ნამცეც, ნაკუწ-ნაკუწ – ქეგლი.

დიალექტ. III. ჭუა კარგი, ელვარე ფერი (საჩ. შარაშ.). ჭუა (< ჭუვა < ჭვივა) მრავალფრად ბრკიალებს, ელვარებს – ვ. ბერ.

ჭუილ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. ჭუვილი ჭმუნვა, გინა წუხილი, სევდა – საბა, ქეგლი. ჭუვილი || ჭუილი მწუხარება: „გონებაჲ არა იგლოვს და სული არა *ჭუვის*“ (H-341, 659); „სიხარული მისი *ჭუვილად* გარდავაქციო (ადამ. 20, 1); „ნაცვლად მხიარულებისა შემარტყ მე *ჭუვილი*“ (მ. სწ. 119, 25); „იქმნა გლოათა და *ჭუილთა* მათთა“ (A-92, 231). აქვე: თანამჭუ(ვ)ანი, თანამჭუვარი, უჭუვარი, ჭუვნიერი – ილ. აბულ. ჭრის *ჭუილებსა* ჭამანი, ჭეშმარიტისა ჭაჭანი (ვახტ. VI, 66, 16).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჭოუ- „ფიქრი; წუხილი“ (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ჭუილი სროლა, გადაგდება რისამე, რომ ჰაერში სტვენდეს. „სულ *ჭუილ-ჭუილით* მოდიოდა ისარი“ (იმერ. ვ. ბერ.). შდრ. წუილი წვრილი, მაღალი ხმის გამოცემა მწერისაგან. || იტყვიან ტყვიის ხმის შესახებ – ქეგლი.

ჭუკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. ჭუკი 1. ინდაურის ნაშიერი. შემოგვეჩვია წყეული [ქორი], გაგვიჩანაგა ჭუკები (ვაჟა). [დედაკაცმა] *ჭუკებს* ჯამით დაუდგა ცომნარევი ჭინჭარი (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. 2. იგივეა, რაც ჭუჭული – ქეგლი. ინდოურის, ბატის და იხვის ბარტყს ჭუკი ქვია (ზ.-იმერ. მრეწ. IV, I, 240). || ინდაური. დიდ ინდაურებს *ჭუკებსაც* ემახიან (საგურ.). ორი კრუხი დავსვი, დიდმარხვა იყო ჯერა, ერთ *ჭუკი* კვერცხები დაუწყე, მეორეც-ქათმისა, ნახევარი არ გამამიჩიკა (ოძ., ქართლ. ლექსიკ.). || ჭუკია საუბ. იგივეა, რაც ჭუკი. განკითხვის დღე დაუდგათ ვარიკებს, ყვინჩილა-მამლა-

ყინწებს, ინდაურის ჭუკიებს, ბატისა და იხვის ჭუჭულებს (თ. რაზიკ.). ჭუკულა ბატის ჭუკი (ქართლ. ლექსიკ.).

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ცხადია, რომ ბიჭიკა, ბიჭი, ბოჩიკი, ინდოურის ჭუკი და თაგვის ჭუკი ყველა შვილის აღმნიშვნელი, ერთიდაიმავე ძირის სიტყვები უნდა იყოს. რასაკვირველია, მათი სახელის საერთო ნაწილი ჭიკა, ჭუკი და ჩიკი შვილობის გამომხატველი უნდა იყოს, თავკიდური ბე და ბო-კი აქაც ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია (ჯავახიშვილი 1992: 212).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭუკი** ქურის უკანა კედელს ზემოთ დატოვებული საკვამლე. ყველამ წუნი დაადო, *ჭუკი* იყო, თაფია (გ. სკანდარ.) – ქეგლი. იქ, სადაც კედელი გულბანდით გადადის, ქურას აქვს ოთხი საჰაერო ოთხკუთხი ჭრილი. ამ ჭრილებს *ჭუკებს* ეძახიან (ლეჩხ. მრეწ. II, 1, 214).

დიალექტ. **III. ჭუკი** კოჭის ზურგი. კოჭის ჩატუკნული მხარე, ჩაღრმავებული მხარე (ქიზ. მენთ.). || ჭიტი || ჭუტი (ზ.-იმერ. ძოწ.). || ჭუ «ვეგის (კოჭის) ჭიპი» (საბა), ბავშვების სათამაშო კოჭის ერთ-ერთი, ჩაღრმავებული მხარე (სინონ. ზეჭური, ჭიკი) – ქეგლი. იხ. II. ჭიკი.

დიალექტ. **IV. ჭუკი** ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი შრატი. „დონთბარიდამ გამუა *ჭუკი*“ (იმ.); „*ჭუკსა* თექელ მუადუღებთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **V. ჭუკი** ჟოლო ჯ., ფშ., ჴვაფა; თ. ქუბი – ა. შან.

ჭურ-ი:

დიალექტ. **I. ჭური** კოჭის ჩაღმავებული მხარე. მეორე მხარე ფერადია. „კარგი, კარგი, შავაგდათ კოჭი და თუ *ჭური* მოვიდა, ჩემი იყოს და თუ ფერი – შენი“ (მოხ. ღუდ.). იხ. III. ჭუკი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭური** ქვევრი. გაფთხილდით, ძმანო, არ მოკვდეთ მყრალ-ზნოანისა *ჭურითა!* (დ. გურ 80, 132, 4). ღვნო *ჭურითა* და ურმებითა ურიცხვ, რომელსა განკჯრდებოდნენ თათარნი (ქ. ცხ. IV, 225, 26). მომიცდა ნამუშევარი, ღმერთმა არ მომცა პურია, სეტყვამ მორეგვა ვენახი, ცარიელი დგას *ჭურია* (რ. ერისთ.). ისევ დაეწყოთ სიმინდის ტეხა, ყურძნის კრეფა, *ჭურების* რეცხა და ჩალის ზიდვა (ნ. ლორთქ.). ◊ **ჩასავალი ჭური** (იმერ. რაჭ.) დიდი ქვევრი, რომელშიც ჩადიან და ისე რეცხავენ. თავად გარეცხა მან, მეთაურმა, ეს ჩასავალი – ვეება *ჭური* (კ. ჭიჭ.) – ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. IV, III: ზ.-ქართ. 108, ჯავახ. 48 ლეჩხ. 150 და სხვ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჭურ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ. **III. ჭური** საჭურველი ან აბჯარი – დ. ჩუბ. || ძვ. საომარი იარაღი. ამღებელი ჭურისა და ფარისა («ისტ. და აზმ.») – ქეგლი. ჩემი ხარო *ჭური* რამე, სამყოფელი, გასასეფე (ვახტანგ. VI, 42 65, 2). «ჭურჭელი» ძველ ქართულში «იარაღს» ნიშნავს (ივ. ჯავახ.).

დ. მაჭავარიანის მიხედვით, ჰურჰელი ჰურჰერ-ისაგანაა მიღებული დისიმილაციის გზით, ხოლო ჰურჰერი მიღებული ჩანს ჰურჰურ-ისაგან (ამ სახითაც დასტურდება ეს სიტყვა ძველ ქართულში: ჰურჰური ოქროჲსაჲ (იობ. 28, 17).

აღდგენილია ს.-ქართვ. *წურ- „გარე საფარი; კანი“ → ქართ. ჰურ-, ჰურ-ი (ჩუხუა 2000-2003). იხ. აგრეთვე დ. მაჭავარიანი 2013: 145.

დიალექტ. IV. **ჰური ჰორი** (თუშ. უთურგ.). შდრ. ჰოლი ჰორი (ხევს. ჰინჭ.) იხ. I. ჰორი.

ჰუჰულა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰუჰულა ჰუჰული**, – ბატის ან იხვის წიწილი. რა დაგიშავა ჩემმა *ჰუჰულამ*, რომ იჭერ? არ მომიკლა, თორემ!.. (თ. რაზიკ.) – ქეგლი. || ქათმის წიწილა. ბაღტა ადამიანსაც ეტყიან *ჰუჰულა* (დაშქ., ფერეიდ. ჩხუბ.). [ქალები] აგრე მამეხვივნიანა, *ჰუჰულას* რო ქათამია (ხევს. პოეზ. 682, 4) – ალ. ჰინჭ. აგრეთვე: აჭარ. ნიჟ., თუშ. ხუბ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ., გურ. ფოლკ. ღლ., 24. || წიწილა, მართვე ბატთა, იხვთა – საბა, დ. ჩუბ.

ს.-ქართვ. *წუწულ-წიწილი“ ქსნ. წუწული „თაგვის ბარტყი, ან გველის წიწილი“ ზან. (ლაზ.) ჰუჰული, მეგრ. ჰუჰული || ჰუჰუ „წიწილა“ (ჩუხუა 2018: 109).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჰუჰულა** (რაჭ.) ყვავილი – ქეგლი.

ჰუჰუნ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰუჰუნი** (გურ. ქვ.-იმერ.) იგივეა, რაც ჰუკჰუკი. შუკაში ჩაფენილ წალიკაში წიწილები *ჰუჰუნით* შემალულან (დ. შენგ.). || მოგიყვება ტყუილს და მართალს, რაც იმდენი არ იქნება; ამ *ჰუჰუნში*, მუსაიფში, ქათამიც კი დაიკვლება (ხალხ.) – ქეგლი. || ტკბილი საუბარი. „ერთმანებში იციან ლამაზი *ჰუჰუნი*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ.

დიალექტ. II. **ჰუჰუნი** წვრილი, ჩამჯდარი თვალებით გამოხედვა. „აჰუჰუნებს თვალეფს“ (საჩ. შარაშ.). || ჰუჰურიე პატარა, წვრილი. „ჰუჰურიე თვალები“ – წვრილი თვალები. „პეტერე ბაღანე იყო, ჰუჰურიე თვალები ქონდა. ოთხი ცალი კვერცხი გავატანე, ენდრო კიდო“ (საჩ. შარაშ.).

დიალექტ. III. **ჰუჰუნი || დაჰუჰუნება || დაჰუჰუჰება** დაწაფება, დაწაფებით სმაა (ფშ. გოგატ.).

ჰუჰყუნა:

ახ. ქართ. I. **ჰუჰყუნა** ჭიჭყინა. სიდედრი *ჰუჰყუნა* გახდა და საფრთხე შეექმნა ოჯახურ იდილიას („თბილისის ფორუმი“). ჰუჰყუნა < ჰუჰყუნი. **ჰუჰყუნი** 1. უსიამოვნო ხმაური, – ჭიჭყინი. ზურნა-დუდუკის ჰუჰყუნით თავის ქალა მაქვს ახდილი (ვაჟა). 2. ბუზღუნი, ბურტყუნი. [ივანემ] დაიწყო ჰუჰყუნი: დალახვროს ღმერთმა ამისთანა ქვეყანა! (აკაკი) – ქეგლი. შდრ. II. ჭიჭყინა.

დიალექტ. II. **ჯუჯყუნა** მსხვილი რქოსანი საქონლის გადამდები სენი, ჭიჭინა. საქონელს *ჯუჯყუნა* სადაც გააჩნდება, ის ადგილი უშავდება, როგორც შავი კუნაპეტი და ერთ დღე-ღამეში კვდება (საკორ.). *ჯუჯყუნა* სუ შავათ მააქცევს ძროხას, ხარს (დად.); აგრეთვე სამთ. (ქართლ. ლექსიკ.). || ჯუჯუნა საქონლის ავადმყოფობაა, – ჭიჭინა (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე ქეგლი, კირიონი). შდრ. II. ჭიჭინა.

დიალექტ. III. **ჯუჯყუნა, ჯუჯყუნი** იგივეა რაც ფოლაქი, ღილი. ქოთის *ჯუჯყუნა; ჯუჯყუნი* იცი რა არი? აი, რო დაიკერავ და ეგენი, ღილი /დაშქესანა/, /ახჩა/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

ჳყან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჳყანი** (გურ.) «ხორცის ნახარში, ქონიანი წყალი» (გ. შარაშ.). ყოველსა თევზსა კალმახი სჯობს, კალმახსა – თხისა *ჳყანიო* (ხალხ.). ღორის *ჳყანში* ხართ ყველაო მონათლული (ლალ.) – ქეგლი. ჳყან ზს., ლნტ., ჳყან ლშხ. „ქონი, ცხიმი (გადამდნარი)" სვან (თოფ., ქალდ.). ამ სიტყვის შესახებ იხ.(ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ჳყანი** ძველი, დაგლეჯილი ტყავის ნაჭერი (ჯავახ. ზეგ.). შდრ. ჯღანი მეშთ ნაცვეთი – საბა.

ჳყანჳყატა:

დიალექტ. I. **ჳყანჳყანტა** ხეა, იმისას თითისტარებს აკეთებენ (ფშ. შან.). შდრ. ჭანჭყატა / ჭანჭყატი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჳყანჳყანტა** წანწყარა, ბოლოქანქარა (ჩიტია) (თუშ. შან.).

ჳყიმა:

დიალექტ. I. **ჳყიმა** (რაჭ.) ჭროღა, ჭრელი (თვალი) – ქეგლი. || ჳყიმაჲ – „ავი თვალის" მქონე: ჳყიმაჲ კაცი – თვალმაცემარაჲ (მაამურიე, კლარჯ. ლექსიკ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჳყიმა** მცენ. ჩალამბარა – დ. ჩუბ. || ქინძის მსგავსი ბოსტნეული, საკმაზად ხმარობენ (იმერ. გაჩ.). || **ჳყიმამხალი** [Anthriscus cerefolium] ბოტან. ქოლგოსანთა ოჯახის ერთწლიანი კულტურული მცენარე საშუალო სიმაღლისა ან დაბალი; თეთრყვავილა და ნაზფოთლებიანია; ფოთლები მხლად და სალათად იხმარება – ქეგლი.

ჳყიპინ-ი:

ახ. ქართ. I. **ჳყიპინი** ჩიტის (ჩვეულებრივ, ბარტყის) ჭყივილი, – ჭყლოპინი. ბარტყებს შეეშინდათ და დაიწყეს საცოდავად *ჳყიპინი* (ი. გოგებ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჳყიპინი** ბუჩქი, წვრილი ბუჩქი. ჳყირტნარი ადგ. სახელია (აჭარ. ნიჟ.). შდრ. ჳყიპანტა მცენ. – დ. ჩუბ.

ჭყორ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭყორი** ბაბგარა – დ. ჩუბ. || იგივეა, რაც ბაბგი. მთის წვეროკინზე გაშლილი მოედანი, ხასხასა *ჭყორის* ბუჩქნარით [არის] აღადღაღებული (შ. დად.) – ქეგლი. ნაახალწლებს პირველად რო თაში წავიდოდით, *ჭყორის* მწვანე პატარა ტოტუკეებს წამოვიძღვანდით სახში (რაჭ. კობახ.). **ჭყერი, ჭყერი, ჭყერ** ბოტ. ჭყორი (სვან. თოფ., ქალდ.).

ნ. ხოჯოლავა-მაჭავარიანის ვარაუდით, ჭყორი ფიტონიმ წყავის ზანურის ფორმაა, მაგრამ როგორც თვითონვე აღნიშნავს, საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს (ხოჯოლავა-მაჭავარიანი 2019: 10).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭყორი** წვრილი ქვა, ღორღი (კედლის შენების დროს შუაში ჩასაყრელი) (ქეგლი, ფშ. შან., ხორნ., ხევს. ჭინჭ.). || ჭყერი (ხევს.) სიპის ნატეხი (ქეგლი, ხევს. ჭინჭ.).

ჭყერ/ჭყირ: ზემო-იმერულში ამ ფუძეში ვ ბგერაა განვითარებული: ამეიჭყვირება-გამოიჭყიტება. შესაძლოა ამ ფორმებს გარკვეული სემანტიკური გადაწევით უკავშირდებოდეს დერივატები, რომელთაც ე და ი ხმოვნიანი ფუძეები აქვთ **ჭყერი** || **ჭყირი** || **ჭყორი** ხევს. სიპის ნატეხი – ქეგლი (ქურდაძე 2005: 183).

ჭყრიალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭყრიალი** 1. ჭრიალი, ჭრიჭინი, ჭრაჭა-ჭრუჭი. ფიგურ. დედამიწის ძვლებს *ჭყრიალი,* ჯახჯახი გააქვს (ვაჟა). 2. ჯახჯახი, ჭყივილი. [კაჭკაჭი] ბირის ტოტზე ჩაეშვა და ჩხავილი და *ჭყრიალი* მორთო (თ. რაზიკ.). ამოაფრინა ჩემს წინა *ჭყრიალით* როჭო ნაცარა (ვაჟა) – ქეგლი. *ჭყრიალებდნენ* მწყერჩიტები (რ. ინან. ასულ. 100, ქვ. 1).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭყრიალი** ბრჭყვიალი. დილით მზე ამოკაკანდა, ვარსკვლავებს გააქვთ *ჭყრიალი* (ხალხ.) – ქეგლი. || ბრიალი, ჩახჩახი სანთლებისა. სივანის გორ რომ გავიდეს, დადგა სანთლების *ჭყრიალი* (ხალხ. მოხ. ქავთ.). შდრ. ბჭყვრიალი იგივეა, რაც მართებული ბრჭყვიალი. ბრწყინვა, კაშკაში; ნაირფერად ელვარება, ბზინვარება – ქეგლი.

ჭყრიალა:

დიალექტ. **I. ჭყრიალა** ბრჭყვიალა (მოხ. შან). შდრ. **ჭყვრიალა მასკვლავი** თ ., ფშ., მდღვინავი მასკვლავი ჯ. „სულ-თოჯათ უკვენ უდგას (ა. შან.). იხ. **II.** ჭყრიალი.

დიალექტ. **II. ჭყრიალა** ჩხართვი (ხევს. შან., ჭინჭ.). შდრ. **I.** ჭყრიალი.

ჭყურტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭყურტი** წყურტი – დ. ჩუბ. || საუბ. შაქრის ავადმყოფობა, – დიაბეტი, წყურტი. || წყევ. უთუოდ დასალევად წავიდნენ. *ჭყურტიც* გასჩენიათ ყანყრატოებში (ბ. ჩხ.) – ქეგლი. აგრეთვე

იმერ. გაჩ. შდრ. ჭყუტია ბევრი სითხის (წყლის თუ ღვინის) მსმელი (ზ.-იმერ. ძოწ.). ქართ. წყურ-ტ-, წყურ-ტ-ი სნეულობა არს, რომელი მრავალს წყალსა ასმევს კაცს და განახმობს სიმჭლით (საბა).

აღდგენილია ს.-ქართვ. *წყ-ურ-ტ- „წყურტი“ → ქართ. წყ-ურ-ტ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჭყურტი** (გურ.) «ადგილობრივი ენის უცოდინარი» (გ. შარაშ.) – ქეგლი. შდრ. **ჭყირტი** „მეპასუხე მოუთმენარი“ (საბა). ესე ჭყირტად მეუბნებოდა (ამირან. 37, 4). ჭყირტად და უბადოდ მაქცე არის (ამირანდ. 366, 12). || თავდაუჭერელი, მოუთმინარი, ენის შემომბრუნებელი (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **III. ჭყურტი** ნორჩი, ქორფა, შემოუსვლელი (თხილი, კაკალი, ლობიო, ყველი...). *„ჭყურტი* ყველი სუფრაზე მიტანამდი შეიჭმება“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. **II.** ჭყუტი.

ჭყუტ-ი:

დიალექტ. **I. ჭყუტი** საუბ. ავადმყოფობა, რომელიც აიძულებს ადამიანს ბევრი სითხე სვას, – დიაბეტი. რა *ჭყუტი* დაგემართა, რა ბევრს სვამ? (ღარიხევი, ზ.-იმერ. ძოწ.). || ჭყლურტ-: ჭყლურტავს ბევრს სვამს (ქართლ. მესხ.). იხ. **I.** ჭყურტი.

დიალექტ. **II. ჭყუტი** წვრილი. *ჭყუტი* მარცვალი აქ წელს პურს (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ჭყუტა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჭყუტი, ჭყუტა** «უხეირო, მჟავე (ხილი)» (კირ.). ზოგს ჭყუტა ვაშლივით აკრავს ცხვირი და არც კი უჩანს (ს. მგალობ.) – ქეგლი. წვრილი, ანარჩევი, ჟიჟმატი (ვაშლი...) ნეტა რა გასაგზავნია ე *ჭყუტა* ვაშლი?! (ტირძნ.). საცა ნაყარნუყარი *ჭყუტა* ხილი ჰქონდა, ის მამიტანა ძღვნათა (ერედ.). ე *ჭყუტეები* რაღა მოსაკრეფი იყო, არ გეზარებოდა მაინცა? (ტირძნ.). ერთი *ჭყუტაც* არ მარგუნეს იმოდენა ვაშლიდანა (ბროწლ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ჭყუნტა (მესხ. ფეიქრ.). იხ. **II.** ჭყუტი.

დიალექტ. **II. ჭყუტა** წვრილი, მოჭუტული (თვალები). პატარა თვალები რო აქ ადამიანსა, *ჭყუტა* თვალები აქო, იტყვიან (ბროწლ.). საშიკოსა იმითანა *ჭყუტა* თვალები აქ, ძლივ უჩამს (ბროწლ., ქართლ. მესხ.). შდრ. ჭუტალა წვრილი, მოჭუტული (თვალ[ებ]ი) – ქეგლი. **ჭუტა** თვალის დახუჭვა ზან. (მეგრ. ელ.). შდრ. **I.** ჭოტა.

ხ

ხაკ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხაკი** [სპარს. ხაკი] 1. მოყავისფრო მწვანე. 2. ასეთი ფერის ქსოვილი – ქეგლი. || [ინდ. khaki მიწისფერი, ტალახისფერი] – მ. ჯაბ. [პეტრემ] შეატრიალ-შემოატრიალა *ხაკისფერი* გალიფე შარვალი (რ. ჯაფ.) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხაკი** სქელი, უხეში ქსოვილი. || (თუშ.) ტომარა, საცალო – ქეგლი. || ბაწრის ტომარა. „ყოჩაღ დიაცმ ერთ წყვილ *ხაკეზ* მაინც უნდ დაქსოოს წლადაცა“ (თუშ. ცოც.) აგრეთვე: ფშ. შან., ხორნ. || ხაკის რძის საწური (ქიზ. მენთ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **III. ხაკი** ერთგვარი გოგრა. ხაკი წითელი გოგრაა ერთგვარი; ტანით დიდია, ტკბილია («დიალ.») – ქეგლი. იხ. I. ხოკერი; I. ხოკერა.

ხალათ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. ხალათი** 1. (ზედა საპატიო ტანსაცმელი ბოძებული უმაღლესი მპყრობელისაგან). ტანთ ხვანთქრის ქურქი ჩაიცვა, დასთმო ყეენის ხალათი (დ. გურ. 108, 322, 2). შეაწყალა მამასა თჳსსა და უშოვა *ხალათი* (ქ. ცხ. II, 335, 30). შეიწყალა ლანგ-თემურ და მისცა *ხალათი* (ქ. ცხ. II, 336, 1). *ხალათი* მიბოძა და გამისტუმა მამასთანა (სამ. VIII, 350). მჳირფასი *ხალათები* უბოძეს (შჳნ. III, 367, 16). || [არაბ. ხილ'ათ] 2. აღმოსავლური გრძელი და ფართო ზედა ჩასაცმელი. [ციხისთავი] შეწყალებულს *ხალათს* აჩუქებდა (მ. ჯავახ.). 3. გრძელი ხალვათი საშინაო ჩასაცმელი. ჩემს გარშემო ვიღაც ავადმყოფები გრძელის *ხალათებით*, ფერმიხდილნი დადიოდნენ (ა. ყაზბ.). 4.ტანსაცმელს ზემოდან ჩასაცმელი სამოსი (სისუფთავის დასაცავად). მედიცინის დები თეთრი *ხალათების* შრიალით ერთი პალატიდან მეორეში გადადიოდნენ (დ. სულ.). 5. მამაკაცის ზედა ტანსაცმელი, რომელზედაც ქამარს ირტყამენ, – ბლუზი. – [ბაკამ] *ხალათის* საყელო გადაიკეცა (რ. გვეტ.). 6. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. სპეცხალათი. შარვალ-ხალათი – ქეგლი. 7. სახსოვარი. შეგირდს რომ ასწავლიან და გააოსტატებენ, მაშინ შეგირდი ოსტატისთვის იხდის *ხალათს*, ან თუ ქალი გაათხოვე, დედას სიძემ უნდა მისცეს ხალათი, ე. ი. სახსოვრად, საჩუქრად ოქროული ნივთი ან სხვა რამ – ი. გრიშ. **ხალათს მისცემს** ძვ. ტანისამოსს ან ფულს აჩუქებს. [სტეფანას] *ხალათი* მივე, თუმან-ნახევარი («მას. საქ. ეკონ. ისტ.»). – ქეგლი. **ხალათი** ზან. (ლაზ. თანდ.).

ხალათი არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულია – [hel'at || xal'at]. მისი მნიშვნელობაა – ხალათი, საპატიო სამოსი (ბართაია 2010).

დიალექტ. **II. ხალათი** (თურქ. ჰალათ) ბაგირი, გვარლი, მსხვილი თოკი. „*ხალათით* მოკოჭვენ არაბას“. „*ხალათი* დიდი თოკვია“ (ან., ჩვენ. ფუტკ.). **ხალადი** მსხვილი თოკი ზან. (ლაზ. კალანდ.).

ხალარ-ი:

სამ. ქართ. I. **ხალარი** ხის ქერქი დახეული დასათხზველად C. ხის ქერქი D. – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხალარი** სიმინდის მსხვილი ტარო (ი. ჭყ.). იხ. I. ხარალი.

ხალთა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხალთა** 1. ტყავის ტომარა, – გუდა. შუბი *ხალთაში* არ დაიმალებაო (ანდაზა) – ქეგლი. ზურგზე მოსაკიდებელი გუდა. „ორი მაქ არჩის (= არჩვის) *ხალთაო*" (იმერ. გაჩ.). *ხალთა* ცხვრის ან თხის ტყავის ჭურჭელია, რომელშიც სიმინდს, ლობიოს ან დაქფულს ვყრით (ქვაციხე, ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე რაჭ. კობახ. 2. თოფზე (ან დროშაზე) ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე. ბეჟანამ წამოაცვა თოფს *ხალთა* (ე. ნინოშ.). [ჯორჯიაშვილმა] *ხალთაში* გახვეული დროშა არსენას მიაჩეჩა (მ. ჯავახ.). 3. (ლეჩხ.) უსახელო წამოსასხამი თხის ტყავისა (მ. ალავ.) – ქეგლი. **ხართა** ხალთა ზან. (მეგრ. ყიფშ.). შდრ. ხადალი ხალთა – საბა. მახალაკი, გინა **ხალთა** (პარკი) – საბა.

ს.-ქართვ. "ჴალთ-ა „ტყავის ტომარა, გუდა" (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხალთა** მაჩვი – ქეგლი. *ხალთა* დევიჭირეი ხაფანგში, ჭამდა სიმიდს (ვახანი); *ხალთა* შამეეჩვია სიმითს (ზვარე); თუმოასწრეს, *ხალთასთან* მოკლევენ კურდღელსაც (ხევი); *ხალთა* დამიჭერია მეცე, დადის ყანებში და ჭყლინტ სიმითს ჭამს . კაი დიდი ღორი რო იქნება, იმაზე უმწარესი წახთენა იცის ყანების (მორძგვეთი, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. III. **ხალთა** თასმა ან გასაყრელი ზონარი ტყავისაგან გაკეთებული, ტაბიკებს აერთებს ხარის უღელში შებმისას. „ამ ოხერ მოზვერ რკინი ტაბიკების *ხალთები* სუ დაუწყვეტია" (ჯავახ. ბერ.). იხ. II. ხალათი.

ხამხამ-ი:

სამ., ახ. ქართ. I. **ხამხამი** წამწმის ძრვა – საბა. || ხურვა-გაღება (ქუთუთო-წამწამისა), ხუჭვა-გახელა (თვალისა), ფახური. შეხედეთ, წყალი ათას თვალს *ახამხამებს* ერთად (რ. ინან. შორი. 62, 19).

სამ. ქართ. II. **ხამხამი** «ბეჭთ საშუალი» (საბა). თავსა *ხამხამთა* შინა იფარვიდა (ქილ. 607, 2).

ხანიერ-ი:

დიალექტ. I. **ხანიერი** ბევრის გამკეთებელი. დარბას შასავლად ბადრი ჯობ, ეგ უფრო მშვენიერია... საჭმლედ თუ გაჭდა – ამირან, ჭმლით ეგ უფრო *ხანიერია* (ხევს. თავისებ. 344, 22). შდრ. აქვე ხანი', ხანება საქმის სწრაფად გაკეთება, ბევრის გაკეთება. „ღმერთო დალოცვილო, მიშველ', მამეც ხანი' *ხანება*, წლის ნამშვრალ-ნამუშაელ მშვიდობის მამაჭმარ' (ეთნ. კალენდ. 41, 641). || ხანება მომუშავეთა დასალოცი შეპახილი – ალ. ჭინჭ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჴან-ძალა, შეძლება“ (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ. **II. ხანიერი, ხანოვანი** დროული, ხანდაზმული – დ. ჩუბ. || ხანგრძლივი, მუდმივი. ხამს მიჯნური *ხანიერი* (რუსთაველი) – ქეგლი. ხან-იერ-ი: იერ სუფიქსი. ხან-ძირი. ხანი დრო, გინა ჟამნი – თ. ბაგრატ.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: არქეტიპი *ხან- ქართ. ხანი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); **ხანი** [არაბ.-სპარს.] წარმომავლობისაა (ანდრონიკაშვილი 1996). საერთო ქართველური *ხან- ფუძე აღდგენილია სვანურ ხ̌ან / ხენ თანდებულთან შეპირისპირებით (კელაურაძე 2013: 22).

ხანჯალ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხანჯალი** [სპარს.] სატევარი, ორპირი მახვილი – დ. ჩუბ., ქეგლი. ბაგრატს *ხანჯალი* ჩაექანებია (სამ. IV, 272). ბიჭებს მხოლოდ *ხანჯლები* ერტყათ (ვ. ბარნ.). [უცნობმა] ამოზიდა... ქარქაშიდან დაჟანგული *ხანჯალი* (ნ. ლორთქ.). || ხანჯარი (ფშ. ხევს. თუშ.): „ლურჯო ფოლადის *ხანჯარო*, ცივი ხარ ყინულივითა!“ (ბაჩ.) – ქეგლი. **ხანჯარ, ხანჯარ** (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. **II. ხანჯალი** ჯიკავი, შექანება, შენძრევა, შენჯღრევა. „ძინარე ბაღვსა *ხანჯალი* დუუწყო, ამა ჭკუაში მაიც ვერ მეიყუანა“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). ვფიქრობთ, რომ ხანჯალი < ქანჯალი. აგრეთვე: მიმუქანჯალებს, მოქანჯალება, მოქანჯალებული, შეჯანქვალება, შეჯანქვალებული, მოჯანქვალება, მოჯანქვალებული. მოქანჯალება: „ვისიმე ან რისამე მონჯღრევა, მოქანება, მორხევა“. „ჰიდამდი კარქ არ მუქანჯალე, ისე ვერ გამეივყვანე ბურანიდან“ (აჭარ. ნიჟ.). აგრეთვე: ქეგლი, გურ. ჯაჯან., იმერ. ბერ., ქავთ.

ხარ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხარი** 1. მამალი შინაური რქიანი ცხოველი, რომელსაც აბამენ უღელში (შდრ. ძროხა). „იცნა *ხარმან* მომგებელი თჳსი“ (O, ეს. 1, 3) – ილ. აბულ. ქვაბსა იშვას ბეთლემისას, სად მიუშვან *ხარი* ზეზე (არჩ. 208, 140, 3). მეურემემ *ხარს* შოლტი გაუტყლაშუნა (ილია). [ბიძა] გუთანში აბამს *ხარებსა*, ბლომად გაჭიმა ხნულები (ვაჟა). 2. მამალი, მამრი (რქიანი გარეული ცხოველი) ყელმოღერებული ნაიალაღარი *ხარი* ირემი ამაყად და მსუბუქად ატრიალებდა მრვალშტოვან რქებსა (თ. რაზიკ.). || იგივე, რაც ხარირემი. ყორან-მთის გადასახედში *ხარმა* დაიწყო ღრიალი (ვაჟა). 3. (ფშ.) ღონიერი, ძლიერი (ვაჟკაცი ეპითეტად იხმარება). ქარქაშში აღარ დგებოდა ბასრი ფრანგული *ხარისა* (ვაჟა). ზმნს. ხარის სამწყემსავად, სამეხრეოდ. [მიხოს ძმა] ახალი ფარაჯით ღამის *ხარში* წავიდა (შ. არაგვ.). მცენარეთა სახელდებისას ხშირად დასტურდება ხარი, მაგ.: ხარითვალა || ხარისთვალა, ხარიკბილა, ხარისგულა, ხარისვარდა. ხარისკუდა, ხარისფაშვა, ხარისშუბლა, ხარისჩლიქა, ხარისძირა – ქეგლი.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჴარ- ფუძე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990). იხ. აგრეთვე გორდეზიანი 1985:45.

ახ. ქართ. II. **ხარი ჭია**, რომელიც ვარდის მოყვითალო გულს სწუწნის (ი. გრიშ.). შდრ. ხარაბუა [სპარს. ხარაბუა] იგივეა, რაც ხარაბუზა.

დიალექტ. III. **ხარი** მხარე. ფაშას ყულე დეუმგვრიე, სასახლეს გეუღე *ხარი* (აჭარ. უმიკ. I, 142). ხარეი მხარე (ინგ. ღამბ.).

მხარე > ხარე > ხარი. აღდგენილია ს.-ქართვ. *მაჴარ- „მხარე; კუთხე (ჩუხუა 2017).

დიალექტ. IV. **ხარი** მხარი. დათას *ხრეში* აქ დიდი (ფარცხნალი); კაცს თოხი უდევს ხარზე (იქვე); *ხრით* ვერ მოვიტან და ხარი არ მყამს (ზვარე, ზ.-იმერ. ძოწ.).

მხარ- > ხარი; აღდგენილია ს.-ქართვ. *მჴარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2017).

ხარაკ-ი:

საშ. ქართ. I. **ხარაკი** დაუნდობელი, გამწირავი, გაუგებარი, ჯიუტი. როსტომ იტყვის: „ნუ ვინაღვლით, მით საწუთრო *ხარკია*“ (შ3ნ. II, 3578, 1).

ახ. ქართ. II. **ხარაკი** [სპარს. ხარაკ] სიმების დასამაგრებელი მოწყობილობა თარის ქვემო ნაწილში (შდრ. ჯორა) – ქეგლი. || „ჯორა (ჩანგურისთვის)“ (ი. გრიშ.).

სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული [ხარაკ], რომლის მნიშვნელობებია: 1. კნინ. ვირუკა; 2. მუსიკ. ქვესადგამი [ხარ] – ვირი, [აკ] – კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსი. როგორც ჩანს, ჩვენთვის სინტერესო ტერმინი ქართულ ენაში არსებულა როგორც სპარსული (ხარაკი), ისე მისი ქართული თარგმანის (ჯორა) სახით (ბართაია 1990).

დიალექტ. III. **ხარაკი** ტყავია ან გლუ ქსოვილი დაზგაზე ჩამობმული. ოქრომჭედლები, მას კალთაზე იფარებენ რომ ოქროს ან ვერცხლის ნაფხეკი ჩაცვივდეს. შემდეგ ნაფხეკს იღებენ და ინახავენ (ქიზ. მენთ.). ვფიქრობთ, ხარაკი < ხარა [სპარს. ხარა «მუარი»] ძვ. «აბრეშუმის უსახო ქსოვილი (დატალღებული)» (ს. იორდ.) – ქეგლი.

ხარალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხარალი** (ლეჩხ.) სიმინდის მიწისზედა ფესვები, – ღოჯები. კარტოფილის ამონაყარი (ნოტიოში) – ქეგლი; ოკრიბ. ალავ. იხ. II. ხალარი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხარალი** ხის ქერქი, რომლითაც ვაზს ახვევენ (ქართლ., კირიონი). || ვაზის ასახვევი, შესაყელი (კახ., ახმეტა), (ლ. ასათ.). || ხარალრ ხის ბოჭკოვანი ქერქი, რომელიც შესაკრავ-შესაკონ მასალად გამოიყენება. ერთ ტოტსავ ხარალ ავხყარეო-დ იჭმით შევკარივ (თუშ. ცოც.). *ხარლის* მოსატანათაც მეტალახეს გავგზავნიდით ტყეში (შ.-კახ., II, 1, 41). იხ. I. ხალარი.

დიალექტ. III. **ხარალი** ბზის ტომარა. დიდი ტომრები იყო შეკერილი, *ბარალ* ვეტყოდით, ოთხი-ხუთი ფუთი გამოდიოდა თითოსა, ბზეებით ვამსებდით (წვ.). *ბარალია* დიდი ტომარაი, ბზე მიგვქონდა ხომე იმ ხარალითა (არად.). იმ *ბარალშია* ესეთი მეშოკი რვა გამოვიდოდა (არად., ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. ხარანი.

ხარან-ი:

დიალექტ. I. **ხარანი** ძაღლის დასაბმელი ჯოხი, რომელსაც ორივე მხარეს თოკი აქვს მობმული (გურ. ღლ.).

დიალექტ. II. **ხარანი** დიდი ტომარა ბზისათვის (მესხ., მაის.). „დიდუანი *ხარანები* გატკეპნა მატყლითა“ (გულ., ჩვენ. ფუტკ.). || ბარდანი დიდი ტომარა (უფრო თხის ბალანისაგან ქსოვდნენ). სამი-ოთხი ჩვეულებრივი ტომარის ოდენი რომ ჩაეტეოდა შიგ, ან ფარდაგს გაკერამდნენ. გამოიყენებოდა ბზის, მატყლის და პურის ჩასაყრელ-გადასატანად (ჯავახ. ზედგ.). **ხარანაი ჯვალი** დიდი ტომარა, 8-10 ფუთი ჩადის მასში (აჭარ. ნიჟ.). იხ. III. ხარალი.

ხარხა:

დიალექტ. I. **ხარხა** ხახა, პირი; ხარხადაფჩენილი პირდაღებული. თოფი მოქსთა მაგ ხარხაში (გურ. ფოლკ. ღლ., 80).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ჴარჴ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ხარხა** ჯოხი, კაკლის საბერტყად ხმარობენ (ქიზ. მენთ.) || **ხალხა** ხალა. ხალა კაკლის დასაბერტყი ჯოხი, – ხალხა, ჭოკი (ქეგლი). ხარხა < ხალხა < ხალა.

ს.-ქართვ. *ხალ- (ა) „ჭოკი“; წნელი (გრძელი) (ჩუხუა 2000-2003).

ხარჯ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხარჯი** [არაბ.] ხარკი, გამოსაღები – დ. ჩუბ. || ძვ. იგივეა, გადასახადი. „ყველაზე კარგი ის არის, რომ *ხარჯისა* და ბეგარისაგან განთავისუფლებული იქნები“ (ნ. ლომ.). **ხარჯთამკრეფი** ძვ. მოხელე, რომელიც მოსახლეობისაგან კრეფდა *ხარჯს*, გადასახადს; ხარჯების ამკრეფი, პირველად ხელში მოხვედრილი [წერილი], თითქო *ხარჯთამკრეფის* უწყება ყოფილიყოს (გ. ქიქ. თარგმ.) – ქეგლი. || **ხარაჯა** ხარკი: „გაუკეთა ხარაჯა“ (ქ. ცხ. 221, 12). შდრ. **ხარკი** [არაბ. ხარაჯა-დან] გადასახადი, რომელსაც უცხო სახელმწიფოს უხდიან – ქეგლი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხარჯი** 1. დანახარჯი, წარსაგებელი – დ. ჩუბ. || [არაბ. ხარჯ] რაც იხარჯება, – გასავალი, დანახარჯი. შემოსავალი მესამედსაც ვერა ჰფარავდა იმის *ხარჯსა* (ლ. არდაზ.). 2. რაც უნდა მოსცილდეს რასმე და გადაიყაროს, – მინარევი, ნაკმაზი – ქეგლი; ხევს. ჭინჭ. 3. ადამიანთა გარკვეული რაოდენობისათვის საჭირო სასმელ-საჭმელი,

ხასხას-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხასხასი** 1. ცინცხალი ფერის გამოცემა, – კრიალი (მწვანედ...). [ფითრი] ნახევრად დამტვრეულ-დაძაბუნებულ მსხალს ქორის ბუდესავით ასხმია და მწვანედ *ხასხასი* გააქვს (თ. რაზიკ.). 2. იგივეა, რაც ხასხასა. ველი *ხასხასი* მდელოთი იყო დაფენილი (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || ახალთახალი, ძვირფასი (ქოვილი, სამოსი). „სულ *ხას-ხასები* ეცვა“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. **ხაშხაშა, ხასხასა** კრიალა. „ისრეთი ხაშხაშა ტანთა აცვია, რო თვალ მოგჭრის“. „ნახე, რაგო გაურეცხია, რო სარეცხი სუ ხაშხაშემს“ (ჯავახ. ზედგ.).

ვფიქრობთ, რომ სიტყვა გაორკეცებული ხას- ფუძეა. არაბულსა და სპარსულ ენებში არის [xâss] მნიშვნელობებით: განსაკუთრებული; საგანგებო, სუფთა; პირადი; რჩეული... [xâssa/e/] განსაკუთრებული ინდური ქსოვილის სახეობა (ბართაია 2010).

დიალექტ. **II. ხასხასი** გულზე რომ უჭერს, ასეთის ქაქანი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ქასქასი (ქართლ. კახ. ფშ.) ხშირი ქშენა სიცხისა ან დაღლილობისაგან, – ქაქანი (ქეგლი).

ხატ-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხატი** 1. შესახედაობა, გარეგნობა: ვარსკულავთა *ხატი* ცეცხლისაი აქუს (სინ. მრ. 217, 19). || [არაბ. ხატტ «ხაზი; ნაწერი»] აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი *ხატი* (ა. ჭავჭ.). პრიმიტივი თავის სიტყვებში კონკრეტულს, ინდივიდუალურ ხატს გულისხმობს (დ. უზნ.) – ქეგლი. 2. პირისახე, სახე: იყო ნეტარი ესე *ხატითა* მწითურ და თუალითა შუენიერ (კიმ. I, 221, 16). 3. „მსგავსი სახე“ (საბა), სურათი, სახე: გამოთალეს კერპი კაცისა *ხატად* (მრავალთ. 288, 9). 4. ეკლ. ღვთაების ან წმინდანის სურათი. *ხატზე* დაიფიცა. ჩემი გაჭედილი *ხატის* ამბავი მე უკეთ ვიცი (ანდაზა). [მარიამს] ხელში წმინდა გიორგის *ხატი* ეჭირა (აკაკი). [კიკოლა] უნთებდა *ხატებს* სანთელს (ნ. ლომ.). ფიგურ. *ხატად* ჰყავთ, სალოცავ *ხატად*, მთიელთსამშობლო თავისა (ვაჟა). 5. წარმართული ღვთაება, რომელიც თითქოს მფარველობს მთელ თემს ან ცალკეულ გვარს (სინონ. ხევს. ჯვარი). [მკითხავები] სხვადასხვა *ხატის* მიზეზს მიაწერდნენ კარახელის ავადობას (ვაჟა). || ამ ღვთაების სამყოფლად მიჩნეული სალოცავი ადგილი. ხირჩლაიც მოდგა *ხატის* კარს, ვაჟკაცი სახელიანი (ვაჟა). 6. (ხევს.) ჯვრის გამოსახულება ორნამენტში. ხევსურული ორნამენტის ტერმინოლოგია შეიცავს მეტად საყურადღებო სახელებს. კერძოდ, ჯვრისათვის ჩვენ მოცემული გვაქვს ტერმინი «ხატი» (ვ. ბარდ., გ. ჩიტ.) – ქეგლი. 7. სურათი გუშინ გომოჲხატით (სურათი გადავიღეთ), *ხატვა* მააღეველა მივდ (სურათების მოსატანად მივდივარ). 8. თავის ქალის ის ნაწილი, საიდანაც იწყება, ჩვეულებრივ, გამელოტება (ინგ. ღამბ.).

ხატ- ფუძის შესატყვისი სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება. მეგრული „ხატი“ და სვანური „ხ̌ატ“ ქართულიდანაა ნასესხები. ხატ- ფუძეს ეყრდნობა ხატ-ავ-ს ზმნა: რომელსა ზედა წმიდაჲ მოწაფე მისი პროკლე ხატავს მთავარდიაკონობისაჲთა (აბუს. ტბ. XXIV, 177). ხატ-ფუძის არაბულ წარმომავლობაზე მიუთითებდა (ყიფშიძე 1914: 399) – ლ. გელენ.

დიალექტ. II. **ხატი** – ხაზი, გზა [შდრ. არაბ.-სპარს. xätt „გზა“]: „არ მოხოლ, წაიდეთ *ბატზე* ვიმუშაოთ?“ (ფერეიდ. ჩხუბ.).

ხატა:

დიალექტ. I. **ხატა** (ხევს.) კნინ. პატარა ხატი. [ქოქაზე] დააკვრენ სამკაულს: ვერცხლის ცვარებს, შიბს, *ბატაებს* და მბიავს («შინამრეწვ.») – ქეგლი. იხ. I. ხატი (მნიშვ. 5).

ახ. ქართ. II. **ხატა** ბინა. გვერდზე გავუარეთ ტოტებჩამობლეწილ ჭერამსა და თეთრ *ბატას*, სადაც მოხუცი და მისი თხუთმეტი წლის ცისფერთვალება ქალიშვილი ცხოვრობდნენ. *ბატა* დაკეტილი იყო (რ. ინან. ჯაფ. 226,13). || ჯარგ. მყუდრო ბინა. სადაც დაუპატიჟებელი მომსვლელი ვერ შეგაწუხებს და შეგიძლია შენთვის სასურველ ადამიან(ებ)თან ერთად მოყუჩდე (რუს. хата – ქოხი). სინონიმები: „ბაითი“, „ბავერა“. თუ მილიციაში არ ყავდათ, 24 საათი ლევანას *ბატაზე* ეგდო ხოლმე გათიშული (ზურაბ სამადაშვილი) – ლ. ბრეგ.

საშ. ქართ. III. **ხატა** [სპარს.] – ჩინეთი, **ხატაი** – ხატაური, ჩინური. მერმე დარუბანდი ჯიონის წყლამდისი, *ბატავეთი*... (შჱნ. III, 254, 22). ასი სტავრა *ბატაური*, ცხენი ოქროს ლაგმოსანი (შჱნ. II, 3339, 2).

ხაფიფ-ი:

საშ. ქართ. I. **ხაფიფი** საშინელი, სასტიკი – დ. ჩუბ. შდრ. **ხაფი** ძლიერი თავს დასხმა ომის დროს კიჟინის ხმით – დ. ჩუბ. || ჴაფი მაღალი. ბოხი, საშინელი ჴმა – საბა. || ძლიერი, მჭექარე, ზარდამცემი (ხმა).მან გაახაფოს ხმა *ხაფი*, კვლა უფრო გასახაფავი (ვეფხ. 1315, 3). გამიშვით, გამიშვით! – ყვირიდა *ხაფი* ხმით მკლავაძე (ე. ნინოშ.) – ქეგლი. ხაფი „მრისხანე“ სპარსული წარმომავლობისაა (ანდრონიკაშვილი 1996: 32).

საშ., ახ. ქართ. II. **ხაფიფი** ძვ. და კუთხ. (იმერ.) მოფერება. ◊ **ხაფიფად** ზმნს. მსუბუქად, თავისუფლად, ნებიერად. ყმაწვილი იზრდებოდა *ხაფიფად* და ნებიერად («რუსუდ.») – ქეგლი. || [არაბ.] მიალერსება' ალერსით, თავაზიანად მოპყრობა – დაყვავება (აჭარ. ნიჟ.). ღვინოს ვსვამთ და *ვხაფიფობთ* ერთმანეთში, სხვას კი არაფერს ვაშავებთ. **ეხაფიფება**: *ეხაფიფებიან* ერთმანეთს (იმერ. ქავთ.). ხაფიფობს ერთობა, ნებივრობს. ბავშვი *ბაფიფობს* (ქორ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. *ბაფუფი* ლაღი, ნებიერი (ხევს. ჭინჭ.).

ხაფიფი არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც ლექსიკონებში ამგვარადაა განმარტებული: xafif 1. „სუბუქი“, 2. უმნიშვნელო, პატარა, მცირე. 3. დამცირებული, შეურაცხყოფილი. რ. რამიშვილი მიუთითებს,

რომ ბუნდოვანია ამ სიტყვის დ. ჩუბინიშვილისეული განმარტება „საშინელი“, „სასტიკი“. შესაძლოა, ეს მნიშვნელობა სპარს.-არაბ. xafif-ის მესამე მნიშვნელობიდან (დამცირებული, შეურაცხყოფილი) მომდინარეობდეს, თუმცა როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე ქართული ენის დიალექტებში, ამ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობა არ დასტურდება (რამიშვილი 2017: 35).

ხაფს-ი:

დიალექტ. I. **ხაფსი** 1. ხავსი. – *ხაფსი* მოკიდებია ქვეფს ღელის პირას (რაცხ. გურ.). „*ხაფსი* აქ მოდებული ყორფელს“ (საჩ. შარაშ.). 2. **ხაფსი, ხაფსილე** ნიგვზის ლებნებს შორის მოთავსებული თხელი ფენა. „ოტკაში უნდა ჩაყარო *ხაფსილე* და კაი ფერს მიცემს“ (საჩ. შარაშ.).

ხაფსი < ხავსი. ხავსი მომდინარეობს ოსური სიტყვიდან xos/xwasæ „თივა, წამალი“ სიტყვიდან (ანდრონიკაშვილი 1966: 128).

დიალექტ. II. **ჰაფსი, ხაფსი** (არაბ.) პატიმარი, ტუსაღი. „*ხაფსებს* გზაში შიეყარა, ხელი სტაცა ხელ-აფშაში“ (ა. ზეპ., აჭარ. ნიჟ.).

ხაფხ-ი:

დიალექტ. I. **ხაფხი** კლდიანი ფერდობი (ფშ. ხორნ.). იხ. II. ფაფხი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხაფხი** (თუშ.) ახლადამოსული თხელი, დაბალი ბალახი. **ხაფხიანა** (თუშ.) ადგილი, სადაც ხაფხია, – ბალახოვანი მთის წვერებზე, თოვლებთან, ქვიშის პირად – ქეგლი. შდრ. ხაფხოლი ღიმი, ატოლი, მცენარეა (თუშ. მაყ.).

ხაშარ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხაშარი** 1. (გურ.) იგივეა, რაც ბწკალი || მაფზე ან წნელზე ასხმული ხილი ან – ასხმულა, აცმა. ერთი *ხაშარი* წაბლი. 2. (გურ. იმერ.) იგივეა, რაც ქოჩოჩი ბიჭმა [სიმინდის] ღეროს *ხაშარი* წააცალა (კ. ლორთქ.) – ქეგლი. || აკიდო. „ერთი ხაშარი აკიდო“ (გურ. შარაშ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხაშარი** ფალანგთ სვეტი, ბოძკინტი, ჩიბუხი – დ. ჩუბ. ხარაჩოებისათვის საჭიროა... ბოძების ჩადგმა და ფიცრების გადება. ამ ბოძებსაც ძველად თავისი სახელი ჰქონდა – *ხაშარი* (ივ. ჯავახ.) – ქეგლი. || წვრილი სარი, მსხვილი და გრძელი ჯოხი, რომელსაც დაუსობენ ხვიარა ბოსტნეულს (ლობიოს, პამიდორს...). „ლობიოს *ხაშარ* დუუსობთ“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). „ეს *ხაშარია*, ლობიოს შუუსობ“ (ზ.); „ყანაში დავასე *ხაშარი*, /დედამთილმა გამაბღეზა, /არ ვაჭამე ვახშამი“ (მან., შავშ. ლექსიკ.). აგრეთვე გურ. ჯაჯან. შდრ. ხაშარაი მაღალი, ტანწვრილი ადამიანის მეტსახელი (ჩვენ. ფუტკ.). ს.-ქართვ. *ხაშ-არ- „სარი“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ხაშარი** (ლეჩხ.) თრთვილი, თოშო (მ. ალავ.). ხაშარი თრთვილი; მშრალი თოვლი, თოშო (რაჭ. კობახ.).

ს.-ქართვ. *ხაშ-არ- „ხორკლი; თრთვილი“ > ქართ. ხაშ-არ-ი: ზან. ხოშქორ-ი (ჩუხუა 2000-2003).

ხაშლამა:

ახ. ქართ. **I. ხაშლამა** [ოსმ.] ცივად ამოღებული მოხარშული ნაჭერი ხორცისა, თევზისა – დ. ჩუბ. || [თურქ. ჰაშლამა] ძროხის ან ცხვრის ცივად მოხარშული ხორცი (შეუკაზმავად). ძროხის ხაშლამა. – [ჩიხირთმას] მოჰყვა ცხვრის *ხაშლამა* (ნ. ლომ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ხაშლამა** – თლათ დასილული თუთუნია, უვარგისი თუთუნია (ქვ.-იმერ. მრეწ. IV, III, 72). შდრ. ხაშმი ჭაობის ორთქლი – ქეგლი.

ხაშხაშა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხაშხაშა** იგივეა, რაც ღაჟღაჟა. [ლუარსაბს ჰქონდა] წითელი, თურაშაულ ვაშლსავით *ხაშხაშა* ლოყები (ილია). ხაშხაშა < ხაშხაში. **ხაშხაში** (ხაშხაშ CqD.) (ბალ.) სხვათა ენაა, ქართულად ყაყაჩორა ჰქვია – საბა, ქეგლი. || ღაჟღაჟი, ღაჟღაჟა – ქეგლი.

დიალექტ. **II. ხაშხაშა/ხასხასა** ხასხასა კრიალა. „ისრეთი *ხაშხაშა* ტანთა აცვია, რო თვალ მოგჭრის“. „ნახე, რაგო გაურეცხია, რო სარეცხი სუ ხაშხაშემს“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ხასხასი.

ხაჩირ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხაჩირი** (დაუმყნობელი) ვაზის გადაწიდვნით გაშენებული (ვენახი) (მ. ალავ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ხაჩირი** ხუროს იარაღია, სწორი კუთხის გამოსაყვანი. ხახლის *ხაჩირში* მოყვანა. ვენახი *ხაჩირში* მოიყვანა (რაჭ. კობახ., იმერ. ვ. ბერ.).

ხაჭა:

საშ. ქართ. **I. ხაჭა** ცოლის გარდა სხვა ქალი – საბა. ხაჭას გულ-ტკბილად უყოვებს და ცოლს კი ებუზღუნება (დ. გურამ. 71, 70, 4). || **ხარჭი** ხარჭა, ხასა: „ხარჭმან მისმან... შვა“ (O, დაბ. 22, 24); „ხოლო ხარჭმან მისმან ღაღად-ყო და მოსტაცა მახჯლი“ (დ. დ. 129, 8) – ილ. აბულ.

დიალექტ. **II. ხაჭა** 1. გრძელი, მსხვილი ჯოხი; კაკლის საბერტყავი. „კაკლი სარეკელაი *ხაჭა* გუაქ“ (ად.); 2. მაღალი, გამხმარი ადამიანის მეტსახელი. „დიდი ხაჭა გაზდილა, მაღალი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.; აჭარ. ნიჟ.).

ხახამ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხახამი** [ებრ. ხახამ] ებრაელების სასულიერო პირი. სასამართლო სავსე იყო მომჩივან-მოპასუხით, მოწმეებით და, – რაც უფრო სასაცილო იყო, – *ხახამი,* მოლა, ტერტერა და მღვდელი ერთად ისხდნენ და მუსაიფობდნენ (ნ. ლორთქ.) – ქეგლი. აგრეთვე ზ.-ქართ. მრეწ. III, II, 134.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხახამი** (ხევს.) ისეთი, რაც ადვილად იპობა – ქეგლი.

ხახან-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხახანი** (ხევს.) იგივეა, რაც ხარხარი – ქეგლი; ჯავახ. ბერ. რაჲზეაავ ამოსრულიო-დ გველის წიწილაჲზედაავ, გიჲხახან (თუშ. ცოც.).

დიალექტ. II. **ხახანი** რაიმე მაგარი საგნის თრევით წაღება; „სა მიახახანეფ მაგ გორიცას, მეიკიდე ზრუქში“ (გურ. შილაკაძე; ალ. ღლ.).

დიალექტ. III. **ხახანი** სუნთქვისას ფილტვებიდან გამოცემული ხრინწიანი ხმა, ხიხინი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ქაქანი აჩქარებულად, ხმაურით პირღია სუნთქვა (დაღლილობისა ან სიცხისაგან). [ტურიკოს] ქუშიანი ცხენივით ქაქანი აუვარდა და სუნთქვა თანდათან უძნელდებოდა (ი. ელეფთ.). ოსი... ოფლში გაწურული, პირგამშრალი, ქაქანით ეცა ზაალის უზანგს (მ. ჯავახ.) – ქეგლი.

ხებერ-ი:

დიალექტ. I. **ხებერი** [არაბ.] ამბავი, ცნობა. „მუუტანეს აი *ხებერი* ყერიბს“ (ა. ზეპ.) დავჟდე-და წიგნი დავწერო, ჩიტ გავატანო *ხებრათა“* (აჭარ. ნიჟ.). **ხებერი** ხვდა ცნობა მოვიდა (იმერხ., ქართ. დიალექტ., 655). ხებერი < ხაბარი; ხაბარი [არაბ. ხაბარ] – ქეგლი. ხამბრიანი აზრიანი. ხამბრიანი კაცია გიორგი (შომახეთი, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. II. **ხებერი** უხეში, მობერებული მწვანილი, ბოსტნეული. ხებერი ოხრახუში; *ხებერი* კიტრები (კლდეეთი, იმერ. ქავთ). || ხებერო უხეში, გაშეშებული, მსხვილი. ხებერო ულაში აქ ირაკლის (პერევი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ხევა:

ახ. ქართ. I. **ხევა** იგივეა, რაც ხევი. სხვას ვერას გირჩევთ: დავუხვდეთ ქისტებს მოწამლულ *ხევაში* (ვაჟა) – ქეგლი. || ხევში მიმდინარე წყალი. ხევის მდინარე (კირიონი).

აღდგენილია: *ᵓჴეუ̯-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. II. **ხევა** სახელი ხევს ზმნის მოქმედებისა, – გახევა, დახევა. დამაცა, მე შენ რა გიყო, გასწავლი კაბის *ხევასა!* (ი. დავით.). მუშტი-კრივი, ლანძღვა-თრევა და უაზრო ფრაკის *ხევა* სხვას რა ბოლოს მოიტანდა! (აკაკი) – ქეგლი. შდრ. ძვ. ქართ. ხევა ჭრა, კვეთა – ილ. აბულ.

ზმნური ძირი ხევ- < *ხეუ̯- დამოწმებულია არა მხოლოდ ქართულში, არამედ სხვა ქართველურსა და აფხაზურ ადიღურ ენებშიც (ჩუხუა 2017); (კანარკოვსკი 2019: 37).

საშ. ქართ. III. **ხევა** ვოხრავ – დ. ჩუბ.

ხევან-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ხევანი** ხეთ რიგით დგომა – საბა. || ძვ. იგივეა, რაც ხეივანი. შტოები ოქროთ ნაჭედი ჰქონდა, რაც იდგა *ხევანი* («შაჰნამე») – ქეგლი. ხევანი < ხეივანი; ხეივანი [სპარს. ხიაბან] 1. გზა, რომლის ორივე

მხარეს ხეებია ჩამწკრივებული. 2. ლატნებზე გასული ვაზი, – ტალავერი (ქეგლი).

დიალექტ. II. **ხევანი** ხის ნაწილები, ხის მასალა. რაიც *ხევანი* ხქონდა თოფსა, სულ მიამტურია, რკინეული შარჩა (გორსციხე, მოხ. ქავთ.). ძვ. ქართ. ხევნარი «ნერგი», ტყე, ხეები: „არა მოჰკაფნე ხევნარნი მისნი დადებითა მათ ზედა მახჳლისაითა“ G, – „ნუ დაჰკაფ შენ ნერგსა მათსა მახჳლითა შენითა“ (M, II შჯ. 2019); „არა იხილონ თუალთა ჩემთა *ხევნარი* იგი და შეექცეს გული ჩემი განცდად მისა“ (მ. ცხ. 293v). ხეოვანი: „იყავნ წარწყმედა მისი უდაბნოსა ხეოვანსა“ (Sin. – 11, 46v) – ილ. აბულ.

ხელვა:

სამ., ახ. ქართ. I. **ხელვა** ხელში მაქვს – დ. ჩუბ.

ხელ- ძირი; ხელისთვის აღდგენილია *ჴელ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ახ. ქართ. II. **ხელვა** სახელი ხელავს ზმნის მოქმედებისა: 1. მოვლა (ბოსტნისა, ვენახისა...). ვენახის ხელვა. 2. ზელით გამაგრება (ცომის გუნდებისა) – ქეგლი. შდრ. I. ხელვა.

დიალექტ. III. **ხალვა, ხელვა** [არაბ.] დამწვარ ღაღში მოხრაკავენ გამტკიცულ მჭადის (ზოგჯერ პურის) ფქვილს, მოზელენ შაქრიანი წყლით, გააკეთებენ პატარა კვერებს და დაჭრიან (აჭარ. ნოღ.).

ხენჯ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხენჯი** 1. ილეკროს ნაწური – საბა. || ჟანგი, რომელიც გადაეკვრის ლითონს (რკინას, სპილენძს) ჭედვის ან წრთობის დროს. სპილენძის ხენჯი. – ხენჯის გაწმენდა. ფიგურ. ის იყო სულიერი თანაზიარება, თავისუფალი, გაწმენდილი ყოველგვარი *ხენჯისაგან* (ხ. თავ. თარგმ.) – ქეგლი.

ქართ. ხენჯისა და ზან. (მეგრ.) ღანჯგი „ლითონის ამომჭამელი ჟანგსიტყვასთან შეპირისპირებით აღდგენილია ს.-ქართვ. *ღენჯ- „ლითონთა ჟანგი“ (ამომჭამელი)“ (ჩუხუა 2018: 99).

დიალექტ. II. **ხენჯი** (იმერ.) რისამე დანალექი, ნაწური. [ტყემლის] ხენჯი ზევით დარჩება ძარში და წვენი კი გობზე დავა («შინამრეწვ.»). (გურ.) წვნიანი საჭამადის ისეთი ნაწილი, რომელსაც დაღეჭვა სჭირდება, – ფოჩი – ქეგლი.

დიალექტ. III. **ხენჯი** ფიჩხ-ჯოხი ერთმანეთში არეული და მდინარისაგან მოტანილი. „წვრილი თებზი იყო *ხენჯში* გარეული, დიდი იყო წყალი“. „გადაწიე *ხენჯი*, ისე მუუდგი ბადე“ (იმერ. გაჩ.). აგრეთვე ქვ.-იმერ. მრეწ. III, II, 173. შდრ. ხიმინჯი წყალში სახმარი მსხვილი მანა – დ. ჩუბ. || ხიმენჯი წყლის ჩამონატანი ხე, ხის ტოტები, ფესვები. „წყალმა ჩამეიტანა და გამოყარა ქენერებზე ხიმენჯები“ (ად., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. IV. **ხენჯი** ცუდი რამ განზრახვა, მტრობა, დოყი. „მე რა ვიცოდი, რო მაგას რა *ხენჯი* ჰქონდა ჩემი“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. II. ხინჯი.

ხენჯიან-ი:

დიალექტ. I. **ხენჯიანი** ჭუჭყიანი რამ, ლითონი წიდიანი (ჯავახ. ზედგ.). იხ. I. ხენჯი.

დიალექტ. II. **ხენჯიანი** ადამიანი გულბოროტი. „ეგ ისრეთი *ხენჯიანი* კაცია, რამე რო არ გიხიმინჯოს არ იზამს“ (ჯავახ. ზედგ.). იხ. IV. ხენჯი.

ხერხ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **ხერხი** ხის (აგრეთვე ლითონის და სხვ.) საჭრელი, სახერხი იარაღი – ფოლადის დაკბილული ფირფიტა, ჩვეულებრივ, გრძელი (ზოგჯერ მრგვალიც). „განხერხა *ხერხითა* რკინისაჲთა“ (M, I ნშტ. 20, 3); „აღმაღლდეს *ხერხი* თჳნიერ მზიდველისა მისისა“ (J, ეს. 10, 15). აქვე: განხერხვა, დახერხვა, ხერხის-სახე – ილ. აბულ. მართლა არ მოჰკლა წყეულმა, გაჰკუეთა შუა *ხერხითა!* (შჰნ. I, 36, 2). [სამამლიას] *ხერხივით* ბიბილო შუბლზე გამოეჭიმა, სინგურივით ღუოდა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. || ხერხი იგივეა, რაც ფხაჭი-ფხუჭა სამუშაო იარაღი. ეს ქუდი გოოსო-გომოოსო ემ ხესა. როგორც *ხერხი,* დგონებია *ხერხი* რო მოჭრას; თქო: გატყუილებს, ეს კუდიო, ეს ხო *ხერხი* არ არიო; იმ ჴმელებ დოოჭერთყე და გავაკეთეფთყე *ხერხითა,* დავხერხავთ; კარი რო გუნდა შავკრათ, ხერხი უნდა, შალაფი უნდა, რენდა უნდა, ჴელაჩო უნდა, დერელი უნდა (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). **ხორხი** ხერხი ზან. (მეგრ. ელ.).

ქართ. ხერხ- ხერხვა ჭან. ხორხ- || ხერხ- || ხეხ- მეგრ-ხორხ-. ძირი საერთოა; მნიშვნელობა -ერთი და იგივეა (ჩიქობავა 1938: 431). აღდგენილია არქეტიპი *ხარხ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ. II. **ხერხი** თევზი – დ. ჩუბ. ხერხი-თევზი 7 მეტრი სიგრძის თევზი, ზვიგენს მიაგავს („უცნ.“). შდრ. I. ხერხი.

საშ., ახ. ქართ. III. **ხერხი** 1. ფანდი, ილეთი [თათრ.]. ჯიმშიდს დასძლია ომითა, აჯობა მისით *ხერხითა* (შჰნ. I, 36, 1). და გაუცუდო *ჴერჴი* მათი, ზღუდეზედა მაღლა ხტომა (შჰნ. I, 564, 4). *ხერხი* სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა (ანდაზა). [ოთიამ] რაც კი იცოდა თვითონ რაინდული *ხერხები,* იმასაც ასწავლა და კარგად გაწვრთნა (აკაკი). || მოხერხება, ეშმაკობა. ომით ვერას – თქვეს ვეზირებმა, – ისევ *ხერხით* როგორმე თუ შევძლებთ მაგ მძიმე საქმესაო (ზღაპ.). სუტ-კნეინას თავისი *ხერხი,* ეშმაკობა, გამოცდილება დაუბრუნდა (ილია). 2. საშუალება; წესი. მსხვილი მეურნეობის ინტენსიფიკაციის მეცნიერული ხერხები – ქეგლი. **ჭერჭ** ხერხი, მიხვედრილობა (სვან. თოფ., ქალდ.).

ხეტ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხეტი** 1. გაუგებელი, წინდაუხედავი. ხეტეზა ვაგიჟებ – დ. ჩუბ. დაშავებული მეც შურით დავიარები *ხეტია* (დ. გურამ. 147, 579, 3). „ჩემი გული მოინადირა, მივყევ მეც *ხეტივითა*“ (ს. მგალობ.) –

ქეგლი. || განრისხებული, გაცეცხლებული (ჯავახ. ზედგ.). || ჴეტი შტერი, ყეყეჩი; გაუგებარი (ქიზ. მენთ.). || ხერხეტი. ტლანქი, უხეში. „ხეტიანი და ტლანქი წინადადება“ (დ. ყიფშ.) – ი. გრიშ. || ხეტე (ქართლ. მესხ.). || ხეტერი (იმერ.) უშნო, მოუხერხებელი. [ცოლი] მეძახის... ყოვლად ხეტერ ყაბახს (დ. შენგ.) – ქეგლი. || სულელი, ჩერჩეტი, ქერქეტი (ვ. ბერ.). შდრ. ჴედ-ი ფორმა კომპოზიტის შემადგენლობაში: თავჴედი „ფიცხელი“, კადნიერი, თავგასული: თავჴედ არს ნათესავი (G რიცხ. 12, 29). ძირეული ჴედი-საგან ასიმილაციური დაყრუებით უნდა იყოს მიღებული ჴეტი (30, ზირაქ. ZAa) შეუგნებელი – საბა. 2. გადატ. **ხეტი** ვინც ან რაც აქეთ-იქით ეხეტება, დახეტიალობს. „ისრეთი *ხეტი* კაცია, სად დაბრაცუნომს, თითონაც არ იცის“ (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ხეტიალი უმიზნო, უთავბოლო სიარული, – ყიალი. მიყვარდა ღამით ჩვენს პაწია ქალაქში ხეტიალი (ჭ. ლომთ.) – ქეგლი. ხეტ-ება ზმნის ფუძე ფ. ერთელიშვილმა დაუკავშირა ჴედ || ჴეტ-ძირს. შდრ. ჴედ > ჴდ-ომ-ა > ჴტ-ომ-ა > ხტომა (ერთელიშვილი 1970: 270); (არაბული 2001: 51).

დიალექტ. II. **ხეტი** გრძელი, ბოლომოხრილი რკინა, ხმარობენ მეცხვარეები. აგრეთვე ცეცხლის გასაწევ-გამოსაწევად (თუშ. ხუბ.). || ჴეტა ნიჩბის ფორმის ხის გრძელტარიანი ხელსაწყო, რომლითაც ღუმელში პურებს აწყობენ და გამოაქვთ იქიდან. „შენი ჴელი ჴეტაზედა, აჩხატაის ხვეტაზედა!“ – ეტყვიან ბავშვს ხუმრობით ხელის ჩამორთმევისას (ხევს. ჭინჭ.).

ხეულ-ი:

ძვ. ქართ. I. **ხეული** «არდაგი», თხელი ტილო: „*ხეულითა* დამიმტკიციეს სარეცელი ჩემი“ O, – „არდაგითა გარდავრთხენ სარეცელნი ჩემნი“ (pb., იგ. სოლ. 7, 17) – ილ. აბულ.

სამ., ახ. ქართ. II. **ხეული** დახეული – დ. ჩუბ. || ძვ. შემოხეული, შემოგლეჯილი. მე ვარ მტერთაგან მწარედ გაცრცვილი, ტანთ საქორწინე საცმელთ *ხეული* (დ. გურამ.) – ქეგლი. იხ. II. ხევა.

ახ. ქართ. III. **ხეული** მიმღ. ვნებ. ნამ. ნაკრავი, ნაჩხვლეტი. სხვა რამ ფიქრი აქვს წყეულსა, თვალცრემლიანსა, ობილსა, გულზე ეკლებით *ხეულსა* (ვაჟა) – ქეგლი. შდრ. II. ხევა.

სამ. ქართ. IV. **ხეული** მოხევე; ხევში მცხოვრები – დ. ჩუბ.

ხეფენგ-ი:

დიალექტ. I. **ხეფენგი** (თ. kepenk) საცხოვრებელი სახლის ნაწილი – მეორე სართულიდან პირველში (მველებურ სახლებში – ბოსელში) ჩასასვლელი. ხეფენგის ასახდელ კარს ჩვეულებრივ ზედა სართულის დერეფანში აკეთებენ (ზოგან კი ოთახშიც კეთდება) (აჭარ. ნიჟ.).

დიალექტ. II. **ხეფენგი** თამბაქოს ერთად აცმული და გასახმობად ჭოკზე მიკრული ფოთლები (გურ. შარაშ.). შდრ. ავანგი (სპარს., თ. ჰევენგ)

თოკი, რომელზედაც რამეს აასხამენ გასაშრობად; თამბაქოს ხმელი ფოთლის ასხმულა. ფარდულის მთელი ჭერი სიგრძე-სიგრძობამდე თამბაქოს ავანგებით (გამხმარი, ზონარგაყრილი თამბაქო) იყო გამოჭურჭლული (დ. ზურაბ.) – ქეგლი.

ხეშ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხეში** ტილოს ნაქსოვი – ქეგლი. **ხეში, ხეშის სარტყელი** ტილოს სარტყელი (კირიონი). „წინდა მეცვა *მეშისაო*, ქალამანი ხეშისაო“ (ხალხ., ჯავახ. ზედგ.). || უხეში, მოუდრეკელი (ადამიანი, ქსოვილი, ტყავი...). რა *ხეში* ტყავია? მაგის წუღიები როგორნა ჩაიცვას ბოვშმა, ფეხებ დააგლის (მესხ. ფეიქრ.). შდრ. **ხეშეში** ხმელი, უხეში, გახევებული, მქისე. ხეშეში მატყლი (ქეგლი).

დიალექტ. II. **ხეში** მორგვში ღერძის გასაჭედი წვრილი სოლი. გახეშვა (ქართლ. ქიზ.) ხეშით (სოლით) გაჭედვა, მოხეშვა – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ხეში** (ლეჩხ.) «ყანის მომკის შემდეგ დარჩენილი თავთავებიდან გაკეთებული პატარა კონა» («დიალ.») – ქეგლი. **ხეში** || ინკილი კონა; მუჭა ზან. (ლაზ. თანდ.). შდრ. I. ხეჩო.

ხეჩო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხეჩო** (რაჭ.) «აკრეფილი თავთავებისაგან შეკრული კონა» («დიალ.») – ქეგლი. შდრ. III. ხეში.

დიალექტ. II. **ხეჩო** ხმელი, გამხდარი: „ეგ გოგო *ხეჩო*, ხმელი იყო, მალე იზდებაო“ (შავშ. ლექსიკ.).

დიალექტ. III. **ხეჩო** ხელეჩო: „აქ *ხეჩო* ცულია“ (დას., შავშ. ლექსიკ.). **ხეჩო** ხელეჩო ზან. (მეგრ. ელ.).

ხეხელა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხეხელა** მსხლის ჯიშია ერთგვარი (გავრცელებულია აჭარაში) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხეხელა** 1. (ქართლ.) მაღალი და გამხდარი, ხმელ-ხმელი ადამიანი. [ბაქრაძე] იყო სუსტი, ნაზი აგებულების კაცი, *ხეხელა* (ი. მანსვეტ.) – ქეგლი. || მაღალი, გამხდარი ადამიანი. რომელიც ძალიან გამხდარია, კაცია თუქალი და თანაც მაღალი, აყლარწული, იმას ეტყვიან *ხეხელასა* (იგ.). *ერთი ხეხელა* ქალი მოუყვანიათ კაკილაანთა რძლათა, იტყვი, ნემსი ყუნწში გაძვრებაო (მეჯვრ.). ბავშვობიდან ეგრე *ხეხელა* იყო, მაგას ხორცი არ მიჰკარებია (კარალ. აგრეთვე არად., ერედ., დ. თონ., ზერ., კოდ., ლამ., საგურ., ქვ. ჭ., ძეგ., წილკ.). 2. გამხდარი, მჭლე საქონელი. ერთი *ხეხელა* ძროხა ვიყიდე და იმი ამარა ვარ კავთ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. I. ხმელი მნიშვნ. 2.

ხვავ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხუავი** 1. ზვინი, გროვა; მოსავალი: „მუცელი შენი, ვითარცა *ხუავი* იფქლისაჲ, გარემოხუეული შრომნითა“ (J, ქება 7, 2); „ვითარცა ვინ შეკრიბა ქვაჲ *ხუავად*“ (O, ზირ. 21, 9). ხუავრიელი უხვი: „ხუავრიელთა წყალობათა შენთა განსამჴნობელად და ნუგეშინის-საცემელად ჩემ მონისა შენისა ცოდვილისა“ (მ.ცხ. 143v) – ილ. აბულ. ხუავი, **ხვავი** შეგროებული მარცვალი – საბა. || გროვა, ზვინი მარცვალთა, ანაკმაზი ბზიანი, რიოში ჩენჩო – დ. ჩუბ. ვეღარ შესძლოთ *ხვავისა* კეთილისა გამორჩევა-მეთქი (რუსუდ. 562, 23). || ხორბლის, სიმინდის ტაროების და მისთ. გროვა. [ყანა] მომკეს, გალეწეს და გაანიავეს. *ხვავი* ცალკერძ დააგროვეს და ბზე ცალკერძ (საბა). სიმონამ გარჩეული სიმინდის ტარო *ხვავისკენ* გადაისროლა (ბანოვ.). || საზოგადოდ რისამე გროვა, ერთმანეთზე დაყრილი ბევრი რამ. კომბოსტოს უზარმაზარი *ხვავი* წამოყენებულიყო ეზოში (მიხ. მრევლ.). [იაკუბმა] შეშის *ხვავს*... ცეცხლი გაუჩინა (რ. გვეტ.). 2. ბარაქა, სიუხვე. ჩანს, შავი მიწის ბრძოლასაც ზოგჯერ არა აქვს *ხვავია* (რ. ერისთ.). ◊ კაი ხვავი! ხვავი აქა და ბარაქა! ბარაქა თქვენს ხვავსა! დალოცვა ჭირნახულის აღება-დაბინავების დროს. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ხელხვავი – ქეგლი. || სიმინდის ტაროების გროვა. კაცეფს დააჯენენ *ხვავეფში* საყარაულოთ (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ძოწ.). || კალოზე შეგროვებული გალეწილი ბჯა გასანიავებლად (ჯავახ. ბერ.). || ჭ., თ. გალეწილი პური, სანამ გაანიავებდენ და ბზეს მოაშორებდენ – ა. შან. შდრ. || ხოვი (კახ. ინგილ.). ქერმა თქვა: ლაფში ჩამფალ, ხოვში ჩაგფლავო (ანდაზა) – ქეგლი. || ხოვი გუდ., მთ., ჴ. (ა. შან., ფერეიდ. ჩხუბ.). ს.-ქართვ. ძირად აღდგენილია *ხუაუ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ხვავი** ვაზის ძირში შემოყრილი მიწის თავწვეტიანი გროვა. ჩვენ ვრგავთ ვენახს ერთიმეორეზე ერთი ვერშოკით დაშორებით, მერე დეეყრება თავზე მიწა, რომელსაც *ხვავს* ვეძახით (ქვედა საქარა). || ხვერი ქვევრის თავზე დაგლესილი აყალოს შემდეგ დასაყრელი ფხვიერი მიწა (ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ხვარი. II. ხვანხვალი.

ხვანხვალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხვანხვალი** (იმერ.) ცქმუტვა, შმუშნა; ფუტკნა. კაცია წინ გაუძღვა, მათე უკან *ხვანხვალით* აედევნა («ნიშადური») – ქეგლი. || ხვარხვალი, ხვანცარიკი, ფხაკური, მიტრიალ-მოტრიალება – ვ. ბერ.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხვანხვალი** (რაჭ.) ფხვიერი მიწა. ბავშვს ეტყვიან – რა *ხვანხვალში* ჩამჯდარხარ («დიალ.») – ქეგლი. ჭურის თავის მოვლა: ...თიხა უნდა გადაიზილოს და ისე დაეგლისოს, ზედ ფხვიერი მიწა *ხვანხვალი* მოეყაროს... (რაჭ. ფრ.). იხ. III. ხვარხვალი.

ხვარ-ი:

სამ. ქართ. I. **ხვარი** „ლექსთ მეტ-ნაკლულობათა ასო“ (საბა).

მ. ჩუხუა, ქართ. ხვარი „ასო“ (საბა) და ზან. (ლაზ.) ხურა || ხუ-ა „სხეული, ტანი“ შედარებისას, აღადგენს ს.-ქართვ. *ხუარე „ასო; სხეული, ტანი-არქეტიპს. სემანტიკური ოპოზიცია ასო – სხეული, ტანი ახსნადია. მიუთითებს ლაზური სემანტიკის კანონზომიერი ალომორფებს წინარესინდურ და დაღესტნურ ენებში და აღნიშნავს, რომ ხათური ḫur „სხეულის ნაწილი“ უფრო ახლო დგას ქართული ასოს შინაარსთან (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ხვარი** (მესხ.) მტვერი (ქ. სიხ.) – ალ. ღლ. შდრ. I. ხვარ-ხვარი.

ხვარტ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხვარტი** «მსხვილი სალესავი ცულისა» («დიალ.») – ქეგლი. || **ხარტი** ცულის სალესავი – დ. ჩუბ. [გოჩას] ჩარჩოში ჩაყენებული ხარტი ფეხებშუა ჩაედგა და ზედ... ნაჯახს ლესავდა (ლ. ქიაჩ.). || **ხარტ** [აზერ.] სალესი ქვა (ინგ. ღამბ.). აგრეთვე გურ. ჟღ.

დიალექტ. II. **ხვარტი** ძლიერი სიცხე მოღრუბლულ ამინდში. „უბედური *ხვარტი* არ იყო, კაცო, დღეს! ცოტა მეიბრუნა ყოლიფერმა სული ამ საღამოს“. „ამ *ხვარტში* ახლა წყალშია კაი წასვლაი“ (იმერ. გაჩ.). || ძლიერი სიცხე, პაპანაქება. რა ხვარტი არი! დახვარტამს ნაყოფს (ხევი). დღეს ხვარტია (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ., იმერ. ქავთ.). || **ხვატი** || **ხუატი** მეტად ძლიერი სიცხე – საბა, დ. ჩუბ., ქეგლი.

ხვარხვალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხვარხვალი** ჩქარი დუღილი წყლისა. „არ უნდა მეტი აწევა ცეცხს, ხო ხედავ რაფერ *ხვარხვალობს*“ (საჩ. შარაშ.). || წყლის დუღილი, ქვარქვალი. შდრ. ჭან. ო- ხარხალუ – ვ. ბერ. აგრეთვე აჭარ. ცქიტ. იხ. II. ხვარხვარი.

დიალექტ. II. **ხვარხვალი** ლოგინში ტრიალი (ლეჩხ. ჩიქ.). **ხვარხვალი** ტრიალი ზან. (მეგრ. ელ.). იხ. I. ხვანხვალი.

დიალექტ. III. **ხვარხვალი**: ჭურს სხვაგვარი მიწაც ესაჭიროება, რომელსაც „ხვარხვალი“- „უბირი“ ეწოდება. *ხვარხვალი* უსათუოდ თირი-შირიფი მიწა უნდა იყოს, იგი გრილი და წყლის გამტარია, *ხვარხვალს* აყალოს მსგავსად იმარაგებენ (რაჭ. ფრ.). || წვრილმარცვლოვანი ფხვიერი მიწა (რაჭ. კობახ.). იხ. I. ხვარხვარი.

ხვარხვარ-ი:

ახ. ქართ. I. **ხვარხვარი** ხვარხვარა მარცვლოვანი, ხვრიში. ხვარხვარი მარილი. – ხვარხვარა ერბო – ქეგლი. იხ. III. ხვარხვალი.

ახ. ქართ. II. **ხვარხვარი** ძლიერი დუღილი, – კვარჩხალი. ფიგურ. კლდის პირებზე *ხვარხვარით* ამოქუხს ცივი წყაროები (ბ. ჩხ.) – ქეგლი. იხ. I. ხვარხვალი.

ხვედა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ჴუედა 1. ურო: „დადვა *ჴუედაი* ჴელსა შინა თჳსსა“ (G, მსჯ. 4, 21) – ილ. აბულ. ჴვედაი ურო (თუშ. ცოც.). || ხვედა ხის ურო – დ. ჩუბ. ვერ გავსძლებ მეცა, თუ ნაცვლად თავს არ დავარტყი *ხვედაი!* (ბეს. 164, 32). ხელში მიჭირავს *ხვედა*, ჩუქურთმისა მჭრელი ვარ (ი. დავით.). [იოთამაი] აღარ აცლიდა ნადირს, თავისთავად მომკვდარიყო..., თავში ლურსმებით მოჭედილს *ხვედას* უშენდა (ვაჟა). 2. უხმარიათ რკინის უროს მნიშვნელობით. ხელახლად აგრგვინ-ატკრციალდნენ ძალუმი *ხვედა* თუ კვერები (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || ზოგჯერ თავთავსაც ბეგვავენ, როცა ცოტაა. ამისათვის *ხვედას* იყენებენ (ტარიანი მოკლე მორი, ორთავა ჩაქუჩივით) (ალგ. სალ.). || გადატ. „მკერდს ერჭვას ჭირის ლურსმანი, ზედ ბედი სცემდეს *ხვედასა*“ (თ. „ივერია“ – ივ. ქეშიკ.). აგრეთვე: ფშ., თუშ., ქართლ., კახ., მესხ., ქსნის ხეობ. ჯავახ. **ხვედა** ხვედა, ხის ურო ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. II. **ხვედა** ბუ. თორმეტი *ხვედა* ძაღლი მყავს, არსად გაუშვა მგელია (ლ. ლეონ.) – ქეგლი. ხვედა < ხვადი მამალი, მაგალ. ლომი, ძაღლი კატა, ვეფხი, დათვი, მგელი ტურა და სხვ. – დ. ჩუბ., ქეგლი.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ს.-ქართვ. *ხუად- არქეტიპს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ხვია:

ახ. ქართ. I. **ხვია** სპირალის ერთ შემოვლება, ხვეულა. [მუზეუმში ინახება] თმის სამაგრი სამკაული – მინიატურული ხვია («სახ. გან.») – ქეგლი.

დიალექტ. II. **ხვია** ფშ. ღვია(?), თ. ღვიო – ა. შან.

ხვირა:

ახ. ქართ. I. **ხვირა** ლეჩხ. ხვადი კატა – ქეგლი.

აღდგენილია არქეტიპი ს.-ქართვ. *ხუირ- „ხვადი, მამრი“ (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ხვირა** დიდი და მრგვალი. დიდი *ხვირა* თავი აქ, მარა ჭკუა არ ეკითხება (ლეჩხ. ალავ.).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ხუირ- „დიდი და მრგვალი“ (ჩუხუა 2017).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. III. **ხვირა**: **ხელხვირა** პატარა ხვირი, – ხელჯინა. ხელხვირას მიწის მოსატანად ორი კაცი ასწევს («შინამრეწვ.») – ქეგლი. || ხვირი გოდორყური, ჯინი – დ. ჩუბ.

ხვირთქლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხვირთქლი** ხვითქი. [ონისე] მიდიოდა გაჩქარებული, მგლურად და პირზე *ხვირთქლი* გადასდიოდა (ა. ყაზბ.) – ქეგლი. || ოფლი სახეზე (გურ. ჟღ.).

ვფიქრობთ, რომ ხვირთქლი < ხვითქი. ხუითქი || ხვითქი ქაფი. ერთი ფერი ყვანა სხუა არის, რომე საპონისა ხუითქსა გვანდეს. რომე ისი ღუიძლის სისხლისა ყვანა ღუინისა თხლეს გვანდეს და ხუითქონი და მყრალი იყოს (ფანასკ. 262, 16). ხვითქიანი ძვ. [სპარს. ხაი, ძვ. ხვაα] „ოფლი, ორთქლი“ (იუსტ. აბულაბე 1940). შდრ. ფ. ერთელიშვილი: ღვირთქლ > ხვირთქლ; თავის მხრივ ღვირ-ღვილ > *ღვირ-ღილ, *ღვირ-თილ > *ღვირ-თქილ > ღვირ-თქლ > ხვითქი (ერთელიშვილი 1980: 198).

ახ. ქართ. II. **ხვირთქლი** (გურ.) იგივეა, რაც ხვითქი, – ახალი, ქორფა, გაფუებული. ხაჭაპური გამომიცხვე, ყველი გეშოვებაო, *ხვირთქლი* კვერი მოაყოლე, ცომი ნუ იქნებაო (ხალხ.) – ქეგლი. ვფიქრობთ, ხვითქი > ხვირთქლი. **ხვითქია** თოთო და გასუქებული (სვან. ლიპარტ.). **ხვითქა[ლ]ი** იგივეა, რაც ხვეთქერე, ხვეთქერია, – პუტკუნა. **ხვეთქერე, ხვეთქერი,** ჩაპუტკუნებული, ფუმფუტა ზან. (მეგრ. ქაჯ.).

ახ. ქართ. III. **ხვირთქლი** მსუბუქი, ცეცხლგამძლე მინერალური მასალა, რომლისგანაც ჩიბუხებს და სხვ. ამზადებენ – ქეგლი. შდრ. ხუთო ქვა გესლთ მკურნალი (საბა, ქართლ. მესხ.). ხუთაო თ., მოჯ. (მრ. ხუთავები), ხუთო ჯ., ფშ. „ზღვის კენჭი“ (ხვითო?) გალესვენ და წამლად ხმარობენ. „ღლესენ იმასა“ (მოჯ.) – ა. შან.

ხიბალ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხიბალი, ხიბლი** [სპარს. ხაბალ] 1. ჯადო, გრძნება. სხვა რამ ქნა *ხიბლი* ასეთი, თოვლი ჰაერში ავიდა («შაჰნამე»). შენ ის არას მოგცემსო და არამც *ხიბალიც* რამ გიყოსო («რუსუდ.»). || გადატ. მომხიბვლელობა, მიმზიდველობა. [ქალი] გრძნობდა, რომ უწინდელი *ხიბლი* ბოლივით ეფანტებოდა (მ. ჯავახ.). 2. «ეშმაკი და კუდიანი კაცი» («დიალ.») – ქეგლი. || ფშ. (რაზ.-ჭყ.). || ხევს., თ. მავნე (ეშმაკი და სხვ.) –ა. შან. დაგხიბლა ღმერთმა! (წყევლაა). შემხიბლა, დამხიბლა მოჯ. მომაჯადოვა. ხიბალი „მავნე (ეშმაკი და სხვ.)“ – ა. შან. **ხიბალკუდიანი** (ფშ.) ეშმაკი, გაჭინული ადამიანი (ფშ. «დიალ.» – ქეგლი, თუშ. ცოც.). **ხიბალ-კუდიანობის ღამეი** დიდმარხვის აღების ღამე, ბავშვები გავლენ სოფლის გარეთ და ცეცხლმოკიდებულ ისრებს ისვრიან ძახილით: *„ხიბალო-კუდიანებო,* კაკალო-გულიანებო, თქვენამც გჩრიათო“ (თუშ. ცოც.). 3. საწამლავი. ავადმყოფობისაგან (უმთავრესად ციებ-ცხელებისაგან) „მოწამლული“ ადამიანი. გადატ. მწარე სიტყვის ადამიანი. ხიბვლა მოწამლვა, მოშხამვა (ქიზ. მენთ.). აგრეთვე ინგ., როსტ., ღამბ.

დიალექტ. II. **ხიბალი** 1. კოჭლი, ხეიბარი. „ვახტუმდა ერთი *ხიბალი* ზროხა ქვყავდა“ (გულ., ჩვენ. ფუტკ.). 2. მჭლე, გამხდარი. „რა *ხიბალია* ე ბაღვი, სულ ძვალ-ტყავია“ (აჭარ. ნიჟ.). || ხიბეკი მჭლე, გაძვალტყავებული (ცხენი, ხარი, კამეჩი...). „გამოსულზე რომ გამოვრეკავთ ჯენდეკ, ხიბეკ საქონელს, თველზე გაზაზანებული ჩამოვრეკავთ თიდან“ (აჭარ. ნიჟ.).

ხიზ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხიზი** 1. ცმელი დანაყილი – საბა. || გაბზარული თიხის ჭურჭლის საგლესი (ბამბას და დანაყილ-გაცრილ თიხას აურევენ ცვილში ან თხის ქონში და მოადუღებენ) *ხიზით* შელესდნენ ხოლმე ჭურს, როცა გატყდებოდა («შინამრეწვ.») – ქეგლი. *ხიზს* ქვრევს ან ტუჩუჩს (თიხის ჭურჭელს) განატყრომ ადგილში უსმენ, ქეჩიდ ფიდთი *ხიზენ* (ინგ. ღამბ.). 2. ხიზ მსუქანი ხორცის ჭამისას პირის ღრუს ქონით გასიპვა. ზროხი ფიდმ (ქონმა) იცის *ხიზ*, ცხორი დუმადც ხიზავს (ინგ. ღამბ., ქიზ. მენთ.). **ხიზვა**: გული მეხიზვება გული მიმსუყდება – დ. ჩუბ.

ხიზი [< თურქ. hiz] (გურგენიძე, რუხაძე 2017: 50).

დიალექტ. II. **ხიზი** სასროლი ბადის ცაზე გამობმული თოკი, – ხეზი. *ხიზია* სასროლი ბადის ცაზე გამობმული თოკი, რომელიც მაგრდება მებადურის მაჯაზე (შროშა). || ნამყენსა და ნამყენს შორის ადგილის განაწილების თვალსაზრისით სისწორის დასაცავად ნაკვეთში გამობმული თოკი არის *ხიზი* (ტაბაკინი, ზ.-იმერ. ბოწ.). || ხიზა „მდინარეზე გაბმული თოკი (ვ. ბერ.). ხიზი < ხეზი; **ხეზი** (სოკიმ ZAaBC.) საბელი – საბა. **ხიზა** გრძელი და წვრილი ბაწარი შენობის კედლის აგების დროს (სვან. ლიპარტ.).

ხიკვ-ი

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხიკვი** 1. ფხალი, ლანა. მხალი ესე კომბოსტასავე გუარია, რომლისაცა ძირი წარმოადგენს მცირედ მოგრძეს, გატკეცილსა და მოგურგალოს თალგამსა იქმარების მოგბოლვილი საზრდელად ვითარცა თალგამი (ი. ბაგრატ.). 2. მურკი, ხვიტი – ქეგლი. || (ბალ.) თავ-კვრივი კომბოსტო – საბა. || თავხვეული კომბოსტოს შუა, მკვრივი ნაწილი (ღერო) – ქეგლი. || კიკვი (ქიზ.) კომბოსტოს გული (მკვრივი ღერო) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხიკვი** (იმერ.) პურის ან მჭადის ნატეხი. მოხუცებული კაცი ვარ, კბილები აღარა მაქვს, ხმელ *ხიკვებს* ვერაფერს დავაკლებ (ზღაპ.) – ქეგლი; იმერ. ქავთ. შდრ. ◊ ხვიტილა პური (ლეჩხ.) ხორბლის ჯიშია ერთგვარი (უფხო, მსხვილმარცვალა) – ქეგლი. **ხვიტი** ერთგვარი ნასვრეტებიანი მჭადი ზან. (მეგრ. ქობ.).

ხილარ-ი:

ახ. ქართ. I. **ხილარი** თაფლიანი ფიჭა. გულს ნუ გაიტეხ! მოიგონეთ თაფლით სავსე თეთრი *ხილარი*, მოიგონეთ ყვავილების ტკბილი წვენი! (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ხილარი** სახლის ის ნაწილი, ოთახი, სადაც ჭურჭელი უწყვიათ (ჯავახ. ზედგ.). ხილარი < ქილარი; ქილარი [სპარს. kiler] სათავსო, საბარგო. „სახლ აქ ქილარი“ (მაჭ.); „დამიყარე ქილარის კარი!“ (ინ.); „ამას ქილარსაც ვუძახით“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ჯავახ. ზედგ., აჭარ. ნიჟ.

ხიმ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხიმი** ლერწმისა და ჩალის ბაკი – საბა, ქეგლი. || ძვ. ლერწმისა და ჩალის ღობე (შდრ. ხიმე) – ქეგლი. || მოზნექილი ხის ფიცარი, რომელზედაც დოლს გადააკრავენ ხოლმე (ი. გრიშ.). || ხიმა, ხიმანკი სკის (გეჯა) ზედა მეორე ნახევრის საბჯენი – ორპოტიკა (ორტოტიანი) ხე, რომელსაც შეუყენებენ თაფლის ხილვის ან სკაში მართვეს შესვლის დროს (აჭარ. ნიჟ.). || ხიმე სარის ღობე. „ხიმეს ვერ ჩამოეტია, ხიმეს ხსნიდა კბილითა“ (პ. უმიკ. I, 285).

ს.-ქართვ. *ხიმ- სარი; პალო“ (ჩუხუა 2018: 111).

დიალექტ. **II. ხიმი** (ხიმიი, ხიმიკ, ხიმიჩიჩქი) კარანტაშ [რუს.] ქიმიური ფანქარი (ინგ. ღამბ.).

ხინა:

დიალექტ. **I. ხინაცჷ** იგივეა, რაც ქინტაც: წალოში მარცვლის ასარევი ხელსაწყო (თუშ. ცოც.). || ხინაი / ხინაცჷ ნიჩაბი, იხმარება გახურებული თორნის გამოსაწმენდად (თუშ. ხუბ.).

საშ. ქართ., დიალექტ. **II. ხინა** ინა (ბალ.) წითლად შემღებავი – საბა. **ხინა** მცენარეა, რომლითაც მუსულმანი ქალები ხელის თითების ფრჩხილებს იღებავენ – ი. გრიშ. ხინა || ჰინა || ინა არაბულ-სპარსულად იწერება და იკითხება ასე: [არაბ. ḥinnâ, ‘სპარს. hannâ’ || henâ']. ხინა-ში თავკიდური ხ თანხნოვანი შესაძლებელია, რუსული ენის (хна) გავლენით იყოს განვითარებული (ბართაია 2010).

ხინჭ-ი:

დიალექტ. **I. ხინჭი** დანალექი, ფოჩვი. „ძირში დარჩენილა *ხინჭი*, ფორჩვი“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ის ნაწილი (ლობიო, მხალი, ხორცი...) წვნიან საჭამადში, რისგანაც ესაა დამზადებული, – ფოჩი. „მასე თუა, ძვალი შენ, და ბილი–მე, წვენი შენ და, *ხინჭი–მე*“ (აჭარ. ნიჟ.). იხ. I. ხენჯი.

დიალექტ. **II. ხინჭი** სიძულვილი, ღვარძლი, ბოღმა (ჩვენ. ფუტკ.). შდრ. III. ხინჯი.

დიალექტ. **III. ხინჭა, ხინჭი** სილა, წმინდა ქვა, რასაც საცერი გაიტანს. არი წმინდა ქუა, რაძღა ცხრილსაყე რო არ გავა, თუ კიდე იმაზე მეტი ემე ცხავი მაიტანოს, ცხრილსაყე გაიდეს, ის *ხინჭა* არი, რაც დავარდა სხილი, ეგსიდე – ჭოჭყია; *ხინჭი* არ მეეკვრის, მიწაზე რო გაშალო (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). იხ. II. ღჳჭ-ი || ღჳნჭა.

ხინჯ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხინჯი** ნაკლი, ზადი, მანკი. [ქალის] სხეულს არავითარი ხინჯი არა მოეპოვებოდა-რა (შ. არაგვ.). ჰაზირას ხმას ბოლო დროს *ხინჯი* შეეპარა (ი. გრიშ.). ◊ **(გულში) ხინჯად აქვს** ნაწყენია, გულს აკლია. იმ ერთი დღის მოგონება გულში ხინჯად ჰქონდა [ელენეს] (ს. კლდ.) – ქეგლი. || ხინჩი (იმერ. გაჩ.), ხინჩიანი (საჩ. შარაშ.).

დიალექტ. II. **ხინჯი** მავნე (ფშ. დიალექტ., 596). ადამასგანის დედმამამ... გადაწყვიტეს, რომ ის *ბინჯი* „და ხიბალი“ თავიდან მოეშორებინათ (ფშ. ქეშიკ.). III. ხენჯი.

დიალექტ. III. **ხინჯი** ნარჩენი ქოთანში ან ქვაბში მიტოვებული საჭმელი (გურ. ღლ.). იხ. I. ხენჯი.

ხირხალ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხირხალი** 1. სხვილის ძელით სამ-ოთხ რიგად სიგრძით შემოვლებული ზღუდე – საბა. შეკრეს *ხირხალი* და დაუდგნენ სიმაგრეთა (ქ. ცხ. IV, 251, 18). [მათეს] წასძლია დამძიმებულმა თავმა და *ხირხლებში* გაიჩხირა («ნიშადური»). 2. ჭიშკარში გაყრილი ძელი: შდრ. ზღუდე, ჯირკალი – საბა. ჯირკალი გადასაღობი ხარიხა ცხვრის საწველელასი (მოხ. ქავთ.). „გუუკეთებია *ხირხალი* და შუუყრია ჩომა“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ფშ. შან., ხორნ. 3. მაღალი (სატარებელი) კიბე (ხისა). 4. გრძელ ხეს დაბურღავენ ახლო-ახლო და ჩაურჭობენ მოკლე ჯოხებს კიბის საფეხურებად. ჩვეულებრივ ასეთ კიბეს იყენებენ სახლის სახურავზე, ზვინზე და მისთ. ასასვლელად. სინ: ხინეჯი, ხირხინჯი (აჭარ. ნიჟ.). || ხირხალა (ლეჩხ.) «ტოტებიანი სარი, რომელზედაც ახალდაკლული პირუტყვის ნაწილებს ჰკიდებენ» (მ. ალავ.) – ქეგლი. შდრ. ჯერჯალ (ინგ. ღამბ.). **ხირხალი** ჩალის ასაკონი ხის სვეტი ზან. (მეგრ. ელ.).

გაორკეცებული ხმოვნის ნაცვლებით *ხირ-ხარი* (დისიმილაციით: ხირხალი, მთური გამოთქმით ჯირ-ჯალ-ი, ნიშნავს ჭიშკარში გაყრილ ლატნებს) (შანიძე 1980: 151). შდრ. ხალა „კაკლის დასაბერტყი ჯოხი, ჭოკი, აქედანვეა ხალხა „ლატანი, ჭოკი“ (სანიკიძე 1971: 59).

დიალექტ. II. **ხირხალი** ხერხემალი. „იმხელაზე გედეიწია, რომ კიღამ *ხირხალზე* გადატყდა“ (ზ.- აჭარ. ნიჟ.). შდრ. ხერხემალი ზურგის ძვალი – საბა. ხირხიმალი (იმერ.) (ქეგლი, რაჭ. კობახ.). || ხირხი (ზ.-იმერ. ძოწ.). **ხირხიმალი** ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. III. **ხირხალი**, ხირხატი. მწირმიწიანი ყანა, რომელიც ცუდ მოსავალს იძლევა. რას მიქებ ხევსურიშვილსა, განა არ ვიცნობ, რაც არი? – არცრუ ღგავ კაცის ნაშენსა, *ხირხალ* გორივით გამჭმარი (ხევს. ჭინჭ.). აგრეთვე მოხ. ქავთ. || ხირხატი ქვაქვიშიანი ნიადაგი, – ქვიშრობი (ქეგლი). აგრეთვე ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. || ხირატი „ქვავნარი“ მიწა – საბა. აღდგენილია ს.-ქართვ. ძირი *ჯირ- ქვა (ჩუხუა 2017).

ხირხიტო:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხირხიტო**, ნიგოზთა და ხახვთაგან მგზარი შეჭამანდი – დ. ჩუბ., საბა. ნიგოზი ხომ გაქვს *ხირხიტოსათვის?* (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || **ხირხიტოჲ** ერთგვარი საჭმელია, მწვანილეულით – ქინძით, ნიახურით, ხახვით, ნიგვზითა და პილპილით შეზავებული (ინგ.

ღამბ.). შდრ. ხმელ-ხირხიტო. ხმელ-ხირხიტოს გაავლებს (ხევს. ჭინჭ.). || ხირხიტონი წიწაკითა და მწვანილეულით შენელებული ნიგვზის საჭამადი (ახლა პომიდორსაც უშვრებიან) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ხირხიტოჲ** იგივეა რაც ყვრყანტუჲ, ყანყრატო (ინგ. ღამბ.). ხირხიტო < **ჴანჴრატო** ყანყრატო, ყელი (ქიზ. მენთ.).

შდრ. ქართ. ყარყანტო, მეგრ. ცირცონტი და ლაზ. ყირყინტონი „ყარყანტო" სიტყვათა შეპირისპირების საფუძველზე აღდგენილია ს.-ქართვ. *ყარყანტ- არქეტიპი. ყარყანტ-რედუპლიცირებული ფუძე ჩანს (*ყარტ-ყარტ- → ყარ-ყინტ-) (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ხიშ-ი:

დიალექტ. I. **ხიში** ნათესავი (შდრ. სპარს. xīš „ნათესავი"). „მასალან ემ *ხიშებმა*, რო ძმები იყნეს, თითომ ერთ ბატკანი... წინ დოოკლეს" (ფერეიდ. ჩხუბ., 299). იმ მამამთილიანთ *ხიშსა* უნდა სუ, სუ ემძრახოთ [ქდკ, ნარგისი აბასი] (ფერეიდ. ბერ. ბაკურ., 747).

ახ. ქართ. II. **ხიში** ჩანგლებიანი ყელსაბამი ძაღლისა, – ჯინჯილი (ქეგლი).

ხიჭ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხიჭი** დამტვრეული ქვა – დ. ჩუბ. იეზდის მეფეს გვერდს ვახლდი, არცა თუ მამცა *ხიჭია* (ქილ. 362, 22). ხიჭი, ხიჭა (ღორღი, ხურდა (მნიშვ. 2). ქვებს გააწყობენ, თან ხურდით, *ხიჭით* ჩახიჭავენ («მას. საქ. ეთნ.») – ქეგლი. || წყლის დანალექი წვრილი ქვები, წვნიკი ნამცეცები, კენჭები, ხრეში (აჭარ. ნიჟ). დახიჭვა (კედლის პირის) მოსწორება ხიჭის (ღორღის, ხურდა ქვის) მოყრით. კედლის *დახიჭვა* არი, როცა დულაბს დაასხამს, უნდა დააყაროს წვრილი *ხიჭი* (ბაზ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: მესხ. მაის., საინგ. მრეწ. I, 133). შდრ. ხინჭრიქვაცი || ხინჭრიკვაცი თეთრნარევი კაჟიანი რიყის ქვა (თუშ. ხუბ.). || ხვინჭი, ხვინჭა მსხვილი ხრეში. თუ ქუჩის მოკირწყვლა უჭირთ, ხვინჭა მაინც დააყარონ («ივერია») – ქეგლი. || ხვინჭა (ქიზ. მენთ.). || ხინჭოჲ (ინგ. ღამბ., როსტ.). || ხვინჭკი (ქეგლი). || ხინჭიპი (ზ.-იმერ. ძოწ.). || ხინჭრიკვაყრ (თუშ. უთურგ.) და სხვ. ხიჭი < ხვინჭი < ღვინჭი; ღჳნჭა, ღჳნჭი „წურილოანი ქვა", კენჭი. „ვითარცა ღჳნჭაჲ ერთი ქჳშისაჲ (O, ზირ. 18, 8). დავისხამ ღჳნჭთა ამათ წინაშე ჩემსა... და სამწუხროდ დავსთუალავ წურილოანსა მას ქვასა (მ. ცხ. 217v). შთააგდის ბუდესა მას შინა ღჳნჭაჲ ერთი მცირე (ბ. კეს. ეჭუს. დღ. 99, 28) – ილ. აბულ. ღ-ს და ყრუ ხ-ს ურთიერთმონაცვლეობა ღვინჭა || ხვინჭა (ქავთარაძე 1964: 227).

დიალექტ. II. **ხიჭი** სამკურნალო ბალახია (ფშ. ხორნ.). ღიჭი?

ხიხვ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხიხვი** 1. კახეთში გავრცელებული ერთ-ერთი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში; საუკეთესო ღვინო იცის. 2. საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების სახელწოდება – ქეგლი. აგრეთვე: მრეწ. IV, III: ქიზ. 81, ქვ. რაჭა 140, ლეჩხ. 151.

ს.-ქართვ. *ხიხუ- „თეთრი ყურძნის ჯიში“ → ქართ. ხიხვ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. ხიხვი** მჭადის ან პურის ნამტვრევები. ჭადის *ხიხვი* გადუყარე ქათმეფს (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. II. ხიკვი.

ხლინგ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ხლინგი** ძვ. ლინგი «ფიცრის კიდე» (საბა, ქეგლი).

საშ., ახ. ქართ. **II. ხლინგი** ძვ. ხრიკი, ფანდი, ხერხი (ნ. ჩუბ., ქეგლი).

ხლინგი ფიცრის კიდე არის. ამ მნიშვნელობით საბას ლექსიკონში ლინგი გვაქვს. ხლინგი არის კიდევ ხრიკი (დიალექტებში ხრინკ-ფუძეც გვხვდება: ხრინკული), რომელიც ფანდს აღნიშნავს. ამრიგად საბას ლექსიკონში „ფიცრის კიდე და ფანდი – ომონიმებით არ გადმოიცემოდა. ლინგი – ხრიკი. უნდა ვიფიქროთ, თითოეული მათგანის ფონეტიკურმა სახეცვლილებამ გამოიწვია მათი ბგერითი დამთხვევა თანამედროვე ქართულში (ფოჩხუა 1974: 87).

ხმელ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჴმელი** 1. «განჴმელი», გამხმარი, მშრალი: „პური მათი საგზალი *-ჴმელი* და დაგრკილული და დაჭმული“ G, – „პური საგზლისა მათისაჲ *განჴმელ* იყო და დამღილულ“ (M, ისუ ნ. 9, 5); „უკუეთუ ძელსა ნედლსა ამას უყოფენ, ჴმელსა მას რაჲმე-ღა უყონ?“ (ლ. 23, 31); „იყო *ჴმელ* ჴორცითა“ (მ. ცხ. 239v). აქვე: განჴმელი, ნახევარჴმელი, სიჴმელე; ჴმელი «ქუეყანა», ხმელეთი – ილ. აბულ. || **ხმელი** მჭლე, უნაყოფო. მე ერთი *ხმელი* კაცი ვარ, ძე არ მყავს, ვარ ბერწოვნათა (დ. გურამ. 94, 227, 3). *მკვდარ-ხმელი* ბალახი, აყოებულად ნანახი (დ. გურამ. 184, 1, 3). ზეით მხარს *ხმელი ხორცი* ეკიდა ყოვლის ნადირისა და ფრინველისა. გამოგვივლია ზოგთა ზღვათა შიგან და ზოგთა *ხმელთა* ზედან (რუსუდ. 457, 8). *ხმელთა* წყალთა მოძრავები, რაც არიან მაშიგ მავლად, უკრთებიან სხივსა შენსა (ვახტანგ. VI, 37, 23, 3). – რადგანაც [მიწა] ფაშარი და *ხმელი* იყო, [ფესვები] მისგან საჭმელს ვეღარ წოვდნენ (ი. გოგებ.). || არა რბილი, მაგარი. «ის» მიქანცული ეშვებოდა თავის *ხმელ* საწოლზე (დ. კლდ.). || უნოტიო, უნალექო. ხმელი ქარი. – დადგა ზამთარი, დაიჭირა *ხმელი* სიცივეები (ვ. ბარნ.). || არა ნედლი, სიცოცხლეს მოკლებული (მცენარე). *ხმელ* წიფელს წასვლია სიცოცხლის ნიშანწყალი (ვაჟა). ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს *ხმელსა* ნედლად (რუსთაველი). 2. საუბ. გამხდარი,

მჭლე (ადამიანი). დავითი *ხმელი*, მაღალი ტანის კაცი იყო (ლ. ქიაჩ.). 3. იგივეა, რაც ხმელა საღამოსაც მარტო *ხმელ* პურს გვაძლევდნენ 4. იგივეა, რაც ხმელეთი. დღეს ბრძოლას ზღვაზე გვიპირობენ, *ხმელზე* დაშინდნენ (ი მაჩაბ. თარგმ.). ხმელად ზმნს. მაგრად, არარბილად. რბილად დამიგეს, ხმელად მეძინაო (ანდაზა). || მშრალად, უნახველოდ (ითქმის ხვლების შესახებ). დიდხანს ახველა ყრუდ, *ხმელად* და ძლივს ამოიღო ნახველი [ბერამ] (შ. არაგვ.). 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. პირხმელი. ცა-ხმელი. ზღვა-ხმელი. ზეხმელი. წვერხმელი – ქეგლი. შდრ. ხმელე ცარიელი ჭადი, მარტო მჭადი (რაცხ. გურ.).

ჴმელი გვხვდება ძველ ქართულში. აღდგენილია *ჴამ-/ჴმ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ხმელი** (რუს.) სალუდე სვიის მოხარშვის შემდეგ დარჩენილი ნამგოლის გარეცხვით მიღებული სითხე; **ხმელ-ხირხიტო**. *ხმელ-ხირხიტოს* გაავლებს (ხევს. ჭინჭ.).

ხოვლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოვლი** (რაჭ.) «მოხვეული გზა» («დიალ.»). შდრ. ხვეული მიხვეულ-მოხვეული გზის ნაწილი, მოსახვევიდან მოსახვევამდე. მაღაროების ყოველი ხვეული ლაზარევისათვის ნაცნობი იყო (ე. ზედგ.) – ქეგლი. შდრ. IV. ხოლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხოვლი** (ფშ.) „ნაოხარი ადგილი“ («დიალ.») – ქეგლი.

ხოირ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. **ხჳრი, ხოირი, ხუირი** გვირგვინი, თავსაბურავი: დაიდგა *ხოირი* თავსა მისსა (O, ივდ 10, 3). „*ხუირი* (ხჳრი I) ზეზისაჲ (ზელემისაჲ I) დაადგან და შარავანდნი შეაბან (IO, I, ეზრა 3, 6) – ილ. აბულ. ხოირი ძვ. ქალის ძვირფასი თავსახვევი (დ. ჩუბ.).

საშ. სპარს. xōd – ქართ. ხოირი [სომხ. խոյի] (ანდრონიკაშვილი 1966).

დიალექტ. II. **ხოირი** წვიმის წვეთების დაცემით გუბეში და სხვაგან ზედაპირზე წარმოქმნილი ბუშტუკები (მოხ. ქავთ.).

ხოკერ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოკერი** 1. ხის ქერქის ჭურჭელი – საბა. || კასრის მაგვარი პატარა ჭურჭელი ხის ქერქისა. დედა-ჩემი ეძებდა რაღაცას *ხოკრებში*, მატყლს ამოყრიდა და გაჯავრებით ბუტბუტებდა (ვაჟა). 2. ხის ქერქისაგან მოქსოვილი პარკი (ხმარობენ რძის საწურად, რისამე გადასატანად და სხვ.) – ქეგლი. || ხის (უპირატესად ცაცხვის) ქერქისაგან დამზადებული ჭურჭელი ფარტენების ჩასაწყობად. „მატყლს] შინ მიტანილს ხოკერჩი ჩავზდებთ!“ (ხევს. ჭინჭ.). || სახილე ჭურჭელი – წაბლის ან

ბლის ქერქისაგან გაკეთებული; ფსკერი ზოგჯერ ნაძვის წვრილი ფესვებისაგან აქვს გამოწნული 3. იგივეა, რაც ქალა. იმასაც მოესწრება, ეგ თქვენი თავები მარგილებზე იყოს ჩამოცმული ცხენის *ბოკერივითა* (ბ. ჩხ.) – ქეგლი. აგრეთვე: აჭარული, ფშაური, მთიულური, თუშური, ჩვენებურების ქართული და სხვ. **ხოკერი** ხის ქერქისაგან (ბლისა და წაბლის) გაკეთებული ჭურჭელი მარწყვის ან მაყვლის ჩასაყრელად ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. **II. ხოკერი** მწირი, ხრიოკი, მოუსავლიანი მიწა (აჭარ. ნიჟ.). შდრ. **ხეკ** მწირი, ხრიოკი ადგილი (სვან. თოფ., ქალდ.).

ხოკერა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხოკერა** 1. ხოკერი. მიხო თვითონაც გიახლეზოდათ [ჟოლსა და მაყვალს] და დედისთვისაც მოჰქონდა პატარა ყურიანი *ბოკერათი* (თ. რაზიკ.). 2. (ხევს. მოხევ.) დაბალი და სქელი, ხოკერივით ჩამრგვალებული. 3. კუთხ. (იმერ. ლეჩხ.) სქელკანიანი გოგრა – ქეგლი. || ხოკერა კვახი ხმელკანიანი ტკპილი კვახია (ზ.-იმერ.-ძოწ.). „ეს რა მაგარია, ჭო, *ბოკერაი* ხაპი ხომ არაა, ნეტაი!“ (აჭარ. ნიჟ.). 4. ძალიან სუსტი, მჭლე ადამიანის მეტსახელი. „არ გასუქდა, *ბოკერაი* დარჩა, ქალობა რაფერნა ქნას, არ ვიცი?! (ჩვენ. ფუტკ.). **ხოკორაი, ხოკორაი, ხოკორა** 1. მწარე კვახის (აყიროს) ჭურჭელი. 2. არყის ქერქის ჭურჭელი ხაჭოსათვის (სვან. თოფ., ქალდ.). შდრ. **I.** ხოკერი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხოკერა** გველხოკერა, ანკარა, ძლოკვი. **ხოკერა** გველსა გავს, ჯობივით არი, არ იკბინება (ტირძ.). ხოკერა შხამიანი არ არი, ადვილათ არ მოშხამავს კაცსა (საგურ.); აგრეთვე ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). ხოკერა || გველხოკერა, უშხამო ქვეწარმავალია, თავიდან ბოლომდე თითქმის ერთი სიმსხოსია, კანი მოწითალო-მორუხო აქვს და ჭორფლივით წინწკლები აყრია, გველის დაუბინებელი მტერია (გ.-კახ. სახლთხ.). || გველსა ჰგავს და ესეც მუცლის ცურვით დადის უმსხოსი არის გველზე და თავიც მსხვილი აქვს. ესე გველსა ემტერება, დახოცს გველთა და ჩაჰყლაპავს (თ. ბაგრატ., ქეგლი).

სავარაუდოდ, გველხოკერა სიტყვის შემადგენელი ხოკერა ფერის აღსანიშნავადაა გამოყენებული. შდრ. ხოკო კოპეშიაშ ფერი (ზუგდ.-სამურზ., სენაკ.-მარტვ.) – ხოკერა კვახისფერი (მაძამია 2006: 116).

ხოლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხოლი** (რაჭ.) იგივეა, რაც ხალა. [ფირანამ] კაკალზე გრძელი *ხოლი* აიტანა და კაკალი... ჩამობერტყა (ა. გეწ.) – ქეგლი. *ხოლით* კაკალს ვბერტყამთ (ზედუბანი, ზ.-იმერ. ძოწ.). *ხოლს* ნიგვზის მოსარეკ ჯოხს უმახით. მოხოლავს ხოლით მორეკავს, დაბერტყავს (კაკალს) (რაჭ. კობახ.).

ხოლი < ხალა; ს.-ქართვ. *ხალ- (ა) „ჭოკი“; წნელი (გრძელი) (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხოლი** იგივეა, რაც ხევი – ქეგლი. აგრეთვე რაჭ. კობახ. I. ხევა.

ახ. ქართ. III. **ხოლი** ჰოლი. შდრ. ჰოლი [ინგ. ჰოლლ] დიდი დარბაზი, განკუთვნილი კრებებისათვის, მოსაცდელად (სასტუმროში, თეატრში...) და სხვ. – ქეგლი.

დიალექტ. IV. **ხოლი** აღმართი გზა (რაჭ. ვ. ბერ.). იხ. I. ხოვლი.

ხოლა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოლა** (მთ.) პატარა თივის ბულული ან ერთად მოხვეტილი თივა (ქეგლი). იხ. II. ჰოვლი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხოლა** (მესხ.) თიხის ჭურჭელი ერთგვარი («დიალ.») – ქეგლი.

ხოლიხ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოლიხი** წვრილის თევზის სანადირო ბადე – დ. ჩუბ. || წვრილი თევზის საჭერი ბადე. თუ ნახევარი წუთით *ხოლიხის* ზემოთ ამოკვრა დავაგვიანე, კალმახი ელვასავით ამოვარდება და თავს უშველის (ი. გოგებ.) – ქეგლი. საქართველოში მრავალნაირი ბადე გვხვდება. „აპლადი“ „ზეღმა“ ... „პეტაკი“, „სახვრეპელი, ... *ხოლიხი* და სხვ. (თ. ბერაძე, 1981: 107). || ხოლეხი წვრილი თევზის ბადე (ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.) – ალ. ღლ.

დიალექტ. II. **ხოლიხი** უწესრიგოდ დაყრილი საგნები (იმერ. ჯაჯან.).

ხომ-ი:

ძვ., საშ. ქართ. I. **ხომი** თანავარსკვლავედი: „გულისჴმა-გიყოფიან საკჳრველნი *ხომთანი*“ (O, იობ. 38, 31) – ილ. აბულ. || ქორკანდელი; პლიადი, ვარსკლავთ კრებული (დ. ჩუბ.). ზანგთა სით მოჰყვანდი შენ, პატრონი ცისა *ხომთა* (ვეფხ. 1139, 2). „ვინ ამაღლდეს, ვის დაამჯობს ცისა *ხომი?!* (შჱნ. II, 58, 530, 4). იფიცა ვინ შეგქმნა ცისა *ხომია* (ფეშ. 379, 2). მზეს ეახლნეს ქალთა ჯარი, მთვარეს გარე ვითა *ხომნი* (ნ. ციც. 505, ქვ. 1). **ხომი** ხომლი, ხურჭკუმი ზან. (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხომი** 1. ფშ. „ქუსლის ზემოთ აქეთ-იქით ამობერილი ძვალი, – კომახი“ (ა. შან.). 2. (თუშ.) ჩითას წვერისა და ტერფის ნაპირები («შინამრეწვ.») – ქეგლი. || ჴომი მაჯის, კოჭის ამობურცული ძვალი. „ჴომ ქუას მივარტყი-დ' მეტკინ“ (თუშ. ხუბ.).

აღდგენილია არქეტიპი *ჴომ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ხონდრო:

დიალექტ. I. **ხონდრო** უხეში (გურ. შარაშ.). **ხონდრო** < დონ-დროხ (ხონდრო – მსხვილი, შდრ. დონდრობა – სქელი უშნო) (ერთელიშვილი 1980: 151).

საშ. ქართ. II. **ხონდრო** «დამუხვლის რამე სახედ იწოდება, ვითარცა ქლიბი და ჭობოსანი» (საბა). ვინცა განვკურნე, დამკოდა, წყლულზე დამადვა *ხონდრონი* (საბა) – ქეგლი.

ხორგ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხორგი, ხორდი** წყალთ ყინული, დიდი მონატეხი – საბა. || ყინულის დიდი ნატეხი წყალზე (შდრ. ხერგი). მოგელავდა გაშმაგებული მდინარე, ...მოჰქონდა ყინულის ხორგები (კ. გამს.) – ქეგლი. შდრ. ხორტი (მოხევ. მთიულ.) მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი. ცხვარი გაიძაბა ვიწრო, ხვეულ ხეობაზე და დაემსგავსა მოძრავ, გრძელ ხორტს (ა. ყაზბ.) – ქეგლი.

წინაენისმიერთა მონაცვლეობა უკანაენისმიერებთან დ > გ: ხორდი || ხორგი. აგრეთვე დ > ტ ხორტი „წყალთ ყინული“ (ქავთარაძე 1964: 206, 347). შდრ. II. ხორდი.

დიალექტ. II. **ხორგი** რიყის ქვა; იყენებენ კედლის შუაგულში ჩასაყრელად. ხორგი ნაპირის კედლითვინ რო არ გამოდგება, შუაგულში ჩაიყრება, საცა საჭირო იქნება (ზერ., ქართლ. ლექსიკ). ხორგიანი მიწა (ქ.-აჭ.) ქვიანი, ღორღიანი, ძნელად დასამუშავებელი მიწა; ხორგიანი ადგილის სახელია ქვემოაჭარაში. „ხორგიანი მიწა სამუშაოთ ჩეთინია, მარა მოსავალს არ გიმტყუნებს; ბოლოკი გასკდება პირდაპირ, კარქა ხარობს“ (აჭარ. ნიჟ.). **ხორგი** დიდი ქვა ზან. (ლაზ. თანდ.).

აღდგენილია *ხარგ- ქართ. ხერგ- ხერგი(ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ. III. **ხორგი** ტექ. ღრუ ცილინდ რი (მექანიზმში) – ქეგლი.

ხორდ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხორდი** (ფშ.) «დარგვალებული და მაგარი ხორცები კანქვეშ» (ი. ჟყ., ა. შან.).

ს.-ქართვ. არქეტიპია *ჴუარდ- „გამაგრებული ხორცი“ (ჩუხუა 2017).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხორდი** ხორგი. გუდამაყრის წყალსაო *ხორდი* მოჰქონდაო (ხალხ.) – ქეგლი. || მთ. (იშვ. ხორგი) წყალზე გადაკრული ყინული – ა. შან. ხორდი მთიულურში ისეთ ყინვაზე ითქმის, რომელიც წყლებს ყინავს. ხვარდი ფშაურში კი წყალში არეულ ყინულის ნაჭრებს, ე. ი. თოშს ეწოდება. ხორდი საბასთან იგივე ხორგია-წყალთყინული, დიდი მონატეხი (ფშ. გოგატ.). || ხურდი ხორდი, წყლისგან მოტანილი ყინულის „ფიცრების გროვა (ხევს. ჭინჭ.). იხ. I. ხორგი.

ხორთუმ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. ხორთუმი, ხორტუმი** 1. პილოს ცხვირი – საბა. || [არაბ. ხურტუმ]წაგრძელებული ცხვირი სპილოსი (და ზოგი სხვა ძუძუმწოვარი ცხოველისა) – სუნთქვის, ყნოსვისა და შეხების ორგანო. სპილოები იკვებებიან ხის ქორფა ფოთლით, რომელსაც თავისი გრძელი *ხორთუმით* გლეჯენ (ი. გოგებ.). 2. მწერების სხეულის წინა ნაწილის გრძელი წანაზარდი. ფუტკრის ხორთუმი. – ობობას ჩაეყარა თავისი *ხორთუმი* ფეიქარას წელში და შაქარივით წუწნიდა (თ. რაზიკ.). 3. ტექ. ზოგიერთი მანქანის ნაწილი წაგრძელებული ფორმისა – ქეგლი.

დიალექტ. **II. ხორთუმი** (არაბ. hortum) წყლის მილი, შლანგი. *„ხორთუმები* ჩუუდია მიწაში“ (ინ.); „ხორთუმით წყალავს არსას“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ხორუმ-ი:

ახ. ქართ. **I. ხორუმი** ქართული (გურულ-აჭარული) თავისებური რიტმის მქონე ჯგუფური (ფერხულის მსგავსი) ცეკვა მამაკაცებისა. || მუსიკა, ჰანგი, რომელზედაც ამ ცეკვას ასრულებენ. საქართველოს კვარტეტმა პირველად ააჟღერა «ჩელა», ...«ნანა». ...*«ხორუმი»* («ლიტ. და ხელოვნ.») – ქეგლი. || **ხორომი** ცეკვის სახელი (ხორუმი). „ათი-თხუთმეტი დავაბამთ *ხორომსა* და ვისამებთ“ (იმ.); *„ხორომი* სამა ძალუან გიგვიხარდება“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ხორო ბერძულია, ფერჯულს(ა) ჰქვიან – საბა. შდრ. **ხორო** [ბერძ. choros] ძვ. 1. სიმღერებისა და სხვ. შემსრულებელთა კოლექტივი, ანსამბლი (ლიტერატურულად უპირატესია ქორო). ქართულმა *ხორომ* იგალობა ჩვენი საერო სიმღერები (ილია). 2. მემუსიკეთა ქანდარა დარბაზში. *ხოროდან* მოისმა საბალო მუსიკის მწყობრი გრიალი (ეკ. გაბ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ხორუმი, კორუმი** ერთად დაწყობილი, ერთად დაყრილი (ქვიშა და მისთ.) (ქიზ. მენთ.). შდრ. ხორო ზვინი – დ. ჩუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *ხორ- „შეკრება; ხორ-ა“ > ქართ. ხორ-ა (ჩუხუა 2000-2003).

ხორტ-ი:

დიალექტ. **I. ხორტი** ბალახი (აწწლი). „აქევრი მოლის ერთი სახელია *ხორტი“* (ბ.); „ხორტი წამალია რამათიზმისთვინ“ (ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხორტი** (მოხევ. მთიულ.) მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი. ცხვარი გაიმაბა ვიწრო, ხვეულ ხეობაზე და დაემსგავსა მოძრავ, გრძელ *ხორტს* (ა. ყაზბ.). იხ. II. ხორდი.

დიალექტ. **III. ხორტი** გაქაჯული ქატო ლუდის გამოხდის შემდეგ (ქსნ. სომხ.). || ხოტი ალაოს ლექი, ლუდის გამონახარში (შდრ. ბუყი). მარტო საარხეკას მაჭმევენო! – თვითონ რასა სჭამენო? – ხოტსაო. – მაშ, შენთვის კარგად უჭმევიათო! (ხალხ.) – ქეგლი.

ხორხ-ი:

ძვ., ახ. ქართ. I. **ხორხი** კერძი ნაწილი ყელისა, სადა აღმოდის ჴმანი სამუსიკონი" (საბა). სამარე ზე-აღებულ არს ჴორჴი მათი, ენითა მათითა ზაკუვენ (ფსალმ. 5, 10); სიტყუაჲცა ძნიად გამოვიდოდა ჴორჴით მისით (კიმ. I, 320, 21) – ლ. გელენ. || ანატ. სასულეს ზემო ნაწილი, ერთ-ერთი სასუნთქი (და სამეტყველო) ორგანო. სად წარმოიქმნება სასიმღერო ხმის ტემბრი – ზესადგამ მილში თუ *ხორხში*, სახმო სიმებში? (გ. ახვლ.) – ქეგლი. **ხურხი** ხორხი ზან. (ლაზ. კალანდ.). **ხურხი** ხახა ზან. (მეგრ. ელ.).

ჴორჴი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია, სადაც მეორე კომპონენტი შეკვეცილია და მარტო ჴ -ით არის წარმოდგენილი. შდრ. გურ.-იმერ. ყორყ-ა. ზანურში ეს კოპოზიტი გვაქვს სრული სახით ხორხოტა. მისი ვარიანტია ზანურშივე ხურხი. სვანურში ეს სიტყვა ქართ.-ზან. ო ხმოვნის ადგილას ა -ს გვიჩვენებს: ჴარჴ- „ხახა". ამგვარად: ჴორ- || ჴარ- საერთო ქართველური ფუძეა (დ. მაჭავარიანი 2013: 147). აღდგენილია *ჴორჴ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. **ხორხი** ზორბა, ბრგე კაცი (ქიზ. მენთ.). || ტანმაღალი, სრული, მოსული. ე მაგითანა *ბორბ* ვაჟკაცს ეგეთი წიორა უნდა მაეყვანა? (იგ.). ისეთი *ხორხი* კაცი დაუყენებიათ თავმჯდომარეთა, სწორეთ კარქ შაჰფერობს თავმჯდომარეობაი! (მეჯვრ.). ეგეთი *ხორხი* კაცი იყო ჩემი თედუაჲ ნათლია, რო იმი ქამრიდანა ორი ქამარი გამამივიდოდა (წილკ.); აგრეთვე ქორ. (ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ხროგი – უშნოდ მაღალი (ადამიანი, ნივთი) (იმერ. ქავთ.). ხრონგი გურ. დიდი ზორბა, მაღალი კაცი (წითელმთა, ი. შილაკაძე) – ალ. ღლ. **ხორგიაი** ზორბა, დიდი (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ. III. **ხორხი** მოსქო ნერწყვი– ი. გრიშ. შდრ. ხირხვლი ნახველიანი ფურთხი (ფშ. ქეგლი).

ახ. ქართ. IV. **ხორხი** ღორღი. დამსხვრეული, დალეწილი ქვა (ერთად დაყრილი). [ბინის] წინა კედელი *ხორხი* ქვით ყორესავითაა ნაშენი (რ. გვეტ.). [ცხენი] რკინით დაჭედილ ტოტებს ჩაქუჩებივით ურტყამს ხრიოკ ნიადგს... *ხორხი* მტვრად ადის ჰაერში (მ. ჯავახ.) – ქეგლი. ღორღი ანუ ხორხი დამახასიათებელია კლდისძირებისათვის (რაჭ. ფრ., 54).

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის *ხორხ-არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1980: 166.

დიალექტ. V. **ხორხი** ოდნავი შეღმართი. „თუ არ შევასტორეთ პეტერე ე გზაი, გოუჭირდება ამ *ბორბში* მანქანას ამოსვლა" (საჩ. შარაშ.). || დაქანებული და დაღარული (ნაღვარევი) ადგილი მთაში ან გზაზე (იმერ. ქავთ.).

დიალექტ. VI. **ხორხი** ხირხი; ხერხემალი (იმერ. გაჩ.). იხ. II. ხირხალი.

ხორხალ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხორხალი** მსხვილი და ბევრი რამ (მაგ., კარტოფილი) ერთად დაყრილი («დიალ.»). ფიგურ. ცხოვრება დღეს წვრილმანი მოვლენების ხორხალია (აკაკი) – ქეგლ . შდრ. ხურ- (ა-ხორ-ავ-ებ-ს, ხროვ-ა (სანიკიძე 1976: 56). იხ. აგრეთვე ერთელიშვილი 1970: 228.

დიალექტ. II. **ხორხალი** ტოტებიანი ხე მოჭრილი და სხვა ხეზე მიყუდებული ჩალის ჩამოსაკიდებლად (იმერ. გაჩ.). იხ. I. ხირხალი.

დიალექტ. III. **ხორხალი** ბეჭის ან მხრის ძვლის თავი; ზურგის ძვლის მარჯვენა და მარცხენა ნაწილი (გურ. ღლ.). შდრ. II. ხირხალი.

ხორხიან-ი:

დიალექტ. I. **ხორხიანი** ზორბა, ბრგე კაცი (ქიზ. მენთ.). იხ. I. ხორხი.

ახ. ქართ. II. **ხორხიანი** ღორღიანი. ნელის ნაბიჯით გავყევით *ხორხიან.* საშიშ გზაწვრილს (ა. ჭუმბ.) – ქეგლი. იხ. II. ხორხი.

ხორხორ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხორხორი**: ◊ **ხორხორი მიწა**, გორახი, არაფხვიერი მიწა – ქეგლი. იხ. I. ხვარხვარი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხორხორი** აურზაური, როხროხი. სოფელმა ბევრი *ხორხორისა* და ლაპარაკის შემდეგ გამოიყვანა კომლზე კაცი (ა. ყაზბ.) – ქეგლი. || ბევრის მისვლა-მოსვლა, თავშეყრა აი, შე რო მოხვედი, ისიც მოვიდა, ისიცა, მოგროვდა ხალხი და ატყდა *ხორხორი;* ხალხი რო შეიყრის თავსა (ზერ.). სუ გამუდმებით არი პელოთანა სტუმარი, რაც მანდ ხალხი მოდის, კვირაა, ისე დღეა, სუ *ხორხორია* (ტირძ.); ხორხოროობს მიდი-მოდის, თავ იყრის ხალხი (ქართლ. ლექსიკ.). || ხურხური (ქართლ. ლექსიკ.).

ხორხორი აურზაურის მნიშვნელობით როხროხი და ხორხოზი-ს სიტყვების რიგში დგას, ხოლო სხვა ხორხორი „არაფხვიერი მიწა" – არის სახესხვაობა ხვარხვარი სიტყვისა (ფოჩხუა 1974: 88).

ხოწ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოწი** 1. ხვეწი – ხის ჭურჭლის სათლელი (გულის ამოსაღები და სხვ.) იარაღი. ფულს ვინ მომაშავებდა? ფული ჩემი მკლავები იყო, ცული, სატეხი, საჭრეთელი და *ხოწი.* ვხვეწდი თაბხებს, ხონჩებს, ხის ჯამებს (ვაჟა). 2. (რაჭ. მთ.) «პურის ცომის მოსაჭრელი თენგია» (ვ. ბერ.). || რკინის პატარა ნიჩაბი ვარცლში ცომის მოსაფხეკად («დიალ.») – ქეგლი.

აღდგენილია: ს.-ქართვ. *ხოწ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ხოწი** ლუდის ნარჩენი თხლესავით სქელი (ქსნ. სომხ.).

ხოხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოხი** (თუშ. ფშ. ხევს.) რიყის ქვა. იმ დღეს ნიკალას მამამა ამზადა მისი აბჯარი; ათეთრა, *ხოხითა* ლესა, ლურსა, სათულად სახმარი (ბაჩ.) – ქეგლი. ყორეზე გაზდებენ სიპს ბასრს ან *ხოხს,* ან ჩეთს (ხევს. III, II, 110). || მაგარი ქვა. სალესად ან მარილის დასაფქვავად

გამოიყენება. ხოხგავლებული ფრანგული, გალოს რა მაგრა შჭრისაო (თუშ. ცოც.). || ხელის სალესავი ბასრი ქვა. „თიბამდეევე წინდაწინ გავამზადებკე ხოხებსა და თიბაჩი მასვენებით ვარკე“ (მოხ. ღუდ.). ზოგ სახლს კიდევ ისრევე დატანებული აქვს *ხოხი* (ფოლადი, მაგარი), ქვის სალესავი, რომელსაც სალესაცი ჰქვიან (თუშ. მრეწ. I, 156). ცელი... ცელვის დროს რომ მოჩლუნგდება, *ხოხით* აულესავენ პირს. ხოხი სალესავი ქვაა (ერწო-თიან. მრეწ. IV, II, 84).

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *ხოხ- ძირი „ქვა (რიყის“) (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ხოხი** ხეზე ცოცვა, ცოცვით ასვლა (ლეჩხ. ჩიქ.) – ალ. ღლ. შდრ. ხოხიალი (საუბ.) იგივეა, რაც ხოხვა. დიდი რამ არის წელში სამად მოხრა და მუხლისთავებზე ხოხიალი! (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი.

აღდგენილია არქეტიპები: 1. *ჴოჴ- (ფენრიხი, სარჯველაძე. 1990); 2. *ხოხ-ხოხვა (ჩუხუა 2017).

დიალექტ. III. **ხოხი** ძალა, ღონე. „სამი ვერსი გადვირბინე, მარა აღარა მაქ *ხოხია*“ (გურ. ღლ.).

ხოხორ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოხორი** კოკორი. ძირიანი წიწაკა, მწვანე, რომელსაც ჯერ ისევ *ხობრები* ჰქონდეს..., გაავლეთ მდუღარე წყალში (ბ. ჯორჯ.) – ქეგლი. || საჩირთედ მოწყობილი ნეკერი – ჩირთი (ფშ. შან.). || ღოლოს თესლი. ღოლოს *ხობორივ* კუჭაშლილის წამალიავ, გამგონი (თუშ. ცოც.). აგრეთვე ქიზ. მენთ. იხ. I. ხოხორა.

დიალექტ. II. **ხოხორ** 1. იგივეა, რაც ხორსლი – კანზე სიცივისაგან მუწუბის დარად წამობერილი თმის ძირები (თუშ. ცოც.). 2. წვრილი მუწუკები კანზე (ფშ. შან.). || „ხოხორი – როდისაც ადამიანსა გაცივოს და ხელ-ფეხზე ბეწის ადგილებზე აჩნია ხოხორი, როგორც ხორხორშელა“ /თორელი/ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.). || ხახვარი ტანზე დაყრილი წვრილი მუწუკი (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. III. **ხოხორი** აურზაური, ხორხოცი. *ახოხორდით*, მოჰევებო, ბევრნი ვისმე ვეგონებით (მოხ. ღუდ., ქავთ.). || ხმაური, ხმამაღლა დარისხება, წყევლა (ბევრისა). იმას გაუწყრას ეს იაკსარი, იმაზე იყვას ეს ქოთი *ხოხორი* ჯვარ-ჯვარისკარისაიდ' სოფლისაი (ეთნ. სწორფ. 162). ლაშარს მშავლები ახოხორდა, გიგა არ სჯერდა თავისასა. „გიგავ, დასჯერდი, და გენაცვლოს! ერთა ხოხორი ცუდი არი!“ (ხევს. პოეზ. 751, 4) – ალ. ჭინჭ. შდრ. II. ხორხორი.

ხოხორა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხოხორა** (რაჭ.) მოუქნელი ტყავის ქურქი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ხოხორა** მჭადის პატარა კვერი, თონეში გამომცხვარი; ნატეხები (მჭადისა...). ჭადისას რო მოიფხეკამენ ბოლოსა და მიაკრამენ პა-

ტარას თონეზედა, *ბობორას* იმას ეტყვიან (ქვ. ჭ.). ღმერთს ეხვეწეთ, ჭადის *ბობორა* ნუ გამოგელევათ (ტყვ.). საწყალი სულ ჭადის *ბობორაზე* გაიზარდა (ქემ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. კოკორი მცირე კვერი მჭადისა (გურ. ღლ.). კოკორიე მჭადი (ლეჩხ. ჩიქ.) – ალ. ღლ.

ხრიკ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხრიკი** 1. ძვ. «მორკინალთ ხელოვნება» (საბა). შდრ. ხრინკი (ქიზ.) ფეხის წამოდება ჭიდაობისას. ხრინკი სარმა, კვანტი, ფეხის გამოდება ჭიდაობაში – ა. შან. ხრინკული სარმა, კვანტი, ფეხის გადადება. ორსავ ფეხში ჭიდაობის დროს (ფშ. შან., ხორნ.). 2. ხლათი, ხვანჯი. მაშინ ჰყო *ხრიკი* ოთარ ჩოლაყაშვილმან (ქ. ცხ. IV, 718, 2). საწუთროსთან მისებრ *ხრიკი* მიგდო (რუსუდ. 10, 22). მის ეტიკისა დაკოდა ყუელა *ხრიკი* ყოფილიყო (ამირან. 514, 1). || ძმაცვა, ვერაგობა, ეშმაკობა – დ. ჩუბ. გაიძვერული ხერხი რისამე მისაღწევად, – ოინი. ბევრი ხრიკები, დიდი ოსტატობა და ჭკუის გამჭრიახობა გამოიჩინა პორფირიმ (დ. კლდ.). ◊ **ხრიკს [მო]უდებს** იგივეა, რაც შარს მოსდებს (იხ. მოსდებს). მომიდვეს ხრიკი: ორი თვე გაკლია და [პენსია] არ გერგებაო (აკაკი) – ქეგლი. **ხრიკვა** კინკლაობა, ვინმესთან დავა: „იმფერი ქალია, სულ მუდამ უნდა ეხრიკოს სხვას“ (გურ. ჟღ.). ხრიკი უყო, უხრიკა უეშმაკა, მოატყუა, ხრიკი გადაუგდო. „მელამ ძაღლს *ხრიკი უყო*, კუდი გადაუგდო და კლდეზე გადაჩეხა.“ ხრიკზე დატოვება გადატ. ცარიელზე დატოვება, არაფრის შერჩენა. „რაცა მქონდა, სუ წაიღო- ასე ხრიკზე დამტოვა“ (ჯავახ. ზედგ.). **ხირკ** ხრიკი, სარმა, ფანდი, ილეთი (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხრიკი** (გურ.) ერთგვარი ავადმყოფობაა, რომელიც თავზე თმას აცლის ადამიანს (ს. ჟღ.) – ქეგლი. ხრიკი მუნი (იმერ. ბერ.).

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **III. ხრიკი** მრავლ. **ხრიკები** დუგმები – დ. ჩუბ. ერთი აქ *ხრიკი* გამიხსენით (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. აგრეთვე თუშ. ხუბ. იხ. I. ხრიკა.

დიალექტ. **IV. ხრიკი** მწარე კვახისგან გაკეთებული ღვინის ამოსაღები, – კოპე (გურ. ჟღ.). **ხირკაი, ხირკა, ხირკაი** ორშიმო (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. **V. ხრიკი** კუდის ძვალი, უხორცო, ძვალ ხტილოვანი (ჯავახ. ზედგ.).

ხრიკა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხრიკა** «მაჯის შესაკრავი კავი» (საბა), – დუგმა. დედალი ხრიკა. – [ახალოხს] არც *ხრიკები* აქვს შესაკრავად, არც ღილები (ლ. აღნ.) – ქეგლი. გულზე დაკერებული ჰქონია *ხრიკები* და ისე იკრავდნენო (ქიზ. მრეწ. III, I, 11). || ხრიკაც დუგმა. ხრიკაც ორი: დედალ ხრიკაც-დ მამალ ხრიკაც (თუშ. ცოც.). აგრეთვე ინგ. ღამბ., როსტ., ქიზ. მენთ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხრიკა** (იმერ. გურ. რაჭ.) 1. გულამოღებული და ტარდაგებული აყირო; იხმარება სითხის ამოსაღებად, – ორშიმო, კოპე. ლაზარე, *ხრიკა* გამიტყდა, ღვინო დამექცა (ნ. ლორთქ.). || იგივე ჭურჭელი სხვა რამ დანიშნულებისა (მაგ., საკრეფელა და სხვ.). ძველი ჯიშები ნიგვზის ხესავით მაღალი იზრდებიან. ამ ხეხილს მოსაკრეფად სახრიკე კვახს ამოუჭრიან თავს და გრძელ ტარს უკეთებენ...; მკრეფავი ამოუდებს *ხრიკას*, ვაშლი იქნება თუ მსხალი, მოწყდება, ჩავარდება *ხრიკაში*... მერე გიდელებში გადააწყობენ («შინამრეწვ.»). 2. (იმერ.) «გამხმარი, ხმელი კაცი ან პირუტყვი» («დიალ.») – ქეგლი. აგრეთვე: რაჭ. კობახ., ქიზ. მენთ., ზ.-იმერ. ძოწ. მრეწ. IV, III: ქვ.-იმერ. 125, ქვ.-რაჭ. 59, ლეჩხ. 153. შდრ. II. ხეხელა. იხ. IV. ხრიკი.

ხრილ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხრილი** 1. წისქვილის ქვათა გარემოდებული რიოში – დ. ჩუბ. || კონცენტრულ საკვებს ეკუთვნის აგრეთვე... წისქვილის ანარჩენები – ქატო, წისქვილის ხრილი (ს. ჭუმბ.) – ქეგლი. გადატ. ნალექი, ან ზევიდან მოყენებული რამე ფქვილის მაგვარი. თვალნი გაუთეთრდეს ანუ გაუცრემლიანდეს უმანაკაცოდ, ან *ხრილი* ზედა მოექცეს... ესე ყუელა სიკუდილისა ნიშანია იცოდი (ქანან. 18, 6). ჰკრა კობალი და ფიცხლავ დალეწა ესე, რომელ ვითა *ხრილი* ეგეთი შეიქნა (ამირანდ. 297, 1). 2. (გურ. იმერ. რაჭ.) მშრალი თოვლი, ხეზე დადებული (შდრ. ხურხლი). ხეებს და ბუჩქებს «ხრილმა» დაახრევინა თავი (ე. ნინოშ.). 3. ფოთლის ფიფქი (ბ. წერეთ.), – ნაფიფქი. || ჩურჩხელაზე, ტკბილის კვერზე თეთრად მოდებული შაქარი – ქეგლი. აგრეთვე: ხევს. ჭინჭ., თუშ. ცოც., იმერ. გაჩ., ჩვენ. ფუტკ., რაჭ. ფრ., კობახ.; მრეწ. IV, III: გ.-კახ. 178, ქიზ. 174. **ხრილი პუდრი** – ი. გრიშ.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ხრილი** მწერის მიერ ხორცზე მიყრილი კვერცხი, – სხმილი (ქეგლი). || ხსილი, ხრსილი მწერების კვერცხი (ქართლ. მესხ., მესხ. ფეიქრ.).

ახ. ქართ. III. **ხრილი** 1. მოხრილი – დ. ჩუბ. **ხრილი მოხრილი**. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავხრილი – ქეგლი.

ხრო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხრო** „მხეცთ ჯოგი“ – საბა. *ხრომან* ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ (ქ. ცხ. IV, 824, 19). მარიდე ცხოვარს, საცა მგლის *ხრო* არს, მიხსენ მათგანა (დ. გურამ. 171, 14, 2). თქვენ შეინახეთ ნადირთ *ხრო* და ფრინველების ბოანი (ვაჟა). მოიყრიან მგლის *ხროსა-ვით* თავს და მოგვადგებიან [სტუმრები] (ა. ჭუმბ.) – ქეგლი. „ძაღლების *ხრო* ეჭენებიან აქეთ-იქით“ (გულ., ჩვენ. ფუტკ.). || ხროი მგლების ხროვა. – შენ გეცა *ხროი*, რაფერი მოსასპობი ძროხა ხარ (რაცხ., გურ., კიწმ.). აგრეთვე ფშ. ქეშიკ.

ს.-ქართვ. *ხორ- გროვა; შეკრული; კრებული (ჩუხუა 2018: 111).

დიალექტ. II. **ხრო**-ი მაღალი, აყლაყუდა, უშნო კაცი. „მევიდა აი *ხროი* ყაძახი და დამიწყო ლაპარაკი“ (გურ. ღლ.). შდრ. II. ხორხი.

ხრომ-ი:

ახ. ქართ. I. **ხრომი** 1. ქრომი [ბერძ. chrōma ფერი] ქიმიური ელემენტი – მოვერცხლისფრო ლითონი; იხმარება შენადნობებში და აგრეთვე ზოგი ლითონისაგან ჩამოსხმული იარაღების, ნივთების ზედაპირის დასაფარავად; ქრომის ნაერთებს იყენებენ საღებავებად, დამჟანგველებად, ტყავის სათრიმლავად და სხვ. ქრომის მადანი. 2. სპეც. ერთგვარი ყვითელი საღებავი. 3. თხელი, რბილი ტყავი ქრომის მარილებით გამოყვანილი; იხმარება ფეხსაცმლის საპირედ. ქრომის ტყავი. – ქრომის ჩექმები – ქეგლი.

დიალექტ. II. **ხრომი** ფუღუროო. *ხრომი* ფუღუროა, გამოხრომილი რო ექნება ხეს, გამოღრუნტული (მოხვა, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. ხრამი გამოხრამული – ქეგლი.

ხტილ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხტილი** (იმერ.) «კლდეში გამოფუღუროებული ადგილი» («დიალ.»). შდრ. ხტული (იმერ.) სახნავის ზოლი, სვრელი (მარცვლეულის) დასათესად – ქეგლი.

დიალექტ. II. **ხტილი** 1. ხრტილი შემაერთებელი ქსოვილის ერთერთი სახეობა (მოქნილი და მკვრივი), – კაკნატელა. გუუჭარით *ხტილიო,* და გუუსვეს ხანჯარი (გურ. ნიკოლ., რაჭ. კობახ.). 2. ოსტატი (ვაზის) რქას ამოიღებდა და ჯირკზე პირით რამდენჯერმე დაახლიდა, რის შედეგად შიგნიდან „ხტილი“ („ნუნა“) გამოვარდებოდა (რაჭ. ფრ.). შდრ. ხინტრი კაკნატელა, ხრტილი (გურ. შარაშ.).

ქართ. ღრტილი / ხრტილისა და ზან. (მეგრ.) ხგნტკიტი || ხინტკირი „ხრტილი“ სიტყვების შედარებით აღდგენილია ს.-ქართვ. *ღრტილ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ხუ-ი:

საშ., ქართ., დიალექტ. I. **ხუი** სხვათა ენაა, ქართულად ავი ზნე ჰქვიან – საბა. || [სპარს. huy] ხასიათი, ჩვევა, ცუდი თვისება. „ის ფენა *ხუი* ჰეჩ არ დათმო“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). ხუის აღება გაბრაზება, გადიდგულება, გულის მოსვლა. გახვიანება განაწყენება, გაბრაზება (ჯავახ. ზედგ.). **ხუ** ზნე, ჩვევა. თუ არ იცოდე ცხენის *ხუ,* ბოლოზე არ გაუარო (ტანძ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე ი. ჭყ., გურ. ჟღ.

დიალექტ. II. **ხუი** განუვითარებელი, ჩანასახშივე გადაგვარებული სიმინდის ტარო. „წრევანდელ სიმინდსა სულ *ხუი* გამუუღია, ტოღი არ აქ“ (იმ.); „ხუიანი სიმინდი ანჯახ ჩომისთვინ იქნება“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.). || ხუ-პურში მურია შიგა, ხელი რომ მოუჭირო მურია შიგ (ზ.-ქართლ. მრევწ. IV, II, 207). || ხუა გუდაფშუტა (ქართლ. ლექსიკ.). იხ. III. ხუვილი.

ხუვილ-ი:

ძვ., *სამ.*, *ახ. ქართ.* **I. ხუვილი** 1. ძვ.ხვიხვინი – ქეგლი. ცხენთა *ხუვილისაგან* ცა და კლდე, მინდორი და ტყე, ყუალაი იძროდა (შჯნ. III, 261, 36). || ხვივილი ცხენის ხმიანობა, ხვიხვინი. შეიქმნა ცხენთა *ხვივილი* (რუსუდ. 121, 28). || ჯვილი ჭიხვინი; «გოლგოლება»: «ჴუიოდა ძლიერად (ცხენი)" (Sin-11, 119r). „ჴმისგან *ჯვილისა* და დამწყისა საჴედართაჲსა შეიძრა ყოველი ქუეყანაჲ" (იპ. რომ.-კურთხ. მოს. 184, 1) – ილ. აბულ. || ჴუივილი: ეგრე უთხრა: ცხენის ჴუივილი ვითარი-მე მესმაო (ამირან. 275, 1).

შდრ. მჯვანი: „მჯვანსა ეწოდა ცხენ" (ბ. კეს. -ექუს. დღ. 59, 82); ჯვობა გოდება, კივილი: „ვითარ იძლია, ჯვობდით" I, – „ვითარ იძლია, იჴუებოდის" (O, იერემ. 48,39). ჯვ-ყოფა კივილი: „ჯვ-ყო და თქუა" (ანდ. ანატ. 200, 17).

ი. ქერქაძე შენიშნავს, ხუვილი გვხვდება მეგრულში – ხვიხვინ, ჭანურში – ხირხინ- / ხიხინ-, და სვანურში ლიხვიხვინი ფორმით. ხვიხვინის პარალელურად ქართველურ ენებში ჭიხვინიც გვხვდება. როგორც ჭიხვინი, ასევე ხვიხვინი / ჯვილი ხმაბაძვითი სიტყვებია; ამასთან ჯვილი / ხვიხვინი გაორკეცებული ფუძეა *ჯჯნჯჯნ > *ხვინხვინ > ხვიხვინი: *ჯჯლჯჯლ > *ჯჯჯჯლ > ჯჯვილ; ძველ ქართულში ეს ფუძე -ილ სუფიქსიანია, ახალში -ინ ენაცვლება (ქერქაძე 1974: 142).

სამ. ქართ., *დიალექტ.* **II. ხუვილი** 1. ხმაბაძვ. იგივეა, რაც ხუილი, ხივილი – ადამიანების, მდინარის და ქარის ხმაური. ასეთი წყალი გამოსქდა, რომე მისი *ხუვილი* სრულ იმ ქალაქს ესმოდა (რუსუდ. 49, 4). ბევრს *ხუვილსა* მოერევის, ჟამერთ გალეწს ერთი კევრი (არჩ. 463, 685, 3). ამის დანახვაზე ხალხში *ხუვილი* ატყდა (ლ. ქიაჩ.) – ქეგლი.

2. წყლის (სითხის) უცბათ მოვარდნა. ადამიანების, ცხოველების ან ფრინველების მიწყდომა (ჯავახ. ზედგ.). აგრეთვე ხუვილ, ხუილ (ინგ. ღამბ.).

ხივილი (ახ. ქართ.) მეგრ. ხვიება „გაღიზიანება; გაჯავრება... ახვიენს აღიზიანებს, აჯავრებს; აწუხებს თანამედროვე ქართულის ფუძეები მეტათეზისის შედეგს გვიჩვენებენ: ჯვ- > ხვი- > ხივ- (ხივ-ილ-ი) ეტიმოლოგიურად ამავე ფუძეს დაუკავშირდება ხუილი (< ხუვილი), იხუვლა (აბაშია 1997: 37).

ძვ., *სამ.*, *ახ. ქართ.* **III. ხუვილი** ძვ. იგივეა, რაც თავ-თავი – ქეგლი. შდრ. ჴუ(ვ)ილი, ჴოვილი თაველი, «თავი ჴუვილისა», «მჭელეული». „მოჭრიდეს თავსა *ჴუვილისსა*, მუსრვიდეს ჴელითა და ჭამდეს" (ლ. 6, 1); „შევკრიბნე *ჴუვილნი"* G, – „ვკრიბო თავი *ჴუვილისაჲ*" (M, რუთ. 2, 2); „მოცეცხლნა ჴუილნი" G, – „მოწუვა ჴუვილი" (M, მსჯ. 15, 15) – ილ. აბულ. მის *ხუვილის* ნეშტსა ვიპყროს ვითა კალამსა (ბეს. 188, 12). || ჴუილი ყანის თავთავი. მარცვალი... ჴუილსა ვერ დაისხამს (ქილ. 965, 27).

ს.-ქართვ. *ჯულ- „თავთავი > ქართ. ჴუვილ-ი (< *ჯულ-ივ-ი) (ჩუხუა 2000-2003).

ხულია:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხულია** (ხევს.) ურქო ცხვარი – ქეგლი.

მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *ხულ-* ძირი „ცხვარი (სახეობა)" (ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. ხულია** ფიქრი, ჩაფიქრება, აზრი. „რა ვიცი, ჩემთვინ რაღაც *ხულიაში* წავედი". „ხო ხედამ, ეს კაცი მაგი ხულიაშიც არ არი!" (ჯავახ. ზედგ.).

სამ. ქართ. **III. ხულია** ნაჟვსავით, დიდი ბელეკონი – საბა.

ხუნდ-ი:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხუნდი** 1. ძვ. ფეხის ბორკილი – ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი, მსხვილი ძელი. ვისაც შენ უნდი, ყელს აძეს *ხუნდი* (დ. გურამ. 191, 10, 3). ორთა ძმათ ბორკილითა და *ხუნდით* შეგვინახა (სამ. VIII, 562, 6). *ხუნდში* ვეყარენით (სამ. IV, 628). ხუნდი ძვ. ფეხის ბორკილი – ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი, მსხვილი ძელი. ებრძანებინა: *ხუნდები* ფეხებში შეუყარეთო (აკაკი). 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე. მგელი ვერც კი შეამჩნევს, თათი *ხუნდში* მოჰყვება (ნ. ჩაჩ.). 3. იგივეა, რაც მორგვი (მნიშვ. 1). ურემო, ფერსომაღალო, *ხუნდი* გიყრია გიშრისა (ხალხ.) – ქეგლი. || ხუნდია ურმის თვლის, შუა მორი, რომელზედაც დამაგრებულია სოლები. *ხუნდში* გაყრილია რკინის ღერძი, რომელიც აკავშირებს ორ გოგორას (ჩიხა) (ზ.-იმერ. ძოწ.). 4. ტექ. შემოსაჭერი მოწყობილობა. მომჭერი ხუნდი. 5. წისქვილის ბორბლის ხის ნაწილი, რომელშიაც ჩადის ყელა და გარშემო დაგებული აქვს ფრთები. წისქვილის ბორბალს აქ *ხუნდი*, რომელშიაც ჩადის ყელა. ხუნდს აქ ფრთები, რომ მათ მოხვთეს წყალი და ამოძრაოს ბორბალი (გორისა ზ.-იმერ. ძოწ.). 6. სათამაშო – (ფიცრით ან მსხვილი ძელით გაკეთებული) აიწონ-დაიწონა. „ამდენანია *ხუნდზე* კორწიალობენ ბაღვები" (გულ., ჩვენ. ფუტკ.). 7. საქსელავი. ჭაბრაკის ყდაში მოთავსებულია გოგორა, რომელსაც აქვს ფეხი, *ხუნდი*, კლავი" (აჭარ. ნიჟ.). || ჯუნდი მახე, ხაფანგი; ოინი, ეშმაკობა, ღალატი. „მუუწყო კაცსა ჯუნდი" (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ხუნთი (ლეჩხ. ალავ.). || ხუნდა (რაჭ. კობახ.). **ხუნდი** ზან. (მეგრ ყიფშ.). იხ. I. ჯუნდი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ხუნდი** მტრედის ბარტყი – საბა. || მტრედისა და მისთანა ფრინველთა მართვე, ნაშიერი. იყავ, ვით ტრედი, უმანკო, უფთხილდი შენსა *ხუნდებსა* (დ. გურამ. 102, 276, 3). და ამათ გარეთად უკეთესი მსუქანი კუერცხ დაუდებელი ქათამი. . . ტრედის *ხუნდი*, ჭავჭავი და ახალი ირემი არის რომე სუქდეს (იადიგ. 106, 7). მტრედმა უთხრა: მე ჩემი პატარა *ხუნდებისათვის* ბუდეს ვაშენებო (ი. გოგებ.). – ქეგლი. აგრეთვე: ჯავახ. მარტ., ზედგ. მრეწ. IV, I, 239.

მუხრან მაჭავარიანის მოსაზრებით, ღუღუნი →ჯუნდი. ფონეტიკური პროცესი მკვლევარს ასე ესახება: ღუღუნ > *ღღუნ > *ღუნ > *ჴუნ > ჯუნდ-ი „ჯუნდი", რომ ქართულში ერთ დროს ეწოდებოდა „მტრედსა" და არა

„ტრედის, გვრიტის, ქედნის და მისთანათა მართვეს“, ამას ადასტურებს დიალექტური (იმერ.) „სახუნდარი“ („მტრედთა მოსაკლავად ჩასასაფრებელი ადგილი“). საჯუნდარი > სახუნდარი (მ. მაჭავარიანი 1989: 153). იხ. I. ღუღუნი.

ხუნჩა:

დიალექტ. I. **ხუნჩა** ასხმა, კონა, დასტა. „ერთი ხუნჩა ფული გადააყარა“ (მესხ. მაის.).

ზან. (ლაზ.) ხუნჩა „ასხმა, კონა“ ბგერათშესატყვისობათა ჩვენების საფუძველზე მ. ჩუხუამ აღადგინა ს.-ქართვ. *ჯუანც-ე „ასხმა, კონა“ და მიუთითა, რომ მესხური ხუნჩა ზანურ წარმომავლობას გულისხმობს (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ხუნჩა** თასმისაგან დაწნული ქალამანი (მთ. კაიშ., ხევს. მაკალ.). || ხუჩა, ხულჩა ჯღანი. იწროდ გაგბანდავ ხულჩაო, გამხანებელო გზისაო (ხალხ.). [ბერიძეს] ფეხებზე ბანდულები [ხუჩები] ეცვა, რომ ფეხი კარგად მოეკიდებინა ყინულზე და არ დასხლტოდა (ვაჟა) – ქეგლი. || ხუჩა (< ქისტ. ხულჩი) „ბანდული ანუ ჯღანები ძირს საბანდით გამოქსოვილი“ (ვაჟა).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ხუნჩი, ხუნჩა** (კახ.) «გატეხილი ტყის ხის კუნძი, დარჩენილი მიწაში» («დიალ.»). ის იყო, უკანასკნელი *ხუნჩი* უნდა ამოეგდო, რომ ამოთხრილი ორმოდან ეშმაკი ამოხტა (ზღაპ.) – ქეგლი. ს.-ქართვ. ძირია *ჯუნჩ- „კუნძი (ძირფესვიანად)“ (ჩუხუა 2017).

ხურდა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხურდა** 1. ხვიჩი, ღორღი – დ. ჩუბ. || [სპარს. ხორდე «წვრილი», «მცირე», «ნამეცი»] გადატ. წვრილმანი, წიკო-მაკო. რამდენი არის *ხურდა* მგოსანი, ვით ხეკაკუნა, ანუ კოსალი (ს. შანშ.). *ხურდა* „ბაღტა-ბაღტები“ (ზ. ონიკაშვილი, ფერედ. ჩხუბ). 2. წვრილი ან ნამტვრევი ქვა; ხმარობენ კედლის აშენებისას სავსებ მასალად, – ღორღი. ციხეში *ხურდის* მაგივრად დედისერთა ვაჟი უნდა დაატანოთ (დ. ჭონქ.) – ქეგლი. აგრეთვე ქართლ. მესხ. საძიკელში ჯერ კირს გავშლით მიწაზე, მემრე დავაწყობთ ქვას სხვილს, თუ ვინიცობაა სხვილი ქვა შაიხვდა და თან *ხურდა* ეერივა, მაშინ კირი კარგა ვერ უვლის (ქიზ. მრეწ. I, 39). შუა გულში კი ვაწყობთ *ხურდა* ქვას (ქართლ. მრეწვ. I, 225). 3. [სპარს. ჰურდა] წვრილი ფული. კიდეც რომ მოეტანა ვისმე [ხუთმანეთიანი], *ხურდას* ვერ მივცემდით (ი. მაჭავ. თარგმ.). *ხურდა*, შავი ფული – იქნებოდა შაურ-ნახევარი – მაჩუქა გასამრჯელო (ლ. არდაზ.). || ხურდად გამოსადეგი წვრილი ფული. ცოტა რამ *ხურდა* ჩამრჩა ჯიბეში (ვ. ბარნ.) – ქეგლი. ◊ **ხურდა შეშა**: *ხურდა* შეშის მემრე ადლიანს მისცემენ, თანდათან წაუმატებენ (ქიზ. II, 1, 27). ◊ **ხურდა ნუსხა** ბვ. წვრილი ანგარიშის სია. აქ ჯამად დავწერე და ხურდა ნუსხა დავხიე («მას. საქ. ეკონ. ისტ.»). ◊ **ხურდა მატყლი** დაბალი ხარისხის მატყლი. *„ხურდა* მატყლი მინდარში ჩავყარე“ (ბახ.) (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

◊ **ხურდა ხალი**: *ხურდა ხალი* მაიხარშვენყე. ერთ თთე ზაფხულს არი (ფერეიდ. ჩხუბ. 345). ◊ **ხურდა კაცი** არაკეთილსაიმედო, არადასაყრდენი კაცი, არასერიოზული ადამიანი. *„ხურდა კაცია, მაგის ერთათ გზას არ წეისლება“* (ინ., ჩვენ. ფუტკ.); **ხურდა** ხურდა ზან. (მეგრ. ელ.).

ახ. ქართ. **II. ხურდა** ჟარგ. სამაგიერო, რომელსაც უკეთურობის ჩამდენს უხდია (თითქოს ხურდას მსხვილი ფულის ნაშთს უბრუნებენ. *„–* როგორი ნამუშევარია? – ჰკითხა უფროსმა. – მაგარი, მაგრამ *ხურდაც* კარგი მიიღო, მიაყოლა გულის მოსაფხანად“ (ნოდარ დუმბაძე) – ლ. ბრეგ.

ვფიქრობთ, რომ ჟარგონი მომდინარეობს ძვ. ქართული სიტყვიდან ხურთი მჯიღი, ქურჯნვა, ან შეკონილი ჯოხები, წკეპლები საცემად (მათ. 26, 27; მარკ. 14, 65) – ნ. ჩუბ. || 1. იგივეა, რაც მჯიღი. 2. შეკონილი წკეპლები. ეკლისა ხურთითა მცეს (ტ. გაბ.) – ქეგლი. || ჯურთა სილა: *„(ნუ მიაგებ) ჯურთასა წილ“* (მ. ცხ. 40r); || ჯჯრდი, ჯჯრთი მჯიღი. *„აყუედრებდი და ჯჯრდითა* სცემდი“ (Ath., O-11, 92r); *„ჯჯრთითა* ჰსცემდეს თავსა მისსა“ (მთ. 26, 67). აქვე დაჯუერთნა -ცემა (მჯიღით თუ სილით). დაჰჯუერთნიდეს თავსა დავრდომილთასა (O, ამოს. 2, 7) – ილ. აბულ.

მითითებულია, რომ ამოსავალი ზმნური ძირი შესაძლებელია იყოს ძვ. ქართ. ჯუედ-: ჯუედნა დაჩაგვრა ZAB დაჩაგვრა, გინა გალაჯვა (საბა) (არაბული 2001: 155). აღდგენილია ს.-ქართვ. *ჯუსთ- „წიხლი, ბარკალი (მჯიღი)“ → ქართ. ჯურთ-ი/ა (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **III. ხურდა** მიმინოს ავადმყოფობაა, ფეხის გახურება და დასივება (გურ. რობაქ.) – ალ. ღლ. შდრ. ს.-ქართვ. *ჯუარდ- „გამაგრებული ხორცი“ (ჩუხუა 2017).

ხურხუმა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხურხუმა** (ერწ.) «წვრილი მუწუკები ადამიანის ტანზე» («დიალ.») – ქეგლი. || **ხურხუმი** წვრილი მუწუკები, გამონაყარი ზან. (მეგრ. ქობ.). შდრ. **II. ხუხურო**.

დიალექტ. **II. ხურხუმა** ბალახია, ყიზლარში იზრდება და ცხვრისათვის მეტად კარგია ზამთრობითო: შირაქშიც იზრდება, მლაშე ბალახია (მოჯ., თ., ფშ. შან.). **ხულხუმა || ხურხუმა** ნაყოფით დახუნძლული. ცულს მავიღებ ცუნცულასა, ხესა მავსჭრი ხულხუმასა (გ. დოლ. 83, 18., ხევს. ჭინჭ.).

ხუსხუს-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ხუსხუსი** 1. (ქიზ.) მოხუცის სწრაფი სიარული (შდრ. ცუხცუხი). *ხუსხუსით* მიდიოდა [ალადი] პირდაპირ ზურაბ თეგაურთან (ს. შანშ.). 2. (ფშ.) ახლად ფეხადგმულის რბენა. გახარებული ბეკეკა *ხუსხუსით* გაჰყვა წყეულ მელასა (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

დიალექტ. **II. ხუსხუსი** ჩუმი სიცილი (ჯავახ. ზედგ.). შდრ. **II. ხუჩხუჩი**.

ხუმხუშა:

ახ. ქართ. I. **ხუმხუშა** იგივეა, რაც ჩუჩხუჩა. გადიფურჩქნენ თეთრი ონტკოფა. ნაზი ადრაგუნი, *ხუმხუშა* ზამბახი (დ. თურდ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ხუმხუშა** წვრილი, ხშირი (წვიმა, თოვლი). წვრილათ რო მოდის შეკრული ფიფქები, ხშირი მოდის და წვრილი, იმაზე ვიტყვით, *ხუმხუშა* თოვლი მოდისო (ქვ. ჭ.). წვრილათა წვიმს და შხირათა, სულ ზედიზედ მოდის ჟუჟუნითა წვიმაი, *ხუმხუშა* წვიმა მოდისო, ვიტყვით (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ხორხოშელა წვრილი, გაყინული თოვლი, – ხოშკაკალა (ქეგლი).

დიალექტ. III. **ხუმხუშა** სოკოა ერთგვარი (ხევს. ჭინჭ.).

ხუჩხუჩ-ი:

ახ. ქართ. I. **ხუჩხუჩი** ბანაობა, ჩუხჩუხი. *ვიხუჩხუჩე* კარგად ვიბანავე – ი. გრიშ.

ახ. ქართ. II. **ხუჩხუჩი** ბვ. 1. უხმო, გულამოსკვნით ტირილი, – ქვითქვითი. 2. იგივეა, რაც კუჭკუჭი. ლეჩხუმურში გვაქვს ხოჩხოჩი, სვანურში ლიხვიჩხვიჩი (ალავიძე 1959: 188).

ხუხურო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხუხურო** (იმერ.) «გაუშლელი თხილის ან თხემლის ნაყოფი» («დიალ.») – ქეგლი. || ნიგვზის, წაბლის, თხილის, მურყნისა და მისთანათა ყვავილედი. *ხუხურო* კაკლის, წაბლის ყვავილია, მუხლუხოს მზგავსი როა (ლეღვანი); ეგე თხილის *ხუხუროებია* (უჩამეთი) *ხუხურო* აქ თხმელას (გეზრული, ზ.-იმერ. ძოწ.).

დიალექტ. II. **ხუხურო** სიმინდის ავადმყოფობა, გუდაფშუტა. *ხუხუროიანი* სიმიდი მეტმა წვიმებმა იცის (ჩხირაული, ზ.-იმერ. ძოწ.). შდრ. II. ხუი.

ხჩოლ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ხჩოლი** (იმერ. ლეჩხ.) ბოლი, კვამლი – ქეგლი. გადატ. *ხჩოლა* უჟმურის გასადევნად ჯაგარის, ქათმის ბუმბულის, გოგირდის ცეცხლზე მოწვა. „სახში უჟმური რო არ მოჰყოლოდა ჯაგარს, ან გოგირდ უხრჩოლემდით, თოფი წამალსაც უფეთქამდით“ (ჯავახ. ზედგ.). || *ჭჩოლი* დიდი, შავი კვამლი. აჭროლდების ცუდი, შავი კვამლი აედინება. აჭროლება, აჭროლებული. აჭროლებს აბოლებს, შავ კვამლს ადენს. შაღბერნეთ ამა ცეცხლთ, რას აჭროლებთ? ჭროლდები-ს ცუდად ბოლავს, შავ კვამლს უშვებს (ხევს. ჭინჭ.). დაჭრჩოლვილი „დახრჩოლებული“. განიცადეღა თუალითა შენითა კუამლი დაჭრჩოლვილი (A=1104, 181r, 35) – ზ. სარჯ. || ჩხოლი: მასზე, კაჩაზე, ჩხოლში, კვამლში ახმობდნენ დამარილებულ ღორის ხორცს (ლეჩ. ალავ.). შდრ. ჩახრჩობილი ადგილი ფოსო და ცხელი – საბა.

ივარაუდება, რომ ხრჩოლ > ხჩოლ > ჩხოლ (ერთელიშვილი 1980: 179). ს.-ქართვ. *ჯჩოლ- „ხრჩოლვა (ჩუხუა 2017).

დიალექტ. II. **ხჩოლი** წნელის რგოლებით გაკეთებული ჯაჭვი, რომელსაც პირუტყვის ბაგაზე დასაბმელად გამოიყენებდნენ. „წკეპლით *ხჩოლებ* გავაკეთებდით“ (იმ., ჩვენ. ფუტკ). || ხ[რ]ჩოლი წნელის რკალი. წნელისა არი ხრჩოლი დაგრეხილი, გინდა მარხილს ამოვდეფთ ალახათა, გინდა საქონელს დავაბამთ იმ ხრჩოლითა (მეჯვრ.). შენ ხრჩოლი გაიკეთე და სადღა გაცურდება ფეხი (კავთ.) მარხილი რო მოგვქონდა ტყიდანა, გავუკეთებდით ხჩოლსა (ზ. ხანდ., ატ., ბრ., ერთაწმ. საკორ., წილკ. ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე: აჭარ. ნიჟ., კობერ., ჯავახ. ზედგ.

ჴ

ჴარ-ი:

ძვ., სამ. ქართ., დიალექტ. I. ჴარი «ზუარაკი»: „ნუ ჰჴნავ *ჴარითა* და ვირითა ერთად" M, – „არა ჰჴნა ზუარაკითა და ვირითა ერთბამად" (G, II, შჯ. 22, 10); „*ჴარი* და დათჳ ზოგად ძოვდენ" (I ეს. 11, 7); „ჴარი, ჴბოი უბიწოი, ზრობათაგან მოიბას" (O, ლევიტ. 1, 3); „ვითა *ჴარი* ყჳროდის" (მ. ცხ. 32r) – იღ. აბულ. არა ჰბრძავნ ლომი ჴარსა (ქ. ცხ. სიმფ. II, 175, 9). ამ გამარჯვებისად ერთ კარგ *ჴარი* ხყვანდ სანების ჯვარისად შათქმული სოფელს (ხევს. ოჩ., ჭინჭ.). აგრეთვე: თუშ. უთურგ., ჩვენ. ფუტკ., ინგ. ღამბ. ფერეიდ. ბერ., ბაკურ. გადატ. ჴ., ფშ., თუშ., მოჴ. კარგი ვაჟკაცი (ვაჟა „ივერია", 1886, №141); ზორბა, შეძლებული, ღონიერი – ა. შან.

აღდგენილია *ჴარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. II. ჴარი დოქი (ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. ხარა-დოქ-ი [სპარს. ხარა-დან] დიდი დოქი ერთგვარი. ნახევარფუთიან დოქს უკვე ხარა-დოქი ეწოდება, ხარა-დოქის ტევადობა ფუთს არ აღემატება (ლ. ბოჭორ.). [მასპინძელს], რომელიც მაგიდას ჯერჯერობით მარტო მისჯდომოდა, მუხლზე ხარა-დოქი შემოედგა (ბ. ჩხ.) – ქეგლი. „კაი ხარა-დოქით ქე ქონდა ღვინო წამოღებული" (იმერ. გაჩ.).

ხარა-ს სპარსულ წარმომავლობა სარწმუნოდ არ მიაჩნია მ. ჩუხუას და თვლის რომ იგი ქართველური სიტყვა უნდა იყოს. ქართ. ხელ- ქართ. ხელა „მაწვნის ქილა" ზან. (მეგრ.) ხარა „ღვინის სასმისი", ო-ხარ-ო „წყლის ჭურჭელი (ხისა). მეგრული ხარა ფორმალური თვალსაზრისით ქართლური ხელა სიტყვის ზუსტი ეკვივალენტია, თუმცა ეტიმოლოგიურად იმავე ხელ-ხარ- ძირებს ვხედავთ ქართულ (იმერულ) ხელედანი, მეგრულ ოხარო (შდრ. იმერ. ოხარო, სვან. უოხბრ || ოხბრ ზს., ლნტ. უოხარ || ოხარ ლშხ. „წყლის საზიდი მცირე ხის კასრი" < ზან. ოხარო) სიტყვებშიც. ამ სიტყვებისავის მკვლევარი აღადგენს ს.-ქართვ. ძირს *ხ-ელ- „სასმისი, სმა" ქართ ხელა, ხელ-ედ-ან-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. III. ჴარ მხარი. ჴარ მეცლო (მხარი მეცვალა, მხარი მექცა). ტუმარას *ჴრით* მააქონდა (ინგ. ღამბ.). შდრ. ძვ. ქართ. მჴარი «ბეჭი», მხარი; იღლია, ზურგი, «ქედი»: „დადგიან მჴართა (ბეჭთა C) ზედა კაცთასა" (მთ. 23, 4). „შეკრიან ტჯრთი მძიმე და დასდვიან მჴართა ზედა უძლურთასა" (მ. სწ. 247, 13) – იღ. აბულ.

აღდგენილია *მჴარ-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ჴარიან-ი:

დიალექტ. I. ჴარიანი ხარების პატრონი, ურმის შებმის საშუალების მქონე: გადატ. შეძლებული, მდიდარი. წინათ ქიზიყის მცხოვრებნი *ჴარიანებად* და უჭაროებად იყოფოდა. *ჴარიანებს* შეეძლოთ დამოუკიდებელი

მეურნეობის წარმოება, უკაროებს კი არა (ქიზ. მენთ.). აგრეთვე ხარიანი (ქიზ.) გლეხი, რომელსაც ურემი ება; საერთოდ, მქონებელი გლეხი. ერთ მხარეს იდგნენ შეძლებულები, ანუ, როგორც თვით გლეხები ეძახოდნენ, «ხარიანები», და მეორე მხარეს – ღარიბები ანუ «უხაროები» (ს. შანშ.) – ქეგლი. იხ. I. ჴარი.

დიალექტ. II. **ჴარიანი** თოფიანი (ქიზ. მენთ.). **ჴარიანი** < ჴარა. ჴარა თოფის ჯუჯა. სხვებთან შედარებით ნაკლები ღირსებისაა (ჴ. მას.) – ა. შან., ჭინჭ. || ხარა (ხევს. ფშ.). თოფი წაართვეს ხირიმი, *ბარა* გადუგდეს სხვისაო (ხალხ.) – ქეგლი., ფშ. ხორნ. ორივე ომონიმური ცალი ნაწარმოებია კუთვნილების მაწარმოებელი -იან სუფიქსით.

ჴარო:

დიალექტ. I. **ჴარო** სახლში დადგმული საპურე ბეღელი, ფიცრებისაგან გაკეთებული (ჴ. (ბაკურ.). მოხ., თუშ. შან.).

ს.-ქართვ. "ხარ- „მარცვლეულის (ჭირნახულის) შესანახი ნაგებობა" → ქართ. ხარ-ო (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ჴარო** ჴ., ხარო ფშ. თხრილი – ა. შან.

დიალექტ. III. **ჴარო**, ჴაროზი, ჴ. (არხ.), ჴავრეზი ჴ. ჴარვეზი, ნათერძი, რუყი – ა. შან. ხარვეზი მოუხნავად დარჩენილი ადგილი ნახნავში, კვალსა და კვალს შუა – ქეგლი.

ჴეტ-ი:

დიალექტ. I. **ჴეტი** ტლუ, გამოუსვლელი, ბნელი (ფშ. ხორნ.). იხ. I. ხეტი.

დიალექტ. II. **ჴეტი** თ., ჩეკი ფშ. ცეცხლის საჩხრეკი რკინისა. ტარი მრგვალი აქვს, პირი ბრტყელი და მოკაული – ა. შან. იხ. II. ხეტი.

ჴვაფ-ი:

დიალექტ. I. **ჴვაფი** თ., ჟოლი ჴ., ჟოლო ქუბი – ა. შან. || **ხვაფი** (ხევს.) იგივეა, რაც ჟოლო. ჴვაფაყრ ჟოლო (თუშ. ცოც.).

დიალექტ. II. **ჴვაფრ** დიდ ტაფობი მთაში – ა. შან. მდ. ალაზნითავს გადავხედავთ, იყქ რო ერთ *ჴვაფრ*, იცმას ხქვიან ლანგის *ჴვაფრ* (თუშ. ცოც.). ჴვაფუნაყრ პატრა ღრმული (თუშ. ცოც.). || ჩავარდნილი ადგილი (ჴ., თუშ. შან.). || ჴოფი მოხ. დაბლობი ადგილი, ჩავარდნილი. || ჴვაფი თ., ჴოფი ფშ. ტილთჴოფა ჴ. ჩაწეული ადგილი კეფის ქვემოთ – ა. შან.

ჴო[ვ]ლ-ი:

დიალექტ. I. **ჴო[ვ]ლი** სახლის ნანგრევი, ნასახლარი. *ჴოვლთ* ძირით ქოთანნ დაგორდეს, ქოოდაც მიწას ჴნევდესა (ალ. ოჩ. 94, 4). ცოტინავ ჩვენო სოფელო, ლიქოკ, მაგავლებთ ვალსაო... დაჯინჭრებულსა *ჴოვლებსა*,

ვაკეთგორ ნასოფლარსაო (ალ.ოჩ. 146, 15). აქვე: ნაჯოლარი || ნაჯოლარა, ნაჯოლკრალი, ჩააჯოვლებს, ჩაიჯოლების, ჩამაუჯო[ვ]ლდების, ჩაუჯო[ვ]ლდების, ჩაუჯო[ვ]ლებს, ჩაჯო[ვ]ლდების, ჯოლ-კარი (ხევს. ჭინჭ.). || „ჯოვლი სახლის ნანგრევები. ნაჯოვლარი ნასახლარი“ (ფშ. შან., ხორნ.). იხ. II. ხოვლი.

დიალექტ. II. ჯო[ვ]ლი მთაში ზვინად დადგმული ერთი ტვირთი თივა. ცელით მოთიბულ თივას, რომელსაც პატარა ზვინებად აკეთებენ, „ჯოლი“ ჰქვია და „თივასაც“ ეძახიან (შ. ბალ., ნ. მაკალ. 32) (ხევს. ჭინჭ.). შან. იხ. I. ხოლა.

ჯომ-ი:

ძვ. ქართ. I. ჯომი თანავარსკვლავედი: „ვლენან რომელნიმე მთიებნი და რომელნიმე *ჯომნი*“ (H – 841, 797) – ილ. აბულ. იხ. I. ხომი.

საშ. ქართ. II. ჯომი [სომხ.] კრება, გუნდი. გაფიცხდებიან ომშიგა, ვითა ელვანი *ჯომთანი* (შჯნ. I, 1496, 3).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. III. ჯომი: 1. მაჯის, კოჭის ამობურცული ძვალი. ავად გაჯდა ჩემი საქმე საქმე, გარდავასხი სისხლი *ჯომსა* (შჯნ. I, 2885, 3). „*ჯომ* ქუას მივარტყი-დ' მეტკინ“ (თუშ. ხუბ.). „*ჯომ* მეტაც სატკივნაცრ, რო რას მიარტყას კაცმ“. 2. ჩითის წვერის მხარეს გამოწეული ადგილები. „მეტაც განიერ *ჯომიან* ხის ფეჯრ ძლივაც ჩით გადავიყვანრ“ (თუშ. ცოც.). ჯელს აქვს „*ჯომი*“-ები ე. ი, სახსრები (თუშ. ბოჭ.).

ს.-ქართვ. არქეტიპია *ჯომ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ჯუნდ-ი:

ძვ. ქართ., დიალექტ. I. ჯუნდი1. ფეხის ბორკილი: „ფერჯნი მათნი დაჰკრძალნა *ჯუნდსა* შინა“ (საქ. მოც. 16, 24); „იყო იგი შინაგან სენაკსა დაკრძალული *ჯუნდთა* შინა“ (ანდ.-ანატ. 205, 11); „რომელნიმე *ჯუნდთა* შინა, დამდნარნი ჭირითა“ (მ. სწ. 50, 21) – ილ. აბულ. „დამძიმდა. ღონე წავლისა უგავს შეკრულითა *ჯუნდითა*“ (შჯნ. I, 1788, 1). 2. ჯარას ან ტარაკუაცის საფუძველი კუნძი. „ტარაკუაცის ჯუნდად აგრიაც ძირგამტყელებულ კუნძი“ (თუშ. ცოც.). 3. საჩეჩლის გვერდისა და ძირის ფიცრებს შუა მოქცეული ადგილი (სამკუთხედის ფორმისა). „სავარცხალთ კბილებ აქვ, ჯუნდიც აქვ, გაჭვრეტილ რო-ა, ისრ ჯუნდი“ (ხევს. თავისებ. 253, 18) – ალ. ჭინჭ.). აგრეთვე: მრეწ. IV, III: ჯავახ. 204, ზ.-იმერ. 206 და სხვ. იხ. I. ხუნდი.

დიალექტ. II. ჯუნდი/ჯუნდურ-ი/ა მტრედის ხუნდი. მტრედის ბახალა. მტრედის წიწილს „ჯუნდურას“ ეძახიან. მტრედის „ჯუნდურებს“ ხშირად ზრდიან (მ. ბალ. ნ. მაკალ. 146) – ალ. ჭინჭ. იხ. II. ხუნდი.

ჯ

ჯაბან-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ. I. **ჯაბანი** [არაბ. ჯაბან] 1. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი (ადამიანი). *„ჯაბნად რა სახელ-ვსდვით“* (ძიებ. სულ. მაკერინ. 35v, 33-34b) – ზ. სარჯ. ჯაბნობა «შეძრწუნება»: „ნუცა შჯაბნობ, ნუცა იწინწვი პირისაგან მათისა“ G, – „ნუცა შეძრწუნდები, ნუცა დაბრკოლდები პირისაგან მათისა“ (M, II შჯ. 31, 6) – ილ. აბულ. რომელნი იყუნენ *ჯაბანი* და ჴრდალი გულითა (ფანასკ. 1770, 21). ვინც ვაჟკაცია, წამოვიდეს! ვინც *ჯაბანია*, დარჩეს! (მ. ჯავახ.). 2. ლაჩრული, არავაჟკაცური (ხასიათი). ქმრის *ჯაბან* ხასიათს უნდა მიეწეროს ისიც, რომ ქეთევანზე ცუდი ხმები დადიოდა მეზობლებში (ე. ნინოშ.). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ლაჩარ-ჯაბანი – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჯაბანი** გამძლე. *ჯაბანია* პრასი, თუ ძიელ ყივნა არ იქნა, არ გაფუჭდება (წაქვა, ზ.-იმერ. ძოწ.).

ჯაგ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯაგი** (ხე) წვრილი ჩირგვი – საბა. «მოამაღლო ჩირგვი» (ნ. ჩუბ.). *ჯაგებში* ძვრებიან, ავს საქმეს შვრებიან (დ. გურ. 218, 64, 3). ბუდის გაკეთება ბულბულს წყლის ახლო უყვარს, ხშირს *ჯაგებში* (ი. გოგებ.) || წვრილი, უსწორმასწორო ტოტების შეშა – ქეგლი. *ჯაგი* ეკლიანი ბუჩქია, სუ მოდებულია საგურამოს მიდამოები, ფარა ასხია იმასა (საგურ.) *ჯაგსაც* ვეძახით, ძეძვსაცა, აქ უფრო ჯაგი ვიცით (საკორ.). *ჯაგი* არი ძეძვის ბუჩქი (სამთ., ქართლ. ლექსიკ.). ბუძგვი *ჯაგებში* შეძვრა (რაჭ. კობახ.). || ეკლიანი ჩირგვი (ზ.-იმერ. ძოწ.). || **ჯაგო** სხლტე, ბუჩქნარი კლდის პირზე (ზ.-იმერ. წერ.). **ჯაგი** ეკალ-ბარდი, ჯაგნარი ზან. (მეგრ. ელ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, *ʼძეგუ-; ჯაგვ- || ჯაგ-უნდა იყოს მეგრულ-ლაზური ეკვივალენტი ქართ. ძეგვ (< ძეგუ-) ძირისა. ცხადია, ჯაგვი- || ჯაგი ქართულში ნასესხებად უნდა ჩავთვალოთ (მასალა შეაპირისპირა კ. დანელიამ (1984: 66). აგრეთვე ფენრიხი, სარჯველაძე 1990.

დიალექტ. II. **ჯაგი: ჭელის ჯაგი** ქურო, საბუჭარი, საფუჭარი (მოხ., თუშ. შან.). (მამაკაცები და ქალებიც) ხელებზე *ხელის ჯაგებს* იცმევდნენ. ხელის *ჯაგები* ანუ ხელთათმანები უსახო იყო (ხევი, მრეწ. III, I, 149). ხელჯაგი ხელზე ჩასაცმელი თათმანი, მთლიანად უთითო. „ორიოდე საპახოდო ხელჯაგები ამომიღე“ (გრ. ორბ. ტ. II, გვ. 123). გ. ერისთ. აქვს ხელჯაგვი („ლექსები“, 1884 წ., გვ. 8) – ი. გრიშ.

ჯაგვ-ი:

ახ. ქართ. I. **ჯაგვი** გრძელი, ოთხთვლიანი უძარო საზიდარი, – ფორანი. ზაფხულობით ყოველ ნახევარ საათში გადის ოზურგეთიდან *ჯაგვი* ამ სოფელში წამსვლელთათვის (თ. სახოკ.) – ქეგლი. || (რუს. ტაჩკა). „ჯაგვში შებმული ვირი“ – ი. გრიშ.

ახ. ქართ. II. **ჯაგვი** ჯაგი. *ჯაგვის* ცერზე დავაგე ფეხი (ს. მგალობ.) – ქეგლი. იხ. I. ჯაგი.

ჯაზ-ი:

დიალექტ. I. **ჯაზი** [სპარს.] მკითხავი, მისანი, გრძნეული, კუდიანი. „ვიღაცამ თქვა: შეუპყრიათ გუნეშ *ჯაზთა*“ (ლ. გელ.); „ალთუნი ვარ, ღაზი ვარ, მიხთი, შენი *ჯაზი* ვარ“ (აჭარ. ნიჟ.). „უწინ მეტი ბევრი იყვენ *ჯაზი*“ (ქლასკური). „*ჯაზი* მე რა ვიცი, ჩვენ ვერ ვხედავთ“ (გურბინი); „ბაღანა ავადევლია, *ჯაზებიდან* ზორი აქვა“ (კირნათი, კლარჯ. ლექსიკ.). „ე ბებერი *ჯაზი* იყო, ყველაფერი იცოდა“. || მოჯადოებული. „ამ სახლში ყველაფერი *ჯაზია*, ჯამიც *ჯაზია*“ (ჯავახ. ბერ., მარტ). „ფენა *ჯაზი* დედამთილი ყავს, იმათან ძლობა მასხარი არ არი“ (ად., ჩვენ. ფუტკ.). || გადატ. ეშმაკი, თვალთმაქცი, ცბიერი ქალი. ე დედაბერი თურმელ *ჯაზი* ყოფილა, ბიჭ კი ძაან ეცოდავებოდა (მესხ. ფეიქრ.). **ჯაზი-ეკალაი** ცრუმორწ. ეთნ. რგოლებად დახვეული ეკალ-ბარდი – გათვალვის წინააღმდეგ. *ჯაზ-ეკალას*, ჩვეულებრივ, ჩამოჰკიდებენ ბოსტანში, ახო-ყანაში, საფუტკრეზე, ახლადნაგებ სახლზე და მისთ. (აჭარ. ნიჟ.). **ჯაზი** ჯადო, ეშმაკი ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ. II. **ჯაზი** [ინგ. ჯაზზ] 1. ამერიკული გასართობი და საცეკვაო მუსიკა (ზანგური წარმოშობისა). 2. საგანგებო ორკესტრი, რომელიც ასეთ მუსიკას ასრულებს (შედგება დასარტყმელი და ჩასაბერი ინსტრუმენტებისაგან). ესტრადაზე *ჯაზი* ხმიანობს (ს. კლდ.) – ქეგლი.

ჯალამბარ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ჯალამბარი** 1. დიდი ქვის მაღლა ასატანი – საბა. || ორი გრძელი ძელი, ხის ტოტებით შეერთებული, რომელსაც იყენებენ რისამე გადასაზიდად ან საკაცედ (შდრ. ჯალაბდარი). 2. ბლოკის სახის მქონე საგანგებო მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ სიმძიმეთა ასაწევად. დიდი ქვის მაღლა ასატანად განკუთვნილი მოწყობილობაც არსებულა ძველად, რომელსაც *ჯალამბარი* რქმევია (ივ. ჯავახ.) – ქეგლი. **ჯალამბერი ჯალამბარი** ზან. (მეგრ. ქობ.). **ჯალაბერი** (**ჯაჲაბერი**) საკაცე ზან. (მეგრ. ელ.).

საშ. ქართ. II. **ჯალამბარი** [სპარს.] მუშა – დ. ჩუბ.

ჯან-ი:

ახ. ქართ. I. **ჯანი** ქართული ანბანის ოცდამეთორმეტე ასოს სახელწოდება (იხ. ჯ). «ჯე»-ც... ეგების ქართული «*ჯანი*»-ის მოხაზულობის უძველესი სახის შემნახველი იყოს (ივ. ჯავახ.) – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. II. **ჯანი** [სპარს. ჯან] ღონე, ძალა. ბებია-ჩემი სუსტი ქალი იყო *ჯანით* (დ. კლდ.) – ქეგლი. ოთხის დოლაბის ოდენი ლახტი აქუს, იგი *ჯანია* (შჰნ. III, 157, 2). რა *ჯანი* გვაქვსო, რომ სულაც არ გვიბძანოსო (რუსუდ. 227, 37). თუ მუსურმანი შეიქნეს ეგე ლაღი და *ჯანია* (თეიმ. I, 30, 1). **ჯანი** [სპარს.] სული ზან. (ლაზ. თანდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. III. **ჯანი** გურიაში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიში; ახასიათებს მცირედ დანაკვთული მომრგვალო ფოთოლი, ცილინდრული (ზოგჯერ განტოტვილი) მტევანი და მუქი ლურჯი კნატუნა მარცვალი; კარგი ღვინო დგება. *ჯანი* ოზურგეთის მოსაზღვრე იმერეთის ზოლში ყოფილა გავრცელებული და ძალიან კარგი ღვინოც სცოდნია (ივ. ჯავახ.) – ქეგლი. || *ჯანი* – ღვინო მაგარი, სქელი და საუკეთესო (გურ. მრეწ. IV, III, 164). შდრ. ჯანაანურა, ჯანაანური (შ.-კახ. მრეწ. IV, III, 84-85).

ჯანაბერა:

დიალექტ. I. **ჯანაბერა** სიმინდის საცეხვი ჯინი; ოთხ მაღალ ფეხზე შეყენებული მოწნულგვერდებიანი ოთხკუთხა ძარი, ქვეშ მეჩხრად ჭოკები უგია (იმერ. ქავთ.). || ჯანაბერი ნაკელის გასატანი ჩელტი (ლეჩხ. ალავ.). || ბზის ან ფუჩეჩის საზიდავი დიდი ძარი (ქართლ. ჭყ., ქეგლი).

დიალექტ. II. **ჯანაბერაი** პატარა ჩიტია ერთგვარი, ჭრელა; ნაცრისფერ გულზე და კუდზე შავად ზოლები გასდევს, ზამთარში ყინვებს არ გაურბის (აჭარ. ნიჟ.).

ჯანჯალ-ი:

საშ., ახ. ქართ. I. **ჯანჯალი** [სპარს. ჯანჯალ] საუბ. ყველაფერზე რომ ფეხს ითრევს, გადაუწყვეტელი; ჭირვეული, ჭინჭყლი. [ყაზაზს] რაც უნდა *ჯანჯალი* მუშტარი შეხვედროდა, აღარას დაუკლებდა (ვ. ბარნ.) – ქეგლი. || ძნელად დამყოლი, გადაუწყვეტელი, ჯიუტი. „შენ, ძმავო, *ჯანჯალი* კაცი ყოფილხარ, ვერ გაყიდი მაგ ძროხას შენე“ (იმერ. გაჩ.). **ჯანჯალა** უტვინო, უვარგისი ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯანჯალი** ცხენის ავი სვლა – საბა. || ნელი სირბილი. [ირმები] დაეშვნენ *ჯანჯალით* დაბლა ველებისკენ (თ. რაზიკ.) – ქეგლი. „ირემი წავიდა *ჯანჯალით* და ლაშდაღრენილი მგელიც გამოჩნდა“ (ვაჟა). || მძიმეს, დონდლოს სიარული, სირბილი, – ძუნძული. „ე, როდის მიეწევა, მაგრე *ჯანჯალით* თუ ირბინა!“ (იმერ. გაჩ.). „რაჰალებით დეიწყო ეზო-კარში *ჯანჯალი*, ვახტი არ აქ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე იმერ. გაჩ. ჯანჯალი ზარმაცი (ალ. ნეიმ.).

ჯაო:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯაო** (რაჭ.) მაგარი ჯაგარი (ზურგისა) – ქეგლი. **ჯაო** || **ჯავა** ღორის ქეჩოს და ზურგის ჯაგარი. უწინ *ჯაოს* ვაგროვებდით და მეწვრიმალეებს მიჰქონდაყე (ზმ.- რაჭ. კობახ.).

დიალექტ. II. **ჯაო** ჯანი, შეძლება. *ჯაო* აღარ მაქვა-ღ, დავიღალ (ხევს. ჭინჭ.). || **ჯაოი** არაქათი, ჯანი (თუშ. უთურგ., ცოც.) შდრ. II. ჯანი.

ჯარ-ი:

ძვ., სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჯარი** 1. სიმრავლე. ვინაჲ ვითარცა კაცთა სიმრავლისა რაჲსმე ყოვლის *ჯარისა* განკუეთითა სიტყუამან ყოვლისა გულისჴმის-ყოფათ სიმრავლისაჲთა მისისა მითხრობისა მიმართ მიისწრაფენ (A=162 185v, 1-5b) – ზ. სარჯ. 2. *ძვ.* თავმოყრილი ხალხი, ხალხის დიდი შეკრებილობა. *ჯარი* და ჯამაათი. ფიგურ. მელვინეს... ჭანდრის ქვეშ უკვე ჭურჭლის *ჯარი* შეუქუჩებია (მ. ჯავახ.). 3. დღეობაში ან ხატობაში დროს გასატარებლად შეგროვილი ხალხი. ვითომ მე და შენ *ჯარში* ვიყავით მარიამობას, მთელი ჯარი, კაცი და ქალი, შენატროდა ჩვენს ბედნიერებას (გ. წერეთ.). || სალხინო შეკრებილობა, ქეიფი. ამიშურებენ (შემიბულებენ) სწორები, არც მიმიშვებენ *ჯარზედა* (თუშ. ცოც.). ნეფიონთან ერთად სუფრასთან დაჯდებოდა მთელი მოწვეული ხალხი, მას *„ჯარს“* უწოდებდნენ (ფშ. ბოძ. 53). || საქეიფოდ დამსხდარი ხალხი (ქორწილში, ქელეხში...). ნეფე-დედოფალი მზესა და მთვარესავით ისხდენ *ჯარის* თავში (ვაჟა). **ჯარათ** მრავლად. **ჯარი** ბევრი (გურ. ნიკოლ.). 4. შეიარაღებული და საბრძოლველად მომზადებული ადამიანების ერთობლიობა, – ლაშქარი. იესეს მეფეს მოხსენდა, გორს ადგას ქართველთ *ჯარები* (დ. გურამ. 107, 315, 10). ამდენი *ჯარი* ერთად ჯერ კახეთს არ მოსდგომია (აკაკი). ვისაც სიკვდილი აშინებს, ვინ გაიყოლებს *ჯარშია?!* (ვაჟა). || იგივეა, რაც არმია – ქეგლი. ჯარი ერქვა ყველა მეომარს, რომელიც კი ომობდა შემოსეული მტრის წინააღმდეგ, რადგანაც ამ ომში მონაწილეობას იღებდა მთელი ხალხი... ამიტომ ძველადაც და დღესაც *„ჯარი“* ხალხს ეწოდება. მაგ. იტყვიან „ჯარჩი წავიდეთავ“ (ხალხში წაიდეთო) „დიდ ჯარ იყოვ“ (დიდი ხალხი იყოო) და სხვ. (თუშ. ბოჭ. 59). || ჯარრ მეომართა მოზრდილი გუნდი – ლაშარზე მცირე, მეკობარზე დიდი. „თუშეთა თუშთა მორავი, ღვთისაგან დავლათიანი, *ჯარი* შეყარა თუშისი, ჴევსურ ათვალა ჴმლიანი“ (თუშ. ცოც.). **ჯარ, ჯარ** ჯარი (სვან. თოფ., ქალდ.). **ჯარი** სიმრავლე ხალხისა,.. სახალხო დღესასწაული, ბევრი დროსტარება ზან. (მეგრ. ქობ.).

დიალექტ. **II. ჯარი** (ჩიქ.) ჯავრი: **ჯარი გომოგუვიდა** – წალაპარაკება გამოგვივიდა. **ჯარის გადაწყვეტა** კამათობა (ფერეიდ. ჩხუბ., 346). „შუღლობდეს და შუაკაცმა *ჯარი გადაწყრეტა*“ (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ). **ჯარ, ჯარ** (სვან. თოფ., ქალდ.). **ჯარი** ჯავრი ზან. (მეგრ. ელ.). **ჯავრი** [არაბ. ğawr] ძალადობა, სისასტიკე, არასამართლიანობა. (ავალიანი, დადიანი 2015: 23, 28).

ჯარჯ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჯარჯი** 1. ეკლიანი ბუჩქი (ნ. კეცხ.). || ძეძვის, ფიჩხის და მისთ. კონა. ორღობის ღობეები, ზოგგან *ჯარჯით,* ზოგგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლქვეშ ისე ჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდანო (ილია) – ქეგლი. || ძეძვი ან ფიჩხი კონასავით გაკეთებული, რომ ერთმანეთს მიეკრას. „ღობეი ჴევი

მჯარეი *ჯარჯები* ჩაუწყე, რო წყალი დაიცილდეი“ (ქიზ. მენთ.). აგრეთვე: ფშ. ხორნ., რაჭ. კობახ., ზ.-იმერ. ძოწ. 2.დაგრეხილი წნელი. ქოჯოს... გრძელ ტარს ძირთან გარეშემო რამდენიმე მწკრივად შემოწყობილი აქვს ჩხირები, შემოჭირებული *„ჯარჯით“* (დაგრეხილი წნელი)... (თუშ. მრეწ. III, II, 94). 3.ნასხლავი. ნასხლავს *ჯარჯს* უძახიან. ჯარჯი ახიკე. კონათაც ქე შეიკვრება(ქვ. ლეჩხ., დღნორისა) – ლ. ასათ. მეურნე ტყიდან შქერის *„ჯარჯებს“* მოიტანს (რაჭ. ფრ.). ჭურს... მერე ზემოდან ხის „საფარებლები“ ან *„ჯარჯები“* შემოეწყოს (რაჭ. ფრ.).

დიალექტ. **II. ჯარჯი** ჯარჭი. ტყის წვრილი მსხალი,-პანტა. წვრილი ხილი *ჯარჯია* (ხრეითი). || არაყის გამოსახდელად ჭურში ჩაყრილი დაჩეჩქვილი ხილი. ამევიღოთ *ჯარჯი* და გამოვხადოთ ოტკა (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ.).

ახ. ქართ. **III. ჯარჯი** ნაოჭად ასხმული და არშიად მოვლებული ვიწრო და გრძელი ნაჭერი ქსოვილისა, – ფურჩალა (რაჭ. ქეგლი, კობახ.). შდრ. II. ჯორჯალი.

დიალექტ. **IV. ჯარჯი** ბარჯი თევზის საჭერი იარაღი, კბილებიანი ჩანგლები აქვს; თევზს რომ ჩაეყრება, ვეღარ გამოძვრება. ჯარჯსაც ეძახიან (ქიზ. მენთ.). შდრ. ბარჯი რკინისკავიანი ჯოხი (ჩვეულებისამებრ, იხმარება თევზის საჭერად – ქეგლი.

დიალექტ. **V. ჯარჯი** მოსახარშ ღომს რომ ჭურჭელი ვერ დაიტევს გართვის გამო, *ჯარჯიაო*, იტყვიან (გურ. შარაშ.). შდრ. ჯირჯვ ძალად (ძალით C) დასივებული – საბა; ჯირჯვი, გაჯირჯვება – ქეგლი.

ჯაურ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჯაური** (გურ.) ხვადი კატა – ქეგლი. იხ. III. ჯაურა.

დიალექტ. **II. ჯაური** ჯავრი (კახ.-ქიზ. ქართ. დიალექტ., 612). შდრ. II. ჯარი.

ჯაურა:

დიალექტ. **I. ჯაურა** ზვინი. დიდ სარზე ჩამოაცვამენ თივას ან ნამჯასა, დიდ ზვინს დადგამენ, ეტყვიან *ჯაურა* (ერედ., ქართლ. მესხ.). ერთ მარხილზე ორი *ჯაურა* ეტევა (ქსნ. სომხ.). || ბჯაური (ჯავახ. ზედგ.). შდრ. ბჯა (ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.; მესხ. მაის.).

დიალექტ. **II. ჯაურა** იგივე კირჩხა ჩამოსაკიდი ტოტებიანი ბოძი (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **III. ჯაურა** კატა ჯავარიანი (ზოლებიანი), დიდი, მამალი კატა (გურ. შარაშ.). შდრ. ჯავარი სიტურფე, მომხიბლაობა, მოხდენილობა, შნო, ლაზათი – ქეგლი.

ჯაფა:

სამ., ახ. ქართ. **I. ჯაფა** [არაბ. ჯაჰა]. მძიმე შრომა. *ჩვენი ჯაფით* მონაყვანი სხვასთან მიდის საზრდო პური (აკაკი). რაჭველი გლეხი ძლიერ მაგარი და საღი აგებულების პატრონია და დიდი *ჯაფის* ატანა შეუძლია (ი. გოგებ.) – ქეგლი.

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჯაფა** მეტყავის იარაღი – მოხრილი რკინა, შიგნით ბლაგვპირიანი. ტყავს ლეში უნდა გავაცალო, *...ჯაფაზე* უნდა ვუხახუნო («შინამრეწვ.») – ქეგლი. || ჭონის იარაღია (ქიზ. მენთ.). წვრილი ტყავისათვის (ბატკანი) არის იარაღი *ჯაფა* (ქიზ. მრეწ. III, I, 21). შდრ. მაჯაგანი ჯაფა – საბა. აგრეთვე თუშ. მრეწ. III, 176.

ჯაღ-ი:

დიალექტ. **I. ჯაღი** ჯანღი – ბურუსი, ნისლი. **ჯაღიანი** ჯანღიანი – ბურუსიანი, ნისლიანი. „ჯაღიანი დღე გათენდა, შუქი არ გუწუდება მზისაო, აკოფებჩი ვართ ჩამსხდრები, თოვლიც ჩამადის ცისაო“ (ხალხ., მოხ. ქავთ.). || არეული ღრუბელი, არეული ნისლი, ცოტა თოვლიანიც; ააჯაღებს, ჯაღავს (ხევს. შან., ჭინჭ.). || ჯანღი ნისლი, ბურუსი (ქეგლი, ჯავახ. ბერ., ზედგ., თუშ. ხუბ.).

დიალექტ. **II. ჯაღი** ამბოხება. ჯაღის თავი (ჯაღიშთავი) ამბოხების მეთაური (გუდ. შან.). შდრ. ჯანყი [სპარს. ჯანგ «ომი», «ბრძოლა] – ქეგლი.

ჯაღალა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჯაღალა** (თუშ.) «ყვავისმაგვარი ფრინველია» («დიალ.») – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **II. ჯაღალა** შეუხედავი, უსახური. „(თვარელი) *ჯაღალა*, თვალად უბირი იყო, მაგრამ შიში, როგორც ხემ და ქვამ, ისე იმან არ იცოდაო“ (ვაჟა) – ალ. ჭინჭ.

ჯაღან-ი:

დიალექტ. **I. ჯაღანი** ჯღანი, ბველი (მთ. კაიშ.). || ჯღანი მეშთ ნაცვეთი – საბა. || გაცვეთილი, დახეული ფეხსაცმელი – ქეგლი.

დიალექტ. **II. ჯაღანი** ხუმრობა : დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ხშირად გამოიყენება სიტყვა ჯაღანი, ხუმრობა, გამოჯავრების მნიშვნელობით: რას *მაჯაღინებ? ნუ მაჯაღინებ?* „რას მაჯავრებ, რას მეხუმრები“ (დუზჯ. ჩელები). || ჯაღინი გამოჯავრება, ხუმრობა, დაცინვა. ნუ გიყუარს უშნო ჯაღინი (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || ჯაღინი – გაბრაზება, გაღიზიანება: „ძაღლებ აჯაღინებენ კალოზე“ (კირნათი, კლარჯ. ლექსიკ.). || ჯაღინი მრისხანის უარესი (უდარესი), გინა ყბედი – საბა. ჯაღანი || ჯაღინი ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტებია (ჩელები 2018: 60).

ჯაყ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჯაყი** სასირცხო, თავის მოსაჭრელი (საქმე). [ჯავარას] რა მოტაცება შეემთხვა, ხალხს სასაუბროდ გაუხდა და ბევრი *ჯაყიც* დაეთქვა (ბაჩ.) – ქეგლი. მაულოციდით სახელი, *ჯაყს* ნუკინ იტყვით კაზედა! (ხევს. პოეზ. 219, 22). აქვე: გამჯაყავი, გასჯაყავს, ჯაყავს, ჯაყი ედების, ჯაყს დასდებს (ხევს. ჭინჭ.). შდრ. II. ჯაყვა.

დიალექტ. **II. ჯაყი** გაცვეთილი, დანჯღრეული: ჯაყი ცოცხი (მთ. კაიშ.). შდრ. I. ჯაღანი.

დიალექტ. **III. ჯაყი** ხანგრძლივი ღრუბლიანი ამინდი. *ჯაყის* დროს არც წვიმაა და არც მზიანი დარი (ლეჩხ. ალავ.). იხ. I. ჯაღი.

ჯაყვა:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჯაყვა** [სპარს. ჯაყუ] ჯიბით სატარებელი პატარა, დასაკეცი დანა, –კალმის დანა (შდრ. ციღვი). ამოვიღე წითელტარიანი *ჯაყვა* და შევაძლიე (ნ. ლორთქ.). ◊ **ჯაყვაში გამოსული** (იმერ.) ნატიფად, ლამაზად გაკეთებული ნივთი. || საუბ. ნატიფი გარეგნობის, მოხდენილად ჩაცმული ადამიანი – ქეგლი. || ჯაყო (ფშ. შან., ხორნ.). || ჯაყვე (რაჭ. კობახ.). ჯაყუ, ჯაყუაჲ (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. **II. ჯაყვაჲ** (ჟჯაყავს) გაქილიკება, დამცრობის წადილი. ბიჭო, შენ მე თავ დამანებევ, სუ მე ნუ მჯაყავავ-ბიჭო, შენ მე შემეშვიო, სულ ჩემს დამცრობას ნუ ცდილობო (თუშ. ცოც.). || ჯაყვა, გაჯაყვა; ჭაყვა, გაჭაყვა ჴ. ვისიმე სახელის გატეხა, „მონა(დ) ჴსენება“ (ჴ.). გამჭაყავი ჴ. (ურბ.-ჭყ.) „ცუდად მახსენებელი, მძრახავი“ – ა. შან. იხ. I. ჯაყი.

ჯახ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ჯახი** ჯახუნი. [რიონი] მოღმუილებდა ზათქით და *ჯახით*, მოაგორებდა გოლიათ ლოდებს (გ. ქუჩ.). || შეჯახება, შეხლა-შემოხლა. ყოველი ახალი საკითხი დიდი *ჯახისა* და ცხარე კამათის საგნად ხდებოდა (პ. ჩხიკვ.) – ქეგლი. || ჯაჭვა რაიმესათვის დაჯახება, თავის მირტყმა (ფშ. ხორნ.).

დიალექტ. **II. ჯახი** ქარქვეტა, მცენარეა, ღეროებს მხალად ხმარობენ (მესხ. მაის.).

ჯაჯ-ი:

სამ., ახ. ქართ. **I. ჯაჯი** მვ. წამების იარაღი, რომელზედაც საწამებელ ადამიანს აკრავდნენ. დურგლებმა დაბალი თაღების ქვეშ ბოძი გადეს აგურის კედლებშუა, ჭაღით და ძირში ანჯამით – *ჯაჯი* (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. || ჯაჯა დამწაშავე(ს) კაცის ტანჯვა – საბა. შდრ. ჯაზა [სომხ.] დასჯა – დ. ჩუბ.

დიალექტ. **II. ჯაჯი, ჯაჯისძველა** ტანზე მოურგებელი, სხვისგან ნაცვეთი ტანსაცმელი, სხვისი ძველმანები (ფშ. ხორნ.). შდრ. აჯაჯვა ტანსაცმლის უშნოდ, ულაზათოდ ჩაცმა, აჩაჩვა. „აუჯაჯია უშნოთ რაცხა ძველძველი და დადის“. აქედან: აჯაჯული, უშნოდ ჩაცმული (მესხ. მაის.).

დიალექტ. III. **ჯაჯი** ჯარჯი, კონებად შეკრული და ღობეზე ან ყორეზე დადებული ძეძვი ან ფიჩხი (კახ.- ქიზ. ქართ. დიალექტ., 612). იხ. I. ჯარჯი.

ჯაჯია:

ახ. ქართ. I. **ჯაჯია** (იმერ.) იგივეა, რაც ჩანჩურა. გამოსულიყო საჯაროდ ვიღაც «ჯაჯია დედაბერი» და... წუწუნებდა (აკაკი) – ქეგლი. იხ. II. ჯაჯი.

დიალექტ. II. **ჯაჯიაი** ძერა. *„ჯაჯიასავით* რომ დააჟდა თავზე, ხუთმა კაცმა ვეღარ მუაცილვა“ (აჭარ. ნიჟ.). || **ჯაჯა** (გურ.): ღრუბლებმა დაიწიეს ქვევით და *ჯაჯასავით* დააწვნენ თავზე არემარეს (ჭ. ლომთ.) – ქეგლი. აგრეთვე: გურ. ნიკოლ.

აჭარულში „ჯაჯია“-ი ზანურიდან, კერძოდ ლაზურიდან უნდა იყოს შეთვისებული. ლაზურში მჯაჯი ძერა-ს ეწოდება. ლაზურში თავკიდური მ-განვითარებული ჩანს. რაც შეეხება ფუძეს-ჯაჯ, იგი კანონზომიერი შესატყვისია ქართული ძერ-ისა (შდრ. ჯიჯი-ძირი) (თანდილავა, ნარაკიძე 1986: 109).

ჯაჯულ-ი:

ახ. ქართ. I. **ჯაჯული** ძვ. ჯაჯით ნაწამები. დადგეს მაგიდა და სკამი მოხელეთათვის, რომ *ჯაჯულების* ჩვენება ჩაეწერათ (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. იხ. I. ჯაჯი.

დიალექტ. II. **ჯაჯული**, ჯაჯულა უშნოდ ჩაცმული, აჯაჯული. უშნო კაცი არი, ულაზათოი, *ჯაჯული* კაცი, ჩაცმულიც ეგრე არი, ფეხთ იმას არ ექნება კარქი და ტანთა (ტირძ.). *ჯაჯული* ბიჭი ხარ, დედა გენაცვალოს! (კავთ.); აგრეთვე ძეგ. (ქართლ. ლექსიკ.). იხ. II. ჯაჯი.

ჯელ-ი:

სამ., ქართ., დიალექტ. I. **ჯელი** რეგუენი, რეგვენი, რომელსა აკლდეს სიბრძნე და მცირედ ხელურსა იქმოდეს – საბა.

დიალექტ. II. **ჯელი** ჯეელი, ჯეილი. თქვენ *ჯელები* ხართ და ჯანი გერჩისყე. **ჯელობა** ჯეილობა. ჰაი დედასა, სად არი *ჯელობა*! (რაჭ. კობახ.). „ჯელი რო ვიყავი, ყოლიფერი ჩემი იყო, ახლა რაია ჩემი სიცოცხლე“ (სურ. გურ. ჯაჯან.) || ჯეილი [არაბ. ჯაჰილ] ახალგაზრდა, ჭაბუკი, ყმაწვილი. სროლაში ყველა – დიდი თუ პატარა, მოხუცი და ჯეილი – იღებს მონაწილეობას (ვაჟა) – ქეგლი. || **ჯელი** – ახალგაზრდა (კლარჯ. ლექსიკ.). || ჯეილი, ჯეინი (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).

დიალექტ. III. **ჯელი** (გურ.) ჯერი, იჯრა. *„ჯელზე* ერი კეცი ჭადი არ ყოფნის“ (გურ. წითელმთა, ი. შილაკაძე) – ალ. ღლ. ჯელი < ჯერი; **ჯერი** კერძი, იჯრა (ჩვეულებრივ – სახლს გარეთ მომუშავისათვის). [თამროს]

მამისათვის კალოზედ ჯერი მიჰქონდა (ილია). ჯერი აღარ გვაქვს, მწყემსები მშივრები ვიხოცებით (ა. ყაზბ.) – ქეგლი. შდრ. **უჯერობა** ადამიანთა საკვების უქონლობა. „ყიზლარჩი, გონჯს ამინდჩი, ბევრჯერ დავმჩალვარ *უჯეროდა*, მაგრამ მაინც გავიტანეთ თავი და შინ მშვიდობით მოვსულვართ". **მეჯერის** ცხორი საკვებად შინ დაყრილი ცხვარი. „დადღანაი დაუდგა მეჯერეს ცხორსა და არ ვიცი კი როგორ გასწვდება – დიდი ფარაა" (მოხ. ღუდ.). იხ. II. იჯრა.

ჯიგვ-ი:

ახ. ქართ. I. **ჯიგვი** ჯირკი – ქეგლი. ჯირკი > (გურ.) ჯიკვი > ჯიგვი. **ჯირკ, ჯიკ** ჯირკი (სვან. თოფ., ქალდ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯიგვი** 1. (თუშ.) იგივეა, რაც ცერი. 2. (ხევს.) იგივეა რაც გოჯი – ქეგლი. **ჯიგვიან ჭელი** ზომის ერთეული – ხელის თითები ცერიანად. ერთ ჯიგვიან ჭელის დადებას ზემოდან წითელ ტოლს დააკერებენ (ნ. ოჩ.); ქალები ჯერ [ქუდის] სანაპიროთ გამასჭრიაან ერთ ჯიგვიან ჭელის სიმტყეს (ნ.ოჩ.) (შდრ. ხევს. თავისებ. 219, 23; 279, 24) – ალ. ჭინჭ. იხ. I. ჯიღვი

ჯიგჯიგა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯიგჯიგა** (გურ.) იგივეა, რაც ჯაგლაგი – ქეგლი. შდრ. ჯაგლაგი ცხენცუდა – საბა.

დიალექტ. II. **ჯიგჯიგა** ვერცხლის ფულის ასხმა ყელზე ჩამოსაკიდებლად. პატარძალს ჰქონდა *ჯიგჯიგა* (ჯავახ. მარტ.). შდრ. პეტალი [თურქ. ჯილჯიღა] – საბა.

ჯიკა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯიკა** ახალი ყველის ფაფა (სინონ. გუდამაყ. ერბოყველა, მთიულ. ყველიფაფა) – ქეგლი. || ახალი ყველისაგან დამზადებული საჭმელი, სქელია ფაფასავით, იწელება. სულგუნს ფქვილი არა აქ, *ჯიკა* კი ფქვილიანია (რაჭ. კობახ.). || (ოს. ძიქქა) საჭმელია რძისაგან შემზადებული (რაჭ. ძიძიგ.).

ახ. ქართ. II. **ჯიკა** ბოტან. ჯიქა. [ოფელიას] მოეგროვ[ებინ]ა... ჭრელი ბალახი, რომელსაც... სოფლის ქალნი უხმობენ *ჯიკას* (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. იხ. I. ჯიქა.

ჯილავდარ-ი:

ახ. ქართ. I. **ჯილავდარი** [სპარს. ჯილავდარ] აღვირის დამჭერი (ჩვეულებრივ, ცხენით მიმავალ დიდებულთა); მხლებელი, – წინამსრბოლი. ჯარებს შემდეგ იდგნენ ორნი *ჯილავდრები* და ორი ცხენი ეჭირათ ხელში («ცისკარი») – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჯილავდარი** დიდი საარყე ქვაბი. ხვალ არყის გამოხდა გვინდა და ნეტა ვის უნდა გამოვართვათ *ჯილავდარი?* (კავთ., ქართლ. ლექსიკ.).

ჯილდო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯილდო** 1. არს გამარჯვებულის მეომრის სანიჭარი – საბა. || [სპარს. ჯალდუ] საპატიო საჩუქარი ვისიმე დამსახურების, ღვაწლის აღსანიშნავად, ჯილდოზე წარდგენა. 2. უხმარიათ გასამრჯელოს მნიშვნელობით. [დათა] ექიმობდა კარგად, სინდისიერად, თუმცა ძალიან ცოტა *ჯილდოს* იღებდა (შ. არაგვ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჯილდო** კარგ საქმეში მობაძავი. „კაცი სხვისა *ჯილდო* უნდა იყოო"! (ქიზ. მენთ.). შდრ. ჯალდვა ჯობნა, მორევა. ჯალდავს სჯობნის, ერევა (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. III. **ჯილდო** ობობასებური მწერი, რომლის გაჩენა სახლში თითქოს უბედურების მომასწავებელია (თუშ. ხუბ.).

ჯიმჯიმ-ი:

ახ. ქართ. I. **ჯიმჯიმი** თითებზე ჩამოსაცმელი სატკაცუნებელი, რომლის ხმასაც ცეკვას აყოლებენ ხოლმე, – სატკრციალო, კასტანიეტი (ქეგლი).

დიალექტ. II. **ჯიმჯიმი** უკმეხი ბუტბუტი. „გაჯავრდა და კარი *ჯიმჯიმით* გაიარა"; „რას სჯიმჯიმებ?" (მოხ. ქავთ.). || ბურტყუნი. „ამ დავითას კი თოვჭაპივით ხასიათი აქვ. სულ *ჯიმჯიმებს* და *ჯიმჯიმებს*" (მოხ. ღუდ.). || მჟღერი ბგერებით გაურკვეველი ლაპარაკი (ქიზ. მენთ., თუშ. ხუბ., ფშ. გოგატ.). შდრ. ჯიჯინი გაბმული, გულისგამაწყალებელი ლაპარაკი, – დუდღუნი (შდრ. ჟიჟინი, ჩიჩინი) – ქეგლი.

დიალექტ. III. **ჯიმჯიმი** მორწყვის დროს კვლების ბოლოებში დაგუბებული წყალი, ტბორი (მესხ. მაის.). || სითხით გაჯერება, ტივტივი. უფრო ერბოზე იტყვიან, საჭმელს ბლომად რომ აქვს და ზევიდან მოიგდებს: ერბოში *ჯიმჯიმებს* ან ერბო *ჯიმჯიმებსო* (ჯავახ. ზედგ.).

ჯინჯილა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯინჯილა** ქერის პური. დიდი წილი [გლეხებისა] სიმინდის მჭადითა და ქერის *ჯინჯილით* ცხოვრობს (ი. გოგებ.). შიშია... ქერის *ჯინჯილასა* ხრავდა (თ. რაზიკ.) – ქეგლი. აგრეთვე: ფშ. ქეშიკ., ქართლ. ძიძ., კეცხ., ხუბ.

აღდგენილია ს.-ქართვ. *მაურ- „ქერისაგან დამზადებული სამარხვო შეჭამანდი (პური, ზეთი)" → ქართ. მავრ-ი : ზან. ჯინჯ-ილ-ა (ჩუხუა 2000-2003).

ახ. ქართ. II. **ჯინჯილა** ბატის ჯიშია ერთგვარი – ქეგლი.

დიალექტ. III. **ჯინჯილაი** სურდო. „*ჯინჯილაი* დემემართა" (იმ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჟინჟინაი სურდო (ჩვენ. ფუტკ.).

ჯინჯიხ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯინჯიხი** (ქიზ.) ძნელი, საძნელო – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯინჯიხი** ძვ. «მდუღრისა და თბილის საშუალი» (საბა) – ქეგლი. || ძალიან ცხელი (წყალი). წყალი რო გაცხელდება და ადუღებული არ არის, ისე კარგა ცხელია, *ჯინჯიხი* ის არი (საგურ.). წყალი რო ასადუღარს არი, ცხელი როა და ჯერ არ ადუღებულა, ეგ არი *ჯინჯიხი* (კარალ.); *ჯინჯიხი* უნდა იყვეს წყალი და ისე დაასხა სარეცხსა (ლამ.); აგრეთვე (საკორ., ოძ.). აქვე **გაჯინჯიხებული** გაცხელებული (წყალი). მომზადებულია ასადუღართა და არც ადუღებულია წყალი, ვიტყვით *გაჯინჯიხებულიაო* (ოძ., ქართლ. ლექსიკ.). აგრეთვე აჭარ. ნიჟ. || ოდნავ ცხელი. „წყალი *ჯინჯიხი* გამხდარა ძვილაი“ (სტ., ჩვენ ფუტკ.). || ჯინჯიღი თბილისა და ცივის საშუალი (ნ. ჩუბ.).

დიალექტ. III. **ჯინჯიხი** ძალიან ნოყიერი რძე (ქსნ. სომხ.).

ჯირა:

დიალექტ. I. **ჯირაი** მწყემსების საჭმელი, დაფქული. *„ჯირეგ* გვქონდ გადასატანი-დ ცხენებს ვხკმაზედეთ. **ჯირა-მარილ**ი მწყემსის საკვები და ცხვრის საჭმელი მარილი. „მებატკნეებს *ჯირა-მარილ* ვირებით მიაქვის“ **ჯირაძვირობაი** შიმშილობა მემცხვარეთა შორის. „ომის დრო იყვ, *ჯირა-ძვირობა* შირაქში, კილო მჭად შვიდ-რვა თუმან ღირდის“ (თუშ. ცოც.). || მწყემსის სურსათი (თუშ. უთურგ.). შდრ. ჯერი, იჯრა ერთი ჯერი ჭამადი – დ. ჩუბ., საბა, ქეგლი. შდრ. II. ჯირა.

დიალექტ. II. **ჯირა** [არაბ.] ჯამაგირი (ფერეიდ. ჩხუბ.). იხ. III. ჯელი.

ჯიქ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯიქი** 1. [Leopardus pardus] ზოოლ. დიდი ნადირი კატისებრთა ოჯახისა; აქვს მოყვითალო, წინწკლებიანი ბეწვი, – ბაბრი. იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა *ჯიქია* (რუსთაველი). მათ ჭელმწიფედ ერთი ლომი ჰყუათ, დიდად ძლიერი და მეტად საშიშარი, *ჯიქისა* უფიცხესა და დიდად ძლიერი და მეტად საშიშარი, *ჯიქისა* უფიცხესი და ვეფხისა უკისკასესი (ქილ. 786, 22). ფიგურ. [გლეხობას] მხსნელი არსენაღა ეგულებოდა – აი, ეს მარაბდელი ჯიქი (მ. ჯავახ.). 2. ჯიუტი, თავნება. გადატყდა წელში ჯიქი თებრონია (ვ. ბარნ.) – ქეგლი. „თუ შეჟდა გაკნაჭულ ვირზე, ვეღარ ჩამეიყვან, ისე ჯიქია“ (ჭარ. ნიჟ.). || „გოუგებელი, თავის ჭკუა ადამიანი, სხვისა რომ არაფელი ესმის“ (იმერ. გაჩ.).

დიალექტ. II. **ჯიქი** ცური (კირიონი). შდრ. ჯიქანი ცური – ქეგლი.

ძვ., საშ., ახ. ქართ. III. **ჯიქი** ხალხი აფხაზეთის მოსაზღვრე; ჯიქეთი, ადგილი, სადაც ჯიქნი ჰსცხოვრებენ – დ. ჩუბ. ჯიქებს გვერდით აფხაზი ფეოდალებიც ამოუდგნენ, რომლებიც ხან ქართველთა მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინაღმეგ, ხანაც ჩვენს სანაპიროებს აოხრებდნენ (თ. ბერაძე 1981: 90).

ჯიქა:

ახ. ქართ. I. ჯიქა [Lonicera caprifolium] ბოტან. ხვიარა-ღეროს მქონე ბუჩქი; ფოთლები ლეგა აქვს, ყვავილი – ყვითელი, სურნელოვანი; იზრდება ტყეებში, უდგათ ბაღებშიც – ქეგლი. შდრ. ჯიქურა (ბალ.) ინდოური (ინდური Cq) ფეტვი – საბა.

ახ. ქართ., დიალექტ. II. ჯიქა I. ძალზე დაქანებული დაღმართი (კირ.). 2. თაღის კამარაში მოქცეული არე. თაღს... გვერდებიც აქვს და შუაგულიც, რომელსაც ჯიქას უწოდებენ (ივ. ჯავახ.) – ქეგლი. *ჯიქა* რო მოვა, შევკრამთ თაღს და გავჭედამთ ქვის სოლებით (მრეწ. I: ქიზ. 43, 44; გ.-კახ. 116; ქვ.-იმერ. 300, ქიზ. მენთ.).

ჯიღა:

სამ., ახ. ქართ., დიალექტ. I. ჯიღა [არაბ. ჯიღა] 1. თავსამკაული – თვალ-მარგალიტით შემკული, თმაში გასაბნევი ფრთა ან გვირგვინის შვერილები. გახსონს, თავზედ *ჯიღა* გქონდის ალმასი და ი ლალები (ი. ტფ. 652, 328, 2). ნუ ეშუღლები ყეენსა, თორემ მოგიშლის *ჯიღებსა* (დ. გურამ. 103, 288, 3). თავსა *ჯიღით* აღგიმაღლებ, წამოგასხამ განა მაზარს! (არჩ. 203, 117, 3). იასეს *ჯიღა* ზაზას თქვენთვის გიროვოდ დაედო (სამ. VIII, 867). ზოგი ისე გაგვიმდიდრა, *ჯიღა* დაგვადგა თავზედა, ზოგი ისე გაასაწყლა, მიწა ალოკა ქვაზედა (ხალხ.) – ქეგლი. „შენ დასტურდა *ჯიღები იცი*“ (ხ. ფ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. II. ჯიღა ხარის სქელი კისერი (ლეჩხ. ალავ.) იხ. II. ჯიღვი.

ჯიღვ-ი:

სამ. ქართ., დიალექტ. I. ჯიღვი მჯიღი, მუჭი. ორისავე *ჯიღუთა* პირი და მკერდი ლილის ფერად გაიჯადა (ვისრ. 53, 15). „ცხენი ისე გეიქცა, *ჯიღვისხელა* გამოჩთა“ (ზოტი, გურ. ჯაჯან.). || ჯიღი მუშტი – ქეგლი. აგრეთვე: იმერ. გაჩ; რაცხ. გურ., რაჭ. ძიძიგ., ჯავახ. ზედგ. მჯიხი მჯიღი ზან. (ლაზ. კალანდ.).

საბა განმარტავს: მჯიღი „ჴელთ თითნი მომუჭვილი“. ვ- ჩაერთვა უკანაენისმიერ ხშულთან (ქავთარაძე 1964: 173). აღდგენილია *ჯიხ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ახ. ქართ., დიალექტ. II. ჯიღვი (თუშ.) იგივეა, რაც ლავიწი (შდრ. ჭიღვი) – ქეგლი. შდრ. ჯურღუ, ჯუღუ ბარძაყის ან წინა მხრის ძვალი (სვან. თოფ., ქალდ.). იხ. I. ჭიღვი.

ჯიხ-ი:

დიალექტ. I. ჯიხი ცუდად მოსიარულე ცხენი. „ჩემი ცხენი *ჯიხია* და როგორ ვიაროო“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). შდრ. ჯახრიკა ჯაგლაგი. ჯახრიკი წვალება (ვ. ბერ.). ჯახირი წვალება – ქეგლი.

დიალექტ. II. ჯიხი მუჭა (მთ. მაკალ.). – ალ. ღლ. ჯიხი მჯიღი ზან. (ლაზ. თანდ.). იხ. I. ჯიღვი.

ჯიჯა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯიჯა, ჯიჯო** (მოხევ. მთიულ. გუდამაყ.) იგივეა, რაც ბიბილო (შდრ. ჯიჯლიბო) – ქეგლი. || მამალსაცა აქ და დედალსაცა თავზე ამონაზარდი წითელი *ჯიჯა* (ომ.). როგორი წითელი *ჯიჯა* აქ, კვერცხ მალე დადეფსო, იტყვიან ქათამზედა (ტირძ); აგრეთვე დად., წირქ. (ქართლ. ლექსიკ.). || **ჯიჯაი** (თუშ. ხუბ.) || **ჯიჯო** (მთ. კაიშ.). || ჯეჯა. „ზოგ ქათამს ჯეჯა სულ არ აჩნია და ზოგს კი თავის წონა დაჰკიდავ“ (მოხ. ღუდ.). იხ. I. ჯიჯლიბო.

დიალექტ. II. **ჯიჯა** სწორი (ლეჩხ. ალავ.).

დიალექტ. III. **ჯიჯა** ჭუჭყიანი, უხეიროდ ჩაცმული ქალი (ქიზ. მენთ.).

აღდგენილია არქეტიპი *ჯიჯუ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. IV. **ჯიჯაი** ბავშვის ენაზე-ხორცი (თუშ. ხუბ.). || ჩიჩია. სერეფენია და მისი დედა შეექცეოდნენ იხვის ჯიჯიას (ვაჟა) – ქეგლი.

ეს სიტყვა ნახური წარმომავლობისაა: ბაცბურში აგრეთვე ბავშვების ენით ხორცს ჯიჯ ჰქვია, ხოლო ჩაჩნურ-ინგუშურში ჟიჟ (უთურგაიძე 1966).

ჯიჯლიბო:

ახ. ქართ. I. **ჯიჯლიბო** ბიბილო. მეტად ამაყია ჩვენი მამალი..., *ჯიჯლიბო* გვერდზე გადაუგდია, როგორც თავმომწონე ბიჭი გადიგდებს ხოლმე ქუდსა (ვაჟა) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჯიჯლიბო** მცენ. ქათმისქოჩორა (კახ. ა. მაყ.).

დიალექტ. III. **ჯიჯლიბო** თვალის ავადმყოფობა წამწამთა ძირების ჩირქოვანი ანთება (მესხ. ფეიქრ., ჯავახ. ზედგ.). || ჯიჯლიბა (საბა). || ჯიბლიბო წამწამთა ძირების ჩირქოვანი ანთება. [ექიმმა] დეიდა მართას ჯიბლიბო სულ რაღაც ერთ თვეში მოურჩინა (ნ. დუმბ.) – ქეგლი. || ჯინჯლიბო ფშ., ინჯლა ჰორ., ინჯილა მთ., ინჯლი, ინჯვლი, მოჯ. ჯიჯლიბო (თვალის ავადმყოფობა) –ა. შან. შდრ. ინჯილიკი ჯიბლიბო, ქუთუთოს ბმო – ნ. ჩუბ. ზიბზიბა თვალის ავადმყოფობა, ქუქუ, ჯიბლიბო (იმერ. ვ. ბერ.). ძიძიბი ჯიბლიბო, ბურცი კანზე ზან. (მეგრ. ქობ.)

ჯიჯღ-ი:

ახ. ქართ. I. **ჯიჯღი** იგივეა, რაც წრიპა. – [Turdus musicus] ზოოლ. ერთგვარი ფრინველი შაშვის გვარისა – ქეგლი.

აღდგენილია არქეტიპები: 1. *ჯიჯღ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990); 2. *ჯიჯღ-(ო) ←*ძიძღ-ო „ნამგალა“ → ქართ. ჯიჯღ-ი (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. II. **ჯიჯღი** დახლართულტოტებიანი (ხე) (ხევს. ჭინჭ.). || ჯოჯღი (იმერ.) იგივეა, რაც ბორჯღლი – ქეგლი.

ჯლიგვ-ი:

დიალექტ. I. **ჯლიგვი** მუჯლუგუნი. ე ძმა *ჯლიგვს* კრავდა (ხიდარი). || ჯლიქვი: ჯლიქვი კრა გოგოსა (ვერტყვიჭალა, ზ.-იმერ. ძოწ.). იხ. I. ჯიღვი.

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯლიგვი** ფრინველის წინა მხარი (გურ. ქეგლი., ს. ჟღ.). იხ. II. ჯიღვი.

ჯოლ-ი:

დიალექტ. I. **ჯოლი** ჟოლო. „*ჯოლსა* ჩამოარყევდენ, არ ჩამაადენდენ" (იმ.); „ტყეში ბევრია *ჯოლი*" (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯოლი** (რაჭ.) რკინის ჯაჭვი («დიალ.») – ქეგლი.

ჯონკა:

დიალექტ. I. **ჯონკა** || **ჯორკო** ბოკონა. *ჯონკა* ფიცრის პატარა დასადგამი სკამია (წყალშავი). || ჯოკინა იგივეა, რაც ბოკონა. ჯოკინაზე არ დაბძანდეთ (დილიკაური, ზ.-იმერ. ძოწ.). || ჯორკო დაბალ სკამად გათლილი ნამორი – ქეგლი.

ახ. ქართ. II. **ჯონკა** [მალ. ჯუნგ «დიდი გემი»] ჩინური იალქნიანი გემი. ნავსადგური სავსეა ისეთი ჯონკებით, როგორიც ჰონკონგში ვნახეთ (ვ. ბარათ.) – ქეგლი.

ჯონჯ-ი:

დიალექტ. I. **ჯონჯი** ძონძი (მთ. კაიშ.). ჯონჯი < ძონძი; ჯ < ძ. შდრ. ძონძი (იხმარება ჩვეულებრივ მრავლობითში) ძალიან ძველი, დაფლეთილი ტანისამოსი – კონკ[ებ]ი. ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ... ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაც (ილია). || კონკის ნაგლეჯი, – ჩვარი. დახავსებული, დაძაბუნებული ქერქი ძონძებივით ეკიდა [მსხალს] (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჯონჯი** კაბაზე შემოვლებული ნაოჭებიანი ქობა (რაჭ. კობახ.). შდრ. ჯორჯალი (გურ.) კაბაზე მოვლებული ნაოჭიანი არშია, ფურჩალა – ქეგლი. შდრ. III. ჯარჯი.

ჯორ-ი:

ბვ., საშ., ახ. ქართ. I. **ჯორი** 1. ფაშატი ცხენისა და ულაყი ვირის ჰიბრიდი; იყენებენ ტვირთის საზიდავად, საჯდომად – ქეგლი. „მოართუმიდეს მათ აქლემებითა და *ჯორებითა* და ვირებითა და აზავრებითა საზრდელსა" (M, I, ნშტ. 12, 40); „ნუ იყოფვით ვითარცა ცხენი და *ჯორი*, რომელთა თანა არა არს გულისხმის-ყოფაჲ" (ფს. 31, 9) – ილ. აბულ. უცილობლობს ვითა *ჯორი* (ვეფხ. 15, 5). თავისთვის მუტრუკს აკეთებს სხვათ გაუკეთებს *ჯორსაო* (დ. გურამ. 70, 59, 6). ორი ყათარი ჯორი თვალითა და მარგალიტით აკიდებული (ხოსრ. 68, 4). სიმტკიცე უწვრთველისა *ჯორისა* წიხნითა

შეგიმუსრავს (ბეს.124, ქვ. 11). მოროყინობდნენ აქლემნი, მოკელაობდნენ *ჯორები* (ვაჟა). ეპისკოპოზმაც შეაბრუნა *ჯორი* და დაღმართისაკენ უქნა თავი (ნ. ლორთქ.). 2. (ქიზ. რაჭ.) იგივეა, რაც ვირი. სახედარს მეტის მუშაობით წელს აათრევინებენ..., ჰკვრენ ჯოხსა და ხრიაკი სერებისკენ გაუძახებენ. საწყალი *ჯორი* იმდენს ილაწლაწებს, მინამ... მგელს არ წააწყდება (დ. მაჩხ.) – ქეგლი. **ჯორ** ჯორი (სვან. თოდ. ქალდ.). **ჯორი** ზან. (ლაზ. კალანდ.). იხ. აგრეთვე (ბუკია 2006: 91).

ჯორ- ფუძე საერთოა ქართულსა, ჭანურსა და მეგრულში. მნიშვნელობაც ყველგან ერთი და იგივე აქვს (ჩიქობავა 1938); [შუმ. dur] „კვიცი ჩოჩორი (მამრ.)“ ქართ. ჯორი (გორდეზიანი 1985: 44).

ახ. ქართ. II. **ჯორი** ხის სამფეხა რისამე შესაყენებლად, – ჯოჯგინი (ქეგლი). **ჯორა̃ი, ჯორა̃, ჯორაი** მოზრდილი მორი, რომელსაც ათი-თხუთმეტი ვაჟკაცი ხელებით მაღლა სწევს და გამოქანებით ურტყამს სახლის კარებს ან ჭიმკარს შესანგრევად (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. III. **ჯორი** (მოხ. მთ., გუდ.) ჯვარი (ქაჯ. კაიშ.). **ჯუ̃არ, ჯუ̃არ** ჯვარი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. IV. **ჯორი** ფანდურის ჭალი (მოხ. ქავთ.), ჯორრ ფანდურის სიმების გადასაჭიმი, ქვესადგამი ფირფიტა. *ჯორ* თუ დაბალაცი, ჭმა არ აქვ ჩონგურისა-დ თუ მაღალაცრ -ქცევაი (თუშ. ცოც.). || ჩანგურის ძალების სიმების ხიდი (ქიზ. მენთ.). შდრ. ჯვარი სიმებიანი საკრავის გადასაჭიმი ქვესადგამი, ჯორა. ფანდურის ჯვარსა ნამჭდევები აქ და იმ ნამჭდევებშია ლარებია ჩასხმული (ლამ., ქართლ. ლექსიკ.). **ჯორი, ჯორე** ჯორი/ჯორა (საკრავისა) (მეგრ. ელ.).

ჯორა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯორა** კნინ. ჯორი. შენ კი შეჰკაზმავ თავის *ჯორასა* და შემოურბენ სოფლით სოფელსა (ვაჟა). || ჯორა (იმერ. რაჭ.) მუქი წითელი, – ღვინისფერი, ჯორაფერი. || მუქი წითელი ან წაბლისფერი. საქონელი. „შენ გლახა თვალით შეგიხედავს კლემენტიას *ჯორა* მოზვრისთვის“ (ო. იოს.) – ქეგლი. || ჯორა არც შავია, არც წითელი, შუანა ფერი აქ (სოფ. სვერი, ზ.-იმერ. მრეწ. IV, III, 122). || ჯორა ლეღვი ერთგვარი ღვინისფერი ლეღვი. „*ჯორა ლეღვი* ოდნავ რო შემწიფებაში შევა, ის მიყვარს“ (იმერ. გაჩ.). || **ჯორა ლობიო**. || **ჯორა ფშატი** (ქართლ. ლექსიკ., რაჭ. კობახ.). **ჯორა** ნიშა, ნიკორა, თეთრი ნიშანი შუბლზე (მეგრ. ქობ.).

ახ. ქართ., დიალექტ. II. **ჯორა** სიმებიანი სამუს. საკრავების ხის დეტალი, რომელიც ზღუდავს სიმის მჟღერი ნაწილის სიგრძეს და სიმების რხევას გადასცემს დეკას („ჯორა“). ჯორა < კორა – უღლის ამოწეული ადგილი ტაბიკებს შუა (ერთელიშვილი 1980: 147). იხ. IV. ჯორი. შდრ. II. ხარაკი.

ჯოჯო:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯოჯო** 1. (მძრომ.) გოგო, ხვლიკის უფროსია – საბა. || [Agama caucasica] ზოოლ. ერთგვარი ქვეწარმავალი, ხვლიკის მსგავსი; ბინადრობს კლდოვან ადგილებში. რამდენი *ჯოჯო* იყო კლდის ნაპრალებში!.. გამოეფინებოდნენ, გაწვებოდნენ გახურებულ სილაზე, თბებოდნენ მზეზე (ვ. ბარნ.). 2. იტყვიან ტანდაბალ და გონჯ ქალზე. [ყაზარამ] ცოლი შეირთო, *ჯოჯო*, მაგრამ... ფულიან-მზითვიანი (ს. მგალობ.) – ქეგლი. აგრეთვე ჯავახ. ზედგ., ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.

საშ. ქართ. II. **ჯოჯო** მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა; ეკალძვალა – დ. ჩუბ.

დიალექტ. III. **ჯოჯო** ბღუჯა, შეკვრა „ხელში *ჯოჯო* აქვს ისრისა“ (ხალხ. პოეზ. 7, 1979).

ჯუთ-ი:

დიალექტ. I. **ჯუთი** გაუგებარი, მიუხვდარი, ბრიყვი კაცი (ხევს. ჭინჭ.).

ახ. ქართ. II. **ჯუთი** [ინგ. jute] [Corchorus] ბოტან. სამხრეთში გავრცელებული ბალახოვანი მცენარე, რომლის ბოჭკოსაგან მზადდება უხეში ქსოვილები, თოკი და სხვ. – ქეგლი. იხ. I. ჯუტი.

დიალექტ. III. **ჯუთი** (?): [ავთანდილმა სამოცი *ჯუთის* ისარი ქარქაშში დაითვალაო (ივერია, 1890, №239]. შდრ. ჯუთის [წმინდა] გიორგი. ს. ჯუთის სალოცავი. წაღმ ჩახყევ, ჯუთის გიორგივ, საკარგყმოს გათქვემდიანო (ხევს. პოეზ. 170, 10) – ალ. ჭინჭ.

ჯურა:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯურა** 1. ჯურისა, მოდგმისა, ჯიშისა. ჯერ ისევ დილაა, ათასი *ჯურა* ფრინველი და ნადირი ირევა (ვაჟა). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ერთი ჯურა – ქეგლი. || წყება, რიგი, რაიმე ნიშნით (სიმაღლით, სიმსუქნით) ერთნაირი (ჯავახ. ზედგ.). ხელის მუშა ... ქვის გავლებას რო დავიწყობდით, სუ ერთ *ჯურა* ქვას გვაწვდიდა (ქიზ. მრეწ. I, 410).წისქვილი ორი *ჯურაა:* ერთი ჩარხისა, დიდი, მეორე-ბუჭულა (ქიზ. მრეწ. IV, III, 171). || ჯური [სპარს. ჯურ] საუბ. მოდგმა, ჯიში – ქეგლი.

დიალექტ. II. **ჯურა** შვრიის ფქვილი (თუშ. შან.).

ჯურუმ-ი:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჯურუმი** ჯარიმა. ესოდენსა ჯურუმთა გვაჭდევ ერთისა შენისა ყუავილის გამო (ქილ. 370, 26). ჯავახეთს ჯარჩი ჯახველის ჯალჩი *ჯურუმათ* ჯერითა (ვახტ. VI 66, 3). ვინც... აქ ჩხუბს გამართავს, მას «ჯურუმში» ქამარ-ხანჯალს ან ქუდს ართმევენ (ს. მაკალ.) – ქეგლი.

ჯურუმი [არაბ. ჯურუმი] ცოდვა, დანაშაული, შეცდომა. სავარაუდოა, ჯარიმა ფორმის სპარსულის გზით მომდინარეობა. არაბული წარმოშობის ამ სიტყვას სპარსულში სწორედ „სასჯელის“, ჯარიმის“ გაგება აქვს, რაც არაბულისთვის უცხოა (ავალიანი, დადიანი 2005: 18).

დიალექტ. II. **ჯურუმი** სირცხვილი (თუშ. ხუბ.).

დიალექტ. III. **ჯურუმი** ბუზღუნი. „რას მეჯურუმები განა შენს ხარჯზე ვარ?“ (მოხ. ქაჯ.) – ალ. ღლ.

ჯუტ-ი:

ახ. ქართ. I. **ჯუტი**, **ჯუთი** მცენ. იხ. II. ჯუთი.

დიალექტ. II. **ჯუტი** || **ჯუტა** იგივეა, რაც ჭიტი, სასულე. – თითით დაჩნეული ღრმული, კეცზე დაკრულ მჭადის ცომზე (სასულედ). *ჯუტი* გოუკეთე ჭადს (სვერი); *ჯუტი* უნდა ჭადს, ჰაერი რო ამევიდეს (ქვაციხე); ჯუტა ჭადია (ხვაშითი, ზ.-იმერ. ძოწ., ქეგლი).

ჯუჯა:

სამ., ახ. ქართ. I. **ჯუჯა** ფუქსავატი, პითიკი (ინდიან B; ჯუჯა AaBC; ჟურ.); ასაკმცირე კაცი – საბა, ნ. ჩუბ. || [სპარს. ჯუჯე] ძალიან პატარა, ჩია ტანის ადამიანი, – ქონდრისკაცი, ლილიპუტი. დალი ჰასანი ძალიან დაბალი იყო, თითქმის *ჯუჯა* (მ. ჯავახ.). || ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო პატარა, მოკლე, დაბალი – ქეგლი. ჯუჯა ახალ დაბადებული ბავშვი. შდრ. ჯუჯე ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ჯუჯა** ბიბილო (ხევს. ჭინჭ.). შდრ. I. ჯიჯა, ჯიჯო.

ჰ

ჰავა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰავა** [თურქ.] ჰაერი – საბა. || [არაბ. hava ჰავა] ამა თუ იმ ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა, – კლიმატი. მკაცრი ჰავა. – ზომიერი ჰავა. – *ჰავა* საქართველოში ერთნაირი არ არის (ი. გოგებ.). ორი პატარა ბავშვი ისევ მამაზე უწინ დახოცილიყვნენ..., დასცადა *ჰავამ* თურმე (ნ. ლომ.) – ქეგლი. „აქა *ჰავა* ენჩუღი თიბილია“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). აგრეთვე ფერეიდ. ჩხუბ. **ჰავა** || **ხავა** (არაბ.-თურქ.) ჰაერი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ჰავა** კვალი. ელ ემ ყორის ჰავაზე- ამ ყორის კვალზე (ფერეიდ. ქ. ონიკაშვილი) (შდრ. სპარს. be hävaye u“ „მის კვადაკვალ“ მისი გულისთვის) (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. III. **ჰავაი** [აზერ.] ამაოდ, ტყუილად, ტყუილ-უბრალოდ. *ჰავაი* უმედ ნუ გაქ? (ინგ. ღამბ.).

ჰალ-ი:

დიალექტ. I. **ჰალი** 1. [არაბ.] ბალა, ღონე, შეძლება. „შენ რომ დიგინახავ, დაჰა *ჰალი* მომივა“ (ინ.); „*ჰალი*, ვახტი გონჯი არ გვაქ“ (თ. ქ.); „ჩემი *ჰალი* რანა იქნასო“ (ტ., ჩვენ. ფუტკ.). „ღმერთმა ყუვეთი, *ჰალი*, ჯანი მოგცოსო“ (ქლასკური, კლარჯ. ლექსიკ.). 2. გაჭირვება: „აუ, რა *ჰალი* გუუწვეიან“ (ყარაფურჩეკი); „ნახეთ რა *ჰალმია!*“ (ნუსრეთიე, კლარჯ. ლექსიკ.). **ჰალი** (არაბ.-თურქ. hal) მდგომარეობა ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ჰალი** [არაბ.] უსიამოვნება, გასაჭირი, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა. „ბაბოი რა *ჰალშია* იცი?!“ (თ. ქ.); „იმფერი პატარაი გზები იყო, რომ ხარი არაბაით რა *ჰალით* გევიარდით“ (ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. III. **ჰალი** [თურქ.] ბევრი. „რა *ჰალი* გივლიათ“ (უსტ.). „რა *ჰალი* თოვლი იყო“ (უსტ., შავშ. ლექსიკ.).

ჰალალ-ი:

ახ. ქართ. I. **ჰალალი** ალალი, თათრულად შენდობილი, სრულიერი – ნ. ჩუბ. || ალალი – მართალი, პატიოსანი, უცოდველი. ეჰ, ღმერთო, ...შენ უშველე *ჰალალ* კაცს! (ვაჟა) – ქეგლი. || ჰალალ [აზერ.]: *ჰალალ* იქნეს (ალალი იყოს, შეგერგოს) ჩემ მანაცემ ყოჩ შენზე (ინგ. ღამბ.). ალალი, თათრულად შენდობილი, სრულიერი – ნ. ჩუბ. **ჰალალი** ალალი ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. II. **ჰალალი** წყალში შენახული ყურძენი (ფერეიდ. ჩხუბ.).

ჰანგ-ი:

ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰანგი** [სპარს. აჰანგ] სიმღერის კილო, მელოდია. არ გამაგონო დაფა-ზურნის *ჰანგი* ველურო! ჩემს თბილისში ვარ, დაუკარი ტკბილ ქართველურო! (ა. მირცხ.). || გადატ. საუბრის კილო. [სივი-

ლა] უწინდებურადვე არ იშლიდა მაღალ *ჰანგზე* ლაპარაკს (გ. წერეთ.). ◊ სხვა ჰანგზე დაიწყებს მღერას (გალობას, ლაპარაკს...) – ქეგლი. *ჰანგში* მოსვლა: ვერ მოდის *ჰანგში* – არ ეწყობა საქმე, არ გამოდის ისე, როგორც საჭიროა (ქიზ. მენთ.).

დიალექტ. II. **ჰანგი** [სპარს.] რომელი; რანაირი. „*ჰანგი* რენგის ყუმაშია?“ (ჩვენ. ფუტკ.).

ჰაივან:

დიალექტ. I. **ჰაივან** მიწის იატაკიანი აივანი (ხის იატაკიანს კი „პალკონს“ უწოდებენ). ჰაივან მიწიან პალკონი (ინგ. ღამბ.). || ჰაივანი ძვ. აივანი. ჰაივანი სულ დაბალია, სულ ერთი საჟენიც არ იქნება (აკაკი) – ქეგლი. || აივანი დერეფანი: სახლი – საბა. || (სპარ.) დერეფანი გინა ეზო – დ. ჩუბ. || სახლის ღია, მოაჯირიანი ნაწილი – ქეგლი. სიტყვა შემოსულია ახალი სპარსულიდან: შდრ [სპარს. āǰvān] „წინკარი“, „აივანი“ – ბ. გიგინ.

დიალექტ. II. **ჰაივან, [ჰეივან]** [აზერ.] ცხოველი. ტყეში ერ *ჰაივან* დოჴნახ; ქალ ღმერთს რხრწრვის (ეხვეწება): ამან ღმერთო, ერ *ჰაივანა* გადმაქციე! (ინგ. ღამბ.).

ჰასილ-ი:

დიალექტ. I. **ჰასილი** (ჩიქ.) ჯეჯილი (ფერეიდ. ჩხუბ.).

დიალექტ. II. **ჰასილი** (არაბ. hasıl სამრეწველო საქონელი) დამუშავებული, რაფინირებული, გამოყვანილი. „ზოვლი *ჰასილი* საქონელი იგიღია“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ჰაქიმ-ი:

ძვ., საშ., ახ. ქართ., დიალექტ. I. **ჰაქიმი** [თურქ.] ჰექიმ AaB, ჰაქიმი – საბა. || ძვ. ექიმი – ქეგლი. || ჰაქიმ, ჰექიმ [აზერ.] ექიმი. ჰაქიმოვაჲ, ჰექიმოვაჲ ექიმობა. შეგირთ ჰარ დღი *ჰაქიმთან* ჰაქიმოვას ესწავლევ თურმენი (ინგ. ღამბ.). || ჰექიმი [არ. ჰექიმ] ექიმი. „ჰაცხა ჰექიმი ყოფილა, იქ წუუყვანიან“ (სტ., ჩვენ. ფუტკ.). || ექიმი უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც ზრუნავს დაავადებებისაგან ადამიანის დაცვაზე და ავადმყოფებს მკურნალობს – ქეგლი. **ჰქიმ, ექიმ, ჲექიმ** ექიმი (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტ. II. **ჰაქიმი** [არაბ.] ხელისუფალი, მოსამართლე. „ორი შვილი *ჰაქიმი* ყავს, ერთი *ჰექიმია*“ (ბაბ., ჩვენ. ფუტკ.). || მოსამართლე: „*ჰაქიმთან* საქმობდა, რას ეტყვით თქვენ?“ (ჩაქ., შავშ. ლექსიკ.). || თანამდებობის სახელია; მთავრობის მოხელე, გუბერნატორი (ფერეიდ. ჩხუბ.). შდრ. ჰოქუმატი (ჩიქ.) [არაბ.] მთავრობა, მთავრობის კაცი, გუბერნატორი (ფერეიდ. ჩხუბ.).

ჰილე:

დიალექტ. **I. ჰილე** [არაბ.] ეშმაკობა, მატყუარობა, გაიძვერობა, სიყალბე. „*ჰილე* არნა უზამო ვინმეს“ (სტ.); „სხუას *ჰილეს* რომ უზამ, ღმერთი შენ გიზამს *ჰილესა*“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

დიალექტ. **II. ჰილე** [არაბ.] გადატ. ტკივილი, შერყეული. „ჰალა კიდო ამ კლავიდამ *ჰილე* აქ ჲანი, დათვმა დაამტრია ქი, იმი ბარობაი“ (იმ., ჩვენ. ფუტკ.).

წყაროები

აბდულ. – იოანე შავთელი, აბდულმესიანი, გამოსცა ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964.

ილ. აბულ. – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

იუსტ. აბულ. – იუსტ. აბულაძე, „ვისრამიანის“ ლექსიკონი. – ვისრამიანი, ტფ., 1938.

აბუს. ტბ. – აბუსერისძე ტბელი, სასწაულნი წმიდისა გიორგისნი, ქართული მწერლობა, ტ. III, თბილისი, 1988.

გ. ავალ. – გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, გამოსცა ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1967.

ალგ. სალ. – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი, 1978.

ალექსანდრ. – ალექსანდრიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რ. მირიანაშვილმა, თბილისი, 1980.

ამირან. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსცა ლ. ათანელიშვილმა, თბილისი, 1967.

ჯ. ამირ. – ჯ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია, თბილისი, 1978.

ამონ. – ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭაღმაძემ, და მ. რაფავამ. თბილისი, 1983.

ანდრ. – წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ ანდრიანეწსი და ცოლისა მისისა ანატოლწსი; ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964.

აპოკრ. – ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1959.

არაბ. – Арабско-русский словарь. Составитель Х. К. Баранов, М., 1957.

არაბ. წერეთ. – გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1957.

არჩ. – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი,1936., არჩილი, ქართული პოეზია, ტ. 3. ტომი შეადგინა ს. ცაიშვილმა, თბილისი, 1975.

ასურ. – ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1955.

აჭარ. ბერ. – ე. ბერიძე, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქართველური მემკვიდრეობა, XVII, 2013, გვ. 54-62.

აჭარ. მგელ. – ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნ. მგელაძე – ავტორ შემდგ. ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე, ლ. მელიქიშვილი და სხვ. რედ.: რ. მეტრეველი. ბათუმი, 2018.

აჭარ. ნიჟ. – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

აჭარ. ნოღ. – ნ. ნოღაიდელი, მასალები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონისათვის. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი, 1976; III, 1981; V, 1986.

აჭარ. ნოღ. – ნ. ნოღაიდელი, ხალხური კულინარიული ტრადიცია და ლექსიკა. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, ბათუმი, 1987.

აჭარ. ნოღ. – ნ. ნოღაიდელი, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX, ბათუმი, 2007.

აჭარ. ნოღ. – ნ. ნოღაიდელი, ფეიქრობის დარგობრივი ლექსიკონი (აჭარული მასალა). – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, X, ბათუმი, 2008.

აჭარ. სურმ. – ნ. სურმავა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი, 1976.

აჭარ. სურმ. – ნ. სურმავა, მერისის ხეობის დარგობრივი ლექსიკიდან: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბილისი, 1979.

აჭარ. სურმ. – ნ. სურმავა, მესაქონლეობისა და რძის ნაწარმის შემზადების ლექსიკა აჭარულში. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII, თბილისი, 1990.

აჭარ. უმიკ. – იხ. პ. უმიკ.

აჭარ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბილისი, 1987.

აჭარ. ცქიტ. – ნ. ცქიტიშვილი, აჭარული დიალექტის სამეურნეო ლექსიკიდან, „ჭოროხი“, 1972, №3.

აჭარ. ჯაჯან. – პ. ჯაჯანიძე, აჭარული ლექსიკონის მასალები. – ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგ. ინსტიტუტის შრომები, XXIII, 1961.

დ. ბაგრატ. – დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ლექსები, ქართული მწერლობა, 8, 1990.

თ. ბაგრატ. – თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საბიებლით, თბილისი, 1960.

თ. ბაგრატ. – თ. ბაგრატიონი, წიგნნი ლექსიკონნი, მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ. შარაძემ, თბილისი, 1979.

თ. ბაგრატ. – თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საბიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.

ი. ბაგრატ. – ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და ნ. კიკნაძემ, თბილისი, 1986.

ბალავ. – ბალავარიანის ქართული ვერსიები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1957.

ი. ბარათ. – იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ. ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

მ. ბარათ. – მ. ბარათაშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბილისი, 1990.

ნ. ბარათ. – გ. გოგატიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია, თბილისი, 1973.

ბას. – თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი დაწყებისათჳს სოლომონი იგავთაჲსა, გამოსცა თ. ჭყონიამ, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965.

ბ. კეს. – ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1983.

ვ. ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПб., 1912; თბილისი, 1986.

რ. ბერულ. – რ. ბერულავა, ინგლისურ-ქართული უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი, თბილისი, 1997 (ელექტრ.).

ბერძნ. გიორგ. – თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2012.

ბერძნ. – Древнегреческо-русский словарь, ред. С. Соболевскийт. I-II, М., 1957-1958; Греческо-русский словарь, составленный А. Д. Вейсманом СПб., 1882.

ბეს. – ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1962.

ლ. ბრეგ. – ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი, 1999, 2005.

ტ. გაბ. – ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბილისი, 1990.

გ.-კახ. სახლთხ. – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი, 2003.

გამოსლ. – გამოსლვათაჲ, წიგნნი ბუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. I, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947.

გარიგ. – გარიგება ხელმწიფის კარისა, ქართული მწერლობა, ტ. 5, შემდგენელნი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1988.

გრ. ნოს. „კაც. აგებ“. – უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა, „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964.

ი. გრიშ. – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997.

გ. გელოვ. – გაბრიელ გელოვანი, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბილისი, 1990.

თ. გვანც. – თ. გვანცელაძე, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი: [4500-მდე სიტყვა] / თ. გვანცელაძე; რედ. ქ. ლომთათიძე. – თბილისი: ინტელექტი, 2012.

გ. გოგიჩ. – გ. გოგიჩაძე, სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი / გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე; [რედ.: ნ. ჭიჭინაძე, ა. ქორელი]. – თბილისი, მერიდიანი, 2009 (ელექტ.).

ფ. გორგ. – ფ. გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, ტფ., 1896 (ელექტრ.).

გუდამაყრ. ლეონ. – ლ. ლეონიძე, კახური დიალექტი, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბილისი, 1925.

დ. გურამ. – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. კრებული, შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ივ. გიგინეიშვილის მიერ, თბილისი, 1980.

გურ. გ. ლომთ. – იხ. ქართლ. ლომთ.

გურ. იმნ. – გრ. იმნაიშვილი, გურული დიალექტი, თბილისი, 2006.

ზ.-გურ. კიწმ. – ნ. კიწმარიშვილი, „დაუცხრომელთა სამყოფელი" – გურია. თბილისი, 2016 (ელექტრ.).

გურ. შ. და თ. მალაზონ. – შ. მალაზონია, თ. მალაზონია, გურული, მამათური ლექსიკონი, თბილისი, 2010.

გურ. ნიკოლ. – ე. ნიკოლაიშვილი, გურული ლექსიკის შეწავლისათვის. იკე, XXVI, 1987.

გურ. ნიკოლ. – ე. ნიკოლაიშვილი, მოთხრობები გურიის ახლო წარსულიდან (დიალექტური ტექსტების კრებული), თბილისი, 2019.

გურ. ჟღ. – ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფ., 1936.

გურ. ტუღ. – ზ. ტუღუში, ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა გურულში. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1987.

გურ. ტუღ. – ზ. ტუღუში, ნიადაგებთან და მიწის საყანედ მომზადებასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში. – იკე, XXV, თბილისი, 1986.

გურ. ტუღ. – ზ. ტუღუში, ოჯახური და ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ლექსიკა გურულში. – იკე, XXIX, თბილისი, 1990.

გურ. ფოლკ. ღლ. – ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბილისი, 1937.

გუდ. შან. – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

გურ. შარაშ. – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. – „ქართველურ ენათა ლექსიკა", I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

გურ. ჯაჯან. – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბილისი, 1977.

დანდ. ბერ. – ც. ბერიძე, დანდალოს მეტყველების თავისებურება. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ხელმძღვანელი – ე. ფუტკარაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი. ხიჭაური, 2019 (ელექტრ.).

კ. დან. – კ. დანელია, საქმე მოციქულთა, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) ტ. I, ნაწ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა, და ბ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ, თბილისი, 1997.

დ. სჯ. – დიდი სჯულის კანონი, რედ. ე. გაბიძაშვილი, თბილისი, 1975.

დ. სააკ. – დიმიტრი სააკაძე, ქართული მწერლობა, ტ. 8. შემდგენ.: ა. ბაქრაძე. რ. თვარაძე, 1990.

დოკ. – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.

დოკუმ. – ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი: (მასალები). [ქართველოლ., ჰუმანიტ. და სოც. მეცნ. ფონდი რუსთაველის ფონდი; პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. დ. მელიქიშვილი; პ/მგ რედ. ა. ხარანაული, ბერძნ. ტექსტის რედ.: ლ. გიგინეიშვილი, ვ. ჯუღელი]. – I გამოც. – თბილისი, ბ. სულაკაურის გამ-ბა, 2010 (ელექტრ.).

დუზჯ. ჩელებ. – ფევზი ჩელები, დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი. სადოქტორო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება“ სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტ. ფუტკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თბილისი, 2018 (ელექტრ.).

ებრ. – Иврит-русский словарь составил Ф. Л. Шапиром, Москва, 1963.

ბ. ეგნატ. – ბერი ეგნატაშვილი, ახალი „ქართლის ცხოვრება“. – ქართული მწერლობა, ტ. 6, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1989.

ევსტოქ. – ღვაწლი წმიდისა მღდელმოწამისა ევსტოქიოსისი და შვილთა მისთა პროვისი, ლულისი, ურვასიოსი და გაინოსი, ძმისწულის მისისაჲ, კ. კეკელიძე, ეტიუდები, VI, თბილისი, 1960.

ეზეკ. – ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსცა თ. ცქიტიშვილმა, თბილისი, 1976.

ეთნოგ. ლექსიკ. – საქართველოს. ეთნოგრაფიული ლექსიკონი. ელექტრ. ვერსია პროექტის ხელმძღვანელი: პ. ბუხრაშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (ელექტ. ვერსია).

რ. ერისთ. – მოკლე ქართულ-რუსული ლათინური ლექსიკონი მცენარეთა ცხოველთა და ლითონთა სამეფოებეებიდგან შედგენილი თავადი რ. დ. ერისთოვისაგან, თბილისი, 1884.

ეპიფ. კჯპ. – იოვანე ხუცესი, ცხორებაჲ ეპიფანე კჯპრელისაჲ, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966.

ერთტომ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1986.

ეტლ. – ეტლთა და შჯდთა მნათობთათჳს, გამოსცა შანიძემ, თბილისი, 1975.

ეფრ. მც., იოს. – ეფრემ ასური იოსებისათჳს; საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966.

ექუს. დღ. – ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 11(25), თბილისი, 1946.

ვაჟა – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბილისი, 1969.

დ. ვარძ. – დ. ვარძელაშვილი, საზღვაო ლექსიკონი, თბილისი, 2009 (ელექტრ.).

ვახტ. VI – ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1975.

ვახტ. VI, ზეთ. – ვახტანგ მეექვსე, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნის, გამოსცეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა, თბილისი, 1981.

ვახტანგის ლექსიკონი – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ. აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ.; ფოტო რეპროდუქციული გამოცემა, თბილისი, 1975.

ვეფხ. – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966.

ვეფხ. სიმფ. – ვეფხისტყაოსნის სიმფონია შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1956.

ვეფხ. ხელნ. – ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები / საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია; რედ. ს. ცაიშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ი. წაქაძემ თბილისი, 1976.

ელ. ვირს. – ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვაობა, მთიულეთ-გუდამაყარი. ტექსტების მომზადება, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვირსალაძისა, თბილისი, 1958.

ვისრ. – ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარიამ და მაგ. თოდუამ, თბილისი, 1962.

ზან. სალ. – მ. სალია, მეთევზეობის ლექსიკა ზანურში, თბილისი, 2005.

ზ.-აჭარ. ქამად. – მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბილისი, 1992.

ზ.-აჭარ. შამ. – ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში: საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, 1961 წ.

ზ.-აჭარ. კობ. – მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 2011.

ზ.-გურ. კიწმარ. – ნ. კიწმარიშვილი, ზემოგურული მარგალიტები, თბილისი, 2010.

ზ.-იმერ. ასათ. – ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბილისი, 1978.

ზ.-იმერ. ძოწ. – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

ზ.-იმერ. კილ. ძოწ. – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.

ზ.-იმერ. წერ. – ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი. – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

ზმ.-რაჭ. კობახ. – იხ. რაჭ. კობახ.

ზღაპ. – ზღაპრობანი ელინთანი, გამოსცა ილ. აბულაძემ. – „ენიმკის მოამბე", ტ. X, თბილისი, 1941.

თამარ. – ჩახრუხაძე, თამარიანი, ქართული მწერლობა, 3, თბილისი, 1988.

ს. თან. – ს. თანიაშვილი, ამირანდარეჯანიანი, თბილისი, 1941.

ს. თეზ. – ს. თეზელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2005.

თეიმ. I – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1934.

თვალად. შატბ. – გ. შატბერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, ტ. IV, თბილისი, 1975.

თისლ. – თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა, თბილისი, 1986.

კ. თორ. – შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, ქართული მწერლობა, ტ. 5, თბილისი, 1998.

თურქ. – Турецко-русский словарь. Авторы: А. Н. Баскаков, Н. П. Голубеваидр., М., 1977.

თუშ. – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

თუშ. ბოჭ. – გ.ბოჭორიძე, თუშეთი. თბილისი, 1993.

თუშ. უთურგ. – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960.

თუშ. – იხ. გუდ.

თუშ. ცოც. – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

თუშ. ხუბ. – პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბილისი, 1968.

იადიგ. – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1985.

ილია – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1984.

იმერ. ასათ. – ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბილისი, 1972.

იმერ. ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912; თბილისი, 1986.

იმერ. გაჩ. – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

იმერ. უკლ. – ლ. უკლება, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 2010.

იმერ. იმნ. – გრ. იმნაიშვილი, გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1974.

იმერ. მაჭავ. – თ. მაჭავარიანი, იმერული დიალექტური ლექსიკისათვის (ოკრიბული მასალის მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა XXII, თბილისი, 2008.

იმერ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. – „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", თბილისი, III, 1963; IV, 1974.

იმერ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, იმერული ლექსიკონის მასალები. – იკე, XXV, თბილისი, 1986.

იმერ. ჯაჯან. – პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. – ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949; X, 1950-1951.

იმერხ. მარი – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურების დღიურები, რუსულიდან თარგმნა: რ. დიასამიძემ, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო პროფ. მ. ფაღავამ, ბათუმი.

იმერხ. – გ. ფაღავა, მ. ცინცაძე, იმერხეული ტექსტები. – კრებული, V, ბათუმი, 2007.

რ. ინან. – რ. ინანიშვილი, ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბილისი, 1974; შორი თეთრი მწვერვალი, თბილისი 1976; ალერსი შიშიანობის დროს, თბილისი, 1986; მთვარის ასული, თბილისი, 1987; პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბილისი, 1989; მოთხრობები, თბილისი, 2007; წისქვილი ქალაქის გარეუბანში თბილისი, 2012.

ინგ. ასრათ. – ა. ასრათოვი, ინგილოური სასოფლო-სამეურნეო დარგის ლექსიკიდან. – კრ.: აკაკი შანიძეს, თბილისი, 1981.

ინგ. ასრათ. – ა. ასრათოვი, მასალები ინგილოური ლექსიკონისათვის. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია №2, თბილისი, 1978.

ინგ. იმნ. – გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.

ინგ. როსტ. – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978.

ინგ. ღამბ. – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.

ინგ. მასალები – საქართველოსა შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტ. III, ნაწ. I, თბილისი, 1983.

ინგ. ჯან. – მ. ჯანაშვილი, საინგილო. „ძველი საქართველო", ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. II, განყ. IV, თბილისი, 1913.

ინდ. – ინდოეთის კულტურის შესავალი Scribd, 51 (ელექტრ.).

იოან. – იოსებ მონაზონისა ჭურჭელთმცველისაჲ – ცხორებისა მიმართ საკჳრველებათა ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნი, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღუარ-ქმნილისათა, გამოსცა კ. კეკელიძემ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955.

ისტ. ტერმ. – ისტორიულ ტერმინთა სასკოლო ლექსიკონი, 6-11 [კლასები]. ი. გეგეჭკორი, ნ. მოლაშვილი; რედ.: ნ. ბარდაველიძე, ზ. კვინტრაძე. თბილისი, 2008.

ისტ. ქრესტ. – ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომატია, ტომი I, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით, ნაწილი I, ტექსტები და ლექსიკონი, თბილისი, 1970.

კათ. ეპისტ. – კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1956.

კალმას. – იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), კალმასობა, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990, ტ. I, თბ., 1990, ტ. II, თბ., 1991.

კარაბ. I – უსწორო კარაბადინი, I, ლადო კოტეტიშვილისეული გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. კუხიანიძემ, თბილისი, 1997.

კახ. ლეონ. – იხ. გუდამაყრ. ლეონ.

კახ. მარტ., იმნ. – ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.

კირიონი – კირიონი, სალექსიკონო მასალა შეკრებილი ეპისკოპოზ კირიონის მიერ, ლექსიკონი, 1911.

კლარჯ. მრავალთ. – კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1991 (ელექტრ.).

კლარჯ. ლექსიკ. – კლარჯეთი. წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, პროფ. მ. ჩოხარიძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, მ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე. რედ. პროფ. მ. ფაღავა, ბათუმი, 2016.

კლემაქ. – წმიდა იოანე სინელი – კლემაქსი, ანუ კიბე (XXVI-XXX თავები, 183) (ელექტრ.).

კურთხ. – მირონის კურთხევა, ქართული მწერლობა, 5, თბილისი, 1988.

ლაზ. თანდ. – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენა-ფუნა), თბილისი, 2013.

ლაზ. კალანდ. – თ. კალანდია, 2000 ლაზური სიტყვა. სალექსიკონო მასალა, თბილისი, 2007.

ლაზ. ნარაკ. – ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. 5, ბათუმი, 1986.

ლათ. – И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1976.

ლევიტ. – წიგნი მესამე ლევიტელთა, მცხეთური ლექსიკონი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1981.

ალ. ლეკ. – ალ. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბილისი, 1972.

ლეჩხ. ზეპ. – მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბილისი, 1951.

ლეჩხ. ალავ. – მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

ლეჩხ. ალავ. – მ. ალავიძე, მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის. – ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედინსტ. შრომები, IX, 1949.

ლეჩხ. ჩიქ. – მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი. – ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1941.

ლიმ. – იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1960.

ნ. მარი – ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2015.

მ. სწ. – მამათა სწავლანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955.

მ. ცხ. – მამათა ცხორებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.

მატ. ქართლ. – „მატიანე ქართლისა“ (ელექტრ).

მატ. ეთნ. – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2011.

ა. მაყ. – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991.

ზ. მაყ. – ზ. მაყაშვილი, მცენარეთა სახელდება, თბილისი, 1996.

მეგრ. ელ. – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვილი – თბილისი, 1997.

მეგრ. კილ. – ბ. კილანავა, 900 მეგრული სიტყვა (მასალები ლექსიკონისათვის), თბილისი, 1998.

მეგრ. ყიფშ. – ი. ყიფშიძე, **Грамматика мингрельского (иверского) языка** схрестоматиею и словарем, რჩეული თხზულებანი, კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კ. დანელიამ, თბილისი, 1994.

მეგრ. ფიფ. – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბილისი, 1999.

მეგრ. ქაჭ. – ო. ქაჭაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 2001; ტ. II, 2002; ტ. III, 2000, ტ. IV, (დამატებანი), თბილისი, 2009.

მეგრ. ქობ. – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

მესხ. მაის. – ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან. – შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი, 1954.

მესხ. დიალექტ. – მესხური დიალექტი, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961.

მესხ. დონდ. – კ. დონდუა, **Месхский говор грузинского языка**, предисловие, тексты, словарь, რჩეული შრომები, I, შეადგინა ალ. ღლონტმა, თბილისი, 1967.

მესხ. ძიძიგ. – შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974.

მესხ. ფეიქრ. – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

მესხ.-ჯავახ. ლეონ. – გ. ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე – მესხურ ჯავახური სიტყვების მოკალმასე. – მესხეთი (ისტორია და თანამედროვეობა), ახალციხე, 2000.

მეფ. კურთხ. – წესი და განგება მეფეთ კურთხევისა, ქართული მწერლობა, ტ. 5, შემდგენელნი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1988.

მეფ. სალ. – უცნობი მთარგმნელი, მეფეთა სალარო, ქართული მწერლობა, ტ. 5, თბილისი, 1998.

მეფ. I, II, IV – მეფეთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1982.

მთ. – იხ. გუდ.

მთ. კაიშ. – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

მთ. კაც. – კ. კაცაძე, მასალები საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის (მთიულეთში მივლინების ანგარიში). – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი, 1955.

მთ.-რაჭ. ლობჯ. – დ. ლობჯანიძე, პაპაჩემის ლექსიკონი, მთის რაჭა, იშვიათი სიტყვა-თქმანი, თბილისი, B 2014.

მთ.-რაჭ. რეხვ. – შეადგინა გ. რეხვიაშვილმა, მთარაჭულ სიტყვათა ლექსიკონი. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1989.

მორფ. ლექსიკ. – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

მოხ. – გუდ.

მოხ. – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

მოხ. ქაჭ. – ო. ქაჭაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის. – სამხრეთ ოსეთის პედაგ. ინსტ. შრომები, ტ. XI, ცხინვალი, 1967.

მოხ. ღუდ. – ი. ღუდუშაური, მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2011.

მოხ. ყაზბ. – შ. ძიძიგური, ა. ყაზბეგის ლექსიკონი, ტ. I-IV, თბილისი, 1948-50.

მრავ. – ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი \1123\1124წ\, მრავალთავი, IX, თბილისი, 1981.

მრეწ. – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით: 1976-1989 წწ. ტ. I, 1976; ტ. II: ნაწ. I, 1979 წ; ნაწ. II 1982; ტ. III: ნაწ. I, 1983; ნაწ. II, 1986; ტ. IV: ნაწ. I, 1986; ნაწ. II, 1987; ნაწ. III, 1989, თბილისი.

მუსიკ. ენციკ. – მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი ა. თამარაშვილი, შედგენაში მონაწილეობდა გ. ტორაძე, ახალციხე, 2005.

მც. სჯ. – მცირე სჯულის კანონი, გამოსცა ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.

ალ. ნეიმ. – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978.

ნ. ემეს. – ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა. ბერძნულიდან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა №17. ტფილისი, 1914.

ნიგ. ბერ. – ე. ბერიძე, ნიგალი, ისტორიულ-ეთნოლოგიური და ლინგვისტური (ტოპონიმიკური) ასპექტები, თბილისი, 2009.

ნიკოდ. – ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ჭურციკიძემ, თბილისი, 1985.

ნისიმ. – ნისიმეს ცხოვრების სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, გამოსცა ნ. ნაქაძემ, თბილისი, 1983.

ნოვ. – შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, გამოსცა გ. დვალმა, I, თბილისი, 1966; II, 1974.

ნუმიზ. – ნუმიზმატისა და ბონისტის განმარტებითი ლექსიკონი (ელექტრ.).

ოკრიბ. ძოწ. – ქ. ძოწენიძე, მასალები ოკრიბული ლექსიკონისათვის (დანართი). – იხ. ზ.-იმერ. ძოწ.

ოკრიბ. ალავ. – მ. ალავიძე, ოკრიბული ლექსიკონი. – ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951.

გრ. ორბ. – გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, ა. გაწერელიას და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 1959.

დ. ორბ. – დიმიტრი ორბელიანი, „ცოლთან მიწერილი ალერსი გაყრისათვის". – ქართული მწერლობა, 8, თბილისი, 1990.

ალ. ოჩ. – ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, თბილისი, 2019.

ი. პეტრ. – იოვანე პეტრიწის შრომები, ტ. II, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.

პეტრ. ტიპ. – ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თხზულებანი თორმეტ ტომად , ტომი IX, თბილისი, 1986.

პ.-ხევს. – პირიქითი ხევსურეთი, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. II, ნაწ. II, თბილისი, 1982.

რაცხ. გურ. – რაცხანაირ-გურული ლექსიკონი, სამეცნ. ხელმძღვანელი რ. ბერიშვილი, თბილისი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, 2001.

რაჭ. კობახ. – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, თბილისი, 1987.

რაჭ. ფრ. – ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, I, რაჭა, თბილისი, 1974.

რაჭ. ძიძიგ. – შ. ძიძიგური, რაჭული დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974.

რიფს. – წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1960.

რუსუდ. – რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

რუსთ. მიმბაძვ. – რუსთაველის მიმბაძველები. – ქართული მწერლობა, მეხუთე, თბილისი, 1988.

დ. სააკ. – დიმიტრი სააკაძე, ლექსები, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

სააქ. – წიგნი სააქიმოი, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1936.

საბა II – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, ალ. ბარამიძის და და. ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1962.

საბა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1966.

საბუთ. – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, IX-XIII სს. თბილისი, 1984.

საეკლ. – საეკლესიო ლექსიკონი, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ე. კვანჭიანმა და მ. გურჩიანმა, თბილისი, 2008.

სამ. – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, ტ. I, 1963; ტ. II, 1965; ტ. III, 1970; ტ. IV, 1972; ტ. VII, 1981; ტ. VIII, 1985.

სამ. ბატ. დავ. – სამართალი ბატონისშვილი დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბილისი, 1964.

სამშენ. – სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი (პროფესორ თ. ხმელიძის რედაქციით), თბილისი, 2015.

სარფი – სარფი, რედ. მ. ჩოხარიძე, მ. ფაღავა, ბათუმი, 2015.

საქ. სიძვ. – ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, ტ. III, 1910.

საქ. მოც. – საქმე მოციქულთა, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1950.

საჩ. შარაშ. – ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული, თბილისი, 2008.

ზ. სარჯ. – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

სახისა სიტყ. – მჭევრთათვის სახისა სიტყუაჲ, ნ. მარის გამოცემა, ТР.VI, С-Пб, 1904.

თ. სახოკ. – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979.

სებ. გაბ. – თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სებერიანე გაბალოველ ეპისკოპოსისაჲ „მოციქულთა საჴსენებელი“. გამოსცა ილ. აბულაძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბილისი, 1963.

სვან. ლიპარტ. – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 1994.

სვან. თოფ., ქალდ. – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

სიმფ. იმნ. – ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. – ა. შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები, 6), თბილისი,1986.

სინ. მრ. – სინური მრავალთავი 864 წლისა. – გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1959.

სოგრ. – სიტყვის გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, გამოსცა ლ. ძოწენიძემ, თბილისი, 1978.

სომხ. – Армяно-русский словарь, составили и редактировали А. С. Гарибян, Е. Г. Тер-Минасян, М. А. Геворгян, Ер., 1947.

სოჭ. მიქ. – ო. მიქიაშვილი, სოჭელი ქართველები და მათი მეტყველება, თბილისი, 1994.

სპარს. – Персидско-русский словарь. Составители М. Н. Османов, Д. Х. Доррииидр. т. I-II, М., 1985.

სპარს. ელერდ. – სპარსულ-ქართული ლექსიკონი, ალ. ელერდაშვილი (ელექტრ.).

სუქ. – სუქიეთთათუს, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბილისი, 1980.

ტიმ. ანტიოქ. – ტიმოთე ანტიოქელი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, VII, თბილისი, 1940.

ი. ტფილ. – ი. ტფილელი, ქართული მწერლობა, ტ. 5, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1989.

პ. უმიკ. – პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, II, თბილისი, 1964.

უნივერს. ელერდ. – უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 ტომად), შეადგინა ალ. ელერდაშვილმა, თბილისი, 2004.

უცნ. – უცნობი ავტორი, ქართული მწერლობა, ტომი მეხუთე, თბილისი, 1988.

ფანასკ. – ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, გამოსცა ი. შენგელიამ, თბილისი, 1978.

ფერეიდ. ჩიქობ. – არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე, VII, თბილისი, 1927.

ფერეიდ. თოდ. – გ. თოდუა, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, ქართულ-ირანული ეტიუდები, II, თბილისი, 1975.

ფერეიდ. შარაშ. – ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი გურჯები, თბილისი, 1979.

ფერეიდ. უთურგ. და სხვ. – თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული ტექსტები. – იკე, XXIII , თბილისი, 1985.

ფერეიდ. ჩხუბ. – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები თბილისი, 2012.

ფერეიდ. კორპ. ლექსიკ. – მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი (ქართული დიალექტური კორპუსი) 2018.

ფერეიდ. ბერ., ბაკურ. – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი, 2020.

ფილ. – „წამება ემიდისა და ნეტარისა ფილეთეოსისი“, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960.

გ. ფირ. – გ. ფირალიშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

ფეშ. – ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1935.

ფლავ. – იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელ სიტყუაობისანი II, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბილისი, 1988.

ფს.-მაკ. – ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსცა გ. ნინუამ, თბილისი, 1982.

ფშ. ბოძ. – ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშავლები, თბილისი, 1988.

ფშ. გოგატ. – გ. გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, I, თბილისი, 2006.

ფშ. – იხ. გუდამაყრული.

ფშ. ქეშიკ. – ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბილისი, 1969.

ფშ. ხორნ. – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ფშ. ცოც. – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.

ქ. ცხ. – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. II, 1959; ტ. IV, 1973.

ქ. ცხ. სიმფ. – ქართლის ცხოვრების სიმფონია ლექსიკონი, I, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, არჩილის წამება. შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია, თბილისი, 1986. ქართლის ცხოვრების სიმფონია ლექსიკონი, II, ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: ალ. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჟომია, თბილისი, 1986.

ქანან. – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1940.

ქართ. დიალექტ. – ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, თბილისი, 1961.

ქართ. ისტ. – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, IX-XIII სს., თბილისი, 1984.

ქართ. მატ. ლექს. – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ე. ნადირაძე; რედ. რ. მეტრეველი; ავტ.-შემდგენ.: გ. არჩვაძე, მ. ბოკუჩავა, თ. გელაძე და სხვ. – თბილისი, მერიდიანი, 2011.

ქართ. ლომთ. – გ. ლომთათიძე, გამდიდრებისათვის ქართულისა ჩემისა, შემდგენელი გ. ბედოშვილი, თბილისი, 1999.

ქართლ. ასათ. – იხ. ზ.-იმ. ასათ.

ქართლ. გაჩ. – პ. გაჩეჩილაძე, ქართლური ლექსიკონი. – იკე. XVII, თბილისი, 1970.

ქართლ. იმნ. – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.

ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ. – შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი. დაიბეჭდა „შ“ ასომდე. არ გამოცემულა.

ქართლ. ლექსიკ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

ქართ. ლექსიკ. – გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2014.

ქართ.-მეგრ. ავალ. – ა. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვანი, თბილისი, 1995.

ქართლ. მენთ. – სტ. მენთეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა. – იკე, XVII, თბილისი, 1970.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები) თბილისი, 2006.

ქართლ. სალარ. – თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან. – იკე, XVII, თბილისი, 1970.

ქართლ. ღლ. – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1974.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქეგლი ახ. რედ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, II, III, მთ. რედ. ა. არაბული, თბილისი, 2008, 2010, 2015.

ქეგლ. ერთ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, რედ. მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1986.

ქვ.-იმერ. კუბლ. – კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985.

ქიზ. მენთ. – სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

ქიზ. მარტ., იმნ. – ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქიზიყური ტექსტები. – „ქართული ენის კახური დიალექტი", თბილისი, 1956.

ქილ. – ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი, მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბილისი, 1975.

ო. ქობულ. – ო. ქობულაშვილი, ქართული მწერლობა, 8, თბილისი, 1990.

ქრისტ. – წამებაჲ წმიდისა ქრისტინაჲსი, კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. III, თბილისი, 1955.

ქრისტ. ლექსიკ. – ქრისტიანობის ლექსიკონი, პეტროზილო პიერო. ქრისტიანობის ლექსიკონი/პიერო პეტროზილო; იტალ. თარგმნა მ. სააკაშვილმა; რედ. მ. ღაღანიძე, თბილისი, 2011.

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1-11, თბილისი, 1975-1987.

ქსნ. სომხ. – ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის ქართლური, თბილისი, 1981.

ალ. ღლ. – ქართულ-კილო თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბილისი, 1984.

ალ. ყაზბ. – შ. ძიძიგური, ა. ყაზბეგის ლექსიკონი, თხზ. I-IV, თბილისი, 1948-50.

ყარ. – ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და ს. ცაიშვილმა, თბილისი, 1965.

დ. ყიფ. – ახალი ქართული გრამმატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის დიმიტრი ყიფიანისა, სანკტ-პეტერბურღი, სამეცნიერო აკადემიის სტამბა, 1882 (ელექტრ.).

შავთ. – იოანე შავთელი, აბდულმესიანი, გამოსცა ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964; ქართული მწერლობა, ტომი მესამე, თბილისი, 1988.

შავშ. – შავშეთი, წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე. რედ. მ. ფაღავა, ბათუმი, 2010.

შატბ. – შატბერდის კრებული, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

შჰნ. – შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1916; შაჰნამე ტ. II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით: კომენტარებით და ლექსიკონით, ტფ., 1934; აბულ ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ, თბილისი, 1974.

ჩვენ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

დ. ჩუბ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

დ. ჩუბ. – ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ სპბ. 1959 (ელექტრ.).

ნ. ჩუბ. – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

ნ. ციც. – ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, ქართული მწერლობა, 5, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1988.

ძვ. შეერთ. ლექსიკ. – ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის. კ. კეკელიძის, ზ. სარჯველაძის და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით, თბილისი, 2008.

შ. ძიძიგ. ქრესტ. – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956.

შ. ძიძიგ. – შ. ძიძიგური, ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში, ენიმკის მოამბე, II, თბილისი, 1937.

წოვ.-თუშ. ქადაგ. – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა რ. გაგუამ არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1984.

ალ. ჭავჭ. – ალექსანდრე ჭავჭავაძე, ქართული მწერლობა ტომი მეცხრე, თბილისი, 1992.

ჭან. მარი – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб., 1910.

ი. ჭყ. – ი. ჭყონია, სიტყვის კონა, საბა – სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სპბ., 1910.

ხალხ. პოეზ. – ქართული ხალხური პოეზია VI, თბილისი, 1978; ტ. VIII, 1979; ტ. X, 1983.

ხევს. – იხ. გუდამაყრული.

ხევს. დოლ. – გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბილისი, 1975.

ხევს. თავის. – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.

ხევს. ოჩ. – ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, თბილისი, 2019.

ხევს. ჭინჭ. – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

ხოსრ. – ხოსროვ-ამირ ხოსრო დეჰლევი, ხოსროვ შირინიანი, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. გიგაშვილმა, თბილისი, 1979.

ხუროთ. კვირკვ. – თ. კვირკველია, ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1971.

ჯავახ. ბერ. – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1982.

ჯავახ. ზედგ. – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

ჯავახ. მარტ. – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.

ჯავახ. მელიქ. – ს. მელიქიძე, ჯავახურის ლექსიკიდან, ჯავახეთი, I, ახალციხე, 2002.

ჯალაბაძე – გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თუშეთში. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ჯორჯანელი – კ. ჯორჯანელი, ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი, თბილისი, 2003.

ჰომილ. მელიქ. – ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, I, ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ. კრებული შეადგინა, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბილისი, 2010.

ელექტრონული წყაროები

აგრო. – აგროპედია.

ადამიან. – ადამიანი (WordPress. com).

ავტომ. –ავტომობილების სათადარიგო ნაწილების ლექსიკონი.

აკვარ. – აკვარიუმის თევზის ტიპები, აკვარიუმის დიდი თევზების სახეობები (ZooClub).

ამბები – (www.ambebi.ge).

ანაბაჯ.– გმირი ანაბაჯის ლექსი (Litklubi.ge).

არტ. – არტი. რა არის არტ-თერაპია? – (Intermedia.geintermedia.ge/ სტატია).

ბაზ. – ბაზიერი (www. bazieri. ge).

ბარბარ. ლექსიკ. – ბარბარიზმების ლექსიკონი.

ბუ – „ბუ" Example of ბუსნაირთა | Word Synonyms API

ბოზანდ. – ბოზანდარა (განმარტებები – ბიბერი).

გაზელ. – (Cerilebi – Scribd).

გალაქტ. – ჯუჯა გალაქტიკა (Antlia – Actronet.Gei).

განმარტ. – (განმარტებები – ბიბერი).

გემრ. – Gemrielia.ge.

მ. გიგინ. – მ. გიგიგინეიშვილი, ჩვენ და „ვეფხისტყოასანი".

დრონ. – რას ნიშნავს ინი და იანი? (Droni.ge).

ევპ. – ღმერთები და ქალღმერთები (Evpatori.Ge).

ეთნო. – კულტურული პროცესები საქართველოში ლ. ჯანიაშვილი (www.nplg.gov.ge).

ეთნოს. – ეთნოსები საქართველოში (www.pmmg.org.ge).

ერეკლე მეფის ისტორიები (ანთოლოგია – საბა).

ვიკიპ. – ვიკიპედია.

ზევს. – ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში (უცნაური ბლოგი).

ზნენ. – ზნენი სამამაცონი – 5, ხალხური პოეზიიდან / მატეკარი15, ცხენოსნობა / მატეკარი.

ზოოპ. – თბილისის ზოოპარკში ალპაკა გაჩნდა | CITY.KVIRA.GE

თბილისის ფორუმი (Forum.ge).

ინად. – ინადირე (Inadire.ge).

კვირის პალიტრა – კვირის პალიტრა https://kvirispalitra.ge

კომენტ. – კომენტარი (Comments – Facebook.).

კულინ. – ბარამბო (Dolce – Savi Sokoladi).

მაგიდ. – მაგიდის თამაშების წესები (www. europebet. com/ka).

მარკეტ. – მარკეტი (MyMarket. ge).

მარწყვ. – მარწყვის მდელოები https://www.tbcbusiness.

მითოლ. – მითოლოგია.

მონეტ.– მონეტების გამოჩენის მოკლე ისტორია.

მწერლ. – (Qartuli–Mwerlobis_Sakitxebi).

მწვან.- მწვანე აფთიაქი.

ნადირ. – ნადირობა და თევზაობა (www. monadire.).

ნაცრისფ. – ნაცრისფერი მზე (სრულად) (სასიყვარულო საიტი).

ნუმიზ. – ნუმიზმატისა და ბონისტის განმარტებითი ლექსიკონი.

ონლ. ლექსიკ. – coal – ონლაინ ლექსიკონი.

ოჩოპინტ. – დათვი – ოჩოპინტრე (Ochopintre. Ge).

პლანეტ. – პლანეტის ყველაზე საშიშ ძაღლთა ნაირსახეობა – (top100. ge).

რალ. – საინფორმაციო ცენტრების ქსელი https://reginfo.ge › sport.

რელიგ. – წინადაცვეთა იესო ქრისტესი (რელიგია).

რემბრ. – რემბრანდტი (ფაუსტი) (Molly Bloom's Day).

ჯ. რეხვ. – ჯ. რეხვიაშვილი, სამჯერ დასაფლავებული უკვდავი პოეტი www.radiotavisupleba.ge

საინტ. – საინტერესო (rooclub.ambebi.ge)

სამბო – https://popsport.com.

სამზარ. – ქართული სამზარეულოს მშვენება.

საუნჯ. – საუნჯე (Saunje. ge.).

ტანტრ. – ტანტრა და ტანტრიზმი – ეზოთერიული ცოდნის ფორუმი (www.esoteric.ge).

ტარ. – ტარო – არკანების ისტორია (taros saloni).

უსინათ. – (bu.org.ge – „უსინათლოები საზღვრებს გარეშე").

უცნ. – უცნაური (Ucnauri).

ფილმ. – ფილმი. 2015 წლის 100 ფილმი.

ყაბარდ. – ყაბარდოული ფოლკლორის ისტორიული ღირებულება (https://obashneft.ru).

შახტ. – „ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ" (teqnikuri ...http).

ჩინ. ხელ. – ჩინური საბრძოლო ხელოვნება (sinomedia.ge) .

ციფრ. (ბარბარიზმი) – ციფრული უნივერსალური სასკოლო ლექსიკონი.

ჭურჭ. – ჭურჭელი – My Market.

ხერხემ. – ხერხემალი (ვიკიპედია).

ჯალალ. – ჯალალედინი (ვიკიპედია).

ჯეირ. – ჯეირანი (ქურციკი) – geofauna.

ჯორა – ჯორა - NPLG Wiki Dictionaries.

ლიტერატურა

აბაევი – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. 1958 – Т. 1. Москва-Ленинград; 1973 – Т. 2. Ленинград; 1979 – Т. 3. Ленинград; 1989 – Т. 4. Ленинград.

აბაკელია 1997 – ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.

აბაშია 1997 – რ. აბაშია, მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. – გიორგი როგავას, თბილისი.

აბაშია 2000 – რ. აბაშია, უძველესი ენობრივი სიტუაცია საქართველოსა და კავკასიაში (ლ. მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ქართველთა თავდაპირველი ენის შესახებ). – ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი.

აბაშია 2003 – რ. აბაშია, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი (სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი.

აბაშია 2016 – რ. აბაშია, ქართველური ეტიმოლოგიები, IV. პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, პროგრამა და თეზისები, 9 ივნისი, თბილისი.

აბულაძე 1916 – შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი.

აბულაძე 1976 – ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან 4. მალი // მნობა // მძნობარი და 5. *ხე // *ხი – ხიობა // სახიობა – მახიობელი // მსახიობელი, შრომები II, თბილისი.

აბულაძე 1953 – ილ. ბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან 1. გოვარი – გუარი. – იკე, თბილისი.

აბულაძე 1944 – ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბილისი.

აბულაძე 1985 – ილ. აბულაძე, აგათაანგელოსის „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი, შრომები, 4, თბილისი.

აბულაძე 1962 – ც. აბულაძე, თურქული ლექსიკური მასალა სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში“. – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.

აბულაძე 1988 – ლ. აბულაძე, ჟამი, დრო და ხანი ძველ ქართულში – იკე, XXVII, თბილისი.

აბულაძე 1990 – თ. აბულაძე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბილისი.

ავალიანი, დადიანი 2005 – ლ. ავალიანი, ე. დადიანი, არაბული ფუძეებისაგან ქართული აფიქსებით ნაწარმოები პროფესიის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი ქართულში. – ქართველოლოგიური კრებული, IV, თბილისი.

ავალიანი, დადიანი 2005 – ლ. ავალიანი, ე. დადიანი, არაბული ფუძეებისაგან მე-ე კონფიქსით ნაწარმოები ხელობა-მოსაქმეობის სახელები ქართულში, ქართველური მემკვიდრეობა IX.

ავალიანი, დადიანი 2015 – ლ. ავალიანი, ე. დადიანი, არაბული ლექსიკა ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (თ. სახოკიას ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა, XIX, თბილისი.

ალავიძე 1959 – მ. ალავიძე, უცნობი დიალექტიზმები საბას ლექსიკონში, ჟურნალი „რიონი" №2, ქუთაისი.

ალექსიძე 1971 – ზ. ალექსიძე, სირიულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის ისტორიიდან: ქართული წყაროთმცოდნეობა", III, თბილისი.

ამირეჯიბი-მალენი და სხვ. 2006 – (მეგრულ-ლაზური) ენა კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი კ. დანელიას ჩანაწერებისა და ლექციების მიხედვით. შემდგენლები: რ. ამირეჯიბი-მალენი (რედაქტორი), ნ. დანელია, ი. დუნდუა ექსპერტები: რ. აბაშია, მ. ლომია, ბ. ქობალავა, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1965 – მზ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში. – თსუ შრომები, ტ. 105, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966 – მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ- ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1972 – მზ. ანდრონიკაშვილი, ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია 117-170; ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით.

ანდრონიკაშვილი 1996 – მზ. ანდრონიკაშვილი, მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, ტ. II, ნაწ. I, თბილისი.

ანთაძე-მალაშხია – ფ. ანთაძე-მალაშხია, სხვადასხვა პერიოდში შემოსული ზოგი სპარსული ნასესხობისათვის ქართულში (ელექტრ.).

არაბული 1998 – ა. არაბული კოპალა თეონიმის წარმომავლობისა და პირვანდელი შინაარსისათვის ქართველური ონომასტიკა, I, 1998, თბილისი.

არაბული 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

არაბული 2010 – ა. არაბული, „ეშუ" და „შუა" ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

არაბული 2012 – რუსთველოლოგიური ლიტერატურა, V (1981 – 2000), ანოტირებული ბიბლიოგრაფია, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გ. არაბულმა V, თბილისი.

არდოტელი 2019 – ნ. არდოტელი, დიდოური ნასესხობანი თუშურ დიალექტში, XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჰ. აჭარ. – ჰ. აჭარიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ერევანი (სომხურ ენაზე). (ქართულად ნათარგმნი მასალა დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

ჰ. აჭარიანი 1971, 1979 – Г. Р. Ачарян, Этимологический коренной словарь армянского языка, I-IV, Ереван.

ახვლედიანი 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, ტბილისი.

ახვლედიანი 1966 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი.

ახუაშვილი 1994 – ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, „განათლება", თბილისი.

ბაბუნაშვილი 1960 – ე. ბაბუნაშვილი, ომონიმი და მისი ადგილი ქართულ ენაში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 93, თბილისი.

ბარამიძე 2016 – ც. ბარამიძე, რედუპლიცირებულ ფუძეთა ფორმანტების გენეზისისთვის (-ეტ / -ედ). პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია პროგრამა და თეზისები, 9 ივნისი, თბილისი.

ბართაია 2010 – ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა (იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის მიხედვით), თბილისი.

ბარნაველი 1991 – მ. ბარნაველი, სახარებისეული „მკალისა" და „ველური თაფლის" განმარტებისათვის (მკალი, რომელი არს დანაკისკუდი, თაფლი ველური – მელაღრია), (ჟურნ. „ქართველოლოგი", ელექტრ. ვერსია).

ბაღათურია 1996 – ნ. ბაღათურია, ლაფშა-ს ეტიმოლოგიისათვის. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბილისი.

ბებია 2003 – ი. ბებია, სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში (საკანდ. დისერტ., ელექტრ. ვერსია).

ბედუკაძე 1961 – ს. ბედუკაძე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, სსმმ. XXII-B, 1961 (ელექტრ. ვერსია).

ბერაძე 1981 – თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი.

ბერიძე 1988 – გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი.

ბერიძე 2005 – მ. ბერიძე, მებადურობა, თევზები, სახელები, ახალციხე.

ბერიძე 1992 – მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბილისი.

ბერიძე, ბაკურაძე 2020 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი.

ბითაძე 2019 – ა. ბითაძე, ქვემო ხვითის ონომასტიკა. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ვ. ახალაია, გორი.

ბინიაშვილი 1997 – ლ. ბინიაშვილი, სამოსელის აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, ავტორეფერატი. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ბრეგაძე 1999, 2005 – ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი.

ბრეგაძე 2011 – ლ. ბრეგაძე, მარგინალიები, თბილისი (ელექტრ.).

ბუკია 2006 – მ. ბუკია, მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში, თბილისი.

ბუკია 2013 – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან , ნაწილი პირველი, თბილისი.

ბუკია 2013 – მ. ბუკია, ლაზური ლექსიკის ადგილისათვის ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში". – ფილოლოგიური პარალელები №6 თბილისი.

ბუკია 2013 – მ. ბუკია, ჩერქეზულ-ქართული ენობრივი შეხვედრები, თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

გამყრელიძე, ივანოვი 1984 – Г. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I-II, Тбилиси.

გამყრელიძე 2000 – თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი.

გარაყანიძე 2007 – ედიშერ გარაყანიძე, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა, თბილისი.

გაჩეჩილაძე 1974 – პ. გაჩეჩილაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები (ცივი, ცივცივ, ციცინათელა), – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები ტ. IV, თბილისი.

გაჩეჩილაძე 1979 – ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბილისი.

გელენიძე 1974 – ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი.

გერსამია, კიკვიძე და სხვ. 2016 – რ. გერსამია, ზ. კიკვიძე, მ. ლომია, ნ. მამისეიშვილი, მედეა საღლიანი, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბილისი.

გეჯუა 2019 – კ. გეჯუა, მეგრული ლექსიკა სულხან-საბას „სიტყვის კონის" მიხედვით. XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი (ელექტრ.).

გეჯუა 2020 – კ. გეჯუა, მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი. სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. შეროზია, ტ. ფუტკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თბილისი.

გვანცელაძე 1996 – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში საკულტო ლექსიკის მიხედვით. – ქუთაისური საუბრები, III.

გვანცელაძე 1997 – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი. – კრებ. „გ. როგავას“.

გვანცელაძე 2001 – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენის მონაცემთა მნიშვნელობა ორი მეგრულ-ჭანურ სიტყვის ისტორიისათვის. – XXI რესპ. დიალ. სეს. მასალები.

გვანცელაძე 2009 – გვანცა გვანცელაძე, ადამიანი და ცხოველები. ცხოველეთან დაკავშირებული ლექსიკის პრაგმატული ლექსიკონი, თბილისი.

გვახარია, თოდუა 1962 – ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარიამ და მაგ. თოდუამ, თბილისი.

გვახარია 1983 – ალ. გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (დარიჯაგი). – აღმოსავლეთმცოდნეობა, რედაქტ. კ. ფაღავა, თბილისი.

გვახარია 1983 – ალ. გვახარია, თეიმურაზ პირველის ლექსიკიდან. – აღმოსავლური ფილოლოგია V, თბილისი.

გვახარია 1989 – ალ. გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (მაზრები). – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

გვახარია 1995 – ალ. გვახარია, „ვისრამიანის“ ლექსიკის საკითხები. I. დოსტაქანი, „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, I, თბილისი.

გვახარია 2008 – ალ. გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური ლექსიკიდან (მახალი, ნასი, ხლა). – სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი.

გიგინეიშვილი 1997 – ბ. გიგინეიშვილი, ზოგი ქართველური სიტყვა-ფორმის რეკონსტრუქციისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი , VI.

გიგინეიშვილი 1975 – ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბილისი.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია. I. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბილისი.

გიორგაძე 1988 – გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი.

გიორგაძე 1999 – გ. გიორგაძე, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

გიორგაძე 2002 – გრ. გიორგაძე, უძველესი ახლო აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბილისი.

გიორგაძე 2003 – გრ. გიორგაძე, ქართველურ ენებში ინდოევროპულ ნასესხობათა შესახებ (ხეთური ენის მონაცემთა მიხედვით). – ქუთაისური საუბრები, X.

გიორგაძე, რუხაძე 2016 – რ. გიორგაძე, ლ. რუხაძე, თურქული წარმომავლობის ქართულ-სომხური საერთო ლექსიკის შესახებ. – გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი.

გიორგაძე, ჩიკაიძე 2017 – რ. გიორგაძე, ვ. ჩიკაიძე, თურქული წარმომავლობის საერთო სიტყვები ქართულსა და სომხურ ენებში. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X, თბილისი.

გიორგაძე, რუხაძე 2014 – რ. გიორგაძე, ლ. რუხაძე, ხულა, ყუთი, ხულ სიტყვების ეტიმოლოგიისათვის ქართულსა და სომხურში. – აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110-ე მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაცია. ახლო აღმოსავლეთი და კავკასია. ისტორია, კულტურა, პოლიტიკა, თბილისი.

გონიაშვილი 1940 – თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან. – აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბილისი.

გორდეზიანი 1985 – რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბილისი.

გრძელიძე 1988 – ი. გრძელიძე, ზოგიერთი არაბული ძირის ეტიმოლოგიისათვის". – ჟურნალი „სემიტოლოგიური ძიებანი", IV, გამომცემლობა „მეცნიერება".

გუდავა 1964 – ტ. გუდავა, მერცხალი (ეტიმოლოგიური ძიება). – იკე XIV, თბილისი.

გუდავა 1979 – ტ. გუდავა, ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული, თბილისი.

გულედანი, ლომთაძე 2017 – ლ. გულედანი, თ. ლომთაძე, იერუსალიმში // ისრაელში ასვლა. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXVIII, თბილისი.

გულუა 2002 – ნ. გულუა, მეფრინველეობის ნასესხები ლექსიკისათვის მეგრულ-ლაზურში, ქართველოლოგიური კრებული, თბილისი.

გულუა 2006 – ნ. გულუა, ფრინველებთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში, თბილისი.

გურგენიძე 1973 – ი. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი.

გურგენიძე 1973 – ნ. გურგენიძე, ზოგიერთი თურქული ლექსიკური კალკის შესახებ ქართული ენის მესხურ დიალექტში. – აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი.

გურგენიძე, რუხაძე 2017 – ნ. გურგენიძე, ლ. რუხაძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკის შესახებ ქართული ენის ქართლისა და კახეთის დიალექტებში. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

დათუნაშვილი 2018 – ნ. დათუნაშვილი, ქართული სამოსი და მისი სოციალური ასპექტები XV ს-დან – XIX ს-ის დასაწყისამდე. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელები: რ. გუჯეჯიანი – ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ე. გედევანიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისი (ელექტრ.).

დანელია 1984 – კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში, თსუ შრ., 245 (ენათმეცნიერება 8), თბილისი.

დანელია 1987 – კ. დანელია, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ. I, ნაწილი I. ტ. I; ნაწილი II 1997. ტომი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ, თბილისი.

დანელია, სარჯველაძე 1997 – კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბილისი.

დანელია 1998 – კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.

დანელია 1993 – კ. დანელია, ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში. – მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი.

დანელია 1991 – კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები. – ქართული ხალხური სიტყვიერება, II. თბილისი.

დარსაველიძე 1984 – ნ. დარსაველიძე, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ომონიმიის რამდენიმე შემთხვევა ქართულში. – საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

დარსაველიძე 1987 – ნ. დარსაველიძე, სამკურნალო ქვის ფაზარის წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ. – თსუ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სამეცნიერო მოხსენებათ თეზიები, თბილისი, (ელექტრ.).

დეეტერსი 1926 – G. Deeters, Armenisch und südkaukasisch. Ein Beitrag zur frage der sprachmischung. – "Caucasica", tasc. III. Leipzig.

დეეტერსი 1963 – G. Deeters, Die Kaukasischen Sprachen, Handbuch der Orientalistik. Erste Abteilung, VII BAnde, Leiden |Köln.

დუმბაძე 1979 – კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში. – ჯევან მარდი, II, თბილისი.

დუნდუა, ივანიშვილი 2014 – ნ. დუნდუა†, მ. ივანიშვილი, ქართულ-სპარსული ბგერათშესატყვისობები (ორენოვანი) ისტორიული საბუთების მიხედვით. I ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII, რედ.: გიორგი სანიკიძე.

ერთელიშვილი, 1970 – ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.

ერთელიშვილი 1980 – ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

ერთელიშვილი 1969 – ფ. ერთელიშვილი, ლა \\ ლე პრეფიქსები ქართულში. – მაცნე, №5, თბილისი.

ზუხბაია 1982 – ვ. ზუხბაია, ძვირფასი ქვები „ვეფხისტყაოსნის" რუსულ თარგმანებში. – „მაცნე", 1982 წ. №3, თბილისი, (ელექტრ.).

თანდილავა 1976 – ზ. თანდილავა, მეთევზეობის ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, I, თბილისი.

თანდილავა 1989 – ზ. თანდილავა, ფოლკლორულ- დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო- კვლევით ინსტიტუტში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV თბილისი.

თანდილავა, ნარაკიძე 1986 – ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. V, თბილისი.

თედეევი 1975 – ო. თედეევი, მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, თბილისი.

თედეევი 1983 – ო. თედეევი, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

თოდუა 1979 – რ. თოდუა, სამეთუნეო ნაგებობანი სამეგრელოში. მსე, ტ. XX, თბილისი.

თოფურია 1963 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. – კრ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი.

თოფურია 1996 – გ. თოფურია, ქართველურ ენათა ლექსიკიდან. ბროწეული. – ქუთაისური საუბრები, III.

თოფურია 1979 – ვ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში. – შრომები, III, თბილისი.

თოფურია 1984 – ნ. თოფურია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბილისი.

თუშიშვილი 1954 – ლ. თუშიშვილი, არაბული ლექსიკური ელემენტები ფირდოუსის „შაჰ-ნამეში". – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, შრომები, V, თბილისი.

ივანიშვილი 2014 – მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში, თბილისი.

იმედაძე 2014 – სოფო იმედაძე, არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან- საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში", დისერატაცია, ქუთაისი (ელექტ.).

იმნაიშვილი 1966 – ი. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბილისი.

იმნაიშვილი 1970 – ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია ტ. I. ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით ნაწილი II, ენის მიმოხილვა და ტაბულები, თბილისი.

იმნაიშვილი 1986 – ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით თბილისი

იმნაიშვილი 1974 – გრ. იმნაიშვილი, გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

იმნაიშვილი 1974 – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბილისი.

ინგოროყვა 1929-1930 – პ. ინგოროყვა, „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», ტ. 6, 1929-1930; ტ. 7, 1931-1932.

კაკიტაძე 1997 – კ. კაკიტაძე, ლექსიკური ძიებანი (მანჭკვალა). – ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბილისი.

კაკიტაძე 2005 – კ. კაკიტაძე, სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები ქართულში, თბილისი.

კანარკოვსკი 2017 – რ. კანარკოვსკი, საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკიდან: ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა „წყლის“ აღმნიშვნელი სიტყვები“. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი.

კანარკოვსკი 2018 – რ. კანარკოვსკი (კრაკოვი, პოლონეთი), საერთო-იბერიული-კავკასიური ლექსიკიდან: ქართული სიტყვების „შარდი“. „ვეშა“ და „ფსმა“ აგებულებისა და წარმომავლობისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XV, თბილისი.

კანარკოვსკი 2019 – რ. კანარკოვსკი, საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკიდან: ქართ. „ნახევარი“, „ყევარ“, „ნაწილი“ და მათ შესატყვისობათა მთის კავკასიურ ენებში აგებულებისა და წარმომავლობისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI, თბილისი.

კარტოზია 1984 – გ. კარტოზია, სიბილანტთა შესატყვისობის დარღვევათა ახსნისათვის ქართველურ ენებში. – მაცნე, თბილისი.

კარტოზია 1993 – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბილისი.

კაშია 2000 – ჯ. კაშია, ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში (კონცეპტუალური ქარგა). – ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი.

კახაძე 1987 – ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, თბილისი.

კახაძე 1997 – ო. კახაძე, ისევ ლექსიკური ზანიზმების თაობაზე იმერულში, „გიორგი როგავას“ (საიუბილეო კრებული), თბილისი.

კახიძე – ო. კახიძე, ქართულ-აღმოსავლური ლექსიკური ურთიერთობების მცირე ლექსიკონი (ელექტრ.).

კეკელიძე 1957 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი.

კელაურაძე 2013 – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, X, თბილისი.

კელაურაძე 2017 – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის-IV. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი.

კელაურაძე 2018 – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XV, თბილისი.

კელაურაძე 2019 – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის-VI. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI, თბილისი.

კვანტიძე 2014 – გ. კვანტიძე, ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა). სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, (ელექტრ.).

კვახაძე 2015 – ალ. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

კვირკველია 1985 – თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი. თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.

კობაიძე 1997 – მ. კობაიძე, „ვეფხისტყაოსნის" ხევა ტერმინისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბილისი.

კობაიძე 2014 – მ. კობაიძე, აღქმის სხვადასხვა მოდალობის გამომხატველი ხ-ძირის შემცველი ზოგი ფუძე ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XI, 2014, თბილისი.

კობერიძე 2018 – მ. კობერიძე, სიდიდის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართლურში (ქართლური დიალექტის ლექსიკონის მასალების მიხედვით). XXXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

კობიძე 1967 – დ. კობიძე, ფილოლოგიური დაკვირვებანი. – ორიონი, აკაკი შანიძეს, თბილისი.

კობიძე 1974 – დ. კობიძე, აბულ ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ, თბილისი.

კობიძე 1976 – დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების ლექსიკის საკითხები. – აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბილისი.

კობიძე 1983 – დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, I, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

კოშორიძე 2014 – თ. კოშორიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში. თემის ხელმძღვანელი: როზეტა გუჯეჯიანი ისტორიის დოქტორი, საქართველოს სპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისი.

კუტალეიშვილი 1987 – ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, თბილისი.

კუცია 1984 – კ. კუცია, ამქრები XVII-XVIIII ს. ს. საქართველოს ქალაქებში, თბილისი.

ქირია და სხვ. 2015 – ჯ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა I. მორფოლოგია, თბილისი.

ლეკიაშვილი 1993 – ვლ. ლეკიაშვილი, არაბული ლექსიკის სემანტიკური ტრანსფორმაციების ზოგიერთი ასპექტი ქართულ ენაში მისი დამკვიდრების პროცესში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი.

ლერნერი 1990 – კ. ლერნერი, ენობრივი ნიშნის მოტივაციის სესხება-შენარჩუნება ენათა კონტაქტის პირობებში. – იკე, XXIX, თბილისი.

ლერნერი, ბინიაშვილი 1991 – კ. ლერნერი, ლ. ბინიაშვილი, გერ- ძირის ისტორიისათვის ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ლოლაშვილი 1968 – ივ. ლოლაშვილი, იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბილისი.

ლოლაშვილი 1984 – ივ. ლოლაშვილი, მრავალკარედი, თბილისი.

ლომთაძე 1999 – ა. ლომთაძე, სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში, თბილისი.

ლომთათიძე 1984 – ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხმოვნები ქართველურ ენებში, თბილისი.

ლომთათიძე 1986 – ქ. ლომთათიძე, ქართული კერავს ზმნის ეტიმოლოგიისათვის. – იკე, XXV, თბილისი.

ლომთათიძე 1997 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ა-დამრა-ს („აკლდამა, „სამარე") წარმომავლობა. – საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბილისი.

ლომთათიძე 1997 – ქ. ლომთათიძე, ცეკვის აღმნიშვნელი ზოგიერთი ფუძის შესახებ. – ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბილისი.

ლორთქიფანიძე 1992 – ქ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე ჰიბრიდული კომპოზიტის შესახებ „ვეფხისტყაოსანში". – მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია 2. თბილისი.

მამაცაშვილი 1983 – მ. მამაცაშვილი, „ვისრამიანის" ლექსიკიდან (გამოწურვილი, უტევანი). – აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი.

მარი 1902 – Н. Я. Марр, Древне-грузинские одописцы (XIIв.) ТР,кн. IV, С-Петербург.

მარი 1910 – Н. Марр, Грамматика чанского лазского языка. С-Петербург.

მარი 1925 – Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л.

მარგველაშვილი 1954 – თ. მარგველაშვილი, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლთა ენობრივი თავისებურებანი. – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, შრომები V, თბილისი.

მარგიანი 1998 – ქ. მარგიანი, დალ-სვანეთის ტოპონიმიკა. – ქართველური ონომასტიკა, I, თბილისი.

მარგოშვილი 1992 – ლ. მარგოშვილი, ჩაცმულობა რომელიც მოდას არ დაგიდევთ, თბილისი.

მარტიროსოვი 1987 – ქართულ-სომხური ლექსიკური შეხვედრები მესხურ-ჯავახური დიალექტის გავრცელების არეალში, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

მარტიროსოვი 1964 – არ. მარტიროსოვი ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. თბილისი.

მაღრაძე 2008 – ვ. მაღრაძე, რამდენიმე კალკის შესახებ. – იკე, XXXVI, თბილისი.

მაყაშვილი 1996 – ზ. მაყაშვილი, მცენარეთა სახელდება, თბილისი.

მაჩაბელი 1979 – ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი.

მაჭავარიანი 1965 – გ. მაჭავარიანი,საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

მაჭავარიანი 1985 – მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება. – იკე, XXIII, თბილისი.

მაჭავარიანი 1989 – მუხრან მაჭავარიანი, რამდენიმე სიტყვა, თბილისი.

მაჭავარიანი 2015 – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

მაჭავარიანი 2019 – ნ. მაჭავარიანი, აბრუ (ეტიმოლოგია), არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

მაჭავარიანი 2019 – ნ. მაჭავარიანი, ლექსემა „ვასაკას" წარმომავლობისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI, თბილისი.

მაჭავარიანი 2019 – ნ. მაჭავარიანი, სვლა, სიარული, დენა... (სემანტიკისა და სტრუქტურის საკითხები). – ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI, თბილისი.

მაჭავარიანი 2013 – დ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული ნარკვევები, თბილისი.

მგელაძე 2002 – ნ. მგელაძე, ქართული გვარი: სოციალური ფუნქცია, ტერმინის წარმომავლობა და გავრცელების ეთნოლინგვისტური არეალი. – ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი.

მეგრელიშვილი 1993 – ქ. მეგრელიშვილი «ღორი» აღმნიშვნელი სიტყვები და მათი სიმბოლიკა „ვის-ო-რამინსა" და „ვისრამიანში მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, I, თბილისი, გვ. 107-112.

მელიქიშვილი 1954 – Меликишвили Г., Наири-Урарту, Тбилиси.

მელიქიშვილი 1965 – გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი.

მელიქიშვილი 1971 – გ. მელიქიშვილი, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბილისი.

მელიქიშვილი 1983 – დ. მელიქიშვილი, ძველი ქართულის ლექსიკიდან: განი (საგანი), პირი, მიზანი. – საენათმეცნირო ძიებანი, თბილისი.

მელიქიძე 2009 – ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, II, თბილისი.

მესხია 1982 – შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, I, II, თბილისი.

მეტრეველი, გვახარია 1959 – ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, სულხან საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის. – კრ. სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი.

მითაგვარია 2013 – კ. მითაგვარია, ხმაბაძვითი სიტყვების საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი.

მირიანაშვილი 1981 – ქ. მირიანაშვილი, მეთევზეობის შესწავლისათვის საქართველოში (თევზის ჭერა ოჩხეს საშუალებით) – „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“. XXI, თბილისი.

მიქიაშვილი 2012 – აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკა ქართულში, ავტორი ო. მიქიაშვილი, თბილისი (ელექტრ.).

ნადარეიშვილი 1974 – ლ. ნადარეიშვილი, წკ / ჭკ კომპლექსებიანი ხმაბაძვითი სიტყვები ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

ნადირაძე 2011 – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ე. ნადირაძე; რედ. რ. მეტრეველი; ავტ.-შემდგ.: გ. არჩვაძე, მ. ბოკუჩავა, თ. გელაძე და სხვ.]. – მერიდიანი, თბილისი.

ნაისერი 1953 – F. Neisser, studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden.

ნარაკიძე 1986 – ც. ნარაკიძე, მეთევზეობა- ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი.

ნაჭყებია 2013 – მ. ნაჭყებია, თურქული ლექსიკა მეგრულში II. – ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრებული №6, თბილისი.

ნაჭყებია 2013 – მ. ნაჭყებია, მასალები ნასესხები ლექსიკიდან მეგრულში III. – ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრებული №6, თბილისი.

ნედოსპასოვა 1978 – მ. ნედოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბილისი.

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

ნოზაძე 2008 – ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

ნოღაიდელი 1972 – ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათუმი.

ნოღაიდელი 1987 – ნ. ნოღაიდელი, ხალხური კულინარული ტრადიცია და ლექსიკა (აჭარული მასალა). – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა 6, თბილისი.

ნოღაიდელი 2017 – ნ. ნოღაიდელი, ბერძნული ლექსიკისათვის აჭარულ დიალექტში. – დიალექტოლოგიური 37-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ომიაძე 2009 – ს. ომიაძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

ოსიძე 2013 – ეკ. ოსიძე, ვარაუდები რამდენიმე ქართული ფუძის წარმომავლობისა და შედგენილობის თაობაზე. – ეტიმოლოგიური ძიებანი X, თბილისი.

ოსიძე 1990 – ეკ. ოსიძე, რამდენიმე სვანური ფუძის ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ოჩიაური 1967 – თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი.

პაული 1960 – Г. Пауль, Принципы истории языка, М.

პიზანი 1956 – В. Пизани, Этимология, М.

ჟღენტი 1940 – ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში. – ენიმკის მოამბე,VI, თბილისი.

ჟღენტი 1960 – ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვლის აგებულების პრობლემა, თბილისი.

ჟღენტი 1965 – ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი.

რამიშვილი 2008 – რ. რამიშვილი, „რუსუდანიანის" ლექსიკიდან (ხოშგვარი, ქულბაქი). – II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

რამიშვილი 2016 – რ. რამიშვილი, რამდენიმე სიტყვის წარმომავლობისათვის ქართლურ დიალექტში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXVII, 2016 წლის 19-22 აპრილი, მასალები, თბილისი.

რამიშვილი 2017 – რ. რამიშვილი, ზოგიერთი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი.

რამიშვილი 2018 – რ. რამიშვილი, ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.

რობაქიძე 1949 – ალ. რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში, „მიმომხილველი", I, თბილისი.

როგავა 1962 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიულ ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი.

როგავა 1984 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, II, ყრუ ხშულ თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება, თბილისი.

როგავა 1987 – გ. როგავა, ზოგი ადიღური ნასესხობა ქართველურ ენებში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

როგავა 1988 – გ. როგავა, ზოგ ქართველურ და ინდოევროპულ ფუძეთა ურთიერთობის საკითხისათვის (ნუშა „ნავი"). – იკე, XXVII, თბილისი.

რუხაძე 1949 – ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბილისი.

რუხაძე 1988 – ლ. რუხაძე, ზოგიერთი თურქული ნასესხობის შესახებ ქართულში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

რუხაძე, კაჭარავა 2014 – ლ. რუხაძე, ნ. კაჭარავა, რამდენიმე საერთო არაბულ-სპარსული ნასესხობა ქართულსა და თურქულ ენებში. – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VIII, თბილისი.

სალარიძე 1978 – თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი.

სალია 2003 – მ. სალია, ნაოსნობის ლექსიკიდან მეგრულ-ლაზურში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLII სამეცნიერო სესია, თბილისი.

სალია 2005 – მ. სალია, მეთევზეობის ლექსიკა ზანურში, თბილისი.

სალია 2014 – მ. სალია, დუზჯეს რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა), ქართველთა მეტყველების თავისებურებანი; ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები; თბილისი.

სანიკიძე 1976 – ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, III, თბილისი.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

საღლიანი 2013 – მ. საღლიანი, სვანურ აფხაზურ-ადიღური (resp. ჩერქეზული) ლექსიკური შეხვედრები. – ეტიმოლოგიური ძიებანი, X, თბილისი.

სილაგაძე 2006 – ა. სილაგაძე, არაბიზმების საკითხისათვის, სამეცნიერო კრებული „აღმოსავლეთი და კავკასია", თბილისი.

სილაგაძე 1992 – ა. სილაგაძე, უნიკალური არაბული სალექსო ფორმის შესახებ, თბილისი.

სიხარულიძე 2010 – ა. სიხარულიძე, ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

სონღულაშვილი 1964 – ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.

სურგულაძე 1986 – ირ. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა თბილისი.

სუხიშვილი 1991 – მ. სუხიშვილი, ძველი ქართულის რჩუნვა ტერმინის შესახებ. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

სუხიშვილი 2004 – მ. სუხიშვილი, ფუძედრეკად ზმნათა ერთი რიგის (ქლეთ-ქლით-, ქლეთ-ქლით-, ქლეს-ქლის-) ზნური შესატყვისისათვის. – არნ. ჩიქობავას ენათმ. ინსტიტუტის 63-ე სამეც. სესია. თბილისი.

სუხიშვილი 2013 – მ. სუხიშვილი, ერთი საერთო საფეიქრო ტერმინი ქართულსა და სვანურში – ეტიმოლოგიური ძიებანი, X, თბილისი.

ტექნ. ტერმ. 1982 – ტექნიკური ტერმინოლოგია, ქართულ-რუსული ნაწილი რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედ., თბილისი.

უთურგაიძე 1960 – თ. უთურგაიძე, ზოგიერთი ნასესხები და საერთო წარმოშობის სიტყვები ბაცბურ-ჩაჩნურსა და ქართველურ ენებში. – გორის პედ. ინსტ. შრომები, ტ. V, თბილისი.

უთურგაიძე 1961 – თ. უთურგაიძე, „ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის გაგებისათვის, „რიალი". – ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბილისი.

უთურგაიძე 1966 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი.

უთურგაიძე 1976 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

უთურგაიძე 1988 – თ. უთურგაიძე, უთურგაიძე ნასესხები სიტყვები დიალექტურ ლექსიკაში, დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

უთურგაიძე 1997 – თ. უთურგაიძე, სიტყვათა მორფონემატური დიაქრონიული ცვლილებისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბილისი.

ურუშაძე 1980 – ა. ურუშაძე, ბერძნული ენის ისტორიის ზოგი საკითხი, Историко-филологическое разыскания, часть I, Тбилиси.

ფასმერი 1964-1973 – М. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка. Перевод с немецкого и дополнеия Н. Трубачева, т. I-IV, М.

ფაღავა, ცეცხლაძე 2017 – მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე, სამხრული კილოები, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, გამომცემლობა „ივერიონი" თბილისი.

ფეიქრიშვილი 2005 – ჟ. ფეიქრიშვილი, ეტიმოლოგიური ძიებანი (ნაკვეთი I), ქუთაისი.

ფეიქრიშვილი 1992 – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის შესავალი, თბილისი.

ფენრიხი 1980 – H. Fähnrich, Kartweliches Wortgut. – Georgica, 4, Iena-Tbilissi.

ფენრიხი 1978 – ჰ. ფენრიხი, ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძეენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფირცხელანი 2000 – დ. ფირცხელანი, „ლაგუჩზ დაბჳრ". – ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი.

ფოგტი 1961 – ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

ფოგტი 1968 – ჰ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმომხილველ, 4-5, თბილისი.

ფონიავა 2016 – ნ. ფონიავა, სინონიმიის, ომონიმიის და ანტონიმიისათვის ლაზურ იდიომებში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXVII, მასალები, თბილისი.

ფოფორაძე 2010 – ნ. ფოფორაძე, მინერალოგიის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

ფოჩხუა 1987 – ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I თბილისი.

ფრუიძე 1974 – ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, წიგნი პირველი, რაჭა, თბილისი.

ფუტკარაძე 1991 – ტ. ფუტკარაძე, *ღურ-უ > ღრუ, *ყურ-უ > ყრუ... ტიპის პროცესებისათვის ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ფუტკარაძე 2018 – ტ. ფუტკარაძე, გვარების წარმოშობა და წარმოება (ელექტრ. ვერსია).

ფუტკარაძე 2019 – ტ. ფუტკარაძე, საიდ მულიანი, ფერეიდნულის მეტყველების სახესხვაობებისათვის, XXXIX რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი.

ქავთარაძე 1954 – ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

ქავთარაძე 1964 – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVII ს. ს., თბილისი.

ქავთარაძე 1974 – ივ. ქავთარაძე მასალები იმერული ლექსიკონისათვის II, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

ქავთარაძე 1980 – ივ. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური ძიებები. – იკე, XXII, თბილისი.

ქავთარაძე 1980 – ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტური ლექსიკის ზოგიერთი ძირითადი ტიპი. – Историко-филологическое разыскания, часть I, Тбилиси.

ქაზემი 2008 – ი. ქაზემი, სპარსულ-არაბულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები ლექსიკის დონეზე «შაჰ-ნამეს» «ზაჰაქის ამბავის» სპარსული და ქართული ტექსტების შეპირისპირების საფუძველზე, დისერტაცია, თბილისი, (ელექტ.).

ქალდანი 1969 – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი.

ქაროსანიძე 2006 – ლ. ქაროსანიძე, ასო-Etolxeiov-ის მნიშვნელობისათვის გრამატიკულ ტერმინოლოგიაში. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. – 2005 – N7, თბილისი.

ქაროსანიძე 2017 – ლ. ქაროსანიძე, ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები ენის შესახებ და ქართული გრამატიკული აზროვნება, თბილისი.

ქერქაძე 1974 – ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბილისი.

ქერქაძე 1987 – ი. ქერქაძე, ლეღუსულელ-კომპოზიტის შესახებ ძველ ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015 – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, (პროექტი – ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა), (პირფუძეთა ინდექსითურთ 771-898), თბილისი.

ქოიავა 1966 – ნ. ქოიავა, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საგნები შოთა რუსთაველის პოემაში. – კრ. შოთა რუსთაველს, თბილისი.

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. ტ. 1-11, 1975-1987, თბილისი.

ქართ. ენა 2008 – ქართული ენა (ენციკლოპედია), შემდგენელი ი. ქობალავა, თბილისი.

ქუთათელაძე 1967 – დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. გამოსცა ლ. ქუთათელაძემ, თბილისი.

ქურდაძე 2005 – რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

ქურციკიძე 1973 – ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები. თბილისი.

ქუქჩიშვილი 2017 – მ. ქუქჩიშვილი, ჯავახური დიალექტის ლექსიკიდან (მარაზი). – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

ქურდიანი 2010 – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, ა. არაბულის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.

ღამბაშიძე 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ზირითადი პრინციპები, თბილისი.

ღაფანციანი 1952 – Гр. Капанцян, О взаимно отношении армянского и лазо-мегрельского языков, Изд. АКНАрм. ССР, Ереван.

ღაფანციანი 1975 – Гр. Капанцян, Историко – лингвистические работы, II, Ереван (ქართულად ნათარგმნი მ. რობაქიძის მიერ).

ღიბრაძე 2005 – ს. ღიბრაძე, სპარსულ-არაბული წარმომავლობის შენობა-ნაგებობათა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“. – ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბილისი.

ღლონტი 1967 – ალ. ღლონტი, ჰიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფებისათვის, ორიონი, აკაკი შანიძეს, თბილისი.

ღლონტი 1980 – ალ. ღლონტი, მყის გლოსემა ქართულში, ფილოლოგის ჩანაწერები, თბილისი.

ღლონტი 1988 – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი.

ყიფშიძე 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კ. დანელიამ, თბილისი.

შაგიროვი 1977 – Шагиров А. К., Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, М.

შანიძე 1959 – ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა. – გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი, III, თბილისი.

შანიძე 1981 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.

შანიძე 1986 – ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V, თბილისი.

შანიძე 1986 – ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თხზულებანი თორმეტ ტომად , ტომი IX, თბილისი.

შანიძე 1979 – მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბილისი.

შარაშენიძე 1983 – ჯ. შარაშენიძე, „შუმერები და მათი კულტურა", თბილისი.

შარაშიძე 2014 – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი.

შარაძენიძე 1972 – თ. შარაძენიძე, ცოცხალი ენის განვითარების შესწავლისათვის (სინქრონია-დიაქრონიისა და სტატიკა – დინამიკის ურთიერთობასთან დაკავშირებით). – იხ. მისი: თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბილისი.

შატბერაშვილი 1975 – გ. შატბერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, ტ. IV, თბილისი.

შენგელია 2006 – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი.

შენგელია 2006 – ე. შენგელია, სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში. – საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXII, თბილისი.

შენგელია 2006 – ე. შენგელია, მეგრული ბედან- სიტყვის შესატყვისობისათვის. – ქართველოლოგიური კრებული, V, თბილისი.

შენგელია 2006 – ე. შენგელია, ბაბლ- ძირის შესატყვისობისათვის ლაზურში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის LLVII სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

შენგელია 2014 – ე. შენგელია, სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი), ფილოლოგიის დოქტორის (Ph. D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი.

შენგელია 2019 – ე. შენგელია, საუბრის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში, XXXIX რესპ. დიალ. სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი.

შმიდტი 1962 – K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden.

ჩანტლაძე 2012 – ი. ჩანტლაძე, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, I, თბილისი.

ჩანტლაძე, იოსელიანი 2015 – ი. ჩანტლაძე, რ. იოსელიანი, ერთი სურნელოვანი ბოსტნეულის სახელწოდებათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXVI, თბილისი.

ჩაჩანიძე 2012 – ი. ჩაჩანიძე, ბვირფას თვალთა (ბივრილი და ანთრაკი) ტიპოლოგიური დეფინიციები. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIII, თბილისი.

ჩელები 2018 – ფევზი ჩელები, დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი. სადოქტორო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება", სადისერტაციო ნაშრომი შე-

სრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ ფუტკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თბილისი (ელექტრ. ვერსია).

ჩიტაია 1970 – გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული პარალელები: 2. «სილა» და «ლაღა» [საწყაოს აღმნიშვნელი ტერმინები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში], „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", ტ. 15, თბილისი.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი.

ჩიქობავა 1937 – არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ. – ენიმკის მოამბე, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში". – ენიმკის მოამბე, III, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩიქობავა 1954 – არნ. ჩიქობავა, ერთი ძველი საერთო იბერიულ-კავკასიური ჯგუფის შესახებ მევენახეობის ტერმინში. – იკე, ტ. VI, თბილისი.

ჩიქობავა 1966 – არნ. ჩიქობავა, პაშტა სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში". – საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველს", თბილისი.

ჩიქობავა 1997 – არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგიური და შედარებითი ლექსიკონების ურთიერთობის საკითხისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბილისი.

ჩიქოვანი 1972 – გ. ჩიქოვანი, თეთრი მთის ქორი თერგვაული. – სამხრეთ- დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, თბილისი.

ჩიქოვანი 1972 – ე. ჩიქოვანი, კარაბადინებში დართულ ლექსიკონებში შესული ზოგი სამკურნალო მცენარის სახელწოდებისა და ტერმინის დაზუსტებისთავის. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

ჩიქოვანი 1984 – ნ. ჩიქოვანი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ძველ ქართულში. – საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

ჩოხარაძე 2013 – ვ. ჩოხარაძე, თურქიზმები ქართული ენის სამხრულ დიალექტებში, დისერტაცია, ბათუმი (ელექტრ.).

ჩუხუა 1988 – მ. ჩუხუა, ორი მცენარეული სახელისათვის ქართველურ ენებში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჩუხუა 1989 – მ. ჩუხუა, ქართველური ლექსიკიდან. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჩუხუა 1991 – მ. ჩუხუა, ქართველური ლექსიკიდან. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2004 – მ. ჩუხუა, საერთო-ქართველური ლექსიკა ქართველურ დიალექტებში. – resp. დიალექტ. სამეცნიერო სესიის მასალები, XXIV, თბილისი.

ჩუხუა 2007 – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

ჩუხუა 2007-ა – მ. ჩუხუა, ამოსავალ სისინა სიბილანტთა რეფლექსაციისათვის ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 66-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჩუხუა 2008 – მ. ჩუხუა, საერთო-კავკასიური სამეურნეო ყოფა (შენობა-ნაგებობები) – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIX, თბილისი.

ჩუხუა 2009 – მ. ჩუხუა, დამატებითი მასალები საერთოქართველური ფუძე ფუძე-ენის ლექსიკური ფონდისათვის. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკ. ითხები, XX, თბილისი.

ჩუხუა 2009 – მ. ჩუხუა, პროტოკავკასიური ფუძე-ენის ლექიკური შედგენილობისათვის (დრო, ცა, მნათობები, ბუნების მოვლენები) – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XX, თბილისი.

ჩუხუა 2011 – მ. ჩუხუა, კვართი და სხვა სამოსელი საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი.

ჩუხუა 2013 – მ. ჩუხუა, ეტიმოლოგიური შენიშვნები ქართველთა წარმართულ პანთეონში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჩუხუა 2018 – მ. ჩუხუა, ახალი მასალები ქართული ენის ისტორიულ- ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XV, თბილისი.

ჩუხუა 2018 – მ. ჩუხუა, ქალაქ- ფუძის ეტიმოლოგიის ცდა. XXXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჩუხუა 2019 – მ. ჩუხუა, დამატებითი მასალები ქართულ- სინდური ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI, თბილისი.

ჩხეიძე 1983 – თ. ჩხეიძე, სპირანტი ჰ სპარსულ ენაში. – აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი.

ჩხეიძე 1984 – თ. ჩხეიძე, ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბილისი.

ჩხენკელი 1988 – რ. ჩხენკელი, ქართული ხალხური სამშენებლო ლექსიკა როგორც საფუძველი ამავე დარგის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის (დისერტაცია).

ჩხუბიანიშვილი 2012 – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები, ფერეიდნული ტექსტები ლექსიკონით, თბილისი.

ჩხუბიანიშვილი 2012 – ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორიიდან, საენათმეცნიერო წერილები, თბილისი.

ცინდელიანი 1973 – უ. ცინდელიანი, ძველი ქართულის ლექსიკიდან. გა-რიალ-ება, რიალ-ი. – მრავალთავი, III, თბილისი.

ცინდელიანი 1985 – უ. ცინდელიანი, ძიებანი ძველი ქართულის ლექსიკიდან, მრავალთავი, XI, თბილისი.

ცინცაძე, ფაღავა 1998 – მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V- XVIII სს.), ბათუმი.

ცქიტიშვილი 1976 – თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის ძველი ქართული ვერსიები, თბილისი.

ცქიტიშვილი 2014 – თ. ცქიტიშვილი, თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტება“ და ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, წიგნი II, თბილისი.

ცქიტიშვილი 1985 – თ. ცქიტიშვილი, ლექსიკოლოგიური ძიებანი (მოლი). – ჟურ. „მაცნე“, №1, თბილისი.

ცხადაძე 1984 – ზ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში, თბილისი.

ცხადაია 1995 – პ. ცხადაია, მეთევზეობის ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში, „ონომასტიკური ძიებანი“, ახალციხე.

ძამამია 2006 – ც. ძამამია, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში. ქართველური ენები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იზა ჩანტლაძე, თბილისი.

ძიძიგური 1948 – შ. ძიძიგური, ომონიმიკა, „სახალხო განათლება“, №41, თბილისი.

ძიძიგური 1956 – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი.

ძიძიგური 1970 – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ძიძიგური 1982 – შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბილისი.

წაქაძე 1976 – ი. წაქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ი. წაქაძემ, ს. ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი.

წერეთელი 1951 – გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

წერეთელი 1960 – გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი.

წერეთელი 1980 – კ. წერეთელი, თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი.

წერეთელი 1992 – კ. წერეთელი, სემიტური ქ-ს გადმოცემისათვის ქართულში. – მაცნე №2, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჭინჭარაული 1968 – ალ. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან, „რიალი", „თავის-თავ" – „მაცნე", №4, თბილისი.

ჭინჭარაული 1977 – ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტის დადგენისათვის, თბილისი.

ჭინჭარაული 1980 – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური შენიშვნები 1. მრავალი. – იკე, XXII, თბილისი.

ჭინჭარაული 1981 – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი.

ჭინჭარაული 1982 – ალ. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის საკითხები, I, თბილისი.

ჭინჭარაული 1985 – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები („მკის", „მუჭი", „მუჭლუგუნი", „მკალი" // „კალია") – იკე, XXIII, თბილისი.

ჭინჭარაული 1985 – ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები 1. გაოცება, უცნება // ოცნება, ცბ-ის // ცბილ-ი // წბილ-ი, განცვიბრება (//განცვიფრება // განჭვიბრება), ბუც- (გაბუცება). – იკე, XXIV, თბილისი.

ჭინჭარაული 1986 – ალ. ჭინჭარაული, ცახე, აღე, სტარი, სერი//სერვა სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის. – იკე, XXV, თბილისი.

ჭინჭარაული 1989 – ალ. ჭინჭარაული, ქართულ-ვაინახური ლექსიკური შეხვედრები. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

ჭინჭარაული 1989 – ალ. ჭინჭარაული, ლოყა და ღაწვ სიტყვათა ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჭინჭარაული 1990 – ალ. ჭინჭარაული, დონე, დუნე, დონდლო და ტოლ სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის. – იკე, XXIX თბილისი.

ჭინჭარაული 1997 – ალ. ჭინჭარაული, სემანტიკური გადასვლები ზოგ ლექსიკურ ჯგუფებში – იკე, XIX, თბილისი.

ჭინჭარაული 2000 – ალ. ჭინჭარაული, ვაინახურიდან ნასესხები კიდევ ერთი სიტყვა ქართულში. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XI, მასალები, თბილისი.

ჭინჭარაული 2000 – ალ. ჭინჭარაული, კიდევ ერთი ბერძნული სიტყვის ვარიანტები ქართულში: ლასტი და მელეური. – ქართველური მემკვიდრეობა IV, ქუთაისი.

ჭოხონელიძე 1968 – ნ. ჭოხონელიძე, -იალ სუფიქსიანი მასდართა წარმოების საკითხისათვის ქართულში (ხელმძღვ. გ. როგავა). – თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი.

ჭოხონელიძე 1982 – ნ. ჭოხონელიძე, ეფერება ზმნის მნიშვნელობის ისტორიისათვის ქართულში. – ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

ჭოხონელიძე 1984 – ნ. ჭოხონელიძე, „/და/კარგავს“ ზმნის ისტორიისათვის. – ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

ჭოხონელიძე 1984 – ნ. ჭოხონელიძე, გლის, ღლის ზმნურ ფუძეთა ისტორიისათვის. – საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა X რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, თბილისი.

ჭოხონელიძე 1984 – ნ. ჭოხონელიძე, ტორ- ფუძის ისტორიისათვის ქართულში. – VI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასისა და ენის ისტორიის საკითხებისადმი, ქუთაისი; თბილისი.

ჭოხონელიძე 1985 – ნ. ჭოხონელიძე, ბუშ- ფუძის ისტორიისათვის. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჭოხონელიძე 1985 – ნ. ჭოხონელიძე, ზოგიერთი სოკოს ქართული სახელწოდებისათვის – იკე, XXIV, თბილისი.

ჭოხონელიძე 1986 – ნ. ჭოხონელიძე, რამდენიმე სიტყვის ისტორიისათვის. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჭოხონელიძე 1986 – ნ. ჭოხონელიძე, მინდის ისტორიისათვის ქართულში, იკე, XXV, თბილისი.

ჭოხონელიძე 1986 – ნ. ჭოხონელიძე, ჭლაკ-და მრეზ-ფუძეთა ისტორიისათვის VIII რესპუბ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო (ქ. სოხუმი, 1986 წლის 25-26-27 სექტემბერი), თბილისი.

ჭოხონელიძე 1987 – ნ. ჭოხონელიძე, ზნე სიტყვის ისტორიისათვის. – XLV სამეცნიერო სესია, ეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს, თბილისი.

ჭოხონელიძე 1987 – ნ. ჭოხონელიძე, პოვ- კაფ- ფუძეთა ისტორიისათვის ქართულში. – ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, ეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს, თბილისი.

ჭოხონელიძე 1987 – ნ. ჭოხონელიძე, კომეტა და ტიალ – სიტყვების მნიშვნელობის ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჭოხონელიძე 1988 – ნ. ჭოხონელიძე, გრემან-, ფეთება სიტყვათა ისტორიისათვის. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, მე-8, თბილისი.

ჭოხონელიძე 1988 – ნ. ჭოხონელიძე, გუმერ-, გურემ-, გმერ-; 2. მწუბ, წუმბ-, წუმპ- ფუძეთა ისტორიისათვის ქართულში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჭოხონელიძე 1991 – ნ. ჭოხონელიძე, კლერტ- და ღივ- ფუძეთა ისტორიისათვის. – XLIX სამეცნიერო სესია, ეძღვნება აკად. ვარლამ თოფურიას დაბადებიდან 90-ე წლისთავს, თბილისი.

ჯოხონელიძე 1991 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი სიტყვის ისტორიისათვის ქართულში. 1. ქსუ. 2. ლაბა – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

ჯოხონელიძე 1991 – ნ. ჯოხონელიძე, ლებ- და ლიბრ- ფუძეთა ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჯოხონელიძე 1991 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი მცენარის სახელწოდებისათვის. XII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჯოხონელიძე 1992 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი მწერის სახელის წარმომავლობა ქართულში დიალექტების მიხედვით. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

ჯოხონელიძე 1994 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის. 1. ხეპრე; 2. ხეშტერი, 3. ხებესტარი. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 53-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჯოხონელიძე 1996 – ნ. ჯოხონელიძე, იაფ- ფუძის ისტორიისათვის ქართულში. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

ჯოხონელიძე 1996 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი მცენარის სახელწოდებისათვის ქართული ენის დიალექტებში. – ქუთაისური საუბრები, III. სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 1997 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი დიალექტური სიტყვის წარმომავლობისათვის. 1. შპეტი, 2. ჩმაგი, 3. ბღუკი. – XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქ. თელავი, თბილისი.

ჯოხონელიძე 1997 – ნ. ჯოხონელიძე, ნუკრ- სიტყვის წარმომავლობისათვის. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების IV სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 1997 – ნ. ჯოხონელიძე, 1. ბრკუ // ბრგუ, 2. ბლუ; 3. ჩლუ. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 56-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჯოხონელიძე 1998 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი კომპოზიტის (ჭიაფერი, ჭიამაია და ჭიაკოკონა) წარმომავლობისათვის, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 1999 – ნ. ჯოხონელიძე, ხარის აღმნიშვნელი ზოგი საკუთარი სახელის წარმომავლობისათვის. – 1. წიქარა, 2. ჯონგა. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების V სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 1999 – ნ. ჯოხონელიძე, სიტყვის ისტორიულ-ეტიმოლოგიური და დიალექტური მონაცემების ურთიერთმიმართებისათვის. – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VI სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2000 – კორელაციურ ფუძეთა ისტორია ქართულ ენაში, თბილისი.

ჯოხონელიძე 2000 – ნ. ჯოხონელიძე, ერთი სიტყვის ისტორია შესიტყვების მიხედვით. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XI, თბილისი.

ჯოხონელიძე 2000 – ნ. ჯოხონელიძე, ერთი ლექსიკური ომონიმის შესახებ. – მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.

ჯოხონელიძე 2000 – ნ. ჯოხონელიძე, მეგრულიდან ნასესხები ერთი სიტყვის შესახებ ქართულში. – XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2000 – ნ. ჯოხონელიძე, მანძილ- („ხორცი") ფუძის შესატყვისობისათვის ქართულსა და სვანურში. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2000 – ნ. ჯოხონელიძე, ერთი ომონიმური სიტყვისათვის ქართულში (ნატამალი). – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VII სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2000 – ნ. ჯოხონელიძე, წიქარა. – საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბილისი.

ჯოხონელიძე 2000 – ნ. ჯოხონელიძე, თერმ-ფუძიანი სიტყვების წარმომავლობისათვის ქართულში. – ქართველოლური მემკვიდრეობა IV, ქუთაისი.

ჯოხონელიძე 2001 – ნ. ჯოხონელიძე, საფუხარ სიტყვის წარმომავლობისათვის. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, თბილისი.

ჯოხონელიძე 2001 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი სემანტიკური დიალექტიზმის ისტორიისათვის (ეტლი, გერში, პინაკი). – XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ბათუმი, თბილისი.

ჯოხონელიძე 2002 – ნ. ჯოხონელიძე, ჯავახურის ლექსიკიდან. – ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.

ჯოხონელიძე 2002 – ნ. ჯოხონელიძე, იაფ- ომონიმური ფუძის შესახებ ჯავახურში. – III სამეცნიერო კონფერენცია. ჯავახეთი და არტაანი. ისტორიისა და ონომასტიკის პრობლემები. ახალციხე.

ჯოხონელიძე 2002 – ნ. ჯოხონელიძე, ქეჯნის, შეაქანჯალებს, ქაჯეკალა სიტყვათა წარმომავლობისათვის ქართულში. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2003 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის (ბაბაყული, ბაიყუში, აბუეტი, ოლოლი). – XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2004 – ნ. ჯოხონელიძე, გუდა სიტყვის წარმომავლობისათვის. – XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2004 – ნ. ჯოხონელიძე, ქინძისთავის წარმომავლობისათვის. – 63-ე სამეცნიერო სესია (მასალები), თბილისი.

ჯოხონელიძე 2005 – ნ. ჯოხონელიძე, ძველ ქართულში დადასტურებული „მდოვრის" ომონიმური ცალების ისტორიისათვის. – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 64-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2005 – ნ. ჯოხონელიძე, ხირ- ფუძიან ზმნათა წარმომავლობისათვის. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბილისი.

ჯოხონელიძე 2005 – ნ. ჯოხონელიძე, ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი „ყმედის" ომონიმური ცალების ისტორიისათვის. – XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2006 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი სემანტიკური დიალექტიზმის ისტორიისათვის (არმანა, ჯეკმა, კარსე, ბუნი). – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVII, თბილისი.

ჯოხონელიძე 2006 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი სიტყვის სიტყვის ისტორიისათვის ქართულში (1. შარავი; 2. შამანი). – არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2006 – ნ. ჯოხონელიძე, ბორტვ – ფუძის ისტორიისათვის ქართულში. – XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი.

ჯოხონელიძე 2007 – ნ. ჯოხონელიძე, ნატიფ-სიტყვის ისტორიისათვის. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი.

ჯოხონელიძე 2007 – ნ. ჯოხონელიძე, საფუხარ-სიტყვის წარმომავლობისათვის. – საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, თბილისი.

ჯოხონელიძე 2008 – ნ. ჯოხონელიძე, ყაფის მთის წარმომავლობისათვის. – საენათმეცნიერო ძიებანი, XXVII, თბილისი.

ჯოხონელიძე 2008 – ნ. ჯოხონელიძე, მარაგ-სიტყვის ისტორიისათვის. – არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჯოხონელიძე 2008 – ნ. ჯოხონელიძე, ფუტკ-ფუნკ-ფუძეთა წარმომავლობისათვის. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XIX, თბილისი.

ჯოხონელიძე 2010 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი სიტყვის ისტორიისათვის 1. ნაზუქი; 2. ნატიფი. – საენათმეცნიერო ძიებანი, XXXI, თბილისი.

ჯოხონელიძე 2010 – ნ. ჯოხონელიძე, კაკაბ-სიტყვის ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში. – XXX რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2010 – ნ. ჯოხონელიძე, ქარ-სიტყვის შემცველი ავადმყოფობის აღმნიშვნელი კომპოზიტებისა და სინტაგმების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში. – სამეცნიერო კონფერენცია ეთნოლინგვისტური საკითხავები II ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური კვლევის ასპექტები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2011 – ნ. ჯოხონელიძე, შუშუტ-სიტყვის ომონიმური ცალების ისტორიისათვის ქართული ენის დიალექტებში – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXII, თბილისი.

ჯოხონელიძე 2012 – ნ. ჯოხონელიძე, ჟამ-ფუძიანი ომონიმური სიტყვების წარმომავლობისათვის ქართულში. 1. ჟამი1. დრო, ხანი; საათი, ჟამი; 2. შავი ჭირი. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინსტიტ. 71-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჯოხონელიძე 2012 – ნ. ჯოხონელიძე, ნუშ-სიტყვის ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის ნუში: 1. ნუში (ხე): 2. „ყველი", კვერეული. 3. ნუში ნავი. – XII სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2012 – ნ. ჯოხონელიძე, კერტ-სიტყვის ომონიმური ცალების ისტორიისათვის 1. ყურძნის მტევნის ღერო; 2. ბუბუს თავი. – გორის სასწავლო უნივერსიტეტი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმ. ინსტიტუტი. პროფ. გენადი ბურჯულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი, სამეცნიერო კონფერენცია (სამეციერო კონფერენციის მასალები) გამომცემლობა „საარი".

ჯოხონელიძე 2013 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი ზარ-ფუძიანი ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის. – XXXIII რესპ. დიალექტ. სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2013 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი ძველი ნასესხები სამედიცინო ტერმინის ისტორიისათვის. – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათ. ინსტიტ. კონფერენცია, ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე, თბილისი.

ჯოხონელიძე 2013 – ნ. ჯოხონელიძე, თორნ-თორ-ფუძიანი ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის ქართულში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები XXXIV, თბილისი.

ჯოხონელიძე 2013 – ნ. ჯოხონელიძე, ავან-ავანგ ფუძეთა ომონიმური ცალების ისტორიისათვის. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათ. ინსტიტუტის 72-ე სამეცნიერო სესია, მასალები 2013 წლის 24-26 დეკემბერი, თბილისი.

ჯოხონელიძე 2013 – ნ. ჯოხონელიძე, როჭიკისა და როქის ომონიმური ცალების ისტორიისათვის. – საენათმეცნიერო ძიებანი XXXV, თბილისი.

ჯოხონელიძე 2014 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი ძველი ნასესხები სამედიცინო ტერმინის ისტორიისათვის ტერმინოლოგიის საკთხები, I, თბილისი.

ჯოხონელიძე 2015 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი ძველი აღმოსავლური წარმოების ქსოვილის სახელწოდებისათვის ქართულში, ონომასტიკური კრებული, ახალციხე.

ჯოხონელიძე 2016 – ნ. ჯოხონელიძე, ძველქართულისეული ზოგი სახელური ომონიმის ისტორიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIII, თბილისი.

ჯოხონელიძე 2016 – ნ. ჯოხონელიძე, ზარ- ფუძიანი ომონიმური ცალების ისტორიისათვის ქართულში. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXVII, 2016 წლის 19-22 აპრილი, მასალები, თბილისი.

ჯოხონელიძე 2016 – ნ. ჯოხონელიძე, ზოგი საკუთრივ დიალექტური ომონიმიის ისტორიისათვის ჩვენებურების ქართულში. – IV საერთაშორისო კონფერენცი ტაო-კლარჯეთი, მოხსენებათა თეზისები, სექტემბერი 21-24, თბილისი.

ჭოხონელიძე 2016 – ნ. ჭოხონელიძე, „ტყუილის“ მნიშვნელობის სინონიმური სიტყვები და წყვილები „ვეფხისტყაოსანში“. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათ. ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესია, ეძღვნება ინსტიტუტის 75 წლისთავს, თბილისი.

ჭოხონელიძე 2017 – ნ. ჭოხონელიძე, ღვინის გემოს აღმნიშვნელი ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულში. – არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXVIII, თბილისი.

ჭოხონელიძე 2017 – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი ქსოვილის სახელწოდების ისტორიისათვის. – ონომასტიკური კრებული, ახალციხე.

ჭოხონელიძე 2017 – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი სასოფლო-სამეურნეო ტრანსპორტისა და საგნის აღმნიშვნელი ხალხური სახელების წარმომავლობისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი.

ჭოხონელიძე 2017 – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი ომონიმის ისტორია ქართულში დიალექტების მონაცემების მიხედვით, დიალექტოლოგიური კრებული, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჭოხონელიძე 2018 – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი ომონიმის ისტორია (1. ლელი; 2. მროწეული; 3. ნარი; 5. ნარდი; 6. ნუში; 7. სანდალი). – ეტიმოლოგიური ძიებანი, XV, თბილისი.

ჭოხონელიძე 2018 – ნ. ჭოხონელიძე, ზოგი ომონიმის (1. ზანდუკი; 2. დოლაბი; 3. აკუმი) ისტორიისათვის. – XXXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჭოხონელიძე 2018 – ნ. ჭოხონელიძე, სახელურ ომონიმთა ისტორია ქართულში, თბილისი.

ჭოხონელიძე 2019 – ნ. ჭოხონელიძე, უფუარი პურის სახელები ქართული სამწერლო ენისა და დიალექტების მიხედვით. – ეტიმოლოგიური ძიებანი XVI, თბილისი.

ჭოხონელიძე 2019 – ნ. ჭოხონელიძე, „კატის [felis] და კნუტის“ აღმნიშვნელი სინონიმური სიტყვები ქართულ ენაში. XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჭოხონელიძე 2020 – ნ. ჭოხონელიძე, „კვანჩხა“, „კვანჩხი“, „კონჩხო“ სიტყვების წარმომავლობისათვის. – ჩიქობავას საკითხავები XXXI, მასალები, თბილისი.

ჭუმბურიძე 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბილისი.

ჭუმბურიძე 1992 – ზ. ჭუმბურიძე, მცდარი ეტიმოლოგიური ძიებანი. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი.

ჭუმბურიძე 2002 – ზ. ჭუმბურიძე, „მრევლის ეტიმოლოგიისათვის“, კრებული: შოთა ძიძიგური, 90, თსუ, თბილისი.

ჭყონია 1955 – ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ, მეცნ. აკად. თბილისი.

ხაზარაძე 1988 – ნ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თბილისი.

ხახიაშვილი 2015 – ნ. ხახიაშვილი, ყურს- სიტყვის სემანტიკისათვის. – XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ხოკ- ლექსიკური ძირისათვის მცენარეთა ქართველურ სახელებში. – XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2018 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი მცენარე ჩალამძივას (L. Coix lacruma) აჭარული სახელების მოტივაციისა და ღაჭლექსიკური ძირის სემანტიკისთვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2019 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, რომელი მცენარის სახელი უნდა ყოფილიყო ჭყორი? (ახალი დიალექტური მასალის მიხედვით). – XXXIX რესპ. დიალექტ. სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ხუბუა 1946 – მ. ხუბუა, სპარსულიდან ნასესხები სიტყვების შეკვეცა ქართულში. – საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 7/3, თბილისი.

ხუბუა 1954 – მ. ხუბუა, ოთხთავის სპარსული ხელნაწერები XVII-XVIII სს. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, შრომები V, თბილისი.

ჯავახიშვილი – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, 1979; ტ. V, 1986; ტ. VI, 1982; ტ. VII, 1984; ტ. X, 1992, თბილისი.

ჯავახიშვილი 1930 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1934 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბილისი.

ჯავახიშვილი 1946 – ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი.

ჯავახიშვილი 1950 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი.

ჯავახიშვილი 1962 – ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III. ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე; IV. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე. დასაბეჭდად მომზადა ივ. ჯავახიშვილი სახელობის კაბინეტმა, თბილისი.

ჯავახიშვილი 1965 – ივ. ჯავახიშვლი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.

ჯავახიშვილი 1992 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტ. X, თბილისი.

ჯავახიშვილი 1990 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი.

ჯალაბაძე 1967 – გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თუშეთში, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი.

ჯანაშვილი 1977 – არჩ. ჯანაშვილი, მითოლოგიური სახელწოდებანი ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში, თბილისი.

ჯანაშია 1952 – ს. ჯანაშია, შრომები, II, თბილისი.

ჯანგავაძე 2015 – ხ. ჯანგავაძე ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი. სადოქტორო პროგრამა: ქართველური ენათმეცნიერება, სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ტარიელ ფუტკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი (ელექტრ.).

ჯეირანიშვილი 1971 – ე. ჯეირანიშვილი, უდიური ენა. გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი. თბილისი,

ჯეირანაშვილი 1967 – ე. ჯეირანაშვილი, უდური თუ უდიური? – ორიონი, აკაკი შანიძეს, თბილისი.

ჯიქია 1944 – ს. ჯიქია, „ლაზუტ" სიტყვის წარმოშობისათვის. – სმამ, V, №2, თბილისი.

ჯიქია 1954 – ს. ჯიქია, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი. – საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, შრომები V, თბილისი.

ჯიქია 1966 – ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან. – საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნ. ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III, თბილისი.

ჯიქია 1975 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, 4 თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. – თსუ შრომები ენათმეცნიერება, ტ. 164, თბილისი.

ჯიქია 1984 – ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე. მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

ჯორბენაძე 1997 – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი.

ჯორბენაძე 1998 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბილისი.

ენათა და დიალექტთა შემოკლებანი

ავღან. – ავღანური
აზერ. – აზერბაიჯანული
ალან. – ალანური
ალგ. ქართლ. – ალგეთის ხეობის ქართლური
ანთროპ. – ანთროპონიმი
არ. – არიული
არაბ. – არაბული
არაბ.-სპარ. – არაბულ-სპარსული
არამ. – არამეული
ასურ. – ასურული
აფხაზ. – აფხაზური
აქად. – აქადური
აღმ. – აღმოსავლური
აჭარ. – აჭარული
ახ. სპარს. – ახალი სპარსული
ახ. ქართ. – ახალი ქართული
ბაცბ. – ბაცბური (წოვათუშური) ენა
ბერძ. – ბერძნული ენა
ბზ. – სვანური ენის ბალსზემოური დიალექტი
გ.-კახ. – გარეკახური
გუდ. – გუდამაყრული
გურ. – გურული
დან. – დანიური
ებრ. – ებრაული ენა
ერწ.-თიან. – ერწო – თიანეთი
ზან. – ზანური ენა
ზ.-აჭარ. – ზემოაჭარული
ზ.-იმერ. – იმერული დიალექტის ზემოიმერული კილოკავი
ინდ. – ირან. – ინდო – ირანული
ზ.-რაჭ. – ზემორაჭული
თათრ. – თათრული
თიან. – თიანური.
თურქ. – თურქული ენა
თუშ. – თუშური
იმერ. – იმერული
იმერხ. – იმერხეული
ინგ. – ინგილოური
ინგლ. – ინგლისური
ინდ. – ინდური
ინდ. – ევრ. – ინდო – ევროპული
ირან. – ირანული ენა
იტალ. – იტალიური
კახ. – კახური
კლარჯ. – კლარჯული
ლაზ. – ლაზური
ლათ. – ლათინური ენა
ლაშხ. – სვანური ენის ლაშხური დიალექტი
ლექსიკ. – ლექსიკონი
ლეჩხ. – ლეჩხუმური
მეგრ. – მეგრული
მესხ. – მესხური
მთ. – მთიულური
მთ.-რაჭ. – რაჭულის მთარაჭულის კილოკავი
მიდ. – მიდიური
მონღ. – მონღოლური
მონღ.-თურქ. – მონღოლურ-თურქული
მოხ. – მოხეური
ნახ. – ნახური ენები
ნიგ. – ნიგალური
ოკრიბ. – ოკრიბული
ოს. – ოსური ენა
ოსმ. – ოსმალური
პართ. – პართული
რაცხ. გურ. – რაცხანაირ – გურული
რაჭ. – რაჭული
რუს. – რუსული
ს.-ნახ. – საერთო-ნახური

ს.-სინდ. – საერთო-სინდური
სამც.-ჯავახ. – სამცხე-ჯავახეთი
სინდ. – აფხაზურ-ადიღური ენები
საშ. ლათ. – საშუალო ლათინური
ს.-ქართვ. – საერთო-ქართველური ენები
საშ. სპარს. – საშუალო სპარსული
საშ. ქართ. – საშუალო ქართული
საჩიწ. – ქართ. – იმერული დიალექტის ქვემოიმერული კილოს ერთი სოფლის მეტყველება
სვან. – სვანური ენა
სირ. – სირიული
სლავ. – სლავური
სომხ. – სომხური
სოღდ. – სოღდური
სპარს. – სპარსული ენა
ტაო. – ტაოური
უდ. – უდიური ენა
ფალ. – ფალაური
ფარს. – ფარსი
ფერეიდ. – ფერეიდნული
ფრანგ. – ფრანგული
ფშ. – ფშაური
ქართ. – ქართული
ქართლ. – ქართლური
ქვ.-აჭარ. – აჭარული დიალექტის ქვემოაჭარული კილოკავი
ქვ.-იმერ. – იმერული დიალექტის ქვემომერული მეტყველება
ქიზიყ. – ქიზიყური
ქისტ. – ქისტური
ქსნ. ქართლ. – ქართული ენის ქსნის ხეობის მეტყველება
ქურთ. – ქურთული
ყაბარდ. – ყაბარდოული
ყარაჩ. – ყარაჩაული
შავშ. – შავშური
შუმერ. – შუმერული
ჩეჩნ. – ჩეჩნური
ძვ. ებრ. – ძველი ებრაული
ძვ. ირან. – ძველი ირანული
ძვ. სპარს. – ძველი სპარსული
ძვ. ქართ. – ძველი ქართული
წოვ.-თუშ. – წოვა-თუშური
ჭან. – ჭანური
ხეთ. – ხეთური
ხევს. – ხევსურული
ჯავახ. – ჯავახური
ჰოლანდ. – ჰოლანდიური

სახელთა და გვართა შემოკლებანი

ილ. აბულ. – ილია აბულაძე
იუსტ. აბულ. – იუსტინე აბულაძე
ლ. ასათ. – ლილი ასათიანი
დ. ბაგრატ. – დავით ბაგრატიონი
თ. ბაგრატ. – თეიმურაზ ბაგრატიონი
ვ. ბერ. – ვუკოლ ბერიძე
ლ. ბრეგ. – ლევან ბრეგაძე
ბ. გაბ. – ბესარიონ გაბაური
ე. გარაყ. – ედიშერ გარაყანიძე
ლ. გელენ. – ლატავრა გელენიძე
გ. გვანც. – გვანცა გვანცელაძე
ბ. გიგინ. – ბაქარ გიგინეიშვილი
გ. გოგატ. – გუბაზ გოგატიშვილი
ი. გრიშ. – იოსებ გრიშაშვილი
კ. დან. – კორნელი დანელია

ელ. დოჩ. – ელენე დოჩანაშვილი
ალ. ელერდ. – ალექსანდრე ელერდაშვილი
გ. ელ. – გივი ელიავა
ფ. ერთელ. – ფ. ერთელიშვილი
რ. ერისთ. – რაფიელ ერისთავი
ვაჟა – ვაჟა-ფშაველა
ა. თანდ. – ალი თანდილავა
ს. თეზ. – სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი
ვ. თოფ. – ვარლამ თოფურია
ი. იმედ. – იოსებ იმედაშვილი
ივ. იმნ. – ივანე იმნაიშვილი
კირიონი – კირიონი (გიორგი სამაგლიშვილი)
ლ. ლეონ. – ლევან ლეონიძე
ალ. მაყ. – ალექსანდრე მაყაშვილი
ზ. მაყ. – ზურაბ მაყაშვილი
მ. მაჭავ. – მუხრან მაჭავარიანი
ე. ოს. – ეკ.ოსიძე
ალ. ოჩ. – ალექსი ოჩიაური
ს. ჟღ. – სერგი ჟღენტი
მ. რობაქ. – მ. რობაქიძე
საბა – სულხან-საბა ორბელიანი
ზ. სარჯ. – ზურაბ სარჯველაძე
თ. სახოკ. – თედო სახოკია
ა. სიხ. – ავთანდილ სიხარულიძე
პ. უმიკ. – პეტრე უმიკაშვილი
მ. ქალდ. – მაქსიმე ქალდანი
ო. ქაჯ. – ოთარ ქაჯაია
ი. ქერქ. – ირინე ქერქაძე
ივ. ქეშიკ. – ივ. ქეშიკაშვილი
რ. ღამბ. – რ. ღამბაშიძე
ალ. ღლ. – ალექსანდრე ღლონტი
ა. შან. – ა. შანიძე
გ. შატბ. – გიორგი შატბერაშვილი
დ. ჩუბ. – დავით ჩუბინაშვილი
ნ. ჩუბ. – ნიკო ჩუბინაშვილი
შ. ძიძიგ. – შოთა ძიძიგური
მ. ჭაბ. – მიხეილ ჭაბაშვილი
ალ. ჭინჭ. – ალექსი ჭინჭარაული
ზ. ჭუმბ. – ზურაბ ჭუმბურიძე
ი. ჭყონ. – ილია ჭყონია
გ. ხორნ. – გ. ხორნაული
მ. ჯან. – მოსე ჯანაშვილი

სხვადასხვა შემოკლებანი

აგდებ. – აგდებით
ავიაც. – ავიაცია
ალერს. – საალერსო მნიშვნელობა
ანატ. – ანატომია
ანთროპ. – ანთროპონიმი
არითმ. – არითმეტიკა
არს. – არსებითი სახელი
არქ. – არქაული
არქეოლ. – არქეოლოგია, არქეოლოგიური
არქიტ. – არქიტექტურა
ასტრ. – ასტრონომია
აღმ. – აღმოსავლური
ახ. – ახალი
ბავშ. – საბავშვო, ბავშვური
ბალ. – ბალახი
ბარბარ. – ბარბარიზმი
ბიბლ. – ბიბლიური
ბოტან. – ბოტანიკა, ბოტანიკური
ბრძან. – ბრძანებითი კილო
გადატ. – გადატანით, გადატანითი
გენეტ. – გენეტიკა, გენეტიკური

გეოლ. – გეოლოგიური
გეოგრ. – გეოგრაფიული
გრამატ. – გრამატიკა, გრამატიკული
და სხვ. – და სხვა
დარგ. – დარგობრივი
და მისთ. – და მისთანა
დიალექტ. – დიალექტი
ე. წ. – ეგრეთ წოდებული
ევფემ. – ევფემიზმი
ეთნ. – ეთნოგრაფიული
ეკლ. – ეკლესიური
ეკონ. – ეკონომიკა
ელიფს. – ელიფსი
ენტომ. – ენტომოლოგიური
ვულგ. – ვულგარული
ზედ. – ზედსართავი სახელი
ზიზღ. – ზიზღი
ზმნზ. – ზმნიზედა
ზმნს. – ზმნისართი
ზოოლ. – ზოოლოგია
ზღაპ. – ზღაპარი
ზღვ. – საზღვაო
თავდაპირვ. – თავდაპირველი
თარგმ. – თარგმანი
თევზ. – თევზი
ინდ. – ინდივიდუალური
ისტ. – ისტორიული
იხ. – იხილე
კალკ. – კალკი
კარაბად. – კარაბადინი
კნინ. – კნინობითი
კუბ. – კუბური
კულინ. – კულინარია, კულინარიული
კუთხ. – კუთხური
ლანძღ. – ლანძღვა
ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური
ლიტ. – ლიტერატურული
ლოგ. – ლოგიკური
მაგ. – მაგალითად
მათემ. – მათემატიკა, მათემატიკური
მედიც. – მედიცინა
მეტალ. – მეტალურგია, მეტალურგიული
მეტაფ. – მეტაფორა
მთ.-მადნ. – მთა-მადნეული
მითოლ. – მითოლოგია
მიმღ. – მიმღეობა
მინერ. – მინერალი, მინერალოგია
მწიშვ. – მნიშვნელობა
მოფერ. – მოფერებით ნათქვამი
მრ. – მრავლობითი რიცხვი
მსაზღვ. – მსაზღვრელი
მუს. – მუსიკა
მშენ. – მშენებლობა
მცენ. – მცენარე
მხ. – მხოლოობითი რიცხვი
მხატვ. – მხატვრული
ნ. – ნახე
ნაწ. – ნაწილაკი
ნეოლოგ. – ნეოლოგიზმი
ოფიც. – ოფიციალური
პალეოგრ. – პალეოგრაფია
პოეტ. – პოეტიკა, პოეტიკური, პოეტური სტილი
პოლიგრ. – პოლიგრაფია
პოლიტ. – პოლიტიკური
ჟარგ. – ჟარგონი
რელიგ. – რელიგიური
რევოლუც. – რევოლუციური
საკუთ. სახ. – საკუთარი სახელი
სამართ. – სამართალი
სამშ. – სამშენებლო
სამხ. – სამხედრო
საპირისპ. – საპირისპირო მნიშვნელობა

საუბ. – სასაუბრო, საუბრული სტილი
საშ. – საშუალო, საშუალი საუკუნეები
სიმღ. – სიმღერა
სინონ. – სინონიმი
სიტყვ. მას. – სიტყვის მასალა
სკოლ. – სკოლა
სოფ.-მეურნ. – სოფლის მეურნეობა
სპეც. – სპეციალური
სპორტ. – სპორტი
ს.ს. – საუკუნეები
სტამბ. – სტამბური
სტილ. – სტილისტიკური
სქ. – სქოლიო
ტერმ. – ტერმინი
ტექ. – ტექნიკური
უარყ. – უარყოფითი
უმართებ. – უმართებულო
უპატივც. – უპატივცემულო
უცხ. – უცხოური
ფარმაკ. – ფარმაკოლოგია
ფეიქრ. – საფეიქრო
ფიგურ. – ფიგურალური გამოთქმა
ფიზიკ. – ფიზიკური.
ფილოს. – ფილოსოფიური
ფინანს. – საფინანსო, ფინანსები
ფონეტ. – ფონეტიკური
ფრინვ. – ფრინველი
ფსიქ. – ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური
ქალაქ. – ქალაქური
ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქვ. – ქვემოდან, ქვევიდან
ქიმ. – ქიმია
ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
შდრ. – შეადარე
შემოკლ. – შემოკლებით, შემოკლებული
შორისდ. – შორისდებული
ცრუმორწმ. – ცრუმორწმუნეობა
ცრურწმ. – ცრურწმენა
ძვ. – ძველი მნიშვნელობა
ძვ. წ. – ძველი წელთაღრიცხვით
წ. – წინარე
წიგნ. – წიგნური
წყევ. – წყევლა
ხალხ. – ხალხური
ხელოვნ. – ხელოვნური
ხმაბაძვ. – ხმაბაძვითი

დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა შემოკლებანი

ად. – ადაფაზარი
ატ. – ატენი
ახალშ. – ახალშენი
ბ. – ბორჩხა
ბაზ. – ბაზალეთი
ბაზგ. – ბაზგირეთი
ბახ. – ბახჩაყაი
ბებნ. – ბებნისი
ბიწმ. – ბიწმენდი
ბროწლ. – ბროწლეთი
გარიყ. – გარიყულა
გოლთ. – გოლთეთი
გოლ./გოლათუბ. – გოლათუბანი
გრაკ. – გრაკალი

დ. თონ. – დიდი თონეთი
დაშქ. – დაშქესანა
დვალ. – დვალთა
დის. – დისევი
ედ. – ედებეი
ერთაწმ. – ერთაწმინდა
ერკ. – ერკეთი
ზ. – ზიოსი
ზ. ხანდ. – ზემო ხანდაკი
ზენ. – ზენაგარა
თ. ქ. – თუფექჩი ქონაქი
თბილ. – თბილისი
თონ. – თონეთი
იგ. – იგოეთი კასპის რ.
იკ. – იკოთი
კავთ. – კავთისხევი
კარ. – კარბი
კარალ. – კარალეთი
ლიხ. – ლიხაური
მ. – მურღული
მან. – მანატბა
მარაბ. – მარაბდა
მარტყ. – მარტყოფი
მაწ. – მაწევანი
მაჭ. – მაჭახლური
მეზ. – მეზითი
მერ. – მერეთი
მეჯვრ. – მეჯვრისხევი
მჭად. – მჭადიჯვარი
ნიოლ. – ნიოლეთი
ნოს. – ნოსტე
ობ. – ობისი
საგურ. – საგურამო
სამთ. – სამთავისი
საღ. – საღოლაშენი
სტ. – სტამბოლი
ტბ. – ტბისი (კაკაანთ სოფელი)
ტირძ. – ტირძნისი
ტყვ. – ტყვიავი
უ. – უბე
უსტ. – უსტამისი
ფარცხ. – ფარცხისი
ქართ. – ქართლა
ქვ. ჭ. – ქვემო ჭალა
ქვიშხ. – ქვიშხეთი
ქობ. – ქობაგი (ქუაბაგი)
ქორ. – ქორდი
ღოლოვ. – ღოლოვანი
შემ. – შემოქმედი
ჩაქ. – ჩაქველთა
ჩიქ. – ჩიქუნეთი
ჩევრ. – ჩევრელი
ჩუმათ. – ჩუმათელეთი
ჩხ. – ჩხიკვთა
ცხრამ. – ცხრამუხა
ძეგ. – ძეგვი
წეთ. – წეთილეთი
წვ. – წვერი
წილკ. – წილკანი
ხაშ. – ხაშური
ხევწ. – ხევწრული || ხევწვრილი
ხოვ. – ხოვლე
ხოხ. – ხოხლევი
ხ. ფ. – ხასან ფაშა
ხც. – ხცისი
ჯორჯ. – ჯორჯიაშვილი (ყოფ. დიდი ენაგეთი)
ჯუმ. – ჯუმათი
ჰ. – ჰაირიე

ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა საძიებელი

ა

აბ-ი 9
აბაკ-ი 9
აბაჟურ-ი 9
აბი || აბე 9
აბეჩხარ-ი 10
აბეჩხარი || აბეკარი 10
აბზინდა 10
აბზინტა 10
აბზინტი/ა 10
აბლაბუდა 10
აბლაყ-ი 11
აბოღოზება 106
აბურ-ი 12
ადა 12
ადის მოწყვეტა 12
ავარა 13
ავარათ არონია 13
ავარიულ-ი 13
ავაჯ-ი 13
ავაჯა 14
ავაჯმრავალი 13
ავშარა 40
აზლაკ-ი 14
აზრ-ი 14
ათეგრება 252
აი (ჰაი) გიდი! 151
აიარ-ი 15
აიაღებს 270
აითეგრების 252
აიკრინტების 369
აირ-ი 15
აირ-ი || აირუმ 15
აკარა 16
აკო 16
აკრა 16
აკრინტვა 369
ალაბალა 16
ალაბლობა 16
ალაბულა17
ალაფა 17
ალაყაფ-ი 17
ალაყაფის კარები 17
ალაშა 18
ალაჯა 18
ალერს-ი 18
ალერსა 19
ალერსის გადახდა 19
ალიან-ი 19
ალიყურ-ი 19
ალიყურს აჭმევს 19
ალმათი 23
ალმურ-ი 20
ალმური 20
ალურ-ი 21
ალფა 21
ალფა ბალახი 21
ალქ-ი 21
ალქი || ალქა || ალქე 21
ალყ-ი 21
ალხანა 21
ამ წიწკანას 842
ამავალ-ი 22
ამარტ-ი 23
ამარტის ველი 23
ამლათ-ი 23
ამოინიჟებს 511
ამრეშილ-ი 24
ამუალი 22
ამფიონ-ი 24
ამშარა 40
ანაჯ-ი 24
ანდე 24
ანდეზე მასვლა 25
ანკარა 25
ანკარა გველი 25
ანკარაწყლიანი 25
ანჩხლ-ი 26
ანჩხლა 26
ანძალ-ი 26
ანძალა 26
ანძალზე აცმული 26
ანჯაღი 27
ანჯახ-ი 27
ანჯაკი 27
ანჯაკზე დგას 27
აპელაცია 27
აპწკა 28
აპწკაგაწყვეტილი 28
აჟურ-ი 28
არა 28
არავ-ი 29
არამაქოს პური 449
არარა 29
არგო 29
არემარე 30
არია 30
არკ-ი 30
არმან-ი 30
არმანა 30
არმარი 30
არმულ-ი 31
არმური, არმული, ალმური 31
არმუროვანი 20
არტ-ი 31
არფა 32
არყ-ი 32
არყიან-ი 32
არწივ-ი 33
არწივა 34

არწივები 33
არწივიანი ყისირი 33
არწივის ხე 33
არხა 34
არხაჯები 34
არხის აღება 34
ასაყალო 34
ასახკალუა 34
ასაჰყალო 34
ასეულ-ი 35
ასმა 35
ასმა ბუხარაი 35
ასმა ხახ 35
ასო 36
არტამი 37
ასხ-ი 37
ატამ-ი 37
ატამ-საკეცური 38
ატოლ-ი 38
აფალ-ი 38
აფალა 38
აფთარ-ი 39
აფშარა 39
აღ-ი 40
აღე 40
აღება 40
აღებადღე 40
აღებღამე 40
აღსაყალო 34
აღსახკალი 34
აღუჩა 40
აყარ-ი 41
აყვირება 41
აყვირებულ-ი 42
აშარულ-ი 42
აშიკ-ი 42
აშიყი 42
აშტამი 38
აშურა 43
აშუღ-ი 43
აჩმა 43
აჩუა 43
აჭა 44
აჭე 44
აჭუჭუნებს 890
ახტა 44
ახულება 44
აჯათ-ი 45
აჯათი || ჰაჯათი 45
აჯლა 45
აჰჩოლება 933
აჰჩოლებული 933

ბ

ბაბა 46
ბაბილო 47
ბაბლაწო 54
ბაბლ-ი 47
ბაბლი, ბაბლები 47
ბაბოი 46
ბაბღან-ი 48
ბაგა 48
ბაგბაგ-ი 49
ბაგვ-ი 50
ბადუნა 52
ბავლ-ი 50
ბაზალა 50
ბაზმაკალმასი 299
ბაზმალა 50
ბაზო 50
ბათალ-ი 51
ბათალი ადგილი 51
ბათალი, ბაითალი, ბეითალი 51
ბაითალ-ი 51
ბაითალმანი 51
ბაინდურა 52
ბაირ-ი 52
ბაკაკებ-ი 52
ბაკაკებ-ი, ბაკიკია-ი 52
ბაკალ-ი 52
ბაკუჩა 69
ბალა 52
ბალა, ბალია 52
ბალადურ-ი 53
ბალალა 65
ბალან-ი 53
ბალან- კურტანი 54
ბალანი აეშლება 53
ბალარჯ-ი 54
ბალარჯობა 54
ბალბაწუა, ბალბაწო 54
ბალდახ-ი 54
ბალდუმ-ი 55
ბალთა 55
ბალთვა 55
ბალით-ი, ბათილ-ი 55
ბალითიანი 55
ბალინჯ-ი 56
ბალულა 63
ბალუნა 63
ბალღ-ი 56
ბალღინჯო 57
ბალღუნჭ 57
ბალყუმ-ი 57
ბანალ-ი 57
ბანდურა 58
ბანდღ-ი 58
ბანტ-ი 58
ბანძღ-ი 59
ბაო 59
ბაჟა 59
ბაჟა წვენი 59
ბარამბო 60
ბარანბო 60
ბარან-ი 60
ბარბაცა 61
ბარდღალა 61
ბარელ-ი 61
ბართ-ი 62
ბარობა 62
ბარულ-ი 62

ბარულა 63
ბარული დღიური 62
ბარულ[ი] ქერი 62
ბარული ყანა 62
ბარქაზ-ი 64
ბარხანა 64
ბას-ი 64
ბასკ-ი 64
ბასკი, ბასკა 64
ბასტ-ი 65
ბასტი კალაი 65
ბასტურმა 65
ბატ-ი 66
ბაქან-ი 67
ბაღდავან-ი 67
ბაყალ-ი 67
ბაყაყ-ი 68
ბაყვ-ი 68
ბაშმაკ-ი 69
ბაშტ-ი 69
ბაშტიანი 69
ბაჩა 69
ბაჩაკ-ი 69
ბაჩანა 69
ბაჩაჩა 69
ბაცაცა 70
ბაჭაჭყ-ი 70
ბაჭაჭყანა 70
ბაჭაჭყები, ბაჭყალა, ბაჭყია 70
ბახ-ი 71
ბახტ-ი 71
ბახტიანი 71
ბაჯ-ი 71
ბაჯა 72
ბდუ 72
ბდგო, ბდგუ 72
ბდღვერ-ი 72
ბდღვირი 72
ბე 73
ბე, ბეჰ 73
ბე-ი 73
ბეის გაცვლა 73
ბებერა 74
ბებერა სოკო 74
ბებერა ჭია 74
ბებერაის ქსელა 74
ბებერას ბუდე 74
ბებერუა 74
ბედენ-ი 75
ბედვა 75
ბეზ-ი 75
ბეზირგან-ი 76
ბეკ-ი 76
ბელ-ი 77
ბელა 77
ბელეშ-ი 78
ბელიში, ბელიში 78
ბელეშა78
ბელეშა, ბერეშა 78
ბენდ-ი 79
ბენდი ბალახ 79
ბენჩ-ი 79
ბენჩ-ბუნჩი 79
ბენცხი 79
ბენძღ-ი 79
ბეჟანაი 208
ბერ-ი 80
ბერა 81
ბერა თითი 81
ბერქოხაი 81
ბერყენა 82
ბექ-ი 82
ბეღურა 83
ბეჭის ფთა 690
ბზარ-ი 83
ბზე 84
ბზუკ-ი 84
ბზუკი, ბზუკა, ბზუკე 85
ბიბილა 85
ბიბა 85
ბიბო 85
ბიგა || ბიგვა 86
ბიგი, ბიგალი, ბიგალე 86
ბიზ-ი 86
ბითუმი, ბითაო 87
ბითუმ-ი 86
ბითუმთავიანი 86
ბითუმი კლდე 86
ბითუმი ხორგო 86
ბილ-ი 87
ბილა 87
ბილა გააკეთა 88
ბილა-ბილა 88
ბილიკ-ი 88
ბიმბილ-ი 89
ბიმბილა, ბინბილო, ბიბილო 89
ბინა 89
ბინდ-ი 90
ბინიკ-ი 91
ბიძგ-ი 91
ბიძგვაი 91
ბლანდ-ი 92
ბლიკ-ი 92
ბლიკვ-ი 92
ბლიკვნა 92
ბლისტ-ი 93
ბლისტი, ბლისტნი 93
ბლუზ-ი 93
ბლუზა 93
ბობ-ი 93
ბობოლ-ი 94
ბობოლა 94
ბობრ-ი 95
ბოგა 95
ბოგა-ზვინი 95
ბოგა-სკა 95
ბოგანა 96
ბოგანო 96
ბოვრ-ი 96

ბოზანდარა 97
ბოინ-ი 97
ბოინო, ბუინა 98
ბოკვ-ი 98
ბოკო 98
ბოკო-ბოკო 98
ბოკოკინა 98
ბოკოკაი 98
ბოკოლა 99
ბოლ-ი 99
ბოლი-ბოლი99
ბოლის ლამფა 99
ბოლო არწივა 34
ბოლოლა 100
ბონ-ი 100
ბონა 101
ბონდ-ი 101
ბონდვი, ბონდი 101
ბონდო 101
ბორბალა 101
ბორბოხ-ი 102
ბორდო 103
ბორდოსფერი 103
ბორდოს ხსნარი 103
ბორდოხ-ი 103
ბორიალ-ი 103
ბორო 104
ბორხვენა 104
ბორჯღალ-ი 104
ბოს-ი 105
ბოტოტ-ი 105
ბოქს-ი 105
ბოღოზ-ი 106
ბოღოზიანი 106
ბოღოზქორი 106
ბოყ-ი 107
ბოყვ-ი 107
ბოყვი, ბაყვი 109
ბოყვა 109
ბოყვა ჭლაკვი 109
ბოყვმადგმული 108
ბოყო 109
ბოშ-ი 109
ბოშა 110
ბოში თამბაქო 109
ბოშუნა, ბოჩუნა 110
ბოშუნა, ბოვში, ბოფში, ბოქში 110
ბოჩ-ი 110
ბოც-ი 111
ბოცორ-ი 111
ბოცორი || ბოცვერი || ბოცქვერი 111
ბოძ-ი 112
ბოძება 112
ბოჭოლა 112
ბოჭოლა || ბუჭულა 112
ბოჭოლიკა 113
ბოხვ-ი 113
ბოხოხა 113
ბოჯგა 113
ბჟანტ-ი/ე 114
ბჟანტალი 114
ბჟანტობი 114
ბრაზიან-ი 114
ბრანძ-ი 115
ბრას-ი 115
ბრასვა 115
ბრბო 115
ბრეკი76
ბრეტ-ი 116
ბრემა 475
ბრუჟი 123
ბრუტ-ი 116
ბრუტიანი 116
ბრუტს ადენს 116
ბრწკალ-ი 116
ბუბერა 117
ბუბკა 117
ბუდარ-ი 117
ბუდნა 117
ბუდრუგანა 118
ბუდრუგანაობა 118
ბუდრუგანაობს 118
ბუდრუგუნა 118
ბუდრუგუნა მწერი 118
ბუერ-ი 119
ბუზან-ი 119
ბუზვანი 119
ბუზუნდარა 97
ბუზურ-ი 119
ბუზური, ბუზერი 119
ბუზურით გააგდო 119
ბუთუნ-ი 120
ბუილ-ი 120
ბულბულ-ი 120
ბულულა 120
ბუმბულ-ი 121
ბუმბულა 121
ბუნგ-ი 122
ბუნდ-ი 122
ბუნტ-ი 122
ბუჟ-ი 123
ბუჟუჟ-ი 123
ბუჟღ-ი 123
ბუჟღიანი 123
ბურა 124
ბურახიან-ი 124
ბურბულ-ი 124
ბურბურ-ი 125
ბურბურა 125
ბურდანი, ბურდანაი 125
ბურდანა 125
ბურდღა 126
ბურდღუნ-ი 126
ბურმა 126
ბურნა 127
ბურნაკ-ი 127
ბურნელ-ი 128
ბუსუნ-ი 128
ბუტკ-ი 128
ბუტკო 128

ბუტუნ-ი 129
ბუტურა 129
ბუქ-ი 129
ბუქნა 130
ბუღა 130
ბუღავაშლი 130
ბუყ-ი 131
ბუყი ქვა 131
ბუშ-ი 131
ბუშიან-ი 132
ბუც-ი 132
ბუწ-ი 132
ბუწკ-ი 133
ბუხ-ი 133
ბუხარა134
ბუხარა ფაფაყ 134
ბუხრის კამარა, ბუხრის კამერა 289
ბუჯაღ-ი 134
ბღალა 134
ბღარ-ი 134
ბღარტი || ბღაშტი || ბღაცი || ბჟღარტი || ბღორი 115
ბღვერი || ბღვირი 75
ბღვრიალ-ი 135
ბღვრიალა 135
ბლარწვი, ბლარწვი 829
ბღლანძი, ბღლანწი 829
ბღორ-ი, ბღუარი 135
ბწკარ-ი 136

გ

გა 137
გააკვირაებს 321
გააპილპილებს 530
გააპიპინებს 530
გაბა 137
გაბათლება 51
გაბათლებული 51
გაბახება 71
გაბიძგავს 91
გაბლიკული 92
გაბლისტვნა 93
გაბუჟება 123
გაბუქვაი 129
გაბუცება 132
გაგა 137
გაგანია 138
გაგანია დღე 138
გადაფთია 668
გავა 138
გაზელ-ი 139
გაზვაული 223
გათერძვა 254
გათვალბიზდების 86
გათვალბიზებული 86
გაიბლიკება 92
გაინიჟებს 511
გაიყინტრება 754
გაკვირავება 321
გაკვირაული 321
გაკრიახული 368
გალამბვა 392
გალამბული 392
გალაღება 404
გალაღებული 404
გალაღლაღევა 404
გალეშკვა 415
გამოლართხული 398
გამჭაყავი 944
გამხევება 489
განზოგება 231
განტიხვრა 620
განფუტყვა 683
გაპილპილებული 530
გაპიპინებული 530
გაპოწოლიკება 533
გარა 140
გარგალ-ი 140
გარგარ-ი 140
გარდა 141
გარეგნობა 141
გარეულ-ი 142
გარეწალი 223
გარეწანა 223
გარნა 142
გარჯა 142
გასადოყი 193
გატინტილება 640
გაურჯელა143
გაფათება 643
გაფსიტული 681
გაღრუნებული 737
გაყუმება 762
გაშხუნავს 781
გაცამცავს 813
გაწკაპებული 843
გაჭაყვა 944
გაჭაჭვა 860
გაჭიკებული 867
გაჯაყვა 944
გაჯინჯიხებული 948
გეზელ-ი 143
გეზელქორი 143
გეზელ || გეზელაყრ 144
გეზმა 144
გეიშა 144
გელ-ი 144
გელურ-ი 145
გემ-ი 145
გემა 145
გემრა 146
გენ-ი 146
გერ-ი 146
გერ მამაი 146
გერ ქალ 146
გეჯ-ი 148
გეჯა 148
გვარილი || გვარალი || გვარლი 162
გვაჯ-ი 148

გვირილა 149
გვრიტა 149
გზირ-ი 149
გზობა 150
გიდ-ი 150
გიდელ-ი 151
გიდელ-გიდელ 151
გილდ-ი 152
გინგლ-ი 152
გინგლი მატყლი 152
გირ-ი 152
გირა, გირაგი 153
გირაგ-ი 153
გლარჯა 153
გლარჯის მილი 153
გლახა 154
გლახაკი 154
გლიმ-ი 154
გლოვა 155
გლოვობა 155
გლოვი, გლუვი 155
გლუ, გლუ-ი 155
გლუვ-ი 155
გლუ, გლუვი 155
გოგო 156
გოგორა 156
გოგორობა 156
გოგრა 157
გოლიათ-ი 157
გომ-ი 158
გომორ-ი 159
გომს ამოუყორავს 158
გომურ-ი 159
გონგოლა 159
გონგორა 159
გონდოლა 160
გონდოლ-გონდოლა 160
გონიო 161
გონიოში გამოყვანა 161
გორ-ი 161
გორა 161
გორალ-ი 162
გორალა 162
გორახა 163
გორგოლა 163
გორდა 163
გორილა 164
გორხანა 165
გოჯ-ი 165
გოჯა 166
გოჯა ბალახი 166
გოჯიალა 166
გოჯილა 166
გოჯოლა 166
გრიფ-ი 166
გროტ-ი 167
გუგა 167
გუგულ-ი 168
გუგუმ-ი 168
გუგუმა 169
გუგუნ-ი 169
გუდუნა 169
გულ და/ჩა-უფოხვდებისს 678
გულა 170
გულანჯახი 27
გულბა 170
გულბანდ-ი 170
გულგულა 171
გულნინკი 842
გურგულა 172
გურგურა, გურგულა 171
გურგურ-ი 172

დ

დაბალთავს 55
დაბენძღებული79
დაბაღ-ი 173
დაბიძგება 92
დაბუჟება 123
დაბუშება 131
დადა 173
დაეგვაჯება 148
დავა 174
დავილ-ი 174
დავილი || დავლი || დაული 174
დავლურ-ი 174
დავლური ომი 174
დათვ-ი 175
დათვა 176
დათვა მსხალი 176
დათვა-ბოყვაი 176
დათუ 177
დათუა 177
დაია 177
დაზოღვა 233
დაიკუნჩხების 316
დაილახვრების 407
დაილიშხება 422
დაკაპანება 294
დაკაპიწება 296
დალა 177
დალაშტვა 416
დალაშტვრა 416
დალახტავს 408
დალეღვილი 414
დალიშხული 422
დამანიდება 438
დამაწაკებული 453
დამბურა 178
დამრეშებული 474
დანდალუკ-ი 179
დანიყებაი 511
დარე 179
დარეშავს 545
დასობა 180
დატატანება 614
დატუკვილი 628
დაფესოება 666

დაფეჭილი || დაფეჭული [ფული] 684
დაფნა || დაფნი 180
დაფუნჯვა 685
დაღაზღაზება 720
დაღაზღაზებული 720
დაღილავს 728
დაღილული 728
დაშლა 180
დაშლა-ფარი180
დაჩინჩება 795
დაჭვანგვა 885
დაჭიტამს || დაჭუტამს 875
დაჭუჭუნება 890
დაჭრჩოლვილი 933
დგარ-ი 181
დგარადგური 181
დედალოსი 182
დედალუბი 182
დედაჭუა 888
დედაჭუობს 888
დედოფალა 181
დევ-ი 182
დევობა 182
დელ-ი 183
დელა 183
დელია 183
დენ-ი 183
დენა 183
დენგ-ი 184
დენგრა 184
დენდ-ი 185
დენდი, დენდა, დანდა 185
დენთ-ი 185
დეჰა, დეჰან, დეია, დეიჰან 186
დვალ-ი 185
დვალება || დვალობა
დვრინ-ი 186
დღვრინი 186
დია 186
დიკა 187
დილა 188
დიშლა 188
დობილ-ი 189
დობირა 189
დოგმა 189
დოლმა 190
დომბურა || დომბური 190
დონ-ი 190
დონდოლო 191
დოჟ-ი 191
დოჟი || დუჟი 191
დოქ-ი 192
დოყ-ი 192
დოყი, დოყე, დოყო 193
დოყები სჭირს 192
დოყის ჩამომგდები 192
დოყო 193
დოყო-დოყო 193
დოხოკონ-ი 193
დუა 194
დუბარა 194
დუბარობა 194
დუგლუგ-ი 194
დუგუნ-ი 195
დუდ-ი 195
დუდიანი ფხალი 195
დუდკო 196
დუელ-ი 196
დუკატ-ი 196
დუნდულ-ი 197
დუნდულა 197
დურ-ი 197
დუტკო 197
დუყ-ი 198
დუყუ || დურყი 198
დუშაყი 198
დუხ-ი 199

ე

ეგვაჯები 148
ევან-ი 200
ელა 200
ენის ჭარტალი 858
ენის ჭევლი 863
ერთი წიწკელა 842
ერთი'ს' ასმით 36
ერთკაკა 280
ეროყია/ე 200
ერულ-ი 201
ერულაყრ 201
ესალაოთების 561
ეტ-ი 201
ექინ-ი 202
ექინი, ეჰანი || ეჰინე 202
ეხაფიფება 901

ვ

ვაება 203
ვაზ-ი 203
ვაკასა 204
ვარანგ-ი 204
ვარანგიანი დღე 204
ვარყა 205
ვარყა, ვარაყა 205
ვარხვ-ი 205
ვაც-ი 206
ვედა 206
ველის ღირღიტა 730
ველურ-ი 207
ვეჟან-ი 207
ვეჟანა 208
ვერაგულ-ი 208
ვერული 207
ვინტ-ი 208
ვირა 208
ვიშ-ი 209

ზ

ზად-ი 210
ზავ-ი 210
ზავიანი 211
ზაზუნ-ი 211
ზაზუნა 211
ზამ-ი 212
ზანკალ-ი 212
ზანტ-ი 212
ზანტი მიწა 212
ზანტი შეშა212
ზარდაგ-ი 213
ზარიან-ი 213
ზარმაც-ი 214
ზარნაშ-ი 214
ზარფ-ი 215
ზარფლი 215
ზაფრა 215
ზაქ-ი 216
ზე 216
ზე-ი/ჲ 216
ზეი, ზეჰ 218
ზეზელა 218
ზეთ-ი 219
ზენ-ი 219
ზენა 220
ზენა-ქარი 220
ზენაარ-ი 220
ზენარ-ი 221
ზერან-ი 221
ზეტ-ი 221
ზეფირ-ი 222
ზეწარ-ი 222
ზვავ-ი 223
ზიან-ი 224
ზიზილა 224
ზიზინ-ი 225
ზიმზიმ-ი 225
ზიმზიმა 226
ზიმზიმი გაუდის 225
ზინზილ, დაზინზილევაჲ 226
ზინზილ-ი 226
ზინზილა 226
ზიპ-ი 227
ზიპი/ე 227
ზირ-ი 227
ზირა 227
ზირაკი 227
ზისცვარი 216
ზისხა 227
ზმა 228
ზმნა 229
ზნე 229
ზნიან-ი 230
ზოგ-ი 230
ზოდ-ი 231
ზოლ-ი 232
ზორტ-ი 232
ზოღ-ი 233
ზუავ-ი 233
ზუზუნა 234
ზუთხ-ი 234
ზუკ-ი 235
ზუკი, ზუკია 235
ზუკიანი 235
ზუმპა 235
ზუმპა || ზუმბა 235
ზუფ-ი 235
ზუფა 235
ზღვა 236
ზღვარ-ი 237
ზღვე 237
ზღმურდლ-ი 237
ზღმურტლ-ი 237
ზღუა 238

თ

თა-ჲ 239
თაბალა 239
თაბალა, თამბალა 239
თავა 239
თავანკარად 25
თავდებ-ი 240
თავიზნე 230
თავიზნიანი 230
თავსართ-ი 240
თაია 241
თალარ-ი 241
თალაშ-ი 242
თალაში ქვა 242
თალიშ-ი 242
თალიში ხახვი 242
თალიშათ ყოფნა 242
თანგა 242
თანდურ-ი 243
თარ-ი 243
თარა 243
თარალ-ი 244
თარალალი 244
თარალიანი ქვა 244
თარაში 244
თარგ-ი 244
თარეშ-ი 244
თარო 245
თარს-ი 245
თარსინა 245
თასა 246
თაურ-ი 246
თაური || თავური 246
თაფლა 246
თაფლავაშა 247
თაფლა მსხალი 246
თაღ-ი 247
თაღარა 247
თახახ-ი 248
თახახიანი 248
თახთახ-ი 248
თახთახა 248
თახტა 249
თბე 249
თეგრი 252
თეზა 250
თეზა გუგრაჲ 250

თეზა სმინდ 250
თეზა ყრლ 250
თეთრი ქორი 712
თელ-ი 250
თელა 251
თელამუშ-ი 251
თელვა 251
თემელ-ი 252
თერგ-ი 252
თერეგ-ი 253
თერსი 246
თერსიანი 246
თერძ-ი 253
თერძვა 254
თერძული 254
თექა 254
თვალბიზი 86
თვალის ანდე 25
თვალკოკო 339
თია 254
თიბა 255
თიკ-ი 255
თიკან-ი 256
თიკვ-ი 256
თინთქელა 256
თირა ბარანი 60
თიქა 257
თიხთიხი 248
თოვლა 257
თოვლა თხა 257
თოთო 257
თოიჯ-ი 258
თოკ-ი 258
თოლ-ი 258
თოლია 259
თორიან-ი 259
თორნა 260
თოქმა 260
თოშ-ი 260
თოხ-ი 261
თოხი[ს]ტარა 612
თოხნა 261
თოჯა 261
თრაშ-ი 244
თრიაქ-ი 262
თრითინა 262
თრითინა მიწა 262
თუთა 263
თუთხუნ-ი 263
თუმან-ი 263
თურაჟ 264
თურაჯ-ი 264
თურაჯი, თურეჯი, დურაჯი 264
თურთქელ-ი 264
თურო 264
თურქულ-ი 265
თურშ-ი 265
თუღ-ი 266
თუშ 266
თუშ-ი 266
თუხტ-ი 267
თხლაფა 267
თხლაფაი, თხლაპაი 267

ი

იაგან-ი 268
იავარ-ი 268
იაზმა 268
იაზმის აკრეფა 269
იაზმის წყალი 269
იალ-ი 269
იალა 269
იალის თამაშობა 269
იამან-ი 269
იან-ი 270
იანის ნაალი 270
იაღ-ი 270
იახა 271
იბალარჯებს 54
იბრიშების 475
იდარე 271
იერ-ი 271
იერიშ-ი 272
ილაჯ-ი 272
იმლიკ-ი 272
ინი 273
ინა 273
ინდო 273
ინდოურ-ი 274
ინდურ-ი 274
ინთილა 275
ინთილა || იმთილა 275
ინჩ-ი 275
ინჩი || ენჩი 275
ინჩი-ბინჩი[ც] არ იცის 275
იოტა 276
იოტის წამი 276
იშხვარ-ი 277
იხშვარი 277

კ

კაბიწი 295
კადა 278
კადონ-ი 278
კავკავ-ი 278
კავკავი, კავკავის მთა 278
კავკავი ნაბად 278
კავშირ-ი 278
კაკა 279
კაკა-ი 280
კაკალ-ი 281
კაკალა 281
კაკანა 282
კაკანაი, კაკნიაი 282
კაკანას მატყლი 282
კაკანება 282
კაკაჩა 282

კაკაჩა ვაშლი 282
კაკია 283
კაკილა 283
კაკლიან-ი 283
კაკულა 284
კაკუნა 284
კაკუტ-ი 284
კაკუჭი, კაკუჭელა, კაკუჩა 284
კალ-ი 284
კალა 285
კალა (ვაშლი) 285
კალია 285
კალმას-ი 286
კალო 287
კამა 287
კამათ-ი 288
კამერა 288
კამპ-ი 289
კან-ი 289
კანთურა || კინთურა || კინთურუა 329
კანკალა 290
კანკარა 290
კანჭ-ი 291
კანჯარ-ი 292
კანჯარი ხე 292
კანჯო 292
კაპ-ი 293
კაპან-ი 293
კაპელა 294
კაპილა || კაპილიონი || კაპლიონი 294
კაპილონ-ი 294
კაპიწ-ი 295
კაპიწი შეეკრა 295
კარაკინ-ი 296
კართ-ი 296
კართის დაკუეთა 296
კარი წირაი 839
კარკალ-ი 297
კარკალება 297
კარკარ-ი 297
კარკარა 298
კარტალ-ი 298
კარწახ-ი 298
კასკას-ი 298
კაფა || მოკაფა 299
კაფე 299
კაფია 299
კაშკაშ-ი 300
კაჩა 300
კაჩა-ვაშლი 300
კაწა 301
კაწან-ი 301
კაწარ-ი 302
კაწახ-ი 302
კაჭა 302
კაჭა-კაჭა 303
კაჭარ-ი 303
კაჭარა 303
კაჭკაჭ-ი 303
კაჭკაჭა 304
კაჭკაჭი || კაჭკაჭა || კაჭკაჭის ჩაგდება 304
კევ-ი 304
კევის ხე 305
კევი||კევრი 304
კეკელა 305
კეკელაობა 306
კელ-ი 306
კელა 306
კელა-ნაჭამი 306
კემუტი || კევატი 377
კემუხტ-ი 307
კენკელა 307
კენჭ-ი 307
კეპ-ი 308
კეჟერა 308
კერეს-ი 308
კერესიანი კაბა 309
კერვა 309
კერია 309
კერონი, კეროვან-ი 310
კერტ-ი 310
კეფა 311
კეშ-ი 311
კეც-ი 312
კეცოვან-ი 313
კვამლ-ი 314
კვანტ-ი 314
კვანტილაე/-ი 315
კვანჩხ-ი 315
კვანჩხა 316
კვანჩხის ქარი 316
კვანჩხუა || კვანჩხურა || კვანჩხულა 316
კვანწია 316
კვანჭილა 317
კვარ-ი 317
კვარკვალ-ი 318
კვერ-ი 318
კვერს დაუკრავს 318
კვერნა 319
კვეცო 320
კვიკვირ-ი 320
კვინტალ-ი 320
კვინტილა 320
კვინჩხ-ი 321
კვინჩხა 321
კვირია 321
კვირია, კვირილა 322
კვრი(ა)ობა, კვირაობა 321
კვირკვილ-ი 322
კვირტ-ი 323
კვირტა 323
კვიცა 324
კვიცა პური 324
კვრინჩხ-ი 324
კვრინჩხი, კვრინჩხა 324
კიანთ-ი 324

კიაპ-ი 325
კიაპით (კიაფში, კიაპიანად) ამოილებს 325
კიდო 325
კივ-ი 325
კივკივ-ი 326
კივკივა 326
კიკინ-ი 326
კიკნა 326
კიკო 327
კილოიან-ი 327
კილოიანი თვალებ-ი 328
კინთ-ი 328
კინთა 329
კინკილ-ი 329
კინკლ-ი 329
კინჩხ-ი 330
კინწ-ი 330
კიპ-ი 331
კიპკიპ-ი 331
კიპკიპი, კიპკიპები 331
კირზა 331
კირკალ-ი 331
კირკილ-ი 332
კირკილა 333
კირკიმალ-ი 333
კირკიმალში ჩადგომა 333
კირკიტ-ი 333
კირკიტა 334
კირკლ-ი 334
კირტიმალი 333
კირწლ-ი 334
კისკას-ი 335
კიწვ-ი 335
კლას, გლას 335
კლას-ი 335
კნუტ 336
კობალ-ი 336
კობალა 337
კოდალ-ი 337
კოდალა 338
კოდარა 338
კოთხუკ-ი 338
კოთხუკი, კოთხოკი 338
კოიტ-ი 339
კოკვაი, კოკოი 339
კოკო 339
კოკობზიკა 339
კოკობზიკობა339
კოკოლა 340
კოკოლა, კოკოლია 340
კოკონა 341
კოკონა-ჭია 341
კოკორ-ი 341
კოკორა 342
კოკორდაჭერაი 341
კოკოშ-ი 342
კოკოშა 342
კოკოჩანა 343
კოკოჩინა 343
კოკოცა 343
კოლი 343
კოლონია 344
კოლოტ-ი 344
კომ-ი 345
კომბოსტო 345
კომეტა 346
კომიჭ-ი 346
კომლ-ი 346
კომლის კაცი 346
კომშ-ი 347
კონკა 347
კონკილა 348
კონტ-ი 348
კონტ-კონტათ 348
კონჩხო 348
კონჩხა, კონჩხო 348
კონწოლ-ი 349
კოპ 349
კოპ-ი 350
კოპა 351
კოპალ-ი 351
კოპალა 351
კოპე 352
კოპე, კოპენაი 352
კოპებს შეიკრავს 350
კოპიტ-ი 352
კოპიჭ-ი 353
კოპიჭი, კოპაჭი 353
კორ-ი 353
კორა 354
კორა ბუზ-ი 354
კორამ-ი 354
კორთ-ი 355
კორთეი 355
კორიფე 355
კორკოტ-ი 355
კორკოტინა 356
კორომ-ი 356
კორტ-ი 357
კორტი || კორტოხი 357
კორუმ-ი 357
კოსალა 358
კოტ-ი 358
კოტა, კოტე 358
კოტაკ-ი 359
კოტიტა 359
კოტო 360
კოტორა 360
კოტოტი 360
კოტოშ-ი 360
კოფ-ი 361
კოფა 361
კოფო 362
კოშ-ი 363
კოშია 363
კოწიწა 363
კოწიწაი || კოკოცაი 364
კოწიწობს 363
კოწოლა 364

კოხ-ი 364
კოხტა 365
კოხუნჯ-ი 366
კრაზანა 366
კრანტ-ი 367
კრიალ-ი 367
კრიალი მინდორი 367
კრიალა 367
კრიანტელ-ი 368
კრიახ-ი 368
კრინტ-ი 369
კრინტა 369
კროლ-ი 370
კრუხვა 370
კუბატ-ი 370
კუბატა 371
კუდა 371
კუერ-ი 372
კუკ-ი 372
კუკილი 372
კუკნა 373
კუკუ 373
კუკუა 373
კუკუამოკრული 373
კუკულ-ი 374
კუკული, კუნკული 374
კუკუნახ-ი 374
კუკურ-ი 374
კულა 375
კულამ-ი 376
კულულ-ი 376
კუმეტ-ი 377
კუმპა 377
კუნელ-ი 377
კუნელა || კურნელა 378
კუნკრუხ-ი 378
კუნკულ-ი 378
კუნტ-ი 379
კუნწულო 379
კუნჭულა 380
კუპეტ-ი 380
კუპონ-ი 380
კურია 381
კურო 381
კურტ-ი 382
კურტიმალი 382
კურტაკ-ი 382
კურუმ-ი 383
კურუმ-კურუმი 383
კუს-ი 383
კუსკუს-ი 384
კუსკუსი || ტუსტუსი 384
კუსკუსა 384
კუსკუსა, კუსკუსელაი 384
კუშტ-ი 384
კუწუწ-ი 385
კუწკუწა 385
კუჭ-ი 386
კუჭიან-ი 387
კუჭიანი გრძელი წინდა 387
კუჭიანი ხანჯალი 387
კუჭკუჭ-ი 387
კუჭკუჭაი 387
კუხ-ი 388
კუხე, კუხი 388

ლ

ლაბადა 389
ლაბადაი ვაშლი 389
ლაბარდა 389
ლაგ-ი 389
ლაგინა 417
ლაგვარდან-ი 390
ლავა 390
ლავანდ-ი 390
ლავანდობს 390
ლავაშ-ი 390
ლავაშა 391
ლაილაღ-ი 391
ლაიჯ-ი 392
ლაიჯი ქვაბი 392
ლაიჯის ნესვი 392
ლალე 392
ლამბ-ი 392
ლამბა 393
ლამფარა 393
ლანდ-ი 393
ლანდურ-ი 394
ლანჩა 395
ლანჩა ქვა 395
ლანძვ-ი 396
ლაპ-ი 396
ლაპლაპა 397
ლაპობა 396
ლაპრ-ი 397
ლაპრი, ლაპრა 397
ლაჟ-ი 397
ლაჟ დაგევაჲ 397
ლაჟმიწაჲ 397
ლართხ-ი 397
ლართხალურთხ-ი 398
ლარტყ-ი 398
ლარტყა 400
ლასტ-ი 398
ლატ-ი 400
ლატა 400
ლაფა 400
ლაფან-ი 401
ლაფარა 401
ლაფარე, ლაფარო, ლაფარა 401
ლაფას-ი 402
ლაფასი მოიკლა 402
ლაფასიანი 402
ლაფჩინ-ი 402
ლაფჩინ ბალახ 402
ლაფჩინა 402
ლაღანდარ-ი 403
ლაღე 403

ლაღე ღვინო 403
ლაღემოსმულ-ი 403
ლაღლაღ-ი 404
ლაღონდარა 403
ლაყაბ-ი 404
ლაყაბუჩი || ლაყაბი 405
ლაყე 405
ლაშლაშ-ი 406
ლაშუნი 406
ლაშქ-ი 406
ლაჩი,ლაჩვი 395
ლახა-ი 406
ლახვარ-ი 407
ლახლახ-ი 407
ლახტ-ი 408
ლბილ-ი 408
ლეგა 409
ლეგა სოლურაჲი 409
ლეგლეგ-ი 409
ლეკ-ი 409
ლეკა 409
ლეკვ-ი 411
ლეკვა 412
ლეკის ხე 410
ლეკმაკერჩხი, ლეკმაკუნჩხა 411
ლეკმარხილა, ლეკმარხილი 410
ლეკურა 412
ლელეჩ-ი 412
ლენგერა 413
ლერწ-ი 413
ლექე 413
ლეღვ-ი 414
ლეღვიანი ხორცი 414
ლეღვის ცოდვა 414
ლეღვ-ლეღვად 414
ლეღუსულელი 415
ლეშკ-ი 415
ლეშკერი 415
ლეშტერ-ი 416
ლეშქ-ი 416
ლეშხ-ი 416
ლიბადა 389
ლიგიდა 416
ლიგინა 416
ლიგლიგი, ლიკლიკი 418
ლივერ-ი 417
ლივლივა 417
ლიკლიკ-ი 417
ლიკლიკა 418
ლინგ-ი 418
ლინგა 419
ლინგე 419
ლინგა თოხი 419
ლიჟღ-ი 419
ლირა 419
ლირს-ი 420
ლირსი, ლირსა 420
ლის-ი 420
ლისკიმო 435
ლიფლიფ-ი 420
ლიფლიფა 421
ლიფლიფებს 420
ლიფსიტა 421
ლიშხ-ი 422
ლიშხავს 422
ლიშხვარი 422
ლიხ-ი 422
ლოგორა 423
ლოდ-ი 423
ლოდა 424
ლოდაკ-ი 424
ლოთურ-ი 424
ლოლო 425
ლოლო ხაპი 425
ლომპრ-ი 425
ლოპ-ი 425
ლოპერა 426
ლოპერი, ლოპერა 426
ლორ-ი 426
ლორდ-ი 427
ლორდღი 428
ლორთხ-ი 427
ლორთხავს 428
ლორწ-ი 428
ლოს-ი 428
ლოტო 429
ლოტოს-ი 429
ლოფლოფ-ი 430
ლოფლოფა 430
ლოღათ-ი 430
ლოხ-ი 430
ლოჯ-ი 431
ლოჯიანი 431
ლუგუმი, ლუნგი 433
ლუკლუკ-ი 431
ლულ-ი 432
ლულუა 432
ლულუკა 433
ლულუტ-ი 433
ლულუტა 433
ლუნგ-ი 433
ლურთ-ი 434
ლურთხი 428
ლურსა 434
ლურსავს 434
ლუსკუმ-ი434
ლუსკუმი || ლუკუმი 435
ლუსკუმა || ლუსკუმი 435
ლუსმანა 435
ლუტ-ი 436
ლუხუმ-ი 436

მ

მადა 437
მადიან-ი 437
მადიან ცხენ 437
მავალ-ი 437

მავალი ბარი 438
მათუთა 438
მათუთა, მათუთელა 438
მაინდი 438
მაკარია 438
მაკარია ყართოფი 439
მაკარიის ძაფი 439
მაკნა 439
მაკნა, მაკნავა 439
მალაქ-ი 439
მალხაზ-ი 439
მან-ი 439
მანავ-ი 440
მანანა 440
მანანა ვაშლ-ი 441
მანანა წვიმა 441
მანგალ-ი 441
მანდალინა 442
მანიკა 442
მანიკიანი 442
მანკან-ი 442
მანო 442
მანჩხი, მაჩხი 446
მანძილა 443
მანძილო 443
მარაზ-ი 444
მარგ-ი 444
მარგულ-ი 445
მარგულიანი 445
მარდად 445
მართულ-ი 445
მარსლ-ი 446
მარულ-ი 446
მარჩხ-ი 446
მარჩხი წყალი 447
მარხილ-ი 447
მარხილე, მარხილაი 447
მარჯილის ალეთები 447
მარჯილის უბე 447
მასა 448
მასალა 448
მატუკ-ი 449
მაქო 449
მაქოს პური 449
მაღარა 450
მაღლარ-ი 450
მაღნარ-ი 450
მაღნაროვანი 450
მაყე 451
მაყიერი 451
მაშია 451
მაშინა 452
მაშინა, მაშინია, აშინა 452
მაწაკ-ი 453
მაწაკი, მაწაუკი 453
მაწაკი, მაწუკი 453
მაწაქ-ი 453
მაწაწურა 454
მაწლაკ-ი 454
მაჭ-ი 454
მახარა 454
მახარა ჭია 455
მახოხ-ი 455
მახრაჭა 455
მახუხი 455
მაჯაგან-ი 455
მაჯაგანი კაცი 455
მაჯაგანი || მაჯეგანი 455
მდოვრ-ი 456
მებალინჯე 56
მედგარ-ი 456
მედგარ-თივა 457
მევალე 458
მეველე 458
მეზარე 458
მეზვერე 459
მელ-ი 459
მელო 460
მერდ-ი 460
მერცხალ-ი 460
მერჯ-ი 461
მესელე 461
მეყსეულად || მეჯსეულად 462
მეჩეჩ-ი 462
მეხი-მედგარი 457
მეჯ-ი 462
მეჯი || მეყი, მეყსა შინა 462
მეჯის ნაბადი 462
მეჯის საგორავი 462
მეჯ-ი 463
მეჯურის ცხორი 946
მეჯორე 463
მზე 463
მთავარ-ი 464
მით-ი 465
მითილ-ი 465
მინდ-ი 465
მინდი: ინდი მინდი 465
მირას-ი 466
მირასის ქაღიდი 466
მის-ი 466
მისირ-ი 467
მიტკალ-ი 467
მიტკალი || მითკალი 467
მკალ-ი 467
მკრთალ-ი 468
მკურის-კევი 304
მოაჯირ-ი 468
მოდულ-ი 469
მოვ-ი 469
მოზარე 469
მოთხე 470
მოკვარამს 317
მოლაღვა 403

მონაობა 470
მორგ-ი 470
მოფთიანდება 667
მოღილვა 728
მოცად-ი 470
მოცვეთ-ი 471
მოწამე 471
მოჭანგებული 856
მოჭაჭვა 860
მოხოლავს 919
მოხევე 472
მრევლ-ი 473
მრეშ-ი 474
მრეშა 474
მრეში წვიმა 474
მტარვალ-ი 475
მუზამფარ-ი 476
მუმლ-ი 476
მუნ 476
მუნ-ი 476
მუნი მიწა 476
მუნის ბალახი 476
მუჟუჟ-ი 477
მურაკ-ი 477
მურდალ 478
მურდალ-ი 477
მურდალი, მურტალი 477
მურკ-ი 478
მურკ-მურკი 478
მურკლ-ი 478
მუს-ი 478
მუფთა 479
მუფტა, მუფთა 479
მუშ-ი 479
მუში: ტაშიმუში 479
მუშა 479
მუშა, მუშაკი 479
მუშტა 480
მუშტა ქვა 480
მუჯა 481
მუჯა ჯოხი 481
მქისე 481
მქისი 481
მღუნავ-ი 481
მყვარ-ი 482
მყის-ი 482
მყისი დარი 482
მშველ-ი 483
მძევალ-ი 483
მძიმე 483
მძოვრ-ი 484
მძოვრი || მძორი 484
მძოვართა ძაღლი 485
მწევარ-ი 485
მწერ-ი 485
მწივანა 486
მწიკვ-ი 486
მწირ-ი 486
მწკერ-ი 487
მწკერს იგდებს 487
მწყერ -მარხილი 447
მჭახე 487
მჭვარტალა, ჭარტალა 488
მჭვარტალა, მჭვარტლა 488
მხალი 488
მხე 489
მხიე || მჯიე 489

ნ

ნაათალი || ნათალი 496
ნაბაგევ-ი 491
ნაბაგარი, ნაბაგევი 491
ნაბარ-ი 491
ნაბარებ-ი 491
ნაბარევ-ი 492
ნაბიძგი 92
ნაბულ-ი 492
ნაგაბარ-ი 492
ნაგერა 493
ნავარ-ი 493
ნავის მტარვალი 475
ნავღელ-ი 494
ნავღელ, ნამღრლ, ნამღელ, ნაუღელ 494
ნაზარ-ი 494
ნაზირ-ი 495
ნათალ-ი 4 95
ნათელ-ი 496
ნათერმი 254
ნაიბ-ი 497
ნაკ-ი 497
ნაკერი 498
ნაკრნჭალ 499
ნაკრრჩხალ 499
ნაკურცხალ-ი 499
ნალფანა 499
ნალფარა 500
ნამგალა 500
ნამგალაობა500
ნამგალობა 500
ნამმრალ-ი 501
ნამმრალი, ნამმხალი 501
ნამცვრევ-ი 501
ნარგ-ი 501
ნართ-ი 502
ნართი, ნასთი 502
ნართის ნართი 502
ნართავ-ი 502
ნარიყალა 503
ნაფთულ-ი 503
ნაღებ-ი 504
ნაშა 504
ნაშა, ნაშე 504
ნაშურ-ი 504
ნაჩხატ-ი 505
ნაჩხატის კურდღელი 505
ნაწილაკ-ი 506

ნაჭა 506
ნაჭი 506
ნახუნაკ-ი 507
ნახშობა 507
ნახშობს 507
ნებიერ-ი 508
ნეკრესის, ნიკრისის ქარები 511
ნენა 508
ნერჩ-ი 509
ნეშტ-ი 509
ნიკორა 510
ნიკორა ლობიო 510
ნიკორის დადება 510
ნიკრის-ი 511
ნიჟ-ი 511
ნიჟოლი 511
ნირ-ი 512
ნირზე დაბადებაი 512
ნიხ-ი 512
ნიხრ-ი 512
ნიხრი, ნირი, ნიხრის ნუსხა 512
ნობ-ი 513
ნობა 513
ნოლ-ი 513
ნონოები 515
ნორდ-ი 513
ნოღა 514
ნუგლ-ი 514
ნუნა 514

ო

ობ-ი 516
ობოლა 516
ოგ-ი 517
ოდელა 517
ოდელია, ოდელა-დელა-დელა 517
ოინ-ი 517
ოლოლ-ი 518
ოლოლო 518
ომაინ-ი 518
ორ-ი 518
ორანა 519
ორზ-ი 519
ორბა 520
ორემ-ი 520
ორხელ-ი 520
ოფ-ი 521
ოფა 521
ოფი, ოფე 521
ოფო 521
ოფოფა 522
ოქოქა 522
ოყარო 522
ომოშა 522
ოშოში, ოშომო, ოშოშუა, ვოშოშე, ოშმეშა 523
ოჩხ-ი 523
ოჩხარი 523
ოჭ-ი 524
ოჯახის ბობოლა 94

პ

პალამ-ი 525
პალამი თოოული 525
პანა 525
პარია 525
პარმაღ-ი 525
პარპალ-ი 526
პარპალა 526
პასტა 526
პასტა-პასტა 526
პენტელა 527
პერ-ი 527
პენ-ი 528
პენწენიკი, პერწენიკი 528
პეწიანი 528
პიანო 528
პიკ-ი 528
პიკა ჩით 529
პიკე 529
პილპილა 529
პიმპილა 529
პიმპილო სოკო 529
პინო 529
პიპილა 529
პიპინ-ი 530
პიწკ-ი 530
პლაკე 531
პოლის-ი 531
პოლოტიკ-ი 531
პოლტ-ი 532
პომპა 532
პომპორ-ი 532
პოტიკ-ი 533
პოტიკობს 533
პოწოლიკ-ი 533
პოწკოლიკობა 533
პოჭიკ-ი 533
პურჭყ-ი 534
პუჭკურ-ი 534
პუჭკური, პუჭუჭკურაი 534
პყარ-ი 534
პწკა 534
პწკალ-ი 534
პწკარ-ი 535

ჟ

ჟაანათ 536
ჟაანათ, ჟანნათ, ჟაჰნათ 536
ჟაარა 536
ჟაარაი, ჟაჰრაი 536
ჟაარაი, ჟაჰრაი, ჟაჰარაი 536

ჟალტამ-ი 536
ჟანტ-ი 536
ჟანტი მშრალა 536
ჟანტი შეშა 536
ჟესტ-ი 537
ჟივჟავ-ი 537
ჟივჟივ-ი 537
ჟივჟივა 538
ჟიკჟიკ-ი 538
ჟიკჟიკა 538
ჟინჟღალ-ი 538
ჟინჟღილ-ი 539
ჟინჟღილა 539
ჟლარტამი, ჟალტამი 536
ჟოლა 539
ჟონჟოლ 540
ჟუან 540
ჟუან, ჟუვან 540
ჟუჟუნა 540
ჟურ-ი 541
ჟურა 541
ჟურბაჟურ, ჟურბაჟურაი 541

რ

რაგუ 542
რაზ-ი 542
რალ-ი 542
რაჟ-ი 543
რასა 543
რაფ-ი 543
რეის-ი 544
რეკა 544
რესმ-ი 545
რეულ-ი 545
რეშ-ი 545
რეხ-ი 545
რეხი, რეხები 546
რიკრიკ-ი 546
რიკრიკა 546
რკალ-ი 547
როდ-ი 547
როკ-ი 548
როლ-ი 548
როფ-ი 548
როხ-ი 549
რუბა 549
რუკა 549
რულ-ი 550
რულილი, ჰრული, რული 550
რუხ-ი 551
რუხა 551
რცემლი 551
რცმელა 551
რცხმელა 552
რწმულ-ი 552
რწყულ-ი 552

ს

საბამ-ი 533
საბან-ი 553
საბელ-ი 554
საგმირო 554
სადაობა 555
სადარო 555
სადოლე 556
სავათ-ი 556
სავალ-ი 557
სავარცხალ-ი 557
სავატი 557
საზამთრო 558
საზარდულ-ი 559
საზარე 559
სათირ-ი 560
საკეკ-ი 560
საკეკის ქარი 560
საკმიელ-ი 560
საკმიელა 560
საკუხ-ი 561
სალავათ-ი 561
სალაოთი 561
სალათა 561
სალთ-ი 562
სალთა 562
სალმობა 562
სალმუნ-ი 563
სალმუნება 563
სამან-ი 563
სამბო 564
სამთ-ი 564
სამსალა 564
სამსალიკა 564
სამყარ-ი 565
სამჭადური 565
სამჭედურ-ი 565
სამხარ-ი 566
სამჯარ-ი 567
სამხევი 489
სამხიო 489
სამჯრე || სამჯარი 567
სანაფთულე 503
სანთი || სამთი 564
სანსალა 567
საოლავ-ი 567
საოხარ-ი 568
საოხრე, საოხრო 568
საპოვნ-ი 569
საპოვნელა 569
სარგ-ი 570
სარდაფ-ი 570
სართაულ-ი 571
სარკმელ-ი 571
სარმა 572
სარსალა 573
სარსარაკ-ი 573
სარფ-ი 573
სარჩა 574
სარჩა, სალჩა 574
სარჩიელ-ი 574

სარჩილ-ი 574
სარწყავ-ი 574
სარწყულ-ი 575
სარწყული, სარწყულა 575
სარწყული კვახი 575
სარწყული ჩაფი 575
სასრევ-ი 575
სასრევ-სამართებელი 575
სატუკი || სატუკავი || სატუკელა 628
საფა || სეფა 585
საფარ-ი 576
საქვე 576
საღ-ი 577
საღვანავი732
საღონე 732
საღორე 577
საყრლრი 578
საჩეხ-ი 578
საჩიბე 793
საჩილე 793
საჩირქე 798
საჩიხ-ი 579
საწერავ-ი 579
საწერავი, საწირავი 579
საწერელ-ი 580
საწირავ-ი 580
საწყვეტ-ი 580
საჭე 581
სახათ-ი 581
სახაშე 582
სახსარ-ი 582
საჯსარ-ი 582
საჯერო 583
საჯერო ქილა 584
საჯერო ხურჯინი 584
საჯი || საჭი588
საჯის დაქოლვა 588
სევდა 584
სევდიან-ი 585
სენთ-ი 585
სეფა 585
სეფე 586
სეფე-დარბაზი 586
სეფე-კარავი 586
სეფილ-ი 586
სველ-ი 587
სვირ-ი 587
სია 587
სიმარღე 588
სიმსილა 588
სიმსიმ-ი 588
სიმხე 489
სინორ-ი 589
სინორი || სილორი 589
სინორი[ს] ქვა 589
სინსილ-ი 589
სირონ-ი 590
სირსვალ-ი 590
სირსველ-ი 590
სირსველი, სირსვილი 590
სირსოლა 590
სისვ-ი 591
სისვ რკინა 591
სისხ-ი 591
სისხი: სისხის ბალახი 591
სისხა 591
სისხა, სისხამი 592
სისხამ-ი 592
სიტყვა 592
სიშლუვე 774
სიცხის ლული 432
სკა 593
სკიფ-ი 594
სკლატ-ი 594
სკორე 594
სკორე || სკორო 594
სლიპ-ი 595
სობა 595
სოდომ-ი 595
სოდომი || სოდუმი 595
სოია 596
სოინარ-ი 596
სოლო 596
სოსან-ი 597
სოღო 597
სოღო ხახვი 597
სრა 597
სრიალ-ი 598
სრულ-ი 598
სტარტ-ი 600
სუ 600
სუთ-ი 600
სუკ-ი 600
სულ-ი 601
სულად-ი 603
სულიან-ი 602
სულიანი მსხალი 602
სუნაგ-ი 603
სუნგ-ი 603
სუნგალ-ი 603
სუნგალს გაჰკრავს 603
სუნგს დასუნგავს 603
სუნელ-ი 604
სურავანდ-ი 605
სუროვანდა, სუროვარდი 605
სურმა 605
სუსუნატ-ი 605
სუფთა 606
სწრაფა 606
სხაპ-ი 607
სხარტ-ი 607

ტ

ტაბანჩა 608
ტაბახ-ი 608
ტაბაღი 608
ტაბახტა 608

ტაბელა 608
ტაბულა 608
ტავრო 609
ტაია 609
ტაია ქალი 609
ტაიაშვილი 609
ტალია 609
ტამფა 614
ტანგო 609
ტანკ-ი 609
ტანკეტ-ი 610
ტანტალ-ი 610
ტანტალა 611
ტანტრა 611
ტანტრა || ტანტრე 611
ტანტრა-ჩილიკი 611
ტარ-ი 611
ტარა 612
ტარან-ი 612
ტარაღანა 613
ტასტი, ტაშტი 616
ტატ-ი 613
ტატი || ტაატი 613
ტატა 613
ტატან-ი 613
ტატაშა 614
ტატნობი 614
ტაფაობა 614
ტაფელა 614
ტაშ-ი 615
ტაშ-გარმუნაყრ 615
ტაშ-ფანდურა 615
ტაშ-ტირილაყრ 615
ტაშ-ხოშიანრ 615
ტაშტ-ი 616
ტაშტი-მუშტრ 616
ტაშტუნა 616
ტახტ-ი 616
ტახტის აზნაური 617
ტახტის მიწა 617
ტახტის ყმა 617
ტერ-ი 617
ტიალა 618
ტივ-ი 618
ტინ-ი 619
ტინტილა 620
ტინტილე 620
ტიფ-ი 620
ტიღველა || ღიღველი || ღიღველა 624
ტიხრ-ი 620
ტიხრ მიწაი 620
ტკენჩი, ტკეჩი, ტკოჩი 620
ტკეც-ი 620
ტლიკინ-ი 621
ტობ-ი 621
ტობობა 621
ტოლმა 621
ტოლმა-ტოლმა დაკუწაი 621
ტოლომა 622
ტონ 622
ტონ-ი || ტონოი 622
ტორ-ი 623
ტორა 623
ტორო, ტორულა, ტორუა 623
ტოროლა 624
ტოფ-ი 624
ტოღ-ი 624
ტოღა 624
ტოღო, ტოღუაი 624
ტოღო 624
ტოღო ქათამი 624
ტოშ-ი 625
ტრალ-ი 625
ტრამა 625
ტრამად 626
ტრედ-ი 626
ტრელ-ი 626
ტრუს-ი 627
ტუგია, ტუგნაი, ტუგრია 628
ტუზ-ი 627
ტუია 628
ტუკ-ი 628
ტუკი, ტუნკი 628
ტუმარ-ი 628
ტუმარაი 628
ტუმბო 629
ტუმი, ტუმაი, ტუმნა 629
ტუნელ-ი 629
ტუნტულ-ი 629
ტუნტურ-ი 630
ტურ-ი 631
ტურ შიბ 630
ტურა 631
ტურაქვანქვალე || ტურაქვინქვილე 630
ტურაი ბაშმაყ 630
ტურაი დანაჯჩოვ სხალ 630
ტურაი ცახ 630
ტურტურ-ი 631
ტუსია 631
ტუსია დღე 631
ტუტურ-ი 631
ტუფ-ი 631
ტუფე 631
ტუში 632
ტყირბი || ტყირპაი || ტყრიპლი || ტყიპა 632
ტყირპ-ი 632
ტყლიპნი 632

უ

უბარ-ი 633
უბარი წყალი 633
უბილიკებს 88
უბირ-ი 633

უბირი მიწა 634
უბრად არიან 633
უენჩო || უინჩო || ენჩი 276
უვადო 634
უვადო ხმალი 634
უთხოვარ-ი 634
ულაიღი 635
ულაყ-ი 634
ულურს-ი 635
ულუსი 635
უმარილი 635
უმარილო 635
უმზნეო 636
ურდუმ-ი 636
ურნალ-ი 636
ურსა, უსა 434
ურუბა 636
ურჩხ-ი 637
ურწან-ი 637
ურწანი, ურწანა 637
უსახელო 638
უსტა 638
უტარო 639
უტაშუნებს 615
უშუ 639
უჩინო 639
უჭხ-ი 640
უცალო 640
უცალოება 640
უცუნ-ი 640
უცუნა 640
უხა 641
უჯარო 641

ფ

ფა 642
ფაგ-ი 642
ფაეტონ-ი642
ფაზარ-ი 642
ფაზარა 643
ფაზარი ყაითანი642
ფათა 643
ფათა, ფათანაკერი 643
ფათერ-ი 643
ფათილ-ი 644
ფათილე 644
ფათქ-ი 644
ფათქი|| ფათქა 644
ფათხი 644
ფაი 644
ფაია 645
ფალან-ი 645
ფალაყა 645
ფალაყაში მოწევა 645
ფამფარა 646
ფანდ-ი 646
ფანდაკი, ფენდილი 647
ფანდალ-ი 647
ფანთხ-ი 647
ფანფარა 647
ფარ-ი 647
ფარი შუა არ ედების 648
ფარის საბღუჯი 648
ფარი-ფარ 649
ფარატინა 649
ფარატინი, ფარატინა 649
ფარაშ-ი 649
ფარაშობა649
ფარგალ-ი 649
ფარდახტ-ი 650
ფარეზ-ი 650
ფართხა 651
ფარმანდ-ი 651
ფარფალ-ი 651
ფარფარ-ი 652
ფარშ-ი 652
ფარჩ-ი 652
ფარცხ-ი 653
ფასტა 653
ფატ-ი 653
ფატა 654
ფაფანაკ-ი 654
ფაფხ-ი 654
ფაფხრ || ფხაფხრ || ხაფხრ 654
ფაფხიანი 654
ფაშა 654
ფაშა-ბატონი 654
ფაშა-ნენეი 654
ფაშტია || ფაშტა || ფასტა 653
ფაჩია 655
ფაცხა 656
ფახ-ი 656
ფახაფუხ-ი 657
ფახაც-ი 658
ფახახ-ი 658
ფახილ-ი 658
ფახუნ-ი 658
ფახურ-ი 658
ფევს-ი 659
ფელა 659
ფელამუშ-ი 659
ფელანუში || ფელენუში || ფელანდუში 659
ფელიკ-ი 659
ფენ-ი 660
ფენა 660
ფენკერ-ი 661
ფერდ-ი 661
ფერდა 661
ფერდო 662
ფერდო || ფარდა 662
ფერია 662
ფერილ-ი 662
ფერილი, ფარილი 662
ფერულა 662
ფერფლ-ი 663
ფერცხალ-ი 664

ფესვ-ი 664
ფესვი ჩიქილა 665
ფესვიან-ი 665
ფესვიანი ქუდი 665
ფესო 665
ფესოიანი 666
ფეშანგ-ი 666
ფეშო 667
ფეხკავშირი 279
ფთა 667
ფთხილ-ი 668
ფია 668
ფიდან-ი 668
ფიდე || ფიდა 669
ფილა 669
ფილაკ-ი 669
ფილე 669
ფილიზ-ი670
ფილიზი || ფილისი 670
ფინჯან-ი 670
ფირმა 670
ფის-ი 670
ფისი || ფისა 670
ფიტ-ი 671
ფიტაჲ 671
ფიტონ-ი 671
ფიტონი || ფიტონა 671
ფიფია 672
ფიფია, ფია 672
ფიფინ-ი 672
ფიფინა 672
ფიფინა || ფიფინი 672
ფიფინაკ-ი 673
ფიფქ-ი 673
ფიფქი ბაფი 673
ფიფქვა 673
ფიშ-ი 673
ფლასტი 674
ფოთინ-ი 674
ფოლიო 674
ფოლიო ვაშლი 674
ფორა 675
ფორა, ფორკა კაბა 675
ფორცხვი || ფოცხვი 677
ფონცხი 677
ფურცხვი, ფურცხანია 677
ფოსტა 675
ფოსტის ფიცარი 675
ფოტორო 676
ფოფხ-ი 676
ფოფხი ადგილი 676
ფოშტა 676
ფოშტი(ს) გზა 676
ფოშტის ფიცარი 677
ფოშტის ფული 676
ფოშტის ცხენივით დაარბენინებს 676
ფოცხვი 677
ფოხ-ი 677
ფოხი ხელისა 677
ფოხვ-ი 678
ფრასტი || ფოსტალი || ფლოსტი 674
ფრე 678
ფრე მოუვა 678
ფრენგ-ი 678
ფრიად-ი 678
ფრიაკი 679
ფრიალო 679
ფრიაქ-ი 679
ფრუტ-ი 679
ფრჩხილა 680
ფრცხილ-ი 680
ფრცხილი, ფრჩხილი 680
ფსვენ-ი 680
ფსვენა 680
ფსიტ-ი 681
ფსიტიანი 681
ფსკა 681
ფსლიკ-ი 682
ფსუტი 681
ფუ 682
ფუა 682
ფუთ-ი 683
ფუთა 683
ფუთქ-ი 683
ფულ-ი 684
ფუმფულა 685
ფუნთხ-ი 685
ფუნჯ-ი 685
ფურთხ-ი 686
ფურჩა 686
ფუსფუს-ი 686
ფუსფუსა 686
ფუტა 687
ფუფუა 687
ფუფქ-ი 687
ფუშ-ი 687
ფუჩფუჩ-ი 688
ფუჩფუჩა 688
ფუცუნ-ი 688
ფუჭ-ი 689
ფშა || ფშან-ი 689
ფშვიერ-ი 690
ფშუტ-ი 691
ფჩხილა 691
ფჩხილა ურემი 691
ფჩხილის კაპის ბურღი 691
ფჩხილის ტოტი 691
ფხაკა 691
ფხაკას აიტანს (გაადენს) 691
ფხაჭ-ი 692
ფხაჭა 692
ფხაჭას გაადენს, მოიღებს 691
ფხეკა 692
ფხეკას გაადენს 692
ფხეჭ-ი 692

ფხიჭა 693
ფხიჭო 693
ფხოწ-ი 693

ქ

ქავი 694
ქათქათ-ი 694
ქათქათა 694
ქალამ-ი 695
ქალაქ-ი 696
ქალაქი ღამე, დღე 696
ქამ-ი 696
ქამალ-ი 696
ქამალა, ქამანი 697
ქამან-ი 696
ქამუდ-ი 697
ქან-ი 697
ქანიხე 697
ქანთელა 697
ქანქანა 698
ქანქარა 698
ქანჩახ-ი 698
ქანჩახურაობა 698
ქარგალ-ი 699
ქართა 699
ქარსალა 699
ქარსლ-ი 699
ქარსლა 700
ქარქარა 700
ქარქაშ-ი 700
ქარჩი 702
ქაქია 701
ქაშა 701
ქაშა ვაშლი 701
ქაჩ-ი 701
ქაჩალ-ი 702
ქაჩაჩ-ი 702
ქაჩელი 702
ქევხა 703
ქევხა, ქევხუდა 703
ქევხაყრ || ქემხაყრ 703
ქენდირ-ი 703
ქერა 703
ქერა || ქერონა || ქეროზა 703
ქერუა 704
ქეშელ-ი 704
ქეჩეჩო 704
ქეც-ი 704
ქვაბ-ი 704
ქვისელი 718
ქინა 705
ქინქი 706
ქინქლ-ი 705
ქინქლა 706
ქინქლავს 706
ქინძ-ი 706
ქინძისთავი 706
ქირ-ი 707
ქიქ-ი 707
ქიშ-ი 708
ქიში, ქიშა 708
ქიშმიშ-ი 708
ქიჩ-ი 708
ქიჩიჩი 708
ქობ-ი 709
ქობა 709
ქობთ შაკვრა 709
ქობინი, ქობინო 710
ქობის შერევა 709
ქობკიდება 709
ქობულ-ი 709
ქობუნ-ი 710
ქობუნა 710
ქოთ-ი 710
ქოთი, ქოთობა 710
ქოთია 710
ქოთქოთ-ი 711
ქოლო 711
ქომა 711
ქონა 711
ქონა-ქონა 712
ქორა 712
ქორა სოკო 712
ქორა ხარი 712
ქორაფ-ი 713
ქოფაჩ-ი 713
ქოფე 713
ქოჩაბანდ-ი 714
ქსელ-ი 714
ქსელის სკამი 714
ქუაბ-ი 715
ქუბ-ი 715
ქუბა 716
ქუბე 716
ქუთ 717
ქუმაი 711
ქუნია 717
ქუნცხ-ი 717
ქურქულ-ი 717
ქურცხი717
ქუსლ-ი 718
ქუფე 718
ქუფელა 718
ქუფიაი 718
ქუქუ 719
ქუჩუჩ-ი 719
ქუჩუჩო 719
ქუჩქუჩ-ი 719

ღ

ღადუნ-ი 720
ღადღად-ი 720
ღადღადა 720
ღაზღაზ-ი 720
ღალღა 721
ღანღალ-ი 721
ღარღა 721
ღარღალ-ი 721
ღარღილ-ი 722

ღარღლ-ი 722
ღაღადურ-ი 722
ღაღან-ი 723
ღაღანებს 723
ღაღანობს 723
ღაღვ-ი 723
ღაჭო 723
ღაჯ-ი 723
ღაჯია 723
ღენჭა || ღენჭლა || ღენჭო 724
ღენჭეპო, ღენჭეფო, ხენჭოფო 724
ღენჭო 724
ღერ-ი 724
ღერიანი 724
ღერღილ-ი 725
ღვანა 732
ღვანღვალ-ი 725
ღვაპ-ი 725
ღვაფ-ი 725
ღვაფი, ხვაფი 726
ღვია 726
ღვინჭა 726
ღვინჯა 726
ღვინჯილა 729
ღვიპი 725
ღვირღვილ-ი 727
ღვლაპი 725
ღია 727
ღილ-ი 727
ღილობა 728
ღილო-კილო 728
ღინჭა 728
ღინჭილა 729
ღირღილო730
ღირღიტ-ი 729
ღირღიტის კუნძი 730
ღირღიტის მეხრე 730
ღიღილო 730
ღიჭ-ი 730
ღლავ-ი 730
ღო 731
ღოლ-ი 731
ღომა 731
ღომა-ჩიტი 731
ღომ-ღომა 732
ღონა 732
ღონა, ღონე 732
ღორთელა 732
ღორღალ-ი 733
ღორჯო 733
ღოღ-ი 733
ღოღო 734
ღოღოში 734
ღოჯა 734
ღრამ-ი 734
ღრაბი, რაბი 734
ღრე 734
ღრიანკელ-ი 735
ღრიანტელი 735
ღრიანცელ-ი 735
ღრინ-ი 736
ღრინწ-ი 736
ღრუტუნა 736
ღუა 737
ღუილ-ი 737
ღუმ-ი 737
ღურღუტ-ი 737
ღუღრუტ 736
ღუღუნ-ი 738
ღუჯა 738
ღუჯილ-ი 739

ყ

ყაბ-ი 740
ყაბა 740
ყაბა საქონელი 740
ყაბად წასვლა 740
ყადიმ-ი 740
ყაენი 743
ყავალ-ი 741
ყავაღა 741
ყავღა 741
ყაზი 741
ყაზა 741
ყაზა მოუხდა 742
ყაზალ-ი 742
ყაზმა 742
ყათ 742
ყათ-ი 742
ყათლაღი 746
ყაიდა 743
ყაინ-ი 743
ყალ-ი 744
ყალა 744
ყალა, ყალანი 744
ყალამ-ი 744
ყალამა 745
ყალაბანდი 745
ყალამანი 745
ყალამო 745
ყალან-ი 745
ყალაღ-ი 746
ყალაღან-ი 746
ყალთაღ-ი 746
ყალთაღიანი 746
ყალია 746
ყალო 746
ყალო || კალო 746
ყალჩაღი || ყაჩაღი 751
ყანყალ-ი 747
ყაპ-ი 747
ყაპო 747
ყაპყაპ-ი 747
ყაპყი 747
ყარ-ი 748
ყარა 748
ყარა არუგ 748
ყარაა დაკუწაა 748
ყარა მალაა 748
ყარაო 748

ყარაო აქვს ამოსული 748
ყარღო 749
ყასანჯ-ი 749
ყაფა 749
ყაფან-ი 749
ყაყაჩო 750
ყაყაჩო ღამეა 750
ყაშ-ი 750
ყაჩაღ-ი 750
ყელემ-ი 751
ყერო 751
ყერყეტ-ი 752
ყერყეტა 752
ყვანჩალა 752
ყვიც-ი 752
ყვიციანი 752
ყიალ-ი 753
ყილა 753
ყინტორ-ი 753
ყინტორა 753
ყინტორია 754
ყირათ-ი 754
ყირათა 754
ყირხლუღ-ი 754
ყიყვზე მიყვანა 755
ყიყვ-ი 754
ყლანტ-ი 755
ყმედ-ი 755
ყოდალ-ი 756
ყოვლად, ყოლად ყოვლად, ყოვლად-ვე, ყოლადვე 757
ყოიტაყრ 760
ყოლ-ი 756
ყოლა 757
ყოლან-ი 757
ყომარ-ი 758
ყონაღ-ი 758
ყონდაღ 758
ყოპყი 748
ყორაი, ყორეი 759
ყორე 758
ყორველა 764
ყორყ-ი 760
ყოტ-ი 760
ყოშა 760
ყოჯა 760
ყრანტ-ი 761
ყრიალ-ი 761
ყრუნტი 761
ყუთ-ი 761
ყუთი-ყუთი 761
ყუთუ 761
ყულა 762
ყულაბა 762
ყულავა, ყულაბი, ყულაფი 762
ყუმ-ი 762
ყმუნება 762
ყუმბარა 763
ყუნცულ-ი 763
ყურბანა 763
ყურე 759
ყურს-ი 764
ყურუმბულ-ი 764
ყურჯ-ი 764
ყუყა 765
ყუყა წაუჯდება 765
ყუყურჩ-ი 765

შ

შაგირდ-ი 766
შავტონიან 622
შაირ-ი 766
შაკ-ი 766
შალ-ი 767
შალ-კასტუმი 767
შამაიკუნჩხავს 316
შამ-შუმი 779
შარდი 776
შარვან-ი 767
შარვანის || შირვანის თეთრი 767
შაშ-ი 767
შე 767
შებარვაი 63
შებილ-ი 769
შებუშება 131
შეი 768
შელულვილი 432
შემრეშილი 474
შენ-ი 769
შენობა 770
შერ-ი 770
შერიფ-ი 771
შვავ-ი 771
შველა 771
შვერ-ი 772
შვინდ-ი 772
შვინდი || შინდი 772
შინშილა 773
შიპ-ი 773
შიხ-ი 773
შლუ 773
შოვ-ი 774
შოთ-ი 774
შოთი ბორეგი 774
შოლარ-ი 775
შოლონქარაი 775
შორტ-ი 775
შოშა || შოში 775
შოშია 775
შოშია გზა 775
შრატ-ი 775
შრატიანი 776
შრეშ-ი 776
შუ 777
შუა 777
შუვა 777
შუვა, შოვა, შუა 777
შუმ-ი 779

შუმ-ი || შუმა 779
შურთ-ი 779
შუტ-ი 779
შუშუკ-ი 779
შუშუტ-ი 780
შუშუტი, შუშუტა 780
შხაპ-ი 780
შხაპი თუთუნი 780
შხუნა 781

ჩ

ჩათა 782
ჩათმა 782
ჩალმა 782
ჩამ-ი 782
ჩამიეწკაპება 843
ჩამურ-ი 783
ჩანი 783
ჩანგა 783
ჩანგალა 784
ჩანგაშეკრული 784
ჩანგა-ჩანგა 784
ჩანგაჲ დაყრაჲ 783
ჩარფანა 785
ჩარფან ჰაჩიჩაჲ 785
ჩაუშ-ი 785
ჩაფა 785
ჩაფა თოხი 785
ჩაფრუკა 786
ჩაფუნა 786
ჩაფურა 786
ჩაფურა ღილი 786
ჩაფჩაფ-ი 786
ჩაქურა 786
ჩაქური ტანისამოსი 786
ჩაჩ-ი 786
ჩაჩა 787
ჩაჩა-ჩუჩი 787
ჩაჩანაგ-ი 787
ჩაჩანაკ-ი 787
ჩაჩია 788
ჩაჩქან-ი 788
ჩაჭრილა 789
ჩახვ-ი 789
ჩახვა ჯამი 789
ჩახუა 789
ჩახულა 789
ჩახჩახ-ი 789
ჩახჩახა 790
ჩევრე 790
ჩეთ-ი 790
ჩეკ-ი 791
ჩეკა 791
ჩეკაში ჩაგდებული 791
ჩეკელა 791
ჩეკია თოხი 791
ჩეკო 791
ჩენჩი || ჩენჩო, ჩერჩი, ჩურჩა 792
ჩექა 792
ჩექა-გოგილდი 792
ჩექმა 792
ჩეჩ-ი 792
ჩიბა 793
ჩიბე 793
ჩიბერა 793
ჩიბო 793
ჩიგორგალ-ი 793
ჩილ-ი 793
ჩილა 794
ჩილა ფლავი 794
ჩილა ხორცი 794
ჩილის უქმე 793
ჩიმჩ-ი 795
ჩიმჩა 795
ჩინჩ-ი 795
ჩინჩა || ჩიმჩა 795
ჩინჩე 796
ჩინჩიანი 795
ჩინჩილ-ი 796
ჩინჩხ-ი 796
ჩინჩხილ-ი 796
ჩინჩხილი, ჩხინჩხილი 797
ჩირ-ი 797
ჩირაღ-ი 797
ჩირარი, ჩირახი 797
ჩირთ-ი 798
ჩირქ-ი 798
ჩიტ-ი 798
ჩიტთ არწივა 798
ჩიტის ფთა 798
ჩიქვ-ი 799
ჩიჩია 799
ჩიჩილაგ-ი 799
ჩიჩქ-ი 799
ჩიჩქვ-ი 800
ჩიხ-ი 800
ჩიხი ყანა 800
ჩიხტა 801
ჩიხტი, ჩიხტა 801
ჩლიქ-ი 801
ჩოგი 802
ჩოთქ-ი 802
ჩოლაღი 802
ჩოლახ-ი 802
ჩომჩა 803
ჩონჩა 803
ჩონჩომოშვებული 803
ჩოფ-ი 803
ჩოფის მოწევა 803
ჩოჩი 803
ჩოჩია 803
ჩოჩიკა 803
ჩოჩო 804
ჩოჩობა 804
ჩრჩუილი || ჩრჩული || ჩურჩული 806
ჩუთ-ი 804
ჩუთქ-ი 804

ჩუმ-ი 804
ჩუმა 805
ჩუმი ყველი 805
ჩუმმოპარული 805
ჩურ-ი 805
ჩურუქ-ი 806
ჩურუქი, ჩურუქა 806
ჩურჩულ-ი 806
ჩურჩური 806
ჩქერ-ი 806
ჩქუთი, ჩხუტი 811
ჩხაკ-ი 807
ჩხაკა 807
ჩხაკვი 807
ჩხაკვავს 807
ჩხამ-ი 807
ჩხამა 808
ჩხანკ-ი 808
ჩხარ-ი 808
ჩხართ-ი 809
ჩხართი || ჩხართვი 809
ჩხატ-ი 809
ჩხატიანი 809
ჩხერ-ი 809
ჩხერა 810
ჩხირა 810
ჩხირანა 810
ჩხირი ვენახი 810
ჩხმატ-ი 810
ჩხოტიო 810
ჩხუტ-ი 811

ც

ცალ-ი 812
ცალთუალი 812
ცალკაკა 812
ცალკელ-ი 812
ცამცამ-ი 813
ცან-ი 813
ცეხ-ი 813
ცვარ-ი 814
ცვარა 814
ციან-ი 815
ციკორ-ი 815
ცირა 815
ცირაჲ, წირაჲ, ცირცირაჲ, წირწირაჲ 815
ციცა, ციცო, ციცუა, ციცურა, ციცურიკა, ციცურუა, ციცირუკა 816
ციცუნა 815
ციცუნია 816
ციქციქ-ი 816
ციხე 816
ცრემლ-ი 817
ცრემლის ლული 432
ცრუპარია 525
ცრუპენტელა 527
ცუგა 817
ცუნცულა 818
ცუნცულა/ე-ჲ, ცინცილა/ე-ჲ 818
ცქაფ-ი 818
ცქვიტ-ი 818
ცქრიატ, ცრიატი 818
ცხევლა, ცხილა 819
ცხემლა 819
ცხვირის ბოძა(ი) 112

ძ

ძანძალ-ი 820
ძაღა 820
ძაღარა 820
ძე 820
ძევალ-ი 821
ძენძ-ი 821
ძეძგვ-ი 821
ძვინ-ი 822
ძია 822
ძიგვა 823
ძიგძიგ-ი 823
ძილისპირ-ი 823
ძლისპირი, ძილპირი 823
ძიმე სული 602
ძირქვა 823
ძიძგ-ი 824
ძიძგი, ძიძგი 824
ძიძგინ-ი 824
ძლავრ-ი 824
ძომან-ი 825
ძოწ-ი 825
ძუგძუგ-ი 826
ძუძგ-ი 826
ძღაბ-ი 826

წ

წაველა 827
წალიკა 827
წალო 827
წანწალა 828
წანწალაკი 827
წანწალებს 827
წანწკალ-ი 828
წანწკარა 829
წარწ-ი 829
წატატანება 614
წბელი 829
წბერ-ი 829
წებერა 830
წბერი, წიბერი 830
წებერა, წებერო 830
წეკვა 830
წელა 830
წენწი 828
წია 831
წია, წიწია 831
წიაპა 831
წია-წია 831

წიბერ-ი 830
წიბო 832
წივ-ი 832
წივა 832
წივანა 833
წივა-წივა 833
წივილ-ი 833
წივილა 833
წივის კეცი 832
წივწივა 834
წიკო 834
წიკოს დააჩხავლებს 834
წიკწიკა 834
წილკერძი 835
წინწალ-ი 834
წინწელი 834
წინწიბურ-ი 835
წინწიბურათ აგდება 835
წინწკალ-ი 835
წინწკალა 836
წინწკალი გასდის ხელფეხიდანა 836
წიოკ-ი 837
წიოტა, წიოყი 837
წიო-წიო 837
წიპ-ი 837
წიპრანა 838
წიპრანიკა || წიპრია 838
წიპწიპ-ი 838
წიპწიპა 838
წირ-ი 838
წირა 838
წირაი, ცირაი, ცირცირაი, წირწირაი 838
წირწამულ 841
წიტ-ი 839
წიტა 839
წიფხა 840
წიწაკ ღბავ 840
წიწაკ-ი 840
წიწაკა 840
წიწამურ-ი 840
წიწია 841
წიწიბო 841
წიწინ-ი 841
წიწკ-ი 842
წიწკანა 842
წიწკელა 842
წიწკინ-ი 843
წიწკინა 842
წკანწკარა 843
წკაპ-ი 843
წკაპა-წკუპი, წკაპი-წკუპი 843
წკარ-ი 844
წკენ-ი 844
წკერი 844
წკრე844
წკრიალ-ი 845
წკრიალა 845
წლაწი 829
წნურ-ი 854
წო 846
წოია, წოიო 846
წოიო 846
წორო 846
წორო-წორო 846
წორწალა || წოწოლიკა 828
წოტი 846
წოწოლა 847
წოწოქა 847
წრიალ-ი 848
წრიაპ-ი 848
წრიაფ-ი 849
წუა 849
წუა-წუა 849
წუკწუკ-ი 849
წუკწუკა 849
წუმ-ი 850
წუმს ინახავს 850
წურვილი 850
წურულა 850
წუწკ-ი 850
წყვილ-ი 851
წყლის არწივი 33
წყლის პერი 527

ჭ

ჭადარ-ი 852
ჭადარ-ჭადარ 852
ჭავლ-ი 852
ჭავლობა 852
ჭავჭავი 867
ჭაკუნ-ი 853
ჭალ-ი 853
ჭალა 853
ჭალი რკინა 853
ჭალის ყანა 854
ჭამბარ-ი 855
ჭამბარა 855
ჭანა 855
ჭანაი, ჭანაქიი 855
ჭანარ-ი 855
ჭანგ-ი 856
ჭანგიან-ი 856
ჭანგმოკიდებული 856
ჭანგოსან-ი 856
ჭანჭურ-ი 857
ჭანჭურა 857
ჭანჭყალ-ი 857
ჭანჭყარი 857
ჭაპ-ი 857
ჭაპა 858
ჭაპა || ჭაფა 858
ჭაპიანი 858
ჭარტალ-ი 858
ჭაყვა 944
ჭაჭ-ი 857

ჰაჰა 859
ჰაჰაჰუჰი 860
ჰაჰან-ი 860
ჰაჰანება 860
ჰაჰვ-ი 860
ჰაჰვა 861
ჰაჰუა 861
ჰაჰუტა/ე-ი 861
ჰახა 861
ჰაჯა, ჰაჯაი, ჰაღა 878
ჰახი, ჰახა 861
ჰახის გადენა 861
ჰახან-ი 861
ჰახანი ამინდები 861
ჰახია 862
ჰახჰახ-ი 862
ჰახჰახა 862
ჰევლ-ი 862
ჰელი 862
ჰენება 866
ჰეო 863
ჰერა 863
ჰერემ-ი 864
ჰერეხ-ი 864
ჰერეხივით აყრია (ეყარა) 864
ჰერიე 885
ჰეჰყა 865
ჰვანგ-ი 865
ჰვანკ-ი 865
ჰვანკმა გაკრა 865
ჰვირ-ი 866
ჰვიტინ-ი 866
ჰიან-ი 866
ჰიანჰური 857
ჰივჰავ-ი 867
ჰიკ-ი 867
ჰიკა 867
ჰიკარტ-ი 867
ჰიკვ-ი 868
ჰიკვა 868
ჰიკო 868
ჰიკუ 868
ჰიკჰიკ-ი 868
ჰიკჰიკა 868
ჰილ-ი 869
ჰილიანი მიწა 870
ჰილო 870
ჰიმბურ-ი 871
ჰიმჰა 871
ჰიმჰიმ-ი 871
ჰიმჰიმი გააქვს 871
ჰიმჰიმა 872
ჰიმჰიმაზე დგას 872
ჰინო 872
ჰინჯ-ი 872
ჰინჰილ-ი 872
ჰინჰილა 872
ჰინჰყლ-ი 873
ჰინჰყლიან-ი 873
ჰიოტ-ი 874
ჰიოტა 874
ჰიოტა მარგალიტი 874
ჰიპჰიპ-ი 874
ჰირღვა 876
ჰიტ-ი 875
ჰიტი || ჰუტი 875, 889
ჰიღვ-ი 875
ჰიღვა, ჰიღო 876
ჰიჭ-ი 876
ჰიჭვ-ი 876
ჰიჭვი ფხალი 876
ჰიჭილა 876
ჰიჭილა, ჰიჭილი 876
ჰიჭინ-ი 876
ჰიჭინა 877
ჰიჭინაზე გასკდება 877
ჰიჭკვ-ი 877
ჰიჭკვა || ჰიჭკა || ჰიჭკიტა || ჰიჭკვიტა 877
ჰიჭო 878
ჰიჭყინა 878
ჰიხი, ჰიხე 878
ჰკნავი, მჳნავი 879
ჳნავ-ი 879
ჳოდ-ი 879
ჳოთ-ი 880
ჳოთჳოთი 880
ჳოლო 880
ჳონ-ი 880
ჳონი, ჳონია 880
ჳონვა, ჳონჳვა 880
ჳორ-ი 881
ჳიორი || ჳორი 881
ჳორიკანა 881
ჳორპლ-ი 881
ჳორტ-ი 881
ჳოტა 882
ჳოტი 882
ჳოტი ლობიო 882
ჳოჭ-ი 882
ჳოჭე 883
ჳოჭიანი 883
ჳოჭინა 883
ჳოჭინი 883
ჳოჭის მიცემა 883
ჳოჭყ-ი 883
ჳოჭყი, ჳოჭყა 883
ჳრანქი 884
ჳრაქ-ი 884
ჳრელ-ი 885
ჳრელი ჯმაი 886
ჳრელა 886
ჳრია 886
ჳრია სიცხე 886
ჳრიახ-ი 886
ჳრიჭინა 887
ჳრტიალ-ი 887
ჳრუტი 882
ჳუა 887
ჳუა-ჳუა 888
ჳუილ-ი 888
ჳუვილი || ჳუილი 888

ჭუკ-ი 888
ჭურ-ი 889
ჭუჭულა 890
ჭუჭუნ-ი 890
ჭუჭუნი || დაჭუჭუნება || დაჭუჭუნება 890
ჭუჭუნა 891
ჭუჭყუნ-ი 891
ჭუჭყუნა, ჭუჭყუნი 891
ჭყან-ი 891
ჭყანჭყატა 891
ჭყვრიალა მასკვლავი 892
ჭყიმა 891
ჭყიმამხალ-ი 891
ჭყიპინ-ი 891
ჭყლურტავს893
ჭყორ-ი 892
ჭყრიალ-ი 892
ჭყრიალა 892
ჭყურტ-ი 893
ჭყუტ-ი 893
ჭყუტა 893

ხ

ხაკ-ი 894
ხალათ-ი 894
ხალათს მისცემს 894
ხალარ-ი 895
ხალვა 905
ხალთა 895
ხალხა 898
ხამხამ-ი 895
ხანიერ-ი 895
ხანოვანი 895
ხანჯალ-ი 896
ხარ-ი 896
ხარაკ-ი 897
ხარალ-ი 897
ხარან-ი 898
ხარანაი ჯვალი 898
ხარტი,ხარტ 910
ხარჭი 903
ხარხა 898
ხარჯ-ი 898
ხასობა 899
ხასხას-ი 900
ხასხასა 903
ხატ-ი 900
ხატა 901
ხაფიფ-ი 901
ხაფს-ი 902
ხაფსი, ხაფსილე 902
ხაფხ-ი 902
ხაფხიანა 902
ხაშარ-ი 902
ხაშლამა 903
ხაშხაში 903
ხაშხაშა 903
ხაჩირ-ი 903
ხაჭა 903
ხახამ-ი 903
ხახან-ი 904
ხახვარი 925
ხებერ-ი 904
ხევა 904
ხევან-ი 904
ხეზი 913
ხელვა 905
ხელხვირა 911
ხენჭოფო 724
ხენჯ-ი 905
ხენჯიან-ი 906
ხეოვანი 905
ხეპჭო 724
ხერხ-ი 906
ხეტ-ი 906
ხეულ-ი 907
ხეფენგ-ი 907
ხეშ-ი 908
ხეშის სარტყელი 908
ხეჩო 908
ხეხელა 908
ხვავ-ი 909
ხვანხვალ-ი 909
ხვარ-ი 910
ხვარტ-ი 910
ხვარხვალ-ი 910
ხვარხვალობს 910
ხვარხვარ-ი 910
ხვატი || ხუატი 910
ხვედა 911
ხვია 911
ხვირა 911
ხვირთქლ-ი 911
ხიბალ-ი 912
ხიბალი, ხიბლი 912
ხიბალკუდიანი 912
ხიბეკ-ი 912
ხიზ-ი 913
ხიზვა 913
ხიკვ-ი 913
ხილარ-ი 913
ხიმ-ი 914
ხიმე, ხიმანკი 914
ხინა 914
ხინჭ-ი 914
ხინჭა 914
ხინჯ-ი 914
ხირხალ-ი 915
ხირხიტო 915
ხიშ-ი 916
ხიჭ-ი 916
ხიხვ-ი 917
ხლინგ-ი 917
ხმელ-ი 917
ხმელ-ხირხიტო 918
ხოვლ-ი 918
ხოირ-ი 919
ხჯრი, ხოირი, ხუირი 918
ხოკერ-ი 919

ხოკერა 919
ხოლ-ი 919
ხოლა 920
ხოლეხი 920
ხოლიხ-ი 920
ხომ-ი 920
ხონდრო 921
ხორგ-ი 921
ხორდ-ი 921
ხორთუმ-ი 922
ხორტ-ი 921
ხორუმ-ი 922
ხორუმი, კორუმი 922
ხორხ-ი 923
ხორხალ-ი 923
ხორხიან-ი 924
ხორხორ-ი 924
ხორხორი მიწა 924
ხოწ-ი 924
ხოხ-ი 924
ხოხორ-ი 925
ხოხორა 925
ხრიანკელი 735
ხრიკ-ი 925
ხრიკა 925
ხრილ-ი 925
ხრინკული 925
ხრო 925
ხრომ-ი 928
ხტილ-ი 928
ხუ-ი 928
ხუა 928
ხუვილ-ი 929
ხულია 930
ხუნდ-ი 930
ხუნჩა 931
ხუნჩა, ხუნჩი 931
ხურდა 931
ხურდა კაცი 932
ხურდა მატყლი 931
ხურდა ნუსხა 931
ხურდა შეშა 931
ხურდა ხალი 932
ხურდი 921
ხურხუმა 932
ხურხური 924
ხუსხუს-ი 932
ხუშხუშა 933
ხუჩხუჩ-ი 933
ხუხურო 933
ხჩოლ-ი 933

ჴ

ჴარ-ი 935
ჴარიან-ი 935
ჴარო 936
ჴელის ჯაგი 938
ჴეტ-ი 936
ჴვაფ-ი 936
ჴვაფი, ხვაფი 936
ჴ[ვ]ლ-ი 936
ჴომ-ი 937
ჴუნდ-ი 937
ჴუნდურ-ი/ა 937

ჯ

ჯაბან-ი 938
ჯაგ-ი 938
ჯაგვ-ი 938
ჯაგო 938
ჯაზ-ი 939
ჯაზი-ეკალაი 939
ჯალამბარ-ი 939
ჯან-ი 939
ჯანაბერა 940
ჯანჯალ-ი 940
ჯაო 940
ჯაო || ჯავა 940
ჯარ-ი 941
ჯარის გადაწყვეტა 941
ჯარჯ-ი 941
ჯაურ-ი 942
ჯაურა 942
ჯაფა 943
ჯაღ-ი 943
ჯაღალა 943
ჯაღან-ი 943
ჯაღინი 943
ჯაყ-ი 944
ჯაყვა 944
ჯაყვაში გამოსული 944
ჯახ-ი 944
ჯაჯ-ი 944
ჯაჯა 944
ჯაჯია 945
ჯაჯულ-ი 945
ჯელ-ი 945
ჯელობა 945
ჯიგვ-ი 946
ჯიგვიან ჴელი 946
ჯიგჯიგა 946
ჯიკა 946
ჯილავდარ-ი 946
ჯილდო 947
ჯიმჯიმ-ი 947
ჯინჯილა 947
ჯინჯიხ-ი 948
ჯირა 948
ჯირა ძვირობაი 948
ჯირა-მარილჸ 948
ჯიქ-ი 948
ჯიქა 949
ჯიღა 949
ჯიღვ-ი 949
ჯიხ-ი 949
ჯიხტა 801
ჯიჯა 950
ჯიჯა, ჯიჯო 950
ჯიჯლიბო 950
ჯიჯღ-ი 950
ჯლიგვ-ი 951
ჯოკინა 951
ჯოლ-ი 951
ჯონკა 951
ჯონჯ-ი 951

ჯორ-ი 951
ჯორა 952
ჯორა ლელვი 952
ჯორა ლობიო 952
ჯორკო 951
ჯოჯო 953
ჯუთი 953
ჯურა 953
ჯური 953
ჯურუმ-ი 953
ჯუტ-ი 954
ჯუტი, ჯუთი 954
ჯუტი || ჯუტა 954
ჯუჯა 954

ჰ

ჰაბ-ი 9
ჰავა 955
ჰაზირ 15
ჰალ-ი 955
ჰალალ-ი 955
ჰანგ-ი 955
ჰაჟვან || ჰეჟვან 956
ჰასილ-ი 956
ჰაფსი, ხაფსი 902
ჰაქიმ-ი 956
ჰაქიმ, ჰექიმ, ექიმი 956
ჰილე 957

ზანური (ლაზურ-მეგრული)

ა

აბზინდი || აბზინდე 10
აბჟანდი, აბჟენდი 114
აბური 12
ადა 12
ავარია 13
აზრი 15
აიარი 15
ალაბაბულა 16
ალამალა 16
ალამა || ალაში 17
ალაჯა 18
ანაჯი 24
ანკარა 25
ანჩხი, ანჩხილი, ანჩხ-ლა 26
ანჩხოლი 26
ასთამი 38
ატამა 38
ანტამა || ატამბა 38
აფთარი 39
აფსო 37
აფშარა 39
აშურა 43

ბ

ბაბა 46
ბაგა 48
ბაზო 50
ბანტი 58
ბანძღი 59
ბაჟა 60
ბარჩხალი 105
ბასკა 65
ბატი 66
ბაცაცა 70
ბახვა, ბოხო 113
ბაჯა 72
ბე 73
ბეზი 76
ბელი 77
ბელა 78
ბელუა 77
ბენძელა 115
ბერი 81
ბზუჯი 85
ბიბი 85
ბიგა 86
ბიზი 86
ბინა 90
ბინდიშ ქაქალი 90
ბიძგი 91
ბლიკვი 93
ბლუზა 93
ბობი 94
ბოგა 95
ბოლი, მბოლი 100
ბომბოლა 94
ბონდი 101
ბონდო 101
ბორო 104
ბოტოტა 105
ბოყვი, ბოცვი 108
ბოში 109
ბოჩი 111
ბოჯგი 114
ბოჯგა 113
ბუდა || ბუჯა 117
ბუდგანი 118
ბულბული 120
ბუმბული 121
ბუნი 127
ბუნდღა 126
ბუნტი 123
ბუჟუჟი 123
ბურა 124

ბურბულუა 124
ბუტკა 128
ბუტკი 128
ბუღა 130
ბუყი 131

ბ

გალე (გაე) 140
გაგანია 138
გარგუნჯელა, გარგუნჯუა 143
გენი || გინი 146
გეკა 148
გეკეკი 148
გზა 150
გიდი 151
გიდელკიდელი 152
გოგორაფა 156
გორდა 163
გოჯი 165
გუგუმი 169
გუდა 170
გურგული 172

დ

დავა 174
დაია 177
დარე 179
დევი, ნდელი (ნდეი, ნდიი) 182
დევე 182
დენგი 184
დენთი 185
დია 186
დივი 182
დიკა || ბდიკა || მდიკა
დობილო 189
დობირა || დობერა 189
დოკაპანელი 294
დოკაპანუა 294
დოლმა 190
დორე 456
დოყი 193
დუა 194
დუბარა 194
დუგუნი 195
დუდი 195
დუელი || დუველი 196
დუნდული 197
დუნდულა 197
დუყუ || დურყი 198

ე

ელი 200

ვ

ვალი 458
ვარყა (ვაყა) 205
ვაყა, ვარელი 205
ვეება 203
ვეხი 206

ზ

ზანდი 210
ზანკალი 212
ზაფრანა 215
ზაფრა 215
ზეება 210
ზიანი 224
ზოდი 231
ზორტი 233
ზოღი || ძოღი 233
ზოღა || მზოღა 236
ზუზუნი 234
ზუმბა 235
ზღვა 236

თ

თაბლა 239
თალაში 242
თალიშ ხვარხვი 242
თანდური 243
თარაში 245
თარგი 244
თარო 245
თელი 250
თელა (თეძა) 251
თელამუში 251
თემელი 252
თერზი 253
თიკი 255
თიკანი 255
თოთო 257
თოკი 258
თოლი 259
თოქმა 260
თოში 260
თოხი 261
თუღი 266

ი

ინდოური 274
ინდური 274

კ

კავუღა || კაბღა 741
კაკა 279
კაკალი 280
კალი 284
კალა 285
კამა 288
კანთი 324
კანთიელი 324
კანჯი 291
კანჯა 293

კაპანი 294
კაპიწი 295
კართი 297
კარკალი 297
კაფე 299
კაჩა 300
კაჩო || კაჩალო 300
კაწი 301
კაწუმელი 301
კაჭარი 303
კაჭარა 303
კემუტი 307
კემუხტი 307
კენჭი 308
კერტი 310
კეში 311
კეჭერი 308
კვანტი 315
კვანჩხა 316
კვარი 317
კვირკვილი, კვიკვილი 322
კვიჭალი 387
კიკო 327
კინჩხი 330
კირა 309
კირკიმელი 333
კიცი (კკცი) 312
კლასი 336
კოთხუნჯი 366
კოკინია 348
კოკო 339
კომა 345
კოპიტი || კობიდი 353
კორკოტი 355
კორტოხი 357
კოტა 359
კოტო 360
კოტოში 361
კოფო 362
კრიალ (კრიალაფს) 367
კუკუ 373
კუკულე 561
კულა 376
კულტმბური 764
კუმა 345
კუნწული 379
კუნჭული, კუჭილი 380
კურტამი 382
კურუმი 383
კუჭია 387

ლ

ლაბადა 389
ლავაში (დავაში) 391
ლავაშერი 391
ლავაშუა 391
ლაკვი (დაკვი) 411
ლამბი 393
ლამდური 395
ლამფირი, ლოფინი 401
ლანდი (დანდი) 394
ლანდე || ლანდი 394
ლარდი 427
ლარდობა 427
ლარტყა (დარტყა) 398
ლატაკა || ლატა 400
ლაფი (დაფი) 400
ლაფი(რ)ი 393
ლაღა 403
ლახანა (დახანა) 406
ლეკი 410
ლეპი (დეპი) 425
ლეჟერი 397
ლეშტერი 416
ლეშხი 416
ლიბადი 389
ლიტე 429
ლიხი 422
ლოგო 423
ლოგორო 423
ლოდი 423
ლოდე 424
ლოდო 424
ლოდორია 424
ლორდი 427
ლორწი 428
ლუგე 433
ლური 432
ლუღი 414
ლუხუმი (დუხუმი) 436

მ

მადი 437
მანგალი 441
მარქვი (მარქვალი) 449
მაღარა 450
მამაია 452
მაჯაგა, მაჯაგანი 455
მაჯა, მაჯაგალი 455
მევალე (მევაძე) 458
მენძილი 443
მესელი 462
მინდი 466
მისირი 467
მოდუდელი469
მოდუდელური 469
მონა 470
მტერი 618
მუნი 476
მუშა 480
მძიმე 484
მჯიხი 949

ნ

ნაბი 492
ნაჩხატი 505
ნაჭა (ნაჭე), ლანჭა, ლარჭა 506
ნაჭილა 506

ნერჩი 508
ნერჩიშ გითოხვამა 509
ნერჩიშ მარდი 509
ნერჩიშ ოხვამერი 509
ნერჩი პატენი 509
ნობი 513
ნოღო 514

ო

ობი 516
ობრი 519
ოდელია || ვოდელია 517
ოლვა || ოლვაფა 568
ოლოლოია 518
ომბოლა 516
ომბოლი 516
ორანი 519
ორმო 520
ორსხი 582
ოქოქა 522
ოშოშია 523

პ

პარმაღი 525
პლაკი 531
პოპორი 532
პუჭკინი 534

ჟ

ჟაჟუა 211
ჟიჟღი, ჟიჟღიბი, ჟიჟღიბჯგუა 539
ჟუჟინა 540

რ

რაგვი 542
რაში 545
რეკა 544
რესიმი || რესმი 545
რეში || რიაში || რიოში 545
როფე 549
რული (რუდი) 558
რუხა 551
რუხუა 551
რღაპი, ღლაპი, ლაპი, ლაპრი 396

ს

სადარი 556
საპონი || საპონუა 569
საქონელიშ კვერი 319
სედეჩი 570
სეფი 586
სია 587
სიმსამი 589
სინორი 589
სირსველი
სისვი 591
სიტყვა 593
სკა 593
სკაია 593
სობა 595
სოღო (სოღორო) 597
სუთგ, სუთგ 600
სუკი 601
სუნგი 603
სუნელი, სუნეი 604
სურსუ 590

ტ

ტაატა 613
ტაბაჩა 608
ტაბუ 608
ტანგი 610
ტანტალი (ტანტაი) 610
ტატი 613
ტაში 615
ტერი 618
ტეტელი 620
ტვინი 619
ტინტილა 620
ტკეჩი 620
ტომარე || ტომარა 628
ტორში 625
ტოფი 624
ტოღო 625
ტუზი 627
ტუნელი 629
ტუნკი 628
ტურა 630
ტუხტი 617
ტყრიპი 632

უ

უბირი 633
უსტა || უსთა 638
უტარე 639

ფ

ფა 642
ფათა 643
ფაი 645
ფაიტონი 646
ფალანი 645
ფანდი 646
ფარაფარათ 649
ფარჩი 652
ფატა 654
ფატი 653
ფაფანაკი 654
ფაცხა 656
ფახი 657
ფახილი 658
ფახურა 658
ფელარი 77
ფელეკი 660
ფელეკიშ კარი 660

ფესო 666
ფიდე 669
ფითონი 672
ფილა 669
ფისი 671
ფოთინი 674
ფოსტა 676
ფრიალია 679
ფუა 682
ფუთი 683
ფურტინი 686
ფურჩა 686
ფუცორი 688
ფუცუცია 687
ფუცხი 677

ქ

ქალაქი (ქაბაქი) 695
ქართა 699
ქარქაში 701
ქარჩი 702
ქაჩაჩი 702
ქეშუა 704
ქვიბი 705
ქინქი 706
ქინძი 706
ქონი 711
ქოროფე 713
ქოფე 713
ქუნცხი 717
ქურქული 717
ქურსი (ქური) 718
ქუსი 718
ქუჩუჩია 719

ღ

ღარღალი 722
ღარღილი (ღერღილი) 725
ღაღადი 720
ღაღუ 723
ღერი 724
ღერღელი 733
ღვარღვალი (ღვარ-ღვაი) 725
ღლავი 731
ღლამი 731
ღორძგო 733
ღოღო 733
ღრამი 734
ღუღინი 738

ყ

ყავალი, კავალი 741
ყინტურა 753

შ

შავალი 767
შაივარი 767
შაირი 766
შაში 768
შეფა, სეფა 586
შველა (შვედა) 772
შუმი 779
შქერი 807

ჩ

ჩამი 783
ჩამური 783
ჩანგალი 784
ჩანჩულია 788
ჩაუში || ჩავუში 785
ჩაფა 785
ჩაფა ბერგი 785
ჩაჩი 787
ჩევრე 790
ჩერგილი 784
ჩექმა 792
ჩეჩო, ოჩვეჩე 804
ჩილი (ჩიდა) 793
ჩიჩია 799
ჩიჩქილი 800
ჩიხი 801
ჩონჩო 803
ჩოფი 803
ჩხაკი 807
ჩხაკალე 807
ჩხამა 808
ჩხარი 808
ჩხომი 807

ც

ცეკა 791
ცვარი 814
ცირა 815
ცქვიტი 819
ცხვანტი 819

ძ

ძანძა 821
ძანძალი, ოძანძალე 820
ძაღა 820
ძერწი 821
ძიძიბი 950
ძღაბი 826

წ

წიაპი 831
წიაფი 831
წიოკი 837
წიპა 838
წიტი(წგტ) 839
წკაპი 843
წო, წოია 846

ჭ

ჭადარი 852
ჭაკვი 852
ჭალე (ჭაიე) 854
ჭანარი 855
ჭანგი 856

ჭანგა 856
ჭაჭა 859
ჭარჭალი (ჭარჭალ/რს) 860
ჭიკუ 868
ჭილი 870
ჭიმბური 872
ჭინო 872
ჭიჭყინა 878
ჭოდი 879
ჭოლო 880
ჭორი 881
ჭოჭყი 884
ჭუტა 893

ხ

ხალადი 894
ხალათი 894
ხართა 895
ხარჯი 899
ხეში 908
ხეჩო 908
ხვარხვალი 910
ხვედა 911
ხვეთქია, ხვეთქერი 912
ხვითქუა, ხვითქა[ლ]ი 912
ხვიტი 913
ხირხალი 915
ხირხიმალი 915
ხოკერი 919
ხოკო კოპეშიაშ ფერი 919
ხომი 920
ხორგი 921
ხორხი 906
ხუნდი 930
ხურდა 932
ხურხი 923
ხურხუმი 932

ჴ

ჴერჴ 906

ჯ

ჯაგი938
ჯაზი 939
ჯალაბერი (ჯაბაბერი) 939
ჯალამბერი 939
ჯალიშ კვერცხი 483
ჯანი 939
ჯანჯალა 940
ჯარი 941
ჯიხი 949
ჯორი 952
ჯორა 952
ჯუჯე 954

ჰ

ჰავა || ხავა 955
ჰაზირი 14
ჰალი 955
ჰალალი 955

სვანური

ა

აბზინდაშ, აბზინდაჲ, აფსინდ, ა̈ბზინდ 10
აზრ 15
ამლა̈კ, ამლაკ 11
ატამ, ატა̈მ, ატამ 37
აუჟა̈ნდა, აუჟენდ, აუჟანდ 114

ა̈

ა̈ქიმ, ექიმ, ჲექიმ 956

ბ

ბაგ 48
ბალდუმ 55
ბარანბაი, ბარამბა 60
ბეო 73
ბეუ̈ო, ბეჳ 73
ბიკ, ბიკინჩ 98
ბინა 90
ბიუ̈ილ 98
ბარბრლდ, ბარბელდ ბარბ[უ]ელდ, ბარბგლდ, ბარბუ̈ილ, ბარბოლდ, ბარბელ 102
ბოგ 95
ბუზარაი 119
ბუმბ̈უ̈ილ, ბუმბულ 121
ბუჟუჟ 123
ბიქუ̈, ბუჭუ̈, ბუჭუ̈ 130
ბუღვირ 72
ბუღუა 139
ბგბკაი 117

გ

გაკ, კაკ 280
გემ 145
გვემ 158

გუბამ, გუამ 158
გლამ 154
გონიო 160
გოჯ, გრჯ, გრჯა 166
გუბანდ 171
გუბანდ, გუბანდ 171
გუდრა, გუიდრა 170
გუმბად, გუმბათ 171

დ

დაშნაკი,დაშნაკ, დაშნაკი 180
დომბაკი, დომბაკ, დომბაკი 190
დუერი 456

ზ

ზეთ 219
ზგნე 230

თ

თაკუ, თეკუ 258
თემ 252
თოთ, თოთობაკი 257

კ

კაკალ კაკალ 281
კაკანაი 282
კამრაკი, კამრაკ, კამრაკი 289
კგც, კეც 312
კვენ 319
კოკორაკ, კოკორ 322
კოტაი 359
კუკურ 375
კუპანჩხუ, კუპანჩხულდ || კუპანჩხულ 316
კუბდარ, კუპტარ 370
კურტამ 382
კუხ[უ], კუიხ[უ] 388

ლ

ლაფრი, ლაფარი 402
ლაყაფ 405
ლახანა 406
ლერწ, ლერწლ 413
ლეჩხტერ, ლეჩხეტ 505
ლუსუემ, ლუსმარ, ლუსმან 435

მ

მანჯიირლა 443
მარჯილ 447
მგზრი, მგზარ მგზრი, მოზარა 469
მგშაკი, მგშაკ, მგშაკი 480
მგხიმ 489

რ

რაშ, რამ, რაშუ 543

ს

საბან, საბან 553
სადაფ, სადაფ 570
საპუენ, საპონ 569
საქსარი 583
სუ (სუდ, სუდად) 600
სუიკუ, სიკუ, სუკ 601
სურნელ 604
სხაპ 607

ტ

ტკეც, კეც 620
ტომარაკი, ტუმარაკი, ტომარაკი 628

უ

უარილ, უარყა 205

ფ

ფა 642
ფაატონ, ფაატონ 642
ფანდ 646
ფანთხ, ფანთხ 647
ფარ 648
ფარფ, ფარფ 663
ფარცხ, ფანცხ 653
ფაშაკი, ფაშარაკი, ფაშან, ფაშარ 654
ფაჩი, ფაჩლელ 655
ფაცხ 656
ფაკ 657
ფესო 667
ფოშტა, ფოშდა 676
ფუთკუირდ, ფუტკუირდ 684
ფურჩაკი, ფურჩაკ, ფორჩა 686
ფგხ 657
ფხეკ 691
ფხაჭიაკი, ფხიჭაკ 692

ქ

ქათქაათი 694
ქალაქ, ქალაქ 695
ქარქაშ, ქარქაშ 701
ქარჩალ, ქარჩარ, ქარჩალ 702
ქაქ, გაგ 701
ქინზ, ქინძ 706
ქუაბ 715

ღ

ღილიკ, ღირკილ 728

ყ

ყუყუ, ყუიყუ, ყუიჩ 755

შ

შარ, შაირ 766
შენ 769
შენობ, შენებ 770
შუეთ, შოთშოთი 774
შუელ 587

ჩ

ჩანგ, ჩანგ 783
ჩირთ 798
ჩქუიმ 805

ც

ციცუნდრა 816
ციცუნილარ 816

წ

წეუარ, წაუარ, წეუარ 485
წიკარტ, წიკარტ 868
წკაპ, წკაპ 843
წრიაპ 848

ჭ

ჭადარ, ჭადარ, ჭანდარ 852
ჭალაბ, ჭალა, ჭალაი 854
ჭიჭკუ 877
ჭყან 891
ჭყერი, ჭყერი, ჭყერ 892
ჭყუენ, ჭყვენ, ჭყენ, ჭყონ 851

ხ

ხანჯარ, ხანჯარ 896
ხარჯ, ხარჯ 899
ხეკ 919
ხიზა 913
ხვითქია 912
ხირკ 919
ხირკაბ, ხირკა, ხირკა 926
ხოკორაბ, ხოკორაბ, ხოკორა 919
ხორგიაი 923

ჯ

ჯალ, ჯაბლ, ჯგლ 483
ჯარ, ჯარ 941
ჯარტ, ჯარტ 941
ჯაყუ, ჯაყუაი 944
ჯირკ, ჯიკ 946
ჯურღუ, ჯულუ 949
ჯორ 952
ჯორაბ, ჯორა, ჯორაი 952
ჯუარ, ჯუარ 952

ჰ

ჰასტაბმ, ჰასტამ, ასტამ 38

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ·

წინასიტყვაობა 5

ლექსიკონი ა – ჰ ..... 9 – 957

წყაროები 958

ელექტრონული წყაროები 977

ლიტერატურა 979

ენათა და დიალექტთა შემოკლებანი 1010

სახელთა და გვართა შემოკლებანი 1011

სხვადასხვა შემოკლებანი 1012

დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა შემოკლებანი 1014

ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა საძიებელი 1016

სანოვაგე. *ბარჯი* – ფქვილი, ყველი და ლობიო – თავისი ზურგით მიჰქონდა სპირიდონს შინიდან (ე. ნინოშ.) – ქეგლი. „იმათ წრევლაი ბევრი *ბარჯი* გაწიეს“ (მეზ.);„ჩუენებსა ყუელთვინ დიდი *ბარჯი* აქუან“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). მუშა ქვყამს და მომზადილი გვაქ *ბარჯი* (წირქვალი) იმანაც მეიტანა *ბარჯი*, მეც (ზედუბანი); *ბარჯი* უნდა წოუღო კვდრის პატრონს (ბოსლევი) მეორე დღეს *ბარჯი* გააკეთა ამ კაცმა (ქვაციხე, ზ.-იმერ. ტოწ.). აგრეთვე ქართლ. ლექსიკ. || ხარჯი წლისა წლის საზრდო „საყანიები აფერი გვაქ, თელი წლის ხარჯი რო მევიდეს“ (გომი, გურ. ჯაჯან.). 4. (ქართლ.) იგივეა, რაც ქელეხი – ქეგლი. „*ბარჯი*, რა ვიცი, *ბარჯს* ვეძახით ჩვენა“ (ფშ. ცოც.). || რასაც ქალის დანიშვნის დროს ბიჭი გასცემს – ცხვარი, ფული (ფერეიდ. კორპ. ლექსიკ.).5. ნარჩევი, რიოში, ჯერკვალი, ნაძირალი – დ. ჩუბ. || ცხიმის(ერბოს, ზეთის) დანალექი. „თემიზ თერე დაღსა *ბარჯი* ცოტაი აქ; დაღსა რომე გავადნობთ, *ბარჯ* ქუეშ გეიგდებს“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.). 6. ყურძნის ჯიში. ხარჯი, რომელიც არაბ.-სპარსული სიტყვაა და სახარჯავსა ჰნიშნავს, ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალის სანახებში იყო ყველგან გავრცელებული (ჯავახიშვილი 1986: 589).

ხარჯ, ხარჯ ხარჯი (საჭმლისა) საგზალი ხარჯი ფულისა (სვან. თოფ., ქალდ.). **ხარჯი** ზან. (მეგრ. ელ.). **ხარჯი** [არაბ.-თურქ.] ხარჯი, გადასახადი თანხა ზან. (ლაზ. თანდ.).

დიალექტ. III. **ხარჯი** (თურქ. harç) სამშენებლო მასალები (დევესქელი, ნიგ. ბერ.).

ხასობა:

ახ. ქართ. I. **ხასობა** ლანძღ. ხასად ყოფნა. მითხარი – რა გირჩევნია: ჩემი ცოლობა თუ მაიორის *ხასობა?* (მ. ჯავახ.) ხას-ობ-ა: ხას-ა [არაბ. ხასსა], ქალი, რომელიც ქორწინების გარეშე ცხოვრობს მამაკაცთან, – ხარჭა. საყვარელი (მნიშვ. 3). [ნენე] ხასად დაუჯდა ყაზარას (ს. მგალობ.) – ქეგლი. ობ-ა აბსტრაქტულობის მაწარმოებელი რთული სუფიქსი.

საშ., ახ. ქართ. II. **ხასობა** თამამად ვეუბნები – დ. ჩუბ. || ხასად ყოფნა, – სითამამე, მოურიდებლობა. მეტისმეტი *ხასობაა* შენის მხრივ, რომ გსურს შენი ცოლი დიდ დედოფალს დაადარო (ვ. ბარნ.) – ქეგლი. შდრ. **ხასი** სითამამე. გაბედული, მოურიდებელი (მოქმედება). ხმა ჩაიდუმე, ნუ გაქვს *ხასები*, კაია, ნუღარ მებაასები (ბეს. 150, 12). [ანიკოს] *ხასი* ქცევა აქვს, თითქმის გამოჭენებული (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

მ. ჩუხუა აღნიშნავს, რომ ზმნური ხას- ძირი ცნობილია რუსთაველის ეპოქიდან, დამოწმებულია „ვეფხისტყაოსანში“. იგი ვერ გამოვლინდა სხვა ქართველურ ენა-კილოებში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური ეტიმოლოგია აქვს. მკვლევარი აღადგენს ს.-ქართვ. ძირს *ხას- „თამამი საუბარი. ქართ. ხას-ობ-ა, ვ-ჰ-ხას-ობ „თამამად ვეუბნები“ (ჩუხუა 2017).